საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საეპისკოპოსოები ლაზიკაში

ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს,
უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს

თბილისი
2011

ისტორიული არიან ქართლის ტერიტორიაზე (ხორძენე, გოგარენა, პარიადრეს კალთები, ტაო, ბასიანი, კლარჯეთი და სხვა) მცხოვრებმა ქართველებმა, გაქრისტიანების შემდეგ, მრავალი საეპისკოპოსო დააარსეს, რომელნიც XI ს-ის შემდეგ „ლაზიკის ეპარქიაში“ გააერთიანეს.

იქამდე, VI-VIII სს-ში ლაზიკის ეპარქიის საეპისკოპოსოები (ზიგანა, როდოპოლისი, საისინი და პეტრა) განლაგებულნი იყვნენ ტრაპეზუნტის რეგიონში, იქ სადაც ძველი მწერლები მიუთითებენ ხალიბების ქვეყნის ქალდეას მდებარეობას, რომელსაც ლაზიკა და „დიდი ლაზია“ ერქვა.

წიგნში მრავალ წყაროებზე დაყრდნობით მიმოხილულია ამ რეგიონებისა და ასევე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო, ეკონომიკური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ყოფითი და გეოგრაფიული ვითარება პირველ ათასწლეულში.

სამეცნიერო რედაქტორი – პროფესორი ი. გორგიძე

© მეუფე ანანია ჯაფარიძე, 2011
საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2011
ISBN 978-9941-20-008-3
http://www.gtu.ge/publishinghouse/

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის ნებისმიერი ნაწილის (ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არც ერთი ფორმითა და საშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შესავალი

ჩვენი ნაშრომი ეძღვნება საქართველოს წმიდა ეკლესიის იურიდიქციის საზღვრების კვლევას.

ეკლესიის ძველმა მემატიანეებმა (განსაკუთრებით რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მამებმა) მოგვცეს ცნობები, რომ დაარსების თანავე საქართველოს ეკლესიის იურიდიქციის საზღვრებში შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად დასავლეთ საქართველოც, მაგრამ XX ს-ში, ალბათ საბჭოთა რეჟიმის ძალდატანებით, ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში გაბატონდა მტკიცება, რომ დასავლეთ საქართველო გაქრისტიანებიდან 500-600 წლის მანძილზე (IX-X სს.-დე) კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა და თითქოსდა მხოლოდ შემდეგ მიიერთა ის ქართულმა ეკლესიამ.

ჩვენ მრავალწლოვანი შრომა მოვანდომეთ იმის კვლევას, რომ ეს ასე არ იყო და სწორია ჩვენი მატიანეებისა და წმიდა მამების ძველი თვალსაზრისი.

დასავლეთ საქართველო წმიდა ნინოს დროიდანვე არა კონსტანტინოპოლის, არამედ მცხეთის საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა, რადგანაც ის ქართლის სამეფოს ნაწილი იყო, ხოლო ბიზანტია თავის საეკლესიო იურისდიქციას ახორციელებდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველთა უძველეს ქვეყანაში, ისტორიული ლაზიკის ერთ ნაწილში, ტრაპეზუნტის რეგიონის მხარეს, რომელიც ჯერ კიდევ რომის იმპერიამ ჩამოაცილა ქართველთა სახელმწიფოებრივი გავლენის სფეროს. **იქ კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ სხვა სამიტროპოლიტოებთან ერთად ჩამოაყალიბა ფაზისის (ფასიდის) სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსო კათედრები –ზიგანა, პეტრა, როდოპოლისი და საისინი. თავდაპირველად მათი სამიტროპოლიტო ცენტრი მდებარეობდა ქალაქ პოლემონიონში, რომელსაც ასევე ფასიდი (ფადისი, ფატსა) ერქვა. VII საუკუნისათვის მათ მომცველ რეგიონში, მთავარი ქალაქის ღირსება ტრაპეზუნტმა მოიპოვა.** პირველ ათასწლეულში დაარსებულმა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიებმა იარსებეს რამდენიმე საუკუნე.

ისინი, როგორც ითქვა, მდებარეობდნენ ქართველი ერის უძველეს სამშობლოში, რომელსაც ლაზეთი (ლაზიკა) და ქალდეა ერქვა. ივ. ქავახიშვილის სიტყვით ქალდეა იყო სამშობლო ყველა ქართული ტომისა, მათ შორის ცხადია სვანებსა და მეგრელ-ჭანებსა.

VI-VIII სს.-ში ტრაპეზუნტის ოლქში (ლაზიკა-ქალდეაში) განლაგებულ ფასიდის სამიტროპოლიტოში შემავალ ზიგანას, როდოპოლისის, საისინისა და პეტრას საეპისკოპოსო კათედრების მომცველ ქვეყანას რთული ისტორია ჰქონდა.

ჯერ რომმა, შემდგომ კი ბიზანტიამ დაიპყრეს ქართველთა წინაპრებით დასახლებული პონტოსპირეთის მხარეები სინოპიდან ჭოროხამდე და შეიყვანეს თავიანთი იმპერიის შემადგენლობაში. იმპერატორებმა დაპყრობის შემდეგ ხალიბების, მაკრონების, მოსინიკების, დრილების, კოლხების, ტიბარანებისა და სხვა ქართული ტომების ამ მიწაწყალზე სვადასხვა დასახელების სახელმწიფო-ადმინისტრაციული ერთეულები ჩამოაყალიბეს, მაგრამ მათ (ადმინისტრაციულ ერთეულებს) ქართული

სახელები აღარ უწოდეს, მაგალითად კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით, ქალდებითა და ლაზებით დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულს „არმენიაკონის თემი“ უწოდეს მხოლოდ იმის გამო, რომ მისი საზღვრების მახლობლად არმენიელები სახლობდნენ.

824-863 წლებში არმენიაკონის თემის დაშლამ და ქალდიის ცალკე თემად გამოყოფამ გამოიწვია იქ ადრიდანვე მდებარე ძველი საეპისკოპოსო კათედრების –ზიგანას, პეტრას, როდოპოლისის და საისინის სახელების გაქრობა-დამცრობა. მათ ადგილას ახალი ქალაქები და შესაბამისი კათედრები წარმოიქმნა. ამასთანავე ეს ძველი საეპისკოპოსო ქალაქებიც გადანაწილდა სხვადასხვა ახალ ადმინისტრაციულ ოლქებს შორის.

არაბთა მპყრობელობის შესუსტებისას X-XI საუკუნეებში გაიზარდა ქალდიის თემის დედაქალაქის **ტრაპეზუნტის** საეკლესიო მნიშვნლობა და ავტორიტეტი.

არზრუმის რეგიონიდან არაბთა განდევნის კვალდაკვალ, როცა ის ბიზანტიის სახელმწიფოს დაუბრუნდა, ამ რეგიონის უმეტესი ნაწილი ეკლესიურად დაუქვემდებარეს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს, ანუ ე.წ. ეპარქიას „ლაზიკაში“.

ასევე, მეორე ათასწლეულის დასაწყისშიც არაბთა და თურქმანული ტომებისაგან გათავისუფლებული ვრცელი მიწა-წყალი ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე შეიყვანეს აღნიშნულ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს „ლაზიკის“ საეკლესიო ოლქის შემადგენლობაში.

როგორც მისი სახელწოდება აჩვენებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიების იურისდიქცია ვრცელდებოდა იმ მიწა-წყალზე, რომელსაც კონსტანტინოპოლში „ლაზიკას “ უწოდებდნენ.

ლაზიკის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის განსაზღვრას უპირველესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლისათვის, ლაზიკის ზუსტი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის განსაზღვრის გარეშე შეუძლებელია პირველი ათასწლეულის საქართველოს ეკლესიის ისტორიის დაწერა.

ლაზიკის გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ არსებობს რამდენიმე განსხვავებული თვალსაზრისი.

ამჟამინდელი ოფიციალური საისტორიო თვალსაზრისით **ლაზიკა ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს** (ამიტომაც, თითქოსდა, დასავლეთ საქართველო ეკლესიურადაც კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შედიოდა, რადგანაც წყაროებით ლაზიკაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს რამდენიმე ეპარქია გააჩნდა).

ლაზიკის ადგილმდებარეობის შესახებ სულ სხვა თვალსაზრისისა იყვნენ ეკლესიის წმიდა მამები და ძველი ქართული ისტორიოგრაფია.

ბერძნული წყაროების საუკეთესო მცოდნე ათონელი მამების, კერძოდ კი ექვთიმე მთაწმიდელის თვალსაზრისით ფაზისი ერქვა მდინარე ჭოროხს, ხოლო **ლაზიკა - მდინარე ჭოროხის მარცხნივ მდებარე მიწა-წყალს**, კერძოდ კი ტრაპეზუნტისაკენ მიმდებარე სანახებს.

ლაზიკის შესახებ ძველი მამების საეკლესიო თვალსაზრისს კვლევებით ვადასტურებ და მივიჩნევ, რომ **ლაზიკა იმთავითვე ერქვა ტრაპეზუნტის მიმდებარე რეგიონს (ჭოროხიდან ზიგანა-გიუმუშხნეს მიმართულებით).**

ჩემს მიერ წარმოდგნილი მოსაზრების დასამტკიცებლად გამოწვლილვით ვიხილავ პირველწყაროებს:- სტრაბონის, პროკოფი კესარიელის, აგათია სქოლასტიკოსის, თეოფილაქტე სიმოკატას და ბერძენ-რომაელ სხვადასხვა ავტორთა შესაბამის შრომებს, ასევე ძველ სომეხ ისტორიკოსთა (მოვსეს ხორენაცის, უხტანესის, არისტაკეს ლასტივერტეცისა და სხვათა ნაშრომებს) და ცხადია ძველ ქართულ ისტორიოგრაფიას (მოქცევაი ქართლისაი, ქართლის ცხოვრება და სხვა), ჩემი თემისათვის უაღრესად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილების (ძეგლისწერის) განსაზღვრება დასავლეთ საქართველოში თავდაპირველადვე საქართველოს (მცხეთის) ეკლესიის იურისდიქციის განვრცობის შესახებ (და არა კონსტანტინოპოლისა, რასაც ქვემოთ ვეხებით).

ჩვენმა მეცნიერულმა ძიებამ ჩამოგვიყალიბა თვალსაზრისი რომ ლაზიკა იმთავითვე მდებარეობდა ჭოროხამდე მდებარე შემდეგდროინდელ პონტოს (ტრაპეზუნტის) რეგიონში, ე.წ. „სამხრეთ ეგრისში“, რომელსაც წმიდა მამების მიერ ასევე „სოფელი მეგრელთა“ ერქვა (ეს თემა ქვემოთაა განხილული), რომ ლაზები არიან პირდაპირი შთამომავლები ხალიბებისა ანუ ქალდებისა, ეს მოსაზრება ჩამოგვიყალიბა ქსენეფონტეს შრომებმა (რომელნიც ქვემოთაა განხილული) და სტრაბონის ცნობებმა (მაგალითად სტრაბონის ცნობით ხალიბებს(ქალდებს) ასევე ჰქონდათ ეთნონიმი -„ალაზონები“, მათ ქვეყანას შემდეგში „ალაზონია“ (ლაზონია, ლაზია) ერქვა, სიტყვებში „ალაზონია“ და „ლაზონი“ ფუძეა „ლაზ“-ი) და სხვა წყაროთა მონაცემებმა.

აღნიშნულთა გარდა ასევე ვიყენებთ მრავალ სხვა წყაროს.

ვფიქრობ ნაშრომისათვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ მასში გამოწვლილვითაა გაანალიზებული თანამედრონე და ძველი ავტორების გამოკვლევები კოლხეთის, ლაზეთის, მესხეთის, პონტოს სამეფოსა და ტრაპეზუნტის იმპერიის შესახებ, მათ შორისაა, როგორც ქართველი (ო.ლორთქიფანიძე, დ.მუსხელიშვილი, ნანა ხაზარაძე, გ.მელიქიშვილი, ვ.გოილაძე, თ.ბერაძე, ვ.ჯაფარიძე, გ.გრიგოლია, ბ.კუდავა და სხვათა), ასევე უცხოელ ავტორთა (ნ.ადონცი, კარპოვი ..) ნაშრომები.

მეცნიერული ძიების სტრატეგია. აკადემიკოსი ვ. ვერნადსკი წერდა ლუი პასტერის შესახებ - „პასტერი შევიდა მეცნიერების მისთვის ახალ სფეროში, ახალი მეთოდებით და მუშაობის ახალი წესებით და დაინახა მასში ის, რაც მანამდე არ უხილავთ ამ დარგში მომუშავეთ(ა. ფრანგიშვილი, ო. ნამიჩეიშვილი, საუბრები მეცნიერების ფილოსოფიის შესახებ 2009, გვ. 162)“.

საერთოდ, როგორც ცნობილია არსებობს ე. წ. „გარმიანელთა“ კონცეფცია, რომელიც ცდილობს ახსნას ძირითადი ნოვაციები მეცნიერების განვითარებაში: - „მოცემულ მეცნიერებაში სხვა სფეროდან მოდის ადამიანი, რომელიც არ არის შებორკილი ამ მეცნიერების ტრადიციებით და აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც სხვებმა ვერ შეძლეს“ (ა. ფრანგიშვილი, ო. ნამიჩეიშვილი, საუბრები მეცნიერების ფილოსოფიის შესახებ 2009, გვ. 162).

უნდა ითქვას, რომ ერთი შეხედვით ეს კონცეფცია ცდილობს ყოველგვარი ტრადიციისაგან გათავისუფლებას, რაც ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევაში წინ წამოწეულია არა იმდენად ტრადიციებისგან

გათავისუფლება, არამედ პირიქით, მათი დაცვა ახალ ვითარებაში - იცვლება მეცნიერული ძიების სტრატეგია.

ცოდნის სისტემის ევოლუციის პროცესში ჩნდება უფრო ახალი დონეები, რის შედეგადაც ხდება ძველი დონეების ტრანსფორმაცია.

ამასთანავე გაჩნდა მეცნიეული კვლევის ახალი ხერხები, რათა ახალი ცდებით შემოწმდეს ძველი თეორიები.

ეს ძირითადად ეხება ემპირიულისა და თეორიულის ცნებებს.

ლაზიკაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიების ადგილმდებარეობის განსაზღვრისას, ცხადია, ჩვენი უმთავრესი ამოცანაა გამოვარკვიოთ სად მდებარეობდა ლაზიკა.

როგორც ითქვა, თითქოსდა ეს საკითხი თეორიულად გარკვეულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, რომლის მიხედვით ლაზიკა ერქვა დასავლეთ საქართველოს, მაგრამ **ჩვენ გვაეჭვებს ეს თეორია, უფრო მეტიც, მისი გაურკვევლობა ხელს გვიშლის ჩვენი ამოცანის გადაჭრაში.**

გამოსავალი ალბათ ისაა, რომ მოვახდინოთ კონსტრუირება იმისა თუ რა სახის, როგორი ბუნებისა და გეოგრაფიული გარემოს ქვეყანას გადმოგვცემენ ლაზიკის აღწერისას სხვადასხვა ავტორები და მათ შორის ამ საკითხზე საგანგებოდ მომუშავე პროკოფი კესარიელი.

ამოცანა უფრო კონკრეტდება - ჩვენ გვაინტერესებს განვსაზღვროთ ლაზიკის ადგილმდებარეობა VI საუკუნეში, ანუ პროკოფი კესარიელის ეპოქაში.

მეცნიერული დაკვირვების პროცესში ბუნება დამკვირვებელს ეძლევა პრაქტიკის ფორმით, მკვლევარი გამოყოფს ბუნებაში ობიექტების გარკვეულ ნაკრებს, აფიქსირებს ყოველ მათგანს მკაცრად განსაზღვრული ნიშნებით და აყენებს მას ექსპერიმენტისა და დაკვირვების სახით (ა.ფრანგიშვილი, ო.ნამიჩეიშვილი, საუბრები მეცნიერების ფილოსოფიის შესახებ, გვ. 279).

დავსვათ კითხვა - რა სახისა იყო პროკოფის მიერ აღწერილ ლაზიკა?

1) პროკიფის ცნობით, ლაზიკის ქვეყნის ზღვის მთელი სანაპირო იმდენად კლდოვანი იყო, რომ ის აჩერებდა ზღვის დენას. პროკოფის სიტყვებია: ლაზიკის ზღისპირა სანაპირო მთელ ლაზიკის ტერიტორიაზე იყო კლდოვანი –

„ლაზიკაში კი მიწა ყოველგნით ზღვიდანაა წარმოჩენილი და მის დენას აფერხებს, აქ შემოქმედს ზღვისთვის საზღვარი დაუდგენია, აქ ზღვა თავის ნაპირებს ეხეთქება, ის ვერც წინ მიიწევს და ვერც უფრო მაღლა აწევას ახერხებს, არამედ უკან იხევს და კვლავ თავის ადგილს უბრუნდება, იცავს მიჩენილ საზღვარს“ (გეორგიკა, 2, 1965, გვ. 142).

დასვლეთ საქართველოს ზღვისპირი ჩაქვიდან ბიჭვინთამდე კლდოვანი არ არის, პირიქით, ვრცელი ტერიტორია ჩაქვიდან ბიჭვინთამდე და ქუთაისიდან ფოთამდე, რომელსაც ამჟამად ლაზიკას უწოდებენ, წარმოადგენს უვრცელეს ვაკეს. აქ ზღვისპირას კლდეები არ არის, ეს რეალური ფაქტი პროკოფის ცნობას ეწინააღმდეგება, რომ ლაზიკის ზღვის სანაპიროს მთელ სიგრძეზე კლდეები იყო გადაჭიმული, რადგანაც, „აქ შემოქმედს ზღვისთვის საზღვარი დაუდგენია, აქ ზღვა თავის ნაპირებს ეხეთქება, ის ვერც წინ მიიწევს და ვერც უფრო მაღლა აწევას ახერხებს“

, სადაა აღმოსავლეთ შავიზღვისპირზე ასეთი კლდოვანი სანაპირო? ასეთია მაგალითად, სანაპირო ბათუმ-ხოფას მიმართულებით, მაშასადამე აქ შეიძლება ვეძიოთ პროკოფის ლაზეთი.

2) საერთოდ პროკოფის სიტყვით, ლაზიკა იყო არა ბარის ქვეყანა, არამედ მთიანი და კლდოვანი - დაქანებული ფერდების მქონე ქვეყანა **(პრკოფის შესაბამისი ნაშრომი საგანგებოდ ქვემოთაა განხილული).**

3) კლდოვანობისა და მაღალმთიანობის გამო ლაზიკის მხოლოდ ერთ მცირე მონაკვეთში (მოხირისში) მოდიოდა მოსავალი (ხორბალი, ღვინო), დანარჩენი მისი ადგილები უმოსავლო იყო (კლდიან-მთებიანი იყო, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი კი უვრცელესი ვაკეა).

4) ლაზიკის მდინარე ფაზისი ძალზე სწრაფი იყო, მას შეეძლო 30 კაციანი ნავის (კატარღის) დიდი სიჩქარით წაღება, ისე, რომ ისტორიკოსის ცნობით ამ 30 მეომარს ანუ ღონიერ მენავეს ნიჩბებით უჭირდათ ნავის შეჩერება ანდა მანევრირება. და სხვა

5). პროკოფის მიერ აღწერილი ლაზიკის ციხე-სიმაგრეები სარაპანა და სკანდა, მდებარეობდნენ უმოსავლო ადგილებში, სადაც არ მოდიოდა მარცვალეული ხორბლისა (პურეული) და ყურძენი (ე. ი. უვენახო ადგილი იყო), სადაც კლდოვანებისა და მაღალმთიანობის გამო სურსათ-სანოვაგე ზურგით აჰქონდათ.

6) **პროკოფის ცნობით, არა მარტო ლაზიკის ზღვის მთელი სანაპირო, არამედ მდ.ფაზისის მთელი სანაპიროც სათავიდან ზღვამდე კლოვანი იყო.**

თუ რიონი ფაზისია, მაშინ მას ზღვისპირა ვრცელ დაბლობშიც, მას კლდოვანი ნაპირები უნდა ჰქონდეს. ეს კი ასე არაა. პირიქით ქუთაისიდან ფოთამდე რიონი უვრცელეს ვაკეზე მიედინება ყოველგვარი კლდოვანი ნაპირების გარეშე.ეს ფაქტი პროკოფის ცნობებს ეწინააღმდეგება.

დასავლეთ საქართველის ბარში არსებული რეალური გეოგრაფიული ფაქტებისა და პროკოფის (ასევე სხვა წყაროთა) ცნობების შეუთავსებლობამ, მეცნიერული დაკვირვების პროცესში ბუნებაში ობიექტების გარკვეულ ნაკრებზე დაკვირვებამ უფლება მოგვცა განგვეცხადებინა, რომ **ლაზიკა სხვა გეოგრაფიულ გარემოში უნდა ვეძიოთ**

ერთი სიტყვით, ზემოაღწერილი ნიშნების მქონე ქვეყანა იყო ლაზიკა.

ასთი ნიშნების მქონე ლაზიკის ადგილმდებარეობის განსაზღვრისთვის ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა შევამოწმოთ ისტორიული საქართველოს რომელი მხარეა ასეთი მკაცრი და კლდოვანი ბუნებისა, ეს დასავლეთ საქართველოს გავაკებული ქვეყანაა, რიონის დაბლობის ბარი, თუ კლდოვან-ხრიოკი ჭოროხის ხეობა?

რა გვეხმარება ამ ამოცანის გადაჭრაში?

თითქოსდა ჩვენს დასახმარებლად წინასწარ იზრუნა თვით პროკოფი კესარიელმა, მისი სიტყვით ეს არის ბუნების ანუ **გეოგრაფიული გარემოს უცვლელობა ათასწლეულთა მანძილზე.**

პროკოფი კესარიელი ლაზიკისა და მდ. ფაზისის შესახებ წერს:

- **„საკითხი ეხება არა მოჩვენებით რაიმეს, არამედ მდინარეს და ქვეყანას, რომლის შეცვლა და რამენაირად დაფარვა შეუძლებელია, მხედველობაც**

საკმაო საბუთად გამოდგება და არაფერი შეუშლის ხელს იმას, ვისაც ჭეშმარიტების გამოკვლევა აქვს განზრახული (გეორგიკა, 2, 1965, გვ. 140).

თუ სამყაროს ათასწლეულთა მანძილზე ჩამოყალიბებული ფიზიკური სურათი (სახე) უცვლელია, ეს საშუალებას გვაძლევს ავაგოთ ძველი თეორიების დასასაბუთებლად ახალი თეორიული სქემა.

ამისთვის კი საჭიროა თავდაპირველად შეიქმნას ჰიპოთეზური მოდელი, რომელიც შემდეგ დასაბუთდება ცდებით.

მაგალითად, ჩვენს ნაშრომში - ჩვენ ჯერ შევქმენით ჰიპოთეზური მოდელი რომ პროკოფისეული სკანდა უნდა ვეძიოთ ისეთ გარემოში, რომელშიც იმყოფებოდა ეს ციხე-სიმაგრე პროკოფის აღწერით, კერძოდ ის მდებარეობდა მაღალმთიანეთში, სადაც გადიოდა იბერია-ლაზიკის დამაკავშირებელი ძალზე მნიშვნელოვანი გზა, და ამასთანავე ბუნებრივი პირობების გამო არ მოდიოდა ხორბალი და ღვინო, მაშასადამე ჩვენ უნდა ვეძიოთ მაღალმთიანეთში გამავალი რეგიონების დამაკავშირებელი გზა, სადაც ძველი ციხე სიმაგრეა, რომლის სახელი ეტიმოლოგიურად „სკანდ“ ფუძე-ძირთანაა დაახლოებული. ჩვენ შესაბამისად სკანდის ძიება დავიწყეთ არსიანის ქედზე, იმ გზის პირას, რომელიც ერთმანეთს აკავშირებდა ჭოროხის ხეობასა და ისტორიული იბერიის კოლა-არტაანის მხარეს.

ამის შემდეგ ჩვენ მოვამზადეთ საგანგებო ექსპედიცია, რომელმაც ადგილზე გამოკითხვის გზით, თურქ მკვიდრებისგან მოისმინა, რომ საძიებელ ადგილას არსიანის ქედზე 2000 მ. სიმაღლეზე, მნიშვნელოვანი გზის პირას, ძველ ციხესიმაგრესთან (სოფელ ბაგდასენთან) ერთ ადგილზეა თავმოყრილია „სკანდ“ ფუძის მქონე პუნქტები, ესენია: – **კანრიდი, კანდილი, ქანოტამალი, ქინძის ციხე და პუნქტი ასკანი**.

იქვეა დიდ ციხეთა ნანგრევები, რომელთა შუა გადიოდა არსიან-არტაანის დამაკავშირებელი ძველი გზა და იქვე ახალი გზა (ექსპედიციის მუშაობის შედეგი ქვემოთაა გადმოცემული).

მაშასადამე ჩვენი ჰიპოთეზური მოდელი (რომ სკანდა არსიანის ქედზე შეიძლება ყოფილიყო) - დადასტურდა (დასაბუთდა) ცდით (უფრო გამოწვლილვითი ანალიზი იხილეთ ქვემოთ), მაშასადამე ობიექტთა ემპირული შესწავლიდან ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ მათ თეორიულ ათვისებაზე. ექსპერიმენტები ამის საშუალებას იძლევა. ჩვენს ნაშრომში მოცემულია რამდენიმე ასეთი ექსპერიმენტის განხილვა.

როგორც ცნობილია, ემპირიული კვლევა ეყრდნობა მკვლევარის უშუალო პრაქტიკულ მოქმედებას შესასწავლ ობიექტთან. იგი გულისხმობს დაკვირვების განხორციელებას და ექსპერიმენტულ მოღვაწეობას (იქვე, გვ. 257).

მაგალითად, ჩვენს ერთ შემთხვევაში ის შეიძლება განხორციელდეს ექსპერიმენტული მოწყობილობების გარეშეც კი, –ჩვენთვის თეორიულად ცნობილია რომ სტრაბონის აღწერით სარაპანასთან ფაზისი არის ძალზე სწრაფი, იმდენად სწრაფი, რომ იგი აქ **„ღრიალით და დიდი მქუხარებით“** (ამ ადგილიდან) მიემართება კოლხიდაში.

ჩვენ ეს ცნობა შეგვიძლია შევამოწმოთ ექსპერიმენტით. ამისთვის საჭიროა სარაპანასთან დავაკვირდეთ მდინარეს - ძალზე სწრაფია ის თუ არა, და აქვს თუ არა მას მქუხარე, მგრგვინავი და მჭექარე ხმა ამ ადგილას.

ამჟამინდელი ოფიციალური მეცნიერული ცოდნით სარაპანა არის იგივე შორაპანი, დაბა ზესტაფონთან. აქ მის სანაპიროზე ჩამოედინება მდინარე ძირულა. ჩვენი მეცნიერების მტკიცებით ძირულა იგივე **ფაზისია** სათავეებში.

დავაკვირდეთ ამ ადგილას ძირულას, არის თუ არა ის აქ, შორაპანთან, „**ძალზე სწრაფი და მქუხარე**“?

ჩვენ ეს თვალითაც შეგვიძლია დავინახოთ, და მოვუსმენთ კიდეც მის ხმას.

ასეთი მარტივი, მაგრამ ძალზე საჭირო ექსპერიმენტები მრავლადაა მოცემული ჩვენს შრომაში, აქვე, ალბათ შეიძლება კიდეც ითქვას, რომ შორაპანთან არსებული რეალური გეოგრაფიული ფაქტი განსხვავებულია, კერძოდ აქ მდ. ძირულა არის არა თუ ჩქარი, არამედ მდორე, ძალზე ნელი, სარკული ზედაპირის მქონე დაწმენდილი წყალი (ქვემოთ მოცემულია ამის დამადასტურებელი ფოტომასალა), ის აქ უფრო ნაკადულია და ძნელია ის აღიქვა ისეთ მდინარედ, რომელზეც ნავები დაცურავენ, თანაც შორაპანთნ ძირულა, თითქოსდა საგანგებოდ, უხმაურო და ჩუმია. ამ არეალზე მეორე, მის ახლოს გამდინარე წყალს –მართლაც, თითქოსდა საგანგებოდ, „**დუმილაც**“ კი ეწოდება, რადგანაც შორაპანთნ **და მის ახლო-მახლოს მიწის ზედაპირი თითქმის ვაკეა**.

ამასთანავე, პროკოფის ეპოქაში სარაპანას და სკანდას ციხეები იმდენად მაღალ მთაში მდებარეომდნენ, რომ იქ სურსათ-სანოვაგე საჭაპანო პირუტყვითაც ვერ აჰქონდათ და მას მებარგული კაცები ზურგით ეზიდებოდნენ. თანაც, პროკოფისავე თქმით, ამ მაღალ მთაში, როგორც აღინიშნა, ხორბალი და ვენახი ვერ ხარობდა დიდი სიმაღლის გამო. შევადაროთ და ჩვენი თვალით ვნახოთ, რომ **ზესტაფონის შორაპანი არა მაღალ მთაში, არამედ სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობს.** ის ზღვის დონიდან სულ 170-250 მეტრ სიმაღლეზეა, ამიტომაც აქ ამჟამად გაშენებულია ვენახის პლანტაციები და სუბტროპიკული ხეხილი.

ეს ექსპერიმენტი, წყაროების ანალიზთან ერთად, უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ ეჭვი, რომ პროკოფის მიერ აღწერილი ციხე-სიმაგრე სარაპანა და ზესტაფონის შორაპანი იყო ერთი და იგივე პუნქტი, რომ სტრაბონის სარაპანა უნდა ვეძებოთ სხვაგან, აღწერილის შესაბამის გეოგრაფიულ გარემოში.

მეცნიერული კვლევის ემპირიული და თეორიული დონეების განხილვისას განიხილავენ საკითხს სისტემატური და შემთხვევითი დაკვირვებების შესახებაც.

აღინიშნება, რომ გამორიცხული არ არის შემთხვევითი დაკვირვებებიც, თუმცა როგორც მეცნიერების ისტორია ცხადყოფს, ძალიან ხშირად ისინი ახალ აღმოჩენათა დასაწყისად გვევლინება (ა. ფრანგიშვილი, ო. ნამიჩეიშვილი, საუბრები მეცნიერების ფილოსოფიის შესახებ 2009, გვ. 276).

როგორც ითქვა ჩვენი მთავარი ამოცანაა დავადგინოთ კონსტანტინოპოლის ეპარქიების ადგილმდებარეობა ლაზიკაში მაშასადამე, თუ პროკოფის მიერ აღწერილი ლაზიკა დასავლეთ საქართველოა, ეს ეპარქიები აქ უნდა ვეძიოთ, ან სხვაგან, ისტორიული საქართველოს შესაბამის მხარეში. ამ ძიების დროს უმთავრესია თავიდან ავირიდოთ სუბიექტური მომენტი.

ჩვენი ამოცანის პასუხმა ობიექტური ახსნა უნდა მოუძებნოს ძველ და ახალად მიღებულ მასალას. უნდა მოიძებნოს ფაქტების შესაბამისი თეორიული ახსნა.

ფაქტების ფორმირებაში მონაწილეობს თეორიული ცნობები, რომლებიც წარსულში დამოუკიდებლად იყო შემოწმებული. მაგალითად, ამჟამინდელ

ისტორიოგრაფიაში დოგმად არის მიღებული თვალსაზრისი, რომ ფაზისი იყო სანაოსნო მდინარე და ამიტომ ის არ შეიძლება იყოს მდ. ჭოროხი, რადგან „ჭოროხი არ იყო სანაოსნო მდინარე“ (ო. ლორთქიფანიძე,არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, 1986, გვ.46).

მაშასადამე ჩვენ უნდა დავძლოთ შესაბამის სამეცნიერო წრეებში გაბატონებული თეორია, რომ ჭოროხი არ იყო სანაოსნო მდინარე(„ამიტომაც ის არაა ფაზისი“), ამისათვის საჭიროა საკუთარი ექსპერიმენტის ჩატარება ანდა ამის შესახებ უკვე დავიწყებული სხვა მეცნიერული ცოდნის მიძიება.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჭოროხზე ნაოსნობის შესახებ გვაქვს ძველთაძველი ცოდნა, რომელიც წარსულში დამოუკიდებლად იგი შემოწმებული, მაგალითად ჭოროხზე ნაოსნობის შესახებ პირველი ცნობა განეკუთვნება VIII საუკუნეს, რადგანაც მატიანეში აღნიშნულია რომ აშოტ კურაპალატის მკვლელებს შეხება ჰქონდათ ჭოროხის ერთერთ ნავსაყუდელ ადგილთან,რომლის სახელი იყო -„**სანავე“,** ამასთანავე ჭოროხზე ნაოსნობის შესახებ წერდნენ XVII ს. თურქი, XIX ს. რუსი (ვიდენბაუემი,) და ქართველი (ყაზბეგი, ბაქრაძე) ისტორიკოსები და სხვები, **მაშასადამე ჩვენ გვაქვს შემოწმებული თეორიული ცოდნა ჭოროხზე ნაოსნობის შესახებ**, რომელსაც ამჟამად ვიყენებთ ახალი ფაქტის ფორმირებისას. ის შეიძლება გამოვიყენოთ ახალი თეორიული იდეებისა და წარმოდგენების განსავითარებლად.

მაშასადამე **თუ ჭოროხზე ნაოსნობა ძველთაგანვე იყო, ეს ფაქტი უფლებას გვაძლევს დავუშვათ ხელახლა აღორძინებული იდეა, რომ ჭოროხი – ფაზისია** და წყაროები განვიხილოთ ამ კუთხით. ცნობილი ჰ. შლიმანი ჭოროხის ქვემოწელზე ათავსებდა კოლხეთის ცენტრს და ამიტომ „ძველი საბერძნეთისა და კოლხეთის მძლავრ ურთიერთკავშირს ბათუმის რეგიონში ვარაუდობდა“(ო. ლორთქიფანიძე,არგონავტიკა და ძველი კოლხეთი,1986,გვ.44).

ახალი თეორიული მოდელის მისაღებად განვიხილოთ ძველი თეორიული კონსტრუქცია.

მაგალითად, სტრაბონის ცნობით მდ. ფაზისზე გადებული იყო 120 ხიდი.

ემპირიული ფაქტია, რომ მდ. რიონის დაბლობზე (ქუთაისიდან ფოთამდე) წარსულში, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვამდე, შეუძლებელი იყო 120 ხიდის აგება გრუნტის სირბილის, ადგილის ღრმა დაჭაობების, მდინარე რიონის კლაკნილობის, და მისი კალაპოტის ხშირი ცვლის გამო.

მაშასადამე სტრაბონის ცნობის დასამტკიცელად საჭირო იყო ძიება ახალი თეორიული კონსტრუქციისა ანუ ძიება ისეთი მდინარის უცვლელი, კლდოვანი კალაპოტისა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა 120 ხიდის აგება.

ასეთი კი შეიძლება იყოს მდ. ჭოროხი. ის და მისი შენაკადები მიედინება კლდეთა შორის, ამის გამო მისი კალაპოტი მუდამ უცვლელია, მისი სანაპიროები კლდოვანობის გამო მყარი საყრდენია მძიმე კონსტრუქციებისათვის და მათზე შეიძლებოდა ხიდის ბურჯების დაყრდნობა (მართლაც, ჭოროხსა და მის შენაკადებზე ამჟამადაც უამრავი ძველი თაღოვანი ხიდია შემორჩენილი, მაშინ როცა რიონის დაბლობზე ძველი ხიდების ნაშთებს ვერ შეხვდებით).

მაშასადამე საჭიროა თეორიის მორგება რეალიებთან. ამ **რეალიებმა კი შეიძლება გვიბიძგოს იმისკენ, რომ შევცვალოთ ამჟამად მიღებული ფუნდამენტური თეორიული სქემა - რომ ლაზიკა დასავლეთ საქართველოა.**

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა და საკითხის ისტორიოგრაფია

პრობლემის შესწავლის მდგომარეობისთვის უნდა განვიხილოთ სხვადასხვა თეორიები დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესიის იურისდიქციის შესახებ.

XIX-XX საუკუნეებამდე ქართული საისტორიო სკოლა, როგორც აღნიშნული იყო, მიიჩნევდა რომ დასავლეთ საქართველო გაქრისტიანების თანავე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, მაგრამ XX საუკუნის ისტორიოგრაფია მისგან განსხვავებით ამტკიცებს, რომ დასავლეთ საქართთველო IX-X საუკუნეებამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყო და მხოლოდ შემდეგ მიიერთა ის ქართულმა ეკლესიამ.

მაშასადამე გვაქვს ორი თეორია – ერთი ძველი, ეკლესიისათვის ტრადიციული, მეორე კი ჩვენი თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიერ აღიარებული.

პირველი, როგორც ითქვა, გადმოცემულია რუის – ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერასა და ძველქართულ წყაროებში, მეორე კი ასახულია ყველა თანამეროვე გამოცემაში, ამიტომაც ჩვენ მას ვუწოდებთ- „საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ ამჟამად არსებულ ოფიციალურ თეორიას“.

ივ. ჯავახიშვილი იხილავდა ორივე თვალსაზრისს და გულმხურვალედ უჭერდა მხარს ეკლესიისათვის ტრადიციულს.

ივ. ჯავახიშვილის სიდიადე ჩანს იქიდანაც, რომ მან ეკლესიის წიაღში ძველთაგანვე დანერგილ თეორიას - წმიდა ნინოს დროიდან ქართული ეკლესიის ერთიანობის შესახებ – უპირობოდ დაუჭირა მხარი, უფრო მეტიც, ის მის ერთგულ მცველად იქცა, ამ თეორიას მისცა დიდი შეფასება, მიიჩნია მთელი ქართველი ხალხისა და მის საუკეთესო შვილთა ნაღვაწად, საუკუნეთა ბრძოლით მიღწეულ მონაპოვრად.

ამავე დროს, მისთვის კარგად იყო ცნობილი სხვა თეორიებიც ამ სფეროში. მაგალითად, მისი მოღვაწეობის პერიოდში ზოგიერთი მეცნიერი აყალიბებდა თეორიას, თითქოსდა, თავდაპირველად დასავლეთი საქართველო იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ. ივ. ჯავახიშვილმა ეს ახალი თეორია მიიღო როგორც ერთ-ერთი მიმდინარე მუშა თეორია, რომელიც ემსგავსებოდა თეორიას - დასავლეთ საქართველოს ანტიოქიის იურისდიქციის ქვეშ ყოფნის შესახებ.

როგორც ითქვა, მისთვის ზოგადად, როგორც მეცნიერისათვის მისაღები იყო მხოლოდ თეორია ქართული ეკლესიის თავდაპირველი ერთიანობის შესახებ, რადგანაც ის მიაჩნდა „მთელი ქართველი ერის მიერ შესისხლხორცებულ შემეცნებად“, რომლის მოსპობის უფლება, მისი აზრით, არავის ჰქონდა, არც მათ ვინც დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლურ იურისდიქციას უჭერდა მხარს

და არც ანტიოქიურის მომხრეთ.ივ. ჯავახიშვილი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ეკლესიის მთლიანობასა და მის დამოუკიდებლობას. ამ მომენტს ის აფასებდა განსაკუთრებული სიტყვებით, რომლებიც ალბათ, უნდა დაიმახსოვრონ მომავალმა თაობებმა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით ჩვენი ეკლესიის თავისუფლება და მთლიანობა წარმოადგენდა **ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მიღწეულ მონაპოვარს**". ამიტომაც იყო, რომ იგი უარყოფითად აფასებდა კიდეც წარსულში საქართველოს ეკლესიის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს. კერძოდ, მან გამოწვლილვით განიხილა იმ ანტიოქიელი და იერუსალიმელი პატრიარქების ქმედებები, რომლებიც ქართველი სეპარატისტების მხარდაჭერით აქუცმაცებდნენ და ანაწევრებდნენ საქართველოს ეკლესიას.

ივ. ჯავახიშვილმა განიხილა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, კერძოდ, ის წერს: "XV საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი ჩამოვიდა... რასაკვირველია, უმთავრესად შეწირულებისა და ფულის შესაგროვებლად იყო გარჯილი" (ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 447). მას დაუწერია „მცნება სასჯულო", სადაც აღნიშნული აქვს, რომ წინათ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსნი ანტიოქიის პატრიარქისაგან იყვნენ დამოკიდებული და მათგან ჰქონდათ მიღებული ხელდასხმა. ქართული ეკლესიის მერმინდელი თვითმწყსობა და საეკლესიო თვითმმართველობა ანტიოქიელ-იერუსალიმელ პატრიარქს უკანონო მოვლენად ჰქონდა გამოცხადებული" (იქვე, გვ. 447).

ეს ყოველივე მას სჭირდებოდა, რათა თვითონ ეკურთხებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ახალი მეთაური, ამით კი დასავლეთ საქართველოს ეკლესია ჩამოეშორებინა საქართველოს ერთიანი დედაეკლესიისაგან. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობა სურდა იმ დროს იმერეთის მეფეს, ბაგრატს. ამიტომაც, ანტიოქიელის საეკლესიო თეორია გამოთქმული იყო ქართველი სეპარატისტების გულის მოგების მიზნით. „მან, რასაკვირველია, ბაგრატ მეფესთან შეთანხმებით და სათანადო ჯილდოს მიღების შემდეგ აფხაზეთის კათალიკოსად აკურთხა იოვაკიმე, რომელიც საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქისაგან სრულიად დამოუკიდებლად გამოაცხადდა. აღსანიშნავია, რომ ანტიოქიელ-იერუსალიმელმა პატრიარქმა აფხაზეთის „კათალიკოსი საყდარსა ზედა ანდრია მოციქულისა" დასმულად აღიარა. ამავე დროს „სასჯულო მცნებაში ნათქვამია, რომ ნინო ქართველთა განმანათლებელმა მხოლოდ ქართლი მოაქცია, ანდრია მოციქულმა კი დასავლეთ საქართველო გააქრისტიანა. ამით ანტიოქიელ-იერუსალიმელ პატრიარქს მიხეილს საქართველოს საეკლესიო მთლიანობის მოშლა (რაც ბაგრატ მეფეს იმ დროს პოლიტიკური მიზნით სწადდა) უნდოდა, რომ ეს ისტორიული საბუთებით დაემტკიცებინა.

რაკი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობის სხვადასხვა მქადაგებლები ჰყავდა, ამით მას უნდოდა დაესაბუთებინა, რომ, მაშასადამე, აფხაზეთის კათალიკოსს დამოუკიდებლად არსებობისა და თვითმწყსობის უფლება ჰქონდა. ის მცხეთის კათალიკოსისაგან არ უნდა ყოფილიყო ხელდასხმული" (ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 447).

რა ხერხებით უნდა დაემტკიცებინა უცხოელ პატრიარქს ქართული ეკლესიის ანტიოქიაზე დამოკიდებულება უძველეს დროში?

უცხოელმა პატრიარქმა ისე წარმოადგინა საქმე, თითქოსდა საქართველოს სივრცეში თავდაპირველად ჩამოყალიბდა ორი სხვადასხვა ეკლესია – ქართლისა და აფხაზეთისა, რომ თითქოსდა ისინი ორივენი თავდაპირველად იმყოფებოდნენ ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში. შესაბამისად, მათზე უფლებამოსილება გააჩნდა ანტიოქიას, მაგრამ მან აღმოაჩინა, რომ დასავლეთ საქართველოზე თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ხელისუფალი. ეს მან მიიჩნია საეკლესიო კანონების დარღვევად. მართლაც, თავდაპირველად თუ სხვა ეკლესია იყო აფხაზეთის ეკლესია, რა უფლება ჰქონდა ქართლის ეკლესიას აფხაზეთში? ანტიოქიელი პატრიარქის აზრით საეკლესიო სამართლებრივი საფუძველი ამისთვის არ არსებობდა, ხოლო ანტიოქიის ეკლესიას კი გააჩნდა ძველი სამართლებრივი უფლება აფხაზეთის საკათალიკოსოზე. მაშასადამე, ქართლის ეკლესიამ საეკლესიო წესების დარღვევით თავისი უფლებამოსილება გაავრცელა დასავლეთ საქართველოში. ეს იყო დადანაშაულება პროზელიტიზმში, ანუ ეს იყო ერთი ეკლესიის შეჭრა მეორე ეკლესიის იურისდიქციაში – დარღვევა III მსოფლიო კრების მე-8 კანონისა. ეს კანონი გმობდა ასეთ ქმედებას და ამასთანავე მოითხოვდა აღდგენას ძველი თავდაპირველი მდგომარეობისას. მართლაც, ანტიოქიის პატრიარქმა თავის აზრით აღასრულა ეს კანონი და გამოსცა სამართლებრივი დოკუმენტი „მცნებაი სასჯულოი“, რომელშიც განაცხადა, რომ აფხაზეთის ეკლესია ანტიოქიამ უკან დაიბრუნდა თავის საეკლესიო წიაღში და აღადგინა თავისი ძველი იურისდიქცია აფხაზეთზე, რის შემდეგაც მას უფლება ჰქონდა ეპატრონა ამ საეკლესიო ერთეულისათვის და დაენიშნა მისი სასულიერო მეთაური. ეს უცხო ეკლესიის მეთაური მართლაც ასე მოიქცა და ცაიშელ-ბედიელი მიტროპოლიტი იოაკიმე დანიშნა აფხაზეთის კათალიკოსად.

ასეთი ქმედება აღაშფოთებს ივ. ჯავახიშვილს, მას მიაჩნია, რომ ანტიოქიელს არავითარი სამართლებრივი უფლება არ გააჩნდა აფხაზეთის საკათალიკოსოს მიმართ. თავისი მსჯელობის საყრდენად მიიჩნევს ქართული ეკლესიის წიაღში ძველთაგან არსებულ სამართლებრივ დოკუმენტს, გამოცემულს რუის-ურბნისის კრების მამების მიერ, რომ თავდაპირველად ანუ I-IV სს-ში, ანდრია მოციქულისა და წმიდა ნინოს ეპოქაში, ჩამოყალიბდა არა ორი სხვადასხვა ეკლესია, არამედ ერთი, სრულიად საქართველოს მომცველი ეკლესია, რომ ორივე განმანათლებელმა, როგორც ანდრიამ, ისე წმიდა ნინომ, მხოლოდ ერთი ეკლესია ჩამოაყალიბეს, რომ ისინი მოღვაწეობდნენ არა სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალზე, არამედ ერთ გეოპოლიტიკურ სივრცეში, რომ ანდრიამ სახარება იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ხოლო წმიდა ნინომ კი განანათლა „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“. მაშასადამე, მათ ერთი ეკლესია ჩამოაყალიბეს და ამ ეკლესიამ ავტოკეფალია ძველთაგანვე მოიპოვა, რომ მხოლოდ შემდეგ ამ ერთიანი ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა ორი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული – ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები, რომ ისინი, მართალია, ადმინისტრაციულად თავისთავადი საეკლესიო ერთეულები იყვნენ, მაგრამ ქმნიდნენ ერთ ქართულ საეკლესიო მთლიანობას, რადგანაც გააჩნდათ საერთო საეკლესიო

სამართალი, საერთო სჯულისკანონი, საერთო საეკლესიო ტრადიციები და ლიტურგიის საერთო ქართული ენა. ადმინისტრაციული თავისთავადობა აფხაზეთის საკათალიკოსოს მიუღია ქართლის საპატრიარქოსაგან, როდესაც IX ს-ში ქართველთა მეფე ბაგრატმა „განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“.

ანტიოქიის პატრიარქის ჩამოსვლის დროს კი, XV ს-ში, რეალური ვითარება ასეთი იყო. როგორც ვთქვით, ანტიოქიელმა პატრიარქმა გაიხსენა III მსოფლიო კრების მე-8 კანონი, რომელიც კრძალავს ერთი ეკლესიის შეჭრას მეორე ეკლესიის იურისდიქციაში და მოითხოვს წინანდელი, ანუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას. ანტიოქიელმა მცხეთა დაადანაშაულა, რომ ის შეიჭრა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, ამიტომაც მან სცადა გაეუქმებინა მცხეთის ყოველგვარი უფლებამოსილება იქ და თვითონ აკურთხა აფხაზეთის ახალი კათალიკოსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთვის ისტორიულ მაგალითს უნდა წარმოადგენდეს ეს საქმე.

როგორც ცნობილია, ამჟამად ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ მიიჩნევა, რომ თავდაპირველად დასავლეთ საქართველო IV-IX სს-ში 500 წლის მანძილზე, თითქოსდა, იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ეს თეორია ძალზე საშიშია სამომავლოდ, რადგანაც ისეთივე სამართლებრივ უფლებამოსილებას ანიჭებს კონსტანტინოლის საპატრიარქოს, როგორიც თავისთავზე მიიწერა ანტიოქიელმა პატრიარქმა მიხეილმა. როგორც ითქვა, III მსოფლიო კრების მე-8, ასევე მოციქულთა 35-ე და II მსოფლიო კრების მე-2 კანონის ძალით, სხვის ეკლესიაში შეჭრილი მეორე ეკლესია ვალდებულია აღადგინოს თავდაპირველი მდგომარეობა და ამ კანონებიდან გამომდინარე, თუკი დასავლეთ საქართველოზე თავის უფლებამოსილებას თავდაპირველად ახორციელებდა კონსტანტინოპოლი, მას უნდა დაუბრუნდეს კიდეც ეს საეკლესიო ერთეული.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ ივ. ჯავახიშვილი მხარს არ დაუჭერდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამჟამად გაბატონებულ თეორიას დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში 500-წლოვანი ყოფნის შესახებ. პირიქით, ის ამ თეორიას მიიჩნევდა „მთელი ქართველი ხალხის ბრძოლით მონაპოვრის“ უარყოფად და ის უთუოდ ამჟამადაც მხარს დაუჭერდა რუის-ურბნისის კრების სამართლებრივ აქტს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში I-IV სს-ში ჩამოყალიბდა ერთიანი ეკლესია, რომ თავდაპირველად წმიდა ანდრიასა და წმიდა ნინოს ღვაწლით დაფუძნებული ქართული ეკლესია თავიდანვე ერთიანი იყო, თუმცა მისთვის სხვა სამეცნიერო თეორიებიც აღნიშნულ საკითხზე ცნობილი იყო.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულთმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოველთა

ქართველთა ნათესავისა“, ნიკოლოზ კათალიკოსიც, წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად თვლიდა „ჩვენ ქართველთაისა“ („სასწაულნი სვეტიცხოვლისა“). ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. III, გვ. 340).

სამწუხაროა, რომ ძველ ქართველ სახელოვან მეცნიერთა (ივ. ჯავახიშვილის შეფასება) მიერ ბოძებულ შემეცნებას სპობს ზოგიერთი ახალი ქართველი მეცნიერი, თანაც ისეთი უმაღლესი საერთაშორისო საეკლესიო ორგანოდან, როგორიცაა „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“.

მაგალითად, ძველი ქართული წყაროების საწინააღმდეგოდ „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს მე-13 ტომის ავტორები (გვ. 200) ნოტიციებზე – ბიზანტიურ კათედრათა ნუსხებზე – დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ დასავლეთ საქართველოში IX ს-მდე არსებული საეპისკოპოსოები კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. თითქოსდა, **„ეგრისის სამეფოში, I ნოტიციის მიხედვით, არსებობდა ლაზიკის ეპარქია, რომლის ცენტრი იყო ფაზისის (ფოთის) სამიტროპოლიტო ოთხი საეპისკოპოსო კათედრით – როდოპოლისი (ვარციხე), საისინი (ცაიში), პეტრა (ციხისძირი), ზიგანა (ზიგანისი, გუდავა)** („პრავოსლავნაია ენციკლოპედია“, ტ. XIII, გვ. 200, რუს. ენაზე). თითქოსდა, შემდგომ ისინი ქართულმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლს ჩამოაშორა.

ვშიშობთ, რომ ეს არასწორი თეორია, გავრცელებული მთელ მსოფლიოში „პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ მიერ, დიდ საფრთხეს შეუქმნის სამომავლოდ საქართველოს ტერიტორიულ და საეკლესიო მთლიანობას.

სინამდვილეში ლაზიკის აღნიშნული საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ ტრაპეზუნტის ოლქში – ქალაქ ზიგანას რეგიონში, იქვე იყო როდოპოლისის კათედრაც. ამის შესახებ მიუთითებს არა მხოლოდ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი ნ. ადონცი, არამედ ამჟამად საბერძნეთში დაბეჭდილი ზოგიერთი საეკლესიო რუკაც.

ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით, მუდამ, ფარნავაზ მეფის დროიდანაც, დასავლეთ საქართველო ყოველთვის შედიოდა ქართლის სამეფოს საზღვრებში ვიდრე მდ. ეგრისწყლამდე და ვახტანგ გორგასლის შემდეგ ვიდრე მდ. კლისურამდე. ამიტომაც მიიჩნეოდა, რომ ამ სასაზღვრო მდინარეების აქეთ, დასავლეთ საქართველოში, კონსტანტინოპოლს არასოდეს იურისდიქცია არ გააჩნდა, მხოლოდ ამ მდინარეების იქით მდებარე ტერიტორია შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში, VIII ს-მდე. ამიტომაც, როდესაც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დასავლეთ საქართველოში კონსტანტინოპოლს არ გააჩნდა თავისი იურისდიქცია, ცხადია, იგულისხმება ამ სასაზღვრო მდინარეების აქეთ მდებარე დასავლეთ საქართველოს

ტერიტორია. როგორც ცნობილია, მდ. ეგრისწყლად მიიჩნევა მდ. ღალიძგა (ოჩამჩირის რაიონში), ხოლო მდ. კლისურად – მდ. კელასური (სოხუმთან).

რუსულ „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“, დასავლეთ საქართველოს მსგავსად, სამხრეთ საქართველოც არაქართულ ქვეყნადაა გამოცხადებული, სადაც, თითქოსდა, ქართული ეკლესიის გაბატონების შემდეგ მოხდა მკვიდრი „სომხების“ გაქართველება.

„სომხების“ გაქართველების „თვალსაზრისი“ იმდენადაა გავრცელებული, რომ მან უკვე ქართულ საეკლესიო გამოცემებშიც შეაღწია. მაგალითად, ცნობილი ავტორი წერს: **კირიონ I კათალიკოსმა**, ქვემო ქართლში **„არაქართული მოსახლეობის გასაქართველებლად** მარჯვედ გამოიყენა პოლიტიკური ვითარება“ (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, თბ., 2000, გვ. 28)

სომეხი ავტორები, და არა მხოლოდ ისინი, ასეთ სტატიებს საფუძვლად უდებენ თეორიას, რომ ქვემო ქართლი და, საერთოდ, სამხრეთ საქართველო სომხური ქვეყანა იყო, რომელიც ეკლესიის მიერ „გაქართველდა“. ესაა ე.წ. „ქართიზაციის“ თეორია, რომელიც ოფიციალური ისტორიოგრაფიისათვის უეჭველ დოგმად იქცა.

ამ თეორიის მსგავსია ამჟამად გავრცელებული თვალსაზრისი, რომ მცხეთა-თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რეგიონები, ე.ი. **ისტორიული კახეთი და ქვემო ქართლი, თითქოსდა, თავდაპირველად დასახლებული იყო ალბანელი ხალხით, რომელიც ქართული ეკლესიის მეშვეობით გაქართველდა**. ეს თეორიაც უნდა ექვემდებარებოდეს გადახედვას, რადგანაც ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, **ჰერეთ-ალბანეთი მოიცავდა სულ სხვა ტერიტორიას. კერძოდ, შემდეგდროინდელი რანისა და შაქის მიწა-წყალს, ამიტომაც უწოდებდნენ შემდგომ საუკუნეებში ჰერეთის დედოფალს შუშანიკს საეკლესიო წყაროებში რანის დედოფალს, ხოლო მეფეთა ტიტულატურაში იხსენებოდა რანთა მეფე, რომელიც გულისხმობდა ჰერეთის ყოფილი სამეფოს მფლობელობას. ალბანეთის კულტურულ მემკვიდრეობაზე ამჟამად პრეტენზიას აცხადებენ აზერბაიჯანელები,** ამიტომაც თუკი ალბანეთი უშუალოდ ემიჯნებოდა მცხეთა-თბილისს – აღნიშნული თეორიით მათ გარკვეული უფლებამოსილება ენიჭებათ მცხეთის აღმოსავლეთითა და თბილისის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალსა და მასზე მდებარე კულტურის ძეგლებზეც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან, ჩანს, რომ **დიდი ივ. ჯავახიშვილი არ განიხილავდა საისტორიო მეცნიერებას როგორც დოგმას, არამედ მიიჩნევდა, რომ ის უნდა განვითარებულიყო, რომ ერთხელ მიღებული თვალსაზრისი არ უნდა ჩათვლილიყო შეუცვლელ ჭეშმარიტებად, რომლის კორექტირება ანდა უარყოფა შეუძლებელი იქნებოდა**. მის მიერ რუის-ურბნისის კრების სამართლებრივი აქტის მხარდაჭერა მიუთითებს იმის შესახებაც, რომ ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის ზოგჯერ საჭირო არის ახალი იდეების ჩამოყალიბება, ანდა ძველი ეროვნული საისტორიო იდეების აღორძინება-განახლება ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად.

მართლაც, თუ არ განვითარდა ისტორიული მეცნიერება, ის ჩამორჩება და ერთ ადგილას გაიყინება, ამით კი ვერ შეძლებს თავისი ფუნქციის სრულყოფილად აღსრულებას.

ივანე ჯავახიშვილი ჩვენთვის ყოველთვის თვალსაჩინო ეტალონი და მაგალითი არის თავისი მოღვაწეობის ყოველი წახნაგით.

მეორე ანუ საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ ამჟამად არსებული ოფიციალური თეორია ყველაზე უკეთ გადმოიცა „პრავასლავნაია ენციკლოპედიასა“ და „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ ტომეულებში, რომლის სტატიებიც საქართველოს გამოჩენილმა ისტორიკოსებმა და სხვა მაღალი რანგის მეცნიერებმა დაწერეს.

„პრავასლავნაია ენციკლოპედიას“ მიხედვით წმიდა ნინომ გააქრისტიანა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, რადგანაც წმიდა ნინო ქართლის განმანათლებელი იყო, ქართლი ანუ იბერია კი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ერქვა(„პრავასლავნაია ენციკლოპედია“, მოსკოვი, 2006 ,ტ.13, გვ.193.რუს.ენაზე)

. აქედან გამომდინარე წმ.ნინოს მიერ ფუძეჩაყრილი ეკლესია, „პრავასლავნაია ენციკლოპედიას“ მიხედვით, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში, იმავე ენციკლოპედიის თანახმად, ქრისტიანობის მომძლავრების შემდეგ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ VI ს.შუა წლებში დაარსა საეკლესიო კათედრები.

კვლავ განვიხილოთ თანამედროვე ისტორიკოსთა დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების მიმართ-

„პრავასლავნაია ენციკლოპედია“, როგორც აღინიშნა, წერს- *„კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნოტიციებში (Notatiae Episcopatuum), მის იურისდიქციაში მყოფ კათედრათა სიები გვაძლევს წარმოდგენას VI-IX სს.დასავლეთ საქართველოს ეკლესიის შესახებ.*

***I ნოტიციის** (VIII-IX) თანახმად, ეგრისის სამეფოს ტერიტორია საეკლესიო-ადმინისტრაციული დამოკიდებულებით დაყოფილი იყო შემდეგი სახით: **ლაზიკის ეპარქია** ფასისის(ფოთის) სამიტროპოლიტო ცენტრით და 4 საეპისკოპოსო კათედრით –როდოპოლი(ვარციხე), საისინი(ცაიში), პეტრა(ციხისძირი), ზიგანეი(ზიგანისი, გუდავა); **აბაზგიის (აფხაზეთის) ეპარქია** ავტოკეფალური სამთავარეპისკოპოსო საკათედრო ცენტრით სევასტოპოლში(ცხუმი,სოხუმი). ჩრდილო შავიზღვისპირეთის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებში დაარსებულ იქნა **ზიხიის(ჯიქეთის) ეპარქია**, წარმოდგენილინი 3 ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოთი: ხერსონით, ბოსფორითა და ნიკოფსიით. ფაზისის მიტროპოლია(ნომერი 27), ჩანს დაარსებული იქნა იმპ.იუსტინიანე I-ის მართველობისას, რადგანაც ეკავა 2-ე ადგილი იუსტინიანეპოლის(მოკის) შემდეგ სამიტროპოლიტოს სხვა მომდევნო 8 კათედრათა შორის...**680-681** წლის VI მსოფლიო კრების აქტებში იხსენიება თეოდორე,**„ულირსი ეპისკოპოსი ფასისისა, ლაზიკის პროვინციაში“**(Le Quien.OC. T.1. P.1343). კონსტანტინოპოლის ტრულის კრებას(**691-692** წწ.) ასევე ესწრებოდა **ფასისის მიტროპოლიტი იგივე თეოდორე** და პეტრას ეპისკოპოსი იოანე,*

სევასტოპოლელი ფოტი და, შესაძლოა, ზიგანეის ეპისკოპოსი ფავსტი (მისი კათედრა იხსენიება პეტრამდე). ***ნიკეის VII მსოფლიო კრების (787) აქტებს ხელს აწერს „მიტროპოლიტი ქრისტეფორე“, სხვადასხვა სამი დაზუსტებით- „ეპისკოპოსი ფასისისა“(ნუსხა ABE) „ეპისკოპოსი ფასისისა ე.ი. ტრაპეზუნტისა“(D), „ეპისკოპოსი ტრაპეზუნტისა“(F);*** *აქედან, ამ მომენტში ფასისისა და ტრაპეზუნტის კათედრები იმყოფებოდნენ ერთი ეპისკოპოსის მმართველობაში, მაშინ როცა ტრაპეზუნტის კათედრა გამოყოფილი იყო ფასისის მიტროპოლიისაგან რიზეს ტერიტორიით, რომლის ეპისკოპოსი ასევე ესწრებოდა კრებას და, როგორც ჩანს, ექვემდებარებოდა ნეოკესარიის მიტროპოლიტს(პოლემონიაკის პონტოს დიოცეზი).* ***2-ე ნოტიციის*** *თანახმად(შედგენილია არაუგვიანეს IX ს. I მეოთხედისა), დას. საქართველოს საეკლესიო ორგანიზაციის სურათი არ შეცვლილა...****მე-7 ნოტიციაში*** *(901-907) ასახულია X ს. დასაწყისში კონსტანტინოპოლის ეკლესიაში გატარებული საეკლესიო რეფორმების შედეგები. მასში აღარ იხსენიება დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები. ე.ი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრების* ***გამოყოფა მოხდა 879 და 901/907 წლებს შორის...****მე-7 ნოტიციაში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები აღნიშნულია როგორც „****ტრაპეზუნტი ლაზიკისა****“. ეს მიუთითებს დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში სეპარატისტული ტენდეციების არსებობის შესახებ და ამის შედეგად ტრაპეზუნტის გადაქცევა ფასისის ალტერნატიულ მიტროპოლიად, რომელიც შემდგომში გადაიქცა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში ლაზიკის ეპარქიის ცენტრად. არაა გამორიცხული, რომ ტრაპეზუნტელი მღდელმთავრის (თავდაპირველად ნეოკესარიის მიტროპოლიტის ქვემდებარისა) თანდათანობითი ამაღლება ჯერ მთავარეპისკოპოსის სტატუსამდე, შემდეგ კი მიტროპოლიტისა, დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოში განვითარებულ პროცესებთან. ეს გარემოება ემსახურებოდა პრესტიჟის დაცვას და წარმოადგენდა ამ რეგიონში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მდგომარეობის სტაბილურობის გარანტს*‘(ბ.კუდავა, კონსტანტინოპოლის საპატრიაქოს საეკლესიო კათედრები დასავლეთ საქართველოში და მათი გამოყოფა,პრავასლავნაია ენციკლოპედია, მოსკოვი, ტ.13. 2006.გვ. 200-2001. რუს. ენაზე).

ასეთივეა ოფიციალური თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისი დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში თითქმის 500 წლის განმავლობაში ყოფნის შესახებ.

შეუძლებელია აღნიშნულ მტკიცებას ეკლესია დაეთანხმოს რადგანაც ეწინააღმდეგება არა მხოლოდ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების განსაზღვრებას საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილს, არამედ ძველქართულ შემეცნებას, რომელიც ასახულია წმიდათა ლოცვებშიც კი, მაგალითად წმ.ნინოს თავის ტროპარში ეწოდება „ქართველთა განმანათლებელი“, ხოლო კონდაკში „ქართველთა ერის წინამძღოლი“.

სად ცხოვრობდა ქართველი ერი, რომელიც განანათლა წმიდა ნინომ ? რუის–ურბნისის კრების ძეგლისწერაში ამის შესახებ ნათქვამია- წმიდა ნინომ მოაქცია „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“(„დიდი სჯულისკანონი“

1975,გვ.546). დავუსვათ კითხვა ამ ისტორიკოსებს: „ყოველთა ქართველთა ნათესავი“ არ ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში? და თუ ცხოვრობდა, მაშინ მათი განმანათლებლის მიერ დაარსებული ქართლის ეკლესიის მრევლსაც წარმოადგენდა. სხვთა შორის იგივეს წერდა გელასი კესარიელიც, მსოფლიო ეკლესიის ერთერთი პირველი ისტორიკოსი- „ტყვე ქალის“(ე.ი. წმიდა ნინოს) მიერ ერთდროულად მიიღეს ქრისტიანობა ექვსინის პონტოს მახლობლად მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა (გეორგიკა, ტ.I. გვ.189). წმ. ნინოს მიერ გაქრისტიანებული ერი დასავლეთ საქართველოშიც რომ ცხოვრობდა მიუითებს ნოქალაქევის IV ს. ეკლესია და მის მახლობლად აღმოჩენილი I ათასწლეულის ქართული ასომთავრული საეკლესიო წარწერები.

ამასვე მიუთითებს ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები. მაგალითად I ათასწლეულის სომეხი პატრიარქისა და ისტორიკოსის ცნობა, რომ VI ს. ბოლოს მოღვაწე კირიონ ქართლის კათალიკოსი „წინანდელი დროის წესების შესაბამისად იყო არქიეპისკოპოსი ეგრისისა და გუჯარეთისა, ქართლის ეკლესიის მრევლისა“ (იოანე დრასხანაკერტცი. 1937. გვ.9. რუს. ენაზე). VI საუკუნის „წინანდელი დრო“, ცხადია, IV და V საუკუნეებია.

ამასვე მიუთითებს საეკლესიო ხელოვნება-არქიტექტურა. მაგალითად ჭყონდიდში VII ს.-ში აგებულ მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძარი, რაც არ იყო შემთხვევითობა და პირიქით წარმოადგენდა მცხეთისა და ჭყონდიდის საეკლესიო-ლიტურგიკული მთლიანობისა და ერთობის ნიშანსვეტს.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მთლიანობის შესახებ მიუთითებდა რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, რომ ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა „**ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა**“ („დიდი სჯულისკანონი“ 1975,გვ.545), ამ წინადადებით კრებამ ხაზგასმით მიუთითა, რომ დაარსების თანავე ქართული ეკლესია თავის იურისდიქციაში მოიცავდა სრულიად ისტორიულ საქართველოს და არა მის რომელიმე ერთ კუთხეს.

ასეთია ძველ ქართველ წმიდა მამათა მტკიცებანი.

მათთგან განსხვავებით, როგორც აღინიშნა, თანამედროვე საერო საისტორიო სკოლა მიიჩვევს, რომ 500-600 წლის განმავლობაში, ვიდრე IX–X სს.-მდე დასავლეთ საქართველო შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში და იქ არსებობდნენ ლაზიკის ეპარქიის ბერძნული საეპისკოპოსოები, ხოლო ეკლესიებში წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე აღესრულებოდა, ვიდრე ის არ გააუქმა მცხეთის ეკლესიამ.

ამჟამად საყოველთაოდ აღიარებული ამ თეორიის მიხედვით, რომელიც არავითარი წერილობითი წყარო არ ადასტურებს, თითქოსდა IX–X საუკუნეებში ქართული ეკლესია შეიჭრა დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, გააუქმა იქ ბერძნული კათედრები და ბერძნულენოვნის ნაცვლად შემოიღო ქართულენოვანი მსახურება და ამით კი მოახდინა „**ქართიზაცია**-გაქართველება“ იქაური მოსახლეობისა.

„სამეცნიერო ლიტერატურაში ე.წ. „**ქართიზაცია**“ განიმარტება ასე:

„ქართიზაცია“ - „ქართის ტომების შეღწევა – ინფილტრაცია – არაქართულ ან არაქართველურ ტომებში...სადაც შეაღწევდა ქართლის ელემენტი, ვრცელდებოდა ქართული ენა და აღმ. ქართული კულტურა. ასეთი ვითარება შეიქმნა არა მარტო აღმოსავლეთით ჰერეთის (ალბანეთი) ტერიტორიაზე,

არამედ დასავლეთ საქართველოშიც“ (ქსე, ტ. X, გვ. 459-160. სტატია „ქართველები“),

ოფიციალური ისტორიოგრაფიის ამ განსაზღვრებით თითქოსდა დასავლეთ საქართველო დასახლებული იყო „არაქართული და არაქართველური ტომებით“ და „ქართიზაციის შედეგად“ მათში „შეაღწია ქართულმა ენამ“ და კულტურამ, ამით თითქოსდა დასავლეთ საქართველოში ბიზანტიური ეკლესიის სამწყსოს, მცხეთა დაეპატრონა– გააუქმა იქ არსებული ძველთაგანვე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ფასისის (ფოთის), როდოპოლისის (ვარციხის), ზიგანას („ზიგინევი – გუდაყვას“), საისინისა (ცაიშის) და პეტრას (ციხისძირის) საეპისკოპოსო კათედრები.

მეცნიერულად დადგენილ ფაქტად მიაჩნიათ რომ ლაზიკის ცენტრები მდებარეობდნენ რიონის დაბლობში.

ზემოაღნიშნულის ერთი თვალნათელი მაგალითია ახლახან (2001 წლის დასაწყისში) ნ. ლომოურის მიერ გამოქვეყნებული შრომები, ესენია „ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება“ და „საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია“. ავტორი წერს: **„როდესაც მოხდა ქრისტიანობის დამკვიდრება საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში, საქართველო წარმოდგენილი იყო ორი პოლიტიკური ერთეულით: აღმოსავლეთ საქართველო, ე.ი. ქართლის ანუ იბერიის სამეფო და დასავლეთ საქართველო, ე.ი. ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფო. ამ ორ სახელმწიფოებრივ ერთეულში პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება საკმაოდ განსხვავებული იყო და, შესაბამისად, ქრისტიანობის გავრცელება და საბოლოო დამკვიდრება სხვადასხვა გზით და სხვადასხვა სიტუაციაში ხდებოდა**“(საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2001, გვ. 113).

აქედან ჩანს,რომ ნ.ლომოურს წმ. ნინო დასავლეთ საქართველოს განმანათლებლად არ მიაჩნია, რადგან, მისი სიტყვით, „დასავლეთ საქართველოში სხვა გზით შევიდა ქრისტიანობა“.

ეს დასკვნა ეწინააღმდეგება ქართულ საეკლესიო ისტრიოგრაფიაში მიღებულ საეკლესიო კრებათა, კერძოდ კი რუის-ურბნისის კრების მიერ დადგენილ დებულებას აღნიშნულ საკითხზე და აგრეთვე, საერთოდ ქართველ წმიდა მამათა, ისტორიოგრაფთა და მემატიანეთა მიერ ტრადიციულად განსაზღვრულ თვალსაზრისს.

რუის-ურბნისის კრების ღვთივგანბრძნობილ და წმიდა მამათა თქმით, საქართველო ერთიანი, მთლიანი ქვეყანა იყო, როგორც ანდრია პირველწოდებული მოციქულის, ისე წმიდა ნინოს ქადაგებათა დროს, ამიტომაც, როგორც წმ. ანდრია, ისე წმ. ნინო არიან სრულიად საქართველოს და მთელი ქართველი ერის განმანათლებელნი, აი, აქვე მოვიყვანთ შესაბამის ამონარიდს რუის-ურბნისის ძეგლისწერიდან ჯერ ძველ ქართულ, შემდეგ კი ახალ ქართულ ენაზე, რათა მკითხველი თვითონ დარწმუნდეს:

„პირველწოდებული ანდრია, ძმაჲ თავისა მოციქულთაჲსა პეტრესი, ვიდრე ჩუენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხორებელი ქადაგებაჲ სახარებისაჲ ყოველსა ქუეყანასა საქართველოჲსასა და ურიცხუნი სიმრავლენი ერთანი განაშორა საცთურისაგან....“ (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545);

აქედან ნათლად ჩანს, რომ რუის-ურბნისის კრების დადგენილების შესაბამისად ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ **„ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა“**, ე.ი. სრულიად საქართველოში, მსგავსადვე წმიდა ნინომ

რუის-ურბნისის კრების თანახმად „**სარწმუნოებასა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი სავსებაჲ ყოვლისა ქართველთა ნათესავისა**.(იქვე, გვ. 546). ე.ი. ამ კრებას მიაჩნია, რომ წმიდა ნინომ მთელი ქართველი ერი („ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“) გააქრისტიანა. შეიძლება ვინმემ თქვას, ამ „ყოველთა ქართველთაში“ დასავლეთ საქართველო არ იგულისხმება, და ამ კრების მამები სწორედ ვერ საზღვრავდნენ ქართველთა ვინაობასო, რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგანაც ამ კრების ძეგლისწერის ერთ-ერთი მთავარი ხელისმომწერია გიორგი ჭყონდიდელი ეპისკოპოსი და კრება, ცხადია, „ყოველთა ქართველთაში“ სამეგრელოს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას გულისხმობდა, სადაც იქადაგა კიდეც ბერძნული წყაროების მიხედვითაც წმიდა ნინომ, რომელსაც ქვემოთ შევეხებით. იგივე რუის-ურბნისის კრება მეფე მირიანთან დაკავშირებით წერს: „ნათელ იღო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან“ (იქვე, გვ. 546). „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ კი, ჩვენი უდიდესი საეკლესიო ისტორიკოსის ლე-ონტი მროველი ეპისკოპოსის თანახმად, მეფე მირიანის სამეფოში აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც „ეგრისიც“ შედიოდა: „მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“ (ქ.ც.,1955, I, გვ. 65).

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის ახალი ქართული შესაბამისი ტექსტი ასეთია: „მოციქულთაგან ერთი - პირველწოდებული ანდრია, მოციქულთა თავის, პეტრეს ძმა ჩვენამდე მოვიდა, სახარების საცხონებელი ქადაგება მთელ საქართველოში იქადაგა“(საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 464); ამ კრების განსაზღვრებით, წმიდა ნინომ „თავისი სარწმუნოების მიმართ მიიზიდა ქართველთა სრული მოდგმა“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 464); წმიდა მეფე მირიანის დროს „ნათელი იღო მან და მთელმა ქართველმა ერმა“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 464);

აი, ესაა საეკლესიო ისტორიოგრაფიის მტკიცება, რომ როგორც ანდრია პირველწოდებულის, ისე წმიდა ნინოს დროს ნათელიღო მთელმა ერმა. ეს თვალსაზრისი სავსებით განსხვავდება ბატონ ნოდარ ლომოურის თვალსაზრისისაგან, რომ თითქოსდა აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა სულ სხვა გზითა და სხვა ვითარებაში დაინერგა. სხვათა შორის, ბატონი ნოდარ ლომოურის თეორია, რომელიც მეცნიერებაში ახალ სიტყვად მიიჩნევა, არა თუ ძალზე ჰგავს, არამედ იმეორებს კიდეც XV საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქ მიხეილის თეორიას.

დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, საქართველოში ჩამოსულმა ანტიოქიის პატრიარქმა მიხეილმა „შეთხზა თეორია საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად, ქართველი ერის საუკეთესო შვილთა საუკუნოვანი ბრძოლით მიღწეული მონაპოვრის, საქართველოს ეკლესიის თავისუფლების მოსასპობად, მისი ერთიანობის დასარღვევად“(ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, 1982, გვ. 340), რათა ადვილად დაემორჩილებინა. ეს თეორია შემდეგში მდგომარეობს – თითქოსდა ანდრია მოციქული განმანათლებელია არა სრულიად საქართველოსი, არამედ მხოლოდ მისი დასავლეთ ნაწილისა, ასევე წმიდა ნინო განმანათლებელია არა სრულიად საქართველოს, არამედ მხოლოდ მისი აღმოსავლეთ ნაწილისა. ივანე ჯავახიშვილი წერს: „გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა

ნათესავისა“, ნიკოლოზ კათალიკოსიც წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა, „ჩვენ ქართველთაისა“ (სასწაულნი სვეტიცხოვლისა, ქრონიკები, გვ. 40-69); ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიცა და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა“(ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 340).

სამწუხაროა, რომ ძველ ქართველ „სახელოვან მეცნიერთა“ (ივ. ჯავახიშვილის სიტყვებია) მიერ ჩვენდამი ბოძებულ შემეცნებას სპობს ზოგიერთი ახალი ქართველი მეცნიერი. მათგან განსხვავებით, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გაარკვია ივანე ჯავახიშვილმა, რომ **„ქრონოლოგიურადაც ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისი აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში როგორც ეტყობა, ერთსა და იმავე ხანად უნდა ვიგულისხმოთ, ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია გელასი კვიზიკელის მოთხრობა. მას იბერთა მოქცევის ამბავში ნათქვამი აქვს: „ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ შეიწყნარეს“. გამოდის, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობა ერთსა და იმავე დროს მიუღია... გელასი კვიზიკელის დანართი ცნობა, რომ იბერებმა და ლაზებმა ერთსა და იმავე დროს მიიღეს ქრისტიანობა, არსებითად სწორი გამოდის იმ მხრივ, რომ დასავლეთ საქართველოშიც IV ს-ის დამდეგიდან ქრისტიანობას გზა გაკვლეული უნდა ჰქონოდა“** (ივ. ჯავახიშვილი, ტ.1, 1979, გვ. 269-271); იბერთა მოქცევის შესახებ IV ს-ში წერდნენ სოკრატე, სოზომენი, თეოდორიტე კვირიკელი, ნიკიფორე კალლისტო და სხვანი. მართალია, ისინი არ ახსენებენ ლაზების გაქრისტიანებას, მაგრამ ამის მიზეზი იყო ის, რომ ლაზებს იბერიელი ხალხის ერთ-ერთ ტომად მიიჩნევდნენ, გელასი კვიზიკელს კი ეს ამბავი უფრო დაუკონკრეტებია

ჩვენი კვლევა უარყოფს ე.წ. „მეორე თეორიის“ მიმდევართა მტკიცებებს და საზღვრავს ლაზიკის ეპარქიების რეალურ ადგილმდებარეობას, მრავალ ფაქტსა და წყაროზე დაყრდნობით.

მეორე თეორიის მიმდევარი ზოგიერთი ავტორის აზრით, დასავლეთ საქართველოში IX–X სს.-მდე უკვე ჩამოყალიბებული იყო კოლხური ანუ მეგრულ-ჭანური ეთნოსი და შემდგომ დაიწყო მისი „ქართიზაცია“ და ეს პროცესს თითქოსდა წარმართავდა ქართულ ეკლესია, რომელიც, თითქოსდა, იჭრებოდა სხვა უცხო ეკლესიის, ამ შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციის საზღვრებში და მის მრევლს ისაკუთვრებდა.

ცხადია, ესაა დადანაშაულება პროზელიტიზმში.

პროზელიტიზმი კი დაგმობილია მოციქულთა დროიდანვე და სხვისი სამწყსოს მისაკუთრება ეკლესიისათვის სათაკილო ქმედებად ითვლებოდა ჯერ კიდევ I მსოფლიო კრებიდან. საქართველოს ეკლესიისათვის ამ სათაკილო ეპითეტით, თანამედროვე ავტორებს, ჩანს, ერის წინაშე ჩვენი ეკლესიის მნიშვნელობის

„წარმოჩენა“ სურთ, მაგალითად, 2005 წელს, საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის ოც საუკუნეს ეძღვნებოდა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სახელით წარდგენილი იქნა მოხსენება - **„ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში“** , სადაც ნათქვამია:

“ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის“(დ. მუსხელიშვილი. ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24-26 ნოემბერი, 2005).

შეუძლებელია, საქართველოს წმიდა ეკლესია პროზელიტური ყოფილიყო იმიტომ, რომ „პროზელიტური“ ისეთ ეკლესიას ეწოდება, რომელიც იჭრება სხვა ეკლესიის სამრევლოში მისი მისაკუთრების მიზნით. ასეთი ქმედება კი მსოფლიო საეკლესიო კანონებით მიუღებელი იყო და არის. მაგალითად, მოციქულთა 35-ე კანონი ბრძანებს: „ეპისკოპოსმა არ უნდა გაბედოს ხელდასხმა თავისი სამრევლოს გარეთ, ქალაქებსა და სოფლებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან მის ეკლესიას. ხოლო თუ იგი მხილებული იქნება, უნდა განიკვეთოს ისიც და მის მიერ ხელდასხმულებიც“ („დიდი სჯულის კანონი“, 1974, მოციქულთა კანონები).

მოციქულთა ამ კანონს კიდევ უფრო ამტკიცებს 381 წელს კონსტანტინოპოლში მოწვეული II მსოფლიო კრების მე-2 კანონი: „ეკლესიათა კეთილად განგებისა და მშვიდობისათვის არც ერთ ეპისკოპოსს არა აქვს უფლება, გასცდეს თავისი ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა. კანონის თანახმად, ალექსანდრიის ეპისკოპოსი უნდა განაგებდეს მხოლოდ ეგვიპტის ეკლესიებს... პონტოელი ეპისკოპოსნი უნდა მართავდნენ მხოლოდ პონტოს ეკლესიებს, ხოლო თრაკიის ეპისკოპოსნი - მხოლოდ თრაკიის ეკლესიებს. ეპისკოპოსი არ უნდა გავიდეს თავისი სამთავროს ეკლესიის ფარგლებიდან ხელდასხმისათვის“ („დიდი სჯულის კანონი“ 1974, მოციქულთა კანონები).

III მსოფლიო კრების მამებმა კიდევ უფრო დაბეჯითებით დამოძღვრეს ეკლესიათა მეთაურები, არ დაემორჩილებინათ სხვისი სამწყსო - „ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას, რომელიც თავიდანვე და ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა მას და არ იყო მის წინამორბედ საყდრისმპყრობელთა გამგებლობის ქვეშ, ხოლო თუ ვინმე მიიტაცებს სხვის ეპარქიას იძულებით, განთავისუფლებული უნდა იყოს იგი, რათა არ დაირღვეს მამათა კანონები“ (III მსოფლიო კრების მე-8 კანონი). იმავეს წერს და აღნიშნავს სხვა საეკლესიო კანონებიც. თუ ქართული ეკლესია პროზელიტური იყო და მას ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს ერთი ნაწილის, სამხრეთ საქართველოს სამწყსოები, ქართულმა ეკლესიამ კი მიითვისა ისინი, ამით დაურღვევია მსოფლიო საეკლესიო კანონები, კერძოდ, მოციქულთა 35-ე, II მსოფლიო კრების მე-2, III მსოფლიო კრების მე-8, კართაგენის 74-ე და სხვა კანონები, და განა კანონდამრღვევი ეკლესია შეიძლება ყოფილიყო მართალი და მართლმადიდებლური, რომლითაც ამაყობდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა

მამები? ამის თაობაზე შესანიშნავად მიუთითებდა პროკოფი კესარიელი, „რომ ქართველები მართლმადიდებლობის წესებს ყველაზე უკეთ იცავდნენ“. სომეხი იერარქები წერდნენ, რომ ქართველები ამაყობენ თავიანთი სარწმუნოებრივი სიწმიდით და თავიანთი საეკლესიო უპირატესობით.

საქართველოს ეკლესია კი თურმე, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ თანახმად, არღვევდა უმთავრეს საეკლესიო კანონებს და სხვის იურისდიქციაში იჭრებოდა: - „დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში „ქართიზაციის“ პროცესს“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. „საქ. სსრ“, 1981 წ. გვ. 61).

ქართული ეკლესიის „გაბატონებამდე“ დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ისტორიკოსების მტკიცებით, თურმე არსებობდა ეგრისისა და აფხაზეთის ეკლესიები, რომლებიც იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ისინი შემდგომ გაერთიანებულან კონსტანტინოპოლის იურისდიქციაშივე, მაგრამ IX ს-ში მცხეთის საკათალიკოსოს თითქოსდა „გაბატონების“ შედეგად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუკარგავს მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი ეს მნიშვნელოვანი სამიტროპოლიტოები და საეპისკოპოსოები. საბჭოთა ისტორიკოსი წერს: „ეს საეკლესიო გამოყოფა, როგორც ვთქვით, ერთბაშად არ მომხდარა. ჯერ ხორციელდება ეგრის-აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება, როგორც კონსტანტინოპოლის სამწყსოში შემავალი ეპარქიისა, რომელსაც სათავეში აფხაზთა კათალიკოსი ედგა (VIII ს-ის ბოლო ან IX ს-ის დასაწყისი); შემდგომ IX ს-ის მანძილზე (საფიქრებელია, უფრო მის პირველ ნახევარშივე) დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და მცხეთის ტახტს უერთდება, ხოლო აფხაზთა კათალიკოსი სრულიად საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარება. **კონსტანტინოპოლიდან გამოყოფის შემდეგ იწყება ბერძნული კათედრების მოშლა და მათ საპირისპიროდ ქართული საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება“. ეს საეკლესიო რეფორმა, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, საბოლოოდ X ს-ში სრულდება** (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973).

თითქოსდა “პროზელიტური ქართული ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში რეაქციული შეჭრის“ შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს:

„ქართველები აქედან სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი, ასე რომ მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტებზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასაფუძნებლად - „ქართლია“ იქ, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა (მხოლოდ „კვირიელეისონი“ შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა „ქართლს“

განეწესება. მაშასადამე, ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა. **ცხადია, მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით"(** თ. პაპუაშვილი - ადრეფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურა და საისტორიო მწერლობა, წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973).

საბჭოთა კავშირის საზღვრების ჩაკეტილობის გამო **ბერძნულ სამყაროში და, მათ შორის, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოშიც XX საუკუნის ბოლოსაც არ იცნობდნენ იქამდე სრულიად ახალ საბჭოთა "საისტორიო თეორიას" ქართული ეკლესიის პროზელიტიზმისა და "მისი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის შესახებ" (საბჭოთა ისტორიკოსების სიტყვებია). ცნობილი ბერძენი კანონისტის - მიტროპოლიტ მაქსიმეს 1966 წელს გამოცემული წიგნი "საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია",არ შეიცავს ცნობებს აღნიშნულთან დაკავშირებით. შეიძლება დაისვას კითხვა, რა პრობლემები შეექმნება საქართველოს ეკლესიას სამომავლოდ, თუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ან უცხოეთის რომელიმე ეკლესია ოფიციალურად აღიარებს აღნიშნულ თეორიას, ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ იქამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში, ეს თეორია ხომ არ შეუქმნით მათ მყარ სამართლებრივ საფუძველს, რათა სცნონ და აღიარონ სეპარატისტული ეკლესიები აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში. მეორე მხრივ, ეს თეორია იძლევა კარგ საშუალებას და მასზე დაყრდნობით უკვე აქეზებენ ამ კუთხეთა სეპარატისტ მოაზროვნეებს, რათა დედაეკლესიად აღიარონ არა საქართველოს წმიდა ეკლესია, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. აღნიშნული "საეკლესიო თეორია" ყველაზე უფრო მეტად გაიტანა და გაავრცელა რუსულმა "პრავოსლავნაია ენციკლოპედიამ".**

არასოდეს, არც ერთ საუკუნეში, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არ გამოუთქვამს არავითარი თვალსაზრისი ან შენიშვნაც კი დასავლეთ საქართველოს მის ეპარქიებში ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ქართულ-ბერძნული ათასწლოვანი საეკლესიო ურთიერთობების დროს ამის შესახებ ერთხელ მაინც გამოითქმებოდა თუნდაც მცირე შენიშვნა. საქმე ის არის, რომ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ფაზისის სამიტროპოლიტო და მისი ოთხი საეპისკოპოსო, რომლებიც თითქოსდა ქართული ეკლესიის მიერ იყვნენ გაუქმებულნი, სინამდვილეში მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველი ერის უძველეს ქვეყანაში, რომელსაც ტრაპიზონის ოლქი ეწოდა. იქამდე კი მას ერქვა "ქალდეა", "სოფელი მეგრელთა". იქ ტრაპეზონის ოლქში მდებარე ჭოროხის ანუ ფასისის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდნენ ფასისის სამიტროპოლიტო და მისი საეპისკოპოსოები - როდოპოლისისა, საისინისა, პეტრონისა და ზიგანასი, როგორც ეს კარგად არის გარკვეული ნ. ადონცის მიერ. ეს სამიტროპოლიტო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ხოლო მის

ჩრდილოეთით მოქცეული მიწა-წყალი ჭოროხიდან ვიდრე მდინარე ეგრისწყლამდე (ვახტანგ გორგასლის შემდგომ მდინარე კლისურამდე) - წმიდა ნინოს დროიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა ასე რომ, **ჩვენი ძველი საეკლესიო მატიანეების ცნობებით, დასავლეთ საქართველოში , ძველთაგანვე საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა. სხვა საეკლესიო წყაროებთან ერთად ამის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა "რუის-ურბნისის" საკანონმდებლო კრების ძეგლისწერა - "ანდრია პირველწოდებულმა სახარება იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა", ხოლო წმიდა ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია "ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა".**

რუის-ურბნისის საკანონმდებლო კრების მონაწილე წმიდა მამების თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველო მუდამ ისტორიული საქართველო იყო, რომლის მოსახლეობა, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად, მოაქცია წმიდა ნინომ. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოში საეკლესიო იურისდიქცია იმთავითვე მცხეთის ხელში იყო და არა კონსტანტინოპოლისა. დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ოდესმე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში რომ ყოფილიყო, ამის შესახებ უთუოდ შემორჩებოდა პირდაპირი ან ირიბი ცნობები თვით ბერძნულ წყაროებშივე, ან რაიმე საყვედურნარევი მინიშნება მაინც იქნებოდა ბერძენი იერარქებისა, ასეთი კი არ არსებობს. მაგალითად, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ძალზე თბილ და მეგობრულ წერილებს წერდა აფხაზთა მეფეს გიორგი II-ს X საუკუნის შუა წლებში, როცა საბჭოთა ისტორიკოსების აზრით, მის სამეფოში "ბრძოლა იყო გაჩაღებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ", ასე რომ ყოფილიყო, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი როგორმე მოახერხებდა პროტესტის გაცხადებას აფხაზთა მეფის - გიორგი მეორისადმი (922-957 წ.წ.), **[პატრიარქ მისტიკოსის წერილები გიორგი II-სადმი; გეორგიკა, IV, ნაკვეთი II];** ერთი სიტყვით, წყაროები არ ადასტურებენ საბჭოურ თვალსაზრისს.

აღმოსავლეთში, ზოგი ქართველი ისტორიკოსის თვალსაზრისით, თვით წმიდა ნინოს საქმიანობა თითქოსდა მიმართული იყო იქითკენ, რომ ჰერეთში მცხოვრები არაქართული მოსახლეობა (ალბანელები) გაექართველებინა. ჩვენი აზრით, ასეთი წარმოდგენა წმიდა ნინოსი ძალზე უცნაურია. **ეს ქართველი მეცნიერი წერს: ბოდბე, სუჯეთისა და კამბეჩოვანის საზღვარზე, მეფე მირიანის დროს ახლადშემოერთებული ქვეყანა იყო, აქ "ალბანელებიც (ჰერები) ცხოვრობდნენ ... მათი საბოლოო ასიმილაცია დროის ამბავი იყო". "ჩანს, მირიან მეფის და წმიდა ნინოს ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული იყო ჰერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ... რომელიც წინააღმდეგობას აწყდებოდა არა მხოლოდ ალბანელთაგან, არამედ სომხებისგანაც"**(დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ.38).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წმიდა ნინო "აქართველებდა" არა მარტო ჰერ-ალბანელებს, არამედ, სომხებსაც; ჩვენი მეცნიერის ამ მოსაზრების საპირისპიროდ, მოვსეს ხორენაცს მთელი მოსახლეობა

“კლარჯეთიდან მასქუთებამდე“ (ანუ კასპიის ზღვისპირეთში მცხოვრებ ტომ მასქუთებამდე) - ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია (სადაც იქადაგა წმიდა ნინომ) და არა სომხებად, ანდა ალბანელებად (ჰერებად), როგორც წარმოადგინა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. სომხური საისტორიო მწერლობის მამა, სომეხთა ჰეროდოტედ წოდებული, მოვსეს ხორენაცი წერს: “სანატრელი ნუნე წავიდა იქედან (ე.ი. მცხეთიდან), რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა. გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გვაუწყებს“ (მოვსეს ხორენაცი. “სომხეთის ისტორია“; 1984; გვ. 172).

წმიდა ნინოს სომხები, ანდა თუნდაც ალბანელები (ჩვენი მეცნიერის აზრით - იგივე ჰერები) რომ გაექართველებინა, როგორმე ხორენაცი მიუთითებდა ამის შესახებ, მაგრამ ის სულ სხვა რაიმეს გვაუწყებს, კერძოდ, საზღვრავს ქართველების ეთნიკურ განსახლებას - ესაა კლარჯეთი, ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე (ე.ი. დარიალამდე) და ვიდრე მასქუთთა საზღვრამდე - ამ საზღვრებში ქართველები სახლობენ, მათ უქადაგა წმიდა ნინომ; ასე რომ, დარიალის კარამდე მცხოვრები დვალები გაქართველებული ვაინახები კი არ იყვნენ, როგორც წარმოუდგენია საბჭოური ეპოქის ისტორიოგრაფიას, არამედ - ქართველები, ასევე მასქუთების ქვეყნამდე, ანუ აღნიშნულ მტკვარ-არაქსის შესართავამდე მცხოვრები ჰერები მ. ხორენაცს ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია და არა ალბანელებად. მისგან განსხვავებით, ქართველი მეცნიერი ფიქრობს, რომ წმიდა ნინოს “პროზელიტიზმის სიმბოლო“ აღუმართავს ახლადშემოერთებულ ალბანურ ქალაქ ბოდისში (ე.ი. სადღაც უჯარმა - ბოდბეში) და წერს - “მგონია ასე უნდა გავიგოთ წმიდა ნინოს გადაწყვეტილება, რომ ჯვარი - ქრისტიანული პროზელიტიზმის სიმბოლო - დროებით “აღიმართოს იგი უჯარმას ქალაქსა და დაბა ბოდისი არა წინ აღუდგეს ქალაქსა მას მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ“ (დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38).

ასე იქცა ჩვენი მეცნიერის სიტყვით, “ორი ფაქტობრივად ეთნიკურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყანა ერთ კულტურულ ერთეულად“. აქედან ჩანს, რომ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსების აზრით, წმიდა ნინო ქართლის გარდა, ალბანეთშიც მოღვაწეობდა და მან ალბანეთის ქვეყნის ერთი ნაწილი ქართულ ეკლესიას შემოუერთა. ბოდბის მიჩნევა არა ქართლის, არამედ ალბანეთის ქალაქად, ქართულ წყაროებს ეწინააღმდეგება; წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებელია და არა ალბანელებისა. ჯვარი არ არის პროზელიტიზმის სიმბოლო,როგორც ისტორიკოსი წერს. საქართველოს ეკლესიას ჯვარი პროზელიტური მიზნით არასოდეს გამოუყენებია, მით უმეტეს, არაქართული ტომების “ასიმილაცია - გაქართველების“ მიზნით; ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა, იგი არ ეყრდნობა წყაროებს.

გამოკვლევის საგანს წარმოადგენს ფაქტებზე (მათ შორის არქეოლოგიურ, ნუმიზმატიკურ და სხვა, მათ შორის გეოლოგიურზე), ასევე ძველ წყაროებზე

დაყრდნილი კვლევა იმისა, რომ სინამდვილეში გაქრისტიანებისთანავე, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა იმყოფებოდა ქართული ეკლესიის იურიდიქციაში, კერძოდ კი მტკიცება იმისა, რომ ნმ.ნინოს ეპოქაში ქართლის ეკლესიის იურისდიქცია მოიცავდა **ქართლის სამეფოს ტერიტორიას, რომელიც წყაროების მიხედვით განვრცობილი იყო მდ.ეგრისწყლიდან ვიდრე ჰერეთამდე ანუ იორ-ალაზნის შესართავამდე**.

გამოკვლევის საგანს, ასევე წარმოადგენს ქართლისა და ალბანეთის საკათალიკოსოთა შორის სასაზღვრო ხაზის დადგენა.

კერძოდ, იურისდიქციის საზღვრის იმ მონაკვეთის დადგენა, რომელიც კახეთსა და ჰერეთს შორის გადიოდა იორ-ალაზნის შესართავთან.

XX ს.-ში ჩამოყალიბდა ამჟამად გავრცელებული უმართებულო თვალსაზრისი, თითქოსდა ბოდბე, საგარეჯო, საინგილო და შირაქი ისტორიულად ალბანეთში შედიოდა.

შესაბამისად ალბანეთის საკათალიკოსოს რუკებზეც (IV-VI სს.) ბოდბე და მისი მომდებარე მიწები (იორ-ალაზნის შესართავამდე) ალბანეთის საკათალიკოსოს ტერიტორიადაა წარმოდგენილი.

„პრავასლავნაია ენციკლოპედიას“ რუკაზე „ალბანეთის საკათალიკოსო“ და შესაბამის სტატიებში ქართლის სამეფოს ტერიტორიის ვრცელი ნაწილი თელავიდან იორ-ალაზნის შესართავამდე ალბანეთის (ე.ი. აზერბაიჯანის) ისტორიულ ტერიტორიადაა წარმოდგენილი (რადგანაც, ალბანეთის კულტურულ და ტერიტორიულ მემკვიდრედ აზერბაიჯანი მიიჩნევა).

დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებით აღნიშნული თავიანთი მოსაზრებების წყაროდ XX ს. ქართულ ისტორიკოსები მიიჩნევენ პროკოფი კესარიელსა და აგათია სქოლასტიკოსის (ასევე სხვა უცხოელი ავტორების) ცნობებს ლაზიკასთან დაკავშირებით, ამიტომ **ჩვენს კვლევაში მოცემულია ამ ავტორების ნაშრომების გამოწვლივითი ანალიზი და მათზე დაყრდნობით მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომ ისინი (პროკოფი, აგათია და სხვები) ლაზიკას უწოდებდნენ არა რიონის დაბლობს, არამედ ძირითადად ჭოროხის ხეობას.**

ჩვენ გამვიკვლიეთ, რომ ძველი ქართული წყაროების ცნობები მართლდებიან, დასტურდებიან და ისინი მთლიანად შეესაბამებიან ბერძენ-ლათინ მწერალთა ცნობებს, თუ კი ბერძენ-ლათინ მწერალთა ცნობებს სწორად გავაანალიზებთ.

პროკოფი კესარიელი თავის არც ერთ თხზულებაში არ ახსენებს ლაზიკის რომელიმე კათედრას, თუმცა კი მიუთითებს იმის შესახებ, რომ ტრაპეზუნტსა და პეტრას შუა მცხოვრები „ერთი ხალხი“ ლაზი ეპისკოპოსისაგან იღებდნენ სამღვდელობას. ჩვენი რკვევით ამ ლაზი ეპისკოპოსების ქვეშ იგულისხმება **ზიგანას** (ტრაპეზუნტიდან 70-ით დაშორებული პუნქტი ისტორიულ ქალდეაში), **როდოპოლისის** (აქვე, ზიგანა ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რეგიონში), იმავე რეგიონის **საისინისა და პეტრას** ეპისკოპოსები.

ტრაპეზუნტის სამხრეთი მთიანეთის ოლქი მიიჩნეოდა ისტორიულ ლაზიკის ქვეყნად (თუმცა კი პროკოფის დროს ის ოფიციალურად ლაზიკად არ იწოდებოდა, რადგანაც უკვე პონტოს ნაწილად მიიჩნეოდა). **იმჟამად, იქ**

მდებარეობდა ეპარქია ლაზიკაში, აღნიშნული კათედრებით, ხოლო პროკოფის მიერ აღწერილი ლაზების სამეფო უშუალოდ მას ესაზღვრებოდა, მის ოდნავ ჩრდილოეთით მდებარეობდა, ჭოროხის შესართავის მომცველ ქვეყანაში. აგათიაც ამავე ლაზიკას აღწერს.

გვიან შუა საუკუნეებში, მას შემდეგ რაც კათოლიკე და სხვა მისიონერები საქართველოთი დაინტერესდნენ, მათ, ჩემი მოსაზრებით, შეცდომით, ევროპაში პირველად გაავრცელეს თვალსაზრისი, რომ ისტორიაში ჩაკარგული კოლხეთი მდებარეობდა რიონის რეგიონში. რომ მდ. ფაზისი რიონი იყო. ეს მოსაზრება XIX-XX სს.-ში დამკვიდრდა ჩვენში, XX ს.-ში კი განმტკიცდა თვალსაზრისი, რომ რიონის დაბლობში მდებარე ლაზიკაში 500-600 წლის მანძილზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ავრცელებდა თავის იურისდიქციას. **შესაბამისად ქართულ წყაროებს გამოეცხადა სრული უნდობლობა**, რადგანაც მათი ცნობებით დასავლეთ საქართველო მუდამ ქართლის სამეფოსა და ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა.

ეს თვალსაზრისი განსაკუთრებით განმტკიცდა ს. ყაუხჩიშვილის გეორგიკების ტომეულების გამოცემის შემდეგ, სადაც ის გამოწვლილვით წერდა, რომ ლაზიკა იყო დასავლეთ საქართველო, რომ რიონი (ყვირილა-ძირულასთან ერთად) იყო მდ. ფაზისი. ეს მოსაზრება ამჟამად ურყევადაა დანერგილი. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებით ძნელია ამ თვალსაზრისის უარყოფა და ახლის შესახებ წერაც კი.

დასკვნა

I. ლაზიკის ეპარქია.

ჩვენ ქვემოთ გამოვიკვლიეთ, რომ ფასიდი (ფაზისი), ფადისა, ფატსა ერქვა ტრაპეზუნტის დასავლეთით მდებარე ქალაქ პოლემონიონს, რომელმაც თავისი სახელი მისცა მთელ პროვინციას-„პოლემონის პონტოს“. თავდაპირველად, ამ პროვინციას ეკლესიურად ერქვა „ლაზიკა“ და ქალაქი პოლემონიონი ანუ ფასიდი(ფასისი) იყო მისი დედაქალაქი, ამიტომაც აქ ჰქონდა კათედრა ლაზიკის ეპარქიის მმართველ ფასიდის(ფაზისის) ეპისკოპოსს. მას ოთხი კათედრა ექვემდებარებოდა-**ზიგანასი** (ტრაპეზუნტიდან 70-მდე კმ.-ში მდებარე ქალაქისა ქალდეაში), **საისინისა** (ასევე ტრაპეზუნტთან ახლოს 140 კმ-ში მდებარე ქალაქისა მის სამხრეთით), **პეტრასი** (ტრაპეზუნტის დასავლეთით-ტრიპოლისთან მდებარე ქალაქისა) და **როდოპოლისისა** (რიზეს სამხრეთით 12-იოდე კმ-ში მდებარე ქალაქისა). ისინი ქმნიდნენ ლაზიკის ეპარქიას, რომელიც წყაროებში VII ს.-დნ ჩანს. ამ ლაზიკის ეპარქიასა და დასავლეთ საქართველოს შორის VII-X საუკუნეებში მდებარეობდა რიზეს ეპარქია კონსტანსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალი, ხოლო დასავლეთ საქართველო მცხეთის ანუ ქართლის ეკლესიაში შედიოდა ქრისიანობის გავრცელებიდანვე.

IV ს-ში **ტრაპეზუნტი და კერასუნტი, ასევე ნეოკესარია კომანია, პოლემონია მიეკუთვნებოდა პოლემონიაკის პონტოს, მაგრამ მას საეკლესიო-გეოგრაფიული ტერმინოლოგიით ლაზიკა ერქვა,**

V ს. ტრაპეზუნტში იდგა პონტოს პირველი ლეგიონი, რაც ამ ქალაქს ანიჭებდა განსაკუთრებულ როლს, როგორც თავდაცვისას, ისე იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრების დაცვისას. იმპერიის ამ საზღვრების დაცვის თვალსაზრისით განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა **პოლემონიაკის პონტოს** პროვინციას;

VI ს.-ში იუსტინიანეს XXVIII (28-ე) ნოველაში **პოლემონიაკის პონტოს ქალაქებიდან დასახელებულია ნეოკესარია, კომანა, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, პოლემონია და ასევე ციხე-სიმაგრეები (და არა ქალაქები) - პიტიუნტი და სებასტოპოლი „ამ სასაზღვრო სიმაგრეების იქით იყო ლაზიკა“ (Далее этих рубежей находилась Лазика”).** (კარპოვი,გვ. 59)

VII ს. შუა წლებში დაარსდა „არმენიაკის“ თემი ანუ თემა (მას არმენიაკონის თემსაც უწოდებენ). ეს თემა თავის მხრივ სამ „ტუმად“ (სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად) იყოფოდა. ხალდია არმენიაკის თემის ერთერთ ტუმაში შედიოდა. დასავლეთით არმენიაკის თემას მდ. გალისი საზღვრავდა (ნ. ადონცით აღმოსავლეთით მისი საზღვარი ფასისამდე (ე. ი. ჭოროხამდე) აღწევდა. 824-863 წლებში არმენიაკის თემა დაიშალა და ხალდია ცალკე თემად გამოიყო (კარპოვი, გვ. 64). არმენიაკის თემას საზღვრები თითქმის ემთხვეოდა ყოფილ პოლემონის პონტოს საზღვრებს, მას ეკლესიურად ლაზიკის ეპარქია ერქვა და მოიცავდა ტერიტორიას ფატსა –პოლემონიონიდან რიზემდე.

ქალდიას დედაქალაქი იყო ტრაპეზუნტი.

ქალაქი პოლემონიონი ანუ ფასიდი (ფასისი) მართალია თავდაპირველად იყო პოლემონიაკის პონტოს ანუ ეკლესიური ლაზიკის დედაქალაქი, მაგრამ VII-VIII საუკუნეებში თანდათანობით ტრაპეზუნტი გადაიქცა დედაქალაქად, ამიტომაც შემდგომ აქ ჰქონდა კათედრა ლაზიკის ეპარქიის მმართველ ფასიდის(ფაზისის) ეპისკოპოსს. ამიტომაც ნიკეის VII მსოფლიო კრების (787) აქტებს მიტროპოლიტი ქრისტეფორე, ხელს აწერდა სხვადასხვა სამი დაზუსტებით- „ეპისკოპოსი ფასიდისა“(ნუსხა ABE) „ეპისკოპოსი ფასიდისა ე.ი. ტრაპეზუნტისა“(D), „ეპისკოპოსი ტრაპეზუნტისა“(F); ე.ი რადგან. ის იყო როგორც ტრაპეზუნტის ასევე მისსავე დაქვემდებარებაში დარჩენილი ფასიდა-პოლემონიონის მიტროპოლიტი. მაშასადამე **თავისი ხელმოწერით ტრაპეზუნტელმა ქრისტეფორემ თავისი პრეტენზია განაცხადა პოლემონიონ-ფადისსა-ფადის-ფაზისის მიმართ.**

ადასტურებენ თუ არა წყაროები ამ მოსაზრებას? დიახ:-

პ.ინგოროყვას კვლევით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებში ე.წ. ნოტიციებში **ტრაპეზუნტის კათედრას ასევე ეწოდება „პოლემონის პონტოს კათედრა“ (პ.ინგოროყვა,გიორგი მერჩულე,გვ,237,შენიშვნა1), კერძოდ №3 და №4 ნოტიციაში (806-815 წლები) და ასევე №5 ნოტიციაში (820-829 წლები) ტრაპეზუნტის კათედრა პოლემონის**

პონტოს კათედრად იწოდება(იქვე,გვ,237). ქალაქ პოლემონის ძველი სახელი იყო ფასიდი, ამიტომაც ტრაპეზუნტი და ფასიდი ერთ ეპარქიაში შედიოდა.

როგორც ითქვა პონტოს ქალაქ პოლემონს(პოლემონიონს) ასევე ერქვა ფადისა-**ფასიდი**. ეს სახელი –ფადისა-ჩვენთვის ძალზე საინტერესოა. საქმე ისაა,რომ როგორც აღინიშნა, 787 წელს მიტროპოლიტობის პატივის მოსურნე ტრაპეზუნტელმა ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ მსოფლიო კრების აქტებს ხელი მოაწერა ასევე როგორც **ფასიდის** ეპისკოპოსმა („ეპისკოპოსი ტრაპეზუნტისა და **ფასიდისა**“).

როგორც ითქვა, იმ ეპოქაში პონტოს მთავარი ქალაქი პოლემონი უკვე თმობდა თავის პოზიციებს და დედაქალაქის –მეტროპოლისის სახელი უფრო ტრაპეზუნტს შეეფერებოდა, იმჟამად დიდი პოლიტიკური ძვრები შეიმჩნეოდა, რათა ჩამოლიბებულიყო ახალი ადმინისტრაციული ერთეული („ხალდეას თემი“) ცენტრით ქ. ტრაპეზუნტში (იქამდე VII ს -დან ქ. ტრაპეზუნტი არმენიაკონის თემში შედიოდა), მას შემდგომში მართლაც გამოეყო საკმაოდ ვრცელი ახალი ადმინისტრაციული ერთეული „ხალდეა“(ქალდეა), რომლის საზღვარი აღწევდა მდ. ჭოროხამდე, ანუ ფაზისამდე (და არა ფოთამდე!). არმენიაკონის თემის საზღვარიც ასევე აღწევდა მდ. ფაზისამდე, ე.ი. ჭოროხამდე და არა ფოთამდე.

ხალდეას თემის დედაქალაქი ტრაპეზუნტი იყო. მას ასევე უფრო მარტივადაც უწოდებდნენ „ლაზიკას“, ლაზიკის თემს.

ამის გამო პოლემონიონ-ფადისა/ფასიდი შედარებით დაემცრო, მაგრამ ქრისტეფორემ მაინც განაცხადა პრეტენზია ამ თავის ძველ ქალაქზე. თავისი ხელმოწერით ქრისტეფორემ დააფიქსირა, რომ ის იყო არა მხოლოდ ტრაპეზუნტის, არამედ პოლემონის ეპისკოპოსი, რომელიც ტრაპეზუნტიდან არც თუ დაშორებით-100 კილომეტრში მდებარეობდა.

ძველ პოლემონს ამჟამად ფადისა რომ ჰქვია ეს ნათქვამია 2001 წელს ვაშინგტონში დაბეჭდილ წიგნშიც *“Byzantine Seals“*

“30.Polemonion

Polemoniona twin tovn witch Fadisane/Fatsa, *gave its name the rivier Boleman“(Catalogue of Bizantine Seals at Dumbarton oaks and in the Fogg Museum of art, volume 4, the East, 2001, 83).*

ფადისა/ფატსასთან გამავალ მდინარეს ამჟამადაც ბოლემონი/პოლემონი ჰქვია.

როგორც ითქვა, 824-863 წლებში არმენიაკის თემის დაშლამ და ხალდიის ცალკე თემად გამოყოფამ გამოიწვია ძველი საეპისკოპოსო კათედრების –ზიგანას, პეტრას, როდოპოლისის და საისინის- სახელების გაქრობა-დამცრობა. მათ ადგილას ახალი ქალაქები და შესაბამისი კათედრები

წარმოიქმნა. მაგალითად ზიგანას ნაცვლად- ლერიონი და ა.შ. ძველი საეპისკოპოსო ქალაქებიც გადანაწილდა ახალ თემებს შორის. მაგალითად, იქამდე საეპისკოპოსო ქალაქი პეტრა(ტირებულ-გირესუნთან ახლოს), შესაძლოა ხალდიის თემს აღარ მიაკუთვნეს. როდოპოლისი ჩანს რიზეს კათედრამ მიისაკუთრა და უფუნქციოდ დატოვა. არმენიაკის თემის დაშლის შემდეგ (რომელსაც ძველი პოლემონიაკის პონტოს ადგილი ეჭირა) ეკლესიაში მიღებული ტერმინოლოგიით ლაზიკა მხოლოდ ხალდიის თემს ეწოდებოდა (იქამდე,როგორც აღინიშნა ლაზიკა მთელ პოლემონის პონტოს ერქვა, განსაკუთრებით მის მთიანეთს და ლაზიკის ეპარქიაც პოლემონის პონტოს მთიან რეგიონს მოიცავდა).

საეკლესიო გეოგრაფიული ტერმინლოგია განსხვავდებოდა საეროსაგან, მას შემდეგ, რაც ტრაპეზუნტთან მდებარე იქამდე ლაზების ქვეყნად წოდებული ვრცელი რეგიონი ბიზანტიამ მიისაკუთრა მას პოლიტიურად სხვადასხვა სახელიბი (პოლემონის პონტო, არმენიაკონი და სხვა) უწოდა, მაგრამ ეკლესიაში მას მაინც ლაზიკას უწოდებდნენ. შემდგომში გაფართოების კვალდაკვალ ბიზანტიამ პოლიტიკურად ლაზიკა უწოდა ახლდაპყრობილ ტერიტორიას ჭოროხის შესართავის ხეობაში, კერძოდ კი მას უწოდა „ლაზთა სამეფო“.

ნ. ადონცის თანახმად, საეკლესიო გეოგრაფიამ შემოინახა იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის (დიოკლეტიანესდროინდელი) სახე იმით, რომ თავის საჭიროებისთვის იყენებდა მას. ე.ი. **ლაზიკის ძველი სახელი,მისი ტერიტორიის ძველებური გაგება შემოინახა ეკლესიურმა დაყოფამ.**

ნ. ადონცით ლაზიკაში ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში შემავალი ბიზანის, პაიპერტის,კერამევის, ლერიონისა და სხვა საეპისკოპოსოები,შესაბამისი ქალაქები განლაგებულნი იყვნენ **თეოდოსიოპოლის-ტრაპეზუნტის შემაერთებელი გზის სანაპირო რეგიონში, ანუ ისტორიული ჭანეთში, მათ მომცველ საეკლესიო ოლქს ეწოდებოდა „სამიტროპოლიტო ლაზიკაში“, ანუ სწორედ ამ მხარეეებს ერქვა ლაზიკა ბიზანტიური საეკლესიო გეოგრაფიის მიხედვით და არა დასავლეთ საქართველოს.**

„ლაზიკა“ იმჟამინდელი ბერძნული ეკლესიური გაგებით ერქვა აღნიშნულ რეგიონს (ე.ი. ქალდეა-ჭანიკას) და არა დასავლეთ საქართველოს.

V ს.–მდე რიზეს სანახები შედიოდა ქართლის სამეფოს კლარჯეთის საერისთავოში, მათ შორის „სპერი, ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი“, შემდეგ ეს ტერიტორია (დაახლოებით რიზედან ხუფათამდე) უშუალოდ შეიერთა ბიზანტიამ, ამავე დროს იქამდე კლარჯეთში შემავალი ბაიბურდის რეგიონიც ბიზანტიამ უშუალოდ შეიერთა,დანარჩენი კლარჯეთი მართალია ბიზანტიამ დაიპყრო, მაგრამ

მას ბუფერული „თავისუფალი ქვეყნის“ სტატუსი მიანიჭა, მის მმართველს კი „ლაზთა მეფე“ უწოდა(გუბაზ I [450-470 წწ.]). **ლაზთა მეფის მფლობელობაში ყოფილი კლარჯეთის საერისთავოს დაახლოებით მესამედი დარჩა და ის მოიცავდა ზღვისპირს ხუფათიდან ჭოროხამდე და მცირე ტერიტორიას მის ზემოთ(შემდგომ ციხისძირამდე და ურეკამდე), ლაზეთის სამეფოში ასევე შედიოდა ჭოროხის რეგიონი და მისი ხეობა ართვინის ჩათვლით და არტანუჯის ხეობა ვიდრე არსიანის ქედამდე**). V ს. II ნახევარში ეს კლარჯეთი ანუ ბიზანტიურად ლაზთა სამეფო ვახტანგ გორგასალმა ბიზანტიელი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა და ქართლის სამეფოს უკან დაუბრუნა. ამ ღვაწლს დაწვრილებით აღწერს „ქართლის ცხოვრება“. რატომ უწოდეს ამ ტერიტორიას ბიზანტიელებმა ლაზიკა? საქმე ისაა, რომ ზოგადად ლაზიკა ერქვა უფრო ვრცელ მიწა-წყალს ფასიდი-პოლემონიონიდან ჭოროხამდე. „ლაზთა სამეფო“ მხოლოდ მის ერთ ნაწილს წარმოადგენდა. ამასთანავე VI საუკუნისათვის რიზეს რეგიონში უკვე მკვეთრად იყო გამოხატული ქართველების (ჭანების) ბიზატიის წინააღმდეგ მიმართული განმათავისუფლებელი მოძრაობა, რაც შებრძოლებებითაც გამოხატებოდა. ქალდეა-ზიგანას რეგიონი რაზესთან ერთად მის ეპიცენტრში იყო მოქცეული. ქალდელებს ასევე ლაზებიც ერქვათ. VI ს-ში ქართული სახელმწიფოებრივი კრიზისის გამო, აღნიშნულ რეგიონს (ე.ი. ისტორიულ კლარჯეთს, რომლის ზღვისპირა და ჭოროხის ხეობაში მოქცეულ ნაწილს ბიზანტიელები ლაზიკას უწოდებდნენ) კვლავ ბიზანტიელები დაეპატრონენ, აღადგინეს მეფობა და ლაზთა მეფეებად დანიშნეს წათე I (დაახლ. 510-530), გუბაზ II (540-554) და წათე II (554-580).

სხვა ტერიტორიას მოიცავდა, როგორც ითქვა, ეკლესიური ეპარქია „ლაზიკაში“, და ის არ მდებარეობდა პოლიტიკური ერთეული „ლაზიკაში“ ანუ ლაზთა სამეფოში. ეს ორი სხვადასხვა, მაგრამ ერთი ეთნოსით დასახლებული ტერიტორია იყო. **ლაზიკის ეპარქიის მომცველი ტერიტორია არ მდებარეობდა „ლაზთა სამეფოში“, რადგანაც ლაზიკის ეპარქია ძირითადად ქალდეას ოლქს მოიცავდა რიზემდე, ხოლო ლაზთა სამეფო, როგორც ითქვა, ხუფათიდან არსიანის ქედამდე გრძელდებოდა. თუმცა კი ისინი, ორივენი, ისტორიულ ლაზიკაში მდებარეობდნენ.**

არაბთა შემოსევებმა ვითარება შეცვალა. ბიზანტიის საზღვრები ტრაპეზუნტამდე შემცირდა. ლაზთა სამეფო დავიწყებას მიეცა.

არაბთა შემოსევებმა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური სახეც შეცვალა. იქამდე ქართული წყაროებით ის ქართლის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა და სტრაბონის ცნობით კერკეტებითა და ჰენიოხებით იყო დასახლებული. ქართული წყარიებით მას ეგრისი, არგუეთი და გურია ერქვა. ეტიმოლოგიურად სიტყვების-

„კერკეტისა“ და „ეგრისის“ (ასევე სიტყვების „არგუეთისა“ და „გურიის“) ფუძეები თითქოსდა ერთმანეთს ეთანადება: „კერკ“ და „ეგრ“ (ასევე „არგუ“ და „გურ“). თუ გავითვალისწინებთ გადასვლას **გ-კ-ქ**, მაშინ **„კერკ“ მოგვცემს „გერგ“-ს, რაც „ეგრ“ (არგ, გურ) ფუძეს ეთანადება**. (გერგ=ეგრ-არგ-გურ). როგორც ჩანს, შესაძლოა ქართული წყაროების ეგრის-არგვეთ-გურიის მოსახლეობა კერკეტების იგივე გერგეტების შთამომავლობად მიიჩნეოდა. იგივე **ფუძე „გრ-რგ“ უდევს საფუძვლად ქართველთა და მათი ქვეყანის აღმვნიშნელ ყველა სახელწოდებას (გეორგიენ, გურძ, გურჯ, გოგარენ, გუგარქ და სხვა)**.

კერკეტების ტომს ქალდებთან უნდა ჰქონოდა ეთნიკურ-ნათესავური კავშირი, რადგანაც უცხო წყაროებით კერკეტების ანუ კერკიტების ტომი ქალდეაშიც ცხოვრობდა(შემდგომ ჭანეთში). ქალდეა კი ივ. ჯავახიშვილის სიტყვით ყველა ქართული ტომის სამშობლო იყო. დასავლეთ საქართველო სტრაბონის შემდგომი წყაროებით უფრო სვანებით იყო დასახლებული. აფსილები და მისიმიანები მათი ნაწილი უნდა ყოფილიყო.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია VII-VIII საუკუნეებში

წმიდა მაქსიმე აღმსარებელი, რომელიც ლაზიკაში კავკასიაში გადმოასახლეს კეთილმორწმუნეებსა და მართლმადიდებლებს უწოდებს აბაზგიისა და იბერიის მთავრებს (ამ საკითხს ჩვენ მივუძღვენით საგანგებო.

მაქსიმე აღმსარებელი, რომელიც მთელ იმპერიაში სახელგანთქმული იყო მონოთელიტებთან ბრძოლით, 645 წელს მონოთელიტებთან კართაგენში დისპუტის შემდეგ 662 წელს კავკასიის ლაზიკაში გადაასახლეს, ის ცხადია მართლმადიდებლად არ მოიხსენიებდა აღნიშნულ (აბაზგიისა და იბერიის) ქართველ მთავრებს, მას თავისი თვალით რომ არ ენახა მათი სარწმუნოებრივი სახე.

მონოთელიტობა აღიარებდა, რომ ქრისტეში ორი ბუნებაა მოცემული, მაგრამ მისი ნება და ქმედება ღმერთკაცურია. ეს დოგმატი ჩამოყალიბდა 620-იან წლებში კავკასიაში. კერძოდ, ლაზიკაში ჰერაკლე კეისრის, სერგი კონსტანტინოპოლელისა და კიროს ფასისელის თათბირისა და მიმოწერის შედეგად, ხოლო 633 წელს გამოაქვეყნა ალექსანდრელმა პატრიარქმა კიროს ფასისელმა (მასიდელმა). ჩვენში მიიჩნევენ „VII საუკუნეში კავკასიის ეკლესიების ოფიციალური მრწამსი მონოთელიტური იყო (ზ. ალექსიძე, ქსე, 7, გვ. 98).

ამ მოსაზრებას, რომ VII ს-ში კავკასიის ეკლესიების ოფიციალური მრწამსი იყო მონოთელიტური არ ადასტურებს მაქსიმე აღმსარებლის მიერ აბაზგიისა და იბერიის მთავრების „კეთილმორწმუნეებად“ მოხსენიება, მაგრამ მონოთელიტობის ერთ-ერთი ცენტრი ნამდვილად იყო ისტორიული ლაზიკა. რადგანაც, აქ, ლაზიკაში, კერძოდ კი, ტრაპეზუნტში შეხვდა ჰერაკლე კეისარი ერესიარქებს. საერთოდ, ტრაპეზუნტის რეგიონს ჰერაკლე კეისრის ეპოქაშივე ერქვა „ლაზიკა“. ცნობილია ჰერაკლეს სპარსეთში ლაშქრობის სავარაუდო

მარშრუტები, რომელთა მიხედვითაც ის პირველად 627 წელს ჩავიდა ლაზიკის მთავარ ქალაქ ტრაპეზუნტში, ლაზიკას ქართველი წმიდა მამები უწოდებდნენ „სოფელი მეგრელთა“ და მის ადგილმდბარეობას განსაზღვრავდნენ ტარპეზუნტის რეგიონში. მაგალითად, მივიდა ანდრია ტრაპეზუნტში „სოფელსა შინა მეგრელთასა“ (ექვთიმე მთაწმიდელი), მაშასადამე მაქსიმე აღმსარებლის ეპოქაშიც ტრაპეზუნტის ოლქს ლაზიკა ერქვა,ეს ლაზიკა მოიცავდა დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილსაც. ლაზიკის ის ნაწილი, რომელიც დასავლეთ საქართველოში შედიოდა – მართლმადიდებლური იყო. ამას მოწმობს მაქსმიმე აღმსარებლის წერილები, მაშასადამე, ლაზიკის ის ნაწილი, რომელიც მოიცავდა ტრაპეზუნტის ოლქს იყო მონოთელიტური. აი, აქ უნდა ვეძიოთ ჩვენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიები ლაზიკაში, მისგან განსხვავებით დასავლეთ საქართველო მართლმადიდებლური იყო.

ყოფილ პოლემონის პონტოს მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა რამდენიმე სამიტროპოლიტო ოლქი, მათ შორის ამასიის, ნეოკესარიის, ფასიდისა და სხვა.

პოლემონის პონტოს პროვინციას ჯერ კიდევ იუსტინიანეს ეპოქაში შეუცვალეს სახელები. შემდგომში აქ არმენიაკონის თემი ჩამოყალიბდა. ეს იყო ხალიბების, ტიბარანების, მოსინიკების, კოლხების, დრილების, ბიძერებისა და სხვა ქართული ტომების მიწა-წყალი. კონსტანტინე პორფირეგენეტის ცნობით, მიუხედავად იმისა რომ პონტოს ეს რეგიონი ქართული ტომებით იყო დასახლებული, VII ს-ის შუა წლებში, მას არმენიაკონის თემი უწოდეს, როგორც ითქვა იმის გამო, რომ „მის მახლობლად არმენიელები ცხოვრობდნენ“.

824-863 წლებში არმენიაკონის თემი დაიშალა და იქ ქალდეასა და სხვა ახალი ადმინისტრაციული ერთეულები ჩამოყალიბდა. ქალდეას თემის დედაქალაქი იყო ტრაპეზუნტი. ამ თემს ასევე მეორე სახელი ერქვა „ლაზიკა“. ცნობილ ნოტიციებში კონსტანტინოპოლის კათედრათა ნუსხებშიც კია ეს ფაქტი ასახული, მაგალითად, 901-907 წლებით დათარიღებულ მე-7 ნოტიციაში წერია - „ტრაპეზუნტი ლაზიკისა“. მაშასადამე, ტრაპეზუნტი ლაზიკის ქალაქი იყო VII ს-ში ჰერაკლეს ლაშქრობის დროს და ასეთად დარჩა ის შემდგომაც. პ. ინგოროყვას რკვევით, ტრაპეზუნტის კათედრას ასე ეწოდებოდა - „პოლემონის პონტოს კათედრა“ (გ. მერჩულე, გვ. 23). IX ს-ის დასაწყისის ნოტიციებში (№3, №4, №5).

ქ. პოლემონიონის ძველი სახელი იყო ფასიდი. მას დღეს ეწოდება ფატსა, მდებარეობს ტრაპეზუნტის დასავლეთით. ეს ქალაქი (პოლემონი) დედაქალაქი იყო, ამიტომაც მის ეპისკოპოსს ფასიდელი ეწოდებოდა, ის სამიტროპოლიტო რანგის მღვდელმთავარი იყო. თანდათანობით დედაქალაქად გადაიქცა ტრაპეზუნტი, რამაც ტრაპეზუნტი გადააქცია სამიტროპოლიტო ცენტრად.

ჩვენთვის ცნობილია, რომ VII მსოფლიო კრების აქტებს (787 წელს) ხელი მოაწერა ტრაპეზუნტელმა მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ სამჯერ, ის მუდამ აღნიშნავდა, რომ იყო არა მხოლოდ ტრაპეზუნტის, არამედ ფასიდის მიტროპოლიტიც (ეპისკოპოსი ფასიდისა (ნუსხა ABE), ეპისკოპოსი ფასიდისა, ე.ი. ტრაპეზუნტისა (ნუსხა D), და ეპისკოპოსი ტრაპეზუნტისა (ნუსხა F). ე.ი. ის იყო როგორც ტრაპეზუნტის, ასევე კვლავ მისსავე დაქვემდებარებაში დარჩენილი ფასიდა-პოლემონიონის მიტროპოლიტი. თავისი ხელმოწერით მან დაადასტურა, რომ ის კვლავ რჩებოდა ყოფილი პოლემონის პონტოს ვრცელი ოლქის მმართველ მთავარ მღვდელმთავრად.

მაშასადამე, ფადისა იყო არა ფოთი, არამედ ქ. პოლემონიონი, ისტორიულ ლაზიკაში. აქვე იყო ზიგანას, როდოპოლისისა და ლაზიკის სხვა საეპისკოპოსოები.

II. აფხაზეთის საკათალიკოსო

აფხაზეთის საკათალიკოსო VIII-IX სს.-დან ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.

აფხაზეთისა და ქართლის პირველიერარქთა შორის ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა.

ერთიან ქართულ ეკლესიაში წოდება „კათალიკოსი“ შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების „მიტროპოლიტის“ წოდებას. როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავისი ეპისკოპოსები, ასევე ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ორივე ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის მხოლოდ საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები(სამიტროპოლიტო ოლქები) იყვნენ. როგოც ითქვა, მათი ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი ადგილობრივი საეკლესიო კრებები. პატრიარქის მოვალეობა იყო უზუნველეყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე.ი.ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა.

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში(ცხადია აფხაზეთშიც) სავალდდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის სამოქალაქო სამართლის სფეროშიც). მაგ.XVI საუკუნის საეკლესიო სამართლის ძეგლში,რომელსაც „სამართალი კათალიკოსთა“ეწოდება, ნათქვამია:„ქ.სახელითა და ღვთისათა:-მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია,მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ,-დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი .....დავიდევით სჯულისკანონი და ჩვენცა იმისგან გამოვიღევით....და სჯულისკანონიცა ასრე ბრძანებს....“(ქართული სამართლის ძეგლები,ტ.I.1963,გვ.393-397).

აფხაზეთის საკათალიკოსოს ამ საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით გამოსცა 15 კანონი.

ამ კრების კანონები სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელი საქართველოს ტერიტორიაზე,თუმცა ის აფხაზეთში იქნა მიღებული და ისინი აფხაზეთის საკათლიკოსოს ეპისკოპოსებმა დაამტკიცეს, ესენი იყვნენ ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმიდელი, ცაიშელი(ჩიშელი) ეპისკოპოსები.

„უხუცეს“ პირველიერარქად ანუ „საქართველოს პატრიარქად“,როგორც წესი ,ირჩევდნენ მცხეთელ კათალიკოსს,მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ბიჭვინთელ ანუ აფხაზთა კათლიკოსს გადაეცემოდა ეს ტიტული(„საქართველოს პარტიარქი“).

მაგალითად შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ (XVII საუკუნესა და XVIII ს. I ნახევარში) აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებმა დაკარგეს სუვერენიტეტი (მუსულმანური მმართველობის ქვეშ მოექცნენ),ხოლო დასავლეთ საქართველო ძველებურად მართლმადიდებელ მეფე -მთავართა მიერ იმართებოდა.

ამ ფაქტმა გაზარდა დასავლეთ საქართველოს მმართველთა (მეფეთა და კათალიკოსთა) ავტორიტეტი, რაც მათ ტიტულატურაშიც აისახა- აფხაზეთის კათალოკოსთა ტიტულატურაში გამოჩნდა ტიტული „საქართველოს პატრიარქი“, მაგალითად, XVIII ს-ის აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი თავის მიერ გამოცემული დოკუმენტებს ხელს აწერს ასე – „გრიგოლ მწყემსი ქრიტეს მიერ ყოვლისა საქართველოისა კათალიკოსი“(„ქართული სამართლის ძეგლები“, III,გვ.675); ასევე ზოგიერთი სხვა აფხაზეთის კათალიკოსიც თავის თავს საქართველოს პატრიარქს უწოდებდა XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში, ანუ ის არა მხოლოდ აფხაზეთის არამედ სარულიად საქართველოს უხუცესს პირველიერარქად თვლიდა თავის თავს. ეს ფაქტი ასახულია უცხოურ წყაროებშიც. უცხოური წყაროების თანახმად ამ ეპოქაში აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს (იბერიის) უხუცეს (უპირატეს) პირველიარარქად ითვლებოდა,მაგალითად ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი(XVII ს.) ამის შესახებ წერდა –

– „იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი, რომელიც კავკასიის მთებში იწყება, ქართულად ქულფარგი ეწოდება, ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე, რადგანაც ის უკვე ისავროსის დროს, 720 წელს, კათალიკოსი იყო ქვემო იბერიისა ... იბერები

ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ“ (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

დას. საქართველოს ეკლესიას უცხოელები უწოდებდნენ „ქვემო იბერიის ეკლესიას“. იხ. სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია „თეოლოგია“, ათენი, 1966

საქართველოს ანუ იბერიის სამეფოს მთლიანობა დაარღვია თავდაპირველად VI ს.-ში სპარსთა,ხოლო VII ს.-ში არაბთა შემოსევება, ამის შედეგად VIII ს-დან საქართველოს კუთხეებში ჩამოყალიბდა რეგიონალური ქართული სახელმწიფოები. ერთერთი ასეთი იყო აფხაზთა სამეფო.

VIII საუკუნის II ნახევარში შექმნილ „აფხაზთა სამეფოში“ შევიდა და მისი ძირითადი ნაწილი გახდა იბერიის სამეფოს ყოფილი ტერიტორიები დასავლეთ საქართველოში – ეგრისი, გურია, თაკვერი, არგვეთი, სვანეთი, ამიტომაც აფხაზთა სამეფოს VIII-X საუკუნეებში „ქვემო იბერიას“ უწოდებდნენ. არსებობდა ორი იბერია: ზემო იბერია – ანუ აღმოსავლეთი საქართველო და „ქვემო იბერია“ – ანუ დასავლეთი საქართველო. საერთოდ, IV ს-დანვე დასავლეთ საქართველო (ქვემო იბერია) მცხეთის ანუ ერთიანი იბერიის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა IV ს-დანვე. ამის შესახებ წერს რუის-ურბნისის კრება: (წმიდა ნინომ მოაქცია ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა მცხოვრებნი როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში, ამავე კრების განსაზღვრებით ანდრია მოციქულმა სახარება იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა, სომხური საეკლესიო წყაროებიც აღნიშნავენ, რომ დასავლეთ საქართველო იმყოფებოდა მცხეთის საეკლესიო იურისდიქციაში. მაგალითად, ამ წყაროებში აღინიშნება რომ კირიონი ქართლის კათალიკოსი VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში მართავდა დასავლეთ საქართველოს ეპარქიებსაც. კირიონი, „ეგრისის, გუგარქისა და ქართლის არქიეპისკოპოსად ანუ კათალიკოსად იყო ნაკურთხი „წინანდელ წესთა თანახმად“ (იოანე დრასხანაკერტელი, „სომხეთის ისტორია“, გვ. 10).

მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ხრისანფი ამბობს: „...საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მარტო ქართველები უწოდებენ. ამათგან ერთი, ე.ი. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, ანუ მარტივად,

სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე. ხოლო მეორე, ე.ი. ზემო იბერიისა, იწოდება ქართლის, კახეთის, ალვანეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად... რომელი იმპერატორის დროს, ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ 26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე, გოთეთის ეპისკოპოსი, ხელდასხმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ, რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი, ასე რომ, როგორც ჩანს, ერეკლეს შემდეგ ისავრამდე ქვემო იბერია საარქიეპისკოპოსო გახდა...“ (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

ეს იერუსალიმელი პატრიარქები XVII საუკუნეში ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნის II ნახევარში აღსდგა აღმოსავლეთ საქართველოში სახელწიფოებრივი სუვერენიტეტი და სამეფო ტახტი კვლავ მართლმადიდებელმა ხელმწიფეებმა დაიჭირეს,ამ ფაქტა ძველი ავტორიტეტი დაუბრუნა მცხეთელ კათალიკოსს,და ის ძველებურად „უხუცეს“,პირველპატრიარქად იქცა ქართულ საეკლესიო სამყაროში.

აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩამოყალიბება. ვახტანგ გორგასლის დროს ქართლის სამეფოს საზღვრები კიდევ უფრო გაიზარდა მდ.კლისურამდე მიაღწია, შესაბამისად გაიზარდა ქართლის ეკლესიის(მცხეთის საკათაკიკოსოს) იურისდიქციაც, რომელიც მთელ ქართლის სამეფოზე ვრცელდებოდა, ე.ი. კლისურადან იორ-ალაზნის შესართავამდე.

არაბთა შემოსავამ ქართლის სამეფო დაშალა.

ბოლო ფარნავაზიან-ხოსროიანმა მეფე მირმა ქართლის სამეფო დაუნაწილა თავის ქალიშვილებსა და ძმას- წმ.არჩილს. მთელი დასავლეთ საქართველო (კლისურიდან ლიხის მთამდე) არჩილისა და ერთერთი ქალიშვილის -გურანდუხტის გამგებლობაში გადავიდა (სხვა ქალიშვილებს სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველო ხვდათ წილად).

მალე მდ.კლისურას იქით მდებარე ტერიტორია მოექცა ხაზართა ინტერესის სფეროში, რითაც ისარგებლა არგილიბრივმა მთავარმა, რომელსაც „აფხაზთა ერისთავის“ ტიტული ჰქონდა და მან ბიზანტიის იმპერიისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მან, თავისი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, აფხაზთა საერისთავო შეიყვანა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში(რომლის საზღვარი მდ. კლისურაზე იდო) ნაცვლად მოითხოვა გურანდუხტზე, დასავლეთ საქართველოს მფლობელზე, დაქორწინება.

ამ დინასტიური ქორწინების შედეგად აფხაზეთი და დანარჩენი დას.საქართველო გაერთიანდა.

კახეთში გადასული არჩილ მეფის არაბთაგან წამების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველო არაბთა ხელში აღმოჩნდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში გურანდუხტის ოჯახის მემკვიდრემ მოიპოვა ლეგიტიმური უფლება ეტარებინა

მეფის ტიტული (გურანდუხტი მეფის ქალიშვილი იყო) და მას ეწოდა „აფხაზთა მეფე“ (რადგანაც ამ ოჯახის ხელში იყო აფხაზთა საერისთავო).

აფხაზთა სამეფო ქართლის სამეფოს პოლიტიკური მემკვიდრე იყო დასავლეთ საქართველოში, მისი მეფეები კი ფარნავაზიან-ხოსროიან მეფეთა გენეტიკური შთამომავლები. ის იგივე ქართლის სამეფოდ, მის დაუპყრობელ ნაწილად მიიჩნეოდა, ამიტომაც მცხეთის საკათალიკოსომ იქ ჩამოაყალიბა ქართული საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული „აფხაზეთის საკათალიკოსოს“ სახელწოდებით, რაც ცნო ქართულმა სამყარომ IX ს-ში- „ამან განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“-წერს „ქართლის ცხოვრება“ ბაგრატ „ქართველთა მეფის“ შესახებ.

პრაქტიკული შედეგები ამ ცნობისა იყო ის, რომ მცხეთამ აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში გადასცა იქამდე მის ხელში მყოფი ტერიტორიები მდ.კლისურიდან ლიხამდე. ამ ტერიტორიულ იურისდიქციას დაემატა აფხაზთა საერისთაოს ტერიტორია კლისურიდან ნიკოფსიამდე. ჩამოყალიბდა ახალი ქართული საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული, ნაწილი ერთიანი ქართული ეკლესიისა.

ასეთია ამ საკითხის შესახებ ქართული წყაროების ანალიზის შედეგი.

თუმცა, როგორც მრავალჯერ აღინიშნა,სულ სხვაა გაბატონებული საისტორიო შეხედულება- **„დას.საქართველოში აფხააზეთის საკათალიკოსოს წარმოქმნას აკავშირებენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან ფასისის სამიტროპოლიტოსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი 4 კათედრის (როდოპოლისის, საისინის, პეტრასა და ზიგანეის), ასევე ნიკოპსიისა და აბაზგიის სამთავარეპისკოპოსოების გამოსვლასთან და ქართულ ეკლესიასთან მათ შემდგომ გაერთთიანებასთან, რომლის პოლიტიკურ საფუძველს აფხაზთა (დასავლურქართული) სამეფო წარმოადგენდა...ძირითადად შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული ბერძნული საეპისკოპოსო კათედრები კონსტანტინოპოლისაგან გათავსუფლების შემდეგ გაუქმდნენ აფხაზთა(დასავლეთქართ.) მეფეების მიერ. მათ ნაცვლად ქარლულნი დაარსდნენ. IX ს.-დან დას.საქართველოში ღვთისმსახურებისას ბერძნული ენა ქართულით შეიცვალა, გამოჩნდნენ ქართულ ენაზე შესრულებული პირველი ეპიგრაფიკული ძეგლები,მათ შორის შედარებით ადრინდელია გუდაუთის რაიონის სოფელ მსიგხუას ეკლესიის ასომთავრული წარწერები...“(თ.ქორიძე, პრავასლავნაია ენციკლოპედია, მოსკოვი, ტ.13. 2006.გვ. 203. რუს. ენაზე)**

არქეოლოგიური, გეოლოგიური და სხვა მასალების მიხედვით შეუძლებელია ფოთი საეპისკოპოსო ცენტრი ყოფილიყო პირველ ათასწლეულში, ასევე არ დასტურდება საეპისკოპოსო ანდა საქალაქო ცხოვრების შესაბამისი არქეოლოგიური და კულტურული ფენები ნოქალაქევსა, ვარციხესა და გუდაყვაში.

სხვა მასალებთან ერთად არცერთი ძველი წყარო არ ადასტურებს ამ პუნქტებში ბერძნული საეპისკოპოსოების არსებობას.

საერთოდ ქართული წყაროებით „მოქცევაი ქარლისაი“, „ქართლის ცხოვრება“, რუის-ურბნისის „ძეგლისწერასა“ და სხვა წყაროებისათვის საერთოდ უცნობია თემა დასავლეთ საქართველოში ოდესმე ბერძნული საეპისკოპოსოების არსებობის შესახებ. თუმცა, აღნიშნული მოსაზრება ამჟამად იმდენად მტკიცედაა დამკვიდრებული, რომ, სეპარატისტულ და სხვა საეკლესიო ჯგუფებს მიაჩნიათ თავიანთ დასაყრდენად თეორიულ მტკიცებათა დროს.

მაგალითად **ახლახან დაბეჭდილ „აფხაზეთის ეკლესიის ისტორიაში“ (სოხუმი, 2005, რუს. ენაზე) ნათქვამია, რომ „დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესია ძირითადად გვიან დამკვიდრდა, იქ ადგილობრივი ეკლესიები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში ადრიდანვე არსებობენ, კერძოდ „ეგრისის ეკლესია“ და „აფხაზეთის ეკლესია“.**

სეპარატისტულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული ე.წ. „ქართიზაციის“, გაქართველების თეორია ქართველთა ხსენებას აჩანაგებს ლამის ლიხის ქედის იქით, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდ ნაწილში. სეპარატისტი იდეოლოგები მსოფლიოში ავრცელებენ მოსაზრებას, თითქოსდა რიონის ხეობა და მთელი დასავლეთი საქართველო აფხაზების უძველესი საცხოვრისია, რაც თითქოსდა ტოპონიმიკითაც დასტურდება და ქუთაისიც ამიტომ იყო აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი, აფხაზთა ამ ქვეყანაში ქართველებმა (ე.წ. ქართებმა) მხოლოდ VIII-X საუკუნეებში შემოაღწიეს, გაბატონდნენ იქ, თავიანთი ენა თავს მოახვიეს აფხაზთა ეკლესიას, საბოლოოდ კი ეთნიკური აფხაზები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი სამშობლო (ე.ი. დასავლეთი საქართველო) და მთიანი რეგიონისათვის შეეფარებინათ თავი ენგურსა და კოდორს იქით

სამწუხაროდ, ეს არის ისტორიოგრაფიაში საკმაოდ გავრცელებული თვალსაზრისი, რომელმაც ჰპოვა კიდევაც შესაბამისი ასახვა საგანგებო ლიტერატურაში. მაგალითად, „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს I ტომში აფხაზეთის მიმართ გამოთქმულია იგივე თვალსაზრისი – რომ თითქოსდა არაბთა მპყრობელობის დროს (იგულისხმება VIII-X საუკუნეები) ქართლის მოსახლეობა მასიურად გადასახლდა დასავლეთ საქართველოში და იქ კულტურისა და საეკლესიო სფეროში თანდათან შეიტანა ქართული ენა, რომელიც აქ გადაიქცა ღვთისმსახურებისა და აგიოგრაფიის ენად. შესაბამისი ტექსტი ასეთია: **«Араб. завоевание Картли, територия к-рой входила в юрисдикцию Мцхетского Католикосата, вызвало массовую миграцию картлийского населения в Зап. Грузию, принесшую постепенное проникновение в культурные и церковные сферы Зап. Грузии восточногруз. (картлийского) языка, ставшего здесь языком богословия и агиографии» (Православная энциклопедия, Т. I. М. 2000, с. 68).**

რუსულ უახლოეს ენციკლოპედიაში გამოთქმული ამ მოსაზრების თანახმად, ქართული ენა მიიჩნევა არა საერთო ქართული ეთნოსის ენად, არამედ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ენად (იგულისხმება ე.წ. ქართის ტომი), რომელიც თითქოსდა არაბობის დროს მასობრივად გადასახლებულა (მიგრირებულა) დასავლეთ საქართველოში და იქ საეკლესიო და კულტურის სფეროში შეუტანია თავისი სატომო ენა, რომელიც აქ უკვე საეკლესიო ენად გადაქცეულა.

ესაა გამოძახილი ცნობილი ქართიზაციის თეორიისა, რომლის მიხედვითაც VIII-X საუკუნეებში მოხდა დასავლეთ საქართველოს ე.წ. ქართიზაცია, და ამით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ქართველი ხალხის ოჯახში შემოსვლა, მათ მიერ ქართული ენის შეთვისება, ამავე საუკუნეებში თითქოსდა მიმდინარეობდა სამხრეთ საქართველოს მკვიდრი ქალკედონიტი სომხების გაქართველება და იქვე მცხოვრები სხვა ტომების ქართიზაცია, ასევე მიიჩნევა, რომ თითქოსდა თვით აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილშიც ანტიკურ ხანაში ცხოვრობდა ჰერულ-ალბანური და ჩეჩნურ-დაღესტნური მკვიდრი მოსახლეობა და თითქოსდა ქართებმა ამავე ეპოქაში მოახდინეს ამ ტომების ქართიზაცია და შესაბამისად ამ მოსახლეობის ქართველი ხალხის ოჯახში შემოსვლა.

აი, ასე თანდათან ჩამოყალიბდა ერთიანი ქართველი ხალხი, მაგრამ მისი ჩამოყალიბების უფრო სავარაუდო პერიოდად მიიჩნევენ VI-XI საუკუნეებს. ეს არის ქართველი ხალხის ჩამოყალიბების

შესახებ ერთ-ერთი თეორია, ჩვენ მას შეიძლება ვუწოდოთ საბჭოთა თეორია, რადგანაც სწორედ საბჭოთა ეპოქაში გაბატონდა კიდეც ეს თეორია იტორიოგრაფიაში. ჩვენი ხალხის ჩამოყალიბების შესახებ სულ სხვა თვალსაზრისი იყო)ველ ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

რუსეთში გამარჯვებისთანავე ბოლშევიკ-კომუნისტებმა თავდაპირველად ისტორია როგორც მეცნიერება აკრძალეს, მაგრამ მალევე გადაწყვიტეს ის თავის სამსახურში ჩაეყენებინათ, შექმნეს ახალი ე.წ. მარქსისტულ-ლენინური ანუ საბჭოთა ისტორიოგრაფია. მისი საბოლოო მიზანი იყო ისეთივე, როგორც მეფეთა დროინდელი რუსეთის ხელისუფლებისა – პატარა ერების ისტორიათა გაყალბება მათი სწრაფი ასიმილაცია-გარუსების მიზნით, მაგრამ საბჭოური ისტორიოგრაფია ინიღბებოდა ე.წ. მარქსიზმ-ლენინიზმით

ჩვენი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის თანახმად, „გაბატონებულ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში განვითარდა მარქსისტული მიმართულება ისტორიოგრაფიაში“ (ᲥსᲔ 5, 243).

ვინ იყვნენ საქართველოში „გაბატონებული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის“ წარმომადგენლები, რომლებთანაც ბრძოლაში „განვითარდა მარქსისტული ისტორიოგრაფია“? ეს იყო დიდი ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი – დიდი ქართველი ისტორიკოსები, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ბაქრაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი, რომელთაც „ისტორიკოსის“ ტიტული ცხადია ჩამოართვეს საბჭოთა ეპოქაში.

1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ „შეიქმნა პირობები იმისათვის, რომ მარქსისტული მიმდინარეობა ისტორიოგრაფიაში ისტორიული მეცნიერების)ირითადი მიმართულება გამოხდარიყო მთელ საბჭოთა კავშირში. საბჭოთა ისტორიული მეცნიერება ყალიბდებოდა ბურჟუაზიულ-მემამულური და მენშევიკური ისტორიული კონცეფციების... ისტორიის სხვა დამმახინჯებელთა წინააღმდეგ მიმართულ მძაფრ იდეურ ბრძოლაში“ (ᲥსᲔ, 5, გვ. 243).

ასევე ჩამოყალიბდა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიაც, რომელიც გააფთრებით ებრძოდა „რეაქციულსა და იდეალისტურ“ მამაპაპეულ ისტოორიოგრაფიას მარქსისტული პოზიციებიდან“ (იქვე, 244), რათა არ მომხდარიყო „თავისი ქვეყნის როლის გაზვიადება მსოფლიო ისტორიაში დრომოჭმულ ისტორიულ წარმოდგენათა დაძლევის პროცესისას“ (იქვე, გვ. 244).

კომუნისტებმა ისტორიოგრაფიასთან ერთად ლინგვისტიკაც თავისი იდეოლოგიის საჭიროებისათვის გამოიყენეს.

ყველასათვის ნათელია და)ნელი დასაჯერებელია, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიის უმთავრესი თეორიები და დოგმები სასარგებლო იყო საქართველოსათვის. კერძოდ, ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პრობლემასთან დაკავშირებით საჭოთა ისტორიოგრაფიამ იმუშავა რამდენიმე ათეული წელი

კომუნისტმა იდეოლოგებმა თავიანთთვის სასარგებლოდ მიიჩნიეს უარეყოთ)ველქართულ მატიანეებსა და საისტორიო)ეგლებში გადმოცემული კონცეფცია ჩვენი ეროვნული ფესვების შესახებ, რომ საქართველო (როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი ნაწილი) უძველესი ხანიდანვე მხოლოდ ქართული მოსახლეობით იყო დასახლებული და რომ ამ არეალზე ქართველთა გამოჩენის შემდეგ სხვა უცხო ტომები არ ცხოვრობდნენ.

ყოველ)ველ ერს, რომელიც ბიბლიური ხანიდან ჩნდება ისტორიის ასპარეზზე, თავის უძველეს თავდაპირველ სამშობლოდ შუამდინარეთი და მასთან მიმდებარე ქვეყნები მიაჩნია, სადაც დაირწა აკვანი კაცობრიობისა. ასეთივე იყო)ველქართული თვალსაზრისი საქართველოში სადღაც სამხრეთიდან ქართველთა გადმოსახლების თუ ქართული პოლიტიკური ცენტრების გადმოტანის

შესახებ სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. მათ აქ ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში შეუქმნიათ ერთიანი სახელმწიფო ქართლის სამეფო, რომლის დასავლეთ საზღვარს წარმოადგენდა შავი ზღვა და მდინარე ეგრისწყალი (ახლანდელ აფხაზეთში), ხოლო აღმოსავლეთით ამ სახელმწიფოს საზღვარი აღწევდა ალბანეთ-სომხეთამდე. ამ ქვეყნის მოსახლეობა იყო ერთი ხალხი, ეგრისელები, მარგველები, დასავლეთ საქართველოს სხვა ჯგუფები, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად ერთი ენის მქონე ხალხს წარმოადგენდა, რომელმაც შექმნა კიდეც ეს სახელმწიფო.

„მოქცევაი ქართლისაის" ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით XII საუკუნის მოღვაწე არსენ ბერი წერდა: „ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით" (ძეგლ. ტ. III, გვ. 47) ანუ არსენ ბერი გადმოსცემდა)ველ ქართულ თვალსაზრისს, რომ ეთნოსი, მცხოვრები შავი ზღვიდან ვიდრე სომხეთ-ალბანეთამდე, ერთგვაროვანი იყო და ამ ხალხის დედა ენა იყო ქართული ენა, თუმცა ალბათ დიალექტები იმჟამადაც არსებობდა, მაგრამ ცხადია, ამ 2400-2300 წლის წინ ეს დიალექტები გაცილებით უფრო ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და, მაშასადამე, ფუძე ქართულ, ანუ სახელმწიფო ენასთან. ამიტომაც შეძლო კიდეც ამ ენის გავრცობა ფარნავაზმა იმჟამინდელ ქართლის სამეფოში ანუ „ყოველ ქართლში", რომელიც ფაქტიურად ემთხვეოდა დღევანდელი საქართველოს მიწა-წყალს და მასში აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად დასავლეთ საქართველოც შედიოდა. „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული" („ქართლის ცხოვრება", გვ. 26).

„ქართლის ცხოვრება" დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ფარნავაზის სახელმწიფოში ეგრისი, სვანეთი და არგვეთი საერისთავოებს წარმოადგენდნენ სხვა საერისთავოებთან ერთად. მაშასადამე, მთელი ამ არეალის მოსახლეობის სახელმწიფო და კულტურის ენას ქართული ენა წარმოადგენდა.)ველქართული თეორიით ქართული ენა დასავლეთ საქართველოში გავრცელდა არა VIII-X საუკუნეებში, როგორც მიიჩნევს ზოგიერთი საბჭოთა თეორეტიკოსი, არამედ თავდაპირველადვე წარმოადგენდა სახელმწიფო ენას. ამ საკითხს ქვემოთ უფრო გამოწვლილვით ვეხებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მატიანეებში გამოთქმული კონცეფციის თანახმად, პირველი ქართული სახელმწიფოს დროისათვის მთელი საქართველოს ტერიტორია გაწმენდილი იყო იქ ადრე მცხოვრები)ალზე მცირერიცხოვანი უცხოტომელებისაგან. ზემოთ აღნიშნული საბჭოური თეორიით კი საქართველოში ქართველებთან ერთად არაქართველი კავკასიური ტომებიც ცხოვრობდნენ, რომელთა ქართიზაცია ანუ გაქართველებაც თითქოსდა ხდებოდა ვიდრე X საუკუნემდე.

ეგრისი, სვანეთი და არგვეთი (შემდეგდროინდელი იმერეთი) ფარნავაზ მეფის სამეფოში შედიოდა საერისთავოთა სახით: ფარნავაზმა „მისცა ქუჯის ქუეყანა – ეგრისწყალსა და რიონს შუა ... რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ" (იქვ. გვ. 24). „ფარნავაზ მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა" (იქვე, გვ. 24). იგულისხმება ეგრისსა, სვანეთსა და არგვეთში ქართული ენა – ფარნავაზის დროიდანვე იყო გავრცელებული, ფარნავაზი ვერავითარი იძულებით შეძლებდა აქ ქართული ენის გავრცელებას, ეს ენა რომ არ ყოფილიყო აქ მოსახლეობის მშობლიური, დედა ენა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მემატიანის და საერთოდ)ველი ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით იმ ეპოქაში, ანუ ქრისტეშობამდე 400-300 წლით ადრე ე.წ. ქართებს და მეგრელ-ჭანებს შორის ენობრივი განსხვავება მხოლოდ დიალექტურ დონეზე არსებობდა, ანუ ფუძე ქართული ენა ჯერ სუსტად იყო დიფერენცირებული. იმხანად ე.წ. ქართებისა და ეგრისელების კილოები ჯერ კიდევ არ იყვნენ ენებად გადაქცეულნი და ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ, არსებობდა ზანურ-ქართული ენობრივი ერთობა – ჯერ კიდევ საერთო, სახალხო, საზოგადო ენა. იგი წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ყველა კუთხის ენას და მას უწოდებს მემატიანე – ქართულ ენას.

ამავე თვალსაზრისს უფრო დაბეჯითებით ავითარებს XII ს-ის ცნობილი ისტორიკოსი არსენ ბერი, რომელსაც ზემოთ შევეხეთ. ახლა კი განვაგრძოთ ჩვენ მემატიანეთა მტკიცებათა ციტირება, რომ დასავლეთი საქართველო უწყვეტად შედიოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს – „ქართლის სამეფოს“ შემადგენლობაში: დადგა მოციქულთა ეპოქა, ქრისტეშობის შემდეგ I საუკუნეა, მოციქულებმა, კერძოდ კი წმიდა ანდრია პირველწოდებულმა მოწაფეებითურთ იქადაგა კლარჯეთსა და დასავლეთ საქართველოში (ეგრისში), ამის შედეგად მკვიდრმა მოსახლეობამ მიატოვა)ველი რჯული, მემატიანე წერს: „ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან რჯულისა დატევება, განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი და იძულებით კუალადვე მოაქცივნა მეგრელნი და დამალნეს ხატნი და ჯუარნი და შერისხა მეფე ადერკიმ ერისთავი კლარჯეთისა მშვიდობით განტევებისათვის მოციქულისა“ (ქ.ც. I. გვ. 42).

ცხადია, ქართლის მეფე უცხო ერისთავებს ვერ დასჯიდა, სამხრეთ და დასავლეთ საქართველო იმჟამინდელი საქართველოს)ირითადი ნაწილებია.

სამეცნიერო სიახლე. ჩვენი გამოკვლევის თანახმად, ბერძნულ-ლათინურ წყაროებში ლაზიკა ეწოდებოდა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ თავდაპირველად ტრაპეზუნტის მიმდებარე მთიანეთს, შემდეგ კი ერგე-ლიგან-კლარჯეთს ზღვისპირითურთ.

ვფიქრობთ, რომ **ეს დასკვნა წარმოადგენს მნიშვნელოვან სამეცნიერო სიახლეს, რომელსაც პრეტენზია აქვს შეცვალოს საქართველოს ისტორიის შესახებ ის წარმოდგენები და დასკვნები, რომელნიც ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ძირითადად XX საუკუნის საბჭოთა საისტორიო სკოლის მიერ.**

მყარად ფესვგადგმული ამჟამინდელი შეხედულების თანახმად ლაზიკა ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საისტორიო **შეხედულება, რომ ლაზეთია დასავლეთ საქართველო, ამჟამად, წარმოდგენილია ვითარცა ფუნდამენტური სამეცნიერო საყრდენი საქართველოს ისტორიისა.** ამიტომაც გვესმის, რომ შესაძლოა ჩვენი ახალი შეხედულება, საცილობლად მოეჩვენოს საზოგადოების ნაწილს, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გვამხნევებს თვით პროკოფი კესარიელის სიტყვები, რომელმაც თითქოსდა ჩვენი ამბის შესახებ დაწერა: „შეჩვეული შეხედულება მიღებულია, ხოლო ახალი სასაცილოდ ჩანს...“

ყოველ შემთხვევაში ჩვენ ფურცელ-ფურცელ და შეიძლება ითქვას სიტყვა-სიტყვით ვიხილავთ პროკოფის თუ აგათიას იმ ნაშრომებს, რომელნიც ლაზიკას ეხებიან და მათი ანალიზის საშუალებით ვცდილობთ მკითხველიც დავარწმუნოთ ჩვენს სიმართლეში.

ეს კვლევა თვითმიზანი არ ყოფილა ვინმეს განსაქიქებლად მიმართული, სინამდვილეში ჩვენ გვაინტერესებს **ქართული ეკლესიის იურისდიქციის საკითხი დასავლეთ საქართველოში**, როგორც ჩემს წინა მრავალ ნაშრომშია აღნიშნული, ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით დასავლეთ საქართველო იმთავითვე ე.ი. წმიდა მოციქულებისა და განსაკუთრებით წმიდა ნინოს დროიდან, ე.ი. IV ს-დან შედიოდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში.

სიახლე.

1) **ლაზიკის ეპარქია არ მოიცავდა რიონის ხეობის შესართავსა და მიმდებარე სანაპიროს; გამოვიკვლიეთ, რომ ლაზიკის ეპარქია მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქალდეა-იბერიის თემების რეგიონში;** მეცნიერულად დადგენილ ფაქტად მიაჩნიათ რომ ლაზიკის ცენტრები მდებარეობდნენ რიონის დაბლობში.

გაბატონებულ თვალსაზრისს, რომ ბერძნული წყაროების ლაზიკა იყო დასავლეთ საქართველო და ის ერთ პერიოდში უცხოეთის ეცლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა - მეც ვიზიარებდი, მაგრამ იმის გამო, რომ ძველი ქართველი მემატიანეებისათვის სრულიად უცნობია ბერძნული საეპისკოპოსოების არსებობა დასავლეთ საქართველოში, გადავწყვიტე გამომეკვლია სინამდვილეში თუ სად მდებარეობდნენ ლაზიკის საეპისკოპოსოები. რისთვისაც, როგორც აღინიშნა, საჭირო იყო გარკვევა იმისა ეთანადება თუ არა ლაზიკის პროკოფი კესარიელისეული გეოგრაფიული აღწერილობა თანამედროვე დასავლეთ საქართველოსას. ასევე საჭირო იყო კვლევა იმისა ეთანადება თუ არა პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილი მდინარე ფაზისის აღწერილობა მდ. რიონისას .

პროკოფის ცნობით ლაზიკის უმთავრესი მდინარეა ფაზისი, ლაზიკა მის სანაპიროებზეა განფენილი. ფაზისი დიდი სიჩქარით შეედინება ზღვაში. მაშასადამე ბერძენ და ლათინ მცერალთა აღწერით **ფაზისი მთის მდინარეა**, მისგან განსხვავებით ზღვის შესართავთან დაბლობში გამდინარე **რიონი ბარის მდინარეა**. რიონის შესართავთან ფოთი-სამტრედიის ძალზე ვრცელი ვაკე თითქმის ზღვის ნულოვან დონეზე მდებარეობს, უფრო მეტი, ზოგიერთი ნაკვეთები ზღვის დონეზე დაბლაცაა განლაგებული, ამიტომაც მდ. რიონი არა მხოლოდ ქმნიდა უზარმაზარ ჭაობებს ამ ვრცელ ვაკეზე, არამედ იკარგებოდა კიდეც ამ ჭაობებში და ის ძნელად უერთდებოდა ზღვას. საბჭოური ეპოქის დიდი სამეცნიერო და სამშენებლო ძალები შეეჭიდა სამუშაოს, რათა შეექმნათ კალაპოტი მდ. რიონისათვის, რაც თითქმის საუკუნოვანი შრომის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

მიუხედავად ასეთი უზარმაზარი სამუშაოებისა მდ. რიონის სიჩქარე მართალია ოდნავ გაიზარდა მაგრამ, ამჟამადაც, თვითმხილველ დამკვირვებელთა თქმით, ძნელად უერთდება ზღვას: კერძოდ ხან რიონი შედის ზღვაში დიდი გაჭირვებით, რადგანაც ზღვის დონეზეა მისი დელტა, ხან კი პირიქით ზღვა შედის რიონის კალაპოტში, ანუ შედინების ამ ადგილას არის ზღვისა და მდ. რიონის მიქცევა-მოქცევა.

რიონი ზღვის შერთვის ადგილას არის ბარის მდინარე და ის არ შეიძლება იყოს მთის მდინარის-ფაზისის უგემრიელესი სასმელი წყალი, რომელსაც არიანეს თქმით მეზღვაურები იღებდნენ და ინახავდნენ, რადგანაც არ უგემურდებოდა და არ ფუჭდებოდა. ბარში რიონის წყალი იმთავითვე – სასმელად უვარგისი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყოველთვის იყო ჭაობის მდინარის წყალი. მაგრამ სულ სხვა ჭოროხი – ესაა ნამდვილად ზღვაში შემდინარე მთის წყალუხვი მდინარე. აღსანიშნავია, რომ რიონის ქვემოწელსა და ფოთში მუდამ იდგა და ახლაც დგას სამელი წყლის მწვავე დეფიციტის პრობლემა და ის მილებით შეიყვანეს ფოთში 50-60 კილომეტრით დაშორებული მთისწინეთიდან.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რიონის უზარმაზარი ჭაობები იყო მალარიის კერა. ძველად გავრცელებული ციებ-ცხელება აავადებდა ადამიანებს, მალარია კი არ აძლევდა ადამიანებს საშუალებას ეცხოვრათ და ეღვაწათ მდ. რიონის ქვეყანაში ანუ ზღვიდან თანამედროვე სამტრედიამდე და თითქმის ქუთაისამდე. მალარიას ყველა ერიდებოდა.

ეს ციებ-ცხელება აიძულებდა ადამიანებს მიეტოვებინათ რიონის პირა დაბლობის (ანუ თანამედროვე რიონის ვაკის) ტერიტორია და მთისწინეთისა და მთა-გორაკებისათვის შეეფარებინათ თავი. გარდა ამისა, აღნიშული დაჭაობების გამო რიონის პირა ვაკე ფოთიდან სამტრედიამდე დაფარული იყო ჭაობის ტყეებით, ბუჩქნარებითა და ეკალბარდებით. მიწა კი წყლით იყო გაჯერებული, აქ ადამიანებს არ ეცხოვრებოდათ. შესაბამისად არც ეკონომიკა და აღებ-მიცემობა იყო განვითარებული, არ იყო გზები და შესაბამისად, არც რიონზე გადებული 120 ხიდი.

მეორე მხრივ, ტექნოლოგიურად შეუძლებელია ბარში რიონზე 120 ხიდის გადება, ამჟამადაც, XXI ს-ში, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში მდ. რიონზე სულ რამდენიმე ხიდია გადებული (იგულისხმება ქ. ქუთაისიდან ფოთამდე). საქმე ისაა, რომ მდ. რიონის კალაპოტი ძალზე განიერია, დატოტვილია, ძველად არასდროს ჰქონდა ერთი კალაპოტი, რადგანაც ხშირად იცვლიდა მას, მაგრამ მდ. რიონის დაბლობზე მდ.რიონზე 120 ხიდის გადებება შეუძლებელი იყო უპირველესად ტექნიკური მიზეზების გამო:

ფოთიდან თითქმის ქუთაისამდე რიონის სანაპიროები ხიდის ბურჯებისათვის არ შეიცავს მყარ გრუნტს, ამიტომაც საჭიროა ხიდის ბურჯების ასაგებად მნიშვნელოვანი საინჟინრო სამუშაოების ჩატარება. ძველ დროს ხიდის ბურჯებს აყრდნობდნენ **კლდოვან ქანებს** ანდა მყარ გრუნტს, რომელსაც გარკვეულწილად აძლიერებდნენ, ამიტომაც ხიდების აგებისათვის შესაბამისი გრუნტის სანაპიროს მოძებნა იყო საჭირო.

რიონის ვაკე-დაბლობის ჭაობები, განსაკუთრებით კი სანაპიროები არც ახლა და მითუმეტეს 2000-1500 წლის წინ, ამის საშუალებას არ იძლეოდა. ჭაობის ლია („პალია“) ანუ წყლით გაჯერებული მიწა – განიერი მდინარისათვის საჭირო გრძელი ხიდის მძიმე ბურჯებს ვერ დაიჭერდა. **ამისათვის ძველ დროს, როგორც ითქვა, კლდოვან სანაპიროებს იყენებდნენ. კლდეებზე, როგორც წესი, ძველი ტექნოლოგიების შესაბამისად იდგმებოდა ხიდის ბურჯები. მდ. რიონის დაბლობზე კი კლდეები არ არის**.

იყო თუ არა მდ. ფაზისზე ასი ან მეტი ხიდი? უნდა ვიგულისხმოთ რომ იყო, მაგრამ არა მდ. რიონზე არამედ მდ. ჭოროხსა და მის შენაკადებზე. პროკოფი ხშირად წერს – **„მდ. ფაზისის ორივე სანაპირო არის კლდოვანი და ამიტომ მისი კალაპოტი უცვლელია“**, სწორედ ამ მდინარის პირა კლდეებზე იდგმებოდა ხიდის ბურჯები, რომელზეც ძველი ტექნოლოგიების შესაბამისად დგამდნენ თაღოვან ხიდებს. მართლაც **მდ. ჭოროხის ხეობაში, შენაკადებზე, დღემდეა მოღწეული ათეულობით უძველესი თაღოვანი ხიდი,** გადებული ღრმა მდინარეებზე, მაგრამ რიონის ბარში ქუთაისიდან ფოთამდე არც ერთი ასეთი ძველი თაღოვანი ხიდი არც რიონზე და არც მის შენაკადებზე არაა და ეს ბუნებრივიცაა, **ასეთი ხიდების გადება რიონის ბარში შეუძლებელია**, ჭოროხის ხეობაში ეს შესაძლებელია

და აგებდნენ კიდეც. აი, აქ ე.ი. მდ. ჭოროხსა და მის შენაკადებზე, ამ არეალში უნდა ყოფილიყო სტრაბონის 120 ხიდი გადებული.

მდ. რიონის ერთი სანაპიროდან მეორეზე გადადიოდნენ არა ხიდებით, არამედ **ბორნებით** – გაჭიმული იყო ბაგირები, რომელზეც ტივები ან ნავები იყო გამობმული, რომლებიც ერთ სანაპიროს აერთებდნენ მეორესთან – ეს იყო ბუნებრივი წესი გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე. ერთი სიტყვით, ქუთაისიდან ფოთამდე რიონი არის ზღვის დონეზე მდებარე უვრცელეს ვაკეზე (ე.წ. რიონის დაბლობზე) გამდინარე ბარის წყალი, ხოლო ფაზისი მთის მდინარეა.

ვარციხე არაა როდოპოლისი; ეს უკანასკნელი მდებარეობდა მდ. კალაპოტამისის ხეობაში,ქართველთა ისტორიულ მიწა-წყალზე ოფ-რიზესთან ახლოს.

გუდაყვა არაა ზიგანა (ე.წ. ზიგანევი); ზიგანა მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ქალდეას (ლაზეთის) მნიშვნელოვან ცენტრებთან ახლოს თანამედროვე გუმუშხანეს რეგიონში.

ნოქალაქევი არაა არქეოპოლისი; პროკოფისა და სხვა ავტორების სეჯერებით გამოვიკვლიეთ,რომ არქეოპოლისი უნდა მოვიძიოთ ციხისძირთან ახლოს, ხოლო პეტრას სიმაგრე ხოფა- ხუფათთან. აღსანიშნავია, რომ სხვაგან მდებარეობდა პეტრას საეპისკოპოსო კათედრა, სავარაუდოდ თანამედროვე ბედრომის(პეტრონის) ციხე-სიმაგრესთან ახლოს. მაშასადამე, **პეტრას კათედრა** ტრაპეზუნტის რეგიონში მდებარეობდა, ხოლო **პეტრას ციხე-სიმაგრე** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

2). ქ. **ფაზისი გონიოს არეალთან მდებარეობდა**.

ჩვენი კვლევით ძველი ავტორების მდ. ფაზისი, ძირითადად მდ ჭოროხია, ხოლო ქ.ფაზისი მდ. ფაზისის მარცხენა ნაპირას, ზღვისპირზე მდებარეობდა, ასეთი განლაგება აქვს თანამედროვე გონიოს. ქ.ფაზისს სამხრეთის მხრიდან ტბა ესაზღვრებოდა. ჭოროხის ხეობის უცხოელი მკვლევარის ე. ვეიდენბაუმის ცნობით, XIX ს. ბოლოსაც კი მდ. ჭოროხის შესართავის დასავლეთ ნაპირის მხარეს ზღვისპირზე პატარა ტბები და გუბურები იდგნენ, მათი ნაშთები დღესაც იქვეა, თუმცა კი ამ ჩავარდნილ ადგილზე ინტენსიურად ყრიან ინერტულ მასალასა და სამშენებლო ნარჩენებს ტბა-გუბურების ამოვსების მიზნით ბოლო 50 წლის მანძილზე. აღსანიშნავია, რომ ცნობილი არქეოლოგი შლიმანი აქ აპირებდა კოლხეთის ცენტრის მოძიებას.

3) **სკანდასა და სარაპანას სიმაგრეები მდებარეობდნენ არა იმერეთში, არამედ არსიანის ქედზე, არტანუჯ-არტაანის შემაერთებელ საერთაშორისო გზაზე.**

პროკოფის მიერ აღწერილი სიმაგრეები სკანდა და სარაპანა იმდენად მაღალმთიანეთის ზონაში მდებარეობდნენ, რომ იქ არ მოდიოდა არავითარი ბარის ზონისათვის დამახასიათებელი მოსავალი, მაშინ, როცა მაგალითად, იმერეთის სკანდე და შორაპანი ზღვის დონიდან მდებარეობენ სულ რაღაც 100-170 მეტრის სიმაღლეზე, სუბტროპიკულ ზონაში, ირგვლივ ჩაფლულნი არიან ბაღებსა და ვენახებში, მათ არე-მარეზე მოდის ყოველგვარი მოსავალი, მათ შორის სუბტროპიკული ხილიც, აქვთ შესანიშნავი და ზომიერი ჰავა, ხოლო, როგორც იტქვა, პროკოფი კესარიელის მიერ გადმოცემული „სარაპანა“ და „სკანდა“ მდებარეობდნენ მაღალ-კლდოვან ადგილას, სადაც არ მოდიოდა არავითარი მოსავალი, იქ არც ვენახი ხარობდა და არც რაიმეს მოწევა შეიძლებოდა. ხარ-ცხენით ასვლაც კი გაძნელებული იყო სიმაღლისა და კლდოვანობის გამო და ამის გამო ადამიანებს საკუთარი მხრებით აჰქონდათ სურსათი. ცხადია, ამ ნიშნებით

ისინი მდებარეობდნენ ალპურ ანდა სუბალპურ ზონაში,ე.ი. ზღვის დონიდან 1500-2000 მეტრ სიმაღლეზე.ამ ნიშნით ისინი არ იყვნენ თერჯოლა-ზესტაფონის სკანდე და შორაპანი.. ასევე ითქმის სხვა პუნქტების შესახებაც.

ს. ყაუხჩიშვილი სრულიად სამართლიანად წერს – „არის შემთხვევები, როდესაც ძველი და რომელიმე ახალი პუნქტის სახელწოდებათა გარეგნულ მსგავსებას შეცდომაში შეჰყავს მკვლევარი“ (გეორგიკა, III, 1936, გვ. VII).

მართლაც, ჩვენი თვალსაზრისით, ძველი და ახალი პუნქტების სახელწოდებათა გარეგნულმა მსგავსებამ შეცდომაში შეიყვანა თვითონ ს. ყაუხჩიშვილი, კერძოდ, სახელწოდებათა გარეგნული მსგავსების გამო გამოცხადდა იმერეთში მდებარე პუნქტი სკანდე ისტორიული ლაზიკის ციხე-სიმაგრე სკანდად, ასევე გარეგნული მსგავსების გამო გაიგივდა ძველი ბერძნული „სარაპანა“ და იმერეთის შორაპანი, ასევე იმერეთის ვარციხე (თითქოსდა ვარდციხე) – ბერძნულ „როდოპოლისთან“, ხოლო ნოქალაქევი – „არქეოპოლისთან“ და ა.შ.

ალბათ საყურადღებოა,რომ XX ს.-ის 30-იან წლებში, კომუნისტური ვითარების გამო, თუ უფროსობას არ დაარწმუნებდნენ, რომ ძველ ბერძენ ავტორთა მიერ ნახსენები პუნქტები მდებარეობდნენ „ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე“ –მეცნიერული მუშაობისა და კვლევის უფლებას არ მისცემდნენ. მართლაც ს.ყაუხჩიშვილი წერს – „ყველა ეს საკითხი მოითხოვს გარკვევას, და როდესაც **ამ საკითხების აღმძვრელი გეოგრაფიული ადგილები ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობენ, დანაშაული იქნებოდა გვერდი აგვევლო ამ საკითხებისთვის. უნივერსიტეტის რექტორის ამხ. კ. ორაგველიძის დახმარებით ჩვენ საშუალება მოგვეცა ადგილობრივ ჩაგვეტარებინა კვლევა“** (იქვე, გვ. VII). კ. ორაგველიძე ამასთანავე პარტიის ცკ-ს მდივანი იყო, „ჩვენი რესპუბლიკის“ გარეთ იმჟამად თურქეთში მოქცეულზე მდებარე პუნქტების კვლევა შეიძლება საშინელ დანაშაულადაც ჩათვლილიყო.

4) ჩვენი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ **დასავლეთ საქართველოს შესახებ ძველქართული წყაროებისა და ბერძენ-რომაელ მწერალთა ცნობები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან.** მაგალითად ცნობები ლეონტი მროველისა და პროკოფი კესარიელისა დასავლეთ საქართველოს მიმართ.

მაშინ, როცა აქამდე ქართული წყაროების ცნობები დასავლეთ საქართველოს მიმართ მიუღებლად და უსარგებლოდ ითვლებოდა.

მაგალითად, ივ. ჯავახიშვილისეული ,,ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილების შეფასება კატეგორიულად უარყოფითია: -

„წყაროები, რომელიც **ლეონტი მროველს** მოხსენებული აქვს და სარგებლობს, თითქმის ყოველგვარ ისტორიულ ღირსებას არიან მოკლებული, ამიტომ **მისი თხზულება, როგორც სანდო მასალა ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის ახლა თითქმის სრულებით გამოუდეგარია“** (ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ. ტ. 8, 1977, გვ. 187).

ივ. ჯავახიშვილს ,,ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილის ისტორიული ინფორმაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, რადგანაც, იმჟამინდელი თვალსაზრისით, ლეონტისა და ჯუანშერის ცნობები ეწინააღმდეგებოდნენ ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებს.

ჩვენი კვლევით კი ახალ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შეიქმნა სისტემა, რომელშიც ძველქართული წყაროებისა და ბერძენ- ლათინი მწერლების ცნობები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან

5) ფასიდი-ფადისაა ანუ პოლემენიონი. ძალზე მნიშვნელოვანია ახალი ქართული ისტორიოგრაფიისათვის ქალაქ ფასიდი-ფადისას ლოკალიზაცია, საქმე ისაა, რომ VII მსოფლიო კრების აქტებს სამჯერ მოაწერა ხელი ტრაპეზუნტის ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ, ვითარცა **„ტრაპეზუნტისა და ფასიდის ეპისკოპოსი“.**

ფასიდი(ფადისა) ერქვა ცნობილ საეკლესიო და პოლიტიკურ ცენტრს ტრაპეზუნტთან ახლოს, მას ასევე **პოლემონიონი** ერქვა. ქალაქი პოლემონიონი იმდენად ცნობილი იყო, რომ მისი სახელის მიხედვით მის მომცველ პროვინციას **პოლემონის პონტო ეწოდა. პოლემონიონი (ფადისა) სამიტროპოლიტო ცენტრიც იყო.**

ჩვენი მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ ფასიდი-ფადისა არის ფოთი, ამიტომაც მიიჩნევდნენ, რომ ფოთში იყო ბერძნული სამიტროპოლიტო კათედრა, ცნობილი ფასისის სამიტროპოლიტოს სახელით. ჩვენი მეცნიერების აზრით შემდეგ ეს კათედრა ფოთიდან გადატანილი იქნა ტრაპეზუნტში.

ჩემი თვალსაზრისით კი **„ფასიდის“ ქვეშ იგულისხმებოდა ტრაპეზუნტთან ახლოს, მის დასავლეთით, ორდუსთან ახლოს მდებარე ქალაქი ფადისა - ფატსა (თანამედროვე სახელი ფატსა).**

ჩემი მოსაზრება, ვფიქრობ, ფაქტიურად დაადასტურა 2001 წელს ვაშინგტონში დაბეჭდილმა წიგნმა „Bizantine Seals“ აქ 83-ე გვერდზე განხილულია ქ. პოლემონიონის მონეტები და მოყვანილია ცნობა - „30. **Polemonion.** Polemonion,a twin town with **fadisane/fatsa**, gave its hame the river **Boliman**~ (Catalogue of Bizantine Seals at dumbarton oaks and in the Fogg Museum of art, volume 4, The East, 2001, გვ. 83).

მაშასადამე ფადისა მეორე სახელად ერქვა ქ. პოლემონიონს, რომელიც ტრაპეზუნტის დასავლეთით მდებარეობდა. სახელების- ფადისა, ფასიდი, ფასისის ეტიმოლოგიური ერთიდაიგივეობა თვიანთი კვლევებით დაადასტურეს მ. ბერძნიშვილმა და სხვა მკვლევარებმა. ერთ დროს თვითონ ტრაპეზუნტი, ვითარცა რიგითი საეპისკოპოსო შედიოდა პოლემონიონის ეპარქიაში, ხოლო ქრისტოფორემ VII ს-ში, ჩანს, სამიტროპოლიტო ცენტრად გადააქცია ტრაპეზუნტი, ხოლო ფადისა (ანუ ქ. პოლემინიონი) დაიტოვა თავისსავე სამღვდელმთავრო გამგებლობაში, ამიტომაც ასე იწოდა - „ქრისტეფორე ტრაპეზუნტისა და ფასიდის ეპისკოპოსი“. ასევე მოაწერა კიდევ ხელი კრების დადგენილებებს.

№3 და №4 ნოტაციებით (806-815 წლებში) და ასევე №5 ნოტაციით (820-829 წლები) პ. ინგოროყვას კვლევით, **ტრაპიზონის კათედრას ეწოდება - „პოლემონის პონტოს კათედრა“ მე-8 საუკუნეში** (პ. ინგოროყვა, გვ. 237, შენიშვნა 1), პოლემონს - ფადისა ერქვა, მის კათედრას კი „ფასიდისა“ ერქვა.

ე.წ. ფოთ-ფაზისისა და ტრაპეზუნტის კათედრების ერთმანეეთთან დაკავშირება შეცდომაა, ერთთმანეთს ქართველთა ძველი ქვეყნის – ლაზეთის ქალაქების ტრაპეზუნტისა და პოლემონიონის (ფასიდა-ფადისას) კათედრები უკავშირდებოდდნენ.

6) ვალაშკერტსა, ანისსა, ტაოსა, ბასიანსა და მიმდებარე მხარეებში მოხდა არა სომხური მოსახლეობის „ქართიზაცია“ მათი გაქალკედონიტების შედეგად, არამედ ეს მხარეები წარმოადგენდნენ ნაწილს ისტორიული იბერიისა, იმთავითვე იბერებით დასახლებულთ, ძვ.წ. II საუკუნიდან, სტრაბონის ცნობით, მცხოვრებთ არმენიის საზღვრებში. მათი არმენიზაციის მიუხედავად არმენიის იბერების ნაწილმა შეძლო ეროვნულ-ქართული იდენტის შენახვა და VIII-IX სს.-დან მათ დაუფარავად აღიარეს თავიანთი ქართველობა.

ნაწილი I

შესავალი

ჩვენს თანამედროვე ისტორიოგრაფიაში განმტკიცებულია თვალსაზრისი, რომ ქრისტიანობის გავრცელების ხანაში საქართველოში ჩამოყალიბდა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საეკლესიო იურისდიქცია. ნ. ლომოური წერს – „როდესაც მოხდა ქრისტიანობის დამკვიდრება, საქართველო წარმოდგენილი იყო ორი პოლიტიკური ერთეულით: აღმოსავლეთ საქართველო (ე.ი. ქართლის ანუ იბერიის სამეფო) და დასავლეთ საქართველო (ე.ი. ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფო). ამ ორ სახელმწიფოებრივ ერთეულში ქრისტიანობის გავრცელება და საბოლოო დამკვიდრება სხვადასხვა გზით და სხვადასხვა სიტუაციაში ხდებოდა“ (ნ. ლომოური, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, საქ. ეკ. კალენდარი, 2001, გვ. 113).

ნ. ლომოურისა და სხვა ცნობილ მეცნიერთა ამ აღიარებული თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველო გააქრისტიანა არა წმიდა ნინომ, არამედ იქ ქრისტიანობა გაავრცელა ბიზანტიამ და ამის გამო დაარსდა კიდევაც იქ კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ ბერძნული საეპისკოპოსოები (ფასისის სამიტროპოლიტო, საისინის (ცაიშის), როდოპოლისის (ვარციხის), ზიგანევისა (გუდავის) და პეტრას (ციხისძირის) საეპისკოპოსოები).

დასავლეთ საქართველოში, ნ. ბერძენიშვილის აღიარებული თვალსაზრისით, კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ არსებობდნენ ეგრისისა და აფხაზეთის ეკლესიები, რომელნიც დაახლოებით VIII ს-სათვის გაერთიანდნენ და შემდგომ (IX-X სს-ში) გამოეყვნენ კონსტანტინოპოლს და შეუერთდნენ ქართულ ეკლესიას (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 1973, გვ. 427).

აფხაზი საეკლესიო ისტორიკოსის დ. დბარის მტკიცებით IX-X სს-ში „აფხაზური ეკლესია და აფხაზური სახელმწიფო ქართველმა აგრესორებმა ქართული ეკლესიის წინამძღოლობით დაიპყრეს და აფხაზური ეკლესია ჩაკლეს“ **(Иеромонах Дорофей (Дбар). “Краткий очерк истории Абхазской Православной Церкви”, Новый Афон, 2005 г.).**

ამ აფხაზი სეპარატისტის მოსაზრებას წინ უძღვის ჩვენი მეცნიერების მსგავსი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ, თითქოსდა, საქართველოს ეკლესიამ ქართული ენა დასავლეთ საქართველოში გაავრცელა IX-X სს-ში, განდევნა იქიდან ბერძენი ეპისკოპოსები და იქ თვითონ „გაბატონდა“: „კონსტანტინოპოლიდან გამოყოფის შემდგომ იწყება ბერძნული კათედრების მოშლა და მათ საპირისპიროდ ქართული საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება“ (ნარკვ., II, გვ. 427). „დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც ხელი შეუწყო დასავლეთ საქართველოს ქართიზაციის პროცესს“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ. „საქ. სსრ“, 1981 წ., გვ. 61).

საეკლესიო კანონების დარღვევით, თურმე ქართული ეკლესია შეჭრილა სხვა ეკლესიის (კონსტანტინოპოლის) იურისდიქციაში (დასავლეთ საქართველოში), იქ გაუუქმებია ბერძნული კათედრები და დაუარსებია საკუთარი, ამის საფუძველი ყოფილა „ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი“ (დ. მუსხელიშვილი, ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი. II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24-26 ნოემბერი. 2005, გვ. 33).

ჩვენი თანამედროვე გამოჩენილი ისტორიკოსების თვალსაზრისით, პროზელიტური

ქართული ეკლესია ებრძოდა კონსტანტინოპოლს. ამის შესახებ თ. პაპუაშვილი წერს – „ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით“ (საქ. ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 586).

მაშასადამე, ოფიციალური თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველო გაქრისტიანების შემდეგ თითქმის 500 წელი იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში და შემდეგ „პროზელიტურმა ქართულმა ეკლესიამ“ გააუქმა იქაური ბერძნული საეპისკოპოსო კათედრები, რომელთა ნაცვლადაც საკუთარი დააფუძნა.

ეს მოსაზრებანი მთლიანად ეწინააღმდეგებიან რუის-ურბნისის კრების წმიდა მამებისა და სხვა ძველი ქართველი ისტორიკოსების მტკიცებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

რუის-ურბნისის კრების ღვთივგანბრძნობილ მამათა თქმით, საქართველო ერთიანი ქვეყანა იყო, როგორც წმ. ანდრია პირველწოდებულის, ისე წმ. ნინოს დროს, ამიტომ წმ. ანდრია და წმ. ნინო არიან სრულიად საქართველოს და მთელი ქართველი ერის განმანათლებლები, ე.ი. დასავლეთ საქართველო გაქრისტიანდა არა კონსტანტინოპოლის, არამედ წმ. ანდრიასა და წმ. ნინოს მიერ, ამიტომაც ისინი წერდნენ: „პირველწოდებული ანდრია ჩვენდამდეცა მოიწია და იქადაგა საცხორებელი ქადაგება სახარებისა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“ (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545), ხოლო წმ. ნინომ „სარწმუნოებასა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“ (იქვე, გვ. 546).

ყველა ძველი ქართული წყაროს ცნობით, წმ. ანდრიამ იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ხოლო წმ. ნინომ მთელი ქართველი ერი (ყოველი სავსება) გააქრისტიანა. მაშასადამე, დასავლეთ საქართველო გაქრისტიანებისთანავე იყო ქართული (მცხეთის) ეკლესიის იურისდიქციაში.

ქართულ წყაროებში (“ქართლის ცხოვრება”, “მოქცევაი ქართლისაი” და სხვა) არ არის ოდნავი მინიშნებაც კი იმისა, რომ დასავლეთ საქართველო როდესმე იყო კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ. ის იმთავითვე, როგორც ითქვა, მცხეთის იურისდიქციაში შედიოდა.

მაშ რატომ განმტკიცდა თვალსაზრისი, რომ დასავლეთ საქართველო იყო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში? ამის ერთ-ერთი მიზეზი არის წყაროთა მონაცემების არასწორი გააზრება. ჩვენი კვლევის უმთავრეს საგანს წარმოადგენს ლაზიკის სამეფოს ადგილმდებარეობის დადგენა, ანუ სად იყო ლაზიკა გეოგრაფიულად განლაგებული: მდ. რიონის აუზში თუ მდ. ჭოროხის ხეობაში. საშური საკვლევია ასევე, ბერძნული საეპისკოპოსოების განლაგებაც. იმთავითვე ეს საკითხი სადავო იყო, მაგალითად ნ. ადონცი და სხვა მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს საეპისკოპოსოები განლაგებულნი იყვნენ ქართველთა უძველეს სამშობლოში, რომელსაც „ქალდეა“ (ტრაპეზუნტის ოლქი, იგივე ე.წ. „სოფელი მეგრელთა“) ერქვა, და არა დასავლეთ საქართველოში.

აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება აღნიშნულ და მსგავს მოსაზრებებთან დაკავშირებით. მაგალითად, როგორც ვთქვით, ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსების აზრით წმ. ნინოს არ უქადაგია დასავლეთ საქართველოში, რაც მიუთითებდა იმის შესახებ, რომ იმთავითვე დასავლეთ საქართველო უცხო საეკლესიო იურისდიქციაში იყო. ერთ უცხოელ პატრიარქსაც (მიხეილს) წამოუყენებია მსგავსი თვალსაზრისი, რითაც სურდა საქართვე-

ლოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევა და მასზე გაბატონება. ამ ქმედებას ასე აფასებს ივ. ჯავახიშვილი – „გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულთმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ნიკოლოზ კათალიკოსიც, წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა – „ჩვენ ქართველთაისა“. ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილებს ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღწვოდნენ. **ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. III, გვ. 340).**

სამწუხაროა, რომ ძველ ქართველ სახელოვან მეცნიერთა (ივ. ჯავახიშვილის შეფასება) შემეცნებას სპობს ზოგიერთი ახალი ქართველი მეცნიერი იმის მტკიცებით, რომ თითქოსდა რიონის აუზში მდებარეობდა ლაზიკა კონსტანტინოპოლის საეკლესიო იურისდიქციის ქვეშ მყოფი ბერძნული საეპისკოპოსოებით.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ერთ ნაწილს ჩვენი გამოკვლევისა „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოები ლაზიკაში“, რომელშიც „ძველ ქართველ მეცნიერთა“ შესაბამისად ვამტკიცებთ, რომ პროკოფისეული ლაზიკა მოიცავდა ჭოროხის აუზს და „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირს“, ხოლო ლაზიკის აღნიშნული საეპისკოპოსოები ტრაპეზუნტის მთიანეთში იყვნენ განლაგებულნი და არა დასავლეთ საქართველოში.

აქედან გამომდინარე, იმთავითვე, დასავლეთ საქართველო მცხეთის იურისდიქციაში იყო.

თავი I

ბერძნულ-რომაული წყაროები კოლხეთისა და ლაზიკის შესახებ

1. სტრაბონი კოლხეთის შესახებ

თ. ყაუხჩიშვილი წიგნში „სტრაბონის გეოგრაფია“ (1957წ.) წერს - სტრაბონის ცნობით „კოლხები მოხსენებულნი არიან არა იბერია - ალბანიის გაყოლებაზე, არამედ უფრო სამხრეთით - არმენიის გასწვრივ (სტრაბ. 11.5.28).

ამავე მოსაზრებას, რომ კოლხები ცხოვრობენ არმენიელების გასწვრივ და არა იბერებისა, სტრაბონი სხვაგანაც იმეორებს. თ. ყაუხჩიშვილი წერს (გვ. 21) - „ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ იბერიელები და ალბანელები კოლხებს ზემოთ მცხოვრებლებად არიან გამოცხადებალი“ (სტრაბ. VI, 4,2).

მაშასადამე, სტრაბონის თვალსაზრისით კოლხეთი მდებარეობდა არა დასავლეთ

საქართველოში, არამედ მის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს - ტრაპეზუნტიდან ჭოროხის მიმართულებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში აღმოჩნდებოდა კოლხეთი - არმენიის გასწვრივ, ხოლო მის „ზემოთ“ კი აღმოჩნდებოდა იბერია და ალბანია. ანუ კოლხეთი - იბერიის სამხრეთით (სამხრეთ-დასავლეთით) მდებარეობდა და მოიცავდა სტრაბონის ცნობით რეგიონებს ტრაპეზუნტისა და ჭოროხის ხეობისა, მართლაც, სტრაბონი იმიტომ იმეორებს თავის თხზულებაში დაბეჯითებით, რამდენჯერმე, მდინარე ფასისის არმენიაში ყოფნის შესახებ, რომ მას ფასისად მიაჩნია მდ. ჭოროხი. მხოლოდ ასეთი განლაგების შემთხვევაში აღმოჩნდება კოლხეთი იბერიის სამხრეთით, ხოლო იბერია კი მის „ზემოთ“.

თ. ყაუხჩიშვილი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და წერს - „სტრაბონის მეორე რიგის ცნობებში კოლხიდა ისეა განსაზღვრული, რომ ის აღმოსავლეთითაა კაპადოკიისაგან, ერთ ხაზზეა არმენიასთან და იბერია და ალბანია მასზე უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობენ“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 283).

აშკარაა, რომ სტრაბონის ამ ცნობების მიხედვით კოლხიდა მდებარეობდა არა „იბერიის გასწვრივ“ ე. ი. დასავლეთ საქართველოში, არამედ „არმენიის გასწვრივ“ ანუ ტრაპეზუნტ-ჭოროხის რეგიონში, ანუ ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. რადგანაც კაბადოკიასთან კავშირშიც ახსენებს სტრაბონი კოლხეთს, ჩანს, მისი ერთი ნაწილი ტრაპეზუნტის ქვემოთაც მდებარეობდა.

მართლაც სტრაბონის ცნობით კოლხეთის „სანაპირო ვრცელდება პიტიუნტიდან ტრაპეზუნტამდე“ (იქვე, გვ. 283).

პიტიუნტის ადგილმდებარეობა დღემდე სადავოა, კერძოდ ნ. ადონცი და პ. ინგოროყვა პიტიუნტს (პიტიას) ათავსებდნენ რიზესთან ახლოს პუნქტ ოფთან. სხვა მოსაზრებებით კი აქ იგულისხმება აფხაზეთის ბიჭვინთა. ზემოთაღნიშნულიდან რომ კოლხიდა - არმენიის გასწვრივაა, უფრო სავარაუდოა, რომ სტრაბონის პიტიუნტი არის ოფ-რიზეს რეგიონში.

სტრაბონის არაპირდაპირი ცნობებიდანაც ჩანს, რომ კოლხიდის გვერდით, მის გასწვრივ, მის უშუალო მეზობლად მდებარეობდა არმენია და არა იბერია. მაგალითად, იაზონმა კოლხეთის შემდეგ ილაშქრა არმენიასა და მიდიაში. რატომ? იმიტომ, რომ კოლხების უშუალო, გასწვრივი მეზობლები იყვნენ არმენიელები და მის შემდეგ - მიდიელები. ამიტომაც წერს სტრაბონი შემდეგს - „ძველი ხალხები შუა ზღვაში კი არ ცურავდნენ, არამედ ნაპირ-ნაპირ, როგორც იაზონი, რომელმაც დასტოვა ხომალდი, როდესაც კოლხებიდან მოდიოდა და არმენიასა და მიდიამდე ხმელეთით ილაშქრა“ (იქვე, გვ. 74).

სტრაბონის თვალსაზრისით, კავკასიაში იბერები გადმოსახლდნენ „დასავლეთის იბერიიდან“ ანუ ესპანეთიდან, და ისინი დასახლდნენ არა კოლხიდის გასწრივ მდებარე ადგილებში, არამედ - კოლხიდის ზემოთ, არაქსთან და მის იქით. - „დასავლეთის იბერთა ნაწილი გადასახლდა პონტოსა და კოლხიდის ზემოთ მდებარე ადგილებში (იბერები, აპოლიდორეს მტკიცების თანახმად, არმენიას ესაზღვრებიან არაქსით, უფრო კი მტკვრით და მოსხური მთებით). ეგვიპტელთა ნაწილი ეთიოპიასა და კოლხებში გადასახლდა“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 81). მაშასადამე, აქაც იბერები კოლხიდის ზემოთ ცხოვრობენ მდ. არაქსის მიმართულებით. მაშასადამე კოლხეთს სტრაბონი არ უწოდებს დასავლეთ საქართველოს, რადგანაც დასავლეთ საქართველოს „გასწვრივ“ არაა არმენია!

სტრაბონი სხვაგან წერს - „ამისოდან აღმოსავლეთისაკენ ჯერ შეგვხვდება კოლხიდა“ (სტრაბ. II, 1, 3), მაშასადამე, კოლხეთი - ქალაქ ამისოს აღმოსავლეთ მხარესაა. ქ. ამისო (ამჟამად იწოდება სამსუნად) ასე განიმარტება - „ამისო - ქალაქი პონტოში, ეხლანდელი სამსუნი“ (თ. ყაუხჩ. დასახ. ნაშრ. გვ. 270). მაშასადამე კოლხიდა სამსუნთანაა, ე.ი. ტრაპეზუნტის მხარეს და არა დასავლეთ საქართველოში.

როცა იბერიაზე საუბრობს, სტრაბონი ხშირად ასახელებს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში მცხოვრებ ტომებს - აქეველებს, ზიგებს, ჰენიოხებს და სხვებს (II, 5,31), მაგრამ კოლხიდის გვერდით (გასწვრივ) ყოველთვის არმენიას ასახელებს, მაგალითად, წერს - „ჰირკანიის ზღვასა და პონტოს შორის არის დიდი ნაწილი არმენიისა, კოლხიდა და მთელი კაპადოკია ევქსინის პონტომდე და ტიბარენთა ტომებამდე“ (სტრაბ. II, 5, 31). აღნიშნულ ტომებს კი კოლხეთის ჩრდილოეთით საზღვრავს (ე.ი. ზიგებს, აქეველებს, ჰენიოხებს და სხვებს).

სტრაბონმა, ცხადია, კარგად იცის რას წერს, მაგალითად, იქვე მიუთითებს გეოგრაფიული „პარალელების“ შესახებ - „ერასტოსთენეს მიხედვით ეს პარალელი გადის კარიაზე“ (II, 5, 39) ანდა „ცოტა ჩრდილოეთით არის პარალელი, რომელიც გადის ლისიმაქიაზე“ (II, 5, 40).

იბერების პარალელზე დასავლეთით ჰენიოხები, სვანები და სხვა ტომები ცხოვრობენ, ხოლო კოლხების აღმოსავლეთით კი - არმენიელები, მაშასადამე ქართული ტომები ცხოვრობდნენ კაპადოკიელებისა და არმენიელების გვერდით (კოლხეთში) და ასევე იბერების გვერდით (სვანები, ჰენიოხები და სხვები) დასავლეთ საქართველოში.

სტრაბონი კიდევ ერთხელ უბრუნდება საკითხს, რომ იბერები არა კოლხების გვერდით, არამედ მათ მაღლა ცხოვრობენ და წერს - „არმენიელები და კოლხიდის ზემოთ მცხოვრებნი, ალბანებიცა და იბერებიც, საჭიროებენ მხოლოდ მმართველთა ყოლას და კარგად მორჩილებენ მას“ (სტრაბ. VI, 4, 2). მაშასადამე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთი ერქვა არა დასავლეთ საქართველოს (სტრაბონისთვის), არამედ იბერიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიწა-წყალს. ის ამიტომ კოლხიდის ზემოთ იყო მოქცეული.

სხვა ადგილს კი სტრაბონი მიუთითებს, რომ კოლხეთი - ტრაპეზუნტთან მდებარეობს - ის წერს- „ტავრების მთიანეთში არის მთა ტრაპეზუნტი, თანამოსახელე იმ ქალაქისა, რომელიც მდებარეობს ტიბარანიასა და კოლხიდასთან“ (სტრაბ. VI, 4, 3).

დასავლეთ საქართველოს რიონის დელტის ზღვისპირეთში, როგორც ცნობილია არ არსებობს კუნძულები, და არც არასდროს ყოფილა, მაგრამ სტრაბონის ცნობით კოლხიდის სანაპიროს გასწვრივ მის დროს მდებარეობდა კუნძულები, ისინი კი იმით იყვნენ ცნობილნი, თითქოსდა აქ მოკლა მედეამ თავისი ძმა - „მთელი სანაპიროს გასწვრივ არის აფსირტიდის კუნძულები, რომლებთანაც მედეამ მოჰკლა თავისი ძმა აფსირტე, რომელიც დაედევნა მედეას“ (სტრაბ. VI, 5, 5).

სტრაბონის აზრით, იაზონმა ილაშქრა არმენიაში და წერს - „იაზონის ლაშქრობას მოწმობენ იაზონის ტაძრები, მაგალითად აბდერაში, იაზონის ტაძარი, პარმენიონის მიერ აგებული“ (სტრაბ. XI, თავი XIV, 12). იაზონის თანამგზავრების პატივსაცემადაც აუგიათ არმენიაში ტაძრები. სტრაბონის აზრით არმენიელები და მიდიელები არიან მედეასა და იაზონის მოლაშქრეთა შთამომავლები. საერთოდ სტრაბონი მიიჩნევს, რომ მედეა იყო არა ეგვიპტელთა შთამომავალი (ასეთად კი მას მიაჩნდა კოლხები), არამედ თესალიელი, ისევე, როგორც იაზონი იყო თესალიელი. თესალიელები კი სტრაბონს მიაჩნია ელინებად, ამის შესახებ წერს - „ყოველივე ამის მიხედვით ამსგავსებენ მიდიელებსა და არმენიელებს, რომელთაც რაღაცა ნათესაობა აქვთ თესალიელებთან და მათთან ვინც იაზონისა და მედეას ჩამომავლები არიან“ (სტრაბონი XI, თავი XIV, 14).

არმენიაში, არაქსზე მცხოვრები იბერებიც კი სტრაბონს არმენიელებად მიაჩნია, რადგანაც ისინი არმენიის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის სფეროში იყვნენ მოქცეულნი იმის გამო, რომ არმენიამ იბერიისაგან მიიტაცა მათი მიწა-წყალი.

არმენიაში იაზონმა, სტრაბონის ცნობით, არაქსის წყალს გაუჭრა ახალი კალაპოტი,

რითაც მუდმივი დატბორვისაგან იხსნა ვრცელი დაბლობი (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 194)., ასევე, სტრაბონისათვის ჭოროხი - ფაზისი - არმენიის მდინარეა, არმენიის მდინარეა ლიკოსიც. ამიტომაც წერს - „ქვეყანაში (არმენიაში) ბევრი მდინარეა, განსაკუთრებით ცნობილია ფაზისი და ლიკოსი“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 190).

საერთოდ, სტრაბონის თვალსაზრისით არმენიელები თესალიური წარმოშობის ხალხია, იასონის ლაშქრობის შემდეგ ჩამოყალიბებული, ის წერს - „ძველი ისტორია ამ ხალხის ასეთია: არმენოსმა არმენიონიდან, თესალიის ქალაქიდან, რომელიც მდებარეობს ფერასა და ლარისას შორის, ილაშქრა იასონთან ერთად არმენიაში... ვინც არმენოსთან ერთად იყვნენ, ზოგი დასახლდნენ აკილისენეში, რომელიც უწინ სოფენების გამგებლობაში იყო, ზოგიც სისპირიტისში კალაქენემდე და ადიაბენემდე არმენიის საზღვრებს გარეთ. ამბობენ, რომ ტანსაცმელი არმენიელებს თესალიური აქვთ... ხოლო თესალიელები გრძელ ტანსაცმელს ატარებენ, რადგან ელინთა შორის ყველაზე უფრო ჩრდილო და სუსხიან ადგილებში ცხოვრობენ“ (იქვე, გვ. 194).

ფაზისი არმენიის მდინარედ მიიჩნევა სტრაბონის მიერ (სტრაბ. XI, თავი XIV, 7). ამ ცნობიდან კი აშკარაა, რომ ფაზისი არაა სტრაბონისთვის დასავლეთ საქართველოს მდინარე. ასე რომ არ იყოს, მაშინ დასავლეთ საქართველო არმენიის ნაწილად ჩაითვლება, რაც ცხადი უზუსტობაა. ფაზისი ლიკესთან ერთად არმენიის მდინარედ იმიტომ მიიჩნევა სტრაბონის მიერ, რომ ჭოროხი მოიაზრება ფაზისის ქვეშ. ამიტომაც კიდევ რამდენჯერმე ამბობს სტრაბონი, რომ „ფაზისის სათავე არმენიაშია“. (XI, II, 17). მას შემდეგ, რაც არმენიამ, სტრაბონისავე ცნობით, იბერიას წაართვა ვრცელი ოლქები, პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენა, ცხადია, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მრავალი გეოგრაფიული პუნქტი და მდინარე სტრაბონის ეპოქაში აღმოჩნდა არმენიის ხელში. მათ შორის ჭოროხის სათავეც. ამიტომაც, როგორც ითქვა, წერს სტრაბონი, ფაზისი (ე.ი. ჭოროხი) არმენიაშია ანდა არმენიაში იღებს სათავეს (სტრაბ. XI, II, 17).

სტრაბონის სხვა ცნობებიც უფრო გასაგები ხდება იმ შემთხვევაში, თუ კოლხიდის მიწა-წყლად განვიხილავთ ტერიტორიას ტრაპეზუნტს და ჭოროხს შუა. მაგალითად, სტრაბონი წერს - „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები, ქალდები და სანები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს, აქვეა მცირე არმენია, ამ ადგილების ახლოს ცხოვრობენ აპაიტები, უწინდელი კერკიტები. ამ ადგილებზე გადაჭიმულია სკილისე - კლდოვანი მთა, რომელიც უერთდება კოლხიდის ზემოთ მდებარე მოსხურ მთებს. სკიდესის მწვერვალები უჭირავთ ჰეპტაკომეტებს. პარიადრე სადენესა და თემისკირასთან მდებარე ადგილებიდან მცირე არმენიამდე ვრცელდება და ჰქმნის პონტოს აღმოსავლეთ ნაპირს. ყველა ამ მთებში მოსახლენი სრულად ველურები არიან, ხოლო აღემატებიან სხვებს ჰეპტაკომეტები... ძველები მათ მოსინიკებს უწოდებდნენ... ეხლანდელი ქალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ. ამათ შორის მდებარეობს ფარნაკია... საერთოდ ამ ადგილებში სანაპირო მეტისმეტად ვიწროა, რადგანაც იქვე აღმართულია ლითონებით (აქ იგულისხმება პოლიმეტალური მადნები. რედ.) სავსე და ტყიანი მთები... უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ადამიანებს უწინ ერქვათ ალიბები ხალიბების ნაცვლად... ჰომეროსი ალიძონებს უწოდებს ხალიბებს. ზოგნი წერენ ალაძონებს, ზოგნი კი ამაძონებს... ამბობენ,რომ ამ მიდამოებში ზოგი ამაძონების თანამოსახელე ქალაქია, როგორც მაგალითად ეფესო, სმირნა, კვიმე და მირინა“ (სტრაბ. XII, თავი III, 18-21).

მაშასადამე, მოსხურ მთებში ანუ თანამედროვე ზიგანას მიმართულებით ტრაპეზუნტის სამხრეთით მთიანეთში ცხოვრობდნენ ქალდები, ტიბარანები, სანები (მაკრონები), აპაიტები

ანუ კერკიტები, მოსინიკები. ქალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ, ამ მთიანეთის წინ სანაპირო კი ვიწროა. აქედან ნათელია, რომ საუბარი არ შეეხება დასავლეთ საქართველოს. მოსხური მთები არის არა იმერეთის მთები (როგორც ამჟამად მიიჩნევა), არამედ არზრუმ-ჭანეთ-სპერ-არსიანის მთიანეთი - პროფ. ნ. ხაზარაძის კვლევების შესაბამისად.

იმავეს წერს სტრაბონი სხვაგანაც - „ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის მახლობლად მდებარე ადგილებს ზემოთ არიან ტიბარენები და ქალდები ვიდრე მცირე არმენიამდე. ეს კი საკმარისად მდიდარი ქვეყანაა. მას განაგებდნენ საკუთარი დინასტიები. ესენი ხან ემეგობრებიან დანარჩენ არმენიელებს, ხან დამოუკიდებლად მოქმედებენ“ (იქვე, 26-27). ამ არმენიელების „ქვეშევრდომები იყვნენ ქალდები და ტიბარენები, ისე, რომ ტრაპეზუნტამდე ვრცელდება მათი ხელისუფლება“ (იქვე, 28).

მაშასადამე, ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის მახლობლად ცხოვრობენ ქართული ტომები ტიბარენები და ქალდები, მათ მცირე არმენია ესაზღვრებათ, მაგრამ პოლიტიკურად არმენიელების ხელქვეითები არიან, რადგანაც არმენიელების ხელისუფლება ტრაპეზუნტამდე და ფარნაკიამდე ვრცელდება - სტრაბონის ცნობით (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 212).

მითრიდატე ევპატორმა არმენიელებს ჩამოართვა ამ ადგილების ე.ი. კოლხიდის მმართველობა. „ის გახდა კოლხიდისა და ყველა ამათი ბატონი“ (იქვე, გვ. 212), „ყველა ესენი" კი ქალდები და სხვა ნახსენები ტომებია.

ქალაქი ფარნაკია - პონტოში მდებარეობდა, ტრაპეზუნტის მახლობლად. „კოლხიდა და ყველა ესენი“ მითრიდატესათვის დაუთმია ანტიპატროს სისიდეს ძეს. მას ლატიშევი მიიჩნევს მცირე არმენიის მეფედ (იქვე, გვ. 235). აღწერილია კოლხეთის ეს ადგილები და ქალაქები, რომელთაგან ზოგიერთი იყო „დიდი არმენიის საზღვარზე“ (იქვე, გვ. 212), მაგალითად ასეთია ქალაქი სინორია. ძირითადად ესაა პარიადრეს კალთები, დაღარული ციცაბო ხეობები - ვფიქრობ და ცხადია - ესაა პონტოს მთიანეთი და არა დასავლეთ საქართველო. აქ გამოიქცა პომპეუსისაგან დევნილი მითრიდიტე, აქვე დაიპყრო დასტირასთან აკილისენეს წყალუხვი მთა, ევფრატის მახლობლად რომელიც აკილისენეს მცირე არმენიისაგან ჰყოფდა, ბოლოს ის იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი სადგომი აკილისენეში და გაქცეულიყო ზღვის მიმართულებით. ჯერ ის გადალახავდა არსიანის მიმდგომ მთებს, შესაბამისად ჩავიდოდა ჭოროხის ხეობაში ე.ი. კოლხეთში, იქედან დასავლეთ საქართველოს გზით გადასულა ბოსფორში. „პომპეუსმა ამ ადგილებთან მცირე არმენიაში ააშენა ქალაქი ნიკოპოლისი“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 213). საერთოდ მთელი ეს თხრობა სტრაბონს აქვს თავში, რომელშიც მიმოიხილავს „მცირე არმენიას“. მას, ესე იგი, მცირე არმენიას, სტრაბონის დროს განაგებდა არქელაე. „ტიბარენები და ქალდეები კოლხიდამდე, ფარნაკიამდე და ტრაპეზუნტამდე უპყრია პითოდოროსს“, ჭკვიან ქალს, პითოდორე ტრაელის ასულს, პოლემონის მეუღლეყოფილს, რომლისგანაც მიიღო ტახტი. მისი შვილი დააყენეს დიდი არმენიის ბასილევსად. შემდეგ მითხოვდა მცირე არმენიის მმართველ არქელაეს და დაქვრივდა. მას უპყრია ასევე თემისკირასთან, პარიადრესთან მდებარე ადგილები, კაბეირა ამასიასთან, სადაც იდგა მითრიდატეს სასახლე. ასე, რომ არაფერია ნათქვამი დასავლეთ საქართველოს შესახებ. რით არის ყოველივე ეს სტრაბონის აღწერილობა, ჩვენთვის საინტერესო? საქმე ეხება დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესიის იურისდიქციას, ასევე „ქართლის ცხოვრების“ ვითარცა საისტორიო წყაროს ავტორიტეტს.

ამჟამინდელი ისტორიოგრაფიის მიერ „ქართლის ცხოვრების“ ვითარცა საისტორიო წყაროს ავტორიტეტი დასავლეთ საქართველოს მიმართ მთლიანად დამცრობილ-უგულებელყოფილია. მიუხედავად იმისა, რომ „ქართლის ცხოვრება“ დაბეჯითებით მოგვითხრობს

აზონ-ფარნავაზის ხანიდან დასავლეთ საქართველოს ქართლის სამეფოს შემადგენლობაში უეჭველი ყოფნის შესახებ, მაინც მტკიცედ მიიჩნევა, რომ ფარნავაზი იყო მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე. მით უფრო უგულებელყოფილია მისი შემდგომი მეფეების ძალაუფლება დასავლეთ საქართველოზე. შესაბამისად შეითხზა უსაფუძვლო, სრულიად ახალი ისტორია დასავლეთ საქართველოში კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის შესახებ. ამ ახალ ისტორიას აფუძნებენ ძირითადად სტრაბონისა და პროკოფი კესარიელის ცნობებზე. სინამდვილეში კი, თუ ამ წყაროებს ობიექტურად გავაანალიზებთ, წავიკითხავთ სწორედ იმას, რაც უწერიათ ამ ავტორებს (სტრაბონს, პროკოფის და სხვებს), კარგად დავინახავთ, რომ დასავლეთ საქართველო არის სულ სხვა ქვეყანა, ხოლო სტრაბონისა და პროკოფის კოლხეთ-ლაზიკა სულ სხვა ქვეყანა. ერთი მდებარეობდა იბერიის გასწვრივ დასავლეთით, მეორე კი - იბერიის სამხრეთ-დასავლეთით. კოლხეთის აღმოსავლეთით მდებარეობდა არმენია და არა იბერია. მხოლოდ ძალდატანებით იქნა მიღებული თვალსაზრისი, თითქოსდა სტრაბონის ფაზისი არის რიონი, მაშინ, როცა სტრაბონი ფასისის თითქმის ყოველი ხსენების დროს არმენიას ახსენებს, რადგანაც მისი სათავე (ე.ი. ჭოროხის და არა რიონის სათავე) არმენიის მიერ იყო დაპყრობილი სტრაბონის დროს.

არმენიის „ქვეყანაში ბევრი მდინარეა, განსაკუთრებით ცნობილია ფაზისი და ლიკოსი“ (სტრაბონის გეოგრაფია, იქვე, გვ. 190), „ფაზისი, დიდი მდინარე, რომელსაც სათავე არმენიიდან აქვს“ (იქვე, გვ. 123).

ფაზისის სათავე არმენიაშია - „სათავე არმენიიდან აქვს, რომელიც ღებულობს გლავკოსსა და ჰიპოსს, მახლობელი მთებიდან გამომდინარეთ“ (იქვე, გვ. 123) - ესაა ერთი მთლიანი, უწყვეტი წინადადება სტრაბონისა, ანუ არმენიის მთებიდან გამოდის არა მარტო ფაზისი, არამედ იქვე, მახლობლად, ანუ არმენიის მთების მახლობლად გამოედინება გლავკოსი და ჰიპოსი. ჩვენში გავრცელებული აზრით, გლავკოსი არის ყვირილა (იქვე, გვ. 275), ხოლო ჰიპოსი - ცხენისწყალი (იქვე, გვ. 301). თუ ეს ასეა, ანუ რადგან გლავკოსისა და ჰიპოსის სათავეები არმენიის მთების მახლობელადაა, მაშინ ცხენისწყლისა და ყვირილას სათავეებიც არმენიის მახლობელ მთებში უნდა ვეძიოთ. სინამდვილეში გლავკოსი და ჰიპოსი არიან ფაზისის ანუ ჭოროხის შენაკადები, რომელთა სათავეები არიან სპერარსიანის მთებში, რომელთა მახლობელი მიწა-წყალი მართლაც შედიოდა არმენიაში, რადგანაც იბერიისაგან იყო მიტაცებული.

„ფაზისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპანამდე, ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 123). გ. გრიგოლიას კვლევით, შორაპანი ანუ სარაპანა არის სპარსული სიტყვა და ნიშნავს მნიშვნელოვან გზაზე მდებარე მგზავრებისათვის განკუთვნილ მოსასვენებელს, ეს შეიძლება იყოს რაიმე სიმაგრე, ქალაქი ან პუნქტი შესაბამისი დასასვენებელი ადგილებით და საწყობებით. ასეთი სარაპანები კი საერთაშორისო გზებზე მრავალი იყო. საერთოდ კი „სარაპანა“ თუ ის ქართულად გამოითქმოდა როგორც „შორაპანი“, არ უნდა ვეძიოთ მაინდამაინც ზესტაფონის შორაპანთან. ასეთი პუნქტი, როგორც ითქვა მრავალი შეიძლებოდა ყოფილიყო. ერთი ასეთი ყოფილა ჭოროხზეც (სტრაბონის დროს), ხოლო პროკოფი კესარიელის დროს ასეთი „სარაპანა“ ყოფილა არსიანის მაღალ მთაში, სადაც გადიოდა შემდგომში არტანუჯ-არტაან-დვინის დამაკავშირებელი გზა.

შეიძლებოდა თუ არა „აღმა ცურვა“ ფოთიდან ზესტაფონის შორაპნამდე? ვფიქრობ ეს შეუძლებელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ დიდი მანძილით არიან ბოლო წერტილები ერთმანეთს დაშორებულნი. გარდა ამისა, შორაპანი ძევს არა ყვირილას, არამედ ძირულას სანაპიროზე, სადაც მდინარე წყალმცირეა და ძალზე ნელა მიიკვლევს გზას ყვირილასაკ-

ენ. საერთოდ, ქუთაისამდე ყვირილა მდორეა და არ ჰგავს თავისი სიჩქარით იმ ძალზე სწრაფ ფაზისს, როგორც აღწერენ მას ძველი მწერლები. „სწრაფი და ხმაურა მიემართება კოლხიდაში, 120 ხიდით გადაისვლება“ (XI, III, 4). რაც შეეხება ჭოროხს, აქ ძველთაგანვე იყო ნაოსნობა და მრავალმა მკვლევარმა, მათ შორის ე. ვეიდენბაუმმა, გ. ყაზბეგმა, დ. ბაქრაძემ და სხვებმა აღწერეს ნაოსნობა ჭოროხზე. დ. ბაქრაძის ცნობით აქ ადმა-დადმა 200 სატვირთო და სამგზავრო ნავი დაცურავდა ბათუმიდან ართვინამდე. მაშასადამე, ჩვენი აზრით, სტრაბონის „სარაპანა“ იყო ჭოროხისპირა რომელიმე პუნქტი, „სარაპანიდან საურმე გზით, ფეხით 4 დღეში მიისვლება მტკვრამდე“ (იქვე, გვ. 123). აქ იგულისხმება ართვინ-არტანუჯ-არტაანის საურმე გზა, რომელიც მოქმედი იყო ვახტანგ გორგასალის დროსაც, ამ გზით უსარგებლიათ წმ. მოციქულებს და მითრიდატე პონტოელსაც. ე. ი. ართვინიდან მტკვრამდე, ფეხით 4 დღის სავალი გზა ყოფილა.

ფაზისის შესართავთან ყოფილა ქალაქი „გარშემორტყმული მდინარით, ტბით და ზღვით“, ამჟამადაც, და ე. ვეიდენბაუმის აღწერითაც, ჭოროხის შესართავთან დიდი ტბებია და ჩანს აქ ყოფილა ქალაქი ფაზისი.

ჭოროხის შესართავთან, მის მარცხენა მხარეს, ამჟამადაც ერთი დიდი და რამდენიმე მომცრო ზომის ტბა არის. ალბათ აქ მდებარეობდა ძველი ქალაქი ფაზისი. შესაძლოა აქ იგულისხმებოდეს ამჟამინდელი გონიოს ახლოს მდებარე რომელიმე პუნქტი, ანდა, ის უშუალოდ შესართავთან მდებარეობდა. აღსანიშნავია, რომ გონიოს წინ, ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, გაედინებოდა ჭოროხის ერთ-ერთი დიდი ტოტი, რომელიც შემდეგ გადაკეტეს. ამ ქალაქ ფაზისიდან ქ. ამისომდე და სინოპამდე ყოფილა სამი ან ორი დღის ზღვით სამგზავრო გზა. ასეა სტრაბონის ძველი გამოცემების მიხედვით, „უკანასკნელ გამოცემებში ეს წაკითხვა დამაჯერებლად შეცვლილია „8 ან 9 დღის სამგზავრო“ - წერს თ. ყაუხჩიშვილი (იქვე, გვ. 123). ჩვენი აზრით, ძველი წაკითხვა სწორია, რადგანაც ფაზისი ჭოროხია და არა რიონი, ამიტომაც ჭოროხიდან ამისომდე (სამსუნამდე) უფრო მოკლე გზაა. ჭოროხის შესართავი ისეთივეა, როგორსაც აღწერს სტრაბონი ფაზისის შესართავს - „სანაპირო რბილია“ ე.ი. ჭაობიანია. ხოლო ჭოროხიდან რიზეს მიმართულებით სანაპირო დაბალი და ქვიშიანია. სტრაბონი წერს: კოლხეთში „კარგი ნაყოფები იცის, გარდა თაფლისა (მეტწილად მწარეა) და მოიპოვება ნავთსაშენი ყოველივე მასალა, რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება, ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის. ქვეყნის გარეთაც კი გააქვთ“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 124).

მსგავსადვე, ჭოროხის ხეობაში ართვინამდე მშვენიერი ტყეებია. ასევე მკვლევართა ცნობით ჭოროხზე ართვინიდან ბათუმში დიდი რაოდენობით ჩაჰქონდათ ნავებით დახერხილი ხის მასალა XIX საუკუნეშიც. აქ, ერგე-ლიგანის ხეობაში, ამუშავებდნენ XIX ს-შიც განთქმულ სელის ქსოვილებს, რომელიც ლიგანის გარეთაც იყიდებოდა.

„მოხსენებულ მდინარეებს ზემოთ მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს... გაძარცვული“ (იქვე, გვ. 124). ე.ი. ეს სამლოცველო მოსხების ქვეყანაშია, მოხსენებული მდინარეების ზემოთ, რომელი მდინარეები ახსენა აქ სტრაბონმა? - ფაზისი, გლავკოსი და ჰიპოსი.

თუ გლავკოსი და ჰიპოსი არიან ყვირილა და ცხენისწყალი, მაშინ მათ სათავეებთან უნდა ვეძიოთ ჩვენ „მოსხების ქვეყანა“. მესხეთი ვითომ ცხენისწყლის მაღლა მდებარეობდა? ძალზე საეჭვოა, მაგრამ, თუ კი ჩვენ გლავკოსად ვიგულისხმებთ „ლიგანისხევს“ ანუ იმერხევს, ჰიპოსად კი იქვე გამდინარე წყალს, მათ მაღლა, ანუ არსიანის ქედთან მართლაც

მესხეთის ქვეყანა - კოლა-არტაანია, იქვე შავშეთი და სამცხეა, ქვემოთ კი ტაოა. აი, აქ იყო „მოსხების ქვეყანა“ პროფ. ნ. ხაზარაძის კვლევითაც. აქ უნდა ვეძიოთ (და არა იმერეთში) ლევკოთეას ტაძარი. მსგავსი ტოპონიმი მართლაც ამჟამადაც არის ჯავახეთში, ესაა სოფელი „კოთელია“.

მოსხების ან მესხების ქვეყანა იყო ასევე ჭოროხთან ახლოს მდებარე კლარჯეთი ანუ არტანუჯის მხარე. ის, სტრაბონის დროს, კოლხების ხელში ყოფილა გადასული, არსიანის ქედამდე. მართლაც სტრაბონი წერს, რომ მოსხების ქვეყნის ერთი ნაწილი ეჭირათ კოლხებს. კერძოდ „მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო, სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“ (იქვე, გვ. 125). სად შეიძლება იყოს „მოსხების ქვეყანა“, რომელიც სამ ნაწილადაა გაყოფილი კოლხებს, იბერებსა და არმენიელებს შორის? ცხადია, ესაა ისტორიული მესხეთი სამცხე-ჯავახეთიდან - ტაო-ბასიანამდე და არტანუჯ-კლარჯეთამდე. ამ თვალსაზრისს ემხრობა თ. ყაუხჩიშვილიც (იქვე, გვ. 258). არსიანის ქედამდე ანუ ჭოროხიდან არსიანამდე მესხეთის ერთი ნაწილი (კლარჯეთი) კოლხების ხელში იყო. მეორე ნაწილი - ე.ი. სამცხე-ჯავახეთი-კოლა-არტაანი - იბერიისა, ხოლო - კოლადან ვრცელი მიწები ტაო-თორთუმ-ბასიანის ჩათვლით სომხებს მიუსაკუთრებიათ. ამის გამო, მესხეთი სამ ნაწილად აღმოჩნდა გაყოფილი. მაშასადამე, საზღვარი კოლხიდასა და იბერიას შორის აქ, შემდგომდროინდელ შავშეთ-კლარჯეთში გადიოდა არსიანის ქედზე. აქ მახლობლად უნდა ყოფილიყო იბერიის ქალაქი ფრიქსოპოლისი - იდეესა. მართლაც, პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ ის ტაოსთან მდებარეობდა. ამ მიმართულებით ზღვისპირზეა დიოსკურია, რადგანაც სტრაბონი მოსხების ქვეყნის დაყოფის აღწერის დამთავრების შემდეგვე უბრუნდება მას. დიოსკურიასთან ჩაედინება მდინარე ქარესი. დიოსკურიაში სავაჭროდ ჩადიოდნენ სვანებიც, ყველა ტომზე აღმატებულნი სიმამაცით და ძალით (იქვე, გვ. 126). „ფლობენ ისინი ირგვლივ ყველაფერს, უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის. ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი, როგორც ამბობენ ჰკრეფენ ლაშქარს 200 000 კაცის რაოდენობით, მართლაც მთელი ხალხი მეომარია, მაგრამ არაორგანიზებული. ამასთანავე ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ ოქროს დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით. აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე... თუ არ დებენ იბერებს მსგავს სახელს დასავლელებისას, რომელთაც აქვთ ოქროს საბადოები ორივე მხარეს“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 126).

საუბარია სვანებზე, მაგრამ რა კავშირი აქვთ მათ იბერებთან? ამ კავშირის შესახებ სტრაბონი წერს გარკვევით და გასაგებად, მაგრამ გაუგებარია მისი ქართული თარგმანი, მაგალითად, მთარგმნელი წერს - „...თუ არ დებენ იბერებს მსგავს სახელს“ და ა.შ. რას ნიშნავს „დებენ“? შემდგომი ფრაზაც გაუგებარია, რადგანაც ქართული თარგმანი გაუგებარია, ამიტომაც გამოვიყენეთ სტრაბონის რუსულენოვანი გამოცემა, სადაც აღნიშნული ფრაზა სრულად გასაგებია - „Некоторые называют их также иберийцами – одинокого с западними – от золотых россыпей, находящихся в обоих странах“ ე.ი. ზოგიერთები სვანებს ასევე, უწოდებენ იბერიელებსაც - დასავლეთის იბერთა სახელის მსგავსად, რადგანაც ორივე ქვეყანაში არის ოქროს მარცვლები, რომელიც მდინარეებს ჩამოაქვთ და მათ აგროვებენ, რამაც საფუძველი დაუდო ოქროს საწმისის მითს.

მაშასადამე, სვანების ქვეყნის სახელიც - იბერიაა, დასავლეთის იბერიის ქვეყნის სახელის მსგავსად, რადგანაც ორივეგან ოქროს მარცვლები ჩამოაქვთ მდინარეებს.

სტრაბონი პირდაპირ წერს: „ასევე სვანებს ზოგიერთები იბერებსაც უწოდებენ“, ეს მარ-

ტივი ფრაზა ჩვენში გაუგებრად ითარგმნა, ამიტომაც ძვირფასი ცნობა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს შესახებ გამოუყენებელია დღემდე.

სვანები დიდი ტომია - 200 000 მებრძოლი ჰყავთ. ესაა ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცი, რაც შესაძლოა იყო მთელი მოსახლეობის მესამედი ან მეოთხედი თუ ასე იყო, მაშინ სვანების საერთო რიცხვი ნახევარ მილიონზე მეტი ყოფილა,. ასეთი მრავალრიცხოვანი ხალხი, ცხადია მცირე ტერიტორიაზე ვერ იცხოვრებდა. სად ცხოვრობდნენ სვანები? დიოსკურიის მაღლა მდებარე მთებიდან მოსხებისა და კოლხების მაღლა, ასევე ქვეყნის სიღრმეში - მთიელი ტომების მეზობლად. ჩანს ქალდების, ტიბარენების, მესხების, კოლხების მაღლაც ცხოვრობდნენ სვანები. შემდეგდროინდელ შავშეთ-აჭარა-გურიის მთიანეთში მცხოვრებთაც, ჩანს იმ დროს, სვანების სახელით იცნობდნენ. მაშასადამე, სვანები გაგრძელებით ცხოვრობენ რიონის ხეობიდან ვიდრე დიოსკურიამდე. ცხადია, ნახევარმილიონიანი ხალხი მცირე ტერიტორიაზე ვერ მოთავსდებოდა. ისინი ბუნებრივია დასავლეთ საქართველოშიც ცხოვრობდნენ. მათ ქვეყანაში ჩამოჰქონდათ მდინარეებს ოქროს მარცვლები დასავლეთის იბერების მსგავსად, ამიტომ მათაც იბერები უწოდესო, – წერდა სტრაბონი. ასეა, თუ ისე, იბერია დასავლეთ საქართველოსაც ეწოდებოდა, ხოლო იქ მცხოვრებ ისეთ დიდ ტომს, როგორიც იყვნენ სვანები, ზოგიერთი ძველი ისტორიკოსი იბერების სახელითაც იცნობდა. სტრაბონის ეს ცნობა ეთანადება ჩვენს ეროვნულ წყაროს - „ქართლის ცხოვრებას“, რომლის ცნობითაც ეგრისი, ანუ დასავლეთ საქართველო, ფარნავაზის შემდეგ მუდამ ქართლის სამეფოს ნაწილს შეადგენდა, ე.ი. მასაც ქართლი ანუ იბერია ეწოდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად.

კოლხეთზე სუბრისას, ცხადია სტრაბონი ახსენებს იაზონს და ფრიქსეს. კოლხეთიდან გადასულა იაზონი არმენიასა და მიდიაში (იქვე, გვ. 124). როგორც ითქვა, სტრაბონის დროს კოლხეთს პითოდორია მართავდა, „მეფობდა კოლხებზე, ტრაპეზუნტზე, ფარნაკიაზე და ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებზე“ (იქვე, გვ. 125). ფარნაკია - პონტოს ქალაქი იყო, ტრაპეზუნტის მახლობლად (იქვე, გვ. 298) თემისკარასთან ახლოს, მის მაღლა ცხოვრობდნენ ტიბარენები, ქალდები და სანები. მიიჩნევა, რომ ფარნაკია უფრო ქალდების (ე.ი. ხალიბების) მიწაზე მდებარეობდა (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 298).

მაშასადამე, დედოფალი მართავდა პონტოსა და ტრაპეზუნტის რეგიონის მიწას, მათ შორის კოლხეთს, რომელიც ფაზისამდე (ე.ი. ჭოროხამდე აღწევდა).

სტრაბონის ცნობით, მდ. ფაზისის შესართავთან, ზღვის პირზე მდებარეობდა ქალაქი ფაზისი, ამ ქალაქიდან ამისომდე და სინოპამდე იყო 2-3 დღის სავალი გემით. ასეა ყველაზე უახლეს რუსულ თარგმანშიც - „Плавание отсюда до Амиса и Синопы занимает 2 или 3 дня из-за того, что земля на морских берегах топная и в устьях рек болотистая “.

აქ საინტერესოა ის, რომ ქ. ფაზისი რომ ყოფილიყო ქ. ფოთი, მაშინ გემით მგზავრობას, ცხადია, მეტი დრო დასჭირდებოდა, ამიტომაც ქართველმა მთარგმნელებმა გაზარდეს ეს რიცხვი.

სტრაბონის ცნობილი ფრაზა, რომ ქ. ფაზისის გარშემო აკრავს ზღვა, მდინარე და ტბა შეესაბამება არა მხოლოდ ფოთს, არამედ ასევე ჭოროხის ზღვასთან შესართავის ადგილსაც. აქ, ე.ი. ჭოროხის ზღვასთან შესართავთან XIX საუკუნეშიც იყო (ე. ვეიდენბაუმის ცნობით) და ამჟამადაც არის (ადგილობრივი ტურისტული რუკების მიხედვით) საკმაო ზომის ტბა. ასე, რომ პალიასტომის გარდა სხვა ტბაც არსებობდა, ოღონდ ჭოროხის შესართავის დასავლეთ (მარცხენა) სანაპიროს მხარეს.

როგორც აღინიშნა, ტომთა საცხოვრისის მდებარეობა მკვეთრად შეიცვალა ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს და მის შემდეგ VI-VII საუკუნეებში. ეს ომი ჯერ ლაზიკისათვის,

შემდეგ კი სვანეთის გამო მიმდინარეობდა. სვანები ომის გადამწყვეტ მომენტში სპარსელებს მიემხრნენ, რაც მათ არ აპატია ამ ომში საბოლოოდ გამარჯვებულმა ბიზანტიამ, რაც გამოიხატა იმით, რომ სვანები იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ უფრო ჩრდილოეთით, მიუახლოვდნენ მათ ამჟამინდელ საცხოვრისს.

დასავლეთ საქართველოში იბერიის ყოფნას სტრაბონიც ადასტურებს, ოღონდ არაპირდაპირ მაგალითად, ის წერს, რომ კავკასიის ერთ-ერთი ქედი მოემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ჰკვეთს იბერიას და უერთდება მესხეთის მთებს. რომელია ის ქედი საქართველოში, რომელიც მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და უერთდება მესხეთის (მცირე კავკასიის) მთიანეთს. ესაა ერთადერთი ქედი ლიხისა ანუ - სურამისა. მაშასადამე, სტრაბონის ცნობით, სურამის ქედი შუაზე კვეთდა იბერიას, ე.ი. დასავლეთ საქართველო იბერიის ნაწილად მოიაზრებოდა მის მიერ.

სად იყო მოსხების მთები? როგორც ვთქვით, ტრაპეზუნტის მხარეს, ის წერს კიდეც „მდებარეობს კოლხიდა კავკასიონისა და მოსხების მთების ქვემოთ“ (სტრაბონი, წიგნი XI, თავი II, 1). მოსხების მთები კი არზრუმ-არსიანის მთიანეთია. სტრაბონისთვის არსიან-კარჩხალის მთიანეთიც – კავკასიონია.

სტრაბონი, როგორც ითქვა, წერს დიდი კავკასიონის ქედის შესახებ - „ზოგი ტოტი ამ მთისა მოემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს და მოსხებისად წოდებულთ, აგრეთვე სკიდისეს და პარიადრეს“ (სტრაბონი, XI, II, 15).

მოსხების მთები - პარიადრეს ნაწილი იყო - „მის ნაწილს უწოდებენ პარიადრეს, მისი მეორე ნაწილი არის მოსხების მთები, გარს ერტყმიან არმენიას იბერებამდე“ (სტრაბონი, XI, თავი XII, 4).

სხვაგან წერს - „ამ ტომებს გარს არტყია კავკასიონი და აღწევს არმენიელებამდე, უერთდება აგრეთვე მოსხებისა და კოლხების მთებს“ (XI, XIV, 1).

მაშასადამე, მოსხების მთები და არმენიის მთები ერთ რეგიონში მდებარეობდნენ, მათ უერთდებოდა შუა იბერიიდან გამომავალი ლიხის ქედი, რომელიც მართლაც არსიანის მთათა სისტემას უერთდება. როგორც ითქვა, სტრაბონი წერს - კავკასიის ქედის „ზოგი ტოტი მოემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს და მოსხებისად წოდებულთ“. უნდა კვლავ ითქვას, რომ მხოლოდ სურამის ქედი გამოდის დიდი კავკასიიდან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მაშასადამე, სტრაბონთან ლაპარაკია სურამის ქედზე, რომელიც „შუა იბერიაში“ გადიოდა. კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, სტრაბონი წერს - ეს ტოტები გარს ერტყმიან შუა იბერიას და უერთდებიან არმენიის და მოსხების მთებს. მაშასადამე, იმ ქვეყანას, რომელსაც ახლა ჰქვია „შიდა ქართლი“ სტრაბონი უწოდებს „შუა იბერიას“, მას გარშემო ერტყმიან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული მთები. ერთ-ერთი ასეთი კი, როგორც რამდენჯერმე ითქვა - სურამის ქედია, მეორე კი შეიძლება იყოს თიანეთ-საგურამოს ქედი, მომართული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მაშასადამე „შიდა ქართლი“ სტრაბონის მიერ იწოდებოდა „შუა იბერიად“. ჰქონდა თუ არა სტრაბონს რაიმე წყარო ამის სათქმელად? ამ კუთხით ძალზე საინტერესოა ის, რომ ამ ტერმინს იცნობს „ქართლის ცხოვრებაც“. აქ მას ასეთი სახელი აქვს - „შუა ქართლი“.

კერძოდ „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია - გაძლიერდა ალექსანდრე, მოვიდა „და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლ (წუნდა, ხერთვისი... თუხარისი... ურბნისი, კასპი, უფლისციხე... სარკინე... რუსთავი და დედა-ციხე სამშვილდე და... ხუნანი) და კახეთისა ქალაქნი (ქ.ც. I, 1955, გვ. 18). აზონმა „დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა“ (ქ.ც. I, გვ. 19).

სტრაბონის „შუა იბერია" ქართლის ცხოვრების „შუა ქართლი” უნდა იყოს.

საერთოდ, სტრაბონი, დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპიროს და კოლხიდის

სანაპიროს ერთმანეთისაგან განარჩევს. ის ჩამოთვლის ტომებს ქალაქ ბატადან, რომელსაც ზოგი მეცნიერი თანამედროვე ნოვოროსისკთან ათავსებს (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 274) შემდეგი თანმიმდევრობით - კერკეტები, აქეელები და ჰენიოხები, მითრიდატეს ომების აღმწერი მწერლები კი ასეთი თანმიმდევრობით - აქეელები, ზიგები, ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები, შემდეგ ამათ ზემოთ - ფთეიროფაგები, სვანები და სხვა პატარა ტომები (იქვე, გვ. 120).

ამ ჩამონათვალიდან ჩანს, რომ კოლხები - ერთ-ერთი ტომია აღნიშნულთა შორის და ისინი ცხოვრობენ ყველა ტომის ქვემოთ, სამხრეთში. შესაბამისად, კოლხეთიც სამხრეთითაა, თუ კერძოდ სად - ამას მანძილებით ადგენს. სტრაბონი - მისი თვალსაზრისით მდინარე ფაზისიდან ბოსფორამდე არის 4000 სტადიონი (ბოსფორში მიმავალმა მითრიდატემ ფაზისიდან ეს გზა გაიარა). თუ ერთ სტადიონს ვივარაუდებთ 178 მეტრად, როგორც მიღებულია, მაშინ მდ. ფაზისიდან ბოსფორამდე არის 712 კმ. ამ მონაკვეთის თითქმის 482 კილომეტრიანი ზოლი ზღვისპირეთში ეჭირათ ზემოჩამოთვლილ ქართულ ტომებს. კერძოდ „ბატადან კერკეტების სანაპირომდე, რომელზედაც არის ნავთსაყუდელები და სოფლები დაახლოებით 850 სტადიონია, შემდეგ აქეელთა სანაპირო 500 სტადიონი, მერე ჰენიოხთა სანაპირო 1000 სტადიონი, ხოლო პიტიუნტის (სანაპირო) დიოსკურიამდე 360“ (იქვე, გვ. 120). მაშასადამე ბატადან (ე.ი. მიახლოებით თანამედროვე ნოვოროსიისკიდან) კერკეტების ტომს ეჭირა სანაპიროს 151 კმ (850 სტადიონი), აქეელებს ეჭირათ 89 კმ (500 სტადიონი), ჰენიოხებს ეჭირათ სანაპიროს 178 კმ (1000 სტ.), შემდეგ იყო დიდი პიტიუნტი საიდანაც დიოსკურიამდე იყო 64 კმ (360 სტ.), სულ ამ ტომებს ეჭირათ სანაპიროს 482 კმ. რამდენი კილომეტრია საქართველოს შავი ზღვის პირეთი ანდა აფხაზეთის სანაპირო ზოლი? ქვემოთ სტრაბონი წერს, რომ ეს 64 კმ იყო კოლხებისა – დიოსკურიიდან პიტიუნტამდე.

აღნიშნულ კილომეტრებს თუ გადავიყვანთ ჩვენს რეალურობაში, მაშინ გამოდის, რომ სტრაბონის „დიდი პიტიუნტი“ არის არა აფხაზეთის ბიჭვინთა, არამედ რიზე-ოფთან მდებარე პიტიუსა-პიტიუნტი. სწორედ აქ მიუთითებდნენ პიტიუნტის მდებარეობას ნ. ადონცი და პ. ინგოროყვა. მაშასადამე, აღნიშნულ 482 კილომეტრი ბატა-ნოვოროსიისკიდან არის არა მანძილი აფხაზეთის ბიჭვინთამდე, არამედ რეზე-ოფის პიტიუნტამდე. აქვე ყოფილა კოლხიდა, სტრაბონის ცნობით - კოლხების საცხოვრისი.

სტრაბონის ორივე წყაროს ცნობით (ერთია არტემიდორე, მეორე კი მითრიდატეს ამბების აღმწერნი) შავი ზღვის სანაპიროს დიდი მონაკვეთი ბატა-ნოვოროსიისკიდან თითქმის თანამედროვე ოჩამჩირემდე - 151 კმ - უჭირავს კერკეტების ტომს. კერკეტები ჩვენმა ისტორიკოსებმა ეტიმოლოგიურად დაუკავშირეს ჩერქეზებს (მაშინ, როცა ადიღე-ჩერქეზები შავიზღვისპირეთსა და საერთოდ ჩრდილო კავკასიაში გამოჩნდნენ ძალზე გვიან, თემურლენგის ლაშქრობების შემდეგ, სადაც მან ვოლგისპირეთისა და სტეპების ტომები გადმოასახლა). „ჩერქეზ“ თურქულ სიტყვად მიიჩნევა. ეტიმოლოგიურად კერკეტი გაცილებით ახლოა სიტყვა „ბერგეტთან“. ბერგ ანუ ბეორგ - ქართველთა ეთნიკური სახელია. ჩრდილო კავკასიაში „ბეორგ“ ტომების ცხოვრების შესახებ სხვა ანტიკური ავტორებიც წერენ. კერკეტ - ერთ-ერთი რეგიონალური სახელი უნდა ყოფილიყო ბეორგების ქართული ტომისა. მით უმეტეს, რომ კერკეტ-კერკიტები ქალდეა-ჭანეთთანაც ცხოვრობდნენ.

კერკეტების შემდეგ 89 კილომეტრიანი ზოლი ეჭირათ აქეელებს. ესაა დაახლოებით ოჩამჩირიდან ფოთამდე. სტრაბონის და სხვა ავტორების ცნობით აქეელები არიან წარმოშობილნი თესილიელებისაგან, ისინი არგონავტების რაზმის წევრთა შთამომავალნი არიან - „ამბობენ, რომ იაზონის ლაშქრიდან ფთიელმა აქაველებმა დაასახლეს აქაური აქაია, ხოლო ლაკონელებმა - ჰენიოხები, რომლებსაც მართავდნენ რეკასი და ამფისტრატე

დიოსკურების მეეტლეები. ჰენიოხებმა ამათგან მიიღეს სახელი“ (იქვე, გვ. 118).

აქეელები და ჰენიოხები ქართველური ტომები ჩანან, რადგანაც პლინიუსის აზრით მსგავსადვე არგონავტებისაგან ჩამოყალიბდნენ იბერები, ალბანელები, ჩრდილო სომხები და მიდიელები - ერთი „თესალური წარმომავლობის ხალხები“ (იხ. ა. ჯაფარიძე, დედა ღვთისმშობელი შემწე ქართული ენისა, 2008, გვ. 5-30). რამდენად მართალია პლინიუსი ამ საკითხში - საკვლევია, მაგრამ აქეელები და ჰენიოხები, არგონავტული წარმოშობის გამო თანამონათესავენი გამოდიან იბერებისა. მართალია, სტრაბონის თვალსაზრისით იბერები გადმოსახლდნენ დასავლეთის იბერიიდან (ესპანეთიდან), მაგრამ სხვა მწერლების ცნობებით ისე ჩანს, რომ იბერიელებისა და ალბანელების მმართველი დინასტიები (და ალბათ ხალხებიც) ჩამოყალიბდნენ კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის შემდეგ. ასევე, სომეხი ხალხის წარმოშობას, როგორც აღინიშნა, არგონავტების წევრ არმენიოსთან აკავშირებდნენ (იქვე, გვ.5-30).

ნ. ადონცის თანახმად, სომხეთის მიწა-წყალი არმენიელების შემოსვლამდე ქართველთა ტომებით იყო დასახლებული. იქ დამკვიდრებისას არმენიელებმა ქართული მოსახლეობა შუაზე გაკვეთეს და ისტორიული სომხეთის ცენტრალურ ნაწილში დასახლდნენ. ამ მიზეზის გამო, ჩრდილო (და ასევე სამხრეთ) სომხეთის მოსახლეობა ეთნიკურად ქართული წარმოშობისა იყო. პლინიუსის ცნობითაც ჩანს რომ ჩრდილო სომხეთის მოსახლეობა სხვა, კერძოდ კი, თესალიური წარმოშობისა იყო.

სანაპიროს ყველაზე დიდი ნაწილი 178 კილომეტრი (1000 სტადიონი) ეჭირათ ჰენიოხებს (სავარაუდოდ ფოთიდან - რიზემდე) ჰენიოხების სახელს ეტლთან, ე.ი. ცხენოსნობასთან აკავშირებდნენ. აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ, რომ ცხენს ძველ ქართულად ჰუნე ერქვა, თუ ეს დაკავშირება შესაძლებელია (ჰუნე - აქედან ჰენიოხი - „ცხენოსანი“ გამოდის).

სტრაბონის მეორე წყაროს თანახმად კი ბატადან - დიოსკურიამდე ე.ი. ჰენიოხების ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ „ჰენიოხები, კერკეტები, მოსხები, კოლხები. კოლხების საცხოვრისი უნდა განისაზღვროს დიოსკურიიდან - 360 სტადიონი სანაპიროთი (64 კმ). (ე.ი. დიოსკურიიდან პიტიუნტამდე).

რიზესთან ჭანების (ე.ი. კოლხების) ტომების ცხოვრების შესახებ მიუთითებდა პროკოფი კესარიელი, რომლის ცნობითაც რიზესთან ჭანებს ებრძოდნენ რომაელი ჯარები ჭანივე თეოდორეს მეთაურობით.

დიოსკურია როგორც ჩანს მდებარეობდა პიტიუნტსა ე.ი. ოფ-რიზესა და ტრაპეზუნტს შორის. შავი ზღვის აღმოსავლეთი რკალის მოხრილობა სტრაბონის ცნობით იწყებოდა ბატადან და მთავრდებოდა პიტიუნტთან და დიოსკურიასთან. მართლაც, თუ რუკას დავხედავთ, ვნახავთ, რომ ეს რკალი მთავრდება სადღაც რიზესთან. სტრაბონი წერს - „ეს სანაპირო მიემართება აღმოსავლეთისაკენ და უყურებს სამხრეთს, ხოლო ბატადან ნელ-ნელა ბრუნდება, შემდეგ შემობრუნდება დასავლეთისაკენ და სრულდება პიტიუნტთან და დიოსკურიასთან“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 121). ეს პიტიუნტი – ამ მხრივ რიზეს სანაპიროა, რადგანაც იქ შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის სანაპიროს რკალი მთავრდება. სტრაბონი დიოსკურიას ტრაპეზუნტის რეგიონში ათავსებს, როცა განაგრძობს აღწერას შავი ზღვის სანაპირო მორკალულობისა - „დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხიდისა არის და მის მომდევნო ტრაპეზუნტთან ქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას, შემდეგ პირდაპირ მიემართება და ქმნის მარჯვენა გვერდს პონტოსას, რომელიც უყურებს ჩრდილოეთს“ (იქვე, გვ. 121).

მაშასადამე კოლხეთი იწყება დიოსკურიასთან, ტრაპეზუნტთან ახლოს, რომელიც პიტიუნტიდან, ოფ-რიზედან დაშორებულია 64 კმ-ით. ესაა სტრაბონის კოლხეთი და არა

დასავლეთ საქართველო. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს შესახებ მისი პირველი წყარო - „არტემიდორე“ საერთოდ არ ახსენებს ტომების ჩამონათვალში კოლხებს, ხოლო მეორე წყარო - „მითრიდატეს ამბების აღმწერნი“ კოლხებს ასახელებს ტომების ჩამონათვალის ბოლოში, ჩამოთვლა კი იწყება ბატა-ნოვოროსიისკიდან (ახლანდელი ნოვოროსიისკი) თითქმის ტრაპეზუნტამდე. ასე, რომ სტრაბონის კოლხეთი მდებარეობდა იბერიის სამხრეთ-დასავლეთით, ანუ იბერიის ქვემოთ, იბერია კი კოლხეთის „ზემოთ“.

მეორე მხრივ - მდ. ფაზისი კოლხეთის მდინარე, ანუ ჭოროხი კოლხეთში გაედინება, დიოსკურიაც - კოლხეთის ქალაქია. ეს ადგილი „კავკასიონის ქვემოთაა“. კავკასიონის ქვეშ, ამ შემთხვევაში, სტრაბონი, ისე როგორც სხვა მრავალი ძველი ავტორი, გულისხმობს ე.წ. „მცირე კავკასიონს“, სადაც არის არსიან-კარჩხალის დიდი მთიანეთი. აქვეა ისტორიული პროვინცია „საკავკასიძეო“ და ამჟამადაც კი კარჩხალის ფერდობზეა პუნქტი სახელწოდებით „კავკასორი“. სიტყვა-ტოპონიმი ანუ ადგილობრივი სახელი „კავკასია“ ჩვენ საქართველოში არსად გვხვდება. თუმცა ცხადია სტრაბონისათვისაც ძირითადი „კავკასია“ არის „დიდი კავკასიის ქედი“, ერასტოსთენეს თქმით ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ კასპიად წოდებული „ზოგი ტოტი ამ ქედისა მოემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს და, მოსხებისად წოდებულთ, აგრეთვე სკიდისეს და პარიადრეს. ყველა ესენი არიან ტავრის ნაწილები, რომელიც ჰქმნის არმენიის სამხრეთ ნაწილს“ (იქვე, გვ. 122). არმენიის ხსენებისას აქ კიდევ ერთხელ ახსენებს სტრაბონი დიოსკურიას – „დიოსკურია ამისთანა უბეში მდებარეობს და უჭირავს უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი მთელი ზღვისა" (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 122). თუ დიოსკურია სოხუმია, როგორც მიჩნეულია ამჟამად (იქვე, გვ. 276), მაშინ გამოდის რომ სოხუმია „უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი მთელი ზღვისა“, რაც ასე არ არის. დიოსკურია უფრო სამხრეთით უნდა ვეძიოთ.

დიოსკურიასთან ახსენებს სტრაბონი ფაზისს (იქვე, გვ. 122), რადგანაც მიიჩნევს, რომ ქვეყანა ფაზისიდან (ე.ი. ჭოროხიდან) თემისკირამდე - ზოგადად კოლხეთია. ასე გვესმის ჩვენ სტრაბონის ფრაზა, რომ აღნიშნული მთიანეთის ნაწილები ვრცელდებიან თემისკირამდე დაწყებული კოლხიდიდან (იქვე, გვ. 122). „დიოსკურია ამისთანა უბეში მდებარეობს" - წერს ის, ე. ი. მის წინ შავი ზღვის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი მდებარეობს, ხოლო უკან კი კავკასიის მთიანეთის თუ არმენიის ტავრის მწვერვალებია აზიდული.

დიოსკურია 600 სტადიონით ანუ 106 კილომეტრითაა დაშორებული ფაზისს ანუ ჭოროხს, ხოლო როგორც ითქვა 360 სტადიონით (64 კმ-ით) პიტიუნტს. ე. ი. ტრაპეზუნტის მიმართულებით „კასპიის მთიდან 5 დღის სავალ მანძილზეა“. ჩვენში მიიჩნევა, რომ „კასპიის კარი“ ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელია, რუკებზე კი ის მდებარეობს არმენიისა და კასპის ზღვის შუა, აზერბაიჯანის სამხრეთით. ალბათ სადმე აქვე იყო „კასპიის მთა“.

სტრაბონის დიოსკურია და პიტიუნტი, რომ არ იყო აფხაზეთის სოხუმი და ბიჭვინთა (პიტიუნდა), ჩანს თვით სტრაბონის მიერ მოცემული დაშორებით. სტრაბონის ეს ცნობა ამ მხრივ ძალზე ძვირფასია. კერძოდ, სტრაბონი, როგორც აღინიშნა, წერს – „ჰენიოხთა სანაპირო 1.000 სტადიონი, ხოლო პიტიუნტის სანაპირო დიოსკურიამდე 360“ (სტრაბონი, გვ. 120).

მაშასადამე, პიტიუნტიდან დიოსკურიამდე არის 360 სტადიონი. ამავე დროს, თვითონ სტრაბონის ცნობით დიოსკურია ფაზისს დაშორებულია 600 სტადიონით (იქვე, გვ. 276), ანუ თუ გადავიყვანთ კილომეტრებში, აღმოჩნდება, რომ დიოსკურიიდან ფაზისამდე იყო 106 კმ., ხოლო დიოსკურიიდან პიტიუნტამდე – 64 კმ. შესაბამისად, პიტიუნტიდან ფაზისამდე ყოფილა 42 კმ.

თუ დავუშვებთ, რომ სწორია იმჟამინდელი შეხედულება და დიოსკურია იყო სოხუმი,

პიტიუნტი – ბიჭვინთა, ფაზისი კი – რიონი, მაშინ სოხუმიდან (დიოსკურიიდან) ბიჭვინთამდე (პიტიუნტამდე) იყო 64 კმ; ბიჭვინთიდან რიონამდე 42 კმ., ხოლო სოხუმიდან რიონამდე 106 კმ; მაშასადამე, რიონთან ბიჭვინთა უფრო ახლოს ყოფილა, ვიდრე სოხუმი. ეს არასწორია.

მაშასადამე, კოლხეთი მდებარეობდა არა იბერიის დასავლეთით, არამედ მის სამხრეთ-დასავლეთით. შესაბამისად იბერია კოლხეთის მაღლა მდებარეობდა.

2. პროკოფი კესარიელი (პროკოპიოს კაესარიენსის) ლაზიკის შესახებ

პროკოფი კესარიელმა, რომელიც მოღვაწეობდა იუსტინიანეს დროს (VI ს-ის I ნახევარი) დაწერა სამი თხზულება: „პოლემიკა“, „შენობათა შესახებ“ და „ანეკდოტა“. ჩვენ ვიხილავთ სამივე ნაშრომიდან იმ თავებსა და ნაწილებს, სადაც პროკოფი ეხება ლაზიკას. მათ შორისაა „პოლემიკის“ I-II თავი – „ომი სპარსელებთან“, და V-VII თავი – „ომი გუთებთან“, ეს ბოლო ორი თავი ს. ყაუხჩიშვლმა თარგმნა და დაბეჭდა თავის ცნობილ და შესანიშნავ „გეორგიკების“ მეორე ტომში. ჯ. შოშიაშვილმა თარგმნა და გამოსცა პროკოფის წიგნი „შენობათა შესახებ“ (თბ., 2006), ხოლო ნ. ეფრემიძემ „საიდუმლო ისტორია“ (თბ., 1989 წ.).

როგორც აღვნიშნეთ, ვიხილავთ სამივე ნაშრომს, კერძოდ პროკოფის შესაბამისი წიგნიდან გვერდების მიხედვით მოგვყავს ციტატები, რომელთაც ვურთავთ ჩვენს კომენტარებს.

„ომი სპარსელებთან“
De Bello Persico (BP)

პროკოფი თავის წიგნში „ომი სპარსელებთან“ წერს: სპარსელთა აზრით „კოლხიდას ახლა ლაზიკე ეწოდება, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო, რომაელებს უსამართლოდ უჭირავთ“ (გეორგიკა, ტ. 2. 1965 გვ. 47). სპარსელებმა VI ს-ში დაიქვემდებარეს და დაეპატრონენ ისტორიულ საქართველოს, მის ერთ-ერთ ნაწილად მიიჩნევდნენ ისინი ლაზიკას, ამიტომაც გაღიზიანდნენ, როცა ლაზიკა რომაელებმა დაიჭირეს.

„იბერთა მარცხნივ, დასავლეთით მდებარეობს ლაზიკე“ – პროკოფის მიერ იბერიის ქვეშ მოიაზრება მესხეთიც (კოლა-არტაანით), რომლის დასავლეთით – მართლაც იყო ლაზიკე (გეორგიკა 2, 1965 გვ. 48).

„იბერთ მარჯვნივ, აღმოსავლეთით ცხოვრობენ სპარსელთა ტომები“.

იბერთა მარჯვნივ მცხოვრები ალბანელები ნაკლებ სავარაუდოა, რომ – სპარსელებად მიეჩნიათ, ჩანს, პროკოფის მიერ იბერიად მოიაზრებოდა, ასევე მიწა-წყალი ვანის ტბის მიმართულებით, (ე.ი. ტაო ბასიანი) რომლის იქითაც იყო სპარსეთი – თავისი სპარსული ტომებით (იქვე, გვ. 48).

„იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, ხოლო ძველთაგანვე სპარსელთა მეფის ქვეშევრდომნი გამხდარან“ (გეორგიკა 2, 1965 გვ. 48).

.პროკოფი ერთ-ერთი პირველია იმ მრავალ ავტორთა შორის, რომელნიც ქართველთა უძველესი მართლმადიდებლობის შესახებ მიუთითებენ.

იბერია-პოლიტიკურად სპარსეთის ხელთაა, ამას ცნობს ბიზანტია.

იბერთა მეფე გურგენი „ლაზიკეში გაიქცა იბერთა ყველა დიდებულითურთ, თან წაიყ-

ვანა ცოლი, შვილები და ძმები, რომელთაგან უხუცესი იყო პერანი“ (გეორგიკა 2, 1965 გვ. 50).

გურგენის სამეფოში შედიოდა კოლა-არტაანი, რომლის დასავლეთი კლარჯეთ-ჭოროხის ხეობა იმჟამად ლაზიკედ იწოდებოდა.

მეფის შემდეგ მეორე პირს – ანუ „უხუცესს“ იბერთა სამეფო სახლში მოიხსენებს სტრაბონი.

ივ. ჯავახიშვილის აზრით „I-II სს-ში მეფობის უფლების მემკვიდრეობის რიგი პირდაპირი კი არ არის, არამედ, ეს უფლება უფროსობით გადადის მთელი სამეფო საგვარეულოს ამა თუ იმ წევრზე“ (ქართული სამართლის ისტორია, I, 19, გვ. 180).

„იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, იქვეა ლაზების მიწა-წყალზე ორი სიმაგრე... იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე, სხვა ადგილებიდან რისიმე შემოზიდვა, ვიწრობების წყალობით, შეიძლება, მხოლოდ ისე, თუ კაცები თვითონ მოიტანენ“ (გეორგიკა 2, 1965 გვ. 51).

იბერიის ნაწილად მოიაზრებოდა კოლა-არტაანი, საიდანაც კლარჯეთში ანუ ლაზიკაში შესვლისას ორი სიმაგრე – სარაპანა და სკანდა მდებარეობდა. კვლევას ჭოროხის ხეობაში ვიდრე არსიანის ქედამდე ლაზიკის განვრცობის შესახებ VI-ს-ში, ეძღვნება ჩვენი ნაშრომის დიდი ნაწილი.

შეუძლებელია სკანდასა და სარაპანას ქვეშ იგულისხმებოდეს იმერეთის სკანდე და შორაპანი, ჯერ ერთი, შორაპანსა და სკანდეს ციხეებში ურმები თავისუფლად შედიან, თითქმის ვაკეზე არიან, ზღვის დონიდან 170 მეტრი. იქ მოდის ყოველგვარი მოსავალი, რასაც დათესავ, მეორეც პროკოფისთან კარგად ჩანს, რომ პროკოფის მიერ აღნიშნული ორი სიმაგრე ერთ გზაზე – იბერიიდან ლაზიკეში მიმავალ შესასვლელზეა, ხოლო რაც შეეხება იმერეთის სკანდესა და შორაპანს, მათ შორის მთელი ქვეყანა – ზემო იმერეთია გადაჭიმული. ერთი აკავშირებს ზესტაფონს – ხაშურთან, მეორე კი თერჯოლას – მუხურა-ხრეითის გავლით ჭიათურასთან. პროკოფის მიერ აღწერილი სკანდა - სარაპანას გეოგრაფიული მდებარეობა არ შეესაბამება იმერეთის სკანდესა და შორაპნის რეალურ გარემოს, ამიტომ ისინი სხვადასხვა რეგიონში უნდა ვეძიოთ. სკანდე და შორაპანი სხვა პუნქტებია, ხოლო სკანდა და სარაპანა კი სხვა.

არმენიის მოსაზღვრედ ცხოვრობენ ჭანები მთაგორიან ქვეყანაში, საიდანაც გამოედინება ფაზისი. ჭანები ადრე იწოდებოდნენ სანებად. მიწა მათ არაფერს აძლევს სარჩოდ. ისინი ცხოვრობენ მუდამ ნისლით და თოვლით დაფარულ მთიანეთში. რომაელთა მეფე მათ ფულს უგზავნიდა, რათა მათ არ გაეძარცვათ არმენიელები და რომაელები – „ვიდრე ზღვამდე მათი მეზობლები“. VI ს-ის დასაწყისში ბიზანტიელმა სარდალმა სიტტამ დაამარცხა ისინი, ამის შემდეგ ჭანები გაქრისტიანდნენ (ე.ი. VI ს-ში) (გეორგიკა 2, 1965 გვ. 53).

მაშასადამე ფაზისი – ჭანების ქვეყნიდან გამოედინება.

აქედან ჩანს, რომ პროკოფისათვის ფაზისი არის არა რიონი, არამედ ჭოროხი, რადგანაც ფაზისი გამოედინება ჭანების მთაგორიანი ქვეყნიდან. ჭანები ცხოვრობენ ჭანიკაში და არა დასავლეთ საქართველოში (VI ს-ის I ნახევარში)

სპარსეთის მეფე კავადმა რომაელთა ქვეყნის წინააღმდეგ გააგზავნა ჯარი შემდგარი პერსარმენიელების. „და აგრეთვე სუ(ა)ნთაგან, რომელიც ალანთა მეზობლად ცხოვრობენ. მათთან იყვნენ ჰუნებიც, საბირებად წოდებულნი“ (გეორგიკა 2, 1965 გვ. 55).

(გვ. 56) „სვანები თავისთავადნი (ავტონომიურები) იყვნენ და არასოდეს კოლხების ძალაუფლებას არ ექვემდებარებოდნენ“ (მენანდრე, გეორგიკა, III, 1936, გვ. 215).

აქედან ჩანს, რომ კოლხები სხვაა, სვანები სხვა.

აღსანიშნავია, რომ რადგანაც დასავლეთ საქართველოს ხალხი (აღნიშნული სვანები)

ემხრობოდნენ სპარსელებს, გასანეიტრალებლად ბიზანტიამ მათ ტერიტორიაზე (ეი. დასავლეთ საქართველოში) შეიყვანა ალანთა მეომარი რაზმები, გადასცა მათ მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები VI საუკუნეში. ალანთა მეომრები დასავლეთ საქართველოდან (კერძოდ აფხაზეთიდან) მხოლოდ ბიზანტიის დასუსტების შემდეგ ხაზართა შემწეობით გააძევეს VII ს. ბოლოს.

მდ. ბოასის სათავეს პროკოფი აჩვენებს ჭანებისა და პერსარმენიელების მეზობლად, ე.ი. ბოასი არაა იმერეთის ყვირილა.

იუსტინიანეს მეფობის მე-6 წელს სპარსეთსა და ბიზანტიას შორის დაიდო „უვადო ზავი“. სპარსელებმა რომაელებს დაუბრუნეს ლაზიკის სიმაგრეები, რომლებიც რომაელებს ამ ომამდე ეჭირათ (გეორგიკა 2, 1965 გვ. 62).

„ხოსრო დიდი ჯარით შეიჭრა კოლხეთში“. ჩვენ ქვემოთ ვამტკიცებთ, რომ ის შეიჭრა არა სურამის უღელტეხილის გზით, არამედ პერსარმენია-მესხეთის გზით, არსიანის ქედის გადამკვეთი ე.წ. კლარჯეთის გზით (არტაან-ართვინ-ზღვისპირის გზა). ლაზიკასა და სპარსეთს შორის მესხეთ-პერსარმენია დევს (გეორგიკა 2, 1965 გვ. 63).

(გვ. 64) პროკოფის ნაწერებში სპარსეთ-ბიზანტიის ომის დროს ხშირად, და შეიძლება ითქვას მუდამ ერთად, იხსენიება „არმენია, ჭანეთი, ლაზიკა“. ცხადია ისინი ერთმანეთის მეზობელი ქვეყნებია. ესენია: პერსარმენია, მესხეთი, ტრაპიზონის მხარე.

„იოანე ციბემ (პატრიკიოსმა) იმპერატორი იუსტინიანე დააჯერა ლაზების ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა სახელად პეტრა“. ის ნ. ადონცის სიტყვით პეტრა ლაზიკის ჩრდილოეთით (და არა „სამხრეთით") მდებარეობდა. მონოპოლია (გეორგიკა 2, 1965 გვ. 74).

სტრატეგიოსმა ციბემ იუსტინიანეს გაამაგრებინა ციხე-ქალაქი პეტრა და შემოიღო ე.წ. „მონოპოლია“, რაც გულისხმობდა ძირითადად მარილითა და პირველადი საჭიროების საქონლით ვაჭრობის ცენტრალიზაციასა და სტრატეგიოს ციბეს ხელში თავმოყრას (იუსტინიანეს დროს მონოპოლია ბიზანტიის სხვა ადგილებშიც არსებობდა).

ეს ნამდვილად შეეძლო ციბეს, რადგანაც ციხე-სიმაგრე პეტრა არის ერთადერთი ჩამკეტი ვრცელი ოლქისა, რომელსაც ქმნის მდ. ჭოროხის სანაპიროებზე განლაგებული ქვეყანა. მდ. ჭოროხის აუზი ბუნებრივად გარშემორტყმულია ყოველი მხრით უზარმაზარი „ცამდე აზიდული“ (როგორც პროკოფი ამბობდა) მთებით (3000 მ. სიმაღლის), და ხეობის ბუნებრივი გასასვლელი გადის ციხე-სიმაგრე პეტრაზე – მდინარე ჭოროხი იყო არტერია მთელი ხეობისა.

მთელი დასავლეთ საქართველოს მონოპოლიის ხელში ჩაგდება არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ბიზანტიელ სტრატეგიოსს, რადგან დასავლეთ საქართველოში ზღვა მთელ დასავლეთ სანაპიროს უვლის და მისი გაკონტროლება უკვე XX საუკუნეში საბჭოთა კავშირსაც კი უჭირდა. ხოლო ჭოროხის დიდი ხეობის გაკონტროლება ადვილი შესაძლებელია მის შესართავში მდებარე ციხე-სიმაგრით, რადგანაც ეს ხეობა კლდეების ბუნებრივი საზღვრითაა ჩაკეტილი. ამ ხეობას აკონტროლებდა ციბე.

ლაზები თავიანთ თავს კოლხებს უწოდებენ სპარსი ხოსრო მეფის წინაშე, თვითონაც ჰყავთ მეფე. მუდამ სპარსელების მოკავშირეები იყვნენ, რომაელებმა ჯარი ჩაუყენეს, მეფე დაუმცირეს. ითხოვენ სპარსელთა ჯარით დახმარებას რომაელთა წინააღმდეგ (გეორგიკა 2, 1965, გვ. 76).

მეფე ხოსრო ამბობს: „ლაზების ქვეყანა საკმაოდ ძნელგასასვლელია მსუბუქად ჩაცმული კაცისათვისაც კი, რადგან ის ზომაზე მეტად დაქანებულია და ხშირად უზარმაზარი ტყეების შემცველი დიდ მანძილზე“ (გეორგიკა 2, 1965, გვ. 81).

დასავლეთ საქართველო-ეგრისი არ არის „ძნელგასასვლელი დაქანებული“ ფერდობები-

ანი მთების ქვეყანა (სურამიდან შორაპნამდე იბერია იყო), ე.ი. ეგრისი ვაკეა. ლაზიკა კი „დაქანებულია“, ანუ მთიანეთის ფერდია, ამიტომ ჩვენ ქვემოთ ვამტკიცებთ, რომ ლაზიკა და დასავლეთ საქართველო სხვადასხვა ქვეყნები არიან.

„ხოსრომ და მიდთა ჯარმა იბერიის გავლის შემდეგ ლაზიკის საზღვრებში მიაღწიეს, მათ დაიწყეს ხეების მოჭრა... ჰყრიდნენ მას ძნელსავალ ადგილებში... მიაღწიეს შუა კოლხეთს... მოვიდა გუბაზი ლაზთა მეფე, ეთაყვანა ხოსროს, ვითარცა ბატონს და თავისი თავი სამეფო ძალაუფლებითურთ და მთელი ლაზიკე გადასცა მას. პეტრა ზღვისპირა ქალაქია კოლხეთში...“ (გეორგიკა 2, 1965 გვ. 82, 83)

აქედან ჩანს, რომ ხოსრო პეტრაში ჩქარა მოვიდა მესხეთის (იბერიის) ე.წ.კლარჯეთის გზით, და არა დასავლეთ საქართველოს გრძელი გზის გავლით.

აქ, „შუა კოლხეთის“ ქვეშ, იგულისხმება ალბათ ართვინის მხარე ხოფას მახლობლად.

„პეტრა ზღვისპირა ქალაქია კოლხეთში“, ის იუსტინიანემდეც არსებობდა, მაგრამ უმნიშვნელო იყო. იუსტინიანემ შემოზღუდა და გაამშვენა (გეორგიკა 2, 1965 გვ. 83).

პეტრა დგას კლდეზე (გეორგიკა 2, 1965 გვ. 85).

ხოსრომ პეტრა აიღო – (მეორე შემოჭრის დროს) (გვ. 87).

„ქრისტიანთა მღვდელმთავარსაც კათოლიკოსს უწოდებენ ელინთა ენით, რადგან ის ერთი განაგებს ყველა აქაურ სოფლებს“. აქაური სოფლების ქვეშ იგულისხმება მიწა-წყალი ჭოროხის მარცხენა სანაპიროსაკენ – ოფ-რიზეს რეგიონი (გვ. 88).

სახელი „ფისონი“ ერქვა ციხე-სიმაგრეს მარტიროპოლის რაიონში (გეორგიკა 2, 1965 გვ. 89).

შდრ. „ფსორის ციხე“ – კახეთში (გომბორზე).

რომის ელჩები ხოსროს თხოვენ რომაელებს დაუბრუნოს ლაზიკა (გვ. 91).

ხოსრომ გადაწყვიტა „ლაზიკიდან კოლხები ყველანი გამოესახლებინა“ (გვ. 92).

ხოსრომ გადაწყვიტა შავ ზღვაზე საზღვაო ფლოტის აგება, ამიტომაც მან გაგზავნა „ლაზიკაში აურაცხელი ხე-ტყე“. აქედანაც ჩანს, რომ ლაზიკეში არ იგულისხმება დასავლეთ საქართველო, რადგანაც დასავლეთ საქართველოში ხე-ტყის გაგზავნა საჭირო არ იყო, რადგანაც, იმჟამად მთელი დასავლეთ საქართველო ტყე და ჭაობში იყო, ამასთანავე, ეს შეუძლებელიც იყო უგზოობის გამო. ხე-ტყე შეაქვთ იმ ქვეყანაში, სადაც ძნელად მოიპოვება სახომალდე მასალა. ხოსრომ ლაზიკაში შეიტანა ხე-ტყე ალბათ ჭოროხის სამდინარო გზით, რადგანაც ჭოროხზე ნავებით დახერხილი ხის მასალა ბათუმისაკენ XIX ს-შიც გადაჰქონდათ. ხოფა-პეტრას რეგიონში ჩანს საჭირო იყო გარედან მასალის შეტანა ხომალდმშენებლობისათვის, სადაც ხოსრომ სახომალდე მასალად შეიტანა – „აუარებელი ხე-ტყე“ (გვ. 93).

„ლაზიკე“ არის კაპადოკიის, გალატიისა, ბითვინიის მეზობელი, პროკოფი კესარიელის სიტყვით „ლაზიკეს შემოერთება ხოსროს უნდოდა კაპადოკიის, გალატიისა და ბითვინიის დასამორჩილებლად (გვ. 95)”, ლაზიკე – დასავლთ საქართველო რომ ყოფილიყო მისი ხელში ჩაგდებით ხოსრო კაპადოკიას ან გალატიას ვერ დაიმორჩილებდა, კაპადოკიასა და დასავლეთ საქართველოს შორის გადაჭიმული იყო დიდი ქვეყანა ქალდეა-ჭანეთი-ტრაპიზონის რეგიონი – ამ რეგიონშივე მდებარეობდა „ლაზიკე“ და ის არ იყო დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილი (გვ. 95).

ლაზები და ჭანები პროკოფის სიტყვით სხვადასხვა „ხალხია, რადგანაც ლაზები ქრისტიანები არიან ყველაზე მეტად, სპარსელების სარწმუნოებრივი შეხედულებები სრულიად ამათი საწინააღმდეგოა“ (გვ. 95)

პროკოფი აღნიშნავს რომ ჭანებმა, მთიელმა ხალხმა, ქრისტიანობა მიიღო VI ს-ში მის დროს, ხოლო მისი დროის ლაზები „ყველაზე უფრო მეტი (კარგი) ქრისტიანები

არიან“, მაშასადამე ჭანები სხვა ხალხია, ხოლო ლაზები სხვა.

თუმცა ლაზებიც და ჭანებიც ერთი რეგიონის, ერთი მთიანეთის ხალხია. ოღონდ ლაზების წინ – ზღვაა.

„ლაზიკეში არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე, ყველაფერი შემოაქვთ მათთან ნავებით რომაელთა სანაპიროებიდან“ (გეორგიკა 2, 1965 გვ. 96).

აქედან ჩანს, რომ „ლაზიკე“ – ზღვისპირა და მდინარე ფაზისისპირა ზოლია. „ლაზიკე“ რომ ყოფილიყო დასავლეთ საქართველო, ვთქვათ თანამედროვე თერჯოლის რაიონი, როგორ უნდა შეეტანათ იქ ღვინო, მარილი და ხორბალი ზღვით „ნავებით“ რომაელთა სანაპიროებიდან? საჭირო იქნებოდა სახმელეთო ან სამდინარო გზები, გარდა ამისა იქ ღვინის შეტანა ვითომ საჭირო იქნებოდა? ცხადია, რომ არა, ამიტომ „ლაზიკე” ზღვისპირზე და მდინარისპირზე განლაგებული ვიწრო ქვეყანა უნდა ყოფილიყო, რომელსაც გრძელი სანაპირო აქვს, და სადაც პროდუქტი შეაქვთ ნავებით. ასეთია მაგალითად ჭოროხის ხეობა, სადაც პროდუქტის სანაპიროდან ლაზიკის სიღრმეში შესატანად გრძელი გზები არ ესაჭიროებათ – სამდინარო გზაც საკმარისია. ჭოროხის სამდინარო გზა აქ იყო უპირველესი სავაჭრო არტერია, რომელსაც ქვემოთ ვეხებით. ჩანს პროკოფის ლაზიკა ძირითადად ჭოროხის ხეობა და ერგე-ლიგანიაა, რომელსაც ქვემოთ ვეხებით.

პროკოფი კვლავ იმეორებს: „იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ (ლაზიკეში), იქვეა ლაზების მიწა-წყალზე ორი სიმაგრე (სკანდა და სარაპანისი), იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც სხვა სიკეთე“ (BP, I, 12) (გვ. 96).

ჩანს ეს ორი სიმაგრე მესხეთთან ახლოა, მესხეთის არსიანის მთების კალთებზე მდებარე. ისინი ე.წ. კლარჯეთის გზის ციხეები უნდა ყოფილიყო, (ამ საკითხს ქვემოთ ვეხებით). არტაანი – იბერიიის ნაწილი იყო.

პროკოფი წერს ასევე: „ამას გარდა ლაზიკეში არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე“. (BP, II, 28).

აქედან ჩანს, რომ ლაზიკე არ არის დასავლეთ საქართველო, სადაც თუ საჭიროა ხორბლის და მარცვლეულის მოყვანა ადვილად შეიძლება (ქუთაისის, თერჯოლის, ზესტაფონის, ზუგდიდის და სხვა რეგიონებში), მით უმეტეს აქ ძველთაგანვეა გაშენებული ვაზი. ჩანს ლაზიკე არის მესხეთის მთიანი მხარე – ჭოროხის ხეობის მომდგამი მთიანეთი. ეს დასტურდება პროკოფის კიდევ ერთი ცნობით – სპარსთა მეფის კიდევ ერთი ლაშქრობის შემდეგ, ლაზეთში სპარსელთა 20 000 ცხენი დაიღუპა. მიზეზი იყო ის, რომ მათ არ ჰქონდათ ცხენის საკვები ბალახი სამყოფად ლაზიკის კლდიანობის გამო: „როდესაც ლაზიკეში იყვნენ საკვები არც თუ საყოფად ჰქონდათ, და ამრიგად შიმშილით და დაავადებით შევიწროვებულნი, მთლად დავარდნენ“ (გვ. 194). ბალახი დასავლეთ საქართველოს ბარში ცხენებისათვის უამრავია, ე.ი. ლაზიკე არ არის დასავლეთ საქართველო.

პროკოფი კესარიელი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ლაზიკეში არ მოდის ღვინო და ხორბალი „და სხვა სიკეთე“. ს. ყაუხჩიშვილის თვალსაზრისით, პროკოფი ცდებოდა, მაგრამ რით უნდა ავხსნათ ცნობა იმის შესახებ, რომ ლაზიკეში ბალახი და ცხენების საკვები მცირეა? კარგად ჩანს, რომ ლაზიკე არის კლდოვანი ქვეყანა, სადაც ნამდვილად არ არის ასეთი „სიკეთეები“. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი იყო მესხეთის მთიანეთი, კერძოდ კლარჯეთი (მამათა ცხოვრებიდანაც ჩანს). თუმცა, პროკოფის სიტყვით, მთელ ლაზიკეში ერთადერთი რეგიონია მოხირისი, სადაც „ღვინოც კარგიც გადის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას“ (გვ. 194).

მოხირისი – ერთადერთი ადგილია ლაზიკეში, სადაც ღვინო მოდის, დანარჩენი მოუსავ-

ლიანია იმდენად, რომ ცხენების გამოკვებაც ჭირს. მოხირისი ერგე-ლიგანის ნაყოფიერი რეგიონია და არა დასავლეთ საქართველო, რომლის ყველა მხარე ასევე ნაყოფიერია (გეორგიკა 2, 1965 გვ. 96).

პროკოფის სიტყვით, როგორც ითქვა, ლაზები სხვა ხალხია, ხოლო ჭანები კი სხვა. „იუსტინიანე მეფემ ლაზების დასახმარებლად გააგზავნა სარდალი დაგისთე და 1000 ჭანი, ისინი კოლხეთში (კოლხიდაში) მივიდნენ და დაიბანაკეს“ (გვ.99). მაშასადამე, ასევე, სხვადასხვა ქვეყნებია ჭანეთი და ლაზეთი.

„მდინარე ბოასი გამოდის ჭანეთის საზღვრის მახლობლად არმენიელთა ადგილებში... თავში ის კარგა მანძილზე... თხელია... იმ ადგილამდე, სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრებია, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა თავდება... მის შემდეგ რაც ეს მდინარე მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ რადგან მას ბევრი წყალი ემატება, ის **ი**ზრდება ძალიან და ნაცვლად ბოასისა ამიერიდან ფაზისად წოდებული განაგრძობს მდინარებას, ნაოსნობისათვის გამოსადეგი... ზღვამდე და მის ორივე მხრით ლაზიკე არის, მაგრამ მარჯვნივ მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე, ვიდრე იბერიის საზღვრამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით. ლაზთა სოფლები, ხომ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი – იბერიის საზღვრებისკენ“. ჭანეთიდან გამომავალი ბოასი, ცხადია, არის ჭოროხი, რომელიც ბოასად იწოდებოდა კარჩხალის მთებამდე. პროკოფისათვის კარჩხალთან მთავრდებოდა კავკასიის მთა (ე.ი. მცირე კავკასიონი), ამის ქვემოთ ჭოროხს უკვე ფაზისი ერქვა, აქვეა კავკასიისა და იბერიის საზღვრები. მართლაც, ართვინის მარჯვნივ, არტანუჯის იქით იწყებოდა არტაან-კოლას რეგიონი ანუ იბერია. ჭოროხის მარჯვენა სანაპირო „ადგილობრივი მცხოვრებლებით"-მესხებით იყო დასახლებული, ხოლო მარცხენა ანუ პროკოფისათვის „მდინარის აქეთა ნაპირი" კი – ლაზებით. ეს ასეა ამჟამადაც კი - თანამედროვე მკვლევარის აღწერით, რომელიც ქვემოთაა მოყვანილი, ართვინთან ჭოროხის მარჯვენა სანაპირო ქართულად, ხოლო მარცხენა სანაპირო-ლაზურად მეტყველი მოსახლეობითაა დასახლებული. მაშასადამე ლაზების სოფლები და ქალაქები მდინარის „აქეთა ნაპრას" ანუ ჭოროხის მარცხენა სანაპიროს მხარეს მდებარეობდა. მართლაც, პიტიუნტი პ. იგოროყვას კვლევით იყო ქ. ოფი, იქვე იყო სევასტოპოლისიც. მის საპირისპირო მხარეს, ჭოროხის მარჯვენა სანაპიროს მომცველ რეგიონში - „იბერიის საზღვრებისაკენ” ანუ არტაანისაკენ მიმავალ გზაზე მაღალმთაში იდგა სკანდისა და სარაპანისის ციხე-სიმაგრეები (გეორგიკა 2, 1965 გვ. 100).

„ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის როდოპოლისი და მოხირისი. მდინარის მარცხნივ, ერთი დღის მანძილზე მსუბუქად დატვირთული კაცისათვის ლაზიკის საზღვრებია. ამ მხარის მეზობლად რომაელები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებათ“. სად გადიოდა საზღვარი ლაზიკასა და რომის იმპერიას შორის? პროკოფი ძალზე გასაგებად წერს, რომ საზღვარი ლაზიკისა იმპერიასთან გადიოდა მდინარე ფაზისის „მარცხნივ ერთი დღის მანძილზე”. რამდენი კილომეტრია ერთი დღის გზა? როგორც ცნობილია ესაა დაახლოებით 20-25 კმ. მაშასადამე საზღვარი გადიოდა მდ.ფაზისიდან 30-იოდე კმ-ში. საზღვარი საქართველოსა და ბიზანტიას შორის ხუფათთან გადიოდა, რომელიც მართლაც დაახლოებით ამ მანძილითაა დაშორებული ჭოროხს.

პროკოფის აღწერიდან შეიძლება შევიტყოთ, რომ რომაელებს შავი ზღვის ნაპირებიდან გაუძევებიათ იბერიის სამეფო, წაურთმევიათ მისთვის სამხრეთის მხარე, კერძოდ არიანეს დროს ძიდრიტებით დასახლებული ტერიტორია (გვ. 25), შემდეგ იბერიის საზღვრები

კვლავ შემცირდა, იბერიამ დაკარგა კლარჯეთი თავისი ზღვისპირით, რაც ეთანადება ქართულ წყაროებს. პროკოფის ფაზისი – ჭოროხია. პიტიუნტი და სებასტოპოლისი – ტრაპეზუნტსა და პეტრას შუა მდებარეობდა.

„როდესაც ლაზები წინ მიუძღვებოდნენ ხოსროს, მათ გადავლეს მდ. ბოასი და ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფაზისი მარჯვნივ ჰქონდათ თითქოს იმიტომ, რომ მათ წინასწარ განჭვრიტეს რათა მდინარე ფაზისის გადასასვლელად არც დრო და არც შრომა დასჭირვებოდათ, ხოლო ნამდვილად იმიტომ, რომ არ სურდათ „სპარსელებისთვის ეჩვენებინათ თავიანთი საბინადრო ადგილები“. (გვ. 102).

„ლაზიკე ყველგან, მდინარე ფაზისის როგორც აქეთა, ისე იქეთა მხარეზე – გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია, რომელნიც იქ დიდ მანძილზე ვიწრობებს ქმნიან. ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს“ უწოდებენ ელინური გამოთქმით“ (გვ.102).

როგორც ცნობილია, რიონის სანაპიროებზე არსადაა მსგავსი კლდეები, როგორც პროკოფი აღწერს, რაც შეეხება ჭოროხს, მისი სანაპირო მართლაც კლდოვანია. მაშასადამე პროკოფის „ფაზისი“ არაა რიონი, გარდა ამისა, როგორც აღწერიდან ნათლად ჩანს სპარსელთა მეფემ ხოსრომ გადალახა მდ. ბოასი (ეს ჭოროხის სახელი იყო ამ ადგილებში თანამედროვე ართვინის მაღლა, ხოლო მის დაბლა ვიდრე ზღვამდე ჭოროხს უკვე ფაზისი ერქვა) და ქ. პეტრამდე გაჰყვა მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროს, ისე რომ, როგორც პროკოფი წერს „ფაზისი (ე.ი. ჭოროხი) მარჯვნივ ჰქონდათ. ეს არის ჩვეულებრივი გზა, ანუ ხოსრო პეტრაში მივიდა არა სურამის ქედის გზით, არამედ სპარსეთიდან ქ. პეტრამდე ყველაზე მოკლე გზით – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან გაიარა შემდეგდროინდელი კლარჯეთი და მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროს გზით მივიდა პეტრაში.

პროკოფი წერს მდ. ბოასის შესახებ – „თხელია და არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ფონში გასასვლელად ვიდრე იმ ადგილამდე სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრები არის, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა თავდება“ (გეორგიკა 2, 1965 გვ. 106).

მართლაც, ჩვენთვის ცხადია, რომ აქ ლაპარაკია მდ. ჭოროხსა და მის შენაკადებზე, მდ. ჭოროხი მიემართება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ერთ ადგილას, სადაც სხვა შენაკადებიც უერთდება მას, ეღობება მესხეთის მთები, ესაა კარჩხალის ქედი, რომელიც წარმოქმნილია აჭარა-შავშეთ-მესხეთის მთების ერთობლიობით სწორედ იქ, სადაც ეს მთაგრეხილი „თავდება“ (პროკოფის სიტყვით), მდინარე ჭოროხი თითქმის 90^0-ით უხვევს მარცხნივ და წყალსავსე მიემართება ზღვისაკენ. ჩანს, ამ მესხეთის მთაგრეხილს პროკოფი მიიჩნევს „კავკასიის მთად“, რაც ბუნებრივია. საქმე ისაა, რომ ბერძენი და ლათინი ავტორები იმ ქვეყანას, რომელსაც რუსები „ზაკავკაზიას“ უწოდებენ, აღიქვამენ არა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, არამედ პირიქით – სამხრეთიდან-ჩრდილოეთისაკენ, ამიტომაც, თუ რუსისათვის „კავკასიის“ მთები – არის დიდი კავკასიონის მთაგრეხილი, ბერძენ-ლათინი ავტორებისათვის ის არზრუმ-კლარჯეთ-მესხეთის მთებით იწყება. ს. ყაუხჩიშვილი ამ საკითხს განიხილავს, ასე ვთქვათ, რუსული თვალთახედვით. მისთვის კავკასიონის მთა – დიდი კავკასიონია. ამიტომაც ის წერს: – „კავკასიისა და იბერიის საზღვრები ჭოროხის ხეობაში საძიებელი არ არის“ (გვ. 107), ჩვენი თვალთახედვით კი პირიქით - იბერიის ნაწილად მოიაზრებოდა შემდეგდროინდელი არტაანი, რომლის ერთი ბოლო კავკასიის ქედით, კერძოდ კი კარჩხალის ქედით თავდებოდა, და ასე ესაზღვრებოდა ლაზიკას – ანუ ქ. პეტრასკენ მიმავალ გზას. ჩანს სწორედ ასეთი თვალთახედვით აღწერს პროკოფი მეორეჯერ სპარსთა ჯარის გზას ქ. პეტრასაკენ. მართლაც ჭოროხის ხეობაში არსიანის ქედის ბოლოსაკენ იყო კიდეც ძველი ქართული საერისთავო, სახელწოდებით – „საკავკასიეო.“

„ხოლო მერმეროემ, როდესაც მან მიდთა მთელი ჯარით განვლო იბერიის საზღვრები, წინ გასწია, ისე, რომ მდინარე ფაზისი მარჯვნივ ჰქონდა. იმან არ მოინდომა ლაზიკის სოფლებზე გაეარა სადმე, რათა იქ მას რაიმე დაბრკოლება არ შეხვედროდა. ის ეშურებოდა გადაერჩინა ქალაქი პეტრა“ (გვ.107).

თუკი სპარსთა ჯარმა გადმოიარა სურამის ქედი და შევიდა დასავლეთ საქართველოში, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილის აზრით „ლაზიკა“ ეწოდებოდა, ქ. პეტრამდე ანუ ბათუმის სანაპირომდე მთელი დასავლეთ საქართველოს გადალახვას, როგორ შეძლებდა ისე, რომ „ლაზიკის სოფლებზე არ გაიარა“? ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ თუკი კლარჯეთის გავლით ჭოროხის მარცხენა დაუსახლებელ სანაპიროს გაუყვებოდა, ის პირდაპირ მოადგებოდა ქ. პეტრას. პროკოფი ხშირად წერს, რომ ჭოროხის ანუ ფაზისის მარცხენა უშუალო სანაპირო ნაკლებ დასახლებული იყო.

ს. ყაუხჩიშვილი პროკოფი კესარიელს შეცდომად უთვლის, როცა წერს მდ. ბოასს ანუ მდ. ფაზისს სათავეში **„**ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ აკამფსისს“**,** ჩვენი აზრით, ბუნებრივია, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს თავიანთ მდინარისთვის არა ბერძნული „ბოასი“, არამედ თავიანთი ენის შესაფერისი სახელი დაერქმიათ. რადგანაც პ. ინგოროყვას აზრით „ფს“ – თანხმოვანთ-კომპლექსით ქართველები წყალს აღნიშნავდნენ ბუნებრივია თავიანთი მდინარეებისათვის სუფსა, აკამფსისი და მსგავსნი ეწოდებინათ. ერთი სიტყვით „ბოასი“ ერქვა არა მდინარე რიონის შენაკად „ყვირილას“, არამედ ჭოროხის (ფასისის) როგორც ერთერთ შენაკადს, ისე ამავე მდინარეს სათავეში. სხვათაშორის მდ. „ყვირილას წყალი“ გაედინება გურიაშიც, ის სუფსის თუ ნატანების შენაკადია. ასევე მდ. ყვირილა არის შავშეთშიც (გეორგიკა 2, 1965 გვ. 108).

ს. ყაუხჩიშვილი წერს, თითქოსდა პროკოფი კესარიელის აზრით ქალაქები არქეოპოლისი, პიტიუნტი, სკანდა, სარაპანი, როდოპოლისი და მოხირისი მდ. ფასისის მარჯვნივ იმყოფებოდა. ჩვენი აზრით, პროკოფი გარკვევით წერს, რომ ფასისის მარჯვნივ იმყოფებოდა ქალაქები მოხირისი და როდოპოლისი, ასევე სკანდასა და სარაპანის სიმაგრეები, ხოლო სებასტოპოლისი და პიტიუნტი მარცხნივ – „აქეთა ნაპირას“ (გვ. 101). კონსტანტინოპოლში მჯდომი კაცისათვის „აქეთა სანაპირო“ შავი ზღვის სანაპიროა, მდ. ჭოროხის მარცხენა მხარე, რიზე-ოფი-პეტრას რეგიონია. პროკოფისათვის, როგორც ითქვა, ფასისი ჭოროხია (ხოსროსთან ომის აღწერისას), ხოლო ქალაქები პიტიუნტი (არა ბიჭვინთა, რომელიც აფხაზეთში იყო) და სებასტოპოლისი (ასეთი მრავალი ქალაქი იყო) – ჭოროხის მარცხნივ მდებარეობდნენ.

სკანდა და სარაპანისი საფიქრებელია, რომ არცთუ დიდი მანძილით იყო დაშორებული ქ. პეტრას. ამას მიუთითებს პროკოფი კესარიელის შემდეგი მოსაზრება – რომაელი სარდალი ბესა, როცა ქ. პეტრა აიღო, მაშინვე, უნდა მისულიყო იბერიის საზღვართან და დაეცვა ეს ადგილები, რომ იბერიის (ანუ სკანდა-სარაპანის) გზით სპარსელები ქ. პეტრაში არ დაბრუნებულიყვნენ. – პროკოფი წერს – „ის რომ მაშინვე, როდესაც გაიმარჯვა, და პეტრა აიღო, ლაზებისა და იბერების საზღვარზე რომ მისულიყო და დაეცვა იქაური ძნელსავალი ადგილები, სპარსელთა ჯარი, ჩემი აზრით, ლაზიკეში ვეღარ შემოვიდოდა“. იმერეთის შორაპანი ძალზე შორსაა პეტრადან, ხოლო ართვინ-არტაანის გზაზე მდებარე სარაპანა კი ახლოა.

ხოლო, ქ. როდოპოლისი ნამდვილად სკანდა–სარაპანისთან ახლოს მდებარეობდა – „დაბლობში ერთი ქალაქი იყო, სახელად როდოპოლისი, რომელიც ყველაზე უწინარეს ხვდებოდა გზაზე იბერიიდან კოლხიდაში შემოსულთ“. ეს ქალაქი როდოპოლისი უნდა იყოს დღევანდელი ართვინი ან ახლო მდებარე ადგილი ჭოროხზე (გეორგიკა 2, 1965 გვ. 185).

ჩვენი აზრით, პროკოფი კესარიელის აღწერილობა დამაჯერებელი ხდება, თუ კი ჩვენ

„ფასისად“ ჩავთვლით მდ. ჭოროხს, ხოლო მდ. ბოასად – მდ. ჭოროხს სათავეში. მის შენაკად ლიგანის ხევს კი მივიჩნევთ მდ. „გლავკოსად“, რომელსაც ხშირად ახსენებენ ძველი ავტორები (გეორგიკა 2, 1965 გვ. 108).

ს. ყაუხჩიშვილი, რადგანაც მდ. ფასისს მიიჩნევს მდ. რიონად, მისთვის პროკოფის აღწერილობა ხშირად არ ეთანხმება რეალურ სურათს, ამიტომაც ს. ყაუხჩიშვილი პროკოფის აკრიტიკებს- „იბერიიდან მომავალი ჯარი მდინარეზე გადაუსვლელად და მის მარცხენა ნაპირას სვლით პეტრაში ვერ მივიდოდა“ (გვ. 108).

ჩვენი აზრით, ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი ფასისად მივიჩნევთ ჭოროხს, კერძოდ, ჭოროხთან ახლოს მდებარე იბერიის ერთი კუთხიდან – არტაანიდან მომავალმა სპარსელთა ჯარმა ფეხით ან ცხენებით გადალახა მდინარის ფონი სადღაც ართვინის მაღლა, (რადგანაც აქ ბოასად სახელდებული ფასისი წყალმცირეა) გადავიდა მდინარის მარცხენა სანაპიროზე, გაჰყვა მას (ე.ი. მდ. ჭოროხს) და პირდაპირ მიადგა ქ. პეტრას – ესაა სრულიად ბუნებრივი გზა, ხოლო ნამდვილად არაბუნებრივი და შეუძლებელი გზა იქნებოდა სპარსთა ჯარისათვის თუ ის სურამის ქედის გადალახვით გაივლიდა უვრცელეს ქვეყანა – დასავლეთ საქართველოს, გაივლიდა რიონის ჭაობებს და შემდეგ მივიდოდა მდ. ჭოროხთან ახლოს ქ. პეტრაში – აი, სწორედ ეს გზა იქნებოდა არაბუნებრივი. ასე რომ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ამ საკითხს, ვფიქრობ, არასწორად აშუქებს.

რუსულ ჯარს XIX ს-ში ნამდვილად სურამის ქედის გავლით უხდებოდა მდ. ჭოროხამდე მისვლა, ხოლო სპარსულ ჯარს ეს გზა არ ესაჭიროებოდა, რადგანაც სპარსული ქვეყანა პერსარმენია – ლაზიკის (ე.ი. ჭოროხის ხეობის) გვერდით იყო, გზად პერსარმენიასა და ლაზიკას შორის იბერია (კერძოდ კოლა-არტაანის თემი) იყო მოქცეული, რომელიც გადაკვეთა ხოსროს ჯარმა და მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროს გზით მივიდა ქ. პეტრაში. ასე, რომ ხოსროს ჯარს ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველო არ გაუვლია.

პროკოფი კესარიელის აღწერიდან ნათლად ჩანს, რომ მდ. ფაზისი ახლოა ქ. პეტრასთან, კერძოდ თუ არა ძალადობა ტექსტზე, პროკოფის მონათხრობიდან ნათლად ჩანს, მაგალითად ასეთი რამ: რომაელთა ჯარის ერთი ნაწილი აკავებს მტერს ზღვასთან ახლოს ფაზისის კლდოვან „ვიწროებში“ (ასეთი კლდოვანი ვიწროები მხოლოდ მდ. ჭოროხის სანაპიროზეა და არა მდ. რიონისა), ბოლოს სიჭარბის გამო სპარსელები იმარჯვებენ, ამის გამო ბერძნებმა (რომაელებმა) მოხსნეს ქ. პეტრას ალყა და მდ. ფასისისაკენ გასწიეს თავიანთი ჯარის ნაწილის დასახმარებლად, ეს რომ დაინახეს ქალაქში, იქამდე ალყაში მყოფმა სპარსელებმა კარები გახსნეს და უპატრონოდ მიტოვებულ (ე.ი. ფასისისკენ უკანდახეულ) რომაელთა ბანაკს თავს დაესხნენ. თავის მხრივ, იქვე დაბანაკებულმა რომაელთა მომხრე ჭანებმა სპარსელებს შეუტიეს, უკუაქციეს და თვითონ დაარბიეს უპატრონოდ მიტოვებული რომაელთა ბანაკი, დაიტაცეს ქონება, ამის შემდეგ უკან დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში რიზესა და ტრაპიზონის გავლით. აქედან, გარდა იმისა, რომ ჩანს ფაზისის და პეტრას სიახლოვე (ე.ი. ფაზისი ჭოროხია), ჩანს ისიც, რომ ჭანები და ლაზები სხვადასხვა ხალხი იყო. ჭანების სამშობლო სამხრეთშია, ჭორხთან შედარებით ახლო მდებარე რიზესა და ქ. ტრაპიზონის იქით (გეორგიკა 2, 1965 გვ. 110).

ფაზისი, რომ პეტრას სიახლოვესაა ეს სხვა ადგილიდანაც ჩანს, პროკოფი წერს თუ რას ფიქრობდა გუბაზი – ლაზთა წინამძღოლი: თუ მტერი შეძლებდა პეტრაში მისვლას, მაინც „ვერას გზით ვერ გადალახავდნენ ფაზისს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ნავები არ ჰქონდათ, ამ მდინარეს ხომ სიღრმე აქვს სხვებზე არანაკლები და სიგანითაც დიდ მანძილზეა გადაჭიმული, სისწრაფეც მას ისეთი აქვს, რომ ზღვაში ჩასული ის კარგა მანძილზე ცალკე მიმდინარეობს“ (გვ. 113).

რიონი ზღვის შესართავთან მდორეა და უფრო ჭაობიდან მდორედ გამოსულ დინებას

ემსგავსება, მისი სისწრაფე უმნიშვნელოა, ჭოროხი კი გაცილებით სწრაფია, ამიტომაც, სწორედ ჭოროხია პროკოფის მიერ აღწერილი „ფაზისი“, რომელიც ახლოსაა პეტრასთან. მხოლოდ ჭოროხი შედის ზღვაში ძლიერი დინებით და არ ერევა ზღვის წყალს – სიჩქარის გამო, ცალკე მიედინება ზღვაში. ამასთანავე, მტერს (სპარსელებს) მართლა შეეძლოთ მდინარის მარცხენა სანაპიროს (პეტრას) დაპყრობა, მაგრამ მარჯვენა სანაპიროს მხარე – კვლავ ლაზებს დარჩებოდა.

კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ სპარსთა მიერ განვლილ გზას ლაზიკისაკენ. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის თანახმად VI ს-ის დასაწყისში სპარსელთა ჯარი ლაზიკაში, კერძოდ კი ქ. პეტრაში მივიდა დასავლეთ საქართველოში შემავალი ხაშურ-ლიხის ქედის გზით და გაიარა ეს ვრცელი ქვეყანა. პროკოფის აღწერიდან კი ჩანს, რომ სპარსელთა ჯარი ლაზიკაში შევიდა პერსარმენია-კლარჯეთის გზით, კერძოდ გაყვა მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროს და პირდაპირ მიადგა ქ. პეტრას – ესაა უმოკლესი გზა. პერსარმენიის გზითვე გავიდა ეს ჯარი ერთ-ერთი ბოლო დამარცხების შემდეგ ლაზიკიდან, კერძოდ პროკოფი წერს – სპარსელთა სარდალმა სურსათის ნაკლებობის გამო გადაწყვიტა ჯარის მეტი წილი გაეყვანა ქ. პეტრადან, მართლაც მან ქ. პეტრაში დატოვა 5 000 კაცი, „თვითონ კი დანარჩენი ჯარით მივიდა პერსარმენიაში და დაისვენა დვინის მახლობელ სოფლებში“ (გვ. 115). ე.ი. ლაზიკაში მოლაშქრე სპარსთა ბანაკი დვინშია.

ლაზიკიდან პერსარმენიაში გადის პირდაპირი გზა. ლაზიკის ქვეშ იგულისხმება არა დასავლეთ საქართველო, არამედ ისტორიული ოლქი კლარჯეთი „ბოლო კლარჯეთისა ზღვის პირი“ – ამ ქვეყნის ღერძული უმთავრესი მდინარეა ჭოროხი, რომლის მთავარი ციხეც იმ დროს პეტრა იყო, აქედან პერსარმენიამდე – (დვინამდე) გადიოდა პირდაპირი გზა ჭოროხისა და მისი მომიჯნავე კლდოვანი მთების გავლით. ესაა ართვინ-არტანუჯ-არტაან-დვინის გზა. ასე, რომ დასასვენებლად პერსარმენიაში პეტრადან ჩასულ ჯარს ხაშურ-ლიხის ქედი და თბილისი არ გაუვლია და არც იყო ამის საჭიროება.

ამ ცნობით ამთავრებს პროკოფი კესარიელი თავის წიგნს სპარსელებთან ომს De Bello Persico.

„ომი გოთებთან“
De Bello Gothico (BG)

პროკოფი კესარიელი თავის სხვა წიგნში De Bello Gothico-შიც ეხება ლაზიკას. წიგნში „სპარსელებთან ომი“ პროკოფი უფრო გამოწვლილვით და დამაჯერებლობით აღწერს ლაზიკას, ვიდრე სხვა წიგნებში, „გოთებთან ომში“ ცნობები ლაზეთის ქალაქების ადგილმდებარეობის შესახებ უფრო ნაკლები ინფორმაციის მქონეა. მიზეზი ამის ის უნდა ყოფილიყო, რომ წიგნი „სპარსელებთან ომი“ ბიზანტია-რომის ომის უშუალო მიზეზს – ლაზიკას აღწერს. სხვა წიგნებში ლაზიკა უკვე მეორეხარისხოვანია და ალბათ ამიტომაც ლაზეთის შესახებ თავის ცნობებს პროკოფი ვეღარ აქცევს ისეთ ყურადღებას, როგორც „სპარსელებთან ომში“ (გეორგიკა 2, 1965 გვ. 118).

წიგნიდან „გოთებთან ომი“ ვიგებთ შემდეგს: ქალაქ მოხირისთან (ლაზიკაში) ჩამოდის მდ. ჰიპოსი, ე.ი. ცხენისწყალი, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში რამდენიმე მდინარე ატარებს ამ სახელს, ერთია სამეგრელო-იმერეთში, მეორე კი აფხაზეთში. იყო ლიგანშავშეთშიც. გ. ყაზბეგიც აღწერს ერთ-ერთ ასეთს ყვირილას შავშეთში (გვ. 119).

პროკოფის თქმით, ჭანები ზღვისპირეთს ძალზე არიან დაშორებულნი და არმენიელების გვერდით ცხოვრობენ, ისინი არ არიან კოლხები (გვ. 120).

მთელ ლაზიკეში, ერთადერთი მოხირისია მოსავლიანი რეგიონი, „ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე სახელად რეონი“ (გვ. 194).

მაშასადამე, ეს „რეონი“ მოხირისის ქვეყანაში შედის: „მის სანაპიროებთან კოლხებს აუგიათ ციხე, რომელიც შემდეგ ხანებში მათ მეტწილად მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან ის მეტად დაბალ ვაკეზე მდებარეობდა და მათი აზრით ადვილი მისასვლელი იყო, მაშინ ამ ციხეს კოტაიონს უწოდებდნენ ელინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთათისს ეძახიან, ბერძნული ენის უცოდინარობით მოსდით, რომ ამ სახელწოდების ნამდვილი სახე შერყვნეს. ასე აქვს ეს მოთხრობილი არიანეს“ (გვ. 125). ს. ყაუხჩიშვილის ცნობით „არიანეს ჩვენამდე მოღწეულ თხზულებებში ამის შესახებ არაფერი მოიპოვება“ (იქვ. გვ. 125). მაშასადამე, კოტაიონის ციხე მეტად დაბალ ვაკეზე იდგა, რაც შეეხება იმერეთის ქუთაისის ციხეს, ის ამჟამადაც დგას იმავე კლდეზე, სადაც აღმართულია ბაგრატის ტაძარი.

„კოტ“ ფუძით, როგორც გამოკვლეულია, მრავალი ქალაქი იწოდებოდა ბერძნულ სამყაროსა და მცირე აზიაში. ამიტომაც, შესაძლებელია, ამჟამინდელი ქუთაისის გარდა, ქუთათისი სხვა რომელიმე პუნქტსაც რქმეოდა. ლიგან-ერგესა და აჭარისწყლის ხეობაში, რომელიც „დაბალი ვაკეა“ (პროკოფის გამოთქმას თუ ვიხმართ), ამჟამად, იქ არის სოფელი „კვატია“, რაც იგივე „კოტ“ ფუძის მატარებელია. ასევე „რეონი“ შესაძლოა რიონის გარდა სხვა მდინარესაც ერქვა (ისევე როგორც ფაზისი ან ბოასი). ყოველ შემთხვევაში ს. ყაუხჩიშვილი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ „უქიმერიონი“ ერქვა ქუთაისის ე.წ. „არქიელის გორას“, სადაც ციხე იყო აღმართული. მისი აზრიდან გამომდინარე მოხირისი მდებარეობდა მდ. რიონის მარცხენა მხარეს, სადაც არის სოფელი „დაბლაგომი“. (იქვე, გვ. 210). „უქიმერიონი იყო ქუთათისის მახლობლად ერთი მეტად მაგარი ციხე“ (გვ. 196).

ჩვენი აზრით, სიტყვა უქიმერიონში გამოიყოფა ფუძის ნაწილი „მერი“. აჭარულ-შავშური დიალექტით, „მერე“ ეწოდება მდინარისპირა მოვაკებულ ადგილს, ანუ გაშლილ ვაკეს. უქიმერიონი, მართლაც, „გაშლილ ვაკეზე მდებარეობდა“ – პროკოფის ცნობით, ისევე როგორც, კოტაიონის ციხე იდგა „მეტად დაბალ ვაკეზე“ – ასეთ ადგილს ამჟამადაც კი „მერე“ ადგილი ჰქვია. უკი-მერი შესაძლოა აქედან იყოს წარმომდგარი.

პროკოფის მტკიცებით, კოლხები შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები, ვინაიდან მდინარე ფაზისზე მოსახლეობენ, ხოლო სახელი კოლხი, როგორც სხვა მრავალი ტომისა ამჟამად „ლაზთა სახელით შეიცვალა“ (გვ. 120).

აქედან ნათლად ჩანს, რომ უკვე ძველ სამყაროში არ იცოდნენ, თუ კონკრეტულად რომელი ტომი შავიზღვისპირეთისა იყო ძველი, ლეგენდარული კოლხების პირდაპირი ეთნიკური შთამომავალი. ასეთებად ზოგს ერთი, სხვებს კი სხვა ტომი მიაჩნდა. პროკოფიც ინტერესდება ამ საკითხით და რადგანაც ცნობილი იყო, რომ კოლხები ძველად მდ. ფაზისთან ცხოვრობდნენ, ხოლო მის დროს ამ მდინარეზე ლაზები მოსახლეობდნენ, ამიტომაც დაწერა – „კოლხები იგივე ლაზები არიან“. ასე, რომ ეს ცნობა ეჭვმიუტანელი არ იყო თვითონ პროკოფისთვისაც, თანაც სახელი „ლაზი“ ამ ტომს პროკოფის დროს შერქმევია, მათი ძველი სახელი „ლაზთა სახელით შეცვლილა“.

პროკოფი კესარიელი ახსენებს ლაზთა ეპისკოპოსებს: ტრაპეზუნტელებსა და ლაზებს შორის ცხოვრობს ერთი ტომი, ის არც რომაელებს და არც ლაზთა მეფეს ექვემდებარება, მაგრამ „ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებს“. (გვ. 125).

ვფიქრობთ, ლაზთა ეპისკოპოსების ქვეშ, შესაძლოა იგულისხმებოდეს ნოტიცებში მოხსენიებული პეტრას, ზიგანას, საისინის, ფასისისა და როდოპოლისის ეპისკოპოსები.

საეჭვოა, რომ პროკოფი კესარიელის დროს, ან მანამდე, ჭოროხის პეტრაში ეპისკოპოსი მჯდარიყო, პეტრა იყო დაუცველ მეციხოვნეთა (ხან სპარსელთა, ხან კი რომაელთა) ციხესიმაგრე. ვფიქრობთ, პეტრას კათედრა სხვაგანაა საძებნი. ზიგანას ეპისკოპოსი, ნ.ადონცის კვლევით, იჯდა პუნქტ ზიგანაში, ტრაპიზონის მხარეს, მდებარეობდა მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე, პერსარმენიისაკენ. იქვე – ტრაპეზუნტის მხარესაა საძებნი სხვა კათედრებიც. ქ. ფასისი უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ მდინარე ჭოროხთან, საჭირო მისი ძიება ტრაპეზუნტთანაც, სადაც ნამდვილად იყო პუნქტი „ფადისსა“ (ამჟამად ფატსა). ჩვენი დაკვირვებით, შეცდომაა, საისინის – ცაიშად, როდოპოლისის – ვარციხედ, ზიგანას – გუდაყვად (ზიგინევად), ფასისის – ფოთად მოხსენიება (იხ. ქართიზაციის თეორიის კრიტიკა და ასევე საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნა ე.წ. “ქართიზაციის თეორიის” შესახებ).

პროკოფი ნათლად მიუთითებს თუ სად, რომელ ქვეყანაში ვრცელდებოდა აღნიშნულ „ლაზთა ეპისკოპოსების“ გავლენა – ეს იყო ზიგანას მხარე (ტრაპეზუნტთან) და ტრაპიზონისკენ მცხოვრები ერთი ტომი, რომელიც პერსარმენიელებს ესაზღვრებოდა, მათი ქვეყნის „მარჯვნით აღმართული მეტად ციცაბო მთები... ამის გადაღმა ცხოვრობენ ე.წ. პერსარმენიელები და არმენიელები“. ესაა რიზე-ათინა-ხოფას რეგიონი, ესაა ძიდრიტების (ძიდრიტები ან ზიდრიტები, ძველი ქართული ტომი, მცხოვრები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდ. ჭოროხის შესართავთან ახ.წ. II ს-ში. ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი, თსუ 2002, გვ. 734) ტომის ძველი საცხოვრისი.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი წყაროები ზოგჯერ დაბეჯითებით იძლევიან გეოგრაფიულ მინიშნებებს, ჩვენი ზოგიერთი მკვლევარი, მაინც, ამ ცნობათა საწინააღმდეგო დასკვნებს აკეთებს. მაგალითად, სრულიად გასაგებად წერს თემისტიოსი, რომ ქ. ფასისის რიტორიკული სკოლა მდებარეობდა „მდ. თერმოდონტთან, მდ. თემისკურასთან, არმენიელებისა და კოლხების ქვეყანაში“, მაინც ჩვენში დამკვიდრებული აზრით, ფასისის ქვეშ, თითქოსდა, ქ. ფოთი მოიაზრება, მაშინ, როცა, ფოთს არაფერი აკავშირებს არც არმენიელების, არც პერსარმენიელების მხარესთან და მის სიახლოვეს არ გაედინება მდ. თერმოდინტი და არც მდ. თემისკურა. აღნიშნული ქალაქი „ფადისსა“ ახლოა ამ მდინარეებთან (ქ. „ფადისსა“ მდებარეობდა კოლხების ძველ სამშობლოში) (გვ. 125).

პროკოფი კესარიელი ახსენებს ორივე ამ მდინარეს ქ. ამისიასთან და ქ. ტრაპეზუნტთან ახლოს (გვ. 122).

პროკოფი წერს –„ამისის მახლობლად არის ეგრეთწოდებული თემისკურე და მდინარე თერმოდონტი, სადაც, როგორც ამბობენ, ამაზონთა ბანაკი იყო. ტრაპეზუნტელთა საზღვრები ვრცელდება სუსურმენემდე და ეგრეთწოდებულ რიზემდე, რომელიც ლაზიკაში მიმავალთათვის ორი დღის სავალი გზით არის დაშორებული ტრაპეზუნტამდე“ (გვ. 122).

ტრაპეზუნტის „მარჯვნივ აღმართულია ჭანეთის მთები, რომელთა გადაღმა რომაელთა ქვეშევრდომი არმენიელები ცხოვრობენ. ამ ჭანეთის ქვეყნიდან ჩამოდის მდინარე, სახელად ბოასი... ადგილობრივი მცხოვრებნი მას აკამფსისს უწოდებენ, იმის გამო – მისი დამორჩილება, ზღვასთან შეერთების ადგილას შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ისეთი სისწრაფით და სიმწვავით უერთდება და ისეთი დიდი ხმაურობით მიიწევს წინ“... (გვ. 123), ერთი სიტყვით ბოას-აკამფსიის აღწერისას სიტყვა-სიტყვითაა განმეორებული პროკოფის მიერვე აღწერილი ფასისი, ესაა ჭოროხი და არაა რიონი, რომელიც ზღვასთან შეერთების ადგილას არ ქმნის მსგავს სურათს.

პროკოფის სიტყვით, ქ. რიზეს ახლოსაა პუნქტი „აფსარუ“ „აფსურტა“ - სადაც იასონმა და მედეამ მოკლეს აიეტის ვაჟი აფსურტე (გვ. 124), აქაა ლაზებისა და სანიგების ქვეყანა

(გვ. 125). სხვა ადგილას პროკოფი ამ ქალაქს – „აფსარუნტს“ უწოდებს. თუ ქალაქი აფსაროსი რიზესთან იყო, მაშინ ქ. ფაზისი შესაძლოა ერქვა გონიოს ან მის გვერდით, ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქალაქს ჭოროხის შესართავთან. (გეორგიკა, II, 1965, გვ. 126).

პროკოფი კესარიელი და სხვა ძველი ავტორები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ ნაწილს აღნიშნავენ საგანგებო ტერმინით – „ნახევარმთვარის მსგავსი ნაწილი“. აფსარუნტიდან პეტრამდე 20-25 კმ. მანძილი ყოფილა.

პროკოფი წერს: „ქ. აფსარუნტიდან პეტრამდე (ლაზთა საზღვრებამდე), სადაც ევქსინის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის. პონტო რომ თავდება, აქ ქმნის ნახევარმთვარის მსგავს ნაპირს. ამ ნახევარმთვარის გადასავალი უდრის 550 სტადიონს (დაახლ. 100 კმ.), ხოლო მის უკან მდებარე ქვეყანა არის ლაზური და ასეც იწოდება. ამათ შემდეგ შიდა ხმელეთში მოდის სკვიმნია და სვანია. ეს ტომები ლაზთა ქვეშევრდომები არიან... ამ ქვეყნის გვერდით, სახელდობრ იბერიის გასწვრივ, ცხოვრობენ ძველთაგანვე იბერთა ქვეშევრდომი მესხები, რომელთაც მთებში აქვთ საბინადრო ადგილები. მესხეთის მთები არც მწირია და არც ნაყოფიერებას მოკლებული, არამედ სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგან მესხებიც მარჯვე მიწის მუშები არიან და იქ ვენახებიც არის. ამ ქვეყანაში მთები მეტად მაღალია, უზარმაზარი და საშინლად მიუვალი. და ისინი გავრცელებულია ვიდრე კავკასიის მთებამდე. ამათ უკან აღმოსავლეთით არის იბერია, რომელიც პერსარმენიელებამდე აღწევს“. (გეორგიკა, II, 1965, გვ. 127). ჩვენი ხედვით, იმ ქვეყანას, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ კოლას და არტაანს – პროკოფი კესარიელი უწოდებს იბერიას, სადაც მესხები ცხოვრობენ, მის იქითა ქვეყანას კი – „პერსარმენიას“ (არმენიის სპარსულ ნაწილს), ლაზიკა ქართული წყაროების – „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირია“ ერგე-ლიგანთან ერთად, ხოლო სკვიმნია-სვანიას ჩანს უწოდებს იმ ქვეყანას, რომელსაც, ამჟამად, შავშეთ-ზემო აჭარა ეწოდება. აქაური მთები, მართლაც, მაღალი, უზარმაზარი და მიუვალია, მით უმეტეს, რომ ამ მთების ნაწილია კარჩხალ-არსიანის მთიანეთი, იმერეთის მთები კი – დაბალია. აქ, სამცხე-კოლა-არტაან-ტაოსკენ, მართლაც, კლარჯეთისაგან ანუ ლაზიკის გულისაგან განსხვავებით მიწა ნაყოფიერია, არის ბაღები და ვენახები. მისი მცხოვრებნი, ანუ მესხები იბერთა ქვეშევრდომები არიან. თუ ამ კუთხით განვიხილავთ საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას, პროკოფი კესარიელის ცნობები ეჭვს ნაკლებად გამოიწვევს და მეტად სანდო ხდება. წიგნის ამ ნაწილში „პერსარმენიის“ ხსენებისას პროკოფის კიდევ ერთხელ აგონდება მდ. ფაზისი და კიდევ იმეორებს – მესხების „უკან აღმოსავლეთით არის იბერია, რომელიც პერსარმენიელებამდე აღწევს. ამ მთებით რომელიც აქ არის, ჩამოდის მდინარე ფაზისი, რომლის სათავე კავკასიის მთებშია და პონტოს ერთვის ნახევარმთვარა ნაპირის შუაში“. (გვ. 127). „კავკასია“ აქ სპერის და არსიანის მთებია კარჩხალთან ერთად. აქ არტაან-კოლა იბერიის ნაწილი იყო, იმჟამად კი ის ტაოში პერსარმენიას ესაზღვრებოდა.

ლაზიკის უმთავრესი ნაწილი სწორედ ხრიოკი და კლდოვანი კლარჯეთია, რომლის მიწა-წყალიც ასე მოსწონდათ შემდეგდროინდელ ბერებს, უნაყოფობისა და შრომატევადობის გამო. პროკოფი კესარიელი და გიორგი მერჩულე ერთნაირად აღწერენ ლაზიკისა და კლარჯეთის მიწა-წყლის უნაყოფობას, ოღონდ ერთი მას „ლაზიკას“, მეორე „კლარჯეთს“ უწოდებს.

კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ VI ს-ის დასაწყისში, სპარსეთმა შეარყია ქართლის სახელმწიფოებრიობა, თავისი ბატონობა გაავრცელა ტაოსა და მის მომიჯნავე მიწა-წყალზე. ეს ქართული ქვეყნები მან ეკლესიურად დაუქვემდებარა იმჟამად პროსპარსული

ორიენტაციის სომხურ ეკლესიას. ამის გამო აქ მცხოვრებ მოსახლეობას უცხოელებიც, ზოგჯერ, პერსარმენიელებად ან არმენიელებდ მოიხსენიებენ. ამ ქვეყნიდან გამოდიოდა მდ. ფასისი, სათავეში ბოასად, ქართველთა მიერ კი „აკამფსისად“ წოდებული (ჭოროხი). „აკამფსისი“ შეიძლება ეტიმოლოგიურად, ქართულ „ფსმა“- სთან – წყლის დენასთან იყოს დაკავშირებული, ამიტომ პროკოფის ეს ცნობა არ არის უგულებელსაყოფი – როგორც ითქვა, პ. ინგოროყვა „ფს“-ს აკავშირებს წყალთან.

პროკოფი კესარიელი წერს, რომ „ფასისი“ პონტოს ერთვის ნახევარმთვარა ნაპირის შუაში, მეორე ადგილას წერს, რომ ფასისი „ერთვის ევქსინის პონტოს იქ, სადაც ეს უკანასკნელი თავდება“ (გვ. 128), სად თავდება ევქსინის პონტო? ქ. პეტრასთან, „სადაც ევქსინის პონტო თავდება, აქ ქმნის ნახევარმთვარის მსგავს ნაპირს“ (გვ. 126), მდ. ჭოროხი შავ ზღვას ერთვის პეტრას მახლობლად, აქედან გამომდინარე, ფასისი არის მდ. ჭოროხი. – „ნახევარმთვარას იმ ერთ დასაწყისში, რომელიც აზიისა არის მდებარეობს ქალაქი პეტრა, ხოლო მის პირისპირ მეორე ნაპირას, ევროპის ნაწილში – აფსილების ქვეყანაა. აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები არიან“ (გეორგიკა, II, 1965, გვ. 128).

ვინ არიან აფსილები და სად ცხოვრობენ ისინი?

პროკოფის ცნობით მდ. ფასისი ორად ჰყოფს ქვეყანას, მისი მარჯვენა სანაპიროდან იწყება ევროპა (მარცხენა აზიაა), აქ ცხოვრობენ აფსილები. აღსანიშნავია, რომ ამ ტომს არიანეც ამ მიდამოებში ახსენებს – ფაზისის მარჯვნივ. ეტიმოლოგიურად „აფსილი“ და „ფასისი“ შეიძლება ერთმანეთს ფუძეებით „ფ(ა)ს“, „ფას“ დავუკავშიროთ. ჩვენი აზრით, აფსილთა ქვეშ იგულისხმება სუფსის ხეობის და მომიჯნავე მიწა-წყლის, შესაძლოა რიონსა და ჭოროხს შუა მდებარე დაბლობის მდინარეებით გაჯერებული და ფართოდ გადაშლილი ვაკე ადგილების მცხოვრებნი. აქაა, თანამედროვე ეპოქაშიც ტოპონიმები „სუფსა“, „ბაში“ („ქვემო ბაში“, „შუა ბაში“, „ზემო ბაში“ ისინი რიონის გაშლილ ვაკეზე მდებარეობენ, თუმცა აბაშის რაიონი სამეგრელოშია, მეორე სამტრედიის რაიონში (შუა ბაში), ფოთის რაიონშია „ქვემო ბაში“ და ქუთაისის ოლქში „ზემო ბაში“).

როგორც ჩანს, ძველად „ბაში“ ერქვა გაშლილ ვაკეს (აღსანიშნავია, რომ XX ს-ის დასაწყისში ქართველები ი. გედევანიშვილის ცნობით „ბაშს“ უწოდებდნენ ე.წ. „ბრეზენტს“, ანუ გაშლილ გადასაფარებელს. გაშლილ სიბრტყეს). „ფაშ“ (ბაშ) წყალთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული – (ფშა, ფსორი) ამ ფუძით აღნიშნული ქვეყნის (აფშილ-აფსილ) გარდა მეორე ქართული ქვეყანაც – ფშავიც იხსენიებოდა.

მაშასადმე, ჩვენი აზრით, „აფსილი“ ის ქართული ტომი იყო, რომელიც VII-VIII საუკუნეებამდე ცხოვრობდა ძირითადად სუფსის ან რიონის ხეობაში, გაშლილ ადგილას – ვიდრე მდ. ჭოროხამდე. აქ ჩვენ უნდა გვქონდეს დაკავშირება „ფშ“ „აფს“ ფუძესთან, რომელიც წინარექართულში როგორც ავღნიშნეთ წყალს (გაშლილ წყალს) აღნიშნავდა. მაშასადამე აფშილები – გაშლილი, წყლიანი ადგილის ტომი, დაბლობის მცხოვრები იყო, ხოლო მთიანი ადგილების მცხოვრებნი ჩანს „გრ“ ფუძით (გორა-მთა) აღინიშნებოდნენ (როგორც მაგალითად სლავებში – „ტყის ხალხი“, „ჭაობის ხალხი“ და ა.შ.).

აფსილთა მეზობელი აბაზგები, პ. ინგოროყვას კვლევით იგივე მესხები იყვნენ „ბას-ხი“, „ბა-სხი“, „მე-სხი“ და მათი სატომო სახელები ჩანს მსგავსი ფუძით იყვნენ ნაწარმოებნი. ესენი ყველანი ლაზთა ქვეშევრდომები არიან, ხოლო მათ შემდეგ „ხმელეთზე“, „შიდა ხმელეთში“ (გვ. 126) ე.ი. ჭაობის ირგვლივ მთებში (აქ გურიის მთებიც იგულისხმება) სკვიმნია და სვანიაა. როგორც ჩანს ბიზანტია-სპარსეთის ომებმა VI საუკუნესა და VII-ს დასაწყისში, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობებმა, VII ს. ბოლოსათვის ბიზანტიის დასუსტე-

ბამ არაბთა გამო, ასევე ამავე დროს ხაზართა მიერ დასვლეთ საქართველოდან ალან მეომართა გაძევებამ შექმნა პირობები ქართული ტომების ზედაფენის სამხრეთიდან ჩრდილოეთით წასანაცვლებლად, კერძოდ, უფრო ჩრდილოეთით გადაწეულან სვანები, აფსილები, აბაზგები და ჩანს სხვა ქართველური ტომები. სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მათი მოძრაობა უფრო ადრე იყო დაწყებული. სამხრეთიდან მტრის მოწოლის გამო, ისინი თავს აფარებდნენ თავიანთ ძველ ისტორიულ სამშობლოს და მოძრაობდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

იქამდე, VI ს-ში, პროკოფი პოლიტიკური თვალსაზრისით ორად ჰყოფდა საქართველოს: სპარსულ-იბერიულად (მესხები) და რომაულ-ლაზურად (აფშილები, აბაზგები, სკვიმები, სვანები). პროკოფის, როგორც პოლიტიკური მოღვაწისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს რომაული (ლაზური) ნაწილი. ეს თვალსაზრისი აისახება კიდეც სპარსეთის სამეფო კარზე ბიზანტიელი ელჩების ვიზიტისას გამართული კამათის დროს.

აფსილები ძველი ქრისტიანები არიან, აბაზგები კი წარმართები პროკოფის დრომდე (VI ს-ის შუა ნახევრამდე) – „ეს ბარბაროსები ჩვენს დრომდისაც თაყვანს სცემდნენ ჭალებსა და ტყეებს, ხეები ბარბაროზს, რაღაც გულუბრყვილობის გამო ღმერთებად წარმოედგინა“. (გვ. 133). როგორც ჩანს, აფსილების და აბასგების ზედაფენები, ელიტური მხედრობა, VI ს. შემდეგ, ჩანს VII ს-ში, გადასახლდნენ შემდეგდროინდელ აფხაზეთში, რადგანაც ისინი უკვე VIII საუკუნისათვის იქ ცხოვრობდნენ. პროკოფი ერთნაირად აღწერს ჭანებისა და აბაზგების წარმართობას. თუ გავითვალისწინებთ ჭანებისა და მესხების მეზობლობას სამხრეთ საქართველოში, მათი ეთნიკური სიახლოვეც არ მოგვეჩვენება უცხოდ. პ. ინგოროყვას აბაზგები, როგორც ითქვა მესხებად მიაჩნდა. მესხების ცხოვრების შესახებ შემდეგდროინდელ აფხაზეთში მიგვითითებს სტრაბონიც, თუმცა კი ის საერთოდ არ ახსენებს სიტყვა „აბაზგს“ (ჩანს იმიტომ, რომ უკვე ნახსენები ჰქონდა მესხები, იგივე მნიშვნელობის ეთნოსახელი). აბაზგების ქართულენოვნებას მიგვითითებს სხვადასხვა ფაქტი: პირველი ის, რომ მათ თითქმის გაქრისტიანებისთანავე გააჩაღეს ქართულენოვანი ღვთისმსახურება ე.ი. გაქრისტიანდნენ VI ს-ში, ხოლო მათი ქართულენოვანი სამეფო უკვე VIII ს-ში ჩამოყალიბდა. აბაზგების ქართულენოვანებას მიგვითითებს აფხაზეთის ტოპონიმებიც რაც პ. ინგოროყვას ცნობით, ხეების თაყვანისცემასთან იყო დაკავშირებული. ეს ტოპონიმები ნამდვილად ადასტურებენ პროკოფი კესარიელის ცნობებს – „ბზიფი“ (ბზა), ბიჭვინთა (ფიჭვი), ცხუმი (რცხილა), გაგრა (კაკალი), სოჩა (სოჭი), წიბელი (წიფელი), ჭუბერი (წაბლი), და ა.შ. ამ ცნობიდან მართლაც ჩანს რომ მათ, ამ ქართულენოვან ტომს „ხეები ღმერთებად ჰქონდათ წარმოდგენილი“.

პროკოფის სიტყვით აბაზგებმა იუსტინიანეს დროს მიიღეს ქრისტიანობა. აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა. გ. ჩუბინაშვილის აზრით აქ იგულისხმება ნოქალაქევის (და არა ბიჭვინთის) ძველი ეკლესია (გეორგიკა, II, 1965, გვ. 135).

აბაზგების შემდეგ ალანებამდე პროკოფის სიტყვით „ბრუქსების“ (ბრუხების, ბრუქების) ტომი ცხოვრობდა, მე ვფიქრობ, რომ ეტიმოლოგიურად ეს სიტყვა ახლოა „იბერთან“ ბრუგ, ბრიგ, იბერ, რგ, ასევე „რგ“ ქართველთა თვითოეულ ფუძესთან (გვ. 135).

პროკოფის „საგინების“ ტომი შავიზღვისპირეთში ეგულება ორ ადგილას (გვ. 136), ერთი ტრაპეზუნტის სიახლოვეს, მეორე კი აბაზგებისკენ. ორივე ადგილას ჩანს ყოფილა პუნქტები სებასტოპოლისი და პიტიუნტი, ამიტომაც აბაზგების, ბრუქსების, ალანებისა და ჰუნების (ე.ი. ჩრდილო კავკასიის მისასვლელების) აღწერისას კვლავ უბრუნდება ტრაპეზუნტს – საგინების ხსენების გამო, იქვე მდებარე სებასტოპოლისსა და პიტიუნტს და ასევე პეტრას – და წერს „ხოსრომ სპარსთა მეფემ, ლაზები რომ წარმოუძღვნენ მას

პეტრასკენ, გადაწყვიტა იქ სპარსთა ჯარის გაგზავნა ამ სიმაგრეების ასაღებად“ (გვ. 137), ე.ი. სებასტოპოლისისა და პიტიუნტის ასაღებად. საეჭვოა ხოსრო აფხაზეთში გამგზავრებულიყო მაშინ უმნიშვნელო სიმაგრეების სებასტოპოლისისა და პიტიუნტის ასაღებად. (გვ. 137). პეტრას სიახლოვეს ოფ-რიზესკენ მდებარეობდა მეორე პიტიუნტი.

გუთები იუსტინიანეს უგზავნიან ოთხ მოციქულს და ითხოვენ მათთვის ეპისკოპოსს, რადგანაც გაეგოთ, რომ იუსტინიანეს აბაზგებისათვის მოძღვარი გაეგზავნა. გუთებმა მეორეჯერაც VIII ს-ში გაგზავნეს მოციქული ეპისკოპოსის მოთხოვნით, ამჯერად აფხაზურ ანუ იბერიის ეკლესიაში მიიღო კურთხევა გუთების ეპისკოპოსმა იოანემ. ჩანს, გუთებისათვის აბაზგები იბერიელები იყვნენ (გეორგიკა, II, 1965, გვ. 138).

პროკოფი კესარიელის სიბრძნე

პროკოფი წერს – „ყველა ადამიანს მეტწილად სჩვევია, რომ, თუ კი მათ ერთხელ შეითვისეს რაიმე აზრი, ისინი აღარ ცდილობენ ჭეშმარიტება გამოიკვლიონ, არც რაიმე ახალ აზრს იღებენ, არამედ მათ ძველი აზრი მიაჩნიათ საღად და პატივსაცემად, ხოლო თანამედროვე აზრს სათაკილოდ **და** სასაცილოდაც კი თვლიან“ (გეორგიკა, II, 1965, გვ. 139) – წერს პროკოფი და მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ალბათ, ჩვენი ახალი აზრი, რომ ლაზიკა ერქვა არა რიონის ხეობას, არამედ ჭოროხისას, ნაკლებ პატივსაცემად გამოჩნდება, რადგანაც ამჟამად ყველა დარწმუნებულია, რომ ლაზიკა – დასავლეთ საქართველოა.

ლაზიკა კლდოვანი ქვეყანაა, სადაც ზღვისპირა მაღალი კლდეებია და არა დაბლობი – წერს პროკოფი (გვ. 142).

„ლაზიკეში კი მიწა ყოველგნით ზღვიდანაა წარმოჩენილი და მის დენას აფერხებს, ქმნის ზღვის სასრულს, აქ შემოქმედს ზღვისთვის საზღვარი დაუდგენია, რადგან აქ ზღვა თავის ნაპირებს ეხეთქება, ის ვერც წინ მიიწევს და ვერც უფრო მაღლა აწევას ახერხებს, არამედ უკან იხევს და კვლავ თავის ადგილს უბრუნდება, იცავს მიჩენილ საზღვარს“ (გვ. 142).

ე.ი. ლაზიკის სანაპირო არის კლდოვანი, ეს კლდეები ზღვის დონეზე მაღლაა, ამიტომაც ვერ ახერხებს ზღვა “მაღლა აწევას“, ცხადია და თვალნათელი, რომ ეს არის ბათუმ-ტრაპიზონის სანაპირო და არა რიონისა, სადაც რიონის ვაკე ზღვის დონეზეა, ზღვა მას წარსულში ტბორავდა და მუდმივ ჭაობს ქმნიდა, ის არ იყო კლდოვანი ზღუდე ზღვისათვის. ეს ვაკე რიონის შესართავიდან თითქმის ქუთაისამდე ვრცელდება.

მდ. ფაზისი ამ კლდოვანი სანაპიროს მქონე ლაზიკაში მიედინება: „აშკარად მისდევს ზღვისგან გამოჭრილ ხმელეთის ნაკვეთს“. აღწერილისაგან განსხვავებით, რიონი მისდევს არა „ხმელეთის კლდოვან ნაკვეთს“, არამედ ის მიტორტმანობს ჭაობში და ზანტად აღწევს ზღვამდე დამყაყებული, ხოლო ჭოროხი „გამოჭრილ, გამოკვეთილ ხმელეთში“ ანუ ღრმა ხეობაში მიედინება, ზათქით და გრუხუნით უერთდება ზღვას – ეს იყო ფაზისი პროკოფის მრავალმხრივი აღწერით: თვითონ პროკოფი, თითქოსდა, ჭვრეტდა, რომ მომავალში შესაძლოა რიონისთვის ეწოდებინათ ფაზისი, ამის ასარიდებლად და რათა სამომავლოდ მხოლოდ ჭოროხისათვის ეწოდებინათ ეს სახელი –ფაზისი იგი წერდა: – „სხვათა შორის საკითხი ეხება არა რაიმე მოჩვენებითს ან ბუნდოვან რასმეს, არამედ მდინარეს და ქვეყანას, რომლის შეცვლა და რამენაირად დაფარვა შეუძლებელია, მხედველობაც საკმაო საბუთად გამოდგება და არაფერი შეუშლის ხელს იმას, ვისაც ჭეშმარიტების გამოკვლევა აქვს განზრახული“ (გეორგიკა, II, 1965, გვ. 140).

ახლაც კი XXI ს-ში თვალნათლივ ჩანს, რომ რიონი ჭაობის მდინარეა, ხოლო ჭოროხი

კი – მთის, როგორც იყო ფაზისი ყველა ძველი ავტორის ცნობით.

„აზიასა და ევროპას კოლხეთის ფაზისი ჰყოფს“ (გვ. 140).

„მარცხნივ აზიაა, მარჯვნივ ევროპა“ (გეორგიკა, II, 1965, გვ. 127).

„ლაზებს უნდოდათ ეჩვენებინათ სპარსელებისათვის თავიანთი სივაჟკაცე... ძალიან უნდოდათ, რომ პირველნი სძგერებოდნენ მარტონი მტერს“ მესხების ცნობილი წინამბრძოლობა – „მარტოდ პირველი შებრძოლება“ – აღწერილი ქართულ წყაროთა მიერ. ლაზების ეს ქართული ხასიათი დაფიქსირებულია პროკოფის მიერ (გეორგიკა, II, 1965, გვ. 147).

ს. ყაუხჩიშვილს მოაქვს ადგილი ქართლის ცხოვრებიდან (გვ. 161).

იუსტინიანე „ბრძოდა კერძოთა ოვსეთისათა, საზღვარსა ავაზგიასსა ნათესავსა ხასკუნთასა“. იუსტინიანე ოვსეთში (ე.ი. ალანიაში) აფხაზეთის საზღვართან ხასკუნთა ტომს ებრძოდა და თხოვა იბერიის მეფე ფარსმანს დახმარება. ფარსმანი შებრძოლებია ხასკუნებს და გაუმარჯვნია, მისი მთავრები შეპყრობილი გაუგზავნია იუსტინიანესთვის.

პროკოფიც აღწერს აბაზგების განდგომას და რომაელთა მიერ მათ დამორჩილებას.

ჩვენი აზრით იბერიელი ფარსმანი ვერ დაეხმარებოდა იუსტინიანეს ჯარს, იბერიას დასავლეთ საქართველოში რომ არ ჰქონოდა მიწა-წყალი და არ ყოფილიყო აბაზგიის მეზობლად.

ხასკუნები უნდა იყვნენ „ბასკუნები“ – „ბასხები“, „აბასგები“, იგივე მესხები. ასომთავრულის ასოები „ხ “ და „ბ“ მსგავსია, ე.ი.შესაძლოა ძველ ტექსტში ეწერა „ბასკუნი“ და გადამწერმა ასოთა აღრევის გამო დაწერა „ხასკუნი“.

სხვა ხალხია აფსილები, სხვა კოლხები. „აფსილები კოლხებს გადაუდგნენ და ამბობდნენ კოლხებმა არ ისურვეს დახმარება აღმოეჩინათ მათთვის“ (გვ. 164).

აფსილები ლაზთა ქვეშევრდომებია – ისინი, ჩანს, VII-VIII სს-ში აბაშგებთან ერთად გადასახლდნენ უფრო ჩრდილოეთით, ცხუმისაკენ და მიიტანეს აფხაზეთში ქართულენოვანი სახელმწიფოებრიობა და ეკლესია (გვ. 162).

აფსილები და აფხაზები იყვნენ ქართულენოვანი ხალხი (გვ. 163). რატომ?

აბაზგებს ბერძნებთან აქვთ ურთიერთობა, ბერძნებისაგან იღებენ ქრისტიანობას და როგორ იქცა მათი სამეფო ქართულენოვნად, თუ ეს ენა არ იყო მათი დედა ენა?

აფსილები ეთნიკურად კოლხებისაგან (ლაზებისაგან) განსხვავდებიან, აფსილეთი არაა ლაზიკა, არამედ აფსილები არიან „ლაზების ქვეშევრდომები“ (გვ.165). აფსილეთი ლაზიკის ჩრდილოეთითაა, ზღვისპირზე, როგორც ითქვა, ჩანს, ესაა რიონსა და ჭოროხს შუა მოქცეული დაბლობი, რომლის ცენტრი სუფსის რაიონია. ლაზიკა – მთიანი მხარეა, აფშილეთი – დაბლობია. აფშილების იქით – აბასხების – აბასგების ქვეყანაა.

ზოგჯერ პროკოფი კესარიელი მდ. ფაზისს უყურებს საკუთარი თხზულების პერსონაჟის თვალით. მაგალითად ასეთია სარდალი მერმეროე. როცა ის შეიტყობს რომ პეტრა რომაელებმა დაიკავეს, გადაწყვეტს ლაზიკის სხვა ქალაქებისა და სიმაგრეების დაჭერას. პროკოფი წერს: „მან კარგად იცოდა, რომ მდინარე ფაზისის იქითა მხარეს ლაზებს, პეტრას გარდა, სხვა არც ერთი დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ, ის გაბრუნდა და დაიჭირა იბერიიდან კოლხიდის ქვეყანაში გადასასვლელი ადგილები“ (გვ. 182). აქ იგულისხმება, რომ ფაზისი ანუ ჭოროხის მარცხენა (მერმეროესათვის „იქითა“) მხარეს ლაზებს პეტრას გარდა სხვა დასახლებები არ ჰქონდათ. რაც მართლაც ასე იყო -უფრო სამხრეთით მდებარე ოფ –პიტიუნტი უშუალოდ ბიზანტიელთა ხელში იყო. ჭოროხის მარცხენა სანაპირო გონიოდან ქ. ხოფამდე მთა-გორაა. გაშლილია და საქალაქო ცხოვრებისათვის ვარგისია მხოლოდ ჭოროხის მარჯვენა სანაპიროს ზღვისპირეთი (თანამედროვე ქობულეთ-ბათუმ-ერგე-ლიგანის ვაკე). აქ იყო კოლხების ქალაქები – არქეოპოლისი

(იგივეა რაც „პორტუს ალტუს“ – „ძველი ქალაქი“, მდებარეობდა ბათუმთან ახლოს, და როდოპოლისი. მოხირისი (მუხურისი) – ერქვა ქალაქებით („ხურ“-ებით, ხულებით, ე.ი. სახლებით დასახლებულ ქვეყანას), ალბათ, ეს იყო ერგე-ლიგანი. თანამედროვე ხელვაჩაურის რაიონი.

პროკოფი პირდაპირ მიუთითებს, რომ სხვაა მდინარე ფაზისი და სხვაა მდ. რეონი, რომ ისინი ორი მდინარეა (ს. ყაუხჩიშვილი მათ ერთ მდინარედ მიიჩნევს). პროკოფი წერს: – მერმეროემ „სადაც ფაზისის გადალახვა შეიძლება ფონში, გადალახა ეს მდინარე ფეხით, გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც, სახელად რეონი – არც ეს არის სანაოსნო და ფაზისის მარჯვენა მხარეს რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის – არქეოპოლისის წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“. ამჟამად, საყოველთაო თვალსაზრისით მდ. რეონის ქვეშ მოიაზრება მდ. რიონი. ჩემი აზრით, ის უნდა იყოს ჭოროხის რომელიმე შენაკადი, სადაც გაიარა კლარჯეთიდან არქეოპოლისისაკენ (ბათუმ-ჩაქვ-ქობულეთის სანახებისკენ) მიმავალმა სპარსთა ჯარმა, რომელიც იქ ე.წ. „კლარჯეთის გზით“ შევიდა (გეორგიკა, II, 1965, გვ. 182).

სპარსთა ჯარმა გაიარა „იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა“, ჩემი აზრით, აქ იგულისხმება, როგორც ითქვა, დვინი – არტაან – არტანუჯ – ართვინ-ჭოროხის ხეობის დამაკავშირებელი გზა, რომელიც გადადის არსიანის მთის მაღალ უღელტეხილზე. არტაანი – იბერიის ქვეყანა იყო, არტანუჯი – კლარჯეთი, ის იმჟამად ლაზიკის ნაწილი იყო. ჭოროხის (ფაზისის) ხეობაში იბერების ცხოვრების შესახებ წერს სხვა VI ს-ის ავტორიც (გვ. 182).

შეუძლებელია, რომ იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა, რომელიც ყველგან დაქანებული ნაპრალებითა და ძნელსავალი ადგილებით იყო დასერილი და ისე დაფარული უღრანი ტყეებით, რომ მსუბუქად დატვირთულ კაცსაც გაუჭირდებოდა იქ გავლა – ისე გაესწორებინათ, რომ არა თუ მთელმა მათმა ცხენოსანმა ჯარმა გაიარა იქ დაუბრკოლებლად, არამედ სპილოებიც გაატარეს – წერს პროკოფი.

მაშასადამე, იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა „გაასწორეს“. აქედან ჩანს, რომ გზა არის მოკლე და არა გრძელი. თუ კი კოლხიდა არის დასავლეთი საქართველო და იბერია კი აღმოსავლეთი, მათი შემაერთებელი გზის „გასწორება“ ნამდვილად არაა ადვილი, რადგანაც ეს გზა გრძელია, ხოლო არტაანიდან კლარჯეთში (იბერიიდან-კოლხიდაში) გამავალი გზა, მართალია ძალზე ძნელ, მაგრამ მხოლოდ ერთ უღელტეხილს გადის, რომლის გასწორებაც სიმოკლის გამო ალბათ შეიძლებოდა. აქ უნდა ყოფილიყო (და არა ლიხის ქედზე) „ლაზებისა და იბერების საზღვრები“ (გვ. 185), აქვე, ახლომახლო უნდა ყოფილიყო სკანდისა და სარაპანისის ციხეები (ე.ი. არსიანის ქედზე და არა ლიხის მთაზე).

თუ კი იბერიიდან ლაზიკაში შესასვლელი გზა აერთიანებდა არტაანსა და ართვინს, შესაძლოა სწორედ ამ უკანასკნელს ერქვა – როდოპოლისი. პროკოფი კესარიელის თქმით, როდოპოლისი მდებარეობდა იბერია–ლაზიკის გზაზე, დაბლობში – „დაბლობში ერთი ქალაქი იყო, სახელად როდოპოლისი, რომელიც ყველაზე უწინარეს ხვდებოდა გზაზე იბერიიდან კოლხიდაში შემოსულთ“.

როდოპოლისი იყო ჭოროხზე (ფაზისზე) მდებარე ქალაქი, ზღვიდან დაშორებული დაახლოებით 50 კმ-ით. ასევეა ართვინი. 600 წლით ადრე, სტრაბონის დროს მას „სარაპანა“ ერქვა.

ართვინი კლარჯეთის ქალაქი იყო, მდებარეობდა მეტად მნიშვნელოვანი გზების შესაყარზე, ერთმანეთთან აკავშირებდა ერთი მხრივ არზრუმს, არტაანს, არტანუჯსა და მეორე

მხრივ ბათუმ-პეტრას. იყო კოლხეთის ბრინჯაოს მეტად მნიშვნელოვანი „კერა“ (ქსე, II. გვ. 563) – აღმოჩენილია ძვ.წ. XII-XI სს მიჯნაზე მნიშვნელოვანი განძი, კოლხური ცულები, თოხები, ზოდები, ასეთივე აღმოჩნდა მთელ ჭოროხის ხეობაში.

ართვინი VIII-IX სს-ში იყო „ქართველთა საკურაპალატოს“ ქალაქი. ვ. კოტეტიშვილის ლექსიკონის თანახმად „არდ“ იგივეა, რაც „ვარდი“.

„არდ“ (ვარდკაჭკაჭა, ვარდი, იხ. ვ. კოტეტიშვილი, „კარაბადინი“, 1936, ლექსიკონი)

ართვინი – არდვინი – ვარდ-ვანი = ვარდოვანი ანუ როდოპოლისი.

იბერია-ლაზიკის გზაზე მდებარე ქალაქის „ართვინის“ სახელი შეიძლება ბერძნის ყურს ჩასმენოდა როგორც „ვარდაანი“ ანუ „ვარდიანი“, „ვარდების ქალაქი“ ანუ „როდოპოლისი“. ართვინი = არდვანი = ვარდვანი = როდოპოლისი

პროკოფი რამდენჯერმე ახსენებს არქეოპოლისს: სპარსთა სარდალმა მერმეროემ შეიტყო „მოწინააღმდეგენი მდ. ფასისის შესართავთან დაბანაკებულანო, გაემართა მათ წინააღმდეგ. ის უმჯობესად თვლიდა ჯერ ისინი გაენადგურებინა და ისე შემოერტყა ალყა არქეოპოლისისათვის, რათა ისინი ზურგში არ მოქცეოდნენ“ (გეორგიკა, II, 1965, გვ. 187).

მართლაც, მერმეროე გაემართა ფასისის შესართავისკენ, გზად მან გაუარა არქეოპოლისს. მის ციხეს იცავდნენ რომაელები. მათ დაემუქრა, რომ ჯერ მდინარე ფასისთან დაბანაკებულ თქვენიანებს დავამარცხებ და „მალე მოგიბრუნდებით თქვენო“ (გვ. 187). აქედან ჩანს, რომ არქეოპოლისი ახლოა ზღვასთან ფასისის შესართავთან. ესაა ჭოროხოს მარჯვენა სანაპირო. როცა მერმეროე მიუახლოვდა ამ მდინარის პირზე დაბანაკებულ რომაელებს, მათ მიატოვეს ბანაკი და ნავებით მდინარის მეორე ნაპირზე გადავიდნენ. არქეოპოლისი „ქუშ სერზეა, ჩამოუდის მდინარე“ – მართალია ნოქალაქევის აღწერაც მსგავსია, მაგრამ ასეთივეა ბათუმის და ჩაქვის სანახებიც, არქეოპოლისს ჰქონია ორმაგი კედელი. მართალია ასევეა ნოქალაქევის კედელი, მაგრამ ეს ქალაქი გამონაკლისი არ ყოფილა, იმდენად ხშირი ყოფილა ორკეცი (ერთმანეთის პარალელური ორი კედლის) აგება, რომ ქართულში მას სპეციალური ტერმინიც კი ჰქონია: ს. ს. ორბელიანის სიტყვით „ასეთ ორ კედელს სოხანო ერქვა „ორკეცი კედელი ზღუდესთან, რომელთა საშუალებით კაცმან გაიაროს ფოლორცის მსგავსად“ (იქვე, გვ. 189). სავარაუდოდ არქეოპოლისი მდებარეობდა ქობულეთ-ბათუმის რეგიონში, სადაც აღმოჩენილია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ნაშთები – სავარაუდოდ ტაბულა პევტინგერიანას რუკაზე აღნიშნული სავაჭრო პუნქტი – „პორტუს ალტუს“ ანუ ს. ყაუხჩიშვილის სიტყვით „ძველი ქალაქი“ (ლათინურად), ბერძნულად „ძველი ქალაქი“ არის არქეოპოლისი (გვ. 22).

არქეოპოლისი ნოქალაქევი რომ არ არის იქედან ჩანს, რომ თურმე არქეოპოლისთან სპარსელებს ცხენის საკვების სიმცირის გამო ცხენები დაეხოცათ. აქ –„დაიღუპა სპარსელთა ცხენები არა ნაკლებ ოცი ათასისა... - მათ შორი გზა გამოიარეს, რომლის განმავლობაშიც ძალიან დაიღალნენ, თანაც როდესაც ლაზიკეში იყვნენ, საკვები არც თუ ისე სამყოფად ჰქონდათ, და ამრიგად, შიმშილითა და დაავადებით შევიწროებულნი, მთლად დავარდნენ (გვ.194). თუ ლაზიკა დასავლეთ საქართველოს ბარია აქ ცხენის საკვები ძალზე ბევრია, ასევე ნოქალაქევშიც, მაგრამ ნაკლებია კლარჯეთ-ჭოროხის ხეობაში, სიდანაც მივიდოდა ჯარი არქეოპოლისთან, ამ საკითხს ქვემოთაც ვეხებით.

პროკოფი კესარიელი, გეორგიკა 2, 1965 (გვ. 194) სპარსელები დამარცხდნენ არქეოპოლისთან და დაიხიეს მოხირისისკენ. „მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისიდან და შეიცავს მრავალ მჭიდროდ დასახლებულ სოფელს“ (გვ. 194). ერთი დღის გზა, დაახლოებით, 20-25 კმ-ია.

თუ არქეოპოლისი იყო ბათუმთან (პორტუს ალტუს) აქედან მოხირისამდე ყოფილა 20-25 –მდე კმ. ანუ „ერთი დღის სავალი გზა“, რაც უდგება ასეთ თვალსაზრისს, რადგანაც ბათუმიც „ერთი დღის სავალზეა“ ერგე-ხელვაჩაურიდან ანუ, ჩვენი აზრით, მოხირისიდან, ხოლო ციხე-გოჯიდან ქუთაისამდე – მეტი მანძილია, პროკოფის ცნობით, არქეოპოლისსა და მოხირისს შორისი შეიცავს „მრავალ მჭიდროდ დასახლებულ სოფელს“ ანუ ბათუმსა და ლიგანს შუა მრავალი კარგი სოფელი ყოფილა VI ს-ში. ჩვენი ვარაუდით ეს ასე უნდა ყოფილიყო, რადგანაც ტერიტორია ბათუმსა და ლიგანს შორის შედარებით მაღლაა ზღვის დონიდან, მაგრამ არც ისე მაღლაა, რომ მოსავალი არ მოდიოდეს, სამაგიეროდ თავისი მთა-გორიანობის გამო დაცული „მალარიისაგან“ ანუ ციებ-ცხელებისაგან, რაც მომხიბვლელს ხდიდა ამ მიწას დასასახლებლად. XIX ს-შიც კი, რიონის ხეობა უვარგისად ითვლებოდა სამოსახლოდ. აქ იყო ჭაობები, რაც მოსახლეობას აფრთხობდა, თავისი ციებ-ცხელება-მალარიით მუსრს ავლებდა, დ. ბაქრაძის ცნობით.

ტერიტორია ბათუმსა და ლიგანს შუა, ანუ არქეოპოლისსა და მოხირისს შორის „კოლხიდის მიწა-წყალზე საუკეთესო მხარეს წარმოადგენს, ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას“ (გვ. 194) ესაა ერგე-ხელვაჩაურის ქვეყანა.

პროკოფის ეს აღწერა, ჩემი აზრით, გვიხსნის თუ რომელ ქვეყანას უწოდებდა ის „ლაზიკას“ ანუ „კოლხიდას“. ესაა კლდოვანი ქვეყანა, რომელსაც ქართული წყაროები უწოდებენ: „კლარჯეთი, ბოლო კლარჯეთისა ზღვის-პირი“, შემდეგდროინდელ ერგე-ლიგან-თან ერთად. მაშასადამე, კლარჯეთი, აჭარის ერგე და ზღვისპირი ოდესღაც ქმნიდა ერთ მთლიან რეგიონს, რომელსაც ქართველები ალბათ „კლარჯეთს“ ხოლო უცხოელები „ლაზიკასა“ და „კოლხიდას“ უწოდებდნენ. მაშასადამე პროკოფის ლაზიკის საზღვრები ჩრდილოეთით თითქმის აღწევს მდ. სუფსა – მდ. რიონამდე, სამხრეთ-აღმოსავლეთით ამ ქვეყნის ბუნებრივი საზღვარია არსიანის გადაჭიმული უზარმაზარი, 3000 მეტრზე უფრო მაღალი მთაგრეხილი, სამხრეთით კი მისი საზღვარი მდ. ჭოროხიდან ერთი დღის გზაზეა ანუ ხუფათთანაა. ამ ქვეყნის უმთავრესი მდინარეა ჭოროხი, ფაზისი რომ ჭოროხია, ეს იქედანაც ჩანს, რომ ყველა ძველი ავტორის აღწერის თანახმად მდ. ფასისის წყალი საკმაოდ სწრაფად, აჩქარებულად ჩაედინება ზღვაში, მდინარისა და ზღვის წყლები ერთ-მანეთს არ ერევა ფაზისის ჩქარი ნაკადის გამო. XIX-XX სს-ში საგანგებო არხების გაკეთებამდე მდ. რიონი ზღვის შესართავთან ძალზე ნელა მიედინებოდა, რადგანაც ის უვრცელეს თითქმის ზღვის დონეზე მდებარე ვაკეს „რიონის დაბლობს“ გაივლიდა, სადაც ქმნიდა უამრავ და დაუსრულებელ ჭაობებს. ამ ჭაობებში ინთქმებოდა და იკარგებოდა მდ. რიონი ისე, რომ ზღვის შესართავთან არავითარ სწრაფ ნაკადს არ ქმნიდა. სულ სხვა იყო ჭოროხი, თუმცა XIX-XX სს-ში მისი მდინარება პირიქით, ხელოვნურად შეზღუდეს სხვა-დასხვა ჯებირ-კაშხალით და დამჭერი საშუალებებით, და მაინც, ახლაც სწრაფი ნაკადით ჩაედინება ზღვაში. მისი მდინარება ემთხვევა ძველი ავტორების აღნიშნულ მოსაზრებებს ფაზისთან დაკავშირებით, ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ფაზისი არის არა მდ. რიონი, არამედ ჭოროხი.

ყველაზე უმთავრესი, რაც ადასტურებს, რომ პროკოფის „ლაზიკა“ კლარჯეთია, ის არის, რომ პროკოფის დაჟინებული მითითებით, ლაზიკაში არ მოდის ღვინო, გარდა ერთი რეგიონისა – მოხირისისა. მართლაც, თუ კი „ლაზიკა“ კლარჯეთია – კლარჯეთში ნამდ-ვილად არ მოდის კარგი მოსავალი და მათ შორის ღვინო მაღალმთიანობის გამო, გარდა ლიგანის ზღვისპირისა, რომელიც ერგესთან ერთად ნაყოფიერი ადგილი იყო და ღვინოც მოდიოდა. ეს ნამდვილად ასეა იყო წარსულშიც და ასეა ამჟამადაც. კლარჯეთი – დაბალმოსავლიანია გარდა ერგე-ლიგანისა. ეს უკანასკნელი კი უხვმოსავლიანი ქვეყანაა.

ასე, რომ პროკოფის აღწერა სამართლიანია და სამწუხაროა, რომ საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსები მის ამ ცნობას არასერიოზულად მიუდგნენ.

(მოხირისს) „ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე სახელად რეონი. მის სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე, რომელიც შემდეგ ხანებში მათ მეტწილად მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან ის მეტად დაბალვაკეზე მდებარეობდა და მათი აზრით ადვილად მისასვლელი იყო, მაშინ ამ ციხეს კოტაიონს უწოდებდნენ ელინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთათისს ეძახიან“ (გვ. 194).

უნდა ვიფიქროთ, რომ პროკოფის მდინარე რეონი არის მარადიდთან ჩამავალი მდ. ღრემში-ღელე ანუ ღრემის (ღრეონის) წყალი, და მასზეა ძველი „ქუთათისი“, „მეტად დაბალ ვაკეზე“. სოფელ მარადიდში (ჭოროხის პირას) ახლაცაა უბანი სახელწოდებით – „ქუთურეთი“ (იხ. ქვემოთ). ქუთათისის ახლოს ვაკეზე ყოფილა „უქიმერიონის მაგარი ციხე“. უქიმერიონის ადგილი ვერ გაარკვია ს. ყაუხჩიშვილმა, შეიძლება გვეფიქრა რომ „უქიმერიონი“ სახელი დღეს ჟღერს ვითარცა „მერია“. ასეთი პუნქტი ნამდვილად არის ლიგანში და მის მახლობელ კუთხეებში. აჭარულ დიალექტში „მერე“ ნიშნავს მდინარისპირა ვაკეს (იხ. ქვემოთ).

თვითონ ს. ყაუხჩიშვილი მრავალჯერ აღნიშნავს, რომ „კოტაის“, „ქოთაის“ სახელის მქონე ქალაქები ყოფილა ფრიგიასა და ბერძნული სამყაროს სხვადასხვა ქვეყანაში. ამჟამად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ლიგანშიც იყო ეს სახელი, „ბერძნული ტრადიციისათვის საკმაოდ ცნობილი“ (გეორგიკა, 2, გვ. 196).

ლაზებს „კოტაიონი“ სახელი შემდგომში „ქუთათისად“ უქცევიათ.

„ქუთათისი“ ძველი ანუ სალიტერატურო ქართულის ენობრივი ნორმების მიხედვითაა ნაწარმოები, მაგრამ პროკოფის დაჟინებული მითითებით სიტყვა „ქუთათისი“ ნაწარმოებია ლაზების ენობრივი ნორმების შესაბამისად, მაშასდამე ლაზების ენა იყო ქართული, ამის მიზეზი შეიძლება ისიც ყოფილიყო, რომ ქართულ-მეგრული ენობრივი დიფერენციაცია შედარებით ახალი დაწყებული იყო და VI საუკუნისათვის არ იყო დასრულებული.

„ქუთათისი“ ძველი ქართული ენის ნორმებითაა ნაწარმოები ისევე, როგორც „მოხირისი“, „მუხურისი“, რაც უნდა დაიშალოს ასე – „მუ-ხურ-ის“, მო-მუ წინსართი - გაწარმოებულია, ხოლო „ხურ“ იგივეა რაც სახლი (სა-ხლ-ი), ხულა, ხუხულა, აქედან ხურო, ხუროთმოძღვარი, სა-ხურ-ავი, მ-სა-ხურ-ი, მო-სამსა-ხურ-ე ხურ-ხულ. ქუთათისი და მოხირისი – ქართული ენობრივი ნორმებითაა ნაწაროები.

უქიმერიონის ციხე სპარსელებს აუღიათ, ამით მათ გაუკონტროლებიათ „კოლხიდის საუკეთესო ნაწილი“ (გეორგიკა, II, 1965, გვ. 197).

კოლხიდის საუკეთესო ნაწილი იყო „მოხირისი“, ჩვენი აზრით, თანამედროვე აჭარა-ლიგანის მთისწინეთი, კოლხეთი კი, როგორც ითქვა, ერქვა არა თანამედროვე რიონის ვაკეს, არამედ ერგე, ლიგან - ჭოროხის ხეობას.

ლაზიკის ქვეშევრდომი სვანია და სკვიმნია უნდა ყოფილიყო, ტერიტორია ლანჩხუთ-ჩოხატაურის მთებიდან აჭარა-შავშეთამდე.

სკვიმნია და სვანია ყოფილა იბერიასა და მოხირისს შორის - პროკოფის სიტყვით (გვ. 202). ჩვენ ვსვამთ ასეთ კითხვას - თუ კი ლეჩხუმი არის სკვიმნია, ხოლო „სვანიას“ ქვეშ იგულისხმება თანამედროვე სვანეთი, როგორ უნდა ყოფილიყვნენ ისინი მოქცეულნი მოხირისსა და იბერიას შორის?

მოხირისად, ამჟამად, როგორც წესი, მიიჩნევა თანამედროვე ქუთაისის სანახები, მაშასადამე ქუთაისსა და იბერიას შორის ლეჩხუმი და სვანეთი ყოფილა განთავსებული, ასეთი გაგება შეუსაბამოა. მაგრამ თუ მოხირისი იყო ერგე-ლიგანი, ხოლო ლაზიკის საზღვარი

ოზურგეთთან გადიოდა, ლაჩხუთი (სკვიმნია) მაშინ ექცევა იბერიასა და ლაზიკას შორის. სკვიმნია-სვანიის ნაწილი ჩანს აჭარა-შავშეთიც იყო, ესეც იბერიას და ერგე მოხირისს შუაა.

პროკოფი წერს – „ასე ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა უქიმერიონის ციხე და მტკიცედ დაეპატრონნენ ლაზიკეს. მაგრამ მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სკვიმნიაცა და სვანიაც და ამრიგად მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებს და ლაზთა მეფეს“. როგორც ითქვა, სკვიმნია და სვანია, შეიძლება შავშეთ-აჭარის მხარესაც ერქვა – გურიის მთიანეთთან ერთად (გვ. 202).

პროკოფის სიტყვით სპარსთა მთავარსარდალმა უქიმერიონის სიახლოვეს ააშენა ლაზთა ციხე, რომელსაც "სარაპანისს ეძახიან და რომელიც ზედ ლაზიკის საზღვრებთან მდებარეობს“. ესაა მეორე სარაპანა. გ.გრიგოლიას სიტყვით (იხ.ქვემოთ) - სარაპანა ერქვა მნიშვნელოვანი გზის დასაცავად აგებულ ციხეს (სპარსულად), ამიტომაც იყო კოლხეთ – ლაზიკაში და საერთოდ საქართველოში მრავალი, სარაპანა (გეორგიკა, II, 1965, გვ. 204).

საქართველოს კუთხეებსა და ლაზიკეში მრავალი ერთნაირი ტოპონიმი და ჰიდრონიმი იყო. მაგალითად, ეგრისწყალი აფხაზეთში (ბედიასთან) და „ეგრეს-სუ ანუ ეგრისწყალი ტრაპიზონის მხარეს (ივ. ჯავახიშვილი, 1983, ტ. II, გვ. 123), კლისურა (ცხუმთან) და „კლასური“ (ტრაპიზონისაკენ) (იქვე, გვ. 23). „პიტია“ – „ტრაპიზონთან“, „პიტიუნტი“ ცხუმთან, სებასტოპოლისი, ტრაპიზონის ოლქში და აბაზგიაში. „ზეგანა“ („ზეგანთა სოფელი“) XI ს-ში შიდა ქართლში (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 33) და „ზიგნა“ ქალდიაში (ტრაპიზონის მხარე), ასევე ზიგინევი (აფხაზეთში), ზეგანი სოფ. კლდეეთთან, ზესტაფონში. ქ. ფაზარი (იგივე ფაზისი), (ძველი ათინა ტრაპიზონთან) (გეორგიკა II, 1965, გვ. 102) და ფაზისი. „ბოასი“ ერქვა ჭოროხს ან მის შენაკადს პროკოფი კესარიელის მიხედვით, ასევე როგორც ზოგიერთი ფიქრობს მდ. ყვირილასაც. ფაზისი ერქვა ჭოროხსაც და ასევე რიონსაც. მაგალითად, პროკოფი კესარიელი ლაზიკას ასე აღწერს – „ლაზიკე ყოველგან, მდინარე ფაზისის როგორც აქეთა, ისე იქეთა მხარეზე გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია რომლებიც იქ ვიწრობებს ქმნიან, ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს“ უწოდებენ“ (გეორგიკა II, 1965, გვ 102). მდ. რიონთან დასავლეთ საქართველოს ბარში კლდეები არსადაა, ის არის ჭოროხის სანაპიროებზე, ისტორიულ ლაზიკეში. პროკოფი გარკვევით წერს – „მდ. ბოასი გამოდის ჭანეთის საზღვრის მახლობლად არმენიელთა ადგილებში, რომლებიც ფარანგიონის გარშემო ცხოვრობენ. თავში ის კარგა მანძილზე მარჯვნივ მიმდინარეობს. თხელია ... ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრები არის, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა თავდება, მის შემდეგ რაც ეს მდინარე მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ, რადგან მას ბევრი სხვა წყალიც ემატება, ის იზრდება ძალიან და ნაცვლად ბოასისა, ამიერიდან ფაზისად წოდებული, განაგრძობს მდინარებას ნაოსნობისათვის გამოსადეგი, ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი შესართავია და მის ორივე მხრით ლაზიკე არის “ (გეორგიკა, II, გვ. 100). ჭოროხის შესანიშნავი აღწერაა.

ლაზიკას
კლდიანი სანაპირო აქვს

პროკოფი კესარიელი წერს: „ლაზიკაში კი მიწა ყოველგნით ზღვიდანაა წარმოჩენილი და მის დენას აფერხებს. ამრიგად, ის ერთადერთია, რაც ზღვის საზღვარს ქმნის და ცხადად მოწმობს, რომ შემოქმედს აქ ზღვისთვის საზღვარი დაუდია, რადგან აქ ზღვა

თავის ნაპირებს ეხეთქება. ის ვერც წინ მიიწევს და ვერც უფრო მაღლა აწევას ახერხებს, თუმცა კი აქ ერთვის ურიცხვი მდინარეების ნაკადები. ზღვა აქ უკან იხევს და კვლავ თავის ადგილს უბრუნდება. ის იცავს მიჩენილ საზღვარს“ (პროკოფი კესარიელი, გეორგიკა, ტომი II, 1965, გვ. 142).

პროკოფის ამ ცნობიდან ჩანს, რომ ლაზიკაში ზღვის სანაპირო არის კლდოვანი და ამ კლდეებს ეხეთქება ზღვის ტალღები, ხოლო რიონის შესართავთან სანაპირო, როგორც ვიცით, არის ზღვის დონეზე გადაშლილი ვრცელი ვაკე და კლდოვანი არ არის. ამიტომაც, რიონის ვაკე ლაზიკის აღწერას არ ეთანადება. მაშასადამე, პროკოფისთვის ლაზიკა არის ტრაპიზონის რეგიონი აჭარა კლარჯეთთან ერთად, სადაც ნამდვილად არის მეტნაკლებად კლდეები ზღვის სანაპიროზე. ახალი თანამედროვე გზები, რომელსაც ავტობანი ეწოდება, მოითხოვს ფართო გზებს. სწორედ ამის გამო დღევანდელ თურქეთის ტერიტორიაზე ზღვის სანაპიროზე უახლესი ტექნიკით არის გაჭრილი კლდეები, ასევე კლდოვანია კლარჯეთ-ტრაპიზონის ზღვისპირეთი პროკოფის სიტყვით.

პროკოფი ერთგან წერს, რომ მთაგორიანობის გამო ლაზიკაში არ მოდის ხორბლეული, ღვინო და სხვა რამ სიკეთე (იქვე, გვ. 96). ამის შემდგომაც იმეორებს პროკოფი: „იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, იქვეა ლაზეთთან ორი სიმაგრე სარაპანისი და სკანდა, იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო და არც სხვა რამ სიკეთე, ხოლო სხვა ადგილებიდან რისიმე შემოზიდვა ვიწრობების გამო შეიძლება მხოლოდ ისე, თუ თვითონ კაცები მოიტანენ.” ლაზიკის კლდეებისა და ვიწრო გასასვლელების შესახებ პროკოფი კესარიელი სხვაგანაც ლაპარაკობს. მაგალითად, მერმეროეს სპარსული ჯარი რომაელთა პეტრას მცველ რაზმს ვიწროებში დახვდა (გეორგიკა, II, 1965, გვ. 110).

პეტრას აღწერისას ვიწროების აღწერა გასაგებია, რადგანაც ეს ქალაქი კლდეზე იყო აგებული, მაგრამ როცა ფაზისისაკენ უკან დახეული ჯარი თავს შველის, პროკოფის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იქაური მთების მწვერვალებით გაქცევით“. (იქვე, გვ. 110). ისმის ბუნებრივი კითხვა, სად არის რიონის დაბლობზე მთების მწვერვალები? ამ დაბლობზე ასეთი მთები არ არსებობს. აქედანაც ჩანს, რომ პროკოფი კესარიელი რიონს არ უწოდებდა ფაზისს, არამედ ის ფაზისად მიიჩნევდა ქალაქ პეტრასთან ახლოს გამავალ მდინარეს, რომლის ხეობაში მთების მწვერვალები იყო. ჩვენი აზრით, ასეთი მდინარე შესაძლებელია ყოფილიყო მდინარე ჭოროხი. რიონის სანაპიროზე კლდეები არსად გვხვდება (იგულისხმება რიონის დაბლობი ზღვის სანაპიროსთან ახლოს), ამიტომ აქედან ცხადია, ფაზისი არ არის რიონი. გარდა ამისა, აქ ლაპარაკია ზოგადად ლაზიკის ქვეყანაზე და პროკოფი პირდაპირ წერს, რომ ეს კლდეები მოიცავს მთელ ლაზიკას და აქ, ლაზიკის ქვეყანაში მდინარე ფაზისის ორივე მხარეს უზარმაზარი კლდეებია. როგორც ვიცით, რიონის დაბლობი არ ეთანადება ასეთ აღწერას, ამიტომაც კიდევ ერთხელ შეიძლება ითქვას, რომ ლაზიკა არ ერქვა რიონის დაბლობს, რიონის ხეობას.

პროკოფის „აქეთა“

„ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას (მხარეს) და ქალაქებიც ძველთაგანვე აქ აუშენებიათ. მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და შორაპანი იბერიის საზღვრებისკენ. ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი“ (გეორგიკა, II, გვ. 101). აღსანიშნავია, რომ ამჟამადაც ლიგანში ეთნიკური ლაზები ცხოვრობენ ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, მესხები კი მარჯვენაზე.

თუ რა იგულისხმება „აქეთა მხარედ“ და „იქითა მხარედ“, დავას იწვევდა მეცნიერთა შორის, რადგანაც, თუ თანამედროვე გაგებით მივუდგებით ამ გამონათქვამს, ნიშნავს, რომ მდინარის მარცხენა სანაპიროზე იყო ყველა დიდი ქალაქი, მაშინ, როცა რეალურად მარჯვენა სანაპირო არანაკლებ იყო დასახლებული, ამიტომ ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობდა, რომ „ის ადამიანი, რომლისგანაც პროკოფის აუღია აღნიშნული ცნობა, იდგა მდინარის ჩრდილო მხარეს, მდინარის ჩრდილოეთ მხარეს არის დაბანაკებული“ (იქვე, გვ. 101. შენიშვნა 2).

„ვიწროები ფაზისთან“

პროკოფი კესარიელის თქმით მდ. ფაზისის სანაპიროების გარკვეულ მონაკვეთზე მდინარის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა სანაპიროს ძალზე უახლოვდებოდა მთათა ქედები, რის გამოც მდინარის სანაპიროზე იქმნებოდა ბუნებრივი „ვიწროები“, რაც ძალზე მოსახერხებელი იყო სტრატეგიული თვალსაზრისით. თუ ამ „ვიწრობებს“ დაიცავდა ჯარისკაცების თუნდ მცირერიცხოვანი ჯგუფი, მათ შეეძლოთ მტრის უფრო მეტი რაოდენობის შეჩერება. ასეთი ბუნებრივი ანუ მთებისაგან (კლდეებისაგან) შექმნილი ვიწროები მდ. რიონის სანაპირო დაბლობში არ არის, მაგრამ მრავალი ასეთი „ვიწრობია“ მდ. ჭროხის მთელ სიგრძეზე – ზღვის შესართავიდან ვიდრე ბორჩხამდე, ართვინამდე და კიდევ უფრო მაღლა.

მაგალითად, ასეთი „ვიწრობები“, რომელსაც კარჩხალისა და ორჯოხის ქედების გამონაზარდები ქმნიან თითქმის მდინარემდე ჩადიან.

ისინი არიან ართვინის მაღლა, ასევე ართვინსა და ჭოროხ-ბერთას შესართავს შორის (ართვინსა და შაგაირას შუა), აქვე, მარცხენა მხრიდან მდინარესთან ახლოს ჩამოდის ორჯოხის ქედის ერთერთი გამონაყოფი ქედი, ამ პატარა ქედის მწვერვალი 1984 მ. სიმაღლის მთაა. ამ ორ ქედს შუა მიემართება ჭოროხი. ესაა ბუნებრივი ვიწრობი. ამგვარი კი ჭოროხთან უამრავია.

ლაზიკა

ლაზიკას აქვს კლდოვანი სანაპირო – (გეორგიკა, II, 1965 გვ. 142). საზოგადოდ ლაზიკა არის მთაგორიანი, არ მოდის ღვინო – (იქვე,გვ. 96). მდ. ფაზისის სანაპიროზე არის ვიწროები. საზოგადოდ, ლაზიკა დაქანებულია, ძნელი გასავლელია მსუბუქად ჩაცმული კაცისთვის – (იქვე,გვ. 81).

მდ. ფაზისის ახლოს არიან მთიანი მწვერვალები –(იქვე, გვ. 110).

ფაზისთან ორივე მხარეს გაუვალი კლდეებია – (იქვე, გვ. 102).

მდ. ფაზისის სანაპიროზეა კლისურები.

ფაზისი – მიემართება გამოკვეთილ ხმელეთში, წყალი სუფთაა, სწრაფად შედის ზღვაში (იქვე, გვ. 140).

ბოასი – სათავე აქვს პერსარმენიაში. ბოასი ანუ აკამფსისი

1) „მდინარე ბოასი გამოდის სადღაც ჭანეთის მახლობლად არმენიელთა ადგილებში,

რომლებიც ფარანგიონის გარშემო ცხოვრობენ... მას შემდეგ, რაც ეს მდინარე მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერების საზღვრებია... ნაცვლად ბოასისა, ამიერიდან ფაზისად წოდებული, განაგრძობს მდინარებას ნაოსნობისთვის გამოსადეგი... ზღვამდე... მის ორივე მხრივ ლაზიკა არის... მარჯვნივ... იბერიის საზღვრამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით. ლაზთა სოფლები მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას (გეო, II, გვ. 101). მდინარის მარცხენა სანაპიროზე ლაზები ცხოვრობდნენ, მარჯვენაზე კი მესხები. აქედან გამომდინარე, თუ ფაზისი რიონია, მაშინ მის მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრები ეგრისელები ყოფილან მესხები, ხოლო მარცხენა სანაპიროზე მცხოვრები გურულები – ლაზები, რაც არასწორია, მაშასადამე რიონი ფაზისი არაა.

2) „მაშინ რომაელებმა დაიჭირეს პერსარმენიელთა ქვეყანაში... ფარანგიონი, სადაც სპარსელები ოქროს თხრიან... დაიმორჩილეს ჭანების ტომი... თოვლით დაფარული მთები, საიდანაც გამოდის მდ. ფაზისი“ (გეორგიკა, II, გვ. 52). ე.ი. ბოასი ანუ ფაზისი გამოდის ჭანების ადგილებში, პერსარმენიაში, ფარანგიონის მახლობლად. ამის შესახებ სამჯერ წერს პროკოფი კესარიელი.

3) ჭანების მთებიდან ჩამოდის მდინარე ბოასი“ (გეორგიკა, II, გვ. 122).

მონოპოლია

სტრატეგიოსმა ციბემ იუსტინიანეს გაამაგრებინა ციხე-ქალაქი პეტრა (გეო. II, გვ.17) და შემოიღო ე.წ. „მონოპოლია“, რაც გულისხმობდა ძირითადად მარილითა და პირველადი საჭიროების საქონლით ვაჭრობის ცენტრალიზაციასა და სტრატეგიოს ციბეს ხელში თავმოყრას (იუსტინიანეს დროს მონოპოლია ბიზანტიის სხვა ადგილებშიც არსებობდა). ეს ნამდვილად შეეძლო ციბეს, რადგანაც ციხე-სიმაგრე პეტრა არის ერთადერთი ჩამკეტი ვრცელი ოლქისა, რომელსაც ქმნის მდ. ჭოროხის სანაპიროებზე განლაგებული ქვეყანა. მდ. ჭოროხის აუზი ბუნებრივად გარშემორტყმულია ყოველი მხრით უზარმაზარი „ცამდე აზიდული“ (როგორც პროკოფი ამბობდა) მთებით (3000 მ. სიმაღლის), და ხეობის ბუნებრივი გასასვლელი გადიოდა ციხე-სიმაგრე პეტრაზე – მდინარე იყო არტერია მთელი ხეობისა. მთელი დასავლეთ საქართველოს მონოპოლიის ხელში ჩაგდება არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ბიზანტიელ სტრატეგიოსს, რადგან დასავლეთ საქართველოში ზღვა მთელ დასავლეთ სანაპიროს უვლის და მისი გაკონტროლება XX საუკუნეში საბჭოთა კავშირსაც კი უჭირდა. ხოლო ჭოროხის დიდი ხეობის გაკონტროლება ადვილი შესაძლებელია მის შესართავში მდებარე ციხე-სიმაგრით, რადგანაც ეს ხეობა კლდეების ბუნებრივი საზღვრითაა ჩაკეტილი. ამ ხეობას ანუ ლაზიკას აკონტროლებდა ციბე.

3. პროკოფის წიგნი – „საიდუმლო ისტორია“ ლაზიკეს შესახებ

(მიმოხილვა)

პროკოფი კესარიელის თხზულების „საიდუმლო ისტორიის“ მთარგმნელი ნ. ეფრემიძე თავის კომენტარებში წერს – „ლაზიკე – ძველი კოლხეთის (დასავლეთ საქართველოს) სახელ-

წოდებაა IV საუკუნის შემდგომ, იგივე „ქართული ეგრისი“ (პროკოფი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, 1989, გვ. 118). ნ. ეფრემიძე უცვლელად იმეორებს XXს. ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ გაბატონებულ თვალსაზრისს, რომ ლაზიკა – დასავლეთ საქართველოა, კერძოდ კი, რიონის ვრცლად გადაჭიმული ველი – ვაკე, რომელიც დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილია. ეს მსჯელობა საოცარია იმ მხრივ, რომ წარმოადგენს წყაროთა მტკიცებების უგულებელყოფას. მაგალითად, ამავე წიგნში „საიდუმლო ისტორია“ (ისევე, როგორც ყველა სხვა თავის თხზულებაში), პროკოფი კესარიელი ხაზგასმით აღნიშნავს – „ლაზიკე, როგორც ითქვა, კლდოვანი და ძნელსავალი ქვეყანაა“ (პროკოფი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, 1989, გვ. 27).

პროკოფი კესარიელი ჩამოყალიბებულ აზრს, რომ ლაზიკე მთაგორიანი და კლდოვანი ქვეყანაა და ამ ოდრო-ჩოდროობის გამო უგზო და სავალად ძნელია, კიდევ ერთხელ იმეორებს ამ თხზულებაში – „ლაზიკაში თავდატეხილი ათასი უბედურებით გაწამებულმა სპარსელებმა ეს ამბავიც რომ შეიტყვეს, შეშინდნენ, სადმე მტრის ჯარს არ გადაჰყროდნენ, ცოლ-შვილისა და სამშობლოს უნახავად არ ამოწყვეტილიყვნენ ამ მთიან და გაუვალ ქვეყანაში“ (იქვე, გვ. 28).

მაშასადამე, ლაზიკე არის „მთიანი და გაუვალი ქვეყანა“. ამასთანავე, „კლდოვანი და ძნელსავალი ქვეყანა“, მთიანი - კლდოვანი - ძნელსავალი - გაუვალი – ამ სიტყვებს პროკოფი ლაზიკის შესახებ, როგორც აღინიშნა, ყველა თავის თხზულებაში წერს. არსად, არც ერთ თავის თხზულებასა თუ შენიშვნაშიც კი, არსად არა აქვს ნათქვამი, რომ ლაზიკა სადმე მთელი თვალსაწიერის მანძილზე არის უკიდეგანო ვაკე (სინამდვილეში ასეა დასავლეთ საქართველო ფოთიდან წყალტუბომდე. მთელი რიონის აუზი თვალუწვდენელი ვაკეა და როგორ არის ის მთიან-კლდოვანი?).

როგორც ითქვა, პროკოფი კესარიელის ლაზიკე არის ის ქართული მიწა-წყალი, რომელსაც ეროვნულ საისტორიო წყაროებში ეწოდებოდა კლარჯეთი, ბოლო კლარჯეთისა, ერგე, ლიგანი, აჭარა, ჭანეთი და, საერთოდ, მთელი ჭოროხის ხეობა. თუ ვინმე შეადარებს ჭოროხის ხეობის (კლარჯეთ - შავშეთის) აღწერას ძველი ქართველი ისტორიკოსების მიერ აღწერილს (მაგ. გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“) და პროკოფის მიერ ლაზიკეს აღწერას, მიხვდება, რომ ისინი ერთსა და იმავე ქვეყანას აღწერდნენ – ეს იყო მთიან-კლდოვანი ქვეყანა.

4. პროკოფის წიგნი – „შენობათა შესახებ“

(მიმოხილვა)

პროკოფი კესარიელის ტრაქტატში „შენობათა შესახებ“ გვხვდება ათამდე ტოპონიმი, „ონ“ სუფიქსის და „არტ“ პრეფიქსების შესაბამისი – “ონ” სუფიქსით ნაწარმოები სახელები – ჰორონონი, ხარტონი, სისილისსონი, სქამალინიქონი, ჯანზაკონი, ჭანჭაკონი, ბარხონი, ბურგუსნოისი – ჭანეთში, ლოსორიონის ციხე – ლაზეთში, აქ დასახელებული პუნქტების სახელწოდებანი ონ-სუფიქსსიან სახელწოდებას წარმოადგენს. ონ-ი კი ჭანური ზედსართავი სახელებისთვის დამახასიათებელ სუფიქსად ითვლება“ (პროკოფი კესარიელი, შენობათა შესახებ, 2006, გვ. 22).

„ონ“ სუფიქსით არა მხოლოდ ჭანეთ-ლაზეთში, უამრავ სხვა ქვეყანაში ასახელებს პროკოფი სახელებს, მაგალითად, მესოპოტამიასთან ახლოს არმენიაში – კიფარიძონი, არმენიის სხვა მხარეში – ბაიბერდონი, არეონი, გერმანუფოსატონი, კუკარიზონი, ლისიორმონი

და სხვა. თუ „ონ“ ნამდვილად ჭანური (საერთო ქართველური) სუფიქსია, უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ სუფიქსიანი სახელები არმენიის იმ მხარეში მდებარეობდნენ, სადაც მკვიდრი მოსახლეობის – ჭანების არმენიზაცია მოხდა. ამ თვალსაზრისს თითქოსდა განამტკიცებს ის ფაქტი, რომ არმენიის მხარე ხორძენეში იყო სოფელი სახელით არტალესონი, „არტ“ პრეფიქსი კი დამახასიათებელი იყო ლაზიკეს რეგიონისთვის, აქ იყო და არის – არდაშენი, ართვინი, არტანუჯი, არტაანი და სხვა. არტ (ქართ, გარდა) საერთო ქართველური ფუძე იყო (ქალდეა, ქართლი).

კლისურები ლაზიკის შესასვლელში

ბიზანტიელებისთვის ლაზიკის „შესასვლელი“ მდებარეობდა შავ ზღვასთან, ხოლო მისი „გასასვლელი“ სპარსეთის მხარისაკენ იყო მიმართული. პროკოფი კესარიელის ცნობით, კლისურები ანუ ერთმანეთთან მიჯრით მდებარე მთების ვიწრო ხეობები მდებარეობდა ლაზიკის შესასვლელში ანუ შავი ზღვის სიახლოვეს. ის წერს – იმპერატორმა იუსტინიანემ „ამ ქვეყანაში გაამაგრა ხეობებიც კი, რომლებსაც, ჩვეულებრივ, კლისურებს უწოდებენ, რათა ლაზიკეს შესასვლელი მტრისთვის ჩაკეტილი ყოფილიყო“ (პროკოფი კესარიელი, შენობათა შესახებ, 2006, გვ. 107).

ეს არის მნიშვნელოვანი ცნობა, რადგანაც სხვა წყაროებში პროკოფი წერს, რომ ეს კლისურები ლაზიკაში მდ. ფაზისის სიახლოვეს იყო. მაშასადამე, ლაზიკის კლისურები ერთდროულად ზღვისა და მდინარის პირას მდებარეობდა. ასეთი მდინარე მხოლოდ ჭოროხია, რომელსაც ძველი ავტორები ზოგჯერ ფაზისს უწოდებდნენ და არა მდ. რიონი, რადგანაც მდ. რიონის პირას არასოდეს არსებულა მიჯრით მდებარე მთების ხეობები (კლისურები), რომელნიც ამავე დროს ზღვის სიახლოვესაც მდებარეობდნენ. მდ. რიონის ზღვისპირა ნაწილი ტაფობი ვრცლად გადაჭიმული ველია.

ბორჩხასა და მდ. აჭარისწყალს შუა ჭოროხის მარჯვენა შენაკადია მდინარე „კლისკურისუ“, რაც ეტიმოლოგიურად ახლოა „კლისურასთან“ და აქვეა მდინარემდე ჩაჭრილი ქედები, რომლებიც ახლოა ზღვასთანაც.

ჭანები

ჭანები იყვნენ არმენიელთა მეზობლები (პროკოფი კესრიელი, შენობათა შესახებ, 2006, გვ, 104), აღმერთებდნენ ჭალებს, ფრინველებს, ზოგიერთ ცხოველს, ცხოვრობდნენ „ცამდე აზიდულ უზარმაზარ მთებში და მიწას კი არასოდეს ამუშავებდნენ“. ჭანეთში „უმეტესად ხრიოკი, სრულიად მწირი და უნაყოფო ადგილებია, აქ არც მიწის მოხვნაა შესაძლებელი, არც ნათესის მომკა და არც თიბვა“ (იქვე, გვ. 105). მაშასადამე, ჭანეთში ცხოველთათვის საკვები ბალახი მცირეა. პროკოფი სხვა ნაშრომში აღწერს, რომ ლაზიკეში სპარსელებს 20 000-მდე ცხენი დაეხოცათ შიმშილით, ანუ უბალახობის გამო, მაშასადამე, ლაზიკეც ჭანეთის მსგავსი, უმოსავლო ქვეყანაა. ასეთი კი შეუძლებელია იყოს დასავლეთ საქართველო მთლიანად და განსაკუთრებით კი რიონისპირა ბარი, სუბტროპიკული ზონა, სადაც ბალახიც და ყოველგვარი ნაყოფიც უხვად მოდის. ჭანები იუსტინიანეს დროს გაქრისტიანდნენ და რომაელებთან ერთად ლაშქრობდნენ. ჭანეთი ყოველი მხრიდან კლდოვანია, ძნელადსავალი ქვეყანაა ცხენოსნისთვისაც კი. იუსტინიანემ მათ ეკლესია აუშენა სქამალიხონში; ციხეები ააშენა ჰორონონში, განაახლა სისილისონში. ჭანეთს ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა ქალაქი ტრაპეზუნტი. ჭანეთსა და ლაზიკეს შუა პროკოფი ასახელებს ტრაპეზუნტს და რიზეს.

ლაზი მეფეების სამეფო შესამოსელი

ლაზი მეფეების სუვერენობისა და ლაზეთის, ვითარცა ძლიერი სახელმწიფოს დამამტკიცებელ ერთ-ერთ ფაქტად, ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის მიხედვით, ითვლება ის, რომ ბიზანტიის იმპერატორები ლაზეთის მეფეებს სამეფო შესამოსელს უგზავნიდნენ.

პროკოფი კესარიელის ცნობით კი პირიქით, მსგავსი შესამოსლები ეგზავნებოდათ იმპერიისადმი დაქვემდებარებულ ზოგიერთ მმართველებს, ე.წ. „სატრაპებს". პროკოფი აღწერს ერთ ასეთ მაგალითს – იუსტინიანეს ეპოქაში „დიდ არმენიას" მართავდა ხუთი სატრაპი. მათ „მხოლოდ ზოგიერთი სამეფო ნიშანი ენიჭებოდათ რომაელი იმპერატორისგან. ღირსი კია ეს ნიშნები სიტყვით მოვიხსენიო, რადგან ადამიანის თვალი მათ ვერასოდეს იხილავს: ესენია: ქლამიდა, იქსოვებოდა ზღვის ცხოველის ბეწვისაგან... პორფირის ჩამოშვებული ნაწილი იქ, სადაც მეწამული ნაკეცებია, ოქროთია ნაკერი, ქლამიდას ჰკრავს ოქროს ბალთა, რომლის შუაში ჩასმული იყო რომელიღაცა პატიოსანი ქვა, აქედან ეშვებოდა სამი იაკინთის ქვა წვრილი ოქროს ძეწკვით. ქიტონი აბრეშუმისაა, ყოველი მხრიდან ოქრომკედით შემკული, რომელსაც პლუმიებს ეძახიან, ფეხსაცმელი მუხლამდე მეწამული ფერისა, რომელსაც მხოლოდ რომაელ იმპერატორებსა და სპარსელ მეფეებს შეუძლიათ ჩაიცვან" (პროკოფი კესრიელი, შენობათა შესახებ, 2006, გვ, 98).

მაშასადამე, რომაელი იმპერატორებისა და სპარსეთის მეფეების მსგავსად არმენიის სატრაპები (ანუ ერისთავებიც) იცვამდნენ წითელ (მეწამულ) ფეხსაცმელს, მაგრამ ეს ფაქტი არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ისინი ძლიერი და სუვერენული სახელმწიფოს მმართველები იყვნენ. საფიქრებელია, რომ ლაზეთის მეფეებიც არმენიის აღნიშნული „სატრაპების" მსგავსი მმართველები იყვნენ ანუ შეესატყვისებოდნენ ქართველ მთავარს ან ერისთავს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სატრაპების გარდა, ერთ-ერთ არმენიას საკუთარი მეფეც ჰყავდა, რომაელთა გავლენის ქვეშ მყოფი.

ლაზიკე

იუსტინიანემ ლაზიკეში ააგო ციხე-სიმაგრე ლოსორიონი (შეიძლება შევადაროთ, რომ არმენიაში არსებობდა პუნქტი ლისიორმონი), გაამაგრა ლაზიკის შესასვლელში ხეობები (კლისურები), აღადგინა ლაზიკეს ძველი, ნანგრევებადქცეული ეკლესია (კლარჯეთში ეკლესიები IV-V სს-ში აიგო), ააშენა ქ. პეტრა. იქ ლაზებმა სპარსელთა ჯარი შეიყვანეს, ამიტომაც ბიზანტიელებმა ეს ქალაქი „მიწასთან გაასწორეს, რათა ბარბაროსები კვლავ არ მოსულიყვნენ" (პროკოფი კესრიელი, შენობათა შესახებ, 2006, გვ, 107).

„გადაღმა ხმელეთზე, მეოტის ტბის მიმართულებით არის ორი ციხე-სიმაგრე – სებასტოპოლისი და პიტიუნტი. ისინი „რომაელებმა დაანგრიეს, როცა შეიტყვეს, რომ ხოსრო ჯარის გაგზავნას აპირებდა ამ ციხეების ასაღებად" (იქვე, გვ. 107). იუსტინიანემ სებასტოპოლისი აღადგინა და აქცია ღირშესანიშნავ ქალაქად (იქვე, გვ. 107).

ძნელი სათქმელია, ეს საბასტოპოლისი და პიტიუნტი პეტრას ახლო, ჭოროხის მარცხენა მხარესაა, თუ აფხაზეთის ქალაქები იგულისხმება. რას ნიშნავს პროკოფის ნათქვამი: „გადაღმა, ხმელეთზე".

„გადაღმა" ალბათ ნიშნავს მდ. ფაზისის იქით, მაგრამ რას ნიშნავს „ხმელეთზე". მაშ ზღვაზე ხომ არ ააგებდნენ ციხეებს. იქნებ, „ხმელეთზე" ნიშნავს „არა ჭაობზე", „ჭაობის იქით, ხმელეთზე" – თუ ჭაობის იქითა მხარე იგულისხმება, ესაა რიონის ჭაობების იქით, ანუ

ოჩამჩირის მიმართულებით. მაგრამ ცნობილი „პიტია“ თავისი საეპისკოპოსო ცენტრით იყო რიზესთან ახლოს, რაც რუკებზეცაა აღნიშნული.

კლისურები

პროკოფი კესარიელი თავის ნაშრომებში საკმაოდ ხშირად ხმარობს სიტყვას „კლისურა“, „კლისურები“. კლისურა, მისი განმარტებით, არის ვიწრო ბუნებრივი ხევი ორ (თითქმის პარალელურ) ქედს შორის მოქცეული. რომაელები (ბიზანტიელები) თუ ამ ქედთაშუა ხევზე გზა გადიოდა, მის გასაკონტროებლად აგებდნენ (ამ ხევში) სიმაგრეს.

პროკოფის ცნობით კლისურა (კლისურები) ყოფილა არა მარტო ლაზიკაში, არამედ თრაკიაში (აე IV,11), არმენიაში (აე III, 3,2) და საბერძნეთში (აე, IV,2,17). პროკოფის ცნობით, იმპერატორმა იუსტინიანემ ლაზიკეშიც „გაამაგრა ხეობებიც კი, რომლებსაც ჩვეულებრივ კლისურებს ეძახიან, რათა ლაზიკეს შესასვლელი მტრისთვის ჩაკეტილი ყოფილიყო“ (პროკოფი კესარიელი, შენობათა შესახებ, 2006, გვ. 107).

პროკოფი კესარიელი თვითონვე განმარტავს, თუ რას წარმოადგენს „კლისურა“ („კლისურები“) ის წერს:

„ამ მხარეში (ე.წ. „სოფანენეში“) რვა მილის მანძილზე აღმართულია ციცაბო მთები, ყოველი მხრიდან გაუვალი, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი, ქმნიან ორ ვიწრო ხეობას, რომელსაც კლისურებს უწოდებენ. პერსარმენიიდან სოფანენისაკენ მიმავალი შეუძლებელია არ მოხვდეს ამ ორ ხეობაში. აქაურები ერთ მათგანს ილირისონს, მეორეს კი – საფხაზს უწოდებენ. მტრებისათვის გზების გადაკეტვის თვალსაზრისით ეს ადგილები მეტად საყურადღებო იყო... იმპერატორმა ამ ხეობებში აღმართა ძლიერი სიმაგრეები და ჩააყენა სამხედრო ჯარი“ (პ. კესარიელი, შენობათა შესახებ, თარგმნა ჯულიეტა შოშიაშვილმა, 2006, გვ. 100).

ასე რომ, კლისური ეწოდება ორ ერთმანეთთან მიჯრით მდებარე მთათა შუა ხევს, ანუ კლისურის პირდაპირი ქართული თარგმანი ხევია. რომაელების ყურადღებას ეს ხევი ანუ კლისურა იპყრობდა, იმ შემთხვევაში, თუ იქ გადიოდა გზა. ამ გზაზე რომაელები ციხე-სიმაგრეებს აგებდნენ.

პროკოფი სხვა ნაშრომში წერს, რომ ლაზიკაში ასეთი კლისური მდებარეობდა პეტრასთან ანუ ზღვასთან ახლოს მდ. ფაზისის სანაპიროზე. ამ შემთხვევაში მდ. რიონი არაფრით არ შეიძლება იყოს ფაზისი, რადგანაც ზღვის სიახლოვეს მდ. რიონთან არავითარი მთის ხევები (კლისურები) არ არის, ესაა დაჭაობებული გაშლილი ბარი, ხოლო თუ კი ჭოროხი არის ფაზისი, ამ შემთხვევაში პროკოფის გაგება ადვილია, ჭოროხზე, ზღვის სიახლოვეს არტანუჯ-გონიოს (პეტრას) გზაზე უამრავი მთის ხეობა ანუ პროკოფისეული კლისურაა. ასე რომ, ცხადია, ფაზისი ჭოროხია პროკოფისათვის და არა რიონი.

ჭაობი პროკოფის ცნობით

რიონის დაბლობის ჭაობი მოიცავს უვრცელეს რეგიონს და შეადგენს მთელი დასავლეთ საქართველოს დაბლობის მნიშვნელოვან ნაწილს. ჭაობი იწყება ზღვისპირეთიდან და გრძელდება თითქმის სამტრედიამდე, სიგანითაც ის ძალზე დიდია და ვრცლადაა გადაჭიმული ურეკ-ქობულეთიდან ვიდრე ოჩამჩირემდე. ჭაობი ყოველთვის დაუსახლებელი იყო, თუ არ ვიგულისხმებთ ძალზე იშვიათ გამონაკლისებს. აღსანიშნავია, რომ როგორც ხმელთაშუა ზღვის, ისე შავი ზღვისპირეთი (უშუალოდ ზღვასთან მიმდებარე, ზღვისპირა მიწები)

ქალაქებით და სოფლებით იყო და არის დასახლებული, ხოლო, როგორც ვთქვით, ურეკიდან – ოჩამჩირემდე ზღვისპირას ქალაქები და სოფლები ახლაც არ მდებარეობენ (ფოთის გარდა).

რომაელები ერიდებოდნენ ჭაობიან ადგილებში ქალაქებისა და სოფლების დაარსებას, საერთოდ ერიდებოდნენ ჭაობებს. ამის შესახებ გვამცნობს პროკოფი კესარიელი. მისი ცნობით, იმპერატორი იუსტინიანე, რომელმაც თავის იმპერიაში მრავალი ქალაქი, ციხე-სიმაგრე და ნაგებობა ააგო, მოერიდა ერთ-ერთ შესანიშნავ ადგილს მისი დაჭაობების გამო და იქ არაფერი არ ააგო. პროკოფი გვიხსნის ამის მიზეზს:

„იმის მიზეზი, თუ რატომ არაფერი ააშენა იმპერატორმა ბიზანაში, შემდეგი რამ იყო: აქ, ვაკე ადგილზე გაშლილია ცხენოსნობისთვის ხელსაყრელი ველ-მინდვრები, ბევრია დაჭაობებული ადგილებიც. მტრისთვის ეს ტერიტორია ადვილად დასაპყრობია, აქაურებისთვის კი ავადმყოფობის საშიშ კერას წარმოადგენს, ამიტომაც იმპერატორმა უყურადღებოდ დატოვა იგი, ქალაქი სულ სხვა მხარეს გააშენა და თავისი სახელიც უწოდა... დგას ციცაბო კლდეზე და შესანიშნავი კლიმატით გამოირჩევა“ (პროკოფი კესარიელი, შენობათა შესახებ, 2006, თარგმნა ჯ. შოშიაშვილმა, გვ. 104). (აე, III, V, 13-15).

მაშასადამე, რომაელები ქალაქ-სოფლებს აგებდნენ კლდოვან და კარგი კლიმატის მქონე ადგილზე, ერიდებოდნენ ჭაობებს, აუცილებლობის შემთხვევაში იქ, ალბათ, ციხე-სიმაგრეებს თუ ააგებდნენ.

გზა პერსარმენიიდან ბიზანტიისაკენ

იმპერატორმა იუსტინიანემ ჭანეთში რომაელთა და პერსარმენიელთა საზღვრების გასაყარზე ააგო მტკიცე ციხე-სიმაგრეები. მათი დანიშნულება იყო დაეცვა გზები. პროკოფი წერს – „ეს ქვეყანა სამი გზაჯვარედინით არის დანაწილებული. აქედან იწყებენ გაყრას რომაელთა, პერსარმენიელთა და თვით ჭანთა საზღვრები. აქ იუსტინიანემ ააგო ძალიან მტკიცე ციხე-სიმაგრე ჰორონონი და ამით დაადგა თავი ზავის საქმეს. პირველად აქედან გახდა შესაძლებელი რომაელთათვის ჭანეთში შესვლა“ (პროკოფი კესრიელი, შენობათა შესახებ, 2006, გვ, 106).

ციხე-სიმაგრის დანიშნულება ძირითადად იყო გზის დაცვა ანუ ძლიერი ციხე-სიმაგრე მნიშვნელოვანი გზის დაცვის საქმეს ემსახურებოდა. შესაბამისად, სკანდა და სარაპანა – პერსარმენიიდან რომის მიწებისკენ (ბიზანტიისკენ) მიმავალ გზაზე აგებულიყო – რათა მტრისთვის გზა გადაეკეტათ.

პროკოფი წერს – სომხეთში, მარტიროპოლისთან (სოფანენეში) ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი მთების ხეობებში (ე.წ. კლისურებში) გამავალი გზების შესახებ, რომელნიც „მტრებისთვის გზის გადაკეტვის თვალსაზრისით მეტად საყურადღებონი იყვნენ“ (პროკოფი კესრიელი, შენობათა შესახებ, 2006, გვ, 100), სადაც იუსტინიანემ „აღმართა ძლიერი სიმაგრეები“ (იქვე, გვ. 100).

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო სკანდას ციხე-სიმაგრე, სადავო ბიზანტიასა და სპარსეთს შორის, მნიშვნელოვან გზაზე მდებარეობდა. ასეთი გზა, თუ კი იყო სურამის ქედიდან თანამედროვე შორაპანში შემავალი გზა, უშუალოდ ამ გზისპირზე უნდა ყოფილიყო აღმართული სკანდის ციხეც. მაგრამ სულ სხვა რეგონში მდებარეობს თანამედროვე სოფელ სკანდეს ციხე. საჭიროების შემთხვევაში ბიზანტიელები პერსარმენიასთან დამაკავშირებელ გზაზევე ააგებდნენ ციხე-სიმაგრეს, როგორც იქცეოდნენ სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, თეოდოპოლისის მახლობლად ხორზანეს მხარეში გამავალ გზაზე: „სპარსელთა მეფისათვის აქედან ადვილი იყო შეჭრილიყო რომაელთა ქვეყანაში,

ვიდრე იმპერატორმა იუსტინიანემ გზა არ ჩაკეტა. ამ კუთხის შუაგულში იყო სოფელი არტალესონი. იგი ციხე-სიმაგრედ იქცა“ (იქვე, გვ. 101).

მაშასადამე, სკანდის ციხე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებდა თავის ფუნქციას, თუკი ის „გზის ჩამკეტი“ სიმაგრე იქნებოდა, ანუ ის უშუალოდ გზაზე უნდა მდგარიყო.

იმერეთის სკანდა კი სურამ-შორაპანის გზაზე არ დგას, ანუ არ დგას და არასოდეს მდგარა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს შემაერთებელ გზაზე, ხოლო კლარჯეთის კანდრიდი, რომელსაც ჩვენ პროკოფისეულ სკანდად მივიჩნევთ, ნამდვილად ასეთ საერთაშორისო გზაზე იდგა.

5. აგათია სქოლასტიკოსი ლაზიკის შესახებ

აგათია სქოლასტიკოსთან, ისევე როგორც სხვა VI-VII საუკუნეების ბერძენ ავტორთან, **ლაზიკა** და არმენია ერთ კონტექსტში, ერთად მოიხსენიება ხოლმე. მაგალითად, მთავარსარდალი იუსტინე ფაზისთან სპარსელების დამარცხების შემდეგ იღებს „კოლხიდისა და არმენიის მოქმედი ჯარის მთავარსარდლობას“. უფრო სწორად, მას ოფიციალურად ეწოდა „არმენიის ჯარის მთავარსარდალი“. 557 წლისათვის (გეორგიკა, ტ. III, გვ. 30) ისმის კითხვა, რატომ ევალებოდა არმენიის მთავარსარდალს ეწარმოებინა ომი კოლხეთში. პასუხი ის არის, რომ კოლხეთი და არმენია, კერძოდ კი მცირე არმენია იყვნენ ერთმანეთის მეზობლები, მდებარეობდნენ ერთ რეგიონში.აგათიას კოლხეთი მდებარეობდა ჭოროხის ხეობაში, ხოლო მდ. ჭოროხის აღმოსავლეთ მთიანეთს უკვე არმენიას უწოდებდნენ. ამიტომაც, როგორც აღინიშნა არა მარტო აგათია სქოლასტიკოსთან, არამედ სხვა ავტორებთანაც, კოლხეთი და არმენია ერთად მოიხსენიებიან.

აგათია სქოლასტიკოსი ლაზიკას, მის ხალხს და მის მეფეს უწოდებს კეთილმორწმუნე ქრისტიანებს, კერძოდ, ისინი არიან „რომაელთა ქვეშევრდომი კეთილმზრახველი და ერთმორწმუნე“ (გეორგიკა III, გვ. 29). როგორც ხშირად აღინიშნა, ბიზანტიელებს არ სურდათ, რომ სპარსელებს ხელში ჩაეგდოთ ის საერთაშორისო გზა, რომელიც ლაზიკის გავლით პერსარემენიას, ანუ სპარსულ არმენიას აერთებდა შავ ზღვასთან. კერძოდ, რადგანაც პერსარმენია ძირითადად სპარსელების ხელში იყო (იგულისხმება ქალაქ დვინისა და სხვა მიმდებარე ქალაქების სანახები), აქედან ისინი იმ გზით, რომელიც აერთებდა დვინს არტაანთან და შემდეგდროინდელ არტანუჯთან, ჩადიოდნენ ჭოროხის ხეობაში შემდეგდროინდელ ქალაქ ართვინში და ჭოროხისპირა გზით სწრაფად მიდიოდნენ ზღვისპირა ციხე-სიმაგრე „პეტრაში“, ანუ გადიოდნენ შავ ზღვაზე. ეს კი ძალზე აფრთხობდათ ბიზანტიელებს, ამიტომაც წერს აგათია: „თუ სპარსელები ომში გაიმარჯვებდნენ და მთელ ქვეყანას (ლაზიკას) აიღებდნენ, აღარაფერი დააბრკოლებდათ მათ უშიშრად შემოეცურათ ევქსინის პონტოთი და ძალიან ღრმად გაეკვლიათ გზა რომაელთა სამეფოში“ (გეორგიკა, III, 1936, გვ. 29).

აქედან ჩანს, დასავლეთ საქართველო რომ ყოფილიყო ლაზიკა, მაშინ ძველი ავტორები მას და არმენიას ერთად არ მოიხსენიებდნენ, რადგანაც არმენია და დასავლეთ საქართველო ერთმანეთისაგან ძალზე დაშორებული რეგიონები არიან და მათ შორის იმჟამად სხვა მრავალი ტომი ცხოვრობდა და მრავალი ქვეყანა იყო. ხოლო ლაზიკა და მცირე, ანუ რომაული არმენია ნამდვილად იყვნენ ერთმანეთის მეზობლები, ერთ სახელმწიფოში, ბიზანტიაში, შემავალი, ერთი მმართველობის, მათ შორის სტრატეგიული მმართველობის ქვეშ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია თვალსაზრისი, თითქოსდა სპარსელები დასავლეთ საქართველოში გადადიოდნენ იბერიის გავლით თანამედროვე სურამის უღელტეხილებით და თითქოსდა ამ გზის გავლის შემდგომ ეწეოდნენ ე.წ. ლაზიკისათვის ომს – დასავლეთ საქართველოში. რიონის დაბლობში, რომელიც ძველ დროს მეტისმეტად იყო დაჭაობებული, გავრცელებული იყო მალარია, ციებ-ცხელება, დაავადებანი. ჭაობიანი ადგილები კი საომარი მოქმედებებისათვის უვარგისი იყო. ჭაობებში გავლა უჭირდათ შეიარაღებულ რაზმებს, მითუმეტეს წარმოუდგენელი იყო ასეთ ჭაობებში სპილოებით ომი. სპილოებს კი ლაზიკის ომის დროს იყენებდნენ როგორც ხოსროს უშუალო ხელმძღვანელობის, ასევე მის მხედართმთავარ ნახორაგანის დროს. აგათია სქოლასტიკოსის სიტყვით ჭაობში, ჭაობიან ადგილებში და ისეთ ტყეებში, სადაც ტყეს გააჩნია საკუთარი ქვე-ტყე, გავლა უჭირდათ არა თუ სპილოებსა და ცხენოსან რაზმს, არამედ უბრალო შეიარაღებულ რაზმსაც კი. კერძოდ, აგათია სქოლასტიკოსი ერთ უმნიშვნელო ჭაობზე წერს: „დაბლობები მეტისმეტად ჭაობიანი და შლამიანია და მათ გარს აკრავს იმდენად ხშირი ბუჩქნარები და ტყეები, რომ არათუ შეიარაღებულ რაზმებს, არამედ კაცსაც კი – ისიც მსუბუქად ჩაცმულს, გაუჭირდება იქ გავლა“ (გეორგიკა, III, გვ. 31).

პროკოფი კესარიელი და მთელი რიგი სხვა ავტორები, გამოწვლილვით აღწერენ ე.წ. ლაზიკისათვის ომებს. ისინი ხშირად ახსენებენ კლდეებს, საგანგებო მუშების მიერ კლდეების მონგრევას, ხრამების ამოვსებას, აღწერენ მდინარისპირა და ზღვისპირა ომებს, მაგრამ არსად არ აღწერენ ომებს ჭაობში ანდა რომელიმე სამხედრო რაზმის მიერ ჭაობის გავლას. მთელი დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი კი ჭაობიანი დაბლობი იყო, და თუკი ქალაქი ფაზისი არის ქალაქი ფოთი, ქალაქ ფაზისისათვის ომის დროს რატომ არ ახსენებენ ჭაობს, ფოთი ხომ მთლიანად ჭაობებში იყო ჩაფლული და მისი შემოგარენი მეტ მანძილზე.

ბიზანტიელები, ისევე როგორც სპარსელები, ასწორებდნენ, საგანგებოდ ამზადებდნენ გზებს ჯარის სავლელად. კერძოდ კი, ხეებითა და ქვებით ყორავდნენ არასაიმედო ადგილებს და დაუღალავად მუშაობდნენ. აგათია წერს კიდევაც: „რომაელებს არავითარი შრომა არ დაუზოგავთ და თუ სადმე არასაიმედო და ადვილად მისადგომი ადგილი უპოვიათ, მაშინვე ხეებითა და ქვებით ამოუყორავთ და დაუღალავადაც უშრომიათ ამ მხრივ (იქვე, გვ. 31). ხოლო რაც შეეხება სპარსელებს, მათ ჯართან ერთად მრავალათასიანი საგანგებო მუშების რაზმებიც ჰყავდათ, რომლებიც გზას ამზადებდნენ. კერძოდ კი, აგათიას სიტყვით, ისინი ლაზიკაში ამტვრევდნენ კლდეებს და კაფავდნენ ტყეებს. აგათია წერს – სპარსელთა მეთაურს ფაზისის ომისას: „იმედი ჰქონდა, რომ მუშების საშუალებით გაჭრიდა და გაწმენდდა ტყეს და კლდეებსაც მოამტვრევდა და მოაცილებდა ხელის შემშლელ ნაწილებს“ (გეორგიკა, III, გვ. 32). რადგანაც აგათია კლდეებს ახსენებს, ჩანს, რომ კლარჯეთზე ლაპარაკობს და არა ჭაობზე, რადგანაც ფოთის ირგვლივ ჭაობებში, ვფიქრობ, კლდეები არ უნდა იყოს. სპარსეთის შაჰიც აღნიშნავდა, რომ ლაზიკაში ჯარის მომარაგება ჭირდა და „ისიც დიდი გაჭირვებით, მებარგული კაცებისა და საკიდარი ცხოველების საშუალებით ხდებოდა“, იმიტომ, რომ როგორც ხშირად აღინიშნება, ლაზიკა კლდოვანი ქვეყანა იყო და არა ჭაობიანი. აგათია წერდა, რომ ქ. ფაზისის ირგვლივ იყო დახეთქილი ადგილები, ანუ ნაპრალებიანი ადგილები და არ ახსენებს ჭაობს. მაგალითად, ის წერს: „სპარსელი მუშები კარგა ხანია თხრილის ამოსავსებად მუშაობდნენ და მათ უკვე მთლიანად შეესწორებინათ ჩამონგრეული და დახეთქილი ადგილები. ისე რომ, ალყის შემოსარტყმელად გაგზავნილი ჯარი ამ ადგილს ადვილად გაივლიდა (იქვე, გვ. 106). ფაზისის

ირგვლივ, აგათიას თქმით, 2000 სპარსი მუშა მუშაობდა (იქვე, გვ. 122). მათი საქმიანობის აღწერის დროს არსად სიტყვა ჭაობი არ იხსენიება.

არმენია და ლაზიკა, როგორც აღინიშნა, ხშირად ერთად იხსენიება. ასევე, არცთუ იშვიათად ერთად იხსენიება ჩრდილო შავიზღვისპირეთი და იბერია. მაგალითად, პროკოფი კესარიელის სიტყვით, იმპერატორმა იუსტინიანემ „ბოსფორში გაგზავნა დიდძალი ფულით პრობე პატრიკიოსი, რათა ჰუნების ჯარი ფულის საშუალებით დაეყოლიებინა და იბერთა დასახმარებლად გაეგზავნა“ თუ ვერწმუნებით ქართულ წყაროებს, რომ იბერიის, ანუ ქართლის სამეფოს პოლიტიკური საზღვარი გადიოდა მდ. კლისურაზე თანამედროვე ცხუმთან, მაშინ იბერია და ბოსფორია ნამდვილად მეზობლები გამოდიან და მათ შორის არცთუ ისე შორი მანძილია.

აგათიას სიტყვით, ლაზთა მეფე გუბაზი ბიზანტიელმა სტრატეგიოსებმა ხობისწყალთან მოკლეს. თუ ფაზისი არის მდინარე ჭოროხი, მაშინ აგათიას აღნიშნული ხობისწყალი იქნება მის სამხრეთით, დაახლოებით 30 კმ მანძილზე გამდინარე ხოფის წყალი.

ლაზიკაში ყოფილა რამდენიმე ცნობილი ტაძარი. კერძოდ, ონოგურისთან წმ. სტეფანეს სახელობისა. აგათიას დროს ამ ადგილს კიდეც ეწოდებოდა წმ. სტეფანე. ონოგურისი კი უკვე გადავიწყებული ძველი სახელი ყოფილა. თვითონ ონოგურისი კი ერთი ნაწილი ყოფილა არქეოპოლისისა. მეორე, კიდევ უფრო სახელგანთქმული ტაძარი ლაზიკაში, მდებარეობდა ქალაქ ფაზისის, ანუ ჭოროხის ზღვასთან შესართავის სამხრეთით. გაცხარებულ საომარ მოქმედების წინ იქ სალოცავად წასულა ბიზანტიელი მხედართმთავარი, რომელსაც შემდეგ სასტიკად დაუმარცხებია სპარსელთა ჯარი. აქ ქალაქ ფაზისთან ახლოს, როგორც აღწერილობიდან ჩანს, იყო ასევე პეტრას ციხე-სიმაგრე. ჭოროხის შესართავთან სამხრეთით იყო აფსაროსი, სადაც განისვენებდა მოციქული მატათა, ის ცნობილი სალოცავი უნდა ყოფილიყო.

აგათია წერს, რომ იქ, სადაც ფასისს უერთდება მდინარე დოკონისი, მდებარეობდა პუნქტი ნესოსი. თუ ფასისი ჭოროხია, დოკონისი მისი ერთი შენაკადი უნდა იყოს, რადგანაც, აგათიას სიტყვით, ქალაქი ფასისი აღნიშნულ პუნქტ ნესოსს სულ დაახლოებით 20-25 კმ-ით იყო დაშორებული. ქ. ფასისი „ნესოსს სულ მცირე 6 ფარსანგით არის დაშორებული დასავლეთით“ (იქვე, გვ. 37). იქვე განმარტავს, რომ ფარსანგი არის დაახლოებით 21 სტადიონი, ერთი სტადიონი კი არის დაახლოებით 178 მეტრი. „6 ფარსანგით“ ანუ ზღვისპირა ქალაქიდან ნესოსამდე დაშორება ყოფილა 22428 მეტრი, რადგანაც აგათია წერს: „სულ დიდი 6 ფარსანგი“, ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს დაშორება იყო 20-22 კმ. ახლა ვნახოთ, რომელი მდინარე უერთდება მდინარე ჭოროხს ზღვიდან 20-22 კმ-ში. პირველი ასეთი მდინარე არის აჭარისწყალი და შემდგომ, სულ რამდენიმე კმ-ის იქით, მაჭახლისწყალი. ასე რომ, დოკონისი ან აჭარისწყალია ან მაჭახლისწყალი. ჩვენ რუკებზე საგანგებოდ ვეძებეთ ხომ არ იყო აღნიშნული მდინარეების ხეობებში რაიმე პუნქტი დოკონისის სახელწოდებით და, მართლაც, ჩვენდა გასაოცრად აღმოჩნდა, რომ ქართულ ტოპონიმიკას შემოუნახავს თითქმის 1500 წლის წინანდელი სახელი და ქართული ენციკლოპედიის ტომში, რომელსაც „საქართველოს სსრ“ ეწოდება, თანდართულ აჭარის რუკაზე აღმოჩნდა მდ. აჭარისწყლის სათავეში მდებარე სოფელი დიოკნისი. დოკონისი და დიოკნისი ეტიმოლოგიურად იდენტურნი არიან და ამ სოფელმა დიოკნისმა შემოინახა აჭარისწყლის ძველი სახელი ანდა პირიქით, მდინარე აჭარიწყალს ძველად მის მიხედვით ერქვა დოკონისი, ანუ დიოკნისის წყალი.

მდინარე აჭარისწყალსა და ქალაქ ბორჩხას შუა ჭოროხის ნაპირებზე გადაშლილია

უხვმოსავლიანი და ბარაქიანი მიწა-წყალი, რომელსაც ბოლო საუკუნეებში ერგე-ლიგანი ანუ ლივანი ეწოდებოდა. პროკოფიც აღწერს, რომ ლაზიკა კლდოვანი ქვეყანა იყო და ერთადერთი მოხირისის ტერიტორია იყო უხვმოსავლიანი. კლარჯეთიც ასეთივეა. ეს არის კლდოვანი ქვეყანა, სადაც მხოლოდ ერგე-ლიგანის ველი არის კარგმოსავლიანი. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ისტორიულ მოხირისს ერგე-ლიგანი დაერქვა და ის მდებარეობდა თანამედროვე ხელვაჩაურის რაიონში. აღნიშნულ ვაკეზე, ანუ თანამედროვე ლიგანსა და ძველ მოხირისში, მდებარეობდა ქალაქი კუტაია. როგორც აღინიშნა, ასეთი „კუტ“ ფუძით მდინარე აჭარისწყლის ხეობაში (და ალბათ სხვა ხეობებშიც) ამჟამადაც კი არსებობენ სოფლები. მაგ. აჭარისწყლის ხეობაშია სოფლები კვატია და კვაშტია. შესაძლოა, კუტაია მდებარეობდა იქ, სადაც ამჟამად მდებარეობს ბორჩხასთან ახლოს პუნქტი არლიკი, ანდა სოფ. მარადიდი.

ყოველივე აღნიშნული შესაძლოა უსაფუძვლოდაც კი მოგვჩვენებოდა, რომ ქალაქებისა და მდინარეების აღნიშნული მდებარეობანი ურთიერთდაშორებებით, მანძილებით, მიმართულებებით, ადგილმდებარეობებით და სხვა ნიშნებით თითქმის ზუსტად რომ არ ემთხვეოდეს პროკოფი კესარიელისა და სხვა ავტორების მონათხრობს. ჩვენ აღარ გავიმეორებთ სკანდას და სარაპანას ციხეებთან დაკავშირებულ, შეიძლება ითქვას, ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ ლაფსუსებს. მაგალითად, ძველი ავტორების ცნობით, სკანდასა და სარაპანას კლდოვან მთაგორიან ადგილზე მდებარე ციხე-სიმაგრეების ირგვლივ არ მოდიოდა არავითარი მოსავალი (არც ხორბალი, არც ღვინო, სურსათიც კი მეციხოვნეებს ცხენებითაც ვერ აჰქონდათ ქვეყნის კლდიანობის გამო და მას ზურგით ეზიდებოდნენ) და, ამავე დროს კი, ჩვენს თანამედროვე ზოგიერთ მეცნიერს ეჭვმიუტანელ ფაქტად მიაჩნია, რომ აღნიშნული სკანდა და სარაპანა არის თანამედროვე ზღვის დონიდან 100-170 მეტრ სიმაღლეზე სუბტროპიკულ ზონაში მდებარე პუნქტები სკანდე და შორაპანი, რომელთა ირგვლივ ვენახების პლანტაციებია გადაშლილი. რადგანაც აქვე ახლოს ზესტაფონის რაიონის სოფელში ვარ გაზრდილი, შემიძლია ვთქვა, რომ აქაურ მოსახლეებს ათეულობით ფუთი ღვინო ჰქონდათ დაყენებული ქვევრებში.

აღსანიშნავია, რომ სარაპანს სპარსეთის შაჰი ხოსრო უწოდებს „სარაპას“ (გეორგიკა, გვ. 222), ხოლო ამავე „სარაპას“ უწოდებს მას ბერძენი ავტორი მენანდრე. ამიტომაც შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ეს ტოპონიმი დაცულია ჭოროხის ხეობაში და ერთ-ერთ პუნქტს ეწოდება კიდევაც სარფი. ვფიქრობ, სარაპანასთან ეტიმოლოგიურად სარფი უფრო ახლოა, მაგრამ სარფისაგან განსხვავებით, ძველი სარაპანა მდებარეობდა არა ზღვისპირას, არამედ მაღლა მთებში იბერიასთან, ვფიქრობ თანამედროვე არტაანთან ახლოს, სადღაც არტაან-არტანუჯის გზაზე. თანაც სარაპანა უნდა ყოფილიყო არა ერთი, არამედ ერთმანეთთან ახლოს მდებარე რამდენიმე ციხე-სიმაგრე. ამიტომაც მოიხსენიებენ მას ზოგჯერ მრავლობით რიცხვში – სარაპანები. ერთ-ერთი ასეთი სარაპანი შესაძლოა მდინარე ჭოროხზე მდებარე ართვინიც იყო სტრაბონის დროს.

ლაზიკის ომების განხილვის დროს თანამედროვე ავტორები ბერძნული წყაროების „იბერიად“ მოიაზრებენ მხოლოდ თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს, სურამის ქედის გადმოღმა ნაწილს, მაგრამ არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ იბერიის დიდი ნაწილი თანამედროვე სამხრეთ საქართველოში მდებარეობდა, ვრცლად იყო სამხრეთით გადაშლილი, ვიდრე არაქსამდე.

საზღვარი იბერიასა და არმენიას შორის გადიოდა მტკვრის სათავესთან. სტრაბონი წერდა, რომ მტკვრის სათავესთანვე იწყებოდა იბერია. ამიტომაც კოლას დიდი ნაწილი და

არტაანი იბერიაში შედიოდა. მაგალითად, როცა აგათია წერს, რომ „სპარსი სარდალი ნახორაგანი უკვე იბერიაში იყო მოსული“ (იქვე, გვ. 54), გულსიხმობს, რომ ნახორაგანი კოლა-არტაანის პროვინციაში იყო მისული და ემზადებოდა, რათა თავისი ჯარით დაშვებულიყო მდინარე ჭოროხის ხეობაში, საიდანაც უმოკლესი გზით მივიდოდა პეტრას გვერდით მდგარ ქალაქ ფასისთან.

ბიზანტიელთა მიერ დაპყრობილ ლაზებს თავიანთი მეფე ჰყავდათ, რომელიც იმპერატორს მუდამ თავის ერთგულებას უმტკიცებდა. მათ ბიზანტიიდან უგზავნიდნენ სამეფო ნიშნებს – გრძელ მოსასხამსა და ქამარს. მიუხედავად ყველაფრისა, როგორც ცნობილია, ლაზთა მეფე გუბაზი ბერძენთა მხედართმთავრებმა მოკლეს. სასამართლო პროცესზე, რომელიც სპარსელთა შიშის გამო გამართეს ბიზანტიელებმა, მკვლელები ბრალს სდებდნენ გუბაზს, რომ ის “ბედავდა საიდუმლო კავშირის გაბმას იბერებთან და სვანებთან, ისე იქცეოდა, ისე წარმოიდგინა თავი, თითქოს მართლა მეფე ყოფილიყო და მის ხელთ ყოფილიყოს თავისი ნებისაებრ ემართა, უარი თქვა ჩვენთან ერთად ელაშქრა ციხის წინააღმდეგ და არც კი მოვიდა ჩვენთან: ამაყად და უხეშად მოგვიგო უარი ვიდრე ეს დაქირავებულ ქვეშევრდომს შეეფერებოდა“, – წერს აგათია სქოლასტიკოსი (გეორგიკა, III, გვ. 149).

მაშასადამე, დამპყრობელი ბერძნების აზრით, ლაზიკის მეფე მხოლოდ გარეგნული ნიშნებით იწოდება ასე, სინამდვილეში კი იყო დაქირავებული ქვეშევრდომი, რომლის სამეფო შესამოსელსაც ზოგჯერ ირონიულად მოიხსენებენ ხოლმე. მაგალითად, ამბობდნენ: „მეფის სახელწოდება აბზინდისა და ქლამიდის და, საერთოდ, გარეგნულ სამკაულებს არ განეკუთვნება“ (იქვე, გვ. 142). ერთი სიტყვით, დასცინოდნენ იმ სამეფო ნიშნებს, რომელთაც კონსტანტინოპოლიდან უგზავნიდნენ ლაზ მეფეებს. გუბაზ მეფეს ყველაზე დიდ დანაშაულად ჩაეთვალა ის, რომ „შიკრიკებს აფრენდა ხოლმე, რომ ცნობები მიეტანათ იბერიაში და სვანთა ტომისთვის, კავკასიის გადაღმა მცხოვრებ გადამთიელებზე“ (იქვე, გვ. 147). აქ „კავკასიად“ იგულისხმება გურია-აჭარასა და კარჩხალ-არსიანის მთიანეთი, სადაც ცხოვრობენ სვანები და იბერები. გუბაზის მკვლელები დასაჯეს, მაგრამ შემდგომ მალევე ლაზთა მეფობის ინსტიტუტიც გააუქმეს. ლაზეთის სამეფო კარის წევრებს ბიზანტიურ ტიტულებს აძლევდნენ. მაგალითად, ვინმე ფარსანტ კოლხს ლაზთა მეფის კარის რაზმების უფროსს მინიჭებული ჰქონდა მაგისტრის ტიტული. აგათია წერს, რომ ის „მაგისტროსი იყო თანამდებობით. ამ ბარბაროსებშიც ასე ეწოდება ამ თანამდებობას“ (იქვე, გვ. 156).

ჩვენი თვალსაზრისით, აქ საინტერესოა ის, რომ კურაპალატისა და მაგისტროსის ტიტულები იბერიის სამეფო კარზე მიიტანეს სწორედ იმ მეფეებმა, რომლებიც წარმოშობით კლარჯეთიდან იყვნენ, კერძოდ, პირველი ასეთი იყო ვახტანგ გორგასლის სიძე გუარამ კურაპალატი, რომელიც შემდგომ იბერიის მეფე გახდა. იბერიის შემდგომი მეფეები დავით აღმაშენებლამდე თითქმის უწყვეტად ატარებდნენ ბიზანტიურ ტიტულებს. საფიქრებელია, რომ ისინი, კერძოდ კი გუარამ კურაპალატი ან მისი წინაპრები, ნათესაურ ან თანამდებობრივ კავშირში იმყოფებოდნენ ლაზთა მეფეებთან.

ლაზთა მეფეები ოფიციალურად ატარებდნენ ბასილევსის ტიტულს. მას და მის მოხელეებსაც ჰქონდათ ბიზანტიური მაღალი სამოხელეო ტიტულები, მაშასადამე, მათ შთამომავლებს გააჩნდათ დიდი სამეფო ლეგიტიმური უფლებები. ვახტანგის ძის, მირდატის ოჯახში სიძედ, კერძოდ კი დის ქმრად, წესით მაღალი სამეფო ლეგიტიმური უფლებების მქონე პირი უნდა შეეყვანათ და, რადგანაც ბაგრატიონები თავიანთ კერძო მამულად კლარჯეთს თვლიდნენ (რომელსაც ისინი თავს აფარებდნენ ყოველი დიდი სახელმწიფო კატასტროფის დროს), უნდა ვიფიქროთ, რომ ბაგრატიონები იყვნენ ლაზიკის, ანუ კლარ-

ჯეთის მეფეების ლეგიტიმური მემკვიდრეები VI საუკუნიდან. მართლაც, შემდგომ IX-X საუკუნეებში ბაგრატიონთა საგვარეულოში წარმოიქმნა განშტოება, რომელთაც კლარჯი და არტანუჯელი ხელმწიფეები ეწოდებოდათ. ცხადია, მათი ლეგიტიმაცია ცარიელ ადგილზე არ მოხდებოდა.

ლაზეთის ძველი მოსახლეობა

აგათია სქოლასტიკოსის მონათხრობიდან ჩანს, რომ მის დროს მცხოვრები ლაზიკის მოსახლეობა ეთნიკურად განსხვავდებოდა ლაზიკის ძველი მოსახლეობისაგან, კერძოდ, მისი თვალსაზრისით, მისი დროის ლაზიკის მოსახლეობა გამოირჩევა „ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით“ იმ დროს, როდესაც „წინანდელ მცხოვრებლებს ამ მხარისას სრულიად არ სცოდნიათ ზღვის დადებითი თვისებები, წარმოიდგინეთ არც კი გაეგონათ ხომალდის სახელი მანამდე, სანამ მათთან არგოს ნავი მივიდოდა, ეხლანდელი მცხოვრებლები დაცურავენ კიდეც და ვაჭრობაშიც ნახულობდნენ დიდ სარგებელს (გეორგიკა, III, გვ. 51). აქედან ჩანს, რომ ლაზიკაში, აგათიას სიტყვით, ძველ დროს ცხოვრობდა „წინანდელი“ მოსახლეობა, რომელიც „ეხლანდელისაგან“ სხვადასხვა ნიშნით განსხვავდება. აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ ჰეროდოტეს სიტყვით, მის ეპოქაში, ანუ აგათია სქოლასტიკოსამდე თითქმის 1000 წლით ადრე მცხოვრები მოსახლეობა იყო შავგვრემანი და ხუჭუჭთმიანი, ეგვიპტელების მსგავსად. შემდგომ კი სხვა ბერძენი ავტორების, მაგალითად, სტრაბონის დაბეჯითებული მტკიცებით, კავკასიის მოსახლეობა შეცვლილა ძირითადად ბალკანეთ-თესალიიდან შემოსული მოსახლეობით. ბერძნულ მწერლობაში დარჩა ნაკვალევი იმისა, რომ არა მარტო კოლხეთის, არამედ შავი ზღვისპირეთის რეგიონების უძველესი მოსახლეობა თითქოსდა შავგვრემანი იყო. მაგალითად, ზაქარიას სახელით ცნობილი ავტორი შავი ზღვისპირეთის კავკასიის აღწერის დროს სხვა ტომებს შორის ასახელებს სამ შავგვრემან ტომსაც. წერს: „შემდეგ აღმოსავლეთით, ჩრდილოეთის ძირში კიდევ სამი შავი ტომი ცხოვრობს“ (გეორგიკა, III, გვ. 20).

მანძილები ლაზიკის პუნქტებს შორის

აგათია სქოლასტიკოსს მოჰყავს ორიოდე ცნობა, თუ რა მანძილებით იყო დაშორებული ერთმანეთს ლაზიკის პუნქტები. კერძოდ, ის წერს: „ნესოსი სულ დიდი 5 ფარსანგით არის დაშორებული ტელეფისს“ (გეორგიკა, III, გვ. 36). იქვე განმარტავს, ფარსანგი არის სიგრძის ერთეული – ბერძნების აზრით, ერთ ფარსანგში შედიოდა 30 სტადიონი, ხოლო იბერებისა და სპარსელების აზრით – 21 სტადიონი. თვითონ აგათიას აზრით, ნესოსი ტელეფისის ციხეს დაშორებული იყო 150 სტადიონით. მაშასადამე, მისი აზრით, ერთი ფარსანგი მოითვლიდა 30 სტადიონს, რადგანაც ერთი სტადიონის სიგრძე არის დაახლოებით 178 მეტრი, ნესოსი ტელეფისს დაშორებული ყოფილა 26700 მეტრით, ანუ 26,7 კმ-ით. რადგანაც წერს, რომ სულ დიდი, მაშასადამე, ამაზე უფრო ნაკლები მანძილით იყო დაშორებული.

გვაქვს ასევე მეორე ცნობაც, რომ ფასისიდან ნესოსი ექვსიოდე ფარსაგით იყო დაშორებული და წერს: „ნესოსი სულ დიდი 6 ფარსაგით არის დაშორებული დასავლეთით“ (გეორგიკა, III, გვ. 97). აგათია სქოლასტიკოსის ერთ-ერთ ხელნაწერში ნაცვლად 6 ფარსანგისა დაწერილი ყოფილა 5 ფარსანგი (იქვე, გვ. 97, შენიშვნა). მკვლევართა შორის

სადავოა ასევე ფარსანგის სიგრძე. ფარსანგის სიგრძე აქ ლაზურ-იბერიული საზომით არის მოცემული თუ ბერძნულით. ერთ ფარსანგში 30 სტადიონი ვიგულისხმოთ თუ 21. მაშასადამე, თუ ნესოსი ფაზისს დაშორებული იყო 6 ფარსანგით, ლაზური საზომით მათ შორის მანძილი იქნებოდა 22428 მ., ხოლო ბერძნულით – 32040 მ.

თუ ნესოსი ქალაქ ფაზისს დაშორებული იყო 5 ფარსანგით, მაშინ ლაზური საზომით მათ შორის მანძილი იქნებოდა 18690 მ, ხოლო ბერძნულით – 26700 მ.

მაშასადამე, მაქსიმუმი ნესოსსა და ფასისს შორის აღმოჩნდა 32,4კმ, და მინიმუმი 18,69კმ. ერთი სიტყვით, საშუალო მანძილი მათ შორის იყო 25,545კმ, ანუ დაახლოებით 25-26კმ. რადგანაც ქალაქი ფასისი ზღვის პირას იყო, ხოლო ნესოსიდან ფასისამდე გზა შესაძლოა იყო გარკვეულწილად მიხვეულ-მოხვეული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შავი ზღვიდან ნესოსამდე მანძილი იყო 20-25კმ. „ნესოსი“, ჩვენი აზრით, მდებარეობდა ჭოროხ-აჭარისწყლის (ე.ი. ფასის-დოკონისის) შერთვის ადგილას.

სახელწოდებათა დამთხვევები

ბერძენ ავტორთა მიერ გადმოცემული კოლხეთის პუნქტების სახელწოდებები, ბუნებრივია, მეორდებოდა სხვა ქართულ კუთხეებში, მაგალითად, ლაზიკაში იყო პუნქტი ტელეფისი. ზოგიერთი მკვლევარი მას აიგივებდა თერჯოლის რაიონის სოფელ ტელეფასთან, მაგრამ, ვფიქრობ, ტელეფისი ეტიმოლოგიურად არანაკლებ ახლოს არის თბილისის ძველ სახელთან ტფილისი. ტელეფისისა და ტფილისის გაიგივება, ცხადია, არ შეიძლება. აქედან ჩანს, რომ სახელთა მსგავსებამ მკვლევარი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს. მაგალითად, ბერძნული წყაროების ონოგურისი თითქმის იდენტურია ქართულ სამყაროში ცნობილ სახელთან ანაგური, რომელიც კოლხეთის გარეთ სულ სხვა რეგიონშია. აქედანაც ჩანს, რომ სახიფათო იყო დაკავშირება ქართული შორაპანისა და ბერძნული სარაპანასი, მით უმეტეს, რომ ისინი სულ სხვა რეგიონებში მდებარეობდნენ. სარაპანა მაღალ მთებში, კლდეთა შორის, ხოლო შორაპანი დაბლობში, ზღვის დონიდან სულ რაღაც 100-170 მეტრზე.

აგათიას ცნობით, იბერიაში არსებობდა ქალაქი მესხითა და მიიჩნევდნენ, რომ ეს არის ქალაქი მცხეთა. თვით წყაროდან კი ჩანს, რომ აქ იგულისხმება იბერიის ის ქალაქი, რომელიც სპარსეთსა (პერსარემნიასა) და ლაზიკას შორის მდებარეობდა, რადგანაც, ჩვენი აზრით, ლაზიკა ეს არის ჭოროხის ხეობა, მასსა და პერსარმენიას შორის მოქცეული იყო იბერიის პროვინციები არტაანი და კოლას დიდი ნაწილი. ვფიქრობ, სწორედ აქ, არტაანში ან კოლაში მდებარეობდა იბერიის ქალაქი მესხითა. მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ ის ძველი ტოპონიმები, და ჰიდრონიმები, რომელთაც ბერძენი ავტორები ახსენებენ, ამჟამად საბოლოოდ დაკარგულია. მაგალითად, როგორც ავღნიშნეთ, მდინარე დოკონისის ძიების დროს აღმოჩნდა, რომ ეს სახელი დოკონისი დიოკნისის ფორმით შემორჩენილია მდინარე აჭარისწყლის სათავეში.

ალანები მისიმიანთა ქვეყნის წინააღმდეგ

მისიმიანთა ქვეყანა უშუალოდ ესაზღვრებოდა ლაზეთისა და ასევე აფსილეთის ქვეყანას.

აფსილეთი ლაზეთის ჩრდილოეთით მდებარეობდა, ხოლო მისიმიელები ცხოვრობდნენ აფსილთა ტომის ჩრდილო-აღმოსავლეთით: „ისინი ამ აფსილთა ტომზე უფრო ჩრდი-

ლოეთით ცხოვრობენ, ოდნავ აღმოსავლეთისაკენ“ (გეორგიკა, III, გვ. 83).

აგათიას სიტყვით, მისიმიელები აფსილებისაგან განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობდნენ. ლაზეთისა და მისიმიანთა ქვეყანას შორის საზღვარზე აღმართული იყო ციხე ბუქლოოსი. მონათხრობიდან ჩანს დამპყრობელთა მოქმედება მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ. მაგალითად, მონღოლებმა საქართველოში ჯერ შემოიყვანეს ოსი მოლაშქრეები და შემდგომ კი მათ გადასცეს ქართლის ყველაზე მნიშვნელოვანი ციხეები და მხარს უჭერდნენ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ ომში. უფრო ადრე მსგავსადვე იქცეოდნენ ბიზანტიელებიც, კერძოდ, მათ სურდათ მისიმიანთა ქვეყნის თავისთავადობის გაუქმება და მისი დაპყრობა. ამის განსახორციელებლად ბიზანტიელებს დასავლეთ საქართველოში შემოუყვანიათ საბირებთან ერთად ალანი მოლაშქრეები და მათთვის ციხეები და, ირგვლივ მიწა-წყალიც გადაუციათ. ამიტომაც მისიმიელები არ ენდობოდნენ ბიზანტიელებს და ალანებთან დაკავშირებით მათ შორის დაუნდობელი ომი დაწყებულა. კერძოდ, ბიზანტიელი სტრატეგიოსი სოტერიქე მივიდა მისიმიელთა ქვეყანაში: „მას მეფისაგან ფული ჰქონდა წამოღებული, რომელიც მეზობელ, მოკავშირე ბარბაროსთათვის უნდა დაერიგებინა. ასე იყო იმთავითვე დაწესებული და ყოველწლიურად ურიგდებოდა ფული (გეორგიკა, III, გვ. 85). როცა სოტერიქე მივიდა მისიმიელთა ქვეყანაში, მისიმიელებმა ისტორიის წარსული მაგალითების მიხედვით განსაჯეს, ანდა სხვა არხებით შეიტყვეს, რომ სოტერიქეს ბიზანტიიდან წაღებული ამ დიდძალი ფულით სურდა მოესყიდა ალანები, რათა მათ მისიმიელებისათვის წაერთმიათ ბუქლოოსის ციხე-სიმაგრე და დაეჭირათ ის. აგათია ყოველმხრივ მალავს ამ ვერაგულ ზრახვას, თუმცა იქვე ამჟღავნებს და წერს: „როდესაც სოტერაქე მათ ქვეყანაში მივიდა, იმათ რატომდაც იფიქრეს, თითქოს ერთი მათი ციხე ზედ ლაზეთის საზღვრებზე აღმართული, რომელსაც ბუქლოოსი ერქვა, ალანებისათვის სურდა გადაეცა სოტერიქეს“ (გეო, III, გვ. 86). შემდგომი მონათხრობიდანაც ჩანს, რომ ბიზანტიელები და ალანები მოკავშირეები არიან. ბიზანტიელები უხდიან ალანებს თანხას და ამავე დროს იყენებენ მათ (ალანებს) ქართულ ტომებთან ომის დროს (იქვე, გვ. 87).

ბიზანტიელთა ომი მისიმიანთა წინააღმდეგ

მისიმიანთა ქვეყანა, როგორც ითქვა, ლაზიკას ესაზღვრებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. სპარსელების წინააღმდეგ ლაზიკაში გაჩაღებული ომის დროს ბიზანტიელებს გადაუწყვეტიათ თავის ხელში აეღოთ ლაზიკის მეზობელი ეს ძალზე მნიშვნელოვანი პლაცდარმი. რადგანაც მისიმიელებს თავისთავადობის დათმობა ეძნელებოდათ, ბიზანტიელებს გადაუწყვეტიათ მისიმიანთა წინააღმდეგ გამოეყენებინათ თავიანთი მომხრე ტომი ალანებისა. სტრატეგიოს სოტირიქეს კონსტანტინოპოლიდან გამოატანეს დიდძალი თანხა, რათა მათ მოესყიდათ ალანები, რათა მათ წაერთმიათ მისიმიელებისათვის ლაზეთის საზღვარზე მდებარე ბუქლოოსის ციხე. შემდგომ ბიზანტიელებს გადაწყვეტილი ჰქონიათ გამაგრებულიყვნენ ამ ციხე-სიმაგრეში და შემდეგ, ალანების დახმარებით, აქედან მოესყიდათ კავკასიის სხვა ტომები (გეორგიკა, III, გვ. 87). თუ ასე მოხდებოდა, მისიმიელები კარგავდნენ არა მარტო დამოუკიდებლობას, არამედ თავისუფლებას და მთელ ქონებასაც. ამიტომაც მათ მიუგზავნეს სტრატეგიოსს თავიანთი ელჩები, რომელთაც სთხოვეს სტრატეგიოსს, არ გამოეყენებინა ალანები მათ წინააღმდეგ და განუცხადეს: „უსამართლობის მოყენება განგიზრახავს ჩვენთვის, სტრატეგიოსო, არც სხვას უნდა მისცე

ნება ჩვენი ქონება წაგვართვას, არც თვითონ მოინდომო ამის ჩადენა“ (გეორგიკა, III, გვ. 87). სოტერიქემ ელჩები ჯოხებით აცემინა, შეურაცხყოფილმა მისიმიელებმა დაღამებისთანავე მოკლეს სოტერიქე და მისი შვილები. აგათია წერს, რომ მისიმიელების აზრით, რომაელები მათ სამაგიეროს გადაუხდიდნენ უსასტიკესად და მისიმიელები ამბობდნენ: „ჩვენი ბედი უკვე გადაწყვეტილია. რომაელები მოვლენ, ჩვენ მათ ვერ გავუმკლავდებითო“. ამიტომ ისინი აშკარად გადაუდგნენ რომაელებს, სპარსელების მხარეზე გადავიდნენ და ელჩები გაუგზავნეს თხოვნით: „მიგვიღეთ, დაგვეხმარეთ, როგორც თქვენს ქვეშევრდომებსო“ (იქვე, გვ. 90). მისიმიელმა დიდებულებმა ამცნეს იბერიაში შესულ სპარსელ მხედართმთავარს ნახორაგანს, რომ სოტერიქე ჩვენთან მოვიდა არა თითქოსდა მოკავშირეობისათვის ფულის დასარიგებლად, არამედ მთელი ჩვენი მოდგმის ასაწიოკებლად და გასანადგურებლადო, ან სრულიად უნდა მოვსპობილიყავით, ანდა დაგვესწრო და ქვეყნიდან უნდა გაგვეყარაო: „რომაელები მალე თავს დაგვესხმიან და გაგვინადგურებენ ყველაფერს: იღუპება ტომი არა მცირედი და არა უმნიშვნელო, არამედ ისეთი, რომელსაც შეუძლია უდიდესი სარგებლობა მოუტანოს სპარსეთის სახელმწიფოს; ჩვენი ქვეყანა მდებარეობს კოლხეთის ზემოთ, ის თქვენ გამოგადგებათ მტრის წინააღმდეგ სასიმაგრო საფარად“ (გეორგიკა, III, გვ. 155). მალე ბიზანტიელებმა მისიმიელთა წინააღმდეგ გააგზავნეს 4 ათასამდე ჯარისკაცი, რამდენიმე სტრატეგიოსი, ასევე უფრო ადრე დაპყრობილი ჭანი მებრძოლებისაგან შექმნილი ჯარი, რომელსაც თეოდორე მეთაურობდა (იქვე, გვ. 156). აქ იყვნენ აგრეთვე ვარაზ არმენიელი, ფარსანტ კოლხი თავიანთი თანამოლაშქრეებით. 555 წლის ზაფხულში ჯარი მივიდა აფსილიელთა ქვეყანაში. მათი მსვლელობა შეაჩერა ცნობამ, რომ მისიმიელთა დასახმარებლად წამოსული იყო სპარსული ჯარი. სპარსელებს შველოდნენ მათი დაქირავებული საბირი ჰუნები. სპარსელები მალე უკან დაბრუნდნენ, რადგან ზაფხული გავიდა, ზამთარში კი ისინი არ იბრძოდნენ. რომაელებმა განაგრძეს წინსვლა მისიმიელთა ქვეყანაში, აიღეს ციხე, რომელიც მდებარეობდა მისიმიელთა და აფსილთა ქვეყნის საზღვარზე, შემდგომ აიღეს კლდეებზე მდებარე ციხე-სიმაგრე ძახარე. გამარჯვებული ბიზანტიელები უმოწყალოდ ხოცავდნენ მისიმიელებს, მათ შორის ქალებსაც. აგათია წერს: განრისხებულმა რომაელებმა ესენიც არ შეიბრალეს და უმოწყალოდ გაჟლეტილებმა იმათაც ზღვეს მამაკაცთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის. გადაწვეს მისიმიელთა ბზით დახურული ხის სახლები, ისეთი ცეცხლის ალი ავარდნილა მათ ქვეყანაში, რომ ის აფსილთა ქვეყანაშიც კი დაუნახავთ.

მისიმიელთა ბავშვების უმოწყალო დახოცვა ბიზანტიელების მიერ

აგათია წერს, რომ მისიმიელთა ქვეყნის დაპყრობის შემდეგ არამარტო დახოცეს მკვიდრი მოსახლეობა, არამედ ცეცხლს მისცეს მათი სახლ-კარი. „ამ ცეცხლის დროს უფრო მრავლად დაიხოცნენ ბარბაროსები: ზოგიერთები სახლებში იყვნენ დარჩენილნი და იქ დაიწვნენ, ან ნანგრევებში მოჰყვნენ: ზოგიერთებს კიდევ, რომლებიც გარეთ გამოვარდნენ, მახვილებისაგან ჰქონდათ გამზადებული სიკვდილი. მრავალი ბავშვი, რომლებიც მწარე ტირილით უხმობდნენ დედებს, დატყვევებული იქნა. ამათგან ზოგიერთები კლდეზე დაუშვეს შეუბრალებლად და ასე იქმნენ დაგლეჯილნი, ხოლო ზოგიერთები, თითქოს თამაშის მიზნით, ჰაერში იქნენ ასროლილნი და როდესაც შემდეგ სიმძიმისაგან უკან დაეშვნენ, აშვერილი შუბები დაახვედრეს და ზედ ააგეს ჰაერშივე (გეორგიკა, III, გვ. 171).

მისიმიელები ქრისტიანები იყვნენ

მისიმიელთა წინააღმდეგ მხოლოდ ერთი შებრძოლების დროს ბიზანტიელებს 20 ათასი მშვიდობიანი მოსახლეობა ამოუხოცავთ. თავიანთი ისტორიკოსის აგათიას აზრით, დიდძალი ნადავლით ბიზანტიელთა გამარჯვებული ჯარი უკანვე დაბრუნებულა კოლხიდაში. აგათია ამ ჯარის მეთაურზე წერს: „დაბრუნდა კოლხიდაში თავისი სახელმოხვეჭილი და მამაცი ჯარით“ (გეო, II, 194). ამ ჯარის სიმამაცე კი იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ერთმორწმუნე ქრისტიანი მოსახლეობა შეუბრალებლად დაუხოცავთ. იქამდე დამარცხებულ მისიმიელებს მოციქულები მიუგზავნიათ და უთხოვნიათ ბიზანტიელთა ჯარის მეთაურისათვის „საბოლოოდ ნუ გაგვანადგურებ, ძირფესვიანად ნუ აღმოფხვრი ჩვენს მოდგმასო, ძველთაგანვე ხომ რომაელთა ქვეშევრდომნი ვართ და ერთმორწმუნენი... ვაჟაცები დაგვეღუპა არანაკლებ 5 ათასისა, ქალები უფრო მეტი, ბავშვები კიდევ უფრო მეტი, ისე რომ, ლამის მთელი ჩვენი მოდგმა აღიგავოსო“ (იქვე, გვ. 174). ანდა არ შევბღალოთ „მართლმორწმუნეობა და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლოობა“ (იქვე, გვ. 76), ანდა „უზენაესის შესახებაც თქვენნაირად (ე.ი. ბერძნულად) მოაზროვნენი“ (იქვე, გვ, 130). აქედან ჩანს, რომ მისიმიელები VI საუკუნის შუა წლებში უკვე კარგა ხნის ქრისტიანები იყვნენ. მსგავსი ბარბაროსული ქმედებებით ბიზანტიელები ქრისტიანობას ვერ გაავრცელებდნენ იქ და ჩანს, ამის სურვილი არც კი ჰქონდათ. ლაზები – დიდი ხნის ქრისტიანები იყვნენ და ამიტომ ლაზები ამბობდნენ: „მთელი სპარსეთი შევიერთოთ და სულები კი წავიწყმიდოთო?“ – (იქვე, გვ. 77) – ესაა პერიფრაზა სახარებიდან. მისიმიელები ლაზთა ზემოთ ცხოვრობდნენ, ჩანს, ახლანდელ აჭარა-გურიის მთიანეთში.

ჭანთა ტომის დამორჩილება

მიუხედავად იმისა, რომ ჭანები ბიზანტიელების მოკავშირეები იყვნენ, ბიზანტიელებს სურდათ მათი საბოლოოდ დამორჩილება. როგორც ჩანს, დამორჩილების ის ხარისხი, რომელსაც იუსტინიანემ მიაღწია, ჭანეთში საკმარისი არ აღმოჩნდა 556 წლისათვის. ჭანები, აგათიას სიტყვით, ცხოვრობდნენ ქალაქ ტრაპეზუნტის ქვემოთ (გეორგიკა, III, 181). მათი რაზმები თარეშობდნენ პონტოს გასწვრივ მდებარე სოფლებში. ძარცვავდნენ მგზავრებს, თავს ესხმოდნენ არმენიას. ჭანების ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მდებარეობდა ტრაპიზონის ქვეყანა, აღმოსავლეთით კი არმენია. მათ წინაღმდეგ გაიგზავნა ბიზანტიელთა ჯარი ჭანივე თეოდორეს მეთაურობით. რადგანაც მან თურმე ზედმიწევნით იცოდა თავისი ქვეყანა. აგათია წერს: „ის დაიძრა კოლხიდიდან დიდძალი ჯარით ფაზისის გადაღმა, მოუარა დასავლეთით ჭანების საზღვრებს და უცბად შევიდა მტრის მაშინდელი მიწა-წყლის შუაგულში. მან დაიბანაკა ქალაქ თეოდორიადისა და ე.წ. რიზეს გარშემო“ (გეორგიკა, III, 182). აქედან ჩანს, რომ ფაზისი გაედინებოდა ქალაქ რიზესა და ტრაპიზონის ახლოს, ამიტომაც რიზეში რომ შესულიყო, თეოდორემ გარს შემოუარა მდ. ფაზისს, ანუ ის პირდაპირი გზით კი არ წავიდა, ქალაქ რიზესაკენ, არამედ შემოუარა ჭოროხს, ანუ გაყვა ჭოროხის ხეობას „და, როცა დაუპირისპირდა ქალაქ რიზეს, წავიდა დასავლეთის მიმართულებით და უშუალოდ მიადგა ქალაქს. ამიტომაც წერს აგათია – ფაზისის გადაღმა მოუარა დასავლეთით და მიადგა ქალაქ რიზეს. აქედანაც ჩანს, რომ მდინარე ფაზისი ნამდვილად ჭოროხია. ბიზანტიელებმა მოკლეს 2000 კაცი, შემდგომ კი დახარკეს ჭანები და ყველანი აღწერეს. ჩანს, ისინი თავიანთი ქვეყნიდანაც გააძევეს (იქვე,

გვ. 185). ზღვის სანაპიროდან ისინი მთებში არეკეს. ყოველ შემთხვევაში, ამ ომის წინ ჭანების ქვეყნის შუაგული ყოფილა სადღაც ქალაქ რიზესთან. აგათია წერს: „რომ თეოდორე თავის ჯარით შევიდა“ მტრის მაშინდელი მიწა-წყლის შუაგულში: რიზეს გარშემო“ (გეორგიკა, III, გვ. 82). აქედანაც ჩანს, რომ „მაშინ ოდესღაც ჭანების ქვეყნის შუაგულად რიზე ითვლებოდა, ხოლო შემდეგ ისინი იძულებული გამხდარან ბიზანტიელებისთვის დაეთმოთ ეს შესანიშნავი ზღვისპირა ადგილები, საიდანაც გადასახლებულან თავიანთი ქვეყნის იმ მთიან ადგილებში, რომლებიც ტრაპიზონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა. ამასთანავე, ეწერებოდნენ ბიზანტიურ ჯარში და საფიქრებელია, რომ მათ ახლა უკვე ვითარცა ბიზანტიელთა ნების აღმსრულებლებს, ასახლებდნენ მათივე მონათესავე, სხვა ქართული, ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი ტომების მიწა-წყალზეც.

6. მენანდრე პროტექტორი

სვანების დამორჩილება ბიზანტიელების მიერ

VI საუკუნეში მსოფლიოს მპყრობელი ორი იმპერია ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სვანეთსა და მის მოსახლეობას, რომ შეუძლებელია სვანეთი ყოფილიყო პატარა ქვეყანა, მოქცეული იმ ფარგლებში, რომელთაც დღეს ლენტეხისა და მესტიის რაიონები ეწოდება. პირიქით, სვანეთი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოს ბარის მომცველი, გავლენიანი ქვეყანა. ჩვენი ფიქრით, რადგანაც ქართველი მემატიანე დასავლეთ საქართველოს აღწერის დროს თითქოსდა ერთმანეთთან აიგივებს ეგრისსა და სვანეთს („ეგრისი, რომელ არს სვანეთი“). შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ის ქვეყანა, რომელსაც ქართული წყაროები ეგრისს უწოდებდნენ, უცხოელებისათვის იწოდებოდა სვანეთად.

მართლაცდა, ერთგვარ გაუგებრობას ბადებს ის საკითხი, რომ არცერთი ბერძენი და რომაელი მწერალი, დასავლეთ საქართველოს აღწერისას არ ახსენებს სიტყვას გურიას ან ეგრისს. მაშინ, როცა ქართული წყაროებით ეგრისი თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა არგვეთთან ერთად, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე. უცხოურ წყაროებში არც სიტყვა არგვეთი იხსენიება, მაგრამ დიდი ყურადღება ექცევა სვანეთს, სვანეთის ქვეყანას, მის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ მიმართულებას. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ დასავლეთ საქართველოს რომაულ ხანაში ეწოდებოდა კოლხეთი და ლაზიკა, რომ ლაზიკა იგივე ეგრისია და რომ ფაზისი ეწოდებოდა მდინარე რიონს, ჩვენი გამოკვლევით კი, პროკოფი კესარიელის და აგათია სქოლასტიკოსის ფაზისი ეს არის მდინარე ჭოროხი, რომ მათ დროს კოლხეთი, ანუ ლაზიკა ეწოდებოდა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ იმ ქვეყანას, რომელსაც წყაროებში ეწოდებოდა „კლარჯეთი, ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“, ანუ შემდეგდროინდელი გონიოს, ბათუმის, ბორჩხას, ართვინის, არტანუჯის მომცველ მიწა-წყალს, ისტორიული კოლა-არტაანიდან ჭოროხის გაყოლებით შავ ზღვამდე. მაშასადამე, დასავლეთ საქართველო არ იყო ლაზიკა. უფრო ძველი, ისტორიული ლაზიკა პოლიტიკურად ადრიდანვე გაყოფილა ორ ნაწილად. ერთი ნაწილი (ტრაპეზუნტის მხარე) ბერძნებს დაუპყრიათ. ბერძნული ლაზიკა მოიცავდა ტრაპიზონის სამხრეთით მდებარე ქვეყანას, ის შეიყვანეს ბიზანტიურ პროვინცია I არმენიაში, ხოლო ქართული ლაზიკა მდებარეობდა მის უშუალოდ მეზობლად და მოიცავდა ჭოროხის ხეობის აღნიშნულ მონაკვეთს.

თუ დასავლეთ საქართველო არ იყო ლაზიკა, უნდა გაირკვეს ბერძნული წყაროების

მიმართება მის მიმართ. თუ რას უწოდებდნენ ბერძნული წყაროები ამ მხარეს და რომელი ტომებით იყო დასახლებული ის. ჩვენი თვალსაზრისით (რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ), გამომდინარე იქიდან, რომ ქართული წყაროებისათვის ეგრისი და სვანეთი თითქმის იდენტური ცნებებია, ბერძნული და სხვა წყაროების სვანეთი შესაძლოა იყოს დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი. ამის გამო ედავებოდნენ ერთმანეთს ბიზანტია და სპარსეთი.

მაშასადამე, ბერძნულ-რომაული წყაროების „სვანეთი“ არის დასავლეთ საქართველო მთლიანად.

562 წელს ხანგრძლივი ომის შემდგომ, ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დაიდო ზავი. მათ ყველა საკითხში მიაღწიეს შეთანხმებას სვანეთის საკითხის გარდა.

იმ სისასტიკის გამო, რომლებსაც ბიზანტიელი ჯარისკაცები იჩენდნენ მისიმიანეთსა და სხვა ქართულ კუთხეებში, სვანებს გადაუწყვეტიათ დაახლოებით 552-556 წლებში მიმხრობოდნენ სპარსელებს. ამავე ხანებში ბიზანტიელებმა სპარსელები გააძევეს ლაზიკიდან. საზავო მოლაპარაკებების დროს სპარსელები აღიარებდნენ თავიანთ მარცხს, რომ ლაზიკა ბიზანტიელების ტერიტორიად გადაიქცა, მაგრამ არ თმობდნენ სვანეთს. ისინი აცხადებდნენ „ისინი მოგვეკედლნენ ჩვენ თავისი არჩევით და თავისი ნებით“. ბიზანტიელებს კი ჰქონდათ თავისი მოსაზრება. კერძოდ, ისინი თვლიდნენ, რომ სვანეთი იყო ლაზების ხელდებული ქვეყანა, დამორჩილებული ლაზების მიერ, ამიტომაც, თუ ლაზიკა ეკუთვნის ბიზანტიელებს, მისი ხელდებული ქვეყანა – სვანეთიც ბიზანტიელებს უნდა დარჩენოდათ. სპარსელები კი ამტკიცებდნენ, რომ ეს არ იყო სიმართლე, რომ „სვანები თავისთავადნი იყვნენ და არასდროს კოლხების ძალაუფლებას არ ექვემდებარებოდნენ“ (გეორგიკა, III, 215). სპარსელები პასუხობდნენ, რომ ლაზიკისადმი დაქვემდებარებულ ტომებში შეიძლებოდა ეგულისხმათ არა მხოლოდ სვანები, არამედ იბერებიც. იბერიას, ლაზიკასა და სვანეთს შორის უმჭიდროესი კავშირი იყო და ერთ მთლიანობად განიხილებოდა. ამიტომაც ამბობდნენ სპარსელები, ჩვენ რომ სვანები გადმოგცეთ, ვითარცა ლაზიკისადმი დაქვემდებარებული ტომი, მაშინ თქვენ „საშუალება მოგეცემათ იბერიის შესახებაც იდავოთ“ (გეორგიკა, III, გვ. 215).

დიდი სვანეთი – ისტორიაში დაკარგული ქვეყანა

ს. ყაუხჩიშვილი მენანდრე პროტიქტორის შესახებ მსჯელობის დროს, როგორც ითქვა, სრულიად სამართლიანად წერს, რომ ბიზანტია და სპარსეთი ხანგრძლივად ედავებოდნენ ერთმანეთს სვანეთის გამო, რადგანაც სვანეთს ეჭირა გეოგრაფიულად „მოხერხებული მდებარეობა“. როგორც ცნობილია, 562 წელს საზავო მოლაპარაკებების დროს ბიზანტია და სპარსეთი ერთმანეთთან მორიგდნენ, მაგრამ ვერ შეუთანხმდნენ ერთმანეთს სვანეთის გამო. მიაჩნდათ, და ერთი მხრივ ამბობდნენ, რომ მართალია სვანეთი ღირსშესანიშნავი არ იყო და უმნიშვნელო ქვეყანაა და არ არის დავის ღირსიო, მაგრამ მეორე მხრივ, სვანეთს ერთმანეთს არ უთმობდნენ მასზე გამავალი გზების მნიშვნელობის გამო (გეორგიკა, III, გვ. 205). სვანეთი რომ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს, მათ შორის ბარსაც მოიცავდა, კარგად ჩანს ბერძენი ისტორიკოსის სიტყვებიდან, რომ სვანეთი „თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო რომაელთა ხელისუფლებისათვის, რათა ამ გზით მოზღვავებულ სპარსელებს კოლხეთის საზღვრები არ აეოხრებინათ“. (გეორგიკა, გვ. 229). თუ სვანეთის მდებარეობა თანამედროვე მესტიისა და ლენტეხის რაიონების მდებარეობას ემთხვეოდა, როგორ უნდა შესულიყვნენ იქიდან კოლხეთში იბერიაში დაბანაკებუ-

ლი სპარსელები? ამჟამინდელი თვალსაზრისით კოლხეთი იყო დასავლეთი საქართველო, ხოლო სვანეთი მოიცავდა სვანეთის ამჟამინდელ ტერიტორიას, თუ ასე იყო, მაშინ აღმოსავლეთ საქართველოდან კოლხეთის გვერდის აქცევით სვანეთში შესვლა სპარსული ჯარისა შეუძლებელია. მაგრამ თუკი კოლხეთი მდებარეობდა ჭოროხის ხეობაში, ხოლო სვანეთი მოიცავდა თანამედროვე გურიისა და იმერეთის მიმდებარე რეგიონების მიწა-წყალს, მაშინ აღმოსავლეთ საქართველოდან სვანეთზე, ანუ იმერეთ-გურიაზე გამავალი გზა ნამდვილად მიადგებოდა ისტორიულ კოლხეთს, ანუ ერგე-ლიგან-ბათუმ-ჩაქვის რეგიონს. სვანეთის ამ გზის გამო ბიზანტიელთა მიერ დაპყრობილი კოლხეთი ე.ი. ჭოროხის ხეობა ერგე-ლიგანი ნამდვილად მუდმივი საშიშროების ქვეშ იმყოფებოდა სპარსთა მხრიდან. ამიტომაც ბიზანტიელები ცდილობდნენ თავიანთი ხელდებული ლაზიკა დაეცვათ ჩრდილოეთის მხრიდან. ქართული წყაროების მიხედვით გურია, არგვეთი, ეგრისი ერთობლიობაში იწოდებოდნენ ეგრისად, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ქართველი მემატიანე იქვე წერს: „ეგრისი, რომელ არს სვანეთი“ ანუ ქვეყანა, რომელსაც ქართული წყაროები ეგრისს უწოდებდნენ, უცხოელების მიერ შესაძლოა სვანეთად ყოფილიყო წოდებული. აქ, ანუ დასავლეთ საქართველოში გადიოდა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ჭოროხთან დამაკავშირებელი გზა, არამედ გზები, რომლებითაც ჩრდილო კავკასიელი ტომები უკავშირდებოდნენ ბიზანტიას, ანუ ჩრდილო კავკასია-ბიზანტიის დამაკავშირებელი გზა. სპარსეთის შაჰი ხოსრო საზავო მოლაპარაკების დროს, როგორც ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, აღნიშნავდა კიდეც, რომ სვანეთის ქვეყანაზე გადიოდა სკვითებიდან სამხრეთში შემომავალი გზა – „ეს ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიან“ (გეორგიკა, III, გვ. 221). კავკასია თანამედროვე გაგებით ეწოდება ე.წ. დიდი კავკასიის მთიანეთს, მაგრამ სპარსელებისა და ბერძნებისათვის კავკასია პირველ რიგში უნდა ყოფილიყო მცირე კავკასია, ანუ თანამედროვე არსიანის, კარჩხალისა და მესხეთის ქედები და მიმდებარე მთაგრეხილები. მაგალითად, კავკასიაში ცხოვრობს კოლების ტომი სტეფანე ბიზანტიელის გეოგრაფიული ლექსიკონის ცნობით (გეორგიკა, III, გვ. 281). ჩვენ კი ვიცით, რომ ისტორიული პროვინცია კოლა არტაანთან მდებარეობდა. კავკასიიდან ჩამოდის მდინარე ფაზისი – ჭოროხი და დოკონისი – აჭარისყალი (იქვე, გვ. 37). მის გარშემო და მწვერვალებზე ცხოვრობენ სვანები (იქვე, გვ. 205-221-222). კავკასიიდან ჩამომავალი ფაზისი, თუნდაც, რომ იყოს მდ. რიონი, ხოლო მის გარშემო და მწვერვალებზე მცხოვრებნი კი სვანებად იწოდებოდნენ, მათ ქვეშ მაინც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა უნდა ვიგულისხმოთ. როგორც ჩანს, ხოსრო სვანებს უწოდებდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მათ ყოფდნენ ცალკეულ ტომებად, უწოდებდნენ მისიმიანებს, აბაზგებს, აფსილებს და სხვას.

მართალია აგათია წერს, რომ აფსილიელებსა და მისიმიელებს სხვადასხვა ენები ჰქონდათ, მაგრამ საფიქრებელია, რომ ფუძე ქართული ენის დიფერენციაცია-დაშლის ხარისხი ამ 1500 წლის წინ გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე შემდგომ. ამ ტომთა წევრებს, 1500 წლის წინ, ალბათ, უფრო ესმოდათ ერთმანეთისა იმჟამად ფუძე ენის ნაკლები დიფერენციაციის გამო, ვიდრე, ვთქვათ, 1000 წლის შემდეგ, ანუ ეს ტომები V-VI საუკუნეებში უფრო გაუგებდნენ ერთმანეთს, ვიდრე XV-XVI საუკუნეებში.

ს. ყაუხჩიშვილის სიტყვით, სვანეთზე გადიოდა ე.წ. აბრეშუმის გზის ერთი ბილიკი. ბერძენ ავტორს, იოანე ეპიფანიელს მოეპოვება ცნობები ამ მარშრუტის შესახებ, კერძოდ, ამ გზაზე მდგომი უკან დაბრუნებული ბიზანტიელი ელჩები ჯერ მისულან ალანიის ქვეყანაში, აქ ბიზანტიისაკენ მიმავალი გზა ორად იყოფოდა. ერთი სვანეთის მახლობლად

მისიმიანთა ქვეყანაში შედიოდა, მეორე კი ე.წ. დარინის გზით შედიოდა აფსილიაში, შედიოდა როგატორიონში, შემდეგ მიდიოდა შავ ზღვამდე, საიდანაც ნავებით მდინარე ფაზისამდე ეშვებოდნენ, შემდეგ კი ტრაპეზუნტში.

საფიქრელია, რომ აფსილია მდებარეობდა მდ. რიონის მომიჯნავედ მის სამხრეთით და მოიცავდა თანამედროვე გურიის ზღვისპირა რეგიონს, კონკრეტულად კი, მდინარე სუფსის ხეობას. სუფსელების სახელი უნდა ყოფილიყო სუფსარი და აქედან აფსილი. მათ ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბერძნული წყაროებით, ცხოვრობდნენ მისიმიელები თანამედროვე გურიისა და აჭარის მთიანეთში.

რიონის ხეობის ვაკე ნაწილში, თანამედროვე აბაშასა და სამტრედიის რეგიონში, სადაც ამ გაშლილ ველზე მრავალი სოფელი ატარებს სახელწოდებას ბაში (ზემო ბაში, ქვემო ბაში, გაღმა ბაში, საჯავახოსთან ქუთაისის და სამტრედიის მახლობლად და რაიონული ცენტრი აბაშა, იქვე ძველი აბაშა), საფიქრებელია, რომ დასახლებული იყო ხალხით, რომელთაც ამ სახელის – ბაშის-მიხედვით აბაშგები, ანუ აბაზგები ეწოდა.

როგორც აღინიშნა VI საუკუნის მეორე ნახევარში და ასევე, VII საუკუნის პირველ ნახევარში ჰერაკლე კეისრის გამანადგურებელი ლაშქრობის დროს, ყველა ეს ქართულენოვანი ტომები სამხრეთიდან ჩრდილოეთით იქნა გადაადგილებული ან გადასახლებული.

თანამედროვე აფხაზეთს, ანუ ტერიტორიას მდინარე ეგრისწყლის ჩრდილო-დასავლეთით, ჩანს, აგათია სქოლასტიკოსისა და მენანდრეს ეპოქაში ალანია ერქვა. ალბათ იმ მიზეზის გამო, რომ ის დაპყრობილი ჰქონდათ ბიზანტიელთა მოკავშირე ალანებს. სპარსელთა მიერაც ჩრდილო კავკასიური ტომები ბიზანტიელთა მოკავშირეებად განიხილებოდნენ. ქართული წყაროებით, ტერიტორია მდინარე ეგრისწყლამდე პოლიტიკურ იბერიად, ანუ ქართლად განიხილებოდა, ეგრისწყლის იქით მდებარე ქვეყანა ბიზანტიურ სახელმწიფოში შემავალ მიწა-წყლად ითვლებოდა ვიდრე არჩილ მეფემდე, ანუ VIII საუკუნის დასაწყისამდე და ჩანს, VI ს-ში ალანების (მომთაბარე ტომის) მიერ იყო ხელდებული.

ამ მდინარე ეგრისწყლის იქით ბიზანტიელებს ალანები გაუბატონებიათ VI საუკუნის მეორე ნახევარში. ისინი ცდილობდნენ ასევე ალანებისთვის გადაეცათ უფრო აღმოსავლეთით მცხოვრები მისიმიანებისა და სვანების ზოგიერთი ციხე-სიმაგრე. მაგრამ მას შემდგომ, რაც სპარსელებმა გადაწყვიტეს ფულით მოესყიდათ ალანური ტომები, ურთიერთობა ბიზანტიელებსა და ალანებს შორის გაფუჭდა. როგორც ცნობილია, VII ს-ის ბოლოსა და VIII ს-ის დასაწყისში ალანები ხაზარებმა გააძევეს და კლისურას იქითა ტერიტორია აბაშგების ქართულენოვანი ტომის ხელში მოექცა VIII ს-დან.

საბოლოოდ, ბიზანტიელთა მიერ სვანების ტომის სასტიკი დასჯის შემდეგ სვანებიც და სხვა აღნიშნული ტომის ზედა ფენა, მმართველი იერარქია, ჩანს, იძულებულნი გახადეს წაწეულიყვნენ ჩრდილოეთით, უფრო მეტად კი იქამდე ბიზანტიურ მიწა-წყალზე მდინარე ეგრისწყალ-კლისურას იქით. როგორც ითქვა, ბარის, ანუ მდ. რიონისპირზე მცხოვრებ ეგრისელებს სახელ „ბაშის“ მიხედვით ჩანს აბაშკები, აბასკები, აბასგები ერქვათ.

VIII საუკუნეში გაჩნდა ქართული ტერმინი აფხაზეთი, ხოლო ცხუმის ქვეყანას აფშილეთი ეწოდა. მოსახლენი იყვნენ ქართულენოვანი ტომები, რაც იქიდან ჩანს, რომ VIII საუკუნიდანვე ქართული ენა მათი საეკლესიო, კულტურის, ლიტერატურის, სამართლისა და სახელმწიფო ენა იყო. თავიანთ ბუნებრივ სამკვიდრებლად მიაჩნდათ მთელი დასავლეთ საქართველო. ეს იყო ის ტომები, რომელთაც ადრე, როგორც აღვნიშნეთ, უცხოელები სვანებს უწოდებდნენ, ხოლო ქართული წყაროები ეგრისელებს. ფუძე ქართული ენის ნაკლები დიფერენციაციის გამო ქართული ენა იქამდე მიაჩნდათ თავიანთ მშობლიურ

ენად, ამიტომაც ეს ენა მათ სახელმწიფო და საეკლესიო ენად იქცა. ისინი უნდა ყოფილ-იყვნენ იმ კერკეტებისა და მესხების შთამომავლები, რომელთა შესახებაც აფხაზეთის ტერიტორიაზე, მიუთითებდა სტრაბონი. VIII ს-ის შემდეგ, ჩანს აბაშგების ერისთავები იქცნენ მათ მმართველებად. ხალხსაც აბასგები დაერქვა.

ეთნიკური სვანებივე უნდა ყოფილიყვნენ აფხაზთა მეფეები. ერთადერთი მეფის გვარი, რომლის საგვარეულო სახელმაც ჩვენამდე მოაღწია, სვანური წარმომავლობისა იყო – აფხაზთა მეფე იოანე შავლიანი და მისი დინასტია. ამის ანარეკლი უნდა იყოს, რომ გაერთიანებული საქართველოს მეფეების ტახტზე აყვანისა და ხმლის შემორტყმის უფლება სვანებს ჰქონდათ მინიჭებული.

მენანდრესა და აგათიას ეპოქაში სვანეთი უნდა რქმეოდა, როგორც აღინიშნა, დასავ-ლეთ საქართველოს დიდ ნაწილს.

სვანეთის პროსპარსული ორიენტაცია

562 წელს დაწყებული ხანგრძლივი მოლაპარაკება სპარსეთსა და ბიზანტიას შორის გაგრძელდა ორი იმპერატორის, იუსტინიანესა და იუსტინეს დროს.

ბიზანტიელები ძალზე ცდილობდნენ მიემხროთ და გადმოებირებინათ სვანები. მენან-დრე პროტექტორი წერს: როდესაც იმპერატორი იუსტინე მიხვდა, „რომ სვანები არ მოემხრნენ რომაელებს, რასაკვირველია გაჯავრდა და იოანეს ბრალი დასდეს ცუდი ელჩობისთვის... თვითმპყრობელმა შეიზიზღა იოანე და სახელმწიფო საქმეებისთვის გამოუსადეგარად მიიჩნია. ხოლო თვითონ ფიქრობდა, თუ როგორ გამოესწორებინა შეცდომები“. იოანე იყო ბიზანტიელთა ელჩი სპარსეთში და დავალებული ჰქონდა სვანეთის საკითხის მოგვარება.

სპარსეთის შაჰი და სპარსი ელჩები მუდამ უცხადებდნენ ბიზანტიელებს შემდეგს: თვითონ თავიანთი ნებით აირჩიეს სვანებმა, რომ მიმხრობოდნენ სპარსელებს, რომ მათ არ სურდათ ბიზანტიელებთან ურთიერთობა. მენანდრე წერს, რომ სპარსელებს „გამამა-რთლებელ საბუთად ჰქონდათ – თვითონ სვანები შეუძლებლად თვლიან რომაელების ქვეშევრდომობას თუმცა კი ძალიან ცდილობენ მათ გადაბირებასო“ (იქვე, გვ. 230).

როგორც ითქვა, ბიზანტიის იმპერატორი ძალზე გააჯავრა სვანების პროსპარსულმა ორიენტაციამ, იმდენად, რომ თავისი უპირველესი სახელმწიფო მოხელეც კი არ დაინდო სვანეთის საქმის მოუგვარებლობის გამო. თუ რას ნიშნავდა იმპერატორებისა და შაჰების გაჯავრება მტრული ტომების მიმართ, იქვე აქვს აღწერილი მენანდრეს და სხვა ავტორებს. მაგალითად, შემდეგი იმპერატორის ტიბერი კეისრის დროს, 576 წელს, ბიზანტიური ჯარი შეჭრილა ალბანიაში და უკან გამობრუნებულა ისე, რომ არ აუყრია მკვიდრი მოსახლე-ობა და არ გადაუსახლებია სხვაგან. ეს „შეცდომა“ მალევე გამოუსწორებიათ და კვლავ შეჭრილან ალბანიაში და იქაური მკვიდრი საბირების ტომი და ალბანელები აუყრიათ საკუთარი მიწა-წყლიდან და გადაუსახლებიათ ბიზანტიის იმპერიის სიღრმეში, რათა ისინი სპარსელებს აღარ მიმხრობოდნენ, მენანდრე წერს ამ ბიზანტიური არმიის შესახებ: „კვლავ შეიჭრნენ ალბანიაში და აიძულეს საბირები და ალბანელები მთლიანად გადმო-სახლებულიყვნენ მდინარე მტკვრის აქეთა მხარეს, რათა ამიერიდან რომაელთა მიწა-წყალზე ეცხოვრათ“ (გეორგიკა, III, 238). მეორე მაგალითიც შეეხება პერსარმენიელთა და იბერიელთა გადასახლებას, როცა შემდგომ 576-577 წლებში ბიზანტიელთა და სპარსელ-თა შორის უკვე სადავო იყო არა სვანეთი, არამედ იბერია და პერსარმენია, საკითხი შეეხო უკვე იმას, რომ თავიანთი მიწა-წყალი მიეტოვებინათ იბერიელებს და პერსარმენიელებს. მენანდრე წერს – „ზავს განამტკიცებდა მხოლოდ იმ პირობით, თუ მსურველ პერსარმე-

ნიელებსა და იბერებს ნება ექნებოდათ დაეტოვებინათ თავიანთი მიწა-წყალი და წასულიყვნენ რომაელთა ქვეყანაში... სპარსელთა მეფეს სასიამოვნოდ მიაჩნდა ეს... ნებას აძლევდა, რომ იქაური მცხოვრებლები წასულიყვნენ სადაც უნდოდათ“ (იქვე, გვ. 246). ეს იბერები პერსარმენიელთა გვერდით ცხოვრობდნენ, ანუ იქ, სადაც შემდეგ ბასიანი, ტაო და ერზრუმის ქვეყანა იყო.

აქედან ჩანს, რომ დამარცხებული და დამორჩილებული უცხო ტომების მიმართ ბიზანტიელები და სპარსი მმართველები ულმობელნი იყვნენ, მითუმეტეს, თუ იმპერატორი გაჯავრებული იყო ამ ტომის მიმართ. როგორც ავღნიშნეთ, მენანდრე აღწერს ერთ-ერთ შედეგს იმპერატორის გაჯავრებისა – „კეისარი უკმაყოფილო და გაჯავრებულია, რომ ისინი (ბიზანტიელი ჯარისკაცები) ალბანიაში შეიჭრნენ და არ აჰყარეს ყველანი საბირები და ალბანელები“ (იქვე, გვ. 238).

იმპერატორის გაჯავრებით შეშინებული ჯარი ხელმეორედ შეიჭრა ალბანიაში და, როგორც ითქვა, იქაური მცხოვრებნი ბიზანტიელთა ხელდებულ ქვეყანაში გადაასახლა.

ყოველივე ეს ზემოთაღწერილი მოვიყვანეთ იმის დასამტკიცებლად, თუ რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა იმპერატორ იუსტინეს გაჯავრებას სვანების მიმართ. ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ თუ ბიზანტიელები შეიჭრებოდნენ სვანეთში, ისინი მკვიდრ დამარცხებულ მოსახლეობას გადაასახლებდნენ ბიზანტიელთა უშუალო ხელდებულ ქვეყანაში, რათა მათ სპარსელთა მომხრეობა ვერ გაებედათ.

ქართული წყაროებით, როგორც აღინიშნა, ბიზანტიელთა საკუთარ, ბიზანტიელთა სახელმწიფოში უშუალოდ შემავალ ტერიტორიად მიიჩნეოდა მდინარე კლისურას, ეგრისწყლის იქით მდებარე მიწა-წყალი, რომელსაც შემდგომ აფხაზეთი ეწოდა. სწორედ აქ უნდა გადაესახლებინათ დასავლეთ საქართველოს დაბლობებში მცხოვრები სვანური ტომები: აფსილები, აბაშგები (აბაზგები) და საკუთრივ სვანები. ასევე მისიმიელებსაც შეეხებოდა გადასახლება. მათ უნდა დაეჭირათ დასავლეთ საქართველოს კავკასიონის მაღალი მთიანეთი. მითუმეტეს, რომ VI საუკუნის ბოლოსათვის სპარსეთმა დაკარგა გავლენა არამარტო დასავლეთ საქართველოზე, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილზეც, და ამის გამო ბიზანტიელებს შეეძლოთ სრულებით თავისუფლად ემოქმედათ დასავლეთ საქართველოში ყოველგვარი შიშის გარეშე.

კიდევ უფრო დაუნდობელი ყოფილა იმპერატორი ჰერაკლე კეისარი საქართველოში. 620-იან წლებში ის ლაზიკისა და იბერიის გზით შეიჭრა სპარსეთში. გამარჯვების შემდეგ დაუნდობლად მოექცა ქართულ მოსახლეობას. მემატიანის სიტყვით, მორწმუნეები და ურწმუნოები შეურეკავთ ეკლესიებში და განურჩევლად დაუხოცავთ. „სისხლი მდინარეთანი“ დიოდა ეკლესიებიდანო, მასვე საქართველოდან გაუტანია საეკლესიო, უდიდესი მნიშვნელობის უდიდესი სიწმინდეები.

დავა სვანეთის გამო

ლაზიკის ანუ ერგე-ლიგან-კლარჯეთის ზღვისპირა ქალაქ ფაზისთან დამარცხების შემდეგ სპარსელთა შაჰი მიმხვდარა, რომ ის ვერ შეძლებდა ლაზიკაში ჯარის შენახვას, მის მომარაგებას სურსათითა და საბრძოლო საჭურვლით. ზღვისპირა პორტები ბიზანტიელთა ხელში იყო, საიდანაც უხვად ამარაგებდნენ თავიანთ ნაწილებს, ხოლო სპარსელებს კლდიან და მთიან ქვეყანაში (კლარჯეთში) უფრო ხშირად მებარგული კაცების ზურგით უხდებოდათ სურსათ-სანოვაგის გადაზიდვა. ეს მათთვის ქმნიდა უიმედო მდგომარეობას, რასაც დაემატა ის, რომ ლაზიკის მოსახლეობამ გადაწყვიტა ბიზანტიელებს მიმხრობოდა,

სპარსელებმა საზავო მოლაპარაკებისას მთელი ლაზიკა ბიზანტიელებს დაუთმეს. როგორც ითქვა, მათ შორის მხოლოდ სვანეთის საკითხი დარჩა სადავო. „სვანეთს“ ისინი დასავლეთ საქართველოს უწოდებდნენ.

სვანეთის საკითხის გადასაჭრელად სპარსელებმა ელჩად დანიშნეს სახელმწიფოში უდიდესი პატივის მქონე მეფის საწოლთუხუცესი, რომელსაც ზიქეს უწოდებდნენ. ასეთივე დიდი პატივი ჰქონდა ბიზანტიელთა ელჩსაც, რომელიც ამტკიცებდა, რომ სვანები არ იყვნენ დამოუკიდებლები, მათ რომაელები მბრძანებლობდნენ და იმყოფებოდნენ ლაზების ანუ კოლხების გავლენის ქვეშ, კერძოდ, დადგენილი იყო წესი, რომ სვანებს პური მიეღოთ ლაზთა მეფისაგან. თავის მხრივ ლაზებს სვანები უგზავნიდნენ ტყავებს და სხვა პროდუქტს, რომ „სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან იყო ის აღრიცხული“ სახარკო სიაში და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და სხვა რამესაც, ხოლო, როდესაც სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზეთის მეთაური ახელისუფლებდა მას... ეს იყო ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან, ვიდრე თქვენი მეფის პეროზისა და ჩვენი მეფის ლეონის დრომდე, შემდეგ პეტრემ გამოიღო ერთი წიგნაკი, სადაც ერთი მეორეზე ცალ-ცალკე ნაჩვენები იყვნენ ლაზთა მეფეები, რომლებსაც გაუხელისუფლებიათ სვანთა სარდლები“ (გეორგიკა, III, 1936, გვ. 224).

ამ საბუთის გაცნობის შემდეგ სპარსთა მეფემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი საბუთები არ იყო ნდობის ღირსი და შედგენილი იყო ბიზანტიის სახელმწიფოს სასარგებლოდ. მიანიშნა, რომ სპარსელებსაც ჰქონდათ საბუთები, ოღონდ საწინააღმდეგოს დამამტკიცებელი, განაცხადა, რომ ბიზანტიელები ვერ ამტკიცებდნენ სვანეთის მათდამი კუთვნილებას. ამიტომაც სპარსეთის მეფემ წამოაყენა ახალი თვალსაზრისი. გაეთვალისწინებინათ თვით სვანთა სურვილი. „თუ მათ სურთ რომაელთა ძალაუფლების ქვეშ ყოფნა, – განაცხადა შაჰმა, – მე არავითარ შემთხვევაში წინააღმდეგი არ ვიქნები“ (იქვე, გვ. 226).

ბიზანტიელთა ელჩი პეტრე წინააღმდეგი იყო შეკითხვა დაესვათ სვანებისათვის თუ რომელი სახელმწიფოს ძალაუფლების ქვეშ ყოფნა სურდათ მათ, რადგანაც სვანები კატეგორიულად უარს ამბობდნენ ეცნოთ ბიზანტიელთა ძალაუფლება სვანეთში და ემხრობოდნენ სპარსელებს. საფიქრებელია იმიტომ, რომ იმჟამად საქართველოს უდიდესი (აღმოსავლეთი) ნაწილი სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა და, ჩანს, სვანებს ეროვნული მთლიანობისათვის ერთიანი ძალაუფლების ქვეშ ყოფნა ერჩიათ.

ბიზანტიელებმა თავიანთი ელჩის წარუმატებლობის შემდგომ სხვა ახალი ელჩი გააგზავნეს სვანეთის საკითხის მოსაგვარებლად, რადგანაც სპარსული მხარე შეუცვლელად ამტკიცებდა ერთსა და იმავეს – „თვითონ სვანები შეუძლებლად თვლიან რომაელების ქვეშევრდომობასო“. ახალმა ელჩმა იოანემ გაბედა და იმპერატორთან შეუთანხმებლად გააგზავნა სვანეთში კაცები, რათა მათ ეკითხათ სვანებისათვის, სურდათ თუ არა მათ რომაელების ქვეშევრდომობა. სვანებმა ბიზანტიელთა ამ შუამავლებს მტკიცედ განუცხადეს, რომ ისინი არ ცნობდნენ რომაელთა ხელისუფლებას. სვანების ამ პასუხმა, როგორც აღნიშნული იყო საზავო მოლაპარაკების დროს, კიდევ უფრო განამტკიცა სპარსელთა პოზიციები. იოანეს ელჩობა ჩაიშალა და მას გაჯავრებულმა იმპერატორმა ბრალი დასდო, „რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ არ იმოქმედა“ (გეორგიკა, III, გვ. 230).

შემდგომ, როგორც ითქვა, მენანდრე პროტექტორი აღწერს, თუ სვანეთის საკითხის მოუგვარებლობით როგორ უკიდურესად იყო გაღიზიანებული ბიზანტიის იმპერატორი, თუ როგორ უდიერად და უკადრისად ექცეოდა კონსტანტინოპოლში სვანეთის საკითხის გამო ჩამოსულ ელჩს (იქვე, გვ. 233). ერთი სიტყვით, სვანეთის საკითხი აღნიშნულ წლებში ვერ გადაწყდა. შემდგომ მალევე სპარსელებმა აღმოსავლეთ საქართველოზეც დაკარგეს

თავიანთი გავლენა, საფიქრებელია, რომ ამით ხელგახსნილმა ბიზანტიელებმა ისარგებლეს მოვლენით, შეიჭრნენ დასავლეთ საქართველოში, სპარსთა მომხრეობისთვის სასტიკად დასაჯეს იქაური ტომების ხელმძღვანელები, აყარეს თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან და გადაასახლეს სპარსეთ-ბიზანტიის საზღვრიდან უფრო მოშორებით, თანამედროვე სვანეთსა და აფხაზეთში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, რადგანაც სვანები და ყველა სხვა ადგილობრივი ტომი ქრისტიანი იყო, მათი ძირითადი და საუკუნო მომხრე ბიზანტიელები იყვნენ, ხოლო სპარსელები კი მტრები, ამიტომაც მალევე, როცა სამხრეთ კავკასიაში დიდი აჯანყება მოხდა სპარსელთა წინააღმდეგ, ისინიც სპარსელთა წინააღმდეგ ამხედრდნენ.

ისტორიკოს თეოფანე ბიზანტიელის სიტყვით, 571 წლის აჯანყების დროს „არმენიელები ჩამოშორდნენ სპარსელებს და რომაელებს მიემხრნენ, დატოვეს ქალაქი დვინი, სადაც ცხოვრობდნენ, რომაელთა მიწა-წყალზე გადავიდნენ... სპარსელებს მაშინვე გადაუდგნენ იბერიელებიც და მიემხრნენ რომაელებს (572 წელი)... არმენიელების მხარეზე იბრძოდნენ კოლხები, აბაზგები და ალანთა მეფე საროე“ (იქვე, გვ. 258).

აღნიშნული აბაზგები უნდა იყოს ის ეგრისულ- სვანური ტომი აბაშგები, რომლებიც იქამდე (560 წლამდე) რიონის სანაპიროზე აბაშეთში (აბაშა, აბაშები) ცხოვრობდნენ. ისინი აყრის შემდგომ თავიანთი ქვეყნის სხვა კუთხეში, უფრო დასავლეთით, თანამედროვე აფხაზეთში გადაუსახლებიათ და იმის შემდგომ რომაელთა მოკავშირეები გამხდარან.

7. თეოფილაქტე სიმოკატა – სპარსელების ლაშქრობა სვანეთში

იმის შემდგომ, რაც ბიზანტიელებმა თავიანთი ძალაუფლება აღიდგინეს დასავლეთ საქართველოში და სვანები თავიანთ ბუნებრივ, ანუ სარწმუნოებრივ მოკავშირის ბიზანტიელების მხარეზე მტკიცედ დადგნენ, სპარსელებმა გადაწყვიტეს ელაშქრათ სვანეთში.

VII საუკუნის ისტორიკოსი თეოფილაქტე **სიმოკატა** მიიჩნევს, რომ სვანეთის ირგვლივ მიმდინარე ამბები იყო ბიზანტიის ისტორიის დიდი ნაკვეთი, მისი მონათხრობიდან ჩანს, თუ რა პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბიზანტიაში სვანეთის საკითხის მოგვარებას. ის წერს: „ისტორიის მინდვრის ყვავილებში ჩავუქსოვოთ ისიც, რაც რომაელებმა სვანეთის გარშემო მოიმოქმედეს. მხატვრებიც ხომ მნიშვნელოვანსა და დიდ ნაკვეთებს რომ შემოხაზავენ, მანამდე არ უშვებენ ხელს ყალამს, სანამ მთელის უმცირეს ნაკვეთებსაც კი არ გადაიღებენ სურათებზე“ (გეორგიკა, IV, ნაკვეთი I, გვ. 21).

თეოფილაქტე წერს, რომ დაახლოებით 589-590 წელს სპარსეთის მეფეს ჰორმისდას სვანეთის წინააღმდეგ გაუგზავნია თავისი სარდალი ბარამი. ამ დროს სპარსეთი გაძლიერებული ყოფილა იმდენად, რომ ჰუნებიც კი დაუხარკიათ.

ამის შემდგომ სპარსელებს მოუცლიათ და მათ მეფეს „სვანეთის წინააააღმდეგ აღუმართავს მახვილი“ (იქვე, გვ. 30). სპარსელ სარდალს ბარამს სვანეთში ხელთ უგდია დიდძალი ნადავლი, გაუგზავნია ის სპარსეთში, თვითონ კი არაქსზე დაბანაკებულა. ომი ჰქონია კოლხეთში. „ბარამმა ომი კოლხიდის წინააღმდეგ გადაიტანა“ (იქვე, გვ. 22). როგორც ვთქვით, ამის შემდგომ მან შეუტია სვანეთს, ხელში ჩაუგდია სიმდიდრე და ის გაუგზავნია ბაბილონიაში (ანუ სპარსეთში) – „სახელგანთქმული ბარამი სვანებს მიმართავს და ხელთ იგდებს რა დიდძალ ნადავლს, გზავნის მას ბაბილონიაში და დაიბანაკებს მდინარე

არაქსზე, რომელსაც ბარბაროსები ერასს უწოდებენ“ (გეორგიკა, IV, გვ. 123). როგორ მოხვდა ბარამი სვანეთიდან არაქსზე ასე სწრაფად?

აქედანაც ჩანს, რომ სვანეთს უცხოელები უწოდებდნენ მთელ დასავლეთ საქართველოს ხოლო კოლხეთი ეწოდებოდა ჭოროხის ხეობას, ისტორიულ კლარჯეთს.

სვანეთში, ანუ დასავლეთ საქართველოში, გამარჯვებულ სპარსელ სარდალს გაუვლია ჭოროხის ხეობა, ანუ კოლხეთი და შემდეგდროინდელი არტაან-არტანუჯის გზით სწრაფად გადასულა იქვე მახლობლად გამდინარე არაქსის ხეობაში.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ჩანს იმავე თეოფილაქტე სიმოკატას მონათხრობიდან, როცა სვანეთში სპარსი სარდლის ბარამის ლაშქრობისა და მისი კოლხეთის გზით არაქსის ხობაში გადასვლის შესახებ შეიტყო, ბიზანტიის იმპერატორმა უკან დაადევნა ბიზანტიელი სტრატეგიოსი რომანოზი. ის, ჩანს აღნიშნული არტანუჯ-არტაანის გზით, ანუ კოლხეთის გავლით გადასულა არაქსის ხეობის იმ ნაკვეთში, სადაც ალბანელები ცხოვრობდნენ.

თეოფილაქტე აგრძელებს: „ხოლო ავტოკრატორმა ე.ი. (მავრიკემ) რომ გაიგო ეს ამბები, რომანოზი დანიშნა ომის ხელმძღვანელად. ეს სტრატეგიოსი კოლხიდაში რომ მივიდა, რომელსაც მდაბიურმა ენამ ლაზიკე დაარქვა და შეუთანხმდა იქაურ მმართველებს, დაიძრა იქიდან და დაბანაკდა თვით ალბანიის წინააღმდეგ“ (იქვე, გვ. 23). მართლაც, ეს ორი ჯარი ერთმანეთს შეხვდა ალბანიის დაბლობში, არაქსის პირას (გეორგიკა IV, 126).

ზემოთ აღწერილიდან ჩანს, რომ სვანეთი იყო დასავლეთ საქართველო. აქ გამარჯვებული სპარსელი სარდალი დასავლეთ საქართველოს გზითვე შევიდა ჭოროხის ხეობაში, გადალახა არსიანის ქედი და მიადგა არაქსის ნაპირს. მას უკან დაედევნა კოლხეთის, ანუ ჭოროხისვე გზით რომაელი სარდალი, შეებრძოლა არაქსის ნაპირას, ალბანის დაბლობზე და დაამარცხა სპარსი სარდალი. ასე მოგვითხრობს თეოფილაქტე სიმოკატა.

კოლხიდა, ანუ ლაზიკა რომ ყოფილიყო მთელი დასავლეთი საქართველო, ხოლო სვანეთი მის ამჟამინდელ ფარგლებში მყოფი ჩრდილო-დასავლეთის ერთი ნაწილი, ბუნებრივია, ასეთი ადგილმდებარეობის შემთხვევაში სვანეთთან არაქსის ხეობისა და ალბანიის დაკავშირება შეუძლებელი იქნებოდა. რა საერთო შეიძლება ჰქონდეს მესტიისა და ლენტეხის რაიონებს მდინარე არაქსთან და ისტორიულ ალბანეთთან? ამ საკითხის გარკვევას ცდილობდა ს. ყაუხჩიშვილი. მან წამოაყენა მრავალი თეორია და ფიქრობდა, რომ შესაძლოა თეოფანეს ქრონოგრაფის გადამწერს, შეცდომა მოუვიდა და დედანში ეწერა არა სვანეთი და ალბანეთი, არამედ სხვა სახელები (გეორგიკა, IV, I, 34, შენიშვნა). მაგრამ იმავე ამბავს აღწერს სხვა VIII საუკუნის ბიზანტიელი მწერალი თეოფანე ჟამთაადმწერელი. ის წერს, სპარსელთა მეფე ჰორმისდამ სარდლად ბარამი დანიშნა და დიდძალი ჯარით სვანეთის წინააღმდეგ გაგზავნა. ბარამი მოულოდნელად დაეცა სვანეთს... ბარამმა ამ ომში დიდი სახელი მოიხვეჭა. ის მდინარე არაქსზე დაბანაკდა. მავრიკიმ რომ ეს გაიგო, რომანოზი დანიშნა სტრატეგიოსად და სვანეთში გაგზავნა ჯარით. რომანოზი მივიდა ლაზეთში და მდინარე ფაზისზე ალბანიის წინააღმდეგ დაბანაკდა“ (გეორგიკა, IV, I, 88).

მართლაც, თუ ლაზიკად ვიგულისხმებთ მთელ დასავლეთ საქართველოს, მდინარე ფაზისად კი - მდინარე რიონს, აქ მისული სარდალი რომანოზი როგორ უნდა „დაბანაკებულიყო ალბანიის წინააღმდეგ“? ეს შეუძლებელია. მდინარე რიონსა და ალბანიას შორის სხვა უამრავი ქვეყანა არის გადაჭიმული, მაგრამ თუ მდინარე ფაზისი ჭოროხია, ჭოროხთან ალბანია გაცილებით ახლოა გეოგრაფიულადაც და არაქსის ხეობაც ახლოა არსიანის ქედთან.

ჩვენი თვალსაზრისით, როგორც ზემოთ ითქვა, 560-იან წლებში, იქამდე სპარსელთა მომხრე სვანები, არა მხოლოდ დასაჯეს ბიზანტიელებმა, არამედ მათ ისევე, როგორც სხვა

კავკასიურ ტომებს, გადასცეს ძალზე დიდი თანხა. მაგალითად, იქამდე მისიმიანთა ტომისა და სხვა კავკასიური ტომის მოსასყიდად მისიმიანეთში ბიზანტიელებს შეუტანიათ სტრატეგიოს სოტერიქეს ხელით 28800 ხალასი ოქროს ნომიზმა (გეორგიკა, III, გვ. 174). ჩანს, სვანეთის საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად ბიზანტიელებმა გამოიყენეს არა მხოლოდ სამხედრო ძალა, არამედ ოქროც – სვანები განუდგნენ სპარსელებს. მათ დასასჯელად სვანეთში შეჭრილა, როგორც ავღნიშნეთ, სპარსი სარდალი, ხელთ უგდია ალბათ აღნიშნული სიმდიდრე და, რადგანაც სვანეთში არ დაედგომებოდა, უკანვე დაბრუნებულა. სვანეთში სპარსელების შეჭრის ცნობის გაგებისთანავე ბიზანტიის იმპერატორს სვანეთში სპარსელთა წინააღმდეგ გაუგზავნია თავისი სარდალი. ამ უკანასკნელს კი შეუტყვია, რომ ჭოროხის, ანუ კოლხეთის გზით არაქსის ხეობაში იყო გადასული სპარსული ჯარი და, შესაბამისად, ლაზიკაში, ანუ ჭოროხის ხეობაში შესული არმია უკან გაედევნა სპარსელებს და არსიანის გადალახვის შემდეგ არაქსის ხეობასთან ალბანიის დაბლობზე დაბანაკდა მტრის პირისპირ.

ამ ამბის ახსნა, კიდევ ერთხელ ვიტყვით, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სვანეთად დასავლეთ საქართველოს ჩავთვლით, ხოლო ლაზიკად – ჭოროხის ხეობას.

ნამდვილად სვანეთზე რომ არის საუბარი იქიდანაც ჩანს, რომ საქმე შეეხებოდა სპარსელ სარდალ ბარამს, ქართულ წყაროებში ბარამ ჩუბინად ცნობილს, რომელიც არაქსის პირას აღნიშნული ომის შემდგომ აუჯანყდა სპარსეთის შაჰს და ჩამოაგდო ტახტიდან, რასაც შემდგომ უდიდესი ძვრები მოჰყვა სპარსეთ-ბიზანტიის ურთიერთობებში. როგორც ვთქვით, სვანეთის ექსპედიციიდან უკან დაბრუნებული ბარამი დაბანაკდა არაქსის ხეობაში, მას წამოეწია ბიზანტიელი სარდალი და სასტიკად დაამარცხა, ანუ საბოლოო სურათი ასე დაიხატა. სპარსული ჯარი დამარცხდა სვანური ექსპედიციის გამო, ეს ამბავი ასევე უცნობებიათ სპარსეთის მეფისათვის. ბარამს მთელ ჯარში გაუვრცელებია ცრუ ცნობა, „თითქოს მეფე ჯავრობდა სპარსელთა ჯარზე და ყველას სიკვდილით ემუქრებოდა იმ დამარცხებათა გამო, რომლებიც შეემთხვათ მათ სვანეთში“ (გეორგიკა, IV, 1, 33).

სიკვდილის შიშით შეძრწუნებული სპარსული ჯარი ბარამის მეთაურობით აუჯანყდა სპარსელთა მეფეს და ჩამოაგდეს ის ტახტიდან. „ასე წაერთვა ხოსროს სამეფო ძალაუფლება“ – წერს თეოფილაქტე (იქვე, გვ. 35). ანუ წარუმატებელ სვანურ ექსპედიციას შეეწირა სპარსეთის სამეფო დინასტია. ამიტომაც სვანეთში აღნიშნული ლაშქრობა-ექსპედიცია დიდი და გამორჩეული მოვლენა იყო. ამ მოვლენის შემდგომ სრულებით სხვაგვარად წარიმართა სპარსეთ-ბიზანტიის ურთიერთობები, ამიტომაც შეუძლებელია ამ მოვლენათა ეპიცენტრის – სვანეთის სახელი შეშლოდათ ან ავტორ ისტორიკოსებს ან მათი შრომების გადამწერებს.

მართალია ქართული ტომები განფენილნი იყვნენ და ცხოვრობდნენ არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ ვრცლად უფრო სამხრეთითაც და მათ საკუთარი კერძოობითი სახელებით იხსენიებენ, მაგრამ ზოგადად ისინი მაინც ერთი სახელით – იბერებად იხსენიებოდნენ და მათ აღნიშნულ მიწა-წყალსაც ძირითადად იბერია ეწოდებოდა. მაგალითად, VIII საუკუნის ავტორი ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, რომელიც კრიტიკულად მიმოიხილავდა თავის წყაროებს და ფეხითც მოიარა ის ადგილები, სადაც ანდრია მოციქული მოღვაწეობდა, წერს, რომ დასავლეთ საქართველოში, დიდ სებასტოპოლისში, აფსარის ციხესთან ჰისოს ნავსადგურთან და მდინარე ფაზისთან მოსახლეობდნენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები (გეორგიკა, IV, I, 57). მისი აზრით, ტრაპეზუნტი არის ლაზიკის ქალაქი, ხოლო ტრაპეზუნტის ზემოთ მდებარე ქვეყანა კი უკვე იბერიაა.

წმიდა ანდრია მოციქული „ამისოდან წამოსვლის შემდეგ მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის

ქალაქში, იქიდან ის წავიდა იბერიაში, მას შემდეგ, რაც მან ზღვის პირას მცხოვრებნი მრავალნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში“ (იქვე, გვ. 58).

ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, თავისი წმიდა ანდრიას ცხოვრების სხვა ადგილასაც, ერთად ახსენებს იბერიასა და ფაზისს, ისინი ერთ რეგიონში არიან. „მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს და ჩავიდნენ იბერიაში, ბოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუსანიაში“ (იქვე, გვ. 58). სუსანია (ს. ყაუხჩიშვილის მიხედვით კი სუანია) იმყოფება, ქართული წყაროების მიხედვით, აჭარის მთიანეთსა და ოძრხე-სამცხეში, სადაც ანდრიამ იქადაგა ტრაპიზონიდან მდინარე ჭოროხის გადმოკვეთის შემდეგ.

ქართული წყაროები აქვე აღნიშნავდნენ პუნქტ სოსანიგეთის არსებობას. თუ ასეთი მოსაზრება მისაღებია, ისტორიული სვანეთის ერთი ნაწილი, ჩანს, მოიცავდა ჭოროხის შესართავის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მთიან მხარეებსაც. ბერძნული წყაროებიც თითქოსდა ამის შესახებ მიუთითებს.

ამის გამო – „კეისარი მზად იყო დაეთმო სპარსელებისთვის პერსარმენია და იბერია, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ სპარსელები არავითარ შემთხვევაში არ დათმობდნენ ამ ქვეყანას... ზავს განამტკიცებდა მხოლოდ იმ პირობით, თუ მსურველ პერსარმენიელებს და იბერებს ნება ექნებოდათ დაეტოვებინათ თავიანთი მიწა-წყალი და წასულიყვნენ რომაელთა ქვეყანაში“ (გეორგიკა, III, გვ. 245).

სპარსელებმა სრული თანხმობა განაცხადეს ასეთ პირობაზე, მათ რჩებოდათ იბერიის მიწა-წყალი, შაჰი კი „ნებას აძლევდა, რომ იქაური მცხოვრებნი წასულიყვნენ სადაც უნდოდათ“ (იქვე, გვ. 246).

მაგრამ სინამდვილეში ხალხის გარეშე მიწა-წყალი მისთვის მომგებიანი არ იქნებოდა, მას იმედი ჰქონდა, რომ იბერიელები სამშობლოს სიყვარულის გამო არ მიატოვებდნენ თავიანთ ქვეყანას და სპარსელთა ხელისუფლებას მხოლოდ ზედა ფენა გაეცლებოდა – „იმან იცოდა, რომ გარდა მცირეოდენი მმართველი პირებისა, რომელნიც აჯანყებას მეთაურობდნენ, არც ერთი პერსარმენიელი და იბერი არ წავიდოდა უცხო ქვეყანაში სამშობლოს სიყვარულის გამო, რომელიც ადამიანებში ბუნებით არის ჩანერგილი და გამჯდარი“ (გეორგიკა, III, გვ. 246).

მსგავსადვე უნდა ვიფიქროთ, რომ სვანების აჯანყების დამარცხების შემდეგ ბიზანტიელებმა თავიანთ უშუალო ხელდებულ ტერიტორიაზე მდ. ეგრისწყლის იქით (შემდეგდროინდელ აფხაზეთში) გადაასახლეს აბაშგების (აბაზგების), აფსილებისა და სვანეთის არა მთელი მოსახლეობა დასავლეთ საქართველოს ბარიდან, არამედ მისი აჯანყებული ზედა ფენა, ხოლო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ადგილზე დარჩა. ამ აბაშ-აბაზგების მმართველი აფხაზეთში უკვე „ბერძენთა ერისთავად“ იქცა. მეფეების მირისა და არჩილის აფხაზეთში შესვლის დროს არ ჩანან ეგრისისა და სვანეთის ერისთავები – იმათი მემკვიდრე უნდა ყოფილიყო „აფხაზთა ერისთავი ლეონი“ – ქართული კულტურისა და ქართული სახელმწიფოებრიობის ამაღორძინებელი დინასტიის მეთაური, რომელიც სავსებით მიიღო დასავლეთ საქართველოს ხალხმა თანამეტომეობის გამო.

თავი II

ტბები და მდინარეები ისტორიულ კოლხეთში

მდინარე ფასისი

შესავალი

XX ს-ის ოფიციალური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით ქართული ეკლესია იყო „პროზელიტური ეკლესია", რომელმაც თითქოსდა IX-X სს-ში დასავლეთ საქართველოდან გააძევა ძველთაგანვე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ბერძნული საეპისკოპოსოები და გააუქმა ფასისის (ფოთის) სამიტროპოლიტოში შემავალი როდოპოლისის (ვარციხის), ზიგანას („ზიგინევი – გუდაყვას"), საისინის (ცაიშის), პეტრას (ციხისძირის) ბერძნული კათედრები. ასევე, თითქოსდა შეცვალა იქამდე დასავლეთ საქართველოში დამკვიდრებული ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა ქართულით. მათი თვალსაზრისით, მეცნიერულად დადგენილ ფაქტად მიიჩნევა, რომ ბერძნული წყაროებით ლაზიკა არის დასავლეთ საქართველო.

ამ გაბატონებულ თვალსაზრისს ჩვენც ვიზიარებდით, მაგრამ იმის გამო, რომ ძველი ქართველი მემატიანეებისათვის სრულიად უცნობია ბერძნული საეპისკოპოსოების არსებობა დასავლეთ საქართველოში, გადავწყვიტეთ გამოგვეკვლია სად მდებარეობდა სინამდვილეში ლაზიკა. საჭირო იყო გარკვევა იმისა ეთანადება თუ არაპროკოფი კესარიელისეული გეოგრაფიული აღწერილობა ლაზიკისა თანამედროვე დასავლეთ საქართველოს. ასევე საჭიროა კვლევა იმისა, პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილი მდ. ფაზისი არის თუ არა მდ. რიონი.

პროკოფის ცნობით ლაზიკის უმთავრესი მდინარეა ფაზისი, ლაზიკა მის სანაპიროებზეა განფენილი. ფაზისი იმდენად ჩქარა შეედინება ზღვაში, რომ კარგა ხანს ზღვას არ ერევა და დამოუკიდებელი ჩქარი ნაკადის სახით ყალიბდება. ზღვაში მცურავ ნავებს ამ ნაკადის გადაცურვა უჭირთ. მაშასადამე, ფაზისი მთის მდინარეა, რიონი კი დაბლობის, ბარის მდინარეა. რიონი მთლიანად განსხვავდება ამ აღწერისაგან.

რიონის შესართავთან ფოთი-სამტრედიის ძალზე ვრცელი ვაკე თითქმის ზღვის ნულოვან დონეზე მდებარეობს, უფრო მეტი, ზოგიერთი ნაკვეთები ზღვის დონეზე დაბლაცაა განლაგებული, ამიტომაც მდ. რიონი არა მხოლოდ ქმნიდა უზარმაზარ ჭაობებს ამ ვრცელ ვაკეზე, არამედ იკარგებოდა კიდეც ამ ჭაობებში. მისი დელტა განფენილი იყო ჭაობებში და ის ძნელად უერთდებოდა ზღვას, ამიტომაც საბჭოთა იმპერიის დიდი სამეცნიერო ძალები შეეჭიდა სამუშაოს, რათა შეექმნათ კალაპოტი მდ. რიონისათვის. მართლაც ეს თითქმის საუკუნოვანი შრომის შემდეგ გახდა შესაძლებელი

მიუხედავად ასეთი უზარმაზარი სამუშაოებისა, მდ. რიონის სიჩქარე, მართალია ოდნავ გაიზარდა, მაგრამ ამჟამადაც, თვითმხილველ დამკვირვებელთა თქმით, რიონი ძნელად უერთდება ზღვას: კერძოდ ხან რიონი შედის ზღვაში დიდი გაჭირვებით, რადგანაც ზღვის დონეზეა მისი დელტა, ხან კი პირიქით, ზღვა შედის რიონის კალაპოტში, ანუ შედინების ამ ადგილას არის ზღვისა და მდ. რიონის მიქცევა-მოქცევა. საფიქრებელია, რომ ასევე იყო პროკოფი კესარიელის დროსაც. რიონი ზღვის შერთვის ადგილას არის ჭაობის მდინარე და ის არ შეიძლება იყოს ფაზისის ის უგემრიელესი სასმელი წყალი, რომელსაც, პროკოფის თქმით, მეზღვაურები იღებდნენ და ინახავდნენ, რადგანაც არ უგემურდებოდა და არ

ფუჭდებოდა. რიონის წყალი იმთავითვე სასმელად უვარგისი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყოველთვის იყო ჭაობის მდინარის წყალი. მაგრამ სულ სხვაა ჭოროხი – ესაა ნამდვილად ზღვაში შემდინარე მთის წყალუხვი მდინარე.

შუა საუკუნეებში საეჭვოა მდ. რიონი ყოფილიყო დიდი სავაჭრო და სააღებმიცემო არტერია უფრო მეტად იმის გამო, რომ მისი დაბლობის უზარმაზარი ჭაობები იყო მალარიის კერა. ძველად გავრცელებული ციებ-ცხელება აავადებდა ადამიანებს, მალარია არ აძლევდა ადამიანებს საშუალებას ეცხოვრათ და ეღვაწათ მდ. რიონის ქვეყანაში ანუ ზღვიდან თანამედროვე სამტრედიამდე და თითქმის ქუთაისამდე. მალარიას ყველა ერიდებოდა.

ეს ციებ-ცხელება აიძულებდა ადამიანებს მიეტოვებინათ რიონისპირა დაბლობის (ანუ თანამედროვე რიონის ვაკის) ტერიტორია და მთისწინეთისა და მთა-გორაკებისათვის შეეფარებინათ თავი. გარდა ამისა, აღნიშული დაჭაობების გამო რიონისპირა ვაკე ფოთიდან სამტრედიამდე დაფარული იყო ჭაობის ტყეებით, ბუჩქნარებითა და ეკალბარდებით. მიწა კი წყლით იყო გაჯერებული, აქ ადამიანებს არ ეცხოვრებოდათ. შესაბამისად არც ეკონომიკა და აღებ-მიცემობა იყო განვითარებული, არ იყო გზები და შესაბამისად, არც რიონზე იქნებოდა გადებული 120 ხიდი (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით).

მეორე მხრივ, ფოთიდან თითქმის ქუთაისამდე ტექნოლოგიურად შეუძლებელია რიონზე 120 ხიდის გადება. ამჟამადაც, XXI ს-ში, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში მდ. რიონზე სულ რამდენიმე ხიდია გადებული (იგულისხმება ქ. ქუთაისიდან ფოთამდე). საქმე ისაა, რომ მდ. რიონის კალაპოტი ძალზე განიერია, დატოტვილია, მას არასდროს ჰქონდა ერთი კალაპოტი, ამასთანავე ხშირად იცვლიდა თავის კალაპოტს, მისი სანაპიროები ხიდის ბურჯებისათვის არ შეიცავს მყარ გრუნტს, ამიტომაც საჭიროა ხიდის ბურჯების ასაგებად მნიშვნელოვანი საინჟინრო სამუშაოების ჩატარება. ძველ დროს ხიდის ბურჯებს აყრდნობდნენ კლდოვან ქანებს ანდა მყარ გრუნტს, რომელსაც გარკვეულწილად აძლიერებდნენ, ამიტომაც ხიდების აგებისათვის შესაბამისი გრუნტის სანაპიროს მოძებნა იყო საჭირო.

რიონის ვაკე-დაბლობის ჭაობები, განსაკუთრებით კი სანაპიროები, არც ახლა და მითუმეტეს 2000-1500 წლის წინ ამის საშუალებას არ იძლეოდა. ჭაობის ლია („პალია“) ანუ წყლით გაჯერებული მიწა – განიერ მდინარისათვის საჭირო გრძელი ხიდის მძიმე ბურჯებს ვერ დაიჭერდა. ამისათვის ძველ დროს, როგორც ითქვა, კლდოვან სანაპიროებს იყენებდნენ - კლდეებზე ძველი ტექნოლოგიების შესაბამისად იდგმებოდა ხიდის ბურჯები. მდ. რიონის დაბლობზე კი კლდეები არ არის.

იყო თუ არა მდ. ფასისზე ასი ან მეტი ხიდი? უნდა ვიგულისხმოთ, რომ იყო, მაგრამ არა მდ. რიონზე, არამედ მდ. ჭოროხსა და მის შენაკადებზე. პროკოფი ხშირად წერს – „მდ. ფაზისის ორივე სანაპირო არის კლდოვანი, აქ არის ვიწრო კლდოვანი გასასვლელები“ ე.წ. კლისურები, სწორედ ამ მდინარისპირა კლდეებზე ანუ ხევის სანაპიროებზე იდგმებოდა ხიდის ბურჯები, რომელზეც ძველი ტექნოლოგიების შესაბამისად დგამდნენ თაღოვან ხიდებს. მართლაც მდ. ჭოროხის ხეობაში, მდინარის შენაკადებზე, დღემდეა მოღწეული ათეულობით უძველესი თაღოვანი ხიდი, გადებული ღრმა მდინარეებზე, მაგრამ რიონის ბარში ქუთაისიდან ფოთამდე არც ერთი ასეთი ძველი თაღოვანი ხიდი არც რიონზე და არც მის შენაკადებზე არაა და ეს ბუნებრივიცაა, ასეთი ხიდების გადება რიონის ბარში შეუძლებელია, ჭოროხის ხეობაში ეს შესაძლებელია და აგებდნენ კიდეც. აი, აქ ე.ი. მდ. ჭოროხსა და მის შენაკადებზე, ამ არეალში უნდა ყოფილიყო სტრაბონის მიერ აღწერილი 120 ხიდი გადებული.

მდ. რიონის ერთი სანაპიროდან მეორეზე გადადიოდნენ არა ხიდებით, არამედ ბორნებით – გაჭიმული იყო ბაგირები, რომელზეც ტივები ან ნავები იყო გამობმული, რომლებიც ერთ სანაპიროს აერთებდნენ მეორესთან – ეს იყო ბუნებრივი წესი გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე. ერთი სიტყვით, ქუთაისიდან ფოთამდე რიონი არის ზღვის დონეზე მდებარე უვრცელეს ვაკეზე (ე.წ. რიონის დაბლობზე) გამდინარე ბარის წყალი, ხოლო ფაზისი მთის მდინარეა.

წმ. ექვთიმე მთაწმიდელი და ზოგადად ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფია მდ. ფაზისად მიიჩნევდა ჭოროხს და არა რიონს. ბერძენ-რომაელი ავტორების ცნობებით ზღვასთან შერთვის სიახლოვეს ძალზე სწრაფი ფაზისი მიედინებოდა კლდეთა შორის, ამიტომ მისი კალაპოტი უცვლელი იყო. მას სათავე არმენიაში ან ჭანეთში ჰქონდა, მიემართებოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. აქ ერთ ადგილას წინ ხვდებოდა კავკასიის დიდი მთა, რის გამოც მკვეთრად იცვლიდა მიმართულებას და უხვევდა დასავლეთისაკენ. ამ ადგილების ახლოს ფასისის მარჯვნივ იყო იბერია და მის მაღალ მთებზე მესხები ცხოვრობდნენ.

.ასეთივეა ჭოროხი, ის მიედინება ჩრდილოეთისაკენ, სადაც ართვინთან ხვდება კარჩხალის დიდი მთა, რის გამოც იცვლის მიმართულებას და მკვეთრად უხვევს დასავლეთისაკენ, ამით ემსგავსება ფაზისის აღწერას, კარჩხალის მთათა სისტემას, ჩანს „კავკასიის დიდ მთას“ უწოდებდნენ ძველი ავტორები, აღსანიშნავია, რომ აქვე იყო ძველი საერისთავო საკავკასიძეო, (ამჟამადაც არის ადგილი „კავკასორი“), იქვე იყო არტაანის ოლქი, შემავალი იბერიაში ანუ იქვე „იყო იბერია“, სადაც მესხები ცხოვრობდნენ, ასე, რომ ფაზისის აღწერა იდენტურად ემთხვევა ჭოროხისას.

ჩვენში ამჟამად მიიჩნევენ ,რომ ფაზისი რაჭაში ფასის მთიდან გამომავალი რიონია. ამავე დროს მიიჩნევა, რომ ფაზისის ზემო დინება ძირულაა ყვირილასთან ერთად. თუ, ვთქვათ, ფასისის სათავე ჭანეთი ან არმენიაა, და ფასისი რიონია, მაშინ რაჭა ან ლიხის ქედი არმენია-ჭანეთში ყოფილა, რაც ასე არაა. ამ და სხვა მრავალი ნიშნით ფაზისი ჭოროხია.

მდ. ფასისი არიანეს მიხედვით:

„ჩემთვის ცნობილ მდინარეებს შორის ფასისის წყალი უმსუბუქესია და ფერიც მეტად განსხვავებული. მის სიმსუბუქეს შეიტყობს კაცი წონის გასინჯვით და კიდევ იმით, რომ როდესაც ზღვას ერთვის, ზღვის წყალს ზედ მოექცევა, არ შეერევა, როგორც ჰომეროსი ამბობს... ზემოთ მიმდინარეობს როგორც ზეთი. და როდესაც ზღვაში ზემოდან ამოხაპავენ წყალს, ის მტკნარია, ხოლო თუ ვინმე სიღრმეში ჩაუშვებს ჭურჭელს - მარილიანი. ...ფასისის წყალს ტყვიის თუ კალის ფერი გადაკრავს, მაგრამ, რომ გააჩერებ ძალიან წმინდა ხდება, ამიტომ ჩვეულებაა ასეთი, რომ ფაზისში შემსვლელებმა არ უნდა შეიტანონ იქ სხვა წყალი, და შევლენ თუ არა მის კალაპოტში, ბრძანება იცემა, რომ ხომალდზე არსებული ძველი წყალი სულ გადაიღვაროს. ამბობენ, ვინც ამას არ შეასრულებს, ბედნიერი მგზავრობა არ ექნება. ფაზისის წყალი არ შმორდება და ათ წელზე მეტ ხანს გაუფუჭებელი რჩება, უფრო მეტადაც ტკბება“ (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, 1961, გვ. 38).

ფასისის წყლისაგან კარდინალურად განსხვავებულია მდ. რიონის წყალი. ცნობილ მდინარეთა შორის რიონის წყალი ერთ-ერთი ყველაზე მძიმეა, რადგანაც „რიონი მსოფლიოში გამოირჩევა, როგორც ნაშალი მასალის (სილა, შლამის და სხვა) დიდი რაოდენო-

ბის მატარებელი და ზღვაში შემტანი მდინარე. მეცნიერების მიერ არაერთგზის დადგენილია, რომ ყოველწლიურად მდინარე რიონს ზღვაში შეაქვს 8-12 მილიონი ტონა ნაშალი მასალა, რისი დიდი ნაწილი ზღვის სანაპიროს შორიახლო ილექება და იწვევს ხმელეთის მატებას ზღვის ხარჯზე“ (ს. ზაქარაია, ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა... კრებული „ცოტნეიდელი“ II, 2008, გვ. 70).

იმავეს წერს მეორე მეცნიერი ს. გვასალია - „სპეციალისტთა აზრით რიონში 3-ჯერ მეტი ლამია, ვიდრე ნილოსში. რიონს ზღვაში ყოველწლიურად, საშუალოდ, 10-12 მილიონი ტონა სილა შეაქვს, ზოგჯერ მეტი, ნაკლები კი იშვიათად“ (ს. გვასალია, ანტიკური ხანის კოლხეთი, კრებული „ცოტნეიდელი“ II, 2008, გვ. 57).

თვალხილული ფაქტია, რომ რიონი ზღვის შესართავთან წყალტალახის მოძრავი მასაა, ლამიან-შლამიანი, შავი ფერის ჭუჭყიანი წყალი. მაშასადამე ჩვენ გვაქვს მდ. ფასისისა და მდ. რიონის შესახებ განსხვავებული ცნობები: ფასისი მსუბუქია, რადგანაც სილა-შლამის ნაკლებმატარებელია, მაშინ, როცა რიონი მძიმეა, სილა-შლამის ძალზე დიდი ოდენობის მქონე, თანაც ეს განსხვავება აღმწერთა ცნობით უკიდურესია, მაგალითად არიანეს მიხედვით მისთვის ცნობილ მდინარეთა შორის ფასისის წყალი ყველაზე მსუბუქი იყო, არიანე კი იმჟამინდელი მსოფლიოს მრავალ მდინარეს იცნობდა, რადგანაც ის, ვითარცა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე რომის პროვინციათა საქმეებს ადგილებზე წარმართავდა, იმპერატორ ადრიანეს საგანგებო რესკრიპტით ევალებოდა „მშვიდობის დაცვა პროვინციებში“ - ბოსფორიდან რომამდე - II საუკუნეში (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, 1961, გვ. 3).

მაშასადამე მისთვის მრავალი მდინარე იყო ცნობილი. ის ზოგჯერ ფეხითაც კი დადიოდა ზღვათა სანაპიროებზე და ზომავდა მანძილებს მდინარეთა შორის. მისი აღწერით, როგორც ითქვა იმჟამინდელი კულტურული მსოფლიოს მდინარეთა შორის ფაზისის წყალი ყველაზე მსუბუქი იყო, მაშინ როცა ჩვენი თანამედროვე მეცნიერები სტატისტიკური მონაცემების ურთიერთშეჯერებით გვამცნობენ, რომ მდინარე რიონის წყალი - „მსოფლიოში გამოირჩევა, როგორც ნაშალი მასალის (სილა, შლამის) დიდი რაოდენობის მატარებელი“ (ს. ზაქარაია). აქედან ჩანს, რომ ფაზისი და რიონი სხვადასხვა მდინარეები იყო, ერთი სასმელად ვარგისია და არა მარტო ვარგისია, არამედ საუკეთესოა, ხოლო რიონის წყლის დალევას ვერავინ გაბედავს მის შესართავთან, რადგანაც სიმღვრივის გამო ის სასმელად ყოვლად უვარგისია. მათი ამ თვისებებიდან აისახება კიდეც ზღვასთან შერევის სურათი, კერძოდ ფასისი ზღვას არ ერევა, რადგანაც ზღვის წყლის კუთრი წონა უფრო მეტია მისი მარილიანობის გამო, მსუბუქი ფაზისის წყალი ზემოდან მოექცევა და დიდ მანძილზე ცალკე მიედინება ზღვაში, როგორც პროკოფი აღწერდა კიდეც არიანეს შემდეგ. რიონის წყალი კი პირიქით, დიდი სილიან-შლამოვნობის გამო ის ნაპირზევე ილექება. ამ პროცესს „სანაპიროს მოსილვას“ უწოდებენ. სანაპირო რიონის შესართავთან განსაკუთრებით ლამიანია- „წვრილი სილითა და ლამით შემდგარი მოსილვის საშუალო მოცულობა 20 მილიონ კუბურ მეტრს აღწევს“: ამის გამო რიონის შესართავთან ზღვის სანაპირო ხმელეთად იქცევა და მისი ფართობი ყოველწლიურად იზრდება - „სტატისტიკა რიონის შესართავთან ხმელეთის მატებისა ასეთია 1804, 1892 წლებში ხმელეთმა საშუალოდ 9 მეტრი მოიმატა. 1870 წლიდან 1936 წლამდე ხმელეთმა 190 მეტრი მოიმატა ე.ი. ნამეტი წელიწადში დაახლოებით 3 მეტრს უდრის. მაგალითად ფოთის ციხე რომელიც ოსმალთა სულთანმა ააგო 1578 წელს ზედ ზღვის სანაპიროზე, 1858 წლისათვის დაშორებული იყო ზღვის ნაპირს 1,8 კმ-ით, ამ შემთხვევაში ხმელეთის მატებამ საშუალოდ 6,5 მეტრი შეადგინა წელიწადში... XIX ს. 60-იან წლებში ზედ ზღვის პირზე აგებული

შუქურა XX ს. დასაწყისში ნაპირს 2 ვერსზე იყო დაშორებული“ (ს. გვასალია, კრებული „ცოტნეიდელი“ II, 2008, გვ. 57).

მაშასადამე მდინარე რიონის წყალი თავისი სიმძიმის გამო არა თუ ზღვას ზედ მოექცევა და მასზე გაედინება, არამედ, პირიქით, ზღვის სანაპიროზევე ტოვებს თავის მძიმე სილა-შლამს, ანუ ზღვის წყალს ქვეშ მოექცევა. ამ მხრივ ფაზისი არ შეიძლება იყოს რიონი. მათი წყლები სხვადასხვა კუთრი წონისაა. ერთი მსუბუქია და მეორე მძიმე.

აქედან გამომდინარე, ერთი სასმელად ვარგისია, მეორე როგორც ითქვა უვარგისია. რიონის წყალს, ამის გამო, არავინ ინახავს სასმელად, და თუ მას რაიმე ჭურჭელში შევაგროვებთ არა თუ 10 წლის შემდეგ, 15-20 წუთის შემდეგ ჭურჭლის მესამედი სილა-შლამი იქნება. ფაზისის წყალი კი 10 წლის შემდეგაც კიდევ უფრო უკეთეს-უკეთესი ხდებოდა სასმელად და ის ტკბებოდა კიდეც. კოლოსალური განსხვავებაა, იმდენად, საკვირველია კიდეც როგორ შეიძლება ამ თვისებათა გამო რიონისა და ფაზისის გაიგივება.

ბერძნები სახელ „ფასისს“ უწოდებდნენ არა ყველა მდინარეს, არამედ მხოლოდ მას, რომელიც იყო სასმელად საუკეთესო. მსუბუქი იმდენად, რომ როგორც ზეთი ზემოდან მოექცეოდა ზღვას, რადგანაც ნ. ფოფხაძის კვლევით „ფასისი ჯერ კიდევ II ათასწლეულის ტექსტებში ეწოდებოდა წმიდა ზეთს, რომელიც იხმარებოდა მეფის ან სასულიერო პირის მიერ სხვა პიროვნების ზეთისცხების სახელმწიფოებრივი ღონისძიების დროს (იხ. სიტყვა „ფასისი“ გ. ფრიდრიხის ხეთურ-გერმანულ ლექსიკონში), ამიტომ ფასისია ის სუფთა მდინარე რომელიც წმიდა ზეთის მსგავსად შეერთების შემდეგ ზღვის წყალს არ შეერევა, მის თავზე მოექცევა ხოლმე (ნ. ფოფხაძე, კოლხეთის წარსულის ორიოდ საკითხი, კრებული, „ცოტნეიდელი“, II, 2008, გვ. 120). ჩანს, ამის გამო ბერძნებმა „ფასისი“ უწოდეს მრავალ ანკარა, სუფთა მდინარეს, მათ შორის ევფრატს სათავეში და ყუბანსაც კი. ფასისი - იყო „ღმერთი“ ოკეანესა და თეტისის შვილი ჰესიოდეს გენეალოგიის თანახმად, ამიტომაც იყო მდინარე ღვთაება. ბერძნული მითოლოგიით ფაზისი - „ღმერთია“, კონკრეტულად არის „მდინარე-ღვთაება“. ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ბერძნებს სახელი „ფაზისი “ ეწოდებინათ ამღვრეულ, სილა-ლამიან, სასმელად უვარგისი წყლისათვის, ფასისი - წმინდა, საამო გარემოში გამდინარე (და არა ჭაობებში) ნიავ-ქარიან (და არა მალარიით განთქმულ) არე-მარეს წყალია. ასეთი გარემო აქვს მთელ სიგრძეზე ჭოროხს - მთის საამო მდინარეა, რიონი კი ჭაობებში ჩაკარგული, ციებ-ცხელებით განთქმულ ვაკეზე მიედინებოდა შლამითა და სილით იყო გაჯერებული. I საუკუნის მწერალ პლუტარქეს გენეალოგიით ფასისი იყო ჰელიოსისა და ოკეანის ასულის ოკორეს ძე, ერთი სიტყვით ფასისი ბერძნული სამყაროს, ბერძნული აზროვნებისა და მითოლოგიის შთაგონების წყაროა, ისაა წმიდა მდინარე, სასმელად საუკეთესო, ასეთი კი არაა მდინარე რიონი. „ფ-ს“ ფუძე პ. ინგოროყვამ ქართულ სამყაროს დაუკავშირა, რაც შეიძლება მართალიც იყოს, აღსანიშნავია, რომ ქართული სამყაროს მდინარეები იყვნენ ევფრატი ზემოწელში, ჭოროხი, რიონი და ალბათ ყუბანისწყალიც. ასე, რომ ყველა მათგანს შეიძლებოდა ფასისი წოდებოდა, მაგრამ ჩვენი აზრით, ბერძნები ასეთ სახელს არ უწოდებდნენ ანუ „ღვთაება-მდინარედ“ არ მიიჩნევდნენ სილიან-შლამიან სასმელად უვარგის ჭაობის წყალს, არამედ სუფთას, წმინდას, კეთილ გარემოში მიმდინარეს - ასეთი კი მთის ანკარა მდინარეები იყო.

არიანე წერს: „ფასისის წყალი მსუბუქია, ზღვას ზედ ექცევა – ზეთივით“, მისი სათავე არმენიაშია

უფრო სრულად მოვიყვანოთ არიანეს ცნობა ფაზისის შესახებ - „მდინარეების წყლებს შორის ფაზისის წყალი უმსუბუქესია და ფერიც მეტად განსხვავებული. მის სიმსუბუქეს

შეიტყობს კაცი წონის გასინჯვით ან კიდევ იმით, რომ როდესაც იგი ზღვას ერთვის ზღვის წყალს ზედ მოექცევა, არ შეერევა, როგორც ჰომეროსი ამბობს, რომ „ტიტარესი პენეოსის წყლის ზემოთ მიმდინარეობს, როგორც ზეთი“ და როდესაც ზღვის ზემოდან ამოხაპავენ წყალს, მტკნარია ის, თუ ვინმე სიღრმეში ჩაუშვებს ჭურჭელს - მარილიანი... ფასისის წყალს ტყვიის თუ კალის ფერი გადაჰკრავს, მაგრამ რომ გააჩერებ, ძალიან წმინდა ხდება. ამიტომ ჩვეულებაა ასეთი, რომ ფაზისში შემსვლელებმა არ უნდა შეიტანონ იქ სხვა წყალი და შევლენ თუ არა მის კალაპოტში, ბრძანება იცემა, რომ ხომალდზე არსებული ძველი წყალი სულ გადაიღვაროს... ფასისის წყალი არ შმორდება, ათ წელზე მეტ ხანს გაუფუჭებელი რჩება, უფრო მეტადაც ტკბება“ (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, 1961, გვ. 38).

„მდ. ფასისი არმენიიდან მომდინარეობს. მის ახლოს ცხოვრობენ იბერიიდან არმენიაში გადასახლებული იბერიელები. მდინარის შესავლელთან, ფასისის მარცხენა ნაპირზე მოთავსებულია მილეტელთა მიერ დაარსებული ელინური ქალაქი ე.წ. ფაზისი, რომლშიც როგორც ამბობენ თავს იყრის 60 სხვადასხვა ერი...“ (ანონიმი, იქვე, გვ. 86).

არიანე წერს – „ფასისის ახლოს ცხოვრობენ იბერიიდან არმენიაში გადასახლებული იბერიელები“, თუკი ფაზისი რიონია, მაშინ არიანეს შესაბამისად გამოდის, რომ „რიონის მახლობლად ცხოვრობენ იბერიიდან არმენიაში გადასახლებული იბერიელები“. რიონთან რა უნდა არმენიას? მაგრამ ჭოროხი გადმოედინებოდა ქვეყნიდან, რომელიც რომაელებმა მცირე არმენიის სახელმწიფოებრივ ერთეულს მიაკუთვნეს. ამ ქვეყნის ეთნიკას ეხება არიანე.

სტრაბონი მდინარე ფასისის შესახებ

გამოკვლევის XIV თავში, რომელიც „არმენიას“ ეძღვნება, სტრაბონი წერს – ამ „ქვეყანაში ბევრი მდინარეა, განსაკუთრებით ცნობილია ფაზისი და ლიკოსი, რომლებიც პონტოს ზღვას ერთვიან (ერატოსთენე ლიკოსის მაგივრად ასახელებს თერმოდონტს, რაც არაა სწორი“) (სტრაბონი, XIV, 7) (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 190).

თუ რატომ ათავსებს მდინარე ფასისს (ანუ ჭოროხს) სტრაბონი არმენიაში იქვე თვითვე განმარტავს: „მოგვითხრობენ არმენიაზე, რომ პირველად ის პატარა ყოფილა... იმით გაზარდეს, რომ მეზობელ ხალხებს ჩამოაჭრეს ნაწილები... იბერებს (ჩამოაჭრეს) პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის“ (სტრაბონი, XIV, 5).

კლარჯეთი – ისტორიული ხორზენეს ერთ ნაწილად მიიჩნევა. მაშასადამე, ის ისტორიული იბერია იყო, რომელიც სტრაბონის ეპოქაში სომხეთში მოექცა, ამიტომაც შესაბამისად ცხადია, კლარჯეთის მდინარე ჭოროხი (ფაზისი) სტრაბონისათვის არმენიის ქვეყანაშია მოქცეული. ს. ჯანაშიას აზრით ხორძენე მოიცავდა გუმუშხანეს თემის აღმოსავლეთ ნაწილს (ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 93) – ეს კი ისტორიული კლარჯეთის რეგიონია. ყოველ შემთხვევაში საქართველოს ისტორიული ატლასის მიხედვით ხორძენე – კლარჯეთია. „საქართველოს სსრ ატლასი“ (1964), გვ. 245. რუკაზე „ხორძენა“ მოთავსებულია არტანუჯის რეგიონში და იქვე მიწერილია, რომ ესაა „კლარჯეთი“.

სხვაგან სტრაბონი წერს – „ხოლო დანარჩენი კოლხიდა მეტწილად ზღვასთან მდებარეობს: მომდინარეობს მასზე ფაზისი დიდი მდინარე, რომელსაც სათავე არმენიიდან

აქვს, რომელიც ღებულობს გლავკოსსა და ჰიპოსს, მახლობელი მთებიდან გამომდინარეთ. აღმა ცურვა შეიძლება შორაპანამდე, სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა. ფეხით, საურმე გზით 4 დღეში მიისვლება მტკვრამდე. ფაზისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი, გარშემორტყმული მდინარით, ტბითა და ზღვით“ (სტრაბონი, XI, II, 17. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 123). აქაც, ფასისი არმენიიდან მომდინარებს.

სტრაბონის სარაპანას მდებარეობა განსხვავდება პროკოფის სარაპანასაგან. სტრაბონის სარაპანა – მდ. ფასისზეა, ხოლო პროკოფისა – მაღალმთიანეთში. სტრაბონის სარაპანა უნდა იყოს ართვინი. ქალაქი ფაზისი კი უნდა იყოს თანამედროვე გონიო ან მისი მახლობელი პუნქტი. ცნობილი შლიმანი აქ აპირებდა არქეოლოგიური გათხრების დაწყებას ნებართვის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ჭოროხის ზღვასთან შერთვის ადგილას, მარცხენა სანაპიროზე ახლაცაა ტბები და ასევე (ერთი დიდი და რამდენიმე მცირე) ყოფილა ვეიდენბაუმის აღწერითაც. ამ ნიშნით (მარცხენა სანაპიროზე ტბა და ქალაქი) ჭოროხი მიემსგავსება ფაზისს. კავკასიის მთას უწოდებენ სპერ-არსიანის მთიანეთს, რომლის ერთ-ერთი უდიდესი მწვერვალია კარჩხალი, აქ იყო ჭოროხის აუზის ვრცელი ქართული ოლქი - ისტორიული „საკავკასიძეო“.

აგათიას მიხედვით მდ. ფასისი
მდ. ჭოროხია

მთისა და ბარის მდინარეებს ერთმანეთისაგან მკვეთრად განასხვავებენ, მთის მდინარეების სიჩქარე დიდია, გემრიელია და სუფთაა და აქვს შესაბამისი მახასიათებლები, ხოლო ბარის, მით უმეტეს, ჭაობის მდინარეები (ასეთია, მაგალითად, მდ. რიონი ქვემოწელში და ასევე ზღვის შესართავთან) არის მდორე, წყალი აქვს უგემური, ორგანოლეპტიკურად უვარგისი, წყლის სიჩქარე მცირეა, მას ზოგჯერ ფაქტიურად არ შეუძლია თავისი დინებით დაძრას ადგილიდან დიდი ნავი. როგორი მდინარეა ძველი ბერძენი ავტორების აღწერით მდ. ფასისი? ის მთის მდინარეა თუ ბარის (ჭაობის)? ძველი ბერძენი ავტორების აღწერით, მდ. ფასისი არის მთის მდინარე, მაგალითად ის ისე ჩქარი დინებით შედის ზღვაში, რომ მას დიდხანს არ ერევა, მისი წყალი ძალზე გემრიელია და იმდენად სუფთა, რომ ჭურჭელში შენახვის შემდეგაც დიდხანს არ ფუჭდება. იგივეს წერს აგათია სქოლასტიკოსი. მაგალითად, ის წერს, რომ ჭანების ტომი ცხოვრობს „ქალაქ ტრაპიზონის ქვემოთ, ევქსინის პონტოს სამხრეთით“ (გეორგიკა, III, გვ. 181), ეს ტომი თავს ესხმოდა მეზობელ მხარეებს და მათ შორის არმენიასაც, ამიტომ მათ წინააღმდეგ საომრად გაგზავნეს მათი თვისტომი თეოდორე – სამხედრო მეთაური თავისი ჯარით. „მეფემ მას დაავალა ეს საქმე. ის დაიძრა კოლხიდიდან დიდძალი ჯარით, ფასისს გადაღმა მოუარა დასავლეთით ჭანების საზღვრებს და უცბად შევიდა მტრის მაშინდელი მიწაწყლის შუაგულში. მან დაიბანაკა ქალაქ თეოდორიადისა და ეგრეთწოდებულ რიზეს გარშემო“ (გეორგიკა, III, გვ. 82).

აქედან ჩანს შემდეგი – ჭანების დამსჯელი სამხედრო რაზმი გამოვიდა კოლხეთიდან, მოუარა დასავლეთის მხრიდან ჭანეთის საზღვრებს და ეს დასავლეთის მხარე იყო ფასისის გადაღმა, ანუ ფაზისი იქვეა, რიზესთან ახლოს – მთებს იქით, იქიდან შემოუარა ჭანეთის საზღვრებს თეოდორემ. რიზესთან ახლოს კი ერთ მხარეს ზღვაა და მოპირდაპირე მხარეს მდ. ჭოროხი გაედინება – ესაა აგათია სქოლასტიკოსის ფაზისი.

დავუშვათ, ფასისი არის მდ. რიონი, ჭანეთის ადგილმდებარეობა კი ცნობილია – ტრაპიზონ-რიზესაკენ. დასავლეთ საქართველოდან რიზე-ტრაპიზონისაკენ მიმავალი ჯარი მდ. რიონს შემოუვლიდა ირგვლივ და ისე მივიდოდა ჭანეთში? ასეთი გზა იქნებოდა აბსურდული, ფასისი – რიზეს პირისპირაა, მთებში მას შემოუარა თეოდორემ და მივიდა რიზესთან, მაშასადამე ფაზისი – ჭოროხია და არა რიონი.

საერთოდ კი, ტრაპიზონისკენ მიდიოდა საცხენოსნო გზა, ხოლო ტრაპეზუნტიდან კონსტანტინოპოლამდე „სახელმწიფო ცხენებით“ მგზავრობდნენ მოხელეები. მენანდრე პროტიქტორი წერს: სტრატეგოსი ზემარქე ალანიიდან, დარინის გზით მივიდა აფსილიაში (ისე, რომ მისიმიელთა ქვეყანა მარცხნივ დარჩა), მივიდა როგატორიონში და შემდეგ ევქსინოს პონტომდე და მერე ნავებით მდ. ფასისამდე, შემდეგ ტრაპეზუნტში. აქედან სახელმწიფო ცხენებით ბიზანტიონში მივიდა მეფესთან (გეორგიკა, III, გვ. 237).

ალანიად აქ იგულისხმება შემდეგდროინდელი აფხაზეთი, რომელიც ე.წ. დარინის გზით უერთდებოდა აფსილიას ანუ სუფსის ხეობას (რიონის მარცხენა სანაპიროს ვაკეს). აქ ყოფილა პუნქტი როგატორიონი, საიდანაც გასულა ზღვის სანაპიროზე და იქედან ზღვით, ნავებით მიუცურავს ჭოროხამდე ანუ ფაზისამდე.

ფასისი მთის სწრაფი მდინარე რომაა და სწრაფი სიჩქარის მქონე, ამის შესახებ ვიტყობთ აგათია სქოლასტიკოსის ნაშრომიდან:

სპარსელი სარდალი მალულად მიიწევს ქ. ფაზისისკენ, მიადგება მდინარეს. ქ. ფასისთან ახლოს მდინარეს გადახერგავს ნავებითა და შეშებით (ე.ი. მდინარე არც იმდენად განიერია) ისე, რომ ბერძნების ოცდაათნიჩბიანი რამდენიმე ნავი და ტრიერები დარჩა მდინარის აღნიშნული ხერგილის ზემოთ. ეს რომ დაინახა მენავეების უფროსმა, „მაშინვე მოაბრუნა საჭე, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მოუსვა ნიჩბებს და გაბრუნდა უკან, თუმცა ძალიან გაუძნელდა ფაზისზე უკან გაცურვა და პირისპირ შებრძოლება მაგარ ტალღებთან, სპარსელებმა მაინც ორი ნავი ჩაიგდეს ხელში, მაგრამ უმეზღვაურებოდ. მეზღვაურებმა რომ დაინახეს მტერს ჩავუვარდებით ხელშიო, გაბედულად გადაეშვნენ ტალღებში... გადასჭრეს მდინარე ირიბად და ხმელეთით გასწიეს მეორე გზით, რათა მტერს არ შეჩეხებოდნენ და ჩავიდნენ იმ ქალაქში, ფაზისის სახელს რომ ატარებს“ (გეორგიკა, III, გვ. 100).

აქედან ჩანს, რომ ზღვის სანაპიროსთან ახლოს ქ. ფასისთან მდ. ფასისი არის იმდენად ჩქარი მთის მდინარე, რომ მის ტალღებთან ბრძოლა უჭირს 30-ნიჩბიანი ნავის 15 მეზღვაურს. „მაგარი ტალღების“ გამო ისინი მაინც ქვემოთ მიცურავდნენ. დიდი მცდელობის მიუხედავად, ამ უძლურობის გამო, მიატოვეს ნავი და წყალში გადახტნენ. ეს 30-ნიჩბიანი ცარიელი ნავი სპარსელებს ჩაუვარდათ ხელში, სპარსელებმა შიგ ჩასხეს თავიანთი მებრძოლები და რადგანაც დაღამდა კიდეც, მდინარეში ღუზა ჩაუშვეს და ნავებშივე დაიძინეს. აგათიას შემდეგი თხრობიდან ჩანს, რომ მდ. ფასისი ნამდვილად ჩქარი მთის მდინარე იყო ზღვის შესართავთანაც კი: „როგორც ზემოთ ვთქვი, რომაელთა ორი 30-ნიჩბიანი ნავი, ცარიელი სპარსელებმა იგდეს ხელთ. ეს 30-ნიჩბიანი ნავები მიდიელი ჰოპლიტებით იყო სავსე და მდინარეში იდგა ღუზაჩაშვებული და წვრილი თოკებით ნაპირას მიბმული. რომ დაღამდა, მეომრებმა ნავებში დაიძინეს, მაგრამ ძლიერი ტალღები წამოსულა და თოკები დაუჭიმია ტვირთის სიმძიმის გამო, ერთ ნავთაგანს მოულოდნელად თოკი გასწყვეტია, მოწყვეტილი და გათავისუფლებული ნავი ტალღას მოუტაცია და რადგან ტალღას ნიჩბებით არ უწევდნენ წინააღმდეგობას, ნავი სწრაფად გაექანა წინ და ხელში ჩაუვარდა რომაელებს“ (იქვე, გვ. 103). ე.ი. ფასისი სწრაფია. ასეთი კი ჭოროხია, ხოლო რიონი გაცილებით მდორეა. აქაც ფასისი – ჭოროხია.

თუ ფასისი ჭოროხია, მის სანაპიროებზე (მის ხეობაში) უნდა იყოს ყველა ის ცნო-

ბილი ქალაქი (ფასისი, როდოპოლისი, არქეოპოლისი), რომლებზეც ხშირად წერენ (მათ შორის მუხირისიც და კოტაისის ციხეც).

ჩვენ რომ ვეთანხმებოდეთ ს. ყაუხჩიშვილსა და საერთოდ, XX ს-ის II ნახევარის ქართული ოფიციალური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისს კოლხეთ-ლაზიკის მდებარეობის შესახებ, ცხადია, საკმაოდ რთულ შრომასაც არ გავწევდით და ამ საქმეს ხელახლა არ გამოვიკვლევდით, ამიტომაც, ჩვენ ს. ყაუხჩიშვილისაგან განსხვავებით, ვფიქრობთ, რომ კოლხეთ-ლაზიკა მდებარეობდა ჭოროხის ხეობაში, კერძოდ, მოიცავდა ჭოროხის ზღვისპირა შესართავ მხარეს (თანამედროვე სარფი-გონიო-ბათუმი და ა.შ.), ე.წ. ისტორიულ „ბოლო კლარჯეთისას“ ანუ ჭოროხის ზღვისპირა მხარეს მდ. აჭარისწყლის შესართავის ზემოთაც და აგრეთვე ჭოროხის ხეობას ართვინისკენ, აგრეთვე ისტორიულ კლარჯეთს – არტანუჯისწყლის ხეობას ვიდრე არსიანის ქედამდე. აქ ქ. არტანუჯზე X საუკუნემდეც და შემდგომაც, პორფიროგენეტის სიტყვითაც, გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზა, რომელიც არტანუჯს აკავშირებდა იბერიასთან, არმენიასთან და სირიასთან, ხოლო, თავის მხრივ, არტანუჯი აღნიშნული ჭოროხისპირა გზით (და თვით ჭოროხით) უერთდებოდა შავიზღვისპირა სავაჭრო პორტებს. აი, ამ საერთაშორისო სავაჭრო გზაზე მდებარეობდა ლაზიკა, ანუ ისტორიული ერგე, ლიგან, კლარჯეთი. როგორც ვთქვით, ლაზიკა 553 წლისთვის ორად იყო გაყოფილი. ფრონტის ხაზი სპარსეთ-ბიზანტიას შორის გადიოდა დაახლოებით იქ, სადაც მდ. აჭარისწყალი უერთდება მდ. ჭოროხს, ზღვის ზემოთ 20-30 კმ-ის მანძილზე (ეს ზომები, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ, გადმოცემული აქვს აგათია სქოლასტიკოსს).

ფრონტის ხაზი, ეტყობა, გადიოდა შავი ზღვის სანაპიროს პარალელურად. როგორც აგათიას მონათხრობიდან ჩანს, მერმეროემ სპარსელთა ჯარით ორჯერ შეუტია არქეოპოლისს და უკუქცეულ იქნა მუხირისსა და კოტაისის ციხეში. მაშასადამე, არქეოპოლისი ბერძნებისაა, მუხირისი და კოტაისის ციხე – სპარსელების, ეს პუნქტები ერთმანეთთან ახლოა, შემდეგ მერმეროემ გადაწყვიტა ბერძნების ხელში მყოფი სოფ. ტელეფისის ციხის ძნელსავალი ადგილების გავლით მიეღწია მდ. ფასისამდე. ტელეფისის ერთ მხარეს მიუდგომელი ციცაბოა, მეორე მხარეს კი ჭაობებია. მერმეროე მოულოდნელად მიადგა ტელეფისს, რომელიც ბერძნებმა მიატოვეს. ტელეფისიდან ზღვის მიმართულებით 7 სტადიონის მანძილზე იყო სოფელი ოლლარია, ბერძნულად „ქიტროპოლია“ (ქოთნების სავაჭრო), იმავე გზაზე მდებარეობს პუნქტი „ნესოსი“ (ნესოსი სულ 5 ფარსანგით არის დაშორებული ტელეფისს. იბერების და ლაზების ფარსანგი უდრიდა 21 სტადიონს) (გეორგიკა, III, 1936, გვ. 37).

„ნესოსი 150 სტადიონითაა დაშორებული ტელეფისს. ნესოსი გარშემორტყმულია მდინარეთა მორევებით. ფასისი და დოკონოსი ცალ-ცალკე ჩამომდინარეობენ კავკასიის მთებიდან. აქ კი უახლოვდებიან ერთმანეთს“ (გეორგიკა, III, გვ. 38).

თუ 1 სტადიონს დაახლოებით 178 მეტრად ჩავთვლით, სოფელი ნესოსი ტელეფისიდან დაშორებული ყოფილა 150X178 დაახლოებით 26,7 კმ-ით. ამდენითვეა დაშორებული ქ. ფასისიდანაც, ე.ი. ეს ქალაქები ერთმანეთთან ახლოს იყო. სოფ. ნესოსთან ეს ორი მდინარე ბერძნებს ერთმანეთისთვის შეუერთებიათ არხით. იქვე, მახლობლად, უერთდებოდა კიდეც ერთმანეთს ბუნებრივად ეს ორი ნაკადი – ჩემი აზრით, აჭარისწყალი (დოკონისი) და ჭოროხი (ფასისი). წერს კიდეც აგათია, „თავისთავად ერთვიან და ბოლოს ერთმანეთს შეერევიან“ (იქვე, გვ. 38). მერმეროემ მდ. ფასისზე თავისუფლად გადაიყვანა თავისი ჯარი (ე.ი. მდინარე ვიწროა, არაა ისე განიერი აქ, ზღვიდან დაახლოებით 27 კმ-ის დაშორებით, ხოლო რიონი ზღვიდან 27 კმ დაშორებით ძალზე განიერია). მან ხიდი გადო – ფიცრებით და ტივებით (გვ. 39).

საზოგადოდ ჯარის, და განსაკუთრებით კი დიდი ჯარის ხიდზე გადასვლა, სახიფათო იყო, სწორედ ამ დროს ესხმოდა მას მოწინააღმდეგე. მით უმეტეს, რომ ხიდი სახელდახელო იყო – ტივებით და ფიცრებით გადებული, ამიტომაც მერმეროეს საგანგებოდ დაუცავს თავისი ჯარი, როგორც ჩანს, იქვე მდგომი ციხის – ონოგურისის მეციხოვნეთა მეშვეობით. აგათია წერს: „თავისუფლად გადაიყვანა მთელი ჯარი, რომ არავის აღმოუჩენია დაბრკოლება“ (გეორგიკა, III, გვ. 40). და იქვე განაგრძობს თხრობას ონოგურისის ციხის შესახებ. ონოგურისი ყოფილა თითქმის ერთი ნაწილი არქეოპოლისის გარეუბნისა, ასე რომ, არქეოპოლისი ბერძნების ხელში მყოფი და ონოგურისი სპარსელებისა, ახლო იყვნენ აღნიშნულ სახელდახელო ხიდთან. 554 წელს ბიზანტიელებმა შეუტიეს ონოგურისს (გეორგიკა, III, გვ. 52).

მალე ბერძნებმა შეიტყვეს, რომ იბერიიდან მოდიოდა მერმეროეს შემცვლელი სპარსელი სარდალი ნახორაგანი. ჩანს, ისინი ფასისის ანუ ჭოროხის ხეობაში შევიდნენ არტაანიდან (ე.ი. იბერიიდან) ართვინის გავლით. ონოგურისის ციხესთან ბერძნები დამარცხდნენ, უკუიქცნენ და ბევრი დაიღუპა მდ. კათარისწყლის ხიდის გადალახვისას. აგათია წერს – „ორმოცდაათი ათასი კარგი მებრძოლი გაექცა სამი ათას სპარსელს“ (გვ. 62), მიაჩნია, რომ ეს იყო ღვთის რისხვა ლაზთა მეფის მოკვლის გამო.

ნახორაგანმა წაიყვანა 60 000 სპარსი ჯარისკაცი ბიზანტიელების მიერ დაკავებული ნესოსის ასაღებად (ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავთან). აქ იდგნენ ბერძენთა სარდლები დაქირავებული ჰუნი საბირების ტომის მეომრებით. იქვე ახლოს არქეოპოლისის დაბლობების მახლობლად იყო მათი ძირითადი ბანაკები – ასე ჩანს აგათიას მონათხრობიდან (გეორგიკა, III, გვ. 91). აქ აპირებდნენ გავლას სპარსელები. მალე ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ სპარსელი და რომაელი სპასალარები – არა ომის ველზე, არამედ თავდაპირველად მოსალაპარაკებლად. ნახორაგანმა მარტინეს შესთავაზა – „დატოვე ეს ადგილები და გადადი შენი ჯარითურთ ტრაპეზუნტში, პონტოს ქალაქში“ (იქვე, გვ. 96). აქედან ჩანს, რომ ამ ადგილების ახლო პონტოს პროვინციაა. ეს ნიშნავს, რომ ომი იყო პონტოს მეზობლად ერგე-ლიგანში, კლარჯეთის ბოლოს და არა რიონის პირას.

მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ ნახორაგანმა ჯარი წაიყვანა ქ. ფასისიკენ – ნესოსიდან 26-27 კმ. მანძილზე.

აგათიას სიტყვით, მდ. ფასისი ძალზე ახლოს ჩამოუდის ქალაქს და ქალაქთან ერთვის ზღვას. „ნესოსს სულ დიდი ექვსი ფარსანგით არის დაშორებული“ (გეორგიკა, III, გვ. 97). „მდინარე ჩრდილოეთის მხრიდან ჩამოუდის ქალაქს“ (გვ. 98). მტერი მას სამხრეთიდან უნდა მიდგომოდა, რისთვისაც მდინარე გადაკვეთეს. ქ. ფასისთან ახლოს სამხრეთით იყო „ქრისტიანთა შორის განთქმული ტაძარი“ (გეორგიკა, III, გვ. 113). აქ ილოცა ბერძენთა ჯარის მეთაურმა და მტერი საოცრად დაამარცხა. სპარსელები უკან მუხირისში დაბრუნდნენ. ბიზანტიელებმა სპარსელთა ხელში მყოფი ქ. როდოპოლისი აიღეს. კოტაისი სპარსელებს დარჩათ. ამით ამთავრებს აგათია_თავის თხრობას, რომლიდანაც ჩანს, რომ აღნიშნული ქალაქები ახლოს იყვნენ ერთმანეთთან და ერთიან ურბანისტულ სივრცეს ქმნიდნენ. 562 წელს დაიდო ე.წ. ორმოცდაათწლიანი ზავი, რომელზეც სადავო იყო სვანეთის საკითხი.

საერთოდ, სვანეთი, ბერძენი ავტორების ცნობებით, იყო მნიშვნელოვანი ქვეყანა, რომლისთვისაც ორი იმპერია ერთმანეთს საუკუნის მანძილზე ედავებოდა. თანამედროვე ისტორიკოსთა შრომებში სვანეთის ქვეყანა თითქმის არ ჩანს, მაშინ, როცა მას უნდა სჭეროდა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. სად იყო სვანეთი? ცხადია, თანამედროვე ორი მთიანი რაიონი კი არ იყო ის, არამედ დასავლეთ საქართველოს ძალზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი VI საუკუნისთვის.

სხვადასხვა ავტორთა ცნობები ფასისის სათავის შესახებ

მდ. ფასისის სათავე – არმენია

მაქსიმე ბერძნიშვილმა გამოიკვლია, რომ ძველ ავტორთა უმრავლესობა მდ. ფასისის სათავეს არმენიაში ათავსებს. ის წერს – „შევჩერდეთ იმ მწერლებზე, ვინც ფასისის სათავედ არმენიის მთებს თვლიდა. ამათში უწინარესად უნდა დავასახელოთ ერატოსთენე (III-II სს. ძვ. წ. მწერალი)... თვითონ სტრაბონი, რომელიც სამ ადგილას მაინც ლაპარაკობს ფასისის სათავეზე, ორჯერ იგი გარკვევით ასახელებს არმენიას (წიგნი XI, I, 17 და XI, XIV, 7). მესამეჯერ კი ამ საგანზე ამბობს იბერიაში კოლხეთიდან გადასავალ გზასთან დაკავშირებით (XI,III,4)... აქ სტრაბონი აგვიწერს სარაპანის აღმოსავლეთით მდებარე და იბერიისაკენ მიმავალ გზას, რომელიც, მისი სიტყვით, მიიმართება სარაპანის მეზობელი ხეობით. ამ ხეობაზეო, – განაგრძობს იგი, – გზა გასავალია, ვინაიდან ფასისზე 120 ხიდია გაკეთებულიო და სწორედ აქ დასძენს, რომ იგი (ე.ი. ფასისი) სათავეს იღებს ზემდებარე მთებშიო. რადგან ავტორს ლაპარაკი აქვს იბერიაზე, ამიტომაც კონტექსტით აშკარად ჩანს, რომ აქ იგი გულისხმობს იბერიას და მის თავზე მდებარე მთებს“ (მ. ბერძნიშვილი, ქ. ფასისის ისტორიისთვის, 1969, გვ. 95) – „სტრაბონის ცნობას ფასისის არმენიიდან მომდინარეობის შესახებ იმეორებს სტრაბონისეული ქრესტომათიის ავტორიც, აგრეთვე დიონისე (II ს.), არისციანე (V-VI სს), სტეფანე ბიზანტიელი (VI ს.), ესტატე თესალონიკელი (XII ს.)“ (იქვე, გვ. 95).

ამარანტოს მთები – „არიან ანტიკურ მწერლებში ისეთნიც, რომელთაც მდ. ფასისის სათავედ მიაჩნიათ ამარანტოს მთები. პირველი, ვინც ამარანტოს მთებს უკავშირებდა ფასისის სათავეს, იყო აპოლონიოს როდოსელი. ის თავის „არგონავტიკაში“ ორჯერ ასახელებს ფასისის ამ მთებიდან მომდინარეობას (II,399; III, 1220)... მისი სქოლასტი გადმოგვცემს, რომ ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის გრამატიკოსის ჰეროდიანეს სიტყვით, ამარანტო ქალაქია პონტოში. მეორე ადგილას კი წერს – „ამარანტოი – ეს ბარბაროსული ტომია კოლხებს ზემოთ, ხმელეთზე. აქედან გამომდინარეობენ ფასისის წყაროები – ან ეს მთაა კოლხეთში, ამარანტიონად წოდებული, საიდანაც ჩამოდის ფასისი“ (იქვე, გვ. 96). ამარანტო მიაჩნია ფასისის სათავედ ასევე ძვ.წ,. V-IV საუკუნეების ავტორს კტეზია კნიდოსელს (იქვე, გვ. 95). ამარტანოს მთები იგივე მოსხის ანუ მესხეთის მთებია – სპერში.

მესხეთის მთები – „პლინიუსი (გარდ. ახ.წ. 79 წელს) და იული სოლონი (ახ.წ. III ს.) მდ. ფაზისის სათავედ მიიჩნევენ მოსხების, ანუ მესხების (მესხეთის) მთებს. პირველი ამათგანი აღნიშნავს, რომ „ფაზისი სათავეს იღებს მოსხების სამფლობელოებში“, ხოლო მეორე წერს სურათოვნად „მოსხიის მთები გადმოანთხევენ ფაზისს“ (იქვე, გვ. 96). ვახუშტის კვლევით „მოსხის“ (მესხეთის) მთები სპერ-არზრუმის რაიონშია.

კავკასიის მთები – არისტოტელე (382-322) წერს – „კავკასიიდან სხვა მრავალ (რაოდენობით და სიდიდით) განთქმულ მდინარეებს გარდა, მოდის ფაზისი“ (იქვე, გვ. 97). წმიდა ბასილი დიდი (IV.) აღნიშნავს – „ფაზისი გამომდინარე კავკასიონის მთებიდან“. წმ. ამბროსი მედიოლანუმელი ამბობს – „ფაზისი გამოედინება ჩრდილოეთის მხრით კავკასიის მთებიდან და სხვებთან ერთად ერთვის ევქსინის ზღვას“. ამავე აზრს იმეორებს იულიუს ჰონორი (V ს.) – „ფაზისი სათავეს იღებს ველში, კავკასიის მთის ძირში, უერთდება

პონტოს ზღვას, მომდინარეობს 805 მილი“ (იქვე, გვ. 97).. პროკოფი კესარიელი წერს – „ფაზისი მდინარეა, კავკასიის მთებიდან ჩამოედინება“ (იქვე, გვ. 89).

წმ. ამბროსი მედიოლანუმელი გასაგებად წერს, რომ „ფაზისი გამოედინება ჩრდილოეთის მხრით კავკასიის მთებიდან", მაშასადამე ჯერ კავკასიის მთებია და მისგან გამომდინარე ფაზისი ჩრდილოეთით მიემართება-„გამოედინება ჩრთილოეთის მხრით". ე.ი. ფაზისი სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიედინება. რომელი მდინარე მიემართება კავკასიაში ასე-სამხრეთიდან ჩრდილოეთით? ასეთია მხოლოდ ჭოროხი, ის გამოედინება მცირე კავკასიის ჩრდილო ფერდებიდან და მიემართება ჩრდილოეთით, ასე დის რამენიმე ასეული კილომეტრი და მხოლოდ შემდეგ უხვევს დასავლეთისაკენ. რიონი კი გამოედინება დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდიდან და დის არა ჩრდილოეთის მიმართულებით, არამედ დასავლეთითა და სამხრეთით. მაშასადამე ცნობილი ავტორები „კავკასიის მთებს" უწოდებენ მცირე კავკასიის მთიანეთს-სპერ-ჭანეთის მხარეს, რომელიც ყოველთვის ქართული ტომებით იყო დასახლებული.

პროკოფი კესარიელი ფასისის შესახებ

ჭოროხი კავკასორთან (პროკოფის კავკასია, საკავკასიძეო, კავკასორი)

პროკოფი კესარიელი მდ. ფაზისთან დაკავშირებით ახსენებს სიტყვა კავკასიას. ის წერს, რომ არმენიის მთებიდან გამომავალი ფაზისი კავკასიის მთასთან მკვეთრად უხვევს მარცხნივ. ჩვენი კვლევით „კავკასიის მთის“ ქვეშ პროკოფი გულისხმობს კარჩხალის მთას, რომელიც აიძულებს მდინარე ჭოროხს მკვეთრად მოუხვიოს მარცხნივ.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენ არ გვხვდება ტოპონიმი „კავკასია“. ეს სახელი საერთოდ უცხოდ აღიქმება იქაურ მცხოვრებთათვის, მაგრამ განსხვავებული ვითარებაა მესხეთ-ლიგანში - ჭოროხის აუზის მხარეებში, აქ ისტორიულად არსებობდა ვრცელი ოლქი „საკავკასიძეო“, რომელიც მნიშვნელოვანი რეგიონი იყო საქართველოსათვის.

აღმოჩნდა სწორედ კარჩხლის მთის რაიონში, ე.ი. ლიგანის (ლივანის) ხეობაში ტოპონიმი „კავკასორი“ ამჟამად ცოცხალია და ხალხურ მეტყველებაშია ასახული.

„კავკასორი“ არის ადგილის სახელი ართვინიდან რვა კილომეტრის დაშორებით (რ. მალაყმაძე, ლიგანის ხეობა, 2008, გვ. 139)-კარჩხალის მთაზე.

კარჩხალის მთა ახლოა ლიგანთან, სადაც, როგორც ითქვა, ერთ-ერთი ადგილის სახელია „კავკასორი“. უნდა ვიფიქროთ, რომ პროკოფის დროს კავკასიის მთის სახელის მქონე მასივი, რომელიც აიძულებდა ფასისს მარცხრივ გაეხვია, არის კარჩხალის მთა ჭოროხის ხეობაში. სწორედ მისი მწვერვალის სახელია –კავკასორი. ინტერნეტში დადებულია ამ მწვერვალ „კავკასორის" მრავალი ხედი, აქ ხალხი იკრიბება სადღესასწაულოდ და ცნობილი ადგილია, აქ იმართება ე.წ. „კავკასორის ფესტივალი". ეს მთა იმითაა აღსანიშნავი, რომ მის ფერდთან სამხრეთიდან მომდინარე ჭოროხი მკვეთრად უხვევს დასავლეთისაკენ, ისე, როგორც წერს ფასისის შესახებ პროკოფი.

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ჭოროხის ხეობაში დღესაც ზოგიერთი ტოპონიმი ემსგავსება პროკოფის მიერ მოხმობილ სახელებს, მაგალითად, მისი „ქუთათისი“ შესაძლოა არეკლილი იყოს თანამედროვე უბნის სახელში „ქუთურეთი“, რომელიც მარადიდთან მდებარეობს. არც თუ მოშორებით სოფელ შოუბანთან ახლოს ჩაედინება მდინარე

„კატაფხიას წყალი“ (ჭოროხის მარჯვენა შენაკადი). ამ სიტყვაშიც გვაქვს ძირი „კატ“, რაც მსგავსია „ქუთ“ „კუტ“ ძირისა, რომელსაც პროკოფი ხმარობს. აქვე, მის მეზობლადაა „კლასკურის წყალი“, შეუძლებელია მისი სახელი არ მივამსგავსოთ პროკოფის მიერ ნახსენებ „კლისურას“.

ფასისი

ჭოროხს სათავეში ერქვა „აკამფსისი“, შუა წელს ბოასი ვიდრე იმერხევის შესართავამდე, მდ. იმერხევიდან ჭოროხს ერქვა „ფასისი“, ანუ ერთ მდინარეს სხვადასხვა მონაკვეთებში ერქვა სხვადასხვა სახელი (აკამფსისი, ბოასი და ფასისი). ამიტომ პროკოფი როცა წერს – ხოსრომ გადალახა ბოასი და მოექცა ფასისის მარცხნივ ნიშნავს იმას, რომ ხოსრომ გადალახა ჭოროხი, შემდეგ გააგრძელა გზა პეტრასაკენ ჭოროხის მარცხენა სანაპიროთი, მაგრამ ამ მონაკვეთზე ჭოროხს უკვე ერქვა – ფასისი, ე.ი. ფასისი მის მარჯვნივ მოექცა.

მდ. ფასისი სწრაფია

„ამ მდინარეს სიღრმე აქვს სხვებზე არა ნაკლები, სიგანით დიდ მანძილზეა გადაჭიმული. სისწრაფეც მას ისეთი აქვს, რომ ზღვაში ჩასული ის კარგა მანძილზე ცალკე მიმდინარეობს ისე, რომ მას არ უერთდება, ამიტომ იქ მენაოსნეთათვის მოსახერხებელია შუა ზღვაში მიიღონ სასმელი წყალი“ – წერს პროკოფი კესარიელი (გეორგიკა, II, გვ. 113). მდ. ფასისის სიჩქარისა და სისწრაფის შესახებ იგივეს წერს არიანეც, ის ასევე აღწერს შავ ზღვაში შერთული ფასისის წყლის ცალკე მდინარებას (ფლ. არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 37-38).

პროკოფი სხვაგანაც წერს, რომ ფასისი, სათავეში ბოასად, ხოლო ადგილობრივი მკვიდრების მიერ აკამფსისად წოდებული, ზღვას უერთდება ძალზე დიდი სიჩქარით: „მისი დამორჩილება ზღვასთან შეერთების ადგილას შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ისეთი სისწრაფითა და სიმწვავით უერთდება და ისეთი დიდი ხმაურობით მიიწევს წინ, რომ ზღვის კარგა მოშორებით მომდინარეც შეუძლებელს ქმნის ზღვაში შეცურვას. ასე რომ, პონტოს ამ ადგილას მცურავნი ვერც შიგ ლაზიკეში ახერხებენ შენავებას (ნავით შეცურვას) და ვერც იქიდან გამოსვლას და ვერც ახლოს გაცურვას, ვინაიდან არსად არ შეუძლიათ დაიმორჩილონ წყლის მდინარება, არამედ შორს უნდა გავიდნენ ზღვაში, სადმე შუა პონტოში მივიდნენ და ისე აიცდინონ მდინარის შესართავი. აი, რაც მინდოდა მეთქვა ბოასის შესახებ“ (გეორგიკა, II, გვ. 123).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ შესართავთან რიონი არა თუ სწრაფი, არამედ ძალზე მდორე მდინარეა. ამ ნიშნით -შესართავთან სისწრაფით-ჭოროხი უფრო მიაგავს ფასისს.

ფასისი და ბოასი

პროკოფი კესარიელის სიტყვით, მდინარე ფასისი გამოედინება ჭანეთის ქვეყნიდან. ის წერს - „არმენიის მოსაზღვრედ ცხოვრობენ ჭანები, მთაგორიან ქვეყანაში, საიდანაც გამოედინება ფასისი“ (გეორგიკა, 2, 1965, გვ. 53). სათავეში მდ. ფასისს ბოასსაც უწოდებდნენ, პროკოფი მის შესახებ წერს, რომ მდ. ბოასი ჭანებისა და პერსარმენელების მეზობლად გამოედინება (იქვე, გვ. 60). ეს მდინარე (ბოასი) ჭანეთის მთებიდან გამოსვლის შემდეგ წყალმცირეა, მის მარჯვნივ იბერიაა, პირისპირ კი კავკასიის მთა. „კავკასიას“

უცხოელები ქართულ ქვეყანა „საკავკასიძეოს“, ანუ მცირე კავკასიას უწოდებდნენ. კერძოდ ბერძნები თავიანთი მოგზაურობის დროს ჯერ სამხრეთ კავკასიის მთიანეთს ხვდებოდნენ. ბოასი თუ ჭოროხია, მის მარჯვნივ ნამდვილად იყო მესხეთის ქვეყანა, კერძოდ კი არტაანი (ეს იყო იბერია), ხოლო მის წინ აღმართული იყო კარჩხლის ქედი (ეს იყო ბერძნებისთვის კავკასია), სადაც ბოასი უკვე წყალუხვი ხდებოდა და სახელიც ეცვლებოდა - მას უკვე ფასისად მოიხსენიებდნენ. პროკოფი წერს - „ის იზრდება ძალიან და ნაცვლად ბოასისა, ამიერიდან ფასისად წოდებული განაგრძობს მდინარებას“ (იქვე, გვ. 100).

ფასისი ჭოროხია ექვთიმე მთაწმინდელის თვალსაზრისით

ისტორიკოსებისათვის ცნობილია, რომ ძველ ქართველ მთარგმნელებს, საქართველოს ეკლესიის წმიდა მამებს „ფასისი“ ჭოროხად აქვთ გადმოცემული, რასაც მიუთითებს ს. ჯანაშია (ს. ჯანაშია, შრომები, VI, გვ. 254). მართლაც, ექვთიმე მთაწმიდელი წმიდა მოციქულის ანდრიას ცხოვრების აღმწერელი ბერძნული ტექსტის თარგმნისას სიტყვა „ფასისს“ ჭოროხს უფარდებს. მაგალითად შესაბამისი ადგილი ასე თარგმნეს - „ხოლო დიდებული ანდრეა სხვათა მათ თანა მოვიდოდეს ქალაქით-ქალაქად და სოფლითი-სოფლად, ასწავებდეს ერთა და იქმოდეს სასწაულთა და ესრეთ მოიწინეს ქვეყანად ქართლისა და ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა დაუცხრომლად ქადაგებდეს სახელსა ღმრთისასა“ (მიმოსვლა ანდრია მოციქულისა, 2008, გვ. 189).

ექვთიმე მთაწმინდელს „იბერია“ გადმოაქვს ვითარცა - „ქართლი“, „აბაზგია“ - აფხაზეთი, „ალანიკე“ - „ოვსეთი“, „ლაზიკე“ - სოფელი მეგრელთა ანდა სამეგრელო, ამ წყებაშია სიტყვა „ფასისი“, რომელიც ითარგმნა - ჭოროხად (იქვე, გვ. 108).

ნაოსნობა ჭოროხზე გ. ყაზბეგის მიხედვით

თავისი დროის გამოჩენილმა მკვლევარმა გიორგი ყაზბეგმა XIX ს-ის 70-იან წლებში რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების დავალებით იმოგზაურა და გამოწვლილვით აღწერა „თურქეთის საქართველო“ ანუ კლარჯეთ-ლაზეთი. მან საკუთარი თვალით იხილა ჭოროხზე ნაოსნობა.

ჭოროხზე მისი ცნობით დაცურავდა 80 ნავი. „ართვინის ხიდის ქვეშ აქაური ნავების მისადგომია. ეს ნავები ვენეციურ გონდოლებს წააგავს და წაბლის ხისგან მზადდება. მათ ბრტყელი ფსკერი აქვთ, სიგრძე 25 ნაბიჯია, სიგანე სამი ნაბიჯი. ნავების ეს ფორმა გამოცდილებით გამომუშავდა და ძველი კოლხეთის დროიდან მოდის. ძველ მწერლებს აღწერილი აქვთ ეს ნავები, ახალი მეცნიერებიც ამას ეყრდნობიან და ასკვნიან, რომ ფასისი რიონი კი არა, ჭოროხია. როგორადაც არ უნდა იყოს, ამ ძველმა მონაპოვარმა კარგი სამსახური გაგვიწია - 2,5 საათში ჩვენ გავიარეთ თითქმის 30 ვერსი ართვინიდან ბორჩხამდე, მაშინ, როცა ძველი გზით გაგზავნილებმა ჩვენმა საპალნეებმა 9 საათი დაჰყვეს. ართვინის ხიდთან წყლის სიჩქარე 1 წუთში 200 ნაბიჯს

უდრის ...წყლის დინების ნებაზე მიშვებული ნავი საათში 8 ვერსს გაივლის, მაგრამ სამი ხოფის ძალით ეს სიჩქარე მნიშვნელოვნად იზრდება... ჭოროხის ლოცმანები იმდენად დახელოვნებულები არიან, რომ მათ სრულიად შეიძლება ენდოთ. ისინი ნავში 200 ფუთამდე ტვირთს ათავსებენ და თითქოს ცარიელიაო ისე მიჰყავთ ფარვატერის ზიგზაგებში. გამოუცდელი თვალისათვის გაუგებარია, როგორ შეიძლება მძიმედ დატვირთული ნავი ასეთ წინაღობებში, კლდეებს შორის გაატარო... უბედური შემთხვევები თითქმის არ გვხვდება და ეს არის ართვინელი მენავეების საუკეთესო რეკომენდაცია“ (გიორგი ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, 1995, გვ. 114).

გიორგი ყაზბეგის აზრით, ართვინიდან ბათუმამდე ნავით მგზავრობას ესაჭიროებოდა 4-5 საათი, თუმცა იქვე ეთანხმება ერთ-ერთი ევროპელი მეცნიერის თვალსაზრისს, რომ ამისათვის საჭიროა 9 საათი (იქვე, გვ. 154). მაგრამ უკან დაბრუნებისათვის ბათუმიდან ართვინში, ნავებს ესაჭიროებოდათ 4 ანდა ზოგჯერ 5 დღე - „ამ შემთხვევაში ბათუმში დატვირთული ნავები დინების საპირისპიროდ საჭაპანო ლაფეტებით მიაქვთ“. ჭოროხის სამდინარო-სანაოსნო გზას XIX ს-შიც არ დაუკარგავს თავისი საერთაშორისო სავაჭრო მნიშვნელობა. გ. ყაზბეგი წერს - „მეორე წელია, რაც ინგლისელი ვაჭრების კომპანიამ დაიწყო ყარსის და შავშეთის პურის შესყიდვა და ბათუმში ტვირთის ჭოროხის გზით გაგზავნა“ (გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, 1995, გვ. 115).

ინგლისელი ვაჭრები პურის მარცვალს ყიდულობდნენ ძირითადად ყარსის ოლქში, იქედან სახმელეთო გზით გადაჰქონდათ ქ. ართვინამდე, აქედან კი უკვე სამდინარო გზით, ანუ ჭოროხის ნავებით ჩაჰქონდათ ბათუმში - „ართვინამდე პურის დიდი ნაწილი ქურთებს გადმოაქვთ საპალნე ჯორებითა და ცხენებით, შემდეგ კი ნავებით მიაცურებენ. მიმდინარე 1874 წელს ერთი კომპანიის აგენტმა ართვინიდან (ბათუმში ჭოროხის გზით) - 44 ათასი ფუთი ხორბალი გაგზავნა. ყარსიდან ბათუმამდე ერთი ფუთი ხორბლის ჩატანა მის ფასთან ერთად ერთი მანეთი ჯდება“ (იქვე, გვ. 115).

XIX ს-ში ქ. რიბინსკში (რუსეთი) ყოფილა პურით ვაჭრობის ცენტრი. გ. ყაზბეგი ართვინს ამ მნიშვნელობით ადარებს რიბინსკს და მიაჩნია, რომ „ართვინს პურით ვაჭრობაში რუსეთის რიბინსკის მნიშვნელობა აქვს“ (იქვე, გვ. 115). პურით ვაჭრობის გარდა, ართვინიდან ასევე სამდინარო გზით ბათუმში გადაჰქონდათ რეგიონის ხილი, განსაკუთრებით კი ზეთისხილი. ამასთანავე, ამავე ჭოროხის გზით ნავებით ეზიდებოდნენ ბათუმისაკენ დახერხილ ხე-ტყის მასალასა და ასევე მეთუნეობის ნაწარმს - აგურსა და კრამიტს - „ართვინიდან ბორჩხამდე ჭოროხი მიედინება კლდოვან კედლებს შორის, რომელთა გვერდით მოჩანს კარგი ტყეები და მრავალი სოფელი. მდინარის ნაპირზე ჩვენ დავთვალეთ 6 სახერხი და 6 აგურ-კრამიტის და ერთი კირის ქარხანა. ამ მასალების მთელ მარაგს ბათუმი ლიგანიდან ღებულობს“ (გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. გვ. 116).

ჭოროხის სამდინარო გზაზე გაჩაღებული საერთაშორისო ვაჭრობის გამო, მთელი ადგილობრივი მოსახლეობა - ჭოროხის სანაპირო ქალაქების - ართვინისა და ბორჩხას მცხოვრებნი - ფაქტიურად მხოლოდ მენავეობას მისდევდნენ. არ ამუშავებდნენ მიწას, არ მოჰყავდათ მოსავალი, ამასთანავე არც მეცხოველეობას მისდევდნენ, ისინი ოჯახებს მხოლოდ მენავეობით არჩენდნენ - გ. ყაზბეგი წერს ქ. ბორჩხასთან დაკავშირებით:

„რქიანი პირტყვი და ცხენი აქ სულ არ არის. ყველა მცხოვრები ნავთმშენებლობას, მენავეობას და თიხის ჭურჭლის დამზადებას მისდევს. მცხოვრებთაგან არავინ თესავს და მკის, რის გამოც პურის მთელ მარაგს ფულით ყიდულობენ. ყველა ოჯახს აქვს თავისი ნავი, რომელიც პირუტყვს ცვლის“ (იქვე, გვ. 116).

გ. ყაზბეგი ეთანხმება აზრს, რომ ართვინიდან ბათუმამდე სამდინარო გზით არის 82

ვერსი. ჭოროხის სიგანე აჭარისწყლის ქვემოთ წყალდიდობის დროს 400-მდე ნაბიჯია (იქვე, გვ. 254).

სანაოსნო მდინარე ჭოროხი (ფასისი) დ. ბაქრაძის მიხედვით

საბჭოთა ეპოქის მკვლევარების მტკიცებით მდ. ჭოროხი არ იყო სანაოსნო, რადგანაც „ჭოროხი მიუწვდომელი იყო ზღვიდან ნავის შესაცურებლად" (ო. ლორთქიფანიძე „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“, 1986, გვ. 46). ჩვენი არქეოლოგები და ისტორიკოსები დარწმუნებით წერენ, რომ ჭოროხი არ იყო სანაოსნო და თითქოსდა მხოლოდ რიონი იყო ასეთი (ე.ი.სანაოსნო). ეს არის მნიშვნელოვანი შეცდომა, რომელიც უკან სწევს ლაზიკის შესწავლის საქმეს. სინამდვილეს მეცნიერული სიღრმით გვამცნობენ გამოჩენილი მკვლევარები.

დ. ბაქრაძე წიგნში „მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ (1987 წ.) წერს: „ბათუმიდან ოთხ-ხუთ ვერსზე გაედინება მდინარე ჭოროხი. ის არის მდორე და უხმო. მასზე აღმა-დაღმა მიმოდიან დატვირთული ნავები. მდინარე ჭოროხის მარჯვენა ნაპირს მიჰყვება ლაზისტანში ყველაზე საუკეთესო გზა. ეს გზა დოლოგნის ქვემოთ გადადის ჭოროხის მარცხენა ნაპირზე და გასდევს მდინარე ჭოროხს მარადიდამდე და გადავა კვლავ მარჯვენა ნაპირზე, გაივლის სოფ. ბორჩხას და შედის ქალაქ ართვინში, შემდეგ ქალაქ ბაიბურთში, შემდეგ შეუერთდება დიდ შარაგზას, რომელიც აერთებს არზრუმსა და ყარსს ერთმანეთთან.

მდინარე ჭოროხი სათავეს იღებს მთებში ლაზისტანსა და არზრუმის საფაშოების საზღვარზე. ჭოროხის აუზი ქმნის უზარმაზარ ტაფობს, რომელიც ყოველი მხრიდან შემოზღუდულია მაღალი ჭიუხებით.

ჭოროხის ყველაზე მნიშვნელოვანი შენაკადები მარჯვენა მხრიდან არის თორთომისწყალი, ოლთისწყალი, არტანუჯისწყალი, აჭარისწყალი და სხვები. მდინარე ჭოროხი მნიშვნელოვანი სანაოსნო არტერიაა. მასზე ართვინისა და ზღვის შესართავშივე დაცურავს ორასამდე ბრტყელძირა ნავი ანუ კაიუკი. ნაოსნობა მთელ წელიწადს შეიძლება, გარდა გაზაფხულისა, როცა დინება ძალზე სწრაფია. ნავები ახლომახლო მცხოვრებთ ეკუთვნით. აკეთებენ ნაძვის ან ფიჭვის ხისაგან, ღირს 1500 ყურუში. ნავის სიგრძე 50 ფუტია, განი 4-5 ფუტი. ჭოროხზე ნავებით ასვლა ზღვის შესართავიდან ბორჩხამდე 3-4 დღეში შეიძლება, ხოლო ქვევით ზღვამდე ნავით მგზავრობა შეიძლება 8-10 საათი. ერთი ნავი იტევს 300 ბათმანამდე ტვირთს. ამ ნავებით ეზიდებიან ყოველ ადგილობრივ ნაწარმს – ერბოს, ხილს, ტყავს, დახერხილ ფიცრებს, თიხის ჭურჭელს, კრამიტს. თიხის ჭურჭელი და კრამიტი მიაქვთ ბორჩხადან ბათუმში, ხოფაში და ტრაპიზონშიც (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბილისი, 1987, გვ. 36).

დ. ბაქრაძის ამ ჩანაწერიდან ჩანს, რომ ძველი ავტორების მდინარე ფაზისი ძირითადად არის არა მდინარე რიონი, არამედ მდინარე ჭოროხი, რადგანაც ძველი ავტორების ცნობებით მდინარე ფასისი იყო სანაოსნო და მასზე მდინარით გადაჰქონდათ მნიშვნელოვანი ტვირთები. მართლაც, როგორც ზემოთ მოყვანილი აღწერიდან ჩანს, ჭოროხის ხეობის მოსახლეობას თავისი სავაჭრო პროდუქცია ბრტყელძირა ნავებით გადაჰქონდა ბათუმში, რიზესა და ტრაპიზონში, ხოლო რაც შეეხება მდინარე რიონს კალაპოტის ხშირი ცვლის გამო, უფრო მოუხერხებელი იყო ნაოსნობისათვის და მას ადგილობრივი

მკვიდრი მოსახლეობა ფაქტიურად ვერ იყენებდა. ხოლო მდინარე ჭოროხი ადგილობრივი მოსახლეობის აღებ-მიცემობის სასიცოცხლო არტერიას წარმოადგენდა. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ძველი ავტორების მიხედვით მდინარე ფასისი უფროა მდინარე ჭოროხი. მდინარე ჭოროხზე ბორჩხის ხევთან ახლოს მდებარეობს მდინარე ლიგანის ხევი.

განსაკუთრებულად ავღნიშნოთ, რომ ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობით, მდინარე ფაზისის ერთ-ერთი შენაკადი არის მდინარე გლავკი. ჩვენი აზრით, მდინარე ლიგანის ხევი შეიძლება იყოს იგივე მდინარე გლავკი ეტიმოლოგიური მსგავსების გამო.

შეიძლება შენიშვნის სახით აღვნიშნოთ: სამხრეთ საქართველოში მდინარე მტკვარზე არის ადგილი სახელწოდებით ლიკანი.

სიტყვების ლიკანისა და ლიგანის ხევის ეტიმოლოგიური მსგავსება გვავარაუდებინებს, რომ მდინარე გლავკი ფასისს უერთდებოდა სწორედ სამხრეთ საქართველოში და არა დასავლეთ საქართველოში, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ ფასისი ჭოროხს ერქვა და არა რიონს. გარდა ამისა, ჭოროხის ხეობაში, კოლასა და არტაანის გვერდით, მდებარეობდა ქვეყანა, რომლის სახელი იყო ლივანი. დ. ბაქრაძის ცნობით, ლივანის სახელით ცნობილია ჭოროხის ხეობა აჭარის წყლის შესართავიდან ისპირის საზღვრამდე. ეს უნდა იყოს ვახუშტის ლიგანის ხევი ანუ ქართული მატიანეების ლიგანი. ამ სიტყვებთან ლიგანის, ნიგალის ან ლიკანის ეტიმოლოგიური მსგავსება უდავოა, ამიტომაც ასეთი ეტიმოლოგიური დამთხვევები უყურადღებოდ არ უნდა იქნას დატოვებული ჭოროხისა და ფასისის იგივეობის მტკიცების დროს.

ძველი ავტორებისა და მათ შორის სტრაბონის ცნობით, მდინარე ფასისზე გადებული იყო ასზე მეტი ხიდი. ვისაც თავისი თვალით უხილავს მდინარე რიონი და იცის მასზე გადებული ხიდების რაოდენობა, წარმოუდგენლად მიიჩნევს, რომ მდინარე რიონზე ოდესმე ასი ხიდი ყოფილიყო გადებული. ამასთანავე, აღსანიშნავია ის, რომ მდინარე რიონი მუდმივად იცვლიდა კალაპოტს, ის მიედინება ვაკეზე, რომელიც ნულოვან ანუ ზღვის დონეზეა გადაჭიმული. ამის გამო რიონს უჭირდა თავისი წყლის ზღვაში შეტანა და მუდმივად იცვლიდა კალაპოტს, ნარიონალები ამის შედეგია. მდ. რიონს აქვს განიერი კალაპოტი და იცის ძალზე დიდი ადიდება, რომელიც დიდ წინააღმდეგობას წარმოადგენდა ძველად ხიდების მშენებლობისთვის, მით უმეტეს იმ პერიოდის მშენებლობისათვის. მდინარე რიონისთვის უფრო იყო დამახასიათებელი მასზე გადებული ბორანები, რითაც ხალხი უკავშირდებოდა ერთი ნაპირიდან მეორეს. სტრაბონის ცნობა, რომ მდინარე ფასისზე 120 ხიდი იყო გადებული, არ გვაეჭვებს. ამის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ დ. ბაქრაძემ მართლაც ნახა თავისი თვალით მდინარე ჭოროხის მიმდებარე მქუხარე მდინარეებზე გადებული უძველესი საოცარი ხიდები. ეს ის ხიდებია, რომელსაც ჩვენი ხალხი უწოდებს თამარის თაღოვან ხიდებს. ასეთი ხიდების გადება შეიძლებოდა ვიწრო კლდოვანი კალაპოტის მქონე იმ მდინარეებზე, რომელთა სანაპიროები მაღლა იყო აზიდული, ხოლო თვით მდინარე ღრმა ხევში მიედინებოდა. ამიტომაც ერთი კლდოვანი ნაპირიდან მეორე კლდოვან ნაპირზე კონსტრუქციულად შესაძლებელი იყო თაღოვანი ხიდის გადება. დ. ბაქრაძე წერს, რომ ასეთი ხიდები მას ყველგან ხვდებოდა. აჭარაში, კერძოდ, მას თაღოვანი ხიდები შეხვედრია ქედაში, ცხმორისში, დანდალოში, ჭვანასა და ფურტიოში. ასეთივე ხიდები, მისი ცნობით, აგებული ყოფილა თურქეთის, ე.ი. შავშეთ-კლარჯეთის სხვადასხვა ადგილას. საქართველოს მახლობლად ერთი ასეთი ხიდის საშუალო ზომა ყოფილა 40 არშინი. დ. ბაქრაძის ცნობით, ასეთი ხიდი კონსტრუქციულად წარმოადგენს წესიერ თაღს, გადებულს ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე უბურჯოდ, შედუღაბებულია კირით და საუკუნეების მანძილზე დგანან.

აღსანიშნავია, რომ დ. ბაქრაძემ თაღოვანი ხიდები ნახა კინტრიშის ხეობაში ხულოსა და ცხენმოლაში. ამ ხიდის სიგრძე ყოფილა 35 ნაბიჯი და სიგანე 5 ნაბიჯი. ასე რომ, ფასისის 120 ხიდი გადებული ყოფილა არა მდინარე რიონზე, არამედ მდინარე ჭოროხის ხეობის პირას გამავალი გზის სხვადასხვა მონაკვეთებზე. ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მდინარე ფასისში არ იგულისხმება მდინარე რიონი.

ძველი ავტორების ცნობით, მდინარე ფასისის ერთ-ერთი შენაკადი იყო მდ. ბოასი. ჩვენში გავრცელებული თვალსაზრისით, ბერძნული სიტყვა ბოასი აღნიშნავს ყვირილას და ამიტომაც ამ სიტყვას უცხოელები უწოდებდნენ მდ. ყვირილას. მართლაც, იმერეთის მდინარე ყვირილა უერთდება მდ. რიონს, მდინარე ყვირილას ახლოს ძირულას ნაპირზე მდებარეობს ძველი ციხე-სიმაგრე შორაპანი. მიუხედავად ასეთი დამთხვევებისა, ჩვენი აზრით, ძველი ავტორების ბოასი ანუ ყვირილა ერქვა არა იმერეთში გამავალ მდინარეს, არამედ მდ. ჭოროხის შენაკადს. გურიაშიც გაედინება მდინარე, რომლის სახელი არის „ყვირილისწყალი“. ეს მდინარე უერთდება მდინარე სუფსას და აღსანიშნავია, განსაკუთრებით ისიც, რომ მდინარე სუფსაზე შუა საუკუნეებში არსებობდა ციხე-სიმაგრე, რომლის სახელი იყო „შორაპანი“, იგივე გურიანთა. ასე რომ, ჩვენ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში გვქონდა ორი მდინარე ყვირილა და ორი ციხე-სიმაგრე შორაპანი., პროკოფის სიტყვით, მდ. ბოასი იყო ფასისის სახელი სათავეში. მდ. ჭოროხის მარცხენა შენაკადებია მჭუხარე მთის მდინარეები ფორჩხას წყალი, მურღული ან ხატილას წყალი, რომლებიც ართვინიდან გონიომდე უერთდებიან მდ. ჭოროხს. შავშეთშიც იყო მდ. ყვირილა.

ძველი ავტორები, განსაკუთრებით პროკოფი კესარიელი, აღწერენ ლაზეთის გზებს. მათი ცნობებით, გზები ლაზეთში გადიოდა მთებსა და მიუვალ ჭიუხებზე ძნელად გასავლელ ადგილებში, სადაც ზოგჯერ ვენახიცა და ხეხილიც კი არ იყო გაშენებული. თუ ლაზეთი არის იგივე რიონის ხეობა და მისი დაბლობი, მაშინ ძნელი ასახსნელია, თუ რომელ გზებს მოიხსენიებენ ძველი ავტორები, რადგანაც გზები რიონის დაბლობზე ძირითადად გადიოდა ჭაობებში. დაბლობში მდინარე რიონთან ჩვენ არსად არ გვხვდება კლდოვანი ადგილები და ისეთი ადგილები, რომელსაც აღწერს პროკოფი კესარიელი.

ჩვენი თვალსაზრისით, რიონის დაბლობზე ძველ დროს გზები ნაკლებ იყო გაყვანილი. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო რიონის ხეობის დაჭაობების გამო იქ გავრცელებული ციება და მალარია. ეს დაავადება მუსრს ავლებდა ადგილობრივ მოსახლეობას. ამის შესახებ იცოდნენ უცხოელებმაც, ამიტომაც ყოველნაირად თავს არიდებდნენ რიონის დაბლობში მოძრაობას.

ზემოთმოყვანილის გამო, რიონთან გზები გადიოდა არა დაბლობ-ვაკეში, არამედ მთებსა და მიუვალ ადგილებში, მაგალითად, ვისაც მისვლა უნდოდა ქუთაისში თუ ვანში, ის არა ზღვის მხრიდან მიადგებოდა აღნიშნულ პუნქტებს, არამედ გადაივლიდა აჭარა-გურიის ქედებს და ისე მივიდოდა იქ. ასე მოიქცა, მაგალითად, დ. ბაქრაძე, რომელმაც აღნიშნული მთის გზები განვლო, რათა მოეხილა გურიის ცნობილი ციხე-სიმაგრე ვაშნარი. დ. ბაქრაძე კიდევაც აღნიშნავს ამის შესახებ. ის, მაგალითად, წერს: „უღელტეხილზე ავედით თუ არა, თვალწინ გადაგვეშალა რიონის ხეობა მისი გაუვალი ჭაობებით, მალარიას რომ ავრცელებს მთელს რიონისპირა გურიაში“ (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, 1987, გვ. 210). აი, სწორედ ამ მალარიის გამო გზები არ გაყავდათ რიონის ხეობაში. მაშასადამე, რიონის ხეობა არ არის ის ქვეყანა, რომელსაც ძველი ავტორები ლაზეთს უწოდებდნენ, რადგანაც ლაზეთში გზები კლდეებზე გადიოდა, როგორც ეს აღვნიშნეთ. დ. ბაქრაძე თავის წიგნში სხვაგანაც აღნიშნავს რიონის მავნე ჰავის შესახებ, ის წერს: „გურიაში მავნე ჰავით გამოირჩევა როგორც შავი ზღვის სანა-

პიროები, ასევე განსაკუთრებით ჩოხატაურის ქედის ჩრდილო მთისწინეთები, რომელიც სავსეა ლიებითა და ჭაობებით და ხელს უწყობს ციების გავრცელებას. გურიის დანარჩენი ნაწილი აჭარა-გურიის ქედის მთისწინეთია, ამიტომ ჭაობს არ აჩერებს თავის ნიადაგში. დრო და დრო მძვინვარებს ციება, არ იციან როგორ დაიცვან თავი მეტისმეტად ტენიანი ჰაერისაგან. ვისაც აქაური წვიმები არ უნახავს, ვერ წარმოიდგენს მათ ძალასა და ხანგრძლივობას. კოკისპირული წვიმები გრძელდება დღეებითა და კვირაობითაც“. (იქვე, გვ. 89). ასევე იყო ვაკე იმერეთსა და სამეგრელოში.

ციებას სხვა რეგიონშიც ვერ არიდებდნენ თავს, მითუმეტეს, რიონის ხეობაში, სადაც ჭაობისა და მუდმივი ტალახის გამო გზების გაყვანა შეუძლებელი იყო ძველ ეპოქაში. აქ გზები, ფაქტიურად, ახლაც არ არის გაყვანილი. ფოთი-სენაკისა და ფოთი-ურეკის დამაკავშირებელი გზები მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში იქნა გაყვანილი რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის, მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების ძალისხმევით. ასე რომ, არც პროკოფი კესარიელი და არც ძველი ავტორები ლაზეთის გზების აღწერისას არ გულისხმობენ რიონის ხეობას. მათი ლაზეთი, როგორც ითქვა, კლარჯეთ-აჭარა-გურია და ტრაპიზონის რეგიონია.

სტრაბონის აღწერილი ფასისის 120 ხიდს მოგვაგონებს დ. ბაქრაძის აღწერილი ხიდები

„2 საათზე სხალთაში მივედი, სადაც ძელი თაღოვანი ხიდით გადავედით, რომელიც სხალთისწყლის ორივე ნაპირს აკავშირებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ხიდები აჭარაში ყველგან გვხვდება, სახელდობრ: საღორეთთან, ქედაში, ცხიმორისში, დონდალოში, ჭვანართასა და ფურტიოში და გარდა ამისა, გვხვდება ჩურუქსუს მთიან ნაწილშიც. ასეთივე ხიდები აღნიშნულია თურქული აზიის სხვადასხვა ადგილას... ყველა მათგანის კონსტრუქცია ფრიად ორიგინალურია: ეს სხვა არაფერია, თუ არა ლამაზი, წესიერი თაღები, გაბედულად გადატყორცნილი ერთი ნაპირიდან მეორეზე უმოაჯიროდ და უბურჯოდ... შედუღაბებული კირით... ისინი კარგადაა შენახული, საუკუნეების მანძილზე დგანან, როგორც ჩანს, სრულიად შეუკეთებლად” (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, 1987, გვ. 53).

ჭოროხი სანაოსნოა

„ბათუმიდან 4-5 ვერსზე გამოჩნდა მდინარე ჭოროხი, რომელიც მდორედ და უხმოდ მიაგორებდა მღვრიე წყალს და რომელზეც დატვირთული ნავები აღმა-დაღმა მიმოდიოდნენ. გზა, რომლითაც ჩვენ მივდიოდით, საუკეთესოა ლაზისტანის საფაშოში“. (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, 1987, გვ. 35).

„ყველაზე მნიშვნელოვან შენაკადებს ჭოროხი მარჯვნიდან იერთებს, ეს არის თორთომისწყალი, ოლთისწყალი,. არტანუჯისწყალი, აჭარისწყალი და სხვა.

მდ. ჭოროხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ, როგორც ამბობენ, მასში 200-მდე ბრტყელძირა ნავი ანუ კაიუკი დაცურავს ართვინსა და ჭოროხის შესართავს შორის. ნაოსნობა მთელ წელიწადს შეიძლება, გარდა გაზაფხულისა, როცა თოვლი დნება და დინება ძალზე სწრაფია. ნავები ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთ ეკუთვნის. მათ ნაძვის ან ფიჭვის ხისაგან აკეთებენ, ნავის სიგრძე 50 ფუტამდეა, განი – 4-5 ფუტი. ზევით

სვლას (ართვინამდე) 3-4 დღე სჭირდება, ხოლო ქვევით ნავმისადგომამდე – 8-10 საათი, იტევს 300 ბათმანამდე ტვირთს. ამ ნავებით ეზიდებიან ყველა ადგილობრივ ნაწარმს: ერბოს, ხილს, ტყავს, ფიცრებს, ჭურჭელსა და კრამიტს. თიხის ჭურჭელი მიაქვთ ბათუმში, ხოფასა და ტრაპიზონში" (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, 1987, გვ. 36).

„ლივანის სახელით ცნობილია ჭოროხის ხეობა აჭარისწყლის შესართავიდან ისპირამდე. ესაა, ვახუშტის მიხედვით ლიგანისხევი, ანუ ქართული მატიანეებით – ნიგალი.

ლივანის დასახლებული პუნქტებია: მარადიდი, ბორჩხა, ართვინი, არტანუჯი, ბერთა, ანჩა, პარხალი" (იქვე, გვ. 41). „ეს ხიდი თაღივითაა გადებული აჭარისწყალზე" (გვ. 43). ალბათ, ასეთი იყო ის 120 ხიდი, რომლებიც მდ. ფაზისზე იყო გადებული.

ნაოსნობა, ნავთმშენებლობა და ნავმისადგომები მდ. ჭოროხზე ე. ვეიდენბაუმის მიხედვით

საბჭოური ეპოქის სამეცნიერო წრეებში გამოთქმული იყო მოსაზრება, თითქოსდა მდინარე ჭოროხი არ იყო სანაოსნო მისი ჩქარი დინების გამო. მკვლევარი წერს - „ცნობილია, რომ მდინარე რიონი შორაპანამდე სანაოსნოდ გამოსადეგი იყო და მისი მეშვეობით ხორციელდება სატრანზიტო საქონლის გადაზიდვა, რასაც ვერ გავიზიარებთ მდინარე ჭოროხზე, მისი ჩქარი დინებისა და მაღალი მთებიდან ქვა-ღორღის შავ ზღვაში ჩადინების მიზეზით" (კრებული „ცოტნეიდელი" ტ. II, 2008, გვ. 98). სინამდვილეში ჭოროხი იყო თითქმის ერთადერთი არტერია მისი აუზის მიმდებარე რეგიონებისათვის, საიდანაც ამ მდინარის საშუალებით ნავებით გადაიზიდებოდა ხორბალი, პროდუქტები, ზეთისხილი, სამშენებლო მასალა (კრამიტი, აგური). ასევე ხის დახერხილი მასალა ბათუმისაკენ, ხოლო ბათუმიდან ისევ ნავებით ართვინისაკენ გადაიზიდებოდა ძირითადად ქსოვილები და ფუფუნების საგნები. ამის შესახებ კარგად აღწერენ დ. ბაქრაძე, ე. ვეიდენბაუმი და სხვები. ასე რომ მდინარე ჭოროხი იყო სანაოსნო, მასზე არსებობდა ნავმისადგომები, ადგილობრივი მოსახლეობა კი საუკეთესო ნავთმშენებელნი და მენავენი იყვნენ. საბჭოთა ეპოქაში საზღვრის ჩაკეტვის გამო აიკრძალა ნავებით ცურვა ართვინიდან ბათუმამდე და ისეთი შთაბეჭდილება ჩამოყალიბდა, თითქოსდა ჭოროხი საერთოდ არ იყო სანაოსნო. ამიტომაც საინტერესოა ე. ვეიდენბაუმის მონათხრობი ამასთან დაკავშირებით. ეს საკითხი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ უკავშირდება საეკლესიო იურისდიქციის საკითხს. ამ კუთხით იყო თუ არა ნაოსნობა მდინარე ჭოროხზე მნიშვნელოვანი მომენტია, რადგანაც მდინარე ფაზისზე ნამდვილად იყო ნაოსნობა შესართავიდან 30 კმ. მანძილზე, პუნქტ სარაპანამდე. სად იყო სარაპანა, რომელი მდინარეა ფაზისი, ამ საკითხის კვლევისათვის, როგორც ვთქვით, საინტერესოა ე. ვეიდენბაუმის მონათხრობი.

1878 წელს რუსეთის ხელისუფლების დავალებით, თავისი დროის დაკვირვებულმა მეცნიერმა ევგენი ვეიდენბაუმმა ნავით (კაიუკით) იმოგზაურა ართვინიდან ბათუმამდე. სამდინარო გზა, რომლითაც იქამდე მნიშვნელოვანი ტვირთები გადაჰქონდათ ინგლისელ და სომეხ ვაჭრებს, რეგიონის შემოერთების შემდგომ რუსების ინტერესის საგნად იქცა. ე. ვეიდენბაუმი ასე აღწერს ამ სამდინარო გზას ჭოროხზე:

„ზუსტად 8 საათზე გავუდექით გზას. ნავში ექვსნი ვიყავით, თუ არ ჩავთვლით სამ მენიჩბეს. ნავი ბრტყელძირიანია, მისი ძირი ორ საჟენს უდრის, ცხვირი და კიჩო ერთნაირ-

ად მსხვილწვერიანი აქვს და კონსტრუქციით არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნავები მზადდება წაბლის ხისაგან, სოფელ მარადიდში. ერთ ნავს შეუძლია ზიდოს 100 ფუთიანი ტვირთი და იმისდამიხედვით, თუ რა რაოდენობისაა იგი ფრახტი ართვინიდან ბათუმამდე ღირს 10-დან 15 მანეთამდე. ჩვენ გადავიხადეთ 12 მანეთი. იმის გამო, რომ ნავი მთლად მყარი არ არის - მგზავრები თავსდებიან მის ძირში მჯდომარე ან დაწოლილ მდგომარეობაში. მის სამართავად ოთხი ადამიანია საჭირო - სამი ზის ნავის ცხვირზე, მოკლე ნიჩბებით ხელში, რომლებიც დამაგრებულია პალუბზე ლაფნის რგოლებით. ნიჩბების დანიშნულებაა, არა იმდენად ნავის მოძრაობის აჩქარება, რამდენადაც მისთვის სათანადო მიმართულების მიცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში წყალი შემოაბრუნებს მას დინების გარდი-გარდმო. ნიჩბების მოსმას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ადგილებში, სადაც ვიწრობი, ან ჩქერია და სადაც წყალი მკვეთრად უხვევს. ნავი მკვეთრად მიემართება გამოშვერილი კლდისკენ, რომელსაც დინება ეხეთქება. მარჯვე მესაჭე კლდისაგან გარკვეული მანძილის დაშორებით სწრაფად აბრუნებს საჭეს. მენიჩბეები მთელი ძალით აწვებიან ნიჩბებს და ნავი მიექანება დინების მიმართულებით ისე, რომ კლდეს ოდნავ ააცდენს კიჩოს. ზოგჯერ ეს ფანდები საკმარისი არ არის, დინება ისეთი სწრაფია და ისეთ მკვეთრ შემობრუნებას აკეთებს, რომ ნავი აუცილებლად შეეჯახებოდა კლდეს თუ არა მენიჩბეები. ისინი ჭოკებით, რომლებიც დაწყობილია ქიმის გაყოლებით, მოხერხებულად აიცდენენ ხოლმე შეჯახებას.

მესაჭე დგას კიჩოზე ხელში ნიჩბებით, რომლებიც ამყოფებს ნავს სათანადო მდგომარეობაში, ან ეხმარება მოხვევების დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ორი ნიჩაბი აუცილებელია, რათა ნავი უფრო სწრაფად მობრუნდეს. მესაჭე ერთი ნიჩბით უსვამს წინ, მეორეთი კი უკუმოძრაობას აკეთებს. ნავის მართვა ასეთ სწრაფ და მიხვეულ-მოხვეულ მდინარეებზე დიდ გაწაფულობას მოითხოვს, ზოგჯერ ისეთი ადგილებიც კი გვხვდება, რომ წარმოუდგენელია გავლა საფრთხის გარეშე, მაგრამ მესაჭის მოხერხებულობის, სიმამაცისა და მისი თვალის სიზუსტის წყალობით ასეთ ჩქერებს ისინი მშვიდობიანად უვლიან გვერდს. ამბობენ რომ უბედური შემთხვევები აქ ძალიან იშვიათია.

ზოგჯერ საჭესთან ნავის მეპატრონე დგას, ხან დაქირავებული პირი, ისევე როგორც მენიჩბეები. ყველას ერთნაირი ანაზღაურება აქვს. მესაჭეს მთელი უპირატესობა კი ის არის, რომ მას არ უწევს საჭმლის მომზადება, ეს მენიჩბეთა მოვალეობაა.

ბათუმში მიმავალი მგზავრები იშვიათად გაივლიან მთელ გზას ჭოროხით, ე.ი. არ გადიან ზღვაზე, რადგან ეს გზა გრძელია და თანაც ნავს ზღვაში ცოტა უჭირს. ისინი გადმოსხდებიან კოპანდიბის საზღვართან, სოფელ ელგის ცოტა ქვემოთ და ბათუმამდე რჩება რაღაც 10 ვერსის მანძილი. ამ გზის გავლას ნავი ანდომებს შვიდ საათს. ჩვენი მენავე, რომელიც წარმოშობით ბორჩხადან არის, გვიმტკიცებდა, რომ წყალდიდობისას, ე.ი. აპრილსა და მაისში ის გადის ამ გზას მხოლოდ საათნახევარში. ამან ძალიან გაგვაკვირვა, მაგრამ არ გვქონდა არავითარი მიზეზი არ დაგვეჯერებინა მისი ნათქვამი. დიდ წყალში ნავები ასევე დადიან იმერხევის ხიდიდან ართვინამდე, იმერხევის ხიდის ზემოთ სანაოსნო კავშირი არ არის. ჩვენი მოგზაურობის დროს წყლის დონე ძალიან დაბალი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, წყლის ფსკერს მხოლოდ ორ ადგილას ჩქერზე შეეხო.

ჭოროხზე დაღმა მოგზაურობა დიდ სიამოვნებას გვგვრის, თითქოს გაჰყურებ სწრაფად მოძრავ პანორამას. ნავი ხან ისრის სისწრაფით მიქრის ჩქერებზე და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ციგით ეშვები ყინულოვანი მთიდან, ხან კი ნელა მიდის წყალზე, სამაგიეროდ მდინარის აღმა მოგზაურობა ძალიან მომქანცველია, იგი გრძელდება (იმისდა მიხედვით თუ რა რაოდენობითაა წყალი მდინარეში და როგორია ტვირთის მოცულობა) 4-

5 დღეს, წყალდიდობისას კი მოგზაურობა საერთოდ შეჩერებულია, რადგან წარმოუდგენელია ამ დროს მდინარის დაძლევა. მენავეების შრომა აღმა ცურვისას, მართლაც რომ კატორღულია - ორი-სამი ფეხშიშველა ადამიანი, მუხლებამდე წყალში მიათრევს ნავს. ორი ან ერთი აწვება ნავს ჭოკით, რომ არ მისცეს მას ნაპირზე ამოვარდნის საშუალება. ჩვენ ბევრი ესეთი ნავი შეგვხვდა გზაზე. მათ დანახვაზე გაგვახსენდა ბურლაკები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არ გაისმოდა მათი სევდიანი სიმღერა. ოთხისნახევარზე გავიარეთ აჭარისწყლის შესართავი, ოთხ საათზე მარცხენა მხრიდან სოფელი სიმორისი (რუკაზე, აჰმედ-ეფენდის თქმით - სიმონეთი), შემდეგ სოფელი ელგა და 4 საათსა და 20 წუთზე მივადექით ნაპირს კოპან-დიბის მახლობლად, სადაც წინასწარი შეთანხმებით ცხენები უნდა დაგვხვედროდა... და ბოლოს გამოჩნდა განათებული ბათუმი და შვიდის ნახევარზე მოგზაურობა დავასრულეთ. მანძილი ართვინიდან კოპან-დიბამდე, წყლით რომ გავიანგარიშოთ, რუკის მიხედვით უდრის 42 ვერსს. ჩვენი მოგზაურობა მდინარით, თუ არ ჩავთვლით შეჩერებებს, გრძელდებოდა 6 საათს. აქედან გამომდინარე თუ მანძილზე რუკაზე სწორედ არის ნაჩვენები, ნავი მცირეწყლიან მდინარეში გაივლის დაახლოებით 7 ვერსს“ (ე. ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, 2005, გვ. 72-78).

ე. ვეიდენბაუმის ცნობით ართვინის გარდა კიდევ რამდენიმე ადგილას მდინარე ჭოროხზე არსებობდა ნავმისადგომი (ნავსადგური) და ასევე აშენებდნენ ნავებს. ადგილობრივი მოსახლეობა ნავთმშენებლობით იყო დაკავებული. ასეთი პუნქტები ართვინის გარდა ყოფილა ბორჩხასთან და მარადიდთან. ის წერს: „სოფელი ბორჩხა მდებარეობს იქ, სადაც ჩაირ-სუ ჩაედინება მდინარე ჭოროხში. ადგილობრივები ამ შენაკადს ჩხალის წყალს უწოდებენ. სოფელი ჭოროხის ნაპირიდან, სადაც მდებარეობს კაიუკების (ნავების) ნავმისადგომები, ამფითეატრივით მიემართება მთაში. ბორჩხელების მთავარი საქმიანობა აგურის, კრამიტის და დოქების კეთებაა. ამ ნაკეთობებით ამარაგებენ ჭოროხისა და ბათუმის სანაპიროებს. ხვნა-თესვას ნაკლებად ეტანებიან... ხნულები პატარაა, მდებარეობს ციცაბო მაღლობზე...

ბორჩხაში, როგორც აღვნიშნეთ არის კაიუკების (ნავების) ნავსადგური. ყველანი ჭოროხზე ზემოთ და ქვემოთ დასასვენებლად მიმავალნი აქ ჩერდებიან. ამასთან დაკავშირებით აქ დუქნებიც კი არის სასმელებითა და ნუგბარით... ნავები (კაიუკები) ბორჩხიდან ბათუმამდე იღებენ 10 მანეთს, ხებადან ბორჩხამდე ნავები (კაიუკები) ანდომებენ 4 საათს” (იქვე გვ. 58).

ე. ვეიდენბაუმის თქმით, კლდოვანების გამო ჭოროხის აუზში ურმის ან ეტლის სახეობები უცნობია, რადგანაც „წარმოუდგენელიც კი იქნება მათი გამოჩენა ვიწრო, ციცაბო და მაღალ ბილიკებზე, რომლებიც გზების როლს ასრულებენ“ (იქვე, გვ. 60). ამიტომ აქ ყველა მგზავრობს ფეხით ან ნავით (კაიუკით) (იქვე, გვ. 61). ართვინში არ იყო ეტლი, სამაგიეროდ ჰქონდათ კატარღები.

ჭოროხის აუზის ერთ-ერთ უმთავრეს ქალაქ ართვინშიც კი „იმის გამო, რომ ქუჩები ვიწრო და ციცაბოა, ეტლით გავლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ურმებიც კი არ ჩანს ართვინის ქუჩებში. სამაგიეროდ დიდი გასავალი აქვთ კატარღებს, რომლებიც ძალიან ძვირი ფასობს“ (ე. ვედენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, 2005, გვ. 67).

ჭოროხის აუზში, როგორც ითქვა, გადაადგილება შეიძლებოდა ფეხით ან ნავით. ცხენებიც კი გ. ყაზბეგისა და ე. ვეიდენბაუმის დაკვირვებით აქ ძალზე ცოტა, შეიძლება ითქვას არც კი იყო კლდიანობის გამო, ციცაბო და მაღალ ბილიკებზე (გზებზე) - „ცხენებიც კი თითქმის არ გამოიყენება არც ცხენოსნობისათვის და არც საპალნედ, ჩვენს მიერ გავლილ გზაზე ბათუმიდან ართვინამდე კახაბერთან მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა ორი ცხენი და ერთი სახედარი საპალნით აჭარიდან, საერთოდ ყველა ფეხით დადის,

ზურგზე მოგდებული კალათებითა და თოფით... ისინი შესანიშნავი ფეხით მავალნი არიან... ყველა მათგანი რაღაცნაირად, თავისებურად დადის, თითქოს ოდნავ ჩაიმუხლებენ სიარულისას“ (იქვე, გვ. 61). გ. ყაზბეგი იმასაც აღნიშნავს, რომ კლდოვანების გამო ჭოროხის აუზის რეგიონებში ნაკლებია ცხენების საკვები ბალახი. ამის გამო (ე.ი. კლდიანობის და უბალახობის გამო) ე. ვედენბაუმის ცნობით აქ მესაქონლეობაც არ არის განვითარებული (იქვე, გვ. 63). ეს მომენტი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ ეთანადება პროკოფი კესარიელის ცნობას - სპარსელებს ფაზისთან, კერძოდ კი არქეოპოლისთან 20 000 ცხენი დაეღუპათ უბალახობის ანუ ცუდი კვების გამო. როგორც ვიცით რიონის ხეობაში ძალზე კარგი ბალახი იზრდება, ჭოროხის ხეობაში კი ე. ვეიდენბაუმის ცნობით პირიქით - ბალახი ცოტაა და მეცხენეობა ნაკლებ განვითარებულია უბალახობისა და კლდიანობის გამო.

ჭოროხზე ნავსაშენი და ნავმისადგომი ე. ვეიდენბაუმმა დააფიქსირა სოფელ მარადიდში, ის წერს - „ჩავუარეთ მთელს ქვემო მარადიდს, ჭოროხის მარცხენა მხარეს, სანაპიროს გასწვრივ. აქ შენდებოდა ნავები (კაიუკები). აქვე ნავმისადგომი“ (იქვე, გვ. 49). ჭოროხის ძალზე ვრცელი აუზის ტვირთები, როგორც აღნიშნა, მდინარით გადაიზიდებოდა ბათუმისაკენ, კერძოდ კრამიტი, სხვადასხვა პროდუქტები, ხორბალი, ზეთისხილი, აგური და სხვა. წინათ ხე-ტყის მასალა, კოჭები და ფიცრებიც გადაიზიდებოდაო წერს ის, მაგრამ ახლა - „ჭოროხის აუზის მთელი ტყე, რომლის მოჭრაც კი შეიძლებოდა, დიდი ხანია მოჭრილი და დაცურებულია... ამიტომაც ძალიან ძვირია“ (ე. ვეიდენბაუმი, ბათუმიდან - ართვინამდე, გვ. 38).

ჩანს, არა მხოლოდ XIX ს-ში, არამედ VI საუკუნეშიც ხომალდმშენებლობისათვის ანუ საზღვაო გემებისათვის საჭირო ხის მასალა ძნელად მოიპოვებოდა ჭოროხზე (შესაძლოა კლდეებიდან მოჭრისა და გადმოგდების დროს ხის ტანი იბზარებოდა და ხომალდმშენებლობისათვის უვარგისი ხდებოდა). პროკოფის ცნობით სპარსელებს შავი ზღვის ხომალდებისათვის საჭირო მასალა პეტრასაკენ შორი გზიდან მიუზიდავთ. ამ მხრივ ვეიდენბაუმისა და პროკოფის მონათხრობი ერთმანეთს ემსგავსება, ისევე, როგორც სხვა საკითხების აღწერის დროსაც. ასე, რომ ჭოროხი სამდინარო-სავაჭრო დიდი მაგისტრალი იყო XIX საუკუნეშიც, როგორც ფაზისი I-VI საუკუნეებში სტრაბონისა და პროკოფი კესარიელის ცნობებით.

6. ადონცი: ბოასი ჭოროხია

„მდინარე ბოა სათავეს იღებს ფარანგიასთან ახლოს, არმენიის ქვეყანაში, ჭანიკასთან ახლოს. ბოა შეესიტყვება სომხური გეოგრაფიის ჭოროხს, მის ზემო დინებას, ჭოროხის შესართავები ისპირში ძევს. ძველი ცნობებით, სპირიდიტში იყო ოქროს საბადოები, რომლებითაც თვით ალექსანდრე მაკედონელი დაინტერესდა. ამ ნიშნებით, ფარანგია შეესაბამება სპერს, ანუ სისპირისს“ (ნ. ადონცი „არმენია იუსტინიანეს ეპოქაში",გვ. 26).

პროკოფი კესარიელის ცნობით ბოასი ერქვა ფაზისს სათავეებში. ნ. ადონცის სიტყვით ბოა – ჭოროხია. აქედან გამომდინარე ფაზისი ჭოროხს შეესაბამება.

ნ. ადონცის თვალსაზრისით, ბოასი – ერქვა ჭოროხს არტანუჯისწყლამდე, ანუ რაც იგივეა მდინარე იმერხევამდე. მის ქვემოთ ზღვის მიმართულებით ბოასს უკვე ეწოდებოდა ფაზისი, ხოლო სათავეებთან იმავე ბოასს ადგილობრივი სახელი ერქვა – აკამფსისი.

როცა სპარსელებმა გადაკვეთეს ბოასი, დაუყვნენ მის მარცხენა სანაპიროს პეტრასაკ-

ენ. ამ ადგილებში ბოასს უკვე ფაზისი ერქვა და ის ჯარისკაცების მარჯვნივ მოექცა. ისე გადაკვეთეს ის, რომ ფაზისი მარჯვნივ ჰქონდა

ფაზისი ს. ყაუხჩიშვილის მიხედვით

ამიანე მარცელინეს თხზულების კომენტირებისას ს. ყაუხჩიშვილი წერს, რომ ფაზისად ზოგჯერ ანტიკურ წყაროებში მოიხსენიებდნენ არა მხოლოდ მდ. ჭოროხს სათავეში, არამედ ფაზისს უწოდებდნენ დონსა და ყუბანს (გეორგიკა, I, გვ. 81).

ამიანე მარცელინე ფაზისს უწოდებს „ხმაურიანს“, რომელსაც აქვს დიდი სიჩქარე, ანუ „ხმაურიანი დენა“ და იმ მონაკვეთზე, სადაც ფაზისს აქვს დიდი სიჩქარე (ხმაურიანი დენა) ცხოვრობენ კოლხები – ეგვიპტელების ძველი მოდგმა. ის წერს – „ფაზისი ხმაურიანი დენით ჩამოუდის კოლხებს, ეგვიპტელთა ძველ მოდგმას“ (გეორგიკა, I, გვ. 112). ამიანეს თვალსაზრისით ზღვის შესართავამდე ფაზისი ხმაურიანია ანუ ფაზისი სათავიდან შესართავამდე არის ჩქარი მთის მდინარე და მის ნაპირებზე კოლხები ცხოვრობენ სათავიდან შესართავამდე. ს. ყაუხჩიშვილი კომენტირებისას წერს, რომ აქ ამიანე ფაზისის ქვეშ გულისხმობს მდ. რიონს. ამ შემთხვევაში ძნელია დავეთანხმოთ ს. ყაუხჩიშვილს შემდეგი მიზეზის გამო. მდ. რიონი ჩამოედინება მთებიდან, ქუთაისის შემდგომ ის გაივაკებს და ფოთამდე მიედინება მდორედ, მძიმედ და ნელა, ამასთანავე ხმაურის გარეშე, ანუ უხმაუროდ და ასეთი სახით გადაჭრის მთელ დასავლეთ საქართველოს, ანუ რიონის ვაკეს. მაშასადამე, ამიანეს შეფასების (ფასისის ხმაურიანობის) გამო შეუძლებელია მდ. რიონი ფაზისად იწოდებოდეს. აქ „ხმაურა“ ფაზისის გვერდით თითქოსდა ცხოვრობდნენ ეგვიპტელთა მოდგმის კოლხები. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ასეთი შეფასება მწიგნობრული ტრადიციის გავლენაა, მაგრამ პროკოფი კესარიელი ფაზისის აღწერისას წერს, თუ სიჩქარის გამო როგორ გაიტაცა ჯარისკაცების ნავები ფაზისმა. არიანეს მიხედვით ხმაურიანი ფაზისის შესართავთანაა ქ. ფაზისი (იქვე, გვ. 112) და დიოსკურია.

ფასისი პ. ინგოროყვას მიხედვით

„სახელწოდება მდინარისა ფასისი ქართული წარმოშობისაა. ძველ ქართულ დიალექტში სიტყვა „ფასი“ ნიშნავდა წყალს. ამიტომ ფასისი ერქვა რიონს, ჭოროხს (აკამფსისი, ანუ კაკამ-ფასისი, იგივე კაკამ მდინარე), ასევე ფასისი რქმევია აგრეთვე არაქსს, მისი მდინარების ზემო ნაწილში, სადაც ქართული მოსახლეობა იყო“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 519).

არაქსს ფასისი ერქვა როგორც ქრისტემდე V ს-ში ქსენოფონტეს დროს, ასევე X საუკუნეში კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს. ამასთანავე, „ფასისი“ არაქსის სახელი ყოფილა არა მხოლოდ უცხოელთათვის, არამედ მკვიდრებისთვისაც, მის განტოტებებსა და იქ მდებარე პუნქტებს ეს სიტყვა დღემდე შემოუნახავთ. „კონსტანტინე პორფიროგენეტი (X საუკუნე) ფასისს უწოდებს მდ. არაქსის ზემო ნაწილის დასავლეთ ტოტს, რომელიც იწყება დევებოინუს ქედთან, გაივლის დაბა ფასინლერს და შეუერთდება არაქსის ძირითად ტოტს. დასავლეთ ტოტს ამჟამად ეწოდება ფასი-დერე, ე.ი. ფასის-ხევი“ (იქვე, გვ. 519). სახელი „ფასონი" გვხვდება წმ. დავით და კონსტანტინეს ცხოვრებაში-ნაწამები ძმები „შთაყარნენ მდინარესა მას ფასონსა, რომელ არს ენითა ქართულითა რიონი“ (წმ. დავით და კონსტანტინეს წამება, 1979, გვ, 157). ავტორის სიტყვით რიონს უცხოურად ერქვა არა

ფაზისი, არამედ ფასონი. ყოველ შემთხვევაში ორივე სიტყვას (ფასონი, ფაზისი) ერთი ფუძე აქვს - „ფას“.

პავლე ინგოროყვამ გაარკვია: – „მდ. ფასისის ანუ არაქსის ხეობაში მდებარე ბასიანის მხარეში მოსახლე ტომი „ფასიანნი“ წარმოადგენდნენ მესხების ტომს“ (იქვე. გვ. 520).

პ. ინგოროყვა წერს – „ფასისი არის არაქსის ძველი სახელწოდება მისი მდინარების ზემო ნაწილში. ეს სახელწოდება დღემდე აქვს შერჩენილი არაქსის ზემო ნაწილის დასავლეთ ტოტს, რომელიც მომდინარეობს დაბა ფასინლერის სექტორში. მას ამჟამად ეწოდება ფასის-ხევი, ფასი-დერე. არაქსის ამ ძველი სახელწოდებიდან (ფასისი) მომდინარეობს თვით სახელწოდებაც ამ მხარისა – ფასიანი“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 66, შენიშვნა 1).

ქსენეფონტედან კონსტანტინე პორფიროგენეტამდე არაქსს ფასისი ერქვა, ხოლო ქვეყანას – ფასიანი. VII მსოფლიო კრების (787 წლის) აქტს ხელს აწერს „ქრისტეფორე ეპისკოპოსი ფაზისისა ანუ ტრაპეზუნტისა“ (პ. ი. გვ. 212). ქსენეფონტე მდ. არაქსს უწოდებს „ფასისს“ (ანაბაზისი, VI, 6,4). მაშასადამე, ანტიკურ ხანაშიც მდ. არაქსს ფასისი ერქვა (იქვე, გვ. 519). მის ხალხს „ფასიანებს“ უწოდებს (ქსენეფონტე, ანაბასისი, IV, 6,5, VII, 8,25).

„სახელწოდება მდინარისა ფასისი ქართული წარმოშობისაა. ძველ ქართულ დიალექტში სიტყვა „ფასი“ ნიშნავდა წყალს (შდრ. „ფასი“ და „ფშა“, „ფშანი“, „ფოსო“, „ფსელი“), ამიტომ არის რომ ეს სახელწოდება „ფასისი“ მიემართება მთელ რიგ მდინარეებს საქართველოში. ფასისი რქმევია – არაქსს, მისი მდინარების ზემო ნაწილში, სადაც ქართული მოსახლეობა იყო. ფასისი არაქსს არა მხოლოდ ანტიკურ ხანაში ერქვა, არამედ შემდგომაც. მაგალითად, კონსტანტინე პორფიროგენეტი (მე-10 საუკუნე) „ფასისს“ უწოდებს მდ. არაქსის ზემო ნაწილის დასავლეთ ტოტს, რომელიც იწყება დევაბოინის ქედთან, გაივლის დაბა ფასინლერს და შეუერთდება არაქსის ძირითად ტოტს სოფელ იაგანის ქვემოთ. არაქსის ამ დასავლეთ ტოტს ამჟამად ეწოდება ფასი-დერე, ე.ი. ფასის ხევი.

მხარის (ბასიანის) მთავარი მდინარის ამ სახელწოდებასთან („ფასისი“) დაკავშირებულია მხარის სახელწოდება „ფასიანი“ და სატომო სახელწოდება „ფასიანნი“, „ფასიანელები“ (იქვე, გვ. 519). იხ. აგრეთვე (იქვე, გვ. 184-186).

პ. ინგოროყვას აზრით, ფუძე-სიტყვა ფსი (ფსა)=ფსისი, იგივე ფასი=ფასისი გვხვდება აფხაზეთში და მთელს დასავლეთ საქართველოში, ასევე ზემო არაქსის ხეობაში, სპერსა და კლარჯეთში. აფხაზეთში – ნიკოფსისა, ნიკოფსია (მდინარეების სახელებია), მდ. ლაგუმფსა, მდ. რიონის ისტორიული სახელწოდება პ. ინგოროყვას მიხედვით, არის ფასისი. ჭოროხს კი ნამდვილად ერქვა ფასისი. ძველქართული საისტორიო ცნობით, მაგალითად, ანდრია მოციქულის მიმოსვლის ძველქართულ თარგმანში ბერძნული დედნის ფასისი ქართულად გადმოცემულია როგორც ჭოროხი (ბერძნული ტექსტი, გეორგიკა, IV, 1. გვ. 58, ქართული ტექსტი – საქართველოს სამოთხე, გვ. 35). ჭოროხს ასევე ერქვა აკამფსისი (აკამფასისი), გურიაში იგივე ფუძისაა – სუფსა. პ. ინგოროყვას ეტიმოლოგიით „სურ-ფსა, ანუ სურების წყალი (ფსა – წყალი). ზემო არაქსის ხეობაში – „ბასიანი“-ს სახელწოდება წარმოშობილია მდ. არაქსის სახელიდან „ფასისი“. ფასისი ერქვა არაქსს ზემოწელში. ასე რომ „ფასისი“ ერქვა უამრავ მდინარეს ჩრდილოკავკასიიდან – ფსოუდან ევფრატის ხეობამდე, პ. ინგოროყვას აზრით, ამის მიზეზია ის, რომ ფასისი-ფსი აღნიშნავდა ცნებას „წყალი“, აქედანაა „ფშა“, „ფშანი“ და სხვა (იქვე, გვ. 185). „ფას“ სიტყვას ზოგჯერ დაერთოდა ბრუნვის ნაწილი „ისი“ და მიიღებოდა ფასისი ან ბასისი. ასევე ზოგჯერ ერთვოდა ნათესაობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ნიშანი „თა“ – „ფსთა“.

ფუძე „ფას“

ნ. მარს მიაჩნდა, რომ დასავლეთ საქართველოსა და ბასიანში ცხოვრობდა ხალხი „ფას“ სახელის მქონე. ეს ფუძე „ფასი“ გამოიყოფა სიტყვა „ფაზისიდან“, ჟღერს ისტორიული ოლქების სახელებში „ბასიანი“, რომელთაგან ერთი ტაოს სამხრეთით, მეორე კი დიდი კავკასიის მთიანეთში მდებარეობდა. ორივე ბასიანიდან გაედინებოდნენ მდინარეები „ფაზისის“ სახელის მქონენი. ერთის მახლობლად არაქსი, მეორისა კი რიონი (მ.ბერძნიშვილი, ქ. ფაზისის ისტორიისთვის. გვ. 86).

პ. ინგოროყვას დაკვირვებით, ბასხი იგივე მესხია, ბასხი და ფასხი ერთი წარმოშობის სიტყვებია. ბასხისაგანაა მიღებული „აბასხი“ ანუ „აბასგი“, აბასგი. მაშასადამე, იგივე მესხია (მესღი) (სხ=სღ=სგ). კოლხები – მესხური ტომია ჰეკატოს მილეტელის მიხედვით. შესაძლოა სიტყვა მესხისგანაც იყო მიღებული ფასიანი – ბასიანი, მაშინ მისი თავდაპირველი ფორმა იქნებოდა ფასხიანი-ბასხიანი-მესხიანი. თუ მესხების მიგრაცია მართლაც მოხდა ჩრდილოეთით, როგორც ფიქრობენ და, ვთქვათ, „მცხეთა“ სახელი მესხისაგანაა მიღებული, მაშინ არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ მესხები ამ მიგრაციის დროს რიონის ხეობაშიც დასახლდნენ და მისცეს თავისი სახელი – ფასი-ბასხი, ამას გვაფიქრებინებს აგრეთვე VI საუკუნის ცნობა, რომ ქართლის მეფეს იუსტინიანეს ეპოქაში ბრძოლა ჰქონია დასავლეთ საქართველოში ტასკუნთა ტომთან, ვფიქრობ, დედანში ეწერა არა ტასკუნი, არამენ ბასკუნი („ტ“ და „ბ“ ძველ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში იდენტური ასონიშნებია ერთნაირი თავებით, მხოლოდ ფეხის ვერტიკალური ხაზები აქვთ წანაცვლებული). ბასკუნები იგივე ბასხიან, ბასხ-ონ, ბასხ-უნები, ანუ მესხები უნდა იყვნენ, ალბათ, რომელნიც, ჩანს, ამ ეპოქაშივე რიონის ხეობიდან თანამედროვე აფხაზეთში გადავიდნენ საცხოვრებლად – ბასხი-ბასგი-აბასგი სიტყვები მესხი და ფასისი როგორღაც დაკავშირებულია ერთმანეთთან. თუმცა, ბერძნების აზრით, „ფასისი“ ბერძნული სიტყვაა და ერქვა ჰელიოსის ვაჟს, რომელიც დაიხრჩო მდ. არქტურაში, რომელსაც შემდეგ მდ. ფაზისი ეწოდა ამ მოვლენის აღსანიშნავად (მ. ბერძნიშვილი, იქვე, გვ. 85).

მ. ბერძნიშვილი: „ფაზისი რიონია, ყვირილა ძირულასთან ერთად“

სტრაბონის ცნობით, შუა აზიიდან ინდოეთის საქონელი მდინარე ამუ-დარიით (ოქსუსით) ჩაჰქონდათ კასპიის ზღვაში, იქიდან კი მტკვრის გავლით შავ ზღვაში. მტკვარს (კირსა) და ფაზისს ერთმანეთს აკავშირებდა „ოთხი დღის სახმელეთო გზა“. კერძოდ, ეს გზა სარაპანის ციხიდან შედიოდა იბერიაში მტკვართან. „ეს გზა ყოფილა ფართო შარაგზა, ჩვენებური გამოთქმით – საურმე გზა“ (მ. ბერძნიშვილი, ქ. ფაზისის ისტორიისთვის, გვ. 99).

იბერია-კოლხეთის ამ მაკავშირებელ გზაზე 120 ხიდი ყოფილა გადებული მ. ბერძნიშვილის აზრით. მართლაც, სტრაბონი წერს – „იბერთა ქვეყანაში ერთი შესასვლელი არის კოლხეთის ციხე სარაპანაზე და მის მეზობელ ხეობაზე. ამ ხეობაზე ფაზისი, რომელიც მიხვეულ-მოხვეულობის გამო გასავალი შეიქმნა 120 ხიდის მეშვეობით, მძაფრად და გაქანებით მიემართება კოლხეთში, ხრამავს რა წვიმიან დარში ამ მიდამოებს მრავალი ნაკადით. მას სათავე აქვს (იბერიის) ზემდებარე მთებში. ასეთია გასავალი კოლხეთიდან იბერიაში, შებრკოლებული კლდეებით, სიმაგრეებით და მდინარეებით, ხევებს რომ წარმოქმნიან (იქვე, გვ. 100).

ჩვენი ეპოქის მეცნიერებმა უეჭველ ფაქტად მიიჩნიეს, რომ სტრაბონის სარაპანა არის შორაპანი ზესტაფონთან, მაგრამ მათ ამ რწმენას წინ ედობება ის, რომ სტრაბონის მიხედვით სარაპანა მდ. ფაზისზე მდებარეობდა („ფაზისი გემსავალია, აღმა ვიდრე სარაპანას ციხემდე“). მაგრამ შორაპანი საკმაოდაა დაშორებული ჩვენი მეცნიერების მიერ ფაზისად მიჩნეულ მდინარე რიონს. ამიტომაც დაადგინეს, რომ ყვირილა, რომელიც ჩამოუდის შორაპანს, მდინარე ფაზისის ზემოწელი იყო, თუმცა დიდი ეჭვი იმისა, რომ ოდესმე მდ. ყვირილაზე შორაპნამდე შავი ზღვიდან გემები ამოდიოდა – უყურადღებოდ დარჩა. მდ. ყვირილა მდ. ფაზისის ზემოწელი მართლაც რომ ყოფილიყო, როგორც აღინიშნა, სტრაბონის ცნობა მაინც ძალზე გაურკვეველი დარჩებოდა, რადგანაც ყვირილას სათავეა ჭიათურა-საჩხერის რეგიონი და აღმოსავლეთ საქართველოს გადასავლელი მისგან ძალზე დაშორებულია. ამიტომაც მკვლევრებმა გამოსავალი მოძებნეს იმით, რომ ფაზისად მიიჩნიეს „ჯერ ყვირილა, შემდეგ კი ძირულას ხეობა“. წერს კიდეც ბერძნიშვილი – „სტრაბონი იბერიაში კოლხეთიდან გადასავალ გზასთან დაკავშირებით ამბობს ცოტა არ იყოს გაურკვევლად. საქმე ისაა, რომ აქ სტრაბონი აგვიწერს სარაპანის აღმოსავლეთით მდებარე და იბერიისკენ მიმავალ გზას, რომელიც მისი ცნობით, მიემართება სარაპანის მეზობელი ხეობით. ამ ხეობაზეო, განაგრძობს იგი, გზა გასავალია ვინაიდან ფაზისზე – ფაქტიურად ნაგულისხმევია, ჩვენი ფიქრით, ჯერ ყვირილას, მერე ძირულას ხეობა – 120 ხიდია გაკეთებულიო“ (მ. ბერძენიშვილი, გვ. 94). მაშასადამე, შორაპნიდან შიდა ქართლის გზაზე ყვირილასა და ძირულას ხეობაზე ოდესღაც 120 ხიდი ყოფილა გადებული. მათგან თუნდაც ერთი ხიდის ნაშთი მაინც ხომ უნდა დარჩენილიყო, ასეთი კი არ იძებნება. სამაგიეროდ, ძველი ქვის თაღოვანი ხიდები მრავლადაა დარჩენილი ამჟამადაც ჭოროხის შენაკადებზე, ლიგანსა, აჭარასა და შავშეთში. ჩანს, არა შორაპანს ერქვა სარაპანა სტრაბონის დროს, არამედ თანამედროვე ართვინს, რომლის აღმოსავლეთით არტანუჯის და შავშეთის ორი გზა მიემართება არტაანში, ანუ ძველი იბერიის ოლქში.

ფასისის შენაკადი მდ. რეონი გ. გრიგოლიას მიხედვით (პეტრა, სებასტოპოლისი, კუტაია)

პროკოფის ცნობიდან ჩანს, რომ მდ. რეონი იყო ერთერთი შენაკადი მდ. ფასისისა. წყარო სრულიად ნათლად აჩვენებს, რომ ფასისი და რეონი არის ორი სხვადასხვა მდინარე. არათუ ჩანს, პროკოფი კესარიელი წერს კიდევაც ამის შესახებ, - ცნობა ეხება სპარსეთის ჯარების მსვლელობის მარშრუტს, მერმეროეს სარდლობით. ის იბერიის მხრიდან შევიდა ლაზიკაში, მაგრამ გზაში აცნობეს, რომ პეტრა უკვე აიღეს რომაელებმა (ბესას მთავარსარდლობით) და მათ 551 წ. პეტრას ციხის კედლები მიწასთან გაასწორეს, რომ „მტერს კვლავ არ გაეჭირვებინა საქმე რომაელთათვის... მერმეროემ გაიგო ყველაფერი, რაც მოხდა და სრულიად შეცვალა ის გზა, რადგან იცოდა, რომ მდინარე ფასისის იქითა მხარეს ლაზებს პეტრას გარდა სხვა არც ერთი დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ. ის გაბრუნდა და დაიჭირა იბერიიდან კოლხიდის ქვეყანაში გადასასვლელი ადგილები, სადაც ფასისის გადასვლა შეიძლება ფონით, გადალახა ეს მდინარე ფეხით, გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც, სახელად რეონი - არც ეს არის აქ სანაოსნო - და ფასისის მარჯვენა მხარეს რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის არქეოპოლისის წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“ (გეორგიკა II, გვ. 180-182).

მაშასადამე პროკოფი წერს - „მდ. ფასისის შემდეგ მერმეროემ გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც სახელად რეონი“.

გ. გრიგოლია წერს, რომ პროკოფის შრომის ეს ადგილი დიდი ხანია მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. კერძოდ კი აკრიტიკებს ს. ყაუხჩიშვილს, რომლის აზრითაც იბერიიდან გადმოსულმა სპარსელებმა ჯერ მდ. ყვირილა გადალახეს, რომელიც მას ფასისად მიაჩნია და შემდეგ მდ. რიონი - „როგორც ვხედავთ მკვლევარი ეწინააღმდეგება ადრე გამოთქმულ თავისსავე მოსაზრებას ბოას-ფასისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ყვირილა ბოასია და არა ფასისი“ (გ. გრიგოლია „ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები”, 1994, გვ. 53).

თვით გრიგოლიას თვალსაზრისით კი სპარსელ-რომაელთა ომების I ეტაპზე პეტრასთან დაკავშირებით, ფასისად იგულისხმება მდ. ჭოროხი, პეტრა მდებარეობდა წყაროთა ცნობებით ფასისთან ახლოს. პეტრა ფასისს პროკოფის ცნობით ერთი დღის სავალი (დაახლოებით 30 კმ) მანძილით იყო დაშორებული და მდებარეობდა ლაზიკის საზღვართან მდ. ფასისის მარცხნივ დაუსახლებელ ადგილას, “პონტოელთა მეზობლად". პეტრას სიმაგრე იყო იმ ადგილს სადაც ადამიანებს არასდროს უცხოვრიათ. უკაცრიელ ადგილას საეპისკოპოსო კათედრა ვერ დაარსდებოდა, თანაც აქ მუდამ ომები იყო. გ. გრიგოლიას თვალსაზრისით არა კათედრა, არამედ პეტრას სიმაგრე - ხუფათთან მდებარეობდა ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე. ეს მდინარე ჭოროხი (ფასისი) გადაულახავს მერმეროეს თავისი სპარსული ჯარით და შემდეგ კი იქვე გამდინარე „მეორე მდინარე რეონი“ ანუ ჭოროხის შენაკადი გადაულახავს და კვლავ ფასისის ანუ ჭოროხის მარჯვენა მხარეს გადასულა („ფასისის მარჯვენა მხარეს აღმოჩნდა“) და ჯარი წაუყვანია ქალაქ არქეოპოლისისაკენ, რომელიც როგორც ჩანს, ისევ იქვე, მახლობლად, ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზევე მდებარეობდა. ჩვენი მეცნიერების დაბეჯითებული მტკიცებით არქეოპოლისი არის ნოქალაქევი. თუკი ფასისი ჭოროხია, ხოლო რეონი არის არა მდინარე რიონი, არამედ ჭოროხის ერთერთი შენაკადი, მაშინ არქეოპოლისიც იქვე უნდა ვეძიოთ. მართლაც თუ კი არქეოპოლისი იყო ნოქალაქევი, რომელსაც ჩვენი მეცნიერები „ლაზიკის დედაქალაქს“ უწოდებენ, რატომ არ შედიოდა ტაბულა პევტენგერიანას რუკის საგზაო მაგისტრალი ნოქალაქევში? სახელმწიფოს დედაქალაქს განა გვერდს აუვლიდა სავაჭრო და სამხედრო გზა? ამასთან დაკავშირებით გ. გრიგოლია წერს - „ძნელი წარმოსადგენია, რომ გზას გვერდი აევლო დედაქალაქისათვის და კასტორიუსს იგი გამორჩენოდა“ (გ. გრიგოლია ეგრის ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, 1994, გვ. 108).

გ. გრიგოლია წერს, რომ კასტორიუსის რუკის ანუ ტაბულა პევტენგერიანას მიხედვით (სეგმენტი XI-XII) მნიშვნელოვანი გზა სომხეთის ძველ დედაქალაქ არტაშატიდან მიემართებოდა სებასტოპოლისისაკენ... ტაბულა პევტენგერიანას რუკის აღნიშნული მაგისტრალი არ შედის ნოქალაქევში, რომელიც „ეგრისის დედაქალაქი“ იყო რუკის შედგენის დროს (III-IV საუკუნეებში). ასევე გზა არ შედის ფოთის მხარეს (რომელიც ქ. ფასისად მიიჩნევა), და რაც ასევე ძალზე საინტერესოა - გზაზე არ ჩანს კუტაია - ქუთაისი“ (იქვე, გვ. 109).

როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ რომის იმპერიის უმთავრეს საგზაო რუკაზე არ დაეტანათ ნოქალაქევი, ქუთაისი და ფოთი, თუკი ისინი ნამდვილად იყვნენ ძველ სამყაროში ძალზე ცნობილი არქეპოლისი, კუტაია და ფასისი. მაგრამ რადგანაც ამ ძველ მთავარ ქალაქებში არ შედის ამ რუკის გზები, უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი არქეოპოლისი არ არის ნოქალაქევი, კუტაია - თანამედროვე ქუთაისი და ქ. ფასისი არ არის ფოთი. გ. გრიგოლიამ ასე გადაჭრა ეს საკითხი კასტორიუსის რუკის აღნიშნული სეგმენტის უმთავრესი გზა არტაშატიდან მიემართება ქ. სებასტოპოლისისაკენ, და საერთოდ გზის დამამთავრებელი ქალაქი არის სებასტოპოლისი, ხოლო გ. გრიგოლიას კვლევით ეს ქალაქი

სებასტოპოლისი არის არა აფხაზეთის ქალაქი ცხუმი, არამედ ბათუმთან ახლოს მდებარე ციხისძირი. მაშასადამე არტაშატიდან გზა მიემართება ციხისძირში - ერთ-ერთ საპორტო ქალაქში. აქედან გამომდინარე, ცხადია ეს გზა ვერ გაივლიდა ქუთაისს, ფოთსა და ციხეგოჯს.

სებასტოპოლისი თუ არის ციხისძირი, მაშინ სხვა ქალაქები მის სამხრეთით უნდა მდებარეობდნენ, რადგანაც ცნობილია ძველი წყაროებით, რომ სებასტოპოლისი უფრო ჩრდილოეთით მდებარეობდა, შესაბამისად, გ. გრიგოლიას კვლევიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ციხისძირის ახლოს იყო ქალაქი არქეოპოლისი. სად შეიძლებოდა ყოფილიყო ის? უნდა ვიფიქროთ, რომ არქეპოლისი ბერძნულად იგივეა რაც ლათინურად „პორტუს ალტუს“ (პორტუს ალტუს), რაც ღრმა ანუ ძველ პორტს ნიშნავს ჩვენი მთარგმნელების აზრით. ძველად ალბათ მას „ძველი პორტის“ ან „ძველი ქალაქის“ მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ბერძნულად - არქეპოლისია. ეს ქალაქი მდებარეობდა თანამედროვე ბათუმთან ახლოს. სებასტოპოლისი - ციხისძირის ახლოს უნდა ყოფილიყო.

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით არსებობდა „ორი სებასტოპოლისი“ (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ. გვ. 81), ერთი- აფსაროსსა და ფასისს (ჭოროხს) შუა (იქვე, გვ. 83), მეორე კი იყო ცხუმი (იქვე, გვ. 83). მისივე აზრით იყო ორი პითია (პიტიუნტი), ერთი იყო რიზესთან (იქვე, გვ. 89) და სხვა ალბათ მსგავსადვე, შესაძლოა თანამედროვე ქუთაისის გარდა სხვა პუნქტსაც ერქვა „კუტაია“, რომლის რეგიონში ჩაედინებოდა მდინარე „რეონი“ (და არა რიონი). ის, როგორც წყაროდან ჩანს, მდებარეობდა ლაზიკის ქვეყნის მდიდარ რეგიონში, რომელსაც „მოხირისი“ ერქვა. ჩვენი მეცნიერების თვალსაზრისით ასეთი გამორჩეულად მდიდარი რეგიონი დასავლეთ საქართველოში არის ქუთაისის სანახები ცხენისწყლამდე. ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგანაც დასავლეთ საქართველოში სხვა რეგიონებიც არანაკლებ მოსავლიანი და უფრო უხვმოსავლიანებიც კია, ხოლო თუ კი ფასისი არის მდ. ჭოროხი, მისი ხეობა მართლაც თვალხილულად ვიწროა, კლდოვანია, ნაკლებმოსავლიანია და მხოლოდ ერთი გამორჩეული მხარეა ერგე-ლიგანი, რომელიც შეუდარებლად უხვმოსავლიანია. ერგე-ლიგანის უხვმოსავლიანობის და გამორჩეულობის შესახებ ვახუშტიც მიუთითებს. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო „მოხირისის“ მხარე, თავისი „რეონით“ და კუტაია-ქუთათისით. პროკოფი კესარიელის „ქუთათისი-კუტაია“ უნდა იყოს პუნქტები ჭოროხის ხეობისა, რომელიც შედარებით ახლო იყო ზღვასთან ვიდრე რიონის ქუთაისი. ზღვასთან შეერთების ადგილას პროკოფი მიუთითებს „ფასისის კლდეების“ შესახებ, ეს ცხადია არ არის რიონი (იქვე, გვ. 31), რადგანაც უზარმაზარი კლდეები და კლისურები რიონის ხეობაში არ გვხვდება. პროკოფის სიტყვით „კავკასიის“ მთასთან ფასისი მიმართულებას იცვლის, გ. გრიგოლიას აზრით - „გაუგებრობაა „კავკასიის“ ძიება ყვირილა-რიონის შესართავთან“ (იქვე, გვ. 39). გ. გრიგოლიას დასკვნით, კავკასია ერქვა კლარჯეთის მთებს, ჰეროდოტეს ცნობით, კავკასია ვრცელდება არმენიიდან კოლხთა მხარემდე (იქვე, გვ. 39). როგორც ითქვა, აქ იყო (კლარჯეთში) - „საკავკასიძეო“, ამიტომაც „პროკოფის ფასისი რიონი არაა“ (იქვე, გვ. 50).

პროკოფის სიტყვით, ფასისი კლდეთა შორის მიედინება, ამიტომაც მისი კალაპოტი უცვლელია, ხოლო „რიონი მეანდრებად დახვეული დანავარდობს ვაკეზე“ (იქვე, გვ. 49). - წერს გ. გრიგოლია. მაშასადამე, პროკოფის ფასისი არის მდ. ჭოროხი - კლდეებში ჩაჭედილი. წინააღმდეგობას იმაში ხედავდნენ ჩვენი მეცნიერები, რომ ძველ ავტორთა ცნობით ფასისი იყო სანაოსნო, ხოლო ჭოროხს რატომღაც არ თვლიან სანაოსნო მდინარედ. გ. გრიგოლიას სიტყვით კი ჭოროხი „ფორჩხიდან მაინც“ ვიდრე ზღვამდე სანაოსნოა (იქვე, გვ. 49). მისი მსჯელობიდან ჩანს, რომ ჭოროხთან იყო არქეოპოლისი, სებასტოპოლისი,

პიტიუნტი, ქ. ფასისი, მოხირისი, როდოპოლისი, სკანდე და სარაპანი (იქვე, გვ. 51). მისი დასკვნით, პეტრას ომები არ შეხებია ყვირილა-რიონის ხეობას (იქვე, გვ. 50). გ. გრიგოლიამაც მიაქცია ყურადღება პროკოფის ცნობას, რომ ცხენის საკვების სიმცირის გამო სპარსელები იძულებულნი გახდნენ უკან გაებრუნებინათ ლაზიკიდან 25 000-იანი ჯარი. დასავლეთ საქართველო და რიონის ხეობა რომ იგულისხმებოდეს პროკოფის „ლაზიკის“ ქვეშ, ცხადია უბალახობის გამო სპარსელებს ცხენები არ დაეხოცებოდათ, რადგანაც დასავლეთ საქართველო სწორედ ჭაობისა და ბალახის ქვეყანაა. მაგრამ ჭოროხის კლდიანეთში კი ნამდვილად ცოტა ბალახია - ციცაბო, დაკიდებული კლდეების გამო აქ ნამდვილად გაჭირდებოდა 25 ათასი ცხენის გამოკვება. ამიტომაც პროკოფის ლაზიკე - ჭოროხის ხეობაა (იქვე გვ. 54). ასევე ყურადღება უნდა მიექცეს, რომ შავშეთ-კლარჯეთში მრავალი ტოპონიმი შეიცავს ფუძე „მერ“-ს. ერთ-ერთი ასეთი უნდა ყოფილიყო „უქიმერიონი“. ის მდებარეობდა არა რიონის ქუთაისთან, არამედ ჭოროხის ერგეს ქვეყანაში, სადაც ვვარაუდობთ „კუტაიას“ არსებობას. სპარსელებს ლაზიკის ომების დროს თავიანთი ცნობილი რვა საომარი სპილო უნდა შემოეყვანათ არტაან-ართვინის გზით, რომელნიც როგორც ცნობილია აომეს არქეოპოლისთან და ფასისთან, ანუ სადღაც ჭოროხის შესართავთან მდებარე ქალაქებთან. შესაბამისად უნდა ვიგულისხმოთ, რომ ცნობილი ქვეყნები - სვანია, სკვიმნია და აფშილეთი მდებარეობდნენ ჭოროხის ჩრდილოეთით, ანუ ჭოროხის მარჯვენა სანაპირო მხარეს, ჩანს მოიცავდნენ თანამედროვე ქობულეთს, გურიას და მათ მთიანეთს. მართლაც, წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ცხოვრების მიხედვით, რაც მოციქულებმა გადალახეს ჭოროხ-ფასისი, ისინი, წყაროს ცნობით, შევიდნენ სვანეთში. ძველი ქართველი ავტორები, მათ შორის მთაწმიდელები, ფასისად ყოველთვის მდ. ჭოროხს მიიჩნევდნენ. სპარსელ-რომაელთა ომი იმას გამოუწვევია, რომ საზღვარი ხოფა-ხუფათიდან იუსტინიანეს უფრო ჩრდილოეთით გადაუტანია (იქვე, გვ. 71). გ. გრიგოლია, როგორც აღინიშნა, პეტრად მიიჩნევს შემდეგდროინდელ ხუფათს. აქ გაედინება მდ. პეტროდალი. პეტრა 551 წელს დაურბევიათ, ამიტომაც პეტრონის ცნობილი ეპისკოპოსი, რომელმაც თეოდორე ფასისელ ეპისკოპოსთან ერთად ხელი მოაწერა VII (692 წლის) კრებას, ჩანს იჯდა არა სიმაგრე პეტრაში, არამედ რომელიღაც სხვა, მახლობელ ქალაქში, რომელსაც ასევე პეტრონი, პეტრა ერქვა. ასეთი ქალაქი არაერთი იყო. პ. ინგოროყვას ცნობით ცნობილი პითია რიზესთან მდებარეობდა (იქვე, გვ. 89). გ. გრიგოლიას დასკვნით ბათუმ-ციხისძირ-ურეკის რეგიონი იყო მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-პოლიტიკური რეგიონი, შესაბამისად მისი მომცველი იყო ჭოროხის ხეობასთან ერთად ლაზიკა (გვ. 93). ლაზიკაში კლარჯეთიც შედიოდა. ჩანს კლარჯეთს მიიჩნევდნენ მესხეთის ერთ-ერთ ნაწილად. ძველი ავტორების ცნობით მესხეთი სამ ნაწილად იყო გაყოფილი - ერთი ნაწილი ეკავა იბერიას, მეორე არმენიას, მესამე კი ლაზიკას. ჩანს, იგულისხმება ის, რომ მესხეთის მხარეები სამცხე-არტაან-კოლა შედიოდა იბერიაში, ტაო და ბასიანი – არმენიაში, ხოლო კლარჯეთი – ლაზიკაში. გ. გრიგოლია არ ეთანხმება იქამდე არსებულ, ძირითადად ს. ყაუხჩიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, რომ მაგალითად ზიგანე იყო გუდაყვა, პითია - ბიჭვინთა, სებასტოპოლისი კი დიოსკურია – ცხომი, მოხორა – მუხურისი, მას მიაჩნია, რომ IV საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთის პიტიუნტი – ბიჭვინთა აღარ წარმოადგენდა სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს (არქეოლოგიური მასალების მოწმობით), რადგანაც, მაგალითად იქ სადაც იყო გარნიზონის მთავარი სადგომი, შემდეგში, კერძოდ IV საუკუნეში, გაუმართავთ კერამიკული ქურა. ამის გამო გ. ლორთქიფანიძე საერთოდ გამორიცხავს V საუკუნეში ბიჭვინთაში ბიზანტიური გარნიზონის ყოფნას (იქვე, გვ. 121). გ. გრიგოლიას თვალსაზრისით IV-V საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში საერთოდ არ იდგა ბიზან-

ტიური გარნიზონები (იქვე, გვ. 122), რომ ნოტიციას შედგენის დროს აფხაზეთის პიტიუნტი და სებასტოპოლისი არ ეკუთვნოდათ რომაელებს (იქვე, გვ. 122). გრიგოლია ეთანხმება ნ. ადონცს, რომ ნოტიციას ზიგანა მდებარეობდა ტრაპეზუნტის რეგიონში ზიგანას უღელტეხილთან, მაშასადამე იქვე იყო ზიგანას საეპისკოპოსო, იქვე იყო მოხორა (გვ. 122). საერთოდ კი ლაზიკა და არმენია ერთმანეთს ემეზობლებოდნენ, საერთო საზღვარი ჰქონდათ. ამიტომაც გადიოდა ლაზიკაში ე.წ. „არმენიის გზა“, რომელიც ამ ორ ქვეყანას აერთებდა. ცხადია, იგულისხმება არტაან-ართვინის გზა, რომელიც არმენიაში გადიოდა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გ. გრიგოლია, ასე ვთქვათ, ზოგჯერ გაორებულია. მაგალითად, ის მიიჩნევს, რომ სპარსეთ-რომაელთა ომების პირველ ეტაპზე მდ. ფასისი არის ჭოროხი (პეტრასთვის ომებისას), ხოლო მეორე ეტაპზე კი მდ. რიონი (არქეოპოლისის ომებისას). შესაბამისად ფიქრობს, რომ არქეოპოლისი, კუტაია, სკანდა და სარაპანა მდებარეობდნენ იქ, სადაც ამჟამად მათ მდებარეობას მიუთითებენ სხვებიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გ. გრიგოლია ჩვენი თვალსაზრისით ცდება, რადგანაც ამ ომების დროს, მდ. ფასისად ყოველთვის იგულისხმებოდა მდ. ჭოროხი, და მის მარჯვენა სანაპიროზე უნდა ვეძიოთ დასახელებული პუნქტები, კუტაია - ერგეში, სკანდა და სარაპანა კი კლარჯეთ-არტაანის საზღვარზე, რადგანაც კლარჯეთი იმ ეპოქაში ლაზიკას ეკუთვნოდა.

ჭოროხის ხეობა ო. დიდმანიძის მიხედვით

ბორჩხადან - აჭარისწყლის შესართავამდე ქვეყანას ერგვე - „ლივანა“ ერქვა, აჭარისწყლის ქვემოთ კი – ერგე. ბორჩხაში საქონელი შედიოდა ართვინის ბაზრობიდან. ართვინში იმართებოდა ბაზრობა, ვაჭრები ყიდულობდნენ საქონელს, რომელიც ბორჩხაში გადაჰქონდათ, ბორჩხადან კი უკვე მარადიდელი მენავეები აგრძელებდნენ ტვირთზიდვას მახოს ხიდამდე. მოხუცი მარადიდელი, ნავის უკანმთრეველის სიტყვით, ნავს უკან მიათრევდა 3-4 მუშა „ჯოხებით“, საფიქრებელია, რომ მას სურდა ეთქვა, რომ ეს 3-4 კაცი მდინარის დინების მიყოლისას იყო ნავზე.

ო. დიდმანიძე მიიჩნევს, რომ სტრაბონის ფასისის ზღვასთან შესართავის აღწერა შეესაბამება ჭოროხის ზღვასთან შერთვის ადგილს - სტრაბონის ცნობა - „მიწა ზღვის სანაპიროზე შლამიანია და მდინარეთა შეერთების ადგილებში ჭაობიანი“ (სტრაბონი, გეოგრაფია, ლ., 1964, გვ. 472) შეესაბამება ჭოროხის შესართავს, რადგანაც მკვლევარის სიტყვით - „მართლაც, ჩვენს მხარეში (გულისხმობს აჭარას) მიწა ზღვის სანაპიროზე შლამიანი და ჭაობიანი იყო კოლექტივიზაციის პერიოდამდე (ო. დიდმანიძე, სოფელი მარადიდი, ბათუმი, 2006, გვ. 21). „ქვეყანა განთქმული ნაყოფით გარდა თაფლისა, რომლის დიდი ნაწილი მწარეა“ - სტრაბონის ეს ცნობაც ო. დიდმანიძის აზრით შეესაბამება ჭოროხის დელტის ქვეყანას. მართლაც ჭოროხის ზღვასთან შერთვის ქვეყანა (ე.ი. ქვემო აჭარა) დიდად ნაყოფიერი ქვეყანაა, რასაც ვერ ვიტყვით მდ. რიონის შესართავის ქვეყნის მიმართ. სამტრედიიდან - ფოთამდე არა თუ წარსულში, ახლაც კი დაჭაობების გამო მოსავალი მოდის მხოლოდ ხელოვნურად დაშრობილ მიწებზე. სტრაბონის ცნობით ფასისის ქვეყანა ასევე განთქმული იყო გემთმშენებლობისათვის საჭირო ყველა მასალით. აქ აწარმოებენ ბევრ ხე-ტყეს და აცურებენ მდინარეებით“ (სტრაბონი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 472). ამ ცნობასთან დაკავშირებით მკვლევარი წერს - „ეს მხარე (ე.ი. ჭოროხის ხეობა) განთქმული იყო ნავთმშენებლობისათვის საჭირო ყველა მასალით, ამიტომაც აქვე ამზადებდნენ ნავებს, თითქმის ყველა მოგზაურ-მკვლევარი ამას საგანგებოდ აღნიშნავდა, რასაც ეთნოგრაფიული სინამდვილეც ადასტურებს. მარადიდი ხომ მთელ საქართველოში განთქმული იყო თავისი ნავთმშენებლობით, ისინი დაცურავდნენ აფხაზეთსა და რუსეთის მიჯნამ-

დე, ხე-ტყეს რომ აცურებდნენ მდინარეებით, განსაკუთრებით აჭარისწყალსა და ჭოროხზე ამას არაერთი ავტორი აღნიშნავს“ (ო. დიდმანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 21).

სავარაუდოდ, რიონზე ხე-ტყეს არ აცურებდნენ მისი ნელი დინების გამო, აგრეთვე კალაპოტის ხშირი ცვლის გამო.. შემდეგ სტრაბონი განაგრძობს ფასისის ხეობის დახასიათებას, ის დამატებით ამბობს შემდეგს: მოსახლეობა ამზადებს ბევრ სელის ტილოს, საბაწრე მასალას. ამუშავებენ თაფლის სანთელს და ფისს. ადგილობრივი წარმოების სელის ქსოვილი სარგებლობს აგრეთვე ფართო მოთხოვნილებით. ნამდვილად მათ გაჰქონდათ სელის ქსოვილები სხვა ქვეყნებში“ (სტრაბონი, გეოგრაფია, ლ. 1964, გვ. 472).

მე არ ვიცნობ სელის ქსოვილების რაიონის დაბლობში დამამზადებელთა პირად საუბრებს თავიანთი საქმიანობის შესახებ. ასეთნი კი ჭოროხის ხეობაში სულ ახლახანს საქმიანობდნენ არც თუ შორეულ წარსულში. ამ კუთხის მკვიდრი წერს - „მარადიდი და საერთოდ ლივანის ხეობა განთქმული იყო სელის მოყვანით, რომელსაც ადრე იყენებდნენ ქსოვილების დასამზადებლად. ამზადებდნენ აგრეთვე საბაწრე მასალას, რაც ნავისათვის აუცილებელი იყო. ნავთმშენებლობისათვის გამოიყენებოდა აგრეთვე ფისი. ასე, რომ სტრაბონი როცა მოგვითხრობდა ყოველივე ზემოთქმულს, როგორც ჩანს მხედველობაში ჰქონდა მარადიდი და მისი შემოგარენი“ - წერენ ადგილობრივი მკვლევარები, რომელნიც თავიანთი თვალით ხედავდნენ ზუსტ იდენტურობას თავიანთი სოფლის ეთნოგრაფიულ ყოფასა, მათთან ჩამავალ მდინარესა და სტრაბონის მიერ აღწერილ ფასისთან დაკავშირებით (იხ. ო. დიდმანიძე, ს. გოგიტიძე, სოფელი მარადიდი, 2006, გვ. 21).

მათ ცნობებს უფრო ადრე ადასტურებენ უცხოელი მკვლევარები. მაგალითად, „ინგლისელი ჯ. პალგრევის მონაცემით, შალისა და სელის ქსოვილები დიდი რაოდენობით მზადდებოდა ბორჩხაში, მარადიდსა და წითურეთში. ქსოვილის ნაჭერი 50 პიასტრი ღირდა“ (იქვე, გვ. 36).

დ. ბაქრაძის დახასიათებით, ლივანის ხეობაში მოჰყავდათ საუკეთესო ჯიშის სელი: „აქაური სელი ფუთი მანეთად გადის“ (იქვე, გვ. 36) ასე, რომ სელის ქსოვილის წარმოება ჭოროხის ხეობაში რეალური, თვალხილული ფაქტია. რიონის ხეობაში მისი წარმოების შესახებ მხოლოდ მოსაზრებები არსებობს. სტრაბონის ცნობა ფასისის ხეობაში სელის წარმოების შესახებ უფრო ჭოროხის აუზს შეესაბამება. სხვათა შორის ლივანში მოდიოდა ზეთისხილი, იგი ნავებით გადაჰქონდათ ბათუმში, ხოლო მოხირისის უხვმოსავლიანობის შესახებ ცნობა უფრო ლივან-ერგეს რეგიონს შეესაბამება. როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ო. დიდმანიძის ცნობით - „ლივანის სოფლებში, დაბლობ ადგილებში მოჰყავდათ ბრინჯი, სიმინდი, ყურძენი, თუთა, თაფლი, ღომი, ჭვავი, ლობიო“ (იქვე, გვ. 36). კაკლის ხეებიც – ავეჯის მასალა - ასევე ნავებით გადაჰქონდათ, თუმცა კი ლივანში „ხეობის სივიწროვისა და ციცაბო მთების სიმრავლის გამო, ბათუმის ოლქში სხვა ხეობებთან შედარებით სახნავ-სათესი მიწა - ცოტაა“ (იქვე, გვ. 36). ეს აღწერა მთლიანად იდენტურია პროკოფისეულ ლაზიკის აღწერასთან.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ბათუმის ოლქის მარადიდის მაზრაში შედიოდა გონიო, ერგე, კახაბერი, მახო, ჯოჯო და სხვა (იქვე, გვ. 35). მარადიდში ამზადებდნენ სახელგანთქმულ ჭოროხის ბრტყელძირა ნავებს. იყო 10-მდე სახელოსნო, აქვე იმართებოდა დიდი ბაზრობები (იქვე, გვ. 38). ასე, რომ მარადიდის მაზრა დიდი რაიონი იყო, მასში 1914 წლისათვის სარფიც შედიოდა (იქვე, გვ. 40). ე. ვეიდენბაუმმა ბათუმიდან ართვინამდე ფეხით იმოგზაურა, ხოლო უკან ნავით დაბრუნდა. ნ. შავროვის ცნობით, სოფელი ქვედა მარადიდი ითვლებოდა ბათუმის ოლქის მნიშვნელოვან სოფლად. იგი მდებარეობდა ჭოროხის მარცხენა მხარეზე, ფართო სანაპირო დაბლობზე. აჭარისწყლიდან 5 ვერსზე (იქვე, გვ. 45). ჩემი აზრით, მას პროკოფი „ქუთათისს“ უწოდებს, რადგანაც, მისი უბანია „ქუთურეთი“, რომელიც ეტიმოლოგიურად „ქუთათისის“ იდენტურია, რადგან ორივე სიტყვის ძირი - „ქუთ“, მით

უმეტეს, რომ იქვე ვაკეზე ყოფილა ციხე „უქიმერიონი“. ამ სიტყვაშიც ფუძე - „მერე“ ადგილობრივია და ნიშნავს „მდინარისპირა ვაკე ადგილს“. ასეთი იყო სწორედ ქვედა მარადიდი და მისი ვაკის ციხესაც ჩანს ეს სახელი „ვაკის“ (უკის) ციხე ე. ი. უკიმერე-უქიმერიონი ერქვა. „ჭოროხის ნავები ძლიერ განსხვავდება რიონში მოცურავე ნავებისაგან“ (იქვე, გვ. 45).

გ. ყაზბეგის ცნობით, ბათუმიდან მარადიდამდე ორმოცამდე ვერსის გზაა, ხოლო მარადიდიდან ართვინამდე 30 ვერსი. მის დროს „გონიოს მუდირის რეზიდენცია მარადიდში იყო გადატანილი. მარადიდის დაბლობში მიედინება მდინარეები ბრევეთი და ღრემშიღელე“ (იქვე, გვ. 55).

მდინარე „ღრემშიღელე“, მართალია, მხოლოდ ასოციაციურად, მაგრამ მაინც გვაგონებს მდინარე „რეონის“ სახელს, რომელიც ქუთათისთან გაედინებოდა პროკოფი კესარიელის ცნობით. ჩვენი თვალსაზრისით, პროკოფის ქუთათისი ჭოროხის ხეობაში მდებარეობდა, რასაც თითქოსდა ადასტურებს მარადიდის ერთ-ერთი უბნის სახელი „ქუთურეთი“. ქუთაისთან გაედინებოდა მდ. რეონი. სახელი „ღრემშიღელე“ შეიძლება იყოს „ღრემის ღელე“ ანუ მისი ძირია „ღრემი“, „მი“ არის სუფიქსი ისევე, როგორც „ონი“. ოდესღაც შეიძლება მდინარე „ღრემს“ ერქვა „ღრეონი“ ანუ ამღვრეული ანდა მყვირალა წყალი (ღრევა ან ღრიალი). თუ ეს ასე იყო და მისი სახელი იყო „ღრეონი“, ფუძეში მართლაც გვაქვს „ღრე“ ან „რე“, ისევე, როგორც პროკოფის „რეონში“. საერთოდ კი მარადიდის „სოფლის დაბლობი მდინარეების ბრევეთის და ღრემშიღელეს ჭოროხთან შეერთებისას წარმოქმნილ დელტებს ეკავა“ (იქვე, გვ. 55). აქ, ამ დაბლობში, ჭოროხის პირას უნდა ყოფილიყო პროკოფის „უქიმერიონის“ ციხე, რადგანაც საერთოდ ადგილობრივ დიალექტში „მერე“ მდინარისპირა ვაკეს ეწოდება, როგორც იწოდება ამჟამად სოფლის დაბლობი.

ადგილობრივი მკვლევარი წერს: „წარსულში ყველა ოჯახი მისდევდა სელისა და კანაფის მოშენებას, რომელიც იძლეოდა ძირითად ნედლეულს (ბოჭკოს) ადგილობრივი ტანსაცმლის წარმოებისათვის“ (ო. დიდმანიძე, ს. გოგიტიძე, სოფელი მარადიდი, 2006, გვ. 59). ასე, რომ ოჯახები სადაც სელი მოჰყავდათ, ამჟამადაც ცოცხალია, რაც ადასტურებს სტრაბონის ცნობას ფასისის ხეობაში სელის მოყვანის შესახებ. სელი კი ჭოროხის სოფლებში მოჰყავდათ, რიონის სოფლებში ამჟამად მისი ხსენებაც კი არაა. მარადიდელებს ასევე ცოცხალი ეკონომიკური კავშირი ჰქონდათ ზღვისპირეთთან, მაგალითად „კირნათ-მარადიდის მოსახლეობა ჭოროხის ზღვასთან შესართავის მარცხენა სანაპიროს დაბლობში, გონიოში, სასიმინდე ყანებს იჯარით იღებდნენ“ (იქვე, გვ. 62), ჩვენი თვალსაზრისით, ამჟამინდელი გონიო არის პროკოფისა და სხვა ავტორების ქალაქი ფასისი, ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, ანუ ფასისის მარცხნივ.

ო. დიდმანიძის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მონაცემებით ნავთმშენებლობა ჭოროხის ხეობაში ძველთაგანვე იყო დაწინაურებული. ნავებს აგებდნენ სპეციალიზებულ ცენტრებში – ართვინში, ბორჩხას და ქვედა მარადიდში. მარადიდული ნავები სიდიდით და ტვირთამწეობით აღემატებოდა ბორჩხულს.

იმის გამო, რომ ჭოროხი არ არის ღრმა მდინარე და თანაც მისი სიღრმე მდინარის სხვადასხვა ადგილას ცვალებადია, ამიტომ აგებდნენ საგანგებოდ ამ მდინარეზე გამოსადეგ ბრტყელძირა ნავებს. ეს იყო რთული და უსაფრთხოების თვალსაზრისით საიმედო, ერთგვარი უნიკალური მცურავი საშუალება (იქვე, გვ. 74).

ნავების სიგრძე დამოკიდებული იყო წელიწადის დროზე, კერძოდ, მდინარის ადიდების დროს გამოიყენებოდა 18-20 მეტრიანი სიგრძის ნავები, ხოლო მდინარის მინიმალური დონის დროს 13-15 მეტრი სიგრძისა. მდინარემ ადიდება იცის 3-4 მეტრით. გადმოცემით დღეში მდინარეზე 25-30 ნავი დაცურავდა ინტენსიური ნაოსნობის დროს XVIII-XIX სს-ში.

მდინარის საპირისპირო მიმართულებით ნავებს მიაცურებდნენ ჭაპანით. გ. ყაზბეგის ცნობით, ნავის საშუალო სიგრძე იყო 25 ნაბიჯი, სიგანე 3 ნაბიჯი. კავკასიის კალენდრის ცნობით ნავის სიგრძე იყო 50 ფუტი (1 ფუტი არის 30,5 სმ), სიგანე 4-5 ფუტი, ასეთი ნავით 6-8 ტონა ტვირთი გადაჰქონდათ. ართვინიდან ბათუმამდე ნავის ჩაყვანას სჭირდებოდა 8-10 საათი, უკან ნავის ჭაპანით აყვანას - 4 დღე (იქვე, გვ. 76). ნავს ასევე კაიუკი ეწოდებოდა. მისი ზომა ოდნავ განსხვავდებოდა - სიგრძე 15 მეტრამდე იყო, სიგანე კი 150-180 სმ-მდე, გვერდის სიმაღლე 1,4 მ.

ნავის მესაჭეს რეიზი ერქვა, მენავეს - ტაიფი. ეს უკანასკნელნი უკანა გზაზე ნავს ნაპირიდან, მხრით მიათრევდნენ. ნავის მართვას დიდი ოსტატობა ესაჭიროებოდა, უბედური შემთხვევები თითქმის არ ხდებოდა (იქვე, გვ. 84). სოფელ მარადიდში იყო რამდენიმე ნავთსაშენი, მათი რიცხვი 20-მდე აღწევდა.

თურქეთ-სსრკ-ს საზღვრის ჩაკეტვამ ჩაკლა ნაოსნობა. სოფელ მირვეთში ჭოროხზე ხიდის აგებამ ეს პროცესი დაასრულა XX ს. 50-70-იან წლებში.

საერთოდ, ჭოროხზე ნაოსნობა იწყებოდა ართვინიდან და გრძელდებოდა ბათუმამდე, სადაც XIX ს. დასასრულამდე არსებობდა ჭოროხის ნავების ნავთსაყუდელი. უგზოობის გამო მდინარე იყო ჭოროხის ხეობის მთავარი არტერია, პირველ რიგში სავაჭრო, ეს იყო ერთადერთი სამიმოსვლა გზა. 1903 წელს დასრულდა ჭოროხისპირა კლდეებში გზატკეცილის გაყვანა, იქამდე მის ფუნქციას მდინარე ასრულებდა. ჟან მურიეს ცნობით ართვინიდან ჭოროხის შესართავამდე დაახლოებით 75 ვერსია (1 ვერსი არის 1 კმ და 67 მეტრი ანუ 500 საჟენი ანუ 1500 არშინი), სხვა მონაცემებით კი ართვინიდან ჭოროხის შესართავამდე 60 ვერსია (იქვე, გვ. 91). დამკვირვებელი წერდა, რომ მენავეები იცნობდნენ ჭოროხის ყველა წყალქვეშა ქვას, ყველა მორევს, ამიტომ ნავები ოსტატურად დაჰყავდათ და მათთვის ნაოსნობა არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა. არიან დახელოვნებულნი. ნავი იტევდა 300 ფუთს (1 ფუთი არის 16,4 კგ). როცა ჭოროხი ადიდებული იყო, ართვინიდან კაპანდიბამდე 3-4 საათში ჩადიოდნენ (ესაა დაახლოებით 50 კმ). ნავების უკან სვლა კაპანდიბადან იწყებოდა და უმეტესად ღამით ხორციელდებოდა. ამ დროს ნავში მხოლოდ რეიზი რჩებოდა, ტაიფები კი ნაპირიდან ნავს საბლით ეწეოდნენ. დ. ბაქრაძის ცნობით ჭოროხზე 200-მდე ნავი დაცურავდა. ნავებით ბათუმში მიჰქონდათ შავშეთიდან პური, ლიგანის ხილეული. ვეიდენბაუმის ცნობით კი ართვინიდან ბათუმში ნავებით გადაჰქონდათ ყარსისა და ჯავახეთის ხორბალი. უკან მიჰქონდათ უმეტესად მარილი და ნავთი. ჟან მურიეს ცნობით ჭოროხზე 300-მდე ნავი დაცურავდა (იქვე, გვ. 98). დინების მიმართულებით ნავს 5-7 ტონა ტვირთი გადაჰქონდა. კაპანდიბიდან ბათუმამდე მგზავრები ნავს ტოვებდნენ. ვეიდენბაუმის ცნობით, ეს მანძილი იყო 10 ვერსი. ტვირთები ართვინში შედიოდა ძირითადად არტანუჯიდან. თავის მხრივ კი არტანუჯში ტვირთები სხვადასხვა გზებიდან შემოდიოდა. ართვინის ტვირთი ძირითადად ბათუმში ან გონიოში შედიოდა. საერთოდ გონიო - მარადიდის გზატკეცილი არსებობდა, რასაც ადასტურებს ს. მახოს ტერიტორიაზე შემონახული ქვის ხიდი (თაღოვანი). ხიდი იყო ასევე მდინარე „დიდღელეზე“ ს. მირვეთისაკენ. შ. ვარშანიძის აზრით, ასეთი ხიდები VI-VII საუკუნეებშია აგებული (იქვე, გვ. 103). ამ ხმელეთის გზებზე მგზავრებისათვის არსებობდა „სასვენიები". ეს ტერმინი „სასვენია" ძალზე მნიშვნელოვანია, ადგილობრივი სახელწოდებაა და შეესაბამება პროკოფის ცნობას ლაზიკის გზებზე მგზავრთა შესაჩერებელ-შესასვენებელი ადგილების შესახებ. პროკოფი ახსენებს ასეთ დასასვენებლებს და მათ „ანაპავლას“ უწოდებს. ჭოროხზე ამ გზისათვის არსებობდა საბორნე გადასასვლელებიც. მათ შორის მარადიდთან და მირვეთთან.

ქვედა მარადიდი, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია პროკოფისეულ ქუთათისად, თავისი უქიმე-

რიონის (ე.ი. მდინარისპირა ვაკე ადგილის) ციხით-„წარმოადგენდა თავშეყრის, გაცვლა-გამოცვლის ხალხმრავალ ადგილს ჭოროხის ხეობაში“ (იქვე, გვ. 104). აქ ამოდიოდა გზა გონიოდან და აჭარისწყლიდან. XIX ს-ში ამ გზით „ბრიჩკით“, ე.ი. ოთხცხენშებმული ფურგონით, ერგეში ეზიდებოდნენ სპილენძის მადანს. კერძოდ, სპილენძის მადანი მოიპოვებოდა სოფლებში კვარცხანაში, მერისში, უჩამბაში, ძანსულიში და ხოდაში. აქედან მადანს ადრე ეზიდებოდნენ ნავებით, შემდეგ უფრო ბრიჩკით ერგეს სპილენძსადნობ ქარხანაში. მას ქარხნის სახე მიუღია 1890 წელს (იქვე, გვ. 105). აქედანაც, ე.ი. სპილენძის მადნების სიმრავლიდანაც ჩანს, რომ ფასისი ჭოროხია (და არა რიონი, რომლის დაბლობში ქუთათისიდან ზღვამდე სპილენძის მადნები, შესაბამისად, ოქროც არ მოიპოვება). ადგილობრივი მკვლევარების დაკვირვებით მარადიდში ზღვიდან შედიოდა ორი გზა - ერთი იყო უძველესი თავის თაღოვანი ხიდებით, მეორე გზა ბათუმიდან (კერძოდ ძველი ბათუმის თამარის ციხის მიდამოებიდან) შედიოდა ერგეში. შემდეგ აჭარისწყლის გამოვლით შედიოდა ჭოროხის ხეობაში. თავდაპირველად მიუყვებოდა ჭოროხის მარცხენა სანაპიროს ზედა მარადიდამდე, შემდეგ ისევ მარჯვენა ნაპირზე გადიოდა ართვინამდე. მარადიდში იყო სასტუმროები ანუ სასტუმრო ოდები. ერთი ასეთი „მეიდან ოდა“ ყოფილა ქუთურეთის უბანში. ამ ტოპონიმის ძირი „ქუთ“ ძალზე მნიშვნელოვანია იმით, რომ პროკოფის „ქუთათისის“ ფუძეც არის იგივე „ქუთ“.

დ. ბაქრაძის ცნობით, მის დროს გზა გადიოდა აჭარისწყლიდან მარადიდამდე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზეც. საერთოდ კი თანამედროვე სატრანსპორტო სახმელეთო გზები ჭოროხის ხეობაში გაკეთდა მხოლოდ XIX საუკუნეში. იქამდე კი კლდიანობის გამო ჭოროხისპირა გზები უფრო ბილიკებს მიაგავდა, თუმცა კი ხეობაში იყო ასეულობით ხიდი. გ. ყაზბეგის დაკვირვებით კლდიანობის გამო ბათუმიდან არტანუჯამდე 300 ქვის ხიდის აშენება იყო საჭირო და მის დროს შენდებოდა კიდეც ისინი. თუმცა კი შთამბეჭდავი იყო ძველი, ისტორიული ხიდების რაოდენობაც, მაგრამ ისინი ჩანს უკვე ვიწრო იყო ახალი ტრანსპორტისათვის. ისინი შეადგენდნენ ალბათ სტრაბონის ცნობილ 120 ხიდს. ამ ძველ ხიდებზე უფრო საპალნიანი საქონელით გადაჰქონდათ ტვირთი, ანდა ფეხითმოსიარულეთათვის გამოიყენებოდა. ახლა კი უკვე ფურგონების გამოყენება დაიწყეს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტვირთის გადაზიდვის ისტორიული საშუალება - ნავები - უფრო იაფი უჯდებოდა მომხმარებელს, ამიტომაც მთელ XIX საუკუნეში უფრო ნავები გამოიყენებოდა ტვირთზიდვისათვის ართვინიდან ბათუმამდე და უკან. პური ანუ ხორბალი ესაჭიროებოდა ბათუმში დაბანაკებულ როგორც რუსის ჯარს, ისე უფრო ადრე ოსმალოს ჯარს, ასევე უკვე ქალაქებად ქცეული ადგილების მოსახლეობას შვი ზღვის პირზე. პურის ნამდვილი ბეღლები კი იმდროისათვის იყო ყარსი, ახალციხე და ახალქალაქი. ამ რეგიონში მოჰყავდათ ძალზე იაფი პური. ამ მაზრით ისარგებლეს რუსმა, ინგლისელმა და ფრანგმა სოვდაგრებმა. ისინი პურს ეზიდებოდნენ ყარს-ახალციხე-ახალქალაქიდან არტაანში, იქედან სახმელეთო გზით ართვინში, აქედან კი, ძირითადად ჭოროხის სამდინარო გზით, ბათუმისაკენ. მათთვის ეს ვაჭრობა ძალზე სარფიანი და მომგებიანი იყო. აღმოჩნდა, რომ სამდინარო გზით მთელი ამ სიმდიდრის გამოტანა ძნელდებოდა. ამიტომაც ჯერ ოსმალეთის იმპერიამ დაიწყო XIX ს-ის შუა წლებში ჭოროხის პირზე სახმელეთო გზის მშენებლობა, რაც შემდეგ გააგრძელა რუსეთის იმპერიამ, რომლის საზღვრებშიც აღმოჩნდა ჭოროხის ხეობა. გ. ყაზბეგი წერდა ამ გზის საჭიროების შესახებ - „ლივანის, შავშეთისა და ართვინის სიმდიდრე, ბათუმის გზის გარეშე, ვაჭრობისათვის მკვდარ კაპიტალად იქცა. ყარსი, ახალციხე და ახალქალაქი პურით მუქთად ამარაგებდა რუს, ინგლისელ და ფრანგ სოვდაგრებს. ეს გზა (ე. ი. ბათუმ-ართვინ-არტაან-ყარსი) სპარსეთსა და ევროპას შორის შესაძლოა სატრანზიტო მაგისტრალად გადაიქცეს. ამ გზაზე ბათუმიდან არტანუჯამდე საჭიროა 300 ქვის ხიდისა და გვირაბის აშენება“ (იქვე, გვ. 107).

გ. ყაზბეგის მიერ ჭოროხის გზის საჭიროებისათვის დასახელებული 300 ხიდი, ჩვენ გვაგონებს სტრაბონის მიერ ნახსენებ მდინარე ფასისის 120 ხიდს. რამ გამოიწვია ხიდების ასეთი კოლოსალური რაოდენობის დასახელება? საქმე ისაა, რომ რეალურად არსებული კლდიანობა მოითხოვდა ხიდებს ჭოროხის ხეობაში, ხოლო რიონზე, არა თუ I საუკუნეში, დღესაც კი, ხიდების რაოდენობა უმნიშვნელოა. ვფიქრობთ, ფოთიდან ქუთაისამდე რიონზე 10 ხიდიც არაა გადებული. გ. ყაზბეგის მიერ ნახსენები „სპარსეთის გზა“ ჩვენ ასევე გვაგონებს იმპერატორ ბასილი ბულგართმმუსვრელის სიტყვებს, მიმართულს საქართველოს მეფის გიორგი I-ისადმი: „ნუ მეღობები სპარსეთის გზაზე“. ქართული პროვინცია ტაო ფლობდა მიწებს, რომელზეც რეალურად გადიოდა ბიზანტია-სპარსეთის დამაკავშირებელი გზები. ერთი უმთავრესი გზა ტრაპეზუნტიდან - თეოდოსიოპოლის (არზრუმის) გავლით მიემართებოდა ვანის ტბისაკენ (ე.ი. სპარსეთისაკენ), მეორე არანაკლები მნიშვნელობის გზა სწორედ ჭოროხის ხეობაზე გადიოდა და ართვინ-არტანუჯ-არტაანის გზით უკავშირდებოდა დვინ-სპარსეთს. ამ გზების გაკონტროლება სურდა ბიზანტიას, შემდეგ ოსმალეთს, ბოლოს კი, გ. ყაზბეგის დროს, რუსეთს. გ. ყაზბეგის დროს ბათუმ-ართვინ-არტანუჯ-არტაან-ყარსის გზის მშენებლობისათვის გაღებული კოლოსალური თანხები ემსახურებოდა იდეას, რომ ამ გზით შავიზღვისპირეთი სპარსეთს დაუკავშირდებოდა. ამ გზის კონტროლი იყო მიზეზი VI საუკუნეში ბიზანტია-სპარსეთის ომისა, რომლის საბოლოო მიზანი პეტრას ციხის დაუფლება ანუ გზის ბოლო წერტილის კონტროლი იყო. 1896 წელს დაიწყო ბათუმ-ართვინ-არდაგან-ყარსის მიმართულებით გზის მშენებლობა (1903 წელს გაიყვანეს ბათუმ-ართვინს შორის, იქვე, გვ. 108). ხმელეთის გზით გაყვანამდე, როგორც ითქვა, ეს გზა მაინც ფუნქციონირებდა ძირითადად სამდინარო სახით, და ასევე საჭაპანო ცხოველების და ფეხითმავლებისათვის კლდეებში გამოჭრილი სახმელეთო გზების სახით.

ო. დიდმანიძე და ს. გოგიტიძე სხვადასხვა წყაროს და ეთნოგრაფიულ მასალის ურთიერთშეჯერებით მივიდნენ დასკვნამდე, რომ „უძველესი დროიდან მოყოლებული მდინარე ჭოროხზე გაივლიდა აბრეშუმის საქარავნო გზა. ინდოეთიდან მომავალი ვაჭრები გამოივლიდნენ ჭოროხის აუზის უძველეს ქალაქებს: ბანას, ოლთისს, არტანუჯს, შემდეგ ართვინისა და მარადიდის გამოვლით ბათუმსა და გონიოშო გამოდიოდნენ, აქედან კი ტრაპიზონის გავლით ევროპის ქვეყნებს უკავშირდებოდნენ. ზოგჯერ ამავე გზით გაივლიდნენ შავ ზღვაში ევროპიდან შემოსული ვაჭრები“ (იქვე, გვ. 110).

ჭოროხის ხეობით ვაჭრობას თურმე ხელს უწყობდა მასში დიდი ქალაქებისა და მძლავრი მეტალურგიული კერების არსებობა (იქვე, გვ. 110). ქალაქებში იგულისხმება გონიო, ბათუმი (ბათუსი), ართვინი, არტანუჯი, ჭარნალის მეტალურგიული ცენტრი. ძველი კოლხური ბრინჯაოს ნივთები აღმოჩნდა ერგეში, მახოში, კირნათში და სხვაგან. ვაჭრობის განვითარებისათვის უმთავრესი იყო სამდინარო-სანაოსნო არტერიის არსებობა მდ. ჭოროხზე. იმპერიიდან მოვლენილი მოხელე არიანე აღნიშნავდა, რომ მდ. აკამფსისი იყო სანაოსნო. ასევე აკამფსისს სანაოსნოს უწოდებს პროკოფი კესარიელი (იქვე, გვ. 110). აკამფსისი იგივე ფასისია, ოღონდ ამ მდინარეს ადგილობრივი მოსახლეობა აკამფსისად იცნობდა, ბერძნები კი ფასისად. სიტყვა აკამფსისი ისევეა ნაწარმოები, როგორც სუფსა. „ფს“ - გამდინარე წყალს ერქვა. უძველეს ქართლში მოხერხებული ნავმისადგომები იყო მოწყობილი ართვინში, ნაღვრევში, ბორჩხაში, ხებაში, მარადიდში, მირვეთში, კაპანდიბში. ისინი ასევე აღებ-მიცემობის, ე.ი. სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ.

ჟან მურიეს ცნობით ბათუმიდან ლივანაში შედიოდა სხვადასხვა საქონელი, ინგლისიდან და შვეიცარიიდან შემოჰქონდათ ბამბის, ხოლო, დამასკოდან აბრეშუმის ქსოვილი, რუსეთიდან რკინეული, შალის ქსოვილები, დანარჩენი საქართველოდან (იქვე, გვ. 111).

გასაყიდად ბათუმში ჩაჰქონდათ წაბლის ყავარი (სახურავი), თიხის მილები, კეცები და სხვა, უმეტესად ბორჩხადან. უკან გაჰქონდათ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ნავთი, მარილი და სხვა.

ჰეროდოტეს (V ს.) ცნობით, კოლხური სელი საუკეთესო იყო, ქსენეფონტეს გადმოცემით „ჭოროხის ხეობის სამხრეთით მოსახლე ქართველურ ტომს მუცლამდე სელის აბჯარი ჰქონდათ“ (იქვე, გვ. 122). ის ასევე აღნიშნავს, რომ „სანადირო ბადეები კეთდება ფასისური (კოლხური) ან კართაგენული წმინდა სელისაგან“. სტრაბონის ცნობით კოლხეთში ბლომად ამუშავებდნენ სელს და საექსპორტო საქონელს. მოსახლეობა ამზადებს ბევრ სელის ტილოს, საბაწრე მასალას. ამ ცნობებს ადგილზე, ჭოროხის ხეობის ეთნოგრაფიაზე დაკვირვებით, ადასტურებს ინგლისელი მკვლევარი ჯ. პალგრევი. მისი ცნობით ლივანის ხეობის სოფლებში ამზადებდნენ დიდი რაოდენობით სელის ქსოვილებს საუკეთესო ხარისხისას. ამ ცნობას ადასტურებს დ. ბაქრაძე. ადგილობრივი მოსახლეობა სელკანაფის ნართისაგან (კედი) ქსოვდნენ ტილოს, რომლისაგანაც იკერებოდა მამაკაცის და ქალის ჩასაცმელები - პერანგი, საცვლები, ჩუბუნი (მამაკაცის ზედა ჩასაცმელი), შარვალი, ფორკა (კაბა) და სხვა (იქვე, გვ. 123). სოფელ მარადიდს სახელი მიუღია სიტყვა „მერესაგან“ რაც მდინარისპირა ვაკეს ნიშნავს, (სადაც მდებარეობს ქვედა მარადიდი). როგორც აღინიშნა, იქვეა „ქუთურეთი“ – უბანი, „ქუთ“ ძირის მქონე ტერმინი. „ქუთურეთში“ „ქუთ“ ძირია „ურ“ და „ეთ“ კი სუფიქსები. „ქუთ“ ძირიანი ტოპონიმები საქართველოში სხვაგანაც გვხვდება, მაგალითად ჭოროხის ხეობაში – კვიტაურა, კვიტაური, კვიტამერე, კვიტიეთი და სხვა (იქვე, გვ. 132).

მდ. ჭოროხის სიგრძე 400 კილომეტრზე მეტია, მისი ხეობა მოიცავს სპერს, ტაოს, კლარჯეთს, ლივანასა და აჭარას, მოედინება 439 კმ-ის მანძილზე და ადლიასა და გონიოს შორის ზღვას უერთდება (იქვე, გვ. 134). ჭოროხი ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოიხსენიება სხვადასხვა სახელწოდებით – ფასისი, ჰარპასოსი, აფსაროსი, აკამფსისი, ფსარე და სხვა. ქართულ წყაროებში მას სპერისწყალი და ჭოროხი ეწოდება. ვახუშტის აზრით, სიტყვებს ჭოროხსა და ჭორომს ერთი ფუძე აქვთ - რაც ერთად შეკრებილ ანდა მრავალქვიანობას ან რიყიანობას უნდა აღნიშნავდეს. თ. სახოკია, ჯ. პალგრევი, ფრანსუა გამბა, ტომაშეკი და სხვანი ამ სახელს უკავშირებენ - „ჭოროხის სწრაფ დინებას“. თურქებს მისთვის „დელი“ ე.ი. გიჟი (ძალზე ჩქარი) მდინარე უწოდებიათ (იქვე, გვ. 135). ნ. მარის ვარაუდით, კოლხები ჭოროხის ხეობაში ცხოვრობდნენ და თავიანთი სახელი უწოდეს მდინარეს, რადგანაც კოლხებს ადგილობრივად „კოროხები“ ერქვათ (იქვე, გვ. 135). ე. გაბელიანისა და თ. მიბჩუანის თვალსაზრისით - „ტერმინი ჭოროხი სვანური წარმოშობისაა, იგი ერთ-ერთი ხეობის სახელად სვანეთშიც გვხვდება“ (იქვე, გვ. 136). ო. დიდმანიძის აზრით, საერთოდ, ჭოროხის ხეობაში სვანური ტომი ცხოვრობდა. ერთ-ერთ ტოპონიმს ასე განმარტავს - „ლესპარა - როგორც ჩანს იგი ჭოროხის ხეობის დასახლებული პუნქტის „სპერი“ და ამ მიდამოებში მოსახლე უძველესი ქართულ-სვანური ტომის სასპერის პროტოტიპია. მასში გამოიყოფა თავსართი „ლე“ და ფუძე „სპერ“-ი. ამგვარი ტოპონიმია (ლესპარა) სვანეთშიც დასტურდება“ (იქვე, გვ. 142).

აღსანიშნავია, რომ ტოპონიმი ონაგირა გვხვდება აჭარის ხეობაში, კერძოდ ს. მარადიდში.

ასევე, ონაგირა – უნაგირა – არის ქედის სახელი ნოქალაქევთან. ამან უბიძგა ს. ყაუხჩიშვილს ეფიქრა, რომ პროკოფი კესარიელის მიერ ნახსენები „ონაგურ“ – ონაგურების თურქულმა ტომმა, რომელიც ლაზიკაში მოქმედებდა, სახელი მისცა უნაგირას მთას. მაგრამ ეს ტოპონიმი აღმოჩნდა მარადიდშიც. ამ ტოპონიმის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილს ნოქალაქევი არქეოპოლისად მიაჩნდა. ამ სვლაგეზით ჩვენც ალბათ შეგვიძლია არქეოპოლისი ვეძიოთ მდ. ჭოროხის ზღვისპირეთში შესართავთან, რადგან, ეს სახელი ამ ხეობაშიც დადასტურდა.

პროკოფისეულ მდ. რეონს, როგორც აღინიშნა ჩვენ ვაკუთვნებთ მდ. „ღრემშიღელეს“, „ღრემის ღელე“. მისი ძირია „ღრემი"- ჩანს აქედან „ღრეონი“ (სუფიქსები ომი-უმი-ემი და ონი - იდენტურია). ღრემშიღელეს ერთვის მდ. ჩილდირიღელე ქუთურეთის უბანში (იქვე, გვ. 156).

ჭოროხის ხეობა რ. მალაყმაძის მიხედვით

ფასისის ოქრო, იბერიის გზა, ხიდები, ნაოსნობა, სელი და კანაფი

სტრაბონის, პროკოფი კესარიელის, სხვა ძველ ავტორთა მოსაზრებანი ფასისის ხეობასთან დაკავშირებით გაცილებით უფრო ეთანადება ჭოროხის ხეობას, ვიდრე რიონისას.

მაგალითად, რიონის ხეობაში, ზღვის სანაპიროდან ვიდრე თითქმის რაჭამდე, ჩვენთვის უცნობია ოქროს რაიმე საბადო, მაშინ, როცა ფასისზე, ძველი ავტორების ცნობით, ოქროს მოიპოვებდნენ, ასევე ოქროს ქვიშრობები სხვადასხვა ადგილზე არსებობს მდ. ჭოროხის ხეობაში, ოქროსა და სპილენძის მდიდარი საბადოები შესართავიდან არც თუ შორს, რამდენიმე ათეულ კილომეტრზე მდებარეობს. რ. მალაყმაძე წერს - „ხეობა მდიდარია წიაღისეულით, აქ გვხვდება სხვადასხვა სახის მადნეული, ვერცხლი, თუთია, ოქროს ქვიშრობები (სოფელ ცხიასთან და ასევე ბერთას წყლის სანაპიროზე). რეგიონი განსაკუთრებით გამოირჩევა სპილენძის მადნების სიუხვით, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჭოროხის აუზში სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიული წარმოების ჩასახვა-განვითარებას“ (რ. მალაყმაძე, ლიგანის ხეობა, 2008, გვ. 29).

ლიგანის ხეობა (ე.ი. ტერიტორია ერგედან - ართვინამდე) ამჟამადაც სამთამადნოწარმოების ძლიერი კერაა (იქვე, გვ. 159).

მურღულის ხეობაში (თურქეთი), სოფელ ძანსულში, განლაგებულია სპილენძის სადნობი ქარხანა, (აღსანიშნავია, რომ აქ საკმაოდ ხშირია „აგრ“, „ერეგ“ ძირის სახელები, მაგალითად ძანსულის ერთერთი უბანია „აგარი“, მურღულის ხეობის ერთერთი სოფელია – „ერეგუნა“ (იქვე, გვ. 130). მურღულის ხეობაში არსებობს მთა სახელწოდებით „ეგრისუ“ (იქვე, გვ. 101), ამასთანავე ისიცაა აღსანიშნავი, რომ აქვე მახლობლად ამჟამადაც არსებობს სოფელი სახელწოდებით „ქართლა“ (იქვე, გვ. 107). მურღულის ხეობის (ძანსულის) სპილენძის მდიდარი საბადო „მთელ კავკასიაში იპყრობდა ყურადღებას“, ამასთანავე სპილენძის საბადოები არსებობდა ლიგანის ხეობაში, მათ შორის ართვინის ზემოთ ხოდის, აგრეთვე სოფელ კვარცხანას საბადოები. XIX ს. ბოლოს მოპოვებული მადანი ჭოროხის ნავებით (სამდინარო გზით) ჩაჰქონდათ ერგეში მდებარე სპილენძის სადნობ ქარხანაში. მალევე აგებული იქნა ასევე ჭოროხის სანაპიროებზე სახმელეთო გზები. შემდეგ ქარხნები მოპოვების ადგილებზეც აიგო. 1910 წლისათვის ძანსულში ადნობდნენ 1200 ფუთ სპილენძის ზოდს. საბოლოოდ ისინი რუსეთის პუტილოვის ქარხანაში ჩაჰქონდათ (იქვე, გვ. 44), კვარტაანში 1000 მუშა შრომობდა.

I მსოფლიო ომის დროს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბრძოლის ობიექტად იქცა ართვინის სპილენძით მდიდარი რაიონები (იქვე, გვ. 48), 1914 წელს სპილენძის სადნობ ქარხანას (ჭინკათხევ-ძანსულში) 500 თურქი მებრძოლი მიადგა. ერთხანს თურქებმა ხელში ჩაიგდეს სპილენძის წარმოება და ბათუმ-ართვინ-არტაან-ყარსის დამაკავშირებელი საერთაშორისო გზა (იქვე, გვ. 48). საბოლოოდ 1915 წელს რუსებმა ქ. ართვინი უკან დაიბრუნეს. შემდეგში ეს ქარხნები თურქეთის ხელში აღმოჩნდა. 1972 წლისათვის ძანსუ-

ლის სპილენძის ქარხანა თვეში ამუშავებდა 280 ტონა მადანს (იქვე, გვ. 54).

ართვინი ზღვიდან სულ რამდენიმე ათეულ კილომეტრშია, მისი სპილენძით მდიდარი საბადოები მიუთითებს, თუ ისტორიული ფასისი რატომ იზიდავდა უცხოელ დამპყრობლებს, რომელნიც მადნისა და საერთაშორისო გზების ხელში ჩასაგდებად იბრძოდნენ.

იაზონის ეპოქაში სპილენძისჩლიქებიანი ხარის ამბავს მოგვაგონებს ლიგანის ხეობაში დღესაც არსებული გადმოცემა „წყლის ხარების“ შესახებ. „გადმოცემის მიხედვით ხარი ხშირად წყლიდან ამოდიოდა, შინაურ ბუღებს ეჭიდავებოდა, ძროხებს ანაყოფიერებდა და ისევ ტბაში ბრუნდებოდა“ (იქვე, გვ. 138).

სპილენძის მადნიდან, როგორც ცნობილია, ოქროს მცირე რაოდენობასაც მოიპოვებდნენ. ამიტომაც შესაძლებელია, რომ ჭოროხის ანუ ფასისის ხეობაში სპილენძთან ერთად ოქროც მოიპოვებოდა, რაზედაც მიუთითებს სტრაბონი. არქეოლოგიური მასალით ჭოროხის აუზში ჩაეყარა საფუძველი სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიას (იქვე, გვ. 106).

რუსეთსა და ოსმალეთ-თურქეთს შორის განსაკუთრებით სადავო ყოფილა საერთაშორისო გზა, რომელიც, როგორც ითქვა ბათუმს აკავშირებდა ყარსთან და შესაბამისად აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ესაა ართვინ-არტაანის გზა. ამ გზის უძველესობის შესახებ მიუთითებს ძველი ქვისთაღიანი ხიდების საოცარი სიმრავლე - „ისინი ძირითადად განლაგებულია ხატილას, მურღულის, ჩხალას, ბელლევანის, დევსქელის, ქლასქურის, ჭოროხის მდინარეებზე და მათზე გამავალ სამიმოსვლო-საქარავნო გზებზე. ამგვარი ხიდებითაა მოფენილი აჭარისწყლისა და მაჭახელას ხეობები. ლიგანის ხეობაში 18 ძველი ქვისთაღიანი ხიდია დაფიქსირებული. მათი ნაწილი დანგრეულია, ნაწილიც კარგადაა შემონახული. ამათგან აღსანიშნავია ბანაკნას, სანათისის, ტაიახროს, მერეს (მდინარე ოთონგოს წყალი), ხატილას, გევლის, მურღულის, დუზქოის, ქლასკურის, ქვემო ქლასკურის, ბელლევანის, მირვეთის, ართვინის ხიდი 1893 წელს აუფეთქებიათ რუსებს... ქვისთაღიანი ხიდების მშენებლობის ტექნიკა ერთნაირია, აგებულია თლილი და რიყის ქვებით, ისინი ძირითადად განკუთვნილი იყო ქვეითი და ცხენოსანი მგზავრებისათვის. ქვისთაღიანი ხიდების ასეთი სიმრავლე განაპირობა ხეობის სავაჭრო-ეკონომიკურმა და სტრატეგიულმა მნიშვნელობამ. ხიდები ერთმანეთთან აკავშირებდა როგორც შიდა, ისე გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ გზებს. სოფელ მირვეთთან დღემდე შემორჩენილია ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზის ნაშთები“ (იქვე, გვ. 125).

სოფელ მირვეთთან დღემდე შემორჩენილი ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე გამავალი საქარავნო გზის ნაშთების არსებობა ჩვენ გვახსენებს პროკოფი კესარიელის ცნობას, რომ VI საუკუნეში სპარსი სარდალი სწორედ ფასისის მარცხენა სანაპიროს გზით მივიდა პეტრაში, ეს გზა დღემდეა შემორჩენილი!

არტეფაქტები აშკარად მიუთითებს ჭოროხის ხეობაში საერთაშორისო გზის არსებობის შესახებ, რასაც წყაროებიც ადასტურებენ. სპარსეთ-პეტრას დამაკავშირებელი გზა ჭოროხის ხეობაში გადიოდა და არა სურამის უღელტეხილზე.

რ. მალაყმაძის კვლევით, ლიგანის ხეობა, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით, საქართველოს ერთ-ერთ დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა (იქვე, გვ. 125).

სტრაბონის მიერ ნახსენები ფასისის 120 ხიდის ნაშთები დღესაც არსებობს, ისინი ჭოროხის ხეობაშია.

ჭოროხის ხეობის ძველ მკვლევართა მიერ დასტურდება სტრაბონის ცნობა, რომ ეს მდინარე (ჭოროხი ანუ ფასისი) ნამდვილად იყო სანაოსნო რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე.

ახალი მკვლევარნიც იმავეს ადასტურებენ - „ლიგანის ხეობა წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად სამდინარო ცენტრს საქართველოში, ნაოსნობა ხორციელდებოდა მდინარე ჭოროხის მეშვეობით, ჭოროხი იყო ისტორიული ტაო-კლარჯეთის შავიზღვისპირეთთან დამაკავშირებელი უმოკლესი სამდინარო გზა. მდ. ჭოროხი ნაოსნობისათვის თითქმის წელიწადის ყველა დროს გამოიყენებოდა, გარდა გაზაფხულისა, როცა დინების სიჩქარე და წყლის დონე მატულობდა. ამ დროს ჭოროხის სიღრმე 15-20 ფუტს აღემატებოდა, სიგანე 10-12 საჟენს. ნაოსნობა და ნავთმშენებლობა ლიგანის ხეობის სოფლების მოსახლეობის შემოსავლის მთავარ წყაროს შეადგენდა. ნავთმშენებლობის ცენტრები იყვნენ ბორჩხა, მარადიდი და ხება. ამათგან მაინც ქვედა მარადიდი გამოირჩეოდა. ცნობების მიხედვით XIX ს. ბოლოსათვის მარადიდში 14 ნავსაშენი სახელოსნო ყოფილა. ნავები გრძელი და ბრტყელძირიანი კეთდებოდა. სამგზავრო ნავების სიგრძე 2-5 საჟენს აღწევდა, თუმცა არსებობდა უფრო დიდებიც. ნაოსნობა ართვინის ხიდიდან ბათუმამდე შეუფერხებლად გრძელდებოდა. ღელვის დროს ნავები სოფელ კაპანდიბთან ჩერდებოდნენ. წყალუხვობის დროს ართვინიდან ბათუმამდე ნავი მანძილს ფარავდა 5-6 საათში, წყალმცირობის დროს 8-15 საათში. მდინარის საპირისპირო მიმართულებით ნავი მანძილს ბათუმიდან ართვინამდე 2-3 დღეში ფარავდა. სხვა შემთხვევაში კი 4-5 დღე სჭირდებოდა, ზამთრის პერიოდსა და უამინდობაში კი 6-7, ხშირად 8 დღე“ (რ. მალაყმაძე, ლიგანის ხეობა, 2008, გვ. 116).

ჟან მურიეს, ნ. წერეთლის, გ. ყაზბეგის, დ. ბაქრაძისა და სხვათა მონაცემებით XIX ს. შუა პერიოდში ჭოროხზე 80 ნავი დაცურავდა. სხვა მონაცემით - 200, რომელთაც 300-მდე მენავე ემსახურებოდა და მათი რიცხვი XIX ს. ბოლოსათვის კიდევ უფრო იზრდებოდა. არსებობდა მენავეთა ამხანაგობები, რომელნიც კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს. ტვირთის გადაზიდვა ამ პერიოდისათვის გაძვირდა - მენავე 1 ბათმან ტვირთზე 5 კაპიკს იღებდა, მაგრამ მდინარის საპირისპიროდ კი 5-6 შაურს ახდევინებდნენ (იქვე, გვ. 117). ჭოროხზე ნაოსნობა შეწყდა 1921 წლის შემდეგ სსრკ-თურქეთის საზღვრის გადაკეტვის გამო. მენავეობის ინტენსივობაზე იმოქმედა ასევე, 1899 წელს, ბათუმ-ართვინ-არგაან-ყარსის მიმართულებით გზის ამოქმედებამ.

ვფიქრობთ სპარსეთ-პეტრას დამაკავშირებელი, ანუ სპარსელი შაჰებისა და სარდლების ჯარების და მათი პროვიანტის გადაადგილების გზის ძიებისათვის საინტერესოა რ. მალაყმაძის დასკვნა ჭოროხის ხეობის საერთაშორისო გზის შესახებ: „მდინარე ჭოროხზე ნაოსნობამ უდიდესი როლი შეასრულა ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და შავიზღვისპირეთის პროვინციების დაკავშირების, ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარებაში. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი სანაოსნო გზა, რომლის საშუალებითაც ყარსის, არტაანის, შავშეთ-იმერხევის და ართვინის სოფლებიდან ჩამოჰქონდათ გასაყიდად ადგილობრივი წარმოების სამრეწველო და სოფლის მეურნეობის ნაწარმი, რაც დიდი მოწონებით სარგებლობდა უცხოურ ბაზარზე“ (იქვე, გვ. 118).

მით უმეტეს, რომ ამ მშვენიერ სამდინარო-სავაჭრო გზას გვერდით მიუყვებოდა სახმელეთო გზა, რომელიც ერგე-ლიგან-ართვინს აკავშირებდა არტაან-ყარსთან. რატომ დაგვჭირდა ჩვენ მრავალი ნარკვევი მიგვეძღვნა მტკიცებისათვის იმისა, რომ ჭოროხზე ნამდვილად არსებობდა სანაოსნო გზა? საქმე ისაა, რომ XX ს. ქართველი ისტორიკოსების უმეტესობა საერთოდ იგნორირებას უკეთებს მის არსებობას. ვთქვათ ისეთი უდიდესი მკვლევარი ქართული არქეოლოგიისა და კოლხეთმცოდნეობისა, როგორიცაა ოთარ ლორთქიფანიძე, პირდაპირ დაბეჯითებით წერდა: ჭოროხი არ იყო სანაოსნო მდინარე, რადგან „ჭოროხი მიუწვდომელი იყო ზღვიდან ნავის შესაცურებლად" (ო.ლორთქიფანიძე,არგონავტიკა და

ძველი კოლხეთი, 1986, გვ.46), ამიტომაც ის არ შეიძლებაო იყოს ფასისი.

პროკოფი კესარიელი მრავალგზის აღნიშნავს, რომ ლაზიკა არის კლდოვანი, ნაკლებმოსავლიანი ქვეყანა, მიწამცირე, მხოლოდ ერთი მისი რეგიონი მოხორისია ნაყოფიერი. ასევე, თითქმის ამავე სიტყვებით აფასებენ ვახუშტი და ივანე ჯავახიშვილი ტაოკლარჯეთ-ერგეს. შავშეთ-კლარჯეთთან, და საერთოდ აღნიშნულ რეგიონთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერდა - „ასეთ რთულ გეოგრაფიულ პირობებში ადამიანს ხელი უნდა აეღო ისეთ სამეურნეო დარგებზე, როგორიცაა მემტილეობა ანდა რაიმე ეღონა, რომ ბუნებრივი პირობების წყალობით შექმნილი დაბრკოლება გადაელახა და დაეძლია, რასაც ქართველმა კაცმა მიაღწია დაქანებულ ფერდობებზე ხელოვნური ნიადაგის შექმნით, ქვაყორისაგან პატარ-პატარა მანძილის ამოშენებით. ბაღ-ვენახებისათვის ამნაირად ხარისხებრ მოვაკებული ადგილი კეთდებოდა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. V, 1986, გვ. 147).

პროკოფის ლაზიკის კლდეთა და ივ. ჯავახიშვილის კლარჯეთის „დაქანებულ ფერდობთა“ აღწერა მსგავსია. ასეთ კლდოვან ნიადაგს ესაჭიროებოდა საგანგებოდ დამზადებული იარაღები, ასეთები ყოფილან - „წვერა თოხი, ჩაფა ანუ ვიწრო თოხი, საფხეკი (საჩერკნავი) თოხი, სპეციალური ცულ-ნაჯახები და სხვა (რ. მალაყმაძე, იქვე, გვ. 77).

ვახუშტის დახასიათებით ლიგანის ხეობაში მიწის სიმცირე საგრძნობი ყოფილა, რაც იწვევდა მეურნეობის ამა თუ იმ დარგის შევიწროებას (იქვე, გვ. 83). მიუხედავად ამისა ლიგანის ხეობაში მოჰყავდათ შესანიშნავი ხილი, მათ შორის ზეთისხილიც. მაგრამ ერგე - თავისი ნაყოფიერებით ნამდვილად წააგავს პროკოფის მიერ დახასიათებულ მოხორისს. აქ არის შესანიშნავი მიწაც და კლიმატიც.

ერგე-ლიგანის აღწერილობა დღესაც კი მსგავსია სტრაბონის მიერ აღწერილი კოლხეთისა. კერძოდ, სტრაბონის ცნობით კოლხეთში მოჰყავდათ კარგი სელი ქსოვილებისათვის. „დ. ბაქრაძის დახასიათებით ლივანაში მოჰყავდათ საუკეთესო სელი, რომელიც ლივანური სელის სახელწოდებით იყო ცნობილი“ (იქვე, გვ. 110). ჯ. პალგრევის ცნობითაც სელის ქსოვილები დიდი რაოდენობით მზადდებოდა ქ. ლივანაში (ართვინი). სელისა და კანაფის ნართისაგან, რომელსაც კედი (აქედან ოქრომკედი) ეწოდებოდა, ქსოვდნენ მამაკაცისა და ქალის ჩაცმულობას, ტილოს, ჯვალოს ტომრებს, თოკებსა და სხვა ნაწარმს (იქვე, გვ. 111).

სტრაბონის აღწერილობას სხვა მხრივაც ეთანადება ლივან-კლარჯეთის მხარე. კერძოდ, სტრაბონის აღწერით ისტორიული მესხეთი სამ ნაწილად იყო გაყოფილი იბერიელებს, ლაზებსა და არმენიელებს შორის. ამჟამინდელი ენობრივი ვითარება ჭოროხის ხეობაში გვაფიქრებინებს, რომ მესხეთის ის ნაწილი, რომელიც იყო ლაზების ხელქვეით, იყო ჭოროხის მარჯვენა სანაპირო, თავისი ქალაქ არტანუჯით, ვიდრე არსიანის ქედამდე, ანუ ის ტერიტორია, რომელსაც ახლა კლარჯეთს ვუწოდებთ. კერძოდ, ენობრივი თვალსაზრისით, ამჟამინდელ ლიგანში ჭოროხის მარცხენა სანაპირო დასახლებულია ლაზურენოვანი ხალხით, ხოლო მარჯვენა სანაპირო მესხურ (ქართულ) ენოვნით.

მკვლევარი წერს - „ქართული ენის გავრცელების დღევანდელი მდგომარეობა ლიგანის საზღვარგარეთულ ნაწილში, კერძოდ, ბორჩხის, მურღულისა და ართვინის რაიონებში, შემდეგ სურათს გვაძლევს: მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ჩხალისა და ბეღლევანის ხეობების ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვს ძირითადად ლაზურ ენაზე მოლაპარაკენი შეადგენენ (თუმცა, მათმა გარკვეულმა ნაწილმა იცის ქართული ენაც), ხოლო მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე (ქ. ბორჩხა, დევსქელი, ქლასქური, ზემო მარადიდი) მცხოვრებთა შორის ყველაზე კარგადაა დაცული ქართული ენა. ისინი ოჯახებში უმთავრესად ქართულ ენაზე ლაპარაკობენ“ (იქვე, გვ. 52).

სტრაბონის დროს მესხეთი (ჩვენი აზრით, სამცხე, შავშეთი, არტაანი, კოლა, ტაო და

კლარჯეთი) სამ ნაწილად იყო გაყოფილი. როგორც აღვნიშნეთ, იბერიაში შედიოდა სამცხე, შავშეთი, არტაან-კოლა, არმენიაში ტაო-ბასიანი, ხოლო ლაზიკაში კი კლარჯეთი ან შეიძლება შავშეთიც. ამ შემთხვევაში კლარჯეთია – მესხეთის ის მესამედი, რომელიც კოლხეთის ხელში იყო, ანუ ეს იყო ჭოროხის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანა თავისი მთავარი ცენტრით არტანუჯით ვიდრე არსიანის ქედამდე: ის ყოფილა მესხების (ანუ მესხური ტომით დასახლებული) მხარე სტრაბონის დროს, ხოლო ლაზური ტომით დასახლებული იქნებოდა ვრცელი ტერიტორია ზღვისპირეთიდან ვიდრე ჭოროხის მარცხენა სანაპირომდე. ე.ი. ჭოროხის მარცხენა სანაპიროდან - ზღვისპირეთის ჩათვლით ითვლებოდა ლაზების ქვეყანად, რომელთა ხელშიც იმჟამად ყოფილა ასევე კლარჯეთიც. ორივენი კი ბიზანტიის მიერ იყვნენ მიტაცებულნი.

ასე, რომ არა იმერეთი იყო მესხებით დასახლებული, როგორც წარმოუდგენია თანამედროვე საბჭოურ ისტორიოგრაფიას, არამედ ლიგანის ხეობის ახლოს მდებარე კლარჯეთი. აქ გამავალი საერთაშორისო გზის შესახებ წერს რ. მალაყმაძე - „ლიგანის ხეობა მდებარეობს მდ. ჭოროხის ქვემო დინებაში. აქ გადიოდა სახმელეთო და სამდინარო გზები, რომლითაც ანტიკურ ხანაში და უფრო ადრე ისტორიულ, შავშეთ-ტაო-კლარჯეთის მხარეები შავიზღვისპირა რაიონებს უკავშირდებოდა“ (იქვე, გვ. 20), ამ გზით უვლია ანდრია მოციქულს - „აჭარისა და ნიგალის გავლით კლარჯეთსა და არტაან-კოლაში გადავიდა. „ანდრია შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, ნიგლას, კლარჯეთსა და არტაან კოლას, სადა დაყო ჟამი მრავალი“ (ქ.ც. I, 1955, გვ. 38).

ექსპედიცია ჭოროხზე, 2009 წლის 27 ივლისს

ჩვენი მიზანი იყო ჭოროხისა და აჭარისწყლის შესართავის ნახვა. ჭოროხს, ჩვენი აზრით, პროკოფის ეპოქაში ერქვა ფასისი, ხოლო აჭარისწყალს დოკონისი. ამ მდინარეების შესართავში ყოფილა სამკუთხედის მსგავსი კუნძული ძველ პუნქტ ნესოსთან. ამ კუნძულზე რომაელთა (ბიზანტიელთა) და სპარსელთა ჯარები იბრძოდნენ, რომელსაც აღწერენ პროკოფის ეპოქის მწერლები. ჩვენი მიზანი იყო გვეხილა ეს კუნძული თუ ნახევარკუნძული და დაახლოებით გაგვეზომა ის, რათა შეგვედარებინა ძველ ცნობებთან. ამ ადგილს მოხვედრა შეიძლება, ხელვაჩაურის რაიონის გავლით. რაიონი არის ვაკე, უხვმოსავლიანი, კარგად გაშენებული, ეს უნდა იყოს ცნობილი მოხირისი თუ მოხურისი და არა ქუთაისის სანახები. მართლაც ფუძე სიტყვისა შენარჩუნებულია სიტყვაში-„ხელვაჩაური“ -მისი ფუძეა „ხელვაჩი"ან „ხელვა–ხელო- ხულო" თუ გავითვალისწინებთ, რომ „ელ“ ხშირად გადადის „ურ“-ში, მაშინ „ხულო“-დან შეიძლება მივიღოთ „ხურუ“. - წინსართის „მა“ და „ბოლოსართის „სი“-ს დართვით ალბათ მივიღებთ მუ-ხურ-ისს. ამჟამადაც ამ რეგიონში ფიქსირდება ტოპონიმრბი – „მახო“, „მახოს ხიდი“, „მახვილაური“, „მახინჯაური“ და სხვა. მათი ფუძეა – „მახო-მახვი“, აქედან ეტიმოლოგიურად სიტყვა „მოხირისის“ ფუძესთან „მოხ“-თან დაკავშირება (მოხ-ირ-ისი).

აღსანიშნავია, რომ კუთხე „ერგე“ ახლაც არსებობს ხელვაჩაურის რაიონში, ის აქ ჰქვია ამჟამინდელ სოფელს, რომელიც ყველაზე ახლოსაა ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავთან. ამ მდინარეთა შესართავში ნამდვილად არსებობს ქვიშისაგან და რიყისაგან შექმნილი სამკუთხედის ფორმის ნახევარკუნძული. მისი საერთო ფართობი საკმარისი იქნებოდა პატარა რაზმების განლაგებისათვის, მაგრამ უფრო მთავარია ის, რომ კუნძულიდან შესაძლებელი იყო ორი სტრატეგიული გზის გაკონტროლება – ერთი ამჟამადაც მიუყვება მდ. აჭარისწყალს, მეორე კი ჭოროხს. კუნძულიდან შეიძლება მთელი მთიანი აჭარისა და

ლიგან-კლარჯეთის ხეობათა სრული კონტროლი, გზათა ჩაკეტვა ან გახსნა. აღსანიშნავია, რომ ამ ადგილას XIX ს.-შიც იდგა რუსის ჯარი.

კუნძულზე ჯარის განლაგება მიდამოს კლდიანობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამ შესართავის ირგვლივ მთების ფერდებზე ჩანს პატარა დასახლებები და თითო-ოროლა სახლები. მივემართებით ამ სოფლებისაკენ, რათა მათი სახელები გავიგოთ. გვაინტერესებს დარჩა თუ არა ამ ადგილებში სადმე ტოპონიმი „ნესოსი“, რომელსაც ახსენებს პროკოფი. ასეთი არ იციან, არის სოფლები ჩხუტენეთი და სხვა. ნესოსს ყველაზე უფრო უახლოვდება ტოპონიმი „ნესტორი“, რომელიც აქ ერთ-ერთ ადგილს ჰქვია. მივემართებით ამავე გზით სოფელ მარადიდისაკენ, რათა ჩავიწეროთ ჭოროხის მენავეთა შესახებ შემორჩენილი ცნობები. მართლაც, მარადიდთან ახლო სოფელში ჩავიწერეთ თემურ ხასანის ძე ჯიხაძის (ძიხოღლის) ნაამბობი, რომ მამამისი, რომელიც 1970 წელს გარდაიცვალა, ახალგაზრდობის წლებში თვითონ მართავდა ჭოროხზე სატვირთო ნავს, იგი ყოფილა „რეიზი“ ანუ კაპიტანი სატვირთო ნავისა. ის ასე საქმიანობდა - მას დაიქირავებდა ხოლმე რომელიმე ვაჭარი, რომელსაც უნდოდა ტვირთის გადატანა ბორჩხადან ბათუმში, ეს „რეიზი“ ანუ კაპიტანი გაამზადებდა თავის ნავს, თვითონ თავის მხრივ დაიქირავებდა 2-3 თანაშემწე - მენავეს, ბორჩხაში ნავზე დადებდნენ ტვირთს (ძირითადად ეს იყო ზეთისხილი, ჩირი, კრამიტი) და მდინარით გაუყვებოდნენ გზას ბათუმისაკენ. ბათუმთან ახლოს ძირითადად კაპანდიბში ან სხვა ადგილას, ტვირთს გადმოცლიდნენ. ამ გზის გავლას ბორჩხადან ბათუმისკენ ნავით ჭირდებოდა თითქმის 12 საათი. უკან ასევე ნავით ბრუნდებოდნენ, ახლა უკვე ნავი უკან თოკებით უნდა წაეთრიათ წყალზე სრიალით, ამიტომაც ჭირდებოდათ მეტი ხალხი, ამ ხასანის სიტყვით ნავის უკან თრევას ჭირდებოდა 10-15 კაცი. ამ თემურ ხასანის ძე ჯიხაძის (ჯიხოღლის) გამოკითხვის შემდეგ, ჩვენ გვითხრეს რომ აქვე, ამავე სოფელ მარადიდში ჯერ კიდევ ცოცხალია ნავის მთრეველი კაცი (ე.ი. ვისაც ნავი უკან მიყავდა), მართლაც გავემართეთ მის სანახავად. სოფლის ვიწრო გზებით, ჭოროხის ნაპირთან ერთ-ერთ სახლთან გვითხრეს, რომ სახლის პატრონმა ჭოროხში იპოვნა დიდი ზომის ღუზა, დაახლოებით 1 მეტრი სიმაღლის, ხელით გაკეთებული (გამოჭედილი რკინა), წონით დაახლოებით 70-80 კგ. ამ ახალგაზრდა კაცმა გვითხრა, რომ ღუზა ერთი თვის წინ მიუყიდნია ბათუმის ერთ-ერთი მუზეუმისათვის. ღუზის ზომებით ნავიც დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ ჩვენ მიგვიყვანეს „ნავის მთრეველის“ ეზოში. გამოგვიყვანეს მოხუცი ბრგე კაცი, რომელიც მოგვიყვა იგივეს, ოღონდ არ დაადასტურა ბოლო ცნობა, რომ ნავის უკან ბორჩხაში წასათრევად 10-15 კაცი იყო საჭირო. მისმა ცოლმა განაცხადა - მოხუცდა და ბევრი რაიმე აღარ ახსოვსო. იქვე თქვეს, რომ ნავის უკან მთრეველს ერქვა ასეთი სახელი - „მუშა“ ანდა „მძღოლი“. უფრო ადრე ხასანმა გვითხრა, რომ ნავის უკან თრევა მძიმე საქმე იყო, ამიტომაც არსებობდა ნავის მუშების დასასვენებელი საგანგებო პუნქტები მდ. ჭოროხზე, კერძოდ ნავის მთრეველები კაპანდიდიან ბორჩხას გზაზე ისვენებდნენ: 1) თანამედროვე სოფელ აჭარისწყალთან (სადაც აჭარისწვალი უერთდება ჭოროხს); 2) სოფელ მინვეთთან; 3) მარადიდთან; 4) ხებასთან; 5) იყო უკვე ბორჩხა. ალბათ დასვენების ქვეშ იგულისხმება ღამის გათევება. უკანა გზაზე ნავი განსაკუთრებით მსუბუქად იტვირთებოდა, ძირითადად ნავთით და მარილით, ასევე ქსოვილებით. თვითონ მარადიდში იყო საქსოვები და აქვე იკერებოდა დამზადებული ტანსაცმელი. ბორჩხა-კაპანდიბის გზას მარადიდელები ემსახურებოდნენ ძირითადად. კაპანდიბში ნავები დგებოდა იქ, სადაც არის ე.წ. „მახოს ხიდი“. აქედან ბორჩხამდე ნავის უკან თრევას 2-3 დღე უნდოდა. ნავის რეიზი ანუ კაპიტანი „იდგა კიჩოზე“. აქვე მარადიდში ამზადებდნენ ნავებს, ერთ-ერთის სახლი გვაჩვენეს, ის ყოფილა

ვინმე ჩერქეზიშვილი. მახოს ხიდი არის „ერგეს ქვემოთ“. ერთ დღეში, ამ მთქმელის თქმით ჭოროხზე სულ 4 ნავი მოძრაობდა (მაგრამ ალბათ ადრე მეტი იყო). ჭოროხის სატვირთო სანაოსნო გზა დაიკეტა 1926 წელს მთავრობის განკარგულებით. ამის შემდეგ მენავეებს და ტვირთის გადამტანებს უწოდებდნენ „კონტრაპანდისტებს“ და ისჯებოდნენ. ამიტომ ეს საქმე და ხელობა გაქრა.

ბორჩხადან – აჭარისწყლის შესართავამდე ქვეყანას ერქვა – ლივანა, აჭარისწყლის ქვემოთ – ერგე. ბორჩხაში საქონელი შედიოდა ართვინის ბაზრობიდან. ართვინში იმართებოდა ბაზრობა, სადაც, როგორც ითქვა, ვაჭრები ყიდულობდნენ საქონელს, რომელიც ბორჩხაში გადაჰქონდათ, ბორჩხადან კი უკვე მარადიდელი მენავეები აგრძელებდნენ ტვირთზიდვას მახოს ხიდამდე. მოხუცი მარადიდელის სიტყვით, ნავს უკან მიათრევდა არა 10-15 კაცი, არამედ 3-4 მუშა „ჯოხებით“. საფიქრებელია, მას სურდა ეთქვა, რომ ეს 3-4 კაცი მდინარის დინების მიყოლისას იყო ნავზე.

როგორც აღინიშნა, „მახო“ უნდა იყოს ის მხარე, რომელსაც წყაროებში მოხირისი ერქვა (ხელვაჩაურ-ხულოს რეგიონი).

ბორანი („პორომი“) მდ. რიონზე

ბორანი იყო ხიდის მაგიერი დამაკავშირებელი საშუალება ორ სანაპიროს შორის. მაგალითად, სოფ. ბაშსა და ვანს ერთმანეთთან აკავშირებდა ბორანი. თვითმხილველის მონათხრობი: „ომის შემდეგ XX ს. 50-60-იან წლებში ბაბუაჩემი დატვირთავდა ურემს და კვირაობით (კვირა დღეს) სავაჭროდ გაჰქონდა პროდუქტი ვანის ბაზარზე ბაშიდან ბორანის (იქ „პორომს“ ეძახდნენ) საშუალებით.

ბორანი დიდი ტივია, ბაშის ბორანი იქნებოდა დაახლოებით სიგრძით 5-7 მეტრი, სიგანით ოდნავ ნაკლები. მასზე ეტეოდა რამდენიმე ურემი თავისი ხარებით და ასევე ცხენები და 10-მდე ადამიანი. ბორანი გადაადგილდება ნაპირებზე გაბმული მაგარი თოკით, ბაგირით. ამ ბაგირს იკავებენ ძელები. მებორნე დიდი ნიჩბის საშუალებით ბორანს ხელს უწყობდა რომ გადაადგილებულიყო ერთი ნაპირიდან მეორეზე. ბორანი იყო ოთხკუთხედი, ბაგირს ბორანი ეხებოდა გრძელი ბოძის საშუალებით.

ბაშსა და ვანს შუა დაახლოებით 4 კილომეტრია მდინარე რიონის კალაპოტის სიგანე. ამ ოთხ კილომეტრიან მანძილზე მოედინება სამი ნაკადი (განშტოება) მდინარე რიონისა. ამ სამი განშტოებიდან სოფ. ბაშთან ახლოს მოედინებოდა „პატარა რიონი“, პატარა რიონის შემდეგ იყო „ჭალა“, ჭალის შემდეგ მოედინებოდა რიონის I შენაკადი – „შუა ანუ დიდი რიონი“ – აქ იყო ბორანი.

ბორანის ცენტრში დამაგრებული იყო სქელი ბოძი დაახლოებით ორ მეტრიანი, რომელიც მისრიალებდა ბაგირზე სასურველი მიმართულებით. ბაგირი (თოკი) ამ ძელზე თამაშობდა – ძელზე ადიოდა და ჩადიოდა. როგორც ითქვა ბორანზე მისასვლელად ჯერ ხარ-ურემი გადალახავდა პატარა რიონს (ანუ ერთ-ერთ შენაკადს სოფ. ბაშთან ახლოს).

ბაშიდან წამსვლელი ჯერ პატარა რიონის გაივლიდა, შევიდოდა ე.წ. „ჭალაში“, ჭალა იქნებოდა დაახლოებით 300-500 მეტრი, მას გაივლიდა და დატვირთული ურემი მიადგებოდა ხის ფიცარნაგს დიდი რიონის სანაპიროზე. ამ ფიცარნაგს მოადგებოდა ბორანი, ამის შემდეგ ფიცარნაგის საშუალებით ხალხი და ხარ-ურემი შედიოდა ბორანზე. ბორანი გაივლიდა ე.წ. „დიდ რიონს“, მისი სიგანე იქნებოდა 40-60 მეტრი. მისი გადაცურვის

შემდეგ ბორანი მიადგებოდა მეორე სანაპიროს. იქედან იწყებოდა მდინარის რიყე. ამ რიყეს იქით იყო კიდევ ერთი „რიონი“ და ამის სანაპიროზე იყო ვანი და სხვა სოფლები. იქვე იყო რიონის მეორე მხარეს სოფელი ჭყვიში, ქალაქი ვანი და სხვა სოფლები.

ხალხი ბორანის საშუალებით ბაშიდან ვანში საკმაოდ ჩქარა მოძრაობდა. მაგალითად, ერთ დღეში ბაშელ ადამიანს ადვილად შეეძლო ბაშიდან ვანში მისვლა, საქმის მოთავება და უკან დაბრუნება. ამას დასჭირდებოდა ალბათ ნახევარი დღე.

დაახლოებით ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადასვლას 1,5-2 საათი დასჭირდებოდა.

სოფლები ბაში, იანეთი, ფარცხანაყანები, საყულია და სხვა სოფლები სამტრედიის აქეთ ამ ბორნით უკავშირდებოდა ვანის სოფლებს. მთავარი ბაზარი იყო ვანში და ამიტომ ამ ბაზრობაზე კვირადღეს ბორნით მიმოდიოდა ხალხი."

მთხრობელი თამაზ ნაცვლიშვილი.
28.07.08
ქ. წყალტუბო

ე.ი. ბაშსა და ვანს შუა რიონი სამ ტოტად იყო გაყოფილი. ერთი ტოტი სოფელ ბაშთან უფრო პატარა იყო, მეორე - შუა - მდინარის მთავარი ძარღვი იყო, მესამე კი ვანთან „იქეთა რიონი“ იყო ბაშელებისთვის. შუა ტოტზე გადებული იყო ბორანი. ვანი და ბაში ერთმანეთს ამ გზით უკავშირდებოდა.

პალიასტომის ტბის ლეგენდა

აფხაზეთის კათალიკოსს ზაქარია ქვარიანს დაუდასტურებია რუსეთის ელჩებისათვის 1651 წელს, რომ ძველ წიგნებში მოთხრობილი ყოფილა თუ როგორ ჩაიძირა ციხე-ქალაქი პალისტომის ტბის ადგილზე და როგორი სასწაულთქმედებით ინება პალიასტომის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატმა გადასვენება ახალ ადგილას. ამ ამბავს ჰყვებოდა ხატის მცველი პატივცემული მღვდელ-მონაზონი, რომლის საგვარეულო მოვალეობა საუკუნეთა მანძილზე ყოფილა ამ წმიდა ხატის თანხლება და მსახურება. ისინი პალიასტომიდან გადმოჰყოლიან ქუთაისში ხატს. 1651 წელს რუსეთის ელჩებმა იევლიევმა და ტოლოჩანოვმა მოილოცეს ბაგრატის ტაძარი. იევლიევი წერს აქ დაცულ პალიატომის ღვთისმშობლის ხატის შესახებ. „ამ ხატის შესახებ საკრებულო საყდრის ხუცესმა, მღდელ-მონაზონმა გაბრიელმა და მისმა შვილებმა სეხნიამ და სიმონმა გვიამბეს: წინათ ეს ხატი გურიაში იმყოფებოდა და ციხე-ქალაქ პალიასტომის საკრებულო ტაძარში იდგა. საყდრის მთავარ ხუცესმა სილიბისტრომ იმ ხატის შთაგონებით ჩვენება იხილა (სილიბისტრო გაბრიელ ხუცეს-მონაზონის შორეული წინაპარი იყო), თითქოს სიზმარში მას ღვთისმშობელმა უთხრა, შესულიყო საკრებულო ტაძარში, მისი ყოვლადწმიდა ხატი აეღო და ციხე ქალაქ პალიასტომიდან გამოეტანა, რადგან ციხე-ქალაქს წყალში ჩაძირვა მოელისო. მთავარ-ხუცესმა სიზმარს არ დაუჯერა ამის შემდეგ ღვთისმშობელი მთავარ-ხუცესს ორჯერ გამოეცხადა და იგივე აუწყა, რომ ციხე-ქალაქი ჩაიძირება და ხატი გამოიტანეო. მთავარ-ხუცესმა არც ამჯერად დაიჯერა და არც სხვას გააგებინა ამის შესახებ რამეო. ეს მთავარ-ხუცესი ციხე ქალაქის გარეთ ცხოვრობდა სხვა საყდრის მახლობლად. ღვთის ნება აღსრულდა ამ ციხე-ქალაქზე და იგი ხალხითურთ ჩაიძირა, ხოლო ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატი ღვთის ბრძანებით ამ წარღვნისგან დაცულ იქნა – თავისთავად,

უხილავად, ღვთის განგებით ციხე ქალაქიდან ჰაერზე მოდიოდა - და როცა მათმა ამ წინაპარმა მთავარ-ხუცესმა ასეთი საოცარი და ენით გამოუთქმელი სასწაული იხილა, დაეცა სასწაულებრივი ხატის წინაშე და ცრემლით იწყო ვედრება მოწყალების მისაღებად და ცოდვების მისატევებლად და როცა მიუახლოვდა, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატი ჰაერიდან დაიძრა და მის ხელებში მიესვენა. კვლავ გამოეცხადა ღვთისმშობელი მთავარ-ხუცესს და მისი გამოსახულების ქუთაისის ციხე-ქალაქში გადასვენება უბრძანა. მართლაც ამ მთავარ-ხუცესმა ხატი ქუთაისში მიასვენა და საკრებულო ტაძარში მოათავსა. იმ დროიდან მოყოლებული აქამდე, იმ ყოვლადწმიდა ღვთისშმობლის მახლობლად, მუდამ ცხოვრობს სილიბისტროს მოდგმა. ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ეს ხატი ქუთაისის ციხე ქალაქში გიორგი მეფის დროს არისო მიტანილი. დავით მეფის შვილიშვილის დროსო“ ჩანს იგულისხმება მეფე გიორგი ბრწყინვალე.

ა. იევლიევის 1650-1652 წლების იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა. გამოცემული ი. ცინცაძის მიერ 1968 წ. გვ. 139.

როგორც ამ ამბიდან ჩანს, პალიასტომის ციხე ქალაქში ყოფილა მრავალი ეკლესია. ერთ-ერთი, შედარებით პატარა ეკლესიის წინ ცხოვრობდა თურმე მთავარი ანუ საკრებულოს ხუცესი სილიბისტრო. როგორც ჩანს სხვა ეკლესიებიდანაც გაუტანიათ წმიდა ხატები. მაგალითად, ხალხური გადმოცემებით ერთ-ერთმა დიაკვანმა პალიასტომის ეკლესიიდან მთავარანგელოზის ხატი გადაასვენა ჯუმათის მთაზე. ეს ამბავი ჩაუწერია 1891 წელს ეგნატე ნინოშვილს: „ახლა რომ პალიასტომის ტბაა, იმ ადგილას თურმე ხმელეთი ყოფილა, ზედ ხალხი იდგა და ამ ხალხს პავლიას ტომს ეძახდნენ. ერთ დღეს ხმელეთმა ძირს დაიწია, ერთ ადგილას მიწა გაირღვა, უცბად წყალი ამოვარდა დედამიწიდან და მთელი სოფელი დაიფარა. იქაური ხალხიც და ყოველივე სულდგმული დაიხრჩო, ხოლო ერთმა დიაკვანმა მოასწრო, გაიტაცა მთავარანგელოზის ხატი, აიტანა ჯუმათის მთაზე და იქ ამ ხატს ეკლესია აუშენეს. ეს დიაკვანიც, გვარად დარჩია, დეკანოზად დააყენესო. ჯუმათის მთაზე ეკლესია-მონასტერი დღესაც არსებობს. ხალხი გვარად დარჩია დღესაც ცხოვრობს სოფელ ჯუმათში და ბევრი მათგანი სასულიერო წოდებისაა“.

პალიასტომის ტბის ამბავს გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი. იგი წერს... „ამას იტყვიან ნაქალაქევსა და შემდგომად მოცულსა წყლისაგან“ (ქართ. ცხოვრება, მე-IV გვ. 790).

პალიასტომის ტბის გაჩენის ამბავი აღუწერიათ მე-17 საუკუნეში 1651 წელს, მე-18 საუკუნის 20-იან წლებში და მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. პალიასტომის ეს ამბავი ჩაწერილი ყოფილა კიდევ უფრო ძველ წიგნებში. მაგალითად 1651 წელს აფხაზეთის პატრიარქმა ზაქარია ქვარიანმა განაცხადა, რომ ეს ამბავი ძველ წიგნებში ჭეშმარიტად ასე არის მოთხრობილი. (მ. ნიკოლეიშვილი, ქუთაისის და პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი, ქუთაისის მუზეუმის შრომები, კრებული მე-15. 2006 წელი). მაშასადამე, ძველი ქართული ისტორიოგრაფის ამ ცნობებით პალიასტომის ტბა წარმოიშვა შუა საუკუნეებში და ის არ არის სტრაბონის მიერ აღწერილი ტბა ქალაქ ფასისის გვერდით. მე-19 საუკუნის რუსი და ევროპელი მოგზაურების ცნობით საკმაო სიდიდის ტბები იყო და ახლაც არის მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე მის ზღვასთან შესართავის ახლოს, ამიტომაც საბჭოთა ეპოქის მეცნიერთა მტკიცება, რომ თითქოსდა სტრაბონი აღწერს პალიასტომის ტბის არსებობას ფოთის გვერდით უსაფუძვლოა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პალიასტომის ფსკერის წყალქვეშა არქეოლოგიური შესწავლა ადასტურებს ხალხის მიერ შემონახული ამბის სიმართლეს. პალიასტომის ტბის გაჩენის შესახებ მონათხრობები დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

(იქვე გვ. 29). არქეოლოგების მიერ პალიასტომის ტბაში აღმოჩნდა შუა საუკუნის სოფლის ნაშთები და ეკლესიის კედლებიც კი. ამიტომაც გვაკვირვებს ჩვენი თანამედროვე მეცნიერის მსჯელობა, რომ თითქოსდა გულუბრყვილობა არის ზემოთ ხსენებულ ხატებთან პალიასტომის ტბის წარმოშობის დაკავშირება, რომ თითქოსდა ამ ხატის შემქმნელებს სურდათ ხატისათვის რაღაც განსაკუთრებული ძალა მიენიჭებინათ მისი დაკავშირებით უცნაურ ამბებთან და ლეგენდებთან. კერძოდ, მკვლევარის ფიქრით- „ხატს თავისთავად არავითარი ძალა არ აქვს, მაგრამ თუ რაიმე ამბავს შეუთხზავენ, ის ავტორიტეტული გახდებოდა". თითქოსდა ასე მოიპოვა ავტორიტეტი პალიასტომის სახელის მინიჭებით ქუთაისის ბაგრატის ღვთისმშობლის ხატმა. ვფიქრობთ, პირიქით, საბჭოური ეპოქის მეცნიერთა აღნიშნული მოსაზრება არის სრულყოფილი კვლევისათვის თავის არიდება, რათა ნაკლები შრომით აკვიატებული აზრები განამტკიცონ და უეჭველად მიიჩნიონ თვალსაზრისი, რომ ფოთში უთუოდ მხოლოდ და მხოლოდ ბერძნული ფასისის სამიტროპოლიტო იყო, ყოვლად დაუშვებლად მიაჩნიათ ძველი ეკლესიის იერარქებისა და ხალხის მიერ დაბეჯითებით გადმოცემული თვალსაზრისი, რომ ფოთთან ქართული ციხე-ქალაქი არსებობდა, რომელიც გაქრისტიანების შემდეგ დაიტბორა და წყალში ჩაიძირა. ხოლო მორწმუნე მრევლი არ მიატოვა პალიასტომის წმიდა ხატებმა - ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისამ და მთავარანგელოზისამ.

ეს ძველი ამბები, როგორც ითქვა, ძველ წიგნებში ყოფილა ჩაწერილი, მაგრამ რამდენმა ქმნილებამ არ მოაღწია ჩვენამდე? პალიასტომის ხატის თავდაპირველ მოჭედილობაში იქნებოდა მინიშნება მის წმიდა ამბავზე, მაგრამ მეორედ მოჭედვის დროს ალბათ ადგილის სიმცირის გამო ოქრომქანდაკებელმა აღნიშნული ამბავი ვერ ამოტვიფრა ვიწრო არშიაზე. ამ ხატს ამჟამად მუზეუმის მუშაკები უწოდებენ არა „პალიასტომის ხატს“, არამედ „ქუთაისის ხატს“, ათარიღებენ XVI საუკუნით. მართლაც, ხატზეა წარწერა - „შენ ცათა მობაძავს დედა ქალაქისა ქუთაისისა ღვთისმშობელო ადიდე ორთავე შინა ცხოვრებასა... პირველმოჭედილი დაძველებულიყო და ჩვენ მეორე განვაახლეთ“ (ქუთაისის მუზეუმის შრომები, კრებული XIII, 2001, გვ. 34).

მაშასადამე, პალიასტომის ხატის ადრინდელი მოჭედილობა დაძველდა, ახლით მოჭედეს XVI ს-ში. ეს ხატი თავის სასწაულთმოქმედებების გამო ქუთაისის მფარველი სიამაყე იყო, რაც აისახა ახალ მოჭედილობაში.

ჩვენი დროის მკვლევრების თვალსაზრისით, პალიასტომის ხატის სასწაულქმედებითი ამბავი არის შეთხზული ლეგენდა. კერძოდ, თითქოსდა ხატს ასეთი სახელწოდება საგანგებოდ დაარქვეს, რათა ხალხს მის შესახებ შექმნოდა შეხედულება, თითქოსდა ის არის სასწაულთმოქმედი. ერთი სიტყვით, თითქოსდა თვითონ ხატს არავითარი ძალა არ ჰქონდა, მისი შემქმნელები კი ცდილობდნენ ისეთი ლეგენდა მოეგონებინათ მისთვის, რომ ხალხს დაეჯერებინა მისი ძლიერება. მკვლევარი წერს-„ასეთი სახელწოდების შემქმნელებს აინტერესებდათ ხატისთვის განსაკუთრებული სიძლიერე, სასწაულთმოქმედების ძალა მიენიჭებინათ, რომ მას მეტი დარწმუნების ძალა ჰქონოდა. ცხადია, იმ დროისათვის სავსებით შესაძლებელი იყო ხალხს ასეთი ძალა დაენახა ხატში. პალიასტომის დაქცევისა და ხატის სასწაულებრივი გადარჩენის ამბავი, რომლის ნამდვილი მიზეზი მაშინ არავინ იცოდა, ცხადია, ყველაზე გამოსადეგი იყო ღვთისმშობლის ხსენებული ხატის საეკლესიო ცხოვრებაში ჩასაყენებლად... პალიასტომის ტბასთან დაკავშირებული თავგადასავალი შთამაგონებელ ძალას ანიჭებდა მორწმუნეთა აზრით მათ სალოცავ ხატს“ (მ. ნიკოლეიშვილი, ქუთაისისა და პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი“, ქუთაისის მუზეუმის შრომები, კრებული XV, 2006, გვ. 24).

როცა ასეთი წინასწარგანზრახული მოსაზრებით იხილავს მკვლევარი ხატის ისტორიასა და მის წარწერებს, ვფიქრობთ, შესაბამისად არასწორ დასკვნებსაც აკეთებს. ხატების სასწაულთქმედებათა შესახებ ალბათ უფრო მეტი პატივისცემის გამოხატვაა საჭირო. ივერიის (პორტაიტისას) ღვთისმშობლის ხატის სასწაულთქმედება საფუძვლად დაედო ივერიის მონასტერს და სასწაულთმოქმედი ხატები მრავლად იყო და არის ეკლესიაში.

ტბა ფასისის შესართავთან

პალიასტომის ტბა მიიჩნევა ერთ-ერთ დადასტურებად იმისა, რომ ფასისი იყო რიონი, რადგანაც ძველი ავტორების ცნობით, იქ, სადაც ფაზისი ერთვის ზღვას, იყო ტბა.

აღმოჩნდა, რომ ტბა ჭოროხის შესართავთანაც არსებობს და გეოლოგიური შეფასებით ძველ დროსაც არსებობდა. ამის შესახებ წერს ცნობილი მკვლევარი და მეცნიერი ე. ვეიდენბაუმი.

„ბათუმი მდებარეობს უმნიშვნელო, მაგრამ შესანიშნავი უბის დასავლეთ მხარეს. უბესთან სიმაღლეები უკან იხევს ნაპირიდან, ქმნის ბრტყელ სანაპირო ზოლს, რომლის ნაწილიც ბათუმს უკავია... ბათუმის უბე წარმოქმნილია, ალბათ ჭოროხისა და დასავლეთის ქარების თანამოქმედების შედეგად. მეჩეჩი, რომელიც უბეს ზღუდავს დასავლეთის მხრიდან და მთელ სივრცესაც ჭოროხსა და უბეს შორის, შედგება ნაყარისაგან ე.ი. შლამის, ქვიშისა და მდინარის კენჭებისაგან... აღმოსავლეთის ქარების დროს ჭოროხის დინება ზღვაში მიემართება აღმოსავლეთისაკენ და ეჯახება იმ მეჩეჩს, რომელზედაც ვსაუბრობდით. აქ ტოვებს მის მიერ ჩამოზიდული მასალის ნაწილს, რომელიც იწვევს მეჩეჩის დაგრძელებას... ჩამდინარე წყლებს არა აქვთ ზღვაში თავისუფალი ჩასადენი და გროვდებიან ძირთან, სადაც ქმნიან დიდ ჭაობს. თავისუფალი ჩადინება შეუძლებელია ზღვიდან ზვირთცემის გამო, რაც ნაპირთან წარმოქმნის ერთგვარ მიწაყრილს. ქალაქის დასავლეთით მდინარე ჭოროხის დელტა დაფარულია ჭაობით და ჭაობიანი ტბებით, რომელიც გარშემო ბუჩქნარია. ამგვარად, ქალაქი სამი მხრიდან გარშემორტყმულია ჭაობებით (მხედველობაში არა გვაქვს ხელოვნური ჭაობები ბრინჯის ველის მოსარწყავად). ამჟამად, ჭაობის დაშრობის მიზნით, მიმდინარეობს ქალაქის შემოგარენის ნიველირება“ (ე. ვეიდენბაუმი, ართვინიდან ბათუმამდე, 2005, გვ. 41).

აღწერილიდან ჩანს, რომ ტბა ბუნებრივად იდგა ჭოროხის შესართავთან და იქ არა ერთი, არამედ ტბები და ჭაობებიც ბუნებრივი იყო.

პალიასტომის ტბა

ხალხური გადმოცემით, რომელიც ძალზე მტკიცედ იყო დაცული და გავრცელებული დასავლეთ საქართველოში XIX და XX საუკუნეებშიც, პალიასტომის ტბა გაჩნდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, როცა ხალხმა გაითავისა ქრიატიანული ადათ-წესებისა და საეკლესიო მოთხოვნები. „ამ გადმოცემის მიხედვით, პალიასტომის ტბა გაჩნდა ხარების დღესასწაულის დღეებში, ანუ გაზაფხულზე. კერძოდ, ამ ტბის ადგილას ყოფილა სოფელი თავისი ეკლესიით. ერთ-ერთ პატარძალს ხარება დღეს აუღია ხელსაქმე და აკვნის წინ მუშაობდა. ამ დროს მისთვის შეუხსენებიათ, რომ უქმე დღეს მუშაობა არ შეიძლება. მით უმეტეს, ხარება დღესო. მას უთქვამს: „ხარება და ხარხარება, ჩემს ქმარ-შვილსა გახარება“. ამის შემდეგ სოფელი დაძირულა წყალში ისე, რომ ჩანს აკვანი და ეკლესიაო. „ფოთში მიწა ჩავარდა“. ეს იყო შიშის მომგვრელი ამბავი, რომელ-

საც XX საუკუნის შუა წლებშიც კი ბებიები გვიყვებოდნენ შვილიშვილებს. „აქაც მიწა არ ჩაირღვესო" – შეშინებულები იტყოდნენ ისინი. ასე რომ, პალიასტომის ტბის ამბავი ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში ახსოვდათ წინაპრებს. მაშასადამე, ეს ტბა გაჩნდა არა უხსოვარ დროს, არამედ მას შემდეგ,რაც ხალხში ქრისტიანული წესები ღრმად დაინერგა და ეკლესიები აშენდა.

მდ. თერმოდონტი და თემისკირა არიანეს მიხედვით

მდ. თერმოდონტს ხშირად ახსენებს II საუკუნის ცნობილი ავტორი ფლავიუს არიანე თავის თხზულებაში „პერიპლუსი, ანუ მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (თბ, 1961). ეს ნაშრომი თარგმნა ნათელა კეჭაყმაძემ და გამოსცა 1961 წელს ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით. ის აღნიშნავს ამ მდინარის შესახებ – „თერმოდონტი – მდინარეა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ახლანდელი Termesu, თერმოდონტთან ამაძონები ცხოვრობდნენ” (არიანე, პერიპლუსი, 1961, გვ. 108).

არიანეს ცნობით, IIს.-ში თერმოდონტის ხეობაში ხალიბები ბინადრობდნენ (იქვე, გვ. 80).

ჰეროდოტეს ცნობით თერმოდონტთან ცხოვრობდნენ კოლხები (ჰეროდოტე, ისტორია, II, გვ. 104). ამის შესახებ წერს ნ. კეჭაყმაძეც (დასახ. ნაშ. გვ. 10). მაშასადამე, კოლხების განსახლების ქვედა საზღვარი ტრაპიზონის ქვემო მხარე ყოფილა თერმოდონტთან. თერმოდონტი მდებარეობდა ტრაპიზონიდან დაახლოებით 350 კმ-ზე თანამედროვე სამსუნთან. ქსენოფონტეს დროს კოლხების სამკვიდრებელი აღარ ყოფილა ტრაპიზონის ქვემოთ.

სტრაბონის აზრით, კოლხები ტრაპიზონის აღმოსავლეთით იყვნენ (XII, 31,17), სტრაბონის დროინდელ კოლხეთის მეფეებს ძალა აღარ აქვთ. მათ ქვეყანა სკეპტუქიებად დაყვეს (XI, 2,18) – წერს ნ. კეჭაყმაძე (დასახ. ნაშრ. გვ. 10).

მაშასადამე, კოლხების საცხოვრისი იყო არა დასავლეთი საქართველო, არამედ ტრაპეზუნტის მიმდებარე მხარეები.

არიანე წერს – „კოლხები ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით არიან, როგორც ქსენეფონტეც ამბობს“ (ნ. კეჭაყმაძის თარგმანი, არიანე, „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ 1961, გვ. 10).

აღსანიშნავია, რომ ნ. კეჭაყმაძე სხვა ადგილას ოდნავი განსხვავებით თარგმნის არიანეს ამ წინადადებას, რომლის მიხედვითაც მაინც კოლხები ტრაპეზუნტთან ცხოვრობდნენ.

არიანე წერს – „შემდეგი ტომები, ტრაპეზუნტების მოსაზღვრენი, როგორც ქსენეფონტეც ამბობს, არიან კოლხები“ (იქვე, გვ. 42).

არიანეს გამოთვლით, მდ. თერმოდონტი მდებარეობდა ტრაპეზუნტის სამხრეთით, დაახლოებით 350 კმ მანძილზე. ის იყო იქამდე კოლხების ქვეყანა. არიანეს მიხედვით მის დროს კოლხები ტრაპეზუნტის მეზობლად (მარჯვნივ) ცხოვრობდნენ.

ჰეროდოტეს ცნობით, მის წინა ხანებში, როგორც აღინიშნა, კოლხები სამხრეთით მდ. თერმოდონტამდე იყვნენ გავრცელებულნი. სვიდა ამბობს: „თერმოდონტი მდინარეა კოლხეთში“. ქსენეფონტის მიხედვით კი, (IV, 8,22-24) კოლხები ტრაპიზონთან ცხოვრობდნენ, ხოლო თერმოდონტთან ხალიბები. (არიანე, მოგზაურობა, 1961, გვ. 72).

„პტოლემესთან კოლხეთის მოსახლეობაში შემავალ ტომებში კოლხები არ მოიხსენიებიან“ (იქვე, გვ.72). “რიონის აუზის არეში კოლხების სახელის ხსენებაც კი აღარაა

არიანეს და პტოლემეს დროს“ – წერს ივ. ჯავახიშვილი (ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, თბ., 1950, გვ. 13). „კოლხები მოსხები არიან Hecat, ფრ, 185, 188, კოლხი მესხია, კორაქსია, კოლაა“ (იქვე, გვ. 73).

თემისკირა იყო ქალაქი და ქვეყანა თერმოდონტის (თერმე-სუ) პირდაპირ, ქალაქ ამისოსის მახლობლად, აქ კოლხებისაგან გადუდიათ წინადაცვეთის ჩვეულება მათ მეზობელ ასურებს (სირიელებს) (ფლ. არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, კომენტარი, გვ. 80).

ივანე ჯავახიშვილი წერს – „წინათ კოლხებს თერმოდონტისა და მდ. პართენიონის სანახების მახლობლად უნდა ეცხოვრათ“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. შესავალი, I, 1950, გვ. 10). თერმოდონტის მიდამოებში ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობით, კოლხების გარდა ხალიბებიც ცხოვრობდნენ (იქვე, გვ. 80).

ტრაპეზუნტი, ვითარცა სინოპელთა ახალშენი, დაარსებული იქნა „კოლხეთის ქვეყანაში“ (არიანე, დასახ. ნაშრ. გვ. 63).

ჰეროდოტეს აღნიშვნით, მდ. თერმოდონტზე ბერძნებმა დაამარცხეს ამორძალები. სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონში ნათქვამია, რომ მდ. თერმოდონტზე ამორძალები ცხოვრობდნენ. სტრაბონის ცნობით, იქვე ცხოვრობდა ხალხი – გარგარეები, გარგარელები. სიტყვა გარგარი ეტიმოლოგიურად ახლოა „გუგარელთან“. თეოდორე სიცილიელის თხრობით, ამორძალების მეფეს მდ. თერმოდონტთან აუშენებია დიდი ქალაქი თემისკურუ. ამორძალები დაუმარცხებია ჰერაკლეს, მათი ნაშთები კი შემდგომში ტროას მხარეზე იბრძოდნენ (ს. ჭანტურიშვილი, ეთნოლოგია, გვ. 220-224).

მაშასადამე, თერმოდონტი და თემისკირა მდებარეობდნენ კოლხების ისტორიულ ქვეყანაში ქ. ტრაპიზონიდან დასავლეთით 350კმ მანძილზე, ზღვისპირას, თანამედროვე სამსუნთან, ძველ ამისოსთან ახლოს. იუსტინიანეს ეპოქაში შედიოდა ელენოპონტოს პროვინციაში, რომელიც შემდეგ I არმენიის დიოცეზში გააერთიანეს. ამიტომაც თერმოდონტი და თემისკირა ერთდროულად იყვნენ კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში. როგორც თემისტიოსი ამბობს, აქ მდებარეობდა ფასისის რიტორიკული სკოლა, ე.წ. „ფასისის აკადემია“ და არა ფოთში.

ფასისი, თემისკირა და თერმოდონტი სტრაბონის მიხედვით

ერთი ცნობით ფასისის რიტორიკული სკოლა მდებარეობდა კოლხეთში მდ. თემისკირასთან და თერმოდონტთან ახლოს. მათი მდებარეობა ცნობილია სტრაბონის და სხვა ავტორების ცნობებით. სტრაბონის ცნობით, თემისკირას ანუ ამაზონების დაბლობი მოიცავდა პონტოსპირეთის ოლქს, რომელსაც რწყავდა მდინარეები თერმოდონტი და ირისი (სტრაბ. I, III, 6). ამ დაბლობის ერთი ნაწილი შავი ზღვის პირას იყო, ხოლო მეორე ნაწილი ემიჯნებოდა პონტოს მთებს (XII, III, 15). ეს იყო ტრაპეზუნტის სამხრეთით.

თავი III.

გზები და ხიდები ისტორიულ კოლხეთში

მთავარი სავაჭრო არტერიები

1. „გზა კლარჯეთისა“

წმ. ანდრია პირველწოდებული ართვინ-არტაანის გზაზე (I ს.)

I საუკუნეში „ანდრიამ მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 38). ეს გზა აერთიანებდა ჭოროხს არტაანთან.

„ქართლის ცხოვრება“ წერს: ანდრია პირველწოდებული „შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, ნიგალას, კლარჯეთსა და არტაან-კოლას, სადა იგი დაყო ჟამი ფრიად მრავალნი“.

სად იყო ნიგალა? - ნიგალას ხეობა მდებარეობს ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ამჟამად თურქეთშია). მოიცავს მდ. ჭოროხის შუა და ქვედა წელს. ვახუშტის ცნობით - „ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზეც არის ართვინი, ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან ვაჭარნი, და ამ ართვინის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ხეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლიგანის ხეობად“, სახელი ნიგალის ხევი ოსმალებმა შეცვალეს ლივანად (ე. ბერიძე, ქრისტიანული სალოცავები ნიგალის ხეობაში, ტბელობა, 2008, გვ. 322).

ნიგალის არეალი ჩრდილოეთიდან ისაზღვრება კარჩხალის მთათა სისტემით, რომელთა იქეთაც აჭარა და მაჭახელაა, აღმოსავლეთით - კლარჯეთი და არტანუჯია, სამხრეთით ტაო, ხოლო დასავლეთიდან ისაზღვრება ლაზეთის ქედით.

ნიგალის ქვეყანა ამჟამადაც ქართულენოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მისმა მკვიდრებმა თურქულთან ერთად მეტ-ნაკლებად იციან ეს ენა. ეს რეგიონი „ქართლის ქვეყნად“ იწოდება ქართლის ცხოვრებაში კლარჯეთთან და არტაან-კოლასთან ერთად.

მაშასადამე, ნიგალის ანუ ლივანის მთავარი ქალაქი ართვინია. აქედან წმიდა მოციქული ანდრია შესულა კლარჯეთში, რომლის მთავარი ქალაქი ამჟამადაც არის არტანუჯი, იქედან კი გადასულა არტაან-კოლაში. ყველა ამ რეგიონში დაყო, როგორც ითქვა „ჟამი ფრიად მრავალნი“.

მაშასადამე, წმიდა მოციქულს უვლია იმ გზით, რომელიც ათასი წლის შემდეგაც კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაშიც მნიშვნელოვანი იყო და რომელმაც არტანუჯი დიდ სავაჭრო ცენტრად გადააქცია. ეს გზა, როგორც ითქვა, იწყებოდა ართვინში, შედიოდა არტანუჯში და გადადიოდა არტაანში. ართვინ-არტანუჯ-არტაანის გზა, მაშასადამე, I საუკუნეშიც ძალზე მნიშვნელოვანი იყო წმიდა ანდრიას ცხოვრების მთარგმნელთა ცნობით. ამ გზით, როგორც მრავალჯერ აღინიშნა V ს-ში უსარგებლია ვახტანგ გორგასალს და ჩვენი აზრით, ამ გზით შევიდა სპარსეთის მეფე ხოსრო ლაზიკის ციხე პეტრაში. მაშასადამე, მან გადალახა არა სურამის ქედი და დასავლეთ საქართველო, არამედ ისარგებლა იქამდე არსებული სპარსეთ-დვინ-ყარს-არტაან-არტანუჯ-ართვინის გზით. ამ პუნქტებს, ცხადია VI საუკუნეში სხვა სახელები შეიძლებოდა ჰქონოდათ. სხვა ცნობით პეტრაში მიმავალ შაჰს გაუვლია თეოდოსიოპოლში, იქედან ის პირდაპირი გზით შევიდო-

და არტაანში, აქედან კი არტანუჯის გავლით ართვინსა და პეტრაში. ესაა კოლხეთისა და იბერიის მაკავშირებელი სტრაბონის „4 დღიანი“ გზა ანუ გზა კლარჯეთისა.

ქრისტეს სამსჯვალთა და ფერხთა ფიცრის გზა (IV ს.)

„ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევა ქართლისას“ მიხედვით, წმიდა ნინოს ნებით მეფე მირიანმა ქართველთა გაქრისტიანება ახარა იმპერატორ კონსტანტინეს. მან თავის მხრივ საქართველოში გამოგზავნა სამღვდელოება ხალხის მოსანათლად, რომელთაც გამოატანა აგრეთვე დიდი თანხა ეკლესიათა ასაშენებლად. მას შემდეგ რაც დედოფალმა ელენემ 326 წელს იერუსალიმში აღმოაჩინა ცხოველმყოფელი ჯვარი, იმპერატორმა კონსტანტინემ მეორეჯერაც გამოაგზავნა საქართველოში სასულიეროთა ჯგუფი, რომელთაც იბერიის ქვეყანაში უნდა ჩაეტანათ წმიდა ნაწილები ცხოველმყოფელი ჯვრისა, კერძოდ კი ფერხთა ფიცარი და ის ლურსმნები, რომლებითაც მიამსჭვალეს ჯვარზე უფალი. აღნიშნული წყაროების თანახმად, ცნობილია ის გზა, რომლითაც ბიზანტიიდან – საქართველოში შემოასვენეს სიწმიდეები. კერძოდ მათ გამოიარეს ერუშეთსა, წუნდასა და მანგლისში (სადაც დაასვენეს ეს სიწმიდეები) და მივიდნენ იბერიის მეფესთან მცხეთაში.

ხუფათი-ჭოროხ-ერუშეთი-წუნდა-მანგლისი-მცხეთის საერთაშორისო გზა აერთიანებდა ბიზანტიასა და საქართველოს – ამ გზის უდიდესი მნიშვნელობის, კერძოდ ამ გზის კვანძის – არტანუჯის (არზე-კლარჯეთის) შესახებ წერდა Xს. იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი. ქართული წყაროების ცნობით, ეს გზა არსებობდა IV ს-შიც და ის აკავშირებდა ერთმანეთთან ბიზანტია საქართველოს. ეს, ანუ ერუშეთ-მანგლის-მცხეთის გზა, არსებობდა X-XI სს-შიც, მას ძალზე დიდი შემოსავალი მოჰქონდა. ამ გზას იცავდა კლდეკარის ციხე. თრიალეთის ერისთავების ბაღვაშების ფინანსური სიძლიერე ამ გზასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. საფიქრებელია, სწორედ ფინანსური სარგებლის, გზის ბაჟის მისაღებად გადმოსახლდნენ არგვეთიდან კლდეკარში ბაღვაშები (არგვეთში რომ ყოფილიყო ასეთი მნიშვნელობის საერთაშორისო გზა, ბაღვაშები შესაძლოა იქვე დარჩენილიყვნენ).

ვახტანგ გორგასლის „გზა კლარჯეთისა“ (V ს.)

ჩვენი მემატიანენი საკმაოდ ხშირად ხმარობენ სიტყვას – „გზა კლარჯეთისა“. მაგალითად, IIს-ში „ანდრიამ მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“ (ქ.ც. I, გვ. 38). Vს-ში – „წარმოვიდა ვახტანგ გზასა კლარჯეთისასა“ (ქ.ც., I, გვ. 177).

ვახტანგ გორგასალი თავისი ჯარით შეიჭრა საბერძნეთის (ბიზანტიის) მიწა-წყალზე, „მოადგა ლაშქარნი პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღვის კიდესა“ (ქ.ც., I, გვ. 160). ზღვისპირა დიდ ქალაქად ჩანს იგულისხმება ტრაპიზონი. კეისართან საზავო მოლაპარაკების შემდეგ, ვახტანგი უკან დაბრუნდა: „წარმოვიდა ვახტანგ გზასა კლარჯეთისასა და სპანი მისი განუტევნა გზასა სომხითისასა და ვითარ მოიწია თუხარისად მიხედნა და შეუყვარდა ციხე... იხილა კლდე შუა კლარჯეთისასა, რომელსა ერქვა არტანუჯი და მოუწოდა არტავაზს ძუძუმტესა მისსა და დაადგინა იგი ერისთავად და უბრძანა, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა და უბრძანა რათა გამონახოს ხევსა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია და ქმნეს მონასტრად, ვითარ ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი და რქუა არტავაზს: „უკეთუ განძლიერდნენ სპარსნი ჩვენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს“, ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერი, რომელ არს

ოპიზა და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა და განაახლა ციხე ახიზისა და ქმნა იგი ქუაბად და ვითარ წარმოვიდა ვახტანგ და მოვიდა ქალაქად თვისად მცხეთად, იყო სიხარული დიდი და მადლისა მიცემა ღმრთისა, რამეთიუ მოვიდა იგი მშვიდობით“ (ქ.ც. I, გვ. 177-178).

ამ აღწერიდან ჩანს გზა, რომლითაც ვახტანგ გორგასალი საბერძნეთიდან დაბრუნდა მცხეთაში. კერძოდ, ეს გზა გაივლიდა კლარჯეთს, არტანუჯს, არტაანს, ჯავახეთს და შედიოდა მცხეთაში, მას მემატიანე უწოდებს „გზა კლარჯეთისა“. ამ გზას არტაანში უერთდებოდა „გზა სომხეთისა“ (ესაა არტაანი-კოლა-ტაო-დვინის შემაერთებელი გზა. ამ „სომხეთის გზის“ მეორე ტოტი ტაოდან შედიოდა საბერძნეთში – ამ გზით დაბრუნდა უკან ვახტანგის სპა).

ნანა ხაზარაძის კვლევის თანახმად „კლარჯეთის გზით“ ვახტანგ გორგასლამდე უსარგებლია პომპეუსისაგან დევნილ მითრიდატე პონტოელს. ისტორიკოსის ცნობით, პონტოს მთების გადალახვის შემდეგ მითრიდატე ჩავიდა კოლხეთში აფსაროსთან (გონიოსთან). კერძოდ, მას ჯერ უსარგებლია „სომხეთის გზით“, შემდეგ კი „კლარჯეთის გზით“ ჩასულა ჭოროხის ხეობაში და მისულა აფსაროსთან.

ქალაქი არტანისა და ფარნავაზის კლარჯული გზა (ძვ. Ა. III ს.)

პტოლემაიოსის სიტყვით, იბერიაში მდებარეობდა ქალაქი „არტანისა“. ჩვენი მეცნიერების კვლევით, მისი ადგილმდებარეობა არაა დადგენილი. აქ საინტერესოა, რომ ჩვენი მემატიანეები სწორედ ასე მოიხსენიებდნენ არტაანის ქალაქს, მას ეწოდება სახელი „ქალაქი არტანისა“, ან „ნაქალაქევი არტანისა“. მაშასადამე, არტანისა თვით ქალაქის სახელია, თუმცა, ცხადია, იმავდროულად „არტაანის ქალაქსაც“ ნიშნავს.

„ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსაც მაშინ ერქვა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვია ჰური“ (ქ.ც. I, გვ. 10).

ფარნავაზ მეფემ, როცა ეგრისში შეკრიბა „მხედარნი ქართლისანი“, გაემართა აზონთან საბრძოლველად – „მიეგება ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქვა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური“ (ქ.ც.I,გვ.23). აზონის დამარცხების შემდეგ ფარნავაზი შევიდა საბერძნეთში, იქიდან „მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრო კლარჯეთი და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა“ (იქვე, გვ. 23). საქმე ისაა, რომ აზონი იქამდე კლარჯეთში იყო გამაგრებული და მას ბერძენთა ჯარი ეხმარებოდა. აზონის საბოლოოდ დასამარცხებლად ფარნავაზმა კლარჯეთიც შემოიერთა და მცხეთაში დაბრუნდა, თითქოსდა ცხადი უნდა იყოს – იმ ერთადერთი გზით, რომელიც კლარჯეთს არტაანთან აერთებდა და ჯავახეთის გავლით მცხეთაში შედიოდა. ესაა ის გზა, რომელიც შემდგომ გამოიყენა ვახტანგ გორგასალმა, რომელზეც ააგო არტანუჯის ციხე-სიმაგრე.

კლარჯეთში მურვან ყრუს ლაშქრობის გზა (VIII ს.)

დ. მუსხელიშვილის 2003 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორიის ატლასის“ მიხედვით, მურვან ყრუმ ურბნისის დალაშქვრის შემდეგ შორაპანში მისასვლელად აირჩია სამხრეთის გზა. ის შევიდა სამცხეში და სამცხიდან შორაპანში. ურბნისიდან გაჰყვა მტკვრის ხეობას და ოძრხე-დიმნას გზით შევიდა არგვეთში, დიმნას შემდეგ ის წავიდა აღმოსავლეთით შორაპან-სვირისკენ. რომ არსებულიყო სურამ-შორაპანის პირდაპირი გზა, ის ასეთ ურთულეს მანევრს არ გააკეთებდა. ჩანს, ეს გზა არც კი არსებობდა. ყოველ

შემთხვევაში წყაროებში სურამ-შორაპნის გზა ნაკლებად ჩანს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში ისაა, რომ მურვან ყრუმ არტაან-ჭოროხის ხეობის მაკავშირებელი გზა გაიარა, ე.ი. ეს გზა VIII საუკუნეშიც არსებობდა.

ბაგრატ IV-ის გზა ხუფათ-კლარჯეთისა (XI ს.)

ბაგრატ IV აფხაზეთში იბრძოდა ანაკოფიის ციხის ასაღებად. ამ დროს მასთან მივიდნენ „ტფილელნი ბერნი“ და ამცნეს, რომ გარდაიცვალა ტფილისის ამირა, ამიტომაც სასწრაფოდ უნდა ჩასულიყო თბილისში და ის შეერთებინა საქართველოსთვის – „უქადეს ქალაქი და უხმეს სასწრაფოდ“. მართლაც, მეფე სასწრაფოდ გაემართა თბილისისაკენ, მან გადაიარა არა ლიხი-სურამის მთა (ჩანს არ იყო შესაბამისი გზა ლაშქრისთვის), არამედ ქუთაისიდან ჩავიდა ხუფათში, შევიდა ჭოროხის ხეობაში და კლარჯეთის ტრადიციული გზით ჩავიდა თბილისში. მეფის გზა ასეთია: ანაკოფიიდან „ამოიარა და მოვიდა ქუთათისს და მოიყენა ქუთათისისა სამოქალაქოს ლაშქარი... მოიყვანა ხუფათსა... ამოიარა მეფემან და მოვიდა ქართლს... წარემართა ტფილისად“ (ქ.ც. I, 299). ე.ი. ქუთაისი-ხუფათი-არტანუჯი-ჯავახეთი-თბილისის გზით გადაიყვანა ლაშქარი დასავლეთ საქართველოდან მტკვრის პირზე და დაამარცხა მტერი (ქ.ც. I, 338). ე.ი. მასაც „კლარჯეთის გზა“ გაუვლია.

არტანუჯის საერთაშორისო გზა (X ს.)

კონსტანტინე პორფიროგენეტის (X ს. ბიზანტიის იმპერატორის) ცნობით „არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბატიც და დაბა-ქალაქიც, და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა, არმენიისა და სირიის ყველა ქვეყნიდან და ამ საქონლიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის. არტანუჯის მიწა-წყალი – ესე იგი არზენი, დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს“ (გეორგიკა 2, ნაკვეთი II, გვ. 278-279).

მაშასადამე IX-X სს-ში არტანუჯი იღებდა საქონელს შავიზღვისპირეთიდან (ძირითადად ტრაპეზუნტი) და ეს საქონელი გადაჰქონდა არმენია, იბერიასა და სირიაში, და პირიქით არმენია, იბერია, სირიის საქონელი გაჰქონდა შავიზღვისპირეთის ქვეყნებში – ტრაპეზუნტსა და აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში).

ცხადია, არა ქალაქი არტანუჯი, არამედ ის საერთაშორისო გზა, რომელზეც ეს ციხე-ქალაქი მდებარეობდა, აერთებდა ჭოროხის აუზის მეშვეობით ზღვისპირა ქვეყნებს, იბერიის ქალაქ არტაჰანთან. არტაან-ართვინის გზა ძველთაგანვე აერთებდა სომხეთსა და იბერიას შავიზღვისპირეთთან მდ. ჭოროხის მეშვეობით. მაგალითად სომხეთიდან (დვინიდან) შემოსული საქონელი, რომელიც ზღვის პორტთან უნდა მისულიყო, ართვინ-არდაგნის გზით გადაივლიდა კანდრიდის უღელტეხილს არსიანის ქედზე და გადავიდოდა ჭოროხის ხეობაში, შევიდოდა ქ. არტანუჯში, აქედან ამავე გზით შევიდოდა ქ. ართვინში, ართვინიდან სახმელეთო ან სამდინარო გზით შევიდოდა ქ. პეტრაში ანდა შავიზღვისპირეთის ნავსადგურში. არტაჰან-ართვინის გზით გაჰქონდათ თბილისური საქონელი ზღვაზე, ანდა პირიქით, დასავლეთ საქართველოს საქონელს ჭოროხისა და ართვინ-არტანის გზით მიიტანდნენ თბილისში, დვინში თუ სხვა აღმოსავლეთის მხარეში. ეს გზა იყო ძველთაგანვე არსებული. ეს იქიდან ჩანს, რომ, მართალია, VIII ს-ში არტანუჯი და მისი მხარეები არაბებმა ააოხრეს, მაგრამ უკვე X ს-ში ამ გზას მაინც საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით. ის რომ არ ყოფილიყო

ძველთაგანვე არსებული საერთაშორისო მნიშვნელობის მოსახერხებელი გზა – X ს-ში არ აღდგებოდა.

„არტანუჯი ტაო–კლარჯეთის სამთავროს პოლიტიკური ცენტრი გახდა. ეს ქალაქი VIII–IX საუკუნეთა მიჯნაზე უნდა წარმოშობილიყო (საქ. ისტ. ნარკვ. II, 1973. გვ. 347).

არტანუჯში ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს აუგია ციხე, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო.

„არტანუჯის დაწინაურების მთავარი მომენტი მისი სტრატეგიული მდებარეობა უნდა ყოფილიყო (იქვე,გვ. 347), არტანუჯი მდებარეობდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზათა შესაყარზე. მასზე გადიოდა ტრასა, რომელიც თბილისს ბიზანტიის ქალაქებთან აკავშირებდა: სამშვილდე-ფარავანი-ახალქალაქი-არტაანი-არტანუჯი (იქვე, გვ. 80)

„არტანუჯის მეშვეობით უკავშირდებოდნენ სომხეთის ქალაქები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და დასავლეთ საქართველოს“ (Я. Манандян, О торговле и городах Армении, გვ. 233-234).

ე.ი სომხეთი შავიზღვისპირეთის სავაჭრო პუნქტებს უკავშირდებოდა არტანუჯ-ართვინ-შავი ზღვის მეშვეობით. ართვინიდან შეიძლებოდა სახმელეთო ასევე სამდინარო გზით (ჭოროხის მეშვეობით) შავი ზღვის სანაპიროებამდე ტვირთის მიტანა, როგორც ტრაპიზონის, ასევე დასავლეთ საქართველოს მიმართულებით.

არტანუჯის აყვავებას X ს. შუა წლებისათვის ამ გზამ შეუწყო ხელი. ის იქცა საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქად. ამიტომ როცა ეს ქალაქი მისმა ერთ-ერთმა ბაგრატიონმა მეპატრონემ ბიზანტიელებს გადასცა და არტანუჯის ციხეზე ბიზანტიელთა დროშა აღიმართა, ბაგრატიონების ყველა განშტოების მეთაურებმა ბიზანტიელებს განუცხადეს, რომ თუ არ დათმობდნენ და არ დაცლიდნენ არტანუჯს, ყველანი გადავიდოდნენ არაბების მხარეს და ერთიანი ძალით იბრძოლებდნენ არტანუჯის გასათავისუფლებლად.

კონსტანტინე პორფიროგენეტის თქმით, არტანუჯში შედიოდა ტრაპეზუნტის, იბერიის, აფხაზეთის, არმენიისა და სირიის საქონელი. არტანუჯის ქვეყანას, მისივე თქმით, „არზენი“ ერქვა, ეტიმოლოგიურად არზენი იგივე ალზ–ენა ანუ „ალზ“-ის ქვეყანაა. „ალზ“ იგივე „ლაზ“-ია, ლაზივი – ლაზიკაა.

ბაღვაშები მცხეთა-კლარჯეთის გზის (XII ს.) თრიალეთის მონაკვეთზე

კლარჯეთის გზა (არტანუჯის გზა) იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ იგი აერთებდა შავიზღვისპირეთისა და ბიზანტიის სავაჭრო ცენტრებს. კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით, იბერიასთან, არმენიასთან და სირიასთან. პეტრადან, ხუფათიდან ან შემდეგდროინდელ გონიოდან, ეს გზა გაუყვებოდა ჭოროხს, შევიდოდა არტანუჯში, იქიდან არსიანის ქედის გავლით არტაანში. არტაანი იყო გზაჯვარედინი, ჩრდილოეთით გზა მიემართებოდა იბერიისკენ, სამხრეთით და აღმოსავლეთით კი – სომხეთისაკენ, სირიისკენ და მცირე აზიის პუნქტებისაკენ. ჩვენთვის საინტერესო ჩრდილოეთის გზა არტაანიდან შედიოდა ჯავახეთში და თრიალეთში. აქაც, დაახლოებით კლდეკარის ციხე-სიმაგრესთან, გზა კვლავ ორად იყოფოდა, ერთი ატენის ხეობის ჩავლით ჩადიოდა შიდა ქართლში, მეორე კი მანგლისის ხეობის გავლით უერთდებოდა თბილის-ქვემოქართლ-სომხეთ-რანსა და მოვაკანს. შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის და ჩრდილო სპარსეთის სავაჭრო-საერთაშორისო გზა გადიოდა კლდეკარზე და იქიდან კი კლარჯეთის გზით უერთდებოდა შავიზღვისპირა პორტებს.

გზის ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო კლდეკარის ციხე-სიმაგრე დაიჭირა ბაღვაშე-

ბის ცნობილმა საგვარეულომ X საუკუნის ბოლოს, კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაში. მან, როგორც ითქვა, აღწერა ამ გზაზე მდებარე არტანუჯის ციხე-სიმაგრის სავაჭრო მნიშვნელობა.

მემატიანე წერს – „იყო მას ჟამსა ერისთავად კლდეკართა რატი და ჰქონდა ციხე ატენისა – თრიალეთი, მანგლის ხევი და სკვირეთი“ (ქ.ც. I, გვ. 276).

თრიალეთიდან შიდა ქართლში ჩამავალ გზაზე მდინარეების გადაკვეთისას აგებული იქნა მრავალი თაღოვანი ხიდი, ასე რომ, არტანუჯის თაღოვანი ხიდი და ატენთან მდებარე მდინარეების თაღოვანი ხიდები ერთი გზის შემადგენელი ტექნიკური საშუალებებია.

კლარჯეთ – თრიალეთისა და სამცხის ლაშქარი (კახეთ-ჰერეთ-თბილისის შემოერთებამდე) – ქვეყნის სახელის მიხედვით იწოდებოდა „ზემო ლაშქრად“ (ანუ ზემო ქვეყნის ლაშქრად). სხვა იყო ქვემო ქვეყნის ანუ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ლაშქარი. კახეთის ქორეპისკოპოს დავითთან ბრძოლისას ტაოში მყოფმა ბაგრატ III აფხაზთა და ქართველთა მეფემ და კურაპალატმა „აწვია სპათა აფხაზეთისა და ქართლისათა, თვით წარემართა ზემოთ ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ხიდი მცხეთისა და მიერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი, დადგა თიანეთს“ (ქ.ც. I, გვ. 279).

აქედან ჩანს, რომ ამ ლაშქარმა გაიარა არტაან-ჯავახეთ-თრიალეთის აღწერილი გზით და კლდეკარიდან (წალკიდან) ატენის ხეობის გზით მცხეთაში შევიდა.

ხოსრო კლარჯეთის გზაზე (VI ს.)

ჩვენ დავადგინეთ, რომ სპარსული ჯარი ჯერ შაჰ ხოსროს, ხოლო შემდგომ მისი მხედართმთავრების მეთაურობით ლაზიკასა და ქ. პეტრაში ჩადიოდნენ თანამედროვე არტაანიდან არსიანის ქედის გადამკვეთი გზით. ამჟამადაც ყარსიდან წამოსული გზა, რომელიც არტაანში შედის, უერთდება ართვინს და ჭოროხის სანაპიროზე გამავალ იმ გზას, რომელიც მგზავრს მიიყვანდა ქ. პეტრასთან. ძველ დროს ქ. არტაანსა და ქ. დვინს აერთებდა მნიშვნელოვანი გზა, ასე რომ, დვინი ქ. პეტრას აღნიშნული გზით უერთდებოდა. დვინი – პერსარმენიის ის ქალაქი იყო, რომლის სანახებშიც ისვენებდა ლაზიკის ომების შემდეგ დაქანცული სპარსული ჯარი.

ქ. დვინიდან ანუ პერსარმენიიდან პეტრასკენ მიმავალი ჯარი ჯერ, როგორც ითქვა, გაივლიდა არტაანს (ეს იყო იბერიის მიწა-წყალი), აქედან კი არსიანის ქედის გავლით შედიოდა კლარჯეთში, რომელსაც ბერძნული წყაროები ლაზიკას უწოდებდნენ. ამ ქვეყნის (ანუ ლაზიკა-კლარჯეთის) მთავარი მდინარის ფასისის ანუ ჭოროხის სანაპიროზე გადიოდა საერთაშორისო გზა, რომელიც შავი ზღვის სანაპირომდე მიდიოდა (ქ. პეტრასთან, მის გვერდით მდებარე ქ. ფასისთან, შემდეგ ქ. არქეოპოლისთან და ა.შ.).

არტაანსა და ართვინს ამჟამად აერთიანებს ორი გზა. ერთი გზა შავშეთის გავლით უერთდება ართვინს, მეორე არტაანიდან გამოსული გზა კი არტანუჯის გავლით უერთდება ართვინს. რომელი გზით იმგზავრა ხოსრომ? მან გაიარა ალბათ პროკოფის მიერ დასახელებული იბერიის ციხეები სკანდა და სარაპანა. სკანდის ციხე – არსიანის ქედზე მდებარე ქინძოტამალის ციხე უნდა იყოს (იქვეა სოფელი კანდრიდი და ქინძის ციხე), ხოლო სარაპანა უნდა იყოს შავშეთთან მდებარე „არპალის“ ციხე, რომელსაც ასევე ჰქვია „ქვათეთრისი“. ამ ორ ციხეს საველე გზა ამჟამადაც აერთიანებთ. იხ. საქართველოს „ზოგადგეოგრაფიული“ რუკა, 1998.

სპარსეთის შაჰმა ხოსრომ თავისი ლაშქრით, (შემდეგ კი მისმა მხედართმთავრებმა) გაიარა ლაზიკა პერსარმენიიდან პეტრამდე და პირიქით. ამ ლაშქრობებს აღწერს პროკოფი.

ეს გზა, ჩვენი აზრით, გასაღებს წარმოადგენს ლაზიკისა და მდ. ფასისის მდებარეობის განსაზღვრისათვის.

პერსამენია ანუ ქ. დვინის სანახები წარმოადგენდა სპარსული ლაშქრის დასავანებელ და ძალების მოსაკრებ ადგილს ლაზიკისაკენ ლაშქრობისას. პროკოფი კესარიელის ცნობით პერსარმენიიდან დასვენებული სპარსული ლაშქარი შედიოდა ლაზიკაში, იღებდა მონაწილეობას პეტრასა და მისი მიმდებარე ადგილების ლაშქრობაში, ამის შემდეგ კი ეს ლაშქარი უკანვე ბრუნდებოდა დასასვენებლად და ძალების მოსაკრებად ქ. დვინის სანახებში. ამაზე პროკოფი წერს:

„მერმეროემ ლაზიკაში 5.000 კაცი დატოვა, ხოლო დანარჩენი 25.000 კაცით სომხეთში გადავიდა და დვინის ახლოს დაიბანაკა“. მერმეროე პეტრადან „დანარჩენი ჯარით მივიდა პერსარმენიაში და დაისვენა დვინის მახლობელ სოფლებში" (გეორგიკა, II. გვ.115).

XX ს-ის ისტორიკოსთა ამჟამად საყოველთაოდ მიღებული აზრით პეტრასაკენ მიმავალი ლაშქარი გაივლიდა ქ. თბილისს, შემდეგ სურამის ქედის გადალახვით შედიოდა ყვირილას ხეობაში, გადავიდოდა მდ. რიონის ვაკეზე, შემდეგ კი გაივლიდა თანამედროვე გურიასა და აჭარას და შევიდოდა პეტრას სიმაგრეში. ასეთი გზა არ ეთანხმება პროკოფის აღწერას, რადგანაც პროკოფის ცნობით პეტრას ბრძოლებში დაღლილი ლაშქარი ძალების მოსაკრებად მიდიოდა ქ. დვინში ანუ პერსარმენიაში, თუ კი პეტრადან უკან მიმავალი ლაშქარი გაივლიდა ასეთ უგრძელეს გზას: – მთელ დასავლეთ საქართველოს, შემდეგ კი თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, შემდეგ სომხეთს და მივიდოდა დვინში, ეს ლაშქარი სრულიად ძალა გამოცლილი იქნებოდა. სამხედრო თვალსაზრისით ასეთი გზის გავლა დასასვენებლად არაეფექტურია და შეუძლებელიც არის. მაშასადამე ხოსროს და მისი სარდლის მერმეროეს მიერ გავლილი გზა დვინიდან პეტრამდე უფრო მოკლე უნდა ყოფილიყო. ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ ეს გზა გაივლიდა იბერიის ერთ ნაწილს, გადალახავდა ძალზე მაღალი ქედის უღელტეხილს და ჩავიდოდა ფასისის ხეობაში. იქ სადაც ფასისი წყალმცირეა. აქ ჯარი ფეხით გადავიდოდა მდინარეზე და გაუყვებოდა პეტრასაკენ მიმავალ გზას, ისე, რომ მდ. ფასისი მარჯვენა მხარეს ჰქონოდათ. ამასთანავე ამ გზაზე ისინი არ გაივლიდნენ არც ერთ ლაზურ სოფელს. მართლაც არსებობდა ისეთი გზა, რომელიც დვინიდან შედიოდა პეტრაში იბერიის გავლით. ეს იყო – დვინი-არტაანი-არტანუჯი-ართვინი-პეტრას გზა, რომელიც გადადის არსიანის ქედის ერთ მაღალ უღელტეხილზე. ეს არის უძველესი გზა, ამასათანავე უმოკლესი და ადვილად სავალი პეტრადან – დვინამდე.

ართვინ-არტაანის (არდაგანის) შემაერთებელი ეს გზა არსებობს ამჟამად და არსებობდა წინა ისტორიულ ხანაშიც.

დვინიდან (პერსარმენიიდან) გამავალი გზა თავდაპირველად შედიოდა იბერიაში (ანუ არტაანში), აქედან კი გადიოდა ლაზიკაში ანუ კლარჯეთში ლიგანასა და ერგეში, ე.ი. ფასისის ანუ ჭოროხის ხეობაში, კერძოდ კი კლარჯეთის ქალაქ ართვინში. ართვინის მახლობელი ფონის გადალახვის შემდეგ, ლაშქარი გადიოდა მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე (მაშასადამე მათ მარჯვნივ მიედინებოდა მდინარე ფასისი ანუ ჭოროხი – პროკოფის თქმით) და უმოკლესი გზით მდინარის გაყოლებით პირდაპირ შედიოდნენ პეტრაში. ერთადერთი მათი დაბრკოლება ამ გზაზე იყო არსიანის ქედის უღელტეხილი. ესაა თითქმის 3.000 მეტრი სიმაღლის უღელტეხილი. ამ უღელტეხილის გეოგრაფია ჩვენ გვეხმარება განვსაზღვროთ თუ სად იყო სკანდას ციხე სიმაგრე.

პეტრაში სალაშქროდ წამოსულმა სპარსულმა ჯარებმა საგანგებო სამუშაო შეასრულეს, რათა გაესწორებინათ იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა. სპარსეთის მეფემ

აღნიშნა ამ გზის უვარგისობის შესახებ, მაგრამ ის დაარწმუნეს, რომ ხეებს მოჭრიდნენ და ნაპრალებს ამოავსებდნენ. მართლაც, ამ გზით გამოიარა სპარსეთის ცხენოსანმა ჯარმა და მებრძოლმა სპილოებმა. პროკოფი წერს: „იბერიიდან კოლხეთში მიმავალი გზა ყველგან დაქანებული ნაპრალებით და ძნელ სავალი გზებითაა დასერილი, დაფარულია უღრანი ტყეებით, ისე, რომ მსუბუქად დატვირთულ კაცსაც გაუჭირდებოდა სიარული, ახლა ისე გაესწორებინათ, რომ არა თუ მათმა ცხენოსანმა ჯარმა გაიარა იქ დაუბრკოლებლად, არამედ სპილოებიც გაატარეს, რამდენიც სურდათ და ისე ილაშქრეს" (იქვე, გეორგიკა, II, გვ. 182).

ამ გზის ქვეშ, როგორც ითქვა, უნდა იგულისხმებოდეს არტაანიდან ანუ იბერიიდან ლაზიკაში ანუ ჭოროხის ხეობაში შემავალი არც თუ გრძელი გზა, რომელიც იქამდეც არსებობდა, და საჭიროების შემხვევაში მისი გასწორებაც იყო შესაძლებელი. მართლაც, პროკოფის აღწერიდან ჩანს, რომ ხოსროს ჯარი ისე შევიდა ლაზიკაში, რომ მათ ფასისი მარჯვენა მხარეს დარჩათ. ამ ადგილას პროკოფი მდ. ფასისში მდინარე ჭოროხს გულისხმობს და იქვე ასახელებს მეორე მდინარეს – რეონს. პროკოფი წერს: „მდინარე ფასისის იქეთა მხარეს ლაზებს პეტრას გარდა სხვა დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ. ის გავიდა და დაიჭირა იბერიიდან კოლხეთში გადასასვლელი ადგილები, სადაც ფასისზე გადასვლა ფონით შეიძლებოდა. ეს მდინარე, ასევე მეორე მდინარეც ფეხით გადალახა, სახელად რეონი (არც ეს არის სანაოსნო) და ფასისის მარჯვენა მხარეზე რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის – არქეოპოლისის წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი ქალაქი ლაზიკის ქვეყანაში" (გვ. 182). ჩანს, რეონი VI ს.-ში ერქვა ასევე ჭოროხის შესართავ მდინარესაც.

ლაზიკაში მიმავალი სპარსელთა გზის მარშრუტი გ. გრიგოლიას მიხედვით

ბერძენ-რომაელი ავტორების ცნობების გაანალიზების შემდეგ, ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ VI საუკუნეში სპარსელებმა პეტრასაკენ ილაშქრეს არტაან-არტანუჯ-ართვინის გზით. ეს ჩვენთვის იყო ახალი აზრი და არ ეთანადებოდა ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგივე თვალსაზრისისაა ბატონი გურამ გრიგოლია, რომლის ნაშრომსაც გავეცანით 2009 წელს.

ოფიციალური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით პეტრასაკენ ლაშქრობის მარშრუტი შემდეგი იყო - აღმოსავლეთი საქართველო, ლიხის ქედი, დასავლეთი საქართველო, პეტრა. გ. გრიგოლიას აზრით კი სპარსთა ჯარი ჭოროხის ხეობის გავლით შევიდა პეტრაში. ის წერს - „რათა უფრო იოლი გახდეს ამ გზის მიმართულების გარკვევა, პროკოფი კესარიელი დეტალურად აღწერს გზაზე დამხვედრ მდინარეებს, მოგვითხრობს მათ ფიზიკურ თვისებებზე, მიმართულებაზე, საიდან იღებენ ისინი სათავეს, სად არის მათი შესართავი, რომელ ქვეყნებსა თუ ტომების დასახლებათა მახლობლად მიედინებიან და სხვა. ყოველივე ეს ფასდაუდებელ ინფორმაციას იძლევა ლაზიკის სამეფოსა და ქალაქ პეტრას ლოკალიზაციისათვის" (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, 1994, გვ. 29). შემდეგ მკვლევარი განაგრძობს - „ხოფა უმოკლესი გზით უკავშირდება ჭოროხის ხეობას ბორჩხასთან. ჭოროხის ზემო წელისაკენ მიმავალი გზა ართვინთან იყოფა ორად, ერთი ჭოროხის გაყოლებით მიემართება ყარსი, არდაგანი და სომხეთისაკენ, ხოლო მეორე იმერხევით, შავშეთის ყვირილას ხეობით და არსიანის უღელტეხილით გადადის ფოცხოვის ხეობაში, საიდანაც ახალციხე-ახალქალაქი, წალკა-

მანგლისის გზით ჩადის თბილისში. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ გზით წაიყვანეს ლაზებმა მეფე ხოსრო ანუშირვანი პეტრას წინააღმდეგ, კერძოდ, როგორც პროკოფის ცნობიდან ვგებულობთ, სპარსელებმა გადალახეს ბოასი (ჩვენი გაგებით ჭოროხის ზემო წელი - წერს გ. გრიგოლია) და „ისე მივიდნენ პეტრაში რომ ფასისი მარჯვნივ ჰქონდათ“ (იქვე, გვ. 64). გ. გრიგოლია თვლის, რომ ის მდინარე ფასისი, რომელიც სპარსელებმა ამ დროს გადალახეს არის მდ. ჭოროხი, ხოლო პეტრა კი ერქვა ხოფას (ძველ ხუფათს). გ. გრიგოლიას აზრით ხოფადან ჭოროხისაკენ და აქედან იბერიისაკენ, არმენიისა და პერსარმენიისაკენ მიმავალი გზა ძველთაგანვე არსებობდა (იქვე, გვ. 65). ამ გზაზე ზამთრითაც კი მოძრაობა არ წყდებოდა - „გზა ხუფათიდან და იბერიიდან ჭოროხისაკენ იმდენად ყოფილა გაკვალული, რომ ზამთრის პერიოდშიც კი არ ფერხდებოდა მასზე ხალხთა დიდი მასების მოძრაობა“ (იქვე, გვ. 65).

გ. გრიგოლიას მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ სპარსთა ლაშქრის მოსასვენებელი მთავარი ბანაკი მდებარეობდა პერსარმენიაში - დვინში. აქედან მიემართებოდნენ ისინი პეტრასა და ლაზიკაში, იქედან კი უკან ბრუნდებოდნენ მოსასვენებლად - პროკოფი კესარიელის ცნობით. დვინიდან კი პირდაპირი გზა არსებობდა ჭოროხამდე და შესაბამისად პეტრამდე. ამასთანავე, პროკოფის ცნობით ერთ-ერთი ლაშქრობისას - „სპარსელები მათ წინამძღოლ ლაზებთან ერთად სწრაფად გაჩნდნენ პეტრაში“ (გეორგიკა II, გვ. 100-102).

თუ კი ლაშქარი გაივლიდა თბილისს, ლიხის ქედს, მთელ დასავლეთ საქართველოს და შემდეგ მოვიდოდა პეტრაში (სადღაც ბათუმთან) ცხადია ის „სწრაფად ვერ გაჩნდებოდა პეტრაში" - დიდი გზის გამო. მაშინ ლაშქარს მთელი დასავლეთი საქართველო უნდა გაევლო, რასაც მოსახლეობა და მოწინააღმდეგე ადვილად შეიტყობდა და „სწრაფ მარშს“ თავისი მნიშვნელობა დაეკარგებოდა. ასეთი სისწრაფე კი არტაან-ართვინის შემაერთებელ, თანაც გაკვალულ გზაზე შესაძლებელი იყო. ამიტომაც გ. გრიგოლიას მოსაზრება მისაღებია. ის წერს - „ბოას-ფასისი რომ ნამდვილად მდ. ჭოროხია და არა ყვირილა-რიონი, როგორც ეს ადრე იყო გაგებული, ამას კიდევ ერთხელ მოწმობს პროკოფი კესარიელის შრომის არაერთი ადგილი. ეს ეხება ლაზებისა და მისი მეზობელი ტომების განსახლებას, ლაზების ქალაქებისა და ციხეების დახასიათებას თუ სპარსეთის ჯარის სალაშქრო მარშრუტების აღწერილობას პეტრასთან დაკავშირებით“ (იქვე, გვ. 42). შემდეგ გ. გრიგოლიას მოჰყავს პროკოფის ცნობები ლაზიკის განსახლებასთან დაკავშირებით: - „პროკოფი კესარიელი შრომის იმ ნაწილში, სადაც საუბარია ხოსროს მიერ ქ. პეტრასა და შემდეგ რომაელთა (დაგისთეს ხელმძღვანელობით) და სპარსთა (მერმეროეს სარდლობით) ჯარების ახალი კონცენტრაციის შესახებ, იძლევა ცნობებს მდინარე ბოასის, ლაზთა დასახლებული ადგილების (მათი ქალაქებისა და ციხე-ქალაქების) შესახებ: „...ბოასი, ამიერიდან ფასისად წოდებული, განაგრძობს მდინარებას ნაოსნობისათვის გამოსადეგი ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი შესართავია, და მის ორივე მხრით ლაზიკე არის. მაგრამ მარჯვნივ მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე, ვიდრე იბერიის საზღვრებამდე, დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით, ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტუინტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი-იბერიის საზღვრებისაკენ, ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი. მდინარის მარცხნივ, ისეთ მანძილზე, რომელსაც ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი, ლაზიკის საზღვრებია, ხოლო ეს მხარე მოსახლეობას მოკლებული ჩანს, ამ მხარის მეზობლად

რომაელები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებათ, ლაზიკის მიწა-წყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანებს არასოდეს არ უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა“- წერს პროკოფი კესარიერლი. გ. გრიგოლია განაგრძობს - მდ. ფასისის ნაპირებზე ლაზების დისპროპორციული განსახლების ასეთივე სურათს იძლევა პროკოფის შრომის სხვა ადგილიც, სადაც საუბარია ევქსინის პონტოსპირა ხალხებსა და მათ მეზობლებზე: „...ზოგიერთები ამბობენ (გულისხმობენ ესქილეს, ჰეროდოტეს), რომ აქ ფასისი ორად ჰყოფს ხმელეთს. ჩამომდინარე წყლის მარცხნივ არის აზია, ხოლო მარჯვნივ ევროპად იწოდება. ევროპის ნაწილშია ლაზთა ყველა საბინადრო ადგილი, ხოლო მეორე ნაწილში მოხსენიების ღირსი არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა, გარდა იმისა, რომ რომაელებმა იქ პეტრა ააშენეს წინათ“, როგორც ვხედავთ, პროკოფის შრომის აქ მოყვანილი ორივე ადგილი შინაარსობრივად ერთგვაროვანია და ძალზე საინტერესო, მრავალფეროვან ინფორმაციას იძლევა ლაზიკის ისტორიისა და განსაკუთრებით, ისტორიული გეოგრაფიისათვის. აქ საუბარია ლაზიკის სამხრეთ საზღვარზე, ციხე-ქალაქთა გვარობაზე, მათ განლაგებაზე, მოსახლეობის განსახლებაზე და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ფიქრობენ, სწორედ შრომის ეს ნაწილია ე.წ. „შეცდომებითა“ და ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებით სავსე, რაც პროკოფისადმი და საერთოდ, ბერძენ მწერალთა ცნობებისადმი სკეპტიკურად განაწყობს მკვლევართა დიდ ნაწილს. აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „ეს ცნობები ბევრგან არეულია, ერთიმეორეს არ ეთანხმება, ან ჩვენს თანამედროვე საისტორიო მწერლობაში შემოწმებული არაა“. აკად. ნ. ბერძენიშვილი მისთვის დამახასიათებელი მთელი სიღრმე-სიგანით იხილავს ადრებიზანტიური ხანის ლაზიკის ისტორიის საკითხებს და საერთოდ, ნდობას უცხადებს პროკოფის ცნობებს საქართველოს რომ ეხება, მაგრამ საკამათო ადგილების შესახებ შენიშნავს, რომ, როგორც „ჩანს (პროკოფი) შტაბში წარმოდგენილ მოხსენების საფუძველზე ადგენს თავის მოთხრობას და ერთიმეორეში ურევს ცნობებს...“ და იქვე მიგვითითებს, რომ მეტი სიფრთხილით მოვეკიდოთ ბერძენ მწერალთა ცნობებს. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დ. მუსხელიშვილის, როგორც ისტორიული გეოგრაფიის წამყანი სპეციალისტის, შეხედულებას პროკოფი კესარიელის ცნობების რაობა-ღირებულების შესახებ, მით უფრო, რომ იგი საგანგებოდ ჩერდება მოყვანილი ცნობების საჩოთირო ადგილებზე და მას შემდეგ, რაც ნდობას უცხადებს პროკოფი კესარიელს, როგორც კომპეტენტურ ისტორიკოსს, იქვე დასძენს, რომ „რიონის მარცხენა ნაპირის სრული დაუსახლებლობის შესახებ მისი აზრი შეცდომა უნდა იყოს“-ო, რასაც ფაქტიური მასალით ადასტურებს. თუმცა იქვე დასძენს, რომ „პროკოფი კესარიელის ზემოხსენებულ ჩვენებებზე დამყარებული წარმოდგენა მარცხენა რიონისპირეთის დაუსახლებლობის შესახებ ადრებიზანტიურ ხანაში, ფაქტიურად, შესაძლებელია ამ ჩვენებათა არასწორი ინტერპრეტაციის შედეგი იყოს“-ო, რაშიც შეუძლებელია არ დავეთანხმოთ პატივცემულ ავტორს – წერს გ. გრიგოლია და განაგრძობს: როგორც უკვე ითქვა, ჩვენი აზრით, მთავარი შეცდომა ის არის, რომ პროკოფისეული ბოასფასისი არასწორადაა გაიგივებული რიონ-ყვირილასთან. პროკოფის ცნობით, ფასისის მარჯვენა ნაპირზე „მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე ვიდრე იბერიის საზღვრებამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით“, თუკი ფასისი რიონია, როგორც ეს ამჟამად არის მიღებული, სრულიად გაუგებარია, რა უნდა რიონის მარჯვნივ იბერიის საზღვრებს; როგორც ანტიკური, ისე ბიზანტიური და მომდევნო ხალხებისათვის ასეთი საზღვრების ძიება რიონის მარჯვენა ნაპირზე უაზრობაა. რა მიმართულებითაც არ უნდა წავიდეთ, რამდენიც არ უნდა ვიაროთ, რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ვერც ერთ წერტილში იბერიის საზღვრებს ვერ მივადგებით, მით უფრო, ვიცით, რომ პროკოფისავე არაერთგ-

ზისი ჩვენებით ასეთი სასაზღვრო ხაზი, ხსენებული დროისათვის, სკანდა-შორაპანთან გადის. ეს პირდაპირ არის მითითებული პროკოფის ცნობის იმ ნაწილში, სადაც საუბარია ფასისის მარჯვენა ნაპირას გაშენებულ ქალაქებზე და ციხეებზე: „მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი - იბერიის საზღვრებისაკენ, ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც აქ როდოპოლისი და მოხირისია“. როგორც ცნობილია, როდოპოლისი თანამედროვე ვარციხეა რიონისა და ყვირილა-ხანისწყლის შესართავთან, მოხირისს კი დაბლაგომთან ვარაუდობენ. ე.ი. ორივე ეს ქალაქი რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს, რომ არაფერი ვთქვათ სკანდასა და შორაპანზე. პროკოფის ცნობის მიხედვით კი, ისინი მდ. ფასისის მარჯვენა სანაპიროზეა მითითებული. აქაც აშკარა შეუსაბამობაა ფასის-რიონის მიმართ. ჯერ კიდევ იუსტინიანეს ნოველების ავტორმაც იცის, რომ არქეოპოლისი და როდოპოლისი, უდიდესი და ძველი სიმაგრეებია“, ხოლო შემდეგ პროკოფი კესარიელი პირდაპირ მიუთითებს და ხაზს უსვამს, რომ “ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი“. ყოველივე ეს იცის პროკოფიმ, უფრო სწორად, მისმა ინფორმატორმა, მაგრამ, თუ ეს ფასისი რიონია, მაშინ შეცდომას უშვებს, როცა მათ მდინარის მარჯვენა ნაპირის ქალაქებად მიიჩნევს, რაც ნაკლებად სარწმუნოა. აქაც ისეთივე დასკვნა უნდა გაკეთდეს, როგორიც ლაზიკა-იბერიის საზღვრებთან დაკავშირებით მივიღეთ: კერძოდ, ამ ეტაპზე პროკოფის ფასისი რიონი არ არის – წერს გ. გრიგოლია. ის აგრძელებს - საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს განსაკუთრებით აღელვებთ პროკოფის ცნობის ის ადგილი, სადაც საუბარია მდ. ფასისის მარცხენა სანაპიროზე, რომელიც „მოსახლეობას მოკლებული ჩანს და ამ ნაწილში არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა მოხსენიების ღირსი“. თუ პროკოფისეული ფასისი თანამედროვე რიონია, საქმე ეხება იმერეთის დიდ ნაწილს, მთელ გურიასა და აჭარას, ე.ი. ისტორიული კოლხეთის საუკეთესო ნაწილს, სადაც, როგორც უკანასკნელი დროის არქეოლოგიური ძიების შედეგები მოწმობენ, აღმოცენდნენ ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ქალაქური ცენტრები: ვანი, დაბლა გომი, ფასისი, ფიჭვნარი და აფსაროსი“ (გ. გრიგოგოლია, “ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო პრობლემები“, 1994, გვ. 32).

გ. გრიგოლიას ამ ვრცელი ამონარიდიდან ჩანს, რომ ის ამ შემთხვევაში არ ეთანხმება გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ ვარციხე არის როდოპოლისი, რადგანაც, პროკოფის ცნობით როდოპოლისი მდებარეობდა ფასისის მარჯვენა სანაპიროზე (ისევე, როგორც სკანდა და სარაპანი, ხოლო ვარციხე რიონის მარჯვენა სანაპიროზე არ მდებარეობს, მაშასადამე როდოპოლისიც სხვაგანაა საძებნი, ალბათ ჭოროხის ხეობაში). შორაპანზეც იგივე ითქმის. პროკოფის სარაპანა ფასისის მარჯვნივ მდებარეობდა, რაც შეეხება ზესტაფონის შორაპანს, ის რიონის შენაკად ყვირილას მარჯვნივაც კი არ მდებარეობს, არამედ ძირულას მარჯვნივ.

გ. გრიგოლია დაასკვნის - „ერთი სიტყვით პროკოფის ყველა ცნობა, რაც გაუგებარი და ურთიერთსაწინააღმდეგოა რიონ-ფასისთან კავშირში, სავსებით ნათელი და ლოგიკურია ფასის-ჭოროხთან მიმართებაში“ (იქვე, გვ. 53).

ხოლო სპარსეთ-პეტრას გზასთან დაკავშირებით წერს - „პროკოფი კესარიელი პეტრას ყოველთვის მდ. ფასისთან კავშირში იხსენიებს და მისი ნიშანდობლივი ლოკალიზაცია მხოლოდ და მხოლოდ ფასისთან მიმართებაში არის შესაძლებელი...“ (იქვე, გვ. 55). მდ. ფასისი კი ჭოროხია, სპარსელთა ომები მის ხეობაში იმართებოდა. აქ გადიოდა ის მნიშვნელოვანი გზა, რომელიც პეტრას დვინთან აკავშირებდა.

სპარსეთის შაჰი კლარჯეთის გზაზე

მეფე ხოსრო რამდენჯერმე გაემართა ლაზიკაში პეტრას ციხე-სიმაგრის ასაღებად, ასევე სპარსეთიდან პეტრასაკენ რამდენჯერმე გაემგზავრა სპარსთა ჯარები სხვა მთავარსარდლების მეთაურობით. პროკოფი კესარიელი აღწერს მათ გზას, როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით, მაგალითად სპარსთა ჯარებმა პეტრასთან ცხარე შებრძოლების შემდეგ უკან დაიხიეს და დაბრუნდნენ თავიანთ დასასვენებელ ქვეყანაში (ბანაკებში), სადაც საერთოდ ისინი იზამთრებდნენ, აღიდგენდნენ ძალებს და უკანვე, პეტრასთან ბრუნდებოდნენ. ასეთი ადგილი ყოფილა პერსარმენიაში ქ. დვინი და მათ გარშემო სოფლები, რომელთაც ჩამოთვლის კიდეც პროკოფი. საერთოდ ის წერს სპარსთა გზის შესახებ, კერძოდ ისინი სპარსეთიდან ჯერ შედიოდნენ პერსარმენიაში, შემდეგ კი იბერიის რადაც ნაკვეთის გავლის შემდეგ – ლაზიკაში.

შებრძოლებები პეტრასთან იყო პირველხარისხოვანი საქმე სპარსთა მეფისათვის, ამიტომაც ის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით სპარსეთიდან პეტრასაკენ ყველაზე მოკლე და ამავე დროს უხიფათო გზით წაიყვანდა თავის ჯარებს, ეს ბუნებრივია, ჯარი დასვენებული უნდა ყოფილიყო. და ამავე დროს ახლოს მომარაგების წყაროსთან, ე.ი. პერსარმენიასთან და ასევე იბერიასთან, რომელიც სპარსთა მიერ იყო დაპყრობილი. მაშასადამე ხოსრომ თავისი ჯარები დვინიდან პეტრასკენ წაიყვანა ყველაზე მოკლე გზით. რომელია ეს გზა? თუ ძველ რუკებს დავხედავთ, შევამჩნევთ, რომ დვინი-პეტრას შემაერთებელ ყველაზე მოკლე გზებს უნდა გაევლოთ ქართლის პროვინციები კოლა-არტაანი, კლარჯეთი, ჭოროხის ხეობა, შემდეგდროინდელი ართვინი და ჭოროხის გაყოლებით უშუალოდ მიადგებოდნენ პეტრას. ეს გზები, ამჟამადაც კი, ერთადერთნი არიან ამ მხარეში. საქმე ისაა, რომ დვინ-კოლა-არტაანსა და კლარჯეთს შორის ზღვის დონიდან 2500-3000 მეტრზე აღმართულია ქედი არსიანი. ამჟამადაც, არსიანის ქედზე გადის ორი მთავარი გზა – რომელიც ქ. არტაანს აერთებს ქ. არტანუჯთან (კლარჯეთში) და ქ. ართვინთან (ჭოროხზე), ერთი უფრო ჩრდილოეთითაა, მეორე სამხრეთით.

ვფიქრობთ, რომ ხოსრომ ისარგებლა არტაან – არტანუჯის დაკავშირებული გზით, რადგანაც ეს უფრო მოკლეა პირველთან შედარებით, თანაც უფრო ნაკლები დაბრკოლებებია მასზე.

ქ. არტაანი და არტაანის პროვინცია უშუალოდ ემეზობლება ერუშეთს და სამცხის პროვინციებს (ე.ი. იყო ისტორიული იბერია) და ის მართლაც ძევს პერსარმენიასა (ანის-დვინის ქვეყანასა) და კლარჯეთ-ლაზიკას შორის.

არტაან-არტანუჯ-ართვინის შემაერთებელი გზა, როგორც ვთქვით, გაივლიდა არსიანის ქედს, რომლის უღელტეხილი მდებარეობს ზღვის დონიდან 2687 მ. სიმაღლეზე. მის ახლოს ახლაც მდებარეობს სოფელი „კანდრიდი“. ეს სიტყვა „კანდრ“ ძალზე გვაგონებს პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილ ცნობას, რომ იბერიასა და ლაზიკას შორის მდებარეობდა „სკანდას“ ციხე (კანდ – სკანდ). აღსანიშნავია, რომ არსიანის ამ უღელტეხილთან ახლო ძველი ციხე-სიმაგრეა, რომელსაც, ამჟამად, „ქინძის ციხე“ ეწოდება. ჩვენი აზრით ფუძე „ქინძ“ და „სკანდ“ ასევე ეტიმოლოგიურად ახლოა ერთმანეთთან (კინდ(ძ) – სკანდ). პროკოფის აღწერიდან ვიცით, რომ სკანდას ციხის ახლომახლო არ მოდიოდა მოსავალი, იყო ძალზე მთიანი იმდენად, რომ აქ ვენახი არ ხარობდა და ღვინოც არ ჰქონდათ. ცნობილია, რომ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსები პროკოფის მიერ აღწერილ სკანდას ციხედ მიიჩნევდნენ თერჯოლის რაიონში ამჟამადაც არსებულ „სკანდეს“. საკუთარი თვალით გვინახავს, რომ თერჯოლის სკანდე მდებარეობს სამიწათმოქმედო უბანში,

რადგან მოდის ყოველგვარი სახის მოსავალი და ცხადია ხარობს ვენახიც, ხოლო არსიანის ქედზე 2600 მეტრზე მდებარე ქინძოტამალის ანუ „ქინძის ციხე“ ნამდვილად იდენტურია პროკოფის მიერ აღწერილი უმოსავლო და პირქუშ რეგიონთან. როგორც ჩანს აქვე იყო მეორე ციხეც – სარაპანა. თ. ხუციშვილის მიერ გამოცემული „ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების“ რუკის მიხედვით აღნიშნულ არტაან-არტანუჯის შემაერთებელ გზაზე მდებარეობდა არპალი, რომელიც ჩვენი აზრით ეტიმოლოგიურად წააგავს სარაპან-შორაპანს. საერთოდ, ქართველებით დასახლებულ ქვეყნებში ტოპონიმები ხშირად მეორდებოდა. მაგალითად, აღნიშნულ რუკაზე, თურქეთში პარხალთან ახლოსაა ქალაქი „წითელი წყარო“ (შდრ. საქართველოს „წითელწყარო“) ციხე „მუხურგული“ (სპერსა და კავკასიძეების ციხის შუა, ჭოროხზე). „მუხურგული“ ეტიმოლოგიურად ძალზე ახლოა პროკოფის მიერ მრავალგზის აღნიშნულ „მუხურისთან“. აქვეა „ორჯოხის მთა“, რომელიც გვაგონებს „ორჯონი“-ს. აქედან „ორჯონიკი“ (ორჯონელი) – ორჯონიკიძეთა საგვარეულოს ადგილი. აქვეა „ვანის ხევი“ (შდრ. ვანი), „დაზუგეთი“ (შდრ. „ზუგდიდი“) და სხვა უამრავი. იმის გამო, რომ პროკოფი კესარიელის მიერ ნახსენები „სკანდა“ და თანამედროვე თერჯოლის რაიონში მდებარე „სკანდე“ ეტიმოლოგიურად იდენტურია, არ იძლევა მათი იგივეობის საფუძველს. „სკანდა“ უამრავი შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს ყველა კუთხეში. (შრდ. სტრაბონის „სკანდისის მთები“). ასევე უნდა ყოფილიყო მრავალი „სარაპანა“ (შორაპანი). მე ვფიქრობ თანამედროვე „სარფი“ და „სარაპანა“ ეტიმოლოგიურად ახლოა ერთმანეთთან, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ოზურგეთსაც XV ს-ში (და უფრო ადრე) შორაპანი ერქვა. ამიტომაც, იმის გამო, რომ ზესტაფონთან გვაქვს პუნქტი „შორაპანი“ არ არის საფუძველი მისი „სარაპანად“ გამოცხადებისა. ასეთი სარაპანა – როგორც ვთქვით – მრავალი უნდა ყოფილიყო.

მაშასადამე ჩვენი აზრით, სპარსული ჯარი პეტრაში ჩავიდა არა თბილისის, ლიხის ქედისა და მთელი დასავლეთ საქართველოს გავლით (ამ გზით ჯარი ძალზე დაიქანცებოდა და ბრძოლისუნარიანობას დაკარგავდა), არამედ სპარსეთ-პეტრას დამაკავშირებელი უმოკლესი გზით, რომელიც როგორც პროკოფი ხშირად აღნიშნავს: გაივლიდა პერსარმენიას (დვინის ქვეყანას), შემდეგ იბერიას (ჩვენი აზრით ეს იყო კოლა-არტაანი) და მდ. ჭოროხის გაყოლებით სწრაფად შევიდნენ პეტრას რეგიონში.

თვალხილული ფაქტია, რომ შეუძლებელია პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილი ლაზიკა იყოს დასავლეთ საქართველო მთლიანად, რადგანაც პროკოფი მუდამ ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ლაზიკა“ არის კლდოვანი რეგიონი, სადაც არის მაღალი მთები, მოედინება ჩქარი მდინარეები. მაგალითად იმდენად ჩქარი ფასისი, რომ ზღვის წყალსაც კი არ ერევა შესართავში. იმდენად კლდოვანია ლაზიკა, რომ ზღვა მის კლდეებს ეხეთქება და ეს კლდეები უშუალოდ ზღვას გადაჰყურებს. მრავალჯერ აღწერს ამას პროკოფი და იმეორებს ყველა თხზულებაში. მაგალითად ის წერს, რომ სკანდასა და სარაპანის ციხეებთან არ მოდის მოსავალი, არის მაღალი მთები, არ ხარობს ვენახი. თერჯოლის სკანდა ზღვის დონიდან სულ რაღაც 100-200 მეტრზე მდებარეობს და როგორც ითქვა ამ რეგიონში უხვი და ყოველი სახის მოსავალი მოდის. სარაპანაც მსგავსადვე უმოსავლო კლდეებში მდებარეობს, ზესტაფონის შორაპანი კი ზღვის დონიდან 170 მეტრზეა და უხვმოსავლიანია. საერთოდ, როგორ შეიძლება ითქვას დასავლეთ საქართველოზე, რომ ის საშინელი ცამდე აწვდილი კლდეების ქვეყანაა მაშინ, როცა დასავლეთ საქართველოს ვრცლად გაშლილი ვაკე ზღვის დონიდან სულ რამდენიმე მეტრია და ვრცლად გაშლილი უზარმაზარი დაბლობია! ეს არაა პროკოფის „ლაზიკა“! მაგრამ, საკმარისია ფასისად მივიჩნიოთ მდ. ჭოროხი, უმალვე მივხვდებით თუ რომელ ქვეყანას უწოდებს პროკოფი ლაზიკას. ცხადია

ესაა ტრაპიზონის სანახები და ამის შემდეგ ქვეყანა, რომელსაც ქართული წყაროები უწოდებენ „ზღვისპირი ბოლო კლარჯეთისა“ და საერთოდ კლარჯეთი თანამედროვე აჭარა-გურიასთან ერთად. კლარჯეთ-ლაზიკის მთებია არსიანის თითქმის 3000 მეტრი სიმაღლის ქედი, კარჩხალის 3000 მეტრზე უფრო მაღალი მასიური მთები, პონტოს ასევე 3000 მეტრზე მაღალი ქედი, მისი შტო ორჯოხი, ასეთივე სიმაღლის მთების მასივი, საერთოდ ესაა ჭოროხის ხეობა, თავისი კლდეებით და მაღალი მთებით, ესაა უვრცელესი რეგიონი, რომლის ფართობი მეტია მდ. რიონის აუზზე. აი, აქ კი უნდა ვეძიოთ ჩვენი სკანდა, სარაპანისი, არქეოპოლისი, მუხურისი, როდოპოლისი, ფასისი და სხვა ქალაქები. აქ არქეოლოგებს დიდი აღმოჩენები ელით.

პროკოფის „ლაზიკა“ იყო ძირითადად „კლარჯეთის ქვეყანა“. შესაძლოა, ლაზთა მეფეების შემდეგდროინდელი მემკვიდრეები იყვნენ „კლარჯთა ხელმწიფეები“ ლეგიტიმური თვალსაზრისით, აქედან იყო VI ს-ში გუარამ კურაპალატი, შემდეგ ქართლის ხელმწიფე ბაგრატიონები თავიანთ წარმოშობასაც აღნიშნულ (ლაზიკის) რეგიონს, კერძოდ, სპერს უკავშირებენ, თავიანთ საგვარეულოში გამოყოფდნენ „კლარჯ“, „არტანუჯელ“ და სხვა მეფე-ხელმწიფეებს. შესაძლოა „კლარჯი ხელმწიფეების“ შტო თავის ლეგიტიმურ უფლებამოსილებას უკავშირებდა ლაზთა მეფეებს (მაგ. VI ს-ში ასეთები იყვნენ წათე, გუბაზი, და სხვები). თუმცა მათ ძირითადი ლეგიტიმურობის საყრდენად მიაჩნდათ ფარნავაზიან – ხოსროანთა მემკვიდრეობა (ვახტანგ გორგასალის ქალიშვილი შეირთო გუარამ ბაგრატიონმა). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წათე, გუბაზი და სხვა ლაზი მეფეები გვარით ბაგრატიონები ანდა მათი მონათესავენი იყვნენ.

კლარჯეთის გზა სკანდადან სარაპანამდე

ქინძის ციხე, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, მდებარეობს არსიანის ქედზე, არტაანარტანუჯის შემაერთებელი გზის მარჯვენა მხარეს (გზიდან 3-4 კმ-თაა დაშორებული), სოფელ ქინძოტამალთან ახლოს (ქინძოტამალს თურქულად „ბაგდეჩენ“ ჰქვია). იქვე (ქინძოტამალიდან სამხრეთით 4-5 კმ-ში) მდებარეობს მსგავსი სახელის მქონე სოფელი – კანდრიდი (თურქულადაც ეს სახელი –– „კანდრიტი“ ჰქვია, იქვეა ეკლესიის ნანგრევი). ჩვენი თვალსაზრისით, როგორც აღინიშნა, ერთი და იგივე ეტიმოლოგიის სამი პუნქტის ერთმანეთთან თითქმის მიჯრით არსებობა (ქინძის ციხე, ქინძოტამალი, კანდრიდი) მიუთითებს, რომ არსიანის ქედის ამ მონაკვეთზე „კანდ“ , „ქინდ“ (ქინძ) ფუძის მქონე რაღაც მნიშვნელოვანი პუნქტი არსებობდა. ესაა, ჩვენი აზრით „სკანდა“ – სახელგანთქმული ლაზური ციხე იბერიის საზღვართან. მისი ნაშთია სახელები – კანდრიტი, ქინძოტამალი და ქინძი (იხ. დიმიტრი დუნდუას 2007 წ. რუკა „შავშეთი“ და თ. ხუციშვილის 2004 წ. რუკა ტაო-კლარჯეთი).

როგორც ვიცით, სკანდას ციხესთან ახლოს მდებარეობდა მეორე ლაზური ციხე, ასევე იბერიის საზღვართან – სარაპანა. ჩვენი აზრით, ამ სახელის თანამედროვე სახეცვლილებაა „არფალი“, რომელიც მდებარეობს შავშეთში ახლოს არტაანთან, ანუ ძველ ისტორიულ იბერიის მხარესთან ახლოს. არფალის მეორე სახელია ზენდაბა, ქალაქ შავშეთიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. ამჟამინდელი ქინძის ციხე და არფალი ერთმანეთს უკავშირდებიან ადგილობრივი მნიშვნელობის გზით, როგორც აღინიშნა. არფალიდან გზა ჯერ მიდის სოფელ ხანთუშეთში (ესაა თურქული ჰანლი), ხანთუშეთიდან კი ორი ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის გზა მიემართება არსიანის ქედისაკენ. ერთერთი, სამხრეთით არსებული, გაივლის მდინარეთა (ნაკადულთა) სათავეებს და ადის

არსიანის ქედზე ქინძის ციხესთან ახლოს. ჩვენი აზრით, შესაძლოა ამ გზით, ანუ სკანდა (ქინძის ციხე) სარაპანა (არფალის) გზით გაიარა პეტრაში მიმავალმა სპარსეთის შაჰმა ხოსრომ. მართლაც, ეს გზა შედის შავშეთში, საიდანაც ართვინ-ბორჩხას გზით, ანუ ჭოროხ-ის ხეობის გზით შედიოდნენ პეტრაში, თუმცა, შესაძლოა ხოსრო არტანუჯის გზითაც შევიდა პეტრაში.

როგორც ითქვა, ჩვენი გამოკვლევით სკანდა არის თანამედროვე არსიანის ქედზე (ისტორიული არტაანის პროვინციაში) კლარჯეთისკენ (არტანუჯისკენ) მიმავალ გზაზე სოფელ „კანდრიდთან“ მდებარე ერთ-ერთი ძველი ციხესიმაგრე. სოფ. „კანდრიდის“ სახელწოდება აღნიშნულია „ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების“ რუკაზე, რომელიც 2004 წელს დაიბეჭდა თ. ხუციშვილის, კ. შენგელიას, შ. მაჭავარიანისა და ვ. სილოგავას მიერ. სოფ. კანდრიდთან არსიანის ქედზევე არის სოფ. ქინძოტამალი და ციხე-სიმაგრე „ქინძის ციხე“. ეტიმოლოგიურად „კანდრიდი“, „ქინძოტამალი და „ქინძის ციხე“ ძალზე ახლოა „სკანდასთან“ (კანდრიდ – სკანდა). სოფ. ქინძოტამალსა და ქინძის ციხეს შორის გადის გზა, რომელიც აერთებს არტაანს არტანუჯთან. ეს გზა ლონგოთხევის ახლოს არტანუჯისწყლის ხეობაში გადის.

არსებობს მეორე გზაც, რომელიც სხვა ხეობაში გადის და ასევე აერთებს არტაანს ართვინთან. ეს გზა გაივლის შავშეთს, აქ ქალაქ შავშეთის ახლოს არის სოფელი „არფალი“, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ არფალი ეტიმოლოგიურად ძალზე ახლოა „სარაპანასთან“ (სარაპან-არფალ). ჩვენ ვიცით, რომ გზა, რომელიც აერთებდა იბერიას ლაზიკასთან, გადიოდა ციხე-სიმაგრეებზე სკანდასა და სარაპანზე (სოფელ არფალთან მდებარეობს ძველი ციხე-სიმაგრე „ქვათეთრისი“).

სოფელი კანდრიდი და სოფელი არფალი ერთმანეთს უერთდებოდნენ ძველადაც. ამას მიანიშნებს ის, რომ 1998 წ. დაბეჭდილი საქართველოს „ზოგადგეოგრაფიული რუკის“ მიხედვით (რედაქტორი მ. რაზმაძე) ეს სოფლები ერთმანეთს ამჟამადაც უერთდება ე.წ. „საველე გზით“ ანუ ძალზე უბრალო, უხარისხო გზით, კერძოდ, არტანუჯ-არტაანის შემაერთებელ გზაზე, იქ, სადაც არის 2657 მ სიმაღლის უღელტეხილი. ერთ-ერთი გვერდითი გზა მიემართება ჩრდილოეთისკენ, რომელსაც დაახლოებით 6-7 კმ-ში დასავლეთიდან უერთდება აღნიშნული საველე გზა, რომელიც 25-28 კმ-ის შემდეგ შედის არფალში. ჩანს, ამ გზით შედიოდნენ იბერიიდან ლაზიკაში სპარსელები.

სკანდა-კანდრიდი კლარჯეთის გზაზე

(მთა „კანდილი“, სოფელი „ქინძოტამალი“, ნამონასტრალი „კანდრიდი“, ციხე „ქინძი“ – ერთად თავმოყრილნი – ისტორიულ „სკანდას“ რეგიონში)

თანამედროვე არტანუჯი არტაანს უერთდება საავტომობილო გზით, რომლის შუა მონაკვეთს, არსიანის ქედის გადაკვეთის ადგილს, წარმოადგენს უღელტეხილი იალნიზჩამ ზღვის დონიდან 2657 მეტრ სიმაღლეზე. თვითონ გზა არტანუჯიდან უღელტეხილამდე ფაქტიურად გადის უზარმაზარი ქედის ძირში, რომლის მწვერვალის სიმაღლე არის 3068 მეტრი ზღვის დონიდან. ამავე უღელტეხილს არტანუჯიდან უერთდება ასევე ყამირი სასოფლო გზა, რომელზეც ამჟამადაც მდებარეობს სოფელი „ლონგოთხევი“. აღნიშნულ უღელტეხილს სხვადასხვა რუკებზე ეწოდება „კანდრიდი“, „ქინძოტამალი“, იქვე ახლოსაა მწვერვალი „კანდილის“ სახელწოდებით.

კანდრიდი, ქინძ (კანდ) იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ბერძენი მწერლების მიერ ნახსენები ციხე-სიმაგრე „სკანდა“, რომელიც ისე მაღლა და მიუდგომელ ადგილას მდებარეობდა უნაყოფო რეგიონში, რომ მასზე მხოლოდ ზურგით აჰქონდათ სურსათი, არის არა

იმერეთის „სკანდე“, არამედ არსიანის ქედის აღნიშნული უღელტეხილის გზაზე მდებარე „კანდრიდი“. არტანუჯ-არდაგანის საავტომობილო გზაზე მდებარე არსიანის ქედის უღელ-ტეხილ „იალნიზჩამ“-ის მახლობლად, როგორც აღინიშნა, არსიანისავე ქედზე მდებარეობს ერთ-ერთი 2412 მ სიმაღლის მთა (მწვერვალი) სახელწოდებით „კანდილი“ (გზიდან 20-30კმ დაშორებით), ხოლო თვით გზაზე მდებარეობს სოფელი „კარადჯასუ“. ეტიმოლოგიურად იმითაა საინტერესო ეს სახელები, რომ ისინი ახლოა პროკოფის მიერ ნახსენებ „სკან-დასთან“ – „სკანდა“, „კანდილი“ (ფუძეა სკანდ-კანდ), ამავე ფუძეთა წრეს უახლოვდება „კარად“ (კარადჯასუ), ამიტომ საფიქრებელია, რომ „სკანდას“ ცნობილი ციხე-სიმაგრე სწორედ თანამედროვე არტანუჯ-არდაგანის გზაზე მდებარეობდა. მით უმეტეს, რომ ეს გზა კონსტან-ტინე პორფიროგენეტის ცნობით, Xს-შიც საერთაშორისო მნიშვნელობისა იყო და ის შავ ზღვასთან აკავშირებდა არა მხოლოდ იბერიას, არამედ არმენიასაც. არტანუჯში, კონსტან-ტინე პორფიროგენეტის ცნობით, ამ გზით სირიის საქონელიც კი შედიოდა. არტანუჯიდან ჭოროხის გზით ამ საქონელს ადვილად ჩაიტანდნენ შავი ზღვით ბიზანტიაში. ამ აზრს ამტკიცებს ისიც, რომ ამ უღელტეხილის სიახლოვეს ასევე მდებარეობს ციხე „ქინძი“ და სოფელი „ქინძოტამალი“, აქვეა ნამონასტრალი „კანდრიდი“; ე.ი. გვაქვს მთა „კანდილი“, სოფელი „ქინძოტამალი“, ციხე „ქინძი“ ყველა სიტყვა– „კანდ-ქინდ“ ფუძით, ეტიმოლოგიურად ახლო სიტყვა „სკანდას" ფუძესთან.

პირველი საეპისკოპოსოები კლარჯეთ-მცხეთის გზის პირზე

ბიზანტია-იბერიის დამაკავშირებელ გონიო-ართვინ-არტანუჯ-მცხეთის საერთაშორისო გზის პირას შედარებით განვითარებული იყო ადგილობრივი ეკონომიკა, წარმოქმნილა ქალაქური ტიპის დასახლებები. ამით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ IV-IX საუკუნეთა ქართული საეპისკოპოსოების ერთი ნაწილი ამ გზის პირას იყო განლაგებული. საეკლე-სიო წესების თანახმად ეპისკოპოსი ქალაქში იჯდა, მას კათედრა ქალაქში უნდა ჰქონოდა. ჩანს, აღნიშნული გზის პირის ქალაქური ტიპის დასახლება იძლეოდა საშუალებას საეპისკო-პოსო კათედრების დაარსებისა, კერძოდ, ამ გზის პირზეა შემდეგი საეპისკოპოსოები: –

1. ახიზისა;
2. ანჩისა;
3. ერუშეთისა;
4. წყაროსთავისა;
5. კუმურდოსი;
6. წუნდის;
7. მანგლისისა;
8. წალკისა;

საერთოდ საფიქრებელია, რომ ძველქართული საეპისკოპოსოები განლაგებულნი იყვნენ არა მარტო ადმინისტრაციულ (საერისთავო) ცენტრებში, არამედ მნიშვნელოვანი გზების პირასაც. აღსანიშნავია, რომ არც ერთი საეპისკოპოსო არ იყო ქუთაისიდან ურბნისამდე. აქ საერთაშორისო გზის არსებობა კი ამ ვაკუუმს შეავსებდა.

ლაზიკა-იბერია-პერსარმენიის მაკავშირებელი მოკლე გზა

ე. ვეიდენბაუმისა და გ. ყაზბეგის აღწერა – საერთაშორისო გზისა

VI საუკუნეში ბიზანტიისა და სპარსეთის იმპერიები ერთმანეთს დაუნდობლად ებრძოდ-ნენ კავკასიაში კუთხისათვის, რომელსაც ლაზიკა ეწოდებოდა. პროკოფი კესარიელისა

და სხვათა აღწერით ის იყო ზღვისპირას მდებარე კლდოვანი ქვეყანა, ძირითადად ნაკლებ მოსავლიანი, მაგრამ ლაზიკა ყურადღებას იქცევდა თავისი სამხედრო-სტატეგიული მდებარეობით, მასზე გადიოდა სპარსეთ-ევროპის დამაკავშირებელი გზა. მისი ხელში ჩაგდებით კი ორივე მხარე იყო დაინტერესებული.

თითქმის 1500 წლის შემდგომ რუსეთის იმპერიაც დაინტერესდა ამ გზით მე-19 საუკუნის 70-იან წლებში. იმჟამად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ლაზიკა-აჭარა-შავშეთში რუსეთის იმპერიამ სამხედრო დაზვერვის მიზნით შეაგზავნა ოფიცერი გიორგი ყაზბეგი, რომელმაც აღწერა კიდეც ე.წ. „თურქეთის საქართველო“ და წიგნის სახით გამოსცა 1875 წელს. გ. ყაზბეგმა თავისი ძირითადი ყურადღება მიაპყრო ძველთაგანვე არსებულ ბათუმ-ართვინ-არდაგანის გზას, რომელსაც იმჟამად ოსმალეთის იმპერია აწესრიგებდა. აღნიშნული გზა ბათუმიდან ართვინამდე მიუყვებოდა მდინარე ჭოროხს, ართვინიდან არდაგანს უერთდებოდა არსიანის ქედზე გადამავალი უღელტეხილით. არდაგანიდან ანუ არტაანიდან ეს გზა უერთდებოდა ყარსს, არზრუმსა და ახალციხეს. როგორც გიორგი ყაზბეგი, ასევე მის შემდგომ ლაზიკაში რუსეთიდან გაგზავნილი მეცნიერი ე. ვეიდენბაუმი თავიანთ მთავრობას არწმუნებდნენ, რომ აღნიშნულ ბათუმ-არდაგანის გზას გააჩნდა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა, რადგანაც ის სპარსეთს ევროპასთან აერთებდა უმოკლესი გზით.

გ. ყაზბეგი პირდაპირ წერდა, რომ გაფართოების შემდგომ შესაძლოა „ეს გზა სპარსეთსა და ევროპას შორის სატრანზიტო მაგისტრალადაც გადაიქცეს“ (გ. ყაზბეგი, 3 თვე თურქეთის საქართველოში, 1995 წ. გვ. 108). ის ამ გზასთან დაკავშირებით წერს, რომ ბათუმ-არტაან-ყარსის გზატკეცილის სამუშაოების შესასრულებლად ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიამ შექმნა კომისია, რომელმაც პრაქტიკულად უცვლელად დატოვა საუკუნეების წინათ არსებული მარშრუტი. ეს იყო „ერთადერთი ხაზი მდინარე ჭოროხზე არტანუჯისაკენ, შემდეგ ყარსისაკენ ან არტაანის გავლით, არტანუჯ-ჩაის გაყოლებით, ან კიდევ თავსკერისა და გიოლის გავლით... სამუშაო დაიწყო ერთდროულად ბათუმსა და არტანუჯში... ვხედავდით ახალმა გზამ როგორ გამოაცოცხლა ეს მხარე. ცხენები უწყვეტად მიემართებოდნენ ართვინისაკენ, მათ ყარსის პური გადაჰქონდათ. პური აქ ცხენებით გადმოაქვთ ართვინის ნავმისადგომთან, აქედან კი ჭოროხით ბათუმში ჩააქვთ (იქვე, გვ. 104-106).

როგორც გ. ყაზბეგი, ისე ე. ვეიდენბაუმი თავიანთ ნაშრომებში გამოხატავდნენ იმ ინტერესს, რომელიც რუსეთის იმპერიას გააჩნდა აჭარა- ლაზისტანში. კერძოდ, ყაზბეგი პირდაპირ წერდა: „ამ ინტერესს აძლიერებს ჭოროხის აუზის ისტორიული მნიშვნელობა წარსულში და რაც მთავარია ის როლი, რომელიც მას შეუძლია შეასრულოს მომავალში” (გ. ყაზბეგი. 3 თვე თურქეთის საქართველოში, გვ. 29).

თუ რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ჭოროხის აუზს წარსულში, ამის შესახებ გ. ყაზბეგის აზრით ევროპელებმა იცოდნენ სტრაბონისა და არიანეს მონათხრობის მიხედვით, ხოლო სამომავლოდ გზის შესაძლებლობათა შესახებ თვითვე წერდა (იქვე, გვ. 29). ესაა, ცხადია, ჭოროხზე გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის გზა, რომლის ხელში ჩაგდებითაც რუსეთის იმპერია გააკონტროლებდა ერზრუმის, ყარსისა და მიმდებარე რეგიონების ეკონომიკას.

მართალია, ყაზბეგის დროს ეს რეგიონი ოსმალეთის ხელში იყო და აღნიშნულ გზასაც ოსმალეთი აღადგენდა, მაგრამ გ. ყაზბეგი ძალზე იყო დაინტერესებული ამ გზის მდგომარეობით და თავის ნაშრომში აღწერს კიდეც ამ გზის სხვადასხვა მონაკვეთებს. მაგ. ერთ ადგილას წერს: „საჭირო ბათუმიდან არტანუჯამდე აშენდეს სამასი ქვის ხიდი

და გვირაბი“ (იქვე, გვ. 108). როგორც ყაზბეგი, ასევე ვეიდენბაუმი გაოცებით აღწერენ ჭოროხსა და მის შენაკადებზე გადებულ უამრავ ძველ ხიდსა და მათ ნანგრევებს. ძველი ქვის თაღოვანი ხიდების და მათი ნაშთების რაოდენობა მართლაც შთამბეჭდავი იყო. ვეიდენბაუმი აღნიშნავდა კიდეც რომ ხიდების ეს რაოდენობა, ასევე კლდეებზე გაყვანილი ძველი გზატკეცილების ნაშთები მიუთითებენ ჭოროხის აუზში გამავალი გზის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ და წერს კიდევაც, რომ არა მხოლოდ ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე გადიოდა დიდი მნიშვნელობის გზა, არამედ მარცხენაზეც და წერს: „მურღულის წყლისა და ხატილა-სუს ხიდების ნარჩენებით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველად ჭოროხის მარცხენა ნაპირზე არსებობდა გზა და მასზე საკმაოდ გაცხოველებული ვაჭრობა უნდა ყოფილიყო, თუკი საჭირო გამხდარა ორი ხიდის აშენება მარცხენა ნაპირზე, ართვინისა და მურღულის-წყალს შორის. ერთ ადგილას, შეიმჩნეოდა კედლის ნარჩენები, რომლებსაც ეყრდნობდა გზა კლდის ციცაბო ფერდობზე. ხიდებისა და კედლის აშენების თარიღი, სამწუხაროდ, უცნობია, მაგრამ თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ ყველა ხიდი კონსტრუქციით ართვინის ხიდის მსგავსია (ეს უკანასკნელი აშენებულია დიდი ხნის წინათ), უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს საგზაო ნაგებობები ძალიან ძველია და იმ დროს უნდა მიეკუთვნებოდეს, როდესაც ჭოროხის აუზში წესრიგი და სიმშვიდე იყო, აქედან გამომდინარე - თურქეთის ბატონობამდე“ (ევგენი ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე 2005, გვ. 76).

ხიდების კოლოსალური რაოდენობა მდინარე ჭოროხსა და მის შენაკადებზე ცხადია მოგვაგონებს სტრაბონის ცნობას, რომ მდინარე ფასისზე იბერიისაკენ მიმავალ გზაზე 120 ხიდი იყო გადებული. ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამ ქვის თაღოვანი ხიდების ნაშთების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო მე-19 საუკუნეში ყაზბეგისა და ვეიდენბაუმის დროს და მათი გარკვეული რაოდენობა დღემდე არსებობს. მართლაც, ეს გზა ადიოდა ალბათ ძველი პეტრადან ანუ ისტორიული ბათუმის რეგიონიდან ჭოროხის გავლით არტაანში. არტაანი, შემდეგდროინდელი არდაგანი, მუდამჟამ არამხოლოდ ქართული, არამედ სომხური წყაროების მიხედვითაც კი იბერიაში შედიოდა, ანუ იბერიის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენდა. თუკი ჭოროხის ხეობა მიიჩნეოდა ლაზიკად, მაშინ ცხადია ლაზიკიდან იბერიაში (არტაანში) შემავალი ისტორიული გზა სწორედ ისაა, რომელსაც ყაზბეგი და ვეიდენბაუმი აღწერდნენ და, რომელსაც ოსმალეთის მთავრობა დიდი დანახარჯებით აფართოებდა, რათა ხელი შეეწყო ევროპა-სპარსეთის დამაკავშირებელი აღნიშნული გზის მიმდებარე რეგიონების ეკონომიკის გამოცოცხლებისათვის. მართლაც ყაზბეგის აღწერით ამ გზით უკვე სარგებლობდნენ „რუსი, ინგლისელი და ფრანგი სოვდაგრები“ (გ. ყაზბეგი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 108).

გ. ყაზბეგი წერს - „ართვინის ვაჭრობის გამოცოცხლების ერთადერთი საშუალება ჭოროხის სამდინარო გზაა. მიმდინარე წელს ამ გზამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მეორე წელია, რაც ინგლისელი ვაჭრების კომპანიამ დაიწყო ყარსისა და შავშეთის პურის შესყიდვა და ბათუმში ტვირთის ჭოროხის გზით გაგზავნა. ართვინამდე პურის დიდი ნაწილი ქურთებს გადმოაქვთ ჯორებითა და ცხენებით და შემდეგ კი ნავებით მიაცურებენ. მიმდინარე 1874 წელს ერთი კამპანიის აგენტმა ართვინიდან 44 ათასი ფუთი ხორბალი გაგზავნა. ყარსიდან ბათუმამდე ერთი ფუთი ხორბლის ჩატანა მის ფასთან ერთად ერთი მანეთი ჯდება“ (იქვე, გვ. 115).

ვეიდენბაუმიც აღნიშნავს ბათუმ-არდაგანის გზით უცხოელების მიერ გაჩაღებული ვაჭრობის შესახებ. ამ გზასთან დაკავშირებით ის წერს: „ბათუმი მთებზე გადამავალი საპალნე გზით დაკავშირებულია ქალაქ არდაჰანთან. გზის სიგრძე 191 ვერსს შეადგენს.

იგი თავდაპირველად ჭოროხის მარჯვენა ნაპირს მიუყვება მდინარე იმერხევის შესართავამდე, შემდეგ მდინარე არტანუჯ-ჩაის ხეობით ადის იალანუსჩამის უღელტეხილზე (8442 ფუტი ზღვის დონიდან) - ესაა ქედი, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფს მტკვრისა და ჭოროხის აუზებს. იალანუსჩამის უღელტეხილიდან გზა არდაჰანისაკენ მიემართება.

ამ გზაზე ყურადღების ღირსია შემდეგი დასახლებული პუნქტები:

ართვინი, თურქთა ბატონობის პერიოდში მას ლიგანეს უწოდებდნენ. ესაა მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე გაშენებული პატარა ქალაქი, ბათუმიდან 80 ვერსში. აქ არის ართვინის ოკრუგის უფროსის რეზიდენცია... ბათუმსა და ართვინს შორის კავშირი უპირატესად მდინარე ჭოროხზე მოცურავე კაიუკების (ბრტყელძირა ნავების) მეშვეობით მყარდება. არტანუჯი მდებარეობს არტანუჯ-ჩაის (ჭოროხის შენაკადი) მარცხენა ნაპირზე. ამჟამად უმნიშვნელო სოფელია... არდაჰანი საპალნე გზებით დაკავშირებულია ბათუმსა და ყარსთან. არდაჰანის სამხრეთ-დასავლეთით 99 ვერსში, მდებარეობს ოლთისი. ამ დასახლებულ პუნქტებს ერთმანეთთან საფოსტო გზა აკავშირებს, რომელიც გაივლის ზღვის დონიდან 7728 ფუტ სიმაღლეზე მდებარე პანჟურეთის უღელტეხილს (ეს უკანასკნელი ერთმანეთისაგან ყოფს ჭოროხისა და მტკვრის აუზებს) და კანლი-სუს ხეობით ეშვება ოლთუ-ჩაის ველზე. არდაჰან-ოლთისის გზაზე არაერთი ძველი ციხესიმაგრისა და ეკლესიის ნაშთია შემორჩენილი“ (ე. ვეიდენბაუმი. ბათუმიდან ართვინამდე 2005. გვ. 79-86).

ბათუმ-არდაგანის გზა სტრაბონისა და პროკოფის მიერ აღწერილი ფასის-იბერიის შემაერთებელი გზა რომ უნდა ყოფილიყო იქიდანაც ჩანს, რომ ამ გზის მონაკვეთებზე დასტურდება იმ ძველი სახელების არსებობა, რომლებთაც აღწერდნენ ეს ავტორები, მაგ. „მათ შორის შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ, რომ ჭოროხის ერთ-ერთი მაღალი შენაკადის სახელი იყო ყვირილა“. გ. ყაზბეგი წერს: „მდინარე ყვირილამ სახელწოდება მიიღო ქართული სიტყვისაგან ყვირილი და შეესიტყვება მდინარის ხასიათს, ზემო წელში კი ხმაურით მიექანება ქვიან ფსკერზე, თანაც რეცხავს თიხოვანი ქანების ფენებს“ (გ. ყაზბეგი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 75).

ჩვენს მეცნიერთა აზრით, მდინარის ბერძნული სახელწოდება ბოასი ყვირილას თარგმანი უნდა ყოფილიყო. ეს ყვირილა შავშეთში იმერხევის შენაკადია. შესაძლოა ერთ დროს იმერხევსაც ყვირილა ერქვა. ეს მდინარე თავის მხრივ იმერხევის წყალი ბერთაწყლის შენაკადია, რომელიც ჭოროხს უერთდება ართვინთან, ართვინის მაღლა, ლიგანის პროვინციასთან. შესაძლოა ბერთაწყალი იგივე ლიგანის ხევია, მოხსენებული ქართულ წყაროებში. ჩვენთვის ეს იმითაა საინტერესო, რომ ლიგანი და გლავკი ეტიმოლოგიურად ერთმანეთის მსგავსია. ფასისზე მდებარეობდა სანაოსნო ქალაქი სარაპანა 37500 ნაბიჯზე ზღვიდან, ჩვენი აზრით, ეს იყო ქალაქი ართვინი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ვეიდენბაუმის ცნობით არდაჰან-ბათუმის შემაერთებელ გზაზე უღელტეხილთან გზა კანლისუს ხეობით ეშვება ველზე. თანამედროვე რუკების მიხედვით არტანუჯ-არტაანის შემაერთებელ გზაზე, არსიანის უღელტეხილთან ამჟამადაც არსებობენ პუნქტები, კანდრიდი, ასევე სოფელი ქინძოტამალი და იქვე ქინძის ციხე. შეუძლებელია კანდრიდის, ქინძოტამალის, ქინძისციხის და ვეიდენბაუმის მიერ ნახსენები კანლი-სუს ფუძეებმა ეტიმოლოგიურად არ მოგვაგონოს ძველი ავტორების მიერ ნახსენები სკანდა (სკანდა - ქინძოტამალი - კანდრიდი - ქინძის ციხე - კანლი-სუ). ყველა აღნიშნული სიტყვების საერთო ძირია კანდ. - ქინძ- -კან. ორივე სიტყვაში საერთო ძირი, როგორც აღინიშნა, არის კანდა. ასე, რომ ჩვენ, სკანდა, სარაპანა და ყვირილა შეიძლება მოვძებნოთ საქართველოს სხვა რეგიონებშიც. ჩვენ შემთხვევაში ჭოროხის ხეობაში. თუმცა, იგივე მსგავსი სახელები ჩვენ გურიაშიც გვხვდე-

ბა. მაგ. მდინარე ყვირილა სურების ხეობაში, იქვეა ასკანა, ხოლო შორაპანი ოზურგეთს ერქვა მე-15-16 საუკუნეებში. პროკოფის მიერ აღწერილი ლაზიკა ჩვენ მხოლოდ ყაზბეგის, ვეიდენბაუმისა და სხვა მკვლევართა მიერ აღწერილ ლაზისტა-ლიგან-არტანუჯს მოგვაგონებს, თავისი კლდიანობით და მასზე გამავალი საერთაშორისო-სავაჭრო გზის უამრავი ხიდებით.

ე. ვეიდენბაუმი, ისევე, როგორც გ. ყაზბეგი, ხაზგასმით აღნიშნავს ბათუმ-ართვინ-არტაან-ყარსის გზის დიდ საერთაშორისო სავაჭრო მნიშვნელობას. მაგ. აღნიშნავს, რომ ართვინის მოსახლეობა მისდევდა საგარეო ვაჭრობას. უცხოეთიდან შემოჰქონდათ საქონელი ბათუმის ნავსადგურში, იქიდან კი ნავებით ჭოროხის გზით შეჰქონდათ ართვინში. შემდეგ კი არდაგანსა და ყარსში ეს საქონელი გადაჰქონდათ სატვირთო ცხენებითა და ჯორებით: „ართვინელი სომხები ძირითადად საგარეო ვაჭრობას მისდევენ, მათ მოჰქონდათ საზღვარგარეთიდან და კონსტანტინოპოლიდან სხვადასხვა სახის უცხოური საქონელი, ბათუმიდან ნავებით გადაჰქონდათ ართვინში და შემდეგ საპალნით - არდაგანში, ყარსში და სხვა ადგილებში“ (ე. ვეიდენბაუმი 2005. გვ. 68). კერძოდ ვეიდენბაუმის ცნობით ართვინელ ვაჭრებს ერთი მხრივ შეჰქონდათ არტაანსა და ყარსში უცხოური საქონელი, მაგრამ სამაგიეროდ იქედან „გამოჰქონდათ პური და მდინარე ჭოროხით აცურებდნენ ბათუმში“ (გვ. 69). ამ ფაქტის გამო საერთაშორისო ვაჭრობის გაუმჯობესების მიზნით ვეიდენბაუმი ურჩევდა მთავრობას გაეკეთებინა გზა თურქეთის გზატკეცილიდან ართვინის ხიდამდე, სადაც იყო მდინარე ჭოროხის ნავმისადგომი: „ეჭვიც კი არ მეპარება - წერდა ის, რომ ყარსიდან ბათუმამდე გზატკეცილის საბოლოო გაყვანის შემდეგაც საქონლის გადაზიდვა ნავებით ჭოროხზე არათუ შეწყდება, პირიქით, გაიზრდება. აქედან გამომდინარე გზატკეცილიდან მდინარისაკენ დაღმართის გაყვანა მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია სავაჭრო მიმოსვლის გაზრდისათვის. რა კარგიც არ უნდა იყოს გზატკეცილი, ისეთი საქონლის მიწოდება, როგორიცაა ხორბალი, ქერი და ა.შ. მოსახერხებელი იქნება ნავებით, ვიდრე ოთხთვალათი. ამბობენ, რომ ყარსის ოლქს საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის პურის მოცემა შეუძლია. თუ უნდათ ამ პროდუქტის გატანა, გზა ართვინის ნავსადგურამდე აუცილებელია, რადგანაც ჭოროხით გადაზიდვა გაცილებით მომგებიანია დროისა და მიწოდების ღირებულების თვალსაზრისით“ (იქვე, გვ. 69).

ხორბლის გარდა ართვინიდან ბათუმში ჭოროხის სამდინარო გზით ნავებით გადაჰქონდათ 30 ტონამდე ზეთის ხილი (იქვე, გვ. 70).

ჭოროხის საერთაშორისო გზა ართვინს არტაანთან აერთებდა X საუკუნეშიც, რამაც ააყვავა არტანუჯი. ეს გზა VI ს-ში ლაზიკას, ანუ ჭოროხის ხეობის ზღვისპირეთს, იბერიის (არტაანის) გავლით სპარსეთთან აერთებდა.

2. „გზა ქართლისა“

ბასიანის ომის შემდეგ უკანდახეულ ქართულ ჯარს იმპერატორი ბასილი ბულგართმმუსვრელი გაჰყვა ოლთისის გზით, რომელიც არტაანის გავლის შემდეგ შევიდა ჯავახეთში. ეს მარშრუტი საუკუნეთა მანძილზე უცვლელი იყო. ამ გზას ერქვა კიდეც თავისი სახელი – „ქართლის გზა“, გურჯი-ბოდაზის (ანუ ქართლის ყელის უღელტეხილის გავლის შემდეგ გზა შედიოდა ბასიანში, აქედან ტაოში) და არტაანის გავლით საქართველოს კუთხეებში.

იმავე გზას აღწერენ ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეები: 1520 წლის ოსმალურ „დოკუმენტში ფიქსირებულია ძირითადი სამარშრუტო გზა კარაამიდიდან ახალციხემდე... ბინგოლი (1000 ტბა) – ბასიანი – ავნიქის ციხის მარცხნივ – ჩომანის ხიდი... ტაო – შექერლი – მამირვანი – ოლთისი, ბანა (ფანაკი) – ყალნუს მთა – არტაანი – მგელციხე – თმოგვი – აწყური – ახალციხე“ (თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისთვის, 1983, გვ. 30).

მოკლედ, ეს გზა, ანუ „ძირითადი სამარშრუტო გზა“ ასეთია: ბასიანი – ტაო – ოლთისი – ბანა – არტაანი, მას დოკუმენტის მთარგმნელი ც. აბულაძე უწოდებს არზრუმ-ტაოს გზას, ანუ ესაა, მისი აზრით, „ჯუანშერთან მოხსენიებული „გზა ქართლისა“. ვახუშტის „საქართველოს ყელი“ არის იგივე გურჯი-ბოდაზი; მეორე გზა გადის არტაანიდან მარცხნივ არტანუჯის გავლით მდინარე ჭოროხის გაყოლებით აჭარისა და მურღულის ტერტორიამდე (იქვე, გვ. 32).

აღნიშნული მეორე არზრუმ-არტაან-არტანუჯის გზით უნდა შესულიყო ხოსრო პეტრაში, ანუ თეოდოსიოპოლი-არტაანი-პეტრას გზით, რადგან ნ. ადონცის ცნობით, ხოსრომ პეტრასკენ ლაშქრობისას თეოდოპოლისი გაიარა.

პროკოფი კესარიელის ცნობით, ლაზიკაში უხვად ბალახიც კი არ მოდიოდა და უბალახობის გამო ცხენები დაიხოცა, მაგრამ იქვე, არსიანის ქედის გადაღმა, „არტაანის დაბლობი“ უმშვენიერესი ადგილია საქართველოში. თმოგვის ციხემდე არის 300 სოფელი, მინდვრები ბალახიანი, წყლიანი, სათიბი ვაკე ადგილებია“ (თურქული წყაროები, 1983, გვ. 55).

იმპერატორ ბასილი ბულგართმმუსვრელის გზა

საქართველოს მეფე გიორგი I-ის მეფობის მეშვიდე წელს „გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთა... გიორგი მეფე განვიდა სპითა დიდითა წინააღდგომად მისსა და დაიბანაკეს ორთავე ქვეყანასა ბასიანისასა... მოირიდა გიორგი მეფემან, მოვიდა და დაწვა ქალაქი ოლთისი და მუნით მოვიდა კოლას... იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა, რომელსა ჰქვიან შირიმნი... მოუწია ლაშქარმან არტანს... წარვიდა გიორგი მეფე თრიალეთს, წარმოუდგა უკანა, ასწყვიდა ქვეყანა ჯავახეთისა და გარდავიდა თრიალეთს... შეიქცა ბასილი მეფე თრიალეთით, უკუმოიარა ჯავახეთი და არტანი... წარვიდა და დაიზამთრა ქვეყანასა ხალდიისასა, მახლობელად ქალაქსა ტრაპიზონთასა“ (ქ.ც., I, გვ. 285).

მაშასადამე, კეისრის გზა ასეთია:

ბასიანი-ოლთისი-კოლა-არტანი-ჯავახეთი-თრიალეთი, უკან მას გამოუვლია ჯავახეთი-არტანი-ხალდია-ტრაპიზონი.

კეისარმა გაიარა ცნობილი ძირითადი სამარშრუტო გზით, რომელსაც ჯუანშერი „ქართლის გზას“ უწოდებს – ბასიანი-ტაო-არტანი-ჯავახეთი, უკანა გზა კი ოდნავ განსხვავდება, ის უკან დაბრუნებისას ამავე გზით შესულა არტაანში, იქიდან კი შავშეთის გზით შევიდოდა „ხალდეაში“ – ჭანეთში.

ჰერაკლეს „ქართლის გზა“

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ჰერაკლეს მარშრუტი სპარსეთში ლაშქრობისას ასეთი იყო:

ტრაპეზუნტი-ერუშეთი-მანგლისი-თბილისი და პირიქით, თბილისი-მანგლისი-ერუშეთი-ტრაპეზუნტი.

სპარსეთიდან კონსტანტინოპოლში ამ გზით გადაასვენეს ჯვარი და ასევე მისი ნაწილები – მანგლისსა და ერუშეთში დაცული.

3. იბერია - სპარსეთ - ბიზანტიის გზაზე

ტაოს, არზრუმს, ბასიანსა და ქართველებით დასახლებულ ქვეყნებს ბიზანტიელთა ჯარები პირადად იმპერატორ ბასილ ბულგართმმუსვრელის მეთაურობით ებრძოდნენ. შემდგომში აქ იმპერატორები კონსტანტინე, რომანოსი და სხვები შემოიჭრნენ. ბიზანტიელები ებრძოდნენ საქართველოს სახელმწიფო მეთაურებს, მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო გიორგი I - გაერთიანებული საქართველოს მეფე.

ბასილს, მემატიანეთა ცნობით, მართალია ძალზე დიდი ჯარი ჰყავდა წამოყვანილი, მაგრამ ერჩია მოლაპარაკების გზით საკითხის გადაჭრა, კერძოდ, რა სურდა იმპერატორს? მისი სურვილი კარგად აქვს გადმოცემული მემატიანეს - ბასილი ასე მიმართავს გიორგი I-ს: „ნუ გადამეღობები სპარსეთისაკენ მიმავალ გზაზე“. არისტაკეს ლასტივერტეცი ასე წერს ამის შესახებ - „ბასილმა ელჩები გააგზავნა გიორგისთან და ტკბილი სიტყვებით მიწერა, რომ „ის, რაც არ არის შენი სამამულო მემკვიდრეობა, დათმე და მშვიდობით იცხოვრე შენ წილში და ნუ გადამეღობები გზაზე, რომელიც სპარსეთისაკენ მიდისო“ (ა. ლასტივერტეცი, ისტორია, 1974, გვ. 51).

„ქართველთა სამეფოში“ აღმოჩნდა ის საერთაშორისო პირველხარისხოვანი გზა, რომელიც ტრაპეზუნტს აერთებდა სპარსეთთან არზრუმისა და ვანის ტბის სანახების გავლით. ამ გზაზე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი ვალაშკერტი იყო, თავისი ქართული მოსახლეობით. მიმოწერიდან, ჩანს, რომ ბიზანტია აპირებდა სპარსეთისაკენ მიმავალი ტრაპეზუნტ-ვალაშკერტის გზის გაკონტროლებას თავისი სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად, მაგრამ გზის დიდი ნაწილი გიორგი I-ის ხელში იყო, ამით ის „გზაზე ეღობებოდა“ სპარსეთისაკენ მოლაშქრე იმპერატორს.

საეპისკოპოსოები
ტრაპეზუნტ-თეოდოსიოპოლისის ანუ ტრაპიზონ - ერზრუმის გზაზე

ბიზანტიის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან ახლოს მდებარეობდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეგიონი, რომლის განვითარებასაც იმპერატორები აქცევდნენ საგანგებო ყურადღებას. მაგალითად, იმპერატორი იუსტინიანე, რომელმაც აქ, პროკოფი კესარიელის ცნობით, მნიშვნელოვანი მშენებლობები აწარმოა. ეს რეგიონი მდებარეობდა ტრაპეზუნტის სამხრეთ-აღმოსავლეთით და მასზე გადიოდა იმპერიისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ტრაპეზუნტ-თეოდოსიოპოლისის ანუ ტრაპიზონ-ერზრუმის შემაერთებელი გზა. ეს გზა ამჟამადაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში. მასზე მდებარეობს ქალაქი გუმუშხანე. ძველად ამ გზისპირა ეკონომიკურ რეგიონში არსებობდა მრავალი ქალაქი და, შესაბამისად, მრავალი საეპისკოპოსო – კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ. სომხური დასახელებების მიხედვით, მათ ერქვათ – ლერიონი, შარიანი, გაილი, კერჩანისი, ხახი, ბიზანა, ხორძენე და სხვა. ამ გზასთან ახლოს იყო პაიპერტის (ბაიბერდის) და სხვა საეპისკოპოსოები. ერთ დროს ისინი ქმნიდნენ „ფასიანის სამიტროპოლიტოს“ (რადგანაც ფასიანი ერქვა ვრცელ ქვეყანას – ბაიბერდიდან და თეოდოსიოპოლისიდან ვიდრე თითქმის მანასკერტამდე და ხლათამდე (ანუ მდინარე ჭოროხის, ევფრატისა და არაქსის სათავეების მომცველ მხარეს – ისინი ერთ რეგიონში მდებარე მთათა სისტემიდან გამოედინებიან).

ამ გზაზე – თანამედროვე გიუმიშხანესთან ახლოს ძველად, ადონცის ცნობით, მდებარეობდა ზიგანას ცნობილი საეპისკოპოსო. იმავე ცნობით აქვე ყოფილა როდოპოლისის,

საისინისა და პეტრას საეპისკოპოსოები. რაც შეეხება ფასიანის სამიტროპოლიტოს ჩამოთვლილ საეპისკოპოსოებს, მათი ადგილმდებარეობა დადგენილი და მოცემულია რუკაზე „სომეხ-ქალკედონიტთა კათედრები“, რომელიც თან ერთვის სტატიას „სომეხი-ქალკედონიტები“ წიგნში „პრავოსლავნაია ენციკლოპედია, ტ. III, გვ. 328).

ნოტიციების ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრების ნუსხების მიხედვით ეს საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ „ლაზიკის ქვეყანაში“.

ჰერაკლე კეისრის გზა
(ი. მანანდიანის მარშრუტი)

ჰერაკლე კეისრის მარშრუტი სპარსეთში ლაშქრობისას ი. მანანდიანის აზრით ასეთია: „სომხურ გეოგრაფიაში“ ჭანიკი (ე.ი. ჭანების, ანუ, რაც იგივეა, ლაზების ქვეყანა ტრაპეზუნტის ოლქში მდებარე), იყო ეგერია-კოლხიდის შემადგენელი ნაწილი, ამიტომაც ის „ეგერია-ლაზიკა“, საიდანაც ჰერაკლე შევიდა თბილისში, იყო არა დასავლეთ საქართველო, არამედ „ლაზების მიწა ტრაპეზუნტის ოლქში“ (დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 338).

ი. მანანდიანის აზრით, ჰერაკლეს მარშრუტი ასეთი იყო: ტრაპეზუნტი – ერზინგიანი – ბიზანა (ევფრატზე) – კარინი – ვანანდი – შირაკი – თბილისი.

ჰერაკლე კეისრის გზა
(ვ. გოილაძის მარშრუტი)

ვ. გოილაძის აზრით, ჰერაკლე კეისარი ტრაპეზუნტიდან თბილისში შევიდა ე.წ. „რანის გზით“, რომელიც ქართლს აკავშირებდა ბიზანტიასთან.

„627 წ. ზაფხულში ჰერაკლე ტრაპეზუნტიდან ზიგანის უღელტეხილით ჯერ სატალაში, შემდეგ თეოდოსიოპოლში (კარნუ-ქალაქი) მოვიდოდა, იქიდან კი ძველი „დიდი სამეფო გზის“ შემადგენელი „რანის გზით“ ქართლში შემოვიდოდა“ (ვ. გოილაძე, აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა, გვ. 61). მაშასადამე, მისი აზრითაც ეგერია არის ტრაპეზუნტის მხარე.

აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი
სავაჭრო გზა

სარაპანას, სკანდას, ფასისის და საერთოდ ლაზიკის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ძიება იმ სავაჭრო საერთაშორისო გზისა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩვენს შემთხვევაში ბიზანტიასა და სპარსეთს.

დადგენილია, რომ ბიზანტია-სპარსეთის დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმთავრესი გზა ტრაპეზუნტიდან თეოდოსიოპოლისის და დვინის გავლით უერთდებოდა ჯერ ვანის ტბის მიმდებარე ქალაქებს, შემდეგ კი სპარსეთს და მიმდებარე ქვეყნებს. ამ გზათა შორის არასოდეს მოიაზრება წყაროებში თანამედროვე ფოთი – სურამი – თბილისის გზა. შავ ზღვას თბილისი ძირითადად ორი - თრიალეთ-კლარჯეთისა და სომხეთ-ტრაპეზუნტის გზით უკავშირდებოდა. როგორც წესი აღმოსავლეთ-დასავლეთის გზა ტრაპეზუნტის რეგიონში იწყებოდა. მისი ერთ-ერთი შუალედური სავაჭრო ქალაქები იყო დვინი, ურჰა, ნახჭევანი, თავრიზი. სავაჭრო გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო ედესა-ურჰა. სახელდობრ იგი წარმოადგენდა ქალაქ დვინის ხუთ მთავარ გზათაგან ორი გზის

პუნქტს. ერთი გზა სამხრეთ-დასავლეთით დვინიდან ურჰაში, დამასკოში და იერუსალიმში მიემართებოდა, მეორე გზა დვინიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ნახიჭევანში და თავრიზში, – წერს ა. ცაგარეიშვილი (არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია 1974, გვ. 167).

დვინი ერთმანეთთან აკავშირებდა არა მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთს, არამედ საქართველოსა და ალბანეთსაც რთავდა საერთაშორისო აღებ-მიცემობის ქსელში. დვინიდან ერთი გზა არტაან-არტანუჯის გავლით ჭოროხის ხეობით ზღვას უკავშირდებოდა.

V-XI საუკუნეებში დვინი ჯერ სომხეთის დედაქალაქი იყო, შემდეგ კი უმსხვილესი ცენტრი. ძლიერების ხანაში მასში ასი ათასამდე მოსახლე ცხოვრობდა.

აღმოსავლეთის დასავლეთთან დამაკავშირებელი სავაჭრო გზის არანაკლები მნიშვნელობის ცენტრი იყო ქალაქი თეოდოსიოპოლი მაღალმთიანი სომხეთის კარინის გავარში. 387 წლიდან სომხეთის რომაულ ნაწილში მოექცა, განაახლა იმპერატორმა თეოდოსი მცირემ (408-450), იუსტინიანე კეისარმა ქალაქში ააგო თავდაცვითი ნაგებობები. XI საუკუნიდან ეწოდა ერზრუმი. თეოდოსიოპოლი სპარსეთ-ბიზანტიის შემდეგ არაბთა სახალიფოსა და ბიზანტიის საზღვარზე იყო.

აღსანიშნავია, რომ კარინის ანუ თეოდოსიოპოლის მიწა-წყალი თავდაპირველად ისტორიულ იბერიაში შედიოდა. ცნობილი მიტაცების შემდეგ, რაც იბერიას სომხეთმა უვრცელესი ტერიტორიები ჩამოაჭრა (ხორზენე, გოგარენა და პარიადრის კალთები) - კარინიც სომხეთის შემადგენლობაში მოექცა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარინის ოლქის (გავარის) მკვიდრი მოსახლეობა ე.ი. ქართველები სწრაფად ასიმილირდნენ სომხებად. IX-X საუკუნეების აღწერებიდან ჩანს, რომ თეოდოსიოპოლის და მისი გარშემო სოფლების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველები იყვნენ. როგორც ითქვა „კარინის გავარი თავისი მომიჯნავე ტერიტორიით დიდ სომხეთს პირველად შეუერთა არტაშეს I-მა (189-160)“ (იქვე, გვ. 164). კარინში (თეოდოსიოპოლში) გამავალ საერთაშორისო გზაზე მდებარეობდა ლაზიკის საეპისკოპოსოები - ზიგანასი, საისინისა და პაიპერტისა (ბაბერდისა). ბაბერდში (ბაიბურდი) შემავალი გზა ტრაპიზონიდან სპარსეთისკენ მიემართებოდა.

4. ვანი-ქუთაისის შემოვლითი გზა

დასავლეთ საქართველოს ისეთი ორი უმთავრესი რეგიონი, როგორიცაა სამეგრელო და გურია ამჟამადაც კი, ფაქტობრივად, ერთმანეთს უშუალოდ ვერ ემეზობლებიან. აქ იგულისხმება ის, რომ პირდაპირი გზა, ვთქვათ სენაკიდან ოზურგეთამდე წარსულში არასოდეს არსებულა, რადგანაც სამეგრელოსა და გურიას ერთმანეთისაგან ჰყოფს უზარმაზარი ჭაობი გაწოლილი რიონის ხეობაში. ძველად, ვთქვათ, ჭყონდიდიდან შემოქმედში მიმავალ ადამიანს ჯერ უნდა გაევლო ქვემო იმერეთი, ანუ სამტრედია-ქუთაის-ვანის რეგიონი და შორი, შემოვლითი გზით უნდა მისულიყო გურიის ცენტრში. რაიონის უზარმაზარი ჭაობი დასავლეთ საქართველოს ბუნებრივად ჰყოფდა ორ რეგიონად - ერთი იყო აფხაზეთისაკენ მიმართული ეგრის-იმერეთის მთისწინეთი, მეორე კი იყო აჭარისკენ მიმართული იმერეთ-გურიის მთისწინეთი.

უნდა ითქვას, რომ სამეგრელოსა და გურიას შორის განფენილმა უზარმაზარმა ჭაობმა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე სახე შეიცვალა, აქ გაიყვანეს არხები, ნაწილობრივ დააშრეს, გაიყვანეს გზა ფოთამდე და ბოლო წლებში ფოთი-გრიგოლეთის გზაც, მაგრამ, ამის მიუხედავად, მგზავრი მაინც იძულებულია, სენაკიდან - ოზურგეთში ანუ სამეგრელო-

დან - გურიაში იმერეთის გავლით იმოგზაუროს. ესაა გეოგრაფიული გარემოს რეალობა, რომელსაც, ვფიქრობთ, თბილისელი ისტორიკოსები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ და პროკოფისეულ ლაზიკას ერთიან მჭიდრო ეკონომიკურ რეგიონად წარმოადგენენ, რომელიც თითქოსდა მოიცავდა დასავლეთ საქართველოს. უნდა ითქვას, რომ ქართულ წყაროებს ეს გეოგრაფიული რეალობა უფრო აქვთ გათვალისწინებული, ამიტომაც ჩვენი წყაროების მიხედვით თანამედროვე იმერეთი - ყოველთვის ქართლის სამეფოს ნაწილადაა წარმოდგენილი. ასევე მისი ბუნებრივი გეოგრაფიული გაგრძელება, აფხაზეთ-სამეგრელოს მთისწინეთი, ქართლის სამეფოს ნაწილადაა წარმოდგენილი, ვიდრე მდინარე ეგრისწყლამდე ანდა მდინარე კლისურამდე.

ქართულ წყაროებში რიონის უზარმაზარ ჭაობებს ანგარიშს უწევდნენ, ამიტომაც იმერეთ-გურიის მთისწინეთი - აჭარისაკენ მიმართული ქართლის სამეფოს სხვა გეოეკონომიკურ ერთეულად მოიაზრება თავისი საერისთავოებით.

როგორც ვთქვით დასავლეთ საქართველოს გული რიონის დაბლობის დაჭაობების გამო არ შეიძლება წარმოვადგინოთ ეკონომიკურ ცენტრად. დასავლეთ საქართველოს დაბლობი, რომელსაც ამჟამად „კოლხეთის დაბლობს“ უწოდებენ არასოდეს იძლეოდა წინაპირობას იმისათვის, რომ იქ ქალაქები ანდა საქალაქო ცხოვრება წარმოქმნილიყო. ამ მიზეზის გამო აქ არ უნდა ვეძიოთ ქალაქები ფასისი და როდოპოლისი და ასევე სხვა საქალაქო ცხოვრების ცენტრები.

ჩვენი მეცნიერების ნაწილი კი ისე წარმოადგენს საქმეს, თითქოსდა რიონის დაჭაობებული დაბლობი იყო ძველი კოლხეთის ცენტრი, მისი ეკონომიკური გული, რომელიც პერიფერიებსაც ასაზრდოებდა. სინამდვილეში დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო გული არასოდეს ყოფილა ტერიტორია სამტრედიიდან - ფოთამდე და უფრო აქით. „ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქების“ მიმოხილვის დროს მკვლევარი ისე წარმოადგენს, თითქოსდა დასავლეთ საქართველოს ეს ნაწილი ბრინჯაოს კულტურის აყვავების ცენტრი იყო, სინამდვილეში კი, არქეოლოგთა მიერ ფაქტობრივად არაფერი არ იქნა მოპოვებული რიონის დაბლობში, მაშინ, როცა ცნობილი ე.წ. კოლხური მეტალურგიის მძლავრი კერები განლაგებულნი იყვნენ ჭოროხის ხეობაში (გ. გობეჯიშვილი, ო. ჯაფარიძე, გვიანბრინჯაოს ძეგლები, საქართველოს არქეოლოგია, 1969, გვ. 129).

ბრინჯაოს მეტალურგიული კერების არსებობა დასტურდება მთის რაჭაში და ლეჩხუმში (იქვე, გვ. 41) და არა რიონის დაბლობში. ასეთი კერების არსებობა ივარაუდება აფხაზეთშიც (იქვე, გვ. 142-146). ეს კერები, ერთმანეთისაგან ძალზე დაშორებულნი ერთ ეკონომიკურ რეგიონს - ქვეყანას არ ქმნიდნენ. ისინი უფრო იბერიის ნაწილები იყვნენ, ვანი და ქუთაისი რეალურად იდგნენ სავაჭრო გზაზე რიონის შესართავის დაჭაობების გამო.

5. ხიდები

„XI-XII საუკუნეების ქართული ხიდები (დონდალო, რკონი, ბესლეთი, არტანუჯი და ა.შ.) სატრანსპორტო სისტემის საკვანძო ელემენტებს წარმოადგენდნენ, ხიდების სავალი ნაწილის სიგანე 2-5 მეტრში მერყეობდა (ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 246).

ქართული ხიდებიდან ყველაზე განიერი ბესლეთის ხიდია, რომლის სავალი ნაწილის სიგანე 4,7 მეტრს შეადგენს, ყველაზე ვიწრო კი მდ. თეძამზე რკონის ხიდი, სავალი ნაწილის სიგანე 2,2 მეტრია.

„დავით აღმაშენებელმა ხიდნი აღაშენა მდინარეთა სასტიკთა ზედა“ (ქ.ც. I, 353).

ჭოროხის ხეობაში შესანიშნავი და მტკიცე ხიდი იყო აგებული (იდგა XIX ს-შიც) მდ. არტანუჯზე. ეს ძველი თაღოვანი ქართული ხიდი ასეც იწოდებოდა – „არტანუჯის ხიდი“. მისი ჩანახატი გააკეთა გრაფინია უვაროვამ. ხიდს XI-XII სს-ით ათარიღებენ.

შესანიშნავი ხიდი ამჟამად დგას მდ. დონდალოზე. „დონდალოს ხიდიც“ XI-XII სს-ით თარიღდება. არტანუჯის ხიდი, როგორც მისი ჩანახატიდან ჩანს, დონდალოს ხიდზე უფრო გრძელია. ჩანახატის მიხედვით მისი სიგრძე უნდა იყოს 20-30 მეტრი ან ცოტა მეტი. (ს. მარგიშვილი მითები და რეალობა აღმაშენებლის მეფობის შესახებ, 2006, გვ. 83).

ქართული ენციკლოპედია წერს: „სსრკ-ს ტერიტორიაზე პირველი ქვის ხიდები აშენდა საქართველოში, სომხეთსა და შუა აზიაში ძვ.წ. სხვადასხვა პერიოდში. სტრაბონის ცნობით, (I ს.), მდ. რიონზე 120 ხიდი ყოფილა. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ XI-XII სს ქვის ხიდებმა (მაგ. ხიდი მდ. ბესლეთზე სოხუმთან, მდ. თეძამზე რკონთან, 2 ხიდი მდ. აჭარისწყალზე). ამ ხიდების ღირშესანიშნაობაა დამრეცი თაღებით შედარებით დიდი მალების (13-20მ) გადახურვა (ქსე,11.გვ. 479). მიუხედავად იმისა, რომ მდ. რიონზე არა გვაქვს ქვის ხიდების არცერთი ძველი ნაშთი, მაინც მიიჩნევა, რომ ძველად რიონზე 120 ხიდი იყო გადებული, რაც არქეოლოგიურად დაუსაბუთებელი მტკიცებაა.

ლაზიკის ქვის ხიდები ვეიდენბაუმის მიხედვით

პროკოფი კესარიელი სტრაბონის მსგავსად მიუთითებს ფასისის აუზში ხიდების სიმრავლის შესახებ. როგორ გახდა ხიდების აგება ფასისზე შესაძლებელი? როგორც ცნობილია ძნელია რიონის ვაკეზე ხიდების აგება. მიზეზი ისაა, რომ ჯერ ერთი რიონი ძალზე ხშირად იცვლიდა კალაპოტს, ამასთანავე ჭაობიანობის გამო გრუნტის ნაცვლად ხრეშის და ტორფის ათეულმეტრიანი ფენებია დალაგებული ნიადაგის ქვეშ. რა თქმა უნდა საგანგებო ტექნიკის გარეშე რიონზე ხიდების აგება შეუძლებელი იყო. ძველი ხიდების არც ერთი ნაშთი არაა ნაპოვნი რიონის ვაკეზე, რადგანაც ისინი უბრალოდ არ არსებობდნენ.

რაც შეეხება ჭოროხის ხეობას, აქ მდინარეებს, თითქმის ზღვამდე, აქვთ მაღალი კალაპოტები, კლდეთა შუა მიედინებიან, კლდეებზე კი ადვილია ხიდის ბურჯების აგება. ვეიდენბაუმი წერს - „ჭოროხი მიედინება ისეთ ვიწროებში, რომ თავის გარშემო არ ტოვებს საკმაო ადგილს დასახლებისათვის. მისი ნაპირები ციცაბოა, ფლატეებიანი და არახელსაყრელია კულტურების მოსაყვანად“ (ე. ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, გვ. 63).

ყოველ შემთხვევაში, ხიდების აგება ჭოროხზე გაცილებით უფრო შესაძლებელია, ვიდრე რიონის ვაკეზე. მართლაც, ვეიდენბაუმმა უამრავი ძველი ხიდის ნაშთი ნახა და აღწერა - მაგალითად, ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავთან (იქვე, გვ. 48). მაჭახლისწყალზე (იქვე, გვ. 49), მარადიდთან და ხებასთან (გვ. 50), დევის წყლის შენაკადზე, ართვინის მახლობლად, რომელზეც წერს - „გავედით ერთთაღიან ქვის ხიდზე, რომელიც რიყის ქვით იყო მოკირწყლული, ხიდი ვიწროა, ალბათ, გაანგარიშებულია მხოლოდ ფეხით მოსიარულეთა და ცხენოსნებისათვის“ (ე. ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, გვ. 60). ასევე ერთთაღიანი ქვის ხიდი ნახა, როგორც აღვნიშნეთ, სოფ. ხებასთან. ხიდის ნაშთი ნახა მურღულის წყლის ჭოროხთან შესართავთან - „მარცხენა ნაპირისაკენ გადარჩენილია ერთი თაღი და ქვის ორი ბურჯი“ (იქვე, გვ. 62). ახალი ხიდებიც ნახა მან - სოფ. ირსასთან - „აშენებული ქვის ხიდები, ციცაბო ადგილზე, სადაც გზა გარს უვლის კლდეებს“ (იქვე, გვ.

64). ართვინის სიახლოვეს „უნდა ჩავსულიყავით 2000 ფუტი სიმაღლიდან ჭოროხზე გადებულ ხიდამდე და იქედან ისევ უნდა ავსულიყავით 1500 ფუტ სიმაღლეზე“ (იქვე, გვ. 65, ფუტი უდრიდა 0,3048 მეტრს). თვითონ ართვინში იყო „ლამაზი ერთთაღიანი ხიდი“ (იქვე, გვ. 66). შესაძლოა სხვა იყო „ართვინის ხიდი“ - „იგი გადაჭიმულია ჭოროხზე ერთი თაღით კლდიდან კლდეზე. აგებულია უხეშად ნათალი ქვებისგან და მოკირწყლულია ფილაქნებით. მისი სიგანე გაანგარიშებულია მხოლოდ ფეხით მოსიარულეთა და ცხენოს-ნებისათვის“ (იქვე, გვ. 71). ეს ხიდი, მისი აზრით, მრავალსაკუნოვანია.

ვეიდენბაუმმა ნახა ჭოროხის შენაკადებზე ერთმანეთთან ახლო მდებარე ქვის ხიდები, ანუ ერთმანეთთან ძალზე ახლოს მდგომი ქვის ხიდები, რამაც აფიქრებინა, რომ არა მხოლოდ ჭოროხის მარჯვენა, არამედ მარცხენა სანაპიროზეც არსებობდა გზები და მათზე „გაცხოველებული ვაჭრობა უნდა ყოფილიყო, თუკი საჭირო გამხდარა ორი ხიდის აშენება“ (იქვე, გვ. 75).

ერთი სიტყვით სტრაბონის მიერ აღწერილი, ფასისზე აგებული 120 ხიდის ნაშთი ჯერ კიდევ არსებობდა ვეიდენბაუმის დროს ჭოროხზე. ხოლო რიონზე – მის ვაკეზე, შეუძლე-ბელი იყო და ვერც ააგებდნენ არათუ ქვის ხიდებს, არამედ ხის უბრალო ნაგებობებსაც კი, ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად. ჭოროხის კლდიანი ნაპირები კი ამის საშუ-ალებას იძლეოდა.

ნაწილი II

თავი IV

ლაზიკა-კლარჯეთი

ლაზიკის გეოგრაფიული აღწერა

პროკოფის მიხედვით ლაზიკა – კლდოვანი ქვეყანაა, უზარმაზარი მთებით და კლდეებით დაფარული მხარე, რომლის უმეტეს ნაწილზე მთიანობისა და კლდიანობის გამო არ მოდიოდა ისეთი მოსავალი, როგორიცაა ხორბალი და ღვინო, მხოლოდ ერთი შედარებით ნაყოფიერი მხარე ჰქონდა ლაზიკას – მოხირისი, დანარჩენი კი მთიან-კლდოვანი იყო. კერძოდ, **ლაზიკის კლდოვანი სანაპიროები აფერხებდნენ ზღვის მდინარებას, ლაზიკის კლდეები ქმნიდნენ ზღვისათვის ბუნებრივ დაბრკოლებას – ასე აღწერს პროკოფი.** ამ ნიშნის მიხედვით ლაზიკა არ არის რიონის დაბლობი, მითუმეტეს ვაკე ტერიტორია ფოთიდან ქუთაისამდე. თუ ფაზისად მივიჩნევთ ჭოროხს, მაშინ ლაზიკა არის არა დასავლეთ საქართველო, არამედ ერგელიგან-კლარჯეთი. გეოგრაფიული აღწერით ლაზიკა გაცილებით უფროა ლიგან-კლარჯეთი ვიდრე დასავლეთ საქართველო.

კლარჯეთის აღწერა, რომელიც ეკუთვნის ქართველ წმიდა მამებს ეთანადება პროკოფისეულ ლაზიკის აღწერას. კერძოდ, წმიდა მამების ცნობით კლარჯეთი იმდენად მთიან-კლდოვანი ქვეყანა იყო, რომ აქ თითქმის არ მოდიოდა მოსავალი. მხოლოდ მხალეულით, მხოლოდ სუფთა წყლებით და ჰაერით იყო ჯანსაღი ეს მხარე. ორივე აღწერა ერთნაირია.

პროკოფი კესარიელი წერს – **„ლაზიკეში არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე, ყველაფერი შემოაქვთ მათთან ნავებით რომაელთა ნაპირებიდან“** (გეორგიკა, II, გვ. 96).

„ლაზიკეში ძნელსავალი გზებია, რადგანაც ლაზიკე საერთოდ ძნელსავალია და მთლიანად კლდიანი... დაქანებული და კლდიანი ადგილებით“ (გეორგიკა, II, გვ. 224-225).

„ლაზიკე საკმაოდ ძნელგასავლელია მსუბუქად ჩაცმული კაცისთვისაც კი, რადგან ის ზომაზე მეტად დაქანებულია და ხშირად უზარმაზარი ტყეების შემცველი დიდ მანძილზე“ (გეორგიკა, II, გვ. 81).

„ლაზიკეში მიწა ყოველგნით ზღვიდანაა წამოჩრილი და მის დენას აფერხებს... აქ ზღვა თავის ნაპირებს ეხეთქება, ის ვერც წინ მიიწევს და ვერც უფრო მაღლა აწევას ახერხებს, არამედ უკან იხევს და კვლავ თავის ადგილს უბრუნდება. ის იცავს თავის კუთვნილ საზღვრებს“ (გეორგიკა, II, გვ. 142).

(სულ სხვა სურათია რიონის დაბლობზე, აქ ზღვის დენას მთები ვერ აფერხებენ, ვაკე რეგიონია, თვეების მანძილზე ზღვიდან უბერავს ქარი, რომელსაც უკან მიაქვს მდინარის წყალი, რომელსაც ზღვის წყალიც უერთდება და იტბორება უზარმაზარი დაბლობი – ე.წ. „რიონის დაბლობი“).

ქართველი მეცნიერების აზრით, ლაზიკა ერქვა მიწა-წყალს შორაპანიდან რიონის შესართავამდე. ეს ტერიტორია (შორაპნიდან ზღვამდე) არის ვრცელი გაშლილი ვაკე ზღვის დონიდან 100მ სიმაღლემდე. ამასთან დაკავშირებით, ისმის კითხვა – როგორ არის ის (ე.ი. დასავლეთ საქართველო) აქ „ზომაზე მეტად დაქანებული, ანდა „კლდოვანი", ანდა სადაა აქ ზღვასთან „კლდოვანი" სანაპირო? რიონის დაბლობის ამ მონაკვეთზე უხვად მოდის სუბტროპიკული ნაყოფი. მაგრამ სულ სხვაგვარია და განსხვავებულია პროკოფისმიერი აღწერა ლაზიკისა: -**„ლაზიკე ყველგან მდინარე ფაზისის როგორც აქეთა, ისე იქითა მხარეზე, გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია, რომლებიც იქ დიდ მანძილზე „ვიწრობებს" ქმნიან, ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს" უწოდებდნენ ელინური გამოთქმით"** (გეორგიკა, II, გვ. 102).

ე.ი. ფაზისის ორივე მხარეს უზარმაზარი კლდეებია. ისინი ქმნიან ე.წ. „კლისურებს". კლისურა ერქვა ორ ქედს შუა ხეობას. ეს კლისურები კი ზღვასთან ახლოს იყო. მდ. რიონის დაბლობში – ქუთაისიდან ფოთამდე არავითარი კლდეები მდინარის სანაპიროზე, მით უმეტეს, „დიდ მანძილზე" გადაჭიმული – არ არსებობს, ამიტომ პროკოფის მიერ აღწერილი ლაზიკე არ არის რიონის ხეობა.

პროკოფის სიტყვით „**ვიწრობი**" და „**კლისურა**" იყო მდ. **ფასისის სანაპიროს – „დიდ მანძილზე" (ზღვასთან ახლოს).**

ქალაქ პეტრას უშუალო სიახლოვეს სპარსი მთავარსარდალი **„მოვიდა ვიწრობებში"**, რომელსაც იცავდა ასი რომაელი ჯარისკაცი: **„ვიწრობში შესვლის მცდელობას იგერიებდა... მათ უკან დაიხიეს და თავს უშველეს იქაური მთების მწვერვალებზე გაქცევით. როდესაც ეს გაიგო დაგისთემ (რომალეთა სარდალმა), მაშინვე მოხსნა ალყა (პეტრას ალყა მოიხსნა) და ისე გასწია მდინარე ფაზისისკენ"** (გეორგიკა, II, გვ. 110).

ე.ი. დაგისთემ პეტრას ალყა შემოარტყა, **სპარსელთა ჯარმა კი ფაზისის „ვიწროებებში", ანუ კლისურებში რომაელები დაამარცხა.** ეს რომ გაიგო დაგისთემ, მოხსნა ქალაქის ალყა და გასწია მდ. ფაზისზე თავისი 100 კაციანი რაზმის დასახმარებლად. აქედან ჩანს, რომ მდ. **ფაზისი** იმდენად **ახლოა პეტრასთან**, რომ 100-კაციანი რაზმის დასახმარებლად პეტრადან ფაზისისკენ თვით სარდალი მიემგზავრება. „კლისურები" ანუ ვიწრობი მდ. ფაზისზე ახლო იყო ზღვასთან და მთის მწვერვალებთან და ისინი ლაზიკის ომის დროს ერთობლიობაში ქმნიდნენ ერთ-ერთ საბრძოლო რაიონს. ასეთი ვიწრობები კი მხოლოდ მდ. ჭოროხზეა და არა რიონის ქვემოწელზე. დაგისთე იმპერატორმა დააპატიმრა, რადგანაც ფაზისის „ვიწროები" ანუ კლდოვანი კლისურები ვერ დაიცვა.

პროკოფის ფაზისი არის ჭოროხი და არა რიონი, რადგანაც რიონს არავითარი კლდოვანი სანაპირო არა აქვს თავის ვრცელ დაბლობში.

პროკოფის სიტყვით, ფაზისის ვიწრობების ახლოს იყო ქალაქი პეტრა – სპარსელებიო, ამბობს ის, **„თუ დაძლევდნენ რომაელებს მდ. ფასისთან და ვიწრობების გავლას, შეძლებდნენ პეტრაში მისვლას"** (გეორგიკა, II, გვ. 113).

სპარსელთა ჯარი პეტრაში მიდიოდა პერსარმენია-დვინიდან. ამის მიზეზი ყო ის, რომ პერსარმენიაში, კერძოდ კი დვინის სანახებში ისვენებდა სპარსული ჯარი ლაზიკის ომების შესვენებათა პერიოდებში. მაგალითად, პროკოფის სიტყვით, მერმეროე კოლხეთიდან გაყვანილი ჯარით **„მივიდა პერსარმენიაში და დაისვენა დვინის მახლობელ სოფელში"** (გეორგიკა, II, გვ. 115). ამ ჯარის რაოდენობა 5000 კაცი

ყოფილა. დასვენების შემდეგ **„ეს ხუთი ათასი ლაზიკის საზღვრების მახლობლად მივიდა და ყველანი დაბანაკდნენ მდ. ფაზისის გასწვრივ“** (გეორგიკა, II, 115).

თუკი ეს ხუთი ათასი ჯარი დვინიდან გაემგზავრებოდა დასავლეთ საქართველოსკენ თბილისს-სურამის გავლით, ისინი ძალზე დაიღლებოდნენ, რადგანაც დვინიდან სურამამდე ძალზე დიდი გზაა, მაგრამ დვინიდან ჭოროხის ხეობამდე გაცილებით ახლოა. საქმე ისაა, რომ კლარჯეთს დვინის სანახები თითქმის უშუალოდ ესაზღვრება, მათ შორის განფენილი იყო იბერიაში მდებარე კოლა-არტაანის მცირე პროვინცია. იბერიის ამ ნაწილში არსიანის მაღალი ქედის უღელტეხილზე 2600 მეტრ სიმაღლეზე კლარჯეთის ანუ იმჟამად ლაზიკის საზღვარზე განლაგებული იყვნენ სკანდასა და სარაპანას ციხე-სიმაგრეები.

ლაზთა ციხეები სკანდა და სარაპანისი მდებარეობდნენ მკაცრ და მეტად ძნელგასავალ ადგილებში და ძნელად თუ მიუდგება მათ კაცი, იქ საზრდო სრულიად არაფერი მოდიოდა და ადამიანებს ზურგით უხდებოდათ იქ სურსათის მიტანა. ამჟამად ასეთ მკაცრსა და ძნელსავალ ადგილებში მდებარეობენ ზღვის დონიდან 2000 მ. სიმაღლეზე აზიდული კანდრიდის (ანუ სკანდის) და არფალის ციხეები არტაან-შავშეთში. აქ გადიოდა და ამჟამადაც გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა, რომელიც არტაან-ყარსის რეგიონს აკავშირებს ჭოროხის ხეობასთან და ზღვისპირთან, **ამ გზაზეა ის ვიწრობები რომელსაც პროკოფი ახსენებს, რომელთა დაძლევის შემდეგაც ჯარი მივიდოდა ზღვისპირზე მდებარე პეტრასთან.**

ლაზიკა-ღადონი

პროკოფი კესარიელის მრავალგზისი ცნობით, ლაზიკა იყო კლდოვან-ღრანტოებიანი ქვეყანა, სადაც მოსავალიც კი ნაკლებმიწიანობის გამო მცირე იყო.

ქართულ ქვეყანათა შორის ასეთი იყო კლარჯეთ-შავშეთი, მიმდებარე რეგიონებთან ერთად. ილია აბულაძის მართებული დასკვნით მსგავს მთიან, ქვიან, ნაპრალებიან და ღრეებიან გეოგრაფიულ გარემოს ქართულად უწოდებდნენ სიტყვას - **„ღადონი“** (ი. აბულაძე, შრომები, II, გვ. 134).

გეოგრაფიული იდენტობის შესაბამისად პროკოფი კესარიელის ლაზიკას შეესაბამება ტერიტორია **„ზღვითგან ვიდრე არსიანამდე** და ხევნი, რომელნი მოსდგმანან ღადოთა“ (ქ.ც. I, გვ. 242). მას ასევე ერქვა **„კლარჯეთი და ზღვის პირი კლარჯეთისა“**. ანუ მიწა-წყალი თანამედროვე ჭოროხის ხეობისა (ხოფა-რიზეს ჩათვლით) ვიდრე არსიანის ქედამდე.

ლაზიკა ანუ ქართული წყაროების კლარჯეთი (ზღვის პირის ჩათვლით) მუდამ სადავო ბიზანტიასა და საქართველოს შორის, ისეთი მხარე, სადაც ძალზე ნაკლებად იყო **„სათესავი ყანა და სათიბელი ქვეყანა“**, ღადოთა ფიცხელი მწვერვალების ღირღლოვანების გამო.

ასე აღწერს გ. მერჩულე ხანძთის ბუნებას - **„ხოლო სათესავი ყანა და სათიბელი ქუეყანა რაითურთ არა არს, არცა იქმნების ღირღლოვანთა მათ ფიცხელთა მწვერვალთა მათ ღადოთაისა“.**

ივ. ჯავახიშვილის დასკვნით „ღადონი“ ერქვათ მთებს სამცხესა, შავშეთსა და კლარჯეთში (იქვე, გვ. 136). სუმბატ დავითის ძის ცნობით - „ყრუმან ბაღდადელმან შემუსრა ციხენი ყოველნი, მოვლო შავშეთიცა და ღადონი“. კლარჯეთშიც იყო ღადონი

- გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით კლარჯეთის სავანეები ღადოს მთებში იყვნენ განლაგებულნი " ეს არის ქვეყანა „უგზო და მიუვალ რაითურთ სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ ღადოთა მთათა შინა არს მკვიდრობა მათი". ი. აბულაძის დასკვნით ღადოთა მთები ანუ ღადონი ერქვათ მთებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, (იქვე, გვ. 137). ღადო-ღადონი, ი. აბულაძის კვლევის თანახმად, როგორც აღინიშნა, ერქვა მთიან, ქვიან, ნაპრალებიან და ღრეებიან ადგილს, რომელსაც იმერეთში ღრანტეებიც ერქვა (იქვე, გვ. 138). მაგრამ კლარჯეთში ნამდვილი კლდოვანი, ნაპრალებიანი, ქვის ნამტვრევებით დაფარული მაღალი მთები იყო და ახლაცაა შავი ზღვის პირიდან - არსიანის ქედამდე, რის გამოც იქ მხოლოდ ადგილ-ადგილ თუ გამოჩნდება მცირე სახნავ-სათესი მიწა. ერთადერთი ნაყოფიერი ადგილი ამ ქვეყანაში არის ერგე-ლიგანის ვაკე, ჭოროხის პირზე.

კლარჯეთისა და ლაზიკის აღწერა მსგავსია

(კლარჯეთი ლაზიკის მსგავსად კლდოვანი და უმოსავლო ქვეყანაა)

კლარჯეთი კლდოვანი ხევებით დასერილი მთიანი კუთხეა, რთული რელიეფი და ტყის მასივები ხელს უშლიდა სამეურნეო ცხოვრების გაშლას - წერს მკვლევარი კლარჯეთის წესახებ იმავეს, რასაც პროკოფი კესარიელი ლაზიკის შესახებ წერდა.

ბიორბი მერჩულე რამდენჯერმე აღნიშნავს კლარჯეთის **კლდეების** „სიფიცხლეს", მაგალითად, ხანძთის ერთ-ერთი ეკლესიის მშენებლობა გაჭიანურდა ადგილის მოსწორებისას წარმოქმნილი სიძნელეების გამო: „ფრიადითა შრომითა და ქვითკირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაავაკეს", – საპალნიანი საქონლისათვის მონასტერი მიუვალი იყო, საშენი მასალა მუშებს „ფრიად შორით" **ზურგით** (შდრ. პროკოფი) მოჰქონდათ". სიტყვასიტყვით თითქმის იმავეს წერდა პროკოფი კესარიელი საუკუნეებით ადრე-ლაზიკის სკანდასა და სარაპანას ციხეებში ასევე **ზურგით ეზიდებოდნენ** პროდუქტს.

კლარჯეთი კლდოვანი ქვეყანაა ქართული წყაროების მიხედვით, ხოლო ლაზიკა კლდოვანი ქვეყანაა ბერძნული წყაროებით.

„ვერვინ შევიდოდა მავნე კლარჯეთს, რამეთუ **შეუვალი და მაგარი იყო კლდითა** და მკვიდრნი კლარჯეთისანი იყვნეს კაცნი მკვირცხლნი და მხედარნიცა" (ქ.ც., 1955, გვ. 48).

ქართული წყაროებით კლდოვანი კლარჯეთი ნაწილია ქართლისა, ქართლოსის შვილიშვილის ოძრხოსის წილხვედრია - „ტასისკარიდან ვიდრე ზღვამდე სპერისა, **ქვეყანა კლდოვანი**" (ქ.ც. I, გვ. 9). ამიტომ კლარჯეთი ქართლოსის შვილიშვილმა ოძრხოსმა ააშენა „ამან ოძრხოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი – ოძრხე და თუხარისი" (ქ.ც. I, გვ.9), ჭოროხის ხეობაში მდებარე კლარჯეთის ერისთავთა რეზიდენცია და ეკლესია.

კლარჯეთი მოიცავს მდინარე ჭოროხის ქვემო დინების აუზს არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე, მდინარეების იმერხევისა და არტანუჯისწყლის ხეობის ჩათვლით. არტანუჯისწყალი - ლიგანისხევია. „ლიგანი" – ერქვა ვრცელ ქვეყანას ჭოროხის ქვემოწელზე

ვახუშტის ცნობით, კლარჯეთი უფრო დიდი ქვეყანა იყო, კერძოდ, მოიცავდა სპერს, იმიერ ტაოსა და კარნუ-ქალაქის ქვეყანას, მოქცეული იყო ევფრატის, არაქსისა და მტკვრის სათავეების შუა.

ლაზიკის ქვეყნის ნაწილად ხშირად ბერძენ-ლათინი ავტორების მიერ მოიაზრება კლარჯეთი ანუ **არზენ**ა (კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით არტანუჯის ქვეყანას ანუ **კლარჯეთს არზენა ერქვ**ა). შესაძლოა ეტიმოლოგიურად სიტყვები არზენა და ლაზიკა ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული- არზენა-ალზენა-ლაზენა-ლაზიკა. შესაძლოა პროკოფი არზენას (ალზენას) - „**ლაზიკას**“ უწოდებს. სიტყვებში არზენა და ლაზიკა „ენა“ და „იკა“ სუფიქსებია, ფუძეები არზ-ალზ და ლაზ აშკარად იდენტურებია.

ფარნავაზ მეფემ კლარჯეთის ერისთავს დაუქვემდებარა შავშეთი და ამიერ ტაო.

ძვ.წ. II ს-ში სომხეთის გაძლიერების გამო ქართლის სამეფოს პროვინციები სომხეთის ფარგლებში შევიდა.

კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ.წ. 100-178) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ (წიგნი 5, 12, §9) ნათქვამია, რომ არმენიის ის ნაწილი, რომელიც მდინარეებს ევფრატს, კიროსსა (მტკვარსა) და არაქსს შორის მდებარეობს, სხვა ოლქებთან ერთად მოიცავს კატარძენეს, მოსხურ მთებთან ე.წ. ბოხების ზევით. პტოლემაიოსის ცნობით, კატარძენე – სომხეთში, ხოლო არტანისა იბერიაშია. ჩანს აქ ქალაქი არტანისი არის არა არტანუჯი, არამედ არტაანის (იბერიაში შემავალი კუთხის) ერთი ქალაქი. არსიანის ქედი ერთმანეთისაგან ჰყოფდა რომაულ კლარჯეთს და იბერიის არტაანს (არტანისას).

თ. ყაუხჩიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რომაელი ავტორები კორაქსების მთებს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან მიუთითებენ და აღნიშნა, რომ „რომაელი ავტორების კორაქსთა მთები არსიანის მთებია, სადაც მდინარე მტკვარი იღებს სათავეს“. თ. ყაუხჩიშვილი არისტოტელესეულ კორაქსების ადგილს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გულისხმობს“ (ა. კახაძე, დ. ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, 1989, გვ 40).

„არტანისა“ ერქვა არსინის ქედის გადაღმა არტანის პროვინციის ქალაქს იბერიაში. მართალია, ლაზეთი (კლარჯეთი) ქართველთათვის იბერიის ნაწილი იყო, მაგრამ ძვ.წ. II ს-დან მოწყვეტილი პოლიტიკურ იბერიას (ქართლის სამეფოს) და სომეხთა და რომაელთა მირ ხელდებული მხარე, კატარძენეს ზოგიერთი მკვლევარი უფრო სამხრეთით მიუთითებს. კატარძენე იყო მოსხურ მთებთან (პტოლემაიოსის ცნობით).

სტრაბონის ცნობით კი მოსხური ქვეყანა სამადა იყო გაყოფილი: „ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“. აქ, უნდა იგულისხმებოდეს კლარჯეთი, არტაანი და ტაო. **იმჟამად მესხეთის ერთი ნაწილი, ე.ი. ტაო სომხეთის კონტროლში იყო მოქცეული, მესხეთის მეორე ნაწილი ე.ი. კოლა-არტაანი - კვლავ ქართლის სამეფოში იყო დარჩენილი, მესამე კი ე.ი. კლარჯეთი, იმჟამად რომაელებისა (კოლხების) ხელში მოქცეულა**.

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში იბერიის სამეფო კვლავ იბრუნებს სომხებისა და რომაელების მიერ ოკუპირებულ შემდეგდროინდელ კლარჯეთის ზღვისპირა ნაწილსაც, რადგანაც ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს ეს მიწები ქართლს ეკუთვნოდა.

ფლავიუს არიანეს (დაახლ. 95-175) „პერიპლუსის“ ცნობით, 131 წელს შავიზღვისპირეთში მცხოვრები ძიდრიტების ტომი იბერიის მეფე ფარსმან II-ს ემორჩილებოდა“ (ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, 1983, გვ. 158). თუმცა ქართველი (საბჭოთა)

მეცნიერების აზრით, პირიქით, ამ დროს „იბერია იპყრობს კოლხეთის ნაწილს“ (ცხადია, იბერიის მიერ კოლხეთის „დაპყრობა“ ქართიზაციის თეორიის გავლენით ითქმის).

ქართული წყაროებით I ს-ში კლარჯეთი ქართლის სამეფოს ნაწილია (ადერკი მეფემ შერისხა კლარჯეთის ერისთავი ანდრია პირველწოდებულის გამო). ასევე III ს-შიც კლარჯეთი ქართლშია (III ს-ში კლარჯეთის ერისთავი დასავლეთის ოთხ სხვა ერისთავთან ერთად აუჯანყდა მეფე ამაზასპს (ქ.ც. I, გვ. 57). „დასავლეთის ერისთავებში“ ეგრისელი ერისთავებიც მოიაზრებოდა.

„წმიდა ნინომ იქადაგა კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

კლარჯეთში პირველი ეკლესიები ააგო და „მოძღვარნი დაადგინნა“ ვარაზ-ბაქარის მამამ მეფე მირდატმა (ქ.ც. I, გვ. 131).

მეფე მირდატმა ეკლესია „თუხარისის ციხესა შინა“ ააგო (ქ.ც. I, გვ. 131). ვახტანგ გორგასლის დროს აქ ესვენა წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ხატი. VI ს-დან კლარჯეთის ცენტრად თუხარისის ნაცვლად იქცა არტანუჯი.

კლარჯეთის ისტორია აჩვენებს, რომ ის ძალზე ხშირად ბიზანტიის იმპერიის მიერ იყო ხელდებული და მის ნაწილს შეადგენდა, მაგალითად.

368 წელს „განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანამდე“ (ქ.ც. I, გვ, 136-137).

ამის გამო კლარჯეთი ზღვიდან არსიანამდე – „ბერძნების“ მიერ იყო ხელდებული, ხოლო არსიანის იქით არტაანი – კვლავ იბერიის სამეფოში შედიოდა. იმჟამად საზღვარი იბერიასა და „ბერძნებს“ შორის იყო არსიანის ქედი.

V ს-ში, ვახტანგ გორგასალმა ქართლის სამეფოს დაუბრუნა კლარჯეთი. კლარჯეთის საეკლესიო ცენტრად იქცა ახიზა (საეპისკოპოსო კათედრა) და ოპიზა (I მონასტერი).

კლარჯეთში ვახტანგ გორგასალმა შექმნა საეპისკოპოსო – „დასვა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთსა, ეკლესიასა ახიზისასა“ (ქ.ც. I, გვ. 198). აქედან საეპისკოპოსო კათედრა ანჩში გადავიდა, ჩანს, IX ს-დან.

ვახტანგმა უბრძანა არტავაზს „რათა გამონახოს ხევსა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი... ხოლო არტავაზ აღაშენა... მონასტერი, რომელ არს ოპიზა“ (ქ.ც. I, გვ. 178). ასევე - **„დაბამერისა და შინდობისა“** – ვახტანგ გორგასლის ეპოქის ეკლესია-მონასტრები.

VI ს. დასაწყისში (523 წ.), როცა ქართლში მეფობა გაუქმდა და ქვეყანა სპარსელებმა დაიპყრეს, ჯუანშერის ცნობით, მხოლოდ ორი მხარე გადაურჩა სპარსთა მმართველობას – 1) კახეთის მთიულეთი, სადაც თავი შეაფარეს ბაკურ მეფის შვილებმა; და

2) ბიზანტიის ხელდებული კლარჯეთი, სადაც **„კლდეთა შინა კლარჯეთისათა** მთავრობდა ვახტანგ გორგასლის შთამომავალი გუარამი, „დედით ხოსროიანი, მამით ბაგრატიონი“ (ქ.ც. I, გვ. 217-218). ჩვენი აზრით, კლარჯეთი იყო ბაგრატიონების სამშობლო და ბაგრატიონები იყვნენ ე.წ. „ლაზთა მეფეების“ გუბაზისა და წათეს მემკვიდრეები (ლეგიტიმურად ანდა გენეოლოგიურად).

ამ გუარამს ეწოდებოდა „მამა ბაგრატიონთა“. გუარამს ეხმარებოდნენ ბიზანტიელები. იუსტინე II-მ (565-578) მას ქართლის მმართველობა ჩააბარა და კურაპალატის ტიტული უბოძა.

კლარჯეთი – ბაგრატიონების მამული რომ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ გუარამის ძე

სტეფანოზ ბაგრატიონი სპარსეთის მომხრე, როცა გადააყენა ჰერაკლე კეისარმა მიუხედავად, ამისა მაინც არა სპარსეთს, არამედ ბიზანტიის ხელდებულ კლარჯეთს შეაფარა თავი, იქ მისი მამული იყო.

654 წ. ქართლის ერისმთავარი არაბებს დანებდა. არაბებს დანებდა ქართლის ცალკეული მხარეები, მათ შორის კლარჯეთიც.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებით“ კლარჯეთი კლდოვანი მხარეა. წმ. შიოს მოწაფე მიქაელი ჩავიდა კლარჯეთში და **„აღაშენა ადგილსა კლდოვანსა და უვალსა კაცთაგან“ შესაკრებელი ძმათა, რომელსა „პარახ უწოდიან“** (წმ. სერაპიონის ცხოვრება, გვ. 322).

რატომ გვაინტერესებს ჩვენ კლარჯეთის კლდიანობა? იმიტომ, რომ პროკოფი კესარიელის ცნობით ლაზიკაც ასეთი ე.ი. კლდოვან მთიანი ქვეყანა იყო და არა ბარის ქვეყანა, როგორიცაა დასავლეთ საქართველო.

კლარჯეთი – **„ადგილი კლდოანი და უვალი კაცთაგან“** – ჯერ კიდევ ბაგრატიონების საყვარელი თავშესაფარი იყო არაბების გამოჩენამდე. როგორც ითქვა, აქ გადავიდა საცხოვრებლად ჰერაკლე კეისრის მიერ ქართლის ტახტიდან გადაყენებული სტეფანოზ ბაგრატიონი, გუარამის ძე, იმიტომ, რომ კლარჯეთი მათი საგვარეულო მამული იყო. ჩანს, ბაგრატიონები ლაზთა მეფეების ლეგიტიმური მემკვიდრეები იყვნენ, ამიტომაც მიეცათ უფლება ქართლის სამეფო ტახტზე ასვლისა (ვითარცა მეფობის ლეგიტიმური უფლების მატარებლებს).

აქვე წინაპართა მამულში გადმოვიდა არაბობის დროს ქართლის ტახტის მემკვიდრე აშოტ ბაგრატიონი.

735 წ. აჯანყებული კავკასიის დასამორჩილებლად ხალიფამ გამოგზავნა მურვან-ყრუ. სუმბატ დავითის ძის ცნობით, მან „შემუსრა ციხენი, მოვლო შავშეთიც და ღადონი“ (ქ.ც. I, გვ. 234). „ღადონი“ – კლარჯეთის ნაწილია, გვიანდელი „საქართველოს სინას“ ტერიტორია – იმერხევის მარჯვენა სანაპირო. **არტანუჯის ციხე „აოხრებული ბაღდადელისა მით ყრუობითგან“, აშოტ ბაგრატიონმა განაახლა.** აქედან (ჩანს, სამცხის გავლით) მურვან-ყრუ დასავლეთ საქართველოში გადავიდა (ოძრხის გზით) (საქ. სამოთხე, 1882, გვ. 234).

ოპიზის მონასტერი დაიცალა, აღსდგა 750-760-იან წლებში. 780-იან წლებში კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელი ჩავიდა.

ტაოში, იშხანში საეპისკოპოსო საყდარი ააგო ქალკედონიტმა სომეხმა კათალიკოსმა ნერსემ რადგანაც VII ს-ში ტაო მოქცეული იყო ქალკედონური სომხური ეკლესიის იურისდიქციაში, რაც ხელს უწყობდა ტაოს მკვიდრი ქართველების არმენიზაციას.

ნ. მარის თვალსაზრისით, VI-VII სს-ში კლარჯეთის სომხური ემიგრაციის დიდი ტალღა მოაწყდა, რამაც შედეგად მთელი მხარის არმენიზაცია გამოიღო.

ოპიზის აღდგენასთან დაკავშირებით VIII ს-ის შუახანებში ნ. მარი წერდა: „პირველი ქართული სამონასტრო კოლონია კლარჯეთში დაფუძნდა ერთ-ერთი სომხური სავანის ახალთახალ ნაფერფლარზე“ (ნ. მარი, „ჟიტიე...“, გვ.15). იმავეს წერდა **კ. კეკელიძე – „სომხებს გაუშენებიათ მონასტრები, როგორიცაა ოპიზა, ხანძთა, იშხანი, მიძნაძორი, შატბერდი და სხვა, სადაც კულტურულ-შემოქმედებით და ლიტერატურული მოღვაწეობა დუღდა და გადმოდუღდა“** (კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. ისტორია, 1941. ტ. I, გვ. 84).

სინამდვილეში, წერილობითი ცნობებით, არ დასტურდება სომხების მიერ კლარჯეთში თუნდაც ერთი მონასტრის აგება.

მოსახლეობა კლარჯეთში და ტაოშიც იყო ეთნიკურად ქართული, მაგრამ VII ს. შუახანებში ჰერაკლე კეისრის მიერ სომხურ ქალკედონურ ეკლესიასთან „უნიის“ დადების შემდეგ, **ტაოცა და შესაძლოა, ნაწილობრივ კლარჯეთიც მოექცნენ სომხური ქალკედონური ეკლესიის იურისდიქცი**აში. რადგან სომეხი იერარქები ქალკედონიტები, ე.ი. მართლმადიდებლები იყვნენ, ქართველი მოსახლეობა შეეგუა ამგვარ იურისდიქციას (ისე, როგორც XIX ს-ში საქართველოს მოსახლეობა შეეგუა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის იურისდიქციას და ეს იურისდიქცია მართლმადიდებლური ერთობის გამო მოსათმენი იყო გარკვეულ დრომდე). მაგრამ როცა 726 წელს მანასკერტის კრებაზე გაერთიანდა სომხური ეკლესია და ქალკედონიტი სომხები შეუერთდნენ მონოფიზიტებს, ამის შემდგომ ტაოსა და კლარჯეთის ქართველებმა გადაიგდეს სომხური ეკლესიის უღელი, დაუბრუნდნენ დედა-ეკლესიას.

გურამ გრიგოლია ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემების შესახებ

საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გრიფით **1994** წელს გამოიცა გურამ გრიგოლიას ნაშრომი **„ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები“.**

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ნაშრომი ძირეულად ცვლის იმ შეხედულებებს, რომელიც დამკვიდრებული იყო საისტორიო გეოგრაფიის საკითხთა მიმართ მე-20 საუკუნეში. ამ მხრივ გ. გრიგოლიას ნაშრომი ნამდვილი მოსაბრუნია, რომელიც ახალი თვალით ხედავს და ჭრის იმ პრობლემებს, რომელიც იდგა ჩვენში საისტორიო გეოგრაფიის სფეროში, პროკოფი კესარიელის, აგათია სკოლასტიკოსისა და სხვა პირველ ხარისხოვანი წყაროს მიმართ ჩვენში არსებულ ერთგვარ ნიჰილისტურ დამოკიდებულებასეს ნაშრომი აბათილებს.. გ. გრიგოლიას ნამდვილად საგულისხმო მიგნებებიდან თვალნათელი ხდება, რომ ძველ ავტორთა მიერ მოხსენიებული ფაქტები და ცნობები იყვნენ არა „ურთიერთსაწინააღმდეგონი, აღრეულნი, შეცთომათაშემცველნი“, არამედ სრულიად სანდონი.

გ. გრიგოლია არკვევს რომ ამ წყაროებს უნდა გამოუცხადოთ მეტი ნდობა - „შეიძლება მოხდეს დიდი ცვლილებები ხალხთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, დროთა განმავლობაში მოისპოს და გაჩნდეს ახალი სახელმწიფოები, დადგინდეს ახალი საზღვრები, „მაგრამ სრულიად უცვლელი რჩება გეოგრაფიული ერთეულები, მთები, ზღვები, მდინარეები და სხვა, რომელთა ლოკალიზაცია უტყუარი ამოსავალია მისამართდაკარგული პუნქტების ადგილმდებარეობის დასადგენად“ (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, 1994 წ., გვ. 31).

გ. გრიგოლიამ ძველ წყაროთა მიმოხილვით დაადგინა, რომ მდინარე ფაზისი ძირითადად არის არა მდინარე რიონი, არამედ მდინარე ჭოროხი. მაგალითად ის იხილავს

პროკოფის ნაშრომს და მდინარე ფაზისთან დაკავშირებით და წერს, რომ პროკოფი მდინარე ჭოროხს უწოდებს ბოასს, რომელიც მის დროს გამოდიოდა ჭანეთის ახლო მდებარე „არმენიელთა ადგილებიდან“, იქვე ყოფილა პუნქტი ფარანგიონი. ეს მდინარე სათავეში ყოფილა თხელი წყალი, ფონების მქონე, ვიდრე იმ ადგილებამდე, „სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრები არის, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა მთავრდება. გ. გრიგოლიას აზრით სათავეებიდან ჭოროხის კალაპოტი ფართოა და დინებაც შედარებით მდორეა დიდ მანძილზე. ართვინთან კი იგი ექცევა ვიწროებში, მთებთან - აჯირახსა და მეზლასთან იცვლის მიმართულებას ჩრდილო აღმოსავლეთიდან ჩრდილო დასავლეთისაკენ და დიდი სისწრაფით მიექანება ზღვისაკენ“ (იქვე, გვ. 33).

გ. გრიგოლიას აზრით პროკოფის მიერ ნახსენები ბოას-ფასისის მარჯვნივ მდებარე იბერია არის კლარჯეთ-კოლა-არტაანი და წერს „როგორც ჩანს სწორედ ართვინთან გულისხმობს პროკოფი იბერიის საზღვრებს და სწორედ აქედან მოყოლებული ღებულობს ფაზისის სახელს ჭოროხი ანუ ბოასი. იგი წყალუხვია და ართვინიდან ქვემოთ მდინარეზე მთელი წლის მანძილზე მიმოდიან დიდი ზომის ნავები ანუ კიუკები, გარდა ზაფხულის დამდეგისა, როდესაც იწყება წყალდიდობა“ (იქვე, გვ. 33).

მაშასადამე პროკოფის მიერ ნახსენები კავკასიის მთა არის კარჩხალის მთიანეთი და აქვე მდებარეობდა პროკოფის აზრით კავკასიისა და იბერიის საზღვრები. მაშასადამე იგულისხმება ართვინის სანახები, „აქ ფაზისს სხვა ბევრი წყალიც ემატება და ნაცვლად ბოასისა, ამიერიდან ფაზისათაა წოდებული“-წერს ის.

მაშასადამე ართვინამდე ჭოროხს ერქვა ბოასი, ხოლო ართვინის ქვემოთ ფაზისი. „ნაოსნობისათვის გამოსადეგია ვიდრე ზღვამდე და მის ორივე მხრით ლაზიკე არის, მაგრამ მარჯვნივ ის ვიდრე იბერიის საზღვრებამდე დასახლებულია ადგილობრივი მოსახლეობით. ლაზთა სოფლები ხომ აქ მდებარეობს მდინარისაქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ. მათ შორის არის არქეოპოლისი, სებასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე ღირსშესანიშნავი ქალაქები კი აქ არის - როდოპოლისი და მოხირისი. მდინარის მარცხნივ ერთი დღის სავალზე ლაზიკის საზღვარია. ეს მხარე ნაკლებ დასახლებულია და ამ მხარის მეზობლად რომაელები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებათ“ (გეორგიკა II, გვ. 100-102).

გ. გრიგოლიას კვლევით მდინარე აკამფსისი ეწოდებოდა ზღვასთან ჭოროხის შესართავთან აღმოსავლეთ ტოტს, დასავლეთ ტოტს კი აფსაროსი. კერძოდ ის განიხილავს პროკოფის მეორე ცნობას ამ მდინარის შესახებ: „სახელწოდებას ის თავის მიმდევართაგან იძენს, მას სხვათა შორის ადგილობრივი მცხოვრებლები აკამფსისს უწოდებენ იმის გამო, რომ მისი დამორჩილება ზღვასთან შეერთების ადგილას შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ისეთი სისწრაფითა და სიმწვავით უერთდება და ისეთი დიდი ხმაურობით მიიწევს წინ, რომ ზღვის კარგა მოშორებით გამდინარე შეუძლებელს ხდის ზღვაში შეცურვას. ასე, რომ პონტოს ამ ადგილას მცურავნი ლაზები ვერც შიგ ახერხებენ შენავებას და ვერც იქიდან გამოსვლას, და ვერც ახლოს გაცურვას. ვინაიდან არსად არ შეუძლიათ დაიმორჩილონ წყლის მდინარება, არამედ შორს უნდა გავიდნენ ზღვაში, სადმე შუა პონტოში უნდა მივიდნენ და ასე აიცდინონ მდინარის შესართავი. აი ის რაც მინდოდა მეთქვა მდინარე ბოასის შესახებ“ (გეორგიკა II, გვ. 122-123).

გ. გრიგოლია წერს, რომ პროკოფისმიერი ფასის-ბოას-აკამფსისის აღწერილობა

სავსებით წააგავს მე-19 საუკუნის მოგზაურების ოსმან ბეისა და დ. ბაქრაძის ცნობებს ჭოროხის შესახებ (გ. გრიგოლია ეგრის-ლაზიკის სამეფო, გვ. 32). აქვე იმოწმებს ბაქრაძის ცნობას იმის შესახებ, რომ ჭოროხსა და მის შენაკადებს ადგილობრივი მცხოვრებლები არ მოიხსენიებდნენ ერთი რომელიმე განსაზღვრული სახელით, არამედ მდინარეებს სახელებს უწოდებდნენ საკუთარი სოფლებისა და ადგილების შესაბამისად. გ. გრიგოლია მიიჩნევს, რომ ჭოროხის მარჯვნივ მდებარე ადგილები ანუ პროკოფის სიტყვით ფასისის აქეთა ნაპირას მდებარე ადგილები იბერიამდე მოიცავს დასავლეთ საქართველოს სიღრმეებს, მაგრამ თვითონვე წერს, რომ პროკოფი ამ აღწერის შემთხვევაში იბერიას უწოდებდა შემდეგდროინდელ ართვინ-არტანუჯ-არტაანის მიმდებარე მხარეებს. აქედან გამომდინარე ლაზიკის ის ცნობილი სოფლები და ქალაქები, რომლებიც მდინარე ფასისის მარჯვნივ იბერიამდე იყვნენ განლაგებულნი მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოს სიღრმეებში, არამედ აღნიშნულ კოლა არტაანისაკენ, შესაბამის პროკოფის მიერ აღწერილი ცნობილი ქალაქები როდოპოლისი და მოხირისი მდებარეობდნენ ჭოროხის ხეობაშივე ერგე-ლივან-კლარჯეთის ტერიტორიაზე, ასევე, პროკოფის მიერ ნახსენები „იბერიის საზღვრებისაკენ“ მდებარე სკანდა და სარაპანი უნდა ვეძიოთ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ არტანუჯ-არტაანის შემაერთებელ გზაზე. ეს გზა ჭოროხის ანუ ფასისის შესართავს აკავშირებდა იბერიის (ანუ არტაანის) გავლით სომხეთსა და სპარსეთთან. სწორედ ამ გზის დასაცავათ იყო აგებული აღნიშნული ციხეები სკანდა და სარაპანა.

გ. გრიგოლიას კიდევ სხვა მრავალი რეალურად არსებული ფაქტი უმტკიცებს თვალსაზრიის იმისა, რომ პროკოფისეული ფაზისი არის მდინარე ჭოროხი, მაგალითად პროკოფის ცნობა, რომ „ლაზიკე ყველგან მდინარე ფასისის, როგორც აქეთა, ისე იქეთა მხარეზე გაუვალია, რადგან ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია, რომლებიც იქ დიდ მანძილზე ვიწროებს ქმნიან“ აფიქრებინებს, რომ ამ ცნობაში ნამდვილად ჭოროხი იგულისხმება და არა რიონი. რადგანაც რიონის სანაპიროებზე მდინარის მთელ პერიმეტრზე ვიდრე ზღვამდე კლდეები არ არის, ხოლო ჭოროხის ნაპირებზე დიდ მანძილზე ნამდვილად წარმომართულია უზარმაზარი კლდეები, რომლებიც იქ ნამდვილად ქმნიან ვიწროებს. პროკოფის ცნობით ასეთ გზას რომაელები კლისურებს უწოდებენ.

თავისი ნაშრომის მეორე ნაწილში გ. გრიგოლია საუბრობს ქალაქების პიტია-პიტიუნტის, არქეოპოლისის, სებასტოპოლისისა და სხვათა შესახებ. ახსენებს პროკოფის ცნობას, რომ „აფსარუ“ მდებარეობდა ათინასთან, ხოლო აფსარუს (აფსაროსის?) გვერდით არქაბი მდებარეობდა. არქაბი დღესაც ეწოდება პუნქტს რიზესთან. პროკოფი ახსენებს კიდეც რიზეს, „ტრაპეზუნტელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსარმენამდე და რიზემდე, რომელიც ორი დღის საზღვაო გზითაა დაშორებული ტრაპეზუნტს... რიზეს მოსდევს მიწა-წყალი ერთი ხალხისა, რომლებიც რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობენ. იქ მდებარეობს ათინა, არქაბე და აფსარუ (სამი დღის გზითაა დაშორებული რიზეს), ის ძველად აფსურტად იწოდებოდა“ (გეორგიკა, II, გვ. 121-123, იქვე, გვ. 58).

გ. გრიგოლია ეთანხმება პ. ინგოროყვას, რომ პითია-პიტიუნტი რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ ბერძენ-რომაელი ავტორები, სინამდვილეში მდებარეობდა რიზესთან (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფო. გვ. 89). ხოლო პეტრა ერქვა არა ციხისძირს, არამედ ხოფას (ხუფათს). ეთანხმება პტოლემაოსს, რომ სებასტოპოლისი იყო აფსაროსსა და ფაზისს (ჭოროხს) შუა (იქვე, გვ. 96), ამავე აზრისა იყო პ. ინგოროყვაც (იქვე, გვ. 96).

გ. გრიგოლია არ ეთანხმება დღემდე არსებულ, ძირითადად ს. ყაუხჩიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, რომ ზიგანა (ზიგანეოსი), პიტია, სებასტოპოლისი და სხვა პუნქტები მდებარეობდნენ ცხუმთან, მოხორა - ქუთაისთან. გ. გრიგოლია ეთანხმება ნ. ადონცს, რომ ნოტიციის ზიგანა ტრაპეზუნტიდან არდასში მიმავალ გზაზეა, ზიგანას უღელტეხილთან (6640 ფუტ სიმაღლეზე), რომელსაც დღესაც ასე ეწოდება. ხოლო მოხორა-ზიგანს აღმოსავლეთით მდებარე სოფელია დღესაც (იქვე, გვ. 122, უთითებს ნ. ადონცი, არმენია, გვ. 100). აქედან გამომდინარე, ცხადია, ბერძნული საეპისკოპოსოებიც არ უნდა ვეძიოთ დასავლეთ საქართველოს შესაბამის პუნქტებში. ზიგანას საეპისკოპოსო, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილი ზიგანევისას უწოდებს, მაშასადამე მდებარეობდა არა ცხუმთან (გუდაყვაში), როგორც მიჩნეულია ს. ყაუხჩიშვილის შემდეგ, არამედ ტრაპეზუნტთან. ლაზიკის სამიტროპოლიტოს სხვა ცნობილი საეპისკოპოსოებიც იქვეა საძებნი, მათ შორის პითია-პიტიუნტა. პეტრას საეპისკოპოსო, გ. გრიგოლიას კვლევის თანახმად მდებარეობდა არა თანამედროვე, არამედ ისტორიულ საქართველოში, ხოფასთან. გ. გრიგოლია კვლავ უბრუნდება პ. ინგოროყვას თვალსაზრისს, რომ პითია რიზესთან მდებარეობდა და ეთანხმება მას - „დამაჯერებლად გამოიყურება პ. ინგოროყვას ვარაუდი პითიას შესახებ, რომ პტოლემაიოსის მიხედვით პითია მდებარეობდა ტრაპეზუნტსა და რიზეს შუა და ერქვა პიტიუსი - იგი ოფის ნავსადგურს უნდა ემთხვეოდეს“ (იქვე, გვ. 122).

გ. გრიგოლია იხილავს ცნობილ ნოტიტია დიგნიტატუმ-ს რომელსაც ქართულად ეწოდება - „ნუსხა ყველა თანამდებობისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედროსი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეებში“ (იქვე, გვ. 120). ეს არის V საუკუნის ძეგლი, რომლის მიხედვითაც „არმენიის სარდალს ექვემდებარება პონტოს სასაზღვრო ხაზი - ტრაპეზუნტი და პითია, ისულმენი, კენე პარამბოლე, სებასტოპოლი, ზიგანე, მოხორა“. გ. გრიგოლიას თვალსაზრისით არმენიის სარდალს ექვემდებარებოდა არა აფხაზეთის სებასტოპოლისი, პითია და ზიგანა, არამედ ტრაპეზუნტის ოლქისა. გ. გრიგოლია იმოწმებს ნ. ადონცს, პ. ინგოროყვას, ვ. ლექვინაძეს, ნ. ლომოურს და ასკვნის, რომ ნოტიციის 11 პუნქტიდან ათი მდებარეობდა არა თანამედროვე დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტთან. კერძოდ, ტრაპეზუნტსა და სატალას შუა მდებარეობდნენ ზიგანა, ხაძანა, სილუანა, მოხორა და ავიძა, ხოლო ტრაპეზუნტის ჩრდილოეთით ჭოროხის შესართავამდე - ჰისის ნავსადგური (სურმენე), პითია (პიტიუსი), კენე პარამბოლე (ახალი ბანაკი), ვალენტია (აფსაროსი), ხოლო მეთერთმეტე - სებასტოპოლისი კი, მისი აზრით, არის ციხისძირი (იქვე, გვ. 123).

მაშასადამე, გ. გრიგოლიას დასკვნებით, ძირეულად იცვლება წარმოდგენები დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესახებ, ეს დასკვნები ძალზე მნიშვნელოვანია ეკლესიის ისტორიისათვის, იმით, რომ ეწინააღმდეგება XX ს-ში ჩვენში გაბატონებულ თვალსაზრისს, რომ კონსტანტინოპოლის ფასისის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები თითქოსდა დასავლეთ საქართველოში მდებარეობდნენ. გ. გრიგოლიას დასკვნით აღნიშნული, ამჟამად გაბატონებული თვალსაზრისი ეყრდნობა პროკოფი კესარიელისა და სხვა ძველი ავტორების ცნობებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას და არ შეეფარდებოდა სინამდვილეს. კერძოდ, თუ კი ზიგანა რომელზეც წერენ ძველი ავტორები მდებარეობდა ტრაპეზუნტთან, ცხადია ზიგანას („ზიგანევის“) საეპისკოპოსოც იქვე იყო და არა დასავლეთ საქართველოში, ასევე პეტრას ციხე-სიმაგრე არა თანაემედროვე დასავლეთ საქართველოში, არამედ იქნებოდა იქ, სადაც გ. გრიგოლია ამ ქალაქის მდებარეობას მიუთითებს -

ხუფათთან. ნ. ადონცი ლაზიკის სხვა საეპისკოპოსოების მდებარეობას ტრაპეზუნტისაკენ მიუთითებდა. ამით გ. გრიგოლიას თვალსაზრისი ეთანადება ძველ ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელიც საერთოდ არ იცნობს დასავლეთ საქართველოში ბერძნული საეპისკოპოსოების არსებობას, არ გვაწვდის არავითარ ცნობებს მათ შესახებ.

გ. გრიგოლია წერს, რომ „პეტრას კათედრა პირველად ს. ყაუხჩიშვილმა დაუკავშირა პეტრას ციხე-ქალაქს“ (იქვე, გვ. 15). ასეთი დაკავშირებაც საფუძვლიანი არ იყო. საქმე ისაა, რომ ბიზანტიურ სამყაროში, როგორც წესი საეპისკოპოსო კათედრები არსდებოდა მხოლოდ ხალხმრავალ, მნიშვნელოვან ქალაქებში (და არა ციხე-სიმაგრეებში, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, სადაც იყო მოსახლეობის სიმცირე). პეტრას ციხე, თვით პროკოფის ცნობით იუსტინიანამდე უკაცურ, დაუსახლებელ ქვეყანაში მდებარეობდა (ფასისის მარცხენა დაუსახლებელ სანაპიროზე), აქ ციხე-ქალაქი დააარსა იუსტინიანემ 530-იან წლებში, მაგრამ რამდენიმე წელიწადში თვითონ ბერძნებმა დაანგრიეს, ამიტომაც, ბიზანტიური წესების შესაბამისად, ის არ იყო საეპისკოპოსო კათედრისათვის შესაფერისი ადგილი. პეტრას ციხე-სიმაგრე ჩვენ არ უნდა მივიჩნიოთ პეტრას საეპისკოპოსო კათედრად, არამედ ეს კათედრა უნდა ვეძიოთ სულ სხვაგან, ლაზიკის სხვა, მჭიდროდ დასახლებულ მხარეში. ლაზიკად ბიზანტიურ სამყაროში ვრცელი მხარე მოიაზრებოდა მიმართული ტრაპეზუნტიდან თეოდოსიოპოლისაკენ და ასევე ისე ტრაპეზუნტიდან ფასისისაკენ. პეტრას კათედრის მდებარეობა არ არის სავალდებულო ზღვის პირას, რადგანაც წყაროები ამის შესახებ არ მიუთითებს, აღსანიშნავია ისიც, რომ ბიზანტიასა და ლაზიკაშიც მრავალი პეტრა, პეტრონი თუ პეტროდალი არსებობდა.

მართალია ბობოყვათში, ციხისძირთან ახლოს, აღმოჩნდა სამნავიანი ბაზილიკის საძირკველი, მაგრამ ეს არ იძლევა უფლებას ციხისძირი პეტრას კათედრის ადგილად მივიჩნიოთ, არა თუ საძირკველი, არამედ მთელი, შთამბეჭდავი კათედრალები, საეპისკოპოსო ეკლესიები დღესაც დგანან ზიგანას უღელტეხილის რეგიონში, მათ ამჟამადაც ასევე აწოდებენ კიდეც „სამიტროპოლიტო კათედრები“ (ასეთი სულ ორია) და დღესაც იქ ტურისტული მარშრუტები გადის, ზიგანას უღელტეხილი კი ისტორიულ კოლხიდაში, ლაზიკაში მდებარეობდა თავის დროზე, ტრაპეზუნტიდან 70 კმ დაშორებით.

საფიქრებელია, რომ **იუსტინიანეს ნოველაში 535 წელს ნახსენები პეტრა იყო მხოლოდ ციხე-სიმაგრე და არა საეპისკოპოსო ცენტრი** (მაშასადამე პეტრას სიმაგრე სხვაა, ხოლო პეტრას კათედრა სულ სხვაგან მდებარეობდა). როგორც ვთქვით პეტრას ციხე-სიმაგრე მხოლოდ ორიოდე ათეული წელი არსებობდა.

იუსტინიანე წერდა - პოლემონოს პონტოს ქალაქებია - ნეოკესარია, კომანა, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, პოლემონიონი, პიტიუნტი და სებასტოპოლისი - **„მათ შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე, სადაც არის ქალაქი პეტრა, რომელიც ჩვენ ვაქციეთ ქალაქად და დავარქვით ჩვენი სახელი - იუსტინიანე“** (გეორგიკა II, გვ. 33-35). ე.ი. „ჩვენი ლაზიკე“ მდებარეობდა პიტიუნტ-სებასტოპოლისის შემდეგ, **ჯერ არის სებასტოპოლისი და შემდეგ ლაზიკა**, პროკოფის მიხედვით კი სებასტოპოლის - პიტიუნტი ლაზიკაშია (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ. გვ. 30) -ფაზისთან ახლოს.

ციხე-სიმაგრე პეტრა - ბიზანტიის იმპერიის ჩრდილოეთის კარი ყოფილა (იქვე, გვ. 25), მდებარეობდა საშინელ კლდოვან-ქარაფოვან ადგილას, რომელსაც კარგად აღწერს გ. გრიგოლია პროკოფი კესარიელზე დაყრდნობით. ამიტომაც მიიჩნევს, რომ პეტრა არ არის ციხისძირი, მისი აზრით, როგორც ითქვა, პეტრა ხოფაა - ძველი ხუფათია, რომლის

კლდეები ერთგვარი გეოგრაფიული საზღვარია ტრაპეზუნტიდან დასავლეთ საქართველოსაკენ მიმართულ დადაბლებული არესაკენ. ამიტომაც, **ამ ბუნებრივ ჩამკეტ საზღვართან იჯდა იოანე-ციბე - სავაჭრო მონოპოლისტი, რომელმაც პეტრას მეშვეობით ხელში ჩაიგდო მთელი ჭოროხის ხეობის (იმჟამინდელი ბერძნული ლაზიკის) მონოპოლია**. როგორც ვიცით კოლხიდას ძველი ავტორები სამხრეთით მიუთითებდნენ, მათი შემდგომნი კი უფრო ჩრდილოეთით. ჩანს, ბერძნული კოლონიზაციის იძულებით კოლხური ცენტრები ინაცვლებდნენ უფრო ჩრდილოეთით. მაგალითად, ქსენეფონტე კოლხეთს ტრაპეზუნტთან მიუთითებდა, სტრაბონი კი უფრო ჩრდილოეთით, პროკოფის დროს, რადგანაც კოლხეთს ლაზიკა დაერქვა, კიდევ უფრო ჩრდილოეთით გადასულა მისი ცენტრები, ცხადია ბიზანტიური იძულებით. იუსტინიანეს ნათქვამი „ჩვენი ლაზიკა“ ალბათ ასე უნდა გავიგოთ, რომ არსებობდა „ჩვენი“ ე.ი. ბიზანტიური ლაზიკა და „არაჩვენი“ ე.ი. არაბიზანტიური ლაზიკა. ტრაპეზუნტის მხარეები, იქამდე კოლხეთად მიჩნეული, ახლა უკვე პონტოს პროვინციის ნაწილად იქცა, მაგრამ მის ჩრდილოეთით ე.ი. ჭოროხის ხეობაში მდებარე კოლხეთი ანუ ლაზიკა, რომელიც ბიზანტიელთა ხელდებული გახდა, ჯერ კიდევ არ იყო პონტოს ნაწილი, თუმცა უკვე ბიზანტიელთა ხელდებული იყო და ამიტომაც მიაჩნდათ თავისად ანუ ის იყო „ჩვენი“ ლაზიკა, რომელსაც პეტრას ციხე-სიმაგრის საშუალებით აკონტროლებდნენ. პეტრა - გადაიქცა ორი იმპერიის სპარსეთისა და ბიზანტიის სადავო ქალაქად. მის მპყრობელს არა მხოლოდ ლაზიკის მართვა შეეძლო, არამედ გზაც ეხსნებოდა ბიზანტიური ცენტრებისაკენ. ჩანს არსებობდა „არაჩვენი“ ანუ სპარსული ლაზიკაც, ალბათ დასავლეთ საქართველო თუ მოიაზრებოდა თავისი სვანებით, აფშილებით და აბაზგებით, მაგრამ სხვა იყო ისტორიული, ძველი ლაზიკა, სომხური გეოგრაფიით-ლაზივი, ის ტრაპეზუნტსა და არზრუმს(თეოდოსუოპოლს) შუა მდებარეობდა და ის ერთ- ერთ ბიზანტიურ პროვინციაში შედიოდა, ამიტომაც მისი ძველი სახელი მივიწყებული იყო.

გარდა სტრატეგიული მდებარეობისა, პეტრა უნდა ყოფილიყო სავაჭრო გზის ჩამკეტიც, არა უბრალო, არამედ საერთაშორისო გზისა. ის აკონტროლებდა „ჩვენ ლაზიკას“, რომლის ათვისების შემდეგ „არაჩვენი ლაზიკის“ დაპყრობის დროც უნდა დამდგარიყო, ეს ჩანს მართლაც ასე მოხდა ბიზანტიელების სვანებში ლაშქრობათა დროს.

გ. გრიგოლიას დასკვნით პეტრას ომები იმართებოდა არა ყვირილა-რიონის, არამედ ჭოროხის ხეობაში, ხუფათთან (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ. გვ. 56). „ჩვენ ლაზიკაში“ შედიოდა მესხეთის ერთი ნაწილიც - ისტორიული კლარჯეთი.

სტრაბონის ცნობით მესხების მიწა-წყალი სამად იყო გაყოფილი. ერთი ნაწილი იბერიელებს ეკუთვნოდათ, მეორე ლაზებს, მესამე კი სომხებს. მესხეთის მიწა-წყლად უნდა ვიგულისხმოთ ისტორიული მესხეთი- სამცხე, კოლა-არტაანი, კლარჯეთ-შავშეთი და ტაო-ბასიანი. მართლაც, ისტორიულად სამცხე-კოლა-არტაანი იბერიის სამეფოში, ტაო-ბასიანი სომხეთში იყო მოქცეული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კლარჯეთ-შავშეთი ლაზიკაში იყო მოქცეული, თუ შავშეთი არა, კლარჯეთი მაინც. ამ ტერიტორიის გავლით შეჭრილან კიდეც სპარსელები შაჰ ხოსროსა და მერმეროეს ხელმძღვანელობით პეტრაში. მაშასადამე, როგორც ჩანს, არსებობდა ორი ლაზიკა, ერთი იყო ბიზანტიური, ამიტომაც მას ისინი „ჩვენ ლაზიკას“ უწოდებენ, ხოლო მეორე, როგორც ითქვა, ალბათ იყო „სადავო ლაზიკა“, რომელზეც სპარსელების გავლენა უფრო მეტხარისხოვანი იყო.

ბიზანტიურ ანუ „ჩვენ ლაზიკაში“ შედიოდა მესხეთის ნაწილი – კლარჯეთი ე. ი.

არტანუჯ-ართვინი. იმის შესახებ, რომ კოლხეთში მესხეთის ერთი ნაწილი შედიოდა, როგორც ითქვა, სტრაბონი მიუთითებდა. „ჩვენი ლაზიკე“ შესაბამისად მოიცავდა ჭოროხის შესართავის ორივე სანაპიროს, ერგეს, ლიგანს თანამედროვე ართვინითურთ, თანამედროვე არტანუჯი და მისი მიმდებარე მხარეები ვიდრე არსიანის ქედამდე. მართლაც ამ მონაკვეთზე გადიოდა საერთაშორისო მნიშვნელობის გზა, რომელიც ჭოროხის ხეობას და მის შესართავს ანუ შავ ზღვას - აერთებდა ართვინ-არტანუჯის გზით არტაან-ყარს-დვინთან. ეს გზა ბიზანტიურ სამყაროს აერთებდა სპარსულთან. გზა შედიოდა ხოფა-ხუფათთშიც, რომელსაც გ. გრიგოლია პეტრად მიიჩნევს. გ. გრიგოლია წერს - „ამ ბუნებრივი ზღუდის ერთ თავში ათინა და რიზე მდებარეობს, მეორე ნაწილის ჩამკეტი კი თანამედროვე პატარა სავაჭრო ქალაქი და ნავსადგური ხოფაა, რომელიც ერთპიროვნულად ბატონობს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალ როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზაზე. გარდა ამისა, ხოფა უმოკლესი გზით უკავშირდება ჭოროხის ხეობას სოფ. ფორჩხასთან. ჭოროხის ზემო წელიდან მიმავალი გზა ართვინთან იყოფა ორად, ერთი ჭოროხის გაყოლებით მიემართება ყარსი, არდაგანი და სომხეთისაკენ, ხოლო მეორე იმერხევით, ყვირილას ხეობით და არსიანის უღელტეხილით გადადის ფოცხოვის ხეობაში, საიდანაც ახალციხე, ახალქალაქი, წალკამანგლისის გზით ჩადის თბილისში. ამ გზით წაიყვანეს ლაზებმა მეფე ხოსრო-ანუშირვანი პეტრას წინააღმდეგ. როგორც პროკოფის ცნობიდან ვგებულობთ, სპარსელებმა გადალახეს ბოასი (ჩვენი გაგებით, ჭოროხის ზემო წელი) „...და ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფასისი მარჯვნივ ჰქონდათ. თითქოს იმიტომ, რომ მათ (ლაზებმა - გ. გ.) წინასწარ განჭვრიტეს, რათა მდინარე ფაზისის გადასასვლელად არც დრო და არც შრომა დასჭირდებოდათ მეტი, ხოლო ნამდვილად იმიტომ, რომ არ სურდათ სპარსელებისათვის ეჩვენებინათ თავიანთი საბინადროები“. – წერს გ. გრიგოლია და აგრძელებს - როგორც ჩანს, იბერიიდან ლაზიკის ამ ნაწილში სხვა გზაც შემოდიოდა (ალბათ, ქვაბლიანის ხევით გოდერძის უღელტეხილზე და აქედან აჭარისწყლის ხეობაში), მაგრამ ლაზებს შეგნებულად აუვლიათ მისთვის გვერდი და ირანელები მდინარე ფასისის ზემო წელისკენ ანუ ბოასისაკენ წაუყვანიათ, როგორც უკვე ითქვა, ჭოროხს ასე უნდა რქმეოდა ართვინიდან სათავეებამდე. ჩვენი ვარაუდით, სპარსელებს ჭოროხი უნდა გადაელახათ ართვინის ზემოთ, 10-15 კმ მოშორებით, იქ სადაც იმერხევისა და ჭოროხის შესართავია. შემდეგ ფასისის მარცხენა ნაპირით ქვემოთ ეშვებიან ფორჩხამდე და აქედან, უმოკლესი გზით (40-45 კმ), ჩადის უღელტეხილის გადავლითა და მ. ხოფას ხეობით, მიდიან პეტრაში.

ჩანს, რომ იგივე გზა გაიარეს ლაზიკაში მეორედ შემოსულმა სპარსელებმა, ამჟამად უკვე მერმეროეს მთავარსარდლობით რომ მიემართებოდნენ რომაელების მიერ ალყაშემორტყმული პეტრას დასახმარებლად. პროკოფის ცნობით, „იმან (მერმეროემ - გ. გ.) არ მოინდომა ლაზიკის სოფლებზე გაეარა სადმე, რათა მას რაიმე დაბრკოლება არ შეხვედროდა“, და ისე იარა პეტრამდე, რომ „ფასისი მარჯვნივ ჰქონდა“.

ამრიგად ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჭოროხის სახით გაგვაჩნია ის მყარი, საიმედო ნიშანსვეტი, რომელიც საძიებო ქალაქ პეტრას არსებობას ხოფას სანახებში მიგვითითებს.

ხოფადან ჭოროხისაკენ და აქედან აღმოსავლეთით იბერიისაკენ, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არმენიისა და პერსარმენიისაკენ მიმავალი გზა რომ არ არის

ახალი და ძველთაგანვე არსებობდა, ამის შესახებ არაერთ ცნობას ვხვდებით ქართლის ცხოვრებაში, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი მათგანი, სადაც მოთხრობილია 1116 წ. დავით აღმაშენებლის მიერ ბასიანში თურქთა დიდი ჯარის განადგურების შესახებ: „ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, რამეთუ ზამთრისა სიფიცხესა და მთათა სიმაგრესა მიენდვნეს. ხოლო მეფემან მოიხელოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა, და თუით ქუთათისს წამოვიდა, რომლითა უეჭველ ყუნა იგინი, და თუესა თებერვალსა აცნობა ქართველთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თუით შუიდითა სპითა ხუფთითა ჭოროხის პირი წავლო. და შეკრბეს ერთად უგრძნაულად დაესხა მათ ზედა, უშიშად გულ-დებითა მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარმიფორისად“.

უდავოდ ნიშანდობლივი მითითებაა ხუფათის გზაზე, რომლითაც მეფე დავით აღმაშენებელი გადავიდა ჭოროხის ხეობაში და კლარჯეთში შეხვდა ქართლიდან და მესხეთიდან მოსულ ლაშქარს. როგორც ჩანს, გზა ხუფათიდან და იბერიიდან ჭოროხისაკენ იმდენათ ყოფილა გაკვალული, რომ ზამთრის პერიოდშიც კი არ ფერხდებოდა მასზე ხალხთა დიდი მასების მოძრაობა. ასეთია იგი განვითარებულ შუა საუკუნეებში და ასეთივე უნდა ყოფილიყო უფრო ადრეც, პროკოფის დროსაც. ამ გზის ერთ ბოლოში მდებარეობს ხოფა, სადაც ჩვენ პეტრას არსებობას ვვარაუდობთ“ (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, 1994, გვ. 65).

გ. გრიგოლიას თვალსაზრისი ტაბულ პევტენგერიანას შესახებ

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით კასტორიუსის რუკის ანუ ტაბულა პევტენგერიანას მიხედვით (სეგმენტი XI-XII) მნიშვნელოვანი გზა სომხეთის ძველ დედაქალაქ არტაშატიდან მიემართებოდა სებასტოპოლისაკენ. ი. მანანდიანის მიხედვით ეს **გზა** გაივლიდა ფარავნის ტბასთან სოფელ ფოკას (პაგას), აქედან აბულის მთას (აპულუმ), სოფ. ხოსპიოს (ჩასპია) შემდეგ უცნობ პუნქტ „ად მერცურიუმ“-ს, შემდეგ „ად ფონტენ ფელიცემ“-ს, და შედიოდა სებასტოპოლისში. (გ. გრიგოლია, **„ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები“**., გვ. 106).

დაშორება ასეთი იყო: ად ფონტენ ფელიცემიდან სებასტოპოლისამდე იყო 90 კმ ანუ 60 რომაული მილი (იქვე, გვ. 106).

ჩვენი ქართული ისტორიკოსების დაჟინებული მითითებით ად ფონტენ ფელიცემ - არის ვარციხე (როდოპოლისი), მაგრამ ვარციხე სებასტოპოლისად მიჩნეულ ცხუმს არა 90 კმ-ით არამედ **სამჯერ მეტი** მანძილითაა 165 კმ დაშორებული! - წერს გ. გრიგოლია.

ე.ი. **ვარციხის განსაზღვრება არასწორია** - აქედან გამოსავალს ი. მანანდიანი ხედავს იმით, რომ ემხრობა პროფ. ერემიანის აზრს (კიპერტზე დაყრდნობით) – „ქ. ფასისი ტრაიანეს დროიდან (98-117) სებასტოპოლისად იწოდება“ - გვ. 107.

ფასისი - სებასტოპოლისია (ერემიანი) –(იქვე, გვ. 107)

ტაბულა პევტენგერიანას რუკის აღნიშნული მაგისტრალი გ. გრიგოლიას სიტყვით-არ შედის ნოქალაქევში, რომელიც „ეგრისის დედაქალაქი“ იყო რუკის შედგენის დროს (III-IV ს.-ში), გ. გრიგოლიას აზრით **„ძნელი წარმოსადგენია, რომ გზას გვერდი აევლო დედაქალაქისათვის და კასტორიუსს იგი გამორჩენოდა“ - (იქვე, გვ. 108).**

გ. გრიგოლიას თქმით რუკაზე ფოთშიც არ შედის გზა და ასევე გზაზე არ ჩანს კუტაია - ქუთაისი - (იქვე, გვ. 109).

აღნიშნულიდან გამომდინარე-**ტაბულა პევტენგერიანას რუკის გზები ასახავს** არა დასავლეთ საქართველოს მონაკვეთს, არამედ **გზას არტაშატიდან - ართვინ-ჭოროხის შესართავის ქალაქებისაკენ.**

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით სებასტოპოლისი არის ციხისძირი, აქ შედიოდა ტაბულა პევტენგერიანას (მისი ავტორია კასტორიუსი) გზა – (**„ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები“.** იქვე, გვ. 113).

V ს. ძეგლის ნოტიცია დიგნიტატუმის („ნუსხა ყველა თანამდებობისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედროსი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეებში“) მიხედვით -**„არმენიის სარდალს ექვემდებარება** პონტოს სასაზღვრო ხაზი - ტრაპეზუნტი, **პითია**, ისულმენი, კენიე, პარამბოლე, **სებასტოპოლისი** და სხვა“ (იქვე, გვ.120).

თუ პითია ბიჭვინთაა, ხოლო სებასტოპოლისი-ცხუმი (როგორც ამჟამად მიიჩნევა) - მაშინ ისინი (ბიჭვინთა და სოხუმი) არმენიაში ყოფილან მოქცეულნი ამ წყაროს მიხედვით.

გ. გრიგოლია არ ეთანხმება ს. ყაუხჩიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, რომ მაგალითად ზიგანა იყო - გუდაყვა, პითია - ბიჭვინთა, სებასტოპოლისი და დიოსკურია – ცხუმი, მოხორა კი მუხურისი.

მას მიაჩნია, რომ **IV საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთის პიტიუნტი - ბიჭვინთა აღარ წარმოადგენდა სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს (არქეოლოგიური მასალების მოწმობით,** იქ, სადაც იყო გარნიზონის მთავარი სადგამი, IV ს-ში გაუმართავთ კერამიკული ქურა) ამის გამო **გ. ლორთქიფანიძე საერთოდ გამორიცხავს V საუკუნეში ბიჭვინთაში ბიზანტიური გარნიზონის ყოფნას** - გვ. 121.

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით IV-V სს-ში დასავლეთ საქართველოში საერთოდ არ იდგა ბიზანტიური გარნიზონები - გვ. 122.

გ. გრიგოლია იმოწმებს ნ. ადონცს, რომ **ნოტიციას შედგენისას აფხაზეთის პიტიუნტი და სებასტოპოლისი არ ეკუთვნოდათ რომაელებს, საერთოდ სხვაა აფხაზეთის პიტიუნტი და სებასტოპოლისი და სხვა, ნოტატია-ს პითია და სებასტოპოლისი** – (იქვე, გვ. 122).

გ. გრიგოლია ეთანხმება ნ. ადონცს, რომ ნოტიციას ზიგანა ტრაპეზუნტიდან არდასში მიმავალ გზაზეა-ესაა ზიგანას უღელტეხილის (6640 ფუტი) სამხრეთ გვერდზე მდებარეობს ზიგანა, რომელსაც დღესაც ასე ეწოდება. ხოლო მოხორა - ზიგანას აღმოსავლეთით მდებარე სოფელია დღესაც –(იქვე, გვ. 122, ნ. ადონც, „არმენია...“ გვ. 100).

გ. გრიგოლიას აზრით -ზიგანა და მოხორა ისტორიულ ჭანეთშია (იქვე, გვ. 122 და არა დასავლეთ საქართველოში).

სად მდებარეობდა პითია? –გ.გრიგოლია წერს- „ დამაჯერებლად გამოიყურება პ. ინგოროყვას ვარაუდი პითიას შესახებ, რომ პტოლემაიოსის მიხედვით **პითია მდებარეობდა ტრაპეზუნტსა და რიზეს შუა და ერქვა პიტიუსა** (პიტიუსი) - იგი ოფის ნავსადგურს უნდა ემთხვეოდეს – (**„ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები“.** გვ. 122. (პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 253).

„ამ ვარაუდის სისწორეს მხარს უბამს IV ს. ავტორის **ამიანე მარცელინეს** ცნობა: **ტრაპეზუნტის გვერდით არსებობს სახელოვანი ქ. პიტიუნტი**“ - –(**„ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები“.** იქვე, გვ. 123).

მაშასადამე ამ პიტიუნტიდან იყვნენ მიწვეულნი ეპისკოპოსები I მსოფლიო კრებაზე და არა აფხაზეთიდან, **ბიჭვინთის საეკლესიო სიდიადე მხოლოდ ქართულ ეკლესიასთანაა დაკავშირებული და არა ბერძნულთან.**

გ. გრიგოლიას დასკვნა ასეთია: – „ამრიგად, არმენიის სამთავარსარდლოში ნოტიციის მიხედვით დასახელებული 11 პუნქტიდან ხუთი - **ზიგანა, ხაძანა, სილუანა, მოხორა და ავაძა - თავსდებიან ტრაპიზონის სამხრეთით, ტრაპიზონსა და სატალას შორის. დანარჩენი ხუთი - ტრაპიზონი, ჰისის ნავსადგური (სურმენე), პითია (პიტიუსი), კენე პარამბოლე (ახალი ბანაკი) და ვალენტია (აფსაროსი) - ტრაპიზონიდან ჩრდილოეთით - სამხრეთ შავიზღვისპირზე** – (იქვე გვ. 123).

გ. გრიგოლიას მიხედვით სებასტოპოლისი არს ციხისძირი, ტრაპზონიდან 150 კმ-ით დაშორებული – (**„ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები“.** გვ. 123).

ჩემი აზრით სებასტოპოლისი გონიოა.

გ. გრიგოლია იმოწმებს ნ. ადონცს, პ. ინგოროყვას, ვ. ლექვინაძეს, ნ. ლომოურს და ასკვნის, რომ **ნოტაციის 11 პუნქტიდან ათი მდებარეობდა არა თანამედროვე დასავლეთ საქართველოში, არამედ სამხრეთ შავიზღვისპირზე. ტრაპეზუნტსა და სატალას შუა მდებარეობდნენ ზიგანა, ხაძანა, სილუანა, მოხორა და ავაძა, ტრაპეზუნტის ჩრდილოეთით ჭოროხის შესართავამდე თავსდებიან თვითონ ტრაპეზუნტი, ჰისის ნავსადგური (სურმენე), პითია (პიტიუსი), კენე პარამბოლე (ახალი ბანაკი) და ვალენტია (აფსაროსი), ხოლო მეთერთმეტე - სებასტოპოლისი კი არის ციხისძირი** – (იქვე გვ. 123).

გ. გრიგოლია იმოწმებს ახ.წ. V ს. ავტორს **პრისკე პანიონელს** და ასკვნის, რომ **სომხეთსა და ლაზიკას შორის არსებობდა უმოკლესი გზა** - იქვე. გვ. 126.

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით სომხეთსა და ლაზიკას შუა არსებული უმოკლესი გზა სომხეთიდან შედიოდა ვარციხეში,

ჩვენი აზრით კი, ეს გზა უმოკლესი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა თუ ის ერთმანეთს **არტაანსა და ართვინს** დააკავშირებდა, მართლაც **ასეთი გზა არსებობდა და მას საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა,** ხოლო ლაზიკა კი ეწოდებოდა ჭოროხის აუზის ქვეყანას - ერგე-ლიგანა, ზღვისპირს.

პრისკე პანიონელი თავის ისტორიაში 433-474 წლების ამბების აღწერისას, წერს, რომ რომაელებმა ილაშქრეს ლაზიკაში, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს, უკანდაბრუნებისას გადაწყვიტეს დაეგეგმათ ახალი თავდასხმა - „ბჭობაში იყვნენ, თუ რა გზით ელაშქრათ: იმავე გზით თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის, არმენიის გზით დაეწყოთ ომი, ზღვით კი შეუძლებელი იყო ცურვა, რადგან კოლხიდა უნავსადგურო იყო და ძნელსავალი ადგილები ჰქონდა მისადგომად (იქვე გვ. 127).

პრისკე პანიონელის ცნობიდან ჩანს, რომ 1) კოლხეთი (ლაზიკა) „უმოკლესი გზით“ უერთდება არმენიას. 2) ლაზიკა და არმენია მეზობლები არიან, საერთო საზღვარი აქვთ, 3) კოლხეთის ზღვისპირი კლდოვან-ქარაფოვანია, ამიტომაც რადგანაც ასეთი არაა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირი, კოლხეთის ქვეშ პრისკე პანიონელი არ გულისხმობს თანამედროვე დასავლეთ საქართველოს.

გ. გრიგოლია წერს - „რომაელები მარშრუტის შერჩევისას უარს ამბობენ საზღვაო გზის გამოყენებაზე, იმ მიზეზით, თითქოს კოლხეთის სანაპირო უნავსადგურო იყოს, რაც არ შეეფერება რეალურ ვითარებას. არიანესაგან ვიცით, რომ კოლხეთს ნავსადგურები გააჩნია აფსაროსში და ფასისში, რომელსაც არმადით შეაფარა თავი არიანემ. აშკარაა, აქ სხვა უნავსადგურო კოლხეთი, უფრო სწორად კოლხეთის უნავსადგურო სანაპირო იგულისხმება...“ - იქვე. გვ. 51.

ვფიქრობ ძველ ეპოქაში სამხედრო გემებს არ ესაჭიროებოდათ განსაკუთრებული ნავსადგური, მათი მცირე მოცულობის გამო, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ ისინი შედიოდნენ გაშლილ, ვაკე, ზღვის დონიდან თითქმის ნულოვანი სიმაღლის სანაპიროზე, როგორიცაა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირი, მაგრამ, თუ კი სანაპირო იყო კლდოვან-ქარაფოვანი, რომელსაც ვერსაით მიუდგებოდა გემი, მაშინ საჭირო იყო განსაკუთრებული ნავსადგური. თავიანთი ექსპედიციების დროს დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელები და ოსმალები საგანგებო ნავსადგურებს არც კი იყენებდნენ, ასევე კაზაკებიც. აღნიშნულის გამო, პრისკე პანიონელის ცნობა ისე უნდა გავიგოთ, რომ მის ეპოქაში ანუ V საუკუნეში ლაზიკა მდებარეობდა კლდოვან-ქარაფოვან სანაპიროზე ტრაპეზუნტიდან - ხოფამდე. საფიქრებელია, რომ ამ ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ ლაზთა სამეფო უფრო ჩრდილოეთით გავრცელდა და ხოფა მის სამხრეთად იქცა.

პრისკე პანიონელის მიერ ნახსენები ლაზიკის ე.წ. „არმენიის გზა“ უნდა იყოს ართვინ-არტანუჯ-არტაანის დამაკავშირებელი გზა, რომელიც არტაანიდან უშუალოდ შედიოდა სომხეთში და მიემართებოდა დვინისაკენ. მის ერთ მონაკვეთს ქართულ წყაროებში „გზა კლარჯეთისა“ ერქვა.

ესაა დვინი - ართვინის დამაკავშირებელი უმოკლესი მაგისტრალი – (იქვე გვ. 127).

კლავდიოს ატოლემაიოსის - „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ წიგნი V, თავი VI - ჩამოთვლილია კაბადოკიის ადგილები კერძოდ - მდ. აფსაროსისა და მისი შენაკადი ლიკოსის შემდეგ დასახელებულია სებასტოპოლისი. ის დასახელებულია ქალაქების ჩამონათვალთა ბოლოში - ის, ჩანს ითვლება კაბადოკიის უკიდურეს სასაზღვრო პუნქტად – (გ. გრიგოლია-**„ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები“.** იქვე, გვ. 128). ცხუმის სებასტოპოლისი შეუძლებელია ყოფილიყო კაბადოკიის სასაზღვრო პუნქტი.

პტოლემაიოსის მიხედვით მდ. აფსაროსი არაა მდ. ფაზისი, თუმცა ორივეს ერთიდაიგივე დასახელების შენაკადი აქვს, ის **აფსაროსსა და ფასისს შორის ათავსებს ქ. სებასტოპოლისს (იქვე, გვ. 141).**

პტოლემაიოსის მიხედვით კაბადოკიის პონტოს აღმოსავლეთ საზღვარი იყო „მოსხური მთები“. **მოსხურ მთებად მიიჩნევა პონტოს მთაგრეხილის ნაწილი ჭოროხის ქვემო წელიდან ტრაპეზუნტ-ბაიბურდის ხაზამდე** – (გვ. 128). ნ. ხაზარაძის მიხედვით „მოსხური მთების“ ნაწილია გურია-აჭარის მთაგრეხილიც, (იქვე, გვ. 128).

პტოლემაიოსის მიხედვით **კოლხეთი მდებარეობდა კაბადოკიის შემდეგ, მისგან ჩრდილოეთით,** მისი აღწერა იწყება დიოსკურია-სებასტოპოლისით და მთავრდება მდ. ფასისით. მაშასადამე მისი სებასტოპოლისი უფრო სამხრეთით მდებარეობდა:

კოლხეთს „სამხრეთიდან ესაზღვრება კაბადოკიის პონტო და მისი მომდევნო დიდი არმენიის ნაწილი“.

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით **II საუკუნეში რომის იმპერიამ ლაზიკას ჩამოაჭრა ტერიტორია სამხრეთიდან და ის შეიყვანა კაბადოკიის პონტოს შემადგენლობაში** – (იქვე, გვ. 130). კერძოდ, კი ზოსიმეს ცნობით (გეორგიკა I) **იმპერიის საზღვარი აღწევდა მდ. ფასისამდე, აქვე მდებარეობდა გ. გრიგოლიას თვალსაზრისით სებასტოპოლისი.**

დანიელ მესვეტის ცხოვრების მიხედვით V საუკუნეში საზღვრად იმპერატორ ლეონ I-ის (457-474) დროს ბიზანტიასა და ლაზიკას („მეგრელთა აფხაზეთის სამეფოს“) შორის ციხე **ხუფათი** იყო დადგენილი –(იქვე, გვ. 138). (მეფე გუბაზ I-ის დროს).

ხუფათი დღევანდელი ხოფაა, მაშასადამე აქ გადიოდა საზღვარი ლაზიკასა და ბიზანტიას შორის. ამ დროს ლაზიკას გამოეყო სვანეთი – (იქვე, გვ.138).

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით სწორედ **ხუფათში აუშენებიათ ბიზანტიელებს (VI-საუკუნეში) ქ. პეტრა.**

არტაანი იბერიაში

ქვეყანა ანუ ხევი **არტაანი**სა მდებარეობდა ჯავახეთის სამხრეთით. მას ერქვა „არტაჰ-ანიც“, ამჟამად თურქეთშია და დასავლეთით არსიანის ქედი საზღვრავს. არტაანის ქვეყნის შუა ნაწილში გაედინება მდ. მტკვარი, რომელზეც მდებარეობდა ქალაქი, ასევე „არტაანის“ სახელის მქონე. ქალაქი არტაანი, ანუ „არტაანის ქალაქი“, ცნობილი იყო პტოლემაიოსის მიერ, ამიტომაც მოიხსენიებს ასე – „იბერიის ქალაქი არტანისა“. არტაანში იყო „სოფელი მგლივანი“ (სუმბატ დავითის ძის ცხოვრება და უწყება), არტაანის ქვეყანას სამხრეთიდან კოლა ესაზღვრებოდა, რომელშიც მტკვარს აქვს სათავე.

არტაანი ცნობილი იყო იმით, რომ მასზე გადიოდა „გზა არტანუჯისა“, სადაც „გარდავალს გზა არტანუჯს“ (ვახუშტი). არტაანზე გადიოდა ასევე ბიზანტიიდან (და ასევე პერსარმენიიდან, ანუ სპარსული არმენიიდან) შიდა ქართლ-თბილის-ბარდავისაკენ მიმავალი საერთაშორისო გზა, რომელიც არტაანიდან ჯავახეთში შედიოდა. ასე რომ, არტაანი აკავშირებდა შავი ზღვის სანაპიროს პორტებს თბილისი-ბარდავთან არტანუჯის გზით, ხოლო სპარსეთ-ბიზანტიას კოლადან შემოსული გზით. არტაანი თითქმის ყოველთვის იბერიის ნაწილი იყო კოლასთან ერთად, ტაო კი I ათასწლეულის უმეტეს საუკუნეთა მანძილზე და VI-VII საუკუნეებში პერსარმენიას მიაკუთვნეს.

„ქალაქი არტანისა“ მალე ნაქალაქევად ქცეულა და მას ჰურს უწოდებდნენ (იგივე ქაჯთა ქალაქი). „სოფელი მგლივანი“ მოგვაგონებს „ლივანს“, „ლიგანს“.

კლარჯეთი- „ბერძენთა ქვეყანა“ – „საბერძნეთი“

„ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი, აშოტ ბაგრატიონი, არაბებთან კონფლიქტის გამო სამხრეთ საქართველოში გადავიდა – **„ივლტოდა მათგან წარემართა რათა წარვიდეს საბერძნეთად“** (სუმბატი, „ცხოვრება ბაგრატიონთა“ გვ. 376) დასახლდა არტანუჯში, ეს მხარე პოლიტიკური „საბერძნეთია“- „განმტკიცდა ხელმწიფობა მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა“ (იქვე), და „ბერძენთა მეფემან მიუბოძა კუროპალატობა აშოტს“. **ამ ცნობებში „შავშეთ–კლარჯეთი ახლა უკვე „საბერძნეთია“, ბიზანტიის სავასალო ქვეყანაა.**

აშოტი შავშეთსა და კლარჯეთში მკვიდრდება და რეზიდენციად არტანუჯს ირჩევს „პოვა კლარჯეთს ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელიც ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელად არტანუჯი და აოხრებულ იყო ბაღდადელისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ციხედ, წინა-კერძო მისა ქვეშეთ აღაშენა ქალაქი და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი და შექმნა მას შინა საფლავი თვისი“ (სუმბატ დავითის ძე, გვ. 376).

აშოტის დროს სამეფოში შედიოდნენ კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი (საქ. ისტ. ნარკვ. II. გვ. 449).

„ქ. არტანუჯი იყო „არტანუჯელი – კლარჯი ხელმწიფეების“ რეზიდენცია, „ქართველთა მეფეებისა“ კი ბანა უნდა ყოფილიყო“ (საქ. ისტ. ნარკვ. II. გვ.445, პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 54).

„კლარჯი–არტანუჯელი ხელმწიფეები“, როგორც ითქვა, შესაძლოა იყვნენ ლეგიტ-იმური მემკვიდრეები (ე.ი. თავიანთი თავი მიაჩნდათ ლეგიტიმურ მემკვიდრეებად) ლაზი მეფეებისა, რომელთაც ხელმწიფობას ანიჭებდა ბიზანტიის იმპერატორი VIს-მდე, შემდეგ ეს შტო შეწყდა, მაგრამ მის მამულზე მოსულ ახალ ხელისუფლებას ჩანს ეს მემკვიდრეობა თავის ხელში აუღია აშოტის მემკვიდრეებს ან ნათესაური ქორწინების გზით ანდა მამულის მემკვიდრეობის ფაქტის გამო(„ლაზთა მეფობა“, იგივეა რაც „კლარჯთა ხელმწიფეობა“?).

რას ნიშნავდა „ქართველთა მეფის“ ტიტული, ის ნიშნავდა მემკვიდერეობას არიან-ქართლელი თუ მცხეთელი მეფეებისა? იქნებ ამ ტიტულს ლეგიტიმაციის სხვა წყარო ჰქონდა? მცხეთა არაბებს ეჭირათ, ხოლო სამეფო (საერისმთავრო) ოჯახი სამხრეთ საქართველოში იყო გადმოსული, ისინი იყვნენ მემკვიდრეები იბერიელი (ქართველი, მცხეთელი) მეფეებისა, ამიტომაც თითქოსდა მათ „ქართველთა მეფის“ ტიტული უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მათ „კლარჯთა ხელმწიფეებს“ უწოდებდნენ. „ქართველთა მეფის“ ტიტული ამ ოჯახში მოგვიანებით შევიდა.

ლაზიკა – სომხეთის მოსაზღვრე ქვეყანა

პ. ინგოროყვასა და მ. ჩხარტიშვილს განხილული აქვთ ის არეალი, სადაც იქადაგეს წმიდა გრიგოლ განმანათლებელმა და წმიდა ნინომ. კერძოდ, გრიგოლის ცხოვრებაში მოხაზულია არეალი, სადაც იქადაგა წმიდა გრიგოლმა ტაოდან – კასპიის კარამდე, ასევე, მოვსეს ხორენაცის მიერ მოხაზულია წმიდა ნინოს ქადაგების არეალი – კლარჯეთიდან

მასქუთებამდე, ანუ კასპიის კარამდე („კასპიის კარი“ – მდებარეობდა მდ. არაქსის სამხრეთით კასპიის ზღვასთან). ეს ორი არეალი ერთმანეთს არ კვეთს, თუმცა ერთმანეთს უშუალოდ ემიჯნებიან, კერძოდ, განსაზღვრულია წმიდა ნინოს სამწყსო. ესაა კლარჯეთის ჩრდილოეთით, უფრო სწორად, იმ ხაზის ჩრდილოეთით მოქცეული მხარე, რომელიც იქმნება კლარჯეთისა და მასქუთეთის შეერთებით, ხოლო მის სამხრეთით მდებარე არეალი, ანუ ტაოდან იგივე მასქუთეთამდე, ანუ კასპიის კარამდე – გრიგოლის არეალია. ასე რომ, განსაზღვრული სამწყსო ქართული ეკლესიისა – ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა, რომ კლარჯეთის ჩრდილოეთით ან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მხარე, დასავლეთ საქართველო ვისი მოქმედების არეალშია, წმ. ნინოსი თუ წმიდა გრიგოლისა. ამ სქემის მიხედვით დასავლეთ საქართველო არ შეიძლება იყოს წმ. გრიგოლის მოქმედების არეალში, რადგან ის მდებარეობს კლარჯეთის ჩრდილოეთით (ჩრდილო-დასავლეთით), ე.ი. ის წმიდა ნინოს არეალია. ამ შემთხვევაში დგება საკითხი: წმ. გრიგოლის ცხოვრების მიხედვით, წმიდა გრიგოლმა ლაზეთში გააგზავნა თავისი ესპიკოპოსი, მაშასადამე, აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს ლაზეთი არის არა დასავლეთ საქართველო, არამედ კლარჯეთის სამხრეთით ანდა სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მხარე, ანუ ჭანიკა-ტრაპეზუნტის რეგიონი, რომელიც სომხური ტრადიციის შესაბამისად შედიოდა ე.წ. „დიდ არმენიაში“, ან უშუალოდ სომხეთში და ეს მხარე ისევე მიიჩნეოდა არმენიის ხელდებულ ქვეყნად, ეს იყო გრიგოლის არეალი. აქ მდებარეობდა ის ლაზეთი, სადაც გრიგოლმა გააგზავნა თავისი ეპისკოპოსი. მართლაც, სომხური წყაროების ეგრისის ქვეყანა მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ მოიცავდა ტრაპეზუნტის მხარეებს. ეგრი, ჭანივი, მანრილი და ლაზივი – თეოდოსიოპოლის-ტრაპეზუნტს შუა მდებარეობდა და არა დასავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოს ეგრისი და არმენიის, ანუ ბიზანტიის ეგრი ორი სხვადასხვა ქვეყანა იყო. არმენიის ეგრი ტრაპეზუნტ-ჭანიკაა, ქართლის ეგრისი კი დასავლეთ საქართველოა, პირველი წმიდა გრიგოლის სამოღვაწეო არეალია, მეორე კი არა, რადგანაც კლარჯეთი და მისი ჩრდილოეთით მდებარე მხარეები, ანუ დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად წმ. ნინოს არეალია. ტოპონიმები და ჰიდრონიმები „ეგრი“ მრავლადაა მდ. არაქსის ზემოწელში.

მოვსეს ხორენაცი ლაზიკის შესახებ (ბაგრატიონები სპერში)

ხორენაცის ცნობით, ქრისტეშობამდე II საუკუნეში გაძლიერებული პართია თავს ითავისუფლებდა მაკედონელთა მბრძანებლობისაგან, პართიის მეფე არშაკმა სომხეთის „ჩრდილოეთისა და დასავლეთის“ ქვეყნების მეფობა გადასცა თავის ძმას ვალარშაკს, მან შექმნა სომხური სანახარაროები. მან „უწინარეს ყოვლისა ღვაწლი დაუფასა ძლევამოსილსა და გამჭრიახ კაცს, წარმომავლობით ებრაელ შამბატ ბაგრატს. ბაგრატის სახელის მიხედვით მისი შთამომავლები ბაგრატუნებად უნდა წოდებულიყვნენ... ვალარშაკმა ერისთავად, ათასეულთა და ბევრეულთა მთავრად დანიშნა იგი **დასავლეთ ნაწილში, რომლის იქით სომხურად აღარ ლაპარაკობენ** (მ. ხორენაცი, სომხეთის

ისტორია, 1984, გვ. 102). იგულისხმება სპერი. ა. აბდალაძის კომენტარით, ხორენაცი სპერს სომხურ პროვინციად მიიჩნევდა. „საქმე ისაა, რომ **ქართული მოდგმის ტომით დასახ-ლებული ეს მხარე საუკუნეების მანძილზე პოლიტიკურად დაკავშირებული იყო სომხეთთან**“ (იქვე, გვ. 261).

ამის შემდეგ ვალარშაკი თავისი ჯარით გაემართა ხალტიქის, ანუ ქალდეას, ანუ ჭანეთის საზღვრებისაკენ. ამის მიზეზი იყო ის, რომ სპერის იქით მდებარე ჭანეთი და მისი მეზობელი მხარეები, „მტკიცედ იცავდნენ ერთობის პირობას მაკედონელთა სახელმწიფოსთან“ (იქვე, გვ. 102). ესენი იყვნენ ხორენაცის დასახელების მიხედვით – **„ლაზიკა, პონტო, ფრიგია და მაჟაქი**“ (იქვე, გვ. 102), ორი ჯარი ერთმანეთს შეეჯახა, სადაც სომხებმა გაიმარჯვეს. აღნიშნული მხარეები სომეხთა მეფის მბრძანებლობის ქვეშ მოექცნენ. ხორენაცი წერს – „საქმის ამგვარად დაბოლოების შემდეგ სომეხთა მეფემ მოაწესრიგა მაჟაქის, პონტოელთა და ეგერელთა მხარეები. მერე მიბრუნდა იგი ჩრდილოეთში, პარხალის მთების ფერდობებისაკენ, ტაოში (იქვე, გვ. 103). ამის შემდეგ გადავიდა „ადგილებში, რომელთაც ძველები ანფაიტსა და ზემო ბასიანს ეძახდნენ... იქაურობას ვანანდი ეწოდა“ (იქვე, გვ. 104).

მემატიანემ შემოხაზა თავის მიერ ნახსენები ქვეყნები. ესენია სპერი, ლაზიკა, ეგერი და ბასიანი. ისინი ყველანი ერთ რეგიონში მდებარეობდნენ, ყველანი მოქცეულნი არიან პარხალის მთების სამხრეთით, ანუ მათი ჩრდილო საზღვარი ტაოს მიმდებარე მხარეა.

მ. ხორენაცი თავიდან წერს დასავლეთის კოალიციის შესახებ, რომ ისინი შედგებოდნენ „ლაზიკა- პონტო- ფრიგია და მაჟაქისაგან“, გამარჯვების შემდეგ აზუსტებს, რომ ესენია იგივე „მაჟაქი, პონტო და ეგერი“. ფრიგია და მაჟაქი – სამხრეთის მხარეებია, პონტო და ლაზიკა – დასავლეთის მხარეები, შემდეგ ლაზიკას ის უწოდებს „ეგერს“. მაშასადამე, ეგერი შედგება ლაზიკისაგან და სულ თავში ნახსენები ხალტიქ-ჭანეთისაგან. მართლაც, ხორენაცის მსგავსად, სომხური გეოგრაფიაც წერს, რომ ეგერი შედგებოდა იმავე ჭანეთ-ლაზიკისაგან, ანუ ეგერის ნაწილია ლაზიკა და ის მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ არმენიის დასავლეთით და მას მართავდა სომეხთა მეფე ვალარშაკი. ეგერ-ლაზიკა-ჭანეთის ჩრდილოეთით კი პარხალის მთები და ტაო მდებარეობდა. მაშასადამე, „ლაზიკა“ ნამდვილად ერქვა სპერის მიმდებარე მხარეს – პონტოს, ანუ ტრაპეზუნტის მიმართულებით. ამავე თვალსაზრისს ადასტურებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნოტიციები. ლაზიკის ეპარქიაში შედიოდა ლერი-ონისა და პაიპერტის (ბაიბერდის) ეპარქიები.

უნდა დავასკვნათ, რომ მ. ხორენაცი იცნობდა ლაზიკას და მის მდებარეობას განსაზღვრავდა სპერის მიმდებარე ტრაპეზუნტის მომიჯნავე მხარეს და არა დასავლეთ საქართველოში. ეს ცნობა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ამჟამად აღიარებული საისტორიო თვალსაზრისით VIII საუკუნემდე ლაზიკა არ ერქვა ტრაპეზუნტის მომიჯნავე მხარეს, არამედ დასავლეთ საქართველოს და თითქოსდა წყაროები არ აჩვენებს ლაზიკის მდებარეობას VIII ს.-მდე ტრაპეზუნტთან. მათ ამ მხრივ, ვფიქრობ, ხორენაცი არა აქვთ შესწავლილი.

მაშასადამე, ხორენაცის მიხედვით, **ლაზიკა VIII ს.-მდეც, V და წინა საუკუნეებში ტრაპეზუნტის მხარეს მდებარეობდა**.

ლაზიკის ბაღები ანუ მოხირისის ძიება ვეიდენბაუმისა და ყაზბეგის მიხედვით

პროკოფისა და სხვა ძველ ავტორთა აღწერით ლაზიკა კლდიანი ქვეყანა იყო, ამიტომაც ნაკლებ მოსავლიანი და მკაცრი ბუნებისა, მაგრამ აქ ზოგიერთ ადგილას შესანიშნავი ხილიც და მოსავალიც მოდიოდა. ერთი ასეთი მხარე ლაზიკაში ყოფილა მოხირისი, რომელიც კლდეთა შორის გადაშლილი ბაღნარი იყო, ასეთათ ჩვენ მიგვაჩნია ჭოროხის ხეობაში ერგე-ლივანი ანუ ლიგანი, რომლის ნაყოფიერებაც შესანიშნავად აღწერა ვახუშტიმ.

ე. ვეიდენბაუმი პროკოფის მსგავსად აღწერს აღნიშნული რეგიონის კლდოვან მიწა-წყალსა და ზოგიერთ ადგილას გადაშლილ მშვენიერ ბაღებს. მაგ. ის წერს: - მურღულის წყლის ხეობა შესართავთან ფართოა და არის ვაშლის ბაღებით განთქმული ადგილები, თესენ ხორბალს (ე. ვეიდენბაუმი ბათუმიდან ართვინამდე, გვ. 62). მსგავს ნოყიერ მიწა-წყალს ის აღწერს ართვინთანაც. მაგალითად „ტერასებზე გაშენებულია ბაღები და ზეთის ხილის ნარგავებია“ (იქვე, გვ. 66).

გ. ყაზბეგის აღწერით კი არტანუჯის ხეობის კლდოვანებასთან შედარებით შავშეთში სოფლის მეურნეობაც კი არის განვითარებული, რაც ამ რეგიონში დიდი იშვიათობა არის. ის წერს „შავშელები სოფლის მეურნეობასაც მისდევენ... მეზობელ მხარეებთან შედარებით შავშეთის ბუნება გაცილებით მდიდარია. მწარმოებლობის იგივე სახეებია, რაც ზემო აჭარაში. მესაქონლეობა და მეხორბლეობა აქ შეიძლება განვითარდეს. შავშეთი აწარმოებს ხორბალს, რომელიც ბათუმის ბაზარზე ყარსისას ჯობნის. მიწის ზღა-პრული ნაყოფიერების პირობებში შავშეთი შესაძლოა გახდეს ხორბლის წარმოების ცენტრი და ალბათ არტანუჯიდან ბათუმამდე გზატკეცილის გაყვანით ტბეთის ვაკე შესაძლოა ამ პორტის ბეღლად გადაიქცეს „1873 წელს ინგლისის პურით ვაჭრობის კომპანიამ საცდელად შეისყიდა შავშეთის პური. ამ კომპანიის ერთ-ერთი აგენტის თქმით აქაური პურით ვაჭრობას კარგი მომავალი აქვს. იგივე შეიძლება ითქვას მესაქონლეობაზე. კულტურული მცენარეულობიდან აქ კარგად ხარობს თუთის ხე. მაგრამ აბრეშუმის ჭია მხოლოდ ნური-ბეგის მამულში - შინდობანში ვნახეთ“ (გ. ყაზბეგი. 3 თვე თურქეთის საქართველოში, გვ. 97).

მოხირისს ალბათ უფრო შეესაბამება გ. ყაზბეგის მიერ აღწერილი ლივანი „ჩვენ გადავედით იმერხევის წყალზე გადებულ დროებით ხიდზე, თითქმის ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ეს მდინარე უერთდება არტანუჯ-ჩაის და წავედით ზემოთ იმერხევის ხეობაში. გზა ინარჩუნებს ისეთივე ხასიათს, რაც ჩვენ ფხიკიურის შემოგარენში ვნახეთ. მაგრამ მდი-ნარის ნაპირები უფრო დამრეცია, ტყეები მცირე. თითქმის ყველგან გარშემორტყმულია შიშველი კირქვებით, მცენარეული ცოტაა, მაგრამ სამაგიეროდ იმ ადგილას, სადაც ქვებს შორის ხელისგულისოდენა მიწაა, ნახავთ ყურძენს, ბროწეულს, ნუშს, ხურმას, ზეთისხილს, ლეღვს და სხვა ჯიშის ხეებს. ნაყოფიერება განსაცვიფრებელია. ჩვენ აქ პირველად დავრწმუნდით, რომ ლივანის გახმაურებული დიდება დამსახურებულია. ჭვავისა და ხორბლის მოსავალი უკვე აღებულია და მინდვრებში ახალი სიმინდი ითესება. სამ თვეში ახალი სამკალი იქნება. სოფელ ოპიზამდე ჩვენი გზა 3,5 საათს გრძელდება, აქედან პირველი საათი ცხენით, დანარჩენი 2,5 საათი ფეხით უნდა ვიაროთ. მხოლოდ ამითაც

შეიძლება იმსჯელო, თუ რა საზიზღარი გზაა. ამ მიდამოების მცხოვრებთათვის ცხენი არ არსებობს. სამაგიეროდ მათს ერთგულ მსახურად მორჩილი სახედარი რჩება. ცხენებით ჩვენ ავედით სოფელ კაპარიამდე, რომელიც მდებარეობს იმერხევისწყლის მარჯვენა ნაპირზე, შავი ზღვის დონიდან 1217 ფუტზე. ცხენები აქ დავტოვეთ, ჩვენ კი ვიწრო ბილიკით სოფელ ოპიზაში ავედით. გზა კარჩხალის ქედის განშტოებაზე, იმერხევისწყლის მოშიშვლებულ და კლდოვანი ხრამის გაყოლებით მიდის. მდინარე ჩვენს ფეხებს ქვემოთ, სადღაც შორს ჩაიკარგა. ოპიზის მონასტერი 1500 ფუტზე ზემოთ მდებარეობს, კარჩხალის ერთერთ განივ გასაყარზე და ჩვენს ცნობისმოყვარე თვალწინ გადაიშალა მაშინ, როცა სოფელში შევედით. მე მწყუროდა ნახვა ძველი საქართველოს ამ უწმინდესი ადგილისა, რომელსაც უმღერა ვახუტიმ და რომელიც ჯერჯერობით არცერთ ევროპელს არ უნახავს. ჩვენი ჯაფა სათანადოდ დაფასდა“ (გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, გვ. 100).

გ. ყაზბეგი სხვაგანაც აღწერს კლდეთაშორის მწირ მაგრამ მშვენიერ ადგილებს, სადაც კარგი მოსავალი მოდიოდა „ჭოროხისა და არტანუჯ-ჩაის შეერთების წერტილში გზა მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთისაკენ და ჭოროხის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით მიდის. ჩვენს ფეხებს ქვემოთ არტანუჯი მოსჩანს. ჭოროხი აქ მუხლს ქმნის, რომელიც აღმოსავლეთისაკენაა მიმართული. იგი წყდება მაღალი შიშველი კლდეებით, რომლებიც პირდაპირ მგზავრის თვალწინაა წამოწვდილი. შორს მდინარის მარცხენა ნაპირზე, მიდამოების ნაცრისფერ ფონზე მედიდურად მოსჩანს მწვანე მინდორში - ესაა სოფლების - არიასა და ორჯოხის ბაღები. გამცილებელმა აგვიხსნა, რომ ამ სოფლებში ლივანის საუკეთესო ყურძენი ხარობსო“ (იქვე, გვ. 107).

პროკოფის აღწერით სკანდასა და სარაპანას ციხესიმაგრეების ტერიტორიებზე არ მოდიოდა მოსავალი, არ ხარობდა ვაზი. გ. ყაზბეგიც მსგავსად მიუთითებს, რომ **შავშეთის მაღლობებში, სადაც ადმინისტრაციული ცენტრები და ციხეები იყო განლაგებული ვაზი არ ხარობდა და მოსახლეობა მხოლოდ ქერსა და ჭვავს თესავდა**. ის წერს „მაშინ, როცა გარეულობაში თესვა მხოლოდ იწყება, ტბეთში ყანები უკვე აჯეჯილებულია; მაშინ, როცა პირველში გამოჩნდა მსხლის კუკული, მეორეში უკვე სახეზეა ნიგვზის მოზრდილი ნაყოფი, რომელიც **ზემო ტერასზე საერთოდ არ ხარობს**. თავად ნათესებიც სხვადასხვანაირია. **ზემოთ მხოლოდ ქერს, ჭვავსა და ხორბალს თესავენ. ვაზის ლერწი არც იქ და არც აქ არ არის**“ (იქვე, გვ. 78). ნაკლებ მოსავლიანობის მხრივ უვენახეობის გამო გ. ყაზბეგის მიერ აღწერილი შავშეთის ციხისძირი ემსგავსება პროკოფის მიერ აღწერილ სარაპანას. ქერის და ჭვავის ნათესებითაც, მითუმეტეს, რომ ამ ციხისძირთან ახლოს გადიოდა არტანუჯ-არტაანის შემაერთებელი გზა, რომელიც **უღელტეხილ იალზნი-ჩამის ახლოს მდებარეობდნენ და იქვე არიან კანდრიდის და ქინძოტამალის ციხეები, რომლებსაც ეტილოლოგიურად ემსგავსება სკანდა. მახლობლადაა მთა „კანდილი**“.

ორი ლაზიკა

ბიზანტიასა და საქართველოს შორის საზღვარი ისტორიულად გადიოდა ხუფათთან (ხოფთან), მის ქვემოთ (ვიდრე ტრაპეზუნტის მთიანეთის/ჭანეთის/ ჩათვლით) - მდებარეობდა **„ძველი ლაზიკა“** თავისი საეპისკოპოსოებით, რომელთაგან ერთერთი ზიგანა

ტრაპეზუნტიდან 70-იოდე კილომეტრით იყო დაშორებული და თეოდოსიოპოლის გზაზე, მთიან რეგიონში მდებარეობდა. **ადმინისტრაციულად ის პონტოს ოლქში შედიოდა, ამტომაც სახელმწიფო მოხელეები და მწერლები მის სახელს არც კი იხსენიებდნენ. სახელი ლაზიკა კვლავ წამოტივტივდა მას შემდეგ რაც იუსტინიანემ მის მიერ ახალ დაპყრობილ ტერიტორიასაც უწოდა ეს სახელი-ლაზიკა.**

ჭანეთის ლაზიკა **„ძველი“** იყო იმ მხრივ, რომ როცა VI ს-ში ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ დაარღვია ხელშეკრულება სპარსეთის შაჰთან და ხუფათის მაღლა - ჭოროხის შესართავამდე დაიპყრო ახალი მიწა-წყალი - მასაც სახელი ლაზიკა დაარქვა, რადგანაც, ჩანს თვლიდა ჭანიკის ლაზიკის გაგრძელებად. მაშასადამე **ამ ახალდაპყრობილ მიწა-წყალსაც ლაზიკა ეწოდა, მიზეზი ამისა იყო ის, რომ ეს „ახალი ლაზიკა“ძველს ემეზობლებოდა, მისი გეოგრაფიული გაგრძელება იყო, ის მდებარეობდა ძირითადად მდ. ჭოროხის ხეობაში. ის არსებობდა, როგორც თავისთავადი ადმინისტრაციული ერთეული /სამეფო/-„ლაზიკის“ სახელწოდებით**.

ჭოროხის აუზი უზარმაზარი მიწა-წყალია, რომელიც დიდი კლდეებით ბუნებრივადაა შემოსაზღვრული. სულ ორი, ერთმანეთთან ახლო მდებარე გასასვლელი აქვს შავ ზღვაზე, ერთია მდინარე ჭოროხი და მის ნაპირზე გამავალი ვიწრო გზა-ბილიკები. მეორეა ხუფათ-ჭოროხის გზა. ამიტომაც ბიზანტიისათვის საკმარისი იყო რამდენიმე ციხე-სიმაგრის აგება ამ გზების საკონტოლებლად. ამიტომაც მდ. ჭოროხის ზღვასთან შერთვის სიახლოვეს აიგო პეტრას ციხე-სიმაგრე. მის მპყრობელს ადვილად შეეძლო მთელი უზარმაზარი ჭოროხის ხეობის ანუ ლაზიკის უმთავრესი ნაწილის აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის კონტროლი აღნიშნულის გამო.

მართლაც იუსტინიანეს მიერ დასმულმა პეტრას მცველმა შეძლო ეკონტროლებინა მთელი ლაზიკის ვაჭრობა. ლაზიკა ფაქტიურად მოიცავდა „კლარჯეთსა და ბოლო კლარჯეთის ზღვის პირს“ იბერიის ნაწილს, მაგრამ რადგანაც იბერია სპარსეთმა დაიპყრო, სპარსეთს მიაჩნდა, რომ ეს მიწა-წყალი სპარსეთს ეკუთვნოდა. ამის გამო ატყდა ომი სპარსეთსა და ბიზანტიას შორის. ახალი ლაზიკის გზით თვით შაჰმა ხოსრომ ინება შავ ზღვამდე მისვლა. ეს გზა დვინიდან შედიოდა არტაანში ანუ იბერიაში, რომელიც ჭოროხის ხეობას /პეტრას/ არსიანის ქედით უერთდებოდა.

არტაანიდან გზა შედიოდა შემდეგდროინდელ არტანუჯში, იქედან კი ართვინში და ჭოროხის ანუ ფასისის გავლით შედიოდა პეტრაში. კლარჯეთი ბიზანტიამ მიიტაცა და ის სეიყვანა თავის ადმინისტრაციულ ოლქ-ლაზიკაში, მაგრამ მისი მეზობელი არტაანი კვლავ იბერიად იწოდებოდა, ანუ იბერია-ლაზიკის შემაერთებელი საერთაშორისო გზა გადიოდა არა ლიხის, არამედ არსიანის მთაზე.

შემდგომშიც ამ გზაზე მდებარე არტანუჯი (X საუკუნისათვის) დიდ საერთაშორისო სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა. არტანუჯის ქვეყანას კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვებით ეწოდებოდა „არზეს ქვეყანა“. როგორც ითქვა **„არზე“ ანუ -ალზე-ალზ“ ის ფუძე უნდა იყოს, რომლისგანაც სიტყვა ლაზიკა იქნა მიღებული** - „ალზ-ლაზ-ლაზიკა“.

აღსანიშნავია, რომ ლაზებს უწოდებდნენ არა მხოლოდ ზღვისპირეთის მცხოვრებთ, არამედ მთიანი რეგიონის, **არზრ**უმის მცხოვრებთაც. „არზ-ლაზ“ ასევე ერთი ფუძეა. მაშასადამე **ლაზიკა ძველთაგანვე ერქვა, არამხოლოდ ზღვისპირეთს ტრაპიზონის მხარეს, არამედ მთიან რაიონსაც გუნუშხანე-არზრუმს.**

ძველი ლაზიკა-ქალდიის თემი
(„სოფელი მეგრელთა“)

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ტრაპეზუნტის ჩათვლით იუსტინემ VI ს-ში შეიყვანა ბიზანტიის იმპერიის იმ პროვინციაში, რომელსაც „I არმენია“ ეწოდებოდა. მალევე VII ს-ში ამ მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა ახალი ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული – „არმენიაკონი“, საბედნიეროდ მალევე, ბიზანტიამ ამ პროვინციას ანუ ძველ ლაზიკას(ლაზივს) აღუდგინა ძველი სახელი და მას უწოდა „ქალდეას თემი“. ეკლესიურად ქალდეას თემს იქამდე და მის შემდეგაც მოიცავდა კონსტანტინოპოლის ლაზიკის ეპარქია, რომლის სამიტროპოლიტოში შედიოდა ფაზისის, როდოპოლისის, პეტრას, ზიგანას და საისინის საეპისკოპოსოები. ნ. ადონცის აზრით, ყველანი ისინი მდებარეობდნენ ტრაპეზუნტ-არზრუმის შემაერთებელი გზის პირას. ესენი იყვნენ ცნობილი ქალაქები, რომელთა მეტ ნაწილში რომაული კოჰორტები იდგა, ამიტომაც ამ ქალაქებში დაარსეს საეპისკოპოსო კათედრები. ისინი ჭანიკა-ლაზიკის ეპარქიაში მდებარეობდნენ. ჭანეთი ვრცლად იყო გადაჭიმული პარხალის მთიანეთში და ნაწილობრივ ჭოროხისა და მდ. კელკიტის ხეობებში. „ქალდიის თემის“ სახელწოდების აღდგენით ბიზანტიამ ფაქტობრივად აღიარა, რომ ამ მიწა-წყლის მკვიდრი მოსახლეობა იყო **ქალდუ**ელები ანუ ქართველობა – ჭანებისა და ლაზების სახელწოდებით, მათი არმენიზაცია მიუხედავად იმპერიული ხელშეწყობისა VI-VII სს-ში სომხურმა ეკლესიამ ვერ შეძლო, რადგანაც ეკლესიურად კონსტანტინოპოლს ექვემდებარებოდნენ. უფრო მათი გაბერძნების პროცესი იყო დაწყებული.

ქალდეას თემი მოიცავდა ძველ, ისტორიულ ლაზიკას, რომელიც ადრე, დიოკლეტიანემდელ ეპოქაში ამ მთიანეთში მდებარეობდა და არა დასავლეთ საქართველოში. ეს იყო ე.წ.„ძველი ლაზიკა“ (ჩანს მიმდებარე ზღვისპირით), ხოლო ახალი ლაზიკა, რომელსაც იუსტინიანე „ჩვენს ლაზიკას“ უწოდებდა მდებარეობდა მის გვერდით იუსტინიანესმიერვე დაპყრობილ მიწა-წყალზე-რიზედან ჭოროხამდე. ამ ახალ ქვეყანას, რომელშიც ასევე შედიოდა ჭოროხისპირა ხეობა არსიანის ქედიდან ართვინ-ლიგან-ერგეს ჩათვლით თანამედროვე ბათუმ-ხელვაჩაურის რაიონებთან ერთად ეწოდა ლაზიკა. მაშასადამე ლაზიკა მოიაზრებოდა ასეთ საზღვრებში - სამხრეთით ზღვისპირას ხოფა, მთებში კი ჭანეთი, აღმოსავლეთით არსიანის ქედი, ჩრდილოეთით თანამედროვე სუფსას ხეობა და გურიის მთიანეთი.

რატომ „ქალდეა“?

ჭანეთს ანუ შემდეგდროინდელ ლაზისტანს ძველ ბერძნულ მწერლობაში ერქვა „ქალდეა“. ეს სახელი ცოცხალი იყო მკვიდრთა შორისაც, ამჟამად ლაზების ერთი მცირე ჯგუფი თავის თავს „ქალდებს“ უწოდებს. რას ნიშნავს სიტყვა „ქალდეა“ და რატომ უნდა წოდებოდა ეს სახელი ისტორიულ ჭანეთს.

ქალდეა, როგორც ვიცით ერქვა ლურსმულ ეპოქაში, ქრისტეშობამდე მრავალი ასეული წლით ადრე შუამდინარეთის ერთ სახელმწიფოს, ბერძენ ავტორთა მტკიცებით ტრაპეზუნტის მიმდებარე ქალდეას მოსახლეობა შუამდინარეთიდან იყო გადმოსახლებული და ამიტომაც ერქვათ მათ ეს სახელი, ხოლო კონსტანტინე პორფიროგენეტის

მტკიცებით ქალდეას მეზობლად მცხოვრები იბერები პალესტინიდან იყვნენ გადმოსახლებულები. მაშასადამე ქართველების სამხრეთიდან გადმოსახლების თეორიას ბერძნული ისტორიოგრაფია X საუკუნეშიც იცნობდა. სახელი „ქალდუ“ ჟღერდა ქართველთა თვითსახელწოდებაში - „ქართუ-ელი“ და ასევე წან-ლაზებსაც ეს სახელი – ქალდები ერქვათ. ეს სახელი ცნობილი და მშობლიური იყო იმ ფრიგიელებისა და კელტებისათვისაც, რომელნიც მცირე აზიაში დამკვიდრდნენ ქრისტეშობამდე VIII-III საუკუნეებში. მათში ეს სახელი უფრო ასე ჟღერდა - გორდე, გარდუ, ქართუ - ქალდუ. ჩანს ვანის ტბისპირეთიდან პონტოსზღვისპირზე გადმოსახლებულმა იბერებმა /კარდუხებმა/ ეს სახელი - ქალდ თან მოიტანეს.

ფრიგიელების ერთერთი ეთნოჯგუფი ყოფილა მესხები ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით. მესხები კი ჰეკატოს მილეტელის ცნობით კოლხური ტომი იყო. მაშასადამე მესხები და კოლხები ერთი ხალხი ყოფილა. ფრიგიელების ერთი ნაწილი, მათი შიდა სატომო სახელი კი ქალდუ იგივე ქართუ ყოფილა. ეს, ცხადია, უფრო სამეცნიერო ვარაუდებია, მაგრამ ფაქტია, რომ ჭანეთს - ქალდეა ერქვა.

ლაზიკა ფართო პოლიტიკური გაგებით

ნ. ადონცი წერს - გაგება აბასგიისა ფართო პოლიტიკური ტერმინის მნიშვნელობით, რომელიც იჭერდა მიწებს კასპიის ზღვამდე, წარმოიქმნა არაბობის შემდეგ. იქამდე, კერძოდ VIს-ში ასეთი **ფართო პოლიტიკური მნიშვნელობით იხმარებოდა ლაზიკა, ოღონდ შავიზღვისპირეთში (ნ. ადონცი, გვ. 219)**. როგორც წყაროებიდან ჩანს, თავდაპირველად ლაზიკა ერქვა ტრაპიზონის მიმდებარე მიწა-წყალს.

IV-V ს-ში რომის საზღვარი გადიოდა ქ. რიზეს სანახებში. მიმდებარე მიწა-წყალს (თავის ძალზე ვრცელ მთიანეთთან ერთად) ლაზიკას უწოდებდნენ, მაგრამ შემდეგ მისი მნიშვნელობა გაიზარდა, კერძოდ, იუსტინიანემ რომის საზღვარი გადაიტანა ჩრდილოეთით. მდ. ჭოროხის შესართავი მოექცა ბიზანტიის სახელმწიფოს შიგნით. ამ ახალ მიწასაც ლაზიკა ეწოდა.

VIII-IX-X სს-ში არაბთაგან გათავისუფლებულ სპერის, ბასიანის, ვასპურაკანის ნაწილის მართლმადიდებლურ ეპარქიებს – „ეპარქიები ლაზიკაში“ ეწოდათ. ასე რომ, ლაზიკა ეკლესიურად მოიცავდა ტერიტორიას თითქმის ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე, ხოლო პოლიტიკური მნიშვნელობით რიზედან – ჭოროხის შესართავამდე, კლარჯეთის ჩათვლით!

ჭანეთი (სისილისი/საისინი/ზიგანა)

პროკოფი კესარიელზე დაყრდონობით, ნ. ადონცი აღწერს ჭანიკას – ის მდებარეობდა თეოდოსიოპოლისთან ახლოს, რომელიც, მისი სიტყვით, იყო დასავლეთ არმენიის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი, სადაც იჯდა კომიტი (ამის საპირისპიროდ, სპარსელთა შაჰმა ქ.

დვინში (ერთერთ უმთავრეს ქალაქში), დასვა თავისი მარზპანი). „ჭანების ტომი ემეზობლება სომხებს, მათ მიწაზეა ადგილი, სადაც იუსტინიანემ ააშენა ახლადმოქცეული ჭანებისათვის პირველი ეკლესია. აქედან იწყება რომაელთა, პერსარმენიელთა და თვით ჭანების საზღვრები. აქვე იყო იუსტინიანეს მიერ აგებული პირველი ციხე-სიმაგრე, მისგან ორი დღის გზაზეა სოფელი ხარტი, ოკენიტი ჭანების მიწაზე. მისგან აღმოსავლეთით არის ციხე ბარხი, შემდეგ **ზაგონას** მთების კალთებია, სადაც ჭანები საქონელს აძოვებდნენ, მთის ძირშია სოფელი კენა – ვაკე ადგილზე და მისგან მარცხნივ ციხე-სიმაგრე სისილისია, აშენებულია ლონგინის ხევთან (რომაელი სარდალი ლონგინი აქ გაჩერებულა), აქ აუშენებია იუსტინიანეს სიმაგრე ბურგი – სისილისიდან ერთი დღის გზაზე.

შემდეგ არის კოკსილონი ჭანების სიმაგრეები.

ჭანების მიწის შემდეგ არის ქალაქი ტრაპეზუნტი, მისი საზღვრები მიდის სუსარმენამდე და რიზემდე (ორი დღის გზაზე). მისგან აღმოსავლეთით ჭანთა მთებია, რომლის იქითაც სომხები ცხოვრობენ, რომაელთა ქვეშევრდომები. ჭანების მთებიდან მოედინება მდინარე ბოასი.

ჭანების რაზმი, რომელიც მონაწილეობდა 550 წლის პეტრას ალყაში, უკან დაბრუნდა ზღვისპირა გზით რიზეს გავლით, საიდანაც ათინასა და ტრაპეზუნტის გავლით სამშობლოში დაბრუნდა.

რიზეს შემდეგ ცხოვრობდა ლაზთა ტომი (ნ. ადონცი, სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 65). ჭოროხზე, ჭანიკეში, საიდანაც გამოდის ისტორიული მდ. ბოასი, მდებარეობს ისტორიული ქალაქი ბაიბერდი და ასევე სატალა, მდ. კელკიდზე. მათ პროკოფი არმენიელებს მიაკუთვნებს.

სატალასა და ბაიბერდის მაღლა ზღვის პარალელურად მიემართება გრძელი ქედი, ძველად მას ერქვა პარხალი ანუ პარიადრეს ქედი (ამჟამად ლაზისტანის ქედი). ჭანური სოფელი ხარტა ბაიბერტის მაღლაა, ჭოროხის მარცხენა შენაკადზე. აქედან ჩანს, რომ ლაზები და ჭანები სხვადასხვა ტომი იყო. ლაზები რიზეს შემდეგ ცხოვრობდნენ.

ხალდეა – ქალდეა – ხალიბი

სტრაბონის დროს ალიძონები ანუ ძველი ხალიბები იწოდებოდნენ ქალდეებად. მისი აზრით, ჰომეროსის ალიბები იგივე ხალიბები იყვნენ. სიტყვა „ხალიბ“-ში, ნ. ადონცის აზრით, „იბ-ბი“ ქართული მრავლობითობის ნიშანია.

პროკოფის დროს ქალდები – ჭანები იყვნენ.

პლინიუსი ასახელებს – „არმენოხალიბებს“ – ისინი, ნ. ადონცის სიტყვით, სომხებისა და ხალიბების ურთიერთ შერევით მიღებული ხალხია. სხვა აზრით, ხალიბების სახელი მიღებულია ბერძნული „ხალიფს“ — სპილენძიდან. ასე უწოდებდნენ პონტოელ ტომებს, სპილენძის მაწარმოებლებს. ნ. ადონცის აზრით, შეიძლება იყო პირიქით და ბერძნული სიტყვა აღნიშნული ხალხის თვითსახელწოდებიდან იქნა მიღებული (ნ. ადონცი, გვ. 59). ჩანს, ხალიბები /ქალდუელები/ და კარდუენები ერთი ხალხის ტომები იყო.

ქალდეა – ქართეა

ნ. ადონცი წერს – „ჭანიკა ანუ ქალდეა, ქვეყანა ჭანებისა ანუ ქალდებისა, იყო მთიანი ოლქი, წარმოქმნილი პარხალის მთებისა, ჭოროხისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლისაგან - ტრაპეზუნტამდე, ჭოროხის ველზე ჭანიკა ესაზღვრებოდა ტაოს ოლქსა და სპარსულ სამფლობელოებს, შემდეგ გუგარენას კანტონს, კლარჯეთსა და არტანუჯის მდინარეს, შემდეგ კი მდ. ჭოროხი შედის ეგრში, ანუ ეგერიაში, როგორც აღგვიწერს „სომხური გეოგრაფია“ (ნ. ადონცი, სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 26).

ნ. ადონცის მიერ ნახსენები ტუხარისის ციხე ალბათ თუხარისია. ის ერთ-ერთი სასაზღვრო წერტილი ყოფილა ჭანიკისა.

ჭანეთს მეორე სახელი ქალდეა ერქვა. ქალდეა – ძველი სახელია, ნახსენები წმიდა წერილში, შუამდინარეთსა და არარატის ქვეყანაში მდებარეობდა ქრისტეშობამდე მრავალი საუკუნით ადრე, მაგრამ ჭანეთის ქალდეას სახელი მას არ უკავშირდება.

საფიქრებელია, რომ ჭანეთს ქალდეა თუ ხალდეა უწოდეს, ალბათ, ჭანების ეთნიკური თვითსახელწოდების გამო. რა უნდა ყოფილიყო ჭანების თვითსახელწოდება? ის იყო ერთი ნაწილი დიდი ხალხისა ანუ დიდი ეთნიკური ჯგუფისა – ქართველებისა, ალბათ, ჭანების თვითსახელწოდებაც ეს იყო-ქართუელი, აქედან ქალდუელი. მართლაც, სიტყვების- **ქალდეა-ქალდუელისა და ქართუელის** ეტიმოლოგიური იდენტურობა უდავოა.

სიტყვათა ფუძე-**ქალდ** იგივეა, რაც **ქართ.**

გ-კ-ქ დ დ-ტ-თ თანხმოვანთა ჯგუფებში გვაქვს თანხმოვნების ურთიერთმონაცვლეობა. ამიტომაც **ქალდ – მოგვცემს ქართ-ს. ქარლდუ კი– ქართუს.**

ქალდ ასევე გვაძლევს „გარდ“-ს. „გარდ“-ის ფუძე-ძირია- გარ-გრ-ეგრ (აქ „დ“-მრავლობითობის ნიშანია).

საერთოდ **გარდ (ქართ) ანუ „გრ“ ფუძე – მთელი ქართველი ხალხის და მისი ქვეყნის თვითსახელწოდებაში ჟღერდა:** ესენია- გუგარქი, ეგრისი, გურია, არგვეთი და სხვა. გუგარქი სომხური წყაროებით, ერქვა არა მხოლოდ ქვემო ქართლს, არამედ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, საზოგადოდ ქართველთა ვრცელ ქვეყანას – ანუ იბერიას ერქვა ასევე „გურზან“ (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 219).

შეუძლებელია ეტიმოლოგიურად ერთმანეთს არ დავუკავშიროთ **გურ**ზან და „ეგ**რ**ი“, ანუ „ეგ**ერ**ია“.

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს სახელი გუგარქი, გოგარენა, ასევე სახელები დასავლეთში – არგვეთი, გურია. იდენტურია ქალდ, გარდ, ეგერ, არგვეთი, გურია, გურაზან, გუგარქ, გოგარენა – ისინი საერთო ფუძეს შეიცავენ – ესენია: „გრ“ ან „რგ“. ქართველთა ეთნოთვითსახელწოდების ფუძე-ძირია – „გრ“ – „ქრ“.(სიტყვა გუგარქში ფუძე-ძირია – „გგრ“ და არა – „გუგ“, როგორც მიიჩნევა).

ჭანები

პროკოფი კესარიელის ცნობით, ჭანები ადრე სანებად იწოდებოდნენ. ისინი მრავალ ტომად იყოფოდნენ III-VI საუკუნეებში, მოსახლეობდნენ მდ. ჭოროხის სათავეებთან. ახლანდელ ბაიბერთისა და ისპირის მაზრებში. ბიზანტიელებმა დაიმორჩილეს იმპ. იუს-

ტინიანეს დროს, ჭანეთი ამ დროს დაიპყრო არმენიის მაგისტრმა ჭიტამ, დაიწყეს გაქრისტიანება. სახელწოდება ჭანი შემდეგ შეიცვალა ლაზით. ჭანეთი შემდგომ, ჭანური ტომების აქტივობის შედეგად, ეწოდა ახლანდელ ართვინის, რიზესა და ტრაპიზონის ვილაიეთებს.

ჭანეთს ბერძნულ წყაროში ასევე ეწოდება თიანიკე.

XIII საუკუნიდან შედიოდა ტრაპიზონის იმპერიაში.

XIVს-დან ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილი სამცხის სამთავროს შემადგენლობაშია. 1461 წლიდან 1547 წლამდე ოსმალებმა დაიპყრეს. 1878 წელს თურქეთმა დათმო აღმოსავლეთ ჭანეთის ნაწილი, რომელიც შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (ახლანდელი სარფის აღმოსავლეთი რეგიონი).

ხალტიქ – ხალდია (ქალდია) 950 წლისთვის

ბიზანტიური ადმინისტრაციული დაყოფა აჩვენებს, რომ **ხალდიას თემ**ი მოიცავდა შავიზღვისპირეთს **თერმოდონტიდან ფაზისამდე**, რუკებზეცაა აღინიშნული, რომ მისი **ჩრდილოეთის საზღვარი** თითქმის თან ემთხვეოდა მდ. **ჭოროხ**ის შესართავს (ანუ ფაზისი ჭოროხს ეწოდებოდა X საუკუნისათვის).

X ს. ბიზანტიურ დაპყრობათა კვალდაკვალ, ხალდიას თემს 950 წლისათვის **აღმოსავლეთის მხრიდან** შემომატებული ჰქონდა ოლქი **„მესოპოტამ**ია“, ევფრატის სათავესთან, ეს ოლქი თეოდოსიოპოლისს არ მოიცავდა, რადგანაც ის ჯერ კიდევ არ იყო ბიზანტიის შემადგენლობაში, ფიქრობენ, რომ იმ დროისთვის ბიზანა და ხორძენაც ხალდიაში შედიოდა. ხალდიასა და მესოპოტამიის თემებს **ესაზღვრებოდა კოლონიას თემი**. მასში, ჩანს, იმ დროისათვის შედიოდა ლერიონი, შარიანი, გაილი და კერჩანისი. ხოლო პაიპერტი, ანუ ბაიბერდი, ჩანს, ხალდეას თემში შედიოდა.

იქამდე, საუკუნეებით ადრე, კერძოდ კი VII ს-დან, აღნიშნული თემები შედიოდნენ **არმენიაკონის** ვრცელ თემში მესოპოტამიის გამოკლებით, რადგანაც ეს უკანასკნელი არაბებს ეჭირათ. წყაროთა მიხედვით არმენიაკონის თემის **ჩრდილო საზღვარი აღწევდა მდ. ფაზისამდე**, ხოლო ყველა რუკის მიხედვით, ეს თემი აღწევდა მდ. **ჭოროხ**ის შესართავამდე, მაშასადამე, ფაზისს VII-IX საუკუნეებშიც ჭოროხს უწოდებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ X ს-ში ფაზისი ერქვა ასევე მდ. არაქსსაც, როგორც კონსტანტინე პორფიროგენეტი გადმოგვცემს. ფასისი არაქსს ჯერ კიდევ ქრისტემდე ასწლეულებით ადრე რქმევია, ქსენოფონტეს მის მხარეებში შეხვდა ფასიანთა ტომი, ხალდიის თემის მთავარი ქალაქი იყო ტრაპეზუნტი. VII ს. მსოფლიო კრების დამსწრე ტრაპეზუნტელი ეპოსკოპოსი კრების აქტებს ხელს აწერდა ვითარცა „ეპისკოპოსი ფაზისისა“. მაშასადემე, ქ. ტრაპეზუნტსაც ერქვა ეს სახელი. ასე **რომ, ხალდიის თემი ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მდინარეებით – „ფაზისებით“ იყო შემოწერილი**, ხოლო „ფაზისი“ თვით ცენტრალურ ქალაქსაც რქმევია, მაშასადამე, იქ სიტყვა „ფაზისი“ პოპულარული ყოფილა. კიდევ უფრო ადრე, IV ს. ბოლოს, ხალდიის თემის ადგილას იყო „პო-

ლემონის პონტოს“ პროვინცია, მასში შედიოდა ქალაქები კომანა, პოლემონიონი, კესარია, ტრაპეზუნტი და რიზე. **პროვინცია აღწევდა მდ. ჭოროხამდე,** კერძოდ ქ. აფსაროსამდე. პოლემონის პონტოს პროვინციას დაეფუძნა ჯერ არმენიაკონისა და შემდგომ ხალდიის თემები.

ტიბარენები და ჭანები ერთ მიწაზეა

ჭანეთს უცხოელები ქალდეას უწოდებდნენ. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით **სიტყვის ფუძე - ძირი „ქალდ“, „ქალდუ“ აღნიშნავდა ქართველთა სამივე ჯგუფის ქართების, ზანებისა და სვანების საერთო სამშობლოს სახელს** (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1951, გვ. 403-404) ის ქართულ ქალდეას (ანუ ჭანეთს) არ აკავშირებდა შუამდინარეთის „ქალდეასთან“ და არც ურარტუს „ქალდთან“).

ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობებით ქალდეა - ჭანეთში ერთად ცხოვრობდნენ ტიბარენები და ჭანები. სიტყვა ტიბარენში ფუძე-ძირი „ტიბარ“ იდენტურია სიტყვა - „იბერისა“.

პროვინცია არმენიაკონი

ნ.ადონცის სიტყვით, VII ს-ში ჭანეთსა და მის მოსაზღვრე მხარეებს „არმენიაკონი“ დაერქვა. ის გადაშლილი იყო სინოპიდან ფაზისამდე. შედგებოდა ყოფილი კაპადოკიის, I, II არმენიისა და პონტოსაგან. სახელი ეწოდა მის მეზობლად მცხოვრები სომხების გამო (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 203).

ჭოროხის ხეობას ხალდეა, ხალდოძორი ერქვა. აქ ბარხონთან – პარხარის ქედთან-იყო სადგომი ოკენიტების ჭანებისა, ხარტას მაღლა ვაკე ადგილზე კი მდებარეობდა დასახლება კენა, ოკენა (ო – პრეფიქსია, ქართული სა-ს ფარდი), ე.ი. ოკენა-კენების ანუ ოკენიტი ჭანების საცხოვრისი. ოკენის დასავლეთით პუნქტი სისილისი (სისილისი – ზიზიოლა). ზიზიოლა – ნიკოპილ – სატილას გზაზეა, სატალადან 18 მილზე. გზა გადიოდა გაილ-კელკიტის მდინარის გასწვრივ, ე.ი. ზიზიოლა – ამჟამინდელ კელკიტთან იყო. პროკოფის ცნობით, სისალისი და კენა პარხალის ქედზე იყო. ოტატია იგნტიატუმ (1839) თანახმად, ზიზიოლაში იდგა რომაული რაზმი დიდხანს – იუსტინიანემდე. ჭანები დაიპყრო იუსტინიანემ ტახტზე ასვლისთანავე. სისილისი ჭანიკის გარე საზღვარზე მდებარეობდა პარხალის ქედზე. ოკენიტების ცენტრი – ხარტი – სამხრეთ მთისწინებში იყო, ბაიბერდის და სატალის გასწვრივ. **როგორც ჩანს, საისინის კათედრა სისილისში იდგა.**

სისილისიდან ერთი დღის გზაზე მდებარეობდა ბურგი – ლონგინოს ადგილთან ახლოს, აქედან კოკსილონთა ტომის ოლქი იწყებოდა და აქ იყო ქალაქები სხიმალანიხონი და ჭანჭაკომი (იქვე, გვ.65).

ჭანების სახელი შემოინახა ჯანიკმა. აქედან განდევნილი ჭანები შემდეგში ცხოვრობდნენ მდ. ხარშუტთან. არდასის ჩრდილოეთით ძევს ზიგანა, რომელიც მნიშვნელოვანი პუნქტი იყო – ლაზიკის ხუთი ეპისკოპოსიდან ერთერთის რეზიდენცია. ეკლესიურად ჭანიკა ლაზიკას ეკუთვნოდა, ჭანებს უფრო ადრე ქალდები ერქვათ. ჭანების პოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდის გამო მთელ ქვეყანას VI ს-ში ჭანეთი დაერქვა. VIII ს-ში გაცოცხლდა ძველი დასახელება – არმენიაკონის თემის დაშლის შემდეგ და ერთ მის ნაწილს ქალდეა დაერქვა (გვ. 65). ე.ი. **ამ მიწა-წყალს იუსტინიანეს მეფობის დასაწყისში ერქვა –პონტო, შემდეგ I არმენია, VI საუკუნეში – ჭანეთი, VII ს-ში – არმენიაკონი, VIII-დან ქალდეა. ესენი იყვნენ ოფიციალური, იმპერატორთა მიერ შერქმეული სახელები. მისი თავდაპირველი სახელი კი – ლაზიკა/ქალდეა უნდა ყოფილიყო, ბოლომდე შემორჩა კიდეც ეს სახელები მას.**

კლარჯეთი ანუ ლაზიკა

კლარჯეთს, ვახუშტის ცნობით, თავდაპირველად მართავდნენ მთავრები (მეფეები), რომელთა გვარი იყო „მირდატოვანი“ (ვახუშტი **კლარჯეთ**ის ქვეშ, როგორც ითქვა, გულისხმობს **ჭანეთს, ტაოს, სპერს, ჭოროხის ხეობას** და, ასევე, მიმდებარე რეგიონებს. მას შემდეგ, რაც კლარჯეთი ბერძენთაგან გაათავისუფლა ვახტანგ გორგასალმა, კლარჯეთის საერისთავო აღმოჩნდა ვახტანგის ვაჟის **მირდატ**ის ხელში. მირდატმა საკუთარი და მიათხოვა „დავით წინასწარმეტყველის შთამომავალ“ **გუარამ I** ბაგრატიონს, რომლის წინაპრები ფილისტიმიდან ყოფილან წამოსულნი, მას ასევე გადასცა **„სამკვიდრებელი ტაო“**. ამ გუარამს „ტაოს ერისთავი“ ეწოდა. გუარამ I ტაოს ერისთავს მირდატის დისგან ეყოლა **ბაგრატი**. სპარსელთა ქართლში გაბატონებამდე კლარჯეთ-ტაოს ერისთავები ემორჩილებოდნენ „ქართველთა მეფეს“, ე.ი. მცხეთელ მეფეს, ხოლო სპარსთა შემოსევის შემდეგ „ძენი მირდატისანი განდგნენ ფარსმან მეფისაგან და მიერთვნენ ბერძენთა“ (იქვე, გვ. 693). კლარჯეთში (მასში შედიოდა ტაოც) წარმოიშვა **ორი სამთავრო სახლი**, ერთი იყო ვახტანგ გორგასლის ძის მირდატის შთამომავლები, მეორენი კი ამ მირდატის დისა და აღნიშნული გუარამ I-ის შთამომავლები. შემდგომში **მირდატის ძეები უშვილობის გამო ამოწყდნენ**. ამ მიზეზის გამო საგვარეულო სახელი **„მირდატოვანები“ ეწოდათ გუარამის შთამომავლებს**. მის შვილიშვილს ერქვა ასევე სახელი გუარამი (მაშასადამე ის იყო ზემოთ აღნიშნული ვახტანგ გორგასლის ძის მირდატის დის შვილის ბაგრატის ვაჟი). ვახუშტი წერს, რომ ამ მეორე გუარამმა **„შეიცვალა სახელი მირდატოვნობისა ბაგრატიონად** მამისა თვისისა სახელისათვის“ (ქ.ც. IV, გვ. 694).

გუარამ II მირდატოვანი იქცა ბაგრატიონად, მალე ის ავიდა მცხეთის სამეფო ტახტზე. ეს ასე მომხდარა – **„მიევლტო ეს გუარამ უმეტეს ბერძენთა...** ამისთვის კეისარმან **მოსცა** სიგელით... **კურაპალატობა** გუარამს, ხოლო წელსა 575 თხოვნითვე ქართველთათა **მოსცა ამ გუარამ კურაპალატს მეფობა საქართველოსი** კეისარმან იუსტინე და გამეფდა. ამით **კუალად შეერთდა სამცხე-კლარჯეთი და ყოველი საქართველო ერთ სამეფოდ“** (იქვე, გვ. 694).

მაშასადამე, სომხური გეოგრაფიით **ეგრად (სამხრეთ ეგრისად) წოდებულ ქვეყანაში,**

ანუ ქართული წყაროებით კლარჯეთში (რომელშიც ტაო და ჭანეთიც შედიოდა), იგივე ბერძნულ ლაზიკეში მთავრობდა მირდატიანების საგვარეულო, რომლის პირველმა პირმა VI ს-ში მცხეთის (ქართლის) სამეფო ტახტი დაიკავა. ქართული წყაროს აღნიშნული ცნობები გარკვეულწილად ეთანადება ბერძნულსა და სომხურს – ყველა წყაროში **მითრიდატ-მირდატიანები** იხსენიება: **მითრიდატე** VI ევპატორმა დააარსა ე.წ. „კოლხეთის სამეფო“, რომლის პირველი მეფე მისი ძე მითრიდატე იყო. შემდეგ მას მითრიდატეს ძე ფარნაკი მართავდა (ეს კოლხეთი იგივე ეგრი – ლაზიკაა), **მიჰრდატიანები, სომხური წყაროებით, მართავდნენ პონტოსპირეთის ქართველებს.**

პონტოსზღვისპირეთის ქართველთა მირდატიანი (მიჰრდატ-მითრიდატიანი) მეფეების მმართველობის შესახებ წერს როგორც ბერძნულ-ლათინური, ისე სომხური და ქართული წყაროები. ბერძნულ-ლათინური წყაროები ამ მითრიდატიანების ძირითად სამეფოდ მიიჩნევენ პონტოს ქვეყანას, სომხური წყაროებიც წერენ, რომ მიჰრდატიანებს სამეფოდ მიეცათ როგორც პონტოს, ისე კავკასიის მხარეს პონტოსზღვისპირეთის ქვეყანა, ქართული წყარო მათ საპირისპიროდ მიიჩნევს, რომ მირდატიანებმა სახელი მიიღეს ვახტანგ გორგასლის ვაჟის – მირდატისაგან (თუმცა კი აღნიშნავს, რომ მათი ძირითადი, თავდაპირველი სამართავი ქვეყანა იყო კლარჯეთი, ანუ პონტოსზღვისპირეთი ჭოროხის ხეობის მხარეს). ამ მხარეებიდან (სპერიდან) ბაგრატიონების წარმოშობის შესახებ სხვა წყაროებიც არსებობს, **ბაგრატიონებს, ჩანს, ზოგიერთ წრეებში აკავშირებდნენ ლაზიკის მეფეებთან. არსებობს შესაძლებლობა ვარაუდისა, რომ ერთერთი ამ მეფეთა შთამომავალთაგანი, სრულიად საქართველოს ტახტზე ასულა, თუ, რასაკვირველია, კლარჯეთსა და ლაზიკას გავაიგივებთ.**

ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით, ვახტანგ გორგასლის სიჭაბუკისას, მისი მეფობის პირველ ათეულ წლებში კლარჯეთი (ანუ ლაზიკა) მიიტაცეს ბერძნებმა, მართლაც, ბერძნული წყაროები იხსენიებენ ლაზიკას იმ მომენტთან დაკავშირეთ, რომ 456 წელს რომაელებმა, ე.ი. ბიზანტიელებმა „დაიწყეს ომი ლაზებთან“ (**Латишев, “Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе”, Т. II, 2 стр. 347**).

ქართლის ცხოვრების მიხედვით, ბერძნებმა V საუკუნის აღნიშნულ პერიოდში მართლაც მიიტაცეს კლარჯეთი, რადგანაც, **ჩვენი აზრით, ქართული წყაროების კლარჯეთი იგივეა, რაც ბერძნული წყაროების ლაზეთი, „ლაზებთან ომი“ უნდა გულისხმობდეს ბერძნების შემოჭრას კლარჯეთში.** ამ დროს ბერძნული წყაროებით, ლაზეთის მეფე იყო **გუბაზ I,** ის ალბათ ქართული წყაროების **კლარჯეთის ერისთავია.**

კლარჯეთი, როგორც ვთქვით, სხვა მიწებთან ერთად მოიცავდა **ჭოროხის ხეობას ეგრის ჩათვლით, რომელიცაა „ბოლო კლარჯეთისა – ზღვისპირი“.** შეიძლება თუ არა მიმსგავსება სახელებისა „გუბაზი“ და „გუარამი“- ეს საკითხავია. საგვარეულო სახელები გუბაზი და გუარამი წერისას (მთავრული ასო-ნიშნებით) ერთმანეთს ემსგავსება.

კოლხეთის ანუ ლაზეთის მეფე გუბაზ I იძულებული გამხდარა დახმარება ეთხოვა პართიის მეფისათვის, რომელმაც ეს ვერ შეძლო. გუბაზი კვლავ იძულებული გამხდარა ბიზანტიელებთან ელჩები გაეგზავნა. ამ დროს ლაზიკის სამეფო ტახტზე ორი მეფე მჯდარა, თვითონ გუბაზი და მისი ძე. ეს ბიზანტიელებს მიუღებელ წესად მიუჩნევიათ და გუბაზისთვის შეუთვლიათ – „აღარ გეომებით, თუ ან თვითონ შენ, ანდა შენი შვილი უარს იტყვით მეფობაზე, რადგან ორივეს ბატონობა არ შეიძლება, ეწინააღმდეგება ძველისძველ წესსო“.ეს მომხდარა იმპერატორ მარკიანეს (450-457) დროს. გუბაზმა მეფობა დაუთმო თავის შვილს და კონსტანტინოპოლში ჩავიდა იმპერატორ ლეონ I-ის (457-475) დროს.

გუბაზი მალე უკან გამოისტუმრეს (ამ ლეონ I-ის დროს, ჩანს, აშენებულა სამშვილდის სიონი), ხოლო მისი ძე ლაზიკის ტახტზე აუყვანია ბიზანტიის იმპერატორს.

გუბაზ I კლარჯეთის სუვერენი მმართველი რომ არ ყოფილა (ომის დაწყებამდეც), იქიდან ჩანს, რომ ბიზანტიელები მას კარნახობენ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კანონები მისი ქვეყნის შიგნით.

ომის შემდგომ ბიზანტიაში ჩასული ლაზიკის მეფე არწმუნებდა საიმპერატორო კარს, რომ ის ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო, რათა კიდევ ერთი მიზეზი არ მიეცა ბიზანტიელებისათვის ლაზიკის ასაოხრებლად.

მართლაც, 450-იან წლებში ლაზიკა უკვე ძველი ქრისტიანული ქვეყანა იყო, აქ, ე.ი. კლარჯეთში V საუკუნის ისტორიკოსის ხორენაცის სიტყვით, იქადაგა წმიდა ნინომ („კლარჯეთიდან მასქუთებამდე"), კლარჯეთი კი იგივე ლაზიკაა (სამხრეთ ეგრისი. „ეგრი", როგორც ითქვა, კლარჯეთში მდებარეობდა) და, საერთოდ, ტრაპეზუნტის ლაზიკას ქართველები თარგმნიდნენ ასე -„სოფელი მეგრელთა", ან პირდაპირ „სამეგრელოს". ანდრია პირველწოდებული თავდაპირველად მოვიდა ტრაპიზონში, რომლის ქვეყანასაც „სოფელი მეგრელთა" ერქვა. საერთოდ, სიტყვა „სამეგრელო" ქართულ მწერლობაში თავდაპირველად ნასხსენებია არა რიონის ეგრისის, არამედ ტრაპიზონის ეგრისის აღსანიშნავად, რადგანაც, როგორც აღინიშნა, ბერძნულ მწერლობაში ნახსენები **„ლაზიკა" (ტრაპიზონის სანახები) ითარგმნებოდა „სოფელი მეგრელთა", ამიტომაც ლაზიკის ეპისკოპოსებსაც ქართულ მწერლობაში „მეგრელთა ეპისკოპოსები"** ერქვათ. მაგალითად, ტრულის კრების კანონებში, სადაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპისკოპოსები აწერენ ხელს, ქართულად ასე ითარგმნა – „თეოდორე უღირსმან ეპისკოპოსმან ფასოისამან, სოფელსა შინა მეგრელთასა განვსაზღვრენ და წარვწერენ, იოვანე ეპისკოპოსმან ქალაქისა პეტრონისაგან ქვეყნისაგან მეგრელთაისა ხელი მოვაწერე".

V საუკუნისათვის ჩვენს მიერ „სამხრეთ ეგრისად" წოდებული ქვეყნების ერთი დიდი ნაწილი უკვე დაპყრობილი იყო ბიზანტიის მიერ და მიმდინარეობდა ომი მეორე ნაწილის დასაპყრობად, რომელსაც, ცხადია, თავისი ეტაპები ჰქონდა. დაპყრობილი ნაწილი ბიზანტიას უკვე აღარ აინტერესებდა, მას სახელიც შეუცვალა-პონტოსა და ბიზანტიურ, ანუ რომაულ არმენიაში შეიყვანა ადმინისტრაციულად, მხოლოდ დასაპყრობად გამზადებულ ლაზიკას ჰყავდა თავისი „მეფე", ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფი პირი, ჩანს, ომი თავისუფალ ლაზებთან არც ისე ადვილი აღმოჩნდა, ამიტომაც ბიზანტია წასულა დათმობაზე და მოლაპარაკება დაუწყია გუბაზ I-თან, **რათა დადგენილიყო საზღვარი დაპყრობილ და დაუპყრობელ ლაზიკას შორის, ანუ ბიზანტიასა და თავისუფალ ლაზიკას შორის.** ასეთ საზღვრად დადგენილა ხუფათის ციხე, რომელიც ჭოროხის შესართავსა და ტრაპიზონს შორის ზღვისპირას არქაბეს სიახლოვეს მდებარეობდა. ხუფათსა და ჭოროხს შუა ქვეყანა განსაზღვრულად ლაზიკა იყო. ხუფათის ციხე – ვითარცა საზღვარი საბერძნეთსა და ქართულ ქვეყანას შუა იხსენიება „დანიელ მესვეტის ცხოვრებაში", სადაც გუბაზ I-ის წმიდანთან სტუმრობაა აღწერილი. აქ აღწერილია ის მოლაპარაკება, რომელიც გაიმართა იმპერატორ ლეონსა და გუბაზ მეფეს შორის. მ. ბერძნიშვილი წერს – „დანიელ მესვეტის ცხოვრება" ახალ შტრიხებს ჰმატებს კოლხეთ-ბიზანტიის ურთიერთობას. აქ ჩვენ შემდეგს ვკითხულობთ – „აქუნდა ორთავე ამათ მეფეთა საურავი რაიმე ქვეყანათა დაწყნარებისათვის და ზღვართა განყოფისა: სადამდის არს საბერძნეთისა ანუ მეგრელთათა, აფხაზეთის სამეფოისა... დადვეს საზღვარ ციხე ხუფათი და აღუთქვეს ურთიერთას მშვიდობა და სიყვარული ამისითა (დანიელ მესვეტის) სიტყვითა" (მ. ბერძნიშვილი, ქ. ფასისის ისტორიისთვის, გვ. 82).

იმპერატორ ლეონსა და გუბაზ I-ს შორის მოლაპარაკებების შედეგად საზღვრად ბიზანტიასთან დადგენილა ციხე ხუფათისა. აღსანიშნავია, რომ გუბაზს ამ „ცხოვრებაში“ ეწოდება „მეფე აფხაზთა ღობაზიონ“. რატომ აფხაზთა? ალბათ, ამ ცხოვრების ქართულად თარგმნის დროს „ლაზთა მეფის“ შესახებ ინფორმაცია არ არსებობდა, მაგრამ რადგანაც საქმე ეხებოდა „ხუფათს“, რომელიც იმჟამად აფხაზეთის სამეფოში შედიოდა, გუბაზი მიიჩნიეს „აფხაზთა მეფედ“. გუბაზს და ლეონს ერთმანეთის სამეფოთა შორის ჯერ გაურკვევიათ „სადამდის არს (საზღვარი) საბერძნეთისა ანუ მეგრელთა და აფხაზთა სამეფოისა“.

ხუფათის ადგილსამყოფელი ცნობილია. ის ტრაპიზონსა და ჭოროხის შესართავს შუაა. აქ გადიოდა საზღვარი „საბერძნეთის, ანუ მეგრელთა აფხაზთა სამეფოისა“, საზღვარი გადებულია „მეგრელთა“ ქვეყანაში, რომელიც ხუფათთან მდებარეობდა, რადგანაც ლაზიკას „მეგრელთა სოფელი“ ერქვა, შესაბამისად, ხუფათთან მდებარეობდა ლაზიკა, ანუ გუბაზის სამეფო და მისი სამხრეთი საზღვარი, ხოლო ჩრდილო საზღვარი იმჟამინდელი თავისუფალი ლაზიკისა უნდა ვივარაუდოთ მდ. ჭოროხის შესართავის რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ მეფე გუბაზი ყოფილა ღრმად მორწმუნე ქრისტიანი, ის როცა იმპერატორმა ლეონმა მიიყვანა დანიელ მესვეტის წინაშე – „იხილა რა უცხო იგი ხილვა და მოქალაქეობა ანგელოზებრივი, ღობაზიანოს დავარდა პირსა ზედა თვისსა და თქვა: გმადლობ შენ მეუფეო ცათაო, რამეთუ ქვეყანისა მეფისა მიერ, დიდთა საკვირველთა ხილვად ღირს მყავ მე, მონა შენი და მაჩვენე, რომელ არა სადა მენახა ქვეყანასა ზედა“ (იქვე, გვ. 83).

ასე რომ, ხუფათი იმჟამად გადაიქცა საზღვრად თავისუფალ და ბიზანტიურ ლაზიკას შორის, ხუფათის ქვემოთ ტრაპეზუნტისაკენ იყო უკვე იმპერიის მიერ ათვისებული ლაზიკა, ხოლო მის ზემოთ ჭოროხის შესართავისაკენ თავისუფალი ლაზიკა. ხუფათი გადაქცეულა საქართველო-ბიზანტიის საზღვრად. ის ჭანეთის არქაბეს ჩრდილოეთით, ზღვისპირას აშენებული ციხე-სიმაგრე ყოფილა.

ვახუშტის ცნობით იმპერატორს კლარჯეთის ერისთავ გუარამისათვის კურაპალატის დიდი ბიზანტიური პატივი მიუნიჭებია. კლარჯეთის ერისთავი შემდგომ იმპერატორს იბერიის სამეფო ტახტზე აუყვანია, ბერძნული კულტურის გავლენის ქვეშ მყოფ კლარჯეთიდან ჩამოსულ ქართლის ახალი მეფე თავის **უზენაეს „მეფედ“ ცნობდა ბიზანტიის იმპერატორს, თავის თავს კი მის „კურაპალატად“,** ვახუშტის აზრით, ის ტახტზე კეისარმა იუსტინემ აიყვანა. მას საფუძველი ჩაუყრია მცხეთის ჯვრისთვის (სამშვილდის საძირკველი, ადრევე ჩაყრილა, ამ გუარამს ალბათ კედლები ამოუზიდავს).

დ. ხოშტარიას წიგნის „კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები[1]“ მიმოხილვა

ნ. მარის აზრით, VI ს-ში კლარჯეთში მასიურად ჩასახლდა სომხური მოსახლეობა, რამაც გამოიწვია ადგილობრივი ქართული (ე.წ. ივერო-ჭანური) მოსახლეობის არმენიზაცია – გასომხება. ამ თავისი მოსაზრების დამადასტურებელ წყაროდ მიიჩნია სომეხი მემა-

[1] 2005 წელს გამომცემლობა არტანუჯმა მზის შუქზე გამოიტანა ხელოვნებათმცოდნე დავით ხოშტარიას მონოგრაფია კლარჯეთის ხუროთმოძღვრებას რომ შეეხება - “კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები“.

ტიანის ჰოვან მამიკონიანის თხზულება, რომელშიც VII ს. დასაწყისის ამბებია აღწერილი. პავლე ინგოროყვამ გამოიკვლია ეს ნაშრომი და დაასკვნა, რომ კლარჯეთი (და ტაო) ამ ნაშრომებში მოიხსენიება როგორც „ივერთა ქვეყანა“ და მისი მთავარია „ივერთა მთავარი“, ხოლო „სომეხთა ე.წ. მიგრაციული მოძრაობის შესახებ“ აქ არც პირდაპირ და არც ირიბად არაფერია ნათქვამი (პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 422-426).

დ. ხოშტარიას შეცდომა, რომელზეც შემდგომ აგებს მთელ თავის წიგნს, ესაა შემდეგი:

დ. ხოშტარია ფაქტობრივად ეთანხმება ნ. მარს, კლარჯეთში სომხური მოსახლეობის ცხოვრების შესახებ (თუმცა ასეთი თვალსაზრისი უარყო პ. ინგოროყვამ). დ. ხოშტარია მიიჩნევს, რომ კლარჯეთის სომხური მოსახლეობა „გაქართველდა“ (ნ. მარის აზრით, სომხების გაქართველება კლარჯეთში დაიწყო VIII-IX ს-დან, მისგან განსხვავებით, დ. ხოშტარიას აზრით, კლარჯითის სომხების გაქართველება დაიწყო VI ს-დან). დ. ხოშტარიას თეორიული საყრდენია ე.წ. „ქართიზაციის“ თეორია, უფრო სწორად, ამ გაბატონებულ თეორიას დ. ხოშტარიამ თავი ვერ აარიდა, თუმცა ცდილობს ნ. მარის მსჯელობათა კორექტირებას. მისი აზრით, თითქოსდა კლარჯეთში მიგრირებულმა სომხურმა მოსახლეობამ მთელი კლარჯეთის ქართველობა კი არ გაასომხა VI-VII სს-ში (როგორც ფიქრობდა ნ. მარი), არამედ პირიქით, ეს სომხები (კლარჯეთში მიგრირებულები VI ს-ში) – **გაქართველდნენ.** როგორც ნ. მარი, ისე დ. ხოშტარია კლარჯეთში ეძებენ და პოულობენ სომხურ ნაკვალევს. თავის წყაროდ დ. ხოშტარია ასახელებს პროკოფი კესარიელს (***დ. ხოშტარია* -კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, 2005 წ. გვ. 21).**

სინამდვილეში ის ცდება.

პროკოფი კესარიელს არაფერი უწერია კლარჯეთში სომხური მოსახლეობის ცხოვრების შესახებ. დ. ხოშტარია, ისე, როგორც სხვა ზოგიერთი მკვლევარი, არასწორად აანალიზებენ პროკოფი კესარიელის ცნობებს. თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ მათ მაინცადამაინც კარგად არც ესმით პროკოფის ცნობები, კერძოდ, დ. ხოშტარია წერს: **„უნდა ითქვას, რომ პროკოფის ცნობები სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის შესახებ ზოგჯერ ცოტა ბუნდოვანია და ძნელი გასაგებია, რომელი ტომი სად ცხოვრობს“** (დ. ხოშტარია, გვ. 21).

პროკოფი კესარიელი ბატონ დ. ხოშტარიასთვის „ძნელად გასაგებია“, მიუხედავად ამისა თითქოსდა პროკოფიზე დაყრდნობით გააკეთა ძალზე მცდარი დასკვნა – **„გარკვეულ პერიოდში კლარჯეთში, როგორც ჩანს, მართლაც გაჩნდა სომხური მოსახლეობა, მათ აქ ყოფნას 530-40-იან წლებში ადასტურებს პროკოფი კესარიელი, რომელიც „გოთებთან ომში“ წერს, რომ ათინას, არქაბესა და აფსაროსის მარჯვნივ აღმართული მთების გადაღმა, იბერიის საზღვრამდე, ბიზანტიის ქვეშევრდომი პერსარმენები და არმენები ცხოვრობენ** (გეორგიკა, II, 1965, გვ. 123-125), ***(დ. ხოშტარია* -კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, 2005**გვ. 21).

სინამვილეში, პროკოფი კესარიელი გულისხმობს ჭოროხის ხეობის მარჯვნივ, არსიანის ქედის გადაღმა ძირითადად დვინის სანახებისაკენ მცხოვრებ არმენებსა და პერსარმენებს. ასე რომ, ისინი ცხოვრობდნენ არა კლარჯეთში, არამედ კლარჯეთის მარჯვნივ მთიან პლატოზე.

პროკოფის ცუდად გაგების შედეგად მიღებული საკუთარი დასკვნა კლარჯეთში სომხების ცხოვრების შესახებ იქცა დ. ხოშტარიას წიგნის ერთ-ერთ ლაიტმოტივად.

მაგალითად, იგი წერს: – „**მე მგონია, რომ სომხები კლარჯეთში ძირითადად ჩასახლდნენ IV ს-ის ბოლოსა და განსაკუთრებით V საუკუნეში, საფიქრებელია, ისინი წამოვიდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ სომხეთიდან**“ (დ. ხოშტარია, გვ. 22). თავის ამ არასწორ თეორიას დ. ხოშტარია არაფერზე აგებს, მას ამის დამამტკიცებელი არავითარი წყარო არ გააჩნია. მხოლოდ ვარაუდობს, რომ თუკი სომხები ძნელბედობის ჟამს, სომხური წყაროების ცნობით, აფარებდნენ „ტაოს, კლარჯეთის მეზობელ მთიან მხარეს“, ამიტომაც ისინი კლარჯეთშიც მასიურად ცხოვრობდნენ. ეს ნ. მარის თვალსაზრისის დამტკიცების მცდელობაა (***დ. ხოშტარია -კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, 2005 წ.*** გვ. 22).

დ. ხოშტარია კიდევ ერთ უსაფუძვლო დასკვნას აკეთებს პროკოფი კესარიელის არასწორი გაგების გამო: „სომხები აქტიურად ჩანდნენ კლარჯეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც აისახა კიდეც პროკოფი კესარიელის ზემოთმოტანილ ცნობაში“ (***დ. ხოშტარია - კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, 2005 წ.*** გვ. 22) არაფერი მსგავსი პროკოფის არ უწერია.

დ. ხოშტარია პროკოფის ვერგაგების შედეგად მაინც მივიდა დასკვნამდე, თითქოსდა არსებობდა ასეთი მოსახლეობა – „კლარჯეთის სომხობა“ და წერს: – **„უეჭველია, V-VI სს-ში ინტენსიურად მიმდინარეობდა კლარჯეთის სომხობის მკვიდრ მოსახლეობასთან დაახლოების პროცესი**“ – დ. ხოშტარიას ეს აზრი არაფერს ეყრდნობა. ის განაგრძობს: „მცირერიცხოვანმა სომხებმა კი არ გაასომხეს კლარჯეთის მთელი ქართველური მოსახლეობა, არამედ თავად განიცადეს მისი ეთნოკულტურული გავლენა“ (დ. ხოშტარია, გვ. 22).

მაშასადამე, მისი აზრით, კლარჯეთში მოხდა სომხების გაქართველება.

ოჰ, ეს ტკბილი „ქართიზაცია – გაქართველების “რუსულ-კომუნისტური თეორია! ქართველი მეცნიერები თავს ვერ იხსნიან და ვერ გამოდიან ნიკო მარის შემუშავებული სქემებიდან. დ. ხოშტარიას სომხების „გაქართველების“ (ოღონდ V-VI სს-ში) თეორია პროკოფის ცუდად გაგების შედეგია.

დ. ხოშტარია საბოლოოდ აკეთებს ასეთ გრანდიოზულ დასკვნას: „ნ. მარის მოსაზრება, თითქოს **კლარჯეთის სომხობის ქართიზაცია** მხოლოდ VIII საუკუნის შუახანებში დაიწყო და ლამის XI საუკუნემდე გაგრძელდა, აშკარად მცდარია. სინამდვილეში, ეს პროცესი **დაიწყო ძალიან ადრე და არსებითად დასრულდა უკვე VII ს. ბოლოს. რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, რომ ცალკეულ სოფლებში თუ თემებში სომხებს ამის შემდგომაც კარგა ხანს შეენარჩუნებინათ ეთნიკური წარმომავლობის მიმანიშნებელი ელემენტები (თუნდაც სასაუბრო ენა), მაგრამ ამის გამო არც სხვები მიიჩნევდნენ მათ უცხო ტომად, არც თვითონ აღიქვამდნენ თავს განსხვავებულად, მათი თვითიდენტიფიკაცია იგივე იყო, რაც საკუთრივ ქართველებისა**“ (დ. ხოშტარია, გვ. 23).

ასეთი მსჯელობა აბსურდის მსგავსია, ე.ი. კლარჯეთში სომხები საუბრობენ სომხური ენით, იციან, რომ სომხები არიან, მაგრამ „ქართველებს“ უწოდებენ თავიანთ თავს. დ. ხოშტარიას მიერ მოწვდილი ეს თითქოსდა „ახალი აზრი“ იგივეა, რაც ნ. მარის გავლენით გავრცელებული თვალსაზრისი თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში, რომ **თითქოსდა** ქართველი მოღვაწეები სამხრეთ საქართველოდან, ვთქვათ, თორნიკე ერისთავი, იოანე და ექვთიმე **მთაწმინდელები და სხვები ეთნიკური სომხები იყვნენ, ოღონდ თავიანთი**

თავი „ქართველებად“ მიაჩნდათ. შესაბამისად, კლარჯეთისა და ტაოს კულტურა და არქიტექტურაც სომხური წარმომავლობისად მიაჩნიათ.

ასე რომ, დ. ხოშტარია თავისი კვლევით, წარმოჩნდა, როგორც ნ. მარის მოწაფე, მაგრამ მან, წყარო ვერ მოძებნა მოსაზრებების დასადასტურებლად. დ. ხოშტარიას მიერ წყაროდ დასახელებული **პროკოფი კესარიელი, ცხადია, არაფერს წერს კლარჯეთში სომხების ცხოვრების შესახებ**. ასე რომ, პროკოფის დამოწმება ამ შემთხვევაში ვფიქრობ, არასწორია.

თავი V

(დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციისათვის)

სარაპანა და სკანდა

სად მდებარეობდა სტრაბონისეული სარაპანა (შორაპანი)

სარაპანას ადგილმდებარეობის გარკვევას უპირველესი მნიშვნელობა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების გამორკვევისათვის.

XX ს. 20-30-იანი წლების შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ სტრაბონისა და ბერძნული წყაროების „სარაპანა“-არის პუნქტი შორაპანი, ამჟამინდელ ქ. ზესტაფონთან ახლოს ძირულასთან, მიჩნევა რომ აქვე გადიოდა იბერიის საზღვარი. შესაბამისად, ქართული (მცხეთის) ეკლესიის იურისდიქცია (უძველესი ხანიდან ვიდრე IX-X სს-მდე) თითქოსდა მხოლოდ აქამდე აღწევდა.

ასეთ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება ქართული წყაროების, ასევე საეკლესიო კრებების (მაგ. რუის-ურბნისის კრების) თვალსაზრისი, რომ დაარსებისას**, წმიდა ნინოს ეპოქიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვარი აღწევდა არა თუ შორაპნამდე, არამედ შავ ზღვამდე და მდ. ეგრისწყლამდე**, სადაც ამავე ქართული წყაროების ცნობით მეფე მირიანის დროს აღწევდა ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი.

ბერძნულ-რომაული წყაროების ცნობით ლაზიკისა და იბერიის საზღვარი გადიოდა ციხე-სიმაგრეებზე სკანდასა და სარაპანაზე.

სტრაბონის სარაპანა, როგორც კვლევამ აჩვენა, სინამდვილეში მდებარეობდა ჭოროხის ხეობაში, ხოლო სკანდა იყო არსიანის ქედის უღელტეხილ **კანდ**რიდთან მდებარე ციხესიმაგრე (მისგან არც თუ დაშორებით მდებარეობს მთა „**კანდ**ილი“).

პროკოფი კესარიელის **სარაპანა და სკანდა განლაგებული იყვნენ ისეთ მაღალმთიან ადგილებში, სადაც არც ვენახი ხარობდა და არც სხვა რაიმე მოსავალი მოდიოდა.**

შევადაროთ – როგორც ითქვა, **თანამედროვე შორაპანი არის ზღვის დონიდან 170 მ სიმაღლეზე**, მისი ციხის გარშემო ვრცელ რეგიონში აყვავებული ბაღები და ვენახის პლანტაციებია, ყველა აქაურ მოსახლეს აქვს ეზოში ვაზი და ხეხილი, აქ მოდის ყველანაირი მოსავალი. საბჭოთა ეპოქაში, ენციკლოპედიის მიხედვით, შორაპანში იყო მევენახეობის კოლმეურნეობა, ხოლო, რაც შეეხება სკანდას, ის მიჩნეულ იქნა თერჯოლის სოფელ სკანდედ. **სკანდე, სოფელი თერჯოლის რაიონში ზღვის დონიდან იმავე 170 მეტრ სიმაღლეზეა. ესაა ვაკე ადგილი. აქაც ყოველგვარი მოსავალი მოდის.**

პროკოფი კესარიელის ცნობით, „სარაპანისი და მისი მეზობელი სკანდის ციხესიმაგრე ლაზებმა დიდი გაჭირვებით ააშენეს“ (ომი გოთებთან, VIII, 13). მაშასადამე, სარაპანისი და სკანდა ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ, ურთიერთმეზობლები იყვნენ, მაგრამ, როგორც ვიცით, თერჯოლის რაიონში მდებარე სკანდე და ზესტაფონის შორაპანი – ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით არიან დაშორებულნი. ამასთანავე, ისინი ერთ გზაზე არ მდებარეობენ. აღსანიშნავია, რომ თერჯოლის სოფელ სკანდეს არაფერი აკავშირებს აღმოსავლეთ საქართველოს გადასასვლელებთან

იმერეთის სკანდე და შორაპანი „საქართველოს გეოგრაფიული ატლასის“ (1992) მიხედვით „სუბტროპიკების ზონაში“ მდებარეობენ

იმერეთის შორაპანი მდებარეობს ქ. ზესტაფონთან, ხოლო სკანდე თავისი ციხით, თერჯოლის რაიონშია. **„საქართველოს გეოგრაფიული ატლასის (1992)“** ოროგრაფიული რუკის მიხედვით (გვ. 7), თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონები მდებარეობენ **„მთათაშორის ვაკე-დაბლობზე“ ზღვის დონიდან 200 მეტრამდე სიმაღლეზე.**

ამავე, საქართველოს გეოგრაფიული ატლასის „სოფლის მეურნეობის“ რუკის მიხედვით (გვ. 21) **იმერეთის სკანდე და შორაპანი მდებარეობენ „სპეციალიზებულ ზონაში“, რომელშიც განვითარებულია - „მევენახეობა – მეხილეობა, მესიმინდეობა, ნაწილობრივ მეჩაიეობა“** (გვ. 21).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩვენი თემისათვის, ვფიქრობ, არის ამ ატლასის რუკა – „ბუნებრივი ზონები“ (საქართველოს გეოგრაფიული ატლასი, 1992, გვ.16).

ამ რუკის მიხედვით **იმერეთის სკანდე და შორაპანი მდებარეობს „ნოტიო სუბტროპიკების“ ზონაში**, რომელიც ასეა დახასიათებული – „გორაკ-ბორცვიანი მთისწინები, ფართოფოთლოვანი ტყეებით“, (გვ. 16).

ასე, რომ იმერეთის სკანდე და შორაპანი ზღვის დონიდან დაახლოებით 200 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობენ, ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში, მევენახეობის, მეხილეობის, მესიმინდეობის რეგიონში. ეს სურათი კი საერთოდ არ შეესაბამება **პროკოფი კესარიელის** მიერ აღწერილ ცნობას, რომლის **სკანდა და სარაპანა მდებარეობენ მთა–კლდოვან რეგიონში, ძალზე მაღალ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, იმდენად მაღლა, რომ იქ არ მოდიოდა არავითარი მარცვლეული, შესაბამისად იქ არც მევენახეობა და მეხილეობა იყო განვითარებული.**

დასკვნა – სხვაა იმერეთის სკანდე და შორაპანი და სულ სხვაა პროკოფი კესარიელის სკანდა და სარაპანა. ისინი სხვადასხვა რეგიონებში მდებარეობდ-

ნენ. პირველნი ნოტიო სუბტროპიკების მთისწინებში, მეორენი კი მაღალმთის ალპურ ან სუბალპურ ზონებში

სტრაბონი წერს – „არმენიაში ერთის მხრივ ბევრი მთაა, მეორეს მხრივ – ზეგნები, რომლებზედაც ვაზიც კი არ ხარობს ადვილად“ (სტრაბონი XIV, 4).

მაშასადამე ვაზი, არ ხარობს მაღალმთიანეთის ზეგნებში, ამიტომ პროკოფის აღწერა, რომ სარაპანსა და სკანდეში ვაზი არ ხარობს, იმას მიუთითებს, რომ ისინი მაღალმთიანეთის რეგიონს და არა სუბტროპიკულ ზონას მიეკუთვნებოდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

ვენახის პლანტაციები შორაპანთან

პროკოფის აღწერით, როგორც ითქვა, სარაპანაში არ ხარობდა ვენახი, მაშასადამე ეს პუნქტი მაღალ მთიანეთში მდებარეობდა.

ზესტაფონის შორაპანი, შეიძლება ითქვას, მეღვინეობისა და ღვინის კულტურის ერთერთი ცენტრია. მე ბედნიერება მქონდა თითქმის მთელი ბავშვობა იქვე ახლოს ს. კლდეეთში გამეტარებინა და ვიცი თუ როგორ ასხამდნენ „საპალნეებით“ ღვინოს ქვევრებში აქაური მეღვინეები და სმისა და ღვინის მოხმარების რა დიდი კულტურა ჰქონდათ და აქვთ.

არა მხოლოდ ზღვის დონიდან 170 მეტრ სიმაღლეზე მდებარე შორაპანი, რომელიც ვენახებშია ჩაფლული, არამედ საგანგებოდ დავათვალიერე სურამის უღელტეხილის სოფლები ყველაზე მაღლა მდებარენიც კი, შროშიდან ვერტყვიჭალამდე და უფრო მაღლა, ყველგან შესანიშნავად ხარობს ვენახი, ამის თვალით ნახვა ადვილი შესაძლებელია, მით უმეტეს თითქმის ვაკეზე, ოდნავ შემაღლებულზე მდებარე შორაპანში, აქ თუ დათესავ ხორბალიც მოვა და სხვა ნებისმიერი კულტურა. პროკოფი ასეთ სარაპანას არ აღწერს. მისი სარაპანა მკაცრი კლდოვანი მასივების ქვეყანაა, ასეთი კი კლარჯეთია, როგორც ითქვა, ქართველი სასულიერო მამების აღწერით ნაკლებ მოსავლიანი, მაგრამ წყალუხვი და ჰავამარგებელი. სარაპანა უნდა ყოფილიყო სადღაც არტაან-ართვინის გზაზე.

ლიხის ქედზე, შორაპან-ხაშურის გზაზე, ყველა სოფელში ხარობს ვენახი.

ვენახი ხარობს სოფ. საქასრიაში ლიხის ქედის მაღალ სოფელში, ასევე, მიმდებარე გზისპირა სოფლებში – ვერტყვიჭალაში, გედსამანიაში, უფრო მაღლა, ხუნეთში, ხევში და მაღლა.

ასე, რომ შორაპნის ირგვლივ მაღალი მთების სოფლებშიც კი ვენახი ხარობს, მაშასადამე, შორაპანის რეალობა არ შეესაბამება პროკოფის მიერ აღწერილ სარაპანას.

სარაპანა და შორაპანი გ. გრიგოლიას მიხედვით

ჩვენს მეცნიერებაში დამკვიდრებულია თვალისაზრისი, რომ სტრაბონისა და პროკოფი კესარიელის მიერ ნახსენები პუნქტი „სარაპანა“ არის დღევანდელი შორაპანი ზესტაფონთან, რაც გ. გრიგოლიას კვლევის თანახმად საეჭვოა. საქმე ისაა, რომ, როგორც აღმოჩნდა „სარაპანა“ ერქვა მნიშვნელოვან გზაზე არსებულ მგზავრთა მოსასვენებელ პუნ-

ქტს, თავშესაფარს, რომელიც საჭიროების მიხედვით შესაძლოა ციხე-სიმაგრეც ყოფილიყო ან უბრალო ნაგებობა, ზოგჯერ კი სოფელიც. თუ ეს ასეა, მაშინ საქართველოს გზებზე არა ერთი, არამედ რამდენიმე „სარაპანა“ უნდა ყოფილიყო. ერთერთი, მაგალითად, XV საუკუნის მონაცემების მიხედვით იყო გურიაში და მას სახელად ერქვა **„შორაპანი“**. გ. გრიგოლიას დაკვირვებით „პან“ ფუძის მქონე ასეთი სახელები რამდენიმე ყოფილა. ის წერს - შორაპანი (სარაპანა) არის სპარსული წარმომავლობის სიტყვა, რაც ნიშნავს დამცველს (პანა) „პანა“, და მიღებულია ძირიდან პა - „პა“ - დაცვა, რომელსაც ემატება სუფიქსი ანა - „ანა“. ამგვარად ნაწარმოები სპარსული სიტყვებია: ასაპანა (ცხენის დამცველი), კაურაპანა (საქონლის დამცველი), კარაპარა (ხალხის, ჯარის დამცველი) და სხვა. ის უთითებს თეო ჩხეიძის წიგნს „ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან“ (1984). ვ. გოილაძის მოსაზრებითაც შორაპანი - სპარსული სახელია - „შაჰრაბან“, რაც ნიშნავს ქვეყნის დამცველს. მაშასადამე, სარაპან-შაჰრაბან - ქვეყნის დამცველი, ანუ ადგილის, ჩვენს შემთხვევაში, **გზის დამცველი ციხე-სიმაგრეა**. როგორც აღინიშნა, გ. გრიგოლიას კვლევით „პან“ ძირიანი ტოპონიმები საქართველოში ძირითადად „მთავარი საგზაო მაგისტრალების გასწვრივ არიან განლაგებულნი, რაც ამ ადგილებში ოდესღაც მგზავრთა მოსასვენებელი თავშესაფრების არსებობაზე მიგვანიშნებს (გ. გრიგოლია, ეგრისლაზიკის სამეფო, გვ. 102). ასეთი ადგილებია ჯაპანი (ლანჩხუთის რაიონში), ისპანი - (ქობულეთთან), პანტურა - (ციხისძირთან), პანტურა - (სარფთან), პანტურა - (ხოფასთან) და პანური რიზესთან (იქვე, გვ. 102).

მაშასადამე, არ არის სავალდებულო, რომ სტრაბონის მიერ ნახსენები სარაპანა ის პუნქტი იყოს, რომელსაც მიუთითებს პროკოფი კესარიელი, რადგანაც **„სარაპანები“ მრავალი ყოფილა (თვით შუა საუკუნეების საქართველოშიც რამდენიმე „შორაპანი“ იყო).** პროკოფის სარაპანა ფასისის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანაში მდებარეობდა იბერიის საზღვართან. სპარსელ-რომაელთა ომების დროს მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე, რადგანაც ამ პერიოდში, გ. გრიგოლიას აზრით **ფაზისი ერქვა მდ. ჭოროხს, სარაპანაც მის მარჯვნივ - იბერიის საზღვართან უნდა ვეძიოთ არტაან-ართვინის გზაზე რადგანაც პროკოფის მიერ ნახსენები იბერია - არტაან-კოლას ქვეყანასაც მოიცავდა.**

სარაპანები

დარიოს I-ის დროს მოწესრიგდა გზები, სადაც „მეფის შიკრიკებისათვის ყოველ 30 კმ-ში სპეციალური საფოსტო სადგურები დაიდგა“ (დარჩიაშვილი)

ამ „საფოსტო სადგურებს“ – ჩვენში მოიხსენებდნენ სპარსული სიტყვით- „სარაპანა“- შორაპანი.

სპარსეთის იმპერიის გზებზე სარაპანები (შორაპანები) უნდა მდგარიყვნენ ყოველ 30 კმ-ში. აღსანიშნავია, რომ სიგრძის საზომი ერთეული „ერთი დღის გზა“ უდრიდა 20-30 კილომეტრს, მაშასადამე ყოველი ერთი დღის გზის გავლის შემდეგ მგზავრს დახვდებოდა სასტუმროს მსგავსი თავშესაფარი ანუ „სარაპანა“.

ამჟამინდელი სურამ-ბათუმის გზაზე ისტორიულად უნდა ყოფილიყო რამდენიმე „სა-

რაპანა“ – შორაპანი, ასევე არტაან-ბათუმის გზაზე უნდა ყოფილიყო რამდენიმე სარაპანა – შორაპანი. ამ მიზეზის გამო საქართველოში იყო რამდენიმე „შორაპანი“:

1) ზესტაფონთან;

2) XVI ს-ში გურიაში ოზურგეთთან. ეს კარგად ჩანს „საქართველოს ისტორიის ატლასის“ (2003 წ.), გვ. 45-ის მიხედვით („საქართველო XVI ს. მეორე ნახევარში“). პუნქტი შორაპანი ატლასის 45-ე გვერდზე დაბეჭდილ რუკაზე მოთავსებულია ოზურგეთსა და აჭს შორის.

3) შორაპანი იყო ასპინძასთან - „ასპინძის ხევის სათავეზედ, მთის ძირში, არს **შორაპანის** მონასტერი სრულად სოფიის კენჭით აწ ცალიერი“ (ვახუშტის გეოგრაფია, 1842, ბროსეს გამოცემული, გვ. 385).

4) ამავე ფუძის მატარებელნი უნდა იყვნენ სიტყვები - „სარფი“ /პუნქტი ბათუმთან/ და „არფალი“/პუნქტი ართვინ არტაანის გზაზე/.

„არფალი“ – სოფელი თანამედროვე შავშეთში არტანუჯის ჩრდილო-აღმოსავლეთით 20-25 კმ მანძილზე, არსიანის ქედთან ახლოს ქ. შავშეთისა და ქ. არტაანის შემაერთებელ გზასთან 3-4 კმ. მანძილზე.

შორაპანი (ზესტაფონთან) და სტრაბონის სარაპანა ორი სხვადასხვა პუნქტი უნდა ყოფილიყო, არა თუ ისინი, სხვადასხვა პუნქტები უნდა ყოფილიყვნენ სტრაბონის სარაპანა და პროკოფის სარაპანა:

1) **სტრაბონის** მიხედვით, ფასისი სანაოსნო იყო სარაპანამდე, მაშასადამე სტრაბონის სარაპანა მდინარის პირზეა, მისგან განსხვავებით**პროკოფის** სარაპანა არა მდინარის ნაპირას არამედ მაღალ მთაში მდებარეობდა.პირველი იბერიას ოთხი დღის სავალი გზით იყო დაშორებული, მეორე კი იბერიის საზღვართან იდგა.

2) პლინიუს უფროსის მიხედვით „მდ. ფასისი სანაოსნოა 38 500 ნაბიჯის მანძილზე“ (იხ. ჩემი „ენა“, გვ. 25). ესაა დაახლოებით 30 მ; მაშასადამე სტრაბონის სარაპანა ზღვას 30 კილომეტრით იყო დაშორებული. თუ სარაპანა შორაპანია ზესტაფონთან, მაშინ შორაპანი ზღვას დაშორებული უნდა ყოფილიყო "30 კმ-ით.

სტრაბონი წერს: -„კოლხეთის გამაგრება – სარაპანები“; ის მრავლობით რიცხვში ახსენებს „სარაპანებს“. მართლაც, გ. გრიგოლიას კვლევით „სარაპანა“ იყო მგზავრებისათვის განკუთვნილი თავშესაფარი პუნქტი, რომელნიც მრავლად იყვნენ დიდ გზებზე.

სარაპანები სტრაბონთან ერთ შემთხვევაში არის ციხე-სიმაგრე, რომელსაც შეუძლია მთელი ქალაქის მოსახლეობის დატევა (XI, II, 17), ხოლო მეორე შემთხვევაში, არის ხეობა-გამაგრება იბერიაში გადასასვლელი.

ე.ი. **სტრაბონთან ერთ შემთხვევაში სარაპანა ციხე-სიმაგრეა, მეორედ – „სარაპანები“ კი გამაგრებაა იბერიის უღელტეხილთან, ამ მეორე სარაპანას ახსენებს პროკოფი.**

სტრაბონისა და პროკოფი კესარიელის „სარაპანა“ (შორაპანი) აღნიშნულის გამო, არ უნდა დაუკავშირდეს ერთმნიშვნელოვნად ზესტაფონის ახლოს მდებარე პუნქტს შორაპანს.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია პლინიუსის ცნობა, რომ აფსაროსთან ახლოს – „აქვე მთებს იქით არის იბერია“. ამიტომაც ლაზიკიდან იბერიაში გადასასვლელი, რომელიც გადიოდა ციხე-სიმაგრე სარაპან-შორაპანზე, შესაძლოა იყოს აფსაროსთან ახლოს მდებარე კლარჯეთ არტაანს შორის მდებარე არსიანის ქედი (ოლქი იბერიაში შემავალი) და არა აფსაროსიდან ძალზე დაშორებული ზესტაფონის შორაპანი.

სტრაბონი (XI, II, 17) სარაპანას შესახებ

„რაც შეეხება დანარჩენ **კოლხიდას, მისი დიდი ნაწილი ზღვაზეა განლაგებული**. კოლხიდაზე გადის **ფაზისი** - დიდი მდინარე, რომლის **სათავე არმენიაშია** ის იღებს მდინარეების **გლავკისა და ჰიპპის** წყლებს რომელთა სათავეებიც მეზობელ მთებშია. **ფასისი გემთმავალია სარაპანამდე** - სიმაგრემდე, რომელსაც შეუძლია მთელი ქალაქის მოსახლეობაც კი დაიტიოს. **აქედან გამავალი გზით მიდიან კირამდე (მტკვრამდე) 4 დღეში**.

მდ. ფაზისზე არის იმავე სახელის ქალაქი - კოლხების სავაჭრო ცენტრი, ერთი მხრიდან შემოზღუდული მდინარით, მეორიდან - ტბით, მესამიდან კი - ზღვით. აქედან ამისამდე და სინოპამდე ცურვას 2-3 დღე სჭირდება იმის გამო, რომ ზღვისპირზე მიწა რბილია და მდინარეების შესართავებში ჭაობიანია.

ქვეყანა შესანიშნავია არა მხოლოდ ნაყოფით (თაფლის გარდა (რომელიც ძირითადად მწარეა).სავსეა ყოველივე იმით, რაც გემთმშენებლობისათვის არის საჭირო). ის ამზადებს ბევრ ხე-ტყეს და აცურებს მდინარეებზე.

მცხოვრებლები ამზადებენ ბევრ სელის ტილოს... ადგილობრივი სელის ქსოვილები ფართოდოაც კია ცნობილი, მართლაც მათ ქსოვილები გააქვთ უცხო ქვეყნებშიც... **მოსხების** ქვეყანაში აღნიშნული მდინარეების მაღლა არის ფრიქსეს მიერ დაფუძნებული ლევდოთეას სამლოცველო და ფრიკსეს ორაკული, სადაც არ იწირება ცხვარი.“ **(სტრაბონი, XI, II, 17)**

ჩვენი კვლევით სტრაბონის ფაზისი ჭოროხია, რომლის სათავე იმჟამად არმენიის მიერ იყო ხელდებული, სარაპანა იმჟამად შესაძლოა ართვინს ერქვა. აქედან არტანუჯ-არტაანის გზით იბერიამდე ანუ კოლა-არტაანის რეგიონამდე (ე.ი. მტკვარამდე) მისვლა ფეხით ოთხ დღეში ამჟამადაცაა შესაძლებელი. კოლა-არტაან-შავშეთი ამავე დროს მესხეთის მთიანი რეგიონია, რომლის ქვემოთაც ჭოროხი მიედინება თავისი შენაკადებით. მაშასადამე ამ მდინარეების მაღლა მესხეთია. აქედაც ჩანს, რომ სტრაბონის ცნობები ჭოროხის რეგიონს შეესაბამება.

სარაპანასთან ფაზისი სწრაფი და ხმაურაა, ხოლო შორაპანთან მდინარეები მდორე და უხმაუროა

სტრაბონის ცნობით, სარაპანასთან ფაზისი არის სწრაფი და ხმაურა (სტრაბონი, XI, III, 4). ის წერს იბერიაში არის ოთხი შესასვლელი - **„ერთი არის კოლხურ ციხესიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომლებზედაც ფაზისი მომდინარეობს, სწრაფი და ხმაურა მიემართება კოლხიდაში, რომელზედაც 120 ხიდით გადაისვლება“** (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 128).

სტრაბონი გარკვევით მიუთითებს, რომ სარაპანასთან ფაზისი არის „სწრაფი და

ხმაურა“, რომ იქვე ე.ი. შორაპანთან ახლო-მახლო მასზე 120 ხიდია გადებული, რადგანაც **„ეს ადგილები სულ დახრულია მრავალი ნაკადულებით“** (იქვე, გვ. 128).

არის თუ არა რეალურად თანამედროვე შორაპანადან მდინარე რიონი „სწრაფი და ხმაურა“, ანდა არის თუ არა ეს ადგილები „დახრული მრავალი ნაკადულებით“, არა, მსგავსი არაფერია ზესტაფონის **შორაპანთან.** მასთან **გაედინება არა რიონი, ანდა ყვირილა არამედ ძირულა**. ამჟამად მიიჩნევა, რომ ძირულა იყო სათავე მდ. ფაზისისა, ვთქვათ, ეს მართლაც ასეა და სტრაბონი შორაპნის ძირულას მიიჩნევდა მდინარე ფაზისად, არის თუ არა ის „სწრაფი და ხმაურა“? არა, შორაპანთან მდინარე ძირულა არც ჩქარია და არც ხმაურა, არა თუ ჩქარი, შორაპანთან ძირულა არის მდორე, სარკული ზედაპირის მქონე, სრულიად უხმაურო, რადგანაც შორაპანთან ის ვაკე ადგილზე მიმდინარეობს. ამასთანავე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ **შორაპანთან ძირულა არის წყალმცირე, იმ-დენად თხელი მდინარეა, რომ მასზე ნავი ვერ იმოძრავებს. კარგი გაგებით ის ნაკადულია. შორაპნის ქვემოთ ზესტაფონის თავზე ძირულა ყვირლას უერთდება ასევე ვაკე ადგილას. იქნებ ყვირილაა სწრაფი და ხმაურა იქ? არა, ყვირილაც უხმაურო, მდორე, ვაკის წყალია ამ მდგილას და საერთოდ ზესტაფონიდან რიონამდე მდორედ და უხმაუროდ მიედინება. პლინიუსის ცნობით ფაზისის შესართავიდან სარაპანამდე 37500 ნაბიჯია ანუ 30-40 კმ იყო. რეალურად კი თანამედროვე შორაპნიდან ფოთამდე 137 კილომეტრია.** საერთოდ რიონის ყველა შენაკადი ქუთაისიდანაც ფოთამდე მდორეა!

სტრაბონის სარაპანიდან ოთხი დღის გზაა ფეხით იბერიამდე

სხვაა სტრაბონის მიერ აღწერილი სარაპანა და სხვაა პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილი.

პირველის (სტრაბონის) მიხედვით მდ. ფასისის შესართავიდან ვიდრე სარაპანამდე (ფასისზე მდებარე ქალაქამდე) აღმა ცურვა შესაძლებელა (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 123). სარაპანადან იბერიამდე ოთხი დღის გზაა ფეხით. მაშასადამე სტრაბონის სარაპანა დაშორებულია იბერიას და მდინარეზე მდებარეობს.

პროკოფი კესარიელის სარაპანა იბერიის საზღვარზეა, მაღალ მთაშია, სადაც მოსავალი არ მოდის, სასაპალნე საქონლითაც ვერ ახვალ, არამედ ფეხით.

რატომაა ძველ ავტორთა შორის ასეთი განსხვავება სარაპანას მდებარეობასთან დაკავშირებით? როგორც ითქვა, ამის მიზეზს გვიხსნის გ. გრიგოლია. მან გამოიკვლია, რომ სიტყვა „სარაპანა“ სპარსული წარმოშობისაა და ნიშნავს გზაზე მდებარე საგანგებო ადგილს მგზავრების მოსასვენებლად, ის გარემო პირობების შესაბამისად, ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს გზაზე მდებარე ციხე-სიმაგრე, ქალაქი ანდა პუნქტი.

მაშასადამე საერთაშორისო გზაზე მრავალი სარაპანა შეიძლება ყოფილიყო. სტრა-ბონის დროს ის მდინარისპირა ქალაქს ერქვა, პროკოფის დროს კი იბერია-ლაზიკის გზაზე მდებარე ციხეს.

ჩვენი კვლევით მდ. ფაზისი ისტორიულ ხანაში ერქვა მდინარე ჭოროხს.

ჭოროხი სანაოსნო მდინარე იყო უძველესი ხანიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე. გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე, ე. ვეიდენბაუმი და სხვანი დაბეჯითებით მიუთითებენ მდინარე ჭოროხზე სავაჭრო-სასაქონლო ნაოსნობის შესახებ. ამ მდინარით ყარსიდან და ჯავახეთიდან ხორბალი ჩაჰქონდათ შავიზღვისპირა პორტებში, და პირიქით ბათუმიდან ართვინისაკენ ნავებით მოჰქონდათ ნავთი, მარილი და ფართლეული ქსოვილები. ამ მდინარით ართვინიდან ბათუმამდე ასევე ჩაჰქონდათ ხე-ტყის დახერხილი მასალა, კრამიტი, სელის ნაწარმი და სხვა. ჭოროხზე არსებობდა ნავმისადგომები, ნავთსამშენებლო საწარმოები, მოსახლეობის ძირითადი ხელობა ნაოსნობა იყო, ამიტომაც ვფიქრობ რომ **სტრაბონისეული სარაპანა არის ართვინი, ხოლო პროკოფისეული სარაპანა მდებარეობდა ართვითნ-არტაანის შემაერთებელ საერთაშორისო გზაზე არსიანის უღელტეხილზე.** უნდა ვიფიქროთ და მასშტაბებიც ამას აჩვენებს, რომ **ფეხით ართვინიდან (სტრაბონის სარაპანიდან) ვიდრე იბერიამდე ანუ არსიანის ქედის გავლით მტკვრამდე ოთხი დღის სავალი გზა იყო.**

სიგრძის ერთეული სახელწოდებით-„ერთი დღის გზა ფეხით“ იყო დაახლოებით 17-20 კმ. შესაბამისად 4 დღის გზა დაახლოებით 80 კილომეტრია. მართლაც დაახლოებით ამდენივეა მანძილი ართვინიდან არტანუჯამდე, რომლის სიახლოვესაც მტკვარი მიედინება.

სტრაბონი (XI, II, 18) მესხეთის სამ ნაწილად დაყოფის შესახებ

„ეს ქვეყანა თუ რაოდენ ცნობილი იყო ძველად გვიჩვენებენ მითები...იასონის ლაშქრობის შესახებ, რომელმაც მიდიამდე მიაღწია, და კიდევ, ფრიქსეს უფრო ადრეული ლაშქრობის შესახებ. ფრიქსესი, რომლის მეფე - მემკვიდრეები უფლობდნენ ქვეყანაზე, რომელიც „სკეპტუხიებად“ იყო დაყოფილი, მაგრამ მათი კეთილდღეობა დიდი არ იყო. როცა მითრიდატე ევპატორის ხელისუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა, ქვეყანა მის ბატონობას დაემორჩილა. მეფე მუდამ აგზავნიდა იქ თავის „მეგობართაგან“ ვინმეს თავის ნაცვლად ან „მმართველად“, ამ ნაცვლების რიცხვში იყო მოაფერნი - დედაჩემის ბიძა მამამისის მხრიდან. ამ ქვეყნიდან მეფე იღებდა ყველაზე მეტ დახმარებას ფლოტის აღსაჭურავად. მითრიდატეს ძლიერების დამხობის შემდეგ მთელი მისი სახელმწიფო დაიშალა და დაინაწილა ბევრმა მმართველმა. საბოლოოდ კოლხიდა დაიმორჩილა პოლემონმა, მისი სიკვდილის შემდეგ მართავდა მისი ცოლი პიფოდორიდა, რომელიც დედოფალი იყო კოლხებისა, ტრაპეზუნტის და ფარნაკიის ქალაქებისა და მათ ზემოთ მდებარე ბარბაროსთა ოლქებისა, რომელთაც შემდეგ შევეხებით. მოსხების ქვეყანა, რომელშიც სიწმიდე ინახება იყოფა სამ ნაწილად, ერთი ნაწილი კოლხების ხელშია, მეორე იბერიელებისა, ხოლო მესამეს ფლობენ სომხები. იბერიაში არის ასევე პატარა ქალაქი (ფრიკსეს ქალაქი) - თანამედროვე ედესსა, კარგად გამაგრებული პუნქტი კოლხიდას საზღვართან. დიოსკურიადასთან მიედინება მდინარე ხარესი“.

დასკვნა:

მოსხების ის ქვეყანა, რომელიც სამ ნაწილად იყო გაყოფილი (კოლხთა, იბერთა და სომეხთა შორის) არის ისტორიული მესხეთი (სამცხედან-ბასიანამდე) და არა იმერეთი (არგვეთი), როგორც ამჟამად მიიჩნევა ისტორიკოსთა მიერ. კოლხურ მესხეთში ანუ კოლხების ნაწილ მესხეთში მდებარეობდნენ სარაპანა და სკანდა (და არა ზესტაფონთან).

დანაწილებული მოსხების ქვეყანა ასე იყო დაყოფილი: არტაან-კოლა იბერიას ეკუთვნოდა, კლარჯეთი –კოლხეთს, ხოლო ტაო-ბასიანი არმენიის მიერ იყო მიტაცებული. სარაპანა და სკანდა კლარჯეთში არსიანის მაღალ ქედზე იბერიის საზღვართან (ე.ი.არტაანთან) მდებარეობდა.

სარაპანა – სარაპალი, არფალი

ს. ყაუხჩიშვილის სიტყვით, პროკოფი კესარიელის ხელნაწერებში „სარაპანისის“ ნაცვლად წერია „სარაპალი“ (გეორგიკა, II, გვ. 204), ს. ყაუხჩიშვილს ეს ჩაუთვლია შეცდომად და მის ნაცვლად ხელნაწერებში აღადგინა, მისი აზრით, სწორი ვარიანტი „სარაპანი“. კერძოდ, პროკოფი წერს – „რადგან უკვე ზამთრის ჟამი იყო, მერმეროემ ხის კედელი ააგო კოტაისში და ჩააყენა იქ სპარსელ მეომართაგან სამი ათასი კაცი. უქიმერიონშიც დატოვა საკმაო ხალხი, თვითონ კი ააშენა ლაზთა მეორე ციხე, რომელსაც სარაპალს ეძახიან, რომელიც ზედ ლაზიკის საზღვართან მდებარეობს (გეორგიკა, II, გვ. 204).

აქ ყაუხჩიშვილმა, თავისივე განმარტებით, შეცვალა სიტყვა „სარაპალი“ სიტყვით სარაპანისი (გვ. 204, შენიშვნა 1). ჩვენთვის ეს სიტყვა „სარაპალი“ იმითაა საინტერესო, რომ კლარჯეთში დღესაცაა პუნქტი „არფალი“, „არპალი“, სარაპალი და არფალი – თითქმის ერთნაირად გამოითქმება, მხოლოდ „ს“ პრეფიქსი არის წინ დამატებული. ჩვენი აზრით, კლარჯეთი იყო ის ქვეყანა, რომელსაც ბერძნები „ლაზიკა“-ს უწოდებდნენ. „არფალი“, დღესაც სოფელია შავშეთ-კლარჯეთში და აქვს თავისი ციხე.

სკანდა

პროკოფი, როგორც ითქვა, აღწერს, რომ სკანდას ციხე-სიმაგრეში ასვლა შეიძლება მხოლოდ ფეხით, აქ საკვები მეციხოვნეებისათვის აჰქონდათ არა სატვირთო საქონლით, არამედ ზურგით. **აქ არ მოდიოდა არც ხორბალი და არც ღვინო**. მართლაც თუ რუკას დავხედავთ **არტაან-ართვინის შემაერთებელი გზა** გადის 2.600 მეტრ სიმაღლის უღელტეხილზე, თანამედროვე რუკაზე აღნიშნულია, რომ **ამჟამადაც აქ არის სოფლები კანდიდი, ქინძოტამალი,** რაც ეტიმოლოგიურად ეს დასახელებები ახლოა „სკანდასთან“. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, რომ **სოფელ ქინძოტამალის (იგივე ბაგდასენის)**

სანახებში, მის სამხრეთით დაახლოებით 10 კილომეტრში მდებარეობს მთა სახელწოდებით „კანდილი“.მისი სიმაღლეა 2412 მეტრი.მისი სახელის მიხედვით უნდა ერქვას მთელ რეგიონს ეს სახელი-კანდ, სკანდა.

XX ს-ის ისტორიოგრაფია, როგორც მრავალჯერ ითქვა, მიიჩნევს, რომ პროკოფის „სკანდა“ არის იმერეთში, თერჯოლის რაიონში მდებარე ციხე „სკანდე“ – ის მდებარეობს დაბლობში, ვაკეზე, ოდნავ შემაღლებულ ადგილზე (ზღვის დონიდან 170 მ.), თანაც აღსანიშნავია, რომ სკანდეს ციხეს მცირე ბორცვს გარშემო აკრავს აყვავებული ვენახებისა და ხეხილის პლანტაციები. აქ მოდის არა მხოლოდ ღვინის მოსავალი, არამედ ნახევრად სუბტროპიკული მცენარეულობა, მაგალითად დაფნა. ესაა უხვმოსავლიანი მხარე – მაშინ როცა ართვინ-არტაანის „კანდიდი“ და „ქინძოტამალი“ მდებარეობენ ზღვის დონიდან როგორც ითქვა თითქმის 2000-2500 მ. სიმაღლეზე, სადაც ცხადია არ მოდის ყურძენი ღვინისათვის და ხორბალი. ამიტომაც დაუჯერებელია, რომ იმერეთის „სკანდე“ იყოს პროკოფის სკანდა, მით უმეტეს რომ პროკოფის სკანდა მდებარეობდა ლაზიკა-პერსარმენიის საერთაშორისო გზაზე, სურამ-შორაპანის დამაკავშირებელ გზასთან იმერეთის „სკანდეს“ არაფერი აკავშირებს, ის ამ გზიდან ათეულობით კილომეტრითაა დაშორებული, თანაც ის მდებარეობს სულ სხვა მეორეხარისხოვან გზაზე და არა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს შემაერთებელ გზაზე. ასე, რომ „სკანდეს“ მიჩნევა „სკანდად“ ეს არის ხელოვნური მცდელობა.

მთა „კანდილი“, სოფელი „ქინძოტამალი“, ნამონასტრალი „კანდრიდი“, ციხე „ქინძი“ – ერთად თავმოყრილნი – ისტორიულ „სკანდას“ რეგიონში

თანამედროვე არტანუჯი არტაანს უერთდება საავტომობილო გზით, რომლის შუა მონაკვეთს, არსიანის ქედის გადაკვეთის ადგილს, წარმოადგენს უღელტეხილი „იალნიზ-ჩამ“ ზღვის დონიდან 2657 მეტრ სიმაღლეზე. თვითონ გზა არტანუჯიდან უღელტეხილამდე ფაქტიურად გადის უზარმაზარი ქედის ძირში, რომლის მწვერვალის სიმაღლე არის 3068 მეტრი ზღვის დონიდან. აღნიშნულ უღელტეხილის მიმდებარე პუნქტებს სხვადასხვა რუკებზე ეწოდება „კანდრიდი“, „ქინძოტამალი“, იქვე ახლოსაა მწვერვალი „კანდილის“ სახელწოდებით.

აღნიშნულ სიტყვათა ფუძეები (კანდრიდი, ქინძ, კანდ და სხ.) იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ბერძენი მწერლების მიერ ნახსენები ციხე-სიმაგრე „სკანდა“, რომელიც ისე მაღლა და მიუდგომელ ადგილას მდებარეობდა უნაყოფო რეგიონში, რომ მასზე მხოლოდ ზურგით აჰქონდათ სურსათი, არის არა იმერეთის „სკანდე“, არამედ არსიანის ქედის აღნიშნული უღელტეხილის გზაზე მდებარე „კანდრიდი“, კერძოდ, არტანუჯ-არდაგანის საავტომობილო გზაზე მდებარე არსიანის ქედის უღელტეხილ „იალნიზჩამ“-ის მახლობლად, როგორც აღინიშნა, არსიანისავე ქედზე მდებარეობს ერთ-ერთი 2412 მ სიმაღლის მთა (მწვერვალი) სახელწოდებით „კანდილი“ (გზიდან 15-20 კმ დაშორებით), ხოლო თვით გზაზე მდებარეობს სოფელი „კარადჯასუ“. ეტიმოლოგიურად იმითაა საინტერესო ეს სახელები, რომ ისინი ახლოა პროკოფის მიერ ნახსენებ „სკანდასთან“ – „სკანდა“, „კანდილი“ (ფუძეა სკანდ-კანდ), ამავე ფუძეთა წრეს უახლოვდება „კარად“ (კარადჟასუ), ამიტომ საფიქრებელია, რომ „სკანდას“ ცნობილი ციხე-სიმაგრე სწორედ თანამედროვე არტანუჯ-არდაგანის გზაზე მდებარეობდა, მით უმეტეს, რომ ეს გზა კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, XI-შიც საერთაშორისო მნიშვნელობისა იყო და ის შავ ზღვასთან აკავშირებდა არა მხოლოდ იბერიას, არამედ არმენიასაც. არტანუჯში,

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, ამ გზით სირიის საქონელიც კი შედიოდა, არტანუჯიდან ჭოროხის გზით ამ საქონელს ადვილად ჩაიტანდნენ შავი ზღვით ბიზანტიაში. ამ აზრს ამტკიცებს ისიც, რომ ამ უღელტეხილის სიახლოვეს, როგორც ითქვა, მდებარეობს კარგადშემონახული ციხესიმაგრე „ქინძი“ და სოფელი „ქინძოტამალი“, აქვეა ნამონასტრალი „კანდრიდი“; ე.ი. გვაქვს მთა „კანდილი“, სოფელი „ქინძოტამალი“, ციხე „ქინძი“ – „კანდ-ქინდ“ ფუძით.

არტანუჯ-არდაგანის გზაზე 2657 მეტრ სიმაღლეზე უღელტეხილი იალნიზჩამი ღიაა ივნის-ოქტომბრის თვეებში.

როგორც ითქვა, იალნიზჩამის ახლოს, სამხრეთით არის სოფელი **კარად**ჟასუ (დაახლოებით დაშორებულია ამ უღელტეხილიდან 30 კმ-ით). იქვე მდებარეობს მწვერვალი (ზღვის დონიდან 2412 მ) სახელწოდებით **კანდ**ილი. ეს მწვერვალი უფრო ახლოა უღელტეხილიდან (მისგან ოდნავ სამხრეთ-აღმოსავლეთით) დაშორებული დაახლოებით ასევე 20-30 კმ-ით.

სკანდა და „კანდილი“ ეტიმოლოგიურად ახლოა ერთმანეთთან. „სკანდა“ ერქვა არსიანის ქედზე 2700 მ. სიმაღლის მთაზე აგებულ ციხე-სიმაგრეს, რომლის მეზობლად ახლაც არიან: 1) ქინძის ციხე, 2) ქინძოტამალი (სოფელი) და 3) მონასტერი „კანდრიდი“.

კანდრიდი

ს**კანდ**ისი

კინძოტამალი

ს**კანდ**ა

კანდილი

სიტყვების „სკანდასა“, „კანდრიდის“ და „კანდილის“ ფუძეების თითქმის იგივეობა იძლევა საშუალებას გამოითქვას მოსაზრება, რომ სკანდა ერქვა არსიანის ქედის ციხეს – არტაანსა (ე.ი. იბერიასა) და არტანუჯს (ე.ი. ლაზიკას) შუა, სადაც ერთადაა თავმოყრილი პუნქტები: ქინძის ციხე, სოფ. ქინძოტამალი, სოფ. კანდრიდი (სკანდა). ისინი მდებარეობენ ერთ რეგიონში არტაან-არტანუჯის გზის გასწვრივ 2700 მ. (მაღლობზე არსინის ქედზე).

სკანდის ციხე-სიმაგრე საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე

სკანდა მდებარეობდა პერსარმენიიდან ანუ სპარსეთის არმენიიდან ბიზანტიაში მიმავალ გზაზე, ისევე, როგორც სარაპანი, ამიტომაც ბიზანტია-სპარსეთს შორის დადებულ 532 წლის საუკუნო ზავის პირობების თანახმად, სპარსელებს მოეთხოვებოდათ სკანდის და სარაპანას ციხე-სიმაგრეების დაცლა, რის სანაცვლოდაც ბიზანტიელები თავიანთ მცველ რაზმს გაიყვანდნენ სხვა რეგიონში მდებარე სასაზღვრო ქ. დარადან.

ართვინ-არტანუჯ-არტაანის დამაკავშირებელი გზა ნამდვილად მდებარეობდა პერსარმენიიდან ხოფა - გონიოსკენ (ძვ. პეტრასკენ) მიმავალ საერთაშორისო გზაზე, რომელიც ერთ-ერთ მთავარ პუნქტს არტანუჯი წარმოადგენდა. არტანუჯის, ვითარცა სავაჭრო

ცენტრის შესახებ, ანუ აღნიშნული გზის მნიშვნელობის შესახებ XI-ში წერდა კონსტანტინე პორფიროგენეტი. **არტანუჯში, როგორც ითქვა, საქონელი შედიოდა არმენიიდან, სირიიდან და იბერიიდან, არტანუჯიდან კი ჭოროხის გზით გადიოდა შავი ზღვის ნავსადგურებში ანუ ბიზანტიაში. ამ გზაზე, კერძოდ კი არსიანის ქედზე, მდებარეობდა სკანდის ციხე-სიმაგრე, დაახლოებით 2600 მ სიმაღლეზე. ის ნამდვილად აკონტროლებდა აღნიშნულ საერთაშორისო მნიშვნელობის რეალურად არსებულ გზას.**

როგორც რამდენჯერმე ითქვა, იმერეთში, თერჯოლის რაიონში მდებარე სკანდეს ციხე არ მდებარეობს საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე, მის სიახლოვეს გადიოდა უმნიშვნელო, ადგილობრივი მნიშვნელობის გზა, რომლითაც შესაძლებელი იყო თანამედროვე თერჯოლის რაიონის მეზობელ უმნიშვნელო რაიონთან დაკავშირება. ამის გამო შეუძლებელია იმერეთის „სკანდე“ სპარსეთ-ბიზანტიას შორის 532 წელს დადებული საუკუნო ზავის პირობების ერთ-ერთი უმთავრესი საკვანძო პუნქტი ყოფილიყო.

ექსპედიცია კანდრიდსა და ასკანში

პროკოფი კესარიელის სიტყვით, როგორც ცნობილია, სკანდას ციხე-სიმაგრე ისეთ ადგილას მდებარეობდა, სადაც არ მოდიოდა მოსავალი ცნობილი კულტურებისა, კერძოდ ხორბლისა და ყურძნისა.

პროკოფის მიერ ხშირად ნახსენები მდინარე ფაზისს ჩვენ ჭოროხად მივიჩნევთ, შესაბამისად სკანდის ციხის ძიება დავიწყეთ არსიანის ქედზე, იქ სადაც არტაან-არტანუჯ-ართვინის შემაერთებელი გზა გადის. აქ, იალნიზჩამის უღელტეხილზე მდებარე ქინძოტა-მალის ციხისა და იქვე მდებარე ნასოფლარ კანდრიდის სანახავად საგანგებოდ გავემგზავრეთ რამდენიმე კაციანი ჯგუფით თურქეთში 2008 წლის სექტემბრის თვეში. ვალედან შევედით არდაგანში, იქედან კი გავემგზავრეთ შავშეთში. არტაანიდან შავშეთში შემავალი გზის უღელტეხილი 2600 მეტრ სიმაღლეზეა, არტაანი თითქმის 2000 მეტრიან სიმაღლის ზეგანზეა გაშლილი ფართო ველებით, შავშეთი უფრო დაბლაა, მისი ბუნება ქალაქ შავშათამდე ბორჯომისას მიაგავს, წიწვოვანი ტყეებით, ამწვანებული მთებით, რომელნიც სწრაფად დაბლდებიან ქ. შავშათამდე, ამ ქალაქიდან გავემგზავრეთ ართვინისაკენ, ამ მიდამოებში შავშეთის რეგიონის ბუნება მკვეთრად შეიცვალა, მდინარე იმერხევი მოექცა უზარმაზარ კლდეთა შორის, რომლის თითქმის ვერტიკალურ ნაპრალში მდინარის პირს გაუყვანიათ გზა. ეს გზა არაა ძველი დროისა, არამედ ახალი XIX-XX საუკუნეთა ნაკვეთია. ართვინიდან მეორე დღეს გამოვემგზავრეთ უკან არსიანის ანუ იალნიზჩამის ქედისაკენ, არტანუჯამდე მიემართება მეორე გზა, რომელიც კვლავ უზარმაზარ კლდეთა შორის მიემართება. აქ გასაგები ხდება თუ რას უწოდებდა პროკოფი კესარიელი კლისურებს - უზარმაზარი კლდეები მდინარის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა სანაპიროზე მხოლოდ ძალზე ვიწრო ნაპრალით არიან დაშორებულნი ერთმანეთს. ამ ადგილებში ნამდვილად შეუძლია კლდეკარის მაღლა განლაგებულ მცირე რაზმს ხეობაში მიმავალი ჯარის შეჩერება. ასეთი კლდეკარი გრძელდება თითქმის არტანუჯამდე, ანტანუჯი გაცილებით

ფართო ტაფობში მდებარებს. აქედან გზა მიემართება არსიანის ქედისაკენ, რომლის უღელტეხილთან ახლოსაც გვეგულება ქინძოტამალის ციხე და სოფელი კანდრიდი. მართლაც, გავყევით ამ გზას, კლდეები თითქმის აღარ გვხვდება გზის პირზე, აქაური ბუნება იმერეთისასაც კი მიაგავს, გზა ადის და ადის მაღლა, ავედით უღელტეხილზე და შევედით ძველი არტაანის საზღვრის სიახლოვეს. აქ გზისპირას დავინახეთ ძველი ციხე-სიმაგრე, რომელიც ჩვენი აზრით იყო ქინძოტამალის ციხე, იქვე, ციხესთან ჩანდა სოფელი, ამიტომაც გადავწყვიტეთ შევსულიყავით სოფელში და დაგვედგინა მისი სახელი.

შევედით სოფელში, რომლისთვისაც თურქეთის მთავრობას სხვა სახელი დაურქმევია - „ბაგდასენ“. მოსახლეობა არაა ქართული, ღარიბ-ღატაკები არიან, ქოხმახებში ცხოვრობენ, შემოგვეგება უამრავი ბავშვი, ჯანსაღები, გვესალმებიან გაოცებულნი, მეჩეთთან **მამაკაცები ადასტურებენ, რომ ვართ სოფელ ქინძოტამალში, რომ ციხეს ეწოდება „კინდზოტამალ ყალა“, ეს ჩვენთვის მიღწევაა. ვეკითხებით სოფელ კანდრიდის შესახებ, ორი კაცი გამოგვყვა კიდეც 3-4 კმ მანძილზე, ერთ ნასოფლარზე რომელსაც „კანდრეთი“ ეწოდება, ისინი გამოთქვამენ ასე - „კანდრეთი“. რამდენჯერმე გავამეორებინეთ ეს სახელი. ესეც წარმატებაა, გახარებული ბოლოს ვბედავ და ვეკითხები - „სკანდა, სკანდა თუ არის აქ სადმე“. ჩვენდა გასაოცრად ერთერთი ამბობს სიტყვას „ასკან“. ორივენი ადასტურებენ, რომ პუნქტი თუ ნასოფლარი „ასკან“ მდებარეობს ამ კანდრეთიდან რამდენიმე კილომეტრზე. ეს კიდევ უფრო დიდი გამარჯვებაა, ამ სიტყვის მოსასმენად ჩამოვედით თბილისიდან და გამოვიარეთ გრძელი გზა. მართლაც ეტიმოლოგიურად „ასკანი“, „კანდრიდი“, „კანდრეთი“„ქინძოტამალი“ ძალზე ახლოა – სიტყვასთან - „სკანდა“. ამ არეალზე ყველაფერს კანდრ-ასკან-ქინძ ეწოდება. აქ სადღაც უნდა ყოფილიყო პროკოფის მიერ ნახსენები სკანდას ციხე, რომელია ის? არსებობს თუ არა დღეს, იქნებ ეს ქინძოტამალის (ქინდზოტამალის) ყალაა, რომელიც მშვენივრადაა შენახული**, მას ჩვენის თვალით ვხედავთ და ვიღებთ ფოტოკამერით, ან იქნებ იქვე მდებარე მეორე ციხეა, რომელზეც გვესაუბრება აღნიშნული ორი კაცი. მათ ვთხოვეთ გაგვყოლოდნენ ამ მეორე ციხის სანახავად, მართლაც „კანდრეთიდან“ დავბრუნდით სოფელ კინდზოტამალში, გავემართეთ მეორე ციხის სანახავად, გზაზე ვეკითხები იციან თუ არა რა არის „ქინძი“, არ იციან, ვუხსნით, რომ ეს საჭმელი ბალახია, მათ მსგავსი არაფერი უნახავთ და არც იციან, საეჭვოა ამ სიმაღლეზე, ზღვის დონიდან თითქმის 2000 მეტრზე და მეტზე ქინძი ხარობდეს, მაშასადამე სახელი ქინძოტამალი არ უნდა უკავშირდებოდეს სიტყვა ქინძს, არამედ უნდა უკავშირდებოდეს სიტყვა „სკანდას“ (ასკანს, კანდრეთს). აგვიყვანეს სოფლის მაღლა მდებარე ერთ გორაკზე, ყველგანმავალი მანქანები გაჩერდნენ, წავედით ფეხით, აქ მართლაც ვნახეთ რაღაც ძველი ციხის ნანგრევი, უფრო „გმირთნაკვეთს“ ჰგავს, ქინძოტომალსა და ამ ციხეს შუა არტანუჯისაგან მიდიოდა ძველი გზა, ახალი გზა უფრო მაღლა კლდეზეა გაყვანილი.

ჩვენი ვარაუდით, სადღაც ამ მხარეებში იყო სკანდას ციხე, რადგანაც ადგილობრივი რამდენიმე ტოპონიმი ეტიმოლოგიურად სკანდას მსგავსია - ესენია კანდრეთი, ასკანი და კინდზოტამალი. ორი მათგანი ჩვენი თვალით ვნახეთ, მიღებულმა შთაბეჭდილებამ კიდევ უფრო განგვიმტკიცა აზრი, რომ სკანდა არა თერჯოლის რაიონში, არამედ არტაან-არტანუჯის შემაერთებელ ძველ გზაზე მდებარეობდა. იქვე უნდა ყოფილიყო სარაპანას ციხე და არა ზესტაფონთან, რადგანაც, როგორც თერჯოლის, ასევე ზესტაფონის

აღნიშნულ პუნქტებში ამჟამად ვენახების პლანტაციებია გაშენებული და თერჯოლის სკანდესა და შორაპანის ციხეები სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობენ, მათი ადგილმდებარეობა და მოსავლიანობა არაფრით ეთანადება პროკოფის მიერ აღწერილს, მაშინ როცა არსიანის ქედის ასკან-კანდრიდის პუნქტები პროკოფის აღწერილს ძალზე მიაგავს.

შავშეთში მდებარე პუნქტი არფალის სახელი ასევე ეტიმოლოგიურად მიაგავს სიტყვა „სარაპანას“. ქ. შავშეთის მიმდებარე არფალის ციხეც ასევე მდებარეობს არსიანის ქედიდან ქ. შავშეთში შემავალ ერთერთ გზაზე.

საერთოდ, პროკოფის მიერ აღწერილი ლაზიკის თვალით ნახვა შეიძლება ართვინ-შავშეთის და ართვინ-არტანუჯის გზაზე - ესაა, როგორც პროკოფი აღწერს საოცრად მაღალი კლდეების ქვეყანა, რომლის ნაპრალებში გამავალი მდინარეები და გზები თითქოსდა ასურათხატებენ პროკოფის მიერ აღწერილი ლაზიკის სახეს. პროკოფი ყველგან წერს ლაზიკის საოცრად მაღალი კლდეების შესახებ, რომ ზღვის სანაპიროსთან ახლოს გამავალი მდ. ფაზისი მიემართება უზარმაზარ კლდეებს შორის. მართლაც, ჩვენ შემდეგ შევედით თურქეთის სიღრმეში, სოფელ ქინდზოტამალიდან კოლას გზით შევედით ქ. იუსუფელში, იქედან კიდევ უფრო სამხრეთით მოვინახულეთ და მოვილოცეთ იშხანი, ოშკი, ხახული, ოთხთა ეკლესია, შემდეგ უკან წავედით სხვა გზით ართვინისაკენ, **გავყევით ჭოროხის ხეობას, და უნდა ითქვას, თუ რასაც წერდა პროკოფი ვნახეთ ჩვენი საკუთარი თვალით, მდ. ჭოროხი თითქმის მთელ სიგრძეზე მიემართება უზარმაზარ თითქმის შვეულ კლდეთა შუა, რომ ამიტომ „მისი კალაპოტის შეცვლა შეუძლებელია“.**

ეს კლდეები არის გრანდიოზული, მდინარიდან თითქმის შვეულად აღმართულნი ალბათ 200-300 მეტრის სიმაღლეზე. ასე გრძელდება კლდიანობა ართვინამდე, რომელიც ზღვიდან 30 კმ-ით თუ იქნება დაშორებული, აქედან კლდეები შედარებით დაბლდება, მაგრამ მაინც უზარმაზარ მთებად იქცევა ბორჩხამდე და მის შემდეგ თითქმის მარადიდამდე, საიდანაც, უფრო დადაბლებული თანამედროვე საქართველოს საზღვართან მიდის და გრძელდება. აქედან **გასაგები ხდება პროკოფის სიტყვები, რომ ზღვასთან ახლოს ჭოროხი მიედინება კლდეთა შორის, ჩვენს მიერ ხილული ჭოროხის ბუნება და პროკოფის მიერი მდ. ფაზისის აღწერა ჩვენ კიდევ ერთხელ გვიდასტურებს რომ მდ. ფაზისი პროკოფისათვის არის მდ. ჭოროხი, მართლაც არავითარ კლდოვან ნაპირთა შორის მდ. რიონი არ მიედინება ზღვასთან ახლოს!** ზღვასთან ახლოს რიონი ჭაობის მდინარეა უზარმაზარ ვაკეზე მიმდინარე, ყოველგვარი კლდოვანი სანაპიროს გარეშე მაშასადამე მისი ბუნება არ ეთანადება პროკოფის აღწერილს. პროკოფისა და სხვა ძველი ავტორების მიერ აღწერილია მდ. ფასისის ჩქარი დინება, იმდენად ჩქარი, რომ ზღვაში შედინების შემდეგ ის ზღვას არ უერთდებოდა, ექცეოდა მის ზედაპირზე და ცალკე ნაკადის სახით მიედინებოდა ზღვაში. **ჩვენ დაგვიდასტურეს, რომ მართლაც, ახლაც სწრაფად შეედინება ჭოროხი ზღვაში,** თუმცა მას შემდეგ რაც ჭოროხზე წყალსაცავები გააკეთეს მარდიდიდან ბორჩხამდე და ბორჩხიდან ართვინამდე ჭოროხის სიჩქარე შემცირდა.

ჭოროხზე ნაოსნობის შესახებ გვიამბობდნენ ართვინელი და ბორჩხელი ქართველები, მკვიდრი მცხოვრებლები, რომელთაც შევხვდით ამ მოგზაურობის დროს. ერთი ართვინელი გვიმტკიცებდა, რომ დარჩენილია ერთადერთი ძველი კაიუკი (ნავი) და ისიც დალპა

სიძველის გამოო. ჭოროხზე გაცხოველებული ნაოსნობის შესახებ წერენ ე. ვეიდენბაუმი და გ. ყაზბეგი რომელთაც XIX ს-ში იმოგზაურეს ჭოროხზე.

ვნახეთ უამრავი ქვის ხიდი, ყველგან გზაზე არტანუჯისაკენ, ბორჩხასთან, მარადიდის გზაზე, ადგილობრივები გვიყვებოდნენ, რომ ისინი არიან დღესაც უამრავნი.

სტრაბონის მიხედვით მდ. ფაზისზე იყო 120 ხიდი. მდ. რიონზე შეიძლება 120 ხიდის გადება? იგულისხმება ფოთიდან ვიდრე ქუთაისამდე გაშლილი ვაკე. ეს შეუძლებელია და შეუძლებელი იყო განსაკუთრებით ძველ დროს, რადგანაც ეს ტექნოლოგიურად წარმოუდგენელი პრობლემები იქნებოდა ძველი დროის მშენებლისათვის მდ. რიონის დიდი გაშლილობის, მისი მრავალნაკადიანობის, ნაპირების დაჭაობებისა და ფლატიანობის გამო, ხოლო **მდ. ჭოროხის შენაკადებზე ასეთი ხიდების აგება შეუდარებლად ადვილი საქმეა, აქ, როგორც ვთქვით სანაპიროები არის მაღალი და ვიწრო კლდეები, რომლის ერთი ნაპირიდან მეორეზე თაღოვანი ხიდის გადება შესაძლებელია და აკეთებდნენ კიდეც ასეთ ხიდებს. მათი კოლოსალური რაოდენობაა დღემდე მოღწეული,** თუმცა მრავალი დაიფარა აღნიშნული წყალსაცავებით. მდ. ჭოროხზე, არათუ ხიდები, ჩვენ ვნახეთ წყალსაცავში ჩაძირული მეჩეთი, მთელი სოფლები დაფარულა ჭოროხის წყლით. პეტრადან ართვინ-არტანუჯისაკენ მიმავალი გზა მიუყვებოდა მდ. ჭოროხის სანაპიროებს, ჭოროხს კი მარჯვენა და მარცხენა მხრიდან მრავალი პატარა მდინარე უერთდება, ამ მდინარეებზე გადაჰყავდათ ძველ მშენებლებს მდ. ჭოროხის ნაპირას მიმავალი გზა, ამიტომაც სწორედ ამ **პატარა მდინარეებზე გადებულია უამრავი ქვის თაღოვანი ხიდი**, ჩანს, ეს ვიწრო, ძველი დროის გზები ანუ უფრო სწორად გზა-ბილიკები იყო რამდენიმე ერთმანეთის პარალელურად გამავალნი ჭოროხის სანაპიროზე. ამით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ, ერთ მდინარეზე გვხვდება რამდენიმე ქვის ხიდი, ერთმანეთის სიახლოვეს. გ. ყაზბეგმა იანგარიშა ჭოროხის ხეობაში აღნიშნულ გზაზე 300 თაღოვანი ხიდი. აქედან და რეალური თვალხილული ფაქტიდან გამომდინარე, სტრაბონის დროსაც აქ 120 ხდის არსებობა სარწმუნო ჩანს. მდ. რიონზე კი შეუძლებელი იყო ხიდის აგება ფოთიდან - ქუთაისამდე ძველ დროს და ამიტომ ვერავინ უთითებს ასეთი ხიდების ნაშთს!!!

იმის გამო, რომ ძველი გზა აღარ შედის მარადიდიდან საქართველოში, უფრო სწორად, მასზე არაა გამშვები პუნქტი, გავყევით არსებულ შესანიშნავ გზას ბორჩხადან ხოფასაკენ. ზღვის სანაპიროზე გამავალ ამ გზაზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პროკოფი მართალი მწერალია. კერძოდ, პროკოფი წერს - **„ლაზიკაში ზედ ზღვის პირას აღმართულია უზარმაზარი კლდეები. ეს კლდეები თითქოსდა არის ზღვის წყლის საზღვარი, რომელიც დაწესებულია რათა შეაჩეროს ზღვა, როგორც საზღვარმა“. სწორედ ასეთია ხოფადან სარფში მიმავალი ზღვისპირა გზის მარჯვენა სანაპირო, ეს უზარმაზარი კლდეებია. თვალხილული მაგალითია პროკოფის სიმართლისა.** თუკი ლაზიკა იყო დასავლეთ საქართველოს დაბლობი, სად არის იქ ზღვისპირა კლდეები, რომელნიც აფერხებენ ზღვის წინსვლას? არსად! ამიტომაც ქარიშხალის დროს ზღვა გადმოდის რიონის დაბლობად წოდებული ქვეყნის სანაპიროზე შეუზღუდავად.

არტანუჯი - ართვინის რეგიონი - როგორც ითქვა არის **კლდეების ქვეყანა**, ისე, როგორც ქ. შავშათ-ართვინისა. ცხადია კლდიანობის გამო **უმოსავლო და უნაყოფო, თუმცა ალაგ-ალაგ ერთი-ორი კვადტარული მეტრი ნაყოფიერი ადგილებიც არის,**

პროკოფის სიტყვით, მხოლოდ ერთი ადგილი იყო ლაზიკაში გამონაკლისი. ეს იყო უხვმოსავლიანი მოხირისი.

ჩვენი აზრით, ლაზიკა იყო ართვინ-შავშათ-არტანუჯის მხარე სხვა მიმდებარე კუთხეებთან ერთად, მისი ნაყოფიერი მხარე**მოხირისი უნდა ყოფილიყო ლივანა- ერგე, ქვეყანა ჭოროხის ნაპირზე მარადიდის ქვემოთ აჭარისწყლის მიმართულებით.** აქ, ლივანის ბოლოსა და ერგეში უნდა ყოფილიყო განლაგებული მოხირისი - მოსავლიანი ქვეყანა. ეს ამჟამადაც ასეა. ერგე - აყვავებული, უხვმოსალვიანი კუთხეა აჭარისწყლიდან - მარადიდ - ბორჩამდე, სხვა მიმდებარე მხარე კი კლდიანობის გამო უმოსავლოა. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ მოხირისი ერქვა ხელვაჩაურ-ერგეს - ქვეყანას აჭარისწყლამდე, მარადიდამდე და ბორჩამდე.

შორაპანი და სკანდე მნახველის თვალით

2002 წლის 25 ნოემბერს ოთხკაციანი ჯგუფი გავემგზავრეთ შორაპნისა და სკანდეს ციხე-სიმაგრეების, მათზე გამავალი გზების, ასევე მდინარეების მოსანახულებლად.

ბერძნულ-ლათინური წყაროების ცნობებით სკანდა და სარაპანისი მდებარეობდნენ იბერიასა და ლაზიკას შორის საზღვარზე, ისინი ყოველგვარი ტრანსპორტისათვის მიუვალ, მკაცრი კლიმატის მქონე რეგიონში მდებარეობდნენ, სადაც არ ხარობდა ვაზი (ვენახი), ხორბალიც კი. ამ ციხე-სიმაგრეებში კლდიანობისა და მთა-გორიანობის გამო ასვლა საჭაპანო პირუტყვსაც (ცხენ-ჯორსაც) კი არ შეეძლო და მეციხოვნეთათვის პროდუქტი მებარგულე კაცებს ზურგით აჰქონდათ.

ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსების მტკიცებით პროკოფის მიერ ნახსენები სკანდა და სარაპანისი არიან იმერეთში მდებარე სკანდესა და შორაპნის ციხეები.

თუ ეს ასეა, მაშინ ეს ციხეები უნდა მდებარეობდნენ მკაცრი კლიმატის რიგიონში, სადაც არ ხარობს ვენახი და ხორბალი, სადაც ვერ მივა ტრანსპორტი, ცხენი და ვირი.

ამ მხრივ გაგვაოცა შორაპნის ციხემ. მისი გალავნის შიგნით დგას კერძო მესაკუთრეთა საცხოვრებელი სახლები ეზოებით და, ჰოი საოცრებავ, ხეხილითა და ვენახით.

ფოტოსურათებიც კი გადავიღეთ ტალავარზე გასულ ვაზთან შორაპნის ციხე-სიმაგრეში. ის არა თუ მიუვალ კლდეზე, არამედ ქალაქად ქცეული შორაპნის დასახლების ერთ-ერთ ქუჩაზე მდებარეობს, ციხის ერთი კედელი ქალაქის ამ ქუჩაზე დგას, ამიტომაც ამ ქუჩის ზოგიერთი სახლი გალავნის შიგნით აღმოჩნდა. ერთ-ერთი მათგანის ეზოში ტალავარზე გასული ვაზის ფოტოც გადავიღეთ, როგორც აღინიშნა. ამ ციხე-სიმაგრის ეზოში მრავლადაა სუბტროპიკული კლიმატისათვის დამახასიათებელი ველურად ამოსული ხეები და ბუჩქები ეკალ-ბარდთან ერთად

მაშასადამე შორაპნის ციხე-სიმაგრის რეალური გარემო არ შეესაბამება პროკოფის მიერ აღწერილ სარაპანას სურათს. როგორც ვთქვით სარაპანასთან არ ხარობდა ვაზი და ხორბალი მთის მკაცრი კლიმატის გამო. მაშასადამე ის ალპურ ზონაში მდებარეობდა, ხოლო შორაპანი სუბტროპიკულში მდებარეობს.

მსგავსადვეა თერჯოლის რაიონში მდებარე სიფელ სკანდეს ციხე-სიმაგრე.

სკანდე საერთოდ საგზაო ჩიხში მდებარეობს და არა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს შემაერთებელ გზაზე. ასევე იქნებოდა წარსულშიც მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. ამ ფაქტის დადასტურება შეუძლია ყველას, ვინც თავისი თვალით ნახავს სკანდეს

მეორეხარისხოვანი, უმნიშვნელო სიმაგრის გეოგრაფიულ გარემოს. პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ის თითქმის ვაკე ადგილზე მდებარეობს, დაბალ ბორცვზე ზღვის დონიდან 170 მ სიმაღლეზე, ამიტომაც მის გალავანთან ახლოს მდებარე სოფელს აქვს შესანიშნავი ხეხილის ბაღები, ვენახები და ტალავრები.

მე გამაოცა იმერეთის სკანდესა და შორაპნის ციხეთა გალავანთა შიგნითა და გარეთ ველურად ამოსულმა გარეული ბროწეულის ბუჩქებმა და ასევე დაფნის ხეებმა, პროკოფი ხომ ამის საწინააღმდეგო სურათს გვიხატავს ბუნებისას –სკანდასა და სარაპანას ციხეთა ირგვლივ მაღალმთიანი ალპური კლიმატის გამო რათქმაუნდა დაფნა, ბროწეული და ვაზი არ ხარობდა, ხორბალსაც ვერ მოიწევდნენ. ამ მხრივ კიდევ ერთხელ უნდა ითქვას სხვაა იმერეთის სკანდა და შორაპანი და სხვაა პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილი სკანდასა და სარაპანას ციხეები.

თავი VI

რიონის ჭაობები

შავი ზღვის გეოლოგია

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ფასისის ბერძნული სამიტროპოლიტო კათედრების ადგილმდებარეობა-ლოკალიზაცია მდ. რიონის დაბლობზე ჩვენ ძალზე საეჭვოდ მოგვაჩნია. თუ რატომ არ შეიძლებოდა რიონის დაბლობზე სამიტროპოლიტო ცენტრის არსებობა, ჩანს იმ გეოლოგიური მონაცემებით, რომელთაც ქვემოთ ვეხებით -

„დედამიწის კლიმატურ პერიოდთა შორის ბოლო არის მეოთხეული სისტემა, ის მოიცავს დროის მონაკვეთს პლიოცენის ბოლოდან ვიდრე დღემდე. მეცნიერთა აზრით დაახლოებით ის გრძელდებოდა რამდენიმე ასეული ათასი წლიდან 1 მილიონ წლამდე. მეოთხეული სისტემა ანუ პერიოდი ძირითადად ორ ნაწილად იყოფა: გამყინვარების ხანა და თანამედროვე ხანა. გამყინვარების ხანას უწოდებენ პლეისტოცენს (დილუვიუმს), ხოლო თანამედროვე (გამყინვარების შემდგომ ხანას) უწოდებენ ჰოლოცენს (ალუვიუმს). მეოთხეულ პერიოდში ცხოვრობდნენ, მაგალითად, მამონტები, ასევე, ამჟამად, ცნობილი ცხოველები. მეოთხეულის ისტორიისათვის აღსანიშნავი მოვლენა იყო გამყინვარება, რომელიც დიდ აცივებასთან ერთად დიდი სინესტითაც ხასიათდებოდა. დედამიწისათვის ზოგადად ეს იყო წვიმიანი ხანა, ხოლო ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროების დიდი ნაწილისათვის გამყინვარება. მისი მიზეზი მეცნიერებისათვის დღესაც უცნობია, თუმცა მრავალი ჰიპოთეზა არსებობს. აღსანიშნავია, რომ ყოფილა არა ერთი, არამედ რამდენიმე გამყინვარება, ანუ დედამიწაზე აცივებისა და დათბობის ეპოქები მონაცვლეობდნენ.

მეოთხეული პერიოდის კონტინენტები და ზღვები თითქმის ისეთივე იყო, როგორც დღეს არის, მხოლოდ ზოგმა ზღვამ წინ წაიწია წყლის დონის ამაღლების გამო, ანდა უკან დაიხია დონის დაწევის გამო, რის გამოც ხმელეთზე დატოვა ტერასები და ზღვიური ლექი.

კასპიის ზღვის სამხრეთული ნაწილი მეოთხეულის დასაწყისში ხმელეთს წარმოადგენდა და მისი ჩაძირვა შემდგომ მოხდა. ჩრდილო ნაწილში კი ხდებოდა ზღვის მრავალ-

ჯერადი ტრანსგრესია და რეგრესია (აწევ-დაწევა). მაგალითად, ზღვის ტერასული ლექის მიხედვით ითვლიან, რომ კასპიის ზღვის წყლის დონე თანამედროვესთან შედარებით 200 მეტრით მაღლა იყო აწეული ერთ პერიოდში (ალ. ჯანელიძე, ისტორიული გეოლოგიის მოკლე კურსი, 1963, გვ. 385). რაც შესაძლოა გამოწვეული იყო გამყინვარების პერიოდში დათბობით, რამაც ყინულის დადნობა გამოიწვია. ასევე ხდებოდა პირიქით, აცივების დროს დიდძალი წყლის დაბანდება ხდებოდა ყინულის სახით, რაც ზღვაში წყლის რაოდენობის შემცირებას იწვევდა.

მსგავსია **შავი ზღვის ისტორია** მეოთხეული პერიოდის განმავლობაში. პერიოდის დასაწყისში, შავი ზღვა, ტბას წარმოადგენდა. ის მოწყვეტილი იყო ხმელთაშუა ზღვას ხმელეთის დიდი ნაწილებით. კერძოდ, ეგეოსის ზღვის ადგილზე არსებობდა ხმელეთი, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულს უშუალოდ აკავშირებდა მცირე აზიასთან, ხოლო მარმარილოს ზღვა იყო ტბა. ამ ტბიდან გამოდიოდა მდინარე, რომელიც ერთვოდა ხმელთაშუა ზღვას. ამ მდინარის ხეობის ადგილზე ახლა არის დარდანელის სრუტე. ზედა მეოთხეულში მოხდა ეგეოსის ხმელეთის დაძირვა და წარმოიშვა ეგეოსის ზღვა, ამავე დროს დაიძირა შავი ზღვის სამხრეთში მდებარე ხმელეთიც, რის გამოც შავი ზღვა და ხმელთაშუა ზღვა ერთმანეთს შეუერთდნენ. შემდგომში კიდევ რამდენჯერმე შეწყდა და განახლდა ეს კავშირი. ხმელთაშუა ზღვისაგან მოწყვეტამ გამოიწვია შავი ზღვის რამდენჯერმე გამარილიანება.

მეოთხეული ეპოქების დასათარიღებლად იყენებენ ზღვიური ლექების ნაშთებს, კერძოდ, რადგანაც, **საკმაოდ ხშირად ხდებოდა ზღვის დონის ცვლილება,** ამ დროს წარმოიშობოდა შესაბამისი სანაპირო ტერასა (ველი, ბაქანი), მათი ნაშთების შესწავლა იძლევა მეთოდს დათარიღებისათვის. კერძოდ, ზღვის დონის დაწევის დროს წარმოიშვებოდა ახალი სანაპირო ზოლი ანუ ტერასა, შემდეგ კიდევ დაწევა ზღვის დონისა უფრო დაბალ ტერასას გვაძლევდა. მაშასადამე ძველი ტერასა უფრო მაღლაა, ვიდრე მისი შემდგომი ახალი ტერასები. ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე აჩვენებენ ოთხ ტერასას, თითოეულ მათგანს აქვს თავისი სიმაღლე, ყველაზე მაღალი 90-110 მეტრია, ყველაზე დაბალი 18-20 მეტრი. მაშასადამე **იყო დრო, როცა ხმელთაშუა ზღვის დონე 110 მეტრით მაღლა იყო აწეული. მსგავსადვე შავ ზღვაზე.**

მეოთხეული პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ადამიანის გაჩენაა. ზემოთ აღნიშნულ გამყინვარების ხანას, ანუ პლეისტოცენს არქეოლოგების ქრონოლოგიური სქემით შეესაბამება – პალეოლითი, ანუ ძველი ქვის ხანა. **თანამედროვე ხანას, ანუ ჰოლოცენს (ალუვიუმს) შეესაბამება არქეოლოგების – ნეოლითი (ახალი ქვის ხანა), ბრინჯაოს ხანა და რკინის ხანა.**

პალეოლითის ბოლო ეტაპზე ადამიანმა ისწავლა იარაღის გაუმჯობესება და ძვლის იარაღების დამზადება, ხოლო ჰოლოცენის დასაწყისში (ე.წ. ახილურ დროს) მას უკვე შეუსწავლია თიხის კერამიკული დამუშავება, მაგრამ საქოთნე დაზგა ჯერ კიდევ არ ჰქონდა (ალ. ჯანელიძე, ისტორიული გეოლოგიის მოკლე კურსი, 1963, გვ. 370-397).

მეცნიერ-გეოგრაფების მონაცემებით შავ ზღვაზე ე.წ. ფანაგორიულ რეგრესიის დამთავრების შემდეგ, **დაახლოებით ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე დაიწყო ზღვის ტრანსგრესია** (ჯანელიძე ჭ, ფაზისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტები, ფაზისისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები, 1973, გვ. 5-16, (Палеография Грузии вголоцене; Тб. 1980, стр.148-159)

მაშასადამე, **დაახლოებით I ს-ში (ჩვენი წელთაღრიცხვით, ქრისტეშობის შემდეგ) დაიწყო ტრანსგრესია ანუ შავი ზღვის დონის აწევა. თანამედროვესთან შედარებით შავი ზღვის დონე ამაღლდა 3 მეტრით, რის გამოც ძველი ნამოსახლარები მოექცნენ ზღვის ქვეშ, კერძოდ ამგვარი პროცესი განვითარდა ჩრდილოეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთში (სინოპი), სადაც ანტიკური ნაქალაქარები წყლის ქვეშ მოექცნენ (გ. გამყრელიძე, ქ. ფაზისის ადგილმდებარეობის საკითხისათვის, არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, 2003, №1. „იბერია – კოლხეთი“ (ანტიკური პერიოდი), გვ. 180). მსგავსადვე I საუკუნედან ზღვის დონის 3 მეტრით ამაღლების გამო წყლითა და ჭაობით უნდა დაფარულიყო რიონის ვრცელი დაბლობი რამდენიმე საუკუნის მანძილზე, რადგანაც ზღვის დონეს დადაბლება მხოლოდ VIII-IX საუკუნეებიდან დაუწყია დროებით, შემდეგ საუკუნეებში ის კვლავ ამაღლებულა ვიდრე თითქმის XVI-XVII საუკუნეებამდე.**

ასეთი ვითარების გამო I ათასწლეულის IV-VII საუკუნეებში წყლით დატბორილ რიონის დაბლობზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქო თავის სამიტროპოლიტო ცენტრს ვერ დაარსებდა. სიტყვა მიტროპოლიტი ნიშნავს-დედაქალაქის (მატერპოლის) მღვდელმთავარს. შეუძლებელია ასეთ ვითარებაში-ზღვის 3 მეტრით ამაღლების დროს დედაქალაქი რიონის ზღვასთან შერთვის ადგილას ყოფილიყო.

საქართველოს პლეისტოცენური ნალექები

დ. წერეთელი თავის წიგნში საქართველოს პლეისტოცენური ნალექები (1966) წერს: ჰოლოცენის ეპოქაში ადგილი ჰქონდა დედამიწის ქერქის მნიშვნელოვან მოძრაობას, კერძოდ, მაღლა აიწია კავკასიის ოლქმა და პირიქით, დაბლა დაიწია კასპიისა და შავი ზღვის ოლქებმა. აღსანიშნავია, რომ კავკასიის ქედის ოლქში აწევის ამპლიტუდა აღწევდა რამდენიმე ათეულ მეტრს, ხოლო შავი ზღვის დონის ქვეშ ჩასულ ველთა შესახებ უნდა ითქვას, რომ მათი ვერტიკალური მოძრაობების ამპლიტუდა არ აღემატებოდა 50-80 მეტრს.

შეიძლება ტექტონიკური ძაბვები იწვევდნენ გარღვევას და ლავების დინებას კავკასიაში. დედამიწის ამჟამადაც არსებული, არჩამქრალი პულსაციის მაჩვენებელია ხშირი და ძლიერი მიწისძვრები, რომლის ეპიცენტრები ფიქსირდება კავკასიის ფარგლებში. ყინულოვანი ეპოქის შემდგომ დაიწყო კავკასიაში ყინულების დეგრადაცია.

ზემონეოლითურ ეპოქაში დაიწყო ადამიანთა განსახლება დასავლეთ საქართველოში.

არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებს, რომ ჰოლოცენის ეპოქაში დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ცვალებადი იყო ფიზიკო-გეოგრაფიული პირობები, რამაც გამოიწვია სანაპირო ხაზის ცვლილებები.

ყინულოვანი ეპოქის შემდეგ გეოლოგიური და სტრატიგრაფიული მასალების მიხედვით შეიქმნა ძველი შავი ზღვის აუზი.

შავი ზღვის დონის აწევას უკავშირებენ ყინულოვანი საფარველის გაძლიერებულ დნობას და ტექტონიკურ მოძრაობებს.

დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ბურღვითი სამუშაოების შედეგად,

აღმოჩნდა სამი ტორფული ჰორიზონტი ძველი და გვიანი შავი ზღვის დროისა.

სხვადასხვა სიღმეებზე ტორფული ჰორიზონტების არსებობა მიუთითებს **ზღვის სამჯერად უკან დახევაზე**.

არქეოლოგიური ძეგლები საშუალებას გვაძლევს ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ პალეოგრაფიულ პირობებზე ჰოლოცენის ეპოქაში.

როგორც ითქვა, **შავი ზღვის დონე მერყეობდა**. ქვემო ტორფული ჰორიზონტები მდებარეობდნენ ამჟამინდელი ზღვის დონის ქვემოთ 40-39 და 18 მეტრ სიღრმეზე (ძველი და გვიანი ჰოლოცენის დროს), რაც ემთხვევა არქტიკულ, სუბარქტიკულ და ბორეალური დროის კლიმატურ მერყეობას.

18 მეტრ სიღრმეზე ტორფის ჰორიზონტის წარმოშობის შემდგომ **დაიწყო შავი ზღვის ტრანსგრესია (ზღვის დონის აწევა),** რასაც მიუთითებს ენეოლითისა და ახალბრინჯაოს საუკუნეთა მატერიალური კულტურის ნაშთების 8-10 მეტრ სიღრმის ქვეშ არსებობა ყულევთან, ოჩამჩირესთან და სოხუმთან. ხოლო შემდგომ, ატლანტიკურ საუკუნეში ტორფული ჰორიზონტის 10 მეტრის სიღრმეზე არსებობა მიუთითებს, რომ შავი ზღვის აუზში აღინიშნება ზღვის დონის დაწევა.

არქეოლოგმა ნ. ხოშტარიამ 1946 წელს აღმოაჩინა, ზღვის დონის ქვემოთ 6 მეტრზე, არქეოლოგიური ძეგლები IV-III ათასწლეულისა. მსგავსადვე, ოჩამჩირესთან კუფტინმა და სოლოვიოვმა თანამედროვე ზღვის დონეზე დაბლა 6 მეტრით აღმოაჩინეს სპილენძისა და ადრე ბრინჯაოს (ვიდრე ანტიკურ ეპოქამდე) ხანის კულტურის ნაშთები.

აღსანიშნავია, რომ ენეოლითური და ადრე ბრინჯაოს ფენათა შუა არის შრე, რომელიც არ შეიცავს კულტურულ ნაშთებს (ჩანს ენეოლითის შემდეგ ზღვის დონემ აიწია და სპილენძისა და ადრე ბრინჯაოს ეპოქაში კვლავ დაიწია, და შემდგომ კი ზღვის დონე ისევ ამაღლდა).

ზღვის დონის აღნიშნულ ცვლილებას მიუთითებს სოხუმის ყურეში 9 მეტრ სიღრმეზე (თანამედროვე ზღვის დონის ქვემოთ) აღმოჩენილი ბრინჯაოს საუკუნის კერამიკული კრამიტის ნაშთები. ბ. კუფტინი ვარაუდობს, რომ თანამედროვე ზღვის დონეზე 9 მეტრით დაბლა აღმოჩენილი ნაშთები შეიცავს აგრეთვე ენეოლითური კულტურის ნიშნებს.

არქეოლოგიური მონაპოვრები შავიზღვისპირეთისა მიუთითებს, რომ ატლანტიკური საუკუნის ბოლოსა და სუბორეალური საუკუნის დასაწყისში შავმა ზღვამ უკან დაიხია, ანუ მისი დონე დადაბლდა, რამაც თანდათან გამოაშრო ჭაობიანი ადგილები.

ტორფული ჰორიზონტის 11 მეტრ სიღრმეზე ანალიზმა აჩვენა, რომ მისი ასაკი არის 6000 წელი (**საქართველოს პლეისტოცენური ნალექები, 1966. რუს. ენაზე.** გვ. 520-525).

1. კოლხეთის გეოლოგიური ისტორია ჰოლოცენურ პერიოდში

ჰოლოცენი ეს დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორიის ბოლო ეტაპია, რომელიც მოიცავს დროის მონაკვეთს 10.000 წლიდან დღემდე. როგორც ყველა ბუნებრივ მოვლენას, ამ ეპოქასაც ახასიათებდა პულსაციური განვითარება, რაც გამოიხატებოდა დედამიწაზე კლიმატის ცვალებადობით (ათბობა-აცივება) და, შესატყვისად, ოკეანეების

მონაცვლეობით (ტრანსგრესიები და რეგრესიები). ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანი დაღი დაასვეს როგორც ბუნებრივ გარემოებას, ასევე ადამიანთა მოდგმის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ჰოლოცენი სტრატიგრაფიული ტერმინია და თავსდება გარკვეულ ქრონოლოგიურ ფარგლებში. მისი სტრატიგრაფიული სვეტი მოიცავს ქვედა (10000-დან 7000-მდე), შუა (7000-დან 3000-მდე) და ზედა (3000-დან დღემდე) ეპოქებს.

ჰოლოცენური პერიოდი დაიწყო მატერიკული გამყინვარების დეგრადაციის ფონზე, როდესაც მყინვარებმა იწყეს უკან დახევა (ფართობების შემცირება). ამ დროისათვის მსოფლიო ოკეანის დონე იმყოფებოდა თანამედროვესთან შედარებით 100-120 მეტრით დაბლა, ხოლო შავი ზღვის დონე, ბოსფორ-დარდანელის ზღურბლის გამო, -50, -60 მეტრზე. შავი ზღვის აკვატორიის შელფური ზოლის დიდი ნაწილი გაშიშვლებული იყო, ხოლო მათზე გამავალი (ან შემავალი) მდინარეები – ენგური, ფსოუ, ცხენისწყალი, რიონი, ჭოროხი და სხვანი გამოიმუშავებდნენ ღრმა ეროზიულ (გადაღრმავებულ) კანიონისმაგვარ ხეობებს.

ძვ.წ. X-VIII ათასწლეულიდან (10000-8000 წლის წინ) მყინვართა დნობის გამო იწყება შავი ზღვის დონის აწევა, ანუ ტრანსგრესია. იგი მოიცავდა პერიოდს ძვ.წ. VIII ათასწლეულიდან ძვ.წ. V ათასწლეულამდე. ამ დროს ზღვის დონემ მიაღწია მინუს -40 - 50 მეტრის ნიშნულებს. მეორე ეტაპზე, მცირედი შეფერხების შემდეგ გაგრძელდა ამჯერად ახალი შავზღვიური ტრანსგრესია (ძვ.წ. V ათასწლეულიდან ძვ.წ. III ათასწლეულამდე), რომლის დროსაც ზღვის დონემ მიაღწია -10 მეტრის ნიშნულს. ტრანსგრესიის ფინალურ სტადიაზე შავი ზღვის დონე ასცდა 0-ან ნიშნულს და ავიდა +2, +4 მეტრის სიმაღლეზე (რაზედაც მეტყველებენ ახალშავზღვური ტერასები). ამ დროს კოლხეთის ცენტრალური ნაწილი ფოთიდან თითქმის 12-15 კმ-ის რადიუსით ზღვით იყო დაფარული და ზღვის უბეს წარმოადგენდა. სანაპირო ზოლში არსებულ 2-4 მეტრის სიმაღლის ზღვიურ ტერასებზე აჭარაში, გურიაში, აფხაზეთში შემორჩენილია ნეოლითური, ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის არტეფაქტები. აღნიშნულ ზღვიურ ტერასებს რიონის დეპრესიაში ასაკობრივად შეესიტყვებიან ზღვიური ნალექების (ქვიშანარევი) და ტორფის შრეების მორიგეობა, რომლებიც დაძირულნი არიან სხვადასხვა სიღრმეზე, მაგალითად, იმნათის ჭაობიდან 6 მეტრის სიღრმეზე არსებული ტორფის ასაკი 2100 150 წელია (გვიანი ჰოლოცენი): 8, 5 მეტრის სიღრმეზე არსებული ტორფის 4150 195 წელი (შუა ჰოლოცენი =ახალშავზღვიური ტრანსგრესია), ხოლო 11 მეტრის სიღრმიდან 5825 215 წელი (ჭ. ჯანელიძე, 1971), ტორფის შრეების არსებობა მიუთითებს ტრანსგრესიებისა და რეგრესიების მონაცვლეობას შუა ჰოლოცენში.

ახალშავზღვიურ ტრანსგრესიულ ფაზას მომდევნო ეტაპზე ენაცვლება ფანაგორიული (ეგრისული – დ. წერეთლის მიხედვით) რეგრესია, რომლის დროსაც შავი ზღვის დონემ დაიწია 8-10 მეტრით თანამედროვესთან შედარებით.

ეს ფაზა დაიწყო ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან (ე.ი. 3000 წლის წინ) და გრძელდებოდა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე. პალეობოტანიკური მასალის საფუძველზე, დროის ამ მონაკვეთში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან აციებას, რამაც გამოხატულება ჰპოვა შავი ზღვის უკუქცევაში (რეგრესია). ზღვის სარკე მოშორებული იყო თანამედროვე სანაპირო ხაზს რამდენიმე ასეული მეტრიდან 1,5-2 კმ-მდე. ზღვისგან გათავისუფლებულ ხმელეთზე ბერძნების, რომაელების და ბიზანტიელების მიერ გაშენებულ

იქნა ანტიკური ქალაქები – დიოსკურია, ანაკოფია, ხერსონესი, ნიმფეა, ფაზისი და სხვა მნიშვნელოვანი სავაჭრო და კულტურული ცენტრები. მოგვიანებით, **ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებიდან XVI საუკუნის ჩათვლით, შავ ზღვაზე დაიწყო ნიმფეური (ლაზური – დ. წერეთელი) ტრანსგრესია, რომლის მაქსიმალურ ფაზაში ზღვის დონე თანამედროვესთან შედარებით 1 მეტრამდე აიწია. ამ დროის განმავლობაში უძველესი ანტიკური ქალაქები მოექცნენ წყლის ქვეშ და მდინარეების მიერ ნატანი მასალით „განიმარხნენ“.**

ტრანსგრესიული და რეგრესიული ბუნებრივი პროცესები შავ ზღვაზე ნარნარად მიმდინარეობდა, დროში გაწელვით, ამიტომ ადამიანებს, ბუნებრივია, შეეძლოთ რეაგირება მოეხდინათ ამ ცვლილებებზე და მიგრირება განეხორციელებინათ ხმელეთის სიღრმეში, ჰიფსომეტრიულად შედარებით მაღალ ადგილებში.

XVI ს-დან XIX ს-ის შუა რიცხვებამდე ადგილი ჰქონდა აციებას, ე.წ.. „მცირე მყინვარულ ეპოქას“ და ზღვის უმნიშვნელო რეგრესიას, რაც გამოიხატა კავკასიონის მყინვარების წინსვლით.

XX ს-დან მიმდინარეობს ტრანსგრესიული მოვლენების გააქტიურება.

რაც შეეხება ქ. ფაზისისა და მდ. რიონის ისტორიას, ჯერ კიდევ 5000 წლის წინ, ახალშავზღვიური ტრანსგრესიის დროს, როდესაც ზღვის დონე ასცდა თანამედროვეს 4-5 მეტრით, ფოთის აღმოსავლეთით, დაახლოებით 12-15 კმ-ის რადიუსით, ტერიტორია ზღვის უბეს წარმოადგენდა, მდ. რიონი ზღვას უერთდებოდა სადღაც სოფ. საბაჟოს მერიდიანზე. რამდენადაც ეროზიის ბაზისი (მდ. ინარის ზღვასთან შეერთების წერტილი) იმყოფებოდა თანამედროვესთან მაღლა 4-5 მეტრით, ამიტომ მდინარის ეროზიული მოქმედების ძალა შენელებული იყო და მდორედ მოედინებოდა. უთუოდ მდინარე შუა წელში აჩენდა მეანდრებს და აჭაობებდა არემარეს.

დაახლოებით 3000 წლის წინა პერიოდიდან შავი ზღვის ისტორიაში იწყება ფანაგორიული რეგრესიის ფაზა, რომლის პიკის დროს ზღვის დონე დაეცა 10 მეტრამდე თანამდროვესთან შედარებით. ბუნებრივია, რიონის ზღვასთან შეერთების ადგილიც (ეროზიის ბაზისი) თანდათანობით დაბლა იწევდა, კალაპოტის დახრილობა მატულობდა და დინებაც აჩქარებას იძენდა. გამოცოცხლებული მდინარე რიონი აძლიერებდა ეროზიულ მოქმედებას (ხაზოვან ჩაჭრას), გარშემო ტოვებდა ნარიონალებს და გამოიმუშავებდა არაღრმა ხეობას.

II-III საუკუნეებიდან დაწყებული ნიმფეური ტრანსგრესიისას ზღვის დონის აწევას თან სდევდა მდ. რიონის და მისი მრავალი შემდინარეების მიერ გამოტანილი ნაშალი მასალის აკუმულაცია (დაგროვება) კოლხეთის მთელ აკვატორიაში. ელინური ქალაქები ექცეოდნენ წყლის ქვეშ და თანდათანობით იმარხებოდნენ შემოტანილი მასალების ქვეშ. ბუნებრივია, ადამიანები ეძიებდნენ ახალ ხელსაყრელ ადგილებს საცხოვრებლად და განსახლდებოდნენ ხმელეთის სიღრმეში.

ამგვარად, ნიმფეური ტრანსგრესიის დროს მდინარეების მიერ შემოტანილი მყარი მასალის (ქვიშები, გრაველიტები, თიხები) ქვეშ განიმარხნენ არა მარტო ძველი ისტორიული ზღვისპირა ქალაქები, არამედ მდ. რიონის ძველი ნარიონალები და ხმელეთის სიღრმეში არსებული უძველესი კულტურის ძეგლები.

ლიტერატურა:

1. Церетели Д. В., 1966, “Плеистоцен Грузии”, Изд. “Мецниереба”.

2. Федоров П.В., 1978., Плеистоцен Понто-Каспия, Изд. “Наука”. М.

3. Нейштадт М.Н., 1969, Голоцен, Введение, Изд. “Наука”. М.

4. Церетели Д.В., Майсурадзе Г.М., 1980, К палеогеографии верхнего плейстоцена Грузии, Изд. “Наука”. М.

5. Майсурадзе Г.М., 2004, Оснавные черты верхнеплейстоценовой и голоценовой истории Кавказа, Тр. ГИН. АНГ. Нов. сер. 119

6. Джанелидзе Ч.П., 1971, Изменения физико-географических условии Грузии в голоцене, Автореферфт канд. Дис. Тбилиси

7. Maisuradze G., 1987. Evolution of the late Pleistocene Environment in the Caucasus. Budapest.

გ. მაისურაძის შენიშვნა

გ. მაისურაძის თვალსაზრისით შავი ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიის (დონის აწევა-დაწევის) გამო წყლის დონემ მაღლა აიწია და +1 მეტრ ნიშნულთან მივიდა V-VI სს-ში, შემდეგ დონემ კვლავ დაბლა დაიწია და 0-ვანთან მივიდა IX-X სს-ში, შემდეგ კვლავ აიწია დონემ და +0.5-თან მივიდა XV-XVI სს-ში, ამის შემდეგ დონემ დაიწია და 0-თან მივიდა XIX-XX სს-ში.

გ. მაისურაძე

2. კოლხეთის უახლესი ისტორიიდან (პალიასტომის ტბის წარმოშობა IX-X საუკუნეებში)

„კოლხეთის ვაკე“ მოიცავს უშუალოდ „კოლხეთის დაბლობს“, მის ყველაზე დაბალ ნაწილს. ცნობილია, რომ კოლხეთის ვაკე შავი ზღვის ყოფილი უბეა, რომელიც მდინარეული და ზღვიური ნალექებითაა ამოვსებული.

არქეოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ გაუვალი ჭაობები კოლხეთის დაბლობის გულში გაჩდნენ უახლოეს ისტორიულ წარსულში, როდესაც დაიწყო ზღვის ტრანსგრესია. ამ მიზეზის გამო გაჩნდნენ ნამოსახლარები, რომლებიც ხელოვნურ მიწაყრილებზე არიან გაშენებული (იგულისხმება ბორცვები), რომლებიც დღესდღეობით დამარხულნი არიან უახლესი 4-7 მეტრის სისქის ქვიშიან-თიხიან და ტორფიან ნალექთა ქვეშ. ლ. მარუაშვილის (1964) მიხედვით ასეთი ყორღანისმაგვარი ხელოვნური ბორცვების რაოდენობა კოლხეთში 600-მდე აღწევს.

განვიხილოთ პალეოგრაფული სიტუაცია კოლხეთის დაბლობისა (რიონის შესართავის რაიონი) ქრისტეშობიდან დღემდე.

ზღვის დონის ამაღლებამდე ზღვაში შემდინარე მდინარეთათვის დამახასიათებელი იყო ჩქარი დინება და აქტიური ეროზიული მოქმედება, თუმცა წყალშემკრები აუზის სიდიდის გამო [მაგ: მდ. ფიჩირის აუზის (ფართი 406 კვმ)], მდინარეებს შემოჰქონდათ

კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში დიდძალი ნაშალი მასალა, რითაც ათეულობით წლების მანძილზე წყალდიდობების დროს ქმნიდნენ აკუმულაციურ (ფხვიერი მასალის დალექვა) წყალგამყოფ სერებს, ბორცვებს სიმაღლით 5-8 მ. უკანასკნელი ხელს უწყობდა აგრეთვე მდინარეთა კალაპოტების ხშირ მონაცვლეობას და მეანდრირებას.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან შავი ზღვის ისტორიაში შესანიშნავია ტრანსგრესიული ფაზა. ზღვის სარკე **VI-VII საუკუნეებში როცა 1-2 მეტრით ასცდა ნულოვანი დონის ნიშნულს, ფოთის შემოგარენი ზღვის უბედ იქცა. შეფერხდა მდინარისეული და მიწისქვეშა წყლების განტვირთვა ზღვაში. ამას თუ დავუმატებთ ჭარბ ატმოსფერულ ნალექებს (1500-2000 მმ. წელიწადში), მაშინ გასაგები გახდება, თუ რა რთული ეკოლოგიური პირობები შეიქმნებოდა კოლხეთის ზღვისპირა რეგიონში. ჭაობების დიდი ფართობები, მდინარეთა მიერ შემოტანილი ფხვიერი მასალის დანაგროვი, რომელიც მდინარეთა ტოტებსა და მეანდრეებს შორის აჩენდა „კუნძულებს“ და „ნახევარკუნძულებს“, გაუვალი ენდემური ტყეები და ჭაობის ბალახოვანი ველები ურთულეს პირობებს უქმნიდა იმდროინდელ მოსახლეობას (ასეთი ვითარების დროს ძნელი წარმოსადგენია ფოთთან სამიტროპოლიტო ქალაქის არსებობა).**

ზღვიდან მონაბერი მუსონური ქარებით გამოწვეული ზვირთცემა (ტალღების ზემოქმედება ნაპირზე) ამუშავებდა მდინარეთა მიერ შემოტანილ ნაშალ მასალას და ქმნიდა ნაპირის გასწვრივ ქვიშის ზვინულებს სიმაღლით 2-5 მეტრი, რომლებიც გამოყოფდნენ ხმელეთზე არსებულ ბუნებრივ წყალსაცავებს ზღვისაგან. ასე მაგალითად, დაახლოებით **IX-X საუკუნეებში ნულოვან ნიშნულზე დაწეულ ზღვას გამოეყო პალიასტომის ტბა.**

ახლა მოკლედ ამ ტბის შესახებ.

როცა ზღვის დონე 5-7 მეტრით დაბლა მდებარეობდა, პალიასტომის ტბის ფსკერი ჩვეულებრივ ხმელეთს წარმოადგენდა. ამ ტერიტორიაზე შესაძლებელია თვით მდ. რიონი, ან მისი ერთ-ერთი ტოტი გაედინებოდა. აქ, როგორც გადმოცემიდან ჩანს, სოფელიც ყოფილა. როგორც ზემოთ ითქვა, VI-VII საუკუნეებში ზღვა ნიმფეური ტრანსგრესიის გამო შემოიჭრა ხმელეთზე, შეიქმნა ზღვის უბე, რომელიც IX-X საუკუნეებში 2-3 ათეული კილომეტრის სიგრძის სანაპიროს გასწვრივ ზვინულით გამოეყო ზღვას. ზვინულის სიგანე 1-2 კმ. იგი თავისი არსებობის მანძილზე სხვადასხვა ადგილზე გარღვეულ იქნა მდინარეების მიერ, რითაც დარღვეულ იქნა მისი მთლიანობა. მაგალითად, 1933 წლის დეკემბერში პალიასტომის წყლებმა ღელვისას ორ ადგილას გაარღვია ბუნებრივი ჯებირი და უშუალოდ მოკლე გზით შეუერთდა ზღვას.

1. **პალიასტომის ტბა ახალგაზრდა ტბაა, რომელიც გაჩნდა IX-X საუკუნეების მიჯნაზე** ნიმფეური ტრანსგრესიის დროს. მის შუაგულში არავითარი კუნძული არ არსებობდა. მისი ფსკერი ბრტყელძირაა და ზღვიურ-მდინარეული მასალითაა ამოვსებული.

2. ლეგენდებში მოხსენიებული კუნძულები ეს ზვირთცემით და ადიდებული მდინარეების მიერ წარმოქმნილი ზვინულები და კუნძულებია.

გივი მიხეილის ძე მაისურაძე
გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მეოთხეული გეოლოგიის, გეომორფოლოგიის და პალეოგეოგრაფიის მკვლევარი.

რიონის დაბლობის ჭაობები

I-VI საუკუნეებში შავი ზღვის სანაპირო ზოლის მოხაზულობა შეიცვალა

ქართველ პალეოლოგთა შრომების თანახმად ახალი წელთაღრიცხვის I-VI და შემდგომ საუკუნეებში შავი ზღვის დონე თანდათანობით მაღლდებოდა და ზოგიერთი გამოკვლევით თანამედროვესთან შედარებით მაღლა აიწია 3-5 მეტრით. ეს იმას ნიშნავს, რომ რიონის ვაკედ წოდებული ვრცელი მიწა-წყალი (ე.ი. მდ. რიონის დელტა და მიმდებარე სანაპიროები), რომელიც ამჟამად თითქმის ზღვის ნულოვან დონეზეა, დაიფარა ზღვის თხელი წყლით, რამაც, ალბათ, ხელი შეუწყო არა მხოლოდ პალიასტომის ტბის მსგავსი წყლის გუბეების წარმოქმნას, არამედ დიდ დაჭაობებას რიონის დელტის ნაპირებისა. უფრო მეტიც, საერთოდ ზღვის წყლით დაიფარა სანაპიროს მთელი ზოლი და წარმოიქმნა ახალი, ამჟამად არსებული სანაპირო. პალეოგრაფ ფ. ჯანელიძისა და დ. ხახუტაიშვილის შრომებში გადმოცემულია მეცნიერებაში დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომ, იქამდე, ანუ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე - **II ათასწლეულის შუა ხანებიდან ვიდრე ძვ.წ. II-I საუკუნეებამდე - მსოფლიო ოკეანის დონე თანამედროვე ნიშნულთან შედარებით 3-5 მეტრით უფრო დაბლა მდებარეობდა.** შავი ზღვის აუზთან დაკავშირებით მას უწოდებენ „ფანაგორიული რეგრესიის ხანას“ **(Джанелидзе Ч.П. Палеография Грузий в голоцене, ТБ. 1980. с. 21; Хахутаишвили Д. А. Природа и человек в приморской полосе Колхиды в эпоху голоцена, В. сб. _ Кавказско-ближневосточный сборник, ТБ. 1984, сс 146-152).** აღნიშნულ ავტორებს იმოწმებენ არქეოლოგები და აღნიშნავენ – „იმის გამო, რომ ამ პერიოდში (ე.ი. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ვიდრე ძვ. წ. II-I სს-მდე) მსოფლიო ოკეანის დონე თანამედროვე ნიშნულიდან შედარებით 3-5 მეტრით უფრო დაბლა იყო განლაგებული, ზღვის სანაპირო ზოლის აკუმულაციურ დაბლობებზე სამეურნეო საქმიანობის რადიკალურად განსხვავებული პირობები არსებობდა. სწორედ ასეთ უბანს წარმოადგენდა ის ზღვისპირა დაბლობი, რომელზეც ძველი და ახალი ბათუმია განლაგებული“ (ა. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისთვის, წიგნში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“, XVIII, 1989, გვ 18).

ზღვის დონის ამაღლების გამო, აღნიშნულ ავტორთა აზრით, ბათუმის ძვ.წ. II-I ათასწლეულებში არსებული ზღვისპირა ფენა დღეს 4-5 მეტრის სისქის ქვა-ღორღის შრითაა დაფარული (იქვე, გვ. 18), ე.ი. აიწია ზღვის დონემ და მის წყალს თან წამოჰყვა ქვა-ღორღი, რომელმაც ძველი ზღვისპირა ზოლი 4-5 მეტრის სისქის ფენით გადაფარა. **ბათუმის სანაპირო შედარებით კლდოვანია, რომელიც აკავებს ზღვის დინებას, მაგრამ რიონის დაბლობზე, სადაც ზღვის წყლის შემაკავებელი ბუნებრივი კლდეები არ არსებობს და რიონის ვაკე თითქმის ზღვის დონეზეა გადაშლილი – შავი ზღვის დონის მომატებას კატასტროფული შედეგები უნდა გამოეწვია.** ზღვის წყლის **3-5 მეტრით აწევა ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან რამდენიმე საუკუნე გრძელდებოდა და ის აჭაობებდა (საცხოვრებლად უვარგისად ხდიდა) დასავლეთ საქართველოს დაბლობს.** საფიქრებელია, რომ რიონისპირა მცხოვრები მოსახლეობა VI-VII საუკუნეებიდან იძულებული გახდა სხვაგან გადასახლებულიყო –

უფრო მთიან, დაცულ რეგიონში. ალბათ ამას ხელს უწყობდა ბიზანტიელთა დაუნდობელი ომები ლაზების, აფსილების, აბაზგების და სვანების წინააღმდეგ. ამ პროცესებმა,შესაძლოა ხელი შეუწყო დიდ მიგრაციას – სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

ეტიმოლოგიურად სიტყვა „პალიასტომის“ ფუძე „ლია“ უნდა იყოს. „ლია“ ნიშნავს ტალახს, წყალგარეულ მიწას. ალბათ იგივე ფუძისაა „პალაკაციოს ტბა“ ჯავახეთში.

ზღვის დონის აწევა I-II საუკუნეებში და მისი შედეგები

არქეოლოგთა და გეოლოგთა წრეებში, როგორც აღინიშნა, არსებობს თეორია, რომ შავი ზღვის სიმაღლემ I-II საუკუნეების შემდგომ აიწია რამდენიმე მეტრით (ზოგიერთი ვარაუდით, არანაკლებ 5-6 მეტრით). რიონისპირა ვაკე ამჟამად თითქმის ზღვის დონეზეა, ამიტომაც ზღვის დონის მატება I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში, ამ ვრცელ ვაკეს **დაფარავდა წყლის თხელი ფენით, განსაკუთრებით ძლიერი ქარების დროს, რომელნიც რიონის აუზში ქრიან დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ იმდენად ძლიერად, რომ მდინარის დენა ფერხდება და წყლების ნაწილი უკან ბრუნდება.**

როგორც აღინიშნა, არქეოლოგები მიიჩნევენ, რომ არა თუ რიონის დაბლობში, არამედ მისგან საკმაოდ დაშორებული **ურეკის მიმდებარე ზღვისპირა ზოლიც მოსახლეობას უნდა მიეტოვებინა I-II საუკუნეების შემდგომ ზღვის დონის მნიშვნელოვანი აწევის გამო. ისინი წერენ – „სავარაუდოა, რომ როგორც რიონის ქვემოწელის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ, აქაც, ძვ.წ. III-IIს. მიჯნისათვის ან IIს. დასაწყისში პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ერთად ცხოვრება ზღვის დონის აწევის გამო გაუსაძლისი გახდა (Рамишвили А., Раскопки приморских стянок, 1975, Микеладзе Т., Хахутаишвили Д., Древне Колхидское население, 1985) ბუნებრივია, მოსახლეობა მიატოვებდა სამემკვიდროს და დაცულ მთისწინა ზოლში დაიდებდა ბინას“ (ვ. სადრაძე, ჯ. ამირანაშვილი, ურეკის არქეოლოგიური ძეგლები**, 2005, გვ. 71).

საბედნიეროდ ზღვის დონის მატებას რამდენიმე საუკუნის შემდეგ მოჰყვა ზღვის დონის კლება, რიონის დაბლობს კვლავ დაუბრუნდა მოსახლეობა. ამ საკითხს ქვემოთ ვეხებით.

ძვ.წ. III-II საუკუნეებში დაიწყო ზღვის დონის მნიშვნელოვანი აწევა, როგორც აღინიშნა, პროცესი ახ.წ. II საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა, მან დიდი გავლენა იქონია მოსახლეობის ბედზე, კერძოდ, უვრცელესი რეგიონის მოსახლეობა მდ. რიონიდან ურეკამდე და იქით, იძულებული გამხდარა მიეტოვებინა საცხოვრისი და ახალი ცხოვრება დაეწყო „შედარებით დაცულ ტერიტორიებზე“, კერძოდ კი, მთისწინა ზოლში.

ზღვის დონის აწევას უკავშირებენ არქეოლოგები იმ ფაქტს, რომ მართალია, ნამოსახლარები აღნიშნულ ტერიტორიაზე (ურეკთან) ძვ.წ. V-IIIსს-ში არსებობდნენ (მცირე რაოდენობით), მაგრამ ისინი ძვ.წ. II და ახ.წ. I საუკუნეებში უკვე აღარ არსებობენ (იქვე, გვ. 71).

ძველი ნამოსახლარები ზღვის დონის აწევის გამო დაფარულია წყლით, შლამით და ჭაობით, როგორც არქეოლოგები უწოდებენ – „მძლავრი სტერილური ფენით“ (მ. ფხაკაძე,

საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I). „ეს კანონზომიერება კოლხეთის დაბლობის მთელს ტერიტორიაზე შეინიშნება“ (ვ. სადრაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 70).

ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებული ნასახლარები „ე.წ. ტორფქვეშა ნამოსახლარების კულტურაშია საძიებელი“ (იქვე, გვ. 69).

მდ. რიონის აუზსა და ზღვისპირეთში ორი ათასზე მეტი წლის წინ არსებობდა დასახლებები, რომელნიც შემდგომ წყლით და შლამით დაიფარა, საბოლოოდ კი აღმოჩნდა ტორფქვეშ. ტორფის ქვეშა არქეოლოგიური კულტურა ნაკლებშესწავლილია (იქვე, გვ. 69).

მაშასადამე, სტრაბონის ეპოქაში ძვ.წ. II საუკუნიდან ახ.წ. IIს. ჩათვლით და მის შემდგომ, იმდენად ამაღლდა ზღვის დონე, რომ წყლითა და ლამით, შემდეგ კი ჭაობით გადაიფარა ძველი ნამოსახლარები, ხოლო მკვიდრმა მოსახლეობამ მიატოვა რიონის აუზის საცხოვრისი და მთისწინა ზოლში გადასახლდა (ასეთივე მდგომარეობა შენარჩუნდა პროკოფი კესარიელის ეპოქაშიც).

ამ ძალზე მნიშვნელოვან მომენტთან დაკავშირებით, ალბათ, ძნელია დავეთანხმოთ მტკიცებას, რომ აქ, მდ. რიონის ვაკეზე (ქუთაისიდან ახლანდელ ფოთამდე), მდებარეობდა „ლაზიკეს სამეფოს“ ცენტრალური ნაწილი, რომ მდ. რიონზე, რომელიც თითქოსდა ფაზისად იწოდებოდა, 120 ხიდი იყო გადებული. ნუთუ შესაძლებელი იყო სტრაბონის დაჭაობების ეპოქაში დატბორილ ვაკეზე მდინარის სანაპიროზე 120 ხიდის გამართვა? როგორც ცნობილია, ჭაობებში ხიდების აგებას ერიდებიან ამჟამადაც.

დაჭაობების გამო პირველ ათასწლეულში დასავლეთ საქართველოს ბარი საცხოვრებლად უვარგისად ითვლებოდა ციებ-ცხელების გამო. ასე იყო გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში, რომელმაც პირადად მოინახულა ეს ქვეყანა და ის უვარგისად მიიჩნია საცხოვრებლად, ასევე დავით აღმაშენებლის დროსაც. აქაური მიწები უვარგისად ითვლებოდა ცუდი ჰაერის, ანუ მალარიისა და ნესტიანობის გამო.

ჭაობი, მალარია-ხორშაკი

ქართული წყაროებით რიონის ბარი (ტერიტორია ფოთიდან სამტრედიამდე და ქუთაისამდე) საცხოვრებლად უვარგისი იყო

I ათასწლეულის დიდ პერიოდში დასავლეთ საქართველოს ბარში მძვინვარებდა ციებ-ცხელება, მალარია. **ივ. ჯავახიშვილი წერს – „ამგვარი ცნობები ქართველ ისტორიკოსებს ბევრი მოეპოვებათ. ზაფხულში დიდი სიცხე და ამ ქვეყნის ნოტიო ნიადაგი მეტად მავნებელი იყო მცხოვრებთათვის. აფხაზეთისა „მიწასა ზედა... სულისაგან ხორშაკისა მაკვდინებელისა“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება). ადამიანი შეწუხებული იყო. ერთი ბერი ასე ახასიათებს აფხაზეთ-სამეგრელოს – „ქვეყანა ესე ხორშაკეული არს და უმეტესად იგი ადგილი სადა მე ვიმყოფებოდი“ და ვშიშობ, „ნუ უკუე სნეულებისაგან დავეცეო“ (გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, გვ. 323). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც ჩივის, რომ „თვითოსახეთა სენთა მიერ განცდილთა და ხილვად საძნაურთა... ზრდის უმეტეს სხვათა ქვეყანათა**

ქვეყანა ქუთათისისა“, ყველაზე მეტად ყოველგვარი სნეულება ქუთაისის სანახებშია გავრცელებულიო. ხალხს ადგილობრივი ჰავის მავნებლობის გამაქარწყლებლად და ჯანმრთელობის დასაცავად ერთადერთ უებარ წამლად და საშუალებად თურმე ღვინო და ღვინის სმა მიაჩნდა და „ქვეყანასა ამას შინა ხორშაკსა ყოველთა ღვინოსმულთა“ (გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, 328). იმედი ჰქონდათ, რომ ღვინის სმით ჰავის გავლენით გამოწვეული ავადმყოფობისაგან უზრუნველყოფილნი იყვნენ“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, II, 1983, გვ. 53).

ჭაობში ბრძოლასა და უბრალოდ გზად გავლას რომაელები ერიდებოდნენ, ამიტომ სავაჭრო გზები გადიოდა არა ჭაობებზე, არამედ მის გარეთ (იხ. ქვემოთ), ასევე ყოფილა საქართველოშიც. ძველი ეგრისის ყველა მნიშვნელოვანი სოფელი და სასულიერო ცენტრი მდებარეობდა არა რიონის დაბლობის ჭაობებში, არამედ მის გარეთ მთისწინეთში – ბედია, წალენჯიხა, ჭყონდიდი, ჩხოროწყუ მდებარეობდნენ მთისწინეთში – ზღვის სანაპიროსაგან საკმაოდ დაშორებით, ის ვრცელი ვაკე, რომელიც რიონის ზღვასთან შესართავთან მდებარეობს – **მეტწილად დაუსახლებელი იყო** და იქ გზები არ გადიოდა.

გურიაშიც კი გზები შედიოდა არა ზღვისპირეთიდან, არამედ ზღვის მოშორებით მდებარე მთებიდან. დ. ბაქრაძეს გურიაში შესადწევად ამ მთების გზების გავლა მოუხდა.

სამაგიეროდ მრავალი დიდი გზა გადიოდა აჭარისწყლის მთიან ხეობაში და ასევე მის მიმდებარე ჭოროხის შენაკადების კლდოვან ხეობებში, შესაბამისად, აქ მდინარეებზე გადებული იყო მრავალი თაღიანი ხიდი. არცერთი ასეთი ხიდი რიონის დაბლობში, რომელიც თითქოსდა ისტორიული ლაზიკა იყო – არ არსებობს. ლაზიკის ქვეყანაში კი, წყაროთა ცნობით, მრავალი გზა გადიოდა, რომელთაც ხიდები ესაჭიროებოდათ.

რიონის ჭაობები, ეს კი დასავლეთ საქართველოს ბარის უმეტესი ნაწილია, იყო „ხორშაკიანი“, ანუ, რაც იგივეა, მალარია – ციებ-ცხელებით დასნებოვნებული ადგილი, სადაც ცხოვრებას ყველა ერიდებოდა. მალარიას ახასიათებს პერიოდული შეტევები, შეცივება, ტემპერატურა, ოფლდენა. გავრცელებულია ჭაობიან ადგილებში. არის 3-დღიანი, 4-დღიანი, ტროპიკული, ხასიათდება ლეტალობით სუბტროპიკული ქვეყნებისთვის. სახსრების მტვრევა, კუნთებისა და თავის ძლიერი ტკივილი, მაღალი ტემპერატურა (39-40 და მეტი), პირღებინება, ბავშვებში ეპილეფსიური გულყრები (5 დღემდე), ყოველდღე, 6-10 საათის შემდეგ ძლიერი ოფლის დენა, რომელიც ტროპიკული მალარიის დროს მეორდება. 10-22 საათში ელენთა და ღვიძლი დიდება, ვითარდება ანემია, ახასიათებს სიგამხდრე, ავიტამინოზი, სისხლდენა ცხვირიდან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში მალარიით დაავადებული იყო ყოველი მესამე ადამიანი, დაბლობ ადგილებში კი მოსახლეობის 80% – უმეტესობა ტროპიკული ფორმით. ლეტალობა – 10%. საქართველოში გვხვდება მალარიის გამავრცელებელი 5 სხვადასხვა სახეობის კოღო. „კოლხეთის დიდი ნაწილის ამოშრობისა და ათვისების შემდეგ“ კოღოს გავრცელების არეალი შემცირდა (ქსე, 6, გვ. 384). მაშასადამე რიონის დაბლობის მოსახლეობის 80 % მალარიით იყო დაავადებული.

ნარიონალები

შუა ჰოლოცენში (ჰოლოცენური ერა გრძელდება 10 000 წლიიდან დღემდე) იდგა **რეგრესული ფაზა – ზღვის უკანდახევა – ე.ი. შავი ზღვის სანაპიროზე ხმელეთი**

გაშიშვლდა, ე.ი. ზღვამ დაიწია დაბლა, ე.ი. ამჟამინდელ დონეზე დაბლა.

ზღვის უკანდახევას I საუკუნისათვის მოყვა ზღვის წინწამოწევა-ნიმფეა – ტრანსგრესია. ყოველი ტრანსგრესიის დროს ხდებოდა მდინარეთა შეგუბება, ანუ ქრისტეშობიდან I –III სს.-ში და მის შემდეგაც მდინარეები გუბდებოდა, ამის მიზეზი იყო ის, რომ **მაღლა იწევდა ზღვის დონე (თითქმის 2-4 მეტრით) და ამის გამო ეს აწეული დონე აიძულებდა მდინარის წყალს დაგუბებულიყო ისეთ გაშლილ ვაკეზე**, როგორიც რიონის დაბლობია, მითუმეტეს ფოთის შემოგარენი.

მდინარეთა შეგუბების გამო ჩნდებოდა ჭაობები და ფართოვდებოდა წყლის სარკე (ამის გამო ამჟამადაც არის რიონის ბარში ჭაობები, ტორფნარი. ფოთთან არის დიდი შეგუბება). ეს დაიწყო ძირითადად I საუკუნიდან. **„მდინარის კვდომა“ არის გეოლოგიური ტერმინი და აღნიშნავს ეროზიის ბაზისის სტაბილურ მდგომარეობას. მდინარე რიონიც ამ კატეგორიისაა, ანუ მდორე მდინარეა. ამიტომაც აქვს „ნარიონ-ალები“. ეს ნიშნავს, რომ მდ. რიონი ხშირად იცვლიდა კალაპოტს, იწყებდა „ხეტიალს“ ზედაპირზე. ნარიონალები, ანუ მეანდრები რიონისა ჩანს კოსმიურ სურათებზეც. არის უამრავი ნარიონალის ანაბეჭდი სამტრედიიდან ფოთამდე.** იმის გამო რომ რიონი ხშირად იცვლიდა კალაპოტს მასზე შეუძლებელი იყო ხიდების აგება, მით უმეტეს 120 ხიდისა.

ნარიონალების პერიოდში მდინარე განიცდის განტოტვას, რიონი ფოთიდან 5-10 კმ მანძილზე (სამტრედიისაკენ) ქმნიდა დელტას.

თანამედროვე ფოთის პირობებში შელფური ზონა, ანუ წყალქვეშ მოქცეული ტერიტორია 2 კმ-ზე მეტიც შეგვიძლია ფეხით გადავსეროთ, ანუ რიონის მიერ შეტანილი მყარი მასალა ილექებოდა ფოთის აკვატორიაში. ჭაბურღილები, რომლებიც განლაგებულია ფოთის სანა-პიროზე, აჩვენებს, რომ 4-მეტრის სიღრმიდან ქვემოთ, 15-25 მეტრის ინტერვალში (თითქმის 200 მეტრ სიღრმემდე), ზღვიურ ნალექებთან ერთად მორიგეობენ ტორფის შრეები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მთელი მეოთხეული პერიოდის განმავლობაში ჰოლოცენის ჩათვლით, ეს ტერიტო-რიები განიცდის სტაბილურად დაძირვას წელიწადში ამჟამადაც 6-9 მილიმეტრით.

რიონი მიედინება მთათა შუა ქვაბულის ზოლზე. მთელი ჩამორეცხილი მასალა გროვდება ამ ქვაბულში და ეს მასალა ზღვისაკენ გამოაქვს რიონს, ამის გამო ტერი-ტორია არის ლაბილური, ანუ მოძრავი, ანუ იძირება თანდათანობით (10 წელიწადში 6 სმ-ით, 100 წელიწადში – 60 სანტიმეტრით, 1000 წელიწადში 6 მეტრით, ანუ I საუკუნიდან დღემდე, ანუ 2000 წლის განმავლობაში დაიძირა 10-12 მეტრით). ამიტომ გვაქვს ტორფის შრე სიღრმეებში.

დასკვნა:

VI-VIII საუკუნეებში კლიმატური პირობების გამო, როგორც დოქტორ მაისურაძის ნაკვ-ლევი აჩვენებს, შეუძლებელია ფოთში ყოფილიყო რაიმე ქალაქი, მით უმეტეს სამიტროპოლიტო ცენტრი, საერთოდაც შეუძლებელია VI-VIII საუკუნეთა გეოლოგიური შეუსაბამო ვითარების გამო რიონის დაბლობში ფოთიდან ვიდრე ქუთაისამდე ლაზიკის სახელმწიფო ცენტრები არსებულიყო.

„ტალახიანი ლაშქრობა“

აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ საქართველოს ნესტიან კლიმატს აღწერენ უცხოელი ავტორებიც.

არაბი ისტორიკოსი ტაბარი მოგვითხრობს, რომ ხაზარეთში მურვან იბნ მუჰამადის 732-33 წლის ლაშქრობამ „ტალახიანის“ სახელწოდება მიიიღო, რადგან განუწყვეტელი წვიმებისა და ტალახიანი გზების გამო ცხენების კუდებს იმდენი ტალახი აეკრო, რომ მურვანმა გასცა ბრძანება ისინი მოეჭრათ“ (იხ. **Артемонов М. История Хазар, Л. 1962, стр. 218,** დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, გვ. 397).

დასავლეთ საქართველოში ლაშქრობისას-„დასჭრეს კუდები ცხენთა მათთა, რამეთუ თიხისგან ვერ ითრევდეს“, წერს ქართული წყარო, რომლის მიხედვითაც ყრუმ ილაშქრა არა ხაზარეთში, არამედ დასავლეთ საქართველოს ტალახიან ადგილებში.

მაშასადამე, არაბი ისტორიკოსის მიერ დასავლეთ საქართველო (კერძოდ, კლისურას იქით აფხაზეთი) ხაზარეთად განიხილება. მართლაც, VIII ს.-ის შემდეგ კლისურას იქით დიდი იყო ხაზართა გავლენა, რასაც ქართული წყაროც მიუთითებს.

მურვან ყრუ უშუალოდ ხაზარეთში არ შესულა. ის მხოლოდ ხაზარეთის საზღვრებს მიადგა და მივიდა დარიალამდე და ანაკოფიამდე. მისი ლაშქრობის ამსახველი რუკის მიხედვით, აქ იყო ხაზარეთის გავლენის სფეროები.

ხაზარეთის პოლიტიკური ნებით „განდგა ბერძენთაგან“ აფხაზთა მთავარი, რომლის ქვეყანაც მდებარეობდა მდ. კლისურას იქით, გაძლიერდა და ძველ ქართველ მეფეთა ლეგიტიმურ მემკვიდრედ გამოაცხადა თავისი თავი და ქართული წყაროს ცნობით გადაეცა „ეგრისი, არგვეთი, თაკვერი და გურია“, ვითარცა თავისი მეუღლის – ქართველთა მეფის ასულ გურანდუხტის საუფლისწულო მიწა-წყალი.

იმჟამად აფხაზთა სამეფო – ხაზართა პოლიტიკურ ძალას ეყრდნობოდა, ამიტომაც, ჩანს, **აფხაზეთში ლაშქრობა არაბთათვის ხაზარეთში ლაშქრობად ითვლებოდა** სინამდვილეში კი ეს იყო ლაშქრობა დასავლეთ საქართველოს წვიმებსა და ტალახებში. მაშასადამე არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობითაც დასავლეთ საქართველოში რიონისპირა ვაკე (კერძოდ აბაშის შესართავთან) იმჟამად უვარგისი იყო საცხოვრებლად.

მეზღვაური ტომი – ლაზები

პირველ ათასწლეულში იმის გამო, რომ ზღვისპირა ვაკე დაფარული იყო ჭაობებით -გურულები, მეგრელები და იმერლები ვერ იყენებენ შავ ზღვას, ამის შედეგად მათ ვერ შეიმუშავეს ზღვისპირა ხალხებისათვის დამახასიათებელი მეზღვაურული თვისებები, ამჟამადაც კი, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მათ არ იციან მეზღვაურობა, არა აქვთ გემები და ნავები, თითქმის ვერც თევზაობენ ზღვაში, მაშინ, როცა ზღვისპირა ტომებს (ხალხებს) ეს თავისუფლად შეუძლიათ და მათ აქვთ ზღვის ფლობის უნარი. ასეთი გამონაკლისი ქართულ ტომთა შორის – ლაზებია – ამჟამადაც შესანიშნავი მეზღვაურები, ყველას აქვს ნავები, თევზაობენ და შეიძლება ითქვას, მათი საარსებო საშუალება ზღვაა.

ლაზები იმდენად არიან შეჩვეულები ზღვას, რომ ზოგჯერ საქორწინო წესებსაც კი

ზღვაში (ნავებზე) აღასრულებენ, ლაზებისათვის ზღვა ბუნებრივად მშობლიურია.

რატომ?

საქმე ისაა, მათი საცხოვრისი მდებარეობდა და მდებარეობს ზღვისპირეთის მთაგორიან რეგიონში, რომელიც არ ჭაობდება და უშუალოდ ეკვრის ზღვას, ამიტომაც ზღვა მათი უშუალო საცხოვრებელი სივრცის ნაწილია, სადაც მუდამ, ისტორიულად ცხოვრობდნენ ლაზები, ხოლო გურულები და მეგრელები (მით უმეტეს იმერლები) ცხოვრობდნენ არა ზღვისპირას, არამედ მთა-გორებში, **მათ ზღვას აშორებდა ჭაობები, დასავლეთ საქართველოს ბარის უვრცელესი ჭაობები, გადაჭიმული ბათუმ-ქობულეთიდან ვიდრე ოჩამჩირემდე. ეს რეგიონი იყო ციებ-ცხელების ბუდე, უნაყოფო გაუდაბურებული (ტყე-ბარდით დაფარული) საცხოვრებლად გამოუყენებელი ტერიტორია – მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში გახდა შესაძლებელი ამ ჭაობების დაშრობა და მიწის ათვისება, ამის გამო იქაური მოსახლეობა მხოლოდ ამჟამად ითვისებს და იმუშავებს შესაბამის მეზღვაურულ ტრადიციებს.**

ლეგენდა დასავლეთ საქართველოს შესახებ

მიქაელ თამარაშვილი თავის 1910 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ წერს: „ძველი დროიდან დასავლეთ საქართველო, ანუ კოლხეთი ჯერ რომაელებმა, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლის იმპერატორებმა დაიპყრეს. იმ ხანებში დასავლეთ საქართველოს „ლაზიკა“ ეწოდებოდა... მაგრამ ლაზიკის მტრებმა – სპარსეთის მონარქებმა – კარგად უწყოდნენ, რომ მისი დაპყრობით ერთი ნაბიჯიღა რჩებოდათ შავი ზღვით კონსტანტინოპოლის იმპერატორთა სასახლემდე მისაღწევად... მოაწყეს აქ ხანგრძლივი ბრძოლები, განსაკუთრებით იუსტინიანეს ზეობის დროს, მაგრამ ვერ მოახერხეს გამხდარიყვნენ ლაზიკის მუდმივი მბრძანებლები და იგი საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე კონსტანტინოპოლის ხელთ იმყოფებოდა. მხოლოდ X საუკუნეში შეუერთდა ლაზიკა საქართველოს და თავისი სახელის კიდევ ერთხელ შეცვლის შემდეგ „აფხაზეთი“ ეწოდა“ (მ. თამარაშვილი, „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“, 1995, გვ. 115).

ასე რომ, თამარაშვილი, სხვა მრავალ XVII-XVIII სს. ავტორთა მსგავსად ფიქრობდა, რომ ლაზიკა იყო დასავლეთ საქართველო, მაშინ, როცა ქართული წყაროები საპირისპიროს ამტკიცებს, რომ დასავლეთ საქართველო მუდამ ქართლის სამეფოს, ე.ი. ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა ფარნავაზის ეპოქიდან-ქრისტეშობამდე III საუკუნიდან.

მისიონერებისა და აღნიშნულ ავტორთა დროს ჭოროხის ხეობა გამუსულმანებული იყო - ამიტომაც მიუწვდიმელი და შესაბამისად დავიწყებული ქრისტიან და **ევროპელ მკვლევართათვის**.

ამ ვითარების გამო **ევროპელმა მკვლევარებმა** ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობები ლაზიკის შესახებ დასავლეთ საქართველოს შეუფარდეს. მათი აზრით, ფაზისი იყო მდ. რიონი, მისი ნაპირები კი – ლაზიკა. ქართული წყაროები მათთვის უცნობი იყო, ამ გაუგებრობამ დაბადა ცრუ ცოდნა, რომელიც დღემდე ბატონობს, რომ ლაზიკა იყო

შემდეგდროინდელი „აფხაზეთის“ სამეფო, ანუ დასავლეთ საქართველო. ინტერნეტ რუკებზეც ეს მოსაზრებაა ასახული, ამიტომაც ჩვენ დაგვჭირდა ახალი რუკების დამზადება.

დამალული ქართული წარწერები დასავლეთ საქართველოში

1) **ფოთი-ყულევის გათხრებისას აღმოჩნდა V-VI საუკუნეების ქართული ასოების სატვიფრავი, რომლითაც გამოსაწვავ აგურსა და სხვა მასალაზე თავიანთ ნიშნებს ადებდნენ მშენებლები. ამასთანავე, აღმოჩნდა ამ სატვიფრავით დანიშნული სამშენებლო მასალები** (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. II, გვ. 209). ამ ძალზე მნიშვნელოვან არქეოლოგიურ მასალას სათანადო ყურადღება არ მიექცა, რადგან ქართული სამეცნიერო საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ფოთი იყო ქალაქი ფასისი (ბერძნული სამიტროპოლიტო ცენტრით), მაგრამ ფაქტი იმისა, რომ **ფოთში/ ყულევში/ აღმოჩნდა არა ბერძნული, არამედ ქართული სატვიფრავი და წარწერები, სათანადოდ არ გაცნობიერდა, მნიშვნელობა არ მიენიჭა.**

2) **ნოჯიხევში, მარტვილთან, ისტორიულ ჭყონდიდთან** ახლოს აღმოჩნდა ქართული არქიტექტურისთვის იშვიათი ნაგებობა – რვააფსიდიანი ეკლესიის ნანგრევები, სინამდვილეში **ესაა ტეტრაკონქის ერთ-ერთი სახეობა. ნოჯიხევის ამ რვააფსიდიანი ეკლესიის გუმბათს მიუყვებოდა ვრცელი ქართული წარწერა, ასოების სიმაღლე 10-20 სანტიმეტრია.** ამ წარწერას ათარიღებენ X საუკუნით. ცნობილი თეორიის გავლენით, რომ „ეგრისის ქართიზაცია X საუკუნეში დაიწყო“ – ამ თეორიის გარეშე, ეს წარწერა ალბათ VI-VII საუკუნეებით დათარიღდებოდა, რადგან **ტეტრაკონქებსა და მის სხვადასხვა ვარიაციებს – საქართველოში აგებდნენ სწორედ VI-VII საუკუნეებში**, შემდეგ მათ ჩაენაცვლა ეკლესიათა სხვა ტიპი. სავარაუდოა, რომ ნოჯიხევის, ისევე როგორც ფოთის ქართული წარწერები ე.წ. „ქართიზაციამდელ“ პერიოდს ეკუთვნის და, ჩვენი აზრით, **ადასტურებს მემატიანეთა აზრს, რომ იმთავითვე ეგრისი მცხეთის იურისდიქციაში იყო მოქცეული (ე.ი. IV ს-დან). ამას ადასტურებს მარტვილის „ჯვრის ტიპის“ ეკლესიის არქიტექტურაც.**

რიონის დაბლობზე ბერძნული უმნიშვნელო წარწერა მხოლოდ სოფ. ნოსირში აღმოჩნდა.

საფიქრებელია, რომ აღნიშნულთა გარდა არსებობს სხვა ქართული წარწერებიც დასავლეთ საქართველოდან, რომელთაც ყურადღება არ ექცევა, რადგანაც არ ეთანადებიან გაბატონებულ „ქართიზაციის“ თეორიას მაგალითად ერთი ასეთია:

3) **„საჰაკ-დუხტის ქართული წარწერა“ V-VI საუკუნეებისა, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთაში აღმოჩნდა,** ის ფაქტიურად დამალულია საზოგადოებისთვის, რადგანაც არ ეთანადება „ქართიზაციის“ თეორიას, რომელიც თვლის, რომ მხოლოდ X საუკუნისთვის გავრცელდა ქართული ენა და კულტურა დასავლეთ საქართველოში.

თავი VII

ფაზისი – ფოთი – ფადისა – ფასიდი ფოთი (ფათისი) ღევონდის ცნობით

ტრაპეზუნტთან ახლოს (150 კმ. დასავლეთით) შავიზღვისპირზე მდებარეობდა ქალაქი - ფადისა.

ქ. ფადისას ჩრდილოეთით იშლებოდა შავი ზღვა, აღმოსავლეთით ტრაპეზუნტი, სამხრეთით კი შემოსაზღვრული იყო კერასუნტის მთიანეთით, კოლხების უძველესი საცხოვრისით.

ტრაპეზუნტის ამ რეგიონს ექვთიმე მთაწმიდელი უწოდებს „სოფელი მეგრელთა“ ანუ მეგრელთა ქვეყანას. ძველი სომეხი ავტორები მას „ეგერთა ქვეყანას“ ანდა „ეგერიას“ უწოდებდნენ. ქართველი მთარგმნელები ბერძნულ სიტყვა ლაზიკას თარგმნიდნენ, ასე: „სოფელი მეგრელთა“, ამიტომაც, როცა ექვთიმე მთაწმიდელმა[1] ბერძნულიდან თარგმნა ანდრია მოციქულის ცხოვრება, მან წინადადება „ანდრია მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქვეყანაში“ ასე თარგმნა - „ანდრია მივიდა ტრაპეზუნტში მეგრელთა სოფელში“. ერთი სიტყვით, ძველი ქართველი ავტორები ლაზიკას უწოდებდნენ არა დასავლეთ საქართველოს, არამედ ვრცელ რეგიონს ისტორიულად ქართულ მიწა-წყალზე - კერასუნტიდან ჭოროხის შესართავამდე. აქ, როგორც აღვნიშნეთ, კერასუნტთან ყოფილა და ახლაც არის ქალაქი - ნავსადგური ფადისსა ანუ ფათისი იგივე ფათი (ფოთი), მას ახლა ფატრა ეწოდება და მდებარეობს თანამედროვე ქალაქ ორდუსთან ახლოს, მის დასავლეთით.

თანამედროვე ფატსა ანუ ფადისსა (ფადისსა) - ქართულად ფათსა ანუ ფათია (იგივე ფოთი).

მაშასადამე ისტორიულად არსებულა ორი ფოთი, ერთი ტრაპეზუნტის რეგიონში, მეორე კი დასავლეთ საქართველოში. ცხადია ქალაქ ფათსას (ფათს) იცნობდნენ სომეხი ავტორებიც. მათ შორის ყოფილა VIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ღევონდ ვარტაპეტი ანუ ლეონიდე მოძღვარი. ის თავის „ხალიფთა ისტორიის“ X თავში გადმოგვცემს ერთ საგულისხმო ცნობას ქალაქ-ნავსადგურის ფათისას ანუ სომხურად ფუთის შესახებ. კერძოდ არაბთა ხელისუფლებისგან სომხეთიდან ლტოლვილმა დიდებულებმა თავი შეაფარეს ბიზანტიურ ქვეყანას, ანუ ტრაპეზუნტის რეგიონს. იმპერატორმა მათ საცხოვრისად უბოძა ეგერთა ქვეყნის ანუ ტრაპეზუნტის რეგიონის ქალაქი ფუთი (ფადისა) აქ ისინი ცხოვრობდნენ ექვსიოდე წელი, შემდეგ გადაწყვიტეს სომხეთში დაბრუნება, იკადრეს უკადრისი საქციელი, გაძარცვეს ფადისას ეკლესიები და გაიქცნენ.

ღევონდ ვარდაპეტი ასე აღწერს ამ ამბავს - სუმბატ კურაპალატმა და სხვა დიდებულებმა, სომხეთიდან გაძევების შემდეგ სთხოვეს ბიზანტიის იმპერატორს მიეცა მათთვის სამკვიდრებელი ქალაქი და სადგომი (ე.ი. საძოვრები) საქონლისათვის - „და მან მისცა მათ ქალაქი რომელსაც ეწოდება ფუთი (ფოთი) ეგერთა ქვეყნის მხარეში, სადაც დაემკვიდრნენ ექვს წელიწადს“ (მაქს. ბერძნიშვილი, ღევონდის ცნობა ფოთის შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 26(ბ), 1944, გვ. 201). როგორც აღინიშნა, მადლობის ნაცვლად,

---

[1]ეფთვიმე (ექვთიმე) ათონელი/მთაწმინდელი (დაახლოებით 955-1025წ.) ივირონის წინამძღვარი, ათონის მონასტრის ქართული სალიტერატურო სკოლის ფუძემდებელი. საქართველოს ეკლესიის და საბერძნეთის ეკლესიის წმინდანი. (მის ხსენების დღეს საქართველოს ეკლესია აღნიშნავს ძვ. სტილით 13 მაისს (ახ. სტილით 26 მაისს)

სომხეთიდან ლტოლვილმა დიდებულებმა ექვსი წლის მკვიდრობის შემდეგ გაძარცვეს ფადისას (ფოთის) ეკლესიები, მოიტაცეს საეკლესიო სამკაული და დაბრუნდნენ სამშობლოში. „როცა ეს ამბავი ესმა კეისარს, ეწყინა მათი ასეთი უსამართლობა, მოუწოდა ეკლესიის წინამძღვრებს: მიტროპოლიტსა და არქიეპისკოპოსებს, უბრძანა ჩააწერათ წიგნში წყევლა და წაეკითხათ აღდგომის დღესასწაულის შესრულებისას, ...წაეკითხათ წყევლა დღევანდლამდე, რაც იქმნა მიზეზი მათი დაღუპვისა“ (იქვე, გვ. 202).

მაქს. ბერძენიშვილის კვლევით იმპერატორმა ქალაქი ფოთი სომხეთიდან ლტოლვილებს დაუთმო VIII ს. დასაწყისში (715 წლამდე) ხოლო თვითონ ლევონიდი VIII-IX სს. დასაწყისის მწერალია.

მაქსიმე ბერძენიშვილის მტკიცებით ღევონტის მიერ აღწერილი ამბები შეეხო დასავლეთ საქართველოს ქალაქ ფოთს, თითქოსდა ის გადასცა იმპერატორმა სომეხ დიდებულებს, რომელნიც იქ დამკვიდრნენ თავიანთი პირუტყვით, გამოუყვეს საძოვრები, შემდეგ კი მათ ფოთის ეკლესიები გაძარცვეს. ამის გამო ადგილობრივი მიტროპოლიტი და არქიეპისკოპოსები მთელი საუკუნის მანძილზე თავიანთ ეკლესიებში აღდგომა დღეს წყევლიდნენ სომხებს, რამაც ღევონტის ცნობით, თითქოსდა იმოქმედა და ეს წყევლა მიზეზი შეიქმნა სომხეთის დანგრევისა.

ისმის კითხვა, რიონის ფოთი ნამდვილად იყო VIII-IX საუკუნეთა შუა სამიტროპოლიტო ცენტრი, სადაც მიტროპოლიტთან თავს იყრიდა რამდენიმე არქიეპისკოპოსი, აქვს თუ არა ფოთს საძოვრები, სადაც იყო განთავსებული სომეხ ლტოლვილთა საქონელი, იყო თუ არა ფოთში ეკლესიები, რომელნიც გაუძარცვავთ სომეხ ლტოლვილებს? მართალია, ჩვენი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ფასისის სამიტროპოლიტო ცენტრი ფოთში მდებარეობდა, რომელსაც ექვემდებარეობდნენ პეტრას, ზიგინევის, საისინისა და როდოპოლისის საეპისკოპოსოები, მაგრამ აღიარებენ იმასაც, რომ ფოთის სამიტროპოლიტო ცენტრი გადატანილი იქნა ტრაპეზუნტში VIII საუკუნისათვის, რადგანაც VII მსოფლიო საეკლესიო კრების ოქმს ხელს აწერს ტრაპეზუნტელი იგივე ფასისელი მიტროპოლიტი, ამისი მიზეზი თითქოსდა იყო აფხაზთა ქართული სამეფოს ჩამოყალიბება დასავლეთ საქართველოში VIII საუკუნისათვის.

ჩვენი თვალსაზრისი კი მთლიანად განსხვავდება აღნიშნულისაგან, კერძოდ ჩვენი ფოთი არასოდეს ყოფილა ბერძნული სამიტროპოლიტო ცენტრი, მასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, რომ მაქს. ბერძენიშვილი ორ უმართებულო თვალსაზრისს აერთიანებს, კერძოდ 1) ღევონტის ფუთთი, თითქოსდა იყო თანამედროვე ფოთი; 2) ფოთს თითქოსდა ამავე დროს ერქვა სახელი „ფაზისი“, რადგანაც სიტყვა ფაზისი ნაწარმოებია სიტყვა ფათისაგან.

ჩვენი თვალსაზრისით ღევონდის ფოთი იყო ტრაპეზუნტის რეგიონის ქალაქი ფადისსა ანუ ფათისა, რომელიც ამავე დროს ახლოს მდებარეობდა რომაელ არმენიასთან, უფრო ზუსტად, რომელი არმენიები (განსაკუთრებით IV და I არმენია) უშუალოდ ემეზობლებოდნენ ქალაქ-ნავსადგურ ფადისსას (ფათს). ამ მეზობლობის გამო სომეხმა ლტოლვილმა ნახარარებმა თავიანთი პირუტყვი ადვილად მირეკეს ამ ქალაქის საძოვრებზე, შემდეგ კი იმპერატორს თხოვეს დაეკანონებინა მათთვის ამ ქალაქის საძოვრები. ვფიქრობ გაცილებით ძნელი იქნებოდა სომხეთიდან თანამედროვე ფოთში საქონლის მირეკვა. რომელი გზით უნდა მიეყვანათ ძროხები, ხბოები და ხარ-კამეჩი სომხეთიდან ფოთში? მართალია XIX-XX საუკუნეებში ფოთი გაჭირვებით დაუკავშირეს გზებით ქუთაისს, მაგრამ წარმოვიდგინოთ ადრე შუა საუკუნეები, როცა ფოთი შემოსაზღვრული იყო ათეული კილომეტრი სიგანის უსასრულო ჭაობებით, არამგონია რომ ამ ჭაობების გარღვევა შეეძლო შინაურ პირუტყვს.

ხოლო ფადისსაში სომხეთიდან მოხვედრა, ნამდვილად ადვილი იყო - არმენია და კერასუნტი (ე.ი. ფადისაც) უშუალოდ ემეზობლებოდნენ ერთმანეთს. ამ ფადისაში ნამდვილად იყო უამრავი მშვენიერი ბიზანტიური ეკლესია, რომელთა ნანგრევები დაუსრულებელი სიუხვითაა განფენილი ტრაპეზუნტის მთელ რეგიონში, ამავე **რეგიონში თავს იყრიდა მრავალი სამიტროპოლიტო (მაგალითად მათ შორს სწორედ აღნიშნულ ზონაში ფადისასთან ებრჯინებოდნენ ერთმანეთს ამასიის, ნეოკესარიის, კოლონეას, ქალდეასა და ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოები, რომელთა შიგნით უამრავი საარქიეპისკოპოსო იყო, აი, აქ უნდა ვეძიოთ ჩვენ ღევონდის ფათი და არა რიონის ჭაობებში**, ფათსა, როგორც ითქვა, მდებარეობდა ქართველთა ისტორიულ მიწა-წყალზე, კოლხეთისა და ტიბარანების ძველ სამშობლოში, რომელთაც შემდეგ ქალდეა-ჭანეთ-ლაზიკა ერქვა, მას მოიცავდა ე.წ. „სოფელი მეგრელთა“ ანუ სამხრეთის ეგრისი. სხვათაშორის ეგრი ერქვა ასევე მიმდებარე ადგილებსაც, მაგალითად ტრაპეზუნტის რეგიონშივე ჭოროხის შესართავთან მდებარე ქვეყანას, ეგრი ასევე ერქვა ზოგიერთ მდინარესაც კი და ადგილებს ქალდეას მთიანეთში, ბაიბურდისაკენ მდებარეთ.

„ერეგია“ ამჟამადაც ეწოდება ქალაქს არზრუმთან, ხოლო „აგრი“ ერთ-ერთი მსხვილი ქალაქი და რეგიონია ამჟამად ვალაშკერტის მახლობლად. ისტორიულად არსებობდა არა მხოლოდ ჩრდილოეთის ეგრისი არამედ სამხრეთის ეგრისიც - ტრაპეზუნტის რეგიონი.

სტრაბონის ცნობით იბერიისაგან სომეხთა მიერ მიტაცებული პარიადრეს კალთები, ჩანს ისტორიული სამხრეთ ეგრისის ნაწილი იყო. პარიადრეს მთიანეთს ქალდეასთან ანუ ჭანეთთან ახლოს უჩვენებენ, ის ქართული ტომების უძველესი საცხოვრისი იყო. აქედან ტრაპეზუნტის ზღვისპირის ჩათვლით იყო და ამჟამადაც კია შემორჩენილი უამრავი ქართული ტოპონიმი, ადგილთა თუ მდინარეთა სახელები, ერთი ასეთი ყოფილა ფადისსა (ფოთი), რომელსაც სომხები ფოთთს - ფუთთს უწოდებდა.

მაქს. ბერძენიშვილის მეორე, როგორც ჩანს არასწორი მოსაზრება ისაა, რომ ის სომხური წყაროს ფუთთს უწოდებს ფაზისს, თუმცა ამის მიზეზს არ განმარტავს. ბერძენი მწერალი თეოფანე თავის ნაშრომში ეხება ფაზისს, ეს ქალაქი კი მ. ბერძენიშვილს მიაჩნია ღევონდის ფოთთად, რაც არასწორი უნდა იყოს, ამ მიზეზის გამო თეოფანეს ცნობები ფაზისთან დაკავშირებით მ. ბერძენიშვილმა დაუკავშირა დასავლეთ საქართველოს ფოთს, ასევე ფოთად მიიჩნია ღევონდის ფოთთი. ამ უმართებულო დაკავშირებების გამო მაქს. ბერძენიშვილის დასკვნებიც მოულოდნელი და საოცარია. მაგალითად, **მისი დასკვნით დასავლეთ საქართველოს ფოთში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში, რომელსაც მკვლევარი ლაზიკას უწოდებს, ერთ პერიოდში სომხების დიდი რაოდენობა ცხოვრობდა**, ის წერს „მათი რიცხვი ლაზიკეში მცირედი არ იყო, ღევონდის ტექსტიც გვიდასტურებს მათ რიცხვმრავლობას“ (დასახ. ნაშრ. გვ. 216). აგრეთვე წერს - „ღევონდისა და თეოფანეს ურთიერთშეწამება გვიჩვენებს ღევონდის სომხები ფუთთსა თუ ფაზისში არიან 706-712 წლებში, თეოფანეს არმენიელებიც აქ არიან 706-713 წლებში. თეოფანეს არმენიელები მცირერიცხოვანნი არ ჩანან, ასევე რიცხვმრავლად ვხედავთ სომხებს ღევონდის მონათხრობითაც... ასეთი იდენტობის დადგენა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ფაზის-ლაზიკეში სომეხთა ყოფნის ფაქტი, სავსებით გვირკვევს დღემდე ამოუცნობსა და ბნელით მოცულ კითხვას, როგორ გაჩნდნენ არმენიელები ლაზიკეში, როგორ შემოარტყეს ალყა არქეოპოლისს ან რატომ დაიხიეს ფაზისისაკენ და არა სხვა რომელიმე პუნქტისაკენ... **ასე ხერხდება ფუთთ-ფოთ-ფაზისში სომეხთა ცხოვრების**

ფაქტის მთლიანი სახით თავიდან ბოლომდე აღდგენა და იმდროინდელ ისტორიულ ვითარებასთან დაკავშირება“ (იქვე, გვ. 218).

მ. თამარაშვილი ნიკო მართან დაკავშირებით წერდა - „ის სომეხ ისტორიკოსებზე უფრო მეტად აყალბებს ისტორიას იმით, რომ ყველაფერს სომხებს მიაწერს, ასომხურებს“. ალბათ, ნაწილობრივ იგივეს თქმა შეიძლება ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების ერთ ნაწილზეც. **ვფიქრობ სომეხი ისტორიკოსები ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ოდესმე სომხებმა ნოქალაქევი აიღეს (მას არქეოპოლისად მიიჩნევენ), ანდა, რომ სომხები დასავლეთ საქართველოსა და ფოთში მრავლად ცხოვრობდნენ, მაგრამ, როცა ისტორიული გეოგრაფია არასწორად წარმოისახება, როცა დასავლეთ საქართველო ლაზიკად მიიჩნევა, ხოლო ფოთი - კი ფაზისად, ამის შედეგიც სახეზეა - დასავლეთ საქართველო სომეხთა ისტორიული ქმედებების არეალად ისახება.** ქართველთა ამგვარმა წარმოსახვებმა და დაბეჯითებულმა მტკიცებებმა საფუძველი მისცა თანამედროვე სომეხ ისტორიკოსებს ფანტაზიის გაფართოებისა, მაგალითად, ახლახან ინტერნეტში დაიდო რუკა „სომხეთი VII ს. გეოგრაფიის მიხედვით“ სადაც ისტორიული იბერიის კუთვნილ პარადრეს კალთები, ხორძენე, გოგარენა, სამხრეთ ეგრისი, ქალდეა-ჭანეთელითურთ ჭოროხის ხეობის ჩათვლით - ისტორიულ არმენიად წარმოადგინეს. ისინი ქართველი მეცნიერების ზემოხსენებული „დახმარების“ გარეშე ამას ვერ შეძლებდნენ.

მაქსიმე ბერძენიშვილი თავის გრანდიოზულ დასკვნას თეოფანე ბიზანტიელის შემდეგ მარტივ ცნობაზე აფუძნებს: **„ამ წელს ფილიფიკემ განდევნა არმენიელები თავისი მიწა-წყლიდან და აიძულა ისინი დასახლებულიყვნენ მელეტინესა და მეოთხე არმენიაში“ (იქვე, გვ. 206).**

მ. ბერძენიშვილის აზრით იმპერატორმა ფილიფიკე-ვარდანმა (711-713) სომხები განდევნა დასავლეთ საქართველოს ქ. ფოთიდან საიდანაც ისინი იძულებით მელეტინესა და მეოთხე არმენიაში დაუსახლებია. ჩვენი ფოთი არ ესაზღვრება მელეტინეს მეოთხე არმენიას, ხოლო ტრაპეზუნტის ფადისა (ფოთი) უშუალოდ ემიჯნება ამ მხარეებს. იმავეს წერს მიქაელ ასურიც. ასე რომ **თეოფანესა და მიქაელის ცნობები არ შეეხება დასავლეთ საქართველოს ფოთს, და ასევე არც ღევონდის ცნობა.**

უნდა აღნიშნოს, რომ არც თეოფანეს მეორე ცნობა შეესაბამება რიონის დაბლობის ფოთს. ეს ცნობა ასეთია - იუსტინიანე რინიტმატმა (705-711) თავისი მხედართმთავარი ლეონი გაგზავნა ლაზიკეში, რათა მას ალანები აემხედრებინა აბაზგების წინააღმდეგ. ამ თხრობისას ის ახსენებს ქ. ფაზისსა და არმენიელებს, როგორც ბიზანტიელთა მომხრეებს „რომაელები და არმენიელები ლაზიკაში შეიჭრნენ და არქეოპოლისს ალყა შემოარტყეს და როცა შეიტყვეს სარკინოზების მოსვლა - უკან გაბრუნდნენ. როცა სარკინოზები ლაზიკაში მივიდნენ, რომაელთა და არმენიელთა ჯარი გაიქცა და ფაზისისკენ დაიხია. აქ იყო ერთი ციხე ე.წ. „რკინის ციხე“, სადაც მტკიცედ იდგა ვინმე ფარსმანი ... სპათარმა (ე.ი. ბიზანტიელთა მხედართმთავარმა) კაცები გაგზავნა მასთან და შეუთვალა ...„დაგვეხმარე ჩავიდეთ ზღვის ნაპირამდე და იქედან ტრაპეზუნტში გადავიდეთ“ (იქვე, გვ. 214). აქედანაც კი ჩანს, რომ თეოფანეს მიერ ნახსენები ფაზისი ტრაპეზუნტის რეგიონშია და არა ფოთთან. ჩვენ გარკვეული გვაქვს, რომ ფაზისი ერქვა მდ. ჭოროხს, და იქვე, ამ მდინარის ზღვასთან შესართავთან ახლოს მდებარეობდა ქალაქი არქეოპოლისი (ძველი ავტორების „ალტუს პორტუს“ ანუ ძველი ქალაქი) - თანამედროვე ბათუმის რეგიონში. ამ მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე ზღვის შესართავთან მდებარეობდა

ქ. ფაზისი და არა ფოთთან. საერთოდ ტოპონიმი ფაზისი სხვადასხვა ვარიაციით ხშირად გვაქვს ლაზისტანის რეგიონში და მაღლა არზრუმის შემოგარენში (ისტორიული ლაზიკის ეპარქიაში), მაგრამ საერთოდ არ გვხვდება დასავლეთ საქართველოში. მაგალითად, ამჟამადაც კი ზღვისპირზეა ქალაქ ფაზარი, ხოლო მდ. არეზთან ქ. ფასონი. სხვა ქალაქი იყო ქ. ფადისსა (ფოთი) და სულ სხვა ქალაქი იყო ფაზისი. უნდა აღინიშნოს რომ XI ს-ში სახელი ფოთი სხვა ადგილებსაც ერქვა ზღვის პირას ერთ-ერთი - ხუფათი ანუ ხუ-ფათი. აქ უნდა ყოფილიყო საზღვაო პორტიც.

ფოთის არქეოლოგია

ფოთის აღმოსავლეთით 15-20 კმ-ის იქით, მდინარეებს რიონსა და ხობს შორის, აღმოჩნდა გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ეპოქის ადამიანთა ნამოსახლარები (ნამარნუ, ძიგური, ნოსირი, საკირე, ცივა, ანაკლია, ეკი, სენაკი, ერგეტა, ურეკი და სხვა). **გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ეპოქაში მეცნიერ-გეოგრაფია მონაცემებით შავი ზღვის დონე თანამედროვესთან შედარებით დაწეული იყო რამდენიმე მეტრით (ზღვის რეგრესია). ამ ეპოქაში, ზღვის დონის დადაბლების შედეგად დაშრა რიონის დაბლობში ჭაობები და ლაგუნები, რის გამოც შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ადამიანის ცხოვრებისათვის**, ამის შედეგად წარმოიქმნა, ალბათ, აღნიშნული ეპოქის, ანუ გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ნამოსახლარები. მართალია, აღმოჩნდა უცხოური კერამიკის ფრაგმენტებიც ზღვისპირზე ურეკსა და ყულევის შუა ძვ.წ. VI და შემდგომი საუკუნეებისა, მაგრამ არ აღმოჩნდა რაიმე ანტიკური ქალაქის ნამოსახლარი (ზღვის პირას).

არქეოლოგი გ. გამყრელიძე საგანგებოდ სწავლობდა ქ. ფაზისის ადგილმდებარეობის საკითხს მდ. რიონის შესართავთან და მომიჯნავე მხარეებში. მისი ნაკვლევის დასკვნა ასეთია – **„კლასიკური და ელინისტური ხანის ქალაქი არქეოლოგიურად არ არის დადასტურებული“** (გ. გამყრელიძე, „ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობისა და დეფინიციის საკითხისათვის“ იბერია-კოლხეთი, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, №1, 2003, ძიებანი, დამატებანი, IX, გვ. 172).

უფრო მეტიც, **არა თუ კლასიკური და ელინისტური ხანის რაიმე ნაქალაქარის არსებობა, არამედ** ბერძნული კულტურის რაიმე ზეგავლენაც კი არ ჩანს მოსახლეობის ყოფაში. **გ.** გამყრელიძე წერს – „მნიშვნელოვანია ის ფაქტის, რომ ძვ.წ. VIII-VI და გნებავთ IV საუკუნემდე ფოთის მიდამოებში და მთელ კოლხეთში რაიმე დიდი ცვლილება არ-ქეოლოგიურ კულტურაში (კერამიკულ და მეტალურგიულ წარმოებაში, არქიტექტურაში, იდეოლოგიაში თუ დაკრძალვის წესში არ შეიმჩნევა. ხსენებულ ტერიტორიაზე ადგილო-ბრივი სოციუმი როგორც ცხოვრობდა ისე ცხოვრობს, **არ ჩანს ბერძნული კულტურის რაიმე ზეგავლენა მოსახლეობის ყოფაში“ (გ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ, გვ. 172).**

გ. გამყრელიძე, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ყველა არქეოლოგიური მონაცე-მები ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე, შეისწავლა ყველა წყარო ქ. ფაზისის შესახებ, ასკვნის, რომ თუ ფოთი ფაზისია, მაშინ „ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაცია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში არ შეხებია ქ. ფაზისს“ (იქვე, გვ. 172). გ. გამყრელიძე გულისხმობს, რომ **არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ქ. ფოთს არ შეხებია „ე.წ. დიდი ბერძნული**

კოლონიზაცია“, ცხადია, ქ. ფაზისი მილეტელთა დაარსებული იყო და ფაზისი თვით იყო დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგი, მაგრამ, რადგანაც **ქ. ფოთთან არ აღმოჩნდა ამ კოლონიზაციის რაიმე კვალი, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ქ. ფოთთან არ უნდა ეძიონ ქ. ფაზისი, არამედ სხვა რეგიონში, იქნებ ჭოროხის შესართავთან,** უფრო სამხრეთით. გ. გამყრელიძე განაგრძობს – ქ. ფოთსა და მის შემოგარენში „უცხოური ნაწარმი კოლონიზაციის ეპოქაში არ ჩანს, ხოლო ძვ.წ. VI-V საუკუნეთა იმპორტული ნაწარმი მცირეა და სულ დაახლოებით 100 ერთეულით (კერამიკის ნატეხები) განისაზღვრება. ამიტომ **აქ რაღაც ინტენსიურ ბერძნულ საკოლონიზაციო მოქმედებებზე საუბარი ჯერჯერობით სრულიად უსაფუძვლოა“ (გ. გამყრელიძე, „ქ. ფასისის ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის“, იბერია-კოლხეთი, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, №1, 2003, ძიებანი, დამატებანი, IX, გვ. 172).**

აღსანიშნავია, რომ მწირი არქეოლოგიური მასალა, მიკვლეულია, მიწის ქვეშ 6 მეტრის სიღრმეზე, პალიასტომის ტბის ფსკერსა და ზღვაში – „დღევანდელი ფოთის ტერიტორიაზე ყველაზე ძველი არქეოლოგიური მონაცემები ადგილ ნატეხებთან პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაწილში თიხა-ტორფიან ფენებში დადასტურდა. აქ აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს-ის ანტიკური შავლაკიანი ჭურჭლის ქუსლი და ამფორის ძირი (ძვ.წ. III ს.). ქ. ფოთის მიდამოებში აღმოჩნდა ძვ.წ. V ს-ის კოლხური თეთრის 2 ცალი დიდრაქმა. ქ. ფოთში, პირველი მაისის ქუჩაზე, გეოლოგიური ბურღვის შედეგად, 6 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა სინოპურის მსგავსი ძვ.წ. II-I სს-თა კერამიკის ნაშთები (იქვე, გვ. 174).

ფოთის მიდამოებში ცხოვრება ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ გაგრძელდებოდა ჩვეული გზით, ანუ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა ისეთივე იყო, როგორც მთელ დანარჩენ ისტორიულ დასავლეთ საქართველოში, სადაც უკვე IV ს-დან ეკლესიათა მშენებლობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასევე ყოფილა თანამედროვე ფოთის მახლობლად პალიასტომის ტბის ადგილას ერთ-ერთ სოფელში, სადაც იდგა ეკლესია.

მართლაც, **პალიასტომის ტბის ნაწილში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სოფლური დასახლება, შეიძლება ითქვას ქართული ტიპისა, რადგანაც მას არ გააჩნია ბრწყინვალება ბერძნული ცივილიზაციისა.**

ჰიდრო-არქეოლოგი წერს – „**პალიასტომის ტბის სამხრეთ ნაწილში კაპარჭანას ბოლოში, ადგილ „ნაეკლესიარზე“ აღმოჩნდა რიყის ქვებით ნაგები კედლის ნაშთები. ტბის დასავლეთ ნაწილში, მალთაყვასთან, დადასტურდა III-VIII სს-თა ნამოსახლარის ნაშთები. არქეოლოგიური კვლევით გაირკვა, რომ პალიასტომის ტბაში პუნქტ „ნატეხებში“ ძველი ნამოსახლარია და მისი ნაშთები 900 კვადრატულ მეტრზე ვრცელდება... პალიასტომის ტბის ფართი 18 კვ.კმ-ია, ზღვისა და ტბის დონე თანაბარია**“ (იქვე, გვ. 126). გ. გამყრელიძის აზრით სიტყვა პალიასტომი შედგება ორი ბერძნული სიტყვისაგან „პალიას“ (ძველი) და „სტომა“ (ციხე-სიმაგრე). ე.ი. ძველი ციხე-სიმაგრე.

პალიასტომის ტბაში ადგილ „ნატეხების“ ნამოსახლარის კერამიკა (აგური, კრამიტი) ისეთივეა, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ნაგებობებისა – „აგურები ზომებით ისეთივეა, როგორც დასავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ნაქალაქარებზე – ბიჭვინთა, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდავა, ნოქალაქევი, მთისძირი, ვაშნარი, ქობულეთ-ბიჭვნარი, ციხისძირი და გონიო. პალიასტომის ტბის ნამოსახლარზე არმოჩნდა ბრტყელი გვერდებდაკეცილი კრამიტი... აქ ადგილობრივის გარდა აღმოჩნდა უცხოური ბრტყელი

კრამიტის ნატეხებიც... „ნატეხების“ ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამიკული ტარა – ადგილობრივი ამფორები სიახლოვეს იჩენს ნოქალაქევში გათხრილთან და საერთოდ დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის – ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე (განთიადი, ოჩამჩირე, ციხისძირი, ვარციხე, ქობულეთ-ბიჭვნარი) **ადგილობრივია** სამზარეულო კერამიკა ქოთნები, ჯამები, ლუთერიები, დოქები, ასევე სამეურნეო კერამიკა-ქვევრები. **ადგილობრივია პალიასტომის ტბის ნასახლარის აღმოჩენილი მასალის 75%,** მთელი არქეოლოგიური მასალის 25%-მდეა უცხოური კერამიკა, რაც მიუთითებს საგარეო ურთიერთკავშირს ამ ნასახლარისა. ასე, რომ **ფოთის არქეოლოგიური მასალა ადგილობრივია და არ განსხვავდება ზოგად ქართულისაგან** იმ ეპოქისათვის. „ამნაირი ჭურჭელი დასავლეთ საქართველოს IV-V სს ფენებში გვხვდება“ (იქვე, გვ. 178). ანდა „ასეთი მინის ნატეხები გათხრილია წებელდში, სოხუმში, ნოქალაქევში, და სხვაგან. მსგავსი ფეხიანი სასმისები IV-VIII სს-ით თარიღდება. მინის ფეხიანი სასმისები დადასტურებულია მცხეთაში, ურბნისში, რუსთავში და სხვაგან (გ. გამყრელიძე, „ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობისა და დეფინიციის საკითხისათვის“ იბერია-კოლხეთი, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, №1, 2003, ძიებანი, დამატებანი, IX, გვ. 178).

ერთი სიტყვით, ფოთის არქეოლოგიური მასალა მიუთითებს, რომ იქ არსებული „ნატეხების“ დასახლება, ჩვეულებრივი, სხვათა მსგავსი ადგილობრივი (ქართული) სოფელი იყო, თავისი ეკლესიით და ანტიკური თუ ბიზანტიური ტიპის ქალაქი არ ყოფილა. „ნატეხები“ კი ყველაზე დიდი დასახლება იყო ფოთის რეგიონში.

ისმის კითხვა: რატომ აღმოჩნდა ფოთის („ნატეხების“) დასახლება პალიასტომის სივრცეში? ამის მიზეზი იყო შავი ზღვის დონის აწევა ანუ ტრანსგრესია, რომელიც დაიწყო ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან. შავი ზღვის დონე თანდათანობით იმატებდა საუკუნეთა მანძილზე, იმდენად ამაღლდა, რომ თანამედროვე დონეს 3 მეტრით გადააჭარბა. შავი ზღვის წყლის ზედაპირის ამაღლება 3 მეტრით, კატასტროფული იყო რიონის დაბლობისათვის, რომლის დიდი ნაწილი ზღვის დონეზე – 0-ვან ნიშნულზე მდებარეობს. მაშასადამე, ამ დაბლობის დიდი ნაწილი წყლით თუ არა, ჭაობით მაინც დაიფარა. შავი ზღვის დონის ეს მატება გაგრძელებულა დაახლოებით X ს-მდე, შემდგომ კი ზღვას უკან დაუხევია და თანამედროვე 0-ვან დონეზე დამდგარა.

იქამდე, როგორც ითქვა, ადრერკინის ხანაში შავი ზღვის დონე რეგრესიის გამო უფრო დაბლა იყო 0-ვან ნიშნულთან შედარებით, ანუ ამჟამინდელ ზღვის დონეზე დაბლა. ამ დროს ხელსაყრელი პირობები შექმნილა ადამიანთა ცხოვრებისათვის, მაგრამ დაახლოებით I ს-დან დაიწყო ზღვის დონის აწევა, ე.ი. ჯერ ზღვა გაუტოლდა 0-ვან ნიშნულს, პროცესი საუკუნეები გრძელდებოდა. ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ ზღვაც იმატებდა, მაგრამ **მატება მაინც და მაინც საგანგაშო არ ყოფილა, რამაც საშუალება მისცა პალიასტომის ტბის ადგილას აეგოთ ეკლესია,** ალბათ IV-VII სს-ში, მაგრამ მატება გრძელდებოდა, ზღვამ წინ წაიწია. ამ დროისათვის ალბათ ზღვის მატება უკვე 1-2 მეტრს აჭარბებდა. ეს კი უკვე კატასტროფა იყო. VIII ს-სათვის, ის 3 მეტრს მიუახლოვდა, შენობები თანდათანობით წყლით დაიფარა, ხალხმა მიატოვა საცხოვრისი და მთიან ადგილებში გადასახლდა. ჩანს, უფრო ქუთაისისაკენ, რადგანაც ქუთაისში გადაასვენეს პალიასტომის ეკლესიის ცნობილი ხატი და აგრეთვე, გურიაში, ჯუმათში გადაასვენეს პალიასტომის სხვა ხატი. არქეოლოგი კარგად აღწერს კლიმატურ კატასტროფას – **„კლასიკურ-ელინისტური ხანის ფასისი მაინც მიკვლეული არ არის. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ხსენებულ**

მონაკვეთში ურთულესი პალეომორფოლოგიური სიტუაციაა. გეომორფოლოგიური მდგომარეობის მხრივ ყულევ-ფოთი-ურეკის ზღვისპირეთი, თითქოს, ამოვარდნილია საქართველოს ზღვისპირეთის (330 კმ.) საერთო კონტექსტიდან. აქ ბუნდოვანია გლობალური, შავი ზღვის რეგრესიისა და ტრანსგრესიის ფაქტი ფასისთან მიმართებაში. გაურკვეველია ზღვის სანაპირო შელფის ლოკალური დინამიკის საკითხიც. ხშირად, გეომორფოლოგები არქეოლოგების მონაცემებს ეყრდნობიან და სანაპიროზე ნამოსახლარების განლაგების მიხედვით გამოაქვთ ზოგადი დასკვნები. ჩვენი აზრით, საკითხი კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს. ოღონდ, სასურველია, რომ ჯერ გეომორფოლოგებმა გაგვცენ პასუხი თუ როგორი იყო სანაპიროს დინამიკა და ძველად სად ერთვოდა რიონი ზღვას. მათ უნდა გაითვალისწინონ გლობალური (ზღვის რეგრესია-ტრანსგრესია) და ლოკალური (მდინარეების გამონატანი ნაშალი მასალა, მდინარეების რიონის, ფიჩორის, ხობის, სუფსის ძველი კალაპოტები, რეგიონის ჭაობიანობა, ტორფიანობა და სხვა) მონაცემები... საყურადღებოა, რომ აქ ერთის მხრივ ხდება რიონის მიერ საუკუნეების განმავლობაში დიდძალი ნაშალი მასალის გამოტანა, რაც ალბათ დელტის ზღვაში გაწევას იწვევდა, ხოლო მეორეს მხრივ ხდებოდა ზღვის დონის აწევა, რასაც სანაპიროს მიტაცება მოყვა“ (იქვე, გვ. 179).

ცნობილმა ხატმა „პალიასტომის ღვთისმშობელმა“ დღემდე მოაღწია – „ფოთიდან, პალიასტომის ტბის მიდამოებიდან. არის ქართული (მხედრულწარწერიანი) ბარძიმი, რომელიც ქ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება (ინვ. №3788)“, (იქვე, გვ. 176). ბარძიმს აქვს ქართული თუმცა გვიანდელი წარწერა, ასევე ქართულია პალიასტომის ხატის წარწერაც, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ტაძარი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა და არა ბერძნულისა. ბერძნულ საეპისკოპოსოებში ქართული წირვა-ლოცვა და წარწერები, როგორც წესი, არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, ჩანს, არც ფასისის სამიტროპოლიტო ცენტრი ყოფილა ქ. ფოთში, იქნებ ფასისის სამიტროპოლიტო და მისი ოთხი ბერძნული საეპისკოპოსო არა დასავლეთ საქართველოში, არამედ იქ იყო, სადაც მათი არსებობის შესახებ მიუთითა სახელგანთქმულმა მეცნიერმა ნ. ადონციმ, ანუ ტრაპეზუნტის ოლქში, ჭოროხის ხეობის დასავლეთ ნაწილში.

თუმცა, გ. გამყრელიძის აზრით, „ფასისი ზღვაში უნდა იყოს დაძირული“, ამის დასტურია აგრეთვე მეცნიერ-გეოგრაფების მონაცემები, რომლის მიხედვით შავ ზღვაზე ე.წ. ფანაგორიული რეგრესიის დამთავრების შემდეგ დაიწყო შავი ზღვის ტრანსგრესია (ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე), შედეგად ზღვის დონემ 3 მეტრამდე აიწია. შესაბამისად ძველი ნამოსახლარები ზღვის ქვეშ უნდა მოქცეულიყვნენ. კერძოდ, ამგვარი პროცესები განვითარდა ჩრდილოეთ და სამხრეთ (მაგ. სინოპი) შავიზღვისპირეთში, სადაც მთელი რიგი ანტიკური ნამოსახლარები მოექცნენ წყალქვეშ (გ. გამყრელიძე, „ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობისა და დეფინიციის საკითხისათვის“ იბერია-კოლხეთი, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, №1, 2003, ძიებანი, დამატებანი, IX, გვ. 180).

ფოთი და რიონის დაბლობი V-XV საუკუნეებში (გეოლოგიური მიმოხილვა)

ფოთი მდებარეობს რიონის დაბლობზე ზღვის დონიდან 1-3 მ სიმაღლეზე (ქსე, 10, 351), უჭირავს ზღვისპირა ვაკე, რომელსაც მდ. რიონის ერთ-ერთი ტოტი არათანაბარ ნაწილებად ჰყოფს. **ფოთის დატბორვის საწინააღმდეგოდ სისტემატურად წარმოებს მდინარის დინების მარეგულირებელი სამუშაოები.** ქალაქის მოსაზღვრე **მიწები** მეტწილად **დაჭაობებულია**. ქალაქს სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩამოუდის მდინარე კაპარჭინა, აქვე მდებარეობს პალიასტომის ტბა.

აღსანიშნავია, რომ **ფოთი-სამტრედიის ზონაში მიწის ზედაპირის ზოგიერთი მონაკვეთი ზღვის დონეზე დაბლაც კი მდებარეობს**. V-XV საუკუნეებში, გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, მთელი ეს ზედაპირი თხელი წყლით უნდა ყოფილიყო დაფარული. საქმე ისაა, რომ დაალოებით ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან შავი ზღვის დონე აწეული იყო 1 მეტრთ. ზღვის დონის ერთი მეტრით აწევა გამოიწვია ე.წ. „ნიმფურმა ტრანსგრესიამ“.

(რეგრესიად იწოდება ზღვის დონის დაწევა, ტრანსგრესიად კი ზღვის დონის აწევა).

მოგვიანებით, **V საუკუნიდან XVI საუკუნის ჩათვლით შავ ზღვაზე ფაქტია ნიმფური ტრანსგრესიის არსებობა, რომლის მაქსიმალურ ფაზაში ზღვის დონემ თანამედროვესთან შედარებით 1 მეტრამდე აიწია**“. – აღნიშნავს თავის ხელნაწერში გეოლოგი გ. მაისურაძე.

ეს პერიოდი IV-**XVI, მით უმეტეს V-XVI საუკუნეები ქართული ქრისტიანული კულტურის ჩასახვა-აღორძინების საუკუნეებია და ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი. ამ ეპოქაში რიონის დაბლობი, მით უმეტეს ფოთი, ჩანს, წყლით დაიფარა, რადგანაც ზღვის დონემ 1 მეტრით აიწია და ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა თითქმის ათასი წელი.** ჩვენთვის საინტერესოა საკითხი, **შესაძლებელი იყო თუ არა ფოთში ასეთი წყალდიდობისა და დაჭაობიანების ეპოქაში, კერძოდ VII საუკუნეში დაარსებულიყო ე.წ. „ფასისის სამიტროპოლიტო კათედრა“, როგორც ჩვენს თანამედროვე საისტორიო ქართულ ლიტერატურაშია აღნიშნული?**

რას ნიშნავს სამიტროპოლიტო ცენტრი? – მიტროპოლიტი წარმოშობილია ბერძნული სიტყვიდან „მატერ“ და „პოლის“, ნიშნავს დედა ქალაქის, მთავარი ქალაქის ეპისკოპოსს. შესაძლებელია თუ არა, ფოთი ყოფილიყო რეგიონის მთავარი ქალაქი ასეთი დაუსრულებელი წყალდიდობის დროს, მაშინ, როცა წყლის სიმაღლე არა თუ იკლებდა, არამედ თანდათანობით მატულობდა XV-XVI საუკუნეებამდეე? საერთოდ, არსებობდა ასეთი საშინელ კლიმატურ პირობებში რიონის დაბლობზე ქალაქები? ან თუნდაც სოფლები? როგორც ჩანს, არსებული პირობების გამო ხალხი არა თუ აშენებდა სოფლებს (ან ქალაქებს), არამედ ტოვებდა მათ და მთისწინეთს აფარებდა თავს. ამის მაგალითად უნდა ჩავთვალოთ პალიასტომის ტბის ეკლესიის ბედი. ქუთაისის მუზეუმში ამჟამადაც დაბრძანებულია „პალიასტომის ხატი“, რომელსაც თან ახლავს თხრობა ხატის თავდაპირველი ეკლესიის შესახებ. კერძოდ, პალიასტომის ადგილას ყოფილა სოფელი თავისი ეკლესიითა და ცნობილი ხატით, რომელიც თანდათანობით წყლის ქვეშ მოექცა, ხალხმა ხატი გამოასვენა ეკლესიიდან და მთებს შეაფარა -„ამას იტყვიან ნაქალაქევს და

შემდგომად მოცულსა წყლისაგან“ – წერს ვახუშტი პალიასტომზე (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 790).

როდის წარმოიქმნა პალიასტომის ტბა? შესაძლებელია თუ არა მის ადგილზე სოფლის, ან ქრისტიანული ეკლესიის არსებობა? ეკლესიები ჩვენში შენდებოდა IV ს-დან. შესაძლებელია, აქ მართლაც აშენდა ეკლესია, რომელიც ზღვის დონის აწევის კვალდაკვალ წლით დაიფარა. **გ. მაისურაძის დაბეჯითებული მტკიცებით „I-II საუკუნეებში არ შეიძლებოდა პალიასტომის ტბის არსებობა რეგრესიის გამო“ (მაშ როგორ უნდა ენახათ ფოთთან ტბა სტრაბონის ეპოქაში?).**

პალიასტომის ტბის მაქსიმალური სიღრმეა 3, 2 მ, საშუალო სიღრმე არის 2, 6 მეტრი. ტრანსგრესიისას, V საუკენედან მაინც, თუ უფრო ადრედან არა, ზღვის ამაღლების გამო ზღვაში მდინარე რიონის წყალს შესვლა უჭირდა, ის გუბდებოდა და იშლებოდა მთელ რიონის დაბლობზე, რომელიც თითქმის ნულოვან დონეზეა სამტრედიამდე.

ვფიქრობ, რომ ამ დაჭაობების და მის თანმდევ ციებ-ცხელების გამო, გრიგოლ ხანძთელმა აფხაზეთის სამეფოს (ანუ იმჟამინდელ დასავლეთ საქართველოს) ბარში, ვერ იპოვა ვერცერთი სამონასტრო ადგილი და ამიტომაც მთაში – უბისას მონასტრისათვის ჩაუყრია საფუძველი. თვით დავით აღმაშენებლის ეპოქაშიც კი, ქუთაისის მიდამოები ჰავით უვარგისად ითვლებოდა. ვითარება, ანუ **კლიმატური პირობების შეცვლა დაწყებულა XVI საუკუნისათვის. ამ საუკუნის შემდეგ დაიწყო „რეგრესია“, ანუ ზღვის დონის დაწევა, ზღვის დონე ნულოვან დონესთან შედარებით დაწეულა ნახევარი მეტრით, რადგანაც მის წინა პერიოდში აწეული იყო ერთი მეტრით, საბოლოოდ ზღვას დაუწევია თითქმის მეტრნახევრით.** ამ შეცვლილმა ვითარებამ წყლისაგან გაათავისუფლა მიწის დიდი ფართობები, ჭაობმა და, შესაბამისად, ციებ-ცხელებამ უკან დაიხია, **ჰავა გაუმჯობესდა და მდინარე რიონს – იქამდე შეგუბებულს მიეცა ზღვაში შედარებით თავისუფალი შეღწევის საშუალება. წყლისაგან გათავისუფლებულ მიწებზე ხალხმა დაიწყო ხვნა-თესვა, გამოჩნდა ახალი საცხოვრებელი ადგილები. ამ დროს, ჩანს, გამოჩნდა ფოთის მიმდებარე ტერიტორიებიც, რომლებიც ასევე წყლისაგან გათავისუფლდნენ. იმის გამო, რომ ფოთი შედარებით უფრო მაღლაა ზღვის დონიდან, ვიდრე მისი მომიჯნავე ტერიტორიები, ოსმალეთს მაშინვე მიუქცევია მისთვის ყურადღება.**

1578-79 წლებში ოსმალებმა ეს მიწები დაიპყრეს და დიდი ციხე-სიმაგრე ააგეს. 1640 წელს იმერეთ-გურია-სამეგრელოს ლაშქარმა იერიშით აიღო ციხე-სიმაგრე, მაგრამ მას 1723 წელს კვლავ ოსმალეთი დაეპატრონა 1828 წლამდე.

XIX საუკუნეში კვლავ დაწყებულა ტრანსგრესია, ანუ კვლავ აიწია ზღვის დონემ და მიაღწია ნულოვან დონეს. კვლავ დაიწყო თანდათანობით დატბორვა მიმდებარე დაბლობისა, რაც ამჟამადაც გრძელდება.

ეგრისის, არგვეთისა და გურიის ციხე-სიმაგრეები და სოფლები აგებული იყო არა რიონის დაბლობში, არამედ მთისწინებში. **ფასისის სამიტროპოლიტოს ქალაქები როდოპოლისი, საისინი, პეტრა და ზიგანევი აღნიშნული მდგომარეობის გამო უნდა ვეძიოთ არა რიონის დაბლობზე, არამედ სხვა რეგიონში.**

ფოთის აკვატორია გეოლოგის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის გ. მაისურაძის თვალსაზრისით

ფოთის, მდ. რიონისა და მისი დელტის, ასევე კოლხეთის დაბლობის უდიდესი ნაწილის გეოლოგიური სახე უკანასკნელი 2000 წლის მანძილზე განპირობებული იყო კლიმატური პერიოდებით. კერძოდ, გეოლოგიური პერიოდები ბოლო ათი ათასი წლის მანძილზე პირობითად დაყოფილია 4 ჯგუფად (ადრე, შუა და გვიანი ჰოლოცენები). მათგან ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით პერიოდში, რომელსაც გვიანი (ზედა) ჰოლოცენი ეწოდება და მისი კლიმატური პერიოდი იწოდება სუბატლანტიკურად. ამ დროს ზღვის დონე მკვეთრად იცვლებოდა. თავდაპირველად, დაახლოებით ბრინჯაოს ხანაში (3000წ), ე.წ. ფანაგორიული **რეგრესიის დროს ზღვის დონემ დაიწია 6-8 მეტრით. ხოლო შემდეგ, დაახლოებით I საუკუნიდან დაიწყო ზღვის დონის აწევა და ნულოვან დონეზე 2 მეტრით მაღლა აიწია. ამ პროცესს „ნიმფეურ ტრანსგრესიას“ უწოდებენ. ფანაგორიული რეგრესიის დროს შავი ზღვის დონე იმყოფებოდა 8-10 მეტრით დაბლა თანამედროვე დონესთან შედარებით,** ამის გამო ამჟამად წყლით დაფარულ შელფის ზოლში გაშენებული იყო ბერძნულ-რომაული ქალაქები ვითარება მკვეთრად იცვლება **დაახლოებით ქრისტეს შობის პერიოდიდან. დედამიწაზე კლიმატის გლობალური ცვალებადობის გამო დაიწყო უკუპროცესი – აიწია ზღვის დონემ (ტრანსგრესია), ამის გამო ქალაქები მოექცნენ წყლის ქვეშ. დათბობის პერიოდი (გლობალური) ამჟამადაც მიმდინარეობს.**

მდ. რიონთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ტრანსგრესიის, ანუ შავი ზღვის დონის აწევის გამო მოხდა მდ. რიონის ე.წ. **„შეგუბება“**.

საერთოდ, **I საუკუნიდან და (მის შემდეგაც) ხდებოდა მდინარეთა შეგუბებები, ანუ იწევდა მაღლა ზღვის დონე თითქმის 2-4 მეტრით და ამის გამო ეს აწეული დონე აიძულებდა მდინარის წყალს დაგუბებულიყო, მით უმეტეს ისეთ გაშლილ ვაკეზე, როგორიცაა ფოთის შემოგარენი. ამის გამო მთელ კოლხეთის ვაკეზე ჩნდებოდა ჭაობები, ანუ მკვეთრად იზრდებოდა წყლის სარკე (მდ. რიონისა).** ამ მოვლენის გამო ამჟამადაც ამ დაბლობზე არის ჭაობები და ტორფნარი. საზოგადოდ კი, **ქ. ფოთთან იყო მდ. რიონის დიდი შეგუბება, რაც, როგორც ითქვა, დაიწყო ძირითადად I საუკუნიდან. ამ პროცესს (შეგუბებას) ეწოდება ასევე „მდინარის კვდომა“ (გეოლოგიური ტერმინი) და აღნიშნავს ეროზიის ბაზისის სტაბილურ მდგომარეობას, ანუ ეროზიის ბაზისი (ამ შემთხვევაში შავი ზღვა) სტაბილურად ინარჩუნებს მაღალ ნიშნულს, გათანაბრებულს მდინარის დონესთან. ამის გამო მდინარეს ძალზე უჭირს თავისი წყლის ზღვაში შეტანა. ის თითქოსდა ეძებს გამოსავალს, იცვლის კალაპოტს, ეძებს ახალ გზებს, რათა თავისი წყალი როგორმე შეიტანოს ზღვაში, დაბლობზე იქმნება მეანდრები, ანუ მდინარე იკლაკნება, ხაზავს სინუსოიდებს, ამასთანავე ხშირად ჭრის ახალ კალაპოტს. კოლხეთის ვაკეზე ადგილობრივმა მოსახლეობამ საგანგებოდ ამ მოვლენის აღსანიშნავად შეიმუშავა ტერმინი – „ნარიონალები“. ესაა ღრმა არხები, სადაც ოდესღაც მდინარე მიედინებოდა.**

„ნარიონალები“ იმას ნიშნავს, რომ მდ. რიონი იცვლიდა კალაპოტს, ხშირად იწყებდა **„ხეტიალს“** ზედაპირზე. ამის კვალი კოსმოსიდანაც ჩანს, კოსმიურ

ფოტოსურათებზე არის უამრავი ნარიონალის ანაბეჭდი სამტრედიიდან ფოთამდე მაშასადამე, მდინარეთა შეგუბებები ტრანსგრესიის დროს ჩვეულებრივი მდგომარეობაა.

როგორც ითქვა, ფანაგორიული რეგრესიის დროს ბრინჯაოს ეპოქიდან თითქმის I საუკუნემდე, ზღვის დონე 8-10 მეტრით დაბლა იმყოფებოდა (თუმცა თანდათანობით იმატებდა მისი დონე). ამჟამად შავი ზღვის ზოლში ზღვისგან გათავისუფლებულ ხმელეთზე (შელფური ზონა) გაშენდა უძველესი ქალაქები, მაგრამ ეს ეხება იმ შელფს, რომელიც გარკვეული კუთხით დახრილია ზღვისკენ, **მაგრამ ფოთთან შელფური ზონა თითქმის ზღვის დონეზეა (იმდენად, რომ ამჟამადაც შეიძლება ფოთთან წყალქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე 2 კმ-ზე მეტიც კი ფეხით გავლა), ანუ ზღვის დონის დაწევის დროსაც კი ფოთთან შელფის მაგიერ გვქონდა მდ. რიონის მიერ შემოტანილი მყარი მასალა, რომელიც ილექებოდა ფოთის აკვატორიაში. მაშასადამე, აქ ქალაქის ან ქალაქების აშენება შეუძლებელი იყო – დაჭაობებისა და წყალუხვობის გამო არა მხოლოდ რეგრესიის (ზღვის უკან დახევის), არამედ ტრანსგრესიის (ზღვის დონის აწევის) დროსაც.**

გეოლოგიური ჭაბურღილები, რომლებიც დადგმულია ფოთის რაიონში, აჩვენებს, რომ 4 მეტრი სიღრმიდან ქვემოთ, 15-25 მეტრის ინტერვალში (თითქმის 200 მეტრ სიღრმემდე), ზღვიურ ნალექთან ერთად მორიგეობენ ტორფის შრეები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მთელი მეოთხეული პერიოდის განმავლობაში, ჰოლოცენის ჩათვლით, ეს ტერიტორია განიცდის სტაბილურ დაძირვას, რაც გამოთვლილია. ეს არის წელიწადში 6-9 მილიმეტრი. **ამ ლაბილური, ანუ მოძრავი ტერიტორიის გამო აქ ქალაქები ვერ გაშენდებოდა (იგულისხმება ფოთის აკვატორია)**. (სხვა ვითარება იყო ჭოროხთან, ენგურთან და სხვა მდინარეებთან).

რიონი არის ღერძული ზოლი მთათაშუა ქვაბულისა და მთელი ჩამორეცხილი მასალა გროვდებოდა ამ ქვაბულში, რომელიც (ეს მასალა) ზღვისკენ გამოაქვს რიონს, ამის გამო ტერიტორია არის ლაბილური, ანუ მოძრავი. ეს ნიშნავს, რომ ეს ტერიტორია თანდათანობით იძირება: 10 წელიწადში 6 სანტიმეტრით, 100 წელიწადში – 60 სანტიმეტრით, ხოლო 1000 წელიწადში 6 მეტრით, ანუ I საუკუნიდან დღემდე, ანუ 2000 წლის მანძილზე ის ჩაიძირა 10-12 მეტრით, ამიტომაც გვაქვს ტორფის შრეები სიღრმეებში. დასკვნა – **ფოთი არ არის ანტიკური ქალაქი ფაზისი.**

ლიტერატურა: **Д. Церетели, "Плеистоцен Грузии", 1966, П.В. Федоров Плеистоцен Понто-Каспия, 1978.**

(გეოლოგის ნააზრევის გაცნობის შემდეგ ჩნდება კითხვა – თუ მდინარე რიონი ასე ხშირად იცვლიდა კალაპოტს, როგორ ააშენეს მასზე 120 ხიდი, მით უმეტეს ჭაობებში, რასაც თანამედროვე ტექნიკითაც ვერ ახერხებენ?)

ფასისელ აკადემიკოსთა თვალსაზრისი

რამდენიმე ჩვენ წერილში გამოვთქვით ფრთხილი მოსაზრება, რომ ფაზისი არ მდებარეობდა თანამედროვე ფოთის ადგილას. ფასისელმა აკადემიკოსებმა ეს ვარაუდი მეცნიერული კვლევებით განამტკიცეს.

„ფასისის საერო აკადემიამ" გამოსცა აღნიშნული მეცნიერების ნაკვლევი, რომლ-

იდანაც აღმოჩნდა, რომ ის ადგილი სადაც ამჟამად ქალაქი ფოთი მდებარეობს, 2000 წლის წინ, სტრაბონის დროს, უეჭველად ზღვით იყო დაფარული, ანუ თანამედროვე ფოთის ადგილი წყლის ქვეშ ყოფილა მოქცეული. ამის მიზეზს შემდეგნაირად აღწერს რამდენიმე ფაზისელი აკადემიკოსი: **მდინარე რიონს ზღვაში ყოველწლიურად შეაქვს 10-12 მილიონი ტონა სილა, რაც სანაპიროსთან დალექვის შემდგომ იწვევს მიწის მატებას, ანუ რიონის შესართავთან იზრდება ხმელეთი და ეს მატება ხმელეთისა 2000 წლის მანძილზე გვაძლევს მრავალ ათეულ კილომეტროვან ახალ სანაპირო ზოლს.** ს. გვასალია წერს: „თუ უკვე ხსენებულ რიცხობრივ მონაცემებს დავუბრუნდებით და ხმელეთის მატებას წელიწადში საშუალოდ 4 მეტრს ვივარაუდებთ 2500 წლის მანძილზე ზღვის სანაპირო რიონის შესართავთან 10 კმ-ით მაინც უნდა ყოფილიყო გაზიდული აღმოსავლეთით დღევანდელი სანაპიროს ხაზიდან, **შესაბამისად მთელი ტერიტორია, რომელზეც დღეს ქალაქი ფოთია გაშენებული და პირველ რიგში კი კუნძულის უბანი, გვიანდელ წარმონაქმნად უნდა ჩაითვალოს“ (ს. გვასალია „ანტიკური ხანის კოლხეთი“, კრებულში „ცოტნეიდელი“, ტ. II, 2008, გვ. 57).**

უღრმესად მადლობელი ვართ ღვაწლმოსილი მეცნიერისა, რომელმაც ჩვენი მოსაზრება გამოთვლებით დაადასტურა. მართლაც, ქ. ფოთი არ შეიძლება იყოს ქ. ფაზისი, რადგანაც ს. გვასალიას მონაცემებით მისი ამჟამინდელი მდებარეობის ადგილი 2500 წლის წინ ზღვის სიღრმეში იყო ჩაძირული მაშინდელი სანაპირო ზოლიდან 10 კმ-ის იქით. ცხადია ზღვაში და თანაც წყლის ქვეშ ქალაქის აშენება შეუძლებელია. ასევე ვმადლობ ს. ზაქარაიას, რომელმაც მსგავსი კვლევებით დაადასტურა ეს აზრი. ს. ზაქარია წერს: „ქ. **ფოთის პორტის სტატისტიკური მონაცემებით 1804, 1870, 1892 წლებში ხმელეთმა შესაბამისად წელიწადში 9 მეტრი მოიმატა!**“ (იქვე, გვ. 69).

თუკი წინა მეცნიერის ანგარიშით ერთ წელიწადში ხმელეთის 4 მეტრი მატება 2500 წლის მანძილზე თანამედროვე ფოთის მდებარეობის ადგილს საზღვრავდა ზღვის სიღრმეში 10 კმ-ით, 9 მეტრით მატების შემთხვევაში ის 2-ჯერ უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, მაშასადამე დაახლოებით 20-22 კმ-ით დაშორებული თანამედროვე სანაპიროდან ზღვის სიღრმეში. ე.ი. დღევანდელი ფოთის ადგილსამყოფელი ანტიკურ ხანაში ზღვაში იყო ჩაძირული და დაშორებული სანაპიროდან 20-ზე მეტი კმ-ით. შესაბამისად იქ არც ქალაქი იქნებოდა.

რამდენად რეალურია ასეთი ანგარიში აღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, იქნებ მეცნიერები ცდებიან? არა, **მათი აზრი დასტურდება ნიკო ნიკოლაძის პირადი დაკვირვებით და მისი გაზომვებით.** კერძოდ, ს. ზაქარაია მკითხველს აწვდის ასეთ ცნობას – „მ. ბერძნიშვილს მოჰყავს ნიკო ნიკოლაძის მონაცემებიდან ფაქტი, რომ 1860-იან წლებში ზედ ზღვის სანაპიროზე აგებული შუქურა ჩვენი საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 1910-15 წლებში, ნაპირს 2 ვერსზე მეტით აღმოჩნდა დაშორებული“ (იქვე, გვ. 70). ამ ცნობას თან ერთვის ნახაზი რომელზედაც ავტორის მიერ მინიშნებულია, რომ 55 წლის განმავლობაში ხმელეთმა მოიმატა 2000 მეტრით (იქვე, გვ. 71). ანუ უხეშად რომ ვთქვათ, ნახევარ საუკუნეში ხმელეთს 2 კმ-ით მოუმატია, ცხადია ერთ საუკუნეში მოიმატებდა 4 კმ-ით, რაც 25 საუკუნის მანძილზე გვაძლევს 100 კმ-ს!

მიუხედავად მეცნიერული კვლევისა, მაინც ვერ განვაზოგადებთ მათ შედეგებს,

სინამდვილეში რიონის სილა-შლამით იფარებოდა არა მთელი სანაპიროს პერიმეტრი, არამედ **მხოლოდ რიონის შესართავის მიმდებარე ტერიტორია.** ამას მიუთითებს იქვე ს. ზაქარაიას მიერ მოცემული კიდევ ერთი სტატისტიკური ცნობა. კერძოდ, „თურქმა გენერალსიმუსმა მურად III-მ **1578 წელს ფოთთან, უშუალოდ ზღვის სანაპიროზე ააგო ფოთის ციხე, რომელიც 280 წლის შემდეგ, 1858 წელს, ზღვის ნაპირიდან 1,8 კმ-ით იყო დაშორებული. საქმის რეალობა იმაშია, რომ რიონი მსოფლიოში გამოირჩევა, როგორც ნაშალი მასალის (სილა, შლამი და სხვ.) დიდი რაოდენობის ზღვაში შემტანი. მეცნიერთა მიერ არაერთგზის დადგენილია, რომ ყოველწლიურად მდ. რიონს ზღვაში შეაქვს 8-12 მილიონი ტონა ნაშალი მასალა, რისი დიდი ნაწილი ზღვის სანაპიროს შორიახლო ილექება და იწვევს ხმელეთის მატებას ზღვის ხარჯზე“** (იქვე, გვ. 70). მაშასადამე, მურად III-ს რიონის შესართავის სიახლოვეს აუგია ფოთის ციხე, რომელიც 280 წლის შემდეგ ზღვას უკვე დაშორებული იყო 1,8 კმ-ით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხმელეთის მატება ამ ადგილას უფრო ნაკლები იყო ვიდრე შუქურას პირზე, რატომ? საქმე ისაა, როგორც ს. ზაქარაიას ნახაზიდან ჩანს, შუქურა უფრო ახლო ყოფილა მდ. რიონის შესართავთან, ხოლო ფოთის ციხე უფრო მოშორებით მდგარა. მაშასადამე, 9 მეტრი მატება ხმელეთისა ყოფილა არა შავი ზღვის მთელ სანაპიროზე, არამედ უშუალოდ მდ. რიონის შესართავთან. თუმცა არც ფოთის ციხესთან ყოფილა მცირე. ერთი სიტყვით, მდ. რიონის შესართავთან გაშენებული ქალაქი ხმელეთის მატების გამო, 2500 წლის შემდეგ, ზღვის სანაპიროდან რამდენიმე ათეული კმ-ით იქნებოდა დაშორებული. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ქალაქი მდ. რიონის შესართავთან, ამ მდინარის შლამიანობის გამო, რამდენიმე ათეულ წელიწადში ზღვას დაშორდებოდა და უვარგისი გახდებოდა ნაოსნობისათვის. იმ ეპოქაში არც სილის სატუმბი მანქანები გააჩნდათ და არც რკინა-ბეტონის ჯებირებს აგებდნენ. **მაშ სად ააგეს ქ. ფაზისი?**

სამწუხაროდ ეს საუკუნოვანი კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა. თუმცა კი, ჩვენ გვაინტერესებს არა ანტიკური ქალაქი ფაზისის ადგილსამყოფელი, არამედ შუა საუკუნეებში არსებული ფაზისის სამიტროპოლიტო ცენტრისა, კერძოდ, **IV-VII საუკუნეთა ვითარება**. არქეოლოგების ერთი ნაწილის აზრით სწორედ ამ ეპოქაში მკვეთრად აიწია შავი ზღვის დონემ, თანამედროვესთან შედარებით 3-4 მეტრით. ამ კლიმატურ ეპოქას უწოდებენ ჰოლოცენს. ანუ ზღვა თანდათანობით მაღლდებოდა თითქმის X საუკუნემდე, XVI ს.შემდგომ კი ისევ დაიწია და თანამედროვე ნულოვან დონეზე დადგა (დ. წერეთელი, „პლეისტოცენ გრუზიი“, 1966, (რუსულ ენაზე); პ. ვ. ფედოროვ, „პლეისტოცენ პონტოკასპია“, 1978, (რუსულ ენაზე)). **რიონის შესართავთან, ამ ვითარების გამო, როგორც ჩანს, ნამდვილი ტროპიკული წარღვნა იყო. ერთი მხრივ მდინარეს შემოჰქონდა 10-12 მილიონი ტონა შლამი, ამავე დროს ზღვის დონე მაღლა იწევდა, რასაც თან ერთვოდა დასავლეთის ქარების გამო გაშლილ ვაკეზე მდინარის შეგუბება. ჭაობი და ფაფისებური ნიადაგი, არათუ რიონის სანაპიროებს, არამედ დასავლეთ საქართველოს ვაკის დიდ ნაწილსაც მოიცავდა. აღნიშნული კლიმატური პირობების გამო, იძულებული ვარ, და ამვე დროს ჩემი მოვალეობაც არის, დავეთანხმო VIII საუკუნის ტრაპეზუნტელ მიტროპოლიტს, რომელმაც 3-ჯერ მოაწერა ხელი VII მსოფლიო კრების მასალებს და 3-ჯერვე აღნიშნა, რომ ფაზისის სამიტროპოლიტო ცენტრი იმჟამად ტრაპეზუნტში მდებარეობდა.**

ჭაობის ჰავა ფოთთან

ჰოლოცენის ბოლო პერიოდში, როგორც აღინიშნა (III-XV სს-ში) შავი ზღვის დონის 1 მ-ით მაღლა აწევის გამო მდინარე რიონს უჭირდა თავის წყლების შეტანა ზღვაში, რის გამოც ის გუბდებოდა კოლხეთის გაშლილ ვაკეზე და წარმოქმნიდა უზარმაზარ ჭაობებს.

XVI-XVIII საუკუნისათვის ზღვის დონემ დაიწია და ჭაობების ერთი ნაწილი დაშრა, ამის მიუხედავად, ფოთის მიმდებარე რეგიონის კლიმატი უვარგისად ითვლებოდა. მაგალითად, XVIII საუკუნის მოგზაური მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი ასე ახასიათებს რულეთ-კალეს (ყულევის) გარემოს: „ჭაობიანი, უხვნალექიანი და ჯანმრთელობისთვის უვარგისი“ (კ. ხარაძე, ქართველი მოგზაურები, 1987, გვ. 48).

პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი

პალიასტომის ღვთისმშობლის ხატის სახელწოდება მომდინარეობს საქართველოში საკმაოდ გავრცელებული თქმულებიდან პალიასტომის ტბის გაჩენის შესახებ. თქმულების თანახმად ღვთისმშობლის ხატი პალიასტომის „ციხე-ქალაქის“ ტაძარში ესვენა, საიდანაც იმ ტაძრის მთავარ ხუცესმა სილიბისტრომ ღვთისმშობლის მითითებით, რომელიც მას გამოეცხადა - ხატი ქუთაისის ციხე-ქალაქში გადაასვენა. პალიასტომის ქალაქი კი ხალხითუთრ წყალში ჩაიძირა. ხატს აქვს გვიანდელი წარწერა „...დედაქალაქ ქუთაისის ღვთისმშობელო...“ რაც იმაზე მეტყველებს, რომ არა თვით ხატი, არამედ მისი პერანგი მოგვიანებით ქუთაისში უნდა იყოს დამზადებული. ხატი ფერწერულია, ვერცხლით მოჭედილი. ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ღვთისმშობელი ყრმა იესოთი. ღვთისმშობლისა და ქრისტეს სახეები შესრულებულია ფერწერით ხეზე, რომელიც დაზიანებულია. ხატის დანარჩენი ნაწილი მთლიანად მოჭედილია და დაფერილია ოქროთი. ღვთისმშობელს და ყრმა იესოს ტანთ აცვია გრძელი მოსასხამები.

ხატის ქვედა არშიაზე წარწერაა რომელშიც მოხსენიებულნი არიან იმერეთის მეფე გიორგი III და ძე მისი ალექსანდრე. ქუთათელი მთავარეპისკოპოსი ჩხატიძე ბასილი: „ხატი ესე ყოვლად წმიდისა ღვთისა, პირველი მოჭედილი დაძველებულიყო და ჩვენ მეორედ განვაახლეთ, შეიწირე დედა ღმრთისაო მცირე ესე სამსახური ჩუენი და მეოხ გუექმენ დღეს მას განკითხვასა ამინ. შეიქმნა – ხატი ესე ხელითა რაფიელ მონაზონისათა ქორონიკონ“. აქედან გამომდინარე ხატის ხელახალი მოჭედვა მე-17 საუკუნეში მომხდარა. ხატი შესულია ბაგრატის ტაძრიდან 1923 წელს ქუთაისის მუზეუმში.

ხატი რესტავრირებულია 1612 წელს რაფიელ მონაზონის (მეორედ მომჭედველი) მიერ.

თქმულების თანახმად, როგორც ითქვა, ღვთისმშობლის ხატი პალიასტომის „ციხე-ქალაქის“ მთავარ ტაძარში ესვენა, საყდრის მთავარუხუცესმა სილიბისტრომ ხატის შთაგონებით იხილა ჩვენება (ეს სილიბისტრო გაბრიელ ხუცესმონაზონის შორეული წინაპარი და ნათესავი ყოფილა), რომ სილიბისტრო (მთავარუხუცესი) პალიასტომის ტაძარში შესულიყო, მისი ყოვლადწმიდა ხატი აეღო და ციხე-ქალაქიდან გამოეტანა, რადგანაც მალე იგი წყალში ჩაიძირებოდა. მთავარუხუცესმა არ დაიჯერა. ამის შემდეგ

ღვთისმშობელი ორჯერ გამოეცხადა სილიბისტროს, მაგრამ მას ვერაფერი შეასმინაო. სილიბისტრომ არც სხვებთან გაამხილა ამის შესახებ. იგი ციხე-გალავნის გარეთ ცხოვრობდა სხვა საყდრის მახლობლად. მალე ღვთის ნება აღსრულდა ამ ციხე-ქალაქზე და წყალში ჩაიძირა, ხოლო **ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ღვთის შემწეობით წარღვნას გადაურჩა, თავისთავად, უხილავად, ღვთის განგებით, ციხე-ქალაქიდან ჰაერზე მილივლივებდა** (მიდიოდა). იხილა თუ არა ეს სასწაული სილიბისტრო მთავარუხუცესმა, დაეცა სასწაულებრივი ხატის წინაშე და ცოდვების მიტევება გამოსთხოვა მას. როცა იგი ხატს მიუახლოვდა, **ის ჰაერიდან დაიძრა და მთავარუხუცესის ხელებში მიესვენა**. ამის შემდეგ სილიბისტროს ისევ გამოეცხადა ღვთისმშობელი და უწმიდესი ხატის ციხე-ქალაქ ქუთაისში გადასვენება უბრძანა, რაც მთავარუხუცესმა აღასრულა კიდეც. ეს ხატი ბაგრატის ტაძარში დაასვენეს. პალიასტომის ციხე-ქალაქი კი ხალხითურთ წყალში ჩაიძირა.

აქ აღსანიშნავია - ხატის წარწერა მიუთითებს, რომ მეორედ მოჭედვის დროს ხატი უკვე ქუთაისში ყოფილა დასვენებული. „...დედაქალაქისა ქუთაისისა ღუთისმშობელო...“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხატი მეორედ ქუთაისის ღვთისმშობლის სახელზეა გაჭედილი და უშუალოდ ქუთაისში უნდა იყოს დამზადებული მისი მეორე პერანგი.

როგორც ითქვა, ხატი ფერწერულია, ვერცხლით მოჭედილია (ზომა 135 X 92, 5 სმ). მის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ღვთისმშობელი ყრმა იესოთი ხელში. როგორც ითქვა ხატის ქვედა არშიაზე საუბარია ხატის ხელმეორედ მოჭედვის შესახებ. აქ მოხსენიებული არიან იმერეთის მეფე გიორგი III (1606-1639 წწ.) და მისი შვილი ალექსანდრე. აქედან ცხადია, რომ ხატის ხელახალი მოჭედვა მე-17 საუკუნის დასაწყისში მომხდარა, კერძოდ, 1612 წელს, სხვა მოსაზრებით კი, 1548-1568 წლებს შორის. (წარწერა გამოქვეყნებული აქვს მ. ნიკოლეიშვილს „მე-17 საუკუნის ისტორიული მასალები ქუთაისის მუზეუმში“, ქუთ. მუზეუმის მასალები II, 1971 წ. გვ. 33-35).

ეპისკოპოსი ფაზისისა, ანუ ტრაპეზუნტისა

VII მსოფლიო საეკლესიო კრების (787წ.) აქტებს ხელს სხვა მონაწილეებთან ერთად აწერს ტრაპეზუნტელი მღვდელმთავარი: „ქრისტეფორე ეპისკოპოსი ფაზისისა, ანუ ტრაპეზუნტისა“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 212).

VIII საუკუნეში ბიზანტიის იმპერია არაბობის გამო დიდი გასაჭირით ფლობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვიწრო ზოლს ქ. ტრაპეზუნტის ჩათვლით, შეიძლება ითქვას, რომ საზღვარი ქ. ტრაპეზუნტთან მთავრდებოდა, მაგრამ უკვე იკვეთებოდა ნიშნები იმისა, რომ ბიზანტია კვლავინდებურად შეძლებდა ამ მხარეების დაბრუნებას. იქამდე ტრაპეზუნტის ეპისკოპოსს არ გააჩნდა თავისი სამიტროპოლიტო. ის თვითონ შედიოდა ერთ-ერთი საეპისკოპოსოს სახით პოლემონის პონტოს მიტროპოლიის შემადგენლობაში (ამას ადასტურებს VII-VIII საუკუნეთა ნუსხები) (იქვე, გვ. 212).

ჩანს, იმჟამად პოლიტიკური ძვრები შეიმჩნეოდა, რათა ჩამოლიბებულიყო ახალი ადმინისტრაციული ერთეული „ხალდეას თემი“ ცენტრით ქ. ტრაპეზუნტში (იქამდე VII საუკუნიდან ქ. ტრაპეზუნტი არმენიაკონის თემში შედიოდა), მას შემდგომში მართლაც გამოეყო საკმაოდ ვრცელი ახალი ადმინისტრაციული ერთეული „ხალდეა“. მისი

შავიზღვისპირა საზღვარი აღწევდა მდ. ჭოროხამდე, ანუ ფაზისამდე (და არა ფოთამდე!). არმენიაკონის თემის ზღვისპირა საზღვარიც ასევე აღწევდა მდ. ფაზისამდე, ე.ი. ჭოროხამდე და არა ფოთამდე. ხალდეას თემის დედაქალაქი ტრაპეზუნტი იყო. მას ასევე უფრო მარტივადაც უწოდებდნენ „ლაზიკას“, ლაზიკის თემს.

საფიქრებელია, რომ წინასწარ იქამდე უბრალო ქალაქის (ტრაპეზუნტის) ეპისკოპოსმა გადაწყვიტა მიენიჭებინა თავისი ქალაქისათვის სამიტროპოლიტო ღირსება, რისთვისაც საჭირო იყო, რომ მას ჰქონოდა თავისი საკუთარი იურისდიქციის ქვეშ რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრა. ამასთანავე, ისინი სადავონი არ უნდა ყოფლიყვნენ მეზობელი სამიტროპოლიტოების მხრიდან (ტრაპეზუნტის ზღვისპირზე მალე რიზეს სამიტროპოლიტო ჩამოყალიბდა). ჩანს, ასეთ არასადავო კათედრებად ტრაპეზუნტელმა ქრისტეფორემ მიიჩნია იმჟამად უკვე გაუქმებული, მაგრამ ისტორიულად ტრაპეზუნტის სიახლოვეს არსებული ფაზისის სამიტროპოლიტო, რომელშიც ზიგანა, როდოპოლისი, საისინი და პეტრა შედიოდა. ეს კათედრები, როგორც ითქვა, ქ. ზიგანას ახლოს, მდებარეობდნენ ნ. ადონცის კვლევით და არა დასავლეთ საქართველოში. ტრაპეზუნტი სამიტროპოლიტოდ იქცა.

ფაზისის აკადემია

IVს-ში ფაზისთან ყოფილა აკადემია, სად იყო ქალაქი ფაზისი? თემისტიოსის წერილის თანახმად, ის მდებარეობდა „ლაზებისა და არმენიელების ქვეყანაში, მდ.თერმოდონტთან და თემისკირასთან“.

თემისკირა და თერმოდონტი ცნობილი მდინარეებია ტრაპეზუნტის სამხრეთით. ერთადერთი რეგიონი, რომელიც ერთდროულად ითვლება არმენიად და ამასთანავე ლაზეთად – ესაა ტრაპეზუნტის რეგიონი. საქმე ისაა, რომ იუსტინიანემ, იმპერიის ხელახალი ადმინისტრაციული დაყოფის დროს VI ს.-ში ტრაპეზუნტი შეიყვანა I არმენიაში, ამის შემდეგ კი VII ს-ის დასაწყისში იმპერიამ უფრო ახალი ადმინისტრაციული დაყოფის შემდეგ, პონტო შეიყვანა „არმენიაკონის თემში“. ასე, რომ ტრაპეზუნტის რეგიონი – ბუნებრივად წოდებული „ლაზიკად“, ამავდროულად, არმენიის ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა, თემისტიოსის წერილის „ფაზისი“ თერმოდონტისა და თემისკირას გათვალისწინებით – ტრაპიზონის რეგიონთანაა. აქ უნდა ყოფილიყო „ფაზისის აკადემია“.

ეს რომ ასეა, ჩანს ასევე VII მსოფლიო კრების აქტებზე ტრაპეზუნტელი მიტროპოლიტის ხელისმოწერიდან. მან სამჯერ მოაწერა ხელი დოკუმენტებს და დაბეჯითებით მიუთითა, რომ „ტრაპეზუნტი, ანუ ფაზისი“. ტრაპეზუნტი დიდი სასწავლო კერაც იყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ცნობილმა სომეხმა მათემატიკოსმა VII საუკუნისა ანანია შირაკუნმა განათლება მიიღო ტრაპიზონში ბერძენ მეცნიერ ტუსიკთან, აქ მან მათემატიკის გარდა შეისწავლა ფილოსოფია, კოსმოგრაფია და გეოგრაფია. ის მონაწილეობდა უძრავი კალენდრის შედგენაში. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია „არითმეტიკის სახელმძღვანელო“, „კოსმოგრაფია“, „მთვარის ციკლის ცხრილები“ (ვ. ჩალოიანი, ანანია შირაკაცის მსოფლმხედველობა „ბიზანტიისკიი ვრემენნიკ“, 1957, ტ. 12, რუს. ენაზე).

თემისტიოსის წერილის მითითება ფაზისში განათლების კერის შესახებ, ტრაპეზუნტში

რეალურად არსებული განათლების კერა უნდა იყოს, VIII ს-ის ტრაპეზუნტელი მიტროპლიტის მტკიცება, რომ ფაზისი არის ტრაპეზუნტი, ვფიქრობ, უფლებას გვაძლევს ითქვას, რომ ფაზისის აკადემია არსებობდა არა ფოთში, არამედ ტრაპეზუნტის რეგიონში, ასეთი მტკიცება არ უნდა ჩაითვალოს ჩვენში თავმოყვარეობის შელახვად, რადგან სიმართლისა და ჭეშმარიტების დადგენა უფრო დიდი სიკეთის მომტანია ყოველთვის, ვიდრე გაუგებრობასა და უსაფუძვლობაზე აგებული ისტორია, მით უმეტეს მაშინ, როცა ამის საჭიროება არ არსებობს.

„რიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე ... პონტოს ბოლოში ფასისის მახლობლად, სადაც თესალიიდან წამოსულმა არგომ დაისადგურა ... იქ, სადაც ცნობილია თერმოდონტი, ამაძონთ საქმეები და თემისკირი. და აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ გახადა ელინური მუზების ტაძრად. იმ კაცის, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში და ასწავლიდა, თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდე ელინურ დღეობებზე“ (თემისტიოსი, გეორგიკა, I, გვ. 50).

სად იყო „რიტორიკული სკოლა“? ის იყო –

1.პონტოს ბოლოში;

2.ფაზისის მახლობლად;

3.თერმოდონტთან;

4.თემისკირასთან;

5.კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში.

მაშასადამე, **ეს სკოლა არ იყო მხოლოდ კოლხების ქვეყანაში, ის იყო „კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში“**. სად მდებარეობდა ის?

არსებობს ორი მნიშვნელოვანი მოსაზრება თემისტიოსის მიერ ნახსენები ქალაქის ადგილმდებარეობის შესახებ. ერთი ეკუთვნის ცნობილ ქართველ მეცნიერს ს. ყაუხჩიშვილს, მეორე ცნობილ ევროპელ მეცნიერს ოტო ზეეკს. ამ უკანასკნელის მიხედვით, ეს იყო ქალაქი სინოპი (გეორგიკა I, გვ. 45). ს. ყაუხჩიშვილის აზრით კი, ფოთთან ახლოს მდებარე რომელიმე ქალაქი. განვიხილოთ ორივე თვალსაზრისი. **სინოპი მდებარეობდა** შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე კერასუნტთან და ამასიასთან ახლოს, ანუ **იქ, სადაც მიედინება ამჟამად მდ. თერმოჩაი, ძველად თერმოდონტად სახელდებული.**

მაშასადამე, სინოპი მდებარეობს თემისტიოსის მიერ ნახსენებ მდინარესთან, თერმოდონტთან ახლოს. **თერმოდონტი,** თავის მხრივ, თემისტიოსის ეპოქის მეორე ცნობილი ავტორის, ანტიკური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის, ამიანე მარცელინეს ცნობით, **გაედინებოდა მდ. ჰალისთან** ახლოს. მდ. ჰალისს ამჟამად ყიზილ-ირმაკი ეწოდება. მაშასადამე, თემისტიოსის მიერ ნახსენები ფაზისთან ახლოს მდებარე ქალაქი, სადაც რიტორიკული სკოლა მდებარეობდა, ახლოს იყო ამჟამად ცნობილი შემდეგ პუნქტებთან – 1. ქალაქ კერასუნტთან, 2. მდ. თერმოჩაისთან, 3. მდ. ყიზილ-ირმაკთან. ისინი ისტორიულად მდებარეობდნენ რომაულ პროვინცია პონტოში, კერძოდ კი, ჰელენოპონტოში (პაფლაგონიის მეზობლად). ამიანე მარცელინეს ცნობით, მდ. თერმოდონტი „სათავეს იღებდა არმონიოსის მთიდან“ (გეორგიკა, I, გვ. 109). ს. ყაუხჩიშვილის აზრით, **„ამიანეს მიხედვით მდ. თერმოდონტი მდ. ჰალისთან ახლოა“**

(გეორგიკა, I, გვ. 151). საგანგებოდაა აღსანიშნავი ის ფაქტიც, რომ მდ. კელკიტის რეგიონში, ძველ ამასიასა ტოკატს შორის, ქ. თერმეს გასწვრივ, ამჟამადაც კი არის ქ. **ფაზარი**. ეს ფაქტი უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ მდ. კელკიტს ზღვასთან შეერთების ადგილას ფაზისი ერქვა. მეორე ქალაქი ამავე სახელწოდებით - ფაზარი მდებარეობს ასეული კილომეტრის დაშორებით - რიზესა და ხოფას შუა. მის გასწვრივ ჭოროხის სანაპიროზე მდებარეობა კარგაფაზარის ქედი, ამავე რეგიონშია არაქსი პირზე ქ. ფასინლერი. როგორც ჩანს, ერთ დროს ფასინლერი, კარგაფაზარი და ფაზარი (II) ქმნიდნენ ერთ რეგიონს ფაზისის სახელწოდებით, ჩანს ამიტომაც ამ რეგიონში გამავალ ორივე მდინარეს არაქსსა და ჭოროხს ფაზისი ერქვა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მსგავსადვე სულ სხვა რეგიონში მდებარე აღნიშნული პირველი ფაზარის მიმდებარე მდინარე კელკიტის ერთ მონაკვეთსაც ფაზისი ერქვა. ეს სახელი მრავალ მდინარეს ერქვა ტრაპეზუნტის გავლენის რეგიონში.

„რიტორიკული სკოლა“ მდებარეობდა „კოლხთა და არმენიელთა ქვეყანაში“. ცნობილია, რომ ისტორიულ პერიოდში ე.წ. „რომაული არმენია“ დაყოფილი იყო I, II, III და IV არმენიებად. „პირველი არმენიის პროვინციაში“ შეყვანილი იქნა ყოფილი ელენოპონტოს პროვინცია ანუ ისტორიული კოლხეთი. მაშასადამე, **ცნობილი რიტორიკული სკოლის ქვეყანა ოფიციალურად I არმენიის პროვინციაში იმყოფებოდა, თუმცა კი ის ისტორიულად კოლხების ქვეყნად იწოდებოდა**. მაშასადამე, ის ერთდროულად „კოლხებისა და არმენიელების“ ქვეყანაში იყო, ო. ზეეკის თანახმად სინოპთან ახლოს - კოლხების ისტორიულ ქვეყანაში.

ფაზისის აკადემიასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მიმოვიხილოთ მდ. თერმოდონტისა და თემისკირის (თემისკურა) ადგილმდებარეობა - მდ. თერმოდონტს, როგორც ითქვა, ამჟამად ეწოდება მდ. თერმე (თერმე ჩაი, თურქეთში) ისტორიულ ამაძონების ქვეყანაში, ამ მდინარეს ახსენებს ჰეროდოტე (II, 104-9), ქსენოფონტე (ანაბაზისი, V, 6, 9VI, 21). თვითონ ამაძონები კოლხეთიდან გამოსულებად მიიჩნევიან, კიმერიის ბოსფორთან, ამაძონების ქალაქი თუ დედოფალი იყო თემისკირა.

თემისკირა მდებარეობდა თერმოდონტთან ახლოს პროკოფი კესარიელის ცნობით (ომი გოთებთან, VIII, 2).

თერმოდონტი და თემისკირა იყო ამისოსის მახლობლად. თერმოდონტზე ცხოვრობდნენ ასურები მაკრონების გვერდით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კოლხებისაგან მიიღეს წინდაცვეთის ჩვეულება. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, **„წინათ კოლხებს მდ. თერმოდონტთან უნდა ეცხოვრათ“ (ქართველი ერის ისტორია, შესავალი, I, 1950, გვ. 10).** აქვე ცხოვრობდნენ ხალიბები (ფლ. არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 80). სტრაბონის ცნობით, თერმოდონტი და თემისკირა პონტოში მდებარეობდა (და არა კოლხეთის ჩრდილოეთში). სტრაბონი, I, 3, 7).

მდ. თერმოდონტი (თერმე-ჩაი) (ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, 1967, გვ. 24) კერასუნტის სამხრეთით მიედინება (იქვე, გვ. 19).

„ხალიბების შემდეგ არის ტომი ასირია, მდინარე თერმოდონტი, ელინური ქალაქი თემისკირა... ელინური ქალაქი კერასუნტი“ (წერს სკილაქს კარიანდელი (იქვე, გვ. 51).

„მდინარე თერმოდონტი ჩამოდის არმონიოსის მთიდან და მიედინება თემისკირის ჭალებში, სადაც ოდესღაც ამაზონები იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ“ (გეორგიკა, I, გვ. 109).

ამიანეს მიხედვით, **თერმოდონტი მდ. ჰალისთან ახლოა და იქ ცხოვრობენ ხალიბები. კერძოდ, თერმოდონტსა და კერასუნტს შორის**. სტრაბონი ხალიბებს ოდნავ ჩრდილოეთით, ტრაპეზუნტთან ათავსებდა (გვ. 151). მათ საზღვრავენ ბიზარები, საპირები, მაკრონები და ფილირები.

თერმოდონტი, თემისკირა, პეტრა, ფაზისი

ნ. ადონცის მიხედვით, იუსტინიანეს ეპოქაში, დ. VII ს. არმენიის ადმინისტრაციული საზღვარი აღწევდა ფაზისამდე. ის წერს – „იუსტინიანეს შემდგომ ეპოქაში „VIIს. დასაწყისიდან იმპერიის ახალი დაყოფის შესაბამისად, ერთ-ერთი ვრცელი ადმინისტრაციული ერთეული იწოდებოდა სომხურად, (მხედველობაში გვაქვს „არმენიაკონი"). მისი საზღვრები გადაშლილი იყო **სინოპიდან ფაზისამდე** და ევფრატამდე. უვრცელესმა რაიონმა, იმ ტერიტორიის მომცველმა, რომელნიც ყოფილ ოლქებს კაპადოკიას, I და II არმენიებსა და პონტოს ეჭირა – მიიღო სახელმწოდება „არმენიაკონი" კონსტანტინე პორფიროგენეტის თანახმად, სომხების სახელის მიხედვით, რომლენიც იქ მეზობლად ცხოვრობდნენ" (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 203).

მაშასადამე, VII ს. დასაწყისში „არმენიაკონის თემის" საზღვარი აღწევდა ფაზისამდე. **თუკი ფაზისი ფოთია, მაშინ ფოთამდე აღწევდა ამ „არმენიის" საზღვარი.**

საბედნიეროდ, ნ. ადონცი ფაზისის ქვეშ ისევე, როგორც ყველა ძველი ავტორი, გულისხმობს არა რიონს, არამედ მდ. ჭოროხს. ეს მდინარე მართლაც იყო ბერძნული ლაზიკის ჩრდილო საზღვარი. საქმე ის იყო, რომ თვით ნ. ადონცის თანახმად, საეკლესიო გეოგრაფიამ შემოინახა იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის დიოკლეტიანესდროინდელი სახე იმით, რომ თავის საჭიროებისთვის იყენებდა მას. ე.ი. **ლაზიკის ძველი სახელი, მისი ტერიტორიის ძველებური გაგება შემოინახა ეკლესიურმა დაყოფამ.**

ნ. ადონცით ლაზიკაში ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში შემავალი ბიზანის, პაიპერტის, კერამევის, ლერიონისა და სხვა საეპისკოპოსოები, შესაბამისი ქალაქები განლაგებულნი იყვნენ თეოდოსიოპოლის-ტრაპეზუნტის შემაერთებელი გზის სანაპირო რეგიონში, ანუ ისტორიული ჭანეთში, მათ მომცველ საეკლესიო ოლქს ეწოდებოდა „სამიტროპოლიტო ლაზიკაში", ანუ სწორედ ამ მხარეებს ერქვა ლაზიკა ბიზანტიური საეკლესიო გეოგრაფიის მიხედვით და არა დასავლეთ საქართველოს. როგორც ჩანს, **ლაზიკა" ბერძნული ეკლესიური გაგებით ერქვა აღნიშნულ რეგიონს (ე.ი. ჭანიკას).**

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ რეგიონში მრავალ პუნქტს ერქვა „ფაზისი". იქ იყო „ფასიანის" საეპისკოპოსო, ფასისის სამიტროპოლიტო, არაქსსაც ფასისი ერქვა – პორფიროგენეტის მიხედვით – ერთი „ფასისი" ყოფილა ტრაპეზუნტთან, ის იყო ასევე თერმოდონტისა და თემისკირას სიახლოვესაც – თემისტიოსის წერილის თანახმად.

ამჟამადაც კი ტრაბზონის ოლქში, როგორც აღინიშნა, მრავალ პუნქტს „ფაზარი" ეწოდება, მაგალითად -„სალპაზარი" -ქ. ტონიას მარცხნივ, ასევე „ესკიპაზარი" ოფთან ახლოს, სხვაა „დერნეკპაზარი" ოფის სამხრეთით (ყველა ტრაბზონის გუბერნიაში), თუ არას ვიტყვით თვითონ ქალაქ „ფაზარზე" რიზესთან ახლოს. ასე რომ ამჟამადაც კი „ფას-ფაზ" ფუძით ტრაბზონის რეგიონში მრავალი პუნქტის სახელი

იწარმოება. ეს ფაქტი იმის შესახებ მიუთითებს, რომ ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ამ რეგიონს ისტორიულადაც ფაზისის რეგიონი ერქვა, ამიტომაც მის მიტროპოლიტს „ტრაპეზუნტელი ანუ ფაზისელი“ ერქვა.

მურიე და კალფოგლუ ფაზისისა და აკამფსისის შესახებ

ფრანგი ორიენტალისტი ჟან მურიე ნაშრომში (ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი, 1962) მიუთითებს, რომ მისი ნაშრომი დაიწერა დიუბუა დე მონპერეს („მოგზაურობა კავკასიის გარშემო“), დ. ბაქრაძის („არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“) და გ. წერეთლის („ჩემი მოგზაურობის“) გამოკვლევათა გამოყენებით.

ჟან მურიეს აზრით, **ბიზანტიელი მწერლები ბათუმთან გამდინარე ჭოროხს მოიხსენიებდნენ ბოასის, ფაზისისა და აკამფსისის სახელით**. ეს, ჩვენი აზრით, არის სწორი შეხედულება, თუმცა კი საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსები მას აკრიტიკებენ და ამბობენ მის შესახებ – „ცხადია, მურიე ვერ გარკვეულა პროკოფი კესარიელის ცნობებში“ (ა. კახიძე, დ. ხახუტაშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისთვის, 1989, გვ. 11).

ჟან მურიე ბათუმს კლარჯეთთან აკავშირებს - ბათუმი კლარჯეთის ნაწილს შეადგენდა XI-XVსს-ში, შემდეგ გადაიქცა ნაწილად გურიისა (1561წ. როსტომ გურიელმა თურქები ხოფადან და არქაბედან განდევნა), ხოლო XVII ს-დან თურქული ლაზეთისა და ბათუმის ოლქის ნაწილია.

სხვა ავტორის კალფოღლუს ნაშრომი – Калфоглу И.И. Древнеишие известия о Батуме в сб. “Известия Кавказского географического общества”, Т. XVIII. вып. 1. 1906 с. 40) შეეხება მდ. ჭოროხს, ბათუმსა და მიმდებარე მხარეებს. მისი აზრით, არიანეს მიერ მოხსენიებული მდინარე აკამფსისი – ჭოროხია. მიაჩნია, რომ თურქების მიერ ტრაპეზუნტის აღებამდე (1461) ბათუმს ეწოდებოდა „ბათისი“, ანუ „ბათი“ (იხ. წიგნში მ. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, მასალები.., 1989, გვ. 14).

ჩვენთვის საინტერესოა, რომ „ბათი“ და „ფოთი“ ეტიმოლოგიურად ახლოა ერთმანეთთან, ბათი – ფათი – ფოთი ან პირიქით ფოთი – ფათი – ბათი. ბათი და ფოთი მსგავსია ეტიმოლოგიურად, ამიტომაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველ ქართულ წყაროში, კერძოდ, გიორგი მთაწმიდელის მიერ ნახსენებ „ფოთში“, სადაც გემით მივიდა ბიზანტიიდან გ. მთაწმიდელი, უნდა იგულისხმებოდეს არა თანამედროვე ფოთი, სადაც, ჩვენი აზრით, იმ დროს ნავსადგური არ იყო ძლიერი დაჭაობების გამო, არამედ თანამედროვე ხუფათი ან ბათუმი, სადაც ნამდვილად იყო ნავსადგურები (ვთქვათ, იქვე, ძველ პეტრაში და მის მახლობლად). კალფოგლუ ბათუმსა და ლაზიკას ერთმანეთს უკავშირებდა, მისი აზრით, **„ბათისის“ მიდამოებში ხდებოდა ირან-ბიზანტიელების შეტაკებები“** (იქვე, გვ. 15). ნავსადგური იყო იმავე რეგიონის პუნქტ ხუფათში. ხუ-ფათი (ხუფათი), ბათი და ფოთი ეტიმოლოგიურად მსგავსნი არიან.

არა ფოთია საპორტო ქალაქი – არამედ „ხუფათი“

ბაგრატ IV კონსტანტინოპოლიდან სამშობლოში, კერძოდ, იმჟამინდელ დედაქალაქ ქუთაისში დაბრუნდა შემდეგი გზით – „გამოგზავნა ბერძენთა მეფემან დიდითა დიდებითა, ნიჭითა და განძითა მიუწვდომელითა და მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა **ზღვისპირსა – ხუფათს** და იყო სიხარული და ღმრთისა მადლობა დიდი, ბრძანა და

შემოვიდა სახლად თვისად ქუთათისს“ (ქ.ც. I, 304).

ე.ი სატახტო ქალაქ **ქუთაისში ბაგრატი შევიდა არა ფოთის მოკლე გზით (რადგანაც არ არსებობდა ასეთი გზა და პორტი), არამედ უფრო შორი და გრძელი – ხუფათ-ქუთაისის გზით.**

ასევე, ხუფათ-არტანუჯ-არტაანის გზით ისარგებლა დავით აღმაშენებელმა და თავისი ლაშქარი ხუფათიდან ტაოში ამ გზით გადაიყვანა თურქებთან საბრძოლველად (ქ.ც. I, გვ. 333). გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში ნახსენები „ფოთი“ უნდა იყოს აღნიშნული „ხუფათი“. ეტიმოლოგიურად ფოთი და ხუფათი ერთმანეთთან ახლოა.

ფასისის ანუ ფასიანის ქვეყანა კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით

ქართული ენციკლოპედიის თანახმად, ფოთი იყო ფაზისის სამიტროპოლიტოს ცენტრი (ქსე, 10, 1986, გვ. 351). მაშასადამე, ფოთი დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ადმინისტრაციული ერთეულის დედაქალაქი ყოფილა, რადგანაც მიტროპოლიტი წესის შესაბამ-ისად პროვინციის დედაქალაქში იჯდა. ჩვენი მეცნიერების თვალსაზრისით, ფაზისი (ფოთი) ლაზიკის (გულისხმობდნენ დასავლეთ საქართველოს) ქალაქი იყო, მაგრამ, რადგანაც ის სამიტროპოლიტოს ცენტრი იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსი, მაშასადამე, ფასისი (ფოთი) ლაზიკის დედაქალაქი ყოფილა VII-VIII საუკუნეებში. ესაა ზღვის დონის მომატების საუკუნეებში, რომელმაც გამოიწვია მდ. რიონის ზღვაში შედინების შეყოვნება და მისი დაგუბება, 1-3 მეტრის სიმაღლეზე მყოფი ფოთის დიდი ნაწილის დატბორვა, ამიტომ საეჭვოა, ფოთი არათუ დედაქალაქი, არამედ საერთოდ ქალაქი ყოფილიყო აღნიშნულ VII-VIII სს-ში. გარდა ამისა, ისეთი უპირველესი მნიშვნელობის წყარო, როგორიცაა 952 წელს დაწერილი კონსტანტინე პორფიროგენეტის ისტორია, არ იძლევა საშუალებას ფაზისი ეწოდოს მხოლოდ და მხოლოდ ერთ მდინარეს, ანდა ერთ რომელიმე კონკრეტულ ქალაქს. **ტრაპეზუნტის მიტროპოლიტმა 787 წლის VII მსოფლიო კრებაზე აქტს სამჯერ მოაწერა ხელი „ტრაპეზუნტის ანუ ფასისის მიტროპოლიტი“** (ПЭ, XIII). კონსტანტინე პორფიროგენეტი X საუკუნეში, ფაზისს უწოდებს მდინარესა და ადგილს ტრაპეზუნტის თითქმის მომიჯნავე მთიან მხარეში, ხოლო „ფასიანს“ – ამ მდინარის მომცველ ქვეყანას. ფასიანი ქართული ბასიანია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ბასიანი მხოლოდ ერთი ნაწილი შეიძლებოდა ყოფილიყო ფასიანის ქვეყნისა, რადგანაც ეს იყო ვრცელი ოლქი, რომელშიც კარინი და თეოდოსიოპოლიც შედიოდა – **„დომესტიკი მოვიდა თეოდოსიოპოლის ციხეში, მოარბია მისი მიდამოები, ფასი-ანის მიწა-წყალი“** (გეოგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 262) ან „იოანე გაემგზავრა ტიმის (დვინის) ციხის წინააღმდეგ. გზაში მან მოარბია მთელი ფასიანი“ (იქვე, გვ. 263). „პორფიროგენეტმა მეფე ლეონმა გაიგო, რომ **იმ ადგილს, რომელსაც ფასიანი ეწოდება, სარკინოზები მივიდ-ნენ და იქაური ეკლესიები ციხეებად გადააქციეს, გაგზავნა ლალაკონი, პატრიკიოსი და არმენიაკთა თემის სტრატეგიოსი კოლონიის სტრატეგიოსითურთ, მესოპოტამიის სტრატეგიოსითურთ და ქალდიის სტრატეგიოსითურთ.... მოარბიეს მთელი ფასიანი, რომელიც მაშინ სარკინოზებს ეჭირათ“ (იქვე, გვ. 261).**

ფასიანის ქვეყნის მდინარეს (არაქსს) კონსტანტინე პორფიროგენეტი უწოდებს მდ. ფასისს და ამასთანავე მრავალჯერ ის წერს – **იბერიისა და ბიზანტიის საზღვრად დაიდო „ერაქსი, ანუ ფასისი“ (იქვე, გვ. 273). „ერაქსი ანუ ფასისი“ კიდევ მრავალჯერ იწოდება მის თხზულებაში.**

ნაწილი III

თავი VIII

ე გ რ ი ს ი

§ 1. სამხრეთ ეგრისი

1. სამხრეთ ეგრისი და ჩრდილო ეგრისი

ქართული წყაროების მიხედვით ეგრისი ერქვა დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს, რომელიც შედიოდა ქართლის სახელმწიფოს შემადგენლობაში მეფე ფარნავაზიდან ვიდრე ვახტანგ გორგასლის შვილებამდე, აღმოჩნდა, რომ არსებობდა ასევე მეორე ეგრისიც, რომელიც ჩვენში შედარებით ნაკლებ იყო ცნობილი, თუმცა მის შესახებაც მოიპოვებოდა ცნობები. მაგალითად, ტრაპეზუნტის სანახებს ჩვენს ძველ წყაროებში X ს. ბოლოსა და XI ს. დასაწყისში ერქვა „სოფელი მეგრელთა", „სამეგრელო", ვახუშტი ჭოროხის შესართავთან მდებარე მხარეს რამდენჯერმე „ეგრს" უწოდებს.

VII ს. „სომხური გეოგრაფია" „ეგრივს" უწოდებს ტრაპეზუნტის სანახებს ჭოროხის შესართავამდე და მისთვის უცნობია რიონისპირა ეგრისი. სომხური წყაროს მიხედვით ეგერთა ქვეყანა ოთხ ნაწილად იყოფოდა. ესენი იყვნენ: **მანრალია, ეგრივი, ლაზივი და ჭანიკი (მანრილი, ეგრევიკი, ლაზივი, ჭანეთი)**

სად მდებარეობდნენ ეს ქვეყნები? სწორედ მათი მდებარეობის განსაზღვრით მივიღებთ სწორ სურათს, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ეპოქის ქართული ისტორიოგრაფია ამ სომხური წყაროს ეგრივის შემადგენელ ოლქებს არ საზღვრავდა სისწორით, ამიტომაც უშვებდა უმძიმეს შეცდომებს, რომელმაც არასწორი გზით წარმართა საქართველოს ისტორიის კვლევა. კერძოდ, მიიჩნევდნენ რომ მანრალია თითქოს იყო არგვეთი. არასწორად საზღვრავდნენ მის (მანრალიის) ადგილს და იღებდნენ არასწორ სურათს.

სამხრეთის ეგრისის ე.ი. ეგრივის დიდი ნაწილი მდებარეობდა არა ზღვის პირზე, არამედ თეოდოსიოპოლის ანუ არზრუმის მიმართულებით და მოიცავდა ვრცელ რეგიონს, კერძოდ, ნ. ადონცი, რომელიც უკეთ იცნობდა სომხურ წყაროებს და სომხეთის მიმდებარე ოლქებს, წერდა, რომ მარდალია და მანრალია მდებარეობდნენ ზიგანა-ბიზანის მხარეებისაკენ, მაშასადამე არზრუმის ოლქის სიღრმეებში.

ბერძნები, რომლებიც შავიზღვისპირის კოლონიზაციას ეწეოდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, ცხადია პირველ რიგში გაეცნენ არა ჩრდილოეთ ეგრისს (ე.ი. რიონისპირეთს), არამედ სამხრეთ ეგრისს (ტრაპეზუნტ-ჭოროხის რეგიონს), უფრო მეტიც, **იკვეთება, რომ ბერძნული მითები და ამბები კოლხიდის შესახებ ეხება ასევე სამხრეთ ეგრესს.**

სამხრეთ ეგრისი იყო ის კოლხიდა, რომელსაც იცნობდა და უმღეროდა ბერძნული პოეზია. **„ჩქარი და მშფოთვარე ფასისი" არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მდინარეს ერქვა!** სამხრეთ ეგრისის რეგიონში ერთი დიდი მდინარე გაედინებოდა ასევე ფასისის სახელით ცნობილი, ეს იყო არაქსი. აღსანიშნავია, რომ არაქსს ასევე ერქვა –ეგრი (ე.ი. არაქსს ერქვა ფაზისი და ეგრი). **სახელწოდება და ტოპონიმი ეგრი არაქსის ხეობაში გვიანობამდე დარჩა.**

არაქსთან ახლოს მდებარეობდა მანრალია (და მარდალია) - ეგრის ანუ სამხრეთ ეგრისის ოლქი სომხური გეოგრაფიის მიხედვით.

სამხრეთის ეგრისი მდებარეობდა იმ საერთაშორისო გზაზე, რომელიც ტრაპეზუნტს სპარსეთთან აერთებდა. ამ გზაზე მდებარეობდა სამხრეთის ეგრისის რეგიონი ჭანეთი (ქალდეა), ასევე აღნიშნული მანრალია და მარდალია. სამხრეთის ეს რაიონები, ისტორიული იბერიის პროვინციების ხორძენას, პარიადრეს ან გუგარქის ნაწილი უნდა ყოფილიყო.ისინი სტრაბონის ცნობით არმენიამ ჩამოაჭრა იბერიას. მათ უკან დასაბრუნებლად ამ მხარეებისაკენ ილაშქრა ფარნავაზმა, ვახტანგ გორგასალმა, დავით კურაპალატმა, გიორგი I-მა. ამ რეგიონის ერთი ნაწილი შემდეგ შედიოდა სამცხე-საათაბაგოში, ნაწილი კი გურიაში.

როგორც ითქვა, სამხრეთის ეგრისი მოიცავდა არზრუმის სამხრეთით მდებარე მხარეებს ვიდრე ტრაპეზუნტამდე და ჭოროხის შესახვევამდე. ამ მიწა-წყალს ვახუშტი მიიჩნევდა „ზემო ქართლის“ ნაწილად და ათავსებდა კლარჯეთში.

ვახუშტი, როგორც აღინიშნა, **კლარჯეთს უწოდებდა არა მიწა-წყალს არტანუჯ-ლიგანისას, არამედ უფრო სამხრეთით მდებარე მხარეებს თორთომიდან - გურჯი ბოღაზამდე, ტრაპეზუნტამდე და ჭოროხის შესართავამდე, ისპირისა და ჭანეთის ჩათვლით.** ასე, რომ „ზემო ქართლის“ ნაწილი ვახუშტისეული კლარჯეთი იგივე სამხრეთ ეგრისია, კლარჯეთი ვახუშტის მიერვე მიიჩნეოდა აზონის მამისეულ ქვეყნად ანუ არიან-ქართლის ნაწილად. არიან-ქართლი - იგივე მეორე ქართლია, ასე, რომ როგორც იყო ორი გეოგრაფიული ქართლი, ერთი მცხეთის ქართლი, მეორე კი არიან-ქართლი, ასევე იყო ორი გეოგრაფიული ეგრისი=რიონის ეგრისი და მეორე - სამხრეთის ანუ ტრაპეზუნტის ეგრისი. „სამხრეთის ეგრისის“, საჭირო ახალი ცნების შემოტანა - სიახლეს შეიტანს საქართველოს ნამდვილი ისტორიის დაწერის საქმეში.

მაშასადამე ვახუშტის კლარჯეთი იგივე სამხრეთ ეგრისია, სულ სხვა გზით იგივეს ამბობდა ნ. მარი. მისი აზრით კლარჯეთის თავდაპირველი მოსახლეობა იყო მეგრელ-ჭანური (თუბალ-კაინური), რომელიც თითქოსდა შემდგომ გასომხდა.

სომხური გეოგრაფიის ეგრევიკს (ანუ ეგრივს) ასევე ლაზიკას უწოდებდნენ, სადაც განლაგებული იყო ზიგანასა და ლაზთა სხვა საეპისკოპოსოები შემდეგდროინ-დელი გიუმუშხანეს მხარეს.

2. „ძველი სომხური გეოგრაფია“.
„ეგრის ქვეყნის“ ადგილმდებარეობის შესახებ

„**ეგრის ქვეყნის**“ ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს „**ძველი სომხური გეოგრაფიიდან**“ ერთი ადგილის სწორად თარგმნას. კერძოდ, სომხური გეოგრაფიის შესაბამის ადგილს სხვადასხვაგვარად თარგმნიან ცნობილი მეცნიერები - პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია, დ. მუსხელიშვილი და ბოლოს ნ. ადონცი.

VII საუკუნით დათარიღებული სომხური გეოგრაფიის რამდენიმე რედაქცია არსებობს.

1. სომხური გეოგრაფიის „მოკლე რედაქციაში“ **დ.მუსხელიშვილ**ის სიტყვით შემდეგს ვკითხულობთ — **„კოლხეთი არის იგივე ეგრისი... შეიცავს ეგრისი ოთხ მცირე ქვეყანას: მანრილი, ეგრევიკა, ლაზივი, ჭანეთი, რომლებიც არიან ხალდები**“.

ვრცელი რედაქცია ამავე წყაროსი უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა. ისიც ჩამოთვლის ზემოხსენებულ პროვინციებს:

„მანვილი (ვარიანტი — მანრილი), ეგრევიკი ანუ საკუთრივ ეგრისი, რომლის კიდეზე არის მდ. ფაზისი, თანამოსახელე ქალაქითურთ და ჭანივი, იგივე ხალდები... აქვს ხუთი ქალაქი: იანი, კოტა, როდოპოლისი, ათინა და რიზონი და სხვა ბევრი ემპორიონები, ანუ ზღვისპირა დაბა-ქალაქები, რომელთა შორისაა ტრაპიზონი" — ასე თარგმნის დ. მუსხელიშვილი სომხურ გეოგრაფიას VII საუკუნისა, რომელიც თავის მხრივ

რუსულად უთარგმნია და გამოუცია ქ. პატკანოვს 1877 წელს (დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 101).

დ. მუსხელიშვილი მიიჩნევს, რომ სომხური გეოგრაფიის **მანრილი** „უნდა ნიშნავდეს ქართულ **მარგვის – არგვეთს**, ხოლო ეგრევიკი საკუთრივ ეგრისს – ანუ ქართული წყაროების „შიდა ეგრისს" (იქვე, გვ. 102). აქედან ჩანს, რომ დ. მუსხელიშვილი არაა დარწმუნებული, რომ „მანრილი" არის არგვეთი, და წერს – „უნდა ნიშნავდეს", მიუხედავად ამისა, შემდგომში ის დაბეჯითებით ავითარებს აზრს, რომ თითქოსდა სომხური გეოგრაფიის ეგრი – დასავლეთ საქართველოა.

2. პ.ინგოროყვა დარწმუნებულია ამ საკითხში და ის შესაბამისად თარგმნის კიდეც აღნიშნულ ადგილს:

„კოლხეთი, ე.ი. ეგრი არის ქვეყანა აზიისა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატიამდე და მდინარე დრაკონიდან ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტოებამდე, რომელიც ჰყოფს მას ივერიიდან... და იგი განიყოფა ოთხ მცირე ქვეყნად: ა) მარ[გ]ველი-ვი, ბ) ეგრევიკი, რომელ არს საკუთრივ ეგრი, ფასისის მდინარის მოსაზღვრედ, ამავე სახელწოდების (ფასისის) ქალაქითურთ, გ) ლაზივი, დ) ჭანივი, რომელიც არის ხალტეთი (ხალდია), აქვეა ხუთი ქალაქი, იანი, კოტა, როდოპოლისი, ათინა, რიზონი და სხვა მრავალნი ნავსადგურნი, ე.ი. ზღვის სანაპირო დაბა-ქალაქნი, რომელთა შორის არის ტრაპეზუნტი" (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 212). პ. ინგოროყვამ მიუთითა 1881 წელს გამოცემული სომხური გეოგრაფია.

აქედან ჩანს, რომ პ. ინგოროყვამ თავისებურად გაიგო წყაროს **„მანრილი"** და უწოდა მას **„მარგველივი"**, რისთვისაც მას დასჭირდა სიტყვა „მანრილში" ერთი ასოს **–„გ"-** განის ჩამატება და „ნ"-ს ამოშლა, რის შედეგადაც მანრილი იქცა მარგველივად ანუ მარგვეთად. ამ მეთოდით გასაგები ხდება, თუ რატომ უწოდა მანრილს პ. ინგოროყვამ მარგვეთი, ვფიქრობ დ. მუსხელიშვილმა გაიმეორა პ. ინგოროყვას თვალსაზრისი, თუმცა ის არ ხსნის, თუ რატომაა წყაროს მანრალი არგვეთი.

3. სხვაგვარია ნ. ადონცის განმარტება იმისა, თუ სინამდვილეში სად მდებარეობდა **„ეგრის ქვეყნის მხარე მანრალია"**.

მანრალია ნ. ადონცის სიტყვით, მდებარეობდა მდ. ჭოროხის სამხრეთით და მოიცავდა ზღვისპირეთს და მთიან ნაწილებს, მდ. ჭოროხის სათავის მხარეს (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 20).

ადონცის თვალსაზრისი სრულიად განსხვავდება ქართველი მეცნიერების მოსაზრებისაგან, ამასთანავე, უნდა ითქვას ის, რომ საქმე ეხება სომხურ წყაროს, რომელსაც უკეთ იცნობდა ნ. ადონცი, აღიარებული მეცნიერი სწორედ ისტორიული გეოგრაფიის სფეროში, მით უმეტეს შავიზღვისპირეთისა.

4. ამ ზემოთ მოყვანილ ორ თარგმანთან შედარებით, ვფიქრობ, უფრო რეალისტურია **ს. ჯანაშია**ს თარგმანი აღნიშნული ადგილისა –

„კოლხეთი, ე.ი. ეგერი, იმყოფება პონტოს ზღვის აღმოსავლეთით, სარმატიის ახლოს, და ივერიისა და დიდი სომხეთის თანამოსაზღვრეა. ეგერი ოთხ პროვინციად იყოფა: მანრილი, ეგრევიკი, ლაზივი, ჭანეთი, ე.ი. ხალდები" (ს. ჯანაშია, ისტორიული სიმართლის დამახინჯება, 1946, გვ. 22).

აქედან ჩანს, რომ სომხურ გეოგრაფიაში აღნიშნულ მხარეს ერქვა მანრილი და არა მარგველივი, ასევე სომხურ გეოგრაფიაში განხილულ მხარეს ერქვა **ეგრი** და არა ეგრისი, მის ერთ-ერთ კუთხეს ერქვა **ეგრევიკი** და არა შიდა ეგრისი.

ნ. ადონცი დაბეჯითებით წერს, რომ ეგრი მდებარეობდა ჭოროხის შესართავთან, და მოიცავდა ჭოროხის მარცხენა სანაპიროს მხარეს. რადგანაც, მისი მსჯელობიდან გამომდინარე-სომხური გეოგრაფიის „ფაზისი" ჭოროხია.

ასევე, ექვთიმე მთაწმიდელი და სხვა ძველი მამები „ფაზისს“ ჭოროხს უწოდებდნენ

ამ წყაროში (**ძველი სომხური გეოგრაფიია**) „სარმატიის“ ქვეშ იგულისხმება დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი, ხოლო მისი „კავკასიის მთა“ – კარჩხალის მთიანეთია (ისტორიულ ოლქ - „საკავკასიძეოსთან" ახლოს), რომლისაგან გამოსული არსიანის ქედი „**ეგერიას გამოყოფდა იბერიისაგან.**“ ამ წყაროში იბერია კოლა-არტაანთან იწყებოდა.ეს წყარო კლარჯეთს ეგერიაში ათავსებდა, ხოლო არტაანს იბერიაში, მათ (ე.ი. ეგერიასა და იბერიას) ერთმანეთისაგან მართლაც ჰყოფს კარჩხალის მთიანეთისაგან გამოსული არსიანის ქედი.

როგორც აღნიშნა ნ. ადონციმ **მანრალია** მდებარეობდა ჭანეთის მახლობლად, კერძოდ, კარინიდან, იგივე კარნუ-ქალაქიდან 40 კმ დაშორებით.

მისი აზრით, სომხური გეოგრაფიის ქვეყანა **ეგრი** მოიცავდა ვრცელ მხარეს მდ. ჭოროხის შესართავის სამხრეთით მდებარეს, ქ. ტრაპეზუნტის ჩათვლით. ამ მხარეს ეკუთვნოდა ჭანეთი და თეოდოსიოპოლისის მხარეები, ანუ ეს იყო ერთიანი შეკრული მხარე. საზოგადოდ არსებობდა ორი ისტორიული მხარე – ერთს ერქვა ეგრისი, მეორეს კი ეგრი. ეგრისი დასავლეთ საქართველოში, ხოლო ეგრი – ტრაპეზუნტთან მდებარეობდა. ეგრს ხშირად ეგრისსაც უწოდებდნენ, ისაა სამხრეთის ეგრისი.

სად მდებარეობდა კოლხეთი აზიაში თუ ევროპაში?

სტრაბონის ცნობით, აზიასა და ევროპას ერთმანეთისაგან ჰყოფდა მდ.ფაზისი - მის მარჯვენა სანაპირო მხარეს ერქვა - ევროპა, ხოლო მარცხენა სანაპირო მხარეს – აზია.

კითხვა ასე დგას - კოლხეთი ფაზისის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა თუ მარცხენა მხარეს?

ამ კითხვის პასუხს გვაძლევს აღნიშნული VII ს.-ის სომხური გეოგრაფია სადაც ნათქვამია - **„კოლხეთი ე.ი. ეგრი არის ქვეყანა აზიისა მდ.ფაზისის ნაპირზე**“.

მაშასადამე **კოლხეთი ფაზისის მარცხენა სანაპიროს, „აზიის ქვეყანა“ იყო, აზია კი ფასისის მარცხენა სანაპიროდან იწყებოდა.**

თუ ფაზისი რიონი იყო მაშინ ზღვისპირა კოლხეთი ანუ ეგრი თანამედროვე გურია ყოფილა,ხოლო თუ ჭოროხი, მაშინ მისი მარცხენა სანაპიროს ქვეყანა ტრაპეზუნტის მიმართულებით.

ვახუშტის ცნობით, **ეგრი ერქვა მხარეს ჭოროხის შესართავთან.** მაშასადამე კოლხეთი ერქვა „სამხრეთ ეგრისის“ ქვეყანას ჭოროხიდან ტრაბზონის მიმართულებით.

სომხური გეოგრაფია, როგორც ითქვა წერს - **„კოლხეთი, ე.ი. ეგრი არის ქვეყანა აზიისა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატიამდე და მდინარე დრაკონიდან ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტოებამდე, რომელიც ჰყოფს მას ივერიიდან“.**

აქ გასაგებადაა აღნიშნული, რომ აზიის ქვეყანა კოლხეთი (ეგრი) სამხრეთიდან შემოსაზღვრულია მდ.დრაკონით, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კავკასიის მთით, რომლის განშტოების იქითაც იბერია მდებარეობს, მის დასავლეთით პონტოს ზღვაა, ჩრდილოეთით სარმატია.

ინტერნეტით გავრცელდა ბ.არუთიუნიანის რუსულენოვანი რუკა,-„სომხეთი „აშხარაცოიც“-ისა და სხვა წყაროთა მიხედვით“(კარტოგრაფი ვ.მხიტარიანი, ინტერნეტ-ვერსია - რ.მაჩკალიანისა). ესაა სომხური გეოგრაფიის მიხედვით შექმნილი რუკა, მაგრამ, თუ უფრო ზუსტი ვიქნებით, უფრო ქართიზაციის თეორიის გამოყენებით. კერძოდ, ავტორის მიერ სიხარულითაა გაზიარებული თვალსაზრისი, რომ „მარლინკი“ (ე.ი მანრილი, მარლინი) არის არგვეთი - იმერეთი, რომ მდ.დრაკონი მდ.ენგურია, შესაბამისად ძალზე ჩრდილოეთით გადმოწია რუკის ავტორმა ისტორიული სომხეთის საზღვრები. ამ რუკაზე სომხეთი მოიცავს აჭარას, შავშეთს, სამცხეს, ჯავახეთს, თრიალეთს-მანგლისის ხეობის ჩათვლით, ზედ თბილისამდე.

მაგრამ თუკი გაზიარებული იქნება ჩემი თვალსაზრისი (სინამდვილეში კი ის ცნობები, რაც მოცემულია სომხურ გეოგრაფიაში), მაშინ სომხეთის საზღვრები საკმაოდ მცირდება, მის დასავლეთით კი აღმოჩნდება სამხრეთ ეგრისის ვრცელი ქართული ქვეყანა, რომელიც აღნიშნული რუკის ავტორმა ბატონმა მხიტარიანმა სომხეთს მიაკუთვნა ისე, რომ სიტყვა „ეგრისი“ არც კი უხსენებია.

ვფიქრობ „ქართიზაციის თეორია“ ძვირფასი საფუძველი აღმოჩნდა სომეხ მეცნიერთა ხელში ისტორიული სომხეთის საზღვრებში საქართველოს კუთხეთა მოსაქცევად.

მაგალითად „გეოგრაფიის“ მიხედვით მდ.დრაკონი მდებარეობდა ეგრის ქვეყნის სამხრეთით და არა ჩრდილოეთით. მართლაც ამავე რუკაზე ჩანს ქალაქი დრაკონისი, ის მდებარეობს სამხრეთით, კერძოდ, ტრაბზონის სამხრეთ-დასავლეთით. ქალაქი დრაკონისი მდებარეობდა ზიგანას უღელტეხილის ახლოს მდებარე ციხე-სიმაგრე არგიოკასტორის დასავლეთით. ამ ქალაქთან გაედინებოდა ერთ-ერთი შენაკადი მდ.გაილკეტისა. აი, ეს შენაკადი უნდა იყოს „გეოგრაფიის“ მდ.დრაკონი. მის მახლობლად (სამხრეთით) მდებარეობდა ქალაქი „ეგარ“ ფუძის მქონე - „ეგეგარიჩი“ ამავე რუკის მიხედვით. ამ რეგიონში მრავალი ტოპონიმია „ეგრ“ ფუძის მქონე. ამ სამხრეთის მდ.დრაკონიდან ჭოროხამდე და არსიანამდე იყო განვრცობილი სამხრეთის ეგრისი. ხოლო ჩრდილო ეგრისი ყუბანამდე და არა ენგურამდე.

რატომ უწოდებს სომხური გეოგრაფია ჩრდილო ეგრისს - სარმატიას?

საქმე ისაა, რომ ვახტანგ გორგასლის შემდეგ აზოვისპირა ჩრდილოური ტომები ბიზანტიამ დაძრა ლაზიკისაკენ, რათა მათ ებრძოლათ სპარსელებთან VI საუკუნესა და VII საუკუნის დასაწყისში. წყაროთა ცნობით ეს ტომები იყვნენ ალანები, საბირები და ასევე სარმატულად მიჩნეული სხვა ტომები. ბიზანტიის დახმარებით მათ ხელში ჩაიგდეს დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი სიმაგრეები, ებრძოდნენ დასავლეთ საქართველოს ქართულ ტომებს (მისიმიელებსა და სხვებს). ამიტომაც ჩანს VII საუკუნის სომხური წყარო ამ საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს სარმატიას უწოდებდა.

არაბთა შემდეგ ბიზანტიის დასუსტებამ ჩრდილო კავკასიაში ასპარეზი გაუხსნა ხაზარებს, რომელნიც ალანებს მტრობდნენ. მათი ზეწოლის შედეგად მომთაბარე ალანებმა მიატოვეს დასავლეთ საქართველოს სიმაგრეები VII ს. ბოლოს.

ეგრს ჰქონდა ხუთი ქალაქი, იანი, კოტა, როდოპოლისი, ათინა, რიზონი, მრავალი ნავსადგური, ე.ი. ზღვის სანაპირო დაბა-ქალაქი, რომელთა შორის იყო ტრაპეზუნტი. ეგრს ეკუთვნოდა ქ.ფაზისი, მდებარე მდ.ფაზისის (ჭოროხის) შესართავთან მის მარცხენა სანაპიროზე.

ყველა ეს ქალაქი თუ ნავსადგური ფაზისის ანუ ჭოროხის მარცხენა სანაპიროს მხარეს მდებარეობდა, რადგანაც ეგრი აზიის ქვეყანა იყო.

ამიტომ, მანრილი, ეგრევიკი, ჭანეთი და ლაზივი ჭოროხის მარცხენა სანაპიროს ქვეყნები იყვნენ. სად მდებარეობდნენ ისინი?

ჭანეთის ადგილმდებარეობას თვითონ გვამცნობს წყარო - ჭანები ხალდები (ქალდები) ყოფილან. ქალდეა ზიგანასა და სხვა მეზობელ კუთხეებს მოიცავდა რიზე-ტრაბზონის სამხრეთის მთიანეთის რეგიონში.

ეგრის (ეგერის) ნაწილი იყო მანრილი. როგორც ითქვა, ის მდებარეობდა ამ მთიანეთსა და თეოდოსიოპოლისს (არზრუმს) შორის.

ეგრი-ეგერის ყველაზე ჩრდილო ნაწილი იყო ეგრევიკი, უშუალოდ ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე.

სად მდებარეობდა ლაზივი-ლაზიკა? - რადგანაც ტრაბზონიც ეგრის ქალაქი იყო, ჩანს ზღვისპირი ტრაბზონიდან ეგრევიკამდე ლაზივად იწოდებოდა (საფიქრებელია ხუფათამდე, რადგანაც ის იუსტინიანეს მეფობის ერთ პერიოდში სასაზღვრო პუნქტი იყო).

ყველა ეს პატარა მხარე (მანრილი, ლაზივი, ჭანიკა-ჭანეთი და ეგრევიკი) ქმნიდა ერთ დიდ ქვეყანას ეგრს ანუ ეგერ-კოლხეთს. ეს მხარეები ერთმანეთის გვერ-დიგვერდ მდებარეობდნენ ჭოროხის მარცხენა სანაპიროდან ტრაპეზუნტის ჩათვლით და აღნიშნული ქალაქებიც - იანი, კოტა, როდოპოლისი, ათინა და რიზონიც იქვე მდებარეობდნენ.

3. მანრალიის ადგილმდებარეობა ნ. ადონცის მიხედვით

„თავის საცხოვრებელ გარემოში ვითარდება ყოველი ეროვნება, ამიტომ ეს ერის ცხოვრების ისტორიული პროცესის განმავითარებელი ერთ-ერთი ფაქტორია, რომელშიც ყალ-იბდება ხალხის ინდივიდუალური სახე და ისაზღვრება თავისებურება მის მიერ განვილილი გზისა. ამის გამო **გარემოს ანალიზი წინ უნდა უძღოდეს ყველა სახის კვლევას ისტორიისა“** – წერს ნ.ადონცი (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 1)

„სასაზღვრო ხაზი ბიზანტიურ (რომაულ) და სპარსულ არმენიას შორის გადიოდა თეოდოსიოპოლისის (არზრუმის) ჩრდილოეთით და ნიზიბინის სამხრეთით (თეოდოსოპოლისი რომაულ არმენიაში, ხოლო ნიზიბინი სპარსულში იყო მოქცეული).

ნიზიბინის ახლოს, ჩრდილო მხარეს, ბიზანტიურ ნაწილში მოქცეული იყო ქალაქი **დარა,** იმპერატორ ანასტასის დროიდან გამაგრებული ციხე-ქალაქი (მას ეწოდებოდა კიდეც ანასტა-სიოპოლისი, დაბა ნიზიბინიდან 98 სტადიონით იყო დაშორებული), ბიზანტია-სპარსეთის საზღვარზე მდ. ნიმფაზე მდებარეობდა **მარტიროპოლი**სი – ის მდებარეობდა სოფანენაში (იგივე არქსინა), ამიდის ჩრდილოეთით „ერთი დღის გზაზე, რაც უდრის 210 სტადიონს“. დაახლ. 36-37 კმ.

„ხოსრომ გაიარა დარადან არმენიაში და შევიდა ვასპურაკანის ქვეყანაში“ (გვ. 8). პროკოფის აღწერით, მარტიროპოლისთან იყო ადგილი ფეისი სოფანენაში (არმენია), ნახევარი დღის გზაზე (ე.ი. 210/2) – დაახლოებით 8 მილზე – იქ გაუვალი ქედები ერთმანეთს უახლოვდებიან და ქმნიან ორ უღელტეხილს, რომელნიც ერთმანეთთან ახლოს არიან და იწოდებიან **კლეისურე-ბად.** თუ კაცი მიემართება პერსარმენიიდან სოფანენაში, ამ გადასასვლელებით უნდა ისარგებ-ლოს. ერთ-ერთს უწოდებენ ილირისს, მეორეს **საფხაზს“ (**Aed, III, გვ. 250). იუსტინიანემ გაამაგრა ფეისი და **კლეისურები.**

ევფრატის ვაკეზე თეოდოსიოპოლისის მხარეს სპარსულ-ბიზანტიური ოლქები ხორძიანას ემიჯნებოდა, მდ. გაილთან (ახლანდელი კეგი). ხორძიანა იყო მეოთხე არმენიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში. ხორძიანას დასავლეთით პალნატუნი მდებარეობდა. მის სამხრეთით იყო ბალახვიტი ტიგროსის სათავეებში.

ხორძიანის მეზობლად მდებარეობდნენ კანტონები **მარდალიქი** და მანალიქი, რომელთა სახელები თავისი შემადგენლობით უახლოვდება არტალიქ-არტალის-არტალესონს, (ე.ი. მარდალ-იქიდან-არტალესონი, მანალიქიდან-მანარილ-მანრალია).

მარდალია – განფენილი იყო კარინამდე. მახლობლად იღებს სათავეს **არაქსი, რომელსაც ამჟამად ეგრი ანუ არაზი ჰქვია და იქვეა მანრალია** (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 20).

[მაშასადამე, არაქსს ერქვა ფაზისი, შემდეგ ეგრი, იქ მის სათავესთან იყო მანრალია]

4. მანრალიის გეოგრაფია

„მარდალიას ხალხალის ქედი ჰყოფდა პერსარმენიისგან. ხალხალის ქედს კუთხით ესაზღვრებოდა დასავლეთის მხრიდან – მანრალია“ (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 20).

ხალხალის ქედს ესაზღვრებოდა ხორძიანა, მანრალია და მარდალია, რომელიც ძველად არტალიად (არტალესონად) იწოდებოდა (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 20). მანრალი მდებარეობდა მხარე ხორძიანასთან „В гору Халхал упирались углом с запада **Манралія,** с юга Хордзиана“ (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 20). ეგერის ერთ-ერთი მხარე „მანრალიის“ შესახებ ნ. ადონცი წერს: – „Нам кажется, что часть Хордзіаны, примыкавшая при горе Халхаль к **Манралии** и Мардалии, носила родственное им имя Арталія, Арталик“ (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 20).

იმ ოლქს, რომელსაც ნ.ადონცი მანრალიას უწოდებს, ზემოთ აღნიშნულ ბარუთუნიანის არმენიის VII ს. რუკაზე ეწოდება „მანანაღი“. ამ ოლქს (მანანაღს) უშუალოდ ესაზღვრება ოლქი „მარდაღი“(მარდალია). რუკაზე ამ ოლქს შორისაა ქედი „მეგედუგხი“. ადონცის ცნობით მანრალიასა და მარდალიას შორის მოთავსებულ ქედს, ადონცის ცნობით ებრჯინებოდა ოლქი ხორძიანა, მართლაც ამ რუკაზე ქედი „მეგედუგხი“ ერთმანეთისაგან ყოფს ხორძიანას, მანანაღისა და მარდაღის ოლქებს. მაშასადამე მარდალია არის ამ რუკის ოლქი მარდაღი (მარდაგი), ხოლო მანრალია ამ რუკის მანანაღი(მანანაგი), რომლებიც ესაზღვრებიან ხორძიანას, სამივე ეს ოლქი, როგორც ითქვა, ებჯინება მეგედუგხის ანუ ხალხალის მთებს, რომელსაც თურქულ რუკაზე „კარაგიოლის მთები“ ეწოდება, ერზრუმის სამხრეთით.

აღსანიშნავია, რომ ბარუთუნიანის რუკაზე „მანრილკი“ ჰქვია მხარეს ქვემო იმერთში, შორაპანთან, „არგუელკის (მარგუელკის)“ ქვემოთ (იგულისხმება არგვეთი). რუკაზე ისინი დატანილია ქართველი ისტორიკოსების გავლენით, მათ (რუკის ავტორებს) ამით სომხეთის ტერიტორიის გაზრდის საშუალება მიეცათ. ამავე დროს რუკის ლეგენდაში „არგუელკ“ (არგვეთი) გამოცხადებულია, როგორც „სატომო კავშირი“ („პლემენნიე სოიუზ“), მაშინ, როცა სინამდვილეში არგვეთი ქრისტეშობამდე მესამე საუკუნიდან იბერიის სამეფოს ნაწილს შეადგენდა.

„არტალესონი (ხორძიანაში) იხსენიება ხოსროს 576 წლის ლაშქრობის გზაზე, როცა მან არმენიაში ბასიანი გაიარა და რომის საზღვრებში შეიჭრა თეოდოსიოპოლისის მხრიდან (მენანდრე). არტალესიონთან ახლოს მდებარეობდა კიტარიზომი“ (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 21).

542 წლის ხოსროს ლაშქრობას ნ. ადონცი უწოდებს Двинский поход – დვინის ლაშქრობა (ნ.ადონცი, არმენია გვ. 21). ამ წელს რომული ჯარი იდგა კიტარიზში, ხორძიანში (არტალესში) და მესამე – ფისში.

კიტარიზი უნდა ყოფილიყო სირიასა და არმენიას შორის. ჩრდილოეთით სასაზღვრო ხაზი ბიზანტია-სპარსეთს შორის გადიოდა **მარდალიის** იქით თეოდოსიოპოლისის რაიონში, მიჰყვებოდა ქედს, გადაჭიმულს თეოდოსიოპოლისიდან ჭოროხამდე. ეს ქედი ჯერ ერზრუმის მარჯვნიდან მიემართება ჩრდილოეთით დავაბიუნსკიადან, შემდეგ კარგაბაზრის მთებში, რომელიც დასავლეთისაკენ გადაიხრება და უერთდება დუმლის ქედს. კარგაბაზრის ქედის მწვერვალი **კანდილი** (10230 ფუტი) – ყველაზე მაღალი წერტილია მთათა ამ ჯაჭვისა (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 22).

დუმლის ქედი ერზრუმის ქვემოთაა გადაჭიმული და მიემართება ჭოროხის სანაპიროსკენ **სპერის** მაღლა. ამ სასაზღვრო ხაზზე **ბასიანი და ტაიქი** (თავისი კანტონებით ბუხა და

ოკალით) სპარსულ ნაწილში შედიოდა, რომაულში კი **კარინი** და შალაგომი იყო. ზედ საზღვარზე, კარინსა და ბასიანს შუა, იყო სოფელი **დუ** (იქვე, გვ. 23). ასევე აქვე იყო სოფელი **ვარდიშენი** – ბასიანთან და კარინთან (გვ. 23).

სოფელი დუ ერზრუმიდან ახლოს ახლაცაა. ეს იმითაა საინტერესო, რომ სოფელი **დუვი** დავით და ტირიჭანის ცხოვრების ადგილია.

ახლა ამ სოფელს ტუია ეწოდება.

კანდილის მწვერვალთან, ზედ საზღვარზე იყო სოფელი ცაგკი, უფრო მაღლა, მდ. თორთომის ვაკეზეა სოფელი გეგიკი და **ვარდიშენი**, აქ იყო რომაული კანტონი შალაგომი – კარინსა და სპერს შუა. საპირისპირო სპარსულ მხარეს ბასიანში, თეოდოპოლისთან, იყო ბოლის ციხე **ვალაშკერტის** ახლოს (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 24).

5. მანრალია – ლაზიკა

სომხური გეოგრაფია, როგორც ითქვა, წერს – „კოლხეთი, ე.ი. **ეგერი** იმყოფება პონტოს ზღვის აღმოსავლეთით, სარმატიის ახლოს და ივერიისა და დიდი სომხეთის თანამოსაზღვრეა. ეგერი ოთხ პროვინციად იყოფა: **მანრილი, ეგრევიკი, ლაზივი და ჭანეთი, ე.ი. ხალდები**" (ს. ჯანაშია, ისტ. სიმართლის დამახინჯება, 1946, გვ. 222).

ნ. ადონცის მიხედვით, **მანრალია მდებარეობდა** არა დასავლეთ საქართველოში, არამედ **ხალხალის მთასთან**, ძველი ტრაპეზუნტისა და თეოდოსიოპოლისს (არზრუმს) შორის. მარდალიის გვერდით მართალია მანრალიის ადგილმებარეობის განსაზღვრა ძნელია, მაგრამ ის მარდალიასთან მდებარეობდა, მარდალიის ადგილმდებარეობა კი ცნობილია - ის თეოდოსიოპოლთან ახლოს იყო, ხალხალის მთასთან.

ნ.ადონცი წერს - „**არზრუმი**დან 40 კმ-ის დაშორებით აღმართულია **ხალხალის მთა,** რომელიც საზღვრავს **ხორძიანას** ჩრდილოეთიდან.

ხორძიანადან გაედინება მდ. გაილი. **ხორძიანა, სომხური გეოგრაფიის ცნობით, შედიოდა ე.წ. IV არმენიის ჩრდილო-აღმოსავლეთში**.

ხალხალის მთა, ამასთანავე, წარმოადგენდა საზღვარს სპარსულ არმენიასა და მარდალიას შორის. ამავე ხალხალს ებჯინებოდა დასავლეთიდან **მანრალია.** ნ. ადონცის სიტყვით, ხორძიანას ნაწილს, რომელიც **მანრალიასთან** მდებარეობდა, ძველად **არტალია** ერქვა, ციხე-სიმაგრე არტალესონის თანამოსახელე (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 20). (იხ. პროკოფი, „შენობათა შესახებ", 2006, გვ. 101).

ასე რომ, „მანრალია" და ქართული ეგრისი სულ სხვადასხვა ქვეყნებია. სომხური გეოგრაფიის ცნობით, კოლხეთი ანუ ეგერი (ანუ ლაზიკა) მდებარეობდა ტრაპეზუნტსა და არზრუმს შორის (მასში შედიოდა თანამედროვე გიუმიშხანე, ბაიბერდი, კელკიტი, აშკალე, მაშასადამე, ქვეყანა მოქცეული თანამედროვე ტრაპიზონსა, არზრუმსა, ისპირსა და ერზინჯანს შორის. აღსანიშნავია, რომ **აქ იყვნენ განლაგებულნი ნოტიციების „ლაზიკის" ქვეყნის ეპარქიები, ნ.ადონცის ცნობით.**

აღსანიშნავია, რომ ორი განსხვავებული წყარო – „სომხური გეოგრაფია" და ბერძნული „ნოტიციები" თანხვედრილია ლაზიკის გეოგრაფიის საკითხში.

"პრავოსლავნაია ენციკლოპედიას" - ПЭ-ს ე.წ. სომხურ-ქალკედონური ეპარქიების უმეტესობაც ამ რეგიონშია მითითებული.

სომხური გეოგრაფიის „სარმატია" არის დასავლეთ საქართველო. ის არის „ლაზიკის" ერთი საზღვარი, მეორეა – ივერია, მესამე – „დიდი სომხეთი". სომხური გეოგრაფიით „დიდი სომხეთი" ეწოდებოდა ე.წ. სპარსულ არმენიას. ის ესაზღვრებოდა ე.წ. დასავლეთ არმენიას, ანუ ბიზანტიურ არმენიას. მაშასადამე, ლაზეთი მოიაზრება არმენიის ქვეყნად, რომელიც აღნიშნულ საზღვრებშია.

6. ეგრი და მანრალია

მდ. არაქსს ასევე ერქვა სხვა სახელებიც, ფაზისი, ეგრი და არაზი. ცხადია, იგულისხმება არაქსის ზემოწელი, ამ არეალში მდინარის სახელწოდება ეგრი ნიშნეულია იმით, რომ იქვეა ოლქები **მანრალია** და მარდალია. მარდალიას ეჭირა ოლქი მდინარეებს არაზს, ლიჩიკსა და ტუზლას შორის ხალხალის ქედთან, ხოლო „**მანრალიას" ოლქი, ასევე, ემიჯნებოდა ხალხალის ქედს.** იქვე იყო ხორძიანის ოლქი, ნ. ადონცის აზრით, ისინი ძველად არტალიის, არტალესონის სახელით იხსენიებოდნენ დასავლეთ ანუ ბიზანტიურ არმენიაში, პერსარმენიასთან ახლოს (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 20).

როგორც ითქვა, **კანდილის (შდრ. სკანდა)** მთის ჩრდილოეთით მდ. თორთუმის ხეობაში იყვნენ სოფელი **ვარდიშენი** და გეგიკი – კარინს და სპერს შუა.

ხოლო **თეოდოსიოპოლისი ბასიანის ოლქშია**.

პუნქტი ფარანგია, სადაც ოქრო მოიპოვებოდა, იყო ჭანიკის საზღვართან**სადაც იღებს სათავეს მდ. ბოა (ვოა), ესაა მდ. ჭოროხის ზემო დინება** (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 25).

აღნიშნული ფარანგიონი – სპერშია (სისპირისში).

ჭანიკას ასევე ქალდეა (ხალდეა) ერქვა. ის იყო ხალდების (ჭანების) ქვეყანა (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 26). – პარხარის ქედზე, ჭოროხის ხეობაში. **ჭანიკა ტაოს ესაზღვრებოდა ფარანგიონ-ისპირიდან თუხარისამდე (ამჟამინდელი ხერესი)** (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 26).. გუგარენას კანტონამდე (გვ. 26) და კლარჯეთამდე.

შემდეგ მდ. ჭოროხი შედიოდა ეგრ-ეგერიაში, როგორც წერს სომხური გეოგრაფია (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში გვ. 26). ჯერ ჭოროხი გაივლიდა კანტონებს ნიგალს, მრულს და მრიტს და შედიოდა ზღვაში.

ნ. ადონცის აზრით, **სახელწოდება ეგერი, ეგერია ამჟამად შემონახულია ფორმით აჭარა (აჭარია)** – ხორხისმიერი „გ"-ს პალატურ „ჭ"-ში გადასვლის გამო (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 26). ჭოროხის აღმოსავლეთი სანაპირო – ტაო და კლარჯეთი სპარსელებს ეჭირათ.

ჭანეთს ეგერთან ერთად გარკვეული თავისუფლება ჰქონდა, თუმცა „რომაულ მიწად" იწოდებოდა, მაგრამ მხოლოდ იუსტინიანეს დროს იქნენ დაპყრობილნი და ვალდებულნი გახდნენ ეცნოთ იმპერატორის ხელისუფლება, რომელმაც ააგო **პეტრას ციხე ლაზიკის ბოლოში**, ზღვისპირზე, ჭოროხის შესართავთან (გვ. 27). პეტრა – იყო ლაზიკის ბოლო და ასევე იმპერიის ბოლო, იმპერიის საზღვარი იუსტინიანეს ეპოქაში (გვ. 27).

ე.ი. ნიზიბინიდან ჭოროხამდე, რომაელთა თვალსაზრისით, სომხური მიწები ორად – დასავლეთად და აღმოსავლეთად, რომაულ სომხეთად და პერსარმენიად იყვნენ გაყოფილნი (გვ. იყო, 27). ხოლო **ლაზიკის უკიდურესი ჩრდილოეთი პეტრას ციხე იმპერიის ბოლო იყო.**

7. ეგერ-ეგრისი

ზაქარია რიტორი თავისი შრომის ბოლო თავში, ნ. ადონცის სიტყვით, წერს იმ 5 მორწმუნე ხალხის ქვეყნების შესახებ, რომლებიც „ჩრდილოეთში" ცხოვრობდნენ. მათ შორისაა „ქვეყანა გურზანი". ნ. ადონცი განმარტავს – „გურზანი, ე.ი. იბერია. არანი, ე.ი. ალბანია" (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 219).

ნ.ადონცი წერს ჭოროხის შესართავის მიმდებარე მხარის სახელის შესახებ – „**შემდეგ მდინარე ჭოროხი შედის ეგერში, ეგერიაში, როგორც აღწერს სომხური გეოგრაფია,**

რომელიც იქამდე გაივლის ნიგალის, მრულისა და მრიტის კანტონებში და ჩაედინება ზღვაში“ (იქვე, გვ. 26). ასევე წერს – „ნიგალის სახელი შემოინახა, როგორც გვეჩვენება, მდ. მურღულის სახელმა, რომელიც ჭოროხს მარცხნიდან უერთდება ართვინის ქვემოთ. ერთ-ერთ შენაკადს მდ. აჭარისა ეწოდება მარატი, მსგავსი მრუტისა, ხოლო მრული შეიძლება შევადაროთ იმერხევს – „მერული“ (იქვე, გვ. 26). **მაშასადამე, „ეგერის“ ოლქი ერქვა ჭოროხის შესართავთან მდებარე მხარეს.**

ნ. ადონცის სიტყვით, როგორც ითქვა, სახელწოდება „**ეგერი, ეგერია**“ **შემონახულია ამჟამად „აჭარის“ ფორმით, რადგანაც ხორხისმიერი „გ“ პალატურ „ჭ“-ში გადაიზარდა.**

ტერმინი „ეგერია“ სომხურ გეოგრაფიაში უფრო ფართო აზრით გამოიყენება და აღნიშნავს მთელი შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროს აფხაზეთიდან – ტრაპეზუნტამდე, ჭანეთის ჩათვლით.

VI ს.-ში, ჭოროხის აღმოსავლეთი სანაპირო, ე.ი. **ტაო და კლარჯეთი, იყო სპარსელების ხელში** – წერს ნ. ადონცი (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 27) და შემდეგ განაგრძობს – „ჭანიკა და მთელი **ეგერია**, აღნიშნული ფართო აზრით რომ ვთქვათ, შედარებით თავისთავადი იყო“ (იქვე, გვ. 27); ე.ი. სპარსელთა და რომაელთა მიერ ქვეყნების გადანაწილების დროს შედარებით თავისთავადობით სარგებლობდნენ (ჭანიკა და ეგერია).

ე.ი. **ჭოროხის შესართავს, ნ. ადონცი ეგერიას უწოდებს, მაგრამ ის შედიოდა ლაზიკაში, კერძოდ, მისი აზრით, პეტრა – ლაზიკის სანაპიროზე იყო აშენებული (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ.27).**

პეტრა, ნ.ადონცის აზრით, ლაზიკის ჩრდილოეთით, ჭოროხის შესართავთან მდებარეობდა (და არა ლაზიკის სამხრეთით – როგორც ამჟამადაა მიღებული). ამასთანავე, პეტრა იმპერიის საზღვარს წარმოადგენდა (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 27), ანუ აქ ეხებოდა ერთმანეთს ბიზანტიის იმპერატორისა და სპარსეთის შაჰების გავლენის სფეროთა ხაზები, მთელი საუკუნის მანძილზე ისინი ებრძოდნენ ერთმანეთს ამ მხარის დასაუფლებლად.

როგორც ავღნიშნეთ, ტრაპეზუნტის მხარეს ქართველები „სოფელი მეგრელთა“ სახელს უწოდებდნენ, ხოლო ქართველი მემატიანეებისთვის ეგრისი ერქვა საქართველოს ზღვის სანაპიროს.

8. ეგერია ნ. ადონცის მიხედვით

„ჭანიკა ანუ ხალდია“ – ჭანების ანუ ხალდების ქვეყანას ეჭირა მთიანი მხარე, რომელსაც ქმნის პარხალის ქედი მდ. ჭოროხსა და შავი ზღვის სანაპირო ზოლს შორის ტრაპეზუნტამდე.

ჭოროხის ბარში ჭანიკას ესაზღვრებოდა ტაო – ფარანგიონისპირიდან თუხარისის ციხესიმაგრემდე, შემდეგ ჭანიკა ესაზღვრებოდა გუგარენას კანტონს და კლარჯეთს მდ. არტანუჯზე.

„შემდეგ მდ. ჭოროხი შედის **ეგერში – ეგერიაში, როგორც „სომხური გეოგრაფია აღწერს“, იქამდე კი გაივლის ნიგალის და მრულის** (მრილის) კანტონებს და ჩაედინება ზღვაში“ (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 26).

ნიგალის სახელი, ნ.ადონცის აზრით, შეინარჩუნა მდინარე მურღულმა, რომელიც ჭოროხს უერთდება ართვინის ქვემოთ მარცხენა მხრიდან.

VI ს.-ში, როგორც ითქვა, ჭოროხის აღმოსავლეთი მხარე, - **კლარჯეთი და ტაო, ეკუთვნოდა სპარსელებს, ხოლო ჭანიკა და, საერთოდ, ეგერია, თუმცა რომაულ მიწებზე მდებარეობდნენ, სარგებლობდნენ თავისუფლებით. მათ მხოლოდ იუსტინიანეს ეპოქა-**

ში აღიარეს საიმპერატორო ხელისუფლება. იუსტინიანემ ლაზიკის ბოლოში ააგო პეტრას ციხე, ზღვისპირას, ჭოროხის ჩრდილო შესართავთან.

ნ.ადონცი წერს, **VI ს.-ში, პეტრა შეიძლება ჩავთვალოთ იმპერიის საზღვრად, რომელიც აცალკევებდა იმპერატორისა და სპარს მეფეთა გავლენას. სინამდვილეში, მათ შორის ომი იყო გაჩაღებული ამ მხარის დაუფლებისთვის მთელი 100 წლის მანძილზე**".

მაშასადამე, „სომხური გეოგრაფიის" მხარეები - **მანრილი, ეგრევიკი, ლაზივი და ჭანეთი მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის მხარეს ჭოროხამდე** (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 26-27).

9. ერგეს ქვეყანა – ვახუშტის მიხედვით

ერგე, ანუ ეგრი, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ერქვა მიწა-წყალს ჭოროხის შესართავთან. მას მოიხსენიებს VII საუკუნის სომხური გეოგრაფია, ასევე ბატონიშვილი ვახუშტი.

ვახუშტის ცნობიდან შეიძლება გავიგოთ, რომ ერგე მდებარეობდა ჭოროხის შესართავთან იმ ადგილთან ახლოს, სადაც ჭოროხს უერთდება აჭარისწყალი.

ჭოროხი „**დის ფრიად ჩქარად, ქვიანსა, კლდიანსა და ხრამოვანსა შინა, სასმისად შემრგო, გემოიანი**, სხვებრ ურგები, ვინაიდგან არა რაი კეთდების ანუ ირწყვის თვინიერ ერგეს, გონიას და ბათომს, არამედ ვინაითგან აღვსწერენით ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებთ, აჭარისწყლის შესართავიდამ" (ვახუშტი, ქც. IV, გვ. 676). არიანეს, სტრაბონის, პროკოფისა და სხვა ავტორთა ცნობით მდ.ფაზისი ასევე იყო სასმელად ვარგისი და გემრიელი, ის მიედინებიდა კლდეთა შორის დიდი სიჩქარით ხმოვანებით. იმავეს წერს ვახუშტი ჭოროხის შესახებ, რაც შეეხება მდ.რიონს ის ქუთაისიდან ზღვამდე არა კლდეთა შორის, არამედ ვაკეზე მიედინებოდა დაუსრულებელ ჭაობებში, ამიტომაც, როგორც სხვა ყველა ჭაობის უვარგისი იყო სასმელად.

ვახუტი წერს - „ლიგნის ხეობისათვის": - „ართვინის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე ჭოროხის ხეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლიგნის ხეობად და არს ეს ლიგნის ხეობა თვინიერ სივიწროვისა ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით, ბროწეულით, ლეღვით, ვენახით, ხილით შემკობილი და ქებულნი ბუნებურნი ყოველივე. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს" (ქც, IV, გვ. 680).

ვახუტი ასევე წერს:-

„გურიისათვის"... „ზღვის შესართავზედ და ჭოროხის ჩრდილოეთ კიდურზედ არს ბათომი... ამას ზეით, ჭოროხის ჩრდილოსავე კიდესსა ზედა არს **ერგე**" (იქვე, გვ. 792).

„და ბათომს, გონიას და **ერგეს** ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა" (იქვე, 793). ერგე და ლიგანია ის ყოველმხრივ ნაყოფიერი მოხირისი, რომლის შესახებაც წერდა პროკოფი.

სომხურ გეოგრაფიაში (VII ს. ჭოროხის შესართავს ეწოდება „**ეგრი**", ვახუშტისთან „**ერგე**".

„ერგე" ეტიმოლოგიურად ახლოა სიტყვებთან „არგვეთი", „მარგალი" და სხვა. „ეგრი" კი სიტყვებთან „ეგრისი", „გურია" და სხვა.

როგორც ითქვა, ვახუშტის **„ლიგნის ხეობა"** თავისი უხვნაყოფიერებით წააგავს პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილ ქვეყანა „**მოხირისს**".

ვახუშტის ჭოროხი, სიჩქარით და გემოიანობით მიაგავს პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილ მდ. ფასისს. პროკოფის კლდოვანი ლაზიკა უნდა იყოს კლარჯეთი, ხოლო მოხირისი – ერგე-ლიგანი.

10. ეგრი – ჭოროხის ხეობა ივ. ჯავახიშვილის მიხედვით

აჭარაში, ბათუმთან ახლოს, მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე ამჟამადაც არის პუნქტი „ერგე“ (იქვეა სოფლები – მახო და აჭარისწყალი). ეს უკანასკნელი ჭოროხისა და მდ. აჭარისწყლის შეერთების ადგილასაა, ოღონდ მარჯვენა სანაპიროზე, ოდესღაც VI საუკუნეში აჭარისწყლისა (დოკონისისა) და ჭოროხის (ფასისი) შეერთების ადგილას ყოფილა პუნქტი „ნესოსი“.

ივ. ჯავახიშვილი წერს – „რაკი ქართულ წყაროებში სრულებით გარკვევით წერია, რომ კლარჯეთი ზღვამდის აღწევდა, ამიტომ ისე გამოდის, რომ „ხევი ნიგალისა“ (სუმბატის უწყება), ანუ „ნიგალი“ (მატიანე ქართლისა) კლარჯეთის ერთი ნაწილთაგანია“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. II, გვ. 63). მაშასადამე, ისტორიულად, ლიგანი (ლივანა) იყო ნაწილი კლარჯეთისა.

ეტიმოლოგიურად ახლოა არტაანში მდებარე სოფელი „მგლოვანი“ და ნიგალი. იყო ასევე სოფელი „მგლინავი“, ხოლო შავშეთში სოფელი „ნორგიალი“. ამავე ფუძისაა სტრაბონის მდგლავკოსი, ფაზისის შენაკადი.

კლარჯეთის ნაწილი ყოფილა ასევე ნიგალსა და ზღვას შუა მდებარე „ეგრი“, ანუ „ერგე“. ვახუშტის დროსაც აქ იყო „ერგე“.

ივ. ჯავახიშვილი წერს – **„სომხური უსახელო გეოგრაფიიდან ჩანს, რომ კლარჯეთის გვერდით „ეგრი“ მდებარეობდა. ეგრზე მიმდინარეობდა ჭოროხი** (იქვე, გვ. 63).

შუა საუკუნეებში ბათუმსა და ნიგალს ანუ ლიგანს აქეთ მდებარე სანაპირო გურიად იწოდებოდა (ქვემო გურია), ეტიმოლოგიურად „ეგრი“ „ერგე“ და გურია ახლოა ერთმანეთთან და ერთი ფუძე „გრ“ და „რგ“ აქვთ.

11. ლაზიკის ლოკალიზაცია ძველი ავტორების მიერ

„სომხური გეოგრაფიის“ **ჭანიკა და ლაზიკა ტრაპეზუნტთან მდებარე ერთიანი ქვეყნის ნაწილებია, ერთმანეთს ზოგჯერ ფარავენ კიდეც.** ისინი და იქვე, ტრაპეზუნტის ოლქში მდებარე ეგერია – კოლხიდის ნაწილებია.

ქვეყანა ეგრი განიყოფა ლაზიკად და ჭანიკად და ის ტრაპეზუნტთან მდებარეობს – ასე იკითხება „სომხური გეოგრაფია“ VII-IX საუკუნეებისა, ასევე იგებს მას ი. მანანდიანიც – „В Армянской географии“ **Джаник**, Т.Е. страна цанов, или что **то же - Лазов,** находившийся в районе Трапезунтской области, **был составной частью Егерии - Колхиды“** (Я. Манандян, Маршруты персидских походов Императора Ираклия, Византиийский Вестрик, Т. III, 1950, стр. 148).

სომხური გეოგრაფიით ჭანიკა, ლაზიკა და კოლხიდა ტრაპეზუნტის ოლქში მდებარეობდნენ და მათ ყველას ერთად ეგერია ეწოდებოდათ - მანანდიანის კვლევით.

მთაწმიდიდან გამოსული წყაროს ცნობით – ჰერაკლე „მიიწია ტრაპეზუნტედ, **სანახებთა მათ სამეგრელოსათა**“ (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 208, 422).

მაშასადამე, ტრაპეზუნტი – **სამეგრელოა**, სომხური წყაროს – **ეგერიაა.**

ამასვე წერს ექვთიმე მთაწმიდელის ეპოქის წმ.ანდრიას ცხოვრება – წმ. მოციქული მივიდა „ტრაპეზუნტში **სოფელსა შინა მეგრელთასა**“.

მაშასადამე, **ტრაპეზუნტი – მეგრელთა ქვეყანაა, სამეგრელოა, ანუ ეგერიაა.**

როგორც ორი იყო ქართლი (არიან-ქართლი და მცხეთის ქართლი), ისე ორი იყო ეგრისი (ეგერი) – დასავლეთ ქართლის **ეგრისი** და ბიზანტიის, ანუ ტრაპეზუნტის **ეგრი, ეგერია.**

12. მემატიანეები „სოფელი მეგრელთას“ შესახებ

ჩვენი მემატიანეები ტრაპიზონის შემოგარენს ძირითადად მოიხსენიებდნენ ორგვარად – „ხალდია“ და „სოფელი მეგრელთა“, კერძოდ, „მატიანე ქართლისა“ წერს – ბასილი II-მ „დაიზამთრა ქუეყანასა ხალდისასა, მახლობლად ქალაქსა ტრაპიზონთასა“ (ქ.ც. I, გვ. 285).

ხოლო ლეონტი მროველი წერს – „მოვიდა ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს **სოფელი მეგრელთა**“ (ქ.ც. I, გვ. 39). მაშასადამე, „ქალდეა“ და „სოფელი მეგრელთა“ ქართული აზროვნებისთვის სინონიმებია. მართლაც, „ქალდეა“ ეთანადება შემდეგდროინდელ ჭანეთს. აქ აღსანიშნავია ის, რომ სიტყვა „ქალდ“ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, ის ფუძეა, რომლისგანაც წარმოიშვა სიტყვა „ქართლი“ და „ქართული“. მაშასადამე, სიტყვა **ქალდ საერთო ქართული ერთობის (ქართველურ ენათა დაშლამდე, ანუ ზანურ-ქართული ენობრივი ერთობის) დროინდელი ფუძეა.**

ჰერაკლე კეისრის იბერია-სპარსეთში ლაშქრობასთან დაკავშირებით, ნათქვამია, რომ ის პირველად მივიდა ქვეყანასა „ქალდეისასა“ და შემდეგ შევიდა ქართლსა და თბილისში. ქალდეა-ტრაპიზონიდან მას

„კლარჯეთის გზით“ შეეძლო თრიალეთში შესვლა.

13. კოლხეთი და არმენია

ძველი ავტორები, როგორც წესი, ძალზე ხშირად ერთად ახსენებენ კოლხეთსა და არმენიას.

ქსენეფონტეს ცნობით, ტირიბაზი იყო დასავლეთ არმენიის მმართველი და ამავე დროს ლაშქრობის დროს ფასიანებისა და ესპერიტების უფროსი (IV,1,4), აქედანაც ჩანს, რომ ფასიანები, კოლხების უშუალო მეზობლები, არმენიის გვერდით ცხოვრობდნენ, ანუ ერთ რეგიონში.

მითრიდატე ევპატორმა მცირე არმენიას, კოლხეთსა და სოფენაში ააგო 75 ციხე-სიმაგრე, სტრაბონის სიტყვით, რადგანაც მცირე არმენია და სოფენა კოლხეთთან ერთად იხსენიება, აქედან ჩანს, რომ კოლხეთი მათი მომიჯნავე ოლქი იყო.

ეგრისი, როგორც აღინიშნა, ერქვა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს, არამედ ტრაპეზუნტის მიმდებარე მხარეებსაც. სამხრეთ ეგრისი აღწევდა ჭოროხის შესართავამდე, ხოლო ჩრდილო ეგრისი აქედან (ჭოროხის შესართავიდან) იწყებოდა.

სამხრეთ ეგრისს, ანუ კოლხეთს ესაზღვრებოდა არმენია და ის ზოგჯერ შედიოდა კიდეც „რომაულ არმენიაში“, ხოლო ჩრდილო ეგრისი იბერიაში.

მ. ბერძნიშვილის სიტყვით, როცა 456 წელს რომაელებმა „დაიწყეს ომი ლაზებთან“, ბიზანტიის იმპერატორის კარზე ბჭობდნენ ომში გასამარჯვებლად არმენიის გზით შესეოდნენ კოლხეთს, თუ ტრადიციული გზით ეომათ (მ. ბერძნიშვილი, ქ. ფაზისის ისტორიისთვის, გვ. 80-81). გუბაზ I-ის კოლხეთში ერთ-ერთი გზა არმენიიდან შედიოდა, რადგანაც არმენიის მეზობლად მდებარეობდა.

პონტო-კოლხეთის დედოფლის პითადორიდას ვაჟი, სტრაბონის სიტყვით, დიდი არმენიის მეფედ დაადგინეს. მისი მეორე ვაჟიც გამეფდა არმენიაში არტაქს III-ის სახელით, კოლხეთის ეს ქვრივი დედოფალი იყო მეუღლე პონტოს მეფისა პოლემონის. მისი ვაჟები, როგორც აღინიშნა, არმენიის მეფეებად დაადგინა რომმა ახ.წ. დასაწყისში. (მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 134). აქედან ჩანს, კოლხეთ-პონტო-არმენიის ურთიერთმეზობლობა.

თეოფანე ჟამთააღმწერელის სიტყვით – „არმენიელები შეიჭრნენ ლაზიკაში“ არაბობის დროს (მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ გვ. 187), რადგანაც ე.წ. დასავლეთ არმენიას კოლხეთი, ტრაპეზუნტის ოლქები ესაზღვრებოდა.

ამიტომაც წერდა VII საუკუნეში „პასქალური ქრონიკის“ ავტორი „არმენიის ქალაქი

კოლხისი“ (მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ იქვე, გვ. 183). მისი გამონათქვამი და ასევე VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის თვალსაზრისი „ეგრის“ ქვეყნის მდებარეობის შესახებ ერთმანეთის მსგავსია.

14. სკვითია და იბერები

კოლხეთის ბოლო პუნქტად სკილეს კარიანდელთან, სკიმნოს ქიოსელთან და დიონისიოს პერიეგეტთან მიჩნეულია აფსაროსი, რომელიც კოლხეთის ჩრდილოეთი წერტილი იყო შავ ზღვაზე. მის შემდეგ უკვე მოდიოდა **სკვითია, ანუ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი** (ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, I, 1967, გვ.43).

დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთსა და კოლხეთს შორისაა მათი გამყოფი პუნქტი აფსაროსი.

როგორც ცნობილია აფსაროსი ხოფასთან ახლოს, ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა.

ამ ავტორების ცნობით აფსაროსის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს კოლხეთი ერქვა, ჩრდილიეთით მდებარე ტერიტორიას (ე.ი. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთს) კი „სკვითია“.

თანამედროვე დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ „სკვითური ტომები" აქეელები, კერკეტები და გელონები (ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, I, 1967, გვ.46).

ხერსონესის აქეთ, „შემდეგ ისევ სკვითები არიან, მათ ქვეყანაში შემდეგი ელინური ქალაქებია – თეოდოსია, **კუტაია** და ნუმფარა“ (იქვე, გვ. 44).

ეს ავტორები მუდამ აღინიშნავენ, რომ ამ სკვითების გვერდით უშუალო მეზობლად იბერიაა (იხ. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, I, 1967. გვ.43).

ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ საქართველოში მცხოვრები აქეელები, კერკეტები და გელონები იყვნენ არა სკვითური არამედ ქართული ტომები.

კერკეტები საბჭოთა ისტორიკოსების მიერ უსაფუძვლოდ ჩერქეზების წინაპრებად იქნა მიჩნეული, თუმცა ეტიმოლოგიურად **კერკეტი – გერგეტთან ანუ გეორგია**სთან უფროა ახლო (კერკეტი – გერგეტი (გერგ-გეორგ).

ორივე სატომო სახელის (გელონი, კერკეტი) ფუძე-ძირები თითქმის იდენტურია (გელ-გერ, კერკ-გერგ) –**გერ-გერგ, რომელთაგანაც შესაძლოა მივიღოთ სახელები** - ეგრისი, გურია, არგვეთი.

რატომ იყვნენ ეს ტომები მიჩნეულნი სკვითებად?, ბერძნული თეორიით მსოფლიოს კიდეები განსახლებული იყო ოთხი ხალხით – **ჩრდილოეთის ყველა ხალხი სკვითებად იწოდებოდა, ამიტომაც მათთვის ჩრდილოეთით მცხოვრებ ქართულ ტომებსაც ზოგჯერ სკვითებს უწოდებენ.**

აქეელების, კერკეტების და გელონების შესახებ სხვა მონაცემები არ არსებობს, ამიტომ ეტიმოლოგიური დაკვირვებით უნდა დავკმაყოფილდეთ. სიტყვა გელონის ფუძ-ძირი უნდა იყოს „გელ“, იგივე „გერ“, რომლიდანაც ალბათ შესაძლებელია სიტყვა ეგერ-ეგრისის მიღება (გელონები-გელ-გერ-ეგერ), სიტყვა „კერკეტის“ ფუძე-ძირი უნდა იყოს „კერკ“, იგივე „**გერგ**“, რომლიდანაც ალბათ შესაძლებელია სიტყვა - **გეორგ-გეორგიის** მიღება (კერკეტები-კერკ-გერგ-გეორგ)

15. ტოპონიმები

თეოდოსიოპოლიდან (არზრუმიდან) აღმოსავლეთით განფენილ ვრცელ მიწა-წყალზე, თითქმის ვიდრე ვანის ტბამდე გვხვდება მრავალი ტოპონიმი თუ ჰიდრონიმი, რომელნიც მეორდებიან

დასავლეთ საქართველოში. კერძოდ აქ გაედინება მდინარე ფაზისი (არაქსსა და ევფრატს ზემო წელში ასევე ფაზისი ერქვა), არის შესაბამისი სახელის მქონე ქალაქიც, ამ რეგიონში, პროკოფი კესარიელის ცნობით მდებარეობდნენ „კლისურები“ (ან „კლისურა“), ასევე ადგილი სახელწოდებით - „საფხაზი“, ამავე რეგიონში გაედინებოდა მდინარე ეგრი, ამჟამადაც კი ერთერთ ქალაქს „აგრი“ ჰქვია. ამავე რეგიონის მომცველ ქვეყანას, ბიზანტიის იმპერიამ ერთ დროს უწოდა „იბერიის თემი“.

საქართველოს კუთხეებსა და ლაზიკეში, როგორც ითქვა, მრავალი ერთნაირი ტოპონიმი და ჰიდრონიმი იყო. მაგალითად, ეგრისწყალი (აფხაზეთში (ბედიასთან) და „ეგრეს-სუ ანუ ეგრისწყალი ტრაპიზონის მხარეს (ივ. ჯავახიშვილი, 1983, ტ. II, გვ. 123), კლისურა (ცხუმთან) და „კლასური“ (ტრაპიზონისაკენ) (იქვე, გვ. 23). „პიტია“ – „ტრაპიზონთან“, „პიტიუნტი“ ცხუმთან, სებასტოპოლისი, ტრაპიზონის ოლქში და აბაზგიაში. „ზეგანა“ („ზეგანთა სოფელი“) XI ს-ში შიდა ქართლში (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 33) და „ზიგნა“ ქალდიაში (ტრაპიზონის მხარე), ასევე ზიგინევი (აფხაზეთში), ზეგანი სოფ. კლდეეთთან, ზესტაფონში. ქ. ფაზარი (იგივე ფაზისი), (ძველი ათინა ტრაპიზონთან) (გეორგიკა II, 1965, გვ. 102) და ფაზისი. „ბოასი“ ერქვა ჭოროხს ან მის შენაკადს პროკოფი კესარიელის მიხედვით, ასევე როგორც ზოგიერთი ფიქრობს მდ. ყვირილასაც. ფაზისი ერქვა ჭოროხსაც და ასევე რიონსაც. მაგალითად, პროკოფი კესარიელი ლაზიკას ასე აღწერს – „ლაზიკე ყოველგან, მდინარე ფაზისის როგორც აქეთა, ისე იქეთა მხარეზე გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია რომლებიც იქ ვიწრობებს ქმნიან, ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს“ უწოდებენ“ (გეორგიკა II, 1965, გვ 102). მდ. რიონთან დასავლეთ საქართველოს ბარში კლდეები არსადაა, არამედ არის ჭოროხის სანაპიროებზე, ისტორიულ ლაზიკეში. პროკოფი გარკვევით წერს – „მდ. ბოასი **გამოდის ჭანეთის საზღვრის მახლობლად არმენიელთა ადგილებში**, რომლებიც ფარანგიონის გარშემო ცხოვრობენ. თავში ის კარგა მანძილზე მარჯვნივ მიმდინარეობს. თხელია ... ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრები არის, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა თავდება, მის შემდეგ რაც ეს მდინარე მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ, რადგან მას ბევრი სხვა წყალიც ემატება, ის იზრდება ძალიან და **ნაცვლად ბოასისა, ამიერიდან ფაზისად წოდებული, განაგრძობს მდინარებას ნაოსნობისათვის გამოსადეგი, ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი შესართავია და მის ორივე მხრით ლაზიკე არის** “ (გეორგიკა, II, გვ. 100). ჭანეთის მახლობლად ჭოროხი გამოედინება. მას ერქვა სათავეში „ბოასი“ (ნ.ადონცის კვლევითაც). ბოასი ანუ ჭოროხი სათავეში, მართლაც თხელია ანუ წყალმცირეა, ვიდრე კარჩხალის მთებამდე(აქ პროკოფის აზრით **კავკასიის მთა თავდებ**ოდა და აქვე იყო კოლა-არტაანის ანუ **იბერიის საზღვრები)**, კარჩხალთან მართლაც ჭოროხს რამდენიმე მდინარე ემატება, მათ შორის წყალუხვი იმერხევი, აქ ბოასს სახელიც ეცვლებოდა, უკვე „**ფაზისად**“ იწოდებოდა და მისი სანაპიროს ქვეყანას **„ლაზიკა**“ერქვა.

ასე,რომ ლაზიკა რამდენიმე მხარეს ერქვა ტრაპეზუნტის რეგიონში, ასევე ფაზისი ანუ **ეგრი** ერქვა არანაკლებ წყალუხვ და ცნობილ მდინარეს იქვე მაღლა ზეგანზე გამდინარეს-**არაქს**ს.

არაქსისს **ეგრი** ერქვა იმის გამო, რომ მისი სათავე ისტორიული **ეგრის** ქვეყანაში გაედინებოდა **მანრალია-ჭანეთ-ქალდეასთან** ახლოს.

16. ორი ეგრისი

მ. ბერძნიშვილის კვლევით, **„პირველი ცნობა კოლხებზე ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებიდან გვხვდება.** შემდეგ ცნობები წყდება რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

„ძვ.წ. IV საუკუნე და მისი მომდევნო ხანა ოდნავადაც არაა აღბეჭდილი ისტორიაში“ (მ. ბერძნიშვილი, ფასისის ისტორიისათვის, გვ. 69).

ძველი წელთაღრიცხვის IV ს-დან I საუკუნემდე ისტორიაში კოლხების შესახებ ცნობები არ მოიპოვება (იქვე, გვ. 71).

რომთან მეომარი მითრიდატეს დროს ცნობები კოლხეთის შესახებ ახლდება. **მითრიდატე VI ევპატორის ეპოქაში (120-63) კოლხეთი სამეფო არ იყო.**

კოლხეთი „სკეპტუხიებად“ იყო დანაწილებული. სკეპტუხია დაახლოებით ქართული საერისთავოს მსგავსი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულია კოლხეთი პონტოს მეფემ დაიმორჩილა. ცნობილია, რომ ქრისტეშობამდე 89 წელს მითრიდატე უკვე ფლობდა **კოლხეთს** (იქვე, მ. ბერძნიშვილი, ფასისის ისტორიისათვის გვ. 71) და მას მართავდა თავისი მოადგილეების მეშვეობით. ერთი, მაგალითად, იყო მითრიდატეს მეგობარი მოაფრენი (სტრაბონის დედის ძმა), მეორე კი მითრიდატეს შვილი, ასევე მითრიდატეს სახელის მქონე. მას პონტოს მეფემ „მეფის **პატივი** უწყალობა. ცხადია, ის არაა ნამდვილი მეფე, არამედ მხოლოდ **სახელის** მქონე. მითრიდატეს კოლხეთი ინტერესებდა საზღვაო საქმიანობისთვის, აქედან, მისდიოდა გემების ეკიპაჟი და გემთსაშენი მასალა“ (მ. ბერძნიშვილი, ფასისის ისტორიისათვის,გვ. 73). რომთან 85 წელს დამარცხებულ მითრიდატეს კოლხები განუდგნენ. თავისი შვილი მაშინ დაუდგინა „მეფედ“ კოლხებს, რომელსაც შემდეგ ჯერ ოქროს ბორკილები დაადო, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯა.

სტრაბონის სიტყვით, **მცირე არმენიასა, სოფენენესა და კოლხეთში** მითრიდატემ 75 ციხე-სიმაგრე ააგო და თავისი ქონების დიდი ნაწილი ამაში ჩაყარა (მ. ბერძნიშვილი, ფასისის ისტორიისათვის გვ. 74). აღნიშნული ოლქები, ცხადია, ერთმანეთს ემეზობლებოდნენ, საერთო საზღვრები ჰქონდათ. მითრიდატეს დამარცხების შემდეგ პომპეუსი **აკონტროლებდა** კოლხეთს, მეფე ოროზის და სკეპტუხოს ოლთაკეს შემდეგ იქ დაადგინა არისტარხოსი. საკვლევია ის „ბოსფორელების და კოლხების მეფედ“, თუ მხოლოდ „კოლხეთის მეფედ“ იწოდებოდა. ცხადია, არისტარხოსი **არ იყო სუვერენული მმართველი,** არამედ **რომაელთა მიერ დადგენილი**.

48 წლისათვის **ბოსფორის მეფე** ფარნაკმა (მითრიდატეს ვაჟმა) **კოლხეთი და მთელი არმენია დაიმორჩილა** (იქვე, მ. ბერძნიშვილი, ფასისის ისტორიისათვის გვ. 77). მაგრამ 47 წელს ის ავგუსტოს კეისარმა დაამარცხა.

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის ბოლო წლებში კოლხეთს ფლობდა პონტოს **მმართველი** პოლომენი. მისი სიკვდილის შემდეგ (ახალი წელთაღრიცხვის 14 წელს) – **პონტოს „სამეფო“ ტახტზე** ავიდა მისი ქვრივი **პითოდორიდა,** რომელიც კოლხეთს 38 წლამდე მართავდა. მისი შვილები **არმენიის** მეფეები გახდნენ.

იმპერატორ ტრაიანეს (92-117) დროს კოლხეთი რომის **ქვეშევრდომი** იყო. შესაძლოა, მის მმართველს „მეფის“ ტიტული ჰქონდა. **ამის შემდეგ წყდება კოლხეთის შესახებ ცნობები კვლავ რამდენიმე საუკუნის მანძილზე.**

IV ს. მეორე ნახევრიდან კვლავ ჩნდება ბუნდოვანი ცნობები (იქვე, გვ. 79), მათგან ზოგიერთში კოლხები რომს ხარკის ყოველწლიურად გადახდას პირდებიან (იქვე, გვ. 80).

ეპისკოპოს თეოდორიტეს (390-457) სხვა ამბავთან დაკავშირებით, მაგალითის სახით მოჰყავს ამბავი, რომ **„ლაზები**, საბები და აბაზგები და სხვა ბარბაროსები თუმცა რომაელთა ბატონობას ემორჩილებიან, მაგრამ ერთმანეთში არ სდებენ ხელშეკრულებას რომაული კანონების თანახმად“ (იქვე, მ. ბერძნიშვილი, ფასისის ისტორიისათვის გვ. 80).

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთ აღწერილი **არ ეწინააღმდეგება ქართული წყაროების მონაცემებს**, ქრისტეშობამდე VI-V საუკუნეებში კოლხეთს მეფე არ ჰყოლია და, ჩანს, **ტერიტორიულად ის არ მდებარეობდა დასავლეთ საქართველოში, არამედ – ტრაპეზუნტის მხარეს**.

ე.წ. „კოლხეთის სამეფო“ მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენდა პონტოს მეფე მითრი-

დატეს ვრცელი სამფლობელოსი, და ჩანს, მას მითრიდატიანები მართავდნენ კიდეც, აქ უნდა გავიხსენოთ მოვსეს ხორენაცი, რომ პონტოსპირა იბერებს მიჰრდატიანები მართავდნენ.

მითრიდატიანები, ანუ მირჰდატის შთამომავლები, ხორენაცის თქმით, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან **მართავდნენ პონტოსპირა იბერებს, ანუ იმ ხალხს, რომელიც ნაბუქოდონოსორმა პონტოს ზღვის პირას გადაასახლა**. პონტოსზღვისპირეთიდან შემდეგ ეს ხალხი გამრავლების გზით განივრცო თანამედროვე საქართველოში და მათ შორის გუგარქშიც, ასეთია ხორენაცის ცნობა.

ბერძნულ-რომაული წყაროებითაც **კოლხეთში** მითრიდატე თავის შვილს ნიშნავს „მეფედ". ეს სამეფო შემდეგ უმეტესად რომის ქვეშევრდომია, ანუ ის მხოლოდ სახელს ატარებს სამეფოსას და, ჩანს, ის მდებარეობდა ჭოროხის აუზში. სამხრეთ ეგრისად ჩვენს მიერ წოდებულ ერგე-ლიგან-ჭანეთ-კლარჯეთს ვახუშტის სიტყვით მართავდნენ მირდატიანები.

ამ ქვეყანას სომხური გეოგრაფია VII ს-ისა **„ეგერს"** უწოდებს, ვახუშტი **„ერგეს"**. ამავე ვახუშტის მიხედვით, ჭოროხის ხეობის და მისი სათავეების ზოგადი სახელია **„კლარჯეთი".** მდინარე ჭოროხის აღწერისას თავის თხრობას ვახუშტი ასე იწყებს – „ხოლო აწ ვიწყებთ კლარჯეთს და ამ ქვეყანასა შინა უდიდესი მდინარე არს ჭოროხი, რომელი გამოდის ირიჯლუს მთასა და დის სამხრიდან ჩრდილოთ... ხვარამზეს ხიდამდე... მიერთვის ბათომს ქვევით შავს ზღვასა... დის ფრიად ჩქარად ქვიანსა, კლდიანსა და ხრამოვანსა შინა... სასმისად შემრგო... ირწყვის ერგეს, გონიას და ბათომს" (ქ.ც. IV, გვ. 676). სად იყო **ერგე**? ჩანს, გურიასა და ლიგანის ხეობას შორის – „ართვინის სანახებითურთ, ვიდრე **ერგეს** საზღვრამდე ჭოროხის ხეობის იმერი და ამერი იწოდების **ლიგნის ხეობად** და არს ეს **ლიგნის ხეობა**, თვინიერ სივიწროვისა ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმნით, ზეთისხილით, ბროწეულით, ლელვით, ვენახით, ხილით შემკობილი და ქებულნი ბუნებით ყოველივე" (იქვე, გვ. 680). ასევე, ნაყოფიერია **ერგეც**, ამიტომაც **კლდოვან კლარჯეთში ერგე და ლიგანი მოგვაგონებს პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილ მსგავსად ნაყოფიერ მოხორისს კლდოვან ლაზიკაში.**

ბათუმს ზევით, ვახუშტის აღწერით, **„ჭოროხის ჩრდილოსვე კიდესა ზედა არს ერგე" (ქ.ც. IV, გვ. 792).**

კლარჯეთი მოიცავდა ერგეს გარდა მთელ ისტორიულ სამხრეთ საქართველოს ოძრახოსისა და ჯავახოსის წილის გარდა (იქვე, გვ. 691) **ესაა ქვეყანა ერგედან და იმიერ ტაოდან სპერისა და ჭანეთის ჩათვლით.**

სომხური გეოგრაფიითაც ეგრის ქვეყანა მოიცავდა ჭანეთს, საკუთრივ ეგრს, ჭანიკას, მანრალიასა და ლაზიკას. ასე რომ, **სომხური ეგრი და ვახუშტის მიერ აღწერილი კლარჯეთი ერთსა და იმავე რეგიონებს მოიცავდნენ**.

პროკოფის მიერ აღწერილი ლაზიკა – კლარჯეთის მსგავსია თავისი კლდოვანობით, სწრაფი მდინარით, რომელიც გემრიელია.

სომხური წყაროების ეგრი, ქართული კლარჯეთი (ჭანეთთან ერთად) და ბერძნული ლაზიკე ერთი და იგივე უნდა იყოს. ესაა ჩვენს მიერ **სამხრეთ ეგრისად** წოდებული ქვეყანა, სხვა იყო **ჩრდილო ეგრისი** – დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი. მისი მთავარი **მდინარე რიონი გავაკების შემდეგ არ არის ისე ჩქარი, როგორც აღწერს პროკოფი ფაზისს,** არამედ ნელი და მდორე, სასმელად უვარგისი, შლამიანი, უგემური. ხოლო სასმელად ვარგისი ფაზისი კი **ჩქარი** მთის მდინარეა და აჩქარებული ერთვის ზღვას, ხოლო **რიონი** პირიქით, ვრცელ ვაკეზე დამდორებული.

არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, „რიონი **წყნარად** შეერთვის ზღვას სებასტოპოლის მახლობლად, რომელიც ძველად წარჩინებულ ქალაქს წარმოადგენდა, დღეს კი წყალშია ჩანთქმული" (მ. ბერძნიშვილი, ფაზისის ისტორიისათვის, გვ. 180).

შარდენიც ეძებდა ფოთთან „ქალაქ სებასტიის ნიშან-კვალს", მაგრამ, როგორც თვითონ ამბობდა, **„ვერაფერი იპოვა"** (იქვე, გვ. 180).

მაშასადამე, ფაქტია, რომ არსებობდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის **ორი ეგრისი,** ერთი მდებარეობდა ბერძნულ-რომაული და სომხური გავლენის სფეროში, მეორემ კი, **ჩრდილო ეგრისმა, საფუძველი დაუდო ძველი ქართული კულტურის ჩამოყალიბებას, ვითარცა ზოგად ქართული ქვეყნის ერთ-ერთმა რეგიონმა.**

17. ვახტანგ გორგასალი ისტორიულ სამხრეთ იბერიის მიწა-წყალზე (სამხრეთ ეგრისში)

ვახტანგ გორგასალმა ილაშქრა ისტორიული სამხრეთ იბერიის მიწა-წყალზე (იგულისხმება სამხრეთ ეგრისი), მსგავსად ფარნავაზისა. ჩანს, ვახტანგის მიზანი იყო იბერიისათვის დაებრუნებინა ის მიწა-წყალი, რომელიც სტრაბონის ცნობით ძვ.წ. II საუკუნეში არმენიამ ჩამოაცალა იბერიას (გოგარენა, ხორძენე და პარიადრეს კალთები). ქართლის ცხოვრების ცნობით ფარნავაზმა ქრისტეშობამდე III საუკუნეში ილაშქრა „აზონის მამულ" კლარჯეთში. ვახუშტის ცნობით, როგორც ითქვა, კლარჯეთი მოიცავდა არა მხოლოდ ერთ მხარეს, არამედ უვრცელეს რეგიონს ქალდეა-ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე. მემატიანე საბერძნეთთან იბერიის საზღვარს ათავსებს ანძიანძორასთან (იგივე ანძორეთთან) – „**წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა და ეკლეციით შემოიქცა**" (ქ. ც. I. გვ. 23).

სად მდებარეობდა ანძიანძორა? გ. მელიქიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს – „ქართლის სამეფოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით განვცობას ეთანხმება წყაროს ცნობა ფარნავაზის მიერ მცირეაზიული ოლქების ანძიანძორისა და ეკელეცის (ანტიკ. წყაროების აკილესენა, სოფენას ჩრდილოეთით ევფრატზე მდებარე ოლქი) დალაშქვრაზე (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970, გვ. 455). მაშასადამე, წყაროს ცნობით ფარნავაზის დროს იბერიის (ქართლის სამეფოს) საზღვარი გადიოდა ანძიანძორასთან, ისტორიულ **ხორძენესთან**, ამით ჩვენი წყარო (ქც.) ამართლებს სტრაბონის ცნობას, რომ ძვ.წ. II საუკუნემდე იბერიაში (ე.ი. ფარნავაზის სამეფოში) შედიოდა ხორძენე, გოგარენა და პარიადრეს კალთები. ფარნავაზის შემდგომ მალევე იბერიის სამეფოს დაუკარგავს ეს ტერიტორიები, მაგრამ მათ დასაბრუნებლად ბრძოლა გრძელდებოდა. ამას მიუთითებს ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა იქ - „**წარემართა ვახტანგ შესვლად საბერძნეთად და მიიწივნეს სომხითს და მოერთნეს... ერისთავნი სომხითისანი... ტაროვნელი ამაზასპ გრიგოლის შენებულისა ქალაქისაგან, თრდატ ნათესავისაგან, დიდისა თრდატის. და მოადგეს ციხე-ქალაქსა, რომელსა ერქვა კარახპოლა, ხოლო აწ ეწოდების კარნუ-ქალაქი... წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოხრნა გზასა ქალაქნი სამნი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი და მოადგეს ლაშქარნი პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღვის კიდესა**" (ქ. ც. I. გვ. 160).

ტექსტიდან ჩანს, რომ ვახტანგის დროს აღნიშნული ადგილები უკვე სომხეთსა და პონტოშია, მაშინ როცა ფარნავაზის დროს ქართლის სამეფოს „საზღვარი" „საბერძნეთთან" ანძიანძორასთან გადიოდა. მაშასადამე ეს ტერიტორიები იბერიას დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა ვახტანგის დროს, მაგრამ იქაურ (ე.ი.ხორძენესა და პარიადრეს კალთების) მოსახლეობას ქართული ეთნოიდენტობა და ქართული ენის ცოდნა ჯერ კიდევ შენარჩუნებული რომ ჰქონდა სხვა გამოკვლევებიდან ჩანს.

VII ს. სომხეთის რუკაზე ოლქი სახელწოდებით „ხორძიანა" (ეს უნდა იყოს „ხორძენე") მდებარეობდა კარინთან (კარახპოლ-კარნუქალაქ-არზრუმთან), მის სამხრეთ-დასავლეთით დახლოებთ 70 კმ. დაშორებით.

ხორძიანასა და კარინს შუა მდებარეობდა მანანალის (მანრალის) ოლქი მარდალის (მარდალიის) გვერდით.

ხორძიანასთან ახლოს, მის სამხრეთ დასავლეთით დაახლოებით 40 კმ.-ში მდებარეობდა

ოლქი სახელწოდებით-**ანძიტი** (ანდზიტ). ეს უნდა იყოს ქართული **ანძორეთი-ანძიანძორა** (სადაც ილაშქრეს ფარნავაზმა და ვახტანგმა). პროვინცია ანძიტში ცოვკის ტბასთან ახლოს იყო ციხე-სიმაგრე ეგეღი(ეგერი). ამავე სახელის ქალაქი ეგეგი (ეგერი) კარინ-არზრუმთანაც იყო. ამ ქალაქის სახელი (ეგეგი) ეგრისის სახელს უნდა ირეკლავდეს.

ოლქ ხორძიანაში გაედინებოდა ამავე ,,ეგრ'' სახელის მქონე მდინარე ,,ეგეგიკი'' (მიუს გაილი). ხორძიანაში იყო ცნობილი პუნქტი – არტალესი.

აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელ თურქეთში ძველი ოლქის ანძიტის ადგილას მდებარეობს ადმინისტრაციული ოლქი-**ელაზიგი**. ეს სახელი ელაზიგი არ არის შემთხვევითი. სიტყვაში ,,ელაზიგი (ე**ლაზი**ღი)'' ვფიქრობ შესაძლებელია გამოიყოს ფუძე-ძირი ,,**ლაზი**''. სახელი ,,ლაზი'', ამ მხარეებისათვის უცხო არ იყო. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია XI ს. დასაწყისში ამ მხარეებსაც მოიცავდა. აქ ახლოს იყო კერჩანისის, ხახის, ბიზანასა და სხვა საეპისკოპოსო კათედრები.

ბიზანასა და არზრუმს შორის მდებარეობდა ოლქი **მანანალი** ანუ **მანრალია (მანარალი)**, მას ამ რუკაზე მარდაღის (მარდალის) ოლქისაგან ყოფს ,,მეგედუხგის მთები'', ამ მთებს ნ. ადონცი ხალხალის მთებს უწოდებს, რომელიც მანრალიასა და მარდალიას ერთმანეთისაგან ჰყოფდა.

როგორც ჩანს ამ მხარეებში ეგულებოდა ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორს ,,საფლავი დიდი მოძღვრისა გრიგოლისა'', აღნიშნულ რუკაზე ბიზანას ოლქს ეწოდება – ,,ეკეგიაცი'', ეს უნდა იყოს ვახტანგის ცხოვრების **ეკლეცი**. ამ ოლქში რუკაზე მონიშნულია ეკლესია სახელწოდებით – ,,სურბ გრიგორ'', ალბათ აქ ეგულებოდა ავტორს საფლავი წმ. გრიგორისა. რომელი იყო ეს წმიდანი გრიგოლ განმანათლებელი თუ გრიგოლ ნაზიანზელი?

ხორძენა, როგორც ითქვა, სტრაბონს იბერიის ისტორიულ ნაწილად მიაჩნდა, რომელიც არმენიამ მიიტაცა. იქაური მკვიდრი იბერების არმენიზაციას ხელი განსაკუთრებით შეუწყო ამ მხარეში სომხური ეკლესიის გაძლიერებამ. საბედნიეროდ ვახტანგის დროს ქართული თვითშეგნება ჯერ კიდევ ძლიერი ყოფილა ამ მხარის სასულიერო პირთა შორისაც კი, რაც კარგად ჩანს ვახტანგის ცხოვრებაში. სხვათა შორის, ხორენაცის ისტორიაშიც არის გარკვეული მინიშნება იმისა, რომ ხორძენასა და ტარონის სამღვდელოებამ იცოდა ქართული ენა. მაგალითად, მოვსეს ხორენაცი წერს – **,,რაც შეეხება მესროპს, იგი წავიდა ქართველთა ქვეყანაში და მადლის ზეგარდამო მინიჭებით მათაც შეუქმნა ანბანი ვინმე ჯალასთან ერთად, რომელიც ბერძნული და სომხური ენებიდან თარგმნიდა. ხელს უწყობდნენ იმათი მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი. მან შეარჩია ბავშვები, გაჰყო ისინი ორ ჯგუფად და მოძღვრებად დაუტოვა თავისი ორი მოწაფეთაგანი – ტერ ხორძენაცი და მუშე ტარონაცი''** (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 224). მაშასადამე, ქართველი ბავშვები დაყვეს ორ ჯგუფად, რათა მათ შეესწავლათ ქართული ანბანი ქართული წმიდა წერილის საკითხავად. მათ ქართული ენის მცოდნე მასწავლებლები ესაჭიროებოდათ, ასეთნი კი ყოფილან ხორძენელი მღვდელი (ტერ ხორძენაცი) და ტარონელი მუშე.

ხორძენე-ტარონის ახლო მხარეებში ქართული ენის ცოდნას ისიც მიუთითებს, რომ ვ.გოილაძის კვლევით იქვე, არც თუ დაშორებით, ქ. ედესა-ურჰაში ყოფილა დიდი ქართული კოლონია თავისი საგანმანათლებლო კერებით. აღნიშნულ რუკაზე ქალაქი ედესია-ურჰა მდებარეობს ოლქ ანდზიტთან ახლოს, მის სამხრეთით 70-80 კმ. დაშორებით. საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ არმენიის მიერ მიტაცებულ მხარეებში დიდხანს დარჩა ქართული ენის ცოდნა და ქართული ტოპონიმები (ეგრი-ეგრისი, იბერია და სხვა).

§ 2. ჩრდილო ეგრისი

1. „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ეგრისთან დაკავშირებით (წყაროს მიმოხილვა – „ქართლის ცხოვრება“, 1955, ტ. I.)

„დასავლეთის ერისთავები“„დასავლეთ ქართლისა“, ეგრისი – „ქვემო ქვეყანა", „ზემო და ქვემო ქვეყანანი“, „ნათესავი ჩუენი“, ამ და სხვა ტერმინებს დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებით მრავლად იყენებენ „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეები I ათასწლეულში, კერძოდ, ქრისტეშობამდე III საუკუნედან ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის IX-X საუკუნეებამდე და შემდგომ საუკუნეებში. განვიხილავთ ამ და სხვა ტერმინებს საუკუნეების შესაბამისად:

2. ეგრისი ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებიდან I საუკუნემდე (ქართლის სამეფოს საზღვრები)

“ქართლის ცხოვრება” წერს -

„განძლიერდა ალექსანდრე,

***და** დაიპყრა ყოველი ქუეყანა,*

და** აღმოვიდა **ქუეყანასა ქართლისასა,

***და** პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი **შუა ქართლ:** წუნდა, ხერთვისი მტკურისა, ოძრხე (მოკიდებული კლდესა ღადოსსა), თუხარისი (მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან ჭოროხი), ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა (და უბანნი მისნი), სარკინე, ციხედიდი და ზანავი (უბანი ურიათა) და რუსთავი და დედა-ციხე, სამშვილდე და მტუერის ციხე (რომელ არს ხუნანი),*

***და კახეთისა** ქალაქნი“ (ქც., I, გვ. 18).*

*„**და** დაიპყრა ქართლსა ზედა **ეგრისიცა**“ (ქც., I, გვ. 19).*

ამ ტექსტში ნახსენებია „ქართლის ქვეყნის" ორი პროვინციის -**„შუა ქართლისა**" და **„კახეთის**" ქალაქები. იქვეა ნახსენები „ქართლის ქვეყნის" მესამე პროვინციის სახელი-**ეგრისი.**

„ქართლის ქვეყნის" მეოთხე პროვინცია **კლარჯეთი** აზონის მამული იყო ,ამიტომაც აზონმა სხვა პროვინციები „დაიპყრო“, ხოლო კლარჯეთი არ „დაუპყრია“. და პირუკუ - ფარნავაზის მამული - ქართლი იყო და ამიტომ აზონთან გამარჯვების შემდეგ მან „დაიპყრო კლარჯეთი“ (ქც.23), ამის შედეგად ქართლის ქვეყნის ყველა ნაწილი ერთი ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა და „ყოველი ქართლი“ ერთ სახელმწიფოდ იქცა.

ჩვენი მემატიანეების სიტყვით, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში, როგორც ითქვა, „ქართლის“ ისტორიული გეოგრაფია ასეთი იყო: „ქართლი“ შედგებოდა სამი ქვეყნისაგან. პირველი იყო მისი ცენტრალური ნაწილი „შუა ქართლი“, მეორე ნაწილი – კახეთი, ხოლო მესამე ნაწილი იყო – ეგრისი. ხოლო კლარჯეთი იმჟამად არა ქართლის, არამედ „არიან-ქართლის" ნაწილად მიიჩნეოდა.

ჩვენი მემატიანეები, როგორც წესი, გამოწვლილვით აღწერენ ქართლის ცენტრალურ ნაწილს ანუ „შუა ქართლს“, ხოლო კახეთსა და ეგრისს შედარებით ნაკლებად ეხებიან.

ამ აღნიშნულ ნაწილებს წყაროებში ეწოდება „ხევები“, ანუ ქართლის ხევებია – „შუა ქართლი“, კახეთი და ეგრისი. დასამტკიცებლად ზემოთ უკვე მოვიყვანეთ „ქართლის ცხოვრების" მემატიანის აღწერა – ალექსანდრე მაკედონელმა ქართლში შემოსვლის შემდეგ

ჯერ შემუსრა „შუა ქართლის“ ქალაქები, შემდეგ კახეთის ქალაქები და შემდეგ აზონმა „დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა“ (ქ.ც. I, გვ. 14). ფარნავაზის სამეფოში კი ქართლის ოთხივე ნაწილი შედიოდა, ესენი იყვნენ: 1. შუა ქართლი; 2. კახეთი; 3. ეგრისი; და 4. კლარჯეთი.

როგორც აღინიშნა, მემატიანე წერს „შუა ქართლის“ შესახებ – „განძლიერდა ალექსანდრე და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა და პოვნა ციხე ქალაქნი ესე ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკუარისა, ოძრხე, მოკიდებული კლდესა ღადოსა, თუხარისი, მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა და რუსთავი და დედაციხე სამშვილდე და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი“. მხოლოდ „შუა ქართლის ციხე-ქალაქების“ შემდეგ „ნახა“ ალექსანდრემ კახეთისა ქალაქნი (ქ.ც. I, გვ. 18).

როგორც ითქვა - ალექსანდრემ თავდაპირველად ნახა შუა ქართლისა და კახეთის ციხეები, „შუა ქართლის“ ციხეებია – თუხარისი, წუნდა, ოძრხე, ურბნისი, კასპი, უფლისციხე, მცხეთა, რუსთავი, სამშვილდე და ხუნანი.

მაშასადამე, მემატიანის სიტყვით, ხუნანიდან თუხარისამდე მიწა-წყალს ეწოდებოდა „**შუა ქართლი**“. მის გარდა ალექსანდრეს ასევე დაუპყრია **კახეთი,** ხოლო **ეგრისი** სამართავად გადაუცია თავისი მოხელისავის აზონისათვის (აღსანიშნავია, რომ მეფე ფარნავაზმა თავისი ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ შუა ქართლში რამდენიმე საერისთავო დაარსა (ისე, როგორც სხვა პროვინციებში). შუა ქართლის ერთ ოლქში, რომელსაც „შიდა ქართლი“ ერქვა სასპასპეტო დაარსა, მაშასადამე სხვაა „შუა ქართლი“ და სხვა „შიდა ქართლი“.

ალექსანდრეს დაუპყრია ქართლის ყველა ნაწილი – კლარჯეთი, კახეთი, ეგრისი და შუა ქართლი. ყველა ეს ქვეყანა ერთად იწოდებოდა ასე: „ყოველი ქართლი“. ხოლო „შუა ქართლი“ მისი ცენტრალური, ყველაზე უფრო ძლიერი ნაწილი იყო, აქ იყო თავმოყრილი დედაქალაქ მცხეთისა და სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქების ციხეები, თუმცა კლარჯეთს, კახეთსა და ეგრისშიც არსებობდნენ ძლიერი ციხეები.

„ქართლის ცხოვრებაზე“ უფრო ძველი წყაროს - „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, ალექსანდრე მაკედონელმა „ყოველი ქართლის“ პატრიკიოსს – აზონს სამართავად გადასცა ქართლის ქვეყანა – „ეგრისწყლიდან“ ვიდრე სომხეთ-ალბანეთამდე.

მდ. ეგრისწყალი იყო ქართლის სამეფოს საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით. მდ. ეგრისწყალი – ეგრისის ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდინარე იყო. აქ, ამ მდინარის პირას აუგია ეგრისელთა ეთნარქს – ეგროსს დედაქალაქი „ეგრისი“ – „ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და ეწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვიან ბედია“ (ქ.ც. I, გვ. 5). ეგრისწყალზე კი ქართლის სამეფოს საზღვარი გადიოდა.

ეგრისწყალი, როგორც ქართლის სამეფოს საზღვარი ნახსენებია მეორე უძველეს საისტორიო წყაროში - ესაა „მოქცევაი ქართლისაი“, მის შატბერდულ რედაქციაში ნათქვამია - „და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოი, ძე არიან-ქართლისა მეფისაი, და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად და **საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი** და სომხითი და მთა ცროლისა და წარვიდა“(ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1 964, გვ.81).

მდინარე ეგრისწყალი თუ ქალაქ „ეგრისთან“ ანუ ბედიასთან გაედინებოდა, მაშინ ის იქნება თანამედროვე „ღალიძგა“. აქედან იწყებოდა „ქართლის სამეფოს“ საზღვარი აზონის დროს. აქვე დადებულა ფარნავაზ მეფის „ქართლის სამეფოს“ საზღვარი. ე.ი. ეგრისი ქართლის სამეფოს ანუ ქართლის ნაწილი იყო კახეთთან ერთად.

წყარო “საბერძნეთიდან” გამავალ სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებით რამდენჯერმე ახსენებს სიტყვას „საზღვარი საბერძნეთისა“. პირველად შავიზღვისპირზე ჩრდილო-

დასავლეთით (მერმინდელ აფხაზეთში), მეორედ სამხრეთ-დასავლეთით (ქალდეა-ეკელეცთან), ამ სასაზღვრო ხაზთა შუა მდებარეობდა ქართლის სამეფოს დასავლეთი ნაწილი.

ამასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია - „**წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა და ეკელეცით შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი**“(ქ.ც., I, გვ.23).

რაც შეეხება **მდ.ეგრისწყალს**, აქ ალექსანდრეს ქართლის სამეფოს საზღვარი რომ დაუდია, ამას აღნიშნავდნენ საუკუნეთა მანძილზე, V საუკუნეში ქ.ც.-ს ცნობით ბიზანტიის იმპერატორს გამოუკითხავს თუ სად გადიოდა საზღვარი ქართლის სამეფოსა და ბიზანტიას შორის, მისთვის მოუხსენებიათ, რომ საზღვრად დადგენილი იყო **მდ. ეგრისწყალი** ალექსანდრე მაკედონელის დროიდან - „და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა... და რქუა ესრეთ - **„ეგრისწყლითგან ვიდრე მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა-ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან...“** (ქ.ც., I, გვ.177).

იმპერატორის დაინტერესება ქართლის სამეფოს საზღვრით, იმან გამოიწვია რომ ვახტანგ გორგასალმა **მდ. ეგრისწყალსა** და მდ.ყუბანს შორის მოქცეული ტერიტორია გაათავისუფლა ბიზანტიელთაგან და იქ განიმტკიცა ხელისუფლება. ეს ტერიტორია კი ბიზანტიელებს თავიანთთვის ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, ამიტომაც ვახტანგ გორგასალთან საზავო მოლაპარაკების დროს გაიცვალა ტერიტორიები, კერძოდ ბიზანტიელებმა მათ მიერ დაპყრობილი კლარჯეთი დაუბრუნეს ვახტანგს რის სანაცვლოდაც, უკან მიიღეს ტერიტორია **ეგრისწყალსა** და ყუბანს შორის. ამავე დროს, ქ.ც.-ს ცნობით, ვახტანგს შერთეს კეისრის ქალიშვილი, რომელსაც მზითვად გამოატანეს ტერიტორია **ეგრისწყალსა** და მდ.კლისურას შორის. ამის შედეგად ქართლის სამეფოს საზღვარმა გადაიწია მდ.ეგრისწყლიდან მდ.კლისურაზე. **„და დაუწერა ეგრისწყალსა და კლისურას შუა ქუეყანა ზითვად“**(ქ.ც., I, გვ.177).

ფარნავაზის დროს საზღვარი საბერძნეთთან, როგორც ითქვა, მდ.ეგრისწყალთან გადიოდა - „**ეგრისწყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა**, რამეთუ მკვიდრთ მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“ (ქ.ც., I. გვ.24). აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ვახტანგ გორგასალის შთამომავალთა შემდგომ, რაც “ყოველი ქართლის” ერთიანი სამეფო დაიშალა - ეგრისს ეწოდა “აფხაზეთი”, კლარჯეთს - “ლაზიკა” ან “სამცხე-საათაბაგო”, “შიდა ქართლს” - ქართლი, კახეთის დიდი ნაწილი კი ჰერეთმა დაიჭირა.

3. ეგრისელები – ნათესავით ქართველნი

საერთოდ, ქართლის ცხოვრების „ფარნავაზის ცხოვრება“, იყო ის უძველესი ეროვნული საისტორიო წყარო, რომელიც, „მოქცევაი ქართლისაი-ს“ – შესაბამის ნაწილს ეთანადებოდა. ჩვენ გვაინტერესებს არა ის, ნამდვილად იყო თუ არა ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში, არამედ „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემული სავადასახვა თვალსაზრისის ანალიზი, მაგალითად მისი მოსაზრება ქართველთა ეთნოიდენტობის შესახებ.

მემატიანეს სიტყვით ქართლში მცხოვრები სხვადასხვა ერები ალექსანდრეს ამოუხოცავს – „**მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყვევა... დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი და დაუტევა მათ ზედა პატრიკად აზონ**“ (ქ.ც. I, გვ. 18). ამავდროულად ამ აზონმა „დაიპყრა ქართლსა ზედა **ეგრისიცა**“ (ქ.ც. I, გვ. 19). გარკვეული ხნის შემდეგ აზონმა გამოსცა ბრძანება – „**ყოველმან ქართველთაგანმან, რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალით იგი... და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა**“ (ქ.ც. I, გვ. 20). ცხადია, „ყოველთა ქართველთასა“ და „ნათესავთა ქართველთასას“ ქვეშ ეგრისელებიც იგულისხმებიან, რადგანაც აზონი კლარჯეთის, შუა ქართლის, კახეთისა და ეგრისის, ანუ „ყოველი ქართლის“ მპყრობელი იყო,

საიდანაც უცხოელნი გაძევებულნი იყვნენ და მის ქვეყანაში მდ. ეგრისწყლიდან სომხეთ-ალბანეთამდე მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. ეს კიდევ უფრო კარგად ჩანს „ფარნავაზის ცხოვრებიდან“.

ეგრისელებიც რომ „ნათესავით ქართველნი“ და „ყოველთა ქართველთა“ ნაწილნი არიან, კარგად ჩანს ფარნავაზისადმი ეგრისელი ქუჯის პასუხითაც – „აღდეგ და მოვედ ჩემთანა და ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა და ხუასტაგითა შენითა განგიმრავლნე სპანი შენნი, ვიდრე **გამოვჩნდეთ მტრად აზონისა, მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა** აწ-ყვედილთა მისგან და მიწყვედილთა. და ვგონებ, რომც ჰრომთა მათგანნიცა **გამოგვიერთნენ**, რამეთუ ურიცხვნი აწყვედილ არიან მათგანნიცა აზონისაგან“ (ქ.ც. I, გვ. 22).

ქუჯის პასუხიდან ნათლად ჩანს, რომ ის თავის თავს მოიაზრებს „ყოველთა ქართველთა ჯგუფში“, კონკრეტულად ეს ჩანს როცა საუბრობს „ჰრომთა“ შესახებ – ამბობს პირველ პირში „ვგონებ ჰრომთა მათგანნიცა **გამოგვიერთდნენ**“, ანუ ახალი ქართულით მისი პასუხი ასეთია – „მოდი ჩემთან, ნუ დაიშურებ შენს საგანძურს, დაგიქირავებ ჯარს, როცა აზონის მიმართ მტრობას გავამჟღავნებთ, მაშინ მისგან ამოწყვეტილთა ახლობლები გაიხარებენ და ვფიქრობ, ზოგიერთი რომაელიც **შემოგვიერთდება**, რადგანაც მათგან აზონმა ურიცხვი გაწყვიტა“.

„ქართლის ცხოვრებაში" ხაზგასმითაა საუბარი: არსებობდა ორი ძირითადი მხარე – ქართველნი და აზონი. ხოლო **ქუჯი – ყოველთა ქართველთა ნაწილი იყო** თავისი ხალხით, ამ ქართველთა მხარეს ქუჯის ფიქრით, „რომაელთა“ არამცირედი, აზონისაგან დასჯილი ნაწილიც შემოუერთდებოდა – „გამოგვიერთნენ“ – ამბობს ის. ანუ „ყოველ ქართველობას“ რომაელი ჯარისკაცებიც შემოუერთდებიან, როგორც მკითხველისთვის ცნობილია, ამ შემთხვევაში „ჰრომნის“ სახელით მემატიანე მოიხსენიებს იმ 100 ათას მებრძოლს, რომელიც მისი თქმით, ალექსანდრე მაკედონელმა შემოიყვანა ქართლში მაკედონიიდან და გადასცა აზონს. აზონს ქართველთა გარდა ამ „რომაელების“ „ქმნულ კეთილი და ასაკოვანი“, ანუ კარგი აღნაგობის, მეომრების არამცირედი რაოდენობა გაუწყვეტია.

ქუჯის ასეთი პასუხის შემდეგ ფარნავაზი გადავიდა ეგრისში და მოისმინა ქუჯის საოცარი სიტყვები – **„შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“** (ქ.ც. I, გვ. 22).

ამ სიტყვებიდან ჩანს არა პირადი ურთიერთობის ასახვა, არამედ „ერთნათესაობის“, ერთი გენეტიკური წარმომავლობის სურათი, კერძოდ, ურთიერთობა არა მხოლოდ ორ პირს, არამედ კუთხეების მოსახლეობათა შორისაც, ამ უკანასკნელს უნდა მიუთითებდეს მისი სიტყვები – „შენ ხარ უფალი **ჩვენი**“ (ესე იგი მთელი ეგრისის მოსახლეობისა). პირადულადაც გამოხატავს ურთიერთობას და ამბობს: „მე ვარ მონა შენი“. ამ ურთიერთობებში უნდა ჩანდეს დინასტიური უფროს-უმცროსობითი ვალდებულებითი დამოკიდებულების ასახვა, რასაც ეხება სტრაბონი იბერიის აღწერისას. მაშასადამე, ქუჯის პასუხი ასახავს როგორც ეგრისის მოსახლეობის, ასევე პირადად მისი დამოკიდებულების სურათს „ყოველთა ქართველთადმი“ და მისი ცენტრალიზებული მმართველობითი სისტემისადმი.

ქუჯი თვითვე ხსნის, თუ რა უდევს მის პასუხს საფუძვლად: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა“... ამიტომ, „შენ ხარ უფალი ჩვენი“. ანუ **ქართველობა ერთი გენეტიკური წარმოშობის ხალხია, მის „თავთა შვილია“ ფარნავაზი, ამიტომ მას უნდა დაემორჩილოს „ყოველნი ქართველნი“, მათ შორის ეგრისელებიც, რადგანაც ის არის ზოგად ქართველთა „უფალი“. ქართლის „თავთა შვილობის“ გამო „ყოველი ქართლის“ მოსახლეობა, მათ შორის ეგრისელებიც თავიანთ თავს ივალდებულებენ ერთ სამეფო ცენტრს დაექვემდებარონ.**

(ამ პასუხიდან კარგად ჩანს ის, რის დამალვასაც ასე საგულდაგულოდ ცდილობს არმენო-

ფილი რედაქტორი, ანუ „ქართლის ცხოვრების“ შესავლის ავტორი, რომ მის მიერ წარმოდგენილ ფიგურალურ გენეტიკურ სქემას ეწინააღმდეგება მის მიერვე აღწერილი ამბავი, კერძოდ, ფარავაზისა და ქუჯის წინაპრები ცნობილი ქართლოსი და ეგროსი ქუჯის პასუხიდან გამომდინარე, არიან არა ძმები, არამედ მამა-შვილი, კერძოდ, ეგროსი ქართლოსის ძეა ქუჯის პასუხის მიხედვით, რადგანაც თუ „ქართლოსია“ ის „ქართლის თავი“, რომელზეც ქუჯი ლაპარაკობს, მისადმი დამორჩილება ეგრისელებისა იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ქართლოსი მამაა, ხოლო ეგროსი შვილი. სწორედ მამას ეწოდება „უფალი“, „უფროსი და თავი“ (მისი შვილებისათვის), რომელსაც უნდა დამორჩილდნენ შვილები დინასტიურად.

ქუჯის პასუხიდან გამომდინარე, ქართლოსის ძეთა გენეალოგია შეიძლება ასეთი იყოს:

მემატიანის გადმოცემულ ქართლოსის შვილების სახელებს – „მცხეთოს, გარდაბოს, კახოს, კუხოს, გაჩიოს“ (ქ.ც. I, გვ. 8), შეიძლება დაემატოს „ეგროს“.

ეგროსი ქართლოსის შვილი თუ არ არის, რატომ უნდა დაემორჩილოს „ქართლის თავთა შვილს“ ეგროსის შთამომავალი? რატომაა ფარნავაზი „უფალი“, რატომ მართებს მის მიმართ მორჩილება ეგროსის შთამომავლებს, სხვა შემთხვევაში ასეთი ურთიერთობა შეუძლებელია. მხოლოდ მაშინ მართლდება ქუჯის პახუსი, თუკი ეგროსი ქართლოსის ძეა, ისევე, როგორც კახოსი, კუხოსი და გარდაბოსი.

ასე რომ, „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული ძველი გენეალოგიური სქემა შემდეგ იქნა დამახინჯებული არმენოფილების მიერ, რადგანაც ეს სქემა არმენოფილურ შესავალშია. მაშასადამე „ფარნავაზის ცხოვრებას“ შემოუნახავს უფრო ძველი წყაროებიდან მომდინარე ინფორმაციული მასალა.

4. „ეგრისით შეკრბეს ურიცხვნი სპანი“

ქუჯიმ ფარნავაზის საგანძურით ეგრისში დაიქირავა დიდი ჯარი – „ეგრისით შეკრბეს ურიცხვნი სპანი“ (ქ.ც. I, გვ. 23) და „მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს“ (იქვე, გვ. 23).

სპა, ფარნავაზის ჯარი, შეიკრიბა ეგრისში ანუ ჯარისკაცები ეგრისელები არიან, მემატიანის ცნობა, რომ მაშინ „ყოველნი ქართველნი“ განუდგეს აზონს – იმას ნიშნავს, რომ იმჟამინდელი საქართველოს ანუ „ყოველი ქართლის“ მოსახლეობა განუდგა აზონს, მათ შორის, პირველ რიგში სწორედ ეგრისელები, **რადგანაც მცხეთაში და შიდა ქართლში არც კი დაწყებულა აზონის საწინააღმდეგო მოძრაობა**. არც კახეთში ფიქრობდნენ თუ იყო შესაძლებელი აზონის წინააღმდეგ ბრძოლა. **მაშასადამე, ავჯანყების კერა – სამეგრელოა,** იქვე შეიკრიბა ჯარი, იქიდანვე შეებრძოლნენ აზონს, ასე, რომ ამ შემთხვევაში იმ **„ყოველთა ქართველთა“ ბუდე, რომელიც განუდგა აზონს, ეგრისია. ეგრისელები თვითვე არიან „ყოველთა ქართველთა“ წევრები, ანუ ეს იყო საქმით აღსრულება ქუჯის ზემოთ მოყვანილი სიტყვებისა.**

„ეგრისით შეკრბეს ურიცხვნი სპანი და მომართეს აზონს“ (ქ.ც. I. გვ.23)

ეგრისში ჯარის შეკრების შემდეგ მემატიანე წერს, შეიძლება ითქვას, საკვანძო სიტყვებს, რომელიც კიდევ უფრო კარგად წარმოაჩენს დაფარულ გენეალოგიურ სქემას, როგორც ითქვა, **ჯარი ეგრისში შეიკრიბა, – მაგრამ მათ შესახებ მემატიანე წერს - „განემრავლნეს მხედარნი ქართლისანი“**(ქ.ც. გვ.23).

შემდეგ წერს - „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანი“ (ქ.ც. I. გვ.24), მეორე წელს წერს მემატიანე – ერთი მხრივ დადგა „მხედარნი ქართლოსიანი“, რომელთაც მიეშველნენ მეზობელი ხალხებიც, მეორე მხარეს კი აზონის ჯარი. შეებრძოლნენ ქ. არტანისაში და დამარცხდა აზონი.

ფარნავაზმა განამტკიცა „ქართლის სამეფო“ ის **„მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტნი... ქუჯი იყო ერისთავი ეგრისისა** (ქ.ც. I, გვ. 24), ცხადია, „მხედარნი ქართლოსიანნი“, ის ქართველთა ჯარია, რომლის ძირითადი ბირთვი თავიდანვე **ეგრისში** იყო შეკრებილი, ეგრისულ ჯარს ეწოდა, როგორც აღინიშნა, „**მხედარნი ქართლოსიანნი**“.

5. აზნაურები ეგრისში

ფარნავაზი მისი სახელმწიფოს ყოველ კუთხეში ცხოვრობდა სეზონურად. ყოველ კუთხეს სტუმრობდა „ჟამითი ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი და განაგის ყოველი საქმე დაშლილი“ (ქ.ც. I, გვ. 25).

როგორც ვთქვით, მაკედონიიდან ჩამოყვანილი ე.წ. „ჰრომნი“, ათასი მხედარნი, რომელნიც მიემხრნენ ფარნავაზს, უხვად დაასაჩუქრა და „ყოველ ქართლში“, ანუ მთელ საქართველოში დაასახლა, ცხადია, მდ. ეგრისწყალიდან ვიდრე სომხეთ-ალბანეთამდე – საზღვრებს შიგნით. მათ „აზნაურები“ ეწოდათ აზონის სახელის მიხედვით. სამეგრელოში მათ იგივე სახელი „ზინო-სკუა“, ანუ აზნაურიშვილი ერქვათ. აქედან ჩანს, რომ „აზნაურები“ ეგრისშიც ცხოვრობდნენ – „ხოლო ჰრომნი ათასნი მხედარნი, რომელი აზონისაგან მოერთეს ფარნავაზს, რომელი ზემოთ ვახსენეთ, იგინი განყვნა ხევთა და ქვეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისასა მხნედ იყვნეს და უწოდა მათ სახელად აზნაურნი“ (ქ.ც. გვ. 25).

6. სახელმწიფო და კულტურის ენა ეგრისში

ფარნავაზმა განახორციელა იმ ეპოქისათვის ალბათ დიდი საქმე – შემოიღო სახელმწიფო ენა, რომელიც ამავე დროს ერთადერთი კულტურისა და ურთიერთობის ენაც იყო მის სამეფოში ეგრისწყლიდან სომხეთ-ალბანეთამდე – „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა, თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ქ.ც. I, გვ. 26).

ჩანს, ასეთი ენობრივი რეფორმები წარსულში შესაძლებელი იყო, მაგალითად, ხორენაცი აღწერს, თუ როგორ დაავალდებულა არმენიის მეფემ მის ხელქვეშ მოქცეული მოსახლეობა ესაუბრათ მხოლოდ სომხური ენით.

შემდგომში (VI ს-ში) სპარსეთიც უკრძალავდა მის ხელქვეშ მოქცეულ სომხებს ბერძნულენოვან საუბარს, აკრძალა ბერძნულენოვანი წიგნები და ღვთისმსახურება.

რაც შეეხება „ყოველ ქართლს“, აქ იმავე მემატიანის სიტყვით, არ ცხოვრობდა უცხო მოსახლეობა, ანუ „ყოველ ქართლში“ მხოლოდ და მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ სასაზღვრო მდინარე ეგრისწყლიდან – სომხეთ-ალბანეთამდე, „ეგრისელები“ იყვნენ არა უცხო ნათესავნი, არამედ ე.წ. „ჩვენ ჯგუფის“ წევრები, იდენტობით ქართველები. მათი ქართული ცნობიერება ქუჯიმ კარგად გამოხატა ზემოთ აღნიშნული სიტყვებით. ფარნავაზმა გამოსცა ბრძანება რომ მის სამეფოში მხოლოდ „ქართულად ეზრახათ“, ანუ ქართულად ესაუბრათ, ამის გამო აღარც გაისმოდა სხვა ენაზე მეტყველება – **„არღა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა**“. ამავე დროს კი ეგრისი – ქართლის სამეფოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ანუ „ყოველი ქართლის“ უმთავრესთაგანი ნაწილი იყო, თავისთავად გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ ეგრისის მოსახლეობისათვის ფარნავაზის ეპოქაში ქართული მშობლიური იყო. მართლაც, ეგრისელთა ენა მნიშვნელოვნად განსხვავებული რომ ყოფილიყო, ფარნავაზი ვერ განახორციელებდა თავის ძალზე მნიშვნელოვან რეფორმას, მას

წინააღმდეგობა შეხვდებოდა ეგრისში და სხვა კუთხეებშიც. მაგრამ ფაქტი იმისა, რომ **ათასწლეულთა მანძილზე, ეგრისსა, კახეთსა თუ კლარჯეთში ერთადერთი კულ-ტურისა, მწიგნობრობის, ღვთისმსახურების, ადმინისტრაციული და სახელმწიფო ენა იყო ქართული და არასდროს ადგილობრივი დიალექტები აღნიშნული მიზნებით გამოყენებული არ ყოფილა, გვაფიქრებინებს, რომ ფარნავაზის ეპოქაში ჯერ კიდევ არ იყო გაღრმავებული ფუძე ქართული ენის დიფერენციაციის პროცესი, ფუძე ქართული ენა – მშობლიური იყო როგორც ეგრისში, ისე კლარჯეთში, კახეთსა და შიდა ქართლში.** ფუძე ქართული კი ალბათ „ძველი ქართული " იყო, რომელიც შემდგომ ეკლესიამ საღვთისმსახურო ენად აქცია.

ფარნავაზისეული ბრძანება – ქართული ენის საყოველთაოობის შესახებ – რეალურად აღსასრულებელი აღმოჩნდა ქვეყნის ყველა კუთხეში, მათ შორის ეგრისშიც. ამიტომაც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ადგილობრივი მრევლის საეკლესიო ენა ქართული იყო ეგრისში, სვანეთსა თუ აფხაზეთში, ესაა ფაქტი. აღიარება ესაჭიროება იმ ფაქტსაც, რომ მას წინარე ათასწლოვანი საფუძველი ჰქონდა.

სვანეთსა, ეგრისსა და სხვა კუთხეებში ქართული ენა ბუნებრივი და მშობლიური ენა უნდა ყოფილიყო უძველესი ხანიდანვე, წინააღმდეგ შემთხვევაში – თუკი იქ ქართული ენა განივრცო მოგვიანებით VIII-X საუკუნეებში, უნდა აიხსნას, და დამაჯერებელი გახდეს ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა.

საქმე ისაა, რომ VIII-X საუკუნეებში საქართველო არ იყო ერთიანი სახელმწიფო, უფრო მეტიც, აღმოსავლეთი საქართველო დაყოფილი იყო ურთიერთმებრძოლ მხარეებად, რომელნიც არაბთა მიერ იყო დაპყრობილი. არაბებმა საქართველოს გული თბილისი დაიპყრეს და ქართული კულტურის ძველი აკვანი თბილისი-სამშვილდე უცხო საამიროს ტერიტორიად აქციეს და იქ მონოფიზიტები გააბატონეს.

ქართული მიწა-წყალი - ტაო და ნაწილობრივ კლარჯეთიც იქამდე სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული, ასევე ჰერეთიც. ქართველებს გააჩნდათ ერთმანეთისაგან ურთიერთდაშორებული ტერიტორიები – ქვეყანა იყო სრულიად დაშლილ-დანაწევრებული. უფრო მეტიც, არათუ ცენტრალური ხელისუფლება აღარ არსებობდა (ვახტანგის შთამომავლობას არაბები დევნიდნენ), არამედ კუთხეებში საერო ხელისუფლებაც კი არ იყო ჩამოყალიბებული, მხოლოდ IX საუკუნისთვის, არაბთა ძალების დასუსტების შემდეგ გახდა შესაძლებელი კუთხეებში ქართული სახელმწიფო წარმონაქმნების ჩამოყალიბება. კახეთის საქორეპისკოპოსოს გვერდით გაჩნდა ტაო-კლარჯეთის, აფხაზეთის და ჰერეთის სამეფო-სამთავროები, ყველანი ქართული სახელმწიფო და საეკლესიო ენით, ერთიანი ქართული კულტურით. ისმის კითხვა, თუკი ჰერები არ იყვნენ იმთავითვე ქართული იდენტობის მატარებელნი, თუკი ტაო არ იყო იმთავითვე ქართული იდენტობის მატარებელი, თუკი სვანეთი, ეგრისი და აფხაზეთი არ იყვნენ ქართული ეროვნული იდენტობის მატარებელნი, რა ძალამ გახადა შესაძლებელი სამხრეთ კავკასიის ამ უზარმაზარ, დაპყრობილ, დაშლილ-დანაწევრებულ ურთიერთმიუდგომელ ქვეყნებში ქართულენოვანი სახელმწიფოების ჩამოყალიბება? გასათვალისწინებელია ისიც, რომ არაბებმა სახელმწიფოებრივად და კულტურულად დაიმორჩილეს ისეთი დიდი კულტუროსანი ერები, როგორებიც იყვნენ სირიელები და სპარსელები. ჩაკლეს სირიული ქრისტიანული კულტურა. სპარსეთის სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ თითქმის ათასი წელი დასჭირდა მის მკვიდრ მოსახლეობას ეროვნული სახელმწიფოებრიობის ასაღორძინებლად.

ქართველობას, დასუსტებულს არაბთა 300-წლოვანი ბატონობით, ისეთი პოლიტიკური ძალა არ გააჩნდა, რომ ქართული ენა გაევრცელებინა ჰერეთში, ტაოში, ეგრისში, სვანეთსა, აფხაზეთსა და სხვაგან, ისინი იმთავითვე ქართული იდენტობის მატარებელი რეგიონები რომ არ ყოფილიყვნენ.

ჩვენი XX ს-ის მეცნიერები შეეცადნენ ეს პროცესი აეხსნათ ე.წ. ქართიზაციით, თითქოს-და „პროზელიტური“ (მათი ტერმინია) ქართული ეკლესია იჭრებოდა სხვის მიწა-წყალზე და ავრცელებდა იქ ქართულ ენასა და კულტურას. ასეთი მოსაზრება საეჭვოა, **როგორ შეეძლო ორი-სამი ბერით თუნდაც ისეთ წმიდანს, როგორიც იყო გრიგოლ ხანძთელი, მშობ-ლიური ენა დაევიწყებინა ტაოელი ან კლარჯი არაქართველებისთვის, ადგილობრივი მოსახლეობა თვითონ რომ არ ყოფილიყო ქართული იდენტობის მქონე, ანუ ეთნი-კურად წარმოშობით ქართველი, რომელთაც სწყუროდათ ქართველი მამების სიტყვა და ქადაგება, ანუ მშობლიური ხმის გაგონება. ტაო და კლარჯეთი უშუალოდ ბიზანტიის მეზობელი მხარეები იყვნენ, თუ იქაური სომხები ქალკედონიტობის გამო იცვლიდნენ ენას, მაშინ მათ ბერძნული ენდა მიეღოთ.**

ასე რომ, **თვით ხალხმა, რეგიონების მოსახლეობამ ტაოსა თუ კლარჯეთში შემოინ-ახა ქართული ენა** და ამიტომაც მათთვის ქართულენოვანი მოძღვრები სავსებით მისაღებნი და სასურველნი იყვნენ.

ასევე ითქმის ჰერეთის შესახებაც. ეს მხარე ქართული ენის ისტორიის შესწავლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. საქმე ისაა, რომ, ჩვენი მემატიანეების სიტყვით, ჰერეთი X საუკუნემდე მონოფიზიტური იყო. ამის გამო ეკლესიებში წირვა-ლოცვა სომხურენოვანი იქნებოდა, მაგრამ ხალხი ქართულენოვანი ყოფილა. ეს იქიდან ჩანს, რომ ჰერეთში თავდაპირველად ქართულე-ნოვანი სახელმწიფო ჩამოყალიბდა (სახელმწიფო ქართული ენით), შემდეგ კი დინარა დედოფ-ლის წყალობით ხალხმა გადაიგდო სომხური ეკლესიის იურისდიქციის უღელი და დაუბრუნ-და მართლმადიდებლობას, ეკლესიებშიც აღსდგა მშობლიური ქართულენოვნება.

7. ეგრისის (აფხაზეთის) მოსახლეობა უხტანესის მიხედვით („და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება“)

XX საუკუნის მეცნიერების სიტყვით, თითქოსდა VII ს-ის შემდეგ დასავლეთ საქართველოში მასიურად გადმოსახლდა აღმოსავლეთ საქართველოდან ქართულენოვანი მოსახლეობა და ამის გამო აფხაზეთში, ანუ დასავლეთ საქართველოში ქართულენოვნება გავრცელდა.

ნამდვილად ასე იყო? თუკი დასავლეთ საქართველოში მასიურად გადასახლდა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, მემატიანეებს არ გამორჩებოდათ ეს პროცესი და აღწერდნენ კიდეც. გვაქვს თუ არა რაიმე ცნობა ქართულ ან უცხოურ წყაროებში VIII-X საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში მასიური მიგრაციის შესახებ? არავ-ითარი მსგავსი ცნობა არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში არ არსებობს, თუმცა კი გვაქვს ცნობა პირიქითა მოძრაობის შესახებ, ე.ი. დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში მოსახლეობის მასიური მიგრაციის შესახებ, ეს ცნობები დაცული აქვთ მსოფლიო მნიშვნელო-ბის ისეთ დიდ სომეხ ისტორიკოსებს, როგორებიც იყვნენ მოვსეს ხორენაცი და უხტანესი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია X ს-ის მეცნიერის უხტანესის ცნობა იმით, რომ ის ქრო-ნოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე უფრო ახლოს იყო განსახილველ VIII-X საუკუნეების პროცესთან. უხტანესი იკვლევდა ქართულ-სომხურ საეკლესიო ურთიერთობებს, შეისწავლა უამრავი წყარო და თვითვე აკვირდებოდა მის ეპოქაში საქართველოში მიმდინარე პროცესებს, შედეგად დაწერა თავისი დროისთვის გრანდიოზული სიდიდის წიგნი, რომელიც, ვითარცა ერთ-ერთი წყარო VII-X საუკუნეებისა, შეისწავლება საყოველთაოდ. უხტანესის დროს უკვე არსე-ბობდა „აფხაზეთის სამეფო“, როგორც კავკასიაში ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო და ასევე ცნობილი იყო ამ სამეფოს, ანუ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც. აფხაზეთის ხალხს უხტანესი ნაბუქოდონოსორის დროინდელ ივერებს უწოდებს. მნიშვნელოვანი ისაა, თუ ვინაა მისი აზრით ეთნიკურ-ეროვნული წარმოშობით აფხაზეთის მოსახლეობა, საიდან მოხვდნენ,

საიდან ჩამოსახლდნენ ისინი დასავლეთ საქართველოში და რა სახისაა მათი მიგრაცია VIII-X საუკუნეებში.

აფხაზები, უხტანესის აზრით, არიან ის ქართველები, ანუ „ივერიელები", რომლებმაც ნაბუქოდონოსორმა აყარა ძველი სამშობლოდან, ძველი ივერიიდან და გადმოასახლა დასავლეთ საქართველოში, ანუ პონტოს ზღვისპირზე, შემდეგში კი ეს ივერიელები, თანდათანობით, გამრავლების შედეგად განივრცნენ ვრცელ ტერიტორიაზე (უხტანესი წერს: **„ის პიტიახში ყოფილა მირდატ, დარეჰის ნახარარის ჩამომავალი, როგორც გვაუწყებს მოსე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა მოიყვანა და მთავრად დატოვაო ტყვე ივერიელთა ტომებზე, რომლებიც მოიყვანა ნაბუქოდონოსორმა ლიბიელთა ჯარის ძალით, დააქცია და დაიმორჩილა. მათი ნაწილი პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირს წაასხა და დაასახლაო ,ამბობს ისტორიკოსი, ის ივერია კი არის დასავლეთის ქვეყნის კიდე. ხოლო პონტოს ნაპირზე რომ დაბანაკდა ის ტომი აღორძინდა, გამრავლდა ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე, შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება. ურიცხვია სახელი თვითოეული გავარისა, რომლებიც მის გარშემოა, და სხვა გავარებისა ქალაქ თბილისის გარშემო, რომელთაც ეწოდებათ: წანარეთი, ჯავახეთი, თრიალეთი. ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ვერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდებათ (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975, გვ.67**) უხტანესი იქვე, იმავე წინადადებაში ახსენებს ცურტავს, ამით მიუთითებს რომ ისიც ქართულ გავარში მდებარეობდა და სინანულით აღნიშნავს, რომ ქართველები - „ტომითაც, ენითაც, დამწერლობითაც, მამამთავრობითაც და მეფობითაც განმტკიცდნენ, ხოლო გამოჰყო, გამოაცალკევა და განაშორა ჩვენგან კირონ სკუტრელმა"(იქვე, გვ.67).

ქართველები, უხტანესის აზრით, ასე განივრცნენ ვიდრე სომხეთამდე და ასე დაასახლეს მათ გუგარქი (ე.ი. აღმოსავლეთ საქართველო).

დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო უხტანესი აფხაზების ქართულენოვნებაში, მათ ეთნიკურ ქართველობაში, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ დაუკავშირებდა ნაბუქოდონოსორის მიერ გადმოსახლებულ ივერიელებსა და აფხაზეთის მოსახლეობას ერთმანეთს.

„აფხაზეთის" ანუ დასავლეთ საქართველოს ხალხი კი X ს-ში იყვნენ ეგრისელებიც, სვანებიცა და სხვა ქართული ტომებიც (არგვეთელები, თაკვერები თუ გურულები).

8. სტრაბონის ცნობით სვანები იბერიელები არიან, ხოლო დასავლეთ საქართველო იბერიის ნაწილია

არა მხოლოდ სომეხი ავტორები, ბერძენი ავტორებიც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას იბერიელებს უწოდებენ. მაგალითად, სტრაბონი წერს სვანების შესახებ – „მათ ზოგიერთები იბერებს უწოდებენ", რუსულ თარგმანში ეს ასე ჟღერს - „ნეკოტორიე ნაზივაიუტ იხ ტაკჟე იბერიიცამი" (სტრაბონ, იზდატელსტვო „ნაუკა", 1964, ს.473). (ეს ცნობა XX ს. ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ მიჩქმალა. ამ თემას ქვემოთ შევეხებით).

სტრაბონი ასევე წერს, რომ **„შუა იბერიაში გადის სამხრეთისაკენ მიმართული კავკასიონის ის ქედი, რომელიც უერთდება სომხეთის და მოსხის მთებს, სკიდისესა და პარიადრეს"** (სტრაბონი, XI, II, 15). რომელია ასეთი ქედი? ერთადერთი ქედი, რომელიც გამოდის კავკასიის მთიდან და უერთდება მესხეთის ქედს, არის ლიხის ანუ სურამის ქედი. ის კი, სტრაბონის ცნობით, „შუა იბერიაში" გადიოდა, ანუ **დასავლეთი საქართველოც იბერიად იწოდებოდა სტრაბონის მიერ**; ეს ძალზე საჭირო ცნობაა, ასევე მიჩქმალული. აღსანიშნავია,

რომ სტრაბონი ისევე, როგორც ძველი ქართველი მემატიანეები ხმარობენ ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ტერმინს: **„შუა იბერია“ (სტრაბონი), „შუა ქართლი“ (მროველი)**.

სოფელ ბორსა და კლდეეთში იბერიული კულტურის (არქეოლოგიური) საგანძურის აღმოჩენის შემდეგ ჩვენი მეცნიერებიც ტერიტორიას ვიდრე სკანდა-შორაპნამდე იბერიად მიიჩნევენ. ასე რომ, სტრაბონის ცნობა, რომ სურამის ქედი შუა იბერიაში გადიოდა, არ-ქეოლოგიურადაც დადასტურდა. სტრაბონი უფრო დასავლეთით სწევდა იბერიის საზღვარს ამიტომაც წერდა სვანების იბერიელობის შესახებ, ხოლო არიანეს დროს ძიდრიტების ტომი ფარსმანს ემორჩილებოდა თანამედროვე აჭარის სამხრეთით. იბერია ზღვისკენ ვრცლად იყო გადაჭიმული.

ჩვენი მემატიანის მტკიცებითაც, როგორც აღინიშნა ეგრისი იბერიაში შედიოდა, ის ქართლის სამეფოს შემადგენელი, ორგანული ნაწილი იყო. ეგრისის ერისთავი ქუჯი ქართ-ლის მერვე ერისთავი იყო – ფარნავაზის დის ქმარი.

9. „ნათესავი ჩვენი“

ფარნავაზის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტის მემკვიდრის საურმაგის წინააღმდეგ ქართლის ერისთავებს აჯანყება მოუწყვიათ.

ფარნავაზამდე, მემატიანის სიტყვით, ქართველი დიდებულები ემორჩილებოდნენ მხოლოდ გამარ-ჯვებულ უცხოელ დამპყრობელს, მას აღიარებდნენ მეფედ და „ემსახურებოდნენ“. თავიანთი თვისტ-ომის მეფედ აღიარება, მემატიანის სიტყვით, გაუჭირდათ – „ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქვეს – „არა კეთილ არს ჩვენდა, რათამცა ვმსახურებდეთ **ნათესავსა ჩვენსა**, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩვენ საურმაგ და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ“ (ქც. I, გვ. 26).

აქ საინტერესოა, რომ ქართველობას, მემატიანის სიტყვით, აქვთ ეროვნული თვითშემეცნე-ბა და ამბობენ „ნათესავი ჩვენი“ („არა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩვენსა"), ანუ ყველა საერისთაოს მეთაურმა იცის, რომ ერთი ერის შვილები არიან - „ნათესავნი" არიან. ამ „ნათესავში“ შედის ცხადია ეგრისის ერისთავიც.

ნათესაური, ანუ ეროვნული კავშირის ძიებისას ჩვენ შეიძლება მივუბრუნდეთ ქუჯის სიტყვებს ფარნავაზისადმი – „შენ გმართებს უფლობა ჩემი“, სიტყვა „უფალი“ გარდა მისი გამომხატველობისა, აგრეთვე ჟღერდა ეთნარქ ქართლოსის ერთ-ერთი შთამომავ-ლის სახელშიც – „უფლოსი“. უფლოსი იყო ქართლოსის შვილიშვილი, ძე მცხეთოსისა (ქართლოსის ძეებია – მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი, გაჩიოსი, ხოლო მცხეთო-სის ძეებია – უფლოს, ოძრხოს, ჯავახოს). ქართლოსის მემკვიდრედ მხოლოდ მცხეთოსი გამოცხადდა („მცხეთოს უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა"); მცხეთოსის შემდეგ „ქართლოსიანთა“ ანუ ქართველთა უფ-როსად გამოცხადდა უფლოსი – „დატევებულ იყო საყდართა ქართლოსისათა, რამეთუ მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლობა ქართლოსიანთა“ (ქ.ც. I, გვ 10). **„ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იყვის ყოველთა მათ სხვათა ზედა და არცა სახელ-ედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ და იგი იყო მაზავებელ და ბჭე სხვათა ქართლოსიანთა“** (გვ. 11).

ფარნავაზი იყო ქართლოსიანთა მამასახლისის ოჯახის წევრი, ანუ შთამომავალი უფლო-სისა, „ქართლოსის საყდრის“ მემკვიდრე, ანუ „ქართლოსიანთა უფალი“, ამიტომ ეგროსის სიტყვები „**შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი**“ (ქც. I, გვ. 22), მიუთითებს, რომ **ქუჯი ქართლოსიანია**, ანუ **ქართლოსის შთამომავალია**, და ამიტომაც წესის შესაბამისად ქართ-ლოსიანთა უფალს უნდა დაემორჩილოს, ისევე, როგორც სხვა ყველა ქართლოსიანი.

თუ ქუჯი ქართლოსიანია, ეგრისის მოსახლეობაც ქართლოსიანია, ანუ ქართლოსის შთამომავალია (ქუჯი სწორედ ეგრისის მოსახლეობის პიროვნული გამოხატულებაა). მაშინ, კიდევ ერთხელ შეიძლება ვთქვათ, რომ ეგროსი არა თარგამოსის ძე იყო, არამედ ქართლოსისა – როგორც ჩანს, ასე იყო კიდეც გადმოცემული ეთნარქთა გენეალოგიის თავდაპირველ ვარიანტში, რომელიც შემდგომ ახალ რედაქტორს გაუსწორებია, თუმცა კი თავისი ნაკვალევი მთელ ნაშრომში ვერ აღმოუფხვრია და ამის ნაშთია ქუჯის აღნიშნული პასუხი ფარნავაზისადმი.

10. ეთნიკური „ქართველის“ იდენტურობის ცნება

„ფარნავაზ პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსის ნათესავთაგანი“ (ქ.ც. I. გვ. 26).

ფარნავაზის ასვლა სამეფო ტახტზე „ქართლოსის ნათესავის“ გამეფება, როგორც ითქვა, მიუღებელი ყოფილა ქართლის ქვეყნის ერისთავებისათვის,იქამდე ისინი ხარკს უხდიდნენ იმ უცხოელ მონარქებს, რომლებიც მათზე იმარჯვებდნენ. ეს ნორმალურ მოვლენად მიაჩნდათ, ახლა კი მათი თანაფარდი, მათივე თვისტომი გადაიქცა მათ მეფედ, თვისტომის მსახურება კი სათაკილო საქმედ მიიჩნიეს.

„ფარნავაზი პირველი მეფე იყო ქართლს შინა", არა რიგითობით, არამედ პირველი მეფე იყო, ვითარცა „ქართლოსისა ნათესავთაგანი“. ეს მოვლენა, როგორც აღინიშნა, მიუღებელი იყო ზოგიერთი დიდებულისათვის, ამიტომაც მემატიანის ცნობით ფარნავაზის გარდაცვალებისთანავე, როცა სამეფო ტახტზე ავიდა მისი ძე საურმაგი - მოაწყვეს აჯანყება –

„ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქვეს: „არა კეთილ არს ჩვენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩვენსა, არამედ ვიყოთ ერთად და მოვკლათ ჩვენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცავინ გამოჩნდეს მძლე“ (ქ.ც. I, გვ. 26).

იქამდე, როგორც ითქვა, ქართლის ერისთავები ხარკს აძლევდნენ არა „მათ ნათესავს“ არამედ უცხო „მძლე“, გამარჯვებულ დამპყრობელს, ახლა კი თავის ნათესავისადმი ანუ თვისტომისადმი დამორჩილება მიიჩნიეს უკეთურებად „არა კეთილ არს ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩვენსა" რამეთუ უამისოდ, „უფრო განვისუენებთო“.

საურმაგმა ქართლის ერისთავების დასამარცხებლად შემოიყვანა ჩრდილო კავკასიელები და დაასახლა ისინი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიანეთში – **დასხნა მთიუელეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სვანეთი** (ქ.ც. I. გვ. 27). მემატიანის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ქართლის ერისთავთა ჯგუფში შედიან ეგრის-სვანეთის ერისთავებიც (რადგანაც ეგრის-სვანეთის საერისთავოებშიც, მათსავე დასასჯელად ჩამოასახლეს კავკასიელები) ე.ი. ისინიც აჯანყდნენ.

აქედან გამომდინარე, ქართლის იმ ერისთავთა ჯგუფში, რომელნიც თავიანთი „ნათესავის“ გამეფების გამო აჯანყდნენ შედიოდნენ ეგრის-სვანეთის ერისთავებიც, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საერისთავოების ხალხი ერთი ერი - „ნათესავი ჩვენი“ იყო.

11. ეგრისი ქრისტეშობის ეპოქაში (ქუჯის შვილთაშვილი ქართლის მეფე)

ფარნავაზის ძემ საურმაგმა – „ერთი ასული მისცა ძესა ქუჯისასა, მამის დისწულს თვისსა“ (ქ.ც. I, გვ. 27).

ფარნავაზის დაი ქუჯის მეუღლე იყო, ახლა ქუჯის ძეს ფარნავაზის ვაჟმა

თავისი ასული მიათხოვა. მათგან იშვა ქართამი, ქუჯის პირდაპირი შთამომავალი, მაგრამ რადგანაც დედის მხრიდან ფარნავაზის სისხლი ჰქონდა – ფარნავაზიანად იწოდებოდა. მემატიანე წერს, რომ ქართლის მეშვიდე მეფეს „**ბარტომ მეფესა** არა ესვა ძე, არამედ ასული ერთი და სიცოცხლესავე მისა მოეყვანა **ეგრისით ძისწული ქუჯისი, სახელით ქართამ,** რომელსა შესდგამდა **ფარნავაზიანობა,** ფარნავაზის დისა ქუჯის ცოლისაგან და დედისა მისისა საურმაგის ასულის **ქუჯის ძის** ცოლისაგან და ამის ქართამისად ეგრისით მიეცა ასული თვისი ცოლად ბარტომ მეფესა და აღეღო ესე შვილად“ (ქ.ც. I, გვ. 30).

ამ **ქართამ ეგრისელის ძეს უწოდეს სახელად ადერკი**. ის გახდა ქართლის მეათე მეფე – „ამან **ადერკი დაიპყრა ყოველი ქვეყანა ქართლი და ეგრისი**“ (ქ.ც. I, გვ. 35). მის დროს იშვა ჩვენი უფალი იესო ქრისტე და საქართველოში შემოვიდნენ წმიდა მოციქულები. მის დროს წავიდნენ მცხეთიდან ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი და იერუსალიმიდან ჩამოასვენეს წმიდა კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მემატიანის ცნობით, მას ადერკი მეფე ხელითაც შეეხო და დიდი საუფლო მადლი მიიღო.

„ამავე ადერკის მეფობასა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანი ანდრია და სვიმონ კანანელი აფხაზეთს და **ეგრისს** და მუნ აღესრულა წმიდა სვიმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისასა, საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქცივნა **მეგრელნი** და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“ (ქ.ც. I, გვ. 38).

„ხოლო ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან სჯულისა დატევება, განუწყრა და წარავლინნა ერისთავნი მისნი და იძულებით კვალადვე მოაქცივნა **მეგრელნი** და დამალნეს ხატნი და ჯვარნი, და შერისხა ადერკი ერისთავსა კლარჯეთისასა, რომელ მშვიდობით განუტევა ანდრია მოციქული“ (ქ.ც. I, გვ. 42). იმჟამინდელ ქართველობას რადგანაც თავიანთი ძველი ეროვნული სარწმუნეობის დაცვა უდიდეს საქმედ მიაჩნდათ და ამბობდნენ: „**სჯულისა დატევებისათვის მოჰკლვენ მამანი შვილთა და ძმანი ძმათა და არა იძიების სისხლი სჯულისა დატევებისათვის მოკლულთა**“ (ქ.ც. I, გვ. 31).

12. მეფე ადერკი ეგრისელის შემდეგ ყოველი ქართლის დაყოფა

„ქართლის სამეფო“, ანუ საქართველო მეფე ადერკის, როგორც ითქვა, თავისი შვილებისათვის დაუნაწილებია, ისევე, როგორც 1500 წლის შემდეგ მეფე ალექსანდრემ დაუნაწილა თავის შვილებს.

მიუხედავად ამ დანაწილებისა, ეგრისი მაინც ქართლის ერთ-ერთი სამეფოს შემადგენლობაში დარჩა.

მემატიანის სიტყვით, მეფე ადერკის თავისი სამეფო ორად გაუყვია და თავისი ორი ვაჟისთვის გადაუცია. ერთი სამეფოს დედაქალაქი იყო მცხეთა, ხოლო მეორისა – არმაზი (ქ.ც. I, გვ. 43).

13. ეგრისის ანუ „დასავლეთის ერისთავები“

ქართლის ცხოვრების პირველ საუკუნეთა აღწერებიდან ჩანს, რომ ქართლის სამეფოს ერისთავები ორ ჯგუფად განიყოფოდა გეოგრაფიული განლაგების მიხედვით, ესენი იყვნენ „დასავლეთის ერისთავები“ და, შესაბამისად, – „აღმოსავლეთის ერისთავები“.

დასავლეთის ერისთავთა ჯგუფი აერთიანებდა 5 საერისთავოს. ესენი იყვნენ – ეგრისის ორი ერისთავი, ასევე ერისთავები ოძრხის, კლარჯეთისა და წუნდისა. წყაროში ნათქვამია

ერთ ამბავთან დაკავშირებით – „მაშინ განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“ (ქ.ც. I, გვ. 57).

ეგრისის ორი ერისთავის ქვეშ იგულისხმება არგვეთის ერისთავი და თვით ეგრისის ერისთავი. აქედან გამომდინარე, დასავლეთის ერისთავთა ჯგუფში შედიოდნენ – არგვეთის, ეგრისის, ოძრხის, კლარჯეთისა და წუნდის ერისთავები.

აღმოსავლეთის ერისთავთა ჯგუფში შესაბამისად უნდა შესულიყვნენ – კახეთის, ხუნანის, სამშვილდის ერისთავები და შიდა ქართლის სპასპეტი. ასე ყოფილა ქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილი ფარნავაზის პირველი ერთიანი სამეფოს დროიდან. მას დაუდგენია ორი ერისთავი ისტორიულ ეგრისში – არგვეთისა და საკუთრივ ეგრისისა. ამაზე ნათქვამია – „ჟამითი ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი“ (ქ.ც. I, გვ. 25). ფარნავაზს დაუდგენია ერისთავები კუთხეთა მმართველებად და ლაშქრის მეთაურებად, მათი საერთო რიცხვი რვა ყოფილა და ყველას ერთად ეწოდებოდა „ერისთავნი ქართლისანი“. ესენი იყვნენ: 1)ერისთავი ეგრისისა; 2)ერისთავი მარგვეთისა; 3)ერისთავი კლარჯეთისა; 4)ერისთავი ოძრხისა; 5)ერისთავი წუნდისა; 6)ერისთავი კახეთისა; 7)ერისთავი ხუნანისა; 8)ერისთავი სამშვილდისა და ასევე 9)სპასპეტი შიდა ქართლისა. მთელი ფარნავაზის სახელმწიფოს, ანუ „ქართლის სამეფოს“ ხალხი „ერთი ნათესავია“ ანუ ეთნიკურად ერთია, თუმცა საერისთავოთა მცხოვრებთ კუთხური სახელებიც ჰქონდათ. „ქართლის სამეფოს“, ანუ რვა საერისთავოსა და ერთი სასპასპეტოს მოსახლეობა ერთი ეროვნება, ერთი ხალხი რომ იყო, ჩანს, როგორც აღვნიშნეთ, მატიანის შემდეგი მონათხრობიდან – ფარნავაზის შემდეგ მის ძეს საურმაგს აუჯანყდნენ „ქართლის ერისთავები“, ანუ აუჯანყდა აღნიშნული რვა ერისთავი, მათ განაცხადეს: ფარნავაზამდე ჩვენ არ ვემორჩილებოდით ჩვენსავე თანასწორს, ჩვენი ერისგან გამოსულ ადამიანს, თუმცა იძულებულნი ვიყავით დავმორჩილებოდით რომელიმე უფრო ძლიერი უცხო სახელმწიფოს მეთაურს, ამჟამად ვითარება შეიცვალა. ჩვენივე თანასწორმა, ჩვენი ერის შვილმა დაგვიმორჩილა, ეს კი სათაკილო საქმეაო. კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ მემატიანის სიტყვებს – საურმაგის „ჟამსა შინა ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქვეს: „არა კეთილ არს ჩვენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩვენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩვენ საურმაგ და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, და მივსცემდით ხარკსა, ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე, რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისვენებთ“, განამტკიცეს განზრახვა და მოკვლა საურმაგისი“ (ქ.ც. I, გვ. 26).

აქ ნახსენებია ეროვნული იდენტობის დამადასტურებელი სიტყვები – „ნათესავსა ჩვენსა“ -საურმაგ მეფე, მათი სიტყვით, „ჩვენი ნათესავის მეფეა”, შესაბამისად, ეგრისის საერისთავოს ხალხი სხვა საერისთავოთა ხალხთან ერთად ერთი ნათესავია, ერთი ერია.

ქართლის რვა ერისთავის განცხადებით საკუთარი ერის შვილის მათზე მაღლა აღზევება სამარცხვინო იყო, ეს მათ „თავისუფლებას“ ზღუდავდა და „განსვენების“ საშუალებას უკარგავდა. საბედნიეროდ, საურმაგი გადარჩა და ჩრდილოკავკასიური უცხო ძალით შეებრძოლა მათ – „წარმოემართა ქართველთა ზედა“ (იქვე, გვ. 27). მაშასადამე, სახელი იმ ერისა, რომელსაც ქმნიდა რვა საერისთავო იყო „ქართველნი“. როგორც ითქვა, ამ „ქართველებს“ ჩრდილო კავკასიური ლაშქრით შეებრძოლა ფარნავაზის ძე საურმაგი. მან გაიმარჯვა და „დაიპყრა ქართლი“, ე.ი. თავისი მამის სამეფო დაიბრუნა. ჩრდილოკავკასიელები კი ჩამოასახლა მთიან ადგილებში, „დასხა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სვანეთი“ (იქვე, გვ. 27). ე.ი.ეგრისი და სვანეთიც აჯანყებულ ქართლის საერისთაოში შედიოდა. თავისი ასული გამარჯვებულმა ქართლის ახალმა მეფემ მიათხოვა „ძესა ქუჯისა, მამის დისწულსა თვისსა“ (იქვე, გვ. 27).

„ქართლის ერისთავები“ ტერმინის სახით ხშირად იხსენიება ქრისტეშობამდელ ამბებში. მათში ასევე იგულისხმებოდა „დასავლეთის ხუთი ერისთავი“, მათ შორის იყო, როგორც ითქვა, ორი ერისთავი ეგრისიდან.

მოხდა ისე, რომ ქართლის მეფე ბარტომი უაღრესად დაუახლოვდა საქართველოს გარეთ არსებულ წრეებს, ის ტახტს იმაგრებდა სპარსულ-სომხური ძალებით. მას უსათუოდ ესაჭიროებოდა ქვეყნის შიგნით მოსახლეობის გულის მოგება, ამის გამო გადაწყვიტა ტახტის მემკვიდრედ გამოეცხადებინა და ეშვილებინა ეგრისელი უფლისწული, რადგანაც მას არ ჰყავდა საკუთარი ძე. ეგრისიდან ჩამოყვანილი უფლისწულის სახელი იყო ქართამი, გვარად ფარნავაზიანი. როგორც ითქვა, ბარტომმა ის იშვილა თავისი ქვეყნის მოსახლეობის გულის მოსაგებად. მემატიანე წერს – „ესე ქართველთა სათნოებისთვის ექმნა ბარტომ მეფესა და აღეღო ესე შვილად, რამეთუ ქართველთა დიდი სათნოება აქუნდა ფარნავაზიანთა მიმართ“ (ქ.ც. I, გვ. 32).

თვითონ ბარტომ მეფე არშაკუნიანი ყოფილა. ქართამ ფარნავაზიანი იყო ქუჯის შთამომავალი. ქუჯისა და მის ძესაც ფარნავაზიანი ცოლები ჰყავდათ.

ეგრისელი უფლისწული ქართამი, მამითა და პაპით ეგრისის ერისთავების შთამომავალი, ქუჯის შვილიშვილი, თვითონაც გვარად ფარნავაზიანად მიიჩნეოდა, რადგან ფარნავაზიანები იყვნენ მისი დედა და ბებია. იბერიის სამეფო სახლში, სამეფო საგვარეულოში, უახლოეს ნათესავთა შორის ქორწინება დასაშვები ყოფილა ქრისტიანობის გავრცელებამდე, ამის შესახებ უცხოურ წყაროთა გარდა მიუთითებს დაკვირვებაც ჩვენს წყაროებზე.

ქართლის სამეფო ორ გეოგრაფიულ ნაწილად, საკუთრივ ქართლად და ეგრისად იყო გაყოფილი, ხოლო სამხედრო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით ასევე ორ – დასავლეთისა და აღმოსავლეთის საერისთავოებად, შესაძლოა დასავლეთის საერისთავოების მიწა-წყალს საერთოდ ეგრისი ერქვა, ანუ კლარჯეთი, ოძრხე, წუნდა და არგვეთი – მთლიანობაში გეოგრაფიულ ეგრისს შეადგენდნენ, ხოლო კახეთის, ხუნანის, სამშვილდის და შიდა ქართლის საერისთავოები შეადგენდნენ საკუთრივ ქართლს, მთლიანობაში კი ეს ორივე ერთეული –– დასავლეთისა და აღმოსავლეთის საერისთავოები ქმნიდნენ „ყოველ ქართლს“.

ასეთი ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული წყობა ყოფილა მეფე ადერკამდე, მას კი ის შეუცვლია და ახალი შემოუღია, კერძოდ, მას თავისი ორი ძისთვის გაუყვია თავისი სამეფო ორ ნაწილად. კერძოდ, ასეთი სახით: ოძრხისა და წუნდის საერისთავოები შეუყვანია ქართლის იმ ნაწილში, რომელიც მტკვრის მარჯვენა სანაპიროებს მოიცავდა და მთელი ეს ტერიტორიები უბოძებია თავისი ერთი ძისთვის ქართამ II-ისათვის, ხოლო საკუთრივ ეგრისი, კლარჯეთი, არგვეთი და მტკვრის დასავლეთი სანაპირო მიუცია მეორე ძის – ბარტომისათვის. მაშასადამე, ამ დაყოფის შემდეგ ეგრისი ბარტომის მცხეთის სამეფოში შედიოდა.

ქართამ მეფის სატახტო არმაზი იყო. მის ძეებს არმაზელი მეფეები დაერქვათ (შეიძლება შევნიშნოთ, რომ „არმაზის“ ქვეყანა სომხეთის გავლენის სფეროში მოექცა. შემდგომში არაბებმა დაიპყრეს და მის ცალკეულ ოლქებთან ხელშეკრულებები დადეს).

ხოლო ბარტომ მეფეს სატახტო „შიდა ქართლში“, ანუ მცხეთაში ჰქონია.

მას შემდეგ, რაც არმაზელი მეფეები სომხეთის გავლენის სფეროში შევიდნენ სომხებს მიუტაცნია მათგან წუნდა და არტაანი, ოძრხელები ებრძოდნენ ქვეყნის დამპყრობ სომხებს და მათ „შეეწეოდეს მეგრელნი“ (იქვე, გვ. 48).

თავის მხრივ მცხეთის სამეფოს ხელისუფალი ებრძოდა სომხეთს – „იგი ავნებდის საზღვართა სომხითისათა ქვეყანასა პარხლისასა, რომელ არს ტაო. ვერვინ შევიდოდა მავნე კლარჯეთს, რამეთუ შეუვალი და მაგარი იყო ტყითა და კლდითა და მკვიდრნი კლარჯეთისანი იყვნენ კაცნი მკვირცხლნი და მედგარნიც“ (ქ.ც. I, გვ. 48).

შემდგომ საუკუნეში მცხეთელი მეფე მირდატი და არმაზელი მეფე ფარსმან ქველი

ერთმანეთს მტრობდნენ. ამ შიდა დაპირისპირების დროს „მეგრნი დადგეს ერთგულობასა ფარსმანის ძისასა“ (იქვე, გვ. 53). მაშასადამე, „ყოველი ქართლის“ სამეფო, მართალია, ორად გაიყო, მაგრამ ეგრისი მის ერთ ნაწილს შეადგენდა. მირდატ მეფის მტრობის გამო ფარსმან ქველის მემკვიდრეებს „მიერთნეს მეგრნი... და მეგრნი შთავიდეს შიგა ქართლს“ (იქვე, გვ. 54). ომის ველზე მოკლეს მეფე მირდატი და მის ნაცვლად დასვეს ფარსმან ქველის ძე ადამი, მისი ერთერთი შთამომავალი იყო მეფე ამაზასპი, მის დროსაც იხსენიებიან „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერისთავები“. მისი მემატიანე წერს – „ამაზასპ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა და მოვიდნეს ერისთავნი აღმოსავლისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუ-ნანისა, ერისთავი სამშვილდისა, მოვიდეს მხედარნი, სპასპეტნი, და ვიდრე მოსვლამდე დასავლე-თისა ერისთავისა მოვიდნეს ოვსნი ჩრდილოთ“ (იქვე, გვ. 55).

ლაშქრის შეკრების დროს დასავლეთ საქართველოს, ანუ ეგრის-არგვეთის ერისთავების მოსვლამდე გამოჩნდა მტერი. ამ ომში მეფე ამაზასპმა გაიმარჯვა, მაგრამ მას სისასტიკე გამოუჩენია შემდგომში და მრავალი წარჩინებული დაუხოცავს, რის გამოც „მოიძულეს იგი ერმან ქართლისამან... მაშინ განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“ (იქვე, გვ. 57). მაშასადამე, „ქართლის ერის“ ნება გამოუხატავთ „დასავლეთის ერისთავებს“ და ისინი განდგომიან მეფე ამაზასპს.

შემდგომში მოციქულთა სწორ მეფე მირიანის დროსაც „ქართლის სამეფოში“ შედიოდა ეგრისი, ვითარცა მისი ერთ-ერთი ნაწილი. მეფე მირიანს ქვეყნის სხვა ნაწილებთან ერთად – „აქუნდა ეგრისიც ვიდრე ეგრისწყლამდე“ (იქვე, გვ. 70). ეგრისი ვახტანგ გორგასლისა და მისი ძეების სამეფოშიც შედიოდა, ასე რომ, ეგრისი ქართული წყაროების მიხედვით ყოველთვის იყო „ყოველი ქართლის“, ანუ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ნაწილი ქრისტეშობიდან IV-III სს-დან, ფარნავაზ მეფიდან ვიდრე VI საუკუნემდე, ვახტანგ გორგასლის შვილებამდე, სამხედრო ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით კი, ეგრისის საერისთავო „დასავლეთის ერისთავთა“ ჯგუფში შედიოდა.

14. ეგრისი – ძველი ივერია

I საუკუნის ქართლის მეფე ადერკის (წარმოშობით ეგრისელს) – „ესხნეს ორნი ძენი ბარტომ და ქართამ. ამათ განუყო ყოველი ქვეყანა თვისი. მისცა ქალაქი მცხეთა, შიდა ქართლი, მუხრანით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკვარსა ჩრდილოეთი, ჰერეთითგან ვიდრე თავადამდე ქართლისა და ეგრისისა და ესე ყოველი მისცა ბარტომ ძესა თვისსა, ხოლო არმაზით კერძი ქალაქი მტკვრისა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკვრისა და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თვისსა“ (ქ.ც. I, გვ. 43).

მეფე ადერკის ცხოვრებიდან ვიცით, რომ ეგრისი მისი სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო. იქ მას ჰყავდა თავისი ერისთავი, ქუჯის შთამომავალი, თვითონაც პირადად ქუჯის შთამომავა-ლი იყო. საჭიროების შემთხვევაში ეგრისში აგზავნიდა სხვა ერისთავებს ლაშქრით და აგვარებდა ეგრისის საქმეებს, ამიტომაც ქართლის სამეფოს გაყოფის დროს, ცხადია, ეგრისი მთლიანად გადასცა თავის ვაჟს, კერძოდ, გადასცა ბარტომს. ბარტომ მეფის ქართლის სამეფოში (მცხეთის ანუ ჩრდილო საქართველოს სამეფოში) შევიდა ეგრისი (დასავლეთი საქართველო), შიდა ქართლი, კახეთი, საზღვარი გაიდო მდ. მტკვარზე, ხოლო სამხრეთ საქართველოს სამეფოში, ანუ არმაზელი მეფის ქართამის სახელმწიფოში შევიდა კლარჯეთი, არტაან-ჯავახეთი ვიდრე ხუნანამდე.

ადერკი, როგორც აღინიშნა, იყო ძე ქართამისი (ქ.ც. I, გვ. 33), ხოლო თვით ქართამი იყო – „ძმისწული ქუჯისი“ (ქ.ც. I, გვ. 32). მას დედის მხრიდან „შესდგამდა ფარნავაზიანობა“.

როგორც ითქვა, ქართამი იშვილა ქართლის მეშვიდე მეფე ბარტომმა, და თვისი ასულიც მიათხოვა. ქართამის ძე იყო ადერკი მეფე, რომელმაც თავის ვაჟებს მამამისის ქართამისა და მამობილის ბარტომის სახელი დაარქვა. მემატიანე, ადერკის მიუხედავად გენეტიკური წარმოშობისა, მამობილის გვარით მოიხსენიებს – არშაკუნიანი.

მემატიანის ცნობით, საქართველოს მეფეები ძლიერი სომხეთის სამეფოს გავლენის სფეროში იმყოფებოდნენ, განსაკუთრებით სამხრეთი, ანუ არმაზის საქართველო – სომეხთა მეფეს დაუპყრია კიდეც სამხრეთ საქართველოში ვრცელი მიწა-წყალი მტკვრის სათავიდან წუნდამდე არტაანის ჩათვლით (ქ.ც. I, გვ. 44).

ეს ცნობა მემატიანისა იმითაა საინტერესო, რომ სტრაბონიც მსგავსადვე აღწერს იბერიის მდგომარეობას. სტრაბონის იბერია ძირითადად მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა, ხოლო მარჯვენა სანაპირო – თითქმის მცხეთამდე, არმენიის შემადგენლობაში იყო და არც უწოდებს ამ ნაწილს სტრაბონი იბერიას, არამედ არმენიას. ქართველი მემატიანის ცნობითაც, არმაზელი მეფეები – სომხეთის ძლიერი დამოკიდებულების ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. აქედან ჩანს, რომ სტრაბონის იბერია - მცხეთის ქართლის სამეფოა.

ასეთი მდგომარეობა, ცხადია, ქართველებისთვის მოუთმენელი იყო, ამიტომაც ეგრისიდან შეკრებილი საგანგებო ჯარი ამ დროსაც გადმოვიდა სამცხეში და შეებრძოლნენ სომხებს, რათა ქართლის მიწა-წყალი გაეთავისუფლებინათ.

როგორც ითქვა, სომხეთმა უშუალოდ მიიტაცა წუნდამდე მიწა-წყალი, ის არმაზელ მეფეს ჩამოართვეს. წუნდაში და იქვე, დემოთში, სომხური ჯარიც ჩაუყენებიათ, ოძრხეს ქალაქი კი არმაზელ მეფეებს ემორჩილებოდა – „მას (ე.ი. არმაზელ მეფეს) შეეწეოდეს მეგრელნი, ხოლო წუნდელნი და დემოთელნი შეეწეოდეს ერთმანეთსა და დაუცხრომლად იბრძოდეს და უფროსი ბრძოლა მათი იყვის მდინარესა ზედა, რომელსა ჰქვიან ნოსტე“ (ქ.ც. I, გვ. 48).

ბრძოლა სომხებისაგან ქართლის გასათავისუფლებლად, რომელშიც სამეგრელოდან ჩამოსული ჯარი მონაწილეობდა – ვრცელ მიწა-წყალზე იყო გადაშლილი. ამ ომში ქართველობა დამარცხებულა და სომხების მეფემ, მემატიანის სიტყვით „დაიმონნა ქართველნი“ (ქ.ც. I, გვ. 48). ეს ცნობა გარკვეულწილად გვიხსნის სტრაბონის შეხედულებას, რომ თითქმის მტკვრამდე არმენიის სახელმწიფო მდებარეობდა, შემდგომ ქართლმა დაიბრუნა თავისი ტერიტორიები – „სომეხთა უკუმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტაანი“ (ქ.ც. I, გვ. 44). თუმცა კი არმაზელი მეფეები მაინც სომხების გავლენის სფეროში დარჩენილან (იქვე, გვ. 51).

საფიქრებელია, რომ ქართველი მემატიანე, თუ მისი ცნობები სწორია, ქრონოლოგიურად ცდება, კერძოდ, მის მიერ მოთხრობილი ამბები მიეკუთვნება I-II საუკუნეებს, მაშინ, როცა ამ დროს, ლათინური წყაროებით, იბერიის სამეფო ძალზე ძლიერი იყო და სომხეთი, პირიქით, იბერიის გავლენის სფეროში იმყოფებოდა, ქართველი მემატიანე დაბეჯითებით წერს, რომ მდგომარეობა იყო პირიქით – ქართლი სომხეთის გავლენის სფეროში შედიოდა, განსაკუთრებით მისი სამხრეთი ნაწილი, ამიტომაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის უშვებს ქრონოლოგიურ შეცდომას და ქრისტეშობამდე II-I საუკუნეების ამბები გადმოაქვს აქეთ, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში. ქრისტეშობამდე კი, II-I საუკუნეებში სომხეთი მართლაც ყოფილა გაძლიერებული და სამხრეთ საქართველო მართლაც შესაძლოა მის სფეროში შედიოდა.

ქართლის მეფე ფარსმან ქველის მოწამვლის შემდეგ იბერიის სამეფო კარზე დიდი ცვლილებები მომხდარა. „დაიპყრეს ქართლი მირდატ და ერისთავმან სპარსთამან, ხოლო მეგრნი დადგეს ერთგულებასა ფარსმანის ძისასა“ (ქ.ც. I, გვ. 53).

ამ დროს ქვეყნის მპყრობელ სპარსელებს დაუპირისპირდნენ სამეგრელოს ერისთავები – „მიერთეს მეგრნი“, ამიტომაც “მეგრებმა” მოიშველიეს ბერძნებიცა და სომხებიც სპარსელებთან საომრად, ბრძოლა გაიმართა შიდა ქართლში, სოფელ რეხასთან, სპარსელები დამარცხდნენ,

გამარჯვებულმა ქართველებმა ტახტზე აიყვანეს ფარსმან ქველის ძე ადამი – შეიძლება ითქვას, რომ ის ეგრისის ერისთავებმა დასვეს ტახტზე. მისი შთამომავლის, ამაზასპის დროს ოსები გადმოსულან და შიდა ქართლში ჩამდგარან. მეფემ „მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა“ (ქ.ც. I, გვ. 55).

მემატიანე წერს – „ამაზასპ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა და მოვიდეს ერისთავნი აღმოსავლისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა, ერისთავი სამშვილდისა და შემოკრბეს მხედარნი სპასპეტისნი და ვიდრე მოსვლადმდე დასავლეთისა ერისთავისა, მოვიდეს ოვსნი“ (ქ.ც. I, გვ. 55).

დასავლეთის ერისთავებში კი, როგორც აღინიშნა შედიოდნენ - ეგრისის ორი ერისთავი, ოძრხის, კლარჯეთის და წუნდის ერისთავები (ქ.ც. I, გვ.57)

ოსების დამარცხების შემდეგ მეფე ამაზასპი გაამაყებულა „და იწყო მესისხლეობად და მოსწყვიდნა მრავალნი წარჩინებულნი, ამისთვის მოიძულეს იგი ერმან ქართლისამან“ (ქ.ც. I, გვ. 57).

ქართლის ერის მიერ თავისი მეფის მოძულება იმით გამოიხატა, რომ „განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხის, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“ (ქ.ც. I, გვ. 57). „ქართლის ერში“ ეგრისელებიც შედიან. ამიტომ ეგრისი გამოხატავს ქართველი ერის აზრს, ისევე, როგორც კლარჯეთი, ოძრხე და სხვა ნაწილები ქვეყნისა.

ეგრისი – ქართლის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო ფარნავაზიდან მირიანამდე და ვახტანგამდე – „მეფობდა მირიან ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრისის წყლამდე“ (ქ.ც. I, გვ. 70). სწორედ მდ. ეგრისისწყალი უნდა იყოს მემატიანის მიერ ხშირად ნათქვამი ის „თავი ეგრისისა“, სადამდეც აღწევდა ქართლის სამეფოს საზღვარი.

15. ეგრისი I-III საუკუნეებში (ქრონიკა)

I საუკუნეში მცხოვრებ მეფე ადერკის (როგორც აღინიშნა) თავისი სამეფო ორად გაუყვია თავისი შვილებისათვის, კერძოდ ერთ ძეს - ბარტომს გადასცა - მცხეთა და „ყოველი ქართლი მტკვარსა ჩრდილოეთი, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა“ (ქ.ც., I, გვ.43). ე.ი. ჰერეთიდან ეგრისწყლამდე მტკვრის ჩრდილოეთით მოქცეულმა ქვეყანამ შეადგინა დამოუკიდებელი სამეფო, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ - „მცხეთის ქართლი“, მასში შედიოდა ეგრსი ეგრისწყლამდე ანუ „თავადმდე ეგრისისა“. მეორე ქართულ სამეფო-„არმაზის ქართლში“ შედიოდა არმაზი, „მტკვრისა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკვრისა, და კლარჯეთი“, ის გადასცა „ქართამს ძესა თვისსა“. მას „მეფე არმაზელი“ უწოდეს. არმაზის ქართლის სამეფო არმენიის გავლენის სფეროში მოქცეულა, რადგანაც მას მუდამ „ბძოდეს სომეხნი“. ამ გასაჭირის დროს არმაზელებს „შეეწეოდეს მეგრელნი“.

„იყო ოძრხეს ქალაქსა შინა ერისთავი მეფისა არმაზელისანი... მას შეეწეოდეს მეგრელნი“ (ქ.ც., I. გვ.48).

ქვეყანა გაყოფილი იყო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მტერთან ბრძოლისას „არმაზის მეფეებს“ ეხმარებოდნენ „მეგრელები“.

გარდაიცვალა ფარსმან ქველი არმაზელი, მიუხედავად იმისა, რომ მირდატი მცხეთის ქართლის კანონიერი მეფე იყო - „**მეგრნი** დაადგეს ერთგულობასა ფარსმანის ძისასა“, რადგანაც არმაზელი მეფე (ფარსმან ქველი) სიმუხთლით მოკლა მირდატ მცხეთის მეფემ (ქ.ც., I, გვ.53).

მეგრებმა კოალიციასთან ერთად დაიწყეს ფარსმან ქველის სისხლის ძიება, დაამარცხეს მირდატ მეფე (მოკლეს ბრძოლაში) და ქართლში გაამეფეს ფარსმან ქველის ძე ადამი. როგორც ითქვა, მისმა შვილიშვილმა ამაზასპიმ მტერთან საბრძოლველად მოუხმო ყველა ერისთავს – მათ შორის დასავლელ ქართველებს (ოსების შემოჭრის დროს).

„ამაზასპ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა, და მოვიდეს ერისთავნი აღმოსავალისანი: **ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა, ერისთავი სამშვილდისა და შემოკრბეს მხედარნი სპასპეტისანი** და ვიდრე მოსვლადმდე დასავლეთისა ერისთავისა, მოვიდეს ოსნი“ (ქ.ც., I, გვ.55).

როგორც ითქვა, ამაზასპ მეფეს შემდგომ განუდგნენ „დასავლეთის ერისთავები“.

„განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: **ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“. ქ**ართლის ერისთავებმა შეკრეს კოალიცია და შეებრძოლნენ მეფეს, სურდათ ახალი მეფე. კოალიცია „მოვიდეს ერისთავთა თანა **ეგრისათა**“ (გვ. 57) – შეებრძოლნენ ძველ მეფეს (ქ.ც., I, გვ.57).

მემატიანისათვის უეჭველია, რომ ქართლის ერისთავთა შორის იგულისხმებიან ეგრისის ერისთავებიც.

„ესე ასფაგურ იყო უკანასკნელი მეფე ფარნავაზიანთა ნათესავისა“. „დაესრულნეს მეფენი ქართლისანი ფარნავაზიანნი“ (ქ.ც., I, გვ.59).

16. ეგრისი IV საუკუნეში (ქრონიკა) (მეფე მირიანის სამეფო ეგრისწყლამდეა)

„და მეფობდა ესრეთ **მირიან** მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და **ეგრს**“ (ქ.ც., I, გვ.65).

„და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს და აქუნდა **ეგრისიცა ვიდრე ეგრისწყლამდე“** (ქ.ც., I, გვ.70).

„მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასვა იგი უჯარმას... მას ჟამსა მოსრულ იყო წმიდა და ნეტარი დედა და ემბაზი ჩვენი ნინო“ (ქ.ც., I, გვ.71).

„დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი (თვინიერ კლარჯეთისა) და ჰერეთი და **ეგრისი** (ქ.ც., I, გვ.137).

17. ეგრისი V საუკუნეში (ბერძნებმა დაიპყრეს ქართლის სამეფოს მიწა-წყალი „ეგრისწყლიდან ციხე-გოჯამდე“)

ვახტანგის სიობლის ჟამს „**გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქვემოთი კერძი ყოველი და დაიპყრეს ეგრისწყლითგან ვიდრე ციხე-გოჯამდე. მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა... „ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან“ – ამას იტყოდეს ყოველნი ქართველნი და იყვნეს მწუხარებასა შინა დიდსა“.** (ქ.ც. გვ. 146). ე.ი. ქართლის სამეფოს საზღვარი არის მდ. ეგრისწყალი ამ საზღვრიდან ციხე-გოჯამდე დაუპყრიათ ბერძნებს.

ქ.ც.-ის ცნობით, ვახტანგს შერთეს კეისრის ქალიშვილი, რომელსაც მზითვად გამოატანეს ტერიტორია ეგრისწყალსა და მდ.კლისურას შორის. ამის შედეგად ქართლის სამეფოს საზღვარმა გადაიწია მდ.ეგრისწყლიდან მდ.კლისურაზე. **„და დაუწერა ეგრისწყალსა და კლისურას შუა ქუეყანა ზითვად“** (ქ.ც.I.გვ.177).

18. ეგრისი ვახტანგ გორგასლის ანდერძში

ვახტანგის ანდერძი:

1. „რქუა ძესა თვისსა დაჩის – მომიცემია გვირგვინი მეფობისა ჩემისა,

2. და ნაწილად ძმათა შენთა მომიცემია ტასისკარითგან და წუნდიდან ვიდრე სომხეთამდე და საბერძნეთამდე.

3. **საზღვარი აფხაზეთისა**, რომელი მოცემულ არს **ეგრისწყალსა და კლისურას შუა**, იგი ძმათა შენთა დედისა არს, იგი აქვნდეს მათ და იყვნენ შენდა ერისთავად, მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისასა“.

და დაჯდა საყდარს მისსა ძე მისი დაჩი.

ხოლო ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისანი წარიყვანეს სამთა მათ ერისთავთა და დაიპყრეს **დასავლეთი ქართლისა**, რომელი მისცა ვახტანგ.

მოოხრებულ იყვნეს ყოველნი ხევნი ქართლისანი: თვინიერ კახეთისა და კლარჯეთისა და **ეგრისისა**“. (ქ.ც., I, გვ. 205).

ე.ი. ვახტანგის ბერძენ ცოლს მოჰყვა იმპერატორისაგან მზითვის სახით ტერიტორია **ეგრისწყალსა და კლისურას შუა**, რომელსაც ერქვა “დასავლეთ ქართლისა”. ეს მიწა-წყალი დარჩათ მის შვილებს მეფე დაჩის ნახევარ ძმებს. მათ მიიღეს ერისთავთმთავრის ტიტული, ხოლო მიწა-წყალს **ეგრისწყალსა და კლისურას შუა ეწოდა „დასავლეთ ქართლისა“.**

აღსანიშნავია, რომ ვახტანგ გორგასალმა ილაშქრა ისტორიული სამხრეთ იბერიის მიწა-წყალზე, მსგავსად ფარნავაზისა. ჩანს ვახტანგის მიზანი იყო იბერიისათვის დაებრუნებინა ის მიწა-წყალი, რომელიც სტრაბონის ცნობით ძვ.წ.II საუკუნეში არმენიამ ჩამოაცალა იბერიას (გოგარენა,ხორძენე და პარიადრეს კალთები). ქართლის ცხოვრების ცნობით ფარნავაზმა ქრისტეშობამდე III საუკუნეში ილაშქრა „აზონის მამულ“ კლარჯეთში. ვახუშტის ცნობით, როგორც ითქვა, კლარჯეთი მოიცავდა არა მხოლოდ ერთ მხარეს, არამედ უვრცელეს რეგიონს ქალდეა-ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე. მემატიანე საბერძნეთთან იბერიის საზღვარს ათავსებს ანძიანძორასთან (იგივე ანძორეთთან) - „**წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა და ეკლეცით შემოიქცა**“ (ქ.ც. I, გვ.23).

სად მდებარეობდა ანძიანძორა? გ.მელიქიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს - „ქართლის სამეფოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით განვცობას ეთანხმება წყაროს ცნობა ფარნავაზის მიერ მცირეაზიული ოლქების ანძიანძორისა და ეკელეცის (ანტიკ. წყაროების აკილესენა, სოფენას ჩრდილოეთით ევფრატზე მდებარე ოლქი) დალაშქვრაზე (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970, გვ. 455). მაშასადამე წყაროს ცნობით ფარნავაზის დროს იბერიის (ქართლის სამეფოს) საზღვარი გადიოდა ანძიანძორასთან, ისტორიულ **ხორძენესთან**, ამით ჩვენი წყარო (ქ.ც.) ამართლებს სტრაბონის ცნობას, რომ ძვ.წ. II საუკუნემდე იბერიაში (ე.ი. ფარნავაზის სამეფოში) შედიოდა ხორძენე, გოგარენა და პარიადრეს კალთები. ფარნავაზის შემდგომ მალევე იბერიის სამეფოს დაუკარგავს ეს ტერიტორიები, მაგრამ მათ დასაბრუნებლად ბრძოლა გრძელდებოდა. ამას მიუთითებს ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა იქ-„**წარემართა ვახტანგ შესვლად საბერძნეთად და მიიწივნეს სომხითს და მოერთნეს...ერისთავნი სომხითისანი...ტაროვნელი ამაზასპ გრიგოლის შენებულისა ქალაქისაგან, თრდატ ნათესავისაგან, დიდისა თრდატის. და მოადგეს ციხე-ქალაქსა, რომელსა ერქვა კარახ-პოლა, ხოლო აწ ეწოდების კარნუ-ქალაქი... წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოხრნა გზასა ქალაქნი სამნი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი და მოადგეს ლაშქარნი პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღვის კიდესა**“ (ქ.ც. I, გვ.160).

ტექსტიდან ჩანს, რომ ვახტანგის დროს აღნიშნული ადგილები უკვე სომხეთსა და

პონტოშია, მაშინ როცა ფარნავაზის დროს ქართლის სამეფოს „საზღვარი“ „საბერძნეთთან“ ანძიანძორასთან გადიოდა. მაშასადამე ეს ტერიტორიები იბერიას დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა ვახტანგის დროს, მაგრამ იქაურ (ე.ი.ხორძენესა და პარიადრეს კალთების) მოსახლეობას ქართული ეთნოიდენტობა და ქართული ენის ცოდნა ჯერ კიდევ შენარჩუნებული რომ ჰქონდა სხვა გამოკვლევებიდან ჩანს.

VII ს. სომხეთის რუკაზე ოლქი სახელწოდებით „ხორძიანა“ (ეს უნდა იყოს „ხორძენე“) მდებარეობდა კარინთან (კარახპოლ-კარნუქალაქ-არზრუმთან) ახლოს მის სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 70 კმ. დაშორებით.

ხორძიანასა და კარინს შუა მდებარეობდა მანანაღის (მანრალის) ოლქი მარდაღის (მარდალიის) გვერდით.

ხორძიანასთან ახლოს, მის სამხრეთ დასავლეთით დაახლოებით 40 კმ.-ში მდებარეობდა ოლქი სახელწოდებით - ანძიტი (ანდზიტ). ეს უნდა იყოს ქართული ანძორეთი-ანძიანძორა (სადაც ილაშქრეს ფარნავაზმა და ვახტანგმა). პროვინცია ანძიტში ცოვკის ტბასთან ახლოს იყო ციხე-სიმაგრე ეგეღი (ეგერი). ამავე სახელის ქალაქი ეგეგი(ეგერი) კარინ-არზრუმთანაც იყო. ამ ქალაქის სახელი (ეგეგი) ეგრისის სახელს უნდა ირეკლავდეს. ოლქ ხორძიანაში გაედინებოდა ამავე „ეგრ“ სახელის მქონე მდინარე „ეგეგიკი“ (მიუს გაილი). ხორძიანაში იყო ცნობილი პუნქტი – არტალესი.

აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელ თურქეთში ძველი ოლქის ანძიტის ადგილას მდებარეობს ადმინისტრაციული ოლქი-ელაზიგი. ეს სახელი ელაზიგი არ არის შემთხვევითი. სიტყვაში „ელაზიგი (ელაზიღი)“ ვფიქრობ შესაძლებელია გამოიყოს ფუძე-ძირი „ლაზი“. სახელი „ლაზი“, ამ მხარეებისათვის უცხო არ იყო. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია XI ს. დასაწყისში ამ მხარეებსაც მოიცავდა. აქ ახლოს იყო კერჩანისის, ხახის, ბიზანასა და სხვა საეპისკოპოსო კათედრები ლაზიკის სამიტროპოლიტოსი.

ბიზანასა და არზრუმს შორის მდებარეობდა ოლქი მანანაღი ანუ მანრალია (მანარალი), მას ამ რუკაზე მარდაღის (მარდალის) ოლქისაგან ყოფს „მეგედუხგის მთები“, ამ მთებს ნ.ადონცი ხალხალის მთებს უწოდებს, რომელიც მანრალიასა და მარდალიას ერთმანეთისაგან ჰყოფდა.

როგორც ჩანს ამ მხარეებში ეგულებოდა ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორს „საფლავი დიდი მოძღვრისა გრიგოლისა“, აღნიშნულ რუკაზე ბიზანას ოლქს ეწოდება – „ეკეგიაცი“, ეს უნდა იყოს ვახტანგის ცხოვრების ეკლეცი. ამ ოლქში რუკაზე მონიშნულია ეკლესია სახელწოდებით-„სურბ გრიგორ“, ალბათ აქ ეგულებოდა ავტორს საფლავი წმ. გრიგორისა. რომელი იყო ეს წმიდანი გრიგოლ განმანათლებელი თუ გრიგოლ ნაზიანზელი?

ხორძენა, როგორც ითქვა, სტრაბონს იბერიის ისტორიულ ნაწილად მიაჩნდა, რომელიც არმენიამ მიიტაცა. მართალია ან მხარეში მცხოვრები მკვიდრი იბერების არმენიზაციას ხელი განსაკუთრებით შეუწყო ამ მხარეში სომხური ეკლესიის გაძლიერებამ. საბედნიეროდ ვახტანგის დროს ქართული თვითშემეცნება ჯერ კიდევ ძლიერი ყოფილა ამ მხარის სასულიერო პირთა შორისაც კი,რაც კარგად ჩანს ვახტანგის ცხოვრებაში. სხვათა შორის, ხორენაცის ისტორიაშიც არის გარკვეული მინიშნება იმისა, რომ ხორძენასა და ტარონის სამღვდელოებამ იცოდა ქართული ენა. მაგალითად მოვსეს ხორენაცი წერს – **„რაც შეეხება მესროპს, იგი წავიდა ქართველთა ქვეყანაში და მადლის ზეგარდამო მინიჭებით მათაც შეუქმნა ანბანი ვინმე ჯალასთან ერთად, რომელიც ბერძნული და სომხური ენებიდან თარგმნიდა. ხელს უწყობდნენ იმათი მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი. მან შეარჩია ბავშვები, გაჰყო ისინი ორ ჯგუფად და მოძღვრებად დაუტოვა თავისი**

ორი მოწაფეთაგანი-ტერ ხორძენაცი და მუშე ტარონაცი“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 224). მაშასადამე ქართველი ბავშვები დაყვეს ორ ჯგუფად, რათა მათ შეესწავლათ ქართული ანბანი ქართული წმიდა წერილის საკითხავად. მათ ქართული ენის მცოდნე მასწავლებლები ესჭიროებოდათ, ასეთნი კი ყოფილან ხორძენელი მღვდელი (ტერ ხორძენაცი) და ტარონელი მუშე. ხორძენე-ტარონის ახლო მხარეებში ქართული ენის ცოდნას ისიც მიუთითებს, რომ ვ.გოილაძის კვლევით იქვე, არც თუ დაშორებით, ქ.ედესა-ურჰაში ყოფილა დიდი ქართული კოლონია თავისი საგანმანათლებლო კერებით. აღნიშნულ რუკაზე ქალაქი ედესია-ურჰა მდებარეობს ოლქ ანდზიტ-თან ახლოს,მის სამხრეთით 70-80 კმ. დაშორებით. საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ არმენიის მიერ მიტაცებულ მხარეებში დიდხანს დარჩა ქართული ენის ცოდნა და ქართული ტოპონიმები (ეგრი-ეგრისი, იბერია და სხვა).

19. ეგრისი VI საუკუნეში („ქვემო ერისთავები“ ანუ ეგრის-კლარჯეთის ერისთავები)

VI ს.-ში სპარსელებმა გააუქმეს ქართლის სახელმწიფოებრიობა, მალევე სპარსეთში შიდა მდგომარეობა გაუარესდა, ამასთან დაკავშირებით წყარო წერს - **„ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქვნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი,ზემონი და ქვემონი და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავისაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თვის-თვისსა საერისთოსა შეუცვალებელად“ (ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.217).**

„ერისთავნი ზემონი და ქვემონი“. ზემო ერისთავები, როგორც აღინიშნა, აღმო-სავლეთ ქართლის (შუა ქართლისა და კახეთის) ერისთავებს ერქვათ, ხოლო ქვემო ერისთავები დასავლეთ ქართლის ანუ ეგრის-კლარჯეთის ერისთავებს (ქ.ც., I გვ. 217)

„კვალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: **სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი“** ქ.ც., I გვ. 226).

20. ეგრისი VIII საუკუნეში (ქრონიკა)

ქართლის ცხოვრება II, გვ. 234. „მეფენი ქართლისანი წარვიდეს **ეგრისად**“.

„შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო **საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა“**. ე.ი. ქართლის ანუ საქართველოს საზღვარი ახლა მდ. კლისურაა (ქ.ც. I, გვ. 235).

მეფე ვახტანგის და მირიანის გვირგვინები „მე და მამამან ჩუენმან დავსდევით იგი **ქუთათისს და ციხე-გოჯს**“, ე.ი. ქუთაისი და ციხე-გოჯი გადაიქცა ქართლის სამეფოს ცენტრებად, აქ “დაიდო” სამეფო გვირგვინები (ქ.ც. I, გვ. 236).

„ჩაიარა მურმან ყრუ ზღვისპირი“ (აფხაზეთიდან) (ქ.ც. I, გვ. 239).

ბერძენმა კეისარმა მისწერა თავის ერისთავს აფხაზეთში – „ყოვლადვე **საზღვართა ქართლისათა** ჩვენგან ქმნილ არს ვნება... ვითარმედ კეთილად პატივს ცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა და ამიერითგან ნუღარამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა“ (ქ.ც. I, გვ. 239).

ე.ი. ქართლის საზღვარი ეგრისშია თვით ბიზანტიის იმპერატორის სიტყვით.

„განუყვენ მათ (ერისთავებს) ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ,

ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა მომიცემია შენდა და გქონდეს საუხუცესოდ **ეგრისი, სვანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია**". ეგრისი ქართლის ქვეყნის ნაწილია სვანეთ-არგვეთ-გურიასთან ერთად.

ე.ი. „ნახევარი ქართლის" – არის დასავლეთ საქართველო (ქ.ც. I, გვ. 241).

მეორე ნახევარია – აღმოსავლეთი საქართველო – "კლარჯეთიდან აბოცის ჩათვლით".

ანდერძი მირისა დაჰფლენ ძვალნი მისნი (სტეფანოს ერისმთავრის) საყდარსა ქუთათისს (ქ.ც. I, გვ. 241).

„აწ უწყიეს შენება **ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ**, წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს", ე.ი. ქუთაისი და ციხე-გოჯი ქართლის მეფეთა სატახტო პუნქტებია (ქ.ც. I, გვ. 242).

„წარვიდა არჩილ და დაემკვიდრა **ეგრისს** ვიდრე შორაპნამდე" (კლისურიდან შორაპნამ-დე) (ქ.ც. I, გვ. 243).

21. ოდიში

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, სიტყვა „ოდიში" უძველესი წარმოშობისაა და უკვე არსებობდა ქრისტეშობამდე III-II საუკუნეებიდან. მისი აზრით, თავდაპირველად „ოდიში" ერქვა მიწა-წყალს მდინარე ეგრისწყლის (ღალიძგას) მარჯვენა სანაპიროს იქით ყუბანისაკ-ენ. მატიანეთა ცნობით, მდ. ეგრისწყლის აქეთ მდებარე (ე.ი. მარცხენა სანაპიროდან მცხეთი-საკენ) მიწა-წყალი აზო-ფარნავაზის დროს შევიდა პირველ ერთიანი ქართული სახელმწი-ფოს „ქართლის სამეფოს" (იბერიის) შემადგენლობაში, ხოლო ეგრისწყლის იქით (მარჯვენა სანაპიროს) ქართველობამ არ ინება ქართლის სახელმწიფოში შესვლა (ბერძნებმა დაიპყრეს). ამიტომაც ამ მიწა-წყალზე დანანებით ამბობდნენ ქართველები: „ოდიში (ე.ი. ოდესღაც) ჩვენი იყო ეს მიწა", ე.ი. თითქოსდა ასე წარმოიშვა ეს სიტყვა – „ოდიში".

ეს სიტყვა უკვე არსებულა ქრისტესშობამდე.

თავი IX
ადმინისტრაცია

1. იუსტინიანეს რეფორმები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში – ისტორიულ ლაზიკაში

ბიზანტიის იმპერიის მმართველები დიდ ყურადღებას აქცევდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიული მოწყობის საქმეს. მიზეზი ამისა, ის იყო, რომ იმპერიას გაჩაღებული ჰქონდა საუკუნოვანი ომები სპარსეთთან, აღნიშნული მიწა-წყლის მომ-იჯნავე სახელმწიფოსთან. მართლაც, სპარსეთსა და შავ ზღვას შუა აღნიშნულ მიწაზე ცხ-ოვრობდა მრავალი ხალხი, ეროვნება და ეთნიკური ჯგუფი, რაც აპირობებდა იმპერიის ამ ნაწილის პოლიტიკურ და ასევე სამხედრო არასტაბილურობას.

იმისთვის, რათა ეს ვრცელი ტერიტორია უფრო ინტენსიურად ჩართულიყო საიმპერიო ყოველდღიურ ცხოვრებაში (ყოფილიყო სტაბილური დასაყრდენი იმპერიის ძლიერებისა,

სახელმწიფოს სხვა პროვინციების მსგავსად), იმპერატორებმა გადაწყვიტეს შემოეღოთ ამ მიწა-წყალზეც პროვინციალური მმართველობა. ეს უნდა მომხდარიყო თანდათანობით, რადგანაც აღნიშნული ტომები, ხალხები და ეთნიკური ჯგუფები საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე იმყოფებოდნენ (აღმოსავლეთის სხვა პროვინციებში ადგილობრივი მოსახლეობა სამოქალაქო განვითარების შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფებოდა, ამიტომაც მათთვის ადრევე შეიქმნა ადმინისტრაციული ერთეულები, ძირითადად, პროვინციების სახით).

ბიზანტიის მმართველებმა გადაწყვიტეს ჩვენთვის საინტერესო მიწა-წყალზე (მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ურმიისა და ვანის ტბებიდან ტრაპეზუნტ-ორდუმდე) დაყრდნობოდნენ ერთ რომელიმე ერს და მისი დახმარებით განეხორციელებინათ რეფორმები, ასეთად მათ სომეხი ხალხი მიიჩნიეს და გარკვეულწილად ჰეგემონი ერის სტატუსი მიანიჭეს.

ნ. ადონცის აზრით, იქ მცხოვრები სხვადასხვა ტომები მართალია მრავალნი იყვნენ, მაგრამ მცირერიცხოვარნი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების წეს-ჩვეულებების უქონელნი, მათთან შედარებით სომხები იყვნენ მრავალრიცხოვანნი, პოლიტიკურად ერთი მიზნისკენ ორიენტირებულნი და აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების მქონენი. ამასთანავე, მტკიცე ქრისტიანები, სამხედრო საქმეში კი გამოცდილნი სპარსეთთან ომის გამო.

იმპერატორების თვალსაზრისით, თუკი სომხეთი მოეწყობოდა ბიზანტიის სხვა ნაწილების მსგავსად პროვინციალური სისტემით, შესაძლებელი იქნებოდა მას აქტიური წინააღმდეგობა გაეწია სპარსელებისათვის და სპარსთა ძალები არ შეეშვათ ბიზანტიის სიღრმეებში.

ასეთი ადმინისტრაციული ჩამოყალიბების პროცესი დაწყებული იყო ჯერ კიდევ იუსტინიანემდე. ხოლო იუსტინიანემ თავისი ყურადღება მრავალჯერ მიაპყრო ამ მხარეთა ტერიტორიული მოწყობის საქმეს. საბოლოოდ იუსტინიანეს რეფორმის შემდგომ ამ მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა ოთხი ადმინისტრაციული ერთეული. ოთხივეს ეწოდებდა არმენია, კერძოდ, ესენი იყვნენ I არმენია, II არმენია, III არმენია და IV არმენია.

როგორც აღინიშნა, ამ არმენიებში სომხების გარდა ცხოვრობდნენ სხვადასხვა ტომები და ეთნიკური ჯგუფები, მათ შორის უმეტესობა იყო ქართველური წარმოშობისა, განსაკუთრებით შავიზღვისპირეთში.

ნ.ადონცის თქმით იმპერიას სურდა სომხების გაერთგულება, რადგანაც სპარსულ-ბიზანტიური ომები ძირითადად სომხეთში მიმდინარეობდა და სასაზღვრო ხაზით ისტორიული სომხეთი ორად იყო გაყოფილი. **ბიზანტიას არ სურდა სომხების გაღიზიანება აღნიშნული პატარა ტომების გამო და ცნობდა მათ ისტორიული სომხეთის მცხოვრებლებად.** თავის მხრივ, აღნიშნული ტომების მიწა-წყალზეც სომხები თავიანთ თავს თვლიდნენ უფლებამოსილ მეპატრონეებად. მართლაც, იუსტინიანემდე არც თუ დიდი ხნით ადრე, სულ რამდენიმე საუკუნის წინ, **სტრაბონის ცნობით, სომხურ სახელმწიფოს მიუტაცია აღნიშნული მიწა-წყლის ერთი ნაწილი იბერიისაგან, კერძოდ, ხორძენეს, პარიადრის ვრცელი ქვეყანა და გოგარენა.** ამ მიწა-წყალზე ქართველთა არმენიზაცია იუსტინიანემდეც იყო დაწყებული, თუმცა ეს პროცესი დასრულებული არ იყო. ქართველების დიდ ნაწილს ეროვნული თვითშემეცნება შენარჩუნებული ჰქონდა, როგორც ეს შემდგომ არაბობის ეპოქაში ტაოკლარჯეთ-ბასიანში ქართული თვითიდენტობის აღორძინებამ აჩვენა, მაგრამ **ბიზანტიამ VI ს-ში, როგორც აღვნიშნეთ, სპარსეთთან მეტოქეობის გამო ყურადღება სრულიად არ მიაპყრო ქართველთა ეროვნულ საკითხს და ეს მხარეები შეიყვანა რომაულ არმენიებში.**

კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო მიწა-წყლის უმეტესი ნაწილი, ანუ **ტრაპეზუნტის მთაგორიანი მხარეები იუსტინიანემ შეიყვანა I არმენიაში.**

ტრაპეზუნტის ამ მხარეს ლაზიკა ერქვა. ის იქამდე (სანამ I არმენია დაერქმეოდა) შედიოდა პოლემონის პონტოს და ელენოპონტოს პროვინციებში (XXVIII ნოველით იუსტინიანემ ეს პროვინციები ერთ პროვინციად გააერთიანა ელენოპონტოს სახელწოდებით. მიზეზი ამისა მდგომარეობდა იმპერიის მიზანდასახულობაში, რომელიც ითვალისწინებდა რეგიონალური მიწების კონცენტრაცია-თავმოყრას ერთი ძალაუფლების ქვეშ. კერძოდ, ასევე, თითქმის 150 წლით ადრე, დიოკლეტიანემ მიზნად დაისახა უკეთ მართვის მიზნით იმპერიის მცირე ერთეულებად დანაწილება და სამოქალაქო ძალაუფლების გამოყოფა სამხედროსაგან, იუსტინიანემ კი წამოიწყო უკუპროცესი, რომელიც ითვალისწინებდა მიწებისა და ძალაუფლებათა გაერიანებას (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 162).

ამ მიზეზის გამო დაახლოებით 535-536 წლებში იუსტინიანემ გაერთიანა პაფლაგონია-კაბადოკიის მიწები და აღნიშნული ელინოპონტო, მხოლოდ შემდეგ გამოსცა ნოველა 31-ე, რომლის სახელწოდებაც იყო „არმენიაში ოთხი მმართველის დაწესების შესახებ“.

მის შესავალში იუსტინიანე წერს – **„ყველაფერი უპატრონოდ მიტოვებული და უწესრიგო, თუკი შესაბამისი წესით დალაგდება და კარგად მოეწყობა, მიიღებს სავსებით სხვა სახეს ადრინდელისაგან განსხვავებულს... უვარგისობისაგან ის გახდება მშვენიერი, ულამაზოსაგან ლამაზი, მოუწესრიგებელი და არეულისაგან – მოგვარებული და მოწესრიგებული. როცა ვნახეთ ასეთი უკმარისობა და ასეთი მოუგვარებლობა არმენიის მხარეებისა, საჭიროდ ჩავთვალეთ მისი მოწესრიგება ერთი სახის შესაბამისად, კეთილმოწყობით მივცეთ მათ შესაბამისი ძალა და შესაბამისი მოწყობა“. ამ ნოველის I თავში ნათქვამია, რომ იმპერატორმა გადაწყვიტა ჩამოაყალიბოს ოთხი არმენია-კერძოდ:**

I არმენიაში შეიყვანა ტრაპეზუნტი და კერასუნტი, ყოფილი პოლემონის პონტოდან, აქვე შეიყვანა მან ადრე ლეონტოპოლისად სახელწოდებული ქალაქი ბიზანა, რომელსაც უწოდა თავისი სახელი იუსტინიანეპოლისი, ამავე არმენიაში შეიყვანა მან ასევე ცნობილი ქალაქი თეოდოსიოპოლისი (არზრუმი) და აქვე შეიყვანა ქალაქები სატალა, ნიკოპოლი და კოლონია.

II არმენიაში სხვა ქალაქებთან ერთად შევიდა სევასტია და სებასტოპოლისი, ასევე ქალაქები კომანა, ზეაა. კომანა მან ყოფილი პოლემონის პონტოდან აიღო.

III არმენიას იუსტინიანე აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას და მის მთავარ ქალაქად გამოაცხადა მელიტენა. აქვე შედიოდა ქალაქი კომანაც (ესენი იყვნენ ერთი და იგივე სახელის მქონე ქალაქები სხვადასხვა პროვინციებში).

IV არმენიაში შევიდა მიწა-წყალი, რომელსაც ადრე ეწოდებოდა ცოფანენა, ანზიტენა, სოფენა, ასტიანენა, ბალავიტენა.

ამ ნოველის VII მუხლი ჩვენთვის არის განსაკუთრებით საინტერესო. მასში იუსტინიანე შეეხება სასულიერო წოდებას აღნიშნულ მხარეში.

„ჩვენი ნება ასეთია, – წერს იუსტინიანე, – რომ **სასულიერო წოდება დარჩეს ძველი სახით,** არც მიტროპოლიტის უფლებებთან დაკავშირებით, არც ხელდასხმის საკითხთან დაკავშირებით, არაფერი შეიცვლება და ახალი არ შემოიღება. **მიტროპოლიტები დარჩებიან თავისსავე ძველი მდგომარეობით, ერთი სიტყვით სასულიერო წოდების მიმართ ახალი ნებადართული არ არის“ (ნ. ადონცი,** არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908 **გვ. 170).**

იუსტინიანეს XXXI ნოველის VII თავი გვიხსნის: თუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნუსხებში „**ძველებური წესების შესაბამისად“ რატომ იხსენიებოდა ლაზიკა და ფასიანი (ფაზისი).**

წესით, რადგანაც ამ რეფორმის შემდგომ ტრაპეზუნტი შევიდა I არმენიაში,

ამიტომ, კონსტანტინოპოლის კათედრათა ნუსხებში ტრაპეზუნტის მიმდებარე ეპარქიები სახელდებული უნდა ყოფილიყვნენ როგორც „საეპისკოპოსოები I არმენიის პროვინციაში“, მაგრამ ამის ნაცვლად, საეკლესიო სფეროში ძველი წესის უცვლელობის გამო, ტრაპეზუნტის მიმდებარე კათედრების სახელწოდებები არ შეიცვალა და ისინი ძველებურადვე მოიხსენიებოდნენ როგორც საეპისკოპოსოები „ლაზიკეში“. ეს იყო აღნიშნული ნოველის გამოძახილი, რომელიც კრძალავდა რაიმე სიახლის შემოღებას სამიტროპოლიტოთა მიმართ. მართლაც იუსტინიანემდე ტრაპეზუნტის სამხრეთ მთიანეთს ლაზიკა ერქვა და ის ე.წ. „ლაზთა ეპისკოპოსების“ იურისდიქციაში შედიოდა, პროკოფი კესარიელი ახსენებს ტრაპეზუნტის მახლობლად რიზესთან მცხოვრებ „ერთ ხალხს“, რომელიც „ლაზთა ეპისკოპოსების“ იურისდიქციაში იმყოფებოდა.

ნ. ადონცის მიხედვით, ლაზთა ეპარქიის ზიგანას საეპიესკოპოსო მდებარეობდა არა გუდაყვაში, არამედ ტრაპეზუნტის ახლოს, შემდეგდროინდელ გიუმიშხანესთან, ხოლო პეტრა, ერქვა ასევე ტრაპეზუნტთან ან თეოდოსიოპოლისთან ახლოს მდებარე პუნქტს, საისინი ყოფილა საზღვართან მხარისა, რომელსაც შემდგომად კარინი ეწოდა, ხოლო ქროდოპოლისი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ქალაქი, როდოპოლისის ოლქში, ფასისის ყველა ეს საეპისკოპოსო – პეტრა, როდოპოლისი, საისინი და ზიგანა მდებარეობდნენ ერთ რეგიონში არზრუმსა და ტრაპეზუნტს შორის, რომელსაც იუსტინიამდელ ეპოქაშიც ლაზიკა და ფასისი ერქვა.

კონსტანტინე პორფიროგენეტი, თეოდოსიოპოლისის მიმდებარე მხარეებს ფასიანს უწოდებს (ქართული ბასიანი), ის ფასისს უწოდებდა მდ.არაქსაც. განსაკუთრებით არის აღსანიშნავი ის, რომ სწორედ აღნიშნულ რეგიონში, სადაც ეს ფასისის საეპისკოპოსოები იყვნენ განლაგებულნი, სათავეს იღებდა რამდენიმე მდინარე, მათ შორის ჭოროხი და ევფრატი. აღსანიშნავია, რომ ორივე ამ მდინარეს – ჭოროხსა და ევფრატს სათავეში ფასისი ეწოდებოდა. ამიტომაც საფიქრებელია, რომ იმ **ქვეყანასაც, საიდანაც ეს მდინარეები გაედინებოდნენ და მის მომცველ მიწა-წყალსაც, სადაც ეს საეპისკოპოსოები იყვნენ მოქცეული, ფასისი ეწოდებოდა და ქვეყნის სახელის შესაბამისად სამიტროპოლიტოსაც ფაზისის სამიტროპოლიტო ერქვა.**

2. ლაზიკისა და მისი მიმდებარე მხარეების ადმინისტრაციული მდგომარეობა იუსტინიანემდე

დიოკლეტიანეს მიერი სახელმწიფოს ადმინისტრაციული დაყოფის პროცესი დაასრულა მისმა მემკვიდრემ თეოდოსი I-მა. საუკუნოვანი მუშაობის შედეგები ასახულია ცნობილ ძეგლში Notitia dignitatum, რომელშიც V საუკუნის დასაწყისშია შედგენილი. მასში ჩამოთვლილია თანამდებობები და პატივი იმპერიის სამოქალაქო და სამხედრო უწყებებისა. ისინი იერარქიულად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

მთელი იმპერია გაქრისტიანების შემდეგ სამოქალაქო დამოკიდებულებით იყოფოდა 4 მხარედ, რომელთა მეთაურებად იდგნენ პრეტორიის პრეფექტები. ეს მხარეები, ანუ პრეფექტურები იყოფოდნენ დიოცეზებად, რომლებსაც პრეფექტების მოადგილეები – ვიკარები მართავდნენ. საბოლოოდ, დიოცეზები პროვინციებად იყოფოდნენ, რომლებსაც არხონტები მართავდნენ (praeses).

რომის იმპერიის აღმოსავლეთში ჩამოყალიბებული იყო ორი პრეფექტურა - ე.წ. „აღმოსავლეთის პრეფექტურა“ და „ილირიის პრეფექტურა“.

თავის მხრივ „აღმოსავლეთის პრეფექტურაში“ შედიოდნენ შემდეგი დიოცეზები - „დიოცეზი აღმოსავლეთი“, „დიოცეზი ეგვიპტე“, „დიოცეზი ასიანა“, დიოცეზები „პონტიკა“ და „თრაკია“.

პონტოს დიოცეზში 11 პროვინცია შედიოდა, მათ შორის პოლემონის პონტო, პირველი და მეორე არმენია, ასევე ბითინია, გალატია, პაფლაგონია, ჰონორია, გალატია, პირველი და მეორე კაპადოკიები და ჰელენოპონტო.

სამხედრო დაყოფა იმპერიისა ყველგან არ ეთანადებოდა სამოქალაქოს, უმაღლესი ძალაუფლება გაყოფილი იყო რამდენიმე სამხედრო ხელმძღვანელს შორის – მათ სამხედრო მაგისტრები ერქვათ. აღმოსავლეთში ასეთი იყო ხუთი. მაგისტრის ქვემდებარე პირის სამხედრო წოდება იყო დუკა, კომიტი.

პონტოს დიოცეზს, რომელიც 11 პროვინციისაგნ შედგებოდა - მხოლოდ ერთი - "არმენიის დუკა" მართავდა.

მიუხედავად იმისა, რომ რომის იმპერიის პონტოს დიოცეზში მხოლოდ ერთი დუკა იყო „არმენიის დუკის" სახელწოდებით, მისი ძირითადი ძალაუფლება ვრცელდებოდა სამ სასაზღვრო პროვინციაზე. ესენი იყვნენ პოლემონის პონტო, I და II არმენია.

არმენიის დუკას თავისი რაზმები და სამხედრო დანაყოფები დაყენებული ჰყავდა ტრაპეზუნტში, რიზეში, სისილაში, პიტიაში (და არა პიტიუნტში აფხაზეთისა), უსუპორტოში, კაენე-პარამბოლეში, სებასტოპოლში (ეს ქალაქი მდებარეობდა ტრაპეზუნტის ოლქში და არა აფხაზეთში), ზიგანაში (ზიგანაც ტრაპეზუნტთან მდებარეობდა) და მოხორაში (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 96-97).

აღნიშნულთა გარდა ჯარების განლაგება მოცემულია პროვინციების სხვა ქალაქებში, რომლებიც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ნ. ადონცის მიერ მოყვანილ ლათინურ წყაროში, ამასთანავე, აქვეა ჩამოთვლილი ჯარისკაცების რაოდენობა თითოეულ ადგილში. **ესაა სრულად პირველხარისხოვანი კვლევა, რომლისთვისაც ცნობილია ყველა ადგილი არმენიის დუკის ჯარის განლაგებისა, ყოველი წვრილმანებით, ამიტომაც ძალზე უცნაურია ამ ნაკვლევის ფაქტიური იგნორირება, ზიგანას, სებასტოპოლისის, ან თუნდაც პიტია-პიტიუნტის გადატანა სადღაც აფხაზეთში, სადაც ნ.ადონცის სიტყვით არმენიის დუკას არაფერი ესაქმებოდა არც აღნიშნულ და არც შემდგომ საუკუნეებში.**

3. საქართველოს მომიჯნავე ბიზანტიური მხარეების სამხედრო-ადმინისტრაციული დაყოფა

კიდევ ერთხელ განვიხილოთ საქართველოს მომიჯნავე ბიზანტიური მხარეების სამხედრო-ადმინისტრაციული დაყოფა ნ. ადონცის მიხედვით. 297 წლისთვის დიოკლეტიანეს პროვინციალური რეფორმის ეპოქაში იმპერია 12 დიოცეზად იყოფოდა, მათგან ორი აზიის უკიდურეს მხარეებში იყო. კერძოდ, დიოცეზი „ორიენსი" (ანუ „აღმოსავლეთი"), და პონტიკა. ყველა 12 დიოცეზში ერთად იყო 95 პროვინცია. ამათ გარდა, დიოკლეტიანეს ტახტზე ასვლის პერიოდში იმპერიას კიდევ შეემატა 15 პროვინცია (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 86).

პონტოს დიოცეზი III საუკუნეში შედგებოდა 7 პროვინციისაგან. მათ რიცხვში იყო ბითინია, კაპადოკია, გალატია, პაფლაგონია, დიოსპონტუსი, პოლემონის პონტო და მცირე არმენია.

IV საუკუნის ცნობით, პონტოში იყო 8 პროვინცია – 1. პოლემონის პონტო; 2. ამასიის პონტო; 3. ჰონორიადა; 4. ბითინია; 5. პაფლაგონია; 6. მცირე არმენია; 7. დიდი არმენია; 8. კაპადოკია.

კონსტანტინე დიდის დროს ამასიის პონტოს სახელი გადაერქვა და ეწოდა ჰელენოპონტო დედოფალ ელენეს პატივსაცემად. ნ. ადონცის მიხედვით, სიაში ნახსენები მცირე და დიდი არმენიები სინამდვილეში არიან I და II არმენიები, ამასთანავე ამ სიას აკლია პროვინცია

გალატია, რომელიც ყოველთვის პონტოს დიოცეზში შედიოდა.

ნიკეის I მსოფლიო კრებაზე (325) თავისთავადი ადმინისტრაციული ერთეულის სახით იყო წარმოდგენილი კაპადოკია, დიდი არმენია და მეზობელი ოლქები.

371 წ. ადმინისტრაციულად ორად გაიყო კაპადოკია და მცირე არმენია. ბასილი დიდი ეწინააღმდეგებოდა კაპადოკიის დაყოფას. მცირე არმენია გაიყო და ეწოდა I და II არმენიები. პირველი შედგებოდა სევასტიის ოლქისგან, აქ იყო ქალაქები კოლონია, სატალა, სებასტოპოლი და ვერისსა. მეორეში შედიოდა მელიტინი, არკა, არაბისი, კუკუსონი, კომანა და არიარატა.

პოლემონის პონტოსა და პირველი არმენიის ურთიერთშეხება ხდებოდა პონტოს კომანას, პოლემონის, **კერასუსის და ტრაპეზუნტის რაიონებში. ეს უკანასკნელები ქმნიდნენ პოლემონის პონტოს ეპარქიას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში**.

საეკლესიო გეოგრაფიამ შემოგვინახა ცნობები ძველი პროვინციების ტერიტორიების შესახებ, – წერს ნ. ადონცი (ნ. ადონცი, არმენია... გვ. 89).

საეკლესიო დაყოფა უფრო მყარი და უცვლელი იყო, ვიდრე სამოქალაქო-ადმინისტრაციული და ასახავდა სურათს იმპერიის ძველი ადმინისტრაციული დაყოფისა.

აღსანიშნავია, რომ ქალაქი სებასტოპოლისი ამ დაყოფის თანახმად მდებარეობდა **I არმენიის ეპარქიაში (აქ შედიოდნენ ქალაქები სებასტია, ნიკოპოლისი, კოლონა, სატალა, სებასტოპოლისი, ბარისარა).**

ხოლო ცნობილი კომანა შედიოდა მეორე არმენიის ეპარქიაში (აქ შედიოდნენ მელიტენა, არკა, აბასისი, კომანა, კუკუსი, არიარატე).

ლაზიკა – განსახილველ პერიოდში რომის (ბიზანტიის) იმპერიაში შედიოდა და იუსტინიანეს დაყოფით ის პოლემონის პონტოს ადმინისტრაციული ნაწილი იყო.

4. ეკლესიური ლაზიკა და პოლიტიკური ლაზიკა – სხვადასხვა ტერიტორიებზე მდებარენი

იუსტინიანემ პოლემონის პონტო და ელენოპონტო გააერთიანა ერთ პროვინციად და უწოდა მას ელენოპონტო. მასში შედიოდა 8 ქალაქი – ამასია, ივორა, ევხაიტა, ზელა, ანტრაპა, სინოპი, ამისუსი და ლეონტოპოლი.

პოლემონის პონტოში იყო 5 ქალაქი – ნეოკესარია, კომანა, ტრაპეზუნტი, კერასუსი და პოლემონი. შემდგომ ამ პროვინციის მმართველს უფლება ჩამოართვა 4 ქალაქზე და ეს ქალაქები – ზელა, კომანა, ტრაპეზუნტი და კერასუსი გადასცა არმენიას – სამოქალაქო რეორგანიზაციის შესაბამისად (ნ. ადონცი, გვ. 172).

პირველმა და შიდა არმენიამ შეადგინა ორი ახალი პროვინცია – I არმენია და II არმენია (აქ შევიდნენ ტრაპეზუნტი და კერასუსი). II არმენიაში შედიოდნენ სხვებთან ერთად ქალაქები – სევასტია, სევასტოპოლი და ზემოაღნიშნული ქალაქები ზელა და კომანა.

ყოფილ II არმენიას ეწოდა III არმენია და მასში შევიდა ქალაქები მელეტინა, არკა, არაბისი, არიარატი, სხვა კომანა, ზოლოტი და კუკუსინი.

IV არმენიაში შევიდა ხუთი სომხური სამთავროს მიწები: სოფენენა, ანზიტენა, სოფენა, აშტიანენა (და ბალოვიტენა), მარტიროპოლი.

თეოდოსიოპოლის-გიუმიშხანე-ტრაპეზუნტის შემაერთებელ გზაზე მრავალი ქალაქი მდებარეობდა – რაც შეადგენდა ლაზიკის ქვეყანას – ეკლესიურად სწორედ ასე ერქვა ამ მხარეს – ეს იყო ის ლაზიკა, რომელიც ნოტიციებშია ასახული. ბიზანტიის სამოქალაქო-ადმინისტრაციულმა დაყოფამ ეს ვერ ასახა. ეს ქალაქები გაიყო ელენოპონტოს, I და II არმენიას შორის, მაგრამ, რადგანაც საეკელსიო გეოგრაფია, თვით ნ. ადონცის სიტყვით, ასახავდა იმ ძველ ვითარებას, რომელიც დიოკლეტიანეს და მისი მემკვიდრე თეოდოსის დროინდელ სამოქალაქო

დაყოფას აღნიშნავდა, ეკლესიურმა გეოგრაფიამ სიტყვა „ლაზიკა“ შეინარჩუნა, ამიტომ შემდგომშიც ტრაპეზუნტის ეპარქიას ერქვა „ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში“.

მაგრამ სამოქალაქო-ადმინისტრაციულად ახლა (იუსტინიანეს ეპოქაში) ლაზიკა დაერქვა ახალ ქვეყანას - ლაზიკის სამეფოს, რომელიც აღნიშნული ეკლესიური ლაზიკის უშუალო მეზობლად მდებარეობდა, მის ოდნავ ჩრდილოეთით, ჭოროხის ხეობაში — ართვინიდან გონიომდე. ე.ი. პოლიტიკური ლაზიკა და ეკლესიური ლაზიკა არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს. ეკლესიური — გეოგრაფიულად უფრო სამხრეთით მდებარეობდა, პოლიტიკური ლაზიკა — ჩრდილოეთით.

ეკლესიური ლაზიკა ტრაპეზუნტის რეგიონი იყო, სამოქალაქო-ადმინისტრაციული კი მისი მეზობელი რეგიონი ჭოროხის ხეობის ქვედა ნაწილის მომცველი.

5. საისინი, ფასიანი

მიწა-წყალი მდ. ირისიდან ჰერაკლეს კონცხამდე იწოდებოდა გალატეას პონტოდ, აქედან კერასუნტამდე — მდებარეობდა პოლემონის პონტო, ხოლო კერასუნტიდან კოლხიდამდე — კაპადოკიის პონტო (ნ. ადონცი, არმენია..., გვ. 69).

გალატეას პონტოში იყო ამასია, პიდა (ფიდი), პონტოს კომანა (ამჟამად გიუმენეკ) ტოკატასთან და სევასტოპოლთან ახლოს.

პოლემონის პონტოში, პტოლემეუსის აზრით, მდებარეობდა ნეოკესარია და სევასტია კოლონეას ოლქში, აქ იყო სევასტოპოლისი.

სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ იყო 5 მთიანი მხარე — მელეტინა (ევფრატთან), ამჟამინდელი გალატია, კატაონია. აქაა ქალაქი კომანა მდ. სარაზე (გიოკ-სუ), შემდეგ კილიკია ქალაქ მაზაკით, ანუ კესარიით, არგის მთის ძირში (ახლა არჯიში). კილიკიის იქით იყო თიანეთია (თიანითია) და გარსავრითია ტატას ტბასთან (იქვე, გვ. 71). **ქართველთა ოდესღაც ცხოვრებას ამ რეგიონებში მიუთითებენ აღნიშნული ტოპონიმები: არგის მთა, თიანეთი, გარსავრეთი და სხვა.** ამ მხარეთაგან პირველი ორი ზოგჯერ „მცირე არმენიად“ იწოდებოდა. ნ. ადონცის მიხედვით, ის კაპადოკიის პროვინციაში შედიოდა. ასეთი დაყოფა რომის იმპერიის გაფართოებამდე არსებობდა, ხოლო შემდეგ ეს მხარეები I და II არმენიაში მოხვდნენ. ნ. ადონცის მიხედვით, მათი მეტი წილი, კაპადოკია, მცირე არმენია — სომხებით იყო დასახლებული. მისი აზრით, პტოლომეოსი მცირე არმენიაში ათავსებდა მათ, რომელთაგან ყველაზე ჩრდილოეთით იყო ორბალისენა, მის ქვემოთ აიტულანა, შემდეგ აირეტიკა, ორსენა და ბოლოს ორბისენა.

აქ იყო მრავალი ქალაქი — მათ შორის, სატალა, ნიკოპოლი, ორსა და სხვა. ტაბულა პევტინგერა მდიდარ მასალას იძლევა მცირე არმენიისა და მცირე აზიის შესახებ. სევასტიას, ნიკოპოლს, სატალასა და მელიტენას შორის (გვ. 75), ევფრატის სანაპიროსთან, კამახსა და დივრიგს შორის არის ზიმარა — ყველა ამ ქალაქს გზები აერთიანებდა.

ბუნებრივი საზღვარი პოლემონის პონტოსა და მცირე არმენიისა იყო ქედი **კიოსე და აბეში, რომლის ერთ ბოლოშია ტაგანი და მეორეში ნიკოპოლი. აქ, ამ მიდამოებში აბეშის მთასთან იყო სისილისის კათედრა**. აქ ყოფილა პუნქტი არგაუნ მდინარე გორდუკზე, რაც, **საფიქრებელია, ქართველთა იქ ყოფნის დამადასტურებელი ტოპონიმია — ფუძეებით „არგ“ და „გორდ“** (იქვე, გვ. 81).

მელეტინიდან სევასტიამდე გზაზე მდებარეობდა სადგურები — პისონისი (ახლანდელი ასან-ბადრიკ), მოგვავგონებს X ნოტიციის საეპისკოპოსო კათედრის ფასიანეს სახელს (პისონისი — ფასიანი) (იქვე, გვ. 81), პუნქტი არანისი, ეუსპოენა, ბლანდოსი (ტახტუკი), გზა გადის მდინარე კურუ-ჩაიზე (მოგვაგონებს „მტკვარს“) და

შედის სივასში. ნ. ადონცის სიტყვით, სევასტია-ნიკოპოლი შედიოდა მცირე არმენიაში, ხოლო ნიკოპოლ-სატალის ხაზზე სადგური აზა, პტოლემეოსის მიხედვით, შედიოდა კაპადოკიის პონტოში.

ორსენას სახელი უკავშირდება ბიზანტიური თემის ხარსიანონის სახელს, ხარსიანის ციხესიმაგრის მიხედვით. სიმეასთან ახლოს იყო პუნქტი ხარსიანი (მოგვაგონებს X ნოტიციის – ხერიანს).

აქედანაც ჩანს, რომ ფასიანისა და საისინის (სისილისის) კათედრები ნ.ადონცს არ ეგულებოდა დასავლეთ საქართველოში.

6. ქვრივის მმართველობა

ჩვენს მიერ გამოკვლეული იქნა, რომ ანდრია პირველწოდებული, ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს წმიდა მოციქული, საქართველოში ქადაგებდა 30-35 წლებში (ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I). წმიდა ანდრიას ცხოვრებაში გვხვდება ქვეყნის მმართველი ბრძენი ქვრივის სახელი, რომლის მოქცევის შემდეგ ქრისტიანობა გავრცელებულა მესხეთის ვრცელ ქვეყანაში. მეორე ვარიანტით კი სვანეთში,

უნდა ითქვას, რომ წმ. ანდრიას მესხეთში წარმატებული მოღვაწეობა ქვრივის სახელს უკავშირდება. აღნიშნულ დროს, 30-35 წლებში, სტრაბონის ცნობით, მესხეთის მომიჯნავე მხარეებს მართლაც მართავდა ცნობილი ქვრივი დედოფალი, რომელიც ისევე ხასიათდება, როგორც ანდრიას ცხოვრებაში მესხეთის მმართველი „ქალი გონიერი და საგამგეო საქმის შემძლე". ის კოლხეთს მართავდა სიკვდილამდე, I საუკუნის 38 წლამდე (მ. ბერძნიშვილი, ქ. ფაზისის ისტორიისათვის, 1969, გვ. 77).

ამ ქვრივი დედოფლის სახელი ყოფილა პითოდორიდა.

მ. ბერძნიშვილი წერს – „ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის უკანასკნელ წლებში, სტრაბონის მოწმობით, კოლხეთს ფლობდა პოლემონი, რომელიც ასევე განაგებდა მის მიერვე სახელშერქმეულ პოლემონიუმის პონტოს, ასევე მცირე არმენიასაც და ბოსფორსაც. ახალი წელთაღრიცხვის 1-2 წელს ის მოკლეს ბრძოლაში და კოლხეთის სამეფო ტახტზე ავიდა მისი მეუღლე პითოდორიდა, პომპეუსის მეგობრის პითოდორე ტრალელის ასული. სტრაბონის დახასიათებით „ქალი გონიერი და საგამგეო საქმის შემძლე, რომელიც კოლხეთს მართავდა სიკვდილამდე (38წ). იმავე სტრაბონის სიტყვით, მისი სამფლობელოს ფარგლებში შედიოდნენ ტიბარენები, ვიდრე კოლხეთამდე, ფარნაკიასა და ტრაპიზონამდე, სტრაბონის სიტყვით – „ამჟამად ქვრივი ფლობს, როგორც დასახელებულ ქვეყნებს, ისე სხვებს". ხოლო მეორე ადგილას ამბობს – „ფლობს მეუღლე პითოდორიდა, დედოფალი კოლხების, ტრაპიზონის და ფარნაკიასი". **რეზიდენციად მას ჰქონდა კაბეირა, რომელსაც ავგუსტა დაარქვა. იგი მდებარეობდა სტრაბონის მშობლიურ ქალაქ ამისიის სამხრეთ-აღმოსავლეთით 27-28 კმ სიშორეზე**" (მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 77).

აქედან ჩანს, რომ კოლხეთი ტრაპიზონის სიახლოვეს მდებარეობდა. ქვრივი დედოფლის მფლობელობაში იყო თუ არა სამცხე, უცნობია, რადგანაც ქართული წყაროს ცნობით, სამცხეავჭარა, ისევე, როგორც მთელი დასავლეთ საქართველო, ქართლის მეფე ადერკის გამგებლობაში შედიოდა, ხოლო დედოფალი პითოდორიდა რომის იმპერიის სახელით მართავდა ისტორიულ ქართულ მიწებს, ქართული ტომებითვე დასახლებულთ, მაგრამ არა ქართლის სამეფოში მდებარეთ, არამედ მის გარეთ, მის უშუალო მეზობლად – რომის სახელმწიფოში.

საფიქრებელია, რომ ეს ცნობა ასახავს ისტორიულ რეალობას, კერძოდ, წმ. ანდრია თავდაპირველად ტრაპეზუნტში და მის ქვეყანაში ქადაგებდა, ამ ქვეყანას კი „სოფელი მეგრელთა" ერქვა და, მის ქვეშ იგულისხმება ისტორიული კოლხეთი – ტრაპეზუნტის

მომიჯნავე მხარე, რომელსაც ანდრიას დროს მართავდა პითოდორიდა. აღნიშნული ტომები, ქალდები და ტიბარენები, ქართველნი იყვნენ თვით სახელიდან გამომდინარე – „ტიბერ-იბერ“, „ქალდ-ქალდუელი-ქართველი“. აქვე ცხოვრობდნენ სანები. სტრაბონი დიოსკურიასთან ახსენებს სვანებს. თუკი პიტია-პიტიუნტი რიზეს მახლობლად იყო, იმავე რეგიონში ყოფილს დიოსკურიაც, სადაც მახლობელი მთებიდან სავაჭროდ ჩადიოდნენ სვანები (ე.ი. სტრაბონის დროს სვანები აქაც ცხოვრობდნენ), სვანთა შორის ანდრიას ქადაგებასაც მიუთითებენ წყაროები. აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ადრიას ცხოვრების მწერალს გამოუყენებია ძველი წყაროები და ალბათ სტრაბონიც.

7. ეკლესიის ორგანიზება

ნ. ადონცი წერს – „საეკლესიო იერარქიის ევოლუცია სამოქალაქოს შესაბამისად ვითარდებოდა. ეკლესია, თავისდაშეუმჩნევლად, იმპერიის ადმინისტრაციული წყობის შესაბამისად მოეწყო. ეკლესიამ სწრაფად შეძლო რეაგირება დიოკლეტიანეს მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად, ამიტომ 325 წლისთვის მოასწრო შეეცვალა თავისი იერარქია ახალი წყობის შესაბამისად. **დიოკლეტიანემ, ერთი მხრივ, არსებული პროვინციები დაყო უფრო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად, ხოლო მეორე მხრივ, რამდენიმე პროვინცია გააერთიანა უფრო მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულად – დიოცეზებად.**

როგორც აღინიშნა, იმპერიის აზიის სამფლობელოს შეადგენდა სამი დიოცეზი – აზია (ასია), პონტო და „აღმოსავლეთი“.

ამ უკანასკნელში (დიოცეზ „აღმოსავლეთში“) შედიოდა ეგვიპტეც.

დიოცეზებს, მეთაურობდა „ვიკარები“, ე.ი. აღმოსავლეთის პრეფექტის მოადგილეები, ხოლო პროვინციების მეთაურები, ანუ პრეზიდები – ექვემდებარებოდნენ შესაბამის ვიკარებს.

ამავე ჩარჩოში განივრცო საეკლესიო ძალაუფლება. პროვინციები გადაიქცნენ საეკლესიო ერთეულებად – ეპარქიებად, ყოველ მათგანში ისხდნენ ეპისკოპოსი - მიტროპოლიტები, თავიანთი მდგომარეობით პრეზიდების მდგომარეობის ექვივალენტურნი. ამავე სახით დიოცეზებმაც მოიპოვეს საეკლესიო ერთეულის მნიშვნელობა, რომელთა ვიკარები შეესაბამებოდნენ ეპისკოპოს-პატრიარქებს.

თითოეულ პროვინციაში იქურ ეპისკოპოსთაგან გამოიყოფოდა ერთი, პროვინციის დედაქალაქის ეპისკოპოსი – მიტროპოლიტის ხარისხით, ხოლო თითოეულ დიოცეზში მიტროპოლიტთა შორის ერთს ეჭირა პირველი მდგომარეობა პატრიარქისა ან მთავარი მიტროპოლიტისა.

“ასიის დიოცეზში” ასეთად აღიარებული იყო ეფესოს მიტროპოლიტი, „დიოცეზ აღმოსავლეთში“ ანტიოქიის მიტროპოლიტი, ხოლო პონტოს დიოცეზში – კესარიის მიტროპოლიტი (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 356).

აღსანიშნავია, რომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმ საკითხის შესახებ, თუ როდის იქნა შემოღებული სამიტროპოლიტო ორგანიზაცია. ზოგიერთის აზრით, ნიკეის კრებაზე, ხოლო საპატრიარქო ორგანიზაცია – კონსტანტინოპოლის კრებაზე (იქვე, გვ. 356).

ნ. ადონცის ცნობით, „აღმოსავლეთის“ პრეფექტი უმეტესწილად ცხოვრობდა ქ. ანტიოქიაში.

8. არმენიელი სატრაპები და ლაზიკის მეფეები ბიზანტიურ სამოხელეო სისტემაში

შიდა და დასავლეთ არმენიის გარდა, ბიზანტია მართავდა ასევე 5 არმენიულ სამთავროს. ამ სამთავროთა მეთაურებს „სატრაპებს“ უწოდებდნენ. მათი პოლიტიკური მდგომარეობა იმით განსხვავდებოდა სხვა არმენიის მმართველი მოხელეებისაგან, რომ ეს არმენიელი სატრაპები

ძალაუფლებას იღებდნენ მემკვიდრეობით და მას ინარჩუნებდნენ სიკვდილამდე, მხოლოდ ისინი იღებდნენ რომაელთა იმპერატორისაგან ძალაუფლების ინსიგნიებს, მათ საგანგებო ე.წ. „სამეფო შესამოსელს", ანუ ქლამიდას და სხვა ატრიბუტებს აღწერს პროკოფი კესარიელი. ამ სამეფო შესამოსელს იმპერატორი იძლეოდა იმის ნიშნად, რომ ისინი განიხილებოდნენ ვითარცა „მოკავშირეები იმპერატორისა". ნ. ადონცის განმარტებით – „სატრაპიები იყვნენ მინიატურული სახელმწიფოები, რომელთაც თავიანთი დიდებულები მართავდნენ, რომელნიც მდგომარეობით მეფეების თანასწორად ითვლებოდნენ" (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 109).

მსგავს „სამეფო შესამოსელებს", ვითარცა განსხვავებულობის ნიშანს, არმენიის სატრაპების გარდა იმპერატორისაგან იღებდნენ ასევე ლაზეთის მეფეები – თეთრ ქლამიდს, თეთრ ტუნიკას და წითელ ფეხსაცმელს, ასევე რომაული სახის გვირგვინს და სარტყელს, შემკულს მარგალიტებით. ასეთ სარტყელს სომეხი დიდებულებიც იღებდნენ (იქვე, გვ. 109).

ასე რომ, XXს. ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული და გამყარებული თვალსაზრისი „ლაზთა სამეფო" თითქოსდა იყო „ძლიერი სახელმწიფო", არაა რეალობა. სინამდვილეში, არმენიული სამთავროების მსგავსად, ის იყო რომაული სახელმწიფოს მიერ ხელდებული ქვეყანა, სადაც დროებით ბიზანტია ადგილობრივი დიდებულების მმართველობას ითმენდა. რომაული ძალაუფლების გამყარებისთანავე იქ დამყარდებოდა ჩვეულებრივი საიმპერო წესრიგი, ანუ სამოხელეო რანგი, მაგალითად, ბიზანტიური თანამდებობა – „არმენიის კომიტი" შემოღებული იქნა სამოქალაქო მმართველობის სამართავად. კომიტი არ ფლობდა სამხედრო ძალაუფლებას, ის მარზპანის მსგავსი თანამდებობა იყო (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 117). ლაზეთის სამეფო იყო მინიატურული სახელმწიფო ბიზანტიური იმპერიის პერიფერიაზე, რომელიც სადავო იყო სპარსეთთან, ამიტომაც ამ ქვეყნის დიდებულებს ორივე მხარე – სპარსეთი და ბიზანტია გარეგნულ პრივილეგიებს ანიჭებდა, რაც ილუზიას უქმნიდა ადგილობრივ მოსახელობას, თითქოსდა მათი ქვეყანა „სახელმწიფო" იყო, ეს ასე რომ არ იყო და, პირიქით, თუ რა დონით იყო ეს ქვეყანა დაპყრობილი, კარგად ჩანს პროკოფი კესარიელის თხზულებიდან.

9. რომაული სამხედრო ნაგებობების ნაშთები ზიგანასა, როდოპოლისსა, პიტია-პიტიუნტსა და სებასტოპოლისში

წყაროებიდან ცნობილია, რომ კონსტანტინოპოლის ლაზიკის ეპარქიის ზოგიერთ საეპისკოპოსო ცენტრში (მაგ. ზიგანაში) იდგა რომაული ლეგიონის რაზმები. ეს იმითაა საინტერესო, რომ წარმოადგენს საშუალებას არქეოლოგიურად დასაბუთდეს მათი ადგილმდებარეობა.

რომაული სამხედრო ლეგიონებისა და მათი რაზმების განლაგების ადგილებზე, როგორც წესი, იწყებოდა ძალზე მნიშვნელოვანი მშენებლობანი.

პროკოფი კესარიელი აღწერს, კერძოდ რა შენობები იგებოდა ჯარის საჭიროებისათვის. ის აღწერს ერთი ასეთი ადგილის მშენებლობას:

– „მდ. ევფრატიდან ცოტა მოშორებით, იყო ერთი კუთხე, სადაც იდგა რომაელ ჯარისკაცთა რაზმი. ამ ადგილს უწოდებდნენ მელეტინს. იქ, უწინდელ დროს, რომაელებს აუშენებიათ ოთხკუთხა ფორმის სიმაგრე, რომელიც ჯარისკაცებისთვის თავშესაფარს წარმოადგენდა. აქ ისინი ინახავდნენ თავიანთ საბრძოლო დროშებსაც. ამ სიმაგრემ საფუძველი დაუდო სამოქალაქო დასახლებას. ქალაქის მშენებლობა სიმაგრის მახლობლად გაგრძელდა. ააშენეს ტაძრები, სახელმწიფო დაწესებულებები, სავაჭრო მოედნები, სხვადასხვა სასაქონლო დუქნები, ყოველ მხარეს გაიყვანეს ქუჩები, ააშენეს გალერეები, აბანოები, თეატრები" (პროკოფი კესარიელი, „შენობათა შესახებ", 2006, გვ. 103).

აქედან ჩანს, რომ რომაული ჯარის განლაგების ადგილზე იწყებოდა მშენებლობები გზებისა,სამხედრო და სამოქალაქო შენობებისა, სავაჭრო მოედნებისა, დუქნებისა,ტაძრებისა, გალერეებისა, აბანოებისა და თეატრებისა. საქართველოს მასშტაბით ეს მშენებლობები შეიძლება გრანდიოზულად ჩაითვალოს.

სიმაგრეების, აბანოების, გზების, სავაჭრო მოედნებისა და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობების ნაშთების აღმოჩენა არქეოლოგებისათვის სიძნელეს არ წარმოადგენს. თუ ზიგანა არის ე.წ. გუდაყვა, მაშინ გუდაყვაში უნდა აღმოჩენილიყო კიდეც რომაული ჯარის სადგომის რაიმე ზემოთ ხსენებული ნაშთი, მსგავსი კი გუდავა-გუდაყვაში არაფერი აღმოჩენილა, პირიქით, იქ არა რაიმე ლათინური ანდა ბერძნული წარწერა ,არამედ მხოლოდ და მხოლოდ ძველი ქართული ასომთავრული წარწერები აღმოჩნდა ქართულსავე საეკლესიო ნაშთებზე.

არქეოლოგიამ ვერ დაადასტურა გუდაყვასა და ზიგანას იგივეობა. იგივე ითქმის ვარციხის (თითქოსდა როდოპოლისის) შესახებაც, სადაც, თუ ის იყო როდოპოლისი, ასევე რომაული ჯარის სადგომი ნაგებობების ნაშთები უნდა აღმოჩენილიყო, მაგრამ ვარციხეში რაიმე რომაულ-ბიზანტიური ნაგებობისა და საეკლესიო-სამოქალაქო ცხოვრების დამადასტურებელი ნაშთები არ აღმოჩენილა.

როგორც ითქვა, **ზიგანაში იდგა კოჰორტა, ე.ი. ლეგიონის ერთ-ერთი დანაყოფი.**

,,ლეგიონები შეადგენდნენ რეგულარულ არმიას, ლეგიონი შედგებოდა 6100 ფეხოსნისაგან და 726 კავალერისტისაგან.

ალა – რაზმია 600 მხედრისაგან.

,,აღმოსავლეთის" მთავარსარდალს ემორჩილებოდა 100 000 ჯარისკაცი.

პონტოს დიოცეზს თავისი 11 პროვინციით ჰყავდა მხოლოდ ერთი სამხედრო მთავარსარდალი ,,არმენიის დუკის" სახელწოდებით, მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა I და II არმენიასა და აგრეთვე პოლემონის პონტოში (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 95).

არმენიის დუკა განაგებდა შემდეგ ძალებს – ჰყავდა ლეგიონი სატალაში, მელეტინაში, პონტოში (კერძოდ, ლეგიონი ტრაპეზუნტში, **ალა** რიზეში და **პიტიაში**, კოჰორტა უსუპორტეში, კეანა-პარამბოლეში, **სებასტოპოლისში, ზიგანაში,** მოხორაში (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 97). არმენიის დუკას ემორჩილებოდა 2 მსროლელი კავალერიის პოლკი, სამი ლეგიონი, ე.ი. 18 000 კაცი. 11 რაზმი ცხენოსნებისა (თითოში 600 კაცი), 10 კოჰორტა ფეხოსნებისა (თითოში 600 კაცი). მათ შორის, არმენიაში იდგა 2 ლეგიონი, 6 რაზმი, ანუ ალა და 4 კოჰოტა, ხოლო 6 კოჰორტა – პოლემონის პონტოში. პონტოში არმენიის დუკის ძალების მთავარი განლაგების ადგილები იყო ტრაპეზუნტი, ავაქსი და სილვანა (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 99).

ნ. ადონცის აზრით, ,,ფელიქს თეოდოსინას" სახელობის ალა, ანუ სამხედრო რაზმი იდგა **პიტიაში, რომელიც რიზესთან მდებარეობდა (იქვე,** არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, **გვ. 99, შენიშვნა 2).**

პიტია და სებასტოპოლისი ზოგიერთს მიაჩნია პიტიუნტად (აფხაზეთში) და სებასტოპოლისად, მაგრამ ეს ქალაქები ამ წყაროს შედგენის დროს არ შედიოდნენ ბიზანტიაში, და დუკას ძალაუფლება ასე შორს ვერ გავრცელდებოდა, წერს ნ. ადონცი (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ.202).

აფხაზეთი არასდროს შედიოდა არმენიის დუკას გამგებლობაში და, შესაბამისად, თავისი ჯარი (რაზმი) ვერ ეყოლებოდა ბიჭვინთაში (რომელსაც პიტიუნტად მიიჩნევენ), სებასტოპოლისში (ცხუმად მიიჩნევენ) და გუდაყვა-გუდავაში, რომელსაც ზიგანა-ზიგანევად მიიჩნევენ ჩვენი მეცნიერები, არც ვარციხის მიწა-წყალი შედიოდა ოდესმე არმენიაში, ამიტომაც ვერც იქ განალაგებდა არმენიის დუკა თავის სამხედრო რაზმს, ამიტომაც როდოპოლისი უნდა

ვეძიოთ არა ვარციხეში, არამედ ტრაპეზუნტის რეგიონში, სადაც მართლაც მდ. კალაპოტ-ამისზე მდებარეობდა კიდეც ქალაქი ვარდა, რომელიც უნდა ყოფილიყო ძველი როდოპოლი-სი.

თავი X
კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიები ლაზიკაში

შესავალი

ბიზანტიელებისათვის, ეკლესიური თვალსაზრისით, ლაზიკა ერქვა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ იმ ვრცელ ქართულ მხარეს ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე, რომელიც საერთოდ ამოვარდნილია ქართველთა ისტორიული ცნობიერების სფერ-ოდან, მითუმეტეს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიიდან.

აზრი, რომ ლაზიკა არ ერქვა დასავლეთ საქართველოს ფართო ეკლესიური მნიშ-ვნელობით, ეწინააღმდეგება XX ს-ის მრავალი ისტორიკოსის თვალსაზრისს, ისინი ბერძნული წყაროების ყველა ცნობას ლაზიკასთან დაკავშირებით დასავლეთ საქართვე-ლოს უსადაგებენ, ფაქტიურად XX ს-ში შეიქმნა დასავლეთ საქართველოს იქამდე სრულიად უცნობი ისტორია, რომ, მაგალითად, ეკლესიურად თითქოსდა მთელი დასავ-ლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყო და მხოლოდ IX-X სს-დან თანდათან შევიდა ერთიან ქართულ-ეროვნულში.

ძნელია, ასეთ ჩამოყალიბებულ სისტემას, საყოველთაო სამეცნიერო მიმართულე-ბას დაუპირისპირო ახალი აზრი, მაგრამ ჩემი მოსაზრების მხარესაა ეროვნული ისტორიოგრაფია – "მოქცევაი ქართლისაი", "ქართლის ცხოვრება", ყველა საეკლე-სიო და საერო საისტორიო წყარო, შექმნილნი XIX ს-მდე, და ასევე უცხოური წყაროებიც.

მაცხოვარი ბრძანებს – **„თუ სამეფო თავისივე თავის წინააღმდეგ დაიყოფა, ის სამეფო ვეღარ გაძლებს“** (მარკ. 3,24).

ეს შეეხება ჩვენს საეკლესიო მთლიანობასაც. ამჟამად საეკლესიო სეპარატიზმი აფხაზეთში, და არა მარტო იქ, გამალებით ეძებს თეორიებს საერთაშორისო ას-პარეზზე გასატანად, რათა გაამართლოს თავისი არაკანონიკური ქმედებები, ამავე დროს ჩვენი მეცნიერები ჩვენი ეკლესიის მთლიანობისათვის საშიშ შეხედულებებს საერთაშორისო ორგანოებით ავრცელებენ ვითარცა ერთადერთ და ჭეშმარიტ თეო-რიას. ეს ხელს არ უწყობს საეკლესიო მთლიანობას, ვერ გაძლებს ის სამეფო, რომელიც დაიყოფა თავისი თავის წინააღმდეგ. როგორც ითქვა, აქ გამოსავალი არის ყურისგდება ღრმა სამეცნიერო თვალსაზრისისა, რომ „ძველი საეკლესიო მამების შემეცნება მიგვითითებს წმიდა ნინოს ეპოქიდანვე დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართვე-ლოს საეკლესიო მთლიანობის შესახებ“. - წერდა ივანე ჯავახიშვილი.

1. საეკლესიო გეოგრაფია

ნ. ადონცის სიტყვით საეკლესიო გეოგრაფია გვაძლევს საშუალებას დადგინდეს

ლაზთა საეპისკოპოსო კათედრების ადგილმდებარეობა.

პროკოფი კესარიელის ცნობით VI საუკუნეში „ლაზთა ეპისკოპოსების“ იურისდიქციაში მოქცეული იყო ჭოროხსა და რიზეს შორის მცხოვრები „ერთი ტომი“ (გეორგიკა, II, გვ.125), მაგრამ, ამ ლაზთა ეპისკოპოების ძირთადი იურისდიქცია ცხადია ლაზთა ეპარქიაზე ვრცელდებოდა.

ლაზიკის ეპარქია, ნ.ადონცის კვლევის თანხმად, მოიცავდა ისტორიულ ქართულ მიწა-წყალს, რომელსაც შემდგომ ქალდიის თემი ეწოდა, ესაა თანამედროვე არდასატორულ-გიუმიუშხანეს რეგიონი, ძველი ჭანიკა. ნ.ადონცის კვლევით იუსტინიანემდე აქ მდებარეობდნენ ლაზიკის ეპარქიის ზიგანას, როდოპოლისის, საისინისა და პეტრას საეპისკოპოსოები (ე.ი. ტრაპეზუნტსა და თეოდოსოპოლისს შორის). შემდგომში ისტორიული ლაზიკის ეს მიწა-წყალი იუსტინიანემ შეიყვანა I არმენიის პროვინციაში, მაგრამ მას ეკლესიურად კვლავ ძველი სახელი დარჩა (საეკლესიო წრეებში უწოდეს არა I არმენიის ეპარქია, არამედ შეინარჩუნა ძველი სახელი - „საეპისკოპოსოები „ლაზიკაში“). ნ. ადონცის სიტყვით, ამის მიზეზი იყო ის, რომ საეკლესიო დაყოფა გამოირჩეოდა დიდი მდგრადობით და მან არ ასახა სამოქალაქო ადმინისტრაციული საზღვრების შემდგომი ცვლილებები.

ძველი ადმინისტრაციული დაყოფის სურათი ეკლესიაში უცვლელად დარჩა, ამიტომაც საეკლესიო ნუსხებში არ აისახა იუსტინიანეს პროვინციული საზღვრების ცვლილებები (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 90). ასე შეინარჩუნა მიწა-წყლის ძველი სახელი ლაზიკის ეპარქიამ.

ძველი ლაზიკის ერთი ნაწილი იყო „ჭანიკა“, რომელსაც ადრე „ქალდეა“ ერქვა. იუსტინიანეს შემდგომ ეს სახელი კვლავ დაუბრუნდა ამ პროვინციას – „ქალდეას თემი“. როგორც ითქვა, აქ ყოფილა ლაზიკის ეპარქიის საეპისკოპოსოები ზიგანიდან კარნუ-ქალაქამდე (კარინამდე), ე.ი. საისინის, როდოპოლისის და პეტრას საეპისკოპოსოები. ამ მიწა-წყლის სახელი იყო ასევე ფასიანი, შესაძლოა იმ მიზეზის გამო, რომ კარინ-ბასიანის (ფასიანი) პროვინციის გვერდით მდებარეობდა.

არაბებისგან კარინ-ბასიანის ვრცელი ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ ბიზანტიამ ბასიანის ქალკედონიტური საეპისკოპოებიც ლაზიკის (ფასიანის) ეპარქიაში შეიყვანა და მის ცენტრად აქცია ტრაპეზუნტი, მაშასადამე, ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში შედიოდა მიმდებარე მიწა-წყალი ტრაპეზუნტ-ვანის ტბის მიმართულებით, რომელიც შეიცავდა ისტორიულ ჭანიკას, სპერსა და ბასიანს, როგორც VII მსოფლიო კრების ტრაპეზუნტელი მიტროპოლიტის ხელმოწერიდან ჩანს 787 წლისათვის მას ჰქონდა ტიტული „მიტროპოლიტი ფასიდისა" ე.ი. ფასისისა.

მაშასადამე საეკლესიო გეოგრაფიამ (ნ.ადონცის სიტყვებია) თვით იუსტინიანეს ბრძანებით შემოინახა და შეინარჩუნა თავდაპირველი სახელმწიფო ადმინისტრაციული დაყოფის (იმპერატორ თეოდოსის ეპოქის) დროინდელი სახელები ერთ-ერთი იყო “ეპარქია ლაზიკეში”.

2. ლაზიკის სამიტროპოლიტოს გეოგრაფიული არეალი

სად მდებარეობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტო?

XX ს-ის ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით, ეს საკითხი თითქოსდა გარკვეული იყო, რაც ასახულია მრავალ გამოკვლევაში. აღიარებული აზრით, ის დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა, მაგრამ უპირველესი წყაროს, კონსტანტინოპოლის სა-

პატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხების მონაცემები არ ეთანხმება ამ თვალსაზრისს. კერძოდ, უმრავლეს ნუსხაში ჩამოთვლილია ლაზიკაში მდებარე ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს შემდეგი კათედრები: 1. ხერიანი; 2. ხამაძური (ხამუზური, ხამაზრი, ხამატოზური); 3. ხახეი (ხალი, ხაიონი, ხალხევი); 4. პაიპერტი (პაიპერი); 5. კერამევი; 6. ლერიონი; 7. ბიზანა (ბიზანტი); 8. ხავიძიტი; 9. ხანძიორძი; 10. ოლნუტი; 11. ფასიანი; 12. (ტო)სერმანძი; 13. ანდაკი; 14. ზარინაკი (გეორგიკა, IV, ნაწილი II, 1952, გვ. 185). ეს საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ მიწა-წყალზე ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე.

ეს სია ასახავს ძირითადად IX-X საუკუნეთა ვითარებას. მაშასადამე, **მიწა-წყალზე, რომელსაც კონსტანტინოპოლი უწოდებდა ლაზიკას, განლაგებული იყო ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო თავისი 14 კათედრით** და ჩვენი განხილვის საგანია მოვიძიოთ ამ კათედრების გეოგრაფიული განლაგება. როგორც ცნობილია, ბიზანტიურ სამყაროში საეპისკოპოსო ცენტრები ხალხმრავალ ქალაქებში არსდებოდა, შესაბამისად, ლაზიკის ჩამოთვლილი კათედრები ალბათ მნიშვნელოვან ქალაქებში მდებარეობდნენ.

აღნიშნულ ცხრილებში (ნოტიციებში) უცვლელად მეორდება ისეთი კათედრების სახელწოდებები, როგორიცაა ლერიონი, ოლნუტი, ანდაკი და სხვა. ამ სახელის მქონე ქალაქების ადგილმდებარეობა ცნობილია. კერძოდ, ლერიონი იყო ტრაპეზუნტის მთიანეთში, მისგან დაახლოებით 70კმ-ით დაშორებული. ანდაკი თეოდოსიოპოლისსა და კარს (ყარსს) შუა იყო, ხოლო ოლნუტი არაქსისა და ევფრატის სათავეებთან ახლოს. ყველანი ისინი განლაგებულნი იყვნენ იმ ქვეყანაში, რომელსაც რომაელები უფრო მეტად არმენიას უწოდებდნენ, მაგრამ იქვე, არაქსის იქით მიუთითებდნენ იბერიის საზღვარს. ერთი სიტყვით, ისინი მდებარეობდნენ ვანის ტბასა და ტრაპეზუნტს შორის. ხომ არ იყვნენ ამ რეგიონში სხვა საეპისკოპოსოებიც ლაზიკის ეპარქიისა?

ცხადია, აღნიშნული საეპისკოპოსოები ქალკედონურნი იყვნენ, ამავე დროს, არმენიად სახელწოდებულ ქვეყანაში მდებარეობდნენ. ამის გამო ჩვენმა ძიებამ მოითხოვა გავცნობოდით ისტორიულ სომხეთში ქალკედონური საეპისკოპოსოების განლაგებას. ამ საკითხის შესახებ არსებული ძირითადი გამოკვლევები ძირითადად თავმოყრილია მოსკოვში დასტამბულ „პრავასლავნაია ენციკლოპედიის“ III ტომში. ამ ტომის სტატიაში „სომეხი ქალკედონიტები“ ჩამოთვლილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში შემავალი ეპარქიები, მათ შორის აღნიშნული ლერიონისა და სხვა კათედრები და აღნიშნულია, რომ ისინი მდებარეობდნენ „სომხურ მიწებზე“.

„პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ ამ თვალსაზრისისაგან მთლიანად განსხვავდება ბერძნულ წყაროებში დაფიქსირებული ფაქტები, მაგალითად, **კონსტანტინოპოლის ნოტიციებში ანუ წყაროებში, მათ უწოდებდნენ „საეპისკოპოსოებს ლაზიკაში“ და არა „არმენიაში“,** აღნიშნულ სტატიას თან ახლავს რუკა, რომელზეც თითქმის ყველა იმ საეპისკოპოსოს მდებარეობაა აღნიშნული, რომლებიც ნოტიციებით „ლაზიკის სამიტროპოლიტოს“ განეკუთნებოდნენ (იხ. სტატია „Армяне-Халкидониты“ (Прав. Энц., Т. III, М., 2001). რუკაზე, როგორც ითქვა, აღნიშნულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის, ასევე ეკელესენის, ხორძენესა და ტარონის სამიტროპოლიტოების, ასევე ანტიოქიის საპატრიარქოს თეოდოსიოპოლისის (კარინის) ეპარქიის მართლმადიდებლური (ქალკედონური) კათედრები.

ჩვენთვის საინტერესო რუკაზე მრავალი საეპისკოპოსოს ადგილმდებარეობაა აღნიშ-

ნული, რომელიც ტრაპეზუნტის ე.წ. ლაზიკის სამიტროპოლიტოში იმყოფებოდა. აღნიშნულია ნოტიციებში ჩამოთვლილი ლერიონის, შარიანის (ხერიანის), ბიზანას, ბაიბერდის (პაიპერტის), ოლნუტის, ანდაკის, ხახის (ხახეის), ხანძიორძის (ხორძენა?) და სხვა საეპისკოპოსოები, და ისინი განლაგებულნი არიან ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე.

აქედან ჩანს, რომ **X-XI ს-ის დასაწყისიდან ეკლესიური თვალსაზრისით კონსტანტინოპოლი ლაზიკას უწოდებდა ვრცელ მხარეს ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე, სადაც აღნიშნული საეპისკოპოსოები იყვნენ განლაგებულნი.**

ისმის კითხვა – რატომ უნდა ეწოდებინა კონსტანტინოპოლს ამ ვრცელი ტერიტორიისთვის (ვანის ტბის მომიჯნავე ქვეყნებიდან ტრაპეზუნტის ჩათვლით) ლაზიკა?

მართლაც, აღნიშნულ მიწა-წყალზე მრავალი მართლმადიდებლური საეპისკოპოსო იყო, მათ შორის ისეთებიც, რომელნიც მცხეთის საპატრიარქოს ექვემდებარებოდნენ. მაგალითად, არც თუ შორს ვანის ტბიდან, იყო ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსო, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ ანდაკის კათედრიდან არც თუ მოშორებით იყვნენ ანისისა და კარის ქართული საეპისკოპოსოები.

შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიური თვალსაზრისით კონსტანტინოპოლი „ლაზიკას“ უწოდებდა ვრცელ ტერიტორიას, რომელნიც ქართულ წყაროებში მოიხსენებიან ვითარცა „ზემონი ქვეყანანი“, ტაოსა და ვანის ტბას შორის მოქცეული ტერიტორია.

ქართული „ზემო ქვეყნებისა“ და მიმდებარე მიწა-წყალს რომ მოიცავდა კონსტანტინოპოლის სამიტროპოლიტო ლაზიკაში, იქიდანაც ჩანს, რომ აქაა განლაგებული მისი საეპისკოპოსოების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად ანდაკის კათედრა – მდინარე არაქსზე (მის ზემო წელში), მანასკერტთან ახლოს, ევფრატის სათავეში მდებარე ოლნუტის კათედრა. თითქმის „ზემო ქვეყნების“ მიწა-წყალზე მდებარეობდნენ ბიზანასა და ხორძენეს საეპისკოპოსოები, ხოლო ბაიბერდის, ხახის, კერჩანისისა, ხერიანისა და ლერიონის საეპისკოპოსოები ისტორიულ სპერსა, ჭანეთსა და მიმდებარე მიწებზე მდებარეობდნენ. მას შემდეგ, რაც აღნიშნული „ზემო ქვეყნები“, ანუ ტაოსა და ვანის ტბას შორის მოქცეული მიწა-წყალი ბიზანტიამ ჩამოართვა საქართველოს მეფე გიორგი I-ის დროს, იქ ჩამოყალიბებულ მართლმადიდებლურ სამიტროპოლიტოსთვის „ლაზიკის ეპარქია“ უწოდებიათ. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის მის მომცველ ტერიტორიაზე, ასევე ჩამოყალიბეს ბიზანტიური სამოქალაქო ადმინისტრაციული ერთეული „იბერიის თემი“, ანუ **ის მიწები, რომლებიც არაბობამდე „არმენიად“ იწოდებოდა, X საუკუნის შემდეგ ეკლესიურად ლაზიკად, ადმინისტრაციულად იბერიად და ქალდეად იწოდა – ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე.**

მაშასადამე, ზემოთ აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ: კონსტანტინოპოლის საპატრიარქო IX-X საუკუნეებში ლაზიკას უწოდებდა ვრცელ მხარეს ტრაპეზუნტიდან ვანის ტბის მიმართულებით, სადაც ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს კათედრები იყვნენ განლაგებულნი. ამ ვრცელი მიწა-წყლის შუაგულში სათავეს იღებს ისეთი ცნობილი მდინარეები, როგორიცა არაქსი და ევფრატი. **ეს მიწა-წყალი ისტორიულად ქართული ტომებით იყო დასახლებული, სწორედ ამის ანარეკლი, ანდა რეალური ვითარების გადმოცემის შედეგია ის, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ „ლაზიკა“ უწოდა აღნიშნულ მიწა-წყალს, ამით ხაზი გაესვა მის მცხოვრებთა ეთნიკურ ვინაობას. სახელწოდებები „ლაზიკის ეპარქია“ და „იბერიის თემი“ აღნიშნულ დროს წარმოაჩენს**

რეალურ სურათს, რომ ბიზანტიამ ცნო ვანის ტბიდან ანისამდე და ტრაპეზუნტამდე მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა – მათი ქართველობა, რადგანაც იქამდე, კერძოდ კი არაბობამდე, ამ მიწა-წყალს ბიზანტია ოფიციალურად „არმენიას“ უწოდებდა. არაბთა შემოსევების შემდეგ, რაც სომხურ ეკლესიას უკვე უნარი აღარ შესწევდა თავისი ზეწოლა განეხორციელებინა მკვიდრ ქართველებზე, **IX-X სს-ში, გამოცოცხლდა იქამდე შესუსტებული ეთნიკური თვითშემეცნება იქაური მკვიდრი ქართველებისა, ამიტომაც არაბებისაგან გათავისუფლებულ მიწა-წყალზე ბიზანტიელებს დახვდა სხვა სურათი – მკვიდრი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მცხოვრებნი ევფრატისა და არაქსის სათავეებში, ვიდრე ვანის ტბამდე და ანისამდე, მკვეთრად აცხადებდა, რომ ეთნიკურად იყვნენ არა სომხები, არამედ ქართველები. იყო თუ არა ამისათვის საფუძველი? საქმე ისაა, რომ აღნიშნული მიწა-წყალი იმთავითვე ქართული იყო.** მისი ისტორიული წარსულის შესახებ წერს პავლე ინგოროყვა – „ანტიკური ხანის საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ანტიკურ ხანაში, ვიდრე II-I სს-მდე ძველი წელთაღრიცხვისა, **ქართული ტომებით დასახლებული იყო არა მხოლოდ მტკვრისა და ჭოროხის ხეობები, არამედ ქართველ ტომებს ეჭირათ აგრეთვე არაქსისა და ევფრატის ხეობათა ზემოწელი, სახელდობრ, ხორძენე, პარიადრის მთიანეთი (მარდალიის ზონა), ბასიანის მხარენი, არაქსის სასპერეთი... კარინი, დერჭანი, აკილესენი, მუძური** (ანტიტავროსის მხარე, იხ. სტრაბონი, წიგნი XI, თავი XVI, 5, ქსენეფონტე, ანაბასისი, წიგნი IV, თავი VI, 5, VII, 8, 25). ... სტრაბონის ცნობით, უმრავლესობა ამ პროვინციებისა საქართველომ დაკარგა პოლიტიკურად II-I სს-ში ძვ. წელთაღრიცხვისა, როდესაც სომხეთმა გაავრცელა თავისი გავლენა ევფრატისა და არაქსის ხეობათა ამ სექტორებზე. I ს-ში ახალი წელთაღრიცხვისა, როდესაც იბერიამ დიდ პოლიტიკურ ძლიერებას მიაღწია, მან შეძლო ისევ დაებრუნებინა ეს ქვეყნები. პლინიუს სეკუნდის ცნობებიდან ირკვევა, რომ I საუკუნის 60-იან წლებში იბერიის ფარგლებში შედიოდა როგორც მესხეთის ქვეყანა (რომელიც ამ დროს მოიცავდა ზემო მტკვრისა და ჭოროხის ხეობებს და არაქსის აუზის სანაპირო ზონას), ისე ამის მეზობელი პონტოს ქართული ტომების (ხალიბების ჯგუფის) ტერიტორია ევფრატის ხეობაში. ეს ტერიტორიები მოქცეულია იბერიის ფარგლებში, როგორც I საუკუნეში, ისე II ს-ის პირველ ნახევარში, როდესაც იბერია ძლიერების ზენიტს აღწევს. მომდევნო ხანაში იბერია ისევ ჰკარგავს ამ ქვეყნებს. მას შემდეგ იწყება ამ მხარეთა თანდათანობით ეთნიკური გადაგვარება, თუმცა საშუალო საუკუნეთა დასაწყისში (ყოველ შემთხვევაში VII საუკუნემდე, როგორც ეს ირკვევა წყაროებიდან), ამ ქვეყნებს ჯერ კიდევ ჰქონიათ შერჩენილი ქართული სახე. საქართველო არ შერიგებია ამ მხარეთა დაკარგვას და საშუალო საუკუნეთა მანძილზე საქართველო ცდილობდა შემოეერთებინა არაქსის და ევფრატის ხეობებში მდებარე ეს ადრინდელი ქართული მხარეები. ეს არის სწორედ ის „ზემონი ქვეყანანი“, რომლის შემომტკიცებასაც ცდილობდა ქართველთა სამეფო X-XI საუკუნეებში და რომლის გამოც ქართველთა სამეფოს კონფლიქტი ჰქონდა ბიზანტიის იმპერიასთან“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 517).

მაშასადამე, II-I საუკუნეებში აღნიშნული მიწა-წყალი, რომელზეც შემდგომ X საუკუნისათვის განლაგებული იყო ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს კათედრები – დასახლებული იყო ქართული ტომებით, მართალია, ისინი მოექცნენ არმენიაში და იქაური მკვიდრი ქართველობა (იგულისხმება ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე მცხ-

ოვრები მოსახლეობა), განიცდიდა ეროვნულ და ენობრივ შევიწროებას, მაგრამ პ. ინგოროყვას კვლევით, მათ მაინც VII ს-მდე შეუნარჩუნებიათ ქართულენოვნება. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, რომ ქართული მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილმა კიდევ უფრო დიდხანს შეინარჩუნა საკუთარი ეროვნება. ამას მიუთითებს 1. კონსტანტინე პორფიროგენეტის ხაზგასმითი მითითებანი, რომ თეოდოსიოპოლისის (კარინის-კარნუქალაქის და მისი შემოგარენის) მოსახლეობა თითქმის ნახევარი საუკუნე უწევდა დიდ წინააღმდეგობას ბიზანტიურ ჯარებს, ქართველები კი მათ იცავდენ, არ ანებებდნენ ბლოკადას, როცა ბიზანტიელები მოითხოვდნენ მათ ფაქტიურად შიმშილით ამოხოცვას. 2. აღნიშნულ მიწა-წყალზე ქართული საეპისკოპოსოების დაარსება; 3. ამ ადგილებიდან გამოსული ქართველი ბერების მუდმივი მითითებები იმის შესახებ, რომ ისინი ეთნიკურად არიან ქართველები, რომ ისინი არ არიან სომხები (მაგალითად, როცა გიორგი მთაწმიდელის ეპოქაში ანტიოქიის პატრიარქს მოახსენეს იქაური იბერთა მონასტრის ბერების შესახებ – „არა ვუწყით ქართველნი არიან თუ სომეხნი“, წმიდა მამის მიერ მათი ქართველობის მტკიცება); 5. ქართული ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების ბოლო დრომდე არსებობა; 6. აღნიშნული მხარეებიდან გამოსული ქართველების დიდი ძალისხმევა, რომ ქართული წმიდა წიგნებიდან აღმოეფხვრათ სომხურიდან რედაქტირების ყოველგვარი ნაკვალევი 7. ძლიერი ქართულენოვანი სამრევლოების არსებობა. მაგალითად, ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი გავლენა და წონა ჰქონდა ვალაშკერტელ ეპისკოპოს ზაქარიას, რომ ის ბიზანტიის სამეფო კარზე იცავდა ქართველთა უფლებებს იმით, რომ ცდილობდა ბიზანტია-საქართველოს მორიგებას. ვფიქრობ, რომ ვალაშკერტის ქართველი მრევლი რომ არ ყოფილიყო მრავალრიცხოვანი და ძლიერი, მისი მღვდელმთავარიც არ იქნებოდა ისეთი გავლენის მქონე, როგორიც იყო ზაქარია, ანდა ანისის ქართული მრევლის მრავალრიცხოვნება და სიძლიერე. ანისში ქართული მრევლი მრავალრიცხოვანი რომ იყო და მოიცავდა მოსახლეობის დაბალ ფენებსაც, ჩანს ამ ქალაქის ეკლესიის კედლის წარწერიდან. ქართლის კათალიკოსი არ ჩათვლიდა საჭიროდ ანისში საგანგებოდ ჩასვლას და მისი უმნიშვნელო მრევლისა და მისი სამღვდელოების მორიგებას. ამასთან, მან ამ რეგიონში მრავალი სხვა ქართული ეკლესიებიც აკურთხა. მართალია, ანისი დაშორებულია ვალაშკერტს, მაგრამ აქ შეიძლება გავიხსენოთ ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობები, რომ იბერიელებსა და არმენიელებს ერთ დროს არაქსი ჰყოფდათ, მაშასადამე, არაქსის მარცხენა სანაპიროზე, მათ შორის ანისში, ქართული მოსახლეობა მკვიდრი ეთნოსი იყო, მათი იქ ცხოვრება ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. შეიყვანა კიდეც ბიზანტიამ ანისი იბერიის თემში, ხოლო მის სამხრეთით მდებარე ტერიტორია – ლაზიკის საეკლესიო თემში.

საბჭოთა პერიოდში სხვა თვალსაზრისი ჩამოყალიბდა. თითქოსდა IX-X ს-ში მოხდა ქართიზაცია – გაქართველება მთელი ამ მხარეების, „კლარჯეთისა და ტაოსი” (მათი აზრით, ვალაშკერტის, ყარსისა და ანისის მოსახლეობისაც), ასევე მთელი დასავლეთ საქართველოსი (იმჟამინდელი აფხაზეთისა) და ჰერეთ-ქვემო ქართლისა. რა ძალა უნდა ჰქონოდა არაბების საამიროს გავლენის სფეროში მოქცეულ შიდა ქართლს, რომ ასეთი ქართიზაციის პროცესი განეხორციელებინა მასზე 10-ჯერ და 20-ჯერ უფრო დიდ მხარეებში კლარჯეთიდან – ვალაშკერტ-ვანის ტბამდე, ლიხიდან – ნიკოფსიამდე და ბოდბედან – შამახამდე მაშინ, როცა არაბთა მიერ დაპყრობილი შიდა ქართლი არც კი იყო პოლიტიკური ერთეული, ხოლო აღნიშნული მხარეები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. სინამდვილეში, **დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ მხარეებში აღორძინდა იქამდე იქ მინავლებული ეროვნულ-ქართული თვითშემეცნება**.

3. მიწა-წყალი ლაზიკის ეპარქიისა

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკეში, როგორც ითქვა, მდებარეობდა მიწა-წყალზე ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე, რადგანაც აქ მდებარეობდნენ მისი კათედრები ანდაკისა, ოლნუტისა, ხორძენასი, ბიზანასი, პაიპერტისა (ბაიბერდისა), ლერიონისა და სხვა. როგორც თვით სამიტროპოლიტოს სახელი „ლაზიკა“ უჩვენებს, კონსტანტინოპოლს მიაჩნდა, რომ აღნიშნული მიწა-წყალი ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული. რამდენად შესაძლებელია, რომ ტრაპეზუნტიდან ვიდრე ვანის ტბამდე არეალი ქართველთა საცხოვრისი ყოფილიყო? პ. ინგოროყვას მიაჩნდა, რომ „საქართველოს ინტერესები ამ მხარეთა მიმართ იმით იყო გამოწვეული, რომ „აღმოსავლეთის“ ეს ტერიტორიები („ზემონი ქვეყანანი“), მდებარე ევფრატისა და არაქსის ხეობათა ზემო ნაწილებში (კარინითეოპოლისის მხარე, ბასიანი და მიმდგომი თემები), ანტიკურ ხანაში საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი, **ქართველი ტომებით იყნენ დასახლებულნი, ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები მიზნად ისახავდნენ საქართველოს ძველი ისტორიული ტერიტორიების გაერთიანებას ქართველთა სამეფოს ფარგლებში“** (პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, 1954, გვ. 65).

„აღმოსავლეთის ქვეყნებზე“, ანუ ტერიტორიებზე (თეოდოსიოპოლისიდან (არზრუმიდან) ვანის ტბამდე) ბიზანტია რომ აღიარებდა ქართველთა უფლებებს, მიუთითებს ის ხელშეკრულებები, რომელიც იდებოდა ბიზანტიასა და საქართველოს შორის, რომლის მიხედვითაც **იბერიელებს შეეძლოთ არაბების მიერ დაჭერილი თეოდოსიოპოლისის და „აღმოსავლეთის“ ყველა იმ ქალაქების დაჭერა, რომელთაც გაათავისუფლებდნენ** (იქვე, გვ. 65).

მალე ქართულმა ლაშქარმა დიდ წარმატებას მიაღწია. აღნიშნული მიწა-წყლის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას ქართული ლაშქარი ყოველმხრივ ეხმარებოდა, თავის მხრივ მადლიერი **მოსახლეობა ემხრობოდა ქართულ ჯარს და დიდ წინააღმდეგობას უწევდა ბიზანტიურს თვით კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით.** საბოლოოდ, ბიზანტიამ დაადგინა საზღვარი საქართველოსთან კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაში (X ს-ის შუა წლებში). **იბერია-ბიზანტიის საზღვარი გადიოდა მდ. არაქსზე**. იმპერატორი თვითონვე წერს – **„საზღვრად ბასიანის (ფასიანის) მხარეში დადგენილია მდინარე არაქსი ანუ ფასისი; იბერიელების სამფლობელოდ რჩება მარცხენა (ჩრდილოეთი) ნაწილი, რომელიც აკრავს იბერიას, ხოლო მარჯვენა ნაწილი (სამხრეთი), რომელიც აკრავს თეოდოსიოპოლისს, თავისი ციხეებითა და სოფლებით უერთდება ჩვენს საბრძანებელს (ბიზანტიას). ასე რომ, მდინარე დადგენილია საზღვრად ამ ორ სამფლობელოს შორის“** (იქვე, გვ. 66). მაგრამ ქართული მხარე ამით არ დაკმაყოფილდა და ეძებდა საშუალებას, რათა ვანის ტბის მიმდებარე ქვეყნებიც გაეთავისუფლებინა. ეს მიმართულება საოცნებო და საინტერესო იყო ქართველებისათვის, რადგანაც **არაქს-ევფრატ-ვანისტბისპირა მკვიდრ მოსახლეობას გაუმძაფრდა ეროვნული თვითშემეცნება, მათ უკვე ეძლეოდათ საშუალება დაუფარავად განეცხადებინათ, რომ ეთნიკურად და ეროვნულად ქართველები იყვნენ. ამიტომაც ქართულ ლაშქარსა და ქართულ სახელმწიფოს აქ ყველა გზა ეხსნებოდა მკვიდრი მოსახლეობის მხარდაჭერის გამო**. ბიზანტიამაც გადაწყვიტა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ეს მხარეები გადაეცა საქართველოსათვის, კერძოდ, კი გადასცა დავით დიდ კურაპალატს – ქართველთა

მეფეს. „სახელდობრ, **საქართველოს X საუკუნის ბოლოს შემოუერთდა შემდეგი პროვინციები: 1. თვით თეოდოსიოპოლი ანუ კარინი (თანამედროვე არზრუმი), თავისი თემით, რომელიც დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარეობს; 2. ციხე ხალტოი-არიჭი და მასთან მდებარე კლისურა ამავე დასავლეთ ევფრატის ხეობაში; 3. ჩორმაირის თემი – მდინარე ჭოროხის სათავეებთან; 4. სამხრეთ ბასიანის თემი მდინარე არაქსის ხეობაში; 5. ციხე სევუკი თავისი თემით (მარდალიის კანტონი) მდინარე არაქსის სათავეებთან; 6. ჰარქისა და 7. აპაჰუნის პროვნციები აღმოსავლეთ ევფრატის (არაწანის) ხეობაში** (იხ. ასოღიკი, 1883, გვ. 192)“ (იქვე, გვ. 67).

978-990 წლებში, ჩანს, იმის გამო, რომ **ვალაშკერტისა და ბაგრევანდის ვინაობა გამოღვიძებულმა ქართველობამ მიიპატიჟა, ქართულმა ჯარმა შემოიერთა აღმოსავლეთ ევფრატის ხეობის მიწები** (იქვე, გვ. 67).

990 წელს ამავე ხეობაში ქართველებმა აიღეს ქალაქი მანასკერტი და აქედან მუსულმანები განდევნეს, ქალაქი არა მარტო სომხებით, არამედ ადგილობრივი ქართველებითაც დაუსახლებიათ. ტაოდან კლარჯეთიდან და, მითუმეტეს, შიდა ქართლიდან ისეთ დაშორებულ, ვანის ტბასთან მდებარე ქალაქში ქართველებს ვერ ჩამოასახლებდენენ, ამიტომაც **ასოღიკის ცნობა, რომ ქართველთა სამეფომ ქალაქი მანასკერტი ქართველებით დაასახლა, უნდა მიუთითებდეს, ამ ქალაქის მიმდებარე სოფლებში ქართველებიც ცხოვრობდნენ**, იქვე, ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსოს არსებობა ამ ფაქტს ადასტურებს. **ვალაშკერტის საეპისკოპოსო მრავალი საუკუნე არსებობდა, რაც მიუთითებს, რომ მისი მრევლი მახლობელ ქალაქებსა და სოფლებშიც ცხოვრობდა.**

„X საუკუნის 90-იან წლებში ქართველთა სამეფოს საზღვრებმა ვანის ტბამდე მიაღწია. 997 წელს ქართველებმა ალყა შემოარტყეს ვანის ტბის ნაპირას მდებარე მნიშვნელოვან ქალაქ ხლათს, 998 წელს ქართველებმა უკუაქციეს მუსულმანთა დიდი კოალიცია და ქართველთა სამეფოს საზღვარი მიიტანეს ქალაქ არჭეშის სანახებამდე (ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირომდე) (იქვე, გვ. 68).

ქართულმა ჯარმა X საუკუნეში გმირულად გაათავისუფლა დამპყრობლებისაგან ეროვნული ტერიტორიები ვანის ტბამდე, მაგრამ ეს მოუთმენელი აღმოჩნდა ბიზანტიისათვის. მალე, მეფე გიორგი I-ის დროს, ბიზანტიამ ქართული ჯარის მიერ გათავისუფლებული აღნიშნული მიწა-წყალი საქართველოს ჩამოართვა და თავის იმპერიაში შეიყვანა, რამაც ასახვა ჰპოვა საეკლესიო სფეროზეც, -ამ მიწა-წყალზე არსებული **საეპისკოპოსოები მოექცა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, კერძოდ კი ლაზიკის სამიტროპოლიტოში.**

4. ლაზიკის სამიტროპოლიტოს ტერიტორიების ზრდა

არაბთა შემოსევების შემდეგ, ე.წ. „დასავლეთ არმენიის“ დიდი ნაწილი ბიზანტიამ დაკარგა. მის ხელში იყო მხოლოდ სანაპირო მიწა-წყალი. VIII-IX საუკუნეებიდან, არაბთა განდევნის კვალდაკვალ გათავისუფლებულ ქალაქებში ჩამოყალიბდა მრავალი საეპისკოპოსო. კონსტანტინოპოლმა გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა ახალი ეპარქია ტრაპეზუნტით სათავეში. ამისთვის მან დააარსა „ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში“. ამ ახალი სამიტროპოლიტოს ტერიტორია გადაჭიმული იყო ტრაპეზუნტის მომიჯნავე მთიანეთში, ყოფილ ჭანიკა-სპერის მხარეს. ის თანდათანობით

ფართოვდებოდა გათავისუფლებული ქალაქების შემოერთების კვალდაკვალ. მას, როგორც აღინიშნა, ეწოდა „სამიტროპოლიტო ლაზიკაში“. მასში შევიდა ბასიანის მხარე, ვანის ტბის მომიჯნავე ტერიტორიები, ერთი სიტყვით, მასში მოექცა ყოფილი ე.წ. „ფასისის“, ანუ ფასიანის ეპარქია, რომელიც იქამდე ზიგანა-თეოდოსიოპოლისის არეს მოიცავდა (მასში შევიდა ყოფილი პეტრიოსის (თეოდოსიოპოლისთან ახლოს?), როდოპოლისის, საისინის (აბაშის მთასთან მდებარე ქალაქის) და ზიგანას საეპისკოპოსოები). ახლა უკვე ამ ძველი ქალაქების ადგილას ახალი ქალაქები იყვნენ აღმოცენებულნი, ახალი სახელებით, მათ გარდა ლაზიკის ეპარქიაში მრავალი ქალაქის საეპისკოპოსო მოექცა თვით ვანის ტბამდე.

ეკლესიური თვალსაზრისით თავდაპირველად „ლაზიკა“ ერქვა ტრაპეზუნტის მომიჯნავე მთიანეთის ქვეყანას, მას ერქვა ეპარქია ლაზიკაში, ის მოიცავდა ამ მცირე ქვეყანას, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამიტროპოლიტოს საზღვრებში თვით ვანის ტბაც კი მოექცა, მთელ ვრცელ ეპარქიას მიეცა სახელი ლაზიკისა და „სამიტროპოლიტო ლაზიკაში“ ეწოდა და დაექვემდებარა ტრაპეზუნტის მიტროპოლიტს.

შემდგომში, 1204 წ., ბიზანტიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა „ტრაპიზონის სამეფო, რომელიც ძირითადად ქართველური ტომებით – ლაზებით იყო დასახლებული“ (საქ. ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 602).

5. ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსო კათედრები გეორგიკის მიხედვით (გეორგიკა, ნაკვეთი II, 1952, გვ. 185)

1. ხერიანი;
2. ხამაძური (ხამატოძური);
3. პაიპერტი (პაიპერტი);
4. კერამევი;
5. ლერიონი;
6. ბიზანა (ბიზანტი);
7. ზარნაკი;
8. ხახეი (ხალი, ხაიონი, ხალხევი);
9. ხავიძიტი;
10. (ტო) სერმანძი;
11. ოლნუტი;
12. ანდაკი;
13. ფასიანი;
14. საკაბის;
15. ხანძიორზი.

6. ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები II Ე-ს მიხედვით („პრავოსლავნაია ენციკლოპედია“ ტ. III, 2001, გვ. 328)

1. შარიანი
2. კელკიტი
3. სარჩამაძორი
4. ბაიბერდი
5. კერჩანისი
6. ლერიონი
7. მანანაღი
8. ბიზანა
9. ძერნაკი
10. მცურნი
11. ხახი
12. ხავჩიჩი
13. სერმანცი
14. ელანცბერდი
15. ანდაკი
16. ბასენი
17. სუკავეტი
18. ხანტიერცი

7. ტრაპეზუნტის მიტროპოლია ლაზიკეში და ე.წ. სომეხ-ქალკედონიტთა კათედრები

„პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ (2001, ტ. III) სტატია „სომეხი-ქალკედონიტები“ შეეხება ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს, მაშინ, როცა მას დედანში ანუ ნოტიციებში ოფიციალურად ეწოდება „ლაზიკეში ტრაპეზუნტის მიტროპოლია“ (იხ. გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 185) მიუხედავად ამისა, სტატიაში ისინი მაინც სომხურ საეპისკოპოსოებად მიიჩნევა: „უკვე VI-VII საუკუნეებში არსებობდნენ სომხურ-ქალკედონური ეპარქიები მცირე არმენიაში, ისინი შედიოდნენ ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოების X ს. დასაწყისის ნუსხაში მოყვანილია სახელწოდებები მართლმადიდებლური კათედრებისა სომხურ მიწა-წყალზე. ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში შედიოდა საეპისკოპოსოები შარიანი და კელკიტი მდ. გაილგეტზე (თანამედროვე კელკიტი), სარჩამაძორი კარინის ახლოს, ბაიბერდი, კერჩანისი, ლერიონი, მანანალი, ბიზანა, ძენაკი, მცურნი, ხახი, ხავჩიჩი, სერმანცი, ელანცბერდი, ანდაკი, ბასენ, სუსკავეტ, ხანტიერცი. ეკელესენის, ხორძენასა და ტარონის სამიტროპოლიტოებში შედიოდა 21 საეპისკოპოსო კათედრა, მათ შორის ხორძენა. ტარონი, მუში, ხაციუნი, მანციკერტი (მანასკერტი), არჭეში, არცკე, ამიუკი, ბერკრი, ვოსტანი“(„პრავოსლავნაია ენციკლოპედია", ტ.III, 2001, გვ.300).

გეორგიკაში დაბეჭდილი ნოტიციების მიხედვით VII ს. ეპიფანე კვიპრელის შედგენილი ნუსხა კი ასეთია:

17. პოლემონის პონტოში (ნეოკესარიის მიტროპოლია)

ეპისკოპოსები

1. ტრაპეზუნტისა
2. კერასუნტისა
3. პოლემონიონისა
4. კომანისა

მიტროპოლიტი

27. ლაზიკეში

ფასიდის=ფასისის მიტროპოლიტი

ეპისკოპოსები:

1. როდოპოლისისა
2. საესინის (აბისენისა)
3. პეტრისა
4. ზიგანასი

ყველა ნოტიციის შეჯერებით მიღებულია:

მიტროპოლიტი

33. ტრაპეზუნტის მეტროპოლია ლაზიკეში, ლაზიკისა (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 184)

ეპისკოპოსები

1)	ხერიანის	9)	ხავიძიტის
2)	ხამაძურის (ხამატოძურის)	10)	ხანძიორზის
3)	ხახეის (ხალის, ხაონის, ხალხევის)	11)	ოლნუტის
4)	პაიპერის (პაიპერტის)	12)	ფასიანის
5)	კერამევის	13)	(ტო)სერმან ძის

6) ლერიონის
7) ბიზანის (ბიზანტის)
8) საკაბის
14) ანდაკის
15) ზარინაკის

როგორც ვხედავთ, ლაზიკის საეპისკოპოსოების მომცველ მიწა-წყალს სომეხი მეცნიერები უწოდებენ „არმენიას" და პირიქით ბიზანტიური საეკლესიო გეოგრაფია მას უწოდებს „ლაზიკას", ამიტომაც უნდა გაირკვეს ლაზიკისა და არმენიის გეოგრაფიული ურთიერთმიმართება. ამ საკითხის რკვევას ეძღვნება ქვემოთ სხვადასხვა თავები

8. I-V სს-ში ლაზიკა ერქვა ტრაპეზუნტის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთს

„ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში", ბერძნული კათედრათა ნუსხების თანახმად, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, მოიცავდა შემდეგ საეპისკოპოსოებს – **ხერიანი, ხამუზური, ხალხევი, პაიპერი, კერამევი, ლერიონი, ბიზანტი, საკაბი, ხავიძიტი, ხანძიორზი, ოლნუტი, ფასიანი, ტოსერმანძი, ანდაკი და ზარნაკი (გეორგიკა, IV, ნაკვ. II, 1952, გვ. 185, ნოტიცია III).**

იმავე X საუკუნის Xა ნოტიციის მიხედვით, ესენია: ხერიანი, ხამაზრი, ხაიონი, პაიპერტი, კერამევი, ლერიონი და ბიზანი- საეპისკოპოსოები ლაზიკაში.

„პრავოსლავნაია ენციკოლოპედიაში" დაბეჭდილი ე.წ. „სომხურ-ქალკედონური" ეპარქიების რუკის მიხედვით, ეს საეპისკოპოსოები ასე იწოდებიან: **ლერიონი, შარიანი, გაილი, კერჩანისი, ხახი, ბაიბერდი, ბიზანა, ხორძენი, ოლნუტი, მრცუნი, ხაციუნი და სხვა. (იხ. „პრავოსლ. ენციკ. III, 2001, გვ. 328).**

აქედან აბსოლუტურად ემთხვევა სახელები 1) ლერიონი; 2) ბიზანა; 3) ოლნუტი და სხვა.

განვიხილოთ ამ თანხვედრილ საეპისკოპოსოთა ადგილმდებარეობა. ისინი განლაგებულნი იყვნენ ტრაპეზუნტ-ნიკოპოლის-სევასტია-მარტიროპოლისის შემაერთებელი გზის (ტრაპეზუნტ-ვანის ტბის გზის) ეკონომიკურ რეგიონში, რომელშიც ჩართული იყო თეოდოსიოპოლისიც.

გზა ტრაპეზუნტიდან გაივლიდა ჭანეთის რაიონში, გადაკვეთდა მდ. კელკიტს, შევიდოდა ევფრატისა და არაქსის სათავეების მომცველ ბასიანის (ფასიანის) რეგიონში და მიუახლოვდება ვანის ტბას – გზასთან იყვნენ განლაგებულნი აღნიშნული „ლაზიკის" საეპისკოპოსოები, **ლაზიკა ნოტიციების მიხედვით არის რეგიონი - ტრაპეზუნტ-ჭანიკა-ბასიანი,** სომხური X საუკუნის დასახელებით ესენია კარინის (კარნუ-ქალაქის – არზრუმის) და კაისიკის, ანუ ბასიანის რეგიონები. მაშასადამე, **ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები ლაზიკაში მდებარეობდნენ ტრაპეზუნტ-ვანის ტბის ვრცელ რეგიონში. ამ რეგიონში შედის ჭანიკაც.** ჩვენ გამოვიკვლიეთ რატომ ერქვა ამ რეგიონს „ლაზიკა" და ბერძნული საეკლესიო გეოგრაფია რატომ არქმევდა მას ლაზიკის ქვეყანას. როგორც აღინიშნა, საეკლესიო გეოგრაფია ასახავდა IV-V სს-ის ვითარებას, იმ ეპოქას, სანამ იუსტინიანე დაიპყრობდა ტრაპეზუნტის ჩრდილო ზღვისპირა – მხარეებს და დააარსებდა ქალაქ პეტრას. **„ლაზები" წყაროებში პირველად იხსენიებიან ძვ. წ. I საუკუნეში მემნონის „ჰერაკლეს ისტორიაში"; მის ცნობებს ლაზების შესახებ იმეორებდნენ პლინიუსი, პტოლემაიოსი,**

არიანე. ლაზები მათ მიხედვით დასახლებულნი ჩანან ტრაპეზუნტის მიდამოებში, იქ, სადაც სტრაბონი ასახელებს სანებს.

გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, **ლაზები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთიანეთიდან შემდეგ გადასახლდნენ კოლხეთის სანაპირო ზოლში –**. ისინი ერევიან ბარის ძველ, ენით ახლოს მდგომ „მოსახლეობას“ (პროკოფი კესარიელი, შენობათა შესახებ, 2006, ქ. შოშიაშვილის კომენტარი, გვ. 38).

მაშასადამე, I-V სს-ში ლაზიკა ერქვა ტრაპიზონის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთს, იუსტინიანეს დაპყრობათა კვალდაკვალ ლაზიკა დაერქვა მის მეზობელ სანაპირო მხარესაც, ე.ი. საეკლესიო გეოგრაფია ასახავდა ძველ I-V სს.-თა ვითარებას.

9. რატომ ეწოდა ტრაპეზუნტის ეპარქიას „სამიტროპოლიტო ლაზიკაში“

ნოტიციების მიხედვით, „ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში“ მოიცავდა ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით ვანის ტბის მიმართულებით გადაშლილ ვრცელ მხარეს. რატომ ეწოდა მას (ამ მხარეს) ეკლესიურად ლაზიკა?

ძველი ბერძნული და ლათინური წყაროებით, ტრაპეზუნტი კოლხების ქვეყანაში აგებული ქალაქი იყო. ის კოლხების მიწაზე დაუარსებიათ სინოპელ მოახალშენეებს.

კოლხები, ჰეროდოტეს ეპოქაში კიდევ უფრო სამხრეთით მდ. თერმოდონტთან ცხოვრობდნენ. ქსენეფონტეს დროს კი ტრაპეზუნტის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს ის მიმართულებაა, სადაც შემდგომში ლაზიკის სამიტროპოლიტოს იურისდიქცია განივრცო.

ქსენოფონტე ფასიანებს უწოდებდა მდ. არაქსის, ევფრატის და ჭოროხის სათავეებში მდებარე ქვეყნის მოსახლეობას. მართლაც, ტრაპეზუნტიდან არც თუ მოშორებით იღებდა სათავეს მდინარეები – ჭოროხი, ევფრატი და არაქსი. სამივე ამ მდინარეს, როგორც აღინიშნა, სათავეებში ფასისი ერქვა, ხოლო იქაურ მოსახლეობას „ფასიანები“. ეს სათავეებიც, ანუ ფასიანთა ქვეყანა (შემდგომში მის ერთ ნაწილს ბასიანი, ბერძნულად კი ფასიანი ეწოდა) ლაზიკის ეპარქიაში იყო მოქცეული. როგორც ცნობილია, ამ მხარეებში იწყებოდა მესხების იგივე კოლხების საცხოვრისი. მესხებისა და კოლხების ეთნიკური ერთგვაროვნების შესახებ მიუთითებდა ქრისტეშობამდე ჰეკატოს მილეტელი.

ჰეკატოს მილეტელის თანახმად, „კოლხები მოსხები არიან“ (Hecat. fr. 185,188), ნ. კეჭაყმაძის სიტყვით, „კოლხი მესხია, კორაქსია, კოლაა. მოსხები კოლხთა ტომია, ანდრია მოციქულის აღწერაში „კოლხნი“ არ იხმარება. ეპიფანე კონსტანტინოპოლელის თხზულებაში (VIIIს) – „ანდრია მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 225). კოლხთა ტომის ძლიერების დაცემის შემდეგ ქვეყანაში გაბატონდნენ ლაზები. პროკოფი კესარიელი წერს – „ზოგიერთი ამბობს, რომ ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი არიან სანები (ჭანები) ან კოლხები, სხვანაირად ლაზებს რომ ეძახიან... კოლხები კი შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები, ვინაიდან ფასისის მდინარეზე მოსახლეობენ, ხოლო სახელი „კოლხები“ ამჟამად „ლაზთა“ სახელად შეიცვალა, წერდა პროკოფი, წიგნში – ომი გოთებთან, VIII, 1. (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭაყმაძის კომენტარი, გვ. 73). პროკოფი კესარიელის ამ ცნობით ლაზები იყვნენ "ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი", ე.ი. ლაზები პროკოფის დროს ტრაპეზუნტის რეგიონში ცხოვრობდნენ.

მაშასადამე, ყველა ბერძნული წყაროს ცნობით, კოლხები მოსახლეობდნენ ტრაპეზუნტთან, კოლხებს შემდეგ ლაზები ეწოდათ. **ლაზიკის ეპარქიის დაარსების დროს ლაზები (იგივე კოლხები, იგივე მოსხები) მოსახლეობდნენ ტრაპეზუნტის სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ვანის ტბის მიმართულებით, ამიტომაც აქ დაარსებული მრავალი საეპისკოპოსო შემდეგში გაერთიანდა კიდეც ლაზიკის სამიტროპოლიტოში, რომლის ცენტრი ტრაპეზუნტი იყო.**

10. ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში და ანტიოქიის იურისდიქცია ისტორიულ იბერიაში

ცნობილია, რომ ლერიონისა და ბიზანას საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ ისტორიულ ჭანეთსა და მის მიმდებარე რეგიონში მდ. ჭოროხის და კელკიტის (გაილგეტის) სათავეებში, ვიდრე არზრუმამდე (თეოდოსიოპოლისამდე) – ამ რეგიონში მდებარეობდა შემდგომი გიუმიშხანეც – ტრაპეზუნტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მთიან რეგიონში – ეს იყო „ლაზიკა“ საეკლესიო გეოგრაფიის მიხედვით. აქვე, ამავე ზოლშია პაიპერტის (ბაიბერდის) საეპისკოპოსო.

„ლაზიკა“ (ანუ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში) მოიცავდა ისტორიულ ჭანეთს და მის მომიჯნავე ქართულ რეგიონებს.

VII მსოფლიო კრების ხელისმომწერი ტრაპეზუნტელი მიტროპოლიტი რამდენჯერმე აღნიშნავს კრების ოქმში, რომ ტრაპეზუნტი და ფაზისი არის ერთი და იგივე ქალაქი. ის წერს: **„მიტროპოლიტი ფასიდისა ანუ ტრაპეზუნტისა“**. ფასიდი-ფადისა-ფასისი იყო მრავალი, ერთ-ერთი ყოფილა თვით ტრაპეზუნტი ან ქალაქი ტრაპეზუნტთან ახლოს. არაბთა მიერ ბიზანტიური მიწების დაპყრობის დროს ფასისის სამიტროპოლიტოს ზოგიერთი საეპისკოპოსო ქალაქი, მოექცა არაბთა მფლობელობაში. X საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერიამ დაიბრუნა ტერიტორიები აღმოსავლეთით, მაგალითად XI საუკუნის დასაწყისში ბაიბერდის საეპიკსოპოსო, ასევე ლერიონის საეპისკოპოსო, მაგრამ ბიზანის და ხორძენის საეპისკოპოსოები არაბთა ხელქვეშ იყო. ამ პროცესს ასახავდა იურისდიქციაც – შესაბამისად იმისა, თუ როგორ ფართოვდებოდა ბიზანტიის იმპერია – ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოც ზრდიდა თავისი ქალაქების რიცხვს (იბრუნებდა ამ ქალაქებს). აღსანიშნავია, რომ არაბულ მიწებზე მდებარე საეპისკოპოსოები – ანტიოქიის პატრიარქის იურისდიქციაში ექცეოდა. **მაგალითად, ტაოში კალმახის და ფანასკერტის საეპისკოპოსოები ანტიოქიის ხელქვეშ ყოფილა**. ტაო კი „ქართველთა სამეფოს“ ანუ სამხრეთ იბერიის ცენტრალური ოლქი იყო, იქ თუ ანტიოქიას თავისი საეპისკოპოსოები ჰქონდა, ცხადია იდავებდა საქართველოს ეკლესიასთან, რათა შეენარჩუნებინა თავის იურისდიქციაში ეს ეპარქიები საქართველოს სახელმწიფოს გაერთიანების პროცესის კვალდაკვალ. ამ დავის ასახვას უნდა წარმოადგენდეს "ქართლის ცხოვრების" ცნობილი ჩანართები VIII-XI სს-ში ანტიოქიის მიერ ივერის ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ.

ჩანს ანტიოქიამ ე.წ. "ივერიის" ამ ქართულ მიწა-წყალზე თავისი საეპისკოპოსოები დაარსა არაბობის ეპოქაში. იქამდეც ეს მიწა-წყალი ბიზანტიის მიერ იყო ხელდებული.

საფიქრებელია, რომ არაბებმა ტაოში კონსტანტინოპოლის საქმიანობა შეაფერხეს, მაგრამ ანტიოქია ნაკლებად შეზღუდეს, ამიტომაც ტაოში ანტიოქიის იურისდიქციაში მოექცა კალმახისა და ფანასკერტის საეპისკოპოსოები.

სომხური ეკლესია 726 წლის მანასკერტის კრების შემდეგ მტკიცედ მიემხრო მონოფიზიტურ ორიენტაციას რამაც გააღიზიანა ტაოს ამ საეპისკოპოთა მართლმადიდებლები. ისინი გამოვიდნენ სომხური ეკლესიის იურისდიქციიდან და ეძებდნენ მახლობელ მართლმადიდებლურ ცენტრს, რათა მის იურისდიქციაში შესულიყვნენ. ასეთი კი აღმოჩნდა ტერიტორიულად მათთვის უახლოესი არზრუმის ანტიოქიური საეკლესიო ცენტრი, რომლის მეცადინეობით კალმახისა და ფანასკერტის მარლმადიდებლური ეპარქიები აღმოჩნდნენ ანტიოქიის ხელქვეშ.

ხოლო მას შემდეგ რაც ვინაობა გაღვიძებული ტაოს სხვა სამრევლოებმა გადაწყვიტეს საქართველოს ეკლესიასთან გაერთიანება კალმახ-ფანასკერტის სამრევლოებმაც იგივე გადაწყვიტეს, ანუ გამოსვლა ანტიოქიის იურისდიქციიდან და შესვლა მცხეთის იურისდიქციაში; რამაც დაძაბულობათა მთელი პროცესები წარმოშვა წმ.გიორგი მთაწმინდელის დროს ანტიოქიისა და საქართველოს საპატრიარქოებს შორის.

იშხნის ტაძრის კედლის ერთერთი წარწერა, რომ ერთ-ერთი იშხნელი ეპისკოპოსის კურთხევაში კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შემავლ ტრაპეზუნტელ მიტროპოლიტს მიუღია მონაწილეობა- მიუთითებს, რომ ტაოს მართლმადიდებელი მრევლი აქტიურად ეძებდა საშუალებებს, რათა კანონიკური სამართლის შესაბამისი სახე ჰქონოდა სომხური საეკლესიო უღლისაგან გათავისუფლებას და სურდა რაც შეიძლება მეტი ურთიერთობა ჰქონოდა მსოფლიო მართლმადიდებელ ცენტრებთან, თუმცა კი ცხადია მათთვის ეროვნულ ქართულ ეკლესიაში უკვე დიდი ხნის გაერთიანებული იყო.

11. ლაზიკის საეპისკოპოსოები

კონსტანტინოპოლის ლაზიკის საეპისკოპოსოთა განხილვის დროს ქართველი ისტორიკოსები ახსენებენ მხოლოდ ოთხ საეპისკოპოსოს ფასისის სამიტროპოლიტოში (**როდოპოლისისა, საისინისა (აბისენისა), პეტრისა და ძიგანევისა**), მაგრამ თვალს ხუჭავენ და თითქმის არასოდეს ახსენებენ ნუსხებში ჩამოთვლილ ლაზიკის ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს სხვა ეპარქიებს. ესენია: **ხერიანი, ხამაძური, ხახეი (ხალხევი), პაიპერტი, კერამევი, ლერიონის, ბიზანის, სიკამის, ხავიძიტის, ხანძიორზის, ოლნუტის, ფასიანის, ტოსერანძის, ანდაკის და ზარინაკის.**

ტრაპეზუნტი, იქამდე, სანამ მას ფასისის ეპარქია შეუერთდებოდა, შედიოდა პოლემონის პონტოს ანუ ნეოკესარიის მიტროპოლიაში კერასუნტთან და კოგანასთან ერთად.

ნ.ადონცის აზრით ზიგანას, როდოპოლისისა, საისინისა და პეტრას საეპისკოპოსოები ტრაპეზუნტსა და თეოდოსოპოლისს შუა მდებარეობდნენ. ე.ი. **ფასისის ეპარქია იწყებოდა უშუალოდ ქ. ტრაპიზონიდან და მოიცავდა მიმდებარე მთიან რეგიონს, რომელიც რომაელ-ბიზანტიელთა მიერ მიეკუთვნებოდა ლაზიკა – ჭანიკას. იგი მოიცავდა ფასის-არაქსისა და ფასის-ჭოროხის სათავეებს.**

შემდეგ ეს ეპარქია დაექვემდებარა ტრაპეზუნტს, ანუ თუ **იქამდე ტრაპეზუნტი სხვა ეპარქიაში შედიოდა, ახლა თვით იქცა ლაზიკის ეპარქიის ცენტრად, ლაზიკის ქვეყანაში სამიტროპოლიტო ქალაქად და მას დაექვემდებარა იქამდე ფასისის ანუ ჭანიკის ეპარქია, ლაზიკას იქამდე თუ მხოლოდ ოთხი საეპისკო-**

პოსო გააჩნდა, დროთა ვითარებაში არაბებისაგან მიწების გათავისუფლებასთან ერთად, მისი საეპისკოპოსოების რიცხვი გაიზარდა და მიწა-წყალი გაფართოვდა. მისმა იურისდიქციამ კვლავ მიაღწია მდ. ფასისამდე ანუ არაქსამდე და შემდეგ თითქმის ვანის ტბამდე.

12. ეკლესიური ლაზიკა ვანის ტბამდე

ჩვენი თვალსაზრისით სპარსეთის მეფე ხოსრო პეტრას მიადგა არა ლიხის ქედის მხრიდან, არამედ არტაანი-არტანუჯის გზით, თეოდოსიოპოლის-დვინის მხრიდან. ხოსრო მიადგა არსიანის ქედს, რომელიც გადალახა არტანუჯის გზით და შემდგომ ჭოროხის გაყოლებით მიადგა პეტრას. ეს გზა უმოკლესია იმ მიმართულებით, სადაც იდგა ამ ომის წის სპარსეთის ლაშქარი. ჯარისთვის არა მხოლოდ უსარგებლო იქნებოდა შორი ლიხის ქედის და მთელი დასავლეთ საქართველოს გავლით შესულიყო პეტრაში, არამედ არარაციონალურიც. ამას ვერც აიტანდა სპარსული ლაშქარი, თუნდაც დასავლეთ საქართველოს ჭაობების ციებ-ცხელების გამო.

ცნობილია, რომ ქვეყანა პეტრასთან, რომელიც სპარსულმა ლაშქარმა გაიარა, ლაზიკად იწოდებოდა. პროკოფი კესარიელის დაბეჯითებული ცნობებით, ეს იყო კლდოვანი მხარე, როგორიცაა, მართლაც, არტაან-არტანუჯ-ჭოროხის ის მხარეები, სადაც გაიარა, ჩვენი აზრით, ხოსრომ და სწორედ ეს მხარე იწოდებოდა ლაზიკად (ზღვისპირა ხუფათ-რიზესთან ერთად). ნ. ადონცის და ინგოროყვას კვლევითაც, აღნიშნული მხარე (ე.ი. კლარჯეთი და ე.წ. „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“) ლაზიკას ეკუთვნოდა.

საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის, ჩანს, ხუფათზე იდო (ხოფთან), რადგანაც „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ საქართველოში შემოდიოდა. საქართველოს მეორე ჩრდილოეთის საზღვარი კი იდო მდინარე კლისურაზე (ცხუმთან).

VI საუკუნეში, როცა სპარსეთმა იბერია დაიპყრო, მთელი იბერია მის ხელში აღმოჩნდა აღნიშნულ საზღვრებამდე.

ნ. ადონცის ცნობით კი ბიზანტიის საზღვარი იუსტინიანეს მეფობის დასაწყისში გადიოდა რიზესთან ახლოს. იუსტინიანეს დასჭირდა ომი და ძალისხმევა, რათა ბიზანტიის საზღვარი გადაეტანა ჭოროხის შესართავამდე, სადაც მან პეტრას ციხე ააგო.

ყოველივე აღნიშნული გვესაჭიროება ლაზიკის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის. იქამდე, ანუ იუსტინიანეს მეფობის დასაწყისში, როცა იმპერიის საზღვარი რიზესთან იყო, **ლაზიკა ერქვა ტერიტორიას ტრაპეზუნტის მაღლა – ზიგანადან რიზემდე.** ეს იყო ძველი ლაზიკა, მაგრამ ადმინისტრაციულად ის შეიყვანეს სხვა, კერძოდ, პირველი არმენიის პროვინციაში ამის გამო, ძველი ლაზიკის სახელი დაიჩრდილა. შესაბამისად, იუსტინიანეს დროს გაჩნდა **ახალი ლაზიკა. ეს იყო რიზედან ჭოროხამდე მოქცეული ახლადდაპყრობილი ტერიტორია კლარჯეთის ჩათვლით**. ერთი სიტყვით, ლაზიკა დაერქვა ახალ მიწებსაც, რომელიც კონტროლდებოდა პეტრას ციხით. ეს ჩანს იუსტინიანეს ნოველიდანაც, ლაზიკისა და ჭანეთის შესახებ. სწორი იყო ნ. ადონცი, რომ „ლაზიკეში“ ფაზისის მიტროპოლიტის საეპისკოპოსოები – როდოპოლისისა, საისინისა, პეტრასი და ზიგანასი მდებარეობდნენ მთიანეთში, ცნობილ ქალაქ ზიგანას რეგიონში. ამ ქვეყანას ერქვა კიდეც იმჟამად ეკლესიურად ლაზიკა. ხოლო მას შემდეგ, რაც იუსტინიანემ რიზეს ჩრდილოეთით ვიდრე ჭოროხამდე ტერიტორიები მიუერთა თავის იმპერიას – ამ ახალ მიწებსაც „ლაზიკის“ სახელი მიეკუთვნა (ეს მიტაცება

მიწისა სპარსეთმა თავის წინააღმდეგ მიმართულ საქმედ მიიჩნია, რადგანაც იბერიის პოლიტიკური მემკვიდრეობა დასაკუთრებული ჰქონდა. იბერიის საზღვარი კი ბიზანტიასთან, როგორც აღინიშნა, ხუფათთან (ხოფთან) გადიოდა. მისი გადალახვა სპარსეთის საწინააღმდეგო ქმედება იყო. არაბებისაგან გათავისუფლების შემდეგ, ვრცელი მიწაწყალი ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, ეკლესიური თვალსაზრისით „ლაზიკად“ იწოდა, რადგანაც მისი ძირითადი ნაწილი გახდა ე.წ.„ძველი ლაზიკა"-ტრაპეზუნტის მთიანეთი. როგორც აღინიშნა, შემდგომში მიტროპოლიტი „ტრაპეზუნტისა ლაზიკაში“ თავისი კათედრებით ამ ვრცელ ტერიტორიაზე იყო განფენილი (ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე). მაშასადამე, ეკლესიური თვალსაზრისით, კონსტანტინოპოლი ლაზიკას უწოდებდა ვრცელ ტერიტორიას ჭოროხის შესართავიდან ტრაპეზუნტამდე და ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე. ამ ერთგვარი რკალის შიგნით მოქცეული იყო საქართველოს საპატრიარქოს საეპისკოპოსოები. მაშასადამე, აღნიშნულ ტერიტორიაზე, ჭოროხის შესართავიდან ტრაპეზუნტამდე და ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, ხორციელდებოდა ორი მართლმადიდებლური იურისდიქცია – კონსტანტინოპოლისა და მცხეთისა, ანტიოქიასაც, როგორც მიიჩნევა, აქ რამდენიმე ეკლესია ეკუთვნოდა.

13. „დიდი ლაზია“

ბიზანტიის რღვევის შედეგად შექმნილი ტრაპეზუნტის იმპერია დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ერთეულებად. ს.კარპოვის თანახმად ტრაპეზუნტის იმპერია წარმოადგენდა ასე ვთქვათ „გენეტიკურ" მემკვიდრეს ძველი იმპერიის ადმინისტრაციულ ერთეულ „ქალდიის თემისა", ეს ახალი სახელმწიფო მას თითქოსდა ჩაენაცვლა.

დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ტრაპეზუნტის იმპერია შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო დაყოფილი -„ფილაბონიტი (მდ.ხარტიშდერე), ტრიკომია, ტრაპეზუნდი, მაჩკა, პალეომაჩკა, გემერა, სირმენა, რიზე, ხოლო სამხრეთიდან ამ იმპერიას იცავდა გამაგრებული რაიონი, რომელსაც ეწოდებოდა „დიდი ლაზიის"თემი/ფემა/" (**ს.კარპოვი, ტრაპეზუნტის იმპერიის ისტორია, 2007**, გვ.159 რუს.ენაზე).

ს.კარპოვის აზრით ტრაპეზუნტის სამხრეთით მდებარე მთიან რაიონს, რომელშიც შედიოდა ზიგანაც, ეწოდა „დიდი ლაზია", იმის გამო, რომ ეს იყო ამ ქვეყნის ძველი სახელი (იქვე, გვ.160).

„დიდი ლაზია" (ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული ტრაპეზუნტის იმპერიისა) გამოირჩეოდა კარგი მებრძოლი ჯარით. ხვარაზმის შაჰთან ქართველთა ომისას ეს ჯარი საქართველოს მხარეს იდგა (იქვე, გვ.364).

მაშასადამე **სახელი „დიდი ლაზია" - ძველი სახელწოდებაა ტრაპეზუნტის სამხრეთით მდებარე მთიანი რეგიონისა და ბოლომდე შეინარჩუნა ეს სახელი. თავდაპირველად ეს სახელი გამოჩნდა ეკლესიურად, რადგანაც აქ იყვნენ განლაგებული ლაზი ეპისკოპოსების კათედრები-ზიგანა, როდოპოლისი, საისინი და პეტრა. არაბთა შემდეგ და განსაკუთრებით ტრაპეზუნტის იმპერიის არსებობისას სახელი ლაზია ოფიციალურ სახელად იქცა („დიდი ლაზია"). ოსმალთა ეპოქაში ეს სახელი უფრო განივრცო ლაზისტანის ფორმით.**

14. აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნის გამოცანა

საზოგადოდ მიიჩნევა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს გააჩნდა დიდი საეკლესიო

წარსული - მოციქულებიდან ვიდრე IV საუკუნის ბიჭვინთელ ეპისკოპოსამდე, რომელიც თითქოსდა მონაწილეობდა I მსაოფლიო კრებაში.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა ცნობილი პიტია ანუ პიტიუსი, პიტიუნტი, რომლის ეპისკოპოსი მონაწილეობდა მსოფლიო კრებაში მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ქართველთა ძველ სამშობლოში ტრაპეზუნტის რეგიონში, სადაც IV ს-მდეც მდებარეობდა ქალაქი პიტია (იგივე პიტიუნტი), აქვე იმავე ოლქში და არა აფხაზეთში მდებარეობდა ცნობილი ციხე-სიმაგრე სებასტოპოლისი, რომელსაც იუსტინიანე ახსენებს თავის ნოველებში.

თუ ეს ასეა, მაშინ აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოშობა არ უკავშირდება აფხაზეთის ადგილობრივ რაიმე ძველ საეკლესიო წარმონაქმნს. პირიქით, აფხაზეთის საკათალიკოსოს იმთავითვე ქართულენოვნება, საკათალიკოსოს მრევლის ქართული თვითშემეცნება, მღვდელმთავართა ქართულ-პატრიოტული სულისკვეთება, ის წვლილი, რომელიც აფხაზეთის საკათალიკოსოს მოღვაწე მამებმა შეიტანეს ქართული საეკლესიო კულტურის ჩამოყალიბება - გავრცელების საქმეში (მათგან ერთ-ერთი სამაგალითოა იოანე მინჩხი), ანდა ის წვლილი, რომელიც აფხაზეთის მღვდელმთავრებს შეჰქონდა ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საქმეში (მაგალითად ჭყონდიდელებს), გვაფიქრებინებს, რომ აფხაზეთის საეკლესიო წარსული მცხეთასთან (ანუ ერთიან ქართულ ეკლესიასთან) იყო დაკავშირებული IV საუკუნიდანვე, VIII საუკუნიდან კი მისი თავისთავადობა პოლიტიკური გარემოს ცვლილების ანარეკლი უნდა იყოს.

ქართული წყაროების თანახმად ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებისას (მეფე მირიანის დროს) ქართლის სამეფოს საზღვარი დასავლეთ საქართველოში გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე, შემდეგ ვახტანგ გორგასლის დროს ეს საზღვარი უფრო ჩრდილოეთით მდ. კლისურაზე გავიდა. ამ ცნობის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ (აღნიშნულ საზღვრამდე) მირიანის დროს მიიღო ქრისტეს ნათელი.

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა დაბეჯითებით მიუთითებს ამის შესახებ - „წმიდა ნინომ ნათელი სცა ყოველთა ქართველთა“.

აღსანიშნავია, რომ გელასი კესარიელიც მიუთითებს, რომ წმიდა ნინომ გააქრისტიანა „იბერები და ლაზები“. საკვლევია, მისი აღნიშნული „ლაზები“ დასავლეთ საქართველოში თუ ტრაპეზუნტის რეგიონში ცხოვრობდნენ, მაგრამ მაინც ეს ცნობა საინტერესოა იმით, რომ მისი აზრით **წმიდა ნინოს მოღვაწეობის არეალი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მხარეებით და ის პონტოს ზღვისპირეთის მოსახლეობასაც ნათლავდა**. ვახტანგ გორგასლის დროს ქართლისა და მისი ეკლესიის გავლენა კიდევ უფრო განმტკიცდა დასავლეთ საქართველოში. ვითარება შეიცვალა VI საუკუნეში - ბიზანტიამ და სპარსეთმა ერთმანეთს შორის გაინაწილეს ყოფილი ქართლის სამეფოს მიწები. დასავლეთ საქართველოზე მათი დავა თითქმის საუკუნე გაგრძელდა. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა სასტიკად ისჯებოდა ბიზანტიელთა მიერ სპარსული ორიენტაციისათვის (ალბათ ასევე იყო სპარსელთა მხრივაც). პროკოფი კესარიელისა და სხვა წყაროთა ცნობებით დასავლეთ საქართველოში ტარდებოდა უსასტიკესი სამხედრო ექსპედიციები. ბიზანტიელი ჯარისკაცები ხოცავდნენ და სპობდნენ მთელ ტომებს, არ ინდობდნენ ქალებსა და ბავშვებსაც. ამ დროს როგორც ჩანს, მოხდა მოსახლეობის გარკვეული გადაადგილება, წანაცვლება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. სავარაუდოა, რომ რიონის ბარის მოსახლეობამ გარკვეულწილად წაინაცვლა აფხაზეთი-

საკენ, კერძოდ ბიჭვინთის რეგიონისკენ. ეს ნაწაცვლება სავარაუდოდ უფრო VII საუკუნეში უნდა მომხდარიყო. შეიძლება ამას ჰერაკლე კეისრის ლაშქრობებმაც შეუწყო ხელი.

მ. ქურდიანის კვლევით აბაზგების თვითსახელწოდება უკავშირდება აბაშას. აბაშ-გი = აბას-გი იგივე აბასხი = აბაზხი (იგივე, რაც აბაშკი). ჩემი კვლევით, ფუძე „ბაშ“ აღნიშნავს ვაკე, გაშლილ ადგილს, ასეთია რიონის ხეობა აბაშა-გაშლილი ტერიტორია სამტრედიიდან ქუთაისამდე. ამ ვაკე ადგილას მაცხოვრებელი ქართველების სახელი უნდა ყოფილიყო აბაშხი (აბაზგი), აბაზხი (ალბათ აქედან აბხაზი).

აბაზგთა ქართულენოვანი ტომი, ჩანს VII საუკუნეში გადასახლდა ალანებისაგან გათავისუფლებულ აფხაზეთში. საფიქრებელია, რომ მომთაბარე ალანები, რომელთაც მხარს ბიზანტია უჭერდა, VIII საუკუნისათვის უკვე განდევნილნი იყვნენ შემდეგდროინდელი აფხაზეთიდან ხაზარების მიერ. ცხადია, ეს ალანი მეომრები ბიზანტიელებთან ერთად იყვნენ დამპყრობელთა ზედა ფენა, ქვედა ფენა კი ადგილობრივი (ქართულენოვანი) მოსახლეობა იყო.

ქვეყნის გათავისუფლების შემდეგ გაძლიერდა აფხაზთა ქართული ტომი აფხაზეთში, მათ ადვილად შეძლეს გავლენის გარვცელება დასავლეთ საქართველოში, სადაც ცხადია მათი თანამეტომე ქართველობა ცხოვრობდა და **გააგრძელეს ქართულ ეკლესიასთან IV საუკუნიდანვე არსებული იერარქიული ურთიერთობა, ამასთანავე VIII ს.-დან დაარსეს ქართულენოვანი სახელმწიფო, რადგანაც მათი დედა ენა იყო ქართული ენა უკვე VIII საუკუნიდანვე ადვილად მოიპოვეს ჰეგემონობა ქართულ სამყაროში.** შესაძლოა ეს აბაზგები რიონის ხეობაში ფაზისის (არაქსის) ხეობიდან, ბასიანიდან ჩასახლდნენ. ბასიანელები კი ტომობრივად მესხები იყვნენ. ძველი აფხაზების მესხობა პავლე ინგოროყვამ დამაჯერებლად გამოიკვლია.

ბიჭვინთა აფხაზეთის საეკლესიო ცენტრი უნდა გამხდარიყო მეათე საუკუნის შემდეგ, ამ დროისათვის გაქრისტიანდნენ ალანები. წინა საუკუნეებში ალანთა მომთაბარე ერთ-ერთი ტომი ბიზანტიელთა ხელშეწყობით გაბატონებული იყო ქართულ ტერიტორიაზე კლისურიდან მდ.ყუბანამდე. VIII საუკუნეში აქედან ისინი ხაზარებმა გააძევეს და ქართველები (აფხაზები) აქ კვლავ იქცნენ ჰეგემონებად, მაგრამ X საუკუნისათვის ხაზართა დასუსტებამ და ალანთა გაქრისტიანებამ იმედი ჩაუსახა ბიზანტიას, ეკლესიურად მაინც დაბრუნებულიყო აფხაზეთში და იქ განელაგებინა ალანთა საეპისკოპოსო კათედრები.

კონსტანტინოპოლის პატრიარქი თავის წერილებში ევედრებოდა აფხაზთა მეფეებს ყურადღება მიექციათ ალანთა ეპისკოპოსებისათვის. **აფხაზთა მეფეებმა კი ე.წ „აფხაზეთის ალანიაში“, იქ სადაც ჩანს იგეგმებოდა ალანთა საეპისკოპოსო კათედრის დაფუძნება, დაარსეს ქართული ეკლესიის ერთერთი უდიდესი ცენტრი - ბიჭვინთის საკათალიკოსო კათედრა და ასევე რამდენიმე ქართული საეპისკოპოსო კათედრა დასავლეთ საქართველოში.**

15. „არიან-ქართლი“ - ლაზიკის სამიტროპოლიტოს ისტორიული საფუძველი (ვახუშტის მიხედვით ისტორიული კლარჯეთი იგივე ლაზიკაა)

„ხოლო ბაიბურდსა და ფორჩხას სამხრით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, და აწ უწოდებენ ლაზსავე - გონიოდან ტრაპიზონის სამზღვრამდე“

(ქ.ტ. IV, 68). ზოგიერთი წყაროს მინიშნება იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ რეგიონში რომელიც შემდგომ ლაზიკის ეპარქიის ერთმა ნაწილმა მოიცვა, მდებარეობდა არიან-ქართლი.

ქრისტეშობამდე III საუკუნეში, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში, „მოქცევაი ქართლისაის" ცნობით არიან-ქართლის მეფის ძე აზონი თავის თანმხლებ დიდებულებთან და ერთან ერთად გადავიდა უფრო ჩრდილოეთით, და იქ ახალი სამეფო ჩამოაყალიბა. ამ წყაროს ცნობით არსებობდა ორი ქართლი. ერთი იყო **მცხეთის ქართლი** - თავისი საზღვრებითა და დინასტიით, მეორე კი **არიან-ქართლი** - აზონის მამის სამეფო. ორივე ეს სახელმწიფო - ქართულენოვანი მოსახლეობით ყოფილა დასახლებული, ამის შესახებ წერს არსენ ბერი - **„ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით"** (არსენ ბერი, წმიდა ნინოს ცხოვრება).

ვახუშტის ცნობით, **სამცხე-საათაბაგო განიყოფებოდა სამ ნაწილად, მათ შორის ორი იყო ქართლოს-ფარნავაზის წილი ქვეყნები (ე.ი. მცხეთის გამგებლობაში შედიოდა), ხოლო მესამე კი, კლარჯეთი, არ იყო ქართლოს-ფარნავაზის წილი, არამედ იყო აზონის მამული ქვეყანა (ანუ არიან-ქართლში შედიოდა).**

კლარჯეთი „აზონის წილი ქვეყანა" იყო, მაშასადამე „არიან-ქართლის" სამეფოს ნაწილი, შესაბამისად მისი მოსახლეობა ეთნიკურად იყო „არიან-ქართველნი".

ვახუშტი, როგორც ითქვა, წერს სამცხე-საათაბაგოს შესახებ - „ხოლო გამეფდა რა ფარნაოზ და დაიპყრა ყოველი საქართველო, ამან **ფარნაოზ დასხნა ერისთავნი თვისნი: ერთი ოძრახოსს (და მისცა წილი ოძრახოსი), მეორე წუნას (და მისცა წილი ჯავახოსი), მესამე კლარჯეთს (და მისცა სრულიად რომელი თვით დაიპყრა)" (ქ. ც. IV, 1973, გვ. 691).**

მაშასადამე კლარჯეთი არ იყო მცხეთის სამამასახლისოს ანუ ქართლოსის სამემკვიდრეო მამული,არამედ იყო აზონის მამისეული ქვეყანა და მას ფარნავაზი აზონის დამარცხების შემდეგ დაეუფლა. ამის შესახებ წერს კიდეც ვახუშტი ქვემოთ.

აზონის მამულ ქვეყანას „არიან-ქართლი" ერქვა ქრისტეშობამდე IV-III სს.-ში, ის შემდგომ ძვ.წ. II ს.-ში არმენიამ დაიპყრო, სტრაბონის სიტყვით იბერიას არმენიამ წაართვა ვრცელი ქვეყნები - გოგარენი, პარადრეს კალთები და ხორძენე. კლარჯეთი, აზონის მამული ქვეყანა, ქრისტეშობამდე რომელიმე ამ ნაწილში მდებარეობდა.

პ. ინგოროყვას სიტყვით, საქართველოს ძლიერი მეფეები არ ურიგდებოდნენ ამ დანაკარგს, ერთი ასეთი ყოფილა ფარნავაზის შემდგომ ვახტანგ გორგასალი, რომელმაც იბერიის ამ ყოფილ არეებში ილაშქრა და მისი ნაწილი დაუბრუნა დედა სამშობლოს.

ქართლოსის ძეებს მამის მემკვიდრეობიდან მიეცათ ქვეყნები - **„ოძრახოს მისცა ტაშისკარს ზეითი და მტკვრის დასავლეთი, ვიდრე ზღვამდე საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არიან აწ სამცხე გურია, ლიგანი, შავშათი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო"** (ქ.ც. IV, გვ. 657). **ჯავახოსს მიეცა - ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკვრის აღმოსავლეთი** (იქვე, გვ. 657).

როგორც ითქვა ფარნავაზმა ჯავახოსის წილ და ოძრახოსის წილ ქვეყნებში თავისი ერისთავები დასვა. ეს ქვეყნები, როგორც ითქვა - მცხეთის ისტორიული სამამასახლისო ტერიტორია იყო. **„ხოლო კლარჯეთი არა არს წილი ამათი, არამედ ფარნაოზ დაიპყრა შემდგომად აზონის სიკვდილისა და არს საზღვარი ამისი - აღმოსავლით მთა, რომელი განვლის კლარჯეთს და ტაოს შუა**

ზღვამდე, მთა იგი, რომელს სდის მდინარენი და ერთვის ჭოროხს, დასავლით მთა აზრუმ-ბასიანს შორის განვლილი ზღვამდე, ჩრდილოთ შავი ზღვა და არიან ამათ შინა თორთომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა, ბაიბურდი და ჭანეთი. და ესრეთ განიყო სახლი ზემო ქართლისა სამად... ხოლო სიგრძე ქვეყანისა ამის არს ქართლის საზღვრიდან ქართლის ყელამდე და ბაიბურდისა და ჭანეთის საზღვრამდე და განი დევაბოინის და ირიჯლუს და ყალნუს მთებიდან ღადოასა და გურიის მთამდე და ზღვამდე და მზღვრის ქვეყანასა ამას აღმოსავლით საზღვარი ქართლისა, რომელიც აღვწერეთ და მთა ყარსისა, არტან-კოლასა და ყარსს შორისი“ (ქ.ც. IV. გვ. 659).

ე.ი. არიან-ქართლის ყოფილი ნაწილი-**კლარჯეთი მოიცავდა - თორთომს, ხახულს, ისპირს, ფორჩხას, ბაიბურდსა და ჭანეთს, ანუ შეიძლება ითქვას რომ ვახუშტის კლარჯეთი იგივეა, რაც სომხური გეოგრაფიის ლაზივი, ლაზიკა.**

პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილი **კლდოვან-ხრიოკი ლაზიკა** ემსგავსება ვახუშტის მიერ აღწერილ კლარჯეთს - **,,უცნობელ არს, რით ეწოდა სახელი ესე, გარნა საგონებელ არს - ღულარჭნილთა და კლდოვან ღრატო-ღრიღოვანებისა მიერ და მაღალთა მთათა, რამეთუ მთა-ბარი ახლორებს“** (ქ. ც. IV, გვ. 657).

პროკოფი თავისი ლაზიკის აღწერის დროს არსად არ ახსენებს უკიდეგანო დაჭაობებულ ბარს, როგორიც არის და იყო დასავლეთი საქართველო, მით უფრო ჰოლოცენის ეპოქაში, არამედ ის ლაზიკას აღწერს ვითარცა მაღალი მთებისა და კლდეების ქვეყანას, ისევე, როგორც კლარჯეთს აღწერს ვახუშტი - დაღვარჭნილი კლდეები, ღრატო-დაღრანტული ადგილები, მაღალი მთები, ალაგ-ალაგ კი ბარი, მთების სიახლოვეს **,,ნახევარჟამისა სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი და ყოველნი ნაყოფნი“** (იქვე, გვ. 657), მსგავსად ნაყოფიერი მოხირისისა.

აქედან ჩანს, რომ ვახუშტი **,,ზემო ქართლში“ შემავალ ქვეყნებად მიიჩნევს - ჭანეთს, ისპირს, თორთუმს, ბაიბურდს, ფორჩხას, ასევე კოლას, არტაანს, ერუშეთს, ჯავახეთს, მტკვრის აღმოსავლეთს და ამასთანავე ტაოს, ოლთისს, არტანუჯს, შავშეთს, ლიგანს, სამცხესა და გურიას.**

ვფიქრობ საინტერესოა, რომ ჭანეთი - ქართლის ერთ-ერთ ქვეყნად პროვინციად მოიაზრებოდა.

მნიშვნელოვანი ფაქტია და უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის ამ ძველი წყაროს თანახმად კლარჯეთი ეწოდებოდა არა იმ ქვეყანას, რომელსაც ამჟამად, ტრადიციულად ვუწოდებთ ,,კლარჯეთს“ არამედ გაცილებით ვრცელს ,,იმიერ ტაო, ბაიბურდ-ისპირ-ჭანეთის“ ჩათვლით.

ჩვენ, როგორც წესი, კლარჯეთს ვუწოდებთ ლიგან-არტანუჯის მხარეს, მაგრამ ეს მხარე ვახუშტის ძველი წყაროს ცნობით შედიოდა არა კლარჯეთში, არამედ **ოძრახოსის ნაწილში, ამავე ნაწილში შედიოდა არტანუჯი, ოლთისი და ამიერ ტაო.** მაშასადამე, ყურადღების მისაქცევია რომ ამიერ ტაო - ოძრახოსის წილს ეკუთვნოდა, ხოლო **კლარჯეთს, როგორც აღინიშნა ეკუთვნოდა ტერიტორია ჭანეთიდან ვიდრე თორთომის ჩათვლით, ანუ კლარჯეთში შედიოდა იმიერ ტაოს დიდი ნაწილი, ისპირი ანუ სპერი, ბაიბურდი და ჭანეთი ფორხამდე, ანუ, ის მიწა-წყალი, რომელიც როგორც ითქვა, ბერძენთა და სომეხთა მიერ ლაზიკად იყო წოდებული.**

მაშასადამე, ვახუშტის ძველი წყაროს ცნობით კლარჯეთი იყო ,,ზემო ქართლის“

უკიდურესი სამხრეთი ნაწილი, ანუ, კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, იმიერ ტაო, ბაიბურდი, სპერი და ჭანეთი, ესაა X საუკუნეში არსებული „ქართველთა საკურაპალატოს“ ერთი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ X საუკუნეში როცა ტაოს მეფემ დავით კურაპალატმა „ზემო ქართლს“ შეუმატა ვრცელი მიწები - **„ზემონი ქვეყანანი“ ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე, „ქართველთა სამეფო“ სწორედ ამ, აღნიშნულ მიწა-წყალს ერქვა, ხოლო ჩრდილოეთით მდებარე სამეფოებს ერქვათ „აფხაზეთი“, „კახეთი“, „ტაშირ-ძორაგერტი“** და სხვა, ამ ბოლო ჩამონათვალთა შორის „ქართველთა“ სამეფო არცერთს არ ერქვა. „ქართველთა“ სამეფო ერქვა მხოლოდ უკიდურეს სამხრეთის ქვეყნებს, რომელნიც, როგორც აღინიშნა აზონის მამულ ანუ „არიან-ქართლის“, და შესაბამისად, „არიან-ქართველთა“ ქვეყნად მიიჩნეოდა. აქედანაა, როგორც ჩანს, სახელი „ქართველთა საკურაპალატო“ და „ქართველთა სამეფო“, რაც ჩანს ასახავს „არიან-ქართველთა“ ქვეყნის ძველ სახელს.

საქართველოს მიწა-წყალზე არაბთა ეპოქაში „შიდა ქართლი“ არ იყო სახელმწიფოებრივი ერთეული, როგორც ითქვა აფხაზთა და კახთა სამეფოები ერთმანეთში ინაწილებდნენ შიდა ქართლს, ხოლო ქვემო ქართლს თბილისის საამირო და ტაშირ-ძორაკერტის სამეფოები ინაწილებდნენ. სახელი „ქართველთა“, „ქართველთა სამეფოსა“ და „ქართველთა საკურაპალატოს“ სახით ტაო-კლარჯეთში იყო დაცული და ჩანს ასახავდა არიან-ქართლის ანუ არიან-ქართველთა სახელმწიფოს ძველ მემკვიდრეობას.

როგორც ითქვა ვახუშტისეული კლარჯეთის ანუ აზონის მამისეული ქვეყნის (ე. ი. არიან-ქართლის) ნაწილად მიიჩნეოდა ჭანეთი ფორჩხას (ბორჩხას) ჩათვლით (ბორჩხა - ჭოროხის შესართავთან მდებარე დაბაა), იქვე იწყებოდა ისტორიული ეგრის ქვეყანა, რომელსაც ვახუშტი ხშირად ახსენებს. ანუ **კლარჯეთ-ზემო ქართლში შედიოდა ჭანეთი ეგრითურთ.**

ჭანეთი და ეგრი იხსენება VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში, რომლის მიხედვით **ეგრი იყო ტრაპეზუნტის მიმდებარე ქვეყანა რომელიც მოიცავდა მანრალიას, ქალდია, ჭანივსა და ეგრივს**.

მარდალიას დასავლეთით მდებარეობდა პროვინცია მანრალია, რომლის ადგილი ნ. ადონცს განსაზღვრული აქვს – **მანრალია არზრუმის სამხრეთ დასავლეთით კარაგიოლის ქედის დასავლეთით, ხორძენა-ბაზანს ჩრდილოეთით მდებარეობდა**.

მაშასადამე ისტორიული ეგრი გადაჭიმული იყო არზრუმის სამხრეთი მხარეებიდან ვიდრე ტრაპეზუნტამდე (ჭანივი) და ბორჩხა-ჭოროხის შესართავამდე (ეგრივი), მისი ორი ნაწილი ჭანეთი და ეგრი - კლარჯეთში (ზემო ქართლში) აქვს მოხსენიებული ვახუშტის. უნდა ვიფიქროთ, რომ არიან-ქართლში შედიოდა ეგრისის არა მხოლოდ ეს ორი ნაწილი (ჭანეთი და ეგრი) არამედ მანრალიაც, ანუ **არიან-ქართლი მთელ სამხრეთის ეგრისს მოიცავდა**, ამის შესახებ უნდა მიუთითებდეს ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლის ლაშქრობები ამ მხარეებში.

16. სამხრეთის იბერია და სამხრეთის ლაზიკა

იბერიის თემში არაქს-ევფრატის სათავეების აუზის გარდა შედიოდა იმიერ ტაო, ჩრდილო ბასიანი, ოლთისი, შავშეთი, თორთომი, კოლა, არტაანი. შემდეგ იბერიის თემს კონსტანტინე X მონომაქოსის დროს (1042-55) შეემატა – შირაქის სამეფო, თავისი მთავარი ქალაქით ანისით. ქ. ანისი იბერიის თემის დედაქალაქად იქცა. აღნიშნულ-

იდან გამომდინარე, იბერიის თემის და ლაზიკის ეპარქიის ტერიტორიები თითქმის ემთხვეოდა ერთმანეთს, ჭოროხისა და ევფრატის სათავეების მომცველი ქვეყნები, ვიდრე ვანის ტბამდე, თითქმის ერთსა და იმავე დროს ეკლესიურად შედიოდა ლაზიკის ეპარქიაში, ხოლო სახელწიფო-ადმინისტრაციულად იბერიის თემში.

რატომ უწოდეს მას ლაზიკა და იბერია ერთდროულად? როგორც ვთქვით, ეს გამოწვევული უნდა ყოფილიყო ქართველთა ეთნიკური თვითშემეცნების გამოცოცხლებით ანისიდან და ვალაშკერტიდან ვიდრე კარინამდე (არზრუმამდე), ჭოროხისა და ევფრატის სათავეებამდე.

მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ-ქართული გამოცოცხლების შედეგი იყო, როგორც ითქვა, მცხეთის საპატრიარქოს ქართული საეპისკოპოსოების არსებობა ანისსა და კარში (ყარსში), ვალაშკერტსა და ბაიბერდში (პაიპერტში). იქამდე ყოფილ პერსარმენიასა და რომაულ არმენიაში საუკუნეთა მანძილზე დევნილი ქართული ენა არაბთა ბატონობის მიწურულს უკვე აღარ იდევნებოდა საყოფაცხოვრებო დონეზე, ანუ ქართულენოვან გლეხებსა და აზნაურებს მეზობლები ვეღარ უკრძალავდნენ მშობლიური ენის მოხმარებას, როგორც ეს იყო უფრო ადრე - "არმენიად" სახელწოდებულ მათ ქვეყანაში, უფრო მეტიც, გათავისუფლებულ მიწა-წყალზე, განსაკუთრებით ტაოში, მკვიდრმა მოსახლეობამ მოიშორა სომხური საეკლესიო უღელი, გამოვიდა მისი დაქვემდებარებიდან და ქართული ენა გადაიქცა ამ საეპისკოპოსოსების მრევლის საეკლესიო ენად, კონსტანტინოპოლისადმი დაქვემდებარებული კათედრები კი ბერძნულენოვანნი იყვნენ.

აკად. გრ. გიორგაძე მიუთითებს ქართველური ტომების უძველესი კერების არსებობის შესახებ მდ. ჭოროხისა და ზემო ევფრატის სათავეებში ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე XII საუკუნეში, რადგანაც მისი აზრით, ასურული წყაროების მუშქაიას და დაიაენის (დიაოხის) ქვეყნები იქ – ევფრატ-ჭოროხის სათავეებთან არსებობდნენ. იქ მცხოვრებთ ბერძნები „მოსხოის" სახელით იცნობდნენ (ვ. გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, 2002, გვ. 20)

ვ. გიოლაძე წერს – ძვ. წ. XIIს-ში მუშქების პოლიტიკური გავლენა ევფრატის ზემო დინების აღმოსავლეთით (თანამედროვე მდ. მურად სუს სამხრეთით) გავრცელდა. 50 წლით ადრე მათ იქ **ალზისა** და ფურულუმზის ქვეყნები დაუპყრიათ. როგორც ი. დიაკონოვი წერს, ესენი იყვნენ „აღმოსავლეთის მუშქები". მათი განსახლების ძირითადი ცენტრი ზემო ევფრატთან მდ. არაცანის (მურად სუ) შესართავთან მდებარე **ალზის** სამეფო იყო. ასურული წყაროები, დასძენს დიაკონოვი – **ალზის** უწოდებდნენ აგრეთვე „მუშქთა ქვეყანას". ი. დიაკონოვის თანახმად, ძვ. წ. X-IX საუკუნეებში აღმოსავლეთის მუშქები უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, მდ. ტიგროსის ჩრდილოეთ შენაკადების სათავეში მდებარე მთებიდან ზემო ევფრატის ველის დასავლეთით მდებარე ტავრის მთებამდე უნდა ყოფილიყვნენ განსახლებულნი. გრ. გიორგაძის თანახმად, „მუშქთა ძირითადი ტერიტორია ისტორიული სამხრეთ საქართველო იყო" (ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21).

მაშასადამე, ლაზიკის ეპარქია **მოიცავდა ისტორიული ალზის მიწებს**, ხოლო თვით **ამ ეპარქიის არსებობის ეპოქაში იქ არსებობდა „ალზნიკის", იგივე არზანენას ოლქი,** რომელიც კორდუენას (კორჩაიკის) ოლქს ესაზღვრებოდა. შეუძლებელია ეტიმოლოგიურად ერთმანეთთან არ დავაკავშიროთ **„ალზ" და „ლაზ"**. ასევე „კორდუ" და „ქართუ". ნ. ადონცის მოსაზრებით, არმენიელების მოსვლამდე აღნიშნული მიწა-წყალი, კორდუენადან ვიდრე კავკასიის მთებამდე, ქართველებით იყო დასახლებული, შემდეგ მოსულ არმენიელებს ეს ქართული მოსახლეობა ორ

ნაწილად გაუყვიათ – სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქართველებად, ხოლო მათ შუა თვით არმენიელები დასახლებულან. მართლაც, „კორდუენა“ ანუ „კორდუს ქვეყანა“ – მიგვანიშნებს ივ. ჯავახიშვილის თავდაპირველ „ქართუ“ „კარდუ“ ქვეყანას, საიდანაც გამოსულან ყველა ქართული ტომები, მათ შორის მეგრულ-ჭანურიც.

ნ. ადონცი დაბეჯითებით, რამდენჯერმე აღნიშნავს თავის ნაშრომში „არმენია იუსტინიანეს ეპოქაში“, რომ სომეხი ხალხის ჩამოყალიბების საქმეში ქართველებს მიუღიათ მონაწილეობა იმით, რომ მომხდარა ქართული ტომების ტრანსფორმირება არმენიელებად. **თუ ეტიმოლოგიურად „ლაზიკა“ „ლაზი“ დაკავშირებულია ალზთან, უნდა ვიფიქროთ, რომ გასაგები ხდება, თუ რატომ ეწოდა „ალზის ქვეყნის“ მომცველ ეპარქიას „ლაზიკისა“.**

ნ. ადონცი კორდუენას ქვეყანას აკავშირებდა ქართველებთან და აკრიტიკებდა ერთ-ერთი მეცნიერის შეხედულებას, რომელიც კორდუენას ქურთებთან აკავშირებდა.

17. ლაზიკის სამიტროპოლიტოს მიწა-წყალი სომხური გეოგრაფიის მიხედვით

ქართველი ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ლაზია, ლაზიკა თავდაპირველად ერქვა დასავლეთ საქართველოს, ხოლო შემდგომ, კერძოდ კი VIII ს-დან ეწოდა ტრაპეზუნტსა და მის საეკლესიო ოლქს (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე გვ. 209). რიზეს ლაზიკის სახელი მიუღია VII ს-ში (იქვე, გვ. 208).

რატომ უნდა წოდებოდა დასავლეთ საქართველოს თავდაპირველად ლაზიკა, ისტორიკოსთა მიერ ახსნილი არ არის, რადგანაც ქართულ წყაროებში მსგავსი მითითება არ გვხვდება, **ჩვენი მოსაზრებით ლაზები თავიდან უნდა რქმეოდათ ბასიანთან ახლოს მდებარე ისტორიული ალზის სამეფოს ქართული წარმოშობის ხალხს (ალზ-ლაზ).** შესაძლოა, მოსახლეობის უმნიშვნელო მიგრაციამ ალზის სამეფოდან იქვე მდებარე კარინ-თეოდოსიოპოლისაკენ და შემდეგ ტრაპეზუნტისაკენ, ხელი შეუწყო ლაზიკად ცნობილი ქვეყნის სახელის გავრცელებასაც აღნიშნულ რეგიონში. საფიქრებელია რომ, სახელი „ლაზიკა“ განივრცო არა დასავლეთ საქართველოდან ტრაპეზუნტისაკენ, არამედ ალზის სამეფოდან – კარინ-ტრაპეზუნტისაკენ. ამ სახელის მიგრაციას ალზიდან კარინისაკენ მიუთითებს სხვა მაგალითიც – ალზის სამეფოს ქვეყანას შემდგომ ეწოდა ალზანენე ანუ არზანენე, იგივე სახელი, კერძოდ კი **არზენა (იგივე ალზენა), ერქვა კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით არტანუჯის ქვეყანასაც.**

არზენა იგივე ალზენაა, ალზენა და ლაზიკა (ლაზ-ენა) სინონიმურ დატვირთვას იღებდა, რადგანაც არზენა, ანუ არტანუჯის მხარე (იგივე კლარჯეთი) – ლაზიკის ერთ-ერთ ქვეყნად ითვლებოდა. იგივე სახელი **ეწოდებოდა კარინ-თეოდოსიოპოლსაც, კერძოდ, არზ-არ-რუმ (არზრუმი), რუმის (რომის, ბიზანტიის) არზი, საერთოდ, არზრუმელებს ლაზები ერქვათ თვით XVIII ს-შიც კი** (ერთ-ერთი ცნობით, რომელიც ზემოთაა მოხსენიებული).

საერთოდ, ლაზ, ლაზიკა, **ლაზისტანი – ბოლომდე ერქვა ამ მხარეებს, არზრუმიდან ვიდრე ზღვისპირეთამდე მოსახლეობას ყველას ზოგადი სახელი „ლაზი“ მიესადაგებოდა**, თუმცა კონკრეტულად იმ ეპოქაში ამ სახელის მატარებელი ტომი განსაზღვრული არ იყო (სამსონელები ტაპეზუნტელებს უწოდებდნენ ლაზებს, ტრაპეზუნტელები სამსუნელებსა და არზრუმელებს და ა.შ.), მაგრამ **„ლაზ“ სახელი**

არ ერქვა დასავლეთ საქართველოს არც ერთ ტომს. მხოლოდ XIX ს-ის ბოლოსა და უფრო მეტად XX ს-ში, ისტორიკოსებმა წიგნიერი გავლენით უწოდეს დასავლეთ საქართველოს ლაზეთი და მის ერთ-ერთ ტომს – ლაზები. ასე რომ, ამ კუთხისათვის „ლაზის“ წოდება ხელოვნურად მოხდა, მაშინ, როცა ტრაპეზუნტის ოლქის ხალხს ეს სახელი ნამდვილად ერქვა. პ. ინგოროყვა ეთანხმება აზრს, რომ ტრაპიზონის ოლქს ლაზიკა დაერქვა VIII ს-დან, მას შემდეგ, რაც **თითქოსდა VIII ს-ში ტრაპიზონი შეუერთდა დასავლეთ საქართველოს**. სინამდვილეში VIII ს-ში აფხაზთა სამეფოს საზღვარი მხოლოდ ჭოროხამდე აღწევდა, ხოლო ტრაპიზონი შედიოდა ბიზანტიის იმპერიის „არმენიაკონის თემში“. არმენიაკონის თემი VIII ს-ში რიზემდე აღწევდა. მოიცავდა I და II კაპადოკიას და ასევე III არმენიას (ხალდიის თემი, რომელიც შემდგომ შეიქმნა, იგივე ლაზიკაა). ზოგიერთი წყაროს მიხედვით არმენიაკონის თემი VII-VIII სს-ში (ხოლო შემდეგ ხალდიის თემი) აღწევდა მდ. ფასისამდე („ფასისი“, როგორც ცნობილია, ერქვა მდ. არაქსს (კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით) და ასევე მდ. ჭოროხს (ბერძნული წყაროებით) და არა რიონს). თ. უსპენსკის ცნობით, კომნენოსთა სამეფოს, „ტრაპეზუნტის იმპერიის საზღვარი აღწევდა მდ. ფასისამდე ანუ ჭოროხამდე და არა რიონამდე (**Т. Успенский, Очерки Трапезунтской империи,** გვ. 32). ტრაპეზუნტის იმპერატორებსაც ზოგჯერ უწოდებდნენ „ლაზთა მთავრებს“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 268).

საერთოდ, როგორც მრავალჯერ აღნიშნულია, ქართულ წყაროებში სიტყვა „ლაზიკა“ არ იხმარებოდა. ის მიიჩნეოდა ბერძნულ ფორმად და ქართულად ამ სიტყვას თარგმნიდნენ ასე – სოფელი მეგრელთა და მის ქვეშ, როგორც წესი, ტრაპეზუნტის ოლქი მოიაზრებოდა. მაგალითად, ეპიფანე კონსტანტინეპოლელის (VIII ს.) „ლაზიკის ქალაქი ტრაპეზუნტი“ – ქართული წყაროსათვის „მეგრელთა სოფლის“ ანუ მეგრელთა ქვეყნის ქალაქია. თეოფანე აღმსარებელი (IX ს) ტრაპიზონის მხარეს ლაზიკას უწოდებს (იქვე, გვ. 214). ასევე სხვა ავტორები.

სომხურ წყაროებში ტრაპეზუნტის მხარეებს ლაზივი და ეგერი ეწოდება, ასე უწოდებს მას სომხური გეოგრაფია. მასში ნათქვამია - „**კოლხეთი, ე.ი. ეგრი არის ქვეყანა პონტოს ზღვიდან სარმატიამდე, და მდინარე დრაკონიდან კავკასიის მთამდე და მის შტოებამდე, რომელიც მას ჰყოფს ივერიიდან და იგი განიყოფა ოთხ მცირე ქვეყნად: მანველი** (მანრალი), **ეგრევიკი, რომელიც არის საკუთრივ ეგრი (ფასისის მდინარის მოსაზღვრედ ამავე სახელწოდების ქალაქითურთ), ლაზივი** (იგულისხმება რიზე-ტრაპეზუნტის მხარე) **და ჭანივი, რომელიც არის ქალდეა. აქვს ხუთი ქალაქი, იანი, კოტა როდოპოლისი ათინა, რიზონი, სხვა ნავსადგურები, ტრაპეზუნტი**“.

სომხური წყარო, აქ **სარმატიას** უწოდებს, მდ. ჭოროხის აქეთ მდებარე დასავლეთ საქართველოს, ხოლო **კავკასიის მთას** უწოდებს კარჩხალის ქედსა და **მის განშტოებებს** (მდინარე ჭოროხის შესართავთან), **რომელიც ეგრს ჰყოფდა ივერიიდან.** ეგრი ანუ ერგე-ჭოროხის პირა ქვეყანას ერქვა, შესართავთან, ხოლო საფიქრებელია ისიც, რომ სომხური გეოგრაფიის „ეგრი“ შესაძლოა აღწევდა იმავე რეგიონში მდებარე მდ. არაქსის სათავეებამდე არზრუმთან, რადგანაც ნ. ადონცის სიტყვით, მდ. არაქსს და მის შენაკადს ასევე ეგრი ერქვა. ასევე ამ მდინარეს ერქვა „არაზი“ (ალაზი), რომელიც შეიძლება იყოს ის ფუძე, საიდანაც ქვეყნის სახელი „ლაზიკა“, „ლაზივი“ იქნა მიღებული. ეს სახელი, როგორც აღინიშნა, იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ამავე რეგიონში მდებარეობდნენ პროვინციები **„მანრალია“ და „მარდალია“.**

კერძოდ, მანრალიას თემი ებჯინებოდა ხალხალის ქედს, ხორძიანას მეზობლად (ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 20).

VII ს-ში მიწა-წყალი ჭოროხამდე (ანუ ეგერი) არმენიაკონის თემში შეიყვანა ბიზანტიამ, თუმცა მალევე ბიზანტიამ არმენიაკონის თემს თავისი ნამდვილი სახელი „ქალდეას თემი“ უწოდა.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ტრაგედიად უნდა მივიჩნიოთ, რომ მან არასწორად განსაზღვრა მანრალის, ასევე, ფასისის, როდოპოლისის, სკანდას თუ სარაპანას მდებარეობა. შესაბამისად, ლაზიკა უწოდა დასავლეთ საქართველოს.

როგორც ითქვა, **ნ. ადონცის გამოწვლილვითი განმარტებით, მანრალია მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ თეოდოსიოპოლისთან (არზრუმდან) ახლოს ხალხალის მთასთან, მარდალიის გვერდით (ნ. ადონცი, გვ. 20).**

დ. მუსხელიშვილის, ისევე, როგორც სხვა ქართველი მეცნიერების აზრით კი, მანრილი, ანუ მანრალია თითქოსდა ერქვა არგვეთს. ეგრევიკი, ანუ ეგრი კი თანამედროვე სამეგრელოს.

ესაა, შეუსაბამო მოსაზრება. **მანრილი იყო არა იმერეთი, არამედ მხარე ჭანეთთან.**, არზრუმთან.

ქართული და სომხური წყაროებიდან ჩანს, რომ არსებობდა ორი ეგრისი, ჩრდილოეთ ეგრისი და სამხრეთ ეგრისი (ტერიტორია ჭოროხიდან ტრაპეზუნტამდე). **თვითონ ჭოროხის პირა ერგე და გურია - ეგრისის ნაწილები იყვნენ**. სომხურ გეოგრაფიაში ლაზივი ერქვა - რიზე - ტრაპეზუნტის მიმდებარე ქვეყანას.

18. ლაზი ეპისკოპოსები

პროკოფი კესარიელის ცნობით, რიზესა და აფსაროსის შორის მცხოვრებთ „ლაზთა ეპისკოპოსები“ უწესებდნენ მღვდელმსახურებს – ასე განმარტავს მ. ბერძნიშვილი პროკოფის ცნობილ ფრაზას – **„ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებს“** (მ. ბერძენიშვილი, ქ. ფაზისის ისტორიისთვის, გვ. 54).

ბიზანტიის იმპერიის საზღვარი აღწევდა რიზემდე და შემდეგ გადმოიწია ხუფათამდე. პროკოფის ცნობითაც პეტრას ციხის სამხრეთით ერთი დღის გზაზე იწყებოდა პონტოს ხალხის საცხოვრისი ანუ ბიზანტიური ერთ-ერთი პროვინციის მოსახლეობისა. მათ პროკოფი სხვა ადგილას „ერთ ხალხს“ უწოდებს. ჩანს ისინი რიზეს რეგიონში ცხოვრობდნენ აფსაროსამდე. მათთვის უახლოესი ლაზთა საეპისკოპოსოები ტრაპეზუნტის რეგიონში მდებარეობდნენ. ამ რეგიონში დააწესა კონსტანტინოპოლმა ე.წ. „ეპარქია ლაზიკაში“ - როდოპოლისის, ზიგანას, საისინისა და პეტრას კათედრები.

როდოპოლისის კათედრა რიზესთან ახლოს მდებარეობდა - არაბთა შემდგომ ეპოქაში ზიგანა როდოპოლისის ადგილას აღმოცენდა სუმელას ცნობილი სამონასტრო ცენტრი.

როდოპოლისის ეპარქია რიზეს რეგიონის მთიანეთამდე აღწევდა (იწყებოდა ზიგანას უღელტეხილთან.

უნდა შევნიშნოთ, რომ პეტრას კათედრა ნ.ადონცის კვლევით, მდებარეობდა „სადღაც პაიპერტთან“ და არა გონიო-ხუფათთან. ის ასევე შეიძლება ვეძიოთ ქ.ტრიპოლისთთან, ტრაპეზუნტის ქვემოთ, იქ სადაც პეტრუმის (ბედრუმის) ცნობილი ციხეა.

საისინის კათედრას ადონცი ათავსებდა არდასასთან ახლოს, ზიგანას უღელტეხილის სიახლოვეს.

აღსანიშნავია, რომ **მთელ ამ რეგიონში საკმაოდაა გავრცელებული სიტყვა „ფაზარი“ ამჟამადაც კი. ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად მოგვაგონებს სიტყვა ფაზისს - უძველეს „ლაზიკის ეპარქიას“ ასევე ფაზისისა ერქვა.**
ამ რეგიონში მდებარეობდა „ძველი ქალაქი აფსარუ“. II საუკუნეში, არიანეს დროს, აქაური გარნიზონი შედგებოდა 5 კოჰორტისაგან, ე.ი. ნახევარლეგიონისაგან, კოჰორტაში 500 კაცი ირიცხებოდა. პროკოფი კესარიელის დროს ეს ბრწყინვალე ქალაქი თითქმის დანგრეული იყო. მ. ბერძნიშვილის აზრით, ეს ქალაქი კოლხეთში შედიოდა, რადგანაც არიანეს დროსვე კოლხების მიწა-წყლის საზღვარი იყო მდ. ოფისი ეს უნდა იყოს მდ. ოფი (ხუფათი-ხოფა), ის კი ამ მდინარის აღმოსავლეთით მდებარეობდა. პროკოფის დროს ეს ქალაქი გათავისუფლებულა რომაელთაგან, კერძოდ კი, მას შემდეგ, რაც მოსპობილა ამ ქალაქის გარნიზონი. „აფსარიელებიც დამოუკიდებელნი გამხდარან, როგორც რომაელებისაგან, ისე ლაზებისაგან, მაგრამ საეკლესიო სფეროში, ისინი, როგორც ქრისტიანები, ლაზეთის ეპისკოპოსთა იურისდიქციას ემორჩილებოდნენ. პროკოფი პირდაპირ წერს: **„ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებსო“** (მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 54). ლაზეთი, ჩემი აზრით, ერქვა სწორედ იმ კოლხეთს, რომელიც ტრაპეზუნტის მთიანეთიდან აფსაროსამდე ოფ, ხოფამდე ვრცელდებოდა და მას მოიცავდა ლაზთა ეპისკოპოსების სამწყსო.

სტრაბონის ცნობით, **„მოსხიკეს მთები კოლხეთის თავზე მიიმართებიან“** (სტრაბონი, XII, 2,18). ამ ცნობას მნიშვნელობა აქვს კოლხეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის. ჩვენი მეცნიერების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს „მოსხიკეს მთები“ სურამის ქედია დასავლეთ საქართველოში და ამიტომ ფიქრობენ, რომ მის დასავლეთით მდებარეობდა კოლხეთი.

ვახუშტი ძალზე გარკვევით წერს, და თანაც რამდენიმეჯერ, რომ ძველი გეოგრაფების მიერ ნახსენები „მოსხის“ მთები წარმოადგენდნენ მთათა სისტემებს ჭოროხის სათავედან ბასიანის ჩათვლით, მასში შედიოდა დევაბოინის, ირიჯლუს, ყალნუსა და თორთომის ქედები (ქ.ც. IV, 1973, გვ. 658 (სქოლიო)). მოსხიკეს, ანუ **მოსხის მთათაგან ერთ-ერთიდან, კერძოდ, ირიჯლუდან იღებს სათავეს მდ. ჭოროხი. ვახუშტი წერს – „მდინარე ჭოროხი გამოდის ირიჯლუს მთასა“** (იქვე, გვ. 675). ვახუშტის ცნობით, **მოსხიკეს ქედი – ტრაპეზუნტის კოლხეთის თავზე იყო არა დასავლეთ საქართველოში,** ერთის მხრივ ის იყო ქედი, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა ხოფა-რიზეს ქვეყანას, ზღვისპირა ქვეყანას, ისტორიულ ლაზეთს, მეორე მხრივ კი ზღვის დონიდან თითქმის 2000 მეტრ სიმაღლეზე მდებარე კოლა-არტაანს (იბერიას). ამიტომაც **ეს ქედი, ანუ ჭოროხის სათავე ერთდროულად იბერიის მაღლაც იყო და კოლხეთსაც ზემოდან დაჰყურებდა,** ანუ კოლხეთის თავზე მიიმართებოდა. მაშასადამე, **კოლხეთი ამ მთის დაბლა ზღვისპირა ქვეყანას ერქვა, ანუ ტრაპიზონ-რიზე-ხოფა-აფსაროსის რეგიონს, ანუ ეს იყო სწორედ ლაზეთის ქვეყანა თავისი ზიგანას საეპისკოპოსოთი,** რომელზე გავლითაც ტრაპეზუნტის კოლხეთი უკავშირდებოდა ამ მთათა სისტემით შექმნილ უზარმაზარ პლატოს.

სტრაბონს აკრიტიკებს მ. ბერძნიშვილი „რომ ის იძლევა ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობებს“ (მ. ბერძნიშვილი, გვ. 102), რადგანაც მიიჩნევს, რომ მოსხიკეს მთები ზესტაფონთან მდებარეობდა და ამიტომ სტრაბონის ცნობები მისთვის ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა.

ტრაპეზუნტიდან ზიგანა-რიზემდე მოქმედ ეპისკოპოსებს დაერქვათ შემდგომ ლაზთა ეპისკოპოსები, **ტრაპეზუნტის რეგიონის საეპისკოპოსოთა ლაზი ეპისკოპოსები ემსახურებოდნენ მრევლს აფსაროსამდე**. აღსანიშნავია რომ თითქმის ათასი წლის შემდეგაც კი ტრაპეზუნტის იმპერიის მმართველებს „ლაზთა მეფეებს“უწოდებდნენ. **ლაზიკა-ტრაპეზუნტის რეგიონს ერქვა,მის მთიანეთს**. „ბიზანტიის ოფიციალური ისტორიკოსები“ ნიკიტა ხონიატისი, გიორგი აკროპოლიტისი, პახიმეროსი, ნიკიფორე გრიგორასი და სხვანი ტრაპიზონის მეფეებს კოლხა ან ლაზთა მთავრებს უწოდებდნენ“ (თ. ქართველიშვილი, კულტურის ისტორიის საკითხები XIX., 2004, გვ.20).

ნაწილი IV

თავი XI

იბერიის თემის ქართული სამამამთავრო (ლაზიკის ეპარქიის საზღვრების ზრდა იბერიის თემის დაარსების შემდეგ)

I. ისტორია
„იბერიის თემის“ ოლქები და გზები

არაბთა შემოსევების შემდეგ ბიზანტიის იმპერიამ მიატოვა მცირე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ სახალიფოს მოუძლურებისას IX-X საუკუნეებში კვლავ განაცხადა პრეტენზიები თავისი ყოფილი ტერიტორიების მიმართ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ ბიზანტიას არ ყოფნიდა ძალები მუსლიმანების წინააღმდეგ საბრძოლველად, ასეთ დროს ის ჯერ კიდევ მტრის ხელქვეშ მყოფ ტერიტორიებს დროებითი სარგებლობის სახით აძლევდა ქართულ სამეფო სამთავროებს. მაგალითად, **სამხრეთ ტაოს** მეფეს დავით კურაპალატს ბარდა სკლიაროსის აჯანყ ებისას დახმარების სანაცვლოდ გადასცა ვრცელი მიწა-წყალი, რომელიც განფენილი იყო ოლთისიდან თითქმის ვანის ტბამდე. ამ მიწა-წყლით დაინტერესებული იყვნენ ქართული სამეფო სამთავროებიც, რადგანაც მიაჩნდათ რომ იქ ეთნიკური ქართველობა ცხოვრობდა კომპაქტურად. საუბარია ტერიტორიებზე სადაც ქსენოფონტემ ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე V საუკუნეში აღწერა მრავალი ქართული ტომი, მათ შორის ფასიანებისა. შემდგომში ფასიანების საცხოვრის ადგილზე, როგორც ფიქრობენ, ჩამოყალიბებულა პროვინცია ბასიანი. სომეხი ავტორის ლასტივერტეცის ცნობით ბასიანი X საუკუნისათვის ჯერ კიდევ ქართველებით იყო დასახლებული.

ბასიანი და თორთომი ძირითადი ტერიტორიები იყო სამხრეთ ტაოს ქართული სახელმწიფოსი, რომელსაც X საუკუნის 60-იანი წლებიდან **დავით მესამე კურაპალატი** მართავდა. ამ სახელმწიფოს უცხოელები, მათ შორის ბერძენი და სომეხი ავტორები, უწოდებდნენ **„იბერიას (ივერიას)“**, ქართველები კი „ტაოს სამეფოს“. მისი დედაქალაქი იყო ოლთისი.

ზოგადად, ტაოს ვრცელი ქვეყანა ორ ნაწილად, ორ სამეფოდ იყო გაყოფილი.

სამხრეთ ტაოს სახელწიფოს ჩრდილოეთით არსებობდა ტაოს მეორე ქართული სახელმწიფო. ქართველი მწერლები, როგორც ჩანს, მას უწოდებდნენ „ქართველთა სამეფოს“, მისი დედაქალაქი იყო ბანა. ამ სამეფოში შედიოდა ჩრდილო ტაო და მიმდებარე ტერიტორიები. X საუკუნის 50-იან წლებიდან მას მართავდნენ **ბაგრატ მეორე „რეგვენი“ და შემდეგ გურგენი** – მასაც **„იბერიის მეფე“**ერქვა.

იბერიის ანუ ტაოს ეს ორი სამეფო ერთმანეთისაგან იყოფოდა მდინარე ბანას წყლით. ერთს ერქვა **იმიერ ტაო**, მეორეს კი **ამიერ ტაო**, სხვა სამთავრო იყო **კლარჯეთი,** რომელსაც ადარნასე აშოტის ძის შთამომავლები მართავდნენ. ზოგადად, ამ ქართული პოლიტიკური ერთეულების საზღვრები ბიზანტიასთან მტკიცედ იყო დადგენილი, მაგ., კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით ბიზანტიის საზღვარი იბერიასთან გადიოდა **მდინარე ფაზისზე** ანუ არაქსზე. მეორე სასაზღვრო ხაზი იდო შავი ზღვის პირზე პუნქტ ხუფათთან (ხოფა).

საზღვრის შიგნით იყო მოქცეული **ხუფათი, პარხალი, თორთომი, ჩრდილო ბასიანი, სამხრეთ ტაო და არაქსის სამხრეთით მდებარე მიწები.**

ქართული მიწები არაქსის სამხრეთითაც იდო, ჯერ კიდევ სკლიაროსის აჯანყებამდე გაცილებით ადრე კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს. „**აბნიკის ციხე ფასიანის ანუ არაქსის სამხრეთით იყო და, ამრიგად აშოტ IV კურაპალატი არაქსის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს მოითხოვდა**“ (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 18). ეს ხდებოდა X ს. დასაწყისში, რადგანაც აშოტ IV 954 წ. გარდაიცვალა.

საერთოდ, ქართველები მუდამ მიისწრაფვოდნენ მდ. არაქსის და ევფრატის სათავეების მომცველ ტერიტორიებისაკენ, ქ. თეოდოსიოპოლის (არზრუმის) მიმდებარე მხარეებისაკენ, რადგანაც ისინი მათი ისტორიული სამშობლოს ნაწილებად მიაჩნდათ.

კონსტანტინე პორფიროგენეტი გაოცებული წერს კიდევაც, რომ **ქართველებს არ უნდოდათ ბიზანტიის „ხელში გადასულიყო თეოდოსიუპოლი ამ ქალაქის „სიყვარულის გამო და იმის გამო, რომ თეოდოსიპოლის ციხე არ განადგურებულიყო**“ (გეორგიკა, ტ. IV, ნაწ. II, გვ. 266).

არაბთა მოუძლურების შემდეგ, როგორც მრავალგზის აღინიშნა, ბიზანტიელებმა გადაწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ უძველესი ქალაქი თეოდოსიოპოლი (კარნუ-ქალაქი) თავისი მიმდებარე ქვეყნით, მაგრამ ახლა უკვე ქალაქის მკვიდრები უწევდნენ სასტიკ წინააღმდეგობას მტრებს. ბიზანტიელები თითქმის ნახევარი საუკუნე იბრძოდნენ ქალაქის ხელში ჩასაგდებად, მათ შორის უსასტიკესი ხერხებითაც, მაგალითად, ალყა შემოარტყეს ქალაქს და გადაწყვიტეს შიმშილით ამოეხოცათ მოქალაქეები, მიზანს ვერ მიაღწიეს, მათ აღმოაჩინეს, რომ ქართველები თავიანთი **ქაჯის (კეჯეს) ციხიდან** ფარულად სურსათით ამარაგებდნენ ქალაქს. ბიზანტიელებმა ხანგრძლივი მოლაპარაკებით სცადეს ქართველთა ინტერესების განელება. ბოლოს დარწმუნდნენ, რომ ქართველებს „უყვარდათ ქალაქი“, მისი მოქალაქეები და საერთოდ კარინის ანუ კარნუ-ქალაქის მხარის მოსახლეობა. ეს საინტერესო მომენტია, იმით, რომ სწორედ ამ მხარეებში ივარაუდება ისტორიული არიან-ქართლის არსებობა, ეს მხარეები ჩანს IX-X საუკუნეებში ჯერ კიდევ ქართველებით იყო დასახლებული, და სწორედ ამის გამო „უყვარდათ“ ქართველთა ლაშქარსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს ეს მხარეები და თეოდოსიოპოლის მოქალაქეები ენანებოდათ მტრის მიერ დასახოცად. სხვაგვარი „სიყვარული“ ძალზე უცნაურად გამოჩნდებოდა, იმდენად ბუნებრივი იყო შუა საუკუნეებში ხალხის ხოცვა-ჟლეტა და მიწათა დაპყრობანი.

სხვადასხვა ავტორების მიერ **არიან-ქართლის ქვეყნად მოიაზრება ტაო, ბასიანი და მათ სამხრეთით მდებარე ქვეყანა. კერძოდ კი აქემენიდური სპარსეთის მე-18-ე და მე-19-ე სატრაპიების ერთი ნაწილი,** როგორც ითქვა ის ქვეყნები, სადაც ქსენოფონტემ ქართული ტომები ნახა, ეს არის ქვეყანა შემდეგ დროინდელი **თეოდოსიოპოლიდან არაქსის ხეობის გაყოლებით, ევფრატის სათავეების ჩათვლით, ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე**. ამ ქვეყნების მიმართ გააჩნდათ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს ინტერესი და სწორედ ეს ქვეყნები გადასცა ბიზანტიამ დავით III კურაპალატს, კერძოდ ეს ქვეყნები ყოფილა: **1. დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარე კლისურა**

და მისი ციხე ხალტოი-არიჭი; 2. არაქსის სათავეებთან მარდალიის კანტონის ციხე სევუკი; 3. ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში ჰაქსისა და აპაჰუნის პროვინციები; 4. სამხრეთ ბასიანი; 5. თეოდოსიოპოლი (არზრუმი) თავისი თემით, ანუ კარინი; 6. ჭოროხის სათავეებთან ჩორმაირის თემი (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 38).

როგორც აქედან ჩანს დავით III კურაპალატს გადაეცა **ვრცელი ტერიტორიები ჭოროხის სათავეებიდან ვიდრე ვანის ტბამდე. ეს იყო ისტორიული მიწა-წყალი ქართული ტომებისა, სავარაუდოდ ისტორიული არიან-ქართლი**.

ამ ქვეყნებს XI ს. ქართული წყარო უწოდებს „ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი". ვ. კოპალიანის თვალსაზრისით ის დავით კურაპალატს გადაეცა არა ერთბაშად, არამედ სხვადასხვა წლებში, კერძოდ პირველად 965 წელს ერთი ნაწილი გადასცა „ბერძენთა მეფემ", მეორედ კი გადასცეს „ბერძენთა მეფეებმა" 979 წ. ეს მეფეები ყოფილან ჯერ კიდევ ბავშვები ბასილი და კონსტანტინე. გადაცემა, როგორც ითქვა გულისხმობდა იმასაც, რომ ამ მიწა-წყლის ერთი ნაწილის მუსულმანთაგან განთავისუფლების შემდგომ ქართველებს უფლება ჰქონდათ ემართათ ის დროებით, დავით კურაპალატის სიცოცხლის პერიოდში, შემდეგ კი უკან უნდა დაბრუნებოდა ბიზანტიას. მართლაც ხანგრძლივი ომების შემდგომ ბიზანტიამ უკან დაიბრუნა აღნიშნული მიწა-წყალი. მის ქართულობას სხვადასხვა წყაროთა გარდა მიუთითებს ისიც რომ ქართველებით ძალზე განაწყენებულმა ბიზანტიამ ამ მხარეებს მაინც „**იბერიის თემი**" უწოდა. ამ დროისათვის ბიზანტიაში იყო მრავალი ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეული, მათ შორის მე-XI ს. 20-30 წწ. ჩამოყალიბდა ახალი ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული **იბერიის თემი. მასში შევიდა აღნიშნული ტერიტორიების გარდა ასევე სამხრეთ ტაო, ჩრდილო ბასიანი და თორთომი**, ანუ ის ტერიტორიები, რომელსაც იქამდე იბერიის ანუ სამხრეთ ტაოს მეფე დავით კურაპალატი ფლობდა.

იბერიის თემს იმდროინდელი ავტორები უბრალოდ იბერიას უწოდებდნენ, მასში მოიაზრებოდა, როგორც ითქვა ჭოროხის სათავეებიდან ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე მდებარე ტერიტორიები.

იქამდე თავისუფლების შენარჩუნების მიზნით იბერიის თემის მოსახლეობა მედგრად ებრძოდა ბასილი II ბულგართმმუსვრელს, და შემდეგ იმპერატორებს - კონსტანტინესა და რომანოზს. ათეულობით წლის მანძილზე მკვიდრი ქართველობის წინააღმდეგობა იმდენად დიდი იყო, რომ ლასტივერტეცის ცნობით ბიზანტიელები დაუნდობლად ხოცავდნენ ქალებსა და ბავშვებს, მოხუცებსა და ახალგაზრდებს, ანადგურებდნენ მთელ სოფლებსა და ქალაქებს ისე, რომ დიდი ნაწილი აღგავეს პირისაგან მიწისა, სამხრეთ ტაოს დაპყრობის შემდეგ ახლად მიტაცებული მიწა-წყლის ხარჯზე ბიზანტიის ხელისუფლებამ, როგორც ითქვა, დააარსა იბერიის თემი, ანუ **იბერიის საკატეპანო**, და იქ მმართველად დანიშნა თავისი მოხელე წოდებით - კატეპანი.

იბერიის თემის მმართველი („კატეპანი") სამხედრო პატივით იყო აღჭურვილი. მას ზოგჯერ იბერიის მთავარსაც უწოდებდნენ. მისი სამმართველო ქვეყანა, როგორც ითქვა ვრცლად იყო გადაჭიმული ჭოროხის სათავეებიდან ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე. მისი დედაქალაქი იყო თეოდოსიოპოლი, ან ოლთისი.

დასავლეთით იბერიის თემს ესაზღვრებოდა ასევე ქართველებით დასახლებუ-

ლი **ხალდიის თემი (ანუ ტრაპეზუნტის ოლქი)**. ბიზანტიის ეს ოლქები სასაზღვროდ ითვლებოდა და იქ ბიზანტიური ჯარი იყო განლაგებული, კერძოდ ამ თემებში ვარიაგების ჯარი ჰყოლიათ (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 239).

იბერიის თემი ფაქტიურად მოიცავდა იმ მიწა-წყალის ერთ ნაწილსაც, რომელიც **არაბობის ეპოქაში ყოფილი სომხეთის სამეფოში შედიოდა და ერქვა „ივერთა სამთავრო“.** VII ს-ში ივერთა მთავარი ყოფილა ვაშდენი. აღსანიშნავია, რომ დაპყრობის შემდეგ ბიზანტიელებმა **ანისი**ც იბერიის თემს შეუერთეს.

1047-49 წლებში იბერიის თემის მმართველი ყოფილა კატაკალონ კეკავმენოსი (იქვე, გვ. 245).

1054 წელს თურქ-სელჯუკები მესამედ შეესივნენ იბერიის თემს. გარკვეული მოსაზრებით ბიზანტია ხელს უწყობდა თურქ-სელჯუკების მიერ იბერიის თემის დასუსტებას. ბიზანტია იბერიის თემს იმითაც ასუსტებდა, გიორგი კედრენეს გადმოცემით, რომ იქ დიდძალ გადასახადს აკრეფინებდა „უღვთო გადასახადის ამკრებლებს, მათი მეშვეობით აგროვებდა ფულს უსამართლო წყაროებიდან“ (იქვე, გვ. 262).

აღმოსავლეთის პროვინციების და კერძოდ, იბერიის თემის შესახებ გიორგი კედრენე წერდა: **„განუწყვეტელი თავდასხმებისა და ძარცვა-გლეჯის გამო ყველაფერი ნადგურდებოდა, ამიტომ იბერიის მდიდარი ქვეყანაც, რომელმაც უკვე წინათაც განიცადა რბევა და დასუსტებული იყო, საბოლოოდ დაეცა და განადგურდაო“** (გეორგიკა V, გვ. 82).

ვ. კოპალიანი აღნიშნავს, რომ იმდენად გაწამებულები იყვნენ იბერიელები ბიზანტიელების მიერ, რომ წყაროს ცნობით ისინი თავიანთ მტრებად თვლიდნენ რომაელებსო, ანუ ბიზანტიელებსაო (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 263).

იმპერატორ კონსტანტინე დუკას (1059-1067) დროს ბიზანტიის აღმოსავლეთში **„ყველაფერი ინგრეოდა და ნადგურდებოდა თურქთა თავდასხმების და ძალადობის გამო, იბერიის მდიდარი ქვეყანაც განადგურდა“** (იქვე, გვ. 275).

მაშასადამე, იბერიის თემი მდიდარი ქვეყანა ყოფილა, დადგენილია მისი სიმდიდრის წყაროებიც, უპირველესი იყო მასზე გამავალი **საერთაშორისო მნიშვნელობის გზა, რომელიც, ბასილი II-ს სიტყვით ბიზანტიას სპარსეთთან აერთებდა.**

იბერიის თემის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო, ის, რომ იბერიელები ვითარცა მხნე მხედრები დაქირავებული ჯარისკაცების სახით მსახურობდნენ ბიზანტიურ არმიაში და მათ ქირა ეძლეოდათ. მათი რიცხვი დიდი იყო, მაგალითად კედრენეს ცნობით იმპერატორ კონსტანტინე მონომახის დროს 1053 წელს ბიზანტიის „იბერიული ჯარი“ 50000 (ორმოცდაათი ათასი) კაცისაგან შედგებოდა, როგორც ითქვა, ისინი იყვნენ იბერიის თემიდან ანუ ჭოროხის სათავეებიდან ვიდრე ვანის ტბამდე გადაშლილი ქვეყნის მოსახლეობიდან გამოსულნი. მათი რიცხვი კიდევ უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, რადგანაც აღნიშნული მხოლოდ ის რიცხვია ჯარისკაცებისა, რომელიც იმპერატორმა სამსახურიდან დაითხოვა აღნიშნულ წელს (იქვე, გვ. 262). იბერიის თემიდან გამოსულ ლაშქარს ბიზანტია ზოგჯერ საქართველოს წინააღმდეგაც იყენებდა (იქვე, გვ. 262).

ქსენოფონტეს ცნობითაც ფასიანიდან და მიმდგომი ქართული ქვეყნებიდან დაქირავებულ ჯარისკაცებს ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე V საუკუნეში იყენებდნენ სპარსულ არმიაში, ამიტომაც არაა საკვირველი, რომ ბასიანიდან და მიმდგომი ქვეყნებიდან (ე. ი. ივერიის თემიდან) დაქირავებულ ჯარისკაცებს IX-X საუკუნეებშიც იყენებდნენ უცხო ქვეყნები. მაგალითად, იმპერატორ ნიკიფორე ფოკას 964 წელს იბერიულ ჯართან ერთად კილიკიაში ულაშქრია. „თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში, რომელიც კი ამ პერიოდში ბიზანტიას აღმოსავლეთის ფრონტზე (მესოპოტამიაში, სელევკიაში და სხვ.) უწარმოებია ქართველთა ლაშქარი იღებდა მონაწილეობას“ (იქვე, გვ. 23). ქართველები არა მხოლოდ იმპერატორის, არამედ იმპერატორობის მოწინააღმდეგე აჯანყებული ბიზანტიელი მხედართმთავრების ჯარშიც მნიშვნელოვან ძალას შეადგენდნენ. მაგალითად, კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ ბარდა ფოკას აჯანყებისას, **„ქართველთა ქვეითი ჯარი შეადგენდა საუკეთესო ლაშქარს“** (იქვე, გვ.76). მკვლევარი ვასილევსკი აღნიშნავს, რომ ამ აჯანყების ჩახშობის შემდეგ „ბიზანტიის არმიაში ქართველების ადგილი რუსებმა დაიკავეს“ (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 77).

საერთოდ, ბარდა ფოკასადმი მხარდაჭერა გახდა მთავარი მიზეზი სამხრეთ ტაოს სახელმწიფოს განადგურებისა და მის ადგილზე იბერიის თემის დაარსებისა. დავით კურაპალატის სამეფო ბიზანტიამ შეიერთა, თუმცა ამის შემდეგაც გაჰყავდათ იბერიის თემიდან ჯარისკაცები ბიზანტიურ არმიაში, როგორც ითქვა კონსტანტინე მონომახს მარტო 1053 წელს 50000 იბერიელი ჯარისკაცი დაუთხოვია. მოქირავნე ჯარისკაცების ქირა იბერიის თემის სიმდიდრის ერთერთი წყარო იყო, უმთავრესი კი იყო ის შემოსავალი, რომელსაც იღებდა მასზე გამავალი საერთაშორისო გზით მოსარგებლე ვაჭრებისაგან.

იქამდეც, იბერიის თემის დაარსებამდე, მაშინ, როცა აღნიშნული ტერიტორიები სამხრეთ ტაოს ანუ დავით კურაპალატის სამეფოში შედიოდა, იქ გაჩაღებული იყო ძალზე მნიშვნელოვანი აღებ-მიცემობა.

სამხრეთ ტაოს სამეფო იქამდეც მდიდარი სახელმწიფო იყო, მაგრამ X ს. ბოლოდან ახალი ოლქების შემოერთებამ მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გააუმჯობესა.

ამ მიწა-წყალზე (ჭოროხიდან და ტრაბზონიდან ვანის ტბამდე) გადიოდა **„სახალიფოდან წამოსული უდიდესი სავაჭრო გზა, რომელიც მცირე აზიასა და პონტოში მიემართებოდა. ამ გზაზე მრავალი სავაჭრო ცენტრი იყო და მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილი - არცნი და კარნუ ქალაქი, იგივე თეოდოსიოპოლი, დღევანდელი არზრუმი. არცნი თეოდოსიოპოლის ახლოს მდ. ევფრატის უკიდურეს სათავეში მდებარეობდა, სადაც არისტაკე ლასტივერტეცის ცნობით, უდიდესი სიმდიდრე მოდიოდა „ზღვითა და ხმელეთით“** (იქვე, გვ. 43).

არცნი (არწე) უდიდესი და ძლიერი სავაჭრო ცენტრი იყო. იდგა მთავარ სავაჭრო გზაზე, რომელიც მოემართებოდა კონსტანტინოპოლიდან (ტრაპეზუნტიდან) და ყარსის, ანისისა და დვინის გავლით ირანში მიემართებოდა, მის შესახებ კედრენეც წერდა: არცნში ვაჭრობდნენ ირანიდან, ინდოეთიდან და სხვადასხვა მხრიდან შემოსული აზიური საქონლით.

არანაკლები სავაჭრო ქალაქი იყო **არზრუმი.**

სახალიფოდან და სპარსეთიდან კონსტანტინოპოლისკენ მიმავალი გზა ჯერ გაივლიდა დვინს, ანისსა და ყარსს. ამის შემდეგ, ყარსის რაიონში გზა ორად იყოფოდა. ერთი, ჩრდილოეთის შტო შედიოდა არტანუჯში, რომელიც უდიდესი სავაჭრო კვანძი იყო, ხოლო მეორე, გზის სამხრეთი შტო შედიოდა არზრუმში, შემდეგ ორივე ეს შტო ისევ ერთიანდებოდა. მათი შეერთების პუნქტი იყო ტრაპიზონი. „ეს ანიჭებდა ტრაპიზონს უდიდეს მნიშვნელობას. აღმოსავლეთში ბიზანტიის იმპერიის ყველაზე უდიდესი ქალაქი ეკონომიკური თვალსაზრისით იყო ტრაპიზონი. მას მხოლოდ კონსტანტინეპოლი აღემატებოდა ეკონომიკური თვალსაზრისით (იქვე, გვ. 44).

არზრუმისაკენ მიმავალი გზის გასაღები იყო ყარსი, ხოლო თავის მხრივ არზრუმი იყო კონსტანტინოპოლის გასაღები, რადგანაც წარმოადგენდა ანატოლიის სტრატეგიული და სავაჭრო გზების ცენტრალურ პუნქტს (იქვე, გვ. 44).

თითქმის მსგავსი მნიშვნელობა ჰქონდა არტანუჯს, სადაც ასევე ყარსიდან შედიოდა გზა არტაანის გავლით. **ყარსში კი, როგორც ითქვა გზები შედიოდა დვინიდან და ანისიდან (აღმოსავლეთით), ხოლო დასავლეთიდან კი არტანუჯიდან და არზრუმიდან.** მაგრამ ამ ქალაქთა შორის, კონსტანტინოპოლის სტრატეგიულ გზაზე არზრუმი იდგა, რომელსაც X ს-ში დავით კურაპალატი აკონტროლებდა.

სამხრეთის ტაოს ანუ იბერიის სამეფოს შემადგენლობაში გადმოსულ ოლქებს ბიზანტიის იმპერიისათვის უდიდესი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. „პოლიტიკურმა გაჭირვებამ აიძულა ბიზანტიის მთავრობა დროებით დავით კურაპალატის მფლობელობაში ეცნო ეს ოლქები, მაგრამ მოძლიერების შემდეგ გააფთრებით დაიწყო ბრძოლა ამ მიწის ისევ მისატაცებლად“ (იქვე, გვ. 45).

მაშასადამე, **საერთაშორისო გზები ასეთი იყო -**

1) დვინი-ანისი-ყარსი-არტაანი-არტანუჯი-ართვინი-ძველი პეტრა;

2) დვინი-ანისი-ყარსი-არზრუმი-ტრაპეზუნტი.

ამ გზებით ზღვისპირა პორტები ტრაპეზუნტი და პეტრა უერთებოდა დვინს, იქიდან კი სპარსეთსა და სახალიფოს.

პირველ ანუ დვინი-პეტრას საერთაშორისო გზის ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს კლარჯი ხელმწიფეები აკონტროლებდნენ, ხოლო მეორე – დვინი-ტრაპეზუნტის საერთაშორისო გზისას ტაოს მეფეები, რადგანაც მათ ხელში იყო არზრუმის შესასვლელები.

ამ გზათა ბაჟით მათ დიდი სიმდიდრე დააგროვეს, შეძლეს გრანდიოზული მშენებლობების წამოწყება და დასრულება, მათ შორის ბანასა და ოშკის სახელოვანი ტაძრებისა.

ბიზანტიაში ამ გზის გაკონტროლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მას „გზა სპარსეთისა“ ერქვა, რადგანაც აერთიანებდა ტრაპეზუნტს სპარსეთთან. ეს გზა ვითარცა სტრატეგიული ობიექტი ყველაზე მეტად აინტერესებდა ბიზანტიას და ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას, რადგანაც ამ გზას ბასილი კეისრამდე ქართველები აკონტროლებდნენ, ამიტომ არისტაკეს ლასტივერტეცის სიტყვით **თხოვდა კიდეც ბასილი გიორგი I-ს - „სპარსეთის გზაზე ნუ მეღობები“ ანუ ითხოვდა მისგან სწორედ ამ სტრატეგიული გზის გადაცემას,** რაც ცხადია მიმდებარე ქვეყნების გადაცემასაც ითვალისწინებდა.

იმპერიის გაძლიერების შემდეგ ბასილი კეისარს სურდა ამ გზის მთლიანად გაკონტროლება, ამიტომაც ბასიანის ქვეყანაში თავისი ჯარებით შესვლის შემდეგ საქართველოს მეფეს გიორგი პირველს, როგორც აღინიშნა, ელჩად გაუგზავნა ვალაშკერტელი ქართველი ეპისკოპოსი ზაქარია და „ტკბილი სიტყვებით მიწერა... ნუ გადამეღობები გზაზე, რომელიც სპარსეთისაკენ მიდისო“ (ა. ლასტივერტეცი, ისტორია, 1974. გვ. 51).

საერთოდ, დავით კურაპალატის სამფლობელო, ანუ „ქართველთა სამეფოს“ დიდი ნაწილი (ანუ ტაოს სამეფო) ძალზე მომგებიანი და შემოსავლიანი საერთაშორისო გზებით იყო დასერილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ პეტრას ვუწოდებთ კლარჯეთის ზღვისპირეთში იმ საზღვაო პუნქტს, სადაც მთავრდებოდა არტაანუჯ-დვინისაკენ მიმავალი საერთაშორისო გზა X საუკუნეში, ის შეიძლება ყოფილიყო ხუფათი (ხოფო), რადგან ძველი პეტრას ცნობილი სიმაგრე უკვე VI საუკუნეშივე დაინგრა.

„ზემონი ქვეყანანის“ შემოერთებამ აღამაღლა ტაოს სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობა. როგორც ითქვა, შემოერთებულ ქვეყანაზე გადიოდა იმდროინდელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელზედაც მდებარეობდა ქალაქები არცნი, კარნუ ქალაქი (იგივე თეოდოსიოპოლი, არზრუმი). **ეს სავაჭრო გზა სახალიფოდან არტანუჯის გავლით დვინზე გადადიოდა და ტრაპეზუნტამდე მიემართებოდა**. ამ სავაჭრო გზიდან და ქალაქებიდან სამეფოს დიდი შემოსავალი შემოსდიოდა“ (ნარკვ. II. გვ. 484, **А. Манандян. О торговле в городах Армении,** გვ. 215).

წინა თავებში აღინიშნა, რომ **არტანუჯ-დვინის დამაკავშირებელი გზა შავიზღვისპირა პორტებს პერსარმენიასთან აერთებდა** VI საუკუნეში, რითაც ინტერესდებოდა როგორც ბიზანტიის ისე სპარსეთის იმპერიები. შაჰი ხოსრო სწორედ დვინი-არტანუჯის გზით უნდა შესულიყო ლაზიკაში, პეტრასკენ ლაშქრობისას, რადგანაც, პროკოფის ლაზიკა ჭოროხის ხეობას მოიცავდა ზღვისპირეთთან ერთად.

პროკოფი კესარიელის დროს შესაძლოა არტანუჯს სხვა სახელი ერქვა.

არტანუჯ-დვინის სავაჭრო გზას გულისხმობდა კონსტანტინე პორფიროგენეტიც, როცა არტანუჯის სავაჭრო მნიშვნელობის შესახებ წერდა.

დავით კურაპალატის დროსაც ა. მანანდიანისა და ქართველი ისტორიკოსების კვლევით **არტანუჯ-დვინის მაგისტრალი ერთ-ერთი მთავარი მონაკვეთი ყოფილა, რომელიც სახალიფოს ტრაპეზუნტთან აკავშირებდა**.

განმათავისუფლებელი ლაშქრობა ხალხის მხარდაჭერით (X ს.)

989 წელს ბარდა ფოკას აჯანყების დაცხრომის შემდეგ აჯანყების თანამონაწილე დავით კურაპალატი იძულებული გახდა თავისი სამფლობელოები ბასილი II-ისათვის ეანდერძებინა. მაგრამ, ამის შემდეგაც მან ილაშქრა ვანის ტბის მიმართულებით და 990 წელს აიღო ძალზე მნიშვნელოვანი ქალაქ მანასკერტი, რომელიც, ასოღიკის ცნობით, ქართველებითა და სომხებით დაასახლა, რადგანაც ის დამარცხებულ მაჰმადიანებს მიუტოვებიათ.

ქართველთა ხელში ვანის ტბის მიმდებარე ქვეყნები იყო XI ს-ის პირველ ათეულ წლებამდე. ამ ქვეყნებში მრავალი ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი ცხოვრობდა, რომელთაც თავიანთი სამრევლოები, ეკლესიები და

საეპისკოპოსოებიც კი ჰქონდათ, ჩანს, სწორედ ისინი იყვნენ გაერთიანებულნი ტაოს სამამამთავროში, ერთ-ერთი უდიდესი საეპისკოპოსო ამ მხარეებში იყო ვალაშკერტისა, ეპისკოპოსი ვალაშკერტელი ქართული ეკლესიის იერარქიაში საუკუნეთა მანძილზე შედიოდა. „მართალია, იმ პოლიტიკური მარცხის გამო, მას რომ 989 წელს შეემთხვა, დავით კურაპალატი იძულებული შეიქმნა თავისი სამფლობელო ბიზანტიის იმპერიისთვის ეანდერძა, მაგრამ ალბათ, მაინც ფიქრობდა ამ მდგომარეობის გამოსწორებას და ამის საკომპენსაციოდ 90-იან წლებში იწყებს იმ დიდ **დაპყრობით ომებს**, რომელთა შედეგად ხელთ იგდებს მთელ რიგ **სომხურ პროვინციებს“** (ნარკვ. II, გვ. 487). საბჭოური ეპოქის ისტორიკოსებს ამ საკითხში ვერ დავეთანხმებით, რომ ქართველთა ომები ამ მიმართულებით იყო დაპყრობითი ომები სომხური პროვინციებისა.

დავით კურაპალატის ომები ვანის ტბის მიმართულებით იყო არა დაპყრობითი, არამედ განმათავისუფლებელი. ის იმ თურქულ ტომებს ებრძოდა, რომელთაც ვანის ტბის მიდამოები დაიპყრეს. ეს ტერიტორიები ქართველთა ისტორიული სამშობლოს ნაწილი იყო, ამ ადგილებთან იხილა ქსენოფონტემ ქართველთა ტომები, სტრაბონის ცნობით ამ მხარეებთან ახლოს მდებარეობდა ხორძენა, იქვე გოგარენა და პარიადრეს კალთები, რომელნიც არმენიამ იბერიისაგან მიიტაცა. ამ მიტაცების მიუხედავად იქ დარჩნენ და საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდნენ აქაურ ქართულ ტომთა შთამომავალნი, რომელთაც დავით კურაპალატის ქართველთა სამეფოს გაფართოვებამ ეროვნულ-ქართული იდენტობა გამოუცოცხლა. ასე, რომ ამ ე.წ. „სომხურ პროვინციებში“ ძირძველი ქართველებიც ცხოვრობდნენ და ამ მხარეებში ქართველთა გამარჯვებები აჩვენებს, რომ მათი რიცხვი მცირე არ ყოფილა.

დავითის ტრიუმფალური, მოულოდნელი გამარჯვებები გამოწვეული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მხარდაჭერით. ისინი ორმაგად იყვნენ აღფრთოვანებული ქართული ჯარის მათ ქვეყანაში შესვლით, რადგანაც სომხური ეკლესიის უღლისაგანაც თავისუფლდებოდნენ და ქართულ სახელმწიფოებრიობასაც იბრუნებდნენ.

ისინი იყვნენ არა ე. წ. „სომეხი ქალკედონიტები“ არამედ ეთნიკური ქართველები, სომხური ეკლესიის არასომხური მრევლი, რომელიც ელოდა ხელსაყრელ მომენტს რელიგიურ-ეკლესიური თავისუფლების მოსაპოვებლად. ეს მომენტი კი მათ დავით კურაპალატის დროს დაუდგათ.

თუ რა უთანასწორო იყო ქართველთა ბრძოლა მანასკერტის, ხლათის, ბერკრისა თუ არჭეშის გასათავისუფლებლად იქედანაც ჩანს, რომ მაგალითად მანასკერტისა და ხლათის გათავისუფლების შემდეგ მათ უკანვე დასაბრუნებლად მაჰმადიანებმა 100 000-იანი ლაშქარი შეკრიბეს, ქართველებმა კი მათ ძლიეს სულ რამდენიმე ათასი ჯარისკაცით (დავით ქართველთა მეფემ 6000 მხედარი გაუგზავნა ფერის ჯოჯიკის ძის სარდლობით). **ასეთ გამარჯვებას ქართული ჯარი ვერ შეძლებდა, თუ არა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა**.

ვალაშკერტში ძალზე მნიშვნელოვანი ოდენობის ქართული მოსახლეობის ცხოვრებაზე შეიძლება ის ფაქტიც მიუთითებდეს, რომ მანასკერტის ბრძოლების დროს დავით კურაპალატის ლაშქარი ვალაშკერტში დაბანაკდა, ალბათ იმის გამოც, რომ აქ თავს დაცულად გრძნობდა მკვიდრი მოსახლეობის კეთილგანწყობის გამო.

სომხური მოსახლეობა ქართული ჯარის მიმართ კეთილგანწყობილი არ იყო, მათში ნერგავდნენ აზრს, თითქოსდა ქართული ჯარი მათ სომხურ საეკლესიო სიწმინდეებს ბილწავდა. სტეფანოს ტარონელმა (ასოღიკი) გაავრცელა ცნობა რომ ქალაქ ხლათის აღებისათვის გაცხარებული ომის დროს ქალაქგარეთ მდებარე მიტოვებული **სომხური ეკლესიები ქართველმა ჯარისკაცებმა „გადააქციეს თავლებად და სადგომებად იბერიელთა ლაშქრისათვის“** (ასოღიკი, გვ. 193, ნარკვ. II, გვ. 487).

ქართველები ამ ცხარე განმათავისუფლებელი ომის დროს, ჩანს მაინც და მაინც არ ენდობოდნენ სომხებს, პირიქით, ისინი არ მიაჩნდათ მყარ დასაყრდენად, ეს ჩანს, იქიდან, რომ, ქ. ხლათის სომხური ეკლესიების თავლებად გადაქცევის შემდეგ ქართველი ჯარისკაცები ამბობდნენ - **„ჩვენ ერთნაირ მნიშვნელობას ვაძლევთ მუსულმანურ და სომხურ სალოცავებს“.**

ეკლესიების თავლებად გამოყენებით გაოცებული მაჰმადიანები ქალაქის კედლებთან მიმდგარ ქართველებს უყვიროდნენ - „ასე სცემთ ქრისტიანები პატივს ქრისტიანულ სალოცავებს, ამაზე იბერიელები პასუხობდნენ - **„ჩვენ ერთნაირად ვუყურებთ სომხურ ეკლესიას და თქვენს მეჩეთს“** (ასოღიკი, გვ. 193, ნარკვ. II, გვ. 487).

აქედან ჩანს, რომ ქართული ჯარისა და **ქართული განმანთავისუფლებელი მოძრაობის დასაყრდენი ვანის ტბის ქვეყნებში იყო არა სომხური, არამედ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა.**

ასოღიკი წერს, რომ დავით კურაპალატი „სომეხთა მოწყალე“ ხელმწიფე იყო, რაც გულისხმობს იმას, რომ მაჰმადიანთაგან ქრისტიანების გათავისუფლების დროს სომეხ ქრისტიანებს ბუნებრივად წყალობდა, მაგრამ სხვაგვარი იყო დამოკიდებულება ქართველთა მხრიდან. **ამ მხარეების ქართველობა თავისუფლდებოდა არა მხოლოდ მაჰმადიანებისგან, არამედ სომხური ეკლესიის ბატონობისაგანაც.**

ვანის ტბის მიმართულებით მცხოვრები ქართველებისათვის დავით კურაპალატი ორმაგი განმათავისუფლებელი იყო. მკვიდრი ქართველების რიცხვი კი ამ მხარეებში ძალზე დიდი იყო. ისინი სომხური და მაჰმადიანური ზეწოლისაგან გათავისუფლების შემდეგ უდიდესი ენერგიით ავსებდნენ დავით კურაპალატის ლაშქარს, ეს აპირობებდა ქართველთა სწრაფ მარშს ვანის ტბის სანაპირო ქვეყნებში.

ასოღიკი წერს, და მას ეთანხმებიან ისტორიკოსები, რომ დავით კურაპალატი ვანის ტბის მიმდებარე გათავისუფლებულ და შემოერთებულ ქალაქებში **„ქართველებსა და სომხებს ასახლებდა“**.

ისმის კითხვა, საიდან უნდა მოეყვანა დავითს ქართული მოსახლეობა ასეთ შორეულ ქვეყანაში? ტაოდან?

ტაო თვითონ იყო მცირე ქვეყანა, უნდა ვიფიქროთ, რომ მაჰმადიანთაგან გათავისუფლებულ ქალაქებში დავით კურაპალატი ასახლებდა ამ ქალაქების ირგვლივ მდებარე სოფლებში მცხოვრებ ქართულ და სომხურ მოსახლეობას, **ქართველები და სომხები კი იქვე ცხოვრობდნენ**, მიმდებარე სოფლებში.

იქამდე ეს ქართველები არ ჩანდნენ, რადგანაც ისინი სომხური ეკლესიის მრევლში ირიცხებოდნენ, კურაპალატის ლაშქრობებმა კი მათი იდენტობა წარმოაჩინა, მათ ამით გულმიცემულებმა უკვე დაუფარავად განაცხადეს, რომ ისინი არა სომხები, არამედ ეთნიკური

ქართველები იყვნენ, ამით უნდა აიხსნას ქართველთა რიცხოვნობის საოცარი ზრდა ვანის ტბის მიმდებარე ქვეყნებში და არა ე.წ. „სომეხთა გაქალკედონიტებით“ ე.წ. გაქართველებით.

მკვიდრი მოსახლეობის ერთგულება (X ს.)

დავით კურაპალატის მიერ „ზემო ქვეყანათა“ ფლობა მიუთითებს, რომ ამ ქვეყანათა აზნაურ-დიდებულები, შესაბამისად მკვიდრი მოსახლეობა წარმოადგენდა ამ „ფლობის“ პოლიტიკურ საყრდენს. მკვიდრი მოსახლეობის ერთგულების გარეშე იმჟამინდელი სოციალური ვითარების გამო, არავის შეეძლო პოლიტიკური ნების განხორციელება, მაგალითად, როცა ბაგრატ IV-ს სიყმაწვილის წლებში ტაოელი აზნაურები, დიდებულები „წარვიდეს საბერძნეთს“ ანუ კეისრის მხარეზე გადავიდნენ („განდგეს კუალად აზნაურნი“, როცა ვთქვათ „წარვიდა ჩანჩახი ფალელი საბერძნეთს, მისცა ციხე გარყლობისა, მიერთო ბერძენთა“ და ასევე სხვები) - ამის შედეგად ტაოში შეირყა ბაგრატ IV-ის მმართველობა, მითუმეტეს, რომ დიდებულებმა „ერიც ააღელვეს და აამოძრავეს“, ანუ ტაოს მკვიდრი მოსახლეობაც ბერძენთა მხარეს გადაიხარა. ამან ცხადია შეარყია მეფის მმართველობა (თუ არა საბა მტბევარი და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსების გმირული თავდადება, ქვეყანა დაიკარგებოდა) შესაბამისად, თუ არა „ზემო ქვეყანათა“ ხალხის ერთგულება ქართველთა მეფის მიმართ, დავით კურაპალატი ამ ქვეყნებს ვერ დაიჭერდა.

მართალია, ბიზანტიამ დავით კურაპალატს დაუთმო „ზემონი ქვეყანანი“, მაგრამ დავითმა ეს ქვეყნები რეალურად დაიჭირა არა ბიზანტიელთა დახმარებით, არამედ მკვიდრი მოსახლეობის მხარდაჭერით. ეს მხარდაჭერა და საოცარი ერთგულება კარგად აქვს აღწერილი არისტაკეს ლასტივერტეცის. დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ამ ქვეყნებში გაბატონება ინებეს ბიზანტიელებმა, მკვიდრმა მოსახლეობამ მათ წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც ბიზანტიელები დაუნდობლად მასიურად ხოცავდნენ ხალხს, არ ინდობდნენ არც მოხუცს, ახალგაზრდას, ქალს თუ ბავშვს, მოსპეს უამრავი სოფელი, დაბა და ქალაქი, დაანგრიეს მთელი მხარეები და ქვეყნები. ცხადია მკვიდრ მოსახლეობას შეეძლო იმთავითვე მიმხრობოდა ბერძნებს, იმთავითვე განეცხადებინათ ერთგულება კეისრის მიმართ, გამოეხატათ ორგულობა ქართველთა მეფის მიმართ, ბოლოს შეეძლოთ ბიზანტიური ჯარის იმედით აჯანყებულიყვნენ კიდეც ქართველთა წინააღმდეგ, მაგრამ არა, **მკვიდრი მოსახლეობის ერთგულება და თავდადება ქართული სახელმწიფოს მიმართ მტკიცე იყო**, პირიქით, როცა ბიზანტიელებმა შემდეგში შეძლეს ამ მხარეთა დაპყრობა, საკმაოდ ხშირ აჯანყებებს კეისრის წინააღმდეგ ქართველები ედგნენ სათავეში, მაგალითად ფერის ჯოჯიკის ძე, ზაქარია ვალაშკერტელი და სხვები.

რით იყო ე.წ. „ზემო ქვეყანათა“ მკვიდრი მოსახლეობის ერთგულება ქართველთა მიმართ განპირობებული? ჩვენი აზრით ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ზემო ქვეყანათა მკვიდრი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქართველები იყვნენ და მათი ერთგულება ნაციონალურ საფუძველს ეყრდნობოდა.

არსებობს სხვა თვალსაზრისი, რომელიც გაბატონებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, რომ მკვიდრი მოსახლეობა იყო არა ეთნიკური ქართველები, არამედ ე. წ. ქალკედონიტი სომხები. თუ ისინი ქართველები არ იყვნენ და

მხოლოდ სარწმუნოების გამო დებდნენ თავს ქართველობის მიმართ, განა უფრო ძველ მართლმადიდებლებად ბერძნები არ მიიჩნეოდა? ზემო ქვეყნებს ხომ ქართველი მეფეები სულ რამდენიმე ათეული წელი მართავდნენ, ისიც დიდი გაჭირვებით, მათ ხან მაჰმადიანებთან, ხან კი ბერძნებთან უხდებოდათ ბრძოლა, ამიტომაც ისმის კითხვა, როგორ მოხდა, რომ მიუხედავად ბერძენთა მიერ „ზემო ქვეყნების“ დაპყრობისა და მოსახლეობის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შესვლისა, მაინც ამ მოვლენათა შემდეგ, საუკუნეთა მანძილზე, აღნიშნულ ქვეყნათა მკვიდრი მოსახლეობა მტკიცედ ქართველობდა და საეპისკოპოსოებიც, მაშასადამე, ეკლესიებიც ქართული ჰქონდათ? ერთი ასეთია ვთქვათ ვალაშკერტის საეპისკოპოსო, რომელიც თითქმის ვიდრე XVII საუკუნემდე არსებობდა.

ბასილი II-ისა და სხვა იმპერატორების ომები იბერიის წინააღმდეგ (1001-1054)

1001 წელს გარდაიცვალა დავით კურაპალატი, ამ ცნობის მიღებისთანავე იმპერატორი ბასილი II თავისი ლაშქრით სწრაფი მარშით გამოეშურა ტაოს სამეფოს დასაპყრობად, რადგანაც დავითი თავისი ანდერძით მას უტოვებდა თავის ვრცელ სამფლობელოებს.

დავით კურაპალატის სამეფო, რომელსაც უცხოელები იბერას (ივერიას) უწოდებდნენ, როგორც ითქვა, მოიცავდა **სამხრეთ ტაოს, ჩრდილო ბასიანსა და თორთომს**, ამის გარდა კი მას დროებით სარგებლობაში ჰქონდა ზემოთ აღნიშნული ვრცელი მიწა-წყალი, თითქმის ვანის ტბამდე - **დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარე კლისურა და მისი ციხე ხალტოი-არიჭი; არაქსის სათავეებთან მარდალიის კანტონის ციხე სევუკი; ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში ჰაქისა და აპაჰუნის პროვინციები; სამხრეთ ბასიანი; თეოდოსიოპოლი (არზრუმი) თავისი თემით, ანუ კარინი; ჭოროხის სათავეებთან ჩორმაირის თემი.**

მთლიანად ეს მხარეები ახლა უკვე ბასილ II-მ დაიკანონა.

„დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა“ - წერს სუმბატ დავითის ძე, ამასთანავე აიძულა ქვეყნის აზნაურები ციხეები ბიზანტიელებისთვის გადაეცათ, დიდგვარიანთაგან ყველაზე გამოჩენილი პატრიოტები კი ბიზანტიაში გადაასახლა.

კედრენე წერს - „იბერიაში რომ ჩავიდა, მიცემული მემკვიდრეობა დაიდგინა... თან წაიყვანა იბერიის დიდგვარიანები, რომელთაგან უმთავრესნი იყვნენ **ბაკურიანი, თევდრატე და ფერსი - ღვიძლი ძმები, რომელნიც პატრიკიოსთა ხარისხში აიყვანა**“ (გეორგიკა, V, გვ. 45).

როგორც ითქვა, ტაოში ორი სახელმწიფო იყო. **ჩრდილო ტაოს სახელმწიფოს მეფე გურგენს, ბასილმა შეუნარჩუნა დამოუკიდებლობა, უფრო მეტიც შეკრა მასთან ზავი, რომლის პირობითაც გურგენს თავისი ლაშქრით არ უნდა ებრძოლა სამხრეთ ტაოს გასათავისუფლებლად, მას იმპერატორმა მაგისტროსობა უბოძა.** ბასილს შეეგება ისევე გურგენის ვაჟი **ბაგრატი**, რომელიც უკვე იყო **აფხაზთა მეფე, მას უფრო მეტი პატივი - კურაპალატობა უბოძა.**

კედრენე ჩრდილო ტაოს სამეფოს - „**შიდა იბერიას**“ უწოდებს (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070

წლებში, 1969, გვ. 46). მისი მეფე გურგენი ვერ შეურიგდა უდიდეს დანაკლისს, რაც ქვეყანას **სამხრეთ ივერიის** დაკარგვით მიადგა, ამიტომაც მთელი თავისი ლაშქრით შეიჭრა ოლთისში - სამხრეთ ტაოს დედაქალაქში, მაგრამ ბასილი II-მ მას დიდი ჯარი დაახვედრა და კიდევ ერთხელ დაუზავდა.

ქვეყნის დაკარგვა განსაკუთრებით აშფოთებდათ **სამხრეთ ივერიის აზნაურებსა და დიდებულებს**, ამიტომაც ბასილს მალევე დასჭირდა ხელმეორედ ლაშქრობა ქვეყნის დასაუფლებლად. ქართველი აზნაურები ბიზანტიაში გადაასახლეს და იქ მამულები დაურიგეს (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 81). როგორც ითქვა დაპყრობილ **სამხრეთ ივერიაში ბიზანტიამ ე.წ. იბერიის თემი - საკატეპანო დააარსა.**

სამხრეთ იბერიის მოსახლეობა, მკვიდრი ქართველობა ვერ ურიგდებოდა სამშობლოს თავისუფლების დაკარგვას, ესენი იყვნენ არა მარტო, როგორც მემატიანე უწოდებს მამაცი **ტაოელები, ბასიანელები, არამედ არზრუმის ქვეყნის, (ანუ კარინის) და სხვა მხარეების ქართველები**, მაგალითად, უფრო ადრე კარინში მამულები და მონასტრები ჰქონია თორნიკე ერისთავს, და იქ, კარინის ქართულ მონასტრებში, მრავალი ქართული წიგნი იწერებოდა. კარინის მიმდებარე მხარეებიდან იყვნენ ის ქართველი დიდებულები, რომლებმაც იბერიის დამოუკიდებლობისათვის თავი დადეს.

ლასტივერტეცის თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ არა მხოლოდ ქართველი დიდგვაროვნები და აზნაურები იბრძოდნენ ბიზანტიელთა წინააღმდეგ, არამედ უბრალო ადამიანებიც. ამიტომაც, მთელ მათ სოფლებს და ქალაქებს მტერი სასტიკად ანადგურებდა.

სამხრეთ იბერიის მოსახლეობის განწყობილებამ და პატრიოტიზმმა ერთგვარი სტიმული მისცა უფრო ჩრდილოეთით მდებარე **საქართველოს მეფეს გიორგი I-ს (ბაგრატ III ძეს),** ესარგებლა იმით, რომ როცა ბასილი II დაკავებული იყო ბულგარელებთან ომით, გაეფართოვებინა თავისი საზღვრები და დაახლოებით 1013-1020 წლებში ბიზანტიელებს ხელიდან გამოგლიჯა ყველა ის ციხე-სიმაგრე, რომლებიც ადრე დავით III კურაპალატს ეკუთვნოდა.

ბულგარელების დამარცხების შემდეგ ბასილი II-მ ეპისტოლე გაუგზავნა გიორგი I-ს და მოითხოვა აღნიშნული ციხე-სიმაგრეების დაცლა. უარის მიღების შემდეგ ბიზანტიური ლაშქარი გააგზავნა ქართველ მეფესთან საომრად.

ა. ლასტივერტეცი წერს „ბიზანტიელთა წინააღმდეგ მამაცი ტაოელები გამოვიდნენ და უხტიგის (ოლთისის ახლოს) ბრძოლიდან რომაელთა ლაშქარი გააქციესო“. (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 91).

თავისი ლაშქრის ამ დამარცხებამ განარისხა **ბასილი II,** და ის **1021 წ. პირადად შემოუძღვა თავის საიმპერიო ჯარს.**

თავის მხრივ, საქართველოს მეფემ გიორგიმ შეკრიბა დიდი ლაშქარი ბიზანტიის იმპერატორთან საბრძოლველად.

ორივე, ბიზანტიური და ქართული ლაშქარი ერთმანეთს შეხვდა ბასიანის ქვეყანაში და ერთმანეთის პირისპირ დადგნენ რამდენიმე დღის მანძილზე, ბრძოლის გარეშე. ამ დროს ქართულმა სარდლობამ, როგორც ჩანს შეცდომა დაუშვა და უკან დახევის ბრძანება გასცა. ამან მტერი უფრო გააქტიურა, ის ქართველთა ლაშქარს უკან დაედევნა.

სასაწყობო შენობები, სურსათისა და იარაღის სათავსოები ქართულ ლაშქარს ქ. ოლთისში გადაუწვავს, რათა მტერს არ ესარგებლა ამით.

უკან დახეული ქართული ლაშქრის ბოლო ნაწილებს წამოეწია ბიზანტიის მოწინავე ლაშქარი, ბრძოლა გაიმართა **პალაკაციოს ტბასთან სოფელ შირიმნთან**.

ომის შესახებ ხმა გიორგი მეფეს საკმაოდ გვიან მიუვიდა. ის მივიდა ომის ადგილას, სადაც ამ დროს ბასილი მეფეც მოვიდა - **„იქმნა ბრძოლა დიდი, და მოსრნეს ბერძენნი ფრიად და წარმოიღეს ავარი, ეზომ გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, რომელ სივლტოლად განემზადა ბასილი მეფე“** მაგრამ, სამწუხაროდ **„სულმოკლე იქმნეს ქართველნი, მორიდეს და წარმოვიდეს“**.

მტერმა გაიმარჯვა. ბასილიმ გაგზავნა ჯარები სხვა და სხვა მიმართულებით და უბრძანა მათ **არავინ შეებრალებინათ, არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, არც ბავშვი, არც ქალი. ასე დაანგრია და მოსპო თორმეტი ქართული ქვეყანა**. იაჰია ანტიოქიელის ცნობით ბასილმა თვალები დათხარა ორასი ათასზე მეტ ქართველ მამაკაცს (იქვე, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 95).

ამასობაში კახეთისა და ჰერეთის ლაშქრით გაძლიერდა გიორგი I, ბასილი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო და ტრაპიზონში გამოიზამთრა.

ქართულ მიწა-წყალზე კვლავ **შემოსულ მტერს შეებრძოლა საქართველოს ლაშქარი 1022 წლის 11 სექტემბერს არზრუმთან ახლოს, შერფთან** - ლასტივერტეცის ცნობით, მაგრამ ქართველები კვლავ დამარცხდნენ.

დაიდო ზავი, რომლის თანახმადაც დავით კურაპალატის მთელი მიწა-წყალი მტერმა მიითვისა.

ერთ დროს აყვავებული სამხრეთ იბერია განადგურდა, 1025 წ. ბასილი II გარდაიცვალა, მაგრამ მან მოასწრო და მძევლად წაყვანილი მეფე გიორგის ძე ბაგრატი უკან დააბრუნა.

ყოფილი სამხრეთ იბერიის ადგილას, როგორც ითქვა, ჩამოყალიბდა ბიზანტიაში შემავალი იბერიის თემი. მიუხედავად ამისა ქართველები ამ თემში მაინც განაგრძობდნენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ამიტომაც 1025-1028 წლებში შემდგომმა იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მაც თავისი ლაშქარი კვლავ აომა იქ. ეს ომი გრძელდებოდა იმპერატორ რომანოზის დროსაც, 1028-1034 წლებში.

ტაოელები „არიან-ქართველთა“ მემკვიდრეები

„ზემო ქვეყანათა“ მკვიდრი მოსახლეობა ოდესღაც „არიან-ქართველებად“ იწოდებოდა, ტაოსა და მის მომიჯნავე მხარეებს მოიცავდა.

გ. მელიქიშვილის მტკიცებით **არიან-ქართლის სამეფო მდებარეობდა იბერიის იმ მიწებზე, რომელიც არმენიამ ძვ.წ. II საუკუნეში მიიტაცა იბერიისაგან**.

I საუკუნეში, როცა გაძლიერდა მცხეთის იბერიის სამეფო, იმდენად, რომ სომხეთის სამეფო ტახტზე ქართველები ადიოდნენ, ალბათ, ეს „ზემო ქვეყნებიც“ გათავისუფლდნენ სომეხთა ბატონობისაგან.

ყოველ შემთხვევაში VI-VII საუკუნეებში აქ ყოფილა „ივერთა სამთავრო“ ვაშდენის მეთაურობით, მალევე აქ ჩამოყალიბდა „ქართველთა სამეფო“.

ეს ფაქტები არაა შემთხვევითი, ბუნებრივია აღნიშნულ მიწა-წყალზე იბერიელების ეთნოსი ცხოვრობდა და მათ X-XI საუკუნეებამდეც მიუღწევიათ. ამი-

ტომაც, ჩვენი აზრით, არაა სწორი, მეცნიერთა მტკიცება, თითქოსდა ტაოში ჩამოსახლდნენ ქალკედონელი სომხები, ისინი „გაქართველდნენ“, შემდეგ კი ასე ვთქვათ ჯაჭვური რეაქციის სახით „გაქართველდა“ ზემო ქვეყნების ქალკედონური სომხური მოსახლეობაც.

სინამდვილეში პროცესი იყო პირიქითა- იქამდე არმენიაში (ბიზანტიურ თუ პერსარმენიაში) მოქცეული ქართველობა, რომელიც სომხურმა ეკლესიამ დაიქვემდებარა, ნაწილობრივ გათავისუფლდა სომხური ეკლესიის უღლისაგან არაბთა ბატონობის დროს, ხოლო არაბებისა და სომხების შესუსტების შემდეგ იქაურმა ქართველობამ აღიდგინა თავისი იდენტობა, დაუბრუნდა ეროვნულ სახეს.

სტეფანოს ტარონცი (ასოღიკი) წერს „ლმობიერებით დავით კურაპალატი ყველას აღემატებოდა, მისი წყალობით დამყარდა მშვიდობა სომხეთსა და იბერიაში“ (Асохик, 198, ნარკვ. II, გვ. 486) აქ ცხადია იბერიის ქვეშ ტაოს ანუ „ქართველთა“ სამეფო იგულისხმება.

II. ვალაშკერტის (ტაოს) სამამამთავრო

ტაოს სამამამთავროს საზღვრები (X ს.)

აშოტ დიდი ბაგრატიონი - ტაო-კლარჯელ ბაგრატიონთა წინაპარი - „ნებითა ბერძენთა მეფისათა“ ფლობდა ტაოს, სპერსა და არტაანს სხვა ტერიტორიებთან ერთად ვიდრე ქსნამდე, სუმბატ დავითის ძის მატიანით - კი ვიდრე ბარდვამდე.

მისი შთამომავლების დროს ეს სამფლობელოები ორ - ტაოსა და კლარჯეთის სამთავრო სახლთა შორის გადანაწილდა **- ტაოს შტო რეზიდენციად ირჩევს ბანას, უკვე ადარნასე I კურაპალატის დროიდან (888-923), ის იყო პირველი „ქართველთა მეფე“ (ნარკვ. II, გვ. 455), კლარჯეთის შტო არტანუჯის ციხე-სიმაგრეს.**

თავის მხრივ, ტაოს (ანუ ქართველთა) სამეფოც ორ ნაწილად გაიყო, ერთს X ს. მეორე ნახევარში „ქართველთა მეფე“ ბაგრატ II რეგვენი მართავდა, მეორეს კი დავით კურაპალატი.

უფრო საფიქრებელია, რომ ბაგრატ II -ის გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა მეფის“ წოდება მიიღო დავით კურაპალატმა, როგორც „საგვარეულოში უხუცესმა“, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ კი „ქართველთა მეფის“ წოდება მიიღო „უხუცესმა“ გურგენ მაგისტროსმა (ბაგრატ II-ის ძემ, ჩანს 1001 წელს), მისგან კი მისმა შვილმა - ბაგრატ III-მ, რომელიც იქამდე უკვე იყო აფხაზთა მეფე.

ამიერ ტაო ბაგრატ ქართველთა მეფეს ეკუთვნოდა, ხოლო იმიერ ტაო, ჩრდილო ბასიანითურთ, თორთომი და სპერი X ს. 60-იანი წლებიდან დავით დიდის სამფლობელოს შეადგენდა“ (ვ. კოპალიანი, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. გვ. 111).

იმიერ ტაოს სამეფო – დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო ისევე, როგორც ამიერ ტაოს სამეფო და აფხაზთა სამეფო. მას ყველაზე დიდი ძლიერების დრო დავით კურაპალატის ჟამს დაუდგა - X საუკუნის მეორე ნახევარში. მისი საეკლესიო-ადმინისტრაციული ოლქი - ტაოს ეპარქია - უშუალოდ ემიჯნებოდა ლაზიკის ეპარქიას, მაგრამ **ტაო ქართული ეკლესიის ნაწილი იყო,** ხოლო ლაზიკის ეპარქია - ბიზანტიურისა.

„სამხრეთ-დასავლეთიდან ტაოს სამეფო უშუალოდ ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოებს ემიჯნებოდა და მისი საზღვარი მდ. არაქსზე გადიოდა (გეორგიკა IV, გვ. 271-272),

სამხრეთ-აღმოსავლეთით ტაოს სამეფოს თურქული მოდგმის ხალხით დასახლებული სომხეთის მიწა-წყალი ემიჯნებოდა, სადაც ამ დროს მაჰმადიანური საამიროები იყო შექმნილი.

ტაოს ქართველთა სამეფო ეკლესიურ-ეპარქიალურადაც ორ ნაწილად იყო გაყოფილი თავიანთი საკუთარი მმართველებით.

ამიერ ანუ ჩრდილო ტაოში ორი უმთავრესი საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა - იშხნისა და ბანასი, ხოლო სამხრეთ ტაომ, თავისი საზღვრები ვრცლად გადაწია არაქსისა და ვანის ტბის მიმართულებით, რაც ასევე მისი მომცველი ეპარქიის საზღვრების ზრდასაც განაპირობებდა. ის თანდათანობით სამამამთავროდ ყალიბდებოდა ქ.ვალაშკერტის კათედრის მეთაურობით.

ტაოს სამეფოს ნაწილად იქცა ე.წ. ბიზანტიის „ზემონი ქვეყანანი“, კარინის ოლქი, იქამდე ბიზანტიასთან სადავო სამხრეთ ბასიანი, ჩორ-მაირის თემი ჭოროხის სათავეებთან, ციხე სევუკი არაქსთან, აპაპუნის პროვინცია. ამ პროვინციებსვე მოიცავდა სამხრეთ ტაოს ქართული სამამამთავრო, რომელიც ისეთივე დამოუკიდებელ ქართულ სამიტროპოლიტო ოლქად ყალიბდებოდა, როგორიც იყო მაგალითად აფხაზეთის საკათალიკოსო.

თუკი **სამხრეთ ტაოს ეპარქია ჩამოყალიბდა ვითარცა სამიტროპოლიტო ოლქი, რის საფუძველსაც წარმოადგენდა ტაოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა, მისი საზღვრები უნდა დამთხვეოდა კიდეც, საეკლესიო წესების თანახმად სახელმწიფო-ადმინისტრაციულ საზღვრებს. მაშასადამე, ტაოს სამამამთავრო მოიცავდა იმ პროვინციებს, რომელნიც შედიოდნენ ტაოს სამეფოში. ესენი კი, როგორც აღინიშნა იყვნენ თვით „ტაო, ორივე ბასიანი (ზემო და ქვემო), კარინის ოლქი არზრუმითურთ, ჩორმაირის თემი, სევუკი არაქსის სათავეებთან, ჰაქსისა და აპაპუნის პროვინცია აღმოსავლეთ ევფრატის ზემო ხეობაში** (საქ. ისტ. ნარკვევები, II, გვ. 478). მას სახელმწიფო საზღვრების გაფართოებასთან ერთად კიდევ უნდა შემატებოდა ახალი ტერიტორიები ვანის ტბის დასავლეთ სანაპირომდე.

სამიტროპოლიტო ოლქის (ანუ ქართულად სამამამთავროს) არსებობა თავისთავად გულისხმობს საეკლესიო ოლქის მეთაურ მღვდელმთავარს, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარება თავისი ეპისკოპოსები. ასეთი სამამამთავრო ოლქები ქართულ ეკლესიაში კიდევ სხვებიც არსებობდა, ასეთები იყვნენ მაგალითად, აფხაზთა საკათალიკოსო და ქართლის საკათალიკოსო. აფხაზთა საკათალიკოსოში ადგილობრივ კათალიკოსს უშუალოდ ექვემდებარეობდნენ საკუთარი ანუ დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ქართლის კათალიკოსს კი აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები.

ტაოს სამეფოს ჩამოყალიბებამდე კლარჯეთის საეპისკოპოსოები მცხეთელ კათალიკოსს ექვემდებარებოდა, ჩანს ასევე გაგრძელდა შემდგომაც.

ტაოში დამოუკიდებელი სამეფოს წარმოქმნამ, შექმნა პირობები იმისათვის, რომ ამ, ე.წ. ბიზანტიური „ზემო ქვეყნების“ ეთნიკურად ქართული მოსახლეობა ეკლესიურად დაქვემდებარებოდა არა ბერძნულ-ბიზანტიურ ანდა სომხურ ქალკედონურ ცენტრებს, არამედ მათი საცხ-

ოვრისის მომცველ უკვე ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულის - იმიერ ანუ სამხრეთ ტაოს საეკლესიო ოლქს, რასაც საეკლესიო კანონებიც მოითხოვდა. ალბათ, ამ პოლიტიკურმა სიახლემ საფუძველი ჩაუყარა ტაოს სამამამთავროს. მასი უმთავრესი კათედრა იყო **ვალაშკერტის** საეპისკოპოსო. ჩვენი კვლევით ვალაშკერტის კათედრა მდებარეობდა არა სოფელ ჩანგლში, არამედ იმჟამად ქალაქ ვალაშკერტში, საერთაშორისო სავაჭრო გზაზე.

უნდა ვიფიქროთ, რომ ტაოს **სამამამთავრო თავისთავადი სამიტროპოლიტო ოლქის სახით არსებობდა ფრიად მცირე ხნის მანძილზე,** (ე.წ. „ზემო ქვეყნების“ ტაოს სამეფოში ყოფნის პერიოდში).

როგორც ვიცით ე.წ. „ზემონი ქვეყანანი“ ბიზანტიამ დავით კურაპალატს გადასცა დაახლოებით 979-980 წლებში, ხოლო ბასილი II-მ დაახლოებით 20-22 წლის შემდეგ ამ მიწების ერთი ნაწილის ხელში ჩაგდება შეძლო. ამის შემდეგ ცხადია შემცირდა ტაოს სამეფოს საზღვრები, „ზემონი ქვეყანანი" დაიკარგა.

უნდა ვიფიქროთ, **ამ მიწების დაპყრობის შემდეგ მისი ქართული მართლმადიდებელი მოსახლეობა ბიზანტიამ ლაზიკის ეპარქიაში შეიყვანა.**

ასე, რომ ალბათ ტაოს ქართული სამამამთავრო დაახლოებით 20-22 წელი არსებობდა,**მისი მრევლის დიდი ნაწილი ლაზიკის ეპარქიაში მოექცა ბასილისა თუ რომანოზ კეისრების დროს.**

როგორც ცნობილია, ბასილი II-ის შემდეგ ლაზიკის ბერძნული ეპარქიის (ანუ სამიტროპოლიტო ოლქის) საზღვრები განავრცო ვიდრე ვანის ტბამდე. **ტაოს ქართული სამამამთავროს ადგილი ამ მიმართულებით ბიზანტიურმა ლაზიკის ეპარქიამ დაიჭირა** (იშხნის წარწერით მისი ერთ-ერთი პირველი მღვდელმთავრისათვის ხელი დაუსხამს არა მცხეთელ კათალიკოსს, არამედ ტრაპეზუნტში სტუმრად ჩასულ კონსტანტინოპოლის პატრიარქს, ალბათ სომხურ ეკლესიასთან დავის გამო თუ მიიჩნიეს საჭიროდ ტაოს მესვეურებმა ასეთი დემონსტრაციული ცერემონიალი).

ვალაშკერტი და თორმეტი ქართული გავარი (XI ს.)

ქალაქი ვალაშკერტი მდებარეობდა საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე, ბასიანის აღმოსავლეთ მხარეს. ამ ქალაქზე გამავალი გზა ერთმანეთთან აერთებდა ტრაპეზუნტსა (ბიზანტიასა) და სპარსეთს. X საუკუნის ბოლოსათვის აღმოჩნდა, რომ ამ გზის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველთა ხელში იყო, რადგანაც ისინი აქ სახლობდნენ - ბასიანში, ტაოში, ვალაშკერტიდან თეოდოსიოპოლამდე ანუ არზრუმამდე, ჩანს არაქსსა და მურად-სუს შუაც.

გიორგი I-ისათვის აღნიშნული ტერიტორია არ იყო შორეული მხარე, ის იყო ქართველებით დასახლებული მიწა-წყალი, რომლისაგანაც იღებდა კიდეც დიდ ძალას, განსაკუთრებით მკვიდრი დიდებულების (აზნაურების) მხრიდან. მაგალითად, მომიჯნავე, კიდევ უფრო სამხრეთით მდებარე **ტურუბერანის გავარის მმართველობა ჯოჯიკ ერისთავთ-ერისთავის საგვარეულოს ხელში იყო მოქცეული, ისინი იქ მკვიდრები იყვნენ, ამ ქართველ პატრიოტთა სახლის წევრი იყო ცნობილი ფერსი ჯოჯიკის ძე, მუდამ საქართველოს ინტერესების დამცველი, უშიშარი მებრძოლი ბიზანტიელების წინააღმდეგ, ის იყო მემამულე ვრცელი მიწებისა ზემო არაქსსა და**

მურად-სუს შუა, რომელსაც ტვარწატაფი ერქვა (ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კერის ისტორიიდან, 1996, გვ. 32). იქ, სადაც ქსენოფონტეს ქართული ტომები შეხვდა (არაქსსა და მურად სუს შუა).

ჯერ კიდევ 1001 წელს იბერიაში თავისი პირველი ლაშქრობის შემდეგ იმპერატორმა ბასილიმ კონსტანტინეპოლში გადაასახლა ფერსი ჯოჯოკის ძე და მისი ძმა თევდრატი სხვა დიდაზნაურების ოჯახებთან ერთად, საფიქრებელი იყო, რომ ისინი იქ დაივიწყებდნენ სამშობლოს, მაგრამ არა. ფერსი 1019 წელს დაბრუნდა მშობლიურ მიწა-წყალზე და დაიწყო აჯანყება იმპერიის წინააღმდეგ, იმდენად შთამბეჭდავი, რომ იმპერატორის ტახტი საგრძნობლად შეირყა, კერძოდ, ბასილი II ქართველთა ქვეყნის სიღრმეში (ბასიანში) დაბანაკების შემდეგ მის ზურგში მომზადდა დიდი აჯანყება იმპერატორის წინააღმდეგ. კეისრის სპასპეტმა და ბარდა ფოკას ძემ წარვეზიმ ისეთი დიდი ჯარი შეკრიბეს, რომ იმპერიის აღმოსავლეთი მათ ხელში მოექცა „დიდად შეძრწუნდა ამისთვის ბასილი“ (სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება ბაგრატიონთა, 1990, გვ. 55). მოჯანყეთა ერთ-ერთი ძირითადი ძალა ქართველი აზნაურები რომ იყვნენ, იქედანაც ჩანს, რომ გამარჯვების შემდეგ ბასილი II-მ უპირველესად ფერის ჯოჯიკის ძე დაასჯევინა სიკვდილით.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ა. ლასტივერტეცის ცნობით ბასილი II-ს უპირველეს საქმედ მიუჩნევია ფერსის და მისი სიძის ანდრონიკეს შეპყრობა **„მოიყვანეს ხაღტოიარიჭის ციხე-სიმაგრემდე, კარინის საზღვარზე, მათ მიაღწიეს ციხესიმაგრის პირდაპირ** მდებარე მინდორს, იქ შეჩერდნენ, მოიყვანეს ფერსი და ანდრონიკე და თავები მოჰკვეთეს, ეს მეფისაგან იყო ნაბრძანები, რადგანაც ფერსი და ანდრონიკე თავიანთი აჯანყების დროს აფხაზის მოკავშირენი იყვნენ და **აღუთქვეს მას ამ ადგილამდე მთელი ტერიტორიის მიცემა, ვინაიდან ჯერ კიდევ წინათ ეს ადგილები დავით კურაპალატს ეპყრა**“ (ა. ლასტივერტეცი, ისტორია, გვ. 50).

მაშასადამე, „ქართველთა მთავარი“ ფერსი ანუ ფერის ჯოჯიკის ძე მიიყვანეს კარინის ანუ თეოდოსიოპოლის ქვეყანაში, რადგანაც ამ ქვეყნის გადაცემა სურდა მას „აფხაზთა“ მეფისათვის, და სწორედ ამიტომ ბასილი II-მ საგანგებოდ აქვე დასაჯა ისინი.

როგორც ითქვა, რომ არ ყოფილიყო კარინელი ქართველების დიდი მხარდაჭერა, ფერსი ჯოჯიკის ძე ვერ გადასცემდა ამ მიწა-წყალს საქართველოს (აფხაზთა) მეფეს.

ამ ქვეყანაში მხოლოდ ორი ძალა ჩანდა (ბიზანტიური და ქართული), სომეხი პატრიოტის ა. ლასტივერტეცის ნაშრომში ოდნავი მინიშნებაც კი არ არის იმისა, რომ იყო მესამე სომხური ძალა, რომელსაც თავისი პოლიტიკური ნება ან ზრახვები ჰქონოდა კარინსა თუ ბასიანში, მაშასადამე, როგორც ჩანს, **ფერის „ქართველთა მთავარი“ აზრუმის (კარინის) დასაბრუნებლად იბრძოდა, რათა საქართველოს შემოერთებოდა ის, ვითარცა კიდევ ერთი ქართული მხარე.**

აღსანიშნავია, რომ „ქართველთა მთავრის“ ტიტული ჰქონდა ასევე VII საუკუნეში ვაშდენს („ქართველთა მთავარს“), რაც მემკვიდრეობით გადაეცემოდა მის ოჯახს, თუმცა იმჟამად მისი ქვეყანა (ანუ ტაო და მიმდებარე მხარეები) სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული. აღსანიშნავია, რომ სომხური ეკლესიის უდიდესი ნაწილი მაშინ ქალკედონიტური იყო, ამიტომაც **სომხური**

ეკლესიის მრევლისა და იერარქიის ერთ ნაწილს მაშინ ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ, განსაკუთრებით ტაოსა და მიმდებარე მხარეებში.

ნერსე იშხნელი კათალიკოსი, ჩვენი აზრით, ნეტარად იწოდებოდა შემდეგი ჟამის ქართული ავტორების მიერ, არა მხოლოდ მისი მართლმადიდებლობის, არამედ ეთნიკური ქართველობის გამოც.

მას შემდეგ რაც შემდგომში სომხურმა ეკლესიამ მანასკერტის კრებაზე 726 წელს საბოლოოდ მიიღო მონოფიზიტური მიმართულება, ტაოს, ბასიანისა და მიმდებარე მხარეების ქართველობა თანდათან გამოფხიზლდა, და როგორც წინა პარაგრაფებში აღინიშნა - გამოვიდა მისთვის უკვე არასასურველ სომხურ-ქალკედონური ეკლესიის წიაღიდან და **დაუბრუნდა ქართული ეკლესიის სამწყსოს. ასეთ წრეს განეკუთვნებოდა არა მხოლოდ ფერის ჯოჯიკის ძე, არამედ იქაური აზნაურების უდიდესი ნაწილი.**

შესაძლებელი იყო თუ არა კარინი, ბასიანი და ტაო ქართველთა ძველი საცხოვრისი ყოფილიყო?

როგორც მრავალჯერ აღინიშნა კარინი, ბასიანი და მიმდებარე მხარეები მხოლოდ ქრისტემდე 189-160 წლებში მიიტაცა იბერიიდან არმენიამ. ამიტომ **მისი მკვიდრი მოსახლეობა კვლავ იბერიული ანუ ქართული დარჩა დიდხანს. ეს ჩანს სხვადასხვა საუკუნეთა პოლიტიკური ვითარების ანალიზითაც.**

I-II საუკუნეებში, იმდენად გაძლიერდა იბერიის სახელმწიფო, რომ არმენიის მეფეთა ტახტზეც კი იბერიელ უფლისწულებს სვამდენ, არმენიის სამეფო ტახტი იმჟამად კარინ-ბასიანის სამხრეთით მდებარეობდა, ანუ კარინ-ბასიანის ქვეყანის ქართველობას ზურგს კვლავ უმაგრებდა პოლიტიკურად ძლიერი იბერია.

IV ს-ში, როგორც წყარო წერს, გაიზარდა იბერიის საზღვარი და გუგარქი დაუბრუნდა დედა სამშობლოს ანუ იბერიას. V საუკუნეში ვახტანგ გორგასალი იბრძოდა ტრაპეზუნტ-კარინის მხარეს, VI საუკუნეში არმენია კვლავ გაძლიერდა კარინ-ბასიანში, ასე გაგრძელდა არაბობის დროსაც, მაგრამ ამ ეპოქაში მკვიდრი ქართველობა თანდათან გამოფხიზლდა ეკლესიურად, რის გამოც ხალხი მასიურად დაუბრუნდა დედა ქართულ ეკლესიას, **ეს იყო სწორედ პოლიტიკური საფუძველი იმისა, რომ ტაოს სამეფომ დავით კურაპალატის დროს მიიერთა ეს მიწა-წყალი** და არა ბიზანტიის იმპერატორის გადაწყვეტილება, როგორც ა. ლასტივერტეცი ამბობს „ძღვნად მიეცა ერთგული მორჩილებისათვის“ (ა. ლასტივერტეცი, გვ. 50). ცხადია, პოლიტიკური მნიშვნელობით, ეს იყო ძღვენი, მაგრამ ეს ძღვენი ანუ საჩუქარი იყო არა უცხო, აჯანყებული მხარე, არამედ **იმ ხალხით დასახლებული ქვეყანა, რომელიც ნატრობდა ქართულ სამყაროში დაბრუნებას** და ამიტომ, ხელს უწყობდა ქართველთა სახელმწიფოებრივი გაძლიერების საქმეს.

ეს იქიდანაც ჩანს, რომ, როცა შემდეგში ეს მხარეები ბიზანტიამ კვლავ ჩამოაშორა საქართველოს (ქართულ პოლიტიკურ სამყაროს), დაიწყო იქაური მკვიდრი დიდებულ-აზნაურების მუდმივი აჯანყებები ბიზანტიის წინააღმდეგ, ერთ-ერთი გამოხატულება იყო აჯანყებანი ფერის ჯოჯიკის ძისა, ქართველთა მთავრისა.

არა მხოლოდ კარინ-ბასიანის დიდებულ-აზნაურები იბრძოდნენ და ცოლშვილს სწირავდნენ ბიზანტიის წინააღმდეგ, რათა თავიანთი ქვეყნები უკანვე

დაებრუნებიათ ქართულ სამყაროსათვის, არამედ საეკლესიო პირებიც, ერთ-ერთ ადგილობრივთაგანი იყო ვალაშკერტელი ქართველი ეპისკოპოსი ზაქარია. ქალაქი ვალაშკერტი ანუ სომხურად ვაღარშაკერტი, როგორც აღინიშნა, მდებარეობდა ბიზანტია-სპარსეთის დამაკავშირებელ დიდ საერთაშორისო - სავაჭრო გზაზე, ბასიანის საზღვართან ახლოს, შესაბამისად, როგორც საერთოდ **ბასიანი**, ისიც **მკვიდრი ქართველებით იყო დასახლებული, კიდევ ერთხელ უნდა ვთქვათ, ისინი იყვნენ იმ ძველი ქართული ტომების შთამომავლები, რომელთა წინაპრებიც ამ ადგილებში ნახა ჯერ კიდევ ქსენოფონტემ, შემდეგ კი მათი მიწა-წყალი შეიერთა არმენიამ, მიუხედავად ამ შეერთებისა, მათი არმენიზაციის პროცესი დასრულებული არ იყო, სომხური ეკლესიის მრევლად ყოფნის დროსაც მათ შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული იდენტობა, ეს კარგად გამოჩნდა არაბობის შემდეგ, როცა სომხური სულიერ-პოლიტიკური უღელი შესუსტდა. ამ პროცესის შედეგად გამოფხიზლებული, სულიერად გათავისუფლებული ქართველობა დაუბრუნდა დედა-ქართული ეკლესიის წიაღს,** რაც იმით გამოიხატა, რომ **კარინსა, ვალაშკერტსა თუ ანისში უამრავი ქართული ეკლესია ამოქმედდა, დაარსდა ქართული საეპისკოპოსოები**. ვალაშკერტი აირარატში მდებარეობდა ბაგრევანდის გავარში.

აირარატის ოლქში წინა საუკუნეებშიც ქართული მოსახლეობის ცხოვრების ანარეკლი შეიძლება იყოს ფაქტი იმისა, რომ VI ს. ბოლოსა და VII ს. დასაწყისში აირარატის ოლქის საეკლესიო ზედამხედველი ყოფილა ქართველი ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც შემდგომ მცხეთის კათალიკოსი გახდა. სავარაუდოა, რომ მისი მრევლის ერთი ნაწილის ეთნიკურმა ქართველობამ განსაზღვრა ალბათ აირარატის ოლქში მისი სასულიერო მმართველად დადგენა. ჩრდილო სომხეთი, რომელსაც მივაკუთვნებთ ჩვენ აირარატსაც, საერთოდ ქართული წარმომავლობის ქვეყანა იყო, და მხოლოდ ტიგრან დიდის დროს იქნა ის ათვისებული არმენიელების მიერ.

ნ. ადონცი, სამართლიანად წერს, რომ არმენიელი ხალხი ჩამოყალიბდა ორი ხალხის ურთიერთშერევის შედეგად, ესენი ყოფილან სემიტური წარმოშობის „არმას“ ტომი სამხრეთით და ქართული წარმოშობის ტომები ჩრდილოეთით. ჩანს, ჩრდილო არმენიაში მცხოვრები მკვიდრი იბერების არმენიზაცია ანუ შერევა სომხებთან ნელი პროცესი იყო, ამიტომაც, იბერები I ათასწლეულშიც ინარჩუნებდნენ თავის იდენტობას, რომელიც უფრო წარმოჩნდა დავით კურაპალატის ეპოქის შემდგომ პოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესების შედეგად, ამიტომაც ასეთი წარმოშობის პირები გამოდიოდნენ სომხურ-ქალკედონური ეკლესიის დაქვემდებარებიდან და უბრუნდებოდნენ ქართულს. მაშასადამე, ამ პროცესს წარმართავდა არა მათი ე.წ. „ქართიზაცია“, არამედ მათი შინაგანი ეროვნულ-ქართული იდენტობის აღორძინება.

ა. ლასტივერტეცის ბასიანის ვრცელი ქვეყნის მოსახლეობას ქართველებად აღიქვამს. მაგალითად ბასიანის გავარში ძველი დაბა-ქალაქი ოკომი ა. ლასტივერტეცის თანახმად ქართულია. 1021 წელს იმპერატორი ბასილი II დიდი ჯარით შემოვიდა კარინის ქვეყანაში ქართველთა ქვეყნის ხელში ასაღებად, თავდაპირველად ელჩი გაუგზავნა საქართველოს მეფე გიორგი I-ს. ეს ელჩი იყო „ქართველი ეპისკოპოსი რომელიც ქალაქ ვაღარშაკერტში იჯდა, შეეგება მეფეს (ე.ი. იმპერატორს) და დააიმედა იგი, რომ როგორც კი ეკეღეაცში (ე.ი.

ეკლესიაში) ან კარინში ამოხვალ გიორგი შენ გეახლებაო. მეფემ დაიჯერა ეპისკოპოსის სიტყვები და დარჩა გიორგის მოსვლის მოლოდინში, ხოლო გიორგიმ ვერ გაბედა წასულიყო მეფის დაძახილზე... როცა ჩაიშალა ელჩობა, მეფე ძლიერ განრისხდა და ბრძანა ცეცხლით, მახვილითა და ტყვეობით გაენადგურებინათ დიდი დაბა-ქალაქი ოკომი და მის გარშემო მდებარე სოფლები, აოხრდა მიწის სავარგულები, ბრძანა ტყვეები წაეყვანათ ქალდიის გავარში, თვითონ კი ბასიანისაკენ გაემართა და მიაღწია ვანანდის გავარს, ხოლო გიორგიმ მიაღწია ქალაქ უხტიქს (ე.ი. ოლთისს) უბრძანა ჯარებს დაეწვათ ლამაზი ნაგებობები, იავარეყოთ მათი საქონელი, მაგრამ ხალხისათვის ვნება არ მიეყენებინათ (!), ეს რომ შეიტყო მეფემ უფრო განრისხდა... ქვეყნის ოთხივე მხარეს ჯარი გაგზავნა, მარბიელი მოჰფინა, მკაცრი ბრძანებით მოითხოვა არ დაენდოთ არც მოხუცი და არც ახალგაზრდა, არც ყრმა, არც სრულასაკოვანი, არც კაცი, არც ქალი და საერთოდ არც ერთი ასაკისა. ამგვარად მან დაანგრია და ააოხრა თორმეტი გავარი... ვფიქრობ, ყოველივე ეს თავს გადახდათ (!) ნაცვლად იმისა, რომ მათ (!) მოგლიჯეს წმიდა კათოლიკე ეკლესიის კარიდან სამეფო ნიშნის მქონე ჯვრის ლურსმნები და შეურაცხმყოფელად გაიძახოდნენ - ცხენებისათვის ნალი უნდა გავაკეთოთო. ასე სამართლიანად მათ (!) თავს დაატყდათ უბედურება, რაც საზარელ სანახაობას ქმნის... ძუძუმწოვარა ყრმებს, ზოგს დედის მკერდიდან გლეჯდნენ და ქვებს ურტყამდნენ, ნაწილს კი დედის მკერდზე აკლავდნენ შუბით... ცხენის ჩლიქებში აგდებდნენ... გაუკაცრიელდა კეთილმოწყობილი ქვეყანა“ (ა. ლასტივერტეცი, ისტორია, 1974, გვ. 47). ა. ლასტივერტეცის ცნობიდან ძალზე კარგად ჩანს, რომ ბასიანის, თუ ვანანდის მოსახლეობა ქართულია რადგანაც ისინი, მისი სიტყვით, სამართლიანად დაისაჯნენ ანისის ეკლესიის ჯვრის შეურაცხყოფისათვის, ანისის სომხური ეკლესიის ჯვარი ქართველებმა შეურაცხყვეს, რისთვისაც მწარედ დაისაჯნენ. ეს „სამართლიანად“ დასჯილები კი ოკომისა და მიმდებარე 12 გავარის მცხოვრებნი იყვნენ. ანუ ოკომის და არა მხოლოდ ერთი სოფლის, არამედ 12 გავარის მოსახლეობა ქართულია, აქ უპირველესად იგულისხმება კარინ-ტაო-ბასიან-ვანანდის დასჯილი ქართველობა. ასე აღწერს ისტორიკოსი.

საეკლესიო იურისდიქციათა ცვლილება (XI ს.)

ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ივერიის ანუ იბერიის თემი, ვითარცა ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული დააარსა იმპერატორმა კონსტანტინემ, რომელიც რომანოზის შემდეგ მეფობდა.

„ბაგრატ IV-ის თანამედროვე კეისარმა კონსტანტინემ ბიზანტია-საქართველოს საზღვრებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და დაუცხრომლად ცდილობდა თანდათანობით როგორმე გამოეგლიჯა საქართველოსათვის მონაპირე ქვეყნები. მან დააარსა ივერიის თემი - საკატეპანო, რომელიც თავდაპირველად დავით კურაპალატის სამფლობელოსაგან შედგებოდა, მაგრამ მერე სხვა მიწებიც მიემატა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1983, გვ. 137).

ამ მომენტიდან, თუ უფრო ადრედან არა, მთლიანად შეიცვალა საეკლესიო იურისდიქციაც. კერძოდ, ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეულის **ივერიის თემიის დაარსება თავისთავად გულისხმობდა იმას, რომ ამ**

მიწაზე ქართული ეკლესიის ადგილს იჭერდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. მაშასადამე, ვალაშკერტის ან ბანას ქართული სამამამთავრო უკვე ეკლესიურად აღარ იყო უფლებამოსილი ივერიის თემის მიწა-წყალზე, მის ადგილს ახლა დაიჭერდა კონსტანტინოპოლის რომელიმე სამიტროპოლიტო.

ივერიის თემი, როგორც აღინიშნა მოიცავდა დავით კურაპალატის სამფლობელოებს, კერძოდ, იმიერ ტაოს, ბასიანს, მის მიმდებარე ვრცელ ქვეყნებს ვიდრე ვანის ტბამდე, მათ შორის ვალაშკერტსაც, დასავლეთით კი ალბათ არზრუმსაც. ამ მიწა-წყალზე მართლაც მრავალი ქალკედონური საეპისკოპოსო იყო, რომელნიც კონსტანტინოპოლმა დაუქვემდებარა „ლაზიკის ეპარქიას".

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის ცენტრი ტრაპეზუნტი იყო, ახლა მისი საზღვრები გაიზარდა, მოიცვა იბერიის თემიც, ანუ ვრცელი მიწა-წყალი ვიდრე ვანის ტბამდე.

იმერ ტაოს **ტერიტორიების მეტი წილი „იბერიის თემში" შევიდა, შესაბამისად გამოიყვანეს ქართული ეკლესიის იურისდიქციიდან და დაუქვემდებარეს კონსტანტინოპოლის პატრიარქს.**

იბერიის თემის ჩამოყალიბებამ შეცვალა ბიზანტიური იურისდიქცია, კერძოდ ეს ახალი ადმინისტრაციული ერთეული ეკლესიურად გადაუციათ ლაზიკის ეპარქიისათვის, ანუ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოსათვის. შესაბამისად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიაში შევიდა ვრცელი მიწა-წყალი მრავალი საეპისკოპოსოთი ვანის ტბის მიმართულებით, იქამდე ისინი, ჩვენი კვლევის თანახმად შედიოდა ქართულ სამამამთავროში.

„იბერიის თემი" და ვალაშკერტის სამამამთავრო (XI ს.)

ქართველი მღვდელმთავრები, ეპისკოპოსები და თვით კათალიკოს-მამამთავრებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ბიზანტია-საქართველოს ომისას მხარეთა დასაზავებლად.

1021 წელს ტრაპეზუნტში გამოსაზამთრებლად დაბანაკებულმა ბასილიმ და საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტეს დაზავება, კერძოდ გიორგი I დათანხმდა დაეთმო დავით III-ის სრული მემკვიდრეობა.

ზავის გარანტიად ბასილიმ აირჩია საქართველოს ეკლესიის მეთაურები.

ამიტომაც მან გიორგი I-ის ელჩებს თან გააყოლა თავისი წარმომადგენლები, რათა მათი თანდასწრებით **ქართველთა ეკლესიის მეთაურებს** პირობა ჩამოერთმიათ გიორგი I-ისათვის, რომ ის აღარ იბძოლებდა დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის.

მალევე ბასილი II-ის წინააღმდეგ ბიზანტიაში მოეწყო დიდი აჯანყება ბარდა ფოკას შვილის ნიკიფორესა და ანატოლიის მმართველ ქსიფეს მეთაურობით. საქართველოს მთავრობა მიემხრო აჯანყებულებს, მაშასადამე **მიღწეული ზავი დაირღვა.**

ზავის გარანტორი ქართული ეკლესია იყო, ამიტომაც ბასილი II აღარ ენდობოდა ქართულ მხარეს. მითუმეტეს, რომ უფრო ადრე, იბერიაში შემოსვლის წინ არისტაკე ლასტივერტეცის თქმით **კეისარმა მეფე გიორგისთან გააგზავნა ვალაშკერტელი ქართველი ეპისკოპოსი ზაქარია,** წინადადებით, ხელი აეღო დავით III-ის მემკვიდრეობაზე - „ტკბილი სიტყვებით წერდა მას, რომ **რაც**

მემკვიდრეობით შენი არაა, ხელი აიღე იმაზე, ნუ დამიბრკოლებ გზას სპარსეთისკენო“, როგორც ითქვა ბიზანტია-სპარსეთის ერთ-ერთი უმთავრესი გზა გადიოდა ტაო-ქვემო იბერიის იმ მიწებზე, რომელსაც დავით III-ის მემკვიდრეობა დაერქვა.

ბიზანტია-აღმოსავლეთის ომების დროს აღნიშნული ე.წ. **„სპარსული გზის“ კონტროლი** თვითონ სურდა ბასილი II-ს და არ სურდა ეს გზა ქართველთა ხელში ყოფილიყო.

ვალაშკერტელმა ეპისკოპოსმა ზაქარიამ დაარწმუნა მეფე გიორგი I დათანხმებოდა ბასილის მოთხოვნებს, ჩამოართვა მეფეს ხელწერილი, რომ ის უთმობდა ბასილს თავისი წინაპრის დავით კურაპალატის მემკვიდრეობას და სიხარულით წავიდა იმპერატორთან, მაგრამ გზაში მას დაეწია მეფე გიორგის მალემსრბოლი და მოითხოვა წერილის უკან დაბრუნება.

ხელმოცარული ზაქარია ვალაშკერტელი ეპისკოპოსი არც იმპერატორმა შეიწყნარა, პირიქით, ცილიც დასწამა, თითქოს ის აჯანყებულებს ემხრობოდა. საბოლოოდ კი ნაწყენმა ბასილ მეორემ დასაჯა ქართველი ეპისკოპოსი იმით, რომ ჩამოაცილა ვალაშკერტის კათედრას, თავის ქვეყანას და საცხოვრებლად კონსტანტინოპოლში გაამგზავრა. ლასტივერტეცის ცნობით თითქოსდა ზაქარიას იმპერატორის ბრძანებით ენაც ამოგლიჯეს, სხვა ცნობით კი ზაქარიას ენა მოკვეთეს არა 1021 წელს, არამედ შემდეგ, დაახლოებით 1025 წელს სხვა აჯანყებაში მონაწილეობის გამო.

გარდა ბასილისა, არც სხვა იმპერატორები სწყალობდნენ იმჟამად ქართულ ეკლესიას, მაგალითად, იმპერატორ კონსტანტინეს ბრძანებით 1027 (1028) წელს იმპერიის ლაშქარმა მოარბია სამხრეთ იბერიის ქვეყანა და ზოგადად დიდი საფრთხე შეუქმნა საქართველოს სახელმწიფოებრიობას (იმჟამად, მემატიანეს სიტყვით „განდგეს კვალად აზნაურნი და წარვიდეს იგინი საბერძნეთს“ ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის დიდებულებისა და აზნაურების ერთმა ნაწილმა ბიზანტიის სახელმწიფოს გადასცეს თავიანთი საკუთარი მამულები და მიწა-წყალი, აგრეთვე საკუთარი ციხე-სიმაგრეები და რომელთა სანაცვლოდაც იმპერიაში მიიღეს სხვა მიწა-წყალი და სასახლეები, ასე რომ ქვეყნის შუა გულშიც ბიზანტიის იმპერიას სამართლებრივად გაუჩნდა საკუთარი მიწა-წყალი, მამულები და ციხე-სიმაგრეები. სუმბატ დავითის ძის ცნობით ბიზანტიელებს წვრილი ერის ერთი ნაწილიც, ანუ გლეხობაც მიმხრობია, ხოლო საქართველოს მეფემ თავისი ლაშქარი მოარიდა მტერს), ასეთ დროს **ქვეყნის დაცვის წმინდა საქმე თავის ხელში აიღო ქართულმა ეკლესიამ, კერძოდ შავშეთის ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა და მეორე ეპისკოპოსმა, ასევე ძალზე სახელოვანი კათედრის მღვდელმთავარმა ეზრა ანჩელმა.** მათ თავის ხელში აიღეს ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის საქმე, ააშენეს დიდი ციხე-სიმაგრე, რომელიც გახდა ქვეყნის თავდაცვის ცენტრი და მართლაც ღვთის შეწევნით შეიძლება ითქვას მოხდა ნამდვილი სასწაულებრივი მოვლენა - ბიზანტიის ლაშქარმა და მათმა მეთაურმა ნიკიტა პარაკიმანოსმა, რომელსაც კონსტანტინე კეისრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა, **ვერ შეძლეს ქართველი ეპისკოპოსების მიერ მოწყობილი თავდაცვითი ხაზის გარღვევა**.

მტერმა ვერ დაიმორჩილა „სვეტი“, ანუ როგორც აღვნიშნეთ, ვერ შეძლეს ეპისკოპოსების მიერ აღმართული ციხე-სიმაგრის დამორჩილება.

სუმბატ დავითის ძე წერს, რომ სვეტსა მას შინა მყოფნი „**ვითარცა ერთგულნი და ჭეშმარიტნი მარტვილნი საღმრთონი თავთა თვისთა განწირვიდეს და სისხლთა დასთხევდეს სიტყვისაებრ მოციქულთასა და განძლიერდებოდეს**“.

საბა მტბევარი ასე ამხნევებდა თავის მებრძოლებს „**ნუმცა შეგვიტყუებენ ჩვენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლწარმავალნი, არამედ მოვიგოთ მადლი ერთგულებისა და გვირგვინი ახოვანებისა**“. აქედან ჩანს, რომ არა თუ უბრალო მებრძოლებსა და „წვრილ ერს“, არამედ თვითონ ეპისკოპოსებსაც კი ციხის გარშემო მდგარი ბიზანტიელი აგენტები პირდებოდნენ დიდ სიმდიდრეს ღალატის სანაცვლოდ, ისევე როგორც ზემოთ ხსენებული აზნაურები და დიდებულები მოხიბლეს ბიზანტიაში ქონების მიცემით.

საბედნიეროდ, ამჯერად ქართულმა ეკლესიამ გაიმარჯვა და ბიზანტიელები იძულებულები გახდნენ დაეთმოთ. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა ჯერ ბასილი კეისარი, შემდეგ კი კონსტანტინე VIII და საერთოდ ბიზანტიური მთავრობა განაწყო ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, რაც გამოიხატა ქართული მონასტრების ბერების დევნით ბიზანტიის იმპერიაში XI ს. I ნახევარში**.

ქართული ეკლესია და ქართული სასულიერო პირები განსაკუთრებულად იდევნებოდნენ ბიზანტიის მიერ დაპყრობილ დავით III კურაპალატის ეგრეთწოდებულ სამემკვიდრეო მიწა-წყალზე, ანუ არზრუმიდან ვიდრე ვანის ტბამდე, ამის მაგალითია ზაქარია ვალაშკერტელი ეპისკოპოსის დევნა და ამის მაგალითი უნდა იყოს ასევე ბანელი ეპისკოპოსი იოვანეს საბერძნეთში წასვლა. **ბანელი ეპისკოპოს იოვანეს ბიზანტიაში მიწვევა ემსგავსება XIX ს.-ში ქართლის კათალიკოსის ანტონ II-ს რუსეთში მიწვევას და გადასახლებას.**

როგორც აღინიშნა, XI საუკუნის 20-იან წლებში ბიზანტიელებმა დავით კურაპალატის სამემკვიდრო მიწა-წყალზე, მისი დაპყრობის შემდეგ, დააარსეს იბერიის თემი.

იქამდე, როგორც ცნობილი არის, **ტაოში, და მის ხელდებულ მიწებზე, არსებობდა ქართული სამრევლოები, ქართული მონასტრები და ქართული საეპისკოპოსოები -** ამიერ ტაოში **ბანას** ცნობილი სამღვდელმთავრო კათედრა, იმიერ ტაოს სამეფოში, როგორც ჩანს, მსგავსი ღირსებისა და დიდებულების მქონე ქართული სამღვდელმთავრო კათედრა იყო ქალაქ **ვალაშკერტში.**

ქალაქი ვალაშკერტი (თანამედროვე ელაშკერტი) მდებარეობდა ბასიანის საზღვართან ახლოს, ერთ-ერთ უმთავრეს საერთაშორისო სავაჭრო გზაზე, უფრო მეტიც **ამ ქალაქთან იკვრებოდა სავაჭრო გზების კვანძი**. ქ. ვალაშკერტში, მაგალითად დაიბანაკა დავით კურაპალატმა, როდესაც ის ვანის ტბისაკენ გაემგზავრა მანასკერტისა და არჭეშის გასათავისუფლებლად მაჰმადიანთა ბატონობისაგან.

ვალაშკეტელი ეპისკოპოსი ზაქარია ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე იყო. როგორც აღვნიშნეთ, ის 1021 წელს ბასილი II-მ გააგზავნა გიორგი I-თან მოსალაპარაკებლად.

წყაროებში საკმაოდ ხშირად ვალაშკერტელ ეპისკოპოსს ეწოდება ასევე მამათმთავარი. ის ასევე ყოფილა ბანელი სვინგელოზი.

მამათმთავარი, საეკლესიო სამართლის ტერმინია და არის შესატყვისი სიტყვისა პატრიარქი.

„მამათმთავარის“ მაღალი სასულიერო წოდება ტაოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემთხვევაში, ჩანს, გულისხმობდა სამიტროპოლიტო ოლქის მეთაურობას.

როგორც ვიცით სამიტროპოლიტო ოლქის მეთაურს, ანუ მიტროპოლიტს თავის ხელქვევით ჰყავდა ეპისკოპოსები, რომელთა კურთხევის უფლებაც მას ჰქონდა. ასეთი იყო პირველქრისტიანული ეკლესიის მოწყობის წესი.

ასეთი გაგებით საქართველოს საპატრიარქოში, ძირითადათ, ორი სამიტროპოლიტო ოლქი არსებობდა: ქართლის საკათალიკოსო და აფხაზეთის საკათალიკოსო, ოღონდ მათ მეთაურებს არა მიტროპოლიტი, ანდა არქიეპისკოპოსი, არამედ კათალიკოსი (საყოველთაო ეპისკოპოსი) ეწოდებოდა.

IX-X სს.-ში, საქართველოს ეკლესიის საზღვრების ზრდის კვალდაკვალ, ახალწარმოქმნილ ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულებში ქართული სამიტროპოლიტო ოლქებიც ყალიბდებოდა მაგალითად ერთი ასეთი იყო აფხაზეთის საკათალიკოსო – თავისთავადი ქართული საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, როგორც ჩანს XIV-XV საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში დაღესტანში ჩამოყალიბებულა მეორე ასეთი საეკლესიო ერთეული ხუნძეთის საკათალიკოსო, მოღწეულია მისი მეთაურის სახელი - „ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“. როგორც ჩანს მას დაქვემდებარებაში საკუთარი საეპისკოპოსოებიც ჰყავდა, ალბათ წახურისა, ჭარ-ფიფინეთისა და სხვა, ანუ ხუნძეთის საკათალიკოსო, აფხაზეთის საკათალიკოსოს მსგავსად წარმოადგენდა ბერძნული გაგებით სამიტროპოლიტო ოლქს.

ჩვენ გამოვთქვამთ თვალსაზრისს, რომ შესაძლოა დავით III კურაპალატის ვრცლად გადაშლილ მიწა-წყალზე ოლთისიდან არზრუმამდე და ვანის ტბამდე **ვითარცა დამოუკიდებელ სამეფოში ჩამოყალიბდა ახალი ქართული საეკლესიო ერთეული, სამიტროპოლიტო ოლქის სტატუსის მქონე,** ისეთივე როგორებიც იქამდეც იყვნენ, ვთქვათ ქართლის საკათალიკოსო, ანდა აფხაზეთის საკათალიკოსო, ხოლო ამ ახალი სამიტროპოლიტო ოლქის მეთაურს გააჩნდა არა წოდება კათალიკოსისა, არამედ მამათმთავრისა.

ჩვენ ვფიქრობთ, - ასეთი ხანმოკლე რომ არ ყოფილიყო დავით კურაპალატის სამხრეთ ტაოს სამეფოს არსებობა, აღნიშნული ქართული სამიტროპოლიტო ოლქი არზრუმიდან ვანის ტბამდე ალბათ რეალურ სახეს მიიღებდა, მაგრამ როგორც ჩანს მისი არსებობა გაგრძელდა სულ რამდენიმე წელი და ზაქარია ვალაშკერტელთან ერთად გაქრა ასპარეზიდან.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, როგორც ვთქვით, შემდეგ **ბიზანტიური „იბერიის თემი“ ჩამოყალიბდა, რომლის მართლმადიდებლური საეპისკოპოსოები ბიზანტიამ შეუერთა ლაზიკის, ანუ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ოლქს**.

ალბათ, იბერიის თემის დაარსებამდე ატარებდა ზაქარია ვალაშკერტელი მამათმთავრის ტიტულს ე.ი XI ს. 20-25-იან წლებამდე.

ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილ და ზაქარია ვალაშკეტელისათვის გადაწერილ ერთ სჯულისკანონის მინაწერებში იკითხება „**უფალო იესო ქრისტე ადიდე წმიდა მამათმთავარი ზაქარია ვალაშკერტელი“, და „ღმერთო ადიდე ზაქარია მამათმთავარი აქა და საუკუნესა“** (თ. ჟორდანია.

ქრონიკები, ტ. I, გვ. 155). თ. ჟორდანიას ცნობით ყოფილა ასევე სხვა წიგნის მინაწერი **„ქრისტე ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა ზაქარია მამათ-მთავარი, ბანაელი სვინგელოზი“** და აღნიშნავს, რომ ზაქარია ვალაშკერტელი უნდა გამდხარიყოს ბანელ სვინგელოზადო. ვ. კოპალიანი წერს „თუ ზაქარია ვალაშკერტელი იყო მაშინ როცა მას ენა მოჰკვეთეს, ამის შემდეგ ის ბანელი სვინგელოზი ვერ გახდებოდა. როგორც ჩანს ზაქარიას ენა მოჰკვეთეს არა 1021 წელს, არამედ 1025 წელს, რადგანაც სკილიცე ზაქარიას 1025 წლის შეთქმულების მონაწილედ, და ამის გამო დასჯილად თვლის (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 115). შესაძლოა 1021 წლამდე ვალაშკერტელი ზაქარია 1025 წლამდე ბანელი სვინგელოზი გახდა, ალბათ კონსტანტინეპოლში მისცეს მას ეს საპატიო წოდება მას შემდეგ რაც იოვანე ბანელმა ეპისკოპოსმა ბანას კათედრა დატოვა.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ვ. კოპალიანის მოსაზრება - „შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ **ზაქარია** არა საქართველოს სამეფოში შემავალი საეკლესიო ობიექტის მამათმთავარი არამედ, ქართული პროვინციის, მაგრამ **ბიზანტიის იმპერიის მიერ დაპყრობილი რომელიღაც საეკლესიო ცენტრისა და მისი მრევლის მამათმთავარია**“ (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 116).

ჩვენი თვალსაზრისით ზაქარია იყო მამათმთავარი დავით კურაპალატის სამეფოს მართლმადიდებელი მრევლისა, ხოლო მას შემდეგ რაც 1001 წელს ეს სამეფო დაიპყრო ბიზანტიამ,**ბიზანტია ერთ ხანს კიდევ ითმენდა ამ დაპყრობილ ქვეყანაში ამ ქართული საეკლესიო ოლქის არსებობას, თუმცა კი მისი მამათმთავარი კონსტანტინეპოლში იყო გადასახლებული, ხოლო 1025 წლიდან ზაქარიას დასჯის შემდეგ ქართული სამიტროპოლიტო ოლქი გაუქმდა და იბერიის თემის მართლმადიდებელი მრევლი გადაეცა ტრაპეზუნტის, ანუ ლაზიკის მიტროპოლიტს**.

ამ გადაცემამდე, ანუ **1001 წლიდან 1025 წლამდე** თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ბიზანტიაში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირები ყოველი ღონისძიებით თავდადებული შრომით ცდილობდნენ როგორმე შეენარჩუნებინათ ტაოს ყოფილ ტერიტორიაზე **ეკლესიის ქართულენოვნება**, რათა აღნიშნული მიწა-წყლის ეკლესიებსა და საეპისკოპოსო კათედრებში წირვა-ლოცვა ყოფილიყო კვლავ ქართულენოვანი. როგორც ჩანს ბერძენთა მხრიდან ეს წამოწყება დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა, **ბერძნებს არ შეეძლოთ პირდაპირი უარით ქართველი მრევლისათვის ქართულენოვანი წირვა-ლოცვის აკრძალვა, ამიტომაც ეძებდნენ საბაბს.** გამოჩენილან „მაყვედრებლები“, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ **ქართული წმინდა წერილი არ იყო სწორად თარგმნილი**, რომ მას რაღაც **მონოფიზიტური ბიწი გააჩნდა, რადგანაც სომხური რედაქციებიდან იყო თარგმნილი**. გიორგი მცირე აღნიშნავს კიდეც, რომ ქართული საეკლესიო ლიტერატურის ნაწილი ნამდვილად იყო თარგმნილი სომხურიდან.

გიორგი მცირის სიტყვით, ამ ბრალდებათა გამო, ივერთა მონასტერში, ათონის წმინდა მთაზე, ექვთიმე მთაწმინდელმა წამოიწყო დიდი შრომა, რათა ქართული წმინდა წიგნები შეეჯერებინათ და გაესწორებინათ იმჟამად მიღებული ბერძნული რედაქციების მიხედვით. ამ შრომას ეწეო-

და რადენიმე თაობა, მაგრამ, პირველი, ექვთიმე მთაწმიდელისა და ზაქარია ვალაშკერტელის თაობის შემართება ამ მხრივ გასაოცარი იყო.

საბოლოოდ მაინც, **სამხრეთ ტაოს ქართული სამეფო იქცა ბერძნულ „იბერიის თემად“, საიდანაც გაძევებული იქმნა ქართული საეკლესიო იერარქია და ის ეკლესიურად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის ნაწილად იქცა.**

ზაქარია მამათმთავარი აქტიურად თანამშრომლობდა ათონის მთის მთარგმნელ მამებთან, რათა თავის ეპარქიის მრევლისათვის „უბიწო“ ქართულენოვანი ლიტურგიკული ლიტერაურა შეეთავაზებინა, რომ ამით ბერძენ „მაბრალობელთა“ გული მოეგო, მაგრამ პოლიტიკური მიზეზების გამო მისი შრომა ამაო აღმოჩნდა, მის მრევლს ქართულის ნაცვლად ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა დაუწესეს.

ჩანს, ჩრდილო ტაოს უმთავრესი საეკლესიო ცენტრი ბანაც იბერიის თემმა შეიერთა.

ამ დიდი საეკლესიო მარცხის შემდეგაც, როცა ქართველმა მამებმა ვერ შეძლეს „იბერიის თემში“ ქართულენოვანი ეპარქიის შენარჩუნება (თუნდაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში), ისინი უკვე იღვწოდნენ რათა დანარჩენი საქართველოს მრევლს მაინც შეენარჩუნებინა ეროვნულ-ეკლესიური თავისთავადობა.

უნდა ითქვას, რომ XI ს. 20-50-იანი წლებში ქართული ეკლესიის თავდადებული ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის მტრულად განაწყობდა ბიზანტიის სახელმწიფო და საეკლესიო ცენტრებს ქართული ეკლესიის მიმართ. მართლაც მთელ ბიზანტიის იმპერიაში დაწყებული დევნა ქართული სასულიერო პირებისა და მონასტრებისა გაგრძელდა 1054-1057 წლებამდე და ძირითადად შეწყდა ბაგრატ IV-ს კონსტანტინეპოლში ჩასვლის და მოლაპარაკებათა დამთავრების შემდეგ.

„იბერიის თემის“ ქართულენოვანი ეპარქია (XI ს.)

საეკლესიო იურისდიქცია, როგორც წესი, ასახავს პოლიტიკურ ცვლილებას, კერძოდ ბიზანტიის მიერ ტაოს სამეფოს გაუქმებამ და მისი ტერიტორიების ბიზანტიის იმპერიაში შეყვანამ იურისდიქცია მკვეთრად შეცვალა.

იქამდე ტაოს ქართული ეპარქია თავისი ქართულენოვანი საეპისკოპოსო კათედრებითა და მონასტრებით ბრწყინავდა მთელ ქართულ სამყაროში, მაგრამ, მას შემდეგ რაც ქართველთა სამეფო გააუქმა ბიზანტიის იმპერიამ, ხოლო მის ტერიტორიაზე თავისი ადმინისტრაციული ერთეული „იბერიის თემი“ დააარსა, შეიცვალა საეკლესიო იურისდიქციაც.

ახლა უკვე ტაოს ყოფილ სამეფოში, რომელიც ვრცელ „იბერიის თემად“ გადაიქცა, მცხეთის ადგილი კონსტანტინოპოლმა დაიჭირა.

„იბერიის თემის“ ქართული ეკლესია-მონასტრები კონსტანტინოპოლის იურისდიქციას, კერძოდ ლაზიკის სამიტროპოლიტოს დაექვემდებარა.

კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში ყოფნა ცხადია ითვალისწინებდა ბერძნულენოვან წირვა-ლოცვას, მაგრამ ეს მკაცრად სავალდებულო არ იყო პირველ ეტაპზე მაინც.

როგორც მასალა მიუთითებს, „იბერიის თემის“ ქართველი მამები XI საუკუ-

ნის 20-30-იან წლებში და შემდეგაც იბრძოდნენ იმისათვის, რათა ბიზანტიაში შემავალი „იბერიის თემის“ ეპარქია ყოფილიყო ქართულენოვანი, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შესულ ამ მიწა-წყალზე ეკლესია-მონასტრებში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა ჰქონოდათ, ქართულენოვანი წიგნებით, გალობითა და სხვა წესებით.

ერთი სიტყვით, ქართველ მამებს სურდათ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს „იბერიის თემის“ ეპარქია ქართულენოვანი ყოფილიყო. ამ იდეის მთავარი სულისჩამდგმელი და განმახორციელებელი იყო ვალაშკერტელი ქართველი ეპისკოპოსი ზაქარია. მართალია იგი კონსტანტინოპოლში იყო გადასახლებული იმპერატორ ბასილი II-ის მიერ, მაგრამ ჩანს ინარჩუნებდა საეკლესიო თანამდებობებსა და ხარისხებს, ის სვინგელოზად იწოდებოდა. სვინგელოზი პატრიკიოსზე უფრო მაღალი წოდება იყო და როგორც წესი ენიჭებოდა სხვებთან ერთად იბერიელ დიდგვაროვნებს (პატრიკიოსმა თორნიკე ერისთავმა ბარდა სკლიაროსთან გამარჯვების შემდეგ სვინგელოზის წოდება მიიღო), ისევე, როგორც კურაპალატობა იყო მაგისტროსზე უფრო მაღალი წოდება (მეფე დავით III ჯერ მაგისტროსად იწოდებოდა, შემდეგ კურაპალატად). ჩანს ზაქარია იბერიელი დიდგვაროვანი იყო და დაიმსახურა ეს წოდება.

ზაქარია ვალაშკერტელი კონსტანტინოპოლში დიდად იღვწოდა, რათა იბერიის თემის ეპარქია ქართულენოვანი ყოფილიყო და მან დიდ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ XI ს. 30-იან წლებში იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულება დაბრალდა, რისთვისაც დაისაჯა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ზაქარია ვალაშკერტელის დასჯის შემდეგ, ე. ი. XI ს-ის 30-50-იანი წლებიდან „იბერიის თემის“ ეპარქია უკვე უშუალოდ დაექვემდებარა ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს და გაერთიანებული იქნა ლაზიკის ბერძნულენოვან ეპარქიაში. ამით „იბერიის თემის“, ასე ვთქვათ, კულტურული ავტონომიურობა გაუქმდა.

მაგრამ, ამას ძნელად ეგუებოდნენ ქართველი მამები და XI საუკუნის პირველ ნახევარში, გარდამავალ ეტაპზე, ბიზანტია-საქართველოს ზავის დადებამდე (1054-1057 წლებამდე), თავდაუზოგავად იღწოდნენ „იბერიის თემის“ საეკლესიო ქართულენოვნებისათვის.

მათ წინააღმდეგ „იბერიის თემის“ ბერძნულენოვნების მოსურნე ბიზანტიელ სასულიერო პირებს ნამდვილი ომი ჰქონდათ გაჩაღებული კულტურის სფეროში. კერძოდ, ბიზანტიელი მამები მოითხოვდნენ ქართულენოვანი წიგნების, წმიდა წერილის ამოღებას საეკლესიო პრაქტიკიდან, რადგანაც, მათი მტკიცებით ქართული წიგნები არასწორად იყო თარგმნილი, მიუთითებდნენ, რომ ისინი თანგმნილნი იყვნენ სომხური რედაქციების ე. ი. ბიწიერი, არასწორი, შერყვნილი ტექსტებიდან. ამის გამო, XI საუკუნის მთელი პირველი ნახევარი მიეძღვნა ქართული რედაქციების ბერძნულის მიხედვით ჩასწორებას. მთარგმნელობითი მუშაობის სათავეებთან იდგნენ ტაოელი, ზოგადად „იბერიის თემიდან“ გამოსული ქართველი მამები. ბერძნულის მიხედვით თარგმნა-რედაქტირების ეს პროცესი დაიწყო განსაკუთრებით კეისარ ბასილის ტაო-ბასიანში 1001 წელს ლაშქრობის შემდეგ, რადგანაც მაშინ უკვე შეერყა ტაოს ქართულ ეპარქიას საფუძველი.

სამწუხაროდ, დიდი, გრანდიოზული შემოქმედებითი სამუშაოს შესრულების მიუხედავად ვერ მოხერხდა შენარჩუნება „იბერიის თემის“ ეპარქიის ქართუ-

ლენოვნებისა. მართალია, მისი ზოგიერთი ეკლესია-მონასტერი კვლავ ქართულენოვანი ტიპიკონით მოქმედებდა, მაგრამ საბოლოოდ მთლიანად „იბერიის თემის“ ეპარქია ბერძნულენოვანი გახდა.

„იბერიის თემის“ მიწა-წყალი, როგორც ითქვა, მიუერთეს ლაზიკის ბერძნულ ეპარქიას, რომლის სამიტროპოლიტო ცენტრი ტრაპეზუნტში მდებარეობდა. ე. ი. 1001 წლიდან 1030-იან წლებამდე ეს ეპარქია ქართულენოვანი იყო, ხოლო 30-70-იან წლებში თანდათან ბერძნულენოვნად იქცა.

იქამდე იმიერ ტაოს „ქართველთა სამეფოში“ შემავალი მიწა-წყლის სასულიერო ცენტრად გამოცხადდა ქ. ვალაშკერტი (პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 67-68). ვალაშკერტელი ეპისკოპოსი იქცა ფაქტიურ მიტროპოლიტად, რომელიც მეთაურობდა ტაოს მიერ ახლადშემოერთებული ქვეყნების ქართულ ეკლესია-მონასტრებს, თავის მხრივ, ეს ქართული ეპარქია მცხეთას ექვემდებარებოდა უკვე X საუკუნის 70-იანი წლებიდან.

ამ ახალი, ანუ ვალაშკერტის ეპარქიის იურისდიქციაში ჩანს შედიოდა ქართველთა მიერ გათავისუფლებული მიწა-წყალი. ესენი იყვნენ ე. წ. „ზემონი ქვეყანანი“ შესულნი ტაოს სამეფოში.

ამ ვრცელი მხარეების მკვიდრმა ქართველმა მოსახლეობამ გათავისუფლების თანავე გადაიგდო სომხური საეკლესიო უღელი და დაუბრუნდა დედაქართულ ეკლესიას, რომელსაც მოწყვეტილი იყო საუკუნეთა მანძილზე.

მათი სულიერი მამები, ეთნიკურად ასევე ქართველები, ჩანს იქამდეც, გათავისუფლებამდეც, ზრუნავდნენ, რათა მათ მრევლს არ დაეკარგა ეროვნულ-ქართული იდენტობა, თვითშემეცნება და ქალკედონური სარწმუნოება. ასე უკვე შემზადებულმა ქართულმა მრევლმა შეადგინა მთელი სისავსე ვალაშკერტის ეპარქიის მრავალრიცხოვანი სამწყსოსი.

ეს შეუძლებელი იქნებოდა თუ არა მრევლის საოჯახო ქართულენოვნება და მათი დიდი სურვილი დაბრუნებოდნენ დედაეკლესიას. დავით კურაპალატმა მათი დიდი ხნის ოცნება აღასრულა. ისინი ქართული სახელმწიფოს მოქალაქეებად იქცნენ, მათმა სულიერმა ქართველმა მამებმა კი განაგრძეს იქამდე, დიდი ხნით ადრე დაწყებული ღვაწლი.

საუბედუროდ, ეს დიდი ეროვნულ-ეკლესიური აღტკინება უმოწყალოდ ჩაკლა ბიზანტიის ჯარმა და იმპერატორმა ბასილ II-მ, რომელიც 1001 წელს შევიდა ტაოში, დავით კურაპალატის მემკვიდრეობის მისაღებად.

1018 წელს ბასილ II მეორედ შემოიჭრა საქართველოში კიდევ უფრო დიდი ჯარით, ქართული ჯარი უკუიქცა, მტერმა კოლა-არტაან-ჯავახეთი გაანადგურა ბასიანთან და ტაოსთან ერთად. 1022 წელს დაიდო ქართველთათვის მძიმე ზავი. იმპერიაში დაიწყო ქართველი ბერების, საერთოდ ქართველების დევნა. ე. ხინთიბაძის სიტყვით, საიმპერატორო კარზე იბერთა სახელი იმპერიის ორგულ მტერთა საძულველ სახელებს შორის იხსენიებოდა

ბასილი II-ს ამ დაპყრობილ ივერიის მიწებზე შეუქმნია სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული „იბერიის საკატეპანო“, იგივე „იბერიის თემი“, მის ერთერთ მმართველს „მატიანე ქართლისა“ უწოდებს „აღმოსავლეთის კატაბანს“, რომელსაც იქამდე მძევლად წაყვანილი ყრმა ბაგრატ IV კონსტანტინოპოლიდან ამიერ ტაოში დაუბრუნებია.

„იბერიის თემში“, ზოგიერთი ისტორიკოსის თვალსაზრისით, შედიოდა - იმიერ ტაო, ჩრდილო ბასიანი, ოლთისი, თორთომი, და ასევე კოლა, არტაანი, შავშე-

თი, ჯავახეთი და ასევე ის ვრცელი მიწა-წყალი რომელიც შედიოდა არაქსევფრატის ხეობებში.

ვ. გოილაძის აზრით ამ ქვეყნების მიერთების თანავე იმპერიის ეკლესიამ თავისი იურისდიქცია გაავრცელა მათზე, ამის გამო მისი აზრით ოშკის ცნობილი ტაძარიც კი ამ პერიოდში იმპერიის ეკლესიაში შედიოდა, (ვ. გოილაძე, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპიგრაფიკაში, 2008, გვ. 122).

ბიზანტიის იმპერიის ეკლესიაში შესულა დავით კურაპალატის სამეფოს მთელი ტერიტორია (იქვე, გვ. 125).

იმპერიის შემადგენლობაში ეს ქართული ტერიტორიები დარჩენილა 1001 წლიდან 1072-74 წლებამდე - თურქ სელჩუკების მიერ მათ დაპყრობამდე.

ვალაშკერტი, რომელიც იქამდე იმიერ ტაოს სამეფოს სასულიერო ცენტრი იყო - კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციას დაექვემდებარა ოშკის ტაძართან და სხვა ქართულ ეკლესია-მონასტრებთან ერთად (იხ. იქვე, გვ. 137). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 1018 წლამდე ბიზანტიის ბატონობა ამ მიწაზე არ იყო მყარი, აქ ისევ იგრძნობოდა ქართული სახელმწიფოს ხელი.

XI საუკუნის 30-იან წლებამდე, როგორც ითქვა, ქართველი სასულიერო პირები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ბიზანტიის იმპერიაში შესული ამ მიწა-წყლის ეკლესიების ქართულენოვნება. ქართული წმიდა წერილის ხელახალმა რედაქტირებამ, ბერძნულ რედაქციებთან შედარებამ, თითქმის ნახევარი საუკუნე მოიცვა.

საბოლოოდ კი მაინც იბერიის თემის ეპარქია ბერძნულენოვანი გახდა ზოგადი თვალსაზრისით, თუმცა ეკლესია-მონასტრების არცთუ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა ქართულენოვნება.

დავით კურაპალატის ყოფილი სამეფოს ქართული საეპისკოპოსოების მრევლი შემდგომ საუკუნეებშიც ქართული ეკლესიის წევრად დარჩა თურქ-სელჩუკებისა და ოსმალების ბატონობის დროსაც კი, ასეთები იყვნენ არა მხოლოდ ოშკისა, ბანასა თუ ხახულის, არამედ ვალაშკერტისა და არზრუმის და სხვა ქართველი საეპისკოპსოების მრევლიც.

ვალაშკერტის სამამამთავრო და ლაზიკის სამიტროპოლიტო (XI ს.)

ძირითადი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულის – სამიტროპოლიტოს - მეთაურს ანუ მიტროპოლიტს, როგორც ცნობილია, თავის უშუალო დაქვემდებარებაში ჰყავს საკუთარი ეპისკოპოსები. ასეთი საეკლესიო ერთეულები საქართველოში იყო ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები (კათალიკოსი ისეთივე საეკლესიო ხელისუფალი იყო, როგორიც ბერძნულ ეკლესიაში არის მიტროპოლიტი).

საზოგადოდ, მსოფლიო პირველქრისტიანულ ეკლესიაში სამიტროპოლიტო ოლქთა იურისდიქცია ვრცელდებოდა მის მომცველ ადგილობრივ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებზე, ესენი იყვნენ თავის დროზე რომაული პროვინციები, შემდეგ ბიზანტიური ტერიტორიული პოლიტიკური ერთეულები.

საქართველოშიც აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია ვრცელდებოდა აფხაზთა სამეფოს ფარგლებში, მცხეთისა – ძველი ქართლის სამეფოს ფარგლებში.

ვალაშკერტის სამამამთავროს, ანუ, ჩვენი თვალსაზრისით, ვალაშკერტის ე.წ. „სამიტროპოლიტო ოლქის“ იურისდიქცია, ჩანს, ვრცელდებოდა იმიერ ტაოს სამეფოს ფარგლებში. ტაოს სამეფო თავდაპირველად მოიცავდა იმიერ ტაოს, შემდგომ, დავით კურაპალატის დროს მას მიუერთდა ვრცელი მიწები ე.წ. „ზემონი ქვეყანანი“, გადაჭიმული თითქმის ვანის ტბამდე, მაშასადამე, ჩვენი აზრით, სწორედ ამ მიწა-წყლის მომცველი „სამეფო“ იყო ვალაშკერტის „მამამთავრის“ იურისდიქციის ქვეშ. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, საქართველოს ეკლესიაში იყო იმდენი საკათალიკოსო ერთეული, რამდენი პოლიტიკური ერთეული ანუ „სამეფოც“ არსებობდა ქვეყანაში, თუმცა კახეთის სამეფოს შიგნით არსებობდა თუ არა ასეთი „სამიტროპოლიტო“ ჩვენთვის უცნობია, თუმცა აქ შეიძლება იყოს გამონაკლისი, რადგანაც კახეთს თავდაპირველად ქორეპისკოპოსები მართავდნენ ვითარცა საეროსაეკლესიო ხელისუფალნი, ქორეპისკოპოსები კი მცხეთელი კათალიკოსის ხელქვეითები იყვნენ. ჩანს, კახეთის საქორეპისკოპოსო ძველი ქართლის სამეფოს საეკლესიო იურისდიქციაში იყო. აფხაზეთში ვითარცა თავისთავად სამეფოში – საეკლესიო იურისდიქციას ადგილობრივი მიტროპოლიტი, ანუ კათალიკოსი ახორციელებდა, აფხაზეთის გარეთ მსგავსი პოლიტიკური ერთეულები, როგორც ითქვა, იყვნენ ქართლისა და ტაოს სამეფოები. მაშასადამე, ჩვენი აზრით, ტაოს საზღვრებში ჩამოყალიბდა ტაოს ქართული საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული – ტაოს სამამათმთავრო, რომლის იურისდიქცია თითქმის ვანის ტბამდე განივრცო.

მამათმთავარ-პატრიარქი დავით კურაპალატის კარზე (X ს.)

ასოღიკის ცნობით დავით კურაპალატის კარზე იყო პიროვნება პატრიარქის წოდებით, მაგალითად 1001 წელს, როდესაც დავითის გარდაცვალების შემდეგ ბასილი II მივიდა ქართველთა ქვეყანაში, ერთ-ერთი შიდა შებრძოლების დროს დაიხოცნენ ტაოს დიდებულები, მათ შორის იყვნენ: **„დიდი მთავართმთავარი პატრიარხი, ოჩოპენტრეს ორი შვილი გაბრიელი და იოანე, აბულხაბრის შვილიშვილი ჩორდვანელი და სხვა მრავალნი“** (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 76).

ასოღიკის ცნობით გარდაცვლილი პატრიარქი ტაოს დიდებულთა წრეს ეკუთვნოდა.

იაჰია ანტიოქიელიც ასევე იძლევა ცნობას, რომ დავით კურაპალატის კარზე ნამდვილად იყო **კათალიკოსი,** რომელიც ამავე წრეს განეკუთვნება.

იაჰია ანტიოქიელის ცნობით - **„დამარცხებულმა დავით კურაპალატმა კათალიკოსი და დიდებულები გაგზავნა ბიზანტიაში, რათა მათ ერთგულების ფიცი მიეცათ ბასილ კეისრისათვის** (იქვე, გვ. 307).

მაშასადამე, **სხვადასხვა წყარო მიუთითებს, რომ დავით კურაპალატის კარზე ნამდვილად იყო უმაღლესი სასულიერო პატივის მქონე პირი პატრიარქის ან კათალიკოსის წოდებით ადგილობრივი წარმოშობისა.**

ქართული წყარო კი მიუთითებს, რომ ზაქარია ვალაშკერტელს ჰქონია „მამათმთავრის“ წოდება, რაც, როგორც ითქვა, სიტყვა პატრიარქის შესატყვისია და შეესაბამება სამიტროპოლიტო ოლქის მეთაურს.

ვინ იყო დავით კურაპალატის კარზე - მცხეთელი კათალიკოს-პატრიარქი თუ ადგილობრივი ახალი ქართული საეკლესიო-ადმინისტრაციული ოლქის მეთაური? იქნებ დავით კურაპალატმა თავის სამეფოში ადმინისტრაციულად ახალი ქართული სამიტროპოლიტო ოლქი შექმნა, რომლის მეთაურსაც მამათ-მთავრის წოდება ჰქონდა?

ზაქარია მამათმთავარი (ისევე, როგორც 1001 წელს მოკლული ტაოელი პა-ტრიარქი) განეკუთვნებოდა ტაოს (ანუ იბერიის) უბრწყინვალეს საგვარეულოს, კერძოდ **ზაქარია იყო გრიგოლ ბაკურიანის ბიძის თევდრატეს ნათესავი, ასევე ფერის ჯოჯიკის ძის ნათესავი**.

წყაროები იძლევა შესაძლებლობას იმისა, რომ დავუშვათ ვარაუდი ტაოს საეკლესიო ოლქის ჩამოყალიბებისა, კერძოდ, დავით კურაპალატს თავისი სამე-ფო სრულყოფილი სამოხელეო სისტემით აღუჭურვია:

დავით კურაპალატის კარზე იყვნენ ისეთი იშვიათი მოხელეთმთავრები, როგორ-იცაა - **„მწერალთა მთავარი“**, ან **„მეგანძურთა უხუცესი“**. მის სამეფო კარზე ყოფილა ასევე პირი **„მთავართა მთავრის“** წოდებით.

ვ. კოპალიანს გარკვეული აქვს, რომ „სომხეთის სამეფო კარზე მთავართა-მთავრის ტიტულს ის პირი ატარებდა, რომელიც პასუხისმგებელი იყო მეფის წინაშე ყველა ვასალის მოქმედებაზე“ (იქვე, გვ. 34). მასვე ექვემდებარებოდნენ საგადასახადო მოხელეები, იგივე პირი ნიშნავდა ციხისთავებს. ასეთი მოხელე (მთავართამთავარი) დავითის კარზე ყოფილა ცნობილი დიდებული ჯოჯიკი, მას თავისი საკუთარი **„მეგანძურთა უხუცესი“** - გვირპელი ჰყოლია.

ასეთი სრულყოფილი სამოხელეო იერარქიის არსებობა სამხრეთ ტაოს სამე-ფო კარზე, კიდევ უფრო გვაფიქრებინებს, რომ **ზაქარია ვალაშკერტელის ტიტული - „მამათმთავარი“ არ იყო შემთხვევითი სახელი, რომ როგორც მთავართამთავრის მიმართ ვასალებს ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა, ასევე ზაქარიას (ვითარცა მამათმთავრის) მიმართ ეპისკოპოსებს გააჩნ-დათ პასუხისმგებლობა, ანუ ის ეპისკოპოსთა მთავარი ანუ სამხრეთ ტაოს ადმინისტრაციულად თავისთავადი საეკლესიო ოლქის მმართვე-ლი იყო.**

„ნათესავით ქართველნი“ (გრიგოლ ბაკურიანის ძე)

იბერიაში მოსვლისას ბასილი კეისარმა ზავი შეკრა შიდა იბერიის მმართველთან და ბიზანტიაში **„წაიყვანა იბერიის დიდგვარიანები, რომელთ-აგან უმთავრესნი იყვნენ ბაკურიანი, თევდრატე და ფერსი, ღვიძლი ძმები“** - წერს კედრენე (გეორგიკა, V, გვ. 45).

შემდეგში ცნობილი დიდებული იბერიელი დიდგვარიანი – გრიგოლი - იყო ერთ-ერთი ამ გადასახლებულის - ბაკურიანის ძე.

გრიგოლი თვითონვე აღნიშნავს თუ ვინ იყო ის - **„ვარ ღვიძლი შვილი ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავ-ერისთავისა, წარმოშობით ვარ აღმოსავლეთის მხარეებიდან იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან“** (გეორგიკა, V, გვ. 99).

თავის ეროვნული წარმომავლობის, თავისი ქართველობის შესახებ გრიგო-ლი პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში აღნიშნავს – ჩვენ ქართველები ვართ და გამოვლილი გვაქვს ყოველგვარი მხედრული ცხოვრებაო - **„რომელნი**

ესე მკვიდრ ვართ მონასტერსა ამას შინა... ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობათა შინა აღზრდილნი“.

გრიგოლ ბაკურიანის ძე ამაყობდა თავისი ქართული წარმოშობით, ქართველებს მხნე ერს უწოდებდა და სამხედრო საქმეში დახელოვნებულთ (შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ გრიგოლმა თავის მონასტერში შეკრიბა ის ქართველი ყოფილი ჯარისკაცები, მხედრები, რომელთაც ბერობა გადაწყვიტეს).

პეტრიწონის ტიპიკონში, ისევე, როგორც ყველგან, სიტყვა „ნათესავი“ ეროვნულ, ეთნიკურ წარმომავლობას აღნიშნავს და არა სარწმუნოებრივ ორიენტაციას, რაც იქიდანაც ჩანს, რომ გრიგოლი წერს **„ვართ ქართველნი ნათესავით მხნენი**“. ის მხნე ანუ გმირული, ჰეროიკული სულისკვეთების „ქართველთა ნათესავის“, ერის, წევრია და არა ჰეროიკული კონფესიისა.

თანამედროვე სომეხი მეცნიერები გრიგოლს ეთნიკურ სომხად მიიჩნევენ, რომელსაც თითქოსდა ქართველი ერქვა მართლმადიდებლობის გამო.

ვ. კოპალიანი აღნიშნავს, რომ გრიგოლს (მაშასადამე, ასევე თევდრატეს, ფერსს, ბაკურიანს, ზაქარია ვალაშკერტელსა და სხვებს) ქართველად მიიჩნევდნენ თვით მათი თანამედროვე სომეხი ავტორები - სტეფანოზ ტარნელი, არისტაკეს ლასტივერტეცი (ის ზაქარია ვალაშკერტელს ქართველს უწოდებს), მათე ედესელი, სხვა ავტორებიდან იაჰია ანტიოქიელი, სკილიცე, კედრენე და სხვები (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 307).

ანა კომნენე გრიგოლს სომეხს უწოდებს. როგორც მიიჩნევა მამამისთან გრიგოლის კონტაქტის დროს ანა მცირეწლოვანი ბავშვი იყო და ალბათ აღარ ახსოვდა გრიგოლის წარმომავლობა.

გრიგოლის ოჯახის ყველა წევრი საქართველოსათვის თავდადებული იყო.

გრიგოლის ბიძას ფერის ჯოჯიკის ძეს სამშობლოსათვის თავგანწირვის გამო „თავი წარეკვეთა“.

ბიზანტიაში გადასახლებული ფერის ჯოჯიკის ძე ცდილობდა, როგორმე ჩამოეშორებინა საიმპერატორო ტახტიდან ბასილი, რომელმაც დაიპყრო სამხრეთ ტაო და მოსპო იქ ქართული სახელმწიფოებრიობა. ფერისს უნარი შესწევდა და შეძლო კიდეც ბასილის საწინააღმდეგო დიდ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის მიღება. ის მართლაც აჯანყდა.

აჯანყების დამარცხების შემდეგ, დაახლოებით 1022 წელს, ფერის ჯოჯიკის ძე ბასილმა დაასჯევინა თავის საკუთარ მამულთან ახლოს კარინის ქვეყანაში. აჯანყება ისეთი დიდი მასშტაბის იყო, რომ ბასილის სამხედრო ბანაკი „შიშმა და ძრწოლამ მოიცვა“.

1025 წელს სამშობლოს გასათავისუფლებლად მოწყობილ სხვა აჯანყებაში მონაწილეობისათვის დასაჯეს გრიგოლის ოჯახის წევრი ზაქარია ვალაშკერტელი ეპისკოპოსი - „თევდრატე პატრიკიოსის ნათესავი“ (თევდრატეს ძმისშვილები ყოფილან სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის შემდგომში აჯანყებული ცნობილი პირები გიორგი და ვარაზვაჩე). თევდრატეს, როგორც ვიცით ორი ძმა ჰყავდა ბაკურიანი და ფერისი, ბაკურიანის შვილების სახელები ცნობილია, ამიტომაც ფიქრობს ვ. კოპალიანი „იქნებ ფერსის შვილები არიან გიორგი და ვარაზვაჩე“ (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 174).

იმპერატორი რომანოზ არგვიროსის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწ-

ილეობისათვის კედრენეს სიტყვით 1028 წ. „თეოდოსი პატრიკის ძმისშვილები გიორგი და ვარაზვაჩე მაგრად გაროზგილი, სახალხოდ გამოყვანილნი გადაასახლეს“ (იქვე, გვ. 172).

კოპალიანი ეთანხმება ნ. სკაბალანოვიჩს და მიიჩნევს, რომ კონსტანტინე VIII-ს მიერ დასჯილი ზაქარია ვალაშკერტელი ნათესავი უნდა ყოფილიყო გიორგისა და ვარაზვაჩესი.

აღსანიშნავია, რომ რომანოზის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობისათვის დასაჯეს აგრეთვე მესამე წინამძღვარი ივერთა მონასტრისა გიორგი მაშენებელი (გიორგი უკეთური). კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ ზემოთ აღნიშნულ გიორგი და ვარაზვაჩე არა ორი, არამედ ერთი პირი იყვნენ, იგივე გიორგი მაშენებელი, რასაც არ ეთანხმებიან სხვა მკვლევარები, რადგანაც მათ მიიჩნევენ არა სასულიერო, არამედ საერო პირებად).

ასე დაისაჯნენ ივერიის დაპყრობის გამო მრავალგზის აჯანყებული სახელოვანი ქართველი დიდებულები და მათ შორის ზაქარია ვალაშკერტელი.

დაპყრობის შემდგომ ბიზანტიამ ვერ უპატრონა და მტრისაგან ვერ დაიცვა სამხრეთ იბერია. პირიქით „მხნე იბერიელთა“ დამარცხებამ თურქ-სელჯუკებს გზა გაუხსნა კონსტანტინოპოლისაკენ. მათ საშუალება მიეცათ კიდევ უფრო აეოხრებინათ სამხრეთ ტაოს სამეფოს ყოფილი მიწა-წყალი და მტერს გზა გაეხსნა ტრაპეზუნტისა და ბიზანტიის სიღრმეებისაკენ.

ასეთ დროს, ჩანს, ბიზანტიაში მაღალი თანამდებობის ქართველები ცდილობდნენ დაეთანხმებინათ საიმპერატორო კარი, რათა კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებულიყო სამხრეთ იბერიის ნაწილი მაინც.

ერთი ასეთი მოღვაწე ყოფილა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელიც პირადად ეახლა ბანაში საქართველოს მეფე გიორგი II-ს და მას ბიზანტიის სახელით გადაეცა ქალაქ კარი (ყარსი).

მემატიანის ცნობით გრიგოლ ბაკურიანის ძის ხელში ყოფილა იმჟამად ოლთისი (სამხრეთ ტაოს ყოფილი დედაქალაქი) და ასევე არზრუმი (კარნუ ქალაქი).

გიორგი II-ს კარი (ყარსი) გადაეცა მისი მიმდგომი ქვეყნით ანუ ვანანდით.

უფრო ადრე, დავით კურაპალატის ეპოქაში ქართველთა სამეფო საოცარი სისწრაფით გაიზარდა, მისი საზღვრები თითქმის ვანის ტბამდე გადაიწია, **ეს შეუძლებელი იქნებოდა ევფრატის სათავეების და ვანის ტბის დასავლეთით მცხოვრები მოსახლეობა რომ არ ყოფილიყო ეთნიკური ქართველობა, რომელთაც სურდათ და ნატრობდნენ ქართულ სახელმწიფოში ცხოვრებას.**

ქართველების რიცხვი აღნიშნულ რეგიონებში ძალზე დიდი რომ იყო იქედანაც ჩანს, რომ ამ მოვლენის ახსნას ჩვენი თანამედროვე სომეხი ისტორიკოსები იმით უძებნიან, რომ ისინი ე.წ. „ქალკედონიტი სომხები“ იყვნენ, რომელნიც თითქოსდა „გაქართველდნენ“, სინამდვილეში კი ისინი იყვნენ პირდაპირი შთამომავალნი ფასიანების, ქალდებისა და ტაოხების იმ ქართული ტომებისა, რომელნიც ქსენოფონტემ ამ ადგილებში იხილა ქრისტეშობამდე ოთხასი წლით ადრე და რომელთა ეროვნულ-ეთნიკური ქართული იდენტობა მკვეთრად გამოიკვეთა დავით კურაპალატის ეპოქაში, რაც გრიგოლ ბაკურიანის დროსაც გაგრძელდა.

ურთიერთდამოკიდებულება მცხეთელ კათალიკოსსა და სამხრეთტაოელ მამამთავარს შორის

I ათასწლეულში კათალიკოსი უფრო საპატიო და უზენაეს საეკლესიო ხელისუფლად ითვლებოდა ვიდრე „მამათმთავარი“, ამ მოსაზრებას სომხური ეკლესიის მაგალითი ამტკიცებს, სადაც კათალიკოსი უფრო მაღალ წოდებად ითვლებოდა ვიდრე პატრიარქი.

უხტანესი და სხვა სომეხი ავტორები ამტკიცებდნენ, - „ეფესოდან მოციქულის ნეშტი კონსტანტინოპოლში გადაასვენეს, რის შემდეგაც კონსტანტინოპოლელმა და ასევე სხვა **მრავალმა** იერარქმა პატრიარქის სახელი მიისაკუთრა“.

VII-X საუკუნეებში მამათმთავრის ანუ პატრიარქის სახელს მრავალი იერარქი ატარებდა, მაგრამ კათალიკოსი მხოლოდ ტრადიციულ უძველეს კათედრებს მართავდა სომხეთსა და მის მახლობელ ეკლესიებში.

ტაოს იერარქის წოდება „მამათმთავარი“ არ აკნინებდა მცხეთელი კათალიკოსის ტიტულს, პირიქით, მცხეთელი კათალიკოსი მასზე უზენაეს, უხუცეს ქართულ საეკლესიო ხელისუფლად ითვლებოდა, მითუმეტეს ტაოს მამათმთავართან შედარებით.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ტაოს ქართულ სამამათმთავროს საფუძველი დაედო „ზემო ქვეყნების“ გადმოცემამდე, კერძოდ მას შემდეგ, რაც ტაოს შეუერთდა ბასიანი.

როგორც ცნობილია ბასიანი ჯერ კიდევ კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს იყო სადავო ქართველთა და ბიზანტიელთა შორის, ბოლოს, ამ კეისრის დროს, ბასიანი ორად გაიყო, სამხრეთი ბიზანტიას დარჩა, ჩრდილო ბასიანი ტაო-კლარჯეთს შეუერთდა (ნარკვ. II, გვ. 478, შენ. 4).

ე.ი. X ს. დასაწყისიდანვე ჩრდილო ბასიანი ეკლესიურად ქართულ საეკლესიო იურისდიქციაში იყო შესული, ადმინისტრაციულად ჩრდილო ბასიანი სამხრეთ ტაოს შეუერთდა, ტერიტორიის ზრდამ შესაძლოა შექმნა სათანადო პირობები საეკლესიო ოლქის წარმოსაქმნელად, ამის გამოც შეიქმნა ტაოს სამამათმთავრო, მისი მეთაური მცხეთელ კათალიკოსს ექვემდებარებოდა ქართულ ეკლესიაში არსებული წესის შესაბამისად, როგორც უმრწემესი უხუცესს.

ქართული საეპისკოპოსოები ყოფილი მესხეთის მიწებზე (XII-XVI ს. „ქრონიკების“ მიხედვით)

1. „იშხნელის სამწყსო გურჯიბოღაზის აქეთ სულა თორთომი, ტაოს ქვემოთი, არტანუჯის თავი (საკრულავი ჰქვიან, იმას აქეთი), დაღმით ორჯოხის მთის აქეთი, სულა საკავკასი(ძ)ო, ისპირი, ტრაპიზონის მთას გადმოღმა.

2. ანჩელის სამწყსო, სამწყალს აქეთი ხანცხას. (ხანცთას) და ოპიზას შუა დახატულა, ამის ქვემოთი ნიგლის-ხევი, გადაღმა და გამოღმართი, გონიის სამძღურამდინ.

3. მტბევარის სამწყსო, დახატულას ზედათი, ანკერთს აქეთი, სულა შავშეთი, მიჭიხიანთ ბატონის კათალიკოსის ყოფილა, იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა. აჭარა დანდალოს ზევითი მას ჰქონებია და დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა.

4. წურწყაბელის სამწყსო, ხურსიძის სახლი, სულა ბოცოთ-ხევი, ხერთვისის ქვეითი, – მისია.

5. წყაროსთველის სამწყსო, ზევთი, და იმას ზეით პალაკაციო კოლის სამძღვრამდინ, მტკუარს აქეთი არტანი.

6. ერუშნელის სამწყსო, ტალაშოს ზეითი, სულა არტანა, კოლის სამძღვრამდინ.

7. ვალაშკერტელის სამწყსო, ყაზევანს ზეითი, ვალაშკეთის აქათ, ხინუსი და დევაბონის აქეთი (თ. ჟორდანიას შენიშვნა – ხინუსი – ბაიბურთის ახლოს).

8. ანელის სამწყსო სულა ზარიშტიანი და შირვოინი და ბაღასბერეთი

9. კარელის სმწყსო სულა კარი და კოლისა და ოლთისის სამზღურის გარდმოღმა გგეჩვიანი და კაღზევანი.

10. ბანელის სამწყსო სულა ბანი, ტაოსკარი, ფანასკერტი, პარიზის ხეობა, სულა ოლთისი და ნამურაკანი.

11. დადაშნელის სამწყსო სულა კოლა და ხორტევანი, ყარასალზედ მიდგომამდინ.

ამ ეპისკოპოსთა მწყემსი და უპირატესი საქართველოს კათალიკოსი ამის ხელათ ყოფილან“ (ქრონიკები, II, 1897, გვ. 53-54).

ყოფილი იბერიის თემის მიმდებარე ქართული საეპისკოპოსოები (XIV-XVII სს.)

ყოფილი „იბერიის თემის“ ქართველობა XIV-XV საუკუნეებში კვლავ აღორძინდა და ეკლესიურად მრავალი ქართული საეპისკოპოსო დააარსა ამ მხარეებში, კერძოდ XIV-XV საუკუნეების ხელნაწერის მიხედვით ესენი იყვნენ - ვანის ტბის სიახლოვეს

1. ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსო. მისი საზღვრები იყო - „ყაღზევანს ზევით, ვალაშკეთს აქეთ ხინური, დევაბოინის აქეთი;

2. შირაკში - ანისის ქართული საეპისკოპოსო - მისი საზღვრები: „სულა ზირიშტიანი და შირავონი და მაღასბერეთი“;

3. ვანანდში კარის (ყარსის) ქართული საეპისკოპოსო: „სულა კარი და კოლისა და ოლთისის საზღვრის გარდმოღმა გაგჩევანი და კაღზევანი“;

4. ტაოში ბანელის ეპისკოპოსის სამწყსო იყო ფანასკერტი, პარიზის ხეობა, ოლთისის ქვეყანა და ნარუმაკანი;

5. კოლაში დადაშნელი ეპისკოპოსის - „კოლა, ხორტევანი ყარასალზედ მიდგამამდი“;

6. ერუშნელისა - არტაანი ტალოშიდან კოლას საზღვრამდე;

7. წყაროსთაველისა - პალაკაციოს ტბიდან არტაანი კოლამდე.

ქართველთა მკვიდრობას და ძირეულობას ყოფილ „იბერიის თემში“ მიუთითებს ის, რომ მიუხედავად მტრების გამანადგურუბელი შემოსევებისა კარინის (არზუმის), თორთომის, ტაოს, ვანანდის (კარის), ბასიანის და მიმდებარე მხარეების კუთხეებში ტრაპიზონიდან - ვანის ტბამდე (ვალაშკერტი) ქართული საეპისკოპოსოები იყვნენ XV- XVII საუკუნეშიც კი.

ა) ა. ლამბერტის ცნობით ქართული საეპისკოპოსო XVII საუკუნეში იყო მდ. ევფრატთან, მისი საკათედრო ტაძარი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობისა იყო, „არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 1633-1653 წლებში იყო საქართველოში, წერდა - „არზრუმის ქალაქის მახლობლად ახლაც ქართული სოფლებია.

თვით ამ ქალაქში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი –არზრუმელად წოდებული“ („მოამბე“, 1900, 4).

ბ) ართვინშიც იყო ქართული საეპისკოპოსო, მისი საკათედრო ტაძარი მოციქულ ბართლომეს სახელზე ყოფილა ნაკურთხი, საერთოდ აღსანიშნავია, რომ ტაო-კლარჯეთში სამხრეთ საქართველოს განმანათლებლად მოციქული ბართლომე მიაჩნდათ.

გ) სპერშიც იჯდა ქართველი ეპისკოპოსი, მისი მთავარი ტაძარი მოციქულ ანდრიას სახელობის იყო.

დ) განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, რომ XVII საუკუნეში არზრუმშიც იჯდა ქართველი ეპისკოპოსი, მისი ტაძარი მოციქულ თომას სახელობის იყო.

ე) ოლთისში, რომელსაც სომხები უხტიკს უწოდებდნენ ამავე საუკუნეში კვლავ იჯდა ქართველი ეპისკოპოსი, მისი ტაძარი მოციქულ პეტრეს სახელს ატარებდა.

ვ) ა. ლამბერტის ცნობით მის დროს საეპისკოპოსოები იყო ერუშეთში, კუმურდოში, იშხანში, დადაშენში, კარში (ყარსში), ანისში (ანში), ტბეთში, ის ჩამოთვლის ასევე ამავე რეგიონის სხვა საეპისკოპოსოებს, რომელთა სახელები დამახინჯებულია, ესენი იყვნენ სხალტელი, აზიკიელი, ანჟელი, სხალტბელი, წურწყაბელი, ისემელი და სხვა (მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 1995, გვ. 469). ცხადია, ყველა ისინი სამცხე-საათაბაგოს სამთავროში შედიოდნენ, ზოგი კი მის გარეთ იყო, ერთი სიტყვით, იმ მიწა-წყალზე, რომელიც XI ს-ში „იბერიის თემად“ იწოდებოდა.

ა. ლამბერტის ცნობით გურიაში ნინოწმიდელი ეპისკოპოსი მჯდარა, თუმცა აქ ალბათ ხონოწმიდელს გულისხმობდა.

ა. ლამბერტი საქართველოში იმყოფებოდა 1630-1649 წლებში. მის გარდა გელასი კესარიელიც წერს, რომ წმიდა ნინოს მიერ და მის დროს იბერელებმა და ლაზებმა ერთდროულად მიიღეს ქრისტიანობა, მას ეთანხმება მოვსეს ხორენელი, რომელიც წერს, რომ წმიდა ნინომ იქადაგა „კლარჯეთიდან - მასქუთებამდე“. XVIII ს-ში საქართველოში დევნილი ლაზეთის იერარქები წერდნენ, რომ ლაზეთში ივერთა განმანათლებლის სახელობის ეკლესიაც იყო. ლაზეთი ივერთა განმანათლებლის თავის განმანათლებლად მიიჩნევდა, თუმცა იქ მოციქულების ბართლომესა და ანდრიას ავტორიტეტი ძალზე მაღალი იყო, რადგანაც მათ მოუვლიათ ეს მხარეები.

ბანა

უნდა ითქვას ისიც, რომ ჩანს ივერიის თემის დაარსებამდეც, კონსტანტინეპოლი აკონტროლებდა ნაწილობრივ ტაოსაც, ეს იქედან ჩანს, რომ გიორგი I-ის სიკვდილისთანავე, როცა ძალზე მცირეწლოვანი ბაგრატ IV ტახტზე ავიდა, ამით ისარგებლეს ტაოელმა ორგულმა დიდებულებმა „წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს, ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოანე და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“ (მატიანე ქართლისა, გვ. 254).

ეს წასვლა გულისხმობდა იმას, რომ ციხე-სიმაგრეთა მქონე აზნაურები ამ თავიანთ ქონებას და მიწა-წყალს აძლევდნენ იმპერატორს, სანაცვლოდ კი მისგან იღებდნენ მამულებს იმპერიის შიდა პროვინციებში.

მათ შორის ყოფილა ბანელი ეპისკოპოსი იოანეც.

მისი წასვლა გულისხმობდა თუ არა ბანას ტაძრის და მისი ეპარქიის გადაცემას იმპერიისათვის ეს გაურკვეველია, ეს მომხდარა 1027-1028 წლებში.

ბანას ტაძარში, თითქმის მალევე ჯვარი თვით მეფეს ბაგრატ IV-ს დაუწერია. ბაგრატს იქ სამეფო გვირგვინი დაუდგამს.

თუ ბანა მართლაც „წაღებული“ იყო, ის მალევე უკან დაუბრუნებიათ ქართველებისათვის, იმპერატორის ნათესავი ელენე დედოფალი ბაგრატ IV-ს მიათხოვეს, ქორწილი და გვირგვინის კურთხევა აღსრულდა ბანას დიდებულ ტაძარში 1029-1030 წლებში.

ბანას და ვალაშკერტის კათედრები სწორედ ამ ეპოქაში, ბიზანტია-საქართველოს ომიანობის დროს გაერთიანებული ყოფილა და მას ერთი მღვდელმთავარი ზაქარია ვალაშკერტელი იგივე ბანელი მართავდა თუ კი ზაქარია ნამდვილად იყო ბანელი სვინგელოზი.

ვალაშკერტი, როგორც ითქვა, დიდ საერთაშორისო გზაზე იდგა. საფიქრებელია, რომ ბასიანში გიორგი I-სა და ბასილი II-ს ჯარებს შორის შებრძოლება (არშარუნიქის გავარის პუნქტ შღფაში, მატიანე ქართლისაის შირიმნში) აღნიშნული გზის კონტროლის მოსაპოვებლადაც მოხდა. სავაჭრო გზა დიდი შემოსავლის წყარო იყო ქართველთათვის, ბიზანტიელებისათვის კი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ბასილი II სპარსეთის მიმართულებით აფართოვებდა იმპერიას.

თავი XII

ქართული თვითშემეცნების აღორძინება დასავლეთ არმენიაში

ჩვენი კვლევით ტაო-ბასიანისა და სხვა კუთხეთა მცხოვრებთ ქართული იდენტობა ჩამოუყალიბდათ **არა** ე.წ. ქართიზაციის პროცესის, არამედ იქამდე მინავლებული ეროვნული თვითშემეცნების აღორძინების შედეგად. სტრაბონი წერს: **„ამბობენ, რომ ძველ დროს მცირე ქვეყანა არმენია გაიზარდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად... მათ ერთობით გაა-ფართოვეს თავიანთი სამფლობელო იმით, რომ ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ჩამოაჭრეს ოლქები, კერძოდ** მიდიელებს **წაართვეს** კასპიანა, ფავრიტიდა და ბასოროპედა, **იბერებს –პარიადრის მთისწინეთი, ხორძენა და გოგარენა, რომელიც მდებარეობს მდ. კირის მეორე მხარეს. ხალიბებსა და მოსინიკებს - კარენიტიდა და ქსერქსენა,** რომელიც ესაზღვრება მცირე არმენიას და მისი ნაწილია...“ (სტრ. XI, 14, 5), (სტრაბონი, გეოგრაფია, გამომცემლობა „ნაუკა“, 1964, რუს. ენაზე, გვ.498). უკვე არმენიაში მცხოვრებ ამ ქართველებს მართალია ძალზე შეუსუსტდათ ეროვნული ცნობიერება, მათი არმენიზაციის პროცესის გამო, მაგრამ არა საბოლოოდ. საქართველოს მახლობლად (ტაო-კარინ-ვანანდ-ბასიანში) მცხოვრებმა ასეთმა ქართველებმა ხელ-

საყრელი პოლიტიკური მომენტის დადგომისას თავი დააღწიეს სომხურ კულ-ტურულ-საეკლესიო გავლენას და აღიდგინეს ქართული ცნობიერება. **ქ. პატ-კანოვ-ნ. მარის თეორიის თანახმად კი თითქოსდა ისინი ქალკედონიტი სომხები იყვნენ და მოხდა მათი ქართიზაცია. ამ თეორიის საწინააღმ-დეგოდაა დაწერილი ჩვენი მთელი ნაკვლევი. „ძალიან გვწყდება გული... მეცნიერისათვის ერთი არასაკადრისი საქციელის შესახებ. მაინც უნდა მოგახსენოთ: ნ. მარი ყველაფრის არმენიზაციას ახდენს, საქართველოს მიწის, მისი ძეგლების, ენის, ლიტერატურისა და სხვა... ისერიგად, რომ არმენიზაციაში ბევრათ აჭარბებს სომეხ პატრიოტებს, თვით ყველაზე გადამეტებულთაც კი“ (მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია, 1995, გვ. 275).**

I. თვითშემეცნების აღორძინება XI ს-ის ლაზიკის ეპარქიაში

ა. ლაზიკის ეპარქია - დასავლეთ არმენიისა და პერსარ-მენიის ქართველობის გამაერთიანებელი

თანამედროვე საქართველოს სამხრეთით მდებარე ვრცელი მიწა-წყალი სი-ნოპიდან და ტრაპეზუნტიდან მოყოლებული თითქმის ვანის ტბამდე ქართული ტომებით ყოფილა დასახლებული, როგორც ქსენოფონტეს დროს, ისე მის შემდგომ. ამ ტერიტორიების დიდ ნაწილს მოიცავდა ლაზიკის ეპარქია XI ს-ში. კარ-დუხ-გორდიენები, ფასიანები, ხალიბ-ქალდები და სხვა ქართული ტომები იქ არმენიელთა დასახლებამდე ცხობრობდნენ.

კიროს დიდის ეპოქამდეც ქართული ტომები ამ ტერიტორიის მომცველ XVIII და XIX სატრაპიებში ცხოვრობდნენ, ხოლო არმენია სხვა, XIII სატრაპიას ერქვა მათ მეზობლად.

შემდგომში არმენიული ტომები შეჭრილან კარდუხთა, ფასიანთა, ხალიბთა, ასევე სხვა ქართულ ტომთა მიწა-წყალზე და მათგან საუკეთესო ადგილები, სახნავ-სათესად ვარგისი მიწები მიუტაცებიათ, ამიტომაც ქსენოფონტეს „ანაბა-ზისით“ მტრობა და ბრძოლები იყო გაჩაღებული არმენიელთა და ამ ტომებს შორის, იგივე ქსენოფონტე თავის სხვა ნაშრომში „კიროპედია“ აღწერს, რომ თვით კიროს მეფეს გამოუკვლევია თუ რა იყო ამ გაუთავებელი ომების მიზეზი და მისულა დასკვნამდე, რომ, მაგალითად ხალიბებს სახნავ-სათესი მიწები არ ჰქონდათ, ხოლო არმენიელები საუკეთესო მიწებზე ცხოვრობდნენ.

განსაკუთრებით მრავალი ქართული ტომი აღწერა ამ მხარეების ზღვისპირეთ-ში სტრაბონმა, ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანია სტრაბონის ცნობა, რომ სწორედ ამ მხარეთა ერთი ნაწილი, რომელთაც შემდგომ დასავლეთ არმენია და პერ-სარმენია ეწოდათ, თავდაპირველად იბერთა მიწა-წყალი იყო და ეს ტერიტო-რიები, კერძოდ კი პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა ძვ.II ს.-ში არმე-ნიამ მიიტაცა იბერიელთაგან.

მართალია, შემდგომ, ამ მიტაცების გამო, ამ ტერიტორიებს არმენია ეწოდა, მაგრამ ის კვლავ დიდხანს ყოფილა დასახლებული იბერიელებით ანუ ქართველებით, რომელთა არმენიზაციის პროცესი სხვადასხვა ოლქში სხვა-დასხვა ხარისხის იყო, მიუხედავად ამისა X ს-ში, მრავალი უცხოური წყაროს, მათ შორის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, საზღვარი იბერიასა და არმენიას შორის მაინც მდ. არაქსზე იყო გავლებული.

ქართველები რომ ცხოვრობდნენ არა მხოლოდ არაქსის დასავლეთ ნაწილში (მათ შორის დვინის და ავანის სანახებამდე), არამედ არაქსის აღმოსავლეთ ნაწილში – ვანის ტბის მხარეს, მიუთითებს ის, რომ თვით ბიზანტიელთა მიერ ტერიტორიას ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე ეწოდა „ეპარქია ლაზიკაში“, ხოლო ვრცელ მიწა-წყალს თეოდოსიოპოლ-არზრუმიდან ყარსისა და ანისის მიმართულებით ეწოდა „იბერიის თემი“.

მას შემდეგ, რაც სომხეთის სახელმწიფოებრიობა დაემცრო, განსაკუთრებით X ს-იდან არმენიის მკვიდრ ქართველობას საშუალება მიეცა ეროვნულ-ქართული თვითშემეცნება დაუფარავად განეცხადებინა.

არაბთა შემდგომ ეპოქაში ამ მხარეებში ქართველთა რიცხის მკვეთრი ზრდა გამოწვეული იყო არა „სომეხ-ქალკედონიტთა“ გაქართველებით, როგორც ამ ფაქტს ხსნის ოფიციალური ისტორიოგრაფია, არამედ იქაური მოსახლეობის იქამდე დაფარული ქართული ეროვნული თვითშემეცნების აღორძინებით.

„ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში“ მოიცავდა ყოფილი რომაული არმენიის მიწა-წყალს, და ასევე ყოფილი პერსარმენიის ნაწილსაც, რომელიც მნიშვნელოვნად ქართული მოსახლეობით იყო დასახლებული. ეს მიწა-წყალი IX-XI სს-ში არაბთაგან გაათავისუფლა იმპერიამ და იქ თავისი საეკლესიო იურისდიქცია განახორციელა – ლაზიკის ეპარქიის სახელით, ხოლო თვით ქვეყანას კი იბერიის თემი ეწოდა, რაც, როგორც აღინიშნა, იქაური მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ-ქართული თვითშემეცნების აღორძინების შედეგი იყო.

იქამდე ქართველი ხალხი, მცხოვრები ისტორიულ ხორძენასა და გუგარქში იძულებული იყვო შეგუებოდა სომხურ სახელმწიფოებრიობასა და ეკლესიას, ისინი საუკუნეთა მანძილზე ერთგულებით ატარებდნენ მათ ქვეყანაში გაბატონებულთა უღელს, მაგრამ ხელსაყრელი მომენტის დადგომის შემდეგ აღიდგინეს ეროვნულ-ქართული ვინაობა. მათი ქვეყანა - პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა ხომ ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე II საუკუნეში ჩამოაჭრა არმენიამ იბერიას, რის გამოც იბერიის ამ ყოფილ ოლქებში დომინანტ ეთნოსად სომხები გადაიქცნენ, სომხური ენითა კულტურით, ქართული ენა ამ მხარეებში, ჩანს, მხოლოდ საშინაო, ოჯახურ ენად გადაიქცა, და ის იყო, როგორც ერთი წყარო წერს დამალული („დამარხული“) და „დაწუნებული“.

ამ მხარეებიდან გამოსულ ზოგიერთ ქართველ სახელოვან მეომრებსა და ცნობილ ადამიანებს უცხოელები „არმენიელებს“ უწოდებდნენ, მათ ქვეყანას კი არმენიას, თუმცა კი ასეთი სახის „არმენიელები“ სინამდვილეში იბერები ანუ ქართველები იყვნენ, რაც კარგად გამოჩნდა IX, X, XI საუკუნეებში, როცა მათ გაბედეს და ეროვნული ვინაობა დაუფარავად გამოაცხადეს.

560 წლის პოლიტიკური რუკის მიხედვით, საზღვარი ბიზანტიის იმპერიასა და სპარსეთს შორის ორად ჰყოფდა „არმენიად“ სახელდებულ ქვეყანას. დასავლეთ, ანუ რომაულ არმენიაში ჭანურ და ლაზურ ოლქებთან ერთად მოექცა მესხური მოსახლეობის ნაწილი და ისინი ბერძნულ საეკლესიო იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. სპარსულ არმენიაშიც მრავალი ქართული ოლქი მოექცა. 591 წლის ხელშეკრულებით, ტაო, ჭოროხის ხეობის ერთი მონაკვეთი (დასავლეთ სანაპიროც), გუგარქი, ბასიანის დიდი ნაწილი და, ე.წ. ზემონი ქვეყანანი სპარსულ არმენიად სახელდებულ მხარეში მოექცა.

სპარსულ არმენიაში საეკლესიო-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით სხვა ვითარება იყო, განსხვავებული დასავლეთ არმენიისაგან. კერძოდ, სპარსულ არმე-

ნიაში IV-V საუკუნეებიდანვე იდევნებოდა ბერძნულენოვანი ღვთისმსახურება. ამის გამო პერსარმენიის ქრისტიანული მოსახლეობა სპარსულმა ხელისუფლებამ დაავალდებულა ღვთისმსახურება ადგილობრივ, ე.ი. სომხურ ენაზე ჰქონოდათ, ან ასურული შემოეღოთ. ამის შედეგად სომხურენოვანი ღვთისმსახურება თანდათან ჩამოყალიბდა და გაძლიერდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს პერსარმენიის ქართველობამ ერთგვარი იძულებით მიიღო სომხურენოვანი ღვთისმსახურება, მაგრამ მაინც ადგილობრივ ქართველებს შენარჩუნებული ჰქონდათ სომხებისაგან ეროვნული განსხვავებულობის შეგნება. ეს გამოჩნდა განსაკუთრებით გუგარქში, როცა მკვიდრმა ქართველობამ კირიონის მოწოდების შემდეგ გაბედა ეკლესიებში ქართულენოვანი ღვთისმსახურება სომხურთან გაეთანაბრებინა. ყოფილი პერსარმენიის მკვიდრ ქართველობას შენარჩუნებული და ზოგჯერ კი, დევნის გამო, გამძაფრებულიც კი ჰქონდა ეროვნული თვითშემეცნება, რაც გამოჩნდა შესაბამისი პოლიტიკური მომენტის დადგომისთანავე გუგარქისა და ტაო-კლარჯეთისა და მიმდებარე მხარეების მკვიდრი მოსახლეობის ქართული ცნობიერების განსაკუთრებული გამოვლენით.

უნდა ითქვას, რომ დასავლეთ არმენიაშიც იდევნებოდა ქართული ენა ეკლესიური თვალსაზრისით, ამიტომ აქაური ქართველობა განათლებას იღებდა ბერძნულად, ასევე, ზოგჯერ სომხურად. ასეთი წარმომავლობის სომხურენოვანი ქართველები ბერძნულ მონასტრებშიც კი ცდილობდნენ თავიანთი ქვეყნის საეკლესიო წარსულისადმი პატივი ეცათ. როგორც ითქვა, ამის ერთი მაგალითია ის, რომ ბერძნული მონასტრის, ე.წ. სომეხ-ქალკედონიტ ქართველ ბერს წმიდა ნინოს შესახებ ცნობები შეჰქონდა თვენში, რაც ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო (ПЭ).

ქართული კულტურისადმი აღნიშნული მოსახლეობის ლტოლვის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ სარწმუნოებრივი ძიებისას არმენიის მკვიდრი ქართველობა მიემხრო ქალკედონიტობას, ანუ თავისი ეროვნული ქვეყნის (საქართველოს) სარწმუნოებრივ მიმართულებას და შეეცადა თავისი დამოკიდებულება საეკლესიო არქიტექტურაშიც კი გამოეხატა – ამის მაგალითად უნდა მივიჩნიოთ ქალკედონიტური საეკლესო ცენტრის – ავანის არქიტექტურა – გამეორება მცხეთის ჯვრის ტიპისა.

ბ. ლაზიკის სამიტროპოლიტოს, ანუ ზემო ქვეყანათა ქართველობის ბრძოლა ეროვნულ-ქართულ სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის (X-XVI სს.)

არაბთა ძლიერება შესუსტდა IX-X საუკუნეებში, რამაც ტაო-ბასიან-კარინისა და მიმდებარე მხარეების მკვიდრ ქართულ მოსახლეობას შედარებით თავისუფალი ცხოვრების საშუალება მისცა, ამ დროს მათ ქალაქებსა და სოფლებში თვითმმართველობის უფლება მოუპოვებიათ.

ერთი ასეთი ქალაქი, ჩანს, თეოდოსიოპოლის-კარინი იყო.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაში, როცა ბიზანტიელებმა გადაწყვიტეს ამ მხარეებში გაბატონება არაბთა ნაცვლად, მკვიდრმა ქართველობამ მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწია.

X საუკუნის II ნახევარში საზღვრად ბიზანტიასა და საქართველოს შორის დაიდო მდინარე არაქსი.

კონსტანტინე პორფიროგენეტი აღგვიწერს ზავის შედეგს – „**იყვეს თანახმად იბერიელთა მოთხოვნისა და ფასიანის საზღვრად მდ. ერაქსი ანუ ფასისი და მარცხენა მხარე იბერიისკენ მიმართულ ეპყრათ იბერებს, ხოლო მარჯვენა, რაც თეოდოსიოპოლისკენ არის, როგორც ციხეები, ისე სოფლები, იყვეს ჩვენი მეუფების ქვეშ, მაშასადამე, ორივე საზღვრად მდინარე იქნება**“ (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 272).

კონსტანტინე პორფიროგენეტი დაწვრილებით წერს, თუ ბიზანტიელები გამუდმებით როგორ არბევდნენ თეოდოსიოპოლისის შემოგარენის სოფლებსა და ქალაქებს, თვითონ ეს მთავარი ქალაქი გარემოცული ჰყავდათ და სურსათ-სანოვაგე არ შეჰქონდათ, რათა ქალაქის მოსახლეობა დამშეულიყო.

იმპერატორი წერდა: „**თეოდოსიოპოლელთა ყველა ეს სოფლები ჩვენი სამეფოს ჯარებმა ტყვევნეს და ცეცხლს მისცეს, იბერებს არ გაუნადგურებიათ იგი, არამედ მუდამ ჰყავდათ მეგობრებად და მათთან ერთად მოქმედებდნენ**“ (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 272).

ეთნიკურ-ეროვნული სოლიდარობის გამო ქართველთა ჯარი ცდილობდა პროდუქტით მოემარაგებინათ ბიზანტიელთა მიერ შიმშილით სასიკვდილოდ გამეტებული ეს სოფელ-ქალაქების მოსახლეობა (იქვე, გვ. 265), იმპერატორი ხშირად წერს: **ჩვენმა ჯარებმა „მოარბიეს მთელი ფასიანი... მოარბიეს მისი მიდამოები... ციხეები მოისრა**“ (იქვე, გვ. 262-265).

კიდევ უფრო სასტიკი იყო ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ იმპერატორი ბასილი ბულგართმმუსვრელი და შემდეგ კეისარი კონსტანტინე, ხოლო შემდეგ კი რომანოზი.

ამ მხარეების ქართველთა მხარდაჭერით საქართველოს მეფე გიორგი I შეებრძოლა ბასილი კეისარს და თავდაპირველად გაიმარჯვა კიდეც.

„**კუალად შემოიქცა ბასილი, მოვიდა ბასიანს და ითხოვდა ქვეყანათა და ციხეთა**“ (ქ.ც. I, 282).

ქართულმა ჯარმა, ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით, გაათავისუფლა ვრცელი მიწა-წყალი ბასიანიდან ვანის ტბამდე, ქართველთა გამარჯვებით გულმოკლულმა იმპერატორმა მემატიანის სიტყვით, ჯვრის თაყვანისცემაზეც კი უარის თქმა გადაწყვიტა, თუ ქართველებს არ დაამარცხებდა.

მან უბრძანა „**მოყვანებად ძელისა ცხოვრებისა და მანდილი წმიდა დადვა ქვეყანისა ზედა და თქუა: „უკუეთუ მიმცე ხელთა მტრისითა, არღარა ვიყო თაყვანისმცემელ შენდამი უკუნისამდე**“ (ქ.ც. I, გვ. 287).

მეორე ომში გამარჯვების შემდეგ ბასილი II-მ – „**კუალად უბოროტესად შურისგებით მოაოხრა ქვეყანანი იგი**“.

XI საუკუნეში საქართველომ ეს მხარეები დაკარგა, აქ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაც დაემცრო და აღნიშნული მხარე ეკლესიურად დაექვემდებარა კონსტანტინოპოლს, რომელმაც აქ „ლაზიკის სამიტროპოლიტო“ დააარსა, ცენტრით ტრაპიზუნტში.

„ზემო ქვეყნების“ მოსახლეობა საქართველოს გამოეთიშა, სახელმწიფოებრივად ბიზანტიაში შეიყვანეს, მაგრამ, ჩანს, თვით **ხალხს თავისი ეროვნული ვინაობა კარგად შეუნახავს, რაც გამოჩნდა თურქ-სელჯუკთა შემოსევების შემდეგ. ამ დროს დამარცხებულმა ბიზანტიამ ეს ქვეყანა დატოვა, მაგრამ მკვიდრმა, მუსულმანებთან მებრძოლმა მოსახლეობამ, შეძლო კვლავ აღედგინა ეროვნულ-ქართული სახელმწიფოებრიობა და ის შევი-**

და სამცხე-საათაბაგოს სამთავროში, კერძოდ, საქართველოში კვლავ შევიდა ბასიანის, ტაოს, ისპირის, არტაანის, შავშეთის და სხვა ოლქები. ამის გამო ქართული ეკლესია თავის იურისდიქციას კვლავ ახორციელებდა ვალაშკერტის, ანისისა, ყარსისა და სხვა ადგილობრივი მოსახლეობის საეპისკოპოსოებზე, რომელნიც ცხადია ქართულენოვანნი იყვნენ. თვით თურქულ დოკუმენტებში ამ ოლქების მომცველ ქვეყანას „საქართველო“ ეწოდება.

მაგალითად, 1515 წლის დოკუმენტით როცა ოსმალეთის დიდ ვეზირს სინან ფაშას ადგილობრივი, ე.ი. აღნიშნული ქვეყნების დალაშქვრა დაევალა, ამ ქვეყნებს (ე.ი. ბასიანს – ტაოს ჩათვლით) გურჯისტანი ეწოდებოდა („თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისთვის“, 1983, გვ. 9).

იმავე 1515 წლის ოსმალური დოკუმენტი სამცხე საათაბაგოს მთავრის შესახებ აღნიშნავს – „**სერაქირი მანუჩარი გახდა საქართველოს დამოუკიდებელი ფადიშაჰი**“ (იქვე, გვ. 11). ამ „საქართველოში“ (ანუ სამცხე-ტაო-ბასიანში) მრავალი ციხე და სოფელი იყო, რომელთა რიცხვი ათასს აღწევდა (იქვე, გვ. 32). მათი დიდი ნაწილი **„აზონის შვილებად ცნობილი აზნაურებისაა“** – წერს თურქული დოკუმენტი (იქვე, გვ. 34). ტაო-ბასიანისა და მიმდებარე ქართული მხარეების აზნაურებს „აზონის შვილები“ ერქვათ, რადგანაც იყვნენ შთამომავლები ფარნავაზ მეფის წინა აზონ მეფის დადებულებისა. მათ ეს ხსოვნა XVI ს-მდე ჰქონიათ შენარჩუნებული.

ეს მხარეები დამპყრობელთა ცვალებადობის მიუხედავად ქართული ქვეყნები იყვნენ, რომელთა ეროვნულ თვითშემეცნებას ჯერ კიდევ აზონ-ფარნავაზის დროს ჩაეყარა საფუძველი, ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში.

როგორც ადრე არმენიელებმა და ბიზანტიელებმა, ოსმალებმაც დაიპყრეს თორთუმი, ფანასკერტი, არზრუმი, არტაანი და სხვა მხარეები, ბანასა და ხახულის ეკლესიების ოლქები, ქართველთა დენაციონალიზაცია კვლავ გაგრძელდა. ოსმალური წყაროს ცნობით, ამ პროცესს აადვილებდა ის, რომ ქართველები **„ერთმანეთთან ბრძოლაში და ერთიმეორის ხოცვაში არიან გამუდმებით“** (იქვე, გვ. 48).

გ. ლაზიკის „ბერძნული ქრისტიანობა“

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია, როგორც აღინიშნა, XI ს.-ში მოიცავდა ვრცელ მიწა-წყალს ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, ამიტომაც ცხადია, მის საეპისკოპოსოებში წირვა-ლოცვის ენა იყო ბერძნული. ეპარქიის მოსახლეობა ე.წ. „ბერძნულ ქრისტიანობას“ ეზიარა. მ. ბერძნიშვილი წერდა – „ბერძნებთან დაპირისპირება დიდი ეროვნული საქმე იყო, ქართულმა ფეოდალურმა ურთიერთობამ რომ გამოიწვია, ამანვე გამოიწვია სომხებისაგან გათიშვა... ქართული ფეოდალური ურთიერთობის ნიშანია ქართული ქრისტიანობა, რომელიც სომხურს (აღმოსავლურს) გამოეთიშა და დასავლურს (ბერძნულს) არ შეუერთდა“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, თბ., 1990, გვ. 252).

ნ. ბერძენიშვილი წერს საქართველოს საეკლესიო ენის შესახებაც: „უეჭველია ენისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობის მიცემა დიდი კულტურული

ბრძოლისა და ძლიერი კულტურის მაჩვენებელია. ეს ჯერ კიდევ ქრისტიანობის შემოსვლიდან ჩანს, როცა კულტურულად დაწინაურებულმა იბერიამ ქართული ქრისტიანობა მოიწყო (ბიზანტიამ ამის საშუალება არ მისცა ლაზიკას...), მან შემდგომაც დაიცვა ის და კიდევ მეტი: შეეტოქა ბერძნულ ქრისტიანობას (ლაზიკაში) და არა მარტო ბერძნულს, არამედ სომხურს (სომხეთში, ტაოში, სპერში, შირაკში), ალბანურს (ჰერეთში)" (იქვე, გვ. 415).

„ქართული ქრისტიანობის" ერთ-ერთი უმთავრესი საძირკველი იყო საეკლესიო ქართული ენა – გასაგები ყველა ქართული ტომისათვის, რადგანაც ამ ენის გამოყენების საწყის ეპოქაში ჯერ კიდევ სუსტად დიფერენცირებული ყოფილა ფუძე-ქართული ენა. წელთაღრიცხვათა მიჯნაზე – ანუ I-II საუკუნეებში თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანის ცნობით, ჯერ კიდევ არსებობდა ე.წ. „ზანურ-ქართული" ენობრივი მთლიანობა, რაც, როგორც ჩანს, საფუძვლად იქცა საეკლესიო, ანუ ძველი ქართული ენისა. კ. კეკელიძე წერს – „ქართული საეკლესიო მწერლობა დაწყებულა ბიბლიური წიგნების გადმოცემით... მთარგმნელები იძულებულნი ხდებოდნენ შეეგუებინათ თავიანთი თარგმანი წარმართული აზროვნებისათვის, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იყო და გამოეყენებინათ მარაგი წარმართული საკრალური ენისა. ახალი იდეები, ახალი აზრები, ახალი ფილოსოფიურ-რელიგიური და მორალური შეხედულებანი ხშირად გადმოიცემიან ამ თარგმანში ისეთი სიტყვებითა და ტერმინებით, ისეთი ფორმებითა და სახეებით, რომელნიც უშუალოდ წარმართული წყაროებიდან მოდიან და რომელნიც პირველყოფილ ქართულ ქრისტიანობას სინკრეტულ ხასიათს აძლევენ" (კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, 1956, გვ. 186). XI ს-ში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში მოქცევის გამო, იქამდე ქართულ საეკლესიო იურისდიქციაში მყოფი სამხრეთ ტაოს ყოფილი სამეფოს მოსახლეობა ცდილობდა ბერძნულ ეკლესიაშიც შეენარჩუნებინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა ეპისკოპოს ზაქარია ვალაშკერტელისა და ათონელი მამების დიდი ძალისხმევით. მათ ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეძლეს.

წმიდა ნინო ლაზეთ-კლარჯეთში

ა. წმიდა ნინოს ჯვარი დასავლეთ არმენიაში (VI–XI სს.)

ხორძენეს, პარიადრესა და გოგარენას მკვიდრი ქართველები აღმოჩნდნენ უცხო სახელმწიფოებრივ სივრცეში მას შემდეგ, რაც ისინი იბერიისაგან სომხეთმა ძვ.წ. II-I საუკუნეებში მიიტაცა სტრაბონის ცნობით

ვახტანგ გორგასლის ანძიანძორში და კარნუ-ქალაქში ლაშქრობის მიუხედავად, იბერიამ ვერ შეძლო ხორძენესა და პარიადრის ტერიტორიების უკან დაბრუნება, რადგანაც ორი იმპერია – სპარსეთი და ბიზანტია ერთმანეთს ეცილებოდა უკვე არმენიად სახელდებულ ამ მიწა-წყალს. საბოლოოდ მათ არმენია ერთმანეთს შორის გაიყვეს.

ბიზანტიურ ანუ დასავლეთ არმენიაში მოექცა პარიადრე და ხორძენე გოგარენას ერთ ნაწილთან ერთად, მეორე ნაწილი კი გოგარენისა პერსარმენიაში მოექცა.

დაპყრობილ არმენიის ქვეყანაში სტაბილურობის მიღწევის მიზნით, ბიზანტია ცდილობდა სომეხი ხალხის გულის მოგებას და მის იმ პრეტენზიებს

აკმაყოფილებდა, რომელიც ხელს არ უშლიდა იმპერიის უშიშროებას.

ასეთ ვითარებაში დასავლეთ არმენიაში მცხოვრები ქართველები იძულებულნი იყვნენ ჩართულიყვნენ შიდასაქვეყნო საქმიანობაში და თანდათანობით უფრო ღრმავდებოდა მათი არმენიზაციის პროცესი, მაგრამ **დასავლეთ არმენიაში მცხოვრებ ქართველებს ეროვნული ცნობიერება მთლიანად რომ არ დაუკარგავთ, კარგად ჩანს იმ სასოების გამოხატვით, რომელიც მათ ჰქონდათ წმიდა ნინოსა და მისი ჯვრის მიმართ.**

წმიდა ნინო ერთგვარად მათი ეროვნულობის საყრდენი ღუზა იყო, რომელიც გულებში ღრმად ჩამარხულ ეროვნულ ვინაობას ანარჩუნებინებდა.

სომხეთის ქართველთა განსაკუთრებული სიყვარული საქართველოს მიმართ, გამოიხატებოდა წმიდა ნინოს ჯვრის პატივისცემით.

მათ ისიც კი შეძლეს, რომ წმიდა ნინოს ჯვარი მოეპოვებინათ. ის სასოებით გადაასვენეს ე.წ. არმენიის მხარეებში (სინამდვილეში კი ქართველთა ისტორიულ სამშობლოში, ვანანდის მხარეში, ყარსში და მახლობელ მხარეებში).

არმენიის ამ ნაწილში წმიდა ნინოს ჯვარი რამდენიმე საუკუნის მანძილზე ინახებოდა – ის კი თავისი მადლით თითქოს იყო შუქურა არმენიის ქართველთა ეროვნულობის გამოსაბრწყინებლად არმენიზაციის ბურუსიდან.

წმიდა ნინოს ჯვარი VI საუკუნეში სამხრეთ საქართველოდან ანუ გუგარქიდან ტარონში წაუსვენებიათ და წმ. ლაზარეს ტაძარში დაუსვენებიათ, იქედან კი სპერში, საიდანაც ის ქართული წარმოშობის (ჭან) სომხეთის ერისთავს გრიგოლ მამიკონიანს კაპუეტის ანუ ლურჯ ციხეში გადაუსვენებია, რითაც მან გამოხატა სიყვარული თავისი მამულების (სპერისა და ტაოს) განმანათლებლის მიმართ. მართლაც მოვსეს ხორენაცი წმიდა ნინოს კლარჯეთის მქადაგებელს უწოდებს „იქადაგა კლარჯეთიდან მასქუთებამდე“ - წერდა ის.

ისტორიული კლარჯეთი კი ვახუშტის ცნობით მოიცავდა სხვა მხარეებთან ერთად სპერ-ტაო-თორთომსაც, რომელთაც იმჟამად მამიკონიანთა ოჯახი მართავდა. მათ ჩანს კარგად იცოდნენ თავიანთი ქართული წარმოშობა (რასაც მიუთითებს ადონცი) და ამიტომაც უვლიდნენ და მტკიცე შემართებით იცავდნენ წმიდა ნინოს ჯვარს.

წმიდა ნინოს შესახებ ბერძნულ-ქალკედონურ მონასტრებში შეკედლებული ის კულტურულად არმენიზებული ქართველი ბერებიც კი წერდნენ, რომელთაც წერა-კითხვა იცოდნენ სომხურად და შესწავლილი არ ჰქონდათ ქართული მწიგნობრობა. მათ, მოვსეს ხორენაცის ცნობა წმიდა ნინოს შესახებ, შეჰქონდათ ეკლესიის საკითხავ თვენში. ისინი ქალკედონიტურ სომხურ ეკლესიას მიკედლებული ეთნიკური ანუ არმენიზებული ქართველები იყვნენ, თუმცა კი მათ ამჟამად სომეხი ისტორიკოსები „სომეხ-ქალკედონიტებს“ უწოდებენ.

ერთი ცნობილი სომეხი მკვლევარი „პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ ერთ-ერთ სტატიაში წერს: -**На одном из** (ე.ი. XI ს. თვენის) **его листов записана „история Нуне“, что свидетельствует об участии Арм-Халк. В Арм. Литератури.** (**ПЭ.** III, გვ. 32).

სინამდვილეში კი ეს ფაქტი გვიჩვენებს, თუ როგორ გაფაციცებით ჰკრეფდნენ გასომხების პირას მისული დასავლეთ არმენიის ქართველები (თუმცა კი

წევრები სომხურ-ქალკედონური ეკლესიისა) ცნობებს წმიდა ნინოსა და ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ და ისინი სომხურ-ქალკედონურ საეკლესიო წიგნებშიც შეჰქონდათ, რადგანაც არავითარი საშუალება არ ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ქართულ საეკლესიო ცხოვრებაში, ამასთანავე იმ მხარეებში იმჟამად ქართული ეკლესია-მონასტრები არ არსებობდნენ.

ბ. წმიდა ნინო – ეთნიკური ქართველების ეროვნული დროშა (IX–X სს.)

„ზემო ქვეყნებიდან“ და ტაო-კლარჯეთიდან გამოსული წმიდა მამები ძალზე ხშირად ხაზგასმით აღნიშნავდნენ წმიდა ნინოს ღვაწლს და მის მიმართ თავიანთი მადლიერებას.

XX ს-ში ქართულ მეცნიერებაში ის აზრიც კი წარმოიშვა, რომ თითქოსდა „ნინოს კულტი ქართველთა შორის ჩამოყალიბდა IX-X სს-დან“ (ასეთი იყო იმჟამინდელი ტერმინოლოგია), სინამდვილეში არა მთელ ქართულ ეკლესიაში არამედ მხოლოდ იმ მხარეებში, რომელნიც IX-X სს-მდე არმენიაში იყვნენ მოქცეულნი ხშირად დაიწყეს მითითება წმიდა ნინოს ღვაწლის შესახებ. ამით **ქართველები, ანუ ყოფილ არმენიაში მცხოვრები ქართველები თავიანთ თავს ეთნიკურად მიჯნავდნენ იქვე, მათ გვერდით მცხოვრებ სომეხ ქალკედონიტებისაგან.**

რაც შეეხება სომეხ ქალკედონიტებს, მათ თავიანთი თავი მიაჩნდათ არა წმიდა ნინოს, არამედ თავიანთი ეთნიკური საეკლესიო წინაპრების მემკვიდრეებად. ამის შესახებ სრულიად სამართლიანად მიუთითებს ვ. არუთინოვა-ფიდანიანი, რომელიც წერს – „**Армяне - халкидониты, считали себя наследниками Саака Партева, Месропа Маштоца и Нерсеса Великого. Арм. Язык был богослужебным языком Арм. халк.-ов даже в тех случаях, когда они подвизались в Греч. монастырях (Православная Энциклопедия, Т.3, 2001, стр. 328)**

არუთინოვა-ფიდანიანი სამართლიანად წერს, რომ სომეხი ქალკედონიტები თავიანთ თავს გრიგოლ განმანათლებლის და საჰაკ პართელის, მაშტოცის მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ და არა წმიდა ნინოსი, რომ მათი საღვთისმსახურო ენა მუდამ იყო სომხური.

მათგან გამოცალკევების (სომეხ-ქალკედონიტებისაგან გამიჯვნის) მიზნით ქართველი ქალკედონიტები თავიანთ თავს მიიჩნევდნენ ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს მემკვიდრეებად და არა აღნიშნული გრიგოლ სომეხთა განმანათლებლისა, საჰაკ პართელისა თუ სხვა სომხური ეკლესიის დამაარსებლებისა.

ამიტომაც, წმიდა ნინოს ხსენება ერთგვარი ნიშანი იყო ეთნიკურობის გამოვლენისა.

გ. წმ. ნინო ლაზიკაში (IV ს.) პ. ინგოროყვას მიერ დაფიქსირებული ცნობებით (სოტიროპოლი, ლაზია, ალანია)

ლაზეთის მიტროპოლიტმა გერმანემ მოსკოვში XVII ს-ში რუსეთის ხელმწიფეს წერილობით მოახსენა, რომ მისი საკათედრო ტაძარი ქალაქ ოფში (ხოფში)

აგებულია ივერთა მიწების განმანათლებლის მიერ - „строила святая Ирина, ею же **Иверская земля** приводена во святое крещение“ (პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 262). ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ძველი ეპოქის საეკლესიო იერარქთა მიერ ლაზეთი ივერიის ერთერთ ნაწილად მიიჩნეოდა და ლაზეთი ერქვა არა დასავლეთ საქართველოს არამედ სამხრეთ-დასავლეთს.

პ. ინგოროყვას მიერ მოსკოვის მთავარი არქივიდან ამოღებული ამ მასალიდან ჩანს, რომ **ხოფას ეკლესია აუგია ივერიელთა მიწების გამაქრისტიანებელ ქალს ირინას, ცხადია, იგულისხმება წმ. ნინო.** პ. ინგოროყვაც წერს, რომ წმიდა ნინო ამ დოკუმენტში ირინად იწოდება.

ამ დოკუმენტის შედგენამდე დიდი ხნით ადრე იგივეს, რომ ამ მხარეების, ე.ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამაქრისტიანებელი იყო წმ. ნინო, მიუთითებდა V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მ. **ხორენაცი:**

ის წერდა - „წმ. ნინომ იქადაგა კლარჯეთიდან მასქუთებამდე“, მაშასადამე, კლარჯეთში, V ს. ამ ავტორის ცნობით, წმიდა ნინოს უქადაგია.

შეიძლება ითქვას, რომ ხოფა იყო კლარჯეთის ნაწილი, რადგანაც წყაროებში ასევე იხსენიება ხოფას გეოგრაფიული ადგილი – „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“, ხოფა – კლარჯეთის ბოლო ანუ ზღვისპირა ნაწილის დასაწყისში მდებარეობდა.

ამასთანავე, ეს მიწა-წყალი იგივე ლაზეთია, ლაზიკაა. **ამიტომაც ჰქონია ხოფას ეპარქიის ხელმძღვანელს ტიტული „ლაზეთის მიტროპოლიტისა“, მასში შედიოდა ოფ-რიზედან ვიდრე მდ. ჭოროხამდე მიწა-წყალი.**

პ. ინგოროყვას რუკის მიხედვით, აღნიშნული **ხოფი ანუ ოფი, იგივე სოტიროპოლი – სოტრაპელა მდებარეობდა ტრაპეზუნტიდან აღმოსავლეთ ზღვისპირზე, მისგან დაახლოებით 25 კმ დაშორებით, რომელსაც მოსდევდა ქ. რიზე.**

ოფსა და რიზეს შუა პუნქტი „ახალი ბანაკები“ („კენე პარამბოლე“) ყოფილა.

რიზედან ათენამდე პუნქტი კორდვილი, ხოლო ათენადან ბიწემდე ტამბური (ზღვის პირი ჰამამაშენი);

ბიწეს მოსდევდა არქაბი, ხუფათი, აფსაროსი და გონია (იხ. პ. ინგოროყვას რუკა, გვ. 272).

ზემოთ მოყვანილი ცნობიდან ჩანს, რომ **ქ. ოფი (და რიზე) IV ს-ში შედიოდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, რომლის განმანათლებელი იყო წმ. ნინო და რომელსაც აუგია ოფის ტაძარი, რადგანაც IV საუკუნეში ზღვისპირეთის ეს ტერიტორია იბერიის ანუ ქართლის სამეფოში შედიოდა (აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ ბერძნულ-რომაული წყაროებითაც ამ ადგილებში მცხოვრები ძიდრიტების ტომი I ს.-ში იბერიის მეფე ფარსმანს ემორჩილებოდა).**

იბერიის სამეფოს ზღვისპირეთის ტერიტირიის ნაწილი ოფიდან-ხუფათამდე დაუკარგავს V ს.-ში ე.წ. ბიზანტია-ლაზიკის ომის დროს.

კლარჯეთის ერისთავი **გუბაზ I, რომელსაც ბიზანტიელები „ლაზთა მეფეს“ უწოდებენ იძულებული გამხდარა დაედო ბიზანტიასთან ზავი, რომლის შემდეგაც საზღვარმა ოფიდან ხუფათში გადმოიწია.**

წმიდა ნინოს ლაზიკაში მოღვაწეობის შესახებ წერს გელასი კესარიელი, V ს. ავტორი. ის წერს „ტყვე ქალმა იქადაგა იბერთა და ლაზთა შორის“, ხოლო

მოვსეს ხორენაცი ასევე V ს-ში წერდა, რომ წმ. ნინომ იქადაგა კლარჯეთში (კლარჯეთიდან მასქუთებამდე), კლარჯეთი კი ბერძნული წყაროების ლაზიკა ანუ სამხრეთ ეგრისია.

სოტიროპოლის კათედრის სახელი უკავშირდება ასევე **ალანიის სამიტროპოლიტოს.**

იმის გამო, რომ გაქრისტიანებულ ალანებს ესაჭიროებოდათ თავიანთი ეპისკოპოსი, მაგრამ მათ (ალანებს) არ გააჩნდათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ნომადური (მომთაბარული) ცხოვრების გამო, კონსტანტინოპოლს გადაუწყვეტია კავკასიის ზღვისპირა რომელიმე თავის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ქალაქში დაესვა ალანებისათვის საჭირო ეპისკოპოსი. ეს ყოფილა ქ. სოტიროპოლისი პ. ინგოროყვას კვლევით (დასახ. ნაშრ. გვ. 259).

მართლაც, სოტიროპოლისის ჩრდილოეთით მთელი შავიზღვისპირეთი ვიდრე ნიკოფსიამდე საქართველოს საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა, ხოლო ნიკოფსიას იქით შავიზღვისპირეთში არ იყო მშვიდობიანი ცხოვრება.

ამიტომაც კონსტანტინოპოლი იძულებული იყო ალანებისაგან ძალზე მოშორებით დაეარსებინა ალანიის კათედრა.

კონსტანტინოპოლური დოკუმენტი იუწყება – **„ალანიის მიტროპოლიას სრულიად არ აქვს საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა, რადგან აქაური ხალხი მომთაბარეობას, ნომადურ ცხოვრებას ეწევა“ (დასახ. ნაშრ. გვ. 259).**

აი, ეს ყოფილა მიზეზი, რომ ალანიის მიტროპოლია XII საუკუნეში გაუერთიანებიათ სოტიროპოლის საეკლესიო ოლქთან, რომელიც ამ დროს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შედიოდა.

აქ, სოტიროპოლის ზონაში იყო ამ ეპოქაში საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის“ (იქვე, გვ. 260).

XIII ს-ში საქართველოს სამეფოს მესხეთის სამთავროს შეუერთებია ტრაპიზონის აქეთი ქვეყნები, მათ შორის, სოტიროპოლისი.

ამის გამო კონსტანტინოპოლს სოტიროპოლის კათედრა გადაუტანია ტრაპიზონში.

XIII-XVI სს-ში ქ. სოტიროპოლის აქეთ მდებარე მხარე დაუკავშირდა საქართველოს ეკლესიას /ოსმალებამდე/ – და შეადგინა **ქართული საეკლესიო ოლქი – ოფის ანუ ლაზიის მიტროპოლიტის მეთაურობით, რომლის კათედრა XVI ს-ში გურიაშია – სატრაპელაში. მას ალანიის მიტროპოლიტის ტიტულიც ჰქონდა. მაგალითად, აფხაზთა კათალიკოსის მიერ 1646 წ. ნაკურთხ ლაზიის მიტროპოლიტს გერმანეს** (გვ. 263).

ამ ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტიდან გამომდინარე **ალანიისა და ლაზიის სამიტროპოლიტოების სულიერი მემკვიდრეობა ეკუთვნის საქართველოს ეკლესიას და არა რუსეთის ეკლესიას, რადგანაც სწორედ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში შემოვიდა ალანიისა და ლაზიის სამიტროპოლიტოები კონსტანტინოპოლისა და ტრაპეზუნტის იმპერიების დაქცევის შემდეგ.** ამის აღნიშვნა საჭიროა, რადგანაც „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“ მიიჩნევს, რომ ალანიის ეპარქიის მემკვიდრე არის რუსეთის ეკლესია, რადგანაც ალანიის ეპარქიის იურიდიქციის ქვეშ მდებარე მიწები ამჟამად რუსეთშია.

კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ, ფაქტებით არ მტკიცდება ამჟამად ოფიციალურად მიღებული დებულება, რომ დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ბიზანტიის ხელქვეშ იყო და აქ ბერძნული წირვა-ლოცვა იყო გავრცელებული.

ნუმიზმატიკური და არქეოგრაფიული მასალა სხვას მიუთითებს – **დასავლეთ საქართველო იყო ქართლის სამეფოს საფინანსო და ეკლესიური ნაწილი**.

შეუძლებელია ამ მხრივ კიდევ ერთხელ არ გავიხსენოთ სომხური წყაროს ცნობა, რომ კირიონი „ძველი წესის შესაბამისად ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო“.

X საუკუნეში სომეხთა კათალიკოსმა იოანემ სომხურ-ქართული საეკლესიო განხეთქილების უდიდესი დაძაბვის დროს, მკითხველს მიაწოდა ცნობა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში ეგრისის შემავლობის შესახებ, „მცხეთის კათალიკოსი კირიონი ეგრსის არქიეპისკოპოსიც იყო წინანდელი წესის თანახმადო“.

კირიონის „წინანდელი დროის წესების“ ქვეშ ალბათ VI საუკუნეში არსებული ვითარება იგულისხმება.

კიდევ უფრო ადრე V საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (კლარჯეთში) ქართული ეკლესიის იურისდიქციის შესახებ წერდა მოვსეს ხორენაცი.

როგორც ითქვა, ხორენაცი წერს - „წმიდა ნინომ იქადაგა კლარჯეთიდან მასქუთედამდე თავისი ადვილად გასაგები ენით“.

მაშასადამე წმიდა ნინოს კლარჯეთშიც უქადაგნია, დასტურდება თუ არა ეს ცნობა სხვა რომელიმე ცნობით?

ლაზეთის მიტროპოლიტი გერმანე ადასტურებდა, რომ წმიდა ნინომ იქადაგა ლაზეთში.

როგორც აღინიშნა, ლაზეთის მიტროპოლიტი გერმანე 1651 წელს რუსეთის მეფისადმი წარდგენილი ანგარიშში წერს, რომ ლაზეთის მიტროპოლიტის სამყოფელი ქ. ოფის ტაძარი წმიდა ნინოს დაუარსებია და მის ეპოქაში საზღვრად საქართველოსა და ბიზანტიას შორის მიიჩნეოდა ოფი, რიზესთან ახლოს. ამ ოფსაც - ხოფი ერქვა. აქ ყოფილა აღმართული ქვის სასაზღვრო დიდი სვეტი, ამ ადგილებში, საქართველოს ტერიტორიაზე დაუარსებია წმიდა ნინოს ოფის ანუ ხოფის კათედრა. ამიტომაც შემდგომში, ხელსაყრელი მომენტის დადგომისას აღსდგა თავდაპირველი მდგომარეობა და აქაური ლაზეთის მიტროპოლიტი აღსდგა ქართული ეკლესიის იერარქიაში.

როგორც აღინიშნა, გელასი წერდა - წმიდა ნინოს მიერ **„ღმრთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა“** (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 227).

IV საუკუნეში, წმიდა ნინოს დროს რიზე-ხუფათის რეგიონს ლაზიკა რომ ერქვა, მიუთითებს ლაზეთის მიტროპოლიტ გერმანეს 1651 წელს რუსეთის მეფისადმი წარდგენილი ანგარიში, რომ ლაზეთის მიტროპოლიტის სამყოფელი ქ. ოფის ტაძარი წმიდა ნინოს დაუარსებია.

ლაზეთს ჩვენც ვუწოდებთ იმ ქვეყანას, რომელსაც ქართულ წყაროებში ეწოდება „კლარჯეთი, ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი“. სწორედ, აქ დაუარსებია წმიდა ნინოს ოფის კათედრა - ლაზეთის მიტროპოლიტის ცნობით, ხოლო ხორენაცის ცნობით წმ. ნინომ კლარჯეთშიც იქადაგა, ამიტომაც, ჩანს წმიდა ნინოს

მოსვლის პერიოდში ხსენებული მხარე კლარჯეთის ერისთავს ექვემდებარებოდა“.

წმიდა ნინოს ლაზიკაში მოღვაწეობის შესახებ არსებული ბერძნული წყაროები, რატომღაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიუღებელია. გელასი კესარიელის ცნობით ხომ ტყვე ქალის მიერ მიიღეს ქრისტიანობა იბერებმა და ლაზებმა, რაც მიტროპოლიტ გერმანეს მიერ ნახსენებ მხარეს გულისხმობს სადაცაა ოფის (ხოფას) კათედრა.

ლაზეთი, ბერძენი ავტორის თქმით, მდებარეობდა „პონტოს გასწვრივ“.

პონტოს საზღვართან მდებარე მიწა-წყალი, რომელიც იწოდებოდა ლაზიკად (ოფის რეგიონი), იგივეა, რაც ქართული წყაროს „კლარჯეთის ზღვის პირი“, მაშასადამე, ხორენცის ცნობას, რომ წმიდა ნინომ იქადაგა კლარჯეთშიც ადასტურებს ასევე V საუკუნისვე ბერძნული წყაროები და ლაზთა მიტროპოლიტი XVII საუკუნისა. **ამ ცნობათა ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ კლარჯეთი იგივე ლაზიკაა.**

აღსანიშნავია, რომ ხორენცის გარდა წმიდა ნინოს კლარჯეთში მოღვაწეობის შესახებ ცნობა ჰქონია აგათანგელოზსაც, ამის შესახებ თვით ხორენაცი წერს.

რატომ არ აისახა ქართულ წყაროებში ცნობა წმიდა ნინოს ლაზეთში მოღვაწეობის შესახებ?

უნდა ითქვას ისიც, ქართლის სამეფოს დაშლის შემდეგ, რაც მის ტერიტორიებზე სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ერთეულები ჩამოყალიბდა (თბილისის საამირო, ტაშირ-ძორაკერტის სამეფო, აფხაზთა და ქართველთა, კახთა და ჰერთა სამეფოები), ჩანს მოხდა ახალი რედაქტირება წმიდა ნინოს ცხოვრებისა (ალბათ VIII-X საუკუნეებში) ეპოქის სულისკვეთების გათვალისწინებით.

ახალ, ანუ ჩვენამდე მოღწეულ წმიდა ნინოს ცხოვრების მიხედვით ის არ ქადაგებდა არც ლაზეთ-კლარჯეთში, არც კასპიისპირა ვრცელ მხარეში „კლარჯეთიდან მასქეთებამდე“ (როგორც წერდა მ. ხორენელი), ის ახლა უკვე იმ პატარა ქართლის განმანათლებელია, რომელიც არაბთა ბატონობის შედეგად წარმოიქმნა „ყოველი ქართლის“ დამცრობის შემდეგ, ამ პატარა ქართლის საზღვრებიც დამცრობილია, ის ჯავახეთიდან ბოდბემდე თუღა აღწევს.

ახალი რედაქტირების ნაკვალევი ჩანს სხვა მხრივაც. მაგალითად, ახალ რედაქტორებს უკვე აღარ სჯერათ წმიდა ნინოს ქართულენოვნება.

თუ კი წმიდა ნინოს ეპოქის მოვსეს ხორენცისათვის წმიდა ნინო ქართველი ხალხისათვის ადვილად გასაგებ ენაზე, ე.ი. ქართულ ენაზე, ქადაგებდა, ახალი IX-X-XI საუკუნეთა რედაქტორებისათვის წმიდა ნინოს უკვე თარჯიმანი - ბერძნული ენის მცოდნე ესაჭიროება ქართველებთან ურთიერთობისათვის, კერძოდ „სეფექალმა შროშანამ იხილა იგი (ნინო) ხესა მას ქვეშე, განკვირდა და მოიყვანა ბერძნულად მეტყველი დედაკაცი და ჰკითხა გზა მისი“ (ქართული მწერლობა, 1987, გვ. 78).

თუკი ხორენცს V საუკუნეში არ ეეჭვებოდა წმიდა ნინოს ეპოქაში ქართული ენის არეალის განფენა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვის პირას მდებარე მასქეთებამდე, ახლა არაბობის შემდეგ ქართული ენის არეალი შემცირებული ჩანს. გელასი კესარიელსაც არ ეეჭვებოდა წმიდა ნინოს ქადაგება იბერთა და ლაზთა შორის, რადგანაც აქაც ერთიანი ენობრივი არეალი უნდა ყოფილიყო.

საფიქრებელია, რომ ერთიანი ქართლის სახელმწიფოს რღვევამ, რაც გან-

საკუთრებით გაგრძელდა არაბობის დროს, გამოიწვია ასევე იქამდე ერთიანი საერთო - ფუძე ქართული ენის დიფერენციაციაც, ალბათ წარმოიქმნა კიდეც ახალ სახელმწიფო ერთეულებში იქამდე ერთიანი ენის კილოები თუ დიალექტები.

უნდა აღინიშნოს, ჩვენი წყაროების მითითება, რომ იქამდე საერთო ქართულ ენას თითქმის ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიცია ჰქონდა. შემთხვევითი არაა, მემატიანის ნათქვამი, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მპყრობელ ფარნავაზის ეპოქაში **„არღარა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა“**, ანუ კლარჯეთ (ლაზეთში), დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ერთი ენა - საერთო-სახალხო ქართული ენა ფუნქციონირებდა.

ქართული წყაროებისავე ცნობით ფარნავაზის შემდეგ ქართლის სამეფოში ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან თითქმის ყოველთვის შედიოდა კლარჯეთი და დასავლეთ საქართველო ვიდრე VI ს. ბოლომდე, ამიტომ ქართულ ენას განვლილი ჰქონია საერთო სახელმწიფოებრივ-კულტურული ცხოვრების თითქმის ათასი წელი. ამიტომაც, არაბობის ეპოქაში მისი (საერთო სახალხო ქართული ენის) დაშლა-დიფერენციაციამ ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა და ის კვლავ საერთო-საეკლესიო-კულტურის ენად დარჩა ახალ სახელმწიფოებრივ ერთეულებში აფხაზთა სამეფოში, კახეთის საქორეპისკოპოსოში, ჰერთა სამეფოში, ტაო-კლარჯეთში – თუმცა უკვე დაბალი სოციალური ფენები ალბათ უკვე იწყებდნენ დიალექტურ დონეზე მეტყველებას.

„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“

ა. „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ არმენიის ქართველთა საუნჯე წმ. ნინოს ჯვართან ერთად (VI–X სს.)

VI-VIII სს-ში, მას შემდეგ, რაც **გუგარქსა, ტაოსა თუ ბასიანში** მცხოვრები მკვიდრი ქართველები პოლიტიკურად აღმოჩდნენ პერსარმენიასა თუ რომაულ არმენიაში და მოექცნენ სომხურ საეკლესიო იურისდიქციაში, ამ მხარეებში **დაიწყო ქართული ენის ტოტალური დევნა** – ეს განსაკუთრებით ითქმის პერსარმენიაში მცხოვრებ ქართველთა შესახებ.

დაიწყო ქართველთა არმენიზაციის თითქმის შეუქცევადი პროცესი.

ქართველთა არმენიზაცია შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა „რომაულ“, ანუ დასავლეთ არმენიაში იმის გამო, რომ აქ ეკლესიებში ღვთისმსახურება ბერძნულენოვანი იყო. ამის გამო აქ მოსახლეობის არმენიზაციის პროცესი ვერ დასრულდა.

მახლობლად მცხოვრებმა (ე.ი. ტაოს, კოლას, ბასიანის და სხვა კუთხეების) ქართველებმა იცოდნენ, რომ ისინი ეროვნულად ქართველები იყვნენ, მაგრამ როგორც ბიზანტიურ (ბერძნულ-რომაულ), ასევე სომხურ (სპარსულ, შემდეგ არაბულ) ოლქებში მათ მშობლიურ ქართულ ენას დევნიდნენ, ავიწროვებდნენ, არ აძლევდნენ სახელმწიფოებრივ და საეკლესიო ენის ფუნქციას. ამის გამო იქ **ქართული ენა იქცა „მდაბალ და დაწუნებულ ენად“,** მხოლოდ იმედი ასულდგმულებდათ იქაურ ვინაობაშენარჩუნებულ ქართველებს. იცოდნენ, ოდეს-

მე დადგებოდა ისეთი დღე, როცა ქართული ენა თავის უფლებებს აღიდგენდა. ამ კუთხის ქართველების იმედი სინას მთის ბერმა შეგვინახა. იქ დაცული ქართული მანიფესტით – „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

ბ. „ქებაი და დიდებაის“ საეკლესიო საფუძვლები (VI–X სს.)

სინას მთის ქართულ ხელნაწერთა შორის უმშვენიერესი ქმნილებაა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

ერთი შეხედვით პირველი ათასწლეულის ქრისტიანული ძეგლი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ მკვეთრად განსხვავდება მსოფლიო ეკლესიაში დანერგილ კანონიკური ტექსტებისაგან და უფრო აპოკრიფულს ემსგავსება, მაგრამ როგორც აღმოჩნდა მას აქვს თავისი საეკლესიო საფუძვლები ქართულ ენასთან დაკავშირებით.

კერძოდ, „ქებაი და დიდებაის“ ტექსტში, ქართულია საღმრთო ენა, რომელიც „შემკულია და კურთხეულია უფლის სახელით“. საზოგადოდ, ქრისტიანი ავტორი არც მისცემდა თავის თავს ნებას იმისას, რომ მსგავსი განცხადება გაეკეთებინა საეკლესიო საფუძვლის გარეშე.

ასეთი საფუძველი კი გახლდათ ძალზე ამაღელვებელი მომენტები ასურელი მამების ცხოვრებიდან, ეს მომენტები შეეხება ქართული ენის საზეპურობას.

ძველ საქართველოში განუზომლად დიდი იყო ავტორიტეტი ასურელი მამებისა, მათ წმიდა ნინოს შემდეგ ქართლის ანუ საქართველოს ახალ განმანათლებლად მიიჩნევდნენ, ჩანს VI საუკუნეში მონოფიზიტებისა და ცეცხლთაყვანისმცემლების მძლავრობის გამო, რომელთა წინააღმდეგაც ისინი იბრძოდნენ.

ისინი იყვნენ პირველი ათასწეულის ქართული ეკლესიის უდიდესი წმიდანები. სინას მთაზე, იქ, სადაც „ქებაისა და დიდებაის“ მრავალი ტექსტი გადაიწერა, XX საუკუნეში მოულოდნელად აღმოჩნდა იქამდე დავიწყებული სინას მთის ბერების უძველესი ხელნაწერები, რომელთა შორისაა ასურელი მამების ცხოვრებანი, „მოქცევაი ქართლისაისთან“ ერთად.

ეს მიუთითებს იმის შესახებ, რომ ასურელი მამები ქალკედონიტები იყვნენ და ეკლესიის წმიდანები, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი ათასწლეულის მსოფლიო მნიშვნელობის მართლმადიდებელთა ცენტრში - სინას მთის მონასტერში მათ არ გამოიყენებდნენ საეკლესიო პრაქტიკაში.

ასურელი მამები იყვნენ არა მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდანები, არამედ ქართული ენის აღორძინების მამები, მისი უფლისმიერი დამცველ-მეპატრონენი.

როცა ვამბობთ, რომ ასურელი მამები იყვნენ ქართული ენის უფლისმიერი, ზეგარდამო ნიშნით აღჭურვილი წმიდანები, გვაქვს შესაბამისი უეჭველი და უძველესი წყაროები, ესაა თვით ამ წმიდათა „ცხოვრებანი“.

ვინ იყვნენ ასურელი მამები და რა კავშირი ჰქონდათ მათ ქართულ ენასთან? წარმოშობის მიხედვით არავითარი, მათ საერთოდ არ იცოდნენ ქართული ენა და არც კი სმენოდათ ქართლის ქვეყნის შესახებ. ამას მოგვითხრობენ თვით ამ წმიდათა ცხოვრებანი.

იოანე ზედაზნელი, რომელიც იყო მეთაური ასურელი მამებისა ეროვნებით ასური იყო, ასურეთში მცხოვრები და იქ დაბადებული. მას გაგონილიც კი არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ არსებობდა ქართველთა ქვეყანა და ქართული ენა.

გამოხდა ხანი, მას მიეცა უფლისმიერი ბრძანება, რომ უნდა ექადაგა ქართველების ქვეყანაში. მართლაც ის მოწაფეებთან ერთად შემოვიდა ქართლში და ქართული ენით დაიწყო ხალხის დამოძღვრა.

როგორ? მან შეისწავლა ქართული ენა? არა, მას საგანგებოდ არ შეუსწავლია ქართული ენა და არც დრო დაუხარჯავს მის შესასწავლად. მოხდა დიდი სასწაული, ამ ენასთან დაკავშირებით, **ისეთი სასწაული და თანაც ყველასათვის გასაგები, რომ მის გარშემო მყოფი ადამიანები ამ სასწაულით დიდად შეშინდნენ** და ამასთანავე გაკვირდნენ კიდეც.

რა მოხდა? წმიდანის ცხოვრების თანახმად უფალმა ინება, რომ როგორც წმიდა მოციქულებს მიეცათ სულთმოფენობისას ენების ცოდნა (საქმე, 2-14), ასევე **სულიწმიდის მიერ „ერთ წამში“ ანუ ელვისებური სისწრაფით მიეცა წმიდა იოანე ზედაზნელს ქართული ენის ცოდნა:** -მისი მემატიანე წერს - **„მოეცა იოანეს ენაი ქართულად მეტყველი..., ესე სასწაული, ძმანო, მიმსგავსებულ არს სიონს გარდამოსვლასა სულისა წმიდისასა წმიდათა ზედა მოციქულთა და განყოფასა ენათასა ცეცხლისასა... სულითა წმიდითა წამსა შინა აღატყუა სიტყვითა ზრახვად იოანე, რომელი არცა ოდეს ასმიოდა, არათუ ესწავა... რომელნი მაშინ მუნ იყვნეს ყოველნი ზარგანხდილნი და განკვირვებულნი ადიდებს ღმერთსა, მოქმედსა საკვირველებათასა“ („ცხორება და მოქალაქობა ღირსთა მამათა ჩუენთა შიოსი და ევგარესი“, 2005, გვ. 29).**

მაშასადამე:

1. სულიწმიდის მიერ იოანე ზედაზნელი ქართულად ამეტყველდა;
2. მას ქართული ენის ცოდნა მიეცა „წამსა შინა“, ანუ მყისიერად;
3. იოანეს იქამდე არასოდეს უსწავლია ქართული ენა და არც კი სმენოდა მის შესახებ;
4. იოანემ მაშინვე დაიწყო „სიტყვათა ზრახვად“ ანუ ის უკვე ქართული ენით წარმოთქვამდა ფრაზებს და საერთოდ ის ქართულად სრულყოფილად ამეტყველდა, მაშასადამე უნარი მიეცა ქართულად ქადაგებისა;
5. ეს უდიდესი სასწაული სხვების თანდასწრებით მოხდა, რამაც მათ შიშის ზარი დასცათ და ამავე დროს გაუკვირდათ;
6. იქ მყოფმა ადამიანებმა მაშინვე დაიწყეს ღმერთის დიდება, რადგანაც სწორედ ისაა (ე.ი. ღმერთია) - „მოქმედი საკვირველებათა“, ანუ სასწაული მხოლოდ მისგან მომდინარეობდა.
7. სასწაული თავისი არსით იდენტური იყო სულთმოფენობისას „ცეცხლის ენათა განყოფისას“ მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლისა და მათი სხვადასხვა ენებზე ამეტყველებისა (ცხოვრება შიოსი და ევაგრესი, 2005, გვ. 29).

აღსანიშნავია, რომ იოანე ზედაზნელის აღნიშნული სასწაულის დროს მის გვერდით იყო მისი მოწაფე შიო მღვიმელი.

სასწაულის მნიშვნელობა გაორკეცდა იმით, რომ შიო მღვიმელზეც გადმოვიდა მადლი სულიწმიდისა და ისიც ამეტყველდა ქართულად.

შიო მღვიმელის ცხოვრების აღმწერი წერს, რომ წმ. შიო „იყო ნათესავით ასური... ოდეს იოვანე, მოძღვარი მისი უწყებითა ღმრთისაითა ქვეყანად ქართლისა მიიწია, ესეცა ნეტარი მის თანავე მოგზაურ იქმნა და მის თანავე მოციქულებრივი ქადაგებაი აღასრულა, რომელთა ღმერთმან მისცა ენაი ქართულად მეტყველი“ („ხსენებაი საკვირველმოქმედისა წმიდისა მამისა შიოსი“, 2005, გვ. 113).

მაშასადამე

1) შიო მღვიმელი იყო ეთნიკურად ასური;

2) მისი მოძღვარი იოანე „ღმრთის უწყებით“ მოვიდა საქართველოში;

3) იოანემ და შიომ აღასრულეს მოციქულებრივი ქადაგება;

4) მათ ღმერთმა უბოძა ქართული ენის ცოდნა - **„რომელთა ღმერთმან მისცა ენაი ქართულად მეტყველი“.**

აღნიშნულთა გარდა არსებობს აგრეთვე შიო მღვიმელის მოკლე ცხოვრებაც, რომელშიც კერძოდ ნათქვამია - „წარმოემართნენ წმიდანნი და მოვიდნენ ქართლად.... კათალიკოზსა ევლაბიოზს გამოეცხადა ანგელოზი უფლისაი და აუწყა მოსვლა მათი და წინა მიეგებოდა... **ნეტარმან იოვანეცა წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიერ წმიდისა“ (ცხორებაი შიო მღვიმელისა მოკლედ ნათქვამი, 2005, გვ. 107).**

წმ. შიოს „მოკლე ცხოვრებაც“ იმასვე იმეორებს, რაც აღნიშნული სხვაგანაც, რომ იოანე ზედაზნელმა **„წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულის მიერ წმიდისა“.**

ამ ცხოვრებათა შეჯერებით ნათელი ხდება, რომ იოანე ზედაზნელმა, შიო მღვიმელმა და ჩანს სხვა მამებმაც ღმრთის ნებით, **სულიწმიდის მიერ მყისიერად მიიღეს ცოდნა ქართული ენისა და ღმერთის უწყებით გამოემართნენ საქართველოში, ხოლო „ანგელოზი უფლისა“ აფრთხილებდა და ამზადებდა სათანადო პირებს მათთან შესახვედრად.**

მართლაც, სრულიად გამორჩეული, უნიკალური და ალბათ ერთადერთია მსგავსი სასწაული – რაც **გამეორებაა წმიდა მოციქულებზე სულიწმიდის მადლით ენათა დაუფლებისა, ოღონდ ამ შემთხვევაში, ქართულ ენაზეა ღვთის მადლი დაშვებული.**

ცხადია, ეს მომენტი ანცვიფრებდა ძველ ქართველ მამებს და **უნერგავდა მათ თვალსაზრისს ქართული ენის განსაკუთრებულობის შესახებ**, მითუმეტეს ისეთ რეგიონებში, სადაც ქრთული ენა „დაწუნებული“ იყო ღვთისმსახურებისათვის საეკლესიო სფეროში (იგულისხმება ყოფილი პერსარმენიის რეგიონი, ტაო-ბასიანის მხარეები).

ასურელ მამათა აღნიშნული ცხოვრებანი წარმოადგენდნენ ოფიციალურ საკითხავებს, რომელნიც ეკლესიებში ხმამაღლა იკითხებოდა წირვა-ლოცვების სათანადო მომენტების დროს. მრევლს ოდნავადაც კი ეჭვი არ ეპარებოდა მოსმენილის სინამდვილეში.

ეს ამბავი ნამდვილად რომ არ მომხდარიყო არც აღწერდნენ და არც მიიჩნევდნენ ღმრთის სადიდებელ საკვირველ სასწაულად.

საზოგადოდ, ლოცვის ენას ძველ ქრისტიანულ სამყაროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც „ახალი აღთქმის“ ქადაგებით ენა ღვთიური ნიშნით იყო აღბეჭდილი. ეს საგანგებოდ ეუწყათ სულთმოფენობისას მოციქულებსა და შესაბამისად პირველქრისტიანებს, როცა **„აღივსნენ ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყვად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყვად“ (საქმე, 2, 4).**

ამით მოიხსნა ის ენობრივი ბარიერი, რომელიც პირველმქადაგებელ მოწაფეებს შესაძლოა შეხვედროდათ, როცა ისინი წავიდნენ დასამოძღვრად წარმართებისა მთელ მსოფლიოში.

ასეთი ენობრივი ბარიერი ელოდათ ასურელ მამებსაც საქართველოში, მა-

გრამ, როგორც ითქვა, სულიწმიდის მიერ მიეცათ არა ზოგადად ცოდნა სხვადასხვა ენებისა, არამედ კონკრეტულად, მხოლოდ ქართული ენისა.

ქართული ენის ასეთი გამორჩევა უფლის მიერ, რაც იყო თვალხილული ფაქტი არა მხოლოდ ასურელი მამების გვერდით მდგომთათვის, არამედ ქართველი ერისათვისაც, ცხადია ბუნებრივი სიამაყით ავსებდა ქართველ მამებს.

აღიწერება ისეთი მომენტიც, როცა მაგალითად ქართლის კათალიკოსი შეეგება ასურელ მამებს ასურული ენით, მაგრამ მათ ქართულად უპასუხეს.

ასურელი მამები ქართულენოვანი მქადაგებლები იყვნენ, უფრო მეტიც, ქართულენოვანი მწერლებიც კი, მხედველობაში გვაქვს შიო მღვიმელის ქართულენოვანი ლექსები.

VII საუკუნეში, ჩანს ასურელ მამებზე უფლის მიერ გარდამოვლენილი ეს ენობრივი მომენტი აძლიერებდა კირიონ I კათალიკოსის თავისი ენობრივი რეფორმის გატარებისას გუგარქში. როგორც ცნობილია გუგარქი, თვით „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვითაც, წარმოადგენდა მცხეთელი კათალიკოსის იურისდიქციაში შემავალ ეპარქიას, სადაც ადგილობრივი ქართული მოსახლეობისათვის IV საუკუნიდანვე ქართულ ენაზე აღესრულებოდა წირვა-ლოცვა (ამას ბოლნისის სიონის წარწერები და სხვა ეპიგრაფიკული მასალაც აჩვენებს), ამის მიუხედავად VI ს-ში სპარსელთა მყრობელობისას (რომელიც სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას ძლიერ უჭერდა მხარს), გუგარქში ქართული მრევლისათვის ეკლესიებში დანერგეს სომხურენოვანი მსახურება, ისევე, როგორც ტაოსა და ბასიანში.

სპარსთა ძლიერების შესუსტებისთანავე, როცა ბიზანტიის საზღვარმა გადმოიწია და მოადგა თბილისს, კირიონმა გაბედა და ინება ქართულენოვანი ღვთისმსახურების აღდგენა გუგარქის ქართული მრევლისათვის, რამაც ძალზე აღაშფოთა სომხური ეკლესიის მესვეურები, მათ მაშინვე დააბეზღეს კირიონი სპარსთა წინაშე, რომლებმაც კირიონი ტახტიდან ჩამოაგდეს და უცხოეთში განდევნეს.

როგორც ითქვა კირიონის ამ დიდი ბრძოლის მამხნევებელი ქართული ენის უფლისმიერი მფარველობა იყო, რომელიც ასურელი მამებზე განცხადდა.

საფიქრებელია, რომ **ქართული ენის ასეთი გამორჩეულობა უფლის მიერ (რაც, როგორც ვთქვით ფაქტი იყო), წარმოადგენდა ერთ-ერთ საეკლესიო წყაროს წინასწარმეტყველებისა, რომელსაც „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ეწოდება.**

მას, როგორც ჩანს, სხვა საეკლესიო წყაროებიც ჰქონდა უფლისმიერი ნიშნით აღბეჭდილნი.

ერთ-ერთი, უნდა იყოს ილარიონ ქართველის ცხოვრების ერთ-ერთი ეპიზოდი.

IX საუკუნეში წმიდა ილარიონს აუკრძალეს ქართულენოვანი ლოცვა-ღვთისმსახურება ბერძნებმა ოლიმპოს მთის მონასტერში.

მაშინვე, ბერძენ მამასახლისს გამოეცხადა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და განუცხადა „მრავალნი დამკვიდრებად არიან მთასა ამას **მათისა ენისა მეტყველნი და ცხონებად არიან და რომელნი მათ არ შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან“** (ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, 1946, გვ. 172).

ყოვლადწმიდამ მიუთითა **ცხონების** შესახებ, ეს კი იყო ყოველი ქრის-

ტიანის, მათ შორის განსაკუთრებით მონასტრის ბერთა საბოლოო მიზანი და ამავე დროს მიუთითა, რომ **ქართული ენით ლოცვით შესაძლებელია ცხონება.**

ღვთისმშობლის ეს სიტყვები ცხადია უდიდესი სტიმული იყო ქართველი მამებისათვის, მათ **კიდევ ერთხელ ირწმუნეს ქართული ენის უფლისმიერი გამორჩეულობა.**

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის განცხადებამ, რომ ქართული ენა ცხონების ენაა („მრავალნი დამკვიდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყველნი და ცხონებად არიან, და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან"), ცხადია სულიერი სასიცოცხლო სტიმული მისცა და კიდევ უფრო განუმტკიცა ქართველ მორწმუნეებს (მათ შორის ჩვენს შემთხვევაში ქართველ ბერებს) ის თავიანთი თვალსაზრისი, რომ ქართული ენა უფლისმიერაა რჩეული. ამასთანავე, კიდევ უფრო ამაღლდა მათ თვალში არა მხოლოდ ქართული ენის სულიერი მნიშვნელობა, არამედ განმტკიცდა ეროვნული იდენტობაც (ღვთისმშობლის განცხადებამ, „ვინც არ შეიწყნარებს ქართულად მეტყველებს, ისინი ჩემი მტრები არიან"), საერთოდ **ღვთისმშობელის ეს ჩვენება, მისი სიტყვები განსაკუთრებული მნიშვნელობის დატვირთვისაა ქართული კულტურის შემდგომი აღმავლისათვის**.

საფიქრებელია, რომ IX-X საუკუნეთა ქართული ხელოვნებისა და კულტურის აყვავებას, ასევე ქართველთა იდენტობის საოცარ განმტკიცებისა და გამოღვიძებას ტაო-ბასიანის ვრცელ ქვეყნებში ამ გამოცხადების სულიერმა მნიშვნელობამაც დაუდო საფუძველი.

მაშასადამე, ჩვენს ხელთაა I ათასწლეულის ორი საეკლესიო დატვირთვის მქონე წყარო, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა „ქებაი და დიდებაის" ფრაზას - **„ესე ენაი შემკული და კურთხეული არს სახელით უფლისათა"**.

საფიქრებელია ისიც, რომ აღნიშნული წყაროების თავისებური გაგება საფუძვლად უნდა დადებოდა ფრაზას - რომ ქართული ენით მეორედ მოსვლისას ყველა ენას (ე.ი. ერს) ამ ენით „ამხელს" ანუ განიკითხავს უფალი - **„დამარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა"**.

ცხადია, „ქებაი და დიდებაის" უთუოდ გააჩნდა სხვა წყაროებიც (ვთქვათ იმის შესახებ თუ რატომ უნდა რქმეოდა ქართულ ენას სახარებაში „ლაზარე", მათეს სახარების დასაწყისის (თავის) მნიშვნელობის შესახებ ქართულ ენასთან დაკავშირებით და სხვ.) მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება აღნიშნულთა გარდა ამ ტექსტის სხვა ფრაზების საეკლესიო წყაროთა შესახებ - ესენია შემდეგი ფრაზები

1) „დამარხულ არს ენაი ქართული";

2) „ესე ენაი მძინარე არს";

3) „მეგობრობაი ამისთვის თქვა";

4) „ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა";

5) „ესე ენაი... მდაბალი და დაწუნებული".

ამ ფრაზების მიხედვით „ქებაის" ტექსტის შედგენის დროს ქართული ენა

სავალალო მდგომარეობაში ყოფილა, ის ტექსტის ავტორის ქვეყანაში იყო **„მდაბალი და დაწუნებული“, „მძინარე“, „დამარხული“** და ა. შ.

რომელი ქვეყანა იყო ეს? სად იდევნებოდა ქართული ენა, სად არ ჰქონდა მას სახელმწიფოებრივი ფუნქცია, საეკლესიო და სამოქალაქო დატვირთვა?

რომელი იყო ასეთი ქართული ქვეყანა VIII-X სს-ში და უფრო ადრე? აფხაზთა სამეფოში ქართული ენა დიდად პატივცემული იყო იმით, რომ ის იქ იყო ერთადერთი სახელმწიფო, საეკლესიო და სამოქალაქო-ადმინისტრაციული ენა, ისევე კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაშ იყო ქართული ენა **გუგარქსა, ტაოსა თუ ბასიანში.** წინა საუკუნეებში იქ მცხოვრები მკვიდრი ქართველები პოლიტიკურად აღმოჩდნენ პერსარმენიასა თუ რომაულ არმენიაში და მოექცნენ სომხურ საეკლესიო იურისდიქციაში, რის გამოც როგორც აღვნიშნეთ იქ **დაიწყო ქართული ენის ტოტალური დევნა** – როგორც დასავლეთ არმენიაში ისე პერსარმენიაში და ეს პროცესი შემდგომ საუკუნეებშიც გაგრძელდა. ასეთ დროს იქაურ ქართველთა შორის გავრცელდა ცნობა, რომ **„ესე ენაი შემკული და კურთხეული არს სახელით უფლისათა“**, მართალია ამჟამად ქართული ენა გაძევებულია საეკლესიო და საზოგადოებრივი მოქმედების სფეროდან, ის „დაწუნებული და დადაბლებულია“, „დამარხულია“ იმით, რომ მხოლოდ საოჯახო და საშინაო მოხმარების სფეროები დარჩა საასპარეზოდ, მაგრამ ეს დროებითია, რადგანაც **„დამარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.**

ქართული ენის მნიშვნელობა და ტაოს ქართველების ეროვნული იდენტობა ამ მომენტმა კიდევ უფრო გამოკვეთა.

ალბათ შეიძლება ვიფიქროთ, რომ VIII-IX საუკუნეებში დაწყებული დიდი მოძრაობა ტაოელთა და მახლობელ კუთხეთა ქართველების ეროვნული იდენტობის აღორძინებისათვის მსგავსი სულისკვეთებით გამსჭვალული პატრიოტულ-ეკლესიური თხზულებების შედეგიც იყო.

მართლაც ტაო-ბასიანელ ქართველთა ეროვნული იდენტობის აღორძინებამ მათ ქვეყანაში და უფრო ჩრდილოეთით (ჰერეთსა და გუგარქში) იქამდე „მდაბალი და დაწუნებული“ ქართული ენაც – ააღორძინა X საუკუნისათვის, თუმცა ამ მხრივ ყოფილ ხორძენესა და პარიადრეს ქართველებს არ გაუმართლდათ.

გ. „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ დაწერის დრო და ადგილი (X ს.)

ჩვენამდე მოღწეულია „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ ოთხი ხელნაწერი ე.წ. სინურ ძეგლებში - ყველა არის მეათე საუკუნისა, კერძოდ კი მეათე საუკუნის მეორე ნახევრისა.

რით იყო აღსანიშნავი ხელნაწერის დაწერის დრო?

იმით, რომ ახლოვდებოდა ქრისტესშობიდან ათასი წელი, სამყაროს აღსასრულისა და საშინელი სამსჯავროს ჟამი.

ამ თარიღს მთელი ქრისტანული მსოფლიო ელოდა შიშით და იმედით, კერძოდ ქრისტესშობიდან მეათასე წლისთავზე ელოდნენ ქრისტეს მეორედ მოსვლას.

ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი თარიღი, არა მხოლოდ საეკლესიო წრეები,

არამედ საზოგადოდ მთელი ხალხი, მრევლი, მდიდარი თუ ღარიბი, მოხუცი, ახალგაზრდა, პატრონები თუ ყმები, სენიორები და ვასალები, ერთი სიტყვით ყველა სოფელი თუ ქალაქი ელოდა ქრისტეშობის მეათასე წლისთავს.

ამის შესახებ მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ლოცულობდნენ და ასე გრძელდებოდა თაობათა მანძილზე მთელ მეათე საუკუნის განმავლობაში, შესაბამისად წარმოიშვა მრავალი მითი, თეორია, მოსაზრება, იდეა თუ წინასწარმეტყველება მათი სამომავლო ბედისწერის შესახებ მეორედ მოსვლისას, რომელის კაკუნის ხმაც უკვე ისმოდა, მეათასე წლისთავი ახლოვდებოდა

არმენიაში, ყოფილი ხორძენას, პარიადრესა და გუგარქის ქართველთა ჩაგრული ფენა მეორედ მოსვლას იმედით შესცქეროდა, რომ მათი მდგომარეობა წარსულს ჩაბარდებოდა და მომავალი კი სიხარულით აივსებოდა, უფრო მეტიც, მათი „დაწუნებული და დამდაბლებული“ ენა და ეროვნება სხვებზე ამაღლდებოდა წმიდა სიტყვათა შესაბამისად „უკანანი წინა და წინანი უკან“.

მას შემდეგ, რაც სტრაბონის ცნობით, არმენიამ იბერიისაგან მიიტაცა ხორძენას, პარიადრესა და გოგარენას ქართველი ხალხით დასახლებული ვრცელი მიწა-წყალი, იქ დაიწყო ქართული ენის დევნა და შევიწროება.

მოვსეს ხორენაცი თავის ისტორიაში აღნიშნავს თუ როგორ დევნიდნენ სამხრეთიდან ჩასახლებული არმენიელთა მეფეები მკვიდრი მოსახლეობის ენას. ისინი კრძალავდნენ სომხურის გარდა სხვა ენის გამოყენებას. ასეთ გარემოში ქართული ენაც იდევნებოდა. მაგრამ იქაურ (მკვიდრ) ქართველობას მხნეობა შეუნარჩუნებია და დევნის საპირისპიროდ წამოუყენებია იდეა ქართული ენის შემდგომში განდიდების შესახებ და ის დაუკავშირებია მეორედ მოსვლასთან.

არმენიის მიერ მიტაცებულ იბერიის ტერიტორიებზე ჩამოყალიბებულა წინასწარმეტყველება ჩაგრული ქართული ენის საბოლოო განდიდების შესახებ.

ასეთ წინასწარმეტყელებათა რიგში უნდა ჩავაყენოთ ჩვენამდე მოღწეული თხზულება - „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელიც შესაძლოა წინა საუკუნეებში დაიწერა, მაგრამ განსაკუთრებულად პოპულარული იქაურ ქართველთა შორის გახდა მეათე საუკუნეში.

რას ეხებოდა წინასწარმეტყველება? რომ მალე, ქრისტეს მოსვლის ჟამს, რამდენიმე წელიწადში (მეათასე წლისთავზე) ქრისტე განიკითხავს მთელ კაცობრიობას და განკითხვის ენა კი იქნება ქართული!

რატომ ქართული? ამ კითხვის პასუხით ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ ამ თხზულების შეთხზვის ადგილი.

რას ელოდნენ პირველი ათასწლეულის ბოლოს ანუ მეორედ მოსვლის ჟამს?

ღარიბები - ხსნას და სიხარულს,

ჩაგრულები - ტვირთის ახსნას,

ცუდი მდიდრები - დამდაბლდებას,

კარგი გლახაკები - მათზე ამაღლდებას,

ყველა ჩაგრული გათავისუფლდებოდა და გამოჩნდებოდა მთელი თავისი შინაგანი სიკეთით.

რადგანაც, წინასწარმეტყველება შეეხებოდა ქართულ ენას, მის მიმართაც იგივე უნდა აღსრულებულიყო - ანუ ეს ენა („ენის“ ქვეშ მისი მატარებელი ხალხიც იგულისხმება) არმენიის იბერიაში ჩაგრული, **„მდაბალი და დაწუნებ-**

ული“ უნდა წარმოჩინებულიყო და განდიდებულიყო. ამიტომაც დაიწერა, რომ ისიც, ისევე როგორც სხვა ჩაგრულები, **„მოელის“** მეორედ მოსვლას.

ქართული ენა (და ქართული იდენტობა) იქამდე დამდაბლებული იყო ვრცელ მიწა-წყალზე თეოდოსიოპოლისიდან თბილისამდე და ვანის ტბამდე

ტაო და ბასიანი ამ ქვეყნის მთავარი ნაწილი იყო - **მის სამხრეთით (ე.ი. ყოფილ ხორძენას, პარიადრსა და გუგარქში) ცხოვრობდნენ ის თითქმის არმენიზებული ქართველები, რომელთაც ვერაფრით შეძლეს სომხური საეკლესიო უღლისაგან თავის არიდება და ახლა მხოლოდ მეორედ მოსვლის ჟამისათვის ელოდნენ ქართული ენისა და ქართველობის ღვთაებრივ აღორძინებას.**

კირიონის ღვაწლი გუგარქში

კირიონისმიერი ეროვნული გამოფხიზლება გუგარეთისა და დასავლეთ არმენიის ქართველობისა

გუგარეთი ანუ გუგარქი, ქართველი თანამედროვე ისტორიკოსების აზრით, მოიცავდა მიწა-წყალს ჯავახეთიდან ხუნანის იქით ძეგამჩაიმდე (მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადამდე), მაშინ როცა სომეხი ისტორიკოსების ცნობით, იბერიის ნაწილი გუგარქი მოიცავდა ტერიტორიას ჭოროხის მარჯვენა სანაპიროდან და მასში შედიოდა მიწები ტაოს ზემო ნაწილიდან (იშხანისა და ბანას ახლო ჩრდილოეთიდან) არცახამდე. მაშასადამე, **კლარჯეთიც გუგარქში მოიაზრებოდა.**

ეს მომენტი იმითაა ჩვენთვის საინტერესო, რომ კირიონის ცნობილი ღვაწლი ქვემო ქართლში (გუგარქის ერთ ნაწილში) ქართული ენის თავის ძველ უფლებებში დასაბრუნებლად, უთუოდ **მთელი გუგარქის (მათ შორის ტაოსა და კლარჯეთის) ქართველებისათვის იმპულსის მიმცემი იქნებოდა**. გუგარქი რომ ჭოროხის აღმოსავლეთ სანაპიროდან იწყებოდა, ამის შესახებ წერს ნ. ადონცი.

გუგარქის ქართველობას კლარჯეთიდან უტიკამდე თავისი ქვეყნის ბედის შესაბამისად ეკლესიებში აუკრძალეს ქართულენოვანი ღვთისმსახურება და მის ნაცვლად სომხურენოვანი წირვა-ლოცვა დაუნერგეს.

სპარსეთსა და ბიზანტიას შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად, საზღვარი ამ ორ იმპერიას შორის გადიოდა ჭოროხიდან ნიზიბინამდე ისე, რომ ტაო და გუგარქი სპარსეთში მოექცა, შესაბამისად ისინი ე.წ. პერსარმენიის ნაწილად მიიჩნეოდა.

VI ს-ში ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების კვალდაკვალ, სპარსეთი ცდილობდა ბიზანტიური ორიენტაციის, ე.ი. ქალკედონური მიმართულების ქართული ეკლესიის ყოველმხრივ დაჩაგვრას, შესაბამისად ტაო-კლარჯეთ-გუგარქში შეიზღუდა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა და მის ნაცვლად ქართველთა შორის დაინერგა საეკლესიო-სომხურენოვანი ღვთისმსახურება.

ქართველებს არავითარი პროტესტის გამოთქმის საშუალებაც კი არ ჰქონდათ, იმდენად მჭიდრო იყო სომხურ-სპარსული კავშირი (იხ. „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტ. I).

საბედნიეროდ, 591 წლის შეთანხმებით შეიცვალა სასაზღვრო ხაზი სპარსეთსა და ბიზანტიას შორის, იმდენად, რომ საზღვარი ამ ორ იმპერიას შორის მცხეთასა და თბილისს შორის გავიდა, მცხეთა ბიზანტიურ ნაწილში მოექცა, თბილისი კი სპარსულში. ბიზანტიელთა მხარდაჭერით გაძლიერებულმა მცხეთელმა კათალიკოსმა კირიონმა გაბედა და თავის მრევლს, გუგარქ-ქვემო ქართლში მცხოვრებთ, აღუდგინა ქართულენოვანი ღვთისმსახურება, რაც მოუთმენელი იყო სომხური ეკლესიისთვის, თუმცა საბოლოოდ **კირიონის ღვაწლით თანდათანობით ჯერ ქვემო ქართლის, შემდეგ კი ტაოსა და ასევე ჩრდილო არმენიის მკვიდრი ქართველობა დაუბრუნდა საეკლესიო ქართულენოვნებას. ქართული ენა – ქალკედონიტობის სიმბოლო და ქართველთა ეროვნული ცნობიერების საყრდენი გახდა.**

ენობრივი ვითარება გუგარქში

როგორც ცნობილია VI საუკუნის შემდეგ VII-VIII-IX და X საუკუნეებში საქართველო სხვადასხვა ქვეყნებად ანუ პოლიტიკურ ერთეულებად იყო დაშლილი, მათ გარდა ქართველი ხალხის არც თუ მცირე ოდენობა ცხოვრობდა არაეროვნულ პოლიტიკურ ერთეულებში, მაგალითად თბილისელი ქართველები – არაბულ საამიროში, ქვემო ქართლის ქართველები – ტაშირ-ძორაკერტის სომხურ სამეფოში და სხვა.

არა მგონია ვთქვათ ტაშირ-ძორაკერტის სომხურ სამეფოში ქართული ენა ღირსეულად ყოფილიყო წარმოჩენილი, ჩვენ გვაქვს წყარო - „ეპისტოლეთა წიგნი“, ასევე სხვა ძველ ავტორთა თხზულებანი, საიდანაც შესანიშნავად ჩანს, თუ როგორ იბრძოდა ქართული ეკლესია, კათალიკოსი კირიონი რათა თავის ღირსეულ უფლებებში აღედგინა ქართული ენა ქვემო ქართლში, რომელიც ე. წ. გუგარქის ვრცელი ქვეყნის ნაწილი იყო, ჯერ კიდევ ტაშირ-ძორაკერტის სამეფოს წარმოქმნამდე.

კირიონამდე VI საუკუნის სპარსეთის მიერ დაპყრობილ ქვემო ქართლში, როგორც ითქვა, ქართველ მრევლში დანერგეს სომხურენოვანი ღვთისმსახურება, ქართული ენა ამის გამო გაძევებული იქნა საეკლესიო და საზოგადოებრივი მოქმედების სფეროდან, ის იმჟამად იყო „დაწუნებული და დადაბლებული“, ასე ვთქვათ შენახული ანუ „დამარხული“ იმით, რომ მხოლოდ საოჯახო და საშინაო მოხმარების სფეროები დარჩა საასპარეზოდ, მაგრამ, როგორც ვიცით კირიონის ღვაწლით ქართველ მრევლს VII ს. დასაწყისში დაუბრუნდა ქართულენოვანი ღვთისმსახურება.

მაგრამ, ქვემო ქართლი მხოლოდ ერთი ნაწილი იყო ძალზე ვრცელი ქვეყნისა, რომელსაც სომხები „გუგარქს“ (ქართველთა ქვეყანას) უწოდებდნენ. გუგარქი, სომხური წყაროების მიხედვით გადაჭიმული იყო ჭოროხიდან ვიდრე თბილისამდე და ბარდვამდე, გუგარქის ვრცელ ქვეყანას სამხრეთიდან ესაზღვრებოდა ტაო. აღსანიშნავია, რომ ტაო დიდი ხნის მანძილზე შედიოდა სომხურ სახელმწიფოებრივ და საეკლესიო სისტემაში. ის სომხეთის ქვეყნად მოიაზრებოდა VI-IX საუკუნეებში. აქაც, როგორც გუგარქში ქართული ენა იყო „მდაბალი და დაწუნებული“ X საუკუნისათვის კი, თითქოსდა ერთი ხელის მოსმით, ტაო ქართულ ქვეყნად იქცა, ქართული ენითა და ქართული სახელმწიფოებრიობით. რა მოხდა? სინამდვილეში როგორც ქვემო ქართლი, ასევე ტაოც ქართველებით იყო

დასახლებული, მაგრამ მისი ხალხი IX-X საუკუნემდე სომხურ საეკლესიო (და პოლიტიკურ) სფეროში იყო შეყვანილი. 726 წლის მანასკერტის კრებამ თითქოსდა გამოაფხიზლა ტაოელი ქართველები, რადგანაც ამ კრების შემდეგ სომხურმა ეკლესიამ საბოლოოდ მიიღო არა მხოლოდ მონოფიზიტური პლატფორმა, არამედ ის გახდა ნაციონალური, ანუ ის ეთნიკური სომხების ეკლესიად იქცა.

ხშირად, ზემო ქვეყნებიდან გამოსული, ყოფილი პერსარმენიული მხარეებიდან წარმოშობილი ქართველების ერთმა ნაწილმა არ იცოდა ქართული წერა-კითხვა, რადგანაც მათ განათლება სომხურად ჰქონდათ მიღებული, მაგრამ წმიდა ნინოს აღიარებითა და მისი ღვაწლის წარმოჩინებით აჩვენებდნენ თავიანთ ეთნიკურ ვინაობას.

არმენიის ქართველთა დიდი გამოფხიზლება

კირიონმა აანთო პირველი ნაპერწკალი ეროვნული გამოფხიზლებისა, რომელიც აიტაცა ე.წ. დასავლეთ არმენიის მკვიდრმა ქართულმა მოსახლეობამ გუგარქში, კოლაში, ტაოში და კიდევ უფრო სამხრეთით, ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე, რომლის სანაპიროსთან ახლოს მცხოვრებმა ქართველებმა ვალაშკერტის საეპისკოპოსო დააარსეს.

ეროვნებააღორძინებულმა ქართულმა მრევლმა ჩამოაყალიბა სხვა ქართული საეპისკოპოსოებიც – ანისისა, კარისა (ყარსისა), დადაშენისა და სხვა ქალაქებისა, თვითშემეცნებულმა, ანუ სომხური ასიმილაციისაგან გათავისუფლებულმა ქართველებმა მიიწვიეს თავიანთ მიწა-წყალზე ტაოს მეფე დიდი დავით კურაპალატი, რომელმაც ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული „ქართველთა საკურაპალატო“ შექმნა ვანის ტბამდე მცხოვრები ამ მკვიდრ ქართველთათვის.

სიხარული და ეროვნული სიამაყე ვინაობაადდგენილი ქართველებისა განუზომელი იყო, რაც გამომჟღავნდა განსაკუთრებით ათონის მთაზე. სწორედ ამ მხარეებიდან წამოსული ივერიელების მიერ, რომელთაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ეწეოდა იმით, რომ ქართულ ენასა და ქართულ სიტყვას მფარველობდა. სწორედ ასეთი სასწაულებრივი გამოცხადების შემდგომ მიეცა მყისიერად ქართული ენის ცოდნა პატარა ექვთიმე მთაწმინდელს.

ეროვნული იდენტობის აღორძინების სიხარულმა ააგებინა საოცარი ტაძრები ტაოსა და კლარჯეთში მკვიდრ ქართველებს, ესენი იყვნენ ნიშან-სვეტები მათი ეროვნული გამოფხიზლებისა, სომხური ეკლესიისაგან დიდი გაქცევისა, მისი უარყოფისა და ვინაობის აღდგენისა. ამ გათავისუფლების დიდმა ძალამ ააგო სწორედ ამ კუთხეებში ეს არქიტექტურის შედევრები,

როგორც დაგუბებულ წყალში გროვდება დიდი ძალა და ენერგია, რომელიც ვლინდება მისი გათავისუფლების შემდეგ, ასეთი ძალით აფეთქდა ქართული კულტურა სამხრეთ საქართველოში.

კირიონის „გამოფხიზლების“ პროექტი

სომხურ ეკლესიასთან კირიონის ცნობილმა კამათმა ქართული ენის დასაცავად და ამ საკითხის გამო განხეთქილებამ გამოაფხიზლა სამხრეთ კავკასიის პროვინციათა ის ქართველობა, რომელნიც იქამდე სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ.

სად განხორციელდა კირიონის გამოფხიზლების პროექტი? ანუ რომელ პროვინციებში გამოფხიზლდნენ იქამდე სომხური წირვა-ლოცვის ქვეშ მყოფი ქართველები და აღიდგინეს ქართულენოვანი წირვა-ლოცვა?

ცნობილია, რომ ეს იყო ვრცელი მხარე გუგარქისა. სად მდებარეობდა ის? ამჟამინდელი ჩვენი ისტორიოგრაფიის მიხედვით ის იყო მხოლოდ ქვემო ქართლი, მაგრამ სომხური გეოგრაფიით და სხვა წყაროებით, გუგარქი იყო ვრცელი ქვეყანა ჭოროხიდან თბილისამდე (და თითქმის ბარდავამდე).

ბასიანსა, კლარჯეთსა და ტაოში ქართული ენის აღდგენას რომ მისტიროდნენ სომეხი ღვთისმეტყველები, ეს ჩანს უხტანესის წიგნიდან, რომელმაც უზარმაზარი შრომა, სავსე მოთქმა-ვაებითა და წუხილით, მიუძღვნა ამ საკითხს.

კირიონის „გამოფხიზლება“ მხოლოდ ქვემო ქართლს არ შეხებია, აქ უხტანესის დროს ისედაც სომხური ტაშირ-ძორაკერტის სამეფო ჰყვაოდა სომხური საეკლესიო ენით, უხტანესი მისტირის კირიონის მიერ ბასიანის, ტაო-კლარჯეთისა და მეზობელი ოლქების ქართველების მიერ ეროვნული იდენტობის აღდგენას.

სომხურ-ქალკედონური ეკლესიის ქართული ფრთა

ქართველები სომხეთში

სომხეთში ძალზე დიდი რაოდენობის მკვიდრი ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე II საუკუნეში იბერიისაგან არმენიამ მიიტაცა ისტორიული სამხრეთ საქართველოს ნაწილები - ხორძენე, გოგარენა და პარიადრეს კალდები. ცხადია ეს რეგიონები ქართველებით იყვნენ დასახლებულნი. სომხური ეკლესიის დაარსების შემდეგ სომხეთის მკვიდრი ქართველობა გადაიქცა სომხური ეკლესიის მრევლად, მაგრამ მათ ქართული ეთნოიდენტობა შენარჩუნებული ჰქონდათ, განსაკუთრებით სომხეთის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილებში. კირიონ კათალიკოსის მოძრაობამ ქართული ენის დასაცავად, ერთგვარად შეანჯღრია და გამოაფხიზლა გუგარქისა და ტაოს ქართველობა. ა. კარაშევი თავის წიგნში „მსოფლიო საეკლესიო კრებები“ აღნიშნავდა, რომ ზოგჯერ აღმსარებლობის გათავისება ხდებოდა ეთნიკური ნიშნით, მაგალითად, მისი აზრით ბიზანტიელი ბერძნებისაგან აღმოსავლეთის ქრისტიანული ხალხები განცალკევებას ცდილობდნენ იმით, რომ იღებდნენ ანტიბიზანტიურ საეკლესიო აღმსარებლობას. ამის გამო, მიიღო თითქოს ეგვიპტის, სირიისა და არმენიის მოსახლეობამ მონოფიზიტობა, რითაც გაბერძნებისგან დაიცვეს თავი. შეიძლება ასევე ვიფიქროთ, რომ არმენიის ქართველებიც ცდილობდნენ ძლიერი სომხური კულტურული გავლენისგან თავის დაცვის მსგავსი ქმედებებით. შეიძლებოდა ალბათ ამითაც აგვეხსნა ქართველთა სურვილი სომხური ეკლესიისაგან განცალკევებისა ჯერ კიდევ VI საუკუნეში სპარსთა მმართველობისას. ანუ ქალკედონური სარწმუნოება ქართველთა ბუნებრივი საფარი იყო ეროვნულობის შენარჩუნებისათვის VI საუკუნეში და VII ს. დასაწყისში, მაგრამ ჰერაკლე კეისრის სპარსეთში ლაშქრობის შემდეგ თვითონ სომხური ეკლესიის ცენტრმა შეკრა „უნია“ ბიზანტიურ ეკლესიასთან. სომხეთში მრავალი ქალკედონური საეპისკოპოსო წარმოიქმნა. სომხურ-ქალკედონური საეპისკოპოსოების რიცხვი ძალზე დიდი იყო 70-ზე მეტი და ისინი

განფენილნი იყვნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე ვანისა და ურმიის ტბებიდან ტრაპეზუნტამდე და – ანტიოქიამდე. ამის გამო, სომხეთის იმ მხარეების ქართული მრევლი მოექცა სომხურ-ქალკედონურ ეკლესიაში, ისინი ძირითადად დასავლეთ არმენიასა და გუგარქში (ჭოროხიდან თბილისამდე) ცხოვრობდნენ. ქართველი ქალკედონიტი მოღვაწეები თავიანთი განსწავლულობისა და შრომის მოყვარეობის გამო სომხურ ეკლესიის უმაღლესი იერარქებიც კი ხდებოდნენ. ჰერაკლემდე ასეთი იყო აირარატის ქორეპისკოპოსი შემდეგ კი ქართველი კათალიკოსი კირიონი, ასევე ეთნიკური ქართველი უნდა ყოფილიყო სომეხი-ქალკედონიტი კათალიკოსი ნერსეს III მშენებელი. მან დევნილობის დროს თავი შეაფარა თავის მშობლიურ კუთხეს ტაოს, სადაც საეპისკოპოსო ცენტრი დააარსა იშხანში. სომხურ-კალკედონურ ეკლესიაში ქართველი მცირე ნაწილი იყო.

გამოფხიზლების ორი მთავარი სტიმული (IV–X სს.)

ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა, რომ ისტორიული სომხეთის მიწაწყალი არმენიელების შემოსვლამდე ქართული ტომებით იყო დასახლებული. მას ფაქტიურად ეთანხმება ნ. ადონცი, რომელიც მრავალ წყაროზე დაყრდნობით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ისტორიულად **ქართველების საცხოვრისი ვანის ტბიდან ქართლამდე შუაზე გაჰკვეთეს არმენიელებმა**, ამიტომ არმენიელების როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით ქართველთა ქვეყნები მოექცა.

მაგალითად, ნ. ადონცის აზრით, ვანის ტბის სამხრეთით მდებარე ქვეყანა კორდუენი და ჩრდილოეთით მდებარე ქართლი – ქართველთა ქვეყნები იყვნენ.

რაც შეეხება ქართველების დასახლებას არმენიის დასავლეთით, ის ხელუხლებლად იქნა შენარჩუნებული – იგულისხმება ქალდეველთა ანუ ჭანთა ქვეყანა.

ქალდუ ანუ „კარდუ“ – ივ. ჯავახიშვილის კვლევითაც ქართველთა ისტორიული სამშობლო ყოფილა, რომლის სახელი ქართველთა სამივე შტოს – სვანებს, მეგრელ-ლაზებსა და აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებს ჰქონიათ შემონახული.

დასავლეთ და ჩრდილო არმენიაში მოქცეულ იბერიის ყოფილ მიწებზე ხორძენასა, პარიადრესა და გოგარენაში ქართველთა არმენიზაციის პროცესმა გაქრისტიანების შემდეგ რელიგიური სახე მიიღო, რაც იმით გამოიხატა, რომ ამ ქართველთა საოჯახო ენა კვლავ ქართული იყო (ან მისი დიალექტები), მაგრამ სომხური მათთვის ღვთის სადიდებელი და საღვთისმსახურო ენად იქცა (თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა არც თუ მცირე ნაწილი, რომელნიც კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყვნენ მოქცეულნნი – ბერძნულენოვანნი გახდნენ საეკლესიო თვალსაზრისით).

არმენიის ქართველები სომხური ენის, კულტურის, ეკლესიის, შემეცნების და კულტურის ზეგავლენის ქვეშ ექცეოდნენ.

ქართველთა არმენიზაციის პროცესი სომხეთის დასავლეთ და ჩრდილო მხარეებში ვერ დასრულდა არაბთა შემოსევების გამო.

სომხური კულტურული ცენტრების ძლიერების მორყევისას – არაბთა შე-

მოსევების ეპოქაში, აღმოჩნდა, რომ **დასავლეთ არმენიასა და ასევე ბასიანსა, ტაოსა და მიმდებარე მხარეებში ქართველების ერთ ნაწილს, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ეროვნული ცნობიერება, ნაწილობრივ კი ცოდნა ქართული ენისა და საყოფაცხოვრებო წესჩვეულებებისა – ერთი სიტყვით, კულტურული თავისთავადობა, რაც საფუძვლად გადაიქცა ტაოსა და ბასიანში ქართველთა თვითშემეცნების აღორძინებისა, ეროვნული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნისა და მისთვის ქართული სახის მინიჭებისა.**

ასეთ ეპოქაში ქართულ ენას სიწმინდის ფუნქცია მიენიჭა.

ეს მოვლენა იყო ნამდვილი კულტურული რევოლუცია ქართული ცნობიერების აღორძინებისათვის.

ტაო-ბასიანის მხარეებში ქართული შემეცნებისა და ენის აღორძინების საფუძველი უნდა ყოფილიყო –

1) კირიონის მიერ ქართული ენის აღორძინება გუგარქში და

2) 726 წლის მანასკერტის მონოფიზიტური კრება, რამაც სომხური ეკლესია მონონაციონალურ ეკლესიად აქცია, სადაც აღარ იყო ეთნიკურ ქართველთა (ე.ი. ქალკედონიტთა) ადგილი, და რამაც ეკლესიურად გამოაფხიზლა ქართველობა. ეროვნულად იდენტობააღორძინებულმა ქართველობის ერთმა ნაწილმა მალე ზურგი შეაქცია სომხურქალკედონურ ეკლესიასაც და დედა ქართულს დაუბრუნდა.

პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის მითითება (X ს.)

კონსტანტინე პორფიროგენეტის თანახმად, ტარონის სამთავროს ბაგრატუნი მმართველები ცდილობდნენ ბიზანტიასთან დაკავშირებას იმპერატორის ლეონ VI-ის (886-912) დროს.

X საუკუნის 20-იანი წლებიდან ბიზანტიამ შეძლო შეტევა არაბების (მაჰმადიანების) წინააღმდეგ ზემო ევფრატის აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალზე. ბიზანტიის ჯარმა იოანე კურკუასის მეთაურობით დააპირა დვინის აღებაც, მაგრამ მას წინააღმდეგობას უწევდა სომეხთა მეფე აშოტ II ერკათი (914-929), რომელიც დვინის ამირას უჭერდა მხარს. აშოტმა ხალიფასგან მიიღო შაჰინშას ტიტული.

დვინთან წარუმატებლობის შემდეგ იოანე კურკუასმა მაჰმადიანებისგან გაათავისუფლა ქალაქი ხლათი და 931 წელს ბიზანტიელთა ჯარები შევიდნენ ხლათსა და ბერკრში, ვასპურაკანის სამეფო ბიზანტიელთა გავლენის სფეროში აღმოჩნდა.

978 წელს ბარდა სკლიაროსის დამარცხების ჯილდოდ დავით კურაპალატს გადაეცა სხვებთან ერთად ჰარკის და აპაჰუნიქის ოლქები ქ. მანასკერტთან ახლოს. ეს ქალაქი ამ დროისათვის მაჰმადიანი ამირას ხელში იყო (ის მან ბიზანტიელებს წაართვა). 990 წელს დავით კურაპალატმა დალაშქრა მანასკერტი და აიღო ალყის შემდეგ. აქ მას ჩაუსახლებია დიდი რაოდენობით ქართველები და სომხები. ამის გამო, თავრიზის ამირას დიდძალი ჯარები დაუძრავს დავით კურაპალატის წინააღმდეგ, დავითს გვერდით ამოუდგნენ ქართველთა მეფე ბაგრატ II, ანის-შირაკის მეფე გაგიკი და ვანანდის (ყარსის) მეფე აბასი. დავითი და მისი მოკავშირეები ქ. ვალაშკერტში დაბანაკებულან.

997-998 წლებში ქართველები იბრძოდნენ ხლათთან, მაგრამ ვერ აიღეს, თუმცა სასტიკად დაამარცხეს თავრიზელი ამირა და მისი მოკავშირეები.

ეკლესიურად, როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ეწინააღმდეგებოდა ქართველების საეკლესიო იურისდიქციის გავრცელებას ტაოდან ვანის ტბამდე – დავით კურაპალატის მიერ გათავისუფლებულ მიწა-წყალზე, მაგრამ თვითონ, ჩანს, ამ პერიოდში ვერ ახერხებდა თავისი იურისდიქციის განვრცობას ან შენარჩუნებას ამ რეგიონში, მაგრამ თანახმა ყოფილა იქ სომხური ეკლესიის უზენაესობა ეცნო. ეს ჩანს იოანე დრასხანაკერტელის ნაშრომიდან, სადაც შემონახულია კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილი. ბერძენი პატრიარქი წერდა სომეხ კათალიკოსს: **„შენი ღვთისმოყვარებისათვის ვგონებ არ არის გაუგებარი ჩვენი გულის დიდი წუხილი და დაუნელებელი ტკივილი სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა შენდამი რწმუნებული ერთობლივი სამწყსოსათვის ჭირის გამო, რომელიც თავს დაგატყდათ სარკინოზ ისმაიტელ მოძალადეთაგან. აწ თუ თქვენი უწმიდესობა მართებულად მიიჩნევს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ღმრთის მოხილვის და შებრალებისათვის მთელი გულით ყოვლისმპყრობელი ღმრთის მიმართ ვედრება. სომეხთა, ქართველთა, ალვანელთა შენი სამწყსოსთვის, აღარ შეეგუო მათ დაღუპვას და იზრუნე, რომ განსწავლო ისინი ყველაფერში საღმრთო მეტყველებით. წერილი გამოუგზავნეთ მაგ კურაპალატსაც და აფხაზთა მეთაურსაც და ვურჩევდი, რომ მათ ესმინოთ თქვენი დარიგება“** (იოანე დრასხნაკერტელი, სომხეთის ისტორია, ცაგარეიშვილის გამოცემა, 1965, გვ. 189-193).

თუ ეს წერილი სანდოა, მასში ჩანს, რომ პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი (852-925) სომხურ ეკლესიას არ მიიჩნევს ეთნიკური ნიშნით შექმნილ სამამამთავროდ, რადგანაც მის მრევლად სომხებთან ერთად მიიჩნევდა ქართველებიც და ალვანელებიც. ამ წერილში ორჯერ ხაზგასმით აღნიშნავს კიდეც – **„სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა შენდამი კუთვნილი სამწყსო“**.

ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოსდა „ქართველთა“ ქვეშ ამ წერილში იგულისხმება სრულიად საქართველოს მოსახლეობა, მაგრამ თანამედროვე საქართველოს იმჟამად „აფხაზეთს“ უწოდებდნენ, ხოლო „ქართველთა ქვეყანას“ უწოდებდნენ ძირითადად ტაოს სამეფოს, ამ და მისი მიმდებარე რეგიონების მოსახლეობას კი „ქართველებს“. ამიტომ ამ წერილში „ქართველთა“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს იმ მიწა-წყლის მრევლი, რომელიც იმჟამად ბიზანტიის ინტერესს წარმოადგენდა, კერძოდ, თეოდოსიოპოლის (კარინ-არზრუმის) ქრისტიანები, ვიდრე ვასპურაკანამდე.

იქამდე ამ რეგიონში ეკლესიურად ბატონობდა სომხური ეკლესია, კარინ-ევფრატის მოსახლეობა, VII ს-ში თვით ტაოს მრევლიც კი სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა. იგივე ითქმის ამავე რეგიონის მომიჯნავე ალბანურ ოლქებზეც. **ასე რომ, ნიკოლოზ მისტიკოსის ამ საქმიანი წერილით კონსტანტინოპოლი ცნობდა არა სრულიად საქართველოს მრევლზე სომხური ეკლესიის უზენაესობას, არამედ მხოლოდ არზრუმ-ვანისტბის ქართულ სეგმენტებში**. მიზეზი უნდა ყოფილიყო სურვილი, რათა ძლიერ სომხურ ეკლესიას ხელი არ შეეშალა ბიზანტიური ჯარების წინსვლისათვის ვანის ტბისკენ.

ამ დამამშვიდებელი წერილით კონსტანტინოპოლი აცხადებდა, რომ ის არ იყო სომხური ეკლესიის მეტოქე ამ რეგიონში, ე.ი. თეოდოსიოპოლიდან – ვასპურაკანამდე.

მართლაც, ამავე წერილში ნახსენებია კურაპალატი (ე.ი. ქართველთა კურაპალატი) და აფხაზთა მეთაური (ე.ი. აფხაზთა მეფე), რომელთაც თითქოსდა მოუწოდებდა, რომ მათ ესმინათ სომხური ეკლესიის მეთაურის დარიგება, მაგრამ ეს ალბათ დიპლომატიური ჩანართია, თუმცა ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ბიზანტიურ იურისდიქციაში არასდროს ყოფილა დასავლეთ საქართველო. თუკი დასავლეთ საქართველო იყო ბიზანტიის იურისდიქციაში და ის ბიზანტიური იურისდიქციისაგან სწორედ ნიკოლოზ მისტიკოსის ეპოქაში (IX-X სს-ში) გამოვიდა, როგორც ამტკიცებს ქართიზაციის თეორია, მაშინ კონსტანტინოპოლის პატრიარქი სომხური ეკლესიის მეთაურს იმას კი არ მიწერდა – „შენი დარიგება ისმინოს აფხაზთა მეფემო“, არამედ ალბათ მიწერდა – ჩემი საეკლესიო მიწა-წყალია დასავლეთ საქართველო და აფხაზთა მეფემ აქ ჩემი უფლებამოსილება არ უნდა შებღალოსო. **ამ წერილიდანაც ჩანს, რომ დასავლეთ საქართველო არასოდეს ყოფილა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში**.

ამ წერილიდან ჩანს, რომ „ქართველთა ქვეყანა“ ტაო-კარინი, ასევე ვასპურაკანის სეგმენტები, ანუ „ზემო ქვეყანათა“ მეტი ნაწილი სომხებთან ერთად დასახლებული იყო ქართველი ხალხით, და ისინი სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამ მოსაზრებას ადასტურებს მეორე არაპირდაპირი, თუმცა მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც ასევე კონსტანტინოპოლის პატრიარქს ეხება.

კონსტანტინოპოლის პატრიარქს წმიდა ფოტის (857-867, 877-886) მიაკუთვნებენ ცნობას კეისარ ბასილი I-ის (867-886) სომეხ არშაკუნთაგან წარმომავლობის შესახებ. ა. აბდალაძის სიტყვით, ამ თვალსაზრისს არ უარყოფდნენ ბასილ I-ის მემკვიდრეები, რადგანაც ერთ-ერთ მათგანს, კონსტანტინე პორფიროგენეტს (912-959) ეს აზრი შეუტანია თავის თხზულებაში „ბასილის ცხოვრება“. მართალია, ამჟამად ბასილ I-ისგან წარმოშობილი დინასტია „მაკედონურად“ მიიჩნევა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მართალი უნდა ყოფილიყო წმიდა ფოტი ასეთი ცნობის გავრცელების დროს, ერთი ქართული წყაროც ამ თვალსაზრისს ამართლებს, კერძოდ, წმიდა ილარიონ ქართველის ცხოვრებაში ნაბრძანებია, რომ ბასილი კეისარმა (866-886) თავისი შვილების მოძღვრებად დააყენა წმიდა ილარიონის მოწაფეები, რომელთაც დაავალა თავისი ვაჟებისთვის ქართული ენა ესწავლებინათ. წმიდა ილარიონ ქართველის მოწაფეებს „მოჰგვარა მეფემან ორნი ძენი ლეონ და ალექსანდრე და რქუა – „ლოცვა ყავთ ამათთვის წმიდანო მამანო და **ასწავეთ ამათ ენაი და წიგნი თქვენი**“, (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 175).

ვფიქრობ, აქედან ჩანს შემდეგი – ბასილი I კეისარი ან მისი წინაპარები წარმოშობით იყვნენ „არმენიიდან“, ანუ იმ მხარედან მცირე აზიისა, რომელიც არმენიად იწოდებოდა, მაგრამ ეთნიკურად არა სომხები, არამედ ქართველები, რადგანაც ბასილიმ ბრძანა თავისი შვილებისთვის, მომავალი იმპერატორებისთვის **ესწავლებინათ ქართული ენა და ქართული მწიგნობრობა (და არა სომხური).** სხვა საქმეა ის, რომ ამ მხარეებს, მიუხედავად მისი მოსახლეობის ქართული წარმომავლობისა, ერქვა არმენია. ბასილის წინაპრები აქედან მაკედონიაში გადასახლებულან, მაგრამ ბასილის, ჩანს, ჰქონია ცნობა თავისი

ქართული წარმომავლობის შესახებ და ამიტომაც დაავალა ქართველ მამებს მისი შვილებისათვის ქართული ენა და მწიგნობრობა ესწავლებინათ.

ბასილის მემკვიდრეების დროს, კერძოდ, კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს, ამ მხარეების არაბებისაგან გასათავისუფლებლად ბიზანტიელებთან ერთად ყველაზე აქტიურად ქართველები იბრძოდნენ.

ამ მხარეთა მკვიდრმა ქართველობამ გათავისუფლების შემდეგ (X-XI საუკუნიდან) – გაიმყარა ეროვნულ-ქართული თვითშემეცნება და ცდილობდა ეკლესიურადაც განშორებოდა სომხურ ეკლესიას, თუმცა ნიკოლოზ მისტიკოსს ეს სადავო მრევლი, პოლიტიკური მოსაზრებით სომხური ეკლესიისათვის მიუკუთვნებია შემდეგი სიტყვებით: „შენდამი რწმუნებული სომეხთა, ქართველთა და ალვანთა სამწყსო“.

ასეთი ვითარების გამო, ბიზანტიაში ამ მხარეთა მკვიდრი ქართველები ყველას არწმუნებდნენ, რომ ისინი ეთნიკური წარმომავლობით, გვარ-ტომობით ქართველები იყვნენ. ერთი ასეთი იყო ამ მხარეთა მკვიდრი, ტაოელი გრიგოლ ბაკურიანის ძე. ის, ჩანს, იყო ასევე ვანანდის ოლქის მემამულეც, ანუ ის ჩანს უფრო ვანანდელი (კარელი) იყო, ვიდრე ტაოელი.

არაბთა შემდგომ სომხურ ეკლესიაში შემავალი მცირე აზიის მკვიდრი მოსახლეობის ერთი ნაწილი თავის თავს ქალკედონიტად აღიარებდა. ამ პროცესმა გამოიწვია იქამდე თითქმის პოლიეთნიკური სომხური ეკლესიის დაშლა. კერძოდ, იქამდე სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოქცეული ქართველები ეროვნულ-ეთნიკური ნიშნით ტოვებდნენ სომხურ ეკლესიას და ქართული ეკლესიის წიაღს უბრუნდებოდნენ, ისინი ეთნიკური ნიშნითვე ქმნიდნენ ადგილობრივ ქართულ სამრევლოებს. ხოლო ეთნიკური სომხები დარჩნენ თავიანთ მშობლიურ სომხურ ეკლესიაში, რომელიც, შედგებოდა როგორც მონოფიზიტებისაგან, ისე სომეხი დიოფიზიტებისაგან, ანუ ქალკედონიტებისაგან.

„ზემო ქვეყნების“ მკვიდრ ქართველთა ეროვნულ-პატრიოტულ სუკლისკვეთებას კარგად გამოხატავენ ძირითადად ამ მხარეებიდან გამოსული სომხური საეკლესიო უღლისაგან გათავისუფლებული ქართველები, კერძოდ, ის ბერები, რომლებიც შეადგენდნენ უმრავლესობას ათონისა ან სინას მთის ქართული საძმოებისას.

მათი გულანთებული ქართველობა მათი ლოცვებიდანაც ჩანს, მაგალითად, სინას მთის ქართველი ბერები შესთხოვენ უფალს – **„ქრისტე შეიწყალე... ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრისტიანენი და უფროის ყოველთასა ყოველნი ქართველნი**“ (იქვე, გვ. 86).

ეროვნულ ეკლესიური გათავისუფლება, რაც ჯერ კიდევ კირიონმა დაიწყო, გუგარქის ქართველთა შორის (გუგარქი კი, სომხური წყაროებით ჭოროხამდეც ვრცელდებოდა) გაგრძელდა XII საუკუნემდე, ამის შედეგად ქართულმა ეკლესიამ დიდ ბრწყინვალეს მიაღწია, რასაც ასახავს XII საუკუნის სომეხი მოღვაწე: **„შეხედეთ ჩვენგან გამოყოფილი ქართველთა ნათესავი დღითი დღე როგორ ბრწყინდება ქრისტეს მიმართ**“ (იქვე, გვ. 87).

მეორე მხრივ, VII-X სს.-ში ქალკედონიტობას იღებდა მრავალი სომეხი, მათ შორის თვით სომხეთის კათალიკოსებიც, მაგრამ ისინი არ კარგავდნენ სიმხურ თვითშემეცნებას, ეროვნულობას, რადგან ქალკედონიტობა VII-X საუკუნეებში სომხურ ეკლესიაში ერთ-ერთ სარწმუნოებრივ მიმართულებას წარმოადგენდა.

VII საუკუნეში ჰერაკლე კეისრის შემდეგ სომხური „უნიატური“ ეკლესია

მრავალი ქალკედონიტი კათალიკოსის მიერ იმართებოდა, რაც მასში ქალკედონიტი მრევლის არსებობასაც გულისხმობს.

არაბთა შემოსევებმა გარკვეულწილად გააძლიერა სომხური მონოფიზიტური ეკლესია, მაგრამ იქ მაინც არ გამქრალა ქალკედონიტი მრევლი, რომლის გაძლიერების შედეგს უნდა წარმოადგენდეს არაბობის შესუსტების შემდეგ სომხეთში ქალკედონიტთა რიცხვის გაზრდა, ქალკედონურ სარწმუნოებაზე მოქცეულა სომეხთა კათალიკოსი ვაჰან I (968-69) და სხვანი, რომელთა რიცხვი ისე დიდი ყოფილა, რომ ასოღიკის ცნობით, ჯერ კიდევ ვაჰან I-მდე, კათალიკოს ანანიას (946-68) დროს სომხურ ეკლესიაში დაუდგენიათ „ქალკედონანთა წესით მონათლულის ხელახლა მონათვლა“ (იქვე, გვ. 91).

ქალკედონიტ სომეხთა დიდი რიცხვის გამო ნ. მარის მოსაზრება, რომ ხდებოდა მათი დენაციონალიზაცია-გაქართველება, არასწორია, რადგან **ქალკედონიტი სომეხი კათალიკოს-პატრიარქები ქართველებად არ გადაქცეულან, ისევე, როგორც მათი სამწყსო**. სინამდვილეში, – იქამდე პოლიეთნიკური, ანუ მრავალეროვანი სომხური ეკლესია დაიშალა ეთნიკური ნიშნით (ისიც მხოლოდ ნაწილობრივ), კერძოდ, ქალკედონიტი ეთნიკური სომხები მშობლიურ სომხური ეკლესიის წიაღს დაუბრუნდნენ (და არც მიუტოვებიათ ის), ხოლო ეთნიკური ქართველები, რომელნიც სარწმუნოებით ქალკედონიტები იყვნენ ცდილობდნენ თავი დაეღწიათ არამშობლიური სომხური ეკლესიიდან, და შეერთებოდნენ დედა ქართული ეკლესიის სამწყსოს. უნდა ითქვას, რომ ამ ეპოქაშიც კი ქართველთა უმრავლესობამ, მიუხედავად ხელსაყრელი ვითარებისა, მაინც ვერ შეძლო სომხური ეკლესიის დატოვება და დარჩა ამ ეკლესიის წევრად, საბოლოოდ კი გასომხდა, **სომხურ საეკლესიო წიაღში ქართველთა არმენიზაციით დიდად დაზიანდა და დაზარალდა რაოდენობრივად და ზნეობრივად ქართველი ხალხი**.

სომხური ეკლესიის პოლიეთნიკურობა, ანუ მრავალეროვნულობა და სომხური ეკლესიის ბატონობა არასომხურ მოსახლეობაზე უნდა ყოფილიყო იმ მწვალებლობათა წარმოშობის მიზეზი, რომელნიც აღმოცენდნენ ისტორიულ არმენიაში X-XI საუკუნეებში (იქამდეც და მის შემდეგაც), მაგალითად, თონდრაკელობა და სხვა.

სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას სასტიკად ებრძოდნენ თონდრაკელები. ისტორიკოს ლასტივერცის ცნობით, თონდრაკელობა აღმოცენდა ჰარკის გავარში და მრავალნი შეაცდინა, ჰარკი მდებარეობდა ბასიანის სამხრეთით ვანის ტბისაკენ. თონდრაკელთა მიერ სომხური ეკლესიის წეს-ჩვეულებების სრული სიძულვილი გვაფიქრებინებს, რომ თონდრაკელობა გავრცელდა იმ არასომხურ მოსახლეობაში, რომელთაც სურდათ გასვლა სომხური მონოფიზიტური ეკლესიიდან, მაგრამ ამის საშუალება მათ არ მისცა ძლიერმა სომხურმა ეკლესიამ. ამის საპასუხო პროტესტი, ჩანს, გამოიხატა იმით, რომ წარმოიშვა სექტა, რომელიც სწორედ სომხურ ეკლესიას უარყოფდა. ისინი განსაკუთრებით მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას და მის წეს-ჩვეულებებს არ ცნობდნენ (არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, 1974, გვ. 114-125). სომხეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ X-XI საუკუნეებში ვერ შეძლო თონდრაკელობის აღმოფხვრა, იმდენად მძლავრი და სიცოცხლისუნარიანი იყო ის (ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 92).

ყოფილი არმენიის ეროვნებით ქართველი ქალკედონიტური მრევლი, რომელ-

მაც თავი დააღწია სომხურ ეკლესიას, დიდწილად ვერ დაუბრუნდა მშობლიურ ქართულ ეკლესიას, რადგანაც მათი ქვეყნის მპყრობელმა ბიზანტიამ მათთვის ე.წ. ლაზიკის სამიტროპოლიტო დააარსა (ცენტრით ტრაპეზუნტში).

ყოფილი არმენიის ქალკედონიტური მრევლი ბერძნულ საეპისკოპოსოებში გააერთიანეს (**Ш. Диль, Основние проблемы Византиической истории, М., 1947,** გვ. **31, 58**).

საფიქრებელია, რომ მალევე თურქ-სელჯუკების შემოსევის გამო უკანდახეულ ბიზანტიელთაგან უპატრონოდ მიტოვებული ლაზიკის სამიტროპოლიტოს მართლმადიდებელი მრევლის ერთი ნაწილი, კვლავ სომხურმა ეკლესიამ მიისაკუთრა, რისი ძლიერი უნარიც მას შესწევდა საუკუნეთა მანძილზე.

როგორც ითქვა, ამ მხარეებიდან, „ზემო ქვეყნებიდან“, ტაო-კლარჯეთიდან გასული ქართველები უცხოეთის ქართული მონასტრების ბერების მნიშვნელოვან რიცხვს წარმოადგენდნენ, მაგრამ რადგანაც ამ მიწა-წყალს ბიზანტიაში არაბობამდე „არმენია“ ეწოდებოდა, ზოგჯერ ამ ადგილებიდან გამოსულებს „სომხებს“ უწოდებდნენ. ასეთი „სომეხი“ ბერები კი თავიანთ თავს „გვარ-ტომობით ქართველებს“ უწოდებდნენ.

ამ ვითარების შედეგი უნდა ყოფილიყო გიორგი მცირეს ცნობაში ასახული ფაქტი იმისა, რომ ანტიოქიის პატრიარქის წინაშე „სომხები“ უწოდეს შავი მთის მონასტრის ქართველ ბერებს – „არ ვიცით, ისინი სომხები არიან თუ ქართველებიო“, იჩივლეს მათ პატრიარქთან, რასაც გიორგი მთაწმინდელმა სათანადოდ უპასუხა. საქმე ისაა, რომ თურმე ეს ქართველი ბერები საკუთარი სამოსით, ე.ი. საგანგებო სამღვდელო შესამოსელის გარეშე აღასრულებდნენ ზოგიერთ წესს, ეს კი ცოტაოდენი ხნით ადრე აიკრძალა საეკლესიო კრების მიერ, ცნობა აკრძალვის შესახებ ამ „სოფლურ მამებამდე“ მიღწეული არ ყოფილა. „ქვეყანასა მას სომხითისასა თვინიერ შესამოსელისა ხუცესნი აღასრულებენ წირვასა თვისივე შესამოსელითა და ესე დიდი წვალება არს“ – წერდა ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე „მცირე სჯულის კანონში“ ექვთიმე მთაწმინდელი (მცირე სჯულისკანონი, 1972, გვ. 33-77). ე.ი. „ქვეყანასა მას სომხითისასა“ უწოდებდა საეკლესიო კრება ქართველთა იმ უძველეს საცხოვრისებსაც, რომელნიც იმჟამად არმენიაში იყვნენ მოქცეულნი.

აღნიშნული ადგილებიდან, კერძოდ, ტაოდან იყო წარმოშობით ექვთიმე მთაწმინდელი. ტაო სომხური საეკლესიო ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე და ამ წმიდა მამამ იცოდა იმ ეროვნული გადაგვარების საფრთხე, რაც ელოდა სომხური ეკლესიის წევრ ქართველობას. ამიტომაც ის შეაგონებდა ამ მხარეთა მოსახლე მამებს, სასულიერო ქართველობას – **„სომეხთა ეკრძალე, ნუ ასვინდიკოზებ, ნურც ამზახებ ქართველთა – უკანონო არს“**, ანუ **„სომეხთა ეკრძალე, ნუ მოანათვლინებ და ნუ დაუნათესავებ ქართველებს – უკანონო არის“.**

ქართველთა მასობრივი გასომხებით შეძრწუნებულ ექვთიმე მთაწმიდელს, იმისთვის, რათა შემდგომშიც არ გაგრძელებულიყო ეს პროცესი, გრიგოლ ნაზიანზელის ერთ-ერთ თხზულებაში ნათქვამი სიტყვები სომეხთა შესახებ ასე უთარგმნია – **„არს ნათესავი იგი სომეხთა არა წრფელი, არამედ მზაკვარი და გულარძნილი და ბოროტი... სხვაი უც გულსა და სიწრფოება მათ თანა არა არს“** (ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 106).

სტეფანე მტბევარიც თავისი გამოცდილებით, რათა თავიდან აიცდინოს

ქართველთა კვლავ არმენიზაცია, გრიგოლ ნაზიანზელის მსგავსად აფასებს სომხებს. ამის საშიშროება კი რეალური იყო. მაგალითად, როცა ეთნიკურმა ქართველმა „ტაშირის მამფალმა“ „ქართული რჯული “ აღიდგინა, ის სასტიკად დაუსჯია ტაშირ-ძორაკერტის მეფეს დავითს (996-1049) (იქვე, გვ. 109).

ამავე პერიოდში წმიდა დინარა დედოფალმა შეძლო თავისი ჰერეთის სამეფოს გამოყვანა სომხური ეკელსიის იურისდიქციიდან, რითაც ჰერეთის ქართველობა გასომხების აშკარა საფრთხეს გადაარჩინა.

ბასიანის მხარე და მიმდებარე ოლქები მკვიდრი ეთნიკური ქართველებით (და არა გაქალკედონიტებული სომხებით) რომ იყო დასახლებული, თვით სომხური წყაროებიდნაც ჩანს. მაგალითად, ასოღიკის ცნობით:

X საუკუნის ბოლოს ცნობილი სომეხი ვარდაპეტი (მოძღვარი) ჰოვჰანესი სიცოცხლეს გამოესალმა „გაცოფებული ქართველთა ტომისაგან მახვილით და დაიმარხა სავანეში, რომელსაც ასკიგომი ეწოდება, ბასიანის გავარში“ (იქვე, გვ.110). **ასოღიკი წერს – „ქართველთა ტომი“, და გულისხმობს იმ ბასიანელებს, რომელთაც სომეხი მოძღვარი მოკლეს, ე.ი. მიუთითებს ეთნიკური ქართველების შესახებ. ისინი ქალკედონიტი სომხები რომ ყოფილიყვნენ, მიუთითებდა კიდეც. არისტაკეს ლასტივერტეცი კი წერს ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსოს და ამ ეპარქიის მღვდელმთავრის ზაქარია ვალაშკერტელის შესახებ (არისტაკეს ლასტივერტეცი, გვ. 45-51). ის ეთნიკური სომეხი რომ ყოფილიყო, ლასტივერცი ამას უთუოდ მიუთითებდა.**

ტაშირ-ძორაკერტიდან ვანის ტბამდე ქვეყნებში ქართველთა მკვიდრობას უნდა მიუთითებდეს ტიტული, რომელიც ამ მხარეთა მფლობელ სომეხთა მეფე აშოტ I-ს IX ს-ის ბოლოს არაბთა ხელისუფლებამ მიანიჭა: **„სომეხთა და ქართველთა მთავართა მთავარი“**, ხოლო 922 წელს სომეხთა მეფე აშოტ ერკათს არაბებმა უბოძეს ტიტული – **„სომეხთა და ქართველთა შაჰინშა“. ამ ტიტული მოხსენიებულ ქართველთა ქვეშ ტაო-ბასიანის ქართველობა იგულისხმება.**

იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, სომხეთის მეზობელი მაჰმადიანი მმართველები უკმაყოფილონი იყვნენ იმის გამო, რომ მათ ქვეყნებში და მათ სამთავრო კარზეც კი სომხური ეკლესია დიდი ქრთამის გაღებით ახერხებდა „სომხური ქრისტიანობის გავრცელებას“ (იოანე დრასხნაკერტელი, სომხეთის ისტორია, 1905, გვ. 92-94), მითუმეტეს, სომხური ეკლესიისათვის გაცილებით ადვილი იქნებოდა მათი სახელმწიფოებრივი გავლენის სფეროში, კერძოდ ტაშირ-ძორაგერტის სამეფოსა და ტფილისის საამიროში მოქცეულ ქართულ მხარეებში (ქვემო ქართლი, ტაშირი, გუგარქი, და ასევე კარინიდან ვანის ტბამდე) ქართველთა შორის სომხური ქრისტიანობის გავრცელება.

შიდა ქართლიც გარკვეულ დროს ამ სფეროში მოქცეულა.

იოანე დრასხანაკერტელის სიტყვით, სომეხთა მეფე სმბატის საბრძანებელში შედიოდა ტაო-კლარჯეთი და სხვა ქართული მხარეები და მას ტაოს **„ქართველთა მეფედ“** დაუდგენია ადარნასე.

ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა ეთნიკური ქართველები იყვნენ და არა „ქალკედონიტი სომხები“, სომხური ეკლესიისაგან განდგომილ მრევლს სომეხთა კათალიკოსი იოანე დრასხანაკერტელი უწოდებს „ქართველებს“ და არა „ქალკედონიტ სომხებს“.

დრასხანაკერტელი ტაოს „ძველისძველ ქართულ“ პროვინციად, „ქართველთა მეფის“ ადარნასეს მამულად მიიჩნევდა (იქვე, გვ. 90), ამასთანავე, ტაოს, ეთნიკურ ქართველთა ქვეყანას, ძველი სომხური სახელმწიფოს ნაწილად მიჩნევდა, ე.ი. **ტაო არმენიის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ის ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული**, ისევე, როგორც ტაშირ-ძორაკერტის სამეფო, რომელიც ეთნიკური ქართველების ქვეყანა იყო, რომელსაც სომხური ეკლესიის წევრი მმართველები ჰყავდა.

ვანანდის სომხურ, ანუ ყარსის სამეფოში ქართველთა წილი მნიშვნელოვანი იყო. ქართველთა მკვიდრობის შესახებ ანის-შირაკის სომხურ სამეფოში მიუთითებს ანისში ქართული საეპისკოპოსოს არსებობა, ქართველთა პატრიარქს აქ, ანისის ახლოს, სხვა ქართული ეკლესიებიც უკურთხებია, და ისინი ნაკურთხნი იყვნენ არა „გაქართველებული სომხებისათვის“, როგორც მიიჩნევდა საბჭოთა ისტორიოგრაფია, არამედ იმ მკვიდრ ქართველთათვის, რომელნიც საერთოდ ისტორიულად მდ. არაქსის მარცხენა სანაპიროზე ცხოვრობდნენ ბერძენი ავტორების ცნობით.

სომხურ ქვეყნებში ცხოვრებისას (იგულისხმება ბიზანტიური არმენია, პერსარმენია და შემდეგ არაბული არმენია) მკვიდრი ქართველები მასიურად რომ სომხდებოდნენ, სომეხი ისტორიკოსების მიერაც დადასტურებულია, მაგალითად მკვლევარი, ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ა. ალპოაჭიანი წერს – **„სელჩუკების ასპარეზზე გამოსვლის დროისათვის საქართველო სანახევროდ გასომხებული მხარე იყო“,** (ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 242).

სწორედ ამ გასომხებისაგან თავისი ერის დასაცავად იყო მიმართული **სტეფანოზ მტბევარის, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, გიორგი მცირეს, ღრტილის კრების მამების და სხვათა გამონათქვამები სომეხთა ეკლესიის „მტაცებლობის“ შესახებ, ყველანი ისინი აღნიშნული მხარეებიდან იყვნენ და კარგად იცნობდნენ თავიანთი მხარეების ცხოვრებას**.

XI საუკუნის 60-იანი წლებისათვის ბიზანტიელების ხელში იყო მთელი ე.წ. ისტორიული სომხეთის მიწა-წყალი, მასში შემავალი ქართული „ზემო ქვეყნები“ ლაზიკის ეპარქიის ცენტრალურ ნაწილად იქცა.

იქამდე ანის-შირაკის მეფემ თავისი სამფლობელო XI ს. I ნახევარში ანდერძით გადასცა ბიზანტიელებს ისევე, როგორც უფრო ადრე დავით კურაპალატმა. ბიზანტიელთა ხელში ყარსის (ვანანდის) სამეფოც მოექცა, ბიზანტიური მფლობელობა დაკანონდა ამ მხარეებში იმპერატორ ბასილი II-ს შემოსვლისას, რომელმაც საქართველოს მეფე გიორგი I დაამარცხა და ჩამოართვა მისი სამეფოს სამხრეთი მხარეები XI ს. დასაწყისში, თუმცა ბიზანტია ანისისთვის 1045 წელსაც იბრძოდა. ტაშირ-ძორაკერტის მეფეც კი თავის თავს ბიზანტიის ვასალად მიიჩნევდა. ანისისა და ტაშირ-ძორაკერტისათვის იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოც, 1045 წელს ის დაკარგა ბაგრატ IV-მ, მაგრამ 1064 წელს ანისიდან ბიზანტიელები განდევნეს თურქ-სელჩუკებმა. იქამდე, ტარონი (966 წლიდან), ტაო (1001 წლიდან), ვასპურაკანი (1021 წლიდან), ანის-შირაკი (1045 წლიდან), ვანანდი (ყარსი) (1065 წლიდან) – ბიზანტიელებს ეკუთვნოდათ, ამ პერიოდში, ანუ **XI საუკუნეში უნდა დაარსებულიყო და, ჩანს, ამავე საუკუნეშივე, თურქ-სელჩუკთა შემოსევის გამო გაქრა კიდეც ლაზიკის, ანუ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო, თუმცა ის შესაძლოა შემდგომაც ახერხებდა არსებობას მაჰმადიანურ გარემოში.**

ნ. ადონცი წერს – „IV ს-ის დასაწყისიდან არმენიის გაყოფამდე (IV ს. ბოლომდე), არმენია უმეტეს წილად იმპერიის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა და ამიტომ სომხურ-ბიზანტიური საეკლესიო ურთიერთობაც მჭიდრო იყო.

წმ. გრიგოლს, კესარიაში ხელდასხმულს, კესარიის ტახტთან ისეთივე იერარქიული დამოკიდებულება ჰქონდა, როგორც სხვა ეპისკოპოსებთან, მაგალითად, მელიტენის, სევასტიის და სხვა ქალაქების კათედრებთან, იმ განსხვავებით, რომ გრიგოლი იყო იმპერიის მფარველობის ქვეშ მყოფი სომხეთის სახელმწიფოს ეპისკოპოსი, ამიტომ მასთან უფრო მეტი ფორმალური ურთიერთობა ჰქონდა“ (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 360).

მას შემდეგ რაც სომხეთი ერთმანეთს შორის გაინაწილეს სპარსეთმა და ბიზანტიამ გაყოფილ სომხურ მხარეებში გაჩნდა ორი საეკლესიო მიმართულება – ერთი ბიზანტიური, მეორე კი ეროვნულ-ნაციონალური.

ნ. ადონცის ცნობით, სპარსულ სომხეთში აღორძინდა ეროვნულ-ნაციონალური ეკლესია, ხოლო დასავლეთ არმენიაში – იმპერიული.

ნ. ადონცი წერს – **„გაყოფის შემდეგ აღმოსავლეთ სომხეთი დაადგა ეკლესიის ნაციონალიზაციის გზას მტკიცედ, კერძოდ, ავტონომიური იერარქიის დაფუძნებით (ე.ი. ბერძნულ-ბიზანტიური იერარქიისგან გათავისუფლდა), ხოლო დასავლეთი სომხეთი რჩებოდა იმპერიულ პოლიტიკაზე დამოკიდებული“** (გვ. 361).

ეროვნული ეკლესიური სახე სომხურმა ეკლესიამ მოიპოვა ბიზანტიის ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ პაპის მეფობის დროს, ეპისკოპოს ნერსესის მოკვლის შემდეგ.

მეფე პაპმა მის ადგილზე დანიშნა ეპისკოპოსი უსიკი, სპარსული ორიენტაციის პირი ძალზე გავლენიანი ალბიანის ოჯახიდან.

კესარიის მიტროპოლიტი (მას ნ. ადონცი პატრიარქს უწოდებს) გაანაწყენა სომეხთა მეფის თვითნებურმა გადაწყვეტილებამ.

ამის გამო შედგა კესარიის ეპარქიის ეპისკოპოსთა კრება და კრებამ მიწერა მრისხანე წერილი მეფე პაპს.

ამ წერილში კესარია მოითხოვდა, რომ სომხეთში აღარავის გაებედა ეპისკოპოსის კურთხევა, არამედ ეპისკოპოსი მხოლოდ კესარიაში ან რომელიმე მეზობელ ბერძნულ საეპისკოპოსოში უნდა კურთხეულიყო, კერძოდ მასში, რომელიც სომხეთის ბერძნულ ნაწილთან ერთად ბიზანტიის იმპერიის შესაბამის ადმინისტრაციულ ოლქში შედიოდა (ე.ი. რადგანაც სომხეთის ბიზანტიური ნაწილი ადმინისტრაციულად პონტო-კესარიის ერთეულში შედიოდა, ამიტომაც მხოლოდ აქ (პონტო-კესარიაში) უნდა კურთხეულიყო ეპისკოპოსი).

მართლაც, ბიზანტიურ სომხეთში დამკვიდრდა კიდეც ეს წესი და იქაური სომეხი ეპისკოპოსი კურთხევას ბერძნულ სამიტროპოლიტოში (საპატრიარქოში) იღებდა.

ნ. ადონცი წერს – **„მტკიცება, რომ სომეხი ეპისკოპოსები ეკურთხებოდნენ კესარიაში, სწორია, მაგრამ ის ეხება მხოლოდ ბიზანტიურ, ანუ დასავლეთ ნაწილს სომხეთისას“** (იქვე, გვ. 363).

სულ სხვა მდგომარეობა იყო სპარსულ სომხეთში (პერსარმენიაში), იქ საკათალიკოსო სისტემა არსებობდა და შესაბამისად ეპისკოპოსთა კურთხევა ადგილზევე ხდებოდა.

პერსარმენიის სომეხ კათალიკოსს დასავლეთ არმენიის ეპისკოპოსები არ ექვემდებარებოდნენ, ამიტომაც V საუკუნის ცნობილ სომხურ მოვლენებში დასავლეთ არმენიის ეპისკოპოსები არ მონაწილეობდნენ (იქვე, გვ. 363).

წმ. დავით და ტარიჭანი, ისააკი და იოსები

წმ. დავით და ტარიჭანი არიან ქართული ეკლესიის წმიდანები. ისინი უწამებიათ ტაოს ქვეყანაში, VII საუკუნეში, ნერსე სომეხთა კათალიკოსის სამწყსოში, სოფელ დუვში, მათი ცხოვრების მიხედვით, კავშირი ჰქონდათ სომეხთა ქვეყანასთან. მიუხედავად ამისა სომხური ეკლესიისათვის ისინი უცნობები არიან, ისინი არ არიან სომხური ეკლესიის წმიდანები, და არიან, როგორც აღინიშნა ქართულისა. რა იყო ამის მიზეზი?

არსებობს მეორე მსგავსი მაგალითიც, მიჩნეულია, რომ არზრუმი, ყოფილი თეოდოსიოპოლი, რომელიც ქართულად კარნუ ქალაქად იწოდებოდა სომხეთის ქვეყანაში მდებარეობდა, 808 წელს აქ უწამებიათ ისააკი და იოსები, მათი ეთნიკური ვინაობის შესახებ გვაუწყებს ზედწოდება „ქართველნი“. საქართველოს საეკლესიო კალენდარში 16 სექტემბერს იხსენიებიან „მოწამენი ისააკ და იოსებ ქართველნი, კარნუ ქალაქის წამებულნი 808 წელს“, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი კარნუ-ქალაქელნი იყვნენ, ეთნიკური ქართველები, რომელნიც IX ს-ში არაბებმა აწამეს. XI ს-ში კონსტანტინე პორფირგენეტის ცნობით კარნუქალაქელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ბიზანტიელებს, ქართველთა ჯარი კი მათ იცავდა და ამარაგებდა სურსათ-სანოვაგით, ბიზანტიელთა ალყის დროს.

აქედანაც ჩანს, რომ როგორც **X ისე IX საუკუნეში არზრუმი (კარნუ-ქალაქი) ქართველებით იყო დასახლებული, არზრუმი "კარინის" ქვეყნის მთავარი ქალაქი იყო. ამ ქვეყანაში ჰქონდა მამულები თორნიკე ერისთავს, სომეხი ისტორიკოსების აზრით თორნიკე ამ ქვეყნელი იყო, აქვე მდებარეობდა ცნობილი ქართული სკრიპტორიუმი ერთ-ერთ ქართულ მონასტერთან.**

მაშასადამე, ისააკი და იოსები ქართველ წმინდანთა რიგში მოხვდნენ თავიანთი ეთნიკური ვინაობის (ქართველობის) წყალობით, მსგავსადვე დავით და ტარიჭანი წამების შემდეგ ქართველ წმინდანთა რიგში ჩაწერეს, რადგანაც ისინიც საქართველოში ეთნიკურ ქართველებად ანდა ქართული ეკლესიის სამრევლოს წევრებად მიიჩნეოდნენ, რადგანაც არა მხოლოდ ტაო, არამედ კარინი და ბასიანიც ქართველთა ქვეყნებად მიიჩნეოდა IX-X საუკუნეებში.

სომხურ-ქალკედონური ეპარქიები ლაზიკაში

ე.წ. „სომეხი-ქალკედონიტები“ – ლაზიკას უკავშირდებიან. ქართული ისტორიოგრაფიის ორი გადაუჭრელი და, ამასთანავე, საკვანძო საკითხი ერთმანეთთან დაკავშირებული აღმოჩნდა. **პირველია ე.წ. სომხურ-ქალკედონური ეპარქიების საკითხი, მეორე კი არის ის, თუ სად მდებარეობდა ლაზიკა.**

ქართველ მეცნიერთა თვალსაზრისით ლაზიკა დასავლეთ საქართველოს ერქვა, მაგრამ **ნოტიციების მიხედვით, „ლაზიკის“ ეპარქიაში მდებარეობ-**

და პაიპერტის, ლერიონის, ბიზანის, ოლნუტის და სხვა საეპისკოპოსოები (იხ. გეორგიკა, IV, ნაკვეთი II, 1952, გვ. 185, ნოტიციები Xა და III).

აღნიშნული საეპისკოპოსოების ადგილმდებარეობის საკითხი განხილულია „პრავოსლავნაია ენციკლოპედიას“ სტატიაში „სომეხი-ქალკედონიტები“ და მათი ადგილმდებარეობა იქვე დართულ რუკაზეა დატანილი (იხ. ПЭ, 2001, ტ. III, გვ. 328). ამ რუკიდან ჩანს, რომ **ლერიონის, ბიზანას, ოლნუტის და პაიპერტის (ბაიბერდის) და სხვა საეპისკოპოსოები მოქცეულნი იყვნენ ტრაპეზუნტ-ვანის ტბის შემაერთებელ გზაზე, კერძოდ, ტრაპეზუნტ-გიუმიშხანე-არზრუმ-მანასკერტ-ვანის ტბის შემაერთებელ გზაზე,** ამ ქვეყანას სომხები უწოდებდნენ „დასავლეთ არმენიას“, ამიტომაც თანამედროვე სომეხ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული საეპისკოპოსოები იყვნენ ე.წ. „სომეხ-ქალკედონიტთა“ კათედრები. ამ ქვეყანას ნოტიციებში ეწოდება „ლაზიკა“. ესაა ისტორიული ჭანიკა (ჭანეთი) – ბასიანის ზოლი, ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, უძველეს ხანაშივე ქართველთა მოდგმის ტომების საცხოვრისი.

ასე რომ, **„ლაზიკა“, ბერძნული საეკლესიო გეოგრაფიის მიხედვით, ერქვა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ ჭანეთ-ბასიანის მხარეს**, ამჟამად, საკმაოდ დაშორებულს საქართველოდან, ამიტომაც ამ ერთიან ეკონომიკურ და, შეიძლება ითქვას, ერთიან გეოგრაფიულ არიალზე თანამედროვე ქართველებს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, მაგრამ ისტორიულად, როგორც ბერძნული ნოტიციების მითითება აჩვენებს, **ეს ყოფილა ქართველებით დასახლებული ქვეყანა, რომლის საეპისკოპოსოებიც ექვემდებარებოდნენ კონსტანტ**ინოპოლს, მას ბერძნები ეკლესიურად „ლაზიკას“ უწოდებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე, შემავალი ბიზანტიის იმპერიაში, ბიზანტიური პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად „არმენიად“ იწოდებოდა. მიუხედავად ამისა, **ამ ქვეყნის მოსახლეობა ეთნიკური ლაზები (ქართველები) იყვნენ** და შესაბამისად მრევლი მათ ქვეყანაში მდებარე ე.წ.სომხურ-ქალკედონური საეპისკოპოსოებისა, ამიტომ ისინი იყვნენ არა „სომეხი-ქალკედონიტები“ არამედ ეთნიკური „ლაზები“.

ე.წ. „სომეხ-ქალკედონიტთა“ ნამდვილი ვინაობა (აღმსარებლობა და ენა)

ნ. ადონცი წერს: ლაზიკის მთავარი ქალაქები იუსტინიანემ I არმენიაში შეიყვანა. ქართველთა ეთნოაკვნის დამრწევი მხარეები – კაპადოკია, პონტო და ქალდეა-ჭანეთი – იმპერიამ მიაკუთვნა არმენიას (მცირესა და დიდს) და აქ ქართველობა განიცდიდა ზეწოლას სომხური კულტურისა და ცხოვრების წესისა, მითუმეტეს, რომ ამ „არმენიებში" დომინანტ ხალხად იმპერია სომხებს აღიარებდა – ამან გამოიწვია აქაური მკვიდრი ქართველების დენაციონალიზაცია ცენტრებში, ხოლო კუთხეებში დაწყება დენაციონალიზაციის პროცესისა. ქართველები სომხდებოდნენ და დიდი ნაწილი, უფრო მეტად სამხრეთში მცხოვრებნი, გასომხდა. ეს პროცესი, ქრისტეშობამდე დაიწყო – სომეხთა მიერ იბერიის მხარეების – გოგარენას, ხორძენას, პარიადრეს მიტაცების შემდეგ, რომელნიც საქართველოს ფაქტიურად აღარც დაბრუნებია, მხოლოდ გოგარენას ერთი მცირე ნაწილი დაიბრუნა ჩვენმა ქვეყანამ.

X საუკუნეში „ქართველთა სამეფო“ აფეთქების მსგავსად გაფართოვდა და

მიადგა ვანის ტბის სანაპიროს. მიზეზი ამისა უნდა ყოფილიყო არა სამხედრო სიძლიერე ამ სამეფოსი, არამედ ტაოდან ვანის ტბამდე მცხოვრები მოსახლეობის ჯერ კიდევ ცოცხალი ეთნოთვითშემეცნება, მათ ერთ ნაწილს ჯერ კიდევ ახსოვდა თავისი ქართველობა. ისინი ეთნიკური ნიშნით გახდნენ წევრები ქართული ეკლესიისა, რის გამოც აქ მომენტალურად ჩამოყალიბდა ქართული საეპისკოპოსოები – ეროვნული სახელმწიფოს ფრთათა ქვეშ აყვავდა და გაიფურჩქნა ქართული სულისკვეთება. მაგრამ ეს მოუთმენელი აღმოჩნდა ბიზანტიისათვის. ბასილი II-მ ეს მხარეები მყისიერად ჩამოართვა საქართველოს და, შეიძლება ითქვას, მოსახლეობა დაუბრუნა არმენიზაციის საუკუნოვან გზას.

იქამდე შედარებით სხვა ვითარება იყო დასავლეთ არმენიაში. ნ. ადონცი ჩივის, რომ დასავლეთ არმენიაში სომხურ-ქალკედონიტური საეპისკოპოსოების მრევლი ბერძნულენოვანი ღვთისმსახურების დანერგვის შედეგად ბერძნდებოდა, ეს შეიძლება სადავო იყოს, რადგანაც სომხები ახერხებდნენ ბერძნული იურისდიქციის ქვეშაც წირვა-ლოცვის ენა სომხური ყოფილიყო, ამის შესახებ ადონცი თვითვე მიუთითებს. თუმცა კი სამართლიანად წერს – „ნაციონალური იდეისა და გრძნობებისათვის კონფესიონალური საკითხები არცთუ მცირე საფრთხეს წარმოადგენდნენ, რომელნიც დროის მსვლელობასთან ერთად ისე იძაბებოდნენ, რომ შეეძლოთ ეროვნული ინტერესების ჩახშობა. აღმსარებლობითი განსხვავებების მიხედვით იმ დროისთვის ისაზღვრებოდა ენის გამოყენება (ნ. ადონცი, გვ. 202).

როგორც აღინიშნა, ნ. ადონცი წერდა – „აღმსარებლობითი განსხვავებულობა იმ დროს განსაზღვრავდა ენის გამოყენებას არა მხოლოდ ღვთისმსახურებისას, არამედ საეკლესიო სულისკვეთებით გამსჭვალულ ლიტერატურაშიც. ამის შესაბამისად სომხები, რომლებიც მიეკედლნენ საიმპერიო ეკლესიას, უნარმოკლებულნი აღმოჩდნენ შეექმნათ ეროვნული დამწერლობა მცირე არმენიის საზღვრებში. ეროვნული განათლებისა და ლიტერატურის არ არსებობისას, ენის ბედი და ეროვნული ცნობიერება ხდებოდა არამყარი. სომხობა, სომხური ცნობიერება შეიძლება ჩახშობილიყო მცირე არმენიაში სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და ინტერესების ორომტრიალში, რომ არა ახალი სასიცოცხლო ძალების მოზღვავება მეზობელი სომხეთის კუთხეებიდან მას რომ არ განეახლებინა ახალი სულით და არ გაეღვიძებინა მცირე არმენიაში ეროვნული თვითშემეცნება“ (ნ. ადონცი, არმენია, გვ. 202).

ნ. ადონცი ძალზე წუხს, რომ დასავლეთ ანუ მცირე არმენიაში ბერძნულ ეკლესიას „მიკედლებულ სომხებს“ ეროვნული ძალა არ შესწევდათ შეექმნათ სომხურენოვანი ლიტერატურა და ისინი სომხურ ენას ივიწყებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩქმალავს სინამდვილეს, რომ იმპერიამ მცირე არმენიის ოლქში შეიყვანა სხვადასხვა წარმოშობის არასომხური ტომები. სინამდვილეში, დასავლეთ არმენიის, ანუ ტრაპეზუნტის აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთისა და მის იქით მთებში მცხოვრები მოსახლეობა ეთნიკური ქართული ტომები იყვნენ და არა სომხები.

თეოდოსიოპოლისიდან ტრაპეზუნტამდე ვრცელი რეგიონი ჭანებითა და სხვა ქართული ტომებით იყვნენ დასახლებულნი. ისინი VI-VII საუკუნეებში იმპერიამ „არმენიის“ ერთ-ერთ ოლქში შეიყვანა, იქ არსებობდა მრავალი საეპისკოპოსო. კონსტანტინოპოლის პატრიარქის იურისდიქციაში. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნუსხებში დასავლეთ არმენიის ოლქში მდებარე

ცნობილი ქალაქების ბიზანის, ლერიონის, თუ პაიპერტის საეპისკოპოსოები უმიზეზოდ არ იწოდებოდნენ „ლაზიკის ქვეყანაში მდებარე ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოებად“. ნ. ადონცი ხშირად ახსენებს ამ საეპისკოპოსოებს, მაგრამ არასოდეს მიუთითებს, რომ **ბერძნული საეკლესიო გეოგრაფია ამ საეპისკოპოსოების მომცველ ქვეყანას ლაზიკას უწოდებს**, თუმცა კი ადმინისტრაციულად ისინი ნამდვილად იმყოფებოდნენ ერთ-ერთ „არმენიაში“. ნ. ადონცის წუხილი, რომ დასავლეთ არმენიაში სომხები არ იყენებდნენ სომხურ დამწერლობასა და ლიტერატურას, რომ მათში სომხური ეროვნული ცნობიერება მიმქრალი იყო, არაა გულწრფელი, რადგანაც, სინამდვილეში, დასავლეთ არმენიის მკვიდრი მოსახლეობა ვერ ფლობდა სომხურ ენას და მათში სომხური ნაციონალური გრძნობები არ იყო იმიტომ, რომ ისინი საერთოდ არ იყვნენ ამ (ე.ი. სომეხი) ერის შვილები.

ჭოროხის, ევფრატის და არაქსის სათავეებში და მის ჩრდილოეთით, დასავლეთ არმენიის ოლქში, მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდა არა სომხობა, არამედ ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა, ეთნიკური ქართველი ტომები (ჭანები, ლაზები, მესხები), რომლებსაც ნ. ადონცი სომხებს უწოდებს, რომელნიც, თითქოსდა, „მიეკედლნენ საიმპერიო (ე.ი. ბერძნულ) ეკლესიას და ამის გამო ისინი უნარმოკლებულნი აღმოჩდნენ შეექმნათ ეროვნული დამწერლობა (ნ. ადონცის აზრით, სომხური) მცირე არმენიის საზღვრებში. ეროვნული (ნ. ადონცის აზრით – სომხური) განათლებისა და ლიტერატურის არარსებობის გამო ენის ბედი და ეროვნული ცნობიერება ხდებოდა არამყარი“. თითქოსდა დასავლეთ არმენიის მოსახლეობაში, აღნიშნულის გამო (ე.ი. ბერძნული ეკლესიისადმი დაქვემდებარების გამო) სომხური ცნობიერება არამყარი ხდებოდა, **სინამდვილეში კი ადგილობრივ უმრავლესობას შინაგანად არც არასდროს ჰქონია სომხური, ე.ი. მათთვის უცხო ცნობიერება.** მათი ცნობიერება კერძო ტომობრივი (ჭანური, ლაზური ან მესხური) იყო. სამწუხაროდ, მათი ნამდვილი ზოგად ეროვნული ანუ ქართული ცნობიერება დიდი ხნის შერყეული იყო (იგულისხმება ჭოროხის, არაქსისა და ევფრატის სათავეებში მცხოვრები ქართული მოსახლეობა, ასევე მათი მეზობელი რეგიონების მკვიდრი ქართველობა), მიზეზი ამისა იყო ისა, რომ მათი სამშობლო ქვეყანა ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ჩამოაჭრა არმენიამ იბერიას, სტრაბონის ცნობით, შემდეგ კი რომაულ-ბერძნული მპყრობელობის დროს იმპერიამ ისინი ერთ-ერთ სომხურ პროვინციას მიაკუთვნა. ამ ფაქტმა, სწორედ რომ ქართული და არა სომხური ცნობიერება შეარყია მათში. მათი დიდი ნაწილი მართლმადიდებელი იყო, ამიტომაც ბერძნულ ეკლესიას მიეკედლნენ კიდეც (იბერიის სამეფო საკმაოდ დაშორებული იყო მათგან, განსაკუთრებით იუსტინიანეს ეპოქაში), თუმცა, მაინც, ისინი თავს ქართველებად, არასომხებად რომ თვლიდნენ, გამოჩნდა VIII-IX საუკუნეებიდან, როცა ბედის წაღმართი შემოტრიალების შედეგად მათი განსახლების ახლოს ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო. **ამ პოლიტიკურმა მოვლენამ არმენიის მოსახლეობის შესაბამის ნაწილს გაუღვიძა მინავლებული ეროვნულ-ქართული ცნობიერება და უსწრაფესად, ერთბაშად სიამაყით განაცხადეს ქართველი ერისადმი თავიანთი კუთვნილების შესახებ და სასწრაფოდ ეროვნულ-ქართული ეკლესიის უერთგულეს მრევლად გადაიქცნენ. ასე რომ, ხდებოდა არა ე.წ. „სომეხი ქალკედონიტების“ გაქართველება, როგორც ეს მიღებუ-**

ლია საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, არამედ მკვიდრი, იქამდე სომხურ-ბერძნული ეკლესიის (ანუ სომხურ-ქალკედონიტური) ეკლესიის წიაღიდან თავდაღწეული ქართველები დაუბრუნდნენ მშობლიურს.

აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის (თეოდოსიოპოლისიდან ტრაპეზუნტამდე) საცხოვრისს ნ. ადონცი სომხეთს მიაკუთვნებს, ხოლო ბერძნული საეკლესიო გეოგრაფია – ლაზიკას (აქ იყო ლერიონის, ბიზანის, პაიპერტისა და ლაზიკის სხვა საეპისკოპოსოები). **ამ მოსახლეობის ეთნოისტორია ძალზე წააგავს XVII-XIX სს სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი კათოლიკე ქართველებისას. კერძოდ, ეს უკანასკნელნი (ახალციხის რეგიონის ქართველობა) ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრების დროს სარწმუნოებრივად ე.წ. „ფრანგები“ (კათოლიკები) იყვნენ, ეკლესიებში სომხურენოვანი წირვა-ლოცვა (რიტი) უტარდებოდათ, ხოლო სახელმწიფოებრივად მაჰმადიანურ ქვეყანაში ცხოვრობდნენ. ასე რომ, ამ უკანასკნელთ არავითარი ქართული ინსტიტუტი არ გააჩნდათ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, შესაბამისად, ისინი ერთდროულად იყვნენ ფრანგებიც, სომხებიც და ოსმალებიც. სამცხელი კათოლიკების ეთნოცნობიერებაც შესაბამისად იყო შერყეული, მათი ქართველობა სამმაგი შრის იქით იყო ჩამალული, ამიტომაც ძირითადად ისინი გასომხდნენ კიდეც, რადგანაც კათოლიკური სარწმუნოება მათში სომხურენოვნებით იყო შემოფარგლული, განათლებაც, შესაბამისად, სომხური გააჩნდათ, სამცხელთაგან მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი დაუბრუნდა ქართულ ცნობიერებას მას შემდეგ, რაც რუსებმა ოსმალები განდევნეს ახალციხიდან. XIXს. ბოლოს მათგან გამოსულმა რამდენიმე სასულიერო პირმა გაიხსენა თავისი ბუნებრივი ეროვნული ვინაობა.**

საუკუნეებით ადრე ასეთივე ვითარებაში იმყოფებოდა ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოების მრევლი „ლაზიკაში“. ისინი VI საუკუნეში და VIIს. დასაწყისში (იქამდეც და შემდეგაც) ბიზანტიის იმპერიის მიერ სომხური რეგიონისადმი იყვნენ მიკედლებულნი, თუმცა ეკლესიებში ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა ჰქონდათ, შესაბამისად, სომხდებოდნენ ანდა ბერძნდებოდნენ იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე გამოავლენდა უფრო მეტ დაინტერესებას მათ მიმართ.

თუ რა სახისა იყო მცირე არმენიის მკვიდრ მოსახლეობაზე სომხური კულტურული ძალადობა, თავისდაუნებლიედ კარგად აღწერს ნ. ადონცი – „სომხური ცნობიერება მცირე არმენიაში საბოლოოდ ჩაკვდებოდა, თუ არა ახალი ძალების მოზღვავება მეზობელი სომხური ოლქებიდან. ისინი ანახლებდნენ მკვიდრი მოსახლეობის სულისკვეთებას და აცოცხლებდნენ მათში ეროვნულ (ე.ი. სომხურ) შემეცნებას“ (ნ. ადონცი, არმენია... 1908, გვ. 202). როგორც ითქვა, სინამდვილეში, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად ქართული იყო, ის რომაულ-ბიზანტიური ადმინისტრაციული დაყოფის შედეგად სომეხი ერის ჰეგემონობის ქვეშ აღმოჩდა, რასაც მუდამ თან სდევდა, როგორც ნ. ადონცი უწოდებს, შიდა სომხური ოლქებიდან სომხურ-ნაციონალური სულისკვეთების გავრცელება, რის შედეგადაც ბიზანტიური იმპერიის ხელქვეშ მყოფი ქართველობა უცხო-სომხური კულტურის ზეგავლენის ქვეშ აღმოჩდა. მათ არც ეროვნული ეკლესია გააჩნდათ.

ეს პროცესი კი ნ. ადონცს ახარებს და მიაჩნია „აღორძინების დასაწყისად“

ანუ ქართველთა შორის სომხური თვითშემეცნების დასაწყისად. ის წერს – „ის გარემოება, რომ იუსტინიანეს პროვინციალური რეფორმისას მცირე არმენიის მიწებმა არა მხოლოდ არმენიის სახელი შეინარჩუნეს, არამედ ეს სახელი გავრცელდა მათ მეზობელ მიწებზეც, გვიმტკიცებს, რომ აღორძინების პროცესი იქამდეც დაწყებული იყო“ (ნ. ადონცი, არმენია... გვ. 202). მაშასადამე, ნ. ადონცის თანახმად, „აღორძინების“, ანუ ქართველთა გასომხების პროცესი იუსტინიანემდეც საკმაო ხნის დაწყებული იყო, და ამიტომაც მათი მიწა-წყალი მოექცა კიდეც „მცირე არმენიის“ პროვინციაში. სტრაბონის მიერ აღწერილ ფაქტს იბერიის მიწების პარიადრეს, ხორძენესა და გოგარენის მიტაცებას არმენიის მიერ უკვალოდ არ ჩაუვლია. იუსტინიანეს ეპოქამდე ამ ქართულ მიწა-წყალზე უკვე დაწყებულა მკვიდრი ქართული მოსახლეობის გასომხების პროცესი, რაც დაუფიქსირებია იუსტინიანეს თავისი ადმინისტრაციული რეფორმით, როცა იბერიის ეს ყოფილი მიწები (ხორძენე და პარიადრე) არმენიას მიაკუთვნა.

ნ. ადონცი, მართალია არაპირდაპირ, მაგრამ მაინც აღიარებს, რომ ე.წ. მცირე და დიდი არმენიების დასავლეთ პერიფერიებზე მცხოვრები მოსახლეობა ქართველთა ეთნოჯგუფს წარმოადგენდა. მაგალითად, ის აღნიშნავს, რომ საიმპერიო დაყოფის შემდეგ კაპადოკიაც სომხურ მიწა-წყალს მიაკუთვნა იუსტინიანემ, ამ ფაქტის გამო ნ. ადონცს ახსენდება მოვსეს ხორენაცი, რომელიც აღნიშნავდა, რომ პონტოს მიწა-წყალი სომხეთის საზღვრებში შედიოდა. აქ ისიც უნდა გახსენებოდა ნ. ადონცს, რომ პონტო-მაჟაქის მიწა-წყლის მმართველად ივერიელი მთავარი იქნა დანიშნული. საერთოდ კი, მ. ხორენაცის თანახმად, აღნიშნული მიწა-წყალი საერთოდ ქართველებით (ივერიელებით) იყო დასახლებული, მას თავისი თეორიაც ჰქონდა ამ ფაქტის ასახსნელად. პონტოს ანუ შავი ზღვის აღმოსავლეთში ქართველები ქრისტეშობამდე 600 წლით ადრე ნაბუქოდონოსორს დაუსახლებია. ამის გამო ტერიტორია პონტო-კაპადოკიიდან დასავლეთ საქართველოს ჩათვლით ქართველებით ყოფილა დასახლებული. ამ ორივე ქართულ მხარეს (ე.ი. პონტო-კაპადოკია-ლაზიკას და დასავლეთ საქართველოს) ერთი მმართველი დინასტიაც – მირდატიანები ჰყოლია. მ. ხორენაცი გუგარქის პიტიახშებს პონტოს მეფეების ნათესაურ მახლობლებად მიიჩნევს – „შარას ნაშიერს, გუშარს ერგო კანგარქი, ნახევარი ჯავახეთი, კოლბი, წოფი და ძორი ჰნაკერტის ციხე-სიმაგრე. აშოცის უფლად და ტაშირის სეპუჰად ვალარშაკმა ჰაიკიანი გუშარის შთამომავალი განამწესა, ხოლო კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთით განმგებლად დაადგინა დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ. ისინი იყვნენ შთამომავალნი დარეჰის ნახარარის მიჰრდატისა, რომელიც წამოიყვანა ალექსანდრემ და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ ივერიელთა მოდგმას. ამის შესახებ აბიდენოსი ამბობს: **„ძლევამოსილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიაღწია ლიბიელთა, აგრეთვე ივერიელთა ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი და მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქიდან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა“ (ივერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს).** ბასიანის დიდ ხევში ხელისუფლად დაადგინა ორტუნი, ჰიკის თესლ-ტომი“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 406).

მ. ხორენაცი ჩამოთვლის ქართულ ქვეყნებს – ჯავახეთს, კოლბს, წოფს, ძორს,

აშოცს, ტაშირს, „ჩრდილეთს“, „პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს“, ბასიანს, მათ რიცხვში, ჩანს, ის პონტო-კაპადოკიასაც მიიჩნევდა, რადგანაც პონტო-კაპადოკიისა და მისი დედაქალაქის მაჟაქის მმართველად ქართველთა სამთავრო სახლის შვილი მიჰრდატია დანიშნული – „მიჰრდატს მიანდო მაჟაქი“ სომხეთის მეფე ტიგრანმა (იქვე, გვ. 114). შემდგომ ტიგრანმა მას „აღარ მისცა არც თავისი სამფლობელო, არც კუთვნილი ქართველთა ქვეყანა“ (იქვე, გვ. 116). „ქართველთა ქვეყანა“ კავკასიის მთებთან მდებარე გუგარქი და დასავლეთ საქართველოა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან ერთად, სადაც ნაბუქოდონოსორმა ჩაასახლა ისინი, ხოლო პონტო-კაპადოკია, მართალია, სომხური ადმინისტრაციული ერთეულია მ. ხორენაცის მიხედვით, მაგრამ მისი მართვა ქართული სამთავრო სახლის წევრის მიერ მიუთითებს, რომ მ. ხორენაცის პონტო-კაპადოკიაც ქართველი ხალხით დასახლებულ მხარედ მიაჩნია და, ალბათ ამიტომაც მის ქართველ მმართველს რაღაც მხარდაჭერა ექნებოდა მოსახლეობის მხრიდან. ხორენაციდან ერთი საუკუნის შემდეგ იუსტინიანეს პონტო-კაპადოკია, ნ. ადონცის სიტყვით, არმენიის ადმინისტრაციულ ერთეულში შეუყვანია. ის წერს – „იუსტინიანემ გააფართოვა მცირე არმენიის მიწები მეზობელი მხარეების ხარჯზე და მათ მიიჩნევს არმენიად, იმპერიის ნაწილ დიდი არმენიის თანასწორად“ (ნ. ადონცი, არმენია, გვ. 203).

მ. ხორენაცის თანახმად, როგორც ითქვა, მთელი პონტოს ანუ შავი ზღვის აღმოსავლეთი მხარე ქართველებით იყო დასახლებული უძველესი დროიდანვე, ყოველ შემთხვევაში ნაბუქოდონოსორის დროიდან. მაგრამ იმდენად ძლიერ შერყეულა იქაურ ქართველთა ცნობიერება აღმოსავლეთიდან შემოსული სომხური სულისკვეთებით, რომ VII ს-ის დასაწყისში ბიზანტიის იმპერიას აქ ჩამოუყალიბებია ახალი ადმინისტრაციული ერთეული – „არმენიაკონის თემი“ (იქვე, გვ. 203). ის განვრცობილი ყოფილა კესარიაკაპადოკიიდან შავ ზღვამდე – სინოპიდან ფაზისამდე და ევფრატამდე (იქვე, გვ. 203). ადონცის მიხედვით მთელ ამ მხარეებში გაძლიერებულა სომხური ელემენტი, სომხური სულისკვეთება. ის ამას ხსნის იმით, რომ ამ მხარეებში შიდა სომხეთიდან გადასახლდა სომხური მოსახლეობა. შესაძლოა ეს მართლაც ასე მოხდა და პონტო-ზღვისპირეთში მართლაც გადასახლდნენ სომხები, მაგრამ ეს მიწა-წყალი ხომ არ იყო უკაცრიელი მხარე, იქ ხომ ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობდა. სომხების გადასახლების გამო მათ მიატოვეს თავიანთი მიწა-წყალი? ცნობები ადასტურებენ ასეთ მიგრაციას?

პონტოს ზღვისპირეთი, თავიანთი ისტორიული სამშობლო სომხების გადასახლების გამო ქართველებს (ჭანებს, მესხებს, ლაზებს) არ მიუტოვებიათ, მაგრამ ხდებოდა მათი არმენიზაცია იმით, რომ მმართველი ზედაფენა იყო სომხური, სომხების ხელში აღმოჩნდა ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, მაგრამ დამპყრობელ სომეხთა მიმართ მკვიდრი ქართველი მოსახლეობის დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს შავშეთის ეპისკოპოსი მტბევარი სტეფანოზი, რომელიც წმიდა გობრონის ცხოვრებაში აღწერს იმ მძიმე სურათს, რომლის დროს ქართველებს გასჩენიათ სომეხთა მიმართ. მეორე მხრივ, გაბატონებულ სომხებსაც ჩამოუყალიბდათ აზრი ქართველთა შესახებ – მათი აზრით, ქართველები, როგორც მდაბალი და დაჩაგრული ფენა „უგუნურები“ არიან მაგალითად, სომეხი ისტორიკოსი XIII საუკუნისა ვარდან არეველცი ქართველებს „უგუნურებს“ უწოდებს, მიუხედავად დავით აღმაშენებლის პოლიტიკური წარ-

მატებისა, – „ის ძლიერ ზრუნავდა უგუნურ ქართველ ხალხზე“ (ვ. არეველცი, მსოფლიო ისტორია, თბ. 2002, გვ. 140). ქართველები, რომელნიც იქამდე საუკუნეთა მანძილზე შავიზღვისპირსა და შიდა მხარეებში იმყოფებოდნენ ბიზანტიელთა და არაბთა ხელქვეშ, ორივე დამპყრობლის ეპოქაში იყვნენ აბორიგენული მკვიდრი მოსახლეობა, დაბალი ფენა, პასიური, ინერტული, შესაბამისად, უუნარო და „უგუნური“, რომელიც აქტიური და უნარიანი სომხური მხარის მიერ დენაციონალიზაციის პროცესში იმყოფებოდა (კარგავდა ეროვნულ ვინაობას და თვითშემეცნებას). ეს ძირითადად იფარებოდა ეკლესიური დაქვემდებარება-იურისდიქციით. ქართველები, როგორც მონოფიზიტები, ისე მყოფნი ქალკედონიტური სომხური ეკლესიის წიაღში სომხურენოვნები ხდებოდნენ. ეს მაინც პოლიტიკური ბედუკუღმართობის შედეგი იყო. საბედნიეროდ, კლარჯეთ-შავშეთში და შემდეგ ტაოშიც, უცხო პოლიტიკური უღლისაგან გათავისუფლებისთანავე, საუკუნის შემდეგ ქართველობამ გაიცნობიერა დენაციონალიზაციის საფრთხე და შესაბამისი შეფასებაც მიეცა სომხურ სულიერ მპყრობელობას, რომელიც პოლიტიკურზე უფრო მძიმეა – „რამეთუ მიწა იგი სომხითისა ამპარტავან, უწყალო, უყვარულ და ყოვლითა უკეთურებითაა სავსე“ (სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსი, წამება წმიდისა მოწამისა გობრონისი, ძველი ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, 1964, გვ. 175), ქართველები თვლიდნენ, რომ სომხების ქმედება, რომელიც ქართველთა დენაციონალიზაციისაკენ იყო მიმართული, ბოროტებას წარმოადგენდა, ამიტომაც წერდა ქართველი ეპისკოპოსი – „სცოდა ბოროტი დიდმან სახლმან სომხითისამან, ვითარცა თქვა იერემია, „სიტყვითა გმობისათა შეაწუხეს სული წმიდა და საქმითა ბილწებისათა გარდარეულად განარისხეს შემოქმედი თვისი“ (იქვე, გვ. 174).

სომეხთა ანუ უფრო ზუსტად სომეხ-ქალკედონიტთა, თუ სომეხ-მონოფიზიტ საეკლესიო მესვეურთა სულიერი ძალადობა – უწყალოებად და უყვარულობად ფასდებოდა ქართველ ეპისკოპოსთა მიერ. ასე აფასებდა მათ არსენ დიდი კათალიკოსი წიგნში „განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა“ და ეპისკოპოსი სტეფანე (მტბევარი) ნაშრომში „წამება წმიდისა გობრონისი“ – „უყვარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მისადრეკელი ქრისტეისი, რომელთათვის ქრისტე ცუდად მოკვდა“ (ძველი ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, 1964, გვ. 175).

რა იგულისხმება სიტყვებში „მისთვის ქრისტე ცუდად მოკვდა“. ესაა ისეთი კაცი თუ საზოგადოება, რომლისთვისაც აშკარა ფაქტი, ჭეშმარიტება – არაფერს ნიშნავს, რომელიც რეალობას სიცრუით ამრუდებს. ასეთნი ყოფილან არა მხოლოდ სტეფანე მტბევარის თანამედროვე ზოგიერთი სომეხი იერარქები და სწავლულები, არამედ ჩვენი თანამედროვენიც. მართლაც, მათ როგორ უნდა უწოდონ „სომეხი“ იოანე და ექვთიმე მთაწმიდელებს, გრიგოლ ბაკურიანის ძეს, სხვა უამრავ ქართველს, რომელნიც სხვადასხვაგვარი ხერხით და მინიშნებით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ წერდნენ, რომ ისინი არიან ქართველები, ეთნიკური ქართველები გვარ-ტომობით, ჩამომავლობით, სულისკვეთებით, ცხოვრების წესით, ამასთანავე ისინი გმობდნენ სომხურ თუ ბერძნულ ძალადობას ქართველთა მიმართ, ამის მიუხედავად სომეხ სწავლულთა მიერ ისინი მაინც სომხებად ცხადდებიან.

ბიზანტიურ არმენიას VIს-ის შუა წლებისათვის მიაკუთვნებდნენ ქალაქებს – თეოდოსიოპოლისს, მარტიროპოლისს, მელიტინს, კომანას. არმენიასა და კაპა-

დოკიას შორის მდებარეობდნენ კესარია, სევასტია, ნიკოპოლისი, ნეოკესარია (სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, ანუ ზღვისკენ), ელენოპონტოში იყვნენ ქალაქები ამასია და ამისოსი (ზღვაზე), არმენიასთან ახლოს (ზოგჯერ მის შემადგენლობაში) იყვნენ ქალაქები კესარონტი და ტრაპეზუნტი.

ჭანეთი იმპერიის გარეთ იმყოფებოდა Vს-ის ბოლოს, ის მხოლოდ იუსტინიანემ შემატა იმპერიას. იქამდე, Vს. ბოლოს, იმპერიის სასაზღვრო ქალაქი ტრაპეზუნტი იყო. VI ს ომებმა ვითარება შეცვალა.

სომეხ-ქალკედონიტთა იერარქიული დამოკიდებულება იმპერიის ეკლესიისადმი

ნ. ადონცი წერს, რომ სპარსეთს და ბიზანტიას შორის გაყოფილ სომხეთში წარმოიქმნა სხვადასხვა იერარქიული დამოკიდებულება.

სომხეთში წმიდა ბასილი დიდის ეპოქაში კესარიაში შემდგარი საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, **ბიზანტიური სომხეთის ეპისკოპოსთა კურთხევა უთუოდ უნდა მომხდარიყო კესარიის სამიტროპოლიტოში**. ხოლო **სპარსულ სომხეთში სომხურმა ეკლესიამ მიიღო ეროვნული საეკლესიო ხასიათი იმით, რომ იქ ჩამოყალიბდა საკათალიკოსო – იერარქიულად დამოუკიდებელი ავტონომიური სისტემა.** ბიზანტიაზე საეკლესიო დაქვემდებარება გაღრმავდა VI-VII საუკუნეებში. იმპერიას შეუერთდა შიდა სომხეთიც. აქაური სომხური საეპისკოპოსოებიც, შემოღებული წესის მიხედვით, დამოკიდებულნი გახდნენ იმპერიის ეკლესიაზე, იმით, რომ მისგან (ე.ი. მისი სამიტროპოლიტოებიდან) იღებდნენ კურთხევას (ნ. ადონცი, გვ. 364). კერძოდ კი, მახლობელი უმაღლესი ტახტისაგან (წინა საუკუნეებში ასეთი იყო კესარიის ეკლესია), შესაბამისად, **დასავლეთ და შუა სომხეთის საეპისკოპოსოები უშუალოდ ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს** (ნ. ადონცი, გვ. 364). არაბების შემოსევის შედეგად, რაც ბიზანტიის იმპერიამ დაკარგა გავლენა სომხეთის შუა ნაწილზე, და, ნაწილობრივ, დასავლეთ სომხეთზე (რომელშიც ეთნიკურად ქართული პროვინციებიც შედიოდნენ), სომხური ეროვნული (მონოფიზიტური) ეკლესია არაბთა ხელშეწყობით თანდათან გაძლიერდა და მისი იერარქიული ავტონომიურობა კიდევ უფრო გაიზარდა. ბიზანტიამ VIII ს-ისთვის თანდათანობით შეძლო არაბების მიერ დაპყრობილი მიწების გათავისუფლება და ბიზანტიამ კვლავ მოითხოვა ძველი იერარქიული დამოკიდებულების განახლება, მაგრამ, ამის საპირისპიროდ, **726 წლის მანასკერტის კრებაზე გაიმარჯვა სომხურ-ეროვნულმა საეკლესიო მიმართულებამ, ამის შედეგად იქამდე სომხურ-ქალკედონური ეკლესიები უარს ამბობდნენ ბიზანტიასთან იერარქიულ დამოკიდებულების განახლებაზე და უერთდებოდნენ სომხურ-ეროვნულ ეკლესიას, ანუ სომხურ საკათალიკოსოს.**

ამ საყოველთაო პროცესს თავი აარიდეს ბიზანტიის სომხეთის არასომხურმა ეპარქიებმა, კერძოდ კი ქართველი მრევლის საეპისკოპოსოებმა – მართალია, ისინი კვლავ ბიზანტიურ სომხეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ შეინარჩუნეს ქალკედონიტური მრწამსი (სომხური ეროვნული ეკლესია მონოფიზიტობას მიემხრო). ისინი იყვნენ ტრაპეზუნტის მიტროპოლიტის იურისდიქციის ქვეშ, ბერძნები მას „ლაზიკის ქვეყანას“ უწოდებდნენ, სომხები კი მათ ამჟამად „სომეხ-ქალკე-

დონიტებს“. სინამდვილეში კი ისინი, როგორც ითქვა იყვნენ ქართველი ქალკედონიტები, ოღონდ კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ.

ბასიანის სომეხი ეპისკოპოსები

სომხეთის პოლიტიკური და ეკლესიური გავლენის ქვეშ ყოფნისას, ბასიანში სომხურ ეკლესიას თავისი ეპისკოპოსები ჰყავდა. მაგალითად, ერისთავ ორდუნების სამკვიდრებელი მათი ამოწყვეტის შემდეგ დარჩა ბასიანის ოლქის ეპისკოპოსს (ნ. ადონცი, გვ. 312).

აგათანგელოზის – გრიგოლ განმანათლებლის ისტორიკოსის ცნობით, წმ. გრიგოლმა ხელი დაასხა სომხეთის სხვადასხვა კუთხეების 400 ეპისკოპოსს. სხვა ცნობით, მან მხოლოდ 30 საეპისკოპოსო ტახტი დააარსა. მათ შორის, ორბელიანის ცნობით, პირველი იყო ბასიანის ეპისკოპოსი. ის იჯდა გრიგოლის გვერდით (18 მარჯვნივ და 18 მარცხნივ).

გრიგოლს ბასიანის ეპისკოპოსად გაუგზავნია ევთალი (გვ. 328).

ბასიანის საეპისკოპოსო ნახსენებია 450 წლისა და ასევე 505 წლის ნუსხებში (გვ. 330).

იმპერიის მოსაზღვრე სომხეთის მხარეებში – ვანანდში, ბასიანსა და მარდალიაში 505 წლისთვისაც ნახსენებია საეპისკოპოსოები (გვ. 332).

ახალი ერა სომხეთის ეკლესიის ისტორიაში

726 წელს შედგა მანასკერტის კრება იოანე ოძუნელის დროს. ამ კრებამ ახალი ერა შექმნა სომხური ეკლესიის ისტორიაში (ნ. ადონცი, გვ. 338) და ჰქონდა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა (გვ. 338). „აღადგინა სომხური საეკლესიო ტრადიციები დარღვეული ქალკედონტების მიერ VIIს-ში (გვ. 338). **ამ კრებამ გამოაფხიზლა სომხეთის ქართველობა.** კირიონის დაუვიწყარი ღვაწლი ქართული ენის გამოყენებისათვის საეკლესიო მსახურებაში ამის შემდგომ მოწოდებად იქცა - მოწოდებად, რათა სომხეთის ქართველობა განშორებოდა უკვე არაქალკედონიტურ სომხურ ეკლესიას და დაბრუნებოდა ეროვნულ ქართულს – მართლმადიდებლურს.

გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების არაბული ვერსია – ე.წ. სომეხ-ქალკედონიტთა თავისმართლება

აგათანგელოზის წმ. გრიგოლის ცხოვრება სომხურიდან არაბულად უთარგმნიათ, მისი რედაქცია გარკვეულწილად განსხვავდება ამჟამად არსებული სომხური რედაქციისაგან. კერძოდ, სომხური რედაქციით, წმ. გრიგოლმა მხოლოდ სომხეთში იქადაგა და იქვე დანიშნა ეპისკოპოსები, არაბული რედაქციით კი, წმ. გრიგოლმა ეპისკოპოსები ივერიასა და სხვა ქვეყნებშიც დანიშნა.

ნ. ადონცი წერს – „საინტერესოა კლასიფიკაცია ქვეყნებისა და ოლქებისა, სადაც დანიშნულ იქნენ ეპისკოპოსები. გამოიყოფა სამი ჯგუფი, პირველში მოიხსენიება საქართველო, აფხაზეთი და ალ(ბ)ანია, მეორეში 8 სომხური ოლქი, მესამეში 13 სხვა სომხური ოლქი ანუ უფრო ზუსტად, საეპისკოპოსოები“ (ნ. ადონცი, არმენია... გვ. 339).

ნ. ადონცი სვამს კითხვას, თუ რით უნდა აიხსნას სომხური ოლქების დაჯგუფება ორ ნაწილად. მისი აზრით, ასეთი დაჯგუფება გამოწვეული უნდა ყოფილიყო კონფესიონალური აზრთა სხვაობით, კერძოდ ზოგიერთ ეპარქიაში ნესტორიანობის გავრცელებით, რის აღმოსაფხვრელადაც 555 წელს მოწვეული იქნა კრება (გვ. 339).

არაბულად წმ. გრიგოლის ცხოვრება ითარგმნა არა VIს-ში, ამ კრების (555 წლის) დროისათვის, არამედ არაბების გაბატონების შემდეგ, ალბათ VIII-X საუკუნეებში, ამ დროს სომხურ ეკლესიაში ებრძოდნენ ქალკედონიტურ მიმართულებას. 726 წლის მანასკერტის კრების შემდეგ სომხურ ეკლესიაში საბოლოოდ გაიმარჯვა მონოფიზიტობამ (ნ. ადონცის სიტყვით, „ეროვნულმა საეკლესიო ტრადიციამ“), ამ კრების შემდეგ ეთნიკური სომხები დაუბრუნდნენ ეროვნულ-სომხურ ე.ი. არაქალკედონურ ეკლესიას, მაგრამ სომხეთის დასავლეთ პროვინციებში მცხოვრები ყოფილი ქართული მხარეების ვინაობაშენარჩუნებულობა ქართულმა მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ქალკედონიტობას ანუ იმ მიმართულებას, რომელიც მათ მეზობელ, მათთვის ეთნიკურად მშობლიურ საქართველოში იყო ეროვნული მიმართულება, ამის გამო **726 წლის შემდეგ სომხეთის სომხები მონოფიზიტურ ეკლესიაში გაერთიანდნენ, ხოლო სომხეთის ქართველები არ შეუერთდნენ მათთვის უკვე არაეროვნულ სომხურ ეკლესიას და შეინარჩუნეს ქალკედონიტობა**.

აღნიშნული ორი ჯგუფის გაჩენა შეიძლება ამ ფაქტს უკავშირდებოდეს.

თვითონ აგათანგელოზის წმ. გრიგოლის ცხოვრება, ჩანს, სომხეთის ქართველი ქალკედონიტის, ნაწილობრივ არმენიზებულის, მიერ არის არაბულად თარგმნილი, რადგანაც მასში უამრავი ქართული სიტყვაა, ვთქვათ, ისეთი სიტყვაც კი, როგორიცაა „გოჭი“ და სხვა. ის თარგმნილი უნდა იყოს 726 წლამდე.

საზოგადოდ, იქამდე, ე.ი. 726 წლამდე, ტაოს, ბასიანის, სპერისა და კლარჯეთის გასომხებული ქართველი იერარქები და საეკლესიო მწერლები, როცა ვერ მალავდნენ თავიანთ ნამდვილ ეთნიკურ წარმომავლობას, ანუ ქართველობას, საჭიროდ მიიჩნევდნენ თავიანთი ყოფნა სომხურ ეკლესიაში გაემართლებინათ იმით, რომ თითქოსდა გრიგოლ განმანათლებელმა ქრისტიანობა გაავრცელა ქართულ ქვეყნებშიც და, აქედან გამომდინარე, სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ ქართველთა ქვეყნების (მაგ. ტაოს ან ბასიანის) ყოფნა გამართლებული იყო.

მაგალითად, აგათანგელოზის წმ. გრიგოლის ცხოვრების სომხური ვერსიით, გრიგოლმა გააქრისტიანა სომხეთი კიდიდან-კიდემდე. ქალდეას ახლოს მყოფი ქ. სატალიდან, კლარჯეთის ახლო ადგილებიდან, მესხეთის ახლოდან – ალანთა კარამდე, კასპიის საზღვრამდე – პაიტაკარანის ჩათვლით, ქ. ნიზიბინის ახლო, აგადიდან მიდიამდე, ატროპატენამდე.

იმავე ცხოვრების არაბული ვერსიით, წმ გრიგოლმა აღნიშნულ მხარეთა გარდა ეპისკოპოსები გაგზავნა არა მხოლოდ სომხეთის მიწებზე, არამედ ივერიაში, დურზუკების მხარეში და ალანებში.

ივერიაში გააგზავნა იბირბზხუა, აფხაზეთში – სოფრონი, ალანიაში – თომა, ასევე სომხეთის მიმდებარე, სამხრეთის მხარეებში (ნ. ადონცი, გვ. 327-328).

ნ. ადონცი წერს, რომ ნ. მარის მიერ გამოცემულ არაბულ ვერსიაში ნ. **მარის მიერ დაშვებულია შეცდომა, რადგანაც დედანში ნახსენებია არა „აბხაზეთი“ („გაუგზავნა აბხაზებს“), არამედ არზანენა. არაბული დამწერ-**

ლობის არასწორმა წაკითხვამ გამოიწვია ეს შეცდომა (გვ. 328, შენიშვნა 2).

ამასთან დაკავშირებით ნ. ადონცი წერს – „აფხაზები სომხეთიდან დაშორებით ცხოვრობდნენ და **არაფერი აკავშირებდათ სომხეთთან**“ (იქვე, გვ. 328).

ასე, რომ **გრიგოლს არა აფხაზეთში, არამედ არზანენაში, იბერიაში და ალანიაში გაუგზავნია მოციქულები**.

იბერიის ქვეშ ამ „ცხოვრებაში“ ჩანს მოიაზრება არა მცხეთის ქართლი, არამედ **ტაო** და მისი მიმდებარე მხარეები.

ჩანს **აქაურმა ქართველებმა თარგმნეს კიდეც არაბულად გრიგოლის ცხოვრება, ამიტომაცაა მასში მრავალი ქართული სიტყვა.**

ნერსე იშხნელი

ნერსე იშხნელის შესახებ წერენ სხვადასხვა მისი ეპოქის ავტორები, ესენია:

1. არსენ საფარელი - „განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა“.

„ეზრას შემდგომ საკათალიკოსო ტახტზე ღვთის ნებით ავიდა ნერსე იშხნელი. კაცი ღირსი და მართლმორწმუნე“ (საქ. სამოციქ. ეკლ. ისტორია. 2009, გვ. 378).

2. გიორგი მერჩულე - IX საუკუნეში - „ნებითა ღვთისათა იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანს ზედა, ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღშენებულისა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისისა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქვრივებულ იყო“ (იქვე, გვ. 459).

3. „დავით და ტარიჭანის ცხოვრების“ ავტორი, რომელიც აღწერს VII ს. ამბებს ნერსე იშხნელს „წმიდას“ უწოდებს.

„იყო სანახებთა მათ სოფლისა სომხითისასა, ჟამთა ნეტარისა დიდისა ნერსე კათალიკოზისა, ...ხევსა ბასიანისასა, დაბასა ონკომ“ (იქვე, გვ. 531).

ბასიანიდან დედა და შვილები „წარმოივლტოდა ჩრდილოით კერძო ქვეყანად ტავოისა“ „ნერსე სრბით მიიწია დივრის“.

„ეუწყა საქმე ესე წმიდასა მამასა ჩვენსა ნერსეს კათალიკოზსა სომხითისასა“ (გვ. 698). ვალაშკერტში ნერსეს სომეხთა კათალიკოსმა ააგო ღვთისმშობლის ეკლესია, ლასტივერცის ცნობით, აქ X ს-ში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი“ (ნ. ადონცი, გვ. 24).

ბიზანტიის იმპერატორი კონსტანს (კონსტანტინე) II

ეს ხელმწიფე მე-7 საუკუნის შუა წლებში აკონტროლებდა სომხეთს და ცდილობდა სომხური ეკლესიის ქალკედონური ფრთის გაძლიერებას. **სომეხთა კათალიკოსი ნერსე III ტაოელი (641-661)** იყო მისი მოძღვარი, ძალზე დაახლოებული სასულიერო პირი ბიზანტიის ამ იმპერატორისა, რომელიც თავის მოძღვრისათვის არ იშურებდა სახსრებს, კონსტანს II-ის სახსრებით ნერსე ტაოელმა ააშენა ცნობილი ზვარტნოცის ტაძარი წმიდა გრიგოლის სახელზე (ვ. გოილაძე, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპოგრაფიკაში 2008, გვ. 40).

სომეხი ისტორიკოსის სებეოსის ცნობით სომეხთა კათალიკოსი ნერსე სოფელ იშხნიდან იყო წარმოშობით, ახალგაზრდობაში შეისწავლა რომაელთა ენა და

მწერლობა, რადგანაც ბიზანტიაში აღიზარდა, შევიდა სამხედრო სამსახურში, გაეცნო მრავალ ქვეყანას, იყო მართლმადიდებელი ქალკედონიტი, მაგრამ თავის ამ სარწმუნოებას უმალავდა სომხებს. სომხეთში მიაღწია საეპისკოპოსო ხარისხს და მიწვეული იქნა საპატრიარქო ტახტზე (იქვე, გვ. 41).

661 წელს დაასრულა ზვარტნოცის ტაძრის მშენებლობა და მის კურთხევას დაესწრო კონსტანს II, ამ ტაძრის მშენებლობა 20 წელი გაგრძელდა.

ვ. გოილაძის ვარაუდით სომეხთა კათალიკოსი ნერსე შესაძლოა ყოფილიყო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი (იქვე, გვ.42).

გიორგი მერჩულეს ცნობით, ნერსესს ტაოში - იშხნის ეკლესია აუშენებია, რომელიც შემდეგ არაბთა შემოსევების დროს დაქვრივებულა (იქვე, გვ. 43).

რა იძლევა საფუძველს იმისას, რომ ვივარაუდოთ ნერსე იშხნელის სომეხთა კათალიკოსის ეთნიკური ქართველობა?

ამის მიზეზი მრავალია, ერთ-ერთია ის, რომ სომხურ ეკლესიაში ე.წ. სომეხთა და ქართველთა განყოფის შემდეგაც მრავალი ეთნიკურად არასომეხი ეთნოსი იყო გაერთიანებული, მაგალითად, ეთნიკური ალბანელები სომხურ ეკლესიაში ძლიერ ფრთას ქმნიდნენ. ამ გაყოფის შემდეგაც სომხური ეკლესიის ერთგულ მრევლს VII საუკუნისათვის წარმოადგენდნენ ტაოელი, ბასიანელი, სპერელი და თეოდოსიოპოლელი ქართველები, საერთოდ, ძირითადად აღნიშნული მხარეები იწოდებოდნენ „ივერიად“ IX-X სს-ში და არა აღმოსავლეთ საქართველო. საქმე ის იყო, რომ აფხაზთა სამეფოს გაფართოების შედეგად IX-X საუკუნეებში, რაც აფხაზთა სამეფომ თავისი საზღვრები მიიტანა თბილისამდე, შიდა ქართლი მის ნაწილად, ე.ი. „აფხაზეთად“ იქცა, ამავე დროს თბილისის საამიროს ერთ დიდ ნაწილში (ქვემო ქართლში) ე.წ. „სომეხთა სამეფო“ (ტაშირ-ძორაკერტისა) ჩამოყალიბდა, მაშასადამე შესაბამისად ამ მხარეს სომხითი ეწოდა, ხოლო თბილისის აღმოსავლეთით კახეთის საქორეპისკოპოსო და შემდეგ სამეფო ჩამოყალიბდა. შესაბამისად აღმოსავლეთ საქართველოში IX-X საუკუნეებში აფხაზეთი, სომხეთი და კახეთი მდებარეობდნენ პოლიტიკური თვალსაზრისით. ხოლო ივერია ანუ „ქართველთა ქვეყანა“ ტაო-ბასან-სპერ-თეოდოსოპოლისს ერქვა. ამ პოლიტიკურმა ტერმინოლოგიამ ასახვა ჰპოვა ბიზანტიაში. კერძოდ კონსტანტინოპოლში საიმპერატორო კარმა „იბერიის თემი“ უწოდა სწორედ ტაო-სპერ-ბასიან-თეოდოსიოპოლისს, ხოლო იმავე ეპოქის ბიზანტიელი ისტორიკოსები იმ ქვეყანას, რომელსაც ჩვენ „საქართველოს სამეფოს“ ვუწოდებთ უწოდებდნენ „აფხაზეთს“, მის მეფეებს კი „აფხაზთა მეფეებს“.

მაშასადამე, იმ ეპოქაში ამჟამინდელ საქართველოს ერქვა „აფხაზთა სამეფო“, ხოლო „ივერია“ ეწოდებოდა ტაო-ბასიან-სპერსა და თეოდოსიოპოლისის ოლქს.

როგორც ითქვა ალბანელები და იბერები (ე.ი. ტაო-ბასიან-სპერელები) სომხური ეკლესიის მრევლად ითვლებოდნენ იქამდეც ე.ი. VII და VIII საუკუნეებში იბერები, ისევე, როგორც ალბანელები, ცხადია არ იყვნენ ეთნიკური სომხები, იბერების ეთნიკურ ქართველობაში მხოლოდ პატკანოვ-მარის მომხრე ისტორიკოსებსა და ფილოლოგებს შეჰქონდათ ეჭვი XX საუკუნეში.

ტაო იყო იბერიის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი, თუმცა კი სომხური ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. მხოლოდ დაახლოებით 726 წლის მანასკერტის კრების შემდეგ თანდათანობით გაუჩნდათ სურვილი ტაოელებს გასულიყვნენ სომხური ეკლესიის წიაღიდან და შეერთებოდნენ თავიანთი ეთნიკური თანამოძმეების ე.ი. ქართველების ეკლესიას. საბაბი ამისა იყო ის, რომ მანასკერ-

ტის კრებამ საბოლოოდ დაგმო ქალკედონიტობა და აღიარა მონოფიზიტობა. ეს კარგი საბაბი იყო ტაოელი ქართველებისათვის მხურვალედ შეენარჩუნებინათ ქალკედონიტური სარწმუნოება და ქართული ეკლესიის წიაღს შეერთებოდნენ. მაშასადამე ის **„განყოფა“ სომხური და ქართული ეკლესიებისა, რომელიც კირიონის დროს დაიწყო VII ს-ის დასაწყისში გუგარქში, დასრულდა VIII ს-ის 20-30-იან წლებში ტაოსა და ბასიანში.**

კირიონის ეპოქაში „განყოფის“ I ეტაპმა მოიცვა მხოლოდ ქვემო ქართლი ე. ი. გუგარქის ვრცელი ქვეყნის ერთი ნაწილი, ხოლო განყოფის II ეტაპმა VIII საუკუნეში მოიცვა ტაო, ბასიანი და ივერიის ვრცელი მხარეები არაქსამდე, ევფრატის სათავეებამდე, არზრუმამდე და შეიძლება ვანის ტბამდეც კი, რადგანაც ეს ვრცელი მხარეები იბერების ბუნებრივ საცხოვრისს წარმოადგენდა ქრისტეშობამდეც, ზოგადად როგორც მრავალჯერ ითქვა იბერია ანუ „იბერიის თემი“ მოიცავდა ისტორიული არიან-ქართლის მიწა-წყალს ტაო-კლარჯეთ-ბასიან-კარინ-ვანანდს. ეს იყო ყოფილი ე. წ. „დიდი იბერიის“ ის ნაწილი, რომელიც სტრაბონის ცნობით არმენიამ წაართვა იბერიას. ეს მომხდარა ქრისტეშობამდე II საუკუნეში, მაგრამ იქამდეც აზონის მამის (იარედოსის) ეპოქაშიც ჩანს სომხების მასიურმა ჩამოსახლებამ აიძულა აზონი ახალი პოლიტიკური ცენტრი ეძებნა უფრო ჩრდილოეთით - თანამედროვე საქართველოში. მართალია, შემდეგ ამ მხარეებს დასავლეთ არმენია უწოდეს, მაგრამ იქ დარჩენილა ძველი იბერების დიდი ნაწილი, რომელთაც შეძლეს და შემდგომში ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე ტაოს ანუ ქართველთა სამეფო დააარსეს.

მაშასადამე, იმჟამად, „სომხეთის მიწა-წყალზე“ ტაოში ჩამოყალიბდა „ქართველთა სამეფო“, რომელიც სწრაფად გაიზარდა. აქედან ჩანს, რომ სინამდვილეში VII-VIII საუკუნეებშიც დიდი დაპირისპირება იყო ე. წ. დასავლეთ სომხეთის ქართველებსა და შიდა სომხეთის სომხებს შორის. ამან ასახვა ჰპოვა სხვადასხვა ცნობებში, მაგალითად როცა ბიზანტიის იმპერატორი კონსტანს II ნერსე კათალიკოსის მიწვევით მივიდა სომხეთში ზვარტნოცის ტაძრის კურთხევაზე მონაწილეობის მისაღებად, ის ჯერ, გზის შესაბამისად, შევიდა თეოდოსიოპოლში (კარინში). აქ მასთან შესახვედრად მივიდნენ ამ ქალაქის ირგვლივ მდებარე ივერთა მიწების დიდებულები, კერძოდ „სპერელები, ბაგრატუნი თავადები, დიდებულები ტაოსა და ბასიანის პროვინციიდან, ასევე სხვა მხარეთა დიდებულები ჯარებითა და თავიანთი ნათესავებით. იმპერატორთან შესახვედრად ტაოდან ჩავიდა კათალიკოსი ნერსეც“ (ვ. გოილაძე, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა, 2008, გვ. 44).

იმპერატორის ირგვლივ, ბიზანტიელთა მიერ სომხეთად სახელდებული ქვეყნის, ქართველი დიდებულები შეიკრიბნენ, რომელთაც, როგორც ჩანს მტრობდნენ სომეხი დიდებულები, ეს მტრობა გამოიხატებოდა სხვადასხვა სახით, მაგალითად ქართველები მხარს უჭერდნენ სომხეთის იმ სარდალს, რომელსაც მხარდაჭერა არ ჰქონდა თავდაპირველად თანამემამულე სომხების მხრიდან, მაგრამ, როცა მან ეს მხარდაჭერა მოიპოვა, მას ქართველები განუდგნენ (იგულისხმება სარდალი თეოდოროს რშტუნი). მაშასადამე, სომხეთის მნიშვნელოვან თანამდებობაზე ქართველები და სომხები ერთმანეთს ედავებოდნენ. გარდა ამისა, როგორც ითქვა, სომხეთში სომეხთა და ქართველთა ურთიერთქიშპი გადაიზარდა სარწმუნოებრივ ურთიერთბრძოლაში, რაც ბოლოს დასრულდა საეკლესიო განხეთქილებით - ტაოელებმა და საერთოდ სომხეთის ქართველებმა, როგორც ითქვა შეინარჩუნეს ქალკედონიტობა, ხოლო ეთნიკური

სომხები, მათ შორის ყოფილი ქალკედონიტებიც, შეუერთდნენ სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას.

სომხეთის ქართველებისა და სომხების ამ მტრობა-დავის დროს ნერსე კათალიკოსი ყოველთვის ქართველების მხარეზე იყო. კერძოდ აღმოსავლეთში თავისი ერთ-ერთი ყოფნისას იმპერატორმა ანგარიში გაუწია სომეხ დიდებულებს, რომელნიც ძალზე დიდ ძალას წარმოადგენდნენ და თანამდებობიდან გადააყენა თეოდოროს რშტუნი, რომელთა მოკავშირეები იყვნენ ქართველები და ალბანელები. კონსტანს II-მ სომხეთის ცხენოსანი ჯარის სარდლად დანიშნა მუშელ მამიკონიანი, ამევე დროს საგანგებო მაცნეები გააგზავნა იბერიასა, ალბანეთსა და სივნიეთში რათა მათ თეოდოსოს რშტუნთან კავშირი გაეწყვიტათ (იქვე, გვ. 44).

კონსტანს II, ამ დროს, შეჩერდა ქ. დვინში, კათალიკოს ნერსეს სახლში. ნერსე III-მ ისარგებლა ამ მომენტით, მოიწვია საეკლესიო კრება და გამოაცხადა თავისი ქალკედონიტური რწმენა, მართალია იმპერატორის იქ ყოფნისას ზოგიერთმა სომეხმა თავი შეიკავა, მაგრამ უმეტესი ნაწილი აღშფოთდა. ამის გამო ნერსე III თან გაჰყვა დვინიდან უკან დაბრუნებულ იმპერატორს. შემდეგ ნერსემ თავი შეაფარა ტაოს, სადაც მისი დამცველები იყვნენ ტაოელი ქართველები. სებეოსის თხრობით ნერსეს ქალკედონიტობით აღშფოთდა სომხეთის ჯარი, მათ მიემხრო თეოდოროს რშტუნი, მიიღო არაბებისაგან დამხმარე ძალები, დაიწყო ომი ბიზანტიელთა წინააღმდეგ, აიღო ტრაპიზონი. როგორც ითქვა, კათალიკოსი ნერსე იმპერატორთან ერთად გამგზავრებულა კონსტანტინოპოლში და დაბრუნდა უკან ტაოში და იქ დარჩა თეოდოსოს რშტუნის გარდაცვალებამდე. 6 წლიანი დევნის შემდეგ ქართველების და იმპერატორის შეწევნით ნერსესი კვლავ ავიდა სომხეთის საპატრიარქო ტახტზე და დაამთავრა ზვარტნოცის მშენებლობა, რომლის კურთხევასაც იმპერატორი დაესწრო („ისტორია ეპისკოპოს სებეოსისა“ (რუსულ ენაზე), ერევანი, 1939, გვ. 119-127).

მაშასადამე, ნერსე ტაოელს მტრობდნენ სომეხი დიდებულები და ის იმჟამინდელი სომხეთის ქართველების მხარდაჭერით სარგებლობდა. მის დროს სომხეთის მრავალმა ეთნიკურმა ქართველმა აღიარა ქალკედონიტობა ტაოს გარეთაც.

როგორც ითქვა, ნერსეს ტაოში, იშხანში ეპისკოპოსობისას VII ს-ის 30-იან წლებში აუგია იშხნის იმჟამად მრგვალი ტაძარი (ბანას და ზვარტნოცის ტიპისა).

საერთოდ, როგორც ავანის, ისე ზვარტნოცისა და სხვა ქალკედონიტური ტაძრები სომხეთის ქართველთა თავშესაფარს, მათი ეთნოიდენტობის სადგურებს წარმოადგენდნენ. **სომხურ ეკლესიაში თავიანთი ყოფნის დროს ქართველები ცდილობდნენ საეკლესიო არქიტექტურითაც განსხვავებული ყოფილიყვნენ ეთნიკური სომხებისაგან.**

ავანი და ზვარტნოცი, როგორც იშხანი – ქართველთა საეკლესიო თვითგამოყოფის, ეთნოიდენტობის წარმოჩენის ტაძრებს წარმოადგენდნენ. ამიტომაც უწოდებდნენ ზვარტნოცისა და იშხნის მშენებელ ნერსეს ქართველები „წმიდას“. ქალკედონიტური სარწმუნოება სომხეთის სხვა კათალიკოსებსაც ჰქონდათ, მაგრამ ქართველ მამებს ისინი წმიდათა რიგში არ შეუყვანიათ, ნერსესი გამორჩეული იყო მათგან თავისი ეთნიკური წარმომავლობით, ის ტაოელთა მსგავსად ქართველი იყო, მუდამ დაცული თანამემამუ-

ლეების (ე.ი. სომხეთის ქართველების მიერ). არსენ საფარელი, გიორგი მერჩულე, დავით და ტარიჭანის ცხოვრების აღმწერი და ალბათ სხვებიც სომეხ-ქართველთა დავის ეპოქაში მცხოვრებნი, წმიდას და „ღვთის კაცს“ არ უწოდებდნენ არაქართველს და არაქალკედონიტ სომეხთა კათალიკოსს. არსენ საფარელის ცნობით, სამეფოს საკათალიკოსო ტახტზე ნერსე „ღვთის ნებით“ ავიდა, ის იყო „ღირსი და მართლმორწმუნე“, ხოლო გიორგი მერჩულე მას „ნეტარს უწოდებს“. უფრო მეტად განადიდებს მათ დავით და ტარიჭანის ცხოვრების აღმწერი და უწოდებს „ჩვენს წმიდა მამას“. **სომხეთში, როგორც აღინიშნა IV-VIII საუკუნეებში მრავალი ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა**. მათ შორის, ჩვენთვის ცნობილია კირიონ კათალიკოსი - სომხეთის ცენტრალური ნაწილის, აირარატის ეპისკოპოსი, მოსე გუგარქელ ქართველთა ეპისკოპოსი (თუმცა მონოფიზიტი), წმიდა გრიგორის ცხოვრების არაბულად მთარგმნელი და ალბათ სხვებიც, რომელთაც მომავალი მკვლევარები გამოავლენენ. სომხურ ეკლესიაში, შემდგომშიც, კერძოდ XVII-XVIII საუკუნეებშიც, უამრავი ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა, რაც ჩანს მატენადარანში დაცული მათი ქართულენოვანი წერილებიდან, ზოგიერთის ქართული გვარიც ცნობილია. ერთ-ერთი ასეთი ე.ი. სომხურ ეკლესიაში დროებით მოღვაწე ქართველი სასულიერო პირი იყო, მაგალითად, ცნობილი არქიმანდრიტი იოანე ხელაშვილი. იოანე ბატონიშვილს „კალმასობაში“ აღწერილი აქვს ასეთი ამბავი: ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით ანუ ქართველთა უმოქმედობითა და უთავბოლობით ისე აღშფოთდა იოანე ხელაშვილი, რომ მან დატოვა ქართული ეკლესია და გადავიდა სომხურ ეკლესიაში. მაშინვე მას გაუჩინეს ულუფა და მისცეს თავისი სენაკი, სადაც მის ლოცვას აღწერს კიდეც მწერალი (იოანე ბატონიშვილი, შემდგომ იოანე კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ ეკლესიას). ასე, რომ ქართველები IV საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით, მრავლად იღწოდნენ სომხურ ეკლესიაში. როგორც ითქვა, სომხურ ეკლესიაში VII-VIII საუკუნეებში გაერთიანებულნი იყვნენ მთელი ქართული თემები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ტაოა. მხოლოდ ქართველთა თვითშემეცნების გამოღვიძების შემდეგ დაუბრუნდა ეს მხარე დედასამშობლოს ეკლესიურადაც. ვფიქრობ, ამ მხარეების ქართველთა ეთნიკური თვითგამოღვიძების პროცესი ჯერაც არ შეწყვეტილა, კერძოდ, ქრისტიანი ლაზები XVI-XIX საუკუნეებში „ურუმებსა“ და „რომეოსებს“ (ბერძნებს) შეერივნენ, ხოლო მაჰმადიანი ლაზები - ოსმალო-თურქებს. შესაძლოა მათი თვითშემეცნების გამოღვიძების შემთხვევაში ისინი კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ ეთნოიდენტობას.

ნერსე კათალიკოსი

სომეხ კათალიკოს ნერსეს, რომელსაც ქართული წყაროები „წმიდას“ უწოდებდნენ, აუშენებია არა მხოლოდ იშხანის ტაძარი, არამედ ვალაშკერტში ღვთისმშობლის ეკლესიაც. საერთოდ სომხები ამ ნერსეს „აღმშენებელს“ უწოდებდნენ. აღსანიშნავია, რომ ორივეს მშენებლობის ადგილზე, იშხანსა და ვალაშკერტში, ქართული საეპისკოპოსოები ჩამოყალიბდა. შესაძლო მიზეზი იყო ეთნიკურ-ქართული მემკვიდრეობა, რადგანაც, როგორც ჩანს, სომეხთა **კათალიკოსი ნერსესი ეთნიკური ქართველი იყო, ისევე, როგორც თითქმის მისი თანამედროვე კირიონი, რომელიც არარატის, ანუ სომხეთის ცენტრალური**

პროვინციის ქორეპისკოპოსი და სახელოვანი ეპისკოპოსი იყო სომხეთში, მისი ეთნიკური ქართველობის შესახებ ჩვენ ალბათ ცნობებიც არ გვექნებოდა, კირიონი ქართლის კათალიკოსი რომ არ გამხდარიყო. ჩანს, ნერსეც ეთნიკური ქართველი იყო, ამიტომაც **მის მიერ აშენებული ტაძრებიც ქართველებს ეროვნულ საგანძურად მიაჩნდათ და კანონიერი პრეტენზიებით იქ ქართული საეპისკოპოსოებიც დააარსეს.**

ვალაშკერტში ნერსესის მიერ აგებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის შესახებ წერს ნ. ადონცი. როგორც ითქვა, ვალაშკერტში ნერსეს სომეხთა კათალიკოსმა ააგო ღვთისმშობლის ეკლესია, ლასტივერცის ცნობით, აქ X ს-ში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი“ (ნ. ადონცი, გვ. 24).

გუგარქელი, ტაოელი, ვანანდელი და არზრუმელი აზნაურები სომხური ეკლესიის წინააღმდეგ

მკვიდრი მოსახლეობის თვალსაზრისსა და ნებას, როგორც წესი, შუა საუკუნეებში გამოხატავდა მოსახლეობის თავისუფალი ფენა - ანუ აზნაურები. დაბალი ფენა - გლეხები უუფლებონი იყვნენ. აზნაურები - ქვეყნის მეპატრონენი იყვნენ და მის ეთნიკურ სახესაც წარმოაჩენდნენ.

საბედნიეროდ, სომხური ეკლესიის გაძლიერებისას მის აგრესიულ სურვილს გუგარქში თავის მრევლად გადაექცია ქართული მოსახლეობა წინ აღუდგა მკვიდრი აზნაურობა. ანუ გუგარქელმა აზნაურებმა ქართულ ეკლესიას დაუჭირეს მხარი კირიონ კათალიკოსის დროს (იხ. ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II). თუ არა მათი მხარდაჭერა, სომხური ეკლესიის შემოტევას იმჟამად სპარსთა მიერ დასუსტებული ქართული ეკლესია ვერ დაუპირისპირდებოდა. ქართული ეკლესიის დასუსტება კი გამოიწვია სპარსეთის შაჰების პროსომხურმა მიკერძოებამ, კერძოდ მათმა მონოფიზიტურმა საეკლესიო ორიენტაციამ. სპარსელები ქართული ეკლესიის დიოფიზიტიზმს პრობიზანტიურ ორიენტაციად მიიჩნევდნენ და დევნიდნენ. როცა მავრიკე კეისარმა შეძლო, რომ ბიზანტია-სპარსეთის საზღვარი თბილისამდე მოეტანა, ამით ზურგგამაგრებულმა კირიონმა გაბედა და ნაბიჯი გადადგა გუგარქის მკვიდრ ქართველებისათვის წირვა-ლოცვის ქართულენოვნების ასაღორძინებლად, რამაც სასტიკად გააღიზიანა სომხური ეკლესია. გუგარქი - კირიონის სამწყსო იყო. ამ ქვეყნის ნამდვილი მფლობელები კი, როგორც ითქვა მკვიდრი აზნაურობა იყო, ამიტომაც სომეხთა კათალიკოსმა საგანგებო ეპისტოლით მიმართა გუგარქის აზნაურებს მხარი დაეჭირათ სომხური ეკლესიისათვის, იმათ, რომ კირიონის ნების საწინააღმდეგოდ, იქაური მოსე კვლავ ეპისკოპოსად დაებრუნებინათ, ის იმჟამად თავს სომხეთს აფარებდა. **სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში დაუჭირეს გუგარქელმა აზნაურებმა მხარი ქართულ ეკლესიას,** რითაც ძლიერ განაწყენდა სომეხი კათალიკოსი. „ჩვენ ეს სარწმუნოებაც გვაქვს და ეგეც, თუ უნდა მოსე ეპისკოპოსს, მოვიდეს და კირიონს დაემორჩილოს“ ასეთი იყო გუგარქელ აზნაურთა პასუხი. აქედან კარგად ჩანს მათი ეთნიკური ვინაობა - ისინი საეკლესიო მთლიანობას ანუ ქართული ეკლესიის გაუბზარველობას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე დავას სომეხი კათალიკოსისას.

გუგარქელ აზნაურთა მსგავსად დაუჭირეს ლასტივერტეცის თანახმად

არზრუმელმა, ტაოელმა და ბასიანელმა აზნაურებმა მხარი ქართულ ეკლესიას (ა. ლასტივერტეცი, ისტორია, 1974, გვ.44).

აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ თვით ეთნიკურ სომხურ ოლქებში აზნაურები მხარს სომხურ ეკლესიას უჭერდნენ, მაგალითად „ეპისტოლეთა წიგნში“ კარგად ჩანს, რომ **ვრკანის მარზაპნი** - დევნიდა ქართულ ეკლესიას.

ხოლო ეთნიკურ ქართულ რეგიონებში აზნაურები, როგორც ითქვა, მხარს ქართულ ეკლესიას უჭერდნენ, ამ ფაქტის კარგი გამოხატულებაა მაგალითი **ვანანდელ-კარელი დიდებულებისა: ბაკურიანისძეებისა** ანდა **ტაოელ-ვანანდელი აზნაურებისა, თორნიკე ერისთავისა და მისი თანამოსაგრე ქართველი დიდებულებისა** – ისინი იყვნენ ერთგული მრევლი ქართული ეკლესიისა.

მათ ყველამ კარგად იცოდნენ, რომ ქართული ეკლესიის მხარდაჭერით ქვეყანა შეინარჩუნებდა ქართველობას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გასომხდებოდა.

სოფელი ოკომი და ანისის სომხური ჯვარი

არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით ბასიანი მდებარეობდა სომხეთში, მაგრამ დასახლებული იყო ქართველებით, მაგალითად, ის აღწერს ბასიანის სოფელ ოკომის ტრაგედიას, რომ სოფელი გადაწვა და დაანგრია ბასილი ბულგართმმუსვრელმა, ხოლო მოსახლეობა დაუნდობლად ამოხოცა, ამის მიზეზად არისტაკესი თვლის ოკომელთა იმ ცოდვას, რომ მათ ანისის სომხური ჯვრის ლურსმნები მოაძვრეს და გაიძახოდნენ „ამ ლურსმნებისგან ცხენის ნალებს გავაკეთებთო“, ქართველები, ამ შემთხვევაში-ოკომელები დაურიდებლად მოპყრობიან ანისის ე.ი. მათთვის არაეროვნული სომხური ეკლესიის ჯვარს.

ბასილი იმპერატორმა, როცა ქართველთა ქვეყნები და სოფები მოაოხრა, მათ შორის იყო ოკომი -

„მეფე ძლიერ განრისხდა და ბრძანა ცეცხლით, მახვილითა და ტყვეობით გაენადგურებინათ დიდი დაბა-ქალაქი ოკომი და მის გარშემო მდებარე სოფლები, აოხრდა მიწის სავარგულები, რომლებიც იმ მხარეში იყო, ხოლო ტყვეები წაეყვანათ ქალდიის გავარში, თვითონ კი ბასიანისაკენ გაემართა და მიადწია ვანანდის გავარს... მეფემ ქვეყნის ოთხივე მხარეს ჯარი გაგზავნა მარბიელი მოჰფინა, მკაცრი ბრძანებით მოითხოვა, რათა არ დაენდოთ არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, არც ყრმა, არც ასაკოვანი, არც კაცი, არც ქალი და საერთოდ არცერთი ასაკისა, ამგვარად, მან დაანგრია და მოაოხრა თორმეტი გავარი... გადაიწვა, დაინგრა, განადგურდა, მათი პატრონები მახვილით ამოწყდნენ... ეს თავს გადახდათ ნაცვლად იმისა, რომ მათ მოგლიჯეს წმიდა კათოლიკე ეკლესიის კარიდან სამეფო ნიშნის მქონე ჯვრის ლურსმნები და შეურაცხმყოფელად გაიძახოდნენ: ცხენებისთვის ნალი უნდა გავაკეთოოთ. ასე სამართლიანად მათ თავს დაატყდათ უბედურება.. ვაი მეფის შეუბრალებელ ბრძანებას... გაუკაცრიელდა კეთილმოწყობილი ქვეყანა და დაცარიელდა. მაგრამ არ ვიცი რისთვის შეემთხვა მათ ყოველივე ეს, ჭკუის დარიგებისთვის თუ ქვეყნის მოსახლეობის აღვირახსნილობის გამო“ (არისტაკეს ლასტივერტეცი, 1974, გვ. 47).

აქედან ჩანს, რომ **დაბა-ქალაქი ოკომი, ბასიანი და მის ირგვლივ 12 სხვა მხარე - ქართველებით იყო დასახლებული, რომელნიც ანისის „ჯვრის ლურსმნების“ უპატივცემულობის გამო დაისაჯნენ - წერს ა.**

ლასტივერტეცი ე. ი. არ იყვნენ სომხები, ამიტომაც არ სცემდნენ პატივს სომხურ ნიშნებს.

ანისის ჯვრის ლურსმნები

არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით ტაოელ და ბასიანელ ქართველ აზნაურთა ჯარმა რომელიც თან ახლდა აფხაზთა მეფე გიორგი I-ს პატივი არ სცა ანისის ჯვარს. მისი ლურსმნები დააძვრეს და წაიღეს. შაჰინშად წოდებული ანისის მეფის გაგიკის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობისთვის ერთმანეთს წაეკიდნენ მისი შვილები სუმბატი და აშოტი, საჭირო შეიქმნა სასამართლო, მათთან ვითარცა მოსამართლე მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და მშვიდობიანად შეარიგა ისინი, სუმბატს მისცა ანისის ციხე გავარებითურთ, ხოლო აშოტს ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთსა და საქართველოს უყურებდა“ (არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, 1974, გვ. 44). მალევე სუმბათმა გიორგი I-ის ეს სასამართლო გადაწყვეტილება დაარღვია, ამიტომაც იგი კვლავ შევიდა ანისში დამნაშავის დასასჯელად. ანისიდან გამოსვლისას გიორგის ჯარისკაცებმა გაძარცვეს საკათედრო ტაძრის მოკაზმულობა, მოგლიჯეს ჯვრის ლურსმნები და თან ლანძღვით გაიძახოდნენ „მიგვაქვს, რათა ცხენების ნალი გავაკეთოთო“ (იქვე, გვ. 44).

არისტაკეს ლასტივერტეცი შემდგომ უფრო დაწვრილებით წერს, რომ სუმბატს ერგო ქალაქი ანისი თავისი შემოგარენით, ხოლო მის ძმას აშოტს შიდა მხარე სომხეთისა, ანუ ანისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა, რომელსაც აღმოსავლეთით სპარსეთი, ხოლო დასავლეთის მხრიდან კი „საქართველო“ ესაზღვრებოდა. მაშასადამე, არისტაკეს ლასტივერტეცისათვის საქართველოა არა ანისის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა, არამედ ამ ქალაქის დასავლეთით მდებარე, მართლაც, **ანისის ჩრდილოეთით თბილისის საამირო მდებარეობდა, ხოლო დასავლეთით კი ტაო-ბასიანის მხარეები, კარინის (არზრუმის) ველი და ვანანდის ნაწილი, საქართველოს მეფის საგამგეო ქვეყანა.** ამ ამბიდან რამდენიმე წლის შემდეგ ამ ივერიას - საქართველოს შემოესია იმპერატორი ბასილი ბულგართმმუსვრელი, და დადგა „კარინის ფართო ველზე“, შემდეგ გადავიდა ბასიანიში და ვანანდში (ყარსის მხარეს).

ა. ლასტივერტეცის ცნობით, ბასილი ბულგართმმუსვრელმა ამ ქართული ქვეყნების ე.ი. კარინის, ტაოს, ბასიანის და ვანანდის „ოთხივე მხარეს ჯარი გაგზავნა, მარბიელი მოჰფინა, მკაცრი ბრძანებით მოითხოვა არ დაენდოთ არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, არც ყრმა, არც ასაკოვანი, არც კაცი და არც ქალი არცერთი ასაკისა, ამგვარად მან დაანგრია და მოაოხრა თორმეტი გავარი... ამ დროის ბოროტმოქმედებანი: სისხლში ამოსვრილი მოხუცთა საპატიო ჭაღარა, მახვილით ამოწყვეტილი ახალგაზრდები, ურიცხვი ბრმები, რომელთაც თვალები დაუბნელეს, ვფიქრობ, ყოველივე ეს თავს გადახდათ ნაცვლად იმისა, რომ მათ მოგლიჯეს წმიდა კათოლიკე ეკლესიის კარიდან სამეფო ნიშნის მქონე ჯვრის ლურსმნები და შეურაცხმყოფელად გაიძახოდნენ: ცხენებისათვის ნალი უნდა გავაკეთოთო. ასე სამართლიანად მათ თავს დაატყდათ უბედურება, რაც საზარელ სანახაობს ქმნის - აზნაური ქალები მოედანზე გამოიყვანეს, მოხადეს თავსაბურავები, ძუძუმწოვარა ყრმებს ზოგს დედის მკერდიდან გლეჯდნენ და ქვებს ურტყამდნენ, ნაწილს კი დედის მკერდზე აკლავდნენ შუბით და დე-

დის რძეს ყრმების სისხლს ურევდნენ, სხვებს გზაჯვარედინებზე ცხენების ჩლიქებში აგდებდნენ და მით ხიცავდნენ... ვაი მეფის (ბიზანტიის იმპერატორის) შეუბრალებელ ბრძანებას, მაგრამ არ დაცხრა მისი რისხვა, კვლავ აღმართა ხელი, რათა ყველა ბოროტებისათვის გადაეჭარბებინა, ასეთი საქმიანობით გაუკაცრიელდა ქვეყანა, ზამთრის მოსვლამდე აოხრდა და დაცარიელდა ირგვლივ ყოველივე" (იქვე, გვ. 47).

ბასილმა დასაჯა საქართველოს მეფის ერთგული მოსახლეობა, ისინი ეთნიკური ქართველები, იქედან ჩანს, რომ ისინი არ აღიარებდნენ სომხურ სარწმუნოებას და ამიტომ მათ, ლასტივერტეცის სიტყვით, შეურაცხყვეს ანისის სომხური ტაძარი. ისინი ეთნიკურად უცხონი იყვნენ ლასტივერტეცისათვის, ის ამ ქართველებს მიიჩნევს არა თავისი ერის, არამედ სხვა ერის ნაწილად, არა „ჩვენ" ჯგუფის იდენტური ნაწილად, არამედ სხვა „იმათი" ერისა - ამიტომაც წერს - „არ ვიცი რისთვის შეემთხვათ მათ ყოველივე ეს, ჭკუის დარიგებისათვის, თუ ქვეყნის მოსახლეობის აღვირახსნილობის გამო" (არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, 1974, გვ. 47).

მაშასადამე **ბასიანის, ტაოს, ვანანდისა და კარინის მოსახლეობა (ბასილის შემოჭრის დროისათვის) სომეხ ისტორიკოსს მიაჩნდა სხვა ეთნო ჯგუფად. არა სომხურ მოსახლეობად, არამედ ქართველებად,** რომელნიც დაისაჯნენ აღვირახსნილი ცხოვრებისა და სომხური ანისის ეკლესიის გაძარცვის გამო. ბასილმა სასტიკად დასაჯა ჯერ დიდი დაბა-ქალაქის ოკომის მოსახლეობა და მის გარშემო სოფლები „ცეცხლით, მახვილთა და ტყვეობით" (გვ. 45), შემდეგ კი 12 ვრცელი ქართული ქვეყანა ბასიანსა და მიმდებარე ქვეყნებისა. ოლთისის ანუ სომხურად უხტიქის შენობები კი ოკომის სანაცვლოდ საქართველოს მეფეს გიორგის გადაუწვავს. ოლთისის მოსახლეობის ქართველებას მიუთითებს იქვე ლასტივერტეცი - გიორგიმ „უბრძანა ჯარებს გადაეწვათ ლამაზი ნაგებობები, იავარეყოთ მისი მთელი საქონელი, მაგრამ ხალხისათვის ვნება არ მიეყენებიათ" (იქვე, გვ. 45). ხალხს რატომ არ უნდა მიაყენოს ქართველმა ჯარმა ვნება? იქნებ იმის გამო, რომ მოსახლეობა ქართულია. ნაგებობებში შენახული ქონება კი მტერს არ უნდა გამოეყენებინა, ამ მიზეზით გადაწვა ოლთისი გიორგი მეფემ, ამ დროს, ჩანს რამდენიმე ეკლესიაც დაიწვა, რამაც საფუძველი მისცა საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსებს განეცხადებინათ რომ თითქოსდა „გიორგი მეფემ გადაწყვა სომხური ეკლესიები", უსაფუძვლო განცხადებაა, გიორგი იქცეოდა ისევე, როგორც სხვები - მტერს არ უტოვებდნენ სურსათ-საქონელს რაც შეეხება ანისის ჯვრის ლურსმნების აღების მომენტს, ისინი დააძრვეს არა სარწმუნოებრივი უთანხმოების გამო, არამედ იმიტომ, რომ ლურსმნებზე ამოტვიფრული ყოფილა სომხური სამეფო ნიშანი, ანუ სომეხი მეფის გერბი, ეს იყო ანისის მფლობელის სუმბატის ნიშანი, მას დიდის დიდებით შეუმკია ეს ჯვარი ამ ნიშნებით, სუმბატის დასასჯელად შესულ ქართველთა ჯარს, ჩანს სადაც კი უნახავს სუმბატის ნიშანი, მოუხსნია და თან წაუღია, მათ შორის ჯვრის ლურსმნებიც. „მოგლიჯეს ეკლესიის კარიდან **სამეფო ნიშნის მქონე** ჯვრის ლურსმანი" გასაგებად წერს მემატიანე, **ვფიქრობთ ამ საკითხშიც არასწორი იყვნენ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსები, მაგალითად ი. აბულაძე, რომელიც ოლთისის ეკლესიების გადაწვისა და ანისის ჯვართან დაკავშირებულ ამბებს ისე აღწერდა თითქოსდა ეს ძალადობა გამოიწვია ქართული ეკლესიის ძალადობრივმა შე-**

ჭრამ სიმხური ეკლესიის იურისდიქციის სფეროში, ის წერს - „ერთი ეკლესია იჭრება მეორეში, ეკლესიათა წვა და ჯვრების მსხვრევა ამას მიუთითებს“, თითქოსდა ქართული ეკლესია შეიჭრა სომხურში, დაწვა სომხური ეკლესიები და ამათ ტაოელი და ბასანელი სომხები „გააქართველა“, ასეთ ყალბ საფუძველზე აიგო ე.წ. „ქართიზაციის“ თეორია.

მაშასადამე, ანისის ჯვრის ლურსმნები არ მოუხსნიათ სარწმუნოებრივი განსხვავების გამო და არც ეკლესიები დაუწვავთ ამ ნიშნით. ამ მხრივ საბჭოთა ეპოქის ისტორიკების ნააზრევს ეწინააღმდეგება არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობები. მისი აზრით ამ ქმედებებს ეთნიკური საფუძველი ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ იმპერატორმა ბასილიმ ფაქტიურად ხელი შეუწყო თურქსელჯუკების მიერ ტაო-ბასან-ვანანდ-კარინისა და სხვა ქვეყნების დაპყრობას, რადგანაც მან ამ ქვეყნების მკვიდრი ქართველი მოსახლეობა სასტიკად დაასუსტა საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებებით, რომელთაც ლასტივერტეცი „ბოროტმოქმედებებს“ უწოდებს (გვ. 46).

ავანის საკათალიკოსო
იშხანი – ავანი

სოფელი ავანი მდებარეობდა ერევნის ახლოს მის ჩრდილო-აღმოსავლეთით (ამჟამად ერევნის საზღვრებშია), ხოლო დვინი ერევნის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ავანი მართლმადიდებლური სომხური ეკლესიის ცენტრი იყო, ხოლო დვინი – მონოფიზიტურისა.

588 (591) წლიდან ავანში მდებარეობდა ცენტრი ქალკედონური სომხური საკათალიკოსოსი. ის შეიქმნა იმპერატორ მავრიკეს (582-602) მხარდაჭერით, სომხეთის იმ ნაწილისთვის, რომელიც ბიზანტიის შემადგენლობაში შევიდა. ერთადერთი კათალიკოსი ავანისა იყო იოანე ბაგარანელი (+609), სპარსთა შემოტევის შემდეგ ავანის საკათედრო გააუქმეს (602-603წწ.).

ავანის არქიტეტურული ანსამბლი – სომხური არქიტექტურის მიღწევად მიიჩნევა. მისი მთავარი ნაწილია ჯვრის ტიპის ეკლესია (588-597). ტეტრაქონქი (მსგავსია – მცხეთის ჯვარი და რიფსიმე ეჩმიაძინში). მიიჩნევა, რომ კომპოზიციაში აქვს გავლენა ეჩმიაძინის ტაძრის არქიტექტურისა და ბიზანტიური მარტირიუმებისა (ოქტაგონებისა), ასევე კონსტანტინოპოლის სოფიის ტაძრისა. აქ არის ქალკედონიტი კათალიკოსის ეზრა I-ის (630-641) ბერძნულ-სომხური წარწერები, 1219 წლის „სომხებისა და ქართველების ათაბაგებისა“ ივანესი (მხარგრძელისა), 1285 წლის ქართველი დავით უფლისწულის, 1287 წ. ათაბაგ ხუტლუბუღასი, ავანის მოსახლეობა XIIIს ბოლომდე – მართლმადიდებლური, ე.ი. ქართული იყო (ПЭ, გვ. 74).

ავანი, ისევე როგორც იშხანი, მდებარეობდა „ოთხი სომხეთის“ ჩრდილო მხარეში, რომელიც ძირითადად დასახლებული იყო არმენიზებული ქართველებით. ამიტომაც, ავანისა და იშხანის „ქალკედონიტობის“ საფუძველი იყო ეთნიკურად ქართული მოსახლეობა, რომელიც ცდილობდა თავის ძირითად ერს – ე.ი. ქართველობას სარწმუნოებითაც დამსგავსებოდა. ასე რომ, ავანის ქართული წარწერები და ქართული არქიტექტურა, ისე, როგორც იშხანისა – ქართული და არა სომხური მოვლენაა. ხდებოდა არა „სომხების გაქალკედონიტება-გაქართველე-

ბა“, არამედ „არმენიზებული ქართველების“ დაბრუნება „ეროვნულ-სარწმუნოებრივ“ წიაღში. მცხეთის ჯვრის არქიტექტურა იქმნებოდა თანდათანობით, საუკუნეთა მანძილზე. მაგალითად, მირიანის ძემ რევმა მის ჯვარს დაადგა „გუმბადი“, რაც გაიმეორეს ალბათ შემდეგმა არქიტექტორებმა. მათ შორის ავანის არქიტექტორმა, რადგანაც მისთვის ყოველივე ქართული ქალკედონიტობის სიმბოლოს წარმოადგენდა. ავანს არ ჰქონდა სარწმუნოებრივი წარსული ანუ ის არ წარმოადგენდა ქრისტიანული სიწმიდის მქონე სარწმუნოებრივ ადგილს. აქ იგულისხმება ის, რომ მცხეთის ჯვრის ისტორია წმიდა ნინოსთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, რაც უფრო მნიშვნელოვანია, IV ს-ში ჯვრის აღმართვის შემდეგვე, მოხდა უდიდესი სასწაული, ჯვარს დაადგა დიდი ნათელი, მცხეთის მოსახლეობა ხედავდა ჯვარზე გადმოსულ ანგელოზებს, ამავე დროს მთა ირყეოდა მიწისძვრის მსგავსად და იდგა საკმევლის სუნი. ამ სასწაულმა ხელი შეუწყო ქართლის მოსახლეობის მასობრივ გაქრისტიანებას. ამ ჯვარს მიენიჭა დიდი სასწაულთმოქმედი ძალა. აღადგენდა ავადმყოფებს, აცოცხლებდა მკვდრებს - წმ. ნინოს ცხოვრების თანახმად. ყოველივე ეს ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ ამ ჯვარზე არქიტექტურული ნაგებობების შენება დაიწყო IV საუკუნიდანვე, კერძოდ მას შემდეგ რაც მეფის ძე რევს ჯვარმა მკვდარი შვილი გაუცოცხლა მან აღასრულა თავისი აღნათქვამი ღვთისადმი და იქამდე ღია ცის ქვეშ მდებარე ჯვარი გუმბათით გადახურა. სიტყვა გუმბათს თვით წყარო ახსენებს. ჯვარზე მთხვევა და შეხება, უშუალოდ მის წინ ლოცვა - ხალხს შეეძლო, რადგან შეხებით იღებდნენ ჯვრის მადლს ანუ გუმბათით და მისი დამჭერი კედლებით ჯვარი კი არ დაიფარა მლოცველთათვის, არამედ მასზე დაიდგა ეკლესიის მსგავსი ნაგებობა თავისი გუმბათით. გუმბათის აღმართვას კი ითხოვდა ჯვრის შთამბეჭდავი სიმაღლე. წყაროსვე ცნობით ჯვარი დაამზადეს მთელ არემარეში ყველაზე გამორჩეული ხისაგან, ასე, რომ ის მაღალი იქნებოდა და მისი გუმბათიც შესაბამისი იქნებიდა. ბუნებრივია ქრისტიანობის განმტკიცებისა და მისი სახელმწიფოებრივ სიმაღლეზე აყვანის კვალდაკალ მცხეთის ჯვარზე დადგმული არქიტექტურული ნაგებობა იხვეწებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა. ხის კედლები ქვით შეიცვლებოდა მასზე დადგმული გუმბათის ფორმაც გაუმჯობესდებოდა. ეს პროცესი კი ორ –V დაVI საუკუნეებს მოიცავდა. ასე, რომ **მცხეთის ჯვრის თავისთავადი და ორიგინალური არქიტექტურა ავანის ტაძრის აშენებამდე სამ საუკუნეს მოიცავდა და მის ფორმას სამასწლოვანი საეკლესიო ტრადიცია ჰქონდ**ა. მას შემდეგ რაც არსენ საფარელის ცნობით VI საუკუნის შუა წლებში ნერსე მიჯინის დროს სომხური ეკლესია განშორდა მართლმადიდებლობას **ქართული ეკლესია და შესაბამისად მისი არქიტექტურა ქალკედონიტური სარწმუნოების სიმბოლოდაც გადაიქცა. მაშასადამე, მცხეთის ჯვრის არქიტექტურა უკვე VI ს-ის ბოლოს ქალკედონიტობის სიმბოლოს წარმოადგენდა.** ამ დროიდან ამ ტაძრის აღდგენა და მის ქვის ერთიან ანსამბლად გადაქცევა სამეფო ოჯახის ზრუნვის საგნად იქცა. **მისი უკვე ტრადიციული ქალკედონური არქიტექტურა გაიმეორეს ავანის ქალკედონიტმა მშენებლებმა.**

სომხური განმარტებითი წარწერები

არმენიის მიერ იბერიის ტერიტორიების მიტაცების შემდეგ, გუგარქში, ხორძე-

ნასა და პარიადრეს კალთებზე მცხოვრები მკვიდრი იბერიული (ქართული) მოსახლეობა გაქრისტიანების შემდეგ თანდათან სომხური ეკლესიის მრევლად გადაიქცა სომხური საეკლესიო ენით.

მათმა ერთმა ნაწილმა ამის მიუხედავად შეძლო ქართული იდენტობის შენარჩუნება, 726 წლის შემდეგ არმენიის ამ ქართველებმა შეადგინეს სომხურ-ქალკედონური ეკლესიის რაოდენობრივად ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი. უფრო ჩრდილოეთით ბასიან-ტაოსა და მიმდებარე მხარეების ქართველობა კი დედაქართული ეკლესიის მრევლად იქცა - ახლა ისინი ეკლესიებში უკვე არა სომხურ, არამედ ქართულ წირვა-ლოცვას ისმენდნენ. ყოფილ საეკლესიო სომხურენოვან ქართველთა მიერ ქართულენოვნების დაბრუნება თავის ეტაპებს მოიცავდა. არსებობს რამდენიმე საინტერესო მაგალითი:

დავით გარეჯის ერთ-ერთ მონასტერში ფრესკებზე აღმოჩნდა სომხური განმარტებითი წარწერები, მსგავსი მინაწერები აღმოაჩინა ი. აბულაძემ მიქაელ მოდრეკილის კრებულში და სხვაგანაც.

ქართული საეკლესიო კულტურის ზოგიერთ ძეგლზე აღმოჩენილმა სომხურმა განმარტებითმა წარწერებმა აღაფრთოვანა „ქართიზაცია-გაქართველების“ თეორიის სკოლის წარმომადგენლები, მათი თვალსაზრისით ასეთი სომხური წარწერების არსებობა ფაქტია იმისა, რომ ეთნიკური სომხები ქართველდებოდნენ. ჩვენი აზრითი სომხები კი არ ქართველდებოდნენ, არამედ ყოფილი არმენიის ეთნიკური ქართველები იბრუნებდნენ ეროვნულ ანუ ქართულ-კულტურულ იდენტობას.

ი. აბულაძეს სხვა თვალსაზრისი ჰქონდა - ეფრემ მცირესთან დაკავშირებით ი. აბულაძე განმარტავს თუ როგორ „ქართველდებოდნენ“ სომხები ტაო-კლარჯეთში, ის წერს რომ ეფრემი „წარმოშობით იმ კუთხიდან ითვლება სადაც სომხური ენა და ამ ენაზე არსებული მწერლობა მისი მოღვაწეობის ხანაზე უწინარეს ერთ დროს გავრცელებული იყო გარკვეულ წრეებში. ეს კუთხეა ტაო, სადაც საკუთარი ენით და მწერლობით არსებობდა IX საუკუნემდე სომხური მოსახლეობა, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო ამ საუკუნიდან დაადგა გაქართველების გზას ენითაც და კულტურითაც (ი. აბულაძე, შრომები. ტ. II, 1971, გვ. 115).

ი. აბულაძე ხმარობს სიტყვა „გაქართველებას“. მისი სკოლის თვალსაზრისით ტაოს სომხებმა IX-X საუკუნეებში დაივიწყეს მშობლიური სომხური ენა, რის შედეგადაც „გაქართველდნენ“. თუმცა ამ „გაქართველებულ“ სომხებს მაინც სცოდნიათ სომხური ენა და მწერლობა, რომელსაც იყენებდნენ კიდეც. მაგალითად მიქაელ მოდრეკილის ნაშრომის გადაწერის დროს.

მიქაელ მოდრეკილის იადიგარის გადაწერის დროს (სავარაუდოდ 978-988 წლებში) სხვადასხვა გვერდზე საგალობელთა მუხლების უკანასკნელ სტრიქონზე, ადგილ-ადგილ მიუწერიათ სომხური სიტყვები ან ფრაზები ე.ი. ზოგიერთ ქართულ საგალობელს მიწერილი აქვს რამდენიმე სიტყვიანი სომხური წარწერა. როგორც ვიცით საგალობლები უამრავია, ხსენებული სომხური წარწერები კი სულ 29 დაითვალა ი. აბულაძემ (ი. აბულაძე, სომხური დიალექტური ფორმები, შრომები. ტ. II, 1976, გვ. 276).

ეს სომხური სიტყვები ზოგიერთი ქართული საგალობლის ბოლოს მიუწერიათ მათ, ვინც გადაწერეს მიქაელ მოდრეკილის იადგარი. მინაწერები განმარტავენ, თუ რომელ დღესასწაულს ეძღვნება ესა თუ ის საგალობელი. 29-დან 15

მინაწერი პირდაპირ განმარტავს თუ რომელი დღესასწაულის ქართული ტექსტია მინაწერის წინ, მაგალითად - მინაწერი ნომერი 8 „შობაი ქრისტესი“ (სომხურად) აღნიშნავს, რომ ამ სიტყვების წინა ტექსტი ქართული საგალობელია ქრისტეშობისა. ნომერი 11 მინაწერი სომხურად არის „ტრანსლიტერაცია იმავე სტრიქონზე მის წინ მდგომი ქართული სიტყვისა - „ბრწყინვალესა“. დანარჩენი 19 მინაწერი, ამ უკანასკნელის მსგავსად, მათ წინ უშუალოდ მდგომი ქართული ტექსტის ბოლო სიტყვას გადმოსცემს, მხოლოდ არა ტრანსლიტერაციით, არამედ თითქმის ზედმიწევნითი სომხური თარგმანით“ (იქვე, გვ. 277).

მაშასადამე 29 მინაწერიდან 20 აშკარად წარმოადგენს განმარტებას იმისა თუ რა ქართული საგალობელია ამ სომხური მინაწერის წინ. მსგავსივეა დანარჩენი 9 მინაწერიც. სომხური მინაწერების დანიშნულებაა განუმარტოს სომხური ანბანის მცოდნე მკითხველს, თუ რა სახის ქართული საგალობელია მის წინ. მაშასადამე, ზოგიერთი საგალობელის სომხური მინაწერი განუმარტავს სომხური წერა-კითხვის მცოდნეს, თუ რა სახისაა ქართული საგალობელი.

ვისთვის იყო საჭირო სომხური განმარტებითი წარწერების არსებობა? საჭირო იყო იმ ეთნიკურ ქართველთათვის, რომელთაც აინტერესებდათ ქართული საგალობლები, მაგრამ არ შეეძლო ქართულენოვანი ტექსტების ადვილად წაკითხვა, რადგანაც მათ სიყმაწვილიდანვე ტაოსა და ზოგიერთ მიმდებარე მხარეში შეასწავლეს არა ქართული, არამედ სომხური წერა-კითხვა და ამიტომ მათ უჭირდათ ქართული ნაწერის წაკითხვა-გაგება. შესაძლებელია თუ არა ყოფილიყო ასეთი მკითხველი? დიახ, შესაძლებელია, ჩვენს ისტორიაში იყო იდენტური მაგალითები, მაგალითად, მე პირადად მიხილავს XIX საუკუნის ქართული კონდაკები, რომლებსაც ჰქონდათ ამ კონდაკთა თავდაპირველ მეპატრონე ქართველ მღვდელთა მიერ გაკეთებული რუსული განმარტებითი მინაწერები შესრულებული მელნით ან ფანქრით, ვისთვის იყო ისინი საჭირო? იმ ქართველი სასულიერო პირებისათვის, რომელთაც XIX საუკუნეში დაამთავრეს რუსულენოვანი სემინარია, ისწავლეს რუსული წერა-კითხვა და შემდეგ სამსახური მიიღეს ქართული სოფლების ეკლესიებში, ეს ქართველი მღვდლები გაჭირვებით კითხულობდნენ ქართულად, რუსული უფრო ეხერხებოდათ, ამიტომაც, ისინი წირვა-ლოცვის დროის დაზოგვის მიზნით წინდაწინ რუსულ განმარტებითი წარწერებს უკეთებდნენ ვრცელ ნაბეჭდ ქართულ ტექსტებს, სადაც წირვის მოქმედებათა წესები იყო გადმოცემული. ასეთი ქართული წიგნები რუსულენოვანი მინაწერებით უამრავი იყო საბჭოთა ეპოქაში, იმის გამო, რომ იმჟამად აღარ იბეჭდებოდა სასულიერი წიგნები, ჩვენ ვსარგებლობდით XIX საუკუნის ნახმარი წიგნებით, როგორც ითქვა ისინი იმ ქართველი მღვდლებისა იყვნენ, რომლებიც რუსული წერა-კითხვის უკეთ მცოდნენი იყვნენ.

ჩანს, მსგავსი ვითარება იყო X საუკუნის ტაოში – ქართველი სასულიერო პირები სომხურენოვანი სასწავლებლების დასრულების შემდეგ ქართულ წიგნებში რთავდნენ სომხურ განმარტებებით წარწერებს.

VI-VIII საუკუნეებში სომხეთში მრავალი ქართველი ცხოვრობდა და ისინი იქვე სწავლობდნენ. ერთი მაგალითია, კირიონი.

ისმის კითხვა, რომელ ენაზე იღებდნენ სწავლა-განათლებას ტაოელი ქართველები ვთქვათ VII საუკუნეში, როცა იქ, ტაოში, იშხანში, სომხური საეპისკოპოსო კათედრა იყო გადმოტანილი? ცხადია, მკვიდრი ქართველობა იყო ბუნებითი მრევლი ტაოს მართლმადიდებლური სომხური საკათალიკოსოსი, რომლის ერთ

ყველაზე ცნობილ პატრიარქს, კათალიკოს ნერსე იშხნელს ნეტარად მოიხსენიებდნენ თითქმის მისი თანამედროვე ქართველი სასულიერო პირები. ნეტარი ნერსე იშხნელი, მართლმადიდებელი სომხურენოვანი კათალიკოსი იშხანის საპატრიარქო ტაძრიდან მწყემსავდა ტაოელ ქართველებს, სხვადასხვა კუთხის სამწყსოსთან ერთად. ასეთ ვითარებაში, წირვა-ლოცვის ენა ცხადია იყო სომხური, ამიტომაც, შესაბამისად მთელ ტაოს სასწავლებლებში ქართველი ყმაწვილები სწავლობდნენ არა ქართულ არამედ სომხურ წერა-კითხვას, ემზადებოდნენ სომხურ ეკლესიაში სამოღვაწეოდ, რომელიც იმჟამად მათთვის სრულიად მისაღები იყო ამ ეკლესიის მართლმადიდებლობის გამო. ვითარება, როგორც მრავალგზის აღინიშნა, მკვეთრად შეიცვალა 726 წლიდან, მას შემდეგ, რაც სომხური ეკლესია საბოლოოდ გაემიჯნა მართლმადიდებლობას და მტკიცედ მიიღო მონოფიზიტური მრწამსი. ამ მომენტმა გამოაფხიზლა ტაოელი ქართველები და არა მარტო ისინი, საერთოდ იქამდე სომხური ეკლესიის ომფორის (იურისდიქციის) ქვეშ მოქცეული ქართველობა. დაიწყო მტკიცე ნაციონალიზაცია სომხური ეკლესიისა ანუ **სომხური ეკლესიის მრევლს ეთნიკური სომხები შეუერთნენ, ხოლო ეთნიკური ქართველები ცდილობდნენ გამოსულიყვნენ მათთვის უკვე არაეროვნული სომხური ეკლესიიდან და მიკედლებოდნენ საკუთარს - ეროვნულს,** ეს განსაკუთრებით შეეხება მართლმადიდებლობის მოყვარულ ქართველებს, რომელთაც ახლა საშუალება ეძლეოდათ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დამკვიდრებულიყვნენ. მთელი ტაო - ქართულ ეკლესიად იქცა. პროცესი, როგორც ითქვა, აღმტაცი და სიხარულის მომგვრელი იყო ქართველებისათვის ორმაგად, რადგანაც ისინი უკვე როგორც ეროვნული, ასევე მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები იყვნენ. მათ იქამდე ეს სიხარული აკლდათ. ჩანს კარგად გრძნობდნენ, რომ იქამდე VI-VIII საუკუნეებში მართალია იყვნენ ქართველები, მაგრამ სომხური საეკლესიო კულტურის სფეროში იმყოფებოდნენ, ჩანს მათ აღელვებდათ ის, რომ ქართული ენა მათი მშობლიური ენა კულტურული და სახელმწიფოებრივი სფეროებიდან განდევნილი იყო, რასაც მიუთითებს, სწორედ აღნიშნული ქართველი მხარეებიდან გამოსული ქართველი ბერების მიერ ნალოლიავები და გადაწერილი „ქებაი და დიდებაი ქართლისა ენისაი“, რომელშიც ქართული ენა წარმოჩენილია, როგორც მდაბალი, დაწუნებული და დამარხული (შენახული, მოუხმარებელი), როგორც მართლაც იყო ქართული ენა ტაოში VI-VIII საუკუნეებში.

ერთი სიტყვით, ტაოდან და მიმდებარე ქართული პროვინციებიდან გამოსულმა ქართველებმა ნაკლებად იცოდნენ VI-IX საუკუნეებში ქართული წერა-კითხვა, მაგრამ ნასწავლი და შეთვისებული ჰქონდათ სომხური მწიგნობრობა, ამიტომაც, ჩანს მათთვის X და შემდეგ საუკუნეებშიც ქართულ წიგნებში რთავდნენ სომხურ განმარტებით წარწერებს, რათა ადვილად გაეგოთ შინაარსი ანდა არსი რომელიმე ვრცელი ქართული ტექსტისა. ვთქვათ ვრცელი საგალობლის გვერდით კეთდებოდა სომხური განმარტებითი წარწერა, რომ ესაა ამა და ამ წმიდანის საგალობელი ანდა ამა და ამ დღესასწაულისა. ეს აადვილებდა მათთვის ღვთისმსახურებას. მსგავსი ქართული წიგნები რუსული განმარტებითი წარწერებითაც გვინახავს, რაც ზემოთ აღინიშნა. ასე რომ მსგავსი პრაქტიკა მიღებული იყო.

მსგავსი წარმოშობისაა დავით გარეჯის ერთ-ერთი მონასტრის ფრესკების სომხური განმარტებითი წარწერებიც. ტაოელი ქართველების მსგავსად სომხ-

ური ეკლესიის უღლიდან ასევე X საუკუნეში დაიხსნეს თავი ჰერეთელმა ქართველებმა. მათ, ტაოელი თანამოძმეების მსგავსად იცოდნენ სომხური წერაკითხვა, რადგანაც სიყრმიდანვე ნასწავლი ჰქონდათ და ამავე დროს, აღნიშნულ გარდამავალ მომენტში ნაკლებად იცოდნენ ქართული. ამ ეთნიკური ქართველებისათვის გაკეთდა კიდეც დავით გარეჯის ერთერთი მონასტრის ფრესკებზე წარწერები. მაგალითად ჯვარცმაზე წააწერეს სომხურად „ესაა ჯვარცმა“ და ა.შ.

საბოლოოდ უნდა ვიფიქროთ, რომ „ქართიზაცია-გაქართველების“ თეორიის მომხრეების, მათ შორის ილია აბულაძისა და სხვათა ანალიზი არ ასახავს რეალობას. ამ სომხურ წარწერებს აკეთებდნენ არა გაქართველებული სომხები, არამედ სომხურენოვანი ეთნიკური ქართველები ე.წ. გარდამავალ პერიოდში. მათ ქართველობას ისიც მიუთითებს, რომ ზოგიერთი წარწერა შეცდომით, არაგრამატიკულადაა დაწერილი. ამ ბოლო ფაქტმა ილია აბულაძეს აღუძრა ფანტაზია, რომ ტაოში ცხოვრობდნენ რომელიღაც სომხური დიალექტის მქონე სომხები, რომლებიც ქართველდებოდნენ და თავიანთ დიალექტზე წერდნენ სომხურად.

ი. აბულაძე წერს - „იადგარის სომხური მინაწერების ენის გაცნობა უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ სომხურის ფორმა ის მაინც არაა, რაც მაშინდელი სალიტერატურო სომხურისათვის იყო დამახასიათებელი. მინაწერების ენა უფრო ცოცხალი სამეტყველო სომხური ენის თვისებებს ამჟღავნებს, ვიდრე სამწერლო ენისას. მისი გადახვევანი სალიტერატურო სომხური ენის გრამატიკული ნორმებისაგან დიალექტის დამახასიათებელ ნიშნებზე მიგვითითებენ ფონეტიკისა და მორფოლოგიის დარგში. რამდენადაც ეს მინაწერები ტაო-კლარჯეთში სრულდება, იმდენად დიალექტური მოვლენები, რომლებიც მათში შეინიშნება, შეიძლება მივიჩნიოთ სომხური ენის ტაოს დიალექტის დამახასიათებლად X საუკუნისათვის“ (ი. აბულაძე, შრომები, II, გვ. 278). ი. აბულაძე ასკვნის, რომ X საუკუნისათვის ტაოში ცხოვრობდნენ სომხები, რომელთა ენაც იყო სომხურის ერთ-ერთი დიალექტი, რადგანაც, მათ მიერ შესრულებული სომხური მინაწერები არაგრამატიკულადაა შესრულებული. სინამდვილეში კი ამ მინაწერებს ის ქართველი ბერები ასრულებდნენ, რომელთაც სურდათ სომხური წერაკითხვის ასე თუ ისე მცოდნე ქართველი ბერებისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია, თუ რა შინაარსის იყო მათ წინ მდებარე ქართული ტექსტი. მაშასადამე, ესენია განმარტებითი წარწერები პრაქტიკული დანიშნულებისა. ქართველთა მიერ შესრულებული ეს მინაწერები ცხადია არ იყო გრამატიკული, და არც ჰქონდათ მიზნად მათ ავტორებს ლიტერატურული ნორმების დაცვა, მათი მიზანი იყო, როგორმე იქამდე სომხური ეკლესიის წიაღში მოღვაწე ქართველებისათვის გაეცნოთ ქართული ტექსტები, რომელთაგანაც საჭიროს გამოიყენებდნენ კიდეც პრაქტიკული დანიშნულებისათვის მოცემულ მომენტში.

ტაოში მკვიდრი მოსახლეობა სომხური რომ არ იყო და ამიტომ მათ კარგად არ იცოდნენ სომხური ენა VI-VIII საუკუნეებში ამას მიუთითებს VIII საუკუნის სომეხი ავტორის სტეფანოს სივნიელის ცნობაც, რომ „ტაოში არსებობს თავისებური მეტყველება“ (იქვე, გვ. 281). ჩვენ ეს ცნობა მიგვაჩნია დასტურად იმისა, რომ ტაოში ქართველები ცხოვრობდნენ, რომელნიც მართალია იმჟამად სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იყვნენ მოქცეულნი, მაგრამ მაინც „თავისე-

ბურად მეტყველებდნენ“ რაც გასაგებია, თუმცა ილია აბულაძეს მიაჩნია, რომ ტაოში სომხური ენის რაღაც დიალექტი იყო გავრცელებული, რასაც ვერ დავეთანხმებით რადგანაც სომეხ მეცნიერთათვისაც ასეთი ფაქტი სომხური კულტურის ისტორიისათვის უცნობია.

დიდი გაქცევა სომხური ეკლესიისაგან

ვინც წაიკითხავს ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ნაშრომებს სომხებთან დაკავშირებით, გაეცნობა მათ ღვაწლს, რათა ქართული წმიდა წერილიდან აღმოფხვრილიყო სომხურის ყოველგვარი ნაკვალევი, რის შესახებაც მიუთითებდა კიდეც გიორგი მცირე, მისთვის მაინცდამაინც ძნელი არ იქნება წარმოდგენა იმისა, რომ ე.წ. ყოფილი „არმენიის“ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართველების მიზანი იყო როგორმე განეშორებინათ ქართველი ერი სომხური ეკლესიისაგან, სომხური კულტურისაგან, სომხური ტრადიციებისაგან, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი ეროვნული ვინაობა, ისინი კარგად ხედავდნენ, რომ მათ თვალწინ კვლავ გრძელდებოდა საუკუნეთა წინ დაწყებული მასობრივი პროცესი სომხებში ქართველთა ასიმილაციისა.

გვირპელი

მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან სამხრეთ იბერიაში ჩამოყალიბდა ძლიერი პატრიოტული პოლიტიკური დასი, რომლის სათავეში იმიერ ტაოს მეფე დავით კურაპალატი იდგა, ქართული ენის, ქართული კულტურის, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის დიდი მოამაგე „წყაროები აშკარად მიუთითებენ, რომ დავითის ქვეშევრდომები, საერო თუ საეკლესიო პირები, სამშობლოში თუ ბიზანტიურ სამყაროში, მტკიცედ ატარებდნენ დავითის იდეებს“ - წერს ვ. კოპალიანი (დასახ. ნაშრ. გვ. 64).

ამ ფონზე, როცა ტაოსა და სამხრეთ იბერიის მხარეებიდან გამოსული მოღვაწეები უარყოფდნენ ყოველივე სომხურს, აშენებდნენ ქართულ კულტურასა და - თავიანთ თავს, „ქართველებს“ უწოდებდნენ, მათ მაინც ნ. მარის შემდეგ სომხებად მოიხსენიებენ, განსაკუთრებით სომეხი ავტორები მეორე ხარისხოვან ამბებზე დაყრდნობით. მაგალითად, ერთია ასეთი ცნობა: „მოვიდა გვირპელი, ჯოჯიკის მეგანძურთა უხუცესი და მოინათლა, რამეთუ სომეხი იყო და არსენი უწოდეს“ (ცხოვრება იოვანესი და ექვთიმესი). ამ ცნობაზე დაყრდნობით, წერენ, რომ ეთნიკურად სომეხი გვირპელი მონათვლის შედეგად „გაქართველდა“, ამით თოთქოს ეთნიკურ სომეხს უწოდეს ქართველი. სინამდვილეში კი ასეთი რამ წყაროში არ წერია. ამასთანვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის ანუ IX-XI საუკუნეებში ტაოსა და მიმდებარე მხარეებში არ არსებობდა „ქართული სარწმუნოება“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, პირიქით ქართველების სარწმუნოება იყო ბერძნული, ანუ ქალკედონიტურ მართლმადიდებლური სარწმუნოება. ის საზოგადოდ გაიდენტებული იყო ბერძნულ ეთნოსთან და არა ქართულთან, მაშინ, როცა მონოფიზიტური სარწმუნოების უმძლავრეს კერას, შეიძლება ითქვას აღნიშნული დროისათვის ყველაზე სახელოვანსა და ცნობილს წარმოადგენდა სომხური ეკლესია, შესაბამისად არსებობდა „სომხური სარწმუნოება“. იმ დროს „სარწმუნოებით სომეხი“ ნიშნავდა სომხური ეკლესი-

ის წევრს. სომხური ეკლესიის წევრები კი სამხრეთ კავკასიაში მრავალი არასომეხი იყო, განსაკუთრებით კი ქართველები. როგორც ცნობილია სპარსელებიცა და არაბებიც გაცილებით უფრო მეტად დევნიდნენ მართლმადიდებელ ქართველებს, ვითარცა ბიზანტიური ორიენტაციის მქონეთ, ვიდრე მონოფიზიტ სომხებს, რომელნიც ღაღადებდნენ ბერძნული სარწმუნოების საწინააღმდეგოდ ყველგან და ყოველ შემთხვევისას. აქედან გამომდინარე, ჯერ სპარსელთა და შემდეგ არაბთა მიერ სომხური სარწმუნოების მქონე პირები უფრო დაცულები იყვნენ, შესაბამისად სომხური სარწმუნოება იმ ეპოქაში ქართველთათვის მიმზიდველი იყო. ერთი ასეთი პირი ანუ სარწმუნოებით სომეხი ეთნიკურად კი ქართველი უნდა ყოფილიყო ტაოელი გვირპელი.

ჩანს, აღნიშნული ცნობის ავტორს სურდა დაეწერა „მოვიდა გვირპელი და მოინათლა, რამეთუ სომეხი იყო სარწმუნოებით“ ანუ გვირპელი იყო ეთნიკური ქართველი, სომხური სარწმუნოების მქონე, ისევე, როგორც იყვნენ ტაოელი ქართველები წინა რამდენიმე საუკუნე, იმ ეპოქაში როცა იძულებულნი იყვნენ ეცხოვრათ სომხურ სახელმწიფოში. სომხური სარწმუნოებისგან გათავისუფლება და ეროვნული ეკლესიის წიაღში დაბრუნება ტაოელთა და სამხრეთელ იბერიელთა დიდი ნაწილის ოცნება იყო, რომელიც მათ აღუსრულდათ დავით კურაპალატისა და მისი წინაპრების დროს. სამხრეთ იბერიელ ქართველთაგან ყველამ შეიძლება არ იცოდა ქართული წერა-კითხვა, რადგანაც ისინი სომხური ეკლესიის ზეგავლენის წიაღში აღიზარდნენ, თუმცა კი ძალზე ცდილობდნენ ამ ნაკლის შევსებას, გრიგოლ ბაკურიანისძის მონასტერში ამ ცოდნას ყურადღება ექცეოდა -„ქართული წერა-კითხვისა და ენის მცოდნე“ ბერები, ტიპიკონის მიხედვით სრული წევრები იყვნენ მონასტრისა. უცოდინარებს კი სასწავლებელში ასწავლიდნენ. გრიგოლ ბაკურიანისძის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ის კარგად არჩევდა ერთმანეთისაგან ეროვნულ წარმომავლობასა და სარწმუნოებას. მაგალითად, როცა აღნიშნავს, რომ ჩვენ ქართველები ვართ მხნე მებრძოლები და იქვე აღნიშნავს - „არასოდეს დამიზოგავს სისხლი, ბიზანტიის იმპერიის გაძლიერებისათვის არც ჩემთან მყოფ ნათესავებისა, რომ კარგად ყოფილიყო მათი მეფობის ძალაუფლება... ე.ი. ბიზანტიელი იმპერატორებისა. იშვიათად თუ ვინმე ჩვენი ტომისაგანი საკუთარ სარეცელზე ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარა, ყველამ სისხლი დაღვარა საბერძნეთის მტერთა მახვილითა და ხელითო“ (გეორგიკა, V, 119). ამ ჩანაწერში ლაპარაკია არა სარწმუნოებრივ ორიენტაციაზე, არამედ ეთნიკურ ვინაობაზე და გრიგოლი ახსენებს კიდეც შესაბამის ტერმინს „ტომს“, ჩვენი ტომის ქვეშ - ეთნიკურ ქართველს გულისხმობს და არა სომეხს.

სამხრეთ იბერიის, მათ შორის ტაო-ბასიანის მოსახლეობა, ვანანდის, კარინის და მიმდებარე მხარეების, საერთოდ „იბერიის თემის“ მოსახლეობის ერთი ნაწილი და არც თუ უმნიშვნელო რაოდენობისა ამტკიცებდნენ, რომ ისინი „ნათესავით ქართველნი“ იყვნენ და არა „ქალკედონიტი სომხები“, როგორც სურთ მათი წარმოდგენა. მაგალითად, გიორგი მთაწმინდელი, როცა ანტიოქიის პატრიარქს ეკამათებოდა და ამბობდა „უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართველთა და თავნი თქვენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიანო“, ცხადია, სიტყვა „ნათესავის“ ქვეშ გულისხმობდა ეროვნებით ქართველს და არა „სომეხ ქალკედონიტებს“. კარინელმა თორნიკე ერისთავმა, დავით კურაპალატის ასევე გამოჩენილმა მხედართმთავარმა იოანე მთაწმინდელმა ივერთა მონასტერი „ქართველთა ნათე-

სავისათვის“ ააგეს და არა „ქალკედონიტი სომხებისათვის“, რადგანაც ამ უკანასკნელთ ისედაც მრავალი საეპისკოპოსო და მონასტერი ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიაში, სადაც განადიდებდნენ კიდეც სომხურ ეთნოსს. VII საუკუნეში, ისევე როგორც იქამდეც, მრავალი სომეხი იყო მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი, მაგრამ ისინი სომხები იყვნენ და არა ქართველები. ტაოელ დიდებულთა წრეს განეკუთვნებოდა პატარა „უფლისწული“ ექვთიმე, რომელსაც თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ჩვენებით დაუბრუნდა ქართული ენის ცოდნა, რადგანაც მას ის დაავიწყდა ბიზანტიაში მძევლად ყოფნის წლებში, მაშასადამე, მისი მშობლიური სიყრმის ენა იყო ქართული და ამ ენის ცოდნა დაუბრუნდა მას.

უნდა ითქვას ისიც, რომ ბიზანტია და მისი იმპერატორები არ სწყალობდნენ ქართულ ეკლესიას, ისევე, როგორც ადრე სპარსელები და არაბები. მაგალითად, იბერიასთან ომის დროს, როგორც აღვნიშნეთ იმპერატორები განარისხა ქართული ეკლესიის პატრიოტიზმმა. შესაბამისად ისინი სჯიდნენ კიდეც ქართულ ეკლესიას, აუქმებდნენ ქართულენოვან საეპისკოპოსოებსა და სამრევლოებს იბერიის თემში, მაშინ, როცა იმავე დროს სწყალობდნენ სომხურ ეკლესიას. ლასტივერტეცის აღწერილი აქვს, როცა ქართველ ეპისკოპოსებს ბიზანტიაში ასახლებდნენ და სხვა ქართველი ეპისკოპოსები სახალხო ომს მეთაურობდნენ ბიზანტიის საწინააღმდეგოდ, იმ დროს სომეხთა პატრიარქები დიდად აღზევებულნი იყვნენ კეისართა მიერ.

ვ. კოპალიანი წერს - „ანისის წარჩინებულთა ერთი ნაწილი, რომელთა შორის პირველი კათალიკოსი პეტროსი იყო ბიზანტიის იმპერიის აგენტის როლში გამოვიდა, კეისარს მხარი დაუჭირა და მისი სურვილის დაკმაყოფილება მოითხოვა“ (იქვე, გვ. 106). კეისრის სურვილი კი ანისის სომხური სამეფოს დაპყრობა იყო. ცხადია, რადგანაც სომეხი პატრიარქი ასეთ მძიმე დროს მხარს უჭერდა ბიზანტიას, კეისარიც ლოიალურად იყო განწყობილი სომხური ეკლესიის მიმართ. საერთოდ ჰერაკლე კეისრიდან, ვიდრე ბასილი II-მდე და მის შემდეგაც, ბიზანტიის იმპერატორები არც თუ იშვიათად სომხური ეკლესიის მფარველებად წარმოჩნდებოდნენ კიდეც. ამიტომაც სომხეთში მიიჩნეოდა, რომ მრავალი იმპერატორი იყო სომხური წარმოშობისა, მათ შორის ჰერაკლე კეისარი და მაკედონელთა დინასტიაც, რომლის წარმომადგენელნი იყვნენ ბასილი მეორე და კონსტანტინე VIII, მათ ფაქტიურად მოსპეს სამხრეთ იბერიის ქართული სახელმწიფო, რითაც ხელი შეუწყვეს პოლიტიკური თვალსაზრისით თურქსელჯუკების წინსვლას ბიზანტიისაკენ, ხოლო სარწმუნოებრივი თვალსაზრისით იბერიის თემში დარჩენილი ქართველების კვლავ არმენიზაციას, ანუ მათ უკან, კვლავ სომხური ეკლესიის წიაღში დაბრუნებას, ბიზანტიელებმა ქართული საეკლესიო ინსტიტუტები ამ რეგიონში მოსპეს. არსებობს მოსაზრება, რომ თონდრაკელობა სწორედ იმ ოლქებში ჩამოყალიბდა, სადაც ეროვნულ ეკლესიას მოწყვეტილი ქართველები ცხოვრობდნენ, რომელთაც აიძულებდნენ გამხდარიყვნენ სომხური ეკლესიის წევრები, მათ კი ირჩიეს რაღაც სხვა სარწმუნოებრივი გზის გამონახვა. ჯერ კიდევ IX ს-დან ეს მოძრაობა დაწყებულა აპაჰუნიკის მხარეში. საფიქრებელია, რომ მას შემდეგ რაც ეს რეგიონი შევიდა დავით III კურაპალატის ქართველთა სამეფოში, ალბათ მოძრაობა შენელდა, რადგანაც შესაძლოა აქ ქართულმა ეკლესიამ შეძლო მოღვაწეობის წარმართვა, მაგრამ რადგანაც მალევე აქ ბიზანტია გაბატონდა, მოძრაობა ალბათ კვლავ

განახლდა. თონდრაკელები არ ერიდებოდნენ არც არაბებთან და არც ბიზანტიელებთან ომს, რადგანაც ორივენი მხარს უჭერდნენ მათთვის მიუღებელ სომხურ ეკლესიას.

თავი XIII

ლაზიკის ეპარქიებში ისტორიულად მცხოვრები ტომები

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია, როგორც აღინიშნა XI ს-ში თავის იურისდიქციაში მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, განვიხილოთ ძველთაგანვე იქ მცხოვრებ ტომთა ისტორია და ადმინისტრაციული მოწყობის სახე.

ლაზიკის ეპარქიებში ისტორიულად მცხოვრები ტომები ქსენოფონტეს მიხედვით (ძვ.წ.V-IV სს.) (თ.მიქელაძის კვლევა)

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ეპარქიები ლაზიკაში, როგორც აღინიშნა, მოიცავდა ქალდიისა და იბერიის თემების მნიშვნელოვან ნაწილს.

იბერიის თემიდან (ტაო, ბასიანი, კარინი და სხვა ოლქები) იყვნენ გამოსული ცნობილი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწეები (იოანე, ექვთიმე და გიორგი მაშენებელი მთაწმიდელები, თორნიკე ერისთავი, გრიგოლ ბაკურიანის ძე, ზაქარია ვალაშკერტელი ეპისკოპოსი და სხვანი), რომელთაც თანამედროვე სომეხი მეცნიერები მიიჩნევენ ეთნიკურ სომხებად (ქალკედონიტ სომხებად), უფრო მეტიც, მოსახლეობას აღნიშნული მხარეებისას მიიჩნევენ იმ სომხებად, რომელთაც მიიღეს ქალკედონიტური სარწმუნოება, რის გამოც თითქოსდა ისინი „გაქართველდნენ“. ქართველი მეცნიერების ერთი ნაწილიც იზიარებს თვალსაზრის იმის შესახებ, რომ აღნიშნული მხარეები ეთნიკური სომხების ისტორიული სამშობლო იყო და გვიან საუკუნეებამდე სომხებით იყო დასახლებული, სინამდვილეში კი, როგორც ქსენოფონტეს ცნობილი თხზულება „ანაბასისი“ უჩვენებს ამ მხარეთა მომცველი ვრცელი ტერიტორია, ისტორიულად ქართული ტომებით იყო დასახლებული.

ქრისტეშობამდე დაახლოებით 400 წელს ბერძნების ათი ათასი კაცისაგან შემდგარმა ჯარმა გაიარა ის მიწა-წყალი, რომელთაც შემდგომში იბერიის და ქალდეას თემები მოიცავდნენ. ეს რეგიონი მდებარეობდა ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე, რომელსაც როგორც ითქვა, ისტორიულად სომხების მიწა-წყლად მიიჩნევენ. ქსენოფონტეს ცნობით აღნიშნული ტერიტორია სომხებზე უფრო მეტად, ქართული ტომებით იყო დასახლებული, მეტიც, **სომხებით საერთოდ არ იყო დასახლებული არაქსის სათავეები და მისი ხეობის უდიდესი ნაწილი, ასევე შემდეგდროინდელი არზრუმის (კარინის), ყარსის (ვანან-**

დის) და ბასიანის (ფასიანის) მხარეები, ჭოროხის სათავეები და შავიზღვისპირეთი (ზიგნა-ტრაპეზუნტის მხარეც).

ქსენოფონტემ თავისი ჯარით გაიარა თანამედროვე დასავლეთ ქურთისტანის მთიანეთი, მივიდნენ მდ. ტიგროსის სათავეებთან (მისი შენაკადის მდ. ბითლისსუს სათავეები), შემდეგ გაიარეს კი მდ. ევფრატის (მურად-სუს) მარცხენა შენაკადი მდ. ყარა-სუ (ტელებოასი), შემდეგ კარტევან-დაღის ქედის გადასასვლელით მიუახლოვდნენ ევფრატის სათავეებს, გაიარეს ვალაშკერტის ველი და მიუახლოვდნენ მდ. ფასისის (არაქსის) ველს, შემდეგ კი გაჰყვნენ ამ მდინარეს (ფასისს) სათავეებისაკენ. იქიდან შევიდნენ ტაოში (ტაოხების ქვეყანაში) და მივიდნენ ჭოროხის სათავეებთან, გაყვნენ ჭოროხს (ხალიბების ქვეყანაში), სადღაც თანამედროვე სოფ. ორჯოხთან გადალახეს იგი (თ. მიქელაძის თვალსაზრისით), შემდეგ კი მკვეთრად შეცვალეს მიმართულება და სამხრეთ-დასავლეთით განაგრძეს გზა, მიადგნენ თანამედროვე **ზიგანს**, აქედან შევიდნენ ტრაპეზუნტში, შემდეგ კი განაგრძეს მოგზაურობა ქ. კერასუნტამდე და კოტიორამდე (თ. მიქელაძე, ქსენოფონტის ანაბასისი, 1967, გვ. 33-54). ამ გზის გავლას 8-9 თვე მოუნდნენ.

ქსენოფონტემ თავისი ჯარით, თავისივე ცნობით, ბაბილონის ბრძოლის ადგილიდან კოტიორამდე სულ გაიარა 620 ფარასანგი ანუ 18600 სტადიონი (1 ფარასანგი უდრის 5 კმ-ს, ხოლო 1 სტადიონი - 179,2 მეტრს), მაშასადამე გაუვლიათ 3100 კმ, მთელი ამ სამიათას კილომეტრიანი გრძელი გზის უმეტესი ნაწილი ბერძნებმა ქართულ ტომთა მიწა-წყალზე იარეს, საკუთრივ არმენიაში კი შედარებით ნაკლები. კერძოდ, ბაბილონის ბრძოლის ადგილიდან ბერძნები ჯერ შევიდნენ **კარდუხთა ქვეყანაში**, აქედან არმენიაში, რომელიც ორ ნაწილად იყოფოდა, აღმოსავლეთ არმენია ტიგროსის ზემო წელზე მდებარეობდა, მას ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს დარიოსის მეთვრამეტე სატრაპიად, იქ სომხებთან ერთად ქართულ ტომად მიჩნეული ჰესპერიტებიც (ანუ ჰეროდოტეს სასპერებიც) ცხოვრობდნენ. დასავლეთ არმენია კი აღმოსავლეთ ევფრატის (თანამედროვე მურად-სუს) აუზში მდებარეობდა. თ. მიქელაძის აზრით დარიოსის მე-18 სატრაპიას დასავლეთ არმენია შეესაბამება, რადგან დასავლეთ არმენიის სარდალი ტირიბაზი ჰესპერტებსაც მართავდა (იხ. იქვე, გვ. 123). ფასიანებიც აქვე ცხოვრობდნენ. ამ უკანასკნელთა ქართველობა ჩვენი ავტორების მიერ აღიარებულია. აღნიშნული ტირიბაზის ჯარიც ქართველ ტომთა მიერ ივსებოდა, ტირიბაზს დაქირავებული ჰყავდა ხალიბები და ტაოხები. **არმენიის გადალახვის შემდეგ ბერძნები შევიდნენ ტაოხების, ხალიბების, სკვითინების, მაკრონების, კოლხების, დრილების, მოსინიკების, ტიბარენების ქვეყნებში. ტრაპეზუნტი - კოლხეთის ქვეყანაში მდებარეობდა.**

აქედან ვიდრე არმენიამდე უვრცელესი მიწა-წყალი, რომელსაც, როგორც აღინიშნა, შემდგომში ქალდიასა და იბერიის თემები ეწოდა, დასახლებული იყო ქართული ტომებით.

ისიცაა აღსანიშნავი, რომ ბაბილონიდან არმენიამდეც, კერძოდ ქურთისტანის მთიანეთში, **ქართველებად მიჩნეული კარდუხთა ტომი** ცხოვრობდა. სწორედ მათ შეხვდნენ პირველად ქსენოფონტეს ბერძნები. კარდუხების ქვეყანას არმენიისაგან გამოყოფდა მდ. კენტრიტი (თანამედროვე ბოხტან-ჩაი). **ქსენოფონტე მათ კარდუხებს უწოდებს, პლუტარქე (და სხვა ზოგიერთი მწერალი) კი გორდუენებს**. ევსევი კესარიელის ცნობით ნოეს კიდობნის ნაშთები კორდუების მთებში მოიპოვებოდა. ამ სიტყვების (კარდუხი, გორდუენი) ფუძისეული

ფორმა არის კარდუ, გორდუ, კორდუ. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით სახელწოდება „ქართველი“ „კარდუ“ სიტყვისაგანაა მიღებული. იმავე აზრს გამოთქვამდა ნ. ადონცი (იქვე, გვ. 117). ამ სიტყვის მაწარმოებლები „ხი“ და „ენ“ სუფიქსები სადაურობისა და კრებითობის აღმნიშვნელები არიან (კახი, კოლხი, ჯავახი - ჭანი, ზანი, სვანი, ფასიანი, მაკრონი, ტიბარენი, სკვითინი). გ. მელიქიშვილის აზრით კარდუხები მუშქების ერთ-ერთი ტომი იყო, კერძოდ კარდუხების - გორდუენების სახელწოდებას უკავშირებს ფრიგიის დედაქალაქის სახელს „გორდიონი“ და ფრიგიის დინასტიურ სახელს „გორდია“ (იქვე გვ. 119). ჩვენი აზრით ქართველთა სახელწოდებებში (ქართველი, მეგრელი, გურული, მარგველი, „გურჯ“, „გეორგიენ“) ფუძეები „გრ“ - „რგ“ იმავე წარმოშობისაა.

როგორც ითქვა, დასავლეთ არმენიის შემდეგ ბერძენთა ჯარი ფასიანთა ქვეყანაში შევიდა - არაქსის სათავეებთან. საქმე ისაა, რომ ქსენოფონტი და სხვა მრავალი ბერძენი ავტორი კონსტანტინე პორფიროგენეტის ჩათვლით ფასისს უწოდებდა არაქსს. თუმცა ისიცაა აღსანიშნავი, რომ ჭოროხსაც ფასისს უწოდებდნენ, ისე, როგორც სხვა რამდენიმე მდინარეს. **არაქსის ხეობის ფასიანებს თ. მიქელაძე კოლხურ ტომად მიიჩნევს. ფასიანების ქვეყანას ქართულად ბასიანი ერქვა (ლაზიკის ეპარქიის ერთერთი უმთავრესი ნაწილი ბასიანსაც მოიცავდა). თუ ფასიანელები კოლხური ტომი იყო, ლაზიკად სახელდება შემდეგ საუკუნეებში ვრცელი მიწა-წყლისა ტრაპეზუნტიდან ვალაშკერტის ჩათვლით მოულოდნელი არ არის.**

თ. მიქელაძეს კოლხური ეთნიკური ელემენტის ბუდედ მიაჩნია არა დასავლეთ საქართველო, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და წერს „ანტიკური წყაროების აიეტის სამეფოც იქაა საძიებელი. ჭოროხისა და ფასის-არაქსის სათავეებთან კოლხური ტომის ფასიანების არსებობა კიდევ ერთი მძლავრი საბუთია ამ მოსაზრების სასარგებლოდ (თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, 1967, გვ. 127).

შავ ზღვაში შემდინარე რამდენიმე მდინარესაც, როგორც ითქვა, ფასისი ერქვა. ბერძნული წყაროების მიხედვით მდინარე ფაზისი მძლავრად შეედინებოდა ზღვაში, თითქოსდა ის „ვარდებოდა ზღვის წყალში“. ფასისის ბერძნები აღწერდნენ არა როგორც ჭაობის მდინარეს, რომელიც მდორედ და მძიმედ შეედინება ზღვაში, როგორც ვთქვით მდ. რიონი, არამედ ჭოროხის მსგავს მთის მჩქეფარე, წყალუხვ მდინარედ. ერთი ბერძენი ავტორი წერდა „არგო ახლა ფასისში დგას... რაოდენი ძალა აქვს მის ვარდნას პონტოში“ (იქვე, გვ. 126). თ. მიქელაძის განმარტებით სიტყვა ფასისი ბერძნულიდან შემოსულა ქართულში. ფასისი, ბერძნული „ღმერთის“ სახელი იყო, მის ერთ-ერთ ვაჟს ერქვა კოლხი. ძვ.წ. III ს. ალექსანდრიელი მეცნიერის მნეასის თქმით „კოლხებმა თავისი სახელი მიიღეს კოლხისაგან, რომელიც ფასისის ვაჟი იყო“ (იქვე, გვ. 126). **მაშასადამე, ფასიანების სახელი კოლხებს უკავშირდება, კოლხების ეთნო ბუდე თ. მიქელაძის თქმით, როგორც აღვნიშნეთ, იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, მას თ. მიქელაძე ამატებს ფასის-არაქსის სათავეებსაც, ე.ი. ფასიანთა ქვეყანას (ისტორიულ ბასიანს). ბასიანი ამასთანავე მესხების ქვეყანა იყო. ანუ კოლხები და მესხები ერთ ეთნოსად წარმოისახა. ჩანს, ამიტომაც ქსენოფონტემდეც ჰეკატოს მილეტელი მესხებს კოლხურ ტომად მიიჩნევდა.** ბასიანელებს, ისევე, როგორც მათ მეზობელ ტაოელებს როგორც სომხები ისე ბერძნები VII-X საუკუნეებში ივერებს (იბერებს)

უწოდებდნენ. ეს მიუთითებს იმის შესახებ, რომ წინარე ქართველების დიფერენციაცია დღეს ცნობილ ქართლ-კახელებად და მეგრელებად მოხდა მოგვიანებით ეპოქაში, კერძოდ, პირველ ათასწლეულში. აქამდე ისინი ეთნიკურ ერთობას ქმნიდნენ. მაშასადამე, არ მომხდარა „თუბალ-კაინური ტომების“ (მეგრელების) ქართიზაცია, როგორც ნ. მარი ფიქრობდა, რადგანაც ზოგადქართული ეთნიკურ-ეროვნული ერთობის დიფერენციაცია გვიან საუკუნეებში დაიწყო. ამას უნდა მიუთითებდეს პროკოფი კესარიელის ცნობები ლაზების ქართულენოვნების შესახებ (მაგალითად ლაზური სიტყვა “ქუთათისი“, სინამდვილეში ძველი ქართულია). მაშასადამე **კოლხები ისეთივე ფრიგიელი წარმომავლობის (ე.ი. მესხური) ტომია, როგორც ვთქვით კარდუხები. მაშასადამე ლაზიკის ანუ ივერიის თემის ძირითადი ეთნოსი იყო ქართველობა (ჯერ კიდევ არადიფერენცირებული) და არა სომხები,** თუმცა კი **ფასიანების ქვეყანას ქსენოფონტეც არმენიის ნაწილად მიიჩნევს. მაშასადამე, ფასიანების ქართული ტომი ქრისტეშობამდე მოექცა პოლიტიკურ არმენიაში, თუმცა კი თავისი ეროვნულ-ქართული იდენტობა გვიანობამდე შეინარჩუნა.**

ფასიანების შემდეგ ბერძნების აღნიშნული ჯარი ტაოხების ქვეყანაში შევიდა, ანუ შემდეგდროინდელ ტაოში. „ხ“ - მრავლობითობის მაწარმოებელია, ტაოელებს ანუ ტაოხებს ურარტული წყაროებიც იცნობენ დიაუხის სახელით. ძალზე საინტერესოა, რომ **თ. მიქელაძის თვალსაზრისით აია-კოლხეთის ქვეშ, შესაძლოა დიაუხის გაერთიანება იგულისხმება**. „მხარის ტოპონიმიკამ და არგონავტების მითის ანალიზმა დაგვასმევინა საკითხი იმის შესახებ, რომ, **ერთის მხრივ არგონავტების მითში აიეტის სამეფოს სახით, ხოლო მეორეს მხრივ ჰეროდოტესთან აია-კოლხეთის სახით დაიაენის გაერთიანება ხომ არ აირეკლა. გ. მელიქიშვილმა ტაოხები ჰესპერიტებს დაუკავშირა“** (იქვე, გვ. 128).

ჩვენი თვალსაზრისით ქართული წყაროების არიან-ქართლის ქვეშ იგულისხმებოდა ტაო-ბასიანის მხარეები, არიან-ქართველთა მეფის ძეს **„აზონი“,** „აზო“„აზოვე“ ერქვა, ანუ აია-კოლხეთის სახით ტაოს ქვეყნის ასახვის შესაძლებლობები იზრდება იმით, რომ არგონავტების მეთაურსაც იგივე სახელი **„იაზონი“** ერქვა. რაც ალბათ შორეული გამოძახილია, არეკლილი ქართული წყაროების მიერ. თ. მიქელაძის აზრით ჰესპერიტები მდ. ტიგროსის სათავეებთან (სისპირიტში) ცხოვრობდნენ, ამიტომაც არ ეთანხმება გ. მელიქიშვილს, რომ ტაოხები იგივე ჰესპერიტები არიან. დიაუხის ანუ დიაიენის გაერთიანება სამხრეთით თანამედროვე ერზრუმამდე ვრცელდებოდა. შემდეგშიც ქართული ტომები აქვე ცხოვრობდნენ. ქსენოფონტე იხსენებს, რომ ტაოხები, ხალიბები და ფასიანები ერთად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. ეს მომხდარა მდ. არაქსთან (ფასისთან) ახლოს (იქვე, გვ. 79).

ტაოხების შემდეგ ქსენოფონტეს ჯარი მდ. ჰარპასოსთან (თ. მიქელაძის აზრით ჭოროხთან) **ხალიბებ**ის ქყვეყანაში შესულა (იქვე, გვ. 41). ხალიბები რკინის მწარმოებლობით განთქმული ქართული ტომი იყო.

იქედან სამხრეთისაკენ შემობრუნებული ბერძნები **სკვითინებ**ის ქვეყანაში შესულან. თანამედროვე ქ. ბაიბერდთან ახლოს ყოფილა სკვითინების დედაქალაქი გვიმნიასი. თანამედროვე ზიგანას უღელტეხილიდან ბერძნებს ზღვა დაუნახავთ.

ზიგანასა და ტრაპეზუნტს შორის ბერძნები **მაკრონები**ს ქვეყანაში შესულან. ივ. ჯავახიშვილი მაკრონთა სატომო სახელს უკავშირებდა ეთნიკურ ტერმინებს მარგალი, მეგრელი. მართლაც, ძველი ქართული წყაროები ანდრია პირველწოდებულის მოგზაურობის შესახებ ტრაპეზუნტის სანახებს უწოდებენ „სოფელი მეგრელთა“, შესაძლოა ბერძნულ წყაროში ეწერა „ქვეყანა მაკრონებისა“, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვა „ლაზიკა“ ქართულში ითარგმნებოდა, როგორც „სოფელი მეგრელთა“. სტრაბონის დროს მაკრონები სანების სახელს ატარებდნენ (სტრაბონი, XII, 3, 18). აღსანიშნავია, რომ ქსენოფონტეს მიხედვით **სხვადასხვა ტომები იყვნენ კოლხები და მაკრონები. კოლხები** ტრაპეზუნტიდან ორდუმდე კოტიორამდე ცხოვრობდნენ, დ. მიქელაძის აზრით მაკრონებისა და კოლხების ქვეყნებს ერთმანეთისგან მდ. მაჩკა-დერე ჰყოფდა (თ. მიქელაძე, ქსენოფონტეს ანაბაზისი, გვ. 44).

კოლხების ქვეყანაში ტრაპეზუნტის გარდა კერასუნტიც მდებარეობდა. ორივე ქალაქი სინოპის კოლონიად ითვლებოდა. კერასუნტი თანამედროვე გირესუნად მოჩანდა. კერასუნტის სამხრეთით სტრაბონის სიტყვით ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა კონცხი იაზონია (იქვე, გვ. 46), რაც მიუთითებს, რომ **არგონავტების მითის კოლხიდა უფრო ტრაპეზუნტის მხარეებისაკენ ანუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია საძიებელი, ე.ი. იქ, სადაც ქსენოფონტეს დროს კოლხები ცხოვრობდნენ და არა დასავლეთ საქართველოში. თ. მიქელაძე წერს რომ ქსენოფონტეს ცნობა კოლხების ქვეყნის ტრაპეზუნტ-კერასუნტის რეგიონში არსებობის შესახებ უეჭველია,** რადგანაც ეს თავისი თვალით იხილა მან (იქვე, გვ. 135). იყვნენ **მთიელი კოლხებ**იც, ისინი ბერძნებს შეებრძოლნენ (იქვე, გვ. 138), მათი მეზობლები იყვნენ **დრილები,** ქართული ტომი, რომლის სახელი უნდა ჟღერდეს „თრიალეთის“ სახელში. შესაძლოა როგორც **კოლხები, ისე დრილებიც უფრო ჩრდილოეთით გადასახლდნენ შემდეგ საუკუნეებში. მათ გარდა ჩრდილოეთით, თ. მიქელაძის აზრით, გადასახლებულან სვანებიც,** ბერძნები დრილების შემდეგ **მოსინიკებ**ს შეხვდნენ. „არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ „მო-სინ“ სახელი გადმოცემდეს სვანურ სახელს **„არის მასალა, რომელმაც შეიძლება სვანების სამხრეთიდან მოსვლა დაგვიდასტუროს“** (იქვე, გვ. 138). ბოლოს ბერძნები **ტიბარენებ**ს შეხვდნენ მეგრელ-ჭანურ ტომს თ. მიქელაძის აზრით, თუმცა მეცნიერთა ერთი ნაწილი მათ იბერებთან აკავშირებს. აქედან ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ **იბერები და მეგრელ-ჭანები ერთი ეთნოსი, გაუდიფერენცირებელი ერთიანი ხალხი იყო ქსენოფონტეს დროს**, თუმცა კი ტომებად დაყოფილი. უფრო ადრე თუბალ-ტაბალებად ცნობილი ტიბარენების სომხეთში განსახლების საზღვარი მდ. თერმე-ჩაიმდე აღწევდა. ეს უნდა იყოს ცნობილი **თერმოდონტი,** სადაც თემესტიოსის სიტყვით კიდევ ერთი ფასისი ყოფილა. აქ ქ. ფასისის აკადემიაში უსწავლია მას.

აქედან ჩანს, რომ **ტრაპეზუნტიდან ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე ქსენოფონტეს ცნობით უმეტესად ქართული ტომები ბინადრობდნენ, რომელნიც პოლიტიკურად არმენიაში შედიოდნენ**. თუმცა არმენია სპარსეთის სამეფოს ერთ-ერთ ოლქს წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ X საუკუნეში ტაოელი, ბასიანელი და მიმდებარე ადგილების ქართველები მოქირავნეების სახით მსახურობდნენ ბიზანტიურ ჯარში (იხ. კოპალიანი, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობა XI ს-ში), მსგავსადვე

ქსენოფონტეს ეპოქაშიც „ქართველი ტომების ერთი ნაწილი აქემენიდური სპარსეთის ჯარში მოქირავნეებად მსახურობდა“ (თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 57).

ქართველ ტომთა ერთიანობის შესახებ უნდა მიუთითებდეს მათი სატომო სახელების ფუძეების იდენტურობა. მაგალითად, **კარდ** (კარდუხები), **ხალდ, ქალდ** (ხალდები), **ხალ**იბების ჭანური ტომი თ. მიქელაძის აზრით ცხოვრობდა მდ. ჰალისის აუზიდან მდ. ჭოროხამდე. **მდ. კელკიტი და არა მდ. რიონი უნდა იგულისხმებოდეს იმ მდინარე ფასისად, საითკენაც გაცურვა ისურვეს ბერძენმა ჯარისკაცებმა, რათა დაეპყროთ ფასიანთა ქვეყანა, სადაც „მაშინ აიეტის შვილიშვილი მეფობდა“** (იქვე, გვ. 113). მდ. კელკიტის ახლოს იყო ცნობილი **თერმოდონტი,** სადაც თემესტიოსის სიტყვით კიდევ ერთი ქ. ფასისი ყოფილა. ეს მეორე მდ. ფასისი მდ.კელკიტი უნდა იყოს. მასზე მდებარე ქალაქსაც ფასისი ერქვა, ხოლო მასზე მცხოვრებ ხალხს კი „ფასიანები“.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ **კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია ისტორიულად ქართველებით იყო დასახლებული, რომელთაც ეთნიკურ-ეროვნული ვინაობა შეუნარჩუნებიათ საუკუნეთა მანძილზე, ამიტომაც უწოდეს ბიზანტიელებმა მას XI ს-ში „იბერიის თემი“.**

კოლხ-სირიელები ანუ შავგვრემან-ხუჭუჭთმიანი ეგვიპტურენოვანი ხალხი (ძვ.წ.VIII-IV სს.)

მიგრაცია – მოსახლეობისა ბალკანეთიდან კავკასიისაკენ VI-IV საუკუნეებში – ერთერთი მთავარი თემაა ბერძენ-რომაელი ავტორებისა. უფრო ძველი ცნობებით, ბალკანეთიდან მცირე აზიაში მოსახლეობის გადასახლება დაწყებულა ქრისტეშობამდე XI ს-ში. IX-VIII სს-ში მცირე აზიაში ფრიგიელები გადმოსახლებულან, შემდგომ სხვადასხვა ტომები, ბოლოს კი თესალიელები, გალატები და მაკედონელები. თესალიელთა გადმოსახლების ანარეკლი უნდა იყოს არგონავტების მითი.

ქრისტეშობამდე IV-I საუკუნეების ისტორია შემონახული არა აქვთ ბერძენ-რომაელ მწერლებს.

მ. ბერძნიშვილი ამის შესახებ წერს – „მეოთხე საუკუნე და მისი მომდევნო ხანა ოდნავადაც არაა აღბეჭდილი ისტორიაში... როგორი მდგომარეობა სუფევს კოლხეთში ლიზიმაქეს შემდგომ ვიდრე ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდე, ამის შესახებ ჩვენ ისტორიულ წყაროებში არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება“ (მ. ბერძნიშვილი, ქ. ფაზისის ისტორიისთვის, 1969, გვ. 70).

უნდა ვიფიქროთ, რომ ამიტომაც არ აისახა წყაროებში სამხრეთიდან, კავკასიისაკენ, მოსახლეობის გადაადგილება, ანდა ბალკანური წარმოშობის მოსახლეობის მიგრაცია მცირე აზიის შუა რეგიონებიდან უფრო ჩრდილოეთით.

I-II საუკუნეთა ბერძენ-რომაელ ავტორებს იბერიელები, ალბანელები, ჩრდილო მიდიელები და ჩრდილო არმენიელები თესალიური, ანუ ბალკანური წარმოშობის ხალხად მიაჩნიათ იმით, რომ მათ მიიჩნევდნენ არგონავტების (თესალიელების) შთამომავლებად. მაგალითად, ტაციტუსი ალბანელების და იბერების შესახებ წერს – „ამბობენ, რომ თესალიელებისაგან არიან წარმოშობილნი“ („ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ“, 1973, გვ. 57). ამავე დროს კი მიაჩნია, რომ იბერები კოლხური ხალხია და იბერთა სამეფო დინასტია კოლხ-

ეთშია ჩამოყალიბებული (ა. ჯაფარიძე, დედა ღვთისმშობელი შემწე ქართული ენისა, 2008, გვ. 5).

მსგავსადვე, სტრაბონი და პლინიუს უფროსიც მიიჩნევენ, რომ იბერები კოლხების ქვეყნიდან შთამომავლობენ, აქ ჩასული იაზონისგან გამრავლდნენ. სტრაბონისა და სხვა ავტორთა აზრით, სამხრეთ კავკასიის, ჩრდილო არმენიისა და მიდიის მოსახლეობა ბალკანეთიდან მიგრირებული თესალიელების შთამომავლები არიან. აქეელთა და ჰენიოხთა შესახებ ამავე აზრისაა სტრაბონი (XI, II, 12 და XI, IV, 8). სტრაბონისა და სხვათა აზრით, თესალიელები (იაზონი და მისი გუნდის წევრები) ჯერ ჩავიდნენ კოლხეთში და ეთნიკურად შეცვალეს კოლხეთის მოსახლეობა, შემდეგ კი სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილო მიდიაშიც განივრცნენ, ანუ სტრაბონისა და სხვა ავტორთა აზრით, მოხდა დიდი გადმოსახლება ბალკანეთიდან კავკასიისაკენ იაზონის ეპოქაში, რის შედეგადაც შეიცვალა სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილო მცირე აზიის, ასევე ჩრდილო მიდიის ეთნიკური სახე. ამ მიწა-წყალზე დასახლდნენ ბალკანეთიდან წამოსულები. კოლხ-იბერები, ალბანელები, ჩრდილო სომხები და მიდიელები ბალკანურ-თესალიური წარმოშობის ხალხად მიაჩნდათ, როგორც უკვე აღინიშნა. რა თქმა უნდა, საკვლევია, ნამდვილად შეიცვალა თუ არა მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში, ჩანს, ძველ ავტორებს გააჩნდათ შესაბამისი მტკიცებანი. ერთ-ერთი შეიძლება იყოს ეთნიკური სახის სხვადასხვაგვარად დახატვა კოლხებისა ძველ და ახალ დროში – ადრე კოლხები შავკანიანიები, მუქკანიანები იყვნენ

ჰიპოკრატე (460-377) ასე აღწერს ფასიანების (კოლხების) გარეგნობას – „ფასიანები ტანმაღალნი და არაჩვეულებრივ სქელნი არიან. არ ემჩნევათ არც სახსრები და არც ძარღვები, კანის ფერი ყვითელი აქვთ, როგორც ზაფრათი დაავადებულებს, ხმა მეტად ტლანქი აქვთ, რადგან ისუნთქავენ არა სუფთა ჰაერს, არამედ შეხუთულსა და ნოტიოს. ბუნებით ნაკლებ ამტანნი არიან ფიზიკური შრომისა“ (**Латишев В. “Известия древних писателей греческих и Латинских о Скифии и Кавказе“, Т. 2, стр. 88**).

ჰიპოკერატესავე სიტყვით, ფასიანები სვამდნენ დუბელა, ტბორე და აშმორებულ წყალს, რომელიც თანდათან შეივსება ხოლმე წვიმით, ცხოვრებას ფასიანები ატარებენ ჭაობებში, სახლები ხისა ან ისლისა წყალში აქვთ ჩადგმული. ქვეითად (ე.ი. ფეხით) ნაკლებ დაიარებიან (მ. ბერძნიშვილი, ქ. ფაზისის ისტორიისათვის, გვ. 31).

მსგავსადვე აღწერს ძველ კოლხებს ძვ.წ. V ს. მეორე ავტორი ჰეროდოტე. მისი ცნობები უეჭველია, რადგან თვითონ პირადად იცნობდა კოლხებსა და ეგვიპტელებს, აინტერესებდა მათი ცხოვრება და ისტორია. გარდა ამისა, სხვებსაც ეკითხებოდა მათ შესახებ. ის წერს – „კოლხ-ეგვიპტელთა ნათესაობა მე მაინტერესებდა, ამიტომ ვეკითხებოდი კოლხებსაც და ეგვიპტელებსაც... კოლხები ცხადია ეგვიპტელები არიან, მე თვითონ მივედი ამ დასკვნამდე უფრო ადრე, ვიდრე ამას სხვისგან გავიგებდი“ (ჰეროდოტე, II, 104-105). მისი დაკვირვებით, კოლხებსა და ეგვიპტელებს ერთი სალაპარაკო ენა ჰქონდათ, მისდევდნენ ცხოვრების ერთნაირ წესებს, ერთნაირად გააჩნდათ წინდაცვეთის ჩვეულება, ერთნაირად ამზადებდნენ ტილოს, ამასთანავე, კოლხები ეგვიპტელებივით შავკანიანები (შავგვრემანები) და ხუჭუჭთმიანები იყვნენ.

აშკარაა, რომ **ძვ.წ. V საუკუნის კოლხები, როგორც ენით, ისე ეთნიკურად განსხვავდებიან შემდეგი საუკუნის კოლხებისაგან, რომელნიც**

უკვე არა სირიულ და ეგვიპტურ, არამედ ბალკანურ-თესალიური წარმოშობის ხალხად მიაჩდა ზოგიერთ ავტორს. მაგალითად, ძველი ზანტი და უძლური, მუქკანიანი კოლხების ადგილს იჭერს გამრჯე და ცქვიტი თეთრკანიანი ხალხი სწორედ ისეთნი, როგორიც დღეს არიან. მაგალითად, ახ. წ. IV საუკუნის ავტორის ავიენის სიტყვით, კოლხები არიან გამრჯენი იმდენად, რომ მოსავალს მაღალი კლდის ფრიალოებზეც კი სთესავენ (მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 31).

ახალი კოლხების სიცქვიტისა და უნარიანობის შესახებ მრავალი ავტორი წერდა. ფაქტია, რომ ძვ.წ. V საუკუნის კოლხების აღწერილობა მკვეთრად განსხვავდება შემდეგ საუკუნეთა ავტორების ცნობებისაგან, იცვლება არა მხოლოდ კოლხის გარეგნული სახე, არამედ საცხოვრისიც. კოლხეთის საზღვრები ინაცვლებს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (იქვე, გვ. 30).

ქართული ტომების მიგრაცია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ

ჩვენი ფიქრით, ძველი კოლხები, ყვითელ-მუქკანიანი, ზანტი, ტანმაღალ-სქელი, ამტანუუნარო, ეგვიპტურენოვანი, ხუჭუჭთმიანი ხალხი ცხოვრობდა თერმოდონტის სამხრეთით, იქ, სადაც იმჟამად აღწევდა სირიელთა განსახლების საზღვარი, ანუ ის რასობრივად იყო არაინდოევროპულ-არაკავკასიური ტიპის მოსახლეობა, ხოლო მალევე შემდგომ, ეს მოსახლეობა შეიცვალა ახალი - „ინდოევროპული კავკასიური რასის“ მოსახლეობით, რომელიც ძველი ავტორების მტკიცებით, გადმოსახლდა ბალკანეთიდან და ესახლებოდა მცირე აზიაში ძვ. წ. I ათასწლეულში უწყვეტი ნაკადების სახით. მართლაც, ზოგიერთი ბერძენ-რომაელი ავტორები კოლხებს უწოდებდნენ თეთრ სირიელებს (ლევკოსირიელებს) - **(Латищев В.“Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе“, I, 2, стр. 404)**.

რატომ თეთრი სირიელები? ალბათ იმიტომ, რომ ოდესღაც ძველი კოლხები ცხოვრობდნენ სირიელების გვერდით, რომელთა განსახლების საზღვარი აღწევდა თერმოდონტამდე მცირე აზიაში. ისინი, როგორც ვთქვით, არ იყვნენ „ინდოევროპელ-კავკასიელები“, არამედ მუქკანიანები, ხოლო იმავე ადგილზე მისული ახალი კოლხები კი თეთრკანიანები. სირიელებთან მეზობლობის გამო „თეთრსირიელები“. მართლაც, შემდეგ ძველი კოლხების ეთნოსახეცვლილება მოხდა (უუნარონი და უძლური შავკანიანი კოლხები გაქრნენ, მათ ადგილზე მოსულ ინდოევროპულ ბალკანელებსაც კოლხები უწოდეს და რომელნიც თავის მხრივ მიგრირებდნენ კავკასიის მიმართულებით).

ამ მოსახლეობის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიგრაციის საკითხი შესანიშნავად გამოიკვლია მაქსიმე ბერძნიშვილმა. ის წერს – „კოლხები ნელ-ნელა იხევდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ“ (მ. ბერძნიშვილი, ქ. ფასისის ისტორიისათვის, გვ. 30).

მართლაც, ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე ზღვისპირა ქალაქი **კერასუნტი ქრისტეშობამდე IV საუკუნეში ქსენოფონტეს დროს კოლხეთის მიწაზე ყოფილა** (ქსენოფონტე თავის ანაბაზისში წერს ბერძნული რაზმის შესახებ – **„მესამე დღეს ჩავიდა ელინურ ქალაქ კერასუნტში, რომელიც დაარსებულია სინოპელთა მიერ კოლხეთში“** (იქვე, გვ. 28).

კოლხეთში ყოფილა თვით ქალაქი ტრაპიზონიც. ქსენოფონტე ამის შესახე-

ბაც წერს – „**ბერძნები ჩავიდნენ ბერძნულ ქალაქ ტრაპიზონში კოლხების ქვეყანაში**“.

მ. ბერძნიშვილის კვლევით, ტრაპიზონის გარშემო რაიონი იმ პერიოდში სულ მცირე 25-27 კმ რადიუსში კოლხებით ყოფილა დასახლებული. იქ კოლხური სოფლები ყოფილა.

ასეთი იყო ვითარება ქრისტემდე IV საუკუნეში, მაგრამ ვითარება უკვე შეცვლილი იყო I საუკუნისათვის, **სტრაბონის დროს კოლხები უკვე ტრაპიზონის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ** (იქვე, გვ. 29).

ტრაპიზონი კოლხეთს ემიჯნება. **ტრაპიზონი კოლხეთისა და ტიბარანიის საზღვარზეა (იქვე, გვ. 30).**

კიდევ უფრო აღმოსავლეთით წანაცვლდა კოლხეთის საზღვარი ერთი საუკუნის განმავლობაში. მაგალითად, **არიანეს დროს კოლხეთი მდებარეობდა ტრაპიზონის აღმოსავლეთით დაახლოებით 50 კმ-ის დაშორებით** (გვ. 30).

„არიანე კოლხეთის საზღვრად ასახელებს მდ. ოფის, რომელიც ჰყოფს კოლხების ქვეყანას თიანიკესაგან“ (იქვე, გვ. 30).

მ. ბერძნიშვილმა დაასკვნა სამართლიანად – „კოლხები ნელინელ იხევდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ რომელიმე ძლიერი მეზობელი ტომის მიწოლის შედეგად“ (იქვე, გვ. 31).

მართლაც, საქმე ისაა, რომ არა მხოლოდ კოლხების მიგრაცია მიმდინარეობდა სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, არამედ თითქმის ყველა ტომისა. ესენი იყვნენ **კარდუხები, ტიბარენები, ხალდები, ტაოხები, ფასიანები, ხალიბები და ალბათ სვანებიც და სხვანი. მათი გადაადგილება თანამედროვე საქართველოსკენ არ შეწყვეტილა I საუკუნეშიც კი, და ჩანს, გრძელდებოდა მთელი I ათასწლეულის მანძილზე, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მაგალითად, ფასიანების ნაწილი შესაძლოა გადასახლდა არაქსის ხეობიდან რიონის ხეობაში, სვანები, რომელთაც სამხრეთით ვიდრე მდინარე ჭოროხამდე და მის ქვემოთაც უნდა ეცხოვრათ, გადასახლდნენ ჩრდილოეთის მთებში. თავის მხრივ, აფსილები მოძრაობდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, რომელნიც, ჩანს, სვანების ადგილს იჭერდნენ.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ფუძექართული ენის მცირედ დიფერენციაციის გამო, I ათასწლეულში ამ ტომებს საერთო ენა, (ენობრივი ურთიერთობის დაუბრკოლებელი საშუალება) უნდა ჰქონოდათ. **მოსხები, რომელნიც ადრე ვანის ტბის დასავლეთით ცხოვრობდნენ, ქრისტეშობამდე I ათასწლეულის ბოლოს ჭოროხის სათავეებთან აღმოჩდნენ. ასევე ხალდები, რომელთაც აქ ქალდები ანუ ჭანები ეწოდათ.**

მაშასადამე, ჩვენი ფიქრით, რომელსაც ზოგიერთი წყაროც ადასტურებს, ხდებოდა ბალკანური და სხვა წარმოშობის ტომების მიგრაცია მცირე აზიის ცენტრებიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. ამასთანავე, როგორც აღინიშნა, შესაძლოა, ამ დროს სახელოვანი კოლხების (და შესაძლოა ასევე სხვა) ტომის ეთნიკური ცვლილება მოხდა. კერძოდ, თუ კი ძველი კოლხები ბერძნული გაგებით აფრიკიდან მოსული ეგვიპტური წარმოშობის მუქკანიანი „შავები“, შავკანიანნი იყვნენ, შემდგომში ისინი უკვე თესალიელთა შთამომავლებად, ანუ ინდოევროპელებად მიიჩნევა. ამიტომაც წარსულის პოეზიაში ჩარჩა, ვთქვათ, ასე-

თი გამოთქმა: ქრისტეშობამდე VI საუკუნის პოეტის გამოთქმით, არგონავტებს ფაზისში დახვდათ შავკანიანი კოლხები – „მოვიდნენ ფაზისში, სადაც მათ თვით აიეტის წინაშე შავგვრემან კოლხებს ძალა უჩვენეს“ (იქვე, გვ. 123).

VI საუკუნის მწერლების პინდარის (518-442), ჰიპოკრატეს და V ს-ის ჰეროდოტეს მითითება კოლხების ყვითელი და შავ (მუქ) კანიანობის შესახებ, მთლიანად განსხვავდება ვთქვათ პირველი საუკუნის არიანეს მიერ დახატული სურათისგან, სადაც კოლხების მუქკანიანობის შესახებ უკვე არავინ წერს. პირიქით, მთელ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობას თესალიელების, ანუ ბალკანელების შთამომავლებად მიიჩნევდნენ.

ერთი სიტყვით, როცა კოლხები სამხრეთით, სირიელთა ახლოს ცხოვრობდნენ, თეთრსირიელებს უწოდებდნენ, ხოლო როცა ჩრდილოეთში გადასახლდნენ, სკვით-კოლხებს უწოდებდნენ მეზობლების სახელის მიხედვით (იქვე, გვ. 92).

თუ ძვ.წ. VI-V საუკუნეთა ავტორები კოლხებს ხატავდნენ მუქკანიან უნიათო და უძლურ ხალხად, ახ.წ. VI საუკუნის ავტორი ლაზებს ახასიათებს, როგორც ყოჩაღ და ცქვიტ, ძლიერ და მამაც ხალხს, ასე რომ, ეს ორი დახასიათება, ერთმანეთისაგან 1200 წლით დაშორებული, ძლიერ განსხვავდება. საფიქრებელია, რომ მართლაც დიდი ცვლილებები მოხდა. ახ.წ. VI საუკუნის ავტორის, აგათიას სიტყვით, ლაზები ხასიათდებიან „ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით“.

აგათიას ეპოქის და უფრო ადრინდელი ბერძენ-რომაელი მკვლევარები საგანგებოდ ეძებდნენ კოლხთა ტომს, მაგრამ მრავალ ტომთა ჩამონათვალში ისინი იმ ეპოქაში ან საერთოდ არ ჩნდებოდნენ, ანდა უმნიშვნელო ხალხს წარმოადგენდნენ, ბოლოს მიღებულ იქნა, რომ სწორედ ლაზები უნდა იყვნენ ის სახელოვანი კოლხები, რომელთა შესახებ მითები და ამბები ასე აღელვებდა ძველ ბერძენთა ფანტაზიას, ამიტომაც, მაგალითად, აგათიას სიტყვით, „ძველი კოლხები ახლა ლაზებად არიან შერქმეულნი, ისინი ვაჭრობაშიც დიდ აქტივობას იჩენენ, ზღვაოსნობენ და ვაჭრობენ კიდეც და დიდ სარგებელს ნახულობენ“ (მ. ბერძნიშვილი, გვ. 57).

მდ. ფაზისთან ეგვიპტის ფარაონ სეზოსტრისის მიერ ქვეყნის დასასახლებლად დატოვებული ეგვიპტელ-კოლხები სხვაგვარი ხასიათისანი იყვნენ, განსაკუთრებით კი ფასიანები, როგორც ითქვა, უხასიათონი, უუნარონი, უძლურნი, ახლა უკვე ახალი კოლხები, ანუ ლაზები ხასიათით უფრო ინდოევროპული წარმოშობის სკვითების ხალხს არის მიმსგავსებული. ბერძენ-ლათინ მწერლებთან – „არის შემთხვევა, როდესაც სკვითეთი და კოლხეთი იდენტურ ერებად არის წარმოდგენილი“ (იქვე, გვ. 93). ფაზისიც კი სკვითების ანუ კოლხეთის მდინარედ მიიჩნევა (გვ. 93).

ფრიგიულ-ქართული კავშირები (ძვ.წ. VIII-IV სს.)

ჰომეროსის „ილიადაში“ იხსენიებიან ფრიგიელები, როგორც ტროელთა მოკავშირეები.

მიიჩნევა, რომ ილიადა ძვ.წ. XIII-XII საუკუნეების ისტორიულ ვითარებას ასახავს, თუმცა ამჟამად ფიქრობენ, რომ „ილიადას“ ავტორს ძვ.წ. X-IX სს-ში უნდა ეცხოვრა, ხოლო პოემის ლიტერატურული გაფორმება ძვ.წ. VI-ს-მდე გრძელდებოდა.

ქსანთოს ლიდიელის მითითებით ფრიგიელები მცირე აზიაში ტროას ომის (ძვ.წ. XIII-XII სს. მიჯნა) შემდეგ მოვიდნენ (სტრაბო, XIV, 5, 39).

ამჟამად ფიქრობენ, რომ ფრიგიელები მცირე აზიაში ძვ.წ. X ს-ის შემდეგ, უფრო IX-VIII სს-ში მოვიდნენ.

ფრიგიის უძველესი დედაქალაქის გორდიონის ყორღანები ქრონოლოგიურად ძვ.წ. VIII-IV სს-ში ექცევა **(ნ. ხაზარაძე „ძველაღმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი 2001“**, გვ. 10).

ქსენოფონტე (ძვ.წ. IV) წერდა: „დიდი“ ფრიგიისა და „ჰელესპონტის“ ფრიგიის ანუ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი პოლიტიკური ერთეულის (იქვე, გვ. 22) შესახებ. „დიდი ფრიგია“ – კაპადოკიასა და ლიდიას შორის იყო მოქცეული.

ტროადა – ჰელესპონტის ფრიგიის შემადგენელი ნაწილი იყო (სტრაბო, II, 5,31). მას „მცირე ფრიგიასაც“ უწოდებდნენ. აქ მეფობდა მიდასი და, შემდეგ, ეს ქვეყანა გალატიელების ხელში გადასულა (სტრაბო, VIII, 1,2).

მუშქების ქვეყნის მეზობლად თაბალის ქვეყანა მდებარეობდა (გვ. 39). **მუშქების, იგივე ფრიგიელთა მეფე მითა მეგობრობდა თაბალის მეფესთან.**

თაბალის მეზობელი იყო ქვეყანა „ქუე“ (აქედან ხომ არ არის ქართული სიტყვა „ქუელი“, კეთილი, კეთილშობილი კაცი).

მუშქები იგივე მუსქები იხსენებიან ასურულ წარწერებში.

ბიბლიაშიც „იავანი, თობელი და მეშეხი“ ერთად იხსენიებიან, იავანი – ბერძნების წინაპრად, თობელი და მეშეხი-ქართველებისა. მეშეხი და მუშქები ერთ ხლხად მიიჩნევა.

თაბალის ქვეყანა დიდი კაპადოკიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა (იქვე, გვ. 43)

ფრიგიელებს თავიანთი ანბანი ჰქონდათ - „ძველი ფრიგიული“, ის ძველი ბერძნულისგან წარმომდგარად მიიჩნევა, კერძოდ, დასავლური ბერძნულიდან. თავის მხრივ, ბერძნული ანბანის ფორმირება ფინიკიურიდან დაიწყო ძვ.წ. IX ს-დან, ხოლო არქაული ბერძნული ანბანი ჩამოყალიბდა ძვ.წ. VIII ს-ში. თავიდან ჩამოყალიბდა „აღმოსავლური“ და „დასავლური“ ბერძნული ანბანი. აღმოსავლურისგან შეიქმნა კლასიკური ბერძნული ანბანი.

მუშქების ქვეყანაში გაედინებოდა მდ. ჰალისი (გალისი, ყიზილ-ირმაკი). შესაძლოა ამ მდინარის სახელის გამო ჰალისის რეგიონში მცხოვრებ მუშქებს დაერქვათ „ჰალიძონები“ (ალიზონები, ალაძონები), რომლებსაც ტროას ომში მიუღიათ მონაწილეობა ჰომეროსის თხრობით. სტრაბონის მტკიცებით კი ეს ალიზონები შემდგომ ხალიბებად იწოდნენ, მათ ასევე ქალდებსაც უწოდებდნენ. სიტყვა ქალდი სახელ „ქართველს“ დადებია საფუძვლად.

ფრიგიას „მუშქების ქვეყანა“ ეწოდებოდა. ძვ.წ. VIIIს-ში. ფრიგიის სამეფოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონია კილიკიასთან და მახლობელ ქვეყნებთან

საკუთარი სახელი **„გორდი“** – ფრიგიული წარმომავლობისად მიიჩნევა.

„გურდი“-„გორდი“ რქმევია თილ-გარიმუს მეფეს.

ცნობილია, რომ „გორდიოსი“ ფრიგიის მეფეთა დინასტიური სახელწოდება იყო. „გორდ“ ძირიანი ტოპონიმები („გორდიონი“, „გორდუტეიხოსი“, „გორდორუნიოსი“, „გორდუკომე“, მანეგორდუსი“ და სხვ.) საკმაოდ გავრცელებული იყო დიდი ფრიგიის ტერიტორიაზე (იქვე, გვ. 74).

„გორდუ–ტეიხოსი“
„გორდო–რუნიოსი“
„გორდუ–კომე“
„მან–**გორდუ**–სი“

ჩანს, ფრიგიას ერქვა არა „გორდ“, არამედ **„გორდუ“** (გორდო), აქედანვე უნდა იყოს ქართველთა თვითსახელწოდება **გორდუელი, ანუ ქორთუელი-ქართველი**, ან, როგორც ითქვა, „გალატო“-დან.

ეს „გალატო“-ც შესაძლოა იყო ევროპიდან შემოსული იმავე ფრიგიელების შორეული თვისტომნი გალები. ცნობილია, რომ „გალებს“ მცირე აზიაში „გალატო“-ები ეწოდათ.

შესაძლოა გორდუსგანაა ნაწარმოები პონტოსპირა ხალდების სახელიც. ხალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ სტრაბონის ცნობით..

ძვ.წ. II ათასწლეულის შემდგომ გვიანხეთების წარწერების პერიოდში, მცირე აზიაში აღმოჩენილია ლუვიურ-იეროგლიფური წარწერები. ისინი თარიღდებიან ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით. ამ წარწერებში ჩანს, რომ ლუვიაში, ლუვიის გვერდით არსებობდა „მუსკების ქვეყანა“ – სუვერენული პოლიტიკური ერთეული. ფრიგიელთა ტერიტორიაზე „ლუვიას“ ქვეყნის გვერდით ან **„ლუვიას“ ქვეყნის საზღვრებში ყოფილა მოქცეული „მუსკების ქვეყანა“ IX-VIII საუკუნეებში** (გვ. 129).

აქ საინტერესოა, რომ ეტიმოლოგიურად სახელი „ლუვია“ ახლოა „ლიბიასთან“. ძველი ბერძნული და ასევე სომხური წყაროების ცნობით ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა თავისი ქვეყნიდან აყარა და პონტოსპირეთში დაასახლა „იბერთა ტომი“, რომელიც იქამდე „ლიბიასთან“, ლიბიის ქვეყნის გვერდით ცხოვრობდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქრონოლოგიური თანხვედრის გამო **„იბერთა“ ტომი უნდა იყოს ის „მუშქები“, რომელნიც ცხოვრობდნენ „ლუვიას ქვეყანაში“ ანუ ლიბიაში.**

აქამდე, როგორც ცნობილია, აღნიშნულ ლიბიას აიგივებდნენ აფრიკასთან და ბერძნულ ცნობას უგულებელყოფდნენ.

თუ ლუვია იგივე ლიბიაა, ხოლო იბერები აღნიშნული მუშქები, ლუვიის ქვეყანაში მცხოვრებნი, აღმოჩნდება, რომ საქართველოს ისტორიისთვის რეალური ახალი წყარო იქნა მოპოვებული.

ასურული წყაროებით, მუსკები მნიშვნელოვანი ხალხი იყო, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ სხვა ხალხების საცხოვრისს მუსკების ქვეყნის მიხედვით განსაზღვრავდნენ, მაგალითად, ასურულ ლურსმულ წარწერებში იხსენიებიან ხალხები (ტაბალები, ტუნა, ტუხან, ქუე), რომლებიც „დასავლეთის მუსკების“ გვერდით ცხოვრობდნენ (გვ. 137). „მუსკების ქვეყანას“ ასევე ეწოდებოდა „მთიანი მხარე“.

„იეროგლიფურ-ლუვიური ენა ლურსმნული ლუვიურის ახლო მონათესავეა. ლუვიურთან ერთად ინდოევროპული ენების ანატოლიურ (ხეთურ-ლუვიური) ჯგუფის ლუვიურ ქვეჯგუფს ქმნის“ (გვ. 145).

იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები, როგორც ითქვა, მოიხსენებენ „მუსქების ქვეყანას“. ერთ-ერთში ლუვიის მბრძანებელი ამბობს: „მე განმადიდეს ეგვიპტეში, ბაბილონში, მუშქების და სირიელების ქალაქებში“ (გვ. 149), აქედან ჩანს, რომ მუშქები თავიანთი მნიშვნელობით დგანან ეგვიპტელების, ბაბილონელების და სირიელების გვერდით.

მუშქების, იგივე მუსქების სახელწოდებას, როგორც წესი, უკავშირებენ

ფრიგიელებისა და ქართული ტომის – მოსხების სახელწოდებას. უფრო მეტად – მოსხებისა, თუმცა არის ცდა, დაუკავშირონ პროტოსომხებს (ი. დიაკონოვი) (გვ. 161).

ლუვიური ერთერთი მითის თანახმად, მოკვდავ-აღორძინებადი ღვთაება ტელეფინუს სიმბოლო (ნიშანი) – ეიას ხეზე უნდა ჩამოეკიდათ მისდამი მსხვერპლშეწირული ცხვრის ტყავი (საწმისი), **ანუ, ოქროს საწმისის მითი არა მხოლოდ კოლხეთში, არამედ უფრო ადრე ლუვია-მუშქების ქვეყანაში იყო ცნობილი.**

გვიანხეთური ხანის (ძვ.წ. IX-VIII სს) სამეფო სამთავროთა და მათ შორის თაბალისა და მუშქების ქვეყნის პანთეონში ყველაზე პოპულარული იყო თარხუნთი – ტარხუნთი – „ცის ღვთაება“. ეტიმოლოგიურად ამ სიტყვასთან ახლოა ქართული „ტაროსი“, მაგალითად. ქართულ მითებში ამირანის საცოლის ყამარის მამა ცაშია, ცის მეუფეა, რომელსაც ტაროსის შეცვლა შეუძლია, კერძოდ, წვიმის მოყვანა.

საერთოდ, ყამარის ხასიათი მიაგავს არგონავტების მითის კოლხეთის მეფის ასულის მედეას ხასიათს, კერძოდ, ყამარი მედეას მსგავსად ღალატობს თავის ოჯახს, თავის მამას და მიჰყვება ამირანს. არგონავტების მითის სიუჟეტის მიხედვით იასონს დაედევნება მედეას მამა, ამ დროს მედეა ეხმარება იასონს და აკვლევინებს თავისიანებს, ასევე, მსგავსად - ყამარი ეხმარება ამირანს, რათა მან მამამისი (ე.ი. საკუთარი მამა) მოკლას – „მაღლა ნუ კი სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა, დაეჭრებიან ძარღვები დაეცემიან ძიროსა“ – ურჩევს ყამარი ამირანს, თუ როგორ მოკლას მამამისი. ყამარის მამა ამბობს ამის გამო: „უყურე ბოზსა ქალასა ქმარი ირჩია მამასა“ და სწორედ ასეთივეა მედეას ხასიათი. **შესაძლოა, ის ბერძნული მითები, რომელნიც კოლხეთის შესახებ შეითხზა – მოსხების (მუშქების) ქვეყანასთან იყოს დაკავშირებული.**

მართლაც, „მოსხები – კოლხური ტომია“ – წერდა ამ ეპოქასთან ყველაზე ახლოს მდგომი ქრისტეშობამდე VI საუკუნის ავტორი ჰეკატოს მილეტელი.

ჩანს, **ნაბუქოდონოსორის მიერ პონტოსპირეთში ლუვია-ლიბიის მეზობელი იბერების ანუ იგივე მუშქების გადმოსახლების დროს (თუ მათ მიერ ადგილმონაცვლეობისას) მათ კავკასიაში თან წამოიღეს ძველი მითებიც.**

აღსანიშნავია, ისიც, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, მოკვდავ-აღორძინებად ღვთაებას - ტელიფინუ ერქვა, ივანე ჯავახიშვილის რკვევითაც, სვანეთში ერთერთი რიტუალის დროს წარმოთქვამენ ტელეფიას სახელს – „მელია-ტელეფია“. თუ ეს ასეა, უნდა ვთქვათ, რომ სვანები, ისევე როგორც სხვა ყველა ქართული ტომი, მუშქების – მოსხების მემკვიდრეები არიან.

ჩანს, „მოსხები“ იყო ის ეთნოსუბსტრატი, რომელიც კავკასიაში ჩამოყალიბდა ქართველ ხალხად და რომლიდანაც წარმოიშვა ქართველთა ტომები ე.წ. „ქართები“, „ზანები“ და „სვანები“. ძველი ბერძენი ავტორების ცნობები, რომ იბერიის და შავიზღვისპირეთის ტომები ბალკანური წარმოშობისაა, მაგალითად, რომ ისინი იაზონის შთამომავლები არიან, შეიძლება მიგვითითებდეს, რომ ბალკანეთიდან და მცირე აზიიდან ფრიგიულ-მესხური ტომების დენა გრძელდებოდა დიდხანს.

ადელლა ბილისა და ო. ლორთქიფანიძის განსხვავებული მოსაზრებანი კოლხეთის შესახებ

ჩვენს ერამდე VI-IV სს-ში "კოლხური ეროვნების" არსებობას იმით ამტკიცებენ ჩვენი მეცნიერები, რომ "ძვ.წ. VII-VII სს-ში ჩამოყალიბდა ახალი ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეული, მთელ ანტიკურ სამყაროში ფართოდ ცნობილი კოლხეთის სამეფო, რომელსაც ჰეროდოტე ახლო აღმოსავლეთის დიდი მონარქების - მიდიისა და აქემენიდების ირანის გვერდით იხსენიებს" (ქსე, ტ.5, გვ. 596).

მსგავსი ისტორიული ფაქტის შემცველი ცნობები ჰეროდოტესთან არ გვხვდება. ეროდოტე თავის თხრობას იწყებს თქმულებებითა და მითებით, აქ მეფის ასულ ევროპეს მოტაცების ეპოსის (მითის) გადმოცემის შემდეგ მოგვითხრობს, როგორ მოიტაცეს არგონავტებმა მედეა "კოლხიდაში". ამის სანაცვლოდ "კოლხთა მეფემ გაგზავნა ელადაში მოციქული" (ჰეროდოტე, I, 2). ასე, რომ "კოლხთა მეფე" ჰეროდოტესთან და საერთოდ ბერძნულ წყაროებში მხოლოდ მითებთანაა დაკავშირებული, "კოლხთა მეფე" ან "კოლხეთის მეფე" სხვაგან არსად აღარ გვხვდება ჰეროდოტეს ვრცელ თხზულებაში, თუმცა კი კოლხეთს საკმაოდ ხშირად იხსენიებს.

უცხოური ისტორიოგრაფია მიიჩნევს:

"კულხა არ იყო თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, რომ კოლხეთიც მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დავუკავშიროთ დასავლეთ საქართველოს. ძველი ბერძნული კოლხეთის პირვანდელი მნიშვნელობა მოიცავს არა მხოლოდ ურარტულ კულხას, არამედ ზოგადად შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ტერიტორიას, კერძოდ, კი დღევანდელი თურქეთის სინოპსა და ტრაპიზონს შორის. ბერძნული კოლონიზაციის განვითარებასთან ერთად იცვლება აგრეთვე კოლხეთის ცნების გაგებაც - ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ მდინარე ფაზისი (რიონი) წარმოადგენს კოლხეთის ჩრდილოეთ საზღვარს. კოლხეთი დასახლებულია სხვადასხვა ტომებით, მათ შორის მოსხებით, მაკრონებით, მოსინიკებით, თვით კოლხებით, მარებით, ტიბარანებით და სხვა ტომებით, კოლხეთი არაა ერთი ეთნოსი" **(ადელლე ბილლი, საქართველოში აღმოჩენილ სამარხთა კვლევა, ბონი, 2003წ. კრებულში "ამირანი", IX², 2003, გვ. 55-60).**

ჰეროდოტეს ეპოქაში სემიტური ტომები ჩრდილოეთით უფრო ვრცლად იყვნენ განსახლებულნი, ვიდრე შემდგომ. მაგალითად, ჰეროდოტესთან სირიელებსა და პაფლაგონიელებს შორის საზღვრად მდ. ჰალისი ითვლება, რომელიც ისტორიულ კოლხეთთან ახლოს მიედინებოდა. ჰეროდოტეს კოლხები კანის ფერის, თმის სახეობისა და ენის მიხედვით ასევე სემიტურ ან სამიტურ ტომად მიაჩნია და არა ინდოევროპელებად. ზემოთ ჩამოთვლილ ტომებს ის სემიტებს უკავშირებს, ასევე თავდაპირველ კოლხებს აკავშირებს არა ევროპულ, არამედ მუქკანიან რასასთან. ის წერს - „ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან... რადგან კოლხები შავგვრემანები არიან ხუჭუჭთმიანები... ეგვიპტელებსა და კოლხებს ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის" (ჰეროდოტე, VII, 72). მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი, ეგვიპტელები ევროპელებისაგან განსხვავდებოდნენ რასობრივად კანის მუქი ფერით და თმით. ასევე კარგადაა ცნობილი ისიც, რომ ამჟამინდელი „კავკასიური რასა", უფრო ზუსტად კი დასავლეთ საქართვე-

ლოს მოსახლეობა განეკუთვნება სამხრეთევროპულ რასას და არავითარ შემთხვევაში მუქკანიან სემიტურ ან ქამიტურ რასას. ამიტომაც ჰეროდოტეს „კოლხები“ რასობრივადაც კი განსხვავდება თანამედროვე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისაგან.

მეორე ბერძენი ავტორი სტრაბონი ასევე საგანგებოდ აღწერს კოლხეთს. სტრაბონის მიხედვით ქრისტეშობამდე I საუკუნეში კოლხეთი წარმოადგენდა კრებით სახელს მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა - ტრაპიზონიდან - ბიჭვინთამდე. ამ ეპოქის ბერძნული წყაროებით კოლხეთი არ აღნიშნავდა ეთნოსს, არამედ ბერძნულ წყაროებში სიტყვა „კოლხეთი“ გეოგრაფიული მნიშვნელობით იხმარება. როგორც ჩანს, ეს ცნობილი ფაქტია დასავლეთ ევროპული სამეცნიერო წრეებისათვის, ამიტომაც ჩანს, წერს კიდეც ამ საკითხის შესახებ ცენტრალურ ევროპაში მოღვაწე მეცნიერი, რომელმაც პირადად შეისწავლა ქართველ მეცნიერთა მოსაზრებანი აღნიშნულ საკითხზე - **„ქართველი მეცნიერები ცდებიან, როცა სიტყვა „კოლხეთით“ ეთნოსს აღნიშნავენ, „კოლხეთი გეოგრაფიული მნიშვნელობით იხმარებოდა ბერძნულ წყაროებში!“ (ადელლე ბილლი, საქართველოში აღმოჩენილ სამარხთა კვლევა, ბონი, 2003წ. კრებულში “ამირანი”, IX², 2003, გვ. 55-60).**

ევროპელ მეცნიერთა თვალსაზრისი ეს მთლიანად ეთანადება ძველ ქართულს, ქართულ საისტორიო წყაროებში მუდამ ხაზგასმით მითითებულს, რომ დასავლეთ საქართველოში არ ცხოვრობდა ადგილობრივ-კოლხური ეთნოსი, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო ისტორიულად მუდამ ერთი ეთნოსით, ერთი ხალხით, ერთი ეროვნებით იყო დასახლებული და ეს იყო ქართველი ხალხი, რომ დასავლეთ საქართველოს საერისთავოებში მცხოვრები მოსახლეობა იმთავითვე ქართველი ხალხის განუყოფელი ნაწილი იყო - იგულისხმება - გურულები, ეგრისელები, მარგველები, თაკვერელები თუ სვანები ბუნებით ქართველები იყვნენ და მათ ამიტომ „ქართიზაცია“ არ ესაჭიროებოდათ, რამეთუ თვითვე იყვნენ ე.წ. „ქართებიც“ და ქართველებიც. ამის ახსნას იძლევა ივ. ჯავახიშვილი, მიაჩნია, რომ ქართველთა უძველეს სამშობლოში კარდუში ერთ ერად იყო ფორმირებული შემდეგდროინდელი სვანები, ჭანები, მეგრელები და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა. ისინი იმთავითვე ერთი ეროვნება, ერთი ქართველი ერი იყვნენ.

თუ არსებობდა კოლხეთის სამეფო - თავისთავადი სახელმწიფო, ცხადია, აქ შესაძლებელი იყო კიდეც „კოლხების ეროვნების“ ფორმირება, როგორც ამას მიიჩნევს საბჭოური ისტორიოგრაფია. ნამდვილად არსებობდა „კოლხეთის სამეფო“? თანამედროვე ევროპის ისტორიოგრაფია ამბობს - კოლხეთის სამეფო არ არსებობდა - წყაროებით ეს არ დასტურდება, ამიტომაც წერს ევროპელი მეცნიერი: - **„ცდებიან ქართველი მეცნიერები, როცა კოლხეთის სამეფოს არსებობას ფაქტად მიიჩნევენ! კოლხეთი სამეფოდ მოიხსენიება მხოლოდ არგონავტების ეპოსში, სტრაბონი სამეფო დინასტის არსებობას მხოლოდ იბერის აღწერისას მოიხსენებს და არა კოლხეთის აღწერილობისას“ (ადელლე ბილლი, საქართველოში აღმოჩენილ სამარხთა კვლევა, ბონი, 2003წ. კრებულში “ამირანი”, IX², მონრეალი-თბილისი, 2003, გვ. 55-62).** ის კვლავ იმეორებს - **„ცდებიან ქართველი მეცნიერები, როდესაც „კოლხურ თეორს“ კოლხეთის სამეფოს არსებობის დამადასტურებელ ფაქტად მიიჩნევენ** (იქვე, გვ.60).

თანამედროვე ევროპული ისტორიოგრაფიის მსგავსად, ძველი ქართული ისტორიოგრაფია საერთოდ არ იცნობს „კოლხეთის სამეფოს“. ჩვენი წინაპრები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთი ერი (ეროვნება) იყო. ამიტომაც შექმნა მან ერთიანი სახელმწიფო ფარნავაზის დროს.

ამჟამად არსებობს ორი თეორია ქართველი ერის ჩამოყალიბების შესახებ. პირველი არის ძველქართული, რომელიც ამტკიცებს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთიან ერს წარმოადგენდა ქრისტეშობამდე საუკუნეებით ადრეც, მეორე კი არის ე.წ. „ქართიზაციის“ თეორია, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა კოლხური და „ქართის“ ეროვნებები და ამ უკანასკნელმა შეძლო ახალი ეროვნების ფორმირება. საქართველოს წმიდა ეკლესიის მამები და მემატიანეები არასდროს იზიარებდნენ ამ თეორიას და მათთვის სწორედ პირველი თეორია წარმოადგენდა ჭეშმარიტებას.

ო. ლორთქიფანიძე კოლხეთის შესახებ („არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“, თბ. 1986).

არგონავტები

ო. ლორთქიფანიძე არგონავტების შესახებ წერს შემდეგს: -

1. არგონავტების თქმულებას იცნობდა ჰომეროსი (**ო. ლორთქიფანიძე „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“, თბ. 1986,** გვ. 15), ის ახსენებს იასონს („ილიადაში“) და აიეტს (ოდისეაში) (აიეტი, ჰომეროსის თქმით, ჰელიოსის (მზის) შვილია, ჰელიოსი კი ოკეანემ წარმოქმნა), ახსენებს ასევე არგოს, მაგრამ **ჰომეროსი არ იცნობს კოლხეთს**. ის ოქროს საწმისის ქვეყანას უწოდებს „აიეტის ქვეყანას“. „ჰომეროსთან არ იხსენიება მედეა, კოლხეთი, ოქროს საწმისი“ (რ. ჰენიგი). ე.ი. „კოლხეთი“ და „ოქროს საწმისი“ არგონავტების მითში ჩასმულია ჰომეროსის, ე.ი. VIII ს-ის შემდეგ.

ჰომეროსამდე არსებობდა „ფოლკლორული არგონავტიკა“. ჰომეროსის პოემების საბოლოოდ გაფორმება მოხდა ძვ.წ. IX-VII ს.ს. (**ო. ლორთქიფანიძე „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“, თბ. 1986,** გვ.16).

ჰომეროსის გარდა არგონავტებს იცნობს ბერძნული ე.წ. „კიკლიკური პოეზია“ (ძვ.წ. VIII-VII სს.). არგონავტებს იცნობს ჰესიოდე (ძვ. წ. VIII-VII სს.) – „ელინური რელიგიისა და მითოლოგიის სისტემატოლოგი“ (გვ. 17). მისი პოემა „თეოგონია“-ში იხსენიება „ჰელიოსის ძე აიეტი“ და „მედეა“, იასონისა და მედეას ვაჟი მედიოსი, მდ. ფასისი. ასევე VIII-VII სს. სხვა ავტორთა თხზულებებში (იქვე, გვ. 18).

„არგონავტების თქმულების უძველესი ბირთვი შექნილია მიკენურ ხანაში“ (ძვ. წ. II ათასწლეული), საფუძვლად დასდებია მიკენური, ანუ აქეური პერიოდის ზღვაოსანთა I მოგზაურობა ძალზე შორეულ ქვეყნებში (ე.ი. ტროას ომის (ძვ. წ. XIII, 40-30-იანი წლები) უწინარეს), ხოლო თქმულების ჩაწერა მოხდა ძვ. წ. VIII-VII სს. (ამ დროს გაჩნდა თქმულებაში სიტყვა „კოლხეთი“ ან უფრო აქეთა პერიოდში) – ე.ი. VI-V სს-ში (იქვე, გვ.30).

სახელწოდება „კოლხეთი“, სახელწოდება „აია“ პირველად მხოლოდ ძვ.წ. VII-VI სს. ტექსტში იხსენიება. აიეტი ნიშნავს აიას მკვიდრს. „აია“ იგივეა, რაც „აიაია“. ჯერ „აია“ – შემდეგ „კოლხეთი“, ძველი კომენტატორების ცნობით, თუმცა მათ ო. ლორთქიფანიძე არ ეთანხმება, და აიას მიიჩნევს აიეტის ქვეყნად, აიაიას მისი დის – კირკესი.

„აიაელი კირკე-ტირენიის კუნძულ აიაიადანაა ანდა კოლხეთის აიაიადან“, – წერდა ჰომეროსის ერთ-ერთი ძველი კომენტატორი.

ასე რომ, „აია“, „აიაია“ მდებარეობდა სხვადასხვა ადგილას – ტირენიის კუნძულზე (ილირია – იტალიასთან), ანდა კოლხეთში ან სხვა მხარეს (იქვე, გვ.30).

აია – შემდგომში, ზოგიერთმა ავტორმა კოლხეთში მოიაზრა. ს. ყაუხჩიშვილი წერდა – „აია კოლხეთის ძველი სახელწოდებაა – „კოლხიდა“ შედარებით ახალი“. მაშასადამე, სახელწოდება „კოლხიდა“ ახალია, ანუ „აია“ იხსენიება VII-VI ს-დან, „კოლხიდა“ დაახლოებით V-დან. ჰეროდოტე წერს – „აია-კოლხიდა“. მაშასადამე, უფრო ძველი წყაროებით არგონავტებმა ილაშქრეს არა კოლხეთში, არამედ „აიაში“, კიდევ უფრო ადრე „აიეტის ქვეყანაში“, მხოლოდ გვიან „აიას“ ნაცვლად დაწერეს „კოლხიდა“.

აპოლონიოს როდოსელი წერს – „აიას ქალაქი კუტაია“, – „კუატაია“, „კუატია“ ახლაც ჰქვია აჭარაში ერთ სოფელს (ჭოროხის ხეობაში) (იქვე, გვ.32).

არგონავტების თავდაპირველ მითში არ იხსენიებოდა „კოლხიდა“ და „ოქროს საწმისი“. ამის დამამტკიცებელი დოკუმენტებია ჰომეროსისა და ჰეროდოტეს თხზულებები, რომელნიც არ იცნობდნენ „კოლხიდას“ და სხვა ჩვენთვის ცნობილ თავისებურებებს (იქვე, გვ. 33).

გერმანელი მეცნიერის რ. ჰენიგის მტკიცებით – „კოლხეთი და ოქროს საწმისი ჩართულია მითში უფრო გვიან. როდესაც განხორციელდა მდ. ფასისისაკენ ბერძენთა დაზვერვები, ეს მოხდა ძვ.წ. VIII საუკუნეში, იმის შემდეგ ჩართო არგონავტთა მითში – „კოლხეთში ლაშქრობა“, „საწმისის მოტაცება“ და მთელი პოეტური შენათხზი (ა. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი“, 1964, გვ. 18).

კორინთო – საბერძნეთის ქალაქი – **აიეტის**, კოლხეთის მეფის საკუთრება, მისი მამული იყო, ამიტომაც მედეას სურდა კორინთოს გამგებლობა – მეფობა კორინთოში. კორინთელები წინააღმდეგნი იყვნენ მედეას გამეფებისა, ამიტომაც დახოცეს მედეას შვილები, მედეამ, თავის მხრივ, უფრო ადრე მოწამლა კორინთოს გამგებელი კრეონტი, რადგან თვითონ სურდა მისი ტახტის დაჭერა – ძვ. წ. III ს, ბერძენი კომენტატორი პარმენიკე წერდა – „მედეას ბავშვები მოკლეს კორინთელებმა, აღშფოთებულებმა იმით, რომ მედეას მათზე მეფობა უნდოდა, ვინაიდან **კორინთო მისი მამისეული ხვედრი იყო**“ (იხ. ა. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი“, გვ. 40).

აქ საინტერესოა, რომ **კორინთო – აიეტის ქვეყანაა**, ამიტომ, ცხადია, კორინთო ახლოს მდებარეობდა აიეტის უმთავრეს ქვეყანასთან (ე.ი. შემდეგდროინდელ „კოლხეთთან“), აქედან ჩანს, რომ „აიეტის ქვეყანა“ გეოგრაფიულად ახლოს იყო ძირითად საბერძნეთთან, ამიტომაც ჩანს აიეტის ქვეყანა (სამეფო) მცირე აზიის სანაპიროზე მდებარეობდა, ბოსფორ-დარდანელის სრუტესთან ახლოს.

ბალკანეთში, შემდეგდროინდელი თესალიის ტერიტორია თავდაპირველად პელაზგებით იყო დასახლებული, მიგრაციის პერიოდის შემდეგ ძვ. წ. XI-X სს-დან აქ დასახლდნენ თესალიელები (და ბეოტელები), ამ ტერიტორიაზე ისინი

ნამდვილად ცნობილნი არიან ძვ.წ. VIII-VII სს-დან (**ო. ლორთქიფანიძე „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“, თბ. 1986,** გვ. 33), რომელნიც შემდგომ დაიძრნენ მცირე აზიისაკენ.

რ. ჰენიგი წერს, რომ არგონავტების მითში „კოლხეთი“ და „ოქროს საწმისი“ ჩართულია უფრო გვიან, როდესაც განხორციელდა მდ. ფასისისაკენ ბერძენთა ლაშქრობები ძვ. წ. VIII ს-დან, „რადგანაც ჰომეროსთან არ იხსენიება „მედეა“, „კოლხეთი“, „ოქროს საწმისი“.

„არგონავტიკა საკოლონიზაციო მოძრაობის „იდეოლოგიის“ გარკვეული გამოხატულებაა. ამდენად, მისი გეოგრაფიული გარემო კოლონიზაციასთან ერთად ფართოვდება.

ბერძნული კოლონიების – ფასისისა და დიოსკურიის დაარსება არაუადრეს ძვ. წ. VII ს. არის ზღვარი „აიეტისა“ და „კოლხეთის“ ლოკალიზაციისთვის კავკასიაში, ე.ი. **შესაძლოა, ბერძნულ სამყაროში იხმარებოდა სიტყვა „კოლხეთი“ ან „აიეტი“, მაგრამ ის არ უკავშირდებოდა შავი ზღვის კავკასიურ სანაპიროს, მხოლოდ ბერძნული კოლონიების დაარსების შემდეგ შავი ზღვის კავკასიურ სანაპიროზე მასთან იდენტიფიცირდა „კოლხეთი“, აიეტი** და სხვა (ლ. ელნიცკი).

„არგონავტების შესახებ თქმულების უძველეს ვერსიებში აია, ე.ი. აიეტის საბრძანებელი ჯერ კიდევ არ იყო დაკავშირებული კოლხეთთან და გაიაზრებოდა, როგორც რაღაც იდუმალი ქვეყანა, სადღაც სამყაროს სულ უკიდურეს ნაწილში მოქცეული (იქვე, გვ. 33. ა. ლესკი, გერმანელი მეცნიერი).

„ძვ. წ. VIII საუკუნემდე ბერძნები არ იცნობდნენ კოლხეთს.

არგონავტებთან დაკავშირებული სიუჟეტები ანალოგიას პოვებენ ძვ. აღმოსავლეთის მითოლოგიაში, აიასთან დაკავშირებული ტერმინები კი შუამდინარეთის ხალხთა ენებში“.

– „არგონავტიკის უძველესი ვერსიით „აია“ მითიური ქვეყანაა სადღაც ქვეყნის დასასრულში მდებარე და მას საერთო არაფერი აქვს კოლხეთთან, გვ. 34 (ფ. ჰაასი, გერმანელი ხეთოლოგი).

ხეთური წყაროებით, ხეთებისათვის ვერძის ტყავი იყო სამეფოს კეთილდღეობის გამსაზღვრელი საგანგებო ძალის ფეტიში, ხეთური საწმისი მუხის ხეზეა ჩამოკიდებული.

ფ. ჰაასის – გერმანელი ხეთოლოგის დასკვნა – „თქმულება ოქროს საწმისის შესახებ ცენტრალურ-ანტოლიური, ხათური (პროტოხეთური) წარმოშობისაა, ამიტომ კოლხეთში ვერ წარმოიშობოდა (იქვე, გვ.34), ხოლო აია და მასთან დაკავშირებული თქმულება ოქროს საწმისის შესახებ კოლხეთში მხოლოდ ძვ. წ. 750 წლისთვისაა ბერძენი კოლონისტების მიერ მილეტიდან გადატანილი.

არგონავტების ლაშქრობის მსგავსი სიუჟეტი, რომელსაც საბერძნეთთან არავითარი კავშირი არა აქვს, ქართულ მითოლოგიაშიც არსებობს, რაც ქვემოთაა აღწერილი

უცხოელ მკვლევართა დიდი ნაწილის თვალსაზრისით – „ქვეყანა „აია“ არის უმისამართო ქვეყანა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს შავი ზღვის სანაპიროებთან“.

ე.ი. არგონავტების კოლხეთში ლაშქრობა არის ზღაპრული წარმოსახვა ბერძნული მითოლოგიისა, თანაც მითის თავდაპირველ ვარიანტში კოლხეთი არც კი მოიხსენიება. არგონავტების ლაშქრობის მსგავსი სიუჟეტი, რომელსაც

საბერძნეთთან არავითარი კავშირი არა აქვს, ქართულ მითოლოგიაშიც არსებობს, რაც ქვემოთაა აღწერილი.

ეთნოსთა გადასახლება და საკოლონიზაციო მოძრაობა

„ძვ. წ. VIII-VII სს-ში იწყება ბერძენთა დიდი საკოლონიზაციო მოძრაობა, ე.ი. ბერძენთა განსახლება და ახალი აგრარული და სავაჭრო ქალაქების დაარსება შავი ზღვისპირეთში“ (იქვე, გვ.40).

როგორც ჩანს, ამ მიგრაციის დროს ეთნიკური ბერძნები აარსებდნენ ქალაქებს, ხოლო მათი, ასე ვთქვათ, თანამდევი ბარბაროსული ტომები (მაგალითად, კელტ-თესალიელები) სახლდებოდნენ ზღვისპირეთის ვრცელ მიწა-წყალზე, ან პირიქით, ჯერ ბარბაროსთა ტომები ესახლებოდნენ, შემდეგ კი ბერძნული ქალაქები არსდებოდა.

თანამედროვე მეცნიერებამ აიეტის ქვეყანა მიიჩნია არარსებულ, არარეალურ ქვეყანად, არგონავტთა თქმულების პირველი ვერსიიდან გამოირიცხა შავი ზღვის სანაპირო (იქვე, გვ.40).

თანამედროვე უცხოეთის წამყვან სპეციალისტებს „აია“ მითიურ ქვეყნად (არარეალურ, არარსებულ ქვეყნად) მიაჩნიათ, მიუხედავად ამისა, ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი „აიას“ ათავსებს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ჭოროხის აუზში, ხოლო მეორე, უფრო აღიარებული ნაწილი – რიონის ხეობაში (იქვე, გვ.43).

ხოლო, ჭოროხის აუზსა და მის სამხრეთით ურარტულ და ასურულ წყაროებში იხსენიება კოლხთა ძლიერი გაერთიანება ძვ. წ. VIII ს.-ში (იქვე, გვ.44).

არგონავტების ეპოქაში თესალია პელაზგებით იყო დასახლებული. ძვ. წ. XVI-XV სს-ში არგონავტების ე.ი. პელაზგების – პონტოსპირეთში ლაშქრობისას მათ, ჩანს, მიაღწიეს ბოსფორ-დარდანელის სრუტესთან ახლოს მყოფ ქვეყანამდე, შავი ზღვის ნაპირზე, იქ ეძებდნენ „აიეტის ქვეყანას“ და ალბათ იქ განხორციელდა არგონავტების პირველი ლაშქრობები.

მხოლოდ, თითქმის ათასი წლის შემდეგ დაიწყო ბალკანეთში კელტურ-ბარბაროსული მიგრაცია, მათ ჯერ შეაღწიეს თესალია-მაკედონიაში, შემდეგ კი იქიდან გამოსულები თესალიელებთან ერთად გადავიდნენ მცირე აზიაში და გვიან დააარსეს აქ გალატეას სამეფო, გაჰყვნენ შავიზღვისპირს და მიაღწიეს მდ. ფასისამდე. ჩანს, მათ არგონავტების მითი მხოლოდ ამის შემდეგ ფაზისის ქვეყანაზე განავრცეს, ხოლო მისი მცხოვრებნი მიიჩნიეს იმ არგონავტების შთამომავლებად, რომელთაც ოდესღაც დაიპყრეს ზღვისპირეთი.

საფიქრებელია, რომ ბალკანეთიდან ხალხთა გადასახლება მცირე აზიაში დაიწყო იმ მიწოლის გამო, რომელსაც ბალკანეთის მოსახლეობა განიცდიდა მათ ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მიწა-წყლიდან. იქ კელტები ცხოვრობდნენ. ამ მიწოლის გამო (ე.ი. კელტები თანდათანობით მასიურად ესახლებოდნენ თესალია-მაკედონიაში, არბევდნენ ამ მხარეებს) თესალიელ-მაკედონიელები გადავიდნენ მცირე აზიაში და აჰყვნენ მდ. ფასისამდე შავი ზღვის სანაპიროს. ეთნიკურად, ჩანს, ეს თესალიელები უკვე იყვნენ კელტებთან აღრეულები (ძვ.წ. VI-V სს), შემდეგ ამ თესალიელთა კვალდაკვალ მცირე აზიაში უშუალოდ გადავიდნენ კელტები (ძვ. წ. IV-III სს), ისინიც აჰყვნენ მდ. ფასისისკენ ზღვისპირს, აითვისეს კოლხეთი (ე.ი. უკვე თესალიური ქვეყანა).

გვ. 101. ე. ფურნიეს (ჰოლანდიელი ლინგვისტი) შრომებით დადგენილია „ძველქართულ ნასესხობათა ლექსიკური ფენა ძველ ბერძნულში“ – ჩემი აზრით, საერთო ფრიგიულ-თესალიურია.

შესაძლოა კელტ-თესალიელები და კელტ-იბერები (მაკედონიიდან) შეერწყნენ ერთმანეთს და ხათურ-ფრიგიულ (ე.წ„ბრიგები“) – მოსხურ სუბსტრატზე ჩამოყალიბდნენ ქართველებად.

კელტ-თესალიელები მცირე აზიაში გამოჩდნენ ძვ.წ. VII-VI სს-დან. კელტ-იბერები – ძვ. წ. IV-III სს-დან.

ტერმინი „კოლხეთი“, „კოლხი“ კოლხოს ჩნდება თესალიელების მცირე აზიაში შესვლის კვალდაკვალ.

კელტ-თესალიელები მცირე აზიაში მოვიდნენ პელაზგების ნაკვალევზე (I არგონავტების), მათაც არგონავტები უწოდა ბერძნულმა ცნობიერებამ (ძვ. წ. VIII-V-I სს), მაგრამ, ბერძნულმა ცნობიერებამ საერთოდ ვერ დაინახა შემდეგდროინდელი, მათ კვალზე (ე.ი. კელტ-თესალიელების კვალზე) მავალი კელტ-იბერები. ჩანს, კელტ-იბერები და ფრიგიელები (უფრო ადრე დამკვიდრებულნი მცირე აზიაში) ერთი ეთნოსი იყო, ერთი ენისა და კულტურის მატარებლები.

ეტიმოლოგიურად სიტყვები „კოლხეთი“ და „კელტები“ – ახლოსაა ერთმანეთთან.

კულ-ხა

კოლ-ხი -„კოლხოს“

კელ-ტი -„კელტოი“

ხალ-დი – ხალიბები

კარ-დუ - კარდუხები

ქალ–დი

ქარ -თი

„ხ“ და „ტ“ (დ,თ) – მრავლობითობის - „ბევრობითის თვისების“ აღმნიშვნელი ნიშნები უნდა იყვნენ

თუ ეს ასეა, მაშინ ასურულ-ურარტული „კულხა“ არ უნდა დაუკავშირდეს „კოლხეთს“, ან თუ დაუკავშირდება, იქვე უნდა გამოითქვას ვარაუდი, რომ კელტები თავდაპირველად კულხას მცხოვრებნი იყვნენ და შემდეგ გადავიდნენ ევროპაში, სადაც გამრავლდნენ და უკანვე დაბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოში, ე.ი. კოლხეთ – მცირე აზიაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ კელტ-იბერები, მცირე აზიაში „იბერებად“ წოდებულნი, იგივე ფრიგიელები (ე.ი. მესხები) იყვნენ და კოლხურ ტომად იწოდებოდნენ. ფრიგიელები ინდოევროპელები ყოფილან, ქართველებიც ინდოევროპულ რასას განეკუთვნებიან ანატომიური მონაცემებით, ხოლო ენობრივად მარი ბროსე და სხვანი ქართულ ენას ინდოევროპულ ოჯახში ათავსებდნენ. რაც შეეხება თეორიას ე.წ. „იბერიულ-კავკასიური ერთიანი ენობრივი ოჯახის შესახებ“, ის, როგორც ცნობილია მტკიცებულებებსაა მოკლებული. გენეტიკური წარმომავლობითაც „ქართლის ცხოვრება“ ქართველებს ინდოევროპელთა პირველწინაპრის იაფეტის შთამომავლად მიიჩნევდა-**იაფეტი-თარში-თარგამოს-ქართლოსი.**

ალბათ შესაძლებელია ასეთი ეტიმოლოგიური ძიება:

როგორც ცნობილია, არსებობს გადასვლა ელ-არ, ულ-ელ, საერთოდ, გალატელ კელტებს „კელტო-გალატები“ ერქვათ, ასეა „სამოციქულოს“ ძველქართულ თარგმანებშიც, მათ იქ „კელტოი“ ეწოდებათ, ამიტომაც სიტყვისაგან „კელტო“

შესაძლებელია მივიღოთ სიტყვა "კარტო", აქედან კარდუ (კარდუხი) და ქართუ (ქართუელი). მართალია გალატები მცირე აზიაში შემდგომ გამოჩნდნენ, მაგრამ მათი და საერთოდ კელტების შემოღწევა იქ უფრო ადრიდანვეც ხდებოდა (VII-VI სს.-დან).

კელტო –კარტუ- კარდუ = კარდუ-ელნი-ქართუელნი

გ. კლიმოვის ლინგვისტური კვლევის შედეგიდან ჩანს, რომ „საერთო ქართველურ ფუძე ენას სვანური დაახლოებით ძვ.წ. XIX ს-დან გამოეყო, ხოლო ზანურ-ქართული ერთობა დაიშალა ძვ.წ. VIII ს-ში (გ. მელიქიშვილი, საქართველოს მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის", 1965). ძნელია დაეთანხმო ამ აზრს.

საფიქრებელია, რომ ამ დროს მხოლოდ ქართველების წინაპრები არსებობდნენ, ხოლო ქართველობა ერთიან ენობრივ ეთნოსად ჩამოყალიბდა მცირე აზიის ფრიგიულ-მესხურ სამყაროში კელტ-თესალიელების და კელტ-იბერების დასახლების შემდეგ ძვ.წ. VII-III სს-ში და საბოლოოდ ქართველთა ერთიანი ეთნოსის სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია. ერთიან ხალხად (ერთი ენით) ჩამოყალიბებას ჩანს ხელი შეუწყეს მაკედონელებმა (იმჟამად უკვე კელტურმა ჯგუფმა (არიან-ქართველებმა), მეფეების აზონისა და ფარნავაზის ეპოქაში (ძვ.წ. IV-III სს-ში), იხსენიენებიან კიდეც მაკედონელი მეომრები „ქართლის ცხოვრებაში" მეფე ფარნავაზის ცხოვრების აღწერისას, რომლის მიხედვით ისინი მმართველ ზედა ფენად - აზნაურებად ჩამოყალიბდნენ და შეძლეს ქართველობის ერთიან სახემწიფოებრივ ერად კონსოლიდაცია ერთი ენით. „არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა სხვა ენა თვინიერ ქართულისა", ტერიტორიულად ქართლი ეგრისწყლიდან ჰერეთამდე ვრცელდებოდა.

ჩანს, მხოლოდ ამის შემდეგ დაიშალა ეთნოჯგუფებად ეს ერთობა (საფიქრებელია ახ.წ. VI-X სს-ში). მას შემდეგ, რაც VI ს-დან შეირყა „ქართლის სამეფო", ხოლო VII-X სს-ში მის ადგილზე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები „აფხაზთა", „ქართველთა", „კახთა", „ჰერთა" სამეფოები და ა.შ. მათში საფუძველი ჩაეყარა დიალექტურ ჩანასახებს, რომელთაც ჩამოყალიბებული სახე მიიღეს, ჩანს მონღოლთა შემდგომ.

კოლხეთი

სად მდებარეობდა კოლხეთი, მდ. რიონის ვრცელ ვაკეზე, ჭოროხის აუზში თუ სხვაგან, ამას პასუხი უფო მეტად არქეოლოგიამ უნდა გასცეს. კერძოდ სად აღმოჩნდა კოლხური ბრინჯაოს ძეგლები?

„კოლხური ბრინჯაოს კულტურის" (II ათასწლეული) ძეგლები სინამდვილეში აღმოჩენილია არა რიონის დაბლობზე, არამედ მთებში (რაჭაში, ს. ღებთან, ბრილის სამაროვანი) – საჩხერეში (ყორღანები) – III ათასწლეული.

ლითონის სამეურნეო იარაღები ძვ. წ. XVI-XIII სს აღმოჩენილია ურეკში, გაგრაში, ბიჭვინთაში, ლიხნში, საჩხერეში – და არა რიონის დაბლობში (ო. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა, გვ. 135 გვ. 133).

თ. მიქელაძე გამოთქვამს ასეთ დაუსაბუთებელ ვარაუდს: – „კოლხები – ზანურენოვანი ტომები რიონის ქვემო წელზე (ე.ი. ვაკე-დაბლობზე) უკვე ძვ.წ.

III ათასწლეულის მიწურულსა და II ათასწლეულის დასაწყისში უნდა ვივარაუდოთ“ (თ. მიქელაძე, ძიებანი, გვ. 72).

თ. მიქელაძე შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვარით, რომელიც ქუთაისის მუზეუმში ინახება („ადრეული კოლხეთის კერამიკა“) აკეთებს ისეთ გრანდიოზულ დასკვნებს, თითქოსდა ძვ.წ. XV-XII სს-ში „მეგრულ-ჭანური მოსახლეობა უკვე დამკვიდრებული იყო რიონის შუაწელში“ (თ. მიქელაძე, გვ. 71-72).

ფაქტია, რომ ე.წ. „კოლხური გვიანბრინჯაოს ადრე ეტაპის ძეგლები“ აღმოჩნდა არა რაიონის ქვემოწელზე, არამედ ფარცხანაყანებში, დიმში, გორაში. კოლხური ცულის I და II სახეობები – დიმში, საქარაში, გოდოგანში (დ. ქორიძე, „კოლხური კულტურის ...“)

ჩემი აზრით, ეს ნივთები რიონის ქვემოწელზე არ აღმოჩნდა იმიტომ, რომ ჭაობიანი იყო და ადამიანის ცხოვრებისათვის უვარგისი ტერიტორია, ხოლო დიმი და სხვა პუნქტები ისტორიული ქართლის მიწა-წყლად მიიჩნეოდა ძველი წყაროების მიერ.

ამ „კოლხეთში“ სახნისი არ აღმოჩნდა, ეს ძალზე აფიქრებთ თანამოაზრეებს და გამოსავალს ვარაუდების დაკანონებაში ეძებენ (იქვე, გვ. 139).

ო. ლორთქიფანიძის აზრით, ძვ. წ. II ათასწლეულში მდ. რიონის აუზის ქვემოწელზე დამკვიდრებული იყო მეგრულ-ჭანური მოსახლეობა, ხოლო დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში – აფხაზურ-ადიღეური მოსახლეობა.

(საკვირველია, რომ რუსი სპეციალისტების აზრით ადიღეური მოსახლეობა კავკასიაში,კერძოდ კი ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრდა ძალზე გვიან, მონღოლთა გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგ XIII-XIV საუკუნეებში, სადაც (ჩრდილო კავკასიაში) ადიღეველები შესულან ჩრდილოეთის მხრიდან, ქართველი მეცნიერების აღიარებული ნაწილი კი ადიღეველების სამშობლოდ დასავლეთ საქართველოს სახავენ).

ჰ. შლიმანის აზრით კი კოლხეთი ჭოროხის ქვემოწელზე მდებარეობდა და არა რიონისა.

ჰ. შლიმანი „ძველი საბერძნეთისა და კოლხეთის მძლავრ ურთიერთკავშირს ბათუმის რეგიონში ვარაუდობდა (ო. ლორთქიფანიძე. „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“, თბ. 1986, გვ.44).

შლიმანს ბათუმის მიდამოებში რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოებისაგან 1883 წ. გათხრების ჩატარების უფლება უთხოვია.

ურარტუს მეფე სარდურ II-ის წარწერაში იხსენიება „კოლხა‖კულხა“ ძვ.წ. VIII ს. 50-40-იანი წლები. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში – „ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება“ განადგურდა კიმერიელების შემოსევების შედეგად. გ. მელიქიშვილმა ასე წაიკითხა ერთი ასურული წარწერა მეფე ტიგლათფილესარ I-ისა – ძვ.ე. XII-XI ს. „ნაირის ქვეყნის დამპყრობელი დაიანამდე და კილხის ქვეყნის მპყრობელი ზღვამდე“ (იქვე, გვ. 44). შემდგომ კოლხეთის ცენტრმა ჩრდილოეთით გადაინაცვლა, ჭოროხის ხეობაში და არა რიონისა. ო. ლორთქიფანიძე ფიქრობდა, რომ კოლხეთის ცენტრი მდ. რიონის ქვემოწელს მოიცავდა, ჩვენი კვლევით კოლხეთის ძირითად ნაწილები მდ. ჭოროხზე მდებარეობდა და ტრაპეზუსის მიმართულებით იყო გავრცობილი. რატომ არ მიაჩნდა მდ. ჭოროხის აუზი მას კოლხურ რეგიონად? ცნობილია, რომ წყაროების თანახმად კოლხეთი სანაოსნო მდინარის ფაზისის სანაპიროებზე მდებარეობდა, რომელი იყო სანაოსნო მდინარე - რიონი თუ ჭოროხი?

ო. ლორთქიფანიძის **აზრით, მდ. ჭოროხი არ იყო სანაოსნო** და მასზე **(ჭოროხზე) მცურავ ნავებს ზღვაზე გასვლა არ შეეძლოთ** (გვ. 46). **მაშინ როცა დ. ბაქრაძე და სხვა მეცნიერი-თვითმხილველები XIX ს-ში აღწერდნენ რომ ჭოროხი სანაოსნო მდინარე იყო – მათ თავინთი თვალით ნახეს და ეს საკითხი გარკვეული ჰქონდათ - ჭოროხი იყო დიდი სანაოსნო არტერია – მასზე რიზედან და ათინადან მომავალი ნავები ცურავდნენ! ო. ლორთქიფანიძე ცდებოდა, როცა ჭოროხს არასანაოსნო მდინარედ მიიჩნევდა და ამიტომ მდ. რიონს მიიჩნევდა კოლხეთის მთავარ მდინარე ფაზისად.**

ო. ლორთქიფანიძე წერს: „აიეტი იყო სამიწათმოქმედო ქვეყნის ლიდერი, რომლის რეზიდენცია დიდი სანაოსნო მდინარის გაყოლებაზეა. ჭოროხის აუზი არაა ბარის ქვეყანა, **ჭოროხი კი ყოვლად მიუწვდომელი იყო ზღვიდან ნავის შესაცურებლად“** – შეცდომაა!!! სულ სხვას წერენ ე. ვეიდენბაუმი და გ. ყაზბეგი. მათი აღწერით ჭოროხი დიდი სანაოსნო მდინარე იყო, ამიტომაც ხელს არაფერი გვიშლის, რომ ჭოროხი ფაზისად მივიჩნიოთ.

სტრაბონი: „აიას მიგვანიშნებენ ქალაქ ფასისთან“ - „ხოლო ის, რომ **აიეტი** კოლხეთზე მეფობდა, სარწმუნოდაა მიჩნეული: აქაურებში ეს სახელი ადგილობრივია“.

მართლაც, მილეტიდან ფაზისში დამკვიდრებული კოლონისტ ბერძნებს ძვ. წ. 750 წლიდან სტრაბონამდე, მთელი 700 წლის განმავლობაში შეეძლოთ ეს სახელი „ადგილობრივად“ ექციათ.

ქსენოფონტე (ძვ.წ. 401 წ.) – „ფაზისზე ახლა **აიეტის** შთამომავალი მეფობს (თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბაზისი“, გვ. 113).

პლინიუსი: „კოლხეთში მეფობდა – **აიეტის** შთამომავალი – სავლაკი. მან დაამარცხა ეგვიპტის მეფე სესოტრისი“ (ძვ. წ. XIV ს.) – ასეთი მოსაზრებანი **მითები**ს გაგრძელებანი იყვნენ. სტრაბონი და პლინიუსი უბრალოდ **იმეორებენ** ქსენოფონტეს ნათქვამს ფასისზე (კოლხეთზე) აიეტის შთამომავლის მეფობის შესახებ.

აკვიატებული, უსაფუძვლო იდეა: თითქოსდა არსებობდა „ძლიერი კოლხური სახელმწიფო“ ძვ. წ. VI-IV სს-ში (გვ. 48).

მეორე აკვიატებული იდეა – „რიონისპირეთი კოლხეთს უკავშირდება“ (გვ. 47).

ო. ლორთქიფანიძე აკრიტიკებს მათ, ვინც კოლხეთს ჭოროხის ხეობასთან აკავშირებს – **„კოლხთა დიდ პოლიტიკურ გაერთიანებას საფუძველი ჭოროხის აუზში კი არ ჩაეყარა (როგორც ამას დღეს მკვლევართა უმრავლესობა ვარაუდობს), არამედ რიონის აუზში (კოლხეთის დაბლობზე)“** (გვ. 48).

ქართველი საბჭოთა მეცნიერები ძალზე ცდილობდნენ ყველა ქართული ტომისათვის გამოეძებნათ საკუთარი „ეთნარქი“, წარმოეჩინათ მათი უცხო, განსაკუთრებული წარმომავლობა, ოღონდ როგორმე ის არ ყოფილიყო „საკუთრივ ქართული“, მაგალითად, ჰერები თითქოსდა ალბანელების შთამომავლები (გაქართველებული) ხალხი იყო; კოლხების შთამომავლები თითქოს მხოლოდ ერთ-ერთი ქართული ტომია და არა მთელი ქართველი ხალხი; თითქოსდა სვანები – ქრისტეშობამდე III ათასწლეულებში არიან „გამოყოფილი“, მაშინ როცა ეკლესია III ათასწლეულში წარღვნას ვარაუდობს; მესხები – თითქოსდა

სომხებია (გაქართველებული), ხოლო ფშავ-ხევსურები – ჩეჩნები და ა.შ.

ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური დიალექტები (ენები) ისტორიულად ერთი საერთო ფუძე-ენიდან, ე.წ. საერთო ქართველური (ანუ პროტოქართული) ენის დაშლის შედეგად არიან წარმომდგარნი. ფიქრობენ, რომ საერთო ქართველური ენის მატარებელი ეთნოსი (ხალხი) უკვე არსებობდა ძვ.წ. IV-III ათასწლეულში (და, შესაძლოა, უფრო ადრეც)", ამ ათასწლეულებში ეკლესიის გამოთვლებით არც ერთი დღევანდელი ხალხი არ არსებობდა, რადგანაც უფალმა კაცობრიობა დაახლოებით ძვ.წ. 5500 შექმნა (გვ. 48).

„დღესდღეობით რეალურად მიიჩნევა, რომ ქართველი ტომები დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თანდათანობით განსახლდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით" (გვ. 49).

დღეს ლინგვისტები პროტოქართველების, ინდოევროპელებისა და პროტოსემიტების ენებში აფიქსირებენ მრავალ საერთო სიტყვათა და გამოთქმების მთელ პლასტებს, აგრეთვე მსგავსი ენობრივი ნიშნების (როგორც ენის ბგერითი შემადგენლობის, ასევე მისი სტრუქტურულ-გრამატიკული მახასიათებლების გაჩენას" (გვ. 49).

ქართულ ენაში პროტოინდოევროპულის გაჩენის ახსნა იმით შეიძლება, რომ ქართველები ფრიგიულ-ბალკანური წარმოშობის ხალხია, ანუ ინდოევროპულია, ხოლო პროტოსემიტური გავლენა თუ არსებობს, იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ კელტ-თესალიელებისა და კელტ-იბერების მცირე აზიაში გამოჩენის დროს (ძვ. წ. VIII-III სს), იქ ჰეროდოტეს ცნობით (ძვ. წ. V ს.) ყიზილ-ირმაკის მდინარემდე, ე.წ. ლევკო-სირიელები და სემიტური ტომები ცხოვრობდნენ, ბრიგულ (ფრიგიულ)-იბერიულმა ენამ (ე.ი. უძველესმა ქართულმა) შესაძლოა ამის გამო რაღაც სემიტური გავლენა განიცადა.

ადიღე-ჩერქეზები დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. IV ათასწლეულამდე

თ. მიქელაძის უსაფუძვლო ვარაუდით, „სვანურის გამოყოფა უნდა მომხდარიყო უკვე III ათასწლეულის დასაწყისში და ამ **დროიდან იწყება სვანურენოვანი მოსახლეობის გავრცელება დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც (კერძოდ, ზღვისპირა ზოლში). როგორც ფიქრობენ ძველი ჩერქეზულ-ადიღეური მოსახლეობა იჩენს თავს"** (გვ. 50) **(შდრ. მაგ: ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში, შრომები, III, გვ. 117-123).**

საბჭოთა ისტორიოგრაფიის თანახმად, კოლხეთის დაბლობი თავიდან ისტორიულად დასახლებული იყო ჩერქეზულ-ადიღეური ტომებით – „ყვა" და „ფსა" – თითქოსდა ამის მამტკიცებელი ტოპონიმიკური ნიშნებია. თითქოსდა, შემდგომ აქ ესახლებიან სვანები, რომელთაც, თავის მხრივ, აქედან აძევებენ მეგრელები.

მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვით, შემდეგ მოსულ მეგრელებსა და სვანებს დასავლეთ საქართველოდან გაუძევებიათ ადიღე-ჩერქეზები. ამ თეორიაზე დაყრდნობით სეპარატისტები ისტორიული სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ – მეგრელებსა და სვანებს აძევებენ თავიანთი მიწა-წყლიდან. სინამდვილეში, თვით რუსი მეცნიერების თანახმად, ადიღე-ჩერქეზული ტომები კავკასიაში გამოჩნდნენ არა ქრისტეშობამდე V-IV ათასწლეულში, როგორც მიიჩნევს ქართუ-

ლი საბჭოთა ისტორიოგრაფია, არამედ მხოლოდ თემურ-ლენგის ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის შემდეგ, რამაც საერთოდ შეცვალა ეთნიკური სახე ჩრდილო კავკასისა. „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“ ამის შესახებ წერს - **„XIV-XV საუკუნეებში მონგოლ-თათართა სამხედრო ექსპედიციებისა და ასევე თემურლენგის გამაუკაცრიელებელი ლაშქრობების შემდეგ, ჩრდილო კავკასიის ეთნოპოლიტიკური რუკა კარდინალურად შეიცვალა. ახალი ადიღე-თურქულენოვანი ხალხები გადაადგილდნენ გაუკაცრიელებულ რაიონებში, ნაწილობრივ შეავიწროვეს ალანები ანდა შეერივნენ მათ, მიიტანეს თავიანთი ჩვეულები და რწმენა, ხოლო XVIII ს-ში მიიღეს მუსულმანობა“ („პრავოსლავნაია ენციკლოპედია“. ტ.I, მოსკოვი, 2000, გვ.443, რუს.ენაზე). ამ ადიღეველების შთამომავლებია აფსუები-ადიღურენოვანი ხალხი.**

სვანები კოლხეთში

„სვანურენოვანი მოსახლეობის არსებობის კვალი დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ზღვრისპირა ზოლში, რიონ-ენგურის აუზი) დასტურდება საკმაოდ მეტყველი ტოპონიმიკური მონაცემებით და არქეოლოგიური მასალით“ (გვ. 50).

აქედან, ო. ლორთქიფანიძის აზრით, სვანებს აძევებენ კოლხები (ჭან-ეგრისელები) -

„კოლხებმა შეავიწროვეს სვანურენოვანი მოსახლეობა და თანდათანობით დაიკავეს დღევანდელი კოლხეთის დაბლობი ზღვის სანაპირო ზოლსა და რიონ-ენგურის აუზში“. ე.ი. დასავლეთ საქართველოდან თითქოსდა ჯერ სვანებმა გააძევეს ჩერქეზები, შემდეგ კი მეგრელებმა სვანები (გვ. 51)

ო. ლორთქიფანიძის აზრით კოლხური კულტურა – ვიწრო ეთნოგრაფულია - ის „მეგრულ-ჭანურია“-

„დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მეგრულ-ჭანური მოსახლეობის თანდათანობით დამკვიდრებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც ფიქრობენ, იმ ბრწყინვალე ბრინჯაოს კულტურის შექმნა, კოლხური კულტურის სახელით რომაა ცნობილი“ (გვ. 51).

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ფორმირების დასაწყისია ძვ.წ. XVI-XV სს. (გვ. 51).

კოლხური კულტურის საფეხურები თარიღდება: (გვ. 51).

1) ძვ.წ. XVI-XV
2) ძვ.წ. XIV-XII
3) ძვ.წ. XI-VII

კოლხური ბრინჯაოს კულტურა ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოში, ქართლში, მესხეთში და აგრეთვე თურქეთის ტერიტორიაზე ზღვის სანაპირო ზოლში დღევანდელ ორდუს ტერიტორიაზე (გვ. 52).

რიონის დაბლობში ბრინჯაოს ძეგლები არ არის აღმოჩენილი!!! მათი აღმოჩენა ქართლსა, მესხეთსა და თურქეთში მიუთითებს, რომ ეს ბრინჯაოს კულტურა არ იყო ვიწრო ეთნიკური მეგრულ-ჭანური, არამედ ზოგად-ქართული, რომელთა რიცხვში ცხადია მეგრელ-ჭანები და სვანებიც შედიან.

ბრინჯაოს არქეოლოგიური ძეგლები – განძები. ცალკეული აღმოჩენები გაბნეულია, სამთამადნო წარმოების ნაშთები აღმოჩენილია ს. ღებთან – რაჭაში, შესაბამისი სამარხებიც – რაჭაშია – ბრილში და არა რიონის დაბლოში (გვ. 53).

„კოლხეთში ეს ძეგლები არაა გამოვლენილი“, – წერს ო. ლორთქიფანიძე, ე.ი. რიონის ბარში ბრინჯაოს მნიშვნელოვანი ძეგლები არ აღმოჩნდა.

მეცნიერებს ა. იესენს, ბ. კუფტინს, გ. მელიქიშვილს მიაჩნიათ, რომ „კოლხური კულტურის სამშობლო ჭოროხის აუზია“ (გვ. 54).

„ჭოროხის აუზი უმდიდრესია სპილენძის საბადოებით. აქ აღმოჩნდა სპილენძ-ბრინჯაოს ნაწარმის განძების სიმრავლე“ (გვ. 63).

კოლხური ცული და თოხები აღმოჩნდა ურეკში, თანამედროვე აჭარასა და აფხაზეთში, მაგრამ არა რიონის ბარში! (გვ. 56).

რიონის დაბლობში მხოლოდ კერამიკის ნაშთები (და არა ბრინჯაო) აღმოჩნდა (ნოსირში, მსგავსია ანაკლიაში, ქობულეთში, ჭალადიდში, ჭიათურაში). ამ კერამიკის გავრცელება „დაკავშირებული უნდა იყოს აქ მეგრულ-ჭანური მოსახლეობის დამკვიდრებასთან ძვ. წ. XVII-XII სს“-წერს ო. ლორთქიფანიძე. ამ მოსაზრებას არა აქვს საფუძველი (გვ. 57).

ო. ლორთქიფანიძეს ჰგონია, რომ მთელი კოლხეთის ჭაობს ადგილობრივი მოსახლეობა კოლექტიური ორგანიზირებული შრომით ითვისებდა. რითი დასტურდება? არაფრით! (გვ. 60).

„დაჭაობებული და ნესტიანი ნიადაგის სათეს ფართობად გადაქცევა – ტყის მასივების გაჩეხვა, ბუჩქნარის გაკაფვა, სადრენაჟე არხების გათხრა, ხელოვნური მიწაზვინების შექმნა, დაშლამულ ჭაობებში ხელოვნური თხრილებით წყლის შეყვანა და დაწმენდილი წყლის უკან გაყვანა, დათესვა, მოსავლის მოვლა და აღება“ (გვ. 62).

თითქოს ეს შეეძლო ადგილობრივ მოსახლეობას ძვ.წ. XV-XIV სს-ში, ეს უჭირდათ ეგვიპტელებს. შეძლებდა ამ გრანდიოზული სამუშაოს შესრულებას ტომებად და ენაკავებად დახლეჩილი ხალხი, რომელთაც „სიამაყის გამო“ (სტრაბონი) ერთმანეთთან ურთიერთობა არ სურდათ?! **ფართო მასების გაერთიანების გარეშე კი ეს სამუშაო ვერ შესრულდებოდა.**

„წყალდიდობისას მის გამანადგურებელ ზემოქმედებასთან ბრძოლა მოითხოვდა ხალხის ფართო მასების კოლექტიურ ორგანიზაციას“ (გვ. 65).

ფოთიდან ენგურამდე ახლაც ჭაობებია გადაშლილი, მისი მოვლა მხოლოდ XX ს-დან გახდა შესაძლებელი.

კოლექტიურ შრომას მოითხოვდა ჭაობების და ტყიანი მასივების სავარგულებად ქცევა (გვ. 66).

„სტრაბონისა და სხვათა ცნობით, ძვ. წ. VI-IV სს. კოლხეთი წარმოადგენდა ტომობრივ სტრუქტურაზე დაფუძნებულ სუსტ და ეფემერულ პოლიტიკურ გაერთიანებას“ (გვ. 80).

ო. ლორთქიფანიძის აზრით, კოლხეთს ბერძნები უწოდებდნენ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ბიჭვინთიდან ჭოროხამდე და სკანდე-შორაპნის ხაზამდე (გვ. 80).

სტრაბონის ცნობებით კი, კოლხეთი ზღვისპირა ვიწრო ზოლია! ხოლო სკანდა-შორაპანი არსიანის ქედთან იყო! ე.ი. კოლხეთი ჭოროხის ხეობაა – არსიანამდე.

კოლხური თეთრი – მონეტები მიეკუთვნება ბერძნულ პოლისებს და სავაჭრო ფაქტორიებს (ემპორიონებს) და არა ე.წ. „კოლხეთის სამეფოს“. სახელმწიფოა მხოლოდ იბერიაში – სტრაბონის ცნობით და არა კოლხეთში! (გვ. 80).

არქეოლოგებმა **კოლხეთში ვერ აღმოაჩინეს სახნისი**!!! თუმცა აღმოჩნდა თოხები და ცულები. აქედან ჩანს, რომ **აიეტის სახნისის კულტურა უკავშირდება არა რიონის ხეობას, არამედ ჭოროხს, სადაც ასეთი ნივთების სიმრავლეა** (გვ. 63).

აიეტი ხარებს უღელში აბამს და სახნისს უკეთებს, ეჯიბრება ხვნა-თესვაში იასონს, სახნისი კი რიონის დაბლობში არ აღმოჩნდა (გვ. 80).

რიონის ვაკეზე არქეოლოგებმა სახნისი ვერ აღმოაჩინეს. ამის საკომპენსაციოდ თ. მიქელაძემ რადაც რკინის ნივთი – რკინის სახნისად თუ სახნისისებურ „იარაღად“ გამოაცხადა.

ალბათ უნდა აღმოჩენილიყო არა „რკინის“, არამედ „ბრინჯაოს“ სახნისი (გვ. 82).

მდ. ჰალისისა და ჭოროხის აუზში ხალიბების (ჭანების) ქვეყანაში ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრით დათარიღებული უამრავი რკინის დამამუშავებელი სახელოსნოები, რკინის სალღობი ქურები, უამრავი ოდენობის წიდები, ცეცხლგამძლე თიხის მარაგის შესანახი მოედნებია დაფიქსირებული. ესაა – „რკინის დედის ქვეყანა“ (ესქილე) (გვ. 84).

ვანის არქეოლოგია

ვანში აღმოჩნდა „თლილი ქვით ნაგები მძლავრი თავდაცვითი კედლები და კოშკები, კარიბჭის კომპლექსი, ტაძრები და საკულტო ნაგებობები, საკურთხევლები, ქვისა და ბრინჯაოს ქანდაკებები და სხვა“ (გვ. 83).

ჩვენი აზრით, ვანი არაა ლევკოთეა, სატაძრო ქალაქი კოლხეთსა „არმენიასა და იბერიას შორის მყოფი“ (სტრაბონი). იბერიასა და კოლხეთს ყოფდა სკანდასარაპანი (არსიანის ქედზე), ხადღაც იქ იყო ლევკოთია.

„ვანში და დასავლეთ საქართველოს სხვა პუნქტებში ძვ.წ. V-IV სს დათარიღებული უამრავი ოქროს ნივთი აღმოჩნდა“. აქემენიდური კულტურის მქონე არიან-ქართლის მეფეთა მიერ წამოღებული (გვ. 87).

ო. ლორთქიფანიძემ გამოწვლილვით გამოიკვლია ე.წ. **„ახალგორის განძი“** და დაასკვნა, რომ ის „აქემენიდური სასახლის ნივთებია“ ძვ.წ. IV-III საუკუნეებისა. ამავე ტიპის ნივთები დადასტურდა აგრეთვე ვანსა, დაბლაგომსა და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში, განსაკუთრებით კი ვანში.

როგორ მოხვდა დასავლეთ საქართველოში ეს ნივთები, მაშინ, როცა მიჩნეულია, რომ „აქემენიდთა სატრაპები“ (იგულისხმება აზო, ფარნავაზი და იბერიის სამეფო სახლის წევრები) დასახლდნენ აღმოსავლეთ საქართველოში და საფუძველი ჩაუყარეს აღმოსავლურ-ქართულ – იბერიის სახელმწიფოს.

თუ იბერია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა, რატომ აღმოჩნდა ასეთი სიუხვის აქემენური კულტურის ნივთები დასავლეთ საქართველოში? შეიძლება ითქვას, რომ ვანში გაცილებით მეტადაა გამოვლენილი ეს ნივთები, ვიდრე თუნდაც ახალგორში.

პასუხის გაცემამდე შეიძლება დავსვათ მეორე მსგავსი კითხვა – როგორ მოხვდა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეში კლდეეთსა და ბორში ცნო-

ბილი იბერიული საგანძური? ამ კითხვას ასე პასუხობენ – კლდეეთი და ბორი, ანუ დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი შედიოდა იბერიის სამეფოში, რადგან წყაროებით, იბერია სკანდა-შორაპნამდე იყო განვრცობილი, ამიტომ აქაც, ვითარცა იბერიის ნაწილში იბერიული კულტურა იყო გავრცელებული.

თუ ასეა, მაშინ ვანში იბერიული კულტურის განვრცობის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალის არსებობა იძლევა საშუალებას დაისვას კითხვა, ხომ არ შედიოდა ვანიც იბერიაში?

„ძველი კოლხეთი იყო მითიური ქვეყანა ელინთა ფანტაზიის ნაყოფი“ – წერენ უცხოელი მეცნიერები. **ეს მითი ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ რეალობად მიიჩნია და საფუძვლად დაუდო კუთხურ სეპარატიზმს** (გვ. 88).

ო. ლორთქიფანიძე დაასკვნის: „ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ქართულ-ზანური ერთობა უკვე დიფერენცირებულია და მეგრულ-ჭანური ცალკე გამოყოფილი და გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის შემქმნელიც სწორედ მეგრულ-ჭანური მოსახლეობაა“. გვ. 102. თუ ენობრივად დიფერენცირებული იყო, რატომ არის ნაწარმოები ძველი ქართული ენის ნორმების შესაბამისად „ლაზური სიტყვა ქუთათისი“? პროკოფი კესარიელის ცნობით, სიტყვა „ქუთათისი“ – ლაზურია, ლაზთა ენაა. ეს სიტყვა კი ძველი ქართული ენის ნორმებითაა ნაწარმოები.

დასავლეთ არმენიის ეთნიკური სახე (ძვ.წ. II ს.-დან)

ბიზანტიის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად, ოლქ **„დასავლეთ არმენიაში“ მოექცა ის ქართული მხარეები, რომელნიც ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე არმენიამ ჩამოაჭრა იბერიას, პარიადრის მთის მიმდებარე ქვეყანა და ხორძენე.** ამ მხარეებთან ერთად გოგარენეც იბერიისაგან სტრაბონის ცნობით, მიუტაცებია სომხეთს. მართალია, ქართველთა სამეფომ გოგარენე უკან დაიბრუნა, მაგრამ აღნიშნული მხარეები (პარიადრეს მთის მიმდებარე ქვეყანა და ხორძენე) აღარასოდეს დაბრუნებია საქართველოს.

ასეთი პოლიტიკური გადანაწილების შედეგად ამ მხარეებში მცხოვრები მკვიდრი ქართველები, ორმხრივ ასიმილაციას განიცდიდნენ. ერთდროულად ისინი ცხოვრობდნენ ბიზანტიაშიც და მის ოლქ „არმენიაშიც“, ამ ქართველებს შესაბამისად ჰქონდათ ორმაგი – ბერძნული და სომხური პოლიტიკური და კულტურული ზეწოლა.

ამის შედეგად ცხადია, მიმდინარეობდა ქართველების ასიმილაცია, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს პროცესი საკმაოდ მცირე ხანს გაგრძელდა, იმდენად, რომ **როდესაც ტაო-კლარჯეთის სამეფომ და შემდგომ გაერთიანებულმა საქართველომ თავისი პოლიტიკური საზღვარი ვანის ტბამდე მიიტანა – იქაურ ქართველებს ჯერ კიდევ ახსოვდათ თავიანთი ეთნიკურ-ეროვნული ვინაობა.**

ვინაობააღორძინებული ქართველები ქმნიდნენ კიდეც ეროვნულ ქართულ-ქალკედონურ საეპისკოპოსოებს ამ „სომხურ“ ქვეყანაში, რომელთაც ჩვენი თანამედროვე სომეხი ისტორიკოსები „სომხურ-ქალკედონურ“ საეპისკოპოსოებს უწოდებენ, მაგრამ თვით ნ. ადონცის კვლევაც კი აჩვენებს, რომ დასავლეთ არმენია – ქართული წარმოშობის ქვეყნებისა და მოსახლეობისაგან შედგებოდა.

ნ. ადონცის სიტყვით, სომხური ზეწოლის შედეგად მკვიდრი ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ქართული მიწების მიტაცების დროს, დაძრულა თავისი საცხოვრისიდან და უფრო ჩრდილოეთით გადასახლებულა - **„к северу были оттеснены также колхи, мосхи и другие народности“** (ნ. ადონცი, გვ. 395).

„ამ დუღილში ჩამოყალიბდა სომეხთა ნაციონალური სახე“, – წერს ნ. ადონცი (იქვე, გვ. 395),

სომხური ეროვნება, მისი სიტყვით, ჩამოყალიბდა ქრისტეშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე - სომხური ეროვნების მაფორმირებელი მასების ფრიგიელების (ბალკანელების), ასევე სამხრეთული არამეული ტომებისა და არმენიაში ისტორიულად მკვიდრი ადგილობრივი ქართველური ტომების – მოსხების, მატიენების, სასპერიების, ალარიდიელების და სხვების ურთიერთშერევით.

ნ. ადონცს მოჰყავს სტრაბონის ცნობა, რომ ანტიოქოს დიდის (223-187) ორმა მხედარმთავარმა არტაქსიამ და ზარიადრამ ერთმანეთს შორის გაინაწილეს არმენია და გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, თუმცა სომეხთა მეფეები იქამდეც იყვნენ ცნობილნი.

ნ. ადონცი წერს – **„სომხური ეროვნება ფორმირდა სხვადასხვა ტომებისა და ასევე სხვადასხვა რასების ელემენტთა ურთიერთშერევით**. აქემენიდთა ტერიტორია, რომელსაც შემდგომ არმენია ეწოდა, დასახლებული იყო სხვადასხვა ეროვნებებით, სომხებთან ერთად. ამ შავ ზღვამდე გადაშლილ მსხვილ სპარსულ სატრაპიაში ცხოვრობდნენ მატიენები, სასპერიები და ალაროდები. ქსერქსეს ლაშქრობისას არმენიელები ფრიგიელებთან ერთად იდგნენ, ხოლო ალაროდები და სასპერიები ერთად, მათთან გვერდით – მოსხები და ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები, მარები და კოლხები, უტიელები და მიკები – ერთად. 10 ათასი ბერძნის უკან დახევის დროს – ფასიანებისა და ესპერიტების, ე.ი. სასპეირების, ასევე ტაოხების მიწა – უკვე არმენიად ითვლებოდა და სხვა არმენიისაგან განსასხვავებლად დასავლეთი ეწოდებოდა. მმართველი ანუ სატრაპი ერთი ნაწილისა იყო ტირიბაზი, მეორისა – ორონტი (ქსენოფონტე, ანაბაზისი, III, 5,17, IV, 3,4 და 4,4, VII 18,25). მეზობელი ტომები ამ დროს სარგებლობდნენ დამოუკიდებლობით, კერძოდ – კარდუხები, ხალიბები, ქალდეები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კოიოტები და ტიბარენები (იქვე, VII, 8, 25). ნაწილობრივ ან მთლიანად **ეს ეროვნებები იქცნენ მკვიდრ მოსახლეობად იმ ტერიტორიისა, რომელიც შემდგომ ეჭირა არმენიას** (ნ. ადონცი, გვ. 394).

როგორც ვხედავთ, თვით ადონცის ცნობით, კოლხები, კარდუხები, ქალდეები და სხვა ქართველთა წინაპარი ტომები იყო მკვიდრი მოსახლეობა დასავლეთ არმენიისა, მათ სრულ ასიმილაციას სომეხ ხალხში აფერხებდა რომის და ბიზანტიის იმპერიის სიახლოვე არმენიის ცენტრალურ ნაწილთან, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ დასავლეთ არმენია უმეტესწილად აღნიშნული იმპერიების ხელდებული ქვეყანა იყო.

ძალზე საინტერესოა ნ. ადონცისავე ცნობა იმის შესახებ, რომ **სომხეთის ძველი მკვიდრი მოსახლეობა, ზემოთ ჩამოთვლილი და ხსვა ტომები „სისხლის სიახლოვით“ ერთი წარმოშობისა იყვნენ** (გვ. 394).

ამ ტომთაგან მრავალი გაქრა ისტორიის ასპარეზიდან, მაგალითად, ალაროდები, სასპეირები, ტაოხები, ფასიანები – როგორც ეროვნებები, მაგრამ მათი სახელები დაერქვათ მათ ყოფილ საცხოვრის ქვეყნებს, რაც ასახა გეოგრაფი-

ულმა სახელწოდებებმა – აირარატი, სპერი, ტაო, ბასიანი (გვ. 394). მაშასადამე, ნ. ადონცის აზრით – სპერი-სასპეირების, ტაო-ტაოხების, ხოლო ბასიანი – ფასიანის ქვეყანა იყო. ეს მომენტი იმითაა საინტერესო, რომ კონსტანტინოპოლურ ნოტიციებში ლაზიკის ეპარქიაში გვხვდება საეპარქიო სახელწოდებანი – ფასიანი და სხვა – ფას, ბას ფუძეებით. მაშასადამე, ისინი, ნ. ადონცის მოსაზრებით, ბასიანის ქვეყანაში მდებარეობდნენ. მართლაც, პრავოსლავნაია ენციკლოპედიას სტატიის „სომეხი ქალკედონიტები“ თანდართულ რუკაზე სპერსა და ბასიანში მრავალი ეპარქიაა აღნიშნული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში.

ნ. ადონცის მიხედვით, **ზარიადრას და არტაქსიას დროს ჩამოყალიბდა ერთიანი სომხური ენა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მთელი ხალხისათვის**, ეს გადამწყვეტი მომენტი იყო სომეხი ხალხის ფორმაციისა (გვ. 395).

იბერებს იმ დროს არმენიამ წაართვა პარიადრის მთისწინეთი – ტაო და სპერი, ხორძენა და გოგარენა, ხალიბებისა და მოსინიკებისაგან მიიტაცა კერუნიტი და დარუსენა, ასევე სხვა ხალხებისაგან მიწები (გვ. 395). ამ ეპოქაში, ნ. ადონცის სიტყვით – „ჩრდილოეთისაკენ იქნენ განდევნილნი ასევე კოლხები, მოსხები და სხვა ხალხები“ (გვ. 395).

სომხეთს მიუსაკუთრებია ასევე კაპადოკიაში მცხოვრები კატაონების მიწები. საერთოდ, კაპადოკიელებს სირიულ სამყაროს მიაკუთვნებდნენ, ბერძნები მათ სირიელებს უწოდებდნენ – კერძოდ, თეთრ სირიელებს სხვებისგან განსასხვავებლად. კაპადოკია ეთნიკურად სემიტებს უკავშირდებოდა (გვ. 395). სტრაბონის ცნობით, სირიელები ცხოვრობდნენ ბაბილონიდან ევქსინის პონტომდე ანუ შავ ზღვამდე (გვ. 396).

ნ. ადონცი ფიქრობს, რომ სომხები ორი რასის – სემიტი არამეელების (რომელთაც სემიტი კაპადოკიელები ენათესავებოდნენ) და ფრიგიელების ურთიერთშერევით ჩამოყალიბდნენ, ასევე შეძლეს სხვადასხვა ადგილობრივი ხალხების ასიმილირება (გვ. 396).

ნ. ადონცის სიტყვით, **„თავდაპირველად არმენია დასახლებული იყო სხვადასხვა სატომო ჯგუფებით – კარდუხებით, მოსხებით, სასპეირებით და სხვა. ძვ.წ. VIIს-ში კიმერიელების შემოსევამ თავისი საცხოვრისიდან დაძრა ფრიგიელი სომხები, მათ გადალახეს ევფრატი და შეუტიეს ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთა ნაწილი დარჩა ჩრდილოეთში, ნაწილი კი სამხრეთში. მათ შუა მცხოვრები დამორჩილებული ზოლი შეერია გამარჯვებულ ფრიგიელ სომხებს. შემოსულებისა და მკვიდრების ურთიერთშერევით შეიქმნა სომხური ეროვნების ბირთვი** (გვ. 398).

ნ. ადონცი შენიშნავს, რომ სომხეთის სამხრეთით და ჩრდილოეთით მცხოვრები **კარდუ-კარდუხი-კორდუსიონი-გორდუენ-ქართუ-ქართველი-ქართველი – ერთი ეთნიკური წარმოშობის ხალხის სახელია** (გვ. 398, შენიშვნა 1).

ამასთანავეო, წერს ადონცი – „ამჟამად უარყოფილია მოსაზრება თითქოსდა ქარდუხები ქურთების წინაპრები იყვნენ. ქურთები ძველად იხსენიებოდა სხვა სახელით“ – და განაგრძობს არმენიის ჩრდილოეთით და სამხრეთით მცხოვრებ ტომთა სახელების მსგავსებათა შესახებ მსჯელობას – **ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ ხალიბები, სამხრეთით ხალდები, სტრაბონთან იხსენიე-**

ბა ორი ოლქის სახელით – სასპერიტები, ერთი სპერი – ჭოროხზე (ჰეროდოტეს სასპერიტები, ქსენოფონტეს – ესპერიტები), ხოლო მეორე – სამხრეთში, ტიგროსის ახლოს – თანამედროვე შუპრია. ყველა ამ ხალხებმა ტიგრან დიდის იმპერიაში შეძლეს გაერთმნიშვნელოვნება იმდენად, რომ მთელი მოსახლეობა ლაპარაკობდა საერთო ენაზე (გვ. 399).

საერთო-ეროვნული ენის შემუშავება გარდამტეხი ეტაპი იყო იმ ქვეყნისათვის, სადაც იქამდე ასეთი სიმრავლე იყო ტომებისა და ეროვნებებისა (გვ. 399).

ადამიანის მდგომარეობა სხვადასხვა ტომობრივ გარემოში ალბათ ისაზღვრებოდა სისხლისმიერი ნათესაობით ამა თუ იმ საგვარეულოს მიმართ.

სომხურმა საგვარეულო სახელწოდებამაც კი შეინარჩუნეს თავისი პირველქართული წარმომავლობა ნ. ადონცის ცნობით.

მაგალითად, ცნობილი საგვარეულოს **ხორხორუნების საგვარეულო ტიტული იყო „მალხაზი“, რაც საერთოდ მფლობელს, თავადს ნიშნავს. ეს ტიტული, ნ. ადონცის სიტყვით, ამოდის ქართული სიტყვიდან „სახლი“, ფუძე „ახლ“, ამავე ფუძიდანაა სომხური „ალახინ“ – მოახლე** (გვ. 400).

მეორე ტერმინი – საგვარეულო **ტიტული ბაგრატიდებისა იყო – ასპეტ. ნ. ადონცი მას მიიჩნევს ქართული უფლის, სპარსული სეპურის (უფლის წულის) გადმონაშთად.**

მამიკონიანების – ჭანეთის, სპერის და ტაოს თავდაპირველი დიდებულების საგვარეულო ტერმინი იყო „მამიკი“, რაც უკავშირდება ქართულ სიტყვა „მამას“, ე.ი. სახლის მამა, მამასახლისი.

ფაუსტის ცნობით, მამიკონიანებს თავიანთი საგვარეულო გამოჰყავდათ ჭენებიდან, ანონიმის სიტყვით, ჭენეთი იყო ჩინეთი. თითქოს იქიდან მოხვდნენ ისინი ტაოში. სინამდვილეში „**თავდაპირველი ტრადიციით, ჭენეთის ქვეშ იგულისხმებოდა არა ჩინელები, არამედ ჭანები, ტაოსთან – მამიკონიდების საგვარეულო ოლქთან ახლოს მცხოვრებნი** (გვ. 403). მათგან იყვნენ გამოსულნი ორბელიანები (გვ. 404). ეს არაა საკვირველი, რადგანაც ბაგრატიდები სპერიდან იყვნენ საქართველოში გადასულები (გვ. 404).

სომხური „ტერ“ და სხვა ტერმინები ნ. ადონცს ქართული სიტყვიდან „უფალი“ (მამა – უფალი, დედა – უფალი, მეფე, მამფალი) გამოჰყავს.

ზემოჩამოთვლილი ტერმინები (მალხაზი, არპეტი, მამაკი, ტერ) ნახარართა წრიდან აღებულია იბერიული ზოლიდან.

აქედან ჩანს, რომ დასავლეთ არმენია და სხვა უფრო დიდი ოლქებიც – ქართული წარმოშობის ტომებით იყო დასახლებული, რომელთაც კვალი დააჩნიეს სომხურ ენას.

მათ თავიანთი წარმოშობა იცოდნენ კიდეც. ნ. ადონცი წერს – „როგორც არ უნდა ასიმილირებულიყვნენ ისინი, საბოლოო ჯამში, მაინც ინარჩუნებდნენ თავიანთ კოლორიტს“ (გვ. 415). ნ. ადონცისთვის „კოლორიტი“, ჩვენი აზრით, იყო თვითშემეცნება იმისა, რომ ისინი ქართულ ეთნიკურ წრეს ეკუთვნოდნენ, მითუმეტეს V-VII საუკუნეებში, როცა მათი ასიმილაცია არ იყო ძალზე შორს წასული. ამ მიზეზის გამო არმენიის გარშემო ჩამოყალიბდა ოთხი მცირე პოლიტიკური სხეული – ბდეხშების სამფლობელო – მათ შორის გოგარენა და არზანენა (გვ. 416).

გოგარენა თავის ქართულ სახეს ინარჩუნებდა.

არმენიის სამხრეთით მცხოვრები კურტები (ქურთების წინაპრები) და კარდუხები (ქართველთა მონათესავენი) ნ. ადონცის სიტყვით, სომხების გავლენის ქვეშ აღმოჩდნენ (გვ. 418). ასევე მათი მეზობელი მატიენები კასპიის ზღვისკენ გელების და კარდუხების გვერდით ცხოვრობდნენ უტიები, ისინი თავდაპირველად უტიების სამხრეთით ცხოვრობდნენ, შემდეგ ჩრდილოეთით, მათთან ერთად ჩრდილოეთით გელებიც გადასახლდნენ (გვ. 420).

ნ. ადონცს ალბანეთის სომხურ ოლქად მიაჩნია სიუნი-სივნიეთი, თუმცა ისინი სომხებისგან განსხვავდებოდნენ (გვ. 423).

უტიელების მეზობლად ცხოვრობდნენ მთიდან ჩამოსული გარგარები, ისინი გარდმანთანაც ცხოვრობდნენ. საბოლოოდ, ყველა ამ ეთნოჯგუფის „ინფილტრაცია“, ე.ი. არმენიზაცია მოხდა შემდეგშიც (გვ. 425).

ნ. ადონცის გამოკვლევებიდან ჩანს, რომ სომხეთის გარე მხარეები, მითუმეტეს დასავლეთ არმენია, სადაც ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ – ქართველთა ისტორიული საცხოვრისი იყო, მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეძლო ეთნო და ეროვნული ვინაობის შენარჩუნება, როგორც ნერსე სომეხთა კათალიკოსის დროს, ისე მის შემდეგ: ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოს ძლიერება ამ შეგნებას ეფუძნებოდა.

იბერები ხოტენესა და აკილისენეში (ძვ.წ. I ს.)

სომხეთის ოლქები ხოტენე და აკილისენა ისტორიულად იბერების საცხოვრისი ყოფილა. ისინი ჯერ კიდევ ქართული ოლქები იყვნენ აპიანესა და სტრაბონის ეპოქაში, ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე გადმოგვცემს აპიანე. კერძოდ, ის ამის შესახებ წერს მითრიდატეს კოლხეთისაკენ გადაადგილების მარშრუტის აღწერისას. ჩვენთვის ეს მომენტი იმითაა საინტერესო, რომ აღნიშნული ოლქები შემდგომში ლაზიკის სამიტროპოლიტოს ნაწილები გახდნენ და ახლოს მდებარეობდნენ კარინის, ანუ თეოდოსიოპოლის ოლქთან, საერთოდ ე.წ. იბერიის თემთან. უფრო მეტიც, ჩვენ ალბათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი თეოდოსიოპოლისის მიწა-წყლის ნაწილს შეადგენდნენ, მის შემოგარენ რეგიონს, რომელთა სოფლებისა და დაბების მოსახლეობას ასე თავდადებით იცავდა ქართველთა სამეფოს ლაშქარი კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაში (როცა ამ სოფლების მოსახლეობის დარბევა და შიმშილით ამოწყვეტა სურდა ბიზანტიურ მხარეს მრავალგზის, რაზედაც თვითონ წერს იმპერატორი). იბერები აქ არა მხოლოდ აპიანეს, არამედ ბასილი II ბულგართმმუსვრელის ეპოქაშიც ცხოვრობდნენ.

აპიანე ამ მხარეთა იბერების შესახებ წერს – „**მითრიდატემ შეუსვენებლივ სირბილით იარა და დაახლოებით მეოთხე დღეს გადალახა ევფრატი, ხოლო შემდეგ სამი დღე იდგა და აიარაღებდა იმათ, ვინც მასთან ერთად იყო, ან მას უერთდებოდა, შემდეგ შეიჭრა ხოტენეში, არმენიაში. იქ მან უკუაგდო ხოტენები და იბერები, რომლებიც მას ისრებითა და შურდულებით აბრკოლებდნენ და გადავიდა მდინარე აფსაროსზე... მითრიდატემ ზამთარი დიოსკურიაში გაატარა**“ (აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, 1959, გვ. 195).

იმავე ამბავს აღწერდა სტრაბონი, კერძოდ, მითრიდატემ გადალახა ევფრატი,

სადაც იყო აკილისენეს წყალუხვი მთა, ქართულად ალბათ „წყალუხვი“ ჟღერდა როგორც „ფასის მთა“, „ფასისი“, რადგანაც პ. ინგოროყვას კვლევით, უხვწყლიან ქვეყანას ფასისი ერქვა, აქედანაა ალბათ „ბასიანის“ პროვინციის სახელიც. სტრაბონი წერს – **„პომპეუსის მიერ დევნილი მითრიდატე აქ გამოიქცა, პონტოს სამეფოს ამ უკიდურეს კუთხეში, დაიპყრო დასტეირასთან აკილესენეს წყალუხვი მთა, მახლობლად იყო ევფრატიც, რომელიც საზღვრავდა აკილესენეს მცირე არმენიისაგან და აქ ცხოვრობდა მანამ, სანამ ალყაშემორტყმული იძულებული არ გახდა გაქცეულიყო მთების გადაღმა კოლხიდაში და იქიდან კი ბოსფორში“** (სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 212).

ნ. ხაზარაძე აზუსტებს, თუ სად მდებარეობდა ეს რაიონები – „თუ სტრაბონისა და აპიანეს მოყვანილ ცნობებს ერთიმეორეს შევუდარებთ, თან აფსაროსჭოროხისა და ევფრატის სათავეებს შორის ხოტენე-ხორძენეს მრავალი მეცნიერის მიერ გაზიარებულ ლოკალიზაციას გავითვალისწინებთ, შესაძლოა დავუშვათ, რომ აკალისენეში მდებარე ციხე-სიმაგრე დასტეირა პარიადრის მთების (ანუ ტაო-სპერის) სამხრეთით განლაგებულ რეგიონშია საძიებელი, პონტოს სამეფოსა და დიდი არმენიის საზღვარზე, იქ, სადაც **კოლხეთში (პონტოსპირეთში) მიმავალი ის გზა გადიოდა, რომლითაც ძვ.წ. I საუკუნეში პომპეუსისგან დევნილმა მითრიდატემ და მისმა ქვეითმა ჯარმა ისარგებლეს, ხოლო გვიან ვახტანგ გორგასალმა და მისმა ლაშქარმა“** (ნ. ხაზარაძე, ძველაღმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი“, 2001, გვ. 368).

ლაზიკის ეპარქიის ერთი ნაწილი, რომელიც აღნიშნულ რეგიონებსაც მოიცავდა, ძველი ქართული წყაროების მიერ მიჩნეულია აზონის მამის სამეფოდ, ანუ არიან-ქართლის სამეფოს ერთ ნაწილად. აქ ბრძოლით შესულა მეფე ფარნავაზი, შემდეგ კი ვახტანგ გორგასალი.

ვახუშტის ცნობით, კლარჯეთი აზონის მამისეული სამეფოს, ანუ არიან-ქართლის ნაწილი იყო. შესაბამისად, კლარჯეთის სამხრეთით მდებარე მხარეებიც არიან-ქართლის სამეფოს ნაწილად მიიჩნეოდა. კლარჯეთის სამხრეთით კი ტაო-სპერი, აღნიშნული ხორძენე, აკილისენე და სხვა მხარეები იყო. მაშასადამე, აზონის მამის ქვეყანა იყო ტაო, სპერი, ხორძენე და მიმდებარე მხარეები.

აზონისა და ფარნავაზის ომისას **ფარნავაზი შეიჭრა აზონის მამულ სამეფოში სწორედ აღნიშნულ მხარეებში.** ისინი, იმჟამად უკვე „საბერძნეთის“ ნაწილად მიიჩნეოდა. აზონს „ბერძნები“ უჭერდნენ მხარს, არტაანის ნაქალაქარში „იქმნა ბრძოლა დიდძალი და მოსწყდეს ორგნითვე ურიცხვი. ხოლო იძლივნენ ბერძენნი ფარნავაზისაგან. ივლტოდა ბანაკი მათი და მოკლეს აზონ და ურიცხვნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყვე ქმნეს და წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა და ეკელეცით შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს, **დაიპყრა კლარჯეთი და წარმოვიდა მცხეთად“** (ქ.ც. I, გვ. 23).

ეკელეცი და ანძორეთი (ანძიაძორა) ასევე იხსენიება ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში, როცა ის, როგორც ჩანს, ქართველთა ოდინდელ ისტორიულ სამშობლოში, ანუ არიან-ქართლის მიწებზე იბრძოდა, კერძოდ, ეს ბრძოლა მიმდინარეობდა შემდგომი თეოდოსიოპოლის (კარინის) – ტრაპეზუნტის არეალზე, ანუ სწორედ იქ, სადაც შემდგომ ლაზიკის ეპარქია ჩამოყალიბდა.

ვახტანგ გორგასლის ლაშქარი „მოადგეს ციხე-ქალაქსა, რომელსა ერქვა კარახპოლა, ხოლო აწ ეწოდების კარნუ-ქალაქი და ბრძოდეს მას... წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოხრნა გზასა ქალაქნი სამნი: ანძორეთი, ეკელეცი და სტერი და მოადგეს ლაშქარნი პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღვის კიდესა“ (ქ.ც. I, გვ. 123).

მკვლევართა აზრით, „ზღვის კიდის დიდი ქალაქი“ ტრაპეზუნტია, მაშასადამე, აღნიშნული ქალაქები კარნუ-ქალაქსა (თეოდოსიოპოლისსა) და ტრაპეზუნტს შორის იყვნენ.

ანძიანძორაში „არს საფლავი დიდი მოძღვრისა გრიგოლისა“ (იქვე, გვ. 160).

ტრაპეზუნტსა და თეოდოსიოპოლისს ისტორიულად აერთიანებდა გზა საერთაშორისო მნიშვნელობისა, რომელიც შავ ზღვას სპარსეთთან აერთებდა, **ამ ორ ქალაქს შორის იყო, როგორც მიიჩნევა, ისტორიული ხოტენას და ახლოს აკილისენეს პროვინციები, რომელნიც არიან-ქართლის მიწა-წყალზე მდებარეობდნენ და მითრიდატეს, კონსტანტინე პორფიროგენეტისა და ბასილი II ბულგართმმუსვრელის ეპოქაში ქართველებით იყვნენ დასახლებულნი**, თუმცა კი უკვე ქვეყანას „არმენია“ ეწოდებოდა, რის გამოც მკვიდრი ქართული მოსახლეობა არმენიზაციის პროცესისაგან თავის გარიდებას ცდილობდა, მათ შორის კონფესიურადაც. ქართული „ეკელეცი“, სადაც ფარნავაზს აზონის მამული ქვეყანა ეგულებოდა, და სადაც იბრძოდა ვახტანგ გორგასალი, სტრაბონის აკილისენა ყოფილა (ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 364). ის, ე.წ. „მაღალ სომხეთში“ მდებარეობდა, ევფრატის ხეობაში ქ. ერიზასთან (ერზინკა). მასა და თეოდოსიოპოლისს შორის უნდა ყოფილიყო სტრაბონის მიერ ნახსენები „აკილესენეს წყალუხვი მთა“, სადაც მითრიდატე ცოტა ხანს ცხოვრობდა და აქვე ხოტენენი, მკვიდრი იბერები შეებრძოლნენ ისრებითა და შურდულებით. ხოტენე ზოგი მეცნიერის მიერ ხორზენედ მიიჩნევა (იქვე, გვ. 367). იქვე, ტაო-სპერის სამხრეთით ყოფილა პარიადრის მთები, რომელიც მითრიდატემდე სულ ცოტა ხნის წინ არმენიელებმა იბერებს წაართვეს. ამ ძველი ქართული ადგილების, ანუ **არიან-ქართლის დასაბრუნებლად, როგორც ითქვა, უბრძოლიათ – ფარნავაზს, შემდეგ – ვახტანგ გორგასალს, შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, დავით დიდი კურაპალატი და საქართველოს მეფე გიორგი I იბრძოდნენ, სადაც შემდეგ, როგორც ითქვა, „ლაზიკის სამიტროპოლიტოს“ იურისდიქცია გავრცელდა და „იბერიის თემი“ მდებარეობდა,** აქ იყო იმ იბერთა (და არა სომეხთა) ქალკედონიტური საეპისკოპოსოები, რომელნიც კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. ამ ადგილების ე.წ. სომხურ-ქალქედონური საეპისკოპოსოების მრევლის უმეტესობა ეთნიკური ქართველები იყვნენ.

ნ. ხაზარაძე მოსხების ქვეყნის შესახებ (ძვ.წ. I ს.)

სტრაბონი წერს – მდინარეების ფაზისის, გლავკოსისა და ჰიპოსის „მაღლა (ზემოთ) მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცული“ (XI, 2,17). ნ. ხაზარაძეს ასე გადმოაქვს – „მდინარეების მაღლა – ზემოთ“, „მაღალ ადგ-

ილზე“, ე.ი. მთაში განლაგებულს ნიშნავს (გვ. 21). „მოსხების ქვეყანას“ სტრაბონი მეორეჯერაც ახსენებს: **„მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო, სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“ (XI, 2, 18).**

სამლოცველო კი არ არის სამად გაყოფილი, არამედ მოსხების ქვეყანა. მისი ერთი ნაწილი არმენიელებს დაუპყრიათ, ხოლო ორი დანარჩენი თავისუფალ ნაწილთაგან ერთი იბერების, მეორე კი კოლხების ხელშია.

ნ. ხაზარაძის კვლევით **„მოსხების ქვეყანა“ მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, ე.წ. „ისტორიულ კოლხეთში“, არამედ სამხრეთ საქართველოში – ისტორიულ მესხეთში**.

ის იკვლევს სხვადასხვა ეპოქის წყაროებს და ასკვნის – **„სტრაბონისეული „მოსხიკეს“ (მოსხების ქვეყნის) მოთავსებას ისტორიული მესხეთის ადგილზე უფრო გვიანდელი ხანის (ძვ.წ. I-ახ.წ. III სს) წერილობითი წყაროებიც უჭერენ მხარს“** (ნ. ხაზარაძე,: **„ძველაღმოსავლური და ქართველური ძიებანი“, 2001 წ.** გვ. 222).

თუ „მოსხების ქვეყანა“ – ისტორიული მესხეთია და მისი ერთი ნაწილი კოლხების ხელშია მოქცეული სტრაბონის თანახმად, მაშინ კოლხეთი არის არა დასავლეთ საქართველო, არამედ ტრაპიზონის მხარე – ე.წ. ლაზისტანის აღმოსავლეთი ტერიტორია, კერძოდ კი **ჭოროხის ხეობის ზღვისპირა ნაწილი ე.წ. ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი და თვითონ კლარჯეთი.** რადგან ისტორიულ მესხეთს დასავლეთის მხრიდან საზღვრავდა სწორედ მდ. ჭოროხის ხეობის ერთ-ერთი ქედი, რომელსაც ლაზისტანისა ეწოდება.

ისტორიული მესხეთის ერთი ნაწილი რომ არმენიელების მიერ იყო დაპყრობილი სტრაბონის ეპოქაში, ეს ძველი ქართული წყაროებითაცაა ცნობილი. კერძოდ, პარიადრეს კალთების ჩამორთმევის შემდგომ იბერიასა და არმენიას შორის სადავო იყო ბასიანი და ტაო მტკვრის სათავეებამდე.

ხოლო ძველქართული წყაროების ცნობით, კლარჯეთის მომიჯნავე ისტორიული მესხეთის მხარე არტაანი – ძირითადად მუდამ იბერიაში შედიოდა, ისაა ერთადერთი ქართული რეგიონი, რომელიც ერთდროულად ემიჯნებოდა ლაზისტანს, ქართლსა და სომხეთს.

ნ. ხაზარაძე ასკვნის – „გეოგრაფიის XI, 2,17-ში, ისევე, როგორც XI, 2,18-ში მოხსენიებული „მოსხების ქვეყანა“ („მოსხიკე“) ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზეა საძიებელი (იქვე, გვ. 222).

სტრაბონის „ფაზისი“ ამ შემთხვევაში ნამდვილადაა ჭოროხი.

ნ. ხაზარაძეც ასე ფიქრობს სტრაბონის „მოსხიკეს“ ადგილმდებარეობის დადგენის დროს. „ფაზისის სათავედ წარმოდგენილია არა ფაზის-რიონის სათავე, არამედ ჭოროხ-ფაზისისა (არმენია) (იქვე, გვ. 212). სტრაბონისა და პლინიუსის მიხედვით, კოლხეთის მდინარე ფაზისის შენაკადები არიან გლავკოსი და ჰიპოსი, (Strabo, XI, 2,17, XI, 3,4; Plin, NH, VI, 13), კლავდიოს პტოლემაიოსი გლავკოსს უწოდებს მდინარეს, რომელიც ლიკოსთან ერთად $72^{0}30^{/}$ - $43^{0}45^{/7}$ -ზე ერთვის აფსაროს-ჭოროხს (Ptolem, V, 10,3).

პლინიუსის მიხედვით, ფაზისის სათავე მოსხების მთებშია. ჭოროხის სათავეც მესხებით ყოფილა დასახლებული.

„მოსხური მთებიდან“ ნ. ხაზარაძის კვლევით, მომდინარეობენ „მესხეთის მდინარეები: ჭოროხი და მისი შენაკადები თორთუმი და ბანა-ფანასკერტი.

პლინიუსის ცნობის ამგვარ ინტერპრეტაციას მხარს უჭერს შემდეგიც: სოლინი (ახ.წ. III ს.), რომლის თხზულება ძირითადად პლინიუსის ნაშრომის საფუძველზეა დაწერილი, ფაზისის, არაქსისა და ევფრატის სათავეებს ერთად იხსენიებს. სოლინის აზრით – **„ჰენიოხური მთები არაქსს გადმოღვრიან, მოსხური კი – ფაზისს. არაქსი სათავეს იღებს ევფრატის სათავეებთან ახლოს“**, რაკი სოლინი მოგვითხრობს ერთ გარკვეულ რეგიონში განლაგებული და არა ერთმაენთისაგან დაშორებული მდინარეების სათავებზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **„ფაზისის“ სახელწოდებით სოლინი აღნიშნავს არა კოლხეთის მდინარე ფაზის-რიონს, არამედ მესხეთის მდინარე ფაზის-ჭოროხს (ჭოროხის სათავის სიახლოვე არაქსის და ევფრატის სათავეებთან საეჭვო არ არის** (ნ. ხაზარაძე, გვ. 223).

ნ. ხაზარაძე ასევე მიიჩნევს: **„ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე მოსხების ქვეყნის ძიება გამართლებულია კორნელიუს ტაციტუსის (ახ. წ. I-II სს) იმ ჩვენებითაც, რომლის თანახმად მოსხების მიწა-წყალი არმენიის მეზობლადაა მოთავსებული (ცნობაში ნათქვამია, რომ მოსხები თავს ესხმიან არმენიის მიყრუებულ ადგილებს)**. სტრაბონისეული „მოსხიკეს“ ზემოთ შემოთავაზებულ ლოკალიზაციას ეთანხმება მოსხების განსახლების შესახებ არსებული ძვ.წ. IV-V საუკუნეების ბერძნული წყაროების მონაცემებიც (ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 223).

ნ. ხაზარაძე ეთანხმება თ. მიქელაძეს და წერს, რომ ფრიქსეს ანუ ლევკოთეას ტაძარი, საძებნია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ ქართლში, ხოლო **არგონავტების თქმულების კოლხეთი საძებნია არა რიონის დაბლობზე, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ჭოროხის აუზში) – „ისტორიულ სამრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ფრიქსეს სახელთან დაკავშირებული ძეგლისა და ქვეყნის ძიების სასარგებლოდ ლაპარაკობს თ. მიქელაძის ის საყურადღებო თეორიაც, რომლის შუქზე არგონავტების თქმულების კოლხეთი, უკეთ აია-კოლხეთი, საძიებელია არა რიონის დაბლობზე, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ჭოროხის აუზში“** (ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 224).

მართლაც, ნ. ხაზარაძის კვლევის თანახმად – „სტრაბონი ფრიქსესა და არგონავტების თხზულების გმირების (იაზონი, მედეა, მედოსი, არმენოსი და სხვა) სამოქმედო ასპარეზად წარმოგვიდგენს არა რიონისპირა კოლხეთს, არამედ მის ფარგლებს გარეთ (სამხრეთით) მდებარე რეგიონს. ამ თვალსაზრისით შემდეგი ცნობებია საყურადღებო: სტრაბონის თანახმად, ფრიქსესა და იაზონის ლაშქრობის ძეგლები მრავლად მოიპოვება. გეოგრაფოსი წერს: „ფრიქსესს მიუთითებენ კოლხეთისა და იბერიის საზღვარზე, ხოლო იაზონისას – ბევრგან არმენიის, მიდიის და მათ მეზობლად მდებარე ქვეყნების ადგილებში“ (I, 2,39), სტრაბონი აზუსტებს: „იბერიაში არის ერთი პატარა ქალაქი ფრიქსოპოლისი, ახლანდელი იდესსა, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხეთის საზღვარზე“ (XI, 2,18). ერატოსთენეზე (ძვ.წ. III ს.) დაყრდნობით სტრაბონი გვამცნობს, რომ იაზონმა „დასტოვა ხომალდი, როდესაც კოლხებისაგან მიდიოდა და არმენიასა და მიდიამდე ხმელეთით ილაშქრა“.

არმენიაში იაზონის ყოფნაზე მის სახელზე აგებული ტაძრები ლაპარაკობენ (XI, 13,10). იაზონმა თითქოს არაქსს კალაპოტი შეუცვალა (XI, 14,13). მისი თანამგზავრი არმენოსი არმენიის ეპონომია (XI, 4,8), თანამგზავრთაგან დასახ-

ლდნენ აკილისენეში, უწინ სოფენების გამგებლობაში რომ იყო, ზოგიც სისპირიტისში, არმენიის საზღვრებს იქით, სტრაბონს მიდიის სახელწოდება მედეასა და მისი ვაჟის მედოსის სახელიდან გამოჰყავს.

არგონავტების თქმულების გმირების მოქმედების რეგიონი სამხრეთიდან ესაზღვრება „მოსხიკესათვის“ ნავარაუდევ მიწა-წყალს. „მოსხიკეს“ უშუალოდ ემეზობლებოდა ფარნაკეს და მითრიდატე პერგამონელის საბრძოლო არეალს, ამიტომაც შეძლეს მათ **ლევკოთეას გაძარცვა ისტორიული მესხეთის სამხრეთით**.

არგონავტების თქმულების გმირები არმენიასა და მიდიაში გადასულან უშუალოდ კოლხეთიდან, მათ იბერია რომ გაევლოთ, სტრაბონი მოგვცემდა შესაბამის ცნობას (ისევე, როგორც მოგვცა ცნობა ფრიქსეს ტაძრის იბერიაში არსებობის შესახებ). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ არგონავტების კოლხეთი არაა დასავლეთ საქართველო. საიდანაც არმენიაში შესასვლელად მათ იბერია უნდა გაევლოთ. მაგრამ თუკი კოლხეთი – ტრაპიზონ-ჭოროხის ხეობაა, იქედან არმენიაში შესვლა შესაძლებელი იყო სხვადასხვა გზით, მათ შორის უფრო ცნობილი იყო შემდგომ **არტანუჯ-არტაანად წოდებული გზა, რომლის ერთი მთავარი ტოტი შედიოდა არმენიაში, იქიდან კი მიდიაში. არანაკლებ ცნობილი იყო ტრაპიზონ-თეოდოსოპოლის გზა.**

ნ. ხაზარაძე, ისევე, როგორც XX საუკუნის ზოგიერთი სხვა ქართველი მკვლევარი, ხშირად ლაპარაკობს სტრაბონის ცნობების უზუსტობებისა და წინააღმდეგობების შესახებ (დასახ. ნაშრომი, გვ.211, 216), მაგრამ ამ შემთხვევაში, თუკი სტრაბონის ფაზისად ჩავთვლით ჭოროხს, მისი „უზუსტობანი“ შემცირდება. მაგალითად, „ფაზისის სათავე არმენიაშია“ (იმ ეპოქაში ჭოროხის სათავე არმენიაში იყო), ფაზისს ერთვის გლავკოსი და ჰიპოსი“ – წერს სტრაბონი. თუკი გლავკოსად ჩავთვლით არტანუჯისწყალს ლიგანის ხევთან ახლოს (შდრ. „ლიკე“, ლიკანი, ლიგანისხევი – ლიკეს ახსენებს პტოლემაიოსი, რომელიც გლავკოსთან ერთად ერთვის ჭოროხს), აქაც სტრაბონის „უზუსტობა“ მცირდება.

სტრაბონი წერს: მაგალითად, „ფაზისზე ცურვა შეიძლება სარაპანამდე“ (XI, 2,17). თუ ჩვენ გავბედავთ და დავძლევთ ტრადიციულ თვალსაზრისს და ჩავთვლით, რომ სარაპანა არ არის იმერეთის შორაპანი და სარაპანად ჩავთვლით ჭოროხის რომელიმე სანაოსნო ნავსაყუდელს (მაგალითად ართვინს), მაშინ აღარ ვისაუბრებთ სტრაბონის „უზუსტობების“ შესახებ, რადგან ჭოროხი დ. ბაქრაძის ცნობით ნამდვილად იყო სანაოსნო ართვინამდე (მასზე 200-ზე მეტი ბრტყელძირა ნავი დაცურავდა, რომლითაც ჭოროხის ხეობის საქონელი – დახერხილი ფიცრები და პროდუქტები გადაჰქონდათ შავი ზღვის პორტებში და პირიქით – შავი ზღვის პორტებიდან ძირითადად მარილი და მსუბუქი საქონელი გაჰქონდათ ართვინამდე).

ტოპონიმი შორაპანი ქართულ სამყაროში მრავლად მეორდება, მაგალითად, „შორაპანი“ ერქვა ქალაქ ოზურგეთს XV საუკუნეში ისტორიული ატლასის მიხედვით. სტრაბონი წერს „**იბერიაში ოთხი შესასვლელია: ერთი არის კოლხური ციხე-სიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომელზეც ფაზისი მომდინარეობს, სწრაფი და ხმაურიანი მიემართება კოლხიდაში, რომელზეც 120 ხიდით გაივლება მიხვეულ-მოხვეულობის გამო. მრავალი ნაკადულებით წარმოიქმნება (ფაზისი) ზემოთ მდებარე მთებში, მრავალი ნაკადულისაგან, ხოლო დაბლობში ღებულობს სხვა**

მდინარეებს, რომელთა შორის არის გლავკოსი და ჰიპოსი, გავსილი და სანაოსნოდ გამოსადეგი ჩადის პონტოში“ (XI, 3,4).

თუ ჭოროხი (ან მისი შენაკადი) – ფაზისია, ხოლო კოლხიდა – „კლარჯეთი და ბოლო კლარჯეთისა – ზღვისპირია“, **იბერიაში შესასვლელი ნამდვილად მიუყვება შავი ზღვიდან მდ. ჭოროხს, ადის ართვინამდე და შემდეგ შედის ვიწრო ხეობაში, რომელშიც შემდგომ არტანუჯი აიგო, არტანუჯიდან კი შედის იბერიაში, ანუ არტაანში – კანდრიდის, ანუ სკანდის გზით.**

თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, სტრაბონის „უზუსტობაც“ აღმოიფხვრება. თუ ფაზისად ჩავთვლით რიონს, მაშინ ნამდვილად სტრაბონი აღმოჩნდება „არაზუსტი“, რადგანაც დაჭაობებულ დაბლობზე მიმდინარე და დელტებიან ნაპირებიან **რიონზე** ამჟამადაც კი შეუძლებელია 120 ხიდის აგება, მაგრამ თუ ჩავთვლით, რომ ფაზისი არის ჭოროხი მისი შენაკადები, რომელნიც მიედინებიან კლდეთა შორის ვიწრო ხეობებზე, რომლებზეც ისტორიულად იყო გადებული მრავალი ძველი თაღოვანი ხიდი (ერთ-ერთი არტანუჯთან, სხვები მიმდებარე ხეობების წყლებზე), მაშინ აღარ ჩავთვლით „არაზუსტად“ სტრაბონს.

გლავკოსად და ლიკოსად კი შესაძლებელია ჭოროხის შენაკადები ჩავთვალოთ, როგორც აღინიშნა – უპირველესად ლიგანის ხევი, რადგანაც ჭოროხის ქვეყანას ართვინთან ახლოს ისტორიულად „ლიგანი“ ერქვა – აქ უნდა ყოფილიყო მდ. ლიკოსი, ლიკე. აქ ახლაც არის მდ. „ლიგანის ხევი“ (არტანუჯის მხარეს). ცნობილია, რომ ერთ-ერთი ლიკე გაედინებოდა ტრაპეზუნტის მხარეს, მაგრამ, როგორც ეტიმოლოგიაც მიუთითებს - სხვა მდინარე ამავე სახელწოდებით - ლიკე-/ლიკანი-ლიგანი/ ლიგანის ოლქშიც/ გაედინებოდა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მდინარეების ლოკალიზაციის შესახებ ამჟამად ერთიანი აზრი არ არსებობს, ძირითადად მათ თვლიან მდ. რიონის შენაკადებად, ასეთ შემთხვევაში სტრაბონი ძალზე „არაზუსტი“ ჩანს.

მდ. ჰიპოსს მიიჩნევენ ზოგიერთნი ცხენისწყლად, ზოგი მდ. კოდორად, ან მდ. ლაგვაშად (აფხაზეთში) და ა.შ. ხოლო ფაზისად მიიჩნევა მდ. ყვირილა და მდ. რიონის შუა და ქვემო დინება. ასეთი მიდგომის გამო სტრაბონი „არაზუსტი“ ჩანს. მაგალითად, შეუძლებელი ხდება ლევკოთეას ტაძრის ადგილმდებარეობის განსაზღვრა, რადგანაც იგი მდებარეობდა აღნიშნული მდინარეების მაღლა, ე.ი. მაღალ ადგილზე, ზემოთ და არა შორს ან მოშორებით (ნ. ხაზარაძე, გვ. 219), ამიტომ თვლიდნენ ლევკოთეად ზოგი მეცნიერი აწყურს, ზოგი ნოქალაქევს, ზოგი საირხეს, ზოგი ვანს, ხუცუბანს. ზოგი მას ათავსებს კოლხეთში, ზოგი იბერიაში, ზოგი კინტრიშის ხეობაში, ადიგენსა და სხვაგან მაშინ, როცა სტრაბონის მიხედვით ლევკოთეა „მოსხიკეში“ – მოსხების ქვეყანაშია. ეს უნდა იყოს, როგორც ითქვა, არტაანის მხარე, რომელსაც უერთდება კლარჯეთიდან – არტაანში ანუ კოლხეთიდან იბერიაში შემავალი ისტორიული გზა. აღსანიშნავია, რომ ამ მხრეებში, კერძოდ ჯავახეთში, ახლაც არის სოფელი კოთელია, რომლის სახელი ემსგავსება ლევკოთეას.

ნ. ხაზარაძე წერს: – „ს. ჯანაშიას აზრით, ცხენისწყალთან ჰიპოსის გაიგივება „ნაკლებ სანდო ჩანს“, ხოლო ყვირილასთან გლავკოსისა „სავსებით საცილობელია, თუ ჰიპო ცხენისწყალია, მაშინ ბუნებრივი იქნება დავასკვნათ, რომ გლავკი რიონია“ (ს. ჯანაშია, ფასიდი, შრომები, II, გვ. 180). გ. მელიქიშვილი ტოლობის ნიშანს სვამს გლავკოსისა და ზემო რიონს შორის., ისევე, როგორც

ს. ჯანაშია, გამორიცხულად თვლიან ყვირილასთან გლავკოსის გაიგივებას. ო. ლორთქიფანიძის აზრით, უფრო მართებულია გლავკოსი იდენტიფიცირებული იქნეს რიონის მარცხენა შენაკადთან მდ. სულორთან. ნ. ლომოური მდ. გლავკოსს აიგივებს დღევანდელ მდ. ოლთი-ჩაისთან, ხოლო ლიკოსს – დღევანდელ მდ. თორთუმთან. ნ. ხაზარაძე დასაშვებად თვლის ნ. ლომოურის აზრს (ნ. ხაზარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 228).

ჩვენი აზრით, როგორც ითქვა, გლავკოსი და ლიკოსი საძებნია იმ არეალში, სადაც არტანუჯისწყალი უერთდება ჭოროხს, არტანუჯისწყალის შესართავია ლიგანისხევი. ესენი შესაძლოა იყვნენ გლავკოსი და ლიკოსი (ანდა ამავე არეალში ჭოროხის სხვა შენაკადები), ხოლო ჰიპოსი ამავე არეალშია საძებნი, კერძოდ, ართვინიდან ზღვის მიმართულებით ჭოროხის მარცხენა წყალუხვი შენაკადებიდან ერთ-ერთი.

საქმე ისაა, რომ ძველ ავტორებს, როგორც ჩანს, აინტერესებდათ არა ჭოროხის, ე.ი. ფაზისის ვრცელი ხეობა მთლიანად (ეს ნაწილი არმენიაში შემავალად მიიჩნეოდა), არამედ მისი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მოიცავდა ფასისთან ერთად გლავკოსსა და ჰიპოსს (და იქვე მყოფ სხვა მდინარეებს), რადგანაც მხოლოდ ამ ნაწილს მოიცავდა კოლხიდა-იბერია-არმენიის დამაკავშირებელი საერთაშორისო მნიშვნელობის გზა, რომელზეც შემდგომში აიგო არტანუჯის ციხე-სიმაგრე, მასში კი კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, შედიოდნენ (ცხადია, აღნიშნული გზით) ვაჭრები იბერიიდან, არმენიიდან, სირიიდან. ამ გზით შესაძლებელი იყო სამხრეთ კავკასიის მთელი ტვირთების გადაზიდვა შავი ზღვის პორტებში და პირიქით, ბიზანტიური საქონლისა მცირე აზიაში ვიდრე სირიამდე, თუ არ ჩავთვლით თბილისურ და კავკასიურ საქონელს.

რაც შეეხება მდ. ჭოროხს, როგორც ჩანს, მას ზემოწელში ერქვა აკამფსისი, შუაწელში ბოასი, ხოლო (მდ. არტანუჯისწყლის) ქვემოთ ზღვამდე – ფაზისი, მასვე, ან მის მახლობელ მდინარეს, ჩანს. აფსაროსიც ერქვა – აფსირტეს, მედეას ძმის, მკვლელობის ადგილის სახელის მიხედვით, ის ამ მდინარის შესართავთან (და არა რიონთან) მოუკლავთ.

რადგანაც კოლხეთის (შემდეგდროინდელი ლაზიკის) ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება „მესხების ქვეყნის“ ლოკალიზაციას, მოვიყვანოთ უძველესი ცნობები მესხთა (მოსხთა) შესახებ. ჰეკატოს მილეტელი (VI ს. ქრისტეშობამდე) იხსენიებს მათ. სტეფანე ბიზანტიელის (VI ს. ჩვენი წელთაღრიცხვით) „ეთნიკაში“ ვკითხულობთ „ჰეკატოს მილეტელის თანახმად, მოსხები კოლხური ტომია და ცხოვრობენ მატიენების მეზობლად“. ნანა ხაზარაძე წერს – „ჰეკატოს მილეტელის წარმოდგენით ტერმინ „კოლხის“ გავრცელების არეალი მოიცავდა მდ. ჭოროხის შესართავიდან სამხრეთით მდებარე რეგიონს. საქმე ის არის, რომ მატიენების ტომის მდ. ჭოროხის მაღლა (ჩრდილოეთით) განვრცობის შესახებ ცნობები არ არსებობს“ (იქვე, გვ. 258).

კოლხების მდ. ჭოროხის შესართავის სამხრეთით ცხოვრების შესახებ ცნობას გვაძლევს ჰეროდოტე, რომელიც წერს, რომ მდ. თერმოდონტთან მცხოვრებმა სირიელებმა და მათმა მეზობელმა მაკრონებმა „მხოლოდ ახლახან“ ისწავლეს კოლხებისაგან წინადაცვეთა (II, 104). მდ. თერმოდონტი კი მიედინება ტრაპეზუნტის სამხრეთით. ჯავახიშვილის აზრითაც, „წინათ კოლხები თერმოდონტის ახლოს ცხოვრობდნენ“ (იქვე, გვ. 267). ქსენოფონტის ცნობითაც (IV ს. ქრისტეშობამდე) კოლხების ტომს ეკუთვნოდა ტერიტორია მდ. ჭოროხის

სამხრეთით, ტრაპეზუნტის რაიონში (იქვე, გვ. 268). ავტორი ლიკოფრონი (IIIს. ქრისტეშობამდე), რომლის კომენტარები იოანე ცეცეს ეკუთვის, წერდა, რომ კოლხებს აგრეთვე უწოდებდნენ „აზიელ სკვითებს“ და „ლევკოსირიელებს“ (იქვე, გვ. 268), მაშასადამე, კოლხები არ იყო ერთი ტომი, არამედ კრებითი სახელი სხვადასხვა მოდგმის ტომების, მათ შორის, სემიტური წარმოშობის ლევკოსირიელებისა, კოლხებია მესხებიც, რომელნიც ჭოროხის ხეობაში ცხოვრობენ. კოლხური ბრინჯაოს ნაწარმი ძვ.წ. XIV-XII სს-ში ანატოლიაში ფართოდ გავრცელდა (ორდუს განძი (1926), სხვა მრავალ ადგილას აღმოჩენილი ბრინჯაოს განძი, მათ შორის ართვინის (ჭოროხის ხეობაში). ნანა ხაზარაძის კვლევით „მოსხური მთები“, რომლებიც სტრაბონის წარმოდგენით კოლხეთის სამხრეთ საზღვარზე მდებარეობდა, საძიებელია ტრაპეზუნტის ჩრდილოეთით... სტრაბონი ტრაპეზუნტსა და კოლხეთს შორის არც ერთ სხვა ეთნიკურ ან გეოგრაფიულ სახელწოდებას არ იხსენიებს“ (იქვე, გვ. 310). სტრაბონის მოწმობით „სკიდისე, კლდოვანი მთა“ მოსხურ მთებს უერთდება (იქვე, გვ. 311), სკიდისი და შემდგომი ავტორების „სკანდა“ სახელები ემსგავსებიან ერთმანეთს.

სტრაბონის თანახმად, მტკვარს არმენიაში აქვს სათავე, მაგრამ იგი მაშინვე შემოდის იბერიის დაბლობში (XII, 3,2) ანუ კოლა სომხეთს ჰქონდა მიტაცებული, ხოლო არტაანი – იბერიაში იყო.

„მოსხური მთები“ ნ. ხაზარაძეს ეგულება მტკვრის სათავეებთან ახლოს. მტკვარ-ჭოროხის წყალგამყოფი ქედების ადგილას (ესაა არსიანის და მისი მიმდებარე ქედები). მტკვრის სათავეების სამხრეთ-დასავლეთიდან სტრაბონის ცნობით სომხებმა დაიპყრეს იბერიის ტერიტორიები – „პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე (რომელიც მტკვრის გადაღმა არის)“ ძვ. წ. II საუკუნეში (XI, 14,5). სტრაბონისვე ცნობით პარიადრეს მთიანეთი ყოფილა წყლით მდიდარი და ტყიანი, აქ იყო მოწყობილი მეტი წილი განძსაცავებისა, პომპეუსის მიერ დევნილი მითრიდატე აქ გამოიქცა, შემდეგ იძულებული გახდა გაქცეულიყო მთების გადაღმა – კოლხიდაში, იქიდან კი ბოსფორში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მან გადალახა არსიანის ქედი და შემდეგდროინდელი არტანუჯის გზით შევიდა ჭოროხის ხეობაში „უკუაგდო ხოტენები და იბერები, რომლებიც მას ისრებითა და შურდულებით აბრკოლებდნენ და გადავიდა მდ. აფსაროსზე“, – წერს აპიანე. ნ. ხაზარაძის კვლევით, შემდგომ ამავე გზით უსარგებლია ვახტანგ გორგასალს, როცა მან ჭოროხის ხეობიდან (კლარჯეთიდან) – არტაანის გავლით მცხეთაში დაბრუნება გადაწყვიტა (იქვე, გვ. 368).

მაშასადამე, სტრაბონის მიერ ნახსენები მდინარეები ფასისი, გლავკოსი, ჰიპოსი მდებარეობდნენ ჭოროხის ხეობაში, ბერძნები „ლაზიკას“ უწოდებდნენ იმ ქვეყანას, რომელსაც ქართულ წყაროებში ერქვა „კლარჯეთი, ბოლო-კლარჯეთისა ზღვისპირი“. აქვეა, ისტორიული მესხეთი - ნ. ხაზარაძის კვლევით.

უნდა ითქვას, რომ **კლარჯეთი /არტანუჯის მხარე/ იყო ის მესამედი მესხეთისა, რომელიც სტრაბონის სიტყვით, მის დროს კოლხების ხელში ყოფილა მოქცეული.**

პ. ინგოროყვა მესხეთ-კოლხეთის შესახებ (I ს.)

პ. ინგოროყვა წერს – „აღსანიშნავია, რომ მესხეთის ისტორიული ტერიტორიებიდან კოლხების სატომო სახელთან დაკავშირებულია სახელწოდება არა

მარტო კლარჯეთის (კოლარჯების, კოლარების) მხარისა, არამედ მესხეთის ზოგიერთი სხვა რაიონებისა.

მაგ. მესხეთის მხარეთა შორის მტკვრის სათავეებში მდებარე რაიონი – კოლა (კორა), რომელსაც უკავშირდება სატომო სახელი კოლხი (კოლაელი), ვარიანტების ფორმით „კორახი“.

პლინიუს სეკუნდეს ცნობით, მდ. მტკვრის სათავეების მთების სახელი ყოფილა „კორახი“. კოლას უკავშირდება მდინარის სახელიც „კორი“, „კოროს“. ასე ერქვა მტკვარს სტრაბონის ცნობით.

მესხების შესახებ უძველესი ცნობა, რომელიც ეკუთვნის ანტიკური ხანის ბერძენ მწერალს ქრისტემდე VI საუკუნისას ჰეკატე მილეტელს – მესხების ტომი კოლხებთანაა დაკავშირებული (ფრაგმენტი 188) – (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 438).

ლაზიკის სამიტროპოლიტო, როგორც აღინიშნა, XI ს.-ში ტრაპეზუნტის ქალდეების გარდა, მესხების ტომით დასახლებულ მიწა-წყალს მოიცავდა ვანის ტბის მიმართულებით. მაგრამ უფრო ადრე VI ს.-ში სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებს მოიცავდა ლაზიკის სამეფო და ეპარქიები ლაზიკაში.

ლაზიკის სამეფო მოიცავდა მიწა-წყალს ჭოროხის შესართავიდან და ზღვისპირიდნ არსიანის ქედამდე. მას ქართულ წყაროებში ერქვა-კლარჯეთი-ბოლოკლარჯეთისა-ზღვისპირი. არაბობის ეპოქაში აქ ჩამოყალიბდა სახელმწიფოებრივი ერთეულები –კლარჯეთის საკურაპალატო და შემდეგ ქართველთა სამეფო.

თუ ისტორიული ლაზიკის სამეფო კლარჯეთს მოიცავდა, მაშინ შემდგომი კლარჯეთის სახელმწიფოებრიობა ლაზიკის სახელმწიფოებრიობის გაგრძელებად შეიძლება ჩავთვალოთ.

VI საუკუნისათვის ლაზიკის ეპარქიები მოიცავდა სულ სხვა მხარეს, კერძოდ რეგიონს ტრაპეზუნტიდან თეოდოსიოპოლისის მიმართულებით, ხოლო XI საუკუნისათვის **ლაზიკის სამიტროპოლიტო მოიცავდა ტერიტორიას ტრაპეზუნტიდან ზიგანა-თეოდოსიოპოლ-ვანის ტბისაკენ**.

იქამდე აქ, ქალდების მიწაზე, ნ. ადონცის ცნობით, შემდეგდროინდელ ზიგანა-გიუმუშხანეს რეგიონში, მდებარეობდნენ ლაზიკის ცნობილი საეპისკოპოსოები (ზიგანა, საისინი, როდოპოლისი, პეტრა). ქალდებს სტრაბონი ასევე „ალაზონებს“ უწოდებს. ალაზონები იგივე ლაზები უნდა იყვნენ ისტორიულ კოლხეთში.

პ. ინგოროყვა ასევე სიტყვებს „კოლხსა“ და „კლარჯს“ ერთმანეთთან აკავშირებს, ის ასე მსჯელობს– „**ქართულში ბოლოკიდურს „ელი“ ენაცვლება ბოლოკიდური „არი“**. ასე მაგალითად – ოდიშელი – ოდიშარი, ცხუმელი – ცხუმარი, ოპიზელი – ოპიზარი, ოლთისელი – ოლთისარი, კოლაელი – კოლარი“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1957, გვ. 437). **„ელ“ – „არ“ – გამოხატავს იმავეს, რასაც დაბოლოება „ხი“**

კოლ**არი** – კოლ**აელი** – კოლ**ხი**

„ამრიგად, სახელწოდებანი „კოლხი“, „კოლაელი“ და „კოლარი“ იდენტურნი არიან“ (იქვე, გვ. 437).

ასევე რთული **ბგერისაგან „რჯ“, მიიღება ცალ-ცალკე „რ“ და „ჯ“.**

კოლარი – კოლარჯი – კლარჯი

რ – რჯ „ამრიგად, ყველა ეს სახელწოდებანი „კოლხი“, „კოლაელი“,

„კოლარი“ და „კოლარჯი“ (კლარჯი) ერთი და იგივე სატომო სახელის დიალექტური სხვაობაა“ (გვ. 438).

„დაბოლოება „ხი“ გამოხატავს იმავე შინაარსს, რასაც დაბოლოება „ელი“ (პ.ი. გვ. 437).

კარდუხი, ტაოხი, კოლხი, ჯავახი და სხვ.

პ. ინგოროყვა წერს – „სატომო სახელებში, რომლებიც ბოლოვდება ბოლოკიდურით „ხი“, ფუძე-სიტყვა აღნიშნავს ქვეყანას, ხოლო დაბოლოება „ხი“ გამოხატავს იმავე შინაარსს, რასაც დაბოლოება „ელი“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1957, გვ. 437).

ე.ი. კარდუხი=კარდუელი=ქართუელი

კოლხი= კოლაელი=კლარჯი

ოთხი არმენია (IV-VI სს.)

IV-VI საუკუნებისათვის ბიზანტიური არმენია იყოფოდა ოთხ დიდ ნაწილად. „პირველი არმენია“ იყო ბიზანტიური პროვინცია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე – ტრაპიზონის ქვემოთ, რომლის დედაქალაქი იყო თეოდოსიოპოლისი, იგივე კარინი (ქართული კარნუ-ქალაქი), მას ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა ტაო (ივერია) და ნაწილობრივ ლაზიკა. დასავლეთით შავი ზღვა, აღმოსავლეთით სპარსული პროვინცია „სპარსული არმენია“ (პერსარმენია), სამხრეთით „მეორე არმენია“ და „მეოთხე არმენია“.

„მეორე არმენია“ („არმენია მეორე“) მდებარეობდა „პირველი არმენიის“ სამხრეთით, მდ. ევფრატის მარჯვენა სანაპიროზე.

„მესამე არმენია“ („არმენია მესამე“) მდებარეობდა „მეოთხე“ და „მესამე“ არმენიის სამხრეთით, ევფრატის მარჯვენა სანაპიროზე, მას მარჯვნიდან ესაზღვრებოდა ბიზანტიური პროვინცია „მესოპოტამია“.

„მეოთხე არმენია“ მდებარეობდა „პირველი არმენიის“ სამხრეთით ვანის ტბის სიახლოვეს, ამ ყველა „არმენიების“ შუა.

„პერსარმენია“ მოიცავდა არაქსის ხეობას და მის გარდა სომხურ-სპარსულ პროვინციებს ტაიქს, ტარონს და აირარატს. პერსარმენია პოლიტიკურად VI საუკუნის ბოლოსათვის ორად იყოფოდა – ბიზანტიური პერსარმენია (საეკლესიო ცენტრი ავანი) და სპარსული (დვინი). სპარსულში შედიოდა სიუნიკი და ვასპურაკანი (ПЭ, I, გვ. 75).

„ქვეყანა ჩრდილოეთისა“ (IV ს.)

რომის იმპერია ადმინისტრაციული მმართველობის მხრივ IV ს-ისთვის იყოფოდა ოთხ პრეფექტურად. პრეფექტი თავის ხელში აერთიანებდა სამოქალაქო და სამხედრო უწყებებს

ნ. ადონცის სიტყვით, რომის იმპერიის მსგავსად, სპარსეთიც ოთხ „კუსტად“ – ადმინისტრაციულ ერთეულად იყოფოდა (ნ. ადონცი, სომხეთი... გვ. 217). ესენი იყვნენ „აღმოსავლეთი“, „დასავლეთი“, „სამხრეთი“ და „ჩრდილოეთი“.

ჩრდილოეთის ანუ კავკასიის კუსტი (მხარე) თავის მხრივ 13 ქვეყნად (შახრად) იყოფოდა, მათ შორის იყო **იბერია, ანუ სპარსულად – „ვარჯანი“**, ალბანეთი ანუ „რანი“, სომხთი ანუ „არმენია“.

ასე რომ, ქართულ წყაროებში ხშირად ნახსენები „ჩრდილოეთის ქვეყანა“ უნდა გულისხმობდეს სპარსეთის იმპერიის კავკასიის მხარეს და კერძოდ, კი მის ერთ ნაწილს, ამ შემთხვევაში – საქართველოს.

იბერიას ზაქარია რიტორი უწოდებს გურზანს. ვარჯანი და გურზანი ეტიმოლოგიურად ახლოსაა ერთმანეთთან და მათი საერთო ფუძე აქვთ-„გრ“. იგივე ფუძე გრ უდევთ საფუძვლად ქართულ მხარეთა სახელებს- „ეგრისი“, „გუგარქი-გოგარენა“, „გურია“, „არგვეთი“, აქედანაა ბერძნული სახელი-„გეორგია“ და სხვა ყველა დასახელება, რაც კი მეზობელმა და უცხო ერებმა დაარქვეს ქართველთა ქვეყანას, მაშასადამე, **ფუძე „გრ“ ან „რგ“ ქართველთა თვითსახელწოდების ეთნოფუძეა.**

ზაქარია რიტორი წერს, რომ **„ჩრდილოეთის მხარეებში ხუთი მორწმუნე ხალხია, მათ 24 ეპისკოპოსი ჰყავთ და მათი კათალიკოსი დვინში ცხოვრობს. სპარსული არმენიის დედაქალაქში, მის შემდეგაა გურზანი – არმენიის ქვეყანაში, რომელთა ენა ბერძნულს მიაგავს, მათ ქრისტიანი მთავარი ჰყავთ, რომელიც სპარსეთის მეფეს ემორჩილება. შემდეგ არანის ქვეყანაა, არმენიის ქვეყანაში, თავისი ენით, ხალხი მონათლულია, შემდეგ სისაკანის ქვეყანაა, თავისი ენით, მორწმუნენი, მათ შორის წარმართებიც არიან, შემდეგი ქვეყანა ბაზგუნი, თავისი ენით, კასპიის ზღვასთან“** (იქვე, გვ. 219).

ანდრია (I ს.)

ივანე ჯავახიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ „ქართველებმა IX სმდე არაფერი იცოდნენ საქართველოში წმინდა ანდრიას მისიის შესახებ“ - ჩვენი დიდი მეცნიერის ამ და სხვა მოსაზრებებს ქართველთა პირველგანმანათლებლის შესახებ უპასუხა მღვდელმა მიქაელ თამარაშვილმა (ქართული ეკლესიის დასაბამიდან დღემდე, 1995, გვ. 163). ამ მხრივ, თავისთავად ისიცაა აღსანიშნავი, რომ ექვთიმე მთაწმინდელის თანახმად იმ წიგნთა შორის, „რომელთა კათოლიკე ეკლესიაი არა შეიწყნარებს“ დასახელებულია „ცხოვრება წმიდისა ანდრიასი“. ექვთიმემ თეოდორე საბაწმინდელს გაუგზავნა სია იმ წიგნებისა, რომელიც მიუღებელი იყო საყოველთაო (ე.ი. კათოლიკე) მართლმადიდებლური ეკლესიისთვის. კერძოდ „მოციქულთა ცხოვრებანი, რომელნიმე განრყენილ არიან მწვალებელთაგან: წმიდისა მათე მახარებელისა და წმიდისა ანდრიასი“ (ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ.13).

აქედან ჩანს, რომ ეკლესიისათვის მიუღებელი იყო წმინდა ანდრიას ცხოვრების არსებული რედაქცია, რადგანაც იგი მწვალებელთაგან „გარყვნილად“ მიიჩნეოდა, უკეთესი კი არ არსებობდა. ამიტომაც ჩვენ უნდა გამოვთქვათ მოსაზრება რომ შესაძლოა არსებულ რედაქციაში ვრცლად იყო საუბარი წმ. ანდრიას საქართველოში მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ იგი არ გამოიყენეს ძველმა ისტორიკოსებმა, რადგანაც მწვალებელ რედაქციასთან არ სურდათ რაიმე კავშირის დაჭერა.

გოგარენა, კორდუენა და ბასიანი (V- VII სს.)

ნ. ადონცის სიტყვით, I ათასწლეულის სომხურ საერისთავო სიებში ერისთავე-

ბი (ნახარარები) პატივის მიხედვით არიან ჩამოწერილნი. მათ შორის აღინიშნებიან ერისთავი ბაგრატუნები, ტაშირის ერისთავები და სხვანი.

ნერსეს კათალიკოსის დროს, 555 წელს შემდგარ კრებას ესწრებოდა 32 ერისთავი. სებეოსის სომეხ მეფეთა ერისთავების სიაში იხსენიება ტაოს ერისთავი და ასევე ბასიანის ერისთავი.

ხორენაცის ცნობით, სომეხთა მეფე განსაკუთრებით აჯილდოვებდა ბაგრატიონ ერისთავებს.

სტ. ორბელიანი მოგვითხრობს, რომ სომხეთის მეფემ დანიშნა თავისი ქვეყნის ოთხი ბდეხში – აღმოსავლეთში იყო სიუნის ბდეხში თავისი – 21 ერისთავით, **ჩრდილოეთში – გოგარენისა („გოგარის“) – 22 ერისთავით**, დასავლეთით „კორდუ“-სა – 21 ერისთავით და სამხრეთით ანგელენის („ანგელის“) ბდეხში – 22 ერისთავით (გვ. 254).

გოგარენა (სომხურად გოგარი) და კორდუენა (სომხურად „კორდუ“) – ქართული ქვეყნები იყო, მისი ქართული მოსახლეობა იქამდეც და შემდგომაც სომხდებოდა, ქართველობის შენარჩუნება სომხური სამეფოს შიგნით უძნელესი და თითქმის შეუძლებელი საქმე იყო (ნ. ადონცი, გვ. 292).

ფაუსტის ცნობით, **ტაოს ოლქს მართავდნენ მამიკონიანები**, სომეხთა მეფის მთავარსარდლები – ხორენაცის მიხედვით. შემდეგ ისინი ტარონში გადავიდნენ IV ს-დან.

ბერძენ-რომაელი ავტორები იცნობენ „ფასიანს“ (ბასიანს) და ისინი ბასიანს ფასიანად მოიხსენიებდნენ.

ბასიანის ერთი ნაწილი იყო ვანანდი და მას, ხორენაცის სიტყვით, ზემო ბასიანი ერქვა (გვ. 300).

ბასიანს თავისი ერისთავი მართავდა. აირარატი მეფის დომენი იყო, ბაგრევანდი – ბაგრატიდებს ეკუთვნოდა.

ნ. ადონცის სიტყვით – „კოტაია ცნობილი იყო პტოლემეოსისათვის, მაგრამ ის სომხურ ლიტერატურაში პირველად გვხვდება სებეოსთან VIIს-ში“ (გვ. 302). **კოტაია იყო გავარი, ანუ ქვეყანა აირარატის პროვინციაში**. კოტაიას ამჟამად ზანგიბასარი ჰქვია. ის არის მდ. რაზდან-ზანგის ხეობაში.

საფიქრებელია, რომ ტაო ხორძენას ნაწილი იყო. სიტყვა „ხორძენა“ ეტიმოლოგიურად ახალოა სიტყვა „არზენასთან“, რომელსაც კონსტანტინე პორფიროგენეტი უწოდებდა არზრუმ-არტანუჯის მხარეს. საფიქრებელია, რომ „ხორძენა“ სიტყვა ათასი წლის შემდეგ X საუკუნისთვის „არზენად“ იქცა და ერქვა ტაოს მომიჯნავე მხარეებს.

სომხების გადასახლება პერსარმენიიდან ბიზანტიურ სომხეთში (V-VI სს.)

ნ. ადონცი წერს – **„იმპერიული თვალსაზრისით, იმპერიის ინტერესების დაცვის მიზნით სომხების გადასახლება დასავლეთით ძალზე სასურველი იყო. თვით იმპერატორები ახალისებდნენ ამ მოძრაობას. მაგალითად, იმპერატორი მავრიკე. სომხების ჩასახლებით იმპერიამ დიდად ისარგებლა, სომხები ბიზანტიას ემსახურებოდნენ თავგანწირვით. სამშობლოს პოლიტიკური ცხოვრების შებოჭილი ჩარჩოებიდან გათავისუ-**

ფლების შემდეგ მთელი მათი ძალები იფურჩქნებოდა. სომხებმა სახელი გაითქვეს სახელმწიფო ცხოვრების ბევრ სფეროში, სამხედროსა თუ სამოქალაქოში. მათგან გამოვიდნენ სახელგანთქმული პირები, რომლებსაც იმპერიის წინაშე ძალზე მნიშვნელოვანი დამსახურებები ჰქონდათ. მრავალი სომეხი ბრწყინავდა თვით საიმპერატორო ტახტზე და სათავეებიც კი დაუდეს ახალ დინასტიას (სომხური ცხენოსანი ჯარი იბრძოდა იმპერიის შორეულ მხარეებში სახელმწიფოს სამხედრო დიდებისთვის. ძალზე მნიშვნელოვანი იყო სომხების როლი კულტურულ-სულიერ ცხოვრებაში, იმპერიისთვის მნიშვნელოვანი მახასიათებელი ისტორია – ხატმებრძოლური მოძრაობა დაიწყო იმპერიის აღმოსავლეთ მხარეებში დიდწილად სომხების სიმპათიით და მფარველობით.

იმპერიაში სომხების განსახლებამ თვით სომხეთს ნაკლები სიკეთე მოუტანა, რადგანაც სომხეთი იცლებოდა ადამიანური რესურსებისაგან. იმპერიაში მიდიოდნენ უნარიანი, მხნე ძალები, ისეთი ნიჭის მქონე პირები, რომელთაც შეეძლოთ იმპერიის მდელვარე ტალღებზე თავის დაჭერა. სომხური არისტოკრატიის ნაღები, ნახარარების ოჯახები ეშურებოდნენ დედაქალაქში და ალამაზებდნენ სახელმწიფო მოღვაწეთა რიგებს (ნ. ადონცი, სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 205).

იმპერიაში სომხები ისეთ ძალას წარმოადგენდნენ, რომ ზოგჯერ თვით იმპერატორის წინააღმდეგ აწყობდნენ შეთქმულებებს იმპერიისავე დედაქალაქში და არყევდნენ კიდეც საიმპერატორო ტახტს, მაგალითად, ნ. ადონცის სიტყვით, 548 წელს სომხებმა მოაწყვეს შეთქმულება დედაქალაქში იმპერატორ იუსტინიანეს წინააღმდეგ. შეთქმულებას მეთაურობდა სომეხი მხედართმთავარი არტავანი, რომელმაც ბიზანტიას დიდება მოუპოვა ლივიის ომში, რომელმაც მოკლა ტირანი ჰონორისი. ნ. ადონცის ცნობით, პროკოფი კესარიელი არტავანის მოტივს ხსნის იმით, რომ მისი სამშობლო არმენია დაპყრობილი იყო, ამიტომ მას სომხები საყვედურობდნენ უმოქმედებას. მეორე სომეხი დიდებული ნარსესი იუსტინიანეს ეპოქის უდიდესი ფიგურა იყო, თავისი გამარჯვებებით დაჩრდილა ვალერიანეს სამხერო გენიაც კი.

სომხური პრობლემების გამო შეწუხებული იუსტინიანე სპარსეთის შაჰს თხოვდა, მათ შორის მცხოვრები სომხები როგორმე დაემორჩილებინათ საერთო ძალით. ის წერდა – „სომხები დაუმორჩილებელი ხალხია, და მარად ჩვენი მტრები არიან, მათგან მუდამ შეშფოთებულები ვართ“ (იქვე, გვ. 206). **სომხების სულიერ-ეროვნული სიძლიერე ორ იმპერიას აშფოთებდა, მაშ ეროვნულად და სულიერად ასე ძლიერი** ხალხი **როგორ „ქართველდებოდა“ ტაო-კლარჯეთში?**

ივერია და პერსარმენია (IV-VI სს.)

სპარსული არმენიის საზღვრები IV-VI სს-ში ე.წ. „მარზპანობის“ დროს ასეთი იყო: **პერსარმენია მოიცავდა შემდეგ პროვინციებს – ტაიქი, ტარონი, აირარატი, ვასპურაკანი და სიუნიქი.**

ტარონი და ვასპურაკანი მდებარეობდნენ ვანის ტბასთან, აირარატი – სპარსული არმენიის ცენტრში, ხოლო მის დასავლეთის მხარეს – პერსარმენიის

„ივერია“ ანუ ტაო მდებარეობდა, ამ ივერიას კი დასავლეთით ესაზღვრებოდა ლაზიკა. არსებობდა ასევე „თავისუფალი ივერიაც“, ის პერსარმენიის ივერიის ჩრდილოეთით მდებარეობდა. მისი ნაწილები იყო - კოლა, არტაანი, ჯავახეთი, გუგარქი.

ლაზიკა მდებარეობდა ტაიქის ჩრდილო-დასავლეთით.

ტაიქის დასავლეთით „I არმენია“ მდებარეობდა. (იხ. რუკა ПЭ, I, გვ. 75). მაშასადამე ივერია ორ ნაწილად იყო გაყოფილი - ტაო პერსარმენიაში შედიოდა, კოლა, არტაანი, ჯავახეთი და გუგარქი სადავო იყო ბიზანტია-სპარსეთს შორის და შედარებით თავისუფალი იყო.

პერსარმენიის მოსაზღვრე ქვეყნები (V-VI სს.)

ნ. ადონცი „მარზპანულს“ უწოდებს არშაკიდების შემდეგდროინდელ სომხეთს, რადგანაც ქვეყანაში იჯდა სპარსეთის შაჰის წარმომადგენელი – მარზპანი. მისი დედაქალაქი იყო ქალაქი დვინი, რომელსაც აღმოსავლეთ სომხეთისთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც დასავლეთ სომხეთისთვის თაეოდოსიოპოლისსა და იქ მჯდარ რომის წარმომადგენელს – კომიტს.

ჩრდილოეთით მარზპანული სომხეთის საზღვარი აღწევდა კანგარამდე. ლაზარის ცნობით, სპარსეთთან მებრძოლი იბერიის მეფე ვახტანგი აქ ელოდა დამხმარე სომხებს. ვაან მამიკონიდი დაეხმარა ვახტანგს, სომხური ჯარი მივიდა ივერიის მეფესთან და ბანაკი დასცა კანგარის კანტონში. კანგარი გუგარენის ოლქში შედიოდა, მაშასადამე, გუგარენა სომხეთის გარეთ მდებარეობდა– იბერიაში (ნ. ადონცი, არმენია..., გვ. 222).

დასავლეთით სომხეთს ესაზღვრებოდა კოლას ოლქი, სასაზღვრო პუნქტად ითვლებოდა კოლა, ხოლო ტაო (ტაიკი) მთლიანად სომხეთში შედიოდა.

არშაკიდების დროს ალბანეთის მხარეს სომხეთის საზღვარი იყო მდ. მტკვარი. მარზპანობის დროს საზღვარი ქ. ხალხალთან გადიოდა. ხალხალი მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა მხარეს (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 223) ალბანეთში. სპარსულ ჯარს ალბანეთიდან ხალხალამდე მტკვარი უნდა გადაევლო.

ნ. ადონცის აზრით, **ხალხალი არის მდ. ზაგემზე მდებარე ამჟამინდელი თათრული სოფელი ხილხილა. მახლობლად არსებობდა ასევე მეორე მსგავსი სახელის პუნტი - „ხილხალა“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის 1923 წლის რუკის მიხედვით მდებარეობდა ნუხპატო-შექთან ახლოს.**

აღსანიშნავია, რომ ჰერეთის საზღვრად ვახუშტი ბატონიშვილს მიაჩნდა პუნქტი გულგულა. სახელები ხალხალი/ხილხილა,ხილხალა/ და გულგულა მსგავსნი არიან. ვახუშტის მასზე ათასი წლის წინანდელი პუნქტის ადგილმდებარეობა შესაძლოა უნდა განესაზღვრა არა თელავთან, არამედ ხალხალთან, მაშინ ჰერეთის საზღვარი გადაიწევდა აღმოსავლეთით და დაემთხვეოდა ალბანეთისას.

ნ. ადონცის სიტყვით, IVს-ში სომხეთმა დაკარგა მრავალი განაპირა მხარე, ჩვენი აზრით, ამის ძირითადი მიზეზი იყო ეთნიკური განსხვავება. ისინი (განაპირა მხარეები) - არ იყვნენ სომხური ოლქები. როგორც მრავალჯერ ითქვა მარზპანულს ნ. ადონცი ასევე უწოდებს მეორე სახელს – ტანუტერული სომხეთი. მას ასევე ვასპურაკანულსაც უწოდებს.

ვასპური – ერქვა სპარსეთის ცნობილ გვარებს, აქედან ვასპურაკანი. ნ. ადონ-ცის სიტყვით, – **„არმენიის თანატოლი ადმინისტრაციული სიდიდეები იყვნენ იბერია, ალბანეთი, ატროპატენა, ადიაბენა, და არავასტანი“** (იქვე, გვ. 221).

მისივე სიტყვით, მუსულმანი ავტორები „არმენიის“ ქვეშ იგებდნენ არა მხ-ოლოდ არმენიას, არამედ არანსა და საქართველოს (გვ. 242).

„ქართველთა სამეფოს“ დაარსება (IX-X სს.)

იოანე დრასხანაკერტელი გვაუწყებს - „ქართველთა დიდი **კურაპალატი ადარნასე** სმბატ მეფესთან ყველაფერში ერთობის, სიყვარულისა და მშვი-დობის მტკიცე პირობას იცავდა. იგი მთელი თავისი შეგნებითა და ძლიერე-ბით, დიდი მოკრძალებით, როგორც მამას, ანდა ამაზე უფრო მეტადაც ემორ-ჩილებოდა მას... თვალს არ აშორებდა მეფეს... და საკუთარი თავიც მიანდო. ამის გამო სმბატ მეფე მეტად კმაყოფილი იყო **ადარნასე**თი და მოსწონდა იგი. მან დიდი მზრუნველობით ადარნასე თავისთან მიიყვანა და გაამხნევა. შემდეგ დიდი პატივითა და დიდებით **გვირგვინი დაადგა მას**, შესაფერისი ლამაზი სამკაულითა და საჭურვლით შეამკო მეფის წესის თანახმად, - **ქართველთა ქვეყნის მეფედ დაადგინა** და მის შემდეგ, თავისი სამფლობელოს მეორე პირად დაამტკიცა იგი. მიიღო რა სამეფო პატივი, და მიაღწია წარმატებას, ადარნასე კი არ გამედიდურებულა, არამედ მუდამ თავმდაბლად ექცეოდა სმ-ბატს“ (იოანე დრასხანაკერტელი, სომეხთა ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამ. თბ., 1965, გვ. 89-90).

ისტორიკოსების თვალსაზრისით „ქართველთა სამეფო“ მოიცავდა ქართვე-ლი ბაგრატიონების ტერიტორიას (არტანუჯ-კლარჯეთს და სხვა), მაგრამ ეს ასე არ უნდა ყოფილიყო, სომხური წყაროებიდან ჩანს, რომ **„ქართველთა სამე-ფო“ თავდაპირველად მოიცავდა „სომეხთა მეფის“ იმ ტერიტორიებს, რომელნიც ქართველებით იყო დასახლებული, პირველ რიგში იმიერ ტაოს (საერთოდ ტაოს)** და მომიჯნავე მხარეებს, თუ ეს ასე იყო, და **ქართველთა სამეფო თავდაპირველად მხოლოდ სომხური მიწა-წყლის ნაწილად მი-იჩნეული ტაო იყო,** მაშინ შედარებით გასაგები ხდება სომეხთა სმბატ მეფის ქმედება. სმბატს ტახტზე ასვლაში დაეხმარა ადარნასე, სამაგიეროდ, მადლიერე-ბის ნიშნად, **სმბატმა თავისი სამეფოს ქართული ნაწილი (ტაო) სამფლო-ბელოდ გადასცა ადარნასეს** და ამავე დროს დაადგინა „თავისი სამეფოს მეორე პირად“ ანუ სომხეთის ვრცელ სამეფოში ტაოს მმართველი გახდა სომეხთა სახელმწიფოს მეორე პირი. ასევე იყო ძველ დროსაც, როდესაც **ბაგრატუნები არშაკუნიანი მეფეების მეორე პირები იყვნენ.** ასევე უნდა ყოფილიყო შემდეგაც როცა, ვთქვათ **ვაშდენ ქართველთა (ე. ი. ტაოს) მთავარი, სომეხ უფალთა შორის ერთ-ერთი უპირატესი პირია.**

ჩანს, რომ ქართველთა სამეფო იმჟამად მხოლოდ ტაოს გულისხმობდა, ქართველ-თა საკურაპალატო კი არტანუჯ-კლარჯეთს, რაც შეეხება **შიდა ქართლს**, ის იმჟამად დანაწილებული იყო აფხაზეთისა და კახეთის სამეფოთა შორის, მისი ერთი ნაწილი თბილისის საამიროს ეკუთვნოდა, ამიტომაც ის არ არსებობდა პოლიტიკურ – ადმინისტრაციული ერთეულის სახით, აქედან გამომდინარე მას არც გააჩნდა პოლიტიკური სახელი: იმჟამად **“ივერია“ ერქვა არა შიდა**

ქართლს, არამედ ტაოს ადმინისტრაციულ ოლქს, რომლის მმართველობა (მეფობა) აღმოჩნდა კლარჯეთის კურაპალატის ხელში. ეს ორივე თანამდებობა - მეფობა და კურაპალატობა ახლა უკვე ერთი პირის, ადარნასეს ოჯახის ხელში გაერთიანდა და გადაეცემოდა კიდეც მემკვიდრეობით.

იმხანად „კურაპალატობა“ - ბიზანტიის ვასალობას გულისხმობდა, „ქართველთა მეფობა“ კი - არაბი ხალიფისაგან გამომდინარეობდა.

არაბთა ხალიფამ IX-X საუკუნეებში სომეხთა მეფეებს უწყალობა ტიტული „სომეხთა და ქართველთა მეფე“. ამ ტიტულში „ქართველთა სამეფოს“ ქვეშ იგულისხმებოდა არა შიდა ქართლი, არამედ სომხეთის სამეფოში შემავალი ქართველებით დასახლებული ტაო-ბასიანი. ტაოს მმართველებს იქამდე ჰქონდათ „ივერთა მთავრის“ ტიტული, ახლა კი არაბთა მიერ “ქართველთა მეფის“ ტიტულის ტარების უფლება მიენიჭა სომეხთა მეფეს, რაც მას უდასტურებდა, რომ შეეძლო ქართველთა აღნიშნული მხარეების ავტონომიური მართვა. ერთერთი ბოლო „სომეხთა და ქართველთა “მეფე იყო სმბატი, რომელმაც ქართველთა მეფის ტიტული გადასცა ადარნასე ქართველთა კურაპალატს. ამ ტიტულს ატარებდნენ -

აშოტ I 884 - სომეხთა და ქართველთა მეფე

სმბატ I 914 - ჯერ სომეხთა და ქართველთა მეფე, მერე სომეხთა მეფე

აშოტ ერკათი 918/922/ - სომეხთა და ქართველთა მეფე (საფიქრებელია, რომ აშოტ ერკათმა ქართველთა მეფის ტიტული მიიღო საოჯახო-დინასტიური გზით, კერძოდ მისი მეორე სიმამრი ყოფილა „ქართველთა დიდი მთავარი საჰაკი“, რომელსაც, ი. დრასხანაკერტელის სიტყვით, აშოტი თავის მემკვიდრედ გამოუცხადებია).

მაშასადამე, **ქართველთა მეფის ტიტული ტაოს მფლობელობას გულისხმობდა.**

გოგარენი და არა „ჰერეთი“

X საუკუნის იოანე სომეხთა კათალიკოსი **გოგარენს უწოდებს მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს, მისი მოსახლეობა კი იბერები არიან** (პ. ინგოროყვა, გვ. 463).

ეს რამდენადმე ეთანადება სტრაბონის ცნობას, რომ გოგარენი მდებარეობდა მტკვრის „იმიერ“, ე.ი. მარცხენა სანაპიროზე (სტრაბონი, XI, XIV, 5).

სტრაბონი გარკვევით წერს - „გოგარენა მტკვრის იქით“ მდებარეობს და ის არმენიელებმა წაართვეს იბერებს“, თავისუფალ ივერიის ნაწილთაგან სტრაბონი ასახელებს „შუა იბერიას“, რომელშიც იგულისხმება „შუა ქართლი“ (შიდა ქართლი).

მაშასადამე, სტრაბონისავე ცნობებით მტკვრის იქით მდებარეობდა თავისუფალი იბერიის ე.წ. **„შუა იბერია“** და ასევე დაპყრობილი იბერიის **გოგარენა**, ისინი სხვადასხვა ოლქებია.

მაშ სად მდებარეობდა გოგარენა? გოგარენა იყო მტკვრის იქით და ასევე შუა იბერიის მახლობლად. რეალურად ასეთი ტერიტორია იყო კახეთის გვერდით მდებარე ე.წ. ჰერეთი. ანუ შემდგომი შაქი, რომლის იქითაც ალბანეთი იყო.

„საზღვარი იბერიასა და სომხეთს შორის, სტრაბონის ცნობათა მიხედვით,

იწყებოდა ტაოს სამხრეთით, ნაწილობრივ გასდევდა არაქსს (ბასიანის ზონაში), შემდეგ მიჰყვებოდა „მოსხის მთებს“ (ე.ი. წყალგამყოფ მთებს, რომელიც გაჰყოფს მტკვრის ხეობებს არაქსის ხეობიდან), ხოლო უფრო აღმოსავლეთით მტკვარს (გოგარენის სექტორში)“ – წერს პ. ინგოროყვა (დასახ. ნაშრ. გვ. 467). მისი სიტყვით, ამ საკითხში სტრაბონს ეთანხმებიან პლინიუს სეკუნდე (23-79), რომლის მიხედვითაც იბერიაში შედიოდა ტაშირი და თრიალეთი პარიადრის (ანუ ბამბაკის) მთებამდე, პლუტარქე (46-126), რომლის მიხედვით მტკვრის სათავე იბერიის მთებში იყო, კლავდი პტოლემე, რომლის მიხედვითაც იბერიის საზღვრებში შედიოდა არტაანი (არტანისა) და ქართული წყარო „მოქცევაი ქართლისაი“, რომლის მიხედვით IV ს-ში მეფე მირიანის დროს საეკლესიო მშენებლობა დაიწყო არტაანის მხარეში – ერუშეთში.

მ. ხორენაცი ქართლის პიტიახშს არშუშას უწოდებს „გოგარენის პიტიახშს“. სომხური გეოგრაფიის ცნობით, გოგარენი შეიცავდა ტაშირს, გარდაბანს (ძორს, კოლბს, წოფს და კანგრს), თრიალეთს, ჯავახეთს, არტაანსა და კლარჯეთს“ (იქვე, გვ. 465 თუ 405?).

ზოგადად ჩანს, რომ გოგარენი არის ქართლი, იბერია, ზოგჯერ მტკვრის ორივე სანაპირო. მართლაც, სიტყვა „გოგარენაში“ ფუძისეული თანხმოვნები **„გგრ“** არის საერთო ფუძე ეთნკური ქართველის გამომხატველი სიტყვებისა არა მარტო ქართულში, არამედ უცხოურშიც. მაგალითად, გეორგიენ (**გრგ**), გურჯ (**გრჯ**), ჯურზან, გურზან (**გრზ**), საიდანაც მიღებულია ქართველთა აღმნიშვნელი ყველა დასახელებები სხვადასხვა ენებში – გეორგია (**გრგ**), გრუზია (**გრზ**) და სხვა. ამავე სიტყვათა რიგშია გუგარი (**გგრ**), ქართული თვითდასახელებები გურია, ეგრისი, არგვეთი (**გრ, რგ**), საერთოდ, ჩანს, ფუძით გრ (**რგ**) და ასევე **გგრ(გრგ)** გამოიხატებოდა ეთნიკური ქართველები და მათი ქვეყნები; ერთი ასეთი ყოფილა გუგარქ-გოგარენი, კლარჯეთი, ძორი თუ კოლბი და სხვა რეგიონები გუგარქში შედიოდნენ. შემდგომში გუგარქი სომხურ სამყაროში მხოლოდ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მომცველ ქვეყანას ერქვა, მისგან განსხვავებით კი სტრაბონის გოგარენა მტკვრის „იქით“, ანუ მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა.

მაშასადამე, **სხვადასხვა ქვეყნები იყვნენ გოგარენა და გუგარქი**. ეტიმოლოგიურად კი ორივე ქართველთა ქვეყანას აღნიშნავდა.

იბერიის თემი (XI ს.)

1021-1023 წლებში ბიზანტიის იმპერატორი ბასილი ბულგართმმუსვრელი სათავეში ჩაუდგა თავის ჯარებს, რომლებიც ტრაპეზუნტიდან შევიდნენ და ბასიანში შეებრძოლნენ საქართველოს მეფე გიორგი I-ს. საქართველომ ამ ომში დამარცხების გამო დაკარგა „ზემო ქვეყანანი“. „ამ ტერიტორიებიდან შეიქმნა ორი „თემი“ (ოლქი) ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში: ერთი – თეოდოსიოპოლის თემი, რომელიც მოიცავდა დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარე ზონას (არზრუმის მხარე), მეორე ოლქი, რომელსაც ბიზანტიელებმა დაარქვეს **„იბერიის თემი“, აერთიანებდა თავის ფარგლებში სამხრეთ ტაოს სამფლობელოს, ბასიანის მხარეს და არაწანის ხეობის მიმდგომ რაიონებს“** (პ. ინგოროყვა, გვ. 526).

თუმცა არსებობს მოსაზრებაც, რომ იბერიის თემის დედაქალაქი იყო თეოდოსიოპოლისი, მაშასადამე, ის იბერიის თემში შედიოდა.

არაწანის (აღმოსავლეთ ევფრატის) სათავე გაედინება, როგორც ითქვა, ვანის ტბასთან.

იბერიის და თეოდოსიოპოლის (ერზრუმის) თემებს შორის მოქცეული იყო ბიზანასა და ოლნუტის საეპოსკოპოსოები, აქვე (ბიზანასა და ოლნუტს შუა) იყო ხორძენა, ისტორიული მხარე, რომელიც იბერიას სომხეთმა ჩამოაჭრა ქრისტეშობამდე II საუკუნეში. ის ტარონის პროვინციის ჩრდილო საზღვართან მდებარეობდა. ხორძენას ჩრდილოეთით კი მანრალია იყო. მანრალია, სომხური VII ს. გეოგრაფიით, სამხრეთ ეგრისის ქვეყნის მხარეს ერქვა.

„იბერიის თემი“ ბიზანტიის შემადგენლობაში 1023-1074 წლებში იყო, 1068 წელს იბერიის თემს შეუერთდა კარის მხარე (ის კარის სომეხმა მეფემ გაგიკმა დაუთმო ბიზანტიას), იბერიის თემს შეუერთდა ანისიც. ანდაკის საეპიკოპოსო კარიდან 60-ოდე კმ-ით იყო დაშორებული.

ლაზიკის ეპარქია მოიცავდა ისტორიულ სამხრეთ ეგრესს (შემდგომ ქალდეას თემს), ასევე თეოდოსიოპოლისისა და იბერიის თემებს.

იბერიის თემი „ბიზანტიის ისტორიის“ მიხედვით

მოსკოვში 1967 წ. დასტამბულ „ბიზანტიის ისტორიის“ II ტომში ნათქვამია: „იმპერატორმა ბასილი ბულგართმმუსვრელმა მნიშვნელოვნად გააფართოვა იმპერიის საზღვრები ჩრდილო-აღმოსავლეთით მცირე აზიაში – არმენიასა და ივერიაში. 990 წელს მან ილაშქრა კავკასიაში ივერიის მმართველ დავითისა და ბაგრატიდების წინააღმდეგ, რომლებიც დაეხმარნენ ბარდა ფოკას. ბაგრატიდებისა და დავითის გაერთიანებული ჯარი დამარცხდა. დავითმა აღიარა ბიზანტიაზე დამოკიდებულება და მისი ძალაუფლების ქვეშ მდებარე მიწები იმპერატორს უანდერძა. 1001 წელს დავითი გარდაიცვალა. ივერიის ზოგიერთმა დიდებულმა არ ინება დავითის ანდერძის ცნობა და ბასილი სასწრაფოდ კავკასიაში გაემგზავრა. ტაოს ოლქის დიდებულები ვალდებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ, შიდა ივერიის არხონტმა უარი განაცხადა ეცნო ეს ანდერძი.

მაგრამ იმპერიის პოზიციების განმტკიცება ივერიასა და არმენიაში ბასილმა მხოლოდ თავისი მეფობის დასასრულს შეძლო, 1021-1024 წლების ლაშქრობისას ბასილი II-მ რამდენჯერმე დაამარცხა აფხაზეთის მმართველი გიორგი, შეძლო აღეკვეთა მისი მცდელობა შეეკრა სამხედრო კავშირი ალ-ხაკიმთან და აჯანყებულ სამხედრო დიდებულებთან, გიორგი იძულებული გახდა ეცნო იმპერიისადმი დამოკიდებულება, მძევლად მისცა იმპერატორს თავისი ძე ბაგრატი.

ამ ლაშქრობების დროს ვასპურაკანის მმართველმა გადასცა ბასილს თავისი მიწები. 1020 წელს გარდაცვლილი ანისისი მეფის გაგიკ I-ის ძემ, სმბატმა ასევე დადო ბასილთან ხელშეკრულება, იმის მსგავსად, რომელიც ბასილთან ადრე დადო დავითმა.

ამ შემატებათა შედეგად, იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთით წარმოიშვა ახალი თემები: ვასპურაკანი, ივერია და თეოდოსიოპოლისი“ (**История Византии, Т. 2, М. 1967, стр. 225).** (იხ. რუკა, ტ.**2,** გვ. **34, 256, 208**).

მანრალია და მარდალია – იბერიის თემის ძირითადი ნაწილები

ნ. მარი ჭან-ლაზებს იბერებს უწოდებდა, მეგრულს კი ივერიულ ენას. ეს მოსაზრება არ გაიზიარეს, მაგრამ ფაქტია, რომ, სომხური გეოგრაფიით, სამხრეთ ეგრისში შემავალი ოლქები მანრალია და მარდალია (ბასიანის სამხრეთ-დასავლეთით) იბერიის თემის ნაწილებს შეადგენდნენ.

სომხური გეოგრაფიით სამხრეთ ეგრისის ანუ „ეგრის“ ქვეყანა მოიცავდა ჭანიკას, ლაზეთს, მანრალიას და ეგრივს. ნ. ადონცის მიხედვით, რომელიც ისტორიული გეოგრაფიის საყოველთაოდ აღიარებული მცოდნე იყო, მანრალიასა და მარდალიას ოლქების მდებარეობას თეოდოსიოპოლის-არზრუმის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით განსაზღვრავდა. როგორც უკვე აღინიშნა, ეს მხარეები (ოლქები) XI საუკუნის ბიზანტიური იბერიის თემის ცენტრალურ ნაწილებს წარმოადგენდნენ, ანუ ეგრი და იბერია ერთმანეთს ფარავდნენ. იქვე იყო იბერიის თემის სხვა ნაწილები, ანუ ამ მხარეებში იბერია და ეგრი (ეგრისი) ერთმანეთს ფარავდნენ. იბერიისა და ეგრისის იგივეობა ძველ ეპოქაში ალბათ არც იყო გასაკვირი, რადგანაც პროტოქართული ენის და შემდეგ მისგან მიღებული ე.წ. ზანურ-ქართული ენის დიფერენციაცია გამყრელიძისა და მაჭავარიანის მიხედვით დაიწყო ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში („წელთაღრიცხვათა მიჯნაზე“, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, „სონანტთა სისტემა“), ანუ ეგრისელთა და იბერთა ენა ერთი და იგივე ყოფილა ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, შესაძლოა, ისინი I ათასწლეულში ერთმანეთის მიმართ ძალზე ახლო მდგომ დიალექტებს წარმოადგენდნენ, იმდენად ახლოს მყოფ, რომ მათ ქრისტიანული ღვთისმსახურებისათვის შემოიღეს ორივე ტომისათვის საერთო ენა, რომელსაც ამჟამად „ძველი ქართული ენა“ ეწოდება.

ენობრივი მთლიანობის გამო ტაოს სამხრეთით იბერიის თემი და ეგრის ოლქი ერთ მთლიანობას შეადგენდნენ არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ ეთნიკურადაც.

ბასიანელნი ანუ მესხნი (IX-XI სს.)

IX-XI საუკუნეებში საქართველოში ყოველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში მცხოვრებ ქართველობას სახელი საკუთარი კუთხის მიხედვით ჰქონდა მიღებული. მაგალითად, აფხაზეთის სამეფოს ხალხს ერქვა-აფხაზები, კახეთისას – კახელნი, ტაოს სამეფოელებს – „ნათესავით ტაოელნი“ ან ტაოელნი, ქართლის სამეფოს მცხოვრებთ – „ქართველნი“ (იგივეა, რაც „ქართველთა სამეფოს“ ხალხი) – ვის ერქვა მესხნი IX-XI სს-ში? აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საუკუნეთა წყაროებში „მესხი“ გვხვდება მას შემდეგ, რაც ბასიანის პროვინცია შემოდის ქართულ პოლიტიკურ სამყაროში. პირველად ეს მოხდა, როგორც ცნობილია, ტაოს მეფის დავით კურაპალატის დროს, რომელმაც „ზემონი ქვეყანანი“, ანუ თეოდოსიოპოლ-ბასიანის მხარეები შემოიერთა. თვითონ „მესხი“ ბასიანის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული ეტიმოლოგიურადაც, როგორც ცნობილია „ხი“ სადაურობის გაწარმოებული სუფიქსია – კოლხი, კახი და სხვა. ბასიანის, ანუ ფასიანის მცხოვრებს „ბასხი“ - მესხი უნდა რქმეოდა (ეს ეტიმოლოგიური იგივეობა პ. ინგოროყვამ დაამტკიცა აფხაზეთის მხარეთა განხილვის დროს).

„მესხი“ შეიძლება ითქვას, პირველად იხსენიება მატიანე ქართლისაისაში – „გამოვიდა თეოდოსი საბერძნეთით, მოვიდა სამცხეს და დადგა მარგის მერეს, უხმობდა მესხთა აზნაურთა“ (ქ.ც., I, გვ. 270).

შემდეგ იხსენიება ბაგრატ IV-სთან კავშირში, როცა ის საბერძნეთიდან დაბრუნდა, მოვიდა, ჯერ არზრუმ-ბასიანის ქვეყანაში, რადგანაც ტრაპეზუნტიდან გზა ჯერ იქ ადიოდა, იქიდან კი შიდა საქართველოსკენ მიემართებოდა. აქ მას დახვდნენ – „დიდებულნი, ერისთავნი, აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართველნი“ (ქ.ც. I, გვ. 284).

აქ „ქართველი“ ნიშნავს ყოფილი „ქართლის სამეფოს“ ხალხს, ტაოელნი ნიშნავს ყოფილი „ტაოს სამეფოს“ ხალხს (ტაოს ბოლო მეფე იყო დავით დიდი კურაპალატი), ხოლო მესხნი კი უნდა ნიშნავდეს ბასიანის ქვეყნის ხალხს, ანუ ამ შემთხვევაში ბასიანელ დიდებულებს. რატომ უნდა შეხვედროდნენ ბაგრატ IV ბასიანელები, ეს პროვინცია ხომ მის მამას, გიორგი I-ს იმპერიამ ჩამოართვა? საქმე ისაა, რომ მიუხედავად დამარცხებისა, გიორგი I-ს იმპერატორმა ბასილიმ შეთანხმების შესაბამისად გადასცა, ანუ დაუტოვა ცალკეული ადგილები და სოფლები „ზემო ქვეყნებში“. მატიანე წერს – „ყვეს მშვიდობა და დაიზავნეს და მისცა გიორგი მეფემან... ქვეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსა, ბასიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთს. ხოლო რომელიმე ამა ქვეყანათაგან ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი დაულოცნა გიორგი მეფესა“ (ქ.ც. I, გვ. 288).

მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფოს ბაგრატ IV მმართველობის დასაწყისში ეკუთვნოდა ტაოსა, ბასიანსა და კოლა-არტაან-ჯავახეთში ზოგიერთი ეკლესია, სოფელნი და ადგილნი. ამ სოფლებისა და ადგილების, ასევე ეკლესიების რიცხვი, ცხადია, არც თუ მცირე იქნებოდა, რადგანაც ისინი თვით ბასილი იმპერატორმა „დაულოცა გიორგი მეფეს“, ანუ ლოცვა-ფიცით მიართვა. სწორედ ამ ადგილების დიდებულები, ერისთავები და აზნაურები, (ცხადია, თავიანთი ლაშქრით) შეხვდნენ ბაგრატ IV-ს ბიზანტიიდან დაბრუნებისას. **ეს ადგილები ყოფილან ტაო, ბასიანი, და კოლა-არტაან-ჯავახეთი, აქაურებს კი ერქვათ „ტაოელნი“, მესხნი და ქართველნი“, ანუ ტაოდან – ტაოელები, ბასიანიდან მესხები, კოლა-არტან-ჯავახეთიდან – ქართველები, ანუ მათ ასეთი სახელები ერქვათ თავიანთი მხარეების მომცველი პოლიტიკურ ადმინისტრაციული ერთეულების სახელების მიხედვით.** იმჟამად, ჩანს, ეს სამხარეო სახელწოდებანი ჯერ კიდევ არ ატარებდა ჩამოყალიბებულ ეთნოგრაფიულ ნიშანს, არამედ აღნიშნავდა მხოლოდ ქვეყნის მაცხოვრებლებს, მაგრამ შემდგომ საუკუნეებში ამ სახელებმა ეთნიკური ნიშანი შეიძინეს. საუკუნეთა პოლიტიკური საზღვრების ცვლილებების შესაბამისად კუთხეთა მცხოვრებლების სახელებიც იცვლებოდა. კერძოდ, შუა საუკუნეებში, მას შემდეგ, რაც დაიშალა ერთიანი საქართველოს სახელმწიფო, „ქართველნი“ დაერქვათ ქართლის სამეფოს მცხოვრებთ, ხოლო მესხნი დაერქვათ სამცხე-საათაბაგოს მცხოვრებთ, მაგრამ X საუკუნის დასაწყისში ასე არ ყოფილა, ჩვენს წყაროებში, როგორც ითქვა, „ქართველი“ იყო კოლა-არტან-ჯავახელი, ე.ი. ქართველთა სამეფოში მცხოვრები, ხოლო „მესხი“ – ბასიანელნი.

XI-XII საუკუნეებში, რაც გაუქმდა ე.წ. „ქართველთა სამეფო“, „მესხის“ მნიშვნელობა გაიზარდა იმით, რომ „მესხებს“ ახლა უწოდებდნენ სამცხე-ტაო-ბასიანის მცხოვრებთ, ბაგრატ IV-ის დროსვე „გამოიყვანა მაწყვერელმან მესხნი შველად მეფისა... ლიპარიტ შეკრიბნა კახნი“ (ქ.ც. I, გვ. 300).

აქ „მესხი“ სამცხე-ტაოელ-ჯავახელია, კახი კი კახეთის მცხოვრები.

მესხნი არიან კალმახისა და არტანუჯის, მისი მიმდებარე ქართული ქვეყნების მცხოვრებნი. „სულა ერისთავმან კალმახისაგან, გრიგოლ ერისთავმან არტანუჯისაგან შეაერთეს სიტყვა და შეიწვივნეს მათ თანა სხვანიცა აზნურნი მესხნი“ (იქვე, გვ. 301).

ერთიან სახელმწიფოში „ქართლი“ მხოლოდ შიდა ქართლს ეწოდებოდა, ამიტომაც სამხრეთ საქართველოს მცხოვრებნი მესხებად იწოდნენ. „მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძისანი ძლიერად დგეს ახალქალაქს“ (ქ.ც. I, გვ. 306) – იგულისხმება სულტან არფასარანის შემოსევების დრო. გიორგი II „გარდმოვიდა სამცხეს, მოირთნა მესხნი“ (გვ. 316). **დავით აღმაშენებლის** დროს, როცა თურქებმა ტაო-ბასიანი დაიჭირეს, მათ წინააღმდეგ უბრძანა, ანუ „აცნობა ქართველთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დაუხვდნენ პაემანსა“ (ქ.ც. I, გვ. 333). **თვითონ კი ქუთაისიდან ლაშქრით განვლო ზღვისპირი ხუფათის გზით შევიდა კლარჯეთში და შეებრძოლა თურქებს ბასიანში.**

მაშასადამე, სახელი მესხი IX-XII საუკუნეებში ჯერ კიდევ არ ატარებდა სატომო-ეთნიკურ ნიშანს, არამედ ეწოდებოდა სხვადასხვა რეგიონალურ-ადმინისტრაციული ერთეულის შიგნით მცხოვრებს.

ანისი – იბერიის თემის ერთ-ერთი დედაქალაქი

„იბერიის თემში, ანუ იბერიის საკატეპანოში შედიოდა იმიერ ტაო, ჩრდილო ბასიანი, ოლთისი, თორთომი, კოლა, არტაანი, შავშეთი, ჯავახეთი და ე.წ. „ზემონი ქვეყანანი“ – არაქს-ევფრატის აუზში მდებარე ვრცელი ტერიტორია, რომელიც ეთნიკურად არაერთგვაროვანი მოსახლეობით იყო დასახლებული. მოგვიანებით იბერიის თემის შემადგენლობაში შევიდა კლარჯეთის მიწა-წყალი, ხოლო კონსტანტინე X მონომაქოსის დროს (1042-55) – შირაქის სამეფო ქალაქ ანისით, რომელიც იბერიის თემის დედაქალაქად იქცა.

იბერიის თემს ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ქართველთა და ვანანდის სამეფოები (ქართველთა სამეფოსთან საზღვარი ბანის წყალზე გადიოდა), დასავლეთით ბიზანტიის ადმინისტრაციული ერთეული – ქალდიის თემი, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ტარონისა და ვასპურაკანის ოლქები. თემმა არსებობა შეწყვიტა სელჯუკთა შემოსევების შედეგად 1072-1074 წლებში (ქსე, 5, 1980, გვ. 68).

იბერიის თემის დიდი ნაწილი იყო „დავით კურაპალატის მემკვიდრეობა“, ანუ ის მიწა-წყალი, რომელიც დავით III-მ უანდერძა კეისარს. დავით III-ის სამემკვიდრეო სამფლობელოს შეადგენდა იმიერ ტაო ჩრდილო ბასიანითურთ. 979 წელს აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გაწეული დახმარებისათვის ბიზანტიამ დავითს გადასცა „ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი, რათა თავის სიცოცხლესა ჰქონდინ“ (გ. მთაწმიდელი).

XI ს-ის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოზ ტარონელის (ასოღიკი) ცნობით, ეს ქვეყნები იყო: **ციხე ხალტოი-არიჭი და მასთან მდებარე კლისურა დასავლეთ ევფრატის ხეობაში, ჩორმაირის თემი მდ. ჭოროხის სათავეებთან, კარინი ანუ თეოდოსიოპოლი თავისი თემით, ციხე სევუკი მარდალიის კანტონში, მდ. არაქსის სათავეებთან, ჰარკისა და აპაუნიკის პროვინციები აღმოსავლეთ ევფრატის ხეობაში** (ქსე, 3, 1978, გვ. 340).

მოსკოვში დასტამბული „ბიზანტიის ისტორიის“ თანახმად, XI ს-ში ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე ბიზანტიამ დააარსა ახალი ადმინისტრაციული ერთეულები – „ვასპურაკანის თემი, იბერიის თემი და თეოდოსიოპოლის თემი“. იქამდე არსებობდა „ქალდეას თემი“. ლაზიკის სამიტროპოლიტოდ წოდებული ბიზანტიური საეკლესიო ერთეული შესაბამისად მოიცავდა აღნიშნულ მხარეთა დიდ ნაწილს და ისიც XI ს-ში უნდა გაფართოებულიყო ამ თემებზე საეკლესიო იურისდიქციის განვრცობის შედეგად. როგორც აღინიშნა, ოლნუტის საეპისკოპოსო მარდალიაში, ხორძენე და ბიზანა მანრალიასთან ახლოს, ტარონის მიმართულებით, ანდაკი – ვანანდში (ყარსის ოლქში) იყვნენ განლაგებულნი.

ქართველთა ბრძოლა ბასიან-ტაო-კარინისათვის

კარინი - არზრუმის ანუ კარნუ-ქალაქის მხარეს ერქვა I ათასწლეულში, მიიჩნევა, რომ სიტყვა კარინი კარინიტების იბერიული ტომის სახელისაგან წარმოდგა, რომელიც ქრისტეშობამდე ცხოვრობდა იქ.

ეს ქვეყანა იბერიის სამეფოს ნაწილი ყოფილა, ცხადია იბერებით დასახლებული პარიადრესთან, გოგარენასთან და ხორძენსთან ერთად, რომელნიც, როგორც აღინიშნა, სტრაბონის ცნობით არმენიამ ჩამოაჭრა იბერიას ქრისტეშობამდე II საუკუნეში. საუკუნეთა შემდგომ ჩამოყალიბებულ ტაოს სამეფოს ოფიციალურად „ქართველთა სამეფოს“ ეწოდებოდნენ, ტაო კი ბასიანთან ერთად არ შედიოდა მცხეთის ქართლის სამეფოში, ამასთან დაკავშირებით დაგვებადა მოსაზრება, რომ ცნობილი ქვეყანა „არიან-ქართლი“ იყო კარინი - ტაო-ბასიანი მიმდგომ მხარეებთან ერთად, ამ მოსაზრების სხვადასხვა ირიბი ცნობა ამტკიცებს, რომელნიც მოყვანილია ამ ნაშრომში. ერთერთი შესაძლოა იყოს სიტყვა არიან-ქართლის ფუძე-ძირის „არ“ („ქართ“ - „ქარ“), იგივეობა „კარინ“ სიტყვის ძირთან - „კარ“ (არ-ქარ-კარ) ამავე რეგიონში ასეთი ფუძეები მრავალია მათ შორისაა არზრუმი, ართვინი, არტანუჯი, კარი, არტაანი და სხვა. არტ-ართ-ქართ-კარ-არ ცხადია ქმნიან გარკვეულ სისტემას, რომელიც ნამდვილად ემსგავსება სიტყვა „არიან-ქართლს“. „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით არიან-ქართლი სახელმწიფო იყო, რომლის მეფის ძემ აზონმა ინება თავისი ხალხის ერთი ნაწილის უფრო ჩრდილოეთით გადასახლება, სადაც ახალი სახელმწიფო „ქართლის სამეფო“ დააარსა – „ჰერეთიდან-ეგრისწყლამდე“. ე.ი. იყო ორი ქართლის სამეფო ერთი სამხრეთით - „არიან-ქართლი“, მეორე კი ჩრდილოეთით. ორივე სამეფო ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ სამხრეთ ქართლს ანუ არიან-ქართლს უფრო განვითარებული სახელმწიფოებრიობა ჰქონია და უფრო ძლიერი ყოფილა სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩრდილო ანუ მცხეთის ქართლსაც ჰქონია გარკვეული სახელმწიფოებრიობის ჩანასახები: „მცხეთელი მამასახლისის“ სახით, რომლის უზენაესობას ცნობდნენ სხვა დიდებულები. აზონს ჩრდილოეთის ქართველთა სახელმწიფო მტკიცედ ჩამოუყალიბებია, მაგრამ შემდგომ იქ დაწყებულა დინასტიური ომი, რადგანაც მიიჩნევა, რომ აზო-ფარნავაზის ომი შიდადინასტიური ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა, და რომ ფარნავაზი და აზო საერთო დინასტიური სახლის სხვადასხვა განშტოებებს განასახიერებდნენ, რომელთა შორის უფროს-უმცროსობის პრინციპით უფლებები და სამართავი ტერიტორია იყო დანაწილებული (მ. სურგუ-

ლაძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლი, 1995, გვ. 19). ამავე სახლის წევრი უნდა ყოფილიყო ასევე ეგრისის ერისთავი ქუჯი.

საფიქრებელია, რომ ქართველთა ორი სახელმწიფო ებრძოდა ერთმანეთს, ესენი იყვნენ მცხეთის ქართლი და არიან-ქართლი.

დასავლეთ არმენიის ხალხში ეთნოიდენტობის ძიების შედეგი (IX-X სს.)

კვლევა ეროვნული იდენტობისა რთული საქმე იყო შუა საუკუნეებში.

ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ ერთ რომელიმე ხალხში იკვეთებოდა ჯგუფი, რომელიც საბოლოოდ იქცეოდა ხოლმე სხვა ხალხად და შორდება ძველ ერს. ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა ყოფილიყო. შეიძლება რამდენიმე მაგალითის დასახელება. ოსმალეთის უზარმაზარი სახელმწიფოს მოსახლეობა „ბერძნებს“ უწოდებდა სლავური წარმოშობის ხალხებსაც (მათ შორის ვთქვათ ბულგარელებს, ვლახებს და ა.შ.). მიზეზი ამისა იყო ის, რომ ჩამოყალიბების შემდეგ რამდენიმე საუკუნის მანძილზე ოსმალეთის იმპერიამ თავისი კანონების თუ ადათის შესაბამისად „ბერძნულ თემში“ გააერთიანა ყველა მართლმადიდებელი და ისინი ერთ ცენტრს - კონსტანტინოპოლის ბერძნულ საპატრიარქოს დაუქვემდებარა, საბოლოოდ პუშკინის ეპოქაში რუსული წრეები (XIX ს. დასაწყისში) საერთაშორისო ასპარეზზე ავრცელებდნენ მტკიცებულებებს, რომ სინამდვილეში ოსმალეთის „ბერძნების“ უმრავლესობა, არა ეთნიკური ბერძნები არამედ „სლავები“ იყვნენ. შემდეგში კი მართლაც მოხდა თვითგამორკვევა და „ბერძნებიდან“ თანდათან გამოიკვეთნენ ბულგარელები, სერბები თუ ვლახები.

ამჟამადაც, როგორც ცნობილია, ქრისტიანი ლაზები თავიანთ თავს „ბერძნებს“ უწოდებენ, მაგრამ თუ კი რაიმე მიზეზის გამო მათში დაიწყება ეთნიკური იდენტობის ძიების პროცესი, შესაძლოა ბერძნების ამ ნაწილისაგან ახალი „ლაზი ხალხი“ ჩამოყალიბდეს, მითუმეტეს, რომ არსებობენ მუსულმანი ლაზები, რომელნიც საერთოდ არ თვლიან ბერძნებად თავს.

მსგავსადვე შესაძლებელია ვთქვათ მექსიკის ხალხში შიდა იდენტობის ძიების შედეგად გამოიკვეთოს ინდიელთა ახალი ხალხები ანდა ეთნოჯგუფები, რომელნიც წარმოჩნდებიან, როგორც დამოუკიდებელი ნაციონალური ხალხები.

დაახლოებით მსგავსადვე **„დასავლეთ არმენიის“ მკვიდრმა მოსახლეობამ IX-X საუკუნეებში, ეთნოძიების შედეგად დაასკვნა, რომ ისინი იყვნენ არა სომხები არამედ იბერიელები, ენით, კულტურით, წარსულით და სხვა ეროვნული თვისებებით. ტაო-ბაიანისა და ახლო მხარეების მოსახლეობამ ეთნო-თვითგამორკვევით აღიდგინა ქართულ-ეროვნული ეთნოიდენტობა და არა ე.წ. „ქართიზაციის“ შეგეგად.**

ბასიანი XII ს.-ში

ბასიანი XII ს-ში საქართველოს სახელმწიფოს ნაწილი იყო. თამარ მეფის დროს ბასიანში დიდი ომი გაიმართა-

„წყალობითა მოჰხედა სამკვიდრებელსა თვისსა ღმერთმან და ვარძიისა ღვთისმშობელმა უვნებლად დაიცვა მის წინაშე შევედრებული ერი ქართველთა“.

კონსტანტინე პროფოროგენეტი, როგორც ითქვა, არტანუჯის ოლქს (კლარჯეთს) უწოდებს „არზენას“ (არზენი). შეუძლებელია, რომ არ დავინახეთ მსგავსება ანდა იდენტურობა სიტყვებს შორის „არზენი“ და „არსიანი“. როგორც ვიცით, არსიანი ეწოდება ქედს, რომელიც აღმოსავლეთიდან საზღვრავს კლარჯეთს ანუ არტანუჯის ოლქს. არსიანი შესაძლოა კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს იწოდებოდა კიდეც ასე: „არზიანი“ „არზეანი“ ანუ არზეს ქედი. არზენას ძირი არის „არზ“, ხოლო „ეანი“, „იანი“ ქართული სუფიქსებია. სიტყვა არსიანმა ასევე შეიძლება გაგვახსენოს სიტყვა „არიანი“, როგორც ვიცით ასე ეწოდებოდა ქართველთა სამხრეთის სამშობლოს („არიან-ქართლი“). ზოგიერთ მკვლევარს ის ეგულება ისტორიულ მესხეთში ანუ ტაო-კლარჯეთის მხარეს. მართლაც, ჩვენი წყაროების ცნობით კლარჯეთი იყო აზონის მამული ქვეყანა. ანუ არიან-ქართლის ძველი სამეფოს ნაწილი იყო კლარჯეთი. როგორც ითქვა, კლარჯეთს X საუკუნეში არზენი, ხოლო მის მთავარ ქედს „არსიანი“ ერქვა. ჩვენი ძველი წყაროს ცნობით კი კლარჯეთი არიანის ქვეყნის ნაწილი იყო. მაშასადამე სამივე სიტყვა (არზენი, არსიანი და არიანი) მიიმართება კლარჯეთის მიმართ და ჩანს კლარჯეთის ძველი სახელები იყვნენ, როგორც აღინიშნა კლარჯეთის სახელ „არზენისაგან“ ასევე უნდა იყოს წარმოშობილი სიტყვა „არზ-ენა“ ანუ „ლაზ-ენა“ იგივე „ლაზიკა“ (ლაზივი). მაშასადამე საფიქრებელია, რომ „ლაზიკა“ და „არიანი“ ერთი წარმოშობის სიტყვებია. ვახუშტის ცნობით კლარჯეთის (ანუ არიან-ქართლის ანუ ლაზიკის) ნაწილები იყვნენ ტაო, სპერი, თორთომი, არზუმის სანახები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ოლთისის დასავლეთით მდებარეობდნენ აზორდის ციხე, ქალაქი აზორდი, აქ გაედინებოდა მდ.აზორდი და საერთოდ მთელ მხარესაც აზორდი ერქვა. ის მდებარეობდა ჭოროხსა და ოლთისის წყალს შუა. სიტყვები აზორდი და არზენი თითქოსდა ერთმანეთს ემსგავსებიან. სიტყვა აზორდი ჩვენ გვაგონებს სიტყვა – აზონს, სახელს არიან-ქართველთა მეფის ძისა. აღსანიშნავია, რომ ოსმალური წყაროს ცნობით ამ მხარეში - „აზნაურები“ ცხოვრობდნენ.

თავი XIV

არიან-ქართლი

სიტყვა „ქართველის“ ეტიმოლოგია

ამჟამად მიღებული თვალსაზრისით, სიტყვა „ქართველი“ უკავშირდება მცხეთაში „ქართლის მთას“, რომლის მცხოვრებთაც თითქოსდა ეწოდათ „ქართველი“, შემდგომ კი ეს სახელი განივრცო ირგვლივ მაცხოვრებლებზეც.

სიტყვა „ქართველს“ აგრეთვე აკავშირებენ სიტყვასთან „ქართა“, რაც შემორაგვულ ადგილს ნიშნავს. ძირითადად ასეთი იყო საბჭოთა ეპოქაში ისტორიოგრაფიის თვალსაზრისი.

უფრო ადრინდელს გამოხატავს მიხეილ თამარაშვილი: – „საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისით, ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, „საქართველო“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „ქართლოს“, „იაფეტის ბადიშიშვილის სახელისაგან, რომელსაც წილად რგებია ეს მხარე. მის შვილებს მამის საფლავთან ფიცი დაუდიათ, რომ მამის ადგილსამყოფელს „ქართლოსს“, ანუ „ქართლს“ უწოდებდნენ, მის სახელისუფლებო მიწებს კი – საქართველოს“ (მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 1995, გვ. 38).

თამარაშვილის წიგნის წერის დროს ჯერ ნაკლებად იყო ცნობილი „მოქცევაჲ ქართლისაი“ და ამიტომ უცნობი იყო ქვეყანა „არიან-ქართლი“, მაგრამ ამ წყაროს, კარგად იცნობდა დავით აღმაშენებლის მოძღვრად მიჩნეული არსენ ბერი, რომელიც წმიდა ნინოს ცხოვრებაში წერს, თუ ვინ არიან ქართველები და როგორ უნდა აიხსნას ეტიმოლოგიურად სიტყვა „ქართველი“. კერძოდ, ის წერს - **„ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაჲ მათი ვუწყით“.**

მაშასადამე, **„მოქცევაი ქართლისაის“ თვალსაზრისით**, აბსოლუტურად განსხვავებულად წარმოიდგინება ქართველთა წარმოშობა. ქართველები ამ წყაროს ცნობით, არ ჩამოყალიბებულან საქართველოს მიწა-წყალზე, ე.ი. ქართლოსისაგან, არამედ სამხრეთში არსებობდა სახელმწიფო „არიან-ქართლი“, რომლის მცხოვრებთ, ამ წყაროს მიხედვითვე, ერქვათ „არიან ქართველნი“ ანუ „ქართველნი“.

„არიან-ქართლის“ პოლიტიკური ელიტა ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში ჩამოსახლდა თანამედროვე საქართველოში. ახალი ქვეყნის მოსახლეობა „ქართველები“ იყვნენ იმის გამო, რომ ისინი „შვილნი“, ანუ შთამომავლები იყვნენ- „მათ არიან-ქართლით გამოსულთა“, ანუ **სიტყვა „ქართველი“ მცხეთის გადედაქალაქებამდეც არსებობდა და ერქვა არიან-ქართლის მოსახლეობას.**

მეორე მხრივ, ქართლის ცხოვრების თანახმად, „ქართველები“ ქართლოსის შთამომავალნი არიან, მეგრელები „ეგროსისა“ და ა.შ., მაშინ, როცა უფრო ძველი წყაროს, „მოქცევაჲს“ მიხედვით, როგორც ითქვა, „არიან-ქართველები“ მეფის ძე აზონის მეთაურობით თანაბრად განსახლდნენ „ეგრისწყლიდან ჰერეთამდე – (ალბანეთამდე)“, ანუ ამ წყაროს მიხედვით, **როგორც ეგრისწყალთან მცხოვრები ეგრისელები, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, „არიან-ქართველთა“ შთამომავლებია**. ქართველებია, როგორც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ეგრისწყალთან, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა.

„და **თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოი, ძე არიან-ქართლისა მეფისაი, და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთა ცროლისა და წარვიდა“** (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ,81).

ძალზე ღრმა და საგულისხმო განსხვავებაა.

გარკვეულია, რომ ქართლის ცხოვრების ცნობები ე.წ. კავკასიელთა და ქართველთა ეთნარქების შესახებ შედგენილია მოვსეს ხორენაცის „ისტორიის“ გავლენით, ალბათ, მონღოლების შემდეგ, რადგანაც არსენ ბერი XII ს-ში „ეთნარქთა“ თეორიას არ იცნობდა, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არის I ათასწლეულის წყარო, რომელიც სინას მთაზეც იკითხებოდა IX-X სს-ში. მაშასადამე, „ქართველი“ – „არიან-ქართველთა“ შთამომავალს ნიშნავს. მას ეტიმოლოგიური კავშირი არა აქვს არც „ქართლოსთან“ და არც სიტყვა „ქართასთან“.

არიან-ქართლის ერი

არიან-ქართლის მდებარეობა ამჟამადაც კვლევის საგანია.

ნ. ხაზარაძის თვალსაზრისით, რომელსაც მნიშვნელოვანს უწოდებს აკად. გ. გიორგაძე, არიან-ქართლი მდებარეობდა ტაო-ბასიანის მხარეებისაკენ. **„ნ. ხაზარაძის კონცეფციით არიან-ქართლი, ისევე როგორც მოსხიკე კლარჯეთისა და მის სამხრეთით მდებარე ტაო-ბასიანის მხარეების აღმნიშვნელი ტერმინი იყო, ეკლეცი-ანძიანძორა-სტერი კი ამ დიდი რეგიონის სამხრეთ საზღვართან დღევანდელ ერზნჯანის ზეგანზე მდებარე ქალაქები“** (გ. გიორგაძე, ნ. ხაზარაძე. კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, 2001, გვ. 13).

„ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით“ - წერდა არსენ ბერი, დავით აღმაშენებლის მოძღვარი, თავის „წმიდა ნინოს ცხოვრებაში“.

I ათასწლეულში ქართველობა დარწმუნებული ყოფილა, რომ ისინი იყვნენ „არიან-ქართლიდან“ გამოსული ხალხის შთამომავალნი და აგრეთვე იმაშიც, რომ ქართული ენა ყოფილა იგივე ენა, რაც „არიან-ქართველთა“ ენა იყო ძველ სამშობლოში (მაშასადამე, მათი თვალსაზრისი განსხვავდებოდა „ქართლის ცხოვრების“ კონცეფციისგან, რომ მაგალითად, ქართული ენა თითქოსდა საქართველოში ჩამოყალიბდა სხვადასხვა ენების აღრევის შედეგად).

თუ ჩვენ შევაჯერებთ „წმიდა ნინოს ცხოვრების“, ასევე, „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაიჲ ქართლისაის“ კონცეფციებს, შეიძლება მივიდეთ შემდეგ მოსაზრებამდე: არიან-ქართლის ქვეყნიდან თანამედროვე საქართველოში ჩამოვიდა მეფის ძე აზონი თავის სამხედრო ელიტის თანხლებით, მათ შექმნეს ახალი სახელმწიფო, მაგრამ წყაროსავე ცნობით, **მკვიდრ, ძველ ქართულ მოსახლეობას, არიან-ქართველთა ჩამოსვლამდე, უკვე ჰქონია სახელმწიფოს მოწყობის ნიშნები და ჰყავდა მმართველები. შეიძლება ითქვას დინასტიაც - ე.წ. მცხეთელი მამასახლისების ოჯახი.** ამ ოჯახის წევრი ფარნავაზი მოახერხებს ჩამოსული სამხედრო არისტოკრატიის ელიტის ნაწილის მიმხრობას, მკვიდრთაგან კი ჯარის შექმნას და შეებრძოლება აზონს. აზონი მარცხდება და გადადის თავისი მამის ქვეყანაში, ანუ „არიან-ქართლში“ - ესაა კლარჯეთი და მის სამხრეთით მდებარე მხარეები (ალბათ ტაო, კარინი, ბასიანი და ა.შ.). ფარნავაზი აქაც ამარცხებს აზონს, ლაშქრავს სამხრეთის მხარეებს (ე.ი. კლარჯეთ-არიან-ქართლს) და ბრუნდება შინ - მცხეთაში. ერთი სიტყვით **„არიან-ქართლში“ ჩანს იგულისხმება ვრცელი ქვეყანა ტრაპეზუნტიდან (ზღვისპირა დიდი ქალაქიდან) – კარნუ- ქალაქამდე და ანძიანძორამდე (დღევანდელ ერზინჯანის ზეგნამდე), ანუ ქალდეასპერი-ტაო-ბასიანი და მისი მომიჯნავე მხარეები, ის ქვეყანა, სადაც ქსენოფონტემ ქართველი ტომები აღწერა, ქვეყანა, რომელსაც სტრაბონი უწოდებს ხორძენეს, პარიადრსა და გოგარენს, იბერიის მხარეებს, რომელიც არმენიამ ჩამოაჭრა ისტორიულ საქართველოს ქრისტეშობამდე II ს-ში.** იქამდე ეს მხარეები შედიოდა იბერიაში, ცხადია იბერებითვე ანუ ქართველებით დასახლებული (არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, 1974, გვ. 183). პარხარის მთა პ. ინგოროყვას აზრით არის იგივე პარიადრეს მთიანეთი ანუ პონტოს მთები მდ. კელკიტ ჩაის შესართავიდან ღალისამდე და დასავლეთ ევფრატამდე. ს. ჯანაშიას აზრით პარიადრე, სკიდისი და მოსხის მთები აღმოსავლეთ პონტოს ქედის ნაწილებია (იქვე, ე. ცაგარეიშვილის კომენტარი, გვ. 182).

არიან-ქართლის უმთავრესი ნაწილი ხორძენესა, შემდგომ გუგარქსა და პარიადრის მთიანეთის კალთებზე უნდა ყოფილიყო განფენილი. კლარჯეთი ვახუშტის ცნობით, ამ მხარეების ნაწილი იყო (**ვახუშტის ცნობით კლარჯეთი იყო არა მხოლოდ არტანუჯის მხარე, არამედ ტაო, ბასიანი, სპერი და მათი ირგვლივი ქვეყნები**).

სტრაბონის ცნობით ქალდები ხალიბების მემკვიდრეები იყვნენ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართველებს უძველეს ხანაში ქალდიაში უნდა ეცხოვრათ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, I, 1960, გვ. 412). „მოქცევაის“ ცნობით ქართველები „არიან-ქართველთა“ შთამომავლებია, ხოლო ივ. ჯავახიშვილის აზრით, კი ქართველთა წინაპრები თავდაპირველად ქალდეაში ცხოვრობდნენ. მაშასადამე **ქალდეა - „არიან-ქართლის“ ნაწილი იყო. პ. ინგოროყვას აზრით ქალდეა იყო „სამხრეთ კოლხეთის“ ზოგადი სახელწოდება (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 268). თუ ეს ასეა, მაშინ აღმოჩნდება, რომ არიან-ქართლი სამხრეთ კოლხეთის ნაწილი იყო.**

მოციქულთა ეპოქაში, I-II საუკუნეებში იბერია გაძლიერდა, იმდენად, რომ სომეხ მეფეთა ტახტი ზოგჯერ ქართველთა ხელში იყო, საფიქრებელია, რომ ამ დროისთვის არმენიამ უკანვე დაუბრუნა იბერიას ჩამოჭრილი ხორძენე და გოგარენი, პარიადრეს კალთებთან ერთად, არაბობის დროს, ჩანს, რომ ქართველთა სომხებში ასიმილაცია შენელდა **და ქართველობამ ამ მხარეებში, ანუ ისტორიულ არიან-ქართლში გარკვეულწილად შეძლო ქართული ენისა და ეთნიკური ვინაობის შენარჩუნება, ამას მიუთითებს ის, რომ არაბობის გადავარდნის შემდეგ სწორედ აღნიშნულ მხარეების მოსახლეობის დიდი ნაწილი არა „სომხებად“ არამედ „ქართველებად“ აცხადებდა თავს, იმდენად, რომ ტაოში შეიქმნა კიდეც ეროვნული სახელმწიფო „ქართველთა სამეფოს“ სახელწოდებით**, რომელიც გაფართოვდა ვანის ტბის მიმართულებით.

თუ არა ბასილი კეისრის შემოჭრა და „ქართველთა სამეფოს“ დამარცხება, ალბათ ძველი „არიან-ქართლი“ აღიდგენდა თავის თავს ანუ ქალდეადან ვანის ტბამდე აღორძინდებოდა ეთნიკურ ქართველთა, მკვიდრი მოსახლეობის სახელმწიფო, ქართული ენითა და ეკლესიით.

ბასილი კეისარმა, შემდეგ კი იმპერატორებმა კონსტანტინემ, რომონოსმა და სხვებმა გააფთრებით იბრძოლეს ქართველთა გასანადგურებლად ყოფილ არიან ქართლში, რომელსაც იმჟამად „ივერია“ ერქვა.

თუმცა ბიზანტიელთა შემდეგ თურქ-სელჯუკებმაც კი ვერ შეძლეს იქ მკვიდრი ქართველობის საბოლოო მოსპობა, XII-XVI საუკუნეებში არზრუმიდან-ყარსამდე და მიმდებარე მხარეებამდე ქართული სახელმწიფოებრიობა მაინც არსებობდა, იქვე მდებარეობდნენ ქართული საეპისკოპოსო კათედრებიც - კარელი, ვალაშკერტელი, დადეშნელი და სხვები. **ასე, რომ ტაო-კლარჯეთი IX-X საუკუნეებში კი არ „გაქართველდა“, როგორც მიიჩნევა ქართიზაციის თეორიის მიხედვით, არამედ პირიქით, ხორძენეს, გუგარქისა და პარიადრის ქართველობამ ააღორძინა თავისი ვინაობა, ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფოს“ სახით.**

აზონის მამის სამეფო - „არიან-ქართლი“

მკვლევარი თ. ქემერტელიძე ეთანხმება გ. მელიქიშვილსა და გ. მამულიას, რომ არიან-ქართლი სხვა ტერიტორიებთან ერთად მოიცავდა ტაოსა და სპერს (უთითებს

გ. მელიქიშვილი „საქართველოს ძველი ისტორიისათვის“, რუსულ ენაზე, 1959, გვ. 278; გ. მამულია, „კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში“, 1979, გვ. 93). მისი აზრით არიან-ქართლის მეფის ძე აზონი იყო აქემენიდების სამეფოს XVIII სატრაპიის ერთ-ერთი მხარის მმართველი, ანდა XIX სატრაპიის გამგებელი (თ. ქემერტელიძე. ქართლის იბერიის სამეფოს წარმოქმნის თარიღის შესახებ, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი ნარკვევები, ტ. VI, 2000, გვ. 31).

შესაძლოა ალექსანდრე მაკედონელმა აზონს XIX სატრაპიასთან ერთად ჩაბარა ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის გამგეობა და ამ სახით ახალი სატრაპია - მცხეთისა (იბერიისა) ჩამოაყალიბა. **„მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით აზონი იყო არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ თითქმის მთელი ისტორიული საქართველოს გამგებელი - „ეგრისწყლიდან“ ვიდრე ალბანეთამდე, ანუ დასავლეთ საქართველო (აღმოსავლეთთან ერთად) მის მიერ იმართებოდა. ასე გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრებაც“.**

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ **323-316 წლებში მდინარე არაქსის შუა წელზე ჩამოყალიბდა ე.წ. „არარატის“ სომხური სახელმწიფო. იქამდე ეს ტერიტორია ქართველებით - ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ქსენოფონტე აქ მიუთითებს ფასიანებს, ჰეროდოტე - ალაროდიელებს.**

თ. ქემერტელიძე წერს „**მდ. არაქსის ხეობაში სომხური ეთნიკური ელემენტის მასობრივი შეღწევა ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრისათვის არის სავარაუდო**“ (იქვე, გვ. 36), რადგანაც ადრე იქ ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო მეოთხედსა და ძვ. წ. V ს-ში ალაროდიელები და ფასიანები სახლობდნენ.

არიან-ქართლის მომცველ მიწა-წყალზე სომხებს შეღწევა დაუწყიათ ქრისტეშობამდე IV საუკუნის დასაწყისში. ალბათ მათ შემოსევას თუ გაექცა არიან-ქართლის მეფის ძე აზონი და ჩრდილოეთით გადასახლდა. **არიან-ქართლის სამეფოს მიწა-წყალზე სომხებს ჩამოუყალიბებიათ ასევე კიდევ ერთი სომხური სამეფო „მცირე არმენია“. ის მოიცავდა ყოფილი XVIII სატრაპიის ტერიტორიას, მათ შორის ტაოს, სპერს, ყარა-სუს ზემო დინებას (ძვ.წ. IV ს.-დან), იქამდე ამ მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ სასპერები, მატიენები და ალაროდიელები (საფიქრებელია, რომ მცირე არმენიაში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ბოლომდე არ შეცვლილა და იქ ქართველები კიდევ დიდხანს ცხოვრობდნენ, რასაც მიუთითებს ფაქტები იმისა, რომ სწორედ ამ მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა IX-X საუკუნეებში ქართული სამთავროები, შემდეგ „ქართველთა სამეფო“ კიდევ უფრო ადრე, VII ს-ში, აქ იყო „ქართველთა სამთავრო“ თუმცა კი ეს უკანასკნელი სომეხთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.**

ქართველთა ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა ფაქტი იმისა, რომ მათ მეზობლად ქართლის (იბერიის) ანუ მცხეთის სახელმწიფო არსებობდა ძვ.წ. III საუკუნიდან. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ I-II საუკუნეებში გაძლიერებული იბერია თვით სომხეთის სამეფოსაც მართავდა (ფარსმან მეფისა და მისი შვილების დროს).

მაშასადამე, ყოფილ XVIII სატრაპიაში ძვ.წ. IV საუკუნისათვის ორი სომხური სამეფო ე.წ. არარატისა და მცირე არმენიისა ჩამოყალიბდა. **XIX სატრაპიაც ვერ აცდა სომხურ ბატონობას – ბერძენთა და რომაელთა მიერ „დასავ-**

ლეთ არმენიად“ წოდებული მიწა-წყალი მოიცავდა მდ. ჭოროხის ზემო და შუა დინებათა ქვეყნების გარკვეულ ნაწილს (მათ შორის ტაოსა და სპერს) და მდინარე არაქსის ზემო დინების აუზს. ტაო და სპერი, როგორც ბასიანი, დიდხანს, თითქმის XV-XVI საუკუნეებამდე და შემდეგაც კვლავ ეთნიკური ქართული ქვეყნები იყვნენ, არმენიზაციის პროცესი ამ ქართულ მხარეებში შედარებით ნელი იყო.

ალექსანდრე მაკედონელს XVIII სატრაპია სამართავად გადაუცია მითრენ იარვანდიანისათვის, რომელიც აირარატის მეფე იყო (იქვე, გვ. 36), მაშასადამე სავარაუდოდ არიან-ქართლის ნაწილიც მასვე გადაეცა.

თ. ქემერტელიძე ფიქრობს, რომ რადგან აზონის მამის **იარედოს**ის სახელი მსგავსია **იარვანდი**სა, ამიტომაც ისინი ნათესავები იყვნენ. ჩემი აზრით მათ ორივეს (იარვანდსა და იარედოსს) სახელები ერქვათ ქვეყნის „**არიანი**ს“ სახელის მიხედვით, კერძოდ ამ ქვეყნის სახელის ფუძე (ე.ი. - „არ“) გადაქცეულა ამ ქვეყნის მფლობელის საგვარეულო სახელად. მართლაც XVIII სატრაპიის მმართველთა საგვარეულო სახელი ყოფილა იარვანდიანები, იარვანდ - სახელში ფუძის ნაწილია „არ“ (ი-**არ**-ვანდ) ისევე, როგორც იარედოსში (ი-**არ**-ედოს).

„არ“ ფუძის მქონე სახელები აღნიშნულ რეგიონში მრავლად იყო. ტოპონიმი და ჰიდრონიმი - არაქსი, არსიანი, არცნი, არზნე, არზრუმი, ართვინი, არტაანი, არტანუჯი, თუ არას ვიტყვით კარინსა და კარზე - არიან-ქართლის ქვეყნის სახელის (არიანის) ძველი ნაშთები.

გ. მელიქიშვილმა გამოთქვა თვალსაზრისი, რომ სახელი „სომეხი“ წარმომდგარია ქვეყნის სახელისაგან, სუხმა“, რომელიც თ. ქემერტელიძის სიტყვით მდებარეობდა მურად-სუს დინების ჩრდილოეთით დასავლეთ არმენიაში. სუხმა-სოხმა-სოხმი-სომხი და აქედან სომხითი, სომხითარი, სომეხი. ისტორიულად კი სუხმას ხურიტულ ქვეყანაში ხურიტი მატიენები ცხოვრობდნენ.

რაც შეეხება საკუთრივ არმენიას, ის შედიოდა XIII სატრაპიაში აქემენიდების დროს და მდებარეობდა ვანის ტბის მიდამოებში, მდ. ტიგროსის ზემო დინების რეგიონში მდ. ბოხტან-სუს შესართავამდე. ესაა ქსენოფონტეს „აღმოსავლეთი არმენია“.

თ. ქემერტელიძის აზრით აზონი მცხეთაში გამეფდა 323-322 წლებში ძველი წელთაღრიცხვისა, ხოლო 301 წელს ის დაამარცხა ფარნავაზმა არტაანში.

ფარნავაზმა ამის შემდეგ ილაშქრა მცირე არმენიაში (ძველ არიან-ქართლში) და აიღო მისი მთავარი ქალაქი **ანიკემახი ანუ ანძიანძორი**, საიდანაც ეკელეცის გავლით შევიდა კლარჯეთში. მან „არიან-ქართლის“ მიწა-წყალზე ანუ აზონის მამულში ილაშქრა ანძიანძორიდან - კლარჯეთამდე (შესაძლოა ანიკემახი იყო ის ქალაქი, სადაც შემდეგ დაარსდა კამახის საეპისკოპოსო კათედრა).

აქაურები (ე.ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი) ყოფილან „აზნაურები“ (რადგან ქართლში ორმეფობის ჟამს (ძვ.წ.II-I სს.) მხოლოდ აქაური ერისთავები იხსენებიან აზნაურებად), შემდეგ „აზნაურები“ - წოდებრივ ფენად იქცა (იქვე, გვ. 36).

აზონი მცხეთაში 24 წელი მეფობდა, თ. ქემერტელიძე ეთანხმება სხვებს და მიიჩნევს, რომ 301 წელს დიადოქოს ანტიგონეს მოკვლის შემდეგ წინა აზიის ზედამხედველობის უფლება მიენიჭა იქამდე თრაკიის გამგებელს ლისიმაქეს. ამ დროისათვის სელევკიმ უკან დაიბრუნა მესოპოტამიის გამგებლობა. ამ ცვლილებებმა გავლენა იქონია აზონის ბედზეც. კერძოდ 301 წელს მისი მფარველი ანტი-

გონეს მოკვლის შემდეგ აზონს აუჯანყდა მცხეთის მამასახლისის ძმისწული ფარნავაზი (იქვე, გვ. 37). მან ორწლიანი ბრძოლის შემდეგ მცხეთის ტახტი დაიჭირა, მას მხარს უჭერდა სელევკი, აზონს კი ლისიმაქე. **გამარჯვების შემდეგ, როგორც ითქვა, ფარნავაზმა აზონის მამული ქვეყანა ანუ არიან-ქართლი დალაშქრა.**

მიიჩნევა, რომ აზონის მცირე აზიურ წარმოშობაზე (ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან) მიგვანიშნებს მის მიერ შემოტანილი გაცისა და გას კერპები.

„ზემო ქვეყანათა“ ქართული ადგილები - „აზონის მამული“

1. ვანი – ოლქი და საოლქო ცენტრი ვანის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე. თურქებმა დაიპყრეს 1548 წელს.

2. ბაიბერდი – მდებარეობს მდ. ჭოროხის პირას არზრუმ-ტრაპიზონის გზაზე, არზრუმიდან 100 კმ-ის მანძილზე. ადრე შედიოდა არზრუმის ოლქში, ახლა კი გიუმუშხანეს სანჯაყია.

3. ერზინჯანი – ოლქი ევფრატის დაბლობზე, არზრუმიდან დასავლეთით 176 კმ მანძილზე

4. ალაშკერტი – მდებარეობს აღმოსავლეთ ანატოლიაში, ალირის ოლქის სანჯაყია და 72 სოფელი ექვემდებარება, ალაშკერტში, სოფელ ჩანგალში, არსებოდა ქართული საეპისკოპოსო კათედრა (იხ. ექვთიმე თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგალში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 78-80). უფრო საფიქრებელია, რომ ის იყო სხვა ქალაქში - „ვალაშკერტში“.

5. ავნიქი – სოფელი არზრუმის ოლქის ფასინლერის (უდრის ბასიანს) რაიონში. შუა საუკუნეებში იხსენიება ავნიქის ციხე,

6. კავკასიძეები - ტაოს ფეოდალები იყვნენ და შედიოდნენ იშხნელის სამყოფოში. „სულ საკავკასიძეო“ ქართლის კათალიკოსს ემორჩილებოდა

7. ისპირი (სპერი) - მდებარეობს მდ. ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე. ამჟამად არზრუმის ოლქის ერთერთი რაიონია.

8. ოლთისი (თურქულად ოლთი) – ახლანდელი ოლთუ, მდებარეობს იმიერ ტაოში, ოლთისის წყალზე, დაიპყრეს ოსმალებმა 1549 წელს. ამჟამად არზრუმის ოლქის რაიონული ცენტრია.

9. ბინგიოლი – მთა, მის ჩრდილო კალთიდან იღებს სათავეს მდინარე არაქსი.

10. ბასიანი – ახლანდელი ფასინლერი არზრუმის ოლქში, ბასიანის ციხე ოსმალური წყაროების ჰასან კალეა.

11. ჩობანის ხიდი – მდებარეობს არზრუმის ოლქში, ფასინლერიდან 15 კმ დაშორებით მდ. არაქსის და კარგაფაზარის შესართავში.

12. **ბასიან-არზრუმის მხარე მიმდებარე ტერიტორიებით ვახუშტის სიტყვით იყო აზონისა და მისი მამის მამული,** ამიტომაც, ჩანს, ამ მოსაზრების ანარეკლის გამო წერს ოსმალური სამთავრობო წყარო – „აქ მდებარე სოფლების უმრავლესობა ყანდურალს ეკუთვნის, **მცირე ნაწილი კი აზონის შვილებად ცნობილი აზნაურებისაა**“ („თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისთვის“, 1983, გვ. 54).

ც. აბულაძე, ამ წყაროს მთარგმნელ-კომენტატორი, აღნიშნავს, რომ ვახუშტის ცნობით, ფარნავაზს კლარჯეთი დაუპყრია **„ხოლო კლარჯეთი არა არს წილი**

ამათი, არამედ ფარნაოზ დაიპყრა შემდგომად აზონის სიკვდილისა“ (ქ.ც. IV, გვ. 657). მაშასადამე, კლარჯეთი-ტაო-ბასიანი – აზონის მამული მხარე იყო და ის ფარნავაზმა შემოუერთა ქართლის სამეფოს (კერძოდ, კლარჯეთი).

ბასიან-ტაოში **„აზონის შვილებს“ - თვით XVI ს-შიც კი უწოდებდნენ აზნაურებს**“.

ალბათ, არაა შემთხვევითი, რომ ამ ადგილებში მდებარეობს პროვინცია სახელწოდებით “აზორდი”.

აღნიშნული „ყანდურალის მამულში“ ც. აბულაძის აზრით, **„ივარაუდება არზრუმის ოლქის აღმოსავლეთ მხარეს მდებარე ყარსის ოლქის დასავლეთი ნაწილი“ (ეს ის მხარეა, რომელიც გრიგოლ ბაკურიანის ძემ დაუბრუნა საქართველოს სამეფოს).**

13. თორთუმი – არზრუმის ვილაიეთის ერთ-ერთი სანჯაყი,

14. იშხანი – ამჟამად ართვინის ოლქის სოფელი,

15. ფანაკი – იგივე ბანა, არზრუმის ოლქის სოფელია.

16. არტაანი – მხარე მტკვრის ზემო წელზე, თურქებმა მიიტაცეს 1551 წელს, ამჟამად ყარსის ოლქშია.

17. კოლა – იგივე „მცირე არტაანი“, თურქული „გელე“. ადრე შედიოდა ყარსის ვილაიეთში.

18. შავშეთი – ოსმალებმა დაიპყრეს XVI ს-ში. ამჟამად აქვს ორი თემი – მერიე და იმერხევი, შედის ართვინის ოლქში. შავშეთის რაიონშია ისტორიული ტბეთი, ახლანდელი ჯევიზლი, წინათ ცენტრი იყო სათლელი.

19. არტანუჯი – მდებარეობს არტანუჯის წყლის მარცხენა ნაპირზე, ართვინის ოლქში.

20. მურღულის თემი მაჭახლისა და მარადიდის თემებთან ერთად შედის ართვინის ოლქის ბორჩხას რაიონში, იწოდება „გიოგთაშად“ (ცნობები მოცემულია წიგნიდან თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ცისანა აბულაძემ, 1983, გვ. 58).

აქედანაც ჩანს, რომ **ქართული ბასიანი შეესაბამება ბერძნულ ფასიანს, თურქულ ფასინლერს, რომელიც იყო მხოლოდ ერთი მხარე თეოდოსიოპოლისის ანუ არზრუმის (კარნუ-ქალაქის) ძალზე ვრცელი ოლქისა, რომელშიც ისპირიც და ბაიბერდიც შედიოდა, ჩანს, ისტორიული ზიგანას ჩათვლით, რომლის ადგილას ამჟამად გუმუშხანეა.**

ზიგანას ოლქში უნდა ყოფილიყო ფასისის, ანუ ფასიდის სამიტროპოლიტო თავისი 4 საეპისკოპოსოთი.

აღსანიშნავია, რომ არაქსის პირას ამჟამადაც მდებარეობს ქ. **ფასინლერი,** რომელსაც ც. აბულაძის რუკის მიხედვით, შეესაბამება ბასიანი, ანუ **ქალაქი ბასიანი ამჟამად იწოდება ფასინლერად.**

ამ ქალაქზე, ანუ **ქ. ბასიანზე გადიოდა ძირითადი გზა, რომელიც ოლთისბანა-არტაანის გავლით ჯავახეთში შედიოდა. ამ გზას წყაროებში „ქართლის გზა“ ეწოდება.** ეს გზა მოცემულია ც. აბულაძის რუკაზე (იქვე, გვ. 31). ის მხარის დიდი კლდიანობის გამო **ერთადერთი გზა იყო ბასიანის ჯავახეთთან დამაკავშირებელი. ამჟამადაც ეს გზა უმთავრესია. ამ გზის ერთი მონაკვეთი არტაანიდან შავშეთის გზით (არტაან-არტანუჯი) უერთდება ჭოროხსა და შავ ზღვას.**

ამ გზით უნდა გაევლო პეტრასკენ მიმავალ ხოსროს, რადგანაც, ნ. ადონცის ცნობით, ის თეოდოსიოპოლისიდან, ანუ არზრუმიდან (ბასიანიდან) გაემგზავრა

პეტრაში. **ეს გზა, ც. აბულაძის სიტყვით, იყო „ძირითადი სამარშრუტო გზა“** (იქვე, გვ. 30).

როგორც ითქვა, ფასისი ერქვა მდ. არაქსს კ. პორფიროგენეტის სიტყვით. პ. ინგოროყვას აზრით, ფას, ფასისი ნიშნავს წყალს, მდინარეს, ფასიანი კი წყლიან მხარეს, მართლაც, ბასიანის მოსაზღვრე, მის სამხრეთით მდებარე „ბინგიოლი“ ითარგმნება როგორც „ათასი ტბა“ (იქვე, გვ. 30). „ათასი ტბითა“ და მდინარეებით მდიდარი მხარე მართლაც წყლიანი, წყალუხვი უნდა ყოფილიყო.

არიან-ქართლის აჩრდილი

წმ. გრიგოლ პართელის, სომეხთა განმანათლებლის ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ მის მიერ ქრისტიანობა განივრცო მთელ არმენიაში, ქალაქ სატალადან, ხალდიისა და კლარჯეთის სიახლოვიდან - მასქუთებამდე, კასპიის საზღვარ პაიტაკარანამდე, სომეხთა ქალაქამდე, ამიდიდან ნიზიბინის სიახლოვიდან კორდუენას ჩათვლით მიდიამდე.

კერძოდ, გაუნათლებია 16 სამთავრო – ანგელთა სახლის მთავარი, ალზნიქთა დიდი პიტიახში, კორდუქის ქვეყნის მთავარი, გარგარის ქვეყნის პიტიახში, უტიელთა ქვეყნის მთავარი, ზარავანდისა და ჰერის მხარეთა მთავარი და სხვები.

ამ სიიდან ჩანს, რომ გრიგოლს უღვაწია ისტორიულ არიან-ქართლის მიწაზეც, რადგანაც ეს მიწა-წყალი გრიგოლის დროს უკვე დიდი ხნის მიტაცებული იყო არმენიის მიერ (ძვ.წ. II ს.-დან), და ამიტომ მის მიერ განათლებული მთელი მოსახლეობა არ იყვნენ ეთნიკური სომეხები, თუმცა კი მათი ქვეყნები არმენიაში იყვნენ მოქცეული. მაგალითად, უტიელები – ალბანელები იყვნენ სხვა წყაროების მიხედვით, ჰერის მთავრის ქვეშ თუ იგულიხმება ჩვენი ისტორიული მხარე ჰერეთი – არც მისი მოსახლეობა იყო სომხური. ასევე ქსენოფონტე კარდუხებს არ მიიჩნევდა სომხებად, პირიქით, ისინი სხვა ავტორების მიერ ქართველთა წინაპრებად მიიჩნეოდა. ეტიმოლოგიურად გარგარი და გუგარქი მსგავსია და ალბათ ეთნიკურადაც გარგარელები თავდაპირველად ქართველები უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც ფუძე **„გრგ“ – ქართველთა ეთნოფუძეა**, მისგანაა ნაწარმოები არა მარტო სიტყვა **გუგარ**ქი, არამედ **„გურზენ“, „გურჯ“, „გეორგიენ“ და სხვა ქართველთა ეთნო-სახელები**.

„ანგელთა“ ფუძეშიც ქართული ეთნოფუძისეული ხმოვანებაა „გლ“ (გრ) – რაც უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს, მითუმეტეს, რომ „გელ“ მანგლისისა და ალგეთის ფუძეებშიც გვაქვს.

ივ. ჯავახიშვილს „კარდუ“ და ტომის სახელი „კარდუხი“ ერთი ეტიმოლოგიისად მიაჩნდა, და „ქართუ“ – ქართუელი მისგან ნაწარმოებად. მისგანვე უნდა იყოს მცხეთის სამეფოს სახელი „ქართლი“.

არიანი-არზენი

სიტყვა ლაზიკა, ჩანს, ისევეა ნაწარმოები, როგორც, მაგალითად, მისი ახლო პროვინციების სახელები, მაგალითად, კორჩაიკა (კორდუენა), პარსფაიკა (ნორ-შირვანი), ალზნიკა (არზანენა), უტიკი (ოტენა), გუგარქი, ცოფკი (სოფენა) და სხვა. ბერძნები ლაზიკას ეფრო „ლაზიკს“, „ლაზონს“, „ლაზიას“ უწოდებდნენ.

სახელწოდებაში „ლაზიკა“ ფუძე „ლაზ“ რომაა, იქიდანაც ჩანს, რომ მისგანაა ნაწარმოები ლაზეთი და ლაზისტანი.

სიტყვებში კორჩაიკა, პარსფაიკა, ალზნიკა, ლაზიკა სომხური სუფიქსები - „კ“, „კა“, „იკა“ იგივეა, რაც ქართული „ეთი“, იმავე პარალელური მნიშვნელობის სომხური სუფიქსი „ენა“ გვხვდება სიტყვებში „კორდუენა“, „არზანენა“, „ოტენა“, „გოგარენა“, „სოფენა“ და „არზენა“.

ვანის ტბის დასავლეთით, ევფრატის შენაკად არაცანთან ახლოს, მდებარეობდა ოლქი ალზნიკი, ანუ რაც იგივეა – არზანენა. ორივე სახელწოდების ფუძეა „ალზნი“ (არზნი), ხოლო „იკ“ (კ) და „ენა“ კი – სუფიქსები. ესაა ყოფილი ოლქის „ალზის“ (ალზის სამეფოს) შემდეგდროინდელი სახელი.

არზნი ანუ **არზენა, კონსტანინე პორფიროგენეტის თქმით, ერქვა ასევე არტანუჯის ოლქსაც** (ქართველთა სამეფოში), ამასთანავე, კარინის, ანუ თეოდოსიოპოლის სახელიც არზენ-ერ-რუმი (არზრუმი) – არზენ-თანაა დაკავშირებული.

„არზენ“ სახელი, ჩვენი აზრით, დაკავშირებულია იმ მოსხებთან, რომლებიც ალზის სამეფოს მკვიდრი მოსახლეობა გამხდარა ქრისტეშობამდე XII საუკუნეში. ამ მხრივ მნიშვნენოვანია სტრაბონის ცნობა და ასევე ვრცელი მსჯელობა იმის შესახებ, რომ ხალიბების (ქალდების) ძველი სახელწოდება ასევე იყო „ალაზონები“ ან „ალიზონები“ (ალაძონები, ალიძონები). ეს სახელწოდებები ნაწარმოებია ფუძისაგან- ალზ-ალძ.

ეს ფუძე „ალძ-ალზ“ უნდა იყოს იგივე „არძ-არზ“, რომელიც შეიძლება „გურძ-გურზ“ სახელშიც ჟღერდეს, რადგანაც სწორედ ასე უწოდებდნენ ალზის სამეფოს მეზობელად მცხოვრები სირიელები ქართველებს.

მდ. არაცანის სახელი, პ. ინგოროყვას აზრით, ჟღერდა როგორც არაწანი, შესაძლოა ის ჟღერდა, როგორც „**არაზ**ანი“, ანუ „**ალაზ**ანი“ (ქართული სუფიქსი „ანი“, „ონი“).

არეზი ერქვა ასევე არაქსსაც.

შეიძლება თავისი თავდაპირველი ქვეყნის სახელები მესხებმა და ქალდებმა „**ალზ**ნის“ ქვეყნიდან უფრო ჩრდილოეთში გადასახლების დროს თან წაიღეს.

მესხები, ანუ იბერები, ძველი ავტორების ცნობით, თავიანთი ქვეყნიდან მეფე ნაბუქოდონოსორს გადაუსახლებია პონტოს ზღვის პირას. იქ ისინი გამრავლებულან და „მოდებიან ვრცელ არეალს პონტოს ზღვისპირეთიდან ვიდრე ალბანეთამდე“ (მ. ხორენაცის და სხვა ავტორთა ცნობით). საფიქრებელია, რომ „**ალზ**იდან“ პონტოს ზღვის პირზე გადასახლებულმა მესხებმა (მოსხებმა – კოლხურმა ტომმა) თან წაიღო თავისი ქვეყნის სახელი „**ალზ**“ და დაუმკვიდრა შავიზღვისპირეთის იმ სანაპირო ქვეყნებს, სადაც განსახლდა – მაგალითად, **ალზ**-იკა, **ალზ**-ენა (არზენა-არტანუჯი) და **არზ**ენ-ერ-რუმ (**არზ**ენა – კარინი).

„**ალზ**-იკი“ უნდა იყოს, საფუძველი მისგან ნაწარმოები სახელისა „**ლაზ**იკა“ (**ალზ**იკა-**ლაზ**იკა), რამდენიმე თანხმოვნის გადაადგილებით სიტყვის ფუძეში.

სტრაბონი, როგორც ითქვა შავიზღვისპირეთში მცხოვრებ „ქალდებს“ ასევე **„ალაზონებს“** უწოდებს, სიტყვა „**ლაზონი**საგან“ წარმოებულ სახელს. თავის მხრივ „ლაზონის“ ფუძეა „ლაზი“ (ლაზი-ლაზონი-ალაზონი). სტრაბონმა გამოწვლილვით გამოიკვლია თუ რატომ ეწოდებოდა მის დროს ძველ ალიბებს ხალიბები და შემდეგ ქალდები, მათვე ასევე ერქვათ „ალაზონები“ და მათივე ტომის ქალების სახელი იყო „ამაზონები“. სონარი ბგერების „ნ“-სა და „მ“-ს ურთიერთგადასვლა ბუნებრივია, ამიტომაც სიტყვა „ალაზონისაგან“ სიტყვა „ამაზონის“ მიღება ადვილი შესაძლებელია. სტრაბონის მიერ წამოჭრილ ამ საკითხს სხვაგან შევეხეთ, ამიტომ აქ არ გავიმეორებთ.

ერთი სიტყვით, „ალზ-ლაზ“ („არზ-არძ“) ერქვა სამხრეთით მდებარე ერთ-ერთ ქართულ ქვეყანას, რომლის სახელი განივრცო შავიზღვისპირეთსა და მის მაღლა მდებარე მთიან რეგიონებში.

ნაირი-არინა-არიან

ჩვენ გამოთქმული გვაქვს მოსაზრება რომ არიან-ქართლის სახელი უნდა ჟღერდეს აღნიშნულ რეგიონშივე მდებარე ისეთ ტოპონიმებში როგორიც არის მაგალითად **არ**ზენა, **არ**ზნი, **არ**ზრუმი, **კარ**ინი, **კარ**ი, და სხვა. მათ სახელებს შეიძლება ალბათ დაემატოს ერზინჯანი, ანუ **არ**ზინჯანი, **არ**ტაანი, **არ**თვინი, **არ**ტანუჯი და მსგავსი სახელები, რომელთა ფუძეებში ჟღერს „**არ**“ (შეიძლება ფუძე ქართულში არსებობდა თანხმოვანთკომპლექსი „რძ-რზ-რც-რწ“, შემდგომ საუკუნეებში დაშლის შემდგომ მას შეეძლო მოეცა ცალკე - „რ“ და ცალკე - „ძ“ (ზ,ც,წ). თუ ეს ასე იყო, მაშინ ფუძექართულისას არსებული რომელიმე სიტყვა (ვთქვათ ტოპონიმი) „არძ-არზ“ სუფიქსის, ვთქვათ „იანის“ დართვისას (თანხმოვანთჯგუფის „რზ“-ს დაშლის შემდეგ) ერთ შემთხვევაში მოგვცემდა „არზიანისაგან“ სიტყვა – „არიანს“, მეორე შემთხვევაში კი „არზიანისაგან“ სიტყვა –„აზიანს“ (აზიანი-აძიანი-ასიანი).

„არ“ ფუძის მქონე სახელები აღნიშნულ რეგიონში, რომელიც მოიცავდა ტაო ბასიანსაც, მრავლად უნდა იყოს. ერთს მაგალითად ახსენებენ სომეხი ისტორიკოსები, რომლებიც აღწერენ მე-10-11 საუკუნეების ამბებს. ეს არის **არ**ცე, **არ**წნი. ეს ყოფილა დიდი ქალაქი თანამედროვე არზუმთან ახლოს, რომელიც თურქ-სელჩუკებს გაუნადგურებიათ. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტი არტანუჯის მხარეებსაც კლარჯეთში **არზენის ქვეყანას** უწოდებდა. ეს სახელი როგორც ვთქვით შეიძლება მომდინარეობდეს ქართული სიტყვა **არიან**ისაგან, **არიან ქართლიდან.**

საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ აღნიშნული რეგიონის მახლობლად ძველ ხანაში მდებარეობდა ხეთების ქვეყანა, რომლის ქალაქი **არინა** წარმოადგენდა ხეთების მზის ღმერთის საკულტო ცენტრს. აღსანიშნავია, რომ ხეთური ქალაქ **არინას** მზის ქალღმერთი ჭექა-ქუხილის ღმერთთან ერთად წარმოადგენდა ხეთების პანთეონის მეთაურს. ასე, რომ **არინა,** ქალაქ არინას მზის ღმერთი ძალზე სახელოვანი სახელი იყო ხეთურ სამყაროში (ი. ტატიშვილი, რამდენი მზე ჰყავდათ ხეთებს, აღმოსავლურ-კავკასიური კრებული, 2001, გვ.109-120).

აღსანიშნავია, რომ ხეთების შემდეგ აღნიშნული რეგიონის მიმდებარე ვანის ტბის სარტყელში მდ. ბოხთანსუს რეგიონის მომცველ ქვეყანას ასურული წყაროები **ნაირის** ქვეყენას უწოდებდნენ. ძვ.წ. აღრიცხვის მე-9 საუკუნიდან ასურული წყაროები ნაირის უწოდებდნენ ხუბუშქიის სამეფოს. ამავე რეგიონში მდებარე, ასურულ პროვინციასაც ნაირის უწოდებდნენ (გ. მელიქიშვილი, ნაირი ურარტუ, I ტომი. 1954, გვ. 17-19).

აღნიშნულიდან ჩანს, რომ **არიან-არინა-ნაირი ქრისტეს შობამდე ეწოდება ვრცელი ტერიტორიის რეგიონებს შემდეგდროინდელი ტაო-ბასიანიდან ვიდრე ვანის ტბამდე.**

ვანის ტბასთან მდებარე ნაირის სიახლოვეს შემდგომში ცხოვრობდა **კარდუხების** ქართულად მიჩნეული ტომი. ცნობილია, რომ აქვე ცხოვრობდნენ აღმოსავლეთის მუშქები. დასავლეთის მუშქები კი ცხოვრობდნენ მდინარე ყიზილირმაკის

შუა წელის ქვემოთ. მიიჩნევა, რომ მესხიბერები ანუ მოსხები არიან მუშქების მემკვიდრეები. ამ უკანასკნელთ კი აიგივებდნენ ფრიგიელებთან.

ეთნონიმი ქართველი გ. მელიქიშვილის თვალსაზრისით აღნიშნავს ციხე-სიმაგრის მობინადრეს, ასევე ქალაქის ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელი არის ფრიგიელთა დედაქალაქის **გორდიონის** სახელწოდება. აღსანიშნავია, რომ ფრიგიელთა სახელმწიფოს დამაარსებელს **გორდიასი** ერქვა. ფრიგიელთა მემკვიდრეებად იგულისხმებიან არა მხოლოდ მუშქები, არამედ ზოგადად იბერები. „ქართველურ სამყაროსთან ფრიგიელთა მიმართებასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს შიდა ანატოლიაში (იაზილიკიაში) ნაპოვნი ქალღმერთ კიბელასადმი მიძღვნილი ძველ ფრიგიულ არეიასტის წარწერაში (ძვ.წ. მე-VI საუკუნის I ნახევარი) მოხსენიებული ეთნონიმი „ვრეკუნ“, რომელიც გაიგივებულია ერთერთი ფრიგიული ტომის **ბრეკუნები**ს ანუ **ბრიგები**ს სახელწოდებასთან. ჰეროდოტეს ცნობით, ბრიგი იყო ფრიგიელების აღმნიშვნელი ტერმინი, ვიდრე მათ არ მიატოვეს ბალკანეთი, მცირე აზიაში გადმოსახლებამდე. ეთნონიმი **ვრეკუნ** ავლენს მსგავსებას ქართველთა აღმნიშვნელ სომხურ ეთნონიმთან **ვირკ, ვრკან**, ვრასტი-სთან. ტერმინი ვრკან გვხვდება მე-X საუკუნის სომეხ ისტორიკოსთან უხტანესთან, ასევე მე-V საუკუნის წყაროში - ლაზარ ფარპეცის სომხეთის ისტორიასა და მოვსეს ხორენაცის ნაშრომში, იგივე დატვირთვა აქვს ტერმინ ვროის“ (გ. ქავთარაძე, ანატოლიური წარმომავლობის 2 ამიერკავკასიური ეთნონიმი, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული 2001, გვ. 57). აღსანიშნავია, რომ ტერმინი ვრკან მოხსენიერებული არის ასევე ეპისტოლეთა წიგნში. მაშასადამე, ივარაუდება, რომ **ფრიგიელ ტომ ბრიგებისაგან წარმოიშვნენ იბერები იგივე ვრკან-ვრაცები, ეთნონიმი ქართველი** ისევე, როგორც ეგრი, ეგრისელი, მარგველი, გურიელი და სხვა მსგავსი ქართული სატომო სახელები „გრ“, „რგ“ ფუძით ფრიგიულ „ბრიგ“-თან, ასევე გორდიონ, გორდიასთანაა დაკავშირებული.

ასევე საგულისხმოა, რომ **ძველი საეკლესიო ავტორები, რომელნიც ქართველებს, სომხებსა და სხვა კავკასიურ ტომს ერთ წინაპარს - თარგამოსს უძებნიდნენ, მიიჩნევდნენ, რომ თარგამოსის მამა თარში (თრაკიულ-ელინურ ეთნარქ) იავანის ძე იყო, იაფეტურ ხალხთა რიგიდან. ანუ ძველ ქართველთა წარმოდგენით ქართველები იაფეტური (ე.ი. ინდოევროპული) ხალხი იყო თრაკიულ-ბალკანური წრიდან („იაფეტის ძენი-გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი... იავანის ძენი-ელიშა, თარშიში, ქითამი და დოდანიმი“. დაბადება, 1 0,1-3). („ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი“. ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ.3). ე.ი. გენეალოგია ასე წარმოიდგინება: ნოე-იავანი-თარში (თარშიში) - თარგამოსი. იავანი-თრაკიულ-ელინურ ეთნარქად ითვლებოდა, ხოლო მისი ძე თარგამოსი-კავკასიელთა ეთნარქად. ეს უჩვენებს, რომ ძველ საქართველოში კავკასიელებსა და ბალკანურ ტომებს ერთი წარმოშობის ხალხებად მიიჩნევდნენ.**

ძველი ქართველი **საეკლესიო ავტორები ქართველებს ინდოევროპელებად მიიჩნევდნენ, კერძოდ კი იაფეტის შთამომავლებად, იაფეტმა კი ყველა ინდოევროპელს დაუდო საფუძველი**. მაშასადამე, ქართველები არიან ინდოევროპელები ამ მოსაზრებით და არაფერი უშლის ხელს ისინი ფრიგიელთა პირდაპირ შთამომავლებად მივიჩნიოთ, ისევე, როგორც სომხები და ალბათ სხვა ძველი ტომებიც. როგორც ჩანს, **ქართველთა ეთნოსის ჩამოყალიბებაში ბრიგე-**

ბის, ფრიგელ-მუსქების გარდა მონაწილეობა მიიღო ასევე ბალკანური გზით შემოსულმა სხვა ტომებმაც. შესაძლოა გალატებმაც, რომელნიც თავის მხრივ კელტ-იბერიულ სამყაროსთან უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებული. საფიქრებელია, რომ გალატების შემოსვლა მცირე აზიაში მოხდა ძვ. წ. III საუკუნემდეც, მცირე აზიაში კი მათ კონტაქტი იმ ფრიგიელებთან ჰქონდათ, რომელნიც ქართველთა ძირითადი მაფორმირებელი ეთნოსი იყო. ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას იძლევა ის, რომ ქართლის ცხოვრებით „მაკედონელები" იყვნენ ის ხერხემალი სახელმწიფოსი, რომელიც მეფე ფარნავაზმა მთელ თავის სახელმწიფოში (მდ. ეგრისწყლიდან ალბანეთამდე) თანაბრად გაანაწილა, ვითარცა სამხედრო ელიტარული ზედა ფენა, რომლისაგან „აზნაურები" წარმოიშვნენ. იმავე თვალსაზრისისაა „მოქცევაი ქართლისაიც", არიან-ქართლის მეფის ძე აზონი თავის ასეულობით ათასს მხედარს სახელმწიფოს ფუძემდებელი ზედა ფენის სახით ანაწილებს მდ. ეგრისწყლიდან ვიდრე ალბანეთამდე. როგორც ჩანს **ქართველი ხალხის, ვითარცა ერთიანი ეთნოსის, ფორმირება მოხდა ჯერ კიდევ არიან-ქართლში**. „ჩვენ შვილნი ვართ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენა მათი ვუწყით" - წერდა XII საუკუნის მოღვაწე არსენ ბერი - დავით აღმაშენებლის მოძღვარი. მაშასადამე, არსენ ბერის და ჩანს ძველ ქართველ საეკლესიო პირთა აზრით, ქართველობა იყო შთამომავალი „არიან-ქართლიდან გამოსულებისა",

მაშასადამე, არიან-ქართლში ცხოვრობდნენ ქართველები, რომელთა უშუალო შთამომავლებიც იყვნენ XII ს. ქართველები, ამასთანავე მათ ერთი ენაც ჰქონიათ. **ამ ტერიტორიის (არიანის) ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ის მიწა-წყალი, რომელიც ძვ.წ. II საუკუნეში სომხეთმა მიიტაცა იბერიისაგან, კერძოდ სტრაბონის ცნობით, პარიადრის კალთები, პარიადრის მთის გაყოლებაზე მდებარე მიწები, აგრეთვე ხოლარძენე და გოგარენე (სტრაბონი, 11, 14, 5).**

ნ. ადონცის მიხედვით სომეხი ხალხის (არმენიელების) ფორმირებაში მონაწილეობა მიუღიათ ქართველებსა და სემიტურ არმას ტომს. გ. ქავთარაძე წერს - „სომხური ენის მონაცემები მიუთითებენ სომეხთა ბევრად უფრო ადრეულ კონტაქტებზე ქართველურენოვან სამყაროსთან, რასაც სავარაუდოდ ანატოლიაში ჰქონდა ადგილი" (იქვე, გვ. 56).

ბალკანურ თრაკიულ მოდგმის ფრიგიელების ვითარცა ქართველების (მესხების) წინაპრებად მიჩნევა არ ეწინააღმდეგება ძველი ქართველი საეკლესიო ისტორიკოსების მოსაზრებებს ქართველთა წარმოშობის შესახებ.

გ. მელიქიშვილს მუშქების უძველეს პირველ საცხოვრისად მცირე აზიის ჩრდილო აღმოსავლეთი ტერიტორია მიაჩნია, როგორც ჩანს აქვე ჩამოყალიბდა არიან-ქართლის სამეფო, უფრო ადრე ქრისტეშობამდე მეთორმეტე საუკუნეში მუშქების ერთი ნაწილი (აღმოსავლეთის მუშქები) ჩრდილო მესოპოტამიისკენ გაიჭრნენ. უფრო გვიან კი მუშქების მეორე ნაწილმა (დასავლეთის მუშქებმა) მცირე აზიის ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებზე გაავრცელეს თავიანთი ძალაუფლება. ასირელები მათ სამეფოს მუშქების ქვეყნის სახელით იცნობდნენ. ანტიკური პერიოდის წყაროები კი ფრიგიას ეძახდნენ, ქრისტეშობამდე 676 წელს კიმერიელთა და ურარტუელთა ერთობლივი შემოტევების შედეგად მუშქების სამეფო განადგურდა ამის შემდეგ მუშქების ერთმა ნაწილმა წამოიწია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, და იგი გვიანდელი მესხეთის ტერიტორიაზე დამკვიდრდა (გ. მელიქიშვილი საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის 1953 წ., გვ. 84).

ძველი ფრიგიიდან ჩრდილოეთში წამოწეულ მესხებს ქრისტეშობამდე VI-IV

საუკუნეში უნდა შეექმნა არიან ქართველთა სახელმწიფო. ევფრატისა და ჭოროხის სათავეებთან. აქ შემდგომ დროინდელ ტაო ბასიანსა - კარინსა და ვანანდში როგორც ჩანს ხდებოდა მესოპოტამიიდან ჩრდილოეთისაკენ დაძრული მუშქების - კარდუხების შეღწევაც. არიან-ქართლის სამეფოდან კიდევ უფრო ჩრდილოეთით გადანაცვლებულ არიან ქართველებს თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე შეუტანიათ არმაზის კერპი.

ჰეკატოს მილეტელი კოლხებს და მესხებს ერთ ხალხად მიიჩნევდა. თ. მიქელაძე მესხებს კოლხურ ხალხად მიიჩნევს (თ. იველაშვილი, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული 2001 წ., გვ. 192).

როგორც ჩანს, **არიან ქართლში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ფუძე ქართულის დიფერენციაციის პროცესი**. ამით უნდა ავხსნათ იქაურ ტოპონიმიკაში ზანურად მიჩნეული ენობრივი ფენის არსებობა. ნ. ხაზარაძე მიიჩნევს, რომ **არგონავტების თქმულების კოლხეთი საძიებელია არა რიონის დაბლობში, არამედ საქართველოს სამხრეთ დასავლეთით**. ასეთი ლოკალიზაცია ეთანხმება მოსაზრებას რომლის მიხედვითაც ფრიქსეს მიერ აგებული ტაძარი და სამისნო, სტრაბონისეული ლევკოთეას, ტაძარი მდებარებდა ქართლში (მესხეთში). (ნ. ხაზარაძე საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები 1984 წ. გვ. 189).

არიან ქართლი მდებარეობდა, როგორც ჩანს, ევფრატის სათავეებთან და მის აღმოსავლეთით ვიდრე ტიგროსის სანაპირომდე. აქ ვარაუდობს ნ. ხაზარაძე მოსხების მიწა-წყლის არსებობას, ხოლო უფრო ადრე ქრისტეშობამდე მე-12 საუკუნეში მუშქების ოლქის არსებობას. მისი აზრით არიან ქართლი იგივე ზემო ქართლია, მის მეფეთა, ანუ აზოს მამაპაპისეული ადგილსამყოფელი კლარჯეთია (იქვე გვ. 194) არაქსიდან არსიანის მთებამდე.

ჰეროდოტეს ცნობით მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები გაერთიანებული იყვნენ აქემენიდთა იმპერიის 19-ე სატრაპიაში. 18-ში კი სასპეირები, არალდიელები და მატიენები ერთიანდებოდნენ. ხოლო რაც შეეხება არმენიელებს ისინი შედიოდნენ 13-ე სატრაპიაში. ომის დროს ქართული ტომები ერთად იბძროდნენ სპარსულ ლაშქარში და მათ გვერდით არ ჩანდნენ არმენიელები, თუმცა როგორც ჩანს **ქრისტეშობამდე 5-ე საუკუნეში მათ სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადაუნაცვლებიათ და მიუღწევიათ აღნიშნულ ქართულ ტომებამდე. ამავე ეპოქაშივე მე-18 და მე-19 სატრაპიების ქართულ ტომთა შერწყმა-გაერთიანების პროცესიც მიმდინარეობდა და მას აჩქარებდა სამხრეთიდან სხვა ქართული ტომების ამ სატრაპიებში შეღწევის პროცესი. საბოლოოდ, ამ სატრაპიების ქართულ ტომთა შერწყმის შედეგად იქ არიან-ქართლის სახელმწიფო ჩამოყალიბებულა, თუმცა არმენიელების შეტევა გრძელდებოდა და ქართული მოსახლეობის ზედა ფენა უფრო ჩრდილოეთით ინაცვლებდა. საბოლოოდ იბერიელებისათვის ქრისტეშობამდე II საუკუნეში არმენიას ჩამოუჭრია ვრცელი ტერიტორიები-პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა.**

არიან-ქართლის ადგილები - კარი, კარინი, არწნი, არზრუმი, არტაანი, არტანუჯი, არზენე და ხორძენე

კარ, არწ, არზ, არტ - ძირები და ფუძეებია იმ ვრცელი ქვეყნის ტოპონიმებისა,

რომელსაც, როგორც ჩანს არიან-ქართლი ერქვა, ამ ფუძეებს ეტიმოლოგიური კავშირი აქვს ქვეყნის სახელთან „**ხორძენე**“, ეს სიტყვა შესაძლოა იყოს ბერძნული ფორმა ქართული **ხარძ, არძ, არზენე** სიტყვისა. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით არტანუჯის ქვეყანას **არზენე** ერქვა.

ხორძენე - ევფრატის ზემოწელს მოიცავდა. „ს. ჯანაშიას განსაზღვრებით ისტორიული ხოტენე - ხორძენე შეიცავდა ზემო ევფრატის აუზში გუმუშხანას თემის აღმოსავლეთ ნაწილს და ბაიბურდის თემს (მიახლოებით). ამ ძველი ხორძენეს მემკვიდრეა სომხეთის დასავლური თემი - **ხორძიანა** (ხორძიანენა). (ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 93). სტრაბონის ცნობით ხორძენე იბერიის ერთ-ერთი მხარე სომხეთმა ჩამოაჭრა იბერიას ძვ.წ. აღ. II საუკუნეში“.

დასავლეთ ევფრატის ზემოწელშივეა **კარინ**ის ოლქი. მისი მთავარი ქალაქები იყო **კარ**ინი (თეოდოსიოპოლი, **არ**ზრუმი) და **არ**წნი, სოფელი **არ**ნათი და სხვ. „კარინის გავარი თავისი მომიჯნავე ტერიტორიით დიდ სომხეთს პირველად შეუერთა არტაშეს I-მა (189-160). კარინის სახელი დაკავშირებულია იქამდე მაღალმთიან სომხეთში დამკვიდრებულ კარინიტებად წოდებულ ტომის სახელთან“ (იქვე, ლასტივერტეცი, ისტორია, 1974, გვ. 163).

როგორც ვთქვით, **კარინის, არზრუმის, ხორძენეს, არზნის** და მსგავსი **„არ“** ფუძის მქონე სახელების სიუხვე აღნიშნულ რეგიონში, იძლევა საშუალებას მოსაზრებისა, რომ ხორძენეს რეგიონსაც მოიცავდა არიან-ქართლი.

კარინიტების ტომის სახელი, რომელიც იბერიული წარმოშობისა ჩანს, შეიცავს ფუძე-ძირს „**კარ**“ -აქედან კარიან- და შესაძლოა „არიან“.

კარინიტების ტომს მიუცია სახელი ვანანდის გავარის ქალაქ კარისათვის. ჩვენთვის ისინი ისტორიული საქართველოს პროვინციებია, რომელნიც თავისი იბერიული მოსახლეობით მიიტაცა სომხეთმა, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ნაწილები არიან-ქართლისა.

კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით, „არზენა“ ერქვა არტანუჯის ქვეყანას. სხვა ადგილას ეს იმპერატორი აზუსტებს რომელია არტანუჯის მფლობელის ქვეყნები – **„იბერიის კურაპალატს, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, ექვემდებარება ოთხი ერისთავი: ვერიასახის, კარნატაის, ყუელისა და აჭარის“.** სამწუხაროდ, წერს ს. ყაუხჩიშვილი, პირველი ორი ადგილის მდებარეობის დადგენა არ ხერხდება, იმდენად დამახინჯებულია მათი სახელები (ვერიასახი და კარნატაი), რომ შეუძლებელი ხდება მათი მიახლოებით მაინც მიმსგავსება რომელიმე ცნობილ საგეოგრაფიო სახელთან“ (გეორგიკა, IV, ნაწ. II, 1952, გვ. 294).

სიტყვა „ვერიასახი“ შეიძლება დაიშალოს ასე –ვერია, ვერიასი, ვერიასახი. აქ შეიძლება სახელი - „ვერია“, - ივერია გამოიყოს (აქედან „ვერიისა“, ივერიისა, ხოლო „ხი“ ალბათ სუფიქსია), ივერია კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაში ტაოს ოლქს ერქვა. ამიტომ **შესაძლოა ვერიასახი ტაოს ოლქის რომელიმე ნაწილს გულისხმობდეს.**

სიტყვა კარნაიტი ახლოა სიტყვასთან „კარენიტი“, რომელოც ერთ-ერთ ტომს ერქვა კარნუქალაქთან (თეოდოსიოპოლთან).

მართალია, ცნობილია, რომ თეოდოსიოპოლს არ ფლობდა კურაპალატი, მაგრამ მისი ოლქის რომელიმე ნაწილში შესაძლოა კურაპალატს თვისი საერისთაო ჰქონდა.

თეოდოსიოპოლსს შემდეგ ეწოდა არზრუმი – ამ სახელში ჩვენ გვაქვს ფუძისეული ნაწილი – „**არზ**“ – იგივე, რაც არტანუჯის ქვეყნის სახელისა – არზენი.

უფრო მეტიც, ს. ყაუხჩიშვილის ცნობით, სახელი არზრუმის მთავარი ფუძეა „არზენ“, სწორედ **ეს სახელი ერქვა კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით არტანუჯის ქვეყანასაც – „არზენა“.**

ს. ყაუხჩიშვილის წერს – „თეოდოსიუპოლი დააარსა თეოდოსი II-მ (408-450წწ) მთაზე ქალაქ კარინის ზემოთ, მერე მას უწოდეს **არზენ**-ერ-რუმ (რომაელთა არზენი), განსასხვავებლად ძველი არზენისაგან, რომელიც მის აღმოსავლეთით იყო (გეორგიკა, IV, II ნაწ. გვ. 262).

მაშასადამე, იყო ორი არზენი – ძველი და ახალი. ძველი არზენი კარინის აღმოსავლეთით ყოფილა.

პროვინცია „არზანენას“ სტრაბონიც ახსენებს. ის იყო ევფრატის სათავეში ვანის ტბის დასავლეთით, იქ, სადაც უფრო ადრე იყო ქვეყანა „ალზი“ და ალზის სამეფო. (ალზი იგივე არზია. „ენა“ არის სუფიქსი).

რითაა საინტერესო ეს სიტყვა „არზ“-„ალზ“ ჩვენთვის?

ჩვენი აზრით, „ალზ“ ფუძედანაა სიტყვები „ალზენა“, ანუ „ალზიკა“, „ალზიკა“ კი, ჩანს, დაედო საფუძვლად მისგან წარმოშობილ „ლაზიკა“ სიტყვას.

უნდა ითქვას, რომ ალზის სამეფო – მუშქების საცხოვრისი იყო, იგივე მოსხებისა, მოსხები კი კოლხური ტომი იყო. ლაზებად იწოდებოდნენ არზრუმელებიც.

აღინიშნება, რომ Алдзник – Арзанена ერთსა და იმავე პროვინციას ერქვა, ჩანს, სომხურად „ик“ და „ена“ – ერთი და იგივეს აღმნიშვნელი სუფიქსია, ე.ი. **ალზიკა→არზენა=ლაზიკა.**

არიან-ქართლის ეტიმოლოგია

თუ რას ნიშნავს სიტყვა „არიან-ქართლი“, საერთოდ „არიანი“, ანდა სად მდებარეობდა ქვეყანა ამ სახელწოდებით?

ჩვენ შეიძლება გამოთქვათ რამდენიმე მოსაზრება.

ვანის ტბასთან მდებარეობდა ქვეყანა „ალზი“, შუპრიის ჩრდილოეთით, მდინარე ტიგროსის სათავეებთან. ამ მდინარეს ერთვის შენაკადი „კენტრიტი“ მარჯვენა მხრიდან (ურმიის ტბის სამხრეთით), სადაც ცხოვრობდნენ კარდუხები, იგივე გორდიენები. ამ მდინარე კენტრიტზე უფრო ადრე მდებარეობდა ქვეყანა ხუბუშქია.

მიიჩნევა, რომ ყველა ეს ქვეყნები ქართველთა წინაპარი ტომებით იყო დასახლებული, ისევე, როგორც კაბადოკია.

საინტერესოა სიტყვა „ალზის“ ეტიმოლოგიური ვარიაციები.

ალზისაგან შეიძლება პირდაპირ მიგვეღო:

ალზი - არზი - არძი - არი - აქედან - არიან

ალზი - არზ - არზენენა

მაშასადამე, ალზი ჩვენ გვაძლევს როგორც „არიან“-ს, ისევე არზენენას. ასევე ალზი პირდაპირ გვაძლევს „არზენა“ სიტყვას. არზენა, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, ერქვა კლარჯეთის მხარეს. ერთი სიტყვით „ალზი“ ქვეყნიდან ჩრდილოეთით ოდნავ წანაცვლებული „ალზ“ ტომის ხალხის ქვეყანა შესაძლოა იწოდა „არზენად“.

ასევე საფიქრებელია, რომ სიტყვა „ალზი“ გვაძლევს „ლაზ“-ს ანუ ლაზიკას. თუ კი გავითვალისწინებთ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს XI საუკუნის ლაზიკის საეპისკოპოსოთა ჩამონათვალს, ყველა ისინი მდებარეობდნენ ტრაპეზუნტიდან ვანის ტბის მიმართულებით, ანუ იქ სადაც მდებარეობდა რეგიონი „არზენა“ ანუ

კონსტანტინოპოლისათვის ეკლესიურად „ლაზიკა“ ტრაპეზუნტიდან ისტორიულად ალზ ქვეყნისაკენ იყო გადაშლილი.

ერთი მხრივ ალზი ჩვენ გვაძლევს არიანსა და არზენენს, ასევე, ლაზიკას, მეორე მხრივ ალზი გვაძლევს „ურძ“-ს ალბათ შესაძლოა აქედან „გურძ“ - „გურზ“ (სირიული სახელი ქართველთა)

ალზი - ალძი - არძი - არზენენა - არზენა
არძი - არი - არიან
არძენა - არეანა - არიანა

- რძ (რბ, რჯ) ბგერათკომპლექსი ზოგჯერ იყოფა და ფუძეებში მის ნაცვლად ჩნდება - „რ“ ან „ძ“ („ზ“, „ჯ“). რზ – რ. ანდა რზ – ზ.

ამიტომ არზიანა – შეიძლება მივიღოთ არიანა.
კარდუხების ქვეყნის მეორე სახელი იყო - გორდიენე
გო რ დ
კ ა რ დ უ
ქ ა რ თ უ
გორდ – გორდი-ენე
კარდუ – კარდუ-ხი
ქართუ – ქართუ-ელი

მუ შ ენ
მუ შ ქი
მუ ს ხი სხ
მო ს ხი სგ
ბა ს ხი სკ
ბა ს გი შკ
მე ს ხი
მუ სკ ი
მუ შკ ი
მუ -შუ -ან, მუშქი – სვანი.

აღსანიშნავია, რომ **„არტ“-„ურტ“ – იყო სახელი ხალხისა, რომელიც ცხოვრობდა ალზის ქვეყანაში, ანუ იგივე მუშქები=გორდიენას ხალხი.**

ინგოროყვა წერს – „**ზანურ (მეგრულ-ჭანურ) დიალექტებში ბგერა „რ“ გადადის ბგერაში „ჯ“ (თავდაპირველად რთული ბგერა: „რჯ“)** – პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 437).

საფიქრებელია, რომ არა ბგერა „რ“ გადადის „ჯ“-ში, არამედ ჩანს პროტოქართულში არსებობდა რთული ბგერათკომპლექსი „რჯ“, რომელიც იშლებოდა ასე - „რ“ და „ჯ“ ; მისგან ნაწარმოებ სიტყვებში ხან ერთი „რ“ ბგერა ჩანდა, ხან მეორე - „ჯ“;

მაგალითად:

ხ**ორ**ჯი-ხ**ო**ჯი
ხ**ორ**ი- (ხარი)

ფურჯი-ფუჯი
ფური

კლა**რჯ**ი-კლარძი-კლაზი -ლა**ზ**ი
კლა**რ**ი

გუ**რჯ**ი-გუ**რ**ი
გუ**ჯ**ი-(ქუჯი)

ალზ-ალძ-არძ-არჯ ფუძეებში „რჯ“ – პ. ინგოროყვას აზრით, არის „თავდა-პირველი რთული ბგერა“. ეს თავდაპირველი რთული ბგერა „რჯ“ იშლებოდა ცალკეულ ორ „რ“ და „ჯ“ ბგერებად, რომელთაც ასახვა იპოვეს დიალექტებში, მაგალითად, ხარი თავდაპირველად გამოითქმოდა როგორც „ხორჯი“. ამ თავდა-პირველი სიტყვიდან მიღებული იქნა სალიტერატურო ქართულის ხორი (ხარი) და მეგრულ-ჭანურის „ხოჯი“ (ნიშნავს ხარს), თავდაპირველი ფორმიდან ფურჯი, ფური და ფუჯი (პ. ინგოროყვა, გვ. 437). ხორჯი-ხორი-ხოჯი, ფურჯი-ფური, ფუჯი. არჯი-არი, აჯი

მსგავსადვე ალძენა-არძენადან – არენა (რძ-რ) – „არენა“ შეიძლება მიღებული იყოს არიან-ქართლი, ანუ ალზის ქვეყანა და ასევე ალძიკა ანუ ლაძიკა-ლაზიკა. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიტყვა „არიანის“ („არიან-ქართლის“) თავდა-პირველი ფორმა იყო არჯიანი-არძიანი-არზიანი (არზიან-ქართლი).

ნაწილი V

თავი XV

ავანის ანუ „ივერთა“ საკათალიკოსო („კათალიკოსნი აღმოსავალისანი“)

VI ს. ბოლოს (VII ს. დასაწყისში) ავანის საკათალიკოსო სარწმუნოებრივი ნიშნით გამოეყო დვინის საკათალიკოსოს. ის თავის იურისდიქციას ძირითადად ავრცელებდა ქართველებით დასახლებულ მიწა წყალზე, ტაო-ბასიანზე და აგრეთვე გუგარქად წოდებულ ტერიტორიაზე,რომელიც სომხური გეოგრაფიის მიხედვით ჭოროხამდე ვრცელდებოდა. ეს ოლქები მართალია ქართველებით იყო დასახლებული,მაგრამ საუკუნეთა მანძილზე სომხეთის მიერ იყო მიტაცებული და სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა VI-VII საუკუნეებში, ავანის საკათალიკოსოს არსებობისას.

იქაური ქართველობა იმჟამად, სომხური კულტურისა და ეკლესიის გავლენის ქვეშ მოექცა, თუმცა ეთნიკურ-ეროვნული (ქართული) იდენტობა ბოლომდე დაკარგული არ ჰქონდა.

ამ მოსახლეობამ ანუ ავანის საკათალიკოსოს ქართულმა მრევლმა თავის ასევე ქართულ იერარქიასთან ერთად შემდგომში, კერძოდ VIII ს.-დან წამოიწყო უდიდესი მნიშვნელობის საქმე: კერძოდ როგორც კი შესაძლებელი გახდა განერიდა სომხური საეკლესიო ცენტრის მონოფიზიტურ აღმსარებლობას და ქალკედონიტობა აღიარა თავის სარწმუნეობრივ მიმართულებად.

იქამდე ავანის საკათალიკოსო სარწმუნოებრივი ნიშნით, მაგრამ შინაგანი ეროვნულობის, თავისი არასომხურობის(ანუ ქართველობის) გამო განშორდა სომხურ ეკლესიას და თავის სარწმუნოებად ქალკედონიტობა ანუ საქართველოს ეროვნული აღმსარებლობა გამოაცხადა, ასევე მიიღო ქართული ეკლესიისათვის სხვა დამახასიათებელი ნიშნებიც (მაგალითად საეკლესიო არქიტექტურა).

ავანის საკათალიკოსო ასევე მიიღებდა საეკლესიო და კულტურული საჭიროებისათვის ქართულ ენასაც, რომ დაცლოდა- ავანის საკათალიკოსო მალევე გააუქმა სომხურმა ეკლესიამ.

შემდგომში, როგორც აღინიშნა, ეს დაწყებული საქმე მაინც გაგრძელდა-დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ გუგარქის, ტაოსა და ბასიანის ქართველობამ აღიდგინა ქართულენოვნება ანუ თუ კი იქამდე მათი წირვა-ლოცვისა და ლიტერატურის ენა იყო სომხური, ახლა ის უარყოფილ იქნა და მის ნაცვლად მოსახლეობამ ქართულენოვნება დაიბრუნა საეკლესიო საჭიროებისას (ე.ი. მათი საშინოოჯახური (ქართული) ენა ახლა უკვე საზოგადიებრივი ურთიერთობის საშუალებად, კულტურის ენად იქცა)

ძველ სომხურ საისტორიო გეოგრაფიაში „ივერია“ ძირითადად ერქვა ტაოსა და ბასიანს.

არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით ივერია მდებარეობდა არა ანისის ჩრდილოეთით, არამედ მის დასავლეთით.

VI ს-ში **„ივერთა მთავარი“** ტაოს მფლობელს ერქვა.

VII-X სს.-ში არაბთა შემოსევების შემდეგ, ანისის ჩრდილოეთით მდებარეობდა

თბილისის საამირო და ტაშირ-ძორაკერტის სამეფო, ხოლო შიდა ქართლი სადავო ქვეყნად იყო აფხაზეთის, კახეთისა და თბილისის საამირო-სამთავროთა შორის.

ამ დროსაც სახელი „ივერია“ ძველებურადვე ერქვა ტაოს მიწა-წყალს (ბასიანთან ერთად) და ტაოს მომიჯნავე მხარეებსაც, ანისის დასავლეთით.

ამიტომაც, XI ს.-ში იმიერ ტაოს სამეფოს მიწა-წყალს ბიზანტიელებმა მისი დაპყრობის შემდეგ, **„ივერიის თემი“** უწოდეს და მასში ანისიც შეიყვანეს.

ბიზანტიელები **“ივერიას“** კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქამდეც უწოდებდნენ ტაოს ოლქსა და მის მომიჯნავე მხარეებს.

X ს-ში აღნიშნული იმპერატორის ცნობით **ივერიელებს** არაქსის მარცხენა სანაპიროს ქვეყნები ეკუთვნოდა.

კონსტანტინე პორფიროგენეტი ბევრს საუბრობს ამის შესახებ.

მაშასადამე, არაქსის დასავლეთ სანაპიროს ქვეყნები, სადაც მდებარეობდნენ თვით დედაქალაქებიც კი სომხური ადმინისტრაციული ერთეულებისა, მაინც **„ივერიად“** იწოდებოდა და ეს წოდება (ივერია) ამ მხარეებისათვის არ იყო უსაფუძვლო:-

ამის მიზეზი იყო ის, რომ ისტორიულადაც ამ მიწები ივერიელებით იყო დასახლებული, კერძოდ, ძვ.წ II საუკუნისათვის, სტრაბონის ცნობით **იბერებისაგან არმენიამ მიიტაცა პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა,** ამიტომ არაქსის მარცხენა სანაპიროს ქვეყნები (თუ უფრო მეტი არა) იბერების ისტორიული საცხოვრისი იყო, რადგანაც სტრაბონის ხორძენა და სომხების მიერ გუგარქად სახელდებული ქვეყანა, სწორედ ამ მხარეებში უნდა ვეძიოთ.

არმენიელებმა მიტაცებულ მხარეების ზედა ფენებში გაავრცელეს სომხური კულტურა.

დაბალი ფენები კვლავ იბერიული იყო.

სომხური ეკლესიის ჩამოყალიბების შემდეგ, აღნიშნულ მხარეების არმენიზაციის ხარისხი ჯერ კიდევ არ იყო ყოვლისმომცველი, როგორც ეს შემდგომმა საუკუნეებმა აჩვენა.

ვფიქრობ, ძირითადად ამ მიზეზის გამო, ავანის საკათალიკოსო გამოეყო სომხური ეკლესიის მთავარ ცენტრს – დვინს.

ამ გამოყოფის მიზეზად მიიჩნევა სარწმუნოებრივი მომენტი, მაგრამ მას უფრო მეტად **ეთნიკური საფუძველი უნდა ჰქონოდა**.

კერძოდ, თანამედროვე ერევნის ჩრდილო-აღმოსავლეთით 588 წლიდან (სხვა აზრით 591 წლიდან) ძველ სოფელ ავანში რეზიდენცია დაიდო არმენიის მართლმადიდებელმა (ქალკედონიტმა) პატრიარქმა.

მიიჩნევა, რომ ამას საფუძველი დაუდო იმპერატორ მავრიკეს (582-602) საზავო ხელშეკრულებამ სპარსეთითან, რის შედაგადაც ავანი და ტაო ბიზანტიის იმპერიაში მოექცა.

ეს ფაქტი უნდა ყოფილიყო საფუძველი (და არა მიზეზი), რამაც გააბედინა ადგილობრივ, მეტწილად ქართული წარმოშობის ტაოელ-ბასიანელ და ავანელ მოსახლეობასა და სამღვდელოებას მიეღოთ იმ სარწმუნოებრივი მიმართულების საპირისპირო აღმსარებლობა, რომელსაც დვინის სომხური საკათალიკოსო აღიარებდა.

ცნობილი კანონისტი კარტაშევი, თავის წიგნში „საეკლესიო კრებები“ წერს რომ VI საუკუნეში ეგვიპტელებმა, სირიელებმა და სომხებმა მონოფიზიტური აღმსარებლობა მიიღეს თავიანთი ეთნიკური ნიშნის გამო. კერძოდ, მათ სურდათ

ბიზანტიის ცენტრისაგან თავიანთი ეთნიკური განსხვავებულობის სარწმუნოებრივი გამოხატვა. ამიტომაც როცა ბიზანტიის ცენტრმა მტკიცედ დაუჭირა მხარი ქალკედონიტობას, პერიფერიებმა მის საპირისპიროდ – მონოფიზიტობა აღიარეს.

თუ კარტაშევის ამ მოსაზრებას მივუსადაგებთ ეთნიკურად ისეთ რთულ რეგიონს, როგორიც იყო ტაო-ბასიან-ავანის მხარეები, შეიძლება მსგავსი სურათი დავინახოთ.

ტაო და ბასიანი იყო არასომხური მხარეები, მისი მოსახლეობა „ივერებად“ ძველთაგანვე იწოდებოდა, თუმცა კი სომხური საეკლესიო და ადმინისტრაციული უღელის ქვეშ.

ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტის დადგომისთანავე მათ მყისვე შექმნეს დვინის საწინააღმდეგოდ საეკლესიო ცენტრი ავანში, ქალკედონიტური საკათალიკოსოს სახით, მკვეთრად გამოხატული ქართული არქიტექტურით აგებული ეკლესიებითა და ჩანს, ასევე სხვა მრავალი ქართული ნიშნით.

ვ. არუთინოვა-ფიდანიანი რა თქმა უნდა, ავანის არქიტექტურას არ აკავშირებს ქართულთან და მიიჩნევს, რომ „მას აქვს ეჩმიაძინის, ბიზანტიური მარტირიუმების და კონსტანტინოპოლის სოფიის ტაძრის“ გავლენა („პრავასლავნაია ენციკლოპედია“ ტ 1. მოსკოვი, 2000, გვ.74), მაგრამ მცხეთის ჯვრის და ავანის ტაძრის არქიტექტურა თითქმის იდენტურია.

დამტკიცებულად მიიჩნევა, რომ ავანის „არქიტექტურული ანსამბლი სომხური არქიტექტურის ერთ-ერთი პირველი მიღწევაა, მის გვერდით მდებარე სასახლესთან ერთად აგებულია 588-597 წლებში კათოლიკოს იოანეს მიერ“. (იქვე გვ.74).

თითქოსდა, ჯერ ის აუგიათ და შემდეგ მისი გეგმით მცხეთის ჯვარი, მაგრამ **ქართულ წყაროებში ნათლად ჩანს, თუ როგორ მიიღო საუკუნეთა მანძილზე მცხეთის ჯვარმა თავისი ჩამოყალიბებული საბოლოო სახე**, ავანის აგების შესახებ ასეთი ცნობები არ არსებობს.

კერძოდ, მცხეთაში ჯერ აღიმართა წმინდა ნინოს მიერ დიდი ზომის ჯვარი, ეს ჯვარი გუმბათით გადაახურინა რევ მეფემ IV ს. ბოლოს, ამ ჯვარს გარშემო გაუკეთეს „კუბო“. ანუ ის შემოსაზღვრეს კედლებით. ე.ი. მას ჰქონდა კედლებიც და სახურავიც(გუმბათი).

ჯვრის ტაძრის გუმბათის სიმაღლე განსაზღვრა იმ ხემ, რომელიც მოკვეთეს წმინდა ნინოს დროს და რომლისგანაც შეამზადეს ჯვარი.

მატიანეში მოთხრობილია- „ვითარცა ნათელ იღეს მეფემან და ... ყოველმან ერმან, მაშინ დგა ხე ერთი ადგილსა ერთსა... აუწყეს ეპისკოპოსსა ხისა მისთვის, ხოლო ეპისკოპოსმან თქვა... „მის ხისაგან ჯერ არს შექმნად ჯვარი პატიოსანი, რომელსა თაყვანი სცეს ყოველმა სიმრავლემან ქართლისამან... მოჰკვეთეს ხე იგი... მოაქვნდა ათსა ათეულსა კაცსა... სასწაულითა ზეცისათა ჩვენებით ჯვარი პატიოსანი მცხეთას იპყრეს ხელითა კაცობრივითა და მივედით ბორცვსა მას ქვეშე... ხოლო ხვალისა დღე აღვიდეს კლდესა მას ზედა... მუნ აღიმართა ჯვარი იგი დიდებითა მეფეთაგან და მოდრკა ერი იგი ურიცხვი და თაყვანი სცეს ჯვარს... რაოდენისამე დღისა შემდგომად, მარტვილისა უკან, იხილეს სასწაული დიდი... სვეტი ნათლისა, სახედ ჯვარისა დგა ჯვარსა მას ზედა და თორმეტნი იგი ვარსკვლავნი სახედ გვირგვინისა, გარემოს მისა, ხოლო ბორცვი იგი კუმოდა სახედ სულნელად და ხედვიდეს სასწაულსა ამას ყოველნი და მრავალნი უღმრთოთაგანნი მოიქცეს... მერე კუალად იხილნეს სხვა სასწაული ჯვარისა, ვითარცა რა

ცეცხლი დგა თავსა ზედა მისა, შვიდ წილად მზისა უბრწყინვალესი ზედა დაადგრა მას და, ვითარცა სახუმილისა ნაბერწყალნი აღავლენ, ეგრესახედ ანგელოზნი ღვთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა, ხოლო ბორცვი იგი იძვროდა ძლიერად... **იქმნებოდეს სასწაული იგი წლითი წლად და ყოველი ერი... მოვიდოდეს თაყვანისმცემად გულსმოდგინედ**. და მას ჟამსა რევის ძესა მეფისასა, ესვა ყმაწვილი მცირე და იყო სნეულ და მიწევნულ იყო სიკვდილად ... და მოიღო და დადგა იგი წინაშე ჯვარისა და ცრემლით იტყოდა: "**უკუეთუ მიბოძო ყმა ესე ცოცხალი აღვაშენო კუბო საყუდელად შენდა" და მუნქვესვე განიკურნა ყრმა იგი... მოვიდა (რევი) აღნათქვამისა აღმასრულებლად... და გულმოდგინებით აღაშენა კუბო ჯვარისა მცხეთისა რევ, ძემან მეფისამან...** გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა... ამან იწყო ეკლესია ჯვარისა პატიოსნისა და აქამომდე ჯვარი ველსა ზედა იყო და ქმნა ეკლესია წელიამდის ოდენ... გუარამ კურაპალატსა ესხნეს ძენი... სტეფანოზ და დემეტრე. ...ძმა სტეფანოზისი სახელით დემეტრე აღაშენებდა ეკლესიასა ჯვარისა პატიოსნისა, რამეთუ სენიცა იყო მის თანა დ ავერ შემძლებელ იყო განშორებად კარსა ეკლესიისასა (ქ.ც., I, გვ.120-140).

სტეფანოზი და დემეტრე ბაგრატიონები ჰერაკლე კეისარმა პროსპარსული ორიენტაციისათვის ტახტიდან გადააყენა, მის ნაცვლად ქართლის ტახტი მისცა ადარნასე ხოსროიანს "... მაშინ მოუწოდა კეისარმა ძესა ბაკურისასა, ქართველთა მეფისასა ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთაობდა კახეთს, რომელსა ერქვა ადარნასე"

მატიანედან ჩანს, რომ მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობა დაიწყო IV ს. ბოლოს რევ მეფემ, მან "კუბო" ანუ კედლები აუშენა ჯვარს, მის გვერდით სხვა ეკლესიის მშენებლობა გუარამ კურაპალატის დროს VI ს. ბოლოს დაიწყო.

ჩანს, რომ რევ მეფის მიერ აშენებული "კუბოს" ფორმა იმეორებდა ჯვრის ფრთების ფორმას.

ჯვრის ეკლესიას უკვე მეოთხე საუკუნის ბოლოსვე ექნებოდა ჯვრის ორი ფრთის შესატყვისი კედელი, რომელმაც საბოლოოდ ტეტრაკონქის სახე მიიღო ანუ ტეტრაკონქის მშენებლობა განსაზღვრა ტაძრის ცენტრში აღმართულმა ჯვრის ფორმამ.

იმდენად მისაღები ყოფილა ქართული ეკლესიისათვის ჯვრის ტაძრის ფორმა, რომ უკვე VI ს. შუა წლებში მის შესაბამისად ააგეს ნინოწმიდის ეკლესია. VI ს. ბოლოს კვლავ აღსდგა ჯვრის ტაძრის მშენებლობა მაგრამ არა ნებისმიერი არქიტექტურით, არამედ იმ ფორმით, რომელიც ახსოვდა მოსახლეობას და ბორცვზე აღმართული ამ ჯვრისათვის უკვე ტრადიციული იყო.VII ს. ჯვრის ტაძრის არქიტექტურა გაიმეორეს ჭყონდიდში.

ასე, რომ მცხეთის ჯვრის ტაძარი საუკუნეთა მანძილზე შენდებოდა და მან თავისი არქიტექტურული სახე თანდათანობით მიიღო, ხოლო გუმბათი აშკარად ქართული ხალხური არქიტექტურისაგანაა გადმოღებული.

ხალხი მცხეთის ჯვრის გუმბათის მსგავს გუმბათებს XX ს. დასაწყისშიც კი აგებდნენ. მაგალითად ის გმოყენებულია ლეჩხუმში სოფელ საირმეში საცხოვრებელი სახლების გადახურვის სისტემაში.

აქედან გამომდინარე IV-VI სს-ში ჩამოყალიბდა ჯვრის ტაძრის არქიტექტურა, რომელიც გაიმეორეს ავანის არქიტექტორებმა, რომელიც

ქართულ-ეთნიკური წარმომავლობის გამო ცდილობდნენ ავანის არქიტექტურაშიც ქართული ელემენტები შეეტანათ.

როგორც ითქვა – ტაო-ბასიანს და მის მიმდებარე მიწებს – სომხებიც და ბიზანტიელებიც „ივერიას“ უწოდებდნენ.

ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ამ რეგიონის მომცველი ავანის ქალკედონური საკათალიკოსო - „ივერიის ეკლესიად“ იწოდებოდა საერთაშორისო-საეკლესიო წრეებში.

ჩანს ანტიოქიის საპატრიარქო ავანის საკათალიკოსოს და მის მემკვიდრე ქალკედონურ ეპარქიებს - „ივერიის ეკლესიას“ უწოდებდა.

საქმე ისაა, რომ თეოდოსიოპოლის-არზრუმის რეგიონში ანტიოქიის იურისდიქციის ქვეშ იყო რამდენიმე ქალკედონური საეპისკოპოსო, საერთოდ, ეს მიწა-წყალი – ანტიოქიას თავისი საპატრიარქო იურისდიქციად მიაჩნდა. ამიტომაც, შესაძლოა ავანის ანუ “იბერიის საკათალიკოსო“ მას შემდეგ, რაც განშორდა დვინს, თავდაცვის მიზნით შეუერთდა ძლიერი ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციას (ანდა ის რომელიმე სხვა ეკლესიას უნდა მიკედლებოდა ავტოკეფალიის საერთაშორისო დადასტურებამდე).

არაბების შემოსევების შემდეგ კავშირი ანტიოქიასა და ავანის მემკვიდრე ქალკედონურ ეპარქიებს შორის გაწყვეტილა, შემდეგ კი ჩანს ანტიოქიაში კვლავ განუხილავთ სამხრეთის ამ ე.წ. “ივერიის ეკლესიის“ საკითხი.

საქმე ისაა, რომ მართალია ავანის ერთადერთი კათალიკოსის **იოანე** ბაგარანელის (+609/10) შემდეგ გაუქმდა ავანის კათედრა, მაგრამ მისი ქალკედონური მემკვიდრეოდა მიიღო ტაომ, სადაც VII საუკუნეში ქალკედონური საეპისკოპოსო ცენტრი იშხნისა და სხვა ჩამოყალიბდა.

სომხურმა ეკლესიამ VII ს-ში უკანვე შეიერთა ქალკედონური კათედრები, რითიც ჩანს ანტიოქიაც გაანაწყენა.

სომხური ეკლესია თავის საეკლესიო მთლიანობას იმით ინარჩუნებდა VII საუკუნეში, რომ გარკვეულ კომპრომისზე მიდიოდა და საერთო სომხურ საეკლესიო ტახტზე ქალკედონიტ კათალიკოსებსაც სვამდა, რჩეულები მათ შორის (მაგალითად ნერსე III ტაოელი ჩანს ეთნიკური ქართველი იყო, ისევე, როგორც, ვთქვათ, იქამდე სომხურ ეკლესიაში მოღვაწე აირარატის ქორეპისკოპოსი კირიონი).

726 წელს მანასკერტის მონოფიზიტური კერების შემდეგ ქალკედონური ტაო-ბასაინი განშორდა სომხურ ეკლესიას. ამ დროს, ჩანს, აქ, ანუ „ივერიაში“, კვლავ, გაიხსენეს ანტიოქიის ეკლესია და მისგან მოითხოვეს ავტოკეფალია, საეკლესიო თავისთავადობის საერთაშორისო დასტური. ამ დროს არა მხოლოდ ტაო-ბასიანში. არამედ მის გარეთაც ქართველი ქალკედონიტები აარსებდნენ თავიანთ კათედრებს, მაგალითად ვალაშკერტში.

ვალაშკერტის მღვდელთმთავრის წოდება „მამათმთავარი“ შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ის ერთ პერიოდში იქცა „ივერიის ქალკედონური“ ეკლესიის მემკვიდრედ, რომელსაც სათავე,ჩანს,ასევე ქართული წარმოშობის, იოანე ბაგარანელმა დაუდო.

ე.წ ანტიოქიური ქრონიკების ნაწყვეტები იძლევა კიდეც ზემოთაღნიშნული მოსაზრების საფუძველს - **„ქართლის ცხოვრების“ ცნობილი ჩანართი უნდა ეხებოდეს ავანის ანუ ივერიელთა (ქართველთა) ქალკედონურ ეკლესიასა და ანტიოქიას შორის ურთიერთობას და არა მცხეთისა და ანტიოქიისა-**

„და წარგზავნეს ანტიოქიას მონაზონი ერთი საკურთხეველად, რამეთუ განწესებულ იყო კურთხევა ანტიოქიით კათალიკოსისა და ვერდარავის ხელეწიფებოდა სვლად გზასა ანტიოქიისასა... ხოლო დღეთა თეოფილაქტე ანტიოქიელ პატრიარქისა წარავლინეს მოციქულნი.. და მიუთხრეს... დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი, მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელმოწამისათა არა კურთხეულ არს სიძნელისათვის გზათასა. ხოლო მან ჰყო კრება და განაჩინა... რათა შეკრბებოდნენ ეპისკოპოსნი სიმრავლისა მისისანი და აკურთხევდნენ კათალიკოსსა ჟამითი-ჟამად ... ხელდასხმულ ჰყო... ერთი მოვლინებულთა მონაზონთაგანი, სახელით **იოანე**... ამას ანტიოქიის კრებასა შინა გაპატიოსნდა“ (ქ.ც. I გვ.226)

„ქართლის **ცხოვრების“ ამ ჩანართის შესახებ ჯერ კიდევ 1906 წელს გამოთქვა თავისი მოსაზრება კირიონ II კათალიკოსმა, რომ ეს მონათხრობი ეხებოდა სამხრეთ საქართველოს ტაო-ბასიანის მხარეების საეკლესიო მოწყობას,** ვ. გოილაძის აზრით კი, აქ, გადმოცემულია აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების ცნობა. აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების შესახებ ცნობას გვაწვდის ქართლის ცხოვრების სხვა ჩანართი - „ამან ბაგრატ განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“ (IXს-ში).

ე.ი ზემოთ აღნიშნული პირველი ჩანართი ქართლის ცხოვრების მიხედვით არ უკავშირდება აფხაზეთს, ამიტომაც სწორი უნდა იყოს კირიონ II, რომ ეს ჩანართი უკავშირდებოდა ტაო-ბასიანის (შესაბამისად ავანის) საეკლესიო მოწყობის საკითხს.

ჩანართში ნახსენებია „ქრისტიანენი, მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი“ (ქ.ც. I გვ.226).

„ქართველთა“ პროვინცია ერქვა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტაო-ბასიანის მხარეებს და მის ირგვლივ ტერიტორიას, რომელიც დროებით, არმენიაში მდებარეობდა.

ამ მხარეში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართველები იყვნენ, მაგრამ პოლიტიკურად ისინი „სომხებად“ იწოდებოდნენ.

ამ ჩანართში ამიტომაც განმარტავს ანტიოქიის პატრიარქი, რომ საქმე შეეხება „ქართველთა სოფლების მკვიდრთ“.

ასეთ შემთხვევაში ქრონოლოგიურადაც უფრო დალაგებულია მსჯელობა. – **ანასტასი ანტიოქიელი პატრიარქი თითქმის თანამედროვე იყო ავანის ქალკედონიტი კათალიკოსის იოანე ბაგარანელისა, რომელიც 609 თუ 610 წელს გარდაიცვალა.**

ამის შემდგომ, არაბობის შემოსევების გამო, მართლაც, რთული იქნებოდა ანტიოქიისა და ტაო-ავანის საეკლესიო ურთიერთობა.

ავანის კათედრა მართლაც უმღვდელთმთავროდ დარჩა და ქალკედონიტი ეპისკოპოსები შეიერთა სომხურმა ეკლესიამ VII ს-ში, მაგრამ ეს მდგომარეობა, ანუ ეთნიკური მღვდელთმთავრის გარეშე ყოფნა, არ აკმაყოფილებდა ტაო-ბასიანის ქართული ქალკედონიტური სოფლების მრევლს.

მათ ჩანს, სურდათ საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებით გამოეხსნათ თავიანთი თავი სომხური ეკლესიისაგან.

მაგალითად მოღწეულია იშხანის ტაძრის მინაწერი, სადაც ადგილობრივი მღვდელთმთავარი ტრაპეზუნტში ჩავიდა, რათა კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაესხა მისთვის ხელი.

არზრუმ-თეოდოსიოპოლი ტრადიციულად ანტიოქიელი პატრიარქის სამწყსოს განეკუთვნებოდა და იქვე მდებარეობდა კიდეც ავანის მემკვიდრე ტაო-ბასიანის

ქალკედონიტური ვრცელი ქართული სამრევლო.

იბერიის ეკლესიის პირველიერარქად ანტიოქიამ დანიშნა ქართველი მონაზონი სახელით იოანე.

ეს ნიშნეულია, რადგანაც ავანის პირველ კათალიკოსსაც იოანე ერქვა.

ასე, რომ ავანის ქალკედონიტური კათედრის წარმოშობის მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო ეთნიკური განსხვავებულობის გამო ქართული მრევლის გამოყოფა სომხური ეკლესიისგან და დამოუკიდებელ საკათალიკოსოდ ჩამოყალიბება.

ასეთ თვალსაზრისამდე მივალთ თუკი აღნიშნულ ჩანართს დავუკავშირებთ სამხრეთ საქართველოს – ტაო-ბასიანის მხარეებს.

სამხრეთ ტაოს სამეფო კარზე – დავით III კურაპალატის ეპოქაში, მრავალი უცხოელი ავტორი ახსენებს ქართველ კათალიკოსს თუ ქართველ პატრიარქს. შესაძლოა სამხრეთ საქართველოს ამ საეკლესიო ერთეულს მართლაც მიანიჭა ანტიოქიამ ავტოკეფალია, შემდეგ ათასწლეულში კი ეს ცნობები მცხეთის ეკლესიას დაუკავშირეს და მიიჩნიეს მცხეთის ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელ დოკუმენტად.

ტაოს (იბერიის) სამეფოს ადგილზე დავით კურაპალატის მემკვიდრეობის დაუფლების შემდეგ,როგორც ითქვა, ბიზანტიამ ჩამოაყალიბა ადმინისტრაციული ერთეული - „იბერიის თემის“ სახელწოდებით – XI ს-ს დასაწყისში.

მაშასადამე, შესაძლებელია, ავანის საკათალიკოსო უცხოელთათვის, კერძოდ კი ანტიოქიის ქალკედონიტებისათვის წარმოადგენდა არა სომხურ, არამედ ქართველთა, ანუ „ივერიელთა“ ეკლესიას. მიზეზი ამისა იყო მისი მრევლის უმეტესი ნაწილის(ტაო-ბასიანის) ქართულობა.

როგორც ითქვა, იოანე ბაგარანელის დროს, სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას გამოეყო ქალკედონიტური ფრთა, რომელმაც დამოუკიდებელი საკათალიკოსო დაარსა. ისმის კითხვა: ეცდებოდა თუ არა ეს ეკლესია თავისი დამოუკიდებლობის აღიარებას, ანდა დაკავშირებას უცხოეთის სხვა მართლმადიდებელ საპატრიარქოებთან, როგორც თავისთავადი ეკლესია?

ჩანს, **ასეთი ურთიერთობა მათ დაუმყარებიათ ანტიოქიის საპატრიარქოსთან ნეტარი ანასტასი მღვდელმოწამის ზეობისას, მაგრამ შემდეგ ავანის ეკლესიის თავისთავადობა გაუქმდა. ტაო-ბასიანის ივერიელმა მოსახლეობამ მოითხოვა კვლავ ეძებნათ თავისთავადი ეკლესიის ჩამოყალიბების გზები და მისი საერთაშორისო აღიარება**.

ეს მოუხერხებიათ ანტიოქიის პატრიარქ ნეტარი თეოფილაქტეს დროს – შესაბამისად, ჩამოყალიბდა ტაო-ბასიანის, ანუ დავით კურაპალატის სამეფოს საეკლესიო სამამამთავრო, უკვე ქართული საეკლესიო ერთეული.

ამით იქამდე სომხურენოვანმა ავანის საკათალიკოსოს მემკვიდე ეპარქიებმა აღადგინეს ქართულენოვანება.

„აღმოსავლეთის კათალიკოსნი“

გრიგოლ ხანცდელის ცხოვრებაში ნახსენებია ცნობილი ფრაზა, „აღმოსავალისა კათალიკოსთა წბ. მირონი იერუსალიმით მოჰყვანდათ“, რომ მირონის კურთხევა ქართლს განეწესა, რადგანაც ქართლია „აღმოსავლეთი“ და ყველა მხარე სადაც ქართულ ენაზე აღესრულება წირვა ლოცვა.

რომელ ქვეყანას ერქვა ქართველთა სამყაროში „აღმოსავლეთი“?-უფრო მეტად

ტაო-ბასიანის მხარეებსა და აგრეთვე იმ ქვეყნებს ,რომელნიც დავით კურაპალატმა შემოუერთა თავის სამეფოს. ამ ქვეყნებს ბიზანტიაში „ზემონი ქვეყანანი“ ერქვა, მაგრამ აფხაზთა სამეფოს ქართველთათვის ეს ქვეყნები რეალურად აღმოსავლეთში მდებარეობდნენ, ამიტომაც ჩანს „აღმოსავლეთს“ უწოდებდნენ კიდეც, უფრო დასავლეთით მდებარე აფხაზთა სამეფო კი იმჟამად თბილისის არაბთაგან პყრობის გამო ქართული სახელმწიფოებრიობისა და შემეცნების ცენტრს წარმოადგენდა.

იაჰია ანტიოქიელისა და ასოღიკის ცნობებით მეფე დავით კურაპალატის კარზე იყო უმაღლესი რანგის სასულიერო პირი პატრიარქისა და კათალიკოსის წოდებით. შემდგომში ვალაშკერტელ ეპისკოპოსსაც „მამამთავრის“ წოდება ჰქონდა. ჩვენ გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ დავით კურაპალატის სამეფოში ერთ პერიოდში ჩამოყალიბდა თავისთავადი ქართული საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული აფხაზეთის საკათალიკოსოს მსგავსი, რომელსაც თავისი მმართველი უმაღლესი სასულიერო პირი ჰყავდა. ჩანს სწორედ მას უწოდებდნენ ქართველები „აღმოსავლეეთის საკათალიკოსოს“.

აღმოსავლეთის საკათალიკსოსოს მიწა-წყალი ანუ იგივე „ზემონი ქვეყანანი“ მართალია ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ იქამდე, როგორც ითქვა, სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული, მისგან გათავისუფლების შემდეგ ის წმ.მირონს ჩანს იერუსალიმიდან იღებდა,მაგრამ ქართველი მამების მეცადინეობით ახლა უკვე „ქართლს“ ანუ მცხეთას განეწესა მირონის კურთხევა, რადგანაც ეს ე.წ. „აღმოსავლეთი“ თვითონაც ქართლის ნაწილს წარმოადგენდა იქაურ ტაძრებსა და მონასტრებში გაჩაღებული ქართულენოვანი წირვა-ლოცვის გამო.

თავი XVI

პონტოს ყოფითი გარემო და გეოგრაფიული პირობები (ს. კარპოვი, ტრაპეზუნტის იმპერიის ისტორია, 2007.რუს.ენაზე)

ხალიბები და არმენოხალიბები

„პონტოს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან ძლიერდებოდა სომეხთა ყოფა. არაა შემთხვევითი, რომ პლინიუსი უკვე წერდა ხალიბებისა და არმენოხალიბების შესახებ“ (ს. კარპოვი, ტრაპეზუნტის იმპერიის ისტორია, 2007. რუს.ენაზე. გვ. 36).

თემისკირა და თერმოდონტი

თემისკარას ველთან ძველი მითოლოგია ათავსებდა ამაზონებს მდ. თემოდონტზე დედაქალაქ თემისკირაში, სადაც მიცურდა ჰერაკლე, რათა მოეპოვებინა დედოფალ იპოლიტას სარტყელი (ს. კარპოვი, ტრაპეზუნტის იმპერიის ისტორია, 2007. რუს.ენაზე. გვ. 36).

ტრაპეზუნტი

ტრაპეზუნტი იყო ამ ოლქის ყველაზე დიდი ქალაქი, მდ. მაჩკადერედან 3 კმ-ში, იქ V და IV ს. მიჯნაზე იყო ქსენეფონტე. ტრანეზუნტის გარეშემო ცხოვრობდნენ კოლხები, რომლებიც დრილებთან ერთად ემტერებოდნენ ამ ქალაქს. პონტოს ქალაქები **კერასუნტი** და **კოტიორა (ორდუ)** - სინოპის კოლონიებად ითვლე-

ბოდნენ. კოტიორას ემეზობლებოდნენ **ტიბარენები და მოსინიკები**. კოტიორას ტერიტორია მათ წაართვეს სინოპელებმა. შემდეგში კერასუნტმა და ტრაპეზუნტმა ამ ქართულ ტომებთან მეგობრული შეთანხმებები დადეს და მათგან პირუტყვსა და პროდუქტებს ყიდულობდნენ. პონტოს მეფე კრეზას სურდა პონტოს ქალაქების დაპყრობა, მაგრამ ძვ. წ. **547 წელს** ის სპარსელებმა დაამარცხეს.

პონტოს ისტორია

პონტოს ქალაქები კიროსის ძალაუფლების ქვეშ მოექცა (გვ. 38). შემდგომში ანატოლიაში ახალ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს საფუძველი ჩაუყარეს დიადოხოსებმა (ალექსანდრეს მემკვიდრეებმა) და ასევე ყოფილმა სპარსელმა სატრაპებმა, რომელნიც ერთმანეთს ექიშპებოდნენ. კაპადოკია-პონტო ტრაპეზუნტამდე დარჩა ალექსანდრეს მხედართმთავარს - ევმენს. მას ევალებოდა დაეცვა ეს რაიონი და ასევე ებრძოლა მეფე **არიარატთან**.

არიარტის წინააღმდეგ მაკედონელები დიდ ლაშქარს ამზადებდნენ; **არიარატი** ტყვედ ჩაიგდეს. მალე სატრაპი **ევმონი** მოკვდა დიადოხოს ანტიგონესთან ომში ქ. შ-მდე 316 წელს. პონტოს ქალაქები შედარებით განთავისუფლდნენ. მის მიმართ (ე. ი. პონტოს მიმართ) ინტერესი აღეძრა ეგვიპტის მეფე **პტოლომე სოტერს (305-283** ჩვენს ერამდე). ეს დიადოხოსი ტაციტუსის ცნობით რამდენიმე წლის მანძილზე პონტოში აგზავნიდა ხომალდებს (სურდა იუპეტერის ერთერთი ქანდაკების ხელში ჩაგდება).

ჩვენს ერამდე 297-296 წლებში ჩამოყალიბდა პონტოს სამეფო ელინიზირებული სპარსელი დინასტიის მემკვიდრის **მითრიდატე კტისტის** მიერ კაპადოკიაში, რომელსაც არ ჰქონდა გასასვლელი შავ ზღვაზე, მალე მისი საზღვრები გაფართოვდა და დედაქალაქი გადატანილ იქნა ამასიაში, რომელიც მდებარეობდა ამისო - სპარსეთის გზაზე. 281 წლისათვის **მითრიდატე I-მა** თავი მეფედ გამოაცხადა და ებრძოდა დიადოხოსებს მცირე აზიის ქალაქებისათვის.

278 და 271 წლებში პონტოს მეფეებმა დაამარცხეს ეგვიპტის მეფე **პტოლამე ფილადელფოსის** საზღვაო ექსპედიცია, ამით პონტოს ქალაქების დამცველებად - გადაიქცნენ **მითრიდატე ატისტი** (302-266) და მისი ვაჟი **არიობარზანი (266-255).** (გვ. 42).

278 წ. ანატოლიაში შეიჭრნენ **კელტური ტომები - გალტები**, მათ ებრძოდნენ პონტოს მეფეები. ქ. ამისო იყო **მიტრიდატე II** და მისი შვილიშვილის **ფარნაკის (ძვ.წ. 189-160)** ხელში სანამ რომაელებმა არ აიღეს 71 წელს. (გვ. 42).

ქ. სინოპი **ფარნაკ I-მა** აიღო 183 წელს. შემდეგ მას შეუერთა **კერასუნტი და კოტიორა.** ის იქცა პონტოს სამეფოს დედაქალაქად. მისი საზღვარი ვრცელდებოდა **ხალიბებამდე, ტიბერენებამდე და მაკრონებამდე** ძვ.წ. 188 რომთან პონტომ დადო სამეგობრო ხელშეკრულება.

ამ დროს **პონტოს სამეფოს** საზღვარი აღწევდა ტრაპეზუნტამდე.

კოლხიდა და ხალდების (ხალიბები) მიწები და ტიბარენები პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორეს (121-63 ჩვენს ერამდე) დაუთმო მცირე არმენიის მეფე ანტიპატრემ (სტრაბ. XII, 3,1, XII, 3,28).

ამ დროს შევიდა ტრაპეზუნტი პონტოს სამეფოში.

გამოთქმულია მ. მაქსიმოვის მიერ მოსაზრება რომ ტრაპეზუნტი პონტოში შეიყვანა ფარნაკმა უფრო ადრე, როცა მცირე არმენიის მეფემ სახელით ასევე მითრიდატემ ფარნაკს დაუთმო ტრაპეზუნტის მიმდებარე ოლქები. ს. კარპოვის აზრით საეჭვოა, მოსაზრება რომ იქამდე ტრაპეზუნტი მცირე არმენიაში შედიოდა, ამასთანავე

ნათელი არაა ეკუთვნოდა თუ არა ეს ქალაქი კოლხიდის მეფეებს (გვ. 43).

ძვ.წ. 110 წელს პონტოს **მეფე მითრიდატემ დაიმორჩილა მცირე არმენია და კოლხიდა**. ასევე 107 წლისათვის პონტოს სამეფოში შევიდა **ხერსონესი და ბოსფორის სამეფო.** თუმცა კი სკვითები და სარმატები მას თავს ესხმოდნენ. 104-103 წლებში პაფლაგანიის ნაწილი შეიერთა პონტომ ხოლო 101-100 წლებში მიიტაცა კაპადოკია და, მის ტახტზე **მითრიდატე**მ აიყვანა თავისი შვილი **არიარ-ატ IX.**

დაიწყო ომები რომთან - 89-85 - მითრიდატეს I ომი.

საბოლოოდ დამარცხებული მითრიდატე ჯერ კოლხეთში გაიქცა, შემდეგ ბოსფორში 63 წ. მოკლეს ფარნაკ II-ის რაზმელებმა.

პომპეუსმა ერთ რომაულ პროვინციად გააერთიანა პონტო სინოპისა და ამისოს შემადგენლობით, მას ეწოდა - „ბიფინიის პონტო“.

კოლხიდა გადაეცა რომის სატელიტ არისტარს ხოლო ტრაპეზუნტი - კაპადუკიის ნაწილი და მცირე არმენია - მალტიის ტეტრარქს დეიოტარს (63-40) - რომელმაც მეფის ტიტული მიიღო. რომის სამოქალაქო ომის დროს ის დაიპყრო ფარნაკ II-მ კოლხეთთან ერთად. ის დაამარცხა 47 წელს ცეზარმა და მიწერა სენატს - „მივედი, ვნახე, გავიმარჯვე“. პონტოს მეფე გახდა ფარნაკის ძე არშაკი, რომელიც არ ცნო რომმა და საერთოდ შეცვალა მითრიდატიანების დინასტია. იქ გაამეფეს ლაოლიკიელი პოლემონი ზენონის ძე.

პონტოს სამეფო იყო როგორც ბუფერული ბაზა რომისა პართიასთან საომარი დაპირისპირებისას. 35 წელს პონტოს მეფე პოლემონ I-მა საჩუქრის სახით სამართავად მიიღო მცირე არმენია. ავგუსტის დროს პონტოს გამოეყო მცირე არმენია, ამ უკანასკნელის საზღვარი ვრცელდებოდა მდ. ლიკოსიდან - ტრაპეზუნტამდე.

რომმა 3(2) წელს ჩვენს ერამდე გააერთიანა პონტო, კაპადოკია და მცირე არმენია ერთ სახელმწიფოდ დინასტიური ქორწინებით, პოლემონის მემკვიდრე ქვრივი პითადორიდა შერთო კაპადოკიის მეფე არხელაეს. ახალი ერის 63(64) წელს ნერონმა პონტოს სამეფო შეუერთა რომის პროვინცია კაპადოკია - გალატიას. პონტოს ქალაქებს III ს.-ში შეესივნენ ბარბაროსული ტომები. დიოკლიტიანეს (284-305) რეფორმებით პონტომ და ვითინიამ შეადგინეს მეორე პონტოს დიოცეზი, ხოლო კონსტანტინ I-მა შექმნა საგანგებო პროვინცია დედის სახელის მიხედვით - ელენოპონტო. იუსტინიანე I-მა მისი საზღვრები ტრაპეზუნტამდე გაზარდა (ე. ი. ცნობილი მოლაპარაკებები ლაზიკის მეფეებისა კონსტანტინოპოლის იმპერატორებთან, ჩანს ამ საქმეს ემსახურებოდა V და VI საუკუნეებში - V საუკუნეში საზღვრად დაიდო ხუფათი, ხოლო VI ს.-ში იუსტინიანეს იმპერიამ მიაღწია ჭოროხამდე (აქ აიგო, ბიზანტიური სიმაგრე პეტრა), რითაც დაარღვია სპარსეთთან სახელმწიფო საზღვარი (ხუფათზე მდებარე).

ს. კარპოვი მიიჩნევს, რომ პონტოში (ტრაპეზუნტში) 69 წელს ყოფილი მონის ანიკეტის (პოლემონის ფლოტის მეთაურის) აჯანყება სოციალური ხასიათისა იყო და მას მხარს ადგილობრივი ჭანური (ლაზური) ტომების მთავრები უჭერდნენ (ისინი ტრაპეზუნტის მთიანეთში ცხოვრობდნენ). პონტო სინოპი და კერასუნტი სასოფლო-სამეურნეო მხარე იყო, პლინიუსის ცნობით რომაელები პირველად აქ გაეცნენ მათთვის უცხო ხილს - ალუბალს. ადგილობრივი (კერასენტის) სახლის მიხედვით ლათინურად ალუბალს ეს სახელი „კერასეს“ ეწოდა (იქვე, გვ.53). აღსანიშნავია, რომ პონტოშივე ამ ხილს ალბათ ქართული სახელი „ქვიშნა“ ერქვა, რომელიც ამჟამად აქვს შემონახული იმერულ დიალექტს. ამ ქართული სახელ-

იდან „ქვიშნა“ ალბათ მას ეწოდა სლავური სახელი - „ვიშნია“.

იქამდე მითრიდატიანები აგებდნენ მთელ ქალაქ-ტაძრებს, რომელთაც ქურუმები მართავდნენ, ასეთი იყო კომანა, ზელა და ამერია. პონტოელმა მეფეებმა თავიანთი სპარსი წინაპრებისგან მიიღეს ჩვეულება მსხვერპლშეწირვისა მთის წვერებზე. მათ შეცვალეს ზოროასტრიზმის უმაღლესი ღმერთის ახურამაზდას კულტი ახალი ზევს სტრატიას კულტით. ამასთანავე აღმერთებდნენ ჰერაკლეს, ზევსს, ალექსანდრე მაკედონელს, რომელთა შთამომავლებიც იყვნენ დედის მხრიდან. ს. კარპოვის აზრით ბერძნული ქალაქები ზღვის პირას იყვნენ განლაგებულნი ისინი რომაელებისთვის იყვნენ სიმაგრეები და სამხედრო-საზღვაო ბაზები, მაგრამ რომაელები არ ცდილობდნენ შეეღწიათ კოლხეთის სიღრმეში და ამ პოლიტიკას მისდევდნენ ბიზანტიელებიც (გვ. 55).

იური ვორონოვზე დაყრდნობით ს. კარპოვი ფიქრობს, რომ ბერძნული ქალაქი ფაზისი იყო ფოთი, პიტიუნტი ბიჭვინთა, სებასტოპოლისი კი ცხუმი (ი. ვორონოვი, დიოსკურიადა, სებასტოპოლისი, ცხუმი, მოსკოვი, 1980). **იური ვორონოვი კი ქართიზაციის თეორიის ერთერთი ყველაზე თავგადაკლული ქომაგი და მისი დამნერგვი იყო სამეცნიერო სფეროში.**

არქეოლოგიური მონაცემებით ერთერთი საზღვაო გზა ხერსონესს აერთებდა ტრაპეზუნტთან, აქედან კი არმენიის არტაკშატს. (გვ. 56)

255 წელს დაიწყო გოთებისა და სარმკტების (ბორანების ტომის) თავდასხმები შავიზღვისპირეთის ქალაქებზე. უშედეგოდ ცადეს პიტიუნტის აღება, შემდეგ 256 წ. ფაზისის კიბელას სამლოცველოს დაეხსნენ თავს და აიღეს პიტიუნტის სიმაგრე. 257 წელს (ან 258 წ.) აიღეს ტრაპეზუნტი.

264 წელს აიღეს პონტოს ჰერაკლია.

275 წ. გოთები შეესივნენ ფაზისს, მაგრამ ვერ აიღეს, მაგრამ აქედან გაემართნენ მცირე აზიის სიღრმეებისაკენ, ისინი დაამარცხა იმპერატორმა ტაციტუსმა (275-276 წწ.). შემდეგ პრობემ (276-282). ამის შემდეგ გოთების შესევების მიმართულება შეიცვალა - მათმა გეზმა ბალკანეთისაკენ გადაიწია. წმ. გრიგოლ ნეოკესარიელის ცნობით მკვიდრი მოსახლეობის დაბალი ფენები გოთებს ეხმარებოდნენ (იქვე,გვ. 56).

დიოკლიტიანეს ეპოქაში პოლემონის პონტო (ტრაპეზუნტი, კერასუნტი, ნეოკესარია, ზელა, სევასტია, პოლემონია) და ასევე მცირე არმენია (ქალ.: ნიკოპოლი, სატალა და კოლონეა) შედიოდნენ კაპადოკიის რომის საკონსულო ლეგატის მმართველობაში (მცირე არმენიას შემდეგ პირველი არმენია ეწოდა). (იქვე,გვ. 57).

რომის იმპერიის გაყოფის შემდეგ პონტო იქცა ნაწილად (ბიზანტიის) იმპერიისა. მისი აღმოსავლეთი საზღვრები აღწევდა მდ. აკამფსისამდე კერძოდ, პროკოფი კესარიელი წერდა, რომ პონტო აღწევდა ქ. ტრაპეზუნტის აღმოსავლეთ საზღვრებამდე - სუსურმენემდე და რიზემდე. „რიზეს აღმოსავლეთით მდებარეობდნენ ის რაიონები, რომელთაც ბიზანტიელები უკვე ვერ აკონტროლებდნენ, თუმცა იქ იყვნენ ქ. ათინა და აფსარი, რომელნიც ცნობდნენ იმპერიის ძალაუფლებას მათზე (გვ. 58, შენიშვნა 204). პონტოს მოსახლეობის უმეტესობა იყო ელინიზირებული ადგილობრივი-ქართველური წარმოშობის ტომები (გვ. 58). თეოდორიტე კვირელი (393-457) სხვადასხვა ტომებად მიიჩნევდა ლაზებს, ჭანებს (სანებს) და აბაზგებს, რომელნიც რომაელებს ემორჩილებოდნენ (იქვე,გვ. 58).

პროკოფის დროს ჭანები უკვე აღარ ცხოვრობდნენ სანაპიროზე, არამედ არმენიელების მეზობლად მატერიკის სიღრმეში, ხოლო ლაზები ცხოვრობდნენ ფაზი-

სის სანაპიროზე. ჭანების ერთი ნაწილი იმპერიაში ცხოვრობდა, მეორე მის გარეთ.

IV-V სს. მიჯნაზე ლაზთა ექსპანსია ინტენსიური გახდა ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. იმპერატორმა იუსტინე I-მა (518-527) კონსტანტინოპოლში სამეფო გვირგვინი უბოძა ლაზთა მეფეს, წინასწარ კი მონათლა იმის გამო, რომ სპარსეთი ლაზიკას მიიჩნევდა თავის ტერიტორიად და ლაზთა მეფისადმი კონსტანტინოპოლის დაახლოებას მტრულ ქმედებად განიხილავდა.

ლაზიკაში ბიზანტიური გარნიზონების გასამაგრებლად იუსტინიანე I (527-565) მიმართავდა ღონისძიებებს, იქ დატყვევებული ბულგარელები გაუგზავნა.

იუსტინიანეს დროს (პეტრას აგებამდე) ქ. რიზეს აღმოსავლეთით მდებარე რაიონი უკვე ვეღარ კონტროლდებოდა ბიზანტიელთა მიერ, თუმცა იქ იყვნენ ქალაქები ათინა და აფსარი, რომელნიც ცნობდნენ მათზე საიმპერიო ხელისუფლებას. (გვ. 58).

თეოდორე დიდის (379-395) პონტოს დიოეზი მოიცავდა შემდეგ პროვინციებს (ეპარქიებს) - ვიფინია, პაფლაგონია, ელენონონტო, პოლემონიაკის პონტო, გალატია I და გალატია II, კაპადოკია, არმენია I და არმენია II, **ტრაპეზუნტი და კერასუნტი, ასევე ნეოკესარია კომანია, პოლემონია მიეკუთვნებოდა პოლემონიაკის პონტოს,** ხოლო ამასია, ამისო, სინოპი, ივორა, ზილა, ხალტონი შედიოდნენ ელენოპონტოს შემადგენლობაში. პროვინცია არმენია I-ში შედიოდნენ სევასტია (სივასი), ნიკოპოლი, კოლონია, სატალა და სევასტოპოლი (არა ცხუმი). (იქვე, გვ. 58).

V ს. ტრაპეზუნტში იდგა პონტოს პირველი ლეგიონი, რაც ამ ქალაქს ანიჭებდა განსაკუთრებულ როლს, როგორც თავდაცვისას, ისე იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრების დაცვისას. იმპერიის ამ საზღვრების დაცვის თვალსაზრისით განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა არმენიებისა და **პოლემონიაკის პონტოს** პროვინციებს. იმპერატორმა იუსტინიანე I-მა იქ დანიშნა ერთიანი სამხედრო მეთაური Magister militum-ის ტიტულით და გაუძლიერა ჯარი. ამის შემდეგ შეიქმნა აქ რომაელთა მძლავრი ფორპოსტი. (იქვე, გვ. 59).

535 წელს იუსტინიანემ გააერთიანა პოტოს ორი პროვინცია - პოლემონიაკი და ელენოპონტო, მაგრამ მეორე წელსვე 536 წელს იუსტინიანემ მოახდინა რეორგანიზაცია და მათ ადგილას შექმნა ოთხი პროვინცია - არმენია I, არმენია II, არმენია III და არმენია IV. ეს მას ესაჭიროებოდა ბიზანტიის სამხრეთ კავკასიაში ექსპანსიისათვის.

პირველი არმენიის (მას ასევე შიდა არმენია ერქვა) შემადგენლობაში, რომლის დედაქალაქი იყო ბიზანა (ევფრატის პირას, მას ერქვა ასევე იუსტინიანეპოლი), შევიდა შიდა ოლქების ყველა ქალაქი (თეოდოსიოპული, სატალა, ნიკოპოლი, კოლონეა). ამ პროვინციის მეთაური იყო მაღალი რანგის მოხელე - პროკონსულის წოდებით. პროვინცია ელენოპონტის შემადგენლობაში შევიდა სინოპი, ამისო, ამასია და სხვ.

ტრაპეზუნტის და კარასუნტის სანაპირო შეიყვანეს არმენია პირველის შემადგენლობაში. ისინი იყვნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზები. ეს ქალაქები შესაბამისად გამოიყვანეს პოლომენიაკის პონტოს შემადგენლობიდან.

ს. კარპოვმა ი. ვორონოვის ნაშრომზე დაყრდნობით დიდ სამეცნირო ბრუნვაში შეიტანა ცნება იმისა, რომ დიოსკურია ანუ სებასტოპოლისი იყო ქ. სოხუმი. (**იური ვორონოვი - „დიოსკურიადა - სებასტოპოლისი - ცხუმი, მოსკოვი, 1980).** შესაბამისად ფაზისი მისთვის მდებარეობდა ფოთთან ახლოს, ასევე არიანეს

აღწერილი ათინა-ფაზისი, პიტიუნტი, ბიჭვინთა, ანაკოფია - ახალი ათონი. ის ეყრდნობა ასევე მაქსიმოვის შრომებს (ს. კარპოვი, ტრაპეზუნტის იმპერიის ისტორია, 2007, რუს. ენაზე).

ს. კარპოვის თვალსაზრისით „ლაზიკა იყო ბუფერული სახელმწიფო, ის სურსათით (მარილით, ღვინით და მარცვლეულით) მარაგდებოდა ტრაპეზუნტიდან. იუსტინიანემ ტრაპეზუნტიდან განახორციელა დასავლეთ კავკასიაში საზღვაო და სახმელეთო ოპერაციები, მისი ბრძანებით იქ მიწისპირთან გაასწორეს (დაანგრიეს) ძველრომაული სიმაგრეები, რადგანაც ფიქრობდა, რომ მათ სპარსელები ადვილად ჩაიგდებდნენ ხელში. თავდაცვის მთავარ კვანძებად იქცნენ ტრაპეზუნტი და ხელახლა აშენებული და გამაგრებული სებასტოპოლისი და პიტიუნტი. ს. კარპოვი ეყრდნობა პროკოფი კესარიელის „შენობათა შესახებ“. (გვ. 59).

სად მდებარეობდა პიტიუნტი და სებასტოპოლისი?

XXVIII (28-ე) ნოველაში ჩამოთვლილი პროვინცია ელენოპონტოს ქალაქები - ამასია, ებორა, ევხაიტა, ზელა, ლეონტოპოლი, სინოპი, ამისი, ხოლო**პოლემონიაკის პონტოს ქალაქებიდან დასახელებულია ნეოკესარია, კომანა, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, პოლემონია და ასევე ციხე-სიმაგრეები (და არა ქალაქები) - პიტიუნტი და სებასტოპოლი „ამ სასაზღვრო სიმაგრეების იქით იყო ლაზიკა“ (Далее этих рубежей находилась Лазика").** (გვ. 59).

აფხაზეთის სებასტოპოლისსა და ბიჭვინთას სპარსეთი ნაკლებად დაიპყრობდა, მაგრამ თუ ისინი ტრაპეზუნტის რეგიონში იყვნენ, მათი გამაგრებით ტრაპეზუნტთან ერთად შეიკვრებოდა ერთიანი თავდაცვითი სისტემა, მართლაც ამ სისტემამ კარგად იმუშავა და სპარსეთი დამარცხდა.

სებასტოპოლისისა და პიტიუნტის იქით იყო ლაზიკა „ამ სიმაგრეების იქით იყო ლაზიკა.“ - წერს ს. კარპოვი. მაშასადამე ჯერ იყო სებასტოპოლის-პიტიუნტი, შემდეგ კი, მათ იქით ლაზიკა მდებარეობდა.

სებასტოპოლისი და პიტიუნტი მდებარეობდნენ ლაზიკის დასავლეთ საზღვართან. ეს უნდა გავიგოთ ისე, რომ ისინი მდებარეობდნენ ტრაპეზუნტის მხარეს - როგორც პროკოფი წერს ფაზისის დასავლეთ სანაპიროს მხარეს „1 დღის გზის“ იქით, ანუ ჭოროხიდან დაშორებულნი იყვნენ დასავლეთისკენ 30-იოდე კმ-ით.

იუსტინიანეს მიერ პონტოს საზღვრებთან, კერძოდ ჭანეთში, არმენიასა და ლაზიკაში შენდებოდა ახალი სტრატეგიული გზები, იწმიდებოდა ტყეები, შენდებოდა ახალი ციხესიმაგრეები. აღსდგა ძველები. ძნელშესაღწევი ხევების (კლისურების) შესასვლებები კი იკეტებოდა.

იუსტინიანემ აღადგინა სატალა, დიდი ციხე-სიმაგრე მის კედლებთან 530 წელს სპარსელები დამარცხდნენ. მთავარი სტრატეგიული ტრასა გადიოდა ტრაპეზუნტიდან პაიპერტისაკენ (ბაიბერდისაკენ) - და თეოდოსიოპოლისაკენ. დამარცხების შემდეგ 557 წლისათვის ჭანებმა აღიარეს მათზე საიმპერიო ძალაუფლება, იქამდე ისინი თავს ესხმოდნენ ამ გზაზე ვაჭრებს და ძარცვავდნენ. თავს ესხმოდნენ არმენიას.

მდ. აკამფსისის ჩრდილოეთით საქართველოს ზღვისპირეთში იუსტინიანემ ააგო პეტრას ციხე-სიმაგრე, რომელიც აკონტროლებდა დასავლეთ ლაზიკასა და მის ვაჭრობას. პეტრას მიენიჭა ის სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც ადრე ტრაპეზუნტს გააჩნდა. მისი მდგომარეობა გაძნელებული იყო, ლაზური მოსახლეობის მტრობის გამო. სპარსეთის ალყის შემდეგ **პეტრა ჩაბარდა 541 წელს და დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მთავარი სამხედრო ფორფოსტად კვლავ**

ტრაპეზუნტი იქცა. სპარსელთა მცდელობა ჩაეტანათ პეტრაში ხომალდების სამშენებლო ხე-ტყე და გადაექციათ ის თავის სამხედრო პოსტად შეუძლებელი გახდა ხანძრის გამო. ბიზანტიელებმა ხანგრძლივი ალყის შემდეგაც 549 წელს ვერ შეძლეს პეტრას ხელში ჩაგდება, თუმცა ამ დროისათვის გაიზარდა ლაზთა სიმპატიები მათ მიმართ. ბიზანტიელთა ჯარში ამ დროს ჭანების რაზმიც შედიოდა. (გვ. 60).

მხოლოდ 551 წელს ბიზანტიელმა ბესამ აიღო პეტრა, პეტრა მათვე დაანგრიეს. 561 წელს „მუდმივ ზავამდე“ ირანი მუდამ ცდილობდა, რათა ბიზანტიელთა ჯარი დაბრუნებულიყო ტრაპეზუნტში, რომელიც მას ბიზანტიის ბუნებრივ საზღვრად მიაჩნდა (გვ. 60). ამის მიუხედავად 50 წლიანი ზავის დადების დროს ლაზიკა დარჩა ბიზანტიის გავლენის სფეროში.

VII ს-ის დასაწყისიდან ეთნონიმი ლაზი და ტოპონიმი ლაზიკა თითქმის აღარ გამოიყენებოდა დასავლეთ საქართველოს მიმართ, მაგრამ ლაზიკად და შემდეგ ლაზისტანად ისხენიება აღმოსავლეთ პონტოს რაიონი ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე. (გვ. 60).

იმპერატორ მავრიკეს (582-602) დროს ტრაპეზუნტი გახდა პროვინცია „დიდი არმენიის“ დედაქალაქი, მასში შევიდნენ ასევე ქალაქები - იუსტინიანეპოლი, კამახა, კოლონია, ნიკოპოლი, სატალა და კერასუნტი. (გვ. 61).

იმპერატორმა ჰერაკლემ (610-641) წლებში შეძლო 627/628 წლებში მცირე აზიიდან სპარსელების განდევნა. ორჯერ ეწვია ტრაპეზუნტს 622/3 და 626-628 წლებში.

ირანის დამარცხებით ჰერაკლემ დასავლეთისაკენ გზა გაუხსნა იმპერიის საშიშ მტრებს - არაბებს, მათ 737 წელს გადამწყვეტი ბრძოლა მოუგეს ბიზანტიელებს იარმუკთან.

640 წელს არაბებმა დვინი დაიპყრეს, 653 ან 654 წელს არაბებმა მცირე ხნით დაიპყრეს ტრაპეზუნტი. 711 წელს აიღეს კამახა, 712 წელს - ამასია და განგრა. აქ დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთს არაბები და ბიზანტიელები.

არაბები 784 წელს გაიჭრნენ ამისისაკენ, 860 წელს სინოპისკენ, ზღვისპირეთის ბიზანტია აკონტროლებდა. არაბები 863 წელს დამარცხდნენ მდ. გალისის ჩრდილოეთით ადგილზე, რომელსაც ერქვა - **ფოსონი** (პონტო-პაფლაგონიის საზღვარზე). ეს გამარჯვება აღმოჩნდა გარდამტეხი ბიზანტიელთა სასარგებლოდ. სიტყვა „ფოსონი“ ეტიმოლოგიურად ახალია სიტყვებთან „ფასისი“, „ფას“, „ფოსო“. (მდ. გალისთან ანტიკურ ხანაში მდებარეობდა თემისკირა და თერმოდონტი, შემდეგ იქ იყო ფასისის აკადემია, ეს მიწა-წყალი ძველად კოლხების საცხოვრისი – კოლხიდა იყო, არმენიის გვერდით).

VII ს. შუა წლებში დაარსდა „არმენიაკის“ თემი ანუ თემა. ეს თემა თავის მხრივ სამ „ტუმად“ (სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად) იყოფოდა. ხალდია არმენიაკის თემის ერთერთ ტუმაში შედიოდა. სამხრეთით არმენიაკის თემას მდ. გალისი საზღვრავდა (ნ. ადონცით ჩრდილოეთით მისი საზღვარი ფასისამდე (ე. ი. ჭოროხამდე) აღწევდა 824-863 წლებში არმენიაკის თემა დაიშალა და ხალდია ცალკე თემად გამოიყო. (გვ. 64).არმენიაკის თემას საზღვრები თითქმის ემთხვეოდა ყოფილ პოლემონის პონტოს საზღვრებს, მას ეკლესიურად ლაზიკის ეპარქია ერქვა და მოიცავდა ტერიტორიას ფატსა –პოლემონიონიდან რიზემდე.

ხალდიას დედაქალაქი იყო ტრაპეზუნტი, აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა „მცირე

არმენია“. ქალდეას თემაში შედიოდა თავდაცვითი რაიონები - კლისურები მდ. აკამფსისის (ჭოროხის) ველზე და მის შენაკად მურღულზე.

აჯანყებულ თომა სლავს (820-823) ეხმარებოდნენ სხვებთან ერთად „ივირები და ავაზგები“ - ლიტ. Каджан А. П. Деревня и города в Византии IX-X вв. Очерки по истории византиского феодализма М. 1960. (გვ. 65).

ქალდიას თემასთან იყო დაკავშირებული მცირე თემები დერკსინი და **ივირია,** მათი ადმინისტრაციის სათავეში იდგა სამოქალაქო მოსამართლეები, რომელნიც ხშირად ატარებდნენ ტიტულს - პატრიკოოსი, პროტოსპათარი, სპათაროკანდიდატი, ზოგიერთის სახელი ცნობილია მათი ბეჭდების მიხედვით. (გვ. 66).

ს. კარპოვის აზრით მდ. ფაზისი ერქვა მდ. რიონს, მაგრამ ეს ასე რომ არ იყო, ჩანს შემდეგიდან - იმპერატორ რომან I ლაკაპინის (920-944) დროს დაახლოებით 922 წელს ქალდეას თემა მოიცვა სეპარატიზმმა, მას ადგილობრივი მოსახლეობა უჭერდა მხარს. „აჯანყება ჩაახშო დომესტიკოსმა იოანე კურკუასამ ბიზანტიის გამოჩენილმა (წარმოშობით სომეხმა) მხედართმთავარმა, რომელმაც იქამდე აღადგინა ბიზანტიის საზღვრები მდ. ევფრატზე და ტიგროსზე, ხოლო კავკასიაში მდ. ფაზისზე (რიონზე)“ - წერს ს. კარპოვი. მაგრამ X ს-ში ბიზანტიის საზღვარი რიონზე გადიოდა? დაბეჯითებით უნდა ითქვას- არა. X ს.-ში საზღვარი ჭოროხზე გადიოდა, მას ერქვა იმჟამად ფაზისი. ბიზანტიის საზღვარი აქ X ს.-ში მხედართმთაარს იოანე კურკუასას აღუდგენია.

949 წელს ბიზანტიელებს დაემორჩილა თეოდოსიუპოლი. ცნობილი სომხები წინამძღვრობდნენ ბიზანტიურ ჯარებს ომის დროს არმენიის მიმართულებით, ისინი თანდათან ასიმილირდნენ ბიზანტიური ელიტის შემადგენლობაში, ამ ფაქტმა წარმოქმნა ბიზანტიის საზღვრებთან შესამჩნევი ფენა, რომელთაც „სომეხ-ქალკედონიტებს“ უწოდებენ. ასოდიკი - სომეხი ისტორიკოსი - აღწერს ივირიაში ბასილი II-ის ლაშქრობას (1000 - 1001 წლებში) ქალდეასა და ივირიაში XI ს. შუა წლებში ქალდიის თემში შედიოდა პაიპერტი, იქედან მარაგდებოდა ტრაპეზუნტი პროდუქტებით. (გვ. 67).

მაკედონელთა დინასტიის (867-1056) დროს გაიზარდა ტრაპეზუნტის საეკლესიო მნიშვნელობა, ბასილი I-ის (867-886) დროს ტრაპეზუნტის საეპისკოპოსო კათედრა ამაღლდა მიტროპოლიტის რანგამდე. ივირიაში ლაშქრობის დროს 1000 წელს ბასილი II იყო ტრაპეზუნტში. (გვ. 70).

Юзбашиан К. Н. Армианские государстСа эпохи Багратидов и Византия IX-XI вв. М. 1988.

ტრაპეზუნტის მფარველი იყო წმიდა ევგენი. მისი ბიოგრაფი იყო იოანე ქსიფილონი, შემდეგ პატრიარქი. მისი სიტყვით წმიდა ევგენის შემწეობით ბასილი II-მ დაამარცხა საქართველოს მეფე გიორგი I და მისი მოკავშირე სომეხი ბაგრატიდები და არწრუნები და იმპერიამ შეძლო ტაოს დაჭერა (გვ. 70). აგიოგრაფი წმიდა ევგენის შემწეობას თვლის მიზეზად იმისა, რომ ბარდა ფოკას აჯანყების დროს ტრაპეზუნტის ასაღებად მიმართული ქართველთა ჯარები მაგისტრ ჩორდვანელისა და ბაგრატის (პარაკრატის) მეთაურობით შეფერხდნენ და უკუიქცნენ 990 წელს. დავითმა ცნო იმპერატორის ძალაუფლება, დაუთმო მას მიწები და მიიღო კურაპალატის ტიტული.

1048-1054 წლებში სელჯუკები შეიჭრნენ თეოდიოსიოპულის რაიონში. იოანე ქსიფილონის სიტყვით კოლხიდა ტრაპეზუნტს ემორჩილებოდა. (გვ. 112). ე.ი. მისი „კოლხიდა“ არაა დასავლეთ საქართველო.

სიწმიდეები

წმ. გრიგოლი ნეოკესარიელი, სასწაულთმოქმედი III საუკუნისა იყო **პონტო პოლემონიაკის მიტროპოლიტი, რომლის საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა ტრაპეზუნტის საეპისკოპოსო.** (ის უნდა ეხილა თავის ჩვენებაში წმ. მეფე ვახტანგ გორგასალს ამ მხარეებში ლაშქრობისას. მიტრ. ან.). **ამ ეპარქიას ეკლესიურად, შემოკლების მიზნით- „ლაზიკის ეპარქიასაც“ უწოდებდნენ შემდეგში.**

რომაელმა მეფისნაცვალმა აგრიკოლამ სევასტიელი და ნიკოპოლელი (მცირე აზიის შიდა ოლქების) ქრისტიანები დახოცა. ლისიამ, მოაწყო ტრიბუნალი სატალაში, ქალდეას საზღვართან. **40 სებასტიელი მოწამე**, 45 ნიკოპოლელი მოწამე, წმ. ევსტრატი და მისი 4 თანამოღვაწე (წმ. აქვსენტი, ევგენი, მარდარი და ორესტი), წმ. ორენტი და მისი 6 ძმა, დახოცილები ლაზიის სხვადასხვა ქალაქებში და პიტიუნტში (!) - ქრისტინათა მასობრივი ანგარიშსწორების მსხვერპლნი იყვნენ (დაიწერა მათი ცხოვრების სხვადასხვა ვერსიები). (გვ. 214).

ქალაქ კომანაში ამასიის მეფისნაცვალმა აგრიპამ დასაჯა ქრისტიანი მოწამე - ვასილისკი. ის დაბადებულია სოფელ ხუმიალაში, ხოლო ამ წმინდანმა ამასიიდან კომანამდე გზაზე მდებარე სოფელ დაკოზარაში მოახდინა სასწაული რის მოწმე რომაელმა ჯარისკაცებმა ქრისტე აღიარეს. სოფელ კომანას უბან დიოსკორაში მას თავი მოკვეთეს - მითი ცხოვრების მიხედვით (გვ. 215).

ლიცინიუსს სურდა ამასიის ეპისკოპოს ვასილის (დაახლ. 309 წ.) წამება.

პირველმა ჩვენთვის ცნობილმა ტრაპეზუნტელმა ეპისკოპოსმა დომნამ მონაწილეობა მიიღო 325 წლის ნიკეის I მს. კრების მუშაობაში. (გვ. 215).

პონტოელი მღვდელმთავრები არაერთხელ აურჩევიათ კონსტანტინოპოლის პატრიარქად.

თავდაპირველად ტრაპეზუნტი იყო ნეოკესარიის სამიტროპოლიტოს ერთერთი საეპრისკოპოსო (პონტო პოლემონიაკის ეპარქია). (გვ. 216).

(Darrouzes J. Notatiae episcopatuum... P. 223, 237, 255).

ტრაპეზუნტის კათედრის სამიტროპოლიტო რანგში აყვანა მოხდა, როგორც ჩანს ორ ეტაპად -

(680/81 და 787 წლებში) ფაზისის მიტროპოლიტის ტიტული გადაეცა ტრაპეზუნტის მეუფეს და მღვდელმთავარმა ქრისტეფორემ ხელი მოაწერა VII მს. კრების (787) აქტებს, თავდაპირველად როგორც ფაზისისა და ტრაპეზუნტის ეპისკოპოსმა, ხოლო შემდეგ უბრალოდ როგორც ტრაპეზუნტელმა. (გვ. 216).

საკუთრივ ტრაპეზუნტის კათედრის აყვანა სამიტროპოლიტო რანგში, ჩანს მოხდა ბასილი I (867-886) მმართველობის დასაწყისში. პირველი ტრაპეზუნტელი ეპისკოპოსი მიტროპოლიტის ხარისხის იყო ათანასე (843-886). (გვ. 216).

ტრაპეზუნტელ მიტროპოლიტს ნოტაციებში (X ს. დასაწყისში) 33-ე ადგილი ეკავა (XIV ს.-მდე) და ერქვა „ლაზიკის ეპარქიის“ მიტროპოლიტი.

Положение Трапезунта как автокефальном митрополии было закреплено и современной нотиции епископий к началу X в. он занимает и до XIV в. удерживает 33-е месео в списке кафедр с иманованием епархии Лазика” (გვ. 216).

კერასუნტი, რომელიც ასევე ნეოკესარიის ეპარქიაში შედიოდა XI ს. ბოლოდან

სამიტროპოლიტო გახდა. ამასიის სამიტროპოლიტოსაც (ელენოპონტოს ეპარქიაში) საპატიო ადგილი ეჭირა კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო ცხრილში. (გვ. 210).

ტრაპეზუნტის მიტროპოლიტმა წმ. ვასილიმ 913-914 წლებში აღადგინა საკათედრო ტაძარი, მაგრამ ტრაპეზუნტის მიტროპოლიტის მიერ არქიეპისკოპოსის ტიტულის გამოენებამ გამოიწვია პატრიარქ ნიკოლოზ I მისტიკოსის (901-907, 912-925) პროტესტი. მან მოითხოვა რათა ქალდიის საპატრიარქო ეგზარქოსს გაეგზავნა კონსტანტინოპოლში პრელატი ახსნა-განმარტების მისაცემად. ქალდიის მიტროპოლიტი ასევე განისაჯა პატრიარქის მიერ მონასტრიდან ერთერთი ბერის, ალბათ მისი ყოფილი მოძღვრის გაძევებისათვის.

(ე. ი. ტრაპეზუნტის მიტროპოლიტი იგივეა რაც ქალდიის მიტროპოლიტი, ამავე დროს ის არის „ლაზიკის ეპარქიის“ მიტროპოლიტი, ანუ ლაზიკა და ქალდეა სინონიმებია).

Трапезунт – автокефальная митрополиа "К началу X в. он занимает и до XIV в. удерживает 33-е место в списке кафедр с именованием **епархий Лазика**" (Darrouzes, Notatie episcopatuum... P.272).

ლაზიკის ეპარქიას კათედრათა სიებში X-XIV სს-ში ეჭირა 33-ე ადგილი. ტრაპეზუნტის ავტოკეფალურ მიტროპოლიას ამ სიებში ეწოდება **ლაზიკის ეპარქია (ანდა ეპარქია ლაზიკაში).** (გვ. 216).

913-914 წლებში ტრაპეზუნტის მიტროპოლიტმა წმ. ვასილიმ აღადგინა ღვთისმშობლის საკათედრო ეკლესია ტრაპეზუნტში. მან თავის თავს მიანიჭა უფლება ეტარებინა ტიტული არქიეპისკოპოსისა, რამაც აღაშფოთა პატრიარქი ნიკოლოზ I მისტიკოსი (901-907, 912-925).

კერასუნტის წმ. ეპიფანეს მონასტერი დროებით გადაეცა **ალანიის** მიტროპოლიტს სახარჯოდ, რასაც პროტესტი მოჰყვა მონასტრის მხრიდან, მალე კერასუნტის კათედრაზე გადმოიყვანეს თურქების მიერ დაპყრობილი ანკირის მიტროპოლიტი. ბიზანტიურ სამყაროში განსაკუთრებით იყვნენ სახელგანთქმულნი ტრაპეზუნტის სამი მონასტერი - ვაზელონი, სუმელა და წმ. გიორგის პერისტერეოტა. **ვაზელონის მონსტერი - მაჭუკაში დაუარსებიათ 270 წელს. მან თავისი სახელი მიიღო ზაბულონის მთისაგან**, რომელზეც ის იდგა (ზაბულონი ერქვა წმ. ნინოს მამას, მიტრ. ანანია).

სუმელა - დაარსდა XII ს-ში, ათონელი ბერების მიერ, რომელთაც აქ მიუტანიათ ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც გადმოცემებით ლუკა მახარებელს დაუხატავს. სუმელას მონასტერს უხვად ასაჩუქრებდნენ ტრაპეზუნტის იმპერატორები. (გვ. 218).

ასევე ცნობილი იყო წმ. ევგენის მონასტერი, რომელიც აყვავდა IX-XII სს-ში და გააჩნდა დიდი მიწის ფართობები ტრაპეზუნტში, ქალდეასა და პაიპერტშიც.

ტრაპეზუნტი თავის საეკლესიო გავლენის გავრცელებას ცდილობდა **ალანიაში, რომლის მიტროპოლიტსაც კათედრა ტრაპეზუნტში ჰქონდა**. თავის გავლენას ტრაპეზუნტი ყირიმზეც ავრცელებდა. როგორც ჩანს, მას სურდა თავისი გავლენის გავრცელება იბერიაში ჯერ კიდევ **X ს. დასაწყისში მაგალითად 923 წელს ტრაპეზუნტში მიუღიათ გადაწყვეტილება რათა იშხნის ეპისკოპოსისათვის ხელი ტრაპეზუნტში დაესხათ** (გვ. 219).

გვ. 220. **„ალანიის მიტროპოლიტს გააჩნდა საკუთრება ტრაპეზუნტში, ათინასა და ლაზიკაში“**.

ალანიის კათედრის მეშვეობით ტრაპეზუნტის იმპერია თავის გავლენას ავრცელებდა დასავლეთ კავკასიაში, ტანაში, ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე. აზოვისპირეთზე და ამ ტერიტორიებზე საეკლესიო მმართველობაზე, ამიტომაც ტრაპეზუნტელი მეფეები ცდილობნენ ეკონტროლებინათ ალანიის მიტროპოლიტთა არჩევა. 1400 წელს ტრაპეზუნტის იმპერატორმა მიაღწია პატრიარქის თანხმობას აერჩიათ ალანიის მღვდელმთავარი არა კონსტანტინოპოლში, არამედ მის დროებით რეზიდენცია - ტრაპეზუნტში.

„ათონის წმ. მთაზე მიმავალი ქართველ მღვდელთა გზა გადიოდა ტრაპეზუნტზე. ათონის მთაზე მიმავალი ქართველი მორჩილი საბეროები XV ს. ჩათვლით იღზრდებოდნენ, სწავლობდნენ და ემზადებოდნენ ტრაპეზუნტში. იდეური და გეოგრაფიული თვალსაზრისით გზა საქართველოდან ათონისაკენ ზოგჯერ პონტოს სანაპიროზე იდო“. (გვ. 212).

„ტრაპეზუნტის იმპერიას სამხერითან ესაზღვრებოდა თემა **„დიდი ლაზია“** (გვ. 159).

თვითონ ტრაპეზუნტის იმპერიის მიწა-წყალი წინათ განლაგებული იყო ქალდეას თემში. ტრაპეზუნტის იმპერია არის მემკვიდრე ქალდიის თემისა ის შეენაცვლა“ ქალდეას თემს. (გვ. 159).

„წყაროები არც თუ იშვიათად იხსენიებენ ქალდებს (ხალდებს), XII ს-მდე პონტო შედიოდა ბიზანტიურ თემა ქალდეაში. **ქალდების ქვეშ, გულისხმობდნენ ამ ოლქის ელინიზებულ მოსახლეობას. ისინი ითვლებოდნენ უხეშ, საქმეში უვარგის, ქალთა მოყვარულ, მაგრამ გულად მეომრებად**. (გვ. 112).

„ქართველები (რომელთაც ხანდახან კოლხებს უწოდებდნენ) ცხოვრობდნენ არა მხოლოდ პონტოს საზღვრებთან, არამედ ქალაქებშიც, ტრაპეზუნტის ჩათვით“. (Картвели именуемые инагда Колхами)... (გვ. 112).

ს. კარპოვი არ ეთანხმება სხვადასხვა ავტორს, რომელნიც წერენ რომ „ტრაპეზუნტი კოლხიდაში“ მდებარეობდა, მას მიაჩნია ეს მოსახრება არქაიზმად. თავის არგუმენტად მოჰყავს ბერძნული ტექსტები, მაგალითად იოანე ქსიფილონი თვლიდა, რომ კოლხიდა-ტრაპეზუნტის მიწას ესაზღვრებოდა. კოლხიდა პონტოს მეზობლად მდებარეობდა. **ლაზებს ხალხი, რომელთა ენა ქართველურ ჯგუფებს განეკუთვნებოდა, პონტოს მოსახლეობაში რაოდენობრივად მეორე ადგილი ეჭირათ. პონტოს აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარეები უფრო მჭოდროდ იყვნენ დასახლებული ლაზებით, კერძოდ სურმენა, რიზე, ლაზიკა, ხერ**იანა (Шукуров Р. М. Великие Компоны... с. 53.). (გვ. 113).

შუასაუკუნეებში ჭანები და ლაზები ერთმანეთს შეერივნენ (ჭანები ქალდიის მაჭუკაში ცხოვრობდნენ). (გვ. 114).

Жордания Э. Г. Этнический состав населения понта в XIII-XV вв. ч. 1. Лази, част II, чани. Bizantinoslavica, 1999, T. LX/1. P. 71-86.

ლაზაროპულოს ცნობით ბარდა ფოკას აჯანყების მხარდასაჭერად ტაოს „მმართველმა“ (მეფე) **დავითმა თავისი ორი სარდალი ბაგრატი და ჩორდვანელი გაგზავნა ტრაპეზუნტის ასაღებად**. ისინი პერსარმენიიდან პაიპერტის გავლით გაემართნენ ტრაპეზუნტისაკენ. თავდაპირველად ბასილი II-ის სარდალი გრიგორი ტარონიტი დამარცხდა, მაგრამ, შემდეგ როცა **ქართულმა ჯარმა** გაიგო ფოკას დაღუპვის ცნობა, უკან შემობრუნდა. ტრაპეზუნტის სასწაულებრივი გადარჩენა აგიოგრაფმა ახსნა წმ. ევგენის (ტრაპეზუნტის მფლობელის) მფარველ-

ობით. შემდეგ ჩორდვანელის ჯარი დამარცხდა 990 წლის თებერვალ-მარტში დერჯანში. დავითმა აღიარა იმპერატორის ძალაუფლება და უანდერძა თავისი მიწები (მიიღო კურაპალატის ტიტული). (გვ. 71).

ბასილი I-ის (867-886) დროს ტრაპეზუნტის საეპისკოპოსი ამაღლდა სამიტროპოლიტო კათედრის პატივამდე. (გვ. 70).

949 წელს ბიზანტიელებმა აიღეს თეოდოსიოპოლი (Арютинова-фиданян В.А. Армяне – халкидонити на восточних границах Византиской империи, Ереван, 1980).

Арютинова-фиданян Армяно-Византиская контактная зона (X-XI вв.) Результати взаимодеиствия культур, М. 1994. (გვ. 67).

ტრაპეზუნტის იმპერატორებს თავიანთ ტიტულატურაში ასევე „ივერიის მეფეები“ ეწოდებოდათ (1282 წლიდან). ეს გულისხმობდა იმას, რომ ლაზიკისა და ტაოს ერთი ნაწილი შედიოდა ტრაპეზუნტის იმპერიაში, ასევე მას ერთგვარი სიუზერენიტეტი ჰქონდა გურიაზეც (გვ. 407).

ტრაპეზუნტის ეპისკოპოსები და მიტროპოლიტები (IX-XI) (გვ. 502).

ეპისკოპოსები

325 წ. - დომნე

451 წ. - ატარვი

518 წ. - ანტიპატრე

518-535 - ანთიმოზი

542 - ურანი

681 - თეოდორე

მიტროპოლიტები

787 - ქრისტეფორე, მიტრ. ფასიდისა და ტრაპეზუნტისა уп. 787 - Христофор, митроп. Фасиды и Трапезунда.

787-815 წწ. შუა - ნიკიფორე

843-886 - წმ. ათანასე

IX ს. დასაწყისი - იოანე

IX-X - თეოდორე

X ს. დასაწყისი - წმ. ვასილი

X-XI - თეოდოსი

X-XI - გრიგოლი

1027-1028 - კონსტანტინე

XI შუა - იოანე

1054 - ლევი

ბიზანტიელთა დენაციონალიზაცია

თურქებმა 1453 წელს აიღეს კონსტანტინოპოლი, 1461 წელს ტრაპეზუნტი, ეს ითვლება ერთგვარ „მოსამზადებელ საფეხურად ბერძნული საზოგადოების გათურქებისა, თურქული ენა, ყოფა-ცხოვრების წესები, თურქული სამყაროს მრავალრიცხოვანი რეალიები XV ს. შუა წლებისათვის კარგადაა ცნობილი, ბუნებრივი და შეიძლება მახლობელიც კი იყო ბიზანტიელთათვის. თურქული რეალიების ასეთ „მშვიდობიან შეჭრას“ ბერძნულ-მმართლმადიდებლურ სამყაროში სახელმწიფოს პოლიტიკურ მარცხშიც თავისი წვლილი ედო. (გვ. 359). გათურქება ზოგჯერ წინ უსწრებდა პოლიტიკურ დამარცხებას. ერთერთი მიზეზი, რომელმაც განაპირობა ბიზანტიური სახელმწიფოებრიობის დამარცხება იყო არა ტერიტორიებზე თურქების

პოლიტიკური ბატონობა, არამედ იქამდე მოსახლეობის გათურქება.

ამრიგად, ლატენტურ გათურქებაში იგულისხმება ბიზანტიურ გარემოში თურქული ეთნიკური ელემენტის შეჭრა, ასევე მასთან დაკავშირებული ბიზანტიური შემეცნების ტრანსფორმაცია რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ბიზანტიელები თანდათან „ითვისებდნენ“ თურქული სამყაროს რეალიებს. მრავალრიცხვიანი ლექსიკური ნასესხობა, ასევე მასთან დაკავშირებული ახალი ,,ბარბაროსული“ რეალიები (ბიზანტიურ ცხოვრებაში) იყვნენ მაშტაბური კულტურული ტრანსფორმაციის პროდუქტები, რომელიც პირდაპირ ეხმიანებოდა გვიანბიზანტიური შემეცნების თვითიდენტიკიფკაციის ბაზურ მახასიათებლებს“ (გვ. 459).

კარპოვის წიგნის დასასრული

ეპისკოპოსთა ბეჭდები - (Catalogue of Bizantine seals at dumbarton oaks and in the fogg Museum od art, volome 4, The East, edited by E. Geer, and N. Oikon-omides, Wachington, D.C.)

ბიზანტიელ ეპისკოპოსებს (და ასევე სხვა ზოგიერთ მაღალი რანგის მოხელეს) ჰქონდათ თავიანთი საბეჭდავები(სატვიფრავები) ანუ ბეჭდები, რომლითაც ისინი ბეჭდავდნენ საქმიან ქაღალდებს. ჩანს, ზოგჯერ ლითონზეც გადაჰქონდათ და გარკვეული მონეტის სახეს აძლევდნენ. მოღწეულია ასეთი ბეჭდების უამრავი რაოდენობა. ისინი გამოცემულია მრავალჯერ. ერთერთი ბოლო გამოცემაა- Catalogue of Bizantine seals at dumbarton oaks and in the fogg Museum od art, volome 4, The East, edited by E. Geer, and N. Oikon-omides, Wachington, D.C.

აღსანიშნავია, რომ ამ ბეჭედ-მონეტთა შორის აღმოჩნდა როდოპოლისის ეპისკოპოსის ბეჭედი - (მონეტის სახის მქონე ე. ი. ლითონზე გამოსახული ბეჭედი) X-XII საუკუნისა.

მიიჩნევა, რომ როდოპოლისი იყო ვარციხე. ამ ბეჭდის მიხედვით, ვარციხის ეპისკოპოსს X-XI სს-ში გამოუშვია თავისი გამოსახულების მქონე მონეტა. რაც საქართველოს ვითარებაში, მით უმეტეს X-XI სს-ში შეუძლებელია, რადგან ასეთი ბეჭდიანი მონეტები აფხაზთა მეფეებს და კათალიკოსებსაც კი არ ჰქონდათ და როგორ შეეძლო ჰქონოდა ის ვარციხის ეპისკოპოსს, მით უფრო XI ს-ში, როცა გაერთიანებული საქართველოს მეფეები ებრძოდნენ ამაღლებულ დიდებულებს?

მიუხედავად ასეთი ფაქტობრივი მდგომარეობისა, უცხოელ მეცნიერთა შორის საბჭოური ისტორიოგრაფიის კვლევების შესაბამისად დაინერგა თვალსაზრისი, რომ თითქოსდა ვარციხე იყო ქ. როდოპოლისი, რომელსაც თავისი ეპისკოპოსი ჰყავდა, ისეთი გავლენის მქონე, რომ ის X-XI საუკუნეებში ბერძნულწარწერიან ბეჭედ-მონეტებს უშვებდა. ეს რეალობის სრული იგნორირებაა, მაგრამ, როგორც ითქვა, ასეთი თვალსაზრისი დაბეჯითებულ მტკიცებად ითვლება. მაგალითად, ზემოაღნიშნული წიგნის - Catalogue of Bizantine seals at dumbarton oaks and in the fogg Museum od art, volome 4, The East, edited by E. Geer, and N. Oikon-omides, Wachington, D.C. ავტორს მიაჩნია, რომ როდოპოლისი - ვარციხეში მდებარეობდა და როდოპოლისის ეპისკოპოსის სახელით გამოცემული მონეტაც შესაბამისად აქვს განმარტებული, ამ თვალსაზრისს მკითხველი ქვემოთ გაეცნობა. მას განხილული აქვს უამრავი ბეჭედი-მონეტა გამოშვებული ბიზანტიელი ეპისკოპოსებისა (და სხვა მოხელეების) სახელით. მათგან ჩვენ გვაინტერესებდა ლაზიკის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოთა ბეჭედ-მონეტები. ავტორისეულ განმარტებებს ამ ქალაქებისა ვთავაზობთ მკითხველს.

ბიზანტიელ ეპისკოპოსთა ბეჭედ – მონეტები წიგნში- Catalogue of Bizantine seals at dumbarton oaks and in the fogg Museum od art, volome 4, The East, edited by E. Geer, and N. Oikon-omides, Wachington, D.C.

27. ქ. იბორა (თანამედროვე Ioeronu) - იყო ეპარქია ამასიის საეპისკოპოსოში (ამასია ბუნებრივი ციხე-სიმაგრე და გამაგრებული ბანაკი მდ. ყიზილ-ირმაკზე (ძველად მდ. ირისი) მთებში. ის აკონტროლებდა მდინარეზე მოძრაობს). იბორას ეპარქია IV ს-დან არსებობდა XIII ს. ბოლომდე. მას ერქვა ასევე „იბორონი“.

29. ნეოკესარიის (თანამედროვე ნიკსარი) ეპარქია დაარსდა II ს-ში. ჰყავდა ოთხი საეპისკოპოსი VII ს-ში, ხოლო 10 ჰყავდა XI ს-ში. დაიპყრეს სელჯუკებმა XII ს-ში.

30. პოლემონიონი - ქ. ფადისან/ფაცა-სთან. მან მისცა დასახელება მდ. ბოლომანს. კორდუსთან ახლოა, მის დასავლეთით იყო ნეოკესარიის ეპარქია VII ს-დან XIII-მდე.

32. ქალდეა - თავდაპირველად იყო არმენიაკონის ტურმა [(ბიზანტიის ადმინისტრაციული მცირე ერთეულები იყვნენ - ტურმა, კლეისურა და თემი (ფემა)]. VIII ს. ბოლოსა და IX ს. დასაწყისში მოიხსენება როგორც დუკატონი, ფიქრობენ რომ არმენიის დუკას გამგებლობაში შედიოდა. ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულ „თემად“ (ფემად) იწოდა IX ს-ში, 824-840 წლებში. ქალდეას თემში შედიოდა ტრაპეზუნტი (ის იყო ქალდეას თემის ადმინისტრაციული ცენტრი) და ასევე შავიზღვისპირეთის სანაპიროს ვრცელი რეგიონი. X ს-ში ქალდეას სტრატეგს დიდი შემოსავალი ჰქონდა, რადგანაც ტრაპეზუნტზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო მარშრუტები.

33. ბათია, მართალია არ იხსენიება Notatiae episcopatuum-ში, მაგრამ ასეთივე სახელწოდება აქვს თანამედროვე ბათუმს, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობა.

34. კერასუსი (თანამედროვე გირესუნი, პორტი შავ ზღვაზე) - იყო ეკონომიკური ცენტრი. მასზე გადიოდა ქ. კოლონიასაკენ მიმავალი გზა. V ს-დან იყო ნეოკესარიის სამიტროპოლიტოს ეპარქია. X ს-დან ცალკე სამიტროპოლიტო გახდა.

35. ლაზიკა. აღმოჩენილია ბიზანტიური მონეტა, რომელზეც ბერძნული წარწერაა - „...და იოანე კანდიდატოსი, მთავარი Kommerkiarioi of the apoteke of Lazike (716 წ.) (მაშასადამე, დოკუმენტურად, მონეტის წარწერითაა დადასტურებული, რომ 716 წელს ლაზიკა ერქვა ტრაპეზუნტის მიმდებარე რეგიონს) მონეტაზე გამოსახული იმპერატორი ჩანს ლევ III. მონეტას ათარიღებენ 686 წლით, ასევე 701 და 717 წლებითაც.

36. პაიპერტი (თანამედროვე ბაიბურთი მდ. ჭოროხზე). X ს. იხსენიება, როგორც ეპარქია ტრაპეზუნტის მიტროპოლიისა. ბოლოს XIII ს. მოიხსენიება.

37. რიზე თავიდან იყო ნეოკესარიის ეპარქია. VIII ს. დასაწყისში ის იქცა საარქიეპისკოპოსო თავისუფალ ეპარქიად, შემდეგ კვლავ ნეოკესარიის ეპარქიად გადაიქცა 980 წლამდე. შემდეგ მან კვლავ მიიღო საარქიეპისკოპოსო ეპარქიის რანგი, შემდეგ კი გახდა სამიტროპოლიტო.

[(მე ვსვამ კითხვას, თუ კი VIII საუკუნეში რიზე საარქიეპისკოპოსო ცენტრი იყო, სწორედ მას უნდა განეცხადებინა ფოთის (თითქოსდა ფაზისის) ეპისკოპოსად თავისი თავი და არა ტრაპეზუნტის ეპისკოპოსს, ტრაპეზუნტსა და ფოთს შუა ხომ რიზე იყო?)]

38. „როდოპოლისი (თანამედროვე ვარციხე, ვახდისციხე) იყო ფაზისის მიტროპოლი-

ის (ლაზიკაში) ეპარქია. ის ქრება კონსტანტინოპოლის Notatiae episkopatuum VIII ს-ის შემდეგ, დაახლოებით იმ დროიდან რაც ფაზისის მიტროპოლია (Darruzes, Notatiae, No, 4,1,435). მონეტის ეგზემპლიარი, რომელიც ქვემოთაა აღწერილი, არ შეიძლება მიეკუთვნოს როდოპოლისს, როგორც სამართლიანად შენიშნა Laurent-მა. ამ მონეტის არსებობა შეიძლება ადასტურებდეს ამ ეპარქიის ხანმოკლე აღორძინებას".

38.1. მონეტაზე არის წარწერა - „იოანე, როდოპოლისის ეპისკოპოსი". მისი დიამეტრია 12 მმ, წონა 3,85 გრ. მონეტის წინა მხარეს გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით, უკანა მხარეს - აღნიშნული წარწერა 4 სტრიქონზე. ეს მონეტა ერთადერთი ეპისკოპოსია როდოპოლისისა, გამოქვეყნებული Fedalto-ში".

[(ვფიქრობ, რომ ეს მონეტა საუკეთესო დასტურია იმისა, რომ როდოპოლისი არა ვარციხეში, არამედ მისგან შორს - ქალდეას მთიანეთ'ში ზიგანა-არგიოპოლისის რეგიონში მდებარეობდა. საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიის მტკიცება, რომ როდოპოლისი ვარციხეა - უკრიტიკოდ იქნა გაზიარებული გამოჩენილ უცხოელ მკვლევართა მიერ. მაგალითად მათ ხელში უჭირავთ ტრაპეზუნტ-ქალდეას რეგიონიდან მიღებული მონეტა წარწერით - „იოანე, როდოპოლისი ეპისკოპოსი", რომელსაც თვითონვე XI საუკუნით ათარიღებენ, და მაინც წერენ - „ეს ეგზემპლიარი არ შეიძლება მიეკუთვნოს როდოპოლისს", რატომ, მონეტაზე ხომ გარკვევით აწერია - „როდოპოლისი", ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელია, ამიტომაც იქვე წერენ - „ამ მონეტის არსებობა შეიძლება ადასტურებდეს ამ ეპარქიის ხანმოკლე აღორძინებას", როგორ, ვარციხე - XI საუკუნეში ქუთაისის - საქართველოს დედაქალაქის გვერდით XI საუკუნეში ბერძნულ წარწერიან მონეტას უშვებდა? და თანაც ვისი, არა მეფის სახელით, არამედ ადგილორივი ეპისკოპოს იოანეს სახელით?! ეს საქართველოსათვის წარმოუდგენელია, მაგრამ ბუნებრივი იყო ქალდეა-ტრაპეზუნტის რეგიონში. სადაც მუდამ იყო კიდეც როდოპოლისის კათედრა, ეს მონეტა ამის შესანიშნავი დადასტურებაა. რაც შეეხება ვარციხეს, აქ არავითარი არქეოლოგიური მსგავსი ნივთი არ აღმოჩენილა, მიუხედავად ხანგრძლივი დაბეჯითებული ძიებისა და არც აღმოჩნდება! რადგანაც ვარციხე არასოდეს ყოფილა ბერძნული საეპისკოპოსო ცენტრი)].

39. ტრაპეზუნტი, (თანამედროვე ტრაბზონი) მნიშვნელოვანი ქალაქი და ბაზარია, რომელიც იმ წერტილში მდებარეობს, სადაც მთავრდებოდა გზა ცენტრალური აზიიდან, თავიდან ის იყო ნეოკესარიის ეპარქია, მაგრამ მოგვიანებით საარქიეპისკოპოსო ეპარქია გახდა, შემდეგ ლაზიკის სამიტროპოლიტოდ 7 ეპარქიით.

40. ხარსიანა (ხარსიანონი) მდებარეობდა ამავე სახელის მქონე ცნობილი ციხესიმაგრის გვერდით. შედიოდა არმენიაში, თავდაპირველად როგორც „ტურმა", შემდეგ აღამაღლეს „კლეისურის" რანგამდე (Kleisura) IX ს. დასაწყისში და შემდეგ 863-873 წლებში გახდა თემი (ფემა), მდებარეობდა კესარის ჩრდილოეთით.

47. თიანა (თანამედროვე ფემერხისარი), იყო IV ს-დან კაპადოკიის სამიტროპოლიტო ვიდრე XIV ს-მდე, მას ასევე უწოდებდნენ „ქრისტოპოლისს" (Darruzes, Notatiae, N4, 1, 19; 15, 1, 14). Список митрополитов опубликован в Fedelto, HEOI, 30-31).

48. კოლონეა

თავიდან კოლონეა იყო არმენია II-ში ნიკოპოლისის ეპარქია, მაგრამ გახდა საარქიეპისკოპოსო ავტოკეფალური ეპარქია IX ს-ში. ხოლო 968 წლიდან კოლონეა გახდა სამიტროპოლიტო საყდრის (კათედრის) ადგილად. მოღწეულიად მისი ფისკალური მოხელეების (მაგალითად პროტონოტარიუსის) საბეჭდვები (დოკუ-

მენტების გამტკიცებელი ბეჭდები).

49. სევასტია (თანამედროვე სივარი) იყო კლეისურა 908 წლამდე და 911 წლისათვის გახდა თემი (ფემა).

50. ბერისი (თანამედროვე ბოლუ), მდებარეობდა ტოკატთან ახლოს (25 კმ-ზე), იყო არმენიის პროვინციის ეპარქია, ეკლესიურად ექვემდებარებოდა სევასტიას. ის იხსენიება Notatia episcoporatuum-ში მთელი XII ს-ში, მაგრამ მისი ეპისკოპოსები მოიხსენიება მხოლოდ V-VII საუკუნეებში. მოღწეული ეგზემპლარი, რომელსაც აქვს ასეთი წარწერა - „ელიასი - ეპისკოპოსი ბერიასისა“ (XI ს.). მისი დიამეტრია 23 მმ, წონა - 9,92 გრამი, მაშასადამე ისაა მონეტა (?)

51. სებასტოპოლისი (თანამედროვე სუმუსარაი), მდებარეობს სივასის ჩრდილოდასავლეთით, ითვლებოდა სევასტიის ეპარქიად VII ს-დან XII-ს ჩათვლით. მოღწეულია მისი ერთერთი ეპისკოპოსის მანუილის ბეჭედი-მონეტა წარწერით - „მანუილი - ეპისკოპოსი სებასტოპოლისისა“ (XII ს.).

57. არწე (არცე)

არწე მდებარეობს თეოდოსიოპოლისის (თანამედროვე არზრუმის) ჩრდილოდასავლეთით 15 კმ-ში. არცე ითვლებოდა სტრატიგის რეზიდენციად (მისი ბეჭედი ინახება ამერიკის ნუმიზმატიკურ საზოგადოებაში). ეს მოხელე (სტრატიგი) XI ს-ის მანძილზე ექვემდებარებოდა ივერიის კატეპანს. არწე 979 წელს გადასცეს ივერიის მეფე დავითს, და ის (არწე) დაიბრუნა ბიზანტიამ 1000 წელს და გადაიქცა სავაჭრო ცენტრად. 1049 წელს დაანგრიეს თურქებმა.

მოღწეულია ბეჭედი (მონეტა) წარწერით - კონსტანტინე ხარტულარი (chartoularios) არწეს საიმპერიო კურატორი (X-XI).

65. კამახა (კამახოსი) თანამედროვე კემახი. მდებარეობს ერზინკანის სამხრეთდასავლეთით, მდ. ევფრატის სამხრეთ ნაპირზე, მესოპოტამიის თემის (ფემის) ჩამოყალიბების შემდეგ კამახა 911 წლიდან გახდა სამიტროპოლიტო.

66. კელცენე

კელცენე (თანამედროვე ერზინკანი) იყო ტურმა მესოპოტამიის თემში და ეჭირა ტერიტორია ევფრატის ჩრდილოეთით დერჯანამდე (აღმოსავლეთის მხრიდან). როგორც საეკლესიო პროვინცია, კელცენე თავიდან ითვლებოდა კამხას ეპარქიად, მაგრამ შემდეგ ის ფიგურირებს, როგორც მიტროპოლია. მას ჰქონდა 8 ეპარქია, სამიტროპოლიტო რანგი შეინარჩუნა X ს. ბოლოდან სელჩუკების შემოსევამდე. მოღწეული ბეჭედი (მონეტა) წარწერით „ბასილი - კელცენეს მიტროპოლიტი“ (XI ს.).

67. მანძიკერტი (თანამედროვე მალაზგირტი), მდებარეობს ვანის ტბის ჩრდილოეთით, სხვა ადგილთა შორის ის 1000 წელს ქართველთა მეფის დავითის გარდაცვალების შემდეგ გადაეცა ბასილი II-ს. ის იქცა სტრატიგის რეზიდენციად. მოღწეულია ბეჭედი (მონეტა) წარწერით - „ნიკიფორე... პროტოსპათარი მანძიკერტის სტრატიგისა (XI ს.).

72. თეოდოსიოპოლისი - თანამედროვე ერზრუმი, X ს-მდე ითვლებოდა კესარიაკაპადოკიის ეპარქიად, მაგრამ ჩანს, ამაღლდა მიტროპოლიის რანგამდე, როცა ქალაქი იქცა სტრატიგის რეზიდენციად XI ს-ში. მოღწეულია მონეტა წარწერით - „თეოდოსი, პროედროსი (=მიტროპოლიტი) თეოდოსიოპოლისისა (XI ს.).

75. იბერია

1000 წელს, ქართველთა მეფე დავითის გარდაცვალების შემდეგ, ივერიის (ტაოს) მიწები გადავიდა ბიზანტიის ხელში, რის შემდეგაც იქ დამყარდა საიმპერიო

მმართველობა, მაგრამ ივერიის თემის (ფემას) დაარსებამდე კიდევ ორი ათეული წელი გავიდა. ივერიის თემს მართავდა კატეპანი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა თეოდოსიოპოლისში (სხვადასხვა ავტორები ასახელებენ სხვადასხვა თარიღს - ივერიის თემი ვ. არუთინოვა-ფადანიანის თანახმად დაარსდა 1001 წელს, ხოლო ადონცის თანახმად 1023 წელს). ივერიის თემს დაუნიშნეს სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები, რომელთაც ჰყავდათ კურატორთა დიდი რიცხვი, ისინი მეთვალყურეობდნენ იმ მიწებს, რომელთაც ამუშავებდნენ კონკრეტულად სამეფო კარის საჭიროებისათვის. 1045 წელს სომხეთის დედაქალაქი ანისი დაიჭირა ბიზანტიამ და ადმინისტრაციულად ივერიის თემთან გააერთიანა.

ამის შემდეგ კონსტანტინე IX მონომახმა დაიწყო ივერიის არმიის რეორგანიზაციის პროცესი, რომელსაც უწოდებენ „არმიის გახრწნას“, კერძოდ ამის შემდეგ ივერიელი ჯარისკაცები ვალდებულნი იყვნენ ეყიდათ თავიანთი სამხედრო სამსახურის ადგილი (ე. ი. ფულით ეყიდათ ჯარისკაცობის უფლება (ფისკალური სტრატეგია). ამან დაასუსტა შეიარაღებული ძალები, მაგრამ, სამაგიეროდ იმპერატორს მისცა ძალზე დიდი მოგება.

1064 წლის შემდეგ, რაც იმპერიას შეუერთდა ყარსი, ყალიბდება ახალი გაერთიანება ყარსისა და იბერიის თემებისა (მას მართავდა კატეპანი ვასილაკე ფლორი, ასევე ყარსის კატეპანი მაგისტრი თეოდორე. კატეპანების რიცხვს შეიძლება დაემატოს ივერიის დუკა თეოდორე (მოღწეულია მისი ბეჭედი) და ბარდასი პატრიკიოსი („პატრიარქი“) და კატეპანი ივერიისა, მისი ბეჭედი გამოქვეყნებულია.

ბატონმა დემეტრიუს კიმინასმა 2009 წელს გამოსცა წიგნი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შესახებ, სადაც შეეხო პონტოკოლხიდის ძველ საპატრიარქოებს, ჩვენ მოვიყვანთ თარგმანს მისი წიგნის ერთი ნაწილისა.

“The Ecumenikal Patiarchate, bi Demetrius Kiminas, 2009, გვ. 105-110.

სექცია E

სამიტროპოლიტოები ცენტრალურ საშუალო აზიაში

ამასიის (Amasia) სამიტროპოლიტო

ამასიის მიტროპოლიტი, ყველაზე პატივცემული და პონტოს ყველა საეგზარხოსოს ეგზარხოსი

ქალაქი ამასია (Amasia), რომელიც განლაგებულია ქ. ანკარის ჩრდილოეთით 334 კმ, დაარსდა ქრისტეს შობამდე 300 წელს, პონტოს მეფე მითრიდატეს მიერ, იქ არსებული დასახლების ნაცვლად. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 183 წლამდე ის სამეფოს დედაქალაქის ფუნქციას ასრულებდა და ქრისტეს შობამდე 3 წელს რომის იმპერიის კონტროლის ქვეშ გადავიდა. დაახლოებით 1075 წელს ის თურქსელჩუკებმა დაიპყრეს, შემდეგ 1106 დაიბრუნა რომის იმპერიამ, დაახლოეით 1120 წელს დაიპყრო თურქეთმა და 1392 წელს ოსმანთა თურქეთმა.

ამასიის (Amasia) სამიტროპოლიტო დაარსდა ქრისტეს შობიდან 325 წელს, თავდაპირველად კესარიის (Kaisaria) სამიტროპოლიტოს საპატიო პრიმატობის ქვეშ მყოფი, 451 წელს ის გახდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სამიტროპოლიტო. მეშვიდე საუკუნეში სამიტროპოლიტოს იურის-

დიქციაში 6 ეპარქია შედიოდა, მე-12 საუკუნისათვის კი ეპარქიების რაოდენობა შვიდამდე გაიზარდა. თუმცა, ამ ტერიტორიის სელჩუკების მიერ ოკუპაციის შემდეგ, ეპარქიების რაოდენობა ნელ-ნელა შემცირდა და მეთოთხმეტე საუკუნეში საერთოდ გაქრა. **ამ პერიოდის განმავლობაში სამიტროპოლიტო ტახტმა გადაინაცვლა ამისოსის (Amisos) ჩრდილოეთით 110 კმ-ით, სადაც ამჟამადაც რჩება.**

ამისოსი (Amisos), რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, დაარსდა ქრისტეს შობამდე მე-7 საუკუნეში, მილეტელი (Miletus) ბერძნების მიერ, ქრისტეს შობამდე 71 წელს იგი რომაელებმა დაიპყრეს და მას რომის იმპერიის დროს ეწოდებოდა პალათიონი(Palation), **მდებარეობდა ანეას (Anea) სამიტროპოლიტოში.** შემდეგ, რაც თურქ-სელჩუკემა ქალაქის ოკუპაცია მოახდინინეს (დაახლოებით 1080 წელს), რომაული ქალაქის კედლების გვერდით დაარსდა თურქული კოლონია სამსუნი. დაახლოებით 1107 წელს ბიზანტიელებმა ქალაქი უკან დაიბრუნეს, თუმცა სელჩუკებმა კვლავ დაიპყრეს იგი 1214 წელს და შემდეგ ოსმანებმა 1392 წელს. 1402 წელს, მონღოლების მხედართმთავარმა თემურლენგმა, რაც მას შემდეგ, ქალაქი შემუსრა, იგი გადასცა აღდგენილ ყანდარის (Candar) საემიროს, ხოლო 1461 წელს მისი ანექსია ოსმანებმა მოახდინეს.

ამასიის სამიტროპოლიტოს- ჩრდილოეთით შავი ზღვა ესაზღვრება; აღმოსავლეთით ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტო; სამხრეთით ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტო და კესარიის (Kaisaria) სამიტროპოლიტო; ხოლო დასავლეთიდან კი მას კეისარიის (Kaisaria) სამიტროპოლიტო და ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტო (განგრას (Gangra) მხარე) შემოსაზღვრავს. მნიშვნელოვანი ქალაქებია: სინოფი (Sinop), შავ ზღვაზე, ამისოსის (Amisos) ჩრდილო-დასავლეთით 145 კმ-ით; აიგიალოსი (Aigialos), შავ ზღვაზე, ამისოს-ის (Amisos) ჩრდილო-დასავლეთით 185 კმ-ით; თემისკირა (Themikyra), ამისოს-ის (Amisos) აღმოსავლეთით 40 კმ-ით; თერმოდონი (Thermodon), შავ ზღვაზე, ამისოს-ის (Amisos) აღმოსავლეთით 55 კმ-ით; პაფრა (Paphra)? ამისოს-ის (Amisos) ჩრდილო-აღმოსავლეთით 48 კმ-ით; ნეოკლავდიაპოლისი (Neoklavdioupolis), ამისოს-ის (Amisos) სამხრეთ-დასავლეთით 85 კმ-ით; ვოუვასიონი (Vouvasion), ამისოს-ის (Amisos) აღმოსავლეთით 170 კმ-ით; ლაოდიკია (Laodikia), ამისოს-ის (Amisos) სამხრეთით 60 კმ-ით; **ფაზიმონი (Phazimon),** ამისოს-ის (Amisos) სამხრეთ-დასავლეთით 90 კმ-ით; და ირაკლია (Iraklia), ამისოს-ის (Amisos) აღმოსავლეთით 70 კმ-ით.

1920 წლის იანვრიდან ნოემბრამდე პერიოდში ეს ტერიტორია პონტოს ავადსახსენებელი ბერძნულ-სომხური რესპუბლიკის ნაწილს წარმოადგენდა (იხ. მ. ტრაპეზოესი (m. Trapezous)). 1923 წელს, მას შემდეგ რაც მოხდა მოსახლეობის გაცვლა საბერძნეთსა და თურქეთს შორის, მეტროპოლიის ტერიტორიაზე აღარ დარჩა მართლმადიდებელი მოსახლეობა.

ამასიის (Amasia) მიტროპოლიტები 1800 წლის შემდეგ

59. პაისიუსი (Paisius)	სექტემბერი 1780-1809	d. 1809
60. ნეოფიტუსი (Neophytus)(პირველად)	დეკემბერი 1809 - ივლისი 1826	d.?
61. დიონისუს (Dionysus) III	ივლისი 1926 - იანვარი 1827	d. 1877
(ex m. Silyvria) დროებით გადამდგარი (to former, to m. Amasia)		
ნეოფიტუსი (Neoplytus)(მეორედ)	იანვარი 1827 - აგვისტო 1828	d.?
62. მელეტიუს (Meletius) IV	აგვისტო 1828 - ნოემბერი 1830	1772-1845

Pengalos (to m. Thesaloniki)
დიონისუს (Dionysius) III (მეორედ) ნოემბერი 1830-სექტემბერი 1835 d.1877
Kotakis (ex former m. Amasia), გადაყენებული (to former, to m. Nikomidia)
63. კალინიკუს (Callinicus) II (მეორედ) სექტემბერი 1830 - მარტი 1847+ d.1847 (ex m. Didymotichon)
64. კირილი (Cyril) მარტი 1847-21 სექტემბერი 1855 1800-1872
(ex. m. Ainos) (to p. Constantinople)
65. სოფრონიუს (Sophronius) I 27 სექტ. 1855 - 20 სექტ. 1863 1798-1899
Meidantzoglous (ex m. Chios) (to p. Constantinopole)
66. სოფრონიუს II 17 იანვარი 1864 - იანვარი 1887 d.1887
(ex m. Arta)
67. ანთიმუს (Anthimus) II 22 იანვარი 1887 - 5 თებ. 1908 1824-1909
Alexoudis (ex m. Velegrades), დროებით გადამდგარი
68. გერმანუსი (Germanus)(პირველად) 5 თებ. 1908 - 27 ოქტ. 1922 1866-1935
Karangelis (ex m. Kastoria) (to m. Loannina)
69. სპირიდონი (Spyridon) 27 ოქტ. 1922 - 15 აპრ. 1924 1873-1956
Vlachos (ex m. Loannina) (to m. Loannina)
გერმანუსი (Germanus)(მეორედ) 12 აგვისტო 1924 - 10 თებ. 1935 1866-1935
Karavangelis (ex m. Hungary) იხ. შენიშვნა 1
70. აპოსტოლუსი (Apostolus) 25 ოქტ. 1951 - 29 ნოემბ. 1957 1878-1957
Tryphonos (ex ყოფილი m. Rhodes)

შენიშვნა 1. 1921 წლის 7 ივნიის მიტროპოლიტ გერმანუსს თურქეთის მართლმსაჯულების მიერ დაუსწრებლად მიესაჯა სიკვდილით დასჯა და ამიტომ, მან შემდგომში ვეღარ შესძლო თურქეთში დაბრუნება. 1924-35 წლებში იგი რჩებოდა ვენაში, როგორც კონსტანტინოპოლის ეკუმენური საპატრიარქოს ცენტრალური ევროპის ეგზარხოსი.

ანკარის სამიტროპოლიტო

ანკარის მიტროპოლიტი, ყველაზე პატივცემული და სრულიად გალატიის (Galatia) ეგზარხოსი

ქალაქი ანკარა, რომელიც მდებარეობს ნიკომიდიის (Nikomidia) სამხრეთით 330 კმ-ში, დაარსდა ფრიგიელების მიერ, ქრისტეს შობამდე მეათე საუკუნეში. ქრისტეს შობამდე 25 წელს ის გახდა რომის იმპერიის ნაწილი, ხოლო 1075 წელს მოხდა მისი ოკუპაცია თურქ-სელჩუკების მიერ. 1101, 1106 და 1134 წლებში რომაელებმა დროებით დაიბრუნეს ქალაქი ანკარა, თუმცა საბოლოოდ ის დაიპყრო ოსმანთა იმპერიამ 1356 წელს. 1402 წელს ქალაქი მონღოლთა მხედართმთავარმა ტამერლანმა შემუსრა.

ანკარის სამიტროპოლიტო ქრისტეს შობიდან 325 წელს დაარსდა, თავდაპირველად კეისარიის (Kaisaria) სამიტროპოლიტოს საპატიო პრიმატობის ქვეშ მყოფი, 451 წელს ის გახდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სამიტროპოლიტო. მეშვიდე საუკუნეში სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში 8 ეპარქია შედიოდა, მე-11 საუკუნისათვის კი ამ ეპარქიების რაოდენობა ექვსამდე შემცირდა. თურქ-სელჩუკების მიერ ამ ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ ეპარქიების რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა და მე-13 საუკუნის ბოლოს, საერთოდ გაქრა. **ანკარის სამიტროპოლიტოს ჩრდილოეთიდან პროუსის (Prousa) სამიტროპოლიტო, ნიკაიას (Nikaia) სამიტროპოლიტო და ნეოკაისარიის (Neokaisaria, განგრას (Gangra) მხარე) სამიტროპოლიტო ესაზღვრება; აღმოსავლეთიდან კაისარიის (Kaisaria) სამიტროპოლიტო; სამხრეთიდან იკონიონის (Ikonion) სამიტროპოლიტო და ფილადელფიის სამიტროპოლიტო; და დასავლეთიდან კი ფილადელფიის სამიტროპოლიტო, პროუსიის (Prousa) სამიტროპოლიტო და ნიკაიას (Nikaia) სამიტროპოლიტო ესაზღვრება.**

სხვა მნიშვნელოვანი ქალაქებია: დორილაიონი (Dorylaion), ანკარის აღმოსავლეთით 228 კმ-ში; **კოტიაიონი (Kotyaion)**, დორილაიონის (Dorylaion) სამხრეთ-დასავლეთით 65 კმ-ში; ანასტასიოუპოლისი (Anastasipupolis), ანკარის ჩრდილო-დასავლეთით 85 კმ-ში; იოულიოპოლისი (Iouliopolis), ანკარის ჩრდილო-დასავლეთით 135 კმ-ში; იოუსტინიანუპოლისი (Ioustinianoupolis), ანკარი სამხრეთ-დასავლეთით 135 კმ-ში; გორდიონი (Gordion), ანკარგის სამხრეთ-დასავლეთით 70 კმ-ში; კალოუმნი (Kaloumni), ანკარის ჩრდილოეთით 40 კმ-ში; მიზოსი (Mizos), ანკარის დასავლეთით 45 კმ-ში; და კოპტოლოფოსი (Koptolofos), ანკარის აღმოსავლეთით 65 კმ-ში.

1921 წელს მოხდა სამიტროპოლიტოს აღმოსავლეთი ნაწილის ოკუპაცია ბერძნული სამხედრო ძალების მიერ. კერძოდ, 1921 წლის 2 ივლისს მოხდა **კოტიაიონის (Kotyaion)** ოკუპაცია, ხოლო 1921 წლის 6 ივლისს კი დორილაიონის (Dorylaion) ოკუპაცია. 1922 წლის აგვისტოში, დამარცხების შემდეგ, ბერძნული სამხედრო ძალები განდევნეს ამ ტერიტორიიდან და მოხდა მართლმადიდებელი მოსახლეობის ნაწილის ევაკუაცია კი საბერძნეთში, ნაწილი კი იქნა განადგურებული გამარჯვებული თურქების მიერ. 1923 წელს, მას შემდეგ რაც მოხდა მოსახლეობის გაცვლა საბერძნეთსა და თურქეთს შორის, მართლმადიდებელმა მოსახლეობამ სამიტროპოლიტოს დანარჩენი ნაწილიც დატოვა. დღეს სამიტროპოლიტოს ტერიტორიაზე აღარ გვხვდება მართლმადიდებელი მოსახლეობა.

ანკარის მიტროპოლიტები 1800 წლის შემდეგ

57. ჯონიკიუს (Johnnicius) II (to m. Nikaia)	ივლისი 1779 - მარტი 1811	d. 1823
58. სოფრონიუსი (Sophronius) I	მარტი 1811 - 1814+	d. 1814
59. მეთოდიუსი (Methodius) (to p. Antioch)	ივნისი 1814 - 13 მაისი 1823	1771-1850
60. აგათანგელუს (Agatangelus) Myrianthousis (to m. Thiva)	მაისი 1823 - სექტემბერი 1827	1780-1852
61. თეოდოსიუსი (Theodosius) II (ex t.b. Zichna Mar 1821)	ოქტომბერი 1827 - 1834+	d. 1834

62. გერასიმუს (Gerasimus) III 1834 - სექტემბერი 1836 d. 1837
Domninos (ex. ყოფილი m. Kaisaria) (to m. Ephesos)
63. კირილი (Cyril) სექტემბერი 1836-აგვისტო 1838 d. ?
(ex. ყოფილი m. Arta) გადამდგარი
64. ნიკეფორუსი (Nicephorus) აგვისტო 1838 - ივნისი 1845 d. 1847
(to m. Nyssa)
65. ჰიეროთეუსი (Hieroteus) ივნისი 1845 - დეკემბერი 1852 d. 1882
გადამდგარი, 4 მარტი, 1882
66. მელეთიუსი (Meletius) II დეკ. 1922 - 16 ოქტ. 1860 d. 1883
(ex t.b. Amisos) (to m. Philadelphia)
67. ჯონიკიუს (Johnnicius) III ოქტ. 1860 - 25 მაისი 1972 d. 1879
Ikonomou (to m. Filippi)
68. ქრისანთუსი (Chrysanthus) 25 მაისი 1872 - აგვისტო 1877+ d. 1877
(ex ყოფილი m. Kassandria)
69. გერასიმუს (Gerasimus) IV 3 სექტ. 1877 - იანვარი 1899+ 1820-1899
(ex m. Halepion)
70. ნიკოლას (Nicholas) II 1 მაისი 1899 - 19 ოქტ. 1902 1862-1927
Sakkopoulos (ex m. Vodena) (to m. Maronia)
71. სოფრონიუს (Sophronius) II 19 ოქტ. 1902 - 27 მარტი 1910 d. 1917
Nistopoulis (ex m. Stromnitsa) (to m. Kaisaia)
72. გერვასი (Gervase) 1 აპრილი 1910 - 17 ნოემ. 1922 1867-1934
Sarasitis (ex m. Korytsa) (to m. Alexandroupolis)

იკონიონის (Ikonion) სამიტროპოლიტო

იკონიონის (Ikonion) მიტროპოლიტი, ყველაზე პატივცემული და სრულიად ლიკაონიის (Lycaonia) ეგზარხოსი

ქალაქი იკონიონი (Ikonion), რომელიც მდებარეობს ანკარის სამხრეთით 250 კმ-ში, დაარსდა ფრიგიელების მიერ. ქრისტეს შობამდე 25 წელს ის გახდა რომის იმპერიის ნაწილი, ხოლო დაახლოებით 1075 წელს მოხდა მისი ოკუპაცია თურქ-სელჩუკების მიერ. 1390 წელს ქალაქი დაიპყრეს თურქმენებმა (Karaman Turkmans), 1390 წელს ოსმანთა იმპერიამ, ხოლო 1403 წელს მონღოლების მხედართმთავარმა ტამერლანმა იგი გადასცა აღდგენილ კარამანის (Karaman) საემიროს. საბოლოოდ, ქალაქი ოსმანთა იმპერიამ დაიბრუნა 1468 წელს.

თავდაპირველად პისიდიის ანტიოქიის (Pisidian Antioch) სამიტროპოლიტოს ერთ-ერთი ეპარქია, იკონიონი (Ikonion) გახდა სამიტროპოლიტო ქრისტეს შობიდან 372 წელს. მეშვიდე საუკუნეში მის იურისდიქციაში თხუთმეტი ეპარქია შედიოდა, თუმცა, სელჩუკების მიერ ოკუპაციის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე ეპარქიების რაოდენობა ნელ-ნება შემცირდა და მეცამეტე საუკუნეში საერთოდ გაქრა. 1655 წლის 15 სექტემბერს იკონიონის (Ikonion) სამიტროპოლიტო გაუქმდა და მისი ტერიტორია მიემატა პისიდიის (Pisidia) სამიტროპოლიტოს, თუმცა მალევე მოხდა მისი აღდგენა, სავარაუდოდ, 1661 წლის სექტემბერში.

იკონიონის (Ikonion) სამიტროპოლიტოს ჩრდილოეთიდან ანკარის სამიტროპოლიტო ესაზღვრება; აღმოსავლეთიდან კაისარიის (Kaisaria) სამიტროპოლიტო და ანადის (Anada) (ანტიოქიის საპატრიარქო) სამიტროპოლიტო; სამხრეთიდან ანადის (Anada) (ანტიოქიის საპატრიარქო) სამიტროპოლიტო; და დასავლეთიდან კი მას პისიდიის (Pisidai) სამიტროპოლიტო და ფილადელფიის სამიტროპოლიტო შემოსაზღვრავს. სხვა მნიშვნელოვანი ქალაქებია: ნიგდი (Nigdi), იკონიონის (Ikonion) აღმოსავლეთით 230 კმ-ში; არქელაისი (Archelais), იკონიონის (Ikonion) ჩრდილო-აღმოსავლეთით 150 კმ-ში; კარვალი (Karvali), იკონიონის (Ikonion) ჩრდილო-აღმოსავლეთით 130 კმ-ში; პარნასოსი (Parnassos), იკონიონის (Ikonion) ჩრდილოეთით 200 კმ-ში; ტბა ტატტას (Tatta) სანაპიროზე; ტიანა (Tyana), იკონიონის (Ikonion) აღმოსავლეთით 210 კმ-ში; ირაკლია (Iraklia), იკონიონის (Ikonion) აღმოსავლეთით 170 კმ-ში; ლარანდა (Laranda), იკონიონის (Ikonion) სამხრეთ-აღმოსავლეთით 110 კმ-ში; დალისანდოსი (Dalisandos), იკონიონის (Ikonion) სამხრეთ-დასავლეთით 85 კმ-ში; კორალია (Korallia), იკონიონის (Ikonion) დასავლეთით 80 კმ-ში, ამავე სახელის მქონე ტბის ნაპირზე; ტირიაიონი (Tyriaion), იკონიონის (Ikonion) ჩრდილო-დასავლეთით 75 კმ-ში; და ფილომილიონი (Philomilion), იკონიონის (Ikonion) ჩრდილო-დასავლეთით 120 კმ-ში, ამავე სახელის მქონე ტბის ნაპირზე.

1923 წელს, მას შემდეგ რაც მოხდა მოსახლეობის გაცვლა საბერძნეთსა და თურქეთს შორის, სამიტროპოლიტოს ტერიტორიაზე აღარ დარჩა მართლმადიდებელი მოსახლეობა.

იკონიონის (Ikonion) მიტროპოლიტები 1800 წლის შემდეგ

50. რაფაელი (Raphael) ივლისი 1780 - სექტემბერი 1803 d.e"1806
(to m. Larissa)

51. კირილი (Cyril) სექტემბერი 1803-დეკემბერი 1810 1775-1821
Sermpetzoglous (to p. Adrianoupolis)

52. ნეოფიტუს (Neophytus) I დეკემბერი 1810 - 1825+ d. 1834

53. ანთიმუს (Anthimus) III ოქტომბერი 1825 - სექტემბერი 1835 1788-1878
Vamvakis (to m. Larissa)

54. სამუელ (Samuel) სექტემბერი 1835 - 8 იანვარი 1840 d. ?
(ex ყოფილი m. Pisidia) გადამდგარი

55. იოაკიმ (Ioachim) II იანვარი 1840 - ივნისი 1846 d. ?
(ex m. Vodela) გადამდგარი

56. მელეტიუს (Meletius) II ივნისი 1846 - 1849+ d. 1849
(ex m. Dimistrias)

57. ნეოფიტუს (Neophytus) II მაისი 1849 - იანვარი 1865+ d. 1864
(ex m. Elasson)

58. სოფრონიუსი (Sophronius) 11 იანვარი 1865 - 1 მაისი 1873 d. 1890
Christidis (to m. Didymotichon)

59. აგათანგელუსი (Agathangelus) 1 მაისი 1873 - 17 ივლისი 1885 d. 1885
(ex m. Mithymna)

60. დოროთეუსი (Johnnicius) 26 აგვ. 1885 - 22 ივლისი 1887 d. 1924

Chrisridis (ex m. Korytsa)(to m. Velegrades)

61. ამბროსე (Ambrose) 22 ივლისი 1887 - 20 მარტი 1889+ 1832–1990
Christidis (ex m. Chis)

62. ათანასიუს (Athanasius) III 23 მარტი 1889 - 10 იანვარი 1911+ d. 1911
llliadis

63. პროკოპიუსი (Procopius) 16 ივნისი 1911 - 12 მარტი 1923+ d. 1923
Lazaridis (ex m. Philaselphia), 1922 წ. დააპატიმრა თურქულმა მართლმსაჯულებამ, გარდაიცვალა ციხეში.

64. იაკობი (Jacob) 7 ივლისი 1950 - 16 აპრილი 1965+ 1916-1965
Stepanidis

65. თეოლეპტუსი (Theoleptus) 10 სექტემბერი 2000 - b. 1957
Fenerdis

კესარიის (Kaisaria) სამიტროპოლიტო

კეისარიის (Kaisaria) მიტროპოლიტი, ყველაზე პატივცემული ყველაზე პატივცემულებს შორის და სრულიად აღმოსავლეთის ეგზარხოსი

ქალაკი კესარია[კეისარია,კაისარია (Kaisaria)], რომელიც მდებარეობს ანკარის სამხრეთ-აღმოსავლეთით 290 კმ-ში, განლაგებულია ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობა ქრისტეს შობამდე 4 ათასწლეულის წინ დასახლდა. მისი თავდაპირველი სახელი იყო მაზაკა (Mazaca), ქრისტეს შობამდე დაახლოებით 150 წელს კი მას კაბადოკიის მეფის, არიარატეს V ეუსებეს (Ariarathes V Eusebes) პატივსაცემად, ეუსებია (Eusebia) ეწოდა. ქრისტეს შობიდან 18 წელს, რომის იმპერიის მიერ მისი ანექსიიდან ერთი წლის შემდეგ, ქალაქს დაერქვა კეისარია (Kaisaria). დაახლოებით 1075 წელს ქალაქი დაიპყრეს თურქ-სელჩუკებმა, 1092 წელს თურქმენებმა (Danishmend Turkomans), 1169 ისევ სელჩუკებმა და 1397 წელს ოსმანთა იმპერიამ. 1403 წელს ტამერლანმა ის აღდგენილ ყარამანის (Karaman) საემიროს გადასცა, ხოლო 1468 წელს ის ისევ ოსმანებმა დაიბრუნეს.

კეისარია (Kaisaria) სამიტროპოლიტო ქრისტეს შობიდან 325 წელს გახდა და ახორციელებდა საპატიო პრიმატობას პონტოს (Pontus) მხარის შემდეგ მიტროპოლიებზე: ნიკომედია (Nikomidia), განგრა (Gangra), ანკირა (Ankyra), ამასია (Amasia), ნეოკაისარია (Neokaisaria) და სევასტია (Sevastia). მოგვიანებით ამ მიტროპოლიებს დაემატა კლავდიოუპოლის (Klavdioupolis, განგრას (Gangra) მხარე), პესინოუს (Pessinous, ანკარის მხარე), ტიანას (Tyana, კაისარიის (Kaisaria) მხარე) და მელიტინის (Melitini, კაისაარის (Kaisaria) მხარე) მიტროპოლიები. 451 წელს, მეოთხე ეკუმენური (საყოველთაო) კრების შემდეგ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ოფიციალურად დაიქვემდებარა თავისი იურისდიქციაში ამ ტერიტორიაზე არსებული ყველა სამიტროპოლიტო, მათ შორის, კეისარიის (Kaisaria) სამიტროპოლიტოც. მეშვიდე საუკუნეში კაისარიის (Kaisaria) სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში ხუთი ეპარქია შედიოდა, რომელთა რაოდენობაც მეათე საუკუნისათვის თხუთმეტამდე გაიზარდა.

კეისარიის (Kaisaria) სამიტროპოლიტოს სამხრეთიდან ნეოკეისარიის (Neokaisaria, განგრას (Gangra) მხარე) სამიტროპოლიტო და ამასიის (Amasia) სამიტროპოლიტო ესაზღვრება; აღმოსავლეთიდან ნეოკაისარიის (Neokaisaria, განგრას (Gan-

gra) მხარე) სამიტროპოლიტო; სამხრეთიდან ანადის (Anada) (ანტიოქიის საპატრიარქო) სამიტროპოლიტო; დასავლეთიდან კი მას იკონიონის (Ikonion) სამიტროპოლიტო და ანკარის სამიტროპოლიტო შემოსაზღვრავს. სხვა მნიშვნელოვანი ქალაქებია: მოუტალასკი (Moutalaski), კეისარიის (Kaisaria) სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 კმ-ში; კამოულიანა (Kamouliana), კეისარიის (Kaisaria) სამხრეთით 40 კმ-ში; ნეაპოლისი (Neapolis), კეისარიის (Kaisaria) დასავლეთით 75 კმ-ში; პროკოპიონი (Prokopion), კეისარიის (Kaisaria) დასავლეთით 55 კმ-ში; მითრიდატიონი (Mirhridation), კეისარიის (Kaisaria) სამხრეთით 155 კმ-ში; მოკისოსი (Mokissos), კეისარიის (Kaisaria) სამხრეთ-დასავლეთით 130 კმ-ში; კისკისოსი (Kiskissos), კეისარიის (Kaisaria) სამხრეთ-აღმოსავლეთით 205 კმ-ში; ზილა (Zila), კეისარიის (Kaisaria) სამხრეთ-აღმოსავლეთით 250 კმ-ში; პტერიონი (ტერიონ), კეისარიის სამხრეთ-აღმოსავლეთით 245 კმ-ში; ეფქაიტა (Efchaita), კეისარიის (Kaisaria) სამხრეთით 260 კმ-ში; და ასკლიპიიონი (Asklipiion), კეისარიის (Kaisaria) სამხრეთით 310 კმ-ში.

1923 წელს, მას შემდეგ რაც მოხდა მოსახლეობის გაცვლა საბერძნეთსა და თურქეთს შორის, სამიტროპოლიტოს ტერიტორიაზე აღარ დარჩა მართლმადიდებელი მოსახლეობა.

კეისარიის (Kaisaria) მიტროპოლიტები 1800 წლის შემდეგ

91. ლეონტიუს (Leintius) III ივლისი 1796 - 1 ოქტ. 1801 d. ?
(to m. Melenikon) გადამდგარი
92. ფილოთეუსი (Philotheus) ოქტ. 1801 - მაისი 1816+ d. 1816
(ex ყოფილი m. Tornovon)
93. მელეტიუსი (Meltius) II მაისი 1816 - 1817+ d. 1817
(to m. Neokaisaria)
94. იოანიკიუსი (Johnnicius) ივნისი 1817-15 ნოემბერი 1823+ d. 1823
(to m. Nikia) იხ. შენიშვნა 1
95. ქრისანთუსი (Chrisanthus) ნოემბერი 1823-დეკემბერი 1830 d. 1836
(to m. Ephesos)
96. გერასიმუსი (Gerasimus) დეკემბერი 1830 - მარტ 1832 d. 1837
Domninos (ex m. Ouzitsa) გადამდგარი (to m. Ankyra)
97. პაისიუს (Paisius) II მარტი 1832 - 30 იანვ. 1871+ 1777-1871
Kepoglous
98. ეუსტაქე (Eustace) 3 ოქტ. 1871 - 26 იანვ. 1876+ 1824-1876
Kleovoulos, იხ. შენიშვნა 2
99. მეთოდიუს (Methodius) II 28 იანვარი 1876 - მაისი 1878 d. 1897
Aronis (ex m. Mytilini)(to m. Didymotichon)
100. იოანე (John) 21 მაისი 1878-28 აპრილი 1902 1834-1902
Anastasiadis
101. გერვასი (Gervase) 14 მაისი 1902 - 16 მარტი 1910 d. 1916
Orologas (ex m. Korytsa)(to m. Ioannina)
102. სოფრონიუსი (Sophronius) 27 მარტი 1910-25 აპრილი 1911 d. 1917
Nistopoulo (ex m. Ankyra) დროებით გადამდგარი (to former, to m. Kolonia)
103. ამბროსი (Ambrose) 25 აპრ. 1911 - 13 თებერ. 1914 1854-1931

Stavrinos (ex m. Neokaisaria) დროებით გადამდგარი (to Former, to m. Neokaisaria)

104. ნიკოლასი (Nicholas) II 13 თებ. 1914 - 22 თებ. 1927 1862-1927

Sakkopoulos (ex m. Maronia)

105. კალინიკუსი (Callinicus) 26 ივლისი 1932 - 11 იანვ.1934+ 1855-1934

Delikanis (ex m. Kyzikos)

შენიშვნა 1. მიტროპოლიტი იოანიკიუსი (Johnnicius) დააპატიმრა თურქეთის ხელისუფლებამ და ის გარდაიცვალა ციხეში, 1821 წელს;

შენიშვნა 2. 1871 წლის 18 აპრილს ანქიალოსის (Anchialos) მიტროპოლიტი ბასილი იყო არჩეული კეისარიის (Kaisaria) მიტროპოლიტად, მაგრამ ის გარდაიცვალა ისე, რომ ვერ ჩაიბარა სამიტროპოლიტო.

ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტო

ნეოკეისარიის (Neokaisaria) მიტროპოლიტი, ყველაზე პატივცემული და პონტოს პოლემონიაკუსის (Pontus Polemoniacus) ეგზარხოსი

ქალაქ ნეოკეისარიას (Neokaisaria), მდებარე ამასიის (Amasia) აღმოსავლეთით 115 კმ-ში, თავდაპირველად ერქვა კაბირა (Cabira) და იყო პონტოს სამეფოს დედაქალაქი. ქრისტეს შობამდე 73 წელს ის დაიპყრო რომის იმპერიამ და უწოდა დიოსპოლისი (Diospolis). ქალაქი პონტოს მეფე პოლემონ I-ს დაუბრუნდა ქრისტეს შობამდე 37 წელს და ეწოდა ახალი სახელი, სებასტი (Sebasti).

საბოლოოდ ის რომაელთა მფლობელობაში გადავიდა ქრისტეს შობიდან 64 წელს და ეწოდა ნეოკეისარია (Neokaisaria). 1075 წელს მოხდა ქალაქის ოკუპაცია თურქ-სელჩუკების მიერ, დაიბრუნეს რომაელებმა დაახლოებით 1086 წელს, შემდეგ დაიპყრეს თურქმენებმა (Danishmend Turkomans) დაახლოებით 1090 წელს, კვლავ დაიპყრეს სელჩუკებმა დაახლოებით 1175 წელს და საბოლოოდ დაიპყრო ოსმანთა იმპერიამ 1394 წელს.

ნეოკეისარია (Neokaisaria) სამიტროპოლიტო გახდა ქრისტეს შობიდან 325 წელს. მეშვიდე საუკუნეში მის იურისდიქციაში ოთხი ეპარქია შედიოდა და მეთორმეტე საუკუნისათვის მათი რაოდენობა ათამდე გაიზარდა. სელჩუკების ოკუპაციის შემდეგ ამ ტერიტორიაზე ეპარქიების რაოდენობა ნელ-ნელა შემცირდა და მეთოთხმეტე საუკუნეში საერთოდ გაქრა. **ახალი, ნიკოპოლისის (Nikopolis) ეპარქია ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტოს შემადგენლობაში 1889 წელს ჩამოყალიბდა, მაგრამ 1889 წელს იგი გახდა კოლონიის (Kolonia) სამიტროპოლიტო. ოსმანთა მიერ ოკუპაციის პერიოდში სამიტროპოლიტო ტახტმა გადაინაცვლა ევდოკიასის (Evdokias) სამხრეთ-დასავლეთით 50 კმ-ით, საიდანაც, 1903 წლამდე, გადაინაცვლა ქალაქ აინოის (Inoi) სამხრეთ-აღმოსავლეთით 120 კმ-ით, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს.**

ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტო ორ ნაწილადაა გაყოფილი. **მისი უმეტესი ნაწილი სამხრეთიდან შემოსაზღვრულია შავი ზღვით; აღმოსავლელთიდან შემოსაზღვრულია ქალდიის (Chaldia), კოლონიის (Kolonia), თეოდოსიოუპოლისის (Theodosioupolis) და ამიდას (Amida) სამიტროპოლი-**

ტოებით; სამხრეთიდან ადანას (Adana) სამიტროპოლიტოთი და ვერიას (Veria) სამიტროპოლიტოთი; და დასავლეთით კაისარიის (Kaisaria) და ამასიის (Amasia) სამიტროპოლიტოებით. გარგანას (Gargana) სექცია, უმეტესწილად, ყოფილი გარგანას (Gargana) სამიტროპოლიტოს მოიცავს, რომელიც ნეოკეისარიას (Neokaisaria) 1630 წლის 19 იანვარს შეუერთდა. იგი ჩრდილოეთიდან შავი ზღვით არის შემოფარგლული, აღმოსავლეთიდან ამასიის (Amasia) სამიტროპოლიტოთი; სამხრეთიდან კაისარიის (Kaisaria) და ანკარის სამიტროპოლიტოთი; და დასავლეთიდან კი ქალკიდონის სამიტროპოლიტოთი.

სხვა მნიშვნელოვანი ქალაქები სამიტროპოლიტოს ძირითად სექციაში შემდეგია: **ფადისა (Phadissa)**, შავი ზღვის სანაპიროზე, აინოის (Inoi) აღმოსავლეთით 22 კმ-ით; **პოლემონიონი (Polemolion)**, შავი ზღვის სანაპიროზე, აინოის (Inoi) აღმოსავლეთით 33 კმ-ით; **კოტიორა (Kotyora),** შავი ზღვის სანაპიროზე, აინოის (Inoi) აღმოსავლეთით 55 კმ-ით; გაზიოურა (Gazioura), ევდოკიასის (Evdokias) აღმოსავლეთით 50 კმ-ით; საგილიონი (Sagylion), ევდოკიასის (Evdikias) სამხრეთით 55 კმ-ით; სევასტია (Sevastia), ევდოკიასის (Evdikias) სამხრეთ-აღმოსავლეთით 100 კმ-ით; გარნაკი (Garnaki), სევასტიას (Sevastia) სამხრეთით 125 კმ-ით და ტეფრიკი (Tephriki), სევასტიას (Sevastia) აღმოსავლეთით 130 კმ-ით. მნიშვნელოვანი ქალაქები გარგანას (Gargana) ნაწილში არის: კასტამოი (Kastamon), აინოის (Inoi) დასავლეთით 350 კმ-ით; იონოპოლისი (Ionopolis), შავი ზღვის სანაპიროზე, კასტამონის (Kastamon) ჩრდილოეთით 65 კმ-ით; კიტოროსი (Kytoros), შავი ზღვის სანაპიროზე, კასტამონის (Kastamon) ჩრდილოეთით 65 კმ-ით; კიტოროსი (Kytoros), შავი ზღვის სანაპიროზე, კასტამონის (Kastamon) ჩრდილო-აღმოსავლეთით 95 კმ-ით; პომპეიოუპოლისი (Pompeioupolis), კასტამონის (Kastamon) აღმოსავლეთით 45 კმ-ით; დოკია (Dokia), კასტამონის (Kastamon) სამხრეთით 55 კმ-ით; განგრა (Gangra), კასტამონის (Kastamon) სამხრეთით 90 კმ-ით; ანტონიოუპოლისი (Kastamon), კასტამონის (Kastamon) სამხრეთ-აღმოსავლეთით 120 კმ-ით; **თეოდოროუპოლისი (Theodoroupolis)**, კასტამონის (Kastamon) აღმოსავლეთით 95 კმ-ით; მავროგონიონი, კასტამონის (Kastamon) აღმოსავლეთით 95 კმ-ით; მავროგონიონი, კასტამონის (Kastamon) აღმოსავლეთით 105 კმ-ით; პართენიონი (Parthenion), კასტამონის (Kastamon) ჩრდილო-დასავლეთით 160 კმ-ით; ამასტრისი (Amastris), შავი ზღვის სანაპიროზე, კასტამონის (Kastamon) ჩრდილო-დასავლეთით 170 კმ-ით; დადასტანა (Dadastana), კასტამონის (Kastamon) დასავლეთით 170 კმ-ით და კრატია (Kratia), კასტამონის (Kastamon) სამხრეთ-დასავლეთით 180 კმ-ით.

დაახლოებით 1080 წელს, განგრა (Gangra) და კასტამონი (Kastamon) დაიპყრეს თურქმენებმა (Danishmend Turkomans), 1132 წელს კი რომის იმპერიამ. შემდეგ წელს იგი თურქმენებმა უკან დაიბრუნეს. დაახლოებით 1174 წელს ქალაქები დაიპყრეს თურქ-სელჩუკებმა. 1391 წელს ეს ტერიტორია დაიპყრო ოსმანთა იმპერიამ, მაგრამ 1403 წელს, ტამერლანის მიერ, გადაეცა აღდგენილ ყანდაარის საემიროს, საიდანაც ის კვლავ დაიბრუნა ოსმანთა იმპერიამ 1417 წელს. 1920 წლის იანვარ-ნოემბრიდან სამიტროპოლიტოს ძირითადი ნაწილი გახდა პონტოს ავადსახსენებელი ბერძნულ-სომხური რესპუბლიკის ნაწილი.

1923 წელს, მას შემდეგ რაც მოხდა მოსახლეობის გაცვლა საბერძნეთსა და თურქეთს შორის, სამიტრონოლიტოს ტერიტორიაზე აღარ დარჩა მართლმადიდებელი მოსახლეობა.

43. ისაია (Isaiah) მაისი 1793 - 1801+ d. 1801
(to m. Prespes)(to m. Kaisaria)
44. მელეტიუს (Meletius) I მარტი 1801 - მაისი 1816 d. 1817
(ex ყოფილი m. Vodena)(to m. Kaisaria)
45. კირილ (Cyril) III მაისი 1816 - 1850+ d. 1850
46. ლეონტიუსი (Leonitius) 4 მაისი 1850-7 ნოემბერი 1864 d. 1868
(ex t. b. Nazianzos Sep. 1848) დროებით გადამდგარი (to former, to m. Neokaisaria)
47. ჰიეროთეუსი (Hierotheus) 7 ნოემბ. 1864 - 29 აგვ. 1868 d. 1883
Finitas (ex Former m. Halepion) დროებით გადამდგარი (to Former, to m. Neokaisaria)
ლეონტიუსი (Leonitius) 29 აგვისტ. 1868-1 ნოემბ. 1868+ d. 1868
(ex former, to m. Neokaisaria)
48. მელეტიუს (Meletius) II 18 ნოემბ. 1868 - 3 აპრილი 1872 d>=1868
Kavasilas (ex b. Trikkis)(to m. Ainos)
ჰიეროთეუსი (Hierotheus) 3 აპრილი 1872 - 25 აგვისტო 1883+ d. 1883
Fintias (ex Former m. Neokaisaria)
49. კონსტანტიუს (Contantius) 3 სექტ. 1883 - 15 ივლისი 1895 1835-1908
Isaakidis (ex Former m. kastoria)(tp m. Veria)
50. ალექსანდრე (Alexander) 15 ივლისი 1895 - 18 ოქტომბ. 1903 1851-1928
Rigopoulos (ex former m. Pelaonia)(to m. Kaisaria)
51. ამბროსი (Ambrose) 18 ოქტომბ. 1903 - 13 ოქტომბ. 1922 1854-1931
Stavrios (ex m. Pelaonia)(to m. kaisaria)
52. პოლიკარპე (Polycarp) 28 აპრილი 1911 - 13 ოქტომბ. 1922 1864-1936
Psomiadis (ex m. Kolonia)(to m. Xanthi)
53. აგათანგელუსი (Agathangelus) 25 ოქტომბ. 1922 - 20 მარტი 1924 1864-1935
Konstantinidis/Magnis (ex m. Philippoi) (to m. Pringiponnisa)
ამბროსი (Ambrose) 22 მარტი 1924 - 24 ოქტომბ. 1929 1854-1931
Stavrinos (ex former m. Kaisaria) (to m. Derki)
105. ქრისოსტომი (Chrysostom) 7 მაისი 1944 - 27 ნოემბ. 1976+ 1894-1976
Koronaios, იხ. შენიშვნა 1

შენიშვნა 1. 1950 წლის 22 ივლისს, მიტროპოლიტი ქრისოსტომი (Chrysostom) იყო არჩეული ლეროსის (Leros) მიტროპოლიტად, მაგრამ ის არ დათანხმდა ამ გადა-ადგილებას და არჩევნები ანულირდა.

მიტროპოლიები სამხრეთ-აღმოსავლეთ საშუალო აზიაში ქალდიის (Chaldia), ხერიანის (Cheriana) და კერასუსის (Kerasous) სამიტროპოლიტო

ქალდიის (Chaldia), ხერიანის (Cheriana) და კერასუსის (Kerasous) მიტროპოლიტი, ყველაზე პატივცემული და ჰელენოპონტოს (Helenopontus) ეგზარხოსი

ქალაქი **არგიროპოლისი (Argyropolis)**, განლაგებული ტრაპეზუსის (Trapezous) სამხრეთით 80 კმ-ით დაარსდა როგორც ტირას (Thyra) დასახლება (kolonia) ქრისტეს შობამდე 700 წელს, ბერძნების მიერ, რომლებმაც პირველებმა აღმოაჩინეს ვერცხლი ამ რეგიონში. რომის იმპერიის კონტროლის ქვეშ ის ქრისტეს შობამდე 63 წელს გადავიდა, ქრისტეს შობამდე 37 წელს პონტოს მეფე **პოლემონ I-ს** გადაეცა და ქრისტეს შობიდან 64 წელს ის კვლავ რომაელებმა დაიბრუნეს.

მრავალი საუკუნის შემდეგ, ის შეუერთდა ახალი რომის (ბიზანტიის) **პროვინცია ქალდიას**, რომელიც დაახლოებით **840 წელს შეიქმნა**. სახელწოდება არგიროპოლისი (Argyroupolis) (ვერცხლის ქალაქი) განეკუთვნება რომაულ პერიოდს, ახლო-მახლო არსებული ვერცხლის საბადოს გამო. ტრაბზონის (Trebzond) იმპერიის ნაწილი 1204 წლიდან, ის იყო დაცული თავისი მთლიანი ადგილმდებარეობით მანამ, სანამ ის დაიპყრო ოსმანთა იმპერიამ 1479 წელს, ტრაბზონის (Trebzond) იმპერიის დამხობიდან 18 წლის შემდეგ.

ეს ტერიტორია იყო ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტოს ნაწილი დაახლოებით 840 წლამდე, მანამ სანამ შეიქმნებოდა ტრაპეზუსის (Trapezous) სამიტროპოლიტო და, სხვა ეპარქიებს შორის, დაქვემდებარეში ჰყავდა ხერიანიის (Creriana) ეპარქია. 1624-53 წლებში **ხერიანიის** (Cheriana) ეპარქია გახდა არქიეპარქია და იქცა სამიტროპოლიტოდ 1767 წლის ივლისში.

ქალაქი **კერასუსი** (Kerasous), განლაგებული შავი ზღვის სანაპიროზე ტრაპეზუსის (Trapezous) დასავლეთით 120 კმ-ით, გახდა ქალდიის (Chaldia) სამიტროპოლიტოს ნაწილი 1913 წლის 12 დეკემბერს.

კერასუსი (Kerasous) გახდა ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტოს ნაწილი ქრისტეს შობიდან 431 წლამდე და გახდა სამიტროპოლიტო 1085-1147 წლების განმავლობაში. კვლავ სამიტროპოლიტო 1621 წელს, ის იქცა საპატრიარქო ეგზარქატად 1644 წელს, 1698 წელს ტრაპეზუსის (Trapezous) სამიტროპოლიტოსთან მიერთებამდე. ამის შემდეგ ის დაუბრუნდა ეგზარქატის სტატუსს და 1774 წლის ივლისში კვლავ მიუერთდა ტრაპეზუსის (Trapezous). ამის შემდეგ, ის რჩებოდა სამიტროპოლიტოს შემადგენლობაში 1913 წლამდე.

ჩრდილოეთიდან ქალდიის (Chaldia) სამიტროპოლიტოს შემოსაზღვრავს შავი ზღვა, ტრაპეზუსის (Trapezous) სამიტროპოლიტო და როდოპოლისის (Rhodopolis) სამიტროპოლიტო; აღმოსავლეთიდან ტრაპეზუსის (Trapezous) სამიტროპოლიტო, როდოპოლისის (Rhodopolis) სამიტროპოლიტო და თეოდოსიოუპოლისის (Theodosiupolis) სამიტროპოლიტო; სამხრეთიდან თეოდოუპოლისის სამიტროპოლიტო და კოლონიის (Kolonia) სამიტროპოლიტო; და კოლონიის (Kolonia) სამიტროპოლიტო და ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტო დასავლეთიდან.

სხვა მნიშვნელოვანი ქალაქებია: ხერიანია (Cheriana), არგიროპოლისის (Argy-

ropolis) სამხრეთ-დასავლეთით 60 კმ-ით; **სიისსა (Syissa) [*საისინი !*]**, არგიროპოლისის (Argyropolis) სამხრეთით 60 კმ-ით; მესოქალდიონი (Mesochaldion), არგიროპოლისის (Argyroupolis) ჩრდილო-დასავლეთით 20 კმ-ით; და თოანია (Thoania), არგიროპოლისის (Argyropolis) ჩრდილო-დასავლეთით 65 კმ-ით.

1916 წლის ივლისში არგიროპოლისი (Argyroupolis) დაიპყრო რუსულმა არმიამ, მაგრამ, მეფის დამხობის შემდეგ, 1918 წლის 15 თებერვალს, რუსები გააძევეს. 1920 წლის იანვარ-ნოემბერში სამიტროპოლიტოს ტერიტორია იყო პონტოს ავადსახსენებელი ბერძნულ-სომხური რესპუბლიკის ნაწილი.

1923 წელს, მას შემდეგ რაც მოხდა მოსახლეობის გაცვლა საბერძნეთსა და თურქეთს შორის, სამიტროპოლიტოს ტერიტორიაზე აღარ დარჩა მართლმადიდებელი მოსახლეობა.

ქალდიის (Chaldia) მიტროპოლიტები 1800 წლის შემდეგ

15. სოფრონოესი (Sophronius) ნოემბ. 1790 - 13 ნოემბ. 1818+ d. 1818
Lazaridis

16. სილვესტერ (Sylvester) II იანვარი 1819-6 აგვისტო 1830+ d. 1830
Lazaridis

17 თეოფილუს (Theophilus) სექტემბ. 1830 - 17 თებ. 1864 d. 1864
Adysaios

18. გერვასი (Gervase) 14 ივლისი 1864 - 1 მაისი 1905 1820-1906
Soumelidis, გადამდგარი, 8 მარტი, 1906+

19. ლაურენტიუსი (Laurentiu) 1 მაისი 1905-25 ოქტომბერი 1922 d. 1928
Papadopoulos (to m. filippi)

20. ბასილი (Meletius) (პირველად) 25 ოქტ. 1922 - 10 მაისი 1924 1887-1941
Komvopoulos (ex m. Mithymna) გადაყენებული (to former, to m. Chaldia) იხ. შენიშვნა 1

ბასილი (Meletius) (მეორედ) 19 ივნისი 1930-2 ოქტ. 1930 1887-1941
Komvopoulos (ex former m. Chaldia) (to m. Drama)

21. კირილი (Alexander) 10 ოქტ. 1943 - 1 მაისი 1991+ 1908-1991
Axiotis

21. სპირიდონი (Ambrose) 18 ოქტ. 1903 - 25 აპრილი 1991 b. 1940
Papageorgiou (ex a. America) დროებით გადაყენებული

შენიშვნა 1. 1924-30 წლებში მიტროპოლიტი ბასილი გაემგზავრა ამერიკაში და დაირქვა „ამერიკის მიტროპოლიტი“. ამისათვის, 1924 წლის 10 მაისს ეკუმენურმა საპატრიარქომ მას ჩამოართვა სასულიერო წოდება. ექვსი წლის შემდეგ მან მოინანია თავისი საქციელი და იყო აღდგენილი.

კოლონიის (Kolonia) სამიტროპოლიტო

კოლონიის (Kolonia) მიტროპოლიტი, ყველაზე პატივცემული და ზედა პონტოს ეგზარხოსი

ქალაქი **ნიკოპოლისი** (Nikopolis), განლაგებული ტრაპეზუსის (Trapezous) სამხრეთ-დასავლეთით 180 კმ-ით და ქალაქი **კოლონია** (Kolonia), განლაგებული ნიკოპოლისის (Nikopolis) დასავლეთით 65 კმ-ით, დაარსდა ქრისტეს შობამდე 66 წელს, რომაელი გენერლის, პომპეუსის მიერ. სწორედ პომპეუსმა დაუმორჩილა ეს ტერიტორია რომის იმპერიას. ქრისტეს შობამდე 37 წელს ორივე ქალაქი გადაეცა პონტოს მეფე **პოლემონ** I-ს და ქრისტეს შობიდან 64 წელს ისევ რომის იმპერიას დაუბრუნდა. დაახლოებით 1075 წელს ეს ტერიტორია დაიპყრეს თურქ-სელჩუკებმა, ხოლო დაახლოებით 1108 წელს აღადგინა ბიზანტიის იმპერიამ. 1204 წლის შემდეგ იგი მორიგეობით იყო ტრაბზონის (Trebzond) იმპერიისა და სელჩუკების, ან თურქმენთა ბატონობის ქვეშ. საბოლოოდ, 1473 წელს ქალაქები ოსმანთა იმპერიის კონტროლის ქვეშ მოექცა.

მეოთხე საუკუნეში ნიკოპოლისი (Nikopolis) და კოლონია (Kolonia) სევასტიის (Sevastia) სამიტროპოლიტოს ეპარქიებს წარმოადგენდა. მეცხრე საუკუნეში (879 წლამდე) კოლონია (Kolonia) გახდა არქიეპარქია და მეთერთმეტე საუკუნეში კი (1067 წლამდე) - სამიტროპოლიტო. 1391 წელს, დეპოპულაციის გამო, ის შეუერთდა ტრაპეზუსის (Trapezous) სამიტროპოლიტოს. ნიკოპოლისი (Nikopolis) სამიტროპოლიტოც დაახლოებით ამავე დროს გაუქმდა. ეს ტერიტორია მოგვიანებით ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტოს შეუერთდა და მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტოში შემავალი ნიკოპოლისის (Nikopolis) ეპარქიას წარმოადგენდა.

1889 წლის 10 იანვარს ეპარქია გახდა სამიტროპოლიტო, თუმცა ეწოდა კოლონიის (Kolonia) სამიტროპოლიტო იმის გამო, რომ თავიდან აეცილებინათ ეკუმენურ საპატრიარქოში ნიკოპოლისის (Nikopolis) სახელის მქონე ორი სამიტროპოლიტოს არსებობა (ამავე სახელის სამიტროპოლიტო იყო ეპირუსში (Epirus), საბერძნეთში). მიუხედავად ამისა, კოლონიის (Kolonia) სამიტროპოლიტო ტახტი რჩებოდა ნიკოპოლისში (Nikopolis).

კოლონიის (Kolonia) სამიტროპოლიტო ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრავს ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტო და ქალდიის (Chaldia) სამიტროპოლიტო; აღმოსავლეთიდან ქალდიის სამიტროპოლიტო,სამხრეთიდან თეოდოსიოპოლისის (Theodesiupolis) სატმიტროპოლიტო და ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტო; და ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტო დასავლეთიდან. სხვა მნიშვნელოვანი ქალაქებია: ანდირა, ნიკოპოლისის (Nikopolis) სამხრეთ-დასავლეთით 35 კმ-ით; და კაპსოსი (Kapsos), ნიკოპოლისის (Nikopolis) აღმოსავლეთით 30 კმ-ით.

1920 წლის იანვარ-ნოემბერში სამიტროპოლიტოს ტერიტორია იყო პონტოს ავადსახსენებელი ბერძნულ-სომხური რესპუბლიკის ნაწილი.

1923 წელს, მას შემდეგ რაც მოხდა მოსახლეობის გაცვლა საბერძნეთსა და თურქეთს შორის, სამიტროპოლიტოს ტერიტორიაზე აღარ დარჩა მართლმადიდებელი მოსახლეობა.

ნიკოპოლისის (Nikopolis) ეპისკოპოსები 1800-89 წლებში

11. იოანიკიუსი (Johnnicius)	- 1832+	d. 1832
12. ქრისტოფერი (Christopher)	ოქტ. 1932 - 1860	d. 1863

Fotianos, გადამდგარი
13. იერემია (Jeremias) 27 ნოემბ. 1864 - ოქტ. 1878+ d. 1878
Georgiadis (ex t.b. Nyra 13 თებ. 1860)
14. გერადიუსი (Gennadius) აგვისტო 1879-10 იანვარი 1889 d.?
Vasiliadis (ex former a. Rhodopolis), გადაყენებული

კოლონიის (Kolonia) მიტროპოლიტები 1889 წლის შემდეგ

13. დოროთეუს (Doroteus) I 2 იანვარი 1889 - 1894+ d. 1894
(ex m. Halepion)
14. ლეონტიუსი (Leontius) 15 თებ. 1894 - 29 აპრილი 1899 1944-1926
Choetouriotis (ex t.b. Lefki marti 1886) (to m. Philadelphia)
15. პოლიკარპი (Polycarp) 16 მაისი 1899 - 28 აპრილი 1911 1864-1935
Psomiadis (to fromer m. Neokaisaria)
16. სოფრონიუსი (Sophronius) II 28 აპრილი 1911 - 10 თებ. 1917+ d. 1917
Nistopoulos (ex fromer m. Kaisaria)
17. დოროთეუს (Dorotheus) II 11 ივლისი 1917 - 17 იანვარი 1919 d. 1924
Christidis (ex m. Sozoagthoupolis) გადამდგარი, 24 ოქტომბერი, 1923+
18. გაბრიელი (Gabriel) (პირველად) 9 აპრილი 1967 - 29 დეკ. 2003+ 1819-2003
Premetidis

როდოპოლისის (Rhodopolis) სამიტროპოლიტო

როდოპოლისის (Rhodopolis) მიტროპოლიტი, ყველაზე პატივცემული და

ლაზიკის (Lazica) ეგზარხოსი

ქალაქი **როდოპოლისი (Rhodopolis) (დღევანდელი ქვაციხე, Kvatsikhe, საქართველო), განლაგებულია ქუთაისის აღმოსავლეთით 35 კმ-ით,** ანტიკური კოლხეთის ტერიტორიაზე. მოგვიანებით ცნობილი როგორც ლაზიკა, სახელმწიფო ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ქრისტეს შობიდან მეოთხე საუკუნეში. 542 წელს,რომის იმპერიის გავლენის ნეიტრალიზების მიზნით,იგი დაიპყრო სპარსეთმა. თავისი გავლენის დაბრუნება რომის იმპერიამ შეძლო 549-56 წლებში სპარსეთის წინააღმდეგ მიმდინარე ლაზიკის ომის შედეგად. ამის შემდეგ ლაზიკა რჩებოდა რომის იმპერიის გავლენის ქვეშ დაახლოებით ქრისტეს შობიდან **700 წლამდე, მანამ, სანამ არ მოხდა ამ ტერიტორიის ოკუპაცია არაბების მიერ. ამის შემდეგ ლაზიკის მოსახლეობამ გადაინაცვლა სამხრეთ-დასავლეთით ტრაბზონამდე და შესაბამისად, ლაზიკა დაერქვა უკვე ლაზებით დასახლებულ ახალ ტერიტორიას.**

როდოპოლისი (Rhodopolis) წარმოადგენდა **ფაზისის სამიტროპოლიტოში შემავალ ეპარქიას. ფაზისის სამიტროპოლიტო გაუქმდა არაბების შემოჭრის შემდეგ და მეცხრე საუკუნეში მისი ტერიტორია შეუერთდა ტრაპეზოუსის (Trapezous) ახალ სამიტროპოლიტოს.**

ტრაბზონის სამხრეთით, მთიან ტერიტორიაზე, სამი ისტორიული მონასტერი მდებარეობს. **სუმელა** (Soumela), დიკაიოსიმონის (Dikaiosimon) სამხრეთით 20 კმ-ით, გადმოცემის მიხედვით დაარსდა 386 წელს. **ვაზელონი** (Vazelon), დიკაიოსიმონის (Dikaiosimon) სამხრეთ-დასავლეთით 10 კმ-ით, გადმოცემის მიხედვით დაარს-

და **270** წელს. მონასტერი **პერისტერეოტა** (Peristereota) კი, გადმოცემის მიხედვით, 752 წელს დაარსდა. ტრაბზონის იმპერიის მმართველობის პერიოდში სამივე მონასტერი იყო ეკლესიურად ავტონომიური და მათი ძალაუფლება გარშემომყოფ დასახლებაზეც ვრცელდებოდა. ეს ავტონომია 1461 წელს ამ ტერიტორიის ოსმანთა იმპერიის მიერ ოკუპაციის შემდეგაც გაგრძელდა და **თითოეულ მონასტერს ჰქონდა საპატრიარქო ეგზარქატის სტატუსი. 1863 წლის მაისში სამივე ეგზარქატი გაუქმდა და მათ ადგილას ჩამოყალიბდა როდოპოლისის (Rhodopolis) ახალი არქიეპარქია**. უნდა აღინიშნოს, რომ ამ არქიეპარქიას დიდხანს არ უარსებია, 1867 წლის 7 სექტემბერს ის გაუქმდა და ისევ აღდგა სამი ეგზარქატი. 1920 წლის ოქტომბერში ეგზარქატები კვლავ გაუქმდა და ის როდოპოლისის ახალმა **სამიტროპოლიტომ** ჩაანაცვლა.

როდოპოლისის (Rhodopolis) სამიტროპოლიტოს სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ტრაპეზოუსის (Trapezous) სამიტროპოლიტო შემოსაზღვრავს, ხოლო სამხრეთიდან და დასავლეთიდან კი ქალდიის (Chaldia) სამიტროპოლიტო.

სამიტროპოლიტო ტახტი არის ქალაქ დიკაიოსიმონში (Dikaiosimon), ტრაპეზოუსის (Trapezous) სამხრეთით 25 კმ-ით. თურქული სახელი მიღებულია ამ ტერიტორიის სახელწოდებიდან რომის იმპერიის ბატონობის პერიოდში - **მაჭუკა (Matsouka).**

1916 წელს, რუსულმა არმიამ მოახდინა დიკაიოსიმონისა (Dikaiosimon) და მონასტერების ოკუპაცია, მაგრამ 1918 წელს, მეფის დამხობის შემდეგ, მოხდა მათი განდევნა ამ ტერიტორიიდან. 1920 წლის იანვარ-ნოემბერში სამიტროპოლიტოს ტერიტორია იყო პონტოს ავადსახსენებელი ბერძნულ-სომხური რესპუბლიკის ნაწილი. 1923 წელს, მას შემდეგ რაც მოხდა მოსახლეობის გაცვლა საბერძნეთსა და თურქეთს შორის, სამიტროპოლიტოს ტერიტორიაზე აღარ დარჩა მართლმადიდებელი მოსახლეობა.

როდოპოლისის (Rhodopolis) იერარქები

(არქიეპისკოპოსები 1863-1867 წლებში, შემდგომში მიტროპოლიტები)

1. გენადიუსი (Gennadius) 3 იანვარი 1864 - 7 სექტ. 1867 d. ბ 1894

Vasiliadis, დროებით გადამდგარი (to former, to b. Nikopolis)

2. გერვასი (Gervase) 16 ნოემბ. 1902 - 10 ოქტ. 1906 1867-1934

Sarasitis (ex t.b. Nazianzos 28 ივლისი 1901) (to m. Korista)

3. ლეონტიუსი (Leontius) 10 ოქტ. 1906 - 22 სექტ. 1909 1844-1926

Chroutouriotis (ex m. Philadelphia) დროებით გადამდგარი, 2 ივნისი, 1926+

4. კირილი (Cyril) 22 სექტ. 1909 - 11 იანვ. 1944+ 1872-1944 Chatzipapadimitriou

5. იერონიმუსი (Hieronymus) 5 აგვ. 1954 - 17 ნოემბ. 2005+ 1912-2005

Konstantinidis (ex t.b. Trallis 28 იანვარი, 1951)

[[შენიშვნა: ავტორი სამწუხაროდ მოექცა საბჭოთა ეპოქის საისტორიო გავლენის ქვეშ,მაგალითად, ის იმეორებს XX ს.-ში შექმნილ ლეგენდას თითქოსდა დაახლოებით 700 წლისათვის დასალეთ საქართველოდან ლაზები გადასახლდ-

ნენ ტრაბზონის რეგიონში და ამის გამო დაერქვა „ლაზიკა“ უკვე ლაზებით დასახლებულ ახალ ტერიტორიას. ამ უსაფუძლო ლეგენდას ავტორი უკრიტიკოდ იზიარებს,ამის გამო მიიჩნევს,რომ თითქოსდა როდოპოლისი ერქვა ქუთაისიდან „აღმოსავლეთით 35 კმ-ში მდებარე ქალაქ ქვაციხეს“. ასეთი ქალაქი ბუნებაში არასდროს არსებულა. ავტორი გულისხმობს ქუთაისის დასავლეთით მდებარე პუნქტ ვარციხეს. ჩვენი ნაშრომის ერთი ნაწილი ეხება კვლევას იმისა,რომ როდოპოლისი იმთავითვე მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის ლაზიკას ოლქში, რომ ლაზები ამ რეგიონში ყოველთვის ცხოვრობდნენ, რადგანაც ლაზებად მოგვიანებით იწოდნენ სტრაბონის „ალაზონები“ ანუ ქალდები.]]

ტრაპეზუსის (Trapezous) სამიტროპოლიტო

ტრაპეზუსის (Trapezous) მიტროპოლიტი, ყველაზე პატივცემული და სრულიად **ლაზიკის** (Lazica) ეგზარხოსი

ქალაქი **ტრაპეზუსი** (Trapezous), განლაგებული შავი ზღვის სანაპიროზე, ინოის (Inoi) აღმოსავლეთით 225 კმ-ით, დაარსდა ქრისტეს შობამდე 756 წელს იონიელი (Ionian) ბერძნების მიერ სინოპიდან (Sinopi). რომის იმპერიის კონტროლის ქვეშ ეს ქალაქი ქრისტეს შობამდე 63 წელს მოექცა. ქრისტეს შობამდე 37 წელს ქალაქი გადაეცა პონტოს მეფე **პოლემონ** I-ს და ქრისტეს შობიდან 64 წელს ისევ რომის იმპერიას დაუბრუნდა. დაახლოებით იმ პერიოდისათვის, როდესაც კონსტანტინოპოლი დამარცხდა ევროპელ ჯვაროსნებთან, ტრაპეზუსმა (Trapezous) გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა როგორც ტრაპეზუსის (Trapezous) რომაულმა იმპერიამ და რჩებოდა დამოუკიდებელი 1461 წლის 15 აგვისტომდე, მანამ, სანამ არ მოხდა მისი ოკუპაცია ოსმანთა იმერიის მიერ.

თავდაპირველად ნეოკეისარიის (Neokaisaria) სამიტროპოლიტოში შემავალი ეპარქია, ტრაპეზუსი (Trapezous) გახდა არქიეპაარქია მერვე საუკუნეში და შემდეგ გახდა სამიტროპოლიტო დაახლოებით 840 წელს. მეათე საუკუნისათვის ტრაპეზუსის (Trapezous) სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში შვიდი ეპარქია შედიოდა. მათი რაოდენობა მეთორმეტე საუკუნისათვის თვრამეტამდე გაიზარდა. ამის შემდეგ, ეპარქიების რაოდენობა ნელ-ნელა შემცირდა და მეთხუთმეტე საუკუნისათვის დარჩა მხოლოდ ორი - **ქალდიის** (Chaldia), ანუ **კანინის** (Kanin) ეპარქია, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში გახდა არქიეპარქია; და **ოფისის** (Ophis) ეპარქია, რომელიც გაუქმდა ამავე პერიოდისათვის. მეთვრამეტე საუკუნისათვის ამ ტერიტორიაზე ეპარქიები საერთდ აღარ დარჩა.

ტრაპეზუსის (Trapezous) სამიტროპოლიტო ჩრდილოეთიდან შავი ზღვითა და ბათუმის ეპარქიით (საქართველოს საპატრიარქო) არის შემოსაზღვრული; აღმოსავლეთიდან მას თეოდოსიპოლისის (Theodosiupolis) სამიტროპოლიტო (ანტიოქის საპატრიარქო) შემოსაზღვრავს; სამხრეთიდან ქალდიის (Chaldia) სამიტროპოლიტო, როდოპოლისის (Rhodopolis) სამიტროპოლიტო და თეოდოსიოპოლისის (Theodosioupolis) სამიტროპოლიტო; და დასავლეთიდან კი ქალდიის (Chaldia) სამინტროპოლიტო და როდოპოლისის (Rhodopolis) სამიტროპოლიტო.

სხვა მნიშვნელოვანი ქალაქები, რომელთაგანაც ყველა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, არის: **პლატანა** (Platana), ტრაპეზუსის (Trapezous) დასავლეთით 15

კმ-ით; **ფილოკალია** (Philokalia), ტრაპეზუსის (Trapezous) დასავლეთით 45 კმ-ით; **ელეოუსი** (Eleous), ტრაპეზუსის (Trapezous) დასავლეთით 65 კმ-ით; **ტრიპოლისი** (Tripolis), ტრაპეზუსის (Trapezous) დასავლეთით 85 კმ-ით; **თესპაის** (Thespais), ტრაპეზუსის (Trapezous) დასავლეთით 95 კმ-ით; **კასიოპია** (Kassiopi), ტრაპეზუსის (Trapezous) დასავლეთით 115 კმ-ით; **გიმორა** (Gimora), ტრაპეზუსის (Trapezous) აღმოსავლეთით 15 კმ-ით; **ირაკლია** (Iraklia), ტრაპეზუსის (Trapezous) აღმოსავლეთით 28 კმ-ით; **სურმენია** (Sourmena) ტრაპეზუსის (Trapezous) აღმოსავლეთით 35 კმ-ით; **ოფისი** (Ophis), ტრაპეზუსის (Trapezous) აღმოსავლეთით 50 კმ-ით; **რიზე** (Rizous), ტრაპეზუსის (Trapezous) აღმოსავლეთით 75 კმ-ით; **მაპავრი** (Mapavri), ტრაპეზუსის (Trapezous) აღმოსავლეთით 95 კმ-ით; **ათინა** (Athina), ტრაპეზუსის (Trapezous) აღმოსავლეთით 115 კმ-ით; **არმინი** (Armini), ტრაპეზუსის (Trapezous) აღმოსავლეთით 125 კმ-ით; **არქავისი** (Archavis), ტრაპეზუსის (Trapezous) აღმოსავლეთით 150 კმ-ით; და **აპსაროსი (Apsaros), ტრაპეზუსის (Trapezous) აღმოსავლეთით 165 კმ-ით.**

1916 წლის 18 აპრილს მოხდა ტრაბზონის (Trabzond) ოკუპაცია რუსეთის არმიის მიერ. მათი განდევნა მოხდა 1918 წლის 24 თებერვალს. გაიმართა დისკუსია ამ ტერიტორიაზე პონტოს ბერძნულ-სომხური რესპუბლიკის ჩამოყალიბების შესახებ, რომლის დედაქალაქიც იქნებოდა ტრაბზონი (Trebzond). 1920 წლის იანვარში მოეწერა ხელი შეთანხმებას ამ რესპუბლიკის შექმნის შესახებ, ადგილობრივი მიტროპოლიტის ქრისტანთოსისა (Chrysanthos) და სასომხეთის პრემიერ-მინისტრის ალექსანდრე ჰატისიანის მიერ. შეთანხმება ითვალისწინებდა სამხედრო თანამშრომლობას საბერძნეთსა და სასომხეთს შორის ახალი სახელმწიფოს დაცვის მიზნით, და მართლაც, ოსმანთა იმპერიის რღვევის მიზეზით რეგიონში ხელისუფლების შესუსტების გამო, 1920 წლის იანვარ-ნოემბერში პონტოში ეს „უდღეური“ სახელმწიფო ფუნქციონირებდა.

თუმცა, ანტანტა (სამთა კავშირი: ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი) არ დაეთანხმა ლოკალური სამხედრო სომხურ-ბერძნული არმიის არსებობას და 1920 წლის ნოემბერში თურქებმა, მუსტაფა ქემალის მეთაურობით, აღადგინეს ხელისუფლება რეგიონში. ერზრუმში თურქული არმიის მიერ სომხების დამარცხებისა და 1920 წლის დეკემბერში მათი კაპიტულაციის შემდეგ, ახალი სახელმწიფოს შექმნის გეგმა ჩაიშალა, რამაც ფრიად სამწუხარო შედეგები მოუტანა რეგიონში არსებულ ბერძნულ და სომხურ მოსახლეობას. 1923 წელს, მას შემდეგ რაც მოხდა მოსახლეობის გაცვლა საბერძნეთსა და თურქეთს შორის, სამიტროპოლიტოს ტერიტორიაზე აღარ დარჩა მართლმადიდებელი მოსახლეობა.

ტრაპეზუსის (Trapezous) მიტროპოლიტები 1800 წლის შემდეგ

50. პართენიუსი (Pathenius) მარტი 1798 - 1830+ d. 1830

51. კონსტანტიუს (Constantius) I ივლისი 1830 - აპრილი 1879+ d. 1879

52. გრეგორი (Gregory) II 12 მაისი 1879 - 22 დეკ. 1884 1844-1925

Kalliadis (ex t.b. Nazianzo 1875) (to m. Thessaloniki)

53. გრეგორი (Gregory) III 29 დეკ. 1884 - 17 მარტი 1888 d. 1830

Giannaros (ex m. Philippoupolis)(to m. Rhodes)

54. ფილარეტუსი (Philaretus) 14 მაისი 1888 - 10 ოქტ. 1889 1848-1933

Vafidis (to m. Kastoria)

55. გაბრიელი (Gabriel) 10 ოქტ. 1889 - 23 აპრილი 1893 d. 1906
Latroudakis (ex m. Varna) დროებით გადამდგარი (to former, to m. Maronia)
56. კონსტანტიუს (Constantius) II 19 აპრილი 1893-18 ივნისი 1906+ d. 1906
Karatzopoulis
57. კონსტანტინე (Constantine) II 29 ივნისი 1906 - 2 აპრილი 1913
1859-1930
Arampoglous (ex m. Vellas)(to m. Kyzikos)
58. ქრისტანთუს (Crystanthus) (პირველად) 26 მაისი 1913 - 10 თებ. 22 1881-1949 Filippidis (to m. Matonia) იხ. შენიშვნა 1
ქრისტანთუს (Crystantus) (მეორედ) 27 ოქტ. 1922 - 13 დეკ. 1938 1881-1949
Filippidis (to m. Maronia)(to a. Athina/Head of Greek Church)

შენიშვნა 1. 1921 წლის 7 სექტემბერს მიტროპოლიტ ქრისტანთუსს (Chrystanthus) დაუსწრებლად მიესაჯა სიკვდილით დასჯა თურქეთის მართლმსაჯულების მიერ.

ფადისა ანუ პოლემენიონი

ძალზე მნიშვნელოვანია ახალი ქართული ისტორიოგრაფიისათვის ქალაქ ფადისას ლოკალიზაცია, საქმე ისაა, რომ VII მსოფლიო კრების აქტებს სამჯერ მოაწერა ხელი ტრაპეზუნტის ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ, რომელიც „ტრაპეზუნტისა და ფასიდის ეპისკოპოსი“.

ფასიდი (ფადისა) ერქვა ცნობილ საეკლესიო და პოლიტიკურ ცენტრს ტრაპეზუნტთან ახლოს, მას ასევე პოლემონიონი ერქვა.ქალაქი პოლემონიონი იმდენად ცნობილი იყო, რომ მისი სახელის მიხედვით მის მომცველ პროვინციას პოლემონის პონტო ეწოდა. პოლემონი სამიტროპოლიტო ცენტრიც იყო.

ჩვენი მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ ფადისა არის ფოთი, ამიტომაც მიიჩნევდნენ, რომ ფოთში იყო ბერძნული სამიტროპოლიტო კათედრა, ცნობილი ფასისის სამიტროპოლიტოს სახელით. ჩვენი მეცნიერების აზრით შემდეგ ეს კათედრა ფოთიდან გადატანილი იქნა ტრაპეზუნტში.

ჩემი თვალსაზრისით კი „ფასიდის“ ქვეშ იგულისხმებოდა ტრაპეზუნტთან ახლოს, მის დასავლეთით, ორდუსთან ახლოს მდებარე ქალაქი ფადისა - ფატსა (თანამედროვე სახელი ფატსა).

ჩემი მოსაზრება, ვფიქრობ, ფაქტიურად დაადასტურა 2001 წელს ვაშინგტონში დაბეჭდილმა წიგნმა „Bizantine Seals“ აქ 83-ე გვერდზე განხილულია ქ. პოლემონიონის მონეტები და მოყვანილია ცნობა - „30. Polemonion. Polemonion, a twin town with fadisane/fatsa, gave its hame the river Boliman~ (Catalogue of Bizantine Seals at dumbarton oaks and in the Fogg Museum of art, volume 4, The East, 2001, გვ. 83).

მაშასადამე ფადისა მეორე სახელად ერქვა ქ. პოლემონიონს, რომელიც ტრაპეზუნტის დასავლეთით მდებარეობდა. ერთ დროს თვითონ ტრაპეზუნტი, ვითარცა რიგითი საეპისკოპოსო შედიოდა პოლემონიონის ეპარქიაში, ხოლო ქრისტოფორემ VII ს-ში, ჩანს, სამიტროპოლიტო ცენტრად გადააქცია ტრაპეზუნტი, ხოლო ფადისა

(ანუ ქ. პოლემინიონი) დაიტოვა თავისსავე სამღვდელმთავრო გამგებლობაში, ამიტომაც ასე იწოდა - „ქრისტეფორე ტრაპეზუნტისა და ფადისას ეპისკოპოსი“. ასევე მოაწერა კიდევ ხელი კრების დადგენილებებს.

№3 და №4 ნოტაციებით (806-815 წლებში) და ასევე №5 ნოტაციით (820-829 წლები) პ. ინგოროყვას კვლევით, ტრაპიზონის კათედრას ეწოდება - „პოლემონის პონტოს კათედრა“ მე-8 საუკუნეში (პ. ინგოროყვა, გვ. 237, შენიშვნა 1), პოლემონს - ფადისა ერქვა, ამ კათედრას კი „ფასიდისა“ ერქვა.

ე.წ. ფოთ-ფაზისისა დატრაპეზუნტის კათედრების ერთმანეეთთან დაკავშირება შეცდომაა,ერთთმანეთს ტრაპეზუნტისა და პოლემონიონის (ფასიდა-ფადისას) კათედრები უკავშირდებოდნენ.

თავი XVII

პეტრას ციხე-სიმაგრე და პეტრას საეპისკოპოსო კათედრა

პეტრას ციხე-ქალაქი

ნ. ადონცის ცნობით **ციხე-ქალაქი პეტრა მდებარეობდა იმპერიის ჩრდილო საზღვარზე.** რადგანაც ლაზიკა იმპერიაში შედიოდა პეტრა მის ჩრდილოეთში მდებარეობდა. პეტრას აშენება-დაფუძნებით იუსტინიანემ იმპერიის საზღვარი გააფართოვა ჩრდილოეთის მიმართულებით. იუსტინიანემდე იმპერიის ჩრდილო-საზღვარი მდებარეობდა ტრაპეზუნტთან ახლოს, რიზეს რაიონში, მხოლოდ იუსტინიანეს გაფართოების შემდეგ გადაიწია იმპერიის ჩრდილო საზღვარმა მდ. ჭოროხის შესართავამდე. **ამ საზღვრის დასაფიქსირებლად იუსტინაინემ ააგო კიდეც პეტრას სიმაგრე და** იმპერიის საზღვრების ამ გაფართოების წინააღმდეგ გაილაშქრა სპარსეთმა.

ასე რომ, **პეტრა მდებარეობდა ლაზიკის ქვეყანში და, იმავდროულად, იმპერიის ჩრდილო საზღვარზე, ანუ პეტრა ლაზიკის ჩრდილოეთში მდებარეობდა იმპერიის სასაზღვრო მდინარის ფაზისის ანუ ჭოროხის სიახლოვეს.**

მრავალი ძველი უცხოური წყაროს თანახმად მდ. ფაზისი დიდხანს იყო ბიზანტიის იმპერიის ჩრდილო საზღვარი. ჩვენ მეცნიერებაში განმტკიცებული აზრით მდ.ფაზისი იყო მდ. რიონი, ეს თვალსაზრისი უცხოეთშიც გავრცელდა, ამიტომაც ზოგიერთი უცხოელის მტკიცებით VI საუკუნედან და თვით თამარ მეფის დროსაც კი საზღვარი საქართველოსა და ბიზანტიას შორის გადიოდა მდ.რიონზე ანუ ფაზისზე. ამ აზრს იცავდა ცნობილი ბიზანტიოლოგი თ.უსპენსკი(იხ.პ.ინგოროყვა,გიორგი მერჩულე, 1954,გვ.267), ამჟამად იცავენ კარპოვი და სხვანი. მართლაც,თუკი რიონი ფაზისია,მაშინ,რადგანაც წყაროთა ცნობით საზღვარი ფაზისზე გადიოდა,სასაზღვრო მდინარე რიონი გამოდის, თვით XIII ს.-შიც კი. სინამდვილეში ფაზისად იწოდებოდა მდ.ჭოროხი, რომლის სიახლოვესაც იდგა პეტრას ციხე-სიმაგრე,რომელიც ბიზანტიის ჩრდილო საზღვარს იცავდა.

პეტრას ციხე-ქალაქი ზღვისპირას მდებარეობდა, ფაზისის სანაპიროსთან ახლოს. პროკოფი მაგალითად წერს: „სპარსთა ჯარი ისე მივიდა პეტრაში, რომ ფაზისი მარჯვნივ ჰქონდათ“ და სხვა მრავალი მსგავსი ფრაზა, რომელიც ფაზისთან პეტრას სიახლოვეს მეტყველებს. თუ ფაზისი არის რიონი, რიონი იმდენადაა დაშორებული პეტრა-ციხისძირ-გონიოს, რომ ჯარის მარშრუტის აღსაწერად საჭირო იქნებოდა არა რიონის ხსენება, არამედ სხვა რომელიმე უფრო ახლოს მდებარე მდინარისა ანდა პუნქტისა.

მეორე შემთხვევაში არქეოპოლისთან ახლოს გამავალი სპარსთა ჯარი ეხმიანება არქეოპოლისის ბერძენ მებრძოლებს და მიემართება ფაზის-პეტრასკენ, თან იქადნება რომ მალე დაბრუნდება უკან – მათი დიალოგიდან აშკარაა, რომ არქეოპოლისიც და პეტრაც ახლო არიან მდინარე ფაზისთან. ერთ რეგიონში, ერთ არეალზე არიან. სხვა დროს კი, პეტრაში დამარცხებულმა მებრძოლეებმა მდ. ფაზისი გადალახეს და თავს სწრაფად უშველეს, ასეთი მაგალითი ბევრიარომელთაგანაც ჩანს,რომ მდინარე ფაზისად ჭოროხი იწოდებოდა,ხოლო გონიოსთან ახლოს უნდა ყოფილიყო ქალაქი ფაზისი

მანძილები პერსარმენიიდან პეტრამდე. პროკოფი კესარიელის ცნობით, სპარსეთის შაჰი და მისი ძალები პეტრას ციხე-სიმაგრეში, შავი ზღვის პირას, ფაზისის(ჭოროხის) შესართავთან მიემართებოდნენ პერსარმენიიდან, კერძოდ კი, დვინის სანახებიდან. მისი ცნობით, სპარსული ჯარი ლაზიკაში ომების შუალედებში ისვენებდა და ძალებს იღდგენდა პერსარმენიაში, კერძოდ კი, დვინის სანახებში. აქედან ისინი მიემართებოდნენ საბრძოლველად პეტრაში. მართლაც, სპარსეთსა და ლაზიკას შორის იმყოფებოდა პერსარმენიის ქვეყანა, ანუ, სპარსელთა მიერ დაპყრობილი სომხეთის ქვეყანა და მისი ეკონომიკური ცენტრი დვინი. ამიტომაც დვინის სანახების შერჩევა სპარსული ჯარისთვის ლაზიკაში ლაშქრობის დროს ბუნებრივი იყო.

ქართული XX საუკუნის ისტორიკოსების მტკიცებით, სპარსული ჯარები პეტრაში შედიოდნენ სურამის უღელტეხილის გავლის გზით.

ჩვენ არ ვეთანხმებით ქართველ ისტორიკოსთა მტკიცებას, რომ სპარსული ჯარები პეტრაში სურამის გზით შედიოდნენ იმ ძალზე უბრალო მიზეზის გამო, რომ დვინიდან პეტრამდე V-VI საუკუნეებში არსებობდა პირდაპირი გზა. თანამედროვე პუნქტების სახელების გამოყენებით ეს გზა იყო – დვინი – ყარსი – არდაგანი – ართვინი – პეტრა. ეს იყო იმდენად ცნობილი გზა, რომ მის პირას IX-X საუკუნეებისთვის წარმოიქმნა „ქართველთა სამთავროს“ დედაქალაქი – არტანუჯი, ცნობილი სავაჭრო ქალაქი, რომელიც კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით, ვაჭრობდა სომხეთთან, აფხაზეთთან, იბერიასთან და სირიასთან. მაშასადამე, აღნიშნული **გზა რეალურად სიცოცხლისუნარიანი იყო პირველ ათასწლეულში**. თუ სპარსული ჯარი დვინიდან სურამის გზით გასწევდა პეტრაში, მას ორჯერ და სამჯერ უფრო გრძელი გზა უნდა გაევლო. ჯერ ეს ჯარი უნდა შესულიყო თბილისში, შემდეგ სურამის გავლით დასავლეთ საქართველოში, გაევლო ის თითქმის მთლიანად სურამიდან პეტრამდე და შემდეგ ჩართულიყო გააფთრებულ ომში. ეს კი სრულიად არარაციონალური გზა იქნებოდა, რადგანაც უკვე არსებობდა პირდაპირი გზა: დვინი – ყარსი – არტაანი – ართვინი – პეტრა, არსიანის ქედის გავლით, პერსარმენიის ქალაქ ყარსიდან არდაჰანამდე სულ 97

კმ-ია, არდაჰანიდან ართვინამდე – 99კმ. ართვინიდან ბორჩხამდე – 37კმ, ბორჩხიდან აჭარისწყლამდე – 29 კმ. აჭარისწყლიდან ბათუმამდე – 17 კმ. სულ ყარსიდან პეტრამდე დაახლოებით იქნებოდა 97+99+37+29+17=277 დაახლოებით 300კმ, მაშინ, როცა პერსარმენიის აღნიშნული ქალაქიდან სურამის ქედის გავლით პეტრამდე იქნებოდა 800-900 კმ მაინც. მაშასადამე, ჯარი ივლიდა მოკლე და უკვე არსებული 300-კილომეტრიანი გზით.

ბრძოლები ქ. პეტრასთან ლაზიკის დიდი ომის დროს (542-562).

542 წ. „ლაზთა მეფის“ გუბაზ II-ის მიწვევით სპარსთა ჯარი პეტრას მიადგა. მეთაურობდა შაჰი ხოსრო I. პეტრას ციხის აღებისას ირანელებმა გვირაბი გაიყვანეს. ერთი კოშკი ჩამოინგრა და ბიზანტიელი სტრატეგოსი ციბე დაიღუპა. პეტრაში სპარსთა ჯარი ჩადგა (542 წ.).

549 წ. გუბაზ II-მ ახლა ბიზანტიის იმპერატორს სთხოვა დახმარება სპარსთა წინააღმდეგ. იუსტინიანემ 8000 მეომარი გამოგზავნა (აქედან 1000 ჭანი). ალყა შემოარტყეს პეტრას გუბაზის ლაშქართან ერთად. სპარსთა ლაშქარი კვლავ მიადგა პეტრას, გააძლიერა ციხის შიგნით მდგომი თავისი ჯარი და ახალი 3000 მეომარი ჩააყენა.

551 წელს ბიზანტიელებმა ბესას მეთაურობით იერიში მიიტანეს პეტრაზე. ქალაქს 2300 ირანელი იცავდა, ბიზანტიელთა ჯარში 6000 მეომარი იყო, ქალაქი აიღეს, მაგრამ 500 ირანელი აკროპოლისში გამაგრდა და ცეცხლში დაიწვა.

„ბიზანტიელებმა პეტრის ზღუდეები მიწასთან გაასწორეს, რომ მტერს ის მომავალში კვლავ არ დაეკავებინა“.

გუბაზს „მეფეს“ უწოდებდნენ რომაელები (ბიზანტიელები), მაგრამ ირანელები მას „მეფეს“ არ უწოდებდნენ – მერმეროეს წერილში იგი მეფედ არ იხსენიება.

ომი კიდევ 10 წელი გაგრძელდა (– სულ 20 წელი).

ბიზანტია ირანს შორის 562 წელს დაიდო ზავი 50 წლით. ლაზიკა ბიზანტიის ვასალურ ქვეყნად დარჩა.

(იქამდეც II ს-ის 30-იან წლებში ლაზთა მეფე მალასა დანიშნა რომის იმპერატორმა. IV ს – ბიზანტიის იმპერატორი უგზავნიდა სამეფო ნიშნებს ლაზთა მეფეს? მეფე წათე II-მ გვირგვინი იმპერატორისაგან მიიღო).

VII ს. ბოლოს იქცა ბიზანტიის პროვინციად. ლაზიკის ადგილობრივ მმართველს მეფის ტიტული ჩამოერთვა, მიეცა „პატრიკიოსის“ ტიტული.

ხე-ტყე პეტრაში. სპარსთა შაჰმა გადაწყვიტა შავი ზღვის სანაპიროზე შეეტანა გემთსაშენი მასალა, მას სურდა აეგო ხომალდები და ბერძნები გაეძევებინა შავი ზღვიდან. ამისთვის მან შეიტანა კიდეც ხე-ტყე ლაზიკის გავლით შავი ზღვის ნავსადგურში, მაგრამ ხე-ტყეს მეხი დაეცა დაიფერფლა და ხოსრომ გეგმა ვერ განახორციელა. ეს ღონისძიება მოეწყო პეტრას ომების დროს. როგორ უნდა შეეტანათ პეტრაში ხე-ტყე, რომელი გზით? პროკოფი წერს, რომ ხე-ტყე ნავსადგურში მიიტანეს დიდი გასაჭირით და შორი გზით, ისმის კითხვა – მთელი დასავლეთ საქართველო ტყეებით იყო დაფარული და თუ ლაზიკა დასავლეთ საქართველოა, რა საჭირო იყო აქ შორი გზიდან ხე-ტყის შეტანა? ან როგორ მიიტანეს ის პეტრასთან? მაგრამ თუ ფაზისი არის ჭოროხი, ჭოროხზე ხე-ტყე გადაჰქონდათ ბრტყელძირა ნავებით, თავისი თვალით ნახა დიმიტრი ბაქრაძემ, რომ მდ. ჭოროხზე დაცურავდნენ ბრტყელძირა ნავები დღეში 50-200 ერთეული, რომელთაც კლარჯეთიდან ბათუმსა, რიზესა და ტრაპიზონშიც კი მდ. ჭოროხზე

გავლით გადაჰქონდათ ჭოროხის ვრცელი ხეობის მოსახლეობისაგან აღებული საქონელი, მათ შორის უმეტესად ხე–ტყე. ეს ბრტყელძირა ნავები ართვინიდან ბათუმამდე ჩადიოდნენ 8 საათში, ხოლო უკან დაბრუნებისათვის (ე.ი. ბათუმიდან ართვინამდე) ესაჭიროებოდათ 3-4 დღე. მთელი საქონელი, მათ შორის მარილი, ხორბალი, ხალხისათვის საჭირო სხვა საქონელი კლარჯეთში შედიოდა და გადიოდა ჭოროხის ნავების საშუალებით, ჭოროხი იყო აღებ–მიცემობის არტერია. ასე, რომ ხოსროს თავის შავიზღვისპირა ნავსადგურებში და პეტრაშიც ხე-ტყე უნდა ჩაეზიდა ჭოროხის ნავების საშუალებით.

40 სპილო. სპარსელები ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პეტრას ციხის აღებას, რომ პერსარმენიიდან პეტრაში 40 საბრძოლო სპილო შეიყვანეს. მათ კარგად იცოდნენ, რომ სპილოებს საკვების პრობლემა შეექმნებოდათ, რადგანაც 20 000 ცხენი უბალახობით დაეღუპათ. ამიტომაც ეცდებოდნენ მოკლე გზითა და სწრაფი მარშით გზის დაფარვას. ასეთია არა დვინი-თბილისი-ლიხი-დასავლეთ საქართველო – პეტრას გზა, არამედ **დვინი-არტაან-ართვინ-პეტრას** 3-4–ჯერ უფრო **მოკლე გზა**, ამასთანავე ეს მოკლე გზა ნამდვილად იყო სავაჭრო, საერთაშორისო მნიშვნელობის გზა (თვით კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, ამ გზაზე აღმოცენებული არტანუჯი საერთაშორისო ვაჭრობათა ცენტრი იყო), საეჭვოა ლიხის გზას ასეთი მნიშვნელობა ჰქონოდა, მაშასადამე მოუწყობელიც იყო. **არტაან-არტანუჯ-ართვინის გზა** კი რეალურად არსებობდა. მხოლოდ ერთი მონაკვეთი არსიანის ქედზე იყო ძალზე ძნელი დასაძლევი. ამიტომაც სპილოების გადასაადგილებლად გზის ეს მოკლე მონაკვეთი მოჭრილი ხეებით ამოავსეს, აქ სპილოებმა გაიარეს და ფაზისის(ე.ი.ჭოროხის) გზით პეტრაში მივიდნენ. ანუ არტაანიდან გადავიდნენ პეტრაში. ვფიქრობ სპილოების გადაყვანა უფრო ადვილი იყო არსიანის ქედზე, ვიდრე სურამიდან მთელი დასავლეთ საქართველოს გავლით პეტრამდე მისვლა. ამიტომაც უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია თვალსაზრისი ხოსროს მიერ არტაან–ართვინის გზის გავლის შესახებ.

პეტრას საეპისკოპოსო კათედრა

ისტორიულ ლაზიკაში (და ასევე ტრაპეზუნტის რეგიონში) მრავალ პუნქტს ერქვა „პეტრა“,მათგან ყველა არ ყოფილა საეპისკოპოსო კათედრა, ზოგი იყო ციხე-სიმაგრე, ზოგი სოფელი, მცირე ან დიდი ქალაქი, მათგან მხოლოდ ერთ-ერთი იყო საეპისკოპოსო ცენტრი. ჩვენთვის საინტერესოა თუ კონკრეტულად რომელ პეტრაში უნდა ჰქონოდა კათედრა -ლაზიკის სამიტროპოლიტოს ერთერთ გამორჩეულ ეპისკოპოსს.

ლაზიკის პეტრათა შორის, ძველი ავტორების, განსაკუთრებით პროკოფი კესარიელის, ყურადღება მიიპყრო არა პეტრას საეკლესიო ცენტრმა-საეპისკოპოსო კათედრამ,არამედ სამხედრო-ადმინისტრაციულმა პუნქტმა- ცნობილმა ციხე-სიმაგრე პეტრამ, რომელიც იუსტინიანემ ააგო.

ჩვენი თვალსაზრისით, ამ ციხე-სიმაგრეში არ ჰქონოდა კათედრა ეპისკოპოსს, იმის გამო, რომ ჯერ ერთი, ეს პეტრა მალე დაანგრიეს თვით ბიზანტიელებმა, რათა სპარსელებს არ ჩაეგდოთ ხელში, ამასთანავე, ბიზანტიური საეპისკოპოსო კათედრები განლაგებულნი იყვნენ ეკონომიკურად დაწინაურებულ ცენტრებში, სადაც სამოქალაქო ცხოვრებისთვის შესაბამისი პირობები არსებობდა, ასეთი კი

არ იყო პეტრას ციხე-სიმაგრე. მან მხოლოდ VI ს.-ში მიიპყრო ყურადღება, ვითარცა სტრატეგიულმა წერტილმა სპარსეთთან ომის დროს და VI საუკუნეშივე იქნა დანგრეული, როდესაც ბიზანტია დარწმუნდა რომ, ის სტრატეგიულ პუნქტად არ გამოდგა ომიანობის დროს.

პეტრას საეპისკოპოსო კათედრად არ უნდა მივიჩნიოთ პეტრას ციხე სიმაგრე, არამედ ის უნდა ვეძიოთ ბაიბერდის (პაიპერტის) ახლოს – წერს ნ. ადონცი (ნ. ადონცი,სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში,სპბ,1908,გვ. 147.რუს.ენაზე).

ძველი შავიზღვისპირეთის ისტორიული გეოგრაფიის საერთაშორისოდ აღიარებული მკვლევარი ნ.ადონცი არ იზიარებდა თვალსაზრისს, რომ იუსტინიანეს მიერ ფაზისზე აგებულ პეტრას ციხესიმაგრეში მდებარეობდა საეპისკოპოსო კათედრა,მისი აზრით პეტრას კათედრა სხვგან იყო საძებნი. თვითონ ის პეტრას კათედრას ეძებდა ბაიბერდთან. თუმცა საეპისკოპოსო საყდარი სხვა პეტრაშიც შესაძლოა რომ ყოფილიყო.

მაგალითად, ერთ-ერთი პეტრა მდებარეობდა ტრაპეზუნტის მახლობლად, მდინარე ხარტიშზე, სანაპიროდან 5 კმ-ის დაშორებით [აქ არის ძველი ქალაქი „არგირია“, მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობს პეტრას ციხე, რომელსაც ახლა ბედრომას(პეტრომას) უწოდებენ (შდრ.: პეტრონი - ბედრომა). მდინარე ხარტიშზე აღნიშნული პუნქტის (არგირიას) სიახლოვეს კიდევ ორი სხვა ძველი ნაქალაქარი მდებარეობს - ფილოკალეია (გორელე), და ისხოპოლისი (ტირობოლუ). ისინი ქ. არგირიასთან ერთად ქმნიდნენ საერთო სამოქალაქო რეგიონს, სადაც 1879 წელს დაფიქსირებული იყო 30 ეკლესია. როგორც ვთქვით, აქ მდებარეობს „პეტრომას“ ციხე. შესაძლოა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ფასისის სამიტროპოლიტოს „პეტრონის“ (პეტრას) საეპისკოპოსო კათედრა აქ მდებარეობდა და აქაურმა ეპისკოპოსმა მოაწერა ხელი VII მსოფლიო კრების აქტებზე ასე- „პეტრონის ეპისკოპოსმა განვსაზღვრე და წავწერე, სოფელსა შინა მეგრელთასა“.

როგორც ითქვა, ძველი ქართველი მთარგმნელები ბერძნულად მიჩნეულ სიტყვას „ლაზიკა“ თარგმნიდნენ ასე: „სოფელი მეგრელთა“, ანუ აღნიშნული ხელმოწერის თანახმად პეტრას (პეტრონის) საეპისკოპოსო კათედრა მდებარეობდა ლაზიკაში. საქართველოს ეკლესიის ძველი წმიდა მამები კი ლაზიკას უწოდებდნენ „მეგრელთა ქვეყანას“ (ტრაპეზუნტის რეგიონს), ე.ი. აქტში ეწერა „პეტრონი ლაზიკაში“. ტრაპეზუნტის რეგიონს,როგორც ითქვა,სამეგრელოც ერქვა. „არგ“, „ეგრ“ ფუძეთა მქონე სახელებს ტრაპეზუნტთან მრავალი პუნქტი ატარებდა, მათ შორის აღნიშნული ქალაქი პეტრას ციხესთან „არგირია“ (ამჟამად ჰალკაველა). აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ გორელე-ფილოკალეიას, ასევე ერთ დროს ერქვა „გურელე“, რაც ეტიმოლოგიურად „ეგრ“ სახელთან ახლოა. „ეგრ“, „არგ“ ძირიანი სახელები ასევე არის ტრაპეზუნტიდან მოშორებით მდ. არაქსის (ფაზისის) სათავეებთან. მაგალითად ერზრუმის სამხრეთით 70-90 კმ-ში ისტორიულ მანრალიასთან ახლოს არის პუნქტი „ერგანი“, „არგინა“, ასევე ადგილის სახელლია „არგოლია“ (ახლანდელი „უგურლუ“), არცთუ შორს მისგან არის ადგილი „ერგინ“ (ერგინკოუ) და სხვა მრავალი პუნქტი. ამ ფუძით („არგ“, „ეგრ“) კი სიტყვები ეგრისი, სამეგრელო და მრავალი სხვა ქართველთა აღმნიშვნელი ეთნონიმია ნაწარმოები.

ძველ ქართულ წყაროებში,როგორც ითქვა, ტრაპეზუნტის ოლქს „სამეგრელო“ ერქვა. პეტრას კათედრა, სწორედ ამ „სამეგრელო-ლაზიკაში“ ანუ ჩვენი თქმით „სამხრეთის ეგრისში“ უნდა ყოფილიყო. როგორც ვთქვით, პეტრები მრავალი იყო

- ათინას (ფაზარს) ძველად ერქვა ასევე პეტრა.

აღსანიშნავია, რომ ახლანდელ ბორჩხასა და ართვინს შუა მდ. ჭოროხზე არის სოფელი „პეტრული“

ასევე ცნობილი იყო იუსტინიანეს მიერ აგებული **ღვთისმშობლის ტაძარი სოფელ პეტრაში, რომელიც თეოდოსიოპოლისთან,** ანუ არზრუმთან ახლოს იყო. ის ცნობილი იყო თეოდოსიოპოლისის პეტრას სახელით, შესაძლოა აქ იყო საეპისკოპოსო კათედრა, თუმცა ზიგანასთან ახლოს მდებარე პეტრუმიც არ უნდა გამოირიცხოს. ნ. ადონცი,როგორც ითქვა, პეტრას კათედრას ბაიბერდთან ეძებდა. მისი აზრით, სხვა იყო პეტრას ციხე-სიმაგრე და სხვაგან მდებარეობდა პეტრას კათედრა.

ზოგიერთი საეპისკოპოსი კათედრა ისტორიულ სამხრეთ ეგრისში

სამხრეთ ეგრისი ერქვა ვრცლად გადაჭიმულ მხარეს, რომელშიც შედიოდა ოლქი მანრალია (შემდგომი მანანადი, მარდალის გვერდით), ლაზივი (ტრაპეზუნტის ოლქი), ჭანივი (რიზეს ოლქი) და ეგრი (ჭოროხის შესართავის ოლქი). ნ.ადონცის კვლევით აქ იყვნენ განლაგებულნი ფაზისის სამიტროპოლიტოს ზიგანას, საისინის, პეტრასა და როდოპოლისის საეპისკოპოსოები არაბთა შემოსევებამდე, მათ გარდა ამ რეგიონში სხვა საეპისკოპოსო კათედრებიც მდებარეობდნენ, მაგალითად ბიზანასა და სხვაგან.

ბიზანას, სადაც იჯდა ეპისკოპოსი, ასევე ერქვა ლეონტოპოლისი.

ჯანიაკს (ჯანჯაკონს?) – ერქვა ჯიმინი (ცუმინი) – მას იმპერატორმა უწოდა იუსტინიანოპოლისი, აქაც იჯდა ეპისკოპოსი იუსტინიანოპოლისის (ეკელესენისა) – (ნ. ადონცი, გვ. 145).

იუსტინიანემ თეოდოსიოპოლისში ააშენა რამდენიმე ეკლესია და მონასტერი, მათ შორის ერთი პეტრიაში ანუ პეტრაში (ეს ხომ არ იყო პეტრა – სადაც იჯდა ეპისკოპოსი?) და კუკარიზში, ნიკოპოლში 45 მოწამის მონასტერი ააშენა. ბიზანაში – წმ. გიორგის ეკლესია.

ლისიორმი და **პეტრა – უნდა ვეძიოთ ბაიბერდის (პაიპერტის) ახლოს – წერს ნ. ადონცი (ნ. ადონცი,სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში,სპბ,1908,გვ. 147.რუს.ენაზე)**. კერამეონის საეპისკოპოსო IXს-ში შედიოდა ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში.

კერამეონი მდებარეობდა გიუმიშხანეს ჩრდილოეთით, ახლანდელი კრომი.

სპარსეთ-ბიზანტიის სასაზღვრო ხაზი გადიოდა ბიზანასთან ახლოს. აქ, საზღვართან მდებარეობდა პუნქტი „ვარდიშენი“ (გვ. 23). ვარდიშენის თარგმანი შესაძლოა იყოს ბერძნული „როდოპოლისი“, სადაც ეპისკოპოსი იჯდა. მაგრამ როდოპოლისის ოლქი მდებარეობდა ზიგანას მიმდებარე მიწა-წყალზე. ჩვენი აზრით როდოპოლისი იყო ქალაქი „ვარდა“ მდ კალაპოტამისზე მდებარე სპერ-ოფ-რიზეს დამაკავშირებელ გზაზე მთაში დაშორებული ზღვიდან დაახლოებით 30 კმ-ით. ეს ქალაქი აღნიშნულია 1923 წელს გამოცემულ ივ.ჯავახიშვილის რუკაზე. ქალაქი როდოპოლისის (ვარდას) აქ მდებარეობას მიუთითებს ის, რომ როდესაც კონსტანტინოპოლმა XIX ს-ში აღადგინა როდოპოლისის კათედრა ამ ქალაქის (ვარდას) ტერიტორია ვიდრე ზიგანამდე მოიცვა როდოპოლისის ეპარქიამ.

ბასიანს ბერძნები ფასიანს უწოდებდნენ. თავის მხრივ, ფასისს უწოდებდნენ არა მხოლოდ მდ. ჭოროხს, არამედ ევფრატსაც. საერთოდ, რადგანაც აღნიშნული

რეგიონი ჭანეთ-სპერთან მდებარეობდა – ის ქართული მოსახელობით იყო დასახლებული. პ. ინგოროყვას კვლევით კი, ქართველები „ფასისს“ უწოდებდნენ წყალს, მდინარეს. **ამ რეგიონში** კი მდინარეების კელკიტის, ჭოროხის, ევფრატისა და არაქსის სათავეები იწყებოდა, ამიტომაც ამ ვრცელ რეგიონსაც მთლიანად შესაძლოა ფასისი-ფასიანი ეწოდებოდა.

საეკლესიო იურისდიქციის გადმონაშთის ასახვა ვეიდენბაუმთან და გ. ყაზბეგთან

ცნობილია, რომ პროკოფი კესარიელის აღწერით პეტრას სამხრეთით,დახლოებით რიზეს რეგიონის ქრისტიანები ექვემდებარებოდნენ ე.წ. „ლაზთა ეპისკოპოსებს“.

რადგანაც ჩვენ ვეთანხმებით ნ. ადონცის მოსაზრებას, რომ ლაზიკის ცნობილი საეპისკოპოსები (ზიგანა, როდოპოლისი, საისინი) მდებარეობდნენ არა რიონის ხეობაში, არამედ ტრაპეზუნტის მთიანეთში, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ პეტრას მომიჯნავე მიწა-წყლის ძველი ქრისტიანები შედიოდნენ ლაზიკის ანუ ტრაპეზუნტის მთიანეთის ეპისკოპოსების იურისდიქციაში.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ მე-19 საუკუნეში ვეიდენბაუმისა და ყაზბეგის მიერ აღწერილი რელიგიულ-იერარქიული ურთიერთობანი ურთიერთდამოკიდებულებანი შესაძლოა გამოხატავს ძველად პროკოფის ეპოქაში დროს არსებულს.

მართალია აღნიშნულ მიწა-წყალზე მოსახლეობამ ძირითადად დაკარგა ქრისტიანული სარწმუნოება და მიიღო მაჰმადიანობა, მაგრამ, როგორც ითქვა,ახალი იერარქიული ურთიერთობანი ძველის გარკვეული ანარეკლი უნდა იყოს, მაგალითად, ე. ვეიდენბაუმი წერს ართვინის მოსახლეობის რელიგიული აღმსარებლობის და მათი იერარქიული ურთიერთდამოკიდებულების შესახებ „ქალაქში არის 3 კათოლიკური ეკლესია, 4 მეჩეთი (აქედან ერთი ჯუმა) და ერთი სომხურ-გრიგორიანული ეკლესია. გრიგორიანები ექვემდებარებიან ტრაპეზუნტის ეპისკოპოსს, კათოლიკე სომხებს ჰყავთ თავიანთი ეპისკოპოსი, რომლის გამგებლობაში შედის არდაგანი, ოლთა, ბათუმი, სომხური სოფლები შავშეთში. ეს ეპისკოპოსი ემორჩილება კონსტანტინეპოლის პატრიარქს“ (ე. ვეიდენბაუმი - ბათუმიდან ართვინამდე, 2005. გვ. 68).

ლივანი, შავშეთი, არზრუმი და ტრაპიზუნი ერთი რეგიონი რომ იყო ადმინისტრაციული თვალსაზრისით ამის შესახებ თავისი წიგნის სხვადასხვა ადგილას მიუთითებს გ. ყაზბეგი. სელინბეგი თავისი აჯანყების დროს შავშეთიდან აპირებდა თავისი ჯარით ერზუმსა და ტრაპიზონში შესვლას (გ. ყაზბეგი 3 თვე თურქეთის საქართველოში. 1995. გვ. 96). მაგალითად გ. ყაზბეგის აზრით ლივანას პურით ამარაგებდა ყარსი (იქვე გვ. 108). ერზრუმი და ლივანა შავშეთ ლაზისტანი ერთი ეკონომიკური რეგიონი რომ არის მიუთითებს ყაზბეგი თავისი შრომის სხვა ადგილას (იქვე, გვ. 131). რაც ასახული იყო ასევე რელგიულ-იერარქიულ ურთიერთდამოკიდებულებაში. მაგ. გ. ყაზბეგის ცნობით მთელი პარხალის ხეობის შემოსავლები ეძლეოდა ერზრუმის მეჩეთს. ის წერს „პარხალის ხეობა და მისი შემოგარენი ზოგჯერ ვაკუფად იწოდება, რადგანაც ბოლო წლებამდე ამ მხარის შემოსავლები ერზრუმის მეჩეთს ეძლეოდა“ (გ. ყაზბეგი 3 თვე თურქეთის საქართველოში. გვ. 142).

ვეიდენბაუმისა და გ. ყაზბეგის მონათხრობიდან ჩანს, რომ შავშეთ-ლივანის, ლაზისტანის რელიგიური ცენტრები იერარქიულად ექვემდებარებოდნენ ტრაპეზუნტის ან ერზრუმის უფრო მსხვილ ცენტრებს. როგორც ცნობილია მე-11 აღნიშნულ მიწა-წყალზე კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ აღადგინა (ჩამოაყალიბა) ლაზიკის ეპარქია ანუ სამიტროპოლიტო ოლქი, ლაზიკის სახელწოდებით. მისი ცენტრი იყო ტრაპეზუნტი და განვრცობილი იყო არზრუმის (თეოდოსიოპოლისის) მიმართულებით ანუ ეკლესიური თვალსაზრისით, ოდესღაც არზრუმ-ტრაპეზუნდი ერთ საეკლესიო ოლქს ქმნიდა. მე-6 საუკუნეშიც ამ ერთიანი ოლქის ნაწილები უნდა ყოფილიყო **პეტრას, ზიგანას, საისინის და როდოპოლისის საეპისკოპოსოები**. ამის ნაკვალევი მე-19 საუკუნეშიც შემორჩენილა, რაც აღწერილია აღნიშნულ მკვლევართა მიერ.

თავი XVIII

ქუთათისი, უქიმერიონი, არქეოპოლისი, ნოქალაქევი, როდოპოლისი და სხვა ქალაქები

ქუთათისი

საქართველოში ერთიდაიგივე სახელის მქონე ტოპონიმები მრავალია. ს. ყაუხჩიშვილმა აღნიშნა რომ „კუტ“, „ქუთ“ ფუძის მქონე ტოპონიმები მცირე აზიაშიც მრავალია. „ქუთაჰია“ – ამჟამადაც ქალაქის სახელია თურქეთში ყოფილ ქართველურ სამყაროში, გალატეას მიწაზე მდ. საქარიასთან ახლოს.

ჭოროხის ხეობაშიც არის ასეთი სახელის მქონე რამდენიმე პუნქტი. მაგალითად მარადიდთან მდებარეობდა სოფელი **„ქუთურეთი“,** რომლის სახელიც ახლოა „ქუთათისთან“.

იმავე რეგიონში აღმოჩნდა მეორე ასეთი სახელის მქონე პუნქტი- **„ქიფაისი“**. ის მდებარეობს ჭოროხის ზემოწელში ქ. ისპირთან ახლოს 1923 წელს გამოცემული რუკის მიხედვით (შემდგენელი ევ. ბარამიძე, რედაქტორი ივ. ჯავახიშვილი). **ქიფაისი იგივე „ქითაისი“** უნდა იყოს, რომლის სახელიც ახლოა სიტყვა „ქუთაისთან“, ხოლო ჭოროხის ხეობაში „კუტ“ ფუძის მქონე ტოპონიმები-კვაშტა, კვატია და სხვა-მრავალია.

ქუთაისს ზოგჯერ აიგივებენ ძველ წყაროთა აიასთან, კუტაიასთან ან პროკოფის ქუთათისთან:-

1) პლინიუსის მიხედვით (ახ.წ. I ს.) აია მდებარეობდა ფასისის შესართავიდან 15.000 ნაბიჯზე, დაახლოებით 12-24 კმ.

2) სტრაბონის მიხედვით, „აიას მდებარეობას მიუთითებენ ქალაქ ფასისთან“ – თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქ ფასისის მდებარეობას მიუთითებენ მდ. ფასისის შესართავთან, აქედან გამომდინარე ქ. აიაც <u>ზღვის სანაპიროსთან</u> ახლოს ყოფილა.

ე.ი. პლინიუსისა და სტრაბონის მიხედვით, „აია“ – თუ ის იყო კუტაია – მდებარეობდა არა კოლხეთის სიღრმეში, არამედ ზღვის სანაპიროსთან ახლოს.

3) აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკის მიხედვით, აიეტის სამეფოს სატახ-

ტო ქალაქი იყო „აია“, სხვა თარგმანით „კუტაია“, ხოლო ქვეყანას ერქვა „აია“, სხვა თარგმანით – კუტაია.

თუ სად მდებარეობდა ის – აპ. როდოსელს გარკვეული არა აქვს.

აღსანიშნავია, რომ აპოლონიოს როდოსელი თავის პოემაში მოიხსენიებს იმ უძველეს ქალაქებს, რომელნიც არსებობდნენ არა მის დროს, არამედ წარსულში, წინა საუკუნეებში ძვ. წ. II ათასწლეულიდან, მაგრამ „ეს ქალაქები აღარ იყო მის დროს, ავტორი არგონავტიკის ძველ ისტორიას გადმოგვცემს“ (ვ. ჯაოშვილი, ქუთაისი, 1989, გვ. 64).

4) პროკოფი კესარიელის ცნობით, კოტიაიონი, ანუ ქუთათისი მდებარეობდა მდ. რეონის ნაპირას. კვიტაიელი (კოტაიონელი) იყო აიეტი.

ანტიკური ეპოქის მრავალი წყაროს ცნობით კუტაია-ქუთაისი მდებარეობდა მდ.ფაზისზე, ზღვასთან ახლოს. დღევანდელი ქუთაისი კი მდებარეობს ზღვიდან დაშორებით, მდ.რიონის სანაპიროზე, ყვირილას შესართავის მაღლა.

ამჟამად მდ.რიონი იწოდება ფაზისად, მაგრამ ამ მტკიცებას ეწინააღმდეგება ს.ყაუხჩიშვილისა და სხვათა გამოკვლევა, რომ მდ.ძირულაა სათავე ფაზისისა(რადგანაც მასზეა შორაპანი), მისი აზრით ძირულას შერთვის შემდეგ უკვე ყვირილა იწოდებოდა „ფაზისად“, ყვირილას შერთვის შემდეგ კი რიონი.

არცერთ ამ მონაკვეთზე თანამედროვე ქუთაისი არ მდებარეობს, ის უფრო მაღლაა. ე.ი. ქუთაისი რადგანაც არც ძირულასა და არც ყვირილაზე არ მდებარეობს და ყვირილა-რიონის შესართავის მაღლაცაა, ამიტომ, აქედან გამომდინარე, დღევანდელი ქუთაისის მდებარეობა არ ეთანადება ანტიკური წყაროების კუტაიას მდებარეობას, მითუმეტეს ,რომ **კუტაიას ციხე-სიმაგრე „უქიმერიონი“ ვაკეზე იდგა წყაროთა ცნობით**, ბაგრატის (ტაძრის) ციხე კი მაღალ გორაზეა და ის არ შეიძლება უქიმერიონად ჩაითვალოს. ამიტომაც ს.ყაუხჩიშვილი უქიმერიონს პუნქტ დაბლაგომთან ეძებდა.

ანტიკური ქუთაისის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის გამოდგება თანამედროვე უქიმერიონისა და ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლა.

უქიმერიონის არქეოლოგია

არქეოლოგმა ო. ლანჩავამ უქიმერიონის ადგილმდებარეობის გამოსაკვლევად ჩაატარა საგანგებო საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება, რის შედეგადაც არ დაეთანხმა დიუბუა დე მონპერეს მიერ ჯერ კიდევ XIX ს. 40-იან წლებში გამოთქმულ აზრს, რომ უქიმერიონი იყო ქუთაისის ციხე.

ო. ლანჩავამდე ს. ყაუხჩიშვილმა XX ს. 30-იან წლებში დაბეჯითებით დაასკვნა, რომ უქიმერიონი ნამდვილად არ იყო დღევანდელი ქუთაისის ციხე.

მაშასადამე თითქმის ორსაუკუნოვანი თვალსაზრისი რომელიც გაზიარებული იყო სამეცნიერო წრეების მიერ უქიმერიონის ქუთაისის ციხესთან იგივეობის შესახებ უარყოფილი იქნა.

მაშ სად მდებარეობდა უქიმერიონი?

„ სხვადასხვა მეცნიერი უქიმერიონს სხვადასხვა მიმართულებით ვარაუდობდა. მაგალითად ი. სიხარულიძე მას დიდღვაბუნას (**გორდის**) ციხესთან აიგივებდა ცხენისწყლის მიდამოებში. ეს მოსაზრება მისაღებად მიაჩნდა სხვა მკვლევარებსაც (დ. მუსხელიშვილი), აკად. ნ. ბერძენიშვილი უქიმერიონს **ცუცხვათი**ს ციხესთან აიგივებდა. არის სხვა მოსაზრებანიც, უკანასკნელ წლებში ქუთაისსა და

მის მიდამოებში ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე ჩვენ შეგვექმნა აზრი უქიმერიონის **წყალწითელ**ას ხეობაში მდებარეობის შესახებ“ (ო. ლანჩავა, უქიმერიონის საკითხი, ქუთაისის მუზეუმის მასალები, კრებული VIII, 1996, გვ. 39).

მაშასადამე ო. ლანჩავა არ ეთანხმება ნ. ბერძენიშვილს, დ. მუსხელიშვილს და სხვა მეცნიერებს უქიმერიონის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას და მიაჩნია, რომ ეს ციხე წყალწითელას ხეობაში, კერძოდ მოწამეთაში უნდა ყოფილიყო.

აქედან კარგად ჩანს, რომ **არქეოლოგიური ძიება არ იძლევა საშუალებას უქიმერიონის თანამედროვე ქუთაისთან განსაზღვრისა, მიზეზი ჩვენი აზრით ისაა, რომ უქიმერიონი უნდა ვეძიოთ ჭოროხისა და არა რიონის ხეობაში.**

უქიმერიონი იყო ქუთათისის მახლობლად, მაგრამ სად იყო ქუთათისი? ბერძნული წყაროებით კოტაია - ქუთათისი არაა თანამედროვე ქუთაისი, რადგანაც კოტაია ფაზისის ზღვასთან შესართავის ახლოს მდებარეობდა და ამასთანავე კოტაიასთან გაედინებოდა მდინარე რეონი.

მიიჩნევა, რომ თანამედროვე რიონი არის ძველი წყაროების რეონი (სიტყვების გარეგნული მსგავსების გამო), ამავე დროს ის თითქოს ფაზისადაც იწოდება. მაგრამ ფაზისი და რეონი სხვადასხვა მდინარეები იყო.

რონა, რეინი, რიონი, რეონი, რუა და სხვა ერთმანეთის მსგავსი სახელები მრავალ მდინარეს ერქვა უვრცელეს ტერიტორიაზე ბალტიის ზღვიდან კავკასიამდე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ **მდინარე რეონი ჭოროხის ხეობაშიც იყო, ისევე როგორც იყო მრავალი პუნქტი „კუტ“ ძირის მქონე, რის შესახებ ს. ყაუხჩიშვილიც წერდა**. მაშასადამე ჩვენი აზრით უქიმერიონიც ჭოროხის ხეობაშია საძებნი, კერძოდ კი იმ რეგიონში, სადაც ჭოროხს აჭარისწყალი ანუ მდ. დოკონისი უერთდება.

მდ.დოკონისი, პუნქტი ნესოსი და უქიმერიონი

აჭარისწყლის სათავეში ამჟამადაც არსებობს სოფელი დიოკნისი, რომლის სახელის მიხედვითაც, ჩანს VI ს.-ში აჭარისწყალს დოკონისს უწოდებდნენ.

აგათიას ცნობით პუნქტი ნესოსი მდებარეობდა დოკონისისა და ფაზისის შეერთების ადგილას, მაშასადამე ის ყოფილა ჭოროხისა და აჭარისწყლის შესართავში. აქ იდგა რომაელთა რაზმი.

აღსანიშნავია, რომ XIX ს. მოგზაურების ცნობით აქ XIX ს-ში რუსთა რაზმებიც იდგა. რატომ?

იმის გამო, რომ აქ გადიოდა (ამჟამადაც გადის) ორი მნიშვნელოვანი გზა. ამ გზაჯვარედინიდან ერთი გზა მიემართება ზემო აჭარაში, რომლის საშუალებითაც ზღვისპირეთი უერთდება სამცხე-ჯავახეთს(ე.ი. ლაზიკიდან იბერიისაკენ), ხოლო მეორე გზა მიუყვება მდ. ჭოროხს - ართვინისა, არტანუჯისა და არდაგანისაკენ (ასევე ლაზიკიდან ძველი იბერიისაკენ).

მაშასადამე **ნესოსი იბერიაში შესასვლელ ორ გზას აკონტროლებდა. აქ მახლობლად უნდა ყოფილიყო უქიმერიონის ციხე**.

ქუთაისის არქეოლოგია

ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, როგორც ცნობილია დგას გორაზე, რომელსაც სამეცნიერო წრეებში „უქიმერიონს“ უწოდებენ, **ჩვენში დადასტურებულ ფაქტად**

მიიჩნევა თვალსაზრისი, რომ ამ გორაზე მდებარე IV-VIII საუკუნეთა ეკლესიები (რომელთა ნაშთებსაც ახლახან მიაკვლიეს არქეოლოგებმა) შედიოდნენ კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოს იურისდიქციაში.

ეს თვალსაზრისი იმდენად გამჯდარი დოგმაა არქეოლოგთა შორის, რომ არქეოლოგიური ნაშთების ანალიზს ახდენენ მის მიხედვით.

2003-09 წლებში ბაგრატის ტაძრის არქეოლოგიური კვლევისას IV-VIII საუკუნეთა საეკლესიო არქიტექტურის რამდენიმე ფენა გამოიყო.

არქეოლოგთა დასკვნით ბაგრატის ტაძრის ადგილას IV საუკუნეში ბიზანტიელებს აუშენებიათ სამნავიანი ბაზილიკა, ის V საუკუნეში დანგრეულა, V-VI საუკუნეთა მიჯნაზე ამ ნანგრევებში აღუმართავთ რაღაც ორსათავსოიანი ნაგებობა, მალევე, VI საუკუნის 20-30-იან წლებში ბაზილიკა კვლავ აღუდგენიათ, მაგრამ ის VI ს. შუაში დანგრეულა, VII ს.-ში მის ადგილას ახალი ეკლესია აღუმართავთ, რომელიც მურვან ყრუს დროს დანგრეულა და აღუდგენიათ VIII ს. ბოლოს.

არქეოლოგი რ. ისაკაძე IV ს.-ის სამნავიანი ბაზილიკის პირველ ნგრევას უკავშირებს ლაზიკაში სპარსეთ-ბიზანტიის ომს, რომლის ეპიცენტრში პროკოფი კესარიელისა და აგათიას მიერ ნახსენები „ქუთათისიც“ მდებარეობდა.

მისი აზრით, რადგანაც 523 წლამდე ლაზთა მეფე წათე „გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე და აღასრულებდა ყოველგვარ სპარსულ წესს“ სამნავიანი ბაზილიკის ნგრევაც შეიძლება წარმართობას დაუკავშირდეს.

ამ პერიოდში აღუმართავთ ამ დანგრეულ ტაძრის ადგილას „ორ-სათავსოიანი ნაგებობა, რომელშიც ხანგრძლივი ცეცხლის ნაკვალევი აღმოჩნდა, რაც იმას მიუთითებს, რომ აქ ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავი კერა იყო აღმართული.

შემდეგ წათე კვლავ გაქრისტიანდა (526) წელს, შესაბამისად ბაზილიკა კვლავ აღუდგენიათ.

„ბაზილიკის მეორე და საბოლოო ნგრევა VI ს.-ის შუახანებში „დიდ ომიანობას“, კონკრეტულად კი ქუთაისში დაბანაკებულ ირანელთა (მერმეროეს) გარნიზონს უნდა დავუკავშიროთ“. (რ. ისაკაძე, ქუთაისის ადრექრისტიანული ეკლესიები, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, 2009, გვ. 140).

როგორც ვხედავთ არქეოლოგიურ მონაპოვარს ხსნიან შეიძლება ითქვას, ხელოვნური, დოგმად მიღებული თვალსაზრისით, რომ დასავლეთ საქართველოს ლაზიკა ერქვა, ხოლო ლაზთა მეფეების ქალაქი იყო თანამედროვე ქუთაისი. ლაზიკის დედაქალაქად მიიჩნევა ასევე ნოქალაქევი და ფოთიც (ვითარცა ფაზისის სამიტროპოლიტო ცენტრი, „მეტრო-პოლის“ კი დედაქალაქს ერქვა).

როგორც ვიცით, ბიზანტიამ შეძლო სპარსეთის დამარცხება და მისი განდევნა არა თუ ლაზიკიდან, არამედ მთელი კავკასიიდან, უფრო მეტიც ჰერაკლე კეისარმა საერთოდ ბოლო მოუღო სპარსულ სახელმწიფოს თავის ლაშქრობის შედეგად. ლაზიკაში ბიზანტია სრულიად გაბატონდა.

თუ კი დასავლეთ საქართველო იყო ლაზიკა, მაშინ დასავლეთ საქართველოს IV-VIII-IX საუკუნეების ეკლესიების არქეოლოგიური მასალაში უნდა აღმოჩენილიყო უამრავი ბერძნული წარწერა, ასეთი კი არ აღმოჩნდა, უფრო მეტიც, ქუთაისში, ბაგრატის გორაზე აღმოჩნდა არა ბერძნული,არამედ შესანიშნავი **ქართული ასომთავრული წარწერა** -„ამ ფენას ეკუთვნის წარწერა (ასომთავრული ასოებით დაქარაგმებული წარწერა - „გ - ბ“) ანტეფიქსზე“ (იქვე, გვ. 141).

შეიძლება დავსვათ კითხვა - რატომ არ შეეჭვდნენ არქეოლოგები, როცა ბერძნულის ნაცვლად ქართული წარწერები აღმოაჩინეს, როგორ ჯდება ეს წარწერა იმ თვალსაზრისში რომ დასავლეთ საქართველო IV-IX საუკუნეებში კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყო, **ფაქტები** ხომ არ ეწინააღმდეგებიან მათ მიერ გათავისებულ „ქართიზაციის“ დოგმებს?

შესაძლოა, არქეოლოგი რ. ისაკაძე მართალია, როცა მიიჩნევს, რომ V საუკუნეში სამნავიანი ბაზილიკა გადააკეთეს ცაცხლთაყვანისმცემელთა საგზებელად, მით უმეტეს, რომ არქეოლოგიური მასალა იძლევა ამის თქმის საშუალებას, მაგრამ **ეს მოვლენა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო არა ლაზთა მეფე გუბაზის გაწარმართებასთან არამედ ზოგადად, ქართლის სამეფოში მომხდარ მოვლენასთან, - V ს. დასაწყისში (ვახტანგ გორგასლამდე), მემატიანეს თქმით, „დაიპყრეს ქართლი სპარსთა და განრყუნეს ეკლესიანი და დამალეს ჯვრები ქართველთა და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლის მსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი“.**

ქუთაისი, ყველა ძველი ქართული წყაროს მიხედვით, არგვეთთან ერთად ყოველთვის შედიოდა ქართლის სამეფოში:

მოქცევაი ქარლისაის მიხედვით, აზოს სამეფოს საზღვარი იდო მდ. ეგრისწყალზე.

ქართლის ცხოვრების მიხედვით, ფარნავაზის სამეფოშიც ეგრისი და არგვეთი საერისთაოები იყვნენ. ისინი შედიოდნენ ე. წ. „დასავლეთის ერისთავთა“ ჯგუფში ქრისტეშობამდე.

I საუკუნეში მეფე ადერკის სამეფოშიც შედიოდა ეგრისი, ისევე, როგორც ყველა შემდგომ საუკუნეში, რის შესახებაც სხვა თვეებში გვაქვს მითითება.

ერთი სიტყვით ყველა ქართული წყაროს ცნობით ეგრისი და მით უმეტეს არგვეთი - არა ლაზთა სამეფოში, არამედ ქართლის სამეფოში შედიოდა.

ლაზთა სამეფოში ქუთაის-არგვეთის ყოფნის შესახებ თეორია შეითხზა XX ს. სამეცნიერო წრეებში.

ასე, რომ სხვაა წყაროთა მითითება და სხვაა შემდეგ შექმნილი სამეცნიერო-ლიტერატურული თვალსაზრისი.

არქეოლოგ რ. ისაკაძის დაკვირვება მნიშვნელოვანია იმით, რომ მისი მონაპოვარი სრულიად ეთანადება წყაროს, რომ ქართლის ეკლესიებში V ს.-ის I ნახევარში „ცეცხლის მსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი“. ქუთაისის სამნავიანი ბაზილიკაც მაშასადამე საგზებელად გადაუკეთებიათ, ვახტანგ გორგასლის დროს ვითარება გამოსწორდა და ეს ბაზილიკაც აღდგენილა.

ლაზთა სამეფოში, ანუ ბიზანტიელთა საეკლესიო იურისდიქციაში რომ ყოფილიყო ქუთაისის ძველი ტაძრები, როგორც ითქვა იქ უსათუოდ აღმოჩნდებოდა ბერძნული წარწერები, მაგრამ როგორც ითქვა **აღმოჩნდა არა ბერძნული, არამედ ქართული წარწერა, შესანიშნავი ასომთავრული ასოებით ამოკვეთილი ტაძრის ანტეფიქსზე. რ. ისაკაძემ გამოაქვეყნა მისი ფოტოც (რ. ისაკაძე, ქუთაისის ადრექრისტიანული ეკლესიები, ქართვულრი მემკვიდრეობა, 2009, გვ. 148).**

ეგრისი ეკლესიურად ქართული ეკლესიის იურისდიქციაში რომ შედიოდა VI საუკუნეშიც, ამის შესახებ წერს იოანე დრასხანაკერტეცი, სომეხთა X საუკუნის პატრიარქი. მისი სიტყვით- კირიონი ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო „წინანდელი

წესის“ თანახმად.

კირიონი VI ს. ბოლოსა და VII ს. დასაწყისში მოღვაწეობდა, მისი „წინანდელი დრო“ კი VI ან V-VI საუკუნეები იქნებოდნენ.

ქართულ წყაროებში ეგრისი ქართლის ეკლესიის ნაწილი იყო, მაგალითად, ნიქოზელის სამწყსოში შედიოდა დასავლეთ საქართველოს მთიანეთი გლოლა-ღებითურთ., ხოლო ვახუშტის ცნობით კათალიკოსობის დაწესებამდე (V ს.-მდე) „სამოქალაქო“ სამთავროელი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა.

ნუმიზმატიკა. ძალზე მნიშვნელოვანია ნ. უგრეხელიძის, როგორც ნუმიზმატიკოსის დაკვირვება, რომ **III-VI საუკუნეებში მთელ საქართველოში, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში ერთიანი ფულადი სისტემა მოქმედებდა. ,,ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ საუკუნეებში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო ერთ პოლიტიკურ სივრცეში მოიაზრებოდა“** (ნ. უგრეხელიძე, საქართველო ნუმიზმატიკული მასალის მიხედვით, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, გვ. 238).

ეს დაკვირვება იმითაა მნიშვნელოვანი, რომ აქამდე ითვლებოდა თითქოსდა დასავლეთ საქართველოში III-VI სს-ში მხოლოდ ბიზანტიური, ხოლო აღმოსავლეთში სპარსული მონეტები იყო გავრცელებული და თითქოსდა ისინი მეტოქეობდნენ ერთმანეთთან. ნ. უგრეხელიძემ ფაქტებით დაადასტურა, რომ ეს ასე არ იყო და საქართველოს ყოველ კუთხეში ერთნაირი ფულადი სისტემა მოქმედებდა, ანუ დასავლეთ საქართველო არ იყო მაინცდამაინც ბიზანტიის ხელდებული. რაც ეკლესიურ იურისდიქციასაც გამორიცხავს.

ეტიმოლოგია (მერია-უქიმერიონი, ქუთურეთი-ქუთათისი). პროკოფი, როგორც ითქვა, წერს, რომ უქიმერიონის ციხე იდგა არა გორაზე,არამედ „ქუთათისის **ვაკეზე“**.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს ვაკეზე ტოპონიმი უქიმერიონი არ გვხვდება.

პროკოფის აზრით, ქუთათისიც და უქიმერიონიც ლაზიკაში მდებარეობდნენ, ჩვენი აზრით ლაზიკა ერქვა არა რიონის ვაკეს, არამედ ჭოროხის აუზს, ამიტომაც არა დასავლეთ <u>საქართველოში, არამედ ჩვენს მიერ ლაზიკად მიჩნეულ ჭოროხის ხეობაში ვეძებთ</u> შესაბამის ტოპონიმებს.

პირველ რიგში ვფიქრობთ, რომ სიტყვა „უქიმერიონის“ ფუძის ერთი ნაწილი უნდა იყოს „მერი“ - ან „მერე“ (უქი-მერი-ონი).

გვაქვს თუ არა ჭოროხის აუზში მსგავსი ფუძის მქონე ტოპონიმები, ასეთებია უამრავი -

ტ. ფუტკარაძის განმარტებით აჭარასა და მიმდებარე რეგიონებში „მერია“, „მერე“ ეწოდება მდინარის პირა გავაკებულ ადგილს.

ვეიდენბაუმის წიგნის განმარტებით „მერია - ვაკე ადგილია“. ე. ვეიდენბაუმის წიგნი საერთოდ განმარტავს თუ რას აღნიშნავს სიტყვა „მერი“ - „სოფ. ხება მდებარეობს ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე... სოფელი ღები**მერ**ი, რომელიც ნაჩვენებია რუკაზე კატაფხიის პირდაპირ, აღარ არსებობს, ეს ალბათ, ხებაა ან ხები-მერი (**მერი-ვაკე**), რადგანაც სოფელი ნამდვილად კატაფხიის პირდაპირ მდებარეობს. ხების ქვემოთ, მარადიდთან მისვლამდე არის სოფ. ოლგაური“ (ე. ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, 2005, გვ. 77).

მაშასადამე **მერია-მერე-მერი** -ესაა ვაკე ადგილი წყლის პირას (ე. ვეიდენ-

ბაუმისა და ფუტკარიძის განმარტებათა შეჯამებით).

სოფელს ხები**მერ**ი ეწოდება გავაკების ანუ ვაკე ადგილზე მდებარეობის გამო.

ე. ვეიდენბაუმის წიგნის გამომცემლებიც „გეოგრაფიულ სახელთა საძიებელში“ განმარტავენ ,,ხები-მერი (**მერი-ვაკე**)“ ანუ **ხები-მერი ნიშნავს „ხების ვაკეს**“ (იხ. იქვე, გვ. 93).

აჭარაში „**მერე**თისხევი“ დასახლებული რეგიონია სხალთასთან, შავშეთში კი არის „**ი მერ**ხევი“ (გ. ყაზბეგი, სამი თვე, გვ. 47, 71).

იმერხევისწყლის შენაკადია მდ. „ყვირილა“ შავშეთში (გ. ყაზბეგი, სამი თვე, გვ. 75). შავშეთში მდ. ყვირილას ახლოს გაედინება მდ. სხლობანისწყალი, რომელიც გაივლის სოფელ **მერია**სთან (იქვე, გვ. 81).

ჩვენი აზრით ასეთივე წარმოებისაა სიტყვა ,,უქიმერიონი“ (მისი ფუძე უნდა იყოს „უქიმერი“, ხოლო „ონი“ - სუფიქსი), რადგანაც უქიმერიონის ციხე ვაკე ადგილზე მდებარეობდა პროკოფის თქმით. ეს სიტყვა ისევეა ნაწარმოები,როგორც ვთქვათ სიტყვა „ხები-მერი“.

,,უქიმერი“(უკი-მერი) კი ზემოთმოყვანილი განმარტების („მერ“-ვაკე) თანახმად უნდა ნიშნავდეს „უკი-ვაკე“. ანუ ვაკე ადგილზე (მერეზე) მდებარე რაღაც ადგილს „უქის“(უკის) სახელის მქონეს.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ნახსენები „**მერე**ს მონასტერი“ ალბათ შედარებით ვაკე ანუ „მერე“ ადგილზე მდებარეობდა. ამჟამადაც შავშეთ-არტანუჯ-ლიგანში ისევე, როგორც გურია აჭარაში უამრავი ტოპონიმია „მერე“ ფუძით, მაშინ, როცა რიონის დაბლობზე, თუ არ ვცდები, ასეთი სახელები არ გვხვდება.

მსგავსადვე, ალბათ შეიძლება ითქვას სიტყვა „კუტაიას“ შესახებაც. ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით „კუტ“ ძირით მცირე აზიაშიც მრავალი ტოპონიმი არსებობდა. მართლაც ასეთი ფუძის მქონე სახელები ჩვენ მრავლად გვხვდება ართვინ-ლიგან-არტანუჯ-ლაზისტანის რეგიონში. მათ შორისაა აჭარაშიც ერთერთი ადგილის სახელი, ესაა სოფელი „კვატია“. გ. ყაზბეგი აღნიშნავს შავშეთისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე სოფელ კვატიასთან „გიგანტური წყაროს“ შესახებ (გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ. გვ. 48). ჩვენი აზრით იმავე ძირის სახელთა რიგში უნდა იყოს ე. ვეიდენბაუმის მიერ აღწერილი სოფელი „კატაფხია“, რომელიც ღებიმერის ახლოს მდებარეობდა (ე. ვეიდენბაუმი, გვ. 77). აღსანიშნავია, რომ გურიაშიც სოფელ მერიასთან ახლოს მდებარეობს ერთერთი ბორცვი (მთა), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს „კატის ციხეს“. ასე, რომ ფუძეები „მერია“ და „კატ“ (კუტ) საქართველოს რამდენიმე რეგიონში გვერდიგვერდ მოიხსენიება (ღები-მერი, კატაფხია, მერია - კატისციხე, უქიმერიონი - კუტაია) ასე, რომ პროკოფის მიერ ნახსენები ამ ძირების მქონე ადგილები დასავლეთ საქართველოს ვაკის გარდა, სხვა რეგიონებშიც შეიძლება მოვიძიოთ. როგორც ითქვა, თურქეთშიც არის ქალაქი –კუტაჰია.

პროკოფი კესარიელის მიერ ნახსენები ლაზიკის პუნქტის სახელი – „უქი**მერ**ონი“, როგორც აღინიშნა, ეტიმოლოგიურად წააგავს „დაბა**მერ**ი“-სს. მათი საერთო ფუძეა „**მერ**ი“, **მერე.**

აღსანიშნავია, რომ ქართულ წყაროებში ეს სახელი სხვადასხვა ფორმით გვხვდება – მაგალითად, ანასეულ და ჭილაშვილისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ დაბამერისას ნაცვლად გვხვდება „ბაბამერისა“, ხოლო მარიამისეულ ერთერთ ადრეულ ნუსხაშია – „შაბასა მერისა“.

პუნქტი „დაბა“ მდებარეობს მდ. იმერხევის ხეობაში, თუმცა „დაბამერი“ შეი-

ძლება სხვა იყოს.

„მერე“ – „მერი“ აჭარულ-შავშური დიალექტით ერქვა მდინარისპირა მოვაკებულ ადგილს, ე.ი. „მერი“ არის ვაკე;

იგივე უნდა იყოს სიტყვაც-„უკი“ (უ=ვა), ე.ი. **უკი** -ვაკე ადგილი.

კლარჯეთის „მერე“ მდებარეობს მდ. კარჩხალის ხეობაში, კლდეთა შორის საგანგებოდ მოვაკებულ ადგილზე მონასტრის ეკლესიის ასაშენებლად. დედა ფებრონიამ აქ დააარსა მონასტერი IX ს-ში.

უქიმერიონი ანუ „უკიმერიონი“ უნდა იყოს უკი-მერი-ონი ანუ მდინარისპირა სწორი(ვაკე) ადგილის ციხე-სიმაგრე

აჭარისწყლის ხეობის გზათა მაგისტრალების უმოკლესი განტოტება სოფ. აჭარისწყალთან იწყებოდა, სადაც აჭარისწყალი ერთვის მდ. ჭოროხს. აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროს საშუალებით **სოფ. მერისისა და უჩხითის გადასასვლელებთან ხეობა დაკავშირებული ჩანს მაჭახლის ხეობასთან.**

სოფლის სახელი „მერისი“ ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ მასში გამოიყოფა ფუძე „მერი“, ისევე, როგორც პროკოფი კესარიელის მიერ ნახსენებ სიტყვაში „უკიმერიონი“.

საერთოდ, როგორც აღნიშნულია აჭარულ დიალექტში სიტყვა „მერი“ ჰქვია მდინარისპირა ვაკე ადგილს. პროკოფის სიტყვით, სწორედ ასეთ ადგილზე ყოფილა აგებული „უქემერიონის“ ციხე.

სოფელი მერისი აჭარისწყლისა და ჭოროხის შესართავთან მდებარეობს, მისგან არც თუ დაშორებულია სოფელი მარადიდი, რომლის სახელიც ზოგიერთი მკვლევარის აზრით იმავე ფუძე „მერს“ შეიცავს. **ამ სოფლის ერთერთი უბანია „ქუთურეთი“, რომელიც ჩვენ პროკოფისეულ ქუთათისთან დავაკავშირეთ**, თუმცა შესაძლოა ქუთათისი – ფორჩხაც(ბორჩხა) ყოფილიყო, ამავე ჭოროხის ხეობაში. ასე, რომ ტოპონიმები „მერი“ (აქედან უქიმერიონი) ჭოროხის ხეობაში მრავალია. ასევე „ქუთ-კუტ“-ის მქონე ტოპონიმებიც (მათ უნდა დაუკავშირდეთ „ქუთათისი“). ამ ხეობებში მრავალი საერთაშორისო მნიშვნელობის გზა გადიოდა.

მაშასადამე, პროკოფის ეპოქაში უქიმერიონი და ქუთათისი (თანამედროვე მერისი და ქუთურეთი) აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობათა გზათაშესაყარზე მდებარეობდნენ, ეს გზები კი ზღვისპირეთს იბერიასთან აკავშირებდა. ლაზიკის ომების შემდეგ კი ქუთათისი (VIII ს.დასაწყისში) უკვე თანამედროვე ქუთაისს ერქვა

გზები ი. მანანდიანის კვლევით აღმოსავლეთ **შავიზღვისპირეთი სომხეთსა და სპარსეთს უკავშირდებოდა იმ შემაერთებელი გზით, რომელიც არტანუჯისა და ყარსის გავლით მიემართებოდა ანისისა და დვინის მიმართულებით** (ი. მანანდიანი, სომხეთის ვაჭრობის და ქალაქების შესახებ, ერევანი, 1954, გვ. 150-154, რუს. ენაზე).

არტანუჯი - დიდი სავაჭრო ცენტრი - ტრაპიზონს აკავშირებდა დასავლეთ საქართველოსთან, ასევე იბერიასა და სომეხთან.

საგზაო მაგისტრალები აჭარისწყლის ხეობასაც მოიცავდა (ჭოროხის აუზი). აქ ხიდებისა და საგზაო ნაგებობების სიმრავლე აჩვენებს, რომ აჭარისწყლის ხეობა დასერილი იყო სავაჭრო-სატრანზიტო გზებით, რომლითაც შავიზღვისპირეთი უკავ-

შირდებოდა საქართველოს სხვადასხვა მხარეებს, თავის დროს აჭარისწყლის ხეობა მძლავრი ეკონომიკური რეგიონი ყოფილა (შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, 1993, გვ. 181).

კლიმატი „ქვეყანა ქუთათისისა“. რიონის ვაკე და იქ მდებარე “ქვეყანა ქუთათისისა“ იყო დაავადებათა ბუდე, უფრო სწორად, იქაური კლიმატი ხელს უწყობდა დაავადებათა გამძაფრებას, მით უმეტეს I ათასწლეულში შავი ზღვის ტრანსგრესიის დროს, ამიტომაც იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოს ბარი საცხოვრებლად უვარგისი იყო და შედარებით დაუსახლებელი. უკეთესი საცხოვრებელი პირობები იქ VIII-X სს.-ში შეიქმნა, თუმცა XII ს.-შიც კი იქაურები კლიმატს უჩიოდნენ.

მაგალითად, დავით აღმაშენებელი ხშირად გვიხილავსო, წერს მემატიანე, ცრემლიანი, როდესაც მოინახულებდა ხოლმე ავადმყოფებს, დაავადებათა კერები კი უფრო მეტად ქუთაისის ქვეყანაში აღმოცენდება ხოლმე, ავადმყოფობანი უფრო მეტად ქუთაისის ქვეყანაში გამძაფრდება ხოლმეო – „რომელთა ზრდის სხვათა უმეტეს ქვეყანა ქუთათისისა“ (ქ.ც. I, გვ. 354).

ე.ი. ქუთაისის სანახებში, ჩანს, იმ ეპოქაში იყო უფრო მეტი ჭაობები, მაშასადამე, მალარიის კერები, ვიდრე ამჟამად არის.

უნდა ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებლის ეპოქაში დაიწყო რიონის გათავისუფლება დაჭაობებული მიწა-წყლიდან, რიონის გამოყოფა ჯებირებით, ანუ ე.წ. „სამანებით“, რაც, ალბათ, შემდგომ საუკუნეებშიც გაგრძელდა. ამით ჭაობი შემცირდა და საცხოვრებელი პირობებიც ალბათ გაუმჯობესდა. შესაძლოა, ამ ეპოქის მეფეთა ეპიტაფიაში ნათქვამი – „ზღვაში სამანი ჩაყარა“ გულისხმობს ჭაობის წყლისგან მიწების გათავისუფლებას, ანუ რიონის ჭაობებში გაწეულ სამუშაოებს, არხებისა და ჯებირების მშენებლობას.

აღნიშნულის გამო ვფიქრობთ,რომ ფაზისის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსო ქალაქები არა მალარიით დააავადებულ რიონის დაბლობზე, არამედ სხვა, ჯანსაღ კლიმატურ რეგიონში მდებარეობდნენ, ასევე ლაზიკის სამეფოს ქალაქებიც ჯანსაღ კლიმატურ გარემოში-ჭოროხის ხეობაში მდებარეობდნენ.

ისტორია (უქიმერიონი). პროკოფის მიხედვით - ქუთათისის მახლობლად იყო ერთი მეტად მაგარი ციხე, სახელად უქიმერიონი. აქ ჰყავდათ ლაზებს კარგი მცველი რაზმი. ამ ციხის დაცვაში მონაწილეობას იღებდნენ რომაელი ჯარისკაცებიც. ამ ციხესთან დაბანაკდა სპარსელი მთავარსარდალი მერმეროე მთელი თავისი ჯარით. მის ხელში იყო კოლხიდის საუკეთესო ნაწილი, ანუ მოხირისი. ამის გამო ლაზებს საშუალება აღარ ჰქონდათ უქიმერიონის მეციხოვნეთათვის სურსათი მიეწოდებინათ ანდა ევლოთ აღნიშნული გზით „სვანიასა და სკვიმნიაში“ (პროკოფი, ბრძოლა გოთებთან, VIII, 14)

ჩვენი აზრით აჭარისწყალ-ჭოროხის შესართავთან ახლოს მდებარე უქიმერიონის ციხესთან დაბანაკებული სპარსელი მთავარსარდალი მერმეროე აკონტროლებდა– იბერია-არტაანის გზას. უქიმერიონის გარშემორტყმის შემდეგ კი მას საშუალება მიეცა თითქმის მთლიანად გაეკონტროლებინა მეორე გზა აჭარისწყლის შესართავიდან შიგა საქართველოსაკენ ანუ თანამედროვე ხულო-ადიგენის გზა.

აღნიშნულ აჭარისწყალ -ჭოროხის (ე.ი.დოკონის-ფასისის) შესართავთან უშუალოდ მდებარე პუნქტ ნესოსზე გამავალი გზა ზემო აჭარასა და მიმდებარე რეგიონებს უკავშირდებოდა. პროკოფის ეპოქაში, ჩანს, ზემო აჭარასა და მიმდებარე რეგიონებს სვანიასა და სკვიმნიას უწოდებდნენ. ლინგვისტები მთელ დასავლეთ საქართ ველოში, მათ შორის გურიაში მრავალ სვანურ ტოპონომს პოულობენ. ერთ ასეთად მაგალითად-ლანჩხუთი მიიჩნევა.

„სვანიას“ ქვეშ ჩვენი მეცნიერები თანამედროვე სვანეთს განიხილავენ, მაშინ, როცა **„სვანია“, VI ს.-ში, ჩანს ერქვა დასავლეთ საქართველოს ვრცელ მიწა-წყალს ჭოროხის აღმოსავლეთ სანაპიროდან კავკასიის მთებამდე**.

სვანებს სპარსული ორიენტაცია ჰქონიათ, ამიტომაც ისინი სასტიკად ისჯებოდნენ ბიზანტიური ჯარების მიერ, შემცირდა მათი ტერიტორიებიც, ეს ტოპონიმი (სვანია, სვანეთი) ხშირად გვხვდება თანამედროვე შავშეთშიც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უქიმერიონი ერგე-ლიგანში მდებარე კუტაიას მახლობლადაა, კუტაია მოხირისთან ერთად ერთ სექტორში, ანუ ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავის ქვეყანაშია. მისი ფუნქცია პირდაპირაა მინიშნებული ესაა ზემო აჭარისა და მიმდებარე რეგიონების ანუ სვანია-სკვიმნიასაკენ მიმავალი გზის ჩაკეტვა, თუმცა მოხირისში (ერგეში) როცა ზის მტერი, ეს გზა ისედაც ჩაკეტილია, იგულისხმება აჭარისწყალზე გამავალი გზა, რომელიც სწორედ ერგეში უერთდება ჭოროხისპირა გზას

მაშასადამე უქიმერიონი ციხე - ერთგვარი საგზაო ჩამკეტია.

უქიმერიონის დაპატრონება ნიშნავდა მთელი ჩრდილო ანუ მთიანი ლაზიკის, ჭოროხისპირა ქვეყნის ხელში ჩაგდებას, მასშია ერგე-ლიგანი (მოხირისის მხარე), ართვინი (როდოპოლისი), სკანდა-სარაპანას ციხეები ანუ არტაან-იბერიისაკენ მიმდებარე ლაზეთი. ამიტომაც სპარსელები ყოველწლიურად ცდილობდნენ უქიმერიონის დაკავებას.

ბოლოს გამცემლის წყალობით „ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა უქიმერიონის ციხე და მტკიცედ დაეპატრონენ ლაზეთს, მაგრამ მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა, არამედ სკვიმნიაც და სვანიაც, და ამრიგად მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“ (პროკოფი, ომი გოთებთან, VIII, 16).

„მოხირისიდან – იბერიამდე“ ნიშნავს იმას, რომ ლიგანიდან არტაანამდე მდებარე ქვეყანა ანუ ლაზიკეს მთიან ნაწილს დაეპარტრონენ სპარსელები, მათ ხელში მოექცა სკვიმნიაცა და სვანიაც, ანუ ზემო აჭარის მხარე, უქიმერიონი აჭარისწყლისპირს აკონტროლებდა, ანუ გზაჯვარედინს. როგორც ითქვა მასზე გადიოდა ორი მთავარი გზა, ერთი ამჟამადაც ართვინისკენ მიმავალი, მეორე კი ხულოსაკენ. ართვინის გზა გადადიოდა იბერიაში (არტაანში), ხოლო როგორც ითქვა ხულოს გზა იმჟამად სკვიმნია-სვანიად სახელდებულ ქვეყანაში, ანუ ზემო აჭარას გავლით შიგა საქართველოში – ანუ ასევე იბერიაში.

მაგრამ უქიმერიონის ციხე აკონტროლებდა კიდევ ერთ გზას, ამჟამინდელი ქობულეთისკენ მიმართულს. უნდა ვიფიქროთ, რომ უქიმერიონის ზურგიდან დაცვის მიზნით სპარსთა სარდალმა სწორედ ქობულეთის მხარეს ააგო კიდევ ერთი ციხე **- სარაპანისი**. ჩვენ ვიცით, რომ სარაპანას ციხე სტრაბონის დროსაც არსებობდა, მის შემდეგ სარაპანის ციხე დაერქვა კიდევ ერთ ციხეს იბერიისაკენ მიმართულს, ის უნდა ყოფილიყო არტაან-არტანუჯს შორის არსიანის ქედზე. მაგრამ ახლა მერმეროეს აუგია კვლავ სარაპანისის სახელის მქონე ციხე სულ სხვა მიმა-

რთულებით - კერძოდ ამჟამინდელ აჭარა-გურიის საზღვართან ახლოს. მართლაც XV საუკუნეშიც კი **შორაპანი ერქვა ამჟამინდელ ოზურგეთს**, აქვეა სოფელი მერია და აქვეა კატის ციხეც, ანუ სახელთა თანხვედრა აქაცაა. როგორც ითქვა,**უქიმერიონი ჩვენი აზრით ერგეში - აჭარისწყლის შესართავთან იყო. პროკოფი წერს - „უქიმერიონშიც დატოვა საკმაო ხალხი, თვითონ კი ააშენა ლაზთა მეორე ციხე, რომელსაც სარაპანისს ეძახიან და ზედ ლაზიკის საზღვართან მდებარეობს და იქ დარჩა“ (ომი გოთებთან, VIII, 16).**

შეიძლება სარაპანისი ვაშნარის ციხესაც ერქვა, რომელიც ახლოა ოზურგეთთან. აქეთაც იყო იბერია. ანუ ლაზიკას ყოველ მხრიდან ერტყა იბერია, კერძოდ კი **იბერიისაკენ ლაზიკიდან მიემართებოდა სამი მთავარი გზა**:

პირველი, როგორც ითქვა ერთმანეთს აერთებდა პეტრა-როდოპოლის – ძველ სარაპანის - იბერიას, ანუ ის მიუყვებოდა ჭოროხის (ფაზისის) სანაპიროს და ერთმანეთთან აერთებდა თანამედროვე ბათუმ-ართვინ-არტანუჯ-არდაგანს. არტაანი იბერიის ნაწილი იყო.

მეორე გზა ერთმანეთს აერთებდა პეტრა-ნესოს - სვანია-სკვიმნია-იბერიას ანუ მიუყვებოდა ჯერ ჭოროხის სანაპიროს, შემდეგ კი აჭარისწყალს მაღლა შიდა საქართველოსაკენ და ერთმანეთთან აერთებდა თანამედროვე ბათუმ-ხულო-ადიგენს, ჩანს სვანია-სკვიმნია იმჟამად ამ გზის მომცველ ქვეყნებს ერქვა.

მესამე გზა კი აერთებდა პეტრას მერმეროეს მიერ აგებულ ახალ სარაპანისთან ე.ი. თანამედროვე ბათუმს აერთებდა ვაშნართან, ვაშნარის ჩრდილოეთით აფსილეთი და იბერია იყო.

პეტრა ახლოს ყოფილა თანამედროვე ბათუმთან. მაშასადამე **ლაზიკეს იბერიასთან გრძელი სასაზღვრო ხაზი ჰქონდა არტაანიდან - გურია - არგვეთამდე**.

უქიმერიონი გარკვეულწილად ამ გზათა შესაყართან იდგა აჭარისწყლისპირთან ახლოს მდ. ჭოროხის შესართავთან, აქედან იწყებოდა ერგეს ქვეყანა, რომელიც ართვინისკენ ლიგანის ქვეყანას უერთდებოდა.

ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ უქიმერიონი ოხვამერს ანუ სალოცავს ნიშნავს (იქვე, გვ. 42). წყალწითელასთან ყოფილა ტოპონიმი ოხომორა. წყალტუბოს რაიონშია „ხომული“ (იქვე, გვ. 25). ცნობილია ხომლის მთა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „ხვამ ძირი ზანური ჩანს“ (იქვე, გვ. 25). საფიქრებელია, რომ ეს ძირი ზოგად ქართულია (ფუძე ქართულია) და უნდა ნიშნავდეს ქვაბულს, გამოქვაბულს ანუ მღვიმეს (ღვიმ), ხომ ანუ ღვიმ ძირით „ხვიმირა“ ანუ გამოთხრილ-გამოქვაბული ადგილი იწოდებოდა. იგივეა რაც ღვიმე (მღვიმე), როგორც აღინიშნა. სოფელი ხომული, წყალტუბოს რაიონში შეიძლება ითქვას, რომ დგას კირქვის მღვიმეთა მაღლა, იქ უამრავი მღვიმეა, ამიტომაც ის ხომული ანუ მღვიმეთა ადგილია (ხომული), მის ქვეშ ხომ-ები ანუ მღვიმეებია. ასევე მღვიმე აქვს ხომლის მთას. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ უქიმერიონის ფუძე არაა „ხომ-ღვიმ“ - ის სხვა წარმოშობის სიტყვაა.კერძოდ-„უკი-მერი-ონი“. როგორც ზემოთ განვიხილეთ, მერე ამჟამადაც აჭარულ დიალექტში ვაკე, გავაკებულ,მოვაკებულ ადგილს ნიშნავს-პროკოფის სიტყვითაც უქიმერიონი ვაკეზე იდგა. მასაშადამე **უკი-მერი ვაკის ციხეს ნიშნავს,ხოლო ონი არის სუფიქსი.**

ნოქალაქევის არქეოლოგია

პროკოფი კესარიელის თქმით არქეოპოლისი იყო **„მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“** (პროკოფი, გეორგიკა II, 1965, გვ. 182) ამასთანავე „ძალიან გამაგრებული“ (იქვე, გვ. 101) მდებარეობდა ფაზისის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანაში, „მეტად ქუშ სერზე და მას ჩამოუდის მდინარე, ქალაქის ზემოთ აღმართული მთებიდან“ (იქვე, გვ. 188), ერთი დღის სავალი გზით იგი დაშორებული მოხირისიდან. XIX-XX სს. მკვლევართა უმეტესობის აზრით არქეოპოლისი იყო ამჟამინდელი პუნქტი ნოქალაქევი, სენაკთან (ყოფილ ცხაკაიას რაიონში). საბჭოთა ეპოქაში ნოქალაქევს უკვე უწოდებდნენ „ლაზიკის ანუ მთელი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქს“.

არის თუ არა არქეოპოლისი იგივე ნოქალაქევი ყველაზე მეტად უნდა გაარკვიოს არქეოლოგიურმა შესწავლამ.

მართლაც ნოქალაქევში პირველი გათხრები ჩატარდა 1930-31 წლებში.

1973 წელს დაიწყო ე. წ. „სტაციონარული გათხრები“.

1987 წელს შეჯამდა 10 წლის გათხრების შედეგები. ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა კრებული „ნოქალაქევი - არქეოპოლისი“ (თბ. 1987) მიძღვნილი „ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს (დასავლეთ საქართველო) დედაქალაქის ციხე-გოჯი - ნოქალაქევი - არქეოპოლისის შესწავლისადმი“ (იხ. აღნიშნული წიგნის ანოტაცია).

ნოქალაქევის არქეოლოგიურმა შესწავლამ შეიძლება ითქვას დიდ საგონებელში ჩააგდო პატიოსანი მკვლევარი არქეოლოგები.

აღმოჩენილმა ძალზე მწირმა მასალამ მართლაც გააოგნა ჯერ კიდევ პირველი არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი 1930-31 წლისა, ცნობილი არქეოლოგი ლ. მუსხელიშვილი. ის წერდა: „ნოქალაქევის საკითხი ლამის ისეთივე ბნელითაა მოცული დღესაც, როგორც გათხრების დაწყებამდე... საერთოდ ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს მოსახლეობის კვალი ამ ძველს ქალაქში ან მთლად წარხოცილა დროთა განმავლობაში, ან არაა და სულაც არაფერი კვალი არ ყოფილა. ეს მეტად საკვირველი მოვლენაა. **სხვა არა იყოს რა, მეექვსე საუკუნის ნაშთები მაინც მრავლად უნდა აღმოჩენილიყო - ჩვენ კი შედარებით მცირეოდენი თიხის ნატეხების გარდა არა გვიპოვია რა.** პროკოფი არქეოპოლისს მრავლადდასახლებულს და კოლხეთის უდიდეს და უპირველეს ქალაქს უწოდებს. პროკოფის კი უნდა სცოდნოდა რა არის ქალაქი. ქალაქი ხის სახლებით იყო გაშენებული, ხე დალპა, რაც გასაკვირი არ არის სამეგრელოს ნესტიანი ჰავისათვის, მაგრამ, **ნუთუ, იმდროინდელ მოსახლეობას, გარდა ქოთნებისა, სხვა რამ ნივთები არა ჰქონია, სამკაული, იარაღი, ლითონის ჭურჭელი და სხვა? - სად დაიკარგა ყველა ეს? ამ კითხვას პასუხის გაცემა უნდა“. (ნოქალაქევი-არქეპოლისი, 1987, გვ. 304).**

ლ. მუსხელიშვილი წერს:- ფაზისზე გემები სარაპანამდე დადიოდა, გემებს კი ადგილობრივი მოსახლეობა აშენებდა, ამასთანავე ფაზისზე სტრაბონის მოწმობით 120 ხიდი ყოფილა გაშენებული,ამასთანავე „მდინარეს სისტემატურად სწმინდავდნენ, ამიტომ პირველ საუკუნეშივე „კოლხეთს გაცხოველებული აღებ-მიცემობა ჰქონია უცხოეთთან“, IV ს.-ში თემისტე კოლხეთს „ელინური კულტურისა და

მუზათა სადგურს უწოდებდა“, ხოლო VI ს.-ში პროკოფისა და **აგათიას ცნობებით „კოლხეთი მდიდარი, დაწინაურებული, მჭიდროდ დასახლებული და დაბა-ქალაქებით სავსე ქვეყანა“ იყო, ამიტომაც ეს „ელინური კულტურის“ სიმდიდრის, გაცხოველებული აღებ-მიცემობის კვალი უთუოდ უნდა აღმოეჩინათ არქეოლოგებს „არქეოპოლისში“, მაგრამ არა არქეოლოგიამ სულ სხვა სურათი აჩვენა, - ნოქალაქევის მოსახლეობას „მწირი კერამიკის გარდა არა მოეპოვებოდა რა“** (იქვე, გვ. 304).

ამ ფაქტმა, როგორც ითქვა გააოგნა პატიოსანი მკვლევარ-არქეოლოგი ლ. მუსხელიშვილი. აქედან გამომდინარე, მას რომ დასცლოდა ალბათ მივიდოდა დასკვნამდე, რომ არქეოპოლისი ეძია სხვა რეგიონში.

[ჩვენი აზრით არქეოპოლისი ჭოროხის ანუ ფაზისის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა, ალბათ სადღაც თანამედროვე ბათუმისა და ციხისძირის მახლობლად].

ლ. მუსხელიშვილის ექსპედიციას, უცხოელი მეცნიერის ა. შნაიდერის ხელმძღვანელობით არ დაუკლია ცდა, როგორმე ნოქალაქევში აღმოეჩინათ საქალაქო ცხოვრების შესაბამისი მონაპოვარი, მაგალითად, წერს, რომ ექსპედიციამ „ზღუდის შიგნით, ვაკეზე, მთის ფერდობზე და ზევით აკროპოლისში, **40-მდე საცდელი ორმო გავთხარეთ, ზოგიერთი საკმაოდ ღრმად (2-3 მეტრამდი), მაგრამ ყველა უშედეგოდ“** (იქვე, გვ. 304). ე. ი. ამ **ორმოებში საქალაქო ცხოვრების შესაბამისი კულტურული ფენა არ აღმოჩნდა.**

ექსპედიციას ამ კრახის შემდეგ იმედი დაესახა, რომ ზღუდის გარეთ ეძებნათ ძველი ქალაქის ნაშთები. „თვითეულ ეზოს ზღუდის გარეთ თავისი ჭა აქვს. ზოგან სიღრმით 3 საჟენამდე. და, ადგილობრივთა თქმით, არასოდეს არაფერი აღმოჩენილა“ (იქვე, გვ. 304).

ექსპედიციის დასკვნა ასეთი იყო - „ქალაქი ვერ ვნახეთ“.

მათ იმედი ჰქონდათ, რომ გააგრძელებდნენ კვლევას და რაიმეს იპოვნიდნან ნოქალაქევის დედაქალაქობის დასადგენად.

საბოლოოდ იმჟამად 1930-31 წლის ექსპედიციამ დაასკვნა - „არსად არ აღმოჩნდა ძველი სასაფლაო და არც ძველი სამოსახლოს ფენები. ამიტომ **ექსპედიციის ხელმძღვანელს შნაიდერს საერთოდ შეეპარა ეჭვი, რომ ნოქალაქევი იყო ცნობილი არქეოპოლისი**.

დასკვნაში „ნოქალაქევის გათხრების შედეგები დოქტორ შნაიდერისა 1929-1930 წლები“ კერძოდ ნათქვამია - **„ძველი გეოგრაფების ცნობებით ქალაქები იხსენიება მხოლოდ ზღვისპირას და ფაზისის გასწვრივ. ამ ქალაქთაგან უკვე პლინიუსის დროს (I საუკუნე) უმრავლესობა აღარ არსებობდა, აქედან ცხადია: საკუთრივ შიდა - ქვეყანა ბერძენ-რომაელთათვის უცნობი იყო და არც მათი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ მაინც და მაინც ძველი ქალაქის ძებნა ნოქალაქევში ამაო იქნება“ (იქვე, გვ. 297).**

დოქტორ შნაიდერის, ნოქალაქევის პატიოსანი მკვლევარ-არქეოლოგის, ეს განცხადება ძალზე მნიშვნელოვანია.

დასავლეთ საქართველოს „შიდა ქვეყანა ბერძენ-რომაელთათვის უცნობი იყო და არც მათი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა“. ეს დასკვნა მთლიანად ეთანადება „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაი ქართლისაის“ დაბეჯითებულ ცნობებს, რომ მეფე ფარნავაზის დროიდან დასავლეთ

საქართველო მდინარე ეგრისწყლამდე იმყოფებოდა არა ბერძენ-რომაულ, არამედ ქართლის სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომ არა მხოლოდ ქუჯის დროს, არამედ უწყვეტად შემდეგ მეფე ადერკამდე (I ს.) და მეფე მირიანამდე (IV ს.) ეგრისი ქართლის სამეფოს ნაწილი იყო.

შნაიდერისა და ქართული წყაროების დასკვნები თანმხვედრია და მთლიანად განსხვავდება XX ს. საბჭოთა ისტორიკოსების დასკვნებისაგან.

ნოქალაქევის გათხრები გაგრძელდა, როგორც ითქვა XX ს. 70-იან წლებში. ასე ვთქვათ, აქ იმუშავა არქეოლოგთა ორმა ჯგუფმა: პირველს შეიძლება ვუწოდოთ მკვლევარ-არქეოლოგები, ანუ ისინი, რომელნიც იმას აღწერენ რასაც ფაქტიურად პოულობენ, და მეორე, ასე ვთქვათ ე.წ. „ქართიზაციის თეორიის“ მომხრე - იდეოლოგ-არქეოლოგები, რომელთაც წინასწარ ჰქონდათ მომზადებული დასკვნა, რომლის მიხედვითაც არ არსებულს - რეალურ ფაქტებად აცნობენ საზოგადოებას.

70-იანი წლების მკვლევარ-არქეოლოგები მსგავსად ლ. მუსხელიშვილისა და დოქტორ შნაიდერისა ნოქალაქევის არქეოლოგიური კვლევის შედეგად მივიდნენ იმავე დასკვნამდე, რომ **ნოქალაქევში ძალზე მწირია კულტურული ფენა, კერძოდ ისინი სხვადასხვა ადგილს მიუთითებენ „ნოქალაქევის კულტურული ფენა განსაკუთრებით ღარიბია“ (ნოქალაქევი-არქეპოლისი, 1987, გვ. 29), „მნიშვნელოვნად ღარიბია“ (იქვე, გვ. 28), ანდა „ძალზე ღარიბია“ (იქვე, გვ. 28) და სხვა, აღმოჩენილი მასალების მიხედვით ნოქალაქევი მცირედ იყო დასახლებული (იქვე, გვ. 30), „სამარხები მცირეა IV-VII საუკუნეებისა“ (გვ. 30)** და სხვა.

მაშასადამე, ნოქალაქევის 1970-80 წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა:

1) ნოქალაქევი და მისი მიდამოები იყო მცირედ დასახლებული (ნოქალაქევი-არქეოპოლისი,გვ. 30);

2) აქ IV-VII სს. სამარხები მცირეა – (იქვე,გვ. 30);

3) აქ კულტურული ფენა ღარიბია – (იქვე,გვ. 30);

4) არქეოლოგიური მონაპოვარი უჩვენებს, რომ ქალაქს არ ჰქონდა საკუთარი ეკონომიკა – (იქვე, გვ. 31, 30);

5) „გრანდიოზული თავდაცვითი ნაგებობები“ არ შეესაბამება ქალაქის ცხოვრების ინტენსივობას“ (ე. ი. იყო არა ქალაქი (მით უმეტეს დედაქალაქი) არამედ ციხე-სიმაგრე, რომელშიც ხანდახან ერისთავ-დიდებულები ცხოვრობდნენ და აქ სასახლეები ჰქონდათ, როგორც ეს მიღებული წესი იყო შუა საუკუნეებში) – (იქვე,გვ. 27);

6) ნოქალაქევიდან ადრეფეოდალური ხანის საივულირო ნაწარმი პრაქტიკულად ძალზე ცოტაა, დედაქალაქში მეტი უნდა ყოფილიყო(იქვე,გვ. 27)

7) აკროპოლისის (ქვედა ქალაქის) ცენტრალურ ნაწილში არქეოლოგიური მასალა (მონაპოვარი) „თითქმის სულ არაა“ (იქვე,გვ. 29)

8) „უსახური და უფორმო ფრაგმენტები“ არქეოლოგიურ მასალისა აღმოჩნდა სამხრეთ გალავანთან (იქვე,გვ. 29). ესაა კერამიკული ჭურჭლის (დოქების) ნატეხები! – (იქვე,გვ. 30).

ამ დასკვნისათვის პატიოსან არქეოლოგებს ნ. ლომოური სასტიკად აკრიტიკებს, ფაქტების მიუხედავად ნ. ლომოურმა დაასკვნა რომ ნოქალაქევი იყო არქეოპოლისი და ეს აზრი დანერგა მეცნიერებაში.

ნ. ლომოური იძულებული გახდა და მან დაიწუო კრიტიკა პირველხარისხო-

ვანი წყაროებისა და მათი ავტორებისა, კერძოდ ნ. ლომოური აკრიტიკებს პროკოფი კესარიელს!

ნ. ლომოური პროკოფის მიიჩნევს „არასანდო“ ავტორად, წერს - „ყოველთვის როდი შეიძლება მისი ნდობა“ (**ნოქალაქევი-არქეპოლისი, 1987,** გვ. 30), ამასთანავე **წერს „ცნობილია, რომ პროკოფის ლაზიკის დახასიათებისას ხშირად მოსდის უზუსტობანი“ (იქვე,გვ. 31).** ასევე წერს - „**სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ლაზიკის ე. ი. დასავლეთ საქართველოს პროკოფისმიერი დახასიათება არ შეეფერება რეალურ სინამდვილეს.** პროკოფის მთელ ლაზეთზე გავრცელებულია ის ცნობა, რომელიც მას ერთერთი ჩამორჩენილი კუთხის შესახებ ჰქონდა“ (გვ. 31), აქ იგულისხმება პროკოფის ცნობა - „ლაზიკაში არსად არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე“ (პროკოფი, ომი სპარსელებთან, II, 28).

ჩემი აზრით კი პროკოფის ცნობები საოცრად ზუსტი აღმოჩნდება,თუ მის ლაზიკას ჭოროხის ხეობაში მოვათავსებთ.

ნ. ლომოურს არ მოსწონს პროკოფის ცნობა,ამიტომ აკრიტიკებს და წერს- ნოქალაქევი „მჭიდროდასახლებული უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს აქ **ორი აბანოს**, სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათა და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალის - **საოჯახო და სამზარეულო ჭურჭლის აღმოჩენა**“. (გვ. 31). თუმცა ნოქალაქევის (ე.წ. დედაქალაქის) არქეოლოგიურ მასალის სიმწირე, კულტურული ფენის სიღარიბე, მონეტების სიმცირე და ფაქტი, რომ ქალაქს არ ჰქონდა საკუთარი ეკონომიკა, მას არაფერს ეუბნება (იქვე,გვ. 31, 32).

საფიქრებელია,რომ აღმოჩენილი „ორი აბანო და ჭურჭელი“ ეკუთვნოდა ნოქალაქევში, როგორც საკურორტო მოსასვენებელში დროებით 1-2 თვის მანძილზე მაცხოვრებელ სამეგრელოს მთავრებსა და დიდებულებს. უფრო ადრე აქ, ასევე დროებით, უცხოვრიათ ქართლის მეფე-ერისთავებსაც, მათაც ცხადია აბანოები და ჭურჭელი ესაჭიროებოდათ.

XX ს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ორი განსხვავებული თეორია ჩამოაყალიბა:-

პირველის მიხედვით შავი ზღვისპირეთი და დასავლეთ საქართველო თავდაპირველად დასახლებული იყო აფხაზურ-ადიღეური ტომებით, რომელთაც აქ შემდგომ „აფხაზთა სამეფო“ ჩამოაყალიბეს VIII ს-ში, შემდეგ კი მცხეთის ეკლესიამ დაიწყო ამ მხარის „ქართიზაციის“ პროცესი, რის შედეგადაც დასავლეთ საქართველოში თითქოსდა X ს.-დან გავრცელდა ქართული ენა და კულტურა, აფხაზთა სამეფო კი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ნაწილი გახდა. ეს თეორია მიიჩნეოდა უეჭველ ჭეშმარიტებად, ამიტომაც ის ასახულია როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე საენციკლოპედიო ცნობარებში. ამ თეორიას ეჭვის თვალით შეხედეს აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობის დაწყების შემდეგ XX ს. 70-80-იანი წლებიდან.

ამის **შემდეგ უკვე ოფიციალურ თეორიად გადაიქცა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების „ლაზიკის სამეფო“ მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს და მისი დედაქალაქი იყო არქეოპოლისი,** რომელიც თითქოსდა ნოქალაქევის ძველი სახელი ყოფილა. დაიწყო ნოქალაქევის თხრა, გამოქვეყნდა ამ თეორიის შესაბამისი არქეოლოგიური დასკვნები.

ამ თეორიის მიხედვით დასავლეთ საქართველოშივე მდებარეობდნენ ფასისის

სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები: როდოპოლისისა (როგორც ითქვა,მიიჩნევა რომ ეს სახელი ვარციხეს ერქვა), საისინისა (ცაიშად მიიჩნევა), ზიგანასა (მას რატომღაც „ზიგინევისას“ უწოდებენ და მის ადგილ-სამყოფელად გუდაყვას მიიჩ-ნევენ აფხაზეთში) და პეტრასი (ციხისძირად მიიჩნევა).

ქართიზაციის თეორიის მიხედვით ეს ბერძნული საეპისკოპოსოები გაუქმდა „ქართიზაციის“ პროცესის შედეგად.

ისმის კითხვა, თუ კი სამიტროპოლიტო ცენტრი იყო ფაზისი (თითქოსდა ფოთი), რატომ მდებარეობდა ამ რეგიონის დედაქალაქი არქეოპოლისში? საქმე ისაა, რომ სიტყვა „მეტროპოლისი“ აღნიშნავს „დედაქალაქს“, ხოლო საეკლესიო კანონების მიხედვით „სამიტროპოლიტო ოლქის“ მეთაური მეტროპოლისში ანუ დედაქალაქ-ში უნდა მჯდარიყო. ასე, რომ თუ ფოთი იყო ფაზისის სამიტროპოლიტოს ცენტრი, მაშინ პოლიტიკური დედაქალაქიც ფოთი უნდა ყოფილიყო და არა არქეოპოლისი. მაგრამ პროკოფი კესარიელის ცნობით ლაზიკის დედაქალაქი არქეოპოლისი იყო. თუ ეს ასეა, მაშინ ფაზისის მეტროპოლიის ცენტრი სხვაგან უნდა ვეძიოთ.

როდის აშენდა ნოქალაქევი? თუ ის ციხე-გოჯია, ქართლის ცხოვრების მიხედ-ვით, მას საფუძველი დაუდო ქართლის სამეფოს ეგრისის საერისთვოს მეთაურმა ქუჯიმ.

ნოქალაქევი მეორედ აშენდა დასავლეთ საქართველოდან არაბების განდევნის შემდეგ- აფხაზეთში გადასულმა ქართლის მეფე მირმა ბრძანა:

„უწყიეს შენებად ადგილთა ჩვენთა კლისურითგან აღმართ,წარვალ და დავე-შენები ციხე-გოჯისა და ქუთათისს“(ქართლის ცხოვრება,I,1955,გვ. 242).

ე.ი. **ნოქალაქევი მეორედ აშენდა VIII საუკუნეში(ისევე,როგორც ქუთაი-სი), არაბთა თავდასხმების II ტალღის შესაჩერებლად.**

ამ დროს ნოქალაქევში კარგი ციხე-ციტადელი აშენებულა, იმდენად, რომ ქართ-ლის მეფის ერთერთი გვირგვინი აქ დაიდო შესანახად, მეორე კი ქუთაისში – ამ წყაროს მიხედვით, ანუ ციხეგოჯი ქუთაისთან ერთად ქართლის სამეფოს ცენ-ტრად იქცა, არაბების მიერ თბილისის საამიროს დაარსების შემდეგ.

შემდგომ საუკუნეებში ნოქალაქევი ანუ ციხეგოჯი იყო საზაფხულო რეზიდენ-ცია ეგრისის ერისთავებისა და სამეგრელოს მთავრებისა.

ასე, რომ ნოქალაქევს ნაკლები შეხება ჰქონდა ბიზანტიურ სამყაროსთან, ამიტ-ომ ვერც აღმოაჩინეს არქეოლოგებმა აქ შესაბამისი რაოდენობის ბიზანტური მონეტები, აღმოჩნდა სულ რამდენიმე (ექვსი მონეტა, მათგან მხოლოდ ორია სახ-ელწარწერილი). ნოქალაქევი რომ ყოფილიყო ლაზიკის დედაქალაქი არქეოპოლისი, აქ მონეტების სიუხვე უნდა ყოფილიყო, ვითარცა სავაჭრო ეკონომიკურ და პოლი-ტიკურ ცენტრში.

არქეოლოგების ვ. ლექვინაძისა და ლ. ხვედელიძის თვალსაზრისით, ფაქტი იმისა, რომ **ნოქალაქევში მონეტები „ძალზე მცირე რაოდენობისა აღმოჩნ-და, და ასევე ფაქტი იმისა, რომ ვარდციხეში მონეტები ჯერჯერობით საერთოდ არაა მიკვლეული, მეტყველებს იმის შესახებ, რომ „ლაზიკაში ფულადი მიმოქცევა სუსტად იყო განვითარებული“ (ნოქალაქევი-არქე-პოლისი, 1987,გვ. 32).**

ჩემი აზრით, რადგანაც პროკოფის ეპოქაში ლაზიკა ერქვა ძირითადად ჭოროხის ხეობასა და ერგე-ლიგანს, არქეოლოგებმა აქ უნდა ჩაატარონ შესაბამისი კვლევა, ხოლო ვარციხეში და ნოქალაქევში არქეოლოგიური მასალების (მათ შორის მონეტების არარსებობა და სიმცირე) მიუთითებს

რომ ვარციხე არ იყო როდოპოლისი და ნოქალაქევი არ იყო არქეოპოლისი – ე.ი. ცნობილი ბიზანტიური პუნქტები.

ერთი სიტყვით ციხე-გოჯში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა არაა საკმარისი მის არქეოპოლისად გამოსაცხადებლად. ამავე თვალსაზრისისა უნდა იყვნენ არქეოლოგები ვ. ლექვინაძე და ლ. ხვედელიძე, რომელთაც აკრიტიკებს ნ. ლომოური. არქეოლოგიური მონაპოვრის უკმარისობის მიუხედავად ის მტკიცედ დგას თვალსაზრისზე, რომ ნოქალაქევი არის არქეოპოლისი და მას უწოდებს - „ეგრისის ანუ ლაზიკის - მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი სახელმწიფოს დედაქალაქს“. მას, ისევე, როგორც მრავალ სხვას არ აოცებს თუნდაც ფაქტი იმისა, რომ ვარციხეში (ე. ი. მათი თვალსაზრისით როდოპოლისში) არ აღმოჩნდა ბერძნულ-ბიზანტიური მონეტები, და საერთოდ ვარციხეში ბიზანტიური მონეტა არ აღმოჩნდა!

პროკოფის ეპოქის წყაროებით-არქეოპოლისში იდგა ბიზანტიური სამხედრო ნაწილი, მრავალი ათასი მხედრისაგან შემდგარი.

როგორც წესი, ყველგან, სამხედრო ნაწილის სადგომ პუნქტში მრავლად იპოვება მონეტები, რადგანაც მხედრებს ანაზღაურებას მონეტებით უხდიდნენ. გარდა ამისა, ყველგან სადაც კი ასეთი ჯარი მუდმივად ბანაკდებოდა მკვიდრი მოსახლეობა კარგად დაცულობის გამო, აწყობდა ბაზრობებს, შენდებოდა შესაბამისი შენობები, აღებ-მიცემობა ყვავოდა, ფული ტრიალებდა, როგორც წესი, არა ერთი და ორი თვით, არამედ წლობით და ზოგჯერ ათეულწლობით და საუკუნეობით, ამის გამო სამხედრო ნაწილების სადგომ პუნქტებში მრავლად პოულობენ მონეტებს. აღნიშნულის გარდა, ასეთი პუნქტები, როგორც წესი თანდათანობით ქალაქებად იქცეოდა ხოლმე, რასაც ხელს უწყობდა ინტენსიური დაცული ვაჭრობა. თუ ასეთივე ქალაქი იყო როდოპოლისი, თანაც საეპისკოპოსო ცენტრით, თავისი კათედრით. ნუთუ ასეთ ქალაქში მონეტები არ უნდა აღმოჩენილიყო? ნუთუ ეს ფაქტი არ აეჭვებთ მეცნიერთ, - ბიზანტიურ სახელმწიფოში ხომ საეპისკოპოსო კათედრებს, არა უბრალო ქალაქებში არამედ მნიშვნელოვან ცენტრალურ ქალაქებში აარსებდნენ! ასეთი იყო საეკლესიო წესი ბიზანტიურ სამყაროში.

მსგავსადვე, შეუძლებელია ლაზიკის „დედაქალაქში“ - არქეოპოლისში ასეთი მწირი არქეოლოგიური ნაშთები აღმოჩენილიყო, ჩივილი იმისა, რომ კულტურული ფენები წყალმა გადარეცხა, დასტურია მხოლოდ იმისა, რომ ნამდვილად ნოქალაქევში არ აღმოჩნდა შესაბამისი არქეოლოგიური მასალა.

ასვე, ძალზე ნიშნეულია, რომ **არ აღმოჩნდა ბერძნული წარწერები ნოქალაქევსა და ვარციხეში -„ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ლაზიკის სამეფოს დედაქალაქსა და ბერძნული საეპისკოპოსო ცენტრში“, შეუძლებელია ასეთი სტატუსის მქონე ქალაქებში არ აღმოჩენილიყო ბერძნული წარწერები, თუ კი ვინმე იტყვის, რომ დროთა მსვლელობამ ისინი გააქრო, შეიძლება მას შეეკითხოთ, მაშ რატომ აღმოჩნდა ნოქალაქევთან ძალზე ახლოს (ნოჯიხევში) იმავე ეპოქის ქართული წარწერები?**

ნ. ლომოურის აზრით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალი ბერძნული საეპისკოპოსო კათედრა IV საუკუნიდანვე იდგა ნოქალაქევ-არქეოპოლისში (ნოქალაქევი-არქეოპოლისი,1987, გვ. 40).

ცხადია, მისი ეს განცხადება სრულიად უსაფუძვლოა. ემყარება მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ნოქალაქევში აღმოჩნდა ერთი ძველი ეკლესიის ნაშთი, რომელიც მან IV საუკუნით დაათარიღა, შემდეგ კი მიღებული შტამპის შესაბამისად **ჩათვალა,**

რომ მისი ეპისკოპოსი კონსტანტინეპოლის იურისდიქციას ექვემდებარებოდა.

ის წერს - „ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დავუშვათ, რომ ბიზანტიურ წყაროებში დამოწმებულია ეგრისის საეკლესიო წყობილება, რომლის მიხედვით დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაურია კონსტანტინოპოლის პატრიარქის სამწყსოში შემავალი ფასისის მიტროპოლიტი, მისდამი დაქვემდებარებული ოთხი ეპისკოპოსით (ზიგანევის, პეტრას, როდოპოლისის და ცაიშის), შედარებით გვიან შექმნილი სისტემაა. **თავდაპირველად ერთ-ერთი საეკლესიო კათედრა სწორედ ნოქალაქევში იმყოფებოდა**“ (ნ. ლომოური, ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისას ნოქალაქევი - არქეოპოლისი, 1987, გვ. 40).

ნ. ლომოური რიხით წერს **„ბიზანტიურ წყაროებში დამოწმებული ეგრისის საეკლესიო წყრობილების**“ შესახებ, მაშინ, როცა არცერთ ბიზანტიურ წყაროში არავითარი მოწმობა არ არსებობს „ეგრისის ეკლესიის“ მით უმეტეს „მისი წყობილების“ შესახებ.

საერთოდ ბიზანტიურ **წყაროებში სიტყვა „ეგრისის ეკლესია“ არ ფიქსირდება.** ბიზანტიურ წყაროებში ნახსენები „ლაზიკის ეპარქია“, რომლის საეპისკოპოსოებიც მდებარეობდა ქართველთა უძველეს ქვეყანაში ტრაპეზუნტის რეგიონში, ისტორიულ კოლხეთ-ლაზიკაში (უღელტეხილ ზიგანასთან ახლოს) ქართველმა ისტორიკოსებმა ჩათვალეს დასავლეთ საქართველოს (ეგრისის) კათედრებად.

მათ ეს თავიანთი შეცდომა - ოფიციალურ საისტორიო დოგმად გადაქციეს.

ნ. ლომოურის აზრით, ნოქალაქევ-არქეოპოლისში უფრო ადრე იჯდა (IV ს.-დანვე) ბერძენი ეპისკოპოსი, ვიდრე ბიზანტიელები ეპარქიებს დააარსებდნენ ფოთ-ვარციხე-ცაიშში.

ეს მოსაზრება უნდა დაადასტუროს არქეოლოგიურმა მონაპოვარმა. კერძოდ, უნდა აღმოჩენილიყო, ბერძნული საეკლესიო წარწერები. როგორც ითქვა, ბიზანტიურ სამყაროში ეპისკოპოსი იჯდა დიდ ქალაქში. კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი არქეოპოლისში, ცხადია ბერძნულენოვანი იქნებოდა, ბერძნული წირვა-ლოცვით, შესაბამისად რაიმე ბერძნული წარწერა მაინც უნდა აღმოჩენილიყო ნოქალაქევში, მაგრამ ასეთი არ აღმოჩნდა. მსგავსადვე რატომ არ აღმოჩნდა ბერძნული საეკლესიო წარწერები ვარციხეში, რომელიც როდოპოლისის საეპისკოპოსო კათედრად მიიჩნევა?

როგორც ითქვა, ქართიზაციის თეორიის მომხრე არქეოლოგები ნოქალაქევში ეძებდნენ ბერძნულ საეკლესიო წარწერებს და აღმოაჩინეს-ქართული წარწერები ნოქალაქევთან ათიოდ კილომეტრში.

ნოჯიხევში, სადაც გაითხარა უძველესი ეკლესია აღმოჩნდა ქართული ასომთავრული წარწერები.

თუ ნოქალაქევის, როგორც ითქვა, ბერძნული საეკლესიო წარწერები დრომ გააქრო, რატომ არ გააქრო დრომ თითქმის იმავე ეპოქის, იქვე მდებარე ნოჯიხევის ტეტრაკონქის ქართული წარწერები?

ნ. ლომოური წერს - „ნოქალაქევ-გეგეჭკორის მონაკვეთზე ექსპედიციამ სხვა ხასიათის სამუშაოებიც ჩაატარა, აქ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნოჯიხევში, აბაშისპირა ჭალაში ნაგებობათა კომპლექსის აღმოჩენა - V-VI საუკუნეების აბანო და მისგან ოციოდე მეტრის დაშორებით აღმოჩენილი ამავე ეპოქის ოთხაფსიდიანი ეკლესია, ე.წ. ტეტრაკონქის ტიპისა...

აღნიშნული აბანოსა და ტეტრაკონქის გვერდით შენახულია გვიანდელი ხანის პატარა დარბაზული ეკლესიის ნანგრევები... გვიანდელი ეკლესიის ქვეშ ექსპედიციამ აღმოაჩინა საერთოდ საქართველოსთვის იშვიათი ტიპის ეკლესია - რვააფსიდიანი საყდარი... კარგად გათლილი ქვით ნაგები ეკლესიის გარშემო აღმოჩნდა არაერთი არქიტექტურული დეტალი და რაც მთავრია **შესანიშნავად ამოკვეთილი დიდი ზომის (15X22) ასომთავრული ასოები.** მართალია წარწერის წაკითვა ვერ ხერხდება, რადგან ასოები ცალკე ქვებზეა ამოკვეთილი და გაფანტული იყო ირგვლივ, მაგრამ უდავოა, რომ **ამ ეკლესიის გუმბათს ამკობდა ასომთავრული წარწერა.** პ. ზაქარაია წინასწარულად ეკლესიას X საუკუნით ათარიღებს და ამდენად ეს წარწერა ერთერთი ადრეულია დასავლეთ საქართველოს ქართულ წარწერათა შორის. ვფიქრობ, ძნელია ამ აღმოჩენის მნიშვნელობის გადაფასება" (იქვე, გვ. 42).

ნოჯიხევის რვააფსიდიანი ტეტრაკონქის ქართული წარწერები თვით ქართიზაციის თეორიით ხელფეშხეკრულმა მეცნიერებმა X საუკუნით დაათარიღეს. ეს იმ საუკუნედ ითვლება, რაც თითქოსდა დაიწყო დასავლეთ საქართველოს „ქართიზაცია". მაგრამ ვინც ენდობა ძველქართულ წყაროებს მისთვის ეს ტეტრაკონქი და მისი წარწერები გაცილებით ადრინდელია, ალბათ VI-VII საუკუნეებისა, რადგანაც ჩვენში სწორედ ამ საუკუნეებში აგებდნენ ტეტრაქონქის ტიპის სატაძრო ნაგებობებს.

ვფიქრობ საეკლესიო მკვლევარებისათვის უფრო მყარი საფუძველი უნდა იყოს ძველი ქართული წყაროები, მათ შორის რუის-ურბნისის ძეგლისწერის ცნობები, ვიდრე შემდეგ შემუშავებული ე.წ. „ქართიზაციის თეორია".

ჩვენი მემატიანეებისა და მამებისათვის XI საუკუნეებიც კი (თუ უფრო ადრე არა) საერთოდ უცნობი იყო დასავლეთ საქართველოში ბერძნული საეკლესიო იურისდიქცია, ამის არქეოლოგიურ დასტურად უნდა ჩაითვალოს ნოჯიხევის ტეტრაკონქის ქართული წარწერები, რომლის შესახებაც სამწუხაროდ დუმილია სამეცნიერო წრეებში, თუმცა კი მადლობელი უნდა ვიყოთ ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციისა და ნ. ლომოურისა, რომელთაც აღმოაჩინეს და გამოამზეურეს ნოჯიხევის ქართული წარწერა.

ბრძოლები არქეოპოლისთან(ისტორია და ნუმიზმატიკური მასალა). არქეოპოლისი მიიჩნეოდა ბიზანტიური ჯარების დიდ სიმაგრედ, აქ სპარსეთთან ომის დროს მრავალათასიანი სამხედრო კორპუსი იდგა. მაგალითად ერერთი ბრძოლის დროს სპარსელთა სარდალმა მერმეროემ მიიყვანა ჯარი იმდენად დიდი რიცხვისა რომ, არქეოპოლისთან მას ბიზანტიელებმა 4.000 მეომარი მოუკლეს. ბიზანტიელთა ჯარი კი ამ დროს არქეოპოლისის ციხეში იდგა და თავს იცავდა. სპარსელების ჯარში სხვებთან ერთად იყვნენ დაქირავებული მეომრები სხვადასხვა ეროვნების, მაგალითად, პროკოფი აღწერს, რომ არქეოპოლისთან ბრძოლისას სპარსელთა მიერ დაქირავებულმა საბირთა ტომის ჯარისკაცებმა მოამზადეს საომარი ე. წ. კრიოს მანქანები, რათა ციხის კედლები დაელეწათ, იქვე იყვნენ დოლომიტთა ტომის ჯარისკაცები, რომლებიც ისრებსა და შუბებს უშენდნენ მეომრებს. პროკოფი არქეოპოლისის ბრძოლის აღწერისას ამბობს - **„თითოეული მათგანი ატარებს მახვილსა და ფარს, ხელში სამი ხელშუბი უჭირავს... მერმეროე მთელი ჯარით წაუძღვა კრიოს მანქანებსა და სპილოებს"**, სპილოებით ჩანს ათი ათასი კაცი მაინც იბრძოდა, რადგანაც 4.000 როგორც ითქვა კედლებთან დაიღუპა, შემდეგ მერმეროემ სამი ათასი კაცი ქუთათისის ციხეში

დატოვა და ასევე ჯარები სხვა სამ ციხეში განალაგა.

ამ ამბის აღწერით იმის თქმა გვსურს, რომ ყველა ეს მეომარი დაქირავებული იყო და მათ მონეტები თან უნდა ეტარებინათ უცხო ქვეყანაში სახლებიდან ათასობით კილომეტრით დაშორებულთ, მონეტები ცხადია თვით უქემერიონის ციხის ბიზანტიულ მცველებსაც ჰქონოდათ. **ამიტომაცაა, რომ არქეოლოგები ასეთ ადგილებში მონეტებს მრავლად პოულობენ.**

ბიზანტია-სპარსეთის ომი ამ მხარეში მთელი საუკუნე გრძელდებოდა, არქეოპოლისი ყოველთვის მთავარი სამიზნე იყო. ამიტომაცაა გასაკვირი, და ეს აოცებდათ თვით მკვლევარ-სპეციალისტებს ნოქალაქევში აღმოჩენილი არტეფაქტებისა და ბიზანტიური **მონეტების სიმცირე**.

მაგალითად თ. აბრამიშვილი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული მონეტები ასკვნის - **„ნოქალაქევის გათხრების შედეგად გამოვლენილი მცირე ნუმიზმატიკური მასალა აძნელებს რაიმე კატეგორიული დასკვნების გამოტანის საშუალებას“** (თ. აბრამიშვილი, ნოქალაქევის მონეტები, იქვე, გვ. 279).

ის წერს - **„როგორც ვხედავთ, ნოქალაქევის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა ერთობ მცირე და მოკრძალებულია“** (იქვე, გვ. 275).

კერძოდ აღმოჩნდა სულ 6 სპილენძის ბიზანტიური მონეტა, თუმცა უფრო ადრე აღმოჩნდა იუსტინე I (518-527) ერთი სპილენძის მონეტა და მავრიკ ტიბერიოსის (582-602) ოქროს მონეტების განძი. **ეს რაოდენობაც „მცირედ და მოკრძალებულად“ ითვლება. რუსულ დასკვნაშიც თ. აბრამიშვილი იგივეს აღნიშნავს, რომ „ნოქალაქევის ნუმიზმატიკური მასალა ძალზე მცირერიცხოვანია“** (იქვე, გვ. 286).

საქმე ისაა, რომ ნოქალაქევის ირგლივ - სამეგრელო გურიის რეგიონის სოფლებშიც (საფლავებსა და ეკლესიის გარშემო) არქეოლოგები იმავე სიხშირისა და ოდენობის ნუმიზმატიკურ მასალას პოულობენ (ნუმიზმატიკური განძებსა თუ ერთეულ მონეტებს) - არქეოპოლისად მიჩნეულ ნოქალაქევში მათი რიცხვი ძალზე სოლიდური უნდა ყოფილიყო. **როგორც ითქვა**, ვარციხეში მონეტა საერთოდ არ აღმოჩნდა (და მერე სად - ბიზანტიური სამყაროს ქალაქ როდოპოლისში სადაც რომაული ჯარი იდგა და ეპისკოპოსის კათედრაც იყო). ეს რეალურად არსებული ფაქტი როგორც ითქვა მეტყველებს იმის შესახებ, რომ არა ვარციხესა და ნოქალაქევში, არამედ სხვაგან უნდა ვეძიოთ როდოპოლისი და არქეოპოლისი.

ერთი სიტყვით, ნოქალაქევსა და მის ახლო-მახლო ადგილებში არქეოლოგებმა ბერძნულ წარწერათა ნაცვლად ქართული აღმოაჩინეს.

იგივეს თქმა შეიძლება ფოთის შესახებაც.

ჩვენში ტენდენციაა ფოთი გამოაცხადონ ცნობილ ფაზისად, შესაბამისად აქ გაფაციცებით ეძებდნენ ბერძნულ წარწერებს, მაგრამ აღმოაჩინეს რა? - ქართული წარწერები, კერძოდ გამოუწვავ აგურსა და მსგავს მასალაზე დასადები სატვიფრავი, რომელზეც არის ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები, და ასევე უკვე მზა აგურები ქართულივე ასო-ნიშნებით. რატომღაც ეს ფაქტი დავიწყების ბურუსს გადაეცა, რადგანაც საერთოდ არ ჯდება შემუშავებულ სტერეოტიპში და უცნაურად გამოიყურება ქართიზაციის თეორეტიკოსებისათვის.

აღსანიშნავია, რომ XX ს. 70-80-იანი წლების არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (30-იანი წლების ექსპედიციის მსგავსად) ნოქალაქევში აღმოჩენილი არქეოლოგიური

(IV-XI საუკუნეების) მასალიდან მასიურად მოიპოვა მხოლოდ კერამიკა. ესენია **ძირითადად ქვევრები, ჯამები და დოქები, თანაც ადგილობრივი წარმოებისა, აღსანიშნავია რომ მოპოვებული საცეცხლურებიც კი (ე. ი. საეკლესიო ნივთი) ადგილობრივაა დამზადებული თიხისაგან.**

ვ. ლექვანაძე წერს - „ნახევრად სფეროსებრი ფორმის ადგილობრივი სასაკმევლე საცეცხლურები ორი ნახვრეტით - ზემოთკენ და ძირზე“ (ნოქალაქევი-არქეოპოლისი, გვ. 238).

ეს იმითაა საინტერესო, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალი არქეოპოლისის - მნიშვნელოვანი ცენტრისა და დედაქალაქის ეკლესიაში არა ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასი თვლებით შემკული სასაკმევლით მსახურებოდნენ ბერძენი ღვთისმსახურები, როგორც მიღებულია დედაქალაქების ეკლესიებში, არამედ თიხის ადგილობრივი სასაკმევლით - რაც ძნელი წარმოსადგენია. როგორმე ბერძენი ღვთისმსახურები შესაფერისი ბიზანტიური ნივთებით შეამკობდნენ ეკლესიებს, როგორც მიღებული იყო იმჟამად, ნოქალაქევი არქეოპოლისი რომ ყოფილიყო.

ნოქალაქევში თითქმის ყველაფერი ადგილობრივი წარმოებისაა. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ასევე, ერთი ფაქტი:-

აქამდე ჩვენი არქეოლოგები ფიქრობნენ, რომ მათ მიერ მრავლად მოპოვებული ჭურჭელი იყო იმპორტული ამფორების ნაშთები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში ისინი ადგილობრივი ჭურჭელი იყო. ამასთან დაკავშირებით ვ. ლექვინაძე წერს - **,,დასავლეთ საქართველოში არქეოპოლისის თანადროული ძეგლის ვარდციხის (როდოპოლისის) მასალის გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ ეს ფრაგმენტები სინამდვილეში მიეკუთვნება დიდი ზომის ადგილობრივ ფართოყელიან დოქებს, რომელთა ფორმაზე გავლენა იქონია ამფორათა გარეგნულმა ფორმამ (იქვე, გვ. 239).** ე.ი. ეძებდნენ ბერძნულ-რომაულს და აღმოუჩენიათ კი, ასე ვთქვათ, იმერული ჩაფებისა და დოქების ფრაგმენტები.

ვასკვნით - არქეოლოგიური მასალა თვალნათლივ აჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველოს იმ რეგიონში, რომელიც რაიონის დაბლობს მიეკუთვნება არ უნდა ვეძიოთ ბერძნულ-ბიზანტიური დედაქალაქები, თავიანთი საეპისკოპოსო კათედრებით, არამედ უნდა ვერწმუნოთ ეროვნულ წყაროებს, რომ დასავლეთ საქართველო შედიოდა ზოგადქართულ სახელმწიფოსა და ეკლესიაში თავისი ყოფით, კულტურით, ადათ-წესებით, სიმდიდრითა თუ სიღარიბით.

11.01.10

მაშ, სად მდებარეობდა არქეოპოლისი? როგორც ითქვა მისი სამყოფელი უნდა ყოფილიყო თანამედროვე მათუმსა და ციხისძირს შორის.

წყაროს ცნობით, „ქალაქ **არქეოპოლისის** გარეუბანი იყო ონოგურისი ანუ წმიდა სტეფანე“, ამჟამადაც ბათუმის რეგიონში არის დასახლებულ პუნქტი სახელწოდებით - „სტეფანოვკა“ (ესაა ბათუმის გარეუბანი, აეროპორტის გზატკეცილთან მიმდებარე ტაბიძის ქუჩასთან).

მოხირისი

ბათუმ-აჭარისწყლის რეგიონში **„მახ“** ფუძის მქონე ტოპონიმების ერთობლიობა-თავმოყრა საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება,რომ ამავე ფუძის მქონე „**მოხ**-ირ-ისი“ აქ მდებარეობდა და არა ქუთაისის რეგიონში.

აჭარაშია - პუნქტი „მახო“ (ჭოროხის მარცხენა სანაპირო)
მისი გაგრძელებაა პუნქტი მახვილაური (მარჯვენა სანაპირო)
ახლოა პუნქტი მახინჯაური და ხელვაჩაური. იქვე აჭარისწყალზეა პუნქტი მახუნცეთი და მთა მახუნცორი 1386 მ. ზღვის დონიდან.

1) ს. **მახ**ო არის ქ. ხელვაჩაურის გაგრძელება მდ. ჭოროხის მარცხენა მხარეს, ახლოა ერგესთან (ეს პუნქტი ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზეა);
მდ. „მახოს წყალი“ (ჭოროხის მარცხენა მხარეს);
„მახოს უბანი“ (ბათუმსა და ერგეს შუა);
2) **მახ**ვილაური ხელვაჩაურის გაგრძელებაა მარჯვენა მხარეს ბათუმის მიმართულებით;
3) **მახ**ინჯაური - ამავე რეგიონშია, ზღვისპირას ბათუმის ჩრდილოეთით 3-5 კმ-ში;
4) „**მახ**უნცეთი“ (პუნქტი აჭარისწყალზე);
5) „**მახ**უნცორი“ (მთა აჭარისწყალთან,ახლოა ერგესთან).

მოხ-ირისი
მახ-ო
მახ-ვილაური
მახ-ინჯაური
მახ-უნცეთი
მახ-უნცორი

ერგედან ვიდრე თითქმის ზღვამდე ჭოეროხის მიმდებარე საკმაოდ ვრცელი რეგიონის სოფლების, მდინარისა და ადგილების სახელებში ჩანს ფუძე-ძირი „**მახ**“,რაც სიტყვა **მოხ**ირისის ნაშთი უნდა იყოს.
ეს ფაქტი საშუალებას იძლევა გამოითქვას მოსაზრება,რომ **მოხირისი ერქვა ამ რეგიონს და არა თანამედროვე ქუთაისის სანახებს.**

როდოპოლისი

არქეოლოგია (არქეოლოგ ვ. ჯაფარიძის წიგნი - „ვარდციხის ნაქალაქარი“, გამოსცა გამომცემლობა მეცნიერებამ 1989 წელს).
არქეოლოგი შესავალშივე წერს, რომ ასეთი ქალაქი უცნობი იყო ქართული წყაროებისათვის - „ქართული წაროები თითქმის სრულებით არაფერს გვამცნობენ ვარდციხის ძველი ისტორიის შესახებ“ (ვ. ჯაფარიძე, ვარდციხის ნაქალაქარი, 1989, გვ. 3).
ვ. ჯაფარიძე, ისე როგორც სხვა არქეოლოგები, ვარდციხეს უწოდებს ბაღდადის რაიონში ერთერთ ნაციხარს- ვარციხეს. იქაური მოსახლეობისათვისაც კი სახელი „ვარდციხე“ უცნობია.
სავარაუდოდ სახელ „**ვარ**ციხის“ ეტიმოლოგია ისეთივეა, როგორც **ვარ**ძიისა, **ვარ**იანისა, **ვარ**კეთილისა და სხვ.
ვარციხის ძველ სახელად მიიჩნევა ვარდციხე, რადგანაც 1737 წლის იმერეთის რუკაზე ერთერთ ახალ ციხეს, „ვარდის ციხე“ ეწოდება და ის მიიჩნევა XVII

საუკუნეში აშენებულად.

ვ. ჯაფარიძე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ეჭვმიუტანლად მიიჩნევს, რომ ვარციხე არის ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების ქალაქი როდპოლისი.

535 წლის კეისარ იუსტინიანეს ცნობით „არქეოპოლისი და როდოპოლისი უდიდესი და ძველი სიმაგრეებია ლაზეთში“ (გეო, II, 1965, გვ. 35-36).

პროკოფი კესარიელის მიხედვით როდოპოლისი „ყველაზე უწინარეს ხვდებოდა გზაზე იბერიიდან კოლხეთში შესულთ“ (იქვე, გვ. 186).

ბიზანტიურ კათედრათა ნუსხებში ე.წ. ეკთეზისებში როდოპოლისში იყო ბერძნული საეპისკოპოსო კათედრა.

ვ. ჯაფარიძე ეჭვმიუტანლად აცხადებს, რომ ის შედიოდა ფოთის მიტროპოლიტის დაქვემდებარებაში, მაშასადამე მიიჩნევს, რომ ცნობილი ფაზისის ბერძნული სამიტროპოლიტო ფოთია, ხოლო ვარციხე - როდოპოლისია. შესაბამისად უდგება თავის არქეოლოგიურ კვლევას- ვარციხის გათხრისას ფიქრობდა, რომ თხრიდა როდოპოლისს, მაგრამ მან **ვერ მოიპოვა შესაბამისი არქეოლოგიური მასალა**.

საეპისკოპოსო ქალაქში გათხრის შედეგად შესაბამისი მასალა უნდა აღმოჩენილიყო კიდეც. ის ბიზანტიის იმპერიის საეპისკოპოსო ცენტრს თხრიდა, ამიტომ ქალაქის, ანდა საქალაქო ცხოვრების შესაბამისი ნაშთი უნდა აღმოეჩინა, მით უმეტეს, რომ იუსტინიანეს თქმით როდოპოლისი უდიდესი და ძველი ციხე-სიმაგრე იყო, ამიტომ ამ ციხე-სიმაგრის თუ კედლები არა მისი საძირკველი მაინც უნდა აღმოჩენილიყო.

არაფერი მსგავსი ვ. ჯაფარიძეს არ აღმოუჩენია.

მან მხოლოდ შუა საუკუნეთა მომცრო ქართული ეკლესიის ნაშთი და ასევე შუა საუკუნეთა ციხის ნაკვეთები აღმოაჩინა.

თავის აღნიშნულ წიგნში ის თითქმის ყოველ მეორე გვერდზე წერს - **„ჭრილის გასუფთავებამ ქვედა დონეზეც კი მკვეთრად გამოხატული კულტურული ფენა ან რაიმე ერთეული მონაპოვარი არ დაადასტურა“** (ვ. ჯაფარიძე, ვარდციხის ნაქალაქარი, 1989გვ. 14).

თხრის შედეგად მან დაადგინა: **„ამ ციხე-ქალაქის ტერიტორია არ შეიცავს ახ. წ. პირველი საუკუნეების არათუ კულტურულ ფენას, არამედ ამ ხანის რაიმე ერთეულ მონაპოვარს“** (მაშასადამე, ვარციხე არ შეიძლება იყოს სტრაბონის რადოპოლისი!).

საბოლოოდ კი დაასკვნა- **„VI ს. მომდევნო ხანის მკვეთრად გამოხატული კულტურული ფენა ციხე-ქალაქში არ გამოვლენილა, ყოველ შემთხვევაში მისი გამოყოფა ჯერჯერობით არ ხერხდება“** (იქვე, გვ. 17). მაშასადამე არც პროკოფის ეპოქის როდოპოლისია.

მაგრამ არქეოლოგი მაინც IV-VI საუკუნეებით ათარიღებს **„ციხის შიდა ფართობის კულტურულ ფენებს და საფორტიფიკაციო ნაგებობებს“**.

რუსულ რეზიუმეში ვ. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ **ნაქალაქარის ტერიტორიაზე ქრისტიანობამდელი ფენა არ დადასტურდა** (იქვე, გვ. 146),

რაც აღმოჩნდა არის არა იმპორტული (ბერძნულ-რომაული სამყაროს პროდუქციის ნაშთი) არამედ **ადგილობრივი**, და მხოლოდ **„მცირე ჯგუფი იმპორტისა“** (ვარდციხის ნაქალაქარი, 1989,გვ. 147),

რამდენადაა შესაძლებელი, რომ ბერძნულ ქალაქში „ადგილობრივი“ (მე ვიტყ-

ოდი იმერული) ნაწარმი მოეხმარათ? ყოველშემთხვევაში, როგორც ტაბულებიდან ჩანს მოპოვებული მასალა ადგილობრივია (ესაა ძირითადად გვიანდროინდელი იმერული დოქები).

ვ. ჯაფარიძე თავიდანვე აღნიშნავს, რომ **ვარციხე იყო მცირე დასახლება** (ვარდციხის ნაქალაქარი, 1989გვ. 159), ამიტომ იგი რომაული ჯარის სადგომი და ეპისკოპოსის სამყოფელი ვერ იქნებოდა,მაშასადამე **ვარციხე არ იყო როდოპოლისი**.

ეტიმოლოგია (როდოპოლისი - ვარციხე - ვარდენიკი - არდაშენი – არდისუბანი)

პოლის - როგორც ცნობილია ბერძნულად არის „ქალაქი“. აქედან გამომდინარე - როდოპოლისი - ვარდოვანი ანდა ვარდისქალაქია, თუმცა ვარციხეც ალბათ შესაძლოა როდოპოლისად თარგმნილიყო.

საქართველოს და ლაზისტანში უამრავი როდოპოლისი და ვარდისციხე - ვარდოვანია.

მაგალითად ერთერთი ვარდციხე მდებარეობს აჭარაში, სხალთისწყლის ხეობაში ხიხაძირთან ახლოს, აქაა ნაეკლესიარი კვატია (სხალთის ეკლესიის აღმოსავლეთით). სიტყვა „კვატიას“ ფუძე-ძირი კვატ იგივე კუტია. საინტერესოა რომ პროკოფი ერთ რეგიონში მოიხსენიებს „ქუთათისსა“ და „როდოპოლისს“, ასევე აქ, სხალთის რეგიონშიც ერთადაა კვატიას ნაეკლესიარი და ვარდისციხე.

ვ. კოტეტიშვილის განმარტებით ფუძე „არდ“ არის სიტყვაში „ვარდი“, ჩვენ ისტორიულ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გვაქვს ტოპონიმები ამ ფუძით, მაგალითად თეთრიწყაროს რაიონშია სოფელი „არდისუბანი“, ხოლო ლაზისტანშია „არდაშენი“, „ვარდოვანი“, „ვარდიშენი“ - გვხვდება აზრუმთანაც.

როგორც ითქვა ვარდციხე - აჭარაშია, ვარციხე კი კი გეგუთთან. ის ჩანს, გეგუთის ციხე-დარბაზის მცველი ერთერთი ციხე იყო, რომელიც ამავე დროს ხანისწყლის გზას აკონტროლებდა.

„არდვანი“ ანუ „ვარდვანი“ უნდა ყოფილიყო თავდაპირველი სახელი ართვინისა, რომელსაც ძველ რუკებზე **ართვანიც** ეწოდება. ცნობილი სოფლები ვარდენიკი და ვარდაშენი იყვნენ ტაოსთან.

ყველა ეს ქართული სახელი - არდაშენი, ართვინი, ვარდიშენი, არდისუბანი, თუ ვარდის ციხე, ბერძნულად ალბათ „როდოპოლისი“ იყო, თუმცა როდოპოლისი უფრო ქალაქის სახელი უნდა ყოფილიყო.

ათენში დაბეჭდილ ლაზიკის ისტორიულ რუკაზე, **როდოპოლისის სამიტროპოლიტო** განლაგებულია ზიგანა-რიზეს მთიანეთში, მისი ცენტრი ზიგანასთან ახლოს ყოფილა (ამ რუკის მიხედვით), ხოლო ივ.ჯავახიშვილის 1923 წლის რუკის მიხედვით პუნქტი(ქალაქი) სახელწოდებით „ვარდა“ რიზესთან ახლოსაა.

ისტორიულ ლაზიკაში რამდენიმე როდოპოლისი ყოფილა.

ერთერთ ასეთ როდოპოლისს, ოღონდ არა საეპისკოპოსო ცენტრს, არამედ ციხე-ქალაქს, პროკოფი კესარიელიც ახსენებს ფაზისის ხეობაში. ჩვენი აზრით, ის ლიგანის ხეობაში უნდა ყოფილიყო განლაგებული, ჭოროხის სანაპიროზე.

ნ.ადონცი როდოპოლისის კათედრას მიიჩნევდა პაიპერტთან მდებარე ერთერთ პუნქტად, თეოდოპოლისსა და პაიპერტს შორის.

ამ არეალზე მართლაც ძველ დროსს მდებარეობდა სოფელი ვარდენიკი (ამჟა-

მინდელი ტაშპინარ).

ჩემი აზრით კი როდოპოლისის საეპისკოპოსო ქალაქი იყო პუნქტი „ვარდა“, რომელიც მდებარეობდა მდინარე კალაპოტამოსის ნაპირზე, ტრაპეზუნტის რეგიონში და არა ვარციხე, რომლის არქეოლოგია მიუთითებს, რომ იქ არასოდეს მდებარეობდა რაიმე ქალაქი.

როგორც ითქვა, 1923 წელს გამოცემული ტოპოგრაფ ევ. ბარამიძის მიერ შედგენილი რუკის მიხედვით, რომლის რედაქტორია ივ. ჯავახიშვილი ქ. ოფის სამხრეთით (ოფსა და რიზეს შორის) მდ. კალაპოტამოსზე იყო ქალაქი (ან დიდი დაბა) სახელწოდებით „ვარდა“, თავისი ეკლესიით.

როდოპოლისის ლოკალიზება მხოლოდ მისი სახელწოდეის მიხედვით ხდება. ვარციხესაც როდოპოლისი იმის გამო უწოდეს, რომ ის ერთ-ერთ რუკაზე „ვარდისციხის“ სახელითაა აღნიშნული.

ჩვენი კვლევით კი ისტორიული როდოპოლისის ეპარქია მოიცავდა ოფ-რიზეს მთიანეთს ვიდრე ამჟამინდელ გიუმიუშხანემდე. ჩვენს მისაზრებას გვიმტკიცებს შემდეგი ფაქტი:

XIX ს.-ში ბერძენმა სასულიერო პირებმა ახალ საეკლესიო ოლქს, რომელიც მათ აღადგინეს სწორედ ამ რეგიონში უწოდეს სახელი- „როდოპოლისის სამიტროპოლიტო“ ეს სამიტროპოლიტო სწორედ აღნიშნულ ოფ-რიზეს მთიანეთის რეგიონში მდებარეობდა ვიდრე 1920-იან წლებამდე (ამ დროისათვის თურქებმა ის გააუქმეს, რადგანაც მართლმადიდებელი მოსახლეობა ამ რეგიონიდან საბერძნეთში გადასახლდა), ეს როდოპოლისის სამიტროპოლიტო მდებარეობდა ოფ-რიზეს სამხრეთით და გადაჭიმული იყო გიუმიშხანემდე.

რატომ უწოდეს XIX ს.–ში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ როდოპოლისის სამიტროპოლიტოს სწორედ ეს სახელი ,,როდოპოლისი“? მე ვფიქრობ იმის გამო, რომ მათი ცოდნით აქ ისტორიულად მდებარეობდა ქალაქი ამ სახელწოდებით როდოპოლისი („ვარდა“ ანუ „როდოსი“). მართლაც, აქ ამ სახელის ქალაქი ყოფილა კიდეც 1923 წლის რუკის მიხედვით.

მართლაცდა, რატომ უნდა ეწოდებინათ ბერძნებს XIX ს-ში „როდოპოლისის სამიტროპოლიტო“ ოფ-გიუმიშხანეს მთიანეთის რეგიონისათვის თუ ისტორიულად როდოპოლისი იქ არ მდებარეობდა?

თავი XIX
ფაზისი –ფოთი-ფადისა-ფასიდი

ფაზისი

კლიმატური პერიოდები ფოთის აკვატორიაში (ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, გეოლოგ გ. მაისურაძის თვალსაზრისი)

ფოთის, მდ. რიონისა და მისი დელტის, ასევე კოლხეთის დაბლობის უდიდესი ნაწილის გეოლოგიური სახე უკანასკნელი 2000 წლის მანძილზე განპირობებული იყო კლიმატური პერიოდებით.

გეოლოგიური პერიოდები ბოლო ათი ათასი წლის მანძილზე პირობითად დაყოფილია ჯგუფებად (ადრე, შუა და გვიანი ჰოლოცენები).

მათგან ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით პერიოდში, რომელსაც გვიანი (ზედა) ჰოლო-

ცენი ეწოდება და მისი კლიმატური პერიოდი იწოდება სუბატლანტიკურად.

ამ დროს ზღვის დონე მკვეთრად იცვლებოდა.

თავდაპირველად, დაახლოებით ბრინჯაოს ხანაში (3000წ), ე.წ. ფანაგორიული **რეგრესიის დროს ზღვის დონემ დაიწია 6-8 მეტრით. ხოლო შემდეგ, დაახლოებით I საუკუნიდან დაიწყო ზღვის დონის აწევა და ნულოვან დონეზე 2 მეტრით მაღლა აიწია. ამ პროცესს „ნიმფეურ ტრანსგრესიას“ უწოდებენ.**

ფანაგორიული რეგრესიის **დროს** შავი ზღვის **დონე იმყოფებოდა 8-10 მეტრით დაბლა თანამედროვე დონესთან შედარებით** (ამის გამო ამჟამად წყლით დაფარულ შელფის ზოლში გაშენებული იყო ბერძნულ-რომაული ქალაქები).

ვითარება მკვეთრად იცვლება **დაახლოებით ქრისტეს შობის პერიოდიდან. დედამიწაზე კლიმატის გლობალური ცვალებადობის გამო დაიწყო უკუპროცესი – აიწია ზღვის დონემ (ტრანსგრესია), ამის გამო ქალაქები მოექცნენ წყლის ქვეშ. დათბობის პერიოდი (გლობალური) ამჟამადაც მიმდინარეობს.**

მდ. რიონთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ტრანსგრესიის, ანუ შავი ზღვის დონის აწევის გამო მოხდა მდ. რიონის ე.წ. **„შეგუბება“**.

საერთოდ, დაახლოებით **I საუკუნის შემდეგ ხდებოდა მდინარეთა შეგუბებები, ანუ იწევდა მაღლა ზღვის დონე თითქმის 2-4 მეტრით და ამის გამო ეს აწეული დონე აიძულებდა მდინარის წყალს დაგუბებულიყო, მით უმეტეს ისეთ გაშლილ ვაკეზე, როგორიცაა ფოთის შემოგარენი. ამის გამო მთელ რიონის ვაკეზე ჩნდებოდა ჭაობები, ანუ მკვეთრად იზრდებოდა წყლის სარკე (მდ. რიონისა).**

ამ მოვლენის გამო ამჟამადაც ამ დაბლობზე არის ჭაობები და ტორფნარი. საზოგადოდ კი, **ქ. ფოთთან იყო მდ. რიონის დიდი შეგუბება, რაც, როგორც ითქვა, დაიწყო ძირითადად I საუკუნიდან.**

ამ პროცესს (შეგუბებას) ეწოდება ასევე „მდინარის კვდომა“ (გეოლოგიური ტერმინი) და აღნიშნავს ეროზიის ბაზისის სტაბილურ მდგომარეობას, ანუ ეროზიის ბაზისი (ამ შემთხვევაში შავი ზღვა) სტაბილურად ინარჩუნებს მაღალ ნიშნულს, გათანაბრებულს მდინარის დონესთან.

ამის გამო მდინარეს ძალზე უჭირს თავისი წყლის ზღვაში შეტანა. ის თითქოსდა ეძებს გამოსავალს, იცვლის კალაპოტს, ეძებს ახალ გზებს, რათა თავისი წყალი როგორმე შეიტანოს ზღვაში, დაბლობზე იქმნება მეანდრები, ანუ მდინარე იკლაკნება, ხაზავს სინუსოიდებს, ამასთანავე ხშირად ჭრის ახალ კალაპოტს.

კოლხეთის ვაკეზე ადგილობრივმა მოსახლეობამ საგანგებოდ ამ მოვლენის აღსანიშნავად შეიმუშავა ტერმინი – „ნარიონალები“. ესაა ღრმა არხები, სადაც ოდესღაც მდინარე მიედინებოდა.

„ნარიონალები“ იმას ნიშნავს, რომ მდ. რიონი იცვლიდა კალაპოტს, ხშირად იწყებდა **„ხეტიალს“** ზედაპირზე.

ამის კვალი კოსმოსიდანაც ჩანს, კოსმიურ ფოტოსურათებზე არის უამრავი ნარიონალის აღნაბეჭდი სამტრედიიდან ფოთამდე.

მდინარეთა შეგუბებები ტრანსგრესიის დროს ჩვეულებრივი მდგომარეობაა.

როგორც ითქვა, ფანაგორიული რეგრესიის დროს ბრინჯაოს ეპოქიდან თითქ-

მის I საუკუნემდე, ზღვის დონე 8-10 მეტრით დაბლა იმყოფებოდა (თუმცა თანდათანობით იმატებდა მისი დონე).

ფანაგორიული რეგრესიის დროს შავი ზღვის ზოლში ზღვისგან გათავისუფლებულ ხმელეთზე (შელფური ზონა) გაშენდა უძველესი ქალაქები, მაგრამ ეს ეხება იმ შელფს, რომელიც გარკვეული კუთხით დახრილია ზღვისკენ, **მაგრამ ფოთთან შელფური ზონა თითქმის ზღვის დონეზეა (იმდენად, რომ ამჟამადაც შეიძლება ფოთთან წყალქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე 2 კმ-ზე მეტიც კი ფეხით გავლა), ანუ ზღვის დონის დაწევის დროსაც კი ფოთთან შელფის მაგიერ გვქონდა მდ. რიონის მიერ შემოტანილი მყარი მასალა, რომელიც ილექებოდა ფოთის აკვატორიაში. მაშასადამე, აქ ქალაქის ან ქალაქების აშენება შეუძლებელი იყო – დაჭაობებისა და წყალუხვობის გამო არა მხოლოდ რეგრესიის (ზღვის უკან დახევის), არამედ ტრანსგრესიის (ზღვის დონის აწევის) დროსაც.**

გეოლოგიური ჭაბურღილები, რომლებიც დადგმულია ფოთის რაიონში, აჩვენებს, რომ 4 მეტრი სიღრმიდან ქვემოთ, 15-25 მეტრის ინტერვალში (თითქმის 200 მეტრ სიღრმემდე), ზღვიურ ნალექთან ერთად მორიგეობენ ტორფის შრეები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მთელი მეოთხეული პერიოდის განმავლობაში, ჰოლოცენის ჩათვლით, ეს ტერიტორია განიცდის სტაბილურ დაძირვას, რაც გამოთვლილია. ეს არის წელიწადში 6-9 მილიმეტრი.

ამ ლაბილური, ანუ მოძრავი ტერიტორიის გამო ფანაგორიული რეგრესიის დროს **აქ ქალაქები ვერ გაშენდებოდა (იგულისხმება ფოთის აკვატორია)**. (სხვა ვითარება იყო ჭოროხთან, ენგურთან და სხვა მდინარეებთან).

რიონი არის ღერძული ზოლი მთათაშუა ქვაბულისა და მთელი ჩამორეცხილი მასალა გროვდებოდა ამ ქვაბულში, რომელიც (ეს მასალა) ზღვისკენ მიაქვს რიონს, ამის გამო ტერიტორია არის ლაბილური, ანუ მოძრავი.

ეს ნიშნავს, რომ ეს ტერიტორია თანდათანობით იძირება: 10 წელიწადში 6 სანტიმეტრით, 100 წელიწადში – 60 სანტიმეტრით, ხოლო 1000 წელიწადში 6 მეტრით, ანუ I საუკუნიდან დღემდე, ანუ 2000 წლის მანძილზე ის ჩაიძირა 10-12 მეტრით, ამიტომაც გვაქვს ტორფის შრეები სიღრმეებში.

დასკვნა – **ფოთი არ არის ანტიკური ქალაქი ფაზისი.**

ლიტერატურა: Д. Церетели, „Плеистоцен Грузии“, 1966, П.В. Федоров Плеистоцен Понто-Каспия, 1978.

დოქტორი, გეოლოგი გ. მაისურაძე

(გეოლოგის ნააზრევის გაცნობის შემდეგ მე მიჩნდება ასეთი კითხვა – თუ მდინარე რიონი ასე ხშირად იცვლიდა კალაპოტს, როგორ ააშენეს მასზე 120 ხიდი, მით უმეტეს ჭაობებში, რასაც თანამედროვე ტექნიკითაც ვერ ახერხებენ?)

რიონის ქმედება ფოთთან

რამდენიმე ჩემს წერილში გამოვთქვი ფრთხილი მოსაზრება, რომ ფაზისი არ მდებარეობდა თანამედროვე ფოთის ადგილას. ფასისელმა აკადემიკოსებმა ეს ვარაუდი მეცნიერული კვლევებით განამტკიცეს.

„ფასისის საერო აკადემიამ“ გამოსცა აღნიშნული მეცნიერების ნაკვლევი, რომლიდანაც აღმოჩნდა, რომ ის ადგილი სადაც ამჟამად ქალაქი ფოთი მდებარეობს, 2000 წლის წინ, სტრაბონის დროს, უეჭველად ზღვით იყო დაფარული, ანუ თან-

ამედროვე ფოთის ადგილი წყლის ქვეშ ყოფილა მოქცეული.

ამის მიზეზს შემდეგნაირად აღწერს რამდენიმე აკადემიკოსი:

მდინარე რიონს ზღვაში ყოველწლიურად შეაქვს 10-12 მილიონი ტონა სილა, რაც სანაპიროსთან დალექვის შემდგომ იწვევს მიწის მატებას, ანუ რიონის შესართავთან იზრდება ხმელეთი და ეს მატება ხმელეთისა 2000 წლის მანძილზე გვაძლევს მრავალ ათეულ კილომეტროვან ახალ სანაპირო ზოლს.

ს. გვასალია წერს: „თუ უკვე ხსენებულ რიცხობრივ მონაცემებს დავუბრუნდებით და ხმელეთის მატებას წელიწადში საშუალოდ 4 მეტრს ვივარაუდებთ 2500 წლის მანძილზე ზღვის სანაპირო რიონის შესართავთან 10 კმ-ით მაინც უნდა ყოფილიყო გაზიდული აღმოსავლეთით დღევანდელი სანაპიროს ხაზიდან, **შესაბამისად მთელი ტერიტორია, რომელზეც დღეს ქალაქი ფოთია გაშენებული და პირველ რიგში კი კუნძულის უბანი, გვიანდელ წარმონაქმნად უნდა ჩაითვალოს“ (ს. გვასალია „ანტიკური ხანის კოლხეთი“, კრებულში „ცოტნეიდელი“, ტ. II, 2008, გვ. 57).**

მეცნიერმა ჩემი მოსაზრება გამოთვლებით დაადასტურა.

მართლაც, ქ. ფოთი არ შეიძლება იყოს ქ. ფაზისი, რადგანაც ს. გვასალიას მონაცემებით მისი ამჟამინდელი მდებარეობის **ადგილი** 2500 წლის წინ ზღვის სიღრმეში იყო ჩაძირული მაშინდელი სანაპირო ზოლიდან 10 კმ-ის იქით..

მეორე მეცნიერმა (ს. ზაქარაიამ) კი კვლევებით დაადასტურა ეს აზრი.

ს. ზაქარია წერს: „ქ. **ფოთის პორტის სტატისტიკური მონაცემებით 1804, 1870, 1892 წლებში ხმელეთმა შესაბამისად წელიწადში 9 მეტრი მოიმატა!“** (იქვე, გვ. 69).

თუკი წინა მეცნიერის(ს.გვასალიას) ანგარიშით ერთ წელიწადში ხმელეთის 4 მეტრი მატება 2500 წლის მანძილზე თანამედროვე ფოთის მდებარეობის ადგილს საზღვრავდა ზღვის სიღრმეში 10 კმ-ით, მეორე მეცნიერის მიერ მითითებული 9 მეტრით მატების შემთხვევაში ის 2-ჯერ უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, მაშასადამე დაახლოებით 20-22 კმ-ით დაშორებული თანამედროვე სანაპიროდან ზღვის სიღრმეში. ე.ი. დღევანდელი ფოთის ადგილსამყოფელი ანტიკურ ხანაში ზღვაში იყო ჩაძირული და დაშორებული სანაპიროდან 20-ზე მეტი კმ-ით.

რამდენად რეალურია ასეთი ანგარიში აღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, იქნებ მეცნიერები ცდებიან?

არა, **მათი აზრი დასტურდება ნიკო ნიკოლაძის პირადი დაკვირვებით და მისი გაზომვებით.** კერძოდ, ს. ზაქარაია მკითხველს აწვდის ასეთ ცნობას – „მ. ბერძნიშვილს მოჰყავს ნიკო ნიკოლაძის მონაცემებიდან ფაქტი, რომ 1860-იან წლებში ზედ ზღვის სანაპიროზე აგებული შუქურა ჩვენი საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 1910-15 წლებში, ნაპირს 2 ვერსზე მეტით აღმოჩნდა დაშორებული“ (იქვე, გვ. 70). ამ ცნობას თან ერთვის ნახაზი რომელზედაც ავტორის მიერ მინიშნებულია, რომ 55 წლის განმავლობაში ხმელეთმა მოიმატა 2000 მეტრით (იქვე, გვ. 71). ანუ უხეშად რომ ვთქვათ, ნახევარ საუკუნეში ხმელეთს 2 კმ-ით მოუმატია, ცხადია ერთ საუკუნეში მოიმატებდა 4 კმ-ით, რაც 25 საუკუნის მანძილზე გვაძლევს 100 კმ-ს!

მიუხედავად მეცნიერული კვლევისა, პირადად მე, მაინც ვერ განვაზოგადებ მათ შედეგებს, სინამდვილეში რიონის სილა-შლამით იფარებოდა არა მთელი სანაპიროს პერიმეტრი, არამედ **მხოლოდ რიონის შესართავის მიმდებარე ტერიტორია.** ამას მიუთითებს იქვე ს. ზაქარაიას მიერ მოცემული კიდევ ერთი სტატის-

ტიკური ცნობა. კერძოდ, „თურქმა გენერალსიმუსმა მურად III-მ **1578 წელს ფოთთან, უშუალოდ ზღვის სანაპიროზე ააგო ფოთის ციხე, რომელიც 280 წლის შემდეგ, 1858 წელს, ზღვის ნაპირიდან 1,8 კმ-ით იყო დაშორებული. საქმის რეალობა იმაშია, რომ რიონი მსოფლიოში გამოირჩევა, როგორც ნაშალი მასალის (სილა, შლამი და სხვ.) დიდი რაოდენობის ზღვაში შემტანი. მეცნიერთა მიერ არაერთგზის დადგენილია, რომ ყოველწლიურად მდ. რიონს ზღვაში შეაქვს 8-12 მილიონი ტონა ნაშალი მასალა, რისი დიდი ნაწილი ზღვის სანაპიროს შორიახლო ილექება და იწვევს ხმელეთის მატებას ზღვის ხარჯზე“** (იქვე, გვ. 70).

მაშასადამე, მურად III-ს რიონის შესართავის სიახლოვეს აუგია ფოთის ციხე, რომელიც 280 წლის შემდეგ ზღვას უკვე დაშორებული იყო 1,8 კმ-ით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხმელეთის მატება ამ ადგილას უფრო ნაკლები იყო ვიდრე შუქურას პირზე, რატომ? საქმე ისაა, როგორც ს. ზაქარაიას ნახაზიდან ჩანს, შუქურა უფრო ახლო ყოფილა მდ. რიონის შესართავთან, ხოლო ფოთის ციხე უფრო მოშორებით მდგარა.

მაშასადამე, 9 მეტრი მატება ხმელეთისა ყოფილა არა შავი ზღვის მთელ სანაპიროზე, არამედ უშუალოდ მდ. რიონის შესართავთან. თუმცა არც ფოთის ციხესთან ყოფილა მცირე.

ერთი სიტყვით, მდ. რიონის შესართავთან გაშენებული ქალაქი ხმელეთის მატების გამო, 2500 წლის შემდეგ, ზღვის სანაპიროდან რამდენიმე ათეული კმ-ით იქნებოდა დაშორებული.

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ქალაქი მდ. რიონის შესართავთან, ამ მდინარის შლამიანობის გამო, რამდენიმე ათეულ წელიწადში ზღვას დაშორდებოდა და უვარგისი გახდებოდა ნაოსნობისათვის.

იმ ეპოქაში არც სილის სატუმბი მანქანები გააჩნდათ და არც რკინა-ბეტონის ჯებირებს აგებდნენ.

მაშ სად ააგეს ქ. ფაზისი?

სამწუხაროდ ეს საუკუნოვანი კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა. თუმცა კი, პირადად მე მაინტერესებს არა ანტიკური ქალაქი ფაზისის ადგილსამყოფელი, არამედ შუა საუკუნეებში არსებული ფაზისის სამიტროპოლიტო ცენტრისა, კერძოდ, **IV-VII საუკუნეთა ვითარება**.

არქეოლოგების ერთი ნაწილის აზრით სწორედ ამ ეპოქაში მკვეთრად აიწია შავი ზღვის დონემ, თანამედროვესთან შედარებით 3-4 მეტრით.

ამ კლიმატურ ეპოქას უწოდებენ ჰოლოცენს.

ანუ ზღვა თანდათანობით მაღლდებოდა თითქმის X საუკუნემდე, XVI ს.შემდგომ კი ისევ დაიწია და თანამედროვე ნულოვან დონეზე დადგა (დ. წერეთელი, „პლეისტოცენ გრუზიი“, 1966, (რუსულ ენაზე); პ. ვ. ფედოროვ, „პლეისტოცენ პონტო-კასპია“, 1978, (რუსულ ენაზე).

რიონის შესართავთან, ამ ვითარების გამო, როგორც ჩანს, ნამდვილი ტროპიკული წარღვნა იყო. ერთი მხრივ მდინარეს შემოჰქონდა 10-12 მილიონი ტონა შლამი, ამავე დროს კი ზღვის დონე მაღლა იწევდა, რასაც თან ერთვოდა დასავლეთის ქარების გამო გაშლილ ვაკეზე მდინარის შეგუბება. ჭაობი და ფაფისებური ნიადაგი, არათუ რიონის სანაპიროებს, არამედ დასავლეთ საქართველოს ვაკის დიდ ნაწილსაც მოიცავდა.

რიონის დაბლობი (გეოლოგიური მიმოხილვა)

ფოთი მდებარეობს რიონის დაბლობზე ზღვის დონიდან 1-3 მ სიმაღლეზე (ქსე, 10, 351), უჭირავს ზღვისპირა ვაკე, რომელსაც მდ. რიონის ერთერთი ტოტი არათანაბარ ნაწილებად ჰყოფს.

ფოთის დატბორვის საწინააღმდეგოდ სისტემატურად წარმოებს მდინარის დინების მარეგულირებელი სამუშაოები.

ქალაქის მოსაზღვრე მიწები მეტწილად დაჭაობებულია.

ქალაქს სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩამოუდის მდინარე კაპარჭინა, აქვე მდებარეობს პალიასტომის ტბა.

აღსანიშნავია, რომ **ფოთი-სამტრედიის ზონაში მიწის ზედაპირის ზოგიერთი მონაკვეთი ზღვის დონეზე დაბლაც კი მდებარეობს**.

V-VIII საუკუნეებში, გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, მთელი ეს ზედაპირი თხელი წყლით უნდა ყოფილიყო დაფარული.

საქმე ისაა, რომ დაალოებით ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან შავი ზღვის დონე თანდათან მაღლა იწევდა და აწეული იყო 1 და ზოგჯერ 2-3 მეტრთ. ზღვის დონის აწევა გამოიწვია ე.წ. „ნიმფურმა ტრანსგრესიამ“.

(რეგრესიად იწოდება ზღვის დონის დაწევა, ტრანსგრესიად კი ზღვის დონის აწევა).

ეს პერიოდი, **ქართული ქრისტიანული კულტურის ჩასახვა-აღორძინების საუკუნეებია და ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი. ამ ეპოქაში რიონის დაბლობი, მით უმეტეს ფოთი, ჩანს, წყლით დაიფარა, რადგანაც ზღვის დონემ 1 მეტრით აიწია და ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა თითქმის ათასი წელი.**

ჩვენთვის საინტერესოა საკითხი, **შესაძლებელი იყო თუ არა ფოთში ასეთი წყალდიდობისა და დაჭაობიანების ეპოქაში, კერძოდ VI საუკუნეში დაარსებულიყო ე.წ. „ფასისის სამიტროპოლიტო კათედრა“, როგორც ჩვენს თანამედროვე საისტორიო ქართულ ლიტერატურაშია აღნიშნული?**

რას ნიშნავს სამიტროპოლიტო ცენტრი? – მიტროპოლიტი წარმოშობილია ბერძნული სიტყვიდან „მატერ“ და „პოლის“, ნიშნავს დედა ქალაქის, მთავარი ქალაქის ეპისკოპოსს. შესაძლებელია თუ არა, ფოთი ყოფილიყო რეგიონის მთავარი ქალაქი ასეთი დაუსრულებელი წყალდიდობის დროს, მაშინ, როცა წყლის სიმაღლე არა თუ იკლებდა, არამედ თანდათანობით მატულობდა XV-XVI საუკუნეებამდეე? და თუ ეს მოსაზრება სიმართლეა(მაგრამ ჩანს,რომ სიმართლეა, რადგან,სხვა არაქართული კვლევებითაც შავი ზღვის დონე აწეული იყო) მაშინ ისმის კითხვა - საერთოდ არსებობდა თუ არა ასეთი საშინელ კლიმატურ პირობებში **რიონის დაბლობზე** ქალაქები? ან თუნდაც სოფლები?

როგორც ჩანს, არსებული პირობების გამო ხალხი არა თუ აშენებდა სოფლებს (ან ქალაქებს), არამედ აშენებულსაც ტოვებდა მათ და მთისწინეთს აფარებდა თავს.

ამის მაგალითად უნდა ჩავთვალოთ პალიასტომის ტბის ეკლესიის ბედი.

ქუთაისის მუზეუმში ამჟამადაც დაბრძანებულია „პალიასტომის ხატი“, რომელსაც თან ახლავს თხრობა ხატის თავდაპირველი ეკლესიის შესახებ.

კერძოდ, პალიასტომის ადგილას ყოფილა სოფელი თავისი ეკლესიითა და ცნობილი ხატით, რომელიც თანდათანობით წყლის ქვეშ მოექცა, ხალხმა ხატი გამოასვენა ეკლესიიდან და მთებს შეაფარა-„ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად

მოცულსა წყლისაგან“ – წერს ვახუშტი პალიასტომზე (ქართლის ცხოვრება,IV, გვ. 790).

როდის წარმოიქმნა პალიასტომის ტბა? შესაძლებელი იყო თუ არა მის ადგილზე სოფლის, ან ქრისტიანული ეკლესიის არსებობა?

ეკლესიები ჩვენში შენდებოდა IV ს-დან. შესაძლებელია, აქ მართლაც აშენდა ეკლესია, რომელიც ზღვის დონის აწევის კვალდაკვალ წლით დაიფარა.

გ. მაისურაძის დაბეჯითებული მტკიცებით „I-II საუკუნეებში არ შეიძლებოდა პალიასტომის ტბის არსებობა რეგრესიის გამო“ (მაშ როგორ უნდა ენახათ ფოთთან ტბა სტრაბონის ეპოქაში?).

პალიასტომის ტბის მაქსიმალური სიღრმეა 3,2 მ, საშუალო სიღრმე არის 2,6 მეტრი. ტრანსგრესიისას, **V საუკენედან** მაინც,თუ უფრო ადრედან არა,ზღვის ამაღლების გამო ზღვაში მდინარე რიონის წყალს შესვლა უჭირდა, ის გუბდებოდა და იშლებოდა მთელ რიონის დაბლობზე, რომელიც თითქმის ნულოვან დონეზეა სამტრედიამდე.

ვფიქრობ, რომ ამ დაჭაობების და მის თანმდევ ციებ-ცხელების გამო, გრიგოლ ხანძთელმა აფხაზეთის სამეფოს (ანუ იმჟამინდელ დასავლეთ საქართველოს) ბარში, ვერ იპოვა ვერცერთი სამონასტრო ადგილი და ამიტომაც მთაში – უბისას მონასტრისათვის ჩაუყრია საფუძველი.

თვით დავით აღმაშენებლის ეპოქაშიც კი, ქუთაისის მიდამოები ჰავით უვარგისად ითვლებოდა.

ვითარება, ანუ **კლიმატური პირობების შეცვლა დაწყებულა XVI საუკუნისათვის. ამ საუკუნის შემდეგ დაიწყო „რეგრესია“, ანუ ზღვის დონის დაწევა, ზღვის დონე ნულოვან დონესთან შედარებით დაწეულა ნახევარი მეტრით, რადგანაც მის წინა პერიოდში აწეული იყო ერთი მეტრით, საბოლოოდ ზღვას დაუწევია თითქმის მეტრნახევრით.**

ამ შეცვლილმა ვითარებამ წყლისაგან გაათავისუფლა მიწის დიდი ფართობები, ჭაობმა და, შესაბამისად, ციებ-ცხელებამ უკან დაიხია, **ჰავა გაუმჯობესდა და მდინარე რიონს – იქამდე შეგუბებულს მიეცა ზღვაში შედარებით თავისუფალი შეღწევის საშუალება. წყლისაგან გათავისუფლებულ მიწებზე ხალხმა დაიწყო ხვნა-თესვა, გამოჩნდა ახალი საცხოვრებელი ადგილები. ამ დროს, ჩანს, გამოჩნდა ფოთის მიმდებარე ტერიტორიაც, რომლებიც ასევე წყლისაგან გათავისუფლდა. იმის გამო, რომ ფოთი შედარებით უფრო მაღლაა ზღვის დონიდან, ვიდრე მისი მომიჯნავე ტერიტორიები, ოსმალეთს მაშინვე მიუქცევია მისთვის ყურადღება.**

1578-79 წლებში ოსმალებმა ეს მიწები დაიპყრეს და დიდი ციხე-სიმაგრე ააგეს. 1640 წელს იმერეთ-გურია-სამეგრელოს ლაშქარმა იერიშით აიღო ციხე-სიმაგრე, მაგრამ მას 1723 წელს კვლავ ოსმალეთი დაეპატრონა 1828 წლამდე.

XIX საუკუნეში კვლავ დაწყებულა ტრანსგრესია, ანუ კვლავ აიწია ზღვის დონემ და მიაღწია ნულოვან დონეს. კვლავ დაიწყო თანდათანობით დატბორვა მიმდებარე დაბლობისა, რაც ამჟამადაც გრძელდება.

ეგრისის, არგვეთისა და გურიის ციხე-სიმაგრეები და სოფლები აგებული იყო არა რიონის დაბლობში, არამედ მთისწინებში.

ფასისის სამიტროპოლიტოს ქალაქები როდოპოლისი, საისინი, პეტრა და ზიგანევი აღნიშნული მდგომარეობის გამო უნდა ვეძიოთ არა რიონის დაბლობზე,არამედ სხვა რეგიონში.

ჭაობის ჰავა ფოთთან

ჰოლოცენის ბოლო პერიოდში, როგორც აღინიშნა, შავი ზღვის დონის თითქმის 1-2 მ-ით მაღლა აწევის გამო მდინარე რიონს უჭირდა თავის წყლების შეტანა ზღვაში, რის გამოც ის გუბდებოდა კოლხეთის გაშლილ ვაკეზე და წარმოქმნიდა უზარმაზარ ჭაობებს.

XVI-XVIII საუკუნისათვის ზღვის დონემ დაიწია და ჭაობების ერთი ნაწილი დაშრა, ამის მიუხედავად, ფოთის მიმდებარე რეგიონის კლიმატი უვარგისად ითვლებოდა. მაგალითად, XVIII საუკუნის მოგზაური მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი ასე ახასიათებს რულეთ-კალეს (ყულევის) გარემოს: „ჭაობიანი, უხვნალექიანი და ჯანმრთელობისთვის უვარგისი“ (კ. ხარაძე, ქართველი მოგზაურები, 1987, გვ. 48).

ფოთის არქეოლოგია

ფოთის აღმოსავლეთით 15-20 კმ-ის იქით, მდინარეებს რიონსა და ხობს შორის, აღმოჩნდა გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ეპოქის ადამიანთა ნამოსახლარები (ნამარნუ, ძიგური, ნოსირი, საკირე, ცივა, ანაკლია, ეკი, სენაკი, ერგეტა, ურეკი და სხვა).

გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ეპოქაში მეცნიერ-გეოგრაფია მონაცემებით შავი ზღვის დონე თანამედროვესთან შედარებით დაწეული იყო რამდენიმე მეტრით (ზღვის რეგრესია).

ამ ეპოქაში, ზღვის დონის დადაბლების შედეგად დაშრა რიონის დაბლობში ჭაობები და ლაგუნები, რის გამოც შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ადამიანის ცხოვრებისათვის, ამის შედეგად წარმოიქმნა, ალბათ, აღნიშნული ეპოქის, ანუ გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ნამოსახლარები. მართალია,აღმოჩნდა უცხოური კერამიკის ფრაგმენტებიც ზღვისპირზე ურეკსა და ყულევის შუა ძვ.წ. VI და შემდგომი საუკუნეებისა,მაგრამ ზღვის პირას არ აღმოჩნდა რაიმე ანტიკური ქალაქის ნამოსახლარი.

არქეოლოგი გ. გამყრელიძე საგანგებოდ სწავლობდა ქ. ფაზისის ადგილმდებარეობის საკითხს მდ. რიონის შესართავთან და მომიჯნავე მხარეებში. მისი ნაკვლევის დასკვნა ასეთია – **„კლასიკური და ელინისტური ხანის ქალაქი არქეოლოგიურად არ არის დადასტურებული“** (გ. გამყრელიძე, „ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობისა და დეფინიციის საკითხისათვის“ იბერია-კოლხეთი, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, №1, 2003, ძიებანი, დამატებანი, IX, გვ. 172).

უფრო მეტიც, არა თუ კლასიკური და ელინისტური ხანის რაიმე ნაქალაქარის არსებობა, არამედ **ბერძნული კულტურის რაიმე ზეგავლენაც კი არ ჩანს მოსახლეობის ყოფაში**.

გ. გამყრელიძე წერს – „მნიშვნელოვანია ის ფაქტის, რომ ძვ.წ. VIII-VI და გნებავთ IV საუკუნემდე ფოთის მიდამოებში და მთელ კოლხეთში რაიმე დიდი ცვლილება არქეოლოგიურ კულტურაში (კერამიკულ და მეტალურგიულ წარმოებაში, არქიტექტურაში, იდეოლოგიაში თუ დაკრძალვის წესში არ შეიმჩნევა. ხსენებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი სოციუმი როგორც ცხოვრობდა ისე ცხოვრობს, **არ ჩანს ბერძნული კულტურის რაიმე ზეგავლენა მოსახლეობის ყოფაში“ (გ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ, გვ. 172).**

გ. გამყრელიძე, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ყველა არქეოლოგიური მონაცემები ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე, შეისწავლა ყველა წყარო ქ.

ფაზისის შესახებ, ასკვნის, რომ თუ ფოთი ფაზისია, მაშინ „ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაცია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში არ შეხებია ფოთს(ქ. ფაზისს)“ (იქვე, გვ. 172).

გ. გამყრელიძე გულისხმობს, რომ **არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ქ. ფოთს არ შეხებია „ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაცია**“, ცხადია, ქ. ფაზისი მილეტელთა დაარსებული იყო და ფაზისი თვით იყო დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგი, მაგრამ, რადგანაც **ქ. ფოთთან არ აღმოჩნდა ამ კოლონიზაციის რაიმე კვალი, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ქ. ფოთთან არ უნდა ეძიონ ქ. ფაზისი, არამედ სხვა რეგიონში, იქნებ ჭოროხის შესართავთან,** უფრო სამხრეთით.

გ. გამყრელიძე განაგრძობს – ქ. ფოთსა და მის შემოგარენში „უცხოური ნაწარმი კოლონიზაციის ეპოქაში არ ჩანს, ხოლო ძვ.წ. VI-V საუკუნეთა იმპორტული ნაწარმი მცირეა და სულ დაახლოებით 100 ერთეულით (კერამიკის ნატეხები) განისაზღვრება. ამიტომ **აქ რაღაც ინტენსიურ ბერძნულ საკოლონიზაციო მოქმედებებზე საუბარი ჯერჯერობით სრულიად უსაფუძვლოა“** (გ. გამყრელიძე, „ქ. ფასისის ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის“, იბერია-კოლხეთი, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, **№1,** 2003, ძიებანი, დამატებანი, IX, გვ. 172).

აღსანიშნავია, რომ მწირი არქეოლოგიური მასალა, მიკვლეულია, მიწის ქვეშ 6 მეტრის სიღრმეზე, პალიასტომის ტბის ფსკერსა და ზღვაში – „დღევანდელი ფოთის ტერიტორიაზე ყველაზე ძველი არქეოლოგიური მონაცემები ადგილ ნატეხებთან პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაწილში თიხა-ტორფიან ფენებში დადასტურდა. აქ აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს-ის ანტიკური შავლაკიანი ჭურჭლის ქუსლი და ამფორის ძირი (ძვ.წ. III ს.). ქ. ფოთის მიდამოებში აღმოჩნდა ძვ.წ. V ს-ის კოლხური თეთრის 2 ცალი დიდრაქმა. ქ. ფოთში, პირველი მაისის ქუჩაზე, გეოლოგიური ბურღვის შედეგად, 6 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა სინოპურის მსგავსი ძვ.წ. II-I სს-თა კერამიკის ნაშთები“ (იქვე, გვ. 174).

ფოთის მიდამოებში ცხოვრება ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ გაგრძელდებოდა ჩვეული გზით, ანუ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა ისეთივე იყო, როგორც მთელ დანარჩენ ისტორიულ დასავლეთ საქართველოში, სადაც უკვე IV ს-დან ეკლესიათა მშენებლობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასევე ყოფილა თანამედროვე ფოთის მახლობლად პალიასტომის ტბის ადგილას ერთ-ერთ სოფელში, სადაც იდგა ეკლესია(ამ დროისათვის, ჩანს, იქამდე ზღვის დონეზე რამდენიმე მეტრით დადაბლებული წყალი მაღლდებოდა და 0-ვან დონეს უახლოვდებოდა და კიდევ უფრო მაღლა იწევდა მაგრამ ეს ნელი თანდათანობითი პროცესი იყო)

მართლაც, **პალიასტომის ტბის ნაწილში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სოფლური დასახლება, შეიძლება ითქვას ქართული ტიპისა, რადგანაც მას არ გააჩნია ბრწყინვალება ბერძნული ცივილიზაციისა.**

ჰიდრო-არქეოლოგი წერს – **„პალიასტომის ტბის სამხრეთ ნაწილში კაპარჭანას ბოლოში, ადგილ „ნაეკლესიარზე“ აღმოჩნდა რიყის ქვებით ნაგები კედლის ნაშთები. ტბის დასავლეთ ნაწილში, მალთაყვასთან, დადასტურდა III-VIII სს-თა ნამოსახლარის ნაშთები. არქეოლოგიური კვლევით გაირკვა, რომ პალიასტომის ტბაში პუნქტ „ნატეხებში“ ძველი ნამოსახლარია და მისი ნაშთები 900 კვადრატულ მეტრზე ვრცელდება... პალიასტომის ტბის ფართი 18 კვ.კმ-ია, ზღვისა და ტბის დონე თანაბარია**“ (იქვე, გვ. 126).

პალიასტომის ტბაში ადგილ „ნატეხების“ ნამოსახლარის კერემიკა (აგური, კრამიტი) ისეთივეა, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ნაგებობებისა – „აგურები ზომებით ისეთივეა, როგორც დასავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ნაქალაქარებზე – ბიჭვინტა, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდავა, ნოქალაქევი, მთისძირი, ვაშნარი, ქობულეთ-ბიჭვნარი, ციხისძირი და გონიო. პალიასტომის ტბის ნამოსახლარზე არმოჩნდა ბრტყელი გვერდებდაკეცილი კრამიტი... აქ ადგილობრივის გარდა აღმოჩნდა უცხოური ბრტყელი კრამიტის ნატეხებიც... „ნატეხების“ ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამიკული ტარა – ადგილობრივი ამფორები სიახლოვეს იჩენს ნოქალაქევში გათხრილთან და საერთოდ დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის – ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე (განთიადი, ოჩამჩირე, ციხისძირი, ვარციხე, ქობულეთ-ბიჭვნარი) **ადგილობრივია** სამზარეულო კერამიკა ქოთნები, ჯამები, ლუთერიები, დოქები, ასევე სამეურნეო კერამიკა-ქვევრები. **ადგილობრივია პალიასტომის ტბის ნასახლარის აღმოჩენილი მასალის 75%,** მთელი არქეოლოგიური მასალის 25%-მდეა უცხოური კერამიკა, რაც მიუთითებს საგარეო ურთიერთკავშირს ამ ნასახლარისა. ასე, რომ **ფოთის არქეოლოგიური მასალა ადგილობრივია და არ განსხვავდება ზოგად ქართულისაგან** იმ ეპოქისათვის. „ამნაირი ჭურჭელი დასავლეთ საქართველოს IV-V სს ფენებში გვხვდება“ (იქვე, გვ. 178). ანდა „ასეთი მინის ნატეხები გათხრილია წებელდში, სოხუმში, ნოქალაქევში, და სხვაგან. მსგავსი ფეხიანი სასმისები IV-VIII სს-ით თარიღდება. მინის ფეხიანი სასმისები დადასტურებულია მცხეთაში, ურბნისში, რუსთავში და სხვაგან (გ. გამყრელიძე, „ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობისა და დეფინიციის საკითხისათვის“ იბერია-კოლხეთი, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, №1, 2003, ძიებანი, დამატებანი, IX, გვ. 178).

ერთი სიტყვით, ფოთის არქეოლოგიური მასალა მიუთითებს, რომ იქ არსებული „ნატეხების“ დასახლება, ჩვეულებრივი, სხვათა მსგავსი ადგილობრივი (ქართული) სოფელი იყო, თავისი ეკლესიით. ის ანტიკური თუ ბიზანტიური ტიპის ქალაქი არ ყოფილა. „ნატეხები“ კი ყველაზე დიდი დასახლება იყო ფოთის რეგიონში.

ისმის კითხვა: რატომ აღმოჩნდა ფოთის („ნატეხების“) დასახლება პალიასტომის სივრცეში? ამის მიზეზი იყო შავი ზღვის დონის აწევა ანუ ტრანსგრესია, რომელიც დაიწყო ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან. შავი ზღვის დონე თანდათანობით იმატებდა საუკუნეთა მანძილზე, იმდენად ამაღლდა, რომ თანამედროვე დონეს 3 მეტრით გადააჭარბა. შავი ზღვის წყლის ზედაპირის ამაღლება 3 მეტრით, კატასტროფული იყო რიონის დაბლობისათვის, რომლის დიდი ნაწილი ზღვის დონეზე – 0-ვან ნიშნეულზე მდებარეობს. მაშასადამე, ამ დაბლობის დიდი ნაწილი წყლით თუ არა, ჭაობით მაინც დაიფარა. შავი ზღვის დონის ეს მატება პერიოდული ყოფილა.

იქამდე, როგორც ითქვა, ადრერკინის ხანაში შავი ზღვის დონე რეგრესიის გამო უფრო დაბლა იყო 0-ვან ნიშნეულთან შედარებით, ანუ ამჟამინდელ ზღვის დონეზე დაბლა. ამ დროს ხელსაყრელი პირობები შექმნილა ადამიანთა ცხოვრებისათვის, მაგრამ დაახლოებით I ს-დან დაიწყო ზღვის დონის აწევა, ე.ი. ჯერ ზღვა გაუტოლდა 0-ვან ნიშნეულს, პროცესი საუკუნეები გრძელდებოდა. ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ ზღვაც იმატებდა, მაგრამ **მატება მაინც და მაინც საგანგაშო არ ყოფილა, რამაც საშუალება მისცა პალიასტომის**

ტბის ადგილას აეგოთ ეკლესია, მაგრამ მატება გრძელდებოდა, ზღვამ წინ წაიწია. ამ დროისათვის ალბათ ზღვის მატება უკვე 1-2 მეტრს აჭარბებდა. ეს კი უკვე კატასტროფა იყო. შენობები თანდათანობით წყლით დაიფარა, ხალხმა მიატოვა საცხოვრისი და მთიან ადგილებში გადასახლდა. ჩანს, უფრო ქუთაისისაკენ, რადგანაც ქუთაისში გადაასვენეს პალიასტომის ეკლესიის ცნობილი ხატი და აგრეთვე, გურიაში, ჯუმათში გადაასვენეს პალიასტომის სხვა ხატი.

არქეოლოგი კარგად აღწერს კლიმატურ კატასტროფას – **„კლასიკურ-ელინისტური ხანის ფასისი მაინც მიკვლეული არ არის. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ხსენებულ მონაკვეთში ურთულესი პალეომორფოლოგიური სიტუაციაა. გეომორფოლოგიური მდგომარეობის მხრივ ყულევ-ფოთი-ურეკის ზღვისპირეთი, თითქოს, ამოვარდნილია საქართველოს ზღვისპირეთის (330 კმ.) საერთო კონტექსტიდან. აქ ბუნდოვანია გლობალური, შავი ზღვის რეგრესიისა და ტრანსგრესიის ფაქტი ფასისთან მიმართებაში.**

გაურკვეველია ზღვის სანაპირო შლეფის ლოკალური დინამიკის საკითხიც. ხშირად, გეომორფოლოგები არქეოლოგების მონაცემებს ეყრდნობიან და სანაპიროზე ნამოსახლარების განლაგების მიხედვით გამოაქვთ ზოგადი დასკვნები. ჩვენი აზრით, საკითხი კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს. ოღონდ, სასურველია, რომ ჯერ გეომორფოლოგებმა გაგვცენ პასუხი თუ როგორი იყო სანაპიროს დინამიკა და ძველად სად ერთვოდა რიონი ზღვას. მათ უნდა გაითვალისწინონ გლობალური (ზღვის რეგრესია-ტრანსგრესია) და ლოკალური (მდინარეების გამონატანი ნაშალი მასალა, მდინარეების რიონის, ფიჩორის, ხობის, სუფსის ძველი კალაპოტები, რეგიონის ჭაობიანობა, ტორფიანობა და სხვა) მონაცემები... საყურადღებოა, რომ აქ ერთის მხრივ ხდება რიონის მიერ საუკუნეების განმავლობაში დიდძალი ნაშალი მასალის გამოტანა, რაც ალბათ დელტის ზღვაში გაწევას იწვევდა, ხოლო მეორეს მხრივ ხდებოდა ზღვის დონის აწევა, რასაც სანაპიროს მიტაცება მოყვა“ (იქვე, გვ. 179).

ცნობილმა ხატმა „პალიასტომის ღვთისმშობელმა“ დღემდე მოაღწია – „ფოთიდან, პალიასტომის ტბის მიდამოებიდან, არის ქართული (მხედრულწარწერიანი) ბარძიმი, რომელიც ქ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება (ინვ. №3788)“. (იქვე, გვ. 176). ბარძიმს აქვს ქართული თუმცა გვიანდელი წარწერა, ასევე ქართულია პალიასტომის ხატის წარწერაც, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ **ტაძარი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა და არა ბერძნულისა.** ბერძნულ საეპისკოპოსოებში ქართული წირვა-ლოცვა და წარწერები, როგორც წესი, არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, ჩანს, არც ფასისის სამიტროპოლიტო ცენტრი ყოფილა ქ. ფოთში, იქნებ ფასისის სამიტროპოლიტო და მისი ოთხი ბერძნული საეპისკოპოსო არა დასავლეთ საქართველოში, არამედ იქ იყო, სადაც მათი არსებობის შესახებ მიუთითა სახელგანთქმულმა მეცნიერმა ნ. ადონცემ, ანუ ტრაპეზუნტის ოლქში, ჭოროხის ხეობის დასავლეთ ნაწილში.

თუმცა, გ. გამყრელიძის აზრით, „ფასისი ზღვაში უნდა იყოს დაძირული“, ამის დასტურია აგრეთვე მეცნიერ-გეოგრაფების მონაცემები, რომლის მიხედვით შავ ზღვაზე ე.წ. ფანაგორიული რეგრესიის დამთავრების შემდეგ დაიწყო შავი ზღვის ტრანსგრესია (ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე), შედეგად ზღვის დონემ 3 მეტრამდე აიწია. შესაბამისად ძველი ნამოსახლარები ზღვის ქვეშ უნდა მოქცეულიყვნენ. კერძოდ, ამგვარი პროცესები განვითარდა ჩრდილოეთ და სამხრეთ

(მაგ. სინოპი) შავიზღვისპირეთში, სადაც მთელი რიგი ანტიკური ნამოსახლარები მოექცნენ წყალქვეშ (გ. გამყრელიძე, „ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობისა და დეფინიციის საკითხისათვის“ იბერია-კოლხეთი, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, №1, 2003, ძიებანი, დამატებანი, IX,გვ. 180).

ფოთის (ფათისის) ისტორია ღევონდის ცნობით

სად მდებარეობდა ლაზიკის ქალაქი ფაზისი? ეს საკითხი თითქოსდა გარკვეულია,მიიჩნევა,რომ ის ამჟამინდელი ფოთია, მაგრამ კვლევა სხვას აჩვენებს- არსებობდა რამდენიმე ქალაქი ფაზისი და ასევე ეს სახელი (ფაზისი) სხვადასხვა მდინარეს ერქვა.

ფასიდი (ფაზისი) ძველ ქალაქ პოლემონიონსაც ერქვა ტრაპეზუნტს დასავლეთით. მეორე ქალაქი ფაზისი ჭოროხის სანაპიროზეც იყო.

ტრაპეზუნტთან ახლოს (150 კმ. დასავლეთით) შავიზღვისპირზე, რომაულ პროვინცია IV არმენიის მახლობლად მდებარეობდა ქალაქი – ფასიდი-ფადისა, რომელსაც ასევე ცნობილი სახელი- „პოლომენიონი“ ერქვა.

ქ. ფადისა-პოლემონიონის ჩრდილოეთით იშლებოდა შავი ზღვა, აღმოსავლეთით ტრაპეზუნტი, სამხრეთით კი შემოსაზღვრული იყო კერასუნტის მთიანეთით, რომელიც კოლხების უძველესი საცხოვრისი იყო.

ტრაპეზუნტის რეგიონს ექვთიმე მთაწმიდელი უწოდებს „სოფელი მეგრელთა“ ანუ მეგრელთა ქვეყანას. ძველი სომეხი ავტორები მას „ეგერთა ქვეყანას“ ანდა „ეგერიას“ უწოდებდნენ.

ქართული მთარგმნელები ბერძნულ სიტყვა ლაზიკას თარგმნიდნენ, ასე: „სოფელი მეგრელთა“, ამიტომაც, როცა ექვთიმე მთაწმიდელმა ბერძნულიდან თარგმნა ანდრია მოციქულის ცხოვრება, მან წინადადება „ანდრია მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქვეყანაში“ ასე თარგმნა - „ანდრია მივიდა ტრაპეზუნტში მეგრელთა სოფელში“.

ერთი სიტყვით, ძველი ქართველი ავტორები ლაზიკას უწოდებდნენ არა დასავლეთ საქართველოს, არამედ ვრცელ რეგიონს ისტორიულ ქართულ მიწა-წყალზე- კერასუნტიდან ჭოროხის შესართავამდე.

აქ, როგორც აღვნიშნეთ, კერასუნტთან ყოფილა და ახლაც არის ქალაქი - ნავსადგური ფადისსა ანუ ფათისი იგივე ფათი (ფოთი), მას ახლა ფატრა ეწოდება და მდებარეობს თანამედროვე ქალაქ ორდუსთან ახლოს, მის დასავლეთით.

თუ ფატსა ანუ ფადისსა (*fadissa*) -ქართულად ფათსა ანუ ფათია (იგივე ფოთი), მაშინ ისტორიულად არსებულა ორი ფოთი, ერთი სამხრეთ ეგრისში (ლაზიკაში) ტრაპეზუნტის რეგიონში, მეორე ჩრდილო ეგრისში- დასავლეთ საქართველოში.

ცხადია ქალაქ ფათსას (ფათს) იცნობდნენ სომეხი ავტორებიც. მათ შორის ყოფილა VIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ღევონდ ვარტაპეტი ანუ ლეონიდე მოძღვარი. ის თავის „ხალიფთა ისტორიის“ X თავში გადმოგვცემს ერთ საგულისხმო ცნობას ქალაქ-ნავსადგურის ფათისას ანუ სომხურად ფუთთის შესახებ.

კერძოდ არაბთა ხელისუფლებისგან სომხეთიდან ლტოლვილმა დიდებულებმა თავი შეაფარეს ბიზანტიურ ქვეყანას, ანუ ტრაპეზუნტის რეგიონს. იმპერატორმა მათ საცხოვრისად უბოძა ეგერთა ქვეყნის ანუ ტრაპეზუნტის რეგიონის ქალაქი ფუთთი (ფადისა) აქ ისინი ცხოვრობდნენ ექვსიოდე წელი, შემდეგ გადაწყვიტეს

სომხეთში დაბრუნება, იკადრეს უკადრისი საქციელი, გაძარცვეს ფადისას ეკ-ლესიები და გაიქცნენ.

ღევონდ ვარდაპეტი ასე აღწერს ამ ამბავს- სუმბატ კურაპალატმა და სხვა დიდებულებმა, სომხეთიდან გაძევების შემდეგ სთხოვეს ბიზანტიის იმპერატორს მიეცა მათთვის სამკვიდრებელი ქალაქი, საძოვრები და სადგომი საქონლისათვის - „და მან მისცა მათ ქალაქი რომელსაც ეწოდება ფუთი (ფოთი) ეგერთა ქვეყნის მხარეში, სადაც დაემკვიდრნენ ექვს წელიწადს“ (მაქს. ბერძნიშვილი, ღევონდის ცნობა ფოთის შესახებ, უნივერსიტეტის შრომები, ტ. 26(ბ), 1944, გვ. 201).

როგორც აღინიშნა, მადლობის ნაცვლად, სომხეთიდან ლტოლვილმა დიდე-ბულებმა ექვსი წლის მკვიდრობის შემდეგ გაძარცვეს ფადისას (ფოთის) ეკ-ლესიები, მოიტაცეს საეკლესიო სამკაული და დაბრუნდნენ სამშობლოში.

„როცა ეს ამბავი ესმა კეისარს, ეწყინა მათი ასეთი უსამართლობა, მოუწოდა ეკლესიის წინამდვრებს: მიტროპოლიტსა და არქიეპისკოპოსებს, უბრძანა ჩაეწერ-ათ წიგნში წყევლა და წაეკითხათ აღდგომის დღესასწაულის შესრულებისას, ...წაეკითხათ წყევლა დღევანდლამდე, რაც იქმნა მიზეზი მათი დაღუპვისა“ (იქვე, გვ. 202).

მაქს. ბერძნიშვილის კვლევით იმპერატორმა ქალაქი ფოთი სომხეთიდან ლტოლვილებს დაუთმო VIII ს. დასაწყისში (715 წლამდე), ხოლო თვითონ ლევონიდი VIII-IX სს. დასაწყისის მწერალია.

მაქსიმე ბერძნიშვილის მტკიცებით ღევონტის მიერ აღწერილი ამბები შეეხო დასავლეთ საქართველოს ქალაქ ფოთს, თითქოსდა ის გადასცა იმპერატორმა სომეხ დიდებულებს, რომელნიც იქ დამკვიდრნენ თავიანთი პირუტყვით, როცა გამოუყვეს საძოვრები, შემდეგ კი მათ ფოთის ეკლესიები გაძარცვეს.

ამის გამო ადგილობრივი მიტროპოლიტი და არქიეპისკოპოსები მთელი საუკუ-ნის მანძილზე თავიანთ ეკლესიებში აღდგომა დღეს წყევლიდნენ სომხებს, რამაც ღევონტის ცნობით, თითქოსდა იმოქმედა და ეს წყევლა მიზეზი შეიქმნა სომხეთის დანგრევისა.

ისმის კითხვა, რიონის ფოთი იყო თუ არა VIII-IX საუკუნეთა შუა სამიტრო-პოლიტო ცენტრი, სადაც მიტროპოლიტთან თავს იყრიდა რამდენიმე არქიეპისკო-პოსი, აქვს თუ არა ფოთს საძოვრები, სადაც იყო განთავსებული სომეხ ლტოლვილთა საქონელი, იყო თუ არა ფოთში ეკლესიები, რომელნიც გაუძარცვავთ სომეხ ლტოლვილებს?

მართალია, ჩვენი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ფასისის სამიტროპოლიტო ცენ-ტრი ფოთში მდებარეობდა, რომელსაც ექვემდებარეობდნენ პეტრას, ზიგინევის, საისინისა და როდოპოლისის საეპისკოპოსოები, მაგრამ აღიარებენ იმასაც, რომ ფოთის სამიტროპოლიტო ცენტრი გადატანილი იქნა ტრაპეზუნტში VIII საუკუნი-სათვის, რადგანაც VII მს. საეკლესიო კრების ოქმს ხელს აწერს ტრაპეზუნტელი იგივე ფასისელი მიტროპოლიტი, ამისი მიზეზი თითქოსდა იყო აფხაზთა ქართუ-ლი სამეფოს ჩამოყალიბება დასავლეთ საქართველოში VIII საუკუნისათვის.

ჩვენი თვალსაზრისი კი მთლიანად განსხვავდება აღნიშნულისაგან, კერძოდ ჩვენი ფოთი არასოდეს ყოფილა ბერძნული სამიტროპოლიტო ცენტრი და მაქს. ბერძნიშვილისაგან განსხვავებით მივიჩნევ, რომ ღევონტის ფუთთი არ იყო თან-ამედროვე ფოთი, მაგრამ ვეთანხმებით მას,რომ ფუთს-ფოთს ამავე დროს ერქვა სახელი „ფაზისი“, რადგანაც სიტყვა ფაზისი ნაწარმოებია სიტყვა ფათისაგან.

ჩვენი თვალსაზრისით ღევონდის ფოთი იყო ტრაპეზუნტის რეგიონის ქალაქი

ფადისსა ანუ ფათისა, რომელიც ამავე დროს ახლოს მდებარეობდა რომაულ არმენიასთან, უფრო ზუსტად, რომაული არმენიები (განსაკუთრებით IV და I არმენია) უშუალოდ ემეზობლებოდნენ ქალაქ-ნავსადგურ ფადისსას (ფათს). ამ მეზობლობის გამო სომეხმა ლტოლვილმა ნახარარებმა თავიანთი პირუტყვი ადვილად მირეკეს ამ ქალაქის საძოვრებზე, შემდეგ კი იმპერატორს თხოვეს დაეკანონებინა მათთვის ამ ქალაქის საძოვრები. ვფიქრობ გაცილებით ძნელი იქნებოდა სომხეთიდან თანამედროვე ფოთში საქონლის მირეკვა (რომელი გზით უნდა მიეყვანათ ძროხები, ხბოები და ხარ-კამეჩები სომხეთიდან ფოთში? მართალია IXI-XX საუკუნეებში ფოთი დიდი დაჭაობების გამო გაჭირვებით დაუკავშირეს გზებით ქუთაისს, მაგრამ წარმოვიდგინოთ ადრე შუა საუკუნეები, როცა ფოთი შემოსაზღვრული იყო ათეული კილომეტრი სიგანის უსასრულო ჭაობებით, არამგონია რომ ამ ჭაობების გარღვევა შეეძლო შინაურ პირუტყვს. ხოლო ფადისსაში სომხეთიდან მოხვედრა, ნამდვილად ადვილი იყო- არმენია და კერასუნტი (ე.ი. ფადისაც) უშუალოდ ემეზობლებოდნენ ერთმანეთს).

ამ ფადისაში ნამდვილად იყო უამრავი მშვენიერი ბიზანტიური ეკლესია, რომელთა ნანგრევები დაუსრულებელი სიუხვითაა განფენილი ტრაპეზუნტის მთელ რეგიონში, ამავე **რეგიონში თავს იყრიდა მრავალი სამიტროპოლიტო (მაგალითად მათ შორს სწორედ აღნიშნულ ზონაში ფადისასთან ებრჯინებოდნენ ერთმანეთს ამასიის, ნეოკესარიის, კოლონეას, ქალდეასა და ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოები, რომელთა შიგნით უამრავი საარქიეპისკოპოსო იყო, აი, აქსამხრეთ ეგრისში უნდა ვეძიოთ ჩვენ ღევონდის ფათი და არა რიონის ჭაობებში,**

ფათსა, როგორც ითქვა, მდებარეობდა ქართველთა ისტორიულ მიწა-წყალზე, კოლხებისა და ტიბარანების ძველ სამშობლოში, რომელთაც შემდეგ ქალდეა-ჭანეთ-ლაზიკა ერქვა, მას მოიცავდა ე.წ. „სოფელი მეგრელთა“ ანუ სამხრეთის ეგრისი [როგორც ხშირად აღვნიშნავთ, ეგრი ერქვა ასევე მიმდებარე ადგილებსაც, მაგალითად ტრაპეზუნტის რეგიონშივე ჭოროხის შესართავთან მდებარე ქვეყანას, ეგრი ასევე ერქვა ადგილებს ქალდეას მთიანეთში, ბაიბურდისაკენ მდებარეთ.ზოგიერთ მდინარესაც კი. „ერეგია“ ამჟამადაც ეწოდება ქალაქს არზრუმთან, ხოლო „აგრი“ ერთ-ერთი მსხვილი ქალაქი და რეგიონია ამჟამად ვალაშკერტის მახლობლად. ისტორიულად არსებობდა არა მხოლოდ ჩრდილოეთის ეგრისი არამედ სამხრეთის ეგრისიც - ტრაპეზუნტის რეგიონი].

სტრაბონის ცნობით იბერიისაგან სომეხთა მიერ მიტაცებული პარიადრეს კალთები, ჩანს ისტორიული სამხრეთ ეგრისის ნაწილი იყო. პარიადრეს მთიანეთს ქალდეასთან ანუ ჭანეთთან ახლოს უჩვენებენ, ის ქართული ტომების უძველესი საცხოვრისი იყო. აქედან ტრაპეზუნტის ზღვისპირის ჩათვლით იყო და ამჟამადაც კია შემორჩენილი უამრავი ქართული ტოპონიმი, ადგილთა თუ მდინარეთა სახელები, ერთი ასეთი ყოფილა ფადისსა (ფოთი), რომელსაც სომხები ფოთთს - ფუთთს უწოდებდნენ.

მაქს ბერძნიშვილის მეორე, მოსაზრება ისაა, რომ ის სომხური წყაროს ფუთთს უწოდებს ფაზისს.

ბერძენი მწერალი თეოფანე თავის ნაშრომში ეხება ფაზისს, ეს ქალაქი კი მ. ბერძნიშვილს მიაჩნია ღევონდის ფოთთად, თეოფანეს ცნობები ფაზისთან დაკავშირებით მ. ბერძნიშვილმა დაუკავშირა დასავლეთ საქართველოს ფოთს, ასევე ფოთად მიიჩნია ღევონდის ფოთთი.

ღევონდის ფუთის რიონის ფოთთან უმართებულო დაკავშირებების გამო მაქს ბერძნიშვილის დასკვნებიც მოულოდნელი და საოცარია.

მაგალითად, **მისი დასკვნით დასავლეთ საქართველოს ფოთში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში (რომელსაც მკვლევარი ლაზიკას უწოდებს), ერთ პერიოდში სომხების დიდი რაოდენობა ცხოვრობდა**, ის წერს „მათი რიცხვი ლაზიკეში მცირედი არ იყო, ღევონდის ტექსტიც გვიდასტურებს მათ რიცხვმრავლობას“ (დასახ. ნაშრ. გვ. 216).

აგრეთვე წერს - „ღევონდისა და თეოფანეს ურთიერთშეწამება გვიჩვენებს ღევონდის სომხები ფუთთსა თუ ფაზისში არიან 706-712 წლებში, თეოფანეს არმენიელებიც აქ არიან 706-713 წლებში. თეოფანეს არმენიელები მცირერიცხოვანნი არ ჩანან, ასევე რიცხვმრავლად ვხედავთ სომხებს ღევონდის მონათხრობითაც... ასეთი იდენტობის დადგენა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ფაზის-ლაზიკეში სომეხთა ყოფნის ფაქტი, სავსებით გვირკვევს დღემდე ამოუცნობსა და ბნელით მოცულ კითხვას, როგორ გაჩნდნენ არმენიელები ლაზიკეში, როგორ შემოარტყეს ალყა არქეოპოლისს ან რატომ დაიხიეს ფაზისისაკენ და არა სხვა რომელიმე პუნქტისაკენ... **ასე ხერხდება ფუთთ-ფოთ-ფაზისში სომეხთა ცხოვრების ფაქტის მთლიანი სახით თავიდან ბოლომდე აღდგენა და იმდროინდელ ისტორიულ ვითარებასთან დაკავშირება“ (იქვე, გვ. 218).**

(მ. თამარაშვილი ნიკო მართან დაკავშირებით წერდა - „ის სომეხ ისტორიკსებზე უფრო მეტად აყალბებს ისტორიას იმით, რომ ყველაფერს სომხებს მიაწერს, ასომხურებს“. ალბათ, ნაწილობრივ იგივეს თქმა შეიძლება ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების ერთ ნაწილზეც. **ვფიქრობ სომეხი ისტორიკოსები ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ოდესმე სომხებმა ნოქალაქევი აიღეს (მას არქეოპოლისად მიიჩნევენ), ანდა, რომ სომხები დასავლეთ საქართველოსა და ფოთში მრავლად ცხოვრობდნენ, მაგრამ, როცა ისტორიული გეოგრაფია არასწორად წარმოისახება, როცა დასავლეთ საქართველო ლაზიკად მიიჩნევა, ხოლო ფოთი - კი ფაზისად, ამის შედეგიც სახეზეა-დასავლეთ საქართველო სომეხთა ისტორიული ქმედებების არეალად ისახება.** ქართველთა ამგვარმა წარმოსახვებმა და დაბეჯითებულმა მტკიცებებმა საფუძველი მისცა თანამედროვე სომეხ ისტორიკოსებს ფანტაზიის გაფართოებისა, მაგალითად, ახლახან ინტერნეტში დაიდო რუკა „სომხეთი VII ს. გეოგრაფიის მიხედვით“ სადაც ისტორიული იბერიის კუთვნილი პარადრეს კალთები, ხორძენე, გოგარენა, სამხრეთ ეგრისი, ქალდეა-ჭანეთითურთ ჭოროხის ხეობის ჩათვლით - **ისტორიულ არმენიად** წარმოადგინეს. ისინი ქართველი მეცნიერების ზემოხსენებული „დახმარების“ გარეშე ამას ვერ შეძლებდნენ).

მაქსიმე ბერძნიშვილი თავის გრანდიოზულ დასკვნას თეოფანე ბიზანტიელის შემდეგ მარტივ ცნობაზე აფუძნებს: **„ამ წელს ფილიფიკემ განდევნა არმენიელები თავისი მიწა-წყლიდან და აიძულა ისინი დასახლებულიყვნენ მელეტინესა და მეოთხე არმენიაში“ (იქვე, გვ. 206).**

მ. ბერძნიშვილის აზრით იმპერატორმა ფილიფიკე-ვარდანმა (711-713) სომხები განდევნა დასავლეთ საქართველოს ქ. ფოთიდან საიდანაც ისინი იძულებით მელეტინესა და მეოთხე არმენიაში გადაუსახლებია. დასავლეთ საქართველოს ფოთი არ ესაზღვრება მეოთხე არმენიას, ხოლო ტრაპეზუნტის ფადისა (ფუთი-ფოთი) უშუალოდ ემიჯნებოდა მელეტინესა და IV არმენიას. ასე რომ **ღევონდის, თეოფანესა და მიქაელ ასურის ცნობები**

არ შეეხება დასავლეთ საქართველოს ფოთს.

უნდა აღნიშნოს არსებობდა ფაზისის სახელის მქონე რამდენიმე პუნქტი და მდინარე, მათ შორის ერთ-ერთი ცნობილი ქალაქი ფაზისი მდებარეობდა მდ.ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე ზღვის პირას, მეორე ქალაქი სახელწოდებით ფაზისი კი ყოფილა ქალაქი ფადისსა ტრაპეზუნტის დასავლეთით. თეოფანეს მეორე ცნობა შეესაბამება არა ფადისსა-ფაზისს,არამედ ჭოროხის ფაზისს (მაგრამ არც ერთ შემთხვევაში რიონის დაბლობის ფოთს).

ეს ცნობა ასეთია - იუსტინიანე რინიტმატმა (705-711) თავისი მხედართმთავარი ლეონი გაგზავნა ლაზიკეში, რათა მას ალანები აემხედრებინა აბაზგების წინააღმდეგ. ამ თხრობისას ის ახსენებს ქ. ფაზისსა და არმენიელებს, როგორც ბიზანტიელთა მომხრეებს- „რომაელები და არმენიელები ლაზიკაში შეიჭრნენ და არქეოპოლისს ალყა შემოარტყეს და როცა შეიტყვეს სარკინოზების მოსვლა - უკან გაბრუნდნენ. როცა სარკინოზები ლაზიკაში მივიდნენ, რომაელთა და არმენიელთა ჯარი გაიქცა და ფაზისისკენ დაიხია. აქ იყო ერთი ციხე ე.წ. „რკინის ციხე“, სადაც მტკიცედ იდგა ვინმე ფარსმანი ... სპათარმა (ე.ი. ბიზანტიელთა მხედართმთავარმა) კაცები გაგზავნა მასთან და შეუთვალა ...„დაგვეხმარე ჩავიდეთ ზღვის ნაპირამდე და იქედან ტრაპეზუნტში გადავიდეთ“ (იქვე, გვ. 214).

ჩვენ გარკვეული გვაქვს, რომ ფაზისი ერქვა მდ. ჭოროხს, და იქვე, ახლოს მდებარეობდა ქალაქი არქეოპოლისი (ციხისძირის სიმაგრესა და ბათუმს შუა. ძველი ავტორების „ალტუს პორტუს“ ანუ ძველი ქალაქი) ხოლო მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე ზღვის შესართავთან მდებარეობდა ქ. ფაზისი (და არა ფოთთან).

საერთოდ ტოპონიმი ფაზისი სხვადასხვა ვარიაციით ხშირად გვაქვს ლაზისტანის რეგიონში და მაღლა არზრუმის შემოგარენში (ისტორიული ლაზიკის ეპარქიაში), მაგრამ საერთოდ არ გვხვდება დასავლეთ საქართველოში. მაგალითად, ამჟამადაც კი ზღვისპირზეა ქალაქ ფაზარი, ფასინლერი,ხოლო მდ. არეზთან ქ. ფასონი.

უნდა აღინიშნოს რომ XI ს-ში სახელი ფოთი სხვადასხვა ადგილებს ერქვა ზღვის პირას. მაგალითად ერთ-ერთი იყო - ხუფათი ანუ ხუ-ფათი (აქ იყო საზღვაო პორტი). ფუძეები „ფათ“ და „ბათ“ იდენტურია „ბ-პ-ფ“ გადასვლის გამო, ამიტომაც ასევეა სახელებიც **ბათ**-უმი, **ფოთ**-ი და ხუ-**ფათ**-ი. საერთოდ ეს ფუძეძირი „ფათ“ ამობურცულ ადგილს უნდა ნიშნავდეს (კანის თერმული დაზიანებისას, როცა ვინმეს კანი ამოიბურცება ამბობენ ხოლმე- „კანი დაე**ფოთ**ლა“, ან „კანი აე**ფუტ**კნა“. იგულისხმება კანზე მცირე ბურცობების წარმოქმნა). ჩანს ფათ-ფოთს ისეთ ადგილის უწოდებდნენ, რომელიც შედარებით დაბალ გარემოში უფრო ამობურცულად ჩანდა.

ფოთის ბუნება და გარემო ჭაობების დაშრობამდე (XX ს.-მდე)

მწერალი ასე აღწერს რიონის დაბლობში XX ს. 30-იან წლებში ჭაობების დაშრობამდე არსებულ ვითარებას-„ძველი მოსახლე ახალმოსახლე გლეხს ეუბნება: „ხო, ხო, ხო, რა იყო აქ, აი აქ, სადაც ახლა შენ დასახლდი, მიწა არ იყო. აქ იყო კისრამდე წყალი, ჭილი, ხაია, ჭონჭყოში ჩამპალი ხეები, აშმორებული, ბაყაყებით სავსე ჭაობი, ნადირიც კი ვერ ცხოვრობდა ამ ადგილას. **ფეხის დასადგამი ალაგი არ ჰქონდა, კუდის დასადები ალაგი არ ჰქონდა,** ჭაობი ყვითელი ფერის იყო. ზედ ბუტუტია ეხვია, მურყნის ხეები დახლართული იყო ჯაშქვიდათი.

ჩიტი თუ გადაფრინდებოდა აქაურ უსიერსა და მიუვალ ტყეში, აქ ავი სული ცხოვრობდა, უჟმური“ (მ. ძველაია, კოლხეთის დაბლობი, 1973, გვ. 7).

თუ როგორ იყო დათრგუნული ზღვისპირა დაბლობის მკვიდრები დაჭაობების გაუვალობისა და გაუდაბურების გამო წერს თედო სახოკია - „სენაკიდან ჩავედით ხეთაში, სამეგრელოს ფანტაზია აქაურობას ავსებდა ყოველგვარი მავნე სულებით და ჩემს ნორჩ ფანტაზიასაც აუარეცხელი მასალა ეძლეოდბა საზრდოდ. ცეცხლის პირას ყოველდღიური ბაასის საგანი იყო ოჩო-კოჩები, ტყის მეფეები, ჭინკები, პატარებისა თუ დიდების გონება ამ ბაასით იმდენად იყო შეპყრობილი, რომ მზის ჩასვლის შემდეგ სამზარეულოდან სახლში შემოსვლა მარტოს გვესიკვდილებოდა, მეტადრე ბნელს ღამეში. აქედან შეეწოვა ჩემს სისხლსა და ხორცს, ჩემს ფსიქიკას პირველყოფილი ადამიანის შიში და ზარი“ (იქვე, გვ. 9).

უზარმაზარმა საბჭოთა იმპერიამ წამოიწყო და თავისი პრესტიჟის საგნად მიიჩნია დაშრობა ჭაობებისა დასავლეთ საქართველოში. ცხადია, მისი სურვილი უფრო ის იყო, რომ ჩაისა და ციტრუსების საწარმოებლად მოემზადებინათ ნიადაგი, რათა ამ პროდუქტებით მოემარაგებინათ ასეულ მილიონი ადამიანი, უცხოეთში კი ვალუტით მათი შესყიდვა არ სურდა. ამიტომაც გრანდიოზული სამუშაოები წამოიწყეს რიონის დაბლობის-„კოლხეთის ჭაობების“ დასაშრობად, არ დაზოგეს მუშახელი და სახსრები. იმდროინდელი მეცნიერი წერდა: „დიად ხუთწლედებში კოლხეთის ზღვისპირა ზოლის ჭაობების დაშრობით გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ფართობები, სადაც ამჟამად მეურნეობებთან ერთად ლამაზი ქალაქები, დაბები და კოლმეურნეობათა სოფლებია გაშენებული“ (იქვე, გვ. 10).

ეს ავტორი ჩამოთვლის ახალ სოფლებსა და ქალაქებს, მათ შორის მაგალითად მოჰყავს ფოთთან მდებარე ყულევი. „მისი მიდამოები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მალარიის კერა იყო, ახლა კი თითქმის მთლიანად დაშრობილა ჭაობები - მალარიის ბუდეები და გაშენებულია მრავალი სოფელი“ (იქვე, გვ. 10).

რიონის ანუ კოლხეთის დაბლობის დიდი ნაწილი თითქმის ზღვის დონეზეა, რაც იწვევს მის დაჭაობებას, ამასთანავე, არც თუ მცირე მონაკვეთები ამ დაბლობისა ზღვის დონეზე დაბლაც კი არის.

გარდა ამისა დაბლობის შუაგულში გამდინარე წყალუხვ რიონს უჭირს თავისი წყლის ზღვაში შეტანა, რადგანაც, როგორც ითქვა, მისი დაბლობი და ზღვა თითქმის ერთ დონეზეა, ამიტომაც ის წარსულში მეანდრების დიდი ტოტების სახით ცდილობდა ზღვაში შეღწევას.

ნარიონალი მიტოვებული კალაპოტები მრავალია, მდინარემ ახალი კალაპოტებით გაიკვლია გზა დაბლობზე. მართალია, ამჟამად ის ბეტონის კალაპოტშია მოქცეული, მაგრამ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მბერავი ქარიშხლების დროს გადმოდის კალაპოტიდან და ტბორავს დაბლობს.

მეცნიერი წერს - „საერთოდ გეოლოგიურ წარსულში კოლხეთის ტერიტორია არაერთხელ იყო ზღვით დაფარული“ (იქვე, გვ. 38).

ამჟამადაც კი მიმდინარეობს მდინარე რიონის შესართავის გადაადგილება (გვ. 30).

მ. ძველაიას თვალსაზრისით ახლანდელი პალიასტომის ტბა ძველი ბერძენი ისტორიკოსების ეპოქაში (გულისხმობს I-VI საუკუნეებს) წარმოადგენდა ზღვის უბეს, რომელიც, დაახლოებით XVI საუკუნისათვის ამოავსო მდინარე რიონის შლამმა - „მას ყოველწლიურად რამდენიმე ათეული მილიონი კუბური მეტრი ნალექი (ძირითადად შლამის სახით) ჩამოჰქონდა. ეს კოლოსალური მასალა თან-

დათან ილექებოდა მდინარის ზღვასთან შეერთების ადგილას, ხილო რიონის კალაპოტი ცოტა ჩრდილოეთით გადაადგილდა. ის უშუალოდ ზღვას შეუერთდა. უბე იქცა ტბად, რომელიც პალიასტომის სახელითაა ცნობილი“ (იქვე, გვ. 31).

მ. ძველაიას თვალსაზრისით მდინარეები მალდაყვა, თხიონა, პიჩორი ძველად უშუალოდ უერთდებოდნენ ზღვას, ხოლო რიონი, როგორც აღინიშნა - პალიასტომის უბეს, ამასთანავე, მისი მოსაზრებით „გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ ტბის ფსკერზე აღმოჩნდეს არქიტექტურული ნაშთები იმ ქალაქებისა და სოფლებისა, რომელნიც იქ ადრე, ტბის გაჩენამდე, იყვნენ გაშენებულნი“ (იქვე, გვ. 33).

მაგრამ, ასეთი ნაშთები აღმოჩნდა. ვახუშტიც იზიარებდა ხალხში გავრცელებულ შეხედულებას პალიასტომის წარმოშობის შესახებ, რომ ტბის ადგილას გაშენებული იყო ქალაქი, შემდეგ ხმელეთმა ძირს დაიწია, მიწა გაირღვა „უცბად წყალი ამოვარდა დედამიწიდან, დაფარა სოფელი, ხალხი დაიხრჩო“ (იქვე, გვ. 28).

სოფლის თუ ქალაქის ეკლესიებიდან ხატების გადასვენება მოუსწრიათ მთისწინეთებში. კერძოდ, ქუთაისში გადაუსვენებიათ „პალიასტომის ხატი“, ხოლო მეორე ხატი გადაუსვენებიათ ჯუმათის მთაზე. როგორც ერთი, ისე მეორე **ხატის ლეგენდები ამტკიცებენ, რომ პალიასტომის ადგილი და ჩანს შესაბამისად მთელი დაბლობი დაიტბორა**. ეს უნდა მომხდარიყო გ. ძველაიას აზრით XVI საუკუნეში.

მდინარე რიონის წყალი სასმელად უვარგისი იყო მისი დიდი შლამიანობის გამო, საერთოდ, ამ დაბლობის წყლები სასმელად უვარგისია - მეცნიერი წერს - „ლაბორატორიული კვლევებით დადგენილია, რომ კოლხეთის დაბლობის ფარგლებში ფართოდ გავრცელებული ზედაპირული წყლები (მდინარეების, ღელეების, ჭების თუ ჭაობების) მეტწილად საზიანოა, გაჭუჭყიანებულია სხვადასხვა სახის მავნე ბაქტერიებით.

რიონის დაბლობის ამ წყლების უვარგისობა ძველადაც ჰქონდათ შენიშნული ადგილობრივ მცხოვრებლებს, რაც ვახუშტიმ თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“ აღნიშნა - „არასადა არს მდინარე, თვინიერ გუბისწყლისა, და იგიცა მცირე, იზრდებიან ჭით, არამედ ადგილ-ადგილ ჭათა შინა არს ჭია, რომლისა წყლის სმით გამობერავს ყელსა და დაეკიდების კაცსა და ქალსა, ვითარცა პარკი დიდი, უწოდებენ ყიყვს“.

ვახუშტის **ეს აღწერა,** რომელიც შეეხება საჭილაოსა და სამიქელაოს მიდამოების ჭების წყლებს, **მთლიანად შეიძლება გამოდგეს კოლხეთის დაბლობის სხვა რაიონების ზედაპირული და ჭის წყლების დასახასიათებლადაც**“ (იქვე, გვ. 46), ამის გამო, ბოლო საუკუნეში შემოიღეს მიწისქვეშა წყლების გამოყენების წესი (ღრმა ჭაბურღილების გათხრით).

რიონი რომ არაა ისტორიული ფაზისი იქედანაც ჩანს, რომ ფაზისის წყალი ითვლებოდა საუკეთესო სასმელად, იმდენად კარგად, რომ სავალდებულო წესის შესაბამისად, ფაზისში შეცურებული გემების ჭურჭლებიდან ღვრიდნენ სხვა წყალს და ავსებდნენ ფაზისის წყლით. იმდენად სუფთა იყო ეს წყალი, რომ ჭურჭელში არ ჭუჭდებოდა რამდენიმე წლის მანძილზე. რიონის წყალი კი სასმელად უვარგისი იყო.

მკვლევარი წერს, რომ დაჭაობებამ წარმოქმნა ნიადაგების ტიპი, რომელსაც ეწოდება „შლამიან-ჭაობიანი“ (ასეთია ფოთი-ანაკლიას შორის), ხობი-ცხაკაიას ხეობაშია ეწერი ტიპის ნიადაგები, უფრო ჩრდილოეთით ოდიშსა და გურიის მთის კალთებზე - წითელმიწა ნიადაგები.

როგორც აღინიშნა, ვახუშტი იზიარებდა გავრცელებულ თვალსაზრისს წყლით გადაფარვის შესახებ - „იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომ მოცულსა წყლისაგან“.

ზედმეტმა წყალმა დააჭაობა ვრცელი რეგიონი რიონის დაბლობისა. ამიტომაც ის გეოგრაფიულად არ ეთანადება პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილ ლაზიკას, რომელიც მისი მტკიცებით იყო ძალზე კლდოვანი ქვეყანა,**არსად,ის ლაზიკაში არ მიუთითებს რაიმე ჭაობიანი ადგილის შესახებ, ამიტომაც პროკოფის ლაზიკა არ იყო ჭაობით მოცული დასავლეთ საქართველოს რიონისპირა დაბლობი და საერთოდ, დიდი დაჭაობების გამო დასავლეთ საქართველოს ბარი კულტურულად არ იყო დაწინაურებული, ლაზიკა კი პირიქით, თავისი დროის მოწინავე ქვეყანა იყო.**

პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი

პალიასტომის ღვთისმშობლის ხატის სახელწოდება მომდინარეობს საქართველოში საკმაოდ გავრცელებული თქმულებიდან პალიასტომის ტბის გაჩენის შესახებ. თქმულების თანახმად ღვთისმშობლის ხატი პალიასტომის „ციხე-ქალაქის“ ტაძარში ესვენა, საიდანაც იმ ტაძრის მთავარ ხუცესმა სილიბისტრომ ღვთისმშობლის მითითებით, რომელიც მას გამოეცხადა- ხატი ქუთაისის ციხე-ქალაქში გადაასვენა. პალიასტომის ქალაქი კი ხალხითუთრ წყალში ჩაიძირა.

ხატს აქვს გვიანდელი წარწერა „...დედაქალაქ ქუთაისის ღვთისმშობელო...“ რაც იმაზე მეტყველებს, რომ არა თვით ხატი, არამედ მისი პერანგი მოგვიანებით ქუთაისში უნდა იყოს დამზადებული.

ხატი ფერწერულია, ვერცხლით მოჭედილი. ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ღვთისმშობელი ყრმა იესოთი. ღვთისმშობლისა და ქრისტეს სახეები შესრულებულია ფერწერით ხეზე, რომელიც დაზიანებულია.

ხატის დანარჩენი ნაწილი მთლიანად მოჭედილია და დაფერილია ოქროთი. ღვთისმშობელს და ყრმა იესოს ტანთ აცვია გრძელი მოსასხამები.

ხატის ქვედა აშიაზე წარწერაა რომელშიც მოხსენიებულნი არიან იმერეთის მეფე გიორგი III და ძე მისი ალექსანდრე. ქუთათელი მთავარეპისკოპოსი ჩხატიძე ბასილი: „ხატი ესე ყოვლად წმიდისა ღვთისა, **პირველი მოჭედილი დაძველებულიყო და ჩვენ მეორედ განვაახლეთ,** შეიწირე დედა ღმრთისაო მცირე ესე სამსახური ჩუენი და მეოხ გუექმენ დღეს მას განკითხვასა ამინ. შეიქმნა –ხატი ესე ხელითა რაფიელ მონაზონისათა ქორონიკონ“.

აქედან გამომდინარე ხატის ხელახალი მოჭედვა მე-17 საუკუნეში მომხდარა. ხატი შესულია ბაგრატის ტაძრიდან 1923 წელს ქუთაისის მუზეუმში.

ხატი რესტავრირებულია 1612 წელს რაფიელ მონაზონის (მეორედ მომჭედველი) მიერ.

თქმულების თანახმად, როგორც ითქვა, ღვთისმშობლის ხატი პალიასტომის „ციხე-ქალაქის“ მთავარ ტაძარში ესვენა, საყდრის მთავარუხუცესმა სილიბისტრომ ხატის შთაგონებით იხილა ჩვენება (ეს სილიბისტრო გაბრიელ ხუცესმონაზონის შორეული წინაპარი და ნათესავი ყოფილა), რომ სილიბისტრო (მთავარუხუცესი) პალიასტომის ტაძარში შესულიყო, მისი ყოვლადწმიდა ხატი აეღო და ციხე-ქალაქიდან გამოეტანა, რადგანაც მალე იგი წყალში ჩაიძირებოდა.

მთავარუხუცესმა არ დაიჯერა. ამის შემდეგ ღვთისმშობელი ორჯერ გამოეცხადა სილიბისტროს, მაგრამ მას ვერაფერი შეასმინაო.

სილიბისტრომ არც სხვებთან გაამხილა ამის შესახებ. იგი ციხე-გალავნის გარეთ ცხოვრობდა სხვა საყდრის მახლობლად.

მალე ღვთის ნება აღსრულდა ამ ციხე-ქალაქზე და წყალში ჩაიძირა ,ხოლო **ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ღვთის შემწეობით წარღვნას გადაურჩა, თავისთავად, უხილავად, ღვთის განგებით, ციხე-ქალაქიდან ჰაერზე მილივლივებდა.**

იხილა თუ არა ეს სასწაული სილიბისტრო მთავარუხუცესმა, დაეცა სასწაულებრივი ხატის წინაშე და ცოდვების მიტევება გამოსთხოვა მას. როცა იგი ხატს მიუახლოვდა, **ის ჰაერიდან დაიძრა და მთავარუხუცესის ხელებში მიესვენა.**

ამის შემდეგ სილიბისტროს ისევ გამოეცხადა ღვთისმშობელი და უწმიდესი ხატის ციხე-ქალაქ ქუთაისში გადასვენება უბრძანა, რაც მთავარუხუცესმა აღასრულა კიდეც. ეს ხატი ბაგრატის ტაძარში დაასვენეს. პალიასტომის ციხე-ქალაქი კი ხალხითურთ წყალში ჩაიძირა.

აქ აღსანიშნავია:

-ხატის წარწერა მიუთითებს, რომ მეორედ მოჭედვის დროს ხატი უკვე ქუთაისში ყოფილა დასვენებული. „...დედაქალაქისა ქუთაისისა ღუთისმშობელო...“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხატი მეორედ ქუთაისის ღვთისმშობლის სახელზეა გაჭედილი და უშუალოდ ქუთაისში უნდა იყოს დამზადებული მისი მეორე პერანგი, პირველი კი ჩანს პალიასტომური იყო.

როგორც ითქვა,ხატი ფერწერულია, ვერცხლით მოჭედილია (ზომა 135 X 92,5 სმ). მის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ღვთისმშობელი ყრმა იესოთი ხელში. როგორც ითქვა ხატის ქვედა არშიაზე საუბარია ხატის ხელმეორედ მოჭედვის შესახებ. აქ მოხსენიებული არიან იმერეთის მეფე გიორგი III (1606-1639 წწ.) და მისი შვილი ალექსანდრე. აქედან ცხადია, რომ ხატის ხელახალი მოჭედვა მე-17 საუკუნის დასაწყისში მომხდარა, კერძოდ, 1612 წელს, სხვა მოსაზრებით კი, 1548-1568 წლებს შორის. (წარწერა გამოქვეყნებული აქვს მ. ნიკოლეიშვილს „მე-17 საუკუნის ისტორიული მასალები ქუთაისის მუზეუმში“, ქუთ. მუზეუმის მასალები II, 1971 წ. გვ. 33-35).

ეპისკოპოსი ფაზისისა (ფასიდისა), ანუ ტრაპეზუნტისა

VII მსოფლიო საეკლესიო კრების (787წ.) აქტებს ხელს სხვა მონაწილეებთან ერთად აწერს ტრაპეზუნტელი მღვდელმთავარი: „ქრისტეფორე ეპისკოპოსი ფაზისისა, ანუ ტრაპეზუნტისა“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 212).

VIII საუკუნეში ბიზანტიის იმპერია არაბობის გამო დიდი გასაჭირით ფლობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვიწრო ზოლს ქ. ტრაპეზუნტის ჩათვლით, შეიძლება ითქვას, რომ საზღვარი ქ. ტრაპეზუნტთან მთავრდებოდა.

იქამდე ტრაპეზუნტის ეპისკოპოსს არ გააჩნდა თავისი სამიტროპოლიტო. ის თვითონ შედიოდა ერთერთი საეპისკოპოსოს სახით **პოლემონის პონტოს მიტროპოლიის** შემადგენლობაში (ამას ადასტურებს VII-VIII საუკუნეთა ნუსხები) (იქვე, გვ. 212).

საფიქრებელია, რომ იქამდე უბრალო ქალაქის (ტრაპეზუნტის) ეპისკოპოსმა გადაწყვიტა მიენიჭებინა თავისი ქალაქისათვის სამიტროპოლიტო ღირსება, რისთვისაც საჭირო იყო, რომ მას ჰქონოდა თავისი საკუთარი იურისდიქციის ქვეშ რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრა. ჩანს ამ დროს მისი მზერა მიიპყრო ტრაპე-

ზუნტის მარცხნივ მდებარე ძველმა ქალაქმა პოლემონიონმა, რომელსაც იმჟამად ფადისსა-ფასიდი ერქვა (ტრაპეზუნტის მარჯვნივ მალე რიზეს სამიტროპოლიტო ჩამოყალიბდა).

მაშასადამე თავისი ხელმოწერით ტრაპეზუნტელმა ქრისტეფორემ თავისი პრეტენზია განაცხადა პოლემონიონ-ფადისსა-ფადის-ფაზისის მიმართ.

ადასტურებენ თუ არა წყაროები ამ მოსაზრებას? დიახ:-

პ.ინგოროყვას კვლევით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებში ე.წ. ნოტიციებში **ტრაპეზუნტის კათედრას ასევე ეწოდება „პოლემონის პონტოს კათედრა“(პ.ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ, 237, შენიშვნა1),კერძოდ №3 და №4 ნოტიციაში (806-815 წლები) და ასევე №5 ნოტიციაში (820-829 წლები) ტრაპეზუნტის კათედრა პოლემონის პონტოს კათედრად იწოდება(იქვე,გვ,237).**

როგორც ითქვა პონტოს ქალაქ პოლემონს(პოლემონიონს) ასევე ერქვა ფადისა-ფასიდი. ეს სახელი –ფადისა-ჩვენთვის ძალზე საინტერესოა. საქმე ისაა,რომ როგორც აღინიშნა, 787 წელს მიტროპოლიტობის პატივის მოსურნე ტრა პეზუნტელმა ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ მსოფლიო კრების აქტებს ხელი მოაწერა ასევე როგორც **ფასიდის** ეპისკოპოსმა („ეპისკოპოსი ტრაპეზუნტისა და **ფასიდისა**“).

როგორც ითქვა, იმ ეპოქაში პონტოს მთავარი ქალაქი პოლემონი უკვე თმობდა თავის პოზიციებს და დედაქალაქის –მეტროპოლისის სახელი უფრო ტრაპეზუნტს შეეფერებოდა, იმჟამად დიდი პოლიტიკური ძვრები შეიმჩნეოდა, რათა ჩამოლიბებულიყო ახალი ადმინისტრაციული ერთეული „ხალდეას თემი“ ცენტრით ქ. ტრაპეზუნტში (იქამდე VII ს -დან ქ. ტრაპეზუნტი არმენიაკონის თემში შედიოდა), მას შემდგომში მართლაც გამოეყო საკმაოდ ვრცელი ახალი ადმინისტრაციული ერთეული „ხალდეა“, რომლის საზღვარი აღწევდა მდ. ჭოროხამდე, ანუ ფაზისამდე (და არა ფოთამდე!). არმენიაკონის თემის საზღვარიც ასევე აღწევდა მდ. ფაზისამდე, ე.ი. ჭოროხამდე და არა ფოთამდე.

ხალდეას თემის დედაქალაქი ტრაპეზუნტი იყო. მას ასევე უფრო მარტივადაც უწოდებდნენ „ლაზიკას“, ლაზიკის თემს.

ამის გამო პოლემონიონ-ფადისა/ფასიდი შედარებით დაემცრო და ქრისტეფორემ განაცხადა პრეტენზია ამ ქალაქზე. თავისი ხელმოწერით ქრისტეფორემ დააფიქსირა, რომ ის იყო არა მხოლოდ ტრაპეზუნტის, არამედ პოლემონის ეპისკოპოსი, რომელიც ტრაპეზუნტიდან არც თუ დაშორებით-100 კილომეტრში მდებარეობდა.

ძველ პოლემონს ამჟამად ფადისა რომ ჰქვია ეს ნათქვამია 2001 წელს ვაშინგტონში დაბეჭდილ წიგნშიც *“Byzantine Seals“*

“30.Polemonion

Polemonion,a twin tovn witch Fadisane/Fatsa, gave its name the rivier Boleman“(Catalogue of Bizantine Seals at Dumbarton oaks and in the Fogg Museum of art,volume 4,the East,2001,83).

ფადისა/ფატსასთან გამავალ მდინარეს ამჟამადაც ბოლემონი/პოლემონი ჰქვია.

ფაზისის აკადემია

IV ს-ში ფაზისთან ყოფილა აკადემია.

თემისტიოსის წერილის თანახმად, ის მდებარეობდა „**კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში, მდ.თერმოდონტთან და თემისკირასთან**“.

თემისკირა და თერმოდონტი ცნობილი პუნქტი და მდინარეა ტრაპეზუნტის

დასავლეთით.

ერთადერთი რეგიონი, რომელიც რომაულ-ბიზანტიურ სამყაროში ერთდროულად ითვლებოდა არმენიად და ამასთანავე კოლხეთად – იყო პონტო-ტრაპეზუნტის რეგიონი.

იუსტინიანემ, იმპერიის ხელახალი ადმინისტრაციული დაყოფის დროს VI ს.-ში პონტო-ტრაპეზუნტი შეიყვანა I არმენიაში, ამის შემდეგ კი VII ს-ის დასაწყისში იმპერიამ უფრო ახალი ადმინისტრაციული დაყოფის შემდეგ, პონტო შეიყვანა „არმენიაკონის თემში“.

ასე, რომ პონტო-ტრაპეზუნტის რეგიონი – ბუნებრივად წოდებული „კოლხეთად “, ამავდროულად, არმენიის ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა, თემისტიოსის წერილის „ფაზისი“, რადგანაც თერმოდონტსა და თემისკირასთან მდებარეობდა, ამის გათვალისწინებით –ის მოქცეული იყო პონტო-ტრაპიზონის რეგიონში, აქ უნდა ყოფილიყო „ფაზისის აკადემია“ (ტრაპეზუნტი დიდი სასწავლო კერაც იყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ცნობილმა სომეხმა მათემატიკოსმა VII საუკუნისა ანანია შირაკუნმა განათლება მიიღო ტრაპიზონში ბერძენ მეცნიერ ტუსიკთან, აქ მან მათემატიკის გარდა შეისწავლა ფილოსოფია, კოსმოგრაფია და გეოგრაფია. ის მონაწილეობდა უძრავი კალენდრის შედგენაში. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია „არითმეტიკის სახელმძღვანელო“, „კოსმოგრაფია“, „მთვარის ციკლის ცხრილები“ (ვ. ჩალოიანი, ანანია შირაკაცის მსოფლმხედველობა „ბიზანტიისკიის ვრემენნიკ“, 1957, ტ. 12, რუს. ენაზე).თვით წყარო იძლევა ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას,ესაა IV ს-ის რიტორისა და ფილოსოფოსის თემისტიოსის წერილი -

„რიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე ... პონტოს ბოლოში ფასისის მახლობლად, სადაც არგომ თესალიიდან წამოსულმა დაისადგურა ... იქ, სადაც ცნობილია თერმოდონტი, ამაძონთ საქმეები და თემისკირი. და აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ გახადა ელინური მუზების ტაძრად. იმ კაცის, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და <u>არმენიელების</u> ქვეყანაში და ასწავლიდა, თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდე ელინურ დღეობებზე“ (თემისტიოსი, გეორგიკა, I, გვ. 50).

სად მდებარეობდა „რიტორიკული სკოლა“?-

1. პონტოს ბოლოში;
2. ფაზისის მახლობლად;
3. თერმოდონტთან;
4. თემისკირასთან;
5. კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში.

მაშასადამე, **ეს სკოლა არ იყო მხოლოდ კოლხების ქვეყანაში, ის იყო „კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში“**.

არსებობს ორი მნიშვნელოვანი მოსაზრება თემისტიოსის მიერ ნახსენები ქალაქის ადგილმდებარეობის შესახებ.

ერთი ეკუთვნის ცნობილ ქართველ მეცნიერს **ს. ყაუხჩიშვილს**, მეორე ცნობილ ევროპელ მეცნიერს **ოტო ზეეკს**.

ამ უკანასკნელის მიხედვით, ეს იყო ქალაქი სინოპი (გეორგიკა I, გვ. 45).

ს. ყაუხჩიშვილის აზრით კი, ფოთთან ახლოს მდებარე რომელიმე ქალაქი.

განვიხილოთ ორივე თვალსაზრისი.

სინოპი მდებარეობდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე კერასუნტთან და ამასიასთან ახლოს, ანუ **იქ, სადაც მიედინება ამჟამად მდ. თერმოჩაი, ძველად თერმოდონტად სახელდებული მდინარე.**

მაშასადამე, სინოპი მდებარეობს თემისტიოსის მიერ ნახსენებ მდინარესთან, თერმოდონტთან ახლოს.

თერმოდონტი, თავის მხრივ, თემისტიოსის ეპოქის მეორე ცნობილი ავტორის, ანტიკური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის, ამიანე მარცელინეს ცნობით, **გაედინებოდა მდ. ჰალისთან** ახლოს. მდ. ჰალისს ამჟამად ყიზილ-ირმაკი ეწოდება.

მაშასადამე, თემისტიოსის მიერ ნახსენები ფაზისთან ახლოს მდებარე ქალაქი, სადაც რიტორიკული სკოლა მდებარეობდა,ახლოს იყო ამჟამად ცნობილი შემდეგ პუნქტებთან – 1. ქალაქ კერასუნტთან, 2. მდ. თერმოჩაისთან, 3. მდ. ყიზილ-ირმაკთან. ისინი ისტორიულად მდებარეობდნენ რომაულ პროვინცია პონტოში, კერძოდ კი, ჰელენოპონტოში (პაფლაგონიის მეზობლად).

ამიანე მარცელინეს ცნობით, მდ. თერმოდონტი „სათავეს იღებდა არმონიოსის მთიდან“ (გეორგიკა, I, გვ. 109).

ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „**ამიანეს მიხედვით მდ. თერმოდონტი მდ. ჰალისთან ახლოა**“ (გეორგიკა, I, გვ. 151).

საგანგებოდაა აღსანიშნავი ის ფაქტიც,რომ მდ.კელკიტის რეგიონში, ძველ ამასიასა ტოკატს შორის, ქ.თერმეს გასწვრივ მდ. ირისის ხეობაში, ამჟამადაც კი არის ქალაქი სახელწოდებით „**ფაზარი**“. ის კოლხების ისტორიულ ქვეყანაშია.

ეს ფაქტი უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება,რომ მდ.კელკიტს ზღვასთან შეერთების ადგილას ფაზისი ერქვა.

ეს სახელი მრავალ მდინარეს ერქვა ტრაპეზუნტის რეგიონში ე.ი. კოლხების ისტორიულ ქვეყანაში.

როგორც ითქვა, „რიტორიკული სკოლა“ მდებარეობდა „კოლხთა და არმენიელთა ქვეყანაში“. ცნობილია, რომ ისტორიულ პერიოდში ე.წ. „რომაული არმენია“ დაყოფილი იყო I, II, III და IV არმენიებად. „პირველი არმენიის პროვინციაში“ შეყვანილი იქნა ყოფილი ელენოპონტოს პროვინცია ანუ ისტორიული კოლხეთი. მაშასადამე, **ცნობილი რიტორიკული სკოლის ქვეყანა ოფიციალურად I არმენიის პროვინციაში იმყოფებოდა, თუმცა კი ის ისტორიულად კოლხების ქვეყნად იწოდებოდა**. მაშასადამე, ის ერთდროულად „კოლხებისა და არმენიელების“ ქვეყანაში იყო. **ო.ზეეკის** თანახმად სინოპთან ახლოს-კოლხების ისტორიულ ქვეყანაში.

ფაზისის აკადემიასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მიმოვიხილოთ მდ.თერმოდონტისა და თემისკირის(თემისკურა) ადგილმდებარეობა-

მდ. თერმოდონტს, როგორც ითქვა, ამჟამად ეწოდება მდ. თერმე (თერმე ჩაი, თურქეთში) ისტორიულ ამაძონების ქვეყანაში, ამ მდინარეს ახსენებს ჰეროდოტე (II, 104-9), ქსენოფონტე (ანაბაზისი, V, 6,9VI, 21). თვითონ ამაძონები კოლხეთიდან გამოსულებად მიიჩნევიან, ამაძონების ქალაქი იყო თემისკირა.

თემისკირა მდებარეობდა თერმოდონტთან ახლოს პროკოფი კესარიელის ცნობით (ომი გოთებთან, VIII, 2).

თერმოდონტი და თემისკირა იყო ამისოსის მახლობლად.

თერმოდონტზე ცხოვრობდნენ ასურები მაკრონების გვერდით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კოლხებისაგან მიიღეს წინდაცვეთის ჩვეულება.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, **„წინათ კოლხებს მდ. თერმოდონტთან უნდა ეცხოვრათ“ (ქართველი ერის ისტორია, შესავალი, I, 1950, გვ. 10).**

აქვე ცხოვრობდნენ ხალიბები (ფლ. არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 80).

სტრაბონის ცნობით, თერმოდონტი და თემისკირა პონტოში მდებარეობდა (და არა კოლხეთის ჩრდილოეთში, სტრაბონი, I, 3,7).

მდ. თერმოდონტი (თერმე-ჩაი) (ფლ. არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, 1967, გვ. 24) კერასუნტის სამხრეთით მიედინება (იქვე, გვ. 19).

„ხალიბების შემდეგ არის ტომი ასირია, მდინარე თერმოდონტი, ელინური ქალაქი თემისკირა... ელინური ქალაქი კერასუნტი“ (წერს სკილაქს კარიანდელი (იქვე, გვ. 51).

„მდინარე თერმოდონტი ჩამოდის არმონიოსის მთიდან და მიედინება თემისკირის ჭალებში, სადაც ოდესღაც ამაზონები იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ“ (გეორგიკა, I, გვ. 109).

ამიანეს მიხედვით, **თერმოდონტი მდ. ჰალისთან ახლოა და იქ ცხოვრობენ ხალიბები. კერძოდ, თერმოდონტსა და კერასუნტს შორის**.

სტრაბონი ხალიბებს ოდნავ ჩრდილოეთით, ტრაპეზუნტთან ათავსებდა (გვ. 151). მათ საზღვრავენ ბიზარები, საპირები, მაკრონები და ფილირები.

კოლხების ეს ძველი ქვეყანა ბიზანტიის იმპერიამ შეიყვანა არმენია I-ის პროვინციაში, რომელსაც ემეზობლებოდნენ არმენია IV, არმენია II და არმენია III. მაშასადამე თემისკირა –თერმოდონტის რეგიონი ერთროულად იმყოფებოდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში.

სინოპი, თერმოდონტი და თემისკირა პონტოს პროვინციის ერთ ბოლოში მდებარეობდნენ, მეორე ბოლოში მდ.ჭოროხი გაედინებოდა.

აქ, მდ.კერასუნტთან მაკრონების ტომის გავლის შემდეგ ქსენეფონტე ფასიანების ტომისაკენ გაემართა(ცხადია ის უკანვე არ დაბრუნდებოდა და არაქსის ანდა რიონ-ჭოროხის ხეობებისაკენ არ გაემართებოდა,სადაც ასევე ფასიანები ცხოვრობდნენ). მაშასადამე ერთერთი **ფასისი მდ.კელკიტის ქვემოწელზეცაა** საძებნი.

ეს რეგიონი ერთდროულად იყო პონტოს ბოლო, კოლხებისა და არმენიელების ქვეყანა, აქ იყო მდ.თერმოდონტი და ქალაქი თემისკირა და ჩანს ფაზისიც, ამიტომ აქ ეძებდა ოტტო ზეეკი თემისტიოსის რიტორიკულ სკოლას.

ს.ყაუხჩიშვილი ფოთთან ათავსებდა რიტორიკულ სკოლას, მაგრამ არცერთი სხვა თახვედრა ამ მოსაზრების დასამტკიცებლად არ არსებობს, მაგალითად **ფოთი არასოდეს იწოდებოდა არმენიელების ქვეყნად. ფოთის რეგიონში არ მიედინება მდინარე თერმოდონტი და არ არის პუნქტი თემისკირა**, მაშინ როცა თემისტიოსის მიერ მოხსენიებული ყველა მონაცემი უფრო სინოპის ანუ პონტოს მეორე ბოლოს შეესაბამება.

(როგორც ითქვა,ქ.თერმეს გასწვრივ მდ. ირისის ხეობაში, ამჟამადაც კი არის ქ. **ფაზარი**, მეორე ქალაქი ამავე სახელწოდებით-**ფაზარი** მდებარეობს ასეული კილომეტრით დაშორებით-რიზესა და ხოფას შუა. მის გასწვრივ ჭოროხის სანაპიროზე მდებარეობს **კარგაფაზარის** ქედი, ამავე რეგიონშია არაქსის პირზე

ქ.**ფასინ**ლერი.

როგორც ჩანს, ერთ დროს **ფასი**ნლერი, კარგა**ფაზ**არი და **ფაზ**არი(II) ქმნიდნენ ერთ რეგიონს **ფაზისის** სახელწოდებით.

ჩანს, აღნიშნულ რეგიონში გამავალ სამ მდინარეს არაქსს, კელკიტსა და ჭოროხს ფაზისი ერქვა).

„ფაზ“ ფუძის მქონე სახელების განვრცობა ისტორიულ ლაზიკაში(ტრაპეზუნტის რეგიონში)

ნ. ადონცის მიხედვით, იუსტინიანეს ეპოქაში და ასევე VII ს.-ში არმენიის ადმინისტრაციული საზღვარი აღწევდა ფაზისამდე.

ის წერს – „იუსტინიანეს შემდგომ ეპოქაში VIIს. დასაწყისიდან იმპერიის ახალი დაყოფის შესაბამისად, ერთერთი ვრცელი ადმინისტრაციული ერთეული იწოდებოდა არმენიად, (მხედველობაში გვაქვს „არმენიაკონი“). მისი საზღვრები გადაშლილი იყო **სინოპიდან ფაზისამდე** და ევფრატამდე. ბიზანტიის პროვინციების რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნა ახალი ოლქი „არმენიაკონი“. მან გააერთიანა ყოფილი ოლქები კაპადოკია, I და II არმენიები და პონტო. **კონსტანტინე პორფიროგენეტის თანახმად, მან ეს სახელმწოდება- „არმენიაკონი“ მიიღო სომხების სახელის მიხედვით, რომლენიც იქ მეზობლად ცხოვრობდნენ“** (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 203).

მაშასადამე, VII ს. დასაწყისში „არმენიაკონის თემის“ საზღვარი აღწევდა ფაზისამდე. **თუკი ფაზისი ფოთია, მაშინ ფოთამდე აღწევდა ამ „არმენიის“ საზღვარი.**

საბედნიეროდ, ნ. ადონცი ფაზისის ქვეშ ისევე, როგორც ყველა ძველი ავტორი, გულისხმობს არა რიონს, არამედ მდ. ჭოროხს. ეს მდინარე მართლაც იყო ბერძნული ლაზიკის ჩრდილო საზღვარი. საქმე ის იყო, რომ თვით ნ. ადონცის თანახმად, საეკლესიო გეოგრაფიამ შემოინახა იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის (დიოკლეტიანესდროინდელი) სახე იმით, რომ თავის საჭიროებისთვის იყენებდა მას. ე.ი. **ლაზიკის ძველი სახელი, მისი ტერიტორიის ძველებური გაგება შემოინახა ეკლესიურმა დაყოფამ.**

ნ. ადონცით ლაზიკაში ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში შემავალი ბიზანის, პაიპერტის, კერამევის, ლერიონისა და სხვა საეპისკოპოსოები, შესაბამისი ქალაქები განლაგებულნი იყვნენ **თეოდოსიოპოლის-ტრაპეზუნტის შემაერთებელი გზის სანაპირო რეგიონში, ანუ ისტორიული ჭანეთში, მათ მომცველ საეკლესიო ოლქს ეწოდებოდა „სამიტროპოლიტო ლაზიკაში“, ანუ სწორედ ამ მხარეებს ერქვა ლაზიკა ბიზანტიური საეკლესიო გეოგრაფიის მიხედვით და არა დასავლეთ საქართველოს.**

ლაზიკა“ ბერძნული ეკლესიური გაგებით ერქვა აღნიშნულ რეგიონს (ე.ი. ქალდეა-ჭანიკას) და არა დასავლეთ საქართველოს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ რეგიონში მრავალ პუნქტს ერქვა „ფაზისი“. იქ იყო „ფასიანის“ საეპისკოპოსო, ფასისის სამიტროპოლიტო, არაქსსაც ფასისი ერქვა – პორფიროგენეტის მიხედვით – ერთი „ფასისი“ ყოფილა ტრაპეზუნტთან, ის იყო ასევე თერმოდონტისა და თემისკირას სიახლოვესაც – თემისტიოსის წერილის თანახმად.

ამჟამადაც კი ტრაბზონის ოლქში,როგორც აღინიშნა, მრავალ პუნქტს „**ფაზარი**“ ეწოდება,მაგალითად-„სალ**პაზარი**“-ქ.ტონიას მარცხნივ, ასევე „ესკი**პაზარი**“

ოფთან ახლოს, სხვაა „დერნეკ**პაზარი**“ ოფის სამხრეთით (ყველა ტრაბზონის გუბერნიაში), თუ არას ვიტყვით თვითონ ქალაქ „ფ**აზარ**ზე“ რიზესთან ახლოს.

ასე რომ ამჟამადაც კი „ფას-ფაზ“ ფუძით ტრაბზონის რეგიონში მრავალი პუნქტის სახელი იწარმოება.

ეს ფაქტი იმის შესახებ მიუთითებს,რომ ეთნიკური ქართველებით დასახლებულ შემდგომ ლაზისტანის რეგიონს ისტორიულადაც ფაზისის რეგიონი ერქვა, აქ მდებარეებდა ფაზისის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები.

მურიე და კალფოგლუ ფაზისისა და აკამფსისის შესახებ

ფრანგი ორიენტალისტი ჟან მურიე თავის ნაშრომში (ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი, 1962) მიუთითებს, რომ მისი ნაშრომი დაიწერა დიუბუა დე მონპერეს („მოგზაურობა კავკასიის გარშემო“), დ. ბაქრაძის („არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“) და გ. წერეთლის („ჩემი მოგზაურობის“) გამოყენებით.

ჟან მურიეს აზრით, **ბიზანტიელი მწერლები ბათუმთან გამდინარე ჭოროხს მოიხსენიებდნენ ბოასის, ფაზისისა და აკამფსისის სახელით**.

ეს სწორი შეხედულებაა, თუმცა კი საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსები მას აკრიტიკებენ და ამბობენ მის შესახებ – „ცხადია, მურიე ვერ გარკვეულა პროკოფი კესარიელის ცნობებში“ (ა. კახიძე, დ. ხახუტაშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისთვის, 1989, გვ. 11).

ჟან მურიე ბათუმს კლარჯეთთან აკავშირებს-

ბათუმი კლარჯეთის ნაწილს შეადგენდა XI-XVსს-ში, შემდეგ გადაიქცა ნაწილად გურიისა (1561წ. როსტომ გურიელმა თურქები ხოფადან და არქაბედან განდევნა), ხოლო XVII ს-დან თურქული ლაზეთისა და ბათუმის ოლქის ნაწილია.

სხვა ავტორის კალფოღლუს ნაშრომი – **Кальфоглу И. И. Древнеишие известия о Батуме в сб. „Известия Кавказского географического общества“, Т.** XVIII. **вып.** 1. 1906 **с.** 40) შეეხება მდ. ჭოროხს, ბათუმსა და მიმდებარე მხარეებს.

მისი აზრით, არიანეს მიერ მოხსენიებული მდინარე აკამფსისი – ჭოროხია. მიაჩნია, რომ თურქების მიერ ტრაპეზუნტის აღებამდე (1461) ბათუმს ეწოდებოდა „ბათისი“, ანუ „ბათი“ (იხ. წიგნში მ. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, მასალები..., 1989, გვ. 14).

ჩვენთვის საინტერესოა, რომ „ბათი“ და „ფოთი“ ეტიმოლოგიურად ახლოა ერთმანეთთან, ბათი – ფათი – ფოთი ან პირიქით ფოთი – ფათი – ბათი. ბათი და ფოთი მსგავსია ეტიმოლოგიურად, ამიტომაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველ ქართულ წყაროში, კერძოდ, გიორგი მთაწმიდელის მიერ ნახსენებ „ფოთში“, სადაც გემით მივიდა ბიზანტიიდან გ. მთაწმიდელი, უნდა იგულისხმებოდეს არა თანამედროვე ფოთი, სადაც, ჩვენი აზრით, იმ დროს ნავსადგური არ იყო ძლიერი დაჭაობების გამო, არამედ თანამედროვე ხუფათი ან ბათუმი, სადაც ნამდვილად იყო ნავსადგურები.

კალფოგლუ ბათუმსა და ლაზიკას ერთმანეთს უკავშირებდა, მისი აზრით**„ბათისის“ მიდამოებში ხდებოდა ირან-ბიზანტიელების შეტაკებები“** (იქვე, გვ. 15). ნავსადგური იყო იმავე რეგიონის პუნქტ ხუფათში. ხუ-ფათი (ხუფათი), ბათი და ფოთი ეტიმოლოგიურად მსგავსნი არიან.

მართლაც, ბაგრატ IV კონსტანტინოპოლიდან სამშობლოში, იმჟამინდელ დედაქალაქ ქუთაისში დაბრუნდა შემდეგი გზით – „გამოგზავნა ბერძენთა მეფემან დიდითა დიდებითა, ნიჭითა და განძითა მიუწვდომელითა და მიეგება ყოველი

ლაშქარი აფხაზეთისა **ზღვისპირსა – ხუფათს** და იყო სიხარული და ღმრთისა მადლობა დიდი, ბრძანა და შემოვიდა სახლად თვისად ქუთათისს“ (ქ.ც. I, 304).

ე.ი სატახტო ქალაქ **ქუთაისში ბაგრატი შევიდა არა ფოთის მოკლე გზით (რადგანაც არ არსებობდა ასეთი გზა და პორტი), არამედ უფრო შორი და გრძელი – ხუფათ-ქუთაისის გზით .**

ასევე,ხუფათ-არტანუჯ-არტაანის გზით ისარგებლა დავით აღმაშენებელმა და თავისი ლაშქარი ხუფათიდან ტაოში ამ გზით გადაიყვანა თურქებთან საბრძოლველად (ქ.ც.I, გვ. 333). გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში ნახსენები „ფოთი“ უნდა იყოს აღნიშნული „ხუფათი“. ეტიმოლოგიურად ფოთი და ხუფათი ერთმანეთთან ახლოა.

ფასისის ანუ ფასიანის ქვეყანა კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით

ქართული ენციკლოპედიის თანახმად, ფოთი იყო ფაზისის სამიტროპოლიტოს ცენტრი (ქსე, 10, 1986, გვ. 351).

თუ ასე იყო, მაშინ ფოთი დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ადმინისტრაციული ერთეულის დედაქალაქი ყოფილა, რადგანაც მიტროპოლიტი წესის შესაბამისად პროვინციის დედაქალაქში იჯდა.

ჩვენი მეცნიერების თვალსაზრისით, ფაზისი (ფოთი) ლაზიკის (გულისხმობდნენ დასავლეთ საქართველოს) ქალაქი იყო, მაგრამ, რადგანაც ის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სამიტროპოლიტოს ცენტრი იყო, მაშასადამე, ფასისი (ფოთი) ლაზიკის დედაქალაქი ყოფილა VI-VII საუკუნეებში.

ესაა ზღვის დონის მომატების საუკუნეებში, რომელმაც გამოიწვია მდ. რიონის ზღვაში შედინების შეყოვნება და მისი დაგუბება, რიონის შესართავის დატბორვა, ამიტომ საეჭვოა, ფოთი არათუ დედაქალაქი, არამედ საერთოდ ქალაქი ყოფილიყო აღნიშნულ VI-VII სს-ში.

გარდა ამისა, ისეთი უპირველესი მნიშვნელობის წყარო, როგორიცაა 952 წელს დაწერილი კონსტანტინე პორფიროგენეტის ისტორია, არ იძლევა საშუალებას ფაზისი ეწოდოს მხოლოდ და მხოლოდ ერთ მდინარეს, ანდა ერთ რომელიმე კონკრეტულ ქალაქს.

კონსტანტინე პორფიროგენეტი X საუკუნეში, ფაზისს უწოდებს მდინარე არაქსს, ხოლო „ფასიანს“ – ამ მდინარის პირა ერთერთ ქვეყანას.

ფასიანი ქართული ბასიანია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ბასიანი მხოლოდ ერთი ნაწილი შეიძლებოდა ყოფილიყო ფასიანის ქვეყნისა, რადგანაც ეს იყო ვრცელი ოლქი, რომელშიც კარინი და თეოდოსიოპოლიც შედიოდა – **„დომესტიკი მოვიდა თეოდოსიუპოლის ციხეში, მოარბია მისი მიდამოები, ფასიანის მიწა-წყალი“** (გეოგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 262) ან „იოანე გაემგზავრა ტიმის (დვინის) ციხის წინააღმდეგ. გზაში მან მოარბია მთელი ფასიანი“ (იქვე, გვ. 263).

„პორფიროგენეტმა მეფე ლეონმა გაიგო, რომ **იმ ადგილს, რომელსაც ფასიანი ეწოდება, სარკინოზები მივიდნენ და იქაური ეკლესიები ციხეებად გადააქციეს, გაგზავნა ლალაკონი, პატრიკიოსი და არმენიაკთა თემის სტრატეგიოსი კოლონიის სტრატეგიოსითურთ, მესოპოტამიის სტრატეგიოსითურთ და ქალდიის სტრატეგიოსითურთ.... მოარბიეს მთელი ფასიანი,**

რომელიც მაშინ სარკინოზებს ეჭირათ“ (იქვე, გვ. 261).

ფასიანის ქვეყნის მდინარეს (არაქსს) კონსტანტინე პორფიროგენეტი უწოდებს მდ. ფასისს და ამასთანავე მრავალჯერ ის წერს – **იბერიისა და ბიზანტიის საზღვრად დაიდო „ერაქსი, ანუ ფასისი“ (იქვე, გვ. 273). „ერაქსი ანუ ფასისი“ კიდევ მრავალჯერ იწოდება მის თხზულებაში.**

დასკვნა

თავში მოყვანილია მტკიცებულებანი იმისა, რომ კლიმატურ-გეოლოგიური ვითარების გამო I ათასწლეულში ცნობილი ქალაქის- ფაზისის ადგილსამყოფელი ფოთთან არ უნდა ყოფილიყო (შესაძლოა ერთერთი ქ. ფაზისი მდებარეობდა ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე ზღვისპირას).

რაც შეეხება ტრაპეზუნტელი იერარქის მიერ VIII ს.-ში ნახსენებ ქალაქ „ფასიდს“ და (არა ფაზისს), ის ტრაპეზუნტის დასავლეთით (ისტორიულ სამხრეთ ეგრისში ანუ ლაზიკაში) მდებარეობდა და ოფიციალურად ერქვა პოლემონიონი (ფადსსა). ამავე ქალაქს ახსენებს ღევონდი (და არა ფოთს).

სახელი „ფაზისი“ ერქვა არა მარტო რამდენიმე სხვადასხვა ქალაქს, არამედ მდინარესაც, მათ შორის არაქსს, ჭოროხს, რიონს, ყუბანს და სხვ. ამ მდინარეთა შორის ყოფილა კელკიტიც, რომლის ზღვასთან შესართავის მონაკვეთს ასევე ფაზისს უწოდებდნენ. ქსენოფონტე აქ ახსენებს ფასიანების ტომს (მდ. თერმოდონტთან ახლოს). ფასიანები ასევე არაქსის ხეობაში ცხოვრობდნენ.

თავი XX
აფხაზეთი

I. კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები აფხაზთა მეფეებს

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არასოდეს განუცხადებია პრეტენზია დასავლეთ საქართველოში თავისი ძველი იურისდიქციის შესახებ.

საქართველოს ეკლესიის მიმართ კონსტანტინეპოლს მსგავსი პრეტენზია რომ ჰქონოდა გამოთქვამდა როგორც წარსულში, ისე მეოცე საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პროცესის დროს.

ცნობილი ბერძენი კანანისტი სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმე თავის წიგნში „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“ (ათენი, 1966) კონსტანტინეპოლის არავითარ პრეტენზიას არ გამოთქვამს საქართველოს ეკლესიის მიმართ.

ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო ადრე გამოთქვა ცნობილმა კვლევარმა მიხეილ თარხნიშვილმა. ის წერს- **„ბიზანტიას არც პატრიარქობის დროს არც სხვა რომელიმე ხანაში არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია საქართველოს ეკლესიის შესახებ“ (მიქელ თარხნიშვილი, წერილები 1994, გვ. 463).**

აღნიშნული მოსაზრების თვალსაჩინო მაგალითია კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები აფხაზთა მეფეების მიმართ (იქვე, გვ. 436-438).

ბიზანტიის გამოჩენილმა იერარქმა ნიკოლოზ მისტიკოსმა, რომელიც წმ. ფოტის მოწაფე იყო, მრავალი პრინციპული მნიშვნელობის წერილი მიწერა თავისი ეპოქის მნიშვნელოვან სახელმწიფო და საეკლესიო პირებს. მათ შორის ის წერდა

აფხაზთა მეფეებსაც. მ. თარხნიშვილის გამოკვლევით მას 902 წელს წერილი მიუწერია აფხაზთა მეფე **ბაგრატისათვის,** 906-907 წელს **კონსტანტინესათვის,** 924-925 წლებში მეფე **გიორგისათვის.**

საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსთაკვლევით ნიკოლოზ მისტიკოსის ეპოქა, მეცხე-მეათე საუკუნეები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „დასავლეთ საქართველოს ეკლესიისათვის“, რადგანაც იქედან თითქოსდა ამ ეპოქაში განდევნილი იქნა ბერძნული საღვთისმსახურო ენა, განდევნილი იქნენ ბერძენი სასულიერო პირები, გაუქმდა ბერძნული ეპარქიები და საეპისკოპოსო კათედრები. მათი ადგილი კი თითქოსდა დაიჭირა ქართულმა.

როგორც ცნობილია, ზემოთ აღნიშნული აფხაზთა მეფე გიორგის მიერ დასავლეთ საქართველოს ცენტრში დაარსებული იქნა **ჭყონდიდის საეპისკოპოსო** კათედრა. ცხადია თუ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა, მის ცენტრში ჭყონდიდის ქართული საეპისკოპოსო კათედრისა და ეპარქიის დაარსება შეზღუდავდა კიდეც იქ ბერძნულ ეკლესიას ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კანონიერ უფლება-მოსილებას, ეს კი უნდა ასახულიყო და აისახებოდა კიდეც მეფე გიორგიადმი მიწერილ კონსტანტინოლოლის პატრიარქის მიერ მიწერილ წერილებში, ეპოქის სხვა დოკუმენტებში.

ამ კუთხით სურათის შესასწავლად კარგი საშუალებაა სწორედ ამ ეპოქის კონსტანტინოპოლელი პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები.

აფხაზთა სამეფო, როგორც ცნობილია მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს.

902 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა) მეფე ბაგრატს უწოდებს „ღვთის მოყვარესა და ზნე ტკბილ“ ადამიანს, რომელიც სიყვარულს ბადებს ნიკოლოზ მისტიკოსის გულში. უფრო მეტიც პატრიარქი მეფეს უწოდებს „ღვთის კაცს“, საკუთარ შვილს, მამობრივი ამბორით ესალმება მას. პატრიარქი მეფეს უწონებს „ღვთივ აღტყინებულ მისწრაფებას“ ალანთა ერის სახსნელად. ერთი სიტყვით პატრიარქი ძალზე აქებს და ყოველმხრივ ემადლიერება აფხაზთა მეფეს.

წერილიდან სრულებით არ ჩანს რაიმე კვალი იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში იზღუდებოდა ბერძნული საეკლესიო იურისდიქცია, არ ჩანს რაიმე კვალი იმისა, რომ ამ სამეფოში გააუქმეს ბერძნული საეპისკოპოსო კათედრები და რომ მისი ბერძენი მღვდელმთავრები იდევნებოდნენ.

თუ კი პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის დროს შეიცვალა ისეთი ცნობილი ბერძნული საეკლესიო კათედრების სტატუსი ,როგორებიც იყვნენ ფასისის, როდოპოლისის, ზიგანას, საისინისა და პეტრას კათედრები, იმდენად,რომ ისინი ჩამოაცალეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და შეიყვანეს ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ცხადია ეს ადგილობრივი მთავრობის ნებართვით მოხდებოდა.

ადგილობრივ მეფეებს კი იმ დროისას- ბაგრატს, კონსტანტინესა და გიორგის თბილ წერილებს წერდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი.

შეუძლებელია ამ დიდმნიშვნელოვანი ეპარქიების დაკარგვით კონსტანტინოპოლი აღშფოთებული რომ არ ყოფილიყო, მით უმეტეს დასავლეთ საქართველოს მთავრობის მიმართ.

როგორც ითქვა,აღნიშნულ თბილ წერილიბში საერთოდ არ იხსენიება

„გაუქმებული“ დიდმნიშვნელოვანი კათედრები და იქ მხოლოდ ახალქრისტიან ალანებზეა საუბარი.

ცხადია თუკი კონსტანტინოპოლის პატრიარქი დიდ მზრუნველობას იჩენდა აფხაზეთში სტუმრად მყოფი ალანიის ეპისკოპოსის მიმართ და თხოვდა აფხაზთა მეფეებს ყოველმხრივ, ყოველი საშუალებით დახმარებოდა ალანიის ეპისკოპოსს, მითუმეტეს გაცილებით უფრო დაეხმარებოდა ბერძენ სასულიერო პირებს თუ ისინი დასავლეთ საქართველოში **უკათედრებოდ დარჩნენ და იდევნებოდნენ**.

აღნიშნული წერილების განხილვა უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ აზრი რომ **IX-X საუკუნეებში აფხაზთა სამეფოში მსგავს დევნას ადგილი არ ჰქონია.**

ნიკოლოზ მისტიკოსის ყველა წერილი აფხაზთა მეფეების მიმართ გულითადი და გულთბილია.

კერძოთ 906-907 წლებში პატრიარქი აფხაზთა ახალ მეფეს კონსტანტინესაც წერს წერილს. მას უწოდებს „ბრწყინვალე საყვარელ შვილს“, ხოლო მის გარდაცვლილ მამას ბაგრატს კი უწოდებს **ნეტარს,** რომლის გარდაცვალება კონსტანტინოპოლმა ჯეროვნად იგლოვა.

პატრიარქი ღმერთს ჰმადლობს იმის გამო, რომ გარდაცვლილის ნაცვლად ტახტზე ავიდა მამის სათნოების მქონე ახალი ხელმწიფე, გონიერი და ბრძენი. ახალ მეფესაც პატრიარქი სთხოვს დაეხმაროს ალანიის ეპისკოპოსს და გააუმჯობესოს მისი საცხოვრებელი პირობები.

თითქმის 20 წლის შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქი წერილს წერს მეფე გიორგის. უწოდებს მას კეთილშობილს, რომელიც ღმერთმა დაადგინა, და შემკობილია სულიერი შარავანდედით. პატრიარქი გამოთქვამს დიდ სიხარულს, რომ მეფე ბრწყინვალე მაგალითს იძლევა თავისი კეთილშობილი ქცევებით.

წერილიდან ჩანს, რომ მეფეს და პატრიარქს იქამდეც ჰქონიათ წერილობითი ურთიერთობა. მეფეს დაინტერესება გამოუთქვამს გაეგო ბულგარეთის ამბები. პატრიარქი პასუხობს მას და თხოვს როგორც შეშვენის მის მეფურ დიდებასა და ბრწყინვალებას ძველებურად დაიცვას პატრიარქთან გულწრფელი მეგობრობა. პატრიარქი ამ წერილში მეფეს მეგობარს უწოდებს სამჯერ.

მ. თარხნიშვილის მიერ თარგმნილი ამ წერილებიდან კარგად ჩანს, რომ **902-925 წლებში დასავლეთ საქართველოში ადგილი არ ჰქონია ბერძნული ეკლესიის დევნას და არც წინა ეპოქაში წინა მეფეების დროს**.

მაშასადამე მეცხრე-მეათე საუკუნეებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ გამოთქვამდა პრეტენზიას ქართული ეკლესიის მიმართ.

ისმის კითხვა მეცხრე-მეათე საუკუნეებში ქართული ეკლესია თუკი შეიჭრა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში,ამ ეპოქის კონსტანტინოპოლელი პატრიარქები (მაგალითად ნიკოლოზ მისტიკოსი) რატომ არ გამოთქვამდნენ პრეტენზიებს ქართული ეკლესიის მიმართ?

პასუხი ასეთია: სინამდვილეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიები ლაზიკაში განლაგებულნი იყვნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის ახლო მთიანეთში, რომელსაც წყაროებში „სოფელი მეგრელთა“ ერქვა. აქ იყვნენ განლაგებულნი ფაზისის სამიტროპოლიტოს პეტრას, ზიგანას, როდოპოლისისა და საისინის ეპარქიები.

აქედან გამომდინარე დასავლეთ საქართველო არ შედიოდა კონსტანტი-

ნოპოლის იურისდიქციაში.

ბუნებრივია არარსებული ბერძენლი საეპისკოპოსოების გაუქმება შეუძლებელი იყო, და ამიტომაც **კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არასდროს გააჩნდა პრეტენზიები საქართველოს ეკლესიის მიმართ.** H 838

აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ყოველთვის ზოგად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, ქართული ეკლესიის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს პატრიარქის საერთო მეთაურობით.ამ ორ პირველიერარქს შორის ერთს უხუცესი,ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა.

ერთიან ქართულ ეკლესიაში წოდება „კათალიკოსი“ შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების „მიტროპოლიტის“ წოდებას.

როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავისი ეპისკოპოსები,ასევე ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო ორივე ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები(სამიტროპოლიტო ოლქები) იყვნენ.

როგოც ითქვა, მათი ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი ადგილობრივი საეკლესიო კრებები.

ეს საკათალიკოსოები აღიარებდნენ ასევე უპირატესი პირველიერარქის ავტორიტეტს. მას „უხუცეს პატრიარქს“ უწოდებდნენ. მისი მოვალეობა იყო უზუნველეყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში(ე.ი.ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა, საჭიროების შემთხვევაში ახალი საერთო კანონების შემუშავება(მაგ.XVI ს.-ის „სამართალი კათალიკოსთა“).

აღსანიშნავია, რომ საეკლესიო კრების მიერ აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა სამოქალაქო სამართლის სფეროშიც.

ზოგიერთ საელესიო-საკანონმდებლო კრებას მიღებული აქვთ კანონები, რომელნიც უფრო საერო-სამოქალაქო სამართლის სფეროს განეკუთვნებიან, ასეთებია მაგალითად სასჯელთა ჩამონათვალი ქურდობისათვის, ყაჩაღობისათვის და სხვა მსგავსი. როგორც აღინიშნა ამ კანონებს სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა.

„უხუცეს“ პირველიერარქად ანუ „საქართველოს პატრიარქად“,როგორც წესი ,ირჩევდნენ მცხეთელ კათალიკოსს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში **ბიჭვინთელ ანუ აფხაზთა კათლიკოსს გადაეცემოდა ეს ტიტული („საქართველოს პარტიარქი“).**

მაგალითად შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ (XVII საუკუნესა და XVIII ს.I

ნახევარში) აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებმა დაკარგეს სუვერენიტეტი (მუსულმანური მმართველობის ქვეშ მოექცნენ), ხოლო დასავლეთ საქართველო ძველებურად მართლმადიდებელ მეფე -მთავართა მიერ იმართებოდა.

ამ ფაქტმა გაზარდა დასავლეთ საქართველოს მმართველთა(მეფეთა და კათალიკოსთა) ავტორიტეტი,რაც მათ ტიტულატურაშიც აისახა, მაგალითად აფხაზეთის კათალოკოსთა ტიტულატურაში გამოჩნდა ტიტული „საქართველოს პატრიარქი“, უცხოური წყაროების დანახმად ამ ეპოქაში აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს(იბერიის) უხუცეს(უპირატეს) პირველიარარქად ითვლებოდა, მაგალითად ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი(XVII ს.) ამის შესახებ წერდა-

„იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო Iბერია, რომელსაც ძველად კოლხეთსა და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში... ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი... ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივითუფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე... იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი, იმერეთის თავი, მათთან იწოდება მეფეთა-მეფედ“(სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალა „თეოლოგია“,ათენი,1966 წ.გვ.48, თარგმანი ბერძნულიდან რუსულად,1981).

XVIII საუკუნის II ნახევარში აღსდგა აღმოსავლეთ საქართველოში სახელწიფოებრივი სუვერენიტეტი და სამეფო ტახტი კვლავ მართლმადიდებელმა ხელმწიფეებმა დაიჭირეს, ამ ფაქტა ძველი ავტორიტეტი დაუბრუნა მცხეთელ კათალიკოსს,და ის ძველებურად „უხუცეს“ პირველ-პატრიარქად იქცა ქართულ საეკლესიო სამყაროში,რაც ცხადია საეკლესიო სამართლის სფეროშიც აისახა,მაგალითად აფხაზ კათალიკოსთა ტახტზე მჯდომი წმ.დოსითეოს ქუთათელის დროს ანტონ კათალიკოსის დიკასტერიის(საეკლესიო სასამართლო) სამართალის სფეროში შედიოდა აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც(მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე,საქართველოს საეკლესიო კრებები,ტ.).

XIX ს.-ში მთელი ეს სისტემა მოიშალა, რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის სახელმწიფომ დაუბრუნა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია, რომელიც იქამდე 1917 წლის 25 მარტის აქტის საფუძველზე აღდგენილად გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის მღდელმთავრებმა და მრევლმა.

რუსეთის იმჟამინდელმა მთავრობამ ცნო საქართველოს ეკლესიის შინაგანი სტრუქტურა, კერძოდ ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ საეკლესიო კრებამ ეკლესიის პირველიერარქს მიანიჭა სრულიად საქართველის კათალიკოს პარტიარქის ტიტული, მაშასადამე ის აერთიანებდა უკვე საუკუნის მანძილზე არ არსებული(გაუქმებული) ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრებს. მას უკვე უშუალოდ ექვემდებარებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები. ამის შემდეგ ტიტული მიტროპოლიტი აღნიშავდა მხოლოდ პატივს ეპისკოპოსისა და

არა იერარქიულ თანამმდებობას. ეს ტიტული მხოლოდ საეპისკოპოსო ჯილდოს წარმოადგენს.

შესაბამისად ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის თანამდებობრივი ტიტული არის ეპისკოპოსი და მას ღვაწლისათის შესაძლოა ჯილდოს სახით ებოძოს მთავარეპისკოპოსის ანდა მიტროპოლიტის წოდება.

საქართველოს პატრიარქს მიენიჭა უფლება მუდმივად ან დროებით მართავდეს რომელიმე ეპარქიასაც. 1917-18 წლების კრებებმა მას სამართავად გადასცა მცხეთა-თბილისის ეპარქია, 2010 წლის კრებამ(წმ.სინოდმა) ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია,სხვადასხვა წლებში საქართველოს პატრიარქები სხვა ეპარქიებსაც მართავდნენ,მაგ.მანგლისისა,ქუთაისისა და სხვა.

აფხაზეთის საკათალიკოსო, ვითარცა ქართული ეკლესიის ერთერთი ადმინისტრაციული ერთეული (ბერძნული სამიტროპოლიტოს ფარდი) დააარსა საქართველოს საეკლესიო მმართველობამ, რაც ხელმწიფის კარის მიერაც იქნა დადასტურებული („ამან ბაგრატ განაჩინა კათალიკოზი აფხაზეთს“ - გვამცნობს ქართლის ცხოვრება), დასავლეთ საქართველო იმთავითვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა (IV ს-დანვე), აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბებამ წარმოქმნა საფუძველი ქართული ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებისა. ამიტომაც არაა სწორი ნ. ლომოური, რომელიც აცხადებს რომ VIII ს-ში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გამოეყო დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეკლესიაც (ლომოური 2009, გვ. 40-46).

ივანე მინჩხი – „ქართველი“

ძველ ქართველ მოღვაწეებს სახელებს უწოდებდნენ არა რეგიონული წარმომავლობის, არამედ ზოგად-ეროვნული იდენტობის შესაბამისად.

მაგალითად წმიდა ილარიონს, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო კახეთიდან, რაც მის ბიოგრაფიაშიცაა ასახული, უწოდებდნენ „ქართველს“.

არგვეთის ერისთავებსაც წმ. დავითსა და კონსტანტინეს „ქართველნი“ ერქვათ, თუ არას ვიტყვით ტაოელი იოანე მთაწმიდელისა თუ ჯავახელი გიორგი მთაწმიდელის შესახებ, რომელთაც წყაროებში ასევე „ქართველნი“ ერქვათ. გამონაკლისი არაა აფხაზთა სამეფოს მოღვაწენიც, კერძოდ, მაგალითად ჭყონდიდის სანახებში მცხოვრებ პოეტსა და კომპოზიტორს ივანე მინჩხს „ქართველი“ ერქვა მთელი ქართული სამყაროს მოღვაწეთა მსგავსად *[თუმცა, არის ერთი გამონაკლისი აბო თბილელის მიმართ, რომელსაც საგალობლების დასათაურებებში „ქართველს“ უწოდებდნენ. ჩვენ გამოკვლეული გვაქვს, რომ აბო თბილელის „ქართველის“ წოდება გამოხატავდა იმას, რომ აბო თბილელი იყო ქართული ეკლესიის წმიდანი და არა სომხურისა, ამ განმარტების დართვა საჭირო გახდა, ჩანს, იმის გამო, რომ აბოს ეპოქაში თბილისის ამირებმა უფრო მეტი ყურადღება მიაპყრეს სომხურ ეკლესიას იმდენად, რომ თბილისის მხარე ქვემო ქართლი (სამშვილდეტაშირ-ძორაგერტი) სომხური ეკლესიის წევრ კვირიკიანთა სამეფო ოჯახს გადასცეს, თვით ბილისში(საამიროს ცენტრში) მართლმადიდებლურ(ბიზანტიური) აღმსარებლობის დევნის გამო მონოფიზიტური მრევლი გაიზარდა.*

ამის გამო, ზოგადად თბილისელთა სარწმუნოებრივიმართლმადიდებლური ორიენტაცია საეჭვო გახდა, ამიტომ დაჭირდა განმარტებითი წარწერა „ქართველი“ აბო თბილელის საგალობელს, რაც განმარტავდა, რომ ის იყო წმიდანი ქართული

*ეკლესიისა და არა სომხურისა. სხვა ვითარება იყო, მაგალითად, მთაწმიდაზე, სადაც ქართველი ბერები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ისინი არა მხოლოდ ეკლესიურად, არამედ „**ნათესავითაც**“ ქართველები იყვნენ].*

ივანე მინჩხს, ისევე, როგორც ქართული სამყაროს სხვა მოღვაწეებს, „ქართველს“უწოდებდნენ. ის იყო ქართული ლექსის დიდოსტატი, იმდენად სახელოვანი პოეტი და მუსიკოსი, რომ მისი საგალობლები X ს-ში მთელ ქართულ სამყაროში გავრცელდა. ის არა მარტო წერდა ტექსტებს (თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ), არამედ მათ ურთავდა მუსიკალურ კომპოზიციებს. უფრო მეტიც. მას შემოუღია ქართული გალობის ახალი ფორმა, ე.წ. „სპადუქნი“ და „მორთულნი“. „სახელდობრ, ეს გალობანი მოიცავს არა ცხრა სალექსო საზომის მონაცვლეობას ცხრა მუსიკალურ კომპოზიციასთან ერთად, არამედ აქ ხუთი სალექსო საზომი შეწყობილია ცხრა მუსიკალურ კომპოზიციასთან“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 672).

მის საგალობელთა შესახებ აღნიშნულია: „თქმულნი ნეტარისა მინჩხისა ქართველისანი“ (იქვე, გვ. 671).

ივანე მინჩხი წარმოშობით ჭყონდიდის სანახებიდან – ინჩხიდან (ინჩხური) ყოფილა. ამიტომაც მას „მინჩხს“ ეძახდნენ.

მისი წარმოშობის ადგილი განუდიდებია აფხაზთა მეფე გიორგი II-ს, რომელსაც ძლიერ უყვარდა და პატივს სცემდა ივანე მინჩხს, იმითაც, რომ ჭყონდიდში საეპისკოპოსო კათედრა განუწესებია.

ივანე მინჩხი X საუკუნის 70-იან წლებში გარდაცვლილა (იქვე, გვ. 670). ის იყო რუსთაველის ერთ-ერთი წინამორბედი.

კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ I-ის (გარდ. 925წ.) ადრესატი მეფე გიორგი II – „დიდი და კარგი“

წმიდა პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი, როგორც ცნობილია, წერილებს წერდა აფხაზთა მეფე გიორგი II-ს, საბჭოთა ეპოქის მკვლევარების სიტყვით, სწორედ მის ეპოქაში (X-ის დასაწყისში) თითქოსდა ქართულმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლს ჩამოართვა კათედრები აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) და მათზე თავისი უფლება განახორციელა. მიიჩნევა, რომ ცნობილი საეპისკოპოსოების (ფაზისისი, როდოპოლისის, საისინის, პეტრას, ზიგანას) დაკარგვით კონსტანტინოპოლმა დაკარგა თავისი იურისდიქცია მთელ დასავლეთ საქართველოზე (აფხაზეთზე). აისახა თუ არა ასეთი უმწვავესი მომენტი ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებში აფხაზთა მეფის მიმართ? არავითარი ოდნავ მინიშნებას, ან ნაკვალევს წერილები ამისას არ შეიცავს. პირიქით, არსებობს საბუთი, საიდანაც კარგად ჩანს, რომ არავითარი ტერიტორიული პრეტენზია არ არსებობდა კონსტანტინოპოლისა და (დას.საქართველოს) აფხაზეთის მეფეთა შორის, აღსანიშნავია, რომ სომეხთა პატრიარქისადმი წერილში იგივე ნიკოლოზ მისტიკოსი წერს ასეთ რაიმეს: „კავკასიის და აფხაზეთის მიწები შენს „იურისდიქციაში იგულე“. მას სადავო საკითხები რომ ჰქონოდა დასავლეთ საქართველოს მიმართ, სომეხ პატრიარქს მიწერდა კიდეც ამის შესახებ და იტყოდა, რომ მიწები აფხაზეთში შედიოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში. ამასვე მიწერდა აფხაზთა მეფეს გიორგი II-ს.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ჭყონდიდში X საუკუნეში შექმნილ საგა-

ლობელს აქვს ზედწერილი „ეს გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერვებიან მინჩხისადა“.ესაა ის აფხაზთა მეფე გიორგი II (922-957), რომელსაც წერილებს წერდა პატრიარქი კონსტანტინოპოლისა, იგი იყო ქართული ენისა და კულტურის უდიდესი მოყვარული, იმდენად, რომ ის ევედრებოდა, „დიდი ვედრებით“ მიმართავდა თავისი სამეფოს პოეტსა და კომპოზიტორს ივანე მინჩხს,რომ მას დაეწერა ახალი ქართული საგალობლები.

მეორე მხრივ, ნიკოლოზ მისტიკოსიც ევედრებოდა, როგორც წერილებიდან კარგად ჩანს, აფხაზთა მეფეს გიორგი II-ს თავისი მფარველობა არ მოეკლო ალანიის ეპარქიისადმი. მიუხედავად ხვეწნა-მუდარისა და შესაბამისი მიმართვისა, ჩანს, გიორგი მეფეს იმდენად დიდი ყურადღება არ მიუპყრია უცხო პატრიარქის სათხოვრისადმი. სამაგიეროდ, მისი ყურადღება მშობლიურისადმია მიპყრობილი. მისი „ვედრების“ შედეგად ივანე მინჩხს, ვითარცა კომპოზიტორს და პოეტს, შემოუდია დამოუკიდებელი სალექსო საზომები ე.წ. „სპადუქნი“ და „მორთულნი“, ცხადია, თავისი შესაბამისი მუსიკით (მუსიკალური კომპოზიციით), რომელსაც აღტაცებით შეხვედრია მთელი ქართული სამყარო X საუკუნეში, რის გამოც აფხაზეთის გარეთაც ის ძლიერ გავრცელებულა (პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 672).

სინურ ხელნაწერში დაცულ საგალობელს ივანე მინჩხის მიერ დართული აქვს შემდეგი კიდურწერილი: „წმიდაო გიორგი, შეეწიე გიორგი მეფესა წინაშე მეუფეთა მეუფისა და ადიდე“ (იქვე, გვ. 670).

აბაზგიის ავტოკეფალია – ს. ყაუხჩიშვილის შეცდომა

ს. ყაუხჩიშვილის („გეორგიკა“, IV, ნაწილი2) ნოტიციების ცხრილებში კონსტანტინოპოლის ავტოკეფალურ არქიეპისკოპოსთა შორის რამდენჯერმე გვხვდება „აბაზგიის“ ეპარქია, კერძოდ, ნოტიცია I-ში, ნოტიცია VI-ში, ნოტოცია VII-ში და ნოტიცია VIII-ში, მაგრამ აქ ყველაზე საინტერესო ის მომენტია, რომ თვით **ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით, ზოგიერთი ნოტიციის ბერძნულ დედანში, სინამდვილეში წერია არა „აბაზგია“, არამედ „ამასია“, ხოლო ს. ყაუხჩიშვილმა ჩათვალა, რომ დედანში დაშვებულია შეცდომა და „ამასიის“ ნაცვლად ყველგან ჩაწერა „აბაზგია“. თანაც „ამასიის“ ნაცვლად თავის მიერვე დაბეჭდილ ბერძნულ ტექსტებში შეცვალა სიტყვა „ამასია“ სიტყვა „აბაზგიით“ და ასევე დაბეჭდა.**

ს.ყაუხჩიშვილის ამ თამამმა ქმედებამ, როცა მან ბერძნულ ტექსტში რამდენიმე ადგილზე შეცვალა სიტყვა „ამასია“ სიტყვა „აბაზგიით“ და ასეთი შეცვლილი სახით დაბეჭდა (გამოსცა), ამან() მკვლევართა თაობებს შეუქმნა შთაბეჭდილება თითქოსდა ბერძნულ დედანში დაწერილია „აბაზგიის ავტოკეფალია“, სინამდვილეში კი წერია „ამასიის ავტოკეფალია“.

„ამასია“ იყო ტრაპეზუნტთან ახლოს ცნობილი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი და ამ ქალაქის ეპისკოპოსს დიდი გავლენა ჰქონდა. თვით ს. **ყაუხჩიშვილის ცნობით, ნოტიცია VI-ს დედანში „ავტოკეფალურ არქიეპისკოპოსთა“ ნუსხაში წერია – „35. ეპარქია ამასიისა – სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი“ (გეორგიკა IV, ნაწილი 2, 1952, გვ. 139).**

ს. ყაუხჩიშვილმა დედნის ამ ჩანაწერს დაურთო შენიშვნა – „აშკარა შეცდომაა, უნდა იყოს „აბაზგიას“ (გეორგიკა, IV, 2, გვ. 139, შენიშვნა 2).

ამის შემდგომ წიგნზე თანდართულ ოფიციალურ განზოგადებულ ნო-

ტიციათა ცხრილში ს. ყაუხჩიშვილმა „ამასიის“ ადგილას ჩაწერა „აბაზგია“ (იხ. გვ. 192-თან ჩართული სქემა). სინამდვილეში კი ქალაქი სებასტოპოლი სწორედ ქალაქ ამასიას რეგიონში მდებარეობდა, თუმცა სებასტოპოლი შესაძლოა ცხუმსაც ერქვა(ს. ყაუხჩიშვილმა ჩანს ამ სახელის „სებასტოპოლის გამო“ მიიჩნია ამასია აბაზგიად).

ნოტიცია VIII-ში ასევე „ავტოკეფალურ არქიეპისკოპოსთა ნუსხაში წერია – „ეპარქია ამასიისა – სებასტიუპოლის არქიეპისკოპოსი“ (გეორგიკა, IV, 2, გვ. 141). აქაც დედანს ს. ყაუხჩიშვილმა დაურთო შენიშვნა – „უნდა იყოს „აბასგიისა“ (იქვე, გვ. 141) და შემდგომ ყველგან ნოტიცია VIII-ში დედნის „ამასია“ ს. ყაუხჩიშვილის მიერ შეცვლილი იქნა „აბასგიით“ და მკითხველისთვის მიწოდებული იქნა ბერძნული შრიფტით. მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება,რომ ამ თითქოსდა დედანში სინამდვილეში წერია „აბასგია“. რაც ასე არ არის.

ასე რომ, „აბასგია“ ავტოკეფალურ საეპისკოპოსოთა რიცხვში სინამდვილეში არ ყოფილა მოხსენიებული ნოტიცია VI-სა და ნოტიცია VII-ში, მაშასადამე, დარჩა ნოტიცია I და ნოტიცია VIII. ამ ნოტიციებში ნამდვილად არის მოხსენიებული სახელი „აბასგია“? მე პირადად ძალზე ვეჭვობ, თუმცა ეს საინტერესო საკვლევი საკითხია. მიზეზი ისაა,რომ იმ ტერიტორიას სადაც ქართული წყაროებით მდებარეობდა „აფხაზეთის საერისთავო“, (ე.ი. ტერიტორია მდ კლისურას იქით) ბერძნულ წყაროებში ეწოდება „ალანია“. ამიტომაც თუ ამ ტერიტორიაზე საარქიეპისკოპოსო მდებარეობდა ბერძნულ წყაროებში მისი სახელი იქნებოდა „ალანიის საარქიეპისკოპოსო“ და არა აბაზგიისა.

აფხაზეთის საეკლესიო მიწები

აფხაზეთი ისტორიულად ერქვა ტერიტორიას მდ. კლისურას მარჯვენა სანაპიროს იქით ნიკოფსიის მიმართულებით.

კლისურას მარცხენა სანაპიროს აქეთ მცხეთისაკენ შავი ზღვისპირეთი და მთელი დასავლეთი საქართველო იბერიად, ანუ ქართლად განიხილებოდა შესაბამისი მცხეთური საეკლესიო იურისდიქციით.

მეფე მირის გარდაცვალების შემდეგ მისი ანდერძის თანახმად დასავლეთ საქართველო, ვითარცა საუხუცესო ტერიტორია, ერგო მეფის ძმას არჩილ II-ს, ამასთანავე განსაკუთრებული უფლებები აფხაზეთში მოიპოვა აფხაზთა ერისთავმა ლეონ I-მა, რომელიც პოლიტიკურად გათავისუფლდა ბერძნებისაგან. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა ქცეულიყო „ქართლის ერისთავად“ ანუ მიეღო „ქართლის ერითავის“ ტიტული. რისთისაც თავისი სამართავი ტერიტორია შეიყვანა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში იმ პირობით,რომ შერთავდნენ მეფის ქალიშვილ გურანდუხტს. პირობის აღსრულების შემდეგ ლეონ I აღმოჩნდა იმ „სიძეთა“ სიაში, რომლებსაც შეეძლოთ ლეგიტიმური უფლება განეცხადებინათ ქართლის (იბერიის) სამეფო ტახტზე. ამ უფლების დამადასტურებელი ერთ-ერთი ნიშანი, კერძოდ, „სამეფო გვირგვინი“ მიიღო კიდეც სამეფო ოჯახიდან. მალევე, დასავლეთ საქართველო, ვითარცა საუფლისწულო ტერიტორია, გადაეცა გურანდუხტს, ლეონ I-ის მეუღლეს. მათ ოჯახს ამის შემდეგ უკვე ეკუთვნოდა მიწა-წყალი მდ. კლისურადან ლიხის ქედამდე, რომელსაც ლეგიტიმური სამეფო დინასტია მართავდა. სამეფო ლეგიტიმაცია აფხაზ მეფეთა ოჯახში გურანდუხტმა მიიტანა. გურანდუხტის ვაჟმა ლეონ მეორემ აფხაზთა მეფის ტიტული მიიღო,მაგრამ მას სრული უფლება ჰქონდა

საქართველოს (ქართლის) სამეფო ტახტზეც დედის მხრიდან.აფხატთა მეფეები ხოსროიან-გორგასლიანი მეფეების პოლიტიკური მემკვიდრეები გახდნენ. მათი სამეფო ამავე დროს „საქართველო“ იყო.

მდ. კლისურა უკვე აღარ იყო საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის. საზღვარმა გადაიწია უფრო ჩრდილოეთით. აფხაზეთის გაფართოების შემდეგ ბიჭვინთა იქცა საეკლესიო ცენტრად მთელი დასავლეთ საქართველოსი. აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია განივრცო აფხაზეთის სამეფოზე.

როგორც ითქვა, ამ გაერთიანებამდე აფხაზთა საერისთავო მოიცავდა ტერიტორიას მდ. კლისურამდე, ხოლო შემდეგ მისი საზღვარი გადმოიწია ლიხის ქედამდე. აფხაზეთის ეკლესიამ მცხეთიდან მიიღო მიწები კლისურადან ვიდრე ლიხამდე. პ. ინგოროყვას თანახმად, მან მიიღო მხოლოდ არგვეთის მიწები, **ჩემი აზრით კი მიწა-წყალი მდ. კლისურიდან ლიხამდე, სადაც იქამდე ხორციელდებოდა არა ბერძნების იურისდიქცია, არამედ მცხეთისა, წირვა-ლოცვის ქართული ენით.**

თავი XXI
აბაზგია

აბაშა-ხუბუშქია

ქართული ტომების ვანის ტბასთან ცხოვრების შესახებ მ. ქურდიანი წერს - **ვანის ტბის სამხრეთით მდებარე ხუბუშქიას ქვეყანა საერთო-ქართველური ფუძე ენის მქონე ეთნოსმა დაარსა (მ. ქურდიანი, ხუბუშქია, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, 2001, გვ. 130).**

ის წერს, რომ თანამედროვე საქართველოს ფარგლებს გარეთ, სამხრეთში ქართველური ონომასტიკის სისტემატურმა ფიგურირებამ ადრევე ჩაუყარა საფუძველი ჰიპოთეზას, რომ ქართველურ ტომთა პირველსაცხოვრისი საერთოდ სამხრეთში მდებარეობდა (იქვე, გვ. 132).

თუმცა კი თვით მ. ქურდიანის თეორიით ქართველთა წინარე სამშობლო არის განსახლების თანამედროვე ტერიტორია,საიდანაც ხდებოდა ქართველური ტომების (კარდუხების, მესხებისა და სხვ.) სამხრეთით ექსპანსია, ჩრდილოეთიდან სამხრეთში წაწეული ეს ტომები აარსებდნენ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს თავიანთი ძალაუფლებითა და ტოპონიმიკით (იქვე, გვ. 135). მისი თვალსაზრისით საქართველოს შავიზღვისპირეთში ოდესღაც ცხოვრობდა საერთო-ქართველური ტომი რომლის სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს ეთნონიმთან „აბაში“. „ეს ფუძე - როგორც ჰიდრონიმი და ტოპონიმი - ფაქტია საქართველოში. მაგრამ წარმოადგენდა თუ არა ის ეთნონიმს? **ა) აბაშ-ი უნდა ედოს საფუძვლად ეთნონიმს აბშილ-ი//აფშილ-ი. იგი მიღებული ჩანს აბაშ-ფუძეზე ილ სუფიქსის დართვით - „აბშილ“; ბ) არ არის გამორიცხული რომ აბაშილ-აბშილ მთლიანი ფუძეც ყოფილიყო. აბშილიდან არის მიღებული აფშილ-ი. ამდენად, სრული უეჭველობით შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ არსებობდა ქართველური ტომი, რომლის სახელიც ქართულად იყო აბაშ-ი (ან აბაშილი). ამ ეთნონიმის სვანური ფორმა - აბასგ, აბაზგ, აბაშქ (არ არის გამორიცხული ზოგიერთი სვანურ დიალექტში - აბასქ-აბასგ-აბასკ) სწორედ**

სვანურიდან უნდა იყოს ნასესხები. ბერძნულში აბაშების ტომის აღმნიშვნელი ტერმინები - აბასკ-ები, აბაზგ-ები... ბერძნები ხშირად მოიხსენიებდნენ ერთსა და იმავე ტომს სხვადასხვა სახელით, ვთქვათ თვითსახელწოდებით და მეზობელთა მიერ დარქმეულით, და მას ამ სახელების თანახმად ორ ან მეტ ტომად წარმოსახავენ და შემდეგ ერთმანეთის გვერდით აღწერენ" (იქვე, გვ. 129). შესაბამისად აბაშთა ერთი ტომი ბერძნებმა ორი სახელით მოიხსენიეს, თავდაპირველად ქართული აბშილ-ი უწოდეს, შემდეგ კი სვანური აბასკ-აბაზგი. ანდა შესაძლოა საერთო ქართველური ტომი ამ დროისათვის უკვე სამ სხვადასხვა ქართველურ ენაზე მეტყველებდა მაგალითად აბაშები (აბშილები) - ქართულად, აბაზგები (აბასკები) - სვანურად - წერს მ. ქურდიანი. ის უშვებს ალბათობას, რომ აბაშების ამ ტომმა, რომელსაც ზანურად - ხუბუშქები ერქვათ, ილაშქრა ვანის ტბისკენ და იქ სახელმწიფოც შექმნა.

ვანის ტბის სამხრეთით ე.წ. „ნაირის" სარტყელში ქართველთა ცხოვრება მ. ქურდიანს არ ეეჭვება. ის იმოწმებს ნ. ხაზარაძეს, რომლის მიხედვითაც ქრისტეშობამდე XII-VII საუკუნეებში არსებობდა მუშქების ორი ქვეყანა - ერთი - ევფრატის ზემო წელიდან ტიგროსის სათავეებისა და ზემო წელის მარცხენა ნაპირის ჩათვლით (ე.ი. წინა აზიაში), მეორე კი მცირე აზიაში. მდ. ჰალისის (ყიზილირმაკის) შუა წელის სამხრეთით (ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის პრობლემები (მოსხები), 1984, ნ. ხაზარაძე, საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინოლოგია, 1993, ნ. ხაზარაძე. თსუ ახალციხის ფილიალის შრომების კრებული, I, 1998).

მ. ქურდიანი მიიჩნევს, რომ მუშკების ეს ორივე ქართული ქვეყანა საქართველოდან გასული ტომების ექსპანსიათა - ლაშქრობათა შედეგად გაჩნდა ისევე, როგორც ხუბუშქიას ქვეყანა (იქვე,გვ. 130).ეს თვალსაზრისი არ დასტურდება, რადგანაც **წყაროები მიუთითებენ არა ტომებს მოძრაობას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, არამედ პირიქით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.**

აბაშა-აბაზგია
(აბასხი-აბაშხი-აბასგი)

მ.ქურდიანის აზრით აბაშელთა მეგრულენოვანი ტომი შეიჭრა და ვანის ტბასთან იქ დააარსა „ხუბუშქიას" სამეფო II ათასწლეულში ქრისტესშობამდე(„კავკასურ-ახლოაღმოსავლური კრებული" 2001.გვ.130).

თუ ასეთის დაშვება შესაძლებელია, შეიძლება დავუშვათ საპირისპიროც, რომ სამხრეთში, არაქსზე ანუ ფაზისზე მცხოვრები ფასიანელები, იგივე ბასიანელების ნაწილი (ბას-ხი,მეს-ხი) გადასახლდა უფრო ჩრდილოეთით- დასავლეთ საქართველოში, სადაც მათ ბასხები,აბასხები,აბაზგები დაერქვათ.

ბასიან-ელი=ბას-ხი=აბასხი=აბაზგი.

სახელ აბასგთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს,რომ **„ბაშ"** ფუძით მრავალი ტოპონიმია რიონზე ქ.აბაშას ირგვლივ.

სოფელი **„შუა ბაში"** მდებარეობს მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე, სამტრედიის რაიონში (შუა ბაშს ესაზღვრება წყალტუბოს რაიონის სოფელი საყულია), სოფელი (ქალაქი) **აბაშა** მდებარეობს სამეგრელოში, სოფელი **ძველი აბაშა** – მისგან საკმაოდაა დაშორებული(ძველი აბაშა სენაკთან მდებარეობს, ნოქალაქევის მხარეს), სოფელი **„ზემო აბაშა"** მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა ნაპირას, ისტორიულ გურიაში, კერძოდ, ამჟამად სამტრედიის რაიონში, სოფელ

საჯავახოსთან ახლოს (ესაზღვრება ჩოხატაურის რაიონს).

„ბაში“ ძველ საქართველოში ერქვა ბრტყელ ადგილს, დიდ წყლით გაჯერებულ ვაკეს.

ზემო აბაშა, შუა ბაში (ზემო და ქვემო ბაშები), ძველი აბაშა, აბაშა – ყველა ამ პუნქტების შემაერთებელი ხაზი კრავს წრეს, რომელიც მდებარეობს რიონისა და ცხენისწყლის წყალთაშუა და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე (სამტრედიის ირგვლივ).

ფუძე „ბაში“-საგან შეიძლება იყოს ნაწარმოები აბშილი (ილ – სუფიქსის დართვით) – აბაშილი – აბშილი და **აბაზგიც (აბაშ-ხი ’! აბას-გი)**

როგორც ითქვა, მდ. რიონის ხეობაში, ქვემო წელის სხვადასხვა ერთმანეთისგან დაშორებულ რეგიონში, მდინარისპირას გვაქვს ერთი და იმავე სახელის მქონე პუნქტები:

1. აბაშა – სამეგრელოში (სენაკთან);
2. ზემო აბაშა – გურიაში (საჯავახოსთან);
3. ზემო ბაში – იმერეთში (საყულიასთან);
4. სოფელი ბაში – სამტრედიასთან;
5. შუა ბაში-სამტრედიასთან.

ბაში – სიბრტყეა, ვაკე ადგილია, წყლით შეჯერებული, ანუ **წყლიანი დიდი ვაკეა**, რაც ყველა აბ „ბაშს“ აერთიანებს.

საერთოდ, „ბაში“ XX საუკუნის დასაწყისშიც კი ერქვა „ბრტყელ გადასაფარებელს“ ე.წ.ბრეზენტს.

ბაში რომ – გაშლილ,სიბრტყის მქონე ზედაპირს („ბრეზენტს“) რომ ერქვა ჩანს 1924 წ. აჯანყებაში მონაწილის მოგონებიდან-ის წერს:-

„ერთი ნაწილი აჯანყებულებისა სულგრძელად ელოდა განაჩენს, ჩაყრილნი ერთად კამიონებში, ზევიდან აფარებდნენ „ბაშებს“ – ბრეზენტებს. მათი კვნესა მტკვრის ზედაპირზე ბურუსივით იყო დაფენილი“ (არჩილ გედევანიშვილი, „თავგანწირულნი“, 1996, გვ. 118).

ასე აღწერს რუსი ბოლშევიკების მოქმედებას თვითმხილველი, მათ გათხრილ მიწაში (ორმოში) ჩაუყრიათ აჯანყებულები, ზემოდან კი (ორმოსათვის) ბრეზენტი ანუ „ბაში“ გადაუფარებიათ, ე.ი. ბაში ერქვა ბრტყელ, გაშლილ რაიმეს.

შესაბამისად **რიონისპირა ბრტყელ ვაკეს აბაშიდან სამტრედიამდე შეაძლოა „ბაში“ ერქვა, ხოლო მოსახლეობას აბაშხი-აბასკი-აბასგი**. მაშასადამე სახელი აბაშხი,აბასხი,აბაზგი შეიძლება იყოს სატომო სახელი ბასიანელ მესხებთან დაკავშირებული და ასევე იყოს არა სატომო სახელი,არამედ აღნიშნავდეს ვაკე,წყლიანი ადგილის მცხოვრებს. აღსანიშნავია,რომ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში ქვეყანა „აბაში“ არის წყლიან-ლერწმებიანი ვაკე ისეთი როგორიც ალბათ იყო დასავლეთ საქართველოს აბაშა-ბაშის ვაკე. საფიქრებელია, რომ შესაძლოა ბასიანის ქვეყანაც მისი მსგავსი იყო და მასზე მცხოვრებ ტომსაც თავისი სახელი მისცა-ფასიანელები,ბასიანელები.

თუ ასეა,მაშინ სიტყვები აბაზგი და აფხაზი სხვადასხვა წარმოშობისაა და ერთმანეთს არ უდრიან.

აბაზგი ყოფილი ბასიანელია, ხოლო აფხაზი აფხაზეთის მკვიდრია,რომელმაც ხაზართა ზემოქმედებით მიიღო სახელი,რადგანაც სახელი აფხაზი შესაძლოა სახელ „ხაზართან“ იყოს დაკავშირებული, თუმცა არმენიის ქართველურ სამ-

ყაროშიც იყო ტოპონიმი „საფხაზი“ (***ხაზ -არ-ეთი; ა-ფ-ხაზ-ეთი;*** *სა- ფ-**ხაზ** -ი (ტოპონიმი).*

მას შემდეგ, რაც ჩრდილო კავკასიაში ხაზართა ტომმა ჰეგემონობა მოიპოვა VII ს. ბოლოდან, უფრო კი VIII ს.-ში, ჩანს იმ ეპოქის საქართველოში ჩრდილო კავკასიას „ხაზარეთს“ უწოდებდნენ.

ბაში – ენგურის ხეობაში
(ბასხი)

რიონის აუზში ერთმანეთისაგან ძალზე ურთიერთდაშორებით მდებარეობს რამდენიმე „ბაში“ (ქვემო და ზემო ბაში, აბაშა).

ისინი მოთავსებულნი არიან სხვადასხვა რაიონებში (სამტრედია-აბაშა). „ბაშები“ საზოგადოდ მდებარეობენ გაშლილ – გაბაშტულ(იმერ.), ფართოდ გაშლილ ადგილებზე, ვაკეზე და, საერთოდ, ბაში“ ბრტყელ, გაშლილ ვაკეს ერქვა.

ამავე სახელის მქონე სოფელი „ბაში“ მდებარეობს ენგურის ხეობაშიც, ასევე ვაკე ადგილას გალისა და ზუგდიდის შემაერთებელ გზასთან.

ორივე აუზში – ორივე მდინარის ხეობაში ვაკე ადგილებზე აბაშების და ბაშების სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ერთ დროს რიონის დაბლობს საერთოდ „ბაში“ (ვაკე) ერქვა, ხოლო იქაურ მკვიდრ მოსახლეობას შესაბამისად ეწოდებოდა ბაშ-გი, ბაშხი, ბასკი, აბაშგი, აბაშკი, აბაშხი. აქედან აბასგი, აბაშკი, აბასხი (ბასხი). მართლაც, ძველ წყაროებში ჩვენ გვხვდება ზღვისპირა ტომები აბასგები, ბასკები, ბასკუნები, და ა.შ. უნდა ვიგულისხმოთ, ზემოთმოყვანილიდან გამომდინარე, ამ სიტყვებით (აბასგი, ბასხი, ბასკუნი და ა.შ.) აღინიშნებოდა არა რომელიმე ეთნიკური ჯგუფი, არამედ ის მოსახლეობა, რომელიც კონკრეტულ წყლიან-ჭაობიან ვაკე ადგილას, ვაკობში, ანუ ბაშში ცხოვრობდა.

ნოქალაქევის ეკლესია

ქ.სენაკთან ნოქალაქევის ეკლესია გ.ჩუბინაშვილის თვალსაზრისით შესაძლოა იყოს იუსტინიანეს მიერ **აბაზგიაში** აგებული ღვთისმშობლის ტაძარი (გ.ჩუბინაშვილი, ნოქალაქევის საკითხისათვის. თუშ. ტ.XI. გვ.118). ამავე თვალსაზრისს ავითარება ი.კულაკოვსკი (ი.კულაკოვსკი „სად აიგი იუსტინიანეს მიერ აბაზგების ეკლესია?“არქეოლოგიური შენიშვნები, V, 1897 ,გვ. 33. რუს.ენაზე).

აფსილია - სუფსილი

აფშილეთი და აბაზგია მდებარეობდნენ ლაზიკის ჩრდილოეთით და მოიცავდნენ შავიზღვისპირა პროვინციებს.

თუ ლაზიკა არის კლარჯეთი და ბოლო კლარჯეთისა, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ აფშილეთი მდებარეობდა თანამედროვე „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირის“ (ანუ ჭოროხის შესართავში მდებარე პროვინციის ე.ი. თანამედროვე ბათუმის ოლქის) ჩრდილოეთით, ხოლო აბაზგია კიდევ უფრო მაღლა – საფიქრებელია ესენი იყვნენ ქობულეთ-გურიის სანაპირო (ქობულეთისა და ოზურგეთის, სამტრედიისა და აბაშის რაიონები), **მდ. სუფსის ხეობა.**

სუფსა ამ რეგიონში დომინანტი მდინარეა. სუფსის ოლქის მცხოვრებთ უნდა რქმეოდათ- სუფსარი–სუფსილი აქედან აფსილი. .ამავე ოლქშია ასევე მეორე მდინარე მსგავსი ფუძის მქონე, ესაა მდ. სეფა (გაედინება ურეკთან).

ასე რომ მდინარეები სუფსა და სეფა ერთ ოლქში გაედინებიან, ერთმანეთის მახლობლად. შესაძლოა სწორედ ამ ოლქს ერქვა „აფსილია“,ეს ძველი სახელი იქაურმა მდინარეებმა შემოინახა (სეფა-სუფსა-აფსილია).

სიტყვა სუფსილიდან უნდა იყოს მიღებული: აფსილი-აფშილი

ჭყონდიდი

რა არის ჭყონი?

ჩვენში გავრცელებული აზრით, ჭყონი მუხაა,

ეტიმოლოგიური ძიება კი სხვა სურათს აჩვენებს.

ჭყონი, ჩანს, ერქვა ურთხლის ხეს ან ძელქვას.

მარტვილში, ჭყონდიდის ტაძრის **ეზოში ძველი ძელქვებია,მაგრამ არაა ძველი მუხა** (სულ ახლახან დარგეს მუხის ნორჩი ნერგი).

ვფიქრობ, **ნიშანი ჭყონდიდისა ძელქვა ანუ ურთხელ-უთხოვრის ხეა.**

თანხმოვანთა ჯგუფი „ჭყ“ ხშირად ურთიერთმონაცვლეობს თხ, ტყ, ჯღ ჯგუფთან (მაგალითად: თხაპნის-ტყაპნის-ჯღაბნის), შესაბამისად, „ჭყ-ონი“ იგივეა, რაც „თხ-ონი“.

„**თხო**“ ფუძე აქვს ხე „**უთხო**ვარს“ – მისი თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო **თხო-რი**.

ძელქვას ასევე ეწოდება – **უთხო**ვარი (უთხუარი), რომელიც „თხ“ ფუძიდან აგებული სიტყვაა.

სიტყვა **ჭყონი გვაძლევს თხონ-უთხმელას (ურთხმელი,უთხოვარი)** და არა სიტყვას -მუხა.

ჭყონი უნდა იყოს ადგილობრივი სახელი ძელქვისა, ანუ უთხოვარისა (ურთხმელისა).

თხ ჭყ ტყ

თხ-ონი=ჭყ-ონი

უ-თხ-ოვარი

აღსანიშნავია, რომ ამ ფუძიდანვე უნდა იყოს ნაწარმოები ასევე მეორე სახეობის მცენარის სახელი-თხმელა(თხონი=თხომი=თხომელა=თხმ-ელა)

ხემცენარე მურყვამს დასავლეთ საქართველოში, „თხმელა“ ჰქვია. სიტყვები თხმელა და უთხოვარი, ჩანს, ერთი ფუძიდან ამოდიან.

სიტყვა მურყვამს შესაძლოა იგივე ფუძე აქვს-

მურყვამი- მუ-რ-ყვა-მი

ყვამი (თუ „მუ“-სა და „რ“-ს წინსართავებად მივიჩნევთ).

(ჭ)ყვამი (თუ „ჭ“-ს თანხმოვანთკომპლექს „ჭყ“-ს დაკარგულ ნაწილად მივიჩნევთ და მას აღვადგენთ).

ჭყვამი

ჭყონი („მ“ და „ნ“ ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლება).

აქედან ჩანს, რომ სახელები მურყვამი (ყვამი) და ჭყონი ერთი ფუძისა შეიძლება ყოფილიყვნენ. ასევე ალბათ შესაძლებელია-

მურყვამი-მურყომი-მურყონი-მურჭყონი-ჭყონი.

მაშასადამე ***ჭყონდიდი ნიშნავს დიდ უთხოვრის ხეს***

დინასტიათა სვანური ძირი

1. **ეგრისში-** დადიანები იყვნენ სვანეთის ერისთავების **ვარდანიძეების** განაყოფები;

2. **გურიაში- გურიელები** ემოყვრებოდნენ და ენათესავებოდნენ სვანებს (იხ. დ. ყაზბეგის წიგნი);

3. **აფხაზეთში-** აფხაზთა მეფეები ერთ პერიოდში იყვნენ სვანი **შავლიანები.**

სვანი – **ვარდანიძეები, გურიელები, შავლიანები და დადიანები**

Адыге (касоги)

(ადიღე-ქაშაგნი)

რუკა – „**Русская земля в** IX–XI **вв**“ (იხ. წიგნი **Крещение Руси**, 1987, გვ. 78) მიხედვით, ადიგე (ქაშაგი) განლაგებული იყო უშუალოდ საქართველოს (აბხაზთა სამეფოს) მეზობლად, ჩრდილო-დასავლეთით, შავი ზღვის პირას და ცხუმამდე ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა აფხაზეთის საზღვარს. მის გვერდით იყო (**Аланы (яссы)** – ალანი (იასები) ვიდრე თერგამდე (ყუბანსა და თერგს შუა).

სხვა რუსული წიგნებით კი, ადიღე მდებარეობდა კიდევ უფრო დასავლეთით, აფხაზეთს კი ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა არა ადიგე, არამედ ალანია.

თემურ ლენგის შემდეგ, ამ ადგილებში ჩასახლდნენ ჩერქეზული ტომები (სინურ-ციმბირული ტომები), მათაც, ჩანს, უწოდეს სახელი „ადიგე“ იქამდე ატ ტერიტორიაზე მცხოვრები ძველი ხალხის სახელის მიხედვით.

XIX საუკუნის ერთი რუსი გენერლის ცნობით, ადიღე-უბიხებს ჰქონდათ საკუთარი დამალული ენა, ოფიციალურად ლაპარაკობდნენ ჩერქეზულ ენაზე, მაგრამ ჰქონდათ დამალული საკუთარი ენა, რომელსაც ჩერქეზების შიშით არ ამხელდნენ.

ჩემი აზრით, ისინი იყვნენ ნაშთები ძველი ჯიქებისა, რომლებიც დაიპყრეს თემურ-ლენგის ეპოქაში ჩერქეზებმა და დაიმონეს.

კოსაგ-ქაშაგისაგან, ჩემი აზრით, სიტყვა ჩერქეზი ეტიმოლოგიურად არ მიიღება. შემდეგ, როგორც ცნობილია, ჩერქეზულმა ტომებმა დაიპყრეს აბაზები, მათი სახელიც მიითვისეს, შემდეგ იგივე მოიმოქმედეს აფხაზთა მიმართაც.

„ებზე სტალინ“

XX ს. 30-იან წლებში კულტად გადაქცევის ეპოქაში სსრკ ხალხთა მომღერალთა გუნდები უმღეროდნენ სტალინს.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ ყარაჩაი-ჩერქეზეთის იმჟამინდელი ოლქის მომღერალთა გუნდიც უმღეროდა დიდ ბელადს ასეთი სიტყვებით-„ებზე სტალინ“ ე.ი „ქართველო სტალინ“.

იქაური მოსახლეობა ქართველებს უწოდებს „ებზე“-ს. ე.ი. „ებზე სტალინ“ ნიშნავს-„ქართველო სტალინ“.

როგორც ცნობილია, სიტყვა „აბაზ“-ით აღნიშნავენ აფხაზებს,

აღნიშნული მოსახლეობა კარგად იცნობდა მათ მეზობელ აბაზინების

ტომსა და აფხაზებსაც. თითქოს მათთვის უნდა ეწოდებივათ სიტყვა „ებზე“, მაგრამ ისინი ამ სიტყვით ქართველებს მოიხსენებდნენ. რატომ?

ამ სიტყვით -„ობეზ „ებზე“ აღნიშნავდნენ ქარტველებს-

როცა ტემურ ლენგმა ჩრდილო კავკასიაში ჩამოასახლა ადიღე-ჩერქეზული ხალხი, ამ ხალხების სხვადასხვა მრავალ ტომს საკუთარი სახელიც კი არ გააჩნ-

და, ამიტომაც ამ ტომებს მათი განსახლების ახალი ადგილის ანდა მათ მიერ დაპყრობილ- დამორჩილებული ადგილობრივი ტომის სახელით მოიხსენებდნენ, როგორც მაგალითად ეგვიპტეში მცხოვრებ არაბებს „ეგვიპტელებს“ უწოდებენ, ცრდილოკავკასიაში მცხობრაბი „აბაზები“„ებზეები“(„ქართველები) როცა ერთ-ერთმა ადიღეურმა ტომმა დაიპყრო ამ დამპყრობელ ტომსაც აბაზები, „ებზეები“ უწოდეს, მაგრამ სხვა ადიღე-ჩერქეზებისათვის ზოგადად „ებზე“ მაინც ქართველს ნიშნავდა. უნდა გამოითქვას ვარაუდი, რომ თავდაპირველად „აბაზი“ ადგილ-ობრივი ქართული ტომის სახელი იყო. დამორჩილების შემდეგ მისი სახელი „აბა-ზი“ უწოდეს დამპყრობელ ჩერქეზულ ტომს-ე.წ. „აბაზინებს“.

მაგრამ ზოგად ადიღე-ჩერქეზულ მეტყველებაში სიტყვა აბაზი- „ებზე“ ზოგადად მაინც ქართველს აღნიშნავდა. ამიტომაც მათთვის „ქართელი სტალინი“ იყო „ებზე სტალინი“ და ასევე უმღერდნენ მას.

დასკვნა

საფიქრებელია,რომ სახელები „საფხაზი“ და აფხაზი ერთმანთთან იყოს დაკავირებული,და მიუთითებდეს ქართული ტომების მიგრაციას სამხრეთიდან ჩრდილოთისაკენ

თავი XXII
სვანეთი I–VI სს.-ში

„სვანებს უწოდებენ იბერიელებს“(სტრაბონი, XI, II, 19)

„იმ ხალხთა შორის, რომელნიც თავს იყრიან დიოსკურიადაში არიან ფტიროფ-აგებიც, რომლებმაც ეს სახელი მიიღეს უსუფთაობის და ჭუჭყის გამო. მათ ახ-ლოს ცხოვრობენ სოანები, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებიან მათ უსუფთაო-ბით, მაგრამ სჯობნიან ძლიერებით, და შეიძლება ითქვას,რომ ისინი თითქმის ყველაზე კარგი მეომრები და ძლიერები არიან ყველასთან შედარებით, ყოველ შემთხვევაში ისინი ბატონობენ ყველა ხალხზე, რომელნიც კავკასიის მაღლობები უჭირავთ დიოსკურადის გარშემო. მათ ყავთ მეფე და საბჭო 300 კაცისაგან, როგორც ამბობენ შეუძლიათ 200 000 კაცისგან შამდგარი ჯარის გამოყვანა, მართლაც მთელი ხალხის მასა ბრძოლისუნარიანია, თუმცა არაორგანიზებული ძალა, მათ ქვეყანაში როგორც გადმოსცემენ მთის ნაკადებს ჩამოაქვთ ოქრო და ბარბაროსები იჭერენ ფაცერით და ბეწვიანი ტყავით აქედან, ამბობენ წარმოიშვა მითი ოქროს საწმისზე. **ზოგიერთები მათ აგრეთვე უწოდებენ იბერიელებს** - დასავლეთელებ-ის მსგავსად, ოქროს სილის გამო, რომელიც ორივე ქვეყანაშია“ **(სტრაბონი, XI, II, 19)**.

-„Некоторые называют их также **иберииисами** – одонаково с западными - от золотых россипей, находяшихся в обеих странах“**(სტრაბონი, XI, II, 19)**.

„სვანები თავიანთი ისრის ბოლოებისათვის იყენებენ შხამს, რომლის სუნი დაუ-ჭრელ ადამიანსკაც კი ტანჯავს, სხვა ხალხებს კავკასიის ახლომცხოვრებთ უფრო მოკრძალებული და უმნიშვნელო მიწების ფართობი უჭირავთ, ხოლო ალბანურ და იბერიულ ტომებს, უჭირავთ უმეტესი ნაწილი კავკასიის აღნიშნული ყელისა,

მათაც შეიძლება კავკასიური ტომები ვუწოდოთ, მათ უჭირავთ ნაყოფიერი მიწები და შეუძლიათ კარგი მეურნეობა“ **(სტრაბონი, XI, II, 19)**.

სვანები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

„ძველად სვანები გაცილებით მეტ ტერიტორიაზე იყვნენ დასახლებული, ვიდრე მოგვიანებით, რაზეც მეტყველებენ, როგორც ისტორიული წყაროები, ისე დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის ანალიზი, რომელიც სვანურ სახელწოდებებს ავლენს კოლხეთის როგორც მთიან, ისე დაბლობ ნაწილში“ (გ. მელიქიშვილი. ძველი საქართველოს ისტორიისათვის, 1959, გვ. 93. რუს. ენაზე).

„საკმაოა თვალი გადავავლოთ დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობას და საოცარ სურათს დავადგენთ: ამ მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ სვანური მოდგმისანი არიან, განსაკუთრებით სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი და ეს მომენტი უძველები დროიდან მოდის“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, 1980, 93).

სვანური წარმოშობის მოსახლეობა ოკრიბაშიც ყოფილა, მათ შორის ხორხომელიძეები და სხვანი (დ. შავინიძე, სვანეთის მოსახლეობა, ქართული მემკვიდრეობა, II, 1998, გვ. 275-278).

ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით სიტყვა „ბათუმი“, სვანურ ფუძე „ბათ“-იდანაა წარმომდგარი. სვანური ტოპონიმების გავრცელებას აჭარა (ქვემო-გურიის) არეალში ეთანხმებიან არქეოლოგებიც, რადგანაც მიიჩნევა, რომ სვანები სამხრეთითაც ცხოვრობდნენ ადრეულ ხანებში.

ამ მოსაზრებას თითქოსდა ისტორიული საბუთებიც ეთანხმება. საბოლოოდ არაა გარკვეული, მაგალითად გურიელების სვანთა ერისთავებად წოდების, გურიელებისა და სვანეთის მჭიდრო ურთიერთკავშირის მიზეზები, თუმცა ძალზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები არსებობს.

უცხოური წყაროები იძლევა საფუძველს ფიქრისას, რომ გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე „სვანებს“ უწოდებენ გურია-აჭარის მოსახლეობას.

თამარის ეპოქაშიც კი სვანებს გააჩნდათ დიდი სახელმწიფოებრივი უფლებები. რაც გვაფიქრებინებს, რომ „სვანების“ ქვეშ არ იგულისხმება მხოლოდ დღევანდელი მესტიისა და ლენტეხის მოსახლეობა, არამედ კრებითი ერთობა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისა.

„ისტორიანი და აზმანი შარევანდეთთანი“ - წერს: „და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს: ბარამ ვარდანის ძე - სვანთა ერისთავი, კახაბერ კახაბერიძე - რაჭისა და თაკუერის ერისთავად, და ოთაღო შარვაშიძის ძე ცხუმის ერისთავად, ამანელისძე არგვეთის ერისთავად და ოდიშის ერისთავად ბედიანი“ (ქ.ც. II, 1959, გვ. 33).

აქ სვანთა ერისთავად გურიის ერისთავი იგულისხმება? ყოველ შემთხვევაში ჩამონათვალში სიტყვა „გურია“ არაა ნახსენები.

ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც თამარის ეპოქაში ჰქონდათ სვანებს – გულისხმობს დიდ მოსახლეობას:

- დასავლეთ საქართველოს აჯანყების დროს, როცა მოჯანყეებს სურდათ გიორგი რუსის სამეფო ტახტზე დაბრუნება სვანებს დიდი წონა ჰქონდათ: **„გარდამოვიდეს სუანნი დიდებულნი და მეხევენი და გარდამოიტანეს რუსი, მეფე-**

ყოფილი და მისცა დედოფალმა სიმტკიცე რუსის უვნებელად გაშვებისათვის“ (ქ. ც. II, 1959, გვ. 54).

ყურადსაღებია აქ ნახსენები „სვანი დიდებულები“ საქმე ისაა, რომ აჯანყდა არა მხოლოდ სვანები, არამედ მთელი დასავლეთი საქართველო, შეიძლება ითქვას ვარდან დადიანი იყო ლიდერი, დიდებულებისა, - მათ ხომ არ უწოდებს მემატიანე „სვან დიდებულებს“?

აღსანიშნავია, რომ როგორც აფხაზეთის, ისე ოდიშის ერისთავები სვანური წარმოშობისანი იყვნენ. ანუ დასავლეთ საქართველოს დიდებულების ურმრავლესობა სვანური წარმოშობის იყო (იხ. ქვემოთ), აფხაზთა, ჩვენთვის ცნობილი, ორი მეფე ასევე სვანი იყო.

ასეთი ფაქტები შესაძლოა გადმონაშთია იმისა, რომ ოდესღაც მთელ დასავლეთ საქართველოს „სვანეთი“ ერქვა.

ჩვენი კვლევით ბიზანტიელთა და სპარსელთა ომის „სვანეთისათვის“ VI ს-ში გულისხმობდა არა დავას დღევანდელ მესტიისა და ლენტეხის რაიონზე არამედ მთელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე, ამ უკანასკნელს უწოდებდნენ ისინი იმჟამად „სვანეთს“.

ჩანს ქართულ წყაროებშიც აირეკლა ეს ფაქტი. კერძოდ ამ „სვანეთში“ (ე.ი. დასავლეთ საქართველოში) როდესაც ჩამოყალიბდა ოდიშის, აფხაზთა, არგვეთის, სვანთა საერისთაოები – ყველა დიდებული შესაბამისად სვანური წარმოშობისა აღმოჩნდა.

რაც აისახა მათ სამეფო დინასტიაზეც, ყოველ შემთხვევები, როგორც ითქვა, ცნობილია ორი აფხაზთა სვანი მეფე: **შავლიანი იოანე და შავლიანი ადარნასე.**

ვარდანიძეები იყვნენ გურიის ერისთავები, დადიანებიც ვარდანიძეთა ერთ-ერთი შტოს შთამომავლები არიან, ვარდანიძეები იყვნენ ასევე სვანეთის ერისთავებიც, მაგრამ თვით ვარდანიძეების გვარის დამფუძნებელი იყო ვარდან სვანთა ერისთავი - როგორც მიიჩნევს ე. თაყაიშვილი. თუმცა გიორგი ჩუბინაშვილის ვარაუდით ვარდანიძეთა დიდებული გვარის დამფუძნებელი იყო X ს. ლენტეხის ხატის წარწერაში მოხსენიებული ვარდანი (ა. მარუაშვილი, მარუშიანთა, განშტოება ვარდანიძეები, „სვანეთი“, 2008, გვ. 281).

აქედანაც ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს დიდებულები სვანური წარმოშობისანი იყვნენ. ვარდან სვანთა ერისთავი - არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ მიზეზი ამ მნიშვნელოვანი ფაქტისა, არამედ მას ისტორიული საფუძველი უნდა ჰქონოდა. **მისი მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოს სვანური საფუძვლები**.

XI საუკუნის ჯუმათის ხატის (გ. ჩუბინაშვილის დათარიღებით), წარწერაშიც მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავი ვარდენ II ვარდანისძე, იგივე სვანთა ერისთავი ვარდანია (იქვე, გვ. 282. ის იყო გიორგი II-ის თანამედროვე) მისი წინაპრები იყვნენ (ერისთავთ ერისთავი ბაკური (X ს., ვარდან ერისთავი XI ს. 30-იანი წლები, ჩანს მათი შთამომავალი იყო ივანე II ვარდანიძე (XI–XII ს. დამდეგი) ყველა ისინი დაკავშირებული არიან სვანეთის საერისთავოსთან (იქვე, გვ. 282).

ასევე, მიიჩნევა, რომ ვარდანიძეთა საგვარეულო წარმოქმნილი მარუშიანთა საგვარეულოდან (იქვე, გვ. 282). ცნობილი მხედართმთავრის ზვიად ერისთავ მარუშიანის შვილის სახელიც ვარდანი ყოფილა (იქვე, გვ. 283). მეფე გიორგი I-ისა და მარუშიანების კონფლიქტის შემდეგ თრიალეთში ბაღვაშები დამკვიდრდნენ.

ა. მარუაშვილის მოსაზრებით ვარდანიძეთა საგვარეული წარმოდგება მეფის მიერ დასჯილი ზვიად II მარუშიანის ვაჟის - ვარდანის შთამომავლებისაგან (იქვე, გვ. 285). თუ ეს ასეა, როგორ შეძლეს დროის მცირე მონაკვეთში ვარდანიძეები ქცეულიყვნენ სვანეთის, გურიის და ოდიშების ერისთავებად, მათ ხელში გადასულიყო დიდი სახელმწიფო თანამდებობები?

უფრო საფიქრებელია, რომ ეს მნიშვნელოვანი ფაქტი იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს ყველა სამთავრო სახლი სავანების ხელში აღმოჩნდა, მოწმობს სვანების დიდ განვრცობას და მასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

თ. ქართველიშვილის მოსაზრებით ვარდანიძეები XI ს. 70-იანელებიდან გურიაში ფლობდნენ მამულებს, მაგრამ ერისთავის წოდება არ გააჩნდათ, XIV ს.-ში გურიას დაეუფლა დადიანი, მათი გავლენის შესასუსტებლად ბაგრატ V-მ შეიწყალა აჯანყებული სვანთა ერისთავი და უბოძა გურია (თ. ქართველიშვილი, სვანთა ერისთავების ვარდანიძეების გურიაში დამკვიდრების საკითხისათვის, „სვანეთი“, გვ. 271).

გურიის ყველაზე შესანიშნავი ხატების წარწერები მიუთითებს, რომ ამ რეგიონის მმართველებს „სვანთა ერისთავის“ ტიტული გააჩნდათ.

ეს გვაფიქრებინებს, რომ გურიას ერთ პერიოდში სვანთა ქვეყანადაც იცნობდნენ.

დ. ბაქრაძეს ჯუმათის წმ. გიორგის ხატის წარწერაში დასახელებული ერისთავთ-ერისთავი ვარდანი ვარდანისძე მიაჩნია გურიის ერისთავების - გურიელების წინაპრად.

ვახუშტის ცნობით გურიელი იტყვის ვარდანისძეობასა“ (ქ. ც. IV. 1973, გვ. 37). ბაგრატ V-ს დროს 1362 წელს „უკუდგნენ სუანნი“, მათ დაწვეს ქუთაისი და მოსახლეობა დაატყვევეს. მეფემ შეკრიბა მთელი სამეფოს ლაშქარი. ეგრისის გზით და რაჭისა და ლეჩხუმის მხარეებიდან მოჯანყეებს ალყა შემოარტყა. დააპატიმრა სვანთა ერისთავი-ვარდანისძე, შემდეგ კი შეიწყალა და „მისცა გურია საერისთაოდ“, ხოლო სვანთა ერისთავად სხვა დასვა - წერს ვახუშტი. რატომ მისცა გურია საერისთაოდ სვანთა ერისთავს და არა სხვა კუთხე? გურიაში იქამდეც ერისთავობდნენ ისინი.

ამ დროსათვის, ჩანს, გურიამ უკვე მიიღო ჩამოყალიბებული სამთავროს სახე. მის მოსახლეობას უკვე აღარ ერქვა სვანები, არამედ გურულები. სვანები ახლა მხოლოდ მთის ერთი რეგიონის მოსახლენი არიან.

საუკუნეებით ადრე ვარდანიძეთა გვარი დაუფუძნებია - ვარდან სვანთა ერისთავს (ე. თაყაიშვილის მიჩნევით - XI ს. 70-იანი წლებში, გიორგი II-ის თანამედროვეს) - **„თავადთა ამის სამეფოსათა ნიანია ქვაბულის ძემამ და ივანე ლიპარიტის ძემან და ვარდან სვანთა ერისთავმან... გაადგინნა სუანნი ავის მოხარკულნი“** (ქ. ც. I. 1955, გვ. 315-316).

გიორგი ჩუბინაშვილის ვარაუდით ვარდანიძეთა გვარის დამფუძნებელი X ს. ფაყის (ლენტეხი) ხატის წარწერაში მოხსენიებული ვარდანი (ა. მარუაშვილი, მარუშიანთა განშტოება ვარდანიძეები, „სვანეთი“, 2008, გვ. 281).

ერისთავთ-ერისთავი ბაკურის ძე ვარდანის შეკვეთით შეუქმნიათ სკალდის (კლდის) ანუ ფაყის მთავარანგელოზთა ხატი.

მემატიანის სიტყვით, როგორც აღინიშნა გიორგი II-მ სვან დიდებულთან ერთად, კერძოდ ვარდან სვანთა ერისთავთან ერთად „გაადგინნა სუანნი ავისა მოხარკულნი“ (ქ. ც. I. 1955, გვ. 315-316).

XI ს-ში სვანთა ერისთავი რატომ იბრძოდა აჯანყებული სვანების წინააღმდეგ? ცხადია, სვანეთის დამშვიდება მისი (ე. ი. სვანთა ერისთავის) მოვალეობას შეადგენდა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში **საქმე შეეხება არა თანამედროვე სვანეთს (ლენტეხისა და მესტიის რაიონებს), არამედ „სვანნი“ ერქვა დასავლეთ საქართველოს დაბლობში მცხოვრებ მოსახლეობას (ალბათ უფრო გურიის რეგიონში), სადაც შევიდა ვარდენ ერისთავიც სხვა დიდებულებთან ერთად და დაამშვიდა აჯანყებულები. ამის შედეგად უნდა გადაცემოდათ მათ გურია სამართავად XI ს.-შივე და არა XIV-XV საუკუნეებიდან. ყოველ შემთხვევაში ხატების წარწერები ამ მოსაზრებას მხარს უჭერს.**

თუკი დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს არ ფლობდნენ სვანები და შესაბამისად მას არ ერქვა სვანეთი, საიდან მოიპოვეს სვანმა დიდებულებმა დიდი წონა და განსაკუთრებული უფლებამოსილება გაერთიანებულ საქართველოში? ერთერთ მაგალითად მივიჩნევთ ჩვენ ფაქტს იმისა, რომ **მეფე თამარს სამხედრო ძალაუფლების სიმბოლოებს ანუ მხედართმთავრის უფლება-მოვალეობას ანიჭებენ სვანი დიდებულები იმით, რომ მას მეფედ კურთხევისას ხმალს გადასცემენ - კერძოდ კი „მოხელე სვანები“ და სვანეთის ერისთავი - „და სრულ ყვეს მოხელეთა სვანთა და დიდებულთა ვარდანის ძეთა, საღირის ძეთა და ამანელის ძეთა მოღება და დადება ხრმლისა“ (ქ. ც. II, 1959, გვ. 27).**

შესაბამისად თამარმა კახაბერ ვარდანისძეს - „დიდსა და გვარიან კაცს“ უბოძა მეჭურჭლეთუხუცესობა“ იქვე, გვ. 33).

ვინ იყვნენ „მოხელე სვანები“ - რომელთაც თამარის მეფობის დასაწყისისას ასეთი დიდი უფლებები გააჩნდათ, რადგანაც ამ დროს და თამარის მეფობის დაწყებამდე გაერთიანებული საქართველოს ბირთვს ძველებურად „აფხაზთა სამეფო“ წარმოადგენდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს **„მოხელე სვანები“ იყვნენ აფხაზთა სამეფოს მმართველ სახელმწიფო მოხელეთა აპარატის ის ზედა ფენა, რომელთა ხელშიც იყო თავმოყრილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები,** მათ შორის ერთერთი კახაბერ ვარდანისძე გაერთიანებული საქართველოს მეჭურჭლუთუხუცესად იქნა აღიარებული. ქვეყნის მმართველ „თავადთა“ შორის სვან დიდებულებს ღირსეული ადგილი ეჭირათ. მემატიანე მაგალითად წერს „თავადთა ამის სამეფოსათა ნიანია ქვაბელისძემ, ივანე ლიპარტისძემ და ვარდან სვანთა ერისთავმან“ (ქ. ც. I, გვ. 33).

„გურიელთა სვანთა ერისთავის ტიტულით მოხსენიებას რაც შეეხება, მას ატარებენ XIV საუკუნის II ნახევარსა და XV საუკუნის დასაწყისში მოღვაწე: სვიმონ, კახაბერ და გიორგი გურიელები. ისინი უკვე აღარ განაგებენ სვანეთს და ტიტულატურაში ამის აღნიშვნა ტრადიციის წყალობით ხდება“ (თ. ქართველიშვილი, სვანთა ერისთავების ვარდანიძეების გურიაში დამკვიდრების საკითხისათვის, კრებული „სვანეთი“, 2008, გვ. 27).

მაშასადამე, დადიანები იყვნენ - ვარდანიძეთა ერთერთი - შტოს შთამომავლები (იქვე, გვ. 269);

უშუალოდ სვანთა ერისთვები იყვნენ – ვარდანიძეები;

გურიის მფლობელები იყვნენ - სვანი ვარდანიძეები;

აფხაზეთის მეფეები - იოანე და ადარნასე იყვნენ - სვანი შავლიანები.

სვანმა ვარდანიძე –მარუშიანმა ითავა საქართველოს გაერთიანების საქმე.

გაერთიანებული საქართველოს პირველი მხედართმთავარი ზვიად ერისთავი – იყო მარუშიანი.

შარვაშიძე - შარვაშიძეები - ამჟამადაც გურიაში ცხოვრობენ.

ეს მიუთითებს, რომ დასავლეთ საქართველოს სვანი დიდებულები დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო აპარატის დიდ ნაწილს შეადგენდნენ, ეს უნდა ყოფილიყო ანარეკლი ფაქტისა, რომ ოდესღაც დასავლეთ საქართველოს მეტ ნაწილს სვანეთი ერქვა. შესაბამისი იყო მათი ლოცვაც უფლისადმი-**„ადიდე ერთობილი საქართველო და ერთობილი სვანნი“**.

„განვლო ჭოროხი და შევიდა სვანეთს“

(ქართლის ცხოვრება, ტ.I. გვ. 42).

სვანეთის ადგილმდებარეობის გარკვევისათვის შეიძლება გამოგვადგეს ქართლის ცხოვრების ჩანართი ანდრია პირველწოდებულის ცხოვრებისა, რომელიც თარგმნილია ბერძნულიდან და შეტანილია ქართულ მატიანეებში.

აქ სვანეთის ადგილმდებარეობა განისაზღვრება მდ.ჭოროხთან, ის მოხსენიებულია მდ. ჭოროხის შემდეგ.

ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლის ბერძნულ დედანში ნათქვამია, რომ ანდრიამ გადალახა მდ. ფაზისი, ქართველმა მთარგმნელმა კი მის ნაცვლად დაწერა – მდ. ჭოროხი.

როგორც ცნობილია დედანში ეწერა მდინარე „ფასისი“, ხოლო მთარგმნელმა ის თარგმნა ისე, როგორც სინამდვილეში ეწოდებოდა ამ მდინარეს, ანუ „ფასისი“ ითარგმნა არა მდ. რიონად, არამედ ჭოროხად.

აქ ნაბრძანებია ანდრიას საქართველოში პირველი მოგზაურობის შესახებ, კერძოდ, პირველად ანდრია მოვიდა ტრაპეზუნტში- „მეგრელთა ქვეყანაში“ (ასე ითარგმნებოდა ბერძნული „ლაზიკა“ ქართულად), შემდეგ თანამგზავრებთან ერთად შემოსულა ქართლში, მოუვლიათ ის.

„მოვიდოდეს ქალაქითი-ქალაქად და სოფლითი-სოფლად“. შემდეგ შესულან ტაოში – „წარვლეს ტაოს კერძი ქვეყანა და **ვიდრე მდინარედ ჭოროხამდე, ყოველი იგი სოფლები მის კერძისა მოვლეს და დაუცადებელად ქადაგებდეს სახელსა ღვთისასა, და ესრეთ ქადაგებითა მიიწვიეს სვანეთისა ქვეყანასა**“ (ქ.ც. I, გვ. 42).

სხვა ნუსხაშია – „ანდრია სიმონ კანანელითურთ პირველად ქართლად და განანთლა ქართლი და ნათელ-სცა და მერმე უკუნ იქცა და **განვლო ჭოროხი და შევიდა სვანეთს“** (იქვე, გვ. 42, შენიშვნა).

ე.ი. სვანეთის ქვეყანა ჭოროხის შემდეგაა, ანუ ჭოროხის გადაკვეთის შემდეგ მივადგებით სვანების ქვეყანას.

მაშასადამე, ბერძნულ წყაროში სვანების საცხოვრისი მდ. ფაზისთან მდებარეობდა. ძველი ქართველი მთარგმნელები კი ფაზისს ჭოროხს უწოდებდნენ და იქვე საზღვრავდნენ სვანების საცხოვრისს.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანების სამხრეთ დასავლეთ საქართველოშიც ცხოვრება წყაროებითაც დასტურდება. ამ მხარის გარდა სხვა კუთხეებიც მოიარა წმ.მოციქულმა-

თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიის“ ცნობით-

მოციქულმა **ანდრიამ**

1) მცხეთის ჯვრის გორაზე ჯვარი აღმართა (ერქვა ჯაჭვის მონასტერი)

2) შევიდა კახეთში, გადაიარა იორი, მივიდა გრემის გორაზე სადაც მიქელ მთავარანგელოზის ეკლესიაა.

3) „ქრისტეთის გზით... მოვიდა ხევსა მთიულეთისასა ლომეკის მდინარესა ზედა“ (თერგი),

4) მივიდა მყინვარწვერის ძირთან, ავიდა მაღალ მთაზე, აღმართა ჯვარი და ეკლესია წმ. სტეფანე პირველწოდებული.

სვანეთი და აჭარა-გურია

სვანეთ-გურიის კავშირ-ერთობის შესახებ ისტორიული საბუთების დამოწმებით მიუთითებდა დიმიტრი ბაქრაძე წიგნში „მოგზაურობა გურია-აჭარაში“.

ამჟამადაც, სვანეთში სოფელ იენაშის (ლატალის თემის) მოსახლეთა უმრავლესობას გვარად ფარჯიანებს, თავიანთი თავი მიაჩნიათ გურია-სვანეთის ერისთავთა შთამომავლებად (იხ. გაზეთი „უძლეველი მხედარი“ (ზემო სვანეთის ეპარქიის გაზეთი), №4, 2007, გვ. 9). ამ სოფელში ინახება იოანე წინასწარმეტყველის ხატი მამია გურიელის მიერ შეწირული. ჟამთა აღმწერელი აღნშნავს, რომ ლაშა-გიორგის ძის ულუ-დავითის გამეფებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ერისთავი სარგის ფარჯიანი.

(საერთოდ სვანები, ვითარცა აფხაზთა სამეფოს ლეგიტიმურ უფლებათა მატარებლები, აფხაზეთის სამეფოს უშუალოდ წარმოადგენდნენ საქართველოს მეფეთა კურთხევისას. სამეფო ინსიგნიებსაც ისინი გადასცემდნენ საქართველოს ახალ მეფეს).

ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებდა – „სიტყვა ბათომის ძირი „ბათ“ უნდა ენათესავებოდეს სვანურ სიტყვას „ბაჩ“, რომელიც ქვას ნიშნავს. ეს თვალსაზრისი შემდგომში გაიზიარა აქ. ინაიშვილმა და იგი ახალი საყურადღებო მასალებით შეავსო“ (ა. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისთვის, 1989, გვ. 19).

ა. ინაიშვილმა შეისწავლა ბათუმის ტოპონიმიკა. მხარი დაუჭირა ს. ყაუხჩიშვილის მიერ 30-იან წლებში გამოთქმულ და შემდეგ არაერთხელ განმეორებულ მოსაზრებას **სახელ „ბათუმის“ სვანურ ბაჩ (ქვა) სახელთან იგივეობის შესახებ,** ამასთან სვანურ ბათ-ბაჩ სახელთან დააკავშირა მან ჰიდრონიმი „ყოროლი“ და „ყორონი“. ბათ-ბაჩ ძირს დაუკავშირა მან ყოროლისწყლის შენაკადის სახელი – „ლეჩ“, რომლის ფორმად „ლებაჩა“ მიიჩნია და სვანურ „ლებჩერს“ (ქვიანი) მიუსადაგა (ა. ინაიშვილი, ბათუმის ეტიმოლოგიისათვის – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, 1976, გვ. 73-87).

ა. ინაიშვილის აზრით, **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში, ე.ი. აჭარასა და გურიაში სვანურენოვანი ონომასტიკა თავდაპირველია** და, ამდენად, უფრო ძველი, რომელიც შემდგომ საუკუნეებში გადაფარულა ზანურენოვანით. აჭარა-გურიის ზღვისპირეთში (საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში) სვანურენოვანი ონომასტიკის გვერდით „ზანურენოვანი ტოპონიმები გაცილებით მეტია, რაც კანონზომიერია, რადგან ზანურენოვანი მოსახლეობა შედარებით გვიან მოსული ჩანს. ზანურმა ფენამ უთუოდ გადაფარა სვანური ონიმასტიკონი, რელექტის სახით რომ მაინც შემორჩენილა“ (იქვე, გვ. 81-86).

აქედან გამომდინარე, ძველი ქართული წყაროს ცნობა, რომ წმ. ანდრია

მოციქული მდ. ჭოროხის (ფასისის) გადაკვეთის შემდეგ შევიდა სვანეთის ქვეყანაში, რომ დასავლეთ საქართველო სვანეთად იწოდებოდა – უფრო გასაგები ხდება.

სვანური ნაკვალევი შავშეთსა და სამცხეში

შავშეთში – იმერხევში, რამდენიმე სოფელში შემორჩენილია მიკროტოპონიმი – „სვანეთი“, „სვანისხევი“.

მაგალითად, **სოფელ ივითში არის აღნიშნული მიკროტოპონიმი „სუანეთი“ (იხ. ტარიელ ფუტკარაძე, „იმერხევი“, 2007. გვ. 84).**

ხოლო სოფელ ბაძგირეთში არის მიკროტოპონიმი – „სუანისხევი“ (იქვე, გვ. 92)

ანდრია პირველწოდებულის ქადაგებების ადგილად სამცხეში დასახელებულია ქალაქი „სოსანგეთი“, ქართველი მკვლევარები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში „სოსანიგეთს“ ათავსებდნენ სამცხეში, კერძოდ კი აწყურის სანახებში. „სოსანიგეთი“ ეტიმოლოგიურად მოიცავს პრეფიქსს „სო“, ფუძე – „სანიგ“ და სუფიქსს „ე“-თი. „სო-სანიგ-ეთი“.

„სანიგებად“ XX საუკუნის მეცნერები მიიჩნევენ ჭანებს, მაგრამ ის შეიძლება სვანების ერთ-ერთი ტომის სახელი ყოფილიყო. C–299

სვანეთის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოდ მივიჩნიეთ ერეკლე კვანჭიანის წერილი, რომელსაც თან ვურთავთ ამ ნაშრომს-

ე.კვანჭიანი

დასავლეთ საქართველოს ჩრდილო ნაწილის, ე.წ. „მეგრიზაცია“ ლაზთა სამეფოს ძლიერების ეპოქაში (III-VI საუკუნეები)

ჯერ კიდევ ნ. ჯანაშია მიუთითებდა სვანურ ტოპონიმურ მონაცემებზე („ლანჩხუთი“, „ფოთი“) დაყრდნობით, რომ მდინარე რიონის ხეობის ორივე მხარე) დასავლეთ საქართველოს დაბლობი დიოსკურიამდე და უფრო ჩრდილოეთით, ხობის, ენგურის და წებელდას ხეობები, ასევე ისტორიული არგვეთის ჩრდილო ნაწილი, შემდეგდროინდელი ლეჩხუმი და რაჭა, სვანეთის მთიანეთთან ერთად, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს ჩრდილო ნაწილი, თავდაპირველად სვანური ტომებით იყო დასახლებული. ***„ენობრივი მონაცემებით ძვ.წ. II ათასწლეულსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში სვანური ტომები დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში ვრცლადაა გავრცელებული („იშ“ სუფიქსიანი ტოპონიმიკა) (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 341).***

ტოპონიმურ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხების ჩრდილოეთით მცხოვრები ფასიანები სვანური ტომი უნდა ყოფილიყო. ქსენეფონტეს ეპოქაში (ძვ. წ. V ს.) ეტიმოლოგიურადაც, „ფა-სიანები“ წააგავს ანტიკური ავტორებისათვის კარგად ცნობილი ხალხის „სუანების“ სახელს. („ფა-პრეფიქსი, „სიანი“-„სუანი“).

კოლხეთი, ძველი ბერძნული წყაროებით, თავდაპირველად მოიცავდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ტრაპიზონამდე. ბერძნული კოლონიზაციის განვითარებასთან ერთად შეიცვალა და გაფართოვდა კოლხეთის ცნების გაგებაც.

ჰეროდოტესათვის კოლხეთის ჩრდილო საზღვარი არის მდინარე ფაზისი, კოლხეთი კი სხვადასხვა ტომებითაა დასახლებული. ეს არაა ერთი ეთნოსის, ერთი ხალხის ქვეყანა. სტრაბონის ეპოქაშიც (I საუკუნე) კოლხეთი კრებით სახელს წარმოადგენს ვრცელ სანაპირო ტერიტორიისა უკვე ტრაპიზონიდან ბიჭვინთამდე. ამ დროს მდინარე ფაზისის, ხობის, ენგურისა და აგრეთვე წებელდას ხეობებში მცხოვრებ სვანებსაც (ვიდრე დიოსკურიამდე) ჩანს ბერძნებმა, ქვეყნის სახელის მიხედვით, „კოლხები“ უწოდეს, რათა ისინი განესხვავებინათ მთის სვანებისგან. მართლაც, ძველი ავტორები მათ „სუანო-კოლხებს“ უწოდებდნენ. პტოლემაიოსი (I საუკუნე) მთის სვანებისა და ბარის სვანების განსხვავების მიზნით უწოდებს უკანასკნელთ „სუანო-კოლხებს“. ესენი (მთის სვანები და „სუანო-კოლხები“) ერთი ეთნოსია, მრავალრიცხოვანი ხალხი, სტრაბონის მიხედვით, მათ საომრად გამოჰყავთ 200 ათასი მებრძოლი (ეს უფრო მეტია, ვიდრე იბერებისა და ალბანელების ჯარი ერთად).

პტოლემაიოსი ახსენებს კოლხეთის სხვადასხვა ტომებს, მათ შორის ლაზებსა და მანრილებს („ეკრიტიკეს ქვეყნის მცხოვრებთ“), ჩვენი მეცნიერების აზრით, თანამედროვე მეგრელ-ჭანების წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ ლაზები. მანრალები კი (სხვა ტომი) ეგრისის ქვეყნის („ეკრიტიკეს“) მცხოვრებნი. „კლავდიოს პროლემაიოსის ცნობიდან ის გამომდინარეობს, რომ „ეგრისი“ და „მეგრელი“ („მარგალი“) სახელები თავდაპირველად დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ, ეთნიკურად არამეგრულ ნაწილს უნდა რქმეოდა და ქვეყნის დასავლეთ ნაწილსა და საკუთრივ მეგრულ (ზანურ) მოსახლეობაზე შემდეგში გავრცელდა. შეიძლება ეს ლაზ-მეგრელთა მიერ ამ მხარეში მტკიცე ჰეგემონობის მოპოვებას და ლაზიკის სამეფოს ძლიერების ხანასაც (შდრ. მეგრულში – „მარგალი“ – ტერმინის ხმარება მდაბიო ფენის, გლეხობის აღსანიშნავად. „ზინო-სქუას“ – ზედა ფენის, აზნაურობის საპირისპიროდ) უკავშირდებოდეს“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970 ტ. I, გვ. 424).

სვანებს, რომელთაც სტრაბონის მიხედვით ჰყავდათ ბასილევსი და საბჭო 300 კაცისაგან შემდგარი“ (Strabo, XI, 2,19). სვანებს, როგორც სტრაბონი იქვე წერს, „ზოგიერთები იბერიულ ტომებად მიიჩნევენ“ (იქვე, XI, 2,19).

სვანებს, როგორც აღვნიშნეთ, 200 000 კაციანი ლაშქარი ჰყავთ, „მთელი ხალხი მეომარია“, ე.ი. ყველა მამაკაცი (ბრძოლის უნარის მქონე) სალაშქროდ გაჰყავდათ. ალბათ ეს იყო მთელი მოსახლეობის მესამედი, აქედან გამომდინარე, სვანების საერთო რიცხვი 600 000 მაინც უნდა ყოფილიყო. თუ გავიხსენებთ, რომ იმჟამად ტუაფსედან ლაზებამდე სვანების გარდა ასევე ცხოვრობდნენ კერკეტები, აქელები და ჰენიოხები (მათგან ზოგიერთი საკმაოდ დიდი ტომი იყო, ჰენიოხებს ოთხი ბასილევსი ჰყავდათ), ესენი, სვანებთან ერთად, თანამედროვე აფხაზეთსა და სვანეთში ვერ მოთავსდებოდნენ უკიდურესი მრავალრიცხოვნების გამო. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, ბერძენი მწერლების „სუანოკოლხები სტრაბონისა და პტოლემაიოსის ეპოქაში თანამედროვე ლანჩხუთამდე იყვნენ განსახლებულნი და მხოლოდ ლაზთა სამეფოს ძლიერების ეპოქაში (III-IV სს ქრისტეს აქეთ) უფრო ჩრდილოეთით წაინაცვლეს ანდა მათში მოხდა ლაზური ტომების „შეღწევა-ინფილტრაცია“. მის შედეგად სუანო-კოლხებმა შეითვისეს ლაზური (შემდეგროინდელი მეგრული) მეტყველება. სწორედ ამ პროცესს ვუწოდებთ ჩვენ „მეგრიზაციას“. გ. მელიქიშვილი ლაზეთის სამეფოს საზღვრების ჩრდილოეთით განვრცობას უკავშირებს III ს. ბოლოდან „რომაელთა ძალაუფლების განმტკიცებას აღმო-

სავლურ პროვინციებში“. როგორც არიანე წერს, I-II სს-ში მდ. ჭოროხთან მიწა-წყალი (ფაზისამდე) იბერიის სამეფოს და მის ქვეშევრდომ ტომებს ეჭირათ, ამ დროისთვის უკვე რომაელთა გავლენის სფეროში მყოფ ლაზეთის სამეფოს აღნიშნულ ადგილებში მცხოვრები იბერიული ტომები შეუერთებია: „აქ ადრე იბერიას ჰქონდა ფეხი მოკიდებული, ახლა კი რომაელთა და ლაზთა სამფლობელოები ჩანს, იბერია აქედან განდევნილი ჩანს, ზოგი მისი სამფლობელო ლაზთა სამეფოს შემადგენლობაშია შესული“ (ნარკვ. I, გვ. 555).

კიდევ უფრო გაფართოვდა ლაზთა მფლობელობა ჩრდილოეთის მიმართულებით (შესაბამისად თავისი დიალექტით) VI ს-ში დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელებთან სპარსელების დამარცხების შემდეგ. გ. მელიქიშვილი წერს – „კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს ლაზთა მეფეებმა ჩრდილოეთის მიმართულებით, მენანდრეს (VIს.) მოწმობით ლაზთა სამეფო IV ს. ბოლოსთვის დიდად გაძლიერებულა და სვანები დაუმორჩილებია“ (იქვე, გვ. 555).

ს. ჯანაშიას აზრით, IVს. დასასრულისათვის უნდა დაექვემდებარებინათ ლაზებს სვანების გარდა ასევე აფშილები, აბაზგები და სხვა მეზობელი ტომები (იქვე, გვ. 556). „ლაზთა მეფეებმა საბოლოოდ მოახერხეს იბერიის მფლობელობის ლიკვიდაცია დას. საქართველოში და იქაური სამფლობელოები შეიერთეს“ (იქვე, გვ. 556).

მაშასადამე, ლაზთა მეფეებმა ბიზანტიელების (რომაელების) დახმარებით ჯერ ჭოროხსა და რიონს შუა მდებარე ტერიტორიის შეერთება შეძლეს, შემდეგ კი უფრო ჩრდილოეთით სვანებითა და სხვა ტომებით დასახლებული მიწა-წყლის მიერთება, რამაც აქ, ცხადია, სვანური ტოპონიმიკის შემდეგ ლაზური (მეგრული) ტოპონიმიკისა და ენის განვრცობა განაპირობა. ამ პროცესს შეიძლება ვუწოდოთ მდ. რიონის ორივე სანაპიროს და ზღვისპირა ტერიტორიის მომცველი მხარის „მეგრიზაცია“. სამეცნიერო ლიტერატურაში ე.წ. „ქართიზაცია“ განიმარტება, როგორც „ქართის ტომების“ შეღწევა – ინფილტრაცია – არაქართულ ან არაქართველურ ტომებში... სადაც შეაღწევდა ქართლის ელემენტი, ვრცელდებოდა ქართული ენა და აღმ. ქართული კულტურა. ასეთი ვითარება შეიქმნა არა მარტო აღმოსავლეთით ჰერეთის (ალბანეთი) ტერიტორიაზე, არამედ დასავლეთ საქართველოშიც (ქსე, ტ. X, გვ. 459-160. სტატია „ქართველები“).

„ქართიზაციის“ გვერდით, როგორც ტოპონიმიკისა და საისტორიო წყაროების შესწავლა აჩვენებს, მიმდინარეობდა აგრეთვე ე.წ. „მეგრიზაციის“ პროცესი.

უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენს თვალწინ არის ორი თვალსაზრისი დასავლეთ საქართველოში ქართველი ტომების განსახლების შესახებ, ერთი თვალსაზრისით, რომელიც ამჟამად უფრო მიღებულია, დასავლეთ საქართველო უძველესი დროიდან დასახლებული იყო მეგრულ-ლაზური ტომებით, შემდგომ აქ მოხდა „ქართის ტომების“ განსახლება (კერძოდ, მდ. ჭოროხიდან ვიდრე მდ. რიონამდე), რის შედეგადაც აღნიშნული მეგრულ-ლაზური მოსახლეობა გაიყო ორად, ერთი ნაწილი აღმოჩნდა მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, მეორე ნაწილი კი მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე განსახლებული. ესაა დასავლეთ საქართველოს ე.წ. „ქართიზაციის“ თეორია.

მეორე თვალსაზრისით კი, უძველესი დროიდანვე დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი დასახლებული იყო სვანებით („სუანო-კოლხებით“), რომელთაც აგრეთვე იბერებსაც უწოდებდნენ (სტრაბონის ცნობით). მხოლოდ III-IV სს. შემდგომ,

ლაზთა სამეფოს გაფართოებასთან ერთად, აქ მოხდა ლაზური ტომების შედწევა-ინფილტრაცია (სვანურ მოსახლეობაში მდ. რიონის, ხობისწყლის და ენგურის ხეობებში ვიდრე მთის სვანებამდე). ესაა დასავლეთ საქართველოს ე.წ. „მეგრიზაციის“ თეორია.

ჩვენი თვალსაზრისით კი, არ მომხდარა დასავლეთ საქართველოს არც „ქართიზაცია“ და არც „მეგრიზაცია“- განსახილველ ხანაში, რადგანაც **უძველესი დროიდან VIII-IX სს-მდე, დასავლეთ საქართველო დასხლებული უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ ნაკლებად დიფერენცირებული საერთო ფუძე-ქართული ენის მატარებელი ხალხით (ისევე, როგორც აღმოსავლეთი), რომლის დიფერენციაციაც დაიწყო შემდეგში (საქართველოს სახელწიფოს რღვევის კვალდაკვალ ანუ XIII ს-დან).**

შესაბამისად, ქართული ქრისტიანული კულტურის ჩამოყალიბებისას (ანუ წმიდა წერილის თარგმნის ხანაში) იქაურ ტომებს აერთიანებდათ ჯერ კიდევ დაუნაწევრებული ენა (ე.ი. ძველი ქართული), შესაბამისად ის ერთი ხალხი იყო(თუმცა ტომებად დანაწევრებული).

„ეგრისი – რომელ არს სვანეთი“

ფარნავაზის ძემ საურმაგმა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა ჩამოასახლა ქართლის სამეფოს ჩრდილოეთ ნაწილში – „საურმაგ წარმოიყვანა იგინი ყოველთა კავკასიის ნათესავთა ნახევარნი, **...დასხნა მთიულეთს დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“ (ქ.ც. I, გვ. 27).**

აქ საინტერესოა, რომ სტრაბონიც წერს თითქმის იმავეს, რომ იბერიის ჩრდილო მთიანეთი დასახლებულია სკვითური მოდგმის იბერებით და რომ ეს სკვითური იბერები და იბერები თანამონათესავენი არიან.

ჩვენი მემატიანეც აღნიშნავს იმავეს: მისი ცნობით, ჩრდილო კავკასია დაუსახლებელი იყო, შემდგომ იქ გადაასახლეს სამხრეთ კავკასიელი მოსახლეობა-დატყვევებული ქართველები და ისინი თანდათანობით გადაიქცნენ ჩრდილო კავკასიის მკვიდრ მოსახლეობად – „არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ და უმკვიდრო იყო ქვეყანა იგი კავკასიითგანვე ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღვასა დარუბანდისასა... გამოვიდა ხაზართა მეფე გარდავლო მთა კავკასია, მისცა ძესა თვისსა **ტყუე** სომხითისა და **ქართლისა** და **მისცა ქვეყანა კავკასიის ნაწილი**, ლომეკის მდინარისა დასავლით, დასავლეთამდე მთისა და დაეშენა უობოს და ნათესავნი მისნი არიან ოვსნი“ (ქ.ც. I, გვ. 12).ოვსნი ანუ „სკვითნი“

ქართული წყაროს მიხედვით ამ ე.წ„სკვითების“(როგორც ახალი ხალხის) ფორმირებაში „ტყვე ქართველებს“ ჰქონიათ წვლილი.

ჩრდილოკავკასიელნი, რაღაც ხარისხით ქართველთა გენეტიკური მემკვიდრეები იყვნენ და ისინი ფარნავაზის ძეს ჩამოუსახლებია და დაუსახლებია „დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სვანეთი“.

სვანეთი-კახეთი

„ჩრდილოეთით ეგრისს სვანეთი ეკრა, ისტორიკოსი ამბობს: „დიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე... არს სვანეთი“ (ცხოვრება მეფეთა) – წერს ივ. ჯავახიშვილი (ივ. ჯავახიშვილი, ტ. II, გვ. 50).

დიდოეთსა და ეგრიის შუა მოქცეული იყო რაჭა, დვალეთი და ფხოვი, ჩანს, ისინიც სვანურ ტომებად მიიჩნეოდა. უფრო მეტიც, ივ. ჯავახიშვილის თქმით, სვა-

ნეთს კახეთთანაც ჰქონია სიახლოვე, მატიანეებში დაცული ცნობები „ქართველ ტომთა მოსახლეობის ვგონებ ძველისძველ მდგომარეობას გვისურათებს... სვანებს, თავდაპირველად, უეჭველია ახლანდელზე მეტი მიწა-წყალი უნდა სჭეროდათ და **მრავალი სხვა საბუთიც სვანეთსა და კახეთს ერთმანეთს უახლოვებს“** (იქვე, გვ. 51). წყაროებში არ ჩანს სვანეთის საზღვრები XII საუკუნემდე (იქვე, გვ. 51).

აღსანიშნავია,რომ ცნობილი წანარების ტომი (მათ მიერ კახეთში ჰეგემონობის დამყარებამდე (არაბობისას), თავდაპირველად თანამედროვე ყაზბეგის რაიონში ცხოვრობდა, მათი სახელი (წანარები) , ყაზბეგის რაიონის ზოგიერთი ტოპონიმი და სახელი „სუანი“ ეტიმოლოგიურად ერთმანეთთან ახლოა. მაგალითად იქაური ტოპონიმებია „სონდოსხევი“, „სნო“, „სიონი“, რომელთა ფუძე-ძირები –სონდ(სონ), სნო, სიონ(სონ), როგორც სახელ „სვანთან“, ისე „წანართან“ უნდა იყოს დაკავშირებული (საფიქრებელია, რომ სიონ სახელის თავდაპირველიფორმა არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ცნობილ საეკლესიო „სიონ“ სახელთან ,არამედ იქვე არსებულ ტოპონიმების სახელებთან სონ, სნო, და წან)

ისტორიაში დაკარგული სვანეთი

V-VI სს. ბერძენი ისტორიკოსების თხზულებებში მრავლად გვხვდება ცნობები სვანეთის შესახებ, განსაკუთრებით VI ს-ში სპარსეთ-ბიზანტიური ომების აღწერისას.

სვანეთისთვის ორი იმპერია იბრძოდა თავგამოდებით. ამის მიუხედავად, ასეთი დიდ და მნიშვნელოვან ქვეყანის საზღვრები აქამდე დადგენილი არ იყო. ჩვენმა მეცნიერებმა მას ადგილი ვერ მოუძებნეს. ამიტომაც აღნიშნავდა დიდი ივ. ჯავახიშვილი, რომ „წყაროებში არ ჩანს სვანეთის საზღვრები XII საუკუნემდე“ – (იქვე, გვ. 51).

ბერძენი ავტორების აღწერით, სვანეთი დიდი ქვეყანა იყო, ხოლო სვანები – ძლიერი ხალხი, სტრაბონის ცნობით-სვანებს იბერებსაც უწოდებდნენ(**Некоторые называют их также иберииса**ми – одонаково с западными - от золотых россипей, находяшихся в обеих странах. **სტრაბონი, XI, II, 19).**

სტრაბონის ცნობას ეთანადება პროკოფის ცნობაც:

-„სვანეთი იბერიის ნაწილია“- უმტკიცებდნენ სპარსელი შაჰები და მათი დიპლომატები ბიზანტიელებს“- წერს ის.

თანამედროვე სვანეთის ძველ სვანეთად ჩავთვლა აშკარად შეუსაბამობაა, რადგანაც, როგორც წყაროებიდანაც კარგად ჩანს, პატარა, მიუწვდომელი მთიანი რეგიონისთვის (შემდგომი მესტიისა და ლენტეხის რაიონებისათვის)- ორი იმპერია არ იბრძოლებდა ერთმანეთთან თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში,

წყაროები სხვა, უფრო ფართო და მნიშვნელოვან ქვეყანაზე მიუთითებს.

საზავო მოლაპარაკებების შემდეგ დადგინდა, რომ ლაზიკა – ბიზანტიას უნდა გადაცემოდა, ხოლო სვანეთი – სპარსეთს.

თუკი ლაზიკა მთელი დასავლეთ საქართველო იყო (იმერეთის სკანდე-შორაპანიდან შავ ზღვამდე), ხოლო სვანეთი – თანამედროვე მესტიისა და ლენტეხის რაიონები, მაშინ სპარსელებს ტერიტორიულად ხელიც არ მიუწვდებოდათ თავიანთ საპატრონო ქვეყანაზე, რადგანაც **მათსა და სვანეთს შუა ლაზიკა იქნე-**

ბოდა მოქცეული.

ძველ სვანეთზე მეტი ინფორმაცია აქვს „ქართლის ცხოვრებას“, სადაც ნათქვამია: „ეგრისი, რომელ არს სვანეთი“, ამ ცნობით თითქოსდა **სვანეთი ეწოდებოდა ეგრისს, ანუ დასავლეთ საქართველოს**.

მაგრამ,საქმე ისაა, რომ თანამედროვე ისტორიკოსები VI საუკუნისათვის დასავლეთ საქართველოს არა სვანეთს არამედ ლაზიკას უწოდებენ, რაც ქმნის შეუსაბამობას.

ჩვენო კვლევით კი VI ს.-ში პოლიტიკური მნიშვნელობით ლაზიკა ერქვა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ ერგე-ლიგან-კლარჯეთს (და „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირს“).

აი, ამ ლაზიკის დამარცხების სემდეგ ბიზანტია-სპარსეთის გაცხარებული ომები მიმდინარეობდა უკვე მთელი დასავლეთ საქართველოსთვის, ანუ ეგრის-სვანეთისთვის.

იქამდე კი ლაზიკა, ანუ „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ დაინარჩუნა ბიზანტიიამ.

საზავო მოლაპარაკებების დროს ერთ პერიოდში დადგინდა, რომ დასავლეთ საქართველო ანუ ეგრის-სვანეთი გადაცემოდა სპარსეთს, ვითარცა ნაწილი იბერიისა, ხოლო **იბერია სპარსეთის ხელდებულ ქვეყანად იყო აღიარებული, მაშასადამე, იბერია თავისი ნაწილით – ეგრის-სვანეთით სპარსესთს დარჩა, ხოლო კლარჯეთი ანუ ლაზიკა კი ბიზანტიას.** თუმცა შემდგომ ეგრის-სვანეთისთვის ბრძოლები კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

ქართული წყაროებითაც, ეგრის-სვანეთი მუდამ იბერიის ნაწილი იყო. C–244

აფსილები

ბერძნული წყაროებიდან ცნობილია, რომ ლაზიკის შემდეგ მდებარეობდა აფსილების ქვეყანა, ხოლო აფსილების ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა მისიმიელების ქვეყანა.

ჩვენ გარკვეული გვაქვს, რომ აფსილების ქვეყანა – ესაა თანამედროვე გურიის ზღვისპირა ნაწილი – მდ. სუფსას ხეობა. ხოლო მისიმიელთა ქვეყანა, ჩანს, ერქვა თანამედროვე გურიისა (და ნაწილობრივ აჭარის) მთიანეთს.

აფსილეთს და მისიმინეთს, ჩანს, მიიჩნევდნენ იმ სვანეთის ქვეყნის ნაწილად, რომელიც ჭოროხის ზემოთ მდებარეობდა.

„სვანეთის ქვეყნები“ იყო, ჩანს, აფსილეთი, მისიმინეთი, აბაშგია და ე.წ „აფხაზეთის ალანია“.

აბაშგია – რიონის ხეობაში, მისიმინეთი და აფსილები მის ქვემოთ, ხოლო ალანია – მაღლა, შემდგომ აფხაზეთში.

VI ს. ომისას სვანები უფრო მეტად ემხრობოდნენ სპარსელებს, ამიტომაც ბიზანტიელებმა ჩრდილო კავკასიიდან შემოიყვანეს ალანი მებრძოლები და სვანების მიწებზე დაასახლეს შემდგომ აფხაზეთში.

ჩანს, ქართულ ტომებს (სვანებს,აფსილებს,აბაშგებს) „სვანეთის ომების“ დროს(VI ს. და VII ს. დასაწისი) წაუწევიათ ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, იმდენად, რომ მურვან ყრუს დროს, VIIIს. დასაწყისში აფშილეთი ერქვა არა თანამედროვე სუფსის ხეობასა და მიმდებარე ქვეყნებს, არამედ ცხუმთან (სოხუმთან) მდებარე რეგიონს, შესაბამისად, ჩრდილო – ჩრდილო-დასავ-

ლეთით გადაუწევია ყველა ტომს.

თუკი იქამდე აბაშგები თანამედროვე ქ. აბაშასთან (სამტრედიის რეგიონში) ბინადრობდნენ, შემდგომ ჩანს, ისინი გადასულან თანამედროვე აფხაზეთში, სვანებიც ჩრდილოეთით არიან დაძრულნი და ამ დროისათვის მათ დაიჭირეს ის რაიონები, რომელნიც ამჟამად უჭირავთ.

[მხოლოდ ძალზე გვიან, მას შემდეგ რაც თემურ ლენგის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში ადიღე-ჩერქეზები ჩასახლდნენ და დაიწყეს მკვიდრი კავკასიური ტომების ასიმილირება და აფხაზეთის დაპატრონება, მათ ერთერთ ტომს ქართველი აბაზ-აბაშკების სახელი მიუთვისებიათ და შემდეგ აფხაზებისა, ამ ტომებს იქამდე საკუთარი სახელებიც არ გააჩნდათ და სახელებს მათ მიერ დაპყრობილ-დამონებული ხალხების მიხედვით უწოდებდნენ).

მისიმიელების ტომი, ჩანს ცხოვრობდა გუბაზოელის ხეობასთან, ვანსა და ჩოხატაურს შუა. ეს ტომი მხოლოდ უცხოური წყაროებითაა ცნობილი.

მისიმიელების ტომი ბიზანტიელებმა მთლიანად გაწყვიტეს, თითქოს ამ ფაქტის გადმონაშთია ქართული გამოთქმა- „სინსილა გაწყდა“, რაც წყევლაა და პირწმიდად გაწყვეტას ნიშნავს, აქედან გამომდინარე ხომ არ ერქვა ქართულად მისიმიელთა ტომს ასევე „სინსილა? ხომ არ წარმოდგება ტომ „სინსილას“ სახელიდან გვარი „სიმსივე“?

სინსილა=**სიმ**-სილა

სიმ-სივე

მი-**სიმ**-იანი

ხოლო, აფსილების სატომო სახელიდან უნდა იყოს წარმომდგარი გვარები-აფშილვა,აფსნაძე.

*უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვა „სუანები“, „სვანები“ ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია წყალთან, მის ფუძეში უმთავრესია „სუ“, „ს“, „შ“, როგორც სიტყვებში მე**ს**ხი, აფ**შ**ილი, აბა**ს**ხი, მი**ს**იმიელი,*

შესაძლოა სვანეთი VI ს.-ში ერქვა დასავლეთ საქართველოს და სვანების ნაწილი – რიონის ჭაობებშიც ცხოვრობდა მთებში ასვლამდე, ხოლო მთიელები იყვნენ კლარჯები, გურულები, ეგრისელები, არგველები და აღმოსავლეთ საქართველოს ხალხი (არა ჭაობის ხალხი) – ფუძე – „გრ“.

შესბამისად, ერგე-კლარჯეთის მოსახლეობა ქმნიდა ლაზების სამეფოს, ხოლო ეგრისელები, არგველები და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ქმნიდა იბერიას, ცალკე იდგა რიონის ჭაობები, სადაც ცხოვრობდა „გაშლილი წყლის“ ანუ ჭაობის ხალხი („ფაშ“, „სუან“, „ბას,“ „მეს“ ხალხი), ეს ჭაობის ხალხები (ე.ი. აფშილები, სვანები და სხვა) სადავო იყო ლაზიკასა და იბერიას შორის VI ს. ერთ პერიოდში.

რიონის ვრცელი ჭაობები იყო მკვდარი რეგიონი, მას ვერ ამჩნევდნენ და არც აღწერდნენ ძველი ავტორები, სწორედ ამ მიზეზის გამო – გაუვალი, უგზო-უკვლო ჭაობებსა და ეკალ-ბარდებით დაბურული მხარე, ვრცელი კერა მალარიისა და ციებ-ცხელებისა, სადაც მდორედ მიიზლაზნებოდა რიონი, რომელიც ზღვას იმდენად ნელა ერთვოდა - შეუძლებელია ყოფილიყო პროკოფის და სხვების მიერ აღწერილი მჩქეფარე მდინარე ფაზისი.

რიონი, მიუხედავდ იმისა, რომ XX ს-ში ჭაობების დაშრობის გრანდიოზული

სამუშაოებისა, ამჟამადაც მაინც მდორედ ერთვის შავ ზღვას, კერძოდ, ზღვის ღელვის დროს, არა მდინარე შედის ზღვაში, არამედ პირიქით, ზღვა შედის მდინარის კალაპოტში და ის ზღვის წყლის სადინარი ხდება. კარგ ამინდში მდინარისა და ზღვის შეერთება ასეთია – ისინი თითქოსდა ერთმანეთს ენაცვლებიან, ხან მდინარე შედის ზღვაში და ხან ზღვა შემოდის მდინარის კალაპოტში. ამ პროცესს ადგილობრივი მოსახლეობა საგანგებო ტერმინით აღნიშნავს – „ზიპი“ ამ ტერმინით აღინიშნება სინუსოიდური სილის გორაკები მდინარის კალაპოტში, რომელიც წარმოიქმნება სწორედ ამ აღწერილი პროცესის გამო.

მდ. ბოასი – ს. ყაუხჩიშვილის აზრით, იყო ორი ბოასი: ერთი ერთვოდა ჭოროხს, მეორე კი რიონს. ჩემი აზრით, რადგანაც ძველ ავტორთა დაბეჯითებულ მითითებით ბოასი გამოედინებოდა ჭანეთის მთებიდან (გეორგიკა, 2, გვ. 100). ცხადია, იგულისხმება არა ყვირილა, არამედ ჭოროხის შენაკადი, ანდა ჭოროხი თავის სათავესთან.

საქართველოს კუთხეებსა და ლაზიკეში მრავალი ერთნაირი ტოპონიმი და ჰიდრონიმი იყო. მაგალითად, ეგრისწყალი (აფხაზეთში (ბედიასთან) და „ეგრეს-სუ ანუ ეგრისწყალი ტრაპიზონის მხარეს (ივ. ჯავახიშვილი, 1983, ტ. II, გვ. 123), კლისურა (ცხუმთან) და „კლასური“ (ტრაპიზონისაკენ) (იქვე, გვ. 23). „პიტია“ – „ტრაპიზონთან“, „პიტიუნტი“ ცხუმთან, სებასტოპოლისი, ტრაპიზონის ოლქში და აბაზგიაში. „ზეგანა“ („ზეგანთა სოფელი“) XI ს-ში შიდა ქართლში (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 33) და „ზიგნა“ ქალდიაში (ტრაპიზონის მხარე), ასევე ზიგინევი (აფხაზეთში), ზეგანი სოფ. კლდეეთთან, ზესტაფონში. ქ. ფაზარი (იგივე ფაზისი), (ძველი ათინა ტრაპიზონთან) (გეორგიკა II, 1965, გვ. 102) და ფაზისი. „ბოასი“ ერქვა ჭოროხს ან მის შენაკადს პროკოფი კესარიელის მიხედვით, ასევე როგორც ზოგიერთი ფიქრობს მდ. ყვირილასაც. ფაზისი ერქვა ჭოროხსაც და ასევე რიონსაც. მაგალითად, პროკოფი კესარიელი ლაზიკას ასე აღწერს – „ლაზიკე ყოველგან, მდინარე ფაზისის როგორც აქეთა, ისე იქეთა მხარეზე გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია რომლებიც იქ ვიწრობებს ქმნიან, ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს“ უწოდებენ“ (გეორგიკა II, 1965, გვ 102). მდ. რიონთან დასავლეთ საქართველოს ბარში კლდეები არსადაა, ის არის ჭოროხის სანაპიროებზე, ისტორიულ ლაზიკეში. პროკოფი გარკვევით წერს – „მდ. ბოასი გამოდის ჭანეთის საზღვრის მახლობლად არმენიელთა ადგილებში, რომლებიც ფარანგიონის გარშემო ცხოვრობენ. თავში ის კარგა მანძილზე მარჯვნივ მიმდინარეობს. თხელია ... ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრები არის, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა თავდება, მის შემდეგ რაც ეს მდინარე მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ, რადგან მას ბევრი სხვა წყალიც ემატება, ის იზრდება ძალიან და ნაცვლად ბოასისა, ამიერიდან ფაზისად წოდებული, განაგრძობს მდინარებას ნაოსნობისათვის გამოსადეგი, ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი შესართავია და მის ორივე მხრით ლაზიკე არის “ (გეორგიკა, II, გვ. 100).ჭოროხის შესანიშნავი აღწერაა.

თავი XXIII
ალანია

„ალანთა ქვეყანა, რომელ არს აფხაზეთი“

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ეგროსის წილი ქვეყანა აღწევდა მდ. ყუბანამდე („მდინარე მცირისა ხაზარეთისა“), თუმცა ფარნავაზ-ქუჯის მიერ დაარსებულ „ქართლის სამეფოში“ მისი მხოლოდ ერთი ნაწილი შესულა, კერძოდ, ქართლის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი გავლებულ იქნა მდ. ეგრისწყალზე, რომელზეც მდებარეობდა ქალაქი ბედია.

მაშასადამე ფარნავაზის დროს ქართლის სამეფოს სახელმწიფო საზღვარი ბედიასთან გადიოდა.

მდინარე ეგრისწყალი ამავე დროს ყოფილა საზღვარი ქართლის სამეფოსა და „საბერძნეთს“ შორის ალექსანდრე მაკედონელის დროიდან (ქ.ც., 1955, I, გვ. 177). ვახტანგ გორგასლის შემდგომ ქართლის სამეფოს საზღვარმა გადაიწია უფრო ჩრდილოეთით და დაიდო მდინარე კლისურაზე (კელასურზე).

მდ. კელასურის იქით, ე.ი. აღმოსავლეთ სანაპიროს მხარეს მდებარე ქვეყანას VIII ს-დან „აფხაზეთი“ ერქვა, ხოლო აქეთ, ე.ი. დასავლეთ სანაპიროს მხარეს - „ქართლის სამეფო“. საზღვარი ბიზანტიასა და ქართლის სამეფოს შორის აქ, რომ ყოფილა ეს ჩანს „ქართლის ცხოვრების“ სხვა ცნობიდანაც. კერძოდ კი იმპერატორის ბრძანებიდან იმჟამად (VIII ს. დასწყისში) მის დაქვემდებარებაში მყოფ აფხაზეთის ერისთავისადმი. ქართლის სამეფოს ამ საზღვართან დაკავშირებით კეისარი შემდეგ ბრძანებას აძლევს თავის მოხელეს-აფხაზეთის ერისთავს ლეონ I-ს : -„ ყოვლადვე **საზღვართა ქართლისათა ჩვენგან ქმნილ არს ვნება**... ხოლო შენდა მიბრძანებიეს ერისთაობა აფხაზეთისა, შენ და შვილთა შენთა და მომავალთა შენთა მიუკუნისამდე. არამედ **კეთილად პატივსცმდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერიდან ნუღარამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა**“(ქ.ც.I.გვ.240).

ამ ბრძანებაში ორჯერაა ნახსენები ქართლის სამეფოს საზღვრები,რომელთაც იქამდე ბიზანტიელები ხშირად არღვევდნენ(„**საზღვართა ქართლისათა ჩვენგან ქმნილ არს ვნება“),** ამიერიდანო კი, წერს იმპერატორი, ჯეროვნად უნდა სცე პატივი ქართლის მეფეებს და მათი სამეფოს საზღვრებს ეგრისში (**„ამიერიდან ნუღარამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა“**), ქართლის სამეფოს საზღვარი ეგრისში, როგორც ითქვა, იმჟამად მდ. კლისურაზე გადიოდა, მაშასადამე ამ საზღვრის დარღვევა აკრძალა კეისარმა.

ბრძანებაში ჩამოთვლილია ის დამსახურებანი, რომელნიც მიუძღოდათ ქართლის მეფეებს ბიზანტიის იმპერიის წინაშე, მიუხედავად ამისა ჩვენ ხშირად ვარღვევდით მათ საზღვრებს, ახლა კი არაბების შემოსევის გამო საჭიროა დავაფასოთ ეს დამსახურებანი და აღარ დავარღვიოთ ქართლის საზღვრები, შენ კი კერძოდ, წერს კეისარი აფხაზეთის ერისთავს, აღარ დაარღვიო ქართლის სამეფოს საზღვარი ეგრისშიო.ამ ცნობიდანაც ჩანს,რომ ქართლის სამეფოს საზღვარი ეგრისსა და აფხაზეთს შუა მდებარეობდა VIII ს. დასაწყისში.

რომელი ტომი იყო ჰეგემონი VIII ს.-მდე კლისურა-კელასურიდან ვიდრე ყუბანამდე?

იქაური მკვიდრი მოსახლეობა ყოფილა „ეგრისელები“ („ქართლის ცხოვრების“

მიხედვით, ეგროსის წილი ქვეყანა აღწევდა მდ. ყუბანამდე, ეგრისელები იყვნენ თვით ეგრისელები, სვანები და აფხაზები, რომელნიც VIII საუკუნიდან გამოჩნდნენ), მაგრამ ქვეყანა ტერიტორიულად შედიოდა საბერძნეთის იმპერიაში (ანუ ბიზანტიაში).

ადგილობრივი მოსახლეობა ბიზანტიელების მიერ იყო დამორჩილებული. ბიზანტიელები მკვიდრი მოსახლეობის აჯანყებათა დასათრგუნად დაპყრობილ ტერიტორიაზე რომელიმე სხვა ტომს გააბატონებდნენ ხოლმე.

შემდეგ დროინდელ აფხაზეთში, როგორც ქართული, ისე ბერძნული წყაროებიდან ჩანს, VI-VII სს.-ში ბიზანტიელებს გაუბატონებიათ **ალან მებრძოლთა რაზმები**. ალანებისა და ბიზანტიელების მეგობრობის შესახებ სპარსელი შაჰებიც მიუთითებდნენ VI საუკუნეში ბიზანტიელებთან მოლაპარაკებების დროს.

ჩრდილო კავკასიაში ხაზარების გაბატონებამდე ალანებს ჰქონდათ ჰეგემონობა თავის ხელში აღებული,მათ შორის შავიზვისპირეთის მთებშიც,ამიტომაც იმჟამინდელი(ე.ი.VI-VII სს.) ალანია შემდგომ აფხაზეთად სახელდებულ ტერიტორიას უშუალოდ ესაზღვრებოდა.

ბიზანტიელთა მოკავშირე ალანები აფხაზეთის გზით შედიოდნენ დასავლეთ საქართველოში სპარსელებთან საომრად.

ქართული წყაროებიც იმ ტერიტორიას, რომელსაც შემდგომ საკუთრივ აფხაზეთი ეწოდა – **ალანიას** უწოდებდნენ. ეს იყო კლისურას იქით ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

თამარის ისტორიკოსი წერს: – „გიორგი III „ჟამსა ზამთრისასა გარდავიდის ლიხთიმერეთს და მიუწიოს ზღვად პონტოსად და მოინადირის **ალანთა ქვეყანა, რომელიც არს აფხაზეთი**“ („ისტორიანი და აზმანი“, ქ.ც. II, 1959, გვ. 15).

ალანია – გვიან შუა საუკუნეებშიც კი ერქვა აფხაზეთის ერთ ნაწილს.

ჩრდილო კავკასიის, დონის, დუნაისა და დნეპრისპირეთში ალანთა ძალზე მრავალრიცხოვანი მომთაბარე ხალხი ისე იყო გაძლიერებული V-VI საუკუნეებში, რომ ევროპაშიც კი ლაშქრობდნენ.

არაა გასაკვირი, რომ მათ მებძოლებს VI ს.-ში დასავლეთ საქართველოს სიღრმეებში (ბიზანტია-სპარსეთის ომისას ბიზანტიელთა ნებით) ფეხი ჰქონდათ მოკიდებული, ე.ი ციხე-სიმაგრეები და მნიშვნელოვანი პუნქტები ეჭირათ გარკვეული დროით.

ალანთა შემდგომ აქ ხაზართა გავლენა გაძლიერებულა არაბების შემოსევების შემდგომ.

„ალანია“ აფხაზეთში

V-VI სს-ში **ალანთა** სახელით ცნობილი **მომთაბარე** მრავალრიცხოვანი ხალხები თარეშობდნენ ვრცელ ტერიტორიაზე რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სამხრეთით (დუნაიდან დნეპრამდე).

ალანები შედგებოდნენ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ტომებისაგან, მიისწრაფოდნენ შეჭრილიყვნენ რომის, ბიზანტიის და სპარსეთის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში და გაეძარცვათ.

ისინი ორი მიმართულებით ლაშქრობდნენ: სამხრეთით კავკასიის ქედის გავლით ისწრაფოდნენ სპარსეთსა და მცირე აზიაში შესაჭრელად, ხოლო დასავლეთით კი უტევდნენ ევროპას. ამიტომაც ჩნდებოდნენ კავკასიის სხვადასხვა ნაწილებში,

V ს-ში ისინი ცენტრალური კავკასიის გზით საქართველოში შემოიჭრნენ, მ აგრამ ვახტანგ გორგასლის ღვაწლით ფეხი ვერ მოიკიდეს.

VI ს-ში, როცა ქართლის სამეფო დასუსტდა, ისინი ბიზანტიამ, ვითარცა მოკავ-შირეები სპარსელთან ომში დროებით გააბატონა დღეს აფხაზეთად ცნობილ მიწა-წყალზე.

ასეთი თვალსაზრისის გამოთქმის უფლებას იძლევა ის ფაქტი, რომ „ალანია“ დაერქვა აფხაზეთის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს (ძველი ხანიდან XVIII საუკუნის ჩათვლით) და ასევე ბერძნულ წყაროთა ანალიზი.

ვახუშტი ბაგრატიონი წერს **ალანიის** შესახებ – „ხოლო **ალანი არს სუანეთის დასავლით და ბედიის ჩრდილოთ, აქვს აღმოსავლით საზღვარი სვანთა, სამხრით კავკასი ბედია-ოდიშს და ამას შორისი, უდის შუაში სვანეთის მდინარე. მოსავლით და პირუტყვით ვითარცა სვანეთი, არამედ კაცნი კერპნი, უსჯულონი, პირველ იყვნენ ქრისტიანენი და აწ კერპნი და რომელნიმე მაჰმადიანი“** (ქ.ც. IV, 789).

„სვანეთის მდინარეს“ ვახუშტი ჩანს უწოდებს ბზიფისწყალს, რადგანაც სხვაგან წერს – „ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპეტის მდინარე, დიდი და ჩქარად მდინარე, გამოდის ესე რაჭის მთას, კავკასსა, გამოვალის სვანეთს, ალანს და მას ქვემოთა მოერთვის ზღვასა“ (იქვე, გვ. 785).

მაშასადამე, **პროვინცია ალანი, ანუ ალანია მდებარეობდა აფხაზეთში ბედიის ჩრდილოეთიდან ვიდრე ბიჭვინთის ჩრდილოეთამდე,** ანუ თითქმის მთელი აფხაზეთის მთიანი ზოლი ეკუთვნოდა სვანეთსა და ალანიას.

საერთოდ, სიტყვა აფხაზეთი ჩვენს ისტორიოგრაფიაში VIII ს.-დან ჩნდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბედია თვითვე იყო სასაზღვრო ქალაქი, რადგანაც მასზე გამავალი მდინარე ეგრისწყალი იყო საზღვარი ქართლის სამეფოსა და საბერძნეთს შორის(ფარნავაზიდან ვახტანგ გორგასლამდე), ჩანს, ამ **მდინარე ეგრისწყალის მარჯვენა სანაპირო ქვეყანა იქამდე „ალანიად“ იწოდებოდა, ხოლო მარცხენა კი ქართლად (ეგრისად),** ე.ი. მდ. ეგრისწყლის მარჯვენა სანაპიროს ალანია ეწოდებოდა VIIIს-მდე, ე.ი. იქამდე, სანამ მას აფხაზეთი დაერქმეოდა.

ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას იძლევა მემატიანის ასეთი განცხადება – „ალანთა ქვეყანა, რომელ არს აფხაზეთი“, კერძოდ, მემატიანე წერს – გიორგი III „ჟამსა ზამთრისასა გარდავიდის ლიხთიმერეთს და მიუწიის ზღვად პონტოსად და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“ (ისტორიანი და აზმანი, ქ.ც. II, 1959, გვ. 15).

მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მდ. ეგრისწყლის იქით მდებარე ქვეყანას პირველი ათასწლეულის რაღაც პერიოდში (უფრო მეტად VI-VII საუკუნეებში), VIII საუკუნემდე ერქვა „ალანია“, ხოლო აფხაზთა ჰეგემონობის პერიოდში კი მისი სახელი შევიწროვებულა.

ალანია დარქმევია აფხაზეთის მხოლოდ ერთ, თუმცა მნიშვნელოვან ნაწილს – მთიან ტერიტორიას ბედიიდან ვიდრე ბიჭვინთამდე.

სვანეთის უშუალო მეზობელი აფხაზეთის მთიანეთში ალანია ყოფილა სვანეთამდე – **„სვანეთი სიგრძით არს რაჭის თხემიდან ალანამდე“** (იქვე, გვ. 787).

მართლაც, ვახუშტის (და სხვა წყაროთა) ცნობით, ცხუმამდე, ანუ **სოხუმამდეც კი ვერ აღწევდა ისტორიული აფხაზეთი, რადგანაც ცხუმის იქით „ანაკოფია ალანითურთ“ სხვა ქვეყანა იყო, ხოლო საკუთრივ აფხაზეთი უფრო ჩრდილოეთით (ანაკოფიიდან მდ. ყუბანამდე) მდებარეობდა.**

მემატიანე წერს, რომ აფხაზთა პირველმა მეფე ლეონმა თავისი სამეფო გაყო რვა საერისთავოდ:

„1. დასვა აფხაზთა(ერისთავი) და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ხაზართა მდინარემდე;

2. დასვა (ერისთავი) **ცხომს და მისცა ეგრის იქითი ანაკოფია ალანითურთ**;

3. დასვა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლით ცხენისწყლამდე და ა.შ.“ (ქ.ც. IV, გვ. 796).

მაშასადამე, **ცხუმის საერისთავოში შედიოდა „ანაკოფია-ალანითურთ“, მის მარჯვნივ მდებარეობდა ბედიის საერისთავო, ხოლო მარცხნივ აფხაზთა საერისთავო.**

მეფე ლეონის დაყოფის მიხედვით **„ალანია“ მდებარეობდა ბედიიდან ბიჭვინთამდე.**

ცხუმის ერისთავი ამავე დროს ანაკოფია-ალანიის ერისთავიც იყო, რადგანაც ამ საერისთავოში მდებარეობდნენ აღნიშნული ერთეულები. ე.ი. ცხუმის საერისთავო აერთიანებდა ანაკოფიისა და ალანიის „ქვეყნებს“, თვითონ ცხუმი კი წყაროს მიხედვით „აფშილეთში“ შედიოდა. მაშასადამე, **ცხუმის საერისთავოში ალანია-ანაკოფიასთან ერთად აფშილეთიც შედიოდა,** ხოლო აფხაზთა საერითავო, როგორც ითქვა) უფრო ჩრდილოეთით იყო.

ვახუშტის ცნობით, ლეონ I-ის დროს „აფხაზთა სამეფოს“ ჯერ კიდევ არ ერქვა ეს სახელი (ე.ი. აფხაზეთი).

ლეეონ I-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა ლეონ II „აფხაზთა ერისთავი“, მას უნებებია თავისი ვრცელი სამეფოსათვის ეწოდებინა „აფხაზეთი“. ე.ი. იქამდე აფხაზეთი ერქვა ანაკოფია-ცხუმის იქითა ტერიტორიას ვიდრე მდინარე ყუბანამდე. ახლა კი,აფხაზთა ერისთავის გამეფების შემდეგ, აფხაზეთი ეწოდა ვრცელ ქვეყანას ლიხის მთიდან ყუბანამდე. ეს აფხაზთა ერისთავი- ლეონ მეორე, ქართლის მეფეთა მემკვიდრის გურანდუხტის ვაჟი იყო, გურანდუხტს კი ეკუთვნოდა - „ეგრისი, არგვეთი, თაკვერი და გურია“.

საერთოდ, ქართული მატიანეების ცნობით, როგორც ითქვა, ასეთი ვითარება იყო: მდინარე ეგრისწყლამდე (შემდეგ კი მდ. კლისურამდე) განფენილი იყო „ქართლის სამეფო“, მდინარე კლისურას (კელასურის) იქით (მარჯვნივ) კი „საბერძნეთის“ ანუ ბიზანტიის იმპერიის მიწა-წყალი იყო.

ბიზანტიელებს აქ (ანუ მდ. კელასურიდან ყუბანამდე) ჰყოლიათ თავიანთი ერისთავი ლეონ I, მას უსარგებლია არაბთა შემოსევებისას ბიზანტიის დასუსტებით, ასევე ხაზარებთან ნათესაობით და ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტის შედეგად VIII ს-ის დასაწყისში მოუპოვებია დამოუკიდებლობა ბიზანტიელებისაგან, მას ამავე დროს შეურთავს ქართლის მეფეთა ქალიშვილი გურანდუხტი (ასულ მირ მეფისა).

ქართლის მეფე არჩილის (მირის ძმის) გარდაცვალების შემდეგ გურანდუხტს სამეფო ოჯახიდან მზითვის სახით ერგო ე.წ. „საუხუცესო“მიწა-წყალი.

ეს იყო სამეფო საკუთრება დასავლეთ საქართველოში – „ეგრისი, არგვეთი,სვანეთი, თაკვერი და გურია“ (იქამდე ეს მხარე არჩილს ეკუთვნოდა).

მდიდარი მზითვით შევიდა გურანდუხტი აფხაზთა ერისთავის ოჯახში,როგორც ვთქვით ეს იყო ვრცელი მიწა-წყალი დასავლეთ საქართველოში-შემდეგდროინდელი იმერეთი,სამეგრელო,სვანეთი,რაჭა-ლეჩხუმი და გურია.

ცხადია შეუღლების შემდეგ, ლეონ I-მა თავისი მეუღლის ამ მზითვზე თავისი უფლებამოსილება განახორციელა. ამის გამო მათი (ე.ი. გურანდუხტისა და ლეონ I-ის) ვაჟი ლეონ II უკვე ვრცელ ქვეყანას ფლობდა ლიხის ქედიდან ყუბანამდე, ამ ქვეყანას მან მალე თავისი საერისთაოს სახელი „აფხაზეთი“ დაარქვა.

როგორც ითქვა, მამის გარდაცვალებამდე ლეონ I-ისა და გურანდუხტის ვაჟი ლევან II ერისთავობდა აფხაზეთს ანუ მამის მიერ დანიშნული იყო აფხაზეთის ერისთავად. „ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი და **„ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თვისსა და მოიღო საერისთაოსა თვისისა სახელი ეგრისსა ზედა**“ (გვ. 742).ე.ი. იქამდე ყველა ეს ტერიტორია ლიხის მთდან ყუბანამდე ეგრისად იწოდებოდა, ლეონ II-მ კი მას აფხაზეთი უწოდა.

ქართველ მეფეთა ალანი მეუღლეები

ხაზართა შემდგომაც ვიდრე მონგოლების შემოსევებამდე **ალანია** მდებარეობდა აფხაზეთის მეზობლად იმ ტერიტორიაზე, რომელზეც შემდგომ თემურლენგმა ჩაასახლა ადიღე-ჩერქეზები (დასავლეთ იმიერკავკასიაში, სადაც ამჟამად ესენდუკი, კისლოვოდსკი და მათი მეზობელი ქალაქებია), [„პროვასლავნაია ენციკლოპედიის“ თანახმად ადიღე-ჩერქეზები და თურქულენოვანი ხალხები ჩრდილო კავკასიაში ჩაასახლა თემურ ლენგმა (იქამდე ისინი ცხოვრობდნენ არა კავკასიაში, არამედ უფრო ჩრდილო აღმოსავლეთით). შესაბამისად, ჩრდილო კავკასიაში თემურის შემდეგ ჩერქეზები აღმოჩნდნენ აფხაზეთის მეზობლად, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც მონგოლებამდე ალანები ფლობდნენ].

იმის გამო, რომ მონგოლებამდე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გაძლიერებული იყო ალანთა ტომი და მათ სახელმწიფოც კი გააჩნდათ აფხაზეთის უშუალო მომიჯნავედ, საქართველოს მეფეები ცდილობდნენ მათთან დამოყვრებას, ირთავდნენ ალან მეფეთა ასულებს.

გიორგი I-ს შეურთავს „ოსთა მეფის ასული“ (პირველი ცოლის შემდეგ). „მის მეორე ცოლს, გიორგი კედრენეს სიტყვით, ალდე რქმევია. გიორგის გარდაცვალების შემდეგ დედა და შვილი ცხოვრობდნენ ციხე ანაკოფიაში... დემეტრე თავის გვორგვინოსან ნახევარძმას (ე.ი. ბაგრატ IV-ს) არ ენდობოდა... ამიტომ წარვიდა... მიმართა ბერძენ მეფესა და წაუტანა თანა ანაკოფია აფხაზთა მეფეთა“ (ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 140) ე.ი. ალანთა დედოფალმა ალდემ და მისმა შვილმა დემეტრემ ანაკოფია კეისარს გადასცეს 1032 წლისთვის.

ამ ციხის ბერძნებისაგან გასათავისუფლებლად ქართველებმა მრავალი ათეული წელი იბრძოლეს. აქედან ჩანს, რომ ანაკოფია – კავშირშია ალანიასთან, რადგანაც ბიზანტიელთა ლაშქარი აფხაზ მეფეებს მრავალჯერ დაუმარცხებიათ. მხოლოდ გიორგი II-ს (დავით აღმაშენებლის გამეფების წინ) აუღია ანაკოფია – „შემდგომ ამისა მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთასა წახმულნი ციხენი, წაუხვნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“ (ქ.ც. I, 1955, გვ. 317).

თვითონ ბაგრატ IV-ს ცოლად ჰყავდა „ოსთა მეფეთა ასული ბორენა“, ასევე იმ ეპოქის სხვა მრავალ ქართველ მეფეს, რაც, როგორც ითქვა, ჩრდილო კავკასიაში ალანთა (ოსთა) სამეფოს სიძლიერით იყო განპირობებული.

ალანიის ეპარქია „პრავასლავნაია ენციკლოპედიას“ მიხედვით

ბიზანტიური (დასავლური) ალანიის მმართველი დინასტია X საუკუნეში მოინათლა, ამავე დროს, დაარსდა ალანიის ეპარქია.

ალანიის ეპარქიის დაარსებაში მონაწილეობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი, ბერძენი მისიონერები – ბერი ექვთიმე (912 წლიდან) და მთავარეპისკოპოსი პეტრე (914-9).

მასში მონაწილეობდნენ აფხაზთა მეფეები კონსტანტინე III და გიორგი II.

ალანიის მიტროპოლიტის სახელით ცნობილ კათედრას კონსტანტინოპოლის კათედრათა შორის 61-ე ადგილი ეჭირა.

ამ მიტროპოლიის ცენტრი უცნობია. მას არ გააჩნდა თავისი საეპისკოპოსო კათედრები. თუმცა მას მიწერენ ჯიქეთის ეპარქიას.

რუსი მეცნიერების აზრით, ალანიის ეპარქიის კათედრა X-XI საუკუნეებში მდებარეობდა მდ. ზელენჯუკის ხეობაში [სინამდვილეში კი ეს ხეობა ამ დროისათვის სვანებით იყო დასახლებული, ვინოგრადოვის კვლევით ამ ხეობის ეკლესიათა ნაშთების არქიტექტურა ქართულია].

ალანიის ეპარქიის კათედრა შემდეგ (1084-1105) გადატანილ იქნა ტრაპეზუნტთან ახლოს ქ. სიტირიუპოლში, რომლის არქიეპისკოპოსი „ალანიის მიტროპოლიტის“ ტიტულს ატარებდა.

1204-1261 წლებში ალანიის მიტროპოლიტს ადგენდნენ კომნენთა იმპერიის დედაქალაქის, **ტრაპეზუნტის, იერარქები**.

XIII საუკუნიდან კონსტანტინოპოლმა ალანიის იურისდიქცია ოფიციალურად გადასცა ტრაპეზუნტს, 1386-1461 წლებში ალანიის მიტროპოლიამ ტრაპეზუნტიდან გადაინაცვლა სევასტიაში.

საერთოდ ალანიის ეპარქიის მრევლს XIII-XV საუკუნეებში ძირითადად შეადგენდნენ არა ეთნიკური ალანები, არამედ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნიკურად ნაირგვარი მოსახლეობა. მხოლოდ პირობითად ერქვა მათ ქვეყანას ალანია, რაც XIII საუკუნემდელი ვითარების ანარეკლს წარმოადგენდა

ПЭ–ს ცნობით– კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია არსებობდა X საუკუნიდან XVI საუკუნის ბოლომდე, ჩრდილო კავკასიაში, „ალანიის ქვეყნის“ საზღვრებში, მაგრამ ჩრდილო კავკასიის დიდი ნაწილი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, განსაკუთრებით თემურ ლენგის შემოსევებამდე,როცა იქაური მოსახლეობა ქრისტიანული იყო.

„პრავასლავნაია ენციკლოპედია“, რატომღაც, ალანურად მიიჩნევს ქართული კულტურის ზოგიერთ ძეგლსა და ქართულ საეკლესიო არქიტექტურასაც კი,

„პრავასლავნაია ენციკლოპედიას“ მიერ ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების ნაწილი მიჩნეულია „ალანურად“, რომელნიც თითქოსდა ქმნიან ე.წ. „ალანური ცენტრალური და აღმოსავლური ძეგლების ჯგუფს“.

ე.წ. ცენტრალურ-აღმოსავლური „ალანური ძეგლები“ სინამდვილეში არის ქართული (მაგ. ტყობა იერდი), რომელიც ПЭ-მ მიაკუთვნა ალანურს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნობილი ეკლესიას ჰქონდა არა ბერძნული არამედ ქართული წარწერები.

ალანიის უმთავრესი (ძირითადი) ნაწილი მდებარეობდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში – იალბუზის დასავლეთით, მაგრამ ტერიტორია მდ. ზელენჯუკის ჩათვ-

ლით სვანებით იყო დასხლებული და ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

აქაურ ნაეკლესიარებს ადგილობრივი მოსახლეობა „შოანსკიე ცერკვი“-ს (სვანურ ეკლესიებს) უწოდებს, მიუხედავად ამისა ამჟამად მათ სრულიად არამართებულად ალანურად განიხილავენ და ალანიის სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში ათავსებენ.

სინამდვილეში ჩრდილო კავკასიის ის ტერიტორია, რომელზეც აღნიშნული სვანური ეკლესიებია სვანებით იყო დასახლებული XIX ს.-შიც კი. როდესაც ე.წ. თავისუფალი სვანეთის საზღვარი აქამდე აღწევდა. შემდეგ ის რუსეთმა მიიტაცა და საბჭოთა ეპოქაში რომელიღაც მთის რესპუბლიკას გადასცეს. ამჟამად კი ეკლესიის ისტორიკოსებმა ეს „შოანსკიე ცერკვი“ (სვანური ეკლესიები) ალანიის მიტროპოლიას მიაკუთვნეს.

ალანიის ე.წ. დასავლური ძეგლების აბსოლუტური უმრავლესობა თავმოყრილია აფხაზეთის სვანეთისა და საერთოდ სვანეთის მეზობლად, მამისონის და ქლუხორის უღელტეხილის ჩრდილოეთით.

ალანები ჩრდილოკავკასიაში

ალანები ირანულენოვან ხალხად მიიჩნევა, სარმატების მონათესავეებად. პლინიუსის მიხედვით, ერთერთი სარმატული ტომი იყო როკსოლანი (შესაძლოა „მწითური ალანები“).

I საუკუნეში ალანები გამოჩდნენ სარმატული ტომების (აორსების და სირაკების) განსახლების ადგილზე ჩრდილო კავკასიასა და იქითა სტეპებში. პტოლემეუსი ახსენებს ტომს – „ალანორსებს“ IIს-ში.

I საუკუნეში ჩრდილო შავიზღვისპირეთში, სადაც იქამდე სკვითები და სარმატები ბინადრობდნენ, შეიქმნა ალანების სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც არბევდა მეზობელ ხალხებს, იბრძოდნენ ევროპასა, აზიასა და აფრიკაშიც კი. ამ მიზნით ისინი იერთებდნენ ანდა იკავშირებდნენ მეზობელ ათეულობით სხვადასხვა ხალხს.

IVს-ის 70-იან წლებში ალანურ ტომებს უჭირავთ უზარმაზარი ტერიტორია ჩრდილო კასპიისპირეთიდან შავზღვისპირეთამდე.

IV საუკუნეში ალანები ჰუნებმა დაამარცხეს.

დიდი ნაწილი ალანებისა წავიდა დასავლეთ ევროპაში, იბრძოდნენ გალიაში (406) და ესპანეთში (411), იქიდან გამოაძევეს ვესტგოთებმა (429), ალანებმა ჩრდილო აფრიკაში „ვანდალების“ სახელმწიფოს შექმნაში მიიღეს მონაწილეობა.

ჰუნების შემოსევის გამო ალანების მასიური გადაადგილება მოხდა კავკასიის მთებისაკენ.

აქ ისინი შეერივნენ ავტოქტონურ მოსახლეობას, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ოჯახში შედიოდა. ეთნოშერევის ამ ფაქტით ხსნიან რუსი მეცნიერები არაერთგვაროვნებას ალანური ეთნიკური წრისა, და, ამასთანავე, მატერიალური კულტურისა (ПЭ I, გვ. 442).

ПЭ– ს მიხედვით ალანებს ჩრდილოეთ კავკასიაში ეკავათ დიდი ტერიტორია დაღესტნიდან აზოვის ზღვამდე.

ჩრდილო კავკასიის სტეპებში ჰუნები ხაზარებმა შეცვალეს და ხაზართა შემდეგ ყივჩაღები (половци) მოვიდნენ. ისინი ალანებს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდნენ. ალანებს ქართული წყაროები „ოსებს“ („ოვსებს“) უწოდებდნენ, რუსები ასებს (იასებს).

IV-XIII საუკუნეებში ალანები წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან სამხედრო ძალას. იმ დროის დიდი სახელმწიფოები – ბიზანტია, ირანი, არაბთა ხალიფატი და ხაზარეთი ერთმანეთს ექიშპებოდნენ ალანიაში გავლენის მოსაპოვებლად.

IV-XIII საუკუნეებში „ალანური ლაშქარი“ მონაწილეობდა სამხედრო საქმეში ბრიტანეთიდან ჩინეთამდე.

VI საუკუნეში (და VII საუკუნის დასაწყისში) ირან-ბიზანტიის ომის დროს კავკასია გაიყო ამ ორ სახელმწიფოს შორის გავლენის ზონებად.

დასავლეთ ალანია – რომელიც იყო ალანური სახელმწიფოებრიობის და კულტურის ცენტრი, ბიზანტიური გავლენის ქვეშ იყო.

VIII-IX საუკუნეში დასავლეთ, ანუ ბიზანტიურ ალანიაში, ყუბანის ზემოწელზე გადიოდა „აბრეშუმის დიდი გზის“ მონაკვეთი, რაც ალანიას ბიზანტიასთან აკავშირებდა.

რუსი ისტორიკოსების აზრით, ხაზართა კაგანატის დაქცევის შემდეგ ალანიის ეპარქია გავრცელდა აღმოსავლეთით მდინარე თერგამდე, მოიცვა აღმოსავლეთ ალანიის ოლქები.

XIII საუკუნეში მონღოლთა დაპყრობებმა დაამხო დასავლეთ ალანიის სახელმწიფო წარმონაქმნი.

XIV-XV საუკუნეში თათარ-მონღოლთა ომების შემდეგ და თემურ ლენგის ბრძოლების შედეგად სრულიად შეიცვალა ეთნოპოლიტიკური რუკა ჩრდილო კავკასიისა. გამოჩნდა ახალი ჩერქეზულ და თურქულენოვანი ხალხები, რომლებიც ესახლებოდნენ გაუკაცრიელებულ ალანიაში, ანუ ჩრდილო კავკასიაში. მათ გამოაძევეს გადარჩენილი ალანები ანდა შეერივნენ მათ. მოიტანეს თავიანთი ჩვეულები და რწმენა, ხოლო XVIII საუკუნეში მიიღეს მუსულმანობა.

В XIV–XV вв после военных монголо-татарских экспедиции и опустошительных походов Тамерлана этнополитическая карта Сев. Кавказа кардинально изменилась. Новые адыго-тюркоязычные народы переместились в разоренные районы и вытеснив ..... (ПЭ, I, гз. 443)

ჩერქეზულენოვანი ხალხები (მათ შორის აფსუათა წინაპრებიც) აფხაზეთის საზღვართან გამოჩდნენ მხოლოდ თემურ-ლენგის შემდეგ. ვახუშტის ცნობაც ამავე ინფორმაციის შემცველია

ოქროს ურდოს დამანგრეველმა თემურ-ლენგმა (1336-1405) შემოიყვანა ჩრდილო კავკასიაში ტომები, რომელნიც იქამდე ცხოვრობდნენ კასპიისპირეთ-ყაზახეთში. „სინო-ტიბეტურ-ენისეური ენის“ მატარებელი ეს ტომები, შეერივნენ ადგილობრივ ჩრდილოკავკასიურ იბერიულ მოსახლეობას და თანდათანობით ჩამოყალიბდნენ ე.წ. „სინოკავკასიურ“ ენების მატარებელ ტომებად.

საფიქრებელია, რომ მკვიდრი ჩრდილოკავკასიელი იბერების (ძველი აფხაზების, სვანების, პირიქითელი რაჭველების (რომელნიც თანამედროვე რაჭის მეზობლად ჩრდილო კავკასიაშიც ცხოვრობდნენ), პირიქითელი ხევსურების, კახეთის მთიულეთის მცხოვრებთა და შემოსული მომთაბარე ტომების (ჩერქეზების, ავარებისა და სხვ.) ურთიერთშერევით ჩამოყალიბდნენ ახალი ხალხები, თავიანთი ახალი ენებით -თანამედროვე ჩერქეზები, ჩეჩნები, ყაბარდოელები და დაღესტნელები და სხვები.

„ნომადთა ალანიის სამიტროპოლიტო კათედრა“

ალანიის მიტროპოლიასთან დაკავშირებით „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“ გამოთქმული უმართებულო მოსაზრება, თითქოსდა მას გააჩნდა თავისი იურისდიქციის საზღვრები და სამღვდელმთავრო კათედრა, უფრო მეტიც, სრულიად უმართებულოდ თანამედროვე ყაზბეგის რაიონი და საერთოდ ისტორიული დვალეთი თითქოსდა ალანიის სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში შედიოდა. სინამდვილეში ალანია იყო, შეიძლება ითქვას, მხოლოდ პირობითი საეკლესიო ოლქი, რომელსაც არ გააჩნდა თავისი ფიქსირებული იურისდიქციის საზღვრები.

მომთაბარე, ნომადური ცხოვრების მქონე ალანთა ტომს გაქრისტიანებამდე მუდმივი საცხოვრებელი არ გააჩნდა. როგორც ცნობილია, იურისდიქციის საეკლესიო საზღვრები ძირითადად ემთხვეოდა სახელმწიფო ადმინისტრაციულს. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ ეკლესიას, ამ შემთხვევაში კი სამიტროპოლიტო ოლქს, ჰქონდეს თავისი იურისდიქციის საზღვრები, ის უნდა მდებარეობდეს რაიმე სახელმწიფოებრივ ერთეულში, რომელსაც ეს ეკლესია აღიარებს და მის ადმინისტრაციულ დაყოფას თავისთვის სასურველად მიიჩნევს. ამ მხრივ ალანთა მდგომარეობა სულ სხვაგვარი იყო. მათ XIს-მდე არ გააჩნდათ თავიანთი მუდმივი სახელმწიფო, სხვის, მათი თანაფარდი ერების სახელმწიფოებს თავს ესხმოდნენ და ანადგურებდნენ, შემდგომ იქ დროებით ესახლებოდნენ და ეწეოდნენ მათ მიერ დამორჩილებული ქვეყნების მტაცებლურ ექსპლუატაციას. როცა ამოწურავდნენ მის სასიცოცხლო რესურსებს, იცვლიდნენ საცხოვრისს და სხვა ხალხში, ან სხვა ქვეყანაში გადადიოდნენ და იპყრობდნენ. ამიტომაცაა ნათქვამი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ერთ დოკუმენტში – „ალანიის მიტროპოლიას სრულიად არა აქვს საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა, რადგანაც აქაური ხალხი მომთაბარეობას, ნომადური ცხოვრებას ეწევა“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 259).

პროკოფი კესარიელის და მისი ეპოქის ავტორთა ჩვენებებიდან ჩანს, რომ VI ს-ში დასავლეთ საქართველოს დაპყრობისას ბიზანტიელებს დასახმარებლად ჩრდილო კავკასიიდან მოუწვევიათ ალანები, ისინი დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში გამაგრებულან კიდეც (რისი ანაბეჭდი ტოპონიმიკამ შემოინახა, მაგ. მხარე „ალანია“ აფხაზეთში).

ჩანს, ბიზანტიელებს ალანებისთვის გადაუციათ კიდეც ზოგიერთი ციხე-სიმაგრე და რადგანაც ისინი მომთაბარენი იყვნენ, მალევე ალბათ VII ს-ში დატოვეს კიდეც დასავლეთ საქართველო. პროკოფიდან თითქმის ისე ჩანს, რომ ალანების ხელში მის დროს იყო დასავლეთ საქართველოს ციხე-სიმაგრეთა ერთი ნაწილი თვით დღევანდელ გურიამდე. მათ გვერდით ჩანან ქართული ტომები, რომლებიც ებრძოდნენ ერთდროულად ბიზანტიელებსა და ალანებს, რაც ცხადია, საბოლოოდ ბიზანტიელთა გამარჯვებით დასრულდა VI ს-ში.

VIII ს-ში აფხაზთა სამეფოს დაარსების შემდგომ კი, ალანებმა საერთოდ დატოვეს დასავლეთ საქართველო.

აფხაზთა მეფის გიორგი II-ისადმი კონსტანტინოპოლის პატრიარქის თხოვნა, რომ მას ნომადი ანუ მომთაბარე ალანებში ქრისტიანობის შესანარჩუნებლად გამოეჩინა მზრუნველობა – გაგებული იქნა შესაბამისად.

კერძოდ მიუხედავად კონსტანტინოპოლის საეკლესიო ცენტრის დიდი პატივისცემისა მეფე გიორგიმ, ჩანს, არ დააკმაყოფილა თხოვნა ნიკოლზ მისტიკოსისა,

რადგანაც ალანიის საეპისკოპოსო ცენტრიც კი, არა ჩრდილო კავკასიაში, არამედ ტრაპეზუნტის მახლობლად იქნა დაარსებულ. მტკიცება იმისა, რომ ალანიის კათედრა თითქოსდა ზელენჯუკის ხეობაში მდებარეობდა (რადგანაც იქ მრავალი ეკლესიის ნანგრევი აღმოჩნდა) – მხოლოდ ვარაუდია.

ჩვენი აზრით, პირიქით, აფხაზთა მეფეებმა ყველა ხერხს მიმართეს, რათა კონსტანტინოპოლს აფხაზეთის მახლობლად, ჩრდილო კავკასიაში კათედრა არ დაარსებინა.

საქმე ისსა, რომ ტერიტორია მდ. ყუბანამდე ქართული მხარის მიერ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიად განიხილებოდა-კერძოდ ეგროსის წილ ქვეყნად.

უფო მეტი-საქართველოს საპატრიარქო თავის იურისდიქციას ყირიმის ნახევარკუნძულამდე ახორციელებლა.

ეს ასახულია კიდეც საეკლესიო სამართლის ძეგლში-„ბიჭვინთის იადგარში“.

ამ ძეგლის მიხედვით აფხაზეთის საკათალიკოსო თავის იურისდიქციას „კაფამდე“ ახორციელებდა (კაფა-შემდგომ ფეოდოსიას ერქვა, ყირიმში, ქერჩთან).

უფლება, რომ მთელი ჩრდილო კავკასია საქართველოს საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა ქართული წყაროების ცნობით დაუმტკიცებია VI მსოფლიო საეკლესიო კრებას.

ეს უფლება,რომ ჩრდილო კავკასია საქართველოს საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა-ქართული მხარისათვის რეალობას წარმოადგენდა,ამიტომაც ნიკოლოზ მისტიკოსის თხოვნა მეფე გიორგის მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული, როგორც ითქვა, ეს იქედან ჩანს,რომ ალანიის ეპისკოპოსების კათედრა არა ჩრდილი კავკასიაში, არამედ ტრაპეზუნტთან იქნა დაარსებული.

მეფე გიორგის უარის გამო კონსტანტინოპოლმა ჩრდილო კავკაიაში ალანიის ეპარქია იმჟამად ვერ დაარსა,ამიტიმაც იძულებული გახდა შორეულ ტრაპეზუნტში დაეარსებინა პირობითი, ასე ვთქვათ ვირტუალური საეკლესიო კათედრა–ალანიის ეპარქიის სახელწოდებით-თავისი მღვდელმთავრითა და შტატით. **1084 წელს ის ტრაპეზუნტის ახლოს იყო.** ჩვენი აზრით ის იქამდეც იქ არსებობდა და არა ჩრდილო კავკასიაში.

თანამედროვე ისტორიკოსები უშედეგოდ ეძებენ ჩრდილო კავკასიაში ალანიის ეპარქიის საეკლესიო ცენტრის ადგილსამყოფელს, სინამდვილეში ალანიის მღვდელმთავრები იმთავითვე ტრაპეზუნტთან ერთ-ერთ მონასტერში ისხდნენ, ასე ვთქვათ მოლოდინის რეჟიმში. მათი მოვალეობა იყო როგორმე შეენარჩუნებინათ თავიანთი ვირტუალური კათედრა ხელსაყრელ პოლიტიკურ მომენტამდე.

მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მართალია საუკუნეები ელოდნენ ამ მომენტს მაგრამ ის დადგა- საქართველოს სახელმწიფო დასუსტდა თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ.

იქამდე, მონგოლ-თათართა მიერ ალანიის სამეფოც დაეცა. ჩრდილო კავკასიის ზღვისპირეთი უკონტროლო ზონად იქცა. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს ალანიის მღვდელმთავრებმა ტრაპეზუნტის ოლქიდან აღნიშნულ ზონაში თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.

ალანიის კათედრას უშუალოდ ალან ხალხთან კავშირი არ ჰქონია. მისი სამწყსო არ ყოფილა ალანი ხალხი. ალანია კონსტანტინოპოლისათვის XIV-XVI სს-ში ერქვა შავიზღვისპირეთს, დაახლოებით ქერჩიდან ტუაფსემდე, რომლის მოუწყობელ პორტებშიც ვაჭრობა იყო გაჩაღებული ჩრდილოკავკასიელი ხალხების საჭიროებისათვის. ამ საუკუნეებში შეიცვალა იქაური მოსახლეობის ეთნოსახე.

ჩამოასახლეს ახალი ხალხები-ძირითადად წარმართები და მუსულმანები,მაგრამ მათ სავაჭრო საქონელი ესაჭიროებოდათ. ამ საქონლით კი ქრისტიანი ვაჭრები ვაჭრობდნენ, რომელთაგან აღებული ბაჟის ერთი ნაწილი ტრაპეზუნტთან მდებარე ალანიის სამიტროპოლიტოს სალაროს ავსებდა, რამაც მივიწყებული ალანიის სამიტროპოლიტო წარმოაჩინა ტრაპეზუნტის სხვა კათედრათა შორის. აგრამ ეს გაბრწყინება დროებითი იყო-

ოსმალთა მიერ ტრაპეზუნტის იმპერიის დამხობამ აიძულა ბოლო ტრაპეზუნტელი მიტროპოლიტრბი შესულიყვნენ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში და გურიაში გადმოეტანათ თავიანთი კათედრა. ბოლო ალანიის მიტროპოლიტებს გელათში მჯდომი აფხაზთა კათალიკოსები სვამდნენ თავიანთ კათედრებზე. ეს იყო კანონზომიერი აქტი, რადგანაც აფხაზთა საკათალიკოსოს სამწყსოში, როგორც ითქვა კანონიკურად ვრცელი ტერიტორია შედიოდა კაფადან ვიდრე ტრაპეზუნტის ოლქამდე და, ამის გამო, ისტორიულ ალანიას საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქცია მოიცავდა. ერთი სიტყვით ალანის სამიტროპოლიტოს სამართალმემკვიდრე საქართველოს საპატრიარქოა და არა რუსეთის ეკლესია, როგორც მიიჩნევს „პრავასლავნაია ენციკლოპედია“.

ადიღე

ადიღე-თურქულენოვანმა ხალხებმა XIV-XVსს-ში თათარ-მონღოლთა სამხედრო ექსპედიციებისა და თემურ ლენგის გამაუკაცრიელებელ ლაშქრობათა შემდგომ დაიჭირეს ალანიის ტერიტორია, მას შემდეგ, რაც იქიდან გააძევს ანდა შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას (ПЭ, I, 2000, გვ. 443).

ადიღეველებს ქართველები უწოდებდნენ ჩერქეზებს (რუსები „კასოგებს“), ამჟამად ცხოვრობენ კრასნოდარის მხარეში. შიდა ეთნიკური ჯგუფებია – აბაძეხები, ბჟედუგები, შაპსუგები, თემირგოელები, ხატუკაეველები, ეგერუკაეველები, გამხეგები, მახოშეველები და ხაკუაჩები – ადიღეველებს აქვთ 4 დიალექტი, ეჭირათ ტერიტორია ტამანის ნახევარკუნძულიდან აფხაზეთამდე, აზოვისპირეთამდე და მდ. ყუბანამდე.

თვითსახელწოდება „ადიღე“, სავარაუდოდ, ირეკლავს ჯიქების ტომის სახელს – „ა-ჯიქ-ა“ (а–дыге). ა-ძიგე (ადიღეველებს აფხაზები „აზიხუ“-ს უწოდებენ). ჯიქები გვხვდებიან სტრაბონის გეოგრაფიაში (XII) და სხვა ბერძენ-ლათინ ავტორებთან.

VI-Xსს ჯიქების სახელი ბიზანტიურ წყაროებში მათი ხსენიება გაქრა.

XIII ს-ში ჩნდებიან ჩერქეზები (косаги), **ჩერქეზებსაც ადიღე სახელი ეწოდათ.**

ჩემი აზრით, თემურ-ლენგის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში შემოიყვანეს ახალი ტომები ურალ-ციმბირული წარმოშობისა. სინო-ჩინურენოვანი ხალხები ანუ ჩერქეზები (ამ ენათა ჯგუფს განეკუთვნება ჩერქეზულ ადიღეური ენები). მათ ქართველმა უწოდეს სახელი, იმ ძველი ხალხისა, ანუ ჯიქებისა, რომელიც ადრე აქ, მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ეს ახალჩამოსახლებული ჩერქეზები, რადგანაც ჯიქეთში დასახლდნენ, ჯიქებად იწოდნენ, შემდეგ კი ეს სახელი ქართველებისაგან გადაიღეს რუსებმა – „ადიგეს“ ფორმით.

თავი XXIV
მეფეები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში
„ქართველთა მეფის“ ტიტული

„ქართველთა სამეფოს“ სახელწოდება და „ქართველთა მეფის“ ტიტული დაკავშირებულია ტაოსთან და ბასიან-კარინთან.

მაგალითად სუმბატ დავითისძის თხზულება „ქართველთა მეფედ“ პირველად ახსენებს ადარნასეს, დავით I-ის ძეს - „ამან ადარნასე აღაშენა ბანა, ხელითა კვირიკე ბანელისათა“ („ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა“, 1990, გვ. 48) ეს მოხდა IX საუკუნის ბოლოს.

ადარნასე I (მეფობდა 888-923) იყო შვილიშვილი ბაგრატ I კურაპალატისა (+876) და, როგორც აღინიშნა, შვილი დავით I-ისა (+881) მას ჰქონდა „ქართველთა მეფის“ წოდება.

ადარნასე I ეკუთვნოდა აშოტ I-ის (786-826) შთამომავალთა ტაოს შტოს(მხოლოდ ამ შტოს ჰქონდა „ქართველთა მეფის“ ტიტულის ტარების უფლება).

აშოტ I-ის შთამომავალთა მეორე, კლარჯეთის შტო ამ ტიტულს არ ატარებდა. ბიზანტიური კარიც განასხვავდებოდა ამ შტოებს და ტაოს შტოს წევრებს უფრო მაღალ ტიტულს „კურაპალატისას“ ანიჭებდა, მაშინ, როცა კლარჯული შტოს ზოგიერთ წევრს „მაგისტროსობით“ აკმაყოფილებდა.

923 წლიდან 958 წლამდე ადარნასე I-ის შვილებს– **დავით II-ს, ბაგრატ I-ს, აშოტ II-სა და სუმბატ I-ს** მორიგეობით გადაეცათ „ქართველთა მეფის“ ტიტული, ანუ ისინი (ძმები) ჩანს, **ასაკის უფროსობის შესაბამისად**, ერთიმეორის შემდეგ ატარებდნენ ამ ტიტულს. მათ შვილებსაც (შთამომავლობასაც) ჩანს **ასაკით უფროსობის** მიხედვით მიენიჭათ უფლება „ქართველთა მეფის“ წოდებისა.

კერძოდ სუმბატ I-ის შვილი **ბაგრატ II რეგვენი** 958-994 წლებში იყო „ქართველთა მეფე“, მის შემდეგ კი მათი დიდი ოჯახის (სახლის) შვილი ბაგრატ პირველის ძე დავით III კურაპალატი 994-1001 წლებში იყო „ქართველთა მეფე“.

აქედან ჩანს შემდეგი, „ქართველთა მეფის“ ტიტული გადაეცემოდა არა მამიდან უფროს ძეს, (როგორც მცხეთელ მეფეებს ჰქონდათ ასეთი წესი), არამედ გადაეცემოდა სამეფო სახლის (სამეფო ოჯახის) წევრებს უფროსობის მიხედვით, ეს უფროსობა ალბათ განისაზღვრებოდა ასაკით, ხნოვანებით.

„ქართველთა სამეფო სახლის“ თანაბარუფლებიანი წევრები იყვნენ ადარნასე I-ის შვილები და შვილიშვილები, ე.ი. დავით II, ბაგრატ I, აშოტ II და სუმბატ I, მათი შვილები ბაგრატ II რეგვენი, დავით III კურაპალატი და სხვა ის წევრები ამ სამეფო ოჯახისა, რომელნიც იმჟამად ყველაზე უფროსები იყვნენ ხნოვანებით. როცა მათ შორის რომელიმე გარდაიცვლებიდა „ქართველთა მეფის“ ტიტული სამეფო ოჯახის იმ წევრს გადაეცემოდა, რომელიც ასაკით ყველაზე უფროსი იყო.

ძველი იბერიის სამეფო სახლში ასეთივე წესის არსებობის შესახებ მიუთითებდა სტრაბონი.

ეს წესი ჩანს ასახულია ფარნავაზის ცხოვრებაში, როცა ქუჯი უცხადებს ფარნავაზს, რომ „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, შენ გმართებს უფლობა ჩემი“, ანდა „მე ვარ მონა შენი“, აქედან ჩანს რომ ქუჯი და ფარნავაზი ერთი

სამეფო სახლის წევრები იყვნენ, მაგრამ ამ დროს სახლის უფროსობა ალბათ ასაკის შესაბამისად ფარნავაზს ეკუთვნოდა. რადგანაც ფარნავაზის დაი ქუჯიმ შეირთო,შესაძლოა მართლაც ქუჯი ასაკით ფარნავაზზე უფრო პატარა იყო.

ყოველ შემთხვევაში ასეთი წესის არსებობა ტაოს ანუ ქართველთა სამეფოში ცხადია.

როგორც აღინიშნა „ქართველთა მეფობა“ გადაეცა **ადარნასე I-ს** და შემდეგ მის შვილებს მორიგეობით, კერძოდ ჯერ ქართველთა მეფე გახდა **დავით II მაგისტროსი** (**923-937** წლებში), მის შემდეგ **937-945** წლებში ქართველთა მეფე იყო მისი ძმა **ბაგრატ I მაგისტროსი**, ამის შემდეგ **აშოტ II კურაპალატი 945-954** წლებში, **954-958** წლებში კი **სუმბატ I ერისთავთ-ერისთავი**, ამ უკანასკნელის ძე **ბაგრატ II რეგვენი** გახდა ქართველთა მეფე **958-994** წლებში, **994-1001** წლებში კი „ქართველთა მეფე“ იყო **დავით III კურაპალატი**, რომელიც იყო ბაგრატ II რეგვენის მამის „სახლის“ წევრი, ანუ ბაგრატ II რეგვენის მამის ძმის („ქართველთა მეფის“) ბაგრატ I მაგისტროსის შვილიშვილი.

ბაგრატ II-ის შემდეგ ასაკის მიხედვით ჩანს „ქართველთა მეფობა“ უნდა მიეღოთ ბაგრატ II-ის ძმათა შვილებს უფროსობის მიხედვით და რადგანაც **ადარნასე II** გარდაცვლილი იყო, ეს ტიტული და ტახტი ერგო მის ძეს **დავით III კურაპალატს**. (ძმათა შორის სამეფო ტახტის გადაცემის წესი აღდგენილა შემდეგ მუხრანელ ბაგრატიონთა ოჯახში, მაგალითად გიორგი XI-ის შემდეგ ქართლის ტახტი მის ძმას ერგო, შემდეგ კი სხვა ძმებს. ამ წესის აღდგენას, როგორც ფიქრობენ, ცდილობდა დარეჯან დედოფალი, ერეკლე II-ის მეუღლე, რათა უფროსობის წესით, ძმათა შემდეგ ტახტი მის შვილსაც რგებოდა).

საინტერესოა, რატომ მიიღო აშოტ I დიდის შთამომავალთაგან მხოლოდ ერთმა შტომ „ქართველთა მეფის“ ტიტული, თანაც ამასთან ერთად, ეს ტიტული, მხოლოდ ტაოს ქვეყნის მფლობელებს ენიჭებოდათ და ეს ტიტული იმავდროულად **ტაოს მეფობას ნიშნავდა**.საერთოდ **„ქართველთა მეფის**“ წოდება **ტაოსთანაა დაკავშირებული.**

აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ **არიან-ქართლი მოიცავდა სწორედ ტაოსა და ბასიანს** (ჩვენი კვლევით), არიან-ქართლი კი ქართველთა უძველესი სამეფო ყოფილა. მისი მეფის ძე იყო აზონი, მცხეთაში გამეფებული. მაშასადამე VIII-IX სს-ში, ჩანს, ჯერ კიდევ ახსოვდათ, რომ „ქართველთა მეფის“ ტიტული ტაო-ბასანის ძველთაძველ მფლობელს ჰქონდა.

აშოტ I-ის შთამომავალთა ტაოს შტოს ეს ტიტული უნდა მიეღო ან მცხეთელი ხოსროანი მეფეების მემკვიდრეობით, ანდა სხვა გზით.

ფიქრობენ,რომ **ხოსროიანი მეფეები ტაოს არ ფლობდნენ**, ამიტომ ეს ტიტული (ქართველთა მეფისა) აშოტის ოჯახში სავარაუდოდ შეიტანა აშოტის ძის ბაგრატ I-ის მეუღლემ სომეხთა მეფის სუმბატ აღმსარებლის ასულმა,მისი მამა სუმბატი ჩანს, **„სომეხთა და ქართველთა**“ მეფედ იწოდებოდა.

ტაოს „ქართველთა სამეფოს“ წარსული ლეგიტიმურობის შესახებ ჩვენ შესაძლოა ცნობები მოვიძიოთ არმენიის ბაგრატუნი მეფეების IX-X სს ტიტულატურიდან:-„სომეხთა და ქართველთა მეფე.“ უფრო ადრე მათ ჰქონდათ ტიტული „სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავი“.

ცნობილია, რომ გაერთიანებული საქართველოს მეფეებსაც ჰქონდათ მსგავსი ტიტული „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფეები, შაჰინშა და შირვანშა“ XII საუკუნედან, მაგრამ არმენიის მეფეებს გაცილებით ადრე, არაბობის

დროს ჰქონდათ წოდება „სომეხთა და ქართველთა მეფე“. ეს ტიტული თავისთავად გულისხმობს,რომ მისი მფლობელი აერთიანებდა სომხებისა და ქართველების ქვეყნებს. სად მდებარეობდა ის „ქართველთა ქვეყანა“, რომელსაც იმჟამად არმენიის მეფე ფლობდა? ცხადია ეს იყო საქართველოს რომელიღაც მხარე.

ჩვენთვის, მაშასადამე, საინტერესოა, ის თუ IX-X სს-ში არმენიის მეფეთა ტიტულატურაში რომელ ტერიტორიაზე მდებარე ადმინისტრაციული ერთეული იგულისხმებოდა „ქართველთა ქვეყნის (სამეფოს)“ ქვეშ.

თუ ვიტყვით, რომ აქ იგულისხმებოდა მცხეთის ქართლის სამეფო, უნდა ითქვას, რომ არაბობის შემდეგ ასეთი სამეფო აღარ არსებობდა, პირიქით, თბილისში ჩამოყალიბდა არაბული საამირო, რომელშიც მცხეთაც მოიაზრებოდა ტერიტორიულად, ასე რომ თანამედროვე შიდა ქართლში IX-X სს-ში სახელმწიფოებრივი ერთეული „ქართველთა სამეფოს“ სახით არ არსებობდა. არაბთა საამიროს დასუსტების შემდეგ შიდა ქართლი „აფხაზეთის“ ნაწილად მოიაზრებოდა.უხტანესთან მცხეთის და თბილისის მიმდებარე ქართლს „აფხაზთა ქვეყანა“ ეწოდება.მას „აფხაზთა“ მეფეები მართავდნენ და არა „ქართველთა“ მეფეები. მაშასადამე არმენიის მეფეთა ტიტულატურაში „ქართველთა მეფე“, არ იგულისხმებოდა შიდა ქართლის მმართველობა.

იქნებ შემდგომი საქართველოს მეფეების ერთ-ერთი ტიტული „ქართველთა მეფე“ გამოგვადგეს ამ ძიებისას.

ქართველთა სამეფოს, როგორც წესი ამ პერიოდში (X ს.-დან) უწოდებდნენ ტაო-კლარჯეთის სამეფოს, უფრო ზუსტად ტაოს სამეფოს. მას ბაგრატიონი მეფეები მართავდნენ კლარჯეთთან ერთად.

კიდევ ერთხელ, რომ ვთქვათ „ქართველთა სამეფოს“ ქვეშ იგულისხმებოდა ტაო-კლარჯეთის სამეფო, ტაოს სამეფო.

იქნებ არმენიის მეფეთა ტიტულატურაშიც „ქართველთა მეფე“ გულისხმებოდა ტაოს და ასევე მიმდებარე ქართული პროვინციების (ბასინის, კარინის ან ვანანდის) მფლობელობას?

მართლაც არმენიის მეფეების ტიტული „სომეხთა და ქართველთა მეფე“ არ გულისხმობდა შიდა ქართლის ფლობას, რადგანაც ის სადავო ტერიტორია იყო, უფრო ზუსტად, ის შედიოდა თბილისის საამიროში და საამიროს დასუსტების შემდეგ იქცა სადავოდ.

არმენიის მეფეების ტიტული „ქართველთა მეფე“ რეალურ ადმინისტრაციულ ერთეულს გულისხმობს და ეს უნდა ყოფილიყო „ტაო-ბასიანი“.

მართლაც ეს ასე ჩანს არისტაკეს ლასტივერტეცის ნაშრომის მიხედვით. არისტაკეს ლასტივერტეცისთვის „ქართველთა ქვეყანა“, „საქართველო“ მდებარეობდა არა ანისის ჩრდილოეთით, არამედ ანისის დასავლეთით. მისთვის „ქართველთა ქვეყანა“ და „საქართველო“ მოქცეული იყო ბერძენთა და სპარსელთა ქვეყნებს შორის. მიზეზი ამისა იყო ის, რომ მართლაც, ანისის ჩრდილოეთით ტაშირ-ძორაკერტის „სომხური სამეფო“ მდებარეობდა,ხოლო მის მაღლა, როგორც ითქვა თბილისის საამირო, რომელიც ებრჯინებოდა „კავკასიელი მთიელების“ ქვეყნებს.

ჩვენ გვაინტერესებს, როგორც ითქვა, IX-X სს-ში რომელ ქვეყანას უწოდებდნენ სომხები „ქართველთა ქვეყანას“, „საქართველოს“ და „ქართველთა სამეფოს“. **არისტაკეს ლასტივერტეცი გამჭვირვალედ წერს იმის შესახებ, რომ „ქართველთა“ ქვეყნები მოქცეულნი იყვნენ ანისის დასავლეთით, კარინის**

(არზრუმის) მხარეს და მასში ტაოსთან ერთად ბასიანიც იგულისხმებოდა.

მაგალითად, ა. ლასტივერტეცი გადმოგვცემს ასეთ ამბავს, გიორგი აფხაზთა მეფემ შეარიგა ანისის მეფის გაგიკის შვილები - „მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და მშვიდობიანად შეარიგა ისინი. სუმბატს ასაკით უფროსობის გამო გიორგიმ მისცა წილი - ანისის ციხე, მის გარშემო მდებარე გავარებითურთ, ხოლო აშოტს - ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთსა და საქართველოს უყურებდა. სუმბატი დათანხმდა და დაბრუნდა თავის ქალაქში“ (ა. ლასტივერტეცი, ისტორია, 1974, გვ. 44).

ამ ისტორიიდან ჩანს, თუ სად მდებარეობდა იმ ეპოქის სომხებისათვის „საქართველო“. სუმბატს მიეცა ანისის ქვეყანა, ხოლო მის ძმას - აშოტს, ანისის ქვეყნის სამხრეთით მდებარე არმენიის „შიდა მხარე“, რომელსაც დასავლეთით ესაზღვრებოდა „საქართველო“ („საქართველოს უყურებდა“), ხოლო აღმოსავლეთით კი „სპარსეთი“ („სპარსეთს უყურებდა“). ანუ „საქართველო“ (უფრო ზუსტად „ქართველების ქვეყანა“) შიდა სომხეთის დასავლეთით იყო, იმ **შიდა სომხეთისა**, რომელსაც ჩრდილოეთით ანისის მხარე ესაზღვრებოდა.

მაშასადამე, არისტაკესის მიერ იგულისხმებოდა, რომ „შიდა სომხეთის“ დასავლეთით მდებარე ბასიანი, ტაო და სხვა მხარეები იყო „საქართველო“. გიორგი I-ის სამფლობელო კი იყო მის ჩრდილოეთით მდებარე „აფხაზეთი“ ანუ **ის რასაც ჩვენ ამჟამად ვუწოდებთ „საქართველოს“ არისტაკესისათვის იყო „აფხაზეთი“, ხოლო ბასიანი (და ტაო) მისთვის იყო „საქართველო“.**

არისტაკესი მუდამ წერს, რომ ბასიანი - ქართველთა ქვეყანაა, მაგალითად, ბასიანის აღმოსავლეთით მდებარე შირიმნის ბრძოლის შესახებ ა. ლასტივერტეცი გადმოგვცემს ასეთ ამბავს, შირიმნის (სომხურად შღფა) ბრძოლაში ქართველთა დამარცხების შემდეგ, მოხდა ბუნების სასწაული, კერძოდ დაიჭირა ძალზე დიდი ყინვები, ისეთი, რომ ბასილის ჯარი უკუიქცა და მათი ქონება კი ადგილობრივ მოსახლეობას დარჩა. საბოლოოდ ბიზანტიის იმპერატორი **„აშკარად მიხვდა, რომ მხოლოდ უფლის ხელს შეუძლია მისთვის ქართველების ქვეყნის გადაცემა, როგორც მეფეთა წიგნში წერია: „ვერ უძლოს ძლიერმან კაცმან, უფალმან უძლურ ყოს მხდომი თვისი“**, მეფე დაიძრა ჯარით, განვლო მრავალი ადგილი, წავიდა და მიადწია თავის ქალაქ კონსტანტინოპოლს. სამი წლის შემდეგ მან დიდი ძღვენით გაგზავნა აფხაზის შვილი, თვითონ კი იგი სასიკვდილო სენმა შეიპყრო“ (ა. ლასტივერტეცი, ისტორია, 1974, გვ. 53).

მაშასადამე, მართალია ბასილი ბულგართმმუსვრელმა დაამარცხა ქართველები ტაო-ბასიანში, მაგრამ მაინც ქართველთა ქვეყანა საბოლოოდ არ მისცა უფალმა, რადგანაც უფლის მიერ მოვლინებული ყინვის გამო ბასიანიდან იძულებით დაბრუნდა კონსტანტინოპოლში და მძევლად წაყვანილი „აფხაზი“ მეფის გიორგი I-ის ძე 3 წლის შემდეგ უკან დააბრუნა.

აქ ჩვენთვის მთავარია თუ რომელი ქვეყანა იყო **ქართველთა ქვეყანა არისტაკეს ლასტივერტეცის მიხედვით ესენი იყვნენ– ტაო, ბასიანი და თვითონ შღფას ანუ შირიმნის ქვეყანა, რომელიც აირარატის არშარუნიქის გავარში, არშავირში, არაქსისა და აშურიანის შესართავში მდებარეობდა, ამ არეალში ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ქართველები, რომელთაც უფალი შეეწიათ ბასილი II-ის კონსტანტინოპოლში უკანდახევის დროს ყინვის სახით,** ამიტომაც წერს არისტაკეს ლასტივერტეცი- ამ ადგილებიდან

ყინვის გამო გაქცეული ბასილი მიხვდა, რომ „მხოლოდ უფლის ხელს შეუძლია მისთვის ქართველთა ქვეყნის გადაცემა“ (იქვე, გვ. 53).

მაშასადამე „ქართველთა ქვეყანა“(ივერთა ქვეყანა) ქალაქ ანისის დასავლეთით მდებარეობდა.

ამიტომაც დაარსა აღნიშნულ ტერიტორიაზე (ანისის დასავლეთით) ბასილი II-ის ძმამ იმპერატორმა კონსტანტინემ ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული **„იბერიის თემი“**.

იბერიის თემში ანისიც კი შეიყვანეს, მართლაც **ანისსა და მის გარშემო მრავალი ქართული ეკლესია და ქართული საეპისკოპოსოც არსებობდა,** რასაც ჩქმალავდნენ საბჭოთა ისტორიკოსები.

ამ უკანასკნელთა აზრით „პროზელიტურმა ქართულმა ეკლესიამ“ დაიწყო აღნიშნულ ქვეყნებში (ე.ი. ტაო-ბასინ-კარინ-აირარატ-შირაქში) სომხების „გაქართველება“ ქალკედონიტობის მიღებით, სინამდვილეში, ქართულ ეკლესიას ასეთი ქმედების სურვილი არასოდეს ჰქონია, მისი გამარჯვება ემყარებოდა მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკურ ქართულ თვითშემეცნებას, მათ ეროვნულ გამოფხიზლებას არაბთა უღლის გადაგდების შემდეგ.

ისტორიული იბერიის მიწა-წყალზე (გუგარქში, ხორძენსა და პარიადრეში), მცხოვრები ქართველები მართალია,თითქმის ათასი წელი სომხურ-ბიზანტიურ-სპარსულ და არაბულ გარემოში იმყოფებოდნენ, მაგრამ მათ მაინც შეძლეს ეროვნულ-ეთნიკური ვინაობის შენარჩუნება I ათასწლეულში, ამიტომაც შექმნეს კიდეც მალევე „იბერიის თემი“, ადმინისტრაციული ერთეული ბიზანტიის იმპერიაში. არზრუმ-ტაო-ბასიან-ვალაშკერტში ქართველობა კიდევ დიდხანს ცხოვრობდა, მათ საბოლოო გამუსულმანებამდე ანუ, XVII-XVIII საუკუნეებამდე (ერთი– ორი ქართველი მღვდელი აქ XIX საუკუნეშიც მოქმედებდა).

ტაო-ბასიანის მფლობელ სომეხ მეფეებს IX-X სს-ში (ამ ტერიტორიაზე ქართველთა ცხოვრების გამო) ასევე ჰქონდათ ტიტული „ქართველთა მეფისა“, ანდა ერქვათ „სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავებისა“. იგულისხმებდა სომხეთის სამეფოში შემავალ ქართველებით დასახლებულ ტაო-ბასიან-კარანის ფლობა, ეს ფაქტი მარკირდებოდა „ქართველთა მეფის“ შესაბამისი ტიტულით

არმენიაში შემავალი „ქართველთა სამეფოს“ ქვეშ როგორც ითქვა, არ იგულისხმებოდა შიდა ქართლი და მცხეთა, არამედ ტაო და ბასიანი მიმდებარე მხარეებითურთ.

პ. ინგოროყვას კვლევით უფრო ადრე, დაახლოებით VII საუკუნისათვის ტაოს მფლობელს ჰქონია „ქართველთა მთავრის“ ტიტული. მისი სახელი ვაშდენი ყოფილა. მაშასადამე ტაო-ბასიანი „ქართველთა სამთავროდ“ VI-VII საუკუნეებშიც იწოდებოდა, თუმცა არმენიაში იყო მოქცეული, შემდეგ ის „ქართველთა სამეფოდ“ იწოდა კვლავ არმენელი მეფეების მფლობელობის ქვეშ.

შესაძლოა არმენიის მეფე, სუმბატ აღმსარებელმა, რომელიც ალბათ ასევე იწოდებოდა „სომეხთა და ქართველთა მეფედ“, თავის ქალიშვილს მზითვად გაატანა „ქართველთა სამეფო“ (ანუ ტაო-ბასიანი), ეს ქალიშვილი კი შეირთო კლარჯეთში ჩასულმა აშოტ I კურაპალატის ძემ **ბაგრატ I-მა**, რომელიც 876 წელს გარდაიცვალა. **ბაგრატ I-ის ძეებს ეწოდათ „ტაოს შტო“ და ისინი როგორც აღვნიშნეთ მის შემდეგ იწოდებოდნენ „ქართველთა მეფეებად“**. მაშასადამე, თუ ასეთი მოსაზრება სწორია, **ბაგრატ I-ის შთამომავლებს „ქართველ-**

თა მეფის“ ტიტული ერგოთ დედისაგან ანუ ბაგრატ I-ის მეუღლისაგან, რომელიც სომეხთა მეფის სუმბატ აღმსარებლის ქალიშვილი იყო. შესაძლოა მან მზითვის სახით ქმრის, ბაგრატ I-ის ოჯახში შეიტანა ტაო-ბასიანის მფლობელობა ტიტულ - „ქართველთა მეფესთან“ ერთად და ეს ტიტული მისმა შვილებმა და შთამომავლებმა დაინარჩუნეს. I ათასწლეულში ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

„სომეხთა და ქართველთა მეფე“

870-880 წლებისათვის „სომხეთშიაც მოიკრიბეს ძალა ადგილობრივმა ერისთავებმა. სხვებზე უფრო ძლიერი იყო ერისთავთ-ერისთავი აშოტ ბაგრატუნი... მას „სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავის“ სახელი მიუღია“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტომი II, 1983, გვ. 102).

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით აშოტ ბაგრატუნმა „სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავის“ სახელი ალბათ იმის გამო მიიღო, რომ მას შიდა ქართლში ულაშქრია, სადაც აფხაზთა მეფეს შებრძოლებია და როგორც აღნიშნული ტიტული აფიქრებინებს მეცნიერს, კიდეც გაუმარჯვნია. მაშასადამე შიდა ქართლი მის ხელში გადასულა. როგორც ითქვა ესაა ვარაუდი, რაიმე წყარო ამას არ მიუთითებს. ივ. ჯავახიშვილს როგორც ითქვა მხოლოდ აშოტის „სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავის“ ტიტული აფიქრებინებდა ამას.

ჩვენი აზრით, კი „ქართველთა ერისთავთ-ერისთავის“ თუ „ქართველთა მეფის“ ტიტული მიუთითებდა არა შიდა ქართლის არამედ ტაო-ბასიანის მფლობელობას, მართლაც „ქართველთა მეფის“ ტიტული მალევე, შემდგომში ტაოს მფლობელებს ჰქონდათ.

მეორე მაგალითიც გვაქვს, რომელიც ჩვენს მოსაზრებას გარკვეულად აძლიერებს. ეს მაგალითია ტიტული ტაო-ბასიანის მფლობელებისა VI-VII საუკუნეებში.როგორც ითქვა, პ. ინგოროყვა ძველ სომხურ წყაროზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ, ამ მხარეების მფლობელს VI-VII საუკუნეებში „ქართველთა მთავრის“ ანუ „ივერთა მთავრის ტიტული“ ჰქონდა.

მაშასადამე, ამ ტიტულის შესაბამისად ტაო-ბასიანის მხარეებში VI-VII საუკუნეებში არსებობდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული „ქართველთა სამთავრო“ (შევადაროთ, რომ IX-X საუკუნეებში იქვე იყო „ქართველთა სამეფო“).

აღნიშნული „ქართველთა სამთავრო“ არსებობდა ქვეყანაში, რომელსაც ხან „ბიზანტიური არმენია“ ხან კი „პერსარმენია“ ერქვა. VI-VII საუკუნეებში ტაო-ბასიანის უფალს „ქართველთა მთავარი ვაშდენი“ ერქვა. ვაშდენ „ქართველთა მთავარს“ თავის დისწულ ჰამამთან დავა ჰქონია.

ჰამამი ქალდეა-ჭანეთ-ზღვისპირეთის მფლობელი ყოფილა. ვაშდენი კი, როგორც ითქვა, მის ზემოთ, ზეგანზე გადაშლილი და ვრცელი ქვეყნისა, ტაო-ბასიანისა.

მაშასადამე, მართალია ეს ქვეყანა არმენიის ნაწილად ითვლებოდა (იგულისხმება ტაო-ბასიანი), მაგრამ მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური თვითსახელის შესაბამისად „ქართველთა სამთავრო“ ერქვა VI-VII საუკუნეებში.

„ქართველთა სამთავრო“, ჩანს, IX საუკუნეში სომეხთა მთავრის ანუ ერისთავთ-ერისთავის აშოტის ხელქვეშ მოქცეულა, მაშასადამე, შესაბამისად მას მიუღია წოდება „სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავისა“ შემდეგ კი წოდება „სომეხთა და ქართველთა მეფისა“ (დაახლოებით IX საუკუნის 70-იან წლებში).

ერთი თაობის შემდეგ „ქართველთა მეფის“ ტიტული მიენიჭა ადარნასე I კურაპალატს, ქართველ ბაგრატიონთა შტოდან, ქართველი აშოტ I დიდი კურაპალატის შვილთაშვილს, ადარნასე ამავე დროს იყო ტაოს ერთპიროვნული მფლობელი, მაშასადამე ტაოს მფლობელობა მის მეპატრონეს აძლევდა უფლებას ჰქონოდა ტიტული „ქართველთა მთავარი“ ანდა „ქართველთა მეფე“, **ტაოს მფლობელობა მის მეპატრონეს უფლებას აძლევდა „ქართველთა ერისთავთ-ერისთავის“ წოდება ჰქონოდა**.

თუ დავუბრუნდებით ქართველ ბაგრატიონებს შეიძლება დაისვას კითხვა, როგორ გახდა ადარნასე I ტაოს მფლობელი?

ტაოს მფლობელობა მას უფლებას აძლევდა, როგორც ითქვა „ქართველთა მეფის“ ტიტული ეტარებინა. იყო თუ არა მისი მამა დავით I ტაოს მფლობელი?

თუ დავით I, რომელიც 881 წელს მოკლეს, არ იყო ტაოს მფლობელი უნდა ვიფიქროთ, რომ მისმა შვილმა ადარნასე I-მა აშოტ სომეხთა მეფის მემკვიდრეებისაგან მიიღო სამართავად ტაოს (ე.ი.„ქართველთა“) ქვეყანა, ხომ არ მიათხოვა აშოტ სომეხთა მეფის მემკვიდრემ თავისი ქალიშვილი ადარნასე I-ს და მზითევის სახით მიიღო ტაო სიძემ?

იქნებ სხვა მსგავსი გზით?

ასევე საკითხავია, იყო თუ არა სომეხი ბაგრატიონი აშოტი ვაშდენ „ივერთა მთავრის“ უფლებრივი მემკვიდრე, ვაშდენ ივერთა მთავრის მემკვიდრე იქნებ ქართველი ბაგრატიონები ადარნასე, დავით I და მისი მამა ბაგრატ I იყვნენ?

მირდატის ძენი და ბაგრატიონები კლარჯეთში

ვახტანგ გორგასალი+ელენე

მირდატი მირდატის დაი (შერთეს გურამ ბაგრატიონს)

სიკვდილის წინ ვახტანგ გორგასალმა თავის მეორე ცოლის ელენეს – კეისრის ასულისაგან შეძენილი შვილების სამყოფელად დაადგინა ქართლის სამეფოს ტერიტორია, მოქცეული ეგრისწყალსა და კლისურას შუა – მისი ანდერძი მომავალ მეფე უფლისწულ დაჩისადმი ასეთი იყო – **„საზღვარი აფხაზეთისა, რომელიც მოცემულ არს ეგრისწყალსა და კლისურას შუა, იგი თვით ძმათა შენთა დედისა არს – იგი აქუნდეს მათ“** (ქ.ც. I, გვ. 204).

მართლაც, კეისრის ასულს ტერიტორია კლისურასა და ეგრისწყალს შუა მზითვად მოჰყვა ბიზანტიის კეისრისაგან და ის შეუერთდა ქართლის სამეფოს. ეს ტერიტორია კლისურასა და ეგრისწყალს შუა ერგო საერისთავოდ ელენეს შვილებს. ამ მიწა-წყალს ეწოდა „დასავლეთი ქართლისა“.

ვახტანგის ანდერძის აღსასრულებლად – „ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისანი წარიყვანეს ერისთავთა და დაიპყრეს **დასავლეთი ქართლისა**“ (ქ.ც. I, გვ. 204), ე.ი.ფაქტობრივად დაეუფლნენ ტერიტორიას ეგრისწყალსა და კლისურას შუა.

ეგრისწყალსა და კლისურას შუა მოქცეულ ტერიტორიას „დასავლეთი ქართლისა“ ეწოდებოდა (ქ.ც. I, გვ. 204). მათი ერისთავები იყვნენ ვახტანგის შვილები ლეონი და მირდატი.

ლეონის გარდაცვალების შემდეგ დაჩი მეფემ გადაწყვიტა ეთხოვა მირდატისათვის, რათა მას გაეცვალა ტერიტორია,ე.ი. მოენაცვლებინა ტერიტორია, კერძოდ,

გადაეცვალა თავისი საერისთავო სხვაგან, მართლაც – „დაჩი მეფემან გაუცვალა ქვეყანა და ადიდო მირდატისაგან ეგრის-წყალსა და კლისურას შუა მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა და **მისცა ნაცვლად ჯავახეთი ტასისკარიდან ვიდრე ზღუამდე სპერისა და ერისთავობდა მუნ**“ (ქ.ც. I, გვ. 205).ე.ი. ტერიტორია ეგრის-წყალსა და კლისურას თვით ქართლის მეფე დაჩიმ დაიჭირა, როგორც სამეფო მიწა-წყალი, ხოლო სანაცვლოდ იქაურ ერისთავს მირდატს უფრო სამხრეთით-ტაშისკარიდან ზღვამდე მოქცეული ტერიტორია გადასცა საერისთავოდ.

კლარჯეთში იქამდე ერისთავები იყვნენ არტავაზის შთამომავლები. მათ ახლა დაემატათ ახალი ერისთავები – ვახტანგ მეფის შთამომავლები, მათ **„შვილნი მირდატისნი“** ერქვათ.

VI ს-ში „შვილნი დაჩისანი ჰმორჩილებდეს სპარსთა, ხოლო შვილი მირდატისნი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა“ (ქ.ც. I, გვ. 207).

VI ს-ში ქართლის სპარსთაგან დაპყრობის ჟამს – ქართველ მეფეთა სახლის შვილები – „შვილნი ბაკურისნი დარჩეს მთიულეთს კახეთისასა და **ნათესავნი მირდატისნი, ვახტანგის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, იგინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა“ (ქ.ც. I, გვ. 217).**

ამ უმეფობის ჟამს „რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქვნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი ზემონი და ქვემონი და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს რათა უჩინოს მეფე“ (ქ.ც. I, გვ. 217).

„მაშინ კეისარმა **მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქვა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს, მოსცა კეისარმან კურაპალატობა და წარმოგზავნა მცხეთას“** (ქ.ც. I, გვ. 218).

ბაგრატიონები ვახტანგ გორგასლის ბერძენი მეუღლის შთამომავლების – მირდატისა და მისი დის გენეტიკური და ლეგიტიმური მემკვიდრეები იყვნენ, კერძოდ, მირდატის დის ძე იყო იბერიის ანუ ქართლის სამეფოს პირველი კურაპალატი გუარამ I ბაგრატიონი –

„ხოლო ესე გუარამ იყო დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატიონი. ესე ბაგრატოანნი შვილის-შვილნი და ნათესავნი არიან ამა გუარამისნი“ (ქ.ც. I, გვ. 218). „ესე **გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა**“ (ქ.ც. I, გვ. 221).

მემატიანის ცნობით, საზოგადოდ, ვახტანგ გორგასლის ძეებიდან ორი შტო ჩამოყალიბდა – ბაქარიანები და მირდატიანები.

ბაქარიანები მართავდნენ ქვეყანას VI ს-ში, როცა სპარსელებმა ქართლი დაიპყრეს. სპარსეთში არეულობის დაწყებით ისარგებლეს ქართველმა დიდებულებმა და ბიზანტიის კეისარს თხოვეს მათთვის მეფე დაენიშნა.

მართლაც, კეისარმა ქართლის მეფედ დანიშნა **„მირდატის დის“ შვილი – გუარამ ბაგრატიონი.**

აქ შეუსაბამობა ქრონოლოგიურად ისაა, რომ მირდატი V ს-ში ცხოვრობდა, ხოლო გუარამ კურაპალატი თითქმის ასი წლის შემდეგ. ასე რომ, „მირდატის და“ უშუალოდ გუარამ I კურაპალატის დედა ვერ იქნებოდა.

საფიქრებელია, რომ **„მირდატის დაი“ კლარჯეთში შეირთო ადგილობრივმა დიდებულმა და ამ ოჯახიდან გამოსული ქალიშვილი შემდგომში შერთეს გუარამ კურაპალატს.**

ყოველ შემთხვევაში კლარჯეთიდანაა წარმომავლობით გუარამ კურაპალატი და მისი ოჯახი. მემატიანის ცნობით, კურაპალატი გუარამ II ბაგრატიონი იყო – „ოცდამეცხრამეტე მეფე ქართლისა“.

თუ ლიგან-კლარჯეთი ლაზიკაა, ბერძნული წყაროებით ცნობილია მათი „ბასილევსების“ სახელები – ესენი იყვნენ **გუბაზი და წათე.** ხოლო ქართული წყაროებით კლარჯეთის ერისთავი იყო **არტავაზი**.

ამ ადგილობრივი დიდებულების (წათეს, გუბაზის და არტავაზის) ოჯახებიდან უნდა ყოფილიყო გუარამ კურაპალატის დედა, თავისთავად იგულისხმება, რომ ეს **ოჯახები თავის დროზე მირდატთან, ვახტანგის ძესთან იყვნენ დამოყვრებულნი**. (შეიძლება „მირდატის დის“ წყალობით შევიდა გუბაზისა და წათეს ოჯახში „ბასილევსად“ წოდების ლეგიტიმური უფლება).

შემდეგ კი ამ ოჯახის სიძემ – გუარამმა (შესაძლოა, ასევე „ბასილევსმა“) მიიღო ქართლის მეფის წოდება, თუმცა იმპერატორმა მხოლოდ „კურაპალატობა“ აკმარა. არაბობის დროს კი ეს ოჯახი მცხეთიდან კვლავ კლარჯეთს დაუბრუნდა.

ძველი ლაზიკის მეფეების წარმომავლობა ჭანეთ-ტაოს სამეფოდან

ლაზები და ჭანები ზოგჯერ ერთ ტომად, ზოგჯერ კი ერთმანეთის მეზობლებად წარმოდგებიან ბიზანტიელ მწერალთა მიერ, ლაზიკა ჭანეთს მოიცავდა და უფრო ზოგადი ერთეული იყო.

ლაზთა რამდენიმე მეფეა დასახელებული წყაროებში IV-V საუკუნეებისა, თუმცა კი იქვეა ნათქვამი, რომ არსებობდა წინანდელ ლაზთა მეფეთა გენეალოგიური სიები.

ფავსტოს ბიზანტიელის თხზულებიდან შეიძლება გავიგოთ,რომ ლაზთა მეფეების ქვეშ იგულისხმება ჭანთა მეფეები და ჭანეთის სამეფო. ის IV საუკუნეშიც არსებობდა.

ძველი ლაზეთის სამეფო მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ისტორიული ქართლის სამეფოს გარეთ და მოიცავდა ჭანეთს, მიმდებარე ზოგიერთ მხარესთან ერთად,ახალი ლაზეთის სამეფო კი კლარჯეთ-ლიგანს მოიცავდა.

ფავსტოსი, კერძოდ, წერს, რომ IV ს-ში სომხეთის მეფეს მიმართა ტაოს მფლობელმა მანუელ **მამიკონიანმა** შემდეგი სიტყვებით: **„ჩვენი წინაპრები ჭენასტანის მეფეები იყვნენ... სისხლისღვრის გამო დავტოვეთ სამშობლო და მოვედით თქვენს კარზე მშვიდობის საძებნელად“, ე.ი ჭენისტანის მეფეები ტაოს მფლობელები იყვნენ.**

პ. ინგოროყვა იმოწმებს ნ. ადონცს, რომ „**ჭენასტანი“ არის ჭანეთი**, ტაოს გვერდით.

ფავსტოსის ცნობით, ჭანეთის, ანუ ლაზეთის ძველი სამეფო, ჩანს, ერთ პერიოდში იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მისი მეფეების ღირსება არანაკლები ყოფილა სომეხთა მეფეებისაზე.

ამასთან დაკავშირებით მანუელი სომეხთა მეფის წინაშე ამბობს – **„ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ თქვენი მსახურნი (ე.ი. ჭანეთის სამეფო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო), არამედ ვიყავით თქვენი ამხანაგი (ანუ ღირსებით თანასწორი) და იქნებ თქვენზე მეტად სახელოვანნიც“.**

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ძველ ლაზეთს, ანუ ჭანეთს IV საუკუნემდე ჰყავდა

სახელოვანი სამეფო დინასტია.

ამ დინასტიიდან უნდა ყოფილიყვნენ ლაზთა მეფეები წათე, გუბაზი და სხვები,შემდეგ მათ სამმართველოდ კლარჯეთ-ლიგანიც გადაეცათ (ისტორიული ჭანეთის გარეთ VI ს-ის ლაზიკაში შედიოდა ფაზისის ანუ მდ. ჭოროხის შესართავი და მისი დასავლეთი სანაპირო, აღმოსავლეთის ერთ ნაწილთან ერთად მდინარის სათავეების ჩათვლით).

პ. ინგოროყვა, სომხურ წყაროებზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ III საუკუნისათვის ჭანეთის სამეფო ჭანეთთან ერთად მოიცავდა ტაოსაც.

III საუკუნეში სამეფო სახლის შიგნით შინაური შფოთის გამო **ტაო იქაურმა მმართველმა (ჭანეთის სამეფო ოჯახის ტაოს შტომ) გადასცა სომეხთა სამეფოს, ანუ ტაო დაპყრობის გარეშე შევიდა სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში** (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 490) და ასევე დაპყრობის გარეშე (დაახლოებით 500 წლის შემდეგ) ტაო სომხეთის მეფემ უკან გადასცა საქართველოს- აშოტ I კურაპალატის ძეს **ბაგრატ I-ს**

ჭანეთს - ქალდეა/ქართეა/ერქვა, ტაოს კი- „ქართველთა“ სამეფო. მაშასადამე ორივე ამ ქვეყანას-ჭანეთსა და ტაოს ანუ „ქალდეასა“ და „ქართველთა“ სამეფოს თვითსახელწოდება-„ქალდეა“-„ქართუ“ ერთი ფუძიდან ამომავალი სიტყვებია,აქედან გამომდინარე ეს ორი ქვეყანა ალბათ ოდესმე ერთ მთლიან სამეფოს შეადგენდა „ქართუ“ სახელის მქონეს(იქნებ ის იყო „არიან-ქართლი“ კოლხეთის სახელით ცნობილი ბერძნულ სამყაროში?მათსახელთა ფუძეებიც/ქართ-კოლ/ ხომ იდენტურები არიან?).

როგორც აღინიშნა, ფავსტოს ბიზანტიელის საისტორიო თხზულებაში მანუელი შემდეგი სიტყვებით მიმართავს სომხეთის მეფეს ვარაზდატს (374-377წწ.) „ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ თქვენი მსახურნი, არამედ ვიყავით თქვენი ამხანაგნი და იქნებ თქვენზე მეტად სახელოვანიც, რადგან ჩვენი წინაპარნი იყვნენ მეფენი ჭენასტანში, მაგრამ ძმათა შორის განხეთქილების გამო მოხდა დიდი სისხლისღვრა, ჩვენ დავტოვეთ სამშობლო და მოვედით აქ მშვიდობის საძებნელად“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 489).

როგორც აღინიშნა, **ჭანისტანს, ანუ ჭანეთს თავისი მეფეები ჰყოლია უკვე III ს-ში, რადგანაც მანუელს მეფისათვის მიუმართავს 228-297 წლებში** (იქვე, გვ. 490).

ფავსტოს ბიზანტიელის ეს ცნობა ეთანადება სხვა ბერძენ-ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს, რომლებიც ლაზთა, ანუ კოლხთა მეფეებისა და ტომის შესახებ ამბობდნენ: „ისინი ძალზე ამაყები არიან და ქედმაღლობენ კოლხეთის ძველი დიდების გამო“, ფავსტოსის ცნობითაც, ჭანების მეფეთა შთამომავალი არმენიის მეფესთან ამბობს: „ჩვენი დინასტია თქვენზე მეტად სახელოვანიც შეიძლება იყოს“. ეს ორი ცნობა ერთმანეთის იდენტურია და მიუთითებს **კოლხეთ-ლაზეთის ძველი სამეფოს შესახებ.**

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველი ლაზიკის ანუ ჭანეთის სამეფო დინასტიის ერთი ფრთა, ჩანს შიგა არეულობის გამო იძულებული გამხდარა თავი სომხეთისათვის შეეფარებინა და თავისი სამეფოს ერთი ნაწილის (ტაოს) გადაცემით სომეხთა მხარდაჭერა მოუპოვებია,ხოლო მეორე ფრთას ძველი ლაზეთის (ჭანეთის) სამეფო დინასტიისა ჭანეთის ძირითადი ნაწილი დაუკარგავს V საუკუნეში. ამდროს ბიზანტიის იმპერატორი მოლაპარაკებია ლაზთა მეფე გუბაზ I –ს და მისთვის სამეფოს ერთი ნაწილი ჩამოურთმევია. ამ დროს

საზღვარი პუნქტ ხუფათზე გადებულა. სანაცვლოდ, VI საუკუნეში იუსტინიანეს დროს ლაზთა მეფეებისათვის მმართველობაში გადაუციათ კლარჯეთ-ლიგანი. ასე ჩამოყალიბებულა „ახალი ლაზიკის“ სამეფო „ძველი ლაზიკის“ სახელოვანი დინასტიის მმართველობით.

ბაგრატიონები ბაიბერდიდან კლარჯეთში

ბაგრატიონების საგვარეულო (თავდაპირველი) ციხე-სიმაგრე ყოფილა ბაიბერდი- ისტორიულ სპერში. ნ. ადონცი წერს „ვიცით, რომ კანტონი სპერი ეკუთვნოდა ბაგრატიდ თავადებს“ (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 122).

ნ. ადონცი ცნობებს იმის შესახებ, რომ სპერი – ბაგრატიონების თავდაპირველი მამული იყო, იღებს ძველი სომხური წყაროებიდან და წყაროდ მიუთითებს „ფაუსტი“, V, 44; სებეოსი, 139.

პონტოს ზღვისპირეთში ჩამოსახლებული ქართველებისათვის ნაბუქოდონოსორს ხორენაცის მიხედვით, უფლად დაუდგენია მიჰრდატის –დარეჰის(დარიოსის) შთამომავლები(მ.ხორენაცი,სომხეთის ისტორია,1984,გვ.107). ეს „პონტოსპირეთი“ მოიცავდა ვრცელ მხარეს სინოპიდან დასავლეთსაქართველოს ჩათვლით, ტრაპეზუნტის ოლქს ბაიბურდისა და შემდგომი არზრუმის ჩათვლით. ბაგრატიონთა თავდაპირველი საცხოვრისი, როგორც ითქვა, ბაიბერდი ყოფილა.

ბაიბერდი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ აქ ყოფილა პაიპერტის საეპისკოპოსო, შემავალი ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში. ეს სამიტროპოლიტო კი, ნოტიციების მიხედვით, ლაზიკაში ყოფილა.

აქვე, სპერთან მდებარეობდა ჭანეთის მთიანეთი. მათი საერთო ბერძნული სახელი „ლაზიკა“ ყოფილა, VI ს-ში იუსტინიანემ დაიპყრო ტრაპეზუნტის ჩრდილო შავიზღვისპირეთი და იქ დააარსა ქალაქი პეტრა. რამაც საფუძველი დაუდო სპარს-რომაელთა ომებს პეტრასათვის.

გ. მელიქიშვილის თანახმად, კოლხეთის ბარში ჩასახლებულა ტრაპეზუნტის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობა-ჭანები(სანები?), ბერძნები მათ,ჩანს, – ლაზებს უწოდებდნენ. მათ ალბათ ბაგრატიონების ცნობილი საგვარეულოს წარმოადგენლებიც წაყვნენ (ჭანიკა ბაიბერდთან ახლოს მდებარეობდა). ეს საგვარეულო VI საუკუნეში იბერიაში გამეფდა დროებით, IX საუკუნიდან კი ცნობილია ბაგრატიონ მეფეთა კლარჯულ-არტანუჯული და ტაოური სახლები. საფიქრებელია, რომ ისინი ყველანი გამომდინარეობდნენ სპერის (ბაიბერდის) ფუძე საგვარეულო სახლიდან.

როგორც ითქვა, „კანტონი სპერი ეკუთვნოდა ბაგრატიდ თავადებს“ (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 122) და ის წყაროდ მიუთითებს „ფაუსტი“, V, 44; სებეოსი, 139.

ბაგრატიონებს თავიანთი გვარი აღებული ჰქონდათ დედის მხრიდან

„გადმოვიდა არჩილ ეგრისით და დაჯდა ნაციხარსა ხიდრისასა. მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყველის, სახელით ადარნასე, ძმისწული ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მისი **მზახებულ იყო ბაგრატონიანთადვე** და ბერძენთა მიერ დადგინებული იყო ერისთავად არეთა სომხითისათა და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისათა კლარჯეთს და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისაგან და რქუა „უკუეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკვიდრი შენი, მომეც

ქუეყანა“ და მისცა შულავერი და არტაანი“ (ქართლის ცხოვრება, 1955, I, გვ. 243)

ე.ი. ადარნასე მთავარი, რომელიც მივიდა მეფე არჩილთან, იყო დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი მამის მხრიდან, ხოლო **დედის მხრიდან ის იყო ბაგრატონიანი**.

თვთონ ამ მთავარს და მის მამასაც ბაგრატონიანი ქალები ჰყავდათ შერთული, ეს თვალსაზრისი გამომდინარეობს წყაროში ნახმარი სიყვიდან **„მზახალი“**. „დამზახება“-ნიშნავს „დამოყვრებას“(ძველო ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი“,2008,გვ,102). მძახალი ახლაც ცოლის ნათესავია.

„რომლისა მამა **მზახებელ იყო ბაგრატონიანთადვე**“- ნიშნავს, რომ მთავრის მამასაც ბაგრატიონების ქალი ჰყავდა შერთული, ანუ ბაგრატიონები მისი „მზახ-ლები“ – ნათესავები იყვნენ დედისა და ცოლის მხრიდან.

„ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო არეთა სომხითისათა“ ნიშნავს, შემდეგს - არტაანი არჩილის სამეფოში შედიოდა, ხოლო კლარჯეთი „ბერძენთა“ უფლების ქვეშ იყო, დანარჩენი ქვემო მხარეები (ტაო, თორთომი, სპერი და ა.შ.) – იმ მომენტში „სომხეთის არედ“ ითვლებოდა (ჰერაკლე კეისრის წყალობით) სადაც ბიზანტიელთა ნებით მთავრობდა ადარნასე, დავით წინასწარმეტყველის შთამო-მავალი. არაბთა შემოსევების შემდეგ ის მორიდებია არაბებს და კლარჯეთში გადასულა, სადაც დარჩენილა საცხოვრებლად. აღმოსავლეთ საქართველოში არჩილ მეფის დაბრუნების შემდეგ კი, მისულა მასთან და მისთვის უთხოვია რათა მიეღო ქვეყნის მკვიდრად და ჩაერიცხა სამეფო ერისთავთა წრეში. არჩილმა შეუსრულა თხოვნა და მისცა სამფლობელოდ არტაანისა და შულავრის პროვინციები. მაშას-ადამე ადარნასეს უკვე უფლება გააჩნდა სამ ქართულ პროვინციაზე, 1.**მისი იმჟამინდელი მამულები ბიზანტიის ხელდებულ კლარჯეთში იყო და 2.ამავე დროს ის იყო ქართლის სამეფოს ერისთავი, 3.ხოლო მისი ძირიმამული ტაო-სპერის მხარეები იყო**. ესენია- არტაანი(აქედან „არტანუჯელი ხელმწიფე“?არტაანში ხომ არ შედიოდა არტანუჯი?) –კლარჯეთი(„კლარჯელი ხელმწიფე“) და ტაო(„ტაოელი ხელმწიფე“)- ბაგრატიონთა მამული ქვეყნები.

შესაძლოა, პირველი ბაგრატიონები იყვნენ ლეგიტიმური მემკვიდრეები ლაზთა ანუ „კლარჯთა“ „მეფეებისა“ ანუ იმ „ლაზთა მეფეებისა“, რომელთ-აც ბერძნულ-ბიზანტიური სამეფო კარი ანიჭებდა სამეფო ტიტულებსა და სიგელებს (ამას უნდა მიუთითებდეს პირველი ბაგრატიონი მეფეების ტიტ-ულატურა „კლარჯელი ხელმწიფე“, ასევე, ისინი როგორც ითქვა, იყვნენ „არტანუჯელი“ და „ტაოელი“ ხელმწიფეები) ჩანს ამ „ლეგიტიმური“ უფლებით აღჭურვილ-გამშვენიერებული გუარამ I ბაგრატიონი შევიდა ხოსროინთა სამეფო ოჯახში ვითარცა სიძე, ვახტანგ გორგასლის დროს, ხოლო შემდეგში კი ბაგრატიონებმა არჩილ მეფე-ერისთავის სამეფო სახლის მემკვიდრეობა მიიღეს.

მაშასადამე, ადარნასე მთავარი, თავდაპირველად, დადგენილი იყო „სომხ-ეთის არეთა ერისთავად“ (ჩანს, იგულისხმება არმენიის ქართული მხარეე-ბი ტაო-სპერი და ბასიანი), შემდეგ არაბობის გამო გადასულა კლარჯეთ-ში (ბიზანტიელთა ხელდებულ ქვეყანაში).

კლარჯეთის მეზობელი არტაანისა და შულავერის „ქვეყნები“არჩილის სამეფოში შედიოდა-ისინი გადაეცა ადარნასე ბაგრატიონს არჩილის მიერ.

ბერძნული საკარისკაცო ტიტულები

ბერძნული საკარისკაცო ტიტულები არ ჰქონდათ ფარნავაზიან-ხოსროიან მეფეებს, მაგრამ VI ს-დან ის დამკვიდრდა ქართულ სამეფო კარზე, ამ ტიტულის მქონეთაგან პირველი, იყო კლარჯეთის ერისთავი გურამ ბაგრატიონი, ვახტანგ გორგასლის სიძე, რომელიც ავიდა სამეფო ტახტზე. მის შემდგომ ეს ტიტულები („კურაპალატი" და სხვა) ვიდრე XII ს-მდე ჰქონდათ ქართველ მეფე-ერისთავებს.

ჩემი აზრით, ეს ტიტული იქამდე ჰქონდათ ლაზიკის (ე.ი.კლარჯეთის) ბასილევსებს (ერისთავებს) და ქართლში გამეფების შემდეგ ის (ტიტული) შეინარჩუნეს.

შესაძლოა, ასეთი ბიზანტიური ტიტულები აბაზგ ერისთავებსაც ჰქონდათ (ე.ი. VI-VII სს) და როცა საქართველოს ტახტზე ავიდნენ ძველი ტიტულებიც დაინარჩუნეს).

თავი XXV
„ენა"

ძველი ქართული ენა - სალაპარაკო ნორმა რეგიონებში

ჩვენამდე მოღწეულ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში, მიუხედავად მათი წარმომავლობისა **ყველგან დაცულია ერთი და იგივე ენობრივი ნორმა**.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში არ იგრძნობა კუთხურობა, მხარეებისთვის ნიშანდობლივი მეტყველების (ენაკავებისა თუ დიალექტების) გავლენა. როგორც ითქვა, რომელ რეგიონშიც უნდა იყონ ისინი დაწერილნი (აფხაზეთში, ეგრისში, სვანეთში, არგვეთში, გურიასა თუ ტაო-კლარჯეთ-კახეთ-ჰერეთში)– ენობრივ-გრამატიკული ნორმა ერთი და იგივეა.

რა იყო ამის მიზეზი?

მიზეზი, ჩანს, იყო ის, რომ IV-Xსს-ში (და შემდეგ) ქართული ენა არ იყო დაშლილი დიალექტურ დონეზე, სალიტერატურო ნორმის დაცვა (და, ამიტომაც, მისი შესწავლა) არ იყო საძნელო საქმე კუთხეებში მოღვაწე მწერლებისათვის (ისინი ხომ ძირითადად ბერები იყვნენ, უმეტესი, საფიქრებელია, არცთუ მაინც და მაინც განსწავლული).

ძველი ქართული ენა დიალექტურ დონეზე დაშლილი რომ ყოფილიყო I ათასწლეულში (ან მის მახლობელ ხანაში), ეს უთუოდ აისახებოდა მწერლობაში.

მაგალითად, XX საუკუნეში ჩვენ გვყავდა საგანგებოდ, უმაღლეს სასწავლებლებში განსწავლული მწერლები, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ამჟღავნებდნენ თავიანთი კუთხეების მეტყველებათათვის დამახასითებელ ნიშნებს, მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძეს აქვს- „გადიწერა ჩემი ლექსი" (უნდა იყოს გადაიწერა), ვაჟა-ფშაველა და თვით აკაკიც,რომელიც გმობდა ლიტერატურაში კუთხური მეტყველების დანერგვას, თავიანთ შემოქმედებაში ავლენდნენ თავიანთი კუთხეების სალაპარაკო ნორმებს, თუ არას ვიტყვით ოტია იოსელიანზე, ო. ჩხეიძესა, ე. თათარაიძესა და სხვათა შესახებ. რატომ?

მიზეზი ამისა არის ის, რომ XX საუკუნეში დიალექტურ დონეზე ქართული ენა მკვეთრად იყო დაყოფილი, რამაც სალიტერატურო მწერლობაშიც გაჟონა.

მაგალითი გვიჩვენებს შემდეგს: ასევე **რომ ყოფილიყო დაყოფილი ძველი**

ქართული ენა (ე.ი. ძველი დიალექტები ძალზე განვითარებულნი რომ ყოფილიყვნენ), ჩვენ ამის ასახვას უთუოდ ვპოვებდით ძველ ქართულ ლიტერატურაში, სადაც ამის ნიშან-წყალიც კი არ ჩანს.

მართალია, კ. კეკელიძემ დაამკვიდრა თვალსაზრისი, რომ ჰაემეტობა ანდა ხანმეტობა თითქოსდა დიალექტური ნორმის ასახვა იყო, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ხანმეტობა და ჰაემეტობაც იყო საერთო საზოგადო სალიტერატურო მოვლენა. ე.ი. ხანმეტობის დროს ხანმეტი იყო მთელი ლიტერატურა, ანუ ხანმეტობა მთელი ხალხის სალაპარაკო ენის ნორმა იყო, როცა ხანი შეიცვალა ჰაეთი, ჰაემეტობა იქცა სალიტერატურო ნორმად, ანუ ის არ იყო რომელიმე კუთხის მოვლენა, არამედ მთელ ქვეყანაში სალაპარაკო ენის ნორმა იყო, ენის განვითარების შედეგი.

მეორე მაგალითი, რასაც პატრიარქი ილია II მიუთითებს ხოლმე, არის ის, რომ ძველი ქართულის ნორმები და ლექსიკა ამჟამადაც დაცულია კუთხეებში, მაგალითად, იმერეთში გავრცელებული სიტყვა „ტყლიპი“- ძველი ქართულია (ელენთა – ახალი ქართული სიტყვაა), ძველი ქართულის სიტყვები „კვერი, კვეჟო“ – იმერეთში ახლაცაა გავრცელებული (ახალ ქართულშია- ჩაქუჩი), ასევე სიტყვა „კურო“ (ახალი ქართულის ბუდა) და სხვა.

ამჟამადაც, როგორც მთის, ისე ბარის კილოების უამრავი გრამატიკული წარმოთქმა და ლექსიკური ერთეული – ძველი ქართულიდანაა დარჩენილი, რაც მიუთითებს, რომ ძველი ქართული ოდესღაც ამ კუთხეების სალაპარაკო ნორმა იყო.

ზანურ-ქართული ენობრივი ერთობა

ზანურ-ქართული ენობრივი ერთობის შესახებ ძირითადად არსებობს სამი თვალსაზრისი.

I. აკად. გ. მელიქიშვილის ნაშრომების მიხედვით (რომელიც მკაფიოდ აისახა „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“) ზანურ-ქართუვლი ენობრივი ერთობისათვის ძველი წელთაღრიცხვის XII-VI საუკუნეები იყო შუალედური ხანა, დაახლოებით ეს პერიოდი ემთხვევა კოლხური კულტურის აყვავების ხანას, ამიტომაც ქართულ-ზანურ ერთობას ასევე კოლხური პერიოდი ეწოდება, იგულისხმება რომ XII-VI სს. კოლხეთის ენა იყო აღნიშნული ქართულ-ზანური.

მხოლოდ ამ პერიოდის დასასრულს შეეხება გ. მაჭავარიანის და თ. გამყრელიძის მიერ „სინანტა სისტებში“ (1984) გადმოცემული თეორია, რომ ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლა დაიწყო არა ქრისტეშობამდე VI საუკუნეში, არამედ უფრო გვიან „ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე“. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნის ქვეშ ცხადია უნდა ვიგულისხმოთ I-II საუკუნეები ქრისტეშობის ეპოქა. ამ დროს ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისას, წმ. სახარება წარმართა შორის ბერძნულად იკითხებოდა და თარჯიმნის მიერ ზეპირად ითარგმნებოდა. სახარების ზეპირი თარგმანის ენა მთელ ისტორიულ საქართველოს მიწა-წყალზე ერთიდაიგივე ყოფილა, ამის მიზეზი იყო ზანურ-ქართული ენობრივი ერთობა. ანუ როგორც აღმოსავლეთ,ისე დასავლეთ საქართველოში I-III საუკუნეებში იმჟამად მოღვაწე უამრავი მქადაგებელი ქრისტიანობისა და აქა იქ დაფანტული ქრისტიანული თემების მოძღვრები საქართველოს ხალხს თავის ენაზე აცნობდნენ წმიდა წერილს, ეს ენა კი ჯერ კიდევ დაუშლელი ზანურ-ქართული იყო,რაც შემდეგ მალევე საფუძვლად დადებია

ძველ ქართულ საეკლესიო-სალიტერატურო ენას, რომელზეც ითარგმნა წმიდა წერილი.

II. მეორე თვალსაზრისი გამოთქვა არქეოლოგმა ო. ჯაფარიძემ, რომლის მიხედვითაც ქართულ-ზანური ერთობა არსებობდა უფრო ადრე თრიალეთური და არა კოლხური კულტურის ხანაში, ქართულ-ზანური ერთობა მისი აზრით თრიალეთური კულტურის დასასრულით უნდა დათარიღდეს (ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 1969, გვ. 232-235).

III. მესამე თვალსაზრისი ეკუთვნის თ. მიქელაძეს. ის კოლხურ კულტურას მეგრულ-ჭანურ (ზანურ) ეთნიკურ სამყაროს უკავშირებს. მისი აზრით, ქართულ-ზანურ ერთობის დაშლა არა უგვიანეს ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგს უნდა მომხდარიყო (იხ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, 1974).

(ნ. ხაზარაძე, ძველადმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, 2001 გვ. 416).

მისგან განსხვავებით, ჩემი თვალსაზრისი მთლიანად ეთანხმება აკად. გ. მელიქიშვილის, აკად. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის თეორიას, რომელთა მიხედვითაც **ზანურ-ქართული ენობრივი ერთობა არსებობდა ფარნავაზის მიერ ძველი ქართული ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეპოქაში და ის მხოლოდ მაშინ იწყებდა დიალექტურ დონეზე დაშლას. უფრო მეტიც, იმ ენობრივი რეფორმების შემდეგ, რომელიც ძველი ქართული საისტორიო წყაროების ცნობით გაატარა მეფე ფარნავაზმა, მოხდა ენობრივი მთლიანობის სახელმწიფებრივი დაფიქსირება, ზანურ-ქართული გადაიქცა სახელმწოფო და კულტურის ენად, მას ეწოდება „ძველი ქართული ენა“.**

ანუ ძველი ქართული ენა იყო ე.წ. ზანურ-ქართული ჯერ კიდევ დაუშლელი ენა. წყაროთა მიხედვით ფარნავაზის სამეფოს ფორმირებაში აქტიურად მონაწილეობდა ეგრისის მოსახლეობა. ზან-ქართული ენა, ანუ ჩემი თვალსაზრისით იგივე ძველი ქართული ენა, გადაიქცა სახელმწიფო სავალდებულო ენად და ამასთანავე ის დაფიქსირდა ვითარცა ერთადერთი ღვთისმმსახურების და კულტურის ენა.

ძველი ქართულის პირვანდელი ფორმები ხანმეტური და ჰემეტური - უფრო ახლოს იდგა ზანურ-ქართულ ენასთან, ვიდრე თანამედროვე ქართველური დიალექტები.

მეგრულ-ლაზური დიალექტი სალიტერატურო ზოგადქართული ენის სათავეებთან

არქეოლოგ ვირჯილიო კორბოს მიერ მდ. იორდანის ნაპირზე, ბეთლემის ჩრდილოეთით 1952 წელს აღმოჩენილი მონასტერი წყაროებში იწოდება „ლაზთა მონასტრად“ (ე. მამისთვალიშვილი, ქართველები და ბიბლიური სამყარო, გვ. 85). ეს მონასტერი V საუკუნის 40-იან წლებში აუგია პეტრე იბერის მოძღვარს იოანე ლაზს.

VI საუკუნეში, პროკოფი კესარიელის ცნობით, იუსტინიანეს განუახლებია „ლაზთა მონასტერი იერუსალიმის უდაბნოში“ (გეორგიკა, II, 1965, გვ. 223).

ე. მამისთვალიშვილის მოსაზრებით ამ მონასტერში იოანე ლაზთან ლაზეთიდან წმიდა მიწაზე ჩასული ბერ-მონაზვნები იყრიდნენ თავს (ე. მამისთვალიშვილი, ქართველები და ბიბლიური სამყარო, 1998, გვ. 85).

ლაზთა მონასტერი იმითაა საინტერესო, რომ აქ აღმოჩნდა ქართული

დამწერლობის ყველაზე ადრინდელი ძეგლები, ლაზთა მონასტრის ქართული წარწერები არიან დღემდე აღმოჩენილ ქართულ წარწერათა შორის ყველაზე უძველესნი, ისინი ნახევარი საუკუნით წინ უსწრებენ დღემდე ყველაზე ძველად მიჩნეულ ბოლნისის წარწერებს (გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960, გვ. 29).

იერუსალიმის უდაბნოს ლაზთა მონასტერში აღმოჩნდა ოთხი ქართული წარწერა.

ისმის კითხვა, რატომ აღმოჩნდა ლაზთა მონასტერში ქართული წარწერები?

ქართული ენა ისტორიული საქართველოს ყველა კუთხეში (და ლაზეთშიც) ერთად-ერთი სალიტერატურო, სახელმწიფო, კულტურის, საეკლესიო და ადმინისტრაციის ენას წარმოადგენდა, მაგრამ, რადგანაც XX საუკუნეში გაჩნდა ტენდენცია იმისა, რომ სხვა კულტურის ნაწილად წარმოადგინონ ეგრის-ლაზეთი,საჭიროა ამ კითხვის დასმა.

ამ კითხვის პასუხის ძიებისას ჩვენ შეიძლება გავიხსენოთ ორი კესარიელის, კერძოდ პროკოპი კესარიელისა და გელასი კესარიელის ცნობები ლაზეთის ენისა და ეკლესიის შესახებ.

კერძოდ, მაგალითად, პროკოფი კესარიელის ცნობით ლაზეთის ქვეყნის ცნობილ ქალაქს, რომელსაც ბერძნულად ერქვა „კუტაია“, ლაზურ ენაზე ეწოდებოდა „ქუთათისი“. მაშასადამე, პროკოფი კესარიელის ცნობით „ქუთათისი“ ლაზური სიტყვაა, ლაზების ენით შესაბამისად ნაწარმოები, მაგრამ ეს სიტყვა თავისი სუფიქსებით არის ძველი ქართული ენის მიხედვით ნაწარმოები, ეს მიუთითებს რომ **ქართული სალიტერატურო ენა და ლაზური დიალექტი პროკოფი კესარიელის დროს უაღრესად ძალზე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან**, ძველი ქართული სალიტერატურო ენა კი იგივე საეკლესიო ენაა, რომელზეც ითარგმნა წმიდა წერილი და დაიწყო წირვა-ლოცვა საქართველოში.

ლაზების საეკლესიო ენაც ძველი ქართული უნდა იყოს, რადგანაც **გელასი კესარიელის ცნობით იბერებმა და ლაზებმა „ტყვე ქალის“, ანუ წმიდა ნინოს მიერ ერთად მიიღეს ქრისტიანობა.**

ე.ი. გელასი კესარიელის ამ ცნობით **წმიდა ნინო ლაზების განმანათლებელი იყო**, შესაბამისად ის იყო ერთიანი ქართული ეკლესიის დამაარსებელი, ერთი ენითა და საეკლესიო ტრადიციებით.

ჩანს, **წმიდა ნინოს დროს ლაზური ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გამოყოფილი ფუძე ქართული ენისაგან.**

მართალია, ამჟამად მიღებულია თვალსაზრისი, რომ ზანურ-ქართული ენობრივი ერთობა დაიშალა ქრისტეშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე, მაგრამ არ უნდა იქნას დავიწყებული გ. მაჭავარიანისა და თ. გამყრელიძის ის თვალსაზრისი, რომელიც მათ გამოთქვეს წიგნში „სოსანტთა სისტემა“, რომ ზანურ-ქართული ენობრივი მთლიანობა წელთააღრიცხვის მიჯნაზე ჯერ კიდევ არსებობდა, ანუ ახალი წელთაღრიცხვის დაწყებისას, I-II საუკუნეებში ქრისტიანობის ქადაგებისას მოციქულების მიერ ზანურ-ქართული ენობრივი მთლიანობა ჯერ კიდევ არსებობდა.

III-IV საუკუნეებში წმიდა წერილის ადგილობრივ ენაზე ზეპირად ქადაგების ეპოქაში, ჩანს ყველა ქართული ტომისათვის გამოყენებული იქნა იმჟამად ყველასათვის გასაგები ჯერ კიდევ ერთიანი ენა - ეს უნდა ყოფილიყო ზანურ-ქართული საერთო ენა, რომელსაც შემდგომში ეწოდა

„ძველი ქართული ენა“ და გადაიქცა სალიტერატუროდ.

ზანურ-ქართული საერთო ენა, რომელსაც შემდგომში ეწოდა „ძველი ქართული ენა“ ჩანს, საეკლესიო ოფიციალურ ენად გადაიქცა IV საუკუნეში, როცა ზეპირი სალიტერატურო ენა იქცა დამწერლობის ენად.

წმიდა წერილის ქართული თარგმანების ჩაწერის დროს გამოყენებული იქნა მთელ იბჟამინდელ ქართულ სამყაროში გავრცელებული ე.წ. „ზანურ-ქართული საერთო ენა“, რომელიც იქამდეც, როგორც აღნიშნული იყო გამოიყენებოდა ზეპირი ქადაგებებისათვის.

ამ მოსაზრებას განამტკიცებს ფაქტები იმისა, რომ V საუკუნის იერუსალიმის **ლაზურ მონასტერში აღმოჩნდა არა ლაზური დიალექტით შესრულებული წარწერები, არამედ სალიტერატურო ზოგად ქართულით**, ასევე ფაქტი იმისა, რომ იოანე ლაზი V საუკუნის დასაწყისში, ჩვილ პეტრე იბერს წმიდა წერილს ასწავლიდა ქართული ენით.

წმიდა პეტრე იბერიის **ცხოვრების** მიხედვით 411 წელს დაბადებული პეტრე იბერი მძევლის სახით წაიყვანეს კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე 423 წელს სულ 12 წლის ასაკისა. ამ დროისათვის მას იოანე ლაზის დახმარებით უკვე ზეპირად ჰქონდა შესწავლილი წმიდა წერილი ქართულ ენაზე.

მისი ცხოვრების აღმწერის ცნობით ბერძნული ენა და მწერლობა პეტრე იბერს შეუსწავლია კონსტანტინოპოლში, ხოლო შემდეგ იერუსალიმში შეუსწავლია ასურული ენა და მწერლობა. აქედან ჩანს, რომ პეტრე იბერს სამშობლოში წმიდა წერილი შესწავლილი ჰქონდა არა ბერძნულ და ასურულ ენებზე, არამედ სხვა ენაზე, რომელი უნდა ყოფილიყო ეს ენა თუ არა ქართული?

ლაზთა მონასტერში აღმოჩენილი ქართული წარწერები განამტკიცებს ამ მოსაზრებას.

მაშასადამე იოანე ლაზი, როგორც მემატიანე წერს, 3 წლის ასაკიდან პეტრე იბერს ასწავლიდა ქართული ენით.

აქ ჩვენ შეიძლება დავსვათ კიდევ ერთი კითხვა, უფლისწულის აღსაზრდელად იბერიის სამეფო კარზე ლაზეთიდან მიიწვევდნენ თუ არა ისეთ მოძღვარს, რომელმაც საუკეთესოდ არ იცოდა ქართული ენა?

ამის მიზეზი, როგორც ითქვა, იყო ის, რომ ზანურ-ქართული ენობრივი ერთობა I-V საუკუნეებში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო. იჟამად ლაზური და ვთქვათ ქართლ-კახური ძალზე ახლო დიალექტებს წარმოადგენდნენ ერთმანეთის მიმართ, მაშასადამე მეგრულ-ლაზური ისევე იდგა ზოგადქართული საეკლესიო-სალიტერატურო ენის სათავეებთან, როგორც სხვა კითხვათა დიალექტები. ამ კითხვის ერთადერთი პასუხი უნდა იყოს ის, რომ ჩანს ქართული ენა უფრო სწორად ქართული სალიტერატურო-საეკლესიო ენა არ წარმოადგენდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის დიალექტზე აღმოცენებულ ენას, როგორც ახლა წერენ, არამედ ზოგადქართულ საერთო-საეკლესიო ენას, რომელიც ლაზეთშიც ისევე გასაგები იყო, როგორც ვთქვათ კახეთში.

როგორც ითქვა, ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას იძლევა შემდეგი ფაქტები:

1) იერუსალიმის ლაზთა მონასტერში აღმოჩენილი უძველესი IV-V საუკუნეების ქართული წარწერები, ყველაზე პირველნი ქართულ წარწერათა შორის.

2) გელასი კესარიელის ცნობა, რომ „ტყვე ქალმა“ ანუ წმიდა ნინომ მოაქცია „ლაზები და იბერები“, ე. ი. ლაზების გამაქრისტიანებელი იყო წმიდა ნინო,

ზოგადქართული ეკლესიის დამაარსებელი, ამის ასახვა იყო ის, რომ ძველი საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის სვანეთსა, აფხაზეთსა თუ სამეგრელოში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა ერთი საეკლესიო, ანუ წირვა-ლოცვის ენა, რომელზეც ითარგმნა წმიდა წერილი.

3) ერთადერთი ლაზური სიტყვა რომელიც შემონახულია ბერძნულ წყაროებში „ქუთათისი“, პროკოფი კესარიელის ცნობით ლაზური ენის შესაბამისად იყო ნაწარმოები, სინამდვილეში ის ზოგადქართული სიტყვაა. რაც საფუძველს იძლევა მოსაზრებისა, რომ ზანურ-ქართული ენობრივი ერთობა ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი VI საუკუნეში. ზანურ-ქართული ენობრივი ერთობის გამო იყვნენ ქართულენოვანნი ეგრის-ლაზეთიდან გამოსული საეკლესიო მოღვაწეები და დიდი მამები - იოანე ლაზი და იოანე მინჩხი, სხვანი, ათეულობით და ათასობით მამა შემოქმედნი ზოგად ქართული კულტურისა.

ქართული კულტურის მკვლევართა მიერ ფაქტიურად დღემდე მივიწყებულია უდიდესი და გასაოცარი ღვაწლის წმიდა წერილის პირველი ქართველი მთარგმნელებისა ანუ IV-V საუკუნეების მოღვაწეებისა, რომელნიც იდგნენ ქართული სასულიერო მწერლობის სათავეებთან. მათი ღვაწლი ერთგვარად გადაჩრდილა X-XI საუკუნეების მთარგმნელთა დიდმა მუშაობამ. უნდა ითქვას, რომ თვითონ X-XI საუკუნეების დიდი მთარგმნელები - გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და სხვები ძალზე აფასებდნენ პირველმთარგმნელთა ნამუშაკევს.

ბოლო 1500 წლის განმავლობაში ანუ V-XX საუკუნეებში ქართულ ეკლესიაში გამოყენებული ტექსტები შემუშავებულია ანუ თარგმნილია „პირველითგანვე“ ანუ IV-V საუკუნეებში, ისინი თითქმის უცვლელად მოვიდნენ დღემდე და გამოყენებულნი არიან საეკლესიო საჭიროებისათვის.

ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა ხელახლა კი არ თარგმნეს წმიდა წერილი, არამედ პირველმთარგმნელთა ტექსტები შეადერეს და დაუახლოვეს X-XI საუკუნეებში ბიზანტიის ეკლესიაში გამოყენებულ ბერძნულ რედაქციებს.

IV –V სს. პირველმთარგმნელთა დიდი პლეადის წევრები უნდა ყოფილიყვნენ იოანე ლაზი, მოძღვარი პეტრე იბერისა, თვითონ პეტრე იბერი, თითქმის მათი თანამედროვე, იბერიის სამეფო კარზე მოღვაწე პირები და ჩანს იერუსალიმში, პეტრეს გარემოს წევრები.

სომეხთა წმიდა წერილის თარგმნა მათ ეპოქაში დაიწყო IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში. მიიჩნევა, რომ მესროპ მაშტოცმა სომხური ანბანი 405 წელს შექმნა. დაახლოებით ამავე დროს ალბათ უკვე ინტენსიურად მუშაობდნენ წმიდა წერილის ქართულად გადმოსაღებად.

პირველმთარგმნელთა დიდი პლეადის წევრი ანდა შეიძლება მეთაურიც იყო იოანე ლაზი, უნდა ვიფიქროთ, რომ მის მონასტერში იერუსალიმში აღმოჩენილი წარწერები ამას ადასტურებს - ისინი შეიძლება მართლაც პირველი იყვნენ ქართულ საეკლესიო წარწერათა შორის.

ლაზთა მონასტრის სატრაპეზოს იატაკის მოზაიკურ წარწერაში ნახსენები პირები, საფიქრებელია, წმიდა წერილის ქართველი მთარგმნელები იყვნენ, მისი ტექსტი ასეთია: „**შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თევდორესითა შეიწყალენ ანტონი, აბაი და იოსია, მომსხმელი ამის სეფისაი და დედმამაი იოსიაისი, ამენ**“.

მიიჩნევა, რომ მონასტერი აშენებული ყოფილა წმიდა თევდორეს სახელზე, წინამძღვარი ყოფილა **ანტონი,** მოზაიკა კი დაუმზადებია (მოუსხამს) **იოსიას** (ე.

მამისთვალიშვილი, ქართველები და ბიბლიური სამყარო, 1998, გვ. 86).

ჩვენი აზრით, რომელიც ადრევე გამოვთქვით (იხ. მიტროპოლიტი ანანია „იოანე ლაზი“, „პეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი“) აქ მოხსენებული პირები **ანტონი, აბაი და იოსია** უნდა ყოფილიყვნენ წმიდა წერილის ქართველი პირველმთარგმნელები, პეტრე იბერის სამეფო კარის მოღვაწეებთან ერთად.

ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას იძლევა ის, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ამ წარწერის აღმოჩენამდე პირველმთარგმნელების სახელებს თითქმის ამავე თანმიმდევრობით გადმოცემდნენ, ოღონდ მათ უმატებდნენ „დავითის“ სახელს. ხოლო ბაკურ მეფის კარზე ქართული ანბანის შექმნისათვის და სალიტერატურო-საეკლესიო ენის შემუშავებისათვის გაწეულ ღვაწლს აღწერდნენ მოვსეს ხორენცი და სხვა სომეხი ავტორები IV-V საუკუნეებისა.

ანტონი და აბაი სხვადასხვა პირები უნდა ყოფილიყვნენ.

არა ანტონ აბატი, არამედ ანტონი და აბაი.

ძველქართული სახელი აბაი საქართველოში ცნობილი იყო, მისგანაა გვარი აბაიშვილი. იოსია კი უნდა ყოფილიყო არა მოზაიკის მომსხმელი ხელოსანი, არამედ ქტიტორი, რომლის საფასითაც (თანხითაც) მოისხა იატაკი.

საერთოდ ხელსნების სახელებს ძველ ტექსტებში ადგილს არ უთმობდნენ, მით უმეტეს ასეთ გამოჩენილ ადგილას. ხოლო ქტიტორების მოხსენიება, მით უმეტეს თუ ისინი ცნობილი ადამიანები იყვნენ - მიღებული წესი იყო.

მაშასადამე, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ბაკურ მეფის კარზე IV ს-ის ბოლოდანვე გაჩაღებული იყო მთარგმნელობითი მუშაობა. ამ საქმისათვის სამეფო კარზე უნდა მიეწვიათ იოანე ლაზი, ხოლო როცა უფლისწული დაიბადა - ის (იოანე ლაზი), როგორც ამ საქმის– ახლადფეხადგმული ქართული ლიტერატურის სპეციალისტი - დაინიშნა მის აღმზრდელად.

მართლაც, 411 წლისათვის - ქართული საეკლესიო ლიტერატურა სულ ახალი ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო (411 წელს, როგორც ითქვა დაიბადა პეტრე იბერი). ძველ სომხურ წყაროებში, როგორც ითქვა, შემონახულია ცნობები, რომ ქართული საეკლესიო ანბანის და ქართული საეკლესიო ენის ჩამოყალიბებისათვის მუშაობა მიმდინარეობდა IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის დასაწყისში ქართლის სამეფო კარზე.

ბაკური - პეტრეს პაპა დედის მხრიდან, ასევე ბუზმარიოსი ბუზ-მიჰრი მამის მხრიდან ივერიის მეფეები იყვნენ სწორედ ამ დროს, მათ უთუოდ ღვაწლი მიუძღვით ქართული წმიდა წერილის თარგმნის საქმეში, ჩემი ფიქრით ამიტომაც არიან ისინი მოხსენებულნი ლაზთა მონასტერში სხვა პირველმთარგმნელთა მსგავსად.

პეტრეს მამა - ბუზმარიოსი ცხადია, ამ საქმის ხელისშემწყობი იქნებოდა, დედა - ბაკურდუხტთან ერთად (ბუზმარიოსი - ჩანს ძველ საქართველოში ცნობილი სახელი იყო, ადიგენის რაიონის სოფელ უდეში დაფიქსირებულია ტოპონიმი „ბუზმარეთი“, პეტრეს სახელი კი მარუანი ყოფილა სიყმაწვილეში, სახელ მარუანისგან შეიძლება იყო ნაწარმოები გვარი - მარუაშვილი, საერთოდ კი სახელი მარუანი იგივე მირიანი უნდა იყოს - იბერიის სამეფო კარზე ცნობილი სახელი).

ასე, რომ „ლაზთა მონასტერში“ ჩვენ უნდა გვქონდეს პირველქართველ მთარგმნელთა სახელების ჩამონათვალი. მათი მოხსენება ამ მონასტერში საჭიროდ მიუჩნევიათ, რადგანაც მათი პლეადის წევრი უნდა ყოფილიყო მონასტრის დამაარსებელი იოანე ლაზი. მათი ღვაწლით გიორგი მთაწმინდელისა და გიორგი მცირეს სიტყვით – „პირველითაგანვე გვქონდეს წერილნიცა და სარწმუნოებაი

ჭეშმარიტი და მართალი“.

წმიდა წერილის ქართული პირველთარგმანები ჭეშმარიტი და მართალი ყოფილა, ამიტომაც X-XI სს-ის „მთარგმნელ-რედაქტორებს“ ისინი არ შეუცვლიათ. ამ ტექსტებმა დღემდე უცვლელად მოაღწიეს და საეკლესიო მსახურებაში გამოიყენებიან.

კ. დანელიამ, გამოჩენილმა ენათმეცნიერმა, გამოწვლილვით შეისწავლა XI ს. დასაწყისში „თარმნილი“ ტექსტები და მივიდა დასკვნამდე, რომ სინამდვილეში XI ს-ში ხელახლა კი არ ითარგმნა ბერძნულიდან ქართულ ენაზე წმიდა წერილი და სხვა საეკლესიო ტექსტები, არამედ მოხდა ძველი, უკვე არსებული ქართული თარგმანების (ტექსტების) შედარება-რედაქტირება იმჟამინდელ ბერძნულ რედაქციებთან და ამის შედეგად მიღებულ იქნა ეკლესიისათვის „კანონიკური“ ტექსტები. მაშასადამე ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები, მათი ეპოქის წმიდა მამები იყვნენ არა მთარგმნელები ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არამედ მხოლოდ რედაქტორები. „ამ ფაქტს მხოლოდ დანახვა უნდა“ - წერდა ამ ფაქტში აბსოლუტურად დარწმუნებული კ. დანელია, რადგანაც მან ეს ტექსტები, როგორც ითქვა ენათმეცნიერულად გამოწვლილვით შეისწავლა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი მთაწმიდელი თავის ანდერძში სწორედ ამ ფაქტს აღნიშნავს, რომ ის იყო არა „ახლად მთარგმნელი“ წმიდა წერილისა, არამედ მხოლოდ „შემმოწმებელი“ ანუ რედაქტორი რომელიც „აწამებდა“, ადარებდა ერთმანეთს უკვე არსებულ ძველ ქართულ ტექსტებსა და იმდროინდელ ბერძნულ რედაქციებს.

ერთმანეთთან „შეწამება“ ანუ შედარება ცხადია უდიდეს ცოდნასა და შრომას ითხოვდა მშრომელ-რედაქტორისაგან. **გიორგი მთაწმიდელის ანდერძის ორი რედაქცია არსებობს**, ერთი რედაქცია (შეურყვნელი ტექსტი ანდერძისა) დაუცავს სამეგრელოში, მოქვში დაცულ სახარებას, ასევე ბრეთის, ახალციხისა, ეჩმიაძინისა და უბისის სახარებებს. ამ შეურყვნელ ანდერძში ნათქვამია – **„ესე წმიდაი ოთხთავი არა თუ ახლად გვითარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე ბერძნულთა სახარებათაი და შეგვიწამებია ფრიადითა გამოწვლილვითა“.** ამ ანდერძიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელმა კი არ თარგმნა – ამ სიტყვის შემდეგდროინდელი გაგებით წმიდა ოთხთავი, არამედ მხოლოდ „შეაწამა“ ანუ შეადარა ბერძნულ რედაქციებს და ჩაასწორა მათ მიხედვით.

შემდგომ საუკუნეებში აღნიშნულ წმიდა მამებს სიყვარულით უწოდებდნენ „მთარგმნელებს“.

მათი ხელიდან გამოსული წმიდა წერილის რედაქციები იქცა ოფიციალურ საეკლესიო ტექსტებად, ამიტომ პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად მათ „მთარგმნელების“ აღნიშნული წოდება დაიმკვიდრეს.

ჩანს ამ დამოკიდებულის გამო შემდეგში რომელიღაც გადამწერს ამ თვალსაზრისის შესაბამისად „შეუსწორებია“ გიორგი მთაწმიდელის ანდერძი, კერძოდ მისგან ამოუღია ზოგიერთი სიტყვა, რამაც წარმოშვა ანდერძის ახალი ტექსტი ისეთი სახისა, რომელიც დღესდღეობით უფრო გავრცელდა.

ამჟამად, რატომღაც იმალება ანდერძის პირველსახე, რომელიც შერყვნილად მიიჩნევა.

სინამდვილეში გიორგი მთაწმიდელი თვითონ უხსნის მკითხველს თუ რატომ არ ესაჭიროებოდა ძველ ქართულ ტექსტებს ხელახლა თარგმნა.

მისი ძალზე დაბეჯითებული მტკიცებით დაახლოებით IV-V სს.-ში შესრულებული ძველი ქართული თარგმანები „წმიდადაა თარგმნილი“ თავისი დროის მთარგმნელების მიერ. ამის გამო ძველპირველმთარგმნელთა ხელიდან გამოსული ტექსტები იყვნენ „კეთილნი“ ანუ მისაღები ეკლესიისათვის, მაშ რატომ დასჭირდა ამ „წმიდად და კეთილად“ თარგმნილ ტექსტებს შედარება ბერძნულ რედაქციებთან XI ს. დასწყისისათვის? ამ კითხვას თვითონ ცემს პასუხს გიორგი მთაწმიდელი.

გიორგი მცირეს სიტყვით, „ფრიადი იძულებით“ გიორგი მთაწმიდელს გაუწევია უდიდესი შრომა, რომელიც ასე საჭირო იყო იმჟამინდელი ქართული ეკლესიისათვის, რათა ცილისმწამებლებს („მაბრალობლებსა და მაყვედრებლებს“) ავტორიტეტი არ შეებღალათ ქართული წმიდა წერილისათვის. გიორგი მთაწმიდელის სიტყვითაც, მის გვერდით ყოფილან სასულიერო პირები „ძმანნი“, რომელთაც დაბეჯითებით უთხოვნიათ გაეწია ეს შრომა.

ერთი სიტყვით, გიორგი მთაწმიდელმა იღვაწა ქართული წმიდა წერილის ავტორიტეტის ამაღლებისათვის, დაუმტკიცა ყველას, რომ ის ისეთივე ღირსებისა იყო, როგორებიც იყვნენ ყველაზე კარგი ბერძნული რედაქციები მისი დროისა. თუმცა კი მიაჩნია რომ უფრო ძველი, პირველქართული თარგმანები ძალზე კარგი თარგმანები იყვნენ – ის წერს ანდერძში – **„ჩვენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად – ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა“** (ნ. პაპუაშვილი, ახალი აღთქმის ქართული თარგმანი, 2007, გვ. 92).

მაშასადამე, გიორგი მთაწმიდელი დიდად აფასებდა ქართველ პირველ მთარგმნელთა სკოლის მუშაობას. ეს სკოლა, როგორც ითქვა, ჩამოყალიბდა IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში, სომხური წყაროების ცნობით ბაკურ მეფის კარზე. ანუ პეტრე იბერის პაპის ოჯახი იყო მეცენატი, სპონსორი და დამკვეთი იმ დიდი მუშაობისა, რომელიც ესაჭიროებოდა ახალფეხადგმულ ქართულ საეკლესიო მწერლობას, რომელიც ამ ოჯახის თვალწინ ყალიბდებოდა.

მოვსეს ხორენაცის სიტყვით, ქართველთა სამეფო კარზე შემოუკრებიათ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ქართული ენის მცოდნეები.

სხვა წყაროდან ჩანს, რომ მათ შორის ერთერთი რჩეული ყოფილა იოანე ლაზი – რადგანაც სწორედ ის აირჩიეს ახალგაზრდა უფლისწულის აღმზრდელად, ანუ სიტყვიერების მასწავლებლად.

მართლაც, მან პატარა პეტრეს ზეპირად შეასწავლა ახალათარგმნილი წმიდა წერილი.

ეს იყო, ასე ვთქვათ – პირველი აპრობაცია პირველმთარგმნელთა მოღვაწეობის შედეგის დასადგენად.

მისი ცხოვრებიდან ჩანს, რომ პეტრეს მართლაც კეთილად შეუსწავლია წმიდა წერილი, იმდენად, რომ შემდგომში ყველას აოცებდა წმიდა წერილის ცოდნით კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე.

ქართული საეკლესიო დამწერლობაც პირველ ნაბიჯებს დგამდა პეტრეს სიყმაწვილის წლებში.

საქმე ის იყო, რომ **თუ კი მესროპ მაშტოცს მრავალი ძიება დასჭირდა სომხური ანბანის ასო-ნიშნების მოხაზულობის მოსაძებნად, ქართველ მამებს არ ესაჭიროებათ ამდენი ძიება – ქართლის სამეფო კარზე იქამდე საუკუნეთა მანძილზე იყენებდნენ ე.წ. არმაზულ დამწერლობას.**

არმაზული დამწერლობით შესრულებული წარწერები აღმოჩენილია ვანში, ბორში (დასავლეთ საქართველოში), მცხეთაში და სხვაგან. ეს იყო ფინი-

კიური დამწერლობიდან წარმოშობილი არამეული დამწერლობის ერთერთი სახე.

როგორც ჩვენი თანამედროვე მკვლევარების (რ. პატრიძე) ნაშრომებიდან ჩანს, ჩვენს პირველ წმიდა მამებს მოუძებიანთ არამეული დამწერლობის პირველი სახე, ანუ ამ ანბანის საუკეთესო ვარიანტი და ის დაუდვიათ საფუძვლად ქართული საეკლესიო დამწერლობისათვის.

მაგალითად ასომთავრული „ა“, არის არამეული ანბანის პირველი ასონიშანი, რომელიც იგივე სახისაა, მათ შორის განსხვავება ისაა, რომ არამეული „ა“ სწორი ხაზების ურთიერთგადაკვეთითაა მიღებული, ხოლო ასომთავრულის ა, იგივე ხაზებია, ოღონდ დამრგვალებული სახისა.

არამეული ანბანის სამკუთხედები – ასომთავრულში წრეებითაა გადმცემული. მაგალითად ასო ნიშანი ბანი არამეულსა და ქართულში ერთიდაგივეა, ოღონდ არამეულში ანი და ბანი სამკუთხედის ფორმის მქონეა, ხოლო ქართულში ის მრგვალია.

ცხადია, ანბანში საჭირო იქნებოდა რამდენიმე ასო-ნიშნის დამატება, თუმცა, შესაძლოა იქამდეც, არმაზულში ეს ასო-ნიშნები არსებობდა კიდეც.

ყოველ შემთხვევაში არმაზულის თავდაპირველი - დედა სახე (ძველი არამეული) უნდა ყოფილიყო საფუძველი ქართული საეკლესიო ანბანისა.

მაშასადამე ქართველმა პირველთარგმანებმა იოანე ლაზისა და პეტრე იბერის ეპოქაში შეძლეს არმაზულ-არამეულის დამწერლობის საფუძველზე ასომთავრულის შექმნა, ამასთანავე ქართულად თარგმნა წმიდა წერილისა და ასევე მისი ჩაწერა ქართულივე საეკლესიო ასოებით.

აქედან ჩანს, რომ **იოანე ლაზი იდგა ზოგადქართული სალიტერატურო ენისა და ქართული საეკლესიო დამწერლობის სათავეებთან.**

როგორც აღინიშნა, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ იოანე ლაზის დროს აღმოსავლეთ საქართველოს ხალხის მეტყველება ძალზე ახლოს იდგა იმჟამინდელ მეგრულ-ლაზურთან, ისევე, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მეტყველებებთან. საერთო სალიტერატურო ენა ის-ის იყო ისახებოდა და იბადებოდა იოანე ლაზის შრომით.

ენათმეცნიერულად ასევე იყო ევროპისა და აზიის სხვა რეგიონებშიც. მაგალითად, IX-X საუკუნეებში როდესაც კირილემ და მეთოდემ სლავურად გადმოიღეს წმიდა წერილი, სლავური საერთო ენას წარმოადგენდა ზოგადად სლავებისათვის, მხოლოდ შემდეგ XIV-XV საუკუნეებისათვის თანდათან ჩაისახა სლავურ ენაში უკრაინული, ბელარუსული, და ე.წ. „ველიკორუსული“ (მოსკოვური) ენა-მეტყველებანი, დასავლეთ სლავებში შემდგომ ჩამოყალიბდა სერბული, ბულგარული და სხვა ენები. ასე, რომ **სლავური წმიდა წერილი, საერთო იყო ენობრივად შემდეგჩამოყალიბებული უკრაინელების, ბელარუსების, და სხვა სლავური ხალხებისათვის.** მსგავსადვე ლათინური ენა, რომელზეც ითარგმნა პირველ საუკუნეებში წმიდა წერილი, იქცა საფუძვლად შემდეგ ჩამოყალიბებული ფრანგული, ესპანური, იტალიური თუ რუმინული ენებისათვის. მაშასადამე ჯერ ითარგმნა ლათინურად წმიდა წერილი, ხოლო შემდგომ ჩამოყალიბდა ლათინური ენის საფუძველზე სხვადასხვა ხალხების ენები, ამიტომაც ამ ხალხებისათვის ლათინურ ენაზე წირვა-ლოცვა პირველ ხანებში სანამ ამ ხალხების ენები თანამედროვე სახეს მიიღებდა, სრულიად გასაგები იყო. ცხადია, ამ ერთგვარი ზოგადი წესისაგან არ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი ქართულიც.

IV-V სს.-ში ზოგადქართულ ენაზე ითარგმნა წმიდა წერილი, რომელიც გასაგები იყო ყველა კუთხის ქართველთათვის, რადგანაც ეს ენა იმჟამად მშობლიური და გასაგები იყო ყველა კუთხის მცხოვრებისათვის, მხოლოდ შემდეგ საუკუნეებში ამ კუთხეების მეტყველებანი გადაიქცა ერთმანეთისაგან დაშორებულ დიალექტებად. ე.ი. **იოანე ლაზის დროს ლაზეთის თუ კახეთის ქართველობა მეტყველებდა ერთმანეთისათვის გასაგებ საერთო ენაზე, რომელზეც ითარგმნა წმიდა წერილი და რომელსაც შემდგომში ეწოდა ძველი ქართული სალიტერატურო ენა. მხოლოდ შემდეგ საუკუნეებში, როგორც ითქვა დაშორდნენ ერთმანეთს ეს მეტყველებანი.**

ენები სწრაფად ვითარდებიან, ამიტომაც გვაქვს ძველი ბერძნული, ძველი სომხური, ძველი ქართული და ა.შ. ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ თანამედროვე მეგრულსა და ძველ საეკლესიო-სალიტერატურო ენას. როგორც ვიცით თუ არსებობს თანამედროვე მეგრულ-ლაზური, უნდა ყოფილიყო ძველი მეგრულ-ლაზურიც.

რა სახისა იყო ის (მეგრულ-ლაზური) 1600-1500 წლის წინ, იოანე ლაზის დროს? ჩვენი თვალსაზრისით, როგორც მრავალჯერ აღვნიშნეთ, IV-V საუკუნეებში მეგრულ-ლაზური ძალზე ახლოს იდგა სალიტერატურო ძველ ქართულთან. ამიტომაც იოანე ლაზი, ალბათ მშობლიურ დიალექტზე დაყრდნობით სხვადასხვა კუთხეების მამებთან ერთად აყალიბებდა სალიტერატურო-საეკლესიო ენობრივ ნორმას, რათა გასაგები ყოფილიყო როგორც მთის, ისე ბარის მორწმუნეებისათვის, ქვეყნის როგორც ერთ, ისე მეორე კუთხეში.

ჩვენს თვალსაზრისს, რომ იოანე ლაზის ეპოქაში მეგრულ-ლაზური სალიტერატურო ქართულის ერთერთ საფუძველს წარმოადგენდა განამტკიცებს ძველ მატიანეთა და წყაროთა ცნობები, მაგალითად „მოქცევაი ქართლისაისაის“ ცნობით, ალექსანდე მაკედონელის ეპოქაში არიან-ქართლის მეფის ძე აზონი სამხრეთიდან წამოუძღვა სამხედრო ელიტის მრავალსულიან ოჯახებს, რომელთაც ჩამოაყალიბეს სახელმწიფო - „ქართლის სამეფო“. ამავე წყაროს ცნობით მის შემადგენლობაში შედიოდა ეგრისი - დასავლეთ საქართველო, რადგანაც ამ სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი გადიოდა მდ. ეგრისწყალზე.

სად მდებარეობდა არიან-ქართლის სამეფო, საიდანაც ჩრდილოეთით, მათ შორის ეგრისში, ჩასახლდა ახალი ქართული სახელმწიფოს შემქმნელი აზონის სამხედრო ელიტა? ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით კლარჯეთი აზონის მამული ქვეყანა იყო, მისი მიმდებარე მხარეებით. ე.ი. არიან ქართლი მოიცავდა კლარჯეთს, ქალდეას, ტაო-ბასიანსა და იმ მეზობელ კუთხეებს.

ლაზების ქვეყნის –„ქალდეას“ და „ქართლის“ ეტიმოლოგია ერთი და იგივე უნდა იყოს, რადგან ორივე სიტყვის ფუძეში თანმხოვნებია „ქლდ“ და „ქრთ“, ცხადია, ეს ერთი ფუძეა, რადგანაც ლ-რ, დ-თ იდენტური ბგერებია. ლაზთა (ჭანთა) ქვეყანა ქალდეას სახელს შემოუნახავს არიან-ქართლის ქვეყნის სახელის ფუძე „ქართ“.

ძველ წყაროებში „სამეგრელო“ და „სოფელი მეგრელთა“ ერქვა ტრაპეზუნ-ქალდეას რეგიონს, სადაც პირველად იქადაგა ანდრია პირველწოდებულმა. ამ ქვეყნის ანუ ქალდეას ხალხის ენა შემოინახა - სალიტერატურო ძველმა ქართულმა ენამ.

XX საუკუნეში, საბჭოთა ოკუპაციის დროს, საქართველოში შესაბამისმა სამეცნიერო წრეებმა გააბატონეს თვალსაზრისი, თითქოსდა ძველ ქართულ სალიტერატურო ენას IV-V საუკუნეებში საფუძვლად დაედო ქართლ-კახური დიალექტი.

ეს თვალსაზრისი ძირეულად განსხვავდებოდა საქართველოში იქამდე ათასწლეულთა მანძილზე არსებულისაგან,რომ ძველი ქართული საერთო ენა იყო ქართული ეკლესიის მრევლისათვის,რომლის იურისდიქციაშიც ყოველი ქართული თემი შედიოდა აფხაზეთ-სვანეთიდან არაქსამდე და შემახიამდე.

ლაზიკის სამიტროპოლიტოს ძველი მოსახლეობის ენა

სტრაბონის მიერ ნახსენები პარიადრეს, ხორძენასა, გოგარენასა და მიმდგომი ოლქების მოსახლეობის, ანუ ძველი იბერების, ენა უნდა ყოფილიყო სუსტად დიფერენცირებული ფუძე ქართველური ენა, ანუ ის ენა, რომელიც საფუძვლად დაედო ძველ ქართულ სალიტერატური მწერლობას – ამის გამო ძველი ქართული ენის ცოდნა ამ მხარეებიდან გამოსული ქართველებისთვის (ტაოს, ბასიანისა და მეზობელი მხარეების მცხოვრებთთვის) ბუნებრივი იყო, ამის ანარეკლია ის, რომ მიმდგომი მხარეებიდანაც გამოსული მოღვაწეების სომხურენოვან თხზულებებში ქართულენოვნების ნაშთებია შემორჩენილი, მაგალითად, გრიგოლ პართელის არაბულენოვან ცხოვრებაში ქართული სიტყვები გვხვდება, ისევე, როგორც დავით უძლეველის ნაშრომებში.ასევე სასუნცის ეპოსში- „დავით სასუნცი“ - სომხური ხალხური საგმირო ეპოსი, ძირითადი პლასტები VIII-X სს განეკუთვნება,ჩაიწერეს 1874 წ. ასახავს 4 თაობის საგმირო საქმეებს.

ამ მხარეების (იბერების ყოფილი საცხოვრისის,რომელიც შემდგომ „არმენიის“ ნაწილად იქცა) მოსახლეობის ქართული წარმოშობის გამო, იმდენად მშობლიურეროვნული იყო ეს ქვეყნები, რომ აქ მოღვაწეობა ეთნიკურად ქართველ სასულიერო პირებს არ უჭირდათ. ერთი მაგალითია კირიონი, რომელიც მცხეთის კათალიკოსად არჩევამდე აღნიშნული მიწა-წყლის, კერძოდ აირარატის პროვინციის ერთერთი უმთავრესი მღვდელმთავარი იყო და, შეიძლება ითქვას, რომ მისმა ეროვნულ-ქართულმა გამოღვიძებამ, ანუ ბრძოლამ გუგარქის ქართველთა ქართული იდენტობის აღორძინებისათვის, იქონია უდიდესი გავლენა არა მარტო გუგარქის ქართველობაზე, არამედ გუგარქის სამხრეთით მდებარე არაქსის ხეობისა და პარიადრეს კალთებზე მცხოვრები ქართველებზეც. აქ (შავი ზღვიდან ვანის ტბამდე) მოსახლეობის მიერ ქართული ეროვნული იდენტობის აღორძინების პროცესი გაგრძელდა VIII-X საუკუნეებშიც. ქართული იდენტობის აღორძინებას პარიადრე-გუგარქის ვრცელ რეგიონში ხელი შეუწყო არაბთა სუსტმა მმართველობამაც, რაც დაგვირგვინდა ე.წ. „ზემო ქვეყნებში“ X საუკუნისათვის ქართული სახელმწიფოებრიობის განვრცობით ვანის ტბამდე.

XI საუკუნეში ბიზანტიამ აღნიშნული მიწა-წყალი ჩამოაშორა საქართველოს. იქაური ქრისტიანი მართლმადიდებლები განაშორა მცხეთის დედა ეკლესიას და შეიყვანა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტოში, მაგრამ ამ ქმედებით ბიზანტიის იმპერიამ, ისევე, როგორც VI-VII სს-ში, ძირთადად თავისდაუნებლიეთ, ხელი კვლავ შეუწყო ქართველთა შორის სომხური იდენტობის განვრცობას, რადგანაც იქაური ქართველობა ფაქტიურად სომხურ-ქალკედონიტური ეკლესიის იურიდიქციაში მოექცა.

არმენიზაციის პროცესის თავიდან ასაცილებლად იქაურმა ქართველობამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ ეკლესიურად განშორდა სომხურ ცენტრებს და (მართალია არაქართულ, მაგრამ მაინც) ქალკედონიტურ

საეპისკოპოსოებში გაერთიანდა.

იქაურ ქართულ სამრევლოთა ბაზაზე ჩამოყალიბდა ლაზიკის, ანუ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში ქალკედონური საეპისკოპოსოები -ოლნუტისა, ხორძენასი, ბიზანასი, ანდაკისა და სხვა, ხოლო ვანის ტბის ირგვლივ იყო სომხურ-ქალკედონური საეპისკოპოსოები წმ. ნიკოლოზისა, არჭეშისა, ბერკრისა, ვანისა და სხვა.

პარიადრეს მთა მთა-ქედთა გრანდიოზული სისტემა, როგორც ითქვა, განფენილი იყო თერმოდონტიდან კარინ-არზრუმამდე, ძველი ერის II საუკუნეში მხოლოდ მისი ერთი, სამხრეთი კალთა ჩამოაცალა არმენიამ იბერიას სტრაბონის ცნობით. ეს იმას ნიშნავს, რომ **პარიადრეს ჩრდილო კალთები სტრაბონის დროს კვლავ იბერებით, იყვნენ დასახლებულნი, ასევე არაქსის სანაპიროები კვლავ ქართველთა საცხოვრისად დარჩა თვით X საუკუნეშიც კი კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით.**

არაქსი საზღვარი იყო იბერიასა და ბიზანტიას შორის, აღნიშნულის გამო აქაური მოსახლეობის ბუნებითი ენა იყო ქართული ენა და ეს ენა მათ „ქართიზაციის“ პროცესის შედეგად არ შეუძენიათ.

უცხო ტომების ე.წ. ქართიზაციის არც ძალა და არც უნარი არაბობისგან დაშლილ-დანაწევრებულ ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულებს არ შესწევდათ. პირიქით,სპერ-კარინ-ბასიან-იმიერტაოს ქართველობის მძაფრი და ყოველდღიური არმენიზაცია მიმდინარეობდა.

მხოლოდ რჩეულებმა შეძლეს ეროვნული იდენტობის შენარჩუნება, მათგან ერთერთი პირველი იყო კირიონი, მაგრამ სხვებმა იმჟამად ეს ვერ შეძლეს. ყველა მონაცემებით ეთნიკურმა ქართველმა ნერსე იშხნელმა სომეხთა კათალიკოსმა ეს ვერ შეძლო, თუმცა კი თავის საეკლესიო-პოლიტიკურ საყრდენად შედარებით ნაკლებ არმენიზირებული ტაო აირჩია და იქ იშხნის საეპისკოპოსო ცენტრი გადაიტანა.

აღნიშნული რეგიონი, სადაც ქსენეფონტემ ქართული ტომები აღწერა, შემდგომში სომხეთის ერთერთ ცენტრად იქცა, თუმცა ეროვნულად ვინაობაშერყეული მოსახლეობით. ამიტომაც მის ერთ ნაწილს არმენოხალიბებიც კი დაერქვა პირველსუკუნეებში.

სომხეთი ერთენოვანი ქვეყანა არ ყოფილა, აქ გავრცელებული ყოფილა სხვადასხვა ენები, კერძოდ, კორდუელთა ენა, ალბანელთა ენა, სივნიელთა ენა, ხოითელთა (არტინის) ენა, ორთიელთა ენა, დასავლეთ ჭანეთისკენ კი „არ ისმოდა სომხური ენა“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე,გვ. 499).

VIII ს-ის სომეხი მწერალი სტეფანოს სივნიელი წერდა, რომ სომხეთის 7 მხარე სომხეთის სანაპიროებზე, ენობრივად განირჩეოდა შიდა სომხებისაგან, რადგანაც ამ მხარეებში ადგილობრივი ენები („მოსაზღვრე დიალექტები“) ყოფილან გავრცელებულნი. ეს მხარეები ყოფილან ტაო (იმიერ ტაო), სპერი (ზემო სპერი), ხოითი – სასუნის მხარე, არწახი, სივნიეთი, კორდუენა (კორჭეა) და სხვები. კორდუენაში ამ დროისთვის, პ. ინგოროყვას სიტყვით, ქურთული ყოფილა გავრცელებული, თუმცა კი კორდუენა ძველ ქართული ქვეყანა იყო ნ. ადონცის სიტყვით. ქართული ენა ტაოსა და სპერში ყოფილა გავრცელებული. ხოითელ-სასუნელთა ენა ორთაელთა ენად იწოდებოდა და „არტანი“-ს სახელითაც იწოდებოდა (შდრ. არტაანელთა, ანუ ქართუელთა ენა).

ქართულენოვნების ნაშთები ჩრდილო არმენიაში

ჩრდილო, შუა და დასავლეთ არმენია კარდუხებისა და ხალიბების ეპოქაში (ძვ.წ.V–IV სს.) ქართული ტომებით იყო დასახლებული, ამიტომაც აქ მდებარე ვრცელი მიწა წყალი პარიადრეს მთიანეთიდან, ხორძენესა და გოგარენას ჩათვლით იბერების საცხოვრისი იყო.

სტრაბონის ცნობით, მხოლოდ ქრისტეშობამდე II საუკუნეში შეძლო იმჟამად გაძლიერებულმა არმენიამ იბერებისაგან მიეტაცებინა მათი სამშობლოს მნიშვნელოვანი ნაწილი- პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენა

ეს ტერიტორია არმენიის ნაწილად გადაიქცა.

მართალია საქართველოს დიდმა მეფეებმა (ფარნავაზმა,მირიანმა და ვახტანგ გორგასალმა) ილაშქრეს ამ მხარეებში,რათა სამშობლოსათვის დაებრუნებინათ მიტაცებული ტერიტორიები, მაგრამ ამაოდ.

უკვე ჩრდილო და დასავლეთ არმენიად გადაქცეულ ყოფილ იბერიაში დაიწყო მკვიდრი მოსახლეობის(ე.ი. ქართველების) არმენიზაციის თითქმის შეუქცევადი პროცესი.

მიუხედავად ამისა ქართულენოვნების ნაშთები მაინც ჟონავს ამ მხარეებიდან გამოსული ზოგიერთი სომეხი მოღვაწის თხზულებიდან და თვით ხალხური შემოქმედებიდანაც კი. მაგალითად:

ქართულენოვნების ნაშთი გვხვდება-

ა. დავით სასუნცის ცხოვრებაში, სადაც გვხვდება შემდეგი ქართული სიტყვები: ნენა, ამირანი, ბიჭი, კაკაბა, იქვეა ლაზიზმები (ვ. გოილაძე, გვ. 39).

ბ. ქართულენოვნების ნაშთია აგათანგელოზის წმ. გრიგოლის ცხოვრებაში;

გ. ვანის ტბისპირა მხარის ქართულენოვნებას მიანიშნებს ასურელი მამების ქართულენოვნება. ვ. გოილაძის აზრით, ისინი ამ მხარეებიდან იყვნენ;

დ. დავით ანღათის წიგნში გვხვდება ქართული სიტყვა;

არმენიაში ამ ქართულენოვან ნაშთებს ჩვენი მეცნიერები „ქართიზაციად“ თვლიან.

ქართიზაცია – ესაა პროცესი ზემოდან ქვემოთ და არა ქვემოდან ზემოთ, ანუ ჯერ შედის უმაღლეს ფენებში განათლების, კულტურის, ურთიერთობის, სახელმწიფო და საეკლესიო ენად ქართული ენა და კულტურული ფენები ითვისებენ ამ ენას, შემდეგ შეიძლება ის გავრცელდეს დაბალ ფენებშიც. თუ ასე ძლიერი იყო ქართიზაცია და მან შეძლო მესხეთის (ტაო-კლარჯეთის) სრული „გაქართველება“ იმდენად, რომ დღესაც, XXI ს. დასაწყისში, ტაოელი გლეხები ქართულად ლაპარაკობენ, მაშინ, როცა ტაო ერთიან საქართველოში სულ 2-3 საუკუნე იყო, რატომ ვერ გახდა ეს შესაძლებელი სამეგრელოში, სადაც ქართული ენა, ეკლესია და კულტურა უწყვეტია დღემდე? ამიტომ ისეთი სიტყვები, როგორიცაა ბიჭი (ბუშის მნიშვნელობით) (ეს სიტყვა გვხვდება დავით სასუნცის ცხოვრებაში) გოჭი (ეს სიტყვა გვხვდება გრიგოლ პართელის ცხოვრების არაბულ თარგმანში) და სხვა, არის ხალხის შიდა ენობრივი სამყაროდან მოსული და არა კულტურული ზემოქმედების, ანუ ქართიზაციის შედეგი.

ენის შენარჩუნების მიზეზები

ტრაპეზუნტ-არზრუმ-ვალაშკერტის არეალში, მცხოვრებმა მკვიდრმა ქართულმა მოსახლეობამ შეძლო ქართულენოვნების შენარჩუნება, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა არაბობის დასრულების შემდგომ IX-X საუკუნეებში.

არაბების შემოსევამდე აღნიშნული მიწა-წყალი ერთმანეთს შორის გაინაწილეს ბიზანტიისა და სპარსეთის იმპერიებმა და მას არმენიის ნაწილად მიიჩნევდნენ. რადგანაც IV-V საუკუნეებში სომხეთის სახელმწიფოში შედიოდა.

სტრაბონის ცნობით, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე II საუკუნეში ჩამოაცალა ის არმენიამ იბერიას. შესაბამისად ბიზანტიელებმაც და სპარსელებმაც თავიანთ მიერ დაპყრობილი ქართული მიწების ნაწილი შეიყვანეს ე.წ. „დასავლეთ არმენიაში“, სხვა ნაწილი „მაღალ არმენიაში“, ნაწილი კი „პერსარმენიაში“ და ა.შ.

მიუხედავად დამპყრობელთა ხშირი ცვლისა, არზრუმ-ტაო-ვალაშკერტის რეგიონის მკვიდრმა ქართველებმა მაინც შეძლეს ქართულენოვნების შენარჩუნება, ამის ერთერთ მიზეზს ასახელებს ვ. გოილაძე, თუმცა სხვა რეგიონთან დაკავშირებით ის წერს: „შუამდინარეთი და ვანის ტბის ირგვლივ მდებარე რაიონი, მართალია არერთი დამპყრობლის და სახელმწიფოს ხელში იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამა თუ იმ ტერიტორიაზე შესული და გაბატონებული უცხო ეთნიკური ელემენტი, ყოველთვის ვერ ახერხებდა დამხვდური მოსახლეობის ასიმილაციას. მათი მოთავეობით შექმნილი სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ძველი მოსახლეობა არსებობას განაგრძობდა, და არა თუ ეთნიკურ შეგნებას, ზოგჯერ ენასაც მშობლიურს ინარჩუნებდა როგორც ცნობილია, ასე მოხდა აღმოსავლეთ მცირე აზიაში ძვ. წ. XIII ს. დამლევს ხეთების სახელმწიფოს დაღუპვის შემდეგ მუშქებმა თავისი ეთნიკური სახე და ენა შეინარჩუნეს, ალბათ ასე მოხდა შუამდინარეთშიც. ასურეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, როგორც „ძველი მსოფლიოს ისტორიაშია“ მითითებული, „არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილება! დაიღუპა მხოლოდ ასირიული საზოგადოების ზედა ფენა, ნაწილობრივ ქალაქელები. სოფლის მოსახლეობა დარჩა თავის ადგილას და მათი შთამომავლები ცხოვრობენ ჩრდილო ერაყში დღემდე, თუმცა აქადური ენა დიდი ხნის წინ დაკარგეს“ (ძველი მსოფლიოს ისტორია, ტ. II, მოსკოვი, 1982, რუს. ენაზე. გვ. 42. ვ. გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო, 2002, გვ. 49).

მსგავსადვე, არაბთა ბატონობის დასასრულისთანავე, ყოფილი დასავლეთ არმენიისა და აგრეთვე პერსარმენიის მკვიდრმა მოსახლეობამ (ტაოს, ბასიანსა და მიმდებარე რეგიონებში) წარმოაჩინა, რომ ისინი შესანიშნავად ფლობდნენ ქართულ ენას, უფრო მეტიც, მათ გააჩნდათ ქართული იდენტობა, თუმცა კი განათლების მქონე ქართველობა ფლობდა სომხურ ენასა და წერა-კითხვას. ამჟამად მათ, უსაფუძვლოდ, „სომეხი-ქალკედონიტების ერთ გაქართველებულ ნაწილად“ მიიჩნევენ.

სომეხი ქალკედონიტების ენა

ბიზანტიის იმპერიაში **სომეხ-ქალკედონიტთა მონასტრებსა და ეკლესიებში წირვა-ლოცვა და საერთოდ ღვთისმსახურება მიმდინარეობდა სომხურ ენაზე**. ამის შესახებ არსებობს წყაროები. მაგალითად, წმიდა საბა განწმედილის მონასტერში, რომელიც სომხეთიდან შორს, ანტიოქიაში მდებარეობდა, ღვთისმსახურების ენად სომხებისათვის სომხური იყო ნებადართული.

სომეხი-ქალკედონიტები სომეხეთის პატრიოტები იყვნენ და მათთვის ძალზე ძვირფასი იყო ეროვნული კულტურა და სომხური ეკლესიის ტრადიციები. ამიტომაც მტკიცება მათი ე.წ. „გაქართველებისა“ უფრო მათი პატრიოტიზმის შეუფასებლობაა.

„გაქართველების“ თეორია მხოლოდ პოლიტიკური მიზნით ჩამოყალიბდა XX საუკუნის დასაწყისში სომხური ნაციონალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულის შესახებ თვით სომეხი ავტორები წერენ „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“:

„სომეხი ქალკედონიტები თვითონ თავიანთ თავს თვლიდნენ სააკ პართევის, მესროპ მაშტოცის და ნერსე დიდის მემკვიდრეებად (და არა ფარნავაზის, კირიონის და გრიგოლ ხანძთელისა. მიტრ.ა.ჯ.). სომხური ენა სომეხ-ქალკედონიტთა საღვთისმსახურო ენა იყო იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი შეკედლებულნი იყვნენ ბერძნულ მონასტრებს (მაშ როგორ ხდებოდა მათი „გაქართველება“? მიტრ.ა.ჯ.), მაგალითად, „სომეხთა საქმეების მოთხრობების“ თანახმად, VI საუკუნეში საბა განწმედილის მონასტერში სომხებს ნებას რთავდნენ ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე ჰქონოდათ, იმის შემდეგაც კი, რაც სომხეთში გაიმარჯვა ანტიქალკედონურმა მიმართულებამ, სომეხი-ქალკედონიტები მაინც ინარჩუნებდნენ მშობლიურ ენას და მას იყენებდნენ სამისიონერო მიზნებისათვის (ამის შედეგად შეძლეს მათ VI-VII საუკუნეებში ტაოსა და სხვა ქართულ თავისუფლებადაკარგულ ოლქებში გაბატონება, იშხნის კათედრის დაარსება ქართველ-ქალკედონიტთა შორის. ე.ა.), მაგალითად, იოსები, კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლური სომხური თემის წევრი, რომელმაც კონსტანტინოპოლშივე შეისწავლა სომხური ენა და მწიგნობრობა, 991წ. თარგმნა ბერძნულიდან მოკლე წლიური სვინაქსარი კონსტანტინოპოლის ეკლესიისა, რომელიც მან შეავსო სომხური წყაროების ცნობებით და გაგზავნა სომხეთში. სომეხ-ქალკედონიტთა წრეებიდან გამოვიდა ასევე ბერძნულიდან გამომავალი თვენი XI ს-სა, სომეხი-ქალკედონიტები მონაწილეობდნენ სომხური ლიტერატურის შესწავლასა და განვითარებაში“, – წერს პრავასლავნაია ენციკლოპედიას სტატიაში ვ. არუთინოვა-ფიდანიანი (პრავოსლავნაია ენც. ტ.III, 2001, გვ. 328).

ქართულად ითარგმნებოდა სომეხ-ქალკედონიტთა მდიდარი სომხურენოვანი ლიტერატურა, ასევე სომეხ-ქალკედონიტთა დოგმატურ-საღვთისმეტყველო პოლემიკური ტრაქტატების შემცველი წიგნებიც ითარგმნებოდა ქართულ ენაზე (იქვე, გვ. 328). სომხურ-ქალკედონური აგიოგრაფიული, ეგზეგეტიკური და ფილოსოფიური ლიტერატურის ქართული თარგმნა მიმდინარეობდა როგორც V-VIII, ისე IX-X საუკუნეებშიც (იქვე, გვ. 328).

ქართულთან შედარებით, **სომხურ-ქალკედონიტური ლიტერატურა გაცილებითი სიღრმითა და სისავსით გამოირჩეოდა ბერძნული და სირიული ქალკედონური ტექსტების სომხურ ენაზე ძველთაგანვე ფუნდამენტური გადმოღების გამო.**

ათონის მთის ბერები აღნიშნავდნენ კიდეც, თუ რა მწირად მიაჩნდათ თავიანთი ეპოქის მშობლიური ლიტერატურა და იღწვოდნენ ეთარგმნათ სხვადასხვა ენებიდან.

აქედანაც ჩანს,რომ სომეხი ქალკედონიტები სომხებად დარჩნენ და შეუერთდ-

ნენ მათთვის მშობლიურ სომხურ ეკლესიას, ხოლო იმჟამინდელ სომხეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები ყოველ გზას ეძებდნენ, რათა მშობლიურ ქართულ ეკლესიის წიაღს დაბრუნებოდნენ.

ძვ. ლაზურის და ძვ. ქართულის ერთიანობის მტკიცებულებანი

ქალდეა ბიზანტიურ ეპოქაში ერქვა სახელმწიფო - ადმინისტრაციულ ოლქს ანუ თემს ჭანეთ-ლაზიკაში.

ტრაპეზუნტის მიმდებარე მხარეებს იქამდეც ერქვა ქალდეა. ის ძირითადად დასახლებული იყო ჭანებით.

ეს ქვეყანა საინტერესოა თავისი სახელწოდებით.

როგორც ცნობილია, ქალდეა ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ათასწლეულებით ადრე ერქვა შუამდინარეთის ერთერთ ოლქს, შემდგომში „ქალდუ“ ურარტუელებმა თავიანთ მთავარ „ღმერთს“ უწოდეს, მაგრამ მათგან, ანუ სემიტურ და ურარტულ „ქალდთან“ გასხვავდებოდა ქართული „ქალდუ“, რომელიც, როგორც ჩანს უფრო ლევიურ-ფრიგიულ სამყაროსთან იყო დაკავშირებული.

გორდუ, ქორდუ, ქალდუ - ფრიგიელ სამყაროში საკმაოდ გავრცელებული სახელები იყო. სახელები „გალტ“, „გალატუ“ სახელები ასევე მცირე აზიაში გადმოსახლებულ კელტ-გალატებსაც გააჩნდათ.

უფრო ძველია სახელი „კარდუ-კარდუხი“, რომელიც ვანის ტბასთან მცხოვრებ ქართველურ ტომს ერქვა.

კარდუხების ქვეყანაშია საძებნი ის ძველი იბერია, საიდანაც ქრისტეშობამდე VI საუკუნეში ნაბუქოდონოსორს - ბაბილონ-მესოპოტამიის მეფეს გადმოუსახლებია იბერები პონტოს ზღვის პირეთში, დასავლეთ საქართველო-ტრაპეზუნტის რეგიონში, რომელსაც დაერქვა კიდეც სახელი - ქალდეა, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით: **„ქართუ –ჭანებისა და ლაზების ქვეყანა ქალდეა არის“**

„იბერიელ-მეგრელი შტოს ტომების საკუთარ სახელებში ერთი და იგივე ქვეყნის სახელი გვხვდება. იგი არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს ტომების სახელწოდებაში მოიპოვება, უეჭველია იგი ქართველების თავდაპირველი სამშობლო უნდა ყოფილიყო.

სამშობლოს ხსოვნა მესამე შტოს წარმომადგენელს, სვანებსაც აქვთ შერჩენილი - ეს კართუ, ანუ **ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არის“** (ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია, I, 1981, გვ. 403-404).

ჭანეთს -ქალდეას, მის ხალხს კი ქალდეველებს უწოდებდნენ.

ივ. ჯავახიშვილის აზრით სიტყვა „ქალდეველი“ მიღებულია ქართველთა ფუძე ქვეყნის „ქართუ“-ს სახელიდან (იქედანვეა „ქართ“-უელი და სვანების სასოფლო თემების „ხალდე“ და სხვა მსგავსი სახელებიც).

აღსანიშნავია, რომ პროკოფი და სხვა ძველი ბერძენ-რომაელი ავტორები არ ახსენებენ სიტყვა „ეგრისს“, რადგანაც სახელები „ეგრისი, გურია, არგვეთი“ და სხ. მომდინარეობენ ერთი საერთო ფუძიდან „გურ“, „გორ“, რაც ეტიმოლოგიურად ძალზე ახლოა ფუძე „კოლ“-თან, ამ ფუძიდანაა ნაწარმოები „კოლხი“ და „კოლხიდა“, მდ. ენგურის ძველი სახელწოდება „ეგური“, ასევე ეგრისის ძველი სახელწოდება „ეგური“. ჩანს სახელები ეგური და კოლხიდა ერთმანეთის მიმართ იდენტურნი იყვნენ.

ფუძე „გურ“ საერთო მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო.

ფუძე „გურ“, როგორც ითქვა,ალბათ იგივე „კოლ“ (კოლხიდა) ფუძეა.

ამავე ფუძიდანაა ჩანს **არგუ**ეთი, **გურ**ია, **ეგურ**ისი (ეგრისი).

ამავე „გრ“ ფუძიდანაა „გარდმანი“, „გარდაბანი“, „აგარაკი“, „გარისი“ (ამჟამად თეთრიწყარო), ალგეთი, ლიგანისხევი (ლიგ-რიგ) და სხვა.

ამავე ფუძიდან („რგ“, „გრ“) უნდა იყოს ნაწარმოები ქართველთა აღმნიშვნელი ეთნო სახელები - „გეორგია“, “გეორგიენ“, „გურჯ“ „გურძ“.

ასე, რომ „კოლხ“ დაკავშირებულია „ქართ“ და ქართველთა ქვეყნის სახელებთან (გურგაქ, გეორგიენ, გეორგია, გურძისტან).

ძველი ავტორები დაბეჯითებით მიუთითებენ, რომ შავიზღვისპირზე (შემდეგდროინდელ აფხაზეთში) ცხოვრობდა „კერკეტების“ ტომი, ხოლო ჩრდილო კავკასიაში ტომი „გეორგები“, ჩემი აზრით „კერკეტები“ იგივე „გერგ“, „გეორგ“ ტომია. ძალზე ცდებოდნენ ქართველი საბჭოთა მეცნიერები, როცა ამტკიცებდნენ, თითქოსდა „კერკეტები“ იგივე „ჩერქეზები“ არიან ეტიმოლოგიური თვალსაზრისით. აქ უცანაური ისაა, რომ თურქული სიტყვა „ჩერქეზ-ჩარქაზ“ შუა საუკუნეებშია დაფიქსირებული და არაა ძველიწარმოშობისა. მაშინ როცა ეტიმოლოგიურად „კერკეტი“ ყველაზე უფრო ახლოა „გერგეტ“ - „გერგ“ „გეორგ“ „გოგარ“ ფუძეებთან (შედ. „გერგეტის მთა“ ყაზბეგის რ-ში).

საბჭოთა ისტორიოგრაფია XX ს-ში ამტკიცებდა, რომ თითქოსდა „კოლხი ხალხი“ სხვა ეთნოსი იყო, ხოლო „ქართველები“ სხვა, ეტიმოლოგიური ძიება სხვას აჩვენებს.

ენობრივადაც ლაზების ანუ „კოლხების“ ენა და დანარჩენი ქართველების ენა ერთიდაიგივე უნდა ყოფილიყო, ახლოს მდგომი ძველ ქართულთან.

ამ განცხადების თქმის უფლებას იძლევა პროკოფი კესარიელის ცნობა, რომ ლაზების ენით ციხესიმაგრე კოტაიონს ერქვა **„ქუთათისი“**: –

პროკოფი წერს- **„ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი, მის სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე, ... მაშინ ამ ციხეს კოტიაიონს უწოდებდნენ ელინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთათისს ეძახიან, ბერძნული ენის უცოდინარობით მოსდით, რომ ამ სახელწოდების ნამდვილი სახე შერყვნეს. ასე აქვს ეს მოთხრობილი არიანეს.**

სხვები კი ამბობენ, ძველ დროში ამ ადგილას ქალაქი იყო და კვიტაიონი ეწოდებოდაო, აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს ეძახდნენ, კოლხიდის ქვეყანას კი კვიტატიდსო ... ქუთაისის მახლობლად კი არის ერთი მეტად მაგარი ციხე, სახელად უქიმერიონი“ (გეორგიკა,გვ. 196).

მაშასადამე, ლაზებმა, თავიანთი ენის ბუნების შესაბამისად, აწარმოეს იმ ციხის სახელი, რომელსაც ბერძნები კვიტაიონს უწოდებდნენ. ლაზებმა თავიანთ ენაზე მას უწოდეს **„ქუთათისი“**. ჩვენ ვიცით, რომ ეს სიტყვა ნაწარმოებია ძველი ქართული ენის შესაბამისად – ქუთათისი (სუფიქსი „ათ“,როგორც, მაგალითათ-ბაღდათი, გელათი, მამათი, და სუფიქსი „ისი“,როგორც,მაგალითად -თბილისი, ძმუისი და ა.შ.), აქედან საფიქრებელია, რომ ლაზური ენა იგივე იყო რაც ძველი ქართული ენა, ყოველშემთხვევაში ეს ასე ყოფილა I საუკუნეში არიანეს დროს, იმ დროსაც თურმე ამ ციხეს ლაზური ენის შესაბამისად „ქუთათისი“ ერქვა და VI ს-შიც პროკოფის დროსაც.ეს ფაქტი ამტკიცებს იმას,რომ ძველი ლაზური და ძველი ქართული ერთი ენა იყო ანდა ერთი ენის ახლო დიალექტები.

ძვ. ლაზური და ძვ. ქართული ენის ერთიანობის, ერთი ბუნების გამო მოღვაწეობდნენ ერთად იოანე ლაზი და პეტრე იბერი იერუსალიმში. სწორედ ქართულ

ენას ასწავლიდა პეტრე იბერს მისი აღმზრდელი იოანე ლაზი საქართველოშივე, 6 წლის ასაკიდან (იხილეთ გამოკვლევა „პეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი“) ... თუ არა ენობრივი ერთობა დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები რატომ შეცვლიდნენ წირვალოცვის ბერძნულ ენას ძველი ქართული ენით I ათასწლეულშივე, თუმცა ისმის კითხვა ისინი საერთოდ წირავდნენ ბერძნულ ენაზე თუ იმთავითვე, IV ს-დანვე ქართულენოვანი ანუ მშობლიურენოვანი წირვა-ლოცვა ჰქონდათ?

ძველი ლაზური ენა

პროკოფი ერთ ადგილას ახსენებს ლაზურ ენას და თანაც საუბრობს ლაზური ენის შესაბამისად სიტყვისწარმოების შესახებ, კერძოდ საუბარი ეხება ქალაქის სახელ „ქუთათისს“.

პროკოფის მტკიცებით სიტყვა „ქუთათისი“ ნაწარმოებია ლაზური ენის ბუნების შესაბამისად. კერძოდ ქალაქის ძველი სახელი ყოფილა ბერძნული კუტაია. ხოლო ამ ენის უცოდინარობის გამო ლაზებს თავიანთი ენის ბუნების შესაბამისად მისგან უწარმოებიათ „ქუთათისი“, სინამდვილეში ქუთათისი ისევეა ნაწარმოები როგორც იმავე რეგიონის ბაღდათი, გელათი, მამათი და სხვა. „ათი“ დაბოლოება სალიტერატურო ქართულის ანუ ძველი ქართულის ბუნებრივი ნორმაა, მეგრულად ქუთათისს „ქუთაშ“-ს უწოდებენ, ამიტომაც რადგანაც „ქუთათისი“ ძველი ქართულის ენობრივი ნორმებითაა ნაწარმოები, მაგრამ პროკოფი მას „ლაზურ ენად“ აღიქვამს, უნდა ვიფიქროთ, რომ VI საუკუნისთვის ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ლაზურ-ქართულის დიფერენციაცია და არსებობდა საერთო ფუძე ენა, რომელიც ერთდროულად იყო ლაზურიცა და ქართულიც. ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას ალბათ ისიც იძლევა, რომ თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანის მიხედვით „ზანურ-ქართულის დიფერენციაცია I ათასწლეულში დაიწყო“ (სონანტთა სისტემა), ჩანს აღნიშნულ რეგიონში ამ დიფერენციაციის პროცესი VI ს-ში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ამით უნდა აიხსნას ალბათ ის მოვლენა, რომ ჩვენ უამრავი ზანური ტოპონიმი და ჰიდრონიმი გვაქვს გურიასა და სამხრეთ სასქართველოში. სინამდვილეში შესაძლოა ისინი იყვნენ არა ზანურის, არამედ ჯერ კიდევ გაუდიფერენცირებელი ზანურ-ქართულის ენობრივი ნაშთები. ყოველ შემთხვევაში პროკოფის მიერ ზანურად მიჩნეული „ქუთათისი“ სინამდვილეში ძველი ქართული ენის ბუნების შესაბამისადაა ნაწარმოები. მაშასადამე ლაზებსა და იბერებს ერთი ენა ჰქონდათ. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული პეტრე იბერის მასწავლებლის იოანე ლაზის ქართულენოვნება, მათი ცხოვრების მიხედვით, იოანე ყრმა პეტრეს ქართულენოვან წმიდა წერილს ასწავლიდა. ასევე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ქართულენოვნება I ათასწლეულშივე. ჩანს ეს ენა აქ ყველას ესმოდა, რადგანაც ადგილობრივი მეტყველებანი, დიალექტები იყვნენ საერთო უკვე საეკლესიოდ გადაქცეული ენისა.

სიტყვა „ლაზიკის“ ეტიმოლოგიისათვის

„ლაზი“ ეთნონიმია, რომლითაც ბერძენი ავტორები მოიხსენებდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობას. ეს სიტყვა ცნობილია უკვე I-II საუკუნეებიდან.

აღნიშნული რეგიონი, როგორც ცნობილია დასახლებული იყო ქართველური ტომებით.

ტაო-კლარჯეთის მოსახლეობას ნიკო მარი აღნიშნულ პერიოდში მეგრელ-ჭანებად მიიჩნევდა.

მესხეთში დღესაცაა მრავალი ტოპონიმი, როგორც ფიქრობენ, მეგრული წარმომავლობისა (უდე, ხვილიშა და სხვ.).

აღნიშნულ, I-II სააუკუნეებში გ. მაჭავარიანის კვლევის თანახმად ჯერ კიდევ არსებობდა საერთო ქართველური ე.წ. „ზანურ-ქართული ენა“, რომლის დიფერენციაციაც ის-ის იყო იწყებოდა (თ. გამყრელიძე; გ. მაჭავარიანი; სონანტთა სისტემა, 1965. გვ. 17).

ასე, რომ აღნიშნული ტოპონიმები(მაგ. უდე,ხვილიშა და სხვა), შესაძლებელია იყოს არა მეგრული, არამედ ჯერ კიდევ გაუყოფელი ე.წ. „ზანურ-ქართული“ ენის ტოპონიმური ნაშთი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა „ლაზი“, ხომ არ არის (ზანურ-ქართული) სიტყვა „კლარჯისაგან” წარმოშობილი ბერძნული ენის ნიადაგზე?

ლაზიკის საეპიკსოპოსოები, XI საუკუნისათვის მდებარეობდნენ ტრაპეზუნტსა და ვანის ტბას შორის. IV-VI საუკუნეებში ეს მიწა-წყალი მოქცეული იყო ბიზანტიის იმპერიაში და იქ ჩამოყალიბებული იყო ადმინისტრაციული ერთეულები ე.წ. „მაღალი არმენია“, „მცირე არმენია“, წოფკი (სოფენა), ალზნიკი, ტურუბერანი და სხვა. ამ ოლქთა შორის აღნიშნული საეპისკოპოსოები უფრო მეტად „ალზნიკის“ ოლქისკენ მდებარეობდნენ.

როგორც ცნობილია, ქართულ ისტორიულ წყაროებში სიტყვა „ლაზიკა“ არ გვხვდება. ის ყოველთვის ითარგმნებოდა („სოფელი მეგრელთა“ ან „სამეგრელო“) და იგულისხმებოდა ტრაპეზუნტის სანახები, სადაც, სომხური წყაროებით, „ეგრის“ ოლქი იყო განლაგებული.

მაშასადამე, სიტყვა „ლაზიკა“ ქართული სამყაროსათვის უცხო იყო მისი სუფიქსის -„იკ“ გამო. მართლაც, ჩვენი აზრით, სიტყვა „ლაზიკა“ ნაწარმოებია სომხური ენისათვის დამახასიათებელი სუფიქსით „იკ“, ისევე, როგორც „უტიკ“, „ალზნიკ“, „პარსაიკ“, „კორსაიკ“ და სხვა. თუმცა მისი ფუძე „ლაზ“-ქართულია. სტრაბონის ცნობით ამ ფუძე „ლაზ“-ითაა ნაწარმოები ხალიბების აღმნიშვნელი ეთნონიმი „ალაზონები“ და მათი ქვეყნის სახელი -„ალაზონია“.

ხალიბები ანუ ალაზონები მრავალრიცხოვანი ხალხი იყო.

მათი ზოგიერთი საცხოვრისი შემდეგში სომხებმა დაიმკვიდრეს. მათ შორის უნდა ყოფილიყო სომხური პროვინცია სახელწოდებით -„ ალზნიკ“. სიტყვა „ლაზიკ“ შესაძლოა იყოს „ალზნიკის“ ვარიაცია, მართლაც, „ალზნიკ“-ში განლაგებული იყო ლაზიკის საეპისკოპოსოების ერთი ჯგუფი.

კიდევ ერთხელ შეიძლება აღინიშნოს, რომ ტრაპეზუნტის მხარეებისაკენ მცხოვრები ქართული ტომების ეთნონიმებში გვხვდება ქართველთ ღმნიშვმელი ეთნოფუძე „გრ“ სხვადასხვა ვარიაციებით, მაგალითად, ბექირების ტომი ცხოვრობდა ტრაპეზუნტიდან აფსაროსამდე და მათ ქვეყანას „ბექირიას“ უწოდებენ.

ტრაპეზუნტი მდებარეობდა რეგიონში, რომელიც „მაკრონიად“ იწოდებოდა.

ტრაპეზუნტის დასავლეთით ფარნაკია „ტიბარენიად“ იწოდებოდა.

ყველა ტომის სახელში გამოიყოფა ზემოთაღნიშნული ფუძე- **„გრ“, „ქრ“, „კრ“, „ბგრ“.**

ბექირები - ბექირ = **ბქრ** =**ბგრ**
მაკრონები - მაკრონ = **კრ** = **გრ**
ტიბარები - ტიბარ = **იბარ** = **ბრ**

ბექირები ცხოვრობდნენ იქ, სადაც შემდეგ ძიდრიტები, რომელსაც შემდეგ ეწოდა „ლაზიკა“.

ამავე ეთნოფუძით უნდა იყოს ნაწარმოები ცნობილი ეთნოსახელები „კოლხი“ და „კოლხიდა“.

„ნ. მარი ქართული სიტყვა „გლეხის“ შესახებ დასძენს - სოციალური ტერმინი გლეხი შესატყვისი სომხური „გრეჰ-იკ-ისა“, მდაბიური წოდებრივი სახელი. გლეხისაგან წარმოიქმნა „გლახაკი“, „გლახა“. „გლახა“ იგივე „კოლხია“, აღნიშნავს გლეხს ან მონას“ (ი. აბულაძე, შრომები, ტ. II, 1976, გვ. 168).

ნ. მარი წერს „ძირითადი სოციალური ტერმინები კავკასიაში არის ეთნიკური წარმოშობისა, უდაბლესი ფენა ქართველებსა და სომხებში იწოდება კოლხების სახელის მიხედვით ქართულად „გლეხი“, სომხურად „გრეხიკი“ (ნ. მარი, ბათუმი, არდაგანი, ყარსი, პეტროგრადი, 1922, გვ. 31 (რუსულ ენაზე).

ჩემი აზრით „გლეხი“ შეიცავს ფუძე-ძირ „გლ“ ანუ „გრ“-ს ამ ფუძით კი იწოდებოდნენ ქართველები (გეორგიენ, გუგარქი, ეგრისი, გურია და ა.შ.) ქართლის ცხოვრების მიხედვით მათ ზედა ფენად იქცნენ მაკედონელები, მოქცევაის „არიან-ქართველები“, მკვიდრი ქართველები კი იქცა ქვედა ფენად - გლეხად. – ასე, რომ გლეხს კავშირი აქვს არა მხოლოდ სიტყვა „კოლხთან“, არამედ ზოგად ქართულ ეთნო ფუძესთან „გრ“, „გლ“-სთან.ეს ეთნოფუძე თითქმის ყველა ქართული ტომის სახელში ჩანს,მაგალითად

თავი XXVI
ჰერეთი

ჰერეთს მემატიანეები შემდგომში უწოდებდნენ „რანს და მოვაკანს“

ვარსქენ პიტიახში სპარსთა მეფემ დანიშნა **„ერისთავად რანისა“.** თავის სამშობლოში სპარსეთიდან დაბრუნებისას იგი ჯერ შევიდა ქვეყანასა „ჰერეთისასა“ („შუშანიკის წამება).

შემდეგდროინდელი მემატიანეც აღწერს ვარსქენის ამბებს. იგი, მემატიანის ცნობით, იყო „სომხითის კაცი“, ანუ გუგარქის(ძველი ხუნანის საერისთავოს) მმართველი.

აქ მდ. ანაკერტის მტკვართან შესართავთან ვარსქენი სიკვდილით დასაჯა ქართლის მეფე ბაკურმა, ხოლო მისი ცოლის გვამი „დაფლეს ცურტავს“ **(ქ.ც. I, გვ. 216),**

ვარსქენის ნაცვლად სპარსეთის შაჰმა **„რანისა და მოვაკანის“** ერისთავად გამოგზავნა სხვა ერისთავი (იქვე, გვ. 217).

აქედან ჩანს, რომ **ქართული წყაროების ჰერეთი შემდეგდროინდელ ქართულ წყაროებშივე იწოდებოდა „რანად და მოვაკანად“, ხოლო შუშან-**

იკს სხვა წყაროებში „რანის დედოფალი“ ეწოდება, ე.ი. ჰერეთი რანია მოვაკანთან ერთად და არა აღმოსავლეთ კახეთი.

ჰერეთი ერქვა არა საინგილოს, არამედ შაქს და რანის ოლქის მხარეებს, მაგალითად:-

1. ქართლის ცხოვრების მიხედვით გლონიქორი იყო ერისთავი **„ქართლ-ჰერეთისა“,** შემდგომი წყაროს მიხედვით კი **„ქართლ-რანისა“**; ანუ ჰერეთი იყო რანის ოლქის ნაწილი.

2. როგორც ითქვა, წმიდანის ცხოვრების სხვადასხვა ვარიანტში შუშანიკი იწოდება ზოგჯერ დედოფლიად **რანისა,** ზოგჯერ კი დედოფლად **ჰერეთისა.**

„რანი და ჰერეთი“ (ქ.ც. I, გვ. 14) ერქვა თანამედროვე განჯისა და შაქის რაიონებს.

ჰერეთის ანუ რანის მეფე

1) **ჰერთა მეფეებს** შემდგომ საუკუნეებში **რანთა მეფეებს** უწოდებდნენ, ამიტომაც გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში გვხვდება - „რანთა და კახთა მეფე“.

2) ჰერეთის დედოფალი შუშანიკი შემდგომ წყაროებში „რანთა დედოფლად იწოდება“.

ე. ი. ჰერეთი და კახეთი სხვადასხვაა (რანია და კახეთია).

ჰერეთი რანი და შაქია, რანის მდებარეობა კი ცნობილია. ესაა - კიროვაბადის რაიონი.

საბჭოთა ისტორიკოსების აზრით (დ. მუსხელიშვილი „საქართველო IV-VIII სს.-ში) - ჰერეთში თითქოსდა შედიოდა ბოდბე. **ბოდბე - „ალბანელთა არაქართულ ქალაქად, მოიხსენიება ავტორის მიერ“. თუ ეს ასე იყო მაშინ კახეთის დიდი ნაწელი - ისტორიულად ალბანელთა ქვეყანა ყოფილა“ (XX ს. საბჭოთა ისტორიოგრაფიის შედეგი)**

1) წმიდა ნინო კი ბოდბეშია დაკრძალული ის **„ქართველთა განმანათლებელად“** იწოდებოდა და არა ალბანელებისა, რადგანაც ყოველთვის მიიჩნეოდა'რომ ბოდბე ქართლის ქვეყნის ნაწილი იყო და არა ალბანეთისა.

2) მოვსეს ხარენაცით „ადვილად გასაგები ტკბილი ენით ნუნემ **იქადაგა ქართველთა ქვეყანაში კლარჯეთიდან – მასქუთებამდე“,** მაშასადამე მთელი ზოლი, მტკვრის მარცხენა ნაპირი მასქუთებამდე „ქართველთა ქვეყანა“ იყო, ქართველებით იყო დასახლებული და არა ალბანელებით!

3) მოვაკანი - ქართული სიტყვაა - „მო-ვაკე-ანი“ და ნიშნავს „ვაკე ადგილის ქვეყანას“ მასქუთები მოვაკანის ბოლოში ცხოვრობდნენ.

გულგულა- პუნქტი ჰერეთის საზღვართან

ჩვენი მეცნიერების დაბეჯითებული მტკიცებით „გულგულა“, ტოპონიმი, რომელსაც ხმარობენ ძველი მემატიანეები, მდებარეობდა თელავთან და აქამდე აღწევდა ჰერეთის საზღვარი.

ეს რომ ასე ყოფილიყო, რატომ წერენ ძველი მემატიანეები, რომ ნეკრესი კახეთშია და არა ჰერეთში, ნეკრესი ხომ თელავის ქვემოთაა?

მემატიანე წერს, რომ ქრისტეშობამდე 200-100 წლით ადრე ფარნავაზის შემდგომ, მეოთხე მეფე ფარნაჯომმა **„იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“** (ქ.ც. I, გვ. 29), ხოლო შემდგომ მეცხრე მეფემ არშაკ II-მ **„განაშვენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი“** (იქვე, გვ. 33).

ქართლის ცხოვრების ზოგიერთი რედაქციის არშიაზეა მინაწერი – „ჰერეთი არის მცირის ალაზნით ამოღმართ, ვიდრე გულგულამდე ცივს აქეთ და ვიდრე აზანბურამდე და მტკვრამდე“ (ქ.ც. I, გვ. 5).

„მოვაკანი არს მცირის ალაზნის შესაყარს ქვევით ვიდრე ზღვამდე მცირე ალაზანი იორია“ (იქვე, გვ. 5).

„ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკვრისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითდან, ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქვიან გულგულა. ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი... და აწ მას ადგილსა ჰქვიან ხორანთა“ (ქ.ც. I, გვ. 5).

აქედან ჩანს, რომ გულგულა ანუ ტყე-ტბა უნდა ვეძიოთ არა თელავთან, არამედ კავკასიონის მთაზე, იქ, სადაც შაქის საზღვარი აღწევდა, ანუ გულგულა იყო კავკასიონის რომელიღაც მწვერვალთან.ასეთი პუნქტი,თითქმის იმავე სახელის მქონე-ხილხალა-ნამდვილად არის კიდეც ჩვენს მიერ საძებნ რეგიონში,1923 წლის ივ.ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ პუნქტი ხილხალა მდებარეობს ნუხპატსა და არეშს შუა,შაქის რეგიონში.

ვახუშტის დროსაც, ჩანს ცნობები გულგულა-ტყე-ტბის შესახებ უკვე დაკარგული ყოფილა და ის თელავთან უძებნიათ, მაგრამ VIII საუკუნესა და შემდგომ კახეთი ნუხპატამდე ანუ შაქამდე აღწევდა,მემატიანე წერს-

„მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია სამძორს, შეირთო ცოლი... და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე და პოვნა წუქეთს მთავარნი... და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა“(ქ.ც.I.გვ.243).

აქედან ჩანს,რომ კახეთში მისული არჩილის სამეფოს საზღვარი ნუხპატამდე აღწევდა.მართლაც პუნქტი ხილხალა(რომელიც ჩვენ გულგულად მიგვაჩნია) ნუხპატთან მდებარეობდა

„ამან ჯუანშერ (არჩილის ძემ) შეირთო ნათესავი ბაგრატონიანთა, ასული ადრნასესი, სახელით ლატავრი... ნათესავნი დავით წინასწარმეტყველისანი, რომელი-იგი ხორციელად მამად ღმრთისად იწოდა“**(ქ.ც.I.გვ.251).**

.

გულგულა-ხილხალა

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ჰერეთის საზღვარი აღწევდა გულგულა-ტყეტ-ბამდე. მიიჩნევა,რომ ის მდებარეობდა თელავთან.

ჩვენი აზრით, ვახუშტის წყაროს გულგულა უნდა იყოს არა თელავთან მდებარე პუნქტი, არამედ გიშსა და ნუხპატოს აღმოსავლეთით (დაახლოებით 30 კმ.-ში) მდებარე პუნქტი ხილხალა. ეს ქალაქი(ხილხალა) მდებარეობდა შემახიასა და გიშის შემაერთებელ მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე,რომელიც იყო უფრო გრძელი სახელმწიფოთაშორისი გზის ნაწილი. ამ ადგილას ქალაქი ხილხალა დაფიქსირებულია 1923 წელს ივ.ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ რუკაზე. ამ რუკის მიხედვით არც თუ მოშორებით მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე იყო მეორე პუნქტი ამავე სახელისა –ხილხალა.მათ შორის ის განსხვავება იყო,რომ გიშთან მდებარე ხილხალა საერთაშორისო გზაზე მდებარეობდა,ხოლო მტკვრის ხილხალა არა.

ნუხპატოს მეზობლად რომ მდებარეობდა „გულგულა“, ეს ჩანს უფრო ძველი წყაროდან (წმ.არჩილის ცხოვრებიდან) ამოღებული შემდეგი ფრაზა- „კუალად მოესრა ნოხპატელთა სიმრავლე ყრუსა და არჩილ ნათელ-სცა მათ იძულებით.შემდგომად მოიყვანნა ძმისწულნი ადარნასეს ბრმისანი და დასხნა შაკიხით და დაემკვიდრნენ იგინი გულგულამდე და მისცა ქვრივი აბუხოსროსი და წუქეთი ციხე-კარითურთ“(ქართლის ცხოვრება,IV 1973,გვ.126).

აქ ნახსენები ყველა პუნქტი ერთ რეგიონში მდებარეობს-**ნოხპატო, იგივე ნუხპატო, შაკიხი(შაქი), და წუქეთი,** იქვე,ანუ ნუხპატოსთან ახლოს უნდა ყოფილიყო გულგულაც,რომელსაც,ჩანს შემდგომ ხილხალა უწოდეს.

დავუშვათ ამ ფრაგმენტის პუნქტი „გულგულა“ მდებარეობდა თელავთან, მაშინ ცნობა შეუსაბამო გამოდის,რადგანაც შაკიხისა და წუქეთის უმნიშვნელო მმართველების ხელში აღმოჩენილა კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი თელავამდე, მაშინ ამ არეალში სხვა მმართველებისათვის ადგილი აღარ დარჩებოდა.

ძველ საქართველოში თავისი თვალით ხედავდნენ რომ უვრცელესი ქვეყანა ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე და შემახიის მთებამდე ქართველებით იყო დასახლებული, ქართული წირვა-ლოცვით, ენით, კულტურით და თვითშემეცნებით, ამიტომაც, როცა ამ მხარეებში თანდათანობით სპარსელთა ნებით ჩრდილოკავკასიელები და შემოყვანილი მესულმანური ტომები გაბატონდნენ საქართველოს ხელისუფლება იბრძოდა მის გასათავისუფლებლად.

თუ როგორ ესახებოდათ ეს მიწა-წყალი კარგად ჩანს **1783** წლის ტრაქტატში რუსეთსა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის. ერეკლესა და ეკატერინე II-ს შორის დადებული 1783 წლის 24 ივლისს დადებული ტრაქტატის მეორე მუხლში ნათქვამია:

„მუხლი II - ყველა ის ტერიტორია, რომელიც უწინ საქართველოს ეკუთვნოდა, ხოლო ამჟამად თურქეთს, სპარსელებსა და ლეკებს უპყრიათ, როგორიცაა საათაბაგოს, რანის, მოვაკანის, ახალციხის, ჯავახეთის, ლივანის, აჭარის, ნუხის, შაქის, შირვანისა და სხვა, - საქართველოს დაუბრუნდება და მის შემადგენელ ნაწილად იქცევა“ (წიგნიდან მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 1995, გვ. 121).

სომხური წყაროების მიხედვით წმიდა გრიგოლის შვილიშვილი გრიგორიოსი კათალიკოსად უნდა გაეგზავნათ „იბერებისა და ალბანელების ქვეყანაში, მასაგეტების მეზობლად - აზერბაიჯანში, კასპიის ზღვის პირას“ (თამარაშვილი, 1995, გვ. 276).

აქედან ჩანს, რომ ხორენაცის „მასქუთების ქვეყნამდე“ ქართველები ცხოვრობდნენ, ამას იმეორებს მეორე სომხური წყაროც - მასაგეტების მეზობლად (კასპიის ზღვასთან) ცხოვრობდენ იბერებიც და ალბანელებიც. ალბანეთის ქვეყანას რანი (ჰერეთი ერქვა), ქართველების საცხოვრისი კი გრძელდებოდა ალბანელების ჩრდილოეთით შემახიის მთებამდე.

თავი XXVII
იაზონი-ამირანი

იაზონი და ამირანი – პელასგურ კავკასიური იდენტობა

აქამდე ყურადღება არავის მიუქცევია იმ საოცარი ფაქტისათვის, რომ ქართული ეპოსის გმირის ამირანისა და არგონავტების მეთაურ იაზონის ამბები არა თუ საოცრად ემსგავსება ერთმანეთს, არამედ იდენტურიცაა, კერძოდ ამირანი და იაზონი ერთი სქემით მოქმედებენ:

1. იაზონი მიდის მედეას მამის სამეფოში; ამირანი მიდის ყამარის მამის კოშკში;

2. მედეას მამა ადამიან-ღმერთია, ზევსის შთამომავალია, მაგიური ძალის მქონეა - თესავს კბილებს და ამოდიან ვეშაპები, ასეთივე ბუნებისაა ამირანის საცოლის მამაც - „ყამარს მამა ცაში ჰყავს“ - წვიმის და ამინდის მომცემია;

3. მედეა უღალატებს საკუთარ მამას და მიდის თავისი ოჯახიდან, ასევე ყამარიც ლანძღავს თავის მშობლებს და მიდის მამის სახლიდან – თავის მშობლებზე ნაწყენი მათ ეუბნება-„მისუსურებდით დანასა“.

4. მედეას თავისი მამის სახლიდან მალულად მიაქვს საგანძური – ოქროს საწმისი, ყამარსაც მალულად მიაქვს თავისი ოჯახიდან სიმდიდრე - ჯადოსნური ჯამ-ჭურჭელი.

5. იაზონს დაედევნება მედეას მამა; ასევე ამირანს დაედევნება ყამარის მამა.

6. უმთავრესად აღსანიშნავია, რომ - ორივე ქალი (ყამარი და მედეა) ასწავლან თავიანთ ქმრებს როგორ დაამარცხონ მისი (ქალის) ახლონათესავები;

ყამარი ამირანს ასწავლის როგორ დაამარცხოს მამამისი - „მაღლა ნუკი სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა, დაეცემიან ძარღვები, დაეცემიან ძიროსა“;

მსგავსადვე, იაზონი მედეას დახმარებით ამარცხებს მის ძმას არფსირტეს და ჰკლავს.

7. იაზონი თავის მეგობარ თანამოლაშქრეებთან ერთად მიდის მედეას ქვეყანაში, ასევე ამირანიც თავის მეგობარ-თანამოლაშქრეებთან ბადრისთან და უსუპთან ერთად მიდის ყამარის ქვეყანაში.

8. იაზონი კლავს გველეშაპს, ამირანი ჰკლავს ვეშაპს.

9. იაზონიც და ამირანიც ოქროს მფლობელები არიან, იაზონს აქვს ოქროს საწმისი, ამირანს აქვს ოქროს კბილი.

10.იაზონიც და ამირანიც თანამოლაშქრეებთან ერთად იერიშით იღებენ კოშკს (უკარებო ბროლის კოშკს ,რომლის კარი იქ ჩნდება, სადაც ამირანი წიხლს დაკრავს) ან მაღალი სიმაგრის კედელს (იაზონის მოლაშქრენი).

უნდა არსებობდეს არგონავტებისა და ამირანის ეპოსების გმირების მოქმედებათა მსგავსების სხვა ნიშნებიც.

სტრაბონი, ასევე სხვა ბერძენ-რომაელი ისტორიკოსები მიდებს, ჩრდილო სომხებს, ალბანელებსა და იბერელებს, ასევე კავკასიის ზღვისპირა ტომებს მიიჩნევდნენ არგონავტებისა და მედეას შთამომავლებად.

ამირანისა და იაზონის გმირობის ამბების მსგავსება არ უნდა იყოს შემთხვევითი.

როგორც ჩანს ბალკანეთიდან კავკასიისაკენ გადმოსახლებათა დროს ფრიგიელებს, პელსაგებს და სხვა ტომებს და უფრო ადრე, ჩანს, პირიქით კავკასიელთ ბალკანეთში თან გადაჰქონდათ გმირების ამბებიც.

ლუვიაში - ვანისა და ურმიის ტბასთან მცხოვრები კარდუხი - გორდიენები ჩანს გადასახლდნენ ტრაპეზუნტისკენ დაახლოებით ქრისტეშობამდე VIII-VI საუკუნეებში. ეს უნდა იყოს ასახული ძველ ავტორთა ცნობაში, რომ ნაბუქოდონოსორმა იბერები და ლიბიელები (ლუვიელები) [ჩანს, კარდუხების(გორდიენების) ქვეყნიდან] გადაასახლა პონტოს ზღვისპირეთში, ტრაპეზუნტისაკენ. იბერები და პელაზგების გმირები ალბათ ამიტომ ემსგავსებიან ერთმანეთს.

ე.ი. კარდუხების ქვეყნიდან ანუ ლუვიიდან ნაბუქოდონოსორმა მოსახლეობა გადაასახლა ტრაპეზუნტისკენ შავიზღვისპირეთში.

მაშასადამე, ამირანი და აზონი ერთი სქემით მოქმედებენ:

1) ამირანი მიდის ყამარის მამის კოშკში -

აზონი მიდის მედეას მამის (აიეტის) სამეფოში;

2) ყამარს მამა ცაში ჰყავს - წვიმის და ამინდის მომცემია-

მედეას მამაც მსგავსი გმირია, თესავს კბილებს და ამოდიან ვეშაპები;

3) ყამარი ლანძღავს თავის მშობლებს და მიდის მამის სახლიდან -ამბობს „მისუსურებდით დანასა“,თან მიაქვს განძი – ჭურჭელი,

მედეაც მიდის მამის სახლიდან, მიაქვს განძი – საწმისი;

4) ამირანს დაედევნება ყამარის მამა,

იაზონს დაედევნება მედეას მამა;

5) რაც ყველაზე მთავარია - ორივე ეს ქალი ასწავლიან თავიანთ ქმრებს თუ როგორ დაამარცხონ მისი ახლობლები ანუ ცოლის ახლო ნათესავები.

ყამარი თავისი საკუთარი მამის მოკვლის ხერხს ასწავლის ამირანს, ა მ - ბობს - „მაღლა ნუ კი სცემ სპილოსა დაბლა შემოჰკარ რბილოსა დაეჭრებიან ძარღვები, დაეცემიან ძიროსა“,

ამ ხერხით, ყამარის ღალტით, ამირანი კლავს ყამარის მამას

მედეაც ასწავლის იაზონს როგორ მოკლას მისი ძმა არფსისტე. ამ ხერხით მედეას ღალატით, იაზონი ამარცხებს მედეას ძმას;

6) ამირანს ჰყავს თანამოლაშქრე მეგობრები(არგონავტები) და მათთან ერთად მიდის ყამართან,

იაზონს ჰყავს თანამოლაშქრე მეგობრები(ბადრი და უსუპი) და მათთან ერთად მიდის მედეასთან;

7) იაზონიც ამარცხებს გველეშაპს და ამირანიც;

8) იაზონიც და ამირანიც ორივენი ოქროს მფლობელები არიან, ერთს - ოქროს საწმისი აქვს, მეორეს - ოქროს კბილი;

ამირანი იასონია, ხოლო მედეა - ყამარი

ფ. ჰაასის თვალსაზრისით ძველი მცირეაზიური რწმენები შემდგომ სიცოცხლეს ბერძნულ ანტიკურობაში პოულობდნენ (ნ. აბაკელია, მედეას მითოლოგიური სახის ინტერპრეტაციისათვის, კრებული - ეთნოგრაფიული ძიებანი, 1988, გვ. 5).

იაზონს თავისი გმირობისათვის „ქალღვთაება“ მედეას დახმარება დასჭირდა.

ფ. ჰაასის მიერ დადგენილია რომ ასეთი მითები მცირეაზიაში იყო გავრცელებული, საიდანაც შეაღწია ანტიკურ სამყაროში, შესაბამისად გამოყოფს და ერთმანეთის გვერდით აყენებს წყვილებს ინარასა და ხუფასიას, მედეასა და იაზონს, ნ. აბაკელიამ მათ რიგში ჩააყენა დალი (ნადირთპატრონი) და მონადირე - ქართული მითების პერსონაჟები.

ჩვენი თვალსაზრისით იასონისა და მედეას მითი გარკვეულწილად იდენტურია ამირანისა და ყამარის თქმულებისა, რომელიც ჩანს მცირეაზიის მკვდრ ქართველთა წინაპრებს შორის იყო გავრცელებული.

ფ. ჰაასის ცნობით ცენტრალურ ანატოლიაში გავრცელებული ყოფილა მითი გველ ილუანქაზე, რომელიც ებრძვის ამინდის ღვთაებას.

ამინდის ღვთაებას კი, თავის მხრივ ეხმარება ქალღმერთი ინარა.

მას (ინარას) სურს დაამარცხოს ილუანქა, რისთვისაც თავის მხრივ მასაც ესაჭიროება მოკვდავი ხუფასიას დახმარება.

ხუფასია და ინარა ამყარებენ სატრფიალო კავშირს, ინარა აძინებს გველს. მიიჩნევა, რომ ეს მცირეაზიულ (ხათურ-პროტოხეთური) მითი საფუძველია იასონ-მედეას ამბისა.

თქმულების ერთი ვერსიით იასონს ყლაპავს გველეშაპი „ამ ეპიზოდს, ფ. ჰაასის აღნიშვნით, ასევე ვხვდებით ქართული „პრომეთეოსის“ ერთ თქმულებაში, რომელშიც გველეშაპი ამირანს ყლაპავს“ (იქვე, გვ. 8).

ჩემი აზრით, ამირანის თქმულებაში ყამარის მამა, ამინდის ღვთაება უნდა იყოს, რადგანაც მას შეუძლია „ტაროსის შეცვლა“ - მისი ცხენების ჩლიქების მიერ აჩქაფებული წყლის ნამი წვიმად იქცევა.

ფ. ჰაასის აზრით პარალელები აშკარაა - ინარა და მედეა აძინებენ ურჩხულს, ორივე უახლოვდება მას უშიშრად, ორივეს კავშირი აქვთ ოქროს საწმისთან,

ჩემი აზრი, სახელები ინარა და ყამარი ემსგავსებიან ერთმანეთს (ყინარა - ყამარი), ასევე სახელები „ხუფასია“ და „არამ-ხუტუ“ (ხუფასია - ხუტუ) (ამირანს მეგრელ-ლაზურ სამყაროში არამხუტუ ერქვა).

ჰაასი ერთმანეთს აკავშირებს ხუფასიას და იაზონს.

ფ. ჰაასის აზრით ამირანი ქართული პრომეთეოსის გმირია.

ჩვენ, ჩვენი მხრივ,ამირანის თქმულებას არგონავტიკასთან ვაკავშირებთ. მოგვყავს მრავალი მაგალითი იასონისა და ამირანის, მედეასა - ყამარის მსგავსებისა.

ამირანის თქმულება (მისი პირველსახე) ერთერთი წყარო უნდა ყოფილიყო არგონავტების მითისა. ამირანიანი და არგონავტიკა ერთი საერთო თქმულება-წარმოდგენის ნაყოფია.

გამოითქვა მოსაზრება, რომ მითები ოქროს საწმისის შესახებ მცირეაზიულმა მიგრაციულმა ტალღამ შეიტანა ბალკანეთში, შემდგომ კი ძვ. წ. 750 წლიდან უკან, კოლხეთში, შემოიტანეს ბერძენმა კოლონისტებმა

ამირანი და არგონავტები

ზოგიერთი უცხოელი მკვლევარის აზრით, არგონავტებისა და ოქროს საწმისის თქმულება ხეთურ-აღმოსავლურ ანატოლიაში იყო გავრცელებული, აღსანიშნავია, რომ ამირანის თქმულებასა და არგონავტების მითს ერთი სიუჟეტი აქვთ. კერძოდ,როგორც ითქვა-

1. ამირანს ყლაპავს გველეშაპი და კიდევ უფრო ძლიერი გამოდის მის მუცლიდან, მან დანით გაუჭრა შიგნიდან მუცელი გველეშაპს.

ზემო სვანეთში სოფელ ლენჯერის მთავარანგელოზთა ეკლესიის გარე კედელზე გამოხატულია ამირანის ბრძოლა ვეშაპთან.მას აქვს ასეთი წარწერა- „ოდეს ამირან ვეშაპმა შანთქა, ვეშაპი მოკლა და გამოვიდა“.

იაზონსაც ყლაპავს დრაკონი და მედეას დახმარებით მუცლიდან გამოდის.

2. იაზონი მეგობრებთან ერთად მიემართება სამოგზაუროდ.

ამირანიც მეგობრებთან ერთად (ბადრი და უსუპი) მიემართება სამოგზაუროდ (სალაშქროდ). სვანეთის იმავე ეკლესიის გარეკედელზე დახატულია ამირანის მეგობრები- „ბადრი, სეფედავლე და უსუპი“.

ამ მოგზაურობის დროს იაზონი ამარცხებს გიგანტ ციკლოპს, ამავე ეკლესიის კედელზე გამოხატულია თუ როგორ ჭრის გიგანტ დევს ამირანი თავს, მის გვერდით მისი მეგობრებია შუბითა და ფარით შეიარაღებული;

3. ამირანის საცოლე ყამარი ღალატობს თავისი დედ-მამის ოჯახს, მამის უჩუმრად მიჰყვება ამირანს, შემდეგ კი აკვლევინებს საკუთარ მამას,

იაზონის საცოლე მედეაც აკვლევინებს საკუთარ ძმას და ამარცხებინებს საკუთარ მამას.

4. ამირანის სასიმამროს მაგიური ძალა აქვს – ამინდს ცვლის, მისი ცხენების ჩლიქებით აჩქეფებული წყლის ნამი აწვიმებს.

იაზონის სასიმამროსც ასევე მაგიური ძალა აქვს – სპილენძის ჩლიქიანი ხარები ჰყავს, თესავს კბილებს და ამოდიან ჯარისკაცები.

5. ამირანის საცოლეს (ყამარს) – ჭურჭლეული აუმხედრდება, ისინი ზეცაში მიჯრით გარბიან რათა შეატყობინონ ასულის ღალატი მამას.

იაზონის საცოლე იპარავს ყველაზე ძვირფას ოქროს საწმისს.

(როგორც ჩანს „ოქროს საწმისის“ იდენტური ამირანიანში არის „საჭურჭლე“ – „ჭურჭელი“).

6. იაზონის ამბავში აპოლონიოს როდოსელი ახსენებს „კვიტაიელი აიეტის კოშკებს“, სიტყვა „კოშკი“ ამირანიანშიც გვხვდება – ალგეთის ხეობაში, „ბროლის კოშკია“, რომელსაც კარები არა აქვს. მას უვლის გარშემო ამირანი, შემდეგ წიხლს კრავს და კოშკის კედელს შეანგრევს.

იაზონიც გადალახავს კედელ-გოდოლს.

დასკვნა: არგონავტების მითი არის არა რეალური ამბავი, არამედ მითი პელ-აზგურ-თესალიური და მისი მონათესავე ხალხებისა, რომელთა რიცხვშიც ჩანს, ქართველთა წინაპრებიც შედიოდნენ. ეს მითი ან ქართველთა წინაპრებმა გაიტანეს ბალკანეთში.

სახელი „ამირანი“ შემდეგ შეერქვა გმირს. ცეცხლთაყვანისმცემლობის ეპოქაში ალბათ „აპრიმანი“ ეწოდებოდა – „ბოროტი სული“.

ამირანის მამის სახელი „სულკალმახი“- „კოლხს“ გვაგონებს, მას ერქვა.

სულ კალმახ ი
კოლხი

თავი XXVIII
ხალიბები, ლაზები, ქალდეველები და სხვა ქართული ტომები ბერძენულ და ლათინურ წყაროებში

(ხალიბთა „ქალდუს ქვეყანა“ არიან-ქართლის საფუძველი)

ქსენოფონის „კიროსის ანაბასისი“

(ქსენოფონი, **კიროსის ანაბასისი**, ანტიკური კავკასია, ენციკლობედია I, 2010)

ქსენოფონტემ, იგივე ქსენოფონმა (დაახლ. ძვ. წ. 430-355) თავისი ბერძენთა 10.000 კაციანი ლაშქრით 401 წელს გაიარა ქართულ ტომთა მიწა-წყალზე, მისი მიზანი იყო შავი ზღვის ნავსადგურებით ჯარი სამშობლოში დაებრუნებინა. მას არ სურდა ომი ამ ტომებთან, არამედ მხოლოდ მათი ტერიტორიის გავლით ზღვასთან მისვლა, მაგრამ 10.000 კაცს კვება ესაჭიროებოდა.

ქსენოფონტე მზად იყო პროდუქტები შეეძინა და ამ ტომების წინამძღოლებს თხოვდა მისთვის ბაზარი გაეხსნათ, მაგრამ თუ კი ბაზარს არ უხსნიდნენ, იძულებული იყო ებრძოლა და სურსათი ისე მოეპოვებინა.

საერთოდ, მთელი ეს მიწა-წყალი სპარსეთის იმპერიას ეკუთვნოდა, სპარსეთის

შაჰები კი მხარს უჭერდნენ იქ მცხოვრებ არმენიელებს, რადგანაც არმენიელები სახელმწიფოს მშვიდობიანი მცხოვრებნი იყვნენ, ხოლო ქართული ტომები (კარდუხები, ხალიბები, ხალდები, ტაოხები, მაკრონები, კოლხები, დრილები, მოსინიკები, ტაბარენები და სხვები) სპარსელებს ებრძოდნენ თავიანთი მიწა-წყლის თავისუფლებისათვის.

სპარსელებმა მოახერხეს ამ ტერიტორიის საუკეთესო სახნავი მიწებიდან მათი განდევნა (კერძოდ კი ხალიბებისა) და მათ ადგილებზე არმენიელ მიწათ-მოქმედთა ჩასახლება, რაც, ჩანს ქსენეფონის მეორე წიგნიდან, რომელიც კიროსის სადიდებლად დაწერა (კიროპედია).

არმენიელებსა და ქართველ ტომებს შორის დაძაბულობა იყო სახნავ-სათესი მიწების გამო, მაგრამ რადგანაც სპარსეთი მპყრობელი ქვეყანა იყო, ის თანხებს არ იშურებდა რათა არმენიელთა ჯარი გაეძლიერებინა, რომლის მეშვეობითაც წესრიგს ამყარებდა აღნიშნულ ტერიტორიაზე. ამ ჯარში, ქართველი ტომების წარმომადგენლებსაც ქირაობდნენ. მაგალითად ტაოხები და ხალიბები დასავლეთ არმენიის მმართველის, მეფის მეგობარ ტირიბაზის ჯარში მსახურობდნენ მოქირავნეებად (**ქსენოფონი, კიროსის ანაბასისი, ანტიკური კავკასია, ენციკლობედია I, 2010,** გვ. 137).

ქსენოფონტე თვითვე წერს, რომ არმენიელებისაგან განსხვავებით, ქართული ტომები - კარდუხები, ტაოხები და ქალდები არ ემორჩილებოდნენ სპარსელებს. ის წერს - **,,თუ ბაზარს არ გვიხსნიდნენ, ჩვენ თვითონ მოვიპოვებდით სურსათს, მაგრამ არა თავხედობის, არამედ აუცილებლობის გამო. კარდუხებს, ტაოხებს და ქალდებს, თუმცა ისინი მეფეს არ ემორჩილებიან და ძალიან საშიშნიც არიან, ჩვენ მტრად მოვეკიდეთ, რადგან ბაზარს არ გვიხსნიდნენ და სურსათის წართმევა აუცილებელი გახდა**“ (იქვე, გვ. 137).

აღნიშნული ტომებიდან მხოლოდ ფასიანები და ჰესპერიტები დაიმორჩილეს სპარსელებმა და მათ მმართველად ზემოთ აღნიშნული ტირიბაზი დაუნიშნეს (მათი მიწები საუკეთესო იყო სახნავ-სათესად).

,,ხოლო კარდუხები, ხალიბები, ქალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კოიტები და ტიბარენები კი დამოუკიდებელნი იყვნენ“ (ქსენოფონტე, კიროსის ანაბაზისი, ანტიკური კავკასია, ენიკლოპედია I, გვ. 137).

ბერძენთა ჯარი გაემართა ჩრდილოეთისაკენ და ვანის ტბის სიახლოვეს მის სამხრეთ-დასავლეთით ჯერ შეხვდათ ქართველთა ტომი, რომლის სახელი იყო - **,,კარდუხები**“. (ეს სახელი სიტყვა ,,კარდუ“-საგანაა მიღებული, ხოლო ,,ხი“ - მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსია. ,,კარდუ“ - იყო სახელი ხალხისა, რომლისაგანაც ნაწარმოებია ასევე სახელი ,,ქართუ“ და სიტყვა ,,ქართველი“, ე. ი. ,,ქართუს“ ქვეყნელი. კარდუ და ქართუ ერთი ფუძეა, ამიტომაც მიიჩნევა, რომ კარდუხები - ქართული ტომი იყო, რომელიც ებრძოდა მათ ქვეყანაში შეჭრილ არმენიელებს და მათ მფარველ სპარსელებს.

კარდუხებმა იფიქრეს, რომ სპარსელთა მეფის მეგობარი ქსენოფონტე და სპარსელთა მეფის სამსახურში მყოფი მისი 10.000 კაციანი ჯარი, სპარსელთა ლაშქარი იყო. ამიტომაც მათ მედგრად იბრძოლეს ბერძენთა, ამ ჯარის წინააღმდეგ, უფრო მეტიც, ბევრს ეცადნენ ქსენეფონტე და ლაშქრის მეთაურები, მაგრამ კარდუხებმა პირადი, სასაუბრო კონტაქტიც კი არ დაამყარეს მათთან.

საბოლოოდ, უნდა ვიფიქროთ, რომ არმენიზაცია-გასომხებისაგან კარდუხებმა მაინც ვერ შეძლეს თავის დაცვა, თუმცა, არმენიაში შემდგომშიც, შემდეგ საუკუ-

ნეებში, ითვლებოდა, რომ ხალხი სომხეთის პროვინციებისა სახელწოდებით „კორდუკ“ (კორდვაცის ქედის სამხრეთით, ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით), „კორდიკ ვერინ“, „კორდიკ მიჯინ“ და „კორდიკ ნერკინ“ - არ იყვნენ არმენიელები, ანდა ტომობრივი სხვაობა ჰქონდათ არმენიელებისაგან.

ნ. ადონცი პირდაპირ წერს კიდეც, რომ **კარდუხები, ხალიბები, ხალდები, ფასიანები და სხვა ტომები იყვნენ არმენიის თავდაპირველი მოსახლენი**, შემდგომ მათ მიწა-წყალზე დაახლოებით VI საუკუნეში შეიჭრნენ არმენიელები და **ორ ნაწილად გაყვეს ეს ქართული მოსახლეობა, კერძოდ, არმენიელები დასახლდნენ მათი ქვეყნის ცენტრში,** ამის გამო როგორც სამხრეთ ისე ჩრდილო არმენიაში ცხოვრობდნენ ქართველები, კერძოდ სამხრეთ არმენიაში - კორდუს ხალხი, ჩრდილო არმენიაში ივერები, დასავლეთ არმენიაში ქალდ- ხალიბები.

ქართული მიწების ეს მტაცებლობა, სტრაბონის ცნობით შემდეგაც გაგრძელებულა, კერძოდ არმენიამ ქრისტეშობამდე II საუკუნეში მიიტაცა იბერებისაგან პირიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა - ვრცელი მიწა-წყალი დასავლეთ და ჩრდილო არმენიისაკენ.

კარდუხები და ხალიბები (ხალდები) ქართველთა ტომები, რომ იყო, ამის შესახებ სხვა უძველესი წყაროებიც წერდნენ. კერძოდ მეგასთენე წერდა, რომ ნაბუქოდონოსორმა იბერთა ხალხის ერთი ნაწილი გადაასახლა ლიბიიდან პონტოს ზღვის სანაპიროზე, იქამდე იბერები ლიბიელთა მეზობელნი ყოფილან. ჩვენი აზრით აქ „ლიბიის“ ქვეშ იგულისხმება არა აფრიკის ლიბია, არამედ ვანის ტბასთან მდებარე ლურსმული დამწერლობის ეპოქის ქვეყანა **„ლუვია“**. ის ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა, იქ სადაც შემდგომ კარდუხები ცხოვრობდნენ. ლუვიელთა მეზობელი იბერების ანუ ქარდუხების წინაპრების ნაწილი ნაბუქოდონოსორს პონტოს ზღვის პირეთში გადაუსახლებია. ალბათ, ამ მოსაზრებით ხსნიდნენ ძველი ავტორები ფაქტს იმისას, რომ კარდუხებსა და ქალდებს (ხალდებს), ხალიბებს და ქალდეველებს (პონტოსპირეთში მცხოვრებთ) ერთიდაიგივე სატომო სახელები, ერთი ზნე-ჩვეულებები და ჩანს ერთი ენაც ჰქონდათ.

ქართველთა წინაპარი ქალდეველები (ხალიბები, იგივე ალაზონები) კარდუხების თანამეტომეებად მიიჩნეოდა, მიუხედავად ტერიტორიულად მათი ურთიერთდაშორებისა.

სტრაბონის ცნობით ქალდებს ასევე ერქვათ სახელი - „ალიზონები“, „ალაზონები“, ქალდებს ნამდვილად რომ ერქვათ ეს სახელი ჩანს უამრავი ტოპონიმიდან, რომელიც აღნიშნული სიტყვის ფუძიდან გამომდინარეობს „ალაზ“(ლაზ), „არაზ“, „არზე“ - ეს სახელები „არაზ“ და „ალზ“ მდინარეებს, სოფლებს, ქალაქებსა და პროვინციებსაც კი ერქვათ პონტოსპირეთიდან ვიდრე ვანის ტბამდე. ერთერთი მაგალითად ასეთია პროვინციის სახელწოდება „ალზნიკ“ (სომხურად - „აღძნიკ“), რომელიც სწორედ კარდუხთა ქვეყნის მეზობლად მდებარეობდა და ვრცლად იყო გადაჭიმული ცოვკის ტბიდან კორდვაცის მთებამდე (პროვინცია კორდუკამდე), ე. ი. კარდუხების ქვეყნამდე ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ამჟამადაც კი ცოვკის ტბასთან ახლოს ძველ ქალაქ მელიტენეს (გალატიას) - ალაზიგი ჰქვია, რომლის ფუძეშიც „ლაზ“-ი ზის.

ამ „ლაზ“ - „რაზ“ ფუძიდანაა გამომდინარე უფრო წვრილი პროვინციის სახელი „არზნი“, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა კარდუხების ქვეყანას, კერძოდ კი „კორდუკს“. ამ „ლაზ-რაზ“ ფუძიდანაა გამომავალი მდინარეთა სახელები „არაწანი“, „რაზდანი“, „ალაზანი“.

არაწანი - ვანის ტბის სანაპიროდან იწყება და მურატის სახელწოდებით ქ. ელაზიგთან ევფრატს უერთდება. მის სამხრეთ სანაპიროზე იწყება ტიგროსის სათავეები.

ქსენეფონტეს უთხრეს, რომ კარდუხების ქვეყანა აღწევდა მდ. კენტრიტამდე და ტიგროსის სათავეებამდე. შემდეგ კი არმენია იწყებოდა. ჩვენ ზემოთაღნიშნული ტოპონიმიკიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ არმენიელების შემოჭრამდე ხალიბების ანუ ქალდების ქვეყანა იწყებოდა კარდუხების მეზობლად (ამის ნაშთია ტოპონიმი ალზნიკ (ძველი ალზის ქვეყნის სახელიდან) და აღწევდა კახეთის მდინარე ალაზნამდე, ანუ ვანის ტბიდან კავკასიის მთებამდე კარდუს ანუ ქართველთა ძველი ქვეყანა იყო განფენილი.

ადონცის სიტყვით, როგორც ითქვა, ქართველთა ამ ძველი ქვეყნის შუაგულში შეიჭრა არმენიული ტომები დაახლოებით ქრისტეშობამდე VI საუკუნეში და ორად გაყო ქართველთა ქვეყანა და ამიტომაც როგორც არმენიელთა სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით იყო ქართული პროვინციები და ქვეყნები (კარდუხები და ალზნიკის ხალხი სამხრეთით, ქართლი და ლაზები (არტანუჯის არზენას და ქალდეას ხალხი) ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით. ადონცის მოსაზრება ამჟამად იგნორირებულია სომხურ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ის ხსნის არსებულ ძველ ფაქტებს.

ქართული ქვეყნის ცენტრში არმენიელთა დამკვიდრების გამო ქსენოფონტემ ბუნებრივია ჯერ ქართული ტომების (კარდუხების) ქვეყანა გაიარა, შემდეგ არმენია, შემდეგ კი ჩრდილოეთით და ჩრდილო დასავლეთით მას ისევ ქართული ტომები შეხვდა.

ქსენოფონტეს აცნობეს - **„მთებზე მიმავალი გზა ჩრდილოეთით რომაა მიმართული, კარდუხებთან მიგიყვანთ, ისინი ცხოვრობენ მთებში, მეომარი ხალხია და სპარსთა მეფეს არ ემორჩილებიან. მათ თავს დაესხა ამ მეფის ასოც ათასიანი (120.000) ჯარი და მათგან უკან არავინ დაბრუნებულა (კარხუდების მთები მიუვალია)“** (ქსენოფონი, კიროსის ანაბაზისი, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია I, 2010, გვ. 118).

ასევე ქსენეფონტეს უთხრეს - **„ელინმა ჯარისკაცებმა გაიგეს რომ თუ ისინი შეძლებენ კარდუხების მთების გადალახვას და მდინარე ტიგროსის სათავეებზე მისთვლას, მივლენ არმენიაში“** (იქვე, გვ. 119).

ქსენოფონტე წერს, რომ კარდუხების ქვეყანასა და არმენიას ერთმანეთისაგან საზღვრავდა მდინარე კენტრიტი (იქვე, გვ. 120).

ბერძენმა ჯარისკაცებმა ბრძოლით გაიარეს კარდუხების ქვეყანა, ქსენეფონტე წერს, რომ კარდუხებს ჰქონდათ - **„მრავალრიცხოვანი და მშვენიერი სახლები, სავსე სურსათით. იქ ღვინო ისე ბევრი იყო, რომ სილით ამოლესილ ორმოებში ჰქონდათ შენახული“** (იქვე, გვ. 120).

კარდუხები ლაშქრობისას და მარშირებისას მღეროდნენ - „ჩქარა წავიდნენ რაღაც სიმღერების მღერით“ (გვ. 121).

ელინებმა გადალახეს მდ. კენტრიტი, მეორე ნაპირზე უკვე არმენია იწყებოდა. არმენიის სპარსელთა სამხედრო ხელისუფალს თავის არმენიულ ჯარში დაქირავებული ჰყავდა ქართული ტომები ხალდებისა და მარდების ჯარისკაცები - „ისინი იყვნენ ორონტისა და არტუხის მოქირავნეები“ (იქვე, გვ. 121). მაგრამ მათ (არმენიულ ჯარს), საბოლოო ჯამში ბერძნებთან არ უომიათ, უბრალოდ, აკვირდებოდნენ მათ მოძრაობას.

კარდუხები ებრძოდნენ არმენიელებს, ამიტომაც მდ. კენტრიტის გადალახვის შემდეგ რაც ბერძნებმა 5 ფარსანგი (25 კმ) „**იარეს არმენიაში ვაკე ადგილზე, აქ კარდუხებთან ომის გამო მდინარის ახლოს არ იყო სოფლები**“ (იქვე, გვ. 122). შემდეგ მიადგნენ დიდ სოფელს, სადაც სატრაპს სასახლე ჰქონდა, აქედან 10 ფარსანგის (50 კმ) შემდეგ იყო **მდინარე ტიგროსის სათავე**, აქედან 15 ფარსანგში (75 კმ) მიადგნენ მდ. ტელებოასს, რომლის ნაპირებზეც მრავალი სოფელი იყო, ხოლო ქვეყანას ერქვა დასავლეთ არმენია, მისი მმართველი იყო მეფის მეგობარი ტირიბაზოსი (იქვე, გვ. 122).

აქედან ბერძნებმა დაბლობზე იარეს 15 ფარსანგი (75 კმ) და მიადგნენ სოფლებით სავსე ტერიტორიას, ისინი ელოდნენ რომ თავს დაესხმოდათ ტირიბაზი, რომელსაც თავის ჯარში ჰყავდა მოქირავნეები „ხალიბები და ტაოხები“ (იქვე, გვ. 123). აქედან იარეს კვლავ 75 კილომეტრი და მიადგნენ მდ. ევფრატს, რომელიც გადალახეს ამ მდინარის (ე. ი. ევფრატის) სათავის ახლოს.

აქედან შევიდნენ დაბლობში, რადგანაც ზამთარი იდგა, იარეს თოვლში 50 კმ და მიადგნენ ერთერთ სოფელს, აქედან 20 სტადიონში (დაახლ. 2 კმ-ში) მდებარე სოფლებში განაწილდნენ მოსასვენებლად. მათ უხვად მიიღეს სასმელ-საჭმელი და სუფრასთანაც „მათ ბარბაროსულ სამოსიანი არმენიელი ბიჭუნები ემსახურებოდნენ“ (იქვე, გვ. 125). შემდეგ „შეეკითხნენ სოფლის თავკაცს, რა ქვეყანა იყო ეს? მან კი მიუგო, რომ ეს იყო არმენია“ (იქვე, გვ. 125). იკითხეს რომელი იყო მეზობელი ქვეყანა, უპასუხეს - „**მეზობელი ქვეყანა - თქვან მან - ხალიბების იყო და იქაური გზაც მიასწავლა**“ (იქვე, გვ. 126).

აქედან ჩანს, რომ ქართულ ტომებს - კარდუხებსა და ხალიბებს შორის არმენიელთა შეჭრის გამო ქვეყანას უკვე „არმენია“ ერქვა, თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ იქაური მკვიდრი ძირითადი მოსახლეობა არმენიზებული ქართველები იყვნენ.

აღნიშნული გზით შევიდნენ „მეზობელ“ ანუ ხალიბების ქვეყანაში.

ამის შემიდეგ მიადგნენ მდ. არაქსს, რომელსაც ქსენეფონტე „ფასისს“ უწოდებს (აღსანიშნავია, რომ ათასხუთასი წლის შემდეგაც X საუკუნეში კონსტანტინე პორფიროგენეტი არაქსს კვლავ „ფასისს“ უწოდებდა, რომელიც იმჟამად საზღვარი იყო არმენიელებსა და იბერებს შორის).

„ამის შემდეგ მდ. ფასისის გასწვრივ ელინებმა იარეს შვიდი გადასავალი დღეში ხუთ-ხუთი ფარსანგი“ (იქვე, გვ. 126). ე. ი. სულ გაუვლიათ 35 ფარსანგი, რაც 175 კმ-ია. ამის შემდეგ კიდევ 10 ფარსანგი (50 კმ) უვლიათ და მივიდნენ ადგილას **„რომელიც ვაკეზე ეშვებოდა, სადაც მათ დახვდნენ ხალიბები, ტაოხები და ფასიანები (ფასისელები)“** (იქვე, გვ. 126).ე.ი. იმგზით,რომელიც მიასწავეს ხალიბების ქვეყანაში,შემდეგ კი ფასიანების ქვეყანაში.

ე. ი. ფასისის გასწვრივ მათ უვლიათ სულ 45 ფარსანგი ანუ 225 კმ. შეებრძოლნენ ქართველ ტომთა ლაშქარს, გაიმარჯვეს და შევიდნენ ტაოხების ქვეყანაში.

მაშასადამე აღნიშნული 225 კმ ხალიბების ქვეყანა ყოფილა (როგორც ზემოთ აღინიშნა, არმენიის ქვეყნიდან ბერძნები ხალიბთა ქვეყანაში შევიდნენ, გაიარეს 225 კმ და მიადგნენ ტაოხების ქვეყანას. ტაოხების ქვეყანაში ბერძნებმა გაიარეს 30 ფარსანგი (150 კმ).

ტაოხების ერთერთი ციხე-სიმაგრის აღების დროს „**ელინები საზარელი სანახაობის მოწმენი გახდნენ - ქალები ისროდნენ ბავშვებს უფსკრულში და თვითონაც თან მიჰყვებოდნენ, ამგვარადვე იქცეოდნენ მამაკაცებიც**“ (იქვე, გვ. 128) ქართველების ეს თავგანწირვა სამშობლოსა და პირადი თავისუ-

ფლების შესანარჩუნებლად მიაგავს ებრაელთა თავგანწირვას მასადას ციხე-სიმაგრის დაცვის დროს ამ ამბიდან თითქმის 500 წლის შემდეგ ახ. წ. 70 წელს.

აქედან ბერძნებმა იარეს 50 ფარსანგი (250 კმ) კვლავ ხალიბების მიწა-წყალზე აქედან ჩანს, რომ იმ ტომთა შორის, რომელზეც მათ იარეს, ყველაზე მრავალრიცხოვანი და დიდი მიწა-წყლის მქონე ხალიბები იყვნენ.

ქსენოფონტე წერს - „**შემდეგ იარეს შვიდი გადასავალით ორმოცდაათი ფარასანგი ხალიბების მიწა-წყალზე. ისინი უმამაცესნი იყვნენ იმ ტომებს შორის, რომელთა მიწა-წყალზეც გაიარეს. ხალიბები ხელჩართულ ბრძოლაში ებმებოდნენ ელინებს**“ (იქვე, გვ. 128). „ამასთანავე მღეროდნენ და როკავდნენ მაშინ, როცა მტერი მათ უყურებდა“ ((**ქსენოფონი, კიროსის ანაბასისი, ანტიკური კავკასია, ენციკლობედია I, 2010,** გვ. 128). ხალიბებისაგან ამის გამო „ელინებმა ვერაფერი წაიღეს და იკვებებოდნენ ისევ იმ პირუტყვით, რომელიც ტაოხებს წაართვეს“ (იქვე, გვ. 128).

ამის შემდეგ ბერძნები მივიდნენ მდინარე ჰარპასოსთან და შევიდნენ **სკვითინების** ქვეყანაში, ვაკეზე 20 ფარასანგი (100 კმ) და შევიდნენ მათ სოფლებში. ამის შემდეგ გაიარეს კვლავ 20 ფარასანგი და მივიდნენ „დიდ, მდიდარ და მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში“, რომელსაც ერქვა **გიმნიასი.**

აქედან იარეს 5 დღეღამე და მივიდნენ მთამდე (მისი სახელი იყო **თექესი**), საიდანაც ჩანდა შავი ზღვა.

აქედან გზით შევიდნენ **მაკრონების** ქვეყანაში, სადაც გაიარეს 50 კმ და მიადგნენ მდინარეს, რომელიც მაკრონების ქვეყანას **სკითინების** (სკვითინების) ქვეყნისაგან ყოფდა.

მეორე მხარეს მეომარი მაკრონები იდგნენ. ბერძენთა შორის აღმოჩნდა ტომით მაკრონი მონა, რომელმაც შეძლო შუამავლობა და ბერძნები მაკრონებს დაუმეგობრა.

მაკრონების ქვეყანაში იარეს სამი დღის განმავლობაში კოლხების ქვეყანამდე. კოლხთა ლაშქარი დაამარცხეს და შევიდნენ სოფლებში, სადაც თაფლის ფიჭები ჭამეს, რომელთაც მათ დიდად ავნო, მეორე დღემდე მთვრალებს ჰგვანდნენ და ფეხზე დგომა არ შეეძლოთ. აქედან ბერძნებმა გაიარეს კოლხების სოფლებში 35 კმ და მივიდნენ ზღვასთან მდებარე „**ტრაპეზუსში - მჭიდროდ დასახლებულ ელინურ ქალაქში, რომელიც სინოპელთა დასახლება იყო კოლხების ქვეყანაში, პონტოს ევქსინიოსის სანაპიროზე. აქ, კოლხების სოფლებში ელინებმა დაახლოებით 30 დღე დაჰყვეს**“ (იქვე, გვ. 131) „და ანადგურებდნენ კოლხისს (ე. ი. კოლხეთს)“ (იქვე, გვ. 131).

ქსენოფონტე განარჩევს „ბარის კოლხებს“ და მთის კოლხებს. პირველები ბერძნებს არ ებრძოდნენ. აქედან შეესივნენ **დრილების** ქვეყანას. დრილები იყვნენ „პონტოსპირეთის ყველაზე მეომარი ხალხი“ (იქვე, გვ. 132). (დრილები, ჩანს შემდგომში თრიალეთში გადასახლდნენ).

ტრაპეზუსიდან ბერძნები ელინურ ქალაქ **კერასუსს** მიადგნენ „სინონელთა დასახლება კოლხების ქვეყანაში ზღვის სანაპიროზე“ (იქვე, გვ. 133). ე. ი. **ტრაპეზუნტიცა და კერასუსიც კოლხების ქვეყანაში მდებარეობდნენ**.

ბერძენთა ჯარი კერასუსთან ორად გაიყო – ერთი ჯგუფი გემებით ზღვით გაემგზავრა (ჩანს ტრაპეზუნტიდანაც გემებითვე მიცურავდნენ), მეორემ კი ხმელეთით განაგრძო გზა და მიუახლოვდნენ **„მოსინიკების საზღვარს**“ (იქვე, გვ. 133).

მოსინიკების ტომი ორ მტრულ ჯგუფად იყო გაყოფილი - პირიქითელ მოსინიკებს მტრობდნენ პირაქეთა მოსინიკები. პირიქითელებმა სამხედრო კავშირი შეკრეს ბერძნებთან პირაქითელების დასამარცხებლად. ,

,მეორე დღეს ისინი მოვიდნენ ერთი მთლიანი ხისაგან გამოთლილი სამასი ნავით. თითოეულ ნავში სამ-სამი კაცი იჯდა“ (იქვე, გვ. 134) ისინი „დაირაზმნენ და ერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო, დანარჩენებმა რიტმს ფეხი აუწყეს და წინ გასწიეს“ (იქვე, გვ. 134). ისინი ბერძნებთან ერთად ეკვეთნენ თავიანთ მტერ თანატომელებს, რომელთაც მთავარი ქალაქის დასაუფლებლად ეომებოდნენ. მათი მეფე ამ ქალაქში ერთ მაღალ ადგილს მდგარ ხის კოშკში (მოსინოსში) იჯდა. ის ხანძრის დროს არ გამოვიდა კოშკიდან და დაიწვა მეორე მეფესთან ერთად, რომელიც სხვა კოშკში იჯდა. მოსინიკებს აღმოაჩნდათ პურის დიდი მარაგი, ამფორებში კი დამარილებული დელფინის ხორცი. ჰქონდათ უამრავი მარაგი: კაკალი, ქონი, ღვინო. გამარჯვებულმა ბერძნებმა ეს აღებული ქალაქი თავიანთ მეგობარ მოსინიკებს გადასცეს. აქ რამდენიმე ქალაქი იყო ერთმანეთისაგან 80 სტადიონით დაშორებული (H”16 კმ). მდიდარ მოსინიკებს ჰყავდათ მოხარშული წაბლის ჭამისაგან დასუქებული ბავშვები „განაზებულები და მეტისმეტად **თეთრები“** (იქვე, გვ. 136).

ქართული ტომები თეთრკანიანები იყვნენ. ამის აღნიშვნა საჭიროდ მიგვაჩნია, რადგანაც ძვ. წ. VI-V სს. ცნობებით კოლხები „შავკანიანებად“ ან „მუქკანიანებად“ აღიწერებიან, მაგრამ უკვე V ს. ბოლოდან კოლხთა აღმწერი მწერლები რომელთაც პირადად ნახეს ისინი, აღარ წერენ კოლხთა მუქკანიანობის შესახებ. მოსინიკებიც თეთრები იყვნენ. ქსენეფონტე წერს - „ისინი ცდილობდნენ ყველას თვალწინ შეკავშირებოდნენ ჰეტერებს, რომლებიც ელინებს თან მიჰყავდათ, რადგან ასეთი იყო მათი ადათი. **ყველანი - მამაკაცებიცა და ქალებიც - თეთრკანიანები იყვნენ...** საჯაროდ აკეთებდნენ იმას, რასაც სხვები განმარტოებით სჩადიან... საკუთარ თავს ელაპარაკებოდნენ, თავისთვის იცინოდნენ და მოყვებოდნენ ხოლმე როკვას, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ“ (იქვე, გვ. 136).

ბერძნებმა მოსინიკების ქვეყანაში „რვა სტათმოსი იარეს და მივიდნენ **ხალიბებთან, ისინი ცოტანი იყვნენ, ემორჩილებოდნენ მოსინიკებს და უპირატესად რკინის დამუშავებით ირჩენდნენ თავს**, აქედან ელინები მივიდნენ ტიბარენებთან. ტიბარენების ქვეყანა უფრო ვაკე იყო. მათ ზღვის სანაპიროზე გამაგრებული დასახლებები ჰქონდათ“ (იქვე, გვ. 137).

„ელინებმა ორ დღეში მშვიდობიანად გადალახეს ეს ქვეყანა და მივიდნენ **კოტიორაში,** ელინურ ქალაქში, სინოპელთა მიერ **ტიბარენების ქვეყანაში** დაარსებულ ახალშენში“ (იქვე, გვ. 137).

ხალიბები, როგორც ქსენოფონტეს აღწერიდან ჩანს ბერძნებს შეხვდნენ 3 ადგილას, კარდუხების შემდეგ, არმენიელთა ქვეყნის გადალახვის შემდეგ და მოსინიკების მეზობლად ზღვის სანაპიროზე. (ეს უკანასკნელნი სუსტები იყვნენ, დანარჩენ ორ ადგილს მცხოვრებნი კი კარგი მეომრები).

ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ის ქვეყანა, რომელნიც არმენიელებს ეჭირათ მდ. კენტრიტიდან არაქსამდე - თავდაპირველად ხალიბების ანუ ქალდებისა იყო, და ისინი გაგრძელებით ცხოვრობდნენ კოტიორადან არაქსამდე და კენტრიტამდე. ისინი, ჩანს, არმენიელებს დაუმარცხებიათ და ამიტომ ხალდებსა და არმენიელებს შორის დიდი ომი იყო გაჩაღებული, როგორც ეს ქსენეფონტეს მეორე ნაშრომიდან

- კიროპედიადან ჩანს, საბოლოოდ, ხალიბები მხოლოდ ზღვის პირას დარჩნენ, დანარჩენი მათი საცხოვრისი არაქსიდან კენტრიტამდე არმენიელებმა დაიჭირეს.

როგორც ითქვა, მდ. კენტრიტიდან ბერძნებმა გაიარეს 25 კმ - დაუსახლებელ არმენიაში, 50 კმ.-ის შემდეგ იყო ტიგროსის სათავე. 75 კმ-ის შემდეგ მიადგნენ მდ. ტელებოასს - ეს იყო დასავლეთ არმენიაში. აქედან იარეს დაბლობზე 75 კმ, შემდეგ კვლავ გაიარეს 75 კმ და მიადგნენ მდ. ევფრატს, მისი სათავის ახლოს. შემდეგ დაბლობზე იარეს 50 კმ. აქ კვლავ არმენიის ქვეყანა იყო. აქედან იწყებოდა **ხალიბების ქვეყანა**, მიადგნენ მდ. არაქსს (ფაზისს), აქ **ფასისის გასწვრივ იარეს 225 კმ ხალიბების ქვეყანაში და მიადგნენ ტაოხების ქვეყანას**. ტაოხების ქვეყანაში იარეს 150 კმ. აქედან ბერძნებმა კვლავ 250 კმ იარეს კვლავ ხალიბების მიწაზე და მიადგნენ მდ. ჰარპასოსს და შევიდნენ სკვითინების ქვეყანაში, აქვე ვაკეზე იარეს 100 კმ ამის შემდეგ კვლავ იარეს 100 კმ და მიადგნენ ქალაქ გიმნიასს. აქედან იარეს 5 დღე-ღამე და მიადგნენ მთის მწვერვალ თექისს, საიდანაც ჩანდა ზღვა. აქედან იარეს 50 კმ და მიადგნენ მაკრონების ქვეყანას, ამ ქვეყანაში იარეს სამი დღე-ღამე და მიადგნენ კოლხების ქვეყანას. იარეს 35 კმ და შევიდნენ ქალაქ ტრაპეზუსში, და შემდეგ კერასუსში. ეს ქალაქები კოლხეთის ქვეყანაში მდებარეობდნენ. კერასუსიდან შევიდნენ მოსინიკების ქვეყანაში. იარეს „რვა სტათმოსი“ და მივიდნენ „სუსტ ხალიბებთან“, აქედან შევიდნენ ტიბარენების ქვეყანაში, გადალახეს ორ დღეში და მივიდნენ ქალაქ კოტიორაში - „ტიბარენების ქვეყანაში დაარსებულ ახალშენში“.

აქედან ბერძნები გაემართნენ მდ. ფასისისაკენ - ქსენეფონტეს სტრატეგოსებმა უთხრეს - **„უმჯობესია ფასისისაკენ გაცურვა, რაკი ხომალდები არიან, ფასიანთა ქვეყნის დაპრყობა. იქ მაშინ აიეტის შვილიშვილი მეფობდა“** (იქვე, გვ. 137).

ეს ბოლო წინადადება ძალზე აბნევს მკვლევარებს, რადგანაც ქსენეფონტე მდ. ფასისს ახსენებს ორ ადგილას. ერთი ფასისი იყო არაქსი, საიდანაც გაჭირვებით ჩაადწიეს ბერძნებმა ზღვამდე, ამიტომაც ისინი, ცხადია, უკან აღარ დაბრუნდებოდნენ. ამიტომაც თავისი ნაშრომის ბოლოს ნახსენებ მდ. ფასისის ქვეშ ქსენეფონტე სხვა რომელიღაც მდინარეს ახსენებს. ქართველი მკვლევარები ფიქრობენ რომ ეს მეორე ფაზისი იყო მდ. რიონი, რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ, ჩვენი აზრით **ქსენეფონტე ამ მეორე მდინარე ფაზისში გულისხმობს მდ. კელკიტის ზღვასთან შესართავს. აქ ზღვის ნაპირას კონცხებს ერქვათ ჰერაკლესა და იაზონის კონცხები. მის ახლოს ამჟამადაც არიან პუნქტები „ფასინლერისა“ და „პაზარის“ სახელწოდებით. მდ. კელკიტის შესართავი მართლაც ახლოა ქ. კოტიორასთან** და აქეთკენ იყო სამშობლოსკენ მიმავალი ბერძნების გზა.

დავაჯამოთ ქსენოფონტეს ჯარის მიერ განვლილი გზის სიგრძე-

მდ. კენტრიტიდან **არმენიის** ქვეყანაში ბერძნებმა იარეს 25 კმ + 50 კმ + 75 კმ + 75 კმ (ევფრატი) + 50 კმ (არაქსი) და მიადგნენ **ხალიბების** ქვეყანას არაქსთან. ე. ი. არმენიაში სულ იარეს 275 კმ.

შემდეგ **ხალიბების** ქვეყანაში მდ. არაქსის პირას იარეს 225 კმ.

შემდეგ **ტაოხების** ქვეყანაში 150 კმ

და **კვლავ ხალიბების** ქვეყანაში შევიდნენ, სადაც 250 კმ იარეს

და მიადგნენ მდ. ჰარპასოს

და შევიდნენ **სკვითინების** ქვეყანაში, სადაც იარეს 200 კმ ქალაქ გიმნიასამდე. აქედან იარეს 5 დღე მწვერვალ თექისამდე.

აქედან 50 კმ-ში მდებარეობდა **მაკრონების** ქვეყანა, აქ იარეს 3 დღე და მიადგნენ **კოლხების** ქვეყანას, იარეს 35 კმ და მიადგნენ ქ. ტრაპეზუსს, ე. ი. მდ. კენტრიტიდან ტრაპეზუსამდე ბერძნებმა გაიარეს 275 კმ + 225 კმ + 150 კმ + 250 კმ + 200 კმ + 5 დღე + 50 კმ + 3 დღე + 35 კმ = 1185 კმ + 8 დღე.

თუ ერთ დღის გავლას ბერძნები მოუნდნენ 20-30 კმ მაშინ 8 დღეში ისინი დაახლოებით 200 კმ-ს გაივლიდნენ, რაც ჯამში შეადგენს სულ 1385 კმ, ანუ დაახლოებით 1400 კმ.

მაშასადამე ქსენეფონტეს ჯარმა იარა ასე: ის შევიდა **კარდუხების ქვეყანაში** თანამედროვე ქალაქ მარდინთან ახლოს (თურქეთში), იარა თანამედროვე ქალაქ ელაზიგის მიმართულებით (ამჟამადაც კი გზა ამ მიმართულებით მიდის), აქ ჯარმა გადალახა ტიგროსის ერთერთი შენაკადი, რომელსაც ერქვა კენტრიტი, და მიადგა **დასავლეთ არმენიის** ქვეყანას. ამ მდინარის გადალახვის შემდეგ შემოხვდათ მეორე მდინარე ტელებოასი (ეს უნდა იყოს თანამედროვე მდ. მურატი. იარეს **არმენიაში** და მიადგნენ მდ. ევფრატის სათავეს (ეს უნდა იყოს ევფრატის შენაკადი, რომელსაც ამჟამინდელ თურქულ ენაზე ეწოდება მდ. პერი (Peri) და თანამედროვე ქალაქ ტეკმანთან ახლოს მიადგა მდ. არაქსის ანუ ფასისის სათავეს და იარა მის გასწვრივ, აქ ჰქონდა შებრძოლება **ხალიბთა, ტაოხთა და ფასინთა** გაერთიანებულ ლაშქართან და შევიდა **ტაოხების ქვეყანაში**, ტაოხების ქვეყნიდან გადავიდა ძლიერმეომარი **ხალიბების (ქალდების)** ქვეყანაში და მიადგა მდ. ჰარპასოსს, ეს უნდა იყოს მდ. ჭოროხი. აქ იყო **სკვითინების** ქვეყანა და მათი ქალაქი გიმნიასი (სადღაც ბაიბერდსა და გიუმიშხანეს შორის), აქედან შევიდა **მაკრონების** ქვეყანაში, საიდანაც დაინახეს ზღვა, ზღვის პირზე კი **კოლხები** ცხოვრობდნენ, მათ ქვეყანაში იყო ქალაქი ტრაპეზუსი, აქედან ლაშქრავდნენ ახლოს მცხოვრებ **დრილებს.** ტრაპეზუსიდან ჯარის ერთი ნაწილი გემებით, სხვები კი ფეხით გაემართნენ კერასუსისაკენ (გირესუნი), გაიარეს **მოსინიკების** და სუსტი **ხალიბების** ქვეყანაში, ქ. კოტიორასთან მიადგნენ **ტიბარენების** ტომს და გადაწყვიტეს გემებით და ფეხით კელკიტის შესართავთან მისვლა, სადაც **ფასიანები** ცხოვრობდნენ და აიეტის შთამომავალი მეფობდა.

ქსენოფონტეს გზა

1. ჯერ არის **კარდუხების** მთები, შემდეგ კი ტიგროსის სათავე ((**ქსენოფონი, კიროსის ანაბასისი, ანტიკური კავკასია, ენციკლობედია I, 2010,** გვ.119);

2. ჯერ მდ. კენტრიტია, მერე არის მდ. ტიგრესის სათავე (გვ. 122);

3. მდ. კენტრიტი „საზღვრავს **არმენიას** კარდუხების ქვეყნისაგან“ აქ არის ველი (გვ. 120);

„**ხალდები** თავისუფალნი და მამაცნი არიან“ (გვ. 121);

მდ. კენტრიტი უნდა იყოს მდ. ტიგროსის ერთერთი შენაკადი ოღონდ ქ. ელაზიგისაკენ. ეს არმენიაა.

4. მდინარის მეორე ნაპირიც ვაკეა. მდინარიდან 50 კმ-ში არის ტიგროსის სათავე.

5. ტიგროსის სათავიდან 15 ფარასანგში (1 ფარასანგი 5 კმ) - 15 X 5 კმ = 75 კმ) არის მეორე მდინარე – ტელებოასი. მის გაყოლებას ჰქვია **დასავლეთ არმენია**

ტელებოასი უნდა იყოს მდ. მურატი - არაწანი.
6. აქედან 15 ფარასანგი X 5 კმ = 75-ში იყო მდ. ევფრატი
7. მდ. ფაზისი (არაქსი)
იარეს მდ.ფაზისის გასწვრივ 7 X 5 ფარასანგი.
7 X 25 კმ = 175 + 10 X 5 კმ + 50 კმ = 225 კმ.
დაეშვნენ ვაკეზე.
8. **ტაოხების** ქვეყანა 30 ფარასანგი X 5 = 150 კმ.
9. **ხალიბების** ქვეყანა.
10. მდ. ჰარპაროსი (ჭოროხი.
11. **სკვითინები** 20 X 5 კმ = 100 კმ.
12. სკვითინები ქალაქი გიმნიასი.
13. 5 დღე ზღვის გამოჩენამდე.
14. **მაკრონები** 50 კმ.
15. მდინარე საზღვრავდა მაკრონებსა და სკვითინებს.
16. 3 დღის გზა.
17. **კოლხები**.
18. 2 ფარასანგი X 5 = 10 კმ - ტრაპეზუნტი.

ქსენოფონტე ქალდების შესახებ

ისტორიკოსმა გ. ჭეიშვილმა განიხილა ქსენეფონტეს შრომა „კიროპედია“, როგორც წყარო საქართველოს ისტორიისათვის.

თავის ამ შრომაში („კიროპედია“), ქსენოფონტე ისევე, როგორც თავისსავე „ანაბასისში“ აღწერს ბერძენთა 10.000 კაციანი რაზმის ლაშქრობას ქართული ტომებით დასახლებულ მხარეებში ძვ. წ. 401 წელს.

კერძოდ მათ გაიარეს ფასიანების, ტაოხების, ხალიბების და სკვითინების ქვეყნები (გ. ჭეიშვილის დაკვირვებით - „ეთნონიმი „ხალდი“ ძველი ბერძნებისათვის „ხალიბის“ სინონიმს წარმოადგენდა“ („ანალები“ 2001, გვ. 9).

ყველა ამ ტომთა ქვეყნებს არმენიელები ესაზღვრებოდნენ, რომელნიც თანდათანობით მიიწევდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ფართო ფრონტით და ავიწროებდნენ ქართულ ტომებს, ერეკებოდნენ მათ უფრო ჩრდილოეთის მიმართულებით, კერძოდ სახნავ-სათესი მიწები ხალიბებს აღარ დარჩათ, რადგანაც უკვე მთებში ცხოვრობდნენ ამ მიწოლის შედეგად.

თავის მხრივ, ყველა ეს ტომი და განსაკუთრებით ხალდები (იგივე ხალიბები) თავდაუზოგავად ებრძოდნენ არმენიელებს საარსებო სივრცის დასაბრუნებლად, არმენია, თავის მხრივ, უკვე დაპყრობილი იყო სპარსთა მიერ, ამის გამო სპარსეთის შაჰი კიროს დიდი ხალიბების არმენიელებზე (არმენიელთა სოფლებზე) თავდასხმას განიხილავდა, როგორც საკუთარი იმპერიის საზღვრებში შეჭრას.

ამიტომაც „კირკოპედიის“ თანახმად კიროს დიდმა (558-529) არმენიის დამორჩილების შემდეგ ხალდებზე გალაშქრება გადაწყვიტა, რათა მშვიდობა ჩამოეგდო სომხებსა და მათ მეზობელ ხალდებს შორის“ (იქვე, გვ. 9)

ქსენეფონტეს თანახმად კიროს დიდმა შეარიგა არმენიელები და ხალდები ურთიერთდათმობათა გზით.

გ. ჭეიშვილი წერს - „კიროპედიისა“ და „ანაბასისის“ ცნობათა ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ ხალიბებს//ხალდებს, რომლებიც ყველაზე უფრო მეომარ

და მამაც ხალხად ითვლებოდა არა მხოლოდ იმ მხარეში, არამედ იმ ტომთა შორის, რომელთა მიწა-წყალზეც ელინებმა გაიარეს, თავისი ჰეგემონია და სატომო სახელი სამხრეთით საკმაოდ შორს გაევრცელებინათ“ (იქვე, გვ. 10).

ხალდები იგივე ქალდებია, ეტიმოლოგიურად ჩანს კარდუხების და ქალდების სახელები მსგავსია.

„კარდუ“ ანუ „ქარდუ“ იგივე „ქალდ“ უნდა იყოს. ეს ფუძვე აქვს ქართველთა თვითსახელწოდებასაც „ქართ“.

ქალდების ანუ ხალდების საცხოვრისი არეალისა და გავლენის დიდი განვრცობის შესახებ მიუთითებს ქსენოფონტე კიროპედიაში - მისი სიტყვით ფასიანები ქალდების გავლენას განიცდიდნენ, - თუ გავიხსენებთ, რომ ფასიანების საცხოვრისს შემდგომში ბასიანი ეწოდა, ის დიდი ტერიტორია იყო, მოიცავდა შემდგომი არზრუმისა და ყარსის პროვინციებს და კიდევ უფრო გაშლილი იყო აღმოსავლეთით - ვალაშკერტამდე. ასეთი დიდი არეალის კონტროლი მხოლოდ ძლიერ და მეომარ ტომს შეეძლო.

გ. ჭეიშვილი წერს - „ფასიანების ქვეყანა, რომელიც ფორმალურად დასავლეთ არმენიის სატრაპს - ტირიბაზს ეკუთვნოდა, ფაქტიურად ხალიბების გავლენის ქვეშ მოექცა, უფრო სამხრეთით ხალიბები სომხური მიწების მოთარეშეობით კმაყოფილდებოდნენ“ (ანალები, 1, 2001, გვ. 10).

თუ რუკას დავხედავთ, ვნახავთ, რომ ხალიბები ცდილობდნენ ეკონტროლებინათ ის მიწები ძვ. წ. V საუკუნეში, რომელიც თითქმის 1500 წლის შემდეგ თავის სამეფოს შემოუერთა ქართველთა მეფე დავით კურაპალატმა X საუკუნეში. ეს ის იბერიის მიწებია თავისი ხორძენეთა და პარიადრეს კალთებით, რომელიც ძვ. წ. II ს-ში იბერიას წაართვა არმენიამ. უნდა ვიფიქროთ, რომ ძვ. წ. V-IV საუკუნეებში ქალდების მეთაურობით იბერიულმა ტომებმა შეძლეს მიეღწიათ კონსოლიდაციისათვის და მათ სამეფოდ ჩამოაყალიბეს „არიან-ქართლი“, რომლის მოსახლეობამაც შეიძინა ერის ნიშნები, საკუთარი ენითა და ტრადიციებით. ყოველ შემთხვევაში არსენ ბერი წერდა, რომ ქართული ენა - ის ენაა, რომელიც არიან-ქართლის სამეფოში იყო განვრცობილი „ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით“. ანუ ქართული ენა არიან-ქართველთა ენა ყოფილა სწორედ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ხალიბები აკონტროლებდნენ ქსენეფონტეს სიტყვით - ესაა ფასიანის ვრცელი ქვეყანა, ხორძენე, პარიადრეს კალთები.

ქალდების საცხოვრისი თვითონ პარიადრეს და მოსხების მთიანეთი უნდა ყოფილიყო. როგორც ვთქვით სტრაბონი ქალდებს ასევე უწოდებს „ალაზონებს“, აქედან უნდა იყოს წარმოშობილი სატომო სახელი ლაზი. მათი ეს თვითსახელწოდება არეკლილი უნდა იყოს იმ ვრცელ რეგიონში, რომელსაც ქალდები აკონტროლებდნენ. როგორც ითქვა, აქ ჩვენ გვხვდება ქალაქები ერთი და იმავე ფუძედასახელების მქონენი - არზრუმი (ერზრუმი), არზინჯანი (ერზინჯანი), არზე (აწრე) და სხვა, ასევე კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით არტანუჯის ქვეყანას არზენი ერქვა.

ჩემი აზრით ფუძე „არზ“ მიღებული უნდა იყოს ქალდების სახელწოდებიდან „ალაზონი“, „ალაზ“ ანუ „არაზ“ - ეს ფუძე ამ რეგიონში მრავალ სახელში გვხვდება და ყველაზე მეტადაა გავრცელებული, თვით მდინარე არაქსიც, რომელიც ფასიანის მდინარე იყო - ასევე „არაზი“ ერქვა. „არაზ“-იდან უნდა იყოს არზე,

არზრუმი, არზინჯანი, არზე (არწე) და სხვა. ამავე რეგიონის სამხრეთით ქალაქ ელაზიგის სახელიც მას უნდა უკავშირდებოდეს. ელაზიგ - ელაზ - ლაზ - ა - ლაზ - ონი. აღსანიშნავია, რომ შემდგომი ელაზიგის მხარეებში, რომელსაც ანძიანძორა ერქვა, ილაშქრა მეფე ფარნავაზმა, როცა ის იბრძოდა არიან-ქართველთა მეფის მემკვიდრეობისათვის. ამავე მხარეებში ილაშქრა ასევე ვახტანგ გორგასალმა. მე ვფიქრობ, და ჩანს კიდეც, რომ ფარნავაზი იბრძოდა ქართლის სახელმწიფო საზღვრების განსამტკიცებლად, რომელიც ქართლის ცხოვრების ავტორს აქ ეგულებოდა აზონის მამისეული მემკვიდრეობის აღწერის დროს.

ქალდებმა ამ რეგიონში, რომელიც შემოსაზღვრული იყო თანამედროვე ქალაქით ელაზიგითი, და ძველი ვალაშკერტით, რომელშიც მდებარეობდნენ პარიადრეს კალთები-

ოლქმა,რომელშიც შედიოდნენ მდ. კელკიტის სათავეები, მდ. ხარტიში, ნაწილობრივ ყიზილ-ირმაკი, შემდგომში არზრუმი, არტაან-არტანუჯი შექმნეს ქვეყანა „ქალდუ“, იგივე „ქართუ“, იგივე არიან-ქართლი, რომლის გაგრძელებაც იყო უფრო ჩრდილოეთით ქართული სახელმწიფოებრიობა და შთამომავლობა კი ქართველი ხალხი- ყველა თავისი რეგიონებითა და კუთხეებით.

ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია კიდეც, რომ სვანების, მეგრებისა და დანარჩენ **ქართველთა წინარე სამშობლო „ქალდუ“ - ქართუ იყო, ჩანს ჩამოყალიბებული მებრძოლ ტომ ქალდეველთა მიერ, რომელთაც შემდგომ ლაზები ეწოდათ.**

საბოლოოდ, ჩვენ შეიძლება ასეთი სახით წარმოვიდგინოთ ქართველი ერის ჩამოყალიბება - წყაროთა თანახმად „ნაბუქოდონოსორმა ლივიის გვერდით მდებარე იბერიიდან გადაასახლა ნაწილი იბერიელებისა და დაასახლა პონტოს ზღვისპირეთში“, აღმოჩნდა, რომ აქ ნახსენები „ლივია“ არის არა აფრიკის ლიბია, არამედ ვანის ტბის პირას მდებარე ძველი ქვეყანა „ლუვია“, ხოლო იბერიელები კი იგივე კარდუხებია (ფრიგიელებია), რომელნიც ლივიის გვერდით ცხოვრობდნენ. ამ კარდუხ-იბერიელების ნაწილი გადასახლდა შავიზღვისპირეთში და იწოდნენ ქალდებად (ხალდებად) - ხალიბებად. ამავე დროს შავიზღვისპირეთის ამავე რეგიონში უწყვეტი ნაკადის სახით შემოდიოდნენ სხვა ქართველი ტომები პონტოსპირეთიდან. ამ ტომების (ფასიანების, ჰესპერტების, ტაოხების, მოსინიკებისა და სხვ.) კონსოლიდაცია შეძლო კარდუხების მეომარმა და ძლიერმა ტომმა რამაც საფუძველი ჩაუყარა არიან-ქართლის სახელმწიფოს, რომლის მემკვიდრეობა ფარნავაზის დროს მიიღო „ქართლის სამეფომ“.

ხალიბთა „ქალდუს ქვეყანა“ არიან-ქართლის საფუძველი

ყველაზე უძველესი ქართული წყაროს „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით თანამედროვე საქართველოს სამხრეთით მდებარე არიან-ქართლის მეფის ძე აზონმა საფუძველი ჩაუყარა „ქართლის სამეფოს“. ეს მომხდარა ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში.

გვაქვს თუ არა რომელიმე უცხოური წყარო, რომელიც გვაძლევს ცნობებს იმის შესახებ, რომ თანამედროვე საქართველოს სამხრეთით ქრისტეშობამდე V-IV საუკუნეებში ნამდვილად არსებობდა ქართული სახელმწიფო, შეეძლო თუ არა იქ მცხ-

ოვრებ მრავალრიცხოვან ქართულ ტომთაგან რომელიმეს სხვათა კონსოლიდაცია და ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება? იყო თუ არა რომელიმე ტომი აღნიშნულ ეპოქაში გამოკვეთილად ძლიერი? ჩვენ გვაქვს სწორედ აღნიშნული ეპოქის საისტორიო წყაროები, ესაა ქსენოფონტესა, სტრაბონისა და სხვათა ცნობები, რომელთა დაყრდნობითაც შესაძლებელია მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე. ესენია:

1. ქსენოფონტეს ნაშრომი კიროპედია - რომლის მიხედვითაც ხალდები (ხალიბები) იყო დიდი ხალხი, ფასაინები მათი გავლენის სფეროში შედიოდნენ და ხალიბები ფასიანთა ქვეყნის სამხრეთითაც კი იბრძოდნენ.

2. სტრაბონის ცნობით ხალიბები დიდი ხალხი იყო, რადგანაც მათი წინაპრები ტროაშიც იბრძოდნენ – იმჟამინდელ ხალიბებს ერქვათ ასევე ალიძონები(ალაზონები). ხალდების ანუ ხალიბების – თანამეტომენი იყვნენ კარდუხები. ისინი ვანისტ-ბი პირეთიდან ვიდრე შავიზღვისპირეთამდე ცხოვრობდნენ. კარდუხ-ხალდების ქვეყანა იყო ერთი ხალხის ქვეყანა, რომელიც ნ.ადონცის სიტყვით სომხებმა ორ ნაწილად გაკვეთეს.

3. მეგასთენეს ცნობით იბერები ნაბუქოდონოსორმა გადაასახლა ლიბიიდან შავიზღვისპირეთში. აქ „ლიბიის“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს არა აფრიკის ლიბია, არამედ ქვეყანა „ლუვია“, რომელიც ვანისტბისპირეთში მდებარეობდა. იბერები იგივე კარდუხები უნდა იყვნენ, რომელთა ერთი ნაწილი ნაბუქოდონოსორმა ვანისტ-ბისპირთიდან გადაასახლა შავი ზღვისპირეთში. ამ გადასახლებითა და თანამეტომე ხალიბებისა და კარდუხების ურთიერთშერევით საფუძველი უნდა ჩაყროდა „არიან-ქართლის“ სამეფოს.

„მოქცევაი ქართლისაი“ წერს -

- **„და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე მეფე ყოვლისა ქვეყანისა... და თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოი, ძე არიან ქართლისა მეფისა, და მიუბოძა მცხეთა საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთა ცროლისა და წარვიდა“ („ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“**, I, 1964, გვ. 81).

ქართლი, როგორც ამ წყაროდან ჩანს, ჯერ კიდევ არ ეწოდებოდა იმ ქვეყანას, რომელზეც ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო და რომლის მეფედაც დასვა ალექსანდრე მაკედონელმა აზო. ყოველ შემთხვევაში მასზე მემატიანე წერს, რომ აზო იყო „პირველი მეფე მცხეთას შინა“ (იქვე, გვ. 82). შემდგომში აზოს ქართლის მეფე ეწოდა, მაგრამ თავდაპირველად ის იყო „მეფე მცხეთას შინა“, მცხეთა იყო დედაქალაქი, როგორც ითქვა ახალი სახელმწიფოსი და ამ ახალი სახელმწიფოს საზღვრები ასეთი იყო - ეგისწყალი, ჰერეთი, სომხითი და მთა ცროლისა. ამჟამად მდ. ეგრისწყალი გაედინება თანამედროვე აფხაზეთში და ის ჩანს იყო მდ. ღალიძგა, ბედიასთან.

„მოქცევაი ქართლისაის“ ჰერეთი აზოსა და ფარნავაზის ჟამს არ ეწოდებოდა თანამედროვე სამხრეთ კახეთს, როგორც მიიჩნევს საბჭოური საისტორიო სკოლა, არამედ მდებარეობდა მის გარეთ. მართლაც, ქართლის ცხოვრების თანახმად, როდესაც ფარნავაზმა ქართლის სამეფო დაყო ადმინისტრაციულ ერთეულებად, თანამედროვე სამხრეთ კახეთში მდებარე „კხოეთი“, რომლის მთავარი ქალაქი იყო ბოდისი (კხოეთი ანუ კუხეთი) კახეთის საერისთავოში შედიოდა(იქვე, გვ. 89),

მაშასადამე ბოდბე იყო არა ჰერეთში, არამედ კუხეთში.

წყაროს „სომხითი“, გულისხმობს არმენიის ქვეყანას, ესაა ქართლის სამეფოს სამხრეთი საზღვარი, ჩრდილო საზღვარზე კი ჩანს „მთა ცროლისა“ მდებარეობდა.

როგორც ითქვა ამ სახელმწიფოს თავდაპირველად „ქართლი“ არ ერქვა, არამედ მას ქართლი მას შემდეგ ეწოდა, რაც აზომ „არიან-ქართლის“ სამეფოდან ჩამოიყვანა მოსახლეობა სახელწოდებით „არიან-ქართველნი“, და ისინი განასახლა მთელ თავის სახელმწიფოში ეგისწყლიდან ჰერეთამდე, სომხითიდან - ცროლის მთამდე. მაშასადამე აზოს „არიან-ქართველნი“ დაუსახლებია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ამ ხალხის სახელმა „ქართველნი“ მისცა სახელწოდება ახალი სახელმწიფოს ხალხს - „ქართველნი“, ხოლო თვით სახელმწიფოს „ქართლის სამეფო“ დაერქვა, რადგანაც მისი დამაარსებელი „არიან-ქართლის მეფის ძე აზო“ იყო. ამ სახელმწიფოს დაარსების შემდეგ უკვე არსებობდა ორი „ქართლის სამეფო“, ერთი იყო სამხრეთით და მას „არიან-ქართლი“ ერქვა, მეორე კი იყო ჩრდილოეთით და მისი დედაქალაქი მცხეთა იყო.

მცხეთაში გამეფების შემდეგ „ესე აზოი წარვიდა არიან-ქართლად, მამისა თვისისა, და წარმოიყვანა რვა სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი და დაჯდა ძველ მცხეთას. და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმრთად - გაცი და გაიმ, და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზოი, ძე არიან ქართველთა მეფისა და მოკვდა. და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ“ (იქვე, გვ. 82).

ჩამოყალიბდა ახალი ქართლის სამეფო, ძველი ქართლის სამეფო („არიან-ქართლი“) გაურკვეველ ვითარებაში აღიგავა პირისაგან მიწისა. ვინ იყო მისი მოსახლეობა, სად მდებარეობდა ის ან რა ბედია ეწია მის ხალხს?

ამ კითხვებს პასუხი გასცა XII საუკუნეში არსენ ბერმა, რომელიც დავით აღმაშენებლის მოძღვარი ყოფილა.

ის წერდა რომ ძველი არიან-ქართლის მოსახლეობა იყო ეთნიკური ქართველები და მათ „არიან-ქართველნი“ ერქვათ. დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოს ერსა და ძველ „არიან ქართლის“ ერს შორის პირდაპირი გენეტიკური მემკვიდრეოითი კავშირი ყოფილა.

არსენ ბერი წერს - **„ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით“**. მაშასადამე ქართული ენაც კი არიან-ქართველთა ენა ყოფილა, მათი შთამომავლები - ქართველობა იყო.

ჩვენი თვალსაზრისით არიან-ქართლის სამეფო რეალურად არსებობდა და ის წარმოადგენდა ხალიბების (იგივე ხალდების) სახელმწიფოს, რომელმაც შეძლო დაახლოებით ძვ.წ. 401-330 წლებში ტაოხების,მაკრონების,ფასიანებისა და სხვა ქართული ტომების თავის ირგვლივ კონსოლიდაცია და ამის საფუძველზე სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

401 წელს ხალიბების (ხალდების) ტომი თავისი თვალით იხილა ქსენეფონტემ, რომელიც სათავეში ედგა ბერძენთა ათი ათას კაციან რაზმს, რომელიც ბაბილონიდან საბერძნეთისაკენ მიეშურებოდა.

ეს ლაშქრობა თავის ორ ნაშრომში ანაბაზისსა და კიროპედიაში ასახა ქსენოფონტემ. მან გაიარა ფასიანების, ხალიბებისა და სხვა ქართული ტომების ქვეყნები. მისი ცნობით ხალიბები - ყველაზე მეომარი და სახელოვანი ხალხი იყო სხვა ტომთა შორის.

„კიროპედიისა“ და „ანაბასისის“ ცნობათა ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ ხალიბებს//ხალდებს, რომელიც **ყველაზე უფრო მეომარ და მამაც ხალხად ითვლებოდა არა მხოლოდ იმ მხარეში, არამედ იმ ტომთა შორის, რომელთა მიწა-წყალზეც ელინებმა გაიარეს** (Gyr., III, 2,7; Anab., IV. 7.15), თავისი ჰეგემონია და სატომო სახელი სამხრეთით საკმაოდ შორს გაევრცელებინათ“ (გ. ჭეიშვილი, ძველი ბერძნების თვალით დანახული ისტორიულ-გეოგრაფიული პროცესები (ქსენეფონტე და მისი „კიროპედია“), ანალები, 2001, 1, გვ. 10).

ქსენეფონტეს მტკიცებით ხალდები ომის ჟინით იყვნენ შეპყრობილნი (Gyr.,III, 2,7), ისინი იბრძოდნენ და ხშირად იმარჯვებდნენ კიდეც. ფასიანების ქვეყანა - მათი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, ისინი აკონტროლებდნენ ჭოროხის ხეობასა და ზღვისპირეთს. უცხო თვალისათვის ისინი ჩანდნენ დამპყრობლებად, რომელნიც არბევდნენ სომხურ სოფლებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ხალიბები (იგივე ხალდები) თვლიდნენ, რომ სომხები შეიჭრნენ მათ მიწა-წყალზე, უკანონოდ წაართვეს სახნავ-სათესი მიწები და გადააქციეს მთაგორიანი ქვეყნის მცხოვრებლებად, სადაც სახნავ-სათესი ფართობების არქონის გამო სიღარიბეში ცხოვრობდნენ. ამიტომაც, იძულებულნი იყვნენ თავს დასხმოდნენ იმ სომხურ სოფლებს, რომელნიც მათ ყოფილ მიწა-წყალზე ამოიზარდნენ. სომხები სპარსელთა მხარდაჭერის გარეშე ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდნენ. სპარსელებმა დაიმორჩილეს სომხები, ხალიბები კი მათთან შედარებით თავისუფალნი იყვნენ.

სპარსეთის იმპერიაში სომხები იმპერიის ერთგულ ხალხად იქცნენ, მშვიდობიან მცხოვრებლებად, მიწის მუშებად, რომელთაც იმპერიისათვის შემოსავალი მოჰქონდათ. ეს სომხები ფასიანების ქართული ტომის სამხრეთით ცხოვრობდნენ. ფასიანები კი, როგორც ითქვა ხალდების გავლენის სფეროში მოექცნენ, ხალდები ფასიანთა ქვეყნის სამხრეთით სომხურ სოფლებს არბევდნენ. ამის გამო სპარსეთის შაჰი შეშფოთებული იყო. „კიროპედიის“ თანახმად, კიროს დიდმა (558-529) არმენიის დამორჩილების შემდეგ ხალდებზე გალაშქრება გადაწყვიტა (იქვე, გვ. 9). ხალდების დანაშაულად ითვლებოდა შეჭრა სპარსეთის იმპერიის საზღვრების შიგნით, რადგანაც არმენიელები უკვე იმპერიის მცხოვრებლებად ითვლებოდნენ. ამ არმენიელების დაცვა კი, შაჰისათვის მნიშვნელოვანი საქმე იყო, არა ერთი და ორი თაობის მანძილზე. შემდგომში სპარსელებს გადაუწყვეტიათ არმენიელებსა და ხალდებს შორის მშვიდობიანობა ჩამოეგდოთ, ორივე მხარის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ შეუთავაზებიათ ხალდებისათვის დაემუშავებინათ არმენიელთა მიერ ხელდებული სახნავ-სათესი სავარგულები, რის სანაცვლოდაც არმენიელებს შეეძლებოდათ უშიშრად ეძოვებინათ თავიანთი საქონელი ხალდების მთების საძოვრებზე.

ორივე მხარე დათანხმებულა, მაგრამ რეალურად ხალდებს არ შეუწყვეტიათ განმათავისუფლებელი ომები არმენიელთა წინააღმდეგ და ქსენოფონტეს თავისი თვალით უხილავს ფასიანის სამხრეთით გავერანებული სომხური სოფლები. ფასიანები, ჩანს, აშკარად თუ ფარულად მხარს უჭერდნენ ხალდებს არმენიელებთან ომისას, რადგანაც ფასიანები სპარსელებმა არმენიელებს დაუქვემდებარეს. ფასიანები და ხალდები ამ საქმეში კონსოლიდირებულნი ჩანან. „ფასიანების ქვეყანა, რომელიც ფორმალურად დასავლეთ არმენიის სატრაპს ტირიაზს ეკუთვნოდა (Anab., VII, 8,25) ფაქტიურად ხალიბების გავლენის ქვეშ მოექცა უფრო სამხრეთით ხალიბები სომხური მიწების მოთარეშებით კმაყოფილდებოდნენ“ (იქვე, გვ. 10).

ფასიანების სამხრეთით ათობით კილომეტრზე იყო გადაჭიმული გავერანებუ-

ლი სომხური სოფლები. ეს მიწა-წყალი სპარსელების თვალთახედვით სომხებს ეკუთვნოდათ, მაგრამ ხალიბებს თავისად მიაჩნდათ, სომხები კი შემოჭრილ მტრად ესახებოდათ, ამით იყო გამოწვეული ხალიბების თავგანწირული ომები არმენიელების წინააღმდეგ.

ფასიანები არზრუმის არეალში ცხოვრობდნენ არაქსის ანუ ფაზისის ხეობაში, სადაც შემდეგ ქართული პროვინცია ბასიანი იყო განფენილი (არზრუმიდან ქალაქ აგრამდე), მის სამხრეთით ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე შემდგომში განივრცო ქართული სახელმწიფო (დავით III კურაპალატის დროს X საუკუნეში),რაც ეფუძნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ქართულ ეროვნულ-ეთნიკურ თვითშემეცნებას, მის ძველ საფუძველს. ერთი სიტყვით იმ მხარეების მოსახლეობას X საუკუნისათვისაც ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა ქართული ძირები.

ქსენოფონტეს დროს ტაოხების და ფასიანების კონსოლიდაცია თავის ირგვლივ ნამდვილად შეეძლო ხალიბების მებრძოლ და გამარჯვებულ ტომს.

გ. ჭეიშვილის თვალსაზრისით „ხალიბები ჭოროხის ხეობაში ცხოვრობდნენ“ (ანაბაზისი, IV, 7.15-17, იქვე, გვ. 9), მიიჩნევა რომ ისინი თორთომის ხეობაშიც ცხოვრობდნენ, რადგანაც აქაა ხორონიმი „ხალდოძორი“ (იქვე, გვ. 9).

გ. ჭეიშვილის აზრით „ხალდოძორი“ მოიცავდა ბაიბურთის მხარეს „ანუ იმ ქვეყანას, სადაც ქსენეფონტეს მიხედვით სკვითინები ცხოვრობდნენ“ (იქვე, გვ. 9). ერთი სიტყვით ხალდების საცხოვრსი იმ ტერიტორიას მოიცავდა, სადაც არიან-ქართლის სამეფოს არსებობა მოიაზრება. ეს შეიძლება ითქვას, შემდგომი მესხეთია თავისი ტაო-ბასიანით თუ ჭოროხის ხეობით. „ეთნონიმი „ხალდი“ ძველბერძნებისათვის „ხალიბის“ სინონიმს წარმოადგენდა“ (იქვე, გვ. 9).

ხალდები რომ სახელგანთქმული მეომარი ხალხი იყო, ამას სტრაბონიც ადასტურებს - მისი ცნობით ხალდები ტრაპეზუნტის მიმდებარე ზღვისპირეთის ძირითადი ხალხი იყო.

სტრაბონის ცნობით ამისოდან ტრაპეზუნტამდე ზღვით იყო 2200 სტადიონი, ხოლო ტრაპეზუნტიდან ფაზისამდე 1400 სტადიონი. ამისოდან ტრაპეზუნტამდე ზღვით ჯერ არიან ჰერაკლეასა და იაზონის კონცხები, შემდეგ კოტიორა (ფარნაკია) და კერასუნტი, რომელსაც მოსდევს ტრაპეზუნტი და ტრაპეზუნტის თანავე კოლხიდა - „ტრაპეზუნტი, მერე კოლხიდა, სადღაც აქვეა ზიგოპოლისად წოდებული პუნქტი“ (XII, III, 17). აი, ამ სანაპიროს „ზემოთ“ (ე.ი. სამხრეთ მთიანეთში) ცხოვრობდნენ ქართული ტომები, და მათ შორის სტრაბონის მიერ გამორჩეული ქალდები. სტრაბონი წერს, რომ ცნობილი დასახლებული პუნქტი ზიგოპოლისი კოლხიდაში შედიოდა. სტრაბონის რუკაზე ზიგოპოლისი ეწოდება შემდგომ ზიგანას, რომელიც ტრაპეზუნტ-თეოდოსიპოლისის შემაერთებელ გზაზე მდებარეობდა. ბიზანტიურ პერიოდში ზიგანა ქალდეას თემში შედიოდა. ეს იყო სტრაბონის კოლხიდა (ე. ი. ტრაპეზუნტის სამხრეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი მხარე - ტრაპეზუნტ-რიზე-ხოფას რეგიონი და არა დასავლეთ საქართველო).

სტრაბონი წერს - „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები, ქალდები და სანები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს, აქვეა მცირე არმენია, ამ ადგილების ახლოს ცხოვრობენ აპაიტები, უწინდელი კერკიტები. ამ ადგილებზე გადაჭიმულია სკიდისე, კლდოვანი მთა, რომელიც უერთდება მოსხურ მთებს, რომლებიც კოლხიდის ზემოთ მდებარეობენ. მწვერვალები უჭირავთ ჰეპტაკომეტებს. პარიადრე სიდენესა და თემისკირასთან მდებარე ადგილებიდან მცირე

არმენიამდე ვრცელდება და ჰქმნის პონტოს აღმოსავლეთ ნაპირს“ (სტრაბონი, XII, III, 18).

სტრაბონისვე ცნობით ვრცელი ანუ დიდი იბერია, ოდესღაც მოიცავდა პარიადრეს კალდებს, ხორძენესა და გოგარენს, რომელნიც მისგან მიიტაცა არმენიამ. მაშასადამე პარიადრე ოდესღაც იბერების ქვეყნის ნაწილი იყო, პარიადრე კი თემისკისადან იწყებოდა (ამჟამინდელი თერმე). სტრაბონის დროს ეს მხარეები კვლავ ქართული ტომებით იყვნენ დასახლებული, ზემოთჩამოთვლილი ტიბარანებით, ქალდებით, სანებით (მაკრონებით), აპალტებით (კერკიტებით), ჰეპტაკომეტებს (მოსინიკებს) და სხვებს. იმის გამო, რომ ეს ტომები (ე.ი. პარიადრეს კალთებზე მცხოვრებნი) არმენიამ ძვ. წ. II ს-ში ჩამოაშორა იბერიას, ისინი აღმოჩნდნენ იბერიის სამეფოს გარეთ ეროვნულად დაუცველნი, თუმცა მათ იმჟამად შეეძლოთ თავიანთი თავის გარკვეულწილად დაცვა. ამ ტომთა შორის სტრაბონი, როგორც ითქვა, გამოყოფს ქალდებს და მათ მიუძღვნა თავის შორის არც თუ მცირე ნაწილი კერძოდ სტრაბონის აზრით ქალდების წინაპრები იმდენად ცნობილი ხალხი იყო, რომ მონაწილეობნენ ტოას ომში და სწორედ მათ ახსენებს ჰომეროსი. ის წერს - „ეხლანდელი ქალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ, უფრო ამათ შორის მდებარეობს ფარნაკია, რომელსაც ზღვიდან აქვს შემოსავალი, პელამიდების ჭერისაგან, ხოლო მიწიდან იღებს ლითონებს, ეხლა რკინას, უწინ ვერცხლსაც, საერთოდ ამ ადგილებში სანაპირო მეტისმეტად ვიწროა, რადგან იქვე, ზემოთ აღმართული ლითონებით სავსე და ტყიანი მთები, მუშავდება კი ცოტა. მომთამადნეები თავს ირჩენენ ლითონის მოპოვებით, ხოლო მეზღვაურნი - მებადურობით... ვფიქრობ ამათ (ხალიბებს) ახსენებს პოეტი (ჰომეროსი) - ალიძონებად ,,კატალოგში“ პაფლაგონიელების შემდეგ: „ხოლო ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ ალიძონებს, შორეული ალიბედან, სადაც არის ვერცხლის საბადო“ (სტრ. XII, III, 20). სტრაბონის აზრით ქვეყანა ხალიბე ანუ ალიბე იყო ქალდების (ხალიბების) საცხოვრისი „სკეპსისელიც ფიქრობს, რომ სახელი შეიცვალა და ალიბებიდან მივიღეთ ხალიბები“ (იქვე, XII, III, 20) და ჰომეროსი „ალიზონებს (ალიძონებს) უწოდებს ხალიბებს... ზოგნი წერენ ალაზონებს, ზოგნი კი ამაზონებს. ... ეს აიხსნება წერითი ცვლილებით, რადგან [ეფორე] წერს ასე: „ხოლო ამაზონებს მოუძღოდნენ ოდიოსი და ეპიტროპოსი“... (სტრ. XII, III, 21-22).

სტრაბონი ეკამათება მათ, ვინც ფიქრობდა, რომ ტროელთა დასახმარებლად არ მოსულან მდინარე ჰალისის გადაღმიდან მცხოვრებნი, ამიტომაც ერთი ცნობილი მკვლევარი ფიქრობდა, რომ ჰალიძონების საცხოვრისი არ უნდა მოეთავსებინათ მდ. ჰალისის გადაღმა. სტრაბონი მის შესახებ წერს „რა მიზეზის გამო არ ცნობს, რომ მდ. ჰალისის გადაღმიდან მოსულიყო რომელიმე მოკავშირე... რა დააბრკოლებდა მოსულიყო გაღმა ქვეყნიდან, რომელიც არის ლევკოსირების იქით... მე ვფიქრობ, რომ არაფერი დააბრკოლებდა, რადგან არც ეგრე შორს იყვნენ, რომ ძნელი ყოფილიყო იქედან მოსვლა“.

ქალდების ძველ ქვეყანას (ხალიბე, ალიბეს) მიუცია სახელი ქალდებისათვის – ალაზონებს კი ასევე ცნობილი ქალდების ტომისათვის - ამაზონები.

როგორც ქალდების, ისე ამაზონების საცხოვრისი ისაზღვრებდა მდ. თემისკირასთან, სიდენესთან, ფარნაკიასთან ახლოს. ორივე ტომი (ქალდები ანუ ალაზონები და ამაზონები) სახელგანთქმული მეომარი იყო. სტრაბონის რუკაზე, რომელიც თან ერთვის 1964 წელს გამოცემულ მის რუსულ თარგმანს, ალიზონები (ანუ ალაზონების) საცხოვრისი კერასუს-ფარნას ქვემოთ მთიანეთშია განსაზღვრული პარ-

იადრეს ქედის კალთაზე.

სტრაბონი წერს - „ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის მახლობლად მდებარე ადგილებს ზემოთ არიან ტიბარენები და ქალდეები, ვიდრე მცირე არმენიამდე. ეს კი საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა, მას ისევე, როგორც სოფენეს, მუდამ განაგებდნენ თავისი დინასტები, მათი ქვეშევრდომები იყვნენ ქალდეები და ტიბარენები, ისე, რომ ტრაპეზუნტამდე და ფარნაკიამდე ვრცელდება მათი ხელისუფლება, ხოლო როდესაც გაძლიერდა მითრიდატე ევპატორი, ის გახდა კოლხიდისა და ყველა ამათი ბატონი“ (სტრ. XII, III, 28).

როგორც ვთქვით ძვ. წ. II ს-ში არმენიამ იბერიისაგან მიიტაცა პარიადრე, ამიტომაცაა, რომ პარიადრესთან მცხოვრები ტიბარენები და ქალდეები მცირე არმენიის დინასტს ექვემდებარებოდნენ ტრაპეზუნტიდან - ფარნაკიამდე. მითრიდატე ევპატორმა ეს მმართველობა თავის ხელში აიღო და ის კოლხიდის მმართველიც გახდა. ეს კოლხიდა იწყებოდა ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით, ანუ ტრაპეზუნტი ერთმანეთისგან ჰყოფდა მცირე არმენიის დინასტების მიწას და კოლხიდას.

ტრაპეზუნტიდან - ფარნაკიამდე (დაახლოებით თანამედროვე ტრაბზონიდან - ორდუმდე) მცხოვრები ტიბარენები და ქალდები მცირე არმენიის გამგებელ არქელაეს ეპყრა. სტრაბონის დროს ის შეცვალა მისმა ქვრივმა პითოდოროსმა. კოლხიდა რომ ტრაპეზუნტს ესაზღვრებოდა მისი საგამგებლო ტერიტორიის საზღვრებიდან ჩანს - „ტიბარენები და ქალდები კოლხიდამდე, ფარნაკიამდე და ტრაპეზუნტამდე უპყრია პითოდოროსს, რომელიც ჭკვიანი ქალია“ (სტრ. XII, III, 29).

სტრაბონის დროს ერთდროს სახელოვანი ქალდები დასუსტებულები იყვნენ, ქსენეფონტეს ცნობით, როგორც ითქვა, ისინი ძალზე ძლიერნი იყვნენ და თავიანთ გამგებლობას ტაოხებსა და ფასიანებზეც ავრცელებდნენ. ლაზთა სახელოვანი ტომის სახელიც ქალდებს უკავშირდება. ლაზები, XX ს. ისტორიკოსთა თვალსაზრისით, თავდაპირველად თითქოსდა დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ, საიდანაც ისინი ამავე საეჭვრო მოსაზრებით VII-VIII სს-ში ტრაპეზუნტის რეგიონში გადასახლდნენ, არავითარი წყარო არ არსებობს ამ მოსაზრებათა დასამტკიცებლად. ეს მხოლოდ ვარაუდებია, მაშინ, როდესაც სტრაბონი ქალდებს აკავშირებს ალაზონებთან. სახელი ალაზონი იგივე ლაზონი უნდა იყოს საფუძველი სატომო სახელისა ლაზი. კონკრეტულად ეს სახელი ბოლო დროისათვის არც ერთ ტომს არ ერქვა, მაგალითად არზრუმელები ლაზებს უწოდებდნენ ტრაპეზუნტის რეგიონში მცხოვრებთ, და პირიქით, ტრაპეზუნტელები არზრუმელებს. აქედან ჩანს, რომ ლაზონია, ლაზთა ქვეყანა ზოგადად ერქვა ვრცელ რეგიონს, სადაც ოდესღაც ქალდების ხელისუფლება ვრცელდებოდა. ამ სახელისაგან - ლაზი - უნდა იყოს წარმოშობილი სხვა მსგავსი სახეები არზე, არაზანი, არზენა, არზეს ქვეყანა. ეს სახელი კარდუხების მეზობელ ოდესღაც ქართული ტომების ქვეყანა - ალზთანაც უნდა იყოს დაკავშირებული. საერთოდ კარდუხებისა და ქალდების სახელების იდენტურობაც მანიშნებელია მათი ეთნიკური ნათესაობისა. კარდუხები - ქსენეფონტეს ეპოქაში ქალდების მსგავსად ძლიერ მეომრებად ითვლებოდნენ.

ხალიბები ანუ ლაზები

(ლაზები გ. გოზალიშვილის მიხედვით)

ძვ. წ. VI-IV საუკუნეებისათვის ქ. სინოპეს რეგიონი დასახლებული ყოფილა ხალიბებით, რომელნიც აქ ძირითადად მეტალურგები იყვნენ.

„სტეფანე ბიზანტიელის მიერ ჩამოთვლილ ოთხ საუკეთესო ჯიშის ფოლადს შორის ორი აღინიშნება სახელწოდებით - ხალდური და სინოპური“ (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1965, გვ. 22).

ზღვისპირზე ხალიბების ქალაქები ყოფილა სტამენა (ჰეკატე მილეტელის ცნობით) და გენეტი (სკილაქს კარიანდელი), მოსინიკების ქალაქი ყოფილა ნავსადგური ზეფირიუსი. თუმცა კი ყველა ზღვისპირა ქალაქი ბერძნულად (ელინურად) ითვლებოდა, მათ შორის ქ. ფაზისი და ქ. ტრაპიზონი (ზოგიერთი მკვლევარის აზრი განსხვავებულია).

I ს. მწერალი პონპონიუს მელა წერს - **„პაფლაგონიელების მეზობელ ხალიბებს აქვთ ქალაქები ამისოსი და სინოპე, აგრეთვე ხალიბებისაა მდ. ჰალისი და თერმოდონი“** (იქვე, გვ. 27).

ხალიბები პაფლაგონიის ტომადაც კი ითვლებოდა. ძველი წელთააღრიცხვის III საუკუნის ავტორის ლიკოფონის სქოლიასტი წერს - **„არის პაფლაგონიაში ტომი ხალიბები, რომელთაგანაც, როგორც ჩანს, პირველად იქნა მოპოვებული რკინა“** (იქვე, გვ. 33). ქსენეფონტე სინოპესაც პაფლაგონიაში ათავსებდა - „სინოპელები პაფლაგონიაში ცხოვრობენ“ - წერდა ის (იქვე, გვ. 34).

ჰომეროსიც ხალიბებს პაფლაგონიელების მახლობლად იხსენიებს - იქ ვკითხულობთ - **„უძღოდნენ ჰალიძონთ კვალად ოდიოსი და ეპისტროფე შორეული ალიბების მხრიდან, სადაც ვერცხლის სამშობლოა“** (იქვე, გვ. 38).

ძველად ქართველებიც ალბათ გამოთქვამდნენ არა სიტყვა „ჰალიძონს“, არამედ „ჰალიზონს“. ამ სიტყვიდან ყოფილა წარმოშობილი სიტყვა „ამაზონიც“ - სტრაბონის ცნობით. ს. ყაუხჩიშვილის დასკვნით - „ჰალიძონებში იგულისხმებიან ის ხალიბები, რომელნიც ძველთაგანვე ლითონთა დამუშავებით იყვნენ ცნობილნი“ (იქვე, გვ. 39).

ხალიბები მდინარე ჰალისთან ანუ გალისთან (ღალისთან) ცხოვრობდნენ, მის მარჯვენა სანაპიროდან იწყებოდა მათი საცხოვრისი. გ. გოზალიშვილის თვალსაზრისით კი, ხალიბები მდ. ჰალისის ორივე მხარეზე ცხოვრობდნენ, რომ ეს მდინარე მათ ქვეყანაში გაედინებოდა (იქვე, გვ. 42). სტრაბონის ცნობით კი მრავალრიცხოვანი ხალიბები ცხოვრობდნენ როგორც ზღვის პირზე, ისე „შუა ხმელეთზე“, ე. ი. მცირე აზიის შიგნით (იქვე, გვ. 44). ე. ი. როგორც სინოპესთან, ისე „ხმელეთის შიგნით“. ისინი ასევე თერმოდონტანაც ცხოვრობდნენ - ოღონდ სხვისი ქვეშევრდომობის ქვეშ.

„ხმელეთის შიგნით“ მოსახლე ხალიბები ძლიერ ხალხად ითვლებოდა, როგორც ითქვა, ეს ხალიბები ჰომეროსთან „ჰალიძონებად“ იხსენებიან, ზოგჯერ სტრაბონი მათ **ალაზ**ონებს უწოდებს. სიტყვა ალაზონიდან უნდა იყოს წარმოშობილი სიტყვა **ლაზ**ი, რომელიც ამ მხარეთა მოსახლეობას ერქვა უძველესი ხნიდანვე (ალაზონი=ლაზი).

ჰომეროსის ცნობით ალიბების ქვეყანაში ვერცხლის საბადო მოიპოვებოდა, მართლაც ქალდეას თემში, რომელიც ძირითადად ზემოთაღნიშნულ ტერიტორიას მოიცავდა, მოპოვებოდა ვერცხლი და მის დედაქალაქსაც კი „არგიოკასტრონი“ ერქვა (ანუ ვერცხლის ქალაქი).

ტროას ომში მონაწილე ხალიბების ანუ ალიბების (ალიზონების) წინამძღოლი ყოფილა - ოდიოსი, ოდი კი ქართული წარმართული პანთეონის ერთერთი ღვთაების სახელი ყოფილა (იქვე, გვ. 47). მრავალი მკვლევარი დაასკვნის, რომ ჰომერო-

სის „ალიბე“ და შემდგომი „ხალიბე“ - ერთი და იგივეა (იქვე, გვ. 63) ალიბებს კი ასევე ალაზონები ერქვა, საიდანაც, როგორც ვთქვით წარმოშობილი უნდა იყოს შემდგომში აქ გავრცელებული სატომო სახელი „ლაზი“, მაშასადამე **ლაზები - ხალიბების შთამომავლები ყოფილან**, და **ლაზების თავდაპირველი სახელი - ხალიბები ყოფილა**.

ანტიკური ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ ხალიბების ერთი ნაწილი ზღვის სანაპიროსთან ცხოვრობდა, მეორე კი სამხრეთით, მთიან რაიონებში ჭოროხის სათავეებთან (იქვე, გვ. 64).

ზღვისპირა ხალიბები ერთ დროს, ქსენეფონტეს ცნობით მოსინიკებს ემორჩილებოდნენ, და რკინას (ან ვერცხლს) ამუშავებდნენ მძიმე შრომით, მაგრამ შუა ხმელეთის ხალიბები კარგი მეომრები იყვნენ, მაგალითად სპარსელთა სარდალ ტირიბაზს ისინი თავის ჯარში ჰყავდათ დაქირავებული, „ხალიბები და ტაოხები“ ქსენეფონტეს ბერძენთა ჯარს შეებრძოლნენ.

ძველთაგანვე ტაოხები ყველაზე უფრო მსხვილ პოლიტიკურ გაერთიანებას ქმნიდა სამხრეთ კავკასიაში დიაუხის ეპოქაში, ხალიბები მათი თანაფარდი დიდი ტომი ყოფილა (იქვე, გვ. 66). ისინი იყვნენ მრავალრიცხოვანნი და ეკონომიკურად უზრუნველყოფილნი ქსენეფონტეს ცნობით. სპარსელთა ქვეშევრდომობა თავიდან აუცილებია ზოგიერთ ქართულ ტომს, ქსენეფონტე წერს - **„კარდუხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კეტები და ტიბარენები დამოუკიდებელნი არიან“** (იქვე, გვ. 70).

იმ აზრს, რომ ხალიბები მრავალრიცხოვანი, მეომარი ტომი იყო იზიარებს სტრაბონი, ამიტომაც, როგორც ითქვა, უეჭველ ფაქტად თვლიდა, რომ ჰომეროსი იხსენიებს ხალიბებს თავის კატალოგში - „ალიძონების“ სახელით პაფლაგონიელების შემდეგ (იქვე, გვ. 72).

აპოლონიოს რადოსელი ხალიბთა მიწას „უსაზღვროს“ უწოდებს (იქვე, გვ. 72). ხალიბთა ვრცელი სამთავრო ორად გაყო არმენიელთა შემოჭრამ მათ მიწა-წყალზე. „ხალიბთა სამყარო შეიზღუდა და გაითიშა“ (იქვე, გვ. 74).

ხალიბებს ასევე ხალდები - ქალდები ერქვათ. ქრისტეშობამდე VII ს-ში შავიზღვისპირეთში მუშკების ტერიტორიის ჩრდილოეთით ხალდების (ქალდების) მსხვილი გაერთიანება ჩამოყალიბებულა (იქვე, გვ. 74). ის იხსენიება ასურულ წყაროებში. **ხალდების ჩრდილოეთით შავი ზღვა იყო გადაჭიმული, სამხრეთით კი ისინი არზუმამდე აღწევდნენ, თუმცა სხვა წყაროებით პარიადრეს მთის კალთებზეც ცხოვრობდნენ**. მათ გაერთიანებას „ხალიტუ“ ერქვა. გ. მელიქიშვილი შენიშნავს - **„ხალდი“ შეიძლება იყოს „ქართუ“-ს დიალექტური ვარიანტი და მომდინარეობდეს უძველესი, ჯერ დაუნაწევრებელი ერთიანი ქართული ეთნიკური ჯგუფის არსებობის დროიდან“** (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1965, გვ. 78).

ქალდები და ხალდები ერთიდაიგივე ხალხი იყო სტრაბონის ცნობითაც (იქვე, გვ. 78).

ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია **ი. დიაკონოვის თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ ხალიბები იგივე ლაზი ხალხი, ლაზების წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ,** რადგანაც მეც ასევე მივიჩნევ და ძველ ავტორთა ცნობები მომყავს ამის სამტკიცებლად -

„ი. დიაკონოვი ხალიბებზე წერს: **„პიოტკოვსკიმ დაამტკიცა, რომ ხალიბები არიან ან იბერიული ხალხი სანები (ჭანები) ანდა ლაზები**“ (იქვე, გვ. 79).

პიოტკოვსკის ეს მოსაზრება გამოუთქვამს წიგნში **„პონტოსპირა ხალდები და ურარტუ“ (1940, ასევე წიგნში „ისტორია და კულტურა ურარტუსი“** (გვ. 326-331), (იქვე, გვ. 79).

მაშასადამე **ი. დიაკონოვისა და პიოტკოვსკის აზრით ხალიბები იგივე ლაზები არიან.**

ხალიბებს სტრაბონი უწოდებს „ალაზონებს“, ი. დიაკონოვის თვალსაზრისით ხალიბები ლაზების წინაპრები არიან. თვითონ სიტყვა „ალაზონი“ იძლევა საშუალებას მისგან მიღებული იქნას სიტყვა - ლაზი შემდეგი გზით - „ალაზ-ონი“ (ონი სუფიქსია) - ალაზ=ლაზ.

მეორე მხრივ სიტყვა „ალაზიდან“ შესაძლებელია მიღებულ იქნას სიტყვა „გურზ, შემდეგი გზით - ალ-აზ“ სიტყვაში თუ ფუძის ნაწილს „ალ“-ს ჩავანაცვლებთ „ურ“-ით (ქართულში „ალ“-ს „არ“ ან „ურ“ ენაცვლება), მაშინ მივიღებთ „ალაზ“=„ურაზ“=ურზ (ურძ).

(ალზის ქვეყნის მცხოვრები ჩანს „ურზ“-ებადაც იწოდებოდნენ).

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ხალიბების საცხოვრისის მთავარ მდინარეს გალისს (ალისი, ჰალისი) შესაძლოა მიეცა სახელი ხალიბებისათვის. მაშასადამე ეთნონიმი ხალიბი და ალაზონი „გალისთან“ ყოფილა დაკავშირებული. თუ ეს ასეა, შესაძლოა ალაზონების თავდაპირველი სახელი გალაზონი ყოფილიყო, სიტყვა გალაზონიდან კი ზემოთაღნიშნული გზით შესაძლებელია „გურზ“-ის მიღება. გურზ, ქურძ, გურჯები ქართველთა სახელწოდებები იყო უძველესი დროიდანვე.

ამასთანავე სიტყვა „ხალდიდანაც“ შესაძლებელია სხვა ეთნოსახელების მიღება.

ხალდი = ქარდი - ქართი

მაშასადამე, თუ ეს ასეა სიტყვები **გურძი, ქართი და ლაზი ერთი ფუძიდანაა ნაწარმოები, რომელთაც ძველი ავტორები ხალიბებს აღნიშნავდნენ.**

მდინარე გალისს ქართველი ისტორიკოსები „ჰალისს“ უწოდებენ. ვფიქრობ სწორი ფორმაა „გალისი“, ეს სახელი სხვა მდინარესაც ჰქვია საქართველოში - „გალისწყალი“, „გალი“ (გალის რაიონში). როგორც აღინიშნა სიტყვა ეთნონიმი „გალაზონი“ (გალაძონი) და „ალაზონი“ შესაძლოა ამ მდინარის სახელსაც უკავშირდებოდეს, ანდა, პირიქით, სატომო სახელი „გალაზონი“ იქცა მდინარის სახელადაც (გალისი).

საფიქრებელია ისიც, რომ ალაზონების ტომი (იგივე ხალიბები) კიდევ უფრო სამხრეთით ცხოვრობდა, რაც შემდგომ ტოპონიმებზეც ასახულა. ერთი ასეთი ქვეყანა უნდა ყოფილიყო მცირე აზიის სამხრეთ დასავლეთი ნაწილი, სადაც ალექსანდრე მაკედონელის დროს ჯერ კიდევ არსებობდა პუნქტები ამ სახელწოდებით - „ჰალიკარნასი“ და გორდიონი. ისინი ალიზონების ანუ ალაზონების ტომთან უნდა იყოს დაკავშირებული. ეს პუნქტები ერთმანეთის გვერდით, ერთ რეგიონში მდებარეობდნენ.

ცნობილია, რომ „გორდიონი“ ფრიგიულ ტომს უკავშირდება. ჩანს ფრიგიელები და ალაზონები ერთი ხალხი იყო - ქართული წარმოშობისა, რადგანაც ფრიგიელი ტოპონიმები და სახელები ქართულში მრავლადაა ამჟამადაც, უპირატესად ესაა სახელი „გორდ“, „გარდ“, აქედან „ქართ“. „გარდ“ სახელისაგან შეიძლება „ქალდების“ ანუ ხალიბების სახელიც მომდინარეობდეს. ასევე მათგან (ალაზონებისა და ფრიგიელებისაგან) უნდა მომდინარეობდეს სახელი „გალატო“, „გალები“, მართალია გალების კელტური ტომის სახელმწიფო მცირე აზიაში III ს-ში დაარსდა,

მაგრამ საფიქრებელია, რომ მათი ნაკადები უფრო ადრეც შემოვიდნენ მცირე აზიაში და ეთნო ერთობას ქმნიდნენ ქართულ ტომებთან. ფრიგიელებიც შესაძლოა კელტების წინაპრები იყვნენ.ფრიგიელები ინდიევროპული ენის მატარებლები ყოფილან,ქართულ ენასაც ინდოევროპულ ენათა შორის ათავსებდა ზოგიერთი ცნობილი მკვლევარი.

როგორც აღვნიშნეთ ი. დაიაკინოვისა და პიოტროვსკის აზრით ხალიბები და ლაზები ერთი ხალხი იყო (И. М. Дьяконов, Заметки урартской эпиграфике. с. 111; „ “ VI, 52. „Эпиграфика Востока“ VI, 52. Пиотровскии, Припонтииские Халды и Урарты, „Краткое сообмение инс. матер. культуры Ак. Наук. СССР“, V, 1940, მისივე, История и культура Урарту, გვ. 326-331).

მათ მოსაზრებას გ. გოზალიშვილი ეთანხმება, ამიტომაც მათი თვალსაზრისი მოიყვანა თავის წიგნში (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1965,გვ. 79).

თვალსაზრისი, რომ ხალდები და ლაზები ერთი ხალხია, ჩემი ნაშრომისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ის მიუთითებს, რომ ლაზები ძველთაგანვე ცხოვრობდნენ სინოპ-ტრაპეზუნტის (ტრაპეზუსის) რეგიონში, მის სამხრეთის მთიანეთში. ეს მოსაზრება კარდინალურად განსხვავდება საბჭოთა ეპოქის ქართველი ისტორიკოსების მტკიცებისაგან, რომ ლაზები თავდაპირველად დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ და შემდეგო, კერძოდ VIII საუკუნისათვის (არაბობის ეპოქაში) გადასახლდნენ ტრაპეზუნტის მთიანეთში. მე კი ვამტკიცებ და ამ მტკიცებას მივუძღვენი ასეულობით გვერდი, რომ ლაზები თავდაპირველადვე ცხოვრობდნენ ტრაპეზუნტის რეგიონში, იქვე მდებარეობდა ლაზთა საეპისკოპოსო კათედრები VI საუკუნიდანვე, ზიგანასი, საისიანისა, როდოპოლისისა და პეტრასი (და არა დასავლეთ საქართველოში), საბჭოთა ეპოქის ქართველი ისტორიკოსების თვალსაზრისი, რომ ლაზების თავდაპირველი საცხოვრისი იყო დასავლეთ საქართველო, აღიარებული იქნა საისტორიო მეცნიერების მიერ და თვით ამჟამინდელი უცხოელი მკვლევარებიც კი თვლიან, თითქოსდა ლაზები არაბობის ეპოქაში გადასახლდნენ რიონის აუზიდან სამხრეთით და დამკვიდრდნენ ტრაპეზუნტის მთიანეთში (მაგალითად კარპოვი და სხვები), მაგალითად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიების ერთერთი თანამედროვე ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ რიონის ხეობიდან ლაზების სამხრეთით გადასახლების გამო როდოპოლისის კათედრა თანამედროვე ვარციხიდან გადატანილი იქნა ტრაპეზუნტის მთიანეთში, მე კი მივიჩნევ, რომ **ლაზები თავდაპირველადვე ცხორვობდნენ ამ მთიანეთში და შესაბამისად ლაზიკის ეპარქიის როდოპოლისისა და სხვა კათედრები თავდაპირველადვე მდებარეობდნენ ტრაპეზუნტის მთიანეთში და მათ ფუნქციონირება შეწყვიტეს თეოდოსიოპოლისი-ტრაპეზუნტის მხარეებში არაბობის შეტევის შემდეგ.**

გ. გოზალიშვილი, როგორც აღვნიშნეთ ეთანხმება ამ თვალსაზრისს და წერს - **„ჰომეროსის ჰალიძონები უნდა ნიშნავდეს ზანებს - ჭანებს, სტრაბონის მოწმობით, რომ ჰომეროსი „ალიზონებს უწოდებს ხალიბებს“** (სტრაბონი, XII, III, 20), რომ ხალიბები და ხალიბთა მოსახლეობა შავი ზღვის სანაპიროზე და მცირე აზიის გარკვეულ რაიონებში ძველადვე არსებობდა, ამის დამადასტურებელია თვით მდ. ჰალისის სახელწოდება და ის ფაქტი, რომ აქაურ ხალხთა შორის იხსენიება ხალხი ალიწა (იქვე, გვ. 79).

მაშასადამე **ხალიბები და ლაზები ერთი ხალხი იყო**. ზღვის სანაპიროს

ხალიბები ძველ წყაროებში ხან ხალდებად და ხან ხალიბებად არიან მოხსენიებული“ (იქვე, გვ. 78). ხალიბი, როგორც ითქვა გ. მელიქიშვილის აზრით „ქართუს“ დიალექტური ვარიანტი ყოფილა და მომდინარეობდა უძველესი, ჯერ კიდევ დაუნაწევრებელი ერთიანი ქართული ეთნიკური ჯგუფის არსებობის დროიდან (**Г. Меликишвили, Наири - Урареу,** გვ. 411).

მაშასადამე ხალიბისაგან მიღებულია სახელები ლაზი და ქართუ. აქედან გამომდინარე **ლაზი და ქართუ თავდაპირველადვე, ერთი ხალხი იყო და ის ხალიბებისაგან მომდინარეობდა**.

ხალიბები შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთიანი ეთნოსის სახით, რომელთა ტომები იყვნენ კარდუხები, ლაზები და შემდგომი ქართლის სამეფოს მოსახლეობა (ამ უკანასკნელის სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია ფარნავაზის ეპოქაში მომხდარა).

ა. სვანიძის აზრით მცირე აზიის თავდაპირველი მოსახლეობა იყო ეთნიკურად ერთგვაროვანი და ქართულ ტომებთან ეთნიკურ ერთგვაროვნებას ქმნიდა (**А. Сванидзе, Материалы по истории алародииских племет,** 1937, გვ. 30).

შემდეგ საუკუნეებშიც ზღვის სანაპიროს მთიანეთი კვლავ ქართული ტომებით იყო დასახლებული.

ანონიმური პერიპლუსით „პონტოს სამეფო დასახლებულია ტიბარენებით, სანიკებითა (ჭანიკებით) და კოლხებით. მისი მეზობელი მხარეები კი აგრეთვე ბარბაროსებს ეკუთვნით (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1965,გვ. 82). ამ ცნობიდან ჩანს, რომ ჭანები და კოლხები სხვადასხვა ტომები ყოფილან ტრაპეზუნტის რეგიონში (პონტოში). ნ. მარის ვარაუდითაც ქ. სინოპე ძველქართულ სამყაროს ეკუთვნოდა და შავი ზღვის მთელ სამხრეთ სანაპიროს სინოპიდან ანაპამდე ჭან-მეგრელებით დასახლებულად მიიჩნევდა“ (იქვე, გვ. 84).

მაქსიმოვას დასკვნით ორდუში (ყოფ. კოტიორა, რომელიც ამისოდან შორს არ იყო) და ანატოლიის სხვა რაიონებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთები ანალოგიურია კოლხურ-ყობანურ კულტურის ნაშთებისა (იქვე, გვ. 85). ეს უნდა იყოს ხალიბების მეტალურგიული კულტურის ნაშთები, შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ ხალიბები ცხოვრობდნენ ასევე სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაშიც, სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ხალიბების ანუ ქართველების სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია, როგორც ითქვა ფარნავაზის ეპოქაში მომხდარა ქართლის სამეფოს მიწა-წყალზე - ეგრის-წყალ-კლისურიდან ალბანეთამდე.

ბიზანტიელებმა იმ ტერიტორიას, რომლის ცენტრალურ ნაწილს ქ. ამისოსის ოლქი წარმოადგენდა - „ქალდიის თემა“ უწოდეს – ის შემდგომში „ტრაპიზონის იმპერიად“ იწოდა. უფრო ადრე იქაური ქართული ტომები ასევე კოლხებადაც იწოდებოდნენ, ქრისტეშობამდე VI ს-შიც „მესხები - კოლხურ ტომად“ იწოდებოდა ჰეკატოს მილეტელის მიერ.

მეშეხები წარმოადგენდნენ „გაბატონებულ ხალხს“ **ჩრდილო სირიაში, ტავრსა და კაპადოკიაში** - ხახანოვის აზრით (**А. Хаханов, Древнеишие предели расселения грузин по малой Азии,** 1903, **Тифлис,** გვ. 2). ელ. მაიერის აზრით „ბერძნული წყაროებით ტიბარენებს შემდგომში ეწოდათ კაპადოკიელები და კატაონები“ (გ. გოზალიშვილი, გვ. 93).

მესხები და ტიბარენები ამ რაიონის ძირითადი მოსახლეობა ყოფილა მისივე აზრით, ხოლო რავლინსონის აზრით „მოსოხები წარმოადგენდნენ მოსახლეობის

სუბსტრატს კლასიკურ ეპოქაში“, იგულისხმება კაპადოკია (იქვე, გვ. 93). **„მდ. ჰალისპირა მოსახლეობას ჰალიძონებად - ჰალისის ჭანებად იცნობდნენ“** - წერს გ. გოზალიშვილი (იქვე, გვ. 94).

მცირე აზიის ტერიტორიაზე დღემდე შემონახული ტოპონომიკური მასალა მხოლოდ ქართულის საშუალებით იხსენება (იქვე, გვ. 98).

„ტრაპზონის რეგიონი ლაზების უძველესი სამშობლო იყო. ამ ქალაქს ლაზები ტრამტრას (ტამტრას) უწოდებდნენ“ (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1965, გვ. 99).

ალ. სვანიძის აზრითაც ჰალიძონები და ზანები ერთი ხალხი იყო, რომლებიც მდ. გალისთან (ჰალისთან) ცხოვრობდნენ (იქვე, გვ. 101).

სპარსეთის XIX ოლქში მცხოვრები მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები ერთნაირად იყვნენ შეიარაღებული - ერთობას ქმნიდნენ (იქვე, გვ. 115).

ალაზონების სახელს სტრაბონი ამაზონებს უკავშირებდა. შესაძლოა ეს მეომარი ქალების ტომი - ხალიბური სარმოშობისა იყო, ჩანს ამ ტომის სახელი „ქალდ“ ეტიმოლოგიურად სიტყვა „ქალს“ დაუკავშირეს უცხოელებმა- „ქალდ-ქალ“, „ქალ“ კი ქართულად დედაკაცს აღნიშნავს. ამაზონები მოსინიკებისა და ხალიბების გვერდით ცხოვრობდნენ (იქვე, გვ. 119).

ამაზონები მდ. თერმოდონტთან ცხოვრობდნენ, თემისკირა - ამისოსის რაიონში (იქვე, გვ. 127).

სიცილისა და გართობის მოყვარული ტიბარანებიც ხალიბების მეზობლები იყვნენ (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1965, გვ. 119).

გ. გოზალიშვილს მოჰყავს იოანე ცეცეს (XII ს.) ცნობა, რომ ამ მხარეებში მცხოვრები „კოლხები - ლაზებად იწოდებიან“ (იქვე, გვ. 120). მაშასადამე კოლხებიც ხალიბური-ქალდური ტომი იყო. მესხები, როგორც ითქვა, თავის მხრივ „კოლხური ტომი“ იყო მეგასთენეს ცნობით. იქ მცხოვრები ტომები ერთი ეთნოწარმოშობისა იყო, მაგრამ მათ ტრაპეზუნტის რეგიონში ვერ შეძლეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია.

გ. გოზალიშვილი დაასკვნის - „ერთ ენაზე მეტყველი ეს მასა (ე. ი. ქართული ტომები) რომელთა სამხრეთი ფრთა ეჭირათ მოსხებს, დიდ სივრცეს მოიცავდა, **„პარიადრეს ფრთა ეჭირათ მათ მოძმეებს - ხალიბებს, რომელნიც შემდგომში ჭანებისა და ლაზების სახელით იყო ცნობილი“** (იქვე, გვ. 3).

გ. გოზალიშვილი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ **ლაზები თავდაპირველადვე სინოპ-ტრაბზონის რეგიონში ცხოვრობდნენ და ისინი ხალიბები იყვნენ** და ისინი ჰეროდოტეს დროს სასპეირებად და კოლხებად იყოფოდნენ.

სასპეირების სახელს „სპერ“-თან აკავშირებენ.

სპერიდან - კაპადოკიის ჩათვლით ქართული ტომების უძველესი საცხოვრისი ყოფილა.

ანტიოქიის არქიეპისკოპოსი ევსტრატე, რომელიც 390 წელს გარდაიცვალა წერს - დაასახლეს „ობელმა - თობელები, ახლანდელი იბერები. ოსოხმა - მესხენები, ახლანდელი კაპადოკიელები“ (იქვე, გვ. 161).

წმ. ექვთიმე მთაწმიდელი (963-1028), წმ. მაქსიმე აღმსარებლის (VII ს.) ნაშრომზე დაყრდნობით ახსენებს ქართულ ტომებს - „ჰერნი, მეგრელნი (ლაზოი), ტიბარელნი,

კოლხელნი“ (იქვე, გვ. 164).

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით კაპადოკიელთა პირველი წინაპარი „მოსხი“ (მესხი) ყოფილა (იქვე, გვ. 165).

მდ. გალისი (ჰალისი) მუშკების საცხოვრისი იყო უძველეს დროს, ამავე მდინარეზე, როგორც ითქვა შემდეგ ხალიბები ცხოვრობდნენ.

გ. გოზალიშვილი წერს - „ფ. ბილაბელის გამოკვლევით, ხეთების სახელმწიფოს დაღუპვის შემდეგ, მის აღმოსავლეთ ნაწილში - შემდგომში რომ კაპადოკია ეწოდა - შეიქმნა მუშკების სახელმწიფო ჰალისისა და ზემო ტიგრას შორის. კ. ბეტცი ამბობს, რომ **„ძველი აღთქმის მეშეხი და თუბალი მუშკები (მოსხები) და ტაბალები არიან, რომლებიც კიმერიელთა შემოსევამ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსაკენ განდევნაო“** (იქვე, გვ. 166).

რ. რეონჰარდის ვარაუდით „დღევანდელი ქართველების წინაპრები ძველი მოსხები და ასურულ წყაროებში ცნობილი მუსკები ერთი და იგივენი არიან“ (იქვე, გვ. 166).

გ. ღაფანციანის აზრით ძვ. წ. XII საუკუნის შემდეგ მცირე აზიაში ბალკანეთიდან შეიჭრნენ ფრიგიელები, ლიდიელები, ლიკიელები და სხვა ტომები, მათ მიათვლიან ასევე მუშკებსაც (იქვე, გვ. 1660.

მუშკები - ინდოევროპელი ტომი ყოფილა, ხოლო ქართული მესხები - კავკასიური. თუ მუშკები და მესხები ერთიდაიგივე იყო, მაშინ **ქართველები (მესხები) ინდოევროპელები ყოფილან.**

გრ. ღაფანციანის აზრით ეზეკიელის (592-570) ნახსენები მოსოხები და ტაბალები ქართული წარმოშობისანი იყვნენ (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1965,გვ. 166).

მუშკებისა და მესხების იგივეობის აზრს ეთანხმება ი. დიაკონოვი (იქვე, გვ. 167). თუმცა არც ამჟამადაა დამტკიცებული ეს აზრი. მხოლოდ ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ მუშკები არა ფრიგიელები, არამედ მცირე აზიური ტომი იყო (იქვე, გვ. 168).

მუშკები ი. დიაკონოვის აზრით ასირელებისა და ურარტუელების მეზობლები იყვნენ, ბერძნები მათ ფრიგიელებს უწოდებდნენ (იქვე, გვ. 169).

მოსხების ქართველობას კარგად ადასტურებს ქრისტეშობამდე VI ს. ავტორის ჰეკატოს მილეტელის ცნობა (რ. 188) - „მესხები - კოლხური ტომია, მატიანების მეზობლად ცხოვრობან“ (იქვე, გვ. 169), თვით მატიენები ქ. გორდიის მეზობლად ცხოვრობდნენ. „როგორც ცნობილია ქ. გორდი ფრიგიის დედაქალაქი იყო“ (იქვე, გვ. 169) მესხების ტომი კაპადოკიის უძველესი მოსახლეობა ყოფილა, და იქ ძველად ფრიგიის სამეფო მდებარეობდა.

მუშკებისა და მესხების იგივეობას არ ეთანხმება ს. კაკაბაძე - „ასურელი მუშკაიები - განვაშოროთ ქართველ მესხებს“ („მნათობი“, 1963, №1, გვ. 187). ქართული მესხები კი კოლხური ტომი ყოფილა, როგორც ითქვა, ჰეკატოს მილეტელის ცნობით.

მდ. ჰალისზე - მუშკების ძველ საცხოვრისში, შემდგომ ჭანები (ხალიბები), ცხოვრობდნენ, ამიტომაც გ. გოზალიშვილი მათ აიგივებს.

სტრაბონი კაპადოკიის ნაწილს - მოსხიკეს უწოდებს. ასევე იოსებ ფლავიუსი, რომელიც წერს - „მესხები ახლა კაპადოკიელებად იწოდებიან“ (იქვე, გვ. 175). კაპადოკიაში ხეთების შემდეგ ხედვენ ტიბარენებს და მოსხებს, აქვე იყვნენ ეს

ტომები IX-VII სს-ში. მუშკები მელეტინამდე და ტიგროსამდე ცხოვრობდნენ. ასევე მდ. ევფრატის სათავეებამდე ტაბალების მეზობლად. ტიბარენები სტრაბონის დროს მდ. ჰალისამდე ცხოვრობდნენ. კაპადოკიელი იყო წმ. ნინო და ასევე წმ. გიორგი.

იბერები. მოსხების, ხალიბებისა და იბერების განსახლების არეალი ერთმანეთს ფარავდა. პონტოსპირეთისა ტრაბზონ-ვანისტბის პირეთის არეალი თუ ერთი ავტორის მიერ ხალიბებითაა დასახლებული, მეორე ავტორი აქ მოსხებს ხედავს, მესამე ავტორი - იბერებს. მაგალითად **პლუტარქე** თავის „პომპეუსის“ ბიოგრაფიაში წერდა - **„კავკასიონის ქედის გარშემო მცხოვრებ ტომთა შორის ყველაზე უფრო უდიდესნი ალბანელები და იბერები არიან. იბერთა ტომი მოსხურ მთებამდე და პონტომდე აღწევს. ამ ტომების გავლით გაემართა პომპეუსი სომხეთიდან მითრიდატეს წინააღმდეგ“** (პლუტარქე, პომპეუსი, გვ. 34).

თუ იბერთა ტომი პონტომდე აღწევდა, მაშინ მოსხური მთებიც იბერებით ყოფილა დასახლებული, რადგანაც ჯერ მოსხური მთებია, შემდეგ კი პონტოსპირეთი.

გელასი კესარიელი მიუთითებს, რომ პონტოსპირეთი - იბერებით და ლაზებით იყო დასახლებული - ის წერს ტყვე ქალის (წმ. ნინოს) **„ხანაში ღმერთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა“** (ს. ყაუხჩიშვილი, მიმომხილველი, 1926, №1, გვ. 55).

რომაელი მწერალი **რუფინუს**ი კიდევ უფრო აზუსტებს და იძლევა ცნობას, რომ იბერები პონტოს გასვწრივ მცხოვრები ტომი იყო, ის წერს - **„იბერთა ნათესავი, რომელიც პონტოს არეში ბინადრობს“** (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, I, 1951, გვ. 205).

გ. გოზალიშვილი მიიჩნევს, რომ რადგან იბერები იგივე ტაბალები არიან, მათი ცხოვრება და განვრცობა პონტოს ზღვამდე ბუნებრივი იყო. ამას მიუითებდნენ კიდევ სხვადასხვა წყაროები - საეკლესიო მწერალი **სოკრატე**ც იმავეს წერს - **„ეს იბერნი პონტოს ზღვასთან ბინადრობენ“** (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1965, გვ. 182).

გ. გოზალიშვილი წერს, რომ ბერძნულ-რომაულ მწერლობაში არსებობდა ტერმინი - **„პონტოს იბერია“** (იქვე, გვ. 182, კ. გრიგოლია - იბერიის სამეფონი, „მოამბე“, 1961, №3, გვ. 330).

„პონტოს იბერიის“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ქართული წყაროების „არიან-ქართლი“.

როგორც აღინიშნა **პლუტარქეს ცნობით იბერთა ტომი ზღვის სანაპირომდე ვრცელდებოდა, ხოლო გელასის ცნობით პონტოში იბერები და ლაზები ცხოვრობდნენ. ეს ბუნებრივია, რადგანაც მათ ერთი საერთო წინაპარი - ხალიბები (ქალდები) ჰყავდათ, ხოლო მესხები, კოლხურ ტომად მიიჩნეოდა,ამიტომ ისიც იმავე წარმოშობისა იყო. ამიტომაც წერდა რუფინუსი რომ იბერები „პონტოს არეში“ ბინადრობენ, ხოლო სოკრატე - „იბერები პონტოს ზღვასთან ბინადრობენ“ (იქვე, გვ. 183). ევაგრე პონტოელიც (341-399) ამიტომ იყო ეთნიკურად იბერი - თვით ბერძნული წყაროების ცნობით.**

ხალიბები და მუშკები (ლაზებისა და იბერების წინაპრები) ურარტული წყაროებითაც ერთად ცხოვრობდნენ. ძვ. წ. VII ს. ურარტუს მეფის რუსა II-ის წარწერაში ნათქვამია, რომ მუშკების ჩრდილოეთით ხალიტუს (ხალიბების) ქვეყანა მდებარე-

ობდა (იქვე, გვ. 190), ხოლო მეშეხი და თუბალი წმ. ბიბლიაშიც ერთად იხსენიებიან (თუბალები იგივე იბერები არიან იოსებ ფლავიუსის ცნობით).

ეს ტომები ყველა წყაროს ცნობით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიიწევდნენ, ამიტომაც ერთმანეთს ფარავდნენ, საბოლოოდ კი „ქართლის სამეფო“ დააარსეს ფარნავაზის ეპოქაში.

წყაროთა მიხედვით ის ტომები, რომელნიც უწინდელ წყაროებში სამხრეთის რაიონების მოსახლეობად ითვლებოდნენ, ახლა ჩრდილოეთით მოჩანან.

ლაზები. ნ. მარი თურქეთში მოგზაურობის შემდეგ წერს - „**ჭანები თავიანთ თავს უწოდებენ ლაზებს**“ (გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 194).

ლაზების საცხოვრისი თვით საქმეში ჩახედული ლაზების სიტყვით ცხოვრობდნენ სინოპიდან და სამსუნიდან ტრაპეზუნტის რეგიონის ჩათვლით. ნ. მარისათვის მის თანმხლებ ლაზს ფავზი-ბეის უთქვამს, რომ „**კონსტანტინოპოლში ლაზებს უწოდებენ შავიზვისპირეთის მცხოვრებთ, სამსუნელებსაც და სინოპელებსაც. სინოპელები ლაზებად მოიხსენიებენ სამსუნელებს, სამსუნელები კი ტრაპეზუნტელებს**“ (იქვე, გვ. 194).

მაშასადამე **მდ. გალისის (ჰალისის) სანაპიროებიდან ტრაპეზუნტის რეგიონის ჩათვლით მოსახლეობა ლაზებად იწოდებოდა**.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, რომ ხალიბები შემდგომში მართლაც ლაზებად იწოდნენ, რადგანაც სწორედ მდ. გალისიდან იწყებოდა ხალიბების საცხოვრისი, ამასთანავე ხალიბების ანუ ქალდების სახელი ეწოდა კიდეც ლაზებით დასახლებულ ოლქს ბიზანტიელთა მიერ, ეს იყო „ქალდეას თემა“, როგორც ცნობილია ამ მიწა-წყალზე ხალიბების გარდა ცხოვრობდნენ სანები და სხვა ქართული ტომები, ჩანს ერთ პერიოდში მოხდა კიდეც ხალიბებისა და სანების (ჭანების) კონსოლიდაცია (ანდა ისინი თავიდანვე ერთი ხალხი იყო) და ამის შედეგად ამ ხალხს დაერქვა ორი სახელი, ის ერთდროულად იყო ლაზიც და ჭანიც. **სახელი ლაზი მიღებულია ხალიბების სახელისაგან „ალაზონი“** (ალიზონი), ხოლო ჭანი „სანების“ ტომის სახელისაგან.

ლაზების ანუ ჭანების საცხოვრისი მდ. გალისიდან (ჰალისიდან) ვრცელდებოდა ტრაპეზუნტისაკენ. ფიქრობენ, რომ ალაზონების (ალიზონების) სახელი მდ. გალისს უკავშირდება თუ ასეა თავდაპირველი სახელი იქნებოდა გალაზონები ან ჰალაზონები. ნ. მარი წერდა ამ ლაზების ანუ იგივე ჭანების საცხოვრისის შესახებ - „**ადრე ჭანური ტომის მოსახლეობას უფრო ფართო ტერიტორია ეჭირა - მდ. ყიზილ ირმაკამდე. ამ მდინარის თავდაპირველი სახელი „ჰალისი“ იხსენება ჭანურიდან და ნიშნავს მდინარეს**“ (იქვე, გვ. 194). მაშასადამე ნ. მარი ფიქრობდა რომ მდ. ჰალისი (გალისი) იყო ქართული სიტყვა „ღელესაგან“ მიღებული სახელი - „ღელისი“ - ღალისი.

გ. გოზალიშვილი მართებულად შენიშნავს - „**დასტურდება ჰომეროსისა და სტრაბონის ცნობები ჰალიზონებისა და ხალიბების შესახებ, რომ ჰალიზონები ზანები-ჭანები იყვნენ**“ (იქვე, გვ. 194).

ამ დასკვნიდან შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ სიტყვა „ზანი“ ერთი ნაწილია ერთიანი სიტყვისა „ალი**ზონ**ი“. და ის („ზანი“) მიღებულია სახელისაგან „ალი**ზონ**ი“ (ალაზონი). ბიზანტიურ სამყაროში ტრაპეზუნტის რეგიონის ერთ ნაწილს - „ლაზონი“ერქვა.

სხვადასხვა წყაროში ლაზები და კოლხები სხვადასხვა ტომად მოიხსენიება, მაგრამ, ჩანს, ის ერთი ხალხი იყო. საერთოდ „კოლხი“ - საზოგადო სახელი უნდა

ყოფილიყო ზღვისპირეთის ქართული ტომებისა, მათ შორის მესხებისაც, რადაგანც ჰეკატოს მილეტელი მესხებს - კოლხურ ტომად მიიჩნევდა - „ჭანების - ლაზების (კოლხების) მოსახლეობა იყო ტრაპეზუნტის ოლქის ძირითადი მოსახლეობა, რომელიც ტრაპეზუნტიდან დასავლეთით შორს ვრცელდებოდა“ (იქვე, გვ. 194).

თვით ბიზანტიის იმპერიის ძლიერების ხანაში - VI ს-ში ჭანები შეჭრილან კაპადოკიაში, კილიკიაში და სირიაში (იოანე გალალას (491-578) ცნობით).

ხალდებისა და ჭანების იგივეობას მოსე ხორენელის ცნობაც ადასტურებს, სადაც ჭანების ქვეყანა მოხსენიებულია, როგორც ჭანიუკი, ხალტი (იქვე, გვ. 195).

ჭანებისა და ხალდების იგივეობაზე წერს გ. მელიქიშვილიც - „სამხრეთის მიმართულებით ანტიკურ დროს ცხოვრობდა ქართული ტომი ხალდი-ხალიბები, როგორც ცნობილია სახელი „ხალდი“ (ქალდი) ორგანულადაა დაკავშირებული დასავლურ ქართულ, კერძოდ ჭანების მოსახლეობასთან. ძველსომხურ წყაროებში ვარიანტების სახით გამოიყენება სახელწოდებები „ხალდი“ და „ჭანი“ (იქვე, გვ. 196).

როგორც ითქვა ჭანები თავიანთ თავს ლაზებს უწოდებდნენ. მეომარი ჭანების ქვეყნის დამორჩილება მხოლოდ იუსტინიანეს დროს ბიზანტიის იმპერიამ VI ს-ში. იქამდე ეს ტომი - სრულიად დამოუკიდებელი იყო. 535 წელს გამოცემულ თავის ნოველაში იუსტინიანე სიამაყით აცხადებდა, რომ ჭანების დამორჩილება ღმერთმა რომაელებს მხოლოდ მის მეფობაში მიანიჭა (იქვე, გვ. 195).

ჭანები გ. გოზალიშვილის ცნობით ცხოვრობდნენ ტრაპიზონის დასავლეთით და არა აღმოსავლეთით, ის წერს - „ჭანური მოსახლეობა ტრაპიზონის დასავლეთით შორს იყო მოფენილი“ (იქვე, გვ. 195), თუმცა ივ. ჯავახიშვილის სიტყვით ტრაპიზონი თავისი ოლქით „ლაზების ანუ ჭანების“ მოსახლეობით იყო დასახლებული (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1965, გვ. 125).

მნიშვნელოვანია გ. მელიქიშვილის მტკიცება, რომ ხალდების სახელი ჭანურ მოსახლეობასთანაა დაკავშირებული, ძველსომხურ წყაროებში ვარიანტების სახით გამოიყენება დასახელებები - „ხალდი“ და „ჭანი“.

ჭანები, იგივე ლაზები, იგივე ხალდები ანუ ხალიბები ყოფილან თავიანთი წარმომავლობით, ცნობილია, რომ **წყაროთა მითითებებით ხალიბების ძირითადი განსახლების არეალი სამხრეთით - ტრაპიზონის რეგიონში მდებარეობდა, ამიტომაც, აქედან გამომდინარე, უმართებულოდ ჩანს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მიღებული დასკვნა, რომ ლაზების თავდაპირველი საცხოვრისი იყო დასავლეთ საქართველო, საიდანაც ისინი ტრაპიზონისაკენ გადასახლდნენ არაბობის ეპოქაში VII-VIII საუკუნეებში.**

გ. მელიქიშვილი, ისევე, როგორც ამ საკითხის მრავალი უცხოელი მკვლევარი წერს - „როგორც ცნობილია, **ხალდების სახელი ორგანულად უკავშირდება დასავლურ-ქართულ, კერძოდ კი ჭანურ მოსახლეობას, ძველსომხურ წყაროებში ვარიანტების სახით გამოიყენება დასახელება - ხალდი და ჭანი**“ (იქვე, გვ. 196). მათი ისტორიაც საცხოვრებელ ადგილზე ბიზანტიელებმა შექმნეს თემა ქალდია (ხალდია) VIII ს. დამლევს (იქვე, გვ. 196).

მაშასადამე **თემა ხალდეა შექმნეს არა დასავლეთ საქართველოდან არაბთა ეპოქაში გადმოსახლებულმა ლაზებმა, არამედ, იქ ისტორიულად მკვიდრი**

ხალიბების შთამომავლებმა, რომელნიც ლაზებად ანდა ჭანებად იწოდებოდნენ.

VIII ს-ში შექმნილი თემა ხალდიას ქალაქები ყოფილა ტრაპიზონი, ხერიანი, ერზინჯანი, ბაიბურთი, არგიოკასტრონი (თურქებმა გიუმიშხანე უწოდეს) („ვერცხლის ქალაქი", აქ იყო ვერცხლის მაღაროები), ქალდის ქალაქს ბაიბურთს ნუსხებში პაიპერი ეწოდება (იქვე, გვ. 197). ქართულად ამ თემას ერქვა ქვეყანა ხალდიისა (ქალდიისა).

ნ. ადონცი მტკიცედ დგას იმ პოზიციაზე, რომ ჭანები ძველ დროს იწოდებოდნენ ხალდების (ქალდების) სახელით, ის წერს - „ჭანები ძველ დროს ხალდებად იწოდებოდნენ. მათ გარდა იქ მრავალი ტომი ხოვრობდა. ჭანების VI ს-ში გაძლიერების გამო ამ ქვეყანას ჭანიკა უწოდეს" (იქვე, გვ. 198).

ივ. ჯავახიშვილის თქმით **„ყველა ქართველი ტომების სამშობლო... ქალდია იყო"** (ქართ. ერის ისტ. 1951, ტ. I, გვ. 424).

ივ. ჯავახიშვილის ეს თვალსაზრისი ძალზე მნიშვნელოვანია. **თუ ქალდეა ანუ ხალიბების ქვეყანა იყო ყველა ქართული ტომის სამშობლო (ე. ი. სვანების, მეგრელ-ჭანების, ქართლ-კახელ-იმერელ-მესხებისა და სხვა), მაშინ ყველა ქართული ტომი ხალიბური წარმოშობისა ყოფილა. ანუ ხალიბები დვრიტა და საფუძველია საიდანაც ყველა ქართული ტომი წარმოშობილა.**

გ. გოზალიშვილი ეხება ქალდეას თემში მცხოვრებ ადგილობრივი წარმოშობის დიდებულებს, რომელნიც აქ საუკუნეთა მანძილზე ლიდერობდნენ და უმაღლეს სამოხელეო თანამდებობებს ფლობდნენ, სამწუხაროდ, მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა იყო გაჩაღებული და ერთმანეთს ანადგურებდნენ.

ესენი ყოფილან შემდეგი საგვარეულოები - სქოლარია, მიზიმატი, კავასიტი, ჭანიხიტი, კომახიტი (გ. გოზალიშვილის აზრით ამ გვარებში შეიძლება ამოვიცნოთ ცნობილი ქართული საგვარეულოები - სხულარია (სქოლარია), კავსაძე (კავასიტი), ჭანიშვილი (ჭანიხიტი), კომახიძე (კომახიტი) და სხვ.

„თვითეულ ამ საგვარეულოს ძველ ხალდიაში თვალსაჩინო ადგილი და როლი განეკუთვნებოდა - მაგალითად, **კავასიტების საგვარეულოს ეკუთვნოდა შემდგომი გიუმიშხანე და ხალდიის სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები, კავასიტების ხელში ყოფილა ტრაპიზონიდან არზრუმის მიმართულებით მდებარე მიწაწყლის ოლქი, რომელზეც საერთაშორისო გზა გადიოდა.** ამიტომაც კავსას ნახევრადდამოუკიდებელი საგვარეულო ხალდიის ისტორიაში თვალსაჩინო როლს თამაშობდა. მისი წარმომადგენლები ყოფილან ხალდიის დუკად, ჰქონიათ დიდი დომესტიკისა და დიდი ლოგოთეტის წოდებები, საერთოდ, უსპენსკის სიტყვით, ხალდიის დიდი დუკა წარმოადგენდა სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორს, მაგრამ რეალურად ქალდიის პირობებიდან გამომდინარე (გეოგრაფიული გარემო, მუდმივი ომიანობა) მას გაცილებით მეტი გავლენა ჰქონდა საიმპერატორო კარზე (იქვე, გვ. 200).

ასევე დიდი გავლენა ჰქონდა **ჭანიხიტების საგვარეულოს, მათ ეკუთვნოდათ ქალდიის ციხე-სიმაგრე ჭანიხი (ჭანკა) და მაცუკა (მაჭუკა).** ჰქონდათ იმპერიის დიდი მეჯინიბეთუხუცესის წოდება.

ასეთივე მნიშვნელობის იყო გაბრათა (გაბარაშვილთა) საგვარეულო.

ხალდიის ცნობილი ციხე-სიმაგრე **კამახა (კომახა) იყო კომახიტების საგვარეულოს ხელში. კომახას ციხეს ზოგჯერ კემახასაც** უწოდებდნენ. გამაჰმადიანების შემდეგაც ქალდიაში ჭანურ საგვარეულოებს დიდი ძალაუფლება დარჩათ (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1965,გვ. 200).

გ. გოზალიშვილი მიიჩნევს, რომ **ქალდიის თემში შედიოდნენ პაიპერტი (ბაიბერთი), გაძიურა, კოლონია, აზრუმი და მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი ლაზები ანუ ჭანები იყვნენ** (იქვე, გვ. 201). რამდენიც მუდამ იბრძოდნენ თავისუფლებისათვის.

გ. გოზალიშვილი, არ ეთანხმება თეორიას ლაზების რიონის ხეობიდან ქალდეაში გადასახლების შესახებ, ამიტომაც წერს - „ლაზურ-ჭანური აქ იმთავითვე სუფევდა, რომ ხალიბები, ტიბარენნი, მოსვინიკები, დრილები და სვანები სწორედ ლაზურ-ჭანურს ლაპარაკობდნენ, რომ ყველანი ისინი ქართულ ეროვნებას ეკუთვნოდნენ“ (იქვე, გვ. 203). ამ კუთხით ძალზე მნიშვნელოვანია გ. გოზალიშვილის დასკვნა (რითაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ლაზები ქალდეაში არ გადმოსახლებულან რიონის ხეობიდან VIII-IX საუკუნეებში, ის წერს **„VIII-XI საუკუნეებში არა ჩანს, რომ ამ მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მომხდარიყოს, პირიქით, ამ ქვეყნის მიერ სახელწოდება ხალდიის შენარჩუნება მიუთითებს იქაური ეთნიკური ელემენტის სტატიკურობაზე**“ (იქვე, გვ. 203).

ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამტკიცებს შემდეგი ფრაზა - **„იმ ტერიტორიაზე, სადაც პონტოს სამეფო ივარაუდება, ჭანურ-ლაზური მოსახლეობა უწყვეტად არსებობს“** (იქვე, გვ. 203).

გ. გოზალიშვილი თავისი ვრცელი კვლევის შედეგად საბოლოოდ ასკვნის - „პონტოს სამეფოს მოსახლეობის ძირითად ელემენტს მესხურ-ჭანურ-ლაზური და სხვა ქართველი ტომები შეადგენდნენ, რომ პონტოს სამეფო იყო ქართველ ტომთა სახელმწიფოებრივი გაერთიანება“ (იქვე, გვ. 203).

მაშასადამე მისი მტკიცე თვალსაზრისით **ლაზები ტრაპეზუნტის ოლქში გადმოსახლდნენ არა VIII-IX საუკუნეებში, რიონის ხეობიდან, როგორც მიიჩნევს საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფია, არამედ იქაურნი მკვიდრნი იყვნენ უხსოვარი დროიდანვე - ისინი ლაზებად იწოდებოდნენ და ძირითადად გამაჰმადიანდნენ, ხოლო ლაზი ქრისტიანები ბერძნულ თემს შეეკედლნენ - ბერძნებად იქცნენ**.

ეს ლაზები იგივე ხალდები იყვნენ. ამიტომაც, გოზალიშვილის აზრით, მაგალითად 1370-90 წლებში დაწერილ წმ. ევგენიოსის ცხოვრებაში, რომელიც 1200 წლის ამბებს ეხება ტრაპიზონის დუკას „იოანე ხალდი“ ეწოდება (იქვე, გვ. 206) იმ ხალხის სახლის მიხედვით, რომელიც იქ ცხოვრობდა, რადგანაც ტრაპიზონის სახელმწიფოს ძირითადი მოსახლეობა ლაზები იყვნენ მის იმპერატორებს „კოლხთა მეფეებს“ უწოდებდნენ (იქვე, გვ. 207).

აღსანიშნავია, რომ **„ადგილობრივი მოსახლეობა „საქართველოს“ უწოდებდა მდ. ხარტუშის სანაპიროს ტერიტორიას**“.

ერიცოვის ცნობით - **„მდ. კისგიმის მარცხენა სანაპირო ცნობილია გიურჯისტანის სახელით, აქაა ხამშინი**“ (იქვე, გვ. 208). ხოლო ადონცის თქმით - „ჭანები ცხოვრობდნენ მდ. ხარტუშის აღმოსავლეთით - არდასისა და გიუმიშხანეს საზღვრებიდან დაწყებული თვით ხემშინამდე, ეკავათ რა ამგვარად მთელი პარხარის ზეგანი“ (იქვე, გვ. 208).

საერთოდ კი ჭანურ-ლაზური მოსახლეობა „ტრაპიზონისა და მისი ოლქის ძირითად მასას შეადგენდა იმთავითვე და თვით XX საუკუნემდე“ (იქვე, გვ. 202).

ისინი ძირითადად ასიმილირდნენ ბერძნებსა და თურქებში (გვ. 202).

ივ. ჯავახიშვილიც არ ეთანხმებოდა რიონის ხეობიდან ლაზების ტრაბზონისაკენ გადასახლების თეორიას, ის ამასთან დაკავშირებით წერს - **„ქართველებს არ შეეძლოთ ტრაბზონ-სამსუნის მხარეებში „თავიანთი ენა-კავები რაიმე გზით გაევრცელებინათ“, რადგანაც ქართველებს (ქართულ სახელმწიფოს) „აქ არასოდეს უბატონია, თამარ მეფის ლაშქრობის გარდა“, ის დაასკვნის - „აქ ლაზურ-ჭანური ლაპარაკი ეხლაც ისმის, ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი და მომასწავებელი საბუთია, რომ ლაზურ-ჭანური იქ იმთავითვე სუფევდა, რომ ხალიბები, ტიბარენები, მოსვინიკები, დრილები და სვანები სწორედ ლაზურ-ჭანურს ლაპარაკობდნენ, რომ ყველანი ისინი ქართულ ეროვნებას ეკუთვნოდნენ“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 415, 1951, იქვე, გვ. 203).**

ძალზე მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის დასკვნა, რომლიდანაც ჩანს, რომ ლაზები არაბობის შემდეგ არ გადასახლებულა ტრაბზონის რეგიონებისაკენ. საქმე ისაა, რომ უცხოურ გამოცემებშიც გამოჩნდა თვალსაზრისი, თითქოსდა ლაზები ტრაპიზონისკენ გადასახლდნენ არაბობის ეპოქაში და იქამდე რიონის ხეობაში იყო მათი საცხოვრისი და ე. წ. „ლაზიკის საეპისკოპოსოებიც“. ამიტომაც მაგალითად როდოპოლისად მიიჩნევენ ვარციხეს და სხვა. ეს მოსაზრება მათ საბჭოთა ისტორიოგრაფიის მსგავსი დასკვნების შედეგად გაუჩნდათ.

გ. გოზალიშვილი წერს - **„უძველესი დროიდან მოკიდებული პირველწყაროები ერთხმად ადასტურებენ პონტოს სამეფოს არეალში ჭანურ-ლაზური და საერთოდ, ქართულ ტომთა უწყვეტ არსებობას“** (იქვე, გვ. 203).

გვ. 204. თურქეთში ინგლისის კონსული პალჰერი თავის მთავრობას ატყობინებდა, რომ ტრაპიზონის ვილაიეთში ყიზილ-ირმაკიდან (ძველი მდ. ჰალისიდან) პუნქტ „შეკვეთილამდე“ ორ მილიონამდე ადამიანი ცხოვრობდა. თვითონ ტრაპიზონის ვილაიეთი იყოფოდა ოთხ სანჯაყად (ოლქად) - 1. **ლაზისტანი**; 2. **ტრაპზონის ოლქი**; 3. **ჭანიკი; 4. გიუმიშხანე**. აღსანიშნავია, რომ VII საუკუნის სომხური გეოგრაფიულ სამხრეთ ეგრისს (ეგრს), ასევე ოთხ ოლქად ყოფდა, თითქმის იმავე სახელწოდებით (**ლაზივი, ჭანიკა, ეგერი, მანრალი**). სამხრეთ ეგრისის საზღვრები თითქმის ეთანადებოდა XIX ს-ის ტრაბზონის ვილაიეთის საზღვრებს.

ძველი ხალიბების ეს ვრცელი ქვეყანა ძირითადად ლაზებით (ჭანებით) იყო დასახლებული, მაგრამ მათ არ გააჩნდათ თავიანთი ნაციონალური იდენტიფიცირების უნარი, არ ჰქონდათ ეროვნული თვითშემეცნება (თუმცა ტომობრივ დონეზე ნაწილობრივ გააჩნდათ), ამიტომაც ისინი რელიგიური ნიშნის მიხედვით აკუთვნებდნენ თავიანთ თავს სხვადასხვა ეროვნებას, კერძოდ მაჰმადიანი ლაზები - თურქებად იწოდებოდნენ, ქრისტიანი ლაზები კი ბერძნებად, იყვნენ ასევე არმენიზირებული ლაზებიც (გიუმიშხანელები) სომხური ეკლესიის მრევლი თავდაპირველად, შემდეგ კი გამაჰმადიანებულები.

უცხოელი მეცნიერის ე. მაიერის დასკვნით ლაზები იყვნენ შთამომავალნი ხალიბებისა - **„ხალიბების შთამომავალნი რომაულ ხანაში ჭანებად და ლაზებად იწოდებიან“ (Ed. Meyer, Gesch. d.Altertums. Zweiter Band. Stuttgart. 1893,** გვ. 293, იხ. იქვე, გვ. 226).

იმავე თვალსაზრისს,როგორც ითქვა, იზიარებდა ი. დიაკონოვი (იქვე, გვ. 226). ის ემხრობოდა თვალსაზრისს, რომ ხალიბები ლაზების წინაპრები იყვნენ და ასევე ავითარებდა აზრს, რომ ამიერკავკასიის ხალხებს ახლო აღმოსავლეთის ხალხებთან გენეტიკური კავშირი გააჩნიათ (იქვე, გვ. 226).

მაშასადამე გამოჩენილი **უცხოელი მეცნიერები ე. მაიერი, ი. დიაკონოვი და პიოტროვსკი მიიჩნევდნენ, რომ ლაზები ხალიბების პირდაპირი მემკვიდრეები იყვნენ. ამასთანავე ივ. ჯავახიშვილი, გოზალიშვილი და სხვანი არ მიიჩნევდნენ, რომ ლაზები ტრაპეზუნტ-პონტოს რეგიონში გადმოსახლდნენ რიონის ხეობიდან (დასავლეთ საქართველოდან) არაბთა შემოსევების შემდეგ - VII-VIII საუკუნეებში.**

აქედან გამომდინარე, რადგანაც ლაზები იყვნენ ხალიბების პირდაპირი მემკვიდრეები, მათ (ლაზებს) ეჭირათ კიდევაც ის ტერიტორიები, რომელნიც იქამდე ხალიბებით იყო დასახლებული, ესაა ტერიტორია მდ. ჰალისიდან (ყიზილ-ირმაკიდან) ჭოროხის ხეობის ჩათვლით ვიდრე არზრუმამდე. ამიტომაც კერასუნტები ტრაპეზუნტელებს უწოდებდნენ ლაზებს, ტრაპეზუნტელები არზრუმელებს და საერთოდ კი სტამბოლელები ლაზებს მთელ მოსახლეობას უწოდებდნენ ყიზილ-ირმაკიდან ბათუმამდე.

საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ სტრაბონი ხალდებს ასევე უწოდებს „ალაზონებს“.

ქსენეფონტეს ცნობით ქალდები ყველაზე სახელგანთქმული მეომარი ხალხი იყო მრავალ ტომთა შორის, ასეთივე ყოფილან ქალდების ქალებიც, „ამაზონები“, მათი მეომრული თვისებები ცნობილი იყო ძველ სამყაროში. ქალდების ამ ძველი ბინადრობის აღმნიშვნელი უნდა იყოს ამჟამადაც კი იქ შემორჩენილი სახელი ქალაქისა-ალაზიგი.

ქალდების სახელწოდება „ალაზონიდან“ უნდა იყოს წარმომდგარი სატომო სახელი -„ლაზონი“, „ლაზი“.

მიიჩნევა, რომ ქალდები ჭოროხის ხეობაშიც ცხოვრობდნენ ქსენეფონტეს დროს. სტრაბონი მათ საცხოვრის ტრაპეზუნტის მთიანეთში ასახელებს, ამიტომაც საფიქრებელია,რომ ლაზები,არა VII საუკუნეში გადასახლდნენ დასავლეთ საქართველოდან ტრაპეზუნტისაკენ, არამედ ისინი იქაური მკვიდრი ქალდებია, რომელნიც სტრაბონის დროს უკვე ცხოვრობდნენ ტრაპეზუნტის სამხრეთ მთიანეთში – არგიოპოლის-ზიგანას რეგიონში.

არიანეს (II ს.) მიერ მოხმობილი ეთნო-ტოპონიმი „ძველი ლაზიკე“ მიიჩნევა, რომ არის „გვიანდელი ნიკოფსი“, რომელიც ლოკალიზდება სოფ. ნოვომიხაილოვსკაიასთან, ტუაფსეს ჩრდილო დასავლეთით. დ. მუსხელიშვილი წერს- ეჭვი არ არის „ძველი ლაზიკე“ - ლაზების პირველსაცხოვრისი, კოლხების სამეფოს ეთნიკურ საზღვარზე მიუთითებს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. ეს ეთნოტოპონიმი ძვ. წ. I საუკუნეზე ძველი უნდა იყოს“ („ანალები“, 2001, 1, გვ. 18).

როგორც ცნობილია არიანეს თხზულება ნაყალბევად მიიჩნევა, შემდეგ ეპოქებში შეთხზულად, მიუხედავად ამისა არიანეს მიერ მოხმობილი **„ძველი ლაზიკა“ უნდა გულისხმობდეს კოლხების საცხოვრისის საზღვარსარა ტუაფსეს, არამედ კოლხების საცხოვრისის შემდგომი თეოდოსიოპოლისის მიმართულებით, ამიტომაც „ძველი ლაზიკე“ უნდა იყოს შემდგომი ზეგანაგიუმუშხანეს რეგიონი, ანუ ხალდების (ქალდების) ისტორიული საცხოვრისი. აქედან ჭოროხის ხეობის ჩათვლით - ხალდების აქტიურობა**

უფრო თვალსაჩინო ყოფილა ძვ. წ. I ათასწლეულში, რაც იქ (ჭოროხის ხეობაში) ჩამოყალიბდა კოლხას სამეფოს ცენტრი.

ალაზონები და გეორგები

სტრაბონის ცნობით ალაზონების ტომი ცხოვრობდა როგორც შავი ზღვის როგორც სამხრეთ,ისე ჩრდილო სანაპიროზე.

ალაზონების ტომის ერთერთი საცხოვრისი მდებარეობდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე - სინოპსა და ტრაპეზუნტს შორის.

სტრაბონი ალაზონებს ხალიბების (ხალდების) ტომის წინაპრებად მიიჩნევდა. ხალდები ანუ ქალდეველები, შემდგომ ჭანებად იწოდნენ, ხოლო ქალდეა - ქართველთა ყველა ტომის საერთო სამშობლოდ იქნა მიჩნეული.

ქართველებს უცხოელები გეორგებს ან გურჯებსაც უწოდებდნენ. გეორგების ტომი ძველი წყაროების ცნობებით, ცხოვრობდა ასევე ჩრდილო კავკასიაში.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ სტრაბონის ცნობით სახელი „გეორგი“ და ასევე **„ალაზონების“ სახელი ერქვა ყირიმიდან შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მცხოვრებ ტომებსაც**.

მაშასადამე - შავი ზღვის ორივე სანაპიროზე, ერთმანეთის პირისპირ ტერიტორიებზე - როგორც ყირიმის მხარეში, ასევე მის მოპირდაპირე სინოპ-ტრაპეზუნტის მხარეში ცხოვრობდნენ „ალაზონები“ და ასევე „გეორგები“. ისინი ორივე ამ ტერიტორიაზე, ერთიმეორის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ.

ყირიმის მიმდებარე მხარეში მცხოვრები ხალხის „გეორგების“ შესახებ სტრაბონი წერს -

„Народность херсонесцев называлась „Георгами“ в буквальном смисле этого слова, потому, что скифские племя, живушее над ними, было кочевым“ (Страбон, География, книга VII, 4,6).

(Страбон, География, изд. „Наука“ , Л. 1964, стр. 284).

ე. ი. „ხერსონელთა ხალხი იწოდებოდა გეორგებად, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, რადგანაც სკვითური ტომი, მათ მაღლა მცხოვრები, იყო მომთაბარე“ (სტრ. VII, 4,6).

სიტყვა გეორგი - მიწის მუშას ნიშნავს. ე. ი. ხერსონების გეორგების ტომი მიწათმოქმედი იყო და ამიტომ ეწოდა ეს სახელი, რასაც არ ვეთანხმებით, რადგანაც მომთაბარეთა გვერდით ვრცელ ტერიტორიებზე, მრავალი მიწათმოქმედი ხალხი ცხოვრობდა და მათ „გეორგები“ არ ერქვათ, მით უმეტეს, რომ სხვა ანტიკური ავტორები გეორგების ტომს ჩრდილო კავკასიაშიც ათავსებდნენ, თუ არას ვიტყვით ქართველებზე, ასევე გეორგებად წოდებულებზე.

სახელი „გეორგი“ ეთნიკური თვითსახელწოდება იყო.

ყირიმში გეორგების გვერდით ცხოვრობდა ასევე ალაზონების ტომი - სტრაბონი წერს - „...Называя скифов, Что живут над Борисфеном – „алазонами“ (Страбон, География, XI, 3, 21) Страбон, География, издательство „Наука“ , Ленинград, 1964, стр. 516).

გეორგები და ალაზონები შავი ზღვის ორივე სანაპიროზე ცხოვრობდნენ - ერთმანეთის პირისპირ.

მაშასადამე „გეორგების“ ტომები ცხოვრობდნენ 1) ყირიმთან, 2) ჩრდილო კავკასიაში და 3) სამხრეთ კავკასიაში, ხოლო „ალაზონები“ ცხოვრობდნენ 1) პონტო-

ტრაპეზუნტის მხარეში და 2) ასევე ჩრდილო კავკასიაში.

როგორც გეორგები, ისე ალაზონები ქართველების წინაპრები არიან, კერძოდ ალაზონები ერქვათ სტრაბონის ცნობით ხალიბებს ანუ ხალდებს, ეს უკანასკნელი (ხალდები) იგივე ქალდები არიან, ქალდეა (ქალდუ) - ქართველთა საერთო პირველ სამშობლოდ, მიიჩნევა, საიდანაც ქართველთა ყველა ჯგუფი წარმოიშვა. სახელი გეორგები კი საერთოდ ქართველებთანაა დაკავშირებული. ამიტომაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ, **რადგანაც ზღვის ორივე ერთმანეთის მოპირისპირე სანაპიროზე ცხოვრობდნენ ეს ტომები, ისინი იყვნენ ერთი ხალხი და ამ ხალხით იყო დასახლებული კავკასიის ორივე მხარე, მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები - ეს ხალხი იყო ქართველები**.

ლაზების ტომი

ლაზები, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი ეწოდათ ტრაპეზუნტის რეგიონში ქალდეას თემის მცხოვრებთ.

ფიქრობენ, რომ თავდაპირველად ლაზები ერქვათ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში მცხოვრებ ტომებს, რომელნიც არაბთა შემოსევების გამო თითქოსდა გადასახლდნენ დასავლეთ საქართველოდან ტრაპეზუნტის ოლქში დასახლდნენ იქ და ამიტომ აღმოჩნდა ქალდეას თემი ლაზებით დასახლებული.

ვფიქრობ, რომ ეს უკვე მოძველებული თვალსაზრისია.

ჩემი კვლევით, ლაზები იმთავითვე ერქვათ ქალდებს, რადგანაც სტრაბონი მათ ალაზონებს უწოდებს.

სტრაბონის გეოგრაფიაში, შეიძლება ითქვას ერთერთი ყველაზე რთული კვლევა ეხება ქალდების ძველი სახელწოდების ძიებას- ის წერს, რომ ქალდების ანუ ხალდების წინაპრები მდ. ჰალასის (ყიზილ-ირმაკის) სანაპიროებიდან ლაშქრით მივიდნენ ტროელების დასახმარებლად. ამ ხალხსო წერს სტრაბონი ზოგი ალაზონებს უწოდებს, ზოგი კი ალიზონებს, რადგანაც მათ ძველ ქვეყანას „ალიბე“ ერქვაო.

ამ საკითხს სტრაბონი ძალზე ვრცელ მსჯელობას უძღვნის, მაშასადამე ქალდების (ხალიბების) ძველი სახელი იყო აგრეთვე „ალაზონები“ (ალაძონები), სიტყვა „ალაზონი“ ნაწარმოებია „ალაზ“ ანუ „ლაზ“ სახელისაგან. ამ სახელს უკვალოდ არ ჩაუვლია და მისგანაა ნაწარმოები უთვალავი ტოპონიმი მცირე აზიაში, სადაც კი ქალდებს ოდესმე უცხოვრიათ.

ქალდები ძლიერი და მეომარი ხალხი იყო, მათ, ქსენეფონტეს ცნობით, გავლენა ჰქონდათ ფასიანებზე (ფასიანები რეალურად მათ გამგებლობაში იყვნენ, თუმცა კი ფორმალურად (სახელმწიფოებრივად) მათი გამგებლობა დასავლეთ არმენიის სარდალს ტირიბაზს ევალებოდა. ფასიანები ვრცელ მიწა-წყალზე ცხოვრობნენ არაქსის ხეობაში - შემდგომი არზრუმიდან - ვალაშკერტამდე და უფრო ვრცლად). ქსენოფონტეს ცნობით ფასიანების სამხრეთ მიწა-წყალზე ანუ არმენიელთა და ფასიანთა სასაზღვრო ზოლში მდებარე სომხურ სოფლებს ხალდები დაუნდობლად არბევდნენ. ამის მიზეზად ქსენეფონტეს მიაჩნია, ის რომ ქალდები ღარიბი მთიელი ხალხი იყო, რადგანაც სახნავ-სათესი მიწები არ ჰქონდათ, უფრო კი, ჩანს, ხალდებს თავიანთ თვისტომად მიაჩნდათ ფასიანები და ცდილობდნენ მათ დაცვას არმენიელებისაგან. საბოლოოდ ფასიანებისა და ქალდების ზედა ფენა იძულებული გახდა უფრო ჩრდილოეთით გადაესახლებინა თავიანთი ხალხ-

ის ერთი ნაწილი არმენიელების შემოსევების გამო.

ხალიბ-ხალდებმა მათ ამ მიწა-წყალზე დატოვეს თავიანთი ტოპონიმები. ასეთებია - არზე, ალაზიგი, არზინჯანი, არზრუმი, არზეს მთები და სხვა მრავალი, რომელნიც ამ ნაშრომში ბევრგანაა მოყვანილი. ჩვენი მიგვაჩნია, რომ „ლაზ“ და „არზ“ - ერთი ეტიმოლოგიისაა.

ვფიქრობ, რომ „ალზ“-ის ცნობილი ქვეყანა ალზებით (შეადარე სტრაბონის ალიბე!) იქვე ლაზებით ანუ ხალიბ-ქალდეველებით იყო დასახლებული. ის ქარდუხების ქვეყნის გვერდით მდებარეობდა. კარდუხები და ქალდები კი როგორც ეტიმოლოგიაც უჩვენებს - ორივენი ის ქართული ტომებია, რომელთაც შემდეგ „არიან-ქართლის“ სამეფოს დაუდეს საფუძველი.

ალზ - ლაზ - ალაზ - ალაზონი
ალზ - არზ - არზე

ლაზი - ალაზონი

ლაზიკა - ლაზების ქვეყნის სომხური სახელწოდებაა (როგორც კორჩაიკა), ბერძნები მას ლაზონს უწოდებდნენ.

ამ ქვეყნის და მისი ხალხის სახელების (ლაზონი, ლაზი) ეტიმოლოგიური ძიებისათვის, ვფიქრობ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა სტრაბონის გეოგრაფიაში. ის ქალდების ტომს უწოდებს ალაზონებს და ასევე ალიზონებს. ამასთანავე თავისი გეოგრაფიის XII წიგნის მესამე თავში ვრცლად მსჯელობს თავისი ამ ცნობის დასამტკიცებლად, ამ საკითხზე პოლემიკას უმართავს მრავალ ძველ ცნობილ ავტორს და საბოლოოდ ასკვნის რომ მის დროს მცხოვრები ქალდების ძველი სახელია ხალიბები, იგივე ალიბები და, რომ, საერთოდ ჰომეროსის დროს ალიბე ერქვა ქვეყანას თემისკარასთან. ალიბეს ხალხს კი ერქვა - ალიზონები ან ალაზონები. ამ სახელისაგან წარმოდგება სიტყვა ამაზონები.

საბოლოოდ სტრაბონი იღებს ქალდების სახელს - ალაზონებს და წერს - „ზოგნი წერენ ალაზონებს, ზოგნი – ამაზონებს, ადგილ „ალიბედან“ (სტრ. XII, 3, 21) ან „შორიდან ხალიბედან“ (XII, 3, 23).

სტრაბონი წერს - **„ეხლანდელი ქალდები, ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ, ამათ შორის მდებარეობს ფარნაკია. მისი შემოსავალია თევზ პელამიდების ჭერა და ასევე მიწიდან ლითონების (ახლა რკინის, ძველად ვერცხლის) ამოღება. საერთოდ ამ ადგილებში სანაპირო მეტისმეტად ვიწროა, რადგან იქვე, ზემოთ აღმართულია ლითონებით სავსე, ტყიანი მთები“ (XII, 3, 19) „ამ ადამიანებს უწინ ერქვათ ალიბები ხალიბების ნაცვლად... ჰომეროსი ალიძონებს უწოდებს ხალიბებს (XII, 3, 20).**

„ზოგნი წერენ ალაზონებს, ზოგნი კი ამაზონებს“ (XII, 3, 21).

სტრაბონი მიიჩნევს, რომ ცნობილი ამაზონი ქალები ქალდების ტომს ეკუთვნოდა, ის ეტიმოლოგიურად სიტყვებს ქალდებს, ხალიბებს, ალიბეს, ალაზონებს და ამაზონებს ერთმანეთს უკავშირებს, როცა აღწერს ქალდების ტომის საცხოვრისს ტრაპეზუნტთან.

ლაზები და სვანოკოლხები პტოლემაიოსთან

კლავდიოს პტოლემაიოსი (90-168) თავის გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში მოიხსენიებს კოლხეთ-იბერიის ქალაქებს, მთებსა და მდინარეებს.

1. პტოლემაიოსი ახსენებს მდინარე კორაქსს, მის სათავეს, მთა კორაქსს და კორაქსის მთებს.

მდინარე კორაქსი - ახლოა კოლხიდასთან და იბერიასთან, იქედან გადის ალბანიასთან საერთო სასაზღვრო ხაზი.

[აზიის სარმატიის საზღვარი] სამხრეთით - ევქსანის პონტოს ნაწილი მდინარემდე კორაქსი, და აქედან კოლხეთის, იბერიის და ალბანიის [სასაზღვრო] ხაზი გადის კასპიის ზღვამდე" (პტოლემაიოსი, ანტიკური კავკასია, ენიცკლოპედია, I, 2010, გვ. 356,ა).

სად, რომელ რეგიონში უახლოვდებოდნენ ერთმანეთს კოლხიდა, იბერია და ალბანია? კოლხიდა ეწოდებოდა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ მდ.ჭოროხის დასავლეთ სანაპიროს ქვეყანას ტრაპეზუნტამდე. ჭოროხის მთიანეთის რეგიონის იქით იბერია მდებარეობდა და აქედან სხვადასხვა მხარეს გადაჭიმული ქედები ალბანეთამდეც აღწევდა. ვფიქრობ რომ პტოლემაიოსი გულისხმობს კარჩხალ-არსიანის რეგიონს, ეს სხვა მონაცემებიდანაც ჩანს.

ის წერს - „მთა კორაქსი, რომლითაც მთავრდება კოლხეთისა და იბერიის გავლით წამოსული მთები, კავკასიონად წოდებული და ასევე ჰირკანიის ზღვისკენ მიმავალი კავკასიის მთის განშტოება, მასაც კავკასოსი ეწოდება" (იქვე, გვ. 356,ბ),

ვფიქრობ, კორაქსისა და კავკასოსის მთების მოძებნისათვის ჩვენ უნდა ვეძიოთ თუ სად უერთდება ერთმანეთს კოლხეთიდან და იბერიიდან წამოსული მთები კასპიის ზღვისაკენ მიმავალ მთებს. ერთადერთი ასეთი ადგილია კვლავ კარჩხალ-არსიანის მთიანეთი, ჩანს მასზე წერს კიდეც ავტორი „მასაც კავკასოსი ეწოდება". ანუ მცირე კავკასიონშია მთა კორაქსისა, კარჩხალ-არსიანის მთიანეთში. ასეთშემთხვევაში „კორაქსების მთები" მართლაც ახლოა „მითრიდატეს ქვეყანასა" და „ამაზონების" ტბასთან,როგორც წერს ავტორი (პტოლემაოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელი, წიგნი V, თავი VIII, 17-25, იქვე, გვ. 456გ).

შესაბამისად მდინარე კორაქსი უნდა იყოს კარზალ-არსიანის მთიანეთიდან გამომავალი რომელიმე მდინარე, მაგალითად ასეთებია აჭარისწყალი, მაჭახელა, იმერხევი, ლიგნისწყალი და სხვა. ის წერს - „მდინარე კორაქსის სათავე: აქედან გადის კოლხეთზე მიმდებარე საზღვარი" (იქვე, გვ. 356,გ).

მაშასადამე, ჩემი აზრით კორაქსის მთები არის კარზახალ-არსიანის მთიანეთი, სადაც გადიოდა კოლხეთის საზღვარი, ხოლო მდინარე კორაქსი ამ მთებში იღებდა სათავეს.

VII ს. სომხურ გეოგრაფიაში „სარმატია" ეწოდება ასევე დასავლეთ საქართველოს, კლავდიოს პტოლემაიოსთანაც დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი სარმატიის ნაწილად მოიაზრება- „საზღვარი სამხრეთით. ევქსინის პონტოს ნაწილი მდინარემდე კორაქსი და **აქედან კოლხეთის, იბერიის და ალბანიის სასაზღვრო ხაზი გადის ჰირკანიის ანუ კასპიის ზღვამდე"** (ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, 2010, გვ. 356,ა).

ჩემი კვლევით კოლხეთისა და იბერიის საერთო საზღვარი გადიოდა არსიანის ქედზე. მისი ჩრდილო საზღვარი გადიოდა მდ. ჭოროხის შესართავის რეგიონში.

ჭოროხის აღმოსავლეთი სანაპირო უკვე სარმატიად მიიჩნეოდა. ჩანს ამიტომაც წერს პტოლემაიოსი - „კოლხიდა შემოისაზღვრება ჩრდილოეთით სარმატიის ზემოაღნიშნული ნაწილით დასავლეთით კი მდინარე კორაქსიდან მოყოლებული ფასისის უკიდურესი მხარის ნაწილით - ევქსანის პონტოს შემდეგი აღწერილობის შესაბამისად: დიოსკურიასი, მდ. ჰიპოსის შესართავი, მდ. კიანეოსის შესართავი, სიგანეოსი, ნეაპოლისი, აია პოლისი, მდ. ქარიუსტორის შესართავი, მდ. ფაზისის შესართავი ქალაქი ფაზისი“ (იქვე, გვ. 356,დ).

ჩემი კვლევით ქ. დიოსკურია მდებარეობდა დღევანდელ ქალაქ სურმენესთან ახლოს (ტრაპეზუნტსა და რიზეს შუა), ე. ი. მის ჩრდილოეთით ზღვისპირზე იყვნენ მდ. ჰიპოსი, მდ. კიანეოსი, სიგანეოსი, აიაპოლისი, მდ. ფაზისის შესართავი და ქალაქი ფაზისი. მდ. ფაზისი კი მდ. ჭოროხია. აქ გადმოცემულია იმჟამინდელი სახელწოდებები მდინარეებისა და პუნქტებისა თანამედროვე სურმენედან - მდ. ჭოროხის შესართავამდე. ქალაქები დიოსკურია, სიგანეოსი, ნეაპოლისი, აიაპოლისი და ფაზისი პტოლემაიოსის დროს თანამედროვე სურმენედან ვიდრე ჭოროხამდე მდებარეობდნენ.

2. პტოლემაიოსის მიხედვით ქ. ფასისი (ფაზისი) ძალზე ახლოს მდებარეობდა არმენიასთან „ქ. ფასისი, ხოლო სამხრეთით - აქედან მინიშნებული ხაზის გაყოლებაზე და მომდევნო დიდი არმენიის ნაწილი...“ (იქვე გვ. 356,დ).

კოლხეთი „აღმოსავლეთით ესაზღვრება იბერიას, კავკასიის მთების გასწვრივი ზღვრების შემაერთებელი ხაზით“ (იქვე).

როგორც ითქვა, ჩვენ კოლხიდად მივიჩნევთ მიწა-წყალს მდ. ჭოროხიდან თითქმის ტრაპეზუნტამდე, კოლხიდის ნაწილი იყო ასევე ჭოროხის ხეობა არსიანის ქედამდე. ამიტომაც კოლხიდას აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა იბერია, რომელიც მართლაც აქვე, არსიანის ქედის იქით იწყებოდა (არტაანის ოლქი). აქვე იბერიაში მდებარეობდა ქალაქი არტანისა (ქართულ წყაროებშიც მას ჰქვია „ქალაქი არტანისა“ - ანუ არტაანის ქალაქი: პტოლემაიოსიც იბერიის ქალაქთა შორის მას (არტანისას) ასახელებს.

ამ ტერიტორიაზე (ე. ი. ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე) ცხოვრობდნენ პტოლემაიოსის ლაზები, მათ სიახლოვეს კი მანრალები და ეკრეკტიკეს ქვეყნის მოსახლენი.

პტოლემაიოსი წერს - „კოლხეთის ზღვის მიმდებარე მიდამოებში მკვიდრობენ ლაზები, ზემოთ კი - მანრალები და ეკრეკტიკეს ქვეყნის მოსახლენი“ (პტოლემაიოსი, „ანტიკური კავკასია“, 2010, გვ. 356,დ).

ჩვენი კვლევით სტრაბონი, თითქმის პტოლემაიოსის ეპოქაში, მიიჩნევდა, რომ „კოლხიდის სანაპირო“ ერქვა ზღვისპირს თანამედროვე სურმენედან ტრაბზონამდე (ე. ი. დიოსკურიიდან ტრაპეზუნტამდე). ამიტომაც ჩანს, პტოლემაიოსიც „კოლხიდის ზღვას“ უწოდებდა ამავე სანაპიროს მომცველ ზღვისპირს. ე.ი. პტოლემაიოსის მიერ ნახსენები „კოლხიდის ზღვის მიმდებარე მიდამოების“ ქვეშ იგულისხმება ტრაპეზუნტის სამხრეთი მთიანეთი, რომელიც ამ „ზღვის“ პირისპირ მდებარეობს. ვინ არიან პტოლემაიოსის მიერ ნახსენები „ლაზები“, რომელნიც ცხოვრობნენ ტრაპეზუნტიდან - სურმენამდე და რიზემდე, კოლხიდის ზღვის მიდამოებში? პასუხისათვის საინტერესოა სტრაბონის ცნობა, აღნიშნულ მიწა-წყალზე, ტრაპეზუნტის მთიანეთში ცხოვრობდნენ ქალდები, მათ სტრაბონი უწოდებს „ხალიბებს“ და ასევე „ალაზონებს“.

ეტიმოლოგიურად სიტყვები „ალაზონები“ და „ლაზები“ ერთი წარმოშობისა

უნდა იყოს. ლაზიკას ბერძნულად „ლაზონიც“ ერქვა. ამიტომაც პტოლომეოსის და სტრაბონის „ალაზონები“ და „ლაზები“ ერთსა და იმავე ტომს - ქალდებს უნდა მიუთითებდეს. სტრაბონი ვრცლად მსჯელობს, იმის შესახებ, რომ ტროელთა დასახმარებლად ბერძნებთან ომის დროს ხალიბების წინაპარი ალიზონები (იგივე ალაზონები) მივიდნენ ტროაში - „შორიდან ხალიბედან“ (სტრაბ. XII, 3,20-22). ის ვრცლად მსჯელობს, და ამ თავის თვალსაზრისს მრავალი მაგალითით ამტკიცებს. ჰომეროსი წერს - „ხოლო ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ ალიზონებს, შორეული ალიბედან, სადაც არის ვერცხლის საბადო ...უნდა შეიცვალოს დაწერილი შორეული ხალიბედან... ეს აიხსნება წერითი ცვლილებებით“ (სტრაბონი, XII, 3,20-22).

სტრაბონის ქართველი მთარგმნელები „ალიზონების და ალაზონების“, ნაცვლად წერენ „ალიძონები“, „ალაძონები“, ასევე „ამაძონები“, მაშინ როცა რუსულ თარგმანებში წერია ამაზონები, ალაზონები, ალიზონები. მთელი მსოფლიო წერს ამაზონები და არა ამაძონები. თუ ბერძნულ „ძეტას“ წავიკითხავთ, როგორც „ძ“ მაშინ პტოლემაიოსთანაც სიტყვა „ლაზი“ უნდა წავიკითხოთ - „ლაძი“, მაგრამ მისი ქართველი მთარგმნელი წერს - „ლაზი“ - პტოლემაისოი წერს - **„კოლხიდის ზღვის მიმდებარე მიდამოებში მკვიდრობენ ლაზები, ზემოთ კი მანრალები და ეკრეკტიკეს ქვეყნის მოსახლენი“ („ანტიკური კავკასია“, 2010, გვ. 356,დ).**

როგორც აღვნიშნეთ, პტოლემაიოსის ლაზები ცხოვრობნენ „კოლხიდის ზღვასთან“, ანუ „კოლხიდის სანაპიროსთან“ თანამედროვე სურმენე-ტრაპეზუნტის მთიანეთში, ისტორიულად აქ ყოველთვის ცხოვრობდნენ ქალდები, აქ იყო „ქალდეას თემიც“, აქ იყო ცნობილი ქალაქები ზიგანა და არგიროპოლისი (ვერცხლის ქალაქი), აქ უნდა ყოფილიყო ვერცხლის ის საბადოები, რომელიც სტრაბონს ხალიბების ქვეყანაში ეგულებოდა. მისი აზრით, როგორც ვთქვით ხალიბები და ქალდები ერთი ხალხი იყო და მათ აგრეთვე „ალაზონებიც“ ერქვათ. პტოლემაისის ლაზები - სწორედ ეს ხალხი უნდა იყოს. ქალდეას პროვინციის მაღლა, ქვეყნის სიღრმეში, ნ. ადონცის სიტყვით მდებარეობდა **სამხრეთ ეგრისის პროვინცია „მანრალია“, თეოდოსოპოლიოსის სამხრეთ-დასავლეთით 40-იოდე კილომეტრში.**

პტოლემაიოსის „ეკრეკტიკეს ქვეყანაც“ აქვე, სამხრეთ ეგრისის რომელიმე ნაწილი უნდა ყოფილიყო, მაშასადამე პტოლემაიოსი გვაძლევს ცნობებს I საუკუნეში თეოდოსოპოლიოს - არზრუმიდან ვიდრე ტრაპეზუნტამდე მდებარე ქვეყნის მოსახლეთა შესახებ - კერძოდ კი ეკრეკტიკეს, მანრალიისა და ლაზთა ქვეყნების მოსახლეთა შესახებ. როგორც ვთქვით - ესენია ტრაპეზუნტის სამხრეთით მდებარე მხარეები, სურმენეს ანუ დიოსკურიის მარჯვნივ ზღვისპირზე მდებარე პუნქტები და მდინარეები აღწერილია მდ. ჭოროხამდე, რომელსაც ის ფაზისს უწოდებს, შესაბამისად ქართული თარგმანის ტექსტში ჩართულ განმარტებას, თითქოსდა მდ. ჰიპოსი არის ცხენისწყალი, ჩვენ არ ვეთანხმებით, - **მდ. ჰიპოსი პტოლემაიოსის აღწერით, ან უშუალოდ ჩაედინებოდა ზღვაში ტრაპეზუნტსა და ჭოროხს შუა, ანდა ის იყო ჭოროხის შენაკადი. ასევე, მისი ქალაქი სიგნეოსი ან ტრაპეზუნტსა და ჭოროხს შუა მდებარეობდა ზღვისპირზე, ანდა იყო ცნობილი ქალაქი ზიგანა იმავე რეგიონში.**

3. იბერიის საზღვრები პტოლემაიოსთან ასეთია - ჩრდილოეთით სარმატია, დასავლეთით „კოლხიდის აღნიშნული ხაზი“ ანუ კარჩხალ-არსიანის რეგიონი,

სამხრეთით დიდი არმენია - კოლხიდიდან“ (კოლხიდა და დიდი არმენია მისთვის ერთმანეთის გვერდით მდგომი ქვეყნებია) იბერიის ქალაქთაგან მის მიერ ნახსენები არტანისა, უნდა იყოს არტაანის ქალაქი - რომელსაც ქართულადაც არტანისა ერქვა, ქ. ძალისა - აღმოჩნდა არქეოლოგიური კვლევათა შედეგად სოფელ ძალისასთან. არმაკტიკა კი არმაზად მიიჩნევა.

4. „მოსხური მთები“ ანუ „მოსხების მთები“ მრავალჯერ იხსენიება პტოლემაიოსთან დიდი არმენიის აღწერისას. „დიდი არმენია შემოისაზღვრება: ჩრდილოეთით კოლხიდის ნაწილით და იბერიითა და ალბანიით მდინარე კიროსის გასწვრივი ზემოთხსენებული ხაზის მიხედვით. დასავლეთიდან ...კაპადოკიის პონტოს გასწვრივ კოლხიდამდე მოსხური მთების ხაზით... არმენიის მთათაგან განთქმულია ე. წ. მოსხური მთები, რომლებიც გადაჭიმულია კაპადოკიის ზემოთ მდებარე ნაწილის გასწვრივ და პარიადრესის მთა... არმენიის მხარეებია: მოსხურ მთებთან - კოტარძენე, მას ზემოთ ბოქასად წოდებული მხარე, მდ. კიროსის გასწვრივ - ტორასენე და ტოტენე. მდ. არაქსის გასწვრივ კოლთენე და მის ქვემოთ სოდუკენე, პარიადრესის მთასთან სირაკენე და საკაპენე...“ (ანტიკური კავკასია, 2010, გვ. 356,ზ).

პტოლემაიოსის აღწერიდან ჩანს, რომ მას დაფიქსირებული აქვს ის მდგომარეობა, რაც შეიქმნა მის შემდეგ, რაც არმენიამ იბერიას ჩამოაჭრა ვრცელი ტერიტორიები პარიადრეს კალთები, გოგარენა და ხორძენა. ამიტომაც მან არმენიაში შეიყვანა მოსხური მთები - ესე იგი მთათა სისტემა კარჩალ-არსიანიდან ვიდრე ჭოროხისა და ევფრატის სათავეებამდე.

საბოლოდ, პტოლემაიოსი სარმატიას უწოდებს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირს, კოლხიდას - ტერიტორიას ჭოროხიდან ტრაპეზუნტამდე (სურმენემდე), სადაც ცხოვრობენ ლაზები და მანრალები, კოლხიდის ნაწილად თვლის ჭოროხის ხეობას არსიანის ქედამდე, სადაც, კარჩხალ-არსიანის მთიანეთში ეგულება კორაქსის მთა და მდ. კორაქსი, აქვე იწყება მოსხური (მოსხები) ქედი. და აქვეა ქ. არტანისა - იბერიაში.

ეს ადგილი მისთვის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული წერტილია, საიდან ავლებს შესაბამის ხაზებს ქვეყანათა ადგილმდებარეობის განსასაზღვრად.

5. „სვანოკოლხების“ ტომს პტოლემაიოსი ასახელებს „პონტოს გასწვრივ“ სხვა ტომთა ჩამონათვალის ბოლოს - „...პონტოს გასწვრივ - აქაველები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები...“ (ანტიკური კავკასია, გვ. 356,გ).

მაშასადამე სვანოკოლხები ცხოვრობდნენ ჰენიოხების ქვემოთ.

სტრაბონის მიხედვით ჰენიოხები ცხოვრობდნენ პიტიუნტამდე (პიტიამდე), რომელიც ჩემი კვლევით დაახლოებით შეესაბამება თანამედროვე პუნქტ პაზარს (არდაშენ-ათინასთან). აქ თურმე, პტოლემაიოსის ცნობით, მთიანეთში, ცხოვრობდნენ სვანოკოლხები. აღსანიშნავია, რომ მკვლევარ ლაბაძის (და არა მარტო მისი) ცნობით, ათინასთან მცხოვრები ლაზები დღესაც თავის თავს „სვანებს“ უწოდებენ და თავიანთ ლაზურ კილოს „სვანურად“ მიიჩნევენ.

დასავლეთ საქართველოს სანაპიროს არა მხოლოდ პტოლემაიოსი და სომხური გეოგრაფია უწოდებდნენ სარმატიას, არამედ მრავალი სხვა ავტორიც. იქ მცხოვრებ და ზემოთჩამოთვლილ ქართველ ტომებსაც „სკვითებს“ უწოდებდნენ. ამის ძირითადი მიზეზი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოს მხარის ნაკლები შესწავლა იმჟამინდელ მეცნიერთა მიერ. თვით პტოლემაიოსიც კი მას უწოდებს „უცნობ ქვეყანას“, ანდა „უცნობ მიწას“. ის წერს - „იქაური მერიდიანის გასწვრივ, ვიდრე უცნობ მიწამდე“ (იქვე, გვ. 356,ბ). ანდა „სარმატიას იკავებენ -

უცნობი მიწის მიმდებარე ჰიპერბორეელი სარმატები...“ (იქვე, გვ. 356,გ) და ა. შ.

დასავლეთ საქართველო I ათასწლეულში შავი ზღვის დონის მკვეთრი ამაღლების გამო გეოგრაფიულად რთული რეგიონი იყო, ამიტომაც შესასწავლად ჭელი

სვანოკოლხები
Souannokolchoi

1) კლავდი პტოლომე პონტოს ჩრდილოეთ ტომთა შორის, ჰენიოხების მეზობლად, ასახელებს სვანკოლხებს (გეოგრაფია, V, VIII, 25).

2) სტრაბონი იმ ხალხთა შორის, რომელნიც პონტოში მკვიდრობდნენ დასახელებული ჰყავს სვანები, სტრაბონის სიტყვით პონტოს მთიელ ტომთა შორის სვანები პირველნი არიან ძალითა და ძლიერებით, მბრძანებლობენ ყველა გარშემო ტომზე, და უჭირავთ კავკასიონის მთიანი მხარე, რომელიც აღმოსავლეთი დიოსკურიის ზემოთაა (სტრ. გეოგრ. XI, 2, 19).

3) სვან-კოლხები მოხსენიებული ჰყავს სომეხ ისტორიკოსს ფავსტოს ბიზანტიელს, სახელწოდებით ეგერ-სვანი, ე. ი. მეგრელ-სვანი (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 145).

ძველ ბერძენ - მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა განმარტებანი ქართველთა წარმოშობის შესახებ

თესალონიკელი არქიეპისკოპოსი ევსტატე (ევსტათიოსი) განმარტავს ჰომეროსის (ძვ. წ. VIII ს.) „ილიადას“ ადგილებს ქართველებთან დაკავშირებით, ჰომეროსი თავის ილიადაში წერს - ტროას ომში „ჰალიზონებს მოუძღოდნენ ოდიოსი და ეპისტროფოსი, შორეული ალიბედან, საიდანაცაა ვერცხლის საწყისი“ (II, 856-857). არქიეპისკოპოსი ევსტატე ასე განმართავს ამ ადგილს ჰომეროსიდან - „ჰალიზონები ხალიბებს უწოდა (ჰომეროსმა), ხალიბებს ჰქონდათ განთქმული ვერცხლის საბადოები, ახლა კი აქვთ რკინისა. გეოგრაფოსი ამბობს, რომ ზოგიერთნი ნაცვლად „ალიზონებისა“ წერენ „ალაზონები“ ანდა „ოლიზონები“ (ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, 2010, გვ. 49).

როგორც „გეოგრაფოსის“ (ჩანს იგულისხმება სტრაბონი), ისე არქიეპისკოპოს ევსტატეს თვალსაზრისით ხალიბები მონაწილეობდნენ ტროას ომში და მათ ასევე ეწოდებოდათ „ალაზონები“. ალაზონები არის საწყისი სიტყვებისა „ლაზონია“ (ასე ერქვა ოლქს ტრაპეზუნტის მახლობლად) და „ლაზი“ (ასე ერქვა ტომს ასევე ტრაპეზუნტის ახლოს მცხოვრებთ), ხოლო ხალიბები იგივე ქალდები, ქალდეას ქვეყნის მცხოვრებნი არიან. ასე, რომ ქალდები (საიდანაც წარმომავლობს სიტყვა „ქართული“) ასევე იწოდებოდნენ ლაზებადაც. ქალდები და ლაზები ერთი ხალხი იყო. ქალდები (ქართველები) და ლაზები მუდამ ერთად იხსენიებოდნენ მწერალთა მიერ.

იგივე არქიეპისკოპოსი ევსტატე ასევე წერს ქართული ტომის გარგარელების შესახებ. ამ ტომის სახელი (გარგარი) იმითაა საინტერესო, რომ მისგან უნდა იყოს წარმომავალი ქართული პროვინციის გუგარის სახელი (გუგარქი), სიტყვის ფუძე ეთანადება ქართველთა ეთნო ფუძეს - „გგრ“ (ეგრისი, არგვეთი, გურია...). გარგარ - გუგარ - გგრ (არ ვეთანხმებით თვალსაზრისს თითქოსდა გუგარქის სახელი

მოდის სკვითური ტომის „გოგის“ სახელისაგან).

ჰომეროსის სხვა ადგილის კომენტარში ევსტატე წერს - „მონათხრობი ირწმუნება იმასაც, რომ გარგარელები - იმ ხალხის სახელია, რომელიც ამაზონებთან იყო კავშირში“ (იქვე, გვ. 50). ამაზონები - მისივე სიტყვით, არა მარტო მეომარი ქალების, არამედ ქალდების ტომის მეომარი მამაკაცების სახელიც იყო, რომელნიც ჩაცმულობისა და გრძელი თმების გამო ზოგიერთს თურმე ქალებად წარმოედგინათ.

საერთოდ, ივ. ჯავახიშვილის კვლევებით, ქალდუ ანუ ქალდი იყო იმ ქვეყნის სახელი, საიდანაც, როგორც ის წერდა წარმოდგებიან „ქართველები, ლაზები და სვანები“, ანუ ქალდუ - ქართველთა უძველესი საერთო ქვეყნის სახელი იყო. ქალდუს ქვეყნის მცხოვრებთ, იმუამად ქალდები ანუ ხალდები ერქვათ, მათ ასევე ხალიბებს უწოდებდნენ. ხალიბების მეომარი ტომის სიძლიერის შესახებ წერდნენ ქსენეფონტე და სხვა ავტორები. თესალონიკელი არქიეპისკოპოსის ევსტრატეს განმარტებით კი ქალდები იგივე ალაზონები ანუ ლაზები არიან. ანუ ქართველთა საერთო სამშობლოს სახელი „ალაზონიაც“ ყოფილა. (როგორც ითქვა აქედან უნდა იყოს სახელები არზე, არზენა (ალზენა-ლაზენა-ლაზივი-ლაზიკა), არზენა-არსიანი, არაზანი და სხვა).

კლიმენს ალექსანდრიელის (II-III სს) მიიჩნევს, რომ პონტოსზღვისპირეთში იბერიის მეზობელი და მახლობელი ამაზონები იყო არა მაინცდამაინც ქალების ტომი, არამედ ქალდებისა, ის წერს - „იბერიის მახლობლად ქალები მამაკაცურ საქმეს ეწევიან სახლში და მშობიარობის დროსაც არ ტოვებენ საქმეს. ქალი ყველაზე მძიმე სამუშაოს დროსაც კი მშობიარე აიყვანს ხელში ჩვილს და სახლში შეყავს. ქალები აქ არაფრით არ ჩამოუვარდებიან მამაკაცებს, სახლს დარაჯობენ, ნადირობენ, საქონელსაც დარაჯობენ“ (იქვე, გვ. 369). ანდა წერს - „ამაზონები - სკვითური ტომი, ვაჟკაცური, მამაკაცური ტომი კოლხების მეზობლად“ (იქვე, გვ. 369).

ხალიბების ანუ ქალდების თანამეტომენივე იყვნენ მათგან მოშორებით მცხოვრები კარდუხები, იგივე კორდიელები. კარდუ, კორდ ანუ ქართუ და კორდ მათი ქვეყნის, ასევე სატომო სახელი იყო. კარდუხების დიდი და მეომარი ტომის შესახებ წერს ქსენოფონტე. ბერძნულ 10.000 კაციან ჯარს კარდუხები ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით უხილავს. ესაა არარატის მახლობელი არეალი, იქ, სადაც გაჩერდა ნოეს კიდობანი, ამიტომაც ევსევი კესარიელიც (IV ს), საეკლესიო ისტორიის მამაც ეხება ამ საკითხს - ევსევი კესარიელი წერს - „არმენიელთა ქვეყანაში, კორდიელთა მთებზე ახლაც არის შემორჩენილი მცირეოდენი ნაშთი იმ ხომალდისა“ (ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, გვ. 383).

კარდუხების ანუ კორდიელთა ქვეყანა დაახლოებით ძვ. წ. VI ს-ში არმენიელებმა დაიპყრეს, ამიტომაც ისინი „არმენიაში“ მცხოვრებნი აღმოჩნდნენ. უფრო ადრე კი დაახლოებით ძვ. წ. IX-VIII ს-დან კარდუხების (იბერიელთა წინაპრების), მეზობლები ყოფილან ლუვიელები, ვანის ტბის პირას მცხოვრები ცნობილი ხალხი, რომელსაც ლურსმული დამწერლობა გააჩნდა. ამიტომაც ვანის ტბის პირას ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში ერთმანეთის მეზობელი ქვეყნები იყვნენ ლუვია (იგივე ლივია) და იბერია (იბერიელი ხალხის ძველი სამშობლო). აქედან იბერიელები (იგივე ივერიელები) ნაბუქოდონოსორს უფრო ჩრდილოეთით პონტოს ზღვისპირეთში გადაუსახლებია.

ამ საკითხს ეხება ევსევი კესარიელი, ის წერს - „აბიდენეს თხზულებაში ასი-

რიელთა შესახებ ასეთი რამ სწერია ნაბუქოდონოსორზე: - „მეგასთენესი ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე მეტ ძალას ფლობდა, ლიბიისა და იბერიის წინააღმდეგ გაილაშქრა და დაიპყრო რა ეს ქვეყნები, ნაწილი მოსახლეობისა პონტოსის მარჯვენა მხარეს დაასახლა“ (ევსევი კესარიელი, ევანგელური შემზადება, IX, 41,1, იქვე, გვ. 383).

ევსევი კესარიელი იმეორებს ძველ ცნობებს, რომ იბერიული ხალხის ერთი ნაწილი ძვ. წ. VI ს-ში სამხრეთის სამშობლოდან უფრო ჩრდილოეთით - შავიზღვისპირეთში დასახლდა. ჩანს, თავისსავე თანამეტომეებთან ძველ კოლხეთში. მეგასთენეს ცნობით თავის მხრივ კოლხები და მოსხებიც ერთი ხალხი ყოფილა.

იგივე ევსევი კესარიელი სხვა ნაშრომში მიიჩნევს, რომ მოსოხისაგან წარმოიშვნენ მოსინიკები (მოსოხები და მოსინიკები ერთიდაიგივე ტომია), ხოლო სანები იგივე სანიგები არიან, ისინი ერთი ხალხია. ის წერს - „მოსოხი, საიდანაცაა მოსინიკები... სანები, რომელთაც სანიკებსაც უწოდებენ, პონტომდე არიან დასახლებულნი. აქ აფსაროსი და სებასტოპოლისი, კავსოლიმანი და ფასისი უერთდებიან ერთმანეთს. ეს ტომები ტრაპეზუსამდე არიან განსახლებული“ (იქვე, გვ. 384-385).

მდ. ფაზისს - ქართველი ხალხის განსახლების ერთერთ ძირითადი რეგიონის მთავარ მდინარეს ახსენებს ბასილი დიდიც. (IV ს). ის თავის „ექვსთა დღეთაში“ წერს „ფასისი, რომელიც კავკასიის მთებიდან მოედინება და მრავალი სხვა მდინარე ჩრდილოეთიდან ევქსინის პონტისაკენ მიედინება“ (ბასილი დიდი, ცხრა ჰომილია ექვსდღიურზე, III, 6, იქვე, გვ. 381).

ბერძნები და, ჩანს, ქართველებიც, მრავალ მდინარეს უწოდებდნენ ფასისს. ბერძნული შეხედულების შესაბამისად წმიდა, სუფთა და სასმელად საუკეთესო მდინარის წყალი შეიძლებოდა წოდებულიყო ფასისად. ასევე, ზოგიერთი კვლევით, ფასისი ეწოდებოდა წმიდა, საუკეთესო, განსაკუთრებული ხარისხის ზეთსაც. მდ. ფასისის სანაპიროებიც, შესაბამისად ლამაზი უნდა ყოფილიყო, ხოლო ჰავა ამ მდინარის ნაპირის საუკეთესო მაშასადამე ჭაობის, მკვდარი ანდა შლამიანი წყალი არ შეიძლებოდა ფასისად წოდებულიყო. ამიტომაც ასეთი შესანიშნავი მთის წყლების სიმრავლის გამო, ფასისიც მრავალი იყო. ერთერთი, მაგალითად, ეჭვმიუტანელად იყო არაქსი სათავეებში, ფასისად წოდებული. ასევე მდ. ჭოროხი, ჩქარი და სასმელად ვარგისი მთის მდინარე, ასევე ფაზისად უნდა ყოფილიყო წოდებული მდინარე ლიკოსიც ანუ კელკიტი, რომელსაც თერმეჩაიც ეწოდება (ძველი თერმოდონტი) და აქვე იყო ქალაქი თემისკირა, ეს მდინარე კოლხების ძველი მოსახლეობის ქვეყანაში გადაედინებოდა, აქ იხილა ქსენეფონტემ ტიბარანები და ხალიბები. ეს მხარეები იმჟამინდელ არმენიასთან ახლოს მდებარეობდა. ჩანს მის შესახებ წერს თემისტიოსი (IV ს), ის წერს - „მე, კეთილო ჭაბუკო, მჭერმეტყველური სიტყვები მოვიმკე... პონტოს სანაპიროზე, ფასისის მახლობლად ახლაცაა თერმოდონი, ამაზონთა საგმირო საქმეები და თემისკირიონი... კოლხთა და არმენიელთა შორის...“ (ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, გვ. 393). აქვე წერს, რომ იქ „სადაც თესალიიდან მოსული არგო პოეტებმა განადიდეს“, უნდა ითქვას, რომ ამჟამადაც ქ. თერმესთან (ე. ი. ძველ თერმოდონთან) ახლოს არის ჰერაკლესა და იაზონის კონცხები, ძველად, ჩანს ფიქრობდნენ რომ არგომ აქ დაისადგურა.

სტეფანე ბიზანტიონელი (VI ს) თავის ეთნიკაში წერს ქართულ ტომთა შესახებაც - „ამაზონები - თერმოდონტთან მკვიდრი ქალთა ტომი“ (იქვე, გვ. 409).

„...ამარანტები - კოლხური ტომი, რომელთა ქვეყნიდან მოედინება ფასისი... არაქსი

- არმენიის მდინარე... აფსილები - სკვითების ტომი, ლაზების მეზობელი არიანეს მიხედვით... ბექეირი - სკვითური ტომი... ბიძერები - ტომი პონტოსზე, არის ბიძერთა ნავსადგურიც... გარგარები, ტომი, რომელიც ხორციელ კავშირშია ამაზონებთან... გარგარენე... გოგარენე - ადგილი კოლხთა და იბერთა შორის... დარდაიები - კავკასიასთან მკვიდრი ტომი... დია - VII ქალაქი სკუითიაში, ფასისთან, დიოსკურიასი - ქალაქი პონტოსის მიდამოებში, რომელსაც სებასტოპოლისსაც უწოდებენ, ადრე მას ეწოდებოდა აია... დრილე - დასახლება ტრაპეზუსთან... ჰეპტაკომეტები - სკიდისეს მთაზე მოსახლენი, ბიძერებსაც უწოდებენ... ზიგები - ბოსპოროსთან, ჩანს მათია ზიგოპოლისიც ტრაპეზუსთან ...თემისკირა - ქალაქი თერმადონთან... კორაქსები. კოლხები ტომი კოლების მახლობლად (კორაქსთა კედელი, კორაქსთა ქვეყანა)... კვიტა - კოლხური ქალაქი, არის სხვაც სკვითიაში, არის ორი კოლხური და ევროპული, არის ქალაქი კვიტაიონი კრეტაზე... კოლები = კავკასიასთან მკვიდრი ტომი, ქვეყანა - კოლიკე... ლაზები - სკვითური ტომი, არის სოფელიც არიანოსის მიხედვით - ძველი ლაზიკე... მაკრონები - დღევანდელი სანები... მოსხები - კოლხური ტომი. მატიენების მეზობელი... სანიგები - აბაზგების მეზობლად მკვიდრი სკვითური ტომი... ტიბარენია - ქალაქი პონტოსთან, ხალიბებისა და მოსინოიკების მიმდებარე... გულმოდგინედ მისდევენ თამაშსა და სიცილს და ამას უდიდეს ბედნიერებად მიიჩნევენ, მათი მეზობლები არიან ხალიბები და ლევკოსირიელები... ტაოხები - პონტოსის შიდამხრის მკვიდრი ტომი, ზოგიერთები მათ ტაოებს უწოდებენ... ფასისი - აიას ქალაქი, კოლხიდის მდინარე ფასისთან. დაარსებულია მილეტელების მიერ, არის სხვა მდინარე ფასისიც - ტაპრობანეში... ქალდეები, ტომი კოლხიდის მახლობლად... ხალიბები - პონტოსის მიდამოებში, მდინარე თერმოდონტთან მცხოვრები ტომი, მათზე ევდოქსოსი წერს - „ხალიბების ქვეყნიდან გააქვთ რკინა, რომელსაც აქებენ წრთობისათვის გამოსადეგობის გამო“. ჰომეროსი მათ ჰალიზონებად იხსენიებს კატალოგში პაფლაგენიელების შემდეგ - „ჰალიზონებს კი ოდიოსი და ეპისტროპოსი უძღოდათ, შორიდან მოსულნი - ალიბედან, სადაც არის ვერცხლის საბადო“, ანუ შეცვლილია დამწერლობა - „შორიდან ხალიბედან“, ხალიბებს სამხრეთით არმენიები ესაზღვრებიან“... (სტეფანე ბიზანტიელი, ანტიკ. კავკასია, ენციკლოპედია, გვ. 418).

ტაოს, ბასინსა და მიმდებარე მხარეებს როგორც ბერძნები, ისე სომხები „იბერია“, „ივერიას“ უწოდებდნენ და მათ მცხოვრებლებს კი ქართველებს, ივერიელებს უწოდებდნენ. პატკანოვ-მარის თეორიით თითქოსდა ეს მხარეები თავდაპირველად სომხებით იყო დასახლებული, რომელნიც შემდგომში ქართველებად გადაიქცნენ ე. წ. „ქართიზაციის“ პროცესის შედეგად, რომელიც იქაურ სომეხთა მიერ ქალკედონიტური სარწმუნოების მიღებამ გამოიწვია. ამ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება ძველ ავტორთა ცნობები, რომელნიც ზემოთ იყო მოხმობილი და გულისხმობს ქართული ტომების თავდაპირველადვე ცხოვრებას არა მხოლოდ ტაოსა და ბასიანში, არამედ უფრო სამხრეთითაც ვანის ტბიდან ვიდრე ტრაპეზუნტამდე, თუმცა არსებობს პირდაპირი ცნობებიც. ერთერთია მაგალითად VI ს. ავტორის სტეფანე ბიზანტიელის ნაშრომი ეთნოსთა შესახებ, კერძოდ მასში ნათქვამია, რომ „ობარენე“ ერქვა ევფრატსა და მტკვარს შორის მოქცეულ ტერიტორიას ანუ ტაოსა და ბასიანის მხარეებს. „ობარენე“ ეტიმოლოგიურად იგივე „იბერიაა“. აღსანიშნავია, რომ ამ და მის მომიჯნავე მხარეებს „იბერ“ ფუძით მრავალი სახელწოდება არსებობდა, რომელთაც სხვაგანაც ვეხებით. სტეფანე ბიზანტიელი წერს - „ობარენე - არმენიის ნაწილი, რომელიც ემიჯნება მდინარე ევფრატს

პარალელურად მიმდინარე მდინარე კიროსს (მტკვარს). მათ იხსენიებს კვადრა-ტოსიც „პართიკის“ მეექვსე წიგნში: „მდინარე კიროსის გასწვრივ მკვიდრობენ ობარენები და ოტენები - არმენიის დიდი ნაწილის მოსახლენი“ (იქვე, გვ. 418). აქ ცხადია ლაპარაკია ტაოს, ბასიანისა და მიმდებარე მხარეების მოსახლეობის შესახებ.

საერთოდ აღნიშნულ და სხვა ძველ მართლმადიდებელ ავტორთა ცნობები აქარწყლებს ე. წ. „ქართიზაციის თეორიის“ იდეას, თითქოსდა ჩრდილო არმენიის მოსახლეობის ნაწილი „ქართიზაციის“ შედეგად გაქართველდა, პირიქით ეს ტერ-იტორიები იმთავითვე ქართული იყო.

ფოტოები
(ფოტოგრაფიული მონაცემები ფაზისის და ლაზიკის სახელდებასთან მიმართებაში)

„სხვათა შორის საკითხი ეხება არა რაიმე მოჩვენებითს ან ბუნდოვან რასმეს, არამედ მდინარეს და ქვეყანას, რომლის შეცვლა და რამენაირად დაფარვა შეუძლებელია, მხედველობაც საკმაო საბუთად გამოდგება და არაფერი შეუშლის ხელს იმას, ვისაც ჭეშმარიტების გამოკვლევა აქვს განზრახული“ – წერს პროკოფი კესარიელი (გეორგიკა, ტ. 2, 1965, გვ. 140).

ახლაც კი XXI ს-ში თვალნათლივ ჩანს, რომ რიონი ჭაობის მდინარეა, ხოლო ჭოროხი კი მთისა, როგორც აღიწერება მდინარე ფაზისი კლდეთა შორის მოედინებოდა, ვიდრე თითქმის ზღვამდე.

ლაზიკაც კლდოვანი ქვეყანა იყო (როგორც კლარჯეთი) და არა ბარისა (როგორიცაა დასავლეთ საქართველო). ფოტოებიდან ეს თვალნათლივ ჩანს. ამ ფაქტის „რამენაირად დაფარვა შეუძლებელია“.

სარაპანა და სკანდა მდებარეობდნენ არა ბარის, არამედ კლდოვანი მთების ქვეყანაში

კლარჯეთი

პროკოფი კესარიელის ცნობით სკანდასა და სარაპანას ციხეები მაღალ მთიანეთში მდებარეობდნენ, სადაც არ ხარობდა ვაზი და არ მოდიოდა არავითარი მოსავალი

ართვინ-არტანუჯის გზა

ლაზიკის კლდეები

„ვიწროები ლაზიკაში“ ფაზისის (ჭოროხის) სიახლოვეს

დასავლეთ საქართველო

პროკოფის ცნობისგან განსხვავებით სკანდესა და შორაპნის ციხეები დაბლობში მდებარეობდნენ (ზღვის დონიდან 170 მ.) და მათ ირგვლივ ყოველგვარი ხეხილი ხარობს

შორაპნის ციხე

ზესტაფონის რაიონში

ველური ბროწეულის ბუჩქები შორაპნის გალავანთან

ხეხილის ბაღები შორაპნის ციხიდან

„ვიწროები ლაზიკაში“ ფაზისის (ჭოროხის) სიახლოვეს

წინაპლანზე ვაზის მსხვილი ღერო, უკანა პლანზე შორაპნის ციხე

„ვიწროები ლაზიკაში“ ფაზისის (ჭოროხის) სიახლოვეს



ტროპიკული მცენარე (ბანანი) შორაპნის ერთ-ერთ ეზოში

კლისურები ლაზიკაში ჭოროხის სიახლოვეს

სკანდეს ციხე თერჯოლის რაიონში
სოფელი სკანდე ვაკე-ბორცვებიან ადგილზეა

კლისურები ლაზიკაში ჭოროხის სიახლოვეს

დაფნის ბუჩქი (წინა პლანზე) თერჯოლის სკანდეს ციხესთან (უკანა პლანზე)

კლისურები ლაზიკაში ჭოროხის სიახლოვეს

სოფელი სკანდე – „არა, პროკოფის სკანდა სხვაგანაა საძებნი“

არტანუჯის ციხე

პროკოფის ცნობით ლაზიკის ზღვის სანაპირო კლდოვანი იყო

ლაზიკა კლარჯეთის ზღვის სანაპირო
ამჟამადაც მთიან-კლდოვანია

„კლარჯეთი, ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი“

„ლაზიკას კლდოვანი სანაპირო აქვს“. ზღვის სანაპიროს კლდეები, ბათუმის სამხრეთით (თანამედროვე თურქეთი, ისტორიული სამხრეთ ეგრისი – ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი)

პროკოფის ცნობისგან განსხვავებით
დასავლეთ საქართველოს ზღვისპირი და
გაშლილი ვაკეა

დასავლეთ საქართველო

დასავლეთ საქართველოს დაბლობზე
მდინარეები მდორედ მიედინებიან
მდ. კაპარჭანა ფოთთან

„ლაზიკას კლდოვანი სანაპირო აქვს“.

ხიდი მდ. კაპარჭანაზე

რიზეს რეგიონი

მდ. კაპარჭანას უჭირს თავისი წყლის შეტანა ზღვაში, რადგანაც მისი დაბლობი კალაპოტი ზღვის დონეზეა

ლაზიკის ზღვის სანაპირო

ლაზიკის ზღვის სანაპირო

მდ. რიონი ზღვის შესართავთან მდორეა. ფოტოდანაც ჩანს, რომ რიონის დაბლობის მდინარეებს უჭირთ თავიანთი წყლების შეტანა ზღვაში, რადგანაც ეს დაბლობი თითქმის ზღვის დონეზეა გადაშლილი

სტრაბონის ცნობით მდინარე ფაზისი გრგვინვითა და ქუხილით ჩაედინებოდა სარაპანას ციხესთან შავ ზღვაში, დასავლეთ საქართველოს მდინარეები კი რიონის დაბლობში მდორედ მიედინებიან და ზღვასთან ჭაობდებიან კიდეც.

წყნარი და მდორე ყვირილა შორაპანთან

წყნარი და მდორე ყვირილა შორაპანთან (უკანა პლანზე შორაპნის ციხე)

მდინარე შორაპანთან წყნარი და მდორეა

მდინარე შორაპნის ციხესთან (უკანა პლანზე) – წყნარია

მდინარე შორაპნის ციხესთან (უკანა პლანზე) – წყნარია

რიონის ჭაობების დასაშრობი სადრენაჟო სისტემები

რიონის ჭაობების დასაშრობი სადრენაჟო სისტემები

რიონის ჭაობების დასაშრობი სადრენაჟო სისტემები

რიონის ჭაობების დასაშრობი სადრენაჟო სისტემები

ხელოვნური არხები ჭაობში

პროკოფის ცნობით მდინარე ფაზისის კალაპოტი უცვლელია, რადგანაც კლდეთა შორის მიედინება, ასეთია მდინარე ჭოროხი და არა მდიანრე რიონი ზღვის პირას.

მდინარე ფაზისს უცვლელი კალაპოტი აქვს, რადგანაც კლდეთა შორის მიედინება (მდ. ჭოროხი)

მდინარე ფაზისს უცვლელი კალაპოტი აქვს, რადგანაც კლდეთა შორის მიედინება (მდ. ჭოროხი)

მდინარე ფაზისს უცვლელი კალაპოტი აქვს, რადგანაც კლდეთა შორის მიედინება (მდ. ჭოროხი)

არდაშენისწყლის ხიდები

სტრაბონის ცნობით, მდინარე ფაზისის რეგიონში ასეულობით ხიდი იყო.



არდაშენისწყლის ხიდები



არდაშენისწყლის ხიდები

არდაშენისწყლის ხიდები



არდაშენისწყლის ხიდები

ანდაზმენისწყლის ხიდები

ანდაზმენისწყლის ხიდები



ტრაბზონიდან ზიგანა-გიუმიშხანისკენ მიმავალი გზა

ტრაბზონიდან ზიგანა-გიუმიშხანისკენ მიმავალი გზა

ცმაგიან

ზიგანა

არდაშა-ტორული

არდაშა-ტორულის წყალი



კლდეები არდაშა-ტორულთან

არდაშა-ტორულის წყალი

კლდეები
არდაშა-ტორულთან

გზა გუმუშხანისკენ

გუმუშხანი

გუმუშხანი

გუმუშხანი

ძველ ნაქალაქარ სატალას
და იმერას ეკლესიები

ძველ ნაქალაქარ
სატალას ნანგრევები

გზა იმერას მონასტრისაკენ

გზა სუმელას მონასტრისაკენ–
ძველი როდოპოლისის რეგიონი

სუმელას მონასტერი როდოპოლისის კათედრის მემკვიდრე

სუმელას მონასტერი
როდოპოლისის კათედრის
მემკვიდრე

სუმელას მონასტერი
როდოპოლისის კათედრის
მემკვიდრე



ვაზელონის მონასტერი
ლაზიკის საეპისკოპოსოე-
ბის მემკვიდრე

ვაზელონის მონასტრის
მიძინების ეკლესია



ვაზელონის
მონასტრის გარე ხედი

ვაზელონის
მონასტრის
მიძინების
ეკლესიის
ფრესკა

ხედი ვაზელონის მონასტრიდან ისტორიულ ლაზიკაში

ფოტოები გადაღებულია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მიერ 2010 წელს


ქართული ტომები შავიზღვისპირეთში
შავი ზღვა
ბერიკლეს კედელი
ბოსპორის კედელი
ბიზანტიის
ბიზანტია
ბერძენ-ბარბაროსთა ურთიერთობა
ბერძენ-ბარბაროსთა ურთიერთობა
ბერძენ-ბარბაროსთა ურთიერთობა